





# 1910–1920-იანი წლების ჟურნალები

მესამე წიგნი

კავკასიონი, ახალი კავკასიონი

თბილისი  
2011

© გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი 2011

www.literaturemuseum.ge  
ტელ.: +995 32 293-20-45  
info@literaturemuseum.ge

იდუის ავტორები:	<b>იზა ორჯონიკიძე, თამაზ ჩხენკელი</b>
გამომცემელი:	<b>ლაშა ბაქრაძე</b>
რედაქტორი:	<b>თეა თვალავაძე</b>
შემდგენელი:	<b>მარინა ხუბულური</b>
კორექტორები:	<b>კახი ორჯონიკიძე, ეკა გრიგოლია</b>
ფოტორეპროდუქციები:	<b>მირიან კილაძე</b>
კომპიუტერული მომსახურება:	<b>ირინე ამირიძე, ლიანა ქიტიაშვილი</b>

დაიბეჭდა სტამბაში *ფორმა*

**ლიტერატურის მუზეუმი მადლობას უხდის კომპანია *მაგთიკომს*  
გამოცემის დაფინანსებისთვის**

ISBN 978-99940-28-59-7 (ყველა ნიგნი)  
ISBN 978-99940-28-62-7 (მესამე ნიგნი)

**მაგთი  
MAGTI**



**ჩვენ ქართულ სამშენს ვაკეთებთ**



ՀՅՅՆԱՐԱՅՈՒՄ

1-2

ԵՐԱՅԱՆ  
1924

# კავკასიონი

საგეოგრაფიო ჟურნალი

ლიტერატურა : ხელოვნება : ფილოსოფია : მეცნიერება

1-2

თბილისი

1924

---

## CAUCASSIONI

Journal mensuel de l'Union des écrivains de la Géorgie  
Littérature, Arts, Philosophie, Sciences. 1924, N° 1-2. Tiflis



## მ რ გ ა ნ მ

სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირისა.

გამომცემელი:

მწერალთა კავშირის საბჭო.

რედაქტორი:

პავლე ინგოროყვა.

---

ს. მ. ჟ. ს. პოლიგრაფ. განყოფილების მე-5 სტამბა (დენისის ქ. № 3).

მთაწვითი № 146. -- ტირაჟი 1500.



## „კავკასიონი“. №1-2. 1924

### ჟურნალი „კავკასიონი“

ქართველი საზოგადოება, და პირველ რიგში თვით მწერლები, კარგა ხანია გრძნობდნენ იმ შეუვსებელ ნაკლს, რომ ქართულს ენაზე არ არსებობს ისეთი პერიოდული ორგანო, რომელიც იყვეს მთლიანი გამომსახველი ქართული შემოქმედებისა და აზროვნების.

სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირმა განიზრახა შეეცაოს ეს ნაკლი ყოველთვიურ ჟურნალ „კავკასიონი“-ს გამოცემით. პირველი წიგნი ამ ჟურნალისა ამით წარედგინება მკითხველ საზოგადოებას.

საერთო სახე ჩვენი გამოცემისა — ვფიქრობთ — საკმაოდ ცხადია ამ პირველი წიგნიდანაც, და ამიტომ ჩვენი ჟურნალის მიზნების შესახებ აქ შეგვიძლია დავკმაყოფილდეთ ორიოდ სიტყვით.

ჩვენი ჟურნალი, თუმცა იგი არის ორგანო მწერალთა კავშირისა, მაგრამ მისი ინტერესები არ შემოიფარგლება მარტო ვიწრო ლიტერატურით. ქართულ მწერლობას აქვს საპატიო ტრადიცია, იყვეს მესვეური მთელი ქართული კულტურისა, და იგი ეხლაც ვერ აუვლიდა ამ გზას; კავკასიონი ყურადღებას აქცევს ქართული კულტურის ყველა დარგებს.

\* \*

ჟურნალი პირველ რიგში დაუთმობს თავის ფურცლებს ქართულ მხატვრულ მწერლობას, და ქართული ლიტერატურული საკითხების განხილვას. აქ საჭიროდ მიგვაჩნია, ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ ჟურნალი სდგას ყოველგვარ ვიწრო ლიტერატურულ-ჯგუფური ინტერესების გარეშე. მწერალთა კავშირი, რომლის ორგანოა „კავკასიონი“, აერთებს თავის რიგებში ყველა ქართველ მწერლებს. „კავკასიონი“ შეეცდება, იყვეს მიუდგომელი და მოგვცეს მთლიანი სახე ქართული მწერლობისა. ყველა თანამედროვე ლიტერატურულ დაჯგუფებათა და სკოლებს, რამდენადაც ისინი მართლაც წარმოადგენენ ლიტერატურულ მოვლენას, დაეთმობათ ადგილი ჟურნალში. ერთად-ერთი საზომი, რომლითაც იხელმძღვანელებს ამ შემთხვევაში „კავკასიონი“, ეს არის იდეები იმ მარადი ხელოვნებისა, რომელიც მაღლა სდგას წარმავალ ლიტერატურულ მოდაზე, ყოველგვარ „მემარჯვენეობასა“ და „მემარცხენეობაზე“, მარადი ხელოვნებისა, რომელიც არასოდეს არ ბერდება.

„კავკასიონი“ შეეცდება შეძლებისდაგვარად გაამართლოს, ეს ხაზი, რამდენადაც რასაკვირველია, ამის ნებას აძლევს ქართული მწერლობის დღევანდელი მდგომარეობა.

\* \*

ქართული მწერლობის გვერდით, „კავკასიონი“ საპატიო ადგილს დაუთმობს უცხოეთის ლიტერატურის პრობლემების განხილვას. ქართულმა მწერლობამ უკვე დააღწია თავი ვიწრო პროვინციულობას და კავკასიონი შეეცდება შეუნყოს ხელი ქართული მწერლობის ევროპეიზაციას.

ჟურნალი პერიოდულად მოათავსებს უცხოეთის ლიტერატურათა მიმოხილვას.

ცალკე აღსანიშნავია აგრეთვე თარგმანები, რომლითაც ასე ღარიბია ქართული მწერლობა. ნაცვლად გავრცელებული შემთხვევითი თარგმანებისა მეორე და მესამე ხელიდან „კავკასიონი“ შეეცდება მოათავსოს თარგმანები, რომლებიც საბოლოოდ დარჩებიან ქართულ მწერლობას.

\* \*

შემდეგი დარგი „კავკასიონისა“ — ხელოვნება განსაკუთრებით ითხოვს ქართველ მწერალთა ყურადღებასა და მესვეურობას. ახალი ქართული ხელოვნება: მუსიკა, პლასტიური ხელოვნება, და თვით თეატრიც, ჯერ კიდევ არ არის იმდენად მძლავრი, რომ არ საჭიროებდეს დიდ მზრუნველობასა და იდეოლოგიურ განმტკიცებას. და აქ მეთაური სიტყვაა ჯერ ისევ ქართულ მწერლობას ეკუთვნის.

\* \*

დასასრულ შემდეგი მთავარი დარგი კავკასიონისა: მეცნიერება და ფილოსოფია — ქართულს ენაზე უკვე გამოდის რამდენიმე სამეცნიერო კრებული სპეციალური ხასიათისა. ამიტომ „კავკასიონს“ ეძლევა საშუალება გვერდი აუაროს ვინრო-სკოლურ საკითხებს. კავკასიონი დაუთმობს თავის ფურცლებს უფრო ფართე მნიშვნელობის პრობლემების განხილვას, პირველ რიგში ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დარგებიდან. — ჟურნალში მონაწილეობენ ყველა ჩვენი მთავარი სამეცნიერო ძალები.

\* \*

ამ მთავარი დარგების გვერდით ჟურნალს ექნება განყოფილებანი:

— ქართული კულტურის მიმოხილვა, სადაც განხილული იქნება მიმდინარე საკითხები ქართული საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრებიდან;

— მემუარები და დოკუმენტები, სადაც მოთავსებული იქნება საზოგადოებრივი და ლიტერატურული მნიშვნელობის მასალები; და დასასრულ,

— კრიტიკა, ბიბლიოგრაფია და ინფორმაცია — ყველა ამ დარგებიდან, რომლებიც შედიან ჟურნალში.

ასეთია, ორი სიტყვით, „კავკასიონის“ სახე.

მწერალთა კავშირი მიიღებს ზომებს, რომ ჟურნალი იდგეს თავის სიმაღლეზე.

მაგრამ ჟურნალის წარმატება ბევრით არის დამოკიდებული ქართველი საზოგადოების ყურადღებაზე.

პაველე ინგოროყვა  
16 თებერვალი, 1924 წ.  
ქ. ტფილისი

### ვ. ი. ულიანოვ-ლენინი

ლ. დ. ტროცკი სწერდა:

მარქსს რომ არ მოეხდინა არც ერთი რევოლუციური აქტი და დაეტოვებია შთამომავლობისათვის მარტო „კაპიტალი“, მაინც მარქსი იქნებოდა: დიდი ისტორიული პიროვნება. ლენინს რომ არ დაენერა არც ერთი სტრიქონი და დაეტოვებია კაცობრიობისათვის მარტო რევოლუციური მოქმედება, მაინც ლენინი იქნებოდა: დიდი ისტორიული პიროვნება.

ამ სიტყვებში ნამდვილი გაგებაა. მარქსი მოაზრე და ლენინი მოქმედი. ორივე დიდი ექვივალენტობით. სინამდვილეში კი მარქსიც მოქმედობდა და ლენინიც სწერდა. მართალია: მარქსის ნაწერი უფრო დიდია, ვიდრე მისი მოქმედება. ხოლო ასეთი პროპორციით ვერ ვიტყვით, თითქო ლენინის ნაწერი უფრო ნაკლები იყოს, ვიდრე მისი მოქმედება. უფრო მართებული იქნება ვსთქვათ, რომ ლენინის „მწერლობა“ იგივე მოქმედებაა.

აქ არის ლენინის საოცრება როგორც ისტორიული მოვლენის. ასეთი მთლიანი პიროვნება ბოლო ხანებში არ იცის. ევროპის ეპოქალური ტიპი ჰამლეტია. ჰამლეტობა ევროპაში თითქმის ყველა ისტორიულ პიროვნებას ახასიათებს. ლენინი ამ მხრით პირველია ევროპის ერაში, საიდანაც იწყება სრულიად ახალი ტეხილი: ჰამლეტის ანტიპოდი — პიროვნება როგორც განუკვეთელი ალი.

ლენინის ფენომენზე ტომები დაიწერება. საოცარია მასში: იდეალი ინტერნაციონალური და ბუნება ნაციონალური, ორივე ნაკადულის შესხეულებით. ხშირად მას პეტრე დიდს ადარებენ. ამ შედარებაში მართალია ორივეს „რუსობა“, მაგრამ გადალახვით ლენინი ბევრად უფრო დიდია.

ლენინში მოცემულია მთელი რუსეთის „საშო“, აქ არის რუსეთის ველი, რომლის უკიდურობა სივრცის შიშს ჰბადებს. აქ არის გიჟური მოხედვა მღვრია ქაოსის, რომლის გუგუნი ქვესკნელში ტიუტჩიევმა გაიგონა. აქ არის ნგრევის რიტმების აგორება, რომელსაც თან გადაჰყვავს სკრიაბინი. აქ არის სლავური შეტევა სამყაროს მიმართ.

მაგრამ ლენინს კიდევ სხვა რამ ახასიათებს. რუსეთის „საშო“ რბილია და უნებო, ლენინი სასტიკია და ნებიანი. ლენინი ნებაა თვითონ როგორც ხალიბის რკინა. მასში უთუოდ არის რასიული გაქანება მონგრეული მონღოლეთის. მონღოლი ჯერ კიდევ გამოუცნობია. აქ საკმარისია მხოლოდ იმის თქმა, რომ რაინდული გავარდნა მონღოლისა კეთილშობილურია თავის სისასტიკეში. სლავების უცნაურ არეში, როცა სული მარტო კატასტროფას ელის, ასეთი გავარდნა ფენომენალურ ფაქტად უნდა მოვლენილიყო. ეს ფაქტი ლენინია თვითონ. სწორედ აქ არის იგი მეტი პეტრე დიდზე. ლენინის გადალახვამ არ იცის საზღვარი.

ლენინის ნებისყოფას და ნაპოლეონის ნებისყოფას ადარებენ. მაგრამ, ერთი პოეტის სიტყვით, ნაპოლეონის ნება იყო ქოლერიული, ჭკუა კი მელანქოლიური. ლენინის ქოლერიულ ნებას კიდევ უფრო ახელებს ქოლერიული ჭკუა. ამისათვისაა ლენინი მარტო ცეცხლი და მარტო წვა. ახალს ისტორიაში ასეთი ცეცხლი მგონი არავის არ ჰქონია. აქ არის სიცხე ჰანნიბალის და რისხვა თიმურის.

ნების პრიმატი! ეს ხაზი ტროცკის სიტყვებიდანაც სჩანს. მაგრამ ეს პრიმატობა არ უნდა იყოს ინტელექტის პირისპირ. აქ არის ლენინის ფენომენალობა. რასაკვირველია, შესაძლოა — სხვას ოთხი უნივერსიტეტი ჰქონდეს გათავებული და ცამეტი ფაკულტეტი, შესაძლოა — ათასი სხვადასხვა პრობლემები წამოეყენებოს და გასაოცარი ორიგინალობითაც გადაეჭრას. ასეთს ინტელექტზე აქ არ მაქვს ლაპარაკი. მე მაქვს სახეში

ინტელექტი, რომელიც „ფატუმშია“ მოცემული. „ფატუმი“ ანტიური გაგებით. ლენინში უთუოდ არის „ბედი“ თუ გინდ იმ გაგებით, რომელიც ბოლო ხანებში ოსვალდ შპენგლერმა წამოაყენა. აქედან მომდინარებს ლენინის დიდი ინსტინქტი: ყოველის წამსავე გაგება, ტომებისა და ტრაქტატების გარეშე. აქედან გამოდის მისი სწორი და უტყუარი თვალის გაზომვაში. აქედანვე — მისი რევოლუციური მიმართება და ტაქტი.

ლენინი ყველაზე უფრო დიდი რევოლუციონერია. ამ მხრით მან არ იცის ტოლი. ნუ შეგვემინდება გაბედული თქმის. ევროპაში რევოლუცია უფრო მატერიალურ სიკეთეთა „გადაღებაა“, რუსეთში რევოლუცია სამყაროს პრობლემადაა გადაქცეული. ყოველ შემთხვევაში: პათოსით და რომანტიკით. ეს პათოსი და ეს რომანტიკა შექმნა ლენინმა. „რომანტიკა“ — არა როგორც სისხლნაკლებობა და „ოცნებობა“ რასაკვირველია. კიდევ მეტი: ლენინის სახით მოცემულია ახალი რასა რევოლუციონერის. აქ ნება და ინტელექტი ერთი და იგივეა.

ცხადია აქედან: რომ „მარქსიზმთან“ ერთად „ლენინიზმი“ შეიქმნა. მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ „ლენინიზმი“ ახალი სწავლაა „მარქსიზმთან“ შედარებით. ამაზე ალბად ტომებს დასწერენ.

ლენინი ბედია და მაშასადამე გაბედული. ასეთი „გაბედვა“ სამყაროს მიმართ არ ჰქონია არავის. ასეთი რისხვა არ მოვლენია ჯერ კაპიტალისტურ სისტემას. თვითონ სახელი მისი — „ულიანოვ-ლენინ“ მოდის ისე, როგორც ურავანი. ლენინში არ არის ის, რაც გულგრილობას იწვევს. ის მოცემულია როგორც ძელქვის კორძი, უტეხი და უკვეთელი. ის სასტიკია როგორც მოქნეული ხმალი. მაგრამ „სასტიკია ყოველი შემოქმედი“ (ნიცშე). „პირადული“ წარეცხილია თითქო მასში. მასში მოსჩანს „უპიროვნო“ სახე თვითონ ისტორიისა, ამისთვის არის იგი საოცარი და საშიშარი. ასეთია „ფატუმი“ თვითონ. ამაშია მისი ძლევა.

სიტყვის გაგრძელება შეიძლება. მაგრამ საჭირო არაა... ვისაც განუცდია, თუ რა არის: მონობა — ჩაგვრა — სიმშლილი — დაბეჩავება — წამება: მას არ შეუძლია არ მიიღოს რევოლუცია; ვისაც განუცდია, თუ რა არის: თავისუფლება — მონობის მოსპობა — ადამიანის ღირსების აღდგენა — ქვეყნის გადახალისება — ერთა თვითდამყარება: მას არ შეუძლია არ ახსენოს სახელი ლენინის, განურჩევლად პარტიული დაყოფის და პროგრამებისა.

როცა რადიომ ლენინის სიკვდილი მსოფლიოს აცნობა, ალბად ჰაერში მისი ტალღა სხვანაირად დაიკლავს. მე არა მგონია, არსებობდეს ისეთი ადამიანი, რომელიც ლენინის სიკვდილით არ შერხეულიყოს.

*გრიგოლ რობაქიძე*

## ქართული ლიტერატურა

\* \* \*

მარადი ცეცხლი ვარ მე, — ქართლოსის მხურვალე თესლი!  
აზიის გულიდან, იქ, სადაცა ღმერთები იშვნენ,  
სადაცა ადამის ტომს პირველი აკვანი ედგა —  
იქიდან მოვდივარ და სავალი ბევრი მაქვს კიდევ!  
ფესვები მაგარი მაქვს, — მინის ღერძს ჩასჭიდეს ბრჭყალი! —  
ვერაფერს დამაკლებს დრო, ვერავინ დამითვლის დღეებს.  
სწრაფვა და სიცოცხლე ვარ, — მსოფლიოს ზრახვათა მჩენი,  
ბრძოლისთვის მოვედი აქ, ბრძოლისთვის ხელახლა მოვალ,  
უკვდავი, უშრეტი, ვით ქართველთა მზიური მოდგმა.

*კოტე მაცაშვილი*

## ტფილისის მინა

მინას მოუნდა ღრუბლების დაშლა.  
მზე ძირს ჩამონვა ლანქერად, ზვავად.  
დღემ ჰამლეტივით აილო დაშნა  
ლამის მარშრუტის მოსახაზავად.

მაგრამ თუ აზრი ვერ აჯაგარდა,  
მინავ, ეს გულში ამოითხარე:  
არ არის ქვეყნად, ტფილისის გარდა,  
სხვა უფრო მძაფრი და ნაზი მხარე.

ტფილისის კენჭებს ფეხს რომ ვახვედრებ,  
ბედნიერი ვარ, თამამი მაშინ.  
გულში ვიხუტებ: პოეტებს, მხედრებს,  
რომ ბედთან უფრო ვიგრძნო თამაში.

მნამს სახელები: თამარ, რუსუდან,  
ლაშა გიორგიმ ფრთა გადამინვა, —  
დამაცოხნინე რძე მაგ ძუძუდან,  
ოი, ტფილისის დედაო მინავ!

მაგრამ არ მწყალობს ბედი ფიცხელი,  
მინა გამსკდარი, ცა მონალრუბლი,  
და პოეზიაც ისე მიცქერის,  
როგორც ილიას დაჭრილი შუბლი.

*ი. გრიშაშვილი*

## დალი

### ქართული ღმერთების პანთეონი

#### I

#### ტყის მეფე ბობლია

ულრან ტყის მეფეს ბობლიას, სახე მოლუშულს ავდრიანს,  
გადმოუნყვია თათები, ჭრელად ოქროსფერ ფაფრიანს;  
გაბმით ხარხარებს, შესძახის მუხნარ-ნაძვნარებს აფრიანს,  
ქორწილს აპირებს ქალისას, ფურ-კამეჩს დაჰკლავს ზაქიანს.

#### II

#### დალი — ტყის დედოფალი

სახელად ჰქვიან პატარძალს დალი ლამაზის სახისას;  
გულს სიყვარულით უდაგავს ძე-ხორციელსა ნახვისას.  
მაჭანკალია აგუნა, ლოთი თხის-წვერებ-ნაცარა.  
ჰყავს დამქაშები დამკვრელად: ჩხიტა, ბუცო და ცანცარა.  
სხვა თუ ბევრს დააღვინებს, იცოდეთ, საქმე დაცარა!

#### III

#### დალის ქორწილის მოლოდინში

რაკი გაიგეს ამბავი — ქორწილიაო დალისა,  
ეშურებიან, მოვიდნენ, ღვინო დალიონ ლალისა.  
ტყეში რომ მგლებმა გამოხრეს, ის რაშიც გაცოცხლებულა...  
კუდიანები შემსხდარან, ბერიკაც მათთან ხლებულა,  
რქიანი-დევი ბუტბუტებს, იქ სადაც დიდი ხევია.  
როკაპს ჯაგებზე ხტომისგან კაბა მთლად შემოჰხევეია.  
საფლავებიდან მგელკაცი ღამით მკვდრებს აღარ ალაგებს.  
ბუ გაბერილი ფრჩხალებსა აძრობს გულ-მკერდში ჩანაგებს.  
წყლით გადმომსხდარან გველ-კუენი, ჯოჯოს თან ახლავს ამქარი:  
ძაღლების ღმერთიც მობრძანდა ფრთიანი ალაშკანტარი.

#### IV

#### ცა-ღრუბლის და ტაროსის ღმერთი ვობია

მარტო ვობია ცის ღრუბლებს თავის ნებაზე განაგებს,  
გულში სწყინს — დალი თხოვდება, სხვა როგორ უამხანაგებს?  
ბოლოს იმედობს: მას დარჩეს, საქმეს მოიგებს წანაგებს.  
არ მივა იმათ ქორწილში, დაჰშლის კი ლხინის ბანაკებს.



## V

ბობლია ზის და იცინის, მეფიონს მოელოდება,  
რა იცის, მეფეს მოჰკლავენ და გული აუგლოვდება?!  
იმისი ქალი სხვასა ჰსურს, სხვაზედვე გაუთხოვდება.  
მაშ რისთვის დარბის როკაპი, კაბა რად შემოჰხვევია,  
ლამაზ ქალისთვის ჯერ სისხლი ხომ არვის დაუთხოვია?

## VI

### დალის წუხილი

დალი, ლეჩაქის სამოსით, ნაწნავებ შემოხვეული,  
გამოსულიყო ტყის პირად, სად მუდამ იყო ჩვეული,  
წყალს ჩასტიროდა წკრიალით, ეძახდა თავის დობილებს;  
მდინარის ასულს ლივლიას, კიდეც სხვა ქალებს ცნობილებს.

## VII

### წყლის ლანდალები

შეიტყვეს მისი წუხილი, მოცურდნენ ლამაზ-ლამაზნი,  
ცელქნი და მოკისკასენი, როგორც ქურციკნი, გავაზნი.  
ჰკითხეს: „რა გაგჭირებია? გვიამბე გარდასავალი!  
აქ ვერაფერი გიშველოთ, იქ, ჩვენთან მოგცეთ სავანი!  
— დებო! არ იცით, მნიშნავენ! ცოლი ვიქნები მეფისა!  
ვილაცა ქაჯთა უფროსზე, თვალმც კი გამოეფისა!  
წადით, უთხარით ვობიას, მოვიდეს, ჩემთან იაროს!  
ან წამიყვანოს თავისთან, ან მომკლას, დამაიაროს!  
ინყუზას როგორ გავყვები, სული ვერ მიეთვისება.  
ის არის ჩემი რაინდი, გრძნობა სიამით ივსება!

## VIII

### სტუმრობა ვობიასთან

წავიდნენ, ნახეს ვობია. წამოსადეგი ვაჟია.  
ღრუბლის სარეკი ეჭირა, სახე-ნათელი კაჟია.  
უთხრეს: „შენ რომ ხარ ღრუბლებში ღმერთობით განახარები,  
ტყის დედოფალი დალია, იქ ნახე განამწარები!  
ნიშანი მოგვცა მოგნახოთ: „მოვიდეს, ჩემთან იაროს,  
ან წამიყვანოს თავისთან, ან მომკლას, დამაიაროს!“  
ვობიას დიდად ეამა ჯერედ ამბავი დალისა,  
მერე სტუმრობა რძლებისა და ზღვათა დედოფალისა!  
დასხა და გაუმასპინძლდა, სუფრა მიართვა მრავლისა.  
უთხრა: ჩემს გულში განა თუ ბოლმა არ იდგა აღისა?

უყურადღებოთ დავსტოვე ჩემი ღრუბლების გუნდები.  
 სოფლის ტაროსი იცვალა, ვხედავ და ამას ვრწმუნდები.  
 წვიმა ვერავის მივარგე, მიჯნურის სევდა მერია;  
 მის ოცნებაში გართულსა სხვები მზრახავდნენ: შტერიო!  
 რაკი დასტური მივიღე, მე ვიცი მოსაგვარები;  
 ჯერ ერთმა შევძლო ინყუზას დავლენო მკვიდრი ფარები.  
 არა და სხვასაც მოვიმხრობ, შეებნენ ჩვენი ჯარები.

## IX

### ღმერთების მოპატიჟება

გამოეთხოვნენ სტუმრები ქანდაკებრ გამოსახულნი.  
 თვით გამობრუნდა, მოიხმო თვისი ერთგული მსახურნი.  
 ერთს უთხრა, ნისლას სახელად, თეთრპერანგ შესამოსიანს:  
 — ნადი, მომგვარე კურატი, მწყემს რო დაუდის ქოსიანს.  
 ჯანლოს კი უთხრა შავშუბლას, ლაშებდაშვებულს მებორგეს:  
 — ფრთები შეისხი, ისწრაფე, შეატყობინე მეგობრებს:  
 ანთარსა, — მინდვრის მეველეს, საქონლის მფარველს ჯოგისას.  
 ამრას და აბზას — მეომრებს, თვით შენც იაზრებ ზოგისას.  
 ხანმატს, ლომისას, კოპალეს — მრავალ ომშიგან ნაცადებს,  
 სტიქიონთ მეფეს აფიას, შენ იცი, კოშკი სადაც ძევს,  
 ღვინის ღვთაებას აგუნას თავის დასტით და სწორებით.  
 უმისოდ ღვინი არ ვარგა, გუდა სავსე აქვს ჭორებით!  
 ყველას უთხარი მოვიდნენ, განამზადა-თქო ზვარაკი,  
 ომის ღმერთს გუდანს მავედრონ, ეს არ ეგონოთ არაკი.

## X

### მსხვერპლ-შენიშვნა

ვერ დაეჭირათ ზვარაკი მწყემსებს თავგამოდებულებს,  
 ზოგს ხელი ეღრძო, ზოგს ფეხი იმის დევნაში ქებულებს;  
 ხარია ლალად ნამყოფი, ტყავშიათ ველარ ტეულა,  
 საცრის ოდენა თვალეზი რისხვად და ცეცხლად ფრქვეულა.  
 წინა ფეხს მიწას დაარტყავს, დამფრთხალი კისერს იღერებს,  
 თითქოს იგრძნო სიკვდილი, ღმუის და ყველას იგერებს.  
 მოაგდეს, სადაც სამსხვერპლო მზად იყო შეშებწყობილი,  
 შორს ხეივანი ვაზისა ფერად მტევნებით მკობილი.  
 იქვე ხავსიან ლოდებზე ისხდნენ სტუმრები, ხარობდნენ,  
 ზოგი ვობიას საქმისთვის გულით ხმამაღლა ცხარობდნენ:  
 „რა გახდა ქაჯი ინყუზა!“ ამრა და აზბა კმარობდნენ.  
 წამოდგა თვითონ ვობია ზვარაკის შესაპყრობელად,  
 ფანდი აიღო სასროლი სიცოცხლის ჩასაქრობელად.  
 ერთხელ ესროლა, გაუცდა, შერცხვა და გაბრაზიანდა.

მეორედ გაჰკრა, წამოსდო, რქები ხარს დაუზიანდა.  
შებლავლა: რა გსურს პატრონო! გასნია, გადალიანდა.  
ვობია ჩასვა კოჭამდის, ყველა მნახველი ჰკვირობდა.  
„ფანდსა გაგვინყვეტს, წაგვივა!“ — ვილაც ხმამაღლა ყვიროდა.  
მსახურმა შუბი ატაკა, სისხლი დაიქცა, იღვარა.  
იქ მარტო მწყემსი სტიროდა, სახე ცრემლებით იღარა.  
შვიდს გაუჭირდა აწევა და მისი ცეცხლზე დადება!  
კოჭლმა უშველათ ბოლო დროს, სხვა როგორ დაუვარდება!

## XI

### ღმერთების ქეიფი

კიდევ მოვიდნენ სტუმრები დაღლილნი სიარულითა.  
დასხდნენ და სუფრას შეექცნენ ლხინით წრე-გადასულითა.  
„მასპინძელ კარგად მასპინძლობს გულითა მხიარულითა!“  
აილო ყანწი ვობიამ, ყველანი მოიხსენია;  
ომის ღვთაება ადიდა, სთქვა: თუ ჩემს გულში სენია!  
გუდანსა მსხვერპლი შევწირე, მისდა მაქვს სავედრებელი.  
სად გამიჭირდეს, მიშველოს, მყოს შურის მაძიებელი.  
ყველანი ერთად წამოდგნენ, ერთხმად წარმოსთქვეს გალობით:  
„გუდან! ვობია ამარჯვე, მას გადმოხედე წყალობით!“  
კვლავ დასხდნენ, ქეიფს შეექცნენ, ღვინომ შიგდაშიგ ადუნა.  
მოვიდა თავის ამალით, სიმთვრალის ღმერთი აგუნა.  
ყურძნის მტევნები ეკიდა. ხონჩა მოჰქონდათ ხილითა,  
უკან მოსდევდნენ ქალები, შვენოდნენ თმითა შლილითა.  
მიონკა, ვინკა და ირონ ვნებითა ლელვიანები,  
ცეკვავდნენ ჟინის აღმძვრელად, მღეროდნენ: მოგეზმანები!  
ჩხიტამ, ბუცომ და ცანცარამ აგუნას კილო უმართეს,  
როს შუაღამე შეიქმნა, ჟინაშლილობას უმატეს!  
ცეცხლი თანდათან ჩანელდა, მთვარემ ივანშმა გვიანა!  
ქალთა სიცილმა ბუჩქებში მიდამო დაახმიანა.  
ვინ ვის კალთაში ხარობდა, ამის გარჩევა არ იყო.  
ღმერთი ასულის დევნაში ღრმა ხევში გადამხტარიყო.

## XII

### ომერ-ქალი

ზეცა აინთო ალისფრად, სხივით დაიჭრა ქედები;  
ყვავილის ეტლი გამოჩნდა, შიგ ებნენ თეთრი გედები,  
ხელში ეჭირა ლამაზ ქალს ოქროს სირმისა ღვედები.  
ვობიამ იცნო ასული, სთქვა, იგი ომერ ქალია.  
გუდანის ტურფა მიჯნური, მაღალ ღმერთების რძალია!  
მფარველი სიყვარულისა, თვით სიყვარულის ძალია.

სალამი მისცა მდაბალი, თუმცა ნახევრად მთვრალია!  
 ომერმა უთხრა: „ჭაბუკო! ვარ მოგზავნილი მთხრობელი!  
 ომის ღვთაებამ გისმინა, შენი მტრისაა მგომბელი.  
 აჰა, ეს ხმალი გადმოგცა სიცოცხლის ჩამაქრობელი!  
 უნდა შეება ინყუზას ხვალე სიმამრთან მიმავალს.  
 სხვა დროს ვერ ავენებ, ციხეში თუ იგი თავსა მიმალავს“.

### XIII

#### ბრძოლა ინყუზასთან. დალის ქორწილი

მეორე დილა გათენდა, საომრად ემზადებიან;  
 ამრა და აბზა აჩქარდნენ, ერთს ადგილს ველარ სდგებიან:  
 კოპალეს კეტი უჭირავს, განა თუ მცირე ჩილიკი?  
 აგუნა მთვრალი იძახის: „მოდით, მე ვიცი ბილიკი!“  
 თან ტიკჭორასაც დაათრევს, ბუცოს გადასცა ჩირი-კი.  
 აფიას მხარსა უმშვენებს მინდვრის მეველე ანთარი;  
 ლომისამ რაზმი დაანყო, ქაჯეთს შეებას, მზათ არი!  
 ჩასაფრდნენ ულრან ადგილას, ინყუზას ელოდებიან;  
 შორს მაცრიონის ხმა ისმის, მახარობლებიც ჩნდებიან.  
 უკან მოსდევენ ქაჯები, ტანად სხვადასხვა გვარები;  
 ვოზია ნეფეს გადაუდგა: „საქმე მაქვს მოსაგვარები.  
 დალის შენ როგორ გაგატან, თუ ცოცხლად დავიარები?  
 გინდა, შემები მკლავდამკლავ, გინდ, მოვიხმაროთ ფარები“.  
 ინყუზა ბრაზით აივსო, ლახტი ესროლა გრეხილი:  
 — გიჩვენებ ჩემსა ურჩობას, გარბოდე კისერ-ტეხილი.  
 ზათქით ეკვეთნენ ერთმანეთს, იძროდა ქვა და ხეხილი.  
 კოპალე მისდგა მაცრიონს. ეშველებოდა ანთარი.  
 აგუნა იჭაჭებოდა: „ღვინოს არ სვამენ, დაჰკარი!“  
 ინყუზამ ხმალი გადმოჰკრა და მიაშველა მას ფარი,  
 ვოზიამ შემოუქნია, მიახტა როგორც აფთარი!  
 თავმოკვეთილი ინყუზა შეხტა და ისევ დაეცა.  
 დაიხრიალა საბრალოდ, რალა პასუხი გაეცა.  
 თავი გრძელ შუბზე ააგეს, გუდანს მადლობა უხადეს,  
 დალსა, ვოზიას ქორწილი ზეიმით გადაუხადეს.

ს. შანშიაშვილი

## უბედური რუსი

სამ-კარიანი რომანი

ქარტა ისტორიული

*„გარდამოიხილე ზეცით, ღმერთო, და იხილე, და მოხედე ვენახსა ამას შენსა, და განამტკიცე ესე, რომელ დაასხა მარჯვენამან შენმან“.*

მღვდელ-მთავრის ასამალღებელი

### შესავალი

სდგას რაში მოფარდაგულის წინაშე.

ყელი მოუღერებია.

გულ-უხვ მკერდზე ოქროთი მოჭედილი, მოელვარე, თვლებ-ასხმული, მეფური სამკერდე აქვს გადმოცმული. საძუეც ოქროსავე, წვრილ-ზარნიშინ ბალთებით აქვს შემოსხდული.

ღარ-დასხმულ გავაზე სქელი ზარბაბის ასალი ახურავს და ზედ ზღაპრულ რაშის ამბავია სირმით ახმაურებული.

უნაგირად ირმის რქის კეხი ადგას, მარგალიტით მოოჭვილის კოტებით.

ირმისავე ბენვით გაბუშტული, სალუქი მემში, ფერადად ამომწვარი საოცნებო ყვავილების ეშხით, ბალიშად ჩასვენებულა კეხის გორაკებში.

საგვერდული და მოსართავეები ბრჭყვიალებენ პატიოსან თვალთავან.

ამაყი შუბლი კისკას რაშისა აღმასებით სხივოსნობს.

ლაგამის ტარი არის თეთრი, მოქნილის ტყავისა.

თვით ლაგამი ნაზად განზიდულ ოქროსია, მტკიცეთ შეკაუჭებული.

ხოლო რაშს, ლაყუჩები რომ ატკინოს, იქით-აქეთ ოქროს ზოდს წმინდა ხავერდი აფარია.

უზანგები გამჭვირვალე ქარვისაგან შეთხზულნი და მზინვარე ფოლადით შემოსალტულნი, შავის გიშრით მოგვითხრობენ ძლივ-დასანახ, აბუანდაში მიბნედილს ქოშის ამბავსა.

სდგას რაში გამზადილი მოფარდაგულის წინაშე.

კარი პირველი<sup>1</sup>

თავი პირველი

მეორეხასი მახარობელი

ა.

ტფილისელი სოვდაგარი ზანქან ზორაბაბელი მიემართება ქ. სუნჯისაკენ.

საქართველოდან მას უდიდესი საქმე აქვს მინდობილი.

აგერ სუნჯაც.

ყივჩაყთა სატახტო ქალაქი, ძველი პოლოვეცის სამთავრო.

1. რომანი „უბედური რუსი“-ს მცირე ნაწილი (დასაწყისი თავები) დაბეჭდილი იყო გაზ. „საქართველოს“ დამატებაში. ჩვენს ჟურნალში ეს რომანი დაიბეჭდება სრულად მორიგი ნომრების მანძილზე. რედ.

უზარმაზარი, ხის ნამორებისაგან მჭიდროდ შემომესრილი საკმაოდ ფართო ეზო. ჯარგვალის ოთხ-კუთხიანი კოშკები ოთხსავე მხარეს საფრებად არის აგებული. გარშემო ეზოს უშველებელი არხი აქვს შემოვლებული და შიგ ხელოვნურად გადმოყვანილი სუნჯა მოჩუხჩუხებს.

ეზოს შუაგულ, ჯარგვალისავე ორსართულიანი აივნის-კიბიანი სასახლეა გაშენებული. სასახლის სარკმლები წითლად და ყვითლად არის მოჭიქული და ისეა დაჭყეტილი, თითქო მონგოლელის ელმაცერა თვალეზიაო. სასახლის თავზე კი ოქროს ბიბილოვანი ხის მამალია სარზე ჩამოცმული.

აქ შედის ზანქანი.

მაგრამ სასახლის შინა-ყმებს მთავარი შესავალიდან კი არ შეჰყავთ, არამედ იმ პანია კარებიდან, საიდანაც მოუკაკველი ვერას გზით ვერ შეხვალ.

ზანქანს გულში ეცინება.

რამდენჯერ გაუვლია ამ კარებში და ეს აზიური ზვიადობა ყოველთვის ღიმილსა ჰგვრის:

ვითომ მეფესთან ნელ-გამართული შესვლა არავინ გაბედოსო!.. ასე არ არის საქართველოში, იქ მეფის კარი ფართოა, მაღალი. ყველანი ერთი კარებით შეჰყავთ. თითქო შემსვლელიც და დამხვედრიც ლალია და თავისუფალიო... მას შემდეგ მაინც, რაც თამარმა ახალი სასახლეები ააგო. თავისუფლად სუნთქავ იქ კაცი, სული აღარ გეხუთება... ამისთანა კარები ისევ ზოგიერთ წვრილ მთავრებსა და ერისთავებს თუ აქვთ: გაძალებენ, თავი მოიხარეო...

და, აი, აქაც ამ ფიქრებით თავ-დახრილი შედის ვინრო დარბაზში.

ხედავს — ტაბლაა გაშლილი. პურად იღებენ.

სუფრას ყივჩაყთა მეფე, რუსის მთავარის ანდრეი ბოგოლიუბსკის ერთგული ყმა კუზმა და კიდევ რამოდენიმე ხანდაზმული კარის-კაცნი უსხედან.

— ვინ არის?

ხმაურობაზე მიიხედა ყივჩაყთა მეფემ.

— ოო, ეს ჩემი უფლისწულის მოყვარე ყოფილა! — შენიშნა კუზმამ, — ვიცით რაზედაც მოვიდოდა, მაგრამ, პატივცემულო, ეხლაც ნაადრევი შეგექმნა მოსვლა... ვსევოლოდის მემკვიდრეები კიდევ უფრო გამაგრდნენ და ჩემი უფლისწულის მომხრეებიც ნელ-ნელა შემოგვეფანტნენ... ეეჰ!

და უშველებელი ხის კათხით მოიყუდა თაფლის რანგი და ბოლომდე დასცალა. შემდეგ გრძელ, თეთრ უღვაშებზე ვაჟკაცური ხელი გადაისვა.

ზანქანმა ზრდილობის გამო უღვაშების მონმენდა დააცალა და შემდეგ უთხრა:

— შენ კარგად იყავ, ჩემო კუზმა, და რაზედაც სწუხარ, მაგაზე ეხლა არ მოვსულვარ. მეფეო, ძალიან სასიხარულო ამბავი მოგართვით.

აქამდის ზანქანს უყურადღებოდ ეპყრობოდნენ სუფრაზე მსხდომნი და ეხლა კი ყველამ თავი მისკენ მოიბრუნა.

— სასიხარულო? — შეგვიანებით წარმოსთქვა მეფემ.

— დიალ, ბატონო!.. სადა ბრძანდება თქვენი ნათესავი უფლისწული იური?

— ეეჰ, იმისას რას გაიგებს კაცი. დამთხვეულია... სანადიროდ იქნება სადმე წასული.

— ახალგაზდაა... — მოფერებით წარმოსთქვა ზორაბაბელმა, — მაგრამ დიდი ბედი კი მოელის...

— როგორ?

თითქმის ერთსა და იმავე დროს იკითხეს სუფრასთან მსხდომთ. იგრძნეს, რომ რაღაც მოულოდნელი და თან მეტად დიდებული ამბავი უნდა გაეგოთ. ზანქანის გამოცდი-

ლება, ხანდაზმულობა და ის მოსაზრებაც, რომ ეს სოვდაგარი ამ სიშორეს ტყუილად არ გაირჯებოდა, კიდევ მეტს ცეცხლს უკიდებდა მათ ცნობისმოყვარეობას.

ზანქანი კი თითქო არა ჩქარობდა სინამდვილის გამომჟღავნებას.

— უნდა წაგართვათ, ბატონო, უფლისწული იური...

კიდევ უფრო მოიზიდა მშვილდი შეტყობისა, საცნაურ-ყოფისა.

კუზმა შემონყრა კიდევ:

— თავს ნუ იგდებ, ბებერო, სთქვი, რაც იცი...

ზანქანმა ჩაახველა, თითქო გრძელი რამ ამბის მოსათხრობელად ემზადებო, იქაურებს ერთი მშვიდად თვალი გადაავლო და დაიწყო:

— რამდენჯერ მითქვამს შენთვის, კუზმა, რომ ცხრა მთას იქით... ო, ღმერთო, რამდენი მთაა გადმოსავლელი!.. დიალ, სწორედ რომ ცხრა მთას იქით... მდებარეობს მშვენიერი ქვეყანა ივერია ანუ საქართველო, როგორც ამ ბოლო ჟამს უწოდეს... ამ ქვეყნისათვის ყოჩაყთა მეფესაც კარგა მოეხსენება...

— ჰო, ეგ ვიცი, მერე?

კვლავ წყრომით შეუტია უფლისწულის ლალამ.

— ჰო და მოგახსენო, ეხლა ჩვენი საქართველო...

— როგორ? განა შენ ქართველი ხარ?

— ეეჰ, რომ არ დამაცლი, კუზმა, ახირებულები კაცი ხარ... რამდენჯერ მითქვამს, რომ მე დიდებული არმენიის შთამომავალი ვარ, მაგრამ ჩვენი სამეფო დიდი ხანია დაემხო და ეხლა საქართველოც ჩემი სამშობლოა...

— დააცალე, კუზმა! — შეუძახა მეფემაც.

— ეხლა ის უნდა მომეხსენებინა, რომ ამ ჟამად ჩვენს ქვეყანას ქალი მართავს... ქალია მეფედ... დიდი გიორგი მესამის ასული თამარ...

ზანქანმა ამოისუნთქა. მსმენელთ ჯერ კიდევ ვერაფერი ვერ გაეგოთ და დაჟინებით შესცქეროდნენ.

— ამ დედოფალს კი ქმარი არა ჰყავს...

კარის კაცებს ოხვრა აღმოხდათ, თითქო მიაგნეს მორგვის ძაფსაო. მეფე მაინც გაცბუნებული იყო, მხოლოდ კუზმა თავით დაყრდნობოდა თავის ფართო ხელებს და შეჭმუხვნილ შუბლიდან ჭალარა თვალებით გამოსცქეროდა ტფილისელ სოვდაგარს.

სოვდაგარი განაგრძობდა:

— ჰქონდათ თათბირი ქართველ დიდებულებს, ხშირი ბჭობა იმართებოდა და ბოლოს გადასწყვიტეს, რომ თამარისათვის საქმრო მოეძებნათ, მაგრამ ვინ?.. მთელი სამეფო შეინძრა. უცხო ხელმწიფის შვილები ბლომად მოდიოდნენ და უნდოდათ თამარის შეუღლება, მაგრამ ქვეყანამ ვერც ერთი ვერ შეინყნარა: ზოგი ქრისტიანი არ იყო, ზოგს სიბრძნე არ შესდგამდა, ზოგიც თვალად უსახური იყო. ამასობაში მე ვეახელ ტფილისის ემირს... ოო, დიდი კაცია, თავადი... ჭკვიანია, ჩვენი კაცია, ქურთია გასომხებული... მიაბზნია თქვენთვის... თავადი აბულ-ასანი... და მოვახსენე: ეგერ, რუსეთში დიდი მთავრის, ანდრეი ბოგოლიუბსკის შვილი იური მშვენიერი ვაჟია, ქრისტიანიც არის მეთქი...

— დაგწყევლოს ღმერთმა!.. ეგ რა კარგი მოგიფიქრნია!.. — წამოიძახა კუზმამ და სახე გაბრწყინებულმა თავიდან ხელები ჩამოიღო...

— ჰა, შე ცბიერო სოვდაგარო, შენა, — მიაყოლა ყოჩაყთა მეფემ, — ვიცი, რა მუცლის გვრემაცა გაქვს. გინდოდა, ქართველებიც მოგემადლიერებინა, ჩვენც და შენი ფულებიც გაგენადლებინა... იურის რომ მართებს შენი... სამასი თუმანი ბაჯალლო ოქრო...

კუზმა კვლავ მოიღუშა. ზანქანმა კი ცბიერად ჩაიქირქილა და პირ-მცინარემ უპასუხა მეფეს:



— ვერ დაგიმაღავთ, ეგ აზრიც მქონდა... რა ვქნა, ვაჭარი კაცი ვარ. სამასი თუმანი ბაჯალლო ოქრო დიდი რამ არის, დიდი...

და თვალები სადღაც შორს წაუვიდა ზანქანს, თითქო მეტად თავ-სამტვრევი რამ აქვს გადასანყვეტიო. მაგრამ ეს იყო ერთ წუთს და კვლავ მომღიმარი ესე განაგრძობდა:

— თქვენ ყური დამიგდეთ, შემდეგ რა მოხდა: ერთ თათბირზე მოვიდა აბულ-ასანიც და კრება ესე დაარწმუნა: ანდრეი ბოგოლიუბსკის შვილი დიდი მთავარია, სამასი რუსის თავადი მონებსო. მე კი, მომიტყვევთ და, გულში გავიფიქრე, როგორ იტყვივით თქვენ, რუსებო? — „კაკოი ჩორთ!..“ სამასი მთავარი კი არაა...

და ჩაიცინა ზანქანმა, მაგრამ სიცილი უეცრად ბაგეზე მიაკვდა.

ბოგოლიუბსკის გამზრდელმა ერთი ისე მძლავრად დაარტყა მუშტი ტაბლას, რომ რამდენიმე კათხა ჯამი ქვევით გადაცვივდა და თვით ტაბლამაც საეჭვო ჭრიალი მოიღო.

— გვეყვანდნენ! — შეჰყვირა მან.

ტფილისელი სოვდაგარი ცხრა-ფად მოიკაკვა და შემპარავის კილოთი კვლავ წამოიწყო:

— არა, თავად აბულ-ასანს ქართველებისათვის არ დაუმალავს: მცირე დარჩომილი მამისაგან თავადი იური ბიძა-მისმა ვსევოლოდმა, ან, როგორც საქართველოში ეძახიან, სავალათმა განაძევა და ეხლა ყივჩაყთა მეფესთან არის თავ-შეფარებულიო. ეს იმათ არ უთაკილიათ, რადგან იამათ, რომ თავადი იური ქრისტიანი მეფის შვილი იყო და რაკი გული დააჯერეს, რომ შესახედავდაც კარგიაო, მაშინ ამ საქმის მოგვარება მე მომანდევს...

კუზმა უკვე რაღაც ფიქრს წაელო. დანარჩენებს კი სიხარული გადაჰფენოდათ.

— მერე? — მაინც შეეკითხა მეფე.

— მერე, ბატონო, ეხლა ისა მაქვს მონდობილი, რომ უფლისწული წავიყვანო.

ყივჩაყთა მეფე აღტაცებაში მოვიდა. ხანდაზმულ კარის-კაცებმა ბენვიანი გრძელი ქულები ჭერში ჰკრეს.

მხოლოდ კუზმას თეთრი, სქელი წამწამები კიდევ უფრო ჩამოუქურუხანდნენ.

გამხიარულებულმა მასპინძელმა ბრძანა, რომ ზანქანისათვის ხალათი ეჩუქებინათ. სავარძელი მოართმევენა, ტაბლასთან, თავის ახლო მიიწვია და თავის ხელით მოჭრელე-ბულს კათხაში თავლის რანგი ჩაუსხა.

მეფემ მხოლოდ ეხლა შეამჩნია, რომ კუზმა ხმას არ იღებდა.

— შენ, ჰეი, ძმობილო! — შესძახა მეფემ, — რა ცხვირ-პირი ჩამოგტირის! ჩემს მოკეთესა და მოყვარეს აღირსოს ეგეთი ბედი!.. შენ გესმის, რა ბედნიერება მოსვლია შენ ბლარტს იურის? მინახავს თამარი... ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც მამა-მისმა გიორგიმ მის სიცოცხლეშივე ტახტზე მეფედ დასვა... აქედანაც ვეახელით მისალოცად და საჩუქრებიც მივართვით... თვით მე წაველ, მინდოდა, საქართველო მენახა, ის ქვეყანა, სადაც ჩვენი ვაჟკაცები ამ უცხო მხარის საკეთილდღეოდ სისხლსა ღვრიან. ვნახე და იცი, რა გითხრა? დაბრუნება აღარ მინდოდა. ოოჰ, რა ქვეყანაა! იმიტომ არის, რომ ჩვენები უმეტესობა აღარ ბრუნდება, იქვე ბინავდება, ირთავს ცოლს, მამულს იძენს, ქართველდება... რას ამბობ, ჩვენ სადა ვცხოვრობთ, რა შედარებაა... მზიანი ქვეყანა, ნაყოფიერი ქვეყანა, მდიდარი, ლამაზი... მართლა, რომ სამოთხეა და აი... ამ სამოთხის საუკეთესო ანგელოზი თამარია...

— კი მაგრამ შორსაა...

ყრუდ წარმოსთქვა ბოგოლიუბსკის აღმზრდელმა.

— ჰა, ჰა, ჰა!

გაეცინა მეფეს და ახარხარდნენ სხვებიც.

— მე ჩემს იურის რუსის თავადად ვზრდიდი...

წამოიწყო ისევ კუზმამ.



— მერე? რომ წაგართვეს ეგ შენი რუსეთი? — რას ამბობ, რას?! დიდებული ქვეყანა, მზეთუნახავი ცოლი...

ზორაბაბელი კი ამ დროს ტაბლასთან მიმჯდარი, ნამგზავრზე, ხარბად შეექცეოდა სანოვაგეს და მისი ცბიერი თვალეები დაუდგრომლად ციმციმებდნენ.

— კარგია ერთი, თავი აიღე, გამოსცალე ეგ კათხა! — შემოსწყრა კუზმას ყივჩაყთა მეფე.

კუზმაც დაჰყვა მეფის სურვილს, ერთი მძლავრად ხელი ჩაიქნია, დასცალა კათხა და თითქოს გამხიარულდა.

მეფის ბრძანებით იურისტან კაცი აფრინეს მოსაყვანად, რადგან ზორაბაბელი ძლიერ იჩქაროდა.

იმან აუხსნა მეფეს, რომ უკვე შემოდგომა იწყება, საცაა შეიძლება ჩრდილოეთის სუსხმა დაჰკრას და მგზავრობა გაძნელდება. მან, მართალია, გრძელ-ვადიანი პაემანი მისცა, მაგრამ მაინც ეშურება, სანამ ამინდი ხელს უწყობს, ვადამდე მოასწროს და საქართველოს ჩაიყვანოს სასიძო უფლისწული.

ყივჩაყთა მეფის სასახლე შეინძრა. თავად იურის დიდებული მომავალი ყველას სასიხარულოდ მოეფინა. მძლავრ სახელმწიფოს, საქართველოს მომავალ მეფისაგან ვინ წყალობას გამოელოდა, ვინ მეგობრობას, ვინ რისამე გამორჩენას და ერთ ფაცი-ფუცში იყვნენ, თანაც ყველა ზორაბაბელს ულოლიავებდა და თავაზიანობით ეპყრობოდა.

ზანქანი კი, დაღლილი მგზავრობისაგან, ცალკე ოთახში ლოგინზე განისვენებდა, მაგრამ ძილი მაინც არ ეკარებოდა მის თვალებს.

აგერ კვირა ნახევარზე მეტი იქნებოდა, რაც გზაშია და ჯერაც ვერ მოსულა გონს უკანასკნელი ამბების გამო. სულ ამის ფიქრშია:

— რა ადვილად მოხერხდა ყოველივე. ტფილისის ამირამ როგორ გამოუწყო მას ეს საქმე... არა, ამირასაც კი დაჰპირდა, რომ მისი ქალისათვის ჩინეთიდან აბრეშუმის ქსოვილებს მოუტანს, მაგრამ მაინც... არ მოელოდა, თუ აბულ-ასანი ესე ადვილად გაიმარჯვებდა. არა, ძალიან ხალხი კია ეს ქართველები: მიმნდობი, გულკეთილი, დამჯერებელი. თუმცა მართალი კი უნდა ითქვას: უფრო ამ რუს თავადის ქრისტიანობამ, მართლმადიდებლობამ მოხიბლა ყველანი. მაგრამ ჰმ... ესეც რა ყოჩაღად მოახერხა აბულ-ასანმა, რომ აქ მოციქულად მარტო მე გამომგზავნა? — დიდებულნი დაარწმუნა: საკადრისი არ არის, რომ თამარის საქმროს საძებრად მოციქულები და დესპანები გაუგზავნოთ... ვინ იცის? რომ არ მოგეწონოთ კაცი? — ისევე ჩვენი ზანქანი გაუშვათ, სოვდაგარი კაცია, მისვლამოსვლა აქვს ქვეყნებში. ეგ მოახერხებს, ჩამოიყვანს იმ უფლისწულს უზეიმოდ, უდავიდარაბოდ. არ მოგეწონებათ და... თავის გზას ეწევა ის კაცი... თუმცა ღმერთმა ნუ ქნას, რომ არ მოგეწონოთ... ეს გზის ხარჯი ხარჯად შემრჩება და თავნი ფულიც თავ-სამტკრევად გამიხდება... თუმცა სად წამივლენ? ეს საქმე რომ არ მოხერხდეს, ყივჩაყის მეფე აგერ არა მყავს? მაგას გადავახდევინებ. ცოტა განძი შემოაქვთ ყივჩაყელებს საქართველოდან!.. ეგენი ხომ იქ დაქირავებულ ჯარის-კაცებად მსახურობენ. როგორ უწოდებენ ქართველები? ჰო, როქის სპისანი... მაშ, როგორ ჰგონიათ! აქამდე თუ ვიცდიდი, იმედი მქონდა, რომ თავადი იური მის სამფლობელოს დაიბრუნებდა. პირველადაც ფული იმიტომ ვასესხე, რომ რა ვიცი... დრონი იცვლებიან, მეფის შთამომავალია-მეთქი, თორემ აბა როგორ არ ვიცოდი, რომ სამშობლოდან გამოდევნილი, გაძევებული მთავრის შვილი იყო. ეხლა კი ესეთი საქმე ეწყობა. — ჰმ. — რა სათქმელია! ჩემ ფულს კი არა, რამდენს ავიღებ... მეფის კარზე ჩემისთანა მიღებული ვინ იქნება!..

და კიდევ უფრო შორს გაიტაცა ზანქანი ზვიადურმა ფიქრებმა. მაგრამ უეცრად წინანდელმა მოსაზრებამ ისევე გველივით უკბინა:

— მერე? რომ ჩავიყვან და მართლაც არ მოენონოთ? ხომ ჩაიფუშა ყველა საამაყო განზრახვანი? ეჰ, რას არ მოენონებათ! ქართველებს თვალში აქვთ ჭკუა! შეხედავენ — ვაჟკაციო, იამებათ. ვაჟკაცობას ძალიან აფასებენ... ეს კია, მგონი, ცოტა ღვინო უყვარს ჩვენს სიძე-ბატონს... ეჰ, მე არ ვიქმნები მასთან? სანამ ჯვარს არ დაინერენ, არ მივაკარებ და შემდეგ თავი უმტვრევია მაგასაც და...

უკვე რიჟრაჟმა მოაღწია. ზანქანს ჩასთვლიმა.

## ბ.

ალიონი იყო, რომ გაქაფებული ცხენი მოაგდო თავადმა იურიმ ყივჩაყთა მეფის ეზოს. თავის გამზრდელ კუზმასთან შეიყვანეს.

კუზმა ლოგინიდან წამოიწია და გაზრდილს თვალი გადაავლო, თითქო პირველად სინჯავსო.

მალალი და მხარ-ბეჭიანი 18-19 წლის ახალგაზრდა იური თავდახრილი იდგა მის წინაშე. ოქროსფერი, აბრეშუმით კულულები უცხო გვირგვინად ჰქონდა შემოდგმული მის ფართო, ლმობიერ თეთრ-ყირმიზ სახეს. მოლურჯო, ცისფერი თვალები, შავი, ზევით ახრილი გრძელი წამწამებით და მშვილდურათ გაზიდული წვრილი შავი ფერის წარბები მართლაც საოცნებო იერს აძლევდა მთელს მის პირისახეს. პანია, მაგრამ სურათოვანი ცხვირი და თითქო ოდნავ გაპობილი პატარა, ნითლად წამოჭვივებული ბაგე, ვარდისფერ ატლასის პირის კანი, ეს ყოველივე ცოტა ქალურს, მაგრამ მაინც სილამაზის სურათს იძლეოდა.

კუზმას იამა გაზრდილის დანახვა.

ეს ციური სახე-პირი, ვაჟკაცურად გაშლილ გულ-მკერდთან და თითქო ფოლადისაგან ჩამოსხმულ მხარ-მკლავებთან, კუზმას წარმოდგენით, მთავარ-ანგელოზის მსგავსად ხდიდა მის გაზრდილს.

— იური! — ლმობიერად წამოიწყო კუზმამ, — გამოგზავნილები გეტყოდნენ უთუოდ რა ბედნიერებაც მოგელის...

— მითხრეს, ჩემო გამზრდელო, მაგრამ კარგათ ვერ გავიგე... იქ, შორს რად უნდა წავიდე?.. იქ უნდა ჩავესიძო?.. მომიტყევე, კუზმა, ვერ წავალ!.. მერე ეს ჩვენი ტრიალი მინდორი უნდა მივატოვო?.. ნაძვანარი, არყის ხის ტყე?.. ჩვენი რუსეთი, კუზმა? ჩვენი მამული?

კუზმამ მძლავრად ამოიხვნეშა, იური უფრო გათამამდა, თავი აიღო და ციაგი, ბავშურის სათნოებით აღსავსე თვალები გამზრდელს მიაპყრო.

— თუ მაინცდამაინც იმ დედოფლის შერთვა მიუცილებელია, აქ მოვიყვანოთ... მერე კიდევ, თუ მართლა აგრე ძლიერია, მისი ძალა დავიხმაროთ და დავიპყრაოთ ჩვენი მამული...

— მეფურად მსჯელობ, შვილო, მაგრამ შენი ბჭობა უცებურია. დიდი და თავისთავადი ქვეყანაა საქართველო... იმ დედოფალს ჩვენ არავინ გამოგვატანს, ძლიერი სახელმწიფოა და ის ქალი მეფეა თავის ქვეყნისა... პირველად რომ გავიგე, მეც შენსავით გულმა რეჩხი მიყო: მერე ჩვენი მამული-მეთქი? მაგრამ... წუხელის თვალი არ მომიხუჭავს. ბევრი ვიფიქრე და... შემდეგ მეც გადავწყვიტე: უნდა წახვიდე, შვილო, უნდა შეირთო საქართველოს დედოფალი...

იურის ნატიფი შუბლი ოდნავ შეეჭმუნა და გაბუტულმა თავი დახარა. კუზმას ყურადღება არ მიუქცევია, თავისას განაგრძობდა:

— დიდი მეფე გახდები, იური, მძლავრი ტახტის ხელმწიფე და შემდეგ... აი, აქ გმართებს სიბრძნის გამოჩენა. ქართველებს დიდათ უქებენ ვაჟკაცობას... წინედაც გამეგონა, მაგრამ წუხელის ყივჩაყთა მეფემაც ამისხნა, რომ მთელი აზია ქედ-მოსხრილია მათ წინაშე და აი, შვილო... როდესაც მეფე იქნები ამ გმირი ხალხისა, მაშინ... მაშინ შეიძლება შენი რუსეთის მამულიც შემოუერთო შენს სახელმწიფოს...

აქ კი ხმა დაუშვა კუზმამ:

— მთელი ეს პოლოვეცის მხარეც... შეიძლება ჩვენი უგზო-უკვლოდ მოთარეშე ყაზახებიც გაიერთოთ და ყირიმსაც მისწვდეს... მაშინ... ვინ იცის, შვილო, შეიძლება ერთი დიდი იმპერიაც დააარსოს...

იურიმ ერთი უცებ გაკვირვებით თვალები შეაელვა გამზრდელს. კუზმამ ამოისუნთქა.

— და აი, შვილო, ამ ქორწინებით რა დიდ სანადელს შეიძლება მიაღწიო. მაშინ, ხომ ხედავ, ჩვენი წინანდელი განზრახვა რა მცირეა... სად მარტო ჩვენი სამთავროს დაბრუნება და სად უზარმაზარის და მძლავრი იმპერიის დაარსება... შეიძლება, შვილო, თვით ღმერთმა აგირჩია ამ ისტორიულ დანიშნულების აღსასრულებლად... ექვ, ბედნიერი ყოფილხარ... მამა-შენს, უბედურ ანდრეის ღმერთმა არ აღირსა სანადელს მიხნეოდა, ვინძლო, შვილო, შენ მაინც გაახარო შენი გამზრდელის გული და აღამაღლო უბედურ მამი-შენის სახელი. განსვენებული რა კაცი იყო, როგორი მუხანათობით მოკლეს...

ამაზე ვაჟკაც კუზმას ხმა აუკანკალდა და თვალში ცრემლი მოერია, მაგრამ თავი შეიმაგრა და გაზრდილს დაუძახა:

— მოდი აქ, იური...

იური მორჩილებით დაიძრა, მაგრამ ტანს ეტყობოდა ერკემლის სიჯიუტე.

უეცრად იგი ფეხ-ქვეშ ჩაუვარდა გამზრდელს.

— კუზმა! ნუ გამგზავნი... გევედრები, გეშუადრები...

კუზმა შეკრთა ამ ათრთოლებულ ჭაბუკის ხმაზე და დასალოცად აღებული ხელი ძირს ჩამოიღო.

— იური, ეგენი არ მომწონს!

გაისმა მისი მკაცრი კილო.

— კუზმა... კუზმა... შენ ჩემი მამის მაგიერი ხარ... მამა... გულ-ამოსკვნილი ქვითინებდა იური.

— რა იყო, რა მოგდის?.. — წელში სრულიად გაიშალა და ლოგინიდან ფეხები ჩამოიღო კუზმამ. — დედაკაცი კი ნუ გახდები... რა მოგდის?

— არ შემიძლიან წასვლა, არა... — ლულლულებდა ვაჟი.

კუზმას ცალი წარბი ზევით წაუვიდა, ცალი თვალი ცოტა მოეხუჭა და ქვევით ჩამოშვებულ, ჩამოშლილ თეთრ უღვაშებთან ღიმილმა გადაუელვა.

— ჰმ... გიყვარს ვინმე?.. ეგ, შვილო, არაფერია! ჭაბუკი ხარ, მაშ, როგორ იქნება?.. მაგრამ ჯერ გამოუცდელი ხარ... ქალების მეტს რას იშოვნი, შე სულელო, შენა.

ღმობიერად და ალერსით ხუჭუჭა თმებზე დაჩოქილ გაზრდილს ხელი გადაუსვა.

— საქართველოში რომ მიდიხარ, მონასტერში კი არ იგზავნები... სულ საქართველოს ქალები შენ ხელთ არ იქნება?.. დედოფლის ქმარი რომ გახდები, ბერად კი არ უნდა აღიკვეცო... დედოფალი დედოფლად... მაგას ისტორია მოითხოვს, სახელმწიფო მოსაზრება, აი, ვინც გიყვარს... მხოლოდ ჯერ არა, ჯერ დაიჭირვე მოშორება. შემდეგ მოასწრებ... მეფე არ იქნები? ბრძანებ და... გათავდა.

თანდათან მოლბა კუზმა.

— ვინ არის?.. ჰაი, შე ცუდლუტო! უეჭველია ლამაზია...

იური მაინც ქვითინებდა.

— ჰო, კარგი... ეხლა... მითხარი შენს გამზრდელს, შვილო, მე არ დაგძრახავ.

პასუხი ვერ მიიღო. კუზმამ იფეთქა.

— მაშ რა ღმერთი გინყრება?..

ხელები მოეკუმშა. თავი შეიმაგრა. ყრუდ უბრძანა:

— გასწი, დამეკარგე!

იური ზღაზვნით წამოდგა და განკვირვებულ ლეკვივით კარებში გაიძურნა.

## თავი მეორე

## უფლისწულის გატაცებანი

ბ.

დილის საუზმეზე ყივჩაყთა მეფემ, კუზმამ და ზორაბაბელმა დაასკვნეს, რომ მგზავრები ორი დღის შემდეგ უნდა აბარებულყვნენ. ამაღას კი არ გააყოლებდნენ ახალგაზრდა იურის, მხოლოდ კუზმა ნაჰყვებოდა.

ზეიმით ჩასვლას შემდეგშია ც მოვესწრებითო, გადასწყვიტეს.

ეხლა საკმაოდ მიიჩნიეს, რომ ყივჩაყთა მეფეს მის სამფლობელოში დარაჯნი ეახლებინა, შემდეგში ოვსეთის სამთავროზე გადავიდოდნენ და იქ უკვე ფიქრი არ იყო: საქართველოში მიმავალ ვაჭარს არავინ ხელს არ ახლებდა.

ზანქანი დაჰპირდა მეფეს, რომ როგორც კი საქართველოში იური მონონებული იქნებოდა, მაშინვე აფრენდა მათკენ მალიად მსრბოლს ვინმე შათირს და ყოველივეს აცნობებდა, ხოლო ჯვარის წერისთვის თვით ყივჩაყის მეფემ მოისურვა დიდის ამალით და გამოჩინებით ჩამოსვლა საქართველოს.

სამაგიეროდ ზანქანმაც მოითხოვა, რომ როგორც კი იური ჯვარს დაინერდა, მისი ფული უკლებლივ უნდა მიეღო.

პირობა დაუდევს და გახარებულნი სმა და პურობას შეექცნენ.

ამასობაში კი ახალგაზრდა იური ოთხში ამოღებულ მფრთხვინავ ქურანს მიაქროლებდა სუნჯას ველზე.

აგერ არყის ხის ისრებივით ცისკენ ასხლეტილი ქოჩორა ტყე.

შორით ისე მოსჩანს, თითქო საზღაპრო რამ სასახლეაო.

წინ თეთრ კანიანი, ურტოებო ხეებია ჩამორიგებული. ეს თითქო მისავალის სვეტები არის.

შიგნით კი, სიხშირეში, თეთრსავე ჩარჩოებში ჩაშავებული არე მოსჩანს, თითქო თალებია და მალაროებია გაყვანილიო. ზევით კიდევ მწვანე გუმბათი...

ამ სასახლეში ცხოვრობს განთქმული მოთარეშე, ყაზახი რუსი, იურის მეგობარი.

ბევრნი არიან ასეთი „გაჭრილნი ტყე და ველად“.

მათ ვერ იგუეს მთავრობის სიმძლავრე და თავი მისცეს მოუსვენარს, მაგრამ თავისუფალ ცხოვრების მიდმოებას.

ამათში ყველაზე უფრო რჩეული, ყველაზე გმირი და სახელ-განთქმული იურის მეგობარია.

— ეი, რედეღია!

გაჰყვირის ტყესთან მიახლოებული ახალგაზრდა მხედარი.

— აქეთ, ჩემო შევარდენო, აქეთ!

გამოისმის ტყიდან მკაფიო და ძლიერი ხმა.

ლაგამს სულ მიუშვა ხელი იურიმ.

ქურანიც დაფეთებულივით ტრიალებს ტყის ლაბირინტში.

მიაგნეს რედეღიას.

თვითონ ცხენი შეჩერდა.

ტყის შუა გულ, ცეცხლის პირას მჯდომი, ზეზე ნამოდგა ერთი მთა-კაცი.

შუა-ხნის არის, ეტყობა, მაგრამ ჯერ კიდევ კარგა შენახულა. მხოლოდ ფართო ნაბლისფერ წვერების ბოლოებში ორივე მხარეს თითქო თეთრი ყინულები ქვევით ჩაზიდულან.

ტანს ჯავშანი აცვია და მთელი აგებულობა ტყვიიდან ჩამოსხმულს უგავს.

— რა ჰქენ, რაზე გიხმეს?

— ჯვარსა მწერენ, რედეღია!

რედედამ თითქო არ გაიკვირვა, მაგრამ ერთი მაინც თვალი გადაავლო იურის. შემდეგ თითქო ჩაიცინა:

— მერე რა გიშავს! უკვე დროა ცოლის შერთვისა. მეფის შვილი ხარ, მაშ, ისე ვინ დაგაყენებს... რამდენჯერ მითქვამს, ჩემსავით თავისუფლად შენ არავინ გაგიშვებს-მეთქი...

— არა, მე უშენოდ არ შემიძლიან. თავისუფლებას ვერ მოვიკლებ.

— ჰო, კარგია, ჩემო მართვე. ერთი ჩამოხტი... მიაბზე, ვინ არის შენი საცოლო... აქვე მივსხდეთ ცეცხლის პირას... ისეთი არაყი მაქვს და გარეული ღორის ქონი: ტახისა, ტახის... იური ჩამოხტა. ცხენს სადავე უნაგირზე გადაუგდო და რედედის ცხენთან დააყენა. რედედის შავმა მერანმაც თითქო სიამოვნებით მიიღო სტუმარი. ყელი ყელს გადააჭდო, რალაც ჩაიფრუტუნა.

დასხდნენ მეგობრები და იურიმ უამბო ყოველივე.

რედედის თანდათან სახე მოელრუბლა და არაყს მიეძალა, იურისაც ხშირ-ხშირად უსხამდა.

— ჰო და ეხლა მითხარ, როგორ დავსთმო ეს ყოველივე?

არყისაგან შეხურებული და თვალეზ მოელვარე განავრძობდა იური.

— შენ მასწავლე ტყის თავისუფალი ცხოვრება... ნადირობა, ქარავანზე დაცემა, სოფლელების ანიოკება, ლამაზების გატაცება... შენ შემასწავლე ჩვენი გმირული სიმღერები... რედედია, ჩემო კარგო... დამიხსენ, მომიტაცე, წამიყვანე... გადავვარდეთ შორს, შორს სადმე, რომ მხოლოდ მოზუზუნე ქარი იყოს ჩვენი მეგობარი. ტრიალი მინდორი — ჩვენი მხლებელი და უღრანი ტყე — ჩვენი მასპინძელი...

რედედის კვლავ მოუხეშავად ჩაეცინა. მაგრამ თითქო სიბრალულით გადახედა ჭაბუქს. თვალეზი ამღვრეული ჰქონდა, ეტყობოდა, არაყი მოქმედებდა.

— მოდი აქ, მაკოცე, ჩემო შევარდენო...

ცხენებმა ტყის სიხშოს მისცეს თავი. არყის ხის ფოთლები თითქო უფრო ათრთოლდნენ და რალაც საიდუმლო შრიალს მოჰყვინენ.

უეცრად ამ ტყის იდუმალებაში გაისმა სიმღერა, ველური რამ, საცვიფრებელი. მღეროდა რედედია.

ფერ-მიხდილი და თვალეზ-მიბნედილი იური რედედის მკერდზე იყო მისვენებული. იგი თითქო ბურანში იყო, მაგრამ ტუჩები ნეტარებით უღიმოდნენ. მას ესმოდა მისი საყვარელი სიმღერა.

ეს იყო ქარის მიდმოება, ტრიალ მინდვრის უდაბურება და ადამიანის მოუხეშავ ძალის გაუგნებელი ხეთქება. მხოლოდ იგრძნობოდა, რომ ამ ძალას უყვარდა თავისუფლება.

დიდხანს მღეროდა რედედია. ცხენებიც დაბრუნდნენ თითქო მის მოსასმენად და ტყე-მაც ვითომ დროებით შეაჩერა მისი დაუნდობელი შარიშური.

თვით რედედიაც სიმღერისაგან გამოფხიზლდა. უეცრად შესდგა. თავზე ხელი გადაუსვა იურის და ოქროს ხუჭუჭი თმა კიდევ უფრო აუშალა. შემდეგ შეანძრია:

— გინდა წავიდეთ სვეტლანასთან?

იური სწრაფად მოეგო გონს.

— სვეტლანასთან? — ოო, გავსწიოთ, გავქროლდეთ.

და მართლაც ცოტა ხნის შემდეგ ორივეს მერანი რაშებივით მიაქროლებდნენ თვალუნვდენ მინდორზე.

იმ ღამეს სვეტლანას ჯარგვალში დიდხანს, დიდხანს გამოისმოდა რუსულ ბალალაიკის ხმა. თვით რედედია გაგიჟებული უვლიდა ბუქნას.

საცმელ-შემოდარცული სვეტლანა კი, თავის სქელ თმაში გახვეული, არყით დამთვრალს და ეშხით გონება-მიხდილს იურის ეჯდა მუხლზე და ყელს შემოჭდობოდა.

მოიქანცნენ.



დილით კი გვიან გაელვია იურის. მაშინვე რედედია იკითხა. სვეტლანას დედაბერმა უპასუხა, რომ რედედიამ გათენებამდის გაქუსლა და ეს დაუბარა:

— ჩვენ შორის ყოველივე დასრულდა, ჩემ კვალს ნულა ეძებ... შენც შენს საქმეს ეწიეო.

ამის გაგებაზე იურის თითქო ნიადაგი გამოეცალა, დიდ-ხანს აზრი ვერ შეიკრიბა. არა სჯეროდა. შემდეგ სვეტლანა იკითხა. უპასუხეს, რომ კიევიდან ვილაც რაინდია ჩამოსული და სვეტლანა მასთან ნავიდაო. ამან სულ გააფთრა, კინალამ დედაბერი ხმლით აჰკუნა, მაგრამ დედაბერიც გაუსხლტა და მიეფარა.

მაშინ კი მწვავედ იგრძნო სრული მარტოობა და გული ამოესკვნა, მთელის ტანით ქვითინად იქცა.

დედაბერი კვლავ შემოიპარა, ნყალი ასხურა, ლოგინზე მიანვინა ბავშვივით და ალერსი დაუნყო.

იურის თითქო დაუამდა. შემდეგ გარეტიანებულებით წამოდგა, ცხენი მოსძებნა, შეჯდა, მაგრამ ლაგამს ხელი მიუშვა და თითქო თავი მის ტაიჭს მიანდო.

სალამო ხანი იყო, რომ ცხენმა სამყოფელში მიიყვანა.

ყვიჩაყთა მეფე ტუქსვით შეხვდა, მაგრამ ძალიან არ განყრომია. ხუმრობდა კიდევ: ეს უკანასკნელად იგიჟიანებს თავს, სიყმანვილეს ეთხოვებო.

მხოლოდ კუზმა იყო დაღვრემილი. იურის არაფერი არ უთხრა. მის სავანეში შეიყვანა. შეატყო, რომ დალილია, ლოგინი გაუსწორა, მსახურს უბრძანა, ფეხთ გაეხადა იური-სათვის. შემდეგ მსახური გარედ გაუშვა და თვითონაც ოთახს ჩუმად გაცვალა.

იურის არ ეძინებოდა, თვალე-გამტერებული დიდ-ხანს იყო გულალმა დანოლილი.

მის უწვრთნელ, ჭაბუკ გონებას ვერ დაეძლია ესდენ ძლიერ განცდათა ერთად თავმოყრა: სადღაც ახალ ქვეყანაში წასვლა, დატოვება ყველა იმის, რასთანაც შეზრდილი იყო მისი სული და გული, მისი ხორციც-კი, მისი სიგიჟის, მისი თავშეუკავებლობის და განსაკუთრებით-კი დათმობა რედედიასი... ამ გოლიათის, ამ საოცარი ადამიანის. იურის ხომ იმის მსგავსი არაფერი არ უნახავს სიცოცხლეში!.. ისეთი ვაჟკაცი, ისეთი შეუპოვარი... ნოვგოროდელ კნიაზს გამოექცა და აქ ტყეს მისცა თავი... აქ ყვიჩაყთა მეფემ ერთხელ შეპყრობა მოუნდომა, მაგრამ როგორი სირცხვილი აჭამა თვით მეფეს და მის ამაღლას... შემდეგ თავი მიანებეს... რედედია-კი იმდენად პატიოსანი იყო, რომ ყვიჩაყთა სამთავროს არას ერჩოდა... ზოგჯერ აქ მომავალ ვაჭრებს, თუ მის ახლო ჩამოივლიდნენ, ცოტა რასმე საჭიროს ასწავნიდა... ერთხელ მგონი ზორაბაბელსაც აწყენინა ცოტა, მაგრამ ეს იყო და ეს... თვითონ-კი იურიმ როგორ გაიცნო?... ოო, ეს დიდი ხნის ამბავია...

ნადირობის დროს... პირველად რომ შინაყმებმა შავარდნებით ხოხობზე წაიყვანეს... ტყეში, ეკალ-ბურღში გაიხლართა იური... ისე რომ ვერც ცხენმა და ვერც იურიმ კინალამ თავი ვერ დააღწიეს... შინაყმები შორს ჩამორჩნენ... ამ დროს საიდანღაც გამოძვრა ეს მთა-კაცი... პირველად მის შეხედვაზე როგორ შეეშინდა!.. მაგრამ რედედიამ მოუფერა... ეკლები გაუნია, ცხენიდან ბავშვივით ხელში აიყვანა... მაშინაც კარგი მოყვანილი ჭაბუკი იყო, მაგრამ რედედიამ მისი მძლავრი მკლავებით ბურთივით ზე აიტაცა და მუხლებზე დაისვა... როგორი მძლავრი იყო მისი თვალეები... იმორჩილებდნენ... ტანს სულ ცახცახი დაწყებინა, უნდოდა გასხლტომოდა კიდევ, მაგრამ სად წაუხვიდოდი ამ რკინის მკლავებს... შემდეგ როგორ მოდუნდა, გონება წაერთო და ბურანში გაეხვია... მას შემდეგია, ამ კაცმა დაიმორჩილა. თითქო მისი აზრით აზროვნებდა, მისით ცოცხლობდა... ზოგჯერ არ უნდოდა კიდევ, მაგრამ რაღაც მძლავრი ძალა რედედიას ტყიდან მოურევნელად ეწეოდა მისკენ... მტკივნეული იყო ეს ნეტარება, მაინც ნეტარება იყო რედედიასთან ყოფნა. პირველად მან გააცნო ის დაუნდობელ „ტყის ალქაჯა სვეტლანას“... ასე ეძახოდა რედედია... და განა მარტო ალქაჯი?... ვინ მოსთვლის, კიდევ რამდენი მოქნილი და ვნებით ათრთო-

ლებული მკლავები მოხვევია იურის მოღერებულ ყელს?... ეს სულ რედედიას ხერხი იყო...  
ოო, იცოდა მან იურის სისუსტე — და აი ეხლა ამ კაცმა, რომელსავით არავინ არ ყვარებია  
ამ ქვეყნად... თვით კუზმაც კი... მისი გამზრდელი, მისი მამის მაგიერი... არა ასე არც ის  
ყვარებია და... ამ გვარმა კაცმა უღალატა... უღალატა მაშინ და იმ დროს, როდესაც ყვე-  
ლაზე უფრო ჭირდებოდა მეგობრის მძლავრი ხელი და გული...

ამ გაფიქრებაზე იური ლოგინიდან გიჟივით წამოიჭრა, მაგრამ კუთხეში დიდ-მაცხოვ-  
რის ხატს შეასწრო თვალი... მის წინ წმიდა სანთელი ნელინელ პარპალებდა... და მოსხლე-  
ტილივით მის წინაშე ორივე მუხლებზე დაეშვა.

კარების ჭუჭრუტანას გარედან შავი ნაკვთი ჩამოშორდა. თვალებმა სიხარულით გა-  
იელვეს.

ეს კუზმა იყო.

— გადარჩა! — ათრთოლდა ჩუმად ეს სიტყვა მის ბაგეზე და გასწია მეორე მხარესკენ.

მეორე დღეს ყივჩაყთა მეფის დარაჯების თანხლებით ზანქან ზორაბაბელი, კუზმა-რუ-  
სი და ანდრეი ბოგოლიუბსკის ვაჟი, უფლისწული იური, უკვე გაემგზავრნენ საქართველოს.

## თავი მესამე

### საქართველოსაკენ

დ.

მგზავრები მიუყვებოდნენ ოვსეთის სამთავროს მთის კალთებს.

კლდოვანი იყო მთის ბილიკი. სიპ ქვაზე ცხენთა ფოლადის ნალს ნაპერწკლები გასც-  
ვიოდა, მაგრამ მაგარი აგებულობის ჯიქეთური პირუტყვები თავს იმაგრებდნენ და ქინჩ-  
მოდრეკილი დინჯათ მიაბიჯებდნენ.

წინ მიუძღოდათ ეტიკი, გზის მაჩვენებელი. მის შემდეგ მიდიოდა იური და თავის მე-  
რანივით მასაც ქედი მოედრიკა.

თითქო თავის ხვედრს დამორჩილებიაო.

თითქო ტყვე არის თავის მოვალეობისა და ამ საპატიო დარაჯთ ვერსად წასვლიაო.

„საპატიო დარაჯები“ კი — ზანქან ზორაბაბელი და კუზმა-რუსი — შორიახლო მოს-  
დევენენ უფლისწულს და ნელა მოსაუბრობდნენ.

— მაშ, კარგა არა გცოდნია ჩვენი ამბავი — იკვირებდა კუზმა.

— საიდან? ვიცოდი, რომ იური უფლისწული იყო, ყივჩაყთა მეფის მონათესავე, ვი-  
ცოდი, რომ მასთან მცირეწლოვანი იზრდებოდა... სხვა კი დანვრილებით რა მეცოდინე-  
ბოდა!.. ისიც კი კარგა არ ვიცი, თვით შენ ვინ ხარ?..

— ჰა! ჰა! — მოკლეთ გაეცინა კუზმას. — ეს ხომ იცი, რომ იურის ლალა ვარ?..

ზანქანმა თავი დაუქნია.

— მეც თავადი ვარ ჩემს ქვეყანაში, მეგობარო... ან უფრო მართალი იქმნება... ვიყავ...  
და უღვაშს ზემო, ცხვირის ნესტოსთან ნალველი ისრათ განვა.

— თავადი ვიყავ, მქონდა ჩემი სამფლობელო, მაგრამ მარტო უძლური ვიყავ, მტრები  
მემძლავრებოდნენ და აი, შეუერთდი იურის მამას, დიდ მთავარს ანდრეი ბოგოლიუბს-  
კის... გიკვირდა განა, რომ ყივჩაყთა მეფე ეგრე თავაზით მეპყრობოდა, მის სუფრაზე  
ვიჯექ, ყველანიც ეგრე მოკრძალებით მექცეოდნენ!.. კარგი დრო მქონდა, კარგი მდგო-  
მარეობა, ზანქან... ანდრეი სიყმანვილითვე შევიყვარე... დიდებული კაცი იყო ცხონებუ-  
ლი. დიდი აზრები უტრიალებდა, დიდი საქმეც მოიქმედა... მან პირველმა შესძლო რუსე-

თის დაქსაქსულ და დანაწილებულ სამთავროების შეერთება. გაბედული იყო, შეუპოვარი, მძლავრი და შემმართველი. პირველმა მან მოახერხა, რომ კიევის ძლიერება შეერყია და მისი გავლენა და ჰუბუტი შეესუსტებინა. უმთავრესი ყურადღება სახელმწიფოსი მან ჩრდილოეთით გადაიტანა როსტოვსა და სუზდალში, უფრო კი ვლადიმირში, თუმცა თვითონ ცხოვრებით უბრალო, მისგანვე დაარსებულ სოფ. ბოგოლიუბოვოში სცხოვრობდა. მამა-მისის სიკვდილის შემდეგ იმდენათ გაძლიერდა, რომ მისი ბრძანებით ინიშნებოდნენ მთავრები კიევისა და სხვა სამთავროების. თვით მთელმა ნოვგოროდმაც ქედი მოიხარა მის წინაშე და ერთ დროს მთავრად ანდრეის ძმისწული მსტისლავი მოიწვია. მას უმაღლესი საწადელი ჰქონდა: უნდოდა თვითმპყრობელი ყოფილიყო მთელის რუსეთისა და ამავე აზრით აშენებდა ეკლესიებს, ამშვენებდა ციხე-დარბაზებს კიევისა და ნოვგოროდის მსგავსათ ვლადიმირსა და ბოგოლიუბოვოში. ერთ დროს ისიც კი უნდოდა, რომ საკუთარი მიტროპოლიაც დაეარსებინა... და აი, ამისთანა კაცს, კარგად მიხვდები, რომ მტრებიც ბევრი ჰყავდა. თვით საკუთარი ძმებიც კი არ უსვენებდნენ. უბედურებს არ ესმოდათ, რა დიადი საწადელიც ჰქონდა ანდრეის და სხვა წვრილმან მტრებთან ერთად ხელს უშლიდნენ. მაგრამ ანდრეის შეცდომა ის იყო, რომ ქედმაღალი იყო, ფიცხი საშინელი და თვით შინაობაშიაც ხშირად დაუზოგველი. ამის გამო შეითქვენენ თურმე მისი შინაყმები, რომელთა შორის ერთი ერთი თქვენებური, ღვთისგან შეჩვენებული ოსი, ვინმე ანბალი და 28 ივნისს 1174 წ. მოკლეს კიდეც ეს გოლიათი კაცი.

მე უბედური იქ არ ვიყავ მაშინ. გაგზავნილი ვიყავ და, რომ მოეკლათ, სწორეთ იმ დღეს გავჩნდი ბოგოლიუბოვოს... ღამით ოც კაცამდე მიუხდნენ თურმე ანდრეის და საწოლი ოთახის კარები შეუმტვრიეს. ანდრეი წამოვარდა, უნდოდა ხმლისათვის წაევილო ხელი, მაგრამ იმ ოსს, შინაყმა ანბალს, ადრევე აელაგებინა ანდრეის იარაღი. ანდრეი ლოგინიდან წამოვარდნილიყო და, თუმცა, მართალია, ხანში იყო შესული, მაინც იმდენად ღონიერი იყო ცხონებული, რომ უიარალო გაძალიანებოდა თავზე დამსხმელებს. თან ეთქვა: „ვაი თქვენ-და, მუხანათნო! რა ეგეთი ბოროტება მიმიძღვის თქვენდამი? უკეთუ ჩემს სისხლს დაღვრით, თვით ღმერთი იძიებს შურს ჩემი პურ-მარილისათვისაო“. მაგრამ ხელ-ცალიერი კაცი, აბა, რას გაანწყობდა. და ბოლოს მოქანცული წაიქცა თურმე საცოდავი. შეთქმულებს ეგონათ, რომ დიდი მთავარი უკვე მკვდარიყო და ნელ-ნელ გაიკრიფნენ, მაგრამ ამ დროს შემოესმათ საბრალო მთავრის კვნესა. ის წამომდგარიყო და დერეფანში კიბეს მიჰყუდებოდა. შეთქმულები დაბრუნდნენ და მანამ არ მოეშვენენ, სანამ სრულიად ბოლო არ მოუღეს. ეეჰ, საცოდავი!.. გარიჟრაჟზე ანდრეის საყვარელი მსახური პროკოფიც მოკლეს და მთავრის სალარო გასცარცვეს, შემდეგ კი ვლადიმირელებს კაცი გაუგზავნეს შეთქმულებმა: ეშინოდათ, შური არ იძიონო. მაგრამ ვლადიმირელებს ყურიც არ გაუბერტყნიათ... აჰა, ზორაბაბელ, შენ წარმოიდგინე ხალხის უმადურება! დიდებული კაცი მოუკლეს, ის კაცი, რომელმაც ვლადიმირი ესე აღამალა, თითქმის უმთავრეს სატახტო ქალაქად აქცია, გაამშვენებდა, ცხოვრება აალორძინა, ის კაცი მოუკლეს და ვითომც აქ არაფერი!.. ოო, ეხლაც კი მონაგონზე ბოლმა და ბრაზი მახრჩობს... პირუტყვები! სანამ ცოცხალი ხარ, გელამუნებიან, ფეხქვეშ გეგებიან, წაიქეცი, ფეხი წაგიბორძიკდა და... აღარავის უნდისხარ. აღარავის ახსოვს შენი ამაგი... კინალამ თავი არ მოვიკალ, როდესაც უპატრონოთ მიგდებული დიდი მთავრის ცხედარი ვნახე. ერთგული მსახურნიც დაკლულები ეყარნენ და მხდალები და მშიშრები გაქცეულიყვნენ. სასახლე გაპარტახებული იყო, კარები დაღებული, მორთულობა მინგრეულ-მონგრეული, სალარო გაცარცული. როგორც იყო, მოვძებნე მთავრის წამოსასხამი და გულ-გამეხებულმა მისგან აშენებულ სობოროში წავასვენე. მთელ ბოგოლიუბოვოში მხოლოდ მთვრალეები და გაღეშილები დაეხეტებოდნენ. ძლივს დავახსნიე თავი იმათ დაცინებას და შეურაცყოფას.



როგორც იყო მივალნიე ტაძარს, მაგრამ აქაც ეკლესიის მსახურნიც მთვრალეები დამხვდნენ და გვამი საყდარში არ შემატანინეს. რა მექნა! გვამი შესავალთან დავასვენე და მალაღლის ხმით დავიტირე ჩემი უფროსი: „ხედავ, ჩემო ბატონო და მწყალობელო, შენი ყმები ვით გექცევინან! არც-კი გცნობენ! შენსობას კი, საიდანაც უნდა მოსულიყო სტუმარი, სამეუფო ქალაქიდან, ბიზანტიიდან ან სხვა რომელიმე მხრიდან, რუსი ყოფილიყო გინდლათინი, ქრისტიანი თუ ურჯულო, შენ ბრძანებდი, რომ უსათუოდ ამ შენს მიერ ამენებულ ტაძარში მოეყვანათ და ეჩვენებინათ ძვირფასი საგანძური ეკლესიისა. ვინც უნდა მოსულიყო, ესეთ საქრისტიანო მშვენებაზე პირჯვარს იწერდა. იწერდნენ პირჯვარს თვით ბულგარნიც და ურიანიც და სხვა ურჯულონი. თვით ისინიც კი, შენი ესეთი ძლიერების მცნობნი, შენზე ცრემლს დაღვრიან და ამათ დახედე... არც კი უნდათ, რომ ამ შენს ტაძარში შევიშვან-მეთქი... გულს მდულარება მქონდა გადასხმული, გონება ჩემი სიბნელეში ბორგავდა. ესე ვუდარაჯვებდი ორ დღეს. მხოლოდ მეორე დღეს მოვიდა მოძღვარი არსენი, შეასვენა მიცვალებული და პანაშვიდიც გადაუხადა. მეექვსე დღეს, როგორც იყო, ჯანყის სული ჩაქრა და ვლადიმირელებმა კაცები გამოგზავნეს ბოგოლიუბოვოს. როდესაც ხალხმა დაინახა დიდი მთავრის დროშა, რომელიც კუბოს წინ მიუძლოდა, მაშინ კი ველარ შეიმავრა თავი და ტირილი მორთო, მხოლოდ მაშინ გაახსენდათ უგუნურებს მათი ბატონ-პატრონის სიკეთე და ამაგი... დამარხეს თუ არა, მე მაშინვე იურის გამზრდელებთან გავიქეცე. ცხონებული კარგა ხნის დაქვრივებული იყო და შვილიც მოშორებით ერთ ერთგულ მოყმისას გაბარებული ჰყავდა. მეშინოდა, იმასაც არა აუტეხონ-მეთქი და, რალა თქმა უნდა, პირველი საფიქრალი ის გამიხდა. სანამ მოვიდოდი, გული მიკვდებოდა, ვაი თუ ველარ მოუსწრო-მეთქი. მართალია, ბოგოლიუბოვოსა და ვლადიმირში აჯანყება თითქო ჩაქრა, მაგრამ შეთქმულების მომხრეები და ანდრეის სიკვდილით გახარებული მისი ძმა ვსევოლოდი არ ისვენებდნენ და ანდრეის ერთგულებს კვლავ სდევნიდნენ და სიცოცხლესაც უსწრაფებდნენ. გზაში ისიც გავიგე, რომ ჩემი სამყოფელი ვსევოლოდის კაცებს გაენადგურებინათ. ცეცხლი მომეკიდა. მაგრამ სამაგიეროზე ფიქრი მეტი იყო. ჩემი პანია საყმო უკვე დაშინებული იყო და ისეთი მძლავრი მომხრე, როგორც ანდრეი, აღარ მყავდა. ეს ყოველივე ელვის უსწრაფესად მოვიფიქრე. ეხლა თავის დაცვაზე უნდა მეზრუნა და როგორც იყო, ანდრეის ერთად-ერთი მცირე წლოვანი იური უნდა გადამერჩინა. ვფიქრობდი, საით უნდა წავსულიყავით, რომ ბავშვიცა და ჩემი თავიც შემეფარებინა. მაშინ გამახსენდა, რომ ანდრეის დედა პოლოვეცის ხანის, ყივჩაყთა მეფის ჰაეპის შვილი იყო და ეხლახან საყივჩაყოში ანდრეის ბიძა მეფობდა, აი, ჩვენი მეგობარი, სათნო მეფე. დავასკვენ მასთან გამეტაცნა იური, რადგან იქ უკვე სამშვიდობოს ვიქნებოდით, ანდრეის მტრები იქ ველარ მოგვწვდებოდნენ და როდესაც იური მომნიფდებოდა, სამაგიეროსაც ვაზღვევინებდით ჩვენს დამლუპველთ. ესეც მოვიქმედე. საბედნიეროთ იურის დროზე ჩავუსწარ და ლამ-ლამობით, ტყე-ღრეში სიარულიც, როგორც იყო, დიდის სიფრთხილით ჩამოვალნიეთ ყივჩაყთა მეფესთან... იქ კი რუსეთში ვინიცობისათვის ხმა დავაგდე, რომ ანდრეის შვილი არ დარჩენია, ერთი ბლარტი იყო და ისიც მოკვდა-მეთქი... ესეც ერთ-გვარი ხერხი იყო თავის დასაცავად, რადგან გავიგე, რომ გულ-ღვარძლიან ვსევოლოდს ბრძანება გაეცა, ანდრეის მემკვიდრე მოეძებნათ და მის წინ დაეკლათ. მაგრამ ნაუხდა უბედურს, მე დავასწარ და ბოლოს გავიგე, რომ რუსეთში, მართლაც, გავრცელებულიყო ხმა ანდრეი უშვილოდ, უმემკვიდროთ გადავიდაო. მეც გულში ვიცინოდი, მაგრამ მოურევნელი ბრაზი კი მაინც მახრჩობდა. მთლად შურისძიებათ გადავიქეცე და გავკაჟდი, გავქვავდი. იური იყო ჩემი იმედი, განმახორციელებელი დიდი განზრახვისა. მას უნდა ამოეყარა მამა-მისის და მისი გამზრდელის ჯავრი, მას უნდა შეესრულებინა ის დიდი საქმე რუსეთის გაერთიანებისა, რაიც ანდრეის არ დასცალდა და მხოლოდ-ღა ამ აზ-

რით ვცოცხლობდი, ეს იყო ერთად-ერთი შინაარსი ჩემის სიცოცხლისა. სხვა ყოველივე დავთმე... პირადი სიამოვნება, სახლი, ოჯახი, ყოველივე ამ აზრს, იურის აღზრდას ვუმსხვერპლე... მინდოდა, რომ უწინარეს ყოვლისა იურისაგან მამა-მისსავით მხნე და ჯანსაღი მეომარი გამოსულიყო. ამიტომ იყო არ უშლიდი, როდესაც კი მოიჩიბა, ტყე-ღრეში მარტო თარეშს. მინდოდა, გაჩვევოდა ბუნების სტიქიონთა ატანას, მარტოობას, საშიშროებას, მეომრულ სიმკვირცხლეს, მოსაზრებას და არ უშლიდი. ლაღად უნდა გაზრდილიყო მომავალი შურისმგებელი. და აი, მგონი, მივალწიე კიდეც მიზანს... იური უკვე ვაჟ-კაცია... უკვე ახლოს არის, ზორაბაბელ, სანადელი... მაგრამ...

აქ უკვე ანაზდათ შეჩერდა კუზმა-რუსი. თითქო იგრძნო, რომ ნამეტანი მოუვა, თუ ამ უცხო სოფდაგარს თავის სრული გულის ნადები გადაუშალოსო. ერთი განზე გახედა ზანქანს და შემდეგ ასე შეატრიალა სათქმელი:

— აი, ეხლა საქართველოს მიგყავართ, მეგობარო, შორს ჩვენი სანადელისაგან... ჰა, ჰა, ჰა! საქორწილო, ჯვარის წერის მზადებას უნდა შევეუდგეთ...

თითქო უგემური ხუმრობით შესწყვიტა კუზმამ.

მაგრამ გამოჭახრაკებული სოფდაგარი თითქო მიუხვდაო, ნუგეშს მოჰყვა ქორწინებით უფრო მალე და უფრო ადვილადაც შეასრულო ის, რაც თურმე ამდენ ხანს გულს გქონია...

კუზმამ თავი ველარ შეიმაგრა.

— ვნახოთ, ვნახოთ, — წარმოსთქვა.

გზა უკვე თავ-ქვე ჩაეშვა.

ქარაფოვანი, შიშველი კლდეები ორივე მხრით ცაღ აიმართნენ.

ქვევით კლდიდან ამოხეთქილი რაღაც პანია მდინარე ახლად დაბადებულივით ღრიალებდა და თავის მომსხო შხეფებს უფსკრულისაკენ ცრემლად ჰღვრიდა.

თავ-ჩაქინდრულ იურის გული შეუნუხა ამ ვინრობამ, თითქო ჰაერი აღარ ჰყოფნიდა, თითქო დილეგში ჩააგდესო.

გაახსენდა თვალგადაუნვდენელი ველი, ქორჩორა, არყის ხის ტყე, რედედია, სილაღე, თავისუფლება, სვეტლანა, მისი სიგიჟე, თავ-დავინწყება და გული ამოესკვნა.

სწორედ ამ დროს სულ ახლო ფრინველის ფრთების ბარტყუნი მოესმა.

გაბრაზებულმა ზე-აიხედა: დაინახა, რომ შავი ყორანი ფრთების მძიმე ქნევით თავს დასტრიალებდა.

ცხენი შეაჩერა. ყორანი წრეს თანდათან ვინროდ ავლებდა.

— რა უნდაო? — გული მოუვიდა. მშვილდ-კაპარჭი მოიმარჯვა.

რკინის მოკლე და მოსხლეტილი ისარი გაზუზუნდა ჰაერში.

მშვილდის ლარმა თითქო დაიძახა: ამბაა!

ყორანს შუაზე გაერჭო ისარი.

— ყოჩაღ, ხელი შეგარჩინა ღმერთმა!

შესძახა უკან მომავალმა კუზმამ და გახარებულმა ცხენი გაქუსლა იურისაკენ.

— შეხე, შეხე! — უკან ჩაქჩაქით მომავალი ყვიროდა ზორაბაბელი, — შეხე ყორანს, ისრიანი მიფრინავს.

— შორს ვერსად წავა! — უპასუხა კუზმამ.

მართლაც, ერთი შემოტრიალდა ყორანი და გადაიღუპა უფსკრულისაკენ.

— იური, არა გშია? — შეეკითხა კუზმა.

ეტიკი იქვე ახლო იყო. მან მოახსენა კუზმას, რომ მგზავრთა შესასვენი საფუნდუკო ახლოს არისო.

დამშვიდნენ. ჩააღწიეს და სუფრა გაშალეს.

იური არაყს დაეძალა. კუზმა აღარ უშლიდა.

„დეე, გული მოიოხოსო“, — ეუბნებოდა ზორაბაბელს.

იურიმ განაცხადა, რომ ეს მთები თითქო სულზე აწვებიან.

ზორაბაბელმა აუხსნა — ხვალიდგან უკვე ვაკეზე ჩავალთ ნამდვილ საქართველოში და მთიულეთზე კი არ წავალთ, დიდ ქალაქ მცხეთისაკენ, არამედ მოკლე გზით გორს მოვხვდებით. ეს ქალაქი სულ ახალი დაარსებულია, თამარის პაპამ, დავით აღმაშენებელმა დასდვა საფუძველი და შიგაც სულ ქ. ანისიდან და სხვა მხრიდან გადმოხვენილი სომხები ჩაასახლა. მშენიერი მდებარეობა აქვს. შემდეგ კი თამარის სასახლემდე, ტფილისამდე, სულ გაშლილი ვაკეა და უფლისწულს აღარ მოეწყინებო.

ამაზე გული დააჯერეს.

**კარი მეორე**  
**თავი პირველი**  
**დარბაისელნი**

ქ.

ტფილისის ამირის აბულ-ასანის სასახლეს ექვსი ცხენოსანი მოადგა.

მათ დანახვაზე შესავალთან მდგარმა ორმა გოლიათმა შიშველი ხმლები ჩააგო და სტუმრებისკენ გამოეშურა.

თვალის დახამხამების უმალ ცხენოსანთაგან ოთხი ჩამოხტა და ორს დანარჩენს მოკრძალებით მიეხმარა: ლაგამი დაუჭირეს, უზანგს ხელი წაუვლეს.

ციხე-დარბაზის კარებიდან საპატიო შინა-ყმა გამოლაგდა.

— შინ ბრძანდება ამირა?

იკითხა მოსულთაგან ერთმა ახოვანმა და თან ცხენზე ჯდომით შეჭმუჭნული კაბა გაისწორა და მოკაუჭებული, თვლებით შეჭედილი ხმალი რიგზე დააყენა.

შინა-ყმებმა დაუდასტურეს ამირას შინ ყოფნა.

მეორე დიდებულმა კი პირველ ახოვანს მოახსენა:

— სტუმრები ჰყოლია!

და მიუთითა:

გალავნით შემოზღუდულ სასახლის კარგა მოზრდილ ეზოში ძვირფასად დარახტული ცხენები მსახურთ ჯილავით დაჰყავდათ.

— ვინ არიან? — კვლავ იკითხა ახოვანმა.

— მსახურთა-უხუცესი ვარდან დადიანი ბრძანდება, სამცხის ბატონი გუზანი, ამირას ვაჟი...

— როდის ჩამოსულა?

— გუშინ, ერისთავთ-ერისთავო, და თავადი მზეჭაბუკ ფარჯანიანი გახლავთ...

ამასობაში ერთი შინა-ყმათაგანი დანინაურდა და აბულ-ასანს აცნობა:

— დიდი ერისთავი რატი სურამელი და თავადი ზვიადი სავარსამიძე მობრძანდნენო. ამის გაგონებაზე მორთხმით მჯდომარე მოხუცი აბულ-ასანი ყმაწვილივით ზე წამოიჭრა და სტუმრებს მიეგება.

დანარჩენებმაც მის მაგალითს მიბაძეს.

რატი სურამელსა და მის მომყოლ ზვიადს ნახევარი კიბე არც კი ჰქონდათ გალეული, რომ მომღიმარი და მხიარული მასპინძელი წინ შემოეგებათ.

ტკბილად მიესალმენ ერთმანეთსა, დიდად მოიკითხეს.

აბულ-ასანი ახლად მოსულთ ჩარდახისკენ გაუძღვა. გაიარეს თაღებიანი გრძელი დერეფანი და ჩარდახზე მოხვდნენ.

ეს იყო ცალ-კერძო, სასახლის ბანი. ამ ბანზე კამაროსანი, ნაზი, წერნეტა მარმარილოს სვეტები იყო ამართული და თავს პანია, სოფიის კენჭით შეთხზული გუმბათი ედგა. სვეტებს იქა-აქ უცხო რამ მცენარე შემოხვეოდა, თითქო ხავერდის ქსოვილი არისო. იატაკი ვარდისფერ ფილაქანით იყო მოგებული და შიგ ვინრო რგოლებად შავი და ლურჯი ქვები იყო ჩაჭედოლი. სვეტებს შუა კი მოსჩანდა მტკვარ გაღმა დიდებული ისანი<sup>1</sup>, საქართველოს მეფეთა სამყოფელი — უცხო სასახლეები, მომცრო, მაგრამ საუცხოვო აგებულების ტაძარი და მოშორებით „სანახები საგოდებელთა“, სასაფლაონი. უფრო ახლო კი მტკვარზე გადებული ხიდი ისანისა და ზედ აღმართული ოქროს ბრჭყვიალა ჯვარი.

კარგ ალაგას იყო ამირას სასახლე. მტკვარ-გამოღმა, გორაკის კალთაზე. ქალაქის გალავნისა და სამხრეთის ბურჯებთან ახლო<sup>2</sup>.

დავით აღმაშენებლამდე, არაბთა ბატონობის დროს, ეს იყო სამყოფელი და სასახლე არაბთა უფროსებისა, ამირასი. დღეს კი მხოლოდ სახელი იყო დარჩენილი ამირასი, თორემ ისე კი აქ უნდა ეცხოვრა ტფილისის ქალაქის მოურავს და იმავე დროს ქართლის ერთი ნაწილის გამგებელსა.

ჩარდახზე მოთავსებული, არაბული მზის საათი ნაშუადღევის მეხუთე საჟამეს უჩვენებდა.

შემოდგომის ცხელი დღე იყო, მაგრამ აქ კი გრილოდა.

ასხლეტილ გუმბათს დაეჩრდილა იქაურობა და კოჯრის მთიდან მოდენილი ნიავი, მტკვრის მაგრილებელ სიოსთან ერთად იქაურობას საამურ სამყოფელად ხდიდა.

აბულ-ასანმა მსახურთაგან სწრაფად მორთმეული სავარძელი ახლად მოსულთ თავის ტახტისკენ მიუწია, თვით ტახტზე აღმოსავლეთურად ფეხი მოირთხა და იქით-აქეთ სავარძლებში ერთის მხრით რატი სურამელი მოისვა, მეორეს მხრით ვარდან დადიანი.

სხვები ესე ჩამომწკრივდნენ: დადიანს აბულ-ასანის ვაჟი გუზანი მოუჯდა გვერდით. რატი სურამელს სავარსამიძე, მის შემდეგ ფარჯანიანი დაჯდა.

შინა-ყმები და სტუმართ-მხლებლები კი ფეხზე იდგნენ, ხოლო მსახურთ რვა-კუთხიანი მომცრო სხვა და სხვა ხილით სავსე ტაბლა სტუმარ-მასპინძელს ახლო მიუწიეს და უცხო ნაქნარობის ხელ-დოქებით სასახლის წყაროში ჩაციებული ღვინო მოარბენინეს.

აბულ-ასანმა ოქროთი შეჭედოლი, წარწერებიანი საშუალო კულა აავსებინა.

— ღვინო ცივია, მაგრამ კულათი უფრო საამურია ყელის გაგრილება. ინებე, ერისთაო... — და კულა რატის გადაანოდა.

— ვეჟინური ღვინოა, ჰერეთისა, კახური... გიამების და შეგერგების... ვეჟინის ციხის უფროსმა გამომიგზავნა...

— ცხელა ეხლა... — აირიდა რატიმ. — კახური მძიმე სასმელია.

— სამწყურვალოდ შენი ფუცხუნა ქართლური სჯობს...

ტკბილად შელიმილა დადიანმა.

— საუცხოვო რამ არის, — ჩაურთო სავარსამიძემ, — ძულან მასვა, საუზმეზე... არც გულს გატკენს და არც თავს...

ნელად გაიცინეს.

მასპინძელმა კვლავ შესთავაზა.

სტუმრებიც აღარ გადალიანდნენ. ნელი-ნელ, უჩუმრად ყველამ შესვა თითო.

არაკრაკებდნენ კულას.

სიჩუმე ისევ აბულ-ასანმა დაარღვია:

1. მეტეხი და ავლაბრის მიდამო.

2. ნარიყალის კალთა.

— მაშ ასე და ამა პირსა ზედა!.. სანამ შენ მობრძანდებოდი, ერისთავთ ერისთავო, საუბარი გვექონდა — აქ გაილიმა ცოტა — მიხვდები რაზედაც... რა არის ამ ჟამად ყველა ჩვენთვის საზრუნველი?.. დიდი დავით აღმაშენებლის და გიორგი გმირის ტახტი არ დარჩეს უმემკვიდროდ... ამისათვის კი მოუპოვოთ ღირსეული მეუღლე თამარ-საგანგებოსა...

ვარდან დადიანს ანაზღად მომლიმარი სახე შეეცვალა. უხუმარი გამომეტყველება მიიღო და მომცრო და მოძრავი ჭკვიანი თვალები თითქო გაღმა ისანს მიაპყრო.

რატიმ თანხმობის ნიშნად აბულ-ასანს თავი დაუქნია და შემდეგ შეეკითხა:

— რა დაასკვნით?

— რას დავასკვნიდით?! კულავ აზრთა სიჭრელეა... ჩემი ვაჟი გუზანი ისევ მუტაფრადინს სალდუხის-ძის ძეზე გვეითობს: დიდი კაცია, ზრდილი და ჭაბუკი საუცხოვო. სულთანია მის ქვეყანაშიო. მე მაინც იმ აზრისა ვარ. რამდენჯერ გვექონდა ამის შესახებ თათბირი! თუ კერძო, თუ საჯარო, მგონი, რაც თამარი ტახტზე აბრძანდა, ამისათვის ზრუნვა არ მოგვიშლია. მხოლოდ თუ ისე არა ვჩქარობდით, გლოვა იყო ამის მიზეზი. განსვენებულ გიორგი მეფის, თამარის სახელოვან მამის სულის საოხად ერთი წელიწადი მოვათიეთ ჩვეულებისამებრ და წლის თავის გასრულებაზე კი, მოგეხსენება, აღარ ძალ-გვედვა მოთმინება... ჰო და მე მაინც იმ აზრს ვადგივარ: რაც უკანასკნელად საჯარო თათბირზე დავასკვნით, საცა თვით კათალიკოზიც კი დაგვესწრო და აკურთხა ჩვენი რჩევა, ისე მოვიქცეთ. — დავუცადოთ ყივჩაყთა მეფესთან გაგზავნილ ჩვენ კაცს, სოვდაგარ ზანქანს. მოგვიყვანს იმ რუსსა, ვნახოთ, გავსინჯოთ და ერთ სწორ გზას დავადგეთ.

სიჩუმე ჩამოვარდა. შორიდან მხოლოდ მტკვრის ნელი შიშინი მოისმოდა.

— რა ბრძანა დადიანმა?

ცოტა ხნის შემდეგ იკითხა რატიმ.

დადიანი შეკრთა მის ხსენებაზე და ზრდილობიანი, შემკითხველი სახე მიაპყრო მოსაუბრეთ. ეტყობოდა, იქ ნათქვამთაგან არაფერი ჰქონდა გაგონილი.

— დადიანი ისევ თავისას ადგას. ბერძენთ უფლისწულს ემხრობა.

დადიანს სახე გაეშალა. თითქო უარესის გამომჟღავნებას მოელოდა და ამ თქმაზე დამცინავმა ღიმილმა გადაჰკრა.

რატის არა უთქვამს-რა. გულში კი გაიფიქრა:

— დადიანს მაინც ის ანუხებს, პირველობა მე შემრჩესო. ბიზანტიის კარზე შესული ყმა და იქაური უფლისწული, რა თქმა უნდა, მაგის მომხრე იქმნება, მაგის ჭკუაზე ივლის...

— ღიხთ იმიერ ვიყავ ამას წინად, — რატის ფიქრთა ჯარი დაუფანტა სავარსამიძემ, — და თქვენმა მზემ, ესე მოგახსენებ, რომ სწორედ ეგ ორი უფლისწული მუტაფრადინ სალდუხის-ძის ძე და ბერძენ მეფეთა შთამომავალი უკვე მოწონებულ იქმნენ თამარის სასახლის კარზეო...

— ვინ მოგახსენა? — შეიკვირვა აბულ-ასანმა.

— მეც ვავიგონე — ჩაუმატა ფარჯანიანმა — ესე გკადრებენ, თვით კათალიკოზმაც დასტური დასცა და ეხლა მხოლოდ თამარზეა დამოკიდებული ამ ორში რომელს აირჩევსო.

— ვინ ამბობს მაგას? — განცვიფრდა რატიც.

— საერისთავოებში დიდებულნი, საფუნდუკოებში მგზავრები, ქალაქად ვაჭარნი და მოხელენი.

— ვინ დაარხია ეგ ხმა?

თითქმის ერთსა და იმავე დროს ცოტა წყრომით იკითხეს რატიმ და აბულ-ასანმა.

— რას დასდევთ! რამდენი მოცლილია!.. ქვეყნის ლაგამს ვინ გასჭედს?..

ამოიღო ხმა დადიანმა.

— მსახურთ უხუცესო!

სიტყვა შეუბრუნა რატიმ.



— ნურც ეგრე ბრძანებ. ერი ჭორებით არ უნდა იკვებებოდეს. ესეთ საგულისხმო და მძიმე საგანზე მაინც მას სინამდვილე უნდა ესმოდეს. ჩვენი ქვეყანა ეხლა დიდია და ვრცელი. ნეტარმა დავითმა და მისმა მომყოლებმა სამხრეთით მაინც ჩვენი საზღვარი ძველ „ქართუს“ სამფლობელოში გადაიტანა... ვინ იცის, შეიძლება მართლაც უცხოვრია ჩვენი მოდგმის ხალხს იმ ქვეყნებში... მემკვიდრეობით ჩვენ გვერგება და იქ კი ურჯულონი გაბატონებულან... დღესდღეობით ჩვენი სამეფოს ამ ვრცელ საზღვრებში მიღეთის ხალხი ცხოვრობს. ათასი რამ არის მოსალოდნელი... შორი შორსა ვართ ერთი მეორეზე... ძლივს შევეკონინდით დღევანდელ ქართველთ მოდგმისანი და ეხლა ჩვენში ყოველი ყალბად გავრცელებული ამბავი, ყოველი ცრუდ შეთხზული ცნობა, ვინ იცის, რა ზიანს მოგვიტანს... რომ დაიჯეროს რომელიმე კუთხემ, ვთქვათ, ბერძნის უფლისწულის მონონება, შეიძლება ისიც გაავრცელონ — გამეფდა კიდეცაო, როგორი იქნება? არ შეიძლება ჭანეთმა და კაპადოკიამ ადვილად ინამოს ეს ამბავი? — ხომ ხიფათი აგვიჩნდა. მოგვინდება ხმლით ხელში დავემტკიცოთ, რომ ბერძნის უფლისწული არ არის ჩვენი მეფე... ან კიდეც სალდუხის ძის ძესი... მუტაფრადინისა...

აქ ერთი გადახედა გუზანს და ისევ ცხარედ განაგრძო რატიმ.

— ხომ არ ივარგებს! არა, ვარდანო, მაგას ნუ ბრძანებ — ქვეყნის ლაგამს ვინ გასჭედსო!.. გავეჭედეთ კიდეც და მზე-თამარის დროშა უნდა ვეცადნეთ, რომ მტკიცედ გვეპყრას ხელს...

უცბად შეჩერდა რატი. ყველანი ხმა-გაკმენდით და მოკრძალებით უსმენდნენ. თვითონ კი, ეტყობოდა, კიდეც რაღაც უნდა ეთქვა უფრო ცხარე, უფრო უკმეხი, მაგრამ თავი შეიკავა და უცებ მოსჭრა.

დადიანი არ აჩქარდა საპასუხოდ. ყველა გრძნობდა კი, რომ განთქმული „მოუბარი“ უპასუხოდ არ დატოვებდა ქართლის ბატონს.

ვარდანმა პანია, კოკობ, ცოტა ზევით აპრეხილ უღვაშებზე თვისი გრძელი ნაკვთიერი თითები შეათამაშა და შემდეგ დაიწყო. სახეზე სათნო ღიმილი უთამაშებდა და საუბრის დროს თითქო არავის არ უყურებდა, ისე შესვენებით წარმოსთქვამდა.

— მომიტეოს ერისთავთ-ერისთავმა, მაგრამ ცოტა მძიმე საუბარი მოუვიდა, ეგეთი ფრიად საგულისხმო სიტყვები, მე მგონი, უფრო სხვა დროს შეჰფერის. არ უნდა დაეჭირვა ამ ჟამად გახსენება იმ გარემოებისა, თუ სად გვიცხოვრია ოდესღაც ქართველებს, სად იყო ჩვენი კერა, საით მივისწრაფვით და ან ამ ჟამად ჩვენი სამეფოს საზღვარი რაზომ ვრცელია. მომიტეოს ქართლის ბატონმა და მწიგნობრობა, წარსულ დღეთა მატყანენი ნაკითხული გვაქვს...

— მაგას ვინ ამბობს... — ჩაერია ეხლა აბულ-ასანის ძე სამცხელი გუზანიც. თითქო შეატყო, რომ წყენის კვალი უფრო ღრმავდებოდა მოსაუბრეთ შორის. — შენი სასახლე და თვით შენ განთქმული ხარ წიგნობრობით.

მაგრამ დადიანმა ყური არ უგდო. იგი წამოდგა და გაიმართა მთელი თვისი მოხდენილის, მოქნილის წერწეტის ტანით. ერთი ხელი მარმარილოს სვეტს მიაბჯინა და თითქო დაცივნით ჩაიღიმილა.

— თვით ჩემმა პირმშომ, პანია შერგილ დადიანმაც კი იცის, სად ვსახლობვართ, ვინა ვართ და რა არის ჩვენი სანატრიონი...

რატი შეინძრა სავარძელზე. სავარსამიძეს შუბლზე კოპები დააჯდა. აბულასანმა მშვენიერი, შენითლებული ატამი აიღო ხელში და კოპნია, სადაფის ტარიან დანით თლა დაუნყო. გუზანიც, ეტყობოდა, ვერ იყო გუნებაზე, არ იცოდა, როგორ ჩაექრო უსიამოვნების მოსიქსიქე ცეცხლის წვეტები. მხოლოდ ფარჯანიანი იჯდა დინჯად და ეტყობოდა, დადიანის საამურ ხმას სიტკბოებით ისმედა. დადიანი კი განაგრძობდა:

— აქ საკითხი სულ მარტივი იყო და არა ეგზომ გასართულელებელი... ხმა მიმოქრის საქართველოში?... ცუდია ეს ხმები, ყალბია ეს ხმები?... სრული სიმართლეა... არ უნდა ვრცელდებოდეს... მაგრამ მე გეკითხებით: შეიძლება უმაგისობა?... თამარ მშვენიერის ბედი არამც თუ მარტო ჩვენ შეგვჭირს, ჩვენ დარბაისლებს, დიდებულებს, მთელი ერი გულისფანცქალით მოელოდება ამ ამბის საკეთილოდ გადაჭრასა... მანამ კი, სანამ სინამდვილეს ხორცი არ შეუსხამს... ხმები მიმოქრის?... რა ვუყოთ მერე... ეს ბუნებითია... და ხიფათი კი?... დალოცვილო! — აქ უკვე პირში შეხედა რატის. — ხიფათი... შეუძლებელია... თამარი ვინმე თავადის ასული ხომ არ არის, რომ ქვეყანამ ვერ გაიგოს, თუ ვისთან მოინება შეუღლება?... აბა, ვინ დამალავს? როგორ დაიმალება... ირწმუნეთ ჩემი: მთელი ცის ქვეშეთი იუნყებს მის ამბავსა...

ცოტა გაეცინა. ცოტა შეჩერდა. უნდოდა განეგრძო.

რატიმ დაასწრო:

— მე ეგ კი არ მომიხსენებია, დადიანო...

აღარც იმას დასცალდა. ჩარდახზე გამოვიდა უცხო სანახავი მანდილოსანი.

მაღალი ტანის იყო. ბეჭებში გაშლილი. მკერდ-შემკვრივებული, მორკალებული. ნელი გამონაკვეთული, თითქო მართლაც-და ბეჭედში გაეტევაო. ზედ ძვირფასად ანაქარგი სარტყელი ჰქონდა შემორტყმული და თითქო დაუდევრად გამონასკული, კაბა თითქო ზევით იყო შემხტარი და კაბის ქვემო მენამული ფერის, სალუქი აბრეშუმის შალვარი მოსჩანდა ტოტებ-მოქარგული, კოჭებთან შეკრული. ფეხებზე კი მარგალიტით მოოჭვილი მსუბუქი ქოშები ეცვა. ოთხი, მაყვალის ნანახი ბეჭებსა და მკერდზე გადმოშვებული კოჭებამდინა სცემდა, გულისპირი კარგა დაბალზე იყო მოჭრილი და მოღერებულ თეთრ ყელს ალმასის, უცხო ნაქნარობის ჯვარი, ობოლ-მარგალიტის აცმაზე მიმაგრებული, უმკობდა. ფართო, ვნებათ-აღმძვრელი თვალები გრძელ ნამნამებში ლურჯად ირდილებოდა. ნარბები გაზიდული და ოდნავ გაპოზილი, წითლად მოხასხასე ბაგე. ყველა ეს შეადგენდა მის საკვირველ სხეულის შვენებას; ამ სხეულს კი ამ ჟამად ზემოდან ფართო და გრძელი, გამჭვირვალე, უნახესი ლეჩაქი ჰქონდა თავიდან ფეხებამდე გადმოშვებული. მხოლოდ ზედ თავზე ლეჩაქის დასამაგრებლად თვალ-მარგალიტიანი ოქროს სალტესავით რკალი ჰქონდა ჩამოცმული.

იგი მომღიმარი და მხიარული გამოვიდა ჩარდახზე.

ყველანი წამოიშალნენ. აბულ-ასანის მეუღლე იყო.

სამოცდა-ათი წლის მოხუცს ვერ მოეთმინა, კათალიკოზისათვის ნება გამოეთხოვნა და მას შემდეგ შეერთო, ორჯერ დაქვრივებულს ეს მესამე, ახალგაზრდა ცოლი.

იმას გარდა, რომ შვენებით სრული იყო ტურფა ასული, მისი შერთვა დიდ თამარსაც უნათესავებდა. ქალი ოსთ ბატონების შთამომავალი იყო და ბაგრატიონთა სისხლისაც.

ასე რომ, ბევრნი აბულ-ასანის ცოლს თვით თამარსაც ადარებდნენ: მოჰგავს იერთო, მხოლოდ დაკვირვებულნი იტყოდნენ: ეს უფრო მიწიერი სილამაზეა და თამარს... ციურიც ახლავსო.

ამიტომ იყო აბულ-ასანის კარზე ბოლო ხანებში კიდევ უფრო მეტი ახალგაზრდა, მაგრამ თვით მოხუცი, მეფე და პატრონი მშვენიერების, ყველას სათნოდ და გულ-დამშვიდებელი უხვდებოდა. დიდად სწამდა კდელა-მოსილება მეუღლისა და არ უშლიდა ახალგაზრდებს „შორით ტრფიალს, შორით დაგვას“.

თავი ექებოდა.

შორიდან მოუხდა მანდილოსანს სტუმრებთან მოახლოვება. მაგრამ არ შემკრთალა მისი ახალგაზრდა სხეული, არ დამკრთალა მისი ჯერ კიდევ გამოუცდელი თვალები. შველივით იერიანი, მტრედისვით მოგოგმანე წარმოემართა სტუმრებისაკენ.

ყველაზე პირველად დადიანი მიეგება.

ეს ორმოცი წლის კაცი ისეთი მარდი მიხვრა-მოხვრის იყო, თითქო თვრამეტი წლის ჭაბუკიყო.

მაინც ერთი ჭალარა არ ჰქონდა გარეული, ერთი ნაოჭი სახეზე.

წინააღმდეგ მაშინდელი ჩვეულებისა თმას არ იყენებდა. ასე რომ ლიხთ-იმერთა თავ-სახური, ფაფანაკი ბეჭებისკენ სირმის ზონრებით ჰქონდა გადაგდებული და თვით მუდამ თავშიშველი იყო.

— თავი მაგარი მაქვსო, — იტყოდა ხოლმე, როცა მისიანები სიცხეში ან ზამთარში შესთხოვდნენ თავის მობურვას.

მხოლოდ ომში სჭირდებოდა მუზარადისა ან წვრილ-თვალას თავზე ჩამოცმა, მაგრამ იქაც ხშირად არ იყენებდა. საშინელი სწრაფი იყო, მარდი და ხმაღს ვერ მიუწვდენდნენ, ორორს, შუბს და ისარს კი მისი ნაცრისფერი მომცრო თვალებით შორიდანაც კარგად არჩევდა.

პირი-სახე ცოტა ფერ-მკრთალი ჰქონდა, გაპარსული ლოყები სავსე და ამიტომაც შორიდან სულ ჭაბუკს გაგონებდათ.

მხოლოდ საუბრის და თათბირის დროს იყო დარბაისელი. ომში და გასაჭირში ვაჟკაცი გაბედული და შემმართველი.

ეს აკვირვებდა ყველას.

ეს აკვირვებდა ეხლაც რატი სურამელსა.

— რად არ მომწონს ეს დადიანი?.. — ფიქრობდა რატი — რა დაუშავებია ჩემთვის? მეგობრობის გარდა არაფერი. მეფისთვის? სამშობლოსთვის? იქაც ერთგულებისა და თავდადების მეტი არაფერი. მაშ, რა აქვს ამ კაცს უსიამოვნო! საქციელი? სიდარბაისლე? ჭკუა? გონება?.. საქციელი აქვს. ზრდილია ზედ-მინევნით, მაგრამ მოუსვენარია, ვერცხლის წყალია ნამდვილი. ჰა, ჰა!

ჩაეცინა გულში. გაახსენდა.

— როგორ ბრძანებს ხოლმე დედა-ჩემი?..

დედის გახსენებაზე ეს ხან-დაზმული დიდებული მოკრძალებულ გუნებაზე დადგა. თვალწინ წარმოუდგა ჭარმაგი, ახოვანი მანდილოსანი. განთქმული ხვაშაქი ცოქალი, სახელმწიფო მოღვაწე ქალი, თამარის მესაიდუმლე. გაიხსენა მისი გამყვანი ხმა, ბრძანებლობითი, შეუვალი, მტკიცე და სარწმუნო. მისი სახე მაღალ-გონიერებით და ძლიერებით მოსილი. გაიხსენა და მიიხედ-მოიხედა, თვალში ისევ დადიანი მოხვდა. უცბად დაუბრუნდა ნახსოვრობა:

— ჰო, როგორა ბრძანებს? „ნუ ენდობი კაცსა პირხმელსა და მრავალ-მეტყველსაო.“ ეგ არის სწორედ. ვარდანიც ეგეთია. ლოყებ-სავსეა, მაგრამ საერთოდ პირ-ხმელი დაეძახება, ტან-წერნეტიც არის და... მრავლად მეტყველი. ოო, რა მოუბარია? „გველსა ხვრელით ამოიყვანს...“ მერე რა?.. რომ არაფრით არ გამოუმჟღავნებია მისი ცუდი თვისებანი?.. თუ მეც სიხარბით მომდის... ისიც დიდი ერისთავია და მეც... მაგრამ მე მხოლოდ ქართლის ბატონი ვარ და ეგ კი არის პატრონი ორბეთისა და კაენისა, ლიხს იქით ნიკოფსიამდის უცილობლად მქონებული, როგორც უწერია კიდევ, და განაგებს ყოველსა სვანეთსა და აფხაზეთსა, საეგროსა, გურიასა, სამოქალაქოსა, რაჭასა, თავკერს და არგვეთს. დიდი გავლენა აქვს, დიდი ჰუბუტი მის ქვეყანაში... ეხლა კიდევ, რაც თამარის მონინააღმდეგე ყუთლუ-არსლანის დასი დაეცა, ახლად დანიშნულებში მაგას უბოძეს მსახურთ-უხუცესობა... ოო, მძლავრი კაცია... პატარა მეფეა ნამდვილად... მერე ესეთ განლაღულ დიდ თავადს, ვინ იცის, რა ზვიადი ზრახვები უტრიალებენ გონებაში... ააჰ!

კინალამ წამოიყვირა რატიმ და ნელად თვალეზედ ხელი მოისვა.

— ეს რა მომივიდა აზრადო!

ქართლელს შეეშინდა ამ უფსკრულში გადახედვისა.



გამოერკვა. მისალმება გათავებულიყო. „საყველპურო“ მასლაათში იყვნენ გართულნი. უეცრად გუზანი შეეკითხა მამას:

— ზანქანიდან კი არაფერი ამბავი მოგვესვლია?

— აბა, რა დროს ამბავია, შვილო? ჯერ კიდევ პაემანი არ უთავდება. ორი კვირის ვადა აქვს.

ზანქანის ხსენებაზე ყური ცქვიტა აბულ-ასანის მეუღლემ.

დადიანს ესაუბრებოდა. ზრდილობიანი პასუხი უცბად მოუჭრა და გუზანს შეეკითხა:

— მგონი ზანქანზე ბრძანე, ბატონო? — გუზანმა დაუმონმა.

ქალი შენრფა, ცოტა წამონითლდა. თვალები მორცხვად ძირს დახარა. მაყურებელთ მოენონათ. ელოდებოდნენ. აღარ დააყოვნა:

— ჩემი სირცხვილი!.. ბატონო, — მიმართა აბულ-ასანს ფეხზე წამომდგარმა. — რა მომივიდა!.. იმისათვის გეახელ, მე პირადად მეხარებინა, რომ ზანქანი ჩამოსულა...

— როგორ თუ ჩამოსულა?

თითქმის ყველამ ერთად შეიკვირვა.

— დიად, გხლებიათ და ძულან შიკრიკი ეფრინა კიდევ: დიდებულ ამირს მოახსენე, რომ რუსთ უფლისწული ჩამოვიყვანე კიდევცაო. ნამგზავრზე ვასვენებ და არ გავალს ერთი ჟამი, მასთან ერთად გიახლებითო.

— საკვირველია!

— ხომ არ გადაფრინდა ის კაცი?!

— საზღაპრო ამბავია!

იკვირვებდნენ დიდებულები. აბულ-ასანმა კი დაადასტურა:

— ყოჩალი კაცია ჩვენი ზანქანი, ეტყობა მარჯვედ გარჯილა. დაუჩქარებია. მოკლე გზით, გორით გადმოიყვანდა...

— იქით ცუდი გზები გახლავთ ამირა.

შეჰკარდა ფარჯანიანმა.

— ეხლა კარგი ამინდები დგას...

აღარ დაათავა რატიმ.

— მივლია საყვიჩაყოში.

გაიხსენა ზვიადმა.

— თუ მარჯვედ მოიქეც, ხუთ დღეს ჩამოხვალ, თქვენი ქვეყანა უნდა გადმოიაროს, ქალბატონო... ოვსეთის სამთავრო...

— ასეა თუ ისე ძალიან მარჯვედ მოქცეულა...

დაუმატა დადიანმაც.

— მე კი რა მომივიდა?

კვლავ იოცებდა აბულ-ასანის მეუღლე.

— შიკრიკი არ გამოვუშვი, მე თვით ვახარებ-მეთქი...

სიყვარულით გაუღიმა აბულ-ასანმა და ტახტიდან ფეხები ძირს ჩამოუშვა.

— ნუ გეშინია, სამახარობლო არ დაგიკარგავს...

ქალი განითლებული, თავ-დახრილი იდგა საქციელ-წამხდარ ბავშვივით.

— მართა! შიკრიკი ხომ დაასაჩუქრე?

— დიად, ბატონო!

ძლივ გასაგონად წარმოსთქვა ქალმა.

— ჰო და ეხლა რილასი გრცხვენია?

სიყვარულით აკანკალებულ ხმით მიუალერსა აბულ-ასანმა.

ამ დროს მსახური შემოიჭრა:

— ზანქანი გეახლათ და ითხოვს ნებართვას, რომ რუსის უფლისწული და მისი მხლებელი თქვენს წინაშე წარსდგეს.

ყველა შეშმაშურდა. უცხო მოლოდინმა მოიპყრო ყველანი.

მხოლოდ აბულ-ასანი, როგორც გამობრძმედილი ხელისუფალი არ აჩქარდა, არც ტახტიდან წამოდგა და ისე დარბაისლურად, სათნოდ უბრძანა:

— მობრძანდნენ!

შემოვიდნენ.

წინ სიჩქარით და თავის კვრით მოდიოდა ზანქანი.

მის შემდეგ თავ-ჩაქინდრული, ჯიუტის ნაბიჯით მოდიოდა უფლისწული იური, მას შორი-ახლო მოჰყვებოდა ვაჟკაცურის, მტკიცე მიხვრა-მოხვრით კუზმა.

ჩარდახის შუაზე შეჩერდნენ.

სხაპა-სხუბით დაიწყო ზანქანმა:

— აჰა, ბატონო და მწყალობელო! დიდებულნო! წარმომიდგენია თქვენ თვალთა წინაშე რუსეთის დიდი მთავრის ანდრეი ბოგოლიუბსკის ვაჟი, უფლისწული იური... ეს გახლავთ თავადი რუსეთისა კუზმა, ლალა და გამზრდელი მაგისი.

კუზმამ თავი დახარა. ქართული არ ესმოდა, მაგრამ ზანქანის ხელის ფენაზე და მისი სახელის ხსენებაზე მიხვდა, რაზედაც იყო ლაპარაკი. მხოლოდ იური ისევ ისე თავ-ჩაქინდრული იყო.

ზანქანი კი განაგრძობდა:

— ვიჩქაროდი, ბატონებო, დიდად ვიჩქაროდი... არ ვიცოდი განა, რა დიდი საქმე მქონდა დავალებული? რა სამძიმო და თან რა საშური? დღე და ღამე გავასწორე იქით და აქეთ. არც ესენი მოვასვენე, არც ჩემი თავი და აი, მაღლობა ღმერთს, ვადამდი მოვალწიე საქართველოს...

— ყოჩაღად მოქცეულხარ, ჩემო ზანქან, ყოჩაღად... არ დავივიწყებთ შენს გარჯილობას და თუ მაგ ვაჟს ბედი აქვს და დიდმა თამარმა და ერთობ დარბაზის ერმაც მოინონა, მაშინ ხომ დასაჩუქრებას ვეღარც აუხვალ.

— თქვენი თავი ნუ მომეშალოს...

— სთხოვე მაგ ყმანვილს, ახლოს მობრძანდეს, აქ ჩამოჯდეს.

ზანქანმა გადაუთარგმნა.

იურიმ თავი აიღო. მისი თვალები აბულ-ასანის მეუღლის თვალებს მოხვდა.

უეცრად რალაც მოუვიდა. ეგონა, თუ თავ-ბრუ დაეხვა. მაგრამ დაბარბაცებისაგან თავი შეიკავა.

— არა! ეს სვეტლანა არ არის! — გადასწყვიტა გულში და მტკიცე ნაბიჯით გასწია იქით, საითაც მიუთითეს.

დადიანს არ გამოეპარა ეს ერთი „გაქანება“ იურისა, მაგრამ არც ის გამოეპარა, რომ აბულ-ასანის მეუღლეს ფერი სრულიად მიჰხდოდა და დიდრონი შავი თვალები თითქო უნებლიეთ იურის შესცქეროდნენ.

კუზმაც შორი-ახლოს დასვეს.

იმან დინჯად, მაგრამ მაინც დაკვირვებით აათვალიერ-ჩაათვალიერა იქ მყოფნი, ჩარდახის მორთულობა, შორეული სანახაობაც და ეტყობოდა კარგ გუნებაზე დადგა.

საზოგადოდ ხომ, რაც საქართველოს მთის კალთებს ჩამოსცილდნენ და გორს მოაღწიეს, თანდათან გულში სიამე ეფინებოდა. იპყრობდა საქართველოს წარმტაცი ბუნება, ხიბლავდა გზაში შეხვედრილი ლალი და ჰაეროვანი ხალხი. პატივისცემით იმსჭვალებოდა უცხოთ ნაგებ ტაძრებსა, ციხე-ბურჯებსა და კორდებზე შეფენილ სრა-სასახლეთა და სოფელთა ნაკეთობით.

იმასაც პირველ ხანებში, ტრიალ მინდვრის ნაჩვენებს, სულს უხუთავდა კავკასიის ქედი, ხეობათა ვიწროები, მაგრამ კობტად გაშლილმა და შეფერადებულმა ქვეყანამ იურიც და ესეც გამოაკეთეს და გამოახალისეს.

განსხვავება ერთი იყო ამ ორ-შუა.

იური, როგორც ახალგაზრდა, ჯერ კიდევ ვერ ემხრობოდა სიახლის განცდას და მინც გულ-ჩათხრობილი იყო. კუზმა კი, გამოცდილი და გადანახედი თავიანთი სარგებლობის თვალთ ზომავდა ყოველივეს და მისი გული და ზრახვა უფრო ადვილად და უფრო შეგნებით ეთვისებოდა გარემოებას.

დამხვდურებიც ათვალეირებდნენ მოსულებს.

კუზმა ყველას ერთბაშად მოენონა: შესახედი ვაჟკაცია თეთრ უღვაშებ ჩამოყრილი, გაშლილის სახისა.

იურიზე კი ერთ გვარი არ იყო აზრი.

განსაკუთრებით რატი დარჩა უკმაყოფილო. მან შეამჩნია იურის ლამაზი, მაგრამ ამღვრეული თვალეები და გულს რეჩხი უყო.

დადიანმა კი გუზანს ჩასჩურჩულა:

— სულ ბავშვი ყოფილაო!

გუზანი უცებ დაეთანხმა. მხოლოდ დაკვირვების შემდეგ მიხვდა ამ სიტყვების ფარულ აზრს: „ადვილია მაგის ხელში ჩაგდებაო“. გულში გაეცინა. „რა მიხვედრილი კაცია ეს დადიანო“, — გაიფიქრა.

— მგზავრობამ არ დაგღალათ, ბატონიშვილო?

შეეკითხა აბულ-ასანი.

ზანქანმა გადათარგმნა.

იურიმ გაიღიმა. უპასუხა მოკლედ. ვარდანმა აბულ-ასანის მეუღლეს გადახედა. ჭაბუკის ხმა მართლა საუცხოვო ბგერის იყო.

შეამჩნია, რომ ქალის ხელი ათრთოლდა და თითქო უნდა გადააფუჩეჩოსო, სარტყელი ვითომდა დაისწორა.

— მსახურთ-უხუცესო!

დარბაისლურად დაინყო აბულ-ასანმა, მაგრამ დადიანმა შეამჩნია, რომ ეს უკვე საქმიანი კილო იყო და ფეხზე წამოდგა.

წამოდგა აბულ-ასანიც.

— ჩვენს პირიმიზეს, დიდებულს თამარს მოახსენე, რომ რუსთა მთავრის შვილი ეახლა და როდესაც ინებებს, დრო დაუნიშნოს მისი ხილვისა.

დადიანმა თავი დახარა.

— ჩემი დარიგება არ გინდა, ვარდანო... — უკვე მეგობრულად უთხრა აბულ-ასანმა.

— ეს შენი ვალია დააჩქარო წარდგენა... მე არ ვისწრაფვი მსჯავრის დადებას, მაგრამ ეტყობა კი, უცხო რამ ჭაბუკია... უნდა ეცადო, რომ... — აქ განზე გაიყვანა ამირამ დადიანი, — შენცა და სხვა წარჩინებულთაც დაარწმუნოთ მეფე ჩვენი, — ნულა გაგვიჯიუტდება...

დადიანმა თავი დაუქნია, ყოველივეს მიხვდით და საჩქაროდ ყველა იქ მყოფთ გამოეცალმა.

რამოდენიმე წუთის შემდეგ ის და მისი მხლებლები სიჩქარით მიაგელვებდნენ სწრაფ და ფიცხ იმერულ მერნებს ისნის სასახლისაკენ...

შალვა დადიანი

## კიმოთე მეშველიძე

### ესკიზი

გმადლობთ! — მომიგო ჩემს მისალმებაზედ ლობეზედ მიმდგარმა კიმოთე მეშველიძემ, რომელიც ელაპარაკებოდა ფრენჩიან კაცს და ჩემს მოახლოვებასთან ლაპარაკი შესწყვიტა, სალამი მომცა, მერმე ბოდში მოიხადა, უკაცრავადო, და დაეშვა ჩქარი ნაბიჯით ქვევით.

— გმადლობთ! ვართ, რავარც მოგეხსენებათ ჩვენი სოფლის კაცის ამბავი... ვართ, მარა რალა ვართ!.. სულ დევიბენით, ჩემო ბატონო, — აღარაფერი გვესმის, რა ხდება ამ ქვეყნიერობაზედ... რალაც უცნაური ამბებია. ჩვენ კი ვერ გავგივია, რა არი, საით მივდივართ, რითი დაბოლოვდება ესეთი ამბავი!.. უკაცრავად, ასე გაგაჩერეთ გზაში... შემობრძანდით!.. ჰო და, იმას მოგახსენებთ, რომ სულ დევიბენით, დევიბენით!.. აი, ის ვაჟ-ბატონი, ახლა რომ აქ დაგიხვდათ, ვარდენია მშვენიერაძე, თქვენც უნდა იცნობდეთ, ამას წინად ქაქანობდა — ნიკოლოზი უნდა ჩამოვავდოთო, ქადაგობდა, კილამ თავით მახეში გეება... ერთობაში შემოდითო, ვინც ერთობაში არ შემოვა, ბოიკოტს უცხადებდნენ... აქეთ ეს ერთობის ხალხის შიში გვქონდა, იქით მთავრობა გვემუქრებოდა ამ ერთობისათვის... ვიყავით ერთ შიშში, — რომლისაგან გავქრებოდით აღარ ვიცოდით. მერე იყო და ატყდა ეს შეჩვენებული ჩხუბი, ქვეყანა რომ დაანგრია!.. აი, როდის გათავდება, როდის გვეშველება ქვეყანა რომ დამშვიდდეს-თქვა!.. დამშვიდდა კი არა, უარესი შეიქნა... იმ საცოდავმა ნიკოლოზმა, რაში ებმებოდა დავიდარაბაში, ტახტიც დაკარგა და ჩამოგდეს — ოუსრულდა ბევრს ნატვრა, — მარა ჩვენ მაინც არაფერი გვეშველა: ჩვენ ისევ შიშში დავრჩით, ვაი თუ ნიკოლოზმა კუდი მოიქნიოს, ატეხოს დანაკარგისათვის ერთი ალიაქოთი-თქვა! ჟლეტას და ხოცვას დასასრული არ მიეცემა, — ამის შიშის ქვეშ ვიყავით, აღარ ვიცოდით, საიდან დაგვდგომოდა საშველი. ხმებიც უბედური მოდიოდა. გადაღმა სოფელში ერთი პლენი ბიჭი ჩამოსულიყო, დამავიწყდა გვარსაც მოგახსენებდენ, — საოცარი ამბავი ჩამოიტანა. უთქვამს, რომ რაც პლენიდან მოვდიოდით, ერთ საღამოს ერთ სოფელში დავბინავდი ღამის გასათევადო. მასპინძელმა გამომკითხა, თუ ვინ ვარო, საიდან მოვდივარ და სად მივდივარ. მეც ყველაფერი უთხარი, პლენად ვიყავით და სახლში მივდივარო, კავკასიაში. აბა, შენ უნდა წამოხვიდე ეგერ სხვა სახლშიო და წამიყვანეს; ტყეში დგას დიდი სახლი, იქ შემიყვანესო. დამაჯინეს ოთახში, ვზივარ ჩემთვის; ცოტა ხანს შემდეგ გეილო კარი და შემოვიდა კაცი; ახლა ამანაც გამომკითხაო ჩემი ამბავით და მერე მკითხაო — მიცანი თუ არაო. მე უთხარი, ვერაო; გაბრუნდა ის კაცი და ცოტა ხნის შემდეგ ისევ შემობრუნებულა, მარა გენერლის ჩინებითო, ჯვრებით, ლენტებით; სამი კაცი თან ახლდაო, დადგომია ბიჭს და უკითხავს: ახლა მიცანი თუ ვერაო. იმ პლენ ბიჭს მაშინათვე უცვნია — ნიკოლოზი ბძანდებო, მიეგო. — მართალი ხარო, გიცვნივარო! მე ყოველთვის მიყვარდაო, უთქვამს, კავკასია და კავკასიის ხალხით და როცა ჩახვალო, გადაეციო, რომ მე ცოცხალი ვარო და მადაც მალე ჩამოვალო. მერე ი ბიჭი აბანოში წოუყვანიათ, ტანისამოსი სულ ახალი მიუციათ, მშვენიერი ვახშამი უჭმევიათ, ფული სამგზავრო უჩუქნიათ და გამოუსტუმრებიათ ასე დაჯილდოვებული. ჩვენ შიშმა აგვიტანა, ეს ამბავი რომ მოედვა სოფელს. დღე-დღეზედ მოველოდით ახალ არევ-დარევას, ერთმანეთის გადაკიდებას... მარა გეიარა დრომ და ნიკოლოზმა ველარ მოახერხა კუდის მოქნევა! მარა რა, ჩვენ დანყნარებას მაინც არაფერი ეშველა.

ყოველ მხრიდან უცნაური რამე მესმის: ღმერთი არ არისო! აქამდისინ თუ იყო, ახლა სად გაქრა, თქვენი ჭირიმე?! ეკლესიები დაგვიკეტოსო!.. ამას წინად, სწორედ ის ვაჟბატონია, ახლა გამწარებული ფულზედ რომ დარბის სასესხებლათ, ვარდენია მშვენიერად, მოვარდა ეკლესიაზედ ცხენით, გადმოხტა, მიაშვირა ეკლესიას, თურმე მღვდლის გამოგდება უნდოდა ეკლესიიდან, მარა წირვა გამოსული იყო და ყველა გარეთ იყო. დეინყო ქაქანი, — აქ ღმერთი უცნაურათ მოიხსენია, აქ წმინდანები, ერთი სიტყვით, საშინელი ამბავი დაანია; ხალხმა ხმა არ გასცა. უტია. მერე მოაჯდა ცხენს და დააპირა ქვედა ეკლესიაზედ წასვლა, მარა შეჯდა ცხენზედ თუ არა, ე ცხენი წევიდა უკან-უკან, წევიდა, წევიდა და უკანალით მიეკრა ეკლესიის კედელს; ურტყამს წკეპლას, მარა შენ არ მომიკვდე, ცხენი თუ უფრო ეკვრება კედელს, თვარა არ შორდება; ვეცით ცხენს, ძლივს ავაგლიჯეთ კედელს, გადავიყვანეთ მასზე მჯდომიანათ გაღავანს გადაღმა და ჩავაყენეთ გზაში. ახლა იქ ქვედა ეკლესიაზედ გავარდნილა, მღვდელი სახარებას კითხულობს; უყვირია — გამოდით, გარეთ გამოდითო, მერე ამოუღია ლევორვერი და ერთი თუ ორი, თუ სამი გოუსროლია; შეშინებულა ხალხი, გამოვარდნილან ეკლესიიდან და ერთი თვალის დახამხამებაში გაფანტულა შეშინებული...

ეს რაა, მაგ თავიდან ასეთი უცნაური იყო და არ უნდა გაგაკვირვოს, როცა ასეთ რამეს ჩაიდენს და იტყვის, — თქვენ სხვებს უყურეთ. ვინ და რას ამბობს?!.. გუშინწინ გამოცა, აგერ დამსილი, დაგლახავებული დედაბერი რომ არი ანდიოფი, იცნობთ თქვენც: — საღამოზედ აქანე ჩეიარა; ამ დროს ეკლესიაზედ დარეკეს; ის იყო ხელახლა გახსნეს, დაკეტილი რომ იყო ეკლესია. — ხომ გიხარია, ანდიოფი, მისი ხმა. რა მიპასუხა ამაზედ, იცით?! — რაში მიხარიაო? აბა ეკლესია რომ გახსნეს არ გიხარია თქვა. ჩემთვის სულ ერთიაო. — რავა თქვა. რავაო და ეკლესიაზედ არც წინედ დავდიოდი და არც ახლა მივალო; ჩემი დაკონკილი ტანისამოსით რატომ ვაციხო ხალხიო. — კი მარა ღმერთი ხომ უნდა ახსენო, შე ქალო თქვა? წარმოიდგინეთ, რა მითხრა: ღმერთი სად არისო, — ამ გლახაკმა ასე თქვა და ისიც ღიმილით. — აბა, ვინ არის თქვა? ვინაო და იესო ქრისტეო... ღმერთი არავის უნახავს და იესო ქრისტე კიო... ქვეყნად იყოო, ჩვენთვის ჯვარზედ ერთი სტაქანი ნალველი დალიაო! ღმერთი არავის უნახავსო. — აბა, აღარც ეკლესია გინდა, აღარც მღვდელი, აღარც ღმერთი... ჩაგადღონ მინაში ისე? — ჩამადღონო რატომ, დამმარხავენ; ვერ მიიბარა მინამ, ამასწინად გაასვენეს უღვდლოთ სინომა ქუჩიკაშვილი თუ?! — ასე მომიგო შეჩვენებულმა. მოდი და ნუ გაკვირდები კაცი!.. არა უცნაური ამბავი ხდება ქვეყანაზედ. ახალგაზდაც და მოხუციც რალაც სხვა ჭკუაზედ შეიქნენ... რა მოგველის, აღარ ვიცო!.. სულ ვერ გავართვი თავი!.. რა ბოლო ექნება ნეტავი ვიცოდეთ ერთი! სიკეთეში შევდივართო, ზოგიერთი ამბობს... ეგებ მართლადაც სიკეთისკენ მივდიოდეთ, მარა ეს ჩვენთვის გოუგებარი რჩება... ჩვენი ხნის კაცმა მაინც ვერაფერი გევიგეთ... სულ დევიბენით!.. რომ ვინმე მეისხამდეს ჩვენ მადლს და დალაგებით, გულდასმით აგვიხსნიდეს — რა არი, რა ამბავია, — ეგებ ჩვენც გამოვსულიყავით ჩვენი სიბნელიდან და ჩვენს გაუგებლობას და დაბნევას ბოლოს მოუღებდა!.. სინათლეზედ გამოგვიყვანდა ჩვენ საცოდავებს!.. შეგანყინეთ ამდენი ლაპარაკით, უკაცრავათ ვარ, მარა მინდოდა, ერთი ჩემი გულისწუხილი გამეზიარებინა თქვენთვის... ნუ დამძრახავთ, ჩემო ბატონო!

დავით კლდიაშვილი



## კრიმანჭული

ძღვნად შალვა დადიანს

### 1

ქორწილი ჰქონდა ჯამლეთს ჩვეულებრივი. მთელი სოფელი ჰყავდა მოპატიჟებული და რჩეული ვაჟები მაყრად მონვეული.

მოიყვანეს პატარძალი მოგვიანოდ. მოიყვანეს დიდის ამბითა და ზემით.

სიძის სახლის შესავალ კარებთან შესდგა დედოფლის მაყრიონი კუჩხაბედნიერი. გაიღო კარები და შემოეგება დედამთილი დამხთური მაყრების თანხლებით. წარსდგა წინ დადე და სახეშებადრული დედოფალი სახლის დედაქალს გადასცა.

დედამთილმა სახე შეუხსნა პატარძალს. დალოცა. მერმე შაქრის ნატეხი ჩაუდგა პირში და დარბაზში შეუძღვა.

დამხთურ მაყართა შორის ამ დროს კუთხეში იდგა დესმა-მაყარი, რომელიც სადედოფლო სიმღერის პირველს ამბობდა.

როგორც კი დაინახა დესმა-მაყარმა დედოფლის შეხსნილი სახე, მყისვე ხმა შეუწყდა, ნაბარბაცდა, გაფითრდა და შერხევით გადაეკონა მეგობრებს. შეირყა დარბაზი.

დედოფალმა თვალი შეასწრო უცნობი ვაჟის ფერწასვლას უცნაურს და მის გამოხედვას მიბნედილს ნაქცევის წინ. შეასწრო თვალი ამ ამბავს დედოფალმა და ისევ ძირს დაჰხარა.

ჩოჩქოლი დადგა დარბაზში. მოიტანეს წყალი. შეაპკურეს გულწასულს დესმას, მაგრამ გონს მაინც ვერ მოიყვანეს იგი.

სიძე-ბატონს აცნობეს სამწუხარო ამბავი. დესმა-მაყარი იყო მთავარი და ტოლუმბაში ამლამინდელი.

— ჩამეშლება ქორწილი, თუ არ მომირჩინეთ დესმა-ვაჟიო — უთხრა სიძემ მეგობრებს.

დესმას მოჰგვარეს ექიმი დედაკაცები. შემლოცავები. სნეულს ცალკე ოთახიც მიუჩინეს, მაგრამ მორჩენა არ იქნა მისი. დარჩა გარინდული. ფერდაკარგული.

მაშინ გამოჩნდა თილისმა ქალი აღათიც, მზაკვრად ცნობილი და მეზლაპრე. გულჩათხრობით მიუახლოვდა იგი ავადმყოფს და სახეზე დახედა ირიბად. უმაღვე ცბიერად გაიღიმა. შენიშნეს, ინყინეს.

— ბრძენ ქალს ეს როგორ მოუვიდაო?

აღათიც მოშორდა იქაურობას.

სხვა საშუელი აღარ იყო, დესმა-მაყარი სახლში წაიყვანეს.

ქორწილს ფერი შეუნაცრდა. ნალვლობს ყველა დესმას ამბავს. ვინ იტოლუმბაშებს, ვინ იმღერებს, ან ვინ იტყვის საქორწილო ფერად სიტყვებსა?

ათასი პირიდან ესმის დედოფალს დესმას სახელი.

— ეს ის არის, რომ შემომხედა და ბნედა მოეკიდაო — ამბობს თავისთვის პატარძალი და გულში რაღაცა გაუხარდება. გაუხარდება გულში რაღაცა, და აზრიც უთქმელი თავს გაუელვებს.

ჭეშმარიტია: ქალის გულის ავან-ჩავანი და თევზის გზა წყალში ერთნაირია, — მათ გეზს ვერავინ ვერ დაინახავს, ვერ მიხვდება, ვერ მოიაზრებს...

### 2

ავად არის დესმა ეს მეორე დღეა. ავად არის და არა რჩება. სიტყვას არა სძრავს. თვალებს არ ახელს. წყალიც არ მოუთხოვია. რა ქნას, არ იცის საწყალმა დედამ.

თილისმა ქალი აღათი სანახავად შემოივლის.

— ნუ გეშინია, მე ვუშველიო! — ეტყვის დედას. დესმასთან პირისპირ დარჩენას მოითხოვს. ღიმილით თავთან დაუჯდება და ასე ეტყვის სნეულს მომაკვდავს:

— სიტყვა მომაქვს დაფინო დედოფლისაგან, დესმა ბატონო! ყურს არ დამიგდება? — თან ცდის თვალებით: უნდა მორჩესო.

— პატარძალმა შემოგიტვალა: ვნუხვარ, რომ ჩემს ქორწილზე ბნედა რამ მოგეკიდაო. მაგრამ ქვეყანა შენს ვაჟკაცობას ამბობს და რომ მორჩები ამისი იმედი მაქვსო! სიტყვა სიტყვით ასე ბრძანა!

დესმაც მორჩება:

— მოახსენე პასუხად: ქვეყანაზე შენს გარდა ჩემი მკურნალი სხვა არ არისთქო. მომარჩენს ხილვა შენი, სხვა არაფერითქო!

— კარგად ამბობ, დესმა-ბატონო! ეგრე, ეგრე და გაიმარჯვებ.

### 3

დაფინოსთან ძღვენით მიდის თილისმა ქალი ალათი. ბევრს ეტყვის ქათინაურს. ვარდსა მიართმევს და სიტყვათა შორის ყურს ჩასჩურჩულებს:

— ის, ვინც კვდება, შენითა კვდება, ლამაზო.

— ხომ არ მომკვდარა?

— ჩემი მკურნალი სხვა არ არისო...

— არათქო! არ იქნებათქო!

— რომ მოკვდეს?

— მაინც არათქო!

— სიყვარულია. უნდა დაფიქრდე.

— რა მინდაო, რა ვქნა?

— სიტყვა აქვს შენთან. გთხოვს, ნება მისცე გნახოს საიდუმლოდ, და ეს ვარდი გამოგიგზავნა.

— ჰა, დაუბრუნე. დაფინო სხვა ქალიათქო!

ადგება წყრომით დაფინო. მაგრამ თავს შეიკავებს. სახეს შეიცვლის უმაღვე და თავაზიანად ასე მიმართავს სტუმარს დედაბერს:

— მადლობელი ვარ ნახვისათვის, ჩემო კეთილო ქალბატონო. დედამთილი ამ ოთახშია, მობრძანდით აქეთ!

ალათიც ისე:

— ნუ შენუხდები, ჩემო ლამაზო! თავად გეახლები. — ხოლო გულში გაიფიქრებს: „ყველა ქალი — ქალია. ესეც ისე იქცევა, როგორც წესი და რიგია: დასაწყისიც ჩინებულია!“

### 4

თილისმა ქალი ალათი ხშირი სტუმარია ჯამლეის სახლში. დაფინო მუდამ სახლშია უსაქმოდ და ალათიც სულ იმასთან არის.

მზაკვარი ახლა სდუმს დესმას შესახებ და თავი ისე უჭირავს, თითქოს დაავიწყდა იგი კიდევაც. ბრძენიც არის თილისმა ქალი.

მაგრამ დაფინოს ცნობისმოყვარეობა მოერევა. ქალია ჯერ გამოუცდელი.

— მორჩა?

— რა მოარჩინდა?

— საბრალო!

— მორჩიო, რომ შეუთვალო, უთუოდ მორჩება!

— მე ეს არ მჯერა!



- სცადე. დარწმუნდები! რა გენაღვლება? ცოდვაა.
- შემითვლია! რა იქნება?
- ისა, რომ მორჩება, სხვა არაფერი.
- მე რა დამარწმუნებს, რომ სასწაული შემძლება?
- დღესვე საღამოს ამ შენი ეზოს კუთხეში შემოივლის, და, აი გინდა, თორნესთან დადგება და იქ დარჩება, სანამ არ დაინახავ, თუ გინდა, ახლოს, თუ გინდა შორიდან... სასწაულის ნახვაზე ვინ იტყვის უარს?
- დაფინოს გაეცინება. გასართობად ეჩვენება, რაც გაიგონა.
- კარგი, კარგი, მზაკვარო! რაკი სასწაულს მამოქმედიხ?
- განა მე? სიყვარული...
- მე რომ არ მიყვარს?
- თილისმა ქალმა ალათიმ ეს ამბავი შენზე უკეთ იცის, ჩემო ლამაზო!
- ჩუმად! რას ამბობ?

## 5

- საღამოა და დესმა განკურნებული სდგას თორნესთან ჯამლეთის ეზოს კუთხეში. შებინდდება და დაფინოც აივნიდან გადმოიხედავს. ხელის გულს თვალებზე ჩამოიფარებს და თორნესკენ იმზირება.
- ვერ არკვევს კარგად, მაგრამ ლანდის მსგავსს კი ამჩნევს კუთხეში.
- „მართლა სასწაულსა ჰგავს!“
- შეეშინდება.
- „მაგრამ რომ არ მიყვარს?“
- ცოტა ხანი და მზაკრული აზრიც დაებადება. უცებ აღელვებით:
- ჯამუ! ჯამუ! ჩქარა აქ მოდი! მგონია, ჩვენს თორნესთან ვილაცა უცხო სდგას!!
- ჯამლეთი გარედ გავარდება და თორნესთან მიირბენს. დაფინო კი მზერად და ცქერად გადაიქცევა.
- დესმა ამ დროს ჯოხს მოიმარჯვებს და თორნის გვირაბს ზომვას დაუნყებს.
- რომელი ხარ? და ჯამლეთი თავს წაადგება. ამას ვის ვხედავ? ნუ თუ დესმა ხარ? გამარჯობა! მორჩენილხარ, მადლობა უფალს.
  - გაგიმარჯოს, ჩემო ჯამლეთ. უკაცრავად, რომ დაუკითხავად შემოველ შენს ეზოში, მაგრამ არ მინდოდა, შემენუხებინე: დედამ თორნე გამიკეთეო და მთხოვა, უთუოდ ამ შენის ზომისა იყოსო. დილას ადრე ოსტატი მომივა და ზომისათვის წამოველ. შინ არ შეგანუხე... დაფინოს ესმის ეს საუბარი და არაბუნებრივი თრთოლვა ეწევა. გაკვირვებულიც არის და გახარებულიც. გაოცებით უგდებს ყურს თავის გულის უცნაურ ტოკვას.
  - მართლაც, რაღაც სასწაულია!

## 6

- მეორე დღესვე ეწვევა დაფინოს თილისმა ქალი ალათი ეშმაკური ღიმილით.
- ასე მოხდა, რა ჩემი ბრალია! — თავს იმართლებს დაფინო.
  - რა ვუყოთ მერმე! დესმა, შვილო, სხვა კაცია.
  - მეც სხვა ქალი ვარ, ჩემო ალათი!
  - ჰო და, ერთმანეთი მოგინახავთ!
  - შეეშინდა?
  - რასა ბრძანებ? დესმა და შიში?
  - მართლა? ძალიან თამამია? ძალიან, ძალიან?

— ნახავ...

აზრი „ძალიან, ძალიან თამამ“ გმირზე გონებას გაუეშმაკებს ახალგაზდა ქალს და გულს გაუტაცებს.

— აი, რა გითხრა: ასე ვსთქვათ, — ხვალ ღამით ჯამუ ქალაქს მიდის. მე ჩემი ოთახის ფანჯარას ღიას დავტოვებ. ისიც მოვიდეს გვიან და იქიდან მითხრას, რაც აქვს სათქმელი... შიგ არ შემოვიდეს კი!..

თილისმა ქალი ალათი უსიტყვოდ მოუწონებს აზრს ყმანვილ ქალს. მოეფერება თვალებით, მაგრამ ბებერ თავში კი გაიფიქრებს:

„ეს უთუოდ მზაკვარი დადგება“, და თავის გზას გაუდგება.

## 7

ღამეა და მთვარე ანათებს. შუალამეზე მეტია. დესმა-ვაჟი ჯამლეთის ეზოში შემოდის და შეუჩერებლად ღია ფანჯარას გაუპირდაპირებს. ისკუპებს და როგორც კაცა, ოთახში შესტება.

მყისვე წამოვარდება ლოგინიდან ჯამლეთი და უცნობს ზედ თვალთან რევოლვერს შეანათებს: შესდგე. არ გაინძრეო.

— ჯამლეთ, მე ვარ, დესმა. — გაისმება დესმას მშვიდი ხმა. — თუ ძმა ხარ ჩუმად: ქალბატონი არ გააღვიძო! აქეთ ვიყავი, ქეიფი გვქონდა მეგობრებს. მთვარის სინათლეზე თქვენი ღია ფანჯარა დავინახეთ. ლოთი-ფოთობის ამბავი მოგეხსენება: მოგვაგონდი. ნაძლევზე წავედით: ვინც ამ ფანჯარაში შევიდოდა და შენს ქუდს უჩინრად გამოიტანდა, ორ ოქროს ვპირდებოდით. ბოლოს მე ვიკისრე. თუ გიყვარდე, არ გამამხილო, ისე მათხოვე ქუდი დილამდის. შენს ქალბატონთან კი დიდი ბოდიში. მაგრამ, მადლობა ღმერთს, მგონია, სძინავს... არ გაღვიძებია...

გაეცინება ჯამლეთს.

— კინელამ მოგკალიო! — ეტყვის მხოლოდ და ქუდს გადასცემს. დესმას ისევ ფანჯარიდან გაისტუმრებს.

დაფინოს არ ეძინა. მაგრამ ძილი კი მოიგონა: ისეთი ხასიათი შეექმნა, რომ სიკვდილი ერჩინა ქმართან დალაპარაკებას.

ხოლო როცა ჯამლეთი ფეხაკრეფით დაუბრუნდა სანოლს, სწორედ იმ წამში ცოლის გულმა საბოლოოდ გადასწყვიტა მისი ბედი.

და ამავე წამში ერთდროულად დაფინოს გულისყურთან ათას ხმად დაისისინა ყველა ქალურმა ცბიერებამ, და ყველამ შეფიცა მას სამსახური და ერთგულება.

ჯამლეთი კი ძილად გამზადებულიყო.

## 8

— უთხარი დესმას, ალათი, რომ მისი სახელი ამ წუთში პირველად ვახსენე. გაილო მისთვის ყველა კარი ჩემი გულისა, რომელშიაც სურდეს შემობრძანდეს.

— ჩვენ ჩვეულებრივად გადავწყვიტოთ და მოვაგვაროთ ეს საქმე, ჩემო დედოფალო.

— სთქვი.

— შენ მოიგონებ ავადმყოფობას. დედამთილს და ქმარს მკითხავთან გავაგზავნით. მკითხავი კი ისეთ წამალს გამოსწერავს, რომელსაც დესმა-ვაჟი სახლში შემოყვება.

— კარგად არ მესმის.

— ძველი და ნაცადი საშუალებაა. ვასხვაფერებთ ოღონდ დროსა, ადგილისა და გარემოების მიხედვით. მკითხავი ბრძანებს: ოცდაათი წლის უხმარი ქვევრი სამ დღეს და სამ ღამეს უნდა დაიდგას შენს სრულებით დახმულ ოთახში, რომელშიაც დღეში ერთხელ შეს-

ვლის ნება მხოლოდ თილისმა ქალს ალათის მიეცემა. გაივლის სამი დღე და ღამე და სწეული განიკურნებაო.

— მერე?

— ასეთი ქვევრი მხოლოდ დესმას აქვს. იგი დახშული უნდა მოიტანონ. დახშულივე უნდა წაიღონ. თუ დაიმტვრა ან დაზიანდა გზაზე — სულ ერთია აქეთობას თუ იქითობას — მტერისას, სიკვდილი აუცილებელიაო. ასე იტყვის მკითხავი... ის კი ქვევრში იქნება! ამ საქმეს ასე ეხერხება. დაუჯერე ახლაც თილისმა ქალს ალათის, მზაკვარად ცნობილს.

— მერე?

— მერე და... მერე ქვევრი საზოგადოდ აღარ სჭირდებათ და სხვანაირი კრიმანჭულე-ბით გადიან ფონსა.

— მე უკეთეს ვიტყვი...

— მერმისთვის შეინახე,— და ალათიმ გასავალს მიაშურა — მოსამზადებელია ბევრი რამ გარედ.

მაგრამ დაფინომ უცებ კარებთან შეაჩერა და უკან დააბრუნა. განზე გაიხმო სტუმარი და ასე უთხრა აგზნებით:

— მკითხავმა უთხრას დედამთილს ისიც, რომ ის ქვევრი ჯამუმ მოიტანოს და ჯამუმ-ვე უკან დააბრუნოს. მარტომან. ეს აუცილებელი არისთქო, უბრძანოს! ასე მინდა, რადგანაც დავთანხმდი.

გაეცინება თილისმა ქალს ალათის. გაეცინება და გულში იტყვის:

— ქალი ეს ყოფილა და მანდილიც ამას ხურებია თავისაო.

## 9

გავიდა სამი დღე და სამი ღამე.

თილისმა ქალი ალათი ზის დესმას სახლის აივანზე და ჯამლეთს მოელის ქვევრიანს. მზაკვარი მეზღაპრე ამ სალამოს სხვანაირად გამოიყურება. აზრსა წნავს ჩუმად და ჩუმსა ფიქრებს მისცემია.

გამოჩნდება მალე ჯამლეთიც უმძიმესად დატვირთული. გაივლის ეზოს და ქვევრის დასაბინავებლად მარანისკენ გაეშურება.

შეხედავს ალათი და ხმის ამოუღებლად თვალებს გააყოლებს ქვევრაკიდებულს. თავისთვის იტყვის:

— აჰა, დაფინოს კრიმანჭულიო!

ჯამლეთი ცარიელი უკან დაბრუნდება. ვერ შეამჩნევს თილისმა ქალს აივანზე. გამალეობით გაუდგება გზას, უკან არც მოიხედავს.

შეხედავს მიმავალს ალათი და ერთხანს თვალეობით გაედევნება. უცქერის, სანამ არ მიიმალება. მიიმალება და ალათიც თვალებს დახუჭავს.

თვალეობ დახუჭული გრძლად და მღერით ხმა მალლა დაიწყებს:

— „იყო ერთი კაცი. ითხოვა ქალი. გავიდან რამდენიმე ხანი. ამ კაცის ცოლს სხვა ვინმე შეუყვარდა. ქალს არ უნდოდა ქმარი ჰყოლოდა, გადაჰკრა მათრახი და ვირად გადააქცია“. ქვევრიდან ამოსული დესმა ყმანვილი აივანზე ამოვა. ნაჰკრავს ყურს ალათის სიტყვებს.

— ამას რას ამბობ, თილისმა ალათი?

— ჯამლეთის ამბავს ვაკრიმანჭულეობ! ხალხური ზღაპარი იქნება, შენც გაიგონებ! გაიგონე და დაიხსომე ეს კრიმანჭულიც: ნუთისოფელი ასეთია: ყველას და ყველაფერს თავისი დრო აქვს, ბედი და რიგი. ჯამლეთი პირველი არ არის და უკანასკნელი! ვამბობ მე თილისმა ქალი ალათი, მზაკვარად ცნობილი მეზღაპრე.

## უძილო ღამე

### I

არ დამეძინა. შუქი გავხსენი  
 და გადავფურცლე ძველი წიგნები.  
 „სტირიან თვალნი, ცრემლით სავსენი...“  
 მცირე ხნით მაინც მათთან ვიქნები!..  
 სევდით აენტო ჩემი სანოლი, —  
 გარდასულ დროთა ვიგრძენ სურნელი:  
 „... რაინდს უყვარდა სხვისი საცოლეს,  
 სტანჯავდა იჭვი განუკურნელი.  
 ვაჟი — ოცნებით ნაყაჩაღარი.  
 ქალი — შველივით წყნარი და ნაზი...  
 რაინდმა გულში ცეცხლი ჩაჰყარა  
 და თვისი ბედი დასდო დანაზე.  
 — ნადი, თავადი ნახე, წყეული,  
 და ნადირივით სადმე დაჰკალი!..  
 მოჰკლა რაინდმა საქმრო რჩეული.  
 დაჭრილ შველივით ატირდა ქალი.  
 რაინდმა სისხლი გადაიხადა:  
 მოკვდა მეტოქე და გამთიშველი.  
 მტირალი ქალი წავიდა ხატთან  
 შავად ჩაცმული და ფეხ-შიშველი“.

### II

ეს იყო ძველად, როცა სულს წვავდა  
 ვნება ბავშვივით ნასათუთარი;  
 როცა ყოველ ყმას ბატონი ჰყავდა,  
 და ყოველ ბატონს — ყმა საკუთარი.  
 იყო შერჩევა მკლავთ სიმარჯვისა,  
 იყო მშვიდობა ხვნასა და მკაში:  
 ენთო კომკებზე დროშა ფარჩისა.  
 სათოფურებში კვესავდა კაჟი.  
 ეს იყო ძველად. ახლა სხვა არი  
 გულის ტკივილი მეოცნებეთა.  
 გარს შემოეველო სისხლის საზღვარი  
 ოქროს გვირგვინებს ძლეულ მეფეთა.  
 დროშა გაიხრწნა დამპალ ძაფებად,  
 ჟანგმა შეჭამა კაჟის თოფები.  
 მიწას მიათრევს სხვა მისწრაფება.  
 ცაში ბრწყინავენ სხვა მნათობები.

## III

მძიმე ფოლადის მოვარდა დევი.  
 სხვა სიხარული! სხვა მწუხარება!  
 ვერ იტევს მინა, ბევრის დამტევი, —  
 და ქვეყნის გული სკდება ღარებად.  
 მუდამ მრისხანე, მუდამ მწყრომელი  
 ეს დრო ჩვენს ღონეს აღემატება:  
 ათი წლის ნგრევა დაუცხრომელი, —  
 საშიშ ქედების გადანათება!  
 ომი! ამბოხი და აღშფოთება!  
 ჰკვივან ერთხმად რკინა და ღვედი.  
 ცას ვარსკვლავები სცვივა ფოთლებად  
 ცეცხლის ქარიშხლით ჩამონახვეტი!  
 ვის არ მოლუნავს ეს გაბრაზება,  
 გმირთა საქმენი და სიმძაფრენი!  
 ყველას გვაჩნია შუბლზე ხაზებად  
 საუკუნეთა გადანაფრენი!

## IV

და ვფურცლავ ძველ წიგნს მეტის ხალისით  
 სხვისი ტანჯვის და ნალვლის მწოველი.  
 მიკვირს, რაინდმა ლამაზ ქალისთვის  
 როგორ გასწირა ქვეყნად ყოველი!  
 აკვნესდა ქალი — დაჭრილი შველი, —  
 მეტის ტკივილით და სიმწვავეთა.  
 შავად ჩაცმული და ფეხ-შიშველი  
 ხატის მხევალი ხატთან წავიდა.  
 და მოდის ფიქრი: სჩანს, ყველაფერი  
 წარმავალია ამ ქვეყანაზე.  
 რჩება ზღაპარი ცრემლით ნაფერი  
 და ჟანგიანი სისხლი დანაზე.

## V

წარმავალია ლხინიც და ჭირიც.  
 ო, ყველაფერი მიდის და ჰქრება!  
 რა მიზანი აქვს სიცოცხლის ჯირითს,  
 თუ არ ხელების გულზე დაკრება!  
 მოჩვენებაა მიზნის მიღწევა  
 სახეთა მუდმივ ფერისცვალებით!  
 ბოლოს მატლების ბინად იქცევა  
 დღეს მაღალ აზრთა სარკე — თვალები.  
 და ბრძოლის გრგვინით სავსე ყურები  
 აივსებიან საფლავის ქვიშით!  
 ჩვენი გზის ყველა საფეხურები  
 ანთებულია სიკვდილის შიშით!

## VI

რად არის ტანჯვა და კბენა თითის,  
 თუ უკვდავების ღმერთი აქ არი?!  
 ო, ყველაფერი ჰქრება და მიდის,  
 და უფსკრულისკენ ერთია კარი!  
 გაივლის ხანი — და დღევანდელი  
 დაიმსხვრევიან ცეცხლის რაშები.  
 იელვებს შორით სულ სხვა კანდელი,  
 სხვა განთიადით ნარიჟრაჟები, —  
 რომ ისიც ჩაქრეს ისე ანაზდად,  
 რომ ვერ მოასწროს სხივთა აკრეფა...  
 ო, ყველაფერი ამ ქვეყანაზე  
 ნისლის ნავივით ჩნდება და ჰქრება!  
 ვიცი: მეც ამ ნავს მივეწებები, —  
 რომ ისიც ჩაქრეს ისე ანაზდად,  
 რომ ვერ მოასწროს სხივთა აკრეფა...  
 ო, ყველაფერი ამ ქვეყანაზე  
 ნისლის ნავივით ჩნდება და ჰქრება!  
 ვიცი: მეც ამ ნავს მივეწებები, —  
 გაიხსნებიან შავი არხები,  
 და ჩემი ჭმუნვით და ოცნებებით  
 მეც იმ წყვდიადში დავიმარხები.  
 მეც იქ დავლპები, სად მორწმუნეთა  
 ლპება იმედი ნანუგეშები,  
 სადაც ნაგავი საუკუნეთა —  
 ძველ ეპოქათა ჰყრია ლეშები!..

## VII

არ მეძინება. წიგნი გავხსენი  
 და ნავიკითხე ძველი ამბავი.  
 ბრწყინავენ თვალნი ცრემლით სავსენი  
 და დანა სისხლით დასაჟანგავი.  
 ცივ სტრიქონებში დაჰქრის ქარივით  
 წარსულ დღეების ნამოქმედარი.  
 ჰქრება სინათლე ჩრდილის ჩარევით,  
 და აჩრდილს მისდევს თეთრი მხედარი.  
 მთიდან ჩამოდის ჯარი ყინულის  
 და ელვარებენ შუბის წვერები.  
 და ველი, თოვლით გადაზვინული,  
 ინვის შუქ-ნაკრავ წითელ სერებით.  
 მოულოდნელი ისმის ბრძანება:  
 „ჩააგეთ ხმალი! გათავდა ბრძოლა!..“  
 დავხურე წიგნი. ფუჭმა ზმანებამ  
 სინამდვილეში გადმომისროლა...

ს. აბაშელი

## რიონის აპოლოგია

„აქ ალკეოსმა სთქვა სიტყვა ასეთი: „ამგვარად ჩვენ მივადექით  
კოლხეთის ნაპირს და ფაზისის დენას“.

აპოლონ როდოსელი

„Is quoque Phasiacas Argon qui eluxit in undas  
Non potuit Veneris turta tacere suae“.

P. Ovidi Nasonis

შენი სათავე ვინახულე დღეს მეორეჯერ.  
აქ შენ სახელად უსათუოდ გშვენიის ფაზისი.  
მესვრი თვალეებში კალმახების წითელ ფორეჯებს  
ბავშვის ცრემლებზე უწმინდესი და უნაზესი.  
პეშვით დავლიე შენი წყალი რძესავით ჩვილი,  
და შენი ფსკერი, ნაცრისფერი ქვით მოოჭვილი,  
მეალერსება დაბინდული აკამკამებით.  
აქ შენი დენა ქაფიანი და ნაჩქარები,  
ხან ანთებული ოქროსფერი შუქის ღვარებით,  
ხან ფერწასული ყრუ ხევეების მუქ ჩაღამებით  
ამწვანებული დაღმართებით მიექანება...  
მაგრამ მინახავს სხვა სერიც... მაშინ, როცა მე  
შენი მქუხარე ამბოხების გავხდი მოწამე.  
და სტრიქონებიც დაგიმზადე სხვა და სხვაგვარი:  
ხან ულბილესად მოხაზული, ხან წელმაგარი,  
ვით აბრეშუმი და ველური ტახის ჯაგარი.

\* \*

ეს მოხდა შარშან. შემოდგომის ცბიერი სენი  
გულს უხიბლავდა არე-მარეს ყვითელ ქარვეებით;  
ნელი სიამით და ნალველის ჩუმ მოქარვეებით  
დობილებივით მიჰყვებოდენ ერთმანერთს დღენი.  
უკანასკნელი გაღიმებით სუნთქავდა ველი  
და დასუსტებულ ტყეს ეძინა მკვდარ მოსვენებით:  
შენს მოგონებას იტაცებდა ამბავი ძველი:  
ძვირფასი ვერძი, მედეა და არგოსელები.  
და ამ ოცნებას წარსულზე და ოქროს სილაზე  
ფრთხილი ნაბიჯით დაგირღვევდენ სისხამ დილაზე  
შენთან სასმელად ჩამოსული ჯიხვთა ფურები.  
ხოლო, როდესაც დანაკვთული შავ კონტურებით,  
შემოღამებულ ცის გუმბათზე წვებოდენ მთანი,  
თავისი ჩქარი მეძებრებით და მშვილდიანა  
იალაღებზე ადიოდა თეთრი დიანა,  
რომ ნადირობით დაექანცოს უვნებო ტანი.



მაგრამ ერთბაშად ცამ ფარჩების ლურჯი მარმაში  
 თითქმის გასცვალა მუქ ნაბდებში და ძველ ნარმაში  
 და დედამინას ზედ დაემხო როგორც როდინი.  
 სადღაც ყორანი გადაფრინდა მოკლე ხროტინით.  
 შავ კარნავალად გაიშალა რისხვა ფარული  
 და საშინელი დამძიმებით გავარდა მეხი;  
 გლოლის ნაძვნარმა დაიგმინა მეტ სიხარულით,  
 როდესაც ელვამ გაანათა ნერვიულ გრეხით.  
 დაბლა მოიწევს ცა მუქარით და დაფეთებით,  
 მძლავრი გუგუნით ახმაურდენ ტოტები მუხის:  
 ძირს დაცემის დროს ფრთებსა შლიან წვიმის წვეთები,  
 როგორც ურიცხვი წინილები გიგანტურ კრუხის.  
 ფაფარ-აყრილი ღელეები ჩადგენ კვალეებში,  
 მაგრამ ასცილდენ კალაპოტებს და, ვით ლომები,  
 საბედისწერო გაქანებით და ნახტომებით,  
 თავბრუ დასხმული გადაეშვენ ბნელ ნაპრალებში.  
 ტორტმანობს ნისლის ოკეანე ურიცხვ ჯარებად  
 და მთების კალთებს ეფინება ნელ შეჩერებით:  
 ღრმა შუროები გადაიქცენ ისეთ ღარებად,  
 თითქოს ჩამოდნენ დაუშრეტელ ნიაღვარებად  
 კავკასიონის თეთრი თოვლი და გლეტჩერები.

გაივსე წყლებით. და სხეულის მრუში ზმორებით  
 მალლა ასწიე ჩამოშლილი ღრუბლის შტორები,  
 სასტიკ შუბებათ დაილაგე მკერდზე მორები  
 და მთებს გასძახე, რომ საჩქაროდ გაგიღონ კარი!  
 წინ შეგეგება საკაურა ზათქით და ზარით.  
 მოჰქუხს ღარულა სახნავებზე ფართო გადავლით,  
 მას წისქვილების რახარუხი აღარ აწუხებს  
 და მეტის მეტად გულზვიადი თავის ნადავლით  
 მოთვლით გაბარებს ფიცრებსა და სახლის მარწუხებს.  
 ან კი უთუოდ შენ ულმობელ ომს ეპირები.  
 შემოგიერთდენ მჟავე წყლები ყვითელი ჟანგით;  
 ჯერ გადალექე ზღუდეები და ჯებირები,  
 შემდეგ ონის ხიდს შეუტეე მარჯვენა ფლანგით.  
 და შენ უეცრად გამარჯვება გენვია დიდი:  
 გამოეთხოვენ გამოღმელებს გაღმაურები,  
 როდესაც გულის შემზარავი ახმაურებით  
 მოგლეჯილ ნაპირს დალენილი მოშორდა ხიდი.  
 იქავე ხოტბით მოგესალმა ჯეჯორი ფლიდი:  
 გიქო ზვირთების გაქანება, ხერხემლის ღონე,  
 ძლევით შემოსილს მოგილოცა ბრძოლის ზეიმი  
 და მოგახსენა: „ემზადება ქვედრულა ვგონებ,

ერთი მოხეტქით რომ გაგვივსოს ღრმა ბასსენი!“  
და სორის ჭალებს დამლუპველი მოედო ფარცხი;  
მკერდ დაკოჭრილი, ამართული ორ დიდ გოდორად  
ომის გამართვას ეპირება შენთან სკოდორა,  
მაგრამ აქაც მტრის გაბრძოლება დამთავრდა მარცხით.

არ მოგეწონა წესის მთიდან აფრენა ორბის,  
მალლიდან შენი ნაპირები რომ გადმოზვერა;  
აჰა, შორეულ საჯოგედან დამფრთხალ მოზვერად,  
შენი ძვირფასი ქვეშევრდომი ლუხუნი მორბის!  
ო, არ ეკუთვნის არასოდეს მას სამდურავი,  
ხოლო ეხლა კი საგანგებო ჯილდო ერგება:  
დაუქცევია ქორეთულა, მოაქვს ურავი, —  
თელის ბოძები, საძირკველები და სახურავი  
ლოდებთან ერთად მოგაყარა მძიმე ხერგებად.

დაბურულ ღამეს გულს უგმირავს თქვენი გრიალი  
და ბარაკონის თალებიდან მოცვივის კირი.  
მოულოდნელად დიდ აკლდამას გაეხსნა პირი  
და გაშიშვლებულ ლეკურების სწრაფი კრიალით  
მალლა ამოჰყავთ თვალდათხრილი როსტომი ვაჟებს;  
აღბად მოუხტათ ბარაკონზე მეფე ვერავი,  
საჩქაროდ მამას გადააცვეს ჯაჭვის პერანგი  
და დამბაჩების ჩახმახებზე სინჯავენ კაჟებს.  
ვაი, სოლომონ! არ უმტყუნებს არც ერთს ფალია...  
ეხ, ამ ეზოში ბევრი გახსოვს სახე და ფერი,  
აქ დაგინახავს შენ თამარი და კახაბერი,  
მაგრამ ამ ჟამად საამისოდ როდი გცალია.

უკვე ჩაგელის ხიდიკარი რისხვით და მტრობით!  
შენც მიაშურე და სწორედ იქ, სადაც ზამთრობით,  
უცხო ზმანებით დატვირთული როგორც ფიორდი,  
ნელა იშლება აბრეშუმის ლურჯ კაშნეებად, —  
შენი ტალღები კვლავ ღრიალით კლდეებს შეება,  
მაგრამ ზევიდან პირდაღებულ ვეშაპს ვეებას  
შუბით დაგატყდა ველიეთის წმინდა გიორგი.  
და შენ დაჭრილი საზარელი რუხი ნადირი  
ხიდის ბურჯებში ძლივს გაძვერი ჩაზნექილ წელით;  
ზედ შეგრჩა ხიდი, ვით გავარდნილ ცხენს უნაგირი,  
და შემოგსალტა დაკირული სიმტკიცით ძველით.

უნმოზს კრიხულა ღვართქაფებით გამაძღარ ხევებს,  
რომ დააქციონ ყველა გზები, ყველა საფარი,

და მისი გრგვინვა, ვით სიმღერა ანდუყაფარის,  
 შიშის ზარსა სცემს ჩაშავებულ ქვაბთკარის დევებს.  
 მთიდან მოფრინავს რიცეული როგორც გავაზი,  
 დაჭრილ ვეფხვივით ჩაგეხვია მძვინვარე ასკი,  
 შავი ლეკნარი მოგესალმა გერმანულ კასკით  
 და თხემებიდან დახმარება შემოგთავაზა.  
 შენსკენ შაორი გზას მორღვევს ქვესკნელში დენით,  
 რომ ძღვნად მოგართვას ნაქერალას უხვი წვენები;  
 და შენ გავსილმა სიმტკიცით და მკაცრი შვენებით  
 მედგარ ქუხილით ჩაიარე საირმის კლდენი!

შემდეგ მექვენა, ქუთაისი... ურტყამ ჩაქუჩებს,  
 ყალყზე ამდგარმა თეთრი ხიდი ვალოკე ღრენით  
 და ზარდაცემულ ბალახვანის სახლებს და ქუჩებს  
 თავზე განგაშით გადასცილდენ ზვირთების წრენი.  
 ო, ვერ გაუძლებ შენ უთუოდ განიერ ვაკეს,  
 თუ დაბნეული ნანყვეტები ველარ შეკარი,  
 მაგრამ ამზადებს ახალ ნარღვნას შენთვის ზეკარი  
 და ნიგოთიც შენ გინველის ღრუბლების ბაკებს.  
 მოიკლაკნება წყალ-წითელა, მორბის ყვირილა,  
 გაფითრებული იმერეთი დაჯდა ტირილად,  
 შავი მადანის ბატონმა რომ გაუსვა მური.  
 აჰა, გელირსა საარაკო შეხვედრა ძმური:  
 აზვირთებული ცხენის-წყალი ტლანქი გორავით  
 გადმოჰფენია მინდვრებსა და დაცემულ ყანებს,  
 მოაქვს ხეები გაუთლელი, დაუმორავი  
 და ბურთებივით მოაქანებს გუდიან სვანებს!  
 და სამეგრელო ფერწასული აცურდა წყალში!  
 სულ ზედმეტია აბაშა და ტეხურის შფოთი.  
 შენს დანახვაზე შიშისაგან გაქვავდა ფოთი;  
 მაგრამ სასურველ ნავთსადგურის მოღუნულ რკალში  
 შენ შეიჭერი სხვა იერით და სხვა გუნებით.  
 როცა გაჰფანტე ბარყები და ჩქარი შხუნები  
 გამოყვანილი რეისების გაშლილ ქსელიდან,  
 სთხოვე დიდ გემებს პალერმოდან და მარსელიდან,  
 რომ მოგიკითხონ ბრვე ტალღების ატლაშუნებით,  
 შენ შორეული მდინარენი და ზღვები ვრცელი,  
 და მოახსენონ ზვიად რონას, ლამაზ ლუარას,  
 შენი ცოლობა რომ არც ერთმა არ იუაროს,  
 რადგან რაინდი ქედმაღალი ყოფილხარ ძველი!

კონსტანტინე ჭიჭინაძე

## სანდრო ცირეკიძე

მასში, რასაც ლიტერატურული ევოლიუციის სახელი აქვს, ყველაზე უფრო ამაღლებულია საერთო ხოროში გამოცნობა ხმისა, რომელიც ეუბნება თავის დღეებს განუმეორებელ ჩვილს ან სიხარულს სულისას.

აქ საჭიროა პირველი ძალა, რომ გაირღვეს „სახურავების და გულგრილობის ზღვა“, რომ შემდეგისთვის უდაოდ მოპოებულ იქმნას *silentium*-ის უფლება.

უთუოდ დიდი განცდითაა ნაკურთხი ის წუთები, როდესაც ოსტატის სული პირველად შეარხევს მშვენიერების ხარბ მზვერავის მთვლემარე სულს. ბედნიერებაა, როდესაც შემოქმედების ძალას უსწორდება მისი მირქმის აღტაცება.

ასეთი ბედნიერება ჰქონდათ სანდრო ცირეკიძის გობელენურ ქსოვილებს.

მან უეცრად გაახარა მისი პირველი მკითხველები თავის ფერწასულ იდუმალებით.

მაგრამ სრულიად შეუმჩნეველად ჩვენ ვნახეთ იგი უკიდურეს სკეპსისის გზაზე დამდგარი. თავის სუსტ ბეჭებით მან მოინდომა უმძაფრეს და ურთულეს ლიტერატურულ პრობლემების აწევა.

მისი მუდმივი ანალიზი პროზის და პოეზიის საზღვრების აღმოჩენისათვის დაწყებული, ამო იმედი მარტო სათაურით დამშვიდებისა, და თან განუწყვეტელი გაფრთხილება ფილტვების ჩაუქრობელ ხანძარისა — არ აძლევდენ მას ხალისს ეზარდა თავისი უეჭველი ოსტატობა სიტყვისა.

ესაა მიზეზი, რომ მთელი მისი მემკვიდრეობა სტოვებს ნახაზების შთაბეჭდილებას. თითქოს ოსტატს ცარცით და ფანქრით შემოუვლია აქ სილუეტები, იქ ჩონჩხიან პეიზაჟის კვალი ოდნავ დაუმჩნევია, ზოგი კუთხე ფერადებითაც გაუხალისებია, მაგრამ ისე ძუნწად, ისე მკრთალად, რომ უნებლიეთ გებადებით სურვილი მიმსგავსებით მაინც აღადგინოთ განზრახვის სიზმარი. ალბად, ის იწვევდა გარეშე თვალს განეხორციელებია, თუ შეეძლო და სურდა, მისგან დაწყებული.

თითონ ის ხომ შეუდარებელი გამგრძობი იყო თუნდაც ბაგრატის ტაძრის ან მოჩვენებულ ზვიადობისა. ბაგრატის რუინების ჩუმი ტრფიალი სწავდა მას. იგი მთელი დღეები იდგა მათ წინ და პირანეზის გეგმებით ახდენდა ბაგრატის რესტავრაციას. მან იცოდა ყველა პატარა ქვის ნამტკვრევის წინანდელი და ნამდვილი ადგილი. უთუოდ თავის იშვიათ ბედნიერ წუთებს განიცდიდა იგი, როცა მოელანდებოდა ბაგრატი აღდგენილი და თავისი თავი — მაშინდელ მგოსანთან და ფილასოფოსთან მოსაუბრე. ისინი უთუოდ განიხილავდენ საერთო ენას. ჩუმი სანდრო არაფრით ზედმეტით არ გაამჟღავნებდა საუკუნეთა განსხვავებას.

როგორც სინიორელი კლდეებიან ორვიეტოში, მიწიერ დღეების დასასრულზე, ხატავდა მიტოვებულ საყდრის კედლებს, — სანდრო ცირეკიძე სცხოვრობდა ქუთაისში როგორც უკანასკნელი წმინდანიანი და თავის დღეებს ატარებდა ბნელ სტამბაში ჩუმ და მუდმივ ლოცვით.

მისი სულის უმაღლესი წირვა იყო სტეფან მალლარმეს გედის შემოცურვა ქართულ საოცნებოში.

მაგრამ ამ გედმა თან წაიყვანა სანდრო წმინდა გრაალს და მით მოგვტაცა გასაღები მისი პოეზიის შიფრის.

მისი პოეზია კი დარჩა როგორც განწყვეტილი და დაუსრულებელი სევდა ზღაპრისათვის და ჩვენი დროის საზღვარზე — სამუდამოდ ამომწვარი იდუმალი ნიშანი თანამედროვე ხელოვნების ამბოხებისა და თვითმკვლევლობისათვის.

## პირიმზე

ლამე. ქარი. შემოდგომა.

გზაჯვარედინი ქალაქში. ერთ კუთხეში კაფეა: სანთლები, ჭიქების ნკარუნი, სიცილი, ლანდები, გადაღმა ბალის კუთხეა: ფარანი, ყვითელი ფოთლების ცვენა და ტრიალი. პირდაპირ ქუჩაა ბნელი პერსპექტივით.

ბალიდან გაჩნდება მხიარული კამპანია:

**პირველი:** პოეტები ყველა ფანტაზიორები ხართ. გამოიგონებთ, დაიჯერებთ და სხვებსაც აჯერებთ.

**პოეტი:** მაღალია. თვალები ლურჯად აშუქებენ. მარგალიტი და ფირუზი. ბროლის კოშკშია. სდარაჯობენ თეთრი თავადები და მწვანე აზნაურები. ფარჩა და ხალიჩა. შორია სამეფო მისი და ნათელი.

**მეორე:** ასეთ ქარიან ლამეში მგონი მეც გამაგიჟო.

**პირველი:** კარგია ოცნება, მაგრამ ცხოვრება მაინც ქარიანია და მძიმე.

**მეორე:** სიმძიმეს ქარი ამჩატებს და ხანდახან უცხო სახეებს გამოაქროლებს, ბედნიერებას მოგვაჩვენებს.

**პოეტი:** ბედნიერებაა პირიმზის ბროლის კოშკში და სიხარული. ოდესმე მოვა იგი ბროლის კოშკიდან და მოიტანს სიძვირფასეს.

**პირველი:** ახლა ცხოვრება მარჩილი ჰღირს, მაშინ ჯორ-კიდებულები ოქრო ელირება.

**პოეტი:** მე ყოველთვის ვოცნებობ მასზე. ყველა ოცნებობთ. ყველა ნატრობთ. მოვა შორეულის დედოფალი და ყველაფერი გამოიცვლება.

**პირველი:** ნეტავი ოდესმე მოვიდოდეს პირიმზე.

**მეორე:** უნდა მოვიდეს და შეგვიბრალოს. ჩვენ გვინდა ბედნიერება. სიცოცხლე ისე ხანმოკლეა.

**პირველი:** აქ გზაჯვარედინია. ნოემბრის ქარია და მთვარე. ვილოცოთ პირიმზეზე. გაჩერდებიან და ბუტბუტებენ.

**პოეტი:** ისმინე ვედრება ჩვენი, დიდო ქალწულო. მოვედინ! მოვედინ! მოვედინ!

დაუბერავს ქარი, ავარდება მტვერი, აფორიაქდება ჰაერი და ბნელი ქუჩიდან მოვა პირიმზე.

**პირველი:** აჰ!

**პოეტი:** პირიმზე!

**მეორე:** მოვიდა!

**პოეტი:** (აღელვებული მიეგება): თქვენ ხართ. მთელი სიცოცხლე გელოდებოდით მე, ეს ხალხი. თქვენზე ლოცულობდა ყველა გიჟი და მეოცნებე.

**მეორე:** როგორ უბრწყინავს თვალები.

**პირველი:** სიზმარში ვარ სწორედ. ალბად, ღვინო მეტი მომივიდა.

**პოეტი:** ჩვენ აქ მეგობრები ვართ: ეს პირველი. ეს მეორე (თავს უკრავენ) თქვენზე ვლაპარაკობდით. მოგვწყინდა ეს ცხოვრება. ჩვენ ქვეყანას არ იცნობთ თქვენ: აქ სიღარიბეა, სიცივე. ჩვენ დღეს დარდისაგან გადავკარით.

**პირველი:** მე დღეს სადილის ფული არ მქონდა.

**მეორე:** მე საზაფხულო პალტოთი დავდივარ სიცივეში. რა ცივი ქარია. ფოთლებიც ცვივიან. ჩვენ უბედურები ვართ.

**პირველი:** ლარიბები.

**პოეტი:** მეგობრებო, ანი ყველაფერი გამოიცვლება. ჩვენთან იქნება პირიმზე.

**პირველი:** რამოდენი მარგალიტები აქვს.

**მეორე:** ქოშები რა ძვირფასია. არ დაგემტვეროთ თეთრი ქოშები: ჩვენ ქვეყანაში ქარი ცელქია. (ცხვირსახოცით უწმენდავს).

**პირველი:** ყელსაბამი! სამაჯურები! სულ ძვირფასი ქვებია. რამდენი უცხო ქვაა!

**პოეტი:** თქვენ მეტად კეთილი იქნებით. ჩვენთან არ მოგენყინებათ: ამან მუსიკა იცის, ეს მხატვარია.

**პირველი:** ჩვენ გვყავს კიდე მეგობარი. ისიც ჩვენთან იქნება.

**პოეტი:** რომ შეგვცვივდება, მოგვეფერეთ. ჩვენ ატირებაც ვიცით და ნუ შეგეშინდებათ.

**მეორე:** ჩვენ ხშირათ გროში არა გვაქვს, რომ ლამაზი ყვავილი ვიყიდოთ.

**პირველი:** გვაჩუქეთ რამე.

**პოეტი:** გააჩინეთ ოქროს ფულები.

პირიმზე ხელს გაიშვერს და ქარს ოქროს ფულები მოაქვს.

მეგობრები იჭერენ და ჯიბეებს იტენიან.

**პირველი:** რა ლამაზი ფულებია.

**მეორე:** ახალი მოჭრილია.

**პირველი:** ბევრს ქარი იტაცებს.

**პოეტი:** ჯიბეები დამიმძიმდა. გაივსო.

**პირველი:** უბეში ჩაიტენე. ყოველთვის ვერ იშოვნო.

**პოეტი:** უჰ, დავიღალე.

**მეორე:** მეტი აღარ შემიძლიან.

**პირველი:** ცოტა მაცადეთ. გულისჯიბე არ გავსებულა.

**პოეტი:** პირიმზე კი დაგვაფინყდა.

**მეორე:** გვაპატიეთ სულწასულობა.

ბალიდან ლილინით მოდის ვილაცა.

**პირველი:** ვინაა?

**მეორე:** ჩვენი მეგობარი იქნება.

მოდის მესამე.

**პოეტი:** ეს ჩვენი მეგობარია.

**მესამე:** თქვენი მონა მორჩილი გახლავართ (თავს უკრავს ბარბაცით).

**პოეტი:** მაგ ჩვენზე მეტად სწუხდა და სუფრაზე ჩამოგვრჩა.

**მესამე:** ტყუილს მოგახსენებს, ქალბატონო. პოეტები ყოველთვის ცრუობენ. ეს მაგათი ხელობაა. ათას უცნაურობას იგონებენ და აწვალევენ სანყალ ხალხს.

**პირველი:** (მესამეს ჩუმად) ნუ შეანუხებ. ეს პირიმზეა.

**მესამე:** ოო... მე ახალი აზრები მომივიდა... თავი ამერია (პირველს); პოეტი რო ამბობდა, ისა?

**პირველი:** ჰო.

**პოეტი:** რომ იცოდე, რა ბედნიერები ვართ.

**მესამე:** დიდათ, დიდათ სასიხარულოა. (ჩუმად პირველს) კი მაგრამ უღვინოდ როგორ შეიძლება.

**მეორე:** შევიდეთ კაფეში.

**პოეტი:** ძვირფასო სტუმარო, კაფეში ხომ წამობრძანდებით? მეგობრებს უნდათ ბედნიერება იდღესასწაულონ.

**მესამე:** მაგრამ ფული რომ სულ დავხარჯეთ.

**მეორე:** მე მაქვს ფული.

**პირველი:** ჩვენ გვაქვს ფული. პირიმზემ გვაჩუქა.

**მესამე:** ოჰ, დიდებულია. მამ წამობრძანდით, დიდო მეგობრებო.

**მეორე:** სამაგალითოდ უნდა მოვილხინოთ.

**პირველი:** ყველას ვანახოთ პირიმზე.

**პოეტი:** არავის დატოვებს უნუგეშოთ. ყველას დაასაჩუქრებს, ყველას გაახარებს.



**მეორე:** მე სიტყვა უნდა ვთქვა — შორეულზე, ქარზე, ბედნიერებაზე. შედიან კაფეში. კაფე გამოცოცხლდება: მეტი ნკარუნია და ლანდების სიჩქარე. ამოდის მთვარე. ქარია.

გაიარს ღვდელი პირჯვრის წერით. უკან დიაკონი მისდევს.

**ღვდელი:** რა საძაგელი ღამეა. ასეთი ქარი წელს არ ყოფილა. მერე რა საცოდავად კნავის ხანდახან.

**დიაკონი:** ჭინკებია, მამაო. ჭინკების თვეა. ადამიანს ატყუებენ.

**ღვდელი:** დაგვიფაროს სამას სამოცდახუთმა წმინდა გიორგიმ. ფუი ეშმაკს.

**დიაკონი:** ამინ.

მგზავრები:

**დაბალი:** ქარმა ბედის მოტანა იცის.

**მაღალი:** ნალეა უკეთესი.

პირჯვრის წერით და ბუტბუტით გადიან.

კაფეში სიცილია, ხარხარი, ხმაურობაა. პირიმზე და მეგობრები გამოვარდებიან და გარბიან. კაფედან ხარხარით აცილებენ.

**მეორე:** ჩვენი ვერ გაიგეს.

**პოეტი:** საცოდავი ხალხი.

**მესამე:** ჩქარა. დაგვეწვიან.

**პირველი:** რა სირცხვილი დაგვემართა.

**პოეტი:** ნელა. პირიმზე დაიღლება.

მიიმალეებიან. კაფედან გამოდიან სტუმრები.

**მოხუცი:** რაში იყო საქმე, შვილო.

**შვილი:** იმ ოთხმა ვიღაც ქალი მოიყვანეს. ქეიფი უნდოდათ და ფულის მაგივრად გამხმარი ფოთლები ამოაჩნდათ.

**მოხუცი:** გადაბრუნდა დრო. გაფუჭდა ხალხი.

მეორე ჯგუფი:

**ერთი:** ის ქალი ვიღა იყო?

**ქალი:** შელებილი სახე ჰქონდა.

**მეორე ქალი:** იაფი პეპელა იქნებოდა.

**ქალი:** სხვა მაგათთან ვინ წამოვიდოდა.

მესამე ჯგუფი:

**შავი:** მე ვიცნობ მაგათ ვინც ბრძანდებიან.

**ნაცრისფერი:** მთვრალეები იყვნენ, თორემ მაგას მაინც არ იკადრებდენ.

**ყავისფერი:** როგორ შერცხვათ საწყლებს.

**ნაცრისფერი:** ის ქალი ვიღაც უცხო იყო.

**შავი:** რა ლამაზი იყო. იმას თითქო არაფერი გაუგია.

ყველა წავიდა. კაფე დახურეს. მთვარეა. ქარი.

მოდიან პირიმზე და მეგობრები.

**პოეტი:** დავისვენოთ, მეგობრებო.

ჯდებიან.

**პირველი:** მეტად ჩქარა ვიარეთ.

**პოეტი:** პირიმზემ მოიწყინა.

**მესამე:** ბევრი შეურაცხყოფა შეხვდა.

**პოეტი:** ბრილიანტები და ფირუზები დაეკარგა.

**მეორე:** ფარჩა დაეხა. ქოშები დაემტკვრა.

**პირველი:** ყველამ მასხარად აგვილო. გვიკვილეს. მეგონა ქვებსაც გვესროდენ.

**მესამე:** მიუტევე, უფალო, რამეთუ არა იციან რას იქმან (ამთქნარებს, ეძინება).



**პოეტი:** პირიმზეს თვალები ნაღვლიანი აქვს. გვაპატიე, რომ ასეთი ცუდია ქვეყანა.

**მეორე:** ეს ჩვენი ბრალი არაა.

**პოეტი:** ჩვენ შეგაცდინეთ. მოგატყუეთ.

**მეორე:** ჩვენ სულ სხვას ვფიქრობდით.

პირიმზე დგება.

**პირველი:** პირიმზე მიდის.

მიდის.

**მეორე:** პირიმზე მიდის ბროლის კოშკში.

**პოეტი:** ნუ დაგვტოვებთ. ჩვენ მარტო გვემინია.

**მეორე:** ჩვენ აღარავინ მოგვეფერება. ნუ ნახვალთ.

**პოეტი:** ბროლის კოშკში ბედნიერებაა. სინათლეა. სითბო.

**პირველი:** იქ ქარია და სიცივე.

დაუბერავს ქარი და ნაიღებს პირიმზეს.

**მეორე:** ნავიდა.

**პოეტი:** ისევ მარტო დავრჩით.

**პირველი:** არაფერი დაგვიტოვა.

სანდრო ცირეკიძე

20/IX

დილით და ღამით

## კენტავრები

### ნაკვეთი დრამიდან „კარდუ“

#### მეცამეტე საუკუნე.

**კარდუ:** მთავარი.

**გიმმირ:** შვილი კარდუსი.

**მუხრან:** მოურავი.

**გიგვაი:** კარდუს ძმანაფიცი.

**ლალლა:** შეწირული.

**თიმურ:** მონღოლთა სარდალი.

**კარდუ:** იცი რას სჩადიხარ?!

**მუხრან:** სჯობს უკან გაბრუნდე.

**თიმურ:** მინა ჩვენ ვერ გვიტევს.

მამული ვინროა.

დედა აგზნებაა და მამა გავარდნა.

კუნთებში ცეცხლები. ხმალში გახელება.

ცხენზე სიმმაგე და კიდურის გადალახვა.

აქ არის ჩვენი მინა.

არ არის სხვა მამული.

**კარდუ:** და მაინც თიმურ?!

**თიმურ:** მზის კალოებით მოსული კარდუ.  
მზის ნაკადულებით შობილი ლალლა.  
აქ ვნახე პირველად ავხორცი ცეცხლი.  
აქ ვნახე პირველად მწველი სილამაზე.  
და თიმურს გავარდნილს შევძახე ფოლადით:  
შესდექი თიმურ!

**კარდუ:** ჩვენი მზე სხვა არის.

**გიგვაი:** ვაზის ჯვარია მისი ნაყოფი.

**მუხრან:** ჩვენი მზის სჯული უცხოა შენთვის.

**კარდუ:** იფიქრე თიმურ!

**თიმურ:** დაუგეშელი ნადირის ბოლმას  
მოხვდება მზის შუბი კარდუის მიწის —  
და ლტოლვა თიმურის ლაგამაშვებულ  
ნინოს მამულში დაცხრება მხოლოდ.  
მინდა მზე ვიყო.  
მიშვილე კარდუ!

**კარდუ:** ცეცხლი განსჯის შენს უცხო ნებას.

**გიგვაი:** ძნელია განსჯა.

**მუხრან:** სჯობს უკან გაბრუნდე.

**თიმურ:** სიტყვა ჩემი დალია ჩემი ცხენის.

**კარდუ:** იყოს შენი ნება. იყოს შენი სურვა.  
და შეხვდეს იგი გიმირის ნებას.

**გიმირ:** იყო სასურველი შეხვედრა ხმალით.

**თიმურ:** ჩემს ხმალსაც წყუროდა შეხვედრა ხმალთან.

**გიმირ:** სადღაც მივდიოდი მაგარი ცხენოსანი.  
ვეფხი გადმოვარდა უდაბურ ნაპრალიდან.  
შემომიტია. მე რომ შევეუტიე.  
ავარდა ცხენი. ვეფხი ატრიალდა.  
იყო რისხვა და მხოლოდ ცეცხლი.  
იყო საუკუნე და მარტო წამი.  
ხმალი აელვარდა. ტორი მოქნეული  
ხმალით აქნეულით მოჭრილი გადავარდა.  
სადავე მიუშვი და ვეფხთან ერთად  
გადაქანებულ ტევრზე გადავეშვი.  
უეცრად დავინახე უფეხო ვეფხი —  
და გული დაისერა.

**თიმურ:** უიარალოს დამეცა მგელი.

ორივე ხელი ყელზე გადავაჭდე.

და იქვე გავგუდე.

თითქო აიცრემლა.

მე არ შერხეულვარ.

**გიმირ:** იყო სასურველი შეხვედრა ხმალით.

**თიმურ:** ჩემს ხმალსაც წყუროდა შეხვედრა ხმალთან.

**ლალლა:** ეხლა კი შეხვდებით ძმაფიცის ამბორით.

**კარდუ:** ხმალზე დაიფიცავთ.

## ოთახი — ბალდახინი

ჩემი ოთახი თეატრია — ყრუ, მარადისი.  
 მე ამ თეატრის უხერხული ვარ მსახიობი.  
 ფარდების იქით მელანდება ცა — პარადიზი,  
 მაგრამ სცენაზე ვიტანჯები, როგორც იობი.

ო, როგორ მინდა დავინახო ხარბი პარტერი!  
 ვინ ასწავს ფარდას, ანგელოსი თუ მორიალი?  
 როგორც რაინდი მობრძანდება ბრწყინვალე მტერი,  
 რომ დაამსხვრიოს ჩემი ბინა — ესკურიალი.

მადონა მუჭტით. აბანოზის შავი კედელი.  
 ბრუნავს ოთახი ალანძული და ნესტიანი.  
 ვუცქერი ფარდას ნალვლიანი, კარჩაკეტილი,  
 და ველი ისრებს, ვით ფარული სებასტიანე.

.....

გძელი მიზრაფით მე გავაპე ფარდა ზვიადი.  
 ოქროს ტრირემა აელვარდა კვამლის ხაზებით.  
 შევარდენივით შემოიჭრა დღის განთიადი  
 და შორით მოსჩანს ქარავანი ქანდირბაზებით.

მზე, როგორც ვეფხვი, დაასვენეს ჩემს ყრუ ბინაში.  
 ჩემი ოთახის — ბალდახინის შეწყდა ტრიალი.  
 მე დავიჩოქე წვერშელებილ შახის წინაშე —  
 და როგორც სარკე დაილენა ესკურიალი.

*ვალერიან გაფრინდაშვილი  
 ტფილისი, ვერის კიბე*

## ხელოვანთა ყავახანა

### პროლოგსავით

აულაგებელ ლოგინზე ჩაცმული წევს და თუთუნს აბოლებს.

ზიზლით გადახედავს იატაკს: ნამწვი, ფერფლი, ნაგავი; მაგიდაზე: გატეხილი ბოთ-  
 ლი, თუთუნი, საეჭვო ფერის საცვლები, ორიოდ ფურცლებ-ანენილი წიგნი და ქალა-  
 დის ნახევები ხელს უშლიან დაჯდეს მაგიდასთან.

წამოდგება; დადის.

ყოკის ქუდი; დაბალი, სქელი; შავი ხუჭუჭი თმა; სადღაც ჩავარდნილი თვალეები; წვერი  
 გაუპარსავი; უფერული ყელსახვევი: გაცრეცილი პიჯაკი; ხელი უთრთის; მოკლე, დაკე-  
 რებული, ულაზათო ნაოჭებიანი შალვარი; გალოშები.

დადის ზურგზე ხელებ-დანყობილი, თითქო ვილასაც ეპარებაო.

მთლიანად — პარიზელი აპაში...

მიუჯდება ფანჯრის თაროს;  
 სწერს;  
 მერმე ადგება და ფიქრობს:  
 — გავგზავნო?.. არ გავგზავნო?..  
 თეატრალური პოზით დადგება და კითხულობს:

ლილი!

შეიძლება გამოგიგზავნო ეს წერილი, შეიძლება არა, მაგრამ სწორეთ არ ვიცი, რისთვის მომესურვა შენთან საუბარი.

შეიძლება შპალერის ნახევებმა, მოხუცი ქალის თვალზე გადმოსავარდნად მომზადებულ ცრემლსავით საბრალომ, მაიძულა მოგონებანი გარდამეშალა გონებისათვის და მისი ცქერით გამეტარებია დრო, ასე ზღაზღანით, ულაზათოდ, უგემურად მიმდინარე.

შეიძლება შურს ვიძიებდე და შენს ტკბილ ცხოვრებაში მინდოდეს შევიტანო წუთი უკმაყოფილებისა, შარბათის ფიალაში ჩაგისხა შხამიანი წვეთი.

შეიძლება!

გვიყვარდა კი ერთმანეთი?

შეიძლება კი, შეიძლება არა!

შენ ჩემს ოთახში შემოგქონდა სიმშვიდე დაბურული ტყისა და სურნელება გაზაფხულისა.

ვინ იცის, იქნებ ჩემკენ გიზიდავდა ნოხით დაფენილი იატაკი, სურათები ბიოკლინისა, ჰავანის ლურჯი რგოლები ან და Fleurs d'Oranger, რომელსაც ასე უხვად მაპკურებდი თავზე... ვინ იცის, იქნებ ავტომობილის გიჟური სრბოლა და ოპერის ლოჟაც გვაახლოვებდა, მაგრამ გვიყვარდა კი ერთმანეთი?

ვინ იცის?!

ხშირად გხვდები. ვერ მცნობილობ. არ მწყინს — მესმის: აბა, როგორ მიხვდები, რომ ქანდარაზე ატუზული, ჭაღარა წვერ-ულვაშით მოსილი მოხუცი, ზოგჯერ გზაზე წალადაკერებული, სიცივისაგან შენითლებული, გახუნებული მოსასხამით მდგომი — შენი ძველისძველი მეგობარია!..

შენ კი მაოცებ: წინათ იას გეძახდენ, ახლა ყაყაჩოდ ევლინები მოჯადოებულ წრეს... მომწონს შენი მარაოს რხევა... მომწონს ღიმილი, ხმა... მაგრამ მიყვარხარ?

არ ვიცი, ღმერთმანი!

ახლა შეუძლოთა ვარ. ჩემთან არ მოხვიდე. შეგხედო მინდა. მე ჭიშკართან დავჯდები (ნარგიზის ქუჩა, №19) და შენ ეტლით ჩამოიარე.

იცი რა? მინდა, არ ჩამოიარო: შენი უყურადღებობა დამიმტკიცებს, რომ ძველებზე ამაყი ხარ, რომ მონყალებისთვის არა გცალბია, და თუ ამისრულე თხოვნა, ეჭვი შემეპარება: არ სურდა და დამითმო-მეთქი.

შემოსვლით კი ჩემთან — ა! ა! — არ შემოხვიდე!

მომიტვე, ქალაღდის ნაგლეჯზე ვსწერ; შენთვის კიდევ მქონდა შენახული იაპონური სქელი ყვითელი ქალაღდი, მაგრამ წვიმას დაუსველებია და დიასახლისს გადაუგდია...

წერილს ვერ დავაშხეფე სურნელება — უკანასკნელი წვეთები მეეზოვემ ულვაშებზე გადასვა... უარი ვერ ვუთხარი — ძლიერ დავალებული ვარ...

ამ ბარათს კი წაიკითხავ?

.....  
 გავგზავნი!.. რაც იყოს, იყოს!..

— ლადი!

— რა გნებავს? — მოისმა მეორე ოთახიდან.

— წერილს ვერ წამიღებ?

— რას მომცემ?

— ნუ იგდებ, ბიჭო, თავს: მაინც წასასვლელი ხარ — გამოართვი და ის იქნება! — მოისმა იმავე ოთახიდან.

— ხვალ თეატრის ბილეთს მოგიტან...

ბავში ხტუნვით შემოვარდა ოთახში, გამოართვა წერილი. დახედა მისამართს და სთქვა:

— სწორედ იმ ქუჩაზე მაქვს საცვლები მისატანი.

— აბა შენ იცი!

ბავში ხტუნვითვე გავიდა.

ყმანვილი გაუხდელი ჩანვა ისევ ლოგინში, ვეებერთელა პაპიროსი დაგრიხა და კვამლში გაეხვია.

— ოთახი არ დავალაგო? — მოისმა ცოტა ხნის შემდეგ მეორე ოთახიდან ქალის მინაზებული ხმა.

— ნუ სწუხდებით, გამაღობთ!

პასუხად მეორე ოთახში დაიწყო უკმაყოფილო ხრაგუნა.

.....

ლამაზი ქალის კოხტა საპირფარეშო, ძვირფასი სამკაული, რბილი მორთულობა. ყვავილები ჰყვრია, აწყვია, სდგას. სუფთა ჰაერი — სურნელებით დამძიმებული.

ტრიალა სავარძელში სარკის წინ ზის ხალათში გახვეული ახალგაზდა ქალი და თმას ისწორებს. შემოტრიალდება; ფრჩხილებს ეღვარების მისაცემათ სპილოს ძვლის პანია როგონით ლესავს; ტახტზე მიწოლილი ყმანვილი ეუბნება:

— „გაცრეცილსა ტანსა ემოსა ყარყუმნი უსაპირონი“.

ქალი იღიმის.

— ფეხებზე და ქოშებზე კი პოეტები ველარ დამეხმარებიან. Смотрю и впиваюсь, гляжу и не отрываюсь.

— შენ ერთხელ სთქვი ლამაზად: „სანთელი ჩუმათ ინვისო“; ახლა კი არღვევ შენს აფორიზმს: უეჭველია, ნაკლებს გრძნობ და ამიტომ მეტს ლაღადებ.

— Клянусь я первым днем творенья, Клянусь его последним днем!

— ლენკო, ძველ ამბავს დაეთხოვე, ახალი რამ მიაგებ... გასართობი...

— Хочешь, чтоб я читал?

— სწორედ... ოღონდ ქართულად...

— როდის დამინყე მამულისშვილობა?

— იცი? რუსული გამოთქმა ძლიერ ცუდი გაქვს, და ქართული კი —

— ... რომ არ ვიცი, მშვენიერო...

— გრამატიკულ შეცდომებს მეც ვერ ვამჩნევ, და გამოთქმა კი სმენას ატკბობს.

— ოღონდ კი დაგატკბო და...

აიღებს პანია წიგნს.

კითხულობს:

## მინიატიურები

### I

სუფრას მოსხდომიან, ხილს შეექცევია.

პატარა ბიჭი მიუახლოვდება დედას, საიდუმლოდ ჩაუფუჩუნებს:

— დედა, ქლიავი მინდა.

— თქვი მერე, რას მალავ! — უღიმის დედა; აწვდის ხილს.

\* \*

განმარტოებულ ოთახში მორცხვად, თვალდახრილი ზის ორი — ვაჟი და ქალი.  
სანთელი იხრება; ხან სრულიად ბნელდება ოთახში, ხან ოდნავ განათდება...  
ქალი ღიმილით, რხევით, პოზით ეუბნება:  
— თქვი, რას მალავ!..

II

ბავში, ხუთი წლის ბავში წმენდს ფორთოხალს;  
თითო ჭდოს დაურიგებს სტუმრებს; უკანასკნელი დარჩება — უნდა პირში ჩაიდვას...  
ამ დროს შემოდის დედა; შესთავაზებს; დედა უყურადღებოდ ართმევს და სჭამს.  
ბავში ჩაიდებს სალოკ თითს პირში; ბევრი მოთმენის შემდეგ თვალელები აუცრემლდება...  
სტუმრებს ეღიმებათ. ბავში იწყებს გულამოსკვნილ ტირილს.  
მსხალი!  
თხილი!  
კანფეტი!  
სიცილ-ნარევი თანაგრძნობით აწვდიან ბავშს.  
არ მინდა! არა! ფორთოხალი! — სტირის ბავში.  
ფორთოხალი კი გამოლეულა...  
კარგი ბავში, კეთილი ბავში, სულელი ბავში!

\* \*

ვაჟკაცი წლებს შეაღვეს დედ-მამას, წლებს სამშობლოს, მეცნიერებას, ხელოვნებას,  
წლებს ცოლ-შვილს... როცა სიცოცხლის დღენი მიეწურება — სულელია, თუ იფიქრებს,  
რომ ვინმე მოეფერება, დააშოშმინებს; იგია გმირი, თუ დინჯის ნაბიჯით, გულდამშვიდე-  
ბული გასწევს სამარისაკენ, გზაზე მთრთოლვარე ხელით კიდევ ეცდება დარგოს ხე, რა-  
თა გამვლელმა ხილი იხილოს, ჩრდილი იჩრდილოს!..

მსახურმა ვერცხლის ხონჩით წერილი შემოიტანა.  
— უკაცრავად, ლენკო, ნება მომეცი, გადავიკითხო.  
— ინებე, ინებე, ოღონდ მე წავიკითხავდი — თვალეებს რად ილაღავ?!..  
— ღმერთო, კი მომკალი, ვინ გაგიბედა ასეთი ფარატინის გამოგზავნა?! უ, უ!.. წე-  
რილი, მართლაც, საყურადღებო უნდა იყოს — პასუხსაც არ მაძლევ... ვაჟი კედლებზე  
სურათებს ათვალიერებს.  
ქალი კითხვას გაათავებს და ჩაფიქრებული ზის...  
— ლენკო!  
— ბრძანე!  
— სად არის ნარგიზის ქუჩა?  
— ნარგიზის ქუჩა... ნარგიზის ქუჩა...  
ჰო, ჩუღურეთში გახლავთ... რად დაგჭირდა?  
— ისე... იქ ერთი ქართველი მწერალი უნდა ცხოვრობდეს.  
— უ!.. ქართველ მწერალს ნუ გამახსენებ!  
— ??  
— მეშინია მათი.  
— რათა?  
— წმინდანები უნდა იყონ!..

— Ты все болтаешь.

— Да, право же. აი, მომისმინე: ესეც გასართობი ამბავია... სამიოდე წლის წინად ბათომში ერთ გიმნაზიელ ქალს შევხვდი... ჩემი გემოვნებისას... თვალები ზღვის ცქერას უნდა გაეფართოვებინოს, თმა ნიავს აეჩეჩა... ცელქი და ენამახვილი, ჯანსაღი და სადა...

— რამდენჯერ იცვლი გემოვნებას დღეში?

— რამდენ კარგს ვნახავ, იმდენჯერ...

ვერ დავუახლოვდი... ბოლოს ბედმა გამიღიმა! სალამოს გასამართავად მეც მიმინვიეს და ისიც. წინათვე გავიანგარიშე, ისეთი პატარა პიესა დამეწერა, რომ მე და ის ერთმანეთს შევხვედროდით...

...ვწერე — არაფერი გამოვიდა. იქვე ცხოვრობდა ერთი ქართველი; ვიცოდი, მწერლობაზე ჩემსავით მწყრალი არ იყო. მივედი. ავუხსენი მიზეზი მიკიბ-მოკიბულად.

დამთანხმდა. მაგრამ, როცა ვთხოვე, რაც შეიძლება მეტი ხვევნა-კოცნა ყოფილიყო, ნამდვილი მიზანი გადვუშალე, ფულსაც დავპირდი, — ნამოვარდა ფეხზე, უნდოდა, მცემოდა, და მხოლოდ დჟიუ-დჟიუცუს ცოდნამ გადამარჩინა...

— ეს რაღა? — ჰკითხა თავის ფიქრებში გართულმა ქალმა.

— იაპონური ხერხია ჩხუბის... ორივე ხელის შუა თითები დაუჭირე, უკან დავიხიე, გამოვედი კარში და საჩქაროდ კიბე ჩამოვირბინე.

— მგონი, მოგხვდა კიდეც...

— არა, უკაცრავად... მაგრამ საძაგელ მდგომარეობაში ჩავვარდი...

გამემხილა — ხალხში თავი მეჭრებოდა, დამემალა და — ბრაზი მერეოდა... იმავე დღეს ჩავვჯექ მატარებელში და გავჩნდი შენს ფეხთა წინ.

— და ასე ადვილად მეუბნები, — Фигаро здесь, Фигаро там...

— აღსარებას ვამბობ გულთამხილავის წინაშე.

— ლენკო, ახლა კი წადი...

— რატომ?

— საქმე მაქვს.

— მე ვფიქრობ, შენ ნარგიზის ქუჩაზე აპირებ წასვლას, და წამიყვანე თან.

— არა, შენ რამდენ ჭუჭყს დაინახავ — აჭუჭყურდები...

— არც შენ გირჩევ წასვლას... იქაა მთელი ქალაქის საეჭვო სამიკიტნოები, საეჭვო სამრეცხელოები, უადგილო მეეზოვენი და თანაბარი მშვენიერებანი იქ ბრძანდებიან. მოგიცდი მაინც, ერთად წავიდეთ.

— უნდა ჩავიცვა.

— და ჩაიცვი ჩემთან.

— ნუ სულელობ..

— გარწმუნებ: თუ იმ მხარეში მიდიხარ, ჩაცმას გახდა სჯობია... ამოიქვარქნები მაინც...

— კარგია... გეყოფა ოხუნჯობა! ტასო, მოართვი ლენკოს პალტო...

— მაგდებ?

— იცვამს პალტოს, ხელთათმანს, იხურავს ცილინდრს.

— სწორედ! — და მეგობრული ჯიკავ-ჯიკავით მიიყვანს კარებთან.

— ასე ადვილად ვერ დაგშორდები — მადლობა უნდა გითხრა...

— რისთვის?

— აი, რომ არ მიგყევარ საძებრათ ჯურღმულეებში.

— ხიფათის მაძიებელს რომ ეძახი შენს თავს?

— განსაზღვრულ საზღვრებში, ჩემო კარგო, ვქეიფობ, ვსვამ, ვარშიყოფ, ვთამაშობ, дебоширю даже, მაგრამ განსაზღვრულ კალაპოტში.

— კარგი, კარგი... ნუ მაცდენ...



— Adieu!

— Au revoir!

კარებში გაჩერებულს ცალი ხელით ცილინდრი უჭირავს, მეორე ხელით — იატაკზე დაბჯენილი ჯოხი, და პათეტიურად ამბობს:

— მაგრამ, როდესაც ტფილისის არეს შავი სუდარა გადაეფარება და წმინდა ადგილთ: ოპერას, დრამას — ელექტროს შუქი შემოეხვევა, ჩვენ ისევ..

— არა, მე ცირკში ვიქნები...

ქალი საჩქაროდ იცვამს.

შეჩერდება.

ფიქრობს:

მომწერა, მაგრამ დანიშნულ ადგილს არ დამიხვდება!..

შეიძლება კი, შეიძლება არა...

## მოხეტიალე ბელეტრისტი

... გაჭირვებამ ალერსი დაგვაგინწყა. ძველი სიყვარული მაინც ღვივოდა.

აბა, რა იყო, რომ სშირად მშიერნი ავდგებოდი სუფრიდან, რომ ორიოდე ლუკმა მეტი რგებოდა მეორეს.

აბა, რა იყო, რომ, საქმისათვის წასული — დაქანცული რო მოდიოდა შინ, ვინმე ნაცნობთან შესარბენად დიდ გზას მოივლიდა და ორიოდე ყვავილს მოიტანდა, რომ ჩემი მაგიდის გატეხილ ჭიქაში ჩაედვა.

მაგრამ ცხოვრება უფრო და უფრო გვიჭერდა მუხრუჭს.

საკვირველია: — სხვაზე არც შრომის უნარი მაკლდა და არც ცოდნა, მაგრამ მესმოდა:

სად პოეტი და სად ჩოთქის ჩხაკა-ჩხუკი!

შენ სუფთა წერას გულს ვერ დაუდებ.

ზღვის პირი, სალი კლდის მწვერვალი, ცაცხვის ძირი და რბილი სავარძელი! რა შენი საქმეა გაკვეთილებზე რბენა?!

სახლში კი ციოდა ზოგჯერ.

და პანიას ხველა და სურდო არ შორდებოდა.

მახსოვს, უკანასკნელ ორშაურიანს მთხოვდა ცოლი მეთულუხჩისათვის.

— ლიზა, ქალაღი მინდა ვიყიდო.

— დღეს დიასახლისი ლუმელს ანთებს, წყალს გავათბობ, ბავშს ორი თვეა ტანი ვერ დავბანე.

— იქნებ რაიმე დავწერო.

— რა გეწერება!..

— იმ წერიტაა, რომ ორიოდე გროშს ვშოულობთ.

— ეჰ!

იმ საშინელ ლამეს მცირე წრეში ახალი დრამის ნაწყვეტი წამაკითხეს.

ბევრს მოეწონა.

ვახშამი დიდებული იყო.

კარგ გუნებაზე ვბრუნდებოდი.

ვვოცნებობდი...

— ნაწყვეტ-ნაწყვეტად გავათავე ძველისძველი ნაფიქრი — „განცხრომის დედოფალი“. ეს იყო ათიოდე სონეტი, ერთმანეთში გადახლართული, ვით ერთი გირლიანდის ნაწილები, ვით დაწნული ყვავილების ნაწილები, ვით ვარდების ხლართი... აქ იყო ყველაფერი, რასაც მარად ვეტრფოდი და მარად გამირბოდა.

სიუხვე გონების, სიმდიდრე საუნჯის, შვენება სხეულის, სულის სიმშვიდე და ნეტარება, განცხრომა და... და რომელიც, იქნება, მე ცოდვილს, ცოლსა და შვილზედაც მეტად მიყვარდა... მაგრამ არა ვარ გასაკიცხი — ჩემ თავზედაც მეტად მიყვარდა... სატროფო ხომ საყვარელზედაც უფრო სანუკვარია.

სახლში შეველ. საშინელი თვალს წარმომიდგა:

ლამპა გატეხილი შუშიდან ბოლავდა. ოთახი მოფენილი იყო ძონძებით, წიგნებით, ნახევი ქალაღებით, ბავშვის დამტვრეული სათამაშოებით; ლიზა მოხრუკული იწვა ბავშვის გვერდით.

მეგონა, ეძინა.

მივადექი. თვალეზ-გახელილი დამიხვდა.

— რა დაგემართა, ლიზა?

— კვდება...

— როგორ? შალიკოს დაუძახე?

— კი, იყო... არაფერი ეშველებო... სითბო უნდაო... ოთახში კი ყინავს. ლამპას ავნიე, შუშა გასკდა; ღუმელში შევყარე ყველაფერი — სკამი, წიგნები და შენი — დრამა, შენი დრამა! — განინმატებით დაიკვივლა ქალმა.

— ჩემს დრამას რაღას ერჩოდი? — და მივიხედ-მოვიხედე: დრამა აღარსად იყო...

— ის არის — ის! ის არის ჩემი ცოდვით სავსე!.. სამი დღეა მაგას უზიხარ, — ვერაფერი გითხარი — ხელი არ შევუშალო-მეთქი, შემოგნირე მე ჩემი არტისტული სახელი, ტაში, და შენ კი... აი, შეხედე: შენ და შენმა დრამამ იმსხვერპლეთ!..

ზეზე წამოიჭრა... ახლაც თვალწინ მიდგას... ფართო ქუთუთოებიდან გადმოვარდნილი თვალეზი, გაჩეჩილი თმა და გაშლილი ხელები...

ჭეშმარიტად ვამბობ, არ მახსოვს... გადარეულად მეჩვენა და მინდოდა, დამემშვიდე-ბია... შემძაგდა ეს ადამიანის სახის დამკარგველი არსება და მსურდა, გამესრისა... შემეშინდა და თავს ვიფარავდი... თუ — ჩემი დრამის დამწველი ჩემი შვილის დამღუპველადაც ჩავთვალე და შურს ვიძიებდი...

მგონი, ყველა ეს ცალ-ცალკე მიეღვებდა თავში, მაგრამ ისეთი სისწრაფით, რომ მეხსიერებამ ვერ გაარჩია და ვერ შეინარჩუნა ისინი...

ვსტაცე ხელი.

უცბად, უეცრად... გაქვავდა, მოკვდა...

თითქოს ჩემს დახმარებას ელოდაო — და მთელი მოგრაგნილი ტანი თითქოს მეუბნებოდა: გგონია, გისაყვედურებ? დაგლოცოს უფალმაო.

.....

სასამართლომ გამამართლა. რა უგუნურია ადამიანთა სამართალი! რად მინდოდა მათი მსჯავრი და გამართლება? განა მრავალტანჯული ლიზა მოითხოვდა ჩემს დასჯას, ან მე ვითხოვდი გამართლებას? რა დამნაშავე იყო ლიზა?..

შემძულდა ლექსი, შემძულდა ყოველივე ლამაზი, მწყობრი, მხიარული, თითქოს ისინი იყონ ქვეყნიური ჰარმონიის დამრღვეველნი.

რა ბედნიერნი იყვნენ ძველი კეთილ-მორწმუნენი!

სადმე, მყუდრო და დაბალ სენაკში — აი, იქ მოისვენებდა სული... გავანათებდი დაბალ, მყუდრო, ბნელ სენაკს ჩემი სევდის შუქით...

.....

უეცრად წამოდგა.

— რა გაჩქარებთ? შემთხვევითი გაცნობა ძლიერ სასიამოვნოა ჩემთვის.

— უკაცრავად, სცენაზე მიმელიან... მე აქვე ვმუშაობ. დროა მოვემზადო.

- ერთი კონიაკი კიდევ.
- ამას სიამოვნებით.
- თავზე ღრმად ჩამოიფხატა ქუდი...

### ჯავახანის ბინადარი

- აა! ქალბატონო!
- ხელზე აკოცა.
- აქ ვილაც მჯდარა.
- ძლიერ საინტერესო ადამიანი.
- მოვა ისევ?
- არა...
- შეიძლება დავჯდე?
- დაბრძანდით, დაბრძანდით! უკაცრავად, ვერ გაგიბედეთ მოწოდება... თქვენ აქ ამ დროს... ისიც მარტო...
- მე ძლიერ ხშირად დავდივარ მარტო.
- ოპერაში, დრამაში კი, მაგრამ აქ...
- განსაკუთრებული საქმე მაქვს... მე ვეძებ...
- ვის?
- აი, ეს მიჭირვებს მოძებნას... იგი იცვლის სადგომს, სახელს, პროფესიას... იყო ლამაზი წინად, ახლა მახინჯია. წინად უმაღლეს საზოგადოებაში ტრიალებდა, ახლა მეეზოვეებთან ატარებს დროს. არ ვიცი, ახლა რას ეძახის თავს, წინათ Posa-ს ვეძახდით.
- პოზას?
- შილერის მარკიზ-პოზა არ გახსოვთ?
- შილერი კი მახსოვს, მაგრამ რა შუაშია?
- უეჭველად რაინდულმა ხასიათმა, უცხო ტომობამ და უღეგმა შეძლებამ შეარქვა.
- მერმე? მერმე?
- მერმე ბოდლერს ეძახდენ.
- სად Posa, სად ბოდლერი?
- მაგიც ასე ამიხსენს: ცირკის ჯამბაზ ზანგის-ქალს დაახლოვებოდა და ორიოდე სონეტიც ეძღვნა მისთვის.
- ქართულ პოეზიას კარგად ვიცნობ, მითხარით სონეტი — და ავტორს ადვილად მოვინახვებ...
- ნაბეჭდი ვერსად ვიშოვე და ერთი ტაეპი კი რალაც ამგვარი უნდა იყოს: აი, ჩემი გული, სპეტაკი ვით ცრემლი. შავ ხელში გაძლევ, დანეწე წყეული!
- ამგვარი არაფერი წამიკითხავს... სად იყო დაბეჭდილი?
- იმიტომაც ვერ ჩავიგდე ხელში, რომ დაბეჭდილია არა ჟურნალში ან გაზეთში, არამედ ქუჩის გამომცემლის, ვილაც შახბარათოვის ორკაპიკიან წიგნაკში...
- In vino veritas! მივატოვოთ უცნობნი და საკვირველნი. მიირთვით ყავა კონიაკით — და უცნაური საცნაურად გახდება...
- სიამოვნებით!.. აქ რალაც ისეთი ჰაერია, რომ უნდა დალიო... გაიბრუო თავი... გავბრუვდე... მომეცით პაპიროსი... ოპიუმი აქვს?
- ნურავინ მოგატყუებთ, ქალბატონო, ოპიუმის პაპიროსი საქართველოში არ მოიპოება...
- ცოტა სიჩუმის შემდეგ:

— მე დარწმუნებული ვარ, რომ ის აქ არის სადღაც... ვგრძნობ...

— მეც ვფიქრობ... ყველა გზა-აბნეულის, გზა-გადამცდარის სავანეა ეს ყავახანა...  
ოღონდ, თუ ფული აღარ აქვს...

კონიაკს მოსმენ.

— არ იცით, სად იდგა უკანასკნელად?

— ერთი კვირის წინად გადასულა სახლიდან — როგორც ეტყობა, უეცრად, მოულოდნელად... დიასახლისმა ახლაც არ იცის, სრულიად მიატოვა ბინა, თუ სადმე შერჩა და ისევ დაუბრუნდება თავის ოთახს...

ნურაფერს მეტყვიით, ქალბატონო, ბუნების გულკეთილობაზე.

გაცვეთილია!

თანაც სიყალბეა!

თქვენ არ შეგეფერებათ!

პირიქით, ბუნება თითქოს დასცინის ადამიანს:

მთელი წელი, მთელი დღე, წლის ყოველი დრო.

გაზაფხულდება, მოირთვება ბუნება; ადამიანი გულის კარს გააღებს. ტკბილად ამოისუნთქავს; რბენა სწყურიან, ცეკვა, მღერა, ყნოსვა ყვავილთა, და სწორედ ამ დროს იღევა ბელელში პური, ჭურში ღვინო; სამხიარულო კრებების მაგიერ ადამიანი ხარივით ებმება უღელში, რომ არ დარჩეს უჭმელ-უსმელი.

ზაფხულში, როცა ჩრდილი უნდა ეძიოს, მიწა ოფლით მორწყეო, უბრძანებს საჭიროება.

აი, მოიხდის ვალს, ჭაპანწყვეტით შეკრებს სანოვაგეს, სავსეა ყოველი... მაშინ სიცივე და თოვლ-ჭყაპი ჩააბამს სახლში, ალერსის მაგიერ უმზადებს ჭუჭყს და ძილს.

და მთელი ტეხნიკა, ხელოვნება, მეცნიერება, რელიგია განა მხოლოდ იმის ცდაში არ არის, რომ ადამიანი გაანთავისუფლოს ბუნების დამცინავი ბრჭყალებისაგან?!..

ჩემი ბუნება მოითხოვს სათაყვანებელს...

ვერ წარმომიდგენია ისეთი სულის თქმა, რომელიც გაჟღენთილი არ იყოს გუნდრუკით ჩემი უმაღლესი, თრთოლვის მომგვრელი არსებისადმი.

მე უნდა ვიყო ნაწილი რისამე და ვინმე თავისი ნაწილით უნდა იმარხებოდეს ჩემში.

პატარა რომ ვიყავ, ეკლესიას, ხატს ვერ ჩაუვლიდი, რომ ტანსაცმელში დაფარულ ხელს ჯვარი არ გამოესახა, და ვფარავდი, ვმალავდი ჩემი გულის-კვეთებას არა დაცინვის შიშით — არა! მერიდებოდა, არსება იგი მაღალი არ შეურაცხეყო.

იცით, ქალბატონო, რომ მე, თქვენი უსაქმური lazzaron-ი, ღამეებს ვათენებდი დიდისა და მცირე ფოლიანტების გადანერით, კითხვით!.. მე ვიცი ზეპირად მთელი გვერდები ნიუტონის, მაკიაველის, ბერგსონის თხზულებებიდან, და — რაც თქვენ უფრო გაგაკვირვებთ — ვიცი ყველა იმ კალონიების სახელი, რომელნიც შავ-ზღვაზე ოდესმე ჰქონიათ ბერძნებს... ერთხელ წავიკითხე, მომეწონა და გავიზეპირე...

და მეცნიერებაც ჩემთვის თავის დღეში არ ყოფილა იარაღი... არა, ის იყო ცოცხალი არსება სატრფო, რომლის ყოველი მცირე ნაკვთიც აღტაცებას იწვევდა და მოვლა-ალერსისთვის მიწვევდა.

ხელოვნება!.. განა მე ვუცქერდი, ვისმენდი, ან ვკითხულობდი დიდებულ ხელოვნურ ნაწარმოებს?!.

არა! — მე ვსვამდი, ვსაზრდობდი, ვყლაპავდი და თავის დღეში არ გამივლიდა თავში — იგი ან მეყიდა, ან შევხებოდი, მე მხოლოდ ვთრთოდი, ვით ტოტზე მჯდომი ხაყო, ვით მზის სხივებში მომფრინავი მერცხალი, ვით გედი ტბაში...

და ქალი!

ეს ხომ ჩემი სულია და გული! იგი ხომ განუყოფელია!

ყვავილში, ქალბატონო, ტკბილ ხმაში ვხედავ მე ქალს... არა ერთს... არა ორს... არა შავ-თვალ-ნარბას და წელ-წერწეტას... არა! — ქალს!.. რაღაც მომხიზვლელს... სულთამხუთავს!..

ქალბატონო, მე ამან დამადნო, გამაცამტვერა, ეს მარადი ალგზნება ვერ აიტანა სუსტმა სხეულმა... თუმცა ძლიერია სული, როგორც წინად იყო... და სწორედ სხეულის ნამლად აი, ამ ყავახანას შემოვაფარე თავი... დიდი ხანია... აქ ვერ ასწრებს ღვინო, რომ სავსებით დამიპყროს, და გამიტაცებს ქალი. ქალისკენ რომ გაიხედავს გულისყური, მაშინ სმენას ვისიმე მელოდიური ხმა მიიზიდავს... ეს აბჟღერიალბული არე, სურნელოვანი ჰაერი, ეს შეერთება ლამაზისა და მახინჯისა, უმანკოებისა და გარყვნილებისა — საერთო უკიდურესობა მამშვიდებს: ამშვიდებს სულს, თუმცა სხეული იწენება... ინჟღერევა. ფანტასმაგორია! ჯადოქრობა! ზღვის მყუდრო ნაპირზე, მრწამს, სხეული დამიმშვიდდება, მაგიერად სულის აბობოქრება დაინყება — იმისი მეშინია ყველაზე უფრო... ერთხელ კინაღამ გადავირიე.. რად დაგიმალოთ, კიდევაც შემეყვანეს გადარეულთა თავშესაფარში...

გსურთ, ეს ამბავიც მოისმინოთ?

გიაგობოთ...

— არა, არა! მერმე.

— გეშინიათ?

— არა, მერიდება — ნერვები აგეშლებათ კიდევ უფრო.

— მაშ კარგი, გავჩუმდები.

— შეიძლება ვცდებოდე, მაგრამ მეტი გამოსავალი გზა არა მაქვს...

ქალბატონო, ვიღებ, აი, თქვენს ხელს — ვერ წარმოიდგენთ, შეიძლება ჩემს სახეზე კი წაიკითხოთ — რა ნეტარებასა ვგრძნობ!.. ეს თქვენი ხელები — ნათალი, გრძელი — მიპყრობს... მიზიდავს, ვით ჯადო — გველი... იგი მაგონებს მარმარილოს და თასმას, რომელიც ყელზე მეჭირება. აი, ამიტომაცაა, ქალბატონო, რომ სული მეხუთება, მაგრამ ამბობენ: ჩამოხრჩობილი უკანასკნელ წამს ღვთაებრივ სიტკბოებას გრძნობსო, და მეც ისე ვარ... ამ ხელს ნუ მომაშორებთ... ვეამბორები... რა მშვენიერება ხართ, ღმობიერი ხართ თუ მკაცრი — ყოველთვის!.. ო, რომ შემეძლოს თვალების... შესუნთქვა... ეს კი იქნებოდა მეორედ მოსვლის ნეტარება!..

რა მშვენიერი!.. სხეული — ატლასის, ხელი — სანთლის, გული — მარმარილოსი, ტუჩი — შინდი, კბილი — სხივმფენი, თვალები — ზღვა და თმა — შავი ღრუბლები... რა მშვენიერება ხართ!..

ჩემგან არაფერი სასიკეთო და სახარბიელო არის მოსალოდნელი, ქალბატონო! დამრჩება მხოლოდ მაღალი სიყვარული და ნაზი გრძნობა... გამოუთქმელი... გამოუთქმელი ტრფიული და შეუსრულებელი გეგმები. ჩემს უბის წიგნში თქვენ ჩაგახედებთ ოდესმე და იქ ნახავთ უთვალავს დაწყებულ ლექსებს, დრამებს, მოთხრობებს — ისტორიულ გამოკვლევასაც კი...

აი, ამ ყავახანამ შეინირა ჩემი ნებისყოფა... მან შესვა ჩემი ანმყო და უარი მათქმევინა მომავალზე. ეს გაჩაღებული ხომლები, ეს საეჭვო ხარისხის მუსიკა, იაფი სურნელოვანი პუდრით შეთითხნილი ქალები — ფარდად ჩამოეშვენ ჩემსა და გარეშე ქვეყანას შუა... და ველარ გადავწევ ფარდებს... მათ ჩაქსოვილი აქვთ ჩემი ტანჯვაც და ნეტარებაც.

აი, კონიაკი... მინდა — დავლევ, მომინდება — გავტეხ, ან თქვენ მოგანოდებთ, და დიდი-დიდი — ერთი შეწყრეთ... მაგრამ თუ ყავახანაში სიარულს განაგრძობთ, ისევ უნდა მოხვიდეთ ჩემთან და მეგობრულად ისმინოთ ჩემი ბოდვა და მაიმუნური სახის მანქვა... განა თქვენ ნებას მომცემთ, სადმე საზოგადოებაში ასე ვეალერსო თქვენს თითებს?! რა თქმა უნდა, არა! და ამიტომაც, ცალი ყბა, რომ კრულვას უგზავნის ამ ტაბაკელას დამაარსებელს, მარცხენა ხელი ფსალმუნს სწერს ყავახანისას...

— არ წამოხვალ? — დაეკითხა ახლო სუფრიდან ამდგარი ყმანვილი მობაასეთ.

— სად?

- დღეს მოთხრობას კითხულობს ნიკო.
- კოტე, ლილი ველარ იცანი?
- უკაცრავად! თქვენ ჩვენ ყავახანაზე განრისხებული უნდა იყოთ, და ამიტომ არ მოგელოდით — მიუბრუნდა ახლად მოსული ქალს.
- მგონი, მწერლები აღარ მწყალობენ უფრო, ვიდრე მე ვიყო განრისხებული, — უნებურად იკეკლუცა ლილიმ.
- რას ბრძანებთ?! და დასამტკიცებლად ჩვენი თაყვანისცემისა შემობრძანდებით ჩვენს სხდომაზე, იქ ნახავთ, თუ როგორ გაუხარდება ყველას...
- სიამოვნებით წამოვალ.
- მე კი არ მომწონს ეს პროვინციელი მწერლები. — ჩაურია ისევ გიორგიმ.
- რატომ?
- ყველა თავის კუთხის, „მუხუროს“, როგორც იმერლები ამბობენ, კილოზე სწერს, ყველა თავის კუთხის ტიპებს ხატავს და მსოფლმხედველობაც თავის თემს ვერ შორდება...
- შეცდომა უნდა იყოს — ჩვეულებრივის თავაზიანობით შენიშნა კოტემ.
- დავით კლდიაშვილს რაღას ეუბნები? — ღიმილით დაუმატა ლილიმ.
- დავით კლდიაშვილის ნაწარმოები დიდი, შვენიერი სარკაზმია იმერეთზე: იმერეთი საბოლოოდ გამასხარავდა და ან უნდა შეირგოს ეს წამალი და გარდიქმნას, ან და...
- ან რა? — ვერ მოითმინა ლილიმ.
- ან და მის წიაღში ველარ იპოვის მხატვარი დასამუშავებელ მასალასაც კი... ხელოვანი ქუთაისში ისეთივე წარმოუდგენელია, როგორც ოპერა უდაბნოში... ტფილისი, აი სად უნდა გადადნეს და გადადუღდეს ქართული სულიც და ქართული გონებაც...
- მაინც ვნახოთ და მოვისმინოთ — შემარიგებელის კილოთი გააწყვეტინა კოტემ. წამოდგენ.
- ნუ თუ აქვე კითხულობთ თქვენს ნაწარმოებს? — დაეკითხა ლილი.
- დიახ, აქ; სამი ოთახი გვაქვს; ოხუნჯები ამბობენ — ეს: „სალხინებელი“, „სასუფეველი“ და „ჯოჯოხეთი“-აო.
- მერმე ხმაურობა, მუსიკის ხმა, არ გიშლისთ ხელს?
- იქ ხმა არ წვდება. ვიკრიბებით მარტო ჩვენ მხატვრები, მუსიკოსები, მსახიობნი, უფრო კი მწერლები...
- გვაქვს კრებები, მოხსენებები...
- მეტი არაფერი?.. — მაცდურად დაეკითხა ლილი.
- როგორ არა, როგორ არა! ინტიმური ქეიფები „სასუფეველში“ და „ჯოჯოხეთში“ ხდება, „სალხინებელი“ კი, მხოლოდ საერთო კრებებისთვისაა. წავიდეთ... ნელ-ნელა ყველაფერს გაეცნობით.
- შევიდენ.
- სრული ოთახი.
- ოციოდე კაცი და ქალი ჯგუფ-ჯგუფად იჯდა.
- ავტორი იმარჯვებდა ხელთ-ნაწერს.
- ყველა დადუმდა.
- და აუჩქარებელმა ხმამ დაინყო:

### „რანდები“ ...

დასასრული პირველი ციკლისა.  
გაგრძელება შემდეგ ნომერში.

ნიკო ლორთქიფანიძე



## მკვლელობა სონეტში

იქნებ მკვლელობა ამ ხანებში მოხდეს ფარული.  
არვის დაედოს ჩემ სიკვდილში მძიმე ბრალდება.  
ეს გათოვება მეტად უხვი, იანვარული, —  
უკვე აშკარად დღეს ეტყობა თებერვალდება!

თოვლის ქანდაკი ჩემს ეზოში დავდგი მიონად,  
შევძელი კერპად შენი ტანის ნაკვთში დაყვანა.  
თითქოს გადვიქეც ჩვენებისთვის პიგმალიონად.  
სული ღვთაებას ცივ თეთრებში კვლავ გეთაყვანა.

ჯერ ჩემთვის ღამეს ასე ძილი არ გადუსხია...  
შენ მაყვედრიდი, გალატეა, — შენს პიგმალიონს:  
„ჩამაცვი კაბა... ო, რა მცივა... ო, რა სუსხია...  
სანამ გიცადო ქმარს უგულოს, როგორც ალიონს?!“

ვნახე მიონა გათენებას, ხეთა ფარცხებით.  
სფინქსს ამგვანებდა გადაყრილი ნამქერის ხვაივი...  
და გადავწყვიტე: სანუგეშოდ ამ დამარცხებით, —  
ერთ-ერთ სონეტში დაუნდობლად მოვიკლა თავი!..

შალვა კარმელი

## ალექსანდრე ყაზბეგი

წარსულ წელს ერგება ორი საიუბილეო თარიღი ალ. ყაზბეგის ცხოვრებისა. რვა იანვარს შესრულდა 75 წელი ყაზბეგის დაბადებიდან, ხოლო ათ დეკემბერს — 30 წელი მისი ტრაგიკული გარდაცვალებიდან. ამან თითქო გამოაღვიძა ერთგვარი ინტერესი ალ. ყაზბეგისადმი; მაგრამ მაინც შეიძლება ითქვას, რომ ეს დიდი პოეტი დღემდე შეუსწავლელი და დაუფასებელი რჩება.

ალ. ყაზბეგის საკითხი ორი კუთხითა სდგას ჩვენს წინაშე. ჯერ თვით შემოქმედება, რომელიც თავისში ჰფარავს სულიერ სიმტკიცის უცნაურობას, და შემდეგ თვით ავტორი, რომლის გარშემო, დღიდან შემოქმედებისა, გაიბა ბნელი ეჭვების აბლაბუდა. თუ მისი პოეზიის ძირითადი ნოტა დაკარგულ ხმასავით ისმის, მისი პიროვნებაც თითქოს დაკარგეს, და მის მორალურ საფლავსაც კვლავ აფორიაქებენ. ეს ერთგვარი ლიტერატურული მზაკვრობა, თითქოს ესტეტიურად აუცილებელიც არის, რადგან უნდა ჰბორგავდეს და ინეწებოდეს ის საფლავი, რომელშიც „დაკრძალულია“ ყველაზე განწირული და პროტესტანტი შემოქმედი. ეს მოარული ეჭვი ყაზბეგის შემოქმედების ავტენტიურობის შესახებ, რომელიც პირველად მეშჩანურ წრეებში დაიბადა, ჩაქცეულია, როგორც შხამის წვეთი, და ფილისტერებში ამას ალბად კიდევ დიდხანს ექნება გასავალი. მაგრამ, რასაკვირველია, ალ. ყაზბეგს ვერასოდეს ვერ ჩამოიყვანენ იმ პიედესტალიდან, რომელზედაც იგი მტკიცედ არის დამდგარი. გვერდი რომ აუაროთ სხვა მრავალ ჩვენებას, რომლებიც ამტ-



კიცებენ ყაზბეგის შემოქმედების ავტენტიურობას, აქ ყველაზე მჭევრმეტყველია თვით ყაზბეგის ბიოგრაფია. ყაზბეგის ცხოვრების დამტკიცებელი ტრადიციონალიზმი — ეს მისი შემოქმედების ერთად-ერთი გასაღებია.

ქვემოთ-თქმული ეს იქნება ცდა ალ. ყაზბეგის პიროვნული არსებობის და შემოქმედებითი გზების მთლიანობის საჩვენებლად.

\* \*

ალ. ყაზბეგი დაიბადა 1848 წ. იანვრის 8. შთამომავლობით იგი ეკუთვნოდა ხევის მოურავთა გვარს, ჩოფიკაშვილებს. მისი მამა მიხეილიც ხევის უფროსი იყო, ოფიციალურ ენით — „ნაჩალნიკი“, ხოლო ჩვენებურად — „არავის ერისთავი“. დედით კი იგი ეკუთვნოდა თარხნიშვილების გვარეულობას, რომელიც დიდი მოურავის, გიორგი სააკაძიდან იწყებს თავის გენეოლოგიას. მედიდური და რიხიანი გვარების სისხლი შეერთებულა ალ. ყაზბეგის არსებაში და მეჩვენება, რომ ერთგვარი დაახლოვებაც კი შეიძლება ალ. ყაზბეგისა და გიორგი სააკაძის ბედთა შორის.

იქნებ ალ. ყაზბეგში იყო კიდევ დიდი მოურავის შინაგან ძალთა შორეული გამოძახილი, რადგან ბიოლოგიური თუ პსიქოლოგიური მოდგმა უფრო უცვლელია, ვიდრე ეს გვეჩვენება.

ალ. ყაზბეგის ოჯახური წრე „მაღალი ტონისაა“, რის შესახებ თვით ყაზბეგი შემდეგსა სწერს: — „მამა-ჩემს და დედა-ჩემს განსაკუთრებითი თავისებური ხასიათი ჰქონდათ. უყვარდათ დიდ-კაცობა და მდიდრულად ცხოვრობდნენ, მაგრამ ყველგან თავისებური პირადობა ეტყობოდათ. მაგალითად: სამი მზარეული გვყავდა, ორი მეჯინიბე, ორი კუჩერი, ექვსი ლაქია, ორი კიდევ პატარა ბიჭი ხელზე მოსამსახურე, ხუთამდის „მცველები“ (სხვა სახელი ვერ მომიგონია იმ ხალხისათვის, რადგანაც მათი საქმე მხოლოდ შეიარაღებული გაყოლა იყო მამი-ჩემისა, როდესაც მიდიოდა სადმე), შვიდი მოახლე, და ერთი ბაზიერი თავის ურიცხვ ქორ-მეძებრებით“... (იხ. ავტ.-ბ. ცნობები, გვ. 3, წ. კ. გ. ს. ნიგნთსაცავი, ხელნაწ. №3981). მაგრამ ამის გვერდით, ალ. ყაზბეგს თავს დასტრიალებს აღმზრდელი ნინო, რომელიც, როგორც სჩანს იმავ ავტობიოგრაფიიდან, სულ სხვა სფეროში გადაიყვანს პატარა ბავშვს, და ხშირად ცრემლსაც კი აღვრევინებს ხალხურ ზღაპრებზე. პატარა ბავშვში გაორება ჰხდება: ერთი მხრივ დედ-მამა და საერთოდ „დიდ-კაცური“ წრე, მეორე მხრივ კი ნინო და ის ხალხი, რომელნიც ნინოს ზღაპრებში სიბრაღულს თუ სიმპატიებს იწვევდნენ. ბავშვს უმახვილდება მორალური მხედველობა, და უკრიტიკო გაორებას მოსდევს ერთი მხრის დაძლევა. პატარა ბავშვი ხშირად მირბის სახლიდან მთაში მწყემსებთან. ეს გაქცევა დამახასიათებელია მთელი შემდგომი მისი ცხოვრების და შემოქმედებისათვისაც. მაშ, სხვა რა არის ყაზბეგის მთელი ბიოგრაფია და შემოქმედება, თუ არა გაქცევა არსებულიდან?

ამ რიგად ყაზბეგი — შემოქმედის სახე ჩვენ კიდევ ბავშვობიდანვე გვაქვს მოცემული. პატარა ყაზბეგის გარშემო ბევრი უსამართლობა ჰხდებოდა, გამზრდელი კი თვალს უხელდა და მხედველობას ასწავლიდა. დაუმიძიდენ ბავშვს შთაბეჭდილებები და ზნეობრივი ქვე-მყოფობა სხვა სიმაღლეებისაკენ წავიდა. ჩვენ არ ვიცით, ვინ იყვნენ ის გუფერნიორები, რომელნიც ყაზბეგს სწრთენიდნენ სკოლამდე, არც ის ვიცით, თუ როგორი სახე ჰქონდა გაკეს და კანონიჩის პანსიონს, ვიცით მხოლოდ, რომ ალ. ყაზბეგზე ამას არ მოუხდენია შთაბეჭდილება. ჩემის აზრით, ვერც მოახდენდა, რადგან ყაზბეგი ამ სასწავლებელში მოსვლამდე უკვე ატოკებული იყო და ბუდიდან ამოვარდნილი. ამბობენ, რომ კეთილშობილთა სასწავლებელი ალ. ყაზბეგმა ვერ დაამთავრა დედ-მამის მიზეზითაო. მარტო დედ-მამის ბრალი არ იქნებოდა. ამის მიზეზი თვით ყაზბეგში უნდა ვეძიოთ, რომელიც ბავშვობიდანვე იჩენს მოუსვენარს, დაუდგრომელს და მაძიებელ ხასიათს.

1866 წ. გარდაიცვალა ალ. ყაზბეგის მამა მიხეილი. ალ. ყაზბეგი ხევში დარჩა მამულის პატრონად. მაგრამ სად შეუძლია მას მშვიდობიანი ცხოვრება, რასაც ასე საჭიროობს

სოფლის საქმის ბუნება? ალ. ყაზბეგს სწავლა უნდა, მაგრამ გარკვეულად თვითონაც არ იცის — რა. მას სული აფორიაქებული აქვს, და ცოდნას ეძებს, როგორც დამაკმაყოფილებელ საშუალებას. რუსეთისკენ აპირებს გამგზავრებას. მიდის კიდეც, და წინააღმდეგედის სურვილისა, რომელიც ოფიცრობაზე ოცნებობდა, შედის ჯერ პეტრეს სამეურნეო აკადემიაში, იქაც თავს ანებებს, უნივერსიტეტი უნდა, ვერც იქ აკეთებს რამეს გარკვეულს და ასე ჰბორგავს 18-19 წლის ახალგაზრდა. მეცნიერებას ვერ მიუდგა თუ არ გაჰყვა, ეს არ ვიცით, ვიცით მხოლოდ რომ „თავ-ანყვეტილი“ ცხოვრება დაიწყო და, ანტონ ფურცელაძის თქმით, „იქაურმა მდიდარმა ქალებმა გამოისტუმრეს მთლად მოშლილი, ჩაფუშული სახით, მოშვებული ტანით, მოღებული ჯანით, ჩამქრალი თვალებით“. მაგრამ შეცდომა იქნება იმის თქმაც, რომ ყაზბეგი სწავლას არ ეტანებოდა. არსებობს კოტე ყიფიანის მოწმობა, რომ მოსკოვში ალ. ყაზბეგს „კარგი ბიბლიოთეკა“ ჰქონია. მაგრამ თუ ვერ ისწავლა სისტემატიურად, ეს კიდეც იმას არ ნიშნავს, რომ არაფერი არ ისწავლა. იდეის განხორციელებისათვის გმირობა ხომ ისწავლა, როდესაც ეს დიდი არისტოკრატი უბრალო მწყემსად წავიდა, რასაც სწერს „ნამწყემსარის მოგონება“-ში, და რაც ალ. ყაზბეგის კალამს ეკუთვნის ყოველგვარ ეჭვის გარეშე. უნდა გამოვტყდეთ, რომ ეს ნაბიჯი თავგანწირვას უდრის, და მხოლოდ დიდი შეგნება თუ ღრმა რწმენა უნდა ამაგრებდეს ამის ჩამდენს. ამას კი არ აქცევდენ ყურადღებას ისინი, ვის თვალშიც წარმოუდგენელი იყო „ზერელე“ ყაზბეგის „ღრმა“ ავტორობა. მე კი მგონია, რომ ესეც დიდი დოკუმენტია ალ. ყაზბეგის სიდიდეზე მეტყველი. განა ამ უეცარ მობრუნებას და მორალურ თვალთა ახელვას დიდი ძალა არ უნდოდა? ადამიანი, რომელიც სავესე იყო დიდი და ნაირი შთაბეჭდილებების წყურვილით, რომელიც ხარბად სვამდა არისტოკრატიის მახვილ ცხოვრებას, თვითონაც თავადისშვილი და დაუზოგველი მფანტველი, თურმე ამ ეფექტიან გარეგნობაში ატარებდა ბნელ და ესთეტიურ სიძულვილს ამ ცხოვრების მიმართ. თურმე მისი ბუნება შეკრული ყოფილა შინაგან განდეგილობის სილამაზით. ვინ წარმოიდგენდა, რომ თითოთ საჩვენებელი ფრანტი, თითქოს ქარ-ატაცებული, მხოლოდ აფარებული სახე ყოფილა, რომელიც ჰფარავდა უბედურ რომანტიკოსს, დაკარგულ მეოცნებეს, უცხო ეპოქის კალთაზე დასალუპად განმზადებულს.

დიახ, ეს ასეა, და აქაც ისმის იმავე ბავშვობის გამოძახილი. აქაც იგივე ხაზი გამოსდევს, რომელიც შემდეგ შემოქმედებაში გადაექანება.

ბავშვობიდან მოყოლებული, მასში იზრდებოდა ზნეობრივი პროტესტი, ჯერ უფორმო და ანგარიშ-მიუცემელი, შემდეგში კი მოფიქრებული და კატეგორიულად გადანყვეტილი. განა თვით ყაზბეგი არ უკვირდებოდა თავის თავს? განა თვით არ ემზადებოდა თავ-გადადებული სრულიად გარკვეულ მოქმედებისათვის? განა თვით არ სწონავდა საკუთარ ძალას? ვის ეწონებოდა, ან რა ძალა ედგა, როდესაც უბის წიგნში, რომელიც არავისთვის არ უჩვენებია, და რომელიც მისი გარდაცვალების შემდეგ შემთხვევით გადარჩა, შემდეგს სწერდა: „**მე შემთხვევით არ გამოვსულვარ სალიტერატურო ასპარეზზე**“-ო. და კიდეც: „**დარწმუნებული ვარ, რომ ოდესმე ჩვენს ლიტერატურას შეეხება სერიოზული კრიტიკა, და აუცილებლად ჩემი თხზულებანიც შიგ მოჰყვებიან**“-ო (იხ. მისი ხელთნან. ავტო-ბ., წ. კ. ს. მუზ., №3981) ეს ხომ თვით ალ. ყაზბეგის დაწერილია? და განა ვინმე იტყვის, რომ ასე დაბეჯითებით თავის თავთან განმარტოებით და უმონმოდ ილაპარაკებს პატარა ადამიანი? ეჭვის შეტანა ყველაფერში შეიძლება. ისიც შეიძლება, რომ გილიოტინასთან მიყვანილ გმირის თავდაჭერაში ვისმეს „უესტი“ და „პოზა“ მოეჩვენოს, მაგრამ მოქმედებას თუ შემოქმედებას უფრო კარგი დამფასებელი და გამგები სხვა ჰყავს. და მგონია, რომ სწორედ ამ სხვას ჰგულისხმობდა ალ. ყაზბეგი, როცა სწერდა ზემო მოყვანილ სიტყვებს.

მე ზემოდ ვსთქვი, რომ ყაზბეგში იზრდებოდა ზნეობრივი პროტესტანტობა, რომლის შთანასახი ბავშვობაშივე ჰქონდა, რომლის კრიზისიც მოსკოვში მოჰხდა. ალ. ყაზბეგის

დაუდგრომელი სული, ეჭვს გარეშეა, შორეულად მაინც განიცდიდა იმ დიდ გავლენას, რომლის ქვეშაც იმყოფებოდა რუსეთის ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილი და დააჩქარებდა იმ კრიზისს, რომელიც ან მოჰკლავდა ალ. ყაზბეგის მორალურ პიროვნებას, ან გადაარჩენდა და აღადგენდა. მოხდა მეორე, და ალ. ყაზბეგი, საქართველოში დაბრუნებული, პირდაპირ მიდის ხალხში, და ყოველგვარ გაკიცხვისთვის თუ დაცინვისთვის ყრუდ ქცეული, ანთებულ თვალებით ეძებს იმ ქვეყანას, სადაც ადამიანის „პირით თვით ღმერთი ლაპარაკობს“. ეს დიდი პროცესი მის შინა-ბუნების სიღრმეში სწარმოებდა, სხვებისთვის უხილავად, ხოლო მისთვის კი ალბად ვულკანისებურად. ეს მოითხოვდა მისგან დიდ ცეცხლს, შინაგან დანვას, რამაც გამოიწვია მისი გარეგნობის იშვიათი ცვლილება: ბავშვობაში ცელქი, სტუდენტობის დროს მოქიფე და მომლხენი, ტფილისში ცხრა ხანჯლით მოცეკვავე სცენაზე, ხევში მწყემსობის დროს ფერხულის და ტაშ-ფანდურის გამყოლი, ყაზბეგი სრულიად იცვლება შემდეგში. 1880 წელს იწყებს იგი დიდ მწერლობას (საზოგადოთ მწერლობა დაიწყო 14 წლისამ. დასწერა კომედია „აღმზრდელები“, რომელიც ილია ჭავჭავაძისათვისაც უჩვენებიათ, სტუდენტობის დროს სთარგმნა „Горе от ума“ და „რომეო და ჯულიეტა“, დასწერა კიდევ ხევში 21 პიესამდე დაახლოებით სამი თვის განმავლობაში და სხ...). 1881 წ. კი ცხვილოელი (რომელიც ალ. ყაზბეგთან ერთად სცხოვრობდა ერთ ოთახში, მუხრან-ბატონის სახლში) ასე ასწერს ყაზბეგს: „განსვენებული მეტად გულჩათხრობილი, მუდამ თავ-დაკიდული და მობუზული იყო, შინ თუ გარეთ მოსიარულე“ (იხ. „ივერია“, 1893 წ., №262, მოგონება პ. ცხვილოელისა). ასეთი სწერდა „ელგუჯას“, „მამის მკვლელს“, „მოძღვარს“, „ელისოს“, „განიკიცხულს“ და საერთოდ ყველა იმ ნაწარმოებს, რომლებმაც შექმნეს მისი დიდი სახელი. ხუთი თუ ექვსი წელი მეტად ინტენსიური შემოქმედებითი მუშაობისა, შემდეგ კი — მონყვეტა, დაფანტვა, და თანდათანობით ზნეობრივ-გონებრივი პიროვნების გაუქმება.

1890 წელს ალ. ყაზბეგი საგიჟეთშია, 1893 წლის 10 დეკემბერს კი გარდაიცვალა ქ. ტფილისში.

როდესაც ალექსანდრე ყაზბეგი გარდაიცვალა, ქართველმა საზოგადოებამ თითქო იგრძნო რალაც დანაშაული, რომ ღირსეული ყურადღება არ მიუზღვეს იმას, ვინც ქართული სევდა დაისაკუთრა, და სამაგიეროდ კი საქართველოს გადაუყარა გულიდან ამოხეთქილი ცეცხლის ნაგლეჯები. ერის გაციებულ გრძნობას ეს სჭირდებოდა, მაგრამ თვით ყაზბეგს რა უნდოდა, ეს ველარ გაიგეს. ვერ მიხვდენ, საჭირო იყო თუ არა ამის გაგება. ზევიდან თოფ-ნაკრავი ვეფხვივით ტფილისში რომ მოვარდა, და ქუჩამაც რომ დაიშურა მისთვის სულ მცირე სიტბო, ეს იგრძნეს მხოლოდ მაშინ, როდესაც „საგიჟეთიდან“ გამოასვენეს „ჭკვიანი“ ცხედარი...

ამ ზოგადი მიმოხილვიდანაც ჩვენ არ შეგვიძლია არ დავინახოთ, რომ ალ. ყაზბეგის შემოქმედება დაკავშირებულია მის კერძო ცხოვრებასთან.

ის დიდი იდეა, რომელიც მან თავის რომანებში გადაშალა, თურმე ბავშვობიდანვე არ ასვენებდა. პატარაობიდანვე მის პსიქიკას სწურავდა სიმართლის ძიება. პატარა ყაზბეგშივე ყოფილა დიდი ყაზბეგის სულიერ დრამის ჩანასახი. აქვე არის, თუ გნებავთ, მისი „რომანტიზმის“ სათავეც. მისი ბიოგრაფიის მხოლოდ რამდენიმე ხაზი სრულიად საკმარისია, რომ მკაფიოდ წარმოვიდგინოთ ის დაგრეხილი და თითქმის დაწყვეტილი გზა, რომელიც განიცადა მისმა პოეტურმა ბუნებამ, და აქვე მოვსძებნით მისი შემოქმედების გასაღებსაც.

ბავშვობიდანვე კონტრასტების პარალელები: ამაყი და ამპარტავანი დედ-მამა, და კეთილი აღმზრდელი ნინო; მეფური მოვლა და გაპარვა ცხვარში; სწავლება შურის და სიძულვილისა, და მდულარე ცრემლები უსამართლოდ ტანჯულ ხალხისთვის — ეს ბავშვობაში.

სტუდენტობის პერიოდიც კონტრასტებს შორის მიემართება: ერთი მხრივ „მდიდარ და დიდი კაცის ქალების აყოლა“ (როგორც სწერს „ივერიაში“ ანტ. ფურცელაძე) და მეო-

რე მხრივ კოტე ყიფიანის მოწმობა, რომ „ყაზბეგს მოსკოვში ჰქონია კარგი ბიბლიოთეკა“. ერთი მხრივ დარდიმანდული „დროს-ტარება“, „მადა-ანყვეტილობა“, „ქარაფშუტობა“, მეორე მხრივ კი დედასთან მოწერილი ბევრის მტვირთველი ფრაზა: „...და შემოვალ საქართველოს კარებში დიდებით...“ და კიდევ რამდენი კონტრასტების დასახელება შეიძლება, რომელთ შორისაც ქანაობდა მისი ცხოვრება, და რომელმაც ისე დასწყვიტა მისი, მაინც მოხვეის, მაგარი ტანი.

ასეთივე კონტრასტებით იყო აღსავსე მისი ყოფნა ტფილისში, და ასევე დამთავრდა მისი ცხოვრება. „გიჟებმა საგიჟეთში ჩამაგდეს“-ო, ასე სწერდა ანტონ ფურცელაძეს. მაგრამ საგულისხმო ის არის, რომ ასეთივეა მისი გმირების ბედიც, და საერთოდ მისი შემოქმედება. ამის შესახებ ცოტა ქვემოთ იქნება საუბარი, ეხლა კი ვნახოთ მისი შემოქმედება და მისი ადგილი არამც თუ ჩვენს, არამედ საერთოდ ლიტერატურაში. შეიძლება ასეთი ფართო საზომის მიღება ყაზბეგისათვის ბევრისათვის მიუღებელი იყვეს, მაგრამ ამას არა აქვს მნიშვნელობა. აზროვნების სიმბდალეს აქვს თავისი ისტორია. და ჩვენი ქართული მოკრძალება ამ ისტორიაში ჰპოულობს თავის მიზეზს.

მეცხრამეტე საუკუნის ქართულმა პოეზიამ მიაგნო ორ მწვერვალს, რომელნიც უცხოოდ სდგანან საერთო ლიტერატურის სივრცეზე. ყველა სხვა ჩვენს მწერალს შეიძლება მოუძებნოთ თუნდ შორეულად მსგავსი ავტორი საქართველოს გარეშე, მაგრამ ვაჟაფშაველა და ყაზბეგი კი სრულიად განმარტოებით დარჩებიან. ხოლო ის სიმალეები კი, რომელზედაც მათ აიყვანეს ქართული სიტყვა და პოეტური გზნება, დარჩებიან, როგორც ქართულ სულის გამძლეობის და სიდიდის ნიშნები. მსოფლიო ლიტერატურაში ბევრი მხატვრის გენია დაჰქანცა მთის საიდუმლოებამ. რომელი დიდი პოეტი იყო, რომ ხარკი არ მოიხადა ამ მიუკარებელ სასწაულის წინაშე, მაგრამ რომელმა შესძლო კლდეთა ენით ამეტყველება? ვინ იყო ის რჩეული, რომელმაც შეალო ამ საიდუმლოების კარები? მე მგონია, რომ არავინ.

მსოფლიო ლიტერატურაში ვაჟა და ყაზბეგი განმარტოებით არიან, და მათთანვე არის მთას შეფარებული ქართული სულიც. მეტად ძნელია მთასთან მისვლა. იქ სულ სხვაგვარი განცდებია, თავისებური აზრი და ნების-ყობა. იქ ხალხი ამირანის ამაღლას ჩამორჩენილებივით არიან მდევის ნაფეხურებზე მიმოფანტულნი. იქ სიცოცხლეს სხვანაირია და სიკვდილიც თითქოს უფრო ადვილი. იქ ერთგვარი პანთეონია, სადაც ძველი სულის განძეულობა ინახება თამარის საფლავივით.

ვაჟა და ყაზბეგი, ეს ორი პოეტი მივიდნენ მთასთან ხევის დეკანოზებივით, მხოლოდ იმ გარჩევით, რომ ვაჟა რელიგიით მივიდა, ყაზბეგი კი — ეთიკით. ვაჟა მთების ჯანყში ჰხედავდა ლაშარს და ლოცულობდა, ყაზბეგი კი მთაში კაცს ეძებდა და აფიცებდა ხანჯალს და ძმობას. აი, აქ ისმის იგივე მორალური ხმა, რომელიც ალ. ყაზბეგს ათრობლებდა ბავშვობიდანვე, და რომელიც სახლიდან გააქცევდა. ეს გაქცევა ზემოდ მოვიხსენიე, როგორც ალ. ყაზბეგის შემოქმედებისათვის მეტად დამახასიათებელი ფაქტი. და მართალიც არის. მისი შემოქმედება გაქცევაა თავიდან ბოლომდე. აქ ჩვენ შეუძლებელია უნებლიეთ არ მოგვაგონდეს ბაირონის პარალელი, რომელიც სწერდა: „გაქცევა ჩემი თავისაგან ყოველთვის იყო ერთად ერთი მიზეზი ჩემი მწერლობისა“. ეს ნიშნავდა „იმავე გონებრივ მოძრაობის გაგრძელებას, რომელიც უამისად თავს დამატყდებოდაო“. ამავე სიტყვებით შეიძლება დახასიათდეს ყაზბეგის მწერლობაც. ალ. ყაზბეგმა, პირად ცხოვრებაში მალე იგრძნო „ბრწყინვალე“ ცხოვრების სიმშრალე და უშინაარსობა; იგი მალე დაიღალა ხელოვნურობის აუცილებლობით, ეტიკეტის მორჩილებით. მალე მიხვდა, რომ გართობა კიდევ არ არის ბედნიერება, რომ ადამიანი ელეგანტური თოჯინა არ არის, და რომ ბრწყინვალე „სალონების“ გარდა არის კიდევ სხვა ქვეყანა, სადაც ყველა ამის მაგიერ არის: რწმენა, სინდისი, ადამიანის უფლება და მართალი განცდები.



ის სინამდვილე, რომელიც ალ. ყაზბეგის თვალ წინ იყო გადაშლილი, მისი გაგებით, ყალბი იყო, იგი მიუღებლად ეჩვენებოდა, როგორც ზედმეტი „ცოდვით“ დამძიმებული; მის თვალში თანამედროვე ადამიანი უბედური იყო, და ამ უბედურებას ორი სათავე ჰქონდა: 1) ადამიანისა და ბუნების გაყრა ერთმანეთისაგან, 2) პიროვნების გათქვეფა იმ უსახეო მასაში, რომელსაც თანამედროვე ცივილიზაცია ჰქვია. აქ არის იმ დისჰარმონიის დასაწყისი, რომელიც პირველ-ყოფილ ცოდვასავით ღრღნის ადამიანის სულს, და მას ველარ იხსნის ჩვენი ქუთის პროექცია ვითომ-და „მკვდარ“ ბუნებაში შეჭრილი და გამცოცხლებელი. მართალია, ადამიანის ქუთამ გაიმარჯვა, და ქოხების მაგიერ მთასავით აყუდებული მრავალ სართულიანი სახლები მედიდურებენ, დაბერებულ ურმის ადგილას, ავტომობილი ჰსერავს და ნთქავს სივრცეს, კვარისა და ჭრაქის ნაცვლად ელექტრო ეფინება თვალ უწვდენ მანძილს, საწყალი გზირისა და შიკრიკის მაგიერ რადიოები მთვარესაც კი იჩემებენ და ამბის მოტანას გვპირდებიან იქიდან... მაგრამ ძვირად დაუჯდა ადამიანის ეს გამარჯვება: იგი ბატონი და შემომქმედი იმავე დროს მონად და მანქანის ნაწილად იქცა. და აი, ეს სინამდვილე შემზარავად ეჩვენა ყაზბეგს. მით უმეტეს, რომ გაზომილ ნაბიჯებით იგი ეჭრებოდა იმ ერთად ერთ მივიწყებულ კუთხეს, სადაც მითოსი კიდევ ცოცხლობდა, და „ღვთის პირით მოლაპარაკე ხალხი“ კიდევ აგონებდა „დაკარგულ სამოთხეს“. მოდიოდა ახალი საუკუნე, შეუბრალებლად, გულში ანგარება ედვა, და თავი კი დამძიმებული ჰქონდა უსირცხვო სარგებლის მზაკვრული ფიქრით. მართალია, ალ. ყაზბეგს ეს აზროვნება ამ სიტყვებით არ გადაუშლია, მაგრამ მის თხზულებათა დაკვირვებულ მკითხველს ასეთი მსოფლ-მხედველობა შერჩება ხელთ — ალ. ყაზბეგი მძაფრი სახეებით ლაპარაკობდა, ხოლო ამ სახეების ლოლიკური სქემა მხოლოდ ასეთ მსოფლ-მხედველობას იძლევა. მართალია, მისი რომანების სამყარო კაცობრიობის სამყაროს კერძო ნაწილია, მაგრამ ამ ნაწილში რა სულიც ბოხოქრობს და უარყოფის წყევლას ჰგზავნის ირგვლივ, იგივე სული სწყევლის ამ ბოროტების სათავეს საზოგადოდ. მივიდეთ ახლო.

\* \*

მივიდეთ ჯერ გარედან. ალ. ყაზბეგის შესახებ გავრცელებულია ზეპირი აზრი, რომ იგი ბუნების დიდი მხატვარია. ამ აზრს ბრჩილებების გაშლა უნდა. თუ ბუნებას ავიღებთ, როგორც სტატიკაში გაქვავებულს, უნდა ითქვას, რომ ალ. ყაზბეგი ასეთი ბუნების მხატვარი სულაც არ არის. ვაჟა-ფშაველა ამ მხრივ ისე დიდია, რომ ალ. ყაზბეგი მის გვერდით ვერ გამოჩნდება. მაგალითისთვის ავიღოთ შემდეგი ნაწყვეტი: „სასიამოვნო, გამაცოცხლებელი ნიავი, რომელიც განუწყვეტლივ დაჰქრის ამ ადგილებში, უგრილებდა შუბლს, და უახლებდა, უღვიძებდა დაღალულ გონებას მოგზაურებს. წმინდა, ანკარა წყაროები ჩამოჩხუხუხებდა და რალაც სიტკბოებით უალერსებდა კაცის ყურს. ჩიტებსაც გაელვიდათ და ჭიკჭიკით ქებას ასხამდნენ ბუნების ძალას. ყველა ისე რიგად იყო მოწყობილი, რომ კაცს ანატრებდა აქ ჩამოხტომას, მწვადის შეშიშხინებას და ცოტაოდენ თვალის მოტყუებას“ („ელგუჯა“).

ან ეს: „არშის სიმაგრე შუაში შეიცავს მშვენიერ მწვანე მინდორს, ათასი სურნელოვანი ყვავილებით, და ისეთი ცივის წყაროთი, რომ კაცს უკვდავება ეგონება!! („მამის მკვლეელი“).

„ბურსაჭირის ლელე ედემია, რომელიც კაცს დახურულ გულს გაუღებს, ჯავრს გაუქარწყლებს და სევდას ამორებს. ძნელად შესძლებს მგზავრის გული, როგორც უნდა მიეშურებოდეს, რომ აქ წუთს არ შესდგეს, წუთს არ გაგორდეს მწვანე მინდორზე და მეტის სიამოვნებით დაქანცული თავი წუთს თვალის მოტყუებას არ მისცეს“ („მოძღვარი“).

აიღეთ რომელი მოთხრობაც გსურთ, და ყველგან შეხვდებით ბუნების ასეთ აღწერას. აქ არ არის არც კლდეთა ფერებით ღრმა განცდების აფორიაქება, არც მთების სიდიადით

გამონვეული შიში თუ გაცემა, არც ფანტასტიკა ამ გაყინულ ქაოსის. და გიკვირს, რომ ადამიანი, რომელიც ასე შეზრდილი იყო მთასთან, რომელიც მუდამ მის კალთებზე ფიქრობდა და განიცდიდა, მაინც ასე გარეშე მაყურებლად დარჩა, და შორიდან მაყურებლად. მაგრამ ეს ჩვენთვის გასაგები ხდება, როცა უფრო ახლო ვიგრძნობთ ყაზბეგის შემოქმედების ბუნებას. ყაზბეგი სულ სხვა ქვეყნით იყო გატაცებული, და ბუნება მას სულაც არ უნდა მოეხსენებინა ისევე, როგორც მის გმირ მათიას („ელგუჯა“), რომლის შესახებაც ყაზბეგი ამბობს: „ასე ჩაფიქრებულიყო და მისციებოდა ერთს ალაგს. იქნება ის გაიტაცა ბუნების მშვენიერმა სურათმა, რომელიც იმის თვალ-წინ იხატებოდა? არა. ის იმ დროს არც იმ ამყად აყუდებულ მთებსა ჰხედავდა, არც მშვენივრად გადაფენილს ტყეებს, არც ნაჩხატებს, რომელიც ჩხრიალით თეთრ რძესავით ქაფდებოდა, გადმოდიოდა კლდეებიდან და ათას-წინწკლებად იფანტებოდა“... თვით ავტორიც ასევე ჩაფიქრებული იყო და მისციებოდა ერთს ალაგს, სადაც ძალა და სიმართლე ერთმანეთს შესჭიდებოდა, და ეს უკანასკნელი ძლეულიყო. ეს არის, ჩემის აზრით, ერთად ერთი პასუხი. თორემ ყაზბეგს შეეძლო უფრო მაგარი და გამძლე სიტყვების მოძებნა ბუნების დასახატად. აბა, ნახეთ, როდესაც ბუნება ერთგვარ უნისონად უერთდება მის კალთებზე გამართულ ხევის ტანჯვას, ალ. ყაზბეგი რა შეკრულ ტყვიასავით ფრაზებს ისვრის: „გაგულისებული ნისლი უშიშრად ამოდიოდა დედა-მინიდან, და ოხშივარსავით ეფინებოდა მინდორს“...

„ზარის ხმა დანოტიებულს, გაჟღენთილ მძიმე ჰაერში როგორღაც მწუხარედ ყრიალებდა“. ნახეთ, როდესაც ბრძოლით ანთებულ იავოს და კობას, რომელთაც ნუნუ მიჰყავთ, ავტორი ამოაფარებს კლდის კიდობანს და ასეთ სურათს აჩვენებს: „ფულურო კლდეები იშლებიან, მოგორავენ, ელავენ, და ქვევით, ხევში, კლავ კლდესავით ედებიან ერთმანეთს. აქ ქვეებს ზედ ეფარება შავი ქვიშა“ და სხ... უცბად კლდიდან გადმოსკდება სრიალით წყალი, და თავისით ამბობს: „იქამდის ძლიერი და ჩქარი იყო იმისი მსვლელობა, რომ ვერა ქვა, ვერა კლდე ვერ აყენებდა იმის მდინარებას, და წყალი, ქვიშა, აუარებელი ლოდები, რომელიც თითო კლდედ ჩაითვლებოდა, არეული და გაზელილი ერთმანეთში, მიეშურებოდა თავექვე მიგროვებულ ქვიშასა და ქვის კლდისაკენ. იქ შემამგრებული კედელი გაუძალდებოდა წუთს და ბოლოს, ისიც დამორჩილებული, გაერეოდა ახლად და ახლად მოსულ ძალას და დამაყრუებელის ხუილით, ქვების ერთმანეთზე ლესვით, ფშვნეგით და ხრიალით ჩადიოდა თერგში, რომელსაც თითქოს კისერზედ შემოიგდებდა. თერგიც ებრძოდა თავის მხრით, ახტებოდა ზედ, გადადიოდა“... აი, ეს გამძაფრებული დინამიკა იზიდავს მას, და აქ ლესავს იგი ბრძოლის გუნებას. ამას ამბობს კიდევ: „კაცმა უნდა ნახოს ეს ორი ძალა, ჯვარედინად შეტაკებულნი ერთმანეთს, უნდა ნახოს იმათი ბრძოლა, აქაფება, იმათი ხრიალი, ჩქეფა და ტალღების ჰაერში სროლა, რომელიც ათას ნამქერად რამოდენიმე საყენის სიმაღლეზედ იფანტება ჰაერში, — რომ შესძლოს წესიერად დაფასება ამ დიდებული სურათისა. აქ თქვენ ჰხედავთ ძალას, ტირილს, კვნესას, მუქარას, ღრიალს, ბრძოლას ერთმანეთში არეულს და იქამდისინ მიჰყევხართ, რომ რაღაცა გულის კანკალით თითქოს თქვენც გინდათ ჩაერიოთ ამ უცნაურ ბრძოლაში“ („მამის მკვლეელი“). ბუნებას იგი კიდევ ახსენებს მაშინ, როცა მისი გმირებისთვის ბარიკადად იქცევა და ინახავს. აბა, ნახეთ, მაშინ როგორი გატაცებით სწერს. მაგრამ ციტატები კმარა. ყაზბეგი დამოუკიდებელ ბუნების მხატვარი არ არის. ამ დიდი ნატურის წინაშე იგი მუხლს არ იდრეკს, რადგან არა სწამს სტატიკაში გაქვავებული ბუნება, იგი ვერ გრძნობს მას, თუ ვერ იცლის საიმისოდ, და მოძრაობის სტიქიაში შეჭრილი, ბრძოლაზე დაფიცებული მხოლოდ იმ ბუნებისათვის იხსნის პირს ხანჯლით, რომელიც ამ დიდი ბრძოლის დამტევი და გადამტანია. ბრძოლა ალ. ყაზბეგის სტიქიაა, და ნაჭედ სიყვარულით ის უყვარს, ვისაც ეს ბრძოლა „კისერზედ ჰქონდა შემოგდებული“. ეს „ხევი“ იყო.

\* \*

ალექსანდრე ყაზბეგს იზიდავდა ხევის ტრაგედია.

მისი მხატვრული მხერვა იტანჯებოდა იმ სანახაობით. ხალხი, რომელიც ზეცას დაახლოვებოდა, ირყეოდა ადგილზე უნებურად, და გარედან შემონოლილი უსამართლო ძალა უმართავდა სისხლიან ნადიმს.

ეს ტრაგედია ალ. ყაზბეგს მეტად ენერგიულად აქვს გამოთქმული ხევის ბერ გოჩას სიტყვებში, რომელიც თავის ახალგაზრდა შვილს, ონისეს მიმართავს: „არ დაივინყო, რომ სადაც შენი მამა-პაპა გაჩენილა და დამარხულა, სადაც მათი ძვლებია ჩაფლული, იმას გედავებიან და არ დაანებო...“ ამ სიტყვებშია მოცემული ალ. ყაზბეგის შემოქმედების დედა.

ალ. ყაზბეგს არ შეეძლო ფატალურად აჰფარებოდა შეუმჩნეველობის ან გულგრილობის კედელს. იგი მაღლა ადიოდა, და შემოქმედების კოშკიდან დასცქეროდა ძირს დაგდებულ დროშას. მის არტისტულ თვალთ ნინ გაშლილი იყო ჯერ სისხლ-შეუმშრალი ბრძოლის ველი, სადაც გამირთა ცხედრები ეფანტა. „ზოგი მათგანი, ახლად აშლილი წვერ-ულვაშით, თითქოს გალიმებული პირისახით დასცინოდნენ ხალხის ამდენ უსამართლობას და ველურ ქცევას. ზოგს ვაჟკაცურის მკერდიდან ჩამოენწყვიტათ საკინძი, და თითქოს განგებ გამოეჩინათ თავ-თავიანთი ვაჟკაცური ჭრილობა“ („ელგუჯა“). და ამ ხალხის ფანტასტიკის თუ ფანტასტიკის ხალხის ჩვენება მთელ ქვეყნის დასანახად, ეს იყო ალ. ყაზბეგის შემოქმედებითი ამოცანა. იყო დრო, როცა ეს ხალხი, თემის სახით პიროვნებად ქცეული, იყო თავის-თავად, ბუნებასთან სულ ახლო მისული, მისებრ წმინდა, გამძლე, მარტივი და იმავე დროს რთული. იყო როგორც პირველყოფილობა, შინაგანი ძიებით ამაღლებული და შინაგანი მიგნებით განმტკიცებული. იყო როგორც თავადჩასახული და მნიგნობრობის გარეშე შექმნილ კულტურის ნათელი მატარებელი. მაგრამ ისტორიას თითქოს შეურაცხყოფად ეჩვენა მის გარეშე დარჩენილთა არსებობა და ასე მაღალი. თითქოს საზოგადო კულტურას შერცხვა ამ ავტონომიური ცოტა ხალხის დიადობის, რომელნიც მისით თავ-მომწონებს გამოადგებოდათ გვირგვინად, და ცივილიზაციამ მოაყენა თავისი კაცების დიდი ჯარი. ჰხდებოდა ლერმონტოვის მუქარა, მყინვარისადმი მიმართული. მოდიოდა ახალი კაცი, რომელსაც სწადადა კლდეთა კბილებზე ორთქლ-მფეთქავ მღვიმეთა აშენება, ხეობის გულში წერაქვის დარტყმა, მთის მკერდის გატეხა, საშინელ გზებით დასერვა და ოქრო-თუჯის სამეფოდ გადაქცევა. ამ აზრით მოდიოდა ეს ცივილიზაციის კაცი, და იმავე ცივილიზაციის სახელით ანადგურებდა ყოველივეს ოქრო და თუჯი.

„ქვეყნად მთელ ხალხის მოდგმას სწამს ერთი სამღვთო კერპი“. ეს კერპი დიდ მსხვერპლს მოითხოვდა. თემს, ხევს უნდა თავი მოეკლა, თორემ მოჰკლავდნენ. ადგილი უნდა დაეცალიერებინა, ცივილიზაციას სჭირდებოდა. თემმა არჩია ისევე თავი მოეკლა, მაგრამ ისე, რომ სახელი გასძლოლოდათ იმ ქვეყანაში. ამ თვით-მკვლევლობას ის თვისება აქვს, რომ უკანასკნელი ტყვია არის გმირისა, ყველა სხვა კი მტრის.

მძიმეა ეს თემა და მტკივნეული. მიტომ არის, რომ ყაზბეგს ყველა მოთხრობაში ისე აქვს ხმა გამძაფრებული, რომ გეჩვენება, თითქოს იგი ჰკივის რალაცას, სიტყვით გამოუთქმელს, მოფიქრებულს კი არა, გზნებით განცდილს. და ჰკივის იმიტომ კი არა, რომ რაშიმე იყვეს დაინტერესებული, არამედ მიტომ რომ გულის ჭრილობიდან სისხლი ეღვრება, ცრემლი არა აქვს და წყევლასაც ველარ ამბობს, სპაზმები აღრჩობენ.

იგი ანთებით სწერდა, ექსპრესიით, სწერდა მომაკვდავის შესახებ, რომლის სიცოცხლეს მხოლოდ ოცნება დაჰპატრონებოდა. მიტომ არის, რომ მის ნაწერებში ისმის მეოცნების გამუდმებული ფრთების მტვრევა და სასონარკვეთილი ძახილი.

\* \*

ალ. ყაზბეგის ესთეტიური თვისების შესახებ უნდა ითქვას, რომ მისთვის სამყარო თითქო ორად არის გაყოფილი: კატეგორიულად უარსაყოფი და კატეგორიულად მისა-



ლები. კითხულობთ და გეჩვენებთ, თითქოს ამ ორ მხარეთა შორის ისეთი უფსკრულია გავლებული, რომ მათი შეერთება დაუნგრევლად წარმოუდგენელია. ან ჰო, ან არა, ასე რადიკალურად მოდის ყაზბეგის ჩვენებათა ჩქერი, დაუნდობელ ძალით გეჭრებათ სულის სიღრმეში, წარგიხოცავთ ყოველგვარ ეჭვებს და გეუფლებათ. უნდა მიიღოთ ის ქვეყანა, რომელიც ავტორს ჭირვეულად უყვარს, და მასთან ერთად ამხედრდეთ იმ ძალის წინააღმდეგ, რომელიც მაღალ სიცოცხლეს აუკაცურებს. აქ აღარ არის სინამდვილე, რადგან სინამდვილეში გრადაციებია. ხოლო ყაზბეგის ძალაც იმაშია, რომ სინამდვილე სძლია, და ესთეტიურ მახვილით მოაშორა მას საშუალო უნდელი ადგილები. გრადაციები დეტალები არიან. მხატვრული მზერა კი თვალმოხუჭულია, რომ ეს დეტალები დაიკარგნენ და უფრო მკაფიოდ გამოჩნდნენ მთავარი ხაზები. რასაკვირველია, ალ. ყაზბეგს, როგორც დიდ მხატვარს და იმავე დროს, თუ ვნებავთ, დემონიურს ტემპერამენტით, არ შეეძლო ამ გარდასავალ წერტილების ძიება, და გონებრივი სიღინჯით ანალიზის წარმოება.

ისეთ ელვა-ნაკრავ შემომქმედს, როგორიც ალ. ყაზბეგია, არც კი შეეძლო შუქის და ჩრდილის მკაცრ დაპირისპირებათა გარეშე სახეთა ხილვა თუ წარმოდგენა. იგი აფექტებით შეპყრობილი მწერალია, და მიტომ ორი ფერი ჰყოფნის მონოლილ ტანჯვის სათქმელად. ამ ორი ფერით ისაზღვრება მისი მსოფლ-მხედველობა, მისი მსოფლიო-გაგება ამ ორ პოლიუსს შორის არიან მიქცეული, და რადგან ალ. ყაზბეგი ეთიურად იღებს ქვეყანას, ამიტომ მას ორი ხასიათი აინტერესებს: ცივილიზაციის მორალური გნომი, რომელსაც ყველაფერი მიწაზე აქვს განართხული, და „პირველყოფილი“ თემის მორალური ზეკაცი, — ცას რომ ებჯინება მართალი. იგი ბოროტს ჰხედავს, მაგრამ არა ობიექტიურ-ესთეტიურად რომ ეჩვენებინა მისი პათოსი და სიდიდე, არამედ მორალურად, რომ ხელშესახები გაეხადნა ამ ბოროტების სიბინძურე და უკაცურობა.

ასევე ექცევა კეთილს. აიღეთ მისი ვაჟკაცი გმირები: ელგუჯა, სვიმონი, გუგუა, იაგო, კობა, მოძღვარი, გოჩა, ონისე და სხ... ან ქალები: მზალო, ციკო, ნუნუ, მაცვალა, ელისო და სხ... თქვენ უცქერით მათ დუელს ისტორიასთან და ბედისწერასთან და მათ ნაკლს ვერ მოუძებნით. ეს თქვენს ხელთ აღარ არის, რადგან ავტორმა უკვე დაგიმორჩილათ, გაგატარათ „განმენდის“ ალში და გაცქერინებთ არა იმ „ცოდვიანი“ თვალებით, რომელიც დაბინდულია ცივილიზაციის სკეპსისით, არამედ პირველყოფილი, უშუალო „უცოდველ“ ადამიანობით. ალ. ყაზბეგი თავის გმირებს ყოველთვის ისეთ მდგომარეობაში აყენებს, რომ ყველგან სჩანს დიდი ენერჯია, სინამდვილე და თავ-განწირვა. ეს კი სწორედ ის თვისებებია, რომლებიც წაგვერთვა სისაღეს მოკლებულ ცივილიზაციის ძალით და დაგვრჩენ მხოლოდ როგორც მიბნედილი მემკვიდრეობანი. და ის, რაც ჩვენთვის დაკარგულია, გამახვილებული და გართულებულია ყაზბეგის გმირებში, რომელნიც უნდა გადაეშენებინა ახალ დროს.

ალ. ყაზბეგი გადმოცემის მხრივაც პოლიარულია. იგი არასოდეს არ ხატავს ტიპებს, რადგან გმირთა შორის ტიპი არ არსებობს. იგი ან პიროვნებას ამოქმედებს, ან მასსას. სხვათა შორის მასსიურ მოძრაობის გადმოცემაში შეუდარებელია.

როგორც უკვე ვსთქვი, დინამიკა იზიდავს მას და სადაც ამას ჰხედავს, მედგარი სიტყვა ებადება. თემის ყრილობა, დამწყალობნება, სახალხო განჩინება, საჯარო ბჭობა, ფიცი და ყველაფერი, სადაც მასსა მოქმედობს, ფიქრობს, განიცდის, ყველგან მაგნეტიურობა ძლიერდება. თვით ავტორიც განიცდის ყველა ამას, ხშირად სიტყვებიც ეკარგება, მაგრამ ამ ენის დაბმაშიც იმდენი მეტყველებაა, რომ ავტორი სანადელს აღწევს. შთაბეჭდილება მართლაც დიდი რჩება. ბოლოს „მოისმა სიმღერის ხმა, და გამოჩნდნენ დეკანოზები დროშებით, რომელთაც სამასამდე შეიარაღებული ხალხი, ქუდმოხდილნი, სიმღერით მოსდევენ. ეს ხმა იყო რალაც დიდებული, ვაჟკაცური, მაგრამ შემანუხებელი, რომელიც შიგ გულის საძირკვლიდან მოსწყდებოდა და მაღალის ბანით გრგვინვასავით გაივლიდა“. ამ სიტყვებს წინ უძღვის ამ მსვლელობის განგაშის აღწერა. აქ ყაზბეგი ძლიერია, მაგრამ

თითონაც უცქერის ამ სურათს კიდევ ერთხელ, უნდა დაეხმაროს მკითხველს, აუხსნას, მაგრამ ენა ებმის.

აი, კიდევ ერთი მაგალითი: „კიდევ რამდენიმე წუთი ასე ქუდ-მოხდილები დარჩნენ და ამ ვედრებაში იყო რალაცა დიდებული, რალაცა მუქარა, რალაცა იმედი და ნუგეში...“ ვინ იტყვის, რომ აქ ენა-ბლუ კაცი არ ლაპარაკობს? ერთ ფრაზში სამი „რალაცა“, სამი სიგნალი. მაგრამ იმასაც ვინ იტყვის, რომ ამ სიგნალს იქით არ იმალება მართლა დიდი „რალაც“, არა როგორც უსიტყვობის საშუალება, არამედ, როგორც, თუ გნებავთ, დიდი განცდა, დიდი სულის შემონოლა და უხილავის ყოვლის დამტევი კალთა. ეს აძლევს ყაზბეგის შემოქმედებას ძალას.

\* \*

ახალ ქართულ მწერლობაში არ არის მეორე პოეტი, როგორც ყაზბეგი. რომელსაც ასეთის სიმძაფრით ჰქონდეს ასახული ეროსი, მისი პირველყოფილი სიქალწულით და სტიქიურობით. ყაზბეგმა თემის, ხევის სიკვდილის ტრაგედია გაშალა ეროსის ფონზე და ამით ორი სიმძაფრე შეახალა ერთმანეთს. საბედისწერო დაღუპვა ორივე მხრივ: სიკვდილით და სიყვარულით. ხევი იფშვნება ნოტიო კლდესავით, და ეს შავი ქვიშა კვლავ კლდესავით სდგება ვით ხელ-უხლებელი მონუმენტი და სიყვარულის ქვეშ იტანს. ხევის ჰკლავენ და ეს მკვლევობა გააღმასებულია სიყვარულის კალთაზე.

ნურავის ეჩვენება აქ ის ჩვეულებრივი რომანების ფაბულა, რომელიც ნაანგარიშევი მიმზიდველობისათვის. არა, აქ არის არაჩვეულებრივი შეხორცება ქალის სახით ყოველივე იმისი, რაც მის გმირებს გააჩნიათ ღრმა, მაღალი და დაუთმობელი. აქ მარტო სქესობრივი სიყვარული არ არის, აქ საკუთარი მეობის მწვერვალია, კონცენტრაციაა ყველა იმ ინტიმიურ საიდუმლოებათა, რომელნიც შეადგენენ ადამიანის ფას-დაუდებ საუნჯეს. მიტომ არის, რომ ყაზბეგის შემოქმედებაში ეს სიყვარული რალაც საშინელია, მოზღვავებული ლავა. აქ თითონ ხევის პირველყოფილი სულის გამოჩენაა და განწირული თვითმკვლევობა.

ეროსი აქ თითონ თემის წიაღიდან იშვის და იგი ერთგვარად განსაზღვრულია თემის ტრადიციების ბატონობით, მაგრამ მიაქციეთ ყურადღება, რომ ეს ბატონობა არ ვრცელდება პიროვნების სულის ფესვებზე. ინდივიდუალობა მაინც არ არის შედეგებული. რა უყოთ, რომ ეს თითქოს ძველი ჩვეულებებია. ცხოვრების პირველ-ყოფლობა. სამაგიეროდ აქვე არის ინდივიდუალობის გამახვილება. ალ. ყაზბეგიც სწორედ იმისთვის მისტირის მის თვალ-წინ მომაკვდავ თემის დაშლას, რომ აქ ეგულება პიროვნების თავისუფლების ძვირფასი პირობა.

\* \*

არის ერთი მომენტიც ყაზბეგის შემოქმედებაში, სადაც უპირისპირდებიან ერთმანეთს ძველი და ახალი. ე. წ. „კულტურა“, რომელიც თავის ბრჭყვიალით ბევრს აბრმავებს, ე. წ. „ველურობა“, რომელიც თავის უჩინარი ამალგებით ხშირად ჰგრეხავს ამ „კულტურის“ გადაშენებულ სხეულს. ეს მომენტი — დანაშაული და სასჯელი. აქ არის ძველის დაპირისპირება, სამართალში და სასჯელში სჩანს ადამიანის კულტურა. ყაზბეგის აზრით ცივილიზაციამ შემოიტანა მორალური გახრწნა. მათ ხელში ადამიანი გეომეტრიული სხეული იყო, და არც უნდოდათ და ვერც ხედავდნენ ადამიანის შინაგან ქვეყანას. იქ სინიდისი ყაზბეგის სიტყვით, „დაქირავებულიც“ კი არ ჰქონდათ. სულ სხვა იყო თემი. აქ სასოებაა, შიშია შეცდომისა, აქ დამნაშავე საფლავიდან ლაპარაკობს და მსაჯულებიც „ღვთის პირით“ ეკითხებიან.

ნათქვამი აშკარავდება შემდეგი დაპირისპირებით, რის მსგავსი მაგალითებიც ყაზბეგის ნაწერებში ბევრია. „მოძღვარში“ ონოფრეს, 70 წ. კაცს, მღვდელს, მკვლევობა და-

აბრალეს ქალისა, მაყვალასი. „დიდი ხანი იყო, რაც მოხუცი ციხეში დაეჭირათ, რაც განუწყვეტლივ მასთან გამომძიებელნი დადიოდნენ და ათასის კითხვებით თავს აბეზრებდნენ“... სასამართლოში კი ონოფრეს გამოუცხადეს: „აეყაროს ღირსება, პატივი, და ოცდაოთხი წლით გაიგზავნოს კატორღაში...“ ასეთი იყო ახალი სამართალი. მაგრამ ნახეთ, იმავ „მოძღვარში“ როგორ ასამართლებს თემი ნამდვილ დამნაშავეს:

„თემს რომ გაძლიერებული ენახე, გაუტყეხელი, თავმოუხრელი, ჰაი ჰაი, რო გიჩვენებდა ძალასა: მოგგრებდა და მოგტყეხავდა. მაგრამ ეხლა ხელს არ გახლებს, მაგრამ თემობაშიც ვერ მივიღებს... წადი იცხოვრე, იცხოვრე, სადაც გინდა, როგორც გინდა“... ყაზბეგი ამ ორ გასამართლებას არ უპირისპირებს, მაგრამ აშკარაა, რომ აქაც დაპირისპირება არის ნაგულისხმევი, და ალბად დარწმუნებულიც იყო, რომ მკითხველისათვის მან აშკარად გახადა ის, რაც ასე ძალუმად სწამდა და ატირებდა. ეს ახალი სამართალი იდგამდა ფეხს. მთელი ეს გმირთა წყება, რომელნიც იტანჯებიან უმიზეზოდ, ისჯებიან უდანაშაულოდ, ამ „ახალი დროების“ გამოფენილნი არიან, ისინი ჩვენ გვიზიდავენ ძარღვებით, თვალებიდან გვიხსნიან ბისტს და სულ ახლო მისულეები, აცრილი თვალებით ვხედავთ იმ ყოველი უჯრედის ციებ-ცხელებას, რომელიც სტანჯავდა ჩვენს მწერალს, აქ ესთეტიკა კი არა, აქ ტანჯვისა და გამძლეობის საშინელი ფანტასტიკაა.

\* \*

დასასრულ ერთხელ კიდევ ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ ყაზბეგის შემოქმედებაში ეს დაპირისპირება „ძველისა“ და „ახლისა“, თემისა და ცივილიზაციისა მოკლებულია კერძო ხასიათს. აქ, მართალია, კონკრეტულად დასახელებულია ერთი მხარე, რომლის „ცივილიზატორები“ ჰლახავენ თემის სინმინდეს, მაგრამ აქ მხოლოდ ზოგადი მოვლენის კერძო სახეა. ალ. ყაზბეგი იმაზე კი არა სწუხს მხოლოდ, რომ ანადგურებენ საქართველოს ხევის სახით, არამედ იმას, რომ ხევი იშლებოდა რაღაც ახალი ძალით და ამ დაშლას ჰქონდა ფატალური ხასიათი. მას არ სწამდა ეს ცივილიზაცია, ეს „ახალი“ საზოგადოდ, „ევროპიული“ მასშტაბით, და რომ ეს ასეა, ამის საჩვენებლად აღვნიშნავთ კიდევ ერთ ადგილს: — „გამოჩნდნენ „განათლებული ევროპეელი“, რომელთაც მოისურვეს შეებმა „აზიურ განათლებლობასთან... მაგრამ განა თუმნები იქ სახსენებელია, სადაც ევროპიულ განათლების გავრცელება უნდათ აზიურსა, ველურსა და ბრიყვ ხალხში?“ („ელურიძე“).

დიახ, ალ. ყაზბეგი ირონიით და შიშით უცქერდა ავი „ახლის“ სიმშრალეს, და ადრევე ჰქონდა გამოტანილი მისთვის საბრალმდებლო განაჩენი. შეიძლება, ეს ზოგისთვის არ იყვეს დამარწმუნებელი, შესაძლოა, აქ ვისმეს ყაზბეგის სიტყვებში უბრალო რიტორიკა მოეჩვენოს, მაგრამ ამას აბათილებს ალ. ყაზბეგის სიტყვისა და საქმის გათანასწოლება: ალ. ყაზბეგი, ეს დიდი სალონების ბრწყინვალე კავალერი, დაუზოგველი დარდიმანდი, გამოეხვია ხევიურ ყისინაში და შეუდგა მთას, როგორც მორიგი მწყემსი, შემდეგ სარქლად ამორჩეული. მხოლოდ იშვიათად თუ ალაპარაკდებოდა მთაში ფრანგულად, ტურისტებთან შეხვედრის დროს, სადაც ფარული ირონიით აბათილებდა ამ განათლებულებს. „წარმოიდგინეთ იმათი გაშტერება, როდესაც რაღაც უცნაურს და ველურ მთებს შორის, სადაც იმათი შეხედულებით ბარბაროსები ცხოვრობენ, რომელთაც ათზე მეტი თვლაც კი არ იციან, ერთბაშად უბრალო მთის კაცი ფრანსიულად ელაპარაკება!“ ყაზბეგმა სრული შეგნებით აუქცია გზა ამ ცივილიზაციას და მიაშურა იმ ხალხს, სადაც „პირი-მზეს“ ლოცულობენ, ის ხალხი არჩია, ვისი რწმენითაც „ვაჟია ნაჩეხი სჯობიან“, მაგრამ იჩხებებიან თავისუფლებისა და მართალ ვაჟკაცობისათვის.

## უცხოეთის ლიტერატურა

შარლ ბოდლერი.

### ჰიმნი მშვენიერებას

ვინ ხარ? ქვესკნელის თუ სამოთხის იდუმალება?  
ო, შენი ცქერა ღვთაებრივი და ეშმაური!  
ბოროტებასთან თვით სიკეთე შიგ იმალება,  
და ისე გვათრობს, ვით შხამიან ღვინის ხმაური.

შენს ღრმა თვალებში იძირება ბევრი დაისი.  
როგორც გრიგალი არომატებს უზომოდ აქცევ.  
შენი ტუჩები ამფორაა უზენაესი,  
რომ ვაჟკაცს — მონად, და ვაჟკაცად — ბავშს გადააქცევს.

ვარსკვლავებია თუ უფსკრული შენი სავანე?  
თვითონ დემონი მოგდევს, როგორც ძალი მშვიერი.  
სევდას და ზეიმს მიმოფანტავ — ამპარტავანი.  
ყველგან მბრძანებლობ, ულმობელი, მუდამ ცბიერი.

საშინელება შენ გამშვენებს, ვით ბრილიანტი.  
ვით ძვირფასი ქვა შენს მუცელზე როკავს მკვლელობა.  
მარად ღიმილით მიაბიჯებ გვამებზე — ზანტი,  
და შენს სახეში არის მხოლოდ უდარდებლობა.

სათუთ პეპელას მიიზიდავს ავი სანთელი,  
და თუმცა ინვის, ის აკურთხებს სიკვდილის ნუთებს.  
როცა მამაკაცს ვნებიანი სწავს ჟრუანტელი,  
თავის სიყვარულს, როგორც კუბოს გულში იხუტებს.

ხარ ქვესკნელიდან, თუ ზეციდან, მშვენიერება,  
ეს სულ ერთია! შენ იხსენი ჩემი გონება.  
მარადისობის მომანიჭე ბედნიერება,  
და თუნდ ქიმერას, ჩემი სული შენ გემონება.

ხარ ანგელოსი, თუ სირენა? ეშმა თუ ღმერთი?  
ეს, დედოფალო და ფერია, არის სულ ერთი.  
შენ მევლინები მთელი შენი ფერისცვალებით,  
და მე განვიცდი ამ ქვეყანას ნაკლებ წვალებით!

თარგმანი ფრანგულით  
ვალერიან გაფრინდაშვილისა

ემილ ვერჰარნი.

## ქარის ქება

— შენ ყველა გზებზე დარბიხარ ქშენით,  
ქვეყნებს უზომავ სიგრძეს და განებს.  
მიუსაფარო! სად მიგაქანებს  
გაუტეხელი ეგ სული შენი?

— მიყვარს მე სივრცე, ჰაერი, თოვლი;  
საით წამიყვანს მე გზა რომელი?  
ვარ მე ქარივით დაუდგრომელი  
და ბედნიერი სამყაროს მოვლით.

— მზის ქვეშ ცეცხლივით მწველია ქარი,  
მაგრამ სახლში კი მუდამ გრილია,  
ის სასტიკია, სავსეა შარით,  
და ყვავილების ლამაზი ჯარი  
მის წინ ყოველთვის თავდახრილია.  
ბრვე დედამინის ოთხივე მხარე  
დრო გამოშვებით ალებენ კარებს,  
და როგორც ბურთებს ოქროს ხელებით,  
ხან მოფერებით, ხან გახელებით,  
ისვრიან ქარებს.

— განვლო მესსინა, მადეირას ცხელი ბალები,  
მისი გაფრენა მთაგრეხილებს ცეცხლად ედება.  
მწვანე ნალკოტებს შემოარტყა წელზე ღვედებად  
მკვდარ უდაბნოდან დახვეტილი ქვიშის ტალღები.  
ის მოილალა, დაქანცული ფრთები დაჰხარა,  
სუნთქვას იბრუნებს ყვავილებზე თავის მიდებით,  
ამ დროს მან უკვე ინახულა პირამიდები  
და მკერდზე მტვერი დაბერებულ სფინქსს მიაყარა.  
— მაგრამ დგებიან სხვა ამინდები:  
წვიმის პერანგით და ნისლების რუხ ნაფლეთებით  
ქარმა უეცრად გადურბინა ველს დაფეთებით.

— აი, დასტოვა ჩრდილოეთის უსხივო ბუქი,  
გადმოიარა შოტლანდია და ბრიტანეთი,  
სადაც მუნჯი ცის სიღრმეებით და სიგანეთი  
ნელა გადმოდის ვარსკვლავების ფერმკრთალი შუქი.  
ის ჟერსეიზე სულს უბერავს დათრთვილულ ხასვეებს  
და კლდის ნაპრალებს ღმუილით ავსებს.  
ეს არის ქარი უსინათლო; ჰკვნესის და ჰგოდებს,  
ოკეანეზე გზადაბნევით დაიწყებს ტრიალს,

მაგრამ, როგორც კი წაანყდება კლდეებს ან ლოდებს,  
ფაფარ-აყრილი უფსკრულები ასტეხენ ღრიალს.

— როდესაც მინდორს გაზაფხული ყვავილით ჰფარავს,  
ქარი ჭრელ ნოხებს დაუნდობლად ჰყინავს და ზარავს.

— აჰა, მოვიდა  
თეთრად ნაშენი მოსკოვიდან,  
სადაც ელავენ გუმბათები და ძველი კრემლი.  
გაანჩხლებულმა და თვალეზე სიბრაზის ცრემლით  
ველს გაუყარა მან კბილები და უკრაინით  
გადაიტანა გერმანიის გულმკერდზე აფრა,  
რომ შემდეგ ჩუმად დაიცალოს იდუმალ ზღაპრად  
იქ, სადაც მძიმედ მიაქანებს ტალღებს რაინი.

— იგივე ქარი ცივ ზამთარში მოთეთრო ღამით  
მაღალ სივრცეებს აქანავებს და ავსებს შხამით.

— გახლებული თავანყვეტილ გამოქანებით  
ის წამოვიდა შორეული პოლიუსიდან,  
სადაც სიჩუმის სასახლეებს ყინვის ბანებით  
მან თავის ფრთებით დაპენტილი თოვლი უზიდა.  
შეეხო ურალს, გაახვია ბურანში ზუნდი,  
მოინახულა ატლანტიკა და გრენლანდია,  
შემოაღენა მას გარშემო ყინულის ხუნდი  
და ზღვებს ჭაღარას გადახადა თეთრი მანტია.

*თარგმანი ფრანგულით  
კონსტანტინე ჭიჭინაძისა*

კოლ კლოდელ.

## წმიდა საკითხავი

იყო ეს საღამოს ლოცვის დროს?

— ტადარი ნოტრ-დამის,  
მწუხრი, ყვითელი ბურუსი, გემების სტვენა,  
და ჟენევიევის ტირილი ქალაქზე?

ან ბოსტონის ქუჩა მწვირიანი?

ან კერპების წმიდა სამლოცველო,

და ქურუმზე —

ჩინეთის ძველი დინასტიის თავის-საბურველი?



ან პრაგაში მორთული ტაძარი,  
სადაც მოოქრვილი სარკმელი სიცილად იღვრება,  
სადაც ანგელოზთა გუნდი ჩამომსხდარა,  
როგორც მოქანცული ჩიტები გაფრენის შემდეგ?

ქრანკფურტი თოვლით დაფენილი?  
ან ჰამბურგი, რომლის ვიტრინებზე ეცემა წვიმა?  
ან საფვარე ნიში, ამართული სადგურებს შორის,  
და ორის მხრივ მინაშენ დუქნებით?

კვამლი — დამწვარი საკმევლის;  
დილა — სინათლის ოქრო;  
წიგნი საიდუმლო სიკვდილ-სიცოცხლისა —  
ძვეს ანალოეზე.

ალივსე სასოებით!  
რომ ყოველი გაიგო, ყოველივეს რომ მისწვდე ამ ქვეყნად, —  
საკმაოა ჩანიშნულ ადგილას გაშალო ფურცლები  
და კერეონი-სანთელი ახლოს მიიწიო.

ვხედავ სანთელის მტვირთველს; მის სახეზე სინათლის თრთოლვა ალად ეფინება;  
ვხედავ, — კეთილმა მწყემსმა, დახრილი თვალებით, განათებული განახვნა ბავენი.

*თარგმანი ფრანგულით As.*

ანატოლ ფრანსი.

## პროკურატორი ურიასტანისა

ლ. ელიუს ლამია დაიბადა იტალიაში წარჩინებულ დედ-მამისაგან. ჯერ პრეტორის კაბაც არ გაეხადა, როდესაც ათინას გაემგზავრა იქაურ სკოლებში ფილოსოფიის შესასწავლად. შემდეგ დაბინავდა რომს და აქ, თავის სახლში, ესქვილინზე, შეუდგა თავზე ხელაღებულ მოქეიფე ყმანვილებთან ერთად აღვირახსნილ ცხოვრებას. მას ბრალად დაედო კონსულ სულპიციუს ქვირინუსის ცოლთან, ლეპიდასთან, სათაკილო დაახლოვება. დაუმტკიცდა ეს ბრალდება და გაძევებულ იქმნა ტიბერიუს კეისრის მიერ. მაშინ იგი ოცდამეოთხე წელში გადადგა. თვრამეტ წელიწადს იყო გაძევებული და ამ ხნის განმავლობაში მოიარა სირია, პალესტინა, კაპადოკია, სომხეთი და კარგა ხნობით დარჩა ანტიოქიასა, ცეზარეასა და იერუსალიმს. ტიბერიუსის სიკვდილის შემდეგ, კაიუსი რომ ავიდა ტახტზე, ლამიას ნება დართეს ქალაქს დაბრუნებისა. ის კი არა, ჩამორთმეულ ქონების ნაწილიც კი დაუბრუნეს. გავლილმა ჭირვარამმა გონიერად გაჰხადა იგი.

ის გაურბოდა ყოველგვარ კავშირს თავისუფალ ყოფაცქევის ქალებთან, სულაც არ ეტანებოდა სახელმწიფო თანამდებობას, ერიდებოდა პატივსა და დიდებას და ცხოვრობდა თავისთვის ჩუმად საკუთარ სახლში, ესქვილინზე. იგი სწერდა ყოველსავე, რაც კი



ღირსშესანიშნავი რამ ენახა თავის შორეულ მოგზაურობის დროს და, როგორც თითონ იტყოდა ხოლმე, განვლილ ტანჯვა-წვალებით აწინდელ ცხოვრებას აფერადებდა. ამ მშვიდობიან მუშაობაში და ეპიკურის წიგნების გულმოდგინეთ კითხვაში უეცრად სიბერეც შემოეპარა. ამან ცოტა არ იყოს გაანცვიფრა და დააღონა კიდეც იგი. სამოცდა მეორე წელიწადში იყო, როდესაც აბეზარა სურდოთი და უილაჯობით შეწუხებული, ბაიას გაემგზავრა საბანაოდ. ეს ზღვის პირი, ოდესღაც ალციონების საყვარელი საბუდარი, ეხლა თავისკენ იზიდავდა მდიდარსა და კეთილცხოვრებას დახარბებულ რომაელებს.

ერთი კვირის განმავლობაში ლამია სცხოვრობდა ამ ბრწყინვალე ხალხთა შორის მარტოდ მარტო, უმეგობროთ. ერთხელ, ნასადილევს, რაკი გუნებაზედაც იყო, მოისურვა აღმა გასეირნება, იმ გორაკებზე, რომელნიც ყურძნით არიან დანაბდულნი ბაკხანტებით და ისე გასცქერიან ზღვის ტალღებს.

ზედ წვერზე რომ ავიდა, ჩამოჯდა ბილიკის პირად, ტერეზინთის ხის ძირას და თვალნი მიაპყრო წინ გადაშლილ მშვენიერ სანახაობას. მარცხენა მხარეზე, ვიდრე კუმის ნანგრევებამდე, ფლეგრეის ფერმიხდილი და ტიტველი ველები გადაჭიმულიყვნენ. მარჯვნივ მიზენის კონცხი შიგ ტირენტის ზღვაში იჭრებოდა თავისი წვეტიანი რქითა. ძირს, მის ფეხ-ქვეშ, დასავლისაკენ, სადაც ცისფერ ცაში დელფინები თამაშობდნენ, მდიდარ ბაიას გამოეფინა ზღვაში შედრეკილი ნაპირის გაყოლებით თავისი ბალები, ქანდაკებებით შემკული ვილლები, პორტიკები, მარმარილოს ტერასები. მის წინ კი, ზღვის უბის გაღმა მხარეს, კამპანიის ნაპირზე, ბრწყინავდენ ჩამავალი მზის სხივებით მოოქრული ტაძრები, რომელთაც პოზილიპის დაფნები აგვირგვინებდნენ, ხოლო უფრო შორს, ცის კიდურზე ვეზუვი იღიმებოდა.

ლამიამ ამოიღო ტოგის უბიდან ეტრატის, რომელიც შეიცავდა ბუნებისათვის მსჯელობას, წამოწვა მიწაზე და კითხვას შეუდგა. მაგრამ ვილაც მონის დაძახილმა აცნობა მას, რომ ზეზე ამდგარიყო და გზა დაეცალა ტახტრევანისათვის, რომელიც ვინრო ბილიკით ამოჰქონდათ ვაზებში. ტახტრევანი სულ მთლად ღია იყო და რომ მოახლოვდა, ლამიამ დაინახა შიგ ბალიშებზე გართხმული წარმოსადეგი მოხუცი, რომელიც შუბლით ხელს დაყრდნობოდა და იცქირებოდა წარბ-შეკრული და ამაყი თვალებით. არწივისებური ცხვირი დაჰყურებდა მის ბაგეებს, რომელთაც მჭიდროდ ჰკუმავდა წინ წამოწვდილი ნიკაპი და ძალუმი ყბები.

ლამია პირველ შეხედვისთანავე დარწმუნდა, რომ ეს სახე ნაცნობი იყო. ერთბაშად სახელი ვერ მოიგონა და შეეყოყმანდა. შემდეგ უეცრად გაექანა ტახტრევანისაკენ განცვიფრებისა და სიხარულის გამომმულავნებელ მოძრაობით:

— პონციუს პილატუს! — წამოიძახა მან. მადლობა ღმერთებს, რომ კვლავ მეღირსა შენი ნახვა!

მოხუცმა ანიშნა მონებს, შემდგარიყვნენ და თვალდასმით მიაჩერდა მას, ვინც სალამს აძლევდა.

— პონციუს, ჩემო ძვირფასო მასპინძელო, — განაგრძო მან, — სჩანს, ოც წელიწადს კარგა გაუთეთრებია ჩემი თმა და დაუნაოჭებია ჩემი პირისახე, რომ შენ ველარც კი სცნობ შენს ელიუს ლამიას.

ამ სახელის გაგონებაზე პონციუს პოლატუს ჩამოხდა ტახტრევანიდან ისე სწრაფად, როგორც კი შეეძლო წელთა სიმრავლისაგან მოქანცულსა და ნაბიჯდამძიმებულ მოხუცს. ჩამოხდა და ორჯერ გადაეხვია ელიუს ლამიას.

— ჭეშმარიტად, საამოა ჩემთვის შენი კვლავ ნახვა, — წარმოსთქვა მან, — ეჰ, შენ მაგონებ იმ ძველ დროებას, როცა მე ურიასტანის პროკურატორად ვიყავი სირიის პროვინციაში. აგერ ოცდაათი წელიწადია მას შემდეგ, რაც პირველად გნახე. ეს იყო ცეზარეაში, სადაც შენ განდევნილი კაცის ნაღვლიან ცხოვრებას ატარებდი. ჩემთვის ბედნიერე-

ბა იყო შენი მაშინდელი ყოფის ოდნავი შემსუბუქებაც კი. ჩემი მეგობრობის გულისათვის, ლამია, შენ წამყვეი იმ მოსაწყენ იერუსალიმს, სადაც ებრაელებმა თავიანთი შხამი და ზიზლი მაგემეს მე, ათ წელიწადზე მეტს სცხოვრობდი ჩემთან, ვითარცა სტუმარი და ამხანაგი, და ჩვენ ორნი, რომის ქალაქზე ბაასით ვპოულობდით ხოლმე ნუგეშსა, შენ — შენს უიღბლობაში და მე, კიდევ, ჩემს დიდკაცობაში.

ლამია ხელახლა გადაეხვია მას.

— შენ ყველაფერი არა სთქვი, პონციუს: აღარც კი გაგონდება, რომ ჩემი გულისთვის არ დაიშურე შენი გავლენა ეროდეს აგრიპასთან და უხვად გამიხსენი შენი ჯიბე.

— ნულა ვილაპარაკებთ ამაზე, — მიუგო პონციუსმა, — რადგან, დაბრუნდი თუ არა რომს, ერთ-ერთი მონის ხელით გამომიგზავნე იმდენი, რომ ჭარბად ამინაზლაურე ის ვალი.

— პონციუს, მარტო ფულის გადახდით ვერ ჩავთვლი ჩემს თავს შენს წინაშე ვალმობილად. მაგრამ ჯერ მიპასუხე: შეგისრულეს თუ არა ღმერთებმა შენი სურვილები? სტკბები თუ არა იმ ბედნიერებით, რომლისაც ღირსი ხარ? მითხარ შენი ოჯახის ამბავი, შენი შეძლების, შენი ჯანმრთელობის.

— მე გადავსახლდი სიცილიაში. იქ მამული მაქვს, ვამუშავებ, პური მომყავს და ვყიდი. ჩემი უფროსი ქალი, ჩემთვის მეტად ძვირფასი პონცია, დაქვრივების შემდეგ ჩემთან ცხოვრობს და ის არის ჩემი სახლის გამგე დიასახლისი. მადლობა ღმერთებს, გონების სიმტკიცე ჯერ კიდევ შემრჩენია; მეხსიერებაც არ შემსუსტებია. მაგრამ სიბერეს თან მოსდევს ხოლმე გრძელი ქარავანი სატკივართა და სალმობათა. მე სასტიკად ვიტანჯები ნიკრისის ქარისაგან. და აი, ამ წუთში, მე მივეშურები ფლეგრეის ველზე ჩემი ტკივილების წამლის საძებრად. ეს გახურებული ნიადაგი, საიდანაც ღამღამობით ალი ამოსკდება ხოლმე, გამოსცემს გოგირდის მძაფრ ოსშივარს, რომელიც, ამბობენ, ტკივილებს აცხრობს და მოქნილობას უბრუნებს საღსრებსო. ექიმები კი ასე გვარწმუნებენ და!

— ჰო და შენ თითონ გამოსცდი ესლა ამას შენს თავზე! მაგრამ ნეკრისის ქარისა და მაგ ცხარე ტკივილების ჯიბრზე, შენ მაინც თითქმის ჩემზე ახალგაზრდა სჩანხარ, თუმცა წამდვილად ათი წლით უფროსი კი ხარ. მერწმუნე, შენ შეგინარჩუნებია იმდენი სიმხნევე, რაც მე ჩემს დღეში არა მქონია, და მე მოხარული ვარ, აგრე კარგად რომ გხედავ. რად ააღე ხელი, ჩემო უძვირფასესო, ასე ნაადრევად სახელმწიფო სამსახურს? როგორ მოხდა, რომ ურიასტანის მართვა-გამგეობის მიტოვების შემდეგ სიცილიაში დასახლებულხარ, შენს მამულში, და ნებსითი ექსორია შეგიქმნია შენი თავისთვის? მიაშე შენი თავგადასავალი მას შემდეგ, რაც მე აღარა ვარ შენი ცხოვრების მოწმე. შენ სამარიტელთა აჯანყების ჩასაქრობად ემზადებოდი სწორედ მაშინ, როდესაც მე გავემგზავრე კაპადოკიას, სადაც ცხენების და ჯვორების მოშენებით ცოტა ხელის მოთბობას ვფიქრობდი. მას შემდეგ აღარ მინახიხარ. როგორ დაბოლოვდა ის შენი ექსპედიცია? მიაშე-ლა, მითხარი. მე მაინტერესებს ყველაფერი, რაც შენ შეგეხება.

პონციუს პილატუსმა ნალვლიანად გააქნია თავი.

— თანდაყოლილი რიგიანობა და მოვალეობის გრძნობა მაიძულებდა, გამენია სახელმწიფო სამსახური არა უზაკვოდ მხოლოდ, არამედ სიყვარულითაც. მაგრამ სიძულვილი ფეხდაფეხ დამდევდა შეუსვენებლივ. ინტრიგებმა და ცილისწამებამ სავსებით დამიმსხვრიეს ცხოვრება და გაახმეს ის ნაყოფი, რომელიც ამ ჩემ ცხოვრებას უნდა დაემნიფებინა. შენ მეკითხები სამარიტელთა აჯანყებას. მოდი, ჩამოვჯდე თუ ამ სერზე. მოკლედ მოგიჭრი ჩემს პასუხს. ეს ამბავი თვალწინ მიდგას ისე, თითქო გუშინ მომხდარიყოს.

ერთმა მდაბიომ, რომელსაც სიტყვა კარგად უჭრიდა, — ასეთები ხშირად მოიპოვებინ სირიაში — დაარწმუნა სამარიტელები, შეკრებილიყვენ იარაღით ხელში გაზიმის მთაზე, რომელიც იმ ქვეყანაში წმინდა ადგილად ითვლება. ის შეჰპირდა მათ იმ საღმრთო ჭურჭელთა ჩვენებას, რომელნიც დაემარხა იქ მათს გმირ-მთავარს, ანუ უკეთ რომ

ვთქვათ, მფარველ ღმერთს, მოსედ წოდებულს, ჯერ კიდევ ძველად, ევანდისა და ჩვენი მამის, ენეის, დროს. იმ კაცის შთაგონებით სამარიტელები აჯანყდნენ, მაგრამ მე დროზე გამაფრთხილეს, და დავასწარი და დავიჭირე ის მთა ქვეითი რაზმით, ხოლო ცხენოსნები სერების დასაცავად დავაყენე.

ეს წინასწარი გონიერი ზომები ყოველად აუცილებელი იყო. აჯანყებულებმა გაზიმის მთის ძირას მდებარე დაბა ტირათაბა დაიჭირეს კიდევ. მე ადვილად გავფანტე ისინი და ჩავალრჩე ამბოხება დასაწყისშივე. შემდეგ, რათა მცირე მსხვერპლით საგრძნობი მაგალითი მეჩვენებია, სიკვდილით დავსაჯე აჯანყების მეთაურები. მაგრამ შენ იცი, ლამია, როგორ მჭიდროდ ვიყავი დამოკიდებული პროკონსულ ვიტელიუსზე, რომელიც განაგებდა სირიას არა რომის სასარგებლოდ, არამედ რომის საზარალოდ და ასე ეგონა, თითქოს პროვინციები სანველ ფურად ეძლეოდა ტეტრარქებს. უხუცესნი სამარიტელთა შორის ფეხქვეშ ჩაუვარდნენ მას და მოთქმა-გოდებით დაათხიეს მის წინაშე ჩემდამი სიძულვილი. მათთვის რომ ყური გეგდო, ფიქრადაც არ მოსვლიათ კეისრის ურჩობა. მე ვიყავი ყველაფრის გამომწვევი და თუ ისინი ტირათაბაში შეიკრიბნენ, ეს მხოლოდ იმ მიზნით, რათა წინააღმდეგომოდნენ ჩემს სისასტიკეს. ვიტელიუსმა რომ მოისმინა მათი საჩივარი, ურიასტანის მართვა-გამგეობა თავის მეგობარს მარცელუსს მიანდო, ხოლო მე მიბრძანა წასვლა და იმპერატორის წინაშე თავის გამართლება. ნაღვლითა და ბრაზით გულ-გასიებული გავემგზავრე ზღვით, იტალიის ნაპირს რომ მივადექი, წლოვანობითა და ხელისუფლებით დაქანცული ტიბერიუსი უეცრად გარდაიცვალა მიზენის კონცხზე, რომლის გამონვდილი ცხვირი აქედანაც მოსჩანს საღამოს ბუერში. მაშინ მე მის მოადგილესთან, კაიუსთან, ვიწყე სამართლის ძიება. კაიუსი უსათუოდ ფხიზელი ჭკუის კაცი იყო და სირიის საქმეებიც კარგად იცოდა. მაგრამ, მოდი და ნუ გაიკვირვებ ჩემთან ერთად, ლამია, ჩემი უკუღმართი ბედის ჯიუტობას! კაიუსს ჰყავდა თავისთან ქალაქში ერთი ურია-აგრიპა, თანშეზრდილი სიყრმის მეგობარი, რომელიც ისე უყვარდა, როგორც თვალის ჩინი. ეს აგრიპა მფარველობას უწევდა ვიტელიუსს, რადგან ვიტელიუსი იყო მტერი ანტიპასი, რომელსაც საშინელი სიძულვილით სდევნიდა აგრიპა. იმპერატორი თავის აზიელ მეგობრის გულისთქმას აჰყვამდა და ჩემი მოსმენის უარი განაცხადა. იძულებული გავხდი დავმორჩილებოდი ამ დაუმსახურებელ უსამართლობას. ვიგემე ნაღველ-ნარევი ცრემლი, განვეშორე იქაურობას და გავსწიე ჩემს მამულში, სიცილიაში, სადაც დარდი და მწუხარება ბოლოს მომიღებდა თუ რომ ჩემი საყვარელი პონცია არ მომვლინებოდა ნუგეშის მცემელად. ხელი მივყავი ხენა-თესვის საქმეს და ისეთი მსუქანი თავთავები დავამწიფე, რომ მთელ პროვინციაში არსად მოინახება. დეე, მერმისმა გავგესაჯოს მე და ვიტელიუსი.

— პონციუს, — უპასუხა ლამიამ, — მე მრწამს, რომ სამარიტელებს შენ ექცეოდი შენებური სამართლიანი გონიერებით და თანახმად მხოლოდ რომის ინტერესებისა. მაგრამ, ვაი, თუ ამ შემთხვევაში შენ ჭარბად აჰყევი იმ ბობოქარ ვაჟკაცობას, რომელიც ყოველთვის გიტაცებდა ხოლმე! ხომ გახსოვს, რომ ურიასტანში, თუმცა მე, როგორც შენზე ყმანვილი, უფრო გულფიცხი უნდა ვყოფილიყავ, ხშირად მირჩევია ხოლმე შენთვის მეტი მონყალეობა და სიამტკბილე.

— სიამტკბილე ურიებთან! — წამოიძახა პონციუს პილატუსმა. — თუმცა შენ გიცხოვრია მათ შორის, მაგრამ მაინც ცუდად იცნობ ადამიანთა მოდგმის ამ დაუძინებელ მტრებსა. ყველა ისინი არიან ხელალებ ამაყნი და თან ქვემძრომნი, თავიანთ არსებაში აერთებენ სამარცხვინო სიმბდალესა და გაუტეხელ ჯიუტობას, თანაბრად ჰლლიან როგორც სიყვარულს, ისე სიძულვილსაც. ჩემი გონება, ლამია, ღვთაებრივ ავგუსტუსის დებულებებზეა განვრთნილი. ურიასტანის პროკურატორად რომ დამნიშნეს, რომის ზავს მთელი ქვეყანა გარემოცული ჰქონდა კიდევ. პროკონსულეები აღარ ისუქებდნენ ჯიბეებს პროვინციებში ნადავლით, როგორც მაშინ, როდესაც ჩვენში სამოქალაქო უთანხმოება სუფევდა. მე ჩე-

მი მოვალეობა ვიცოდი. გულმოდგინედ მივდევი მხოლოდ კეთილგონიერებასა და ზომიერებას. ღმერთები არიან ამის მონამენი: მხოლოდ ღმობიერებაში ვიყავი კერპი. რა სამსახური გამინია მერე ამ სასიკეთო განზრახვებმა? შენ მე მნახე, ლამია, როდესაც, ჩემი მმართველობის დასაწყისში, პირველმა ამბოხებამ იფეთქა. განა საჭიროა, მაშინდელი გარემოება მოგაგონო? კეისრის გარნიზონი ზამთრის ბინებზე გაემგზავრა იერუსალიმს, ლეგიონერებს თან მიჰქონდათ დროშები, რომლებზედაც კეისარი იყო გამოსახული. ამის დანახვამ შეაძრწუნა იერუსალიმის მცხოვრებნი, რომელნიც არ სცნობდნენ იმპერატორის ღვთაებრიობას, ვითომდა, რაკი ქედის მოხრაა საჭირო, უფრო საპატიო არ არის ღმერთის წინაშე მოვიხაროთ ქედი, ვიდრე კაცის წინაშეო. მათი მღვდლები მოადგნენ ჩემს სამსჯავროს და ითხოვდნენ რალაც ზვიადი მორჩილებით, გამეტანა ის დროშები წმინდა ქალაქიდან. კეისრის ღვთაებრივობისა და იმპერიის დიდების პატივისცემისთვის მე უარი გამოვუცხადე. მაშინ მდაბიო ხალხი შეუერთდა ხუცებს და პრეტორიის გარშემო გაისმა მუქარა და მოთხოვნა. მე ვუბრძანე ჯარის კაცებს, შუბები შეეკრათ და ანტონიუსის კომკის წინ დაეღაგებიათ, ხოლო თითონ კვერთხებით შეიარაღებულიყვნენ ლიქტორებივით და ისე წასულიყვნენ ამ თავხედ ბრბოს გასაფანტად. მაგრამ ურიები, თითქოს არც კი გრძნობენ ცემასო, განაგრძობდნენ მუდარას, ხოლო უფრო კერპები კი გაერთხნენ მიწაზე, წამოენვადათ კისრები და კვდებოდნენ ასე ჯოხით ნაცემნი. შემდეგ შენ გახდი მონამე ჩემი დამცირებისა, ლამია, თანახმად ვიტელიუსის განკარგულებისა, მე იძულებული გავხდი, გამეგზავნა დროშები ცეზარეაში. ჭეშმარიტად, მე არ დამიმსახურებია ასეთი სირცხვილი. ვფიცავ ღმერთების წინაშე, რომ მე, ჩემი მართვა-გამგეობის განმავლობაში, ერთხელაც არ შემეგინებია მართლმსაჯულება და კანონი. ეხლა მე მოხუცი ვარ. ჩემი მტრები და მახეზლარნი დაიხოცნენ. მე მოვკვდევი შურის უძიებლად. ვინ გამოესარჩლება ჩემს სახსენებელს?

ამოიოხრა და დადუმდა. ლამიამ უპასუხა:

— ბრძენი ის არის, ვისაც არც შიში აქვს და არც რაიმე იმედი გამოუცნობ მერმისისა. ვისაც რა უნდა, ისა სთქვას ჩვენზე ჩვენ შემდეგ. მონამე და მსაჯული ჩვენი თავისა ჩვენ თითონა ვართ. ერწმუნე მხოლოდ იმ მონაობას, პონციუს პილატუს, რომელიც სათნოებას განიჭებს. იკმარე შენი საკუთარი პატივისცემა და პატივისცემა შენი მეგობრებისა. ხალხთა მართვა მარტო ღმობიერებით, მართლაც რომ, არ იქნება. ის მოწყალება კაცთა მოდგმისადმი, რომელსაც ფილოსოფია გვიქადაგებს, არ არის მოსატანი სახელმწიფო მოღვაწეთა მოქმედებაში.

— შევწყვიტოთ ბაასი, — სთქვა პონციუსმა, — გოგირდის ოხშივარს, ფლეგრის ველიდან რომ ამოდის, მანამ აქვს ნამდვილი ძალა, სანამ მას ჯერ კიდევ მზის სხივებით გახურებული მიწა გამოსცემს. უნდა ვიჩქარო მშვიდობით. მაგრამ, რაკი ერთხელ კვლავ მოვიძიე მეგობარი, უნდა ვისარგებლო კიდევ ამ ბედნიერი შემთხვევით. ელიუს ლამია, მოილე მოწყალება და მენვიე ხვალ ვახშმად. ჩემი სახლი ზღვის პირადა სდგას, ქალაქის განაპირას, მიზენის მხარეზე. ადვილად მიაგნებ: პორტიკზე ორფეოსია გამოსახული ლომებსა და ვეფხებს შორის, რომელთაც ის თავის ქნარის ჰანგებით ატკობს. — მაშ ხვალამდე, ლამია, დასძინა მან და ტახტრევანზე ავიდა, ხვალ ვიბაასოთ ურიასტანისთვის.

მეორე დღეს, ვახშმობისას, ლამიამ გასწია პონციუს პილატუსის სახლისკენ. მხოლოდ ორი საინახე ელოდებოდა მდინახეებს. სუფრა იყო გაშლილი ჩინებულად, გადაუმლაშებელი ფუფუნებით; ვერცხლის ტაბაკებზე ეწყო თაფლში შემზადებული მოლალურები, შამშვები, ლუკრენის ლოკოკინები და სიცილიის გველთევზები. პონციუს და ლამია თან ვახშამს შეექცეოდნენ და თანაც ბაასობდნენ თავიანთ სატკივრებზე, რომლის სიმპტომებს დანვრილებით ასწერდნენ და ერთი მეორეს სხვა და სხვა ნაცად წამლებს შესთავაზებდნენ. შემდეგ, გახარებულნი, რომ ბაიაში შეხვდნენ ერთმანეთს, დაუცხრომლად აქებდ-



ნენ აქაურ ზღვისპირის სილამაზეს და ნაზსა და რბილ ჰავას. ლამია ალტაცებული იყო აქაურ კურტიზან ქალების მოხდენილობით, ზღვის ნაპირზე რომ დასეირნობდნენ ოქროთი შემკულნი და ბარბაროსებისაგან მოქარგული მანდილებით შებურვილნი. მაგრამ მოხუცი პროკურატორი გულის წყრომით ჰკიცხავდა იმ კუდაბზიკობას, რომლის წყალობითაც რალაც უსარგებლო კენჭებისა და კაცის ხელით ნაქსოვ აბლაბუდის გულისთვის, რომის ფული გადადიოდა უცხო ხალხისა და ხშირად იმპერიის მტრების ხელშიაც კი. შემდეგ სიტყვა ჩამოვარდა სხვა და სხვა დიად ნამოქმედარზე: კაიუსის მიერ აგებულ საოცარ ხიდზე, პუტეოლსა და ბაიას რომ აერთებს, ავგუსტუსისაგან გათხრილ არხებზე, ზღვის წყალი რომ გადაჰყავს ავერნისა და ლუკრენის ტბებში.

— მეც ვაპირებდი ამგვარ ქვეყნის სასარგებლო საქმეების დაწყებას, — ამოოხვრით წარმოსთქვა პონციუსმა. — ურიასტანის მართვა-გამგეობა, ჩემდა საუბედუროდ, რომ ჩავიბარე, შევადგინე გეგმა წყალსადენისა, რომელსაც იერუსალიმისთვის უნდა მიეცა სრულიად საკმაო ანკარა წყალი. წყლის დონის სიმალლე, მოდულების დამტეობა, ალმაცერობა სპილენძის თასებისა, რომელთაც ეფარდება განმანანილებელი მილები, ყოველივე ეს შევისწავლე და ყველაფერი თითონვე გავითვალისწინე წინასწარ. მემანქანეების აზრის თანახმად შევადგინე საწყლე პოლიციის წესდება, რათა კერძო პირს არ შესძლებოდა უკანონო გზით წყლის მოტაცება. ხუროთმოძღვრები და მუშები დაქირავებული მყავდნენ კიდევ. გავეცი ბრძანება მუშაობის დაწყებისა. მაგრამ, იმის მაგიერ, რომ კმაყოფილებით შეხვედროდნენ დაწყებულ აღნაგობას, რომელსაც თავისი ძალუმი არხებით წყალთან ერთად ჯანმრთელობაც უნდა მიეტანა მათი ქალაქისთვის. იერუსალიმის ხალხმა მორთო უწმინური ღრიალი და გოდება. შეგროვდნენ ფარასავით უწესოდ და ღრიანცელით, დაიწყეს ბლავილი, ეს ურჯულობაა, სიბილწეაო, მივარდნენ მუშებს და სულ მიჰფანტ-მოჰფანტეს ფუძის ქვები. გინახავს, ლამია, ამათთანა ბინძური ბარბაროსები? და მერე რა გგონია? ვიტელიუსმა ისინი გაამართლა და მე მივიღე ბრძანება. შემენწყვიტა მუშაობა.

— ეს დიდი საკითხია, სთქვა ლამიამ, — საჭიროა თუ არა კეთილდღეობა მიანიჭო ხალხს წინააღმდეგ მისი საკუთარი სურვილისა.

პონციუს პილატუსს არც კი გაუგონია ეს სიტყვები, მან განაგრძო: უარის თქმა წყალსადენზე — რა სიგიჟეა! მაგრამ ურიებს სძაგს ყველაფერი, რაც რომაელებისაგან მომდინარეობს. ჩვენ მათთვის უწმინდურები ვართ და თვით ჩვენი მათთან ყოფაც კი შეურაცხყოფად მიაჩნიათ. შენ იცი, ლამია, რომ ისინი ვერ ჰბედავდნენ პრეტორიაში შემოსვლას, ესაო და — არ ნავიბილწნეთო, და მე კარში, ცის ქვეშ მიხდებოდა მსაჯულის მოვალეობის შესრულება, იმ მარმარილოს ქვაფენილზე, სადაც შენც ხშირად დაგიდგამს ხოლმე ფეხი.

თან ეშინიათ ჩვენი და თანაც ვეზიზღებით. მერე განა რომი დედა და მფარველი არ არის ყველა ხალხთათვის, რომელნიც განისვენებენ და ილიმებიან, ვითარცა ყრმანი, მის მადლიან ნიაღში? ჩვენი არწივები მშვიდობასა და თავისუფლებას ჰფენენ ქვეყნის დასალიერამდე. ომში დამარცხებულთ ჩვენ ვუცქერით, როგორც მეგობრებს, დაპყრობილ ერებს ჩვენ ვუტოვებთ და მტკიცედ ვუნახავთ მათ-მათ ზნე-ჩვეულებასა და კანონს. ოდესღაც მეფეების სიმრავლით ილაჯ-განწყვეტილმა სირიამ განა პომპეუსისაგან დაპყრობის შემდეგ არ იგემა განსვენება და კეთილდღეობა? და მაშინ, როდესაც რომს შეეძლო ოქროს ფასად გაეცა თავის მოწყალეზანი, მოუტაცნია როდისმე ის საუნჯენი, ბარბაროსების ტაძრებში რომ არის უხვად დაცული? აბა, როდის გაუცარცვავს მას პესინონტის ღმერთი-ქალი, ან იუპიტერი მორიმენში, გინდა კილიკიაში, ან კიდევ ურიათა ღმერთი იერუსალიმში? ანტიოქია, პალმირა, აპამეა არხეინად არიან, მიუხედავად თვისი სიმდიდრისა, აღარ ეშინიათ უდაბნოელ არაბებისა და ტაძრებს უგებენ რომის გენიასა და კეისრის ღვთაებრივობას. მხოლოდ ურიებს ვძაგვართ და ვეზიზღებით. თუ ძალით არ ააგლიჯე, ისე ხარკს არ იხდიან და სამხედრო სამსახურსაც დაჟინებით გაურბიან.

— ურიები თავიანთი ძველი ადათის ერთგული მიმდევარნი არიან, — უპასუხა ლამიამ, — იმათ ეჭვი აიღეს, ყოვლად უსაფუძვლოდ, გეთანხმები, რომ შენ მათი კანონის მოსპობას და ზნე-ჩვეულების შეცვლას აპირებდი. ნება მიბოძე, გითხრა, პონციუს, რომ შენ არც თუ იმდენად სცდილობდი, შენის საქციელით გაგეფანტა მათი ბედ-უკუღმართი შეცდომა. შენთვის საამო იყო, შენდა უნებურად, მათი გალიზიანება და მე არა ერთხელ მინახავს, რომ შენ არც კი ჰფარავდი მათ წინაშე იმ ზიზლსა, რომელსაც მათი სარწმუნოება და მღვდელმსახურების წესები გგვრიდა. განსაკუთრებით კი ის აანჩხლებდა მათ, რომ შენი ბრძანების თანახმად, მღვდელმთავრის სამოსელი და სამკაულები ლეგიონერებს ებარა შესანახად ანტონიუსის კოშკში. უნდა გამოვტყდე, რომ თუმცა ურიები ჩვენამდე ვერ ამალლებულან ღვთაებრივ მოვლენათა განჭვრეტაში, მაინც ისეთ საიდუმლოებათა თაყვანის მცემელნი არიან, რომელნიც საპატიოდ უნდა ჩაითვალოს თავისი სიძველის გამო.

პონციუსს პილატუსმა მხრები აიჩეჩა:

— იმათ არა აქვთ სწორი შეგნება ღმერთების ბუნებისა, — სთქვა მან, — თაყვანსა სცემენ იუპიტერსა და სახელსა და სახეს კი არ აძლევენ მას. ქვის ქანდაკებაც კი არა აქვთ მისი, როგორც ზოგიერთ აზიელ ხალხსა. არაფერი იციან აპოლოსი, გინდა ნეპტუნისა, მარსის, პლუტონის და არც რომლისამე ღმერთ-ქალისა. თუმცა მე ვფიქრობ, რომ ძველის ძველად თაყვანსა სცემდენ ვენუსსა. ეს იმიტომ მგონია, რომ იმათ ქალებს დღესაც ტრედები მიჰყავთ ხოლმე შესანიშნავად სამსხვერპლოზე, და შენ იცი ჩემსავით, რომ ტაძრების შესავალთან ვაჭრები სხედან და წყვილ-წყვილად ჰყიდიან ამ ფრინველს მსხვერპლისათვის. მე გადმომცეს, რომ ერთხელ ვილაც გიჟმა დაუმსხვრია გალიები ამ მსხვერპლის მოვაჭრეებს, მათი მღვდლები სჩიოდნენ ამას, როგორც ღვთის შეგინებას. მე ვფიქრობ, რომ ეს ჩვეულება ტრედების შეწირვისა ვენუსის თაყვანისცემად იყო დადგინებული. რა გაცინებს, ლამია?

— მე მაცინებს ერთი უცნაური აზრი, რომელიც, არც კი ვიცი, როგორ მომივიდა თავში. ერთიც ვნახოთ, ურიების იუპიტერი რომს ჩამოვიდა ანაზდეულად და მოგდგა შენ ჯავრის ამოსაყრელად! ვითომ, რად არაო? განა აზიასა და აფრიკას ცოტა ღმერთები მოუციათ ჩვენთვის? განა რომში არ აუგიათ ტაძრები იზიდასი და მყეფარ ანუბისის სახელზე? აკი ყველა გზაჯვარედინზე და მოედანზე გვხვდება ხოლმე ვირზე მჯდომი სირიელთა კეთილი ღმერთ-ქალი. განა შენ არ იცი, რომ ტიბერიუსის დროს, ერთი ახალგაზრდა მოყმე ეგვიპტელ რქოსან იუპიტერად გამოეწყო და ამ ფერისცვალებით მოიხვეჭა წყალობა ერთი წარჩინებული ბანოვანისა, რომელიც მეტად სათნო ქალი იყო, რომ ღმერთებისთვის რაზედმე უარი ეთქვა. მაშ, ფრთხილად იყავი, პონციუს, თორემ სადაცაა ურიების უხილავი იუპიტერი გადმოხდება ოსტიის ნაპირზე.

ურიასტანიდან ღმერთის ჩამოსვლის წარმოდგენამ წუთიერი ღიმილით გააშუქა პროკურატორის მკაცრი სახე. შემდეგ მან დინჯად უპასუხა ლამიას:

— როგორ უნდა შესძლონ ურიებმა სხვა ხალხთათვის თავისი საღვთო სჯულის გადაცემა, როდესაც თავადაც ერთმანეთს ჰგლეჯენ ამ სჯულის კანონთა ახსნა-განმარტებისთვის. ბარე ოც მტრულ დასათ არიან დაყოფილნი; შენ თითონ გინახავს ისინი, ლამია, საჯარო მოედნებზე თავიანთი ეტრატებით ხელში, ერთმანეთს რომ წვერებს სწინკნიან და თან უშვერი სიტყვებით ილანძლებიან. გინახავს აგრევე, ტაძრის სვეტებქვეშ რომ შეიკრიბებიან და განიპოვენ თავიანთ წვირიან ტანისამოსს, ნიშნად სასონარკვეთილებისა, როდესაც რომელიმე საცოდავ გიჟის წინასწარმეტყველურ ბოძვას უგდებენ ყურს. იმათ არც კი ესმით, რომ იდუმალებით გარემოცულსა და უცნაურობით აღსავსე ღვთაებრივ საგნებს სრული მშვიდობიანობით და ნათელი გონებით კამათი შეჰფერის, რადგანაც უკვდავთა ბუნება დაფარულია და ჩვენ არ ძალგვიძს მისი შეცნობა. მე მაინც იმ აზრისა ვარ, რომ ბრძენ კაცს უნდა ჰქონდეს განგების რწმენა, მაგრამ ურიებს არ გააჩნიათ ფილოსოფია და ვერ შეუწყნარებიათ აზრთა სხვაობა. პირიქით, ვინც მათი რჯულის საწინააღმდეგო სარწ-

მუნოებას აღიარებს, იგი მათ უაღრესი ტანჯვა-წამების ღირსად მიაჩნიათ. მას შემდეგ, რაც რომის გენია მათზედაც განეწო, მათი სამსჯავროების ვერც ერთი საყურადღებო განაჩენი ვერ იქნება შესრულებული თვინიერ პროკონსულის ან პროკურატორის დასტურისა, და აი, მათ წამდაუნუმ იერიში მიაქვთ რომაულ სასამართლოზე, რათა ხელი მოაწერინონ თავიანთ ყოვლად უწყალო მსჯავრზე, არ ასვენებენ პრეტორიას და ყვირილით მოითხოვენ ხოლმე სიკვდილით დასჯის დადასტურებას. ასჯერ მაინც შემოსევია გააფთრებით ჩემს სპილოს ძვლის სავარძელს მათი ბრბოები, მდიდრებიცა და ღარიბებიც ერთად, მღვდლების წინამძღოლობით; ზოგი ტოგის კალთას მწვედა ხოლმე, ზოგი ხამლის საბელსა. ხან ხვეწნითა და ხან მუქარით მოთხოვდნენ სიკვდილს რომელიმე საცოდავისა, რომლის დანაშაული ვერც კი გამომეცნო და რომელიც მხოლოდ ისეთივე გიჟად მიმაჩნდა, როგორც იმისი ბრალმდებელი. რას ვამბობ — ასჯერ მეთქი! ეს ხდებოდა ყოველ დღე, ყოველ საათში და მე მაინც ვალდებული ვიყავ, შემესრულებია მათი კანონი ისე, როგორც ჩვენი, რადგან რომმა მე დამადგინა არა დამრღვეველად. არამედ მფარველად მათი ზნე-ჩვეულებისა. პირველ ხანებში ვსინჯე მათი გონს მოყვანა: მე ვცდილობდი ხოლმე გამომეგლიჯა საბრალო მსხვერპლი მათ მსახვრალ ხელთაგან. მაგრამ ჩემი გულმონყალება კიდევ უფრო აბრაზებდა მათ. ყორნებივით დამეხვეოდნენ ხოლმე ნისკარტ-მომარჯვებულნი და დაჟინებით მოითხოვდნენ თავიანთ არშისს. მათი მღვდლები სწერდნენ კეისარს, რომ მე ვთელავდი მათ კანონს და მათი თხოვნა ვიტელიუსისაგან მხარდაჭერილი, სასტიკ გაციცხვას მომაყენებდა ხოლმე. რამდენჯერ მინატრია, ბერძნების თქმისა არ იყოს, ყორნების კერძად გამეხადა ერთბაშად ბრალდებულნიცა და მსაჯულნიც!

არ იფიქრო, ლამია, ვითომდაც მე უძლურ შურისძიების გრძნობას და ბერიკაცულ ბრაზს განვიცდიდე იმ ხალხისადმი, რომელმაც ჩემი დამარცხებით რომიც დაამარცხა. მაგრამ მე წინასწარვე ვხედავ იმ უკიდურესობას, რომელთანაც ადრე თუ გვიან მიგვიყვანენ ისინი. რაკი მოვლა ვერ შევძელით, საჭიროა მათი განადგურება. აქ საეჭვო არაფერია: ნიადაგ ურჩნი და თვის დაუცხრომელ გულში მუდამ აჯანყების მფარველნი, ისეთის მძვინვარებით იფეთქებენ ერთ დღეს ჩვენს წინააღმდეგ, რომელთანაც ნუმიდიელების მრისხანება და პართელების მუქარა ბაღის ქაღილად-ლა მოგვეჩვენება. ყოვლად თავხედურ იმედებს შესტრფიან ჩუმ-ჩუმად და ჩვენი დანგრევის მძაფრი სურვილი ასულდგმულებს მათ. და განა შეიძლება სხვაგვარად იყოს, ვიდრე, თანახმად ერთი მათი მისანის რწმენისა, ისინი ელიან თავიანთი მოდგმის მეფეს, რომელიც მთელ ქვეყანაზე უნდა გამეფდეს! ამ ხალხის მოთვნიერება შეუძლებელია. მაშ, უნდა მოისპოს. ქვა ქვაზე არ უნდა დარჩეს იერუსალიმში. ხომ ასე მოხუცი ვარ, მაგრამ ვინ იცის, მეც მოვესწრო იმ დღეს, როდესაც დაეცემიან კედლები იერუსალიმისა, როდესაც ცეცხლის ალი შთანთქავს მის სახლებს, როდესაც მახვილი გაჰმირავს მის მცხოვრებთ, როდესაც იმ ალაგს, საცა ეხლა მათი ტაძარია, ნაოხარილა დარჩება მხოლოდ. ის დღე იქნება დღე ჩემი განსჯისა და გამართლებისა.

ლამიამ სცადა უფრო დამშვიდებული კილო მიეცა ბაასისათვის.

— პონციუს, დაიწყო მან: მე კარგად მესმის შენი დაუცხრომელი გულისწყრომაცა და შენი საბედისწერო წინადაგრძნობაც მათ შესახებ. ჭეშმარიტად, იმით, რაც შენ ურიათა ხასიათისა გცოდნია, ისინი ვერაფერს მოიგებენ. მაგრამ მე, რაკი უბრალო მეთვალყურესავით ვცხოვრობდი იერუსალიმში და ხალხში ვიყავ გათქვეფილი, შევძელ შენთვის უცნობ და დაფარულ ღირსებათა აღმოჩენა ამ ერში. მე შემხვედრიან ისეთი სიმშვიდით აღსავსე ურიები, რომელთა უზაკვო ზნე და ერთგულების გრძნობა მაგონებდა იმ მსცოვანი ებალიელის ამბავს, ჩვენს პოეტებს რომ აქვთ მოთხრობილი. და განა შენ თითონ არ გინახავს, პონციუს, როგორ ლევდნენ ხოლმე სულს შენი ლეგიონერების ჯოხ-ქვეშ სულ უბრალო მდა-



ბიონი, რომელნიც სიკვდილის წინ თავის სახელსაც არ ამხელდნენ, და კვდებოდნენ მხოლოდ იმის გულისთვის, რაც მათ ჭეშმარიტებად მიაჩნდათ. ასეთ ხალხს, დიალ, არ დაუმსახურებია ჩვენი ზიზლი. ამას მე იმისთვის ვამბობ, რომ ყოველსავე საგანს მიუყვებლობის საზრისით უნდა მიუდგე. გულახდით გეტყვი, მე თითონ დიდად არ მეპრიანებოიან ურიები. ურიის ქალები კი პირიქით, ძლიერ მომწონდნენ. მე მაშინ ახალგაზრდა ვიყავ და სირიელი ქალები სისხლს მიჩქროლებდნენ ხოლმე. მათი წითელი ტუჩები, მათი წყლიანი და ელვარე თვალები, მათი თვალდასმული შემოხედვა შიგ გულში მწვდებოდა ხოლმე. ფერ-უმარილ შეცხებული, ნარდიონითა და ნელსაცხებით ტანდაზელილი, ისინი მიმოაბნევენ ირგვლივ ნაზ სურნელებას და ჰხიბლავენ კაცს რალაც საოცარის სიკეკლუცით.

პონციუსი უთმენრად უგდებდა ყურს ამ ქება-შესხმას.

— მე ისეთი კაცი არ ვიყავი, ურიის ქალების ქსელში რომ გავბმულიყავი, — სთქვა მან, — რაკი აქ სიტყვამ მოიტანა, გამოგიტყდები, ლამია, რომ მე არასოდეს არ მომწონდა შენი თავდაუჭერლობა. თუ ოდესღაც არ დაგტუქსე ღირსეულად კონსულის ცოლის შეცდენისათვის რომში, ეს მხოლოდ იმიტომ მოხდა, რომ შენ ძალიან ძვირად დაგიჯდა ეგ დანაშაული. ცოლქმრობა წმინდაა პატრიციებში. ამ დანესებულებას ეყრდნობა რომი. სულ სხვაა მხეველებთან და უცხოელ ქალებთან კავშირი. ამათთან დაახლოებას არც თუ დიდი რამ მნიშვნელობა ექნებოდა, სხეულის სამარცხვინო მოდუნებასა და მოშვებას რომ არ უწყობდეს ხელს. ნუ დამძრახავ ამ სიტყვისთვის და — შენ ბლომად მიგიტანია მსხვერპლი გზაჯვარედინელ ვუნუსის საკურთხეველზე. ყველაზე უფრო კი მისთვის ხარ გასაკიცხი, ლამია, რომ შენ არ დაქორწილდი კანონიერად და არ მიეცი რესპუბლიკას შვილები, როგორც ჰმართებს ყოველსავე რიგიან მოქალაქეს.

მაგრამ ტიბერიუსის დევნილი აღარ უგდებდა ყურს მოხუც მოხელეს. მან დასცალა თასი ფალერნის ღვინო და ილიმებოდა, თითქოს უხილავ სახეს უღიმისო.

ერთი წუთის სიჩუმის შემდეგ, დაიწყო ჯერ ნელა, შემდეგ კი თან-და-თან უმატა ხმას:

— მერე როგორი მიბნედილობით ცეკვავენ სირიელი ქალები! მე ვიცნობდი ერთ იერუსალიმელ ურიის ქალს, რომელიც ქოხში ცეკვავდა ხოლმე, მხრჩოლავ ჭრაქის სინათლეზე, გაცვეთილ ხალიჩაზე, ცეკვავდა და თან ხელებს ზევით სწევდა ციმბალზე შემოსაკრავად. ის რომ თეძოებს მიმოხრიდა, თავს რომ უკან გადასტყორცავდა, თითქოს თვისი გრუზა ოქროს თმების სიმძიმეს ვერ უძლებსო, თვალები რომ გულისთქმაში ჩაეძირებოდა, აგზნებული და თან მიბნედილი თვალები, ისეთი მოქნილი და წარმტაცი იყო, რომ მისი შური თვით კლეოპატრას გააფითრებდა. მე მიყვარდა მისი ველური ცეკვა, მისი სიმღერა, ოდნავ ხმაჩახლეჩილი, მაგრამ ტკბილი და მომხიბლავი, საკმეველის სურნელება, იგი რომ აფრქვევდა, და ის ბურანი, რომელშიაც თითქო ცხოვრობდა იგი. უკან დავევდი ყველგან. არ ვერიდებოდი და შიგ ვერეოდი ჯარისკაცთა უწმანურ ბრძოებს, ჯამბაზებსა და მეზვერეებს, რომლებიც გარს ეხვეოდნენ მას. ერთხელ იგი გაჰქრა სადღაც და მას უკან აღარ მინახავს. დიდხანს ვეძიე საჩოთირო მიხვეულ-მოხვეულებში და ტავერნებში. მისი გადაჩვევა ბევრად უფრო საძნელო იყო ჩემთვის, ვიდრე საბერძნეთის ღვინისა. რამდენიმე თვის შემდეგ, რაც იგი დავკარგე, შემთხვევით გავიგე, რომ ის მამაკაცთა და დედაკაცთა იმ მცირე დასს ადევნებოდა, ერთ ახალგაზრდა გალილეველ სასწაულთმოქმედს რომ შეუდგა. იმ კაცს იესო ეთქვა; ნაზარეველი იყო, ჯვარს აცვეს — არ ვიცი, რა დანაშაულისათვის. პონციუს, შენ ხომ არ გახსოვს ის კაცი?

პონციუსს პილატუსმა წარბები შეჰყარა და შუბლზე მიიდო ხელი ძველი ამბის მოსაგონებლად. მერე, ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ:

— იესო? — ჩაილაპარაკა მან, — იესო, ნაზარეველი?.. არ მახსოვს.

## საფრანგეთის ახალი სალიტერატურო სკოლები

### ჟიულ რომენი

ჟიულ რომენი არის მეტრი თანამედროვე ფრანგული სალიტერატურო სკოლისა „უნანიმისტები“. ამ ლიტერატურულ მიმართულებას, ჟიულ რომენთან ერთად, მეთაურობენ პოეტები: შარლ ვილდრაკი და ჟორჟ დიუამელი.

ჟიულ რომენის ამ ჯგუფმა უარყო ესთეტიზმი და ინდივიდუალიზმი, რომელიც ახასიათებდა საფრანგეთის სიმბოლიზმის ეპიგონებს, და მის ნაცვლად წამოაყენა პრიმატი კოლექტივიზმის.

პოეტის სფეროშიც ეს სკოლა დაშორდა ფრანგულ სიმბოლიზმს; მათ ლექსებში ჩვენ გვაქვს ნაკლები დანვლილება; მაგრამ ეს ერთგვარად გამოსყიდულია უბრალოების მკვეთრი შტამით; მათი რიტმები განზრახულია „ფართე სუნთქვისათვის“, აქ ირხევა ადამიანი-მასსა.

ჟიულ რომენი — მსოფლიო ათვისებით და თავისი პოეტური ტემპერამენტიც ენათესავება უოლტ უიტმენს. იგი არის დაულალავი ტრუბადური მასსებისა, იგი მიიღებს მსოფლიოს მთლიანად, ყველა თავისი ბნელი და ნათელი მხარეებით. — ფრანგი პოეტი ჟან ეშპტენი, ჟურნალ „Esprit Nouveau“-ში ასე ახასიათებს ჟიულ რომენის შემოქმედებას:

ჟიულ რომენი — მასსების პოეტი. იგი სწერს გაღებულ ფანჯრებთან, რომელშიაც იჭრება ქალაქის ხმაური, მაგრამ ესეც არ ჰყოფნის მას. იგი მიდის სამუშაო მაგიდიდან ქუჩაში. თუ კი ჰხედავს ადამიანთა ჯგუფს, იგი მიემართება მათკენ, რადგან მას ყოველთვის ურჩევნია ორი — ერთს, ხუთეული — ორს, ასი — ხუთს, არმია — ასეულს, ხალხი არმიას. იგი ხელსა ჰხვევს მასსას ძლიერი მკლავებით, და იკრავს ფართე მკერდზე. იგი ნთქავს მას და თვითაც იხსნება მასში... იგი გრძნობს მასებისადმი მკაცრ სინაზეს...

იგი ფრანგია, მაგრამ ევროპიელი უფროა, ვიდრე ფრანგი, რადგან ევროპაში მეტი ხალხია, ვიდრე საფრანგეთში. მისი ლექსების რიტმში თქვენ თითქო გრძნობთ ბრბოების ფეხის ცემას, იგი მიდის ნელა. მხოლოდ ზოგჯერ გამოკრთება მის ლექსში სუბუქი და უსაზღვროდ მოქნილი მეტრი, ისევე ჰაეროვანი მის პირქუშ სიმღერათა შორის, როგორც გაცინება შეშინებული ქალისა აჯანყების ხმაურში. იგი აზროვნებს მთელს ქალაქზე, ფაზებზე სამი ან ოთხი ქუჩის გადაჭრით, და მათ მოხეტეებზე. საღამოს ქარი ეცემა მის სახეს მსოფლიოს უდიდესი ქალაქის სუნთქვით...

მაგრამ იგი არ არის პასიური. იგი ღვრის თავის სიცოცხლეს ბრბოს სიცოცხლეში, უმატებს თავის სიტყვას მის ხმაურს, რადგან იგი, ბუნებრივად, მისი ბელადია. მას უყვარს სიბრალოე, რომლისაგან თრთიან ადამიანთა მასსები, ლოცვა, რომელიც დაეხეტება ადამიანთა გულებში, რომელიც ავსებს ტაძრებს, და მრისხანება ათასი მოღერებული მჯიღების... როცა იგი ხვდება დასაფლავების კორტეჟს, არ შეუძლია არ შეუერთდეს მას; ქორწილი — იგი უცდის მას მერიის კარებთან, რომ ნახოს კიდევ მეტი რიცხვი მტირალი და მოცინარი ადამიანებისა. იგი ძლევა-მოსილია, და ზოგიერთი მისი რიტმები მოისმის როგორც ბრძანება, გადასროლილი ბრბოში, რომელიც ურჩია, მაგრამ მაინც მას გაჰყვება. იგი დარწმუნებულია თავის თავსა და მასსაში. ის თავს ესხმის, სთხოვს და უკან გაიყოლიებს მასსას. იგი სოციალურია. თუ ზოგჯერ იგი კვენსოდა და ვედრებით მიმართავდა ევროპის გადარჩენილ ნამსხვრევებს, ის ამავე დროს ლაპარაკობდა არმიების მებრძოლ სულზედაც. იგი უერთდება ყველა პროცესსიებს, რომ იგრძნოს მასსა, მაგრამ მას არა აქვს საქმე მის კულტთან.

„მაგრამ იგი არ არის მშვიდობის მოყვარე. ის არც შეიძლება იყოს ასეთი. მისი პოეზია — როგორც ყოველი გულწრფელი პოეზია, — სავსეა მოძრაობით. მოძრაობა კი ყოველთვის მებრძოლია, და ბრბო არასოდეს არ არის დამშვიდებული. ეს სიმშვიდე, რომელიც არ არის სიკვდილი, არამედ შედეგი საერთო სიკვდილისა, არის არარაობა, გადაულახავი და არ არსებული.“

აქ იბეჭდება ჟიულ რომენის ლექსი — „ევროპა“ და პროზა — „პარიზის სულები.“

## ევროპა

Rue Montmarte, Oxford Circus,  
კანნებიერა, ფრიდრიხშტრასესე,  
მე თქვენ გეძახით ყველაზე უნინ.

რას ელოდებით? ან რა შეგემთხვათ?  
და ვინ გასტეხა ქედფიცხელი თქვენი სიმტკიცე,  
ვინ გაგიყინათ ძარღვებში სისხლი?

გამოიღვიძეთ, მხიარულო ქუჩის ბრბოებო!

თქვენ ხომ სცხოვრობდით, ვარსკვლავებზე ფიქრის გარეშე,  
უმაღლეს ყოფნით, უმაღლესად ძლევა-მოსილნი.  
ევროპა იყო დატვირთული თქვენი გუგუნით  
და თქვენ ქუჩებ-ქვეშ ჰქუხდა ქვესკნელის წყაროებად  
მომავალი ღმერთების სული. ნუთუ არ იყო  
მთელი მსოფლიოს ბრწყინვალეობა მხოლოდ აჩრდილი  
იმ ფართე ელვის, თქვენ შორის რომ ცახცახით ენთო?  
ეხლა კი წევხართ დამონებულ ძილში გართხმული.  
თქვენ ვილაც ერთმა, საშინელმა, შეგცვალათ ყველა.  
თავის ბნელ სტომაქს რომ ასუქებს თქვენი სხეულით.

მე თქვენ გეძახით, ცოცხალნო ბრბონო!  
თქვენ ყველას, ვინც მე ცეცხლად მომედეთ,  
თქვენ ყველას, ნათელს, უეცარი ალის დანთებას,  
ზაფხულის ქარი რომ ათრთოლებდა...  
დიდ ჩირალდანებს, რომლებიც წინად —  
სცდილობდენ მწველი მზის დაბადებას.

ბრბონო თეატრის, მატარებლების  
კაფეების და მუსიკ-ჰოლლების.  
ბრბოვ ჰაიდ-პარკზე მაისის დღეში,  
ბრბოვ სექტემბრისა ლიდოს კალთებზე,  
ბრბონო პორტების და ხომალდების,  
ბრბონო მარადის ცოცხალ ევროპის,  
ბრბონო, სიკვდილს რომ ვერ ეგუებით!

მე თქვენ გეძახით: დრო არის უკვე!

*ჟიულ რომენი*

## პარიზის სულები

ნიგნიდან Les puissances de Paris (an.1919)

### ბრბო კინემატოგრაფში

ლამფები ჰქრება. ბრბოს გულიდან ამოეჭრება სუბუქი შეძახება, მაგრამ ეს ხმა მიწელდება იმავე წუთს. ეს არის დასაწყისი იმ დიადი გოდებისა, რომელსაც, საუკუნეთა მანძილზე, შენუხებული ბრბოები ისროდენ ლამეებისკენ. ბრბო ეკუთვნის ისეთ არსებებს, რომელთაც უყვართ დღე. მისი ჯიში შექმნილია სინათლის ძალითა და ცვლილებებით.

მაგრამ კინემატოგრაფიული ლამე არ არის გრძელი. ბრბომ მხოლოდ იმდენი მოასწრო, რომ დაეჭვდა სიკვდილის არსებობაში და დასტკბა მასთან უშიშარი მიახლოებით, ისე, როგორც მცურავი, რომელმაც ჩაყვინთა წყალში და შეჩერდა შიგ — დახურული ნამნამებით, პირით და კბილებით, რომ ეგრძნო უხერხულობა, შემდეგ სიძიმე, შემდეგ სულის შეხუთვა, — და ეს იმ აზრით, რომ ბოლოს უეცრად გადაერჩინა თავისი სიცოცხლე. — მკვეთრი წრე გააშუქებს კედლის სიღრმეს. დარბაზი წამოიძახებს: „ახ!“ ახლად შობილის ასეთი შეძახებით ბრბო — მოჩვენებული გაკვირვებით — დღესასწაულობს თავის მკვდრეთით აღდგომას, რომელშიაც იგი ისედაც დარწმუნებული იყო.

დაიწყოს ბრბოს სიზმარი. მას სძინავს; მისი თვალები ველარ ჰხედვენ თავის თავს; იგი უკვე აღარ გრძნობს თავის სხეულს. ეხლა მასში მხოლოდ სახეების რხევაა, სიზმრების ცურვა და შრიალი. ბრბომ უკვე აღარ იცის, რომ დიდ კვადრატულ ოთახში იგი გადაიქცა უძრავ ადამიანთა მასსად, რომელიც გადასერილია პარალელური კვლებით, როგორც გადახნული ყანა. მთელი მისი შინაგანი სინამდვილე თრთის ეკრანზე. მოჩვენებები აგონებს მას სიცოცხლეს, და კვამლი ირხევა მის წინაშე. საგნებს აღარა აქვთ ის გზები, რაც ნამდვილ სიცოცხლეში. მათ გამოიცვალეს თავიანთი ფერი, თავისი სიდიდე და მიმოხვრა. არსებანი გამოსჩანან როგორც გოლიათები და მოძრაობენ სისწრაფით. დრო, რომელიც ბრძანებლობს ამ რიტმებს, აღარ არის ის ჩვეულებრივი დრო, რომელსაც ემორჩილება ბრბო, როცა იგი არ ოცნებობს. ეს დრო ხალისიანია და კაპრიზით სავსე: იგი მხიარულია. იგი მუდამ დარბის, იგი ხანდახან აკეთებს უზარმაზარ ნახტომს, და სწორედ მაშინ, როცა ეს ყველაზე ნაკლებ არის მოსალოდნელი. მოქმედებას არა აქვს ლოგიკური ხაზი. მიზეზები ჰბადებენ უცნაურ შედეგებს, როგორც ოქროს კვერცხები.

ეს არის სული მეოცნებე და მოგონებებში გადასული; ეს არის ადამიანთა ხვეული, რომელიც იწვევს თავის წინაშე თავისსავე მსგავს ყრილობებს, აუდიტორიებს, პარადებს, მიტინგებს, ქუჩებს, არმიებს. მას ეჩვენება, რომ იგი თვით არის მონაწილე ყველა ამ ავანტიურებისა, ყველა ამ კატასტროფების, ყველა ამ დღესასწაულების. და სანამ ეს ბურანში მყოფი სხეული ისწორებს თავის კუნთებს და იზმორება სავარძელთა სიღრმეებში, თითონ იგი დაედევნება ჯამბაზებს სახურავებზე, შეეგებება აღმოსავლეთის მეფის მსვლელობას ტროტუარის ნაპირას, ან კიდევ ჯარისკაცებთან ერთად დადის მინდორზე, ხიშტებით და მესაყვირებით.

### ბასტილის მოედანი

როცა აქა-იქ დასცურავენ ღრუბლები, მზეს აღარ შეუძლია მოფარგლოს იგი ერთიანი გამონათებით. რომ დაიუფლოს იგი მთლიანად, მზეს გავლა სჭირდება. მოედანი მეტად მაღალია, რადგან მას აუმართავს ბრინჯაოს კოლონა ქალაქის სახურავებზე აცილებით. არც ერთ ქუჩას არ ჰყოფნის ძალა, რომ გადასჭრას მოედანი, ან ხაზად გაევილოს მასზე თვალთ გასარჩევი დენით. პირველი მიახლოებისას ყველა ისინი იხსნებიან მის ერთიანობაში.

მხოლოდ არხი ახერხებს გადარჩენას. მაგრამ იგი ეპარება მიწაში დაფარული, და მხოლოდ მაშინ, როცა გაშორდება მის საზღვრებს, გამოიჭრება ტონელიდან გარეთ. ამ დროს იგი გამომდინარეობს მოედნიდან როგორც გლეტიერიდან, და გეჩვენებათ, რომ იგი არის უკანასკნელი ფორმა მისი ძლიერებისა, ფორმა მშვიდობიანი და ცისფერ-თვალეზა. სახლები აქ სრულებით არ შეადგენენ მოედნის ნაწილს. ისინი აქ დგანან არა იმისათვის, რომ შემოფარგლონ მისი მოძრაობა მაგარი და შეუცვლელი რკალით; უფრო ის გეჩვენებათ, თითქო ისინი მოგზავნილი არიან მასთან. თვითეული აწვდის მას თავის ფასადს. გრძნობთ, რომ კიდევ ასეული სახლები შეგჯუფებულან მათ უკან და გადმოსცემენ კედლებიდან კედლებს რალაცა ისეთს, რისი გაცნობა საჭიროა მოედნისათვის.

ასე, მუშათა განაპირა სადგურები, საქმიანი უბნები, და აგრეთვე ისინი, მდინარის ახლოს რომ სთვლემენ, ყველას ერთად მოაქვთ მისთვის ის, რაც ყველაზე მძიმედ მოძრაობს მის სულში.

ეს მოზღვავება არ აფიქრებს მას. იგი ახერხებს შეათანხმოს ყოველივე ერთის წესით.

მოძრაობა გამოდის თვითეული ქუჩიდან ლერწამის მსგავსად, იხრებიან, გადააჯვარედინებენ თავიანთ ღეროებს. შემოუვლიან კოლონას და გარბიან, რომელსამე პირისპირ მდებარე ქუჩაში. ზოგი კიდევ უფრო უახლოვდება კოლონას. კიდევ უფრო მჭიდროდ შემოუვლის მას, და დაცხრილული საყელოთი მოეხვევა მის კვარცხლბეკს.

მეტროპოლიტენი და ვენსენის ვაგზალი ისვრიან მოედანზე ბრბოებს, რომელიც, აი, ეს არის, იჯრებოდა ვაგონებში, და ეხლა კი, წესიერებით დაღლილი, თავისუფლად იშლება, იზურდება, ირევა, შემთხვევის ნებით შლის თავის რკალებს და ხელახლა შემოიკრებს მათ. მოედანი სცდილობს გახსნას ეს ქაოსი თავის ცოცხალ ხალისიანობაში!

მისი შემეცნება ვერ ახერხებს მთლიანად აითვისოს ყველა ეს რიტმები. მის ცნობამდე აღწევს მხოლოდ ხალხის ჟრიალული უზარმაზარ ქვაფენილზე. იგი მხოლოდ მიგნებით გრძნობს ჰარმონიის არსებობას, რომლითაც შეეძლო დამტკბარიყო, თუ კი მას მისცემოდა საშუალება, ოდნავ ამალღებულყო თავის თავზე და მოეცვა ერთის შეხედვით საკუთარი სიცოცხლის ფეთქა. ეს სურვილი აღრჩობს მას, ატორტმანებს, და აიძულებს წამოიშარტოს შადრევანის მსგავსად ბრინჯაოს კოლონაში. იგი ყვავილად იშლება იქ ზევით, მთრთოლვარე აივანზე, ადამიანთა პატარა ჯგუფით, როგორც შემეცნება ქართა შორის.

იგი გადაიხრება ბალიუსტრადაზე, იგი გრძნობს თავს დიდად, რთულად, აბნეულად. მაგრამ იგი ჰხედავს პარიზს, — იგი ჰხედავს მხოლოდ პარიზს; იგი ივინყებს ჟრიალულს იქ ქვევით. იგი ჰხედავს ყველა ქუჩებს და სახურავის მილებს. იგი გადაიქცევა პარიზის შემეცნებად.

*ჟიულ რომენი*

## გილიომ აპოლინერის ჯგუფი

### გილიომ აპოლინერი. ჟან კოკტო. ბლეზ სანდრარ

გილიომ აპოლინერის ჯგუფი წარმოადგენს უკიდურეს „მემარცხენე“ ფრთას თანამედროვე ფრანგულ პოეზიაში. ეს სკოლა არის ერთ-ერთი შტო ზოგად-ევროპული ფუტურისმისა.

გილიომ აპოლინერი, მეთაური სკოლისა (უდროოდ დაღუპული 1910 წელს) მნიშვნელოვანი ფიგურაა ახალ ხელოვნებაში. მან შეიტანა ექსტრემისტული ხაზი არა მარტო პოეზიაში, არამედ გაელენა იქონია ხელოვნების ყველა დარგებზე, ასე — პლასტიკაზე, თეატრზე. კერძოდ იდეოლოგია „კუბისმისა“ აპოლინერის შექმნილია.

1. თუ არ მივიღებთ მხედველობაში „დადა“-ს ჯგუფს, რომელიც არსებითად პოეზიის გარეშე სდგას.

აპოლინერის სიკვდილის შემდეგ, ყველაზე ცნობილი სახელები საფრანგეთის ფუტურიზმისა არის ბლენზ სანდრარ და ჟან კოკტო.

„კავკასიონი“-ს მორიგ ნომერში ჩვენ ვუძღვნით ცალკე წერილს აპოლინერს და ევროპიულ ფუტურიზმს, სადაც წარმოდგენილი იქნება ამ მიმართულების იდეური შეფასება. აქ ვბეჭდავთ აპოლინერის ჯგუფის პოეტების რამდენიმე ლექსს. (კერძოდ აპოლინერის ლექსი ეკუთვნის „პირველი თარიღის“ აპოლინერს, როდესაც იგი ჯერ კიდევ არ იყო სავსებით დაშორებული ტრადიციული პოეზიის ფორმებს).

## კროკუსები

შემოდგომაზე ლამაზ ველებს ედება შხამი.  
 ნელი ლასლასით იქ დადიან ზანტი ძროხები  
 და ისუნთქავენ დამძიმებულ დახაშმულ ჰაერს.  
 კროკუსის ბუჩქებს ლილისფერი სცვივათ ფოთლები.  
 ლილისფერია შენი ცქერაც ამ ყვავილივით.  
 შენი თვალები იღვრება ჩემში  
 ასევე ნელი და მძიმე შხამით.

ხმაურით მიდიან მონაფე-ბავშვები  
 მოკლე ფარტუკებით... უკრავენ ჰარმონიკას.  
 სწყვეტენ კროკუსებს მოთამაშე ბავშვები,  
 სწყვეტენ კროკუსებს — შენ თვალებს რომ მიაგავს ფერით  
 და ირხევინან ოქტომბრის ქარზე.

მწყემსი ჰობოსის უკრავს ნელა. ძროხის ნახირი  
 ზანტი ლასლასით სამუდამოდ სტოვებს ამ მინდვრებს,  
 შემოდგომაზე რომ ენთება ლილისფერ შხამით.

*გილიომ აპოლინერი*

## მუზები

*ოდა პიკასოს*

შემთხვევა, რომელიც შესაძლოა მომხდარიყო,  
 თავდება ქუგით.

დამტკიცება: ცხრის მაგივრად  
 თამაშობს ერთი.

მისი ხელი გადასხამს მუზებს.

კვადრატი ჭადრაკის, —

შარნირი აწყობს მათ შერენგაში,

და, აი, რვა,

და ხასა პოლიჰიმნია.



...  
 თუნუქის კლიო.  
 კალლიოზე სდგას ტელეფონთან,  
 ურანია ანთებს,  
 გაზის სანთურებს.  
 რომლებიც ქვევით პუდრს აყრიან ქუჩის ხეივნებს.  
 გინიოლი დაჰკრავს გილიოტინას,  
 მშვიდობით,  
 ტალია  
 და  
 მეღპომენე!  
 ლურჯი ბარაბანი გაიძულებთ, რომ დადუმდეთ,  
 მოლაყბე დედოფლებო!  
 მარტოობა  
 ნთქავს ქალაქს.  
 მისი დირიჟორი გატარებთ ეტლით...  
 მან გაჰყო  
 მზე ჩრდილი  
 და დაამსხვრია გიტარა  
 კლიოს დიდ თავზე.  
 იგი ბარბაცებს და ავინყდება  
 რიცხვების რიტმი.  
 იგი გართმევს თქვენ თავისუფლებას,  
 იგი სეირნობს ასფალტზე,  
 რომელიც ასე ნაზია 7<sup>1</sup>/<sub>2</sub> საათზე სექტემბერში  
 დიდ კაფეებთან რკინის ურდულებით,  
 სადაც —  
 ანგელოზები ხაზავენ ასოებს  
 შობის-ხის გარშემო.  
 შემდეგ ის მოლბება  
 და თავისუფლებას განიჭებს თქვენ.  
 სარეკელა გაახელს სწორ-კუთხიან თვალებს.  
 მოცეკვავე ჩაცმული რიპოლინში: —  
 პარადი ეწყობა,  
 ზევიდან ქვემომდე, სახლში.  
 ჰე, დასძარ ადგილიდან მეეტლე ტომას,  
 რომლის დროგებზე ზის პოეზია...  
 დეე, მნემოსინემ გადაიხადოს ცხრაჯერ მეტი.  
 იგი აწარმოებს თავისი ქალების ხარჯის  
 სწორ ანგარიშს.  
 არაფერია სახელოებში — არაფერი ჯიბეში.  
 მონყალეო ხელმწიფევ,  
 იყავით გულკეთილი, ათხოვეთ თქვენი ქუდი  
 არლექინს პორ-როიალიდან.

ჟან კოკტო

## კოშკი

კასტელამარე.

მე ვსადილობდი აპელსინით, აპელსინის ხეების ჩრდილში,  
როცა უეცრად...

ეს არ ყოფილა ვეზუვის ამოხეთქა.

ეს არ ყოფილა კალიას ღრუბლები, ერთი — ეგვიპტის ათი სასჯელიდან,

ეს არ იყო მკვდრეთით ამდგარი ყიჟინა გიგანტური მასტოდონტების,

ეს არ იყო საყვირი განკითხვის დღის,

არც გომბეშო პიერ ბრისსესი,

როცა, უეცრად,

ცეცხლები,

შეჯახება,

გამოჭრა,

ნაპერნკალი ერთად მოქმედი ჰორიზონტების,

ჩემი სქესი!

ო, ეიფელის კოშკო!

მე არ ჩაგაცვი შენ ოქრო,

მე არ დაგაძალე გეცეკვნა ბროლის ფიცრებზე,

მე არ გაგეცი შენ პითონზე, როგორც კართაგენის ქალწული,

მე არ მოგასხი საბერძნეთის პეპლუმში,

მე არასდროს არ მიხმარნია ძალა გეხეტიალნა მენგირის ჯებირებში,

მე არ გინოდე შენ სახელად დავითის რტო, ან ჯვარის ხე,

Lignum Crucis.

ო, ეიფელის კოშკო!

გიგანტურო ფეიერვერკო მსოფლიო გამოფენის!

განგესის ნაპირას,

ბენარესში,

ინდუსის ტაძრების ჩუკენ ღვედკეცებში

და აღმოსავლეთის ბრბოების შეფერილ ყიჟინაში,

შენ სდგეხარ დახრილი, სასურველო პალმავ!

ეს შენ იყავ, ებრაელ ხალხის მითიურ დროებში

რომ მოახდინე აღრევა ენების.

ო, ბაბილონო!

და ათასეული წლების შედეგ ეს შენ ჩამოზვავდი ცეცხლეულ ენებად

მოციქულებზე, შენს ეკლესიაში როცა შეიყარნენ!

გაშლილ ზღვაში შენ ხარ ხომალდის ანძა.

ხოლო ჩრდილოეთის პოლიუსზე —

ენტები მთელის ბრწყინვალეობით ჩრდილოეთის განათებისა შენი უმავთულო

ტელეგრაფით.

ლიანები გადახლართულა ევკალიპტებში,

და შენ მისცურავხარ, ძველი ხის მორი, მისისიპიზე,

როცა

შენი ლაშები დაღებულია

და კაიმანი კბილებით დაესო ფეხებზე ზანგს.

ევროპაში შენ მიაგავხარ საღრჩობელას  
(მე მინდა გადავიქცე კოშკად, ჩამოვეკიდო ეიფელის კოშკზე!) —  
და როცა მზე გადავარდება შენს იქით,  
ეს ბონნოს თავი მოგორავს გილიოტინის ქვეშ.  
აფრიკის გულში შენ მირბიხარ,  
ყირაფი,  
სირაქლემა,  
ბოა,  
ექვატორი,  
მუსონები.  
ავსტრალიაში შენ ყოველთვის იყავი ტაბუ.  
შენ ხარ ისარი, რომელსაც უცქერდა კაპიტანი კუკ, როცა მიმართავდა ავანტიურის  
მაძიებელ ხომალდებს.

ო, ზეცის ზონდო!  
სიმულტანეისტი დელონესთვის, რომელსაც უძღვნი ამ პოემას,  
შენ ხარ სახატავი კალამი, რომელსაც იგი ამოავლებს სინათლეში.  
გონგ. ტამ-ტამ, ზანზიბარ, ჯუნგლების მხეცი, სხივები X, ექსპრესს, ლანცეტი, სიმფონია,  
შენ ყველაფერი ხარ:  
კოშკი,  
ძველი ღმერთი,  
ახალი ნადირი,  
მზის სპექტრი,  
სიუჟეტი ჩემი პოემის,  
კოშკი,  
წრე-შემოვარდნა,  
კოშკი მსოფლიოსი,  
მოგზაურობა მსოფლიოს გარშემო,  
მოძრავი კოშკი!

ბლევ სანდრარ  
*Petronius*

## ექსპრესსიონიზმი

ფორმულა პირველი:  
მე მსურს ავსახო საგანი. ისე: როგორც არსებობს საგანი თვითონ. არც მეტი არც ნაკლები. საგანი: თითქო გარე სუბიექტისა. მთელი ენერგია საგნის სისწორით გადმოცემისათვის. ეს იქნება ნატურალიზმი.  
ფორმულა მეორე:  
მე მსურს ავსახო საგანი. ისე: როგორც ჩემს შთაბეჭდილებაშია იგი ახატული. არა საგანი თვითონ, არამედ ჩემი შთაბეჭდილება. არავითარი ზედმეტი. მთელი ენერგია მხოლოდ შთაბეჭდილების დაჭერისათვის. ეს იქნება იმპრესსიონიზმი.  
ფორმულა მესამე:

მე მსურს ავსახო საგანი. არა ისე: როგორც არსებობს საგანი თვითონ. მაგრამ არც ისე: როგორც ჩემს შთაბეჭდილებაშია იგი ახატული. არამედ ისე: როგორც არის იგი გარდაქმნილი ჩემს სულში. მთელი ენერგია საგნის გარდაქმნისათვის არა ნაკლები.

ეს იქნება ექსპერსსიონიზმი.

ძნელია, ორი მიმართების შორის, საგნისადმი თუ ამსახველისადმი, რომელიმეს მეტი კურსივი არ მისცე. თუ პირველს გაუხვი მეტი ხაზი, ექსპერსსიონიზმი იქნება ექსტენსიური. თუ მეორეს გაუხვი მეტი ხაზი, ექსპერსსიონიზმი იქნება ინტენსიური. ტერმინები ფეხტერისა.

მაგრამ ორივე შემთხვევაში ექსპერსსიონიზმისათვის თავი და თავი საგნის გარდაქმნა სულით და არა უბრალო ასახვა.

ნატურალიზმთან ომში იგი ბლოკითაა შეკრული იმპრესსიონიზმთან. ნატურალიზმთან ომის დამთავრების შემდეგ იგი იწყებს ახალს ომს იმპრესსიონიზმის წინააღმდეგ. ექსპერსსიონიზმი ანტი-იმპრესსიონიზმია.

იმპრესსიონიზმი უკანასკნელი სიტყვა იყო საფრანგეთის სახვითი ხელოვნების. უკანასკნელი: მაშტაბის სიდიდით. ედუარდ მანესათვის პირველი იყო შთაბეჭდილების „სინ-მინდე“: პირვანდელი, შეულახველი, ცინცხალი, აბსოლუტურ უშუალო, არგაფუჭებული რეფლექსით, ერთი სიტყვით, ქალწულური შთაბეჭდილება. ამსახველი თითქო თავისებური აპარატი უნდა იყოს, რომ სისწორით დაიჭიროს „პირველი“ შთაბეჭდილება. „მოგონებული წარმოდგენა“ (გახსენებული) მისთვის არ არსებობდა. შემოქმედი იქცა პასსივ ამსახველ ფირფიტად. აქედან: სიკვდილი „სურათის“ და გამარჯვება „კოლორის“, თავიდა-თავი: პლენერიზმი. პერსპექტივის ალაგს — ლაქები მხოლოდ. განშორებით — საგნები ჰქრებიან: ინტექტიან თვალისმჭრელ ფერებში. სახე განათლებული ცივი დღის სინათლით ერთი მხრით და მწვანე ფოთლებით მეორის მხრით — პირველ შემთხვევაში მოლურჯოა, მეორეში მომწვანო. ტყვილად არ უნოდეს იმპრესსიონიზმს „ხელოვნება ახლო-მხედველთა“.

რეაქცია იმპრესსიონიზმის წინააღმდეგ ჯერ თვითონ საფრანგეთში დაიწყო. ცნობილია პოლ გოგენის ამოძახილი: „განზე ბუნება, უკან სურათისაკენ!“

გერმანიაში ეს პაროლი მთელს მიმართულებად გადაიქცა. იყო აქ პატრიოტული მოტივიც: თავის დაღწევა ტყვეობისაგან ხელოვნებაში. მაგრამ კიდევ იყო სხვა რამ: ევროპის დიდი ომი და რუსეთის დიდი რევოლუცია. რატომ მაინცა და მაინც გერმანიაში — ამის შესახებ ბოლოს. აქ მხოლოდ ეს სიტყვა: ამ ორი დიდი მოვლენის განცდაში მიუღებელი დარჩა პასსივიზმი იმპრესსიონიზმისა. ამსახველი პასივურ კი არ უნდა „ეძლეოდეს“ საგანს, რომ მიიღოს შეულახველი „შთაბეჭდილება“, არამედ აქტივურ უნდა „იურვებდეს“ საგანს, რომ მიიღოს მისი ქმედითი „გარდაქმნა“. აი, ფორმულა საქმისათვის. პირველად ეს ფორმულა გაიხაზა სახვით ხელოვნებაში, შემდეგ — ხელოვნებაში საერთოდ, ბოლოს — მსოფლიო გზნების რკალშიაც შეიჭრა.

კარგად იტყვის მაქს პიკარ:

იმპრესსიონიზმს არ უცდია გამოეყო საგანი და განეცალკეებინა იგი. იგი არ იღებდა თავისთავზე პასუხგებას საგნისათვის. მისთვის თავიდათავი იყო ურთიერთმიქცევა საგნების და არა თვითონ საგნები. საგანი, ამ ურთიერთქცევით გამოხმობილი, უკანვე ინტექტობდა უსახელო ქაოსში. ექსპერსსიონიზმს გამოჰყავს საგანი ამ ქაოსიდან. იგი სახელს არქმევს საგანს, მაგრამ უბრალო მიმართვა საგნისადმი საკმაო არაა. რომ საბოლოოდ გამოგლიჯო საგანი გარემოცულობას საჭიროა მისი გარდაქმნა, აქედან: საგანთა ტიპიზაცია, აუცილებელია საგნის წმინდა ლოგიკა. შინაგანი არსი საგანის და არა მისი აფექტი: აი, მთავარი.

ერთი სიტყვით: აქტივიზმი სულის.

ექსპერსსიონიზმი ამ აქტივიზმს ავრცელებს ყველგან.

„საგნის გარდაქმნა სულით — მაშასადამე, სული და სულობა თავიდათავი“: აი, სხვა ფორმულა. „სულობა“ ექსპრესიონიზმისათვის არის მეტაფიზიკური ცნება და არა „ფსიქოლოგიური“ ტერმინი. პირიქით: „ფსიქოლოგია“ განდევნილია.

ლუდვიგ რუბინერ ამბობს: ყოველი მომავალი თქმა იქნება არა ფსიქოლოგიური, არამედ მეტაფიზიკური. ჩვენი რეალობის ლექსიკონით, იგი იქნება ეთიური გამოსავალი მუხლი: სიცოცხლე აბსოლუტურში. მიზანი: სიცოცხლე ინტენსივობაში. ინტენსივობა სიმპტომია სულის ქმედების.

კიდევ უფრო ძლიერ მეტყველებს კაზიმირ ედშმიდ:

ახალ ხელოვნებაში —

ალარ არის ამბავი ცოლქმარის შესახებ,

ალარ არის გარემო, ალარ არის ვინრო არე,

ალარ არის ტრაგედია „თუბით“ გამოწვეული.

ალარ არის მხიარული აფიცერი.

ალარ არის ტიკინი ფსიქოლოგიურ ქსოვილით,

ალარ არის ტიკინების სიცილი, ტირილი, საზრისი.

არის მხოლოდ ადამიანი უბრალო,

უშუალოდ შერთული კოსმიურ ყოფას.

იგი არ ფიქრობს თავის თავზე —

იგი განიცდის თავის თავს.

იგი არ არის არც უკაცური და არც ზეკაცური:

იგი მხოლოდ ადამიანია: როგორც მოავლინა შემქმნელმა.

აქ ალარ არის ჩვეული „ფსიქოლოგია“ და მისი აპარატი,

განცდა მიდის მარტივი გზებით:

მან არ იცის ადამიანის მიერ შექმნილი ხვეულები.

იგი არ თამაშობს მალულაობას საგანთა გარშემო,

იგი წვდება თვითონ მათ შუაგულს.

აქედან: უარყოფა ატომიზმისა და იმპრესიონიზმის დეტალებისა.

მატერიის გარღვევით — მატერიის ასულიერებულ ექსტრაქტისაკენ.

იულიუს ბაბ ამბობს:

ფსიქოლოგია ისეთნაირადვე ნაკლებ ლაპარაკობს ადამიანზე, როგორც ანატომია.

ვილჰელმ ჰაუზენშტაინ ამბობს:

თაყვანების ადგილს იკავებს სიცხარე,

მორჩილობის ადგილს — გახელება,

უშუალო ცდის ადგილს — ლოდინი ცხადების,

ჭვრეტის ადგილს — ხილვა,

იმედის ადგილს — ექსტაზი.

ხდება აფეთქება საგნების in extremis.

ექსპრესიონიზმში კაცი აღებულია თავის თავად: ყოვლის გარე. კოსმოსსა და კაცს შორის ალარ არის არავითარი ზღვარი ან ზღუდე. ატომიზმი განცდების უარყოფილია. არის მხოლოდ ერთი გრძნობა: კოსმიური გრძნობა: ყოვლის შემცველი და ყოვლის დამტევნელი, განუყოფელი და განუწევრებელი, წამი არა — არამედ მარადისობა. აქედან: ელემენტარობა და პრიმიტივი (ამ სიტყვების არა ვულგარულ გაგებით).

ხელოვნების საგანია სულის აქტივობის ცნაურება.

სული ომს უცხადებს თვითმპყრობელ მატერიას.

სული ილაშქრებს „რეალურ ფაქტების“ წინააღმდეგ.

სული არღვევს „ყოველდღიურობის ფიზიკას“.

იგივე ჰაუნენშტაინ კარგად იტყვის:

ხელოვნება — ეს დაჭერაა საგნებზე ღვთის კვალისა.

იგი იჭერს ღვთიურ ნომოსს სამყაროსას.

მაგრამ რა გზით?

მხოლოდ ექსტაზით. ექსტაზით უნდა გაარღვიოს სულმა ტრანსცენსი. მხოლოდ მაშინ იხილავს იგი ღმერთს.

შესანიშნავ სიტყვას ამბობს ამის გამო დობლერ:

„როცა ვისმე ჩამოახრჩობენ, იგი უკანასკნელ წამს ერთხელ კიდევ განიცდის მთელ თავის სიცოცხლეს: — მხოლოდ ეს შეიძლება იყოს ექსპრესსიონიზმი!“ აქ ექსტაზი წამებამდეა დაყვანილი.

ახალი სული ნახულობს ახალს რიტმს გამოთქმისას. ფრაზები სხვარეგ იქსელებიან რიტმში, მელოდია მართავს მათ. მაგრამ ეს არ არის თვითმიზანი, იგი ექვემდებარება მათ გამაფორმებელ სულს. ფრაზები აღარ იკვრიან „ლოგიური გადასვლის ბუფერით“, სიტყვა იღებს ახალს ძალას. სიტყვა ამწერელი ჰქრება. „სიტყვა ხვდება საგნის შუაგულს და ხდება მის კრისტალურ ხატად“ (ედშმიდ). იქმის ახალი ლექსიკა და ახალი სინტაქსი.

ექსპრესსიონიზმი ყველგან ნახულობს კოსმიურ გრძნობას. საკმაოა გავიხსენოთ გრეკო, ზენატურალიზმი გოტიკისა (ქიმერიზმი), გოტიური პრიმიტივი და პრიმიტივი საერთოდ, ველურების ფეტიშები, ძველი პაპირუსი, ინდოეთის კოლოსი, ზანგების ნაშენი, გრიუნევალდ და მრავალი სხვა.

ქმედითი ფორმა ექსპრესსიონიზმისა ექსტაზია. ამ მხრით იგი ეწინააღმდეგება გოეტშეს ფორმას. გოეტშეს ფორმა იყო: „კეთილშობილი სიმარტივე და წყნარი სიდიდე“. აქ კი ავარდნა და გადალახვაა. გოეტშე სწერდა ცელტს: განსხეულებაა ქმნილება ბუნებისა და ხელოვნების და სხეულებაში უნდა იყოს სპეციფიკაცია (აუცილებელი ხაზების). „Es ist keine Kunst sein Talent nach individueller Bequemlichkeit humoristisch wallen du lassen“. ამას გოეტშე რომანტიკოსებზე ამბობს, მაგრამ რამოდენიმეთ ეს შესაძლოა შეეხოს ექსპროსსიონისტებს. უკანასკნელთა სიტყვა მეჩვიდმეტე საუკუნის ბაროკოს კონფულსიაა და მონამეობის სურვილი. აქ ნათელი და დახვეწილი ხაზები კი არაა, არამედ გრიგალი და ნიავღვარი. საკითხავია: ეგუება თუ არა გერმანელობის სულს ეს ქმედითი ფორმა? თუ გოეტშეს ავიღებთ, მაშინ რასაკვირველია — არა, მაგრამ გოეტშეს გარდა გერმანელებს ჰყავთ გრიუნევალდ და დიურერ, რომ ეძახდენ უკანასკნელის ქმნილს „რისხვიან პორტრეტს“?!

არის კიდევ სახელი, რომელსაც უნდა დაეპირისპიროს ექსპრესსიონიზმი: ფრიდრიხ ნიცშე. მაგრამ ეს ცალკეულ ექსკურსის საგანია. აქ მხოლოდ ის უნდა ითქვას, რომ ნიცშეს იმპორალიზმი ექსპრესსიონიზმისათვის მიუღებელია. სხვა საკითხია ნიცშეს სწავლა ექსტაზზე და ნიცშეს სტილი. აქ შესაძლოა ნათესაური კავშირის გამონახვა.

როგორც აქტივისტები. ექსპრესსიონისტები სოციალ-რადიკალისტებია. ზოგი მათგანი კომუნისტიცაა (როგორც, მაგალითად, ერნსტ ტოლლერ).

არის თუ არა ახალი ექსპრესსიონიზმი როგორც მიმართულება?

ჩემს საჯარო მოხსენებაზე მე განვაცხადე: არა. სამწუხაროდ, გერმანიაში ერთი-მეორეს ურევენ იმპრესსიონიზმსა და სიმბოლიზმს. ეს არევა მიუტევებელია. შორს არ წავალ. აიღეთ, თუ გინდ, რუსეთის სიმბოლიზმი (ვიაჩესლავ ივანოვ, ალექსანდრ ბლოკ, ანდრეი ბელლი). აქ ექსპრესსიონიზმი მთელი მისი ფორმულებით უკვე მოცემულია. მე შემთხვევა მქონდა ურიცხვი ციტატებით დამემტკიცებინა ეს დებულება. აქ მას არ განვიმეორებ.

მაგრამ როგორც „ტონოსი განცდისა“, ექსპრესსიონიზმი უთუოდ ახალია. გერმანია. ომში დამარცხებული. დამარცხებულად თავს არ გრძნობს: მილიტარული მხრითაც კი. აქ არის უდიდესი ტრაგიული ნება და ჰეროული შეხვედრა ბედის. გამარჯვების გრძნობა მათრობელია. დამარცხების გრძნობა დამამცირებელი. მაგრამ დამარცხებაში რომ თა-



ვის თავი იგრძნო შინაგან დაუმარცხებლად — ეს კათარზისია ნამდვილი. აქ არის მოცემული ყოველი კუნთის დაჭიმვა. აქ არის დანურვა უკანასკნელი. აქ არის წვა საშინელი. აქ არის ლოდინით ავსილობა. ცხადია: აქ ბუდობს ნამდვილი ექსტაზი დიდი ხილვისათვის და ცნაურისათვის. ეს ტონოსია ექსპრესსიონიზმის ხერხემალი. აქ არის ისიც მოცემული, რომ ექსპრესსიონიზმი, როგორც მიმართულება, ჯერჯერობით მხოლოდ გერმანიის ფარგლებშია მოქცეული.

ორი სიტყვა მიღწევის შესახებ.

ლირიკაში ექსპრესსიონიზმი ვერ შეედრება სიმბოლიზმს: ვერც საფრანგეთისას და ვერც რუსეთისას. დრამაში კი მისი გამარჯვება დიდია (გეორგ კაიზერ, ფრიც ფონ-უნ-რუჰ, ფრანც ვერფელ და სხ.). აქ უთუოდ არის მოცემული ახალი ხაზი. მაგრამ ესეც სხვა ექსკურსის საქმეა. საგულისხმოა, რომ დრამა უფრო განვითარდა. ეს კიდევ უფრო ამახვილებს ზემოთქმულს. ტონოსი კოლექტივის მონოლიტური ნების, ცხადია, დრამაში უფრო ცხადყოფდა თავს, ვიდრე ვინრო პიროვნულ ლირიკაში.

*გრიგოლ რობაქიძე*

## ექსპრესიონისტები

*ერნსტ ღრემი.*

### ქორწილი

ეშმაკო! ტანით გასაკვირველით  
 მინდა ავანთო შენი წადილი.  
 ხარ მეგობარი ჩემი პირველი.  
 გვიცდის ლოგინი ჩვენ გამზადილი.  
 როგორც ხავერდი უბნელეს ღამით  
 წვერი ნაზია და წვეტიანი.  
 მისი ალერსით — იმედიანი  
 დასტკბება გული — ხარბი სულამით.  
 ჩვენი ჩურჩული მეტად ხშირია  
 ვარსკვლავებზე და წარსულ დროებზე,  
 იმაზე — კაცნი თუ რად სტირიან,  
 შემდეგ საშობე, გომბეშობებზე.  
 ერთმანეთს ხარბად ჩვენ ვეამბოროთ.  
 და გამოვცალოთ ღვინის ფიალა.  
 სული მიეცა ქარიშხალს ბოროტს,  
 შვიდ ცოდვის დროშა ააფრიალა.  
 ჩვენი ოთახის ძვირფას შპალერზე  
 ჩუქურთმა ბრწყინავს ისე, ვით წყალი —  
 ბალი ზღაპრული და მოალერსე —  
 ნეტავი იყოს იგი ცოცხალი!  
 ჩვენი სუნთქვებით ეს ყვავილნარი  
 გარუჯულია ოდნავად ახლა.

და ამ კუთხეში — ნეტა ვინ არი? —  
 მოდის მესამე — ეტყობა დალლა.  
 მესამე არის მთვარე გვიანი  
 და მან აკურთხოს სათუთი ჩრდილით  
 ეშმაკისა და ადამიანის  
 შუალამური შავი ქორნილი.

თარგმანი ვ. ვ.

ვალტერ ჰაზენკლევერ.

## მკვლევები სხედან ოპერაში

მატარებელი გადავარდა. დაილუპა ბავშვები ოცამდე.  
 ბომბებით მოკლულია ხალხი მილიონობით.  
 ამაზედ არც ერთი სიტყვა!.. მათზე არ მსჯელობენ, ვინც დაიხოცა...  
 მკვლევები სხედან ოპერის პავილიონში.

ჯარისკაცები მყრალ ქუჩებზე, როგორც ნახირი ჰყრია.  
 აბრჭვილებენ გენერლები ვარსკვლავებს ყრონტზე ამპარტავნებით.  
 და დეზერტირებს, რომ გაურბიან ტყვიას,  
 ხვრეტენ უზენაეს თვითმპყრობლის ბრძანებით.

აღსდეგ, დირიჟორო, და სთქვი: განა იოლად  
 ხოცავდი შენ ხალხს? და არ გტანჯავდა გრძნობათა ალი?  
 ბევრი დახოცე?.. მკვლევებისათვის არსებობს სკოლა.  
 რა გაიფიქრე, როცა პირველად შენ დაინახე სისხლის ფრთხიალი?

კაცი იაფია, პური გაძვირდება, ალბად...  
 ოფიცრები მიდი-მოდიან ნაბიჯის ცემით.  
 ორი ქალაქისგან დარჩა მხოლოდ ავლი...  
 მიახლოვდება რიგი, მალე მეც დავეცემი.

ყვითელმა ლეიტენანტმა მე ყურში ჩამძახა უხეშად:  
 „ჩუმად, შე ღორო!“ თავჩალუნული,  
 სიცივისგან გალურჯებული, დავდივარ უნუგეშოდ  
 და ჩემს წინ სიკვდილის ველია — ცხედრებით დაზვინული.

ბრძოლის ველმა გამარჯვება გამოაფურთხა მალე,  
 მე ეხლა მეფის ლოყაში შევდივარ ამაყად.  
 მყვირალა გედები — ტიტველი ჩიტების ამაღლას  
 ოქროს კარებიდან ფოიეში შემოჰყავთ.

სისხლიან თბილ ნაწლევებს მოათრევენ ბრჭყალებით,  
გრენადერისას რომელიღაც ბატალიონის.  
ამ ღამით ათასობით დაილუპენ წვალებით.  
მკვლევები სხედან ოპერის პავილიონში.

ბრბო გაიძახის: „გვერგო გამარჯვება!“  
მკბენარდახვეულნი დასახიჩრებულნი ქუჩებში დალახლახებენ ჯარად.  
შტაბის ექიმები ეხლა აჩრდილებს აძლევენ რეცეპტებს.  
მსუქანი მეფე მიდის საომრად, აისხა აბჯარი.

„აქ, თქვენო დიდებულებავ, მიიმალა მტერი“...  
უახლოვდება ფელდმარშალი ხელში თასით, ზედ ვარაყები მოსჩანს.  
ჩაღდება ქეიფი. ჭიქაში შუშხუნებს ღვინო ლალისფერი.  
ფრიალებს ვერცხლის ხონჩა.

კიდევ სამხედრო სასამართლო მოლაღატეებს სჯის,  
ბოროტმოქმედებს აუმართეს ეშაფოტები, ჰყრიან მკვდრებს.  
იქ წადი, მეგობარო, მე მტერი ვარ და გული გრძნობს ჟინს,  
შური იძიე, გაეცი — მიიღებ საჩუქრებს.

უნტერ-ოფიცერი ცხენის მსგავსი დრუნჩით  
ხიშტებით დაკეპილ ტყავიდან ძვრება...  
მოედანზე კვლავ ჰყვირის კარლ ლიბკნეხტ ურჩი:  
„ძირს ომი!“ და მოჰკლა ფარულად ვიღაც გაიძვერამ.

ჩვენ ყველა ვშიმშილობთ შავბნელ ციხეებში.  
დღეს მხოლოდ ოპერა გებულობს ომებით.  
დავინყებულ ტყვეებს შხამს ასმევს დღეები,  
რკინის ზღუდეებში სხედან ვით მონები.

ქვეყნები დაიყვეს. ძვლები ჰყრია ყველგან.  
აზრის ადგილს იჭერს არეული ხლამი...  
და მკვდრების კოლონა ველზე მოსჩანს ერთგან.  
მარადისობის რჩეული რეკლამა.

ნალარამ ბრძოლისა შეაძრუნა მთები.  
სისხლია ღვინოში, პურში, ბულიონში.  
ო, მშობელო ქვეყანავ, მე არ შევშინდები!  
მკვლევები სხედან ოპერის პავილიონში.

*თარგმანი გრიგოლ ცეცხლადისა*

ივან გოლლ.

## ლტოლვის ქარავანი

ჩვენი ლტოლვების გძელი ქარავანი  
ვერ ნახავს უდაბნოში ჩრდილსა და ფერიებს.  
გვწვავს სიყვარული. წამების ფრინველნი  
ჩვენს გულს საცოდავს ყოველთვის კორტნიან.

ახ! კარგად ვიცნობთ ქარებს და წვიმებს.  
ყველგან შეიძლება იყოს ელიზიუმი.  
ჩვენ კი დავეხეტებით მარად ლტოლვაში.

სადღაც გადავარდება ადამიანი ფანჯრიდან  
ვარსკვლავის დასაჭერად და კვდება ამისათვის.  
ვიღაც დაეძებს პანოპტიკუმში  
სანთლის ოცნებას და უყვარს იგი.

მაგრამ ჩვენს გულში არ ცხრება ცეცხლი...  
ჩვენ რომ დავგფარონ ნილოსმა და ნიაგარამ —  
ჩვენ დავიკვივლებთ წყურვილისაგან მაინც.

*თარგმანი ტრისტან მაჩაბელის*

კაზიმირ ედუარდი.

## დამპყრობი

### წიგნი ნოველების: „თემურ“

ვეფხვის წელს დაიბადა თემურ, შუალის თვეს, დაკვერებული სისხლით, მაგრად შეკუმ-  
შულ ხელში. თოთხმეტის წლისა პირველად გაუშვეს იგი ბანაკიდან სანადიროდ. მან მოჰკლა  
ოცდაათი ირემი, თოვლში წელამდე. ბიძამ ხაჯიბერლასმა სცხო მას მირონი ცერზე, და აჩუქა  
ცოლი. ბაღში მდინარის პირად სალამოზე თამაშობდა მასთან. ღამით მან მოჰკლა ცოლი და  
გამოლადრა იგი კბილებით, გასცურა მდინარე, გამოუშვა ცხენების ჯოგი და გრიგალივით  
გადაირბინა ქვეყანა კეში.

ხაჯიბერლასმა დაუნიშნა მას ჰარამხანა. მაგრამ ამ დღიდან მას აღარ დაუგდია კა-  
რავი. ფართე, როგორც გომბეშო, იჯდა იგი მოკუნტული და უბღვერდა კარავის ქსოვი-  
ლების ნაოჭებს. არასოდეს არ შედიოდა ის ჰარამხანაში, რომლის სიღრმიდან უხმობდენ  
მას საკრავნი. მის თვალებს ნისლი ებურებოდა, ისე რომ ჰქრებოდა თვალის გუგა. ხაჯი-  
ბერლასმა შემოარტყა მის კარავს ჯაშუშები, რომლებიც სცდიდენ მას. ისინი ლაპარა-  
კობდენ ბიძის გულკეთილობაზე. ისინი ადიდებდენ მის ძლევამოსილებას, მის თეძოებს  
და იღრიჯებოდენ მისი ფერდების ღონის გამო. განუწყვეტილად ადევნებდენ თვალს იმის

სახის მეტყველებას. მთელი თვეობით არ შეეძლოთ ეცნობებინათ, რომ მოხდა რაიმე ცვლილება მის სახეზე, რომელიც მხოლოდ უფრო მეტის დიდებით და მეტის შეუცნობელობით შეიკვრებოდა.

დღე-ღამის გასწორების დღესასწაულზე, ხაჯიბერლასის სახლში ხუმარამ გამოაჯავრა ემირი; მას დაავინცდა სიფრთხილე და წამოიჭრა ქამარში ხელჩაკიდებული. მაგიდაზე გადახტომის დროს ხუმარამ წააქცია სანთლები... ემირის ხანჯალმა ხელი გაუკანრა მცველს. ვიღაც რუსტემდარმა დაიყვირა, რომ ხაჯიბერლასი იწურება სისხლისაგან. ატეხილ შფოთის დროს მიეხეთქა კარები. მცველებმა გარედან დაჰკეტეს ის, რომ შეეპყრათ მკვლელი. როდესაც შიშის ზარით დაბრმავებული ხუმარა გამოსტა გარედ, ხალიჩის ნაპრალობაში, მცველმა ჩასცა გვერდში ხანჯალი და მან განუტევა სული. ემირმა გაარჩია ღამეში, რომ პირველი დაჭრილი არ არის ხაჯიბერლასი, და ვერც ნახა იგი; მაშინ მან დაიძახა, რომ ხაჯიბერლასი მოკლულია.

ძახილმა მიაღწია თემურის კარავს, მაგრამ მის სახეზე ცვლილება ვერ გამოიწვია. შემდეგში გაფითრებულმა ჯაშუშებმა უთხრეს მას, რომ დაცემული ხანჯლით გვერდში არ არის ხაჯიბერლასი, ვინაიდან მათ ნახეს იგი დარბაზის კუთხეში, აბრეშუმის ხალიჩაში გამოხვეული, ოფლიანი შუბლით.

როდესაც ეს თემურმა გაიგონა, საფეთქლებში სისხლის ტალღა აუვარდა.

რამდენიმე ღამის შემდეგ, ის გასცილდა ორი კატისებური ნახტომით თავის კარავის მცველებს, მიიღბინა ბიძის სასახლესთან და დამშვიდებული გაჩერდა მეკარის წინ. დიდხანს ილაყბა მასთან და ისევ გაშორდა მას. მაგრამ როგორც კი ამოვიდა ჭიშკარის სიღრმიდან, სწრაფმა ნახტომმა გადაიტანა იგი ისევ უკან ზევით, კიბეებზე, მეკარის ბინის აცდენით. ვინრო, მისთვის უცნობი ხვეულებით დაეხეტებოდა იგი, ვიდრე არ დაინახა მან სანათი.

მძინარე ხაჯიბერლასი ტიტველი იწვა თავის საწოლზე და ხელი დაედო კისერზე ქალისათვის, რომელიც აერჩია მას ამ ღამით. კუთხეში იყო მიყუდებული შუბი. თემურმა გააჩერა შუბის წვერი სანათზე, სანამ ტკაცანი არ დაიწყო და შემდეგ დასცა ქალის მკერდს. მარჯვენა ხელით დაჰკრა ხმალი ბიძის კისერს, მარცხენათი მოაგლიჯა თავი, აიტაცა თან ქალის თავიც, და ავიდა კოშკზე, გრიალით დაატრიალა რკინის სარეკელა და გაჩერდა აივანზე.

თეთრი ღამე თავდებოდა. მან ააქნია თავები და გამოაცხადა თავი ხანად. პირველად გაისმა მისი ხმა და გუგუნით გადაუარა სახურავებს. სისხლი ტკაცანით სწვეთდა ქუჩაზე გადაჭრილი კისრებიდან.

ვარსკვლავთ მრიცხველი გუინეს ავიდა მეჩეთის მინარეთზე და მთელი ქალაქი გადასჭრა მისმა დაძახილმა: „შეინახე დიდებული, ხმების შორს გამფენი საყვირი“.

შუადღეზე ემირები გავიდნენ ველად. ისინი ისროდნენ ჰაერში ქუდებს და ზურგზე ქამრებს იგდებდნენ. ეცემოდნენ პირქვე, ევედრებოდნენ მზეს, და ცხრარიგი თაყვანისცემით მიიღეს ახალი ხანი. ერთმა მთავარმა მუხლმოყრით მიართვა მას თასი ყუმისით. ოდნავ გაიგრილა შუბლი და ამის სანაცვლოდ გამოუცხადა მას სიკვდილის განაჩენი. შემდეგ, რადგან ხაჯიბერლასმა შესცვალა ტახტი საფლავზე მხოლოდ ერთი ქალის თანხლებით, და რათა მას ძალიან არ მოსწყენოდა, უბრძანა მოეკლათ მისი თექვსმეტი მხევალი და გამოაცხადა ლაშქრობა სამარყანდზე.

მან დასჩეხა ამ ქვეყნის ემირი და, რადგან ეს ქვეყანა მოენონა თემურს, აიშენა სახლი ქალაქის ახლო, შემოარტყა მას ენებ-დაჭრილი ყარაულები და კარებთან აღმართა თავისი ძღვევის დროშა.

მან თითონ ჩაარჭო იგი მიწაში, ცხრათავიანი, შავი და თეთრი კუდებით. ნელა შეტრიალდა და შევიდა სახლში.

ამის შემდეგ ათი წელიწადი არც ერთ თათარს აღარ უნახავს იგი.

ამიერიდან ამ ადგილიდან გამოდიოდა ხელმწიფება, რომელიც მისდევდა და ეწეოდა ყველას. ყოველ დღე შორეული ადგილებიდან აიმართებოდენ ცხენოსნები, მოფრინდებოდენ ყარაულების სარტყელამდე, ჩამოხტებოდენ, იღებდენ ბრძანებებს, და გაბრუნებულნი ხვდებოდენ ახლად მომავლებს, რომლებსაც მოჰქონდათ ამბები. სახლს ჰქონდა შემოვლებული არხი სიღრმით ორი ციდა და სხვა არაფერი.

წლების მანძილზე მან დაიმორჩილა ყველანი. ვერავინ გაბედავდა მსვლელობას მის წინააღმდეგ.

ერთხელ, როდესაც ჯარი სალაშქროდ იყო წასული. ორი ურდო დაუბრკოლებლად შეიპარა სახლში. მათ ნახეს იგი მოკლებული მორთულობას და საწოლს, თითქო მთელი წლობით არავის ეცხოვროს შიგ. ჰქუხდა გამოძახილი მათ საპასუხოდ. მათი მიმქრალი ხმები სამ წყებად იმსხვრეოდენ ყრუ კედლებზე. მათი ელამი გამოხედვა ანათებდა. მაშინ შიშმა აუშფრია მათ თვალები. ნახევრად შეშლილები მოახტენ ისინი ცხენებს ზურგზე და მახლობელ ტყეში შტოებზე ჩამოჰკიდეს თავიანთი ტანები.

ერთხელ უდაბური ტრამალებიდან გამოიჭრა თათრის ლაშქარი. ცხენოსნებმა, ნამგალა მთვარის მსგავსად ამოკრეჭილი თმებით, ფართე თეძოებით და წვეტიანი წამოშვერილი მხრებით, გადაირბინეს სამარყანდზე, გავარდენ ველებში და მოედვენ ქალაქებს. მათ გასცურეს მდინარეები და ორი წლის შემდეგ გამოჩნდენ მთების ქედებზე. როდესაც ძირს ეშვებოდენ, მათ დაჰკარგეს მრავალი ცხენი, მაგრამ სპარსეთის ველების წინაშე კლდეების კედელმა გადაუღობა მათ ხეობა. მთელი დღეობით ჰფანტავდენ ისინი მონინავე რაზმებს, მაგრამ გასასვლელი ვერ აღმოაჩინეს. მთის ფერდობი იკვამლებოდა დაბანაკებულთა ცეცხლებით. მაშინ ეკვეთა მათ მდევარი, გადააყენა წინამძღოლი და უფლება გადასცა ერთ უმნიშვნელო სარდალს, რომელსაც არავინ ყურადღებას არ აქცევდა. **ის იყო კოჭლი და ვერა ხმარობდა მარცხენა ხელს.** მან გასცა ბრძანება, რომ ერთი კვირის განმავლობაში ახურონ კლდე მის მიერ ამართული სამოცდა ათი საბერველით. შემდეგ მოუშვა მასზე გამოყვანილი მდინარე, ისე რომ ბაზალტი გასკდა. ჯარი მოედო ველს. მათ ორ შეტაკებაში დაამარცხეს სპარსელები. გაბრუნების დროს უკან განვეულმა წინამძღოლმა გადასცა თავისი თანამდებობა იაკოუს, რომელსაც თვალები საფეთქლების შუაგულამდე მისვლოდენ და რომელმაც ერთ ღამეს გადაბუგა შირაზი ზეცამდე.

თათრის მეორე ლაშქარი, დამორჩილებული იდუმალ ბრძანებას, დაიძრა ტრამალებიდან, განვლო სამარყანდი, ქროლვით გადასჭრა უდაბნო და ეკლიანი დაბლობი. მხედრები მიჰქროდენ მთელი კვირეებით უნაგირებზე შემოგდებული ცოლებით; უკან აქლემები ბავშვებით და სურსათით. ოსშივარის ღრუბლები იბურთებოდენ მათ წინ, გეტები ცეცხლს უკიდებდენ თავიანთ სოფლებს. სტოვებდენ მათ, და ღამ-ღამობით ღმუოდენ უდაბნოში. მოღუნული ხმლები ელავდენ მზეზე. მოხრილი რკალებით მიჰქროდა ლაშქარი ველებზე. ისინი მტრებს მიუკრავდენ თავებს მუხლებ ქვეშ და დააგდებდენ მსურვალე მზეზე.

მათ უნაგირებზე შემოეგდოთ ცოლები და ცხენებიდან აღარ ჩამოდიოდენ ძირს. ისინი ანთებდენ კოცონებს, ახტებოდენ ზედ და მიფრინავდენ ჰორიზონტისაკენ. ცხენოსანი მდევრები ყოველ დღე აბამდენ ძაფს სამარყანდის სახლსა და მხედრობას შორის.

თოვლიანი ტრამალებიდან გამოიჭრა თათრის ჯარი. ცხენების თქარა-თქური შეიჭრა ქურთისტანის კარვებში. თათრებმა შესწვეს ცეცხლზე ემირი და შეაჭამეს მის შვილებს. როცა დამარცხდა ბელადი, ორი დღის შემდეგ შეიცვალა მთავარსარდალი; ის დაიკარგა სამარყანდში დაბრუნების დროს. აქსალლა გაუძღვა ურდოს. ისინი მიჭენობდენ წინ და მიერეკებოდენ საქონელსა და ცხენებს. ერთი მონღოლი მთავარი ლოცვა-ვედრებით სცდილობდა აქსალლასაგან თავის დახსნას. იგი ამაყად წარუდგა მას და ჰკითხა თავდასხმის მიზეზი. აქსალლამ უთხრა: არსებობს რაიმე ჩემთვის გარდა მორჩილებისა? შენი გარეგნობა სჯობია შენს კითხვას, — და უბრძანა მისი გარედ გაყვანა.



როდესაც აქსალლა შეიჭრა საქართველოში, კარავში შემოვიდა მისი ქვეშევრდომი ბელადი.

აქსალლა სჭამდა დაჩოქილი და უკმაყოფილო ბღვერით გადახედა კარებს.

ქვეშევრდომმა სწრაფად აიღო ძირს-დახრილი სახე და მაღალი ხმით გახსნა ბაგე:

— გაჰყავი ჯარი.

აქსალლა წამოდგა, მიეყრდნო ბოძს, დაცინვით პირზე:

— ვინა ხარ შენ?

— საკმაოდ უფლება-მოსილი, რომ შენ გიბრძანო.

მაშინ, ბოღმა-მორეული ასეთი სიამაყით, წამოიხარა აქსალლა ბელადისაკენ, მაგრამ **მან გაისწორა მხრები და ორი თავის სიმაღლეზე ასცილდა მას.**

მან ხელახლა გახსნა ბაგე:

— გაჰყავი ჯარი საქართველოსა და ყარსის შუა.

მაშინ გაცოფებულმა აქსალლამ დაჰკრა დოღს, მცველებმა გაიყვანეს კაცი შეკრული მკლავებით. აქსალლამ დაიჩოქა და განაგრძობდა წამას.

სალამოს, ბეჭების ღონიერ მონოლით გაიშალა კარავის ფარდა. ხელქვეითი ბელადი წამოდგა წინ იარაღ-ასხმული და თავისუფალი.

აქსალლამ გაიკრა ხანჯალზე ხელი.

მაგრამ შემოსულმა უთხრა:

— დამშვიდდი. მე შემეძლო შენი იძულება, რადგან შენ ძალა არ შეგწევს ჩემზე, — და კბილების ღრეჭით უჩვენა გახსნილი ხელები, — მხოლოდ მე მინდა ვიხილო შენი კეთილგონიერება. ამიტომ მე მხოლოდ გირჩევ: გაჰყავი ჯარი.

— ვინა ხარ? — წამოიყვირა ისევ აქსალლამ, მაგრამ კარავის ფარდა ისევ ჩამოეშვა მის ხმაზე.

დილით აქსალლამ გაჰყო ჯარი.

ყარსის წინააღმდეგ მომქმედი ნაწილი ზურგიდან ეკვეთა მტრის ჯარს, რომელსაც აქსალლას ლაშქარი შეტყუებით უნდა შეეყვანა ხვეულ უღელტეხილებში. თათრებმა ასჩეხეს ისინი.

აქსალლას ის შემდეგ არასოდეს აღარ უნახავს ხელქვეითი ბელადი. გაიშალა ცხენოსანთა ორივე მწყობრი. საქართველო განადგურებულ იქმნა. მოხრილი რკალებით გამოიჭრენ ხმაგაკმენდილი თათრები ტრამალებიდან. მათი მოღუნული ხმლები ელავდენ მზეზე. ყარსში ამოთხარეს ვარდის ხერგილები და მამაკაცები სარებზე ჩამოაცვეს. საქართველოზე მიუშვეს ნითელი მამალი, რომელიც ახრჩობდა ქალებს და ნთქავდა ყანებს. მინა ზანზარებდა ცხენის ფლოქვების განუნყვეტელი თქარა-თქურით.

ისინი მიჰქროდენ გაბმული ბრწყინვალე მასსით მთების ფერდობებზე ვიწრო ბილიკებით. შემდეგ გაიშალენ ტრამელ ველებზე. ერთი შერიფი შუაზე გახერხეს. ვიღაცა მათგანმა კბილებით შელენა ქალაქის კარები ღამით. მთელი ღამე უღეტდენ უწყალოდ. მათ უნაგირებზე შემოეგდოთ ცოლები და ცხენებიდან არ ჩამოდიოდენ ძირს.

ერთმა ხელის აქნევამ დააბრუნა ყველა ისინი უკან.

მეათე წელს თათრის ყველა ჯარები მოხრილი რკალებით დაქანდენ ისევ სამარყანდისაკენ ქარების ყველა ოთხივე მხრიდან. ქალაქი ირყეოდა, როდესაც ისინი ფრენით შემოიჭრებოდენ ერთი მეორის მიდევნებით. ორი დღის სავალზე ქალაქამდე თოვლის ქარბუქმა მოუსწრო აქსალლას ლაშქარს. მძიმე გუგუნით ბრუნდებოდა იგი. თოვლი მთელი საათობით დნებოდა მის წინაშე.

ტრიალ მინდორზე დაბანაკდენ ისინი ვეებერთელა რკალით.

შუაზე დასდგეს ტახტი. შემდეგ ურიცხვი თვალები მიაშტერეს სახლს და დაიწყეს ცდა.

მაშინ პატარა მოწინავე რაზმს გამოეყო უბრალო თათარი, მივიდა ტახტთან და ავიდა ზედ.

ის იყო კოჭლი და ვერა ხმარობდა მარცხენა ხელს, და ის ორი თავით მაღალი იყო ყველა დანარჩენზე.

მაშინ უეცრად იცნო ის ყველამ. „თემურ ხან!“ დაიღრიალეს მათ, და ძირს დამხობილებმა სიხარულით დაიწყეს ღმუილი. ის ადგა და თითით უჩვენებდა ხან ერთზე და ხან მეორეზე: „მე გიცნობ შენ... მე გიცნობ შენ“... აქსალლა სირცხვილისაგან შეფორთხდა მკვდარი ცხენის მუცელქვეშ, მაგრამ მან უბრძანა მისი გამოყვანა და აჩუქა ორი ბეჭედი.

*CetP.*

*იოჰან ვოლფგანგ გოეთე.*

## ფაუსტი

### მიძღვნა

კვლავ ჩემსკენ მოხვალთ თქვენ, ცთომილნო არჩდილნო ყრმობის,  
რომ მომეველინეთ აქ ადრევე ბუნდოვან სახით!  
ვცადო ხელახლა გამონვევა წარსული ტრფობის?  
და შესძლებს გული, რომ აძგერდეს ოცნების ნახვით?  
ჩემსკენ მოინევთ! მაშ, კეთილი, მოგესალმებით  
ნისლით და ღრუბლით ჩემს გარშემო მოვლენილ სულებს;  
ათრთოლებული თქვენი ქროლვის ჯადოსნურ ხმებით  
დღეს ჩემი გულიც იყმანვილებს, იგაზაფხულებს.  
მოგაქვთ თქვენ ჩემსკენ მხიარული დღის სურათები,  
და კვლავ არჩდილნი საყვარელნი მსწრაფლ აღსდგებიან,  
ვით ძველი, თითქმის მივიწყებულ სიმღერის ხმები,  
სიყვარული და მეგობრობა თან მოჰყვებიან.  
სევდა ახლდება, მეორდება გზა წამებულის,  
ბნელ ჯურღმულებში ისევ გვტანჯავს ცხოვრების სრბოლა  
და უხმობს ყველას, ვინც მის ღელვით გატაცებული  
ბედის ტრიალმა შორს გარიყა და გადისროლა.  
ვერ გაიგონებს ლამაზ ჰანგებს იგი, ვინც ადრევე  
მუდამ სტკბებოდა ჩემი მღერით და მოძახილით,  
შემოიფანტა ჩემს გარშემო მეგობრული წრე  
და მასთან გაჰქრა მის პირველი გამოძახილი.  
უცნობ ბრბოს უხმობ და მას ვართობ ჩემ სიმთა ჟღერით,  
თვით მის სალამი გულში შხამად ჩამეწვეთება,  
და ვინაც წინად დასტკბებოდა ჩემი სიმღერით,  
თუ ცოცხლობს კიდევ, — უგზო-უკვლოდ დაეხეტება.  
და აღმიტაცებს წარსულ დროის მძლავრი წყურვილი  
სასულიერო მყუდრო ქვეყნის ნმიდა ტრფობისა.  
უცნობ ჰანგებზე ჩემი ჩანგი სიმთ აღჭურვილი  
ტკბილად დამღერის, როგორც ქნარი ეოლოსისა.  
ღვთიური შიშით შეპყრობილსა, ცრემლებ მორეულს  
სასტიკი გული მიძგერს ეხლა ნაზად და წყნარად,

რაც ხელთ მიპყრია მე ვუცქერი მას ვით შორეულს  
და რაც შთანთქმულა სამუდამოდ, მგონია ცხადად.

### **პროლოგი თეატრში**

დირექტორი, პოეტი, მასხარა.

#### **დირექტორი**

თქვენ ორივენი ხშირად ყოფილხართ  
ჭირში და ლხინში მუდამ ჩემს გვერდით,  
აბა მითხარით, რა აზრისა ხართ?  
და ამ საქმიდან რა შედეგს ელით?  
მსურდა, როგორმე მომეხიბლა ჭრელი ბრბოს გული,  
იგი თვით ცხოვრობს და ჩვენც გვიჩენს ცხოვრების წყაროს.  
სცენა მზად არის, ბოძებია მასზე დადგმული  
და ყველა ელის წარმოდგენას, ვით დღესასწაულს.  
აგერ ჩამოსხდნენ, მოლოდინში მათ უძგერთ გული,  
სანახაობას მოელიან მორთულ დარბაზში.  
ვიცი რით უნდა დავამშვიდო მე ხალხის გული,  
მაგრამ არასდროს არ ვყოფილვარ ასეთ ტანჯვაში.  
მოთხოვნილება უკეთესის თუმცა არა აქვთ,  
მაგრამ წიგნები მათ საშინლად ბევრი უკითხავთ.  
ვით მოვათავსო და შევყარო ერთად ახალიც,  
ნორჩიც, საამოც, შინაარსით მნიშვნელოვანიც?  
სიამოვნებით და ხალისით შევყურებ ბრბოსა,  
რომ მოაწყდება ტალღასავით თეატრის ახლოს  
და დაუცხრომელ ვაებით და კვნესით ღვრის ოფლსა,  
აღთქმის სამეფოს ვინრო ბჭენი რომ გადალახოს.  
როცა ჯერ კიდევ ნათელია, სრულ ოთხ საათზე  
ბრძოლა იწყება სალაროსთან გაცხარებული  
და ვით პურისთვის დამშეულნი ხაბაზის კარზე,  
თავ-პირს იმტვრევენ ბილეთისთვის გაშმაგებულნი.  
ამ სასწაულის მომქმედია მხოლოდ მგოსანი,  
გვიჩვენე დღესაც შენი ნიჭი შუქ-სხივოსანი!

#### **პოეტი**

ოჰ, ნუ ახსენებ, გეხვეწები შენ მაგ ჭრელ ბრბოსა,  
ვის დანახვაზე სული ახლო აღარ გვიკარებს,  
გთხოვ, მომაშორო მის საშინელ ღელვა-ჩოჩქოლსა,  
ჩვენდა უნებურ უფსკრულისკენ რომ მიგვაქანებს.  
არა! მაჩვენე მე სავანე მყუდრო, ციური,  
სად მგოსნის წმინდა სიხარული ნაზად ციალებს,  
სადაც ტრფობა და მეგობრობა მარად მზიური  
ღვთიური ხელით ჰქმნიან ჩვენი გულის სიამეს.  
რაც დაიბადა მხოლოდ ჩვენი გულის სიღრმეში,

რასაც ბაგენი წარმოსთქვამენ შიშით და კრძალვით,  
 რაც ვერ დავძლიეთ, ან რაც ეხლა გვიპყრია ხელში,  
 შთაინთქმევინ ერთი წამის მსახვრალი ძალით.  
 და თუ ოდესმე ჟამთა სვლაში ზე აღმოსკდება,  
 მაშინ ჩვენ იგი სრულ ხატებად მოგვევლინება.  
 რაც რომ ბრჭყვიალებს, მუდამ ჩნდება ერთი წამისთვის,  
 ნამდვილი ტრფობა რჩება მარად მომავალისთვის.

### ხუმარა

ეჰ, მომავალზე ნეტავ სიტყვა სულ არ მსმენოდა!  
 მეც რომ ამაზე მებაასნა, რა იქნებოდა?  
 თანამედროვეთ ოხუნჯობით ვინ გაართობდა,  
 მას ყველა ითხოვს, ამიტომაც გვმართებს თანხმობა.  
 ვფიქრობ ასეთი გაბედული ადამიანი  
 მუდამ ატარებს ცოტაოდენ ღირებულებას,  
 ვისაც რომ ძალუძს მოაწონოს თავი სუყველას,  
 ვერას დააკლებს მას ბრბო ჭრელი და ჟინიანი.  
 რაც უფრო ფართო და ძლიერი წრე გიგდებს ყურსა,  
 მით უფრო მალე ააღელვებ შენ იმის გულსა.  
 მაშ, მოიხმარეთ სიმამაცე და ხელოვნება,  
 გამოიწვიეთ ფანტაზია თავის გუნდებით,  
 ამღერეთ გრძნობა, მასთან ვნება, ჭკუა-გონება  
 და სისულელეს ნურასოდეს მოერიდებით!

### ღირეკტორი

ნუ დაიშურებთ თქვენ ხალხისთვის ბლომად სურათებს!  
 ვინც ჩვენთან მოდის, ყველა ცდილობს დასტკბეს ცქერითა.  
 თუ ბრბოს სიუხვით ოსტატურად აუხვევ თვალებს,  
 იგი დაგინყებთ თქვენ ყურებას გაკვირვებითა.  
 მაშინ ყოველ მხრივ გავრცელდება შენი სახელი  
 და ყველას გულში სიყვარულით ჩაისახები.  
 მასსაზე შესძლებთ იმოქმედოთ თქვენ მხოლოდ მასსით,  
 ყველა თითონვე გამონახავს თავის გასართობს,  
 ვინც ბევრს მოიტანს, ყველას მისცემს ცოტა რამ საზრდოს  
 და ხალხი ნავა თეატრიდან ტკბილი ბაასით.  
 თუ რამეს აძლევ, გადაეცით წვრილ ნამტვრევებად,  
 ყველა იქნება კმაყოფილი ასეთი საჭმლით.  
 რაც სცენისათვის ადვილია, ითხზვის ადვილად.  
 რა საჭიროა, რომ მოხვიდე მთლიანი განძით,  
 თუ კი მას ხალხი გადააქცევს ისევ ნაწილად.

### პოეტი

ნუ თუ არა გრძნობთ, რა ცუდია თქვენი ხელობა!  
 სულ არ შეჰფერის იგი ნამდვილ პოეტს-ხელოვანს!

ამ ვაჟბატონთა უხეირო ჯღაბნა-ყბედობა,  
სჩანს, რომ შეადგენს თქვენს იდეალს, მიზანს ჯეროვანს.

### დირექტორი

აქ წარმოთქმული საყვედური მე ვერას მიზამს.  
ვისაც რომ უნდა, ემსახუროს გარკვეულ მიზანს,  
ხელთ უნდა ეპყრას იარაღი საუკეთესო.  
ამ ხის გაპობას, დამერწმუნეთ, ადვილად შესძლებთ,  
მიმოიხედეთ თქვენს გარშემო, თუ ვისთვისა სწერთ!  
ზოგი მოჭქრის აქ გასართობად, როგორც ისარი,  
ზოგი მოლოლავს გამაძლარი უხვი სადილით,  
მაგრამ ყველაზე საშინელი მაინც ის არი,  
რომ აქ მოდიან გაზეთების კითხვით დაღლილნი.  
გაბრუებულნი მოიწვევენ, ვით მასკარადზე,  
გართობის ჟინი ასულდგმულებს მათ ყოველ გრძნობას,  
ქალბატონები ამზევებენ ტანთ-მორთულობას  
და უსასყიდლოდ თამაშობენ თეატრის კარზე.  
რისთვის ოცნებობთ თქვენ მგოსნობის მაღალ მწვერვალზე?  
ან რითი გზიბლავთ თქვენ დარბაზი ხალხით გავსილი?  
კარგად გაიგეთ, თუ ვინ არის თქვენი ნუგეში,  
ზოგჯერ გულცივი და ზოგჯერ-კი ტლანქი, უხეში.  
ერთი ოცნებობს — ბანქოს თამაშს მალე ჩაუჯდეს  
და მეორე კი — ეალერსოს ქუჩის ქალის მკერდს.  
მაშ, რაღად სტანჯავთ, სულელებო, საყვარელ მუზას,  
თუ მათი გული არ ისახავს უკეთეს მიზანს?  
კვლავ გიმეორებთ: რაც შეიძლოთ, გაეცით უხვად,  
თუ ასე ივლით, არ ასცდებით თქვენ სწორე გზასა,  
ეცადეთ, მუდამ აუბნიოთ დავთრები ხალხსა.  
ძნელი საქმეა ყველას გულის მოგება უცბად.  
რა მოგივიდათ? სევდასა გრძნობთ თუ აღმაფრენას?

### პოეტი

წადი აქედან და ეძიე სულ სხვა მონები!  
ნუ თუ პოეტმა უნდა დაჰგმოს დიდი უფლება.  
კაცთა უფლება თვით ბუნებით შთანაგონები  
და შენ სალხენად მას დაუნყოს განადგურება!  
რითი აძგერებს და აღელვებს სუყველას გულსა?  
რით იმორჩილებს და დაიპყრობს ყოველ სულდგმულსა,  
თუ არ იმ ჰანგით, მას გულიდან რომ აღმოსკდება  
და მის გულშივე ქვეყანასთან ერთად ბრუნდება?  
ოდეს ბუნება აქ გულგრილად ირგვლივ ტრიალებს,  
და თითისტარზე ართავს უკვდავ სიცოცხლის ძაფებს,  
ოდეს ქრელი ბრბო საძაგლად და უშნოდ ღრიალებს,  
ვინ გამოარჩევს ამ ჯურღმულში მაშინ სწორ ხაზებს,  
სადაც სუყველა რითმიულად მსწრაფლ იმოძრავებს?

ვით შეაერთებს თვითეულს საერთო ნყებად,  
რომ ყველა დასტკბეს ჰარმონიის მომხიბლავ ჟღერით?  
ვინ გადააქცევს თვით ქარიშხალს ვნებათა ლელვად  
და სალამოს მწუხრს ვინ შეხვდება სევდიან მღერით?  
ვინლა დაარხევს გაზაფხულის ყვავილს მშვენიერს  
მუდამ იმ გზაზე, სადაც სატრფო გაისეირნებს?  
ან ვინ შეჰკონავს უმნიშვნელო და მწვანე ფოთლებს  
დაფნის გვირგვინად, რომ შეამკო ქვეყნად ქებული?  
ვინა ჰყრობს ოლიმპს? ვინ აერთებს მის უკვდავ ღმერთებს?  
— ადამიანი მგოსნის სახით მოვლინებული.

### ხუმარა

მაშ, ისარგებლეთ თქვენი ნიჭის მძლავრი ალგზნებით,  
და ამოდრავდით პოეზიის წმინდა ჰანგებით,  
ვით საყვარელნი ცხოვრებაში ამას სჩადიან.  
თანდათანობით ინასკვება გულის ძაფები,  
ბედნიერება ხან ახლოა, ხან შორს გაჩნდება,  
აღფრთოვანებას თან მოჰყვება სევდის ლანდები  
და ბოლოს საქმე რომანით-კი უცბად თავდება.  
მაშ, მოგვეც ჩვენცა სურათები ამის სადარი  
ადამიანის გულის სიღრმით ზე აღმომსკდარი,  
თუმც ყველა ცოცხლობს, მაგრამ ყველა მაინც არა გრძნობს.  
თუ ამას შესძლებ, შენი შრომა ყველას გაართობს.  
აფერადებულ სურათებში მცირე ნათელი,  
ბევრი შეცდომა, ნაპერწკალი ჭეშმარიტების,  
და მზად იქნება მშვენიერი გემოს სასმელი,  
მაცოცხლებელი ხალხის გრძნობის და მის ფიქრების.  
და თქვენს გარშემო შემოკრება ყრმათ თაიგული,  
რომ დასტკბეს თქვენი თამაშით და გამოცხადებით,  
დაენაფება ამ თქვენ ნაშრომს თვის ნორჩი გულით  
და ამოსწუნის თავის საზრდოს ნაღესს დარდებით.  
მაშინ ხან ერთი, ხან მეორე გრძნობა იდარებს  
და ყველა იგრძნობს, თავის გულში რასაც ატარებს.  
ხან იციციანი, ხან უეცრივ ინყებენ გლოვას,  
სურთ აღმოფრენა და შესტრფიან-კი გარეგნობას,  
ვინც განვითარდა, ხელ მეორედ ვერ გარდიქმნება,  
ვინც ვითარდება, მადლობელი მუდამ იქნება.

### პოეტი

მაშ, დამიბრუნე ისევ ძველი დრო,  
განვითარება რომ მალეღვება,  
ტკბილ სიმღერათა მომსკდარი წყარო,  
დაუშრეტელად რომ გადმომჩქეფდა,  
როს ნისლით მოცულს ვხედავდი სოფელს,  
კვირტში შორიდან სასწაულს ვჭრეტდი



და ათასნაირ ვარდ-ყვავილთ კონებს  
 მდიდრულად მორთულ ველეებზე ვწყვეტდი!  
 ყარიბი ვიყავ და მომწონდა თავი ქონებით,  
 ჭეშმარიტების წყურვილით და ფუჭი ოცნებით.  
 მომეც სწრაფვანი უკვდავი გრძნობის,  
 ბედნიერება სავსე ღრმა სევდით,  
 ძალა ზიზღისა, სიმტკიცე ტრფობის,  
 მომეცი სიყრმე თავისი ღელვით.

### ხუმარა

სიყრმე, ძმობილო, საჭირო არის  
 ოდეს მოინევს მტერი შენზედა,  
 როცა ხელები საყვარელ ქალის  
 მოგეხვევიან შენ კისერზედა.  
 ოდეს შორიდან დაფნის გვირგვინი  
 ელის სირბილში გამარჯვებასა,  
 და გაშმაგებულ ცეკვით დაღლილი  
 ლამობს ქეიფით ღამის თევასა.  
 მაგრამ სიმების ძლიერი ჟღერა,  
 შეზავებული მომხიბლავ ხმებით,  
 დასახულ მიზნის მუდმივი ჭვრეტა  
 და გატაცება ფუჭი ოცნებით, —  
 ყველა ეს, მენდეთ, თქვენი ვალია,  
 მოხუცებულნო, აღვსილნო წლებით!  
 მოხუცების დროს არა ნაკლები  
 პატივისცემის საგანი ვხდებით.  
 სიბერეს არ სდევს ბავშვობის წლები,  
 ჩვენ მას პირიქით ბავშვებად ვხვდებით.

### დირექტორი

კმარა სიტყვების ამდენი პნევა,  
 ნება მომეცით შეუდგეთ საქმეს,  
 ქათინაურებს არ უჩანს ლევა  
 და სარგებლობას არაფერს გვაძლევს.  
 რას ჩააცივდით მაგ აღმაფრენას?  
 რისთვის აყენებთ თქვენ თავს ზიანსა?  
 გაუბედავებს იგი არ სწყალობს,  
 და თუ მგოსნობას თქვენ მაინც ლამობთ,  
 უბრძანეთ ეხლავ პოეზიასა.  
 თქვენ კარგად იცით, რაც განვიზრახეთ,  
 გვსურს, რომ სასმელი შევსვათ მაგარი.  
 დაუყონებლივ, მაშ, დაგვიმზადეთ,  
 რაც დღეს არ ქმნილა, ხვალ გვიან არი  
 და არც ერთი დღე არ უნდა გასცდეს.  
 გაბედულობა ხელს მარჯვედ სტაცებს

შესაძლებლობის სულ მცირე კვალსა,  
 და მას გასაქანს აღარსად აძლევს,  
 ვიდრე არ იხდის ის თავის ვალსა.  
 მოგეხსენებათ, რომ ჩვენს სცენაზე  
 ყველას გამოაქვს თავის განძები,  
 არ დაიშუროთ ჩემთვის ხარჯები,  
 არც მორთულობა, არც მანქანები!  
 გამოიყენეთ სინათლე მზისა,  
 დიდი და მცირე სამყაროს შუქი,  
 უხვად აფრქვიეთ ვარსკვლავნი ცისა,  
 არ მოგაკლდებათ მთანი და კლდენი,  
 წყალი და ცეცხლი, მხეცნი, ფრინველნი.  
 გამოიყვანეთ ვინრო სცენაზე  
 მთელი სამყარო თავისი ზრახვით  
 და გადიარეთ დედა-მინაზე  
 ციდან ჯოჯობხეთს ფრთხილი სისწრაფით.

### **პროლოგი ზეცაში**

(უფალი. ზეციური ძალნი. შემდეგ მეფისტოფელი. ნინ მოსჩანს სამი მთავარ-ანგელოსი).

#### **რაფიელი**

მზე კვლავ აუღერებს ძველებურ ჰანგზე  
 ძმურსა სფეროში ჯადოსნურ ჩანგსა  
 და თავის მუდმივ დანიშნულ გზაზე  
 ჭექა-ქუხილით განაგრძობს სვლასა.  
 მის ჭვრეტა აძლევს ანგელოსთ ძალას,  
 ვერვინ ჩასწვდება თუმცა მის სიღრმეს.  
 გამოუცნობელ მაღალ ქმნილებას  
 სინათლე ახლავს, როგორც პირველ დღეს.

#### **გაბრიელი**

და მიუწდომელ ელვის სისწრაფით  
 ბრუნავს სიტურფე დედა-მინისა,  
 და მსწრაფლ იცვლება ღამის წყვილით  
 სამოთხის მსგავსი ნათელი დღისა.  
 ზღვისა ტალღები ბრაზმორეულნი  
 კლდისა ნაპრალებს ეხეთქებიან,  
 კლდენი და ზღვანი, ერთად რეულნი,  
 სფეროს სრბოლაში შთაინთქმებიან.

#### **მიხიელი**

და ქარიშხალი ზღვიდან ხმელეთით,  
 ხმელეთით ზღვამდე დაჯიბრებით ჰქერის,  
 და გაშმაგებულ, მკაცრი შებერვით

მძლავრ მოქმედების მთლიან ჯაჭვსა ჰქმნის.  
განადგურების ელვარებს ცეცხლი,  
ჭეჯა-ქუხილი მას აძლევს ბანსა:  
მაგრამ, მეუფევ, ვით შენი ელჩნი  
ვაქებთ შენი დღის წყნარ მსვლელობასა.

### სამივე

მის ჭვრეტა აძლევს ანგელოსთ ძალას,  
ვერვინ ჩასწვდება თუმცა შენს სიღრმეს.  
და ყველა შენსა მაღალ ქმნილებას  
სინათლე ახლავს როგორც პირველ დღეს.

### მეფისტოფელი

რადგან, უფალო, შენ ჩვენ ასე გვიახლოვდები  
და კვლავ იძიებ ჩვენი ქვეყნის ყოფა-ცხოვრებას  
და ჩვეულებრივ, როგორც წინედ, ხალისით მხვდები,  
მოახლეთ შორის მეც გავბედავ აქ შენთან ხლებას.  
გთხოვ, მაპატიო, მაღალ სიტყვებს არ ვარ ჩვეული,  
თუნდა ამისთვის გავხდე მსხვერპლი სუყველას რისხვის,  
ჩემი პათოსი შენ მოგგვრიდა უმაღვე სიცილს,  
რომ თვით არ იყო შენ ამ სიცილს გადაჩვეული.  
არა ვიცი რა მე არც ქვეყნის, არც მზის ციალის  
და ვხედავ მხოლოდ მუდამ ტანჯვას ადამიანის.  
პატარა ღმერთი დედამიანის ძველ გზით მსვლელია,  
როგორც პირველ დღეს, იგი ეხლაც საკვირველია.  
მისი ცხოვრება უკეთესად მოეწყობოდა,  
ციური სხივის ნაპერწკალი რომ არ ჰქონოდა.  
იგი უწოდებს მას გონებას და მით ამაყობს  
და ლამის მხეცებს მხეცობაში გადააჭარბოს.  
ნება მიბოძე შევადარო იგი კალიას,  
ძალზე წააგავს სახით ამ მწერს გძელ-ფეხებიანს,  
ხან აფრინდება და ხან კიდევ მიწაზე დახტის,  
თან ძველ სიმღერას ბალახებში მუდამ გასძახის.  
და ნეტავ იყოს სამუდამოდ იგი ბალახში!  
ვერ მოისვენებს, თუ არ ჩაჰყო ცხვირი ტალახში.

### უფალი

მაშ, შენ სხვა რამე არ გაქვს სათქმელად?  
მუდამ მოდიხარ აქ სხვის სამხელად?  
დედა-მინაზე კარგს ვერას ხედავ?

### მეფისტოფელი

არა, უფალო, მე იქ მუდამ მხოლოდ ცუდს ვხედავ.  
ადამიანი კვლავ ეწევა ტანჯულ ცხოვრებას,  
და სიბრალულით ველარ ვბედავ მის შეწუხებას.

**უფალი**

იცნობ შენ ფაუსტს?

**მეფისტოფელი**

დოკტორს?

**უფალი**

ჩემს მონას!

**მეფისტოფელი**

დიახ! თქვენ იგი უცნაურად გემსახურებათ.  
არ მოსწონს სულელს დედა-მინის სასმელ-საჭმელი.  
შორს მიისწრაფის და სულ სხვაგან გაიყურება  
და თითქოს კიდევ გრძნობს სიბრყვეს ამის ჩამდენი.  
ცაზე მას ნებავეს ვარსკვლავები სხივთ მოელვარე,  
დედა-მინაზე მუდამ ეძებს ტკბილ გართობასა,  
მაგრამ ვერც ახლო, ვერც შორეულ ქვეყნების არე  
ველარ ამშვიდებს იმის გულში აშლილ გრძნობასა.

**უფალი**

თუმცა ამ ჟამად, ვით შემკრთალი მემსახურება,  
მაღე ვუჩვენებ მას სინათლით შემოსილ ბინას.  
მებაღემ იცის, თუ რომ ბაღში ხე ამწვანდება,  
კარგი ნაყოფი დაამშვენებს მის მომავალსა.

**მეფისტოფელი**

მაშ, დავნაძლევედეთ, რომ თქვენ მაინც დაჰკარგავთ იმას  
იმ შემთხვევაში, თუ დათანხმდით ჩემ პირობაზე,  
რომ გავატარო მორიდებით, ჩუმიად ჩემ გზაზე.

**უფალი**

ვიდრე სცოცხლობს და იმყოფება დედა-მინაზე,  
შენ იქ სრულიად არაფერი არ აღგეკრძალვის:  
ადამიანი მუდამ სცდება, ვიდრე ისწრაფვის.

**მეფისტოფელი**

გმაღლობთ ამისთვის. მე თავის დღეში  
არ ჩავრეულვარ მკვდრების საქმეში.  
ჩვილი ლოყები მირჩვენის ყველას.  
გვამებისათვის არ ვინყენ თავსა  
და მათ ვეპყრობი, ვით კატა თავგსა.

### უფალი

კეთილი! გაძლევ, მაშ, ამის ნებას!  
ჩამოაშორე მშობლიურ წყაროს.  
ეცადე მუდამ იმის მიღწევას,  
რომ მან შენ გზაზე მუდამ იაროს.  
და შეგრცხვეს, ოდეს თვით დარწმუნდები  
ადამიანის კეთილ ზრახვებში!  
ოდეს გაიკვლევს იგი სწორე გზებს  
შორს მისწრაფების წყვილიდ ლამეში.

### მეფისტოფელი

კარგი! მაგრამ ეს არ გასტანს დიდხანს.  
მე სანაძლეო არ მომცემს ვნებას,  
და თუ მივალნევ დასახულ მიზანს  
ლხენით შევხვდები ჩემს გამარჯვებას,  
და როგორც გველი, დეიდა ჩემი,  
ჭამას დაუნყებს მტვერსა და მიწას.

### უფალი

კვლავ შეგიძლიან მოხვიდე ჩემთან,  
არ მძულებია მე შენი გვარი!  
და სულთა შორის უარმყოფელთა  
ფლიდებზე მომდის ნაკლებად ჯავრი.  
ადამიანის მოქმედება მალე იძინებს,  
მალე სჭირდება მოსვენება მის დაღლილ გულსა,  
ამიტომ ვგზავნი მე დამნარედ თვით ბოროტ სულსა,  
მის მოქმედებას რომ აფხიზლებს და ახალისებს.  
თქვენ-კი ღვთაების ჭეშმარიტნო, ნამდვილნო შვილნო,  
იმხიარულეთ ცხოველმყოფელ, უხვი შვენებით  
და ქვეყნის სულმა მუდამ მომქმედ, მუდამ ცოცხალმა  
დაე, ჩაგიკრათ თვის წიაღში ნაზი ხელებით.  
და რაც ცთომილობს აჩრდილის სახით  
დაე, განმტკიცდეს მუდმივი აზრით.

(ზეცა იხურება. მთავარ-ანგელოსები ჰქრებიან)

### მეფისტოფელი (მარტოკა)

დრო გამოშვებით ვხედავ მოხუცს სიამოვნებით  
და ვერიდები მე კავშირის განწყვეტას მასთან.  
საამო არის, რომ ასეთი დიდი ბატონი  
ზრდილობიანად მუსაიფობს აქ თვით ეშმაკთან.

## ტრაგედიის პირველი ნაწილი

### ღამე

#### ფაუსტი

(მაღალ თალებიან ვინრო გოთიურ ოთახში ზის მოუსვენრად სავარძელზე მაგიდის წინ).

ფილოსოფია, სამართლის მცნება  
და მედიცინა ღრმად შევისწავლე,  
და სამწუხაროდ ღვთისმეტყველებაც  
ძლივს შევითვისე, ბევრი ვენვალე.  
და დავრჩი ისევ მე საბრალო, ჭკუით ღარიბი,  
როგორაც უნინ, ისეთივე ბრძენი ყარიბი.  
მქვიან მაგისტრი, მიწოდებენ დოკტორის სახელს.  
ათი წელია, რაც ვატყუებ ჩემს მოწაფეებს,  
და აქეთ-იქით ვატრიალებ იმ საცოდავებს!  
ვხედავ მშვენივრად, რომ არაფრის ცოდნა არ ძალგვიძს,  
და ამ შეგნებით ჩემი გული თვით ცეცხლში იწვის.  
თუმც ჭკვიანი ვარ, ვიდრე ყველა ჯურის რეგენები,  
დოკტორ-მაგისტრნი, ხუცეები და თვით მწერლები,  
თუმც აღარ მტანჯავს სინიდიის ეჭვი და ქენჯნა,  
და არ მაშინებს ჯოჯოხეთის სულების დევნა,  
სამაგიეროდ სიხარული გამირბის განზე,  
და არ ვოცნებობ კვლავ სიმართლის ძიების კვალზე.  
აღარ ვოცნებობ, რომ შემეძლოს რისმეს გაგება,  
ადამიანის დარიგება და ან სწავლება.  
ვერ შევიძინე ვერც ქონება, ვერცა რა ფული.  
ვერ მოვიხვეჭე ვერც სახელი, ვერც ქვეყნის გული.  
ვერ აიტანდა თვით ძალღიჯ-კი ასეთ ცხოვრებას,  
ამიტომ მინდა, თავი მივცე თვით ჯადოქრობას.  
იქნებ გრძნეული სულის ძალით და მის შეწევნით,  
საიდუმლო ხმა შემომესმას უცბად ქვესკნელით!  
რომ შემდეგ მაინც ჭირის ოფლი აღარ დამასხას  
და სხვას არ ვუთხრა, რაც თვით მე არ გამომისახავს.  
რომ კვლავ შევიგნო სამყაროს მცნება  
მის საიდუმლო ფარული ზრახვით.  
მომქმედ ძალების ვიხილო კრება  
და არ გავერთო სიტყვების ჩმახვით.  
გადმოიხედე, ო, ბადრო მთვარევ,  
უკანასკნელად ამ ჩემ საკანში,  
სად შუალამე მე ბევრჯელ მწარედ  
გამთენებია ოხვრა-ტანჯვაში  
და ზედ წიგნებზე, ვით მეგობარი,  
შენ მომევილინე სევდით დამწვარი.  
ახ! ნეტავ მაგ შენ ლამაზ სხივებში  
შემეძლოს ასვლა მთის მწვერვალებზე,



ფრენა სულებთან კლდის ჯურღმულებში  
და შენს ლანდებში ქროლვა ველებზე,  
რომ ცოდნის ჯანყით სრულიად ხსნილი  
შენს ნამში ვიყო მთლად განბანილი!  
ვაგლახ! მე ისევ ვგდივარ ორმოში?  
დანყევლილ და ბნელ თავგის სოროში,  
სადაც თვით ზეცის სხივები ფანჯრით  
მევლინებიან სევდით და ტანჯვით.  
გარს შემომრტყმია წიგნების გროვა  
მღრღნელი მატლებით, მოსვრილი მტვერში  
და გარუჯული ქალაღდის ხროვა  
მაღალ თალამდის ასულა ჭერში.  
ირგვლივ აწყვია ბლომად ჭიქები,  
იარალებიც მოსჩანს ყველგანა,  
წინაპართ ხელით შენაძინები,  
აი, ეს არის შენი ქვეყანა!  
ამასა ჰქვიან თურმე ქვეყანა!  
და კვლავ იკითხავ, თუ შენი გული  
ასე საშინლად რათა ძგერს მკერდში  
და მიუნდომელ სევდების წყლული  
რისთვის გვიხუთავს სიცოცხლეს ბნელში?  
ცხოველ-მყოფელი ბუნების ნაცვლად,  
სადაც თვით ღმერთმა მოგვცა ადგილი,  
უსულო ძვლებთან ვცოცხლობ აქ მარად  
ძონძების მტვერში მთლად ამოსვრილი.  
აღსდეგ! გასწიე, უცნობ მხარეში,  
ნუ თუ ეს წიგნი, სიბრძნით აღვსილი,  
ნოსტრადამუსის ხელით შექმნილი,  
გზას ვერ გაგვიკვლევს ამ ბნელ ღამეში?  
მაღე მიხვდები ვარსკვლავთა სრბოლას,  
და თუ ბუნება გიხელმძღვანელებს,  
თვით სულის ძალა მოგცემს შენ ცნობას,  
თუ სული სულთან ვით იბაასებს.  
ამაო არის მშრალი გონებით  
წმინდა ნიშნების ახსნა-გაგება,  
გაჩნდით, სულებო, ჩემს ახლო ქროლვით  
და ამიხსენით ქვეყნის განგება!

(გადაშლის წიგნს და ათვალეერებს მაკროკოსმოსის ნიშნებს).

ოჰ! მის ხილვაზე ნეტარება რა რიგად იპყრობს  
მთელ ჩემ არსებას ამ ღვთიური აღფრთოვანებით!  
ახალგაზდური წმინდა გრძნობა კვლავ გაზაფხულობს  
და სჩქევს ხელახლად ჩემს ძარღვებში მძლავრი ტალღებით.  
ნუ თუ ღმერთია, ვინც აღბეჭდა აქ ეს ნიშნები,  
ჩემს აზვირთებულ სულის ღელვას რომ ამშვიდებენ,  
ამ საბრალო გულს სიხარულით რომ აღმივსებენ

და საიდუმლო მისწრაფებით და გულთ-მისნებით  
 ბუნების ძალას ჩემს გარშემო რომ აშიშვლებენ?  
 მაშ, მე ღმერთი ვარ? თითქოს გულში ვგრძნობ ქვეყნის მნათობს!  
 ცხადათა ვჭვრეტავ და ვკითხულობ წმინდა ნიშნებში  
 მომქმედ ბუნებას, ვით საკუთარ სულის სიღრმეში,  
 ეხლა-კი მივხვდი და გავიგე ბრძენი რას ამბობს:  
 „არ არის უტყვი სულის სამყარო,  
 უტყვია შენი გრძნობა და სული.  
 აღსდევ, მონაფევ, და დილის ნამით  
 გადაიბანე სამინე გული!“

(ათვალიერებს ნიშნებს).

როგორ მოძრაობს სუყველა მთელში  
 და როგორ ცოცხლობს მუნ ერთმანეთში?  
 ძალნი ციურნი როგორ აწვდიან  
 ოქროს სარწყავებს ზემოდან ქვევით  
 და თავის წმიდა, მადლიან ფრთებით  
 ციდან ქვესკნელში როგორ დაჰქრიან  
 და ჰარმონიით სავსე არიან!  
 რა სურათია! სამწუხაროდ, მხოლოდ სურათი!  
 სად არის ძალა ბუნებისა განუსაზღვრელი?  
 მისი გულ-მკერდი — ქვეყნის წყარო დაუშრეტელი,  
 რითაც საზრდოობს დედა-მინა და ცის გუმბათი,  
 და რასაც ეტრფის მჭკნარი გული დიდის სურვილით? —  
 უხვად გადმოსჩქეფ, მე-კი ვკვდები შენი წყურვილით!

(მოუთმენლად წიგნს გადაშლის და დაინახავს მინის სულის ნიშანს).

ჩემს არსებაზე ეს ნიშანი სხვაფრივ მოქმედებს,  
 შენ, მინის სულო, ჩემთან უფრო ახლო ხარ სხვაზე,  
 ვგრძნობ ამ ჩემ გულში ზეციური ძალა უკვე ჰფეთქს  
 და აღვიგზნები, როგორც ახალ ღვინის შესმაზე.  
 ვგრძნობ სიჭაბუკეს, გადვეშვები ქვეყნის ტრიალში,  
 ქვეყნის ბედსა და უბედობას ვზიდავ თამამად.  
 შევებრძოლები თვით ქარიშხალს ღამის წყვდიადში,  
 გემის დაღუპვას არ შევხვდები ზღვაზე გულ-მხდალად.  
 ცა იღრუბლება უკვე ჩემს ზევით —  
 და მთვარეც მაღავს თავის სინათლეს —  
 ლამპარი ჰქრება!  
 კვამლის სუნია! სხივები წითლად ელვარებენ  
 ჩემ თავის ირგვლივ! მოჰქრის  
 აჩრდილი საშინელი ძირს თალებიდან,  
 აგერ მეხება!  
 ვგრძნობ, შენ მოჰქრიხარ, ნატრულო სულო!  
 გამომეცხადე!  
 ოჰ, თითქოს გულში რალაც ჩამწყდა!  
 ახალ გრძნობებით იმსჭვალება  
 ჩემი არსება.

ვგრძნობ, ჩემი გული შენსკენ იწვევს მხურვალედ და მძლედ.  
გამომეცხადე! თუნდ მიღირდეს მე ეს სიცოცხლედ!

(იღებს წიგნს და საიდუმლოებით მოცული წარმოსთქვამს სულის ნიშანის სახელს. ამოვარდება  
ნითელი ალი და ცეცხლს თან ამოჰყვება სული).

**სული**

მე ვინ მეძახდა?

**ფაუსტი** (შეშინებული მიბრუნდება).

საშინელია მისი სახე!

**სული**

შენ, მე აქ მძლავრად რომ მომიხმობდი,  
და ჩემს სფეროს რომ დიდ ხანს შესტრფოდი,  
და ეხლა...

**ფაუსტი**

ვაგლახ! აღარ ძალმიძს მე შენი ცქერა!

**სული**

მომიწოდებდი დიდის ხვეწნით და მუდარებით,  
რათა გესმინა ჩემი ხმა და გეხილა სახე,  
აღლევებული შენი მძლავრი თხოვნა-ვედრებით  
მე გავჩნდი აქა და უეცრივ გამოგესახე!  
შიშმა შეიპყრო სამარცხვინომ ზე-კაცის სული.  
სად არის გული, უნინ რომ შიგ სამყაროს ჰქმნიდი  
და ამაცობდი სიხარულით ათრთოლებული,  
რომ იქ ზეცაში შენ სულებთან ერთად ივლიდი.  
სად ხარ შენ, ფაუსტი, ვისი ხმაც მე გულში მწვდებოდა,  
ვინც ჩემსკენ მუდამ მთელ არსებით მოისწრაფოდა?  
ნუ თუ ის შენ ხარ, ჩემი სუნთქვით შეშინებული,  
მთელი სხეულით რომ ცახცახებ ათრთოლებული,  
ვით მხდალი მატლი, შიშისაგან მთლად დაკრუნჩხული?

**ფაუსტი**

ცეცხლის ხატება, უნდა გავხდე შენი დამყოლი?  
დიახ, მე ის ვარ, ვარ ფაუსტი, ვარ შენი ტოლი!

**სული**

სიცოცხლის ტალღებში, ქვეყნის ქმნის ქარცეცხლში,  
ხან აღვიგზნები და ხან ჩავჰქრები,  
ირგვლივ ვმოძრაობ, ყველგან გავჩნდები.  
შობა და საფლავი,  
ზღვა მარადიული,

ცვალეზად-მოდრავი,  
სიცოცხლე მზიური,  
ასე ვეკმნი ჟამთა სვლის დაზგაზე საიდუმლო ქსელს  
და მის გუგუნში ვქსოვ ღვთაების ცოცხალ სამოსელს.

### ფაუსტი

რა სიახლოვეს ვგრძნობ მე შენთან, სულო მომქმედო,  
ქვეყნიერებას თვალუნვდენელს გარს რომ ევლები!

### სული

თანასწორი ხარ შენ იმ სულის ვისაც მისწვდები  
და არა ჩემი! (ჰქრება).

**ფაუსტი** (აღელვებით).

არა შენი!

მაშ, ვისი?

მე ღვთის ხატება!

და არა შენი თანასწორი!

(ისმის კაკუნი).

ოჰ, ალბად, ჩემი მონაფე არის!  
და ბედნიერი ნუთიც გაჰქრება,  
ჩემს ტკბილ ოცნებას უმალ გაჰფანტავს  
გაიძვერა და გულქვა არსება.

*თარგმანი გერმანულით იბერიელისა*

(შემდები იძნება)

ედგარ კო.

### ყორანი

ეს იყო ღამე ცივი და გრძელი. მრავალ უცნაურ სიბრძნეთა მცველი,  
მე ფოლიანტი წინ მედო ძველი და მასზე ფიქრმა დამალა მძიმედ.  
ვთვლემდი, თვალეზზე მეკიდა რული. უცებ დაირღვა სიჩუმე სრული:  
ნელმა კაკუნმა შემიკრთო გული... „ეს სტუმარია ვილაცა“, — ვსთქვი მე, —  
„ალბად ვილაცა მგზავრს მოაგდებდა ჩემთან ეს ღამე შავად ნაფერი.  
მგზავრია მხოლოდ, სხვა არაფერი“.

ო, კარგად მახსოვს მე ეს ყოველი: თვე — დეკემბერი, ბნელი, სოველი,  
ბუხარი ოდნავ შუქთა მთოველი კედელს უცნაურ ლანდებად ხევდა.  
ვნატრობდი დილას ნათელ ფერებით, წიგნს დავყურებდი მე გაშტერებით,

ამაოდ მსურდა მეცნიერებით გულში ჩამეკლა მე სევდა, სევდა —  
იმ ლენორაზე, ვინც მე დამტოვა და სულ სხვა ქვეყნის ნახა ნაპირი.  
ო, მას არ დარჩა აქ არაფერი!

თხელი ფარდების ნაზი რკალები მიმოიშალენ აკანკალებით  
და მე გამევესენ შიშით თვალები, უცნობი შიშით და ფანტასტიკით.  
ძლივს შევანელე მე გულის ძგერა, და მეუცხოვა ჩემი ხმის ბგერა:  
„ეს სტუმარია ვილაცა, მჯერა, გზას დაუბნევდა ღამე სასტიკი,  
აღბად, მას უნდა თავშესაფარი“... და კვლავ ვამბობდი დაკარგულ ფერით:  
„ეს სტუმარია — სხვა არაფერი“.

აქ ჩემი სული გამტკიცდა და კვალად და მე კარისკენ გავსწიე ძალად.  
„გთხოვთ, პატიება დამდევით ვალად“, ბოდის მოხდით მივმართე სტუმარს:  
„კარს თქვენი ხელი ოდნავად სცემდა და გვიან მივხვდი, საწყენად ჩემდა,  
თქვენს მობრძანებას, რადგან მე მთვლემდა მძიმე ფიქრებში გართულს და მდუმარს,  
მე არ მეგონა თუ ეხლა ვინმე“... და მე კარები გავაღე ფართოდ.  
სხვა არაფერი — წყვდიადი მარტო.

ვით სიზმარეულს მიმელო ცნობა, თითქოს წყვდიადში დავიწყე დნობა,  
აღბად, ამ ქვეყნად ასეთი გრძნობა ჯერ ადამიანს არ განუცდია.  
თვალის წინ მედგა ღამე ულავი, არა არღვევდა დუმილს სრულებით,  
და მხოლოდ ოდნავ ნაჩურჩულევი იქ ერთი სიტყვა მოხვდა ყრუ წყვდიადს.  
ეს მე ვსთქვი: „ლენორ“... და ისევ „ლენორ“ მესროლა ეხომ, როგორც რაპირი.  
ეს იყო მხოლოდ — სხვა არაფერი.

შემოვტრიალდი, კარი დავხურე, სულს ვამშვიდებდი ცეცხლით ნახურებს,  
მაგრამ კაკუნი ესმათ კვლავ ყურებს უფრო ხმამალა ვიდრე პირველად.  
შიში ჩემს ენას მაინც არ აბამს: „ეს მოჩვენებას სულაც არა გავს,  
მხოლოდ გარედან ფანჯრის დარაბას ხვდება რალაცა გასაკვირველად.  
ამ საიდუმლოს მე გამოვიცნობ... დანყნარდი, გულო, ამაოდ დარდობ:  
სხვა არაფერი — ქარია მარტო“.

მაშინ დარაბას მივკარი ხელი, შეირხა შავად გახსნილი ხვრელი  
და ჩემ წინ დინჯად ამართა ყელი ძველმა ყორანმა რაინდულ მკერდით.  
ის არ შეჩერდა არცერთი წამით, ჩემთვის პატივი რომ ეცა ამით,  
ლორდის მიმობხვრით და სითამამით მან გამიარა ჩუმად მე გვერდით  
და კარის ზემოთ დააჯდა ქანდაკს, პალადას ქანდაკს, ამართულს ბროლად.  
სხვა არაფერი — ის დაჯდა მხოლოდ.

გამოვერკვიე სტუმრის ცნობაში, ღიმილს ურევდი მწარე გრძნობაში,  
მის სერიოზულ გარეგნობაში ვხედავდი ბნელი უფსკრულის რაინდს.  
„მართალი არი“, — ვსთქვი მე, — „სრულიად შენი ქოჩორი გაპარსულია,  
და გზა წყვდიადით დათარსულია, მაგრამ გულადი ყოფილხარ მაინც.  
მითხარ, სახელად რა გენოდება იმ სამეფოში, პლუტონის კარად?“  
დაიხროტინა ყორანმა: „არა“.

გაოცებულმა მივაპყარ სმენა, ნუ თუ ამ ფრინველს სცოდნია ენა? თუმც ვერ შევსძელი მე აღმოჩენა იმის პასუხში რაიმე აზრის. მაგრამ ხმა იყო საოცრად მკვეთრი, და ან ვის ჰქონდა ისეთი ხვედრი, რომ რალაც ფრინველს ქანდაკი თეთრი, ზემოდან მისი ოთახის კარის ენახოს და ზედ დაფრენილიყოს? დაფრენილიყოს ქანდაკზე წყნარად და მას სახელად რქმეოდეს „არა“?

ჩამოიშალა სიჩუმის ფარდა: ხმა არ დაუძრავს მას ამის გარდა, თითქოს შეეწყო და შეეზარდა მხოლოდ ამ სიტყვას იმისი სული. ის თეთრ ქანდაკზე იჯდა გრძნეული, შავ ქანდაკებად გადაქცეული, და მე წარმოვსთქვი ხმით დანეულით: „სხვა მეგობრები გაფრინდნენ სულ იქ, ისიც დილაზე დამტოვებს მათებრ და გაფრინდება აქედან ჩქარა“.  
მაშინ ფრინველმა წარმოსთქვა: „არა“.

და მე ხელახლა შემიკრთა გული, მრევდა პასუხი უეცრად თქმული. „ამ სიტყვაშია, — ვსთქვი, — დამალული ავლა-დიდება იმისი მთელი. ალბად მას თავის ჭკუა ჰკლებია, ეს სიტყვა მისთვის უსწავლებია ბატონს, რომელსაც თანა ხლებია ბედი სასტიკი და სულის მხდელი; ვისაც ეს ბედი სდევნიდა ისე, რომ ყველაფერზე, ყველგან და მარად ის იძახოდა ერთ სიტყვას — „არა“.

მე გავიღიმე და ისევ ამით მწუხარე სულის დავფარე შხამი, კარებისაკენ მივსწიე სკამი და რბილ ხავერდზე დავჯექი კვლავ მე. მე ამოცანა ავიღე ძნელი, გავაბი ძაფად ფიქრები ნელი: მსურდა გამეგო, — უმსგავსო, ბნელი, გამოუცნობი ისე, ვით ღამე, ეს თვალბედითი ყორანი აგერ, რომ ჩამომჯდარა ქანდაკზე წყნარად, რას ამბობს თავის ხროტინით — „არა“.

ვიჯექ უსიტყვო ფიქრით ვნებული და ვგრძნობდი — მკერდ ქვეშ ჩემი მხნე გული მკაცრი ფრინველის გაცეცხლებული თვალების ალზე იდაგებოდა; გადაუჭრელი საკითხი ავი ჩამინვა სულში ისე, ვით ზვავი და მე ლურჯ ხავერდს მივაყრდნე თავი, ღამფის შუქით რომ იქარგებოდა, მაგრამ ამ ლურჯი ხავერდის ბალიშს ლენორას თმები ოქროსფერ ღვარად არ დაეცემა არასდროს — არა!

შემდეგ ჰაერი შეიქმნა სქელი, თითქოს სურნელი აკმია ცხელი იქ სერაფიმმა უჩინარ ხელით და მე ფეხის ხმაც მომესმა მისი. „საბრალო!“ ვსთქვი მე: „გახსენ თვალეები, ცაც კი დამწვარა შენი ნვალეებით და ანგელოზის საშუალებით გიბოძა ღმერთმა სასმელი თვისი. დალიე შენ ეს სასმელი უცხო და დაივიწყებ ლენორას მარად“.  
დაიხროტინა ყორანმა: „არა“.

„შენ მისანი ხარ, მავნე საგანი! ქაჯმა გასწავლა შენ ეს საკანი, თუ ქარიშხალით გადმონატანი ხარ აქ, დარაჯო ჩემი კარების? სთქვი ამ უდაბნო ოთახში, ასე უბედურებით რომ არის სავსე:



რომელიც მხოლოდ ოცნებობს მასზე, სთქვი ამ ოთახში, გემუდარები, გაქვს შენ ჩინჩახვში წამალი რამე, რომ ჩემს იარას ეპკუროს ცვარად?“  
დაიხროტინა ყორანმა: „არა“.

„მისანო“, ვსთქვი მე მწარე ნალველით: „ცის ან ქვესკნელის ხარ შენ მნახველი და გვედრები იმ ღვთის სახელით, რომელიცა გვწამს ერთგვარად ჩვენ ორს, უთხარი ჩემ სულს დატანჯულს ბედით, თუ სამოთხეში იხილავს გვერდით და მას, მშვენიერს, მიეკვრის მკერდით, რომელსაც ცაში უხმობენ „ლენორს“? იხილავს ქალწულს, რომელსაც ცაში ანგელოზები ახლავენ ჯარად?“  
დაიხროტინა ყორანმა: „არა“.

„გასწი, გამშორდი! იყავ წყეული!“ — ვიძახდი ოდნავ წამონეული.  
მხოლოდ უკუნი ღამის ხვეული შენ დაგშვენდება ყრუ საბუდარად;  
ფრთაც არ დასტოვო საჩუქრად შავი ნიშნად იმისა, ტყუილს რომ ჩხავი;  
მე მსურს, აქ მარტოდ ვიგულო თავი, ან შენგან ჩემ სულს არა უნდა რა.  
შორს ეგ ნისკარტი, ეგ შენი ფორმა! თეთრი ქანდაკი დასტოვე ჩქარა!“  
დაიხროტინა ყორანმა: „არა“.

და თეთრ ქანდაკზე, ვით მუზარადი, მოსჩანს უძრავად იგი მარადის,  
თითქოს ხედავდეს სიზმრად პარადიზს, ჩემი ოთახის კარების წევით.  
როგორც მდუმარე დემონს, თვალეები მას გავსებთან იდუმალეებით,  
და ღამფის შუქი მას მოკრძალებით ხვდება და აჩრდილს ძირსა შლის რხევით.  
ო, ჩემი სული ამ აჩრდილიდან, იატაკზე რომ გაშლილა ფარად,  
არ წამოდგება არას დროს — არა!

თარგმანი ინგლისურით  
კონსტანტინე ჭიჭინაძისა

ედგარ ალ.

## სიჩუმე

### იგავი

*Ευθουσιον δ' ὄρεων χορσφαι τε και φάραγγες Πρωνας τει χαραδραι .*  
ალკმენი

*სძინავთ მთის მწვერვალებს, ხეობანი, კლდენი და ქვაბნი გაჩუმებულან.*

„ყური დამიგდე“, — სთქვა დემონმა, როდესაც თავზე ხელი დამადო — „ქვეყანა, რომლის ამბავსაც მე მოგიტხრობ, მდინარე ზაირის ნაპირს მდებარე, ლიბიის მწირი ქვეყანაა და იქ არც მყუდროებაა და არც სიჩუმე.

„ამ მდინარის წყალი ზაფრანისა და სნეული ფერისაა და ნიადაგ თრთის მზის წითელი თვალის ქვეშ, შფოთი და მღელვარე. მდინარის ღამიანი სარეცელის ორივე მხრივ, მრავ-

ვალ მილიათა სივრცეზე გადაჭიმულია წყლის შროშანთა ფერმკრთალი უდაბნო. აქ მარტოობაში ისინი ერთმანეთს შესჩივიან და ზევით იწვდიან თავიანთ გრძელ და უშნო კისრებს და არხევენ უკვდავ თავებს. და აქ მათ შორის გაისმის იღუმალი, თითქოს ქვესკნულით წყლის შხუილის, ჩურჩული და ისინი შესჩივიან ერთმანეთს.

„მაგრამ არის საზღვარი მათის სამეფოს — ბნელი, საშინელი ტყის საზღვარი. იქ ბუჩქნარი მუდამ მღელვარებს, როგორც ჰებრიდების ირგვლივ მებრძოლი ტალღები. მაგრამ ზეცაში ქარი არა ჰქრის და მაღალი მოხუცი ხეები მძლავრი ხმაურით მოუსვენრად ირწვიან და მათი მაღალი წვეროებიდან თითო-თითოდ ძირს სცვივა უკვდავი ნამი. და მათ ძირში თავს აფარებენ უცხო შხამიანი ყვავილები და იტანჯებიან მოუსვენარს ძილში. და მაღლა რუხი ღრუბლები შრიალით და ნიოკობით მარად დასავლეთით ისწრაფიან, ვიდრე ჩანჩქერით არ გადაექანებიან აღმოდებულ ცისკამარის ზღუდეს. მაგრამ ცაში ქარი არა ჰქრის და მდინარე ზაირის ნაპირს არც მყუდროებაა და არც სიჩუმე.

„ლამე იყო და წვიმდა, დენის დროს იგი წვიმა იყო, ხოლო ძირს დაცემული სისხლად შეიქმნებოდა და მე ვიდექი ჭაობში წყლის ანონილ შროშანთა შორის და წვიმა თავს მასხავდა — და წყლის შროშანნი ერთმანეთს შესჩიოდნენ თავიანთ დიადს მარტოობაში. და უეცრად თხელს საშინელს ნისლს შორის გამოჩნდა მთვარე, და იგი იყო ალისფერი. და თვალი მოვკარი წყლის პირს მდგომარე დიდს კლდეს. და კლდე იყო მყიფე, საშინელი და მაღალი — კლდე იყო მყიფე. ქვაში ამოჭრილი იყო ასოები და გავიარე წყლის შროშანთა ჭაობი, ვიდრე არ დაუახლოვდი ნაპირს, რათა ქვის ნარწერა ამომეკითხნა. მაგრამ ნაკითხვა ვერ შევძელი და პირი ვიბრუნე ჭაობისკენ. როდესაც მთვარემ უფრო ნითლად გააშუქა, მე მოვიხედე და კვლავ დავაცქერდი კლდეს და ნარწერას. და ნარწერა იყო **სასონარკვეთა**.

და ავიხედე მაღლა და იქ კლდის თხემზე იდგა ადამიანი. და მე დავიმალე წყლის შროშანთა შორის და თვალს ვადევნებდი ადამიანის მოქმედებას. და ადამიანი იყო ტანად მაღალი და ახოვანი და მხარ-ტერფამდე გახვეული ძველ რომაელთა ტოგაში. და მისი ტანის მოხაზულება — ბინდით მოსილი, მაგრამ მისი სახე ღვთაების სახე; ღამის, ნისლის და მთვარის ჩადრს მისი პირი არ დაებურა. და მისი შუბლი იყო დიდებული აზრით, და მისი თვალები შმაგი მწუხარებით, და მის სახეზე აქა-იქ გაბნეულს ნაოჭებში მე ამოვიკითხე იგავი სევდისა და მაშვრალობისა და სიძულვილი კაცობრიობისა და წყურვილი მარტოობისა.

და ადამიანი იჯდა კლდეზე და თავი დაეყრდნო ხელზე და შეჰყურებდა სასონარკვეთას. უცქეროდა მოუსვენარს ბუჩქნარს ძირს, და მოხუც ხეებს მაღლა და მოშრიალე ცას ზევით და ალისფერ მთვარეს. და მე ვინექი წყლის შროშანთა ბუნაგში და უთვალთვალებდი ადამიანის მოქმედებას. და ადამიანი თრთოდა მარტოობაში; — მაგრამ ღამე იკლებდა და ის კი იჯდა კლდეზე.

და ადამიანმა ზეცას თვალი მოაშორა და უყურებდა მწუხარე მდინარე ზაირას და ყვითელს უმზგავს წყალს და წყლის შროშანთა ფერწასულს ლეგიონს. და ადამიანი უსმენდა წყლის შროშანთა ოხვრას და ჩურჩულს, მათ შორის რომ გაისმოდა. და მე ვინექი ჩემს ბუნაგში და უთვალთვალებდი ადამიანის მოქმედებას და ადამიანი თრთოდა მარტოობაში; — მაგრამ ღამე იკლებდა და ის კი იჯდა კლდეზე.

მაშინ შევედი ჭაობის ჯურღმულებში და დავხეტივალებდი შროშანთა უდაბნოში და უხმობდი ჰიპოპოტამთ, ჭაობის წუმპეში რომ სცხოვრობენ. და ჰიპოპოტამებმა გაიგონეს ჩემი ძახილი და ბელემოტებთან ერთად მოგროვდნენ კლდის ძირში და ღრიალებდნენ საშინლად და მთვარე ზევით დასცქეროდა მათ. და მე ვინექი ჩემს ბუნაგში და უთვალთვალებდი ადამიანის მოქმედებას. და ადამიანი თრთოდა მარტოობაში; — მაგრამ ღამე იკლებდა და ის კი იჯდა კლდეზე.

მაშინ დავსწყევლე სტიქიონები ამბოხების შეჩვენებით; და ზეცაში, სადაც წინედ ქარს არ უქროლია, საშინელი ქარიშხალი ამოვარდა და ცა განითლდა ქარიშხლის ბრაზით — და წვიმა სცემდა ადამიანის თავს — და მდინარე აზვირთდა — და მდინარე სულს ლაფავ-და ქაფში — და წყლის შროშანთა შეჰკვივლეს თავიანთ სარეცელზე — და ქარი ამსხვრევ-და ტყეს — და ელვა სრიალებდა — და მეხი ჩამოვარდა — და კლდე შეინძრა საფუძველი-თურთ და მე ვინეკი ჩემს ბუნაგში და უთვალთვალეზი ადამიანის მოქმედებას. და ადა-მიანი თრთოდა მარტოობაში; — მაგრამ ღამე იკლებდა და ის კი იჯდა კლდეზე.

მაშინ განვრისხდი და დავსწყევლე სიჩუმის შეჩვენებით მდინარე და შროშანნი, ქარი და ტყე, ცა და ქუხილი და წყლის შროშანთა ოხვრა. და შეჩვენებულნი გაჩუმდნენ. და მთვარემ შესწყვიტა სრბოლა ცის ბილიკზე — და ელვა აღარ ელვარებდა — და ღრუბლები უძრავად დაეკიდნენ — და მდინარე დადგა თავის დონეზე და შეჩერდა — და ხეები აღარ ჰქანაობდნენ — და წყლის შროშანნი აღარ ირხეოდნენ და მათ შორის ჩურჩული აღარ გაისმოდა, აღარც აჩრდილი ხმაურობისა უზღვარს უდაბნოში. და მე დავაცქერდი კლდეს, ქვის წარწერას და ის შეცვლილიყო; — და წარწერა იყო **სიჩუმე**.

და დავაცქერდი ადამიანის სახეს და მისი სახე შიშით გაფითრებულიყო. და უეცრივ თავი მოაშორა ხელს და ზეზე წამოდგა და ყურს უგდებდა. მაგრამ არრა ხმა უზღვარ დიდს უდაბნოში არ გაისმოდა და წარწერა კლდეზე იყო **სიჩუმე**. და ადამიანს გააჟოროჟა-ლა და უკუ იქცა და გაჰქრა საჩქაროდ და მე თვალი აღარ მომიკრავს“.

\* \* \*

ბევრი ღამაში თქმულებაა მოგვთა წიგნებში — მოგვთ რკინით კაზმულ მელანქოლი-ურ ფოლიანტებში. იქ, ვიმეორებ, დიდებული ზღაპრებია ცისა და დედამიწის და ძლიერი ზღვისა, და გენიებისა — ზღვას, დედამიწას და ზეცას რომ მფლობელობდნენ. დიდი სიბრძ-ნეა სიბილათა თქმაში და წმინდა ამბები ესმოდათ ძველად თალს ფოთლოვანიტგან, დო-დონის ირგვლივ რომ ირხეოდა, მაგრამ ვფიცავ ალლახს, ჩემს გვერდით საფლავის ჩრდილ-ში მჯდომარე დემონის მიერ ნაამბობი ყველაზე გასაკვირველია! და როდესაც დემონმა დაამთავრა ზღაპარი, იგი ჩაძვრა საფლავის ნაპრალში და სიცილი დაიწყო. და დამწყევ-ლა მე, რადგანაც სიცილი არ შემეძლო. და ფოცხვერი, მარად რომ საფლავში ბინადრობს, გამოვიდა და დაწვა დემონის ფერხთით და სახეში ჩააშტერდა.

თარგმანი ინგლისურით

ირაკლი ტატიშვილისა

## აღმოსავლეთის კლასიკური პოეზია

### ომარ ხაიამი

*ამბობენ, რომ სპარსელებმა ყველა თავისი პოეტებიდან ხუთი საუკუნის მანძილზე ღირსეულად იცნეს მხოლოდ შვიდი პოეტი. მაგრამ დანარჩენთა შორისაც, რომლებიც დაიწუნეს სპარსელებმა, კიდევ ბევრი პოეტი აღმოჩნდება ჩემზე უკეთესი.*

გოეთე

„აქვს თავისი ბედისწერა წიგნებსაც“ — ომარ ხაიამის პოეზიის ბედი უნებლიეთ გვაგონებს ამ სიტყვებს.

პოეტი-ფილოსოფოსი ომარ ხაიამი — ეს არის უდიდესი მოვლენა კლასიკურ სპარსულ პოეზიაში, ფირდოუსის გვერდით. ომარ ხაიამის ეზოტერიული სიბრძნე და მელანქოლიური პოეზია თითქმის დავინწყებული იყო საუკუნეთა მანძილზე თავის სამშობლოში, მაგრამ რვა საუკუნის შემდეგ იგი ხელახლა მკვდრეთით აღსდგა თანამედროვე ევროპაში. ომარ ხაიამი დღეს ეკუთვნის ყველაზე დიდ სახელებს ევროპის პოეზიაში, მისი გავლენა იქ განუზომელია, მისი ლექსების გარშემო შექმნილია ნამდვილი კულტი.

ომარ ხაიამის ეს ახალი ერა იწყება 1859 წლიდან, როდესაც ედვარდ ფიცჯერალდმა გამოაქვეყნა ინგლისური თარგმანი ხაიამის ლექსების კრებულისა „რუბაიები“ („რუბაიათ“). ამ თითქმის დავინწყებული სპარსელ პოეტის ლექსების გადაკითხვამ იმთავითვე განუზომელი შთაბეჭდილება მოახდინა ინგლისის რჩეულ პოეტურ წრეებში. პოეტებს — სვინბერნს, ტენისონს და პრერაფაელიტ დანტე როსსეტის ეკუთვნის ის სახელი, რომ მათ პირველად აღიარეს ახალი მნათობის აღმოჩენა პოეზიის ჰორიზონტზე, და გახდენ მიმრქმელნი ხაიამის პოეზიისა ევროპაში.

ამის შემდეგ ხაიამის გავლენა ევროპის ლიტერატურაში თანდათან გაიზარდა. კერძოდ, ანგლო-საქსონურ მსოფლიოში ამან მიიღო ნამდვილი კულტის სახე. აქ, ინგლისსა და ამერიკაში, ომარ ხაიამის „რუბაიები“ დღეს წარმოადგენს ყველაზე უფრო გავრცელებულ წიგნს ბიბლიის გვერდით; ომარ ხაიამის შესასწავლად აქ დაარსებულია ცალკე საზოგადოებანი; ფიცჯერალდის შემდეგ აქ გამოვიდა ათამდე სხვა და სხვა თარგმანები და მრავალი გამოცემები; ხაიამის „რუბაიებისათვის“, ისევე, როგორც ბიბლიისათვის, შედგენილია კონკორდანსი. ხაიამის გავლენას ანგლო-საქსონურ მსოფლიოში კარგად გვისურათებს სიტყვა ჯონ-გეისა, რომელიც მან წარმოსთქვა „კლუბში ომარ ხაიამის შესასწავლად“, ლონდონში:

„არ არის არც ერთი სამხედრო სადგური ინდოეთის მთებში, არც ერთი სოფელი ინგლისში, სადაც არ მოიპოვებოდეს პატარა საზოგადოება მაინც, რომლისათვის ომარ ხაიამი არ წარმოადგენდეს ახლო მეგობარს და შემაერთებელ მოვლენას. ამერიკაში მას ჰყავს მიმდევარნი ქვეყნის ყველა ნაწილებში, და საზოგადოების ყველა წრეებში. აღმოსავლეთის კოლონიებში მისი მიმდევარნი შეადგენენ ეზოტერიულ სექტას“.

\* \*

ომარ ხაიამის ცხოვრება ეკუთვნის მე-XI საუკუნესა და მე-XII საუკუნის დასაწყისს.

ომარ ხაიამი (მისი სრული სახელწოდება არის: ომარ იბნ-იბრაჰიმ ნიშაბურელი) დაიბადა მე-XI საუკუნის მეორე მეოთხედში, 1025—1040 წლებს შუა, ნიშაბურში (ხორასანის პროვინციაში, აღმოსავლეთ სპარსეთში). ბიოგრაფიული ცნობები პოეტის შესახებ ცოტა

შენახულა. პოეტის ცხოვრება, რომელიც მთლიანად შეწირული იყო ინტელექტუალური შემოქმედებისათვის, არც უნდა ყოფილიყო მდიდარი გარეგანი ფაქტებით.

ნაგვიანვე ლიტერატურულ წყაროებს შეუნახავს გადმოცემა, რომ ომარ ხაიამმა განათლება მიიღო ხორასანში, იმ დროინდელ საუკეთესო მეცნიერთა ხელმძღვანელობით, და რომ მასთან ერთად იზრდებოდა ორი სკოლის ამხანაგი, რომელთა ბედი აგრეთვე განსაკუთრებული იყო: ერთი — სახელოვანი სახელმწიფო მოღვაწე ჰასან ტუსი (იგივე ნიზამ-ულ-მულკი), რომელიც შემდეგ გახდა ფაქტიური გამგებელი სელჯუკების დიდი იმპერიისა; და მეორე — ჰასან საბაჰი დამაარსებელი მულიდების (ასსასინების) ორდენისა, რომელმაც ასე დიდი როლი ითამაშა აღმოსავლეთის მომდევნო ისტორიაში.

გადმოცემა უმატებს, თითქო ამ სამმა ამხანაგმა დასდევს ალთქმა სამუდამო მეგობრობისა, და შემდეგ, როცა ნიზამ-ულ-მულკმა მიიღო სელჯუკთა სამეფო კარის დიდი ვეზირობა, იგი მფარველობას უწევდა ხაიამს.

ეს გავრცელებული გადმოცემა „სამი სკოლის მეგობრის“ შესახებ ბევრ ანაქრონიზმებს და ლეგენდარულ საზებს შეიცავს; მაგრამ, ყოველ შემთხვევაში ფაქტი ის არის (ამას სხვა უფრო ძველი საისტორიო წყაროების ჩვენება უცილობელად ამტკიცებს) — რომ ომარ ხაიამი მართლა მიღებული იყო სელჯუკთა სამეფო კარზე, და სარგებლობდა ნიზამ-ულ-მულკის განათლებული მფარველობით. 1074-5 წელს ომარ ხაიამს, როგორც მეცნიერ-მათემატიკოსს, გადასცეს მთავარი ასტრონომის თანამდებობა სულტანის ობსერვატორიაში — ქალაქ მარავში (ეხლანდელი მერვი — ბუხარაში).

მომდევნო წლები ომარ ხაიამმა მარავში გაატარა. დამოუკიდებელი სულიერად, მონყვეტილი ყოველდღიურობას, სცხოვრობდა ხაიამი, როგორც განდეგილი ბრძენი, გადასული მეცნიერულ ძიებაში და პოეტურ ვიზიონერობაში.

ნიზამ-ულ-მულკის გარდაცვალების შემდეგ (1092) ომარ ხაიამი დაბრუნდა თავის სამშობლო ნიშაბურში. აქ მან დაჰყო უკანასკნელი წლები თავისი ცხოვრებისა, და გარდაიცვალა ღრმა მოხუცებულობაში მყოფი 1123 წლის ახლო დროს. დამარხულია იგი ნიშაბურში.

ომარ ხაიამის ერთი თანამედროვე მწერალი (ნიზამი არუზი) ასე აგვიწერს პოეტის გარდაცვალებას. დილიდანვე ომარ ჰკითხულობდა იბნ-სინას (ავიციენას) წიგნს. როდესაც იგი მივიდა კარამდე „ერთი და მრავლადობა“, ჩანიშნა წიგნი, ილოცა, და მოახდინა უკანასკნელი განკარგულებანი. მთელი დღის განმავლობაში მას არ მიუღია არც საჭმელი, არც წყალი. საღამოზე, უკანასკნელი ლოცვის შემდეგ, იგი დაიხარა მინისაკენ, და წარმოსთქვა: „უზენაესო! ჭეშმარიტად მე ვცდილობდი შენს შემეცნებას, რამდენადაც მეყო ამისთვის ძალა. შემინდევ, და იყოს ეს ჩემი მისწრაფება შენი შეცნობისათვის, ჩემი წინამძღოლი შენს წინაშე.“

იგივე ნიზამი არუზი გადმოგვცემს, რომ ომარ ხაიამის სურვილი იყო, დაემარხათ „ისეთ ადგილას, სადაც ხეები ორხელ დააფრქვევენ ყვავილებს მის ნაშთს“. პოეტის ეს სურვილი არ დარჩა შეუსრულებელი. რამდენიმე წლის შემდეგ არუზიმ მოინახულა პოეტის საფლავი ნიშაბურში, და ნახა, რომ მისი სამარე დაფარული იყო ატმის ყვავილის ფურცლებით.

\* \*

ომარ ხაიამის სახელი გარდა პოეზიისა ეკუთვნის აგრეთვე მეცნიერების ისტორიასაც. ომარ ხაიამი იდგა მთელი თანამედროვე მეცნიერების სიმალლეზე, იგი ნამდვილი ენციკლოპედისტი იყო.

ასე ომარ ხაიამი ითვლებოდა პირველხარისხოვან მათემატიკოსად და ასტრონომად. მისი მრავალი მათემატიკური შრომებიდან ჩვენამდე შენახულა „გამოკვლევა ალგებრა-



ული პრობლემებისა“ და „ზოგიერთი სიძნელე ევკლიდის გეომეტრიის განმარტებებში“, რომლებიც იქცევს სპეციალისტების დიდ ყურადღებას. მანვე მოახდინა რეფორმა მუსულმანური კალენდარისა, რომელიც სპეციალისტების დაფასებით ბევრად მაღლა სდგას გრეგორიანულ კალენდარზე.

ომარ ხაიამი დიდ ავტორიტეტად ითვლებოდა აგრეთვე — ისტორიაში, ფილოლოგიაში, უფლების მეცნიერებაში. ძველი მწერლები აღნიშნავენ მხოლოდ, რომ ომარ ხაიამი იშვიათად ხდიდა საჯაროდ თავის ცოდნას, იშვიათად და დიდის დაბრკოლებებით ღებულობდა თავისთან მონაფეებს (ცნობა მუჰამედ შეჰრეზურისა).

ფილოსოფიის და ღვთისმეტყველობის საკითხებში ისეთი სახელოვანი ფილოსოფოსი, როგორც იყო ჰაზალი, განმარტებებს ბნელ საკითხებზე ომარ ხაიამისაგან ღებულობდა; მაგრამ ამავე დროს ომარ ხაიამი მას ჰგვირდა კლერიკალურ შიშს, როცა იგი დაინყებდა საუბარს ასტრონომიულ პრობლემებზე.

და საზოგადოდ ხაიამის თავისუფალი არა-ორთოდოქსალიური მსოფლიო-მხედველობა დიდ ოპოზიციას იწვევდა კლერიკალურ წრეებში. ამის შესახებ ერთი ძველი არაბი მწერალი (იბნ-ალ ყიფტი, 1172—1248) შემდეგს სწერს:

„ხაიამი ერთი უდიდეს მეცნიერთაგანი იყო თავის ეპოქისა. იცოდა ძველი ელლინური ფილოსოფია, და ჰქადაგებდა სულის განმენდას კეთილ საქმეთა საშუალებით. მისი ფილოსოფიური სისტემა დამყარებული იყო პლატონზე. სუფიები ჩვენი დროისა, სარგებლობენ რა მისი ლექსებით და პოეტური სახეებით, ასაღებენ მას თავისიანად; მაგრამ თავის-თავად ცხადია, რომ მისი სარწმუნოება დამყარებული იყო მარტოოდენ სიმართლის პრინციპებზე, თავისუფლებაზე, და უნივერსალური რელიგიის საერთო იდეებზე. მას ლანძღვა-გინებით იხსენებდენ უმეცარნი და ფანატიკოსები, და იგი იძულებული იყო დაეცვა დუმილი თავისი რწმენის შესახებ. იგი ერთხელ ნავიდა კიდეც სალოცავად მექაში. მაგრამ ეს გამონვეული იყო არა ორთოდოქსობით, არამედ რათა აელაგმა თავისი მონინაალმდეგენი. უმრავლესობა მას სთვლიდა სარწმუნებიდან განდგომილად“.

საზოგადოდ უნდა აღინიშნოს, რომ ომარ ხაიამის რელიგიურ შეხედულებათა შესახებ სხვა-და-სხვა აზრი არსებობდა როგორც ძველადაც, ისე თანამედროვე მეცნიერებაშიც. ამ საკითხს ერთგვარი შუქი მოეფინა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ამ ახლო ხანში აღმოჩნდა ომარ ხაიამის დაკარგული ფილოსოფიური შრომა „მეტაფიზიკის შესახებ“. ამ ტექსტიდან ჩვენ ვხედავთ, რომ ომარ ხაიამი ბევრ ხაზებში იზიარებდა სუფიზმის სოფლხედვას.

\* \*

თუმცა, ამ რიგად, ომარ ხაიამი ჩვენ გვევლინება როგორც დიდი შემოქმედი ადამიანური ცოდნის ყველა სფეროებში, მაგრამ მისი მსოფლიო სახელი შექმნა არა მისმა მეცნიერულმა და ფილოსოფიურმა შრომებმა, არამედ მისი ლექსების პატარა კრებულმა „რუბაიათ“.

ორიოდე სიტყვა ომარ ხაიამის პოეზიის ფორმის შესახებ.

ფორმა ომარ ხაიამისა აფორისტულია. პოეტური იდეები ომარ ხაიამისა გამოთქმულია „რუბაი“-ების სახით („რუბაი“ — ოთხ-სტრიქონიანი დამოუკიდებელი ლექსი). სულ ხაიამის კრებული შეიცავს 400-მდე ასეთ დამოუკიდებელ „რუბაი“-ს<sup>1</sup>.

ეს აფორისტული ფორმა „რუბაი“-ებისა ხაიამზე უფრო ადრეც არსებობდა, მაგრამ ერთად-ერთი უცთომელი ხელოვანი ამ ფორმისა ხაიამი არის. ომარ ხაიამის სტრიქონებში მიღწეულია მაქსიმუმი პოეტური თქმის ეკონომიისა, თვითეული „რუბაი“ გამართულია როგორც სონეტი.

1. უძველეს ბოდლენის ხელნაწერში შეტანილია 405 რუბაი, მაგრამ აქედან რამდენიმე ათეული რუბაი შემდეგ არის ჩამატებული (რაც შეეხება ნაგვიანვე ხელნაწერებს, ისინი სავსეა ინტერპოლიაციებით).



წინამდებარე მოკლე შენიშვნა, რასაკვირველია, არ ისახავს მიზნად წარმოადგინოს ხაიამის პოეზიის სრული სურათი. ჩვენ კიდევ გვექმნება შემთხვევა უფრო ახლო შევეხოთ მას.

ომარ ხაიამის პოეზიას სამართლიანად უწოდეს პესსიმიზმისა და სკეპსისის ბიბლია. მაგრამ აქ სრულიადაც არ არის პედანტიური მიზანტროპია; ომარ ხაიამის პოეზიაში თრთის ადამიანის ცოცხალი სული და მისი მელანქოლიური სიბრძნე ხშირად გადადის გედონიურ-ეპიკურულ ჰიმნებში. ომარ ხაიამი მოულოდნელია, როგორც თითონ პოეზია; რუბაეებში ლირიულობას უეცრად სცვლის ირონია და ყვაველთა სურნელება აქ მოულოდნელად გადადის სიკვდილის დაშლამდე. ზოგჯერ იგი გვევლინება როგორც მისტიკოსი, ზოგჯერ კი შეუბრალებელი სკეპტიკი — იგი უკანასკნელის გაბედულებით თვალს უსწორებს ბედისწერას, და სცდილობს განდევნოს ყველა ის მოჩვენებანი, რომლითაც დაასახლა ზეცა ადამიანის შიშმა და სულმოკლეობამ.

იშვიათია მეორე პოეტი, რომელშიაც ასეთი ინტეგრალობით თრთოდეს ადამიანის სულის მდულარება.

პედანტიურმა მეცნიერულმა კრიტიკამ ბევრი გონება-მახვილობა დაჰკარგა, რომ როგორმე შეერიგებინა და გარკვეულიყო ომარ ხაიამის პოეზიის ასეთ შინაგან „წინააღმდეგობათა“ შორის. მაგრამ, რასაკვირველია, ეს ამაო შრომა იყო. როგორც სამართლიანად ამბობს ერთი კრიტიკოსი (ჯონ-გეი) — ომარ ხაიამი „წამდვილი პოეტი იყო, რომ დაეცვა თანამიმდევრობა თავის სიბრძნეში“, და ამავე დროს „წამდვილი ბრძენი იყო, რომ დარჩენილიყო მარტო პოეტად“.

პირდაპირ საოცარია, რომ ქართულს ლიტერატურაში, მიუხედავად სპარსული მწერლობის დიდი გავლენისა, ომარ ხაიამის პოეზიამ სრულიად შეუმჩნევლად ჩაიარა. თვით ხაიამის სახელიც კი არ ყოფილა მოხსენებული ქართულად, და ეს გაკვერთი შენიშვნა პირველია ამ მხრით.

ხაიამის უქონლობა ქართულს ენაზე, რასაკვირველია, დიდ დანაკლისად უნდა ჩავვთვალო. ამიტომ „კავკასიონის“ რედაქციამ მიმართა წინადადებით სპარსოლოგს — იუსტინე აბულაძეს დაემზადებინა ომარ ხაიამის სრული ქართული თარგმანი.

ეს თარგმანი შესრულებულია პროზით, იგი სიტყვა-სიტყვითი თარგმანის ხასიათს ატარებს, და, რასაკვირველია, ასეთ თარგმანში იჩრდილება პოეტური ელლიპტიური სტილი ხაიამისა. მაგრამ როგორც დასაწყისი ხაიამის შესწავლისა ქართულად, ეს თარგმანი უთუოდ მისაღებია.<sup>1</sup> ომარ ხაიამის 400 რუბაიდან ქვევით იბეჭდება 24. დანარჩენი რუბაეები დაიბეჭდება მორიგ ნომრებში.

ამავე დროს მზადდება ხაიამის პოეტური თარგმანი.<sup>2</sup>

პ. ი.

1. თარგმანის სტილისტიური რედაქცია საბოლოოდ განხილულ და დადგენილ იქმნა მთარგმნელისა და რედაქტორის მიერ; რასაკვირველია, თავისთავად იგულისხმება, რომ თარგმანის სიტყვა-სიტყვითი ხასიათი უცვლელად იქმნა დატოვებული.

2. საგნის ლიტერატურულიდან აქ საკმაო იქნება დავასახელოთ, როგორც უფრო ხელმისაწვდომი, სპარსული მწერლობის მთლიანი მიმოხილვანი: ედვ. ბრაუნის „A literary history of Persia“ და პაულ ჰორნის „Geschichte d. persischer Litteratur“. რუსულ ენაზე არსებობს კლასიკური გამოკვლევა ორიენტალისტი ვ. ჟუკოვსკისა: „Омар Хайам и „странствующий“ четверостишия“ (საიუბილეო კრებულში „ალ-მოზაფფირიე“ ბარ. ვ. როზენის პატივსაცემად, СПб. 1897 წ.). არ არის აგრეთვე მნიშვნელობას მოკლებული ა. კრიმსკის „История Персии и ея литературы“, სადაც წარმოდგენილია სრული ბიბლიოგრაფია.

მმარ ხაიამი.

## რუბაიები<sup>1</sup>

*გუძღვნი ამ თარგმანს პავლე ინგოროყვას*

\* \*

რომელმაც შექმნა სამყარო და ცათა უსაზღვროებანი, — 1  
მას ჩაუგუბებია ადამიანთა გულებში სევდის ნალველი.  
მასვე ჩაუყრია მიწის წიაღში ლალის ბაგენი,  
ხოლო ზილფნი მიწის მტვერში მიმოუბნევია.

\* \*

ჩვენს თავზე გადმოხურულა თალად ცის ლაყვარდი. 2  
იგი, ვით უსაზღვრო ფანოსი, უცნაურად გაბრწყინებულა;  
აქ ლამპარი — დისკო მზისა — ცეცხლებრ ელვარებს,  
ხოლო ჩვენ — ვითა აჩრდილნი — ვცახცახებთ მის წინაშე!

\* \*

რამდენადაც ფერი და სურნელება ჩემი მომხიბლავია, 3  
ლანვი – ვითა შროშანი, და ანაგები — ვითა სარო მაქვს მე, —  
მით უფრო გაუგებარი გახდა ჩემთვის, თუ რისთვის ამ მიწიერი მხიარულების სახლში  
ჩემმა მხატვარმა ასე მომართო მე!

\* \*

ჩემის გაჩენით არა რა ერგება მბრუნავ სანუთროს, 4  
ჩემი გაქრობით მას ბრწყინვალეობა და დიდება არ მოემატება.  
და არც არავისგან ჩემს ყურს სმენია,  
თუ გაჩენა, ან გაქრობა ჩემი, ვის რას მოუტანს.

\* \*

ჰე, გულო, სანუთროსაგან მონყალების ნასახს ნუ ეძებ! 5  
სანუთროს ბრუნვაში თავსა და ბოლოს ნუ ეძებ!  
წამლის ძებნაში შენი სენი უფრო მოიმატებს,  
შეურიგდი ტკივილს და ნურავითარ წამალს ნუ ეძებ!

1. საჭიროდ მიგვაჩნია შენიშვნა სტროფების რიგის შესახებ:

სპარსულ დედანში ხაიამის რუბაიები დალაგებულია მექანიკურად, რითმების ალფაბეტის მიხედვით. ეს დალაგება არ ეკუთვნის თვით ხაიამს (რუბაიების კრებული შედგენილია ხაიამის გარდაცვალების შემდეგ). რასაკვირველია, ასეთის ალფაბეტური დალაგებით სრულიად ირღვევა რუბაიების ბუნებრივი თანამიმდევრობა, რადგან აქ მექანიკურად არიან გადაბმულნი ერთი მეორესთან სრულებით სხვა-და-სხვა ხასიათის ლექსები. თუ როგორის რიგით უნდა დალაგდეს რუბაიები, ეს საკითხი დღემდე არ არის საბოლოოდ გადაჭრილი ხაიამოლოგიაში (დასავლეთ ევროპაში უფრო პოპულარულია ის კანვა, რომელიც წარმოდგენილია ფიცჯერალდის თარგმანით).

რიგი ქვემოთ მოთავსებული რუბაიებისა ეკუთვნის რედაქციას. იგი ამ შემთხვევაში ხელმძღვანელობდა რუბაიების ბუნებრივი ურთიერთი კავშირით, რომელიც აქ თავისთავად ჰქმნის ერთგვარ მთლიან დენას. რედ.

\* \*

ჰოი, ხაიამ, მბრუნავ საწუთროს არ უყვარს, ვინც მოწყენით და მრისხანედ სხედან, 6  
ვისაც მუდამ მჭმუნვარე და ნაღვლიანი სახე აქვს...  
ღვინო სვი თასით, დეე, იჟღერონ სიმთა!..  
სვი მანამდე, სანამ შენი ფიალა (თავის ქალა) მიწას დაემსხვრეოდეს!

\* \*

ნამოდე და მოგვიახლოვდი, ჩვენი გულისათვის, ჰე, ბუთო [მიჯნურო ღვთაება – კერპო]! 7  
ნათელ-ყავ და ახსენი, შენი პირის სიტურფით ჩვენი სიძნელე.  
ერთი დოქი ღვინო მომანოდე, რომ დავლიო,  
მანამდე, სანამ დოქს გააკეთებდენ ჩვენი თიხისაგან...

\* \*

ეს სურა, ისე ვით მე, ოდესღაც მწველი სიყვარულით გამსჭვალული მიჯნური იყო; 8  
იგი ტურფა თავის ზილფებისაკენ მორჩილებით გადახრილიყო,  
ხელი, რომელსაც ხედავ სურის ყელზედ ასე ნაზად მოხვეულს, —  
საყვარელ არსების ყელს არა ერთგზის მოჰხვევია იგი.

\* \*

ნარვლენ საუკუნენი, ხოლო ქვეყანა იგივე იქნება 9  
ალარ დარჩება კვალი იმისა, რომ ოდესმე ცოცხალი ვიყავით,  
უწინარეს ჩვენსა რბიოდენ წელნი, ქვეყანა კი იგივე იყო;  
ასევე დარჩება იგი. [ესწრაფე მხიარულებას! — ჰხედავ?]  
ჩვენ უკვე განვლილი გვაქვს [ჩვენი გზა].

\* \*

შენთვის ფეხზე კოცნა, ჰოი, ჩირაღდანო მხიარულებისაო, 10  
უკეთესია, ვიდრე სხვებისთვის ბაგეზედ!  
ხელი ჩემი — და ოცნების კალთა ყოველდღე!  
ფეხი ჩემი — და შენთან ვისალი ყოველდღამე!

\* \*

რადგან არა არის რა, რაც რომ არსებობს გარდა ქარისა ხელში; 11  
რადგან არსებობს (მხოლოდ წარმავალი), რომლისაგან ნაკლი და ხრწნილება წარმოიშობის;  
(ამიტომ) უნდა წარმოიდგინო, რომ ამ ქვეყნად არსებობს ის, რაც არ არსებობს,  
და უნდა უარყო ეს საწუთრო, რომელიც თითქოს არსებობს, ნამდვილად კი — არ არსებობს.

\* \*

ხომ ნახე, რომ ამ ქვეყნის სიხარულისა და განცხრომისაგან არა არის რა. 12  
ან სიცოცხლის ნაყოფისაგან რა არის? — არა არის რა.  
სიხარულის სანთელი ღვინო, რომ დაღევ — არა არის რა.  
მე ესენციის ფიალა ვარ, და რომ გავტყდები — არა არის რა.

\* \*

რადგან ხვალისგან არავითარი აღთქმა და იმედი არ არის, 13  
 დღისათვის მაინც მხიარულყავ ეგ სევდიანი გული!  
 სვი ღვინო მთვარის სინათლეზე, ჰე, მთვარევ,  
 რადგან ბევრი მთვარე ამოვიდეს — და ჩვენ ველარ გვიხილოს!

\* \*

იხვს ეუბნებოდა ერთი თევზი ცახცახით: 14  
 „შეიძლება ჩვენს რუში კიდევ მოვიდეს წასული წყალი!“  
 იხვმა უპასუხა: „როდესაც მე და შენ ქაბაბად გადავიქეცით,  
 ჩვენი სიკვდილის შემდეგ რაღაა ან ზღვა, ან ხმელი!“

\* \*

მხიარულ იყავ, ენეი ლხინს, რადგან ვინც მოვა ამ სოფლად, 15  
 ყოველს პირს, ადრე თუ გვიან, მიწა დაჰფარავს.  
 სვი ღვინო, და სოფლის მწუხარებას ნუ სჭამ,  
 რადგან თვით მწუხარება სჭამს მას, ვინც კი მოვა ამ სოფლად.

\* \*

ჩვენ ვართ ამ დანგრეულ საგანძურში! ღვინოსთან და მიჯნურთან, 16  
 სული და გული, თასი და სამოსელი, — ღვინისათვის დაგვიწინდავს  
 ჩვენ თავისუფალნი ვართ (ღვთაების) წყალობის იმედისაგან,  
 და მისი საყვედურის შიშისაგან.  
 ჩვენ თავისუფალნი ვართ თვით მიწისა და ჰაერისა, ცეცხლისა და წყლისაგან.<sup>2</sup>

\* \*

ჰე, ხელო უფლისავ! შენ შეჰქმენ მადლისა და სიძულვილისაგან 17  
 სამოთხე და ჯოჯოხეთი, და დაამყარე ისინი უწინარეს საუკუნეთა!  
 სმა-ნადიმი შენი სამოთხეა! მაშ, რად უნდა მეთვლებოდეს მე ეს ცოდვად?!  
 კარგია, რომ შენს სამოთხეში გზა არ მაქვს მე!..

\* \*

ჰე ხოჯავ, გვედრი, ერთი ნატვრა აგვისრულე ჩვენ: 18  
 დადუმდი, და ღვთის ნებას მიგვანდე ჩვენ;  
 ჩვენ სწორად მივდივართ, შენ მრუდად ჰხედავ,  
 ნა, თვალთახედვა მოიპოვე, და გაგვითავისუფლე ჩვენ!

\* \*

ყურანს, რომელსაც საუკეთესო სიტყვად სთვლიან, 19  
 მხოლოდ ხანდახან, და არა მუდამყამ ჰკითხულობენ;  
 ფიალას მოხატულობაში-კი ყურანის ნათელი ლექსებია,  
 მას ყოველ-ალაგას და მუდამყამ ჰკითხულობენ.

1. ე. ი. ამ ქვეყნად.

2. ე. ი. ბუნების ოთხივე ელემენტისაგან.

\* \*

ღვინო ძალია სხეულისა და საზრდელი სულისა, 20  
 ღვინო ჩემთვის დაფარულ იდუმალებათა გადამშლელია,  
 ამიერიდან აღარ ვესწრაფი სარწმუნოების მოთხოვნილებას  
 და საიქიოს ნეტარების სურვილს,  
 ამ ერთ წვეთში ორივე ქვეყანაა, — სააქაო და საიქიო.

\* \*

იმდენ ღვინოს დავლევე, რომ ღვინოთა სურნელება 21  
 ამოვიდეს მიწიდან, როცა მიწის ქვეშ წავალ;  
 და ჩემი საფლავის მტვერს რომ მიაღწიოს ვინმე მახმურმა (ლოთმა),  
 გახდეს ჩემი მიწის სურნელებისაგან მთვრალი და დაშლილი!..

\* \*

იმ დღეს, როცა ხელში ვიპყრობ ღვინით სავსე ფიალას, 22  
 და უსაზღვრო შვება-ლხენისაგან შევიქმნები მთვრალი და დაშლილი,  
 ას სასწაულს მოვავლენ (ჩემი ლექსების) ყოველ კარში  
 ამ ცეცხლის მსგავსი ბუნებისა და წყლის მსგავსი სიტყვებისაგან.

\* \*

როცა მოვკვდე ღვინით გამბანეთ მე; 23  
 ღვინითა და თასით წესი ამიგეთ (ტალკინი მითხარით) მე;  
 თუ გსურთ, ჰაშრის დღეს (მკვდართა აღდგომას) მიპოვოთ მე,  
 ღვინის სარდაფის კარის მტვერ-ნაცარში ყნოსვით აკრიბეთ ჩემი სუნი.

\* \*

ტიროდა წვეთი, — „ზღვას გამოვეთხოვე!“ 24  
 ზღვა კი ხუვილით დასცინოდა მის მწუხარებას.  
 „ყველანი შენთანა ვართ, და ყველა ერთი მეორეს ავსებს,  
 განშორების ჟამმა მხოლოდ ერთის წუთით გაგვყარა ჩვენ.“

თარგმანი სპარსულით  
 იუსტინე აბულაძისა

## კავკასია

ოვანეს თუშანიანი.

### ერთი წვეთი თაფლი

ერთ სოფელში ერთ მედუქნეს  
 არ გააჩნდა კვირა-უქმე.  
 უყენებდა თვალებს მტერსა,  
 ასაღებდა ყველაფერსა.  
 ერთხელ მწყემსი ბრგე, მაღალი,  
 ქოთნით ხელში მთა-გორიდან  
 თავის ერთგულ შავის ძაღლით  
 ბარს სავაჭროდ ჩამოვიდა.  
 — ჰა, როგორ ხარ, თაფლი არი?  
 შეიშმუშნა აქ ვაჭარი:  
 — ხომ არ ხუმრობ, ძმაო ჩემო,  
 აი, თაფლი! ნახე გემო!  
 ვა! თაფლი მაქვს იმისთანა,  
 რომ ჩაატან თითებს თანა.

\*

ვაჭრის სიტყვა, სჯა, ბაასი,  
 დაიშაქრა თაფლის მსგავსად.  
 აქ ახსენა გლეხმაც ღმერთი,  
 მაგრამ თაფლის ერთი წვეთი  
 აწონის დროს, ვით ალმასი,  
 დაენვეთა მინას ნავსად.  
 ბზბ! გაჩნდა ბუზი ხელად  
 დაღვრილ თაფლის შესასმელად.  
 ვაჭრის კატამ რა ეს ნახა,  
 ბუზის დასჯა განიზრახა —  
 დაჰკრა თათი.  
 მაგრამ მწყემსის შავი მურა  
 კატისაკენ გაეშურა  
 ვით ჯალათი.  
 შეუტია,  
 შეუყეფა,  
 დაუჩიქვა  
 თავი, კეფა;  
 ნაუჭირა  
 კბილი ყელში  
 და მიაგდო  
 სადღაც ხვრელში.



— „ჩემი კატა!“ „ჩემი კატა!“  
აქ ვაჭარი შურის გებით  
ძალღს ეკვეთა გაშმაგებით,  
მოუქნია მძიმე რკინა  
და ფარების შემნახველი  
დაანვინა  
მწყემსის წინა.  
მოჰკვდა ძალღი — მწყემსის მცველი —  
და მკვდარს მკვდარი მიემატა.

\*

— ოხ, მარჯვენა ჩემი ხელი:  
ჩემი ლომი, ჩემი მხსნელი!  
დავიღუპე, დავიქეცი...  
რა მიყავი, შე... შე, ჩარჩო!  
ლამის აქვე შენც მიგახრჩო!

აქ მეცხვარე, როგორც მხეცი,  
ეცა ვაჭარს კომბლით ხელში,  
გაუშალა საფეთქელში  
და ეს ჩვენი სოვდაგარი  
ძირს დაეცა უცბად მკვდარი.

\*

— მოჰკლეს! მოჰკლეს! მოგვეხმარეთ!  
ჰაუ! ვინ ხართ, ხალხო, გარედ!  
მკვლელობაა, მოდით ჩქარა...  
და გაისმა კვლავ მუქარა.

ხალხმა ძახიღს დაუჯერა,  
მიატოვა სახღი, კერა.  
ვაი-ვუღით, წყევღღით, კრულღღით,  
რიღი ფეხღით, რიღი ურმღით,  
ზედი-ზედა:  
მამა, დედა,  
ძმეღი, დეღი,  
მამიდეღი,  
სიძე, ქალი,  
მაჭანკალი,  
ცოღი, შვიღი,  
ბერი, ჩვიღი,  
ძმისწულეღი,  
ნათლულეღი,  
აქ სიდედრი, იქ სიმამრი —  
აეშალათ ყვეღას ტამრი;

გამოესხათ ფრთები ორბის —  
ყველა მორბის, ყველა მორბის!

— ეგ რა ჰქენი საზიზღარო...  
— უნდა სისხლი დაიღვაროს.  
— მოსაკლავად ჩამოხვედი?  
— ნაუჭირეთ, ჩქარა, ღვედი!

მიესია ხალხი მწყემსსა,  
სცემდნენ სანყალს და ნაცემსა,  
აღარ ჰქონდა ღონე, ძალა —  
ბრბოსთვის ხელი შეეშალა.  
რადგან მხსნელი არვინ ახლდა,  
მწყემსიც მოჰკვდა თავის ძალღთან.

\*

შეუთვალეს სოფლის თემსა  
ეს სიკვდილი მათი მწყემსის —  
დასტიროდა ყველა მწყემსსა:  
„ეს რა მოხდა? ეს რა გვესმის!“

ასტყდა მთაში ღრიანცელი...  
დარბის ხალხი თოფით, ცელით,  
ზოგს ეჭირა ტაშტი ფარად,  
ზოგს ფინალი მოეპარა,  
ზოგს აეღო ხელში დანა,  
ზოგიც შამფურს ნაეტანა,  
ზოგს — ჩაქური, ქაფჩა, ცული,  
და ამ რიგად დარაზმული,  
უქუდოთ და ფეხ-შიშველად,  
ერთმანეთის მისაშველად  
ჩამოვიდა ხალხი ბარსა.  
— რას ერჩოდნენ იმ სანყალსა!  
— რა ნამუსით, რა სინდისით...  
გაგონილა, დღისით, მზისით  
ზურგში ჩაჰკრან მუშტარს დანა?  
— ო, მკვლელობა ამისთანა  
არის განა მოსათმენი?  
ვინც მოუსპო ჩვენს მწყემსს დღენი,  
ნუ გექნებათ, ძმებო, შიში  
მივიტანოთ იერიში  
და ეს ხალხი კუდიანი  
მოვსპოთ დედაბუდიანად.

\*

და, ჰა, აღსდგა ხალხზე ხალხი,  
დატრიალდა ომის ჩარხი,  
მტერსა მტერი გაუმკლავდა  
და ერთმანეთს ჰკლავდა... ჰკლავდა...

სჩეხდნენ, სჭრიდნენ.

წყალში ჰყრიდნენ.

გაცოფებულ მხეცებს ჰგავდნენ,  
ალარავის არ ზოგავდნენ,  
არ ინდობდნენ თვით მეზობლებს:  
სწვავდნენ ბავშვებს, ქვრივებს, ობლებს.  
და ერთ წუთში ეს სოფელი —  
ერთდროს მყუდრო სამყოფელი —  
ასე უცბად, ასე ხელად  
გადაიქცა ბრძოლის ველად.

\*

მყის აცნობეს ბარის მეფეს,  
რომ აქ სისხლი ააშხეფეს,  
რომ შელახა მთამ საზღვარი,  
რომ ჩატბორდა სისხლის ღვარი  
და სოფელი იქცა ნაცრად.

აქ აღელდა მეფე ბრძენი,  
ხალხს აუწყა განაჩენი  
და ბრძანება გასცა მკაცრად:  
„გეუნყებათ, ხალხო, ყველას:  
სახელმწიფო ელის შველას.  
თავს დაგვეცა უცბად მეხი,  
განადგურდა მთელი მხარე.  
აზნაურო! მუშავ! გლეხო!  
გადაჰხვიეთ ხელი ხელსა —  
მიაშურეთ ბრძოლის ველსა —  
და სამშობლოს მოეხმარეთ!  
ხალხის გმინვა ადის ცამდე.  
სისხლი მოდის ჩემს ტახტამდე.  
მე გავგზავნე უკვე ჯარი,  
რომ მთის ხალხი უმეცარი  
დაისაჯოს და ცოცხალი  
ალარ დარჩეს აღარც ერთი!  
მედგრად, ძმანო, ჩვენთან არი:  
ზარბაზანი. ძალა. ღმერთი“.

მთის მეფემაც ამავე დროს  
 მოუწოდა თავის ჯარებს:  
 „ჩვენს ქვეყანას მშვიდს და მყუდროს  
 მტერი უმსხვრევს ციხის კარებს.  
 დაივიწყეს ცის და მიწის  
 კანონები, წესი, რჯული;  
 ორი მხარე ცეცხლში იწვის  
 ტყვიის კვამლით გარუჯული.  
 აქ პირველი დამნაშავე,  
 ყველამ იცის, არ ვართ ჩვენა,  
 დაარღვია ბარმა ზავი,  
 ცოდვამ აღარ მოასვენა.  
 დავიბრუნოთ მიწაწყალი  
 ჩვენის ოფლით მონაწერი...  
 წინ მხედრებო! ხელში — ხმალი  
 და ვიძიოთ შური... შური.“

\*

და დაიწყო ასე ომი  
 სასტიკი და ქედფიცხელი.  
 და ეს ხალხი, სისხლის მდომი,  
 იბრძვის როგორც გიჟი, ხელი.  
 გაისმოდა ყოველ კუთხით  
 კვნესა, გმინვა, წყევლა, ბოდვა,  
 და ქვეყანა, ღვთის ნაკურთხი,  
 მკვდართა სისხლით ირწყვებოდა.

და მისდევდა  
 წელსა წელი.  
 მაგრამ სევდა  
 უწინდელი

ხალხში მძაფრად ჩაითესა:  
 ვერ მოისპო გლოვა, კვნესა.  
 ვილასა აქვს შრომის თავი:  
 დარჩა ყანა დაუხნავი,  
 დადგა ჯარა, ჩაქრა კერა,  
 მიწა ცრემლით გაიკერა.  
 აქ შიმშილი, იქ კი — ჭირი,  
 ხალხს დაუდგა გასაჭირი,  
 სიკვდილს დააქვს ბასრი ცელი,  
 რჩება მხარე ცარიელი.  
 და ამ მკვდრებში ცოცხალთ წყება  
 სულ ერთმანეთს ეკითხება:  
 — თუ საიდან, როგორ, როდის,  
 ეს ომები რისთვის მოდის!

## თურქული ხალხური პოეზია

### ქიარიმას სიმღერა

ეხლა თქვენც ისმინეთ! ამ მთების გრეხილებს  
ო, ბევრჯერ სმენიათ ამბავი ძველი:  
ერთ მწვანე გაზაფხულს მე თვითონ ვიხილე —  
ამ მთებში სტიროდა დაჭრილი შველი!

სასტიკი ხუმრობით მსხვერპლად დაჭერილი  
სტოვებდა ნუკრებსა: „ან ველარ გიშველი!“  
კვნესით და ყვედრებით სისხლში დაფერილი —  
ამ მთებში სტიროდა დაჭრილი შველი!

რად გინდათ, ღვთიანო, საზრდოთ ხორცეული!  
თოფს რისთვის ეხება ვაჟკაცის ხელი!  
ისმინეთ, რას ამბობს ქიარიმა ეული:  
ამ მთებში სტიროდა დაჭრილი შველი.

*თარგმანი თურქულით ი. გრიშაშვილისა*

## კავკასის მთიელთა ხალხური პოეზია

### რაჟბადინ ბელადი და ერეკლე მეფე

ავარიელთა ისტორიული ლექსი

#### წინასწარი შენიშვნა

ქვემოთ მოთავსებული ავარიული ხალხური ლექსი ყველა ნიშნებით შეთხზულია მე-  
XVIII საუკუნის დასასრულში. საფუძველი ამ ლექსის შექმნისათვის მიუცია ლექების ერთ-  
ერთ შემოსევას საქართველოში ერეკლე მეფის დროს. რადგან ლექსში, ერეკლესთან ერ-  
თად, ომის მონაწილედ მოხსენებულია ლევან ბატონიშვილი, რომელიც — ჯერ კიდევ ახალ-  
გაზდა — გარდაიცვალა 1781 წელს, ამის გამო უნდა ვიფიქროთ, რომ ლექების ამ შემოსე-  
ვას (თუ კი აქ მართლაც რომელიმე კერძო შემთხვევა იგულისხმება, და არა საერთო ლექ-  
ქართველთა დამოკიდებულებისა მე-XVIII საუკუნეში) ადგილი უნდა ჰქონოდა 1780 წლის  
ახლო ხანებში<sup>1</sup>.

ვინ იყო ამ ლექსში დასახელებული ლექების ბელადი კოჭლი რაჟბადინ, ამის შესახებ  
ცნობები არ შენახულა. კავკასიის მთიელთა ენების ცნობილი მკვლევარი ბარონ პ. უსლა-  
რი აღნიშნავს, რომ „ხსოვნა ლექსის გამირის კოჭლი რაჟბადინისა აქამდე დაცულია მთებ-

1. ლექსის ამ დეტალს ყურადღება მიაქცია აგრეთვე ალ. სარაჯიშვილმაც (იხ. საისტ-საეთნოგრ.  
საზ. კრებული — „ძველი საქართველო“, ტ. II, გვ. 127-128).

ში, მაგრამ ვერავითარი დეტალები მისი ცხოვრების შესახებ ვერ გავიგე, გარდა იმისა, რომ იგი იყო სოფელ ხარაჩიდან, ჰინდას რაიონში“ (ავარიის ოლქი).

ტექსტი ამ საინტერესო ხალხური ლექსისა სამ-ხელ არის ჩანერილი სხვა-და-სხვა დროს. პირველად, 1863 წელს, ბარონ პ. უსლარმა, ავარიული ენის გამოკვლევის დროს, ჩაიწერა თითონ ავარიული დედანი ამ ლექსისა<sup>2</sup> შემდეგ განსვენებულ ალ. ივ. სარაჯიშვილს მოუვიდა დალესტანიდან ორი სხვა-და-სხვა ვარიანტი ამავე ლექსისა, მხოლოდ არა თითონ ავარიულ ენაზე, არამედ თარგმანების სახით<sup>3</sup>.

შედარება ამ სამი ვარიანტისა გვიჩვენებს, რომ ტექსტი არც ერთ მათგანში არ არის სრული; თვითეულში არის ისეთი ადგილები, რომელიც ან აკლია მეორე ვარიანტს, ან შეცვლილია.

ქვემოთ დაბეჭდილი ჩვენი თარგმანი წარმოადგენს ამ ლექსის აღდგენის ცდას ამ სამი ვარიანტის მიხედვით. თარგმანისათვის საფუძვლად აღებულია უსლარის ვარიანტი (A). ეს პირველი ვარიანტი, რასაკვირველია, ყველაზე სანდო დედნად უნდა ჩაითვალოს, ჯერ თუნდაც იმიტომ, რომ აქ ჩვენ გვაქვს თვით ავარიული ტექსტი, და ამასთან ჩანერილი ისეთი მეცნიერი-ეთნოგრაფის მიერ როგორც იყო უსლარი.

რაც შეეხება სარაჯიშვილის ორ ვარიანტს (B და C), აქედან აღებულია მხოლოდ ის ადგილები, რომლებიც აკლია უსლარის ტექსტს, მაგრამ რომლებიც აზრის მსვლელობითა და თითონ საერთო სტილის მიხედვით, უნდა ყოფილიყო ამ ლექსის უძველეს ვერსიებში. ეს ნაკლები ადგილები, რომლებიც ჩვენ ამოვიღეთ B და C ვარიანტებიდან, მოთავსებული გვაქვს სწორ ფრჩხილებში [ ].

კიდევ ერთი შენიშვნა ფორმის შესახებ.

ეს ლექსი ავარიულ ენაზე წარმოდგენილია თეთრი ლექსის სახით, და აგებულია თერთმეტ მარცვლოვან საზომზე, მეტად მოძრავი რიტმით (იამბების და ტროხეების გადაჯვარედინება). ჩვენ ვარჩიეთ პროზით გადმოლება, რათა მეტი ზედმინეწილობა ყოფილიყო დაცული.

## რაჟბადინ ბელადი და ერეკლე მეფე

\* \*

მოედანზე შეყრილან, საქართველოზე<sup>1</sup> საუბრობენ... საქართველოში არც კი ჩასულან — და დავლას ინანილენ!... ო, თავი მომაბეზრეს ამ ვაჟკაცებმა, გულს მიკლავენ ჩვენი აულის მამაცი ბიჭები...

დასუქებული ლურჯა ცხენები გიჟდებიან, და ჭიხვინით გასცქერიან საქართველოს; ხმლები, დაჩვეული აზნაურთა ხოცვას, მოწყენით არიან ქარქაშში.. 5

ჰე, გაექანეთ, ვაჟკაცებო, იქეთ, ჭარისკენ: — ნითლად ვაქციოთ ლურჯი ალაზანი! მოემზადეთ, მეგობრებო, მთას იქით, ველებისაკენ: — სისხლით შევლებოთ ურნმუნო საქართველო, და ვერცხლზე გადავცვალოთ ლამაზი ქართველი ქალები!

წერილი წავიდა ნახბაქში; სწერია: პარასკევს შემდეგ აიყარენით. გაიგზავნა კაცი ჰინდაში: დათქმულ პაემანზე არ დაიგვიანოთ. 10

1. იხ. Услар, Этнография Кавказа, III, Аварский язык, стр.17.

2. იხ. იქვე, გვ. 17—33.

3. იხ. საქ. საისტ.-საეთნოგრ. საზ. კრებული — „ძველი საქართველო“, ტ. II. გვ. 121—128.



კარგი მოყმე ნახბაქელები ჰკაზმავენ ჯიშინ ცხენებს, და გავაზე ხელს ურტყამენ. ჰინდელებმა — მათი გულია როგორც ფოლადი! — ტანზე აისხეს ჩერქეზული იარაღი. 15  
 მეჩეთის წინ ალთქმა დასდო. სამჭედურში შევიდა, ტყვიები ჩამოასხა; მისირის ხმალი, წინასწარმეტყველის ქებით წარწერილი, ჩამოიკიდა; ყირიმის თოფს, ცის-ფერ-კონდახიანს, ხელი ჩასჭიდა: „ან დავხოცავ ურწმუნოებს და გადავიხდი წმინდა 20  
 ომს, ან და ცოცხალი აღარ დავბრუნდები!“ გაექანა რაჟბადინ მთას იქითა ველები-საკენ.

ცხენზე რომ შეჯდა, წარმოსთქვა: „ნებითა ღვთისათა!“ ჰურიებს ეჭირათ მისი აფჟანდა. წინასწარმეტყველს შეასხა ქება, და გადაჰკრა მათრახი ცხენს. მასთან და-იდრა გარეშემო აულები. ღმერთმა მოგანიჭოს გამარჯვება, კოჭლო გოლიათო!

\* \*

გავიდნენ ალაზანს, გავიდნენ იორს, და როცა მიაღწიეს მტკვრის ნაპირას, ლოცვა შეასრულა რაჟბადინმა: „მოგვეცი ბედი, როგორც ეს მიანიჭე ზირარს, წინასწარ-მეტყველთა დროს! ო, ღვთის მოციქულო, დეე, განიწირონ ჩვენს ტყიებზე ურწმუნო-ნი, ღვინოს რომ სვამენ! მოწყალეო ღმერთო, მიუსაჯე ჩვენს ხმლებს ღორის-მჭამე-ლი ქართველები!..“ 25

სადაც შეეხო ჩვენი ხელი, იქ ტირილი ავარდა. სადაც დაიდგა ჩვენი ფეხი, იქ ცეცხლი დაიღვარა... შეიპყრეს ქალები თლილი თითებით და ლამაზი თვალებით; დაატყვევეს ყმანვილები ნათელი სახეებით. ტფილისს იქითაც ამოსწყვიტეს ქარ-თველები. შეიჭრნენ შუაგულ ველებში და მოიტაცეს სახელგანთქმული მზეთუნახავი უზი. [რაჟბადიანმა მაღალ კოშკიდან ჩამოიყვანა ამაყი თავადის ქალი და ცხენზე უკან შემოისვა, სხვებმა შეიპყრეს მისი მოახლეები?]. 30

დატვირთულნი მშვენიერი ნადავლით გაბრუნდნენ უკან, გაუარეს წითელ გო-რას, გადასჭრეს შირაქი და როცა მიაღწიეს ალაზანს, — ო, ღმერთო! — რა დაინა-ხეს: გზა — ცეცხლი მოედოს ამ ქვეყანას — გადაჭრილია! 35

\* \*

გზა გადაუჭრიათ წყეულ ქართველებს! წინ აზნაურები, ფრიალებს მეფე ერეკ-ლეს დროშა, დროშის გარშემო თუშები და მოსოხები (ფშავ-ხევსურები).

— წყეულო ქართველებო, მოგვეცი თ გზა, თვითეული ჩვენგანი დედისერთაა. ჩამოდექით, აზნაურებო, ჩვენ ძვირფასნი ვართ ჩვენი ცოლებისთვის. 40

— თუ დედის-ერთანი ხართ, შუაზე გაგჩებთ და ორად გაქცევთ; თუ თქვენ ძვირ-ფასნი ხართ თქვენი ცოლებისთვის, თქვენს ტანს აქ დავიტოვებთ, და თავებს იქ გა-უგზავნით.

ტეტიამ, რომელმაც ჩვენი ენა იცოდა, გადმოგვძახა: 45

— თქვენ, ცოტანო, რომელი მხრიდან ხართ, და ვინ არის თქვენი რაზმის ბელადი?

— ჩვენ, ცოტანი, ნახბაქელები ვართ და ჰინდელები, და ჩვენი ბელადია კოჭლი რაჟბადინ<sup>3</sup>.

— თქვენ ხომ თავგები არა ხართ, მიწის ქვეშ, რომ გაძვრეთ, — მაშ, სად წახ-ვალთ ეხლა, მთიელებო?! თქვენ ხომ ფრინველები არა ხართ, ცაში რომ აფრინდეთ, — სად გაფრინდები ეხლა, ბელადო?! 50

— განა მიწისქვეშ მძრომელი თავგი არ არის, — ჩვენი ხმალი, ჩეხით რომ არ იღლება?! განა ფრინველი არ არის ჩვენი ყირიმული თოფი, მიზანს რომ ააცდენს?!<sup>4</sup> მოინი ახლოს, წყეულო ერეკლე! ხომ არ გინდა, მოწყენისგან იგემო ჩვენი ტყვია?! 55  
 ბევრი გადაიტანა რაჟბადინმა, და ღვთით ამასაც გადაიტანს<sup>5</sup>.

დაუნყებთ ხვენწას, არ გაგვიშვებენ; დაუნყებთ თაყვანის-ცემას, არ გაგვატარებენ. დღეს გამოჩნდება, ვინ არის ვაჟკაცი! დღეს ვინც მოკვდება, — არ მოკვდება მისი სახელი! ჰე, ვაჟკაცებო, ჰე, მამაცებო, ხანჯლით ასჩეხეთ მინის ბელტები, ააგეთ სანგრები; სადაც სანგარი არ აუვა, დაჰხოცეთ ცხენები და იმით ამოაგეთ<sup>6</sup>... ვისაც შიმშილი შეაწუხებს — ცხენის ხორცი სჭამოს, ვისაც წყურვილი შეაწუხებს — ცხენის სისხლი დალიოს. ვისაც ჭრილობა დასძლევს, — თითონ ჩაწვეს საფარში!.. ქვევით ნაბდები გაიშალეთ, ზედ ტყვია-ნამალი დაჰყარეთ. ნუ ისვრით ბევრს, კარგად ამოიღეთ ნიშანში! დღეს ვინც შედრკება, ქალის მანდილი დაეხურება! ვინც სუბუქად დაჰკრავს ხმალს, მისი მიჯნურიც მოკვდეს! ისროლეთ, მამაცებო, ყირიმის გრძელი თოფებიდან, სანამ კომლი არ დაეხვევა თოფის ტუჩს. სჩეხეთ ფოლადის ხმლებით, სანამ ორად არ გადაგიტყდებათ, სანამ მარტო ტარი არ დარჩება...

\* \*

[საკვირვლად იბრძოდნენ კოჭლი რაჟბადინ, და მისი მამაცი ამხანაგები: მუსალ ადალაისძე, ალი ბეგილაისძე და ისალ-მაჰამა. ამ ოთხი ვაჟკაცის გულადობისა და სიმარჯვის მნახველი, გაიხვნა ზეცა, და გაოცებული ჰურიები და ანგელოზები მათ დასცქეროდნენ<sup>7</sup>].

[ვით ლომი იბრძვის — ქედზე შემდგარი, ისე იგერიებდა მტერს კოჭლი რაჟბადინ; ვით ლომის ლეკვები — ლომის მიხედვით იბრძვიან, ისე ისროდა თოფს მისი მცირე რაზმი... ბრძოლის დროს რაჟბადინს სცვივა ნაპერწკალი, თითქო რკინით შეჭედილია. თავზე ასდის ალმური, თითქო გახურებული ქვაბია<sup>8</sup>].

როცა დააყარეს ტყვია, როცა გაჩაღდა ჩეხა, დაიძახა წყეულმა ერეკლემ:

მოდი, რაჟბადინ, შევრიგდეთ, [ჩვენს მამა-პაპასაც ზავი შეუკრავს. განათავისუფლეთ ჩვენი ტყვეები, ჩვენ მამა-პაპებსაც უთავისუფლებია]. თუ ვერცხლი გინდა — მოგცემ ჩანახით [თქვენი იარაღის შესაჭედათ]. თუ ოქრო გინდა — მოგცემ პეშევებით [თქვენი ცოლების საჩუქრად<sup>9</sup>]. ქალები გინდა, — მოგცემ მზეთუნახავებს; ვაჟები გინდა — მოგცემ თავადიშვილებს.

— შენ ვერცხლსა და ოქროს იძლევი, ხოლო როცა მოვკვდები — მომეცემა სამოთხე; შენ მაძლევ ქალებს და ვაჟებს, ხოლო როცა მოვკვდები, მომეცემა ჰურიები. ზავი ჩვენ შორის ეს გრძელი ხმლებია, ერთმანეთს მიჯახებულნი. ჩვენი მეგობრობა — მამა-პაპისგან ნაანდერძევი — ეს ცხელი ტყვიაა, ერთმანეთთან გასაცვლელად.

\* \*

[კვლავ გაგრძელდა ომი. მეტად შეაწუხა ჩვენი მამაცები ტყვიამ, ზევიდან რომ მოდიოდა და გულში რომ ხვდებოდათ. შეხედეს, ნახეს მაღალ ხეზედ შემჯდარა ამაყი მტერი და გძელი შაშხანა-თოფი მოუმარჯვნია. რაჟბადინმა თავისი თეთრ-კონდახიანი ზარნიშნიანი სტამბული იძრო, ახსენა ღმერთი, დაუმიზნა მტერს და სტყორცნა ტყვია გულში. მტერი იმ წამსვე პირთავევე ჩამოვარდა ხიდან.

მაშინ დაიკვილა რაჟბადინმა: „აბა, ვაჟკაცებო, გაძარცვეთ ეგა! აბა დაუშინეთ თოფი, გაუსვით ხმალი! ღმერთმა მოგვხედა!“ მამაცების მარჯვე სროლამ და ხმლის ქნევამ თავზარი დასცა ერეკლე მეფეს, სრულებით დაიბნა და თავში წაიშინა.

აგერ უგზავნის იფრინდას ქალაქში ლევან ბატონიშვილს,<sup>10</sup> სთხოვს, ჩქარა მოაშველოს, რაც რამ ჯარი ჰყავს. მეფის ჯარები დაბანაკებულან ფარაჯის კარვებში, და თვით ერეკლეს თავისთვის ხალათების კარავი დაუდგამს. კარვების სიმრავლე — თითქო ლურჯი ცის ვარსკვლავთა დასია.

ახლად მოვიდნენ ჯარები, სიმრავლით თითქო ფოთოლი ჩაჩნის ტყისაო. თან მოაქვთ მრავალი საპალნე ბაჯაღლო ოქრო, სურსათი და ტყვია-წამალი. მოაქვთ ვეება ზარბაზნები ცის კამარის ქვეშ მგრგვინავი, საზარელი ფილთა-მეხები მიწის გამგლეჯი<sup>11</sup>].

105

\* \*

— ნადი, უმცროსო ძმაო, ჭარელებთან; მოიკითხე და ჩვენი სალამი გადაეცი, უთხარ, რომ გარს შემოგვერტყენ ქართველები; ხვალ შუადღემდე ცხენოსნები აქ გაჩნდნენ, არასგზით შუა-დღეს არ გადააცილონ; უთხარ: ტყვია-წამალი გამოგველია, ხმლები დაგვემტვრა, ძალზე გვავეინროვებენ თქვენს მეგობრებს.

110

[თავით ფეხამდე იარაღ-ასხმული უმცროსი ძმა შემოახტა თეთრ-ქაჩაჩიან ცხენს და გაექანა ველის ქარივით. სამი დღის სავალი შუადღემდის გაიარა. შუადღეს მივიდა ჭარს, სალამი მისცა ჭარელ ვაჟკაცებს და მათის მოყვრების გაჭირება უამბო.

რა შეიტყეს ჭარელებმა რაჟბადინის გასაჭირი, ფერმა გადაჰკრა. უწყეს კაზმვა ნასუქს ცხენებს, თან ხელებს გავაზე ურტყამდნენ. შუადღემდის დაჭედეს. შუადღის უკან პური გამოაცხეს და, რა შებინდდა, გაელაშქრნენ.

115

ძმის მომლოდინე რაჟბადინ ამბობს: „დაჩოქილი ვისვრი დაულაღვად, რატომ არ მოდის ჩემი ძმა? თავზედ ქუდები დაგვაგლიჯეს, რატომ არ მოაჭენებენ ჭარელები?“ არ ასვენებენ რაჟბადინს ახალგაზდა ამხანაგები, ომის შეუჩვეველნი.

120

ღმერთს შეევედრა: „დიდებულო, ძლიერო ალლაჰო, მოგვეც ძლევა ყურანისაგან დაწყველილის მტრისა! მოგვეც ღონე, გაუწიოთ ღაზავათი და დავუხოცოთ ბელადები!“

ამ დროს უეცრად მოისმა ქედის ძირს გრიალი. მოიხედა რაჟბადინმა, ნახა მოჰქრის ფოთოლივით თეთრ-ქაჩაჩიანი ცხენი; ზედა ზის უმცროსი ძმა, სწრაფი ვით ელვა; უკან მოსდევენ, ვით ელვას — სეტყვა, მამაცი ჭარელები<sup>12</sup>].

125

რა დაინახა მეფე ერეკლეს დროშა, შახმან კატეხელი ეკვეთა მტრის გუნდს როგორც არწივი ფრთა-შეკეცილი; რა დაინახეს წყეული ქართველები, — ჭარელები შეიჭრნენ მათ შუაგულში როგორც მგლები ცხვრის ფარაში. როგორც შემოდგომის ქარი გააბნევს ფოთლებს, ისე დაიფანტნენ დამარცხებული ქართველები; მეფე ერეკლეს წმიდა ვერცხლის დროშა დაითრგუნა მთიელების ცხენის ფლოქოებით. ეს ღრუბელი კი არ დაანვა მთებს, — კომლის ფარმა დაჰფარა შირაქი; ეს გაზაფხულის წვიმა კი არა, — სისხლის რუები დაექანენ ალაზნისაკენ.

130

\* \*

[რა ნახა მტერმა მთიელების გულადობა და შეუპოვრობა, დაუნყო ფიცვა რაჟბადინს ჯვარისა და სახარებისა: ამ ჟამად ხელს არ გახლებთ და ავს არას გიზამთ.

135

დაუჯერა რაჟბადინმა ურჯულო ქართველებს, და თამამად და ამაყად წარდგა მტრის რაზმის წინ. გაფითრდა მტერი, რა ნახა გმირი. ერეკლემ კი უთხრა: „აბა, რაჟბადინ გვიჩვენე შენი ბასრი ხმალი, რომლითაც იმდენი მტრის თავი მოგიკვეთია და იმოდენა სისხლის ღვარი გიდენია“.

იმავ წუთს იძრო ხმალი რაჟბადინმა და წინ დაუგდო მტერს. უფრო გაფითრდნენ ურჯულო ქართველები. შიშით აკანკალებულმა მეფე ერეკლემ სთხოვა რაჟბადინს, ისევ ჩაეგო ქარქაშში თავისი საშინელი ხმალი<sup>13</sup>].

140

\* \*

[იყოს ხსენება გულადი ბელადებისა: მოლლა ჩილაისძე საუკუნოდ დარჩა შიდა- 145  
კახეთში; მუსალ ადალაისძეს თავი მოსჭრეს; ალი ბეგელაისძე გაატყავეს, და კოჭლს  
რაჟბადინს ტყვეით მუხლი გაუხვრიტეს.

ნუ თუ შენ, მუსალ ადალაისძევ, მსგავსო ლომისავ, ოქროს მაგალითო, დარჩი  
შიდა-კახეთში?! ნუ თუ შენ, ნორჩო ლომო, ისალ-მაჰამა, დარჩი კახეთში?! დაიქცეს  
ალაზნის პირი, სადაც შენ ბევრჯერ გიდავლია!.. გახმეს შირაქი, სადაც ბევრჯერ 150  
გინავარდნია!..<sup>14</sup>

თარგმანი ასმიდოდ ჩერქეზელისა

### სქოლიები

1. ავარიულად „ნორ“ — ასე ეწოდება როგორც საერთოდ საქართველოს, ისე კერძოდ მტკვრის ველს (ქართლს).

2. ფრჩხილებში მოთავსებული ტექსტი დამატებულია C ვარიანტიდან.

3. B და C ვარიანტებში მთიელებს ეწოდებათ „უნსუკულები და ბალახნელები“. ეს ადგილი (45-49 სტრიქონები) B და C ვარიანტში უფრო გავრცელებულია და ამასთან თითონ სტრიქონების რიგიც შეცვლილია (იგი მოყვანილია უფრო ქვევით, სახელდობ იმ ადგილას, საცა ერეკლე მეფე ზავსა სთხოვს რაჟბადინს, ე. ი. 78 სტრიქონის ქვემოთ).

4. ტექსტი C ვარიანტში აქ ასე იკითხვის: „განა ფრთებად არ გამოგვადგება ჩვენი მისრული ხმლები, ქართველ ქალებზე გაცვლილი? განა მინაში არ გაგვაძვრენს ჩვენი თეთრ-კონდახიანი ყირიმები, ქართველ ვაჟკაცის ფასად ნაყიდი?“

5. C ვარიანტში სტრიქონები 50— 56 მოთავსებულია ქვემოთ, სახელდობ იმ ადგილას, საცა მოთხრობილია ქართველების მეშველი ჯარის მოსვლა (სტრიქონი 105).

6. C ვარიანტში ეს ადგილი ასე იკითხვის: „საცა საფარი დააკლდებოდათ, ლამაზ კახელ ქალებს ყელს გამოსჭრიდენ და ამოაგებდენ“.

7. ფრჩხილებში მოთავსებული ტექსტი — დამატებულია B ვარიანტიდან.

8. ფრჩხილებში მოთავსებული ტექსტი C — ვარიანტიდან.

9. ფრჩხილებში მოთავსებული ტექსტი — დამატებულია B ვარიანტიდან (სარაჯიშვილის თარგმანში აქ შევცვალეთ სიტყვა „ქალების“ — სიტყვად „ცოლების“, რაც კონტექსტს უფრო უდგება).

10. C ვარიანტის მოთხრობის თანახმად კაცი ეგზავნება არა ლევან ბატონიშვილს, არამედ ერეკლე მეფეს. (მანამდე ბრძოლაში მონაწილეობას იღებს არა ერეკლე, არამედ მდევარნი).

11. ფრჩხილებში მოთავსებული ტექსტი დამატებულია B ვარიანტიდან (სარაჯიშვილის თარგმანში აქ, და ქვემოდაც შევიტანეთ ზოგიერთი სტილისტიური ცვლილება — ტექსტის ერთგვარობის დაცვის მიზნით, რათა ეს ჩამატებული ადგილები არ ყოფილიყო მეტის-მეტად განსხვავებული ჩვენი თარგმანის (და A ვარიანტის) საერთო სტილიდან.

12. ფრჩხილებში მოთავსებული — დამატებულია B ვარიანტიდან.

13. ფრჩხილებში მოთავსებული — C ვარიანტიდან.

14. ფრჩხილებში მოთავსებული — B ვარიანტიდან.

აქ საჭიროა, აღვნიშნოთ, რომ ამ ისტორიული ლექსის დაბოლოება A ვარიანტში არსებითად განსხვავდება B და C ვარიანტების დაბოლოებებიდან. A ვარიანტში არ მოიპოვება 135— 156 სტრიქონები და მის ნაცვლად აქ მოყვანილია ასეთი ტექსტი:

„მიაღწიეს ტფილისს, დაჰკრეს ხმლები, წითლად შეღებეს ლურჯი ალაზანი, გადასცვალეს ვერცხლზე საქართველოს ლამაზი ქალები, და დაბრუნდენ შინ ვაჟკაცები. დეე, ყოველმა დე-დამ შობოს ასეთი შვილები!“

ამ რიგად, A-ვარიანტში ავარიელების და ქართველების ბრძოლის შედეგი ისეა წარმოდგენილი, თითქო გამარჯვება ავარიელებს დარჩათ, ხოლო B და C ვარიანტებში, როგორც ვნახეთ, გადმოცემულია სრულიად წინააღმდეგი, რომ ავარიელების რაზმი დამარცხდა, და თვით რაჟბადინიც ტყვედ ჩაუვარდა ერეკლეს, უნდა ვიფიქროთ, რომ ამ შემთხვევაში B და C ვარიანტების ტექსტი უფრო სწორია; მართლაც, ძნელი წარმოსადგენია, რომ თუ კი ეს ლექსი თავდაპირველად ავარიელთა გამარჯვების აღწერას შეიცავდა, შემდეგ იგი ავარიელებსვე გადაეკეთებინათ მათივე დამარცხების მოთხრობად. ცხადია, რომ აქ პირიქით A-ვარიანტის რედაქტორს შეუცვლია ლექსის ბოლო, რომ ამით დაეჩრდილა ავარიელთა დამარცხება და მეტის ბრწყინვალეობით ეჩვენებინა რაჟბადინის რაზმის გამარჯობა.

## ლეკური ხალხური ლექსი

მზე თქვენს ბანებს აშუქებს —  
ჩვენს ბანებზე დღეც ბნელობს.  
— სითბოს მე ვინ მაჩუქებს,  
სევდა ვინ გამინელოს!

დილით მზისა მარმაში  
მთაზე აბნევს ცხელ ლალებს.  
— შეჰკარ სხივი და მაშინ  
მეც შევკონავ ჩემ თვალებს.

იხვევს ერთი მდინარე  
სამოც-და-ათ ნაკადულს.  
— შეუცვალე მათ არე:  
მეც შევიცვლი ამაყ გულს.

მეგონა, რომ ჩინარზე  
ბუდეს მოვწნავ რტოებით, —  
მაგრამ ბუჩქის მწველ ნარზე  
დავრჩი განმარტოებით.

*თარგმანი ი. გრიშაშვილისა*



## ხელოვნება

### ქართული თეატრის საკითხები

უკანასკნელი წლის განმავლობაში, როგორც გაზეთის ფურცლებზე, ისე საზოგადოებრივ წრეებში, გაისმის საყვედური ჩვენი თეატრის მიმართ, თითქო იგი არ აქცევს სათანადო ყურადღებას ორიგინალურ ქართულ რეპერტუარს, ეროვნულ დრამატიულ ლიტერატურას, და ეს ნერვიულობა (განსაკუთრებით, მწერალთა წრეებში) უნებლიეთ გვაიძულებს, უფრო ღრმად ჩავუკვირდეთ საკითხს, — გვაქვს თუ არა მართლაც ჩვენ ეროვნული ორიგინალური თეატრი, არის თუ არა ორიგინალური თავისებური დრამატიული ლიტერატურა, სად არის მათი ფესვები, და როგორია მისი მომავალი გზა.

ის, რასაც ვიტყვი ქვემოთ ამის შესახებ, დეე, მეპატივოს როგორც ნაკლებად მომზადებულ ადამიანს სამშობლო ლიტერატურის ცოდნაში და ქართული თეატრის ფესვების მეცნიერულ შესწავლაში; შესაძლოა, ჩვენმა მეცნიერებმა და ლიტერატორებმა ხვალვე ბრწყინვალედ დაარღვიონ ჩემი დასკვნები, და მაშინ მე უსაზომოდ დაკმაყოფილებული და მოხარული ვიქნები იმით, რომ ამ წერილმა გამოიწვია სერიოზული დამოკიდებულება თეატრისადმი, მისი წარსულისა და მომავალი გზებისადმი; მაგრამ, აი, რასა ვგრძნობ მე, რომელმაც მთელი სიცოცხლე შევსწირე თეატრს, თეატრს საზოგადოდ, და ამ ბოლო დროს შევეყარე თეატრს, რომელიც საუბრობს ჩემს სამშობლო ენაზე. სამწუხაროა, მაგრამ მაინც უნდა ვაღიარო, რომ როგორც იმ თეატრს, რომლის სცენაზე მე პირველად შევდგი ფეხი 90-იან წლებში, აგრეთვე იმ თეატრსაც, რომელიც მე დამხვდა 22 წელს, არ ჰქონდათ არც ერთი თავისებური ხაზი — არც თავის წყობილებაში, არც თამაშის მანერასა და სკოლაში, და არც ლიტერატურაში. იგი წარმოადგენდა ნატეხს მე-XIX საუკუნის ევროპიული თეატრისა, და მეტსაც ვიტყვი: თავის უმთავრეს ხაზში იგი იმდენად არ იყო დამოკიდებული ევროპიული თეატრიდან, როგორადაც რუსულიდან. ეს განსაკუთრებით ნათლად ემჩნევა ახალგაზრდა რეჟისორების მუშაობას, ესვე ემჩნევა უკანასკნელი ხანის ლიტერატორებს, რომლებიც სცდილობდნენ დაემყნათ ქართულ თეატრზე ნატურალისტური სკოლა მოსკოვის სამხატვრო თეატრისა. მართლაც, გადახედეთ დაკვირვებით ჩვენი თეატრის ცხოვრებას იმ 72 წლის მანძილზე, რომელსაც იგი ოფიციალურად ითვლის თავის თარიღად.

1850 წელს, 2 იანვარს, გიმნაზიის პატარა დარბაზში, როგორც ამბობენ ოფიციალური წყაროები — მეფის ნაცვალის, ს. ვორონცოვის ბრძანებით, წარმოიშვა ქართული თეატრი. — პირველი პიესა, რომელიც დაიდგა ამ სცენაზე, ეკუთვნოდა გიორგი ერისთავს („გაყრა“).

რა იყო აქ თავისებური, თავისი, ეროვნული? არაფერი. არც არქიტექტონიკა პიესისა, არც მანერა მისი შესრულებისა, არც ხასიათი მისი დადგმისა არ შეიცავდა ერთ მარცვალ თავისებურობას. ტყვილი კი არ იყო, რომ როდესაც ვილაც პირმა წარუდგინა ავტორი მეფის ნაცვალს, წარმოსთქვა ფრაზა: გიორგი ერისთავი — ქართველი მოლიერი.

ერისთავს მოჰყვა ანტონოვი, რომელმაც არაფერი არ მიუმატა ერისთავს, გარდა ფაბულის მეტი ანეგდოტიურობისა.

და დასასრულ, მესამე, ყველაზე ძლიერი წამომწყები ქართული თეატრისა — ა. ცაგარელი; გავხედავ ვამტიციო, რომ მიუხედავად ა. ცაგარელის დიდი ტალანტისა, — მისი თეატრი, მისი სკოლა, ოდნავადაც არ არის ორიგინალურ-ქართული, არამედ ტიპიური ნატეხი ოსტროვსკის ყოფა-ცხოვრების თეატრისა, მისი მაჭანკლებით, ვაჭრებით, გაკოტრებული აზნაურებით და სხვა, მხოლოდ გადაკეთებული ქართულ ყაიდაზე, ტფილისის ტიპებზე. იმ დროინდელი მსახიობის თამაშის მანერაც იგივეა, რაც შჩეპკინის სკოლა და მისი რეალისტური მიმართულება.



აი, ორი სიტყვით რეზიუმე ჩვენი ვითომდა თავისებური დრამატიული ლიტერატურისა. მე განზრახ გამოვტოვე ციკლი ისტორიული პიესებისა, მიტომ რომ ისტორიული პიესები არსად და არასდროს არ წარმოადგენდა ნამდვილ დრამატიულ შემოქმედებას თეატრალური ხელოვნების თვალსაზრისით, არამედ ჩვეულებრივ შეადგენდა უბრალო დრამატიულ ქრონიკას, ე. ი. დიალოგად გადატანილ ისტორიის ფურცელს. ეს არ არის თეატრი მითოსისა, ე. ი. სული, აღებული მის რასსიულ მესხიერებაში; არც თეატრი მისტერიისა, მისი მისწრაფებით შეიცნოს ცხოვრება და დაამარცხოს სიკვდილი, არამედ უბრალო იარაღის ჩხარუნი... ასეთია თვისებები ისტორიული პიესებისა საზოგადოდ; და ჩვენ პიესებსაც იგივე ახასიათებს, იმის დამატებით, რომ ისინი ისტორიულ სინამდვილესაც არ შეიცავენ.

მაგალითისათვის წასვლა შორს არ არის საჭირო. მოვიგონოთ თუნდა პიესა „სამშობლო“. იგი ხომ სიტყვა-სიტყვით გადმონერილია სარდუს მელოდრამიდან, და მხოლოდ ესპანური და ფრანგული სახელები შეცვლილია ქართულით და სპარსულით...

მე არ მინდა, ვიყო ავი და ბოროტი ჩვენი თეატრის წარსულის კრიტიკაში. მე მინდა, მხოლოდ შევიგნო და შევაფასო ის ობიექტიური გარემოებანი და შეცდომები, რის გამოც ჩვენი თეატრის ცხოვრება წავიდა რუსულ-ევროპიულ თეატრის ტრაფარეტული გზით.

ვოდევილური, ყოფა-ცხოვრებითი და ისტორიული მიმართულების შემდეგ, თითქოს ახალი ჰორიზონტები ისახება და თეატრის რეპერტუარში ჩნდება სატირული კომედია და ინტელიგენტური დრამა.

აი, ამ ორ მოვლენაზე, მომეცით ნება ცოტა ხნით შევაჩერო თქვენი ყურადღება.

სატირულ კომედიას, იმ ზოგიერთი ნიშნების მიხედვით, რომელთა შესახებ მე ქვევით მექნება საუბარი, — თითქოს მართლაც აქვთ კავშირი იმ ელემენტებთან, სადაც ჩვენ უნდა ვეძიოთ ჩანასახი ჩვენი ნაციონალური თეატრისა; მაგრამ, ჯერ ერთი, ეს ნაწილი ჩვენი რეპერტუარისა ძალიან სუსტად არის განვითარებული; და მეორეც, ჩაიხედეთ მის შჩედრინურ-გოგოლისებურ ნიშნებში, და თქვენ დაინახავთ, რომ იმათშიაც (საუბედუროდ!) ყველაფერი არ არის რიგზე ორიგინალობის მხრივ.

მე ვლავარაკობ ამ შემთხვევაში ორი მწერლის, — შ. დადიანისა და დ. კლდიაშვილის შესახებ. დეე, მაპატიონ მათ, მე მათ ყველაზე მაღლა ვაყენებ ჩვენ დრამატიულ მწერალთა შორის, მაგრამ განა „გუშინდელთა“ და დ. კლდიაშვილის პატარა პიესებმა, მიუხედავად მათი დიდი ნიჭიერებისა, განა შესძლეს გამოენვიათ გადატეხა ჩვენი თეატრისა ორიგინალობისკენ? ვაი, რომ არა!

მართალია, უნდა აღინიშნოს, თუნდა კლდიაშვილის პიესების შესახებ, რომ, ჩემის აზრით, ისინი სრულებით არ არიან სწორედ გაგებულნი ჩვენი დამდგმელების მიერ (არ შეიძლება, მაგალითად, „დარისპანის გასაჭირიდან“ ანეგდოტიური ვოდევილის შექმნა, რადგან ეს პატარა ნაწარმოები გაჟღენთილია ნამდვილი ტრაგიზმით. დიახ, მე ვიმეორებ, რომ ეს ტრაგი-კომედია სდგას სიცილისა და ცრემლების საზღვარზე.

მე განგებ გვერდს უხვევ ისეთი რეპერტუარის განხილვას, როგორც არის „სიმახინჯე“, „მსხვერპლი“ და სხვა მელოდრამები, რომლებიც ყოველგვარი კრიტიკის გარეშე დგანან, და გვაგონებენ იმ დროგადასულ პიესებს, რომლითაც ამ ახლო წარსულში იკვებებოდა უკრაინული თეატრი. გადავდივარ ეგრეთ-წოდებულ ინტელიგენტურ დრამაზე.

თუ საზოგადოდ ლიტერატურული დრამის გამოსვლა ევროპის სცენაზე — ე. ი. ისეთი ნაწარმოებისა, რომელსაც არაფერი აქვს საერთო თეატრალურ ხელოვნებასთან, ნაწარმოებისა — შემოქმედების სულ სხვა სფეროდან, თუნდაც იგი გენიალური იყოს (მაგალითად, იბსენი, თუმცა იგი ზოგჯერ არ არის მოკლებული თეატრალობას), ვიმეორებ, თუ ლიტერატურული დრამის გამოსვლა სცენაზე იყო თეატრის ნამდვილი დასნეულება, მით უფრო გამარჯვება ფრანგული ლიტერატურული დრამისა (მეტერლინკი — მისი

„შექსპირული“ პერიოდის გამოკლებით) და მით უფრო რუსული დრამისა (ჩეხოვი) — ეს იყო ნამდვილი სამარე, რომელშიაც შთაინთქა მრავალტანჯული ევროპის თეატრი. მთელ ევროპას მოედო ძახილი ევროპის თეატრის კრიზისზე, მთელმა ევროპამ გადაიხადა პანაშვიდი თეატრზე, გამოჩნდნენ ისეთი კრიტიკოსებიც, რომლებიც სერიოზულად კითხულობდნენ: „არის-კი მართლა საზოგადოდ თეატრი ხელოვნება?“ თეატრს დაუნყეს ყურება, როგორც ნიგნს. თეატრი უარყოფილი იყო, როგორც ასეთი.

აი, სადამდი მიიყვანა ლიტერატურულმა დრამამ ისეთი მარადი, ურყეველი ხელოვნება, როგორიც არის თეატრი! ეს სენი ევროპაში და რუსეთში მინელდა ჯერ კიდევ მსოფლიო ომის უწინარეს, ჯერ კიდევ რევოლუციამდე... გამოჩნდნენ ისეთი მეამბოხენი, რომელთაც გაბედეს პირდაპირ დაეყვირათ იმისთანა ავტორიტეტულ ფილისტერისათვის, როგორც არის მოსკოვის სამხატვრო თეატრი, რომ იგი არის ყველაფერი, რაც გასურთ: უმაღლესი კულტურული დანესებულება, ადამიანებით დასურათებული ნიგნი, მაგრამ თეატრი კი არასოდეს, არასოდეს, არასოდეს! მსოფლიო ომმა, რუსეთის დიდმა რევოლუციამ და ახალმა სულმა, რომელმაც მოიცვა მთელი მსოფლიო, დაუბრუნეს თეატრს მისი ნამდვილი გზება, მისცეს მას დიდი შემეცნება თეატრალობისა, დაუბრუნეს მას ყოველივე ის, რაც მასში დათრგუნული იყო: მისი მოქმედება, მისი აქტივობა, მისი რიტმი, მისი ფანტასმაგორიულობა. გახურებული ცოცხებით ჰგვის თეატრი თავისი კედლებიდან ფოტოგრაფიულს ვულგარულ სიმართლეს, ყოველდღიურ მახეზარობას.

რუსული თეატრი სცდილობს შეჭმინას მასსიური მოქმედება ქუჩებში, მოედნებზე; გერმანული — ბრწყინვალე კალეიდოსკოპით შლის ექსპრესიონიზმს; ახალი მაჯისცემა ჰფეთქავს თეატრის ცხოვრებაში, იგი იკურნება და დღეს თუ არა ხვალ, ორთავ ფეხზე დადგება. ჩვენ ამას ალტაცებით ვეგებებით. ჩვენ ამას ველოდით, ჩვენ წინ-და-წინვე გვიხაროდა ეს, როცა მოუწოდებდით ფილისტერობის და ჩეხოვშინის განდევნას სცენიდან, როცა მოუწოდებდით მხიარული და ხალისიანი სინტეტიური თეატრის შექმნისაკენ.

და მერმე რა? რას აკეთებენ ამ დროს ჩვენი დრამატიული მწერლები? ისინი ათეულობით სწერენ, ასობით მოაქვთ სარეჟისსორო კოლლეგიაში პიესები იმ საზარელი პერიოდისა, რომელმაც თავის ყოველდღიურობით, თავისი ფუტლიარული ხასიათით, ცოცხას გასწყდა, არ მოკლა თეატრი საერთოდ. მაშინ როცა თეატრის სცენიდან ისევე გაისმა დიადი პრობლემები კაცობრიობისა, პრობლემები სიკვდილ-სიცოცხლისა, პიროვნებისა და მასსისა, კლასებისა და ეროვნებისა, როცა დიდებული იდეები ფრთებს ასხამენ სცენას ბრწყინვალე და ხალისიანი ფერებით — ჩვენი მწერლები ჰჭმნიან ან დიდი ხნის მკვდარ ადიულტურულ დრამას, ან ხუთი მოქმედების განმავლობაში ლაპარაკობენ იმაზე, თუ ვინ უნდა ამჯობინოს მხატვარმა ლევანმა, ან მწერალმა რევაზმა: ინტელიგენტი ქალი, რომელმაც მისცა საბაბი სურათის შექმნისა, თუ ქართველი ცოლი, რომელმაც ვაჟი უშობა; ან კიდევ ამგვარად: — მოქანდაკე შალიკოს ოთხი მოქმედების განმავლობაში ვერ გადაუნყვეტია, ვის უფრო ლამაზი ფორმები აქვს — მის მიერ შექმნილ ვენერის ქანდაკებას თუ მის ცოლს, ნინოს?

რადგანაც ყველა ეს დაწერილია ქართულ ენაზე, — ყოველივე ეს, არ ვიცი, რად, ითვლება ქართულ დრამატურგიად და პრეტენზიებს აცხადებს, რომ დადგმულ იქმნეს ქართულ სცენაზე.

და კიდევ, ვინაიდან ყოველივე ეს საკმარისად შეზავებულია იმ განცდებით, რომელიც ასეთ მოდაში იყო ინტელიგენტურ წრეებში, როგორც მაგალითად — ჭრიჭინას ჭრიჭინი, ზღვის ხმაური, ლამფა აბაჟურით, ეპილოგები — შეზავებული შოპენის მუსიკით, წარმოდგენილია — შესაძლებელი ცხადყოფით — ოთახის სინამდვილე a la მოსკოვის სამხატვრო თეატრისა, — მთელი ეს ძველი ლათაია ითვლება ახალ ფორმად, რომელშიაც უნდა გამოისახოს თეატრი!..

არა, ბ. ბ. პატარა იბსენებო, მეტერლინკებო, ჩეხოვებო, ყოველივე ეს, თქვენ რომ დასწეროთ არა თუ თანამედროვე ქართული ენით, არამედ უძველესი მისი დიალექტით, არაფერი ქართული ამაში არ იქნება; და სანამ მე ვდგევარ თეატრის კართან, როგორც მცველი ცეცხლის მახვილით, შევებრძოლები ყოველსავე თქვენს ცდას ჩვენს სცენაზე გამოსვლისას! და ეს იმიტომ კი არა, რომ მე თქვენზე ნაკლებად მიყვარდეს ქართული, არამედ იმიტომ, რომ მათში ჯერ ერთი არაფერი ქართული არ არის, და მერე კიდევ იმიტომ, რომ არა თუ თქვენ, არამედ თვით გენიალურმა იბსენებმა, მეტერლინკებმა და ჩეხოვებმა, ცოტას გასწყდა, არ მიიყვანეს სიკვდილის კარამდე ჩემთვის უძვირფასესი თეატრი.

მაგრამ დაუბრუნდეთ ისევ შეწყვეტილ თემას.

ამ რიგად, მე ვამტკიცებ, რომ ჩვენი თეატრის 72 წლის არსებობის განმავლობაში, ჩვენი დრამატურგიის ევროპიულ ფორმებში არაფერი თავისებურ-ეროვნული არ ყოფილა.

მაგრამ იქნებ იგი იყო სცენიურ შემოქმედებაში, თითონ თამაშის სკოლაში, მსახიობთა მიერ სცენიურ სახეთა შექმნაში? — ვაი, რომ აქაც საკითხი სდგას სწორედ იმ გვარადვე, როგორც დრამატურგიაში.

მე ვიცნობ ჩვენი პროფესიონალი მსახიობების თითქმის ყველა თაობას, და უნდა ვსთქვა, რომ ჩვენ გვყავდა უდიდესი მსახიობნი; მაგრამ თავიანთი სახიობის სკოლით, ყველა ისინი ევროპიული თამაშის მანერის ნაყოფი იყვნენ. ყველაზე ძლიერი პლეადა: ნატო გაბუნია, მაკო საფაროვი, ბაბო ავალიშვილი, ჩერქეზიშვილი, ვასო აბაშიძე, ლადო მესხიშვილი, კოტე ყიფიანი, — ყველა ესენი თავიანთ სცენიურ შემოქმედებით ეკუთვნიან დიდებულ შჩეპკინის სკოლას, ყველა ესენი თამაშობდნენ ისევე, როგორც დიდი მსახიობნი ალექსანდრას და მოსკოვის მცირე თეატრებისა. ცოტათი მათგან მოშორებით იდგნენ, და ფრანგულ (მონე სიულის) მელოდეკლამაციურ სკოლისაკენ იხრებოდნენ მესხების ოჯახი, კოტე და ფეფიკო. ეს ორი სკოლა (ორივე როგორც ჰხედავთ ევროპიულია), — იდგა ერთი მეორის გვერდით და შესაძლებელია, რომ ბოლოს და ბოლოს ერთმანეთზე გავლენით მათ შეემუშავებინათ რაიმე საშუალო მანერა სახიობისა. მაგრამ მათ სანაცვლოდ სცენაზე გაჩნდა ძლიერი გავლენა მოსკოვის სამხატვრო თეატრისა, ნიჭიერ ა. ნუნუნავას სახით, და მის შემდეგ აკაკი ფალავა. მათ ძალიან მალე შეათვისეს ქართველ მსახიობს ყველა უარყოფითი მხარეები მოსკოვის სამხატვრო თეატრის ნატურალისტური შემოქმედებისა, იმ თეატრისა, რომლის მოწაფენი იყვნენ ორივენი. შედეგი — სრული ბანკროტობა და იგივე დამხობა, რომელიც განიცადა მათმა პროტოტიპმა. მსახიობი გადაეჩვია თავის ტანის ტარებას, დაჰკარგა რიტმი, შეამოკლა ჟესტი, მთლად გადავიდა განცდათა ნატურალობაში, დაავინყდა ლექსების კითხვა, მივიდა ლაპარაკის საოთახო უბრალოებამდე და სხვა და სხვა.

უკანასკნელ დროს თითქოს ჩაისახა რალაც გადატეხა. ჯაბადარის სკოლამ და რეჟისსორმა ს. ახმეტელმა თითქოს დაინყეს გადმონერგვა მოდერნიზმის ახალი მანერისა, მაგრამ აქაც გერმანული „იუნგედის“ გემოს თანდაყოლით.

აი, ყოველივე ის, რაც იყო სახიობის შემოქმედების დარგში, — მისი 72 წლის პროფესიონალური არსებობის მანძილზე. როგორც ჰხედავთ მასშიაც არაფერი არ იყო თავისებურ-ეროვნული, და იგი ისეთივე ნაყოფია ევროპიული სცენისა, როგორც დრამატურგია.

ამავე დროს კი ჩვენში უთუოდ იყო და არის პირობები იმისა, რომ გამომუშავდეს ჩვენი საკუთარი, ეროვნული ფორმა სახიობისა.

ჩვენი ეროვნულ-თავისებური პლასტიკა, რასიული ტემპერამენტი, თანდაყოლილი გრძნობა რიტმისა, შესაძლოა, გამხდარიყო საუცხოვო ბაზა სახიობის სრულებით თავისებური მანერის შესაქმნელად, თუ რომ ჩვენი თეატრის გზები, ჩვენდა საუბედუროდ, არ წასულიყო იმავე ყალბი მიმართულებით, რომლითაც წავიდა ხელოვნურად შეთვისებული ევროპიული დრამატურგია.

ეს, მგონი, საზოგადოდ ჩვენი ისტორიული უბედურობაა. ჩვენი ორიგინალური კულტურა, რომელიც ზოგიერთ თავის ნაწილებში ისეთი ძლიერი იყო, რომ გავლენას ახდენდა თავის ძლიერ მეზობლებზე (ავიღოთ თუნდ ჩვენი ხუროთმოძღვრება, რომელმაც უთუოდ გავლენა იქონია რუსულზე და საფიქრებელია ბიზანტიურზედაც კი), ძალიან ხშირად, თავის უმაღლეს განვითარების დროს, იმყოფებოდა მისთვის უცხო კულტურის ძლიერი გავლენის ქვეშ.

ასე იყო მხატვრობაში, ასე იყო ლიტერატურაში, ასევე უნდა ყოფილიყო, ალბად, თეატრის ჩანასახის შესახებაც (ჩვენ გვექონდა თეატრის თავისებური დასაწყისი), და მხოლოდ ჩვენი სიმღერა, ჩვენი მრავალხმოვანი ხალხური სიმღერა, და ჩვენი პლასტიკა-ცეკვა აქამდისინ სცოცხლობენ თავისი ორიგინალური ფერადოვანი სიცოცხლით.

მაშ, რა ვქნათ? სად არის ის გზა, რომელსაც უნდა დაადგეს ჩვენი თეატრი შემდეგში.

ჩემის აზრით, არის მხოლოდ ორი გზა: ან გაგრძელება იმ ხაზისა, რომელზედაც ის შესდგა 72 წლის წინად, ესე იგი მისი ევროპეიზაცია ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, მისი ნამდვილი გამოსვლა ევროპულ სარბიელზე, მისი მონაწილეობა თეატრის ახალ ცხოვრებაში, დღეს-დღეობით მის ბრძოლაში ექპრესიონიზმისთვის, და შემდეგში იმ ბრძოლებში, რომელიც მას ექნება — ეს ერთი; ან მეორე — და ეს, რაც ჩემის აზრით ყველაზე დიდმნიშვნელოვანია თეატრის ორიგინალობისათვის, — ძიება იმ გზებისა, რომლითაც მიდიოდა ჩვენი თეატრი მისი გაევროპიელების დრომდე. ეს დიდმნიშვნელოვანია არა მარტო ჩვენთვის, ეს დიდმნიშვნელოვანია მთელი ქვეყნიერებისთვის, რადგან რაც უფრო მეტია ორიგინალური გზები კულტურაში, მით უფრო ღირებულია კაცობრიობის მიღწევანი.

მე არა მჯერა, რომ ჩვენ არა გვექონდა ჩანასახი ჩვენი საკუთარი თეატრისა, ან იქნება ჩვენ კიდევ გვექონდა მთლიანი და ორიგინალური თეატრი, რომელიც ჩვენ დავკარგეთ. მე აქ არას ვამბობ ევროპაზე, სადაც ყველა ეროვნებას ჰქონდა თავისი ორიგინალური თეატრი: — ბერძნებს — ტრაგედია, რომაელებს — ატელლონები, ფრანგებს — მირაკლები და მორალიტე, იტალიელებს — „comedia dell arte“, ესპანელებს — სორსუელელები და სხვა, არამედ თვით აზიას, აფრიკას: სპარსელებს, ინდუსებს, სიამელებს, იაველებს — ყველას აქვს თავისი ორიგინალური თეატრი და მაშ, როგორ შეიძლება, რომ ჩვენ, რომელთაც ასე გვიყვარს ყოველივე სანახაობა, ასეთი მდიდრები ვართ ფერადოვანი ხაზებით — ზნე-ჩვეულებაში, ყოფა-ცხოვრების წესებში, ქორწინებაში, დასაფლავებაში და სხვა, — რომ ჩვენ არა გვექონოდა იგი.

აიღეთ ჩვენი ეკლესიის დღეობები, ჩვენი გაშაირება, ფერხული, გაყოფა ხოროსი ორ მოკამათე ჯგუფად, მაყრობა, ბერიკაობა. რამდენია ყველა ამში თეატრალური და ორიგინალურ-ეროვნული.

რასაკვირველია, ჩვენ უნდა გვექონოდა ჩვენი ორიგინალური თეატრი, რომელიც არა გავდა არც ფორმით, არც შინაარსით სხვა თეატრებს, და ის იყო! ერთი მისი პატარა ნაშთი — ოდნავ გვახსოვს — ეს ყეენობა.

ეს იყო თეატრი, ნამდვილი თეატრი, რომელიც ასე უმოწყალოდ იყო მოკლული მეფის ბრძანებით.

და აი, გამოკვლევამ მისი წარმოშობისა, მისი გზებისა, მისი ბუნებისა — შესაძლოა, მიგვიყვანოს ისეთ მოულოდნელ დასკვნამდე, რომელიც არა თუ დასდებს ახალ საფუძველს, არამედ განაგრძობს სიცოცხლის იმ ძაფს, რომელიც მოდის — დღეს დაკარგული, მაგრამ ოდესღაც არსებული ნამდვილ ეროვნულ თეატრისაგან.

ჯერ-ჯერობით კი საერთო ნაბიჯით, ევროპასთან ერთად.



## მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძე

ახალი ქართული ქანდაკების გენეალოგია იაკობ ნიკოლაძის სახელით იწყება. იაკობ ნიკოლაძე პირველი იყო მე-XIX-XX საუკუნეთა მანძილზე, რომელმაც აიღო მოქანდაკის კვერი და მან ერთმა შექმნა პლასტიური ხელოვნების ტრადიცია ახალ საქართველოში.

საიდან მოდის ქართული პლასტიკის სათავე, როგორი იყო ქართული ქანდაკება ძველად? ამის შესახებ ჩვენ ცოტა ვიცით.

საშუალო საუკუნეების ქართულ ტაძრებზე შენახულა ქანდაკების დოკუმენტები. მცხეთის ტაძარი მორთულია მრავალი ორნამენტებით, რელიეფებით, გრეხილებით და წნულეებით. გარე კედლებზე მოცემულია ქანდაკებაში ქრისტიანობის მთელი სიმბოლიზაცია. აქ არიან: ქრისტე, იოანე, მოსე თუ არონი, ორი ვაზი, ხუთი და ექვსი მტევნით, რაც თერთმეტ მოციქულსა ჰნიშნავს (მეთორმეტე, იუდას მტევანი მონყვეტილია); მახარობლების ოთხი ფიგურა, წმ. გიორგი ცხენზე — ვეშაპს რომ ჰკლავს; შემდეგ ღვთის მშობელი, წმ. ნინო, ლომი, და სხ. — გუმბათზე 5 სურათიანი ქანდაკებაა: ორი კაცი, ერთი ქალი შუაში, მოშორებით კი ერთი სპარსელი ჩაქურჩით, მეორე ქართველი საკუთხით და სხ...

და არა მარტო მცხეთაში, არამედ ამასვე ვხედავთ ჯვარის მონასტერში, ოშკში და თითქმის ყველა ძველ ტაძრებზე. ქართულ მუზეუმში ინახება მე-X საუკუნის ნაშთები: ბარელიეფები, გორელიეფები, ქანდაკება აშოტ კუხისა, წმ. კოზმანის თავი და სხ. კიდევ უფრო საყურადღებოა საფარის და შიო მღვიმის კანკელის ბარელიეფები, და ჩვენამდე მოღწეული ძეგლები „ოქროს-მქანდაკების“ ბექა ოპიზარისა.

ყველა ეს ნაშთები, რომლებიც შემთხვევით გადარჩენიან საუკუნეთა ქარტყილს, ცხადი მაჩვენებელია, რომ ჩვენი ისტორიის კლასიკურ საუკუნეებში ქართული ქანდაკება თავის ეპოქის სიმალლეზე იდგა, მაგრამ შემდეგ იწყება დეკადანსი. აღორძინების ეპოქის შემდეგ ჩვენ გვაქვს მთელი რიგი უშემოქმედო საუკუნებისა. ან და ვილას მოაგონდებოდა ქვის კვეთა, როცა სიონის ჩუქურთმების ზევით ჯელალედინი ტახტს იდგამდა, და სვეტიცხოვლის ქანდაკებებს გადაბუგული საქართველოს კვამლი ლანძავდა. თვით მეცხრამეტე საუკუნემაც უქმად ჩაიარა ქართული ქანდაკების ისტორიისათვის. მხოლოდ მეოცე საუკუნის საზღვარზე იაკობ ნიკოლაძე გამოვიდა როგორც დამწყები ახალი ქართული ქანდაკებისა და ღირსეულად განაგრძობს იმ ხელოვნების ტრადიციას, რომელიც საუკუნეთა მანძილზე დადუმებული იყო.

\* \*

იაკობ ნიკოლაძეს კონფირმაცია ევროპაში აქვს მიღებული. მართალია, იგი თავისი უცდომელი რასსიული ინტუიციით გრძნობს ძველი ქართული პლასტიკის ხასიათს, მაგრამ, ამავე დროს თავისი შემოქმედების საერთო ხაზით, იგი ორგანიულად არის დაკავშირებული ევროპის ხელოვნებასთან. ამიტომაც ი. ნიკოლაძის ხელოვნების გასაგებად ევროპის ქანდაკების ისტორიის გათვალისწინებაა საჭირო.

ევროპის ქანდაკება — მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში ისევ ძველი ტოგით დადის. მიქელ-ანჯელოს და საერთოდ რენესანსის გიგანტურ ფიგურების ჩრდილში ახალი ქანდაკება ველარ ჰპოულობდა ახალი ხელოვნების ფორმულას.

მხატვრობამ შესძლო აღორძინების ტრადიციების დაწყვეტა. მიუხედავად სკოლებად დანაწილებისა, მხატვრობა მთლიანად აღებული, რენესანსის საწინააღმდეგოს წარმოადგენს. ახალი მოღვაწეებიც არიან. რეალისტებიდან — პრერაფა ელიტიზამდე, იქიდან ჩვენამდე, ყველგან სჩანს სიუჟეტის და ტექნიკის სიახლე. კერძოდ იმპრესიონიზმმა ახალი ელემენტი შეიტანა მხატვრობაში plein-air-ის მიგნებით. ახალი კოლორიტი, პეიზაჟის ახალი განცდა, ბუნების ახალი დანახვა, ახალი ტემპერამენტი.

ქანდაკება ვერ გაჰყვამს მხატვრობას. ფსევდო-კლასიკობა ჰხუთავდა ჰაერს. ლემო, შოდე, რიუდი, ძველ გზაზე იდგნენ; ვერც წინ მიდიოდნენ და მომაბეზრებელი მიბადვით აფერხებდნენ ხელოვნებას. შემდეგ აკადემიური ეკლექტიზმი გადაეღობა ამ შტოს. დალუ, კარპო, გილიომი და სხ. ცივი მრისხანებით იცავდნენ ძველი ტრადიციების სინმიდეს, რაც დადგომის ეკვივალენტია. მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში იწყება ქანდაკების შეტორტმანება. და ამ ახალი ენერჯის შემტანი — ფალგეირია. მისი ქალები, ეს მოჭარბებული სიცოცხლის და ვნების აუზები არიან.

ეს სიახლე თავისი ლოლიკით წავიდა, და შემდეგი სიმალლე — ოგიუსტ როდენია, რომელსაც ზოგი ესთეტიკოსი მიქელ ანჯელოს უახლოვებს.

როდენის გზა: ეგვიპტე — ელლადა — გოთიური ხელოვნება და რენესანსი. იქიდან გამოარკვია გონებრივ განყენებათა ჯამი. მან აიტანა ისტორიის სიმძიმე, ჩასწვდა მის არსებას, და ამ ძნელ ოპერაციის შედეგი იყო — მომავლისთვის ზღაპრული ანთება. მიტომ არის მის ქანდაკებაში სულ ახალი პულსაცია, ის, რაც არ იყო ისტორიაში. მასში ისტორიის ესენციამაც დაიბუდა, და მომავლის ანთებულ რკინამაც შეაფრქვია თავისი მცხუნვარება. როდენის შემოქმედებაში ამ მიზეზით, ძველის და ახალის ბრძოლის დრამა იშლება. ზოგს ეს როდენის გაორებად მიაჩნიათ. მართლაც:

1. მარმარილოს გაუთლელი ზოდი, კლდის ნატეხი, ნახევრად ნაკვეთი, უსრული, როგორც ქვის პერიოდში. აქ კრიტოსის კულტურის გრძნობაა.

2. მარმარილოს აკანკალებული მოქნილობა, მლელვარება ფრთა-მაგარი, შორი საუკუნეების გამოქროლილი დინამიკა მოდერნისტი ფორმით.

საფრანგეთის ახალი ქანდაკება როდენს გაჰყვამს. ოგიუსტ როდენით იწყება ქანდაკების ახალი ერა. მის გარშემო შეიქმნა დიადი სკოლა პლასტიური ხელოვნების.

\* \*

იაკობ ნიკოლაძე როდენის მონაფეა. იგი აგრძელებს მის ხაზს, მან გადმოიტანა საქართველოში ევროპის ახალი სული.

იაკობ ნიკოლაძე, როგორც ხელოვანი საფრანგეთში ჩამოყალიბდა (როდენის ხელმძღვანელობით), და მის პირველ გამოსვლასაც პარიზში ჰქონდა ადგილი. იგი პირველი ქართველი ხელოვანია, რომელიც გამოფენილი იყო პარიზის სალონებში, სადაც ათასობით იგზავნება ექსპონატები, და ათასობითვე აბრუნებენ დაწუნების დალით. ი. ნიკოლაძემ გაიარა იმ განწმენდის კარ-მაგარ დარბაზში, სადაც პრეზიდენტობდა ობე, ვიცეპრეზიდენტობდა ენჟალბერი, და წევრებად იყვნენ: დესპიო, ჰალუ, რომ, ბურდელ, ლენუარ.

Salon d'automne-ის კატალოგებში 1905 წლისა, აღნიშნულია იაკობ ნიკოლაძის მიერ გამოფენილი ბრინჯაოს ბიუსტი ნ. ლოლობერიძისა.

1906 წ. — მიშელ დ'არიალის (ნ. ნანობაშვილის) პორტრეტი და ესკიზები. 1. Sans travail და 2. silhouette à la cruche (ბრინჯაო). ეს უკანასკნელი ბერლინშია გაყიდული.

1909 წელს — აკაკი წერეთლის ბიუსტი და La Tristesse (ბრინჯაო).

1910 წ. — 1. მწუხარე საქართველო (ი. ჭ-ძის ძეგლი), და 2. სომხეთის მწერლის შირვან-ზადეს ბიუსტი.

გავეცნოთ ამის შემდეგ უფრო ახლო ი. ნიკოლაძის შემოქმედებას.

იაკობ ნიკოლაძემ, რასაკვირველია, ვერ შესძლო სავსებით განეხორციელებია ის, რისიც მოცემა მას შეეძლო. მას პოტენცია დიდი ჰქონდა, მაგრამ არ ჰქონდა საამისო გარემო.

როდენს უთქვამს ერთხელ ირონიით, რომ სიძნელეს თემა კი არ ჰქმნის, არამედ შემკვეთიო. და თუ როდენი ამას იტყოდა პარიზში, სადაც მარმარილოს და ქვის ხალხი სჭარბობს ძვლისა და ხორცის ხალხის რიცხვს, რა უნდა ეთქვა ი. ნიკოლაძეს, რომელსაც შემკვეთის სიძნელე კიდევ სიკეთედ მიაჩნდა და უფრო მეტ სიძნელეს შემკვეთების უყოლობა



ჰქმნიდა. ქანდაკების კულტურის უქონლობის გამო, ჩვენში მრავალი დაბრკოლება გადაელობა პირველ ქართველ მოქანდაკეს და ი. ნიკოლაძე ამან დაამარცხა რამდენჯერმე.

როდენისავე ნათქვამია, რომ მხატვრები ყოვეთვის ანგარიშს უნდა უწევდნენ საზოგადოებრივ აზრის რუტინას და კიდევ კარგი, თუ თავიანთ ლამაზ ოცნების ნაწილს მაინც განახორციელებენო. თვით როდენიც ხომ ემსხვერპლა რუტინას. მას უნდოდა „კალეს მოქალაქენი“ დაედგა კალეს მოედანზე, რატუმის წინ, პირდაპირ ქვა-ფენილზე, რიგ-რიგად, როგორც წამების და თავ-დადების ცოცხალი რგოლები. უნდოდა, რომ პატრიოტიზმის ეს გაქვავებული წმინდანები შიგ ხალხში ყოფილიყვნენ გარეულნი, რომ ყველას ეგრძნო მათი სულის ცივი დიადობა. მაგრამ ეს ვერ გაიგეს შემკვეთებმა. მოსთხოვს პიედესტალი და როდენმაც დაუთმო.

ი. ნიკოლაძესაც ბევრჯერ მოუხდა შესრულება მასწავლებლის ამ ირონიული გაფრთხილებისა. მასაც აქვს თავისი კომპრომისების ისტორია. მან ეს კომპრომისი ამ ორი წლის წინადაც დაუშვა, შოთა რუსთაველის ახალ ბიუსტში. მას უნდოდა უქუდოდ გამოექანდაკებინა, მაგრამ შეეშინდა, ხალხი ვერ გაიგებსო.

დავინწყით მისი შემოქმედების უფრო კონკრეტული განხილვა.

**შოთა რუსთაველი.** ეს ბიუსტი, ჩემის აზრით, დიდი მიღწევაა. იგი გაცეცხლს, ახლო არ გიშვებს, რადგან მთელი მისი ხაზები გაგირბიან ანეულობით, აქ მოცემულია დიდი ვეზირის არისტოკრატიული მოდგმა და გენიოს პოეტის მიუკარებლობა. ი. ნიკოლაძის მიერ შოთა რუსთაველის პსიქოლოგიური და ესთეტიური გაგება მეტად საგულისხმო და ეჭვ-მიუტანელ ნიჭზე მეტყველია. აქ შოთა რუსთაველის ამოცანის გზა გახსნილია. აქ კარგად არის გამოცხადებული ის პოეტური ამპარტავნობა თუ სიამაყე, რომელიც ოლიმპს შეჰშვენის, და რომელიც შოთა რუსთაველის პოეზიის იმანენტური თვისებაა. შოთა რუსთაველის ბიუსტი მთლიანად გამართულია და მიღწევის თვალსაზრისით მაღალი და ღირს-საცნობი.

**მწუხარე საქართველო** (ი. ჭავჭავაძის ძეგლი). ძაძაში გახვეული ქართველი ქალი. დიდი სევდა ფიგურის მთელ დადგმაში. თვალების ჩახვეულობა ფიქრებს აგროვებს და დაკეტილ ტუჩებში სჩანს ენერჯია და ამტანობა, მოდუნებული ხელები, მოდუნებული დაფნა და ასევე მოდუნებული კაბა და მთელი ჩაცმულობის ხასიათი. ყველა ელემენტის სევდიანი კონსონანსი. ამ ფიგურის შინაგანი მხარე, ჩემის აზრით, ვერ არის იმის გადმოცემა, რაც ქართველმა ერმა განიცადა წინამურთან. ი. ნიკოლაძემ მხოლოდ სევდა გადმოგვცა, მაგრამ ქართველი ერის განცდაში შურის ძიების წყურვილიც იყო. ეს იყო ერის გოდება მრისხანების ფორმით მოცემული. საქართველომ ი. ჭავჭავაძე ენერგიულად გამოიტირა, რადგან ილიაც საქართველოს „რკინის კარები იყო“. ი. ნიკოლაძის ქანდაკებაში ეს წუხილის სიმძლავრე სჩანს და მრისხანება კი არა.

შესრულების თვალსაზრისით, „მწუხარე საქართველო“ კარგად გამახვილებულ ხელის დოკუმენტია. მას აკლია მონუმენტალობა, მაგრამ იმდენია მასში უძრავობის ვნებიანი დაოკება, რომ ისყიდის ამ ნაკლს. მასხოვს ის რეცენზიები ამ ძეგლის შესახებ რომ დაინერა ჟურნალისტების მიერ. ალიაქოთი და უკმაყოფილებაც გამოიწვია. ეს იყო უცოდინარ ხალხის ახმაურება. მათი უკმაყოფილება სამართლიანი იყო, მაგრამ უცოდინარობა მიზეზის კვალის დაკარგვაში გამოიხატა. მიზეზს თვით ქანდაკებაში ეძებდნენ, ნამდვილად კი მის გარეშე იყო. აი, ნამდვილი მიზეზები.

1. პლასტიკის ატმოსფერო, ანუ სულიერი ქვეყანა — არქიტექტურაა. თანამედროვე ძეგლი, თანამედროვე არქიტექტურასთან უნდა იყვეს შენონილი. ჩვენ თანამედროვე არქიტექტურა არ გავგაჩნია, და ძალა-უნებურად, მეთორმეტე საუკუნის სტილში მოექცა მეოცე საუკუნის იმპრესიონისტული მონუმენტი.

2. ფიგურას ფონი უნდა ჰქონდეს, რომ შეერთებულად მოიცემოდეს სივრცეული ღირებულება. აქ ეს მომენტიც მოშლილია. თეთრ ქვებში — თალხი წითელი მარმარილო, და

ამ ფონზე კი — ბრინჯაოს ხავსისფერი ფიგურა. დიდი უგემურობაა. სიმეტრიაც დარღვეულია. ეს წითელი კარი მეტად მაღალია და ქანდაკებას აპათარავებს. თანაც ფიგურა გეომეტრიულ სხეულივით არის მიდგმული.

3. მხრის არჩევა მეტად უხერხულია. ქანდაკებას მზე არ ხვდება. ხოლო ვინც იცის ქანდაკების ელემენტარული მოთხოვნილება, ის მიხვდება ამ დიდ შეცდომას. ქანდაკება ჩრდილისა და შუქის კომპოზიციანია. ადგილის განწესრიგებას ბევრი ვარიაცია აქვს, მაგრამ აქ განწესრიგება სრულიადაც არ არის. კლდის მონოლა კედლით უნდა შეეჩერებინათ. ააშენეს კედელი და ზედ მიადგეს ქანდაკებაც. მზე კი, ეს ქანდაკების მთავარი ფაქტორი, სულ არ ხვდება, რაც ჰკარგავს ტონების ღირებულებას. სხივთა მასსა უხვევს ფიგურას, რაც ჰქსაქსავს შთაბეჭდილების მთლიანობას. ჩრდილში იკარგება ფორმის კონტურები.

4. ფიგურა არ არის არქიტექტურასთან მისული. ვიცი, რომ კანოვამ სავსებით განაცალკევა ფიგურა არქიტექტურისაგან. მის საფლავის ძეგლებში არქიტექტურა არის თავის-თავად ძეგლი, ფიგურები კი — დამოუკიდებელი სივრცეული შთაბეჭდილება. გილდებრანდის თქმით, იქ ფიგურები ხალხს უფრო ეკუთვნის, ვიდრე ძეგლს. ისინი კიბეებზე არიან ასულნი, და ეს ასვლის პროცესი არის არქიტექტურისა და ქანდაკების კავშირი. მაგრამ ი. ჭ-ძის ძეგლში არც ეს განცალკევებაა. აი, ის მიზეზები, რომელნიც სწრდილავენ ამ მონუმენტს.

რაც შეეხება მანერას, იგი არქაიულია. მიყუდებული სხეული — ძველი მანერაა. ეკლესიის კედლებზე და სატრიუმფო თაღებზე ასე აქანდაკებდნენ, მაგრამ ამ მანერაში არის სიმდიდრე. ახალი ძეგლები რვაჯერ სკულპტურას იძლევიან. ფიგურას ეკრძალება არქიტექტურასთან დაახლოვება, რასაც მსხვერპლად ეწირება აუარებელი პლასტიკა. საერთოდ ეს ძეგლი არის ი. ნიკოლაძის ნიჭის განვითარების ერთი დიდ ეტაპთაგანი. ხოლო თავის ესთეტიური ღირსებით, ერთად ერთი საქართველოში.

**აკაკი წერეთელი.** ეს ბიუსტი მზეს უცქერის. მიტომ არის, რომ მის სახეზე ბევრი რამ სჩანს, და ქვა მეტყველებს სულ ახალი ენით. აკაკი წერეთელი მეფის დიდებით შემოსა საქართველომ სიცოცხლეშივე. ეს მეფური დიადომა მოცემულია ქვაში. ისე მედიდურად გამოსცქერის იგი გარემოს, როგორც მოხუცი კეისარი, რომელმაც იცის, რომ უკვე აღმერთებენ. მაგრამ ამ მედიდურობაში იჭრება ირონიაც. ეს უფრო მეტ სიმალლეს აძლევს, რაც ახასიათებდა აკაკი წერეთელს შემოქმედებაშიც და ცხოვრებაშიც. ამ ქანდაკებაში ყოველი ხაზი — ლოლიკურად ამთავრებს შემოქმედებით განზრახვას. ტენზიკურადაც და ფსიქოლოგიურადაც ა. წერეთლის ბიუსტი დამთავრებული სახეა.

**ჩრდილოეთის ქალი.** აქ მკაფიოდ სჩანს როდენის სკოლა. ეს უფრო თავისუფალი თემაა. აქ ფანტაზიას უფრო მეტი აქვს ველი. მიტომ ნიკოლაძის უნარი აქ არის გამოჩენილი დიდი ზომით. ფორმა და შინაარსი აქ არტისტულად არის შედუღებული. გრძნობთ ჩრდილოეთის სიცივეს ფორმით, მაგრამ გამძლე სითბოს, ფარულ ტემპერამენტს, ამ ცივ ხაზებში ჩაკეტილს.

**სალომე.** ამ მარმარილოს ზოდში მოცემულია სალომეს თავისებური გაგება. მაგრამ ი. ნიკოლაძის „სალომეს“ სახეში არ არის მოცემული ის ვნებიანი ჯიუტობა, რომლითაც იგი შვიდჯერ ითხოვდა იოქანანის თავს. არ არის გადმოცემული ის ატეხილი ყინი, რომლითაც სალომე ჰკოცნის იოქანანის მოკვეთილ თავს. ამის გარეშე კი სალომეს პრობლემა ჰკარგავს სიბასრეს. დამცხრალი იერი არ უდგება ქალწულის ამტყდარ სქესურ კორიანტელს.

სამაგიეროდ იოანეს თავი მშვენიერია. მასში არის მრისხანება. ეს შეეფერება მას, ვისიც ეშინოდა ტეტრარქს, ვინც ემუქრებოდა ცოდვილებს უფლის შოლტით. მისი ჩაღრმავებული თვალები და გამხმარი სახე წინასწარმეტყველის ადამიანურ სიცივის მაგრძნობელია. ასეთი უნდა იყვეს ის, ვინც უდაბნოში დადიოდა ძე-კაცის საძებნელად. სქესი მკვდარია მასში, რადგან სჯერა, რომ „ქალით შევიდა მსოფლიოში ბოროტება“. ი. ნი-

კოლაძის „სალომე“ დარჩება როგორც ამ დიდი პსიქოლოგიურ-ესთეტიურ პრობლემის ცალკე ვარიანტი.

მე ალარ შევჩერდები შემდეგ პორტრეტებზე კერძოდ, ჩამოვთვლი მხოლოდ: კორინთლის ქალი (მარმარილო), პროფ. მელიქიშვილის ბიუსტი, სარაჯიშვილის ბიუსტი, ლამბარაშვილის ბიუსტი და კიდევ ბევრი სხვა.

აქ ერთი რამ არის აღსანიშნავი: ი. ნიკოლაძე უმთავრესად პორტრეტისტია, ი. ნიკოლაძის პორტრეტებში არის გამომსახველი ძალა და ხასიათის დაცულობა.

მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ მის პორტრეტებში, თანამედროვეობასთან ერთად, ერთგვარი კონსერვატორული ბუნებაცაა სჩანს. იგი როდენის მონაფეა, მაგრამ მასში არ არის ის საზღვარ-გადალახული ქროლვა სიახლისათვის, რომელსაც ჩვენ როდენის ხელოვნებაში ვხედავთ. ამ კონსერვატორობას აქვს თავისი გამართლება. ი. ნიკოლაძე მარტო ხელოვანი კი არ არის, იგი კულტურ-ტრეგერიც უნდა იყოს. ის კი არ ჰქმნის მხოლოდ, არამედ ნიადაგსაც ამზადებს. და უნებურად კომპრომისების გზაზე უნდა დამდგარიყო. ამ გზას ვერ ასცდა ვერც ერთი ქართველი შემოქმედი. ი. ჭავჭავაძე, არ. ჯორჯაძე და ბევრიც სხვაც ამ გზით წავიდნენ, შეგნებულად აირჩიეს ეს მძიმე დაღმართი. ამ გზით მიდის ი. ნიკოლაძეც.

მაგრამ ი. ნიკოლაძე ამავე დროს მაინც არტისტად დარჩა, ინდივიდუალური ტემპერამენტი შეინახა, და როგორც იმპულსიური ხელოვანი, განზე უვლიდა მზა ფორმების დაუსრულებელ პანოპტიკუმს. იგი გრძნობს ხშირად გახელების წამებში ახალ ენერჯის შემონოლას, და ახალ სახეების უფსკრულს; იგიც ჩვეულა ხელოვნების სტიქიონით მოჯადოებას, მაგრამ იგი ჰგავს დაბმულ ბედაურს, ადგილობრივ რომ სცემს ტოტს და ვერ აწყვეტილა. ამ აწყვეტისაც ეშინიან, რადგან არ იცის, სად წავიდეს. იცის ერთი: რომ საქართველოს მიწას ეკუთვნის. იცის, რომ როდენივით ქედ-ამაღლებულს არ შეუძლიან უცქიროს შემოქმედების ცეცხლიან ბორბალს. არ შეუძლიან, რადგან მას წინ არ უძლოდნენ ისეთი შემოქმედნი, რომელთაც როდენს გაუხსნეს გზა:

„როცა პუსენი აკომპანებდა პეიზაჟებს გონების სახელით, იმდენად მათი ხაზები ნათელია და მკაცრი; როცა პიუჟე სჭიმავდა თავის გმირთა კუნთებს, და ვატტო კი თავის მოხდენილ და სევდიან მოტრფიალეთ ჰმაღავდა მწვანე ტევრის საიდუმლო ჩრდილში; როცა გუდონი თავის ვოლტერს ღიმილს ჰგვრიდა, და დიანას კი გააქცევდა; როცა რიუდი თავის მარსელიეზით მოუწოდებდა მოხუცთ და ბავშვებს სამშობლოს დასაცვად, — საფრანგეთის დიდი ოსტატები რიგ-რიგად ჩამოჰქნდნენ ჩვენი მრავალ-მხრივი, ეროვნულ სულის თვითეულ ნაწილს... და მით აგებდნენ თანამედროვეთა შორის თან დაყოლილ თვისებებს, ჩვენს რასას რომ გამოარჩევს სხვებისაგან“... ეს შეეძლო ეთქვა როდენს საფრანგეთის შესახებ, მაგრამ ჩვენ? სად არის ის ქვა, რომელშიაც აინთო ქართული რასა? სად არის ის მარმარილო, რომელშიც ელვარებით შეიჭრა ქართული ხასიათი? სად არის ქართული ტკივილებით ხმა-ამოღებული ნივთიერება? სად არის საქართველოს ღმერთი, ერთ მომენტში მაინც დაჭერილი ქვის ფორმაში, რომ მივიდეთ მასთან, და თუ ვერას გვეტყვის, ბუნონაროტის მსგავსად დავამსხვრიოთ მაინც, რადგან საქართველოს უკვდავება სწადიან. ჩვენი ქანდაკების დაცალიერებულ ლუვრში მხოლოდ ერთი სილუეტი დადის, და ვესტას მსახურივით სამ მოვალეობას ასრულებს: იცავს თვის შემოქმედებით საქართველოს სინმიდეს; კერაზე ცეცხლს უფრთხილდება; და მსხვერპლად მიაქვს თავისი სული ანუ შემოქმედება. ეს — ი. ნიკოლაძეა.

და ეს სილუეტი ჩვენში დადის, როგორც ცოცხალი მხილება. საქართველოს ხელოვნება უნდა განმტკიცდეს. დროა, რომ ქვეები კვლავ ალაპარაკდნენ. ტფილისი მონუმენტების ელის. მცხეთას, ბაგრატის ტაძარს, ოშკს უნდა შეეტოქოს ახალი გამარჯვება ქვაზე.

## ქართული ხალხური მუსიკა

ვიდრე შეუდგებოდეთ ქართული ხალხური მუსიკის ამა თუ იმ დარგის განხილვას, საჭიროა ვსთქვათ ორიოდ სიტყვა, თუ როგორი იყო ქართველების ხალხური მუსიკა ქრისტიანობამდე, და როგორი იყო მისი ტენიკური შენობა.

ამ საკითხის გასაცნობად ჩვენ უნდა მივმართოთ ქართველთა ზნე-ჩვეულებებს და სარწმუნოებრივს ადათებს. ყოველივე ეს ატარებს ქრისტიანულ წარმართულ ხასიათს და მრავალ ჩვეულებას თან ახლავს გალობა.

დავინყოთ ქართველების ხატობაზე სიარულის ჩვეულებიდან. კახეთში და სხვაგან ეს ხატობა ხდება დიდ დღესასწაულებზე: ფერისცვალებას, მარიამობას და სხვ., განსაკუთრებით გიორგობას. წმინდა გიორგის დღეობა ყოველთვის იზიდავს აუარებელ ხალხს და სხვა და სხვა კუთხიდან, რომლებიც ადრევე შემზადებული ხვდებიან მათ, რათა ეს დღეობა რაც შეიძლება მეტი ბრწყინვალეობით იქნეს გადახდილი. აქ იყრიან თავს როგორც ისინი, ვისაც რაიმე ალთქმა აქვს დადებული, ისე სხვები, ვისთვისაც ხატობა ტრადიციად არის გადაქცეული.

ალთქმა გამოიხატება შემდეგში: თუ, მაგალითად, სოფლებს ოჯახში ავად გაუხდა ვინმე, ისინი ფიქრობენ, რომ მათ გაურისხდა რომელიმე წმინდანი და, რომ აიშორონ თავიდან მისი რისხვა, ზოგი ლოცვას ჰპირდება, ზოგი — ცხვარის შეწირვას და ზოგიც ალუთქვამს საყდრის შემოვლას დაჩოქებული თუ დაოთხილი რამდენჯერმე, დაპირების მიხედვით, ჯაჭვით ყელზე ან მძიმე რკინის უღელით, ან და ალუთქვამენ ღამის თევას იმ წმინდანის საყდარზე; ხოლო ამ შემთხვევაში სულ ერთია დაიძინებს თუ იმხიარულებს ღამის მთეველი, აქ მნიშვნელობა აქვს მარტო ეკლესიაზე ყოფნას.

ვიდრე მთელი ამ პროცედურის შესრულებას შეუდგებოდეს ესა თუ ის ოჯახი მან უნდა ჰკითხოს ავათმყოფობის მიზეზი **მონებს** (ესე იგი იმ პირთ, რომლებმაც წმინდა გიორგის შესწირეს თავი მსახურებად და რომლებიც კახეთში წარმოადგენენ ცალკე კლასს). აი, ეს მონები უნიშნავენ წასვლას წმინდა გიორგის სათაყვანოდ ფეხშიშველი ან ფეხგაუხდელი; ისინივე ხშირად ავალებენ ღამის მთეველს თეთრი მიტკალის ტანსაცმელის ჩაცმას: მამაკაცებს — თავსაკრავს და პერანგის მაგვარ რამეს, ხოლო ქალებს კი — მთელ კაბას და თავსაფარს (აქედან წარმოსდგება, დღეობის სახელწოდება — თეთრი გიორგი). შემდეგ უნიშნავენ განსაზღვრული დროის განმავლობაში ავგაროზების ტარებას, მცირედენ ფულის შეწირვას და, დასასრულ, მოკლე პარაკლისს. ყოველივე ამის გარდა აუცილებლად შესწირავენ წმინდანს ცხვარს ან მოზვერს.

ყოველ დღესასწაულის წინა დღით საღამოს, დაახლოვებით ხუთ საათზე, მთელი შეკრებილი ხალხი, ხშირად მონების წინგაძლოლით, შემოუვლიან საყდრის გალავანს სიმღერით, ორ ხოროდ, უმთავრესად ქალები. შემდეგ შემოუვლიან საყდარს თავიანთი ალთქმის ან მონის დანიშნულების თანახმად. ამის შემდეგ ყოველ მათგანს შეჰყავს საყდრის გალავანში ცხვარი, თან მიაქვს ბოთლი ღვინით, და ფული წმინდა გიორგის მისართმევად. შემდეგ მღვდელთმსახური ამბობს ლოცვას და ანთებული თაფლის სანთლით შეუტრუსავს ცხვარს მატყლს შუბლზე. ცხვარს წაიყვანენ უკან და დაჰკლავენ.

სანამ ცხვრებს გაატყავებდენ, საყდრის გალავანის გარეთ იმართება ცეკვა-თამაში სიმღერით. ზოგიერთი ქალები შედიან ექსტაზში და წარმოსთქვამენ სხვა და სხვა მუქარას თავის ოჯახის, სოფლის ან და მთელი საქრისტიანოს მიმართ მათი ცოდვების გამო. ასეთი ექსტაზი ყოველთვის ბუნებრივი როდი არი, ხშირად მოსჩანს მისი სიყალბე. პირადად მე ვიყავი მონმე ასეთი სურათისა სოფ. აწყურში, თელავის ახლოს. მე ვნახე, რომ ერთმა ქალმა იცეკვა მანამდე, სანამ ღონე გამოლეული არ გადანვა ქალის მკლავებზე და დაიწყო საუბარი თვითონ წმინდა გიორგისთან. მეორეჯერ მე ვიხილე იგი სხვა ქალებთან



ერთად თეთრად გამოწყობილი, როდესაც ის საყდრის გალავანის გარშემო კი არ მიდიოდა, არამედ აღელვებული გარბოდა, თითქოს რაღაც გამოუცნობი ძალა იზიდავდა მას.

ასეთია ქართველების ერთი ჩვეულებათაგანი, და თუ ჩვენ წარმოვიდგენთ ამ ადგილზე არა წმინდა გიორგის ეკლესიას, არამედ კერპთა სალოცავს, მაშინ დავინახავთ ცხოველ ნაშთს წარმართული დღესასწაულისა, რომელსაც თან ახლდა გალობა. ეს გალობა ალბად წარმართული კულტის მღვდელმოქმედებას ეკუთვნოდა. წინად უთუოდ ამ სიმღერების ტექსტები სხვა შინაარსისა იქნებოდნენ, ვიდრე ესაა, როდესაც ისინი უგალობენ ხალხის მფარველ წმინდა გიორგის.

ამ სიმღერების მუსიკა ხასიათდება თანდართული №№1 და 2 (იხ. წერილის ბოლოს). მათ იმღერის ორი ქალი რიგრიგობით ხოროთი.

\* \*

წარმართულ ნაშთს წარმოადგენს აგრეთვე ლაზარეს გალობა. განუწყვეტელი წვიმების ან გოლგის დროს, იმ კუთხის მცხოვრებნი, სადაც ასეთ მოვლენას ექნება ადგილი, დაიწყებენ რომელიმე ნაპირიდან პროცესიას. ამისათვის წინასწარ გააკეთებენ დიდ ტიკინს, სხვანაირად რომა ვსთქვათ, კერპს, დასდებენ რამეზე და ასწევს რამდენიმე კაცი. წვიმის გამოთხოვის დროს გალობენ ასეთ ტექსტს:

„ახ, ლაზარე, ლაზარე!  
ლაზარ მოადგა კარსა,  
აბრიალებს თვალსა.  
ცხავი აცხავებულა,  
წვიმა გაჩქარებულა.  
ღმერთო, მოგვე ცის-ნამი,  
ალარ გვინდა მზის თვალი.  
ღმერთო, მოგვე ტალახი,  
ალარ გვინდა გორახი“.

დარის გამოთხოვის დროს გალობენ ასეთ ტექსტს:

„ახ ლაზარე, ლაზარე!  
ლაზარ მოადგა კარსა,  
აბრიალებს თვალსა.  
ცხავი აცხავებულა  
დარი აჩქარებულა.  
ახ, ლაზარე, ლაზარე!  
ცას ღრუბელი აჰყარე!  
ალარ გვინდა ცის-ნამი  
ღმერთო, მოგვე მზის თვალი  
ალარ გვინდა ტალახი,  
ღმერთო, მოგვე გორახი“.

ყოველი სათხოვარი იწყება და თავდება ღვთის სადიდებელი სიტყვებით: „დიდება და ღმერთსა დიდება!“ ვედრება მიმართულია არა პირდაპირ ღმერთისადმი, არამედ წინასწარმეტყველ ელიასადმი, რომელიც თავისი ეტლით დაჰქრის ცაში და განაგებს ელვას, ქუხილს და ღრუბლებს. ამ ჩვეულების მუსიკა იგივეა, რაც მუსიკა ზემოთ მოყვანილისა. დაკარგულია მისი პირველ-ყოფილი მოტივი, ან და იქნებ ეს იმას ნიშნავდეს, რომ ორივე საღმრთო წესი სრულდება ერთი და იმავე ღვთაების სადიდებლად? როგორც არ უნდა იყოს,

ჩვენ ვხედავთ, რომ ეს ორი საგალობელი წარმოადგენს წარმართული ხანის ცხოველ ნაშთს; ფორმით ისინი ერთნაირია, ესე იგი გალობს ხორო და ორი კაცი ანტიფონურად, სულ ერთია ნელი თუ ჩქარი მსვლელობა ექნება ამ გალობას. საგალობლები პატარა არიან და მუსიკალური აზრით მოკლენი, ყველაფერი ეს ადასტურებს მათ უძველეს წარმოშობას.

\* \*

ეხლა ვნახოთ, თუ როგორი იყო საერო მუსიკა წარმართული ხანიდან დაწყებული. ქართველებს შენახული აქვთ შემდეგი ძველი წარმართობის ნაშთი, როგორც კი ოჯახში ავად გახდება ბავშვი, რომელიმე ინფექციური ავადმყოფობით, მაგალითად, ყვავილით, წითელათი, ხველათი და სხ. ავადმყოფიანი, ოჯახი იმას კი არ იტყვის, რომ მისას ყვავილია, არამედ — ბატონები მობძანდნო, რომლებსაც, მათი რწმენით, თან შემოაქვთ ავადმყოფობა. მთელი იმ ხნის განმავლობაში, ვიდრე იქ ავადმყოფი წევს, ოთახში არ შეიძლება არც ლანძღვა, არც ლაპარაკი, არც კერვა, ერთი სიტყვით, არაფრის გაკეთება, რომ ამით ანგელოზებს არ აწყენინონ. ყველაფერი უნდა კეთდებოდეს იმ ოთახის მოშორებით. ანგელოზების გულის მოსაგებად ავადმყოფის ოთახს ამკობენ ყვავილებით და ანთებენ სურნელოვან ბაზმებს. ოთახის ირგვლივ ჩამოჰფენენ ფერად ქსოვილებს, მაგიდაზე სდგამენ ხონჩებს ტკბილეულებით, ყველა ცდილობს, რომ მხიარული იყოს და ჰგალობენ ასეთი მუსიკალური შინაარსის სიმღერას (იხ. დანართი №3).

ექვი არ არის, რა თქმა უნდა, რომ ამ ჩვეულებაში ანგელოზების მაგიერ ქრისტიანობამდე სხვა ძალებს ეჭირათ ადგილი; ქრისტიანული სარწმუნოების დამკვიდრების შემდეგ კი ეს ცნებები აირიენ და ასეთი სახით მოაღწიეს ჩვენამდე. უნდა ითქვას ისიც, რომ ამ შემთხვევაში სიმღერა შეუგნებლად გამოყენებულია როგორც სამკურნალო იარაღი, ესე იგი როგორც ისეთი საშუალება, რომელიც უმხნევეს გულს, ტკივილებს უამებს და ასე თუ ისე უმსუბუქებს ტანჯვას ავადმყოფ ბავშვს.

ან, მაგალითად, სამგლოვიარო საგალობელი, რომელსაც უგალობენ მიცვალებულს, სანამდე ის კიდევ სახლში იმყოფება; გალობენ ყოველი მატირალის მოსვლაზე და აგრედვე როდესაც მიცვალებულს საფლავში ჩაასვენებენ. შემდეგ კიდევ ერთხელ გალობენ მას, როდესაც საფლავზე გამოდიან მეორმოცე დღეს და დასასრულ, ერთი წლის შემდეგ, როდესაც შესამედ გამოდიან. ამის შემდეგ მას ასრულებენ კიდევ სამი-ოთხი წლის განმავლობაში ფერისცვალობას და კვირაცხოვლობის მეორე დღეს; ამ შემთხვევაში სამარეზე გაშლიან ხალიჩას, რომელზედაც დაალაგებენ მიცვალებულის ტანისამოსს, ქუდს, ფეხსაცმელს, ტკბილეულობას, და იმისდა მიხედვით ქალი იყო თუ კაცი მიცვალებული, — ზოგიერთ იარაღს. ამნაირად მორთულ საფლავზე კიდევ გამოიტყობენ მკვდარს. წირვის შემდეგ მღვდელი შეასრულებს მცირე პანაშვიდს და აკურთხებს ტაბლას, საიდანაც ნაწილს თვითონ წაიღებს, დანარჩენი კი იქვე დაურიგდება სანყალთ. მელოდია ამ სამგლოვიარო ზარისა შემდეგია (იხ. დანართი, №4), ყოველი ცალკე შემთხვევისათვის ტექსტის შედგენა ხდება ექსპრომტად და მისი სიღრმე დამოკიდებულია მთავარი მოტირალის ნიჭზე. ამ საგალობელსაც, ალბად, სარწმუნოებრივი ხასიათი აქვს.

\* \*

ამ გვარად ასეთი საერო საზნეჩვეულებო სიმღერების მაგალითზე ჩვენ ვხედავთ მტკიცე კავშირს ქართველების საერო და სასულიერო მუსიკას შორის, ყოველ შემთხვევაში უძველეს ხანაში მაინც. მაგრამ დავანებოთ ჯერ თავი ქრისტიანობის წინამორბედ ხანაში ამა თუ იმ საგალობლების იგივეობის საკითხს. ჩვენ გვაქვს როგორც უეჭველი ნაშთები წარმართული ხანისა, არა მარტო რელიგიური სიმღერები, არამედ მუშური სიმღერებიც და განსაკუთრებული კატეგორიის საზნეჩვეულებონი. ეს მუშური სიმღერები იმღერებიან რო-



გორც ხოროთი, ისე ერთი ხმით. ხოროთი შესრულებული მუშური სიმღერები ჩვენ მიგვაჩნია თავისი ფორმით უფრო ძველად, ვიდრე რელიგიური სიმღერების ჯგუფი, რადგან პირველებს ასრულებს მხოლოდ ერთი სოლისტი და ხორო, და ამნაირად წარმოადგენენ სიმღერის უფრო მარტივ ევოლიუციას შედარებით რელიგიურებთან, სადაც სიმღერას ასრულებს უსათუოდ ორი სოლისტი, რიგ-რიგობით, ხოროსთან ერთად. შემდეგ ამ სიმღერებში არის ერთი სრულიად განსაკუთრებული ერთ-ხმიანი ჯგუფი მუშური სიმღერებისა, „კალოური“-ს და „გუთნური“-ს სახელწოდებით. ამ სიმღერებს გლეხები მღერიან მხოლოდ ერთი ხმით და, როგორც ერთხმიანები, წარმოადგენენ ქართული სიმღერის განვითარების სულ უპირველეს საფეხურს და, მაშასადამე, ყველაზე უფრო ძველ ჯგუფს.

ამ ჯგუფს ეკუთვნიან აგრედვე ყოფა-ცხოვრების სამღერები, სახელდობრ: „ურმული“ და „ნანა“; ზოგჯერ კი გვხვდება ფერხულის სიმღერა, რაც უფრო იშვიათია.

ზოგიერთ ზემოდ მოყვანილ ჯგუფების შესახებ კიდევ გვექნება ლაპარაკი ბოლოს, ეხლა კი გადავიდეთ ზემოხსენებულ სიმღერების ჯგუფთა ტექნიკურ საფუძვლების გარჩევაზე. უნინარეს ყოვლისა, ორიოდ სიტყვა შემდეგზე:

სხვა და სხვა ჰანგები, როგორც ძველი, ისე ახალი, პირდაპირ ცალკე ტონებისაგან კი არ შესდგებიან, არამედ ისეთი ტონებისაგან, რომლებიც წინასწარ უკვე მოყვანილი იყვნენ რაიმე წესრიგში. ამ შემთხვევაში მუსიკაში, ისე როგორც ორგანიულ ბუნებაში, ხდება მუდმივი ორგანიზაცია მატერიისა და ფორმისა, უმდაბლესი საფეხურიდან უმაღლესამდე.

პირველი მასალა მუსიკისა — ტონი — უკვე წარმოგვიდგება როგორც გარკვეული ორგანიზაცია მოძრაობისა სწორი და თანაბარი რკალებით (წინ და უკან), რომელსაც აქვს გარკვეული სიჩქარე ერთი წამის მანძილზე. ჩვენ თითქოს ნედლი მასალა მივიღეთ, მაგალითად, ძაფი, რომლისგანაც ჯერ ქსოვილი უნდა მოიქსოვოს და მხოლოდ შემდეგ მოიქარგოს იგი. ორგანიულ ბუნებაშიაც ჩვენ ვხედავთ აგრედვე, რომ ელემენტები პირდაპირ კი არ ერთდებიან ორგანიული ფორმების შესაქმნელად, არამედ გაივლიან სხვა და სხვა მოსაშუალებე ორგანიზაციებს, რომ შემდეგ გამაცოცხლებელი ძალის ზეგავლენით თანდათან მოაწყოს უჯრედები, ქსოვილები, და ბოლოს თითონ ცოცხალი ინდივიდუმი, მცენარისა ან ცხოველისა.

იგივე ხდება მუსიკაშიდაც: გადასვლას ტონიდან დამღერებაზე შეადგენს მუსიკალური ელემენტების საშუალო ორგანიზაციები ხმა-წყობამდე და გამმებამდე; მათგან იქმნებიან მოტივები, მოტივებისაგან კი დასრულებული მელოდიები.

მელოდიური მოძრაობა არის ტონის სიმაღლის ცვლილება დროის მანძილზე, მაგრამ ამისათვის საჭიროა გარკვეული მასშტაბი, ანუ კიბე საფეხურებით, რომლებზედაც მიაბიჯებს მელოდია თანდათან ან ნახტომებით. ეს მასშტაბი ანუ კიბე არის ის, რასაც მუსიკოსები ეძახიან გამმას; მასში ესა თუ ის ტონები (ინტერვალები), რომლებიც იხმარებიან მელოდიაში, დალაგებული არიან მათი სიმაღლის მიხედვით. ამიტომაც გამმა არის მასშტაბი გასაზომად ტონების მოძრაობისა სიმაღლის მიხედვით, ისე, როგორც რიტმი არის მასშტაბი, რომლითაც იზომება ტონების მოძრაობა დროში. ეს ანალოგია გამმასა და რიტმს შორის შემჩნეული იყო მრავალი, როგორც ძველი, ისე ახალი დროის თეორეტიკოსების მიერ.

ყველა ხალხებმა აირჩია მუსიკალური კიბის გარკვეული საფეხურები და არ გადადიოდენ შეუმჩნეველად ტონიდან ტონში. ეს საფეხურები იყო შემდეგი: უმარტივესი დამოკიდებულება ტონების, ესე იგი (ტონიკიდან) ქვარტა (3:4), ქვინტა (2:3) და ოქტავა (1:2). ეს ინტერვალები გვხვდებიან გამმის საფეხურებზე დედა-მინის ყველა ხალხებში ძველსა თუ ახალში, ველურსა თუ კულტურულში, რაიც გვიმტკიცებს, რომ იგი, ადამიანის ფსიხოფიზიკური ორგანიზმისათვის, სხვებზე უფრო ნათელი და ადვილად გასაგებია.

ამისათვის ყველაზე უძველესი გამმის პირველყოფილ სახედ, ანუ ძირითად სქემად, იყო ხმა-წყობა — c f g c — რომელიც შესდგებოდა პრიმის, ქვარტის, ქვინტის და ოქტავა-

საგან. დალაგებულებმა მათი სიმალლის მიხედვით, იმათ შეჰქმნეს ორი ქვარტა —  $c f g c$  — რომლებიც გაყოფილი არიან შუალი ტონით ( $f-g$ ) ანუ ორი დიხორდი. ასეთმა ხმა-წყობამ თავისი დალი დააჩინა მთელ უძველეს ხანას, რომელსაც ჩვენ უფლება გვაქვს ვუნოდოთ ქვარტას ხანა.

უნდა ვიფიქროთ, რომ ამ ინტერვალზე იყვნენ აწყობილი აგრედვე პირველყოფილი სიმებიანი ინსტრუმენტებიც: მაგალითად, ბერძნების უძველეს ქნარს ორფეოსამდე, ბოეცის მიხედვით, ჰქონდა სწორედ ეს წყობა; ის როდი ვარგოდა დამოუკიდებელი მელოდიებისათვის, მაგრამ დასამღერებლად გამოსადეგი იყო.

შემდეგი ნაბიჯი ამ საქმეში იყო ცალიერი ქვარტების შუა ხანების ამოვსება.  $G$ -დან ნახეს ქვარტა ძირს ანუ ქვინტა ზევით —  $d$ , ხოლო  $F$ -დან ქვარტა —  $B$ , — და აი, გაჩნდა დამახასიათებელი გამმა, მოკლებული ტერციას და სექსტას, შექმნილი ორი ტრიხორდისაგან.<sup>1</sup>

როდესაც განვიხილავთ ჩვენს ერთხმიან სიმღერებს ტეხნიკური თვალსაზრისით, და მიუყენებთ მათ ზემოთ მოყვანილ მასშტაბს (ესე იგი ამა თუ იმ ქვარტას, რომელიც ერთია მთელი ქვეყნისათვის), ჩვენ ვხედავთ, რომ ჩვენ გვაქვს სიმღერები ამ მასშტაბით. პირველი მათგანი არის „ფერხული“ (ხმა  $do$  უნდა გამოვრიცხოთ, როგორც შემთხვევითი). მეორე — სიმღერა როსტომზე, რომელიც სრულდება ეხლა დედოფალ ქეთევანის სიყვავებით (აქაც უნდა გამოვყოთ აგრედვე შემთხვევითი ხმები  $re$  და  $si$ ).

ეს სიმღერები წარმოადგენდნენ დასრულებულ ქვარტებს, ესე იგი ტეტრახორდებს და, სოკოლოვსკის ტერმინოლოგიის მიხედვით, არიან შედეგები სიმღერის შემდგომი განვითარებისა. ეგრედწოდებულ ქვინტის ეპოქისა, როდესაც სიმღერა გამოვიდა ტრიხორდის (ესე იგი ქვარტის ხმა-წყობის სამი ხმის) სფეროდან და მიიღო უკვე დასრულება ოთხი ხმის, ესე იგი ტეტრახორდის, სახით.

მოგვეპოება თუ არა ჩვენ ისეთი სიმღერები, რომლებსაც აქვთ ტრიხორდი ქვარტაში, ამის თქმა ჯერ არ შემოძლია, გარდა იმისა, რომ ჩვენი ფანდური აწყობილია ტრიხორდზე ქვარტით ( $c-d-f-c-d-fis$  არა სრული დიეზი).

შემდეგ, როდესაც გადავდივართ მუშურ სიმღერებზე, ჩვენ ვხედავთ, რომ პირველი მათგანი „კალოური“, თუ გამოვრიცხავთ დამხმარე ხმას  $mi$  ბემოლს, მოექცევა ტრიხორდის ხმა-წყობის ქვინტაში, ხოლო ხმა-წყობის შიგნით ხმები  $si$  და  $si$  ბემოლი ერთი მეორეს დაუწყებენ ცვლას, როგორც ორიგინალური მოვლენა<sup>2</sup>.

ასეთსავე ხმა-წყობაშია სიმღერა „გუთნური“, სადაც მისი დასაწყისი პირველ სიმღერის მსგავსად მოდულაცია-ქმნილია ლიდიურ ტეტრახორდით და დაბლოება კი ისევ ძველებური დამხმარე ხმით  $fa$ <sup>3</sup>. საინტერესოა აგრედვე ხმის  $si$  და  $si$  ბემოლის ხმარება ამ სიმღერაში იმავე ხმა-წყობით.

ამ სიმღერების გარდა, ყურადღების ღირსია აგრედვე „კალოური“ სოფ. შალაურისა თელავის მაზრაში, სადაც ხმა-წყობა წარმოადგენს აგრედვე ქვარტას სეკუნდის მიმატებით ზევით, ორიგინალური მოდულაციით ხმანწყობაში და აგრედვე სიმღერა „ნანა“, თუ გამორიცხული იქნება იქედან ხმა  $do$ .<sup>4</sup>

განვიხილავთ რა დანარჩენ სიმღერებს, ჩვენ ვხედავთ, რომ არანისი, ოროველა იმყოფება ქვინტის ხმანწყობაში, თუ კი გამოვაკლებთ მას დამხმარე ხმას  $fa$ <sup>5</sup> შემდეგ ნანა, ორიგინალური ბოლოთი აგრედვე ქვარტაზე<sup>6</sup>.

1. П. П. Соколовский, Русская народная песня, стр. 37.

2. იხ. ჩემი წიგნი, Очерки Груз. музыки, ტომი I, გვ. 51, შენიშვნა 1.

3. იქვე, შენიშვნა 2.

4. იხ. ჩემი Груз. нар. муз. т. III, გვ. 83, №1.

5. იქვე, ტომი III, გვ. 96, №4

6. იქვე, ტომი III, გვ. 118, №3.

ამგვარად ჯერ-ჯერობით ჩვენ გვხვდება სიმღერები შემდეგ ფარგლებში: ქვარტა, ქვარტა მიმატებით სეკუნდისა ზევიდან, ესე იგი ტრიხორდი ქვინტაში და უბრალოდ ქვინტაში; ქართული ხალხური მუსიკა ამგვარად გვიჩვენებს ჩვენ, რომ ბევრი იმისი სიმღერების ერთხმიანობაში დადებული აქვს საფუძვლად დასაწყისი იმავე კანონებისა, რომლის საფუძველზე შეიქმნა უძველესი სიმღერები არიელებისა და სხვა ხალხებისა.

მაგრამ ამით არ ისაზღვრებიან ჩვენში ერთხმოვანი მუსიკის ხმა-წყობანი.

სიმღერების შემდეგი განხილვიდან ჩვენ ვხედავთ, რომ ჩვენში არის ისეთი სიმღერები, რომლებსაც აქვთ ქვინტაზე მეტი ხმა-წყობანი, და რომლებიც გვაგონებენ თითქოს ძველ ბერძნულ ხმა-წყობებს. აი, მაგალითები: ურმული შალაური (იხ. იგივე ჩემი წიგნი, გვ. 64, ტ. I), ურმული №1 (იხ. იქვე, წიგნი III, გვ. 55), ოროველა №2, როგორც ორიგინალური დაბოლოება (იხილეთ იქვე), მეორე ურმული, (გვ. 95, ტ. III) და კევრული (გვ. 113).

მაგრამ როდესაც შევხებით მათ შინაგან წყობას, ჩვენ ვხედავთ, რომ მათ ცოტა აქვთ საერთო ძველ ბერძნებთან, რადგან ძველ ბერძნულ ხმა-წყობებს, როგორც ცნობილია, ტონიკა ჰქონდათ შუაში და არა ბოლოს, როგორც ამას ჩვენში ვხედავთ.

ჩვენ არ ვეხებით მეტად დიდ საკითხს რიტმიკისას ქართულ სიმღერებში. ამის შესახებ სიტყვა იქნება შემდეგში. ცნობილია, რომ ყოველ ერს, თავისი ენის თვისებათა გამო, აქვს საკუთარი რიტმიული სხვაობა, რომელიც დალს ასვამს მელოდიის წყობას. ხანდახან შესაძლებელია შეგხვდეთ, რომ ერთი ხალხის მელოდია ჰგავს მეორე ხალხის მელოდიას, მაგრამ თუ ყურადღებას მიაქცევთ ტექსტის რიტმიკას, თქვენ დაინახავთ, რომ ეს მსგავსება, ასე ვსთქვათ, გარეგნულია. თუ ანალიზს გაუკეთებთ მელოდიას ტექსტთან ერთად, თქვენ დაინახავთ, რომ სხვა ხალხის მელოდია სხვანაირად არის აგებული, სხვაგვარად მოდრეკილია და მასსადამე, მას აქვს საკუთარი თავისებურობა. ამგვარად მელოდიაში მნიშვნელოვანია ტექსტი, მისი რიტმიკა. აქ ენამ უნდა სთქვას თავისი გადამწყვეტი სიტყვა, და ჩვენ ვხედავთ, რომ ჩვენ რიტმიკას, მელოდიასთან დაკავშირებით, აქვს თავისი კანონები, მართალია, ჯერ-ჯერობით ნაკლებად შესწავლილნი, მაგრამ მაინც ზოგ ნაწილში განსხვავებულნი თუნდა, მაგალითად, ძველი ბერძნულისაგან. აი, მაგალითად სიმღერა „ჩემო თავო!“ ჯერ მახვილი ხვდება მო-ს, შემდეგ ჩე-ს, ესე იგი პირველ შემთხვევაში ის იმღერება ჩემო თავო, მეორეში კი ჩემო გულო. ან მეორე მაგალითი — დიდება-დიდება, მესამე — გლესამ და გლესამ, ჰერიო-ჰერიო, სედეკო-სედეკო და სხვა უამრავი ამისი მაგალითები.

ყოველივე ეს მოწმობს ქართული ენის საკვირველ რიტმიკას და განასხვავებს მას სხვა ხალხთა ენებისაგან.

შეუდგეთ ესლა ტეხნიკური საფუძვლების გარჩევას ორხმოვან სიმღერებში.

თუ ჩვენ ვხედავთ ქართული ხალხური სიმღერის განსხვავებას ერთხმოვანებაში, მაშინ რაღა უნდა ითქვას ორხმოვან სიმღერების შესახებ, რომლებიც სრულდებიან ხოროს მიერ, და როგორც ასეთები, უკვე ამკარად ხდიან თავის სხვობას. სამხმოვანებზე ხომ აღარას ვამბობ.

და აი, როდესაც ვარკვევთ ორხმოვან სიმღერას მუსიკალურ-ტეხნიკური მხრით, ჩვენ ვხედავთ, რომ მუსიკალური ჩონჩხი იქაც და აქაც ერთი და იგივეა, მხოლოდ აქ იგი აღებულია ერთდროულად, როდესაც ხმებში არის ქვარტა ან ქვინტა, ე. ი. აღებულია ვერტიკალურად და არა მარტო გორიზონტალურად. აი, რა არის უაღრესად საინტერესო მეცნიერებისათვის და რა განასხვავებს ქართულ მუსიკას სხვა ეროვნებათა მუსიკისაგან და მისი ტეხნიკური საფუძვლებისაგან. ორხმოვანობა უკვე გვიჩვენებს, რომ აქ შეიქმნა განსაკუთრებული თავისებური წყობა, რომელსაც აქვს თავისი კანონები, და ეს არაა ხელოვნურად გამოგონილი ვისგანმე, არამედ თვით ბუნების ნიაღში ჩანერგილი. ავილოთ, მაგალითად, ხმანწყობა; ქვარტა სეკუნდის მიმატებით ზევიდან, ესე იგი do-fa-sol. ნუ თუ არ შეიძლება მისი განხილვა როგორც ხმების, რომლებიც თვით ბუნებაში არსებობენ, ესე იგი ხმა sol, — როგორც ობერტონი, ხოლო fa — უნტერტონი ხმისათვის C. მეცნიერებამ

ხომ ზედმინვენით დაამტკიცა (ჰელმგოლცი), რომ ყოველი ტონი შესდგება თანა-ხმების მთელი რიგისაგან ანუ ობერტონებისაგან ზევით და უნტერტონებისაგან ძირს (უკანასკნელი საკითხი დამუშავებული აქვს, სხვათა შორის, რიმანსაც). მაგალითად, ნოტი C ან do იძლევა უახლოეს ობერტონებს (მეორეს და მესამეს) c-g, ესე იგი ნოტებს do და sol, ხოლო ძირს უნტერტონებს c-f, ესე იგი ნოტებს do და fa. მთელი საქმე, მაშასადამე, იმაში მდგომარეობს, რომ ქვედა ქვარტა fa (მესამე უნტერტონი) ქართულ ხმანწყობაში გარდაქმნილია ზევით ქვარტაში do-fa-sol, რაიც სრულიად ბუნებრივია.

ამგვარად, ჩვენ ერთხელ კიდევ ვრწმუნდებით იმაში, რომ ქართული წყობანი შექმნილი არიან თვით ბუნებისაგან, და არა ხელოვნურად. ჩვენ, რა თქმა უნდა, არ შეგვიძლია მითითება იმაზე, თუ რამდენი დრო იყო საჭირო იმისათვის, რომ ერთხმოვანობისაგან შექმნილიყოს ორხმოვანობა, როგორც უფრო რთული ევოლიუციის ეტაპი; ეს ჯერჯერობით არ შეადგენს ჩვენს საგანს. ჩვენ შეგვიძლია მიუთითოთ იმაზე მხოლოდ, რომ ეს წყობანი შექმნილან ბუნებრივი წესით და განუცდიათ სავსებით დამოუკიდებელი განვითარება.

პროფ. დიმიტრი არაყიშვილი

დანართი № 1.

*Moderato.* დი დე შა.

დი-დე-შა და დმერთ-სა და დი-დე-შა!

დი-დე-შა და დმერთ-სა დი-დე-შა!

დანართი № 2.

*Allergo non troppo.* სათამაშო.

დი-დე-შე-ლი ა კი არ-გი ა-და-და-დე

უ-ფიონ-გან გა-მდი-დრე-შე-ლი ა-და-და-დე-ა

დანართი № 3.

Moderato.      იავ ნანა

ი-ავ ნა-ნა- ვარ-ღოს ნა-ნა ი-ავ ნა-ნი-ნა-ღო-ს ი-ავ  
 ნა-ნა- ვარ-ღოს ნა-ნა ი-ავ ნა-ნი-ნა-ღო-ს!

დანართი № 4.

Moderato.      წარით ტრეილი.

ვა-შე შეი-ღოს შენს და-შვარ-კავ-სა წა-ხვეთ და წა-ხვეთ  
 შეი-ღოს და დაკე-ტი-ვე რე-ტა შა-და-ლი ი-უღს  
 შე შენ მა-გი-კრათ ხა-ვწო-ლი-ლი -უა-ვი:

დანართი № 5.

ია შინაქდალა.

ი-ავ შინა-ხე-და-ს ი-ა-შინა-ხე-და-ს ი-ა-ს  
 კოჲ თა-კოჲ ი-თა-კოჲ, ზეს-კოჲ ი-თა-კოჲ-ს



## ფილოსოფია. მიცნიერება

პლატონი.

### კრიტონ

*უსრულად ვიდრე-მე და განუწმენდელად ჯოჯოხეთს მისრული მდებარე არს სიმყრალისა მღუიშისა შინა, ხოლო განსრულებული და განწმედილი მი-რაივიდეს მუნ, უფლისა თანა დაემკუიდრების (Plato, Phaedo 69, არსენი იყალთოელის თარგმანი).*

400-399 წლის ზამთარში გაასამართლეს სოკრატე მისმა თანამოქალაქეებმა. ხუთასერთის სასამართლომ სამოცი ხმის უმეტესობით დამნაშავედ აღიარა ის და, თანახმად მომჩივანთა მოთხოვნისა, სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა. სასამართლოს განაჩენი მართლმსაჯულების უკანასკნელი სიტყვა იყო: მისი გასაჩივრება არ შეიძლებოდა, და თერთმეტ ათინელს, რომელთა მოვალეობასაც შეადგენდა ათენის პოლიტიით განაჩენის შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა მოეყვანათ ის სისრულეში.

მაგრამ, სწორედ წინააღმდეგობით დელოსზე გაიგზავნა — თანახმად ტრადიციისა — ათინელთა ხომალდი, რომლითაც ოდესღაც თეზეომ იმოგზაურა კრეტაზე და გზად დელოსის აპოლონთან დაისადგურა. ვიდრე ხომალდი უკან დაბრუნდებოდა, არც ერთი სასიკვდილო განაჩენი არ შეიძლებოდა სისრულეში მოეყვანათ.

ეს ხდება საბერძნეთის გაზაფხულის წინ, ათინელთა ვარდობისთვის, ანთესტერიებში. ბორკილებ-ასხმული სოკრატე ციხეში ელის — ჩვეულებრივის სიმშვიდით — აღსასრულის ჟამს. მისი მეგობრის კრიტონის თავმდებაობით სოკრატეს მეგობრებს ნება ეძლევათ ინახულონ ხოლმე თავისი ძვირფასი მასწავლებელი. თვითონ კრიტონს, მდიდარს და შეძლებულს, უკვე მიღებული აქვს წინასწარი ზომები, რომ გააპაროს სოკრატე ციხიდან და სამშვიდობოს გაიყვანოს, მაგრამ სოკრატე არ თანხმდება. უკანასკნელად ის მივა ციხეში ხომალდის დაბრუნების წინააღმდეგ, დილით ადრე, და კიდევ ერთხელ ცდილობს დაიყოლიოს სოკრატე. არავითარი საბუთი არ ჭრის. სოკრატე თავისი — კრიტონის სანინა-აღმდეგო — აზრის დასაბუთების დროს ალაპარაკებს ათენის კანონებს და თვით სახელმწიფოს და, ბოლოს, კიდევაც დაარწმუნებს კრიტონს, რომ მისი რჩევის მიღება — ციხიდან გაქცევა — სოკრატესთვის საკუთარი თავის უარყოფას ნიშნავს და იმაზე უარის თქმას, რასაც ის მთელ თავის სიცოცხლეში ჰქადაგებდა: უსამართლობის ჩადენა არავითარ შემთხვევაში არ არის მისაღები, მაშინაც კი, როდესაც ეს უსამართლობა პასუხია შენ მიმართ სხვის მიერ ჩადენილ უსამართლობაზე.

ს. ყ.

**საუბრობენ:**

**სოკრატე, კრიტონ**

**სოკრატე.** რად მოსულხარ ასე ადრე, კრიტონ? თუ, — არც ისე ადრეა?

**კრიტონ.** ძალიანაც ადრეა.

**სოკრატე.** მაინც რა დროა?

**კრიტონ.** რიჟრაჟებს.



**სოკრატე.** მიკვირს, როგორ დაიყოლიე ციხის-მცველი.

**კრიტონ.** უკვე შემეჩვია: მე ხომ ხშირად დავდივარ აქ. თანაც ცოტას ვაჩუქებ ხოლმე.

**სოკრატე.** დიდხანია მოხვედი?

**კრიტონ.** კარგახანია.

**სოკრატე.** მერე, რატომ მაშინვე არ გამაღვიძე, აქ რომ ვაჩუქებული დამჯდარხარ?

**კრიტონ.** არა, სოკრატევე, ზევესის მაღლმა! ნეტავი, მეც არ ვიყო ამნაირ უძილო მდგომარეობაში და ასეთს მნუხარებაში. დიდხანია ვაკვირვებით გიყურებ, ასე ტკბილად რომ გძინავს! და მე განზრახ არ გაგაღვიძე, რომ შენ რაც შეიძლება მეტი სიამოვნება გრგებოდა. წინათაც, მთელ შენს სიცოცხლეში, ვაქებდი შენს ასეთს ქცევას, ეხლა-კი მით უმეტეს საქებია, როგორ ადვილად და მშვიდად იტან ეხლანდელ უბედურებას.

**სოკრატე.** ეჰ, ჩემო კრიტონ, ჩემს ხანში უაზროც იქნებოდა ჩივილი: სიკვდილი კარზეა მომდგარი.

**კრიტონ.** სხვებიც, შენი ხნის მოხუცნი, ვარდებიან ხოლმე ამნაირ უბედურებაში, მაგრამ ხნოვანება მათ ხელს არ უშლის ბედის-წერას შეებრძოლონ.

**სოკრატე.** მართალია... მაგრამ შენ რამ მოგიყვანა ასე ადრე?

**კრიტონ.** სამნუხარო ამბავმა, სოკრატე! სამნუხაროა ეს ამბავი — მე ვხედავ — შენთვის კი არა, ჩემთვის და ყველა შენი მეგობრისთვის; მე ვგრძნობ, ყველაზე უფრო სამძიმო ის ჩემთვის იქნება.

**სოკრატე.** რა ამბავზე ლაპარაკობ? ააა... ხომალდი ხომ არ მოსულა დელოსიდან, რომლის მოსვლის შემდეგ მე უნდა მოვკვდე?

**კრიტონ.** ჯერ არ მოსულა, მაგრამ, მგონია, დღეს უნდა მოვიდეს. სუნიონიდან ჩამოსულები გადმოგვცემენ, რომ მათ იქ ნახეს ხომალდი. როგორც ჩანს, ხომალდი დღეს უნდა მოვიდეს და ხვალ, სოკრატე, სიცოცხლეს უნდა გამოესალმო.

**სოკრატე.** ოღონდაც! თუ ღმერთებს ასე სურსთ, დე აღსრულდეს... მე კი მგონია, ხომალდი დღეს არ მოვა.

**კრიტონ.** რა საბუთი გაქვს შენ ამისთვის?

**სოკრატე.** ეხლავე გეტყვი. მე ხომ მის მეორე დღეს უნდა მოვკვდე, ხომალდი რომ მოვა.

**კრიტონ.** ასე ამბობენ ისინი, ვინც ამ საქმეს განაგებს.

**სოკრატე.** მე ვფიქრობ, რომ ის დღეს კი არ მოვა, არამედ ხვალ. ამის საბუთია ერთი სიზმარი, ამ ღამით რომ ვნახე, შენი მოსვლის წინ. კარგია, რომ არ გამაღვიძე.

**კრიტონ.** რა სიზმარი ნახე?

**სოკრატე.** მომიახლოვდა ერთი ქალი, ლამაზი და მოხდენილი, თეთრ სამოსში გახვეული. დამიძახა და მითხრა: სოკრატე, ნოყიერ ფთიას შენ ეწვევი ორი დღის უკან.

**კრიტონ.** საკვირველი სიზმარი გინახავს, სოკრატე.

**სოკრატე.** მე მგონია, კრიტონ, მისი აზრი ნათელი და ცხადია.

**კრიტონ.** რასაკვირველია, ცხადია. მაგრამ, ძვირფასო სოკრატე, ეხლა მაინც დამიჯერე და თავს უშველე. შენი სიკვდილი ჩემთვის უბედურებაზე მეტი იქნება. ჯერ ერთი — მე ისეთ ახლობელს დავჰკარგავ, რომლის მსგავსს, უეჭველია, მე ვერასდროს ვერ შევიძენ. და ბევრი გამოჩნდება ისეთიც — მე და შენ რომ კარგად არ გვიცნობს — რომელიც ჩემზე იფიქრებს, სოკრატეს გადარჩენა შეეძლო, ხარჯის განევას რომ არ მორიდებოდა, მაგრამ დროზე არ იზრუნაო. განა ამაზე უფრო სასირცხო იქნება რამე, როდესაც კაცზე ლაპარაკობენ: ფულს მეტად აფასებს, ვიდრე მეგობრებსო? ხალხი ხომ არც კი დაიჯერებს, რომ შენ თვითონ არ მოისურვე აქედან წასვლა, თუმცა ჩვენ ყოველი ღონე ვიხმარეთ.

**სოკრატე.** ჩვენ რას გვენაღვლება, ჩემო კრიტონ, ხალხის აზრი? ისინი ხომ, ვინც უფრო დინჯი და გონიერია და ვის აზრსაც ჩვენ ვაფასებთ, უთუოდ იფიქრებენ: მოხდა ისე, როგორც მოხდაო.

**კრიტონ.** მაგრამ შენ უნდა დამეთანხმო, სოკრატე, რომ საჭიროა უმრავლესობის აზრს ანგარიში გაუწიოთ. თვით ეხლანდელი შენი მდგომარეობა გვიმტკიცებს, რომ ხალხს შეუძლიან არა თუ მცირე, უდიდესი უბედურებაც კი შეამთხვიოს იმას, ვინც მის თვალში ჩირქმოცხებულა.

**სოკრატე.** ნეტავი, უმრავლესობას მართლაც შეეძლოს უდიდესი სიბოროტის ჩადენა: მაშინ მას ხომ უდიდესი სიკეთის ჩადენაც შეეძლებოდა, და კარგიც იქნებოდა, მაგრამ მას არც ერთის უნარი არა აქვს. მას არ შეუძლია, გახადოს ვინმე გონიერი, არც უგუნური: ყოველი მისი მოქმედება შემთხვევითია.

**კრიტონ.** ეს კი ასეა, მაგრამ ერთი მითხარი, სოკრატე! ჩემი და სხვა შენი მეგობრების ჯავრი ხომ არა გაქვს, და ხომ არ ფიქრობ, რომ, თუ შენ აქედან გახვალ, სიკოფანტები უსიამოვნებას მოგვაყენებენ ჩვენ, შენ რომ აქედან გაგაპარეთ; და ხომ არ სწუხხარ, რომ ჩვენ იძულებული ვიქნებით, მთელი ჩვენი ქონება შევალიოთ ამას ან-და დიდი ხარჯები გავწიოთ, და კიდევ — ვინ იცის — სხვა რამ გადაგვხდეს თავს. თუ შენ ეს განუხებს, გთხოვ, დამშვიდდე. სამართლიანი იქნება, გავიღოთ ასეთი მსხვერპლი შენი გადარჩენისთვის და, თუ საჭირო იქნება, უფრო მეტიც... მაშ, მოიქეც ისე, როგორც მე გირჩევ, და არა სხვანაირად.

**სოკრატე.** მართალია, კრიტონ, მე ეს მანუხებს, რაც შენ თქვი, და ბევრი სხვაც.

**კრიტონ.** ამის შიში კი უადგილოა. ჯერ-ერთი, უმნიშვნელოა ის თანხა, რომელსაც ზოგიერთები მოითხოვენ შენს გადასარჩენად, აქედან გასაყვანად. მე რე, განა არ იცი, რა იაფი საქონელია ეს სიკოფანტები? მათ ჩასაჩუმებლად სულაც არ არის საჭირო ბევრი ფული. მთელი ჩემი ქონება შენთვის მაქვს გადადებული და, მე მგონია, საკმარისიც იქნება. და თუ შენ ჩემი ჯავრი გაქვს და არ გინდა ხარჯი გამანვეინო, ხომ ათენში არიან სხვა შენი მეგობრები, რომელნიც მზად არიან დაგახარჯონ: ერთმა უკვე — სიმიას თებელმა — თან მოიტანა ამისთვის საჭირო ფული. მზად არის კებესიც და მრავალი სხვაც... მაშ, როგორც გითხარი, ამის ჯავრი ნუ გაქვს და ხელიდან ნუ უშვებ შემთხვევას შენს გადასარჩენად. არც იმ სიტყვებმა უნდა დაგაბრკოლოს, შენ რომ სასამართლოში თქვი: აქედან რომ წავიდე, არც კი ვიცი, რაში უნდა გამოვდგეო.<sup>1</sup> სადაც არ უნდა გადაიხვენო, ყველგან მიგიღებენ დიდის სიყვარულით. თუ შენ თესალიაში წასვლას მოისურვებ, იქ მე მეგობრები მყავს, რომელნიც შენ დიდ პატივს გცემენ და უზრუნველგყოფენ ისე, რომ იქ არავინ შეურაცხავდეს.

მე იმასაც ვფიქრობ, სოკრატე, რომ შენ სამართლიანად არ იქცევი, როდესაც შენს თავს ჰლალატობ და თავს არ ჰშველი. შენ იმასვე სჩადიხარ საკუთარი თავის მიმართ, რასაც სჩადიოდენ შენი მტრები — და ჩაიდინეს კიდევ — რომელთაც ჰსურდათ შენი დაღუპვა. გარდა ამისა, შენ, მე მგონია, შენს საკუთარ შვილებსაც ჰლალატობ, რომელთაც შენი სიკვდილით აუბედურებ, თუმცა შეგეძლო, ისინი ჩინებულად აღგეზარდა. შენი წყალობით ისინი ბედის ანაბარა დარჩებიან. ცხადია, მათი ბედი ისეთივე იქნება, როგორიც არის ბედი ყოველი ობლისა. მე თუ მკითხავ, ადამიანმა ან სულ არ უნდა იყოლიო შვილები, ანდა — თუ გყავს — იზრუნო მათ აღზრდაზე. შენ კი — ვხედავ — უადვილეს გამოსავალს

1. აპოლოგიაში (37 c-e) სოკრატე ეუბნება ათინელებს: რატომ არ უნდა ვითხოვო მე გაძევება? ამას ხომ, ალბად, დიდი სიამოვნებით მიმისაჯავთო. ძალიან უნდა ვშიშობდე, რომ შემდეგი გარემოება ვერ მივიღო მხედველობაში: თუ თქვენ, ათინელებმა, ჩემმა თანამოქალაქეებმა ვერ აიტანეთ ჩემი საქციელი და ყოფაცხოვრების წესი და სცდილობთ ჩემგან განთავისუფლდეთ, როგორ აიტანენ მას უცხოელები? კარგი სანახავი კი იქნება მაშინ ჩემი ცხოვრება: ქალაქიდან ქალაქში უნდა ვეთრიო და ყველგან გაძევებას უნდა ველოდე. მე კარგად ვიცი, რომ სადაც არ უნდა მივიდე, ახალგაზრდობა ჩემს სიტყვებს დაენაფება. თუ მე მათ არ მივიკარებ, ისინი შეეცდებიან უფროსების შემწეობით მე გამაძევონ. თუ კი მე მათ მივიღებ, მაშინ მათი მამები და მოკეთებები შეეცდებიან ამას თავისი შვილების გულსისთვის.

ირჩევ. ვინც მთელ თავის სიცოცხლეს სათნოებისათვის ზრუნვას ანდომებდა თითქო, მას მოეთხოვება ისეთი გამოსავალი აირჩიოს, რომელსაც აირჩევდა ყოველი მამაცი ვაჟკაცი. ამიტომ მრცხვენთან შენს მაგივრად. და ჩვენს — შენი მეგობრების — მაგივრადაც, ვაი თუ ეგონოს ვისმე, რომ ჩვენი სილაჩრით საქმე აქამდე მოვიყვანეთ. სასირცხოა თვით ისიც, რომ საქმემ სასამართლომდე მიაღწია და შენ სამჯავროს წინაშე გამოცხადდი, თუმცა შენ შეგეძლო არ გამოცხადებულყავ. მერე, თვით პროცესი... და ეს დასასრულიც თითქოს დაცინვა იყო, — ყველაფერი ეს შეიძლება ახსნან ჩვენი სილაჩრითა და დაცემით, რადგან არც ჩვენ დაგიხსენით, არც შენ დაიხსენი შენი თავი, თუმცა ეს შესაძლებელი იყო, ჩვენ რომ ოდნავ მაინც ვარგებულყავით. სწორედ ამას უნდა დაუკვირდე, სოკრატე, რომ უბედურების გარდა ჩვენ — შენცა და ჩვენც — სირცხვილიც მოგველის. მაშ, მოიფიქრე კარგად, ესე იგი უმჯობესია, აღარ იფიქრო, რადგან მოფიქრების დროც აღარ არის. გამოსავალი ერთად-ერთია: ყველაფერი ამალამ უნდა გაკეთდეს. დაყოვნება შეუძლებელია, თორემ სამუდამოდ დავჰკარგავთ ხელსაყრელ შემთხვევას. ყოველ შემთხვევაში, სოკრატე, დამიჯერე და ისე მოიქეც, როგორც მე გირჩევ, და არა სხვანაირად.

**სოკრატე.** შენი კეთილი სწრაფვა, ძვირფასო კრიტონ, დასაფასებელია, რომ ის სწორად იყოს განზრახული. მაგრამ ის ასეთი არ არის... და რამდენად დიდია ის, იმდენადვე სამძიმო და საშიშია. ჩვენ უნდა განვიხილოთ, მისაღებია თუ არა ის, რასაც მირჩევ. მე ყოველთვის მქონდა წესად — და არა მხოლოდ ეს — ვიხელმძღვანელო მხოლოდ იმ აზრებით, რომელიც მე გონებრივი გაცხრილვის შემდგომ საუკეთესოდ მეჩვენება. ესლა, როდესაც მე ასეთი ბედი მენვია, მე არ შემიძლია უკუვავადო ის აზრები, რომელთაც მე წამოვაცენებდი ხოლმე წინათ საუბრის დროს: ისინი ჩემთვის ესლაც ისეთივე არიან, და მე ვაფასებ, პატივს-ვცემ მათ, როგორც წინათ. თუ ჩვენ ესლანდელ მდგომარეობაში უკეთეს აზრებს ვერ წამოვაცენებთ, მე შენ ვერ გამოვყვები ვერავითარ შემთხვევაში, თუნდაც უმრავლესობის ძალთა-მძლეობამ ჩვენს დასაშინებლად ისეთ ხრიკებს მიმართოს, რომლითაც ბაღლებს აფრთხობენ ხოლმე: ბორკილებითა და მახვილით გაგვიმასპინძლდეს და ქონება ჩამოგვართვას.

როგორ მიუდგეთ ესლა ჩვენ ამ საკითხს, რომ სასურველად განვიხილოთ? დაუბრუნდეთ იმ საბუთს, შენ რომ წამოვაცენე უმრავლესობის შეხედულებათა შესახებ. მითხარი: სწორია თუ არა ის დებულება, რომ ზოგიერთი შეხედულება ღირსია ყურადღების, ზოგიერთი კიდევ არა? ან-და ეს დებულება მისაღები იყო წინათ, ვიდრე ჩემი სიკვდილის საკითხი დადგებოდა, ესლა კი აშკარაა, რომ ამას ჩვენ მხოლოდ სიტყვის მასალად ვამბობდით, ესე იგი ნამდვილად ბავშური ლაყბობა იყო? მე ძალიან მინდა, ჩემო კრიტონ, შენთან ერთად გავსინჯო: ესლა, როდესაც მე ასეთი ბედი მენვია, სხვანაირად მეჩვენება თუ არა ეს აზრი, ან-და როგორ მოვიქცეთ, უკუვავადოთ ეს დებულება თუ მივიღოთ ის? ისინი, ვისაც ჰქონდა მსჯელობის უნარი, ყოველთვის ამბობდენ იმას, რაც მე ვთქვი: ადამიანთა შეხედულებანი ზოგიერთი დასაფასებელია, ზოგი კი — არა. გაფიცებ ღმერთებს, კრიტონ, სთქვი, სწორი არის ეს დებულება თუ არა? შენ ხომ — რამდენადაც ადამიანს შეუძლია განსაჯოს, — ხვალ არ მოგელის სიკვდილი, და, მაშ, შენი აზრი თავისუფალია: მას არ ჰბოჭავს ჩემნაირი ხვედრი. დაფიქრდი: განა სწორად არ არის ნათქვამი, რომ ადამიანთა ყველა აზრი კი არ არის ყურადსაღები, არამედ მხოლოდ ზოგიერთი, ზოგიერთი კი უკუსაგდებია. რას იტყვი შენ? განა სწორი არ არის ეს დებულება?

**კრიტონ.** სწორია.

**სოკრატე.** და კარგი აზრები ყურადსაღებია, ცუდი კი უკუსაგდები. არა?

**კრიტონ.** რასაკვირველია.

**სოკრატე.** კარგი აზრები კიდევ გონიერთ ეკუთვნის, ცუდი კი უგუნურთ. არა?

**კრიტონ.** ცხადია.

**სოკრატე.** ეხლა მითხარი, როგორ უყურებთ ჩვენ ამას: გიმნასტიკაში მოვარჯიშისათვის ვისი აზრი, ქება ან გაკიცხვა არის საყურადღებო, ვიგინდარასი, თუ მხოლოდ ერთის — ექიმის ან პედოტრიბის?<sup>1</sup>

**კრიტონ.** მხოლოდ ერთის.

**სოკრატე.** მაშასადამე, მას უნდა ემინოდეს მხოლოდ ერთის გაკიცხვის და მისივე ქება უნდა ახარებდეს, და არა უმრავლესობისა.

**კრიტონ.** ცხადია.

**სოკრატე.** მაშ, მან უნდა იცხოვროს, ივარჯიშოს, ჭამოს და სვას ისე, როგორც ამას მოითხოვს მისი გამოცდილი მეთვალყურე, და ამას უფრო უნდა მისდიოს, ვიდრე ყველა დანარჩენს.

**კრიტონ.** მართალია.

**სოკრატე.** კეთილი. და თუ ის ამ ერთს არ დაუჯერებს, მის აზრსა და ქებას არ დააფასებს, უმრავლესობისა და უვიცთა აზრებს კი პატივს სცემს, რას ნახავს ის ზიანის მეტს?

**კრიტონ.** მართალს ამბობ.

**სოკრატე.** რა სახის ზიანი იქნება ეს? რას ან-და მის რომელ ნაწილს შეეხება ეს?

**კრიტონ.** ცხადია, მის სხეულს; ამას არის, ის რომ ანადგურებს.

**სოკრატე.** კარგად ამბობ. ხომ ასეა, ჩემო კრიტონ, სხვა რამეშიაც. ჩვენ ყველაფერს ვერ ჩამოვთვლით და განა იგივე არ ითქმის ისეთ რამეებზე, როგორც არის სამართლიანი და უსამართლო, მახინჯი და ლამაზი, კეთილი და ბოროტი — ყველაფერი ეს ხომ ჩვენი ეხლანდელი მსჯელობის საგანია, — ყველა ამაში ჩვენ უმრავლესობის აზრს უნდა გავყვეთ და მისი გვემინოდეს, თუ მხოლოდ ერთისა, რომელსაც ამ საქმის გაგება? განა ამისი ჩვენ მეტად არ უნდა გვრცხვენოდეს და გვემინოდეს, ვიდრე ყველა დანარჩენის? თუ ჩვენ ამას არ დაუჯერებთ და მას არ გავყვებით, გავანადგურებთ იმას, რასაც სამართლიანი მოპყრობა აუკეთესებს, ხოლო უსამართლო ჰლუპავს. ასე არ არის?

**კრიტონ.** მე ვფიქრობ, სოკრატე, ასეა.

**სოკრატე.** ეხლა მითხარი, თუ ჩვენ გამოცდილსა და მცოდნეს არ დაუჯერებთ და გავანადგურებთ იმას, რაც სისალით უკეთესდება, ხოლო ავადმყოფობით იხრნება, კიდევ ექნება რამე ღირებულება ჩვენს ცხოვრებას, რომელიც ჩვენ უკვე გავხრწნით? ეს ხომ სხეულს შეეხება, არა?

**კრიტონ.** დიად.

**სოკრატე.** გვეცხოვრება კიდევ დაჩანაგებული და გახრწნილი სხეულით?

**კრიტონ.** არავითარ შემთხვევაში.

**სოკრატე.** თუ ჩვენ გავანადგურებთ ის, რასაც უსამართლობა აზიანებს, ხოლო სამართლიანობა აუკეთესებს, ღირს კიდევ ამის შემდეგ ცხოვრება? ან-და შეიძლება იმას, რასაც კავშირი აქვს უსამართლობასა და სამართლიანობასთან — სულ ერთია, რაც უნდა იყოს ეს — ჩვენ უფრო უმნიშვნელოდ ვთვლით, ვიდრე სხეულს?

**კრიტონ.** სრულებითაც არა.

**სოკრატე.** შეიძლება უფრო მნიშვნელოვანად?

**კრიტონ.** გაცილებით უფრო მნიშვნელოვანად.

**სოკრატე.** მაშ, ჩემო კარგო, ჩვენ არც თუ იმდენად უნდა ვიფიქროთ იმაზე, რასაც უმრავლესობა გვეუბნება, არამედ იმაზე, რასაც გვეუბნება კაცი, მცოდნე სამართლიანისა და უსამართლოსი, ესე იგი, რასაც გვეუბნება ჩვენ თვით ჭეშმარიტება. ასე რომ, შენ არა ხარ მართალი, როდესაც ამბობ: ანგარიში უნდა გაუწიოთ უმრავლესობის აზრს შე-

1. პედოტრიბი — გიმნასტიკის მასწავლებელია.



სახებ სამართლიანისა, კარგისა, კეთილისა და ამათ სანინაალმდეგო ცნებებისა. „მაგრამ — შეუძლია ვისმე გვიპასუხოს — უმრავლესობას ძალუძს მოგვეკლას“.

**კრიტიკონ.** ესეც ცხადია, სოკრატე, მართალს ამბობ, შეუძლია გვიპასუხოს!

**სოკრატე.** კი, მაგრამ ეს დებულება, ჩემო კარგო, ეხლა რომ განვიხილოთ, რამდენადაც მახსოვს, ისეთივეა, როგორიც ჩვენ წინათაც გვექონდა მიღებული. ეხლა ამასაც დაუკვირდი და სთქვი: რჩება თუ არა ძალაში ის დებულება, რომ თვით ცხოვრება კი არ არის უმაღლესი ბედნიერება, არამედ კეთილად ცხოვრება.

**კრიტიკონ.** რჩება.

**სოკრატე.** შემდეგ: რჩება თუ არა ის, რომ „კეთილად“ იგივეა, რაც „კარგად და სამართლიანად“.

**კრიტიკონ.** რჩება.

**სოკრატე.** ეხლა: იმის მიხედვით, რაშიაც ჩვენ შევთანხმდით, უნდა გავსინჯოთ, სამართლიანი იქნება თუ არა, რომ მე ვცადო აქედან წასვლა, თუ ათინელები თვითონ არ გამიშვებენ? თუ ამას სამართლიანად დავინახავთ, მაშინ ვცადოთ მართლაც; თუ არადა, თავი დავანებოთ. ის სიტყვები კი, ჩემო კრიტიკონ — ხარჯების განევის, ხალხის აზრის და ბავშვების აღზრდის შესახებ, — შენ რომ წელან მომიყვანე, მართალი გითხრა, ეს იმ ხალხის სიტყვებია, რომელთაც შეუძლიათ დღეს მოჰკლან კაცი, ხვალ კიდევე გააცოცხლონ — რომ ეს მათ ხელთ იყოს, — ეს ყველაფერი სწორედ ამ უმრავლესობის აზრგამოფიტული სიტყვებია. ჩვენ კი — გონიერი მოფიქრება გვიკარნახებს — უნდა გავსინჯოთ, როგორც ვამბობდით, სამართლიანად მოვიქცევით თუ არა, რომ ფული მივსცეთ და მადლობა გადაუხადოთ იმათ, ვინც მე აქედან გამიყვანს, ესე იგი შენ რომ გამიყვან და მე რომ გამოგყვები? თუ, ჭეშმარიტად, სამართლიანობას უღალატებთ, ამას თუ ჩავიდნით? თუ დავინახეთ, რომ ამის ჩადენა სამართლიანობის ღალატია, მაშინ ჩვენ — ოღონდ უსამართლობა არ ჩავიდინოთ და — ანგარიშს ნუ გაუწევთ ნურც იმას, რომ აქ დარჩენით და უსაქმოდ ყოფნით სიკვდილი მოგველის, და ნურც იმას, რომ კიდევე სხვა რამ შეიძლება გადაგვხდეს თავს.

**კრიტიკონ.** კარგად არის ნათქვამი, სოკრატე, მაგრამ მითხარი, რა უნდა ვქნათ.

**სოკრატე.** ერთად გავსინჯოთ, ჩემო კეთილო, და თუ რამე გექნება სათქმელი ჩემს სანინაალმდეგოდ, მითხარი და დაგიჯერებ. თუ არა-და მაშინ თავი დაანებე ერთისა და იმავე სიტყვების ჩიჩინს: საჭიროა, წინააღმდეგ ათინელების ნებისა, აქედან წახვიდეო. მე ძალიან მინდა დაგარწმუნო შენ ჩემი საქციელის სისწორეში; ყურადღება მიაქციე ჩვენი მსჯელობის სანყის აზრს და მითხარ: დამაკმაყოფილებლად მიგაჩნია შენ ის თუ არა? შეეცადე, მიპასუხო ჩემს კითხვებზე, რამდენადაც შეგიძლია.

**კრიტიკონ.** შევეცდები.

**სოკრატე.** არავითარ შემთხვევაში განზრახ არ უნდა ჩავიდინოთ უსამართლობა, თუ — ზოგიერთს შემთხვევაში შეიძლება, ზოგიერთში კიდევე — არა? ან-და უსამართლობის ჩადენა არავითარ შემთხვევაში არ არის არც კარგი, არც ლამაზი, როგორც ეს ჩვენ ერთხმად აღგვიარებია წინათ? ან-და, შეიძლება ყველა ჩვენი წინანდელი შეთანხმება ამ ბოლო დღეებში არარად იქცა, და ჩვენ, ჩემო კრიტიკონ — ამ ხნის კაცებმა, — წინათ ვერც კი შევამჩნიეთ, რომ დინჯად ვსაუბრობდით მაღალ საკითხებზე და თურმე ბავშვებისაგან არაფრით გავირჩევით. ან-და, შეიძლება სწორედ ისეა საქმე, როგორც მაშინ ვამტკიცებდით, სახელდობრ, რომ უსამართლობის ჩადენა ამის ჩამდენისათვის ყოველ შემთხვევაში გასაკიცხი და ცუდია, იმისდა მიუხედავად, კვერს უკრავს ამას უმრავლესობა თუ არა, და იმისდა მიუხედავად, მოგველის თუ არა ჩვენ ამით უფრო მძიმე ნუთების გადატანა, ვიდრე წინათ. ასეა თუ არა?

**კრიტონ.** ასეა.

**სოკრატე.** მაშ, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება უსამართლობის ჩადენა.

**კრიტონ.** ცხადია, არა.

**სოკრატე.** თუმცა უმრავლესობა სხვანაირად ფიქრობს, მაგრამ არც უსამართლობის წილ შეიძლება უსამართლობის ჩადენა, რადგან უსამართლობის ჩადენა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება.

**კრიტონ.** რასაკვირველია, არა.

**სოკრატე.** შემდეგ: შეიძლება თუ არა, კრიტონ, სიბოროტის ჩადენა?

**კრიტონ.** არა, სოკრატე.

**სოკრატე.** სიბოროტის წილ სიბოროტის ჩადენა — როგორც ამას უმრავლესობა მოითხოვს — სამართლიანია თუ არა?

**კრიტონ.** სრულებითაც არა.

**სოკრატე.** რადგან ადამიანის მიმართ სიბოროტის ჩადენა არაფრით განსხვავდება უსამართლობის ჩადენისაგან.

**კრიტონ.** ჭეშმარიტად.

**სოკრატე.** მაშასადამე, კაცმა კაცს არც უსამართლობა უნდა გადაუხადო, არც სიბოროტე, რაც არ უნდა შეგემთხვევს მისგან. კარგად დაუკვირდი, კრიტონ, შენი შეხედულების წინააღმდეგ ხომ არ ეთანხმები ამას. მე ხომ ვიცი, რომ ძალიან ცოტანი არიან, რომელნიც ასე ფიქრობენ და მომავალშიაც იფიქრებენ. ამ აზრის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა შორის არავითარი შეთანხმება არ შეიძლება: ამათ ერთმანეთი უნდა სძულდეთ უთუოდ, თუ ისინი ერთი მეორის აზრებს დაუკვირდებიან და შეადარებენ. შენც კარგად დაუკვირდი, მეთანხმები თუ არა და შეგვიძლია თუ არა დავინწყოთ ჩვენი მსჯელობა იმ დებულებით, რომ **არასდროს არ არის სწორი უსამართლობის ჩადენა, არც უსამართლობის გადახდა, არც სიბოროტისათვის სიბოროტით პასუხი.** ან-და შეიძლება შენ უარს ამბობ და არ ეთანხმები ამ დებულებას? მე წინათაც ამ აზრის ვიყავი და ეხლაც ამ აზრს ვიციავ. შენ თუ სხვა აზრის ხარ, მითხარ და მასწავლე. თუ შენ ძველებურად ამ აზრს იცავ, მაშინ მე განვაგრძობ.

**კრიტონ.** დიאל, მე ვეთანხმები. განავრძე.

**სოკრატე.** მაშ, მე განვაგრძობ, უკეთ გითხრა, შეგეკითხები: **თუ ვინმესთან შეთანხმებით რამე სამართლიანად აღიარე, უნდა დაიცვა ეს თუ დაარღვიო?**

**კრიტონ.** უნდა დავიცვა.

**სოკრატე.** დავინწყოთ აქედან: ჩვენ რომ აქედან გავიდეთ ქალაქის ნებადაურთველად, სიბოროტეს ჩავიდნეთ თუ არა ვისიმე მიმართ — სწორედ იმათ მიმართ, ვისაც ეს უფრო ნაკლებად ეკადრება? და ვიცავთ თუ არა იმას, რაც ჩვენ სამართლიანად ვაღიარეთ?

**კრიტონ.** არ შემიძლია, სოკრატე, შენ კითხვაზე გიპასუხო; არც მესმის რას მეკითხები.

**სოკრატე.** კარგი. წარმოიდგინე ასე: იმ დროს, როდესაც ვაპირებთ აქედან გაპარვას — ან-და, რაც გინდა, უწოდე ამას — ჩვენთან მოვიდეს კანონები და სახელმწიფო, გზაში ჩამიდგენ და მკითხეს: „მითხარ, სოკრატე, რა გაქვს გულში? სხვა რამ არის? თუ ის, რაც შენ განგიზრახავს, ჩვენ — კანონებსა და მთელ სახელმწიფოს — განადგურებას გვიპირებს, რამდენადაც ეს შენზეა დამოკიდებული? შეიძლება გგონია, რომ არ განადგურდება და კიდევ იარსებებს ის ქალაქი, სადაც არავითარი ძალა არა აქვს სასამართლოს განაჩენს, რომელსაც კერძო პირები ძალმიხდელ ჰქმნიან და ასამარებენ?“ რა შეგვიძლია ჩვენ, კრიტონ, უპასუხოთ ამაზე და სხვა ამგვარზე? ბევრის, ბევრის თქმა შეიძლებოდა — მით უმეტეს, თუ ადამიანი რეტორი ხარ — ასეთ საფრთხეში ჩავარდნილ კანონის სასარგებლოდ, რომელიც მოითხოვს, რომ გამოტანილი განაჩენები ძალაში რჩებოდეს. შეიძლება



საჭიროა იმათ უპასუხოთ, რომ ქალაქმა ჩვენ მიმართ უსამართლობა ჩაიდინა და უმართებულო განაჩენი გამოიტანა? ასე უნდა უპასუხოთ?

**კრიტიკონ.** ჰო, სოკრატე, ზევესის მაღლმა, ასე უნდა უპასუხოთ.

**სოკრატე.** კანონებმა შეიძლება თქვან ამაზე: „როგორ, სოკრატე? განა ჩვენა და შენ შეთანხმებული არ ვიყავით, რომ შენ აღიარებდი ყველა იმ განაჩენს, რომელსაც ქალაქი გამოიტანდა?“ თუ ჩვენ ამ სიტყვებს გავიკვირვებთ, შეიძლება გვიპასუხო: „ნუ გაკვირვებს, სოკრატე, ჩვენი სიტყვები; შენ მხოლოდ გვიპასუხე — ხომ ჩვეული ხარ კითხვებსა და პასუხსაც, აბა, ერთი გვითხარ, რაში გვდებ ბრალს ჩვენ და ჩვენს ქალაქს, რომ ასე მოგინადინებია ჩვენი დალუპვა? ჯერ ერთი: განა ჩვენ არ გაგაჩინეთ შენ და ჩვენი ნყალობით არ იყო, რომ მამა შენმა დედა შენი შეირთო და შენ გაგაჩინა? თქვი ერთი, განა შენ რამეს უნუნებ იმ ჩვენგანთ, ე. ი. იმ კანონებს, რომელიც შეუღლებას შეეხება?“ „არაფერს უნუნებ“ — უპასუხებდი მე. „ან-და შეიძლება იმ კანონებს იწუნებ, ბავშვების აღზრდას რომ ეხება, რომელთა მიხედვით შენც აღიზარდე? შეიძლება კარგად ვერ მოიქცენ ამის შესახებ მიღებული კანონები, რომელთაც დაავალეს მამა შენს ესწავლებინა შენთვის მუსიკა და გიმნასტიკა?“ „არა, რატომ?“ — ვეტყოდი მე. „ჰო-და, რომ დაიბადე და აღიზარდე, ამიტომ შეგიძლია უარყო, რომ შენ ჩვენი მორჩილი მონა არა ხარ, შენცა და შენი წინაპრებიც? თუ ეს ასეა, შენ ხომ არ გგონია, რომ უფლებრივად თანასწორი ვართ ჩვენა და შენ? სამართლიანად ხომ არ თვლი, რომ რასაც ჩვენ გიზამთ, იმითვე გვიპასუხო? ან-და შეიძლება გგონია, რომ მამა შენს ან სხვა ბატონს უფლებრივად ვერ გაუთანასწორდებოდი და არ შეიძლებოდა მათ გინებაზე გეპასუხნა სამაგიერო გინებით, არც ცემაზე ცემით და სხვა, ერთი სიტყვით შეიძლება, შენის აზრით, მათგან უნდა მოგეთმინა ყველაფერი, რასაც ისინი შეგამთხვევდენ, და — სამშობლოსა და კანონებისაგან არა? ასე რომ, თუ ჩვენ სამართლიანად მიგვაჩნია შენი დალუპვა და განადგურება, შენც უნდა გაგვანადგურო ჩვენ, კანონები და სამშობლო, რამდენადაც ეს შენს ხელთაა, და ამის შემდეგ იტყვი შენ სამართლიანად მოვიქეციო, შენ, რომელსაც მართლა გინდა სათნოებას ემსახურო? განა შენი სიბრძნე იმდენად მდარეა, რომ ვერც კი შეამჩნიე, რომ დედაზე, მამაზე და ყველა სხვა წინაპარზე უფრო ძვირფასია სამშობლო; რომ ის უფრო ტკბილია და უფრო სახიერი, უფრო მეტ პატივშია ღმერთებთან და იმ ადამიანებთან, რომელნიც გონიერნი არიან; საჭიროა უფრო მეტი პატივი სცე სამშობლოს, ვიდრე მამას, დაუთმო და მოეფერო მას, თუ ის გაჯავრდება; ან უკეთესი უნდა ასწავლო მას, ან-და გააკეთო, რასაც ის მოითხოვს, და მოთმინებით აიტანო ის ტკივილები, რომელთაც ის შეგამთხვევს — ცემა იქნება ის თუ ბორკილები, ომში დაკოდება თუ სიკვდილი, ყველაფერი ეს უნდა აიტანო: და ეს სამართლიანიც იქნება, არც უნდა დასთმო, არც უკან უნდა დაიხიო, არც შენი სადარაჯო დასტოვო, არამედ ომშიაც, სასამართლოშიაც და ერთი სიტყვით ყველგან უნდა მოიქცე ისე, როგორც ამას მოითხოვს სახელმწიფო და სამშობლო; ან-და სადაც საჭიროა შეუსწორო უმართებულო ქცევა. ძალდატანება დედისა და მამის მიმართაც დასაძრახისია, მით უმეტეს სამშობლოს მიმართ“. რა უნდა უპასუხოთ ამაზე, კრიტიკონ? კანონები მართალს ამბობენ თუ არა?

**კრიტიკონ.** მე გგონია, მართალს ამბობენ.

**სოკრატე.** „დაფიქრდი, სოკრატე, — შეიძლება გვითხრან კანონებმა, — მართალს ვამბობთ თუ არა ჩვენ, რომ უსამართლობაა ის, რაც შენ ეხლა ჩვენს წინააღმდეგ გაქვს გულში. ჩვენ შენ გაგაჩინეთ, გაგზარდეთ, გასწავლეთ, გადმოგეცით შენ — და ყველა დანარჩენ მოქალაქეს — თუ კი რამ კარგი გაგვაჩნდა. ამავე დროს ჩვენ წინასწარ ვაუწყებთ ხოლმე ყოველ ათინელს, რომ მას ჩვენგან შემდეგი თავისუფლება აქვს მინიჭებული: მის შემდეგ, რაც ის მიღებულია დემოსში და გაეცნო ქალაქის საქმეებს და ჩვენ. ესე იგი კანო-

ნებს, მას შეუძლია, თუ ჩვენ არ მოვწონვართ, წავიდეს, სადაც უნდა და თან წაიღოს მთელი თავისი ავლა-დიდება; არც ერთი ჩვენთაგანი — ე. ი. არც ერთი კანონი — არ გაფერხებს და არ გიკრძალავს თქვენ, თუ რომელსამე თქვენგანს კოლონიაში სურს წავიდეს ან სხვაგან სადმე გადასახლდეს, რადგან არ მოვსწონვართ არც ჩვენ და არც ქალაქი: მას შეუძლია წავიდეს, სადაც უნდა, და თან წაიღოს მთელი თავისი ქონება. მაგრამ რომელი თქვენგანიც აქ რჩება და გაცნობილია, თუ როგორ ვანარმოებთ ჩვენ სამართალს და როგორ ვმართავთ ქალაქს, იმაზე ჩვენ ვამბობთ: ის საქმით დაგვეთანხმე ჩვენ, რომ ის შეასრულებს ყველაფერს, რასაც ჩვენ მისგან მოვითხოვთ. ხოლო ვინც ჩვენ არ გვემორჩილება იმაზე ვამბობთ: სამწიარ უსამართლობას სჩადის ის: ჩვენ ის გავაჩინეთ და არ გვემორჩილება; ჩვენ ის აღვზარდეთ და არ გვემორჩილება; ჩვენ მან აღვვითქვა დამორჩილება და არც გვემორჩილება, და არც გვირჩევს, თუ როგორ შეიძლება უკეთესად მოვიქცეთ იმ შემთხვევაში, როდესაც კარგად ვერ ვსჯით საქმეს. ჩვენ მას სასტიკ ბრძანებას კი არ ვაძლევთ, რომ უთუოდ შეასრულოს ის, რასაც ჩვენ მოვითხოვთ; ჩვენ მას არჩევანის თავისუფლებას ვაძლევთ: ან უკეთესი გვირჩიოს, ან დაგვემორჩილოს. ის კი არც უკეთესს გვირჩევს, არც გვემორჩილება. ეს ბრალდებები, სოკრატე, შეგეხება შენც, თუ შენ სისრულეში მოიყვან იმას, რაც გულში გაქვს; და შეგეხება არა ნაკლებ, ვიდრე სხვა ათინელს, არამედ უფრო მეტად“. თუ შევეკითხები — „რატომ?“, კანონები სამართლიანად მიპასუხებენ, რომ ათინელთ შორის მე ყველაზე უფრო მჭიდრო შეთანხმებით შევეკარი მათ. ისინი მეტყობდნენ, ალბად: „საკმაო საბუთები გვაქვს, სოკრატე, რომ ქალაქი და ჩვენ — კანონები — მოგწონდით შენ. რომ ეს ასე არ იყოს, განა ასე, ყველა სხვა ათინელზე უფრო მტკიცედ, დაბინავდებოდი ამ ქალაქში, რომ ის ძლიერად არ მოგწონდეს? შენ ხომ დღეობაზეც არ გასულხნარ ქალაქიდან არასდროს (მხოლოდ ერთხელ იყავ ისთმოზე), არც სადმე სხვაგან, გარდა ბრძოლის ველისა, არც არსად გიმოგზაურია, სხვებსავით, და არც ოდესმე სურვილი მოგსვლია, გაგეცნო სხვა რომელიმე სახელმწიფო და სხვა კანონები: შენ ჩვენი კმაყოფილდებოდი და ჩვენი ქალაქით. ასე გვაფასებდი ჩვენ და თანახმა იყავი ჩვენი — ესე იგი კანონების — მუხლების მიხედვით გაგენია მოქალაქეობა. სხვა რომ არა ვთქვათ-რა, ამ ქალაქში გააჩინე შენ ბავშვები, რადგან ეს ქალაქი მოგწონდა. ჯერ კიდევ სასამართლოში შენი საქმის გარჩევის დროს შეგეძლო შენ, თუ გინდოდა, აგერჩია გაძევება, და, რასაც შენ ეხლა ქალაქის ნების წინააღმდეგ აპირებ, მაშინ მისი ნებაყოფლობით შეგეძლო ჩაგედინა. მაშინ შენ თავმომწონებოდი და არ იჩენდი უკმაყოფილებას იმის გამო, რომ სიკვდილი მოგელოდა: პირიქით, როგორც ამბობდი, გაძევებას სიკვდილი გერჩია. ეხლა კი შენ არც იმ სიტყვების გრცხვენია, არც ჩვენ — კანონებს — გვაქცევ ყურადღებას და ჩვენი მოსპობა განგიზრახავს; შენ ისე იქცევი, როგორც მოიქცეოდა უმდარესი მონა: წინააღმდეგ მიღებულ შეთანხმებათა, წინააღმდეგ შენი დაპირებისა, რომ იქნებოდი ნამდვილი მოქალაქე, შენ აქედან გაპარვას სცდილობ. ჯერ ერთი ამაზე გვიპასუხე: მართალია თუ არა, რომ შენ საქმით — და არა მხოლოდ სიტყვით — შეგვპირდი, რომ იმოქალაქებდი ჩვენს — ესე იგი კანონების — ფარგლებში. განა ეს მართალი არ არის?“ რა უნდა უპასუხოთ ამაზე, კრიტონ? არ უნდა დავეთანხმოთ?

**კრიტონ.** უნდა დავეთანხმოთ.

**სოკრატე.** „მაშ, ეს რა არის, — იტყვიან შემდეგ კანონები, — რომ თვით ჩვენთან დადებულ ხელშეკრულებას და შეთანხმებას არღვევ? შენ ხომ არც იძულებით შეგვთანხმებხარ, არც მოტყუებით, არც მოკლე დრო გქონია შენ, — მთელი სამოცდაათი წელი იყო შენს განკარგულებაში და შეგეძლო, წასულიყავი აქედან, თუ ჩვენ არ მოგწონდით და თუ ჩვენი შეთანხმებაც სამართლიანად არ მიგაჩნდა. შენ არც ლაკედემონი აირჩიე, არც კრეტა, სადაც — როგორც შენ მუდამ ამბობდი, — კარგი კანონებია; არც სხვა რომელიმე

ელლინური სახელმწიფო აირჩიე, არც ბარბაროსული.<sup>1</sup> არა თუ ეს არ ჩაიდინე, არამედ უფრო იშვიათად სტოვებდი ქალაქს, ვიდრე კოჭლი, ბრმა ან კუტი ადამიანი. ასე ძალიან მოგწონდა შენ — ყველა დანარჩენ ათინელზე უფრო მეტად — ქალაქიცა და ჩვენც. მერე, იცავ ეხლა ჩვენს შეთანხმებას? გამოგვყევ, სოკრატ, ჩვენ, სასაცილოდ ნუ გაიხდი თავს და ნუ გაიპარები ქალაქიდან“.

„დაფიქრდი, სოკრატ: რა ხეირს დააყრი შენს თავს და შენს მეგობრებს, ასეთ რამეს თუ ჩაიდენ? თითქმის აშკარაა, რომ შენი მეგობრები საფრთხეში ჩავარდებიან: ისინი, ალბად, გაძევებულნი იქნებიან და სამშობლოც გამოეცლებათ ხელიდან და ქონებაც. თუ შენ თვითონ რომელიმე ახლობელ ქალაქში წახვალ, თებაში ან მეგარაში — ესენი ხომ ორივე კარგი კანონებით იმართება, — შენ იქ მიხვალ, სოკრატ, როგორც მტერი მათი პოლიტიკისა<sup>2</sup> და ვისაც თავისი სახელმწიფოს ავ-კარგი აღელვებს და აწუხებს, ის ალმაცერად შეგხვდება შენ, როგორც კანონების განმანადგურებელს: ამით შენ დაადასტურებ მოსამართლეთა განაჩენის სისწორესაც, ისე რომ, ყველა იფიქრებს სამართლიანი სასჯელი მიუსჯიათ სოკრატესთვისო. ვინც კანონების განმანადგურებელია, ის ადვილად შეუძლია კაცს მოუშნიფებელი ახალგაზრდობის განმხრწნელადაც იგულისხმოს. ან-და, შეიძლება, შენ აპირებ თავი მოარიდო კარგად მოწყობილ სახელმწიფოებს და ღირსეულ ადამიანებს? მაგრამ განა ღირს ასეთი სიცოცხლე? ან-და, პირიქით, შეიძლება, გინდა დაუახლოვდე ასეთებს და არც შეგრცხვება მათთან ლაპარაკი — მაგრამ რაზე უნდა ელაპარაკო, სოკრატ? ნუ თუ იმაზე, რომ ადამიანისათვის ყველაზე მეტად დასაფასებელია სათნოება და სამართლიანობა, კანონიერება და კანონები! მერე სოკრატეს ასეთი საქციელი საზიზღრად არ უნდა მოეჩვენოს ყველას? უნდა ვიფიქროთ, რომ კი. შენ შეგიძლია, აქედან წახვიდე და მიხვიდე თესალიაში კრიტონის მეგობრებთან: იქ, მართალია, ადგილი აქვს დიდს უნესობას და აღვირახსნილობას, და შეიძლება სიამოვნებითაც მოგისმინონ შენ იმის შესახებ, თუ როგორ გაიპარე ციხიდან, გარეგნულად მთლად გამოცვლილი, სასაცილო სამოსში გახვეული — ქურქში ან სხვა რამეში, რასაც იცვამენ ხოლმე, სწორედ, გამოპარულები. ნუ თუ არავინ შეგეკითხება, რომ შენ, ჭალარა მოხუცმა, რომელსაც — უნდა ვიფიქროთ — დიდი ხანი აღარ დაგრჩენია ამ ქვეყნად, გაბედე და ასე ხარბად დაეწაფე კიდე სიცოცხლეს, და ამისათვის გადალახე უზენაესი კანონები? შეიძლება, არავინ შეგეკითხოს, თუ შენ არავის შეურაცხყოფ. თუ არა და, სოკრატ, ბევრს დამცირებას შეამთხვევ შენს თავს. თავმოხრილი ყველას წინაშე, ვითარცა მონა, ისე იცხოვრებ შენ. ან-და სხვა რა საქმე გაქვს შენ თესალიაში, თუ არა ჭამო და სვა, როგორც თესალიაში საქეიფოდ გადასახლებულმა? სადღა იქნება ის სიტყვები სამართლიანობისა და სხვაგვარი სათნოების შესახებ? შეიძლება, ბავშების გულისათვის გინდა კიდე სიცოცხლე, რომ ისინი აღზარდო? როგორ? თესალიაში გინდა წაიყვანო ისინი და იქ აღზარდო, რომ ისინიც უცხოელები გახდენ და შენნაირი ფუფუნება<sup>3</sup> იგემონ? ან შეიძლება ფიქრობ, რომ ისინი უკეთესად აღიზრდებიან, თუ შენ ცოცხალი იქნები, კიდევაც რომ მათთან არ იყო? ალბად, ფიქრობ რომ შენი მეგობრები იზრუნებენ მათზე, თუ შენ თესალიაში გადახვალ; ხოლო მაშინ, თუ შენ ჰადესში გადასახლდები, არ იზრუნებენ? თუ ისინი მართლა შენი მეგობრები არიან, როგორც ისინი ამბობენ, უნდა ვიფიქროთ რომ იზრუნებენ. დაგვიჯერე, სოკრატ, ჩვენ — შენს აღმზრდელებს. ნურაფერს მისცემ უპირატესობას სამართლიანობის წინაშე, ნურც ბავშებს, ნურც სიცოცხლეს და ნურც სხვა რასმე, რომ იქ, ჰადესში,

1. უცხოეთის მნიშვნელობით.

2. ე. ი. კონსტიტუციისა.

3. ნათქვამია ირონიით. უნდა ვიგულისხმოთ „უთვისტომობა“.

ყველა ამით შესძლო თავი იმართლო იქაურ ხელისუფალთა წინაშე. აშკარაა, თუ შენ ჩაიდენ იმას, რაც განზრახული გაქვს, არც სააქაოს იქნება ის შენთვის და შენთანებისათვის უფრო კარგი, უფრო სამართლიანი და არც უფრო სათნოიანი, — და არც საიქაოს იქნება შენთვის უკეთესი. ეხლა კი შენ მიიცვალე — თუ კი მიიცვალე — შეურაცხყოფილი არა კანონის მიერ, არამედ ადამიანის. თუ კი შენ ასე ურცხვად გაიქცევი აქედან და, მაშასადამე, უსამართლობას უსამართლობით და სიბოროტეს სიბოროტით უპასუხებ, ჩვენთან დადებულ ხელშეკრულებასა და შეთანხმებას გადალახავ და ბოროტად მოექცევი იმათ, ვისაც უფრო ნაკლებად ეკადრება ეს, ესე იგი საკუთარ თავს, მეგობრებს, სამშობლოსა და ჩვენ — მაშინ ჩვენ გაგირისხდებით შენ და იქაც ჰადესში, ჩვენი ძმები — კანონები — მეგობრულად ვერ მიგიღებენ, რადგან იმათ ეცოდინებათ, რომ შენ ცდილობდი, რამდენადაც შეგეძლო, მოგვესპე. ამიტომ გირჩევთ, ყურს ნუ უგდებ კრიტონს და ჩვენ გამოგვყევ“.

ასე, ჩემო კრიტონ, ჩემო ძვირფასო მეგობარო: მე მელანდება, თითქოს მესმოდეს ეს სიტყვები. როგორც კორიბანტებს ჰგონიათ, რომ მათ კიდევ ესმისთ ფლეიტის ხმა, ისე მეც: ყურებში მენვეთება კანონთა ეს სიტყვები და სხვა აღარაფერი მესმის. ასე რომ, იცოდე: თუ ამის სანინააღმდეგო რამის თქმა გინდა, მე მგონია, ფუჭი იქნება ლაპარაკი. თუმცა, თუ ჰფიქრობ, რომ რასმე მიაღწევ, თქვი.

**კრიტონ.** არა, სოკრატე, მე არაფერი მაქვს სათქმელი.

**სოკრატე.** მაშ თავი დავანებოთ ამას, ჩემო კრიტონ; გავყვეთ კანონებს: ასეთი არის ღმერთის კარნახი.

*თარგმნა ბერძნულით*

*სიმონ ყაუხჩიშვილმა*

## საკია-მუნი

*ეძია — ჰპოვა მშვიდობა — და შეიყვარა.*

საკია მარტვილი! არყოფნის მოციქული თუ უკვდავების მახარობელი? მითოსი, ისტორია თუ ორივე ერთად? — არა საკია-მუნი ადამიანის შფოთი სულის სიმბოლოა, ტანჯული სიზიფი, მარადისობის დახშულს კარს რომ გახსნის, მის საიდუმლოებას ეზიარება და მშვიდობას დაიმკვიდრებს.

### I

ქრისტეს მოვლენამდე ექვსასი წლის წინედ ნეპალის ტურფა ქალაქს კაპილავასტუსს, — მოგვითხრობს ბუდდას მითოსი, — მეფედ იჯდა მამა-მზის შვილი სუდჰოდანა. მას ცოლად ჰყავდა ოქროსთმიანი მათა. ღმერთებმა დალოცეს მათი კავშირი. ზეციერ ძალთა უხილავი გუნდის ტკბილი გალობა ამკობდა მზის-ძის სუდჰოდანას და მისი რჩეულის სატურფალი მათას ქორწილს. მაგრამ წლები მიჰქროდნენ და მათ კი შვილი არ ეძლეოდათ. ერთს ღამეს მათას ესიზმრა ვარდისფერი მარგალიტისებრ შუქგანფენილი ექვსსხიოსანი, თეთრი ექვსეშვიანი სპილოს დალით აღბეჭდილი ვარსკვლავი. იგი მეტეორის სისწრაფით დედამიწისკენ ძირს დაეშვა და შეიჭრა მათას მარჯვენა გვერდში. გაიღვიძა მეფის თანამოსარეცლემ და იგემა დედობის უცნობი ბედნიერება. ეს იგრძნო ქვესკნელმაც და შეინძრა ხმელეთი, მდინარენი შესდგნენ და ცა შეიმოსა უხილავი ნათელით და ადამიანთ მოესმათ იდუმალი ჩურჩული — ისმინეთ, გიხაროდეთ! მოვიდა ქვეყნად.



მოინია ჟამი და უცხო ხეებით შემკულს სამეფო ბაღში, ნაკადის პირს, მაიამ უმტკივნეულად ჰშვა ვაჟი.

მოგვნი ალუთქვამდნენ მეფისწულს ყოველგვარს ბედნიერებას. მამამ სიდარტა — ბედნიერი უწოდა. მეფე იშოვებდა და იხარებდა. ზეიმის დროს მის წინაშე წარსდგა უცნობი მეუდაბნოე. დედოფალს სურს ახლადდაბადებული მის ფეხთით დასდოს და დაალოცინოს. „არა, დედოფალო, — ჰკადრებს წმინდანი, თვით მუხლს მოიდრეკს ბავშვის წინაშე და მიმართავს მეფეს, — ჰოი, მეფეო, ეს არს ნაყოფი ხისა, რომელიც მირიად წლებში მხოლოდ ერთხელ დაისხავს ყვავილს და აღავსებს ქვეყნიერებას სიბრძნის სუნნელებით და თაფლით სიყვარულისა. შენს სამეფო ფესვზედ აღმოცენდა ღვთაებრივი ლოტოსი“. სთქვა და შეუმჩნევლად დასტოვა დარბაზი.

შვიდი დღის შემდეგ მაია მიიცვალა.

მეფეურად იზრდებოდა სიდარტა. მასწავლებელთ აკვირებდა მისი ჭკუამახვილობა და გონიერება. ტოლი არა ჰყავდა ჯირითობასა და ნადირობაში. მაგრამ ლტოლვილი ნადირის დანახვაზე ხშირად შვილდს უკუ აგდებდა და მწუხარე ფიქრით ელდანაკრავი მიატოვებდა თავის ამხანაგებს. აგერ სიდარტა და მისი ბიძაშვილი დევადეტა სამეფო ბაღში დასეირნობენ. ჰაერში წეროების ქარავანს შეამჩნევენ. დევადეტა ესვრის და ფრთამოტეხილი ფრინველი ძირს დაეცემა. სიდარტა მას თავის მუხლებზე დაისვავს და ეალერსება, თითქოს ჰსურდეს მომაკვდავს თავისი საკუთარი სული ჩაჰბეროს.

„ეს წერო მე მეკუთვნის ნადირობის სამართლით“. — ეტყვის დევადეტა და უჩვენებს მეფის შვილს გასისხლიანებულს ისარს.

„არა, — უპასუხებს სიდარტა, — იგი ჩემია უზენაესი სამართლით. უძღურია შენი ისარი ჩემის სიბრალულის წინაშე. მე ვასწავლი ადამიანთ სიბრალულს და აღვბოცავ მათ გამოუთქმელ ტკივილებს“.

სისხლის პირველი წვეთი... პირველი მწუხარება... მკრთალი ნისლი მონმენდილს ცაში. ჩასწვდება თუ არა სიდარტა მწუხარების სიღრმეს? კვლავ გრძელი გზა გიძევს წინ, ჭაბუკო სიდარტა, ეს მხოლოდ აღმართის დასაწყისია.

სიდარტა თვრამეტი წლის ვაჟკაცია. მეფე სუდჰოდანა სასახლეში მოუწოდებს ულამაზეს ქალწულთ, განუზრახია ნაღვლიანს შვილს გული აუტოკოს და საცოლე აარჩევინოს.

ქალწულთ აფრთხობს სიდარტას სევდით დაჩრდილული შუბლი და გაურბიან. ზოგი გაჰბედავს და დამსწრეთა ყიჟინით ნაქეზებული მონინებით მიუახლოვდება ბრწყინვალე თავადს საჩუქრის მისაღებად, მაგრამ თვალს ვერავინ გაუსწორებს.

გამოსჩნდა მზისდარი იასოდარა. მამაცად მიუახლოვდება ქალწული.

„ჩემი საჩუქარი?“

„აღარ დამრჩა“. — უპასუხებს სიდარტა; მოიხსნის ძვირფასი ლალების საგულეს და იასოდარას ყელზე ჩამოაგდებს. იშვა სიყვარული.

იასოდარას მამას, დიდებულ გოტამიდთა გვარეულობის შთამომავალს, სურს სასიძო ვაჟკაცობაში გამოსცადოს. სიდარტა სძლევს მოცილეთ მშვილდსა, ხმალსა და ჯირითობაში. ბედნიერი ქალწული გამარჯვებულს კმატრიას წინაშე თავს დაჰხრის, ყვავილების გვირგვინით შეამკობს ფართე შუბლს და მანდილით დაჰბურავს.

მეფე და მთელი სამეფო ზეიმობს სიდარტას და იასოდარას ქორწინებას მეფე-დედოფალს ერთს ჯამს რძეს მოუტანენ. შიგ ორი ღერი ბზეა — სიმბოლო მარადი სიყვარულისა; ტანსაცმელს ერთმანეთს გადაუბამენ და თავს გვირგვინებს დაადგემენ — ასეთი იყო საკიათა გვარეულობის ქორწინების ადათი...

ჯადოქარული მშვენიერებით შემკული ნალკოტი და სასახლე, აქ იგემებს სიდარტა სიყვარულის სასმისს.

მაგრამ განვლის მქუხარი მდინარე ყვავილოვან კბოდეთ, განვლის დღე და განვლის ღამე, მლიმარე ცაში შავი ღრუბლები იშრიალებს. მომაკვდავი ვნების ხუნდებს სული თავს დაახვეწს და მარადისობას მიერქმევს...

რას ჰხედავს სიდარტა, უძირო სივრცისთვის რომ თვალი გაუშტერებია? — არსებობის დაუსრულებელს ფერხულში ჩაბმულ მონათა მირიადებს? — რად შფოთავს სიდარტა ნაზი მეუღლის მკერდზე, ვის ესიტყვება, ზარნაცემი რომ წამოვარდება? ვის უპასუხებს? — შორეულს ხმას, მაშვრალთა ძახილს? — სიდარტა აღარ დაიგვიანებს! ყური დაუგდეთ, განა არ გესმით: გავიგონე, ვიცი, მოვდივარ...

ამაოდ სცდილობს სიდარტა სევდა სიმთა ხმებით დაანელოს: „ადამიანთა არსებობა ქარია, ოხვრა, ამონატორი, განა შენს ყურს არ ჰხვდება ვაების ქროლა“. — ასე უპასუხებენ სიმები...

„მიამბეთ რამე ქვეყნიერების“. — სთხოვს სიდარტა სასახლის მხიარულ დიატო. მოჰყვებიან რამას საგმირო ამბავს.

„მუდამ ღმერთები და ბედნიერი ადამიანი! რატომ არ მეტყვით ურიცხვთა ამბავს, უცნობთა სევდას? რატომ არ ვიცნობ უბედური გაღმა მხარისას?!“

მოსწყურდა სიდარტას ხალხის ნახვა. იგი ესტუმრება საზეიმოდ მოწყობილ ქალაქს. ხალხი სიხარულის ყრიამულით შეხვდება ახალს სიძეს, ყველა უღიმის ბედნიერს თავადს: მაგრამ... აგერ საშინელი მოჩვენება.

„ვინ არის ის, ადამიანს რომ ემზგავსება?“ — ჰკითხავს სიდარტა თავის მეეტლეს შანას.

„ტკბილო თავადო, მიუგებს შანა, ის მოხუცი ადამიანია. ერთს დროს ისიც შენებრ მძლავრი და სიცოცხლით სავსე იყო. ჟამმა გამოხრა მისი ცხოვრება. იგი ან მხოლოდ ნაპერწკალია?“

„განა ესეთია ყოველი ადამიანის ბედი, ჩემი და იასოდარასიც?“

„ყოველის, თუ დიდხანს სცხოვრობს“.

„მაშ, სახლისკენ, — ბრძანებს სიდარტა, — კმარა, რაც ვნახე“.

მწუხარე შინ დაბრუნდება. „რას ჰფიქრობ?“ — მიმართავს იასოდარა. სიდარტა სდუმს და შემდეგ ეტყვის: „სუნნელებით სავსეა შენი ბაგე, მაგრამ მალე დაჭკნება; ჰყვავის შენი ხელები, მაგრამ მალე გახმება. რასა ჰფიქრობ? — განა როგორ გაექცევა სიყვარული სულთამხუთავს დროს!?“

ერთს დღეს სიდარტა ინახულებს ქალაქს, როგორც უბრალო მომაკვდავი.

„მიშველეთ!“ — გაისმის ქუჩაში შავი ჭირით შეპყრობილის საზარელი ხმა. სიდარტა მიაშურებს მომაკვდავს და მუხლებზე დაისვენებს.

„ჰოი, რამა, გვისმინე!“ — გლოვით და ზარით მიაცილებენ ჭირისუფალნი ცხედარს. კოცონი აღგზნებულია. მალე ცეცხლის ალი სჩანთქავს სულდაცემულს ყოფილს არსებას. დარჩება ნაცარი და აქა-იქ დამწვარი ძვლები. და შემდეგ... შემდეგ უკუქცევა, კვლავ ყოფნა, კვლავ ტკივილები. უკანასკნელი ოხვრა, კოცონი. ვინ იცის? ასეთია არსებობის განუვალი გრკალი...

„ტანჯულო ქვეყნიერება, — იტყვის სიყვარულით და იმედით აღვსილი სიდარტა, — ვიხილე სოფლის ტკივილების უსაზღვროება და სიტკბოების ამოება. სიამეს მწუხარება სდარაჯობს, სიყმანვილეს — მოხუცებულებს, სიყვარულს — განშორება, ცხოვრებას — სიკვდილი, სიკვდილს — უცნობი არსებობის ბორბალი... ნისლი გაიფანტა... სად არის ბრამა, რად იგვიანებს?... მაშ, მე გავბედავ, ვპოვებ თავშესაფარს, მყუდრო სავანეს. დეე, ყოველი სულადისთვის მე განვიცადო შვიდჯერ შვიდი არსებობა; დეე, მე დამატყდეს ჯოჯოხეთის მრისხანება. დიდია ჩემი სიბრალული, მე ვიხსნი კაცობრიობას“...



არა სძინავს სიდარტას. შესცქერის ცას და თითქოს ვარსკვლავთა ციაგში სურს დასტური ამოიკითხოს.

ღამეა! ირჩიე გზა დიდებისა თუ სიქველის. ან მეფობა და გვირგვინი, ან უსაზღვრო მარტვილის გზა — უპასუხებენ მნათობნი.

არა მსურს გვირგვინი, მარტოდ მარტო გაუდგები ჩემს ბილიკს, მტვერი იყოს ჩემი სარეცელი, უდაბნო — ჩემი სამყოფი, ვკარგავ ერთს სამეფოს, რადგან მრავალნი შევიყვარე. მსხვერპლით მოვინადირებ მრავალთა გულს...

სიდარტა მიუახლოვდება მძინარე მეუღლეს. ცრემლს აფრქევს მის თმებს. გააღვიძოს, უთხრას უკანასკნელი მშვიდობა?

სიდარტა თვალეზე ხელს მიიფარებს და გავა. უხმობს თავის მეჯინიბეს შანას, ცხენებს შეაკაზმინებს და გაიჭრება. მიჰქრის მხედარი უგზო-უკვლოდ. განთიადისას სიდარტა ცხენიდგან ჩამოხტება და მიმართავს მსახურს: „დაბრუნდი. მე ფეხით განვაგრძობ გზას და ამიერიდგან მარტოდ ვიცხოვრებ“. მოიხსნის ძვირფას სამკაულს. „ამას მამაჩემს გადასცემ“ შემდეგ მახვილით მოიჭრის გრძელს თმას — მეომართა კასტის ნიშანს — და იტყვის: „ალარც მეფე ვარ — არც თავადი, არც მეომარი. მე სიდარტას აღარ მიწოდებენ, მე საკია-მუნი ვარ, ვიმეფებ არა მახვილით, არამედ სულით. გასწი, მიეცი მამაჩემს ეს ხმალი და ეს თმები. იგი კვლავ მიხილავს, თუ ვპოვებ ჭეშმარიტებას. მშვიდობით, შანა“...

შესწყდა ცხენის ხმაურობა. უცხო ქვეყანა. მარტოობა. შორი მიზანი.

წინ გასწევს საკია-მარტვილი. შევა ერთს ქალაქში, განიკვართება, გლახაკის ძონძებს ჩაიცვამს და ხელთ მათხოვრის ჭურჭელს აიღებს...

საკია-მუნი უსმენს ბრძენს არატა კალამას. მაგრამ ბრატმანის მოძღვრება მას სულის წყურვილს ვერ მოუკლავს. ბრძენის ღმერთი ხომ გრძნობის ღმერთია, ნუთიერების ქმნილება. საკია მშვიდობას ეძებს, უცვლელიობას. დროისა და სივრცის დათურგნა სწყურია მას.

საკია-განდგომილი პანდავას მწვერვალს მიაშურებს. ლოცულობს და გულსიტყვობს მარტოობაში. ერთს დღეს, ხეტიალის დროს, თავს წააწყდება ფაკირთ, ტანჯვით და წამებით სულის ამაღლებას რომ ლამობენ.

„ძმებო, — მიმართავს საკია, — ვეძებ ჭეშმარიტებას. რად აცხოველებთ არსებობის ტკივილებს?“

„გვსურს, ღმერთები შევიქმნეთ“.

„განა სხეულით თავისუფალნი უკვდავს ბედნიერებას მიაღწევთ?“

„არა, მარადი მხოლოდ ბრამაა. ჩვენ შევიცვლებით, ვიგემებთ სიტკბოებას და შემდეგ კვლავ ვინყებთ უკუქცევას“.

„მაშ, რადა სტანჯავთ სხეულს სიზმარივით წარმავალ ბედნიერებისთვის?“

„გვასწავლე უკეთესი, ან ღმერთმა მშვიდობის გზა მოგცეს.“

საკია-მუნი მოშორდება სხეულის უარმყოფელთ და ჰფიქრობს: ადამიანს არსებობა სწყურია და ცხოვრების სიყვარულს ვერ ჰბედავს. ჰკლავენ სხეულს და სურვილები ვერ დაუწყნარებიათ. ეს არ არის გზა ხსნისა. მე ვპოვებ მას მარტოობით და გულისზრახვით...

კვლავ ხეტიალი, კვლავ ძიება. ურუფილვას დაბურული ტყე. მარტვილი ფიქრის უფსკრულებში შთაექანება, სურს გამოსტყუოს ბედისწერას მისი საიდუმლოება... ყველაფერი სიჩუმით წარმოიშვის, ხოლო მისი საფლავი უკუნი ღამეა. არსებობა ამ ორთა შორის გადებული ხიდია, როგორც ნათელის ცისარტყელა ცას ჰაეროვან კოშკებით, საფირონის და ქრიზოპრასის გუმბათებით რომ შეამკობს. თვალი სტკბება მშვენიერი თაღების სანახაობით, მაგრამ იცვლებიან და მალე ველარავინ იხილავს. ყველაფერი იცვლება და კვდება. სად არის ის, რაც მარადის უცვლელია? რა არის უკვდავება? დიდი მშვიდობა, მსოფ-

ლიოს უმიჯნო ოკეანეში მტკიცე საყუდელი? — ასე ებაასება განდეგილი ნიათ და ცის-კარს, ვარსკვლავთ და ბნელს ღამეს.

სიკვდილი არსებობის პირმშო შვილია, არსებობა — დაბადების, დაბადება — სურვილის. მაშ, მოსპე, საკია-მუნი, სურვილი, დაამსხვრიე ყველა ხუნდები და ამაღლდი სამეფოდ, სადაც არც სიკვდილია და არც ცვალება.

ხილული სინამდვილე ლანდის ქსოვილია, სიზმართა ქსელი, მაშ, მოჰკალ მოჩვენება, იხილე უხილველი, შეიქმენ მიზეზის თავადი და მოიპოვე მშვიდობა.

უკუბრუნვის გზა არ არის გზა ჭეშმარიტებისა, მეცნიერებით აღმართს ვერ ახვალ, მსჯელობით სოფლის მწუხარებას თავს ვერ დააღწევ. სხვა გზა ეძიე, ჰპოვე და ასწავლე ადამიანთ...

ძირს დაემხვენ ბჭენი და განიპო კრეტსამბელი. საკია-მუნიმ ელვის სისწრაფით განსჭვრიტა არსებობის სამივე გრკალი — ნივთიერება — ტანჯვის და ბნელეთის სამეფო, უხილავ არსთა საგანე, სულის სამყოფრო, რომელიც ორს პირველს გარს ერტყმის და აცის-კროვნებს, ყოველის მიზეზი და დასასრული... ნირვანის სანეტარო გაელვარება და... წყვიდადი.

ეს მხოლოდ წამიერი მხილებაა, სულით მძლე მარტვილო. ჭეშმარიტების კოშკს არა ერთი მაცდური სდარაჯობს. მათ შენი შეხვედრა სწყურიათ.

შხედავ ლილისფერი ბინდით შეიმოსა ტყე და შხამიანმა სუნთქვამ გაახმო მწვანე. ხეები ტანჯვით იკლაკნებიან, წალკოტი სიკვდილის ღელედ გარდაიქმნა. უთვალავ აჩრდილთა გუნდნი გარს გერტყმიან და სასონარკვეთით ჰღმუიან და ცეკვავენ ქარიშხლის ტარანტელას. არ გესმის მათი ვაება: „ჩვენც განდეგილთა მოწაფენი ვიყავით და დავიღუპენით. ვერც შენ შესცვლი სოფლის ტრიალს“ ... გამოსჩნდა ეტლი. ზედ საშინელი კერპი. მას მისდევენ ქურუმნი და მწუხარედ აკვნესებენ სალამურს და ჰგალობენ სამგლოვიარო ფსალმუნს. აჩრდილნი მორჩილებით ძირს დაეგებიან და ეტლი ჰსრესს მათ ჩონჩხებს და აქა-იქ შერჩენილს ხორცის ნაფლეთებს. გხედავთ, მწირო საკია, ცივს ოფლს გასხავს და ჰკითხულობ, თუ ვინ უნდა იყოს ამ ტანჯულ სულთა მეუფე; „მე ვარ ეჭვი უშრეტი. ვერავინ მხედავს და ყოველი მარადა მგრძნობს. უხილავად ვენვეთები შენს ტვინს, შენც ჩემი მონა ხარ, მე კი შენი და ყოველთა მეუფე“. — ჩაგჩურჩულებს უცნაური ხმა. და შემდეგ, შემდეგ სატანა გაიცინებს ჯოჯოხეთის სიცილით...

ბნელი ღამე ჩამოწვა. ტყე კვლავ მწვანით შეიმოსა. სანეტარო სუნნელებით დამძიმდა ჰაერი. ფოთლები თითქოს ვნების ცახცახმა აიტანა. გაისმა ახალი სიცილი, მკაფიო, როგორც ვერცხლის ზარის რეკა, უპასუხა მეორემ, მესამემ... მთელი ტყე ასე იცინოდა. არე გაივსო თალხი კვამლით, შიგ ალისფერს ნისლში გახვეული ეთეროვან ნიმფების გუნდნი დანავარდობენ. ფერხულით მიუახლოვდებიან საკიას. ჰგრძნობს მათს ნაზს სუნთქვას და ალერსიან თმებს... ძლიერია საკია-მუნი. კლდეა საკია-მუნი... „შესდექით!“ — წარმოსთქვამს მწირო. შესდგებიან. თვალს გაუყრიან, ორთქლავენ საკიას, თითქოს ჰსურდეთ ჟინის ცეცხლით დასწვან და ათასნი ერთხმად შესძახებენ: „შეიყვარე, შეიყვარე! ჩვენც გვიყვარდა! სილამაზე გვათრობს; ალერსი გვაგიჟებს; გული სცემს, მეორე უპასუხებს და ადამიანი ღმერთად იქმნება“. კლდეა საკია-მუნი. ძლიერია საკია-მუნი... თითქოს სიზმარში უპასუხებს: „მომშორდით, დიაცნო, თქვენ მხოლოდ ლანდები ხართ“. მის გვერდით გაჩნდება წარმტაცი სილამაზის ვაჟკაცი, ოქროს ქორიანი, ვნების მეტყველი თვალებით, ხელში მშვილდი უჭირავს. „მე კამას მიწოდებენ, ანუ სურვილს. ვარ მეფე ცისა და დედა-მინის, შენც მე დამემორჩილები“. „შენ ხარ მეფე სურვილისა და არა სინათლისა“. დემონი უჩვენებს საკიას იასოდარას ასტრალურ სახეს. „განა ის არა ვარ, ვინც შეიყვარე? ვკდები შენის სურვილით“. „მიყვარს იასოდორას სული, შენ მისი მიწიერი ჩრდილი ხარ, წარვედ“...

უფრო დაბნელდა. აზვირთდა ტყე. ასტყდა საშინელი ქარიშხალი, ჭექა და ქუხილი, ელვის ისრებით ცა დედა-მინას თავს დაატყდა. მოისმა საზარელ, გაცოფებულ ცხოველთა გმინვა და ღრიალი; განდევილი მიწად განერთხა; მხეცნი ჰქუსლავენ და ჰსჯგვლემენ, ცეცხლის ურიცხვი მახვილი ჰგმირავს მის სხეულს; ჰყმუის ქვესკნელი, ცა და დედა-მინა ბანს აძლევს და სატანა ზეიმობს. მეუდაბნოე თვალს გაახელს. თავს წაადგება თავადი ბნელეთისა და ეტყვის: „მე ვარ მთავარი ყოველ უფსკრულთა საშინელების. მაქვს ძლიერება და ხელმწიფება და ვმართავ სამყაროს. დამემორჩილე და გყო შენ მეფედ კაცთა“.

„შორს ჩემგან, სულო ამყო, ჩემი სახელი სიბრალულია“. — უპასუხებს საკია-მუნი. და გაჰქრება სატანა და მასთან მხედრობა მისი...

დამარცხდა ცდუნების სიძე. მშვიდობა იგრძნო საკიამ; სულმა დასტოვა სხეული და მოსწყდა სოფელს; იხილა წინანდელი განხორციელების რიგი, სანეტარო სანახაობის ინტერვალებით და სულ ზევით, ზევით მიდიოდა. მიაღწია მწვერვალს, დედამიწის უკანასკნელს საზღვარს. სიჩუმე და მდუმარება, ფირმამენტის ნათლით მოსილი თოვლის რეგიონები, ძირს ნისლი და სხვა არაფერი... მაგრამ შენი სახელი ხომ სიბრალულია?! ტანჯულ ადამიანის ამონაკვნესმა დაარღვია ცივი სიჩუმე... და საკიას სული ამალდა მეორე ზეცად, შორს მიწისა და მზისგან.

ვერცხლის კუნძულები რიტმიულად დაცქერიალობდნენ საფირონის, უნაპირო, უძირო, უჟამო ოკეანეში ნაზად მღელვარე მიმოქცევით. იგრძნო საკიას სულმა, რომ მსხვერპლის, სიყვარულის და ჰარმონიის კანონი მეფობს უსაზღვროებაში და...

თითქოს ძლიერი ტალღით წინტყორცნილი ნავი, საკია შთაეჭანა ნირვანას და შეუერთდა არსთა არსს, სულთა სულს, სიყვარულის სიყვარულს, სამყაროს ქროლას, უბინო ალს, რომელიც სივრცეებში ელვარებს და დროთა გარეშეა...

საკია არ უღალატებს დავრდომილს კაცობრიობას, მისი სიბრალული კვლავ სოფლად დააბრუნებს...

ძირს ცხრა-თვალა მზე მოეფინა ქვეყანას, ყვავილები სწვიმდა მარტვილის სახეზე. შეირხა საკია, როგორც მეხნაკრავი; გაახილა დამძიმებული თვალები და აღსდგა ბუდა გამარჯვებული, მეფე საიდუმლოებისა...

## II

ნულარ დააყოვნებ, ნათელცხებულო მოციქულო. ქვეყნად ცხოვრება კვლავ უცვლელია. იქ მუდამ აურზაურია, ბრძოლა და დაუდგრომლება. ადამიანთ სურთ, იბადებიან, იტანჯებიან, იხოცებიან და უკუმოიქცევიან. გასწი და ამხილე სიმართლე.

ბუდა ბენარესს გაემგზავრება, არავის ჰსურს უსასყიდლოდ განგს გაიყვანოს. ბოლოს მივა გლახაკი და ეტყვის: „არა გცნობ, მაგრამ შენი მადლიანი სახე ბრწყინავს, როგორც ბრამა და ვიშნუ. შენთან წყალში არ შემემინდება. მე გაგიყვან გაღმა“. „მათხოვარი ვარ, — მიუგებს ბუდა, — ვერაფრით დაგასაჩუქრებ“. „შენი სიტყვაა ჩემი გასამრჯელო, ჩაჯექი ნავში. „სიყვარულით აღვსილა შენი სული და განვლი ცხოვრებას ადვილად, როგორც ჩვენ განვლით განგს“. და ნავი შეცურდა წყალში.

მოვიდა რა ბენარესს, ბუდამ მოისურვა ხეტილის დროს ნაშოვნ მოწაფეთა ნახვა. მის დანახვაზე მოწაფეთ გადასწყვიტეს, მისთვის არავითარი პატივი ეცათ და არ გამოლაპარაკებოდნენ. ბუდა დინჯად მიუახლოვდება. ყველანი ფეხზე წამოხტებიან, სალამს უძღვნიან და ჰსურთ მოძღვარი ასიამოვნონ. „ნუ მიწოდებთ მოძღვარს. დიდს ხანს უსარგებლო ვიყავი თქვენთვის, ეხლა ვპოვე უკვდავების გზა. მე ვარ ბუდა, ჩემთვის ყველაფერი ცნაურია, აღვზოცე ცოდვა და ვარ მეუფე ყოველ კანონთა. მოდით, გასწავლით კანონს და თქვენ სხვებს ასწავლით“.

და ასწავლიდა ხალხს მორჩილების, ცოდვისგან განწმენდის, ბოროტების დათურგნის, სიქველის, არსებობის ტანჯვათა უარყოფის გზას. ერთს დღეს ერთმა მწუხარე დედაკაცმა მიმართა ბუდას: „ჩემი პირმშო გველმა დაჰკბინა, დაეძინა და ველარ გავაღვიძე. მიშველე, მომეცი წამალი, რომ გამოვავსიზლო“.

„იმოვე მდოგვის მარცვალი, მაგრამ ისეთს ოჯახში, სადაც არც მამა, არც დედა, არც ბავშვი და არც მსახური მომკვდარიყოს!“ ვერ ჰპოვა საბრალო დედამ და დაბრუნდა მოციქულთან. „ტანჯვა და მწუხარება ყველას კარს არის. ჰხედავ, ყველას თავისი სატირელი ჰყავს. წადი მშვიდობით და დაუბრუნე მინას, რაც მინისაა“.

ბუდას გარშემო ხალხი ათასობით თავს იყრიდა და უსმენდა მის მოძღვრებას და ხალხმა შეიყვარა ტკბილი მოძღვარი. მისთვის ყველა საყვარელი იყო, მეფე და პარია, მხედარი და მათხოვარი. ერთხელ მოსწყურდა ბუდას და წყალი მოსთხოვა ერთს დაძონდილს დედაკაცს. „მე ჩანდალა ვარ“. „არა ვკითხულობ შენის წოდების ვინაობას, გთხოვ, წყალი დამალევიწო“. წყალს შესვამს და დალოცავს: „მომიკალი სხეულის წყურვილი, მე შენს სულს ვასმევ წყაროს“. ნაიყვანს მოწაფეებთან, ახალს სამოსელს ჩააცმევს და სწრთვნის მას. ბრბო ღელავს და ბობოქრობს. არ მოსწონთ მოძღვრის საქციელი. მას ფარისეველს, ჯადოქარს, მატყუარას უწოდებენ. ჰსურთ მოჰკლან, მაგრამ ვერ ჰბედავენ: ინდოეთში მათხოვარის მოკვლა შეუწოდებელი ცოდვაა. ბუდას მნიგნობარნი საპაექროდ გამოიწვევენ. ბუდა სძლევს და შერცხვენილნი თავს მოიხრიან.

მოციქულის მოღვაწეობის ამბავმა გადალახა სამეფონი და მიაღწია ქალაქს კაპილავასტუსს, სადაც მას უცდიდა მწუხარე, იმედაკარგული მამა, დაობლებული მეუღლე და ვაჟიშვილი. მეფე კაცებს უგზავნიდა და სთხოვდა თავადი სიდარტა მის საბძანებელში მოსულიყო და მოხუცი მშობლის დღენი დაეტკობო. ბუდა დაჰპირდა... მთელი ქალაქი გარედ გასულა; ბუდას მოელის ხალხი და ვარდებით მოჰფენს ქუჩებს, იასოდარაც უცდის მეუღლეს ქალაქის კართან.

გამოსჩნდა მათხოვარის ყვითელს ძონძებში გახვეული, თავგაპარსული ბუდა, ხალხს მოწყალებას სთხოვს და ერთნაირად გაუღიმებს მოწყალებთ და ურგებთ. შესდგა იასოდარას ჩარდახის წინ. „სიდარტა, ჩემო ბატონო“. — შეჰყვირა თვალცრემლიანმა, და მეუღლის ფეხით დაემხო.

მოახსენეს მეფეს; განრისხდა ამაყი სუდჰოდანა და გაექანა ცხენით ქალაქის კართან. ბუდა წყნარად ელაპარაკებოდა ხალხს. შეამჩნია რა მამა, გაექანა, მუხლი მოუყარა და პატივისცემით მიესალმა. მეფემ საყვედურით მიმართა: „განა ამდენს ხანს იმიტომ ვიცოცხლე, რომ სიდარტა გლახის სახით მენახა?“ „მამა-ჩემო, ასეთია ჩვენი გვარის ჩვეულება“. „მაჰა-სამაგით მოყოლებული შენი გვარეულობა ასჯერ ასულა ტახტზე, მაგრამ ასეთი საქციელი არ ჩაუდენია“. „არ ვლაპარაკობ მომაკვდავ შტოზე, არამედ უხილავ ნათესაობაზე. იყვნენ და კვლავ იქმნება ბუდა. მეც ერთი მათგანი ვარ და მომაქვს შენთან პირველი ხილი ჩემის საუნჯისა“. „რომელი საუნჯისა?“ — ჰკითხა განცვიფრებულმა მეფემ და ცხენიდან ჩამოხდა. შვილმა ხელში მამის ხელი აიღო, მეორე გვერდში იასოდარა ამოუდგა, სამივე ქალაქისკენ გაემართნენ. გზაში ბუდა განუმარტავდა მათ ოთხს სიბძნეს, რომელიც ჰზღუდვენ ჭეშმარიტებას, როგორც კიდენი ზღვათ. იასოდარამ ჩამოართვა მეუღლეს მათხოვარის ჭურჭელი, გულმოდგინეთ ისმენდა მის სიტყვებს და თვალები მზისებრ გაუბრწყინდა...

ურიცხვთა გული დაიპყრო თავისი მოძღვრებით კეთილმა ბუდამ და მრავალთ შეიყვარეს. ბუდა ასწავლიდა:

უსაზღვროება სიტყვით არ გაიზომება და აზროვნების ძაფი უძირო უფსკრულში იკარგება. სცდება, ვინც ჰკითხულობს. სცდება ვინც უპასუხებს! არა სთქვა რა.



წერილ არს, ბრამა ღამით გულსიტყობდა, მაგრამ არა მომაკვდავს მოუკრავს მისთვის თვალი. ჩადრი აიხსნება, იმატებს სინათლე, მაგრამ ჩადრთა რიცხვი უთვალავია.

ყოველი შედეგი მიზეზისგან წარმოიშვის. დედა-მინა, ცა და ვარსკვლავები ბორძალზე არიან მიჯაჭული და არვის ძალუძს მისი შეჩერება. ილოცეთ და სიბნელე ნათელით შეიცვლება. ნუ ეძიებთ უძლურ ღმერთთა წყალობას მსხვერპლით და ამოო ძღვნით.

თქვენ თავს შორის ეძიეთ ხსნა: ადამიანი თვით არის თავისი საპყრობილეს კალატოზი. სანეტარო ზეცას ანგელოზნი იგემებენ წარსულის ნაყოფს, ქვესკნელში დემონები გამოისყიდიან ჩადენილს ბოროტებას. ბორბალი მარად ტრიალებს: ვინც მალლა ადის, ძირს ჩამოვა, ვინც ძირს დაეცემა, ადგება.

მაგრამ ნუ დაემორჩილებით ბორბლის ტრიალს, დასწყვიტეთ ჯაჭვები, იგემეთ სულის სიტკბოება და არსის გულში ჰპოვეთ მშვიდობა.

მეც ვსტიროდი ტანჯულთა ცრემლით, მაგრამ ვიღიმები და ბედნიერი ვარ: ვიცი, არსებობს თავისუფლება, ნებისყოფა ტკივილებზე ძლიერია.

ჰოი, დამწუხრებულნო, იტანჯებით საკუთარს შეცდომით. მართალს იტყვის წერილი. ადამიანის ცხოვრება მის წარსულ ყოფათა ანამკია; შეცდომას თან სდევს მწუხარება, სიქველეს — ბედნიერება.

რომელი შეიმეცნებს წყაროს მწუხარებისას და მოთმინებით გადაიტანს; რომელი სიყვარულით და ქეშმარიტებით ისწრაფის წარსულის ვალი მოიხადოს; რომელი დასდგება შემბრალებთა და მართალთა გზას; რომელი ამოჰგლეჯს გულს სურვილის სისხლიან ფესვთ და უარყოფს ცხოვრების სიყვარულს; მიცვალების შემდეგ აღარ იარსებებს არსებობით, რომელსაც თქვენ ცხოვრებას უწოდებთ. ქვეყნიერების მხიარულება და მწუხარება ველარ დაარღვევს მის მშვიდობას. იგი დაიმკვიდრებს ნირვანს, ჩვენებრ აღარ იარსებებს და არსთან ერთი იქმნება.

ასეთია კარმას მოძღვრება. ოდეს განიწმიდებით ცოდვის ჟანგისგან, ოდეს გაჰქრება ცხოვრება, როგორც დამწვარი სანთელი, სიკვდილი მხოლოდ მაშინ მოკვდება. ისმინეთ ოთხი ქეშმარიტება: სცანით მწუხარება; სცანით მიზეზი: სცანით სურვილის უარყოფა; სცანით გზა თავშესაფარისა. მხნე სული იჩქარის; სუსტი აგვიანებს, მაგრამ ყოველი მიალწვეს თეთრს გასხვიოსნებულს მწვერვალს.

რომელმან იმოძღვროს, ნირვანა არსებობაა, უთხარით: შემცდარი ხარ. რომელმან იმოძღვროს, ნირვანა არყოფნაა, უთხარით: სცდები. რადგან არ უწყის სინათლე, რომელიც ბრწყინავს ჩამქრალი ნათელის გადაღმა; არ უწყის არსებობა დაუსრულებელი, შვება, რომელიც დროით არ განიზომება.

დასდეგით გზად! იგი მიგიყვანთ წყაროს, იგი ყოველს წყურვილს დააწყნარებს, მისი ნაპირი უკვდავ ყვავილთ შეუმკიათ.

ასე იტყოდა ბუდა-ნათელცხებული და ხალხი უსმენდა და ხალხმა ინამა და უთვალავი იყო სამწყსო მისი. მიაღწია ბუდამ მიზანს, უჩვენა ადამიანთ გზა ხსნისა და თავისუფალ ჰყო ტანჯვისა და დაუსრულებელ უკუბრუნვისგან. ველარაფერი გადაელობება ამ გზას, თვითონ, კი დროა, გზას დაადგეს და ვლიდეს ნირვანად.

კუსინარას ქალაქში საყვარელი მოწაფე ანანდა ძვირფას მოძღვარს ტყუპ ხეთა შორის საწოლს გაუმართავს. დაწვება ბუდა, ხეები უდროულად ყვავილს დაისხავენ, ზეცით წამოვა უცხო ყვავილთა წვიმა და ცაში მხიარული ჟრიაამულია.

ბუდა მიმართავს მოწაფეს: „იტყვიან, ანანდა, სიტყვამ დაჰკარგა მოძღვარი, არა გვყავს მოძღვარი. ნუ შესწუხდებით, ანანდა. მცნება და წესი, რომელიც მოგეცით, თქვენი მოძღვარი იქნება, ოდეს მე აღარ გეყოლებით“. და ახალგაზრდა ძმათ: „მშვიდობით, ჭაბუკნო, გეტყვით თქვენ: ცხოვრება ამაოებაა, აღიმართენით მარად“. და განვიდა სული სხეულით, განვლო ნეტარების ყველა საფეხურნი და დამკვიდრდა ნირვანად.

\* \*

უპანიშადების დოქტრინასა, ბრაჰმანთა სპეკულიატიურ აზროვნებასა და ვედანტას იდეალისტურ პანტიეზმშია საკია-მუნის ტრანსცენდენტალი სპირიტუალიზმის ფუძე. სამყარო მისთვის ზღვარდაუდველი ევოლიუციაა. ვხედავთ მხოლოდ პირველს საფეხურებს და მის გაღმა ბუდა შეამჩნევს სულის სამეფოს — მიზანს. როგორც მატლისგან შობილი კაცობრიობა ისწრაფის ღმერთად იქმნეს, აგრეთვე მონადა განიცდის ყოველგვარს არსებობას და სულყოფას მიგრაციის გზით მიაღწევს. განა უცხოა ჩვენთვის ეს მოძღვრება? — პითაგორას, ემპედოკლეს, პლატო, ნეო-პლატონიზმი, გნოსტიკები — განმეორება სხვა სიტყვით, სხვა სახით.

ნირვანა — არყოფნა?! „რომელმან იმოძღვროს, ნირვანა არყოფაა, უთხარით: სცდები. ნირვანა სრულყოფაა. წარმავალი მეობის, უნივერსალი მეობის ატმაბოდის წიაღში შთანთქმა. მიღწევა — ინდივიდუაციის გზით“.

*ირაკლი ტატიშვილი*

## ალკეო და საპფო<sup>1</sup>

ალკეო და საპფო — ეს ორი სხივოსანი ვარსკვლავია, ჩაუქრობელი შუქით ანთებული საბერძნეთის ლირიკის ცაზე; თითქმის ოცდაათმა საუკუნემ განვლო ორივე პოეტის სიკვდილის შემდეგ: საბერძნეთის კულტურა, რომელმაც ისინი წარმოშვა, დიდხანია ჩაქრა; მთელმა ქვეყანამ შეიცვალა სახე, მაგრამ ალკეოს და საპფოს სიმღერებს ჯერაც არ დაუკარგავთ თავიანთი სიახლე. მათ გახრწნა არ მიჰკარებია — ისინი უკვდავნი არიან.

მართალია, ალკეოს და საპფოს შემოქმედებიდან ჩვენამდე მხოლოდ ნატეხებმა მოაღწიეს, მაგრამ ხანდახან ნატეხებიც ისევე ცხადად მოუთხრობენ სულს მაღალ ამბავს, როგორც ცოცხალი საუბარი.

სასტიკმა ჟამმა, ადამიანის უმეცრებასთან და უმოძრაობასთან დაკავშირებულმა, ხელი შეახო ამ ორი გენიოსის ქმნილებებს და გასტეხა ისინი. მაგრამ როგორც პართენონის ნანგრევები აჯადოებენ მნახველს თავის მოხაზულობათა ნათელი სიცხადით, აგრეთვე ლესბოსის ორივე ლირიკოსის ლექსები, დღემდე რომ თავისი მხიბლავი ძალა შეუნახავთ, იზიდავენ ყველას, ვისაც კი ოდნავ მაინც მოეძებნება ესთეტიური ალლო და სილამაზის გაგების უნარი.

ოცდაათი საუკუნე გვაშორებს ჩვენ ალკეოს და საპფოს. ბევრი, მეტისმეტად ბევრი რამ მათი ცხოვრებიდან და მოღვაწეობიდან დაფარულია ჩვენგან ჟამთა ვითარების განუჭვრეტელი საბურველით.

ბევრი რამ ვერ მიიღებს ჩვენგან გადაჭრილ პასუხს, ბევრგან მოგვიხდება ჩვენ თუობით ლაპარაკი. მაგრამ... დაე, ფანტაზიის ცხოველმა ტალღამ ბორკილები დაუმსხვრიოს მთვლემარე აზრს, რომ ჩვენს წინაშე აღსდგეს ძველი დაკარგული ყვავილი.

ვსცადოთ ამ კვალის მონახვა, ვსცადოთ საუკუნეების სიბნელეში ჩაძირვა, მის გარღვევასაც ხომ შესძლებს სინათლის შუქი!

1. ყველა აქ მოყვანილი ლექსების თარგმანი შესრულებულია კონსტანტინე ჭიჭინაძის მიერ.



## 1

დასაწყისი მეექვსე საუკუნისა ქრ. წ. ეოლიის პატარა კუნძული ლესბოსი და მისი მთავარი ცენტრი ქალაქი მიტილენე. დიდად განვითარებული კულტურული ცხოვრება. არ არის მხოლოდ ერთი: პოლიტიკური სინყნარე.

ჩვენ ვდგევართ ეროვნული მოძრაობის დაწყების წინაშე. ორი უძველესი მტერი, — მაღალი ნოდება და ხალხი ამხედრებულან ერთი მეორეზე, ბრძოლით ძალა-უფლების მოპოებისათვის. ეოლიის არისტოკრატიას, ამაყს თავისი დამსახურებით და ტრადიციებით, არა სურს დასთმოს წინაპართაგან მემკვიდრეობით მიღებული პრეროგატივები. მეორეს მხრივ, ხალხს, რომელმაც მიიღო საკმაოდ ინდივიდუალური სახე, შეიცნო საკუთარი „მე“ და იგრძნო თავისი ძალა, აღარ უნდა დარჩეს დამონებული: იმას ჰგონია, რომ ის უკვე მომნიჭდა ძალა-უფლებისათვის: ძალა-უფლება აღარ უნდა შეადგენდეს ამაყი და გულზვიადი ნოდების განსაკუთრებულ კუთვნილებას. ამ ნიადაგზე ლესბოსზე იმართება დაუსრულებელი შეხლა-შემოხლა: კუნძულზე მყარდება ნამდვილი ჟამთა სიავე. ხალხი ცდილობს, მონახოს შესაფერი ხელმძღვანელი, რათა დასძლიოს კარგად დარაზმული და მტკიცედ შეკავშირებული ბრწყინვალე ნოდება. მაგრამ, როგორც ეს ხშირად ხდება ხოლმე, ამგვარი ხელმძღვანელები, მოპირდაპირეთა დამარცხების შემდეგ, ძალაუფლებას ხელში ჩაიგდებენ და თვითონ გადაიქცევიან ტირანებად, რომელთაგანაც ისჯება უკვე არისტოკრატია, რის გამოც ეს უკანასკნელი ცდილობს დაამხოს სახალხო მოძრაობის სარდლების ბატონობა. და ასე, ტირანები სცვლიან ერთი მეორეს ათარეშებულ პოლიტიკურ ვნებათა ჭრელ კალეიდოსკოპში. სურათი მოგვაგონებს ალექსანდრე ზღვას, რომლის ტალღები ხან ზე ავარდებიან, ხან შხეფებად დამსხვრეული ეცემიან ძირს, რომ ხელმეორედ აჰყარონ მაღლა თავისი ქალარა ქედები.

ასეთ გარემოებაში ცხოვრობდა ალკეო, რომელიც ნამდვილი გამომხატველი იყო ზემოსხენებული პოლიტიკური განწყობილების და უნესრიგობის. ის, როგორც შეურიგებელი არისტოკრატი, მთელი თავისი არსებით მაღალ ნოდებას უჭერდა მხარს. როგორც ვინრო-პარტიულ მებრძოლს, მას არაფერი სწამდა გარეშე თავისი პარტიის ინტერესებისა. მათ განხორციელებას ესწრაფოდა იგი. მის მიზანს შეადგენდა ოლიგარხია, და ამ მიზანს მხოლოდ მაშინ გაანება მან თავი, როდესაც მისი ძალა და ძალა მისი ძვირფასი ნოდების გატეხილი აღმოჩნდა. ჯერ ბრძოლა მელანქრო ტირანის წინააღმდეგ და მისი დამარცხება. შემდეგ ხანგრძლივი და გააფთრებული ჭიდილი მეორე ტირანთან, მირსილოსთან, რომელთან შედარებით მელანქრო ალკეოს შემდეგში „პატივისცემის ღირსად“ ეჩვენა. ამ ბრძოლამ ალკეო არა ერთხელ ჩააყენა საშიშ მდგომარეობაში. ერთ ხანს მას და მის თანარაზმელებს გაქცევით დასჭირდათ თავის შველა.

მაგრამ ბოლოს მირსილო მაინც დაამარცხეს: არისტოკრატია გაიმარჯვა. ეს დროებითი წარმატება გამოუთქმელი სიხარულით ავსებს ალკეოს გულს. საშინელი მტერი მოშორებულია თავიდან, გზა ძალა-უფლებისაკენ გახსნილია.

„მაშ, უნდა დავლიოთ, თუნდაც არ გვინდოდეს;  
დროა, რომ დავითვრეთ: ჩაძალდა მირსილი!“

ამგვარად იწყება ალკეო თავის „გამარჯვებული სიძულვილის სიმღერას“, სიმღერას, რომლითაც იგი მიმართავდა თავის პოლიტიკურ ამხანაგებს. მაგრამ არა კმარა ძალა-უფლების ხელში ჩაგდება, საჭიროა, იცოდეს მისი გამოყენებაც. სწორედ ეს ცოდნა არ აღმოაჩნდა არისტოკრატიათ. სახელმწიფოს შინაური მდგომარეობა არ გაუმჯობესდა. რაც შეეხება გარეშე პოლიტიკას, ის გამოიხატა ათინელებთან სიგეის გამო ატეხილი ომის

ნაგებაში. კიდევ მეტი — ერთ-ერთ ბრძოლაში ალკეომ ფარი დააგდო და გაიქცა, რაიც, რა თქმა უნდა, მისი პრესტიჟის ანევას ხელს არ შეუწყობდა. სამაგიეროდ, იმავე ომში თავი იჩინა მეორე პირმა, სახელდობრ, პიტტაკმა, რომელმაც შესძლო საომარი მოქმედების დაბოლოება და რამდენიმე საგმირო საქმის შესრულება. აი, სწორედ ამ პირზე შეჩერდა ხალხის ყურადღება, მით უმეტეს, რომ ის არისტოკრატიულ წრეს არ ეკუთვნოდა. ტყუილად კი არ უწოდებს იმას ალკეო „ნაძირალს“. ხალხმა პიტტაკი აღჭურვა თავისი ნდობით. მას ხალხმა შეხედა, როგორც ხანგრძლივი ლოდინის შემდეგ მოვლინებულ მფარველს. ამიტომ, როდესაც ალკეომ და არისტოკრაციამ სცადეს დაეწყოთ პიტტაკის წინააღმდეგ აგრესიული მოქმედება, უკანასკნელმა ხალხის დახმარებით სათავეშივე ჩააქრო არისტოკრაციის მოძრაობა და ალკეო თავის ძმა ანტიმენიდესთან და შეთქმულების სხვა წევრებთან ერთად იძულებული შეიქნა, სამშობლოდან გასულიყო. სამხედრო ავდრიანობის ქარიშხალი საბოლოოდ დაატყდა მაღალ წოდებას თავზე. ვერც ვაჟკაცობამ, ვერც გაჯიუტებულმა თავგამოდებამ ვერ იხსნა იგი: მისი სიმღერა დასრულებული იყო, როლი გათავებულ.

და აი, ალკეო ვარდება უბინადრო მოხეტიალეს მდგომარეობაში. სიმდიდრე, გავლენა, — ყოველივე ეს წარსულში. ანმყოში კი სილატაკე და სამარცხვინო ხეტიალი უცხოეთში. ტყუილად კი არ აღმობხდებიან ალკეოს შემდეგი სიტყვები, გამსჭვალული მწარე უიმედობით:

„მძიმე სილატაკევე, შავო ბოროტება, შენ და უძლურება,  
ერთი სისხლისანო! ო, რა საზარალო ხართ თქვენ ხალხისათვის!“

მაგრამ ძალა, რომელიც ფარულად ინახება განდევნილებში, ეძებს გამოსავალს. რა გააკეთონ? სამშობლოში დაბრუნება შეუძლებელია: იქ ბატონობს „მდაბალ-გვარიანი“ პიტტაკი. დარჩა ერთი: სხვისი სამსახური. მადლობა ღმერთს, ხელი არ გადასჩვევია შუბის და ხმალის მოხმარას. საჭიროა წასვლა ქირაში. ასეც იქცევა პოეტის ძმა ანტიმენიდე: ის შედის სამსახურში ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორთან და ერთ ბრძოლაში მოიპოვებს დიდ სახელს. აი, რაში იხარჯებოდა ლესბოსის არისტოკრაციის ვაჟკაცობა! და ამას სიამაყით აღნიშნავს ალკეო, როდესაც ის მიესალმება ბაბილონიდან დაბრუნებულ ძმას:

„შორეული ქვეყნებიდან ჩვენ  
ხმალი მოგვიტანე შენი.  
ოქროთია ნაჭედი ის  
და ტარი იმისი მთლად  
ძვალა სპილოსი.  
ჰო, ბაბილონელებს შენ  
სახელოვნად ემსახურე, —  
უბედურება ააშორე მათ!  
თვით ფალავანი მეფის  
მკლავმა შემუსრა შენმა,  
თუმც ერთი მტკავლის გარდა  
ხუთი წყრთა იყო ტანად“.

არც ალკეოს მოუწყვია თავისი ცხოვრება სხვანაირად: ის გადადიოდა ერთი ადგილიდან მეორეზე. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ვიცით, რომ ის იყო ეგვიპტეში და თრაკიაშიც, ალბად, როგორც დაქირავებული მეომარი. ნლები კი მისდევდნენ ნლებს. პიტტაკის გონიერი ზომების წყალობით ლესბოსზე დამყარდა სრული მშვიდობიანობა. არისტოკრატები უკვე აღარ იყვნენ საშიში: ისინი ველარ მოიპოვებდნენ ნიადაგს ხალხში. არაფერი არ უშლი-

და, რომ რისხვა მათ მიმართ მოწყალებად გადაქცეულიყო. და პიტტაკი სწორედ ასეც მოიქცა: მან მისცა გაძევებულთ სამშობლოში დაბრუნების ნება და მიანიჭა მათ სრული ამნისტია; მაშინ წარმოსთქვა მან თავისი დიდებული სიტყვები: „პატიება შურის ძიებაზე ძლიერია“. და აი, ალკეო დაბრუნდა ლესბოსზე, მაგრამ არა როგორც წინანდელი დაუდგრომელი ალკეო. სილარიბემ და წლებმა გასტყვეს მისი მოუსვენარი ხასიათი. ალკეოს უნდა ეცნო თავი დამარცხებულად. მას დარჩენოდა ერთი: წყნარად გაჰყოლოდა დასრულებისაკენ მიქცეულ თავის ცხოვრების გზას; და ერთგვარი შერიგება მოისმის ყოფილი იმედების დამსხვრევასთან ერთად მის შემდეგს, ჩუმი სევდით ალვისილ სიტყვებში:

„ნელსაცხებელით შეანელით  
მკერდი მოხუცი,  
და თავი ესე, —  
მას მრავალი გადახდა ტანჯვა!“

ალკეოს მრავალსახიანსა და ფერადოვან ცხოვრებას უნდა ენახა გამოხატულება მის პოეზიაში და ამ უკანასკნელმა, როგორც მგრძნობიარე ფირფიტმა, მართლაც ასახა იგი. თავის ლექსებს ალკეო ანდობდა ყველაფერს, რაც კი მას შეეხებოდა. ისე, როგორც ჰესიოდმა და არხილოხმმა, მან თავისი სიმღერების საგნად აქცია თვისი პირადი ცხოვრება მთელი მისი განცდით და თავგადასავალით. მაგრამ ჰესიოდსა და არხილოხთან განსხვავებით მან შესძლო შემოეტანა აქ ისტორია კლასთა ბრძოლის, რომელსაც ადგილი ჰქონდა იმ დროს ლესბოსზე, და აგრეთვე ნათლად გამოეაშკარავეთა არისტოკრატის შეხედულებანი, რომელნიც იმავე დროს მისივენიც იყვნენ. ამიტომ ალკეოს პოეზია ძლიერ გამსჭვალულია პოლიტიკური ტენდენციით და, როგორც ასეთი, შორს სცილდება პოეტის ცხოვრების უბრალო ასახვის საზღვრებს. მწერლები არა ერთხელ აღნიშნავენ ალკეოს შემოქმედების ამ განსაკუთრებულ მხარეს. ასე, მაგალითად, ჰოროაცი ერთ თავის ოდაში (II. 13) ამბობს, რომ ალკეო უმღეროდა ომის სიმძიმეს, უბედურებას ზღვაზე და სილატაკეს გაძევებაში. შემდეგ, როცა ის აგვიწერს, თუ ქვესკნელში მკვდართა აჩრდილები როგორი სიხარბით უსმენენ საპფოს და ალკეოს, უმატებს:

„მომღერალს ორივეს ღირსეულ დუმილით.  
ჰკვირობენ აჩრდილნი და ხარბად უსმენენ.  
მხარზე მხარ მიყრდნობით, სიმღერას ღონიერს  
ლანძღვის და მეფეთა დაცემის შესახებ“.

აქედან ცხადია, რომ ალკეოს შემოქმედება წარმოუდგენელია პოლიტიკური ფონის გარეშე. ტყუილად კი არ სარგებლობდა არისტოტელი ალკეოთი, როგორც ისტორიული მასალით, როდესაც ის აღწერდა ლესბოსის არეულობას.

მეორე მხრივ, ალკეო წარმოუდგენელია თავის პარტიულ თანარაზმელებთან კავშირის გარეშე. ის მღერის უმთავრესად მათთვის; მათ უამბობს ყველაფერს, რაც კი ხვდება მას წილად; იმათ ეპატიჟება ის საზეიმოდ, როდესაც დაემხოებიან მათი პოლიტიკური მტრები; მათ მიმართავს ის თავისი ინვექტივებით პიტტაკის წინააღმდეგ; მათ უგზავნის სალამს ან და ინვესს ლხინზე, მათ ესაუბრება ის ცხოვრების სხვადასხვა საკითხებზე, აჯანყების მოწყობა იქნება ეს თუ მსჯელობა სიკვდილის აუცილებლობაზე, ან მზის სინათლეზე ხელახლა გამოსვლის შეუძლებლობის შესახებ მისთვის, ვინც ერთხელ აიღმა ჩასულა.

„დასთმე იმედები! ატორტმანებული დენა ახერონტის  
რა კი ერთხელ განვლე, ჩემო მელანიჰ, ან შენ მზის ბრწყინვალეებას  
ველარ დაინახავ. ძმაო, ნუ ოცნებობ შეუსრულებელზე!  
მეფე ეოლიდი, ვინაც აღემატა ყველას თავის ჭკუით,

სიკვდილს გაეპარა, მაგრამ, რომ ითარსა, არა დაუსჯელად  
 განვლო მან მეორედ ატორტმანებული დენა ახერონტის:  
 მაშინ შავი მიწის ქვევით დაუნერა ტანჯვა საშინელი  
 ზევსმა კრონიდმა მას... ძმაო, ნუ ოცნებობ შეუსრულებელზე!  
 თუ ეხლავე არა, სულ ამ მოკლე ხანში ჩავალთ ჩვენ მიწაში, —  
 უნდა ვიგემოთ ჩვენ ყველამ სვედრი ესე აუცილებელი,  
 როგორც კი დაჰბერავს ჩვენსკენ ბედისწერით სუნთქვა სიკვდილისა“.

ეს „სიკვდილის სუნთქვა“ არა ერთხელ მიახლოვებია ალკეოსს, მაგრამ გვერდით ჩა-  
 უვლია და არ მიჰკარებია მას. ის კი, ვით ჭრიჭინა, რომელიც მღერის მაშინაც კი, როდეს-  
 საც ის უჭირავთ ფრთებით, სარგებლობს ყოველი წუთით, რომ აანყოს თავისი სიმღერე-  
 ბი, რომლებიც სავსებით გამოსატყვევებ ყოველ მომენტს მის მიერ განცდილს.

ტყუილად კი არ ამბობს ჰორაცი, რომ ალკეოსს, ამ „ლესბოსელ მოქალაქეს და მეზრ-  
 ძოლს“, შეეძლო მისცემოდა შთაგონებას „ომის დროსაც და მაშინაც, როს იმისი ნავი ნა-  
 პირზე იდგა“. ალკეო თითქოს შიშობდა, რომ სხვაფრივ იმ პოლიტიკური ორომ-ტრიალის  
 დროს, რომელმაც ის შეიპყრო, ვერ მოასწრებდა გამოეთქვა თავისი ფარული ზრახვები,  
 გრძნობანი და განცდანი. მას სურდა, მალე, თუნდა ნაჩქარევადაც, აღენიშნა ყველაფერი  
 ეს სიტყვით და ლექსით, საჩქაროდ მოეხაზა სურათი, არ გაეშვა წუთი, რომელიც აინტე-  
 რესებდა მას ამა თუ იმ მიზეზით. ამნაირად, ალკეოს მთელი პოეზია არის პოეზია „მომენ-  
 ტის“; ის ზედმიწევნით ასახავს ყველაფერს პოეტის მიერ ნახულს და განცდილს. მაგრამ  
 სამაგიეროდ ალკეო ვერ ახერხებს საგანში ღრმად ჩახედვას და ჩაფიქრებას. მას არ ესმის  
 ხანგრძლივი ანალიზი; უმეტეს შემთხვევაში ის იღებს მომენტალურ ფოტოგრაფიებს, მაგ-  
 რამ ისინი აკვირვებენ კაცს ექსპრესიის სიძლიერით და გამოკვეთის სისრულით.

მრავალფერი იყო ალკეოს ცხოვრება და მრავალფერია მისი შემოქმედება. სარწმუ-  
 ნოება და ომი, სიყვარული და ღვინო, მტრობა და მეგობრობა, — ყოველივე ეს საგანი იყო  
 მისი სიმღერების და იმისდა მიხედვით, თუ რაზე მღეროდა ის, ქარიშხალით ან სათნოე-  
 ბით სუნთქავდენ ისინი. მაგრამ არაფერი ისე არ უყვარდა ძველ ქვეყანას, როგორც ალ-  
 კეოს „საბრძოლველი სიმღერები“ და „სიმღერები სუფრის“.

შემდეგში დავინწყებულ იქმნა ნამდვილი სარწმული ალკეოს ლექსების, რომლებიც მი-  
 მართული იყვნენ მტარვალების წინააღმდეგ. მომავალი თაობები ხედავდენ ამ ბრძოლაში  
 უმაღლეს მისწრაფებებს, რომელიც ნამდვილად იქ არ მოიპოებოდა. ფიქრობდენ, რომ  
 ალკეო იყო იდეური მეზრძოლი მეფის უფლებების წინააღმდეგ მაშინ, როდესაც მას უნ-  
 დოდა, ეს უფლება მოეპოებია თავისთვის და თავისი პარტიისათვის. მაგრამ ისტორიას  
 უყვარს ხანდახან დავინწყება ნამდვილი ქვეყნარტების და სიმართლის დაბინდვა ლამაზი  
 ჩადრით, რის შემდეგ ამ უკანასკნელს იღებს ის, როგორც სინამდვილეს. და აი, ალკეო,  
 ხალხის მტერი, თანდათან ისახება მეფეების მტრად და ისიც იდეურ მტრად. ის გადაიქცა  
 იდეალად იმპერატორების პერიოდის იმ რომაელთათვის, რომელნიც გულის სიღრმეში  
 ხალხის ბატონობაზე ოცნებობდენ. როგორ არ უნდა ჰყვარებოდათ მისი „ბრძოლის სიმ-  
 ლერები“, მით უმეტეს, რომ ისინი წარმოადგენდენ პოეტური სილამაზის მთელ წყებას?  
 მაგრამ რას უმღერდა ალკეო ამ ლექსებში? ბევრი მათგანი წარმოადგენდა გესლიან ინ-  
 ვექტივებს, მიმართულთ მტარვალების წინააღმდეგ საერთოდ და პიტაკისადმი კერ-  
 ძოდ. ეს იყო ნამდვილი პამფლეტები, სადაც ალკეოს პოლიტიკური მტრები დედამიწას-  
 თან იყვნენ გასწორებული. ყოველი მათი ნაბიჯი სასაცილოდ იყო აგდებული. გამოდიო-  
 და, რომ სწორედ ისინი ჰლუბავდენ სამშობლოს და ქვეყანას ჰრევდენ, სთესავდენ შულსა  
 და მტრობას. და ეს იმისთვის, რომ ქალაქის დაქცევის შემდეგ თვითონ მოემკათ სახელი  
 და დიდება.

ჩემ მიერ აღნიშნული ალკეოს დაუდგრომლობა და ალგზნება უმთავრესად მის პოლიტიკურ ინვექტივებში იჩენენ თავს: აქ იშლებოდა მათთვის უსაზღვრო სარბიელი, მაგრამ ასეთი რამ მოიპოება სხვა „ბრძოლის სიმღერებშიაც“, როგორც გვიჩვენებს ამას ერთი ლექსი, რომელშიაც აწერილია სანყობი, სადაც შეთქმულთა იარაღია მოთავსებული:

„ელავს სპილენძით ფართო სახლი,  
სულ მორთულია ის არესის სადიდებლად.  
სიცხით იწვიან მუზარადნი  
და მათი თეთრი ქოჩორები ირხევინან.  
რქებზე ჰკიდებიან საბარგულნი  
სპილენძისანი მტკიცე შუბის ამსხლეტელნი.  
აქვე ახალი საჭურველი.  
სქელი ტილოსი და ფარები მორგვალონი  
მათ გვერდით ხმლები ხალკიდური,  
სათეძურები და ქამრები დაგროვილი.  
ცოდვა არ არის დავიწყება  
ამ იარაღის, თუ ვიქნებით გამბედავნი!“

ამ სტრიქონებში მღერის ნამდვილი ველური სიმთვრალე. ჩვენს წინაშე სდგას კაცი, რომელსაც მთლად დაჰპატრონებია ერთი *idée fixe* და გარდა იმისა, არაფერთან არ სურს იქონიოს საქმე. იარაღის დანახვა აღძრავს მასში ბრძოლის წყურვილს. საჭიროა სხვა თანარაზმელებსაც გადაეცეს ეს განწყობილება. და აი, ალკეო იწყებს იარაღის ჩამოთვლას, მაგრამ ისე მხატვრულად და ნათლად, თითქოს ისმოდეს სპილენძის ყლარუნი და მოსჩანდეს მისი ელვარება. ამასთანავე თითოეული საგანი დახასიათებულია მისთვის ყველაზე უფრო შესაფერი გარეგანი ნიშნით და, ბოლოს, თვით ლექსის ზომა ისეა აგებული, რომ გაქანებულ ტროქეებს დრო გამოშვებ თავს უკავებს მშვიდი იამბი: ეს თითქოს აბოლოვებს მათ გამმაგებულ რბენას და გადაჰყავს ის ჩვეულებრივ ტემპზე. ერთი სიტყვით, ეს ლექსი, ალგზნებული მთლიანად, იძლევა დასრულებული ნაწარმოების შთაბეჭდილებას: ფორმა ჰარმონიულად ეთანხმება შინაარსს და ალკეოს ყველა განსაკუთრებული თვისებანი, სახელდობრ: მოკვეცილობა, საგნის თვალსაჩინობა და ხაზების სიმკვეთრე მოცემულნი არიან აქ.

მაგრამ არა ნაკლებ ლამაზია, თუმცა სულ სხვა ხასიათის, ალკეოს მეორე ლექსი, სადაც ის გვიხატავს ზღვაზე ქარიშხალში გახვეულ ხომალდს:

„ნეტა კარგად მივხვდე ქარების ცოფიან ამხედრებას.  
ადის და ქანაობს დუღილით ზღვის ტალღა ატეხილი  
ხან აქეთ, ხა იქეთ, და ჩვენ კი ზვირთებში  
დავცურავთ ტლუ ნავით უგზოდ და უკვალოდ.  
გვტანჯავს და გვანამებს სასტიკი გრიგალის დაჯახება;  
ძირი მთავარ ანძის სრულიად წყალშია დამალული  
გასდის მთლად ჩვენს აფრას: იგი სულ დაიხა  
და მხოლოდ ნაფლეთნი მისგან ღა ჰკიდებიან.  
მოჰქუხს მეცხრე ზვირთი, — ყველაზე ის უფრო სასტიკია,  
მისი გამკლავება იქნება სამძიმო მეტის-მეტად,  
როდესაც ნავს იგი გრიალით მოაწყდება,  
ვიდრე ჩვენ მივალწევთ უშიშარ ნავთსადგურს“.

მაგრამ ვითომ უბრალო ქარიშხალს აგვიწერს აქ ალკეო? უბრალო ხომალდი აქვს მას მხედველობაში? ალგორიასთან ხომ არა გვაქვს ჩვენ აქ საქმე? დიახ, იძლევა პასუხს ანტიური ქვეყანა. აქ ხომალდის ქვეშ ნაგულისხმევია სახელმწიფო, რომელიც პოლიტიკურ



ქარიშხალშია გახვეული. და ჩვენ გვჯერა ეს პასუხი. ასეთი ალევორიები ანტიური პოეზიის საყვარელ თემას შეადგენდენ. საკმაოა გავიხსენოთ ჰორაციის შემდეგი სტრიქონები:

„ისევ გაგიყვანენ, ხომალდო, ზვირთები გაშლილ ზღვაზე.  
მაგრამ სადღა ძალგის ცურვა შენ! იყავი ნავთსადგურში.  
ხომ ხედავ, რაც მოგსვლია?  
ნიჩბები აღარა გაქვს,  
ანდა ქარტყილებს რამდენი ხანია დაუშლია.  
ჭრიალებს ბაქანი; თოკებ-ანყვეტილი ბალავარი,  
გგონია, რომ გაუძლებს  
ზღვის ტალღებს გაგიჟებულს?“

თუმცა, თუ ჰორაციის, უმთავრესად ლექსის ბოლოში, რომელიც აქ არ მომიყვანია, ემჩნევა შიში, სახელმწიფო ხომალდის ბედით გამოწვეული, ალკეოში, არ შეგვიძლია ვიგრძნოთ არაფერი ამგვარი. ცხოვრების მღელვარებას შეჩვეული ალკეო დამშვიდებული უცქერის მის გარშემო მოთარეშე ტალღებს. გამობრძმედილი მეომარი იმედს არ ჰკარგავს: ის ფიქრობს მხოლოდ, რომ „მეცხრე ზვირთი“ მიუტანს თან საკმაო დავიდარაბას, მაგრამ საბოლოო გამარჯვებაში კი იმას ეჭვი არ ეპარება. ეს გასაგებიც არის. ალკეო დაბადებით მეომარია, ჰორაცი კი მხოლოდ შემთხვევითი ტრიბუნია ბრუტის ლეგიონში! აი, ამიტომ ალკეოს ლექსში მოქცეულია უტეხი სიმტკიცე, რაიც მთელ ლექსს სიძლიერის ელფერს ანიჭებს: ის თითქოს ფოლადისაგან იყოს გამოჭედილი! მოკლე, შეკუმშული და სავსე იშვიათი ექსპრესიით, ეს სიმღერა პირდაპირ იბეჭდება მეხსიერებაში: არც ერთი ზედმეტი სიტყვა, არც ერთი მრუდე ან გამაგრილებელი ხაზი!

აქამდე ჩვენ ვხედავდით ალკეოს „ომიანობის და პოლიტიკურ უამინდობის ქარიშხალში“. ჩვენ გვესმოდა მისი გალაშქრება მტრების წინააღმდეგ; ყურს უგდებდით მის მონოდებას ბრძოლისაკენ; ვხედავდით მას საბედისწერო წუთში. და არსად არ უღალატნია იმას თავის თავისათვის: ალგზნებული, მტკიცე, მოუსვენარი, მუზარადით და ჯავშანით, ხმალით ხელში და პირზე მომდგარი სიმღერით — აი, როგორი გვეხატება თავის „ბრძოლის სიმღერებში“ ჩვენ იგი.

მაგრამ ხდებოდა ისიც, რომ ის უფრო მშვიდობიან კილოზე მომართავდა თავის ქნარს. ნელდებოდა მაშინ ქარცეცხლიანი სიმღერა. ადგილს იჭერდენ სხვა გრძნობები, უწინარეს ყოვლისა სარწმუნოებრივი. პოეტი, რომელიც ის იყო მტრებს ანადგურებდა, აიღებდა ხოლმე სულ სხვა კილოს და მისი ქნარის სიმებიდან წყნარად ჩამოდიოდა ლოცვის საგალობელი, როგორც ამას გვიჩვენებს ახლად აღმოჩენილი „ჰიმნი დიოსკურებს“:

„დასტოვეთ ოლიმპის სიმაღლე მოვარსკლავი  
და ჩვენს წინ გამოჩნდით სიკეთით გულსავსენი,  
ზევესის და ლედას, ო, ძენო უძლეველნო, — კასტორ და პოლლუქს!  
თქვენ, ვინაც მალლიდან ზღვებსა და გაშლილ მიწას  
გადურბენთ ცხენებით გრივალზე უმაღესით  
და ისე ადვილად აშორებთ კაცთა მოდგმას უღმობელ სიკვდილს,  
როდესაც თოკების ზემოდან გაბრწყინებით  
უეცრად აირბენთ წვერამდე მაღალ ანძას  
და გემზე გაფისულზე თქვენ ლამის სიბნელეში აიტანთ სანთლებს!“

კილო ამ ლექსის მოგვაგონებს გადმოხრილი საღამოს მშვიდ სიჩუმეს, როდესაც შემარეგებლად მოისმის Angelus-ის ხმები. პოეტი დამშვიდდა: მისი სული ისვენებს სალოცავ განწყობილებაში! მაგრამ დიდი ხნით კი? იმას ხელახლა იზიდავს მიწა და ყოველივე



მინური. მხოლოდ ესლა მუზარადი გვირგვინად შეიცვლება, სპილენძის ჯავშანი ჩვეულებრივი ტანსაცმელით და ხელი, რომელიც წელან ხმლის ტარს შემოსჭდობოდა, მაღლა სწევს მხიარულ ნადიმზე ღვინით სავსე ჯამს, და მის ბაგეს „ბრძოლის სიმღერების“ ნაცვლად მოსწყდება მხიარული და მხურვალე „სუფრის სიმღერა“, სადაც ალკეო აღმოჩნდება არა ნაკლები ოსტატი.

„ნაღველს შხამიანს, მეგობარო, გული არ მიანდო.  
არას უშველის მწუხარებას ჩვენი დანაღვლება!  
გვაქვს ჩვენ ნამალი უფრო საიმედო:  
ვპოვოთ ღვინოში გულის გამხნელება!“

აი, ალკეოს „სუფრის სიმღერების“ ძირითადი მოტივი! რა თქმა უნდა, ამ მოტივის გარდა ხანდახან სხვა მოტივიც ისმოდა. პარტიული მებრძოლის ყურადღება ჩვეულებრივსამებრ ხშირად ომის და პოლიტიკის საკითხებისკენ მიიქცეოდა. მაგრამ პირველი ადგილი კი მაინც საქეიფო მოტივებს ეჭირათ, რომლებსაც ალკეო გამოხატავდა მისთვის ჩვეულებრივი ექსპანსივობით და არა ნაკლები ალგზნებით, ვიდრე ეს იმის „სუფრის სიმღერებში“ სჩანდა. ალკეო ისევ ემორჩილებოდა მომენტის გავლენას და ხელახლა მოდიოდა ბაკხიურ ექსტაზში: მის სიმღერაში, როგორც ძველად ამბობდენ, მოცემული იყო „თრობა“.

„სუფრის სიმღერის“ თავისებურ შესავალად შეიძლება ჩაითვალოს შემდეგი ლექსი, რომლის გადამღერება აქვს ჰორაციის (I.9):

„წვიმას უგზავნის დედა-მინას ზევსი გამუდმებით,  
ციდან სიცივემ დაუბერა, ყინვა გაძლიერდა,  
მინყდა მდინარის ყეფა ხმა მაღალი:  
ზამთრის ყინულმა შეჰკრა ბორკილებით.  
ცეცხლზე შეშები დააყარე უხვად და ამგვარად  
ყინვა თავიდან მოიშორე. შემდეგ ტკბილი ღვინით  
თასი გაივსე და გულდამშვიდებით  
გადაიხარე გაშლილ სარეცელზე“.

ასეა საჭირო მოქცევა, როდესაც ბუნება სიცივით ითოშება, როდესაც ყველაფერი თითქოს გათბობის საჭიროებას გაგონებს. მაგრამ ისიც ხდება, რომ ბუნება სიცხით იდაგება, და წყურვილით იხრჩობა: მას უნდა სასმელით გაგრილება, — იგივე უნდა ადამიანსაც:

„ღვინით დაისველე ყელი: დედა-მინას მაღლიდან მზე დაჰყურებს.  
სიცხე ჩახვევია ჰაერს და წყურვილით იხრჩობა ყველაფერი.  
მხოლოდ ჭრიჭინა იქ ჩრდილში მიმალული იმღერის განუწყვეტლივ.  
სწრაფად ჩამოსდის მას ფრთებზე ტკბილი ხმა და სივრცეში მიწანწკარებს.  
აშრობს მიწის ძარღვებს ცეცხლით დამდაგველით ეს სიცხე უსაშველო, —  
მხოლოდ ბირკა ჰყვავის... ქალებს გულში უდუღთ ამ დროს სიყვარული,  
ჩვენ კი აღარ ძალგვიძს: ავმა სირიუსმა სხეული სულ დაგვინვა!“

არ მინდა, მოყვანილ ლექსებს კრიტიკით მიუდგე. პოეტის მიერ მოხაზული სურათები იმდენად სრულია, განწყობილება იმდენად ფაქიზად არის მოცემული, ცალკე სახეები ისე ჰარმონიულად ეწყობიან ამ განწყობილებას, რომ მკითხველი ძალაუნებურად ემორჩილება პოეტის თილისმას და მთლიანად ითვისებს მის მიერ გადმოცემულ განცდებს. ამ მხრით განსაკუთრებით კარგია მეორე ლექსი. მასში გასაოცარი სიცხადით არის დახატული დასიცხული ბუნების დათენთვა. ასე გგონია, თითქოს თვალწინ საბერძნეთის პეიზაჟი გიდგია. გახურებული ჰაერი არ ირხევა. ძნელდება სუნთქვა. თითქოს ყველაფერი

თავსა ჰხრის დაბლა. ჰგრძნობ სრულ დასუსტებას. გიმძიმს ყურება. სიცოცხლე მოდუნებულია თითქოს, არავითარი ხმა არსით. მხოლოდ ჭრიჭინები მღერიან განუწყვეტლივ და ზღვა, ჩალურჯებული განსაკუთრებული სამხრეთის სილურჯით, ნებივრობს მზის ქვეშ. გაგიჟებით გინდა ჩრდილი, სიგრილე, ღვინო, რომ მოიკლა აუტანელი წყურვილი. და შენ ამ დროს სავსებით გესმის ალკეო და გაკვირვებს ის ექსპრესია, რომლითაც გამოხატავს იგი მის მიერ აწერილ მომენტს. და მერე რა უბრალონი არიან მისგან ნახმარი ეფექტები, რამდენად დაშორებულია ის ყოველგვარ ხელოვნურობას! მას როდი ესაჭიროება, ფერუმარული თავისი ლექსების გასალამაზებლად. ამ სილამაზეს აძლევს მას ფერადების სათანადო შერჩევა და ტონის უჩვეულო ბუნებრივობა და სიტბო, აგრეთვე აშკარად შესამჩნევი აწყვეტილობა და დამატობელი გაქანება ლექსის, რაიც, სხვათა შორის, შემდეგ სიმღერასაც ემჩნევა:

„დროა, რომ დავლიოთ! მზის შუქს რად ველოდოთ? დალამდა რა ხანია!  
 ყრმაო, მოგვიტანე თასნი მოჭედილნი, თასები დამტევენელი.  
 დარდის მოსაკლავად ღვინო მოგვანიჭა ზევსის და სემელას ძემ,  
 მაგრამ წყალს ორ ნაწილს ღვინო გაურთე შენ მხოლოდ ერთი წილი,  
 და სულ სავსე იყოს! დაე, ერთი თასი მეორეს თან მისდევდეს!“

ალკეოს „სუფრის სიმღერების“ ეს ნიმუშები გვიჩვენებენ, რომ ყველა ისინი წარმოდგენენ ვარიაციას ერთსა და იმავე თემაზე — ღვინოზე, ქეიფზე, მხიარულებაზე. მაგრამ სიუჟეტების ერთფეროვნობის მიუხედავად, ლექსები არ არიან ერთი ტონის. ეს კიდევ ცოტა, ისინი გვაოცებენ თავისი ცხოველმყოფელობით და სიახლით. დასასრულ, ყველა ამ ლექსების თვისებას შეადგენს ნერვიულობა და გაქანება. მათ აკლიათ მხოლოდ ერთი: ნამდვილი სერიოზული ჩაფიქრება საგნებში და მოვლენებში. უმეტეს შემთხვევაში ისინი არიან სურათები მხოლოდ მომენტის და იმ მომენტში განცდილი გრძნობების.

გაუკეთოთ ეხლა ჯამი ყველაფერს ჩვენ მიერ თქმულს, რომ ნათელი წარმოდგენა მივიღოთ ალკეოს შემოქმედებაზე. პირველი ადგილი უჭირავს ძალას და გამოხატულებას. პოეტმა მართლაც რომ იცის თავისი აზრების და ფიქრის „გამოხატვა“ საკმაოდ აწეული და დამაჯერებელი კილოთი. მან იცის ლამაზი, მკაფიოდ მოხაზული სურათების და სახეების მოცემა; ახერხებს მკითხველის გადაყვანას მის მიერ აღწერილ გარემოებაში და იმის დაინტერესებას მით, რის შესახებაც ის ლაპარაკობს. მეორე მხრით, ალკეოს ნიჭი მოკლებულია ყოველგვარ მანერობას. ის ლაპარაკობს უბრალოდ და გულწრფელად, გადმოგვცემს არა რაღაც მოგონილს, არამედ იმას, რაც მას განუცდია. მიუხედავად ამისა, ის ყოველთვის ახერხებს უბრალო თქმაში მოგვცეს ფერადოვანობა და მომაჯადოვებელი უშუალობა, რომლებიც ასე ამშვენებენ ყველა დიდ ლირიკოსს. დასასრულ, ყოველსავე ამასთან უახლოესად არის დაკავშირებული საკვირველი ათვისება და საოცარი უნარი, რომლითაც პოეტი თავდავინწყებამდე მიეცემა იმ მომენტს, განცდას და გრძნობას, რომლებსაც ამ წუთში დაუმორჩილებიათ იგი. ნამდვილი ეოლოსის ქნარი, რომელიც ამჟღავნებს მოფრენილი ქარის ყოველ სუნთქვას!

## 2

დასაწყისი იმავე მე-VI საუკუნისა. ჩვენთვის უკვე ცნობილი ეოლიის კუნძული ლესბოსი და მისი კულტურული ცენტრი, ქალაქი მიტილენე. დიდად განვითარებული კულტურული ცხოვრება. მაგრამ მის გარშემო ატეხილი პოლიტიკური ზვირთები თითქმის არ ეკარებიან იმ წრეს, რომელშიდაც ჩვენ ეხლა გადავდივართ. ეხლა ჩვენს წინ როდი სჩანან არისტოკრატიის შეიარაღებული რაზმები თავის მთავარსარდლით ალკეოთი. ჩვენ საპ-

ფოს კვალით შევდივართ ქალურ ქვეყანაში, რომელსაც მხოლოდ ოდნავ ეხება მისი თანამედროვე პოლიტიკური ჟამთა სიავე. მართალია, საპფოს, არისტოკრატს ჩამომავლობით, უნდა განეცადა, როგორც მაღალი წრის შვილს, გაძევების სიმწარე, როდესაც ხალხის მეთაურად პიტაკი გახდა. მართალია, ეს გაძევება საკმაოდ ხანგრძლივი იყო. მაგრამ მას სრულებით არ მოუხდენია გავლენა საპფოს შემოქმედებაზე. მას არ შეუტანია ამ შემოქმედებაში არავითარი მკვეთრი ნოტები. და ჩვენ რომ არ ვიცოდეთ სხვა წყაროებიდან პოეტის ცხოვრებაში მომხდარი გაძევების ფაქტი, მაშინ ჩვენ ამ გაძევებას ვერ წარმოვიდგენდით მისი ნაწარმოების მიხედვით.

საპფო როდი ლაპარაკობს პოლიტიკაზე, ის მას არ აინტერესებს. მას აქვს თავისი საკუთარი ქვეყანა და ამ ქვეყანაში იმყოფება ის. კიდევ კარგი, რომ ქალის მდგომარეობა იმის დროს შედარებით ხელსაყრელი იყო. ქალის ნიჭის და დამოუკიდებლობის გამოსამყლავნებლად უნდა შევნიშნოთ, რომ საპფოს დროს ქალი კუნძულ ლესბოსზე გრძნობდა თავს გაცილებით უფრო თავისუფლად, ვიდრე საბერძნეთის სხვა რომელსამე კუთხეში, იონია იქნებოდა ის თუ ათინა, სადაც „განათლების“ ხანაშიაც კი ქალის ცხოვრება მიმდინარეობდა კარჩაკეტილობაში, ნამდვილი ცხოვრების გარეშე. ლესბოსზე ქალი არ იყო ვალდებული მჯდარიყო სახლის საქალებო ნაწილში და ელოდნა გათხოვებისათვის. ქალებს შეეძლოთ, ისე როგორც მამაკაცებს, დაეარსებიათ ჯგუფები. შეეძლოთ შეეგინათ ცალკე საზოგადოებანი, მაგალითად, მუსიკალურ-ლიტერატურული ხასიათის. დასასრულ, მათ შეეძლოთ მამაკაცებივით მონაწილეობა მიეღოთ, თუ პოლიტიკურში არა, საზოგადოებრივ ცხოვრებაში მაინც. ერთი სიტყვით, ლესბოსზე ქალებს საშუალება ჰქონდათ, საკმაოდ ფართოდ გამოეშკარავენათ თავისი ნიჭი და უნარი. და რადგან ლესბოსზე მე-VII-VI ს.ს. ქრ. წ. უმთავრესად მუსიკა და პოეზია ჰყვავდა და მასთან იმდენად, რომ საამისოთ აწყობდნენ განსაკუთრებულ შეჯიბრებებს, ამისთვის ქალები უმეტეს შემთხვევაში გამოდიოდნენ სწორედ ამ ასპარეზზე; აქ საპფო თამაშობდა პირველ როლს. ის იყო ცენტრი, რომლის გარშემო იკრიბებოდნენ ახალგაზრდა ქალიშვილები, რომელნიც, როგორც საპფოს მონაფენი, შეადგენდნენ თითქოს მის სკოლას, მცხოვრებს საერთო ინტერესებით. მაგრამ საპფოს ჯგუფის გვერდით არსებობდნენ სხვა ჯგუფებიც, რომლებსაც სხვა პოეტი ქალები ხელმძღვანელობდნენ; ყველა ეს ჯგუფები ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს და ხშირად მტრული განწყობილებაც კი იყო მათ შორის. ამ ჯგუფური შეტაკებების გამოძახილი შეიძლება გავითვალისწინოთ საპფოს ლექსებით; ის იხსენიებს, სხვათა შორის, თავის ორ მოპირდაპირეს — ანდრომედას და გორგოს, რომლებიც თავისკენ იტყუებდნენ საპფოს მონაფეებს, როგორც ეს იმის შემდეგი ლექსიდან სჩანს:

„მე ეხლა, ატიდა, ვარ შენი ფიქრის გარეშე,  
შენ სული მთლიანად ანდრომედასკენ მიგელტვის!“

ყველა ასეთი ჯგუფების წევრებს ეწოდებოდათ „დობილები“ და აი, ეს დობილები იკრიბებოდნენ საპფოს სახლში, და საპფო ასწავლიდა მათ პოეზიას და მუსიკას, რის გამო ის თავის ბინას ეძახდა „მუზების თავშესაფარს“.

თავის-თავად ცხადია, რომ ისეთ ვინრო წრეში, როგორიც იყო საპფოს წრე, ადგილი უნდა ჰქონოდა გაღმერთების და ინტიმობის ელემენტს, ელემენტს უნაზესი დამოკიდებულებისას, და მერე ისეთს, რომელსაც შეეძლო გადასულიყო ძლიერ სიყვარულში. ამაში, რა თქმა უნდა, არაფერია გასაკვირი, პირიქით, ეს სრულიად ბუნებრივია და გასაგები; ამისათვის ვნებიანი, ხშირად იჭვნეული მიმართვა საპფოსი თავის „დობილისადმი“ არ ახდენს, — და არც შეუძლია მოახდინოს, — რაიმე არანორმალურ შთაბეჭდილებას. მაგრამ რაკი საპფოს წრე წარმოადგენდა მჭიდროდ შეკავშირებულ ერთეულს, ამისათვის ნათელია, რომ თვით განცდაც ამ წრის ყოველი წევრისა საინტერესო უნდა ყოფილიყოს

ყველა დანარჩენთათვის. ეს კიდევ ცოტაა: ამ განცდებს, სასიყვარულო იქნებოდა ისინი თუ სხვა ხასიათის, შეეძლოთ მოეცათ კარგი მასალა ლექსებისათვის, ქალის სულის ინტიმური მოძრაობის გამოსახატავად. საპფოს შეეძლო ფაქიზი ფსიხოლოგიური ალღოს საშუალებით ჩაეხედა ამ სულის ფარულ კუთხეებში და შემდეგ გადმოეცა თავის სიმღერებში ყველა იმისი მოძრაობა, რომელიც ხდებოდა თითქოს მისი საკუთარი. ამგვარად ქალის ცხოვრება თავის სხვადასხვა ხანაში და სხვადასხვა სფეროში, განსაკუთრებით სიყვარულის სფეროში, საპფოს აძლევდა მდიდარ მასალას შემოქმედებისათვის, რაიც აგრეთვე გასაგებია და რაშიც არა სჩანს არავითარი უცნაურობა.

დაბოლოს, საპფოს წრის ცხოვრებაში იყო ისეთი მომენტები, როდესაც წრის ცალკე ნევრები სტოვებდნენ მას, ან გათხოვების გამო ან სხვა რაიმე მიზეზით. მაშინ საპფო ისევე აიმაღლებდა ხმას და მის ლექსებში ასეთ შემთხვევებში ისმოდნენ ნოტები არა მარტო სამწუხარო და ვნებიანი, არამედ აგრეთვე ჩუმი, დარბილებული და გზის დამლოცავი.

ასეთი სიცოცხლით სცხოვრობდა საპფოს წრე, რომელიც ცდილობდა ენახა დაკმაყოფილება თავის თავში, პოეზიაში და მუსიკაში მოღვაწეობით და ყოველდღიურობის ინტერესთა თავიდან აცილებისაკენ მისწრაფებაში. და წრის ასეთი წმინდა ინტელექტუალური ცხოვრება, რომელმაც ფილოსოფოსი მაქსიმე ტიროსელი მიიყვანა ისეთ მოხდენილ აზრამდე, რომ შეადარა საპფოს როლი თავის დობილების მიმართ სოკრატეს როლს მის მოწაფებთან დამოკიდებულებაში (ორ: 18. 9). ეს ცხოვრება როდი ეჩვენებოდათ უცნაურ მოვლენად პოეტის თანამედროვეთ, და არა თუ თანამედროვეთ, თვით პლატონსაც კი. თანამედროვენი განმარტავენ საპფოს ეპიტეტით „სპეტაკი“, ისინი უწოდებდნენ მას „დედოფალს“, ისე ვით ღმერთ-ქალს, ხოლო პლატონმა პირდაპირ გაუკეთა მას კვალიფიკაცია, როგორც „მეათე მუზას“ და მიაკუთვნა ის „ბრძენთა“ რიცხვს. მაგრამ გადიოდნენ საუკუნეები... ქალის მდგომარეობა უფრო და უფრო უარესდებოდა და საპფოს სახე, სახე პოეტი-ქალის, რომელიც თავისუფლად გამოსთქვამდა თავის გულის ნადებს, ბერძნებს თანდათან მოეჩვენათ ისეთ რამეთ, რაიც იდგა ქალის შესახებ მათი წარმოდგენის ჩარჩოების გარეშე. საჭირო იყო, გამონახულიყო ამისათვის რაიმე ახსნა და აი, ეს ახსნა მოინახა სწორედ სხვადასხვა ბინძურ ცილისწამებათა და ინსინუაციების შექმნაში, დაწყებული მითით ჭაბუკ ფაონისადმი საპფოს უბედური სიყვარულის შესახებ, რომელიც დასრულდა პოეტი ქალის თვითმკვლელობით, და გათავებული პათოლოგიურ გარყვნილებაში ბრალდებით. და რადგან ადამიანის უხეშ ოცნებას უყვარს მიაფინოს ჩრდილი ყოველსავე დიადს, რომ ამით დასწიოს ძირს იგი და საერთო ხაზ ქვეშ დააყენოს, ამიტომ ის ჭორები საპფოს შესახებ, რომლებიც შეთხზულია თუმცა არა უადრეს მე-III ს. ქრისტემდე, სცოცხლობენ დღემდე, რაც გასაგებია თავისთავად: ერთხელვე ნასროლ ცილისწამებას უყვარს სეირნობა ქვეყნად, რადგან მას როდი აკავებს ვინმე. მაგრამ საპფოს შესახებ შეთხზულ ყველა ამ ცილისწამებათა საუკეთესო გამაქარწყლებელი თვით მისი პოეზია არის, რომელშიდაც არც აზრით, არც გამოთქმებით არ არის ნახსენები ისეთი რამე, რაიც საბუთს იძლეოდას შეურაცხყოფა მივაყენოთ გენიალური პოეტის ხსოვნას რაიმე ბინძური იჭვის მიტანით. როგორც ნამდვილი ბრილიანტი, ისე ბრწყინავს ის ძველებურად შეუნელები სინათლით.

როგორც ვთქვით, საპფო უმთავრესად უმღერდა სიყვარულს. ეს არის მთავარი თემა მისი შემოქმედების და შთაგონების. მაგრამ, როდესაც სიყვარულზე ლაპარაკობს, ის არასოდეს არ არის ერთფეროვანი თავის კომპოზიციებში. არ შეიძლება აღტაცებაში არ მოგიყვანოს ტონების შეუდარებელმა ციალმა და გასაოცრად ლამაზმა ნიუანსებმა და გადასვლებმა, რომელნიც გამოხატავენ სულიერი განწყობილების სხვადასხვა ნაჩრდილებს. ხანდახან ისმის მხიარული და გულკეთილი სიცილი. ეს მაშინ, როდესაც საპფოს გამოჰყავს ჯერ კიდევ ჰასაკში შეუსვლელი გოგონა, რომელიც ვერ ფარავს ღიმილს საქმროს



მიერ გამოგზავნილი მორცხვი მაყარის დანახვაზე. მაგრამ აი, იწყებს მეორე ჰანგი ამღერებას: ჩვენს წინაშე იშლება სიყვარულის დრამა მთელი მისი სირთულით, დაწყებული ვნების ჩასახვიდან და გათავებული განხეთქილების წუთით.

აქ უკვე აღარ არის სიმშვიდე და უდარდებლობა; აქ სულის სიმები უკიდურესად დაჭიმულია და ხშირად გამოსცემენ ისინი ტკივილის და ტანჯვის კვნესას. ამის გვერდით კი ისმის მეორე ტონი — შემარიგებელი და საალერსო. ეს მაშინ, როდესაც საპფო გვიხატავს ბუნების სურათებს ან ჩუმი სამხრეთის საღამოს ფერებს, რომელიც დამშვიდებით ავსებს ადამიანის გულს. ერთი სიტყვით, ჩვენს წინ მიმდინარეობს მთელი რიგი განცდების, თუმცა პირადის, მაგრამ იმნაირად ალბულის, რომ ისინი იღებენ საკაცობრიო ფორმებს და ყველასათვის გასაგები ხდებიან. მეორე მხრით ჩვენს წინ თითქოს ფარდა ეხდება თვით საპფოს სულს და გვევლინება იგი მთელი თავისი გრძობიერებით და სიფაქიზით, მისი შეუდარებელი უნარით, რომლის საშუალებით მას შეუძლია გაიგოს სხვები და ილაპარაკოს არა მარტო თავის სახელით, არამედ მისი ახლობელი პირების მაგიერადაც. ყველა ამ ტონების და განცდების სხვადასხვაობას თავს დაჰქრის განსაკუთრებული, მხოლოდ საპფოს დამახასიათებელი სინარნარე, თუნდა არაფერიც რომ არა ვსთქვათ ლექსის იმ უბადლო მუსიკალობაზე, რომელიც მოქცეულია იშვიათად მდიდარ მეტრიულ ფორმებში.

ამრიგად, საპფო უმღერის სიყვარულს. მაგრამ როგორს? რა თქმა უნდა, იდეალურს არა. ანტიური სატრფიალო ლირიკის დაფასების დროს არასოდეს არ უნდა იქნეს დავიწყებული, რომ ბერძნების ეროტს ბევრი მიწიური მტვერი აყრია ფრთებზე: ის ნამდვილი შვილია ყოვლად საერო აფროდიტესი. ზეციური აფროდიტეს სახე კი შედარებით გვიან იკვეთება ბერძნების წარმოდგენაში. პლატონამდე ის მხოლოდ წინათგრძობილია, ან, უფრო სწორედ რომ ითქვას, თრთის, როგორც წვრილი ზოლი მოახლოვებული განთიადისა და მხოლოდ დაწყებული პლატონიდან სქესობრივ სიყვარულთან ერთად იწყებს გამოკვეთას სიყვარული, როგორც მსოფლიო ჭეშმარიტების შეცნობა. მაგრამ სიყვარულის ამ ახალ კონცეპციასთან ერთად, რა თქმა უნდა, რჩება ძველიც: ყოვლად საერო აფროდიტე გვერდში უდგია ზეციურ აფროდიტეს, და ეს გასაგებიც არის. უმრავლესობისათვის ხომ, რაც უფრო მიუახლოვდებით ცას, მით უფრო სიცივია!

საპფოც უფრო ახლოს იდგა მიწასთან, ვიდრე ცასთან. მხურვალე, ნათლად გამოთქმული სიყვარული გასაგები იყო მისთვის. მაგრამ იმისთვის გასაგები იყო მეორეც: განწყენებული მისწრაფება სილამაზისადმი, როგორც ასეთის, და მისი შეცნობა. ამისათვის საპფოს სიყვარული როდი ატარებს უხეში ვნების ხასიათს. როგორც სილამაზე თავის თავად, ის არ შეიძლება იყოს უხეში. კიდევ მეტიც: ის მოითხოვს შესაფერ გარემოცულობასაც, მოითხოვს მთელ რიგ ლამაზ აქსესუარებს. ტყუილად კი არ ლაპარაკობს საპფო ისე ხშირად ვარდზე, რომელიც აფროდიტესათვის ყველაზე უფრო საყვარელი ყვავილი იყო, იებზე, ვარსკვლავების ციალზე, მთვარიან ღამეზე, — ერთი სიტყვით, ყველაფერზე, რის შესახებ დღესაც კი მღერიან ლირიკოსები. საპფოს აზრით, იქ, სადაც ყვავილები არ არის, არც ნამდვილი სილამაზეა, და ამ აზრს ის ძალიან კარგად ანვითარებს ერთ ლექსში, რომლითაც მიმართა მან ერთ თავის „დობილთაგანს“, დიკას:

„ნედლი გვირგვინით თავი შეიმოსე  
ო, დიკა, მშვენიერო!  
დასწან შენ იგი კამას ფოთოლთაგან  
ხელებით უნაზესით.  
შემკულს გვირგვინით თვალებს მიაპყრობენ  
ნეტარი ხარიტები;  
მაგრამ იმათი მზერა უგვირგვინო  
შუბლზე არ შეჩერდება“.

მაშ, სიყვარული ლამაზია. მაგრამ ის არა თუ ლამაზია, ის არის რაღაც ღრმა, რომელიც მოქმედობს, როგორც ადამიანის სულზე, ისე მის ცხოვრებაზე. ის ღირსია იმისი, რომ შეეხონ მის არსს, გაუკეთონ ანალიზი მის მიერ აღძრულ განცდებს და აჩვენონ, თუ რა ემართება ქალს, როდესაც მას ალელვებს ვნება, იჭვი ან გაუზიარებელი მეგობრობა. სწორედ ამას სჩადის საპფო თავის „სიყვარულის სიმღერებში“.

აი, მაგალითად, როგორ აგვიწერს საპფო სიყვარულს, რომელიც მოულოდნელად შეიჭრება ადამიანში და უკარგავს მას თავდაჭერის უნარს:

„ისევ ეროსმა ამაღელვა, ძილი გამიტეხა,  
სევდაც მასშია, სიხარულიც, — მასთან რა გავანყო!

\*

ისევ ეროსი თავს დამეცა და გულს მინადგურებს,  
როგორც მთის ქარი, მძლავრი ქარი, ხეებს რომა ღუნავს“.

თუმცა ეს მხოლოდ დასაწყისია სიყვარულის, რომლის შესახებ ჯერ არ ითქმის, თუ როგორ გავლენას მოახდენს ის ადამიანზე და რას მოუტანს იგი მას, მწუხარებას, მოლოდინის გაცრუებას თუ სიხარულს. ამიტომ ამ ლექსში გამოთქმულია მხოლოდ ალელვება, ტანჯვა კი შიგ არ ისმის. სულ სხვა ხასიათს ატარებს შემდეგი ლექსი, რომელშიაც გასაოცარი ძლიერებით არის გამოხატული დაეჭვების მწარე გრძნობა:

„ვფიქრობ: დაედარა ღმერთებს ნეტარებით,  
ვინაც ეხლა შენთან ერთად იმყოფება,  
თვალეებს არ გაშორებს და გულმოდგინებით  
ისმენს შენს ტკბილ ხმას და  
ვერცხლის გაცინებას... მე კი გულის ძგერა  
მკერდ ქვეშ მიჩერდება: როგორც თვალს შეგავლებ  
მხოლოდ ერთი წამით, ველარც კი ვახერხებ  
მე ხმის ამოღებას.

ენა მიჩლუნგდება; ცხელი მღელვარება  
ტანში გამიელვებს სისხლის აჩქროლებით.  
მისშობს მე ხმაური სმენას და თვალეებში  
ბინდი ჩამიდგება.

ოფლში ვინწურები; თრთოლვა ამტკიცებს,  
და მე ვაფითრებით ტილოს ვედარები.  
კიდევ ერთი წამი და მე შენს წინაშე  
მკვდარი დავეცემი!“

იშვიათი თავისი ძლიერი მეტყველებით, ეს ლექსი, რომელსაც პლუტარხი უწოდებს „ცეცხლოვანს“, ძველ დროს დიდი სახელით სარგებლობდა და ითვლებოდა შეუდარებლად. მასში, უწინარეს ყოვლისა, არაფერი არ არის გამოგონილი: იქ ჩქეფს ნამდვილი სიცოცხლე. აქ პოეტს უნდოდა გამოეხატა ძლიერი გრძნობის გავლენა ადამიანის სულიერ და ხორციელ მხარეზე ერთსა და იმავე დროს. ორივე ეს მხარე ერთნაირად არის ალელვებული: ისინი, ასე ვთქვათ, ერთად არიან შედუღებული მათ მიერ განცდილი ტანჯვის მიხედვით, და ჩვენ, ამნაირად, ვხედავთ მთელი ადამიანის „მე“-ს წამებას.

რა თქმა უნდა, ასეთ ლექსს არ შეეძლო არ გამოჩენოდა მიმბაძველები, რომელთა გრძელ რიგს იწყებს ალექსანდრიელი პოეტი თეოკრიტი; ეს უკანასკნელი თითქმის ედრე-



ბა საპფოს თავის მეორე იდილიის იმ პასაჟში, სადაც ის გვიხატავს ვნებით და იჭვებით დატანჯულ ქალს. საკმაოდ კარგად გადათარგმნა საპფოს ლექსი რომაელმა ლირიკოსმა კატულმაც და, დასასრულ, ახალ ხანაში გამოეხმაურა მას რასინი, რომელმაც გაიმეორა ის ტრაგედია „ფედრა“-ში, პიესის მთავარი გმირი ქალის პირით.

საპფოს სხვა ნაწარმოებთა შორის ჩვენ მიერ მოყვანილ ლექსს უჭირავს ერთი პირველი ადგილთაგანი. იმ ცეცხლოვან მხურვალეებას, რომლითაც გამსჭვალულია იგი, თვით საპფოშიაც ვერ შეხვდებით ხშირად. მაგრამ ეს გასაგებიც არის. „ადამიანის სულს ხომ, როგორც პლატონი ამბობს, არ შეუძლია იყოს მუდმივ ანეული, არ ძალუძს იმყოფებოდეს განუწყვეტელ ვაკხიურ ექსტაზში. მას შეიძლება იპყრობდენ სხვა განცდებიც, უფრო დამშვიდებული და წყნარი, უბრალო სევდა იქნება ის თუ ხანგრძლივი ნალველი“. ამიტომ ძლიერი სიყვარულის განცდათა გამოთქმასთან ერთად საპფოს აქვს ისეთი ლექსებიც, სადაც, უმთავრესად, გამოხატული, ჩუმი მნუხარება და მელანქოლია, როგორც, მაგალითად:

### ჰიმნი აფროდიტეს

მოცისარტყელე მზიურო აფროდიტე,  
ზევისის ასულო, უკვდავო, ჯადოსანო,  
ნუ მომიკალი, გენუკვი, კაეშანით

გული, ო ღვთაებავ!

მომიახლოვდი, — შორიდან არა ერთხელ  
ნინათ გსმენია ჩემი ხმა, მომაქცევდი  
მე ყურადღებას და ბინას მშობელისას  
უცებ დასტოვებდი.

ჰა, ოქროს ეტლზე დამდგარხარ, — გამობმულა  
გუნდი იმ ეტლში ფრთა მაგარ ბელურების  
და შენ მაღალი ზეციდან შავ მინაზე  
სწრაფად მოგაფრენენ.

აი, მოფრინდი ჩემამდე, გულკეთილო,  
და გალიმებით სახეზე უჭკნობელზე  
შენ მეუბნები: „მაცნობე, სათხოვარი  
რა გაქვს? რა განუხებს?

ან რა სწყურია სულს შენსას გაფითრებულს?  
ან სიყვარული, მაუწყე, მე შენდამი  
რომელს აღუძრა? მითხარი, ვინ გაბედა,  
საპფო, შენი წყენა?

დაე, გაიქცეს, — ისევე მოგაშურებს,  
ძღვენი თუ დაჰგმო, — თითონვე ძღვენს მოგართმევს.  
დე არ უყვარდე, — ერთ ნუთში შეგიყვარებს,  
მაგრამ უპასუხოდა“.

ეხლაც მოფრინდი და შავი კაეშანი  
გულს მოაშორე და გული რასაცა გთხოვს,  
სულ შეუსრულე და ისევ ჩემს იმედად  
იყავ, ო ღვთაებავ!

აქვე შეიძლება მოვიხსენოთ შემდეგი სიმღერა, რომელიც აღმოჩნდა ეგვიპტეში ამ ბოლო დროს ნახულ ერთ-ერთ ბერძნულ პაპირუსში:

„ჩემმა დობილმა მე ასე მიმატოვა!  
 ჩემს სულს ეხლა მხოლოდ სიკვდილი ენატრება.  
 თვალე დაცრემლულმა მითხრა დაბალი ხმით:  
 „საპფო, მწარე ბედი ჩვენთან მოახლოვდა!  
 რა ვქნა, როდი მინდა მე შენი მოშორება“.  
 მე კი მას ასეთი სიტყვით უპასუხე:  
 „არა, ნუ ინალვლებ და ნურც დამივიწყებ, —  
 შენც ხომ კარგად იცი, თუ როგორ მიყვარდი მე!  
 და თუ... მაგრამ არა, უნდა მოიგონო  
 ჟამი ბედნიერი, ჩვენი ნეტარება...  
 მაშინ, როცა ჩვენთვის თითებით მშვენიერით  
 იებს და მუქ ვარდებს სწნავდი გვირგვინებად  
 და მაგ შენი თეთრი ყელის დაშვენება  
 ისე რომ გიყვარდა ცოცხალი ყვავილებით.  
 შემდეგ თავდახრილი ხელში აიღებდი  
 მირონს, მეფეების ძვირფას სიამაყეს,  
 თმები რომ აგვესო იმისი სურნელებით.  
 და ლბილ საწოლიდან ოდნავ წამოხრილი  
 ნაზად გადმოფენილ ხელებს მაგებებდი,  
 თასით რომ მიგელო შარბათი მათრობელი“.

ეს ლამაზი ლექსი, საინტერესო თავისი ორიგინალური ფორმით, საინტერესოა იმ მხრივაც, რომ ის გვიჩვენებს ჩვენ საპფოს წრის ცხოვრების ერთ-ერთ მხარეს. ჩვენს წინ არის რალაც შინაური ლხინის მსგავსი, როგორსაც მამაკაცები აწყობდენ. ლხინის ყველა აქსესუარები აშკარად მოცემულია; არის ღვინოც, ყვავილებიც, სურნელოვანი მირონიც, და მასთან, ლხინის მონაწილენი, ჩვეულების თანახმად, განაწილებული არიან ნყვილ-ნყვილად თითო სარეცელზე მაშინ, როდესაც საერთო თასი უვლის მათ ხელიდან ხელში გადასვლით. რაც შეეხება თვით ლექსის ტონს, ის გამსჭვალულია წმინდა ელეგიური სევდით, იმის მოგონებით, რაც იყო და რაც აღარ არის უკვე, და ამიტომ მასში როდი ისმის სიმტკიცე: აქ არის დაღლილობა და თავდაჭერილი მწუხარება იმის გამო, რომ დარღვეულია შეთანხმებული ურთიერთობა, რომ წრის ერთი ნევრთავანი გამოტაცებულია წრიდან და მიდის ახალი ცხოვრებისაკენ.

„დობილის“ ამნაირი გამოკლება წრიდან ხდებოდა თანახმად ქალის ხვედრისა, ყველაზე უფრო ხშირად მაშინ, როდესაც წრეში „შეიჭრებოდა ვაჟური სანყისი საქმროს სახით, რომელსაც მიჰყავდა ქალიშვილი ახალი ოჯახური ცხოვრებისათვის“. ასეთ შემთხვევაში საპფო სწერდა მიმავალი „დობილისათვის“ საქორწინო სიმღერას, რომელშიდაც მხიარული და მწუხარე ჰანგები ერთმანეთს ჩაექსოვებოდენ. ის თითქოს ლოცავდა უცნობი ცხოვრებისაკენ მიმავალს, რადგან ვინ იცის, რა შეიძლება მოხდეს შემდეგში.

„მაღალ მთის ფერდობზე მწყემსისგან გათელილი  
 მინაზე თავს დახრის სუმბული მენამული“.

ისეა ქალიშვილიც. ყველაფერი უღიმის მას, ვიდრე ქალწულია. მაგრამ გაივლის ეს დრო; უდარდებლობა ჩამოეცლება მას; ცხოვრებაში შემოიჭრება ყოველდღიურობა და დახრის მას მინისაკენ, რის შემდეგ დაიწყება მისთვის უფერული არსებობა და აი, მაშინ ისიც უკვე სამუდამოდ მონყვეტილი თავის წინანდელ „დობილებს“, მოკლებული თავისი ნამდვილი ხვედრის გამოცვლის იმედს, დაიწყებს მოგონებით გადასვლას შორეულ წარსულში.

ფიქრი იმისი  
 ჩვენს კენ მოილტვის შორეული სარდებიდან  
 და არა ერთხელ აგონდება  
 მას, თუ ოდესღაც ჩვენ აქ ერთად როგორ ვცხოვრობდით.  
 ვერ დაივიწყოს  
 დობილმა, რომ იყავი  
 ღმერთი ნათელი შენ იმისთვის,  
 და რომ მას შენი სიმღერები ისე ხიბლავდა.  
 ეხლა კი იგი  
 ბრწყინავს ლიდიელ ქალთა შორის...  
 მთვარე სპეტაკი ამნაირად,  
 როცა მზე ჩავა, ვარსკვლავებში გამოერევა  
 და შუქს დააფენს  
 ზღვას მარილიანს,  
 მინდვრებს აყვავებულს,  
 ცვარ-ნამით მოოჭვილებს.  
 ირგვლივ კი  
 ჰყვავიან ვარდები თავმომწონედ  
 და ნაზ სურნელებას კამა მიმოაბნევს.  
 ხოლო იგი  
 ველარ ისვენებს... ოთახებში დაეხეტება...  
 მწარე ნალველი სულს უნამლავს,  
 და აგონდება მას ატტიდა.  
 გვექახის,  
 მაშინ ხმა მალლა გვიხმობს იგი.  
 და გაურკვეველ სამდურავებს  
 ნელა მოიტანს ყურმახვილი ღამე ჩვენამდე.

მაგრამ, დაე, ასეთი იყოს ქალის ბედი. ეს მაინც იმას არ ნიშნავს, რომ ქალიშვილი უნდა ატარებდეს დროს მუსიკაში და პოეზიაში მეცადინეობის გარეშე. მას უნდა ჰქონდეს უმაღლესი ინტერესები. ის არ უნდა კმაყოფილდებოდეს დღითი დღე არსებობით. დაე, მის სულში ღვივოდეს „პიერიის მუზეუმისადმი“ სიყვარული, სიყვარული ხელოვნებისადმი. მაშინ ის უკვალოდ როდი გაივლის, მაშინ მას მიიღებს უკვდავება. ამ მაღალ აზრს საპფო ავითარებს შემდეგ ლექსში, რომელიც მიმართულია ერთ-ერთ იმის „დობილისადმი“, რადგან ეს უკანასკნელი, როგორცა სჩანს, ჩამოშორებია შეგნებულ ინტელექტუალურ ცხოვრებას.

შენ მოკვდები და მიწაში ესვენები.  
 ყველა დაგივინყებს.  
 ნახვალ უკვალოდ! ვარდები პიერიის  
 შენ არ გიზიდავდენ  
 და არ გინდოდა გეკრიფოს! შენ აიდში,  
 ლანდი უფერული,  
 ივლი ლანდებში, რომლებიც დიდი ხანია  
 უკვე დაივიწყეს.

ამ ლექსში აშკარად ისმის ძლიერი ხმა ზეციური აფროდიტისი. და ამ ხმის არსებობა მეტად დამახასიათებელია საპფოს პოეზიისათვის. საპფო, რომელსაც თავისი შემოქმედე-

ბის საგნად ქალის გრძნობა და ბედი გაუხდია, უკანასკნელ ჩემ მიერ მოყვანილ ლექსში მიდის წინ. ეს პოეტური წრის მეთაური და ხელმძღვანელი ქალთა მოძრაობის, თავის „დობილებს“ უსახავს ნამდვილ გზას კარჩაკეტილობის სიბნელიდან სინათლეზე გამოსავალად.

ალკეოს და საპფოს შემოქმედების გარჩევა დასრულებულია. ორივე პოეტის განსაკუთრებული თვისებები გამოაშკარავებულია შეძლებისამებრ. დარჩა კიდევ ერთი საკითხი, რომლის შეხებაც საჭიროა, — ეს არის ალკეოს და საპფოს დამოკიდებულება ერთმანეთთან. ჩვენ ვიცით, რომ ისინი იყვნენ თანამედროვენი და იმავე დროს წევრები ერთი-სადაიმავე არისტოკრატიული პარტიის. ამნაირად მათ შორის, უწინარეს ყოვლისა, კავშირი იყო დამყარებული წოდებრივსა და პოლიტიკური რწმენის იგივეობაზე. მაგრამ, გარდა ამისა, ორივე ისინი იყვნენ პოეტები. აშკარა არის, რომ მათ შორის უნდა ყოფილიყო საერთო წმინდა ლიტერატურული ინტერესებიც. თუმცა ისინი ერთსა და იმავე სარბიელზე სხვადასხვა მიმართულებით მუშაობდნენ, მაგრამ მეტოქეობას კი არ ჰქონდა მათ შორის ადგილი: მათი ინტერესები როდი ჯვარედინდებოდნენ. ორივე თავთავისი გზით მიდიოდა. ორივეს თავისი ხვედრი ჰქონდა დანიშნული. მათ არაფერი ჰქონდათ ერთმანეთთან სადავო. პირიქით, საპფოს პიროვნება მომხიბლავ შთაბეჭდილებას ახდენდა ალკეოზე. ის თავყვანს სცემდა მას არა მარტო როგორც პოეტს, არამედ როგორც ქალსაც. საპფომ ჩაუნერგა გულში მეომარ პოეტს ნამდვილი სიყვარული, რასაც ამტკიცებენ ალკეოს შემდეგი სტრიქონები, მოღწეული ჩვენამდე:

ო, საპფო მშვენიერო, ტკბილად მოცინარეე,  
იებით თავმორთულო, — მსურდა გამემხილა  
მე შენთვის ორი სიტყვა, მაგრამ მერცხვივინება!

ჩვენ ვიცით აგრეთვე, რომ ამ ნახევრად გამოტეხილმა გრძნობამ საპფოს გულში დადებითი პასუხი ვერ მიიღო. ის, მისთვის ჩვეულებრივი სინარნარით და მასთან გულკეთილი ირონიის ჩაქსოვით, ასე გამოეხმაურა ამაზე ალკეოს:

თუ კი შენ გინდა რამე წმინდა და მაღალი,  
თუ კი შენ ცოდვილ ფიქრებს გულში არ ატარებ,  
მაშინ შენ მორიდებით თვალებს ძირს არ დახრი  
და ჩემს წინ ყოველივეს იტყვი დაურცხვივინლად!

საპფოს პასუხი განსაკუთრებით მოსწონდა ანტიურ ქვეყანას. „სხვანაირად საპფოს არც შეეძლო ეპასუხა“, — ამბობს ერთი ძველი ავტორი. დიახ, არ შეეძლო, დაუმატებ მე ჩემის მხრივ, და ეს პასუხი, როგორც თვით ალკეოს მიმართვა, ერთხელ კიდევ ამტკიცებს, თუ რამდენად უნიადაგოა ყველა ის ცილისწამება და ინსინუაციები ადამიანზე, რომელსაც ისინი არაფრით არ დაუმსახურებია. თუმცა თვით ანტიური ქვეყანა როდი უყურებდა მათ სერიოზულად. საპფოს წმინდა ხსოვნა დაუვინყარი იყო საბერძნეთში, განსაკუთრებით კი პოეტის მშობლიურ მიტილენეში. საკმაოა მიუთითოთ იმაზე, რომ მიტილენის ფულებზე გამოსატულია საპფოს სახე. ეს კიდევ ცოტაა: საპფოს ქანდაკება გამოჰკვეთა შემდეგში დიდებულმა მოქანდაკემ სილანიონმა და, დასასრულ, სხვადასხვა ხანის ვაზათა ხელოვნებას უყვარდა გენიალური პოეტი ქალის გამოხატვა; ასეთი გამოხატულება განსაკუთრებით საინტერესოა ერთ ვაზაზე, რომელიც ეკუთვნის ბონნის უნივერსიტეტს. საპფო გამოყვანილია სავარძელში მჯდომი და ღრმად გართული პაპირუსის ხვეულის კითხვაში; მის წინ სდგას კითარედის მდიდრულ ტანისამოსში ალკეო, ხოლო საპფოს თავზე ვილაცის ხელს უჭირავს დაფნის გვირგვინი, რომელიც უფლებით საპფოს ეკუთვნის, როგორც ყველა დროის და ყველა ერის უდიდეს პოეტ ქალს.

პროფ. გრიგოლ წერეთელი

## აკადემიკოს ნიკო მარრის სამეცნიერო მოგზაურობიდან სინაის მთაზე<sup>1</sup>

I

მეათე საუკუნის ძველი-ქართული ტექსტი: „ქება და დიდება ქართულისა ენისა“

### წინასწარი განმარტებანი

ქვემოთ მოთავსებული ძველი ქართული მწერლობის ძველი „ქება და დიდება ქართულისა ენისა“ დაცულია სინაის მთის სამს ხელნაწერში; სამსავე ხელნაწერში იგი ჩანერილია მეათე საუკუნის მეორე ნახევარში (პირველი უძველესი პირი ეკუთვნის 979 წელს, მეორე 981 წელს, მესამეც ამავე დროს, არა უგვიანეს 983 წლისა).

ეს ტექსტი წარმოადგენს ქართული ენის მისტიურ ხოტბას. იგი დიდს ისტორიულ-ლიტერატურულ ინტერესს შეიცავს. ეს „ქება“ გვიჩვენებს ქართული ეროვნული თვითცნობიერების მდგომარეობას და მესიანისტურ სულისკვეთებას მე-X საუკუნის ქართულ განათლებულ წრეებში.

რათა თანამედროვე მკითხველისათვის ბოლომდე ცხადი გახდეს მისი შინაარსი, საჭიროდ მიგვაჩნია აქ რამდენიმე წინასწარი შენიშვნა — მისი ეზოტერიული სიმბოლიკის შესახებ.

ძველი ქართველი ავტორი ამ „ქებაში“ აცხადებს, რომ ქართულს ენაში დამარხულია მისტიური, ღვთაებრივი საიდუმლო, რომ იგი არის „შემკული და კურთხეული სახელითა უფლისაითა“. და თუმცა ქართული ენა — ავტორის სიტყვით — მიჩნეულია როგორც „მდაბალი და დაწუნებული“, მაგრამ ეს დროებითია, და ამას აქვს ეზოტერიული აზრი: ქართული ენა — ეს არის ახალი ლაზარე ენათა შორის, რომელიც მკვდრეთით აღდგება მეოთხე დღეს. ქართული ენა შენახულია თვით მეორე მოსვლისათვის, „რათა ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა“; უკანასკნელი განსჯა, რომელსაც მოახდენს მესია, ქართულს ენაზე შესრულდება.

მთელს „ქებაში“ გატარებულია ეს სიმბოლიური პარალელიზმი ქართულს ენასა და ლაზარეს შორის, რომელიც ოთხის დღის მკვდარი იყო, და შემდეგ მკვდრეთით აღსდგა:

ა. ქართველნი ქრისტეს სარწმუნოებაზე მოაქცია ორმა ქალმა — ნინომ და ელენე დედოფალმა — და ესენი არიან ორნი დანი ვითარცა მარიამ და მართა;

ბ. ავტორი ასეთსავე მისტიურ ჩვენებას ჰხედავს ქართული სახარების დასაწყისში; მხოლოდ ქართული სახარების თავში წარწერილია ასო „წ“ („წილი“); „წ“ როგორც რიცხვი ნიშნავს ოთხი-ათასს. და რადგან საღმრთო წერილის სიტყვით — „წელი ათასი ვითარცა ერთი დღე“, მაშასადამე ასო „წ“ (ე. ი. ოთხი ათასი); აქ ნიშნავს ოთხ დღეს; აქ არის ფარული აზრი: იგი აღნიშნავს ლაზარეს, ოთხ დღეს მძინარეს საფლავში, და „**ოთხისა** დღისა მკვდარს“ — თანახმად დავით წინასწარმეტყველის სიტყვისა;

1. აკადემიკოს ნიკო მარრის სამეცნიერო მოგზაურობა სინაის მთაზე შესრულებულ იქმნა 1902 წელს. ნიკო მარრმა ამ მოგზაურობის დროს შეადგინა დეტალური აღწერა ქართულ ხელნაწერთა იმ უძველესი საგანძურისა, რომელიც დღემდე დაცულია სინაის მთაზე.

სამწუხაროდ, ეს აღწერა სინაის მთის ხელნაწერებისა, რომელიც უაღრესს სამეცნიერო ინტერესს წარმოადგენს, დღემდე გამოქვეყნებული არ არის.

რედაქციის განკარგულებაში იმყოფება ერთი ტექსტი ამ აღწერიდან: „ქება და დიდება ქართულისა ენისა“ — გადმოღებული ნიკო მარრის სინაის მთის სამი მეათე საუკუნის ხელნაწერიდან. ამ ტექსტს ვათავსებთ ქვემოთ.

„წინასწარი განმარტებანი“ ტექსტის შესახებ — ეკუთვნის რედაქციას.



გ. დასასრულ მისტიურ ჩვენებას ქართული ენის უპირატესობის შესახებ ავტორი ჰხედავს აგრეთვე იმაში, რომ ქართული წელთ-აღრიცხვა წინ უსწრებს ბერძნულს **ოთხმოცდა-ოთხმეტი** წლით.

ასეთია ეზოტერიული სიმბოლიკა ამ ძეგლისა; იგი აგებულია რიცხვების მისტიკაზე, რაც ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა საშუალ საუკუნეთა მწერლობაში.

საკითხავია ამის შემდეგ, თუ ვინ არის ავტორი ამ ტექსტისა?

როგორც აღვნიშნეთ, ჩვენამდე შენახულა სამი პირი ამ ძეგლისა, რომლებიც გადანერვილია მეათე საუკუნის 80-იან წლების ახლოს. აქედან ორი პირი გადანერვილია ცნობილი ქართველი მწერლის იოანე სინაელის ხელით. ამიტომ უნებლიეთ იბადება მოსაზრება. ხომ არ არის თვით ეს იოანე სინაელი ავტორი ამ ძეგლისა?

იოანე სინაელის ავტორობის სასარგებლოდ თითქო ლაპარაკობს ის გარემოებაც, რომ იოანე სინაელის სხვა ტექსტებშიც ჩვენ გვხვდება ასეთივე უაღრესი პატრიოტული თვითდადგინება ქართველობისა. ასე, მაგალითად, იმავე ხელნაწერში, სადაც მოთავსებულია ეს „ქებაი“, მოთავსებულია აგრეთვე ანდერძი იოანე სინაელისა, სადაც იგი სწერს შემდეგს: „ქრისტე, შეიწყალე... ყოველნი ძმანი, და ყოველნი ქრისტეანენი, და უფროს ყოველთასა ყოველნი ქართველნი“ (A-ხელნაწერი).

მაგრამ როცა ჩვენ უფრო ახლო ვეცნობით „ქებაის“ ტექსტს, ცხადი ხდება, რომ იოანე სანაელი შეუძლებელია იყოს ამ ძეგლის ავტორი.

საქმე შემდეგშია: იოანე სანაელის გადანერვილ პირებში ჩვენ გვხვდება ერთი არსებითი ხასიათის შეცდომა, რომელიც გვიჩვენებს, რომ იოანე სინაელს არც კი ესმოდა ამ ტექსტის ზოგი ადგილების ეზოტერიული მნიშვნელობა. ასე AC-ხელნაწერებში ერთი ადგილი „ესე **წილი** ანბანისაი“ მოყვანილია ამრიგად: „ასე ესე **წელი** ანბანისაი“; „წელი“ — ნაცვლად სიტყვისა „წილი“. ტექსტში უნდა ყოფილიყო „წილი“ — რადგან მთელი მისტიური სიმბოლიკა ამ ძეგლისა ასო წილის განმარტებაზეა დამყარებული. შემდეგ: ასევე დამახინჯებულია სამსავე ხელნაწერში მეორე ადგილი, სადაც სწერია „წერილი“ ნაცვლად იმავე სიტყვისა „წილი“.

ამ რიგად, ამ ძეგლის ავტორის ვინაობა გამოურკვეველი რჩება; ერთადერთი, რაც დანამდვილებით ვიცით, არის ის, რომ იგი დაწერილია მე-X საუკუნის 80-იან წლებზე უფრო ადრე.

ამ წინასწარ განმარტებათა შემდეგ მოგვყავს თითონ ტექსტი:

### ქება და დიდება ქართულისა ენისა

დამარხულ არს ენა ქართული დღემდე მეორედ მოსვლისა მისისა სანამებელად, რათა ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა; 1

და ესე ენა მძინარე არს დღესამომდე, და სახარებასა შინა ამას ენასა ლაზარე ჰრქვან; 2

და ახალმან ნინო მოაქცია და ჰელენე დედოფალმან, ესე არიან ორნი დანი ვითარცა მარიამ და მართად; 3

და მეგობრობა ამისთვის თქუა, ვითარმედ ყოველი საიდუმლო ამას ენასა შინა დამარხულ არს; 4

და ოთხისა დღისა მკუდარი ამისთვის თქუა დავით წინაღწარმეტყუელმან, რამეთუ თუ წელი ათასი ვითარცა ერთი დღე, — 5

და სახარებასა შინა ქართულსა თავსა ხოლო მათ სსა წილი ზის, რომელ ასოდ არს და იტყვს ყოვლად ოთხ-ათასსა მარაგსა; — და ესე არს ოთხი დღე, და ოთხისა 6



დღისა მკუდარი, ამისთვის მისთანავე დაფლული სიკუდილითა ნათლისღებისა მისი-სადათა.

და ესე ენაჲ შემკული და კურთხეული სახელითა უფლისაჲთა, მდაბალი და დაწუ- 7  
ნებული, მოელის დღესა მას მეორედ მოსლვისა უფლისასა, და სასწაულად ესე აქუს  
ოთხმეოც-და-ათოთხმეტი წელი უმეტესსხუათა ენათა ქრისტეს მოსლვითგან დღე-  
სამომდე.

და ესე ყოველი, რომელი წერილ არს, მონამედ წარმოგიტხარ ესე წილი ანბანისაჲ. 8

## ტექსისათვის

„ქებაი“-ს ტექსტი მოთავსებულია სინაის მთის შემდეგს ხელნაწერებში:

1. ხელნაწერი №32-33 (=A<sup>1</sup>). ამ ხელნაწერის ძირეული დედანი გადანერილია 864 წელს.  
ხოლო „ქებაი“ მიწერილია ხელნაწერის ბოლოში შემდეგ, 981 წელს, იოანე სინაელის ხელით.

2. ხელნაწერი №6 (=B<sup>2</sup>) ხელნაწერი ეკუთვნის მეათე საუკუნის 80-იან წლებს, არა უგვი-  
ანეს 983 წლისა; „ქებაი“ მოთავსებულია ხელნაწერის ბოლოს, და დაწერილია ამავე დროს.

3. ხელნაწერი №38 (=C<sup>3</sup>). ეს ხელნაწერი გადანერილია იოანე სინაელის მიერ 979 წელს.  
აქაც „ქებაი“ მოთავსებულია ხელნაწერის ბოლოში იმავე იოანე სინაელის ხელით.

ცალკე ხელნაწერები იძლევიან ასეთ ვარიანტებს:

**სათაური.** A ხელნაწერში სათაურს წინ უძღვის სიტყვები: „სახელითა ღმრთისათა“. B  
ხელნაწერში სათაური ასე იკითხვის: „ქართულისა ენისათჳს“. C ხელნაწერში სათაურს  
ბოლოში დამატებული აქვს: „ლოცვა ყავთ“.

**2 სტროფი.** მძინარ AC. ლაზარ CI

**3 სტროფი.** ჰ ლენე A | ლენი B. ელენე CI

**6 სტროფი.** მათესსა B | წერილი ABCI მისთანა BI

**7 სტროფი.** უმეტეს B | ქრისტეს BI

**8 სტროფი.** წარმოგიტხრას BC. ისი ესე წელი (ნაცვლად ტექსტისა: ესე წილი) ACI  
ბოლოში დართული აქვს ასეთი მინაწერები: „ლოცვა ყავთ წმიდანო ღმრთისანო, ლოც-  
ვა ყავთ; ქრისტე შეინყაღე მჩხრეკელი ამის იოანე ამინ“. A „ლოცვა ყავთ“ B. I „ლოცვა  
ყავთ, წმიდანო ღმრთისანო, ლოცვა ყავთ, ამინ“. C.<sup>4</sup>

დასასრულ აღვნიშნავთ, რომ ჩვენ მიერ დაბეჭდილ ტექსტში გახსნილია ყველა ქა-  
რავმები ეპოქის ორთოგრაფიის მიხედვით; მიღებულია თანამედროვე სასვენი ნიშნები;  
სტროფებად დაყოფა რედაქციას ეკუთვნის.

ნიკო მარრი

1. ცაგარელის აღწერის №83.

2. იქვე №71.

3. იქვე №12.

4. „ქებაის“ ტექსტი C ხელნაწერის მიხედვით პირველად გამოაქვეყნა პროფ. ალ. ცაგარელმა (იხ.  
Памятники Грузинской старины на Святой Земле и на Синае, გვ. 203). ცაგარლის ტექსტში არის შეცდომები,  
და ამასთან აქ მიღებულია ვულგარული ორთოგრაფია, ნაცვლად კლასიკური ქართულის ნორმებისა.

## ჩახრუხაისძე

### პოეტი. მოგზაური

#### ესსაჲ საშუალო-საუკუნეთა აღმოსავლეთის პოეზიიდან

ვუძღვნი ქ. ბ. ი.

### წინასიტყვა

წინამდებარე ცდა ისახავს მიზნად, აღადგინოს პორტრეტი ერთი ქართველი პოეტი-სა საშუალო-საუკუნეთა ეპოქიდან, მე-XII-XIII საუკუნეებიდან. ეს პოეტი არის შაჰრუხ ჩახრუხაისძე. იგი თავისი შემოქმედებით ეკუთვნის არა მარტო ქართულ პოეზიას, არამედ სპარსულ და არაბულ პოეზიასაც. რეალები, რომლებიც ირკვევა ამ პოეტის შესახებ, უაღრეს მნიშვნელობას შეიცავს ქართული კულტურის ისტორიისათვის. აქ ჩვენ ხელსახებად ვგრძნობთ იმ თითქმის უცნობ მსოფლიოს, რომელსაც წარმოადგენდა მე-XII-XIII საუკუნეთა საქართველო, ვგრძნობთ ამ ეპოქის კულტურულ მილიეს.

ჩახრუხაისძე დავინწყებულთა რიცხვს ეკუთვნის, მისი ვინაობა დღემდე გამოურკვეველი იყო. და ამ დავინწყების ღირსი არ არის ეს ორიგინალური პოეტი და მდულარე სულის ადამიანი. ამ პოეტის ვინაობის გაცნობა — ვფიქრობდით — ინტერესს შეიცავს არა მარტო ვინრო-სპეციალისტებისათვის, არამედ უფრო ფართე წრისათვისაც. და ამით აიხსნება ის გეგმა ჩვენი ესსაჲსთვის:

ჩვენი ცდა იყოფა ორი ნაწილად. პირველ ნაწილში წარმოდგენილია ჩახრუხაისძის პორტრეტი; ჩვენ შეუძლოთ დავინახეთ ეს პირველი ნაწილი დაგვეტვირთა ისეთი დეტალებით, რომელიც მიუწოდომელი იქნებოდა არა-ფილოლოგი მკითხველისათვის, და რომელიც მხოლოდ გააძნელებდა საერთო სურათის გარჩევას. ასეთი ხასიათის კრიტიკული აპარატი, ვინრო-სპეციალური ხასიათის განმარტებანი და შენიშვნები, ჩვენ გამოვყავით ცალკე, და გადავიტანეთ ამ ჩვენი ცდის მეორე სპეციალურ ნაწილში.

მანც ამ წინა-სიტყვაში ერთგვარ ცნობად არა-ფილოლოგი მკითხველისათვის, საჭიროდ მიგვაჩნდა მოკლედ აგვენიშნა ის მთავარი დებულებანი, რომელზედაც ემყარება ჩვენი რესტავრაცია ჩახრუხაისძის პორტრეტისა.

\* \*

ჩახრუხაისძის პრობლემის ახსნა შესაძლებელი გახდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ჩვენ გავარკვიეთ შემადგენლობა ერთი ძველი ქართული ლირიულ ნაწარმოებთა კრებულისა, რომელსაც ეწოდება „თამარიანი“.

ამ კრებულში მოთავსებულია შემდეგი ნაწარმოებნი:

1. თორმეტი ოდა<sup>1</sup>;
2. ორი ელეგია; და ამას გარდა
3. კრებულის ბოლოსიტყვაობა.

ჯერ ორი სიტყვა თითონ ტექსტის დადგენის ისტორიაზე. აქ, პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს აკადემიკოს ნიკო მარრის დიდი დამსახურება. ნიკო მარრმა პირველმა ჩაუყარა საფუძველი ჩახრუხაისძის შესწავლას იმით, რომ მან შესძლო დაედგინა, საზო-

1. აკად. ნ. მარრს აქ მიაჩნია 11 ოდა. მაგრამ ტექსტში — რითმაზე „ებულად“ დაცულია დამოუკიდებელი ოდა (მე-12), ფრაგმენტის სახით. იხ. ამის შესახებ ცალკე ექსკურსი (სქოლიო 1).

გადო ხაზებში, „თამარიანის“ ტექსტი, რომელიც საოცარის დამახინჯებით იყო მიღწეული. ნიკო მარმა პირდაპირ გენიალურის გონებამახვილობით აღმოაჩინა, რომ „თამარიანი“ არის ცალკე ლექსების კრება, და ამასთან მიაგნო ძირეულ რეალურ საზომს (გარეგანი რითმების ერთგვარობა), რომლის მიხედვით მტკიცედ ირკვევა ცალკე ნაწარმოებთა ზოგადი ფარგლები<sup>1</sup>.

ჩვენ ვლებულობთ ნ. მარის ამ ძირეულ პრინციპს ტექსტის დასადგენად. ჩვენ მასში შევიტანეთ მხოლოდ მეტი დეტალიზაცია და დაწმენდა იმ ორი ახალი რეალური კრიტერიუმის მიხედვით, რომლებიც ირკვევა თამარიანის შესწავლიდან, და რომლებიც გვაძლევს საშუალებას თითქმის უცთომელი ტექსტი აღვადგინოთ<sup>2</sup>.

ეს, მაშასადამე, რაც შეეხება თითონ ტექსტის საკითხს, სადაც ჩვენ საერთო ხაზებში ვეთანხმებით ნ. მარს. —

მაგრამ ტექსტის დადგენა მხოლოდ პირველი საქმე იყო. საჭირო იყო ამის შემდეგ უფრო ახლო გარკვევა „თამარიანის“ შემადგენლობისა, ცალკე ნაწარმოებთა თარიღების დადგენა, მათი ავტორების აღმოჩენა, მათი შინაარსის ინტერპრეტაცია. და, აი, აქ ჩვენ მივალწიეთ ახალ დასკვნებს, რომელმაც მოგვცა საშუალება აგვეხსნა ჩახრუხაისძის პრობლემა და გამოგვეჩვენა ამ უორიგინალესი პოეტის ვინაობა.

აღვნიშნავთ აქ ჩვენს ძირეულ დებულებებს „თამარიანის“ ცალკე ნაწარმოებთა შესახებ, — მათ თარიღებზე, ავტორებზე, და ტექსტების შინაარსზე:

\* \* \*

1. **ოდები.** ოდების საკითხი შედარებით მარტივია. თორმეტი ოდა, რომლებიც დაცულია „თამარიანში“, წარმოადგენს მეფის თამარის ხოტბებს. დაწერილია ისინი სხვა-დასხვა ისტორიულ შემთხვევათა გამო, სხვა-და-სხვა დროს. მათი თარიღების გამორკვევა — ოდებში დაცული რეალების მიხედვით — ნიშანდობლივ არის შესაძლებელი; ისინი ეკუთვნიან თამარის მეფობის პირველ ნახევარს და დაწერილია დრო-გამოშვებით 8-9 წლის მანძილზე: 1184-5 წლიდან — ვიდრე 1193 წლამდე.

ყველა ეს ოდები, როგორც ამას ცხად-ჰყოფს ლექსის ფაქტურა, და აგრეთვე მთელი რიგი შინაგანი ნიშნებისა, დაწერილია ერთი ავტორის მიერ. ოდების ამ ავტორის გვარი ყოფილა ჩახრუხაისძე, ხოლო მისი სახელი შაჰრუხ<sup>3</sup>.

1. იხ. მისი Древне-груз. описцы, ТР. IV, СПб, 1902; ოდების საკითხს გაკვრით ეხება ნ. მარის შემდეგი დროის შრომებშიც; ТР. X, 1910 წ. და „Витязь в Барс. шк. и новая культ.-ист. проблема“, 1917 წ.

2. ეს ორი კრიტერიუმი არი:

1. ჩახრუხაისძის ნამდვილ ტექსტში არასოდეს არ მეორდება გარეგანი რითმის ერთსა და იმავე ლექსში. ეს ნიშნეულობა სისტემატიურად არის დაცული ნამდვილი ტექსტების მანძილზე. და ეს ჩვენ გვაძლევს საშუალებას თითქმის ყველა spurius-ების გამოსაცნობად; ინტერპოლატორები არასოდეს არ იწუხებენ თავს ახალი რითმების მოსაძებნად და თავიანთ ჩანართებში იმეორებენ ძირეული ტექსტის რითმებს.

2. მეორე კრიტერიუმი არის ის, რომ ჩახრუხაისძის რითმა საზოგადოდ დამყარებულია გარკვეულ პრინციპს: აქ სისტემატიურად დაცულია — დაქტილური, ქორეული და ვაჟური რითმების გარკვეული წესით ხმარება. ჩახრუხაისძე ამით არსებითად განსხვავდება ყველა დანარჩენი პოეტებიდან, როგორც კლასიკური, ისე განახლების ეპოქისა. და ეს იძლევა ყველაზე მტკიცე ჩვენებას ჩანართი ადგილების გასარკვევად.

დეტალურად ამ ორთავე კრიტერიუმების შესახებ — იხ. ამ ცდის მეორე, სპეციალურ ნაწილში.

3. რომ ოდების ავტორის გვარი არის ჩახრუხაისძე, ამას ვვიჩვენებთ თვით კრებულის ბოლოსიტყვაობა მე-XIII საუკუნისა (ამასვე ეთანხმება შემდეგი დროის ლიტერატურული ტრადიციაც), ხოლო პოეტის სახელი შაჰრუხ ირკვევა ერთი ბიბლიოგრაფიული მოსახსენებელიდან (პოეტის სახელის შესახებ იხ. სპეციალური ექსკურსი, სქოლიო 2).

\* \*

**2. ელეგიები.** ელეგიების საკითხი ბევრად უფრო მეტს სირთულეს შეიცავს, ვიდრე ოდებისა. აქ გამოსარკვევი იყო სამი კითხვა: **a.** მათი დანერის დრო; **b.** მათი ავტორები; **c.** ვის ეხება ეს ელეგიები.

**a. ელეგიები. დანერის დრო.** რაკი ეს ელეგიები მოთავსებულია ერთ კრებულში თამარის ეპოქის ოდებთან ერთად, თავის თავად იბადება მოსაზრება, რომ ეს ელეგიებიც თამარის ეპოქას უნდა ეკუთვნოდენ; და, მართლაც, ამ ტექსტების შესწავლა სავსებით ამართლებს ამ მოსაზრებას. გეოგრაფიული ნომენკლატურა, რომელიც წარმოდგენილია ამ ელეგიებში, გვიჩვენებს, რომ იგი დანერილია მე-XIII საუკუნის დასაწყისში, მონგოლთა მფლობელობის დამყარების უწინარეს. მაგრამ შესაძლოა, მათი დროის კიდევ უფრო ნიშანდობლივ გამორკვევა: აქ დაცულია ერთი დეტალი კონსტანტინოპოლის შესახებ, საიდანაც ცხადი ხდება, რომ ეს ელეგიები დანერილია თამარის მეფობის მეორე ნახევარში, არა უგვიანეს 1204 წლისა<sup>1</sup>.

ეს, მაშასადამე, რაც შეეხება ელეგიების დანერის დროს. ამის შემდეგ გადასაჭრელი იყო მეორე კითხვა:

**b. ვინ არიან ელეგიების ავტორები.** ამ მეორე საკითხის გამორკვევაც შესაძლებელი გახდა:

ამ ორი ელეგიიდან — მეორე ელეგიის ავტორი ყოფილა დღემდე უცნობი პოეტი ბარამან მანი. მკითხველმა, რასაკვირველია, იცის, რომ საშუალო საუკუნეთა აღმოსავლურ ლირიულ პოეზიაში ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა, რომ ავტორი თავის თავს ასახელებდა ლექსის უკანასკნელ სტროფში. და ასე მოქცეულა ეს პოეტიც. ელეგიების დასასრულში მას მოხსენებული აქვს თავისი ვინაობა „ბარამან მანი“-ს [ე. ი. ბარამან მანიქველის] სახელით<sup>2</sup> — ეს, მაშასადამე, მეორე ელეგიის ავტორი.

ხოლო ვინ იყო ავტორი პირველი ელეგიისა? ეს კითხვაც ირკვევა. ეს პირველი ელეგია ლექსის ფაქტურით, რითმების ხასიათით, ლექსიკონით, და სხვა რეალიების მიხედვით არსებითად განსხვავდება როგორც მეორე ელეგიიდან, ისე ოდებიდან<sup>3</sup> — ეს ერთი დებულება. შემდეგ: კრებულ „თამარიანის“ დასასრულში დაცულია ცნობა, რომელიც გვიჩვენებს, რომ ამ კრებულში წარმოდგენილია ორი ჩახრუხაისძის ნაწარმოები. და აი, ყველა ამ ფაქტიურ ჩვენებათა დაპირისპირებიდან, ცხადი ხდება, რომ ამ ელეგიის ავტორი ყოფილა მეორე ჩახრუხაისძე — ძმა ოდების ავტორის შაჰრუხ ჩახრუხაისძისა (ამ მეორე ჩახრუხაისძის სახელი უცნობია; ამიტომ მას ქვემოთ ვუწოდებთ: „ჩახრუხაისძე-მეორეს“).

მაშასადამე, მთელი კრებულის „თამარიანის“ შემადგენლობა ასეთი ყოფილა: 1. თორმეტი ოდა — ეკუთვნის შაჰრუხ ჩახრუხაისძეს; 2. პირველი ელეგია ეკუთვნის ჩახრუხაისძე-მეორეს (შაჰრუხ ჩახრუხაისძის ძმას); და 3. მეორე ელეგია ეკუთვნის პოეტს — ბარამან მანს.

ამ რიგად გამოირკვა ავტორების ვინაობა; ამის შემდეგ გადასაჭრელი იყო მესამე კითხვა:

**c. ვის ეხება ეს ელეგიები.** ამ ელეგიების შინაარსი ინვევდა კრიტიკოსთა გაურკვევლობას. ეს ელეგიები არც თავისი ტონით, და არც შინაარსით არ უდგება კრებულ „თამარიანი“-ს საერთო ხასიათს. მართლაც:

კრებული წარმოადგენს თამარის ოფიციალურ ოდებს, და რით უნდა აიხსნას, რომ აქ ex abrupto ჩაუკერებიათ ეს ორი ელეგია? — იბადებოდა ასეთი კითხვა;

1. იხ. პირველი ელეგია, სტროფი 12, „მუნ სადა მეფედ ზის კეისარი“ — ამის მიხედვით კონსტანტინეპოლი ჯერ კიდევ არ ყოფილა აღებული ლათინთაგან.

2. ტექსტის ინტერპრეტაციის შესახებ იხ. ცალკე ექსკურსი, სქლიო 3.

3. კერძოდ ოდებიდან მას განასხვავებს ორთავე რეალური კრიტიერიუმი, რომელიც აღნიშნულია ზემოდ გვ. 213-214, შენიშვნა 1.

შემდეგ: ამ ელევგიებში მოთხრობილია რომანტიული ისტორია ვილაც უცნობი პოეტისა, რომელიც, თამარის უიმედო მიჯნურობით შეპყრობილი, გადახვეწილა საქართველოდან; ვინ არის ეს პოეტი? — იბადებოდა ეს მეორე კითხვაც.

კრებულის ანალიზმა სრულიად ბუნებრივად ახსნა ეს გაურკვეველობა. ეს ელევგიები — როგორც ეს უცილობელად დაამტკიცა სხვადასხვა რეალიების დაპირისპირებამ სრულებითაც არ ყოფილა შემთხვევით ჩაკერებული „თამარიანში“, არამედ მას ორგანიული კავშირი ჰქონია ამ კრებულთან. საქმე ის არის, რომ — ამ ელევგიებში გადმოცემულია თითონ „თამარიანის“ კრებულის ავტორის — შაჰრუხ ჩახრუხაისძის ბიოგრაფია.

მართლაც, გადავიკითხოთ პირველი ელევგია, რომელიც დაწერილია ჩახრუხაისძემეორის მიერ. ტექსტიდან ჩვენ ვხედავთ, რომ ეს უცხოეთში გადახვეწილი პოეტი, რომლის ბიოგრაფიასაც იგი მოგვითხრობს, და რომლის დაკარგვასაც იგი დასტირის, არის მისი ძმა, ე. ი. შაჰრუხ ჩახრუხაისძე, ოდების ავტორი. აქ გვხვდება მთელი რიგი ასეთი დეტალებისა, როგორც მაგ.: ამ უცხოეთში გადახვეწილი პოეტის ცოლს ჩახრუხაისძემეორე უწოდებს თავის „სძალს“ (სტროფი 15). ეს გადახვეწილი პოეტი ყოფილა მისი სახლის წევრი (სტროფი 16<sup>1</sup>) და სხვა.

შემდეგ: რომ ამ ელევგიებში გადმოცემულია სწორედ შაჰრუხ ჩახრუხაისძის, ოდების ავტორის, ბიოგრაფია. ამას ამტკიცებს არა მარტო პირველი ელევგია, არამედ მეორე ელევგის ტექსტიც, და ამასვე ეთანხმება თითონ შაჰრუხ ჩახრუხაისძის ოდების რეალიებიც.

თვით კრებულის „თამარიანის“ შედგენის ისტორია ასეთი ყოფილა:

პოეტი შაჰრუხ ჩახრუხაისძე, იმ რომანტიული ისტორიის გამო, რომელზედაც ქვემოდ გვექნება საუბარი, გადახვეწილა საქართველოდან; და ამის შემდეგ მის ძმას, ჩახრუხაისძემეორეს შეუკრებია ის ოდები, რომელიც მას საქართველოში ყოფნის დროს ჰქონდა დაწერილი. კრებულისათვის შესავალის სახით დაურთავს ელევგია, სადაც იგი დასტირის უცხოეთში გადახვეწილი პოეტის ბედს, და სადაც აწერილია მისი ბიოგრაფია;

აი, ეს ოდების კრებული — თავისი ელევგის დართვით — ჩახრუხაისძემეორეს გაუგზავნია თავის მეგობარი პოეტისათვის — ბარამან მანისათვის. ბარამან მანს დაუნერია საპასუხო (მეორე) ელევგია, სადაც ისიც აგრეთვე შეპყრობილია უიმედო მწუხარებით გადახვეწილი პოეტის გამო, მაგრამ მაინც სცდილობს ანუგემოს იმედ-გადაწყვეტილი პოეტის ძმა. ამ მეორე საპასუხო ელევგიაშიც გადმოცემულია გაკვრით ხაზებში ბიოგრაფიული ცნობები შაჰრუხ ჩახრუხაისძის შესახებ და ამიტომ ეს მეორე ელევგიაც შეუტანიათ კრებულში, როგორც ერთგვარი ბიოგრაფიული დამატება.

მამასადამე, ირკვევა, რომ კრებულ „თამარიანის“ შემადგენლობა ასეთია:

1. თორმეტი ოდა შაჰრუხ ჩახრუხაისძისა; 2. ორი ელევგია, სადაც აწერილია თითონ შაჰრუხ ჩახრუხაისძის თავგადასავალი, და რომლებიც წარმოადგენენ მისი ოდების კრებულის ბიოგრაფიულ შესავალს.

\* \*

3. დასასრულ, ჩვენ დაგვრჩენია შევვხოთ უკანასკნელ ტექსტს: ეს არის თამარიანის ბოლო-სიტყვაობა.

„თამარიანში“, გარდა თორმეტი ოდისა და ორი ელევგისა, მოთავსებულია აგრეთვე ბოლოსიტყვაობის სახით ერთი შენიშვნა, სადაც გადმოცემულია ბიო-ბიბლიოგრაფიული ცნობები ჩახრუხაისძეებისა (და აგრეთვე „ვეფხისტყაოსანის“) შესახებ. ეს ტექსტი დიდ ინტერესს წარმოადგენს ზოგიერთი საკითხების გადასაჭრელად, და ამიტომ გამო-

1. „მოყვასთა წინათ, პირი ჰქმნის შინათ: ჩემთვის მოჰქონდის ჳმელთა ავარი“...



სარკვევი იყო: ჯერ ერთი — ამ ტექსტის მოცულობა, და შედეგ — თუ რამდენად ძველია ეს ცნობა, და რამდენად შეიძლება მასზე დაყრდნობა.

ამ საკითხების გამორკვევაც შესაძლებელი გახდა:

**ა. ტექსტის მოცულობა:** ამ ტექსტის პირვანდელი დედანი, როგორც ამას გვიჩვენებს „თამარიანის“ შედარებითი შესწავლა, და თითონ კონტექსტი, თავდაპირველათ შეიცავდა სამ სტროფს<sup>1</sup>:

„მეწვევს ძეთა ჩახრუხასძეთა  
ეჟოთ თამარი, მეფე წყლიანი, —

ა ეს თინათინ! ნუ ის თინათინ  
არაბეთს იყო სულადიანი,

ჯერეთ ყმანვილი, წმიდათ ნანილი  
სამოთხის ვარდი, პირად მზიანი!“

**ბ. დრო.** დროს საკითხი თავის-თავად ცხადია თითონ ბოლო-სიტყვაობის ტექსტიდან. ეს რედაქციული შენიშვნა მიუწერიათ კრებულის დასასრულში თითონ თამარის სიცოცხლე-შივე, არა უგვიანეს 1213 წლისა: ავტორი აქ, მეორე სტროფში, მიმართავს თამარს, როგორც ცოცხალ პირს.

ამ რიგად ეს ბოლო-სიტყვაობაც ეკუთვნის იმავე ეპოქას, რა დროსაც დაწერილია „თამარიანის“ დანარჩენი ტექსტები, და მისი ცნობებით სარგებლობა — დასაშვებია<sup>2</sup>.

აი, ყველა ის ძირეული დებულებანი „თამარიანი“-ს შემადგენლობის შესახებ, რომელსაც იძლევა ამ კრებულის პრეციზული ანალიზი. დანვრილებითი არგუმენტაცია ამ დებულებათა წარმოდგენილია ამ ცდის მეორე — სპეციალურ ნაწილში. აქ კი ამ წინასწარ განმარტებათა შემდეგ ჩვენ შეუდგებით ჩახრუხაისძის პორტრეტის რესტავრაციას<sup>3</sup>.

1. „თამარიანის“ ტრადიციული ტექსტი — 15, 1, 3, 4 — შემდეგ ამ ტექსტს განუცდია „გაოთხება“ (შეუდ. H. Mapp, TP. IV, გვ. 60, შენ. 1).

2. ვინ არის ავტორი ამ ბოლოსიტყვაობისა, ეს არ არის ამჟამად ჩვენთვის საინტერესო. ლექსის ხასიათით, და ზოგი სხვა ჩვენებების მიხედვითაც — იგი სჩანს მინერილია იმავე ბარამან მანის მიერ, რომლისაგან ჩვენ გვაქვს მეორე ელევია (იხ. ამის შესახებ ამ ცდის მეორე ნაწილში).

3. დაგვრჩენია კიდევ რამდენიმე წინასწარი შენიშვნა, უფრო ტექნიკური ხასიათისა:

1. ელევები „ჩახრუხაისძე-მეორისა“ და ბარამან მანისა, და აგრეთვე ოდა XII-a დაბეჭდილი გვაქვს ქვემოდ (ელევები — მე-VII თავში, ოდა — მე-V თავში). ჩვენი გამოკვლევის მანძილზე, ციტატების მოყვანის დროს, სტროფების ნუმერაცია ნაჩვენები გვაქვს ამ ჩვენი დაბეჭდილი ტექსტების მიხედვით.

2. რაც შეეხება დანარჩენ ოდებს, — ვიდრე „თამარიანის“ ჩვენი ტექსტი არ არის გამოქვეყნებული, — ოდების და სტროფების ნუმერაცია აღნიშნული გვაქვს მარრის გამოცემის თანახმად.

3. თამარის სამი ისტორია, რომლებითაც ჩვენ ვსარგებლობთ, და რომელთაც ვასახელებთ ქვემოდ, შემდეგი ტექსტებია:

ა. თამარის პირველი ისტორია (ანუ „ისტორია-აზმანნი შარავანდედთან“), ეს არის ის ტექსტი, რომელიც მოთავსებულია მარიამ დედოფლის რიანტიაში. გვ. 362—474 [გვერდები ნაჩვენებია ე. თაყაიშვილის დაბეჭდილი ტექსტით]. იგი შეიცავს საქართველოს ისტორიულ მოთხრობას 1156 წლიდან — 1195 წლამდე, და დაწერილია მე-12 წელს თამარის მეფობის 1196-ში [მისი ავტორი საერო პირია, და როგორც ეს თავის დროზე იქნება განმარტებული — იგი არის სარგის I თმოგველი, ავტორი „დილარ-გეთიანისა“].

ბ. თამარის მეორე ისტორია: ეს ის ტექსტია, რომელიც მოთავსებულია მარიამ დედოფლის ვარიანტში, გვ. 476—535. იგი შეიცავს ისტორიულ მოთხრობას 1196 წლიდან — 1213 წლამდე. დაწერილია იგი მე-XIII საუკუნის პირველ მეოთხედში, მონგოლთა მფლობელობის დამყარების უწინარეს. ავტორი უცნობია, მაგრამ სჩანს, რომ იგი სასულიერო პირი ყოფილა.



## ნაწილი პირველი

### ჩახრუხაისძე

#### ბიოგრაფიის აღდგენის ცდა

#### I

#### დაბადების თარიღი. შთამომავლობა. განათლება

პოეტი ჩახრუხაისძე ყველაზე ფანტასტიური ფიგურაა საშუალ-საუკუნეთა აღმოსავლეთის პოეზიაში:

ქართველი პოეტი, და ამავე დროს პოეტი სპარსულსა და არაბულ ენებზე.

ქრისტიანული საქართველოს მესსიანიზმის მქადაგებელი, შემდეგ გამუსულმანებული; ამასთან ერთი უდიდესი მოგზაური მთელ საშუალ-საუკუნეთა მანძილზე, რომელმაც, როგორც ტრუბადურმა და მოგზაურმა-რაინდმა, მოვლო თითქმის მთელი იმ დროს ცნობილი მსოფლიო: ჩინეთიდან დაწყებული ვიდრე ატლანტიურ ოკეანემდე (მაროკომდე), და რუსეთიდან ვიდრე ეგვიპტემდე და არაბეთამდე (იემენამდე).

ჩახრუხაისძეს ჩვენ პირველად ვხვდებით საქართველოს მეფის დიდი თამარის კარზე მე-XII საუკუნის დასასრულში, როგორც კარის პოეტს, და ამის შემდეგ ჩვენ გვაქვს პირდაპირი და მთლიანი ცნობები მისი თავგადასავალის შესახებ. ხოლო ვიდრე ამ დრომდე, თუ სად და როგორ გაატარა პოეტმა ახალგაზდობის წლები, ან ვინ იყო იგი შთამომავლობით და სხვა, ამის შესახებ პირდაპირი ცნობები არ შენახულა. მხოლოდ გაკვრიტი ხაზები, რომლებიც აქა-იქ გაბნეულია ლირიულ ნაწარმოებთა კრებულში „თამარიანში“, გვაძლევს საშუალებას ზოგი რამ ამოვიცნოთ. და ჩვენც თავდაპირველად ამ გაკვრიტი ცნობების ინტერპრეტაციას შეუდგებით, და შევეცდებით გავარკვიოთ, საზოგადო ხაზებში მაინც, პოეტის დაბადების დრო, მისი შთამომავლობა, განათლება, და ის კულტურული მილიე, რომელსაც ეკუთვნოდა პოეტი.

\* \*

ჩახრუხაისძე, როგორც ირკვევა, დაიბადა მეთორმეტე საუკუნის სამოციან წლებში. ჩახრუხაისძის დაბადების თარიღის დასადგენად მნიშვნელობა აქვს ორს რეალიას „თამარიანი“-დან:

a. პირველი ოდა პოეტისა დაწერილია 1184-1185 წლებში. ამ ოდაში ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული პოეტის შემდგომი ბრწყინვალე ლექსის ტექნიკა, და იგი, სჩანს, პოეტის ახალგაზრდობის ხანას, მის პირველ ცდებს ეკუთვნის<sup>1</sup> — ეს ერთი. შემდეგ:

b. ჩახრუხაისძე, როგორც ქვევით დავინახავთ, სამეფოს მმართველ წრეებს, სამეფოს „დიდებულებს“ ეკუთვნოდა. იგი დაახლოებული პირი ყოფილა სამეფო კართან. მის ოდებ-

c. თამარის მესამესტორია შენახულია ექსცერპტების სახით ვახტანგისეულ ქართლის ცხოვრებაში [ეს არის ის დანართები, რომელიც განასხვავებს ვახტანგისეულ ტექსტს — მარიამ დედოფლის ვარიანტიდან]. მესამე ისტორიის ახალი ვარიანტი აღმოაჩინა პროფ. ივ. ჯავახიშვილიმა, მაგრამ, სამწუხაროთ, ეს ტექსტი ჯერ გამოქვეყნებული არ არის. ეს მესამე ისტორია შეიცავს თამარის მთელი მეფობის აღწერას. დაწერილია იგი მე-XIII საუკუნის პირველ მეოთხედში. მისი ავტორიც უცნობია, მაგრამ სჩანს, რომ ისიც სასულიერო პირი უნდა ყოფილიყო.

ციტატების მოყვანის დროს ამ ისტორიკოსებიდან გვერდები ყველგან აღნიშნული გვაქვს თაყაიშვილის გამოცემით.

1. იხ. ქვემოთ, გვ. 225.

ში ჩვენ გვაქვს გამოძახილი ყველა მნიშვნელოვან ისტორიულ შემთხვევათა თამარის ეპოქიდან, და ამავე დროს ამ ოდებში არ გვხვდება არავითარი მოგონება თამარის მამის გიორგი III-ის ბრწყინვალე მეფობისა. ეს საყურადღებოა მეტად, რადგან, თუ გავითვალისწინებთ ჩახრუხანისძის ოდების საზოგადო ხასიათს, ასეთი ხაზები უთუოდ მოსალოდნელი იყო მის ოდებში, თუ კი პოეტი მართლაც მოსწრებოდა გიორგის მეფობას. ეს გვაძლევს საბუთს, ვიფიქროთ, რომ პოეტი მეფე გიორგის დროს (+1184 წელს) არ იყო დაახლოვებული სამეფო კარსა და სამეფო საქმეებს, ჯერ კიდევ არ ყოფილა სრულწლოვანებას მიღწეული — როცა ხდებოდა ხოლმე დიდებულთა შვილების „დალოცვითა“ და „შენყალებით“ მიღება სამეფო კარზე.

თუ მივიღებთ მხედველობაში აქ აღნიშნულს (და აგრეთვე იმ სინქრონიზმებსაც, რომელიც ჩვენ გვაქვს ჩახრუხანისძის შემდგომი ცხოვრების შესახებ), ჩვენ არ ვიქნებით დიდად დაშორებული სინამდვილეს, თუ პოეტის დაბადებას მივაკუთვნებთ მე-XII საუკუნის სამოციან წლებს. რაკი პოეტის დავაჟკაცება და სამეფო კარზე მიღება 1184-1185 წლებს ეკუთვნის, მისი დაბადების თარიღი დიდად არ უნდა იყვეს დაშორებული 1164-1165 წლებს.

შთამომავლობით ჩახრუხანისძე საქართველოს მთელუღეთიდან ყოფილა. „თამარია-ნის“ ბოლოსიტყვაობაში, რომელიც მე-XIII საუკუნეშია დაწერილი, 1213 წლის ახლო, პოეტს ეწოდება: „მეჭვე“<sup>1</sup>. ამის მიხედვით, ჩახრუხანისძის სამშობლო თემი ყოფილა „ჭვე“ (ე. ი. მთელუღეთის ის კანტონი, რომელიც აკრავს დარიალანის ხეობას).

თითონ პოეტს ერთ ოდაში (VII, 28) თავისი თავი მოხსენებული ჰყავს ასეთის სახელწოდებით: „მეხელი“ („მამა მეხელი“ — ე. ი. მწირი-მოგზაური მეხელი). ეს სახელწოდება პოეტისა, ცხადია, ნაწარმოებია პოეტის სამშობლო დაბიდან, ისევე, როგორც სხვა იმ დროინდელ პოეტთა ან ისტორიულ პირთა სახელწოდებანი: რუსთველი, თმოგველი, ფანასკერტელი და სხვა. პოეტის ამ სამშობლო დაბის სახელი სჩანს ყოფილა: „ეხი“ (აქედან „მეხ-ელი“; შეუდარეთ: „ეგრისი“, აქედან — „მ-ეგრ-ელი“; „ეგვიპტე“, აქედან — „მ-ეგვიპტელი“). პოეტის ეს სამშობლო სოფელი „ეხი“ — დღეს ამ სახელით აღარ არსებობს; მაგრამ ყოველ შემთხვევაში მთელუღეთიდან ყოფილა: სიტყვა „ეხი“ გარკვეულ პროვინციალიზმს წარმოადგენს და ეკუთვნის მთის ქართულ კილოებს<sup>1</sup>.

ჩახრუხანისძე, როგორც ეს გაკვრით ზევითაც გვექონდა მოხსენებული, დიდ არისტოკრატიულ გვარეულობას ეკუთვნოდა. მართლაც, პირველი ელეგია შეიცავს ცნობას, რომ პოეტი იყო „მოყმე“, ე. ი. რაინდთა წოდების წარმომადგენელი (იხ. სტრ. 3). მეორე ელეგია გადმოგვცემს, რომ ჩვენს პოეტს, როცა იგი საქართველოდან გარდაიხვენა, თან გაჰყოლია ამაღა „მოყმეთა“ (რაინდებისა), სჩანს, მისი ვასსალების წრიდან (იხ. ქვემოთ თავი VI). — დასასრულ ის გარემოებაც, რომ ჩახრუხანისძე ახლო მდგარა სამეფო სახლთან, აგრეთვე მისი რომანი, რომელზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი, გვიჩვენებს, რომ ჩახრუხანისძე დიდგვარიან რაინდთა, „დიდებულთა“ წრის წარმომადგენელი ყოფილა.

ჩახრუხანისძის მშობელთა და ოჯახური გარემოს შესახებ ცოტა ვიცით. მე-XII საუკუნის დამლევს (1190 წელს) მოხსენებული არიან „მეჭვენი დიდებულნი“, რომელთაც, ფეოდალთა აჯანყების დროს, შეიპყრეს აჯანყების მიზეზი მეფე-ყოფილი გიორგი-რუსი და მოჰგვარეს თამარს (იხ. „ისტორია-აზმანნი შარავანდედთანი“, გვ. 443). ვიცით აგრეთვე, რომ ჩვენს პოეტს ჰყავდა ძმა, ისიც სახელოვანი პოეტი, რომლის ნაწერები დაკარგულია, და რომლისაგან ჩვენამდე მოღწეულა მხოლოდ პირველი ელეგია. პოეტის ამ ძმას („ჩახრუხანისძე-მეორეს“) ჩვენ კიდევ შევხვდებით.

ჩვენი პოეტის განათლების შესახებ თუმცა ფრაგმენტარული, მაგრამ მაინც მეტად საყურადღებო რეალიები გვაქვს. პოეტს, ცხადია, ბრწყინვალე განათლება მიუღია; ამას

1. დამატებითი განმარტებანი, იხ. ცალკე ექსკურსში, სქოლიო 1.

გვიჩვენებს ჯერ მისი ოდები: ეს ოდები საზოგადოდ მეტად საყურადღებო ძეგლია, საიდანაც ვლენულობთ ჩვენ წარმოდგენას, თუ რამდენად ინტეგრალური იყო, და რა სიმაღლემდე ყოფილა მიღწეული ქართული განათლება მე-XII საუკუნეში.

ოდებიდან ჩვენ ვხედავთ, რომ პოეტი — როგორც ეს მოსალოდნელიც იყო — ახლო იცნობდა ძველ ქართულ მწერლობას, როგორც საეროს, ისე სასულიეროს; მაგრამ ამასთან იგი გაცნობილია კლასიკურ ელლინურ მწერლობას: ჰომიროსს, პლატონს, ნეოპლატონიკოსებს (ენეის, ფსევდო-დიონისი არეოპაგელს), რომელთა სახელები არ შორდება მისი ოდების სტროფებს;

ამავე დროს პოეტი ახლო იცნობს მუსულმანურ ინტელექტუალურ მსოფლიოსაც. ასე ოდებში არის ხაზები, რომელიც გვაფიქრებინებს, რომ ჩვენი პოეტისათვის არ ყოფილა უცხო სუფიზმის მოძღვრება<sup>1</sup>. პოეტი, რასაკვირველია, ახლოა გაცნობილი სპარს-არაბულ პოეზიას; მის ოდებში არის მოგონებანი შაჰ-ნამედან, ნიზამის პოემებიდან, სალამანიდან, და სხვა.

ოდების ზოგიერთი დეტალები გვაფიქრებინებს, რომ პოეტმა, სჩანს, იცოდა ბერძნული ენა. ხოლო სპარსული და არაბული ენები მისთვის მეორე სამშობლო ენა გამხდარა. სპარს-არაბული პოეზია იმდენად ახლო ყოფილა მისთვის, რომ იგი, როგორც ვნახავთ, საქართველოდან გადახვეწის შემდეგ, მოგზაურობს აღმოსავლეთის ქვეყნებში, როგორც ტრუბადური სპარსულსა და არაბულ ენებზე.

ამით განისაზღვრება ჩვენი ცნობები პოეტის განათლებისა და აგრეთვე ახალგაზდობის წლების შესახებ. არისტოკრატიული შთამომავლობა, და დაახლოვება სამეფო კართან ჩახრუხაისძეს, თითქო უხსნიდა გზას ბრწყინვალე პოლიტიკური კარიერისკენ. მაგრამ თამარის ეპოქის პოლიტიკურ ისტორიაში ჩახრუხაისძეს ჩვენ ვერ ვხვდებით;

ჩახრუხაისძეს აურჩევია კარიერა პოეტის.

## II

### პოეტური წრეები მეფის თამარის კარზე

ჩახრუხაისძეს ჩვენ პირველად ვხვდებით მეფის თამარის კარზე თამარის მეფობის პირველ წლებში: 1184-1185-ს. ამ წელს ჩახრუხაისძეს მიუერთმევია თამარისათვის თავისი პირველი ოდა მისი გამეფების გამო<sup>2</sup>. ჩახრუხაისძე ამის შემდეგ რამდენიმე წელს თამარის კარზე დარჩენილა, სადაც იგი მიღებული ყოფილა, როგორც ნახევრად ოფიციალური პირი, კარის პოეტი.

თამარის გარშემო ამ დროს თავს იყრიდა მთელი პლეადა პოეტების. ჩვენ მხოლოდ მიახლოვებული წარმოდგენა შეგვიძლია ვიქონიოთ იმ ფართე ლიტერატურულ ინტერესებზე, რომელიც ამ დროს არსებობდა ქართულ განათლებულ წრეებში, და კერძოდ თამარის კარზე.

საქართველომ კარგა ხანია რაც დაჰკარგა, მე-XII, მე-XIV და მე-XV საუკუნეთა კატასტროფების შემდეგ, პირველი რიგის მნიშვნელობა ზოგად-კაცობრიული კულტურის თვალსაზრისით. დღეს საქართველო თავისი კულტურის დიაპაზონით, რასაკვირველია, არ წარმოადგენს რაიმე არა-ორდინარულს. და ეს გარემოება, უნდა ითქვას, ერთნაირად აძნელებს ისტორიული პერსპექტივის წარმოდგენას; ჩვენ პირველად გვეუცხოება, როცა ვხედავთ, რომ მე-XII-XIII საუკუნის საქართველოს უჭირავს ერთი პირველ ადგილთაგანი იმ დროის კულტურულ მსოფლიოში;

1. იხ. ცალკე ექსკურსი, სქოლიო 5.

2. იხ. ამის შესახებ ქვემოთ, გვ. 225.

აქ ჩვენ გვაქვს უნიკალური მოვლენა საშუალო-საუკუნეთა კულტურის ისტორიაში; უნიკალური იმ მხრივ, რომ აქ საქართველოს ნიადაგზე მოხდა თავისებური და გამანაყოფიერებელი შეხვედრა აღმოსავლეთის კულტურისა დასავლეთთან. მხოლოდ ისეთი იშვიათი ისტორიული მაგალითები, როგორც იყო სიცილია როჟერ II-ისა ან ფრიდრიხ ჰოხენშტაუფენისა წარმოადგენს აქ ერთნაირ ანალოგიას; მაგრამ ანალოგია მაინც არ არის სრული; სიცილიაში არსებითად იგივე არაბული კულტურა დარჩა; საქართველოში კი მოხდა თავისებური და განუმეორებელი სინთეზი ორი კულტურის დასავლეთის — ქრისტიანულისა და აღმოსავლეთის — მუსულმანურის, რომლის მსგავსება ჩვენ არ გვაქვს სხვაგან საშუალო-საუკუნეთა მანძილზე.

ეს შეხვედრა მუსულმანური დასაბამისა ქრისტიანულთან გახდა წყარო ჰუმანიზმის წარმოშობის. მუსულმანურ მსოფლიოსთან ახლო ურთიერთობის ნიადაგზე დაირღვა საშუალო-საუკუნოებრივი ვიწრო რელიგიური განკერძოება. წარმოიშვა საერო მსოფლიომხედველობა, საერო კულტურა. აქ მიიღო გარკვეული სახე ჰუმანიტარული ხასიათის კულტურულმა მოძრაობამ, რომელიც ბევრ ხაზებში უახლოვდება შემდეგი დროის ევროპის რენესანსს.

და ამ ჰუმანიზმის ყველაზე მჭიდრმეტყველი გამოხატულება ჩვენ გვაქვს ქართული საერო პოეზიის სახით.

ქართული საერო პოეზია საშუალო-საუკუნეებისა, მისი გენეზისი, მისი განვითარების გზები, დღემდე არის ერთგვარი terra incognita. ამიტომ არ იქნება ზედმეტი, მოვახდინოთ აქ პატარა ექსკურსი ამ სფეროში, რომ მიახლოვებით მაინც წარმოვიდგინოთ კლასიკური საქართველოს კულტურული მილიე, რომლის გარეშე შეუძლებელია თვით ჩახრუხების ფენომენის ახსნაც.<sup>1</sup>

\* \*

ქართული საერო პოეზიის შესახებ, პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ მისი დასაწყისი ბევრად უფრო ძველია, ვიდრე ქართული ჰუმანიზმი გარკვეულ სახესა და მთლიანი კულტურული მოძრაობის ხასიათს მიიღებდა. ქართული პოეზიის დასაწყისი წინ უსწრებს მუსულმანურ მსოფლიოსთან ურთიერთობას. მაგრამ მაინც ირკვევა, რომ ქართული პოეზიის უძველესი სათავეც ისევ აღმოსავლეთთან არის დაკავშირებული.

წყაროების შესწავლას ჩვენ მივყევართ იმ დასკვნამდე, რომ ქართული პოეზიის დასაწყისი თვით ფალაურ ეპოქამდე უნდა აღწევდეს; ფალაურთან უნდა ჰქონდეს შორეული კავშირი კერძოდ ქართულ მხედრულ („ფალაურ“) ანბანსაც, რომელიც მიღებულია საერო მწერლობისათვის. არის პირდაპირი მონიშვნა იმის შესახებ, რომ მეშვიდე-მერვე საუკუნეთა საზღვარზე ქართულს ენაზე არსებობდა ვერსია ფალაური „ხვატაი-ნამაკისა“ („უფალთა წიგნისა“, რომლისაგან მოდის ფირდოუსის „შაჰ-ნამე“). „ხვატაი-ნამაკის“ ქართული ვერსიით, რომელიც, სჩანს, ნაწილობრივ ლექსადაც ყოფილა გადაღებული, უსარგებლნია „მეფეთა ჰამბავის“ ავტორს — ლეონტი მროველს (მე-VIII საუკუნის დასაწყისში); აქ პირდაპირ შერჩენილა ციტატა, „ხვატაი-ნამაკი“-დან აღებული, დაწერილი ლექსად, დაბალი შაირით.

შემდეგ იწყება ურთიერთობა არაბულ მწერლობასთან, როგორც ქრისტიანულ-არაბულთან, ისე მუსულმანურთან. მე-VIII—X საუკუნეთა მანძილზე ხდებოდა თარგმანები არაბულიდან, როგორც, მაგალითად, „ქილილა და დამანასი“ (რომლის ექსცერპტი შენა-

1. წყაროების შესახებ, რომელთაც ემყარება ამ მეორე თავში წარმოდგენილი მოკლე ექსკურსი ძველ-ქართულ საერო პოეზიაზე, — უფრო დანვრილებით იხილეთ ამ ცდის მეორე სპეციალურ ნაწილში, სქოლიო 6.

ხულა წიგნში: „ჰამბავი ვახტანგ გორგასალისა“), ან გადმოკეთება, როგორც „სიბრძნე ბალავარისა“. არაბული პოეზიის გავლენას უჩვენებს თვით ტერმინი „შაირი“, რომელიც საბოლოოდ შერჩა ქართულ პოეზიას.<sup>1</sup>

ამავე VIII—X საუკუნეებში საერო ლიტერატურის ძეგლთა გავლენით<sup>2</sup> ხდებოდა დამუშავება საქართველოს ისტორიულ გადმოცემათა, როგორცაა „ჰამბავი მეფეთა“ ლეონტი მროველისა (VIII საუკუნის დასაწყისი), ან „ჰამბავი ვახტანგ გორგასალისა“ (IX-X საუკუნე<sup>3</sup>).

\* \*

თუმცა ამ რიგად ქართული პოეზიის სათავეები უძველეს ეპოქამდე აღწევს, მაგრამ მაინც მე-XI-XII საუკუნემდე მის განვითარებას უფრო სპორადიული ხასიათი ჰქონდა. ქართული საერო პოეზიის განვითარება მთლიანი კულტურული მოძრაობის ხასიათს ღებულობს მე-XI-XII საუკუნეებში, მუსულმანურ აღმოსავლეთთან ახლო ურთიერთობის ნიადაგზე, რომელიც ამასთან ნაყოფიერდებოდა ძველ-ელლინურ ლიტერატურასთან გაცნობით:

მართლაც, ერთის მხრით მე-XI-XII საუკუნეთა საზღვარზე ქართულს ენაზე ითარგმნებოდა სპარსულიდან: „შაჰნამე“, „ვისრამიანი“, და ყველა ნიშნებით „ვამიყ და აზრა“.<sup>4</sup>

ხოლო მეორე მხრით ქართველ ნეოპლატონიკოსებს გადმოაქვთ ქართულად არა მარტო ელლინური ფილოსოფიის ძეგლები; ქართულს ენაზე ჩნდება ისეთი თხზულებებიც, როგორც არის „ელლინთა მეზღაპრეობა“ (ბერძნული მითოლოგიის მიმოხილვა) ეფრემ მცირისა, ხოლო მე-XII საუკუნის 30-იან წლებში ქართველი მკითხველები ეცნობიან ჰომეროსის „ილიადას“.

ამავე დროს იბადება ორიგინალური ქართული ლირიკა. ამის ერთ-ერთი უძველესი ძეგლი — „აბდულ-მესიანი“ [დავით] შავთელისა, რომელიც მე-XII საუკუნის ოციან წლებში, დღემდისაც შენახულა. აქ არ ვასახელებთ იმ პოეტებს, რომელთა თხზულებანი დაკარგულია. იყვნენ ასეთებიც.<sup>5</sup>

ამავე დროსვე მუშავდება, სპარსული ნიმუშების გავლენით, საგმირო რომანის ფორმა. ასე, ამ ხანას, მე-XII საუკუნის ოცდაათიან წლებს, ეკუთვნის „ამირან-დარეჯანიანი“, რომელიც გადმოკეთებულია „ყისაი-ჰამზადან“, და დამუშავებულია ძველ ქართულ ისტორიულ „ჰამბავთა წიგნების“ გავლენით.<sup>6</sup>

1. ეს არაბული ტერმინი „შაჰირი“, მე-X-XI საუკუნეებიდან მაინც, იმდენად გავრცელებული ყოფილა, რომ იგი ჩვენ გვხვდება ბერძნულიდან თარგმნილ წიგნებშიც (ასე იხილეთ მე-XI საუკუნის დასასრულის ტექსტი, გიორგი ამარტოლის ხრონოგრაფის თარგმანი, გვ. 225, „მენანდროს მოშაჰირე“).

2. განსაკუთრებით „ხვატაი ნამაკის“.

3. არა უგვიანეს 914 წლისა.

4. Terminus post quem non მათი გადმოღებისა ქართულად არის მე-XII საუკუნის ოციანი წლები; „აბდულ-მესიანი“, რომელიც ეკუთვნის მე-XII საუკუნის ოციან წლებს, უკვე არის მოგონებული ამ ძეგლებიდან.

5. ასე, ამავე დროს უნდა ეკუთვნოდეს იასე ხიმშიაძე ძაგნაკორელი, რომელიც მოიხსენება შემდეგი დროის ინდექსებში და რომელსაც მიეწერება ახალი ლექსთაწყობის შემოღება. ამავე ეპოქას ეკუთვნის „ვინმე მღვქსავი“, რომლის სახელი უცნობია, და რომელსაც დაუნერია გიორგი მე-III-ის ხოტბა (ფრაგმენტი ამ ხოტბისა შენახულა „ისტორია-აზმანში“. — აღსანიშნავია ისიც, რომ განათლებული მეცენატები ქართული პოეზიისა, დავით აღმაშენებელი და დიმიტრი მეფე სჩანს თითონაც არ ყოფილან უცხო ლიტერატურისათვის: ასე პირველს (აბდულ-მესიანში) მიეწერება „იგავნი“; ხოლო მეორე შემდეგ საუკუნეებში ცნობილი იყო პოეტის სახელით. კიდევ უფრო საგულისხმოა, რომ თვით სასულიერო პირნიც — ქართული პოეზიის ამ აყვავების ხანაში, არ ყოფილან დაშორებული პოეზიას; ასე, ფრაგმენტი არსენ იყალთოელის ერთი ლექსისა შერჩენილა „კარის გარიგებაში“.

6. შავთელი ჯერ კიდევ არ იცნობს „ამირან-დარეჯანიანს“. ამის მიხედვით Terminus ante quem non „ამირან-დარეჯანიანის“ წარმოშობისა არის მე-12 საუკუნის ოციანი წლები.



\* \*

აპოგეი ქართულ საერო პოეზიის განვითარებისა ეს არის თამარის ეპოქა. თუ რამდენად ინტეგრალური და მრავალმხრივი იყო ქართული პოეზია თამარის დროისა, ამას გვაჩვენებს ჯერ მარტო Ars poetica რუსთველისა, რომელიც შენახულა „ვეფხისტყაოსნის“ შესავალში. ჯერ მარტო ამ პატარა ტექსტში გაბნეული შემთხვევითი ხაზებიდან ჩვენ ვხედავთ, რომ ამ დროს არსებობდა მთელი წრეები პოეტების. მათ შორის ყოფილან ისეთნი, რომელთათვის თვით გენიალური შოთა იმეტებს სახელს „კარგი“, „კარგნი მელექსენნი“.

არსებობდა სხვა-და-სხვა დარგები პოეზიის; ინერებოდა მონუმენტალური პოეტური ძეგლები, ეპიური პოემები, რომელთა შესახებ შოთა ამბობს:

„ვითა ცხენს შარა გრძელი და გამოსცდის დიდი რბევა,  
მობურთალსა მოედანი, მართლად ცემა, მარჯვედ ქნევა,  
მართ აგრევე მელექსეთა გრძელთა თქმა...“

იყვნენ „ცოტა“ პოეტებიც, რომლებზედაც შოთა ირონიულად შენიშნავს:

„ვამსგავსე მშვილდი ბედიით ყმანვილთა მონადირეთა,  
დიდსა ვერ მოკლვენ, ჴელად აქვს ჴოცა ნადირთა მცირეთა“...

არის მესამე დარგი, ლირიკა:

„არს მესამე ლექსი, კარგი, სანადიმო, სამლერელად,  
სააშუკო, სალალობო, ამხანაგთა სათრეველად“.

ეს დარგი, ლირიული ლექსები, განსაკუთრებით გავრცელებულია:

„ჩვენ მათიცა გვიამების რაცა ოდენ თქვან ნათელად“.<sup>1</sup>

\* \*

მთელი ეს მრავალფეროვანი, მდიდარი პოეზია თამარის ეპოქისა კატასტროფიულად დაიღუპა იმ ბნელ საუკუნეთა მანძილზე, რომელნიც მოჰყვენენ მონგოლთა მფლობელობის დამყარებას. მხოლოდ შემთხვევით გადარჩენილ ფრაგმენტებისა და ან კიდევ ლიტერატურულ მონუმობათა მიხედვით შესაძლო ხდება დაახლოვებით აღვადგინოთ ამ ეპოქის სახელები, ლიტერატურული ძეგლების მოცულობა, და მათი საერთო სტილი.

ამ ეპოქიდან მარტო ორი პოეტი შოთა რუსთაველი და შაჰრუხ ჩახრუხაისძე წარმომადგენილი არიან ცოტად თუ ბევრად მთლიანი ძეგლებით. შოთასთან ჩვენ გვაქვს „ვეფხისტყაოსანი“, ჩახრუხაისძისაგან „თამარიანი“.<sup>2</sup> და აქ ჩვენს ყურადღებას იქცევს არა მარტო ის, რომ შოთას პოემა გენიალური ქმნილებაა; აქ ლიტერატურის ისტორიკოსთათვის არა ნაკლებ ინტერესს წარმოადგენს მისი არტისტიული სტილი *grosso modo*, სტილი — რომელიც უჩვენებს იმ დროინდელი პოეზიის საერთო დიდ კულტურას. შოთას

1. მთავარი ცენტრი ქართული პოეზიისა ეს იყო თვით სამეფო კარი, სადაც ამ დროს შემოკრებილი ყოფილა მთელი პლეადა კარის პოეტებისა;

თუ როგორ დიდად აფასებდნენ პოეზიას სამეფო კარზე ამას გვიჩვენებს თუნდ შემდეგი ცნობაც: „ისტორია-აზმანში“ მოთხრობილია, რომ გიორგი მეფემ (თამარის მამამ), იმ ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ რომელიც ერგო ქართველ ჯარს ანისთან ბრძოლაში, ტფილისში დაბრუნების უმაღლ გამოგზავნა მახარებელნი მხოლოდ ორგან: ერთი — პატრიარქთან და მეორე კარის პოეტებთან („ფილოსოფოსებთან“). ცხადია, რათა დაემზადებინათ ოდები ქართველ ჯარის გამარჯვების აღსანიშნავად. იხ. „ისტორია-აზმანნი“, გვ. 374.

2. თავისთავად არც ამ ორი პოეტის ლიტერატურული მემკვიდრეობა არ მოღწეულა სრულად. ასე, დაკარგულია რუსთველის „ქებანი“, რომელსაც იგი მოიხსენებს — „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგში, — ხოლო ჩახრუხაისძის დაკარგულ თხზულებათა შესახებ ჩვენ კიდევ გვექნება ქვემოთ საუბარი.



პოემაში ჩვენ გვაქვს პოეზიის ხანგრძლივი რაფინირი კულტურა, რომელიც თითქმის დეკადანსის საზღვარზე სდგას. და შოთას პოემა არ არის აქ განმარტოებით. მეორე შემთხვევით გადარჩენილი ძეგლიც — ჩახრუხაისძის „თამარიანი“ — თანამედროვე პოეზიის ასეთივე დიდი კულტურის მაჩვენებელია.

და აი, ამ ორი პოეტის გვერდით, დანარჩენი იმდროინდელი ავტორებისაგან შეგვრჩენია მხოლოდ უმნიშვნელო ფრაგმენტები ან მარტო სახელები; ასე:

ჩახრუხაისძე-მეორე (შაჰრუხის ძმა); მისგან მოღწეულა მარტო ერთი ელეგია; დაკარგულია მისი ოდები.

ბარამან მანი. მისგანაც აგრეთვე მარტო ერთი ელეგია შენახულა.

სარგის თმოგველი. დაკარგულია მისი განთქმული რომანი „დილარგეთიანი“, რომელზედაც ჩახრუხაისძე ერთ თავის ოდაში ასეთის პათეტიურის ტონით ლაპარაკობს.<sup>1</sup>

იოანე შავთელი (მეორე) — რომელიც სახელოვანი პოეტი ყოფილა და რომელსაც ერთი თანამედროვე წყარო ასე უწოდებს: „ფილოსოფოსი და რიტორი ლექსთა გამომთქუმელი“. — მისი ნაწერებიც დაკარგულია. მხოლოდ შემთხვევით გადარჩეილა მისი ერთი ჰიმნი, სასულიერო ხასიათისა, დაწერილი 1205 წელს, თამარის ერთი ძღვევა-მოსილი გამარჯვების გამო.

თულთალი მილისეველი. მის შესახებ თამარის მეორე ისტორიის დასასრულიდან მხოლოდ ის ვიცით, რომ მას დაუწერია თამარის და დავითის ოდები, რომლებიც მეტად ცნობილი ყოფილა<sup>2</sup>, მაგრამ მისგან არ მოღწეულა არც ერთი სტრიქონი.

რაც შეეხება დანარჩენ ავტორებს, მათი სახელებიც კი არ ვიცით. მაგრამ ამავე დროს ჩახრუხაისძის მე-V ოდაში და სარგის თმოგველის „ისტორია-აზმანნი შარავანდედთანი“-ში, შენახულია ცნობები, რომ თამარის მეფობის პირველ წლებში ქართულს ენაზე არსებობდა ხუთი რომანი, რომლებიც დღეს დაკარგულია; ასე:

რომანი „ეთერიანი“. [როგორც თავის დროზე გამორკვეული გვექნება, — ამ რომანიდან არის წარმოშობილი დღემდე შენახული ხალხური თქმულება „აბესალომ და ეთერი“, — ისევე, როგორც შოთას „ვეფხის-ტყაოსნიდან“ შემდეგ წარმოიშვა ხალხური „ვეფხის-ტყაოსანი“].

რომანი „ოსანო-შარიელი“.

რომანი „ანალათ-შატბიერი“.

რომანი: „რადდარ“.

რომანი: „რაშენ“.

იყვნენ აგრეთვე მთარგმნელები; ასე, თამარის დროს უთარგმნიათ: ნიზამის პოემები: „ლეილა-მეჯნუნი“ და „ხოსრო-შირინი“: აგრეთვე უცნობი ავტორის რომანი „სალამან“.

კიდევ უფრო საგულისხმოა, რომ თამარის ხოტბანი დაუწერიათ და სჩანს თამარის კარზედაც მიღებული ყოფილან მუსულმანი პოეტები. ამის შესახებ პირდაპირი ცნობებია დაცული „თამარიანის“ ოდებში (VII, 24, — 28, IX, 15). და ეს არც არის გასაკვირველი; ტფილისში,

1. იხ. ოდა XII, 17. სარგის თმოგველს, როგორც ეს გამორკვეული იქნება ცალკე ექსკურსში, ეკუთვნის ჩვენამდე მოღწეული თამარის პირველი ისტორია: „ისტორია-აზმანნი შარავანდედთანი“.

2. ამ ავტორის შესახებ, თამარის მეორე ისტორიის დასასრულში დართულია ასეთი ბიბლიოგრაფიული ცნობა:

„თულთალი მილისეველმან სფერო შესახა შამშისი, მან ისტრულაბსა დასცა და მიდგნა დაყიყა ჯამშისი. დავით თქვა: ზესთა განდიდნეს, მით ხრმალით ხორცსა სჭამს ისი, აქილევისებრ ძალითა მპყრობ ელადეთსა ხამს ისი“.

(ტექსტი აღდგენილია მარიამ დედოფლის და თეიმურაზ ბატონიშვილის ვარიანტებისა და ფარსადან გორგიჯანიძის ისტორიის ხელნაწერის მიხედვით).

როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ დავით აღმაშენებლის დროიდან, დაარსებული იყო აკადემია მუსულმან პოეტებისა და სუფიებისთვის, და ამას გარდა თამარის დროინდელ საქართველოს იმპერიაში მოქცეული იყო მთელი მუსულმანური კავკასია (ხოლო შემდეგ თვით სპარსეთის ჩრდილოეთი პროვინციები ვიდრე ერაყამდე და მარალამდე, და ანატოლიის სანაპიროები ვიდრე ეზინკამდე). თითონ შირვანი, ეს ვეიმარი სპარსული პოეზიისა მე-XII საუკუნეში, საქართველოს ვასსალურ სამეფოს წარმოადგენდა. ადვილად გასაგებია ამის გამო, რომ მუსულმანი პოეტები, და პირველ რიგში შირვანის პოეტების ბრწყინვალე პლეადა, ახლო ურთიერთობაში იყო საქართველოს სამეფო კართან და ქართულ ლიტერატურულ წრეებთან.

ასეთი იყო ეს მეტად თავისებური კულტურული გარემო საქართველოს სამეფო კარისა, მე-XII დასასრულში, მეფის თამარის დროს. აქ ჩვენ ვხედავთ წრეებს ფართე ლიტერატურული ინტერესებით, თავისუფალი საერო სულით და ჰუმანიტარული მსოფლიო მხედველობით.

თვით თამარ არ იყო აქ მხოლოდ უბრალო მეცენატი. ეს გენიალური ქალი ნამდვილი ცენტრალური ფიგურაა მთელი ეპოქის, ჩვენ ყველგან და ყველაფერში ვხედავთ მის გავლენას.

### III

## ჩახრუხაისძე თამარის კარზე

(1184-5 წლიდან – 1193 წლამდე)

დაუბრუნდეთ ისევ ჩახრუხაისძეს. ჩვენ მოგვიხდა ამ ექსკურსის გაკეთება თამარის ეპოქის პოეზიის შესახებ, რომ მკითხველისათვის ოდნავი წარმოდგენა მაინც მოგვეცა კლასიკური საქართველოს კულტურის დიაპაზონზე, სადაც დაიწყო ჩახრუხაისძის პირველი პოეტური გამოსვლა, და რომლის ასპარეზად შემდეგ გადაიქცა მთელი აღმოსავლეთი.

ჩახრუხაისძე, როგორც აღნიშნული გვექონდა, ჩვენ პირველად გვხვდება თამარის გარეშემო შემოკრებილ ლიტერატურულ წრეებში, თამარის მეფობის დასაწყისში: 1184-1885-ს. ამის შემდეგ ჩახრუხაისძეს თამარის კარზე გაუტარებია, დრო-გამოშვებით, მომდევნო 8-9 წელი. ამ დროს ეკუთვნის მისი 12 ოდა მიძღვნილი თამარისადმი, რომლებიც ჩვენამდე შენახულა და დაცულია „თამარიანში“.

უნდა ვიცოდეთ, რომ მარტო ამ ოდებით არ განისაზღვრებოდა ჩახრუხაისძის პოეტური მემკვიდრეობა; „თამარიანში“ ჩვენ გვაქვს ჩახრუხაისძის მხოლოდ ახალგაზდობის ლექსები. შემდეგ ჩახრუხაისძე გადაიხვეწა აღმოსავლეთში, და აქ იგი უკვე გამოდიოდა როგორც პოეტი სპარსულსა და არაბულს ენებზე.

მაგრამ თვით ეს ახალგაზდობის ქართული ლექსებიც არ არის სრულად დაცული. ასე, პოეტს, გარდა იმ ოფიციალური ოდებისა, რომლებიც შეტანილია „თამარიანში“, დაწერილი ჰქონია წმიდა ლირიული ხასიათის ლექსებიც. აქედან შენახულა მარტო ერთი ფრაგმენტი.<sup>1</sup>

შემდეგ, მე-II ოდის შესავალში ჩახრუხაისძეს მოხსენებული აქვს „ნაქმარნი“ თამარისნი, რომელიც მისი ხოტბის საგანი ყოფილა.<sup>2</sup> ეს — ყველა ნიშნებით — ლირიული პოემა, სადაც შესხმული ყოფილა „საქმენი“ („ნაქმარნი“) თამარისა, ჩვენამდე არ შენახულა.<sup>3</sup>

1. ოდა XII-a, რომელზედაც ქვემოთ გვაქვს საუბარი (იხ. თავი V).

2. „მხიარულ იქენ! ნაქმარნი გიქენ,

გესმნეს ნატიფნი, და მშვიდი, წყნარი“ (ოდა II, სტრ. 6).

3. ერთად-ერთი ჩვენამდე მოღწეული ნაწარმოები, რომელიც წინ უსწრებს ქრონოლოგიურად მეორე ოდას, ეს არის ოდა I (იხ. ოდების ქრონოლოგია, გვ. 225), მაგრამ ეს პირველი ოდა წარმოადგენს თამარის გამეფების მისალოც ოდას და აქ არაფერია ნათქვამი თამარის შემდგომი მოღვაწეობის („ნაქმართა“) შესახებ. — ეს გვაძლევს საბუთს, ვიფიქროთ, რომ ეს „ქება ნაქმართა“ — დაკარგულია.

თითონ პოეტი ამ ნაწარმოებს დიდად აფასებს და მას — ეს დიდი ხელოვანი ლექსისა — ახასიათებს, როგორც „ნატიფს“ (ე. ი. წმინდა, დაწვლილებული, თლილი).

ამ რიგად ჩახრუხაისძის პოეტური მემკვიდრეობიდან ჩვენამდე შენახულა მხოლოდ ნაწილი, ისიც მისი ახალგაზდობის წლებიდან, და ისიც მხოლოდ ერთი ჟანრი: ოფიციალური ოდა. ამას მიხედვით, რასაკვირველია, ძნელია სრული წარმოდგენა ვიქონიოთ ჩახრუხაისძის ტალანტის დიაპაზონზე. ასეთი ხასიათის ოდა მეტად ხელოვნურ ფორმას წარმოადგენდა, რომ შესაძლო ყოფილიყო აქ ინტეგრალური გაშლა პოეტური პათოსის. მე-XII საუკუნის ოფიციალური ოდა, როგორც ქართულ, ისე საზოგადოდ აღმოსავლურ პოეზიაში, შეიცავდა მთელ რიგს გაყინული პირობითი ნორმებისა, რომელსაც კარის პოეტი ვერ ასცდებოდა, და რომელიც უფეროდ ხდიდა პოეტურ თქმას. და მართლაც, რა წარმოდგენა უნდა გვქონოდა მაგალითად მე-XII საუკუნის სპარსელი პოეტის — ენვერის ინტეგრალურ ტალანტზე, თუ კი მის ოფიციალურ ოდებთან ერთად არ შენახულიყო მისი „ხორასანის ცრემლებიც“.

მაინც ჩახრუხაისძეს — შენახული ოფიციალური ოდების მიხედვითაც — არ შეგვიძლია, არ უწოდოთ დიდი ტალანტი. პირველი რიგში აქ ყურადღებას იქცევს მისი ფორმალური მიღწევანი. ჩახრუხაისძის ოდებში, მართლაც, არის თვით მისი ტერმინით „ნატიფი ლექსი“, ლექსის არტისტიული ფაქტურა. ჩახრუხაისძე პირველი ქართველი პოეტია, რომელსაც გაუგია ქართული ქარული რითმის ბუნება<sup>1</sup>.

მაგრამ ჩახრუხაისძის ოდების მნიშვნელობა მარტო ფორმალური მიღწევებით არ განისაზღვრება. ჩახრუხაისძის ოდებში, როგორც ეს სამართლიანად აღნიშნა ოდების პირველმა მეცნიერმა, გამომცემელმა ნ. მარრმა, ჩვენ გვაქვს „შესანიშნავი ძეგლი მთელს ქართულს ლიტერატურაში თავისი თვითარსობით (ეროვნულ-თავისებურობით), აქ არის „ცხოველი ასახვა მე-XII საუკუნის დამლევის საქართველოს კულტურულ-პოლიტიკური სახისა“. ჩახრუხაისძის ოდები ეს არის ყველაზე დამაჯერებელი *Patriotica*, რომელიც დავიტოვა თამარის ეპოქამ. საქართველოს კულტურული თვითდადგინება აქ მესსიანიზმის სახეს ღებულობს.

\* \*

ჩვენ აქ, რამდენადაც ეს ცდა ისახავს მიზნად ჩახრუხაისძის ბიოგრაფიის რესტავრაციას, აღარ შევჩერდებით ოდების უფრო ახლო დახასიათებაზე. ამ მოკლე შენიშვნების შემდეგ, ჩვენ პირდაპირ შეუდგებით პოეტის ბიოგრაფიულ ფაქტების გამორკვევას.

წინასწარ ჩვენ აქ მოგვიხდება დეტალურად განვიხილოთ ოდების ქრონოლოგია, დანვრილებით განვსაზღვროთ, თუ როდის არის დაწერილი თვითეული ოდა. მას შემდეგ, რაც ჩვენ აღვადგენთ ოდების ქრონოლოგიას, ეს ჩვენ მოგვცემს საშუალებას გავარკვიოთ რამდენიმე ბუნდოვანი კითხვა ჩახრუხაისძის ბიოგრაფიიდან.

**ოდების ქრონოლოგია.** ოდებში დაცული რეალიების მიხედვით შესაძლო ხდება, ზედმინვენით აღვადგინოთ შემდეგი ქრონოლოგიური რიგი ოდებისა:

**I ოდა.**<sup>2</sup> ეს ოდა, ცხადია, დაწერილია თამარის გამეფების პირველ ხანებში: 1184-ს, ან 1185-ს. ეს ოდა თავისი შინაარსით წარმოადგენს თამარის გამეფების მისალოც ხოტბას (იხ. განსაკუთრებით სტროფები 51—55).

ეს I ოდა, სჩანს, ერთ-ერთი პირველი ნაწარმოებია ჩახრუხაისძისა; აქ ჯერ კიდევ არ სჩანს არტისტის დაჯერებული ხელი და ლექსის ის ბრწყინვალე რეკა, რომელიც ახასიათებს ჩახრუხაისძის შემდეგ ოდებს.

1. ანალიზი ჩახრუხაისძის რითმისა წარმოდგენილია ამ ცდის მეორე სპეციალურ ნაწილში.

2. ოდები აღნიშნული გვაქვს ნ. მარრის გამოცემის ნუმერაციით.

**ოდები II, III, IV, V.** ეს ოთხი ოდა, როგორც ირკვევა, დაწერილია სხვადასხვა დროს, წლინახევრის მანძილზე: 1187 წლის შემოდგომიდან 1189 წლის დასაწყისამდე. ყველა ეს ოდები იძლევა ასეთ სურათს: თამარ უკვე არა პირველი წელია რაც მეფობს: მან სახელი მოიხვეჭა ბრძნული მმართველობით (II, 11—14, III, 1-2, 13, V, 37—39), და მუსულმანებთან ძლევა-მოსილი ომებით (II, 10, III, 8—12, IV, 8-9, V, 11—15). ამასთან ამ ოდებში იგულისხმება, რომ თამარს ქმარი არა ჰყავს. ყველა ეს რეალიები გარკვევით აღნიშნავენ, რომ ეს ოდები დაწერილია გიორგი რუსის განდევნის შემდეგ, მაგრამ უწინარეს დავით სოსლანის გამეფებისა, ე. ი. როგორც აღვნიშნეთ, წლინახევრის განმავლობაში, 1187 წლის დამლევადან 1189 წლის დასაწყისამდე.

კერძოდ, მე-V ოდის თარიღი შეიძლება განსაზღვრულ იქმნეს უფრო ნიშანდობლივ. 32-33 სტროფებიდან ჩვენ ვხედავთ, რომ მე-V ოდის დაწერის დროს თამარის საქმროდ დანიშნული იყო შირვან-შაჰი, რომელიც ამ დროს თამარის კარზე ყოფილა სადარბაზოდ („მყოფნი არ ვანით“). ხოლო შირვან-შაჰის დარბაზობა თამარის კარზე, თამარის ხელის სათხოვნელად, მოხდა 1188 წელს. ამნაირად ცხადი ხდება, ეს ოდა 1188 წელს ეკუთვნის.

**ოდა VII.** ეს ოდა — ტექსტის ჩვენებათა თანახმად — დაწერილია დავით სოსლანის გამეფების შემდეგ, მაგრამ უადრეს ლაშა-გიორგის დაბადებისა, მაშასადამე, 1189—1192 წლებს შუა. მაგრამ თარიღის გამორკვევა კიდევ უფრო ზედმიწევნით შეიძლება. ოდაში არის ასეთი ცნობა:

„რომელ დღეს ტაოს, მოემატა ოს.  
ისპირს და შირვანს მოვლაა ძნელი“ (სტროფი 20).

სახელოვანი ბრძოლები ისპირ-ტაოსათვის შაჰი-ერმენის ჯარებთან მოხდა სწორედ ამ წლებში, სახელდობ, 1191 წლის დამლევს, ან 1192 წლის დამდეგს.<sup>1</sup> ამავე თარიღს უდგება აგრეთვე მეორე ცნობაც, სახელდობ, ამ ოდაში მოხსენებულია ბუბაქარ ათაბაგი ადერბეიჯანისა, რომელიც გახელმწიფდა 1191 წელს, ყიზარსლან სულტანის სიკვდილის შემდეგ. — ყველა ამ დეტალების მიხედვით მტკიცდება, რომ ეს მე-VII ოდა ეკუთვნის 1191 წლის დამლევს ან 1192 წლის დასაწყისს.

**ოდა VIII.** ეს ოდა დაწერილია მე-VII ოდასთან ერთად, იმავე თვეებში, მართლაც, აქაც იგივე რეალიებია; დავით სოსლანი უკვე გამეფებულია, ლაშას შესახებ კი ხსენება არ არის; შემდეგ: აქაც დასახელებულია ბუბაქარ ათაბაგი; და, რაც განსაკუთრებით საგულისხმოა, აქაც აღნიშნულია იგივე დეტალი, რაც მე-VII ოდაში: თამარისათვის ხოტბათა მითმევა მუსულმანი პოეტების მიერ (VII, 24—27, VIII, 15). ამ რიგად ეს მე-VIII ოდაც ეკუთვნის იმავე 1191 წლის ბოლოს, ან 1192 წლის დასაწყისს.

**ოდა IX და X.** ეს ორი ოდა, ტექსტის ნიშნობლივ ჩვენებათა თანახმად დაწერილია იმ წელს, როცა დაიბადა გიორგი-ლაშა (იხ. ამის შესახებ განსაკუთრებით შემდეგი სტროფები: IX, 24 და X, 31), ე. ი. 1192 წელს.

ამავე თარიღს უჩვენებს ტექსტის სხვა რეალიებიც. ასე, ოდებში აღწერილი ბრძოლები მუსულმანებთან იგულისხმებს იმ სახელოვან ომებს, რომელიც გადაიხადა ქართველმა ჯარმა რანში ლაშა გიორგის დაბადების წელს.

**ოდა XI.** ეს ოდა, ტექსტში დაცული რეალიების თანახმად, აგრედვე ლაშა-გიორგის დაბადების წელს არის დაწერილი<sup>2</sup>. ის ბრწყინვალე გამარჯვება მუსულმანებზე ანატოლიის სანაპიროზე, რომლის აღსანიშნავადაც ჩახრუხაისძეს დაუწერია ეს ოდა, მომხდარა, ტექსტის მიხედვით, ლაშა-გიორგის დაბადების ახლო ხანებში (იხ. 39 სტროფი, და

1. გუზანის განდგომა (იხ. „ისტორია-აზმანი“, გვ. 444-5).

2. იხ. სტრ. 36—39; შეადარეთ ამ ოდის 39-40 სტროფები და მე-X ოდის 17 სტროფი.

შეადარე შემდეგი მოთხრობა); მაშასადამე, აქ იგულისხმება ის დიდი ბრძოლა, რომელსაც ადგილი ჰქონდა სწორედ ანატოლიის სანაპიროზე, არზრუმის სანახებში, და რომელშიაც, თამარის პირველი ისტორიკოსის ცნობით, მონაწილეობდენ მონაპირე მუსულმანი მთავრები<sup>1</sup>. ეს მოხდა ერთი თვის შემდეგ რანის ომებისა, და მაშასადამე, ეს მე-XII ოდა ცოტა ხნით არის დაშორებული მე-IX და X ოდებიდან, და იმავე 1192 წელს ეკუთვნის.

**ოდა XII.** ეს ოდა ყველაზე გვიანი ნაწარმოებია ჩახრუხაისძისა. ამ ოდებში ჩვენ გვხვდება პირველი ხსენება რუსუდანის შესახებ. ეს ოდა დაწერილია იმ დროს, როცა ათაბეგს მოუგზავნია თამარის კარზე მოციქულნი ახლად დაბადებული რუსუდანის („უდრის“) დასაწინდევად (იხ. სტროფები 15—20). ქრონიკული ცნობებისა და თამარის მატეანის ჩვენებათა შეფარდებით, ეს წინდობა მომხდარა შემახის დანგრევის შემდეგ, დაახლოებით 1193-ს.<sup>2</sup>

**ოდა XII-B<sup>3</sup>** ეს ლექსი არ წარმოადგენს ჩვეულებრივ ოდას. იგი ინტიმური ლირიული ლექსია, და მასში არ გვხვდება ისტორიული რეალიები. მაინც მისი თარიღის გამორკვევა საკმაო მიახლოებით არის შესაძლებელი. სტილის მიხედვით (რიტმების ხასიათი და ცალკე გამოთქმები) იგი ახლო უდგება მე-XII ოდას, და ამიტომ იგი ყველა ნიშნებით ეკუთვნის იმავე 1192 წელს.

\* \*

ამ რიგად, ჩვენ გვაქვს ჩახრუხაისძის ოდების გარკვეული ქრონოლოგია. და აქ ჩვენს ყურადღებას იქცევს ერთი გარემოება.

საქმე ის არის, რომ ეს ლექსები, როგორც ვხედავთ ეკუთვნის ორს სხვადასხვა პერიოდს, რომლებიც საკმაო გრძელი მანძილით არიან დაშორებულნი ერთი-მეორისაგან. პირველი ჯგუფის ლექსები<sup>4</sup> დაწერილია სამი წლის მანძილზე (1184-5 წლიდან 1188 წლამდე); ხოლო მეორე ჯგუფის ლექსები<sup>5</sup> დაწერილია წლი-ნახევრის მანძილზე (1191 წლის დასასრულიდან, ან 1192 წლის დასაწყისიდან 1193 წლამდე).

აი, ამ ორი პერიოდის ლექსებს შორის არის ხარვეზი სამი წელი. 1188 წლის ბოლოდან — ვიდრე 1191-1192 წლამდე ჩვენ არა გვაქვს არც ერთი ოდა ჩახრუხაისძისა.

რით უნდა აიხსნას ეს? მართალია, „თამარიანში“ ჩვენ არ გვაქვს სრული კრებული ჩახრუხაისძის ლექსებისა; როგორც ეს აღნიშნული გვქონდა, „თამარიანში“ არ არის შეტანილი ინტიმური ხასიათის ლირიული ლექსები და არც ლირიული პოემა „ნაქმარნი“;

მაგრამ კრებულში, სჩანს, ასე თუ ისე სრულიად არის წარმოდგენილი თამარის ოფიციალური ოდები. მართლაც, არ არის არც ერთი მნიშვნელოვანი ისტორიული შემთხვევა 1187-1888 წლების და 1192-1193 წლებისა, რომელთაც არ ჰქონდეს გამოხმაურება ჩვენი პოეტის ოდებში. და რით უნდა აიხსნას ეს დუმილი, ამ სამი წლის განმავლობაში 1888 წლიდან 1191 წლის დასასრულამდე? ამ წლების მანძილზე იყო მთელი რიგი ისეთ ისტორიულ შემთხვევათა (პირველ რიგში — დავით სოსლანის გამეფება და სხვა), რომელთაც უთუოდ უნდა შეჰხებოდა ჩახრუხაისძე, თავისი ოფიციალური მდგომარეობის გამო, როგორც კარის პოეტი. და, რასაკვირველია, შემთხვევით არ აიხსნება, რომ ამ ხანიდან ჩვენ არა გვაქვს არც ერთი ოდა ჩვენი პოეტისა.

1. იხ. „ისტორია-აზმანი“, გვ. 448—450.

2. მემატეანის სიტყვით (იხ. „ისტორია-აზმანი“, გვ. 455-6) ეს მოხდა შემახის მიწის ძვრით დანგრევის ახლო ხანებში. ხოლო ქრონიკული ცნობებით, შემახის დანგრევა მოხდა 1192-ს (იხ. ქრონიკები, I, გვ. 280), ყოველ შემთხვევაში, რუსუდანის წინდობა 1195 წელზე უფრო ადრე მომხდარა, რადგან მემატეანე ამის შემდეგ ავგინერს შამქორის ომს (1195 წელს).

3. ტექსტი ოდისა იხ. ქვემოთ, თავი V, გვ. 237-238.

4. ოდები I, II, III, IV, V.

5. ოდები VII, VIII, IX, X, XI, XII, XII-a.



ამიტომ უნებლიეთ იბადება მოსაზრება, რომ ჩახრუხაისძე ამ სამი წლის განმავლობაში, შესაძლოა, არც კი ყოფილიყო საქართველოში. და მართლაც, ოდების შესწავლა სავსებით ამართლებს ამ მოსაზრებას.

საქმე ის არის, რომ მე-VII ოდაში, რომლითაც იხსნება ჩახრუხაისძის მეორე პერიოდის ლექსები, ჩვენს პოეტს საჭიროდ მიაჩნია აღნიშნოს, რომ იგი არის „მაშა“, მრავლად-მოარული, ე. ი. მწირი-მოგზაური, რომელიც ყარიბად იყო უცხოეთში.

ამ რიგად, ეს პირდაპირი ცნობა თითონ პოეტისა სავსებით ეთანხმება იმ ჩვენებას, რომელსაც იძლევა მისი ოდების ქრონოლოგია. პოეტი, სჩანს, ამ წინა წლებში, მართლაც, არ ყოფილა საქართველოში, ეს ხანი მას უცხოეთში გაუტარებია, როგორც „მაშა“-ს, მოგზაურს, ყარიბს.

თუ რა ქვეყნებში იმოგზაურა ჩახრუხაისძემ, ამის შესახებ პირდაპირი ცნობები არა გვაქვს. მაგრამ მაინც ზოგიერთი ნიშნების მიხედვით, შესაძლოა, გამოითქვას მოსაზრება, რომ ჩახრუხაისძეს ეს წლები შირვანში უნდა გაეტარებინოს. მართლაც, ჩახრუხაისძე თავისი პოეტური სკოლით ახლო სდგას შირვანის პოეტებთან, ასე, კერძოდ, „პოეტების მეფე“ — ხაყანისთან, რომელიც, ალბად, მათი ახლო ურთიერთობის მაჩვენებელია.<sup>1</sup> შემდეგ: შირვანზე (შემახაზე) უნდა უჩვენებდეს ერთი ალლიტერაცია, რომელიც დაცულია იმავე მე-VII ოდაში, რომლითაც იხსნება ჩახრუხაისძის მეორე პერიოდის ლექსები.<sup>2</sup> დასასრულ, თუ მოვიგონებთ, რომ სწორედ 1188 წელს საქართველოს სამეფო კარზე დიდის ზემოთ მოვიდა სადარბაზოდ შირვან-შაჰი აღსართან, უეჭველია თავის კარის პოეტების თანხლებით, თავისთავად იბადება მოსაზრება, ხომ არ გაჰყვა ჩახრუხაისძე შირვან-შაჰს, როცა იგი გაბრუნდა საქართველოდან; ეს მით უფრო ახლო უნდა იყვეს სინამდვილესთან, რომ ჩახრუხაისძე სჩანს დაახლოებული შარვან-შაჰს, და მას დიდის პატივით მოიხსენებს იგი თავის უკანასკნელ ოდაში, რომლითაც დასრულებულია მისი პირველი პერიოდის ლექსები.<sup>3</sup>

\* \*

ამ რიგად, ოდების ქრონოლოგიის წარმოდგენილი დეტალური ანალიზის შემდეგ, ჩვენ გვეძლევა საშუალება აღვადგინოთ თარიღები ჩახრუხაისძის ცხოვრებისა. ჩვენ წინ, მაშასადამე, ისახება ასეთი საზოგადო სურათი:

1. იხ. ჯერ-ჯერობით T. P, IV, გვ. 18, შენიშვნა 1, — შირვანის პოეტთა სკოლას ჩვენ ვეხებით ცალკე წერილში.

2. იხ. ოდა VII, 28: „მაშა მე ხელი“ — „მაშა მე ხელი“ — „მა შამეხელი“. ასეთი სიტყვის თამაში მიღებული იყო კლასიკურ ქართულ პოეზიაში; ასე შეუდარეთ შოთას „ვეფხის-ტყაოსანში“: „ვინ ცამ იქია“ — „ვინცა მიქია“ („ვეფხის-ტყაოსანი“ პროლოგი) „შუქთა მარებლად“ — „შუქ-თამარ-ებლად“ („ვეფხის-ტყაოსანის“ ეპილოგი); ან კიდევ იხილეთ [დავით] შავთელის „აბდულმესიანი“, სადაც ფრაზას „დავითის დავით“ ეძლევა ორი მნიშვნელობა:

„მნადს აქ ებანი,  
და ვით ის დავით  
[დავითის დავით]  
ვსჯდე მუსიკობად“ (სტროფი I, 2).

3. პოეტი ასეთის სიტყვებით მიმართავს თამარს, შირვან-შაჰის, შესახებ:

„თქმული ავადად, ლომთა თავადად,  
სხვაცა ვინმე სჩანს, ხართ ნამარხევად:  
ვიციტ შარვანით, მყოფნი არ ვანით,  
გაშას გასული ნაგაშპასევად“.

პოეტი ასეთის პატივით მოიხსენიებს შირვან-შაჰს მაშინ, როდესაც მუსულმანი ხელმწიფენი ყველა ოდების მანძილზე მოიხსენებიან ირონიითა და სიძულვილით.



1184-5 წლებში, ჩახრუხაისძე პირველად გამოსულა როგორც პოეტი თამარის კარზე და მიუერთმევეია თამარისათვის ოდა მისი გამეფების გამო. მომდევნო სამი წლის მანძილზე ჩახრუხაისძეს თამარის კარზე გაუტარებია როგორც კარის პოეტს. ამ დროს არის დაწერილი მისი ოთხი ოდა (II, III, IV, V).

შემდეგი სამი წლის განმავლობაში ჩახრუხაისძე საქართველოში აღარ ყოფილა, და ეს წლები მას მოგზაურობაში დაუყვია. პოეტი, საფიქრელია, ერთ ხანად შირვან-შაჰის კარზე უნდა ყოფილიყო.

1191 წლის დამლევსთვის ჩახრუხაისძე ისევ დაბრუნდა საქართველოში, რა დროსაც დაწერილია მისი მე-VII ოდა. ჩვენი პოეტი, როგორც ამას გვიჩვენებს ამ ოდის ერთი სტროფი, თამარის კარზე, ისევ დიდის პატივით, „წყალობით“ მიუღიათ.<sup>1</sup>

ამის შემდეგ მომდევნო წელ-ნახევარი (1191 წლის ბოლოდან — 1193 წლამდე) ჩვენ პოეტს ისევ თამარის კარზე გაუტარებია.

მაგრამ ამ დროს მოხდა ერთი საბედისწერო ისტორია, რომელიც ასე ტრაგიულად დასრულდა ჩვენი პოეტისათვის, რასაც შედეგად მოჰყვა ჩახრუხაისძის უცხოეთში გადახვეწა, და რომლის შემდეგ იწყება ჩვენი პოეტის ფანტასტიური თავგადასავალი.

ეს არის რომანი ჩახრუხაისძისა თამართან.

მაგრამ ჯერ თამარზე.

## IV

### თამარის პორტრეტი

\* \*

ვინ არის თამარ?

საუბარი თამარის შესახებ დიდ სიძნელეს წარმოადგენს, და ამასთან უთუოდ შეიცავს ერთგვარ საცთურსაც.

თამარის პიროვნება ლეგენდის შარავანდედით არის მოსილი დღემდე საქართველოში, და კავკასიის ყველა ქვეყნებში. ზოგან ჩვენ ვხვდებით მის ჰეროიზაციას და ნამდვილ გაღმერთებსაც; საქართველოს მთელეთის კანტონებში თამარს თავყანსა სცემენ, როგორც მადონას, და მის ძეს ლაშას, როგორც ახალ მესსიას.

ასეთი შარავანდედით შემოსვა თამარის სახელისა არ არის ახალი მოვლენა. მისი დასაწყისი თითონ თამარის ეპოქიდან მოდის. თამარის ერთი თანამედროვე ისტორიკოსი ასე აგვიწერს იმ აპოთეოზს, რომელიც შექმნილი იყო თამარის სახელის გარშემო მის თანამედროვეთა შორის:

„ქართველთა — სწერს იგი — სხუა არა-რა მოაქუნდა ვითა თამარ. რამეთუ სახლთა ზედა აკროსტიხურად თამარის შესხმათა დასწერდეს; ბეჭედთა ზედა, და დანათა, და არგანთა შეამკობდეს თამარის ქებითა... ყრმანი მემრონლენი, განპებასა შინა ორნატთასა თამარის ქებათა მელექსეობდიან; ერაცს მყოფნი მეებნენი გინა მეჩანგენი თამარის შესხმათა მუსიკობდიან; ფრანგნი და ბერძენნი, ზღვასა შინა მენავენნი, ნიაჟ-კეთილობათა შინა თამარის ქებათა იტყობდიან. ესრეთ ყოველი... საგვს იყო მის მიერთთა ქებითა და ყოველი ენა ადიდებდა... ვითარცა თვთ მონამე არს ყოველი ჩუენ მიერ ხილული, სიტყვსაებრ ბრძნისა“ (თამარის მესამე ისტორიკოსი, გვ. 533).

1. იხ. VII, 28.

\* \*

როდესაც ჩვენ ვცვილდებით ლეგენდების ამ საბურველს, გვერდს უხვევთ ამ პეროი-ზაციას, და ახლო ვეცნობით თამარის პიროვნებას თითონ თანამედროვე ისტორიულ ჩვენებათა მიხედვით, ჩვენი მოკრძალება მის წინაშე ამით არ კლებულობს. ჩვენ ვხედავთ, რომ ჩვენს წინაშე, მართლაც, არის გენიალური პიროვნება, იქნებ ყველაზე გენიალური ქალი, რომელიც იცის ისტორიამ.

თამარის პორტრეტის დახატვა დიდ სიძნელეს წარმოადგენს. ქართული ისტორიის მანძილზე ჩვენ გვხვდება რამდენიმე პიროვნება, რომელთაც უთუოდ ეკუთვნის გენიის სახელი, მაგრამ თამართან შედარებით ისინი უფრო მთლიანი პიროვნებანი არიან, ისინი თითქო ერთი მთლიანი ზოდიდან არიან გამოკვეთილნი, და მათი ბუნების გაგება, მათი ინტელექტუალური სახის წარმოდგენა არ არის ისე ძნელი; ხოლო თამარ ბევრად უფრო რთულია, მასში თითქოს ერთდება ისეთი ხაზები, რომლებიც ძნელი შესათავსებელია; აქ არის უაღრესად ინტეგრალური სული, უაღრესად მრავალმხრივი ინტელექტუალური პიროვნება.

ჩვენ აქ შევეცდებით, საერთო ხაზებში, აღვადგინოთ მისი პორტრეტი.

\* \*

ასე, ჯერ ერთი სახე თამარის: თამარ სახელმწიფო მოღვაწე:

თამარ უთუოდ არის უდიდესი სახელმწიფო გონება, რომელიც იცის საქართველოს ისტორიამ, და მე გავბედავდი მის დაყენებას დავით აღმაშენებლის გვერდით; საკმაოა ახლო გავეცნოთ — პირველ რიგში ახლად აღმოჩენილ თამარის მესამე მატრიანეს, რათა დავრწმუნდეთ, რომ სწორედ თამარის პირადი ბრძნული პოლიტიკის ნაყოფი ყოფილა შექმნა საქართველოს უდიდესი იმპერიისა, რომელიც მის დროს აღწევდა წინა-კავკასიიდან დაწყებული ჩრდილო-სპარსეთამდე, ბალდადის ხალიფატამდე და აღმოსავლეთ ანატოლიამდე; პირადად თვით თამარ ყოფილა უახლოესი ხელმძღვანელი და ხაზის მიმცემი საქართველოს ამ დიდი სახელმწიფოებრივი პოლიტიკისა; და ჩვენს განცვიფრებას იწვევს მისი ბრძნული წინდახედულება, მისი უცთომელი ტაქტი და შორს-მხედველობა, სახელმწიფოს კრიტიკულ მომენტებში. აქ ჩვენ ყოველთვის ვხედავთ მის მახვილსა და ნათელ აზრს. თამარის ბრძნული მმართველობით ერთიანდება კავკასია, და ეს გაერთიანება არ იყო მექანიკური. მისი შემწყნარებელი მფარველობის ქვეშ აქ ჩაისახა ნამდვილი კულტურული ერთობა ხალხების. კავკასია არას დროს არ ყოფილა ახლო იმ იდეალთან, რომელიც ვერ განხორციელდა მხოლოდ მე-XIII-XIV საუკუნეთა კატასტროფის გამო, ეს შექმნა ერთი ერისა კავკასიის მინა-წყალზე; იდეალი — რომლის გარეშე ჩვენ მომავალშიაც ვერ წარმოგვიდგენია საქართველოს ისტორიული განვითარების გზები.

\* \*

მაგრამ გარდა იმისა, რომ თამარ უდიდესი სახელმწიფო მოღვაწე იყო, მას ამასთან ამკობდა ის სათნოება, რომელიც შესაძლოა არც ისე საჭიროა სახელმწიფო მოღვაწისათვის, მაგრამ რომელმაც თამარის სახელი სათაყვანო გახადა ყველა ხალხებისათვის.

თანამედროვე საისტორიო წყაროები განცვიფრებით აღნიშნავენ თამარის პირად გულკეთილობას და ლმობიერებას. ამ წყაროების ერთხმივი ჩვენებით თამარის მეფობა აღბეჭდილი იყო განსაკუთრებულის ჰუმანიურობით. თამარის დროს არა თუ არავინ არ დასჯილა სიკვდილით, არამედ სიკვდილით დასჯის გაუქმებასთან ერთად მას როზგის დაკვრაც მოუსპია სახელმწიფოში. „ესე ვითარსა კაცთა უვნებლობასა შინა [აქუნდა] უვნებელად და მშვიდობით დაპყრობა საზღვართა მამა-პაპურთა, და დაჭირვა და მონურთა კაცთა ქედ-ფიცხელობისა და გონება-ურჩობისა“.<sup>1</sup>

1. იხ. „ისტორია-აზმანი“, გვ. 412-413 (შეუდ. თამარის მეორე ისტორია, გვ. 480-1).

მით უფრო თავის კერძო ცხოვრებაში თამარ იყო მაგალითი პირადი სათნოების, გულ-კეთილობისა და მოწყალების.

მაგრამ ეს ცოტაა: თანამედროვე წყაროები გადმოგვცემენ აგრეთვე ერთს, პირველი შეხედვით, დაუჯერებელ ამბავს; თამარ, ეს ბრწყინვალე დედოფალი, მათი სიტყვით, — ნამდვილ ასკეტის ცხოვრებას ატარებდა. ამ დიდბუნებოვან ადამიანს — გადმოგვცემენ — უჯეროდ მიაჩნდა სახელმწიფო შემოსავალის თავის თავზე დახარჯვა; და იმ მცირე თავისუფალ დროს, რომელიც მას რჩებოდა სახელმწიფო საქმეებიდან, ხშირად ლამეებს, ხელსაქმესა და საკერავს ანდომებდა, და თავისი ხელსაქმის გაყიდვით სცხოვრობდა.

„თუსითა ჴელითა ამასაცა შურებოდა, — სწერს მემატინე, — რომელ მის დღისა საჭამადი მისი დააფასოს, და ჴელსაქმარი მისი განყიდის; და ეგოდენი ფასი გლახაკთა აჴელსაქმარა, და მისცნა — არა სამეფოდ შემოსავალთაგან“.

ჩვენ შეგვეძლო, ეს ცნობა არ დაგვეჯერებინა, თუ კი ამას არ გადმოგვცემდეს თამარის თანამედროვე ორი სხვადასხვა მემატინე.<sup>1</sup>

მაგრამ ყოველივე ამასთან, ამ თითქმის ეკლესიურ სათნოებასთან, თამარ სრულე-ბით არ იყო cant (ხანუა). პირიქით, იგი იყო ადამიანი ფართე თავისუფალ ჰუმანიტარული მსოფლიო-მხედველობით. თამარ არის ნამდვილი წინამორბედი ახალი, რენესანსის ეპოქისა თავისი ლიტერატურული ჰუმანიზმით და არტისტიული კულტურის მეთაურობით; მისი შემწყნარებელი მფარველობით იწერებოდა და ქვეყნდებოდა ისეთი, ქრისტიანულის თვალსაზრისით თითქმის მწვალებლური (ერეტიკული) თხზულებანი, როგორც არის „ისტორია-აზმანნი შარავანდედთანი“ და ან თვით ჩახრუხაისძის ოდებიც. [ჩვენ აქ არას ვამბობთ შოთას „ვეფხისტყაოსანზე“. თითონ თამარისთვისაც არ ყოფილა უცხო პოეზია: „ისტორია-აზმანში“ დაცულია ერთი ჰიმნი, რომელიც დაუნერია თამარს, და რომელიც არაფრით არ დაუვარდება შავთელის ჰიმნს<sup>2</sup>. მაგრამ გარდა პირადი შემოქმედებისა, თამარ — თავისი შთამავლებელი სულით — ნამდვილი ცენტრალური ფიგურაა ამ ეპოქის პოეზიის; ჩვენ ყველგან და ყველაფერში ვხედავთ მის გავლენას.

თამარ არ ერიდებოდა არც კარის ბრწყინვალეობას, და იგი ყოველთვის ამშვენებდა სამეფო ზეიმებს<sup>3</sup>; თამარს ჩვენ ვხედავთ ასევე ტურნირებზე<sup>4</sup>; ან კიდევ თამარ — როგორც დიანა — მონაწილეობას ლებულობდა თვით სამეფო ნადირობაშიც, და მისი სანადირო კარავი გამართული იყო ველზე მანამ, სანამ თოვლით არ დამძიმდებოდა.<sup>5</sup>

\* \*

ასეთსავე კონტრასტებს წარმოადგენს თამარ, როგორც ქალი.

გადმოცემა თამარის მშვენიერების შესახებ დღემდე დაცულია, როგორც ლეგენდა, და მართლაც, თამარ ნამდვილი გენია ყოფილა მშვენიერების.

თამარის უცნაურს, პირდაპირ ზე-ადამიანურ მშვენიერებას მოწმობენ ყველა მისი თანამედროვენი — „ისტორია-აზმანნი“ — რომელიც დაწერილია მე-12 წელს თამარის მეფობისა (როცა თამარ 26 წლისა იყო), თითქმის ყოველს ფურცელზე უბრუნდება თამარის მშვენიერების აღწერას. ირანის დიდებულნი 1195 წლის დარბაზობის დროს თამარის კარზე „ფიცით დაამტკიცებდეს და იტყოდეს, ვითარმედ არაოდეს ნახულა კაცთა თუალთაგან, არცა ნაგუიკითხავს ძუელთა წერილთა შინა, გინა ახალთა, სახე თამარისი“. თითონ

1. თამარის მეორე ისტორია, გვ. 480, თამარის მესამე ისტორია, გვ. 535.

2. თამარის ამ ჰიმნზე (და აგრეთვე შავთელის ჰიმნის შესახებაც) იხ. სპეციალური ექსკურსი (სქოლიო 7).

3. იხ. განსაკუთრებით „ისტორია-აზმანნი“.

4. იხ. „ისტორია-აზმანნი“, გვ. 460-461.

5. იხ. ახლად აღმოჩენილი თამარის მესამე ისტორია.

ის ისტორიული ძეგლებიც, რომლებიც დაწერილია სასულიერო პირთა მიერ, განცვიფრებით მოგვითხრობენ თამარის მშვენიერებაზე.<sup>1</sup>

რალა საკვირველია ამის შემდეგ ის „ხელქმნა“ თამარისათვის, და ის „ველად გაჭრანთ მიჯნურთანი“, რომელსაც მოგვითხრობენ თანამედროვენი. ასე, ერთი ისტორიკოსი გადმოგვცემს<sup>2</sup>, რომ თამარის მშვენიერების მარტო ამბის გაგონებით. „ბერძენთა მეფის მანოელისა შვილი უხუცესი იყო გაჭრითა და გახელებითა“;

კვალად ფრანკი რაინდი, მემკვიდრე ერთ-ერთი სირო-პალესტინური ჯვაროსნების მიერ დაარსებული სამეფოსი, აგრეთვე თამარის მშვენიერების მარტო ამბის სმენით „იყო [ხელად და] უკეთუმცა ჰქონებოდა გზა მრავალგუარად ბარბაროზთა შუა-ყოფისგან, წამსაცა შინა აქა პოვნილ იყო“.

„კუალად [ერანის] სულტნისა ყიზ-არსლანის შვილი, ამისისა ბრწყინვალეებისა სმენითა ხელქმნილი, ძალითლა სამე დაიჭირა მამამან სჯულისა დაგდებისა შიშითა“.

როცა გიორგი რუსი განდევნილ იქმნა, თამარის ხელის საძებრად მის კარზე ჩვენ ვხედავთ მიჯნურობით გაჭრილ უფლისწულებს, რომელთაგან ვერც ერთი ვერ ეღირსა ამაყი თამარის ყურადღებას. სელჯუკიდი მუტაფრადინ, რომელმაც თამარის გულისთვის ქრისტიანობაც კი მიიღო, რომელსაც თამარის ხილვის დროს „რამინისებრი სდიოდა ცრემლთა ნაკადობა“; შირვან შაჰი აღსართანი — ეს ახალი ყაისი — რომელიც, „მიწდილ იყო ცნობათა სიყუარულისაგან მიჯნურისაერ ძუელისა“, და სახელოვანი უფლისწული დავით სოსლანი, რომელსაც ერთად-ერთს არგუნა განგებამ „ბედი საზესთაო“ და „ღმრთებრივი“ ხვედრი.

განსაკუთრებით რომანტიულია ერთი ისტორია, რომელსაც მოგვითხრობს თანამედროვე ისტორიკოსი, რომელიც თვით იყო მონაწილე იმ სახელმწიფო დარბაზობისა, რომელსაც თათბირი ჰქონდა თამარ დედოფლისათვის საქმროს მონვევის შესახებ, 1185 წელს:

„ესეცა გაუწყო საბრალო და საძნაური საქმე“ — სწერს მემატიანე, — „რამეთუ მოსრულ იყვნეს ორთა მეფეთა შვილნი, შუენიერნი და სახე-კეთილნი მოყმენი, მთხოვნელნი ღმრთისანი (ე. ი. თამარისა), და მიმნდობნი ჭაბუკობისანი, ვითარ ღირს რამცა ვყავთ მონონებად და მიწდომად ბედსა ამას საზესთაოსა. და ვინაიცა უქმ იქმნა განზრახვა მათი, წარსრულთა თვსად მამულად, ერთსა მათგანსა შეემთხვა მოუთმენელი სურვილი და სიყუარული თამარისი, რომლისათვს ვერ გამძლე, მივრდომილი საგებელად, დაბნედასა შინა მიიწია აღსასრულად, ნიქოზს... რომელსა შინა დაკრძალეს“<sup>3</sup>.

მეორე ადგილას ისტორიკოსი გადმოგვცემს, რომ თამარის უცნაური მშვენიერება თვით მხეცებსაც კი ამდოვრებდა:

„გარნა იხილეთ, თუ ვითარ სატურფო და მალნიტებრ მომზიდველობა აქუს მწეცთა გულებისა: ოდესმე შარვაშეს ლომისა ბოკუერი გამოეგზავნა; მათ გაეზარდნეს და ესდენ დიდი [და] საზარელი შეიქმნა, რომე არცა ველური, არცა შინაური გაზრდილი არცა ვის უნახავს... რაჟამსა დარბაზს მოიყვანიან, ესრეთ აქუნდა ტრელი სურვილი და სიყუარული თამარ ღმრთივ-განმანათლებელისა, რომელ მრჩობლთა ჯაჭუთა მიმო[დაქცეუ]ლებამან კაცთა კიდებისამან ვერ დაიჭირის, ვირე თავი უბეთა არ ჩაუდვის, და ლოშნიდის ვითარცა ძუელოდესმე მონამეთა მეტაფრასები მოგვითხრობს. და ოდესმე დაიჭირიან და [ძლით] და(ა)მაგრ(ებ)დიან; მაშინ წყაროს მსგავსნი ცრემლნი გადმოსთხივნის თუალთაგან, რომელნი დაალტობდეს მინასა“.<sup>4</sup>

1. მეორე და მესამე ისტორიკოსები, — თამარის სახის შესახებ წარმოდგენას იძლევა თამარის 4 პორტრეტი (მე-XII-XIII საუკუნეთა ფრესკები), რომლებიც შენახულა: ბეთანიაში, ვარძიაში, ბერთუბანში (გარესჯის უდაბნო), და ყინცივისში (ქართლში).

2. შემდეგი ტექსტები — „ისტორია-აზმანთაგან“.

3. თამარის პირველი ისტორია, გვ. 417.

4. იქვე, გვ. 454.

ეს მოთხრობა ზღაპრულად გვეჩვენებოდა, რომ არ ვიცოდეთ, რომ იგი დაწერილია მე-12 ნელს თამარის მეფობისა, თამარის დარბაზის წევრის მიერ, რომელმაც გამოაქვეყნა თავისი ისტორია თამარის სიცოცხლეშივე...

\* \*

დასასრულ, კიდევ ერთი ხაზი.

თამარ, რომელიც ნამდვილი გენია იყო მშვენიერებისა, ამავე დროს მიუზნდომელი იყო მიჯნურთათვის, როგორც წმინდანი. ამას ერთხმად მოწმობენ ყველა მისი თანამედროვენი. თამარ, მისი პირადი სათნოებისა და მაღალი ზნეობის გამო, თვით სიცოცხლეშივე იყო აღიარებული ღვთაების ინკარნაციად და წმინდად.

„აქუნდა თამარს სული მყოვარე და შეყუარებული ზენაარისა მის ხუედრისა, და გონება გონებისა მის დიდისა მიმართ აღემსჭუალა, და სეფ-გვარო ყოფდა [სხეულსა] — ტაძარსა შვიდ-წილ განწმედილსა ღმრთისა სიტყუისა[სა]“.

და არა მარტო თამარის ახლო-მყოფნი და თვით-მხილველნი, არამედ თვით უცხოეთში გადახვენილი ანახორეტი, სასულიერო პირი, მის მიერ გადაწერილ სახარების ანდერძში, თამარს პირდაპირ მოიხსენებს წმინდანის სახელით.<sup>1</sup>

თუ სადამდე მიდიოდა თამარის გაღმერთება, რწმენა თამარის წმინდანობისა, სჩანს, იქიდან, რომ თვით თამარის დაქორწინებაც მიაჩნდათ ზეციერ განგებად, და თამარს უცქეროდენ როგორც მადონნას, რომლისაგან უნდა შობილიყო ახალი მესსია. თამარის თანამედროვე მემატიანე სწერს:

„[თამარ მსგავს იქმნა ღმრთისმშობელისა] მარიამისა; მიუდგა თამარ განწმედილითა გონებითა, და ტაძრის ღმრთისა აღმსჭვალულისა სანთლისა სხეულისათა, მხურვალითა გულითა და განათლებულითა სულითა, ტაბაჭმელისა ბეთლემ-მყოფელმან, — მუნ შვა ძე, **სწორი ძისა ღმრთისა**, და უწოდა სახელი ახოვნისა მამისა თვისისა — გიორგი“ (იხ. „ისტორია-აზმანნი შარავანდედთანი“, გვ. 446).

აპოთეოზი, გაღვთაება, ამაზე შორს ველარ წავა.

აქ ჩვენ თვით თამარის სიცოცხლეშივე ვხედავთ დასაწყისს იმ წმინდა რელიგიური კულტისას, რომელიც დღემდე არსებობს საქართველოს მთის თემებში, სადაც, როგორც ეს ზევითაც გვქონდა მოხსენებული, თამარის სახელი შეუერთდა წარმართულ ხალხურ რელიგიურ გადმოცემებს, და სადაც თაყვანს სცემენ თამარს როგორც ახალ ღვთისმშობელს, და ლაშარს როგორც ახალ მესსიას...

ასეთი იყო თამარ, ეს უცნაური ქალი, რომელიც თვით სიცოცხლეშივე თითქმის რომ ლეგენდად იქცა, თამარ, ეს ყველაზე რომანტიული სახე, რომელიც კი იცის ისტორიამ, და რომელსაც არა აქვს სხვა სახელი, თუ არა გენია მშვენიერების.

## V

### ჩახრუხაისძის რომანი. ჩახრუხაისძის უცხოეთში გადახვეწა

ჩახრუხაისძის შესვენდრა თამართან საბედისწრო ქცეულა ჩვენი პოეტისათვის. პოეტი გამახდარა „ხელქმნილი“ თამარისათვის, მისი მიჯნური „ვიდრე გაჭრამდე და გახელებამდე“...

როდესაც ჩვენ ვეცნობით ჩახრუხაისძის რომანტიულ ისტორიას, მის ტრაგიულ სიყვარულს, მის უცხოეთში გადახვეწის ამბავს თამარის უიმედო სიყვარულის გამო, ჩვენ

1. იხ. ვანის სახარების ანდერძი, დაწერილი მე-XIII საუკუნეში კონსტანტინეპოლს (წარწერა დაბეჭდილი აქვს ე. თაყაიშვილს — „არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი“, გვ.16).



თითქო ვეფხის-ტყაოსნის მსოფლიოში გადავდივართ. ჩვენ ვხედავთ, რომ შოთას პოემის პერსონაჟები არ არიან უცხოეთის მწერლობიდან შეთვისებული სახეები (აღმოსავლურ პოეზიაში ჩვენ არც კი გვაქვს pendat პოემის კულტურული გარემოსი, აღმოსავლურ პოეზიაში არ არის პარალელები ვეფხის-ტყაოსანში გადმოცემული ქალის კულტისა, რაინდობის იდეალებისა), არამედ შოთას მისი გმირების დახატვის დროს, ცხადია, თვალწინ უვლიდა მისი ეპოქის სურათები, და არც არის მოულოდნელი, თუ მის პოემაში უნებლიეთ შევიდა ზოგი ხაზებიც-კი მისი უფროსი თანა-პოეტის ჩახრუხანისძის რომანტიული ისტორიიდან, ამ ტრაგიული „მიჯნურობისა და ველად გაჭრის ისტორიიდან“, რომელსაც ასეთი დიდი შთაბეჭდილება დაუტოვებია თანამედროვეებზე.

თანამედროვე პოეტები ჩახრუხანისძეში ხედავდნენ ტარიელის ორეულს. პირველი ელეგია ასე იწყებს საუბარს ჩახრუხანისძის შესახებ:

„ჩემსა მოყმესა,  
ლომთა მოძმესა,  
ვის არად უჩნდის სახლი და კარი,  
დამმეტეს მქმნელად,  
გაიჭრნეს ველად,  
სამყოფად ჰქონდის ლომთა შამბნარი“ (I, 3-4).

\* \*

ჩვენ აქ შევეცდებით აღვადგინოთ ეს რომანტიული ისტორია. მართალია, ის ლექსები ჩახრუხანისძისა, რომლებიც შთაგონებული ყოფილა თამარის სიყვარულით, დაკარგულია (ყველა ნიშნებით — ისინი თვით ჩახრუხანისძის სიცოცხლეშივე მოსპეს), მაგრამ ამ ლექსებიდან რალაც სასწაულით გადარჩენილა ერთი ფრაგმენტი, რომელიც ხმას გვანდის ამ ძველი რომანტიული ამბის შესახებ.

საგულისხმოა, რომ არა მარტო „თამარიანში“, არამედ თვით ოფიციალურ მატთანეშიც კი არის ყრუ ჩვენება ჩახრუხანისძის რომანის შესახებ. „შარავანდედთა ისტორია-აზმანში“, რომელიც დაწერილია თამარის მეფობის მე-12 წელში, მემატთანე აგვინერს რა თამარის მიუნდომელ მშვენიერებას, რომლის მარტო სმენით მრავალნი „გაიჭრნეს მიჯნურად“, უმატებს:

— ხოლო ახლო-მყოფთა (თვითმხილველთა) „ესევეთარი აქუნდა ტრფიალი, რომელ არცა უღირსთა უღირსობისა აქუნდა კდემარცხუნა, და არცა თუისთა თუისობისა გავლენა“.<sup>1</sup>

ამ რიგად თამარისთვის „ხელქმნილთა“ შორის ყოფილან „ღირსნი“ — ე. ი. სამეფო გვარეულობის წევრნი, და „უღირსნი“ — არა სამეფო შთამომავლობისა.

ვინ იყვნენ ეს „ღირსნი“ და ამასთან „თუისნი“ (ე. ი. თამარის ნათესავნი), რომელნიც თამარის უიმედო სიყვარულით ყოფილან შეპყრობილნი, ეს ჩვენ ვიცით იმავე მატთანე-დან. ესენია შირვანშა აღსართან, რომელიც ისტორიკოსის სიტყვით „მიჯილ იყო ცნობათა სიყუარულისაგან, მიჯნურისაებრ ძუელისა არა გამვლენელი თუისობისა“; აგრეთვე ბერძენთა უფლისწული ალექსი კომნიანოსი, რომელიც მემატთანის სიტყვა, „ახლოს სთუისობდა თამარს“. თამარის „თუისი“ (ე. ი. ნათესავი) იყო თვით დავით სოსლანი.

მაგრამ ვინ იყო ეს „უღირსი“, ე. ი. არა სახელმწიფო გვარის შთამომავალი, რომელიც ისე ყოფილა შეპყრობილი თამარის მიჯნურობით, — „ესევეთარი აქუნდა ტრფიალი, რომელ არცა უღირსობისა აქ უნდა კდემარცხუნა“?

1. იხ. „ისტ.-აზმ.“, გვ. 425.



თუმცა ოფიციალური მემატიანე აქ მხოლოდ ამ ყრუ ფრაზებით დაკმაყოფილდა, და თითონ სახელი ამ „უღირსისა“ დაიდუმა, — მაგრამ „თამარიანი“-დან ჩვენ ვხედავთ, რომ ეს „უღირსი“ ყოფილა პოეტი ჩახრუხაისძე.<sup>1</sup>

\* \*

„თამარიანის“ ტექსტები გვანვდიან ხმას ამ რომანტიული ამბის შესახებ. ასე, თვით ჩახრუხაისძე, ერთ ლექსში არღვევს კარის პოეტის ოფიციალურ ეტიკეტს, და ახდით ლაპარაკობს თავის „ხელქმნაზე“ თამარისა სიყვარულით. შემდეგ ბარამან მანი და ჩახრუხაისძე-მეორე აგვინერენ, თუ როგორ გადაიხვეწა თამარის უიმედო სიყვარულით „გულმოკლული“ და ლახვარ-სობილი“ პოეტი უცხოეთში.

მაგრამ ამის მიხედვით ჩვენ ვარჩევთ ამ რომანტიულ ისტორიის ცალკე ხაზებს. ხოლო როდის დაიწყო პოეტის სიყვარული, ან როგორი იყო ამ რომანის პერიპეტიები, ამის შესახებ ცოტა ვიცით.

ჩახრუხაისძე, როგორც ეს უკვე იცის მკითხველმა, პირველად მიუღიათ თამარის კარზე თამარის გამეფების პირველ წლებში (1184-5-ს) და ამის შემდეგ მომდევნო ოთხი წელი იგი თამარის კარზე დარჩენილა. თამარ ამ დროს ჯერ სრულებით ახალგაზდა იყო 16—20 წლისა. — თითონ ჩახრუხაისძეც ამ დროს ასევე ახალგაზდა ყოფილა 20-21 წლისა.<sup>2</sup>

ამის შემდეგ ჩახრუხაისძე წასულა საქართველოდან და უახლოესი სამი წელი უცხოეთში დარჩენილა. საქართველოში, თამარის კარზე, იგი დაბრუნდა 1191 წლის ბოლოს, და ამის შემდეგ წელ-ნახევარი ჩვენ პოეტს ისევ თამარის კარზე გაუტარებია.

ჩახრუხაისძის ის ლექსი, სადაც იგი ახდით გვეუბნება თავის მიჯნურობაზე ეკუთვნის ამ მეორედ დაბრუნების დროს. მაგრამ საფიქრებელია, რომ ეს სიყვარული უფრო ადრე დაწყებულია, თამარის კარზე პირველად ყოფნის დროსვე. თვით პოეტი გადმოგვცემს, რომ იგი თამარის პირველი დანახვიდანვე გახდა მისი უიმედო მიჯნური, „ზარ-მიღებული“ ე. ი. სანამლავ-მიღებული.<sup>3</sup> და თუმცა ამ პირველი დროის ლირიული ლექსები პოეტისა და კარგულია, მაგრამ თვით მისი ოფიციალური ოდებიც ამ პირველი პერიოდისა იძლევა აქ ერთგვარ ჩვენებას. მიუხედავად იმისა, რომ ეს ოდები წარმოადგენენ ოფიციალურ ხოტბებს, პოეტი მაინც ვერ ასცდენია ისეთ ხაზებს, რომელიც ამხელს მისს მიჯნურობას.

ასე, გადაიკითხეთ, მაგალითად, მე-IV ოდა, ან კიდევ მესამე ოდა, სადაც პოეტი ვერ იკავებს თავს ასეთი განცხადებებიდან:

„მჭვრეტელთა ურჩნი:  
ვარდი ნაფურჩნი,  
გამცდელთა შეიქმს მსგავსად დრამისად!“

ან და იმავე მე-III ოდის დასასრული:

„შენ მწუნობი ხარ მნათობთა, მთვარეს ასმენ, ლებ, არი დენ,  
შენ შუქნი ელვა-ეთერთა მზისა მწვერვალთა არიდენ,

1. ოფიციალური მემატიანის მიერ ეს ყრუ ჩვენება და თითონ „უღირსის“ სახელის მოუხსენებლობა ადვილი გასაგებია; ჩახრუხაისძე თუმცა დიდ გვარიან არისტოკრატიულ წოდებას ეკუთვნოდა, მაგრამ მისი დასახელება საქართველოს დედოფლის სახელთან ერთად, რასაკვირველია, დაუშვებელი იყო და „უღირსობას“ შეიცავდა. ისტორიკოსი თვით კარისკაცია, ოფიციალური პირი, იგი ეკუთვნის სამეფო კარის ლეგიტიმურად განწყობილ წრეებს; ხოლო ჩახრუხაისძის მიჯნურობა, ცხადია, წარმოადგენდა ერთგვარ სკანდალს ლეგიტიმური წრეების თვალსაზრისით.

2. ჩახრუხაისძე 1164-1165 წლებში დაიბადა (იხ. ზევით, გვ. 217), ხოლო თამარი დაიბადა 1168 წ. ახლო ხანებში. თამარის დაბადების თარიღის შესახებ იხ. ცალკე ექსკურსი, სქოლიო 8.

3. ზარი (არაბ.) — სანამლავი. თითონ ტექსტი იხ. ქვემო, გვ. 237-238.

შენ სისხლსა შენთა ურჩთასა უზლო-უმსგავსად არ იდენ,  
ანევთ ნათლისა ისარნი მჭვრეტელთა გულებს არიდენ“.

კიდევ უფრო გამჭვირვალეა მეხუთე ოდა, სადაც პოეტი, თამარის უცნაური მშვენიერების აღწერის დროს, ასეთის სტროფებით მიმართავს თამარს:

„... არა გგავს ბნელი!  
ხარ საძებნელი —  
ხვეჭით და ნდომით შენამართევად.  
მესმა ათ ენით:  
თქვენ გაათენით —  
ცუდად გაიჭრნეს ღამეთა თევად...  
ცისკრობს მოხედვა,  
მოკლის მო-ხედ-ვა! —  
აღვისა მორჩითა რტოთა მორჩევად...

...  
უცხოთა მაგით  
ჭვრეტითა შმაგით  
კალიბათა სჩან შეუსახევად...  
არა მაგ ზნითა  
არამა გზნითა  
მჭვრეტნი ვინ იყვის სხვა დაუნვევად...  
ატევრებ თმითა,  
სულისა თქმითა  
ანატრებ, გნახოს ვინც განაძღვევად.

...  
ნებიერს პირსა  
მზე დანამჭვირსა  
შვენის ნარგისთა განაცისკრევად,  
ა, ბროლობს ყელი!  
დაუნაყელი  
სული ვის შერჩა მახვილ უკრევად!  
თუ გიქო ტანი  
მონმობს სულტანი,  
არ დამაჩნდების ცუდ ნამჭვერევად!..“

ოდა თავდება ასეთი სტროფებით:

„ღანვთა არესა  
შუქნი მთვარესა,  
მელნისა ტბანი დგანან მორევად...

ვნახე რა სახე,  
შამბნარისა ხე,  
ჰინდოთა ცვა ჰყონ ნამუხთაღევად,  
არ ძალმიძს ქება,  
მე დადუმება  
მით აღვირჩიენ აღვირ ნასხმევად!“

უკანასკნელი ორი სტროფი, ახალ-ქართულზე თარგმნით [და მეტაფორების გახსნით] შემდეგს გადმოგვცემს:

„როცა ვიხილე თამარის სახე და მისი ტანი მსგავსი ალვისა, რომელსაც სცავენ შავი წამწამები მუხთალი გამოხედვით, — მე მივხვდი, რომ აღარ ძალმიძს მისი ქება და დავ-დუმდი ბაგე-შეკრული“.

ამ ლექსით სრულდება ჩახრუხაისძის პირველი პერიოდის ოდები.

\* \*

როცა ჩახრუხაისძე 1191 წელს ისევ დაბრუნდა საქართველოში, იგი სამეფო კარზე დიდის პატივით, „წყალობით“ მიუღიათ. პოეტი დაახლოვებული პირი გამხდარა თითონ თამარის. პირველ ოდაში, რომელიც დაწერილია დაბრუნების შემდეგ, პოეტი ასეთის სიტყვებით მიმართავს თამარს:

„გაქვს არსთა წყალი  
— თვით მე გენწყალი! —  
მშვიდი წყნარი მოსახვეჭელი“ (VII, სტრ. 3).

ამ ხელმეორედ შეხვედრის დროს, ჩახრუხაისძის „შორითი ბნედა“ ქცეულა „ხელქმნად“. პოეტს ჩვენ ვხედავთ მიჯნურობით შეპყრობილს „ვიდრე გაჭრამდე და გახელებამდე“.

მაგრამ პოეტი ვერ ეღირსა ამაყი თამარის ყურადღებას. „გარნა თამარ ამაყი და ლალი, [შორს ქმნილი] უჯერო შესატყუისობისა, აზეებდა ფრთოვანებასა გონებისა მისისა... და დაამხუა ქედ-მალლობა ტრფიალისა მის“. თამარ მიუწდომელი მიჯნურთათვის, ეხლაც გულგრილი დარჩენილა პოეტისადმი, როგორც ყოველთვის, როგორც შეუბრალებელი დიანა, „არტემის სახედ — რომელ არს ღმერთი მონადირე“.

ჩახრუხაისძის ოფიციალურ ოდებში, რომლებიც დაწერილია ამ დროს, მისი სამეფო კარზე მეორედ ყოფნისას, 1191—1993 წლებში, ოდებში, რომელთაც იგი სწერდა, როგორც კარის პოეტის თანამდებობაზე მყოფი — ეს მიჯნურობა, რასაკვირველია, დაფარულია; თუმცა ზოგჯერ აქაც მოსჩანს პოეტის გრძნობა, როცა იგი, მაგალითად, ამბობს, რომ თამარმა მიითვისა იგი და შექმნა უნათლოდ („ვინ აშენე ბრმად“ — VII, 28), ან როცა სწერს:

„წამწამთა ხრანი  
ვისკენც ქმენ ცხრანი  
ცხრა-ათას ექმნეს ნატირებანი!“ (IX, 88).

მაგრამ ამ დროიდან ჩვენამდე მოღწეულა ერთი ლექსი პოეტისა, სადაც ჩვენ დაუფარავად ვხედავთ მიჯნურობით შეპყრობილი პოეტის სახეს. ეს ლექსი შეტანილია „თამარიანში“. პირდაპირ გასაოცარია, როგორ გაბედეს ამ ლექსის დატოვება პოეტის თხზულებათა ამ ოფიციალურ კრებულში, როგორიც არის „თამარიანი“. იგი წარმოადგენდა საცთურს ლეგიტიმური თვალსაზრისით; და, რასაკვირველია, ამით აიხსნება, რომ ბევრი ადგილები ამ ლექსისა, სჩანს, დაკარგულია და იგი ფრაგმენტის სახით არის დარჩენილი.<sup>1</sup>

ეს ფრაგმენტი „არ არის სიმღერა, ეს არც ლექსია“, იგი არის მხატვრულ დამშვიდებას მოკლებული დეკლარაცია მიჯნურობისა. პოეტი აქ ასეთის სიტყვებით მიმართავს თამარს:

„...უკვირდა შენი 1  
სიკეთე-შენი,  
სთნდა ყოვლსა სულსა განკვირვებულად.  
ვერვინ გი-ხილა! 2  
თუ[ცა] ვიხილა —  
ვინ არ გიჭვრეტდეს გარეგებულად!

1. ეს ლექსი დაწერილია 1192 წლის ახლო (იხ. ზევით, გვ. 227). ამ ფრაგმენტის ტექსტუალური ანალიზი იხ. სპეციალურ ექსკურსში, სქოლიო 1.

თუ ვერ[ლა] გნახის,	3
მით ივაგლახის,	
შეიქმნებოდის განცვიფრებულად:	
მოუბარისა	4
მის მდულარისა	
დილარგეთისებრ აღშფოთებულად, —	
თავსა კლვად სდებდეს,	5
ხვეჭით ეძებდეს	
შენსა ნახვასა მიახლებულად!..	
ვინ აშენე ბდენ:	6
სული აშენებდენ	
სამონოთ მოგცენ, ერთ-უფლებულად...	
...	
ვამცნი მსმენელთა,	7
მოსათმენელთა	
ნიჭთა ვით მივხვდი შენთ ხელთ გებულად.	
მე რომ თქვენ გნახე	8
ედემი[ს] სახე	
მართ სამოთხისა [მზისა] ხლებულად,	
ლონე ვიცადი,	9
ვერ განვიცადი,	
შენს შუქსა ეყვის დარიდებულად...	
ვნახე ჰინდონი	10
ვითა რინდონი	
რამე სჩნდეს ზონგნი ალალებულად...	
მე გული შენი	11
ჩემად ვიშენი,	
თუ ლა მივიქცი ვჩნდი ზარ-ლებულად...	
არ — დამე! — დია...	12
მომკალ მე დია,	
ჩემი სიცოცხლე გაცუდებულად!	

უკანასკნელი სტროფი, სიტყვა-სიტყვით თარგმანში ახალ-ქართულზე, ნიშნავს შემდეგს:<sup>1</sup>  
 „შენ არ ხარ (დიადი იყვეს მეფური შენი სახელი!) მაგრამ შენ არ ხარ ქალი! მომკალ მე  
 ჭეშმარიტად! ჩემი სიცოცხლე გაცუდებულად!“

ასეთია ისტორია ჩახრუხანისძის უიმედო მიჯნურობისა თამარისადმი.

პოეტს ამის შემდეგ, რაც ვერ ელირსა თამარის ყურადღებას, განუზრახავს უცხოეთ-ში გადახვეწა. და მას, მართლაც, დაუტოვებია საქართველო. პოეტი, თამარის სიყვარულ-ლით „გულ-მოკლული“ და „ლახვარ-სობილი“ (ბარამან მანის სიტყვები), შესდგომია მოგ-ზაურობას აღმოსავლეთის ქვეყნებში როგორც ტრუზადური და მოგზაური-რაინდი.

აქედან იწყება ჩახრუხანისძის ფანტასტიური თავგადასავალი. პოეტს მოუვლია „კი-დით კიდე“, თითქმის მთელი იმ დროს ცნობილი მსოფლიო.

1. ცალკე სიტყვების შესახებ აქ საჭიროა განმარტება:

დამე (არაბ. **مدم**) — ეს არის ჩვეულებრივი სადიდებელი სიტყვა მეფის სახელის ხსენების, ან მეფისადმი მიმართვის დროს, და ნიშნავს: „მარადი იყვეს“. „დიადი იყვეს“ (თქვენი მეფობა, თქვენი სახელი). ეს, სიტყვა ამავე ფორმით „დამე“ გვხვდება აგრეთვე „ვეფხისტყაოსანშიც“ (იხ. ჩვენი Rusthveliana, ნიგნი I, გვ.112).

დია, რომელიც ორხელ მეორდება რითმაში, პირველ შემთხვევაში ნიშნავს: ქალი, ხოლო მეორე-ხელ: დიას, ჭეშმარიტად.

## VI

## ჩახრუხაისძის მოგზაურობა

ამის შემდეგ ჩვენ შეუდგებით ჩახრუხაისძის უცხოეთში გადახვევის ამბავს და მისი მოგზაურობის აღწერას.

თავდაპირველად თარიღების შესახებ — ჩახრუხაისძის ეს მოგზაურობა, რომელიც ქვემოთ არის მოთხრობილი, გაგრძელებულა ცოტა მეტნაკლებობით ათი წელი, დაახლოვებით 1193 წლიდან — ვიდრე 1203 წლამდე:

Terminus ante quem non: ჩახრუხაისძის უკანასკნელი ოდა, საქართველოში დაწერილი, ეკუთვნის 1193 ახლო ხანს<sup>1</sup> — ამავე თარიღს ეთანხმება აგრეთვე სინქრონიზმი სულტანის ნახვის შესახებ (იხ. ქვემოთ, გვ. 240).

Terminus post quem non: ორი ბიოგრაფიული ტექსტი, პირველი და მეორე ელეგია, სადაც აღწერილია ჩახრუხაისძის ეს მოგზაურობა, დაწერილია არა უგვიანეს 1204 წლისა.<sup>2</sup>

## 1. ჩახრუხაისძე სპარსეთში.

ჩახრუხაისძე, საქართველოდან გადახვეწილი, პირველად სპარსეთში მისულა. ეს მომხდარა, როგორც აღვნიშნეთ, 1193 წლის ახლო ხანებში.

პოეტი ამ მოგზაურობის დროს არ ყოფილა მარტო. ჩახრუხაისძეს, როგორც ეს სჩანს მეორე ბიოგრაფიული ტექსტის ცნობიდან, თან გაჰყოლიან მხლებელნი: „მოყმენი“.<sup>3</sup> ეს „მოყმენი“ (ე. ი. რაინდები), უნდა ვიფიქროთ, ჩახრუხაისძის ვასალების წრიდან უნდა ყოფილიყვნენ.

ჩახრუხაისძეს ჯერ მოუვლია სპარსეთი. ადგილობრივ მფლობელთა კარზე იგი — სჩანს — გამოდიოდა როგორც მოგზაური პოეტი და რაინდი. ამის შემდეგ იგი წამდგარა თითონ სპარსეთის დიდი სულტანის კარზე. პირველი ბიოგრაფიული ტექსტი ამის შესახებ შემდეგს გადმოგვცემს:

„მოვლის სპარსეთი, — სხვაც ქმნის ასეთი, —  
სულტანი ნახის ცათა მცთუნარი“ (I ელეგია, სტროფი 5).

ჩვენი წყაროები არ ასახელებენ, თუ ვინ იყო სახელდობ ეს სულტანი; მაგრამ რაკი ჩახრუხაისძის მთელი ეს მოგზაურობა გაგრძელდა 1193 წლიდან — 1203 წლამდე, ამ სინქრონიზმის მიხედვით ცხადი ხდება, რომ ეს სულტანი არის უკანასკნელი წარმომადგენელი სელჩუკიანთა დიდი დინასტიისა — ტოლრულ III (1176—1196 წწ.<sup>4</sup>). სულტან ტოლრულის უშუალო სამფლობელოს შეადგენდა სპარსეთის ერაყი (დასავლეთი სპარსეთი), და მისი რეზიდენცია იყო ქალაქები: რეი (ეხლანდელ თეირანის ახლოს) და ისპაჰანი.

1. ოდა XI — რომ ეს უკანასკნელი ოდა დაწერილია 1193 წლის ახლო. იხ. ამის შესახებ ოდების ქრონოლოგიური განხილვა, გვ. 227.

2. I ელეგიის მე-12 სტროფი. ამის მიხედვით კონსტანტინოპოლი ჯერ კიდევ არ ყოფილა აღებული ლათინთაგან; აქ ისევ „ზის კეისარი“.

3. მეორე ელეგია, სტროფები 4—6. შეადარეთ ქვემოთ, გვ. 242.

4. სულტან ტოლრულის მოკვლის შემდეგ სპარსეთში აღარ იყო სხვა ლეგიტიმური სულტანი მეორემეტე საუკუნის ბოლოს და მეცამეტე საუკუნის პირველ წლებში. ბაღდადის ხალიფმა სულტანის პატივი არ მიანიჭა თვით ერანის ფაქტიურ მფლობელს ხვარაზმმას, რამაც გამოიწვია 1217-1218 წლების ცნობილი ექსპედიცია — ბაღდადზე.

სულტანის კარზე ჩახრუხანისძე პატივით მიუღიათ, და მას აქ დიდი სახელი მოუხვეჭია როგორც პოეტს<sup>1</sup>. იგი დარჩენილა სულტანთან, როგორც კარის პოეტი. აქ ჩახრუხანისძეს დაუნერია სულტანის ხოტბანი [სპარსულად რასაკვირველია], და აგრეთვე შესხმა სულტანის ლაშქართა; აქვე ჩახრუხანისძეს უნერია სხვა თხზულებანიც, ასე — „იგავნი“, რა სახელითაც ყველა ნიშნებით იგულისხმება ის ჟანრი არაბულ-სპარსულ მწერლობისა, რომელსაც ეწოდება „მაკამა“. პირველი ბიოგრაფიული ტექსტი ამის შესახებ შემდეგს აღმოგვცემს:

„სულტანი ნახის ცათა მცთუნარი:  
იგავნი უთხრნის,  
მეფენი უქნის,  
მათდავე სწორად მათი ლაშქარი“ (I, სტრ. 6).

მაგრამ ჩახრუხანისძე სულტანის კარზე ხანგრძლივ აღარ დარჩენილა; და ამის მიზეზი, ყველა ნიშნებით, შემდეგი უნდა ყოფილიყო:

როგორც ცნობილია, სწორედ ამ დროს სწარმოებდა ბრძოლა სპარსეთის სულტან ტოლრულსა და გაძლიერებული ხვარაზმის შაჰის თაყაშის შორის. ბრძოლა დასრულდა ხვარაზმელების გამარჯვებით; ბრძოლაში მოკლულ იქმნა თითონ სულტანი ტოლრულ. ამის შემდეგ ხვარაზმმა თაყაშის მფლობელობის ქვეშ გაერთიანდა თითქმის მთელი სპარსეთი დაწყებული ხვარაზმიდან (ეხლანდელი ხივა) — ვიდრე ბალდადის ხალიფატამდე.<sup>2</sup> ეს მოხდა 1194-1196 წლებში.<sup>3</sup>

ჩახრუხანისძეს, როგორც სულტანის კარის პოეტს საფრთხე მოელოდა. საქმე ის არის, რომ კარის პოეტი ამ დროს ერთგვარ პოლიტიკურ ფიგურასაც წარმოადგენდა; კარის პოეტების ხოტბას, მათი მეცენატი მეფეების სადიდებლად, არა ნაკლები პოლიტიკური გავლენა ჰქონდათ ამ დროს, ვიდრე თანამედროვე პოლიტიკურ პრესასა. ამიტომ, როდესაც ერთი მფლობელი იმარჯვებდა მეორე მფლობელზე, პირადი განსაცდელი ელოდა კარის პოეტებსაც. ხშირად ეს თავდებოდა მათი ჩამოშორებით სამეფო კარიდან, მაგრამ იყო ისეთი შემთხვევები, როცა კარის პოეტის ბედი უფრო ტრაგიკულადაც თავდებოდა.

ჩახრუხანისძის მდგომარეობა მით უფრო სახიფათო უნდა ყოფილიყო, რომ, როგორცა სჩანს, მისი ხოტბების საგანი ყოფილა სწორედ ეს ბრძოლები სულტანსა და ხვარაზმ-შას შორის:

„მეფენი უქნის,  
მათდავე სწორად მათი ლაშქარი“ (I, სტრ. 6).

ბუნებრივია, ამის გამო რომ ჩახრუხანისძეს დაეტოვებინა სულტანის ყოფილი სამფლობელო, და ეს ასეც მომხდარა.

ჩახრუხანისძეს ჩვენ ამის შემდეგ ვხედავთ გურიელების სამეფოში.<sup>4</sup>

1. პირველი ტექსტი (სტრ.14) ჩახრუხანისძის არაბეთში ყოფნის შესახებ აღმოგვცემს, რომ მან, იემენს მისულმა, „თავი იდიდის, რაც ხამდის მუნცა ძმნის იგ ნა-ქნარი“. აქ დაპირისპირებულია ახალი პოეტური გამარჯვება არაბეთში („მუნცა ქმნის“) ძველ პოეტურ გამარჯვებასთან, რომელსაც სპარსეთში ჰქონია ადგილი.

2. პირველ ხანებში ხვარაზმელთა გავლენის გარეშე დარჩა სპარსეთის სამხრეთ-აღმოსავლეთი საათაბეგოები, და აგრეთვე ირანის ის თემები, რომლებიც გურის იმპერიაში შედიოდა.

3. სულტანი ტოლრულ მოკლულ იქმნა 1194—1196 წლებში (სპარსული წყაროები აქ უჩვენებენ 1194 წელს. მაგრამ „ისტორია-აზმანნი“, რომელიც დაწერილია 1196 წელს, მას ჯერ კიდევ ცოცხალს იგულისხმებს. იხ. გვ. 459).

4. როგორი იყო ჩახრუხანისძის მარშრუტი ერაყიდან ვიდრე გურამდე, არა სჩანს. საფიქრელია, რომ მას უნდა გაველო სპარსეთის სამხრეთი თემები: ფარსის საათაბეგო (შირაზის პროვინცია) და ქირმანი; ისინი ჯერ კიდევ არ იყვნენ ხვარაზმის ხელში გადასული. აქედან გზა უშუალოდ გადადიოდა გურის სამეფოში.



### 2-3. ჩახრუხაისძე აღმოსავლეთ ირანსა და ინდოეთში.

გურიდების სამფლობელო ამ დროს, როგორც ცნობილია, წარმოადგენდა დიდს იმპერიას. გურიდებს ეპყრათ მთელი აღმოსავლეთი ირანი (საკუთრივ გური, ავღანისტანი, ბელუჯისტანი, სეისტანი, ბალხი, ბამიანი, ჰერათი და სამხრეთი ხორასანი); გარდა ირანის ამ პროვინციებისა გურიდების სამფლობელოში ამ დროს შედიოდა დიდი ნაწილი ინდოეთისა; 1187 წელს გურიდებმა დაიჭირეს ლაჰორი, 1192 წელს — დეჰლი, ხოლო შემდეგ წლებში მათ დაიპყრეს მთელი ჰინდუსტანიც და დიდი ნაწილი დეჰკანისა. იმპერიის მფლობელთა გაის-ედდინის და მუჰამედ გურის რეზიდენცია იყო საკუთრივ ერანში (გურში), ხოლო ინდოეთში იჯდა გურიდების ვიცე-კოროლი, რეზიდენციით დეჰლი-ში (ჩრდილოეთ ჰინდუსტანში).

ჩახრუხაისძის გადასვლა გურიდების იმპერიაში, როგორც აღვნიშნეთ, უნდა მომხდარიყო 1194—1996 წლის ახლო ხანებში, ხვარაზმშას გამარჯვების შემდეგ.

ჩახრუხაისძეს გაუვლია გურიდების იმპერია და ერანიდან გადასულა ინდოეთში. პირველი ბიოგრაფიული ტექსტი ამის შესახებ შემდეგს გადმოგვცემს:

„არვისად სწორად, წარვიდის შორად,  
ინდოეთს იყვის მისი საზღვარი“ (I, სტრ. 7).

[ჩახრუხაისძის მარშრუტი ერანიდან ინდოეთამდე — უნდა ვიფიქროთ, დაახლოვებით იგივე უნდა ყოფილიყო, რაც ოცდა ათი წლის შემდეგ პოეტის საადისა, რომელმაც მე-XIII საუკუნის ოციან წლებში გაიარა აღმოსავლეთი ირანი და ავღანისტანის (ქალაქ ლაზნას) ხაზით გადავიდა ჩრდილოეთ ინდოეთში]<sup>1</sup>.

გურიდების იმპერია ჯერ კიდევ სპარსული ენის კულტურული სამფლობელო იყო; ადგილობრივ მფლობელთა კარზე მიღებული იყო როგორც კულტურული ენა — სპარსული, და ჩახრუხაისძეს თავისი პოეტური გამოსვლების დროს აქაც შეეძლო ესარგებლა სპარსული ენით.

### 4-5. ჩახრუხაისძე ჩინეთს და ხატაეთს.

ჩახრუხაისძეს ინდოეთში მისვლის შემდეგ განუზრახავს მთელი იმ დროს ცნობილი მსოფლიოს შემოვლა, და მას კიდევ შეუსრულებია ეს პირდაპირ საარაკო მოგზაურობა, დაწყებული ინდოეთიდან და ჩინეთიდან ვიდრე ატლანტიკის ოკეანემდე. ეს იმ დროისთვის ნამდვილ გმირობად უნდა ჩაითვალოს, თუ წარმოვიდგინოთ იმ მრავალ სიძნელეს, რომელიც მოგზაურს წინ ელობებოდა. ჩახრუხაისძეს შემოუვლია მთელი რიგი ისეთი ქვეყნებისა, სადაც მანამდე ევროპიელის ფეხი არ მიჰკარებია.

თავდაპირველად ჩახრუხაისძე ინდოეთიდან გადასულა **ჩინეთში**; [თუ მივიღებთ მხედველობაში მისი მარშრუტის საერთო მიმართულებას, ჩახრუხაისძეს აქ, ალბად, უნდა გაეგლო — ჩვეულებრივი ხაზი: ინდუსის და განგესის ველები, და აქედან ინდოჩინეთით — ჩინეთამდე. ამ გზის ერთი ნაწილი ბირმანიიდან — ვიდრე ჰასინგანამდე გაიარა მარკო პოლომ ერთი საუკუნის შემდეგ, მე-XIII საუკუნის 80-იან წლებში].

ინდოეთიდან ჩახრუხაისძე გადმოსულა „ხანთა“ ქვეყანაში, ე. ი. გურხანების — თურქების სამეფოში, ეგრედ წოდებულ ხატაეთში. ეს გურხანების „ხატაეთი“ ამ დროს შეიცავდა ეხლანდელ თურქესტანს, ბუხარას, და ამის მისაღვეარ ქვეყნებს ჯეონის (ამუღარიას) გადაღმა.

<sup>1</sup> ამის გამოძახილი იხილეთ „გულისტანი“, VII, 16.

გზა, რომელიც აერთებდა ჩინეთს ხატაეთთან, და რომელიც უნდა გაეწვლი ჩახრუხა-ისძეს, ეს არის ეგრედ წოდებული „ჩინეთის ძველი სააბრეშუმო გზა“ (Alte Chinesische Seidenstrasse). ეს გზა გასდევდა ჩინეთის კედლებიდან, შუა აზიის ველებზე გავლით, ვიდრე ყაშგარამდე.<sup>1</sup>

ეს მოგზაურობა ამ უცნობ ქვეყნებში, ჩინეთის კედლებიდან შუა-აზიით ხატაეთამდე, დიდ სიძნელეს შეიცავდა, განსაკუთრებით ტანგუტების ქვეყანაში, სადაც „ჩინეთის ძველი სააბრეშუმო გზას“ გარს ეკრა ველური ნომადების „გია“-ს სამეფო. — მოგზაურობა ამ გზებზე, როგორც ამას ჩვენი წყაროც გაკვრით აღნიშნავს, დიდ საშიშროებას — „ზარს“ — წარმოადგენდა; და მაინც ამას ჩახრუხაისძის განზრახვა ამას ვერ შეუფერხებია: პირველი ბიოგრაფი სწერს:

„ამოვლნის ინდნი,  
ხანნი და ჩინნი,  
არა რად უჩნდის მას მათი ზარი!“ (I, სტრ. 8).

მაგრამ ეს მოგზაურობა ჩინეთიდან ხატაეთამდე, ძვირად დასჯდომია ჩახრუხაისძეს. საფიქრებელია, რომ აქ, ამ გზაზე დახოცილან, ან დაუხოციათ ჩახრუხაისძის ის „მოყმენი“, რომელიც მას მხლებელად გაჰყოლიან საქართველოდან. ამის შესახებ მეორე ელემენტში დაცულია, ცოტა არ იყოს ბუნდოვანი ცნობა. ბარამან მანი აქ შემდეგს გადმოგვცემს ჩახრუხაისძეზე:

„ან[უ] ხაზარეთს — ჩინით და ხანთათ —  
გზა მოემოკლოს, მოესწრაფოდის.

შენა მოყმეთა რა ჰქმნან, მოძმეთა  
დედა და მამა აღარა სმოდის.

მუნ დაჯიოცნეს, სადა ეოცნეს,  
ქვეყნის სახელი არ ასმიოდის“ (II, სტრ. 4-6).

მეორე ელემენტი დაზიანებულად არის მოღწეული; მას ამ ადგილას აკლია სტროფები; მაგრამ შენახული ნაწყვეტიდან მაინც ცხადია, რომ ჩახრუხაისძის „მოყმენი“ (რაინდივასსალები) დახოცილან იქ, უცხოეთში, სადაც მათ სამშობლოს, „ქვეყნის სახელი აღარ ესმოდათ“.

ჩახრუხაისძეც აღარ დარჩენილა ხანგრძლივად „ჩინთა“ და „ხანთა“ ქვეყანაში. ჩახრუხაისძემ, როგორც ამას გადმოგვცემს ეს მეორე ბიოგრაფიული ტექსტი, „გზა მოამოკლა“ და „მოსწრაფებით“ გაემართა ხატაეთიდან ხაზარეთში.

## 6—9. ჩახრუხაისძე გზა: ხაზარეთზე — რუსეთზე — და შავ-ზღვაზე — კონსტანტინეპოლამდე.

ხატაეთიდან ხაზარეთს მიმავალი ჩახრუხაისძე მისულა ვოლგამდე. ჩახრუხაისძეს აქ უნდა გაეწვლი ის საქარავნო გზა, რომელიც აერთებდა თურქესტანს ხაზარეთთან.<sup>2</sup>

როცა ჩახრუხაისძეს ამ ძნელი მოგზაურობის შემდეგ ხაზარეთს ჩაულწვია, იგი აქ ერთხანად შეჩერებულა, „ხაზარეთს დაჰყვის“ — როგორც ამას გადმოგვცემს პირველი ტექსტი.

1. და აქედან ბაღდადამდე.

2. ან იმ გზით, რომელიც ანერილი აქვს რუბრუქვის თავის მოგზაურობაში 1253—1255 წლებისა: მარშრუტი სარაი-ოთარაი.

ჩვენი პოეტი ამის შემდეგ ისევ შესდგომია მოგზაურობას: აჰყოლია ზევით ვოლგას, გადასულა რუსეთში, და მოუვლია გარემოში ქვეყნები. პირველი ბიოგრაფიული ტექსტი ამას ასე აგვიწერს:

„ატალას მოჰყვის, [ატალა — ენოდებოდა ვოლგას].  
ქვეყანა მოსცვის,  
არ ვისი ჰქონდის შესაუარი.  
ხაზარეთს დაჰყვის.  
რუსეთსაც ჩაჰყვის“ (I, სტრ. 9-10).

რა ადგილებში იმოგზაურა რუსეთში ჩახრუხაისძემ — ეს ნიშანდობლივ მოხსენებულ არ არის. მაგრამ მისი მარშრუტის საერთო აღწერიდან სჩანს, რომ ჩახრუხაისძე ვოლგიდან გამგზავრებულა აღმოსავლეთით; აქედან იგი (უნდა ვიფიქროთ კიევის სამთავროზე გავლით) მისულა შავი ზღვის ნაპირას.

ჩახრუხაისძე აქ, შავი-ზღვის ნაპირას, მოხვედრილა ერთ-ერთ ევროპულ კოლონიას. აქ იგი ჩამჯდარა გემში და გამგზავრებულა საბერძნეთში (კონსტანტინეპოლს). პირველი ბიოგრაფიული ტექსტი ასე აგვიწერს ამ მოგზაურობას:

„...ზღვის პირით ჰქროდის ტაროსით ქარი.  
ნარვიდის ჴმელსა, იონთა ველსა,  
მუნ სადა მეფედ ზის კეისარი“ (I, სტრ. 11-12).

„ამო ტაროსით“ მგზავრობის შემდეგ ჩახრუხაისძე ჩასულა „კეისართა ქალაქში“ — კონსტანტინეპოლში. ჩვენმა პოეტმა აქ პირველად დასდგა ფეხი დასავლეთის ტერიტორიაზე.

ჩახრუხაისძის მთელი ეს მოგზაურობა აღმოსავლეთში: ინდოეთიდან — ჩინეთზე — ხაზარეთზე — ხატაეთზე — რუსეთზე — და აქედან შავი ზღვით საბერძნეთამდე, როგორც ირკვევა, გაგრძელებულა არა უმეტეს სამი-ოთხი წლისა. სინქრონიზმები ბიოგრაფიული ტექსტებისა გვიჩვენებს, რომ ჩახრუხაისძე ჩასულა კონსტანტინეპოლში 1199-1200 წლებში.<sup>1</sup>

ამ რიგად ცხადი ხდება, რომ არც ერთ ზემო-ჩამოთვლილ ქვეყანაში ჩახრუხაისძე არ დარჩენილა ხანგრძლივად; და სჩანს იგი არც გამოდიოდა ამ ქვეყნებში როგორც პოეტი; თუ არ მივიღებთ მხედველობაში თურქესტანის განათლებულ წრეებს, ამ ქვეყნებში არც იყო საერთო გავრცელებაში ის ენები, რომელსაც ჰფლობდა ჩახრუხაისძე, როგორც პოეტი — სპარსული და არაბული.

### 10-11. „ზღვის ალაგნი“. საბერძნეთი — იტალია.

კონსტანტინეპოლიდან ჩახრუხაისძე ისევ შესდგომია ახალ მოგზაურობას, უკვე დასავლეთისაკენ. კონსტანტინეპოლში მან ააგებინა სამოგზაურო ხომალდი და გაუდგა ხმელთა-შუა-ზღვას: ბარამან მანი სწერს:

„კონსტანტინეპოლს ნავნი ააგენ,  
ზღვა წყნარად იყვის, ტაროსი ჰქროდის“ (II, სტრ. 7).

1. ჩახრუხაისძე სპარსეთიდან ინდოეთში გადავიდა 1194—1196 წლებში (იხ. ზევით, გვ. 241). — ხოლო კონსტანტინეპოლიდან, როგორც ამას ქვევით დავინახავთ, ჩახრუხაისძემ იმოგზაურა ხმელთა-შუა-ზღვის გარშემო, და არაბულ ქვეყნებში, სადაც მან უფრო მეტი ხანი დაჰყო (იხ. ქვემოთ, „მალრიბი“-ს შესახებ, გვ. 244). მთელი ეს მოგზაურობა დასრულდა 1203 წლის ახლო ხანებში; და თუ გავითვალისწინებთ ამ სინქრონიზმებს, ჩვენ მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ ჩახრუხაისძე კონსტანტინეპოლში უნდა ჩასულიყო არა უგვიანეს 1200 წლისა, და შესაძლოა ერთი-ორი წლით ადრეც.

ჩახრუხაისძემ — ჩვენი წყაროების ცნობით — თავდაპირველად —

„მოვლის ქალაქი,  
ზღვისა ალაგნი,  
სრულად...“ (I, სტრ. 13).

ჩახრუხაისძეს მოუვლია „სრულად“ **ხმელთა-შუა-ზღვის ქვეყნები** („ზღვისა ალაგნი“) და სანაპირო ქალაქები. აქ, ცხადია, იგულისხმება **საბერძნეთისა და იტალიის** ქალაქები, და იქნებ პროვანსიც, რადგან ამის შემდეგ ჩვენი მოგზაური-პოეტი გადასულა ალ-მოვახიდების სამფლობელოში, ესპანია-აფრიკაში.

## 12. ჩახრუხაისძე „მალრიბ“-ში — დასავლეთ არაბულ ხალიფატში.

ალ-მოვახიდების სამფლობელო, ანუ, როგორც ენოდებოდა მას „მალრიბი“-ს (ე. ი. დასავლეთის) ხალიფატი, როგორც ცნობილია, ამ დროს შეიცავდა მთელ დასავლეთ არაბულ მსოფლიოს: **ანდალუზიას** (მუსულმანური ესპანია) და **ჩრდილო-აფრიკას, მავრიტანიას** (მაროკო-ალჟირი-ტუნისი-ტრიპოლი). ამნაირად ჩვენი პოეტი აქ ხელახლა გადავიდა ისლამის მიწა-წყალზე (არაბული ენის ტერიტორიაზე).

ანდალუზიის მუსულმანი არაბო-ესპანელები, ამ დროს ბევრად მაღლა იდგნენ თავისი კულტურით, ვიდრე დასავლეთ ევროპის ის ქრისტიანი ერები, რომლებმაც უახლოეს ათეულ წლებში დაამარცხეს და გაანადგურეს ესპანიის მუსულმანობა ისტორიულ ბრძოლის შემდეგ დიას-ნავას-დე-ტოლოსასთან (1212 წ.). ანდალუზიაში ამ დროს ჰყვავის ხელოვნება, პოეზია. ანდალუზია მოფენილია ფილოსოფიის და მეცნიერების ცენტრებით, ხოლო კორდობის უნივერსიტეტი განთქმულია მთელს მსოფლიოში. ევროპელები არაბებიდან ლებულობენ ცოდნას; ისინი არაბ მეცნიერებს მიმართავენ სამეცნიერო კომპენდიუმების შესადგენად (როგორც, მაგალითად, სიცილიელი როჟერ II); ესპანო-არაბიელი ფილოსოფოსებისა, და კერძოდ იბნ-როშდის (ავერროესის) მიხედვით გადიან ფილოსოფიას დასავლეთ ევროპის უნივერსიტეტში მთელ საშუალ-საუკუნეთა მანძილზე, და თვით ევროპიული პროვანსის პოეტური სკოლა მხოლოდ მკრთალი გამოძახილია არაბო-ესპანური პოეზიისა;

ქართველი პოეტისათვის ეს მუსულმანური ქვეყანა თავისი საერო, ჰუმანიტარული ხასიათის კულტურით ბევრად უფრო ახლო უნდა ყოფილიყო, ვიდრე ევროპის ქრისტიანული ქვეყნები. და, სჩანს, ამით აიხსნება, რომ ჩახრუხაისძე სამხრეთ ევროპის სანაპიროებიდან, „ზღვისა ქალაქთაგან“, გადასულა არა შიდა-ევროპაში, არამედ გამგზავრებულა დასავლეთ არაბულ მსოფლიოში — „მალრიბი“-ს ხალიფატში (ესპანია, ჩრდილო-აფრიკა).

ჩვენი წყაროები აღნიშნავენ, რომ ჩახრუხაისძე აქ ხანგრძლივ დარჩენილა:

„მალრიბს დაყენენ ჟამნი მრავალნი“ — სწერს ბარამან მანი (II, სტრ. 8).

არაბულ ქვეყნებში ჩახრუხაისძე ხელახლა დაბრუნებია პოეზიას. და როგორც ირანში ჩახრუხაისძე გამოდიოდა პოეტად სპარსულ ენაზე, არაბულ მსოფლიოში ჩახრუხაისძეს გამოდის როგორც არაბი პოეტი. არაბული ენა ჩახრუხაისძისათვის ისევე მშობლიური ყოფილა, როგორც ქართული და სპარსული ენები და პოეზია.

რა ბედი ენია ჩახრუხაისძის არაბულ (და აგრეთვე სპარსულ) ლექსების კრებულებს, — ამ კითხვას ცალკე ვეხებით. აქ კი აღვნიშნავთ, რომ ჩვენი წყაროების ცნობით, ჩახრუხაისძეს არაბულ ქვეყნებში პოეტის დიდი სახელი და დიდი პატივი დაუმსახურებია<sup>1</sup>.

<sup>1</sup> იხ. პირველი ელევია, 1, 14.

### 13. ჩახრუხაისძე ეგვიპტეში.

დასავლეთ არაბული ქვეყნებიდან ჩვენი მოგზაური-პოეტი გადმოსულა აღმოსავლეთით, და პირველ რიგში იგი მოსულა ეგვიპტეში. ჩვენი წყაროების ცნობით, მას მოუვლია მთელი ეგვიპტე:

„მოვლის... სრულად ეგვიპტე“ (I, 13).

ჩვენ საკმაო მიახლოებით შეგვიძლია წარმოვიდგინოთ თითონ მისი გზაც ეგვიპტეზე. რაკი შემდეგ ჩახრუხაისძე ეგვიპტიდან გადასულა არა ჩრდილო-არაბეთში, არამედ ჯერ იემენში მოხვედრილა, და მხოლოდ შემდეგ მისულა მექქაში, ამის მიხედვით პოეტის გზა, სჩანს, ასეთი ყოფილა: იგი ჯერ აჰყოლია ნილოსს ზემო ეგვიპტემდე ან ნუბიამდე, და აქედან უახლოესი ნავთსადგურით გადაუჭრია მენამული (ნითელი) ზღვა და გადასულა იემენში.

ეს სხვათა შორის ჩვეულებრივი გზა იყო; ამ ხაზით გაიარეს სახელოვანი სალადინის მხედრებმა, როცა მათ, მე-XII საუკ. 70-იან წლებში, დაიჭირეს იემენი.

### 14. ჩახრუხაისძე არაბეთში. იემენი.

ამ რიგად ჩახრუხაისძე ეგვიპტიდან არაბეთში, მოხვედრილა ნითელ ზღვაზედ გავლით, და მისულა იემენში. ჩახრუხაისძეს ამის შემდეგ მოუვლია არაბეთის თემები. ადგილობრივ მფლობელთა კარზე იგი აგრეთვე გამოდის როგორც პოეტი, და აქაც დიდ სახელს მოიხვეჭს. განსაკუთრებით დიდი სახელი დაუმსახურებია მას იემენში, რასაც ჩვენი წყაროები საჭიროთ სთვლიან ხაზგასმით აღნიშნონ:

„მოვლის... არაბთა მჭარი;  
ამანს მივიდის,  
თავი იდიდის,  
რაც ჳამდის მუნცა ქმნის იგ ნა-ქნარი“ (I, 14).

### 15. ჩახრუხაისძე არაბეთში. მექქა.

იემენიდან ჩახრუხაისძე გადასულა მექქაში. აქ იგი ერთხანად დარჩენილა ქააბას მფლობელი დიდი ამირას კარზე.

ჩახრუხაისძის მექქაში ყოფნის შესახებ მოთხრობილია ერთი ამბავი, რომლის ინტერპრეტაცია ძნელდება, რადგან ცნობა მეტად მოკლეა და ბუნდოვანი; პოეტი ბარამან მანის ჩახრუხაისძის მექქაში ყოფნის შესახებ სწერს:

„ქაბასა მფლობი დიდი ემირი  
მას შიგან მოხრებლსა თვისად ისობდის;  
მაჰმადის ხმოზად, მიზგითსა შესლვად,  
თაყვანის-ცემად მას შინა სცოდის“. (II, სტრ. 10-11).

მნიშვნელობა ამ ტექსტისა შემდეგია:

ქააბას მფლობელი დიდი ემირი [ჩახრუხაისძეს] ორმოს უთხრიდა [ე. ი. საფრხეს უმზადებდა]; [ჩახრუხაისძემ] აღიარა მაჰმადი, შევიდა მიზგითას [ქააბაში], თაყვანი სცა [მუსულმანურ სინმიდეს] და ამით შესცოდა [ქრისტეს სარწმუნოებას].

რით იყო გამონვეული ეს საფრხე, რომელსაც დიდი ემირი უმზადებდა ჩახრუხაისძეს, და რომლის გამო ჩვენი პოეტი იძულებული გამხდარა, მიეღო მაჰმადიანობა? ამის შესახებ ჩვენ არა გვაქვს პირდაპირი ჩვენება; მაგრამ საფიქრებელია, რომ ემირის მიერ



„მთხრებლის გათხრას“ და ჩახრუხაისძის გამაჰმადიანებას რალაც კავშირი უნდა ჰქონოდა ჩვენი პოეტის ახალ რომანტიულ ისტორიასთან, რომელიც მომხდარა არაბეთში, და როგორც სჩანს სწორედ მექქაში, დიდი ემირის კარზე.

\* \*

როცა ჩახრუხაისძე იემენიდან „მოიქცა გარე“<sup>1</sup> და აქედან გზად გამოიარა მექქაში<sup>2</sup>, ჩვენ პოეტს შეხვედრია არაბი-ქალი, რომელსაც ჩვენი ტექსტები მოიხსენებენ ეპითეტებით: „ბიბი“ (ე. ი. კეთილშობილი) და „მნათობთა დარი“. ჩვენი ლაკონიური ელევგები ამ შემთხვევაში არ იშურებენ ფერებს ამ „მნათობთა დარის“ მშვენიერების გადმოსაცემად. მათი სიტყვით, იგი იყო ხორცასხმული მთვარე და მისი სახე ჰგავდა „ჰაეროვან მარმარილოს“:

„მოიქცის გარე,  
მოძებნის მთვარე,  
შიშ-ჰაერ პირი,  
მნათობთა დარი“ (I, 15).

ეს არაბი ქალი ელევგებში წარმოდგენილია როგორც იდეალი კეთილშობილების:

„მორცხვი, მორიდი,  
ბრძნად მოუბნარი“ (I, 16).

ელევგები გადმოგვცემენ, რომ „მნათობთა დარის“ ხილვით ჩახრუხაისძეს „გაუმთელდა გული მოკლული“ თამარის სიყვარულისაგან:

და იგი —

„ალაროდეს ლახვარს ისობდის“ (II, სტრ. 9). ჩახრუხაისძე, გამხდარა მისი მიჯნური.

ამ რომანის პერიპეტიების შესახებ ჩვენ არაფერი ვიცით გარდა იმისა, რომ ეს რომანი დასრულდა მათი დაახლოვებით. „მნათობთა დარი“ გამხდარა ჩახრუხაისძის ცოლი (I, 16).

ჩახრუხაისძის გამაჰმადიანებას, საფიქრებელია, ამ რომანთან უნდა ჰქონოდა რალაც კავშირი. ბარამან მანი გადმოგვცემს, რომ ეს არაბი-ქალი, შემდეგ ჩახრუხაისძის ცოლი, იყო „ბიბი“ — ე. ი. წარჩინებული წრეებიდან, დიდ გვარიანთა სახლისშვილი; იგი, ალბად, ახლო მდგარა ნათესაურად ქაბას ამირასთან, რომლის კარის პოეტად, სჩანს, დარჩენილა ჩახრუხაისძე; და ამიტომ უნებლიეთ გვებადება აზრი, ხომ არ იყო ამ რომანით გამოწვეული ის საფრთხე, რომელსაც დიდი ამირა უმზადებდა ჩახრუხაისძეს, და რის გამო ჩვენმა პოეტმა, ქაბას დიდ მიზგითაში, აღიარა ისლამი და გადაიხადა მუსულმანური „ხაჯი“?

## 16. ჩახრუხაისძის გამომგზავრება საქართველოში. გზა ნეჯდზე, ქალაქ აჰვაზზე; მოსვლა ბაღდადში. წერილის გაგზავნა საქართველოში.

„მნათობთა დარის“ შერთვის შემდეგ ჩახრუხაისძეს განუზრახავს საქართველოში დაბრუნება.

უკვე ცხრა-ათ წელს გაეგლო პოეტის საქართველოდან ნასვლის შემდეგ.

პოეტი თავისი მიჯნური-ცოლის, „ბიბის“ თანხლებით დაიძრა არაბეთიდან საქართველოსკენ. ეს მოხდა 1203 წლის ახლო ხანებში.<sup>3</sup>

მოგზაურობა დიდის ზარითა და ზეიმით ყოფილა მონყობილი. ჩახრუხაისძეს მისი მოგზაურობის დროს მუსულმანურ აღმოსავლეთში, აურაცხელი სიმდიდრე შეუძენია როგორც მოგზაურ-პოეტს;

1. იხ. I, 14-15.

2. იხ. II, 10-11.

3. თარიღის შესახებ იხ. ზევით გვ. 239 და 243, შენიშვნა I.



საქართველოსაკენ მიმავალ ჩახრუხაისძეს და მის „მნათობთა დარს“ გარს ეხვეოდა დიდი ამაღა, „მოყმენი“ (რაინდები, ვასალები), ხოლო მათი მონები და მხეველები წინ უძლოდენ ქარავანს. აქლემები დატვირთული იყო დიდი სიმდიდრით: ოქროთი, აღმოსავლეთის ქსოვილებით, ძვირფასი ქვებით, თვალ-მარგალიტით და ეგზოტიური სურნელებით:

„მოყვასთა წინათ პირი ჰქმნის შინათ;  
ჩემთვის მოჰქონდის ჯმელთა ავარი:  
ოქროსა სწონდის, ტურფები ჰქონდის,  
ფერად ფერადი, მრავალი გვარი.  
ჰყვანდის მოყმები, მონა-მწველები,  
თვალ-მარგალიტი, სუნნელ-ამბარი“ (იხ. I, სტრ. 17—19).

მეორე ბიოგრაფიული ტექსტიც (ბარამან მანისა) ასე აგვიწერს ამ კორტეჟს:

„...აჰვაზს მოსულსა ქვა-ოქრო ჰქონდის —  
ათი ათასი მართ გაკვეთილი.  
ბიბი მოჰყვანდის, მოეზოდის...  
აქლემთა ტურფად მძიმედ ტვირთვითა —  
მონა-მწველები წინა უძლოდის“ (II, სტრ. 12—14).

ჩახრუხაისძემ მექიდან წამოსულმა მოაღწია თავისი ამაღის თანხლებით ბაღდადის ხალიფატში.

ჩვენ შეგვიძლია აღვადგინოთ ის გზაც, რომელიც მოუვლია ჩახრუხაისძეს: რაკი მექიდან ბაღდადში მიმავალი ჩახრუხაისძე ჯერ მისულა ქალაქ აჰვაზში (II, 12), ცხადია, ჩახრუხაისძე წამოსულა შიდა-არაბეთზე და გადაუჭრია „ნეჯდი“-ს (შიდა არაბეთის) საქარავნო გზა. ეს ის ხაზია, რომელიც 1040 წელს გაიარა პოეტმა ნასირი-ხოსრომ მექიდან ბასრამდე, და რომელიც აღწერილია მის „სეფერ-ნამე“-ში.

ჩახრუხაისძე ამ გზით: მექა — ნეჯდი — [ბასრა] — აჰვაზი გადმოსულა მესოპოტამიაში და აქედან მოსულა ქალაქ ბაღდადში.

ბაღდადიდან უკვე აღარ იყო შორს საქართველო. და ჩახრუხაისძეს ბაღდადიდან გაუგზავნია წერილი საქართველოში მეგობარ პოეტებთან, თავის ძმა ჩახრუხაისძე-მეორესთან და პოეტ ბარამან მანთან, და უცნობებია, რომ იგი საქართველოში ბრუნდება.

## 17. ჩახრუხაისძის ხელმეორედ უკან გაბრუნება უცხოეთში.

„მობაღდადე“ ქარავანმა, რომელსაც მიჰქონდა ჩახრუხაისძის წერილი, მიაღწია საქართველოში, ქალაქ ბარდავში (ბარდავი მდებარეობდა მტკვარზე, განჯის აღმოსავლეთით, და ამ დროს საქართველოს საზღვრებში შედიოდა; ბარდავი ითვლებოდა ერთ უდიდეს ქალაქად კავკასიაში და ახლო აღმოსავლეთში, და იქ იყრებოდა საქარავნო გზები). ბარდავიდან სასწრაფოდ გამოგზავნეს მახარებელი ტფილისში, პოეტის ძმასთან და ბარამან მანთან:

„მობაღდადენი ბარდავს მოვიდეს  
მახარებელი ჩვენთანა ჰქროდის“. — სწერს ბარამან მანი (II, სტრ. 15).

ჩახრუხაისძის წერილმა, — ცნობამ მისი დაბრუნების შესახებ, დიდი აღფრთოვანება გამოიწვია ქართველ პოეტთა წრეებში. გადაუწყვეტიათ მისი შეხვედრა დიდის ზეიმით.

ქართველი პოეტები გამგზავრებულან შესაგებებლად ქალაქ ბარდავში, სადაც უნდა გამოეველო გზად მომავალ ჩახრუხაისძეს. აქ მომზადებულ იქნა მეფური დახვედრა: მუ-

ჯამრი ენთო, ეკმეოდა ეგ ზოტიური სურნელება, ინოდა ალვა. ბარამან მანი ასე აგვიწერს ამ შეხვედრის ამბებს. თავის მიმართვაში პოეტის ძმისადმი:

„შენ გაეგებო სურნელთა კმევად,  
მუჯამარი გქონდის, ალვა იზოდის.  
ბარამან მანმან მკვლავნი მოგხვიენე,  
სიხარულითა სული ინოდის“ (II, 16-17).

მაგრამ ამ დროს მოვიდა მოულოდნელი ცნობა, რომელიც, პოეტის სიტყვით, ნამდვილი „ზარის დაცემა“ და „ცის დატეხა“ იყო.

ჩახრუხაისძისაგან მოვიდა მეორე „ნიგნი“, სადაც აცნობებდა მეგობრებს, რომ იგი აღარ ბრუნდება საქართველოში და ხელახლა მიემართება უცხოეთში სამოგზაუროდ.

„კვლავ განვვლი ზღვანი!“ — სწერდა იგი ამ მეორე ნიგნიში (I, 21).

მართლაც, ჩახრუხაისძე ამის შემდეგ ისევ გადაიკარგა უცხოეთში და აღარ დაბრუნებულა საქართველოში...

რამ გამოიწვია პოეტის უკან გაბრუნება? იქნებ მას ხელახლა განუახლდა ძველი სიყვარული? — ის „ხელობა თამარისათვის“, ვისთვისაც ჩვენი პოეტი, როგორც ტარიელის ორეული, ოდესღაც უცხოეთში გადაიხვენა?..

## VII

### ჩახრუხაისძის ოდების ზირველი გამოცემა. ელეგიები

ჩახრუხაისძის ეს ხელმეორედ უკან გაბრუნება საქართველოდან და უცხოეთში გადახვენა მომხდარა, როგორც აღნიშნული გვექონდა, 1203 წლის ახლო დროს.

ამ დროსვე ეკუთვნის შედგენა კრებულისა „**თამარიანი**“, სადაც მოთავსებულია თვით ჩახრუხაისძის ოდები, და ამის გარდა ორი ელეგია ჩახრუხაისძის შესახებ.

ისტორია ამ კრებულის წარმოშობისა — სჩანს — ასეთი ყოფილა:

პოეტის ძმას, ჩახრუხაისძე-მეორეს, როცა იგი დაბრუნებულა ქალაქ ბარდავიდან, და გადაუწყვეტია იმედი, რომ იგი ოდესმე ეღირსებოდა ჩახრუხაისძის ნახვას, შეუკრებიდა უცხოეთში გადახვენილი თავისი ძმის თხზულებანი, რომელნიც მას საქართველოში ყოფნის დროს ჰქონდა დაწერილი, სახელდობ 12 ოდა მიძღვნილი მეფის თამარისადმი. აი, ეს კრებული გაუგზავნია მას თავისი მეგობარი პოეტის ბარამან მანისთვის. კრებულისათვის შესავალის სახით დაურთავს ელეგია, სადაც იგი დასტირის უცხოეთში გადახვენილი თავისი ძმის ბედს, და სადაც გაკვრით ხაზებში გადმოცემულია მისი ბიოგრაფიაც. ეს ელეგია-ბიოგრაფია დაწერილია წერილის სახით და მიმართულია იმავე ბარამან მანისადმი.

ბარამან მანს თავის მხრივ დაუწერია საპასუხო ელეგია; აქაც ეს პოეტი შეპყრობილია მწუხარებით ჩახრუხაისძის უცხოეთში გადახვენის გამო, მაგრამ მაინც სცდილობს ანუგეშოს გულმოკლული პოეტის ძმა.

ბარამან მანის ამ მეორე საპასუხო ელეგიაშიც გაკვრით ხაზებში მოცემულია ბიოგრაფიული ცნობები ჩახრუხაისძის შესახებ. ამიტომ ეს მეორე ელეგიაც შეუტანიათ „თამარიანის“ კრებულში, როგორც ბიოგრაფიული ხასიათის დამატება.

აი, ამ რიგად შემდგარა კრებული „თამარიანი“.

მაშასადამე, აქ შევიდა 12 ოდა თვით ჩახრუხაისძისა, და ამის გარდა ეს ორი ელეგია (ერთი თვით პოეტის ძმისა, და მეორე — ბარამან მანისა), როგორც ბიოგრაფიული შესავალი კრებულისა.

ამის შემდეგ ჩვენ დავგრჩენია მოვიყვანოთ მთლიანად ეს ორი ელევგია, რომლებიც წარმოადგენენ მთავარ წყაროს ჩახრუხაისძის ბიოგრაფიის რესტავრაციისათვის. ორთავე ეს ელევგიები დაწერილია არა უგვიანეს 1204 წლისა<sup>1</sup>, ე. ი. იმავე წელს, როცა ჩახრუხაისძე უკან დაბრუნდა უცხოეთში.

აი, ესენი:

### 1. პირველი ელევგია პოეტ ჩახრუხაისძეზე

[წერილი პოეტის ძმის ჩახრუხაისძის-ძე მეორისა, მიწერილი ბარამან მანისადმი]

1. ვიცი, გენყალი! დამთქამს მე წყალი,  
ნოეს ნაკადი, მოქცევა ღვარი.
2. რალა კვლავ მოვკვდე! თუ არა მოვკვდე  
ვამაგალითო მე ოდენ ვარი...
3. ჩემსა მოყმესა, ლომთა მოძმესა,  
ვის არად უჩნდის სახლი და კარი, —
4. დამმეტეს მქმნელად: გაიჭრეს ველად,  
სადგურად ჰქონდის ლომთა შამბნარი...
5. მოვლის სპარსეთი, — სხვაც ქმნის ასეთი, —  
სულტანი ნახის ცათა მცთუნარი:
6. იგავნი უთხრნის, მეფენი უქნის,  
მათდავე სწორად მათი ლაშქარი.
7. არვისად სწორად ნავიდის შორად,  
ინდოეთს იყვის მისი საზღვარი.
8. ამოვლნის ინდნი, ხანნი და ჩინნი,  
არარად უჩნდის მას მათი ზარი.
9. ატალას მოჰყვის, ქვეყანა მოსცვის,  
არვისი ჰქონდის შესაუარი.
10. ხაზარეთს დაჰყის. რუსეთსაც ჩაჰყვის.  
.....
11. ....<sup>2</sup>  
ზღვის პირით ჰქროდის ტაროსით ქარი.
12. ნავიდის ჯმელსა, იონთა ველსა,  
მუნ სადა მეფედ ზის კეისარი.
13. მოვლნის ქალაქნი, ზღვისა ალაგნი,  
სრულად ეგვიპტე, არაბთა მწარი.
14. ამანს მივიდის, თავი იდიდის,  
რაც ჯამდის მუნცა ქმნის იგ ნა-ქნარი.

1. თარლის შესახებ იხ. ზევით, გვ. 239 და 213-214.  
2. აქ აკლია სტროფი. იხ. კრიტიკული აპარატი ტექსტებისათვის.

15. მოიქცის გარე, მოძებნის მთვარე,  
შიშ-ჰაერ პირი, მნათობთა დარი.
16. მოჰყვანდის ქალი, საჩემო სძალი,  
მორცხვი, მორიდი, ბრძნად მოუბნარი.
17. მოყვასთა წინათ — პირი ჰქმნის შინათ;  
ჩემთვის მოჰქონდის ჴმელთა ავარი:
18. ოქროსა სწონდის, ტურფები ჰქონდის,  
ფერად-ფერადი, მრავალი გვარი.
19. ჰყვანდის მოყმები, მონა-მწევლები,  
თვალ-მარგალიტი, სუნნელ-ამბარი.
20. ვერა შევიგნი, მოვიდის წიგნი:  
(მო-გლახ! — ველოდი, დამეცის ზარი,
21. დამტყდიან ცანი!): „კვლავ განვვლი ზღვანი.“  
დავრჩი უსულოდ მართ ვითა მკვდარი...
22. როს მას ვიგონებ, ვერას ვინონებ,  
ველთა გაჭრასა ოდენ მზა ვარი!..

## II. მეორე ელეგია პოეტ ჩახრუხაისძეზე

[საპასუხო წერილი ბარამან მანისა პოეტის ძმისადმი]

უდიდესი ნაწილი ამ საპასუხო ელეგიისა დაკარგულია;  
შენახულა მხოლოდ ფრაგმენტები.

[დასაწყისი აკლია. პოეტი დასტირის ჩახრუხაისძის უცხოეთში გადახვეწას, მაგრამ ამასთან სცდილობს ანუგეშოს იმედ გადაწყვეტილი პოეტის ძმა]:

1. ...ასრე წყალთაგან, რომე თვალთაგან —  
ცრემლთა ნაკადი ღვარულად მოდის!
2. შენ გულსა ესე იმედად უთხარ,  
ვითამცა შორით კვლავ მოვიდოდის!..
3. ვითა მოჰკვდები, ჭირით განჰყდები,  
მაგალითები აღარ ითქმოდის!

[შემდეგ აკლია. მომდევნო სტროფებში, პირველი ელეგიის რიგის მიხედვით, აღწერილი უნდა ყოფილიყო ჩახრუხაისძის მოგზაურობა სპარსეთსა და ინდოეთში, საიდანაც პოეტი მოხვედრილა უცნობ ქვეყნებში: ჩინეთში და „ხანთა“ მხარეში (ე. ი. ხატაეთში). აქ დაუხოციათ პოეტის მხლებელი „მოყმენი“, რის შემდეგ ჩახრუხაისძე „გზის მომოკლებით“ და „გასწრაფვით“ გადასულა ხაზარეთს. შენახული ნაწყვეტი ამას ასე აგვიწერს]:

4. ...ანუ ხაზარეთს, — ჩინით და ხანთათ, —  
გზა მოემოკლოს, მოისწრაფოდის.
5. შენთა მოყმეთა რა ქმნან, მოძმეთა,  
დედა და მამა აღარა სმოდის, —
6. მუნ დაიგოცნეს, სადა ეოცნეს,  
ქვეყნის სახელი არ ასმოდის!..

[ამის შემდეგ იწყება დიდი ხარვეზი. დაკარგულია მთელი ის ნაწილი, სადაც აღწერილი ყოფილა მოგზაურობა ხაზარეთიდან — ეგვიპტემდე. შენახულა მხოლოდ ორი პატარა ნაწყვეტი, სადაც მოთხრობილია კონსტანტინეპოლში სამოგზაურო ნავის აგება, და მალრიბში ყოფნა; აი, ეს ნაწყვეტები]:

7. კონსტანტინოპოლეს ნავნი ააგენ,  
ზღვა წყნარად იყვის, ტაროსი ჰქროდის...

8. მალრიბს დაყენენ ჟამნი მრავალნი...

[ეგვიპტიდან ჩახრუხაისძე გადავიდა არაბეთში; აქ მექეს ამირას კარზე ჩახრუხაისძე შეხვდა არაბ ქალს „ბიბის“, „მნათობთა დარს“, რომლის მიჯნურიც ხდება ჩვენი პოეტი. ამას გადმოგვცემს შემდეგი ფრაგმენტი]:

9. მას გაუმრთელდეს გული მოკლული,  
ალარა ოდეს ლახვარს ისობდის...

[მექესში ყოფნის დროს პოეტი მიიღებს მაჰმადიანობას, დიდი ამირას ძალდატანებით, რასაც გადარჩენილი ფრაგმენტი ასე აგვიწერს]:

10. ქაბასა მფლობი დიდი ემირი  
მასშიგან მთხრებელესა თვისად ისობდის:

11. მაჰმადის ხმობად, მიზგითსა შესლვად,  
თაყვანის-ცემად მას შინა სცოდის.

[შემდეგ აღწერილია ჩახრუხაისძის გამომგზავრება საქართველოში, მისი მიჯნური-ცოლის „ბიბის“ თანხლებით. მას თან მოჰყვება დიდი ამალა, და ქარავენები დატვირთული „ჰმელთა ავარით“, ქსოვილებით, თვალ-მარგალიტით, სურნელ-ამბარით. შენახული ნაწყვეტი მოგზაურობის აღწერისა იკითხვის შემდეგ ნაირად]:

12. ...აჰვაზს მოსულსა ქვა-ოქრო ჰქონდის —

13. ათი ათასი მართ გაკვეთილი.  
ბიბი მოჰყვანდის, მოეზაოდის.

14. აქლემთა ტურფად მძიმე ტვირთითა,  
მონა-მწველები წინა უძლოდის.

[შემდეგ მოთხრობილია საქართველოში მახარობლის გამოგზავნა, და ჩახრუხაისძის დახვედრი-სათვის მზადება, რაზედაც სწყდება ელეგია]:

15. მობალდადენი ბარდავს მოვიდეს,  
მახარებელი ჩვენთანა რბოდის.

16. შენ გაეგებო სუნნელთა კმევად,  
მუჯამრი გქონდის, ალვა იზოდის.

17. ბარამან მანმან მკლავნი მოგხვიენე,  
სიხარულითა სული იწოდის!

პავლე ინგოროყვა

(დასასრული მკ-VII თავისა!)

1. შემდეგი თავები: VIII. ჩახრუხაისძის შემდეგი თავგადასავალი. IX. როდის გარდაიცვალა ჩახრუხაისძე. X. ჩახრუხაისძის პოეტური მემკვიდრეობა. ჩახრუხაისძე როგორც მოგზაური (საშუალ საუკუნეთა მოგზაურების რუკებით).

ნაწილი მეორე: კრიტიკული აპარატი. სქოლიოები ტექსტისათვის.

## მამუარაზი და დოკუმენტები

### ერთი წელიწადი როდენთან

\* \*

ზოგიერთი ჩემი მეგობარი დაჟინებით მთხოვდა, დამეწერა მოგონებანი როდენის შესახებ. დიდხანს ვფიქრობდი და ვერ გადამწყვიტნა, რადგან წერა ჩემს ხელობად ვერ ჩამითვლია. მაგრამ ბოლოს მაინც გადავწყვიტე მეგობრების სურვილის დაკმაყოფილება.

მეორე სტიმული იყო აქ ჩემი გამხსენება როდენის ერთი ბავშვობის მეგობრის მიერ. ეს იყო M. Limét, რომელიც ბავშვობიდანვე როდენთან იყო აღზრდილი, მასთან ცხოვრობდა და მუშაობდა. იგი კარგად იცნობდა როდენს, მაგრამ ისიც ისეთივე მუნჯი იყო, როგორც მე, მწერლობის დარგში. ის კარგად იცნობდა როდენის ცხოვრებას და მას შეეძლო მთელი მისი ბიოგრაფია დაეწერა.

M. Limét-მა ერთხელ მომმართა: „ისე როგორც მე და შენ ვიცნობთ როდენის ცხოვრებას, არავინ იცნობსო“.

და ესლა მე მხვდა წილად მოგახსენოთ როდენის შესახებ, და აგინეროთ ჩემი ერთი წლის მუშაობის ამბავი ამ დიდი არტისტის ხელმძღვანელობით.

ინტერესი როდენის პიროვნებისადმი, რალა თქმა უნდა, ყოველთვის დიდი იყო. მე მაგონდება ისეთი კურიოზები, როცა უცხოელები მოდიოდნენ როდენის სანახავად, და მათი მონინება და ამავე დროს დაინტერესება იქამდის მიდიოდა, რომ მკითხავდნენ ხოლმე: „რასა სჭამს როდენიო“...

საქართველოში ყოველ შემთხვევაში სხვაგვარ ინტერესს მოველი... ამ უკანასკნელ ხანში საქართველოში მე ვხედავ პლასტიური ხელოვნების ბევრს მეგობარს, მეტადრე ახალთაობაში. და მგონია, რომ ჩემი მოგონებანი არამცთუ საინტერესო იქნება მათთვის, არამედ სასარგებლოც.

\* \*

1905 წ. მე მეორედ მივედი პარიზში. ჯერ ჩაველი ფლორენციაში და შვიდი თვის შემდეგ გადავედი პარიზში იმიტომ, რომ მომწყურდა როდენის ნახვა.

იტალიის აღორძინების ხანა საინტერესოა დასათვალისწინებლად. თვალწარმტაცი რამ არის ხელოვანისათვის მიქელ-ანჯელოს ნახვა. ისე, როგორც აქ, ფლორენციაში, არსად არ შეიძლება მიქელ-ანჯელოს გაცნობა. თქვენ აქ პირდაპირ დადიხართ მის სახლში, მის ოთახებში. ასე გგონიათ, რომ მიქელ-ანჯელო, ეს არის, შეჯდა ცხენზე და გაემგზავრა რომში. დონატელო და მიქელ-ანჯელო — ეს ორი მოქანდაკე მეფობს აქ. დიდებულ ფლორენტიულ სტილის ხუროთმოძღვებასთან ეს ორი მოქანდაკე შესისხლხორცებულნი არიან.

მე, როგორც ფრანგული სკოლის მოწაფემ, ვერ ვნახე რომელიმე ოსტატი, რომ მისგან მესწავლა ქანდაკება. ამ ორმა ოსტატმა, მიქელ-ანჯელომ და დონატელომ, თითქო მხრებში მომკიდეს ხელი, თუ შეიძლება ასე ითქვას, და მიმაფრენდნენ თავიანთ გზაზე. მე, რასაკვირველია, ვიფიქრე, რომ ეს ორი ოსტატი ამწვევენ და იმისთანა გზაზე გამაქანებენ, რომ შეიძლება მე დავკარგო ღონისძიება ჩემი ფეხით სიარულის... ვიფიქრე, სჯობია, მოვშორდე მიქელ-ანჯელოს და დონატელოს და საკუთარ ფეხებზე დავდე.

პარიზში რომ ჩავედი, რუსეთ-იაპონიის ომი იყო, რომელსაც მოჰყვა 1905 წლის რევოლუცია, ამის გამო რუსეთიდან ვერ ვღებულობდი ველარც ფულს და ხანდისხან სახლის ამბავსაც. ყველა ის ახალგაზრდები, რომელიც იყვნენ პარიზში იმ დროს, ხელმოკლედ იყვნენ, რადგან როგორც ვთქვი, ფული აღარ მოგვდიოდა.



გაიარა ერთმა თვემ, ორმა... ორი თვის განმავლობაში მე ფული ვერ მივიღე. ბოლოს მომივიდა წერილი დედისაგან: „მე აღარ შემიძლიან ფული გამოგიგზავნო. შენც ხომ ამბობდი, რომ ქანდაკებით იცხოვრებდი, აბა, ესლა მე ველარაფერს გიგზავნი და შენ იცი-ო“.

პარიზში 40.000-მდე სპეციალისტი მოქანდაკეა და 80.000-მდე მხატვარი. იქ ვისთან უნდა მიხვიდე, რომ შენი ხელობით ფული მოიგო. საზოგადოდ ხელოვნების დარგში ფული ყველაზე ძნელი საშოვნელია...

ხელოვნებას აქვს ორი მხარე: ხელოვნობა და მერმე თვითონ არტისტული შემოქმედება. ქანდაკებაში კი რამდენიმე ხელობაა საჭირო: მუშაობა ქვაზე, ბრინჯაოს ჩამოსხმა, რკინების მოლუნვა და ჩონჩხის გაკეთება. რადგან ვიცოდი, რომ საქართველოში დაბრუნების შემდეგ ამ დამხმარე ხელოსნობის მცოდნე არავინ მეყოლებოდა, მე თვითონ ვსწავლობდი ყველაფერს. ვისწავლე მარმარილოზე და ქვაზე მუშაობა, ალესატრიდან ჩამოსხმა და სხ... ჩემის აზრით, ყველამ, ვისაც კი სურს ქანდაკების შესწავლა, ქვაზე უნდა იმუშაოს, რადგან იმ კლდის ნატეხმა, რომელიც ხანდისხან წააგავს რომელიმე პირუტყვის ან ადამიანის სილუეტს, ჩაუნერგა ადამიანს ქანდაკების აზრი, რომ დაესრულებინა ის, რაც შემთხვევით წარმოშვა ბუნებაში. მაშასადამე, ქვას თვითონ შეუქმნია მოქანდაკე. ამიტომ საჭიროა, მოქანდაკე იცოდეს ქვაზე მუშაობა. მარმარილოზე მუშაობის სასწავლებლად ვიყავი პროფ. მანეგლიეს Ecole de Beaux Arts-ში პრაქტისიენის ატელიეში. პროფესორს მოსწონდა ჩემი მუშაობა და მეც გათამამებული ვმუშაობდი. ვატყობდი, რომ მარმარილოზე მუშაობა ჩემთვის ძნელი არ იყო. ეს მექანიკური მუშაობაა, ვიდრე ლეონარდო დავინჩის მიერ გამოგონილ ფარგალით არ მოიძებნება ქვაზე ყველა გაზომილი ნერტილი, და ქანდაკების განსახიერება არ გამორჩევა. მხოლოდ ამ მექანიკურ მუშაობის შემდეგ ჰხდება ქანდაკების მხატვრულად დამთავრება.

სამუშაოს საშოვნელად წავედი მოქანდაკე არონსონთან. ის განივრად იდგა თავის ორ ატელიეში. მას გერმანიიდანაც ჰქონდა შენაკვეთები. მივედი მასთან. ვფიქრობდი იქნებ მას დავჭირდე ან ქვაზე ან მარმარილოზე სამუშაოდ, ან და იქნებ რეკომენდაცია მაინც გამიკეთოს სხვა მოქანდაკესთან. მან პირველ ნახვისათანავე მითხრა: შენ ნამეტანი არტისტიული სახე გაქვს და ატელიეში არავინ მიგიღებსო. არ ვიცი, რა უნდოდა ეთქვა ამით, ის, რომ მე შავ სამუშაოსათვის არ გამოვადგებოდი მას, თუ ის, რომ სამუშაოს მოცემა არ უნდოდა. მეც გამოვბრუნდი და წავედი მეორე მოქანდაკე სინაევ-ბერნშტეინთან. ძალიან ზრდილობიანი ადამიანი და განვითარებული მოქანდაკე არის. ახალგაზრდებისადმი შური არა ჰქონდა, და კერძოდ მე პატივისცემით მეპყრობოდა. მისი ქანდაკებაც ზრდილობიანი და კეკლუცი იყო. მე-18-ე საუკუნის დამლევის და მე-19-ის დასაწყისის სტილი აქვს: ნამდვილი ფრანგული მოქანდაკეებისაგან მას შეთვისებული აქვს ის გრაცია, რომელიც ბუნებაში არ არის, ის ფრანგული სიტკბოება, რომელიც სჩვევია აღნიშნულ ეპოქების ფრანგულ სტილს.

ის იდგა ქალაქის მეორე მხარეს. მე რომ მივედი, ის აკეთებდა დედობის დიდ სტატუიას. მჯდომარე ქალს ერთი ბავშვი ეჯდა კალთაში, ხოლო მეორე უფრო მოზრდილი, დედას ედგა გვერდით ჩახუტებული. ეს იყო იმ დროის ტრაფარეტული იდეა. ეს ტრაფარეტობა აიხსნება იმით, რომ იმ დროს ბევრი მწერალი და ხელოვანი ემსახურებოდა საფრანგეთის ხალხის გამრავლების იდეას... პარიზში ბევრი ძეგლი და მხატვრული ნაწარმოები იყო ამ თემაზე აგებული, დალუს, მენიეს და სხვათა... ბერნშტეინმა, როდესაც შეიტყო ჩემი მისვლის მიზეზი, მაშინვე მომცა წერილი ერთ დიდ ქარხნის პატრონისადმი, რომელთანაც მუშაობდა 40-50 პრაქტისიენი ქვასა და მარმარილოზე. თან მითხრა: „ის ჩემი ქარხანაა, მე იქ ვაძლევ სამუშაოს და შეიძლება შენც მოგცენ რაიმე საქმე“-ო. წერილი გამოვართვი და წავედი. რომ მივედი, ქარხანა უკვე დაცალიერებული დამხვდა და არავითარი მუშაობა არ წარმოებდა. ქანდაკებები სალონში გაეგზავნათ. ქარხანის პატრონს რომ წე-

რილი გადავეცი, მითხრა: ეხლა მუშაობის სეზონი არა მაქვსო. მართალიც იყო. იქ განსაზღვრულ ხანაში მუშაობენ და შემდეგ ნამუშევარი იგზავნება სალონებში.

ის იყო გამოვბრუნდი, რომ ქარხნის პატრონმა მომაბრუნა და მკითხა: თქვენ ცოლშვილიანი ხომ არა ბრძანდებითო? მე უთხარი, რომ არა, ოჯახი არა მყავს მეტეი, ამის შემდეგ ის თითქოს უფრო დამშვიდებული დარჩა. საფრანგეთში ყოველი ფრანგი დაინტერესებულია, რომ ყველას ჰყავდეს ოჯახი. ფრანგის სურვილია, რომ ყველამ შვილები დაანყოს ჯარად და დაიცვან სამშობლო. მე დარწმუნებული ვარ, ცოლ-შვილი რომ მყოლოდა, ქარხნის პატრონი უსათუოდ მომცემდა რამე საქმეს.

ნამოვედი იქიდანაც და ვიფიქრე, როდენთან ნავალ მეტეი. განა მე არ ვიცოდი, რომ როდენთან ძნელი იყო საქმის აღება, რადგან ბევრი მოქანდაკე მუშაობდა მასთან, მაგრამ მაინც გავბედე. პარიზში იმ დროს საზღვარ-გარეთიდან ბევრს უკვეთავდნენ. მოდიოდა ასეთი დაკვეთაც ამერიკიდან: ჩვენ ავაშენეთ მუზეუმი და გვჭირდება სურათები ორი კვადრატული კილომეტრის სამყოფი და ქანდაკებები საერთოდ ორი ათასი კილოს ნონისა. სურათებში უნდა იყოს ესა და ეს. დასახელებულნი იყვნენ: კაროლიუს დიურანი, ბუგრო და ბონა, დანარჩენები სულ ერთია ვისიც უნდა იყოს. ასევე მოქანდაკეებში: — როდენი, დანარჩენი კი ვინც უნდა იყოსო. ამერიკა ბადეს ისვრის ევროპაში. იცის, რომ ამ ბადეში ბევრი ახალგაზრდა მოხვდება. შეიძლება მერე ამა თუ იმ ახალგაზრდა ხელოვანით დაინტერესდნენ და ევროპას აღარ ექნება მისი შემოქმედების ნიმუშები. ამერიკელები ამერიკულად ყიდულობენ ხელოვნების ნაწარმოებსაც...

მე ვიცოდი, რომ როდენთან ბევრი მოქანდაკე მუშაობდა. ბევრი არ მოსწონდა, ბევრი უფუჭებდა ქანდაკებას. ბევრი გაფუჭებული მარმარილო აქვს როდენს. ზოგისა ფეხი არ მოსწონდა, ზოგისა ხელი. რომ შევხედო ქანდაკებას, ვიტყვი, თუ რა არ მოსწონდა როდენს, მე ისე ვიცი მისი თვალი და გუნება. ასეთ მოქანდაკეს ის მისცემდა ფულს და დაითხოვდა.

ფულს ის არავის უჭერდა, მაგრამ თვის თანამემამულეთა ასეთი მოპყრობა მეტად აჯავრებდა როდენს.

როდენთან მუშაობა მაშინებდა, იმიტომ რომ ყოველი მხრიდან მეუბნებოდნენ: „როდენი არის უხეში და მრისხანე. მისი დაკმაყოფილება არავის შეუძლია. ნამუშევარს არ მოგინონებს, ფულს არ მოგცემს, შეგაგინებს, შეურაცყოფას მოგაყენებს და ისე გამოგისტუმრებსო“.

ფლორენციაში რომ ვიყავ, იქ შემდეგმა სურათმა მომანყურა როდენი. ფლორენციაში არის დიდი ბალი „ჯარდიო პოპოლი“, პოლაცო პიტის ბალია. აღორძინების სტილზეა აშენებული. დიდი ხეებით დაბურული. ბაღში გაკეთებულია ხელოვნური გვირაბი. ამ გვირაბში რომ შებრძანდებით, შუაში აუზია და აუზის გარშემო ოთხივე მხრივ ჩაყოლებული აქვს 4 გაუთავებელი მარმარილოს ლოდები. ეს მიქელ-ანჯელოს მონებია. ეს მონები გაუთავებელია, მაგრამ ის დიდი და მწვავე სიამოვნება, რომელიც მაგრძნობინა ამ ქანდაკებამ, მე არ მიმიღია არც ერთ ქანდაკებისაგან.

ამ თეთრ მარმარილოს ზოდს თვითეულს აქვს 3 არშინი სიმაღლე. ისეთი შთაბეჭდილებაა, თითქოს შიგ ცოცხალი ადამიანი არის და მობრუნებულაო, მარმარილოს კანი ისეა მონგრეული, და მიყოლილი რხევისაკენ. შიგნით კი სიცოცხლე ფეთქავს და ასე გგონიათ, ამ ნანგრევიდან ცოცხალი ადამიანი გამოვაო.

ეს რომ დავინახე, აქ როდენი მომწყურდა. მეტი გაჩერება ფლორენციაში არ შემეძლო. იმ წამიდან უკვე ვიყავი როდენის მონაფე. მეორედ რომ ჩავედი პარიზში, ვეძებდი ხერხს, რომ რაიმე საშუალებით შემძლებოდა ამ ადამიანთან დაახლოვება. მონმარტრის კვარტალში, სადაც მე ვცხოვრობდი, თავს იყრიდა უცხოელი ახალგაზრდობა. აქ მოდიოდნენ

და დგებოდნენ ინგლისის, გერმანიის, ამერიკის რესპუბლიკების და სხვა ქვეყნების ახალგაზრდები.

მონმარტრი, რომელიც განთქმულია პოეტების კაფეებით, საყურადღებოა მეტად ბოგემის ცხოვრებით. ნამდვილი ბოგემა აქ წარმოიშვა.

მონპარნასი ახალი მონმარტრი არის. ლათინური კვარტალი — ეს ახალგაზრდა მეცნიერების კვარტალია; მონმარტრის მონპარნასის კვარტალი კი ხელოვნების ახალგაზრდათა კვარტალია... აქ თავს იყრიან როგორც უცხოეთის, ისე პარიზის ახალგაზრდანი. ბულვარ მონპარნასზე იყო ახალგაზრდა რუს მხატვრების საზოგადოება. ამ საზოგადოებაში თავს იყრიდნენ რუსეთიდან ჩამოსული მხატვარ-ხელოვანი: აქ ესტუმრებოდათ შალიაპინი, სკრიაბინი. Madame მ. ლებლან — მეტერლინკის ცოლი თავის ქმრის ლექსებს კითხულობდა. ანატოლ ფრანსსაც ნაუკითხავს აქ მოხსენება.

ამ წრის პირველი თავმჯდომარე და მფარველი იყო გამოჩენილი რუსის მეცნიერი მერნიკოვი.

შემდეგ რამოდენიმე ხანს თავმჯდომარედ იყო ვიკტ. გოლუბიევი. მას ჰყავდა მეუღლე ძლიერ ლამაზი ქალი. იგი ძალიან მდიდარი ადამიანი იყო, და ბიუსტიც შეუკვეთა როდენს. ეს ბიუსტი პირველად ვნახე სალონში. ბიუსტი ალებასტრისაგან იყო გაკეთებული. ის ცხოვრობდა ავენიუ ბუადე ბულონზე, სადაც ამერიკელების და მდიდარ მილიონერების მიერ სახლები სასახლეებით არიან აშენებული. ქუჩა კი არა, 2-3 ვერსის მანძილზე გაშენებული ნალკოტია, რომელსაც ამკობენ ეს სასახლეები. ეს ქუჩა პარიზის მუშა ქუჩებს არა ჰგავს. აი, ამ ქუჩაზე სცხოვრობდა ვიკ. გოლუბიევი.

ბევრი ახალგაზრდა მხატვარი ანუხებდა მას სხვა და სხვა თხოვნით და მე კი მიძინებოდა მისვლა. ვიცოდი, რომ ჩემს მისვლაზე გაიფიქრებდა: „აი, მოვიდა ესეც და ფულსა მთხოვს“-ო. არც საამისო ტანსაცმელი მქონდა, რომ მივსულიყავ. ამ გოლუბიევის ცოლს დაე ჰყავდა, რომელიც ემზადებოდა საოპეროდ, და სწავლობდა სიმღერას. ყველა, ვინც პარიზში ჩამოვა, უთუოდ ბოგემას მიეტანება, და ეს ქალიც, ნინა ვასილიევნა დავიდოვა, ნამდვილად ბოგემისთვის გაჩენილი იყო. მასთან მქონდა მე მისვლა-მოსვლა. ერთხელ მიველ და ვთხოვე: „პროტექცია გამიკეთეთ თქვენ დასთან. იქნებ როდენთან მომიხერხდეს მუშაობა, რადგან ხელოვნება ჩემი სტიქიაა და მის შეუსწავლელად საქართველოში არ შემიძლიან წასვლა. ვეცდები, თქვენი რეკომენდაცია არ გავამტყუნო“.

მან მაშინვე ტელეფონით უთხრა თავის დას. მათ საუზმეზე მიმინვიეს. გამოწყობილი არ ვიყავ, მაგრამ მაინც მივედი. მათ მითხრეს, რომ ხვალ როდენი იქნება ჩვენთან საუზმეზე და ვეცყვითო. მეორე დღეს პნევმატიური ფოსტა მივიღე. წერილში მწერდნენ, რომ ხვალ როდენმა მედონში მიგიხმოო.

მეც ავდექი და მეორე დილას ადრე გაველ მედონში. მედონი არის 25 წუთის სავალ მანძილზე პარიზიდან. დიდად საინტერესო, საგულისხმიერო და საისტორიო ამბები ტრიალდება ამ გზაზე, რომელიც ვერსალით თავდება. ამ მიდამოებშია სევრის ფაბრიკა, სადაც საფრანგეთის საუკეთესო ფაიფურის ჭურჭელს ამზადებენ.

ეს ადგილები ძალიან საინტერესოა და ამას შემდეგ აწერ. მედონში რომ ჩახვალთ, უნდა გაიაროთ უზარმაზარი ვიადუკის ახლო. რომაელების აკვადუკებს მოგვაგონებს. ხევია და ირიბად უნდა გაუაროთ.

მედონის პერონზე რომ ჩადიხართ, უნდა გაიაროთ ფეხით. აღმართს რომ შეუდგებით, აქ შედიხართ სოფ. ვალფლორიში. ეს სოფელი არ არის იმისთანა, როგორც ჩვენ წარმოგვიდგენია. აქ ყველგან სართულებიანი სახლებია, ქუჩები შევიწროებულია, არ არის განიერი, მაგრამ სახლები მხატვრულად არის დანყოფილი. ყველა სახლს აქვს ბაღი. ამ ბაღების შეხედვას გაკვირვებაში მოჰყავს ადამიანი.

ამ ვალფლორის ზემოდ რომ გახვალთ, გაივლით იმ ლიანდაგის ხიდს, რომლითაც პარიზიდან მობრძანდით, ახვალთ მალლობზე და მიბრძანდებით როდენის სახლთან. აქედან ხელის გულივით სჩანს დაბლა მიდამოები, სენა, რომელიც უვლის ილდე პიჟონს, მტრედების კუნძულს. ეს არის რალაც უცნაური ძველებური სპორტი, სადაც მოდიან მონადირეები, ყიდულობენ მტრედებს, უშვებენ და მერმე ესვრიან თოფებს, აბა, ვინ უფრო ბევრს მოჰკლავსო. ამიტომ ჰქვიან მტრედების კუნძული. ამავე ფერდობიდან სჩანს ზემო და ქვემო მედონი. ზემო მედონზე იმ დროს აგრონომიულ ქიმიანზე მუშაობდა გამოჩენილი ქიმიკოსი ბერტლო. მას ყველა მცენარეების ძირში ელექტროს მავთულები ჰქონდა გაყვანილი და ახალ გამოკვლევას ანარმოებდა. აქვე იყო მედონის დირიჟაბლების პარკი. დირიჟაბლი მაშინ ახლად იყო გამოგონილი და იქვე იყო მისი სახელოსნოები. აქედანვე დასცქერით სენკლუს მშვენიერ ბალებს. შორს მოსჩანს მონვალერიანის მთა. იქ იყო ციხე, რომელშიც დრეიფუსის კეთილი გენია, პოლკოვნიკი პიკარი იყო ჩამწყვდეული.

მშვენიერი გადასახედი იყო როდენის ვილიიდან, რომელსაც ეწოდება ვილა ბრიანტი, რაც ნიშნავს ბჭყვრიალას, ბრწყინვალეს. ვილა დასავლეთისაკენ იყურებოდა. თავი აშენებული ყოფილა ერთ მხატვარ ქალის მიერ. შემდეგ როდენს შეუსყიდნია. ამ ატელიეს როდენი არ ხმარობდა. აქ ჰქონდა მას მუზეუმი, თბილი კუთხე, სადაც მას შეეძლო თავის ოთახებიდან გასვლა. ვილაში იყო სამი ოთახი ქვევით, რამოდენიმე სანოლი ოთახი ზევით, სულ მალლა მოსამსახურეები ცხოვრობდნენ. ბაღში იყო ორი დიდი აუზი, სადაც გედები ცურაობდნენ. ბაღი ველურად იყო დატოვებული. როდენს არ უყვარდა ინგლისური გაკრეჭილი ბაღები, ლარულად გაყვანილი გზები. ბაღი ჩადიოდა ფერდობზე. ფერდობის ქვეშ მას ჰქონდა მუზეუმი, ძველებური ავეჯით მოწყობილი. იქვე იყო ზოგიერთი მისი ნამუშავარი. როდესაც მოუვიდოდა ზოგიერთი კლიენტი, ის იქ მისცემდა ხოლმე ოთახებს. იმ დროს იქ გერმანელი გრაფინია იდგა.

როდენის ბაღის მარჯვნივ იყო აშენებული როდენის უზარმაზარი ატელიე, რომელსაც შეიძლება უფრო მუზეუმი ეწოდოს. 200 კვად. საჟენი, მაღალი, 2<sup>1</sup>/<sub>2</sub> სართულიანი; შენობა გადაფარებული იყო შუშით. გარშემო მაღალ და გრძელ შუშის ფანჯრებიდან უხვი სინათლე მოდიოდა შენობაში. წინ ჰქონდა პერისტილი სვეტები ძველი ბერძნული სტილით. მთავარ კარებიდან რომ შედიოდით, იმ ადგილს ზევით იყო ასასვლელი კიბე, რომელიც მიდიოდა პატარა აივანზე. ამ აივანიდან შეეძლო როდენს გადაეხედნა თავის ნამუშევრებისათვის. როდენს ეს შენობა მთავრად პარიზის მუნიციპალიტეტმა.

1900 წ. მსოფლიო გამოფენის დროს აშენებული იყო ხელოვნების სასახლე. ამ სასახლეში არ მიიღეს როდენი მთელი მისი კოლექციებით. ქალაქმა საკუთარი ბინა აუშენა მას, მაგრამ გამოფენის ტერიტორიაზე კი არა, არამედ გვერდით — მოედანზე — პლას დალმაზე. ეს იყო რკინის და ბეტონის შენობა. კარკასი ან ჩონჩხი ამ შენობის კი რკინისა იყო.

როდენის ყველა ნამუშავრის თითო ეგზემპლარი ენყო ამ ატელიეში. მისი მოღვაწეობის დათვალერება არ შეიძლებოდა სხვაგან, თუ არა ამ ატელიეში. ამ ატელიეზე მე შემდეგ მოგახსენებთ.

ახლა ვნახოთ როდენის ბაღი. ბაღში ცალკე იყო 2 სოფლური კოშნია სახლი, ცალცალკე შემოღობილი. ამ ლობებზე ყვავილები მიცურავდნენ. ქვეით იყო პატარა გალერეა. ამ გალერეაში მას კოლექციები ჰქონდა. დიდ ატელიეს მეორე მხარეზე იყო პატარა ატელიე, სადაც ნახევარში როდენის ნამუშევრის ყალიბების სანყოფილები იყო, ხოლო დანარჩენი ალაგი ეჭირა ბერძნულ მარმარილოებს.

ვიდრე როდენთან მიხვიდოდეთ მულინოს გზით, აქედან უნდა გაიაროთ 40 ნაბიჯი ველური ნაბლის ხეივანი. ამ ნაბლის ხეების ძირში დარგული იყო ზამბახის ყვავილები, იქვე



კი პატარა ატელიეში მუშაობდნენ მულირები, რომლებიც ალებასტრიდან ასხამდნენ როდენის ნამუშევარს.

როდენის კოლექციას შეადგენდა ძველ ბერძნების მარმარილოს ნატეხები ან მთელი ქანდაკებები. უნდა მოგახსენოთ, რომ ძველი ბერძნული მარმარილოს ნატეხები და ქანდაკებები იგზავნებოდა საბერძნეთიდან. საფრანგეთის და ინგლისის მუზეუმები სავსე არიან ამგვარ ძეგლებით. საბერძნეთის ერმა, როდესაც ძალა მოიკრიბა და თავის ეროვნულ სიმდიდრის ხიფათს ჩაუფიქრდა, აკრძალა მარმარილოს საბერძნეთის საზღვრებიდან გატანა. ამისდა მიუხედავად მარმარილოს ძველი დიდი ქანდაკებები, მაინც იპარება საბერძნეთიდან. მოამზადებენ 40—50 ფუთიან ყუთს ბერძნულ ქანდაკებით, მიიტანენ ნაპირზე და როდესაც გემი მოვა, ჩუმად მიუბამენ თოკით ამ გამზადებულ ყუთს, გემი დაიძრება და ყუთსაც დაითრევს. შუა გზაზე რომ გავა გემი — ამოიღებენ ყუთს და გემზე დასდებენ. ასე იცარცვება ეხლაც საბერძნეთი. 2 მყიდველი გაფაციცებით ყიდულობდა ამ ბერძნულ ნაშთებს. სახელმწიფოები ისე ადვილად ვერ იძენენ ამ ხელოვნების ნაშთებს, რადგან მათ არა აქვთ ისეთი მიხვრა-მოხვრა, რომ ადრე იყიდონ და გაათავონ საქმე. ამ შემთხვევაში კერძო ინიციატივა უფრო ადვილად ყიდულობს. როგორც მოგახსენეთ, 2 ადამიანი იყო, ვინც ყიდულობდა ამ ნაშთებს: ერთი ბრიუსელში და მეორე პარიზში — როდენი. ერთხელ როდენმა შესწავიტა კიდეც მარმარილოს შესყიდვა. იგი ამბობდა: „ყველაფერს ის ყიდულობს, იმან მოუმატა ფასები. მე არ შემიძლია, ამდენი მივცე. მე ველარ ვიყიდი-ო“. მიუხედავად ამისა, დიდებულ არტისტს მაინც სული სძლევა და განაგრძობდა ყიდვას.

ყიდვა ასე ხდებოდა: მოუთრევდნენ უზარმაზარ ყუთს.

— რა არის?

— ეს ბატონო, ძველი მარმარილოა.

— რა ღირს?

— ჯერ ნახეთ.

— გახსენით, ვნახოთ.

ერთ ფიცარს ააძრობდნენ.

— კარგი, მეცნო, ნუ შესწუხდებით. რა ღირს?

— 15 ათასი, ან 30 ათასი ფრანკი.

დაუწერდა ჩეკს და მისცემდა. როდესაც მომტანი წავიდოდა — როდენი, როგორც შეყვარებული, ისე მიუბრუნდებოდა ყუთს. ყუთს აახსენებდა და იმ ერთი ფიცრის ახსნის შემდეგ უკვე იცოდა, თუ რა იყო. მას ეშინოდა მხოლოდ, არ ენახა იმ კომისიას, რომელიც ლუვრისთვის ყიდულობდა მარმარილოს, რადგან მას შეეძლო, შესცილებოდა, თუმცა უნდა ვთქვათ, რომ ეს როდენს მოსდიოდა არა ანგარებით, არამედ ბერძნულ მარმარილოთა უსაზღვრო სიყვარულით. ამას ამტკიცებს ის გარემოებაც, რომ ყველაფერი ის, რასაც ის ასე ხარბად ყიდულობდა და აგრეთვე მთელი თავისი ქონება თავის სამშობლო საფრანგეთს დაუტოვა.

ამით მინდოდა, დამეხასიათებინა ამ დიდებულ ადამიანის დიდი გრძნობა და სიყვარული იმ ხელოვნების მიმართ, რომელიც სწამდა მას, და რომელსაც თავის მასწავლებლად სთვლიდა! ბოლომდის როდენი სწავლობდა ბერძნების უბრალო მარმარილოს ნატეხებზე.

მასსოვს, ერთხელ მან დიდხანს უცქირა მარმარილოს ნატეხს, რომელიც ქალის ტორსს წარმოადგენდა, და შემდეგ გატაცებით წამოიძახა: — რა ლამაზი იყვნენ, რა ლამაზნი! ე. ი. წინად რა ლამაზად უცხოვრიათ, როგორ შეგნებული ჰქონდათ სილამაზეო. მართლაც და, ქალის ცოცხალი ტანი ისე გამოკრთოდა ამ ქანდაკებიდან, რომ ადამიანი განცვიფრებაში მოჰყავდა.

ეს ნატეხი ეგდო მისი სახლის გვერდით. მთელი მისი ბალი მოფენილი იყო ამ ბერძნულ ქვებით. როდენს მათი მოვლის თავი არა ჰქონდა, რადგან მოსამსახურეები არ უგონებდნენ მას, რასაც კი დაავალებდა. მოსამსახურეები ფიქრობდნენ, რომ სულ ერთია — დაავინყდებო. როდენს არაფერი არ ავინყდებოდა, მაგრამ სწყინდა, რომ იმ ხალხს, რომელთაც მასთან უნდა ემსახურნათ, არ ჰქონდათ შეგნებული თავის მოვალეობა. საერთოდ უნდა ითქვას, რომ როდენს თავის სამშობლოდან, თავის სახლიდან და თვით მოქანდაკეებიდან არ ჰქონდა ის პატივისცემა, რომლის ღირსიც იყო ეს დიდი ადამიანი. ფრანგებმა როდენი მაშინ დააფასეს, როდესაც ბალზაკის სკანდალმა იჩინა თავი. მაგრამ ამის შესახებ შემდეგ.

იაკობ ნიკოლაძე

## ალექსანდრე ყაზბეგის ავტობიოგრაფიული მასალები და წერილები რედაქციისაგან

დიდი პოეტის, ალექსანდრე ყაზბეგის სახელის გარშემო, როგორც ცნობილია, მრავალი ლეგენდა შეიქმნა. მისი პიროვნება ქართული საზოგადოებისათვის დღემდე მოსილია ერთგვარი საიდუმლოებით. პოეტის შესახებ შეითხზა ბევრი ინსინუაციები; დღემდე გაისმის ის საზიზლარი ჭორი, რომელიც პირველად ფილისტერულ წრეებში დაიბადა, თითქო ყაზბეგის რომანები არ ეკუთვნის თითონ ყაზბეგის კალამს.

ალ. ყაზბეგისგან ჩვენამდე შენახულა ძალიან ბევრი ავტენტიური ხელნაწერები, რომლებიც ინახება ქ. შ. წ. კ. გამ. საზოგადოების მუზეუმში, ხელნაწერები, რომლებიც დღემდე ხელუხლებელ განძს წარმოადგენენ.

მართალია, ამ ხელნაწერთა უმრავლესობა დაუმთავრებელია, მაგრამ მათი მიხედვით შეიძლება ბევრი საკითხების ნათელყოფა.

ამ ფრაგმენტარული ნაწერებიდან, თუმცა ისინი მოკლებულია ყოველგვარ პრეტენზიას, და წარმოადგენენ უბრალო შავებს, დაუმუშავებელსა და შემთხვევითი ხასიათის შენიშვნებს, მაგრამ მათი მიხედვითაც ცხადად სჩანს, რომ მათი დამწერი დიდი შემოქმედი იყო; აქ არის იგივე პათოსი, იგივე სულის წვა, რომელიც გვესმის ყაზბეგის ნაწერებში.

„კავკასიონი“-ს რედაქციამ გადასწყვიტა, გამოაქვეყნოს, ნაწილობრივ მაინც, ეს მასალები, იმ დიდი ინტერესის გამო, რომელსაც იწვევს ალ. ყაზბეგის პიროვნება.

ქვემოთ მოთავსებული ტექსტები დამზადებულია ვახტანგ კოტეტიშვილის მიერ, რომელმაც შეისწავლა ყაზბეგის არქივი.

### I

## წერილი მკითხველისადმი

ეს ფრაგმენტარული შენიშვნა ალ. ყაზბეგისა წარმოადგენს ავტობიოგრაფს. დაწერილია იგი ცალკე ფურცელ-ქალაღზე. წერილი ავტორს აღარ დაუსრულებია.



## მკითხველო!

უკეთუ ეს სტრიქონები, ეს ნაკვესნი გულისა ოდესმე შეგხვდეს, მიუხედავად სხვების საუბრისა, (იცოდე) რომ მათი გაჩენის მიზეზი არც უნიჭიერეს პოეტად თავის წარმოდგენით გაზვიადებულებაა, და არც ის ბრჭყვიალა წადილი.<sup>1</sup>

შორსა ვარ ამ ფიქრისაგან, თუმცა მრავალჯერ უცდია, და ეცდება კვლავაც დამცი-რებული სულითა ძალა მოკლებული, ბოროტებით აღსავსე არსება. მაგრამ მათს სიტყვას ჩემზედ გავლენა არა აქვს. რადგანაც მათი ფასი, მათი მოქმედება იმდენად მიღირს, რამდენადაც დამაშორებს ჩემს გულითადს ჩემს მკითხველს, მას, ვისთანაც ისე მიყვარს საუბარი, ისე მწადის დაკვენება საერთო ვარამზედ!..

და ეს ყველა მწადის წრფელად, ნამდვილად, გულით, და არც არის გასაკვირველი, რადგანაც მე არც ხონელ ვაჭრად აღმიზრდია გრძნობა, და არც კახელ დალალის გულად შემიქნია გული; მე ვარ მთიელი (არა „მთიული“, როგორც ჩვენს ლიტერატურაში გაჭირ-ვებულები მოგვიხსენიებენ ხოლმე), დიახ, მთიელი, აღზრდილი ხალხში, შობილი იქ, სადაც ყმა და მონობა ძველადგანვე სამარცხვინოდ ყოფილა ხალხში, სადაც სიტყვას „ბა-ტონ-ყმობა“ ადგილი არასოდეს არა ჰქონია, და სადაც კაცს პატივისცემა მხოლოდ პირა-დის ღირსებით შესძლება. დიახ, ჩემო მკითხველო! იქ გავჩნდი, ამ ხალხში აღვიზარდე, აქვე ვსწოვდი მთიელი დედა-კაცის რძეს, რომელიც მთლად იყო შემდგარი მთის დიდებუ-ლებით აღსავსე ბუნების ნაწილებისაგან... ვიზრდებოდი მათ შორის, და სანექტარო ნიავე-თან ერთად სმენასა სწვდებოდა ნანა ჩემის მწობელისა, რომელიც იძახდა: ვინ თავისას ვერ სთვისობს, მას აღზრდელის რძე პირიდან წამოუვაო. და შემდეგ, თუმცა ყოველმა შემთხვევამ, თუნდა ავიღოთ თბილისის ასე წოდებული მონინავე-მოთავე ხალხში ტრი-ალმა ვერ დაიმორჩილა ჩემი შემადგენელი ნაწილები, ვერ შეიპყრო და ვერ გარყვნა მათი ძალა, და დღემდის ჩემის სისხლის შემადგენელი არიან მთის ნაკადულში შერეული რკი-ნა და კლდეთა შორის ნაჩეჩქვის წვეთები. მათგან აღზრდილი დღემდე თეთრს ხადის თეთ-რად და შავს შავად, თავისას ჰგრძნობს თავისად და უცხო — უცხოოდ.

ამ პირობებში მყოფისთვის, დამეთანხმე მკითხველო!.. ჩემთა საერთო საკვენესავი უცხოოდ ვერ დარჩება ჩემთვისაც, და ჩემი არსება გადაბმულია ჩემის ქვეყნის არსებასთან უხილავის ძალით!.. სადაც უნდა ეტკინოს ჩემსას, მისვე ტკივილი მეც მაგრძნობინებს, და მის გუნების გვარად მოაწყობს ჩემს გუნებასაც. ამ დღეში მყოფს, წადილი ნაღველის ამოღ-ვრისა თავის მახლობელთან, თავის არსების შემადგენელს ნაწილთან არის წესიერი, ჩვეუ-ლებრივი და აუცილებელი მოვლენა! მისი გამოთქმის უფლება აქვს ყველას. საერთო ტკი-ვილის დროს კვენესა ესრეთისა არის უფლება თვითოეულისა და წმიდა მოვლენის შეხება უწმინდურის ხელით არის კაცისთვის უღირსი საქციელი, მისთვის დამამცირებელი საქცი-ელი. ამ ფიქრებმა, ამ აზრმა დაბადა ჩემი პიესები, მოთხრობები და ლექსები. პირველისავე ნაბიჯიდან მე მივეც ერთი მიმართულება ჩემს ნაწერებს, და დღემდე მივსდევ მას...

მივსდევ მას, თუმცა ერთგვარ საგნობისთვის ბევრჯელ... გარჩეული კი არა, რადგა-ნაც ჩვენში დღემდის შრომის ღირსების გარჩევა არ არის, არამედ პირადი ლანძღვა...

მაგრამ რა ვქნათ?.. ეს არის ჩვენი ბედი და მისგან გაქცევა ვერა სთავსდება მთიელის არსებას... ის კვენესავს მასზედ, რაც სტკივა, იმიტომ რომ ავადობს და პირდაპირია. ჭირში დავიწყებულს პირადს ანგარიშს შორს გაუტაცია პირადი ანგარიში, და ავადობს ისე და იმიტ, რა დღეშიც ირგვლივ მყოფნი არიან, და როგორც ისინი ჰკვენესიან... რითაც და რა

1. ფრაზა დასრულებული არ არის; ტექსტში ამას მისდევს ასეთი დაუმთავრებელი წინადადების ნაწყვეტი: „მუშური ან მსგავსისა, რომელიც მშრომელის თავმოყვარეობა და სახელის მოხვეჭა სურ-დეს“ (აქედან უკანასკნელი შვიდი სიტყვა ნაშლილია ავტორის მიერ).

რიგითაც უნდა გამოგელაპარაკო, ჩემო მკითხველო! რიგი სულერთია და გამკიცხავს მხოლოდ სულით დამდაბლებული, რადგანაც საქმის მოკეთების მაგიერ, თავის გარჩევის მაგიერ, სხვის ცხოვრებას ჰქექავს და ცდილობს სხვის დამდაბლებით თვით აინიოს.

მიიღე, ჩემო გულისავ, ეს რვეული, და თუ ცოტადაც გაგართო, ამოგაქმნა, ჩემს ქმენასთან ერთად, ბედნიერი ვიქნები. ძვირფასია თანამგრძობელი ჩემებრ ობლისათვის. მეტადრე იმისი თანაგრძობა, ვისთვისაც შენ თავად ავადობ და ჰგმინავ, ვისთვისაც ერთი ამოსუ...

(წერილი, როგორც აღვნიშნეთ, ავტორს აღარ დაუსრულებია და შეწყვეტილია ნახევარ სიტყვავზე).

## II

### აღ. ყაზბეგის შენიშვნები იონა მეუნარგიას წერილზე: „მოძღვრის გამო“

იონა მეუნარგიამ 1886 წელს, „ივერიის“ 91 №-ში დაბეჭდა წერილი აღ. ყაზბეგის რომანის შესახებ „მოძღვრის გამო“. ქვემოთყვანილი შენიშვნები აღ. ყაზბეგისა გამოუწვევია მეუნარგიას ამ წერილს.

ყაზბეგის შენიშვნები წარმოადგენს დიდს რვეულს და შეიცავს სულ 46 ფურცელს (ინახება იგი ნ. - კ. ს. მუზეუმში, №3993; ყაზბეგის ავტოგრაფი).

მიუხედავად იმისა, რომ ეს ტექსტი არ არის დამუშავებული და შემთხვევითი შენიშვნების სახე აქვს, მაინც იგი მეტად მნიშვნელოვანი დოკუმენტია. აქ ჩვენ ვეცნობით ყაზბეგის ინტელექტუალურ სახეს, მის შეხედულებას პოეზიაზე და სხ. და ჩვენ ვხედავთ, რომ აქ არის მთელი რიგი ისეთი ხაზებისა, რომლებიც შუქსა ჰფენს ყაზბეგის შემოქმედებას.

საჭიროა მთლიანად გამოცემა ამ საყურადღებო დოკუმენტისა, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, საკმაოდ ვრცელ ტექსტს წარმოადგენს (46 ფურცელს).

ამ ტექსტის ფორმის შესახებ საჭიროა აღვნიშნოდ, რომ იგი დანერილია არა როგორც ერთი მთლიანი გაბმული წერილი, არამედ წარმოადგენს ცალკე, თითქმის ერთი-მეორისაგან დამოუკიდებელ ფრაგმენტებს. ცალკე დამოუკიდებელ შენიშვნებს. მოგვყავს აქ ერთი ნაწილი ამ ფრაგმენტებისა.

\* \*

„ის (მოჩხუბარიძე) უნდა დარჩეს მთის მოარშიყედ, მის მაქებრად, მის ომროსად, როგორცა სთქვა გრიგოლ ორბელიანმა“.<sup>1</sup>

მომიტყვეთ, თუ შეცდომას გაგისწორებთ. გრიგოლ ორბელიანმა ეს სიტყვები ცოტა სხვა რიგად მიაწერა ჩემს მოთხრობას „მამის მკვლელს“. ეს ნომერი ეხლა თვალ წინ მიძევს და თქვენს სიტყვებს ვამონმებ. აი, რა სწერია მოთხრობის დასაბოლოვებელი ფელეტონის ბოლოში: „ქართველების ომეროს არის, შაბაშ!“ მე დიდს მნიშვნელობას არ ვაძლევ ამ სიტყვებს და არც დიდს ღირსებად მიმაჩნია მათი გაგონება, რადგანაც არც საკვირველ და არც თავმოსანონებელ ღირსებათ ჩაითვლება, ბ. მეუნარგია, რომ თქვენისთანა მწერალთ შორის, უანგაროს და გულით მოყვარე ქართველს, ქართულ ლიტერატურაში ახალი რამ ომიროსის ნაწარმოებად ეჩვენოს, მაგრამ არ შემოიძლიან მივხდე, რისთვის სწენავთ ფაქტებს. თუ გრიგოლ ორბელიანის სიტყვებს მნიშვნელობას აძლევთ რასმე, მისგან ერთ მოთხრობაზედ მიწერილი ისე რად მოგყავს, რომ მკითხველმა თქვენის სურვილისამებრ მიაწეროს სხვა მოთხრობას, და თუ მნიშვნელობას არ აძლევთ, და რაღად მოგყავთ იმისი სიტყვები.

თქვენ გრიგოლ ორბელიანის სიტყვები მოგყავთ ისე, როგორც დამამტკიცებელი საბუთი თქვენის აზრებისა და იმ სიტყვების შემდეგ, სადაც აღწერილობის და ეტნოგრაფიულ ცნობების იქით ნაბიჯის გადადგმის ნებას არ მაძლევთ, და გრიგოლ ორბელიანის

1. ფრჩხილებში მოთავსებული სიტყვები არის ციტატა მეუნარგიას წერილიდან.

სიტყვები კი მიწერილია „დროების“ ნომერზედ, ფელეტონის ბოლოში, სადაც ერთი სიტყვაც არ არის არც ეტნოგრაფიულ სახისა და არც აღწერითი მხარისა. სინიდიანი, არამც თუ კრიტიკა, არამედ მოკლე ბიბლიოგრაფიული ცნობაც კი ითხოვს უეჭველს ჭეშმარიტებას, სისწორეს, მიუდგომლობას და უანგარო დამფასებლობას.

მე არა მაქვს დასახული მიზნად სახელი უკვდავად გავიხადო, და არ მივიბრძვი უკვდავ შექსპირის გამოკვლევას მივყო ხელი, მე არ ვხატავ ლირებს და ჰამლეტებს, ჩემსა მოძმეთათვის გაუგებარ პირებს. მე ველტვი ჩემს ქვეყანას, კეკლუცს და შემკობილს, ველტვი მის ბუნებას, რომელმაც აღზარდა და შეიფარა ჩემი მოძმენი. შევხარი იმათ და ვტირი იმ ტირილით, რომელიც გვასწავლა მისმა მოქმედებამ. მთა რომ ჰკვნესს და ჰგმინავს, ჰაერი რომ ირევა და გოლიათნი ნისლით იბურდებიან, ღრუბელი რომ ცრემლებს (ღვრის), და ზვავი მოხუის, ნყალი რომ მთიდან გამედგრებული გადმოჰქუხს და ანკარა ნყარო ლექსავით მოკანკარებს, ეს ყველა ცოცხალი სამაგალითო გაკვეთილებია მისი შვილებისთვის. მთიელთ გარს ეხვევა ეს ყველა, მოქმედობს მის აღზრდაზედ და იფერადებს, ასურათებს მათ მოქმედების ყალიბობისამებრ. და ეს ყველა, მართალია, შესამჩნევ აღსაწერია, მაგრამ მისგან განშორებული ცხოველი აღწერილობის დროს, ამ ცხოველის ცხოვრების და სულის მოძრაობის ჩრდილში მოფარება, მოფხეკა მოთხრობის მწერლისაგან შეუძლებელი უღირსობა იქნებოდა ანგელოსებრივი გვამი უსულოდ, უძრავად, უიმცეცხლოდ, რომელიც ცხოვრებას აცხოველებს და ამშვენნიერებს, იქნებოდა მხოლოდ გაყინული, უაზრო საგანი, რომლის ტრფიალიც მე არ შემიძლიან, და თუ სხვებს, საფრანგეთში აღზრდილს, ა-ლა — მეუნარგიებს შეუძლიანთ, ღმერთმა ხელი მოუმართოს.

\* \*

„მაგრამ ვსთქვათ, რომ მოჩხუბარიძე დარჩეს თავის ქერქში!“ ნუ ვსთქვათ, ბ. მეუნარგიავ, რადგანაც მოჩხუბარიძე ოჩნობას შეჩვეული არ არის, მისი სული მიიბრძვის და ერთადგილას შეგუბებული ვერ დახავსდება, ვერ აყროლდება.

\* \*

„ერთი და იგივე საგანი, რომელსაც ბ. მოჩხუბარიძემ ექვსი თუ შვიდი თვის მოთხრობები შესწირა, (ვის) შეიძლება, რომ შეიძლება თუ არა, გაუხდეს იმას, შეიძლება რომ გაუხდეს მასალად შემდეგის მოთხრობებისთვის“ (ცოტა ბნელად არის გამოთქმული, მაგრამ ყვავს რომ კაკალი ვაადგებიანთ, ისიც კარგი არისო, ამბობს ანდაზა). ელგუჯა, მამის-მკვლელი, ელისო, მოძღვარი (სხვები რატომ აღარ ჩამოთვალეთ? ციცკა, ელბერდი, ციცია, ბერლა, ხევის ბერი გოჩა, ელეონორა, ნუნუ, ციკო და კიდევ რამდენიმე, რომელიც ჯერ არ დაბეჭდილა?).

მაგრამ მესმის, აქ ერთი და იგივე მოვლენა არის, რაც იყო პირველად ჩემს ჩამოსვლაში, დრამატიულ კომიტეტის შესახებ. მაშინ იგი დააფრთხო ჩემმა ნაწერ პიესების რიცხვმა, და ეხლა თქვენ დაგაფრთხოთ ჩემმა მოთხრობების რიცხვმა. რა უყოთ? ეგეთი ხასიათი მაქვს. როცა ჩაუჯდები წერას, თავს ველარ ვანებებ ხოლმე, და ამიტომ იწერება ამდენი. მუშაობის დროს ერთხელ არ მომივა თავში, რომ ამა და ამ ადგილას ეხლა შამფანსკისა სმენ და ეგებ მეც დავესწრო, ემა და ემ დროს, ამა და ამ საპატიო პირს გაცინება ეჭირვება და ეგების სანაკვესო რამ ჩაუტანო.

ნუ დაგავიწყდებათ, რომ ეს სულ ფსიქოლოგიას მიეწერება და ნიშადურ ამოსმული ვინც დააჭენებს, მისი სულიც კუდსა და ყურებს იქნევს. მართალია, გონჯათ, მაგრამ მაინც იქნევს.

თქვენ კი ამბობთ: „ერთი და იგივე ლიტერატურული ხორცი და ძვალი აქვსო, ერთსა და იმავე ნიადაგზედ არის აშენებული მხოლოდ და იმაში მხოლოდ სხვა და სხვა შინაარსი

არისო, „ელგუჯას“ შემდეგი მოთხრობანი გვარწმუნებს, რომ მოჩხუბარიძე გამეორდება და რაც უნდა დასწეროს, ერთი და იგივე მოთხრობა გამოვაო“.

დღემდის მომეტებულად მე ვსწერდი მოთხრობებს მთის ცხოვრებიდან, და ვცდილობდი დამეხატა ის წმინდა ჩვეულებანი, ადათები და წესები, რომელიც ხალხის გონივრებამ მიიღო და დაადგინა თავიანთ ერობაში. ოდესმე ყოვლად შეუძლებელია, რომ ჩვენი ცხოვრების პირობათ თავიანთი დასაწყისი ამ წასულიდან არ მიიღონ. მე ვცადე, ამ წესებთან გამეცნო ხალხი, გამეგებინა, რა გავლენა ჰქონდა ხალხზე და რამდენად შეიძლებოდა მათის ხელმძღვანელობით ურთი-ერთ შორისი მორიგება, ცხოვრება და დამოკიდებულება. მივმართე მათ ხელის შემშლელ მიზეზებს და მათი აწმყო მდგომარეობის გამონახვა ვისურვე. მე მესმის ამ გვარი შრომა, ამ გვარი მოთხრობა და ვალვიარებ ამათ სარგებლობას. ეს იყო მიზეზი, რომ ასე გულმოდგინედ ვმუშაობდი, თორემ კაცმა რომ ასწეროს ბუხარი სრული დაწვრილებით, შეადგენინოს მკითხველს სრული წარმოდგენა მისი და შიგ არ ჩაურიოს მისი გავლენა კაცზედ, მე არ მესმის, არც მიზიდავს სამუშაოდ. არც ვგონებ, საზოგადოდ ამ გვარს აღწერილობას ჰქონოდა ის მიმზიდველობა, რომელსაც აღძრავს ხოლმე კაცის გულში მოთხრობაში ჩართული ცხოველის მოძრაობა, კაცის სხვა და სხვა გვარი გრძნობა, ეპიზოდები და სხვა. ბუნება კარგია მხოლოდ მაშინ, როდესაც შიგ სიცოცხლე ტრიალებს და ბრუნავს; ბრუნავს იმ სიტუბო და სიმწარე შერეულის ძალით, რომელიც ადამიანის თვით ცხოვრებას შეადგენს. რა არის მთვარე მოკაშკაშე, რომელიც აშუქებს ათას ყვავილებს, თუ იქავ გვერდს არ უდგას სულდგმული, რომელზედაც ასე თუ ისე გავლენა აქვს. გავლენა აქვს, ახარებს, თუ ჩანყვდიადებულს გულს ნუგეშს აძლევს. მე არა ვარ მლოცველი უსულო, უსიცოცხლო საგნებისა. ვერც ჩემი ოცნება, ვერც ჩემი გონება, ვერც ჩემი კალამი ვერ მიუბრუნდებიან მკვდარს, მოქმედება მოკლებულს საგანს...

ამგვარად, ბ. მეუნარგიამ გადაამწყვტა, რომ ფსიქოლოგიურს აღწერას არ მივეკარო, და მეგონა, გათავდა იმის მოთხოვნა! მაგრამ უკაცრავად! აი, ფელეტონის მესამე გვერდზედ პირველ კლანის (?) დასაწყისიდანვე რას მიწერს:

„კავკასიის ბუნება და კავკასიის ერი ყოველ დღე და ყოველს წამს სხვა და სხვაობას წარმოადგენს“(!)...

მატემატიკურად მართალი ხართ, ნამეტნავად ბუნების შესახებ. დილით გრილა, შუადღისას ჩამოცხება და საღამოზედ ისევ აგრილდება ხოლმე. ამ ხნის განმავლობაში, წუთსა და წუთს შუა ცვლილებაა: ჯერ სიცივე სითბოში გადადის და შემდეგ შეხურება წყნარ-წყნარად ნელდება. ხანდისხან, როგორც არაჩვეულებრივი მოვლენა, სიცივის მაგივრად ჩამოცხება და სიცივის მაგივრად აცივდება. მერე? და ყველა ამას შეუძლიან შინაარსი მისცეს მის ახალ მოთხრობას.

თუ ზამთარ-ზაფხულზედ, შემოდგომა-გაზაფხულზედ, შხაპუნა და წყნარ წვიმაზედ, ქარიან და ყუჩ დღეზედ, მოღრუბლულ და მოწმენდილ ცაზედ ლაპარაკობთ, ესენი შეძლებისამებრ ამიწერია, ამათ მოუციათ მასალა ჩემის მოთხრობების შესანელებლად, და აღარ ვიცი, რისთვის მირჩევთ ამის სარგებლობას. თუ ბუნების ყოველწამიერს ცვლილებაზედ ლაპარაკობთ, მაგის გადმოსაცემად ბარომეტრები და ტერმომეტრები გახლავს, და ისინი იცვლებიან ჰაერისა და სითბო-სიცივის ცვალებადობასთან ერთად. მე რომ ამიყვანოთ მთაში და ამ ინსტრუმენტების მაგივრათ დამაყენოთ ჰაერის მოძრაობისას, ბევრს ვერას გაიგებთ, რადგანაც სიცივესაც და სიციხესაც ადვილად ვიტან და არავითარ ცვლილებას არ შეგამჩნევინებთ.

მაგ დანიშნულების აღსასრულებლად ყველაზე გამოსადეგი თქვენ იქნებით, რადგანაც სხვათა ფრთას ქვეშ ყოფნას, სითბოს და ფუფუნებას შესჩვევიხართ და ერთს ფერდოზედ რომ გასდგეთ, ქარი დაგიბერამსთ თუ არა, მაშინვე ცინგლები ჩამოგედინებათ...

ეს იქნება ნიშანი, რომ სითბოს მაგიერ სიცივე დადგა და მიაღწევთ თქვენს იდეალს, თქვენს საოცნებო მწერალს შეხვდებით და ეს ჰენისი იქნებით თქვენ თითონ!.. რამდენი ნეტარებაა?! რაც შეეხება ხალხის ცვლილებას, მათს სულის მოძრაობას ჩემს მოთხრობებში შევხებივარ, მაგრამ დღემდის ხელი არ მომიკიდია იმისთანა კაცისთვის, ვისაც კვირაში შვიდი პარასკევი აქვს და შვიდი შაბათი, და გაძლევთ სიტყვას, რომ ეხლა ხელი მოვკიდო ამ საგანს და ყოველი ღონის-ძიება ვიხმარო სრულის ჭეშმარიტებით აღვწერო მათი სულიერი მოძრაობა და დანვრილებით გამოვიკვლიო, რა ათქმევინებს ეს თეთრია იმიტომ, რომ შავია და შავი იმიტომ, რომ თეთრია.

მაგრამ მოითმინეთ, თითქოს თქვენ აღმიკრძალეთ სულის მოძრაობის შესახებ ხმის ამოღება? აქ სრულიად სხვა პროგრამას მაძლევთ?

\* \*

„სულიერს მოძრაობას თავი დაანებეთ და მიხედეთ საფრანგეთის გამოჩენილს მწერალს ზოლასაო, რომელმაც ათჯერ აწერა ერთი და იგივე პარიჟიო“. ზოლამ კი არ აღწერა ათ გვარად პარიჟი, — ეს სრული უკანონობა, ჭეშმარიტების და სიმართლის დარღვევა იქნებოდა, არამედ ზოლამ აღწერა ის გუნება სულიერულის მდგომარეობისაგან აღძრული, რომელიც ამ წერილში გამოყვანილის გუნების შეცვლისამებრ პარიჟიც სხვადასხვა სახით ეჩვენებოდა. ამ აღწერაში ზოლა თავის ქეიფს კი არ აჰყვებოდა, არამედ სრულიად უნდა დამორჩილებულიყო მისგან გამოყვანილის გმირის სულიერ მოძრაობას, და რამდენადაც მის მოძრაობის სინამდვილეს დაუახლოვდებოდა, იმდენად მოთხრობას მეტი ღირსება მიეცემოდა.

აქედანა სჩანს, რომ ეს მოთხრობა ზოლასი შეეხება წმინდა ფსიხიურ მოვლენის აღწერას, რომლის მიკარებასაც ისე მაშორებს ბატ. მეუნარგია, და ამავე დროს კი მაგალითად მიყენებს ზოლას ამ წერილს და მიქადაგებს, რომ ჩემს შემდეგ შრომაში ამ მოთხრობით ვიხელმძღვანელო.

\* \*

მეუნარგიას სიტყვების გამო: „პირველი ნაკლი „მოძღვრისა“, რომელიც საზოგადოა ყველა მოჩხუბარიძის მოთხრობისა, არის პლანის უმნიშვარობისა, და რაღაც საჩოთირო ნაწერში გაუდნობელი და ნაწერისაგან მოუნელებელი ლიბერალური ტენდენცია, რომელიც ჯირკვივით დაუპატიჟებელი გორავს. ამ ტენდენციას და რომანის მშვენიერებასთან ისე არ მოხერხდება შინაური შეკავშირება, როგორც წყალსა და ზეთს შორის“.

ამის საპასუხოდ ა. ყაზბეგი სწერს:

მომიტყვეთ, ბ. მეუნარგიავ, და ამაში ვერ დაგეთანხმდებით. როდესაც საზოგადოდ მოთხრობა იწერება, შიგ ტენდენცია, აზრი საფუძვლიანად უნდა იყვეს ჩარეული და მე არა მწამს იმათი ნაწერები, ვინც აზრის გაუტარებლად უსულო სურათებს ხატვენ. აზრი უეჭველად უნდა იყვეს ყოველ უბრალო აღწერაშიც, მხოლოდ აზრით გადამახინჯება მოთხრობისა, აგრეთვე როგორც სხვა მხარეებით გადამლაშება, მართლა არ ვარგა. როდესაც აზროვნება და სურათოვანება ერთმანეთს წესიერად შესზავდებიან, მაშინ მოთხრობის ღირსებისათვის უკეთესი სანატრელი აღარა რჩება-რა“ (იქვე).

თუ ამ მხრივ „მოძღვარში“ რომელიმე შემადგენელის ნაწილის გადაჭარბება ნახეთ, მიჩვენეთ და მე შევასწორებ, თორემ უამისოდ მარტო ლიტონის სიტყვების სროლა ემსგავსება ცარიელის ქვევრისაგან ხმაურობის უაზროდ გამეორებას.

ამასთანავე იქონიეთ მხედველობაში, რომ ამ მოთხრობაში ვხატავ იდეალურ მოძღვარს, ისეთს მოძღვარს, რომელიც წირვა-ლოცვის დროს მლოცველს ხელში კი არ შეჰყუ-



რებს და უმაღლესის მოვალეობის აღსრულების დროს დახლზედ არ ფიქრობს. ჩემი „მოძღვარი“ ხალხის და ქვეყნისთვის თავ-განწირულია, ის აღზრდილია უმაღლეს კანონთა — სახარების გავლენის ქვეშ და ეს სწავლა იქამდის ტენდენციონური არის, რომ თვით ჩემი „მოძღვარიც“ თუ არ იდეალურს, ტენდენციურს ქმნილებათ, სხვა გვარად ვერ გამოიხატებოდა. როდესაც ჩემმა „მოძღვარმა“ უპატრონოდ დაგდებული ყოვლად დავრდომილი და სავანეს მოსპობილი ქალი სახლში შეიყვანა, „მოძღვარს“ ონოფრეს უეჭველად უნდა ემოძღვრა იმისთვის და მას რომ მოძღვრობის მაგივრად არშიყო და ენყო, მაშინ ის მოძღვარი კი აღარ იქნებოდა, არამედ წარმოგვიდგენდა ერთს იმ გალექნილს ყმანვილ-კაცთაგანს, რომელიც სავალალოდ ისე გახშირდა ჩვენში და ისე ურცხვად დაკარგა პატივიც, ნამუსიც და თავის სამშობლოსებური, ყოველთვის სახელგანთქმული ნამუსი.

ამით მე არ მინდა, შევაქო ჩემი „მოძღვარი“, მის ღირსებაზედ და ნაკულოვანებაზედ არ ვლაპარაკობ, მისი გარჩევა მომავლის კრიტიკის საქმეა, იქნება თქვენი აზრი „მოძღვრისა“ და სხვა ჩემი მოთხრობების შესახებ საბუთებით დაამტკიცოს ამ მომავალმა, იპოვოს სრულიად უვარგისად და აქ დამნაშავე იქნება ჩემი უხელოვნება და არა გულმოუდგენლობა, რასაც ისე ადვილად მაცვედრებს ბ. მეუნარგია.

მე ვწერ „მოძღვარს“ და სხვა მოთხრობათა, ისე როგორც ვწერ სათეატრო პიესებს. არც ერთს და არც მეორეს შემთხვევაში არ ვხელმძღვანელობ წადილით — უკვდავის სახელი დავიმსახურო. არც ოცნება მიტაცებს ამის შესახებ; სასყიდელი, მატერიალური საშუალება სრულიად არაფერი და ბევრჯერ, ძალიან ბევრჯერ მრავლად და უხვად ლანძღვაც კი, მაგრამ მე იმათ არ დავსდევ, რადგანაც ვხედავ, რომ ჩვენს თეატრს რეპერტუარი აკლია და ვცდილობ, დაუნერო რამ, ვხედავ, რომ მკითხველს საზოგადოებას ბელეტრისტიკა აკლია და ვცდილობ მივცე რამე, ვწერ, ვმუშაობ მათთვის და იხმარონ ის, რაც გამოსადეგი იყვეს, რაც არა, მათი მომავალი წინადავე გადანყვეტილია. ასე, ჩემო ბ. მეუნარგია! მე ვშრომობ ისე, როგორც გონება გამინვდება და ჩემს ხალხს ვაძლევ იმას, რაც შემოძლიან. თქვენ კი გადამკიდებისართ ანაბარა, უკეთ ემსახურეო! ბიჭო და მე, კარგად თუ ავად ვემსახურები მაინც რასმე ჩვენს საერთო საქმეს და იმათ მიუბრუნდეთ თქვენის მოთხოვნილებით, რომელნიც სრულიად არას აკეთებენ?.. ხანდისხან არ ემჯობინება, სარკეში ჩავიხედოთ ხოლმე და სხვას მაშინ უთხრათ: „ბიჭო, პირი გაინმინდე, მური გცხია?“ დიახ, სჯობს, მაგრამ მიუბრუნდეთ ბ. მეუნარგიას ნაწერ „შედეგს“. ამით ათავებს ბ. მეუნარგია თავის „მოძღვრის გამო“ საუბარს და სწორედ რომ დაბოლოებაცა ღირს:

„მაგრამ არ შემოძლიან კიდევ ორიოდე სიტყვა არა ვსთქვა (სთქვით, ბ. მეუნარგია, ოღონდაც მკაფიოდ კი სთქვით). ვინ იცის, ბეჭვდითი სიტყვამ უფრო შეაგონოს ბ. მოჩუბარიძე, ვიდრე კერძო ლაპარაკმა და ამ ლაპარაკით ხომ იმას ყველასაგან ნაცნობ-მეგობრებისაგან თავი მოვაძულეთ ლაპარაკით. მე ვამბობ დრამატიულ ელემენტზედ“ და სხვ... შესცდით, ბ-ნო მეუნარგია! უბრალოდ მაბეზღებთ საზოგადოებასთან, იმას ჩემთვის არა მოუცია რა და ვერც არას წამართმევს...

მე საზოგადოებას ჩემის ნება-ყოფლობით ვაძლევ ჩემს შრომას და საზოგადოება იქამდის გონიერია, რომ არ აიცდენს მიხვდეს თქვენს ენის ტანტალობის მიზეზს. სწორედ, რომ დაგიჯეროს საზოგადოებამ და სრულს ჭეშმარიტებად მიიღოს თქვენი სიტყვები, რა უნდა მიყოს? სურსთ თქვენს ყურის დამგდებლებს, მიიღოს უანგარო შრომა მათთვის მუშა კაცისაგან, მათი ნებაა. არ მოისურვებენ, ქალაქსა და კალამს ვერავინ გამომაცლის ხელიდგან. მე მყავს ჩემი საზოგადოება, და ჩვენ მივხვდით ერთმანეთის გრძნობას, ერთმანეთის გულის-ძგერას, ჩვენ გავიგონეთ ერთმანეთის გულის კვნესა და ხმები, დიდი ხანია, რაც შევანყეთ. ერთი გვაქვს სიხარული და ერთივე სამგლოვიარო. ჩვენ ხმა მიუცემ-



ლად ვერ დავდგებით. მე მყავს ჩემი მკითხველები, და რა რიგ ბუნდადაც უნდა იყვეს და-ნერილი ჩემი მოთხოვნები, იმათ მაინც ესმით მგოდებელის გულის გმინვა და ცრემლებს არ იშურებენ მის დასატირად. როდესაც ეს მხურვალე ურთიერთობა საზოგადოებას და ჩემისთანა განდევილს, საერთო ნაგრძნობის სიმხურვალით ერთმანეთს შეაერთებენ, ამ კავშირს ნუ ეხუმრებით, ბ. მეუნარგია! მისი განყვეტა ეგრე ადვილი არ არის...

## ქართული კულტურის საკითხები

### ქართული კულტურის მატრიანე

(თვიური მიმოხილვა)

ჩვენი თანამედროვე ცხოვრების მიმოხილველი, თუ მარტო ზედა პირზე არ შეჩერდება და ღრმად ჩახედავს გარემოებას გულში, ერთს დიდათ მნიშვნელოვან მოვლენას შენიშნავს. ვგულისხმობ იმ ღრმა ცვლილებას, რომელიც მოხდა ქართველი ერის სულიერი ცხოვრების ვითარებაში უკანასკნელი ათეული წლის განმავლობაში. ჩვენი ისტორიის ფურცლებზე ეს ხანა აღინიშნება, როგორც დასაწყისი დიდი ხნით სულიერ მონობაში მყოფი ეროვნული მასის უჩვეულო გამოფხიზლების და საზოგადოებრივი თვითგამორკვევის.

ხალხის საზოგადოებრივი და ეროვნულ-კულტურული თვითცნობიერება სწორედ უკანასკნელ ხანებში გაიზარდა. მან თვალი ჩაიბრუნა შიგნით და იგრძნო მწარე სირცხვილი თავის წარსული მონობისათვის, გაუჩნდა გულისნუხილი თავის ეროვნული აღორძინებისათვის.

ეროვნული შეგნებულობა დღეს გაცილებით დიდია. ამ გარემოებას განუზომელი მნიშვნელობა ექნება საერთოდ მთელი ჩვენი თანამედროვე სოციალური აღმშენებლობისათვის და განსაკუთრებით კულტურული შემოქმედებისათვის.

ჩვენს ჟურნალში, ჩვენ ვეცდებით, სისტემატიურად გავაშუქოთ ამ კულტურული შემოქმედების პროცესი და აღვნიშნოთ ღირსშესანიშნავი მოვლენები ჩვენი შინაური კულტურული ცხოვრებიდან. ამ მხარეს ჩვენ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ. კულტურის თვითარსებობისა და აყვავებისათვის გვმართებს ძალ-ღონის გაათასკეცება, სიმტკიცე და თავგამომეტება. ის ერი, რომელიც კულტურულ ღირებულებათა შექმნაში ნიჭსა და უნარს ვერ გამოიჩენს, შეუბრალებლად დაინთქება ისტორიის დავინყების უფსკრულში.

ამ ჟამად ჩვენ თვალს გადავაავლებთ ქართული კულტურის მხოლოდ ზოგიერთ საკითხებს.

\* \*

ქართული კულტურის მორიგ საკითხთა შორის ერთი პირველ ადგილთაგანი უჭირავს — ქართველ მუსლიმანთა კულტურულ ამაღლებას და ეროვნულ გაცნობიერებას. იშვიათია საკითხი, რომელიც ამას შეედრებოდეს თავისი მნიშვნელობით და უაღრესობით. სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ ჩვენი ცხოვრების ამ მხარეს წარსულში ყოველთვის ნაკლებ ყურადღებას ვაქცევდით. ამის მიზეზი ჩვენი საერთო სულიერი დავარდნა გახლდათ. დღეს ამ ნიადაგზე კანტი-კუნტად მუშაობა აღარ გვარგია და ურყევი კულტურუ-

ლი ხიდის გასადებად ჩვენსა და მუსლიმან ქართველთა შორის უნდა შეიკრას და ამოძრავდეს მთელი ჩვენი თაობა. ამისათვის არავითარი მსხვერპლი არ შეიძლება ჩაითვალოს დაკარგულად. ქართველი ერი არასოდეს არ იქნება ერთი და განუყოფელი, თუ მას გვერდში არ ეყოლა ისტორიულად განუყრელი, კულტურულ-ეროვნულად გაცნობიერებული მაჰმადიანი ქართველობა.

მაგრამ არ უნდა გვავიწყდებოდეს, რომ საზრუნავია არა მარტო საქართველოს ქართველ მუსლიმანთა ნაციონალური აღორძინება. საზრუნავია აგრეთვე მუდმივი კულტურული ძაფის გაბმა, კულტურული ურთიერთობის დამყარება ოსმალეთის და სპარსეთის მუსლიმან ქართველობასთან, რომელიც დროთა საშინელებას სამშობლოდან შორს გადაუტყორცნია და რომელსაც, მიუხედავად სასტიკი გადამგვარებელი ტალღების ცემისა, კიდევ შერჩენია ეროვნული ვინაობის ნიშნები — ენა და ხასიათი. ჯერ კიდევ თვითმპყრობელობის დროს ვახერხებდით ლაზისტანში ეკონომიური და კულტურული დახმარების ორგანიზაციის მონაწილას, რომელსაც მეთაურობდა მაშინდელი საქველმოქმედო საზოგადოება, მით უფრო შესაძლებელია ეს დღეს. საქმეში უნდა ჩაებან თვით მოწინავე მუსლიმანი ქართველები, რომელთაც ღრმად აქვთ შეგნებული ჩვენი ნაციონალური განუკვეთელობა.

ამასთან, დავიწყებული არ გექნებათ სამასი წლის წინად სპარსეთში გადაკარგული ფერეიდანელი ქართველობა, რომლის წარმომადგენელმა — სეიფოლა იოსელიანმა შარშან, თითქმის მთელი წელი დაჰყო ჩვენ შორის. ცოდვა გამჟღავნებული სჯობია, ჩვენ მას ღირსებულად ვერ შევხვდით, ვერ დავაკმაყოფილეთ, ვერ აღმოვუჩინეთ ის დახმარება, რომლისთვისაც იგი შორი გზიდან ჩამოვიდა მოძმეთაგან დავალებული. მას ვერ გავატანეთ ვერც მასწავლებელი, ვერც ექიმი, ვერც წიგნი. ეს დანაშაული უნდა გამოსყიდულ იქმნეს. ყოველ შეგნებულ ქართველს, ვინც უნდა იყოს ის, მუდამ ძარღვებში უნდა უვლიდეს სეიფოლა იოსელიანის გამოსათხოვარი წერილი, სადაც გულდამწვარი გვეუბნება: „ჩონ ფერეიდანელ ქართველებს, მუდამ სამშობლო და საქართველო რო გვაგონდების, თქვენც ხანისხან მოგვიგონოთ და არ დაგვივიწყოთ! მე გეთხოვებით, მივდივარ, არა, მე არ მივდივარ, ჩემი ტანი მიდის, მაგრამ ჩემი სული და გული აქა რჩების“. ფერეიდანელი ქართველები, სეიფოლა იოსელიანის თქმით, იმედოვნებენ, რომ „ჩონ ძმებს ჩონსათი გული დაეწების და რამენაირათ დაგვეხმარებიან, სასწავლებელს გაგვიხსნიან, რომ ჩონმა შვილებმა ქართული წერა-კითხვა ისწავლონ და ჩონჩი ამის იქით გაიბმება ძმური კავშირი. აი, ამიტომ მე ჩონმა ფერეიდანელმა ქართველებმა გამომგზავნეს აქ ჩონ დაკარგულ სამშობლოში რომლისაკენაც ეს სამასი წელიწადია, ჩონი სული და გული იჭრიტების“.

საუკუნო სირცხვილში ჩავვარდებით, თუ ქართველობა არ გამოეხმაურა „ფერეიდანულ საქართველოს“ ძახილს. იმედი უნდა ვიქონიოთ, ამ საქმეს განსაკუთრებულ გულისყურს მიაპყრობს და გაუძღვება ის „ქართველ მუსლიმანთა დამხმარე კულტურული საზოგადოება“, რომელმაც, რამდენადაც ვიცით, ახლო მომავალში უნდა დაიწყოს მოქმედება.

\* \*

დიდი ყურადღების ღირსია აგრეთვე, ჩვენი მოძმე უდინთა საკითხი, რომლის გასაძლიერებლად აგერ წელიწადზე მეტია არსებობს „ქართველ უდინთა დამხმარე საზოგადოება“. უდინთა ისტორია მეტად საინტერესოა. ისინი საქართველოს გარედ, ნუხის რაიონში ესახლენ და ისტორიულად განიცდიდნენ დევნასა და შევიწროებას უცხოთა შორის. მათი სული მუდამ საქართველოსკენ ილტოდა. ყოველთვის ქართველი ერისაგან ელოდნენ შველასა და დახმარებას. მაგრამ ჩვენ წარსულში აქაც ვერ გამოვიჩინეთ დიდი საქმიანობა,

თუმცა ცდა მათი დახმარების აღმოჩენის და უნუგეშო მდგომარეობის შემსუბუქების ნი-  
ადაგ სწარმოებდა.

უკანასკნელ ხანებში ეს ჩვენი მოძმე ტომი მთავრობამ გადმოსახლა საქართველში. ეროვნული თვალსაზრისით ერთობ დიდი საქმე მოხდა. მხოლოდ ახლად გადმოსახლებულ ხალხს, რომელიც შიშველ-ტიტველი და გაღატაკებულია, ეჭირვება დიდი ნივთიერი და კულტურული დახმარება დაუყონებლივ. საჭიროა მათი დაბინადრება, დასახლება ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით. და აი, სწორედ ამისთვის არის მოწოდებული ზემოხსენებული უდინთა დამხმარე საზოგადოება. სამნუხაროდ, ამ ბოლო ხანებში საზოგადოების საქმიანობა ძალიან შესუსტდა. უდინთა გასაჭირი კი ყველას ყურში ჩაგვნივის. ჩვენი მოვალეობაა ამ საზოგადოების არსებობით დავაინტერესოთ ჩვენი ხალხის მოწინავე წრეები, ავამუშაოთ იგი, რათა საჭიროების სიმაღლეზე დადგეს და დაავგირგვინოს კარგად დანყებული საქმე.

\* \*

ჩვენი შინაური ავ-კარგის მეთვალყურეს არ შეუძლია გვერდი აუაროს საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის საშვილი-შვილოდ გაჩაღებულ სამეცნიერო კერას, რომელიც მთელს ქართველობას ათბობს და ახარებს. არ გვეგულება ჩვენში ამაზედ უდიდესი და უბრწყინვალესი კულტურული დანესებულება. დღეს აქ ისევ ისმის მრავალი საუკუნის განმავლობაში შეწყვეტილი ხმა ქართული სიბრძნის მეტყველებისა. ვინც კი შეიხედავს ქართულ უნივერსიტეტში, ის უშუალოდ იგრძნობს, თუ რა დიდი საქმე კეთდება ჩვენი ერისა და ქვეყნის მომავლისათვის, რა დაურღვეველი საძირკველი გაუსკვნიათ მის მესვეურთ ქართული კულტურის და სულიერი ცხოვრებისათვის.

სახელმწიფო და საზოგადოება ერთნაირის თანაგრძნობით და სიუხვით უნდა მოეკიდოს ჩვენს პირველს უმაღლეს სასწავლებელს, რომელიც დღეს ჩვენი კულტურის მწვერვალს წარმოადგენს. ის მეტად სათუთი ორგანიზმია და საჭიროებს მეტს შინაურ თავისუფლებას, მეტს საზოგადოებრივ ზრუნვას თავის გავლენის გასაფართოებლად და ძალთა გასაფურჩქნელად.

კერძოდ, საგამომცემლო დარგში ქართულმა უნივერსიტეტმა წარსული წლის განმავლობაში განაახლა თავისი მუშაობა, რომელიც ერთხანად შეწყვეტილი იყო. 1923 წლის მანძილზე დაიბეჭდა ორი ტომი უნივერსიტეტის ბიულეტენებისა „ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე“. მასზე აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ, რადგან იგი იქნება ცალკე რეცენზიის საგანი ჩვენს ჟურნალში.

\* \*

ჩვენს ისტორიულ ცხოვრებაში ყოველთვის მეთაურ როლს თამაშობდა ქართული მწერლობა. საიშვიათოა მისი ღვანლი ქართული საზოგადოებრივობის, ქართული კულტურის, საქართველოს თვითარსებობის და თვითმყოფობის წინაშე.

დღეს, სამნუხაროდ, მწერლობის მორიგი საჭიროებანი ვერ არის ჯეროვანად დაკმაყოფილებული. სახელმწიფო გამომცემლობის მოღვაწეობას შემდეგ შევეხებით უფრო დანვრილებით. ახლა ორიოდე სიტყვას მოგახსენებთ სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირზე, რომელიც მწერლობის საქმეს მეთაურობს ჩვენში აგერ მეშვიდე წელიწადია. ის მხოლოდ კულტურული კავშირია, შემკრები და გამაერთიანებელი ყველა მიმართულების მწერალთა. ის გაუმართლებელი, წვრილმანი უთანხმოება, რომელიც წინად სუფევდა საქართველოს მწერალთა ოჯახში, საგრძნობლად შეანელა უკანასკნელი ოქტომბრის გაერთიანებამ. ეს მალე დაეტყო მუშაობის ერთგვარ გამოცოცხლებას და საქმის ნაყოფი-

რებას. დღეს კავშირის საბჭო სცემს ყოველკვირეულ ლიტერატურულ გაზეთს „ქართულ სიტყვას“ და ჟურნალს „კავკასიონს“.

ჩვენ, რალა თქმა უნდა, არ გვაკმაყოფილებს სავსებით მწერალთა კავშირის მოქმედება. მას მეტის გაკეთება შეუძლია. მისი დანიშნულებაა — განვითარების პირობები შეუქმნას პოეზიას, მწერლობას, კულტურულ-საზოგადოებრივად განამტკიცოს მისი ნიადაგი, დაიცვას მწერლების მატერიალური და უფლებრივი ინტერესები. ეს კი მოითხოვს უპირველესად საგამომცემლო საქმის გაძლიერებას. უმთავრესად ამას უნდა მიაპყრას მთელი თავისი ყურადღება მწერალთა საბჭომ, თუმცა არ უნდა დაივიწყოს სხვა გვარი მუშაობაც, როგორცაა ლიტერატურულ გამოსვლათა მონყოფა, მოხსენებათა სისტემატიური მართვა და სხვა.

ისიც უნდა მოვიხსენიოთ, რომ მწერალთა კავშირი ნივთიერათ თავის ანაბარად არის მიტოვებული. მას არა აქვს მატერიალური რესურსები თავის მოქმედების გასავრცელებლად და გასაღრმავებლად. სახელმწიფო გამომცემლობა მას არ ეხმარება. ვერც საზოგადოება იჩენს სათანადო ყურადღებასა და ინტერესს, რათა მისი მწერლობა უზრუნველყოფილი იყოს. აღსანიშნავია, რომ ხელოვნების სხვა დარგის (თეატრი, მუსიკა, მხატვრობა) წარმომადგენლებს გაცილებით უკეთესს პირობებში უხდებთ მოქმედება. შეუძლებელია ეს უთანასწორობა არ შეინიშნოს.

\* \*

არა მგონია, დიდს სიძნელეს წარმოადგენდეს იმ შემცდარი აზრის გაბათილება, რომელიც ხანდახან წამოიჭრება ხოლმე ზოგიერთ წრეებში თეატრალური კამათის დროს — თითქოს ქართული თეატრი დღევანდლამდე არ გვექონოდა და ჩვენი თეატრალური შემოქმედება ზღაპარი ყოფილიყო. ამ შემცდარ აზრს ერთი მეტად ლამაზი გარემოება არღვევს: ორ იანვარს ქართველმა ერმა თავის საკუთარი ნაციონალური თეატრის სამოცდათორმეტი წლის არსებობა ერთსულოვნად იდღესასწაულა!

ძალიან შორს წაგვიყვანდა ჩვენი თეატრის წარსულის ღირსება-ნაკლულოვანების განხილვა და დაფასება. მხოლოდ საქვეყნოდ აღსანიშნავი და მარად დასანახსოვრებელი ის არის, რომ ქრთველი ხალხის განახლების, ქართული კულტურის აღდგენის ისტორიაში ჩვენმა თეატრმა, მწერლობასთან ერთად, უდიდესი დანიშნულება შეასრულა.

ქართული თეატრის ისტორიას აქვს აღმართებიც და დაღმართებიც. ერთს დროს ბევრნაირად შეფერხდა მისი მუშაობა. დღეს მან „კრიზისს“ ვითამ თავი დააღწია. ნივთიერად იგი უზრუნველყოფილია სახელმწიფოს მიერ. მუშაობა სისტემატიურია. ფართო საზოგადოებაც საკმაოდ დაინტერესებულია. ყოველ ეჭვს გარეშეა, მან განახლების ხანაში შედგა ფეხი. ამ განახლებას დიდად შეუწყო ხელი კოტე მარჯანიშვილმა დისციპლინის და ტეხნიკის შემოტანით.

მხოლოდ ეს განახლება არავითარ შემთხვევაში არ გულისხმობს ქართული თეატრის წარსულის უარყოფას, მისი ისტორიული მნიშვნელობის განქიქებას, როგორც ამას ნებულობს ზოგიერთი „წამხედურობით“ დასწეულებული პირი.

ქართული თეატრის ჭეშმარიტი განახლება შესაძლებელია მხოლოდ იმავე ქართული ნაციონალური თეატრის ნიადაგზე ახალ მიღწევათა გონივრული, ორგანიული შეთვისებით და საკუთარი კულტურული ინდივიდუალობის დაცვით. ყოველი ერის თეატრს საფუძვლად უდევს მისი ნაციონალური ხასიათი და ისტორიული ფსიქოლოგია.

დარწმუნებული ვართ, დრამატიული ხელოვნების საქმე ჩვენში ამის შემდეგ კიდევ უფრო გამომჯობინდება. არტისტული ძალები იზრდებიან. დიდს მომავალს გვიქადის აკაკი

ფალავას სტუდია. ახალი დრამატიული ლიტერატურის ნიშნები სჩანან. მაყურებელთა გემოვნებაც ფაქიზდება. ქართული თეატრი მძლავრდება. უკვე დროა, მიეცეს მას თავისი საკუთარი, სრულიად დამოუკიდებელი კერა, რაც, სამწუხაროდ, დღემდის ვერ განხორციელდა.

\* \*

აქვე უნდა აღვნიშნოთ ერთი მეტად საყურადღებო, უმთავრესად თეატრალური იუბილე: სახალხო სახლის ოცდაათი წლის დღესასწაული. ჩვენისთანა პატარა ერის ცხოვრებაში ეს პირდაპირ არაჩვეულებრივი კულტურული გამარჯვებაა. მართალია, სახალხო სახლი საერთაშორისო საასპარეზოა სხვა ეროვნულ უმცირესობათა კულტურული მოღვაწეობისათვისაც. მაგრამ აქ უმთავრესად ქართული კულტურის მაჯა ფეთქდა.

ეს ისტორია ქართული თეატრის გახალხოსნების, საუცხოვო ნიმუშია ჩვენი კულტურის დემოკრატიზაციის. და აი, ამ მშვენიერი ისტორიის და გახალხოსნების თავდადებულ მონაწილეთ — სახალხო სახლის უანგარო მოღვაწეთ აქ განსაკუთრებული სიყვარულით და პატივისცემით ვიხსენიებთ.

\* \*

ჩვენი კულტურის ამალღების საუკეთესო მაჩვენებელია უკანასკნელ ხანებში ქართული მუსიკის განვითარება.

კერძოდ, წარსული წელი ამ სფეროში აღნიშნული იყო იმით, რომ „აბესალომ და ეთერის“ ნიჭიერმა ავტორმა ზაქარია ფალიაშვილმა მოგვცა კიდევ ახალი ოპერა „დაისი“. იგი უთუოდ მეტად მნიშვნელოვანი შენაძენია მუსიკალური შემოქმედებისათვის არა მარტო ქართულის მასშტაბით. მის შესახებ „კავკასიონის“ მორიგ ნომერში მოთავსებული იქნება წერილი და აქ მასზე აღარ შევჩერდებით.

ამასთან აღსანიშნავია, რომ მეორე ჩვენი სახელოვანი კომპოზიტორი დიმიტრი არაყიშვილი ამზადებს ახალ ოპერას, რომლის ზოგიერთი ნაწყვეტები შარშან მოვისმინეთ, და რომელიც, როგორც ვიცით, ახლო ხანში იქნება დამთავრებული.

იმავე წარსული წლის მანძილზე ახალგაზრდა კომპოზიტორმა ლევ. ფალიაშვილმა დასწერა ოპერა: „ვეფხისტყაოსანი“.

საყურადღებო და აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ სამუსიკო სწავლება ჩვენში თითქმის საყოველთაო მოთხოვნილებად ხდება. არსდება მუსიკალური სასწავლებლები არა მარტო დიდ ქალაქებში, დაბებშიაც. მუსიკალური განათლების ორგანიზაციას აგვირგვინებს სახელმწიფო კონსერვატორია, რომელსაც დღეს ყველაფერი უწყობს ხელს, სათანადო სიმაღლეზე აიყვანოს მუსიკის სწავლება და ახალი მუსიკალური ძალები აღუზარდოს ქვეყანას.

\* \*

ამას უნდა მივუმატოთ გაცხოველებული მუშაობა მხატვრობის, ქანდაკების და ხუროთმოძღვრების დარგებში, რომელთაც უძღვება ჩვენი მესამე უმაღლესი სასწავლებელი — სამხატვრო აკადემია. საკუთრივ ამ დარგებზე ცალკე გვექნება ლაპარაკი. ახლა მხოლოდ ის უნდა აღვნიშნოთ, რომ გაცილებით მეტი ყურადღების მიქცევა ესაჭიროება სამხატვრო აკადემიის მდგომარეობას. სხვას რომ თავი დავანებოთ, აქამდე მას ბინაც ვერ მოუნახავს ხეირიანი. აქ სხვა მხრითაც სჭირია გამოსწორება საქმეს. ამას წინად მწერალთა კავშირის გაზეთ „ივერიის“ თანამშრომელი სწერდა გულმტკივნეულად: სამხატვრო აკა-



დემიის საკითხი ხელახლად უნდა იქნეს გადაშინჯული და მისი მოწაფეები გათანასწორებული უნდა იყვნენ ყველა სხვა მოწაფეებთან. სჩანს, საქმე არ არის სავსებით მოწესრიგებული. მართლაც: „საქართველოსთვის თუ ფილოლოგია საჭირო, ან მათემატიკოსი, ან ინჟინერი, ასევე საჭიროა მხატვარი, მოქანდაკე და ხუროთმოძღვარი, მით უმეტეს, რომ ეს უკანასკნელი ორი-სამი კაცის გარდა არ მოიპოვება ჩვენს ქვეყანაში“ („ივერია“, №2).

შემდეგ ნომერში ჩვენ შევეხებით სხვა საკითხებს და სხვა დანესებულებებს, რომელთაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ ქართული კულტურის წინსვლისათვის.

ნ. საქარელი

## დამსახურებულის პროფესორის პეტრე მელიქიშვილის ორმოცდაათი წლის სამეცნიერო მოღვაწეობის იუბილე

*ფრიად თავისებურია ამ ერის გონება და სული...*

*მან უნდა თავისი გზით იაროს და ივლის კიდეც.*

*შელინგი*

ვინც ჩვენის ერის გრძელს ისტორიას ერთის გაელვარებით თვალს გადაავლებს, ვინც მის წარსულს არსებობისთვის ბრძოლას დაუკვირდება, იგრძნობს, თუ რა საკვირველი მძლეობის სული და სიცოცხლის დაუშრეტელი ბრგე სურვილი ამოდრავებდა მას. ბევრჯელ გატეხილი და არასდროს შერყვნილი ქართველი ერი ზღაპრული პროტეუსისებრ ისტორიული ცვალებების ყოველს ჟამს თავისებურის იერით ეხმაურებოდა, თავისებურს წახნაგს მიუმარჯვებდა. აქ არის ჩვენის ნამყოს გამართლება და მყობადის იმედი.

ჩვენს წარსულში მეტი გრძნობაა, ვიდრე გონიერება, მეტი მღელვარება, ვიდრე მშვიდობა, მეტი ცხროება და ნაკლები გრილი. წარსულმა მცხუნვარებამ თითქოს შესვა ჩვენის არსებობის წყარო და მისი ფესვებიც ვერანად აქცია. ასე ჰგონია ბევრს და უხარიან: ქართველი ერი წარსულს გადაჰყვა და მის ჩამავალი მზის დისკოზე თანდათანობით იზრდება ჭრელად მოსილი, ღვინით შესვრილი, მოდუნებული აზიელის ლეტარგიული სურათი. საქართველო გამოიფიტა სულიერად, თითქოს აზროვნებისა და მეცნიერებისათვის აქ არ არის საყოფელი... მაგრამ სიცრუეს იტყვიან ჩვენი მოშურნენი!

სულ ხუთი წლისაა ჩვენი თავისუფლება, სულ ხუთი წელი გვმიჯნავს წყეული წარსულისგან და მთელმა ქვეყანამ იხილა, თუ რამდენად მაგარია ჩვენი ხერხემალი და მტკიცე ჩვენი მაჯისცემა — ცხოვრების სწორედ იმ დარგში, რომელსაც თითქოს ჩვენი ქვეყნის კეთროვანი ნიადაგი ველარ გამოჰკვებდა.

თავისუფლებასთან ერთად აინთო ჩვენი სულიერი კულტურის დიდი კელაპტარი, ინვის წარსულით, ანმყოთი და მომავლით და ზეცად ძლიერი ალით აღემართება, როგორც ახალი ცხოვრების ახალი სიმბოლო, ახალი ეპოქის: Hoc singo vincis. ასეთია ქართული უნივერსიტეტი, რომელიც დღეს ზეიმობს თავისი მცხოვანი წევრის, დამსახურებული პროფესორის პეტრე მელიქიშვილის ორმოცდაათი წლის სამეცნიერო მოღვაწეობას. პატივცემულმა მეცნიერმა თავისი მოღვაწეობის ორმოცდახუთი წელი რუსეთში გაატარა. სულ თვრამეტი წლის ჭაბუკი გაემგზავრა ოდესას 1872 წ.; დაამთავრა აქ საბუნებისმეტყველო განყოფილების მეცნიერებათა დარგი, დაბრუნდა სამშობლოში, ერთს წელს მასწავლებლობდა ტფილისში ფაბრის დედათა კერძო გიმნაზიაში და შემდეგ უცხოეთში გაემგზავრა სამეც-



ნიერო კვლევა-ძიების მიზნით. 1876 წ. ოდესის უნივერსიტეტმა მიიწვია ლაბორანტად; ორის წლის შემდეგ აქვე ჩააბარა სამაგისტრო გამოცდა, ხოლო 1881 წ. საბუნებისმეტყველო ფაკულტეტს წარუდგინა დისერტაცია „აკრილის მჟავების შესახებ“ და მოიპოვა ქიმიის მაგისტრის ხარისხი. შემდეგს წელს უნივერსიტეტის დავალებით გაემგზავრა ჯერ პარიზში, სადაც უსმენდა ცნობილს ბერტელოს და მერმე მუშაობდა ბაიერის ლაბორატორიუმში მიუნხენში. დაბრუნებისას 1885 წ. თავისი შრომის „იზოკროტონ მჟავის შესახებ“ დაცვის შემდეგ მიიღო ქიმიის დოქტორის ხარისხი და ამასთან ერთად დაინიშნა ექსტრაორდინარ პროფესორად. 1889 წ. კი რუსეთის სამეცნიერო აკადემიამ ჭარბ-ჟანგების გამოკვლევისთვის წარჩინებულს მეცნიერს ლომონოსოვის დიდი პრემია მიუსაჯა. 1907 წ. ოდესის უნივერსიტეტმა მას დამსახურებული პროფესორის სახელწოდება უძღვნა.

1917 წელს, რევოლიუციის პირველს ხანებში ჩვენი ინტელიგენციის წარჩინებულთა ჯგუფი დიდის ქართველის და მოქალაქის პროფესორი ივანე ჯავახიშვილის თაოსნობით მოუწოდებდა ყველა ქართველ მეცნიერთ ტფილისში ქართული უნივერსიტეტის დაარსების დიადი საქმისთვის. ზოგმა ხმა გასცა და მხარში ამოუდგა, ზოგი დღესაც არსადა სჩანს. პატივცემული მეცნიერი არ გაჰყვა რევოლიუციის სანახაობით დამფრთხალ რუსეთის პროფესურას და მიუხედავად იმ გარემოების, რომ ევროპის ყოველი უნივერსიტეტი დიდის სიამოვნებით და სიხარულით გაულებდა მას კარს, დაუბრუნდა სამშობლო კერას და თავის მხრებზე აიღო პირველი ქართული უნივერსიტეტის პირველი მესვეურობა, სადაც იგი კვლავინდებურის მხნეობით მოღვაწეობს და თავისი გამოცდილი ბევრთაგან-ბევრ ნაამაგარი ხელით ჩვენი ახალგაზრდობის აღზრდა-განათლების საქმეს ხელმძღვანელობს.

ჩვენმა დიდმა მეცნიერმა საუკეთესოდ განასახიერა ქართული ბუნების შემოქმედების ძლიერება. მხოლოდ განსაცვიფრებელი ენერგიით, ნიჭით და შრომით აღბეჭდა მან უკვდავების ასოებით თავისი ღირსეული სახელი მეცნიერების ისტორიაში და კულტურის სარბიელზე ბევრს გაუსწრო და სხვებს არ ჩამორჩა. პირველი შრომა უმაძლარი მჟავების შესახებ საკმარისი იყო, რომ პატივცემულ პეტრე მელიქიშვილს წარჩინებული მეცნიერის სახელი მოეხვეჭა, მას აქეთ კი ბევრმა დრომ განვლო და მცხოვანმა მეცნიერმა არა ერთი და ორი სრულიად ორიგინალური გამოკვლევა შესძინა მეცნიერებას. მის ნაშრომებს სთარგმნიან ევროპიულ ენებზე, მისი კვლევა-ძიების შედეგი დღეს მდიდარი მასალაა მრავალი ახალი გზისთვის, ავტორიტეტული სიტყვა მეცნიერების დიდ თავადთა შორის. მისი ჰალოიდ-ოქსი-მჟავების გამოკვლევა ქიმიის ერთ მთავარ საძღვისთაგანი. პეროქსიდების გამოკვლევით მან სრულიად ახალი სპეკალი ჩაჰკირა ამ დარგის საძირკველში. მას უყურადღებოდ არ დაუტოვებია მეცნიერების პრაქტიკული მხარეც და დღეს, ფრიად დაინტერესებული ჩვენი მრეწველობის გაუმჯობესების საკითხით, სცდილობს, დიდის გამოცდილებით შეიარაღებული ხელით დაეხმაროს და გზა უჩვენოს ჩვენს დავარდნილს მეურნეობას.

ასეთი პიროვნებანი ჰქმნიან ერის დოვლათს. თუ სულით ავადმყოფთ და ჭარბი გრძნობით შეპყრობილთ ხშირად ახალი იდეალების ბრწყინვალე ელვარებით გარდაუქმნიათ ქვეყნიერება, ნიუტონები და ლავუაზიები ჰქმნიდნენ ცივილიზაციას, წარმავალ ჟამთა ლანდებს მარადიული მეცნიერების ციტადელებით უპასუხებდნენ. წარსული ჩვენგან შორს არის, ამოდ ვეძიებთ იქ მომავალ პრობლემათა ამოცანას. ფეხი შევსდგით ისტორიული განვითარების ახალს სფეროში, მას ახალი მიზნები აქვს, ახალს პასუხს მოითხოვს ჩვენგან ცხოვრება. როგორც კალდერონის ტრალიულს მოთხრობაში, უცნობი ვინმე ებრძვის მის მიერ დევნილს პიროვნებას და ბოლოს აიხსნის ნილაბს, რათა ტანჯულს ადამიანს მისივე სახით ეჩვენოს, აგრეთვე ჩვენც ცხოვრება გვიბრუნებს თავის ნამდვილს სახეს და

ეს სახე კი ჩვენი საკუთარი, პირწავარდნილი ახალი სურათია. თუ წარსულში ხმალი უფრო შეგვეფეროდა, დღეს საერთაშორისო ასპარეზზე მხოლოდ ამით ვეღარ გავიმარჯვებთ; ახალის იარაღით ეჯიბრებიან ერები ერთმანეთს, სხვაგვარი მუზარადი ამშვენებს გამარჯვებულთ, ახალი სტიმული ამაგრებს მათ გულს. თუ წარსულში ლაგფარდისთვის, თუნდაც არა დარბაისლურად, გზა აგვიხვევინა და ნაკუნებათ ქცეული აფრის წყალობით ვალმა გავსულვართ, დღესაც საჭიროა მოუხმოდ ჩვენს მძლე სულს, გარემოს მგზნებარე თვალთ შევხედოთ, ყოფნის ქაოსიდან თავი გამოვირკვიოთ და ვსცნათ საცნობელი. ცოდნა გვაკლია, მახვილი ინტელექტი და სულიერი გაქანება გვჭარბობს.

მით უმეტეს ფასდაუდებელია ქართველი ერისთვის დიდის მეცნიერის ღვანლი და პიროვნება, რომელმაც თვალსაჩინო ჰყო ქართული ინტელექტუალური შემოქმედების უნარი და დიდის ცოდნით ზურგ-გამაგრებულმა ხელთ აიღო ჩირაღდანი, მომავალ გზას რომ გაგვიკვლევს.

ორმოცდაათი წლის წმინდა მეცნიერული მოღვაწეობის ისტორია! ადვილად ითქმის?! მაგრამ ადვილი საქმით არ დაუწერია იგი ჩვენს წარჩინებულს თანამოქალაქეს! დიდია მისი მორალური ღირებულება და მაგალითი ჩვენის ერის პოტენციალობის განსახიერებისა!

სალამი დიდს მეცნიერს და მძლე ქართველს ნიჭს!

სალამი უნივერსიტეტს და ჩვენს მომავალს თაობას, რომელიც თავისი ღვანლით მოსილი მასწავლებლის გზას იდეალად დაისახავს.

*ირ. ტატიშვილი*

## ბიბლიოგრაფია

[ქართული მწერლობის მიმოხილვა და ბიბლიოგრაფიული გარჩევა მხატვრული ლიტერატურის წიგნებისა 1923 წლის მანძილზე მოთავსებული იქნება მორიგ ნომერში. აქ ვათავსებთ ბიბლიოგრაფიას ზოგიერთ საფილოსოფიო და სამეცნიერო გამოცემებზე.]

**პროფ. შ. ნუცუბიძე. ლოლიკა. პროპედევტიული კურსი.** სახელმწ. გამომცემ. გამომცემა. ქ. ტფილისი. 1923 წ. შეიცავს 232 გვერდს.

ხსენებული ლოლიკა შესავალი კურსია „ალეთოლოგიისათვის“. იგი უფრო გაფართოებული და გაღრმავებულია შედარებით იმ ლოლიკასთან, რომელიც ამავე ავტორმა გამოსცა 1919 წელს, როგორც ლოლიკის ელემენტარი სახელმძღვანელო და რომელიც შეიცავდა 88 გვერდს. არსებითად ამ ორ ლოლიკას შორის განსხვავება არ არის: ორივე ალეთოლოგიის თვალსაზრისით არის დაწერილი და შეიცავენ თავის პირველ ნაწილში ჩვენი აზროვნების ელემენტების: ცნების, მსჯელობის და სილოგიზმის — და მეორე ნაწილში დასაბუთების ბუნების გარკვევა-განმტკიცებას. განსხვავება შეიძლება ვიპოვოთ მხოლოდ ფორმალობის მხრივ. ახალი „ლოლიკა“ შედარებით ძველთან უფრო ფართეა: აქ საკითხები, დასმული „პირველ“ ლოლიკაში, უფრო ღრმადაა გაშუქებული და ანალიზქმნილი. განსაკუთრებით ეს შეიძლება ითქვას მეორე ნაწილის შესახებ, სადაც ალეთოლოგიის თვალსაზრისი და მისი ბუნებაც ზოგადად მაინც არის მოხაზული, რაც ასე გარკვევით არ იყო „პირველ“ ლოლიკაში.

საინტერესოა ავტორი აზროვნების კანონებისათვის ახალ-სახელწოდებაში, რაც უეჭველად ალეთოლოგიის თვალსაზრისითაა მოხდენილი და რაც სავსებით შეეგუება ალე-

თოლოგიურ შემეცნების საგნის ბუნებას. მაგ., სახელწოდება: „იგივეობის კანონი:  $A=A$ “ — იცვლება — „ამ გვარად ყოფნის ანუ გარკვეულობის კანონი“-თ; შემდეგ სახელწოდება: „წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონი“ — იცვლება — „სხვა გვარად ყოფნის შეუძლებლობის კანონი“-თ (სხვა გვარად ყოფნის შეუძლებლობა „ალეთოლოგიაში“ გარკვეულობის განმარტებაა). ეცვლება სახელწოდება აგრეთვე გამორიცხულ მესამის კანონსაც — „ორში ერთის აუცილებელ შერჩევის კანონი“-ს სახელწოდებით, მაგრამ ეს შეცვლა უფრო ტექნიკურია ვინემ არსებითი.

ცნება, მსჯელობა და სილოგიზმის გარჩევა მოცემული აქვს ავტორს პირველ ნაწილში, აქედან პირველ რიგში გარჩეულია ცნება, როგორც გამოსავალი და მიზანი ჩვენი შემეცნებისა (მსჯელობისა და სილოგიზმისა). მსჯელობა და სილოგიზმი კი თავის მხრივ მოცემულ ცნების გაშლაშია, ხოლო პირველია ცნების უშუალო, მეორე კი — შუალობითი გაშლა. ეს სამი ელემენტი ჩვენი აზროვნებისა ერთმანეთთან მჭიდროდ არიან გადანასკული: სადაც არის ერთი, — იქავეა მეორე და ასე შემდეგ. იმ პოლემიკიდან, რომელიც არსებობს მსჯელობის და სილოგიზმების შესახებ მათი ანალიტიურ თუ სინთეტიურ ბუნების გამო, ავტორი იცავს იმას, რომ როგორც მსჯელობა ისევე სილოგიზმი სინთეტიურიც არის და ანალიტიურიც. მათი ანალიტიურობა დაკავშირებულია ჭეშმარიტებასთან თ. თავად, სინთეტიურობა-კი მის ჩვენთვის ჭეშმარიტებად გარდაქცევასთან.

აზროვნების ელემენტების გარჩევის შემდეგ იწყება საკითხი დასაბუთების ბუნებისათვის. დასაბუთებას უმთავრესად ჩვენი შემეცნების ანუ აზროვნების ლოგიკურ აგებულობასთან აქვს საქმე. „დასაბუთება ისეთი ნყოფაა ადამიანის აზრის ნაწილებისა, როდესაც გასაგები და მისაღები ხდება ერთი დებულება მეორე დებულების მეოხებით. ასეთი დალაგება და სისტემაში მოცემული ჩვენი აზრი გვაქვს მეცნიერებაში ან მის დასაბუთებაში, ამიტომ ლოგიკური მეთოდოლოგია უნდა შეისწავლიდეს იმ გზებს, რომლებსაც გამოიყენებს სპეციალ მეცნიერება თავის ძირითად დებულებათა დასაბუთებისათვის. დასაბუთების რომელიმე დებულება თუ ერთ შემთხვევაში საფუძველია სხვა რომელიმე დებულების მტკიცებისათვის, ის შეიძლება მეორეს მხრივ ითხოვდეს ახალ საფუძველს თავისთვის, ახალი — კიდევ ახალს და ასე ბოლომდე, ვიდრე არ მივალწევთ ისეთ რამეს, რაც დასაბუთებას არ ითხოვს. ეს უეჭველად იქნება დასაბუთების უმაღლესი საფუძველი (იმავე დროს შემეცნებისაც), ეს არის ჭეშმარიტება თავის თავად, რაც შემეცნების გამოსავალი წერტილიც არის და მიზანიც.

მეცნიერებაში დასაბუთება ორი ხაზით წარიმართება: ერთია ისეთი, როდესაც ზოგადიდან გამოვდივართ კერძობითისაკენ; მეორე ისეთი — როდესაც კერძობითიდან მივდივართ ზოგადისაკენ. საერთო მეთოდოლოგიაში პირველი დასაბუთება იწოდება დედუქციად, მეორე ინდუქციად. ამ მეთოდებს, რასაკვირველია, პირდაპირი კავშირი არა აქვთ უმაღლეს საფუძველთან, ჭეშმარიტებასთან თ. თავად. მათი საფუძველები შემოიფარგლება იმითი, რაც მოცემულია კერძო მეცნიერებაში. ისე კი, როგორც სახეობანი ძირითადი მეთოდისა, ეს ორი მეთოდი ბოლოს და ბოლოს ემყარება უმაღლეს საფუძველს... აქ ავტორს მოცემული აქვს ფართოდ ამ მეთოდების განმარტება და ეხება მათ ისტორიულადაც. რაც შეეხება ინდუქციის და დედუქციის მიმართების საკითხს, აქ ავტორი ანივთარებს ამ ორ მეთოდის შერიგების აზრს: არ არის მათში ერთი-მეორისთვის დაქვემდებარების საბაზი, არ არის არც წინააღმდეგობა; არც არის მათ შორის ისეთი რამე, რომ მათი დაახლოვება შეუძლებელი გახდეს, ე. ი. განსხვავება მათ შორის მხოლოდ მათ დასამტკიცებელ დებულებებშია: თუ დედუქციის დებულება კერძო მოვლენაა, ინდუქციისა არის ზოგადი. დასაბუთების დანარჩენი მომენტები კი ორივესათვის ერთნაირია: როგორც საფუძველი, ისევე მტკიცების მომენტი (მეთოდი). ამიტომ ითქმის, რომ ინდუქცია

და დედუქცია მეცნიერებათა დასაბუთებაში სწორ-უფლებიანი და სწორ-ღირებულებიანი მეთოდები არის. მათი საზღვარი კერძო მეცნიერებათა საზღვრით მოიზომება. კერძო მეცნიერება არსებულის მეცნიერებაა; ამას იქეთ ის ვერ მიდის. ის რაც არსებულზედ აკვრია, ან რაც არსებულზე წარმატებულია, ვერ შედის მეცნიერებათა ფარგლებში და აქ არის მეცნიერების და მის მეთოდების საზღვრებიც. არსებულზე წარმატებულის გარემოება ქმნის ალეთოლოგიის საჭიროებას. არსებულზე წარმატებული გარკვეულობაა სინამდვილეში, ანდა ჭეშმარიტებაა თავის-თავად, რაც ალეთოლოგიურ მეცნიერების გამოსავალიც არის და მიზანიც, ჭეშმარიტება თ. თ. ჩვენთვის ჭეშმარიტებად უნდა იქცეს. ძირითადი მეთოდი, რომლისათვისაც ჭეშმარიტ თ. თ. გამოსავალიც არის და მიზანიც არის რედუქცია, რომლის სახეობას წარმოადგენენ დედუქცია და ინდუქცია: თუ ინდუქციას და დედუქციას ზოგადი ან კერძობითი დებულება ძირითად დებულებიდან გამოყავდა, დედუქციაში პირიქით — როგორც ზოგადი ისე კერძობითი ძირითად ჭეშმარიტებასთან უკუმიიყვანება.

ასე, შეიძლება წარმოდგენილ იქმნას პროპედევტიულ ლოლიკის ზოგადი ბუნება, ჩონჩხი. ეს ლოლიკა — ზევითაც აღვნიშნეთ — გაფართოვებაა ელემენტარ ლოლიკის კურსისა. მხოლოდ იმ მრავალ უპირატესობასთან ერთად, რომელიც აქვს „ახალ ლოლიკას“ ძველთან შედარებით, ისიც არის, რომ იგი ბოლოში მოკლედ მოხაზავს ალეთოლოგიის თვალსაზრისს, ამდენად იგი ნამდვილად შესავალად უნდა ჩაითვალოს მისთვის, ალეთოლოგიისათვის.

ვ. ზ.

**პროფ. შ. ნუცუბიძე. ალეთოლოგიის საფუძვლები. წიგნი I. ჭეშმარიტების პრობლემა. 1922 წელი. ქ. ტფილისი. 240 გვერდი.**

„ჭეშმარიტების პრობლემა“ — არსებითად ორ ნაწილად იყოფა. პირველ ნაწილში ავტორს მოცემული აქვს უმთავრესად შემეცნების შემეცნების საგანი (ე. ი. ფილოსოფიის) და მისი ბუნება; მეორე ნაწილში კი განხილულია აწინდელი და თანამედროვე ფილოსოფიური მიმართულებანი მოცემულობის, საგნის და საგნის შემეცნების თვალსაზრისით.

აღვნიშნავთ აქ მაგისტრალურ ხაზებს ჩვენი ავტორის თეორიისა, რამდენადაც იგი გაშლილია ამ წიგნში.

სპეციალი მეცნიერება არსებულის მეცნიერებაა. „მეცნიერება არ უნდა შეიცავდეს იმის გარდა რაც არის — ასეთია მეცნიერების იმპერატივი“ (გვ. 3). მაგრამ არსებულის შემეცნება მარტო იმით არ ამოიწურება, რაც არის. ეს „მეტი იმაზე რაც არის“, ე. ი. არსებულზე წარმატებული არის ის, რაც არსებულს გამოხატავს, რაც არსებულს გარკვეულობას აძლევს.

ეს არის ჭეშმარიტება თავის თავად, და აი, ეს შეადგენს ფილოსოფიის საგანს. „არსის გარკვეულობა შეადგენს შინაარსს ჭეშმარიტებისა თავის-თავად. იგი არაა სინამდვილე, არამედ სინამდვილის ფაქტის გამომხატველი, მისი სხვაგვარად არ ყოფნის აღმნიშვნელი; იგი ზედ აკვრია სინამდვილეს“ (გვ. 83).

ფილოსოფია თავის საგანს სპეციალ მეცნიერებათაგან იღებს; ფილოსოფია მეცნიერებას შეისწავლის, როგორც შემეცნებას და ამიტომ იგი უნდა შემეცნების შემეცნებად წარმოვიდგინოთ ან და მეცნიერებათა თეორიად. შეიძლება აქ ხმარებულიყო სახელ-წოდება შემეცნების თეორია, მაგრამ ეს უკანასკნელი სრულებით ვერ გამოხატავს იმ კავშირს, რომელიც არსებობს მეცნიერებათა და ფილოსოფიას შორის. ამიტომ იგი უფარგისია. მეცნიერებათა და ფილოსოფიის შორის არსებული კავშირის ჭეშმარიტებაში სახიერდება, ამიტომ ყველაზე უკეთესია შემეცნების თეორიის ნაცვლად ჭეშმარიტების თეო-



რია, ანდა ალეთოლოგია ვინმაროთ. მოძველებული გნოსეოლოგია უნდა ალეთოლოგიით შეიცვალოს.

ალეთოლოგია ჭეშმარიტების თეორია არის. ჭეშმარიტების ბუნების გარკვევით და განმტკიცებით იგი იმავე დროს თავის საგანს განამტკიცებს და მით ნათელს ხდის თვით შემეცნების ბუნებასაც. ჩვეულებრივი გნოსეოლოგია ალეთოლოგიის გვერდით შეუძლებელი ხდება, ვინაიდან იგი ჯერ შეისწავლის შემეცნებას და მერე მის საგანს, რაც დაუშვებელია. ნამდვილად კი ჯერ საგანი და მერე მისი შემეცნება უნდა იქმნას შესწავლილი. ასეთი ხაზით წარმართავს თავის ძიებას ალეთოლოგია და ამიტომ იგი პირველი და ძირითადი ფილოსოფიური დარგია. ალეთოლოგია შეისწავლის ერთსა და იმავე დროს როგორც არსის, ისევე აზრის კანონებს.

ჩვეულებრივი გნოსეოლოგია შემეცნების საკითხს სუბიექტ-ობიექტის კონტექსტში აყენებდა. ამიტომ ისმებოდა მის წინაშე საკითხი სუბიექტიდან ობიექტისაკენ გადასვლისათვის. შემეცნების საკითხის ასე დაყენება შეუძლებელია. ასე კი აყენებდნენ იმიტომ, რომ თვით შემეცნების ბუნება არ ქონდათ აქამდე წარმოდგენილი ნათლად. და ეს ხდება თავის მხრივ იმიტომ, რომ მათ (თანამედროვე გნოსეოლოგებს) არც საგნის ბუნება ქონდათ გარკვეული უწინარესად ყოვლისა. შემეცნებას აინტერესებს არა პროცესუალი შემეცნება, არამედ დამთავრებული შემეცნება. ასეთში კი სუბიექტ-ობიექტი სრულიად არ არის საჭირო. შემეცნების შემეცნებას ან მეცნიერებათა თეორიას კი აინტერესებს დამთავრებული შემეცნება, გამომჟღავნებული სინამდვილე, სადაც არც სუბიექტზე და არც ობიექტზე და არც მათ მიმართებაზე ისმება საკითხი.

ჩვეულებრივი დაპირისპირება სუბიექტ-ობიექტისა ალეთოლოგიაში იხსნება და მის ნაცვლად ადგილს იჭერს, ერთმანეთთან კოლერატიური ჭეშმარიტება თავისთავად და ჭეშმარიტება ჩვენთვის, რომელთა შორის ონტოლოგიურ გარემდებარეობას ადგილი არა აქვს და არც ისმება საკითხი მათ დაახლოვება-შენწყობისათვის. ამ მხრივაც ალეთოლოგიას, მრავალ სხვა უპირატესობასთან გნოსეოლოგიის წინაშე, ერთი უპირატესობა კიდევ ემატება. ჭეშმარიტება თავისთავად და ჩვენთვის, ეს ის ბუნებრივი საზღვარია, რომელთა შორის ჩვენი შემეცნება იშლება. სინამდვილე, როგორც არსებული, გამოხატულია ჭეშმარიტებაში თავისთავად, შეცნობილი იგი ხდება ჭეშმარიტებად ჩვენთვის. ასეთია უშუალო კავშირი ამ ორ „ნოოლოგიურად“ ჭეშმარიტებათა შორის, რომელიც ანხორციელებს „...პირდაპირ დამოკიდებულებას აზრსა და არსის შუა...“ (გვ. 103). ეს მდგომარეობა კიდევ უფრო შეუძლებელს ხდის ალეთოლოგიის გვერდით გნოსეოლოგიას იმ სახით, როგორც ის დღეს არსებობს. ამიტომ იგი მოხსნილ უნდა იქმნას და მის ნაცვლად ალეთოლოგიამ უნდა დაიჭიროს პირველი ადგილი.

აქ მთავრდება თანამედროვე გნოსეოლოგიის პრინციპიალი კრიტიკა და მის ნაცვლად ახალი დარგის, ალეთოლოგიის განმტკიცება ახალ საფუძველებზე. ამის შემდეგ კი (მე-III თავი) იწყება კრიტიკა წინადა და ეხლა არსებულ მთავარ გნოსეოლოგიებისა ალეთოლოგიის თვალსაზრისით: მოცემულობის, საგნის და შემეცნების მხრივ. ამ ფარგლებში შედიან: რაციონალისტები და ემპირისტები, კანტის ტრანსცედენტ. ფილოსოფია და თანამედროვე სკოლებიდან: კოჰენის და ლოსკის მიმართულება. არც ერთ ამათგანს ვერც საგნის და ვერც მის შემეცნების ბუნება ვერ აქვთ სწორად გაგებულნი. ზოგს მათგანს აქვს უშემეცნებო საგანი (ლოსკი) და ზოგს უსაგნო შემეცნება (კანტი, კოჰენი), ზოგისთვის შემეცნება საგნის შემოქმედებაა (კოჰენი, კანტი), ზოგისთვის კი განცდა განცდასთან შედარებული (ლოსკი), რაც შემეცნების ბუნებას ვერ ამოსწურავს და თვით საგნის ბუნებასაც — გარკვეულობას — ვერ ეგუება, ეწინააღმდეგება. მრავალი თანამედ. გნოსეოლოგი უკიდურეს იმმანენტიზმში, მრავალი — ტრანსცედენტიზმში ვარდება შემეცნების

საგნის ურიგოდ გაგების გამო. ჰუსერლი და ზიგვარტი, მაგალითად, საუცხოვო მოვლენებია ამ ფაქტის დასახასიათებლად. პირველის ტრანსცედენტიზმი იმმანენტიზმით უნდა შეივსოს; მეორის იმმანენტიზმი — ტრანსცედენტიზმით. საგანი და მისი შემეცნება ორივეს ერთად ითხოვს: იმმანენტ-ტრანსცედენტობას. ალეთოლოგიის ჭეშმარიტება თ. თ. და ჭეშმარიტება ჩვენთვის საუცხოვო გამოხატულება — აღსნაა ამ მდგომარეობისა. „საგანი ტრანსცედენტიურია, რამდენადაც იგი ჭეშმარიტებაა თ. თ., იგივე საგანი იმმანენტურია, რამდენადაც ჩვენთვის ჭეშმარიტებაა“ (გვ. 162).

შემეცნების საგანი დამოკიდებულებათა სისტემაა გარემყარისა, საგანი სისტემით დალაგებული „ეგუება შემეცნებას და სწორედ, ამის გამო მოცემულიცაა და შესაცნობიც“ (176). შესაცნობი და შემეცნება დაგვარებია (დაგვარი შეიცნობს დაგვარს — გვ. 173).

საგანი შემეცნებისა პირველობითი, მისი შემეცნება კი მეორეობითი ბუნებისა არის. ყველა თანამედროვე სკოლა შეუძლებელი ხდება შემეცნების გაგებაში იმიტომ, რომ მათ საგნის ბუნება სწორად არა აქვთ გაგებული. ეს მდგომარეობა კი იქნება მანამდე, სანამ საგანი მათი შემეცნებისა იქნება არსებული და არა არსებულზე წარმატებული, ე. ი. ჭეშმარიტება თავის-თავად. აქ მთავრდება „ჭეშმარიტების პრობლემა“.

დასასრულ აღვნიშნოთ შემდეგი: „ჭეშმარიტების პრობლემა“ ღირს შესანიშნავ მოვლენად უნდა ჩაითვალოს ქართული აზროვნების ისტორიაში. ჩვენი ახალი ფილოსოფიური აზროვნება (ნამდვილი), რომელსაც თავის ტრადიცია არა ჰქონია, იწყება ისეთი ორიგინალური წიგნით, როგორიც არის ზემო-დასახელებული. ორიგინალურია იმ მხრივ, რომ აქ არის ცდა ახალ გზების ძიებისა, იმ დაუძლეველ პრობლემათა გადაწყვეტისათვის, რომელნიც აგერ რამდენი ხანია აწუხებს უკვე მოძველებულ გნოსეოლოგიას. და ამდენად იმ მნიშვნელობის გარდა, რომელიც აღვნიშნეთ, „ჭეშმარიტების პრობლემას“ საერთაშორისო მნიშვნელობაც ენიჭება. ალეთოლოგიაში პროფ. ნ. უმთავრესად ბოლცანოზე გამოვლით თავის თავის მიმდევარია. „ალეთოლოგიური რეალიზმი“ მისი მიმართულების სახელწოდებად უნდა დაკანონდეს.

ერთი საკვირველი ფაქტი უნდა აღვნიშნოს ჩვენი საზოგადოების გამო. ეს წიგნი, აგერ მესამე წელიწადი იწყება, რაც გამოვიდა და არავის მის შესახებ ხმა არ ამოუღია.

ვ-ი

**ფრიდრიჰ ბრაუნი, ევროპის უძველესი მოსახლეობა და გერმანელების სადაურობა.** ბერლინი. 1922 წ. 91 გვერდი (გერმანულად).

უკანასკნელი ხუთი წელი უნდა ჩაითვალოს იაფეტური ენათმეცნიერებისა და საერთოდ იაფეტიდოლოგიისათვის ახალი პერიოდის დამწყებ წლებად. თუ მანამდე იაფეტიდოლოგია თავისი კვლევა-ძიების ფარგლებში წმინდა იაფეტურ ხალხებს ათავსებდა და მხოლოდ აქა-იქ ეხებოდა იაფეტურ მოდგმასთან შერეულ ელემენტებს, ეხლა მას უკვე მთავარი ყურადღება სწორედ ამ ნარევ ელემენტებზე გადააქვს. ამ მხრივ ყველაზე საყურადღებო იყო, რასაკვირველია, იაფეტური თეორიის მამათ-მთავრის, აკადემიკოს ნიკოლოზ მარრის კვლევა-ძიებანი. თავის უკანასკნელ შრომებში ის იხილავს მეცნიერებისათვის ისეთს საჭირობოროტო საკითხებს, როგორიც არის საკითხი საბერძნეთის, იტალიის და სხვა ქვეყნების უძველესი მოსახლეობის შესახებ, ე. ი. საკითხი პელაზგებისა, ეტრუსკებისა და სხვათა. და თუმცა არ შეიძლება ითქვას, რომ ამ საკითხების გადაჭრა საბოლოო დასკვნას იყოს უკვე მიღწეული, მაგრამ უკვე ნაჩვენებია სწორი გზა, — სახელდობრ გამოირკვა, რომ პელაზგებისა და ეტრუსკების საკითხის გადაჭრა გარეშე იაფეტიდოლოგიისა შეუძლებელია. თვით ნ. მარრმავე აღნიშნა ისიც, რომ ასეთივეა მდგომარეობა ევროპის დარჩენი ქვეყ-



ნების უძველესი მოსახლეობის საკითხებშიაც, რომ აქაც ჩვენ საქმე გვაქვს ისეთ უძველეს მოსახლეობასთან, რომელიც იაფეტიური შთამომავლობისად უნდა ჩაითვალოს, კერძოდ, გერმანელების სადაურობის საკითხის დამუშავება თავს იდგა პროფ. ფრ. ბრაუნმა, რომელიც ზემოდასახელებულ შრომაში შემდეგს სურათს გვიხატავს:

გერმანული ენა, რომელიც ინდო-ევროპულ ენათა ოჯახის ერთ-ერთ ნევრად ითვლება, ზოგიერთ ისეთს თვისებას ატარებს, რომელიც არავითარ შემთხვევაში არ გამომდინარეობს ინდოევროპული ენების ბუნებიდან. თავი რომ დავანებოთ იმ აუარებელ სიტყვებს, რომელთა ეტიმოლოგიის გამორკვევა შეუძლებელი ხდება სხვა ინდოგერმანულ ენებთან შედარებით, გერმანულ ენაში ადგილი აქვს ისეთს მოვლენებს, როგორიც არის, მაგ., ცხვირისმიერი ბოლოკიდური ბგერების დაკარგვა, ბგერათა მეორე გადანაცვლება, კბილისმიერ სუფიქსით დახასიათებული სუსტი ნამყო დრო, შემკრებლობითი სიტყვების აღმნიშვნელი პრეფიქსი *ge* და მრავალი სხვა. არც ერთი ეს მოვლენა არ გამომდინარეობს ინდოგერმანელობიდან და მრავალი მეცნიერი (ფერსტემანი, კაუფმანი, ჰირტი და სხვ.) მიმართავდა მათ ასახსნელად სხვა ენებთან შედარებას.

პროფ. ბრაუნის აზრით, ამ მოვლენების ახსნა შესაძლებელი ხდება, თუ იაფეტიურ ენებთან შედარებას მივმართავთ. მაგ., 1. გერმანული სუსტი ნამყო დრო ისეთივეა, როგორც იაფეტიური ენების ე. წ. სიბილანტური შტოის ნამყო უსრული (ვდებ-დი, ბჭარუნ-დი); 2. გერმანულ-კელტური სადაურობის აღმნიშვნელი სუფიქსი *isk* აღმოცენებულია იაფეტიურ ნიადაგზე და უდრის მეგრულ-ჭანურ „სკუა“-ს, და სხვა (გვ. 58—60).

გარდა მორფოლოგიურ იგივეობათა ავტორს მოჰყავს ეტიმოლოგიურ შესატყვისობანი. იაფეტიური წარმოშობის არის, ავტორის აზრით, მაგ., 1. *Beere* (მარ-წყვი), 2. *Gerste* (ქერ-ი), 3. *schilf* (ჭილოფ-ი), 4. *Rind* (მეგრ. ო-რინჯ-ი), 4. *Schaf* (ცხოვ-არი, ცხოვ-ელი), 6. *Hand* (ხელ-ი), 7. *Faust* (სვ. ხუშთ) და სხვა (გვ. 61—66).

ავტორი იხილავს გერმანელების სადაურობის საკითხის შესახებ არსებულ ანთროპოლოგიურსა და სხვა ცნობებსაც, რომელნიც საბუთს აძლევენ დაასკვნას, რომ გერმანელები სომატურად უძველესი იაფეტიდ-გერმანელების შთამომავლებად უნდა ჩაითვალოს, რომელთაც შემდეგ პრეგერმანელთა, ე. ი. წმინდა ინდოევროპელთა მცირეოდენი პროცენტი შეერია. ეს გერმანელები გამოდიან ასეთი სახით საისტორიო სარბიელზე და როგორც რასიულად, ისე ეროვნულ-ფსიქოლოგიურად მკვეთრად ჩამოსხმულ ტიპს წარმოადგენენ (გვ. 89). ამ ტიპის როგორც ფიზიკური, ისე ფსიქიური სახეობა ეკუთვნის ამნაირად რასსთა ჩამოყალიბების ეპოქას, ე. ი. ეს სახეობა ემყარება არა ინდოგერმანელობის ყალიბს, არამედ უფრო უძველესს.

**ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე. I ტომი. ტფილისი. 1922—1923 წ. გვ. VII+424.**

**ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე. III ტომი. ტფილისი. 1923 წ. გვ. XXXIX+388.**

1923 წელმა შესძინა ჩვენს მეცნიერებას ორი ძვირფასი ტომი<sup>1</sup>, სადაც მოთავსებულია 46 გამოკვლევა მეცნიერების სხვადასხვა დარგიდან და ერთი სამეცნიერო მიმოხილვა დამსახურებულ პროფ. პეტრე მელიქიშვილის მოღვაწეობისა.

„მოამბის“ მეორე ტომში ჩვენ ვხედავთ ივ. ჯავახიშვილისა და აკ. შანიძის გამოკვლევებს ახლად აღმოჩენილ ხანმეტი ტექსტების შესახებ, რომელთაც სრულიად ახალი შუქი მოჰფინეს ქართული ფილოლოგიის მნიშვნელოვან საკითხებს და რომელთა აღმოჩენით,

1. 1923 წლამდე „მოამბის“ გამოცემა შეფერხებული იყო უსახსრობის გამო, 1923 წელს კი „მოამბის“ გამომცემლობის საქმე ოდნავ მოავარა უნივერსიტეტმა საკუთარი ძალებით.

ვფიქრობთ, ბოლო მოეღება იმ ჰიპოტეტურ მსჯელობათ, აქამდის რომ ადგილი ჰქონდა ზოგიერთი საკითხის გარკვევაში.

„მოამბის“ მესამე ტომი კიდევ ამდიდრებს ჩვენს ქართულ საისტორიო მწერლობას ივ. ჯავახიშვილის წინასწარი გამოკვლევით „ახლად აღმოჩენილი ქართლის ცხოვრებისა და თამარ მეფის მეორე, აქამდე უცნობი ისტორიკოსის თხზულებათა“ შესახებ.

გარდა ამისა, „მოამბის“ ამ ორ ტომს ამშვენებს ისეთ მკვლევართა გამოკვლევები, როგორც არიან პ. მელიქიშვილი, გრიგოლ წერეთელი, კ. კეკელიძე, ანდ. რაზმაძე, აკ. შანიძე, ნ. მუსხელიშვილი, გ. ნიკოლაძე და მრავალი სხვა.

შეუძლებელია ყველა ამ გამოკვლევის მიმოხილვა ერთ საბიბლიოგრაფიო შენიშვნაში. „კავკასიონის“ რედაქცია უძღვნის თითოეულ მათგანს ცალკე რეცენზიას, შედგენილს სპეციალისტის მიერ. აქ ჩვენ აღვნიშნავთ მხოლოდ ერთ არასასურველ მოვლენას, რომელსაც ადგილი აქვს „ტფილისის უნივერსიტეტის მოამბის“ გამომცემლობის საქმეში.

მეორე ტომიდან „მოამბე“ გამოდის როგორც საერთო ორგანო ყველა ფაკულტეტისათვის და არა ცალ-ცალკე, როგორც პირველი ტომი გამოვიდა. ჩვენის აზრით, ასეთი სახე „მოამბისა“ მოსაწონი და მიზანშეწონილია, რადგან მხოლოდ ასეთი სახის „მოამბე“ მოგვცემს ჩვენ ნათელ სურათს ქართული მეცნიერების — მთლიანად აღებულის ზრდისა და განვითარებისა; და მთლიანობის დარღვევა იქნებოდა ამ მხრით „მოამბის“ სხვანაირად გამოცემა. მაგრამ ეს ერთგვარს უხერხულობას ჰქმნის მკითხველისათვის, რომელსაც კერძოდ შეიძლება მხოლოდ ესა თუ ის დარგი აინტერესებს და ამ დარგში დაწერილი გამოკვლევის შეძენა ჰსურდეს. ამიტომ ჩვენ სასურველად მიგვაჩნია, რომ ცალკე ამონაბეჭდი გამოდიოდეს ბაზარზე გასაყიდად და ისეთის რაოდენობით, რომელიც დღევანდელს მოთხოვნილებას დააკმაყოფილებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვფიქრობთ, მკითხველს ძალიან გაუძნელდება მხოლოდ ზოგიერთი გამოკვლევის გულისათვის მთელი „მოამბე“ შეიძინოს, რომელიც, როგორც გადმოგვცემენ, 3-4 მანეთი უნდა ღირდეს.

## ქვეყანის, №3-4, 1924

### მხატვრული ლიტერატურა

#### საქართველო

#### ქარი სარკეში

მზე მომაკვდავი, ჟანგიანი სისხლის მწვეთავი,  
გადანისლა საფირონის შესამოსელით.  
დარჩა სიმშვიდე, საკმეველის ხარბად მცნოსველი,  
და ცეცხლის სვეტი ღრუბლით ღრუბელს გადაეხიდა, —  
სიჩუმე ფრთხილი, დაღალული, გაუბედავი,  
როგორც ჩამქრალი საცეცხლური ცას დაეკიდა.  
მოულოდნელი პროპელერის ახმაურება  
ცხვრის ფარასავით აფრთხობს ცაში თეთრ იალქანებს.  
სულს უხარია უნაპირო ცის დაურვება  
და ჩუმ ოცნებას ჰაერივით შორს მიაქანებს.  
მეწვის თვალები: თითქო ვარსკვლავს სცვივა მარილი.  
ვხურავ წამნამებს, — ერთის ნუთით თვალი ჩრდილს დალევს.  
შორეულ დროთა მოჰქრის შუქი, და სიზმარივით  
სარკის ტრიალი აელვარებს დახუჭულ თვალებს.  
სხვა საუკუნის შემომესმა ჟღარუნი ძვლების.  
გადატყდა წელში ეს ეპოქა ვით მინანქარი.  
ისმის შრიალი აჩქარებით გაფრენილ წლების,  
თითქო მუხაში შემოიჭრა წვიმა და ქარი.  
ქარი და ელვა! ვერ დაამხოვს ელვას ვერავინ!  
ინვის ოცნება დაბეგრული ძვირფას ხარკითა.  
და მოჩვენება, ჯერ თვალთაგან დაუზვერავი,  
იღვრება დახრილ წამნამებზე მბრუნავ სარკიდან.  
ტრიალებს სარკე:  
რკინის ქალაქებს ტყვე სახლები გაექცა ყველა:  
დახშულმა ქურამ ბეტონით თავი ვერ ისახელა, —  
სულს მოანატრა სხვა სივრცეები,  
ყვავილს ქვა ველარ დაუმეგობრა,  
და ლურჯ ჰაერში აფრინდნენ მწყობრად  
ფერადი ბროლის სასახლეები.  
და მყუდრო ბინად აფრენილ ნავთა  
ოქროს ღრუბლებში თეთრად აყვავდა  
ზღვის ქაფის მსგავსად ნაქანდაკები  
რძისფერ სადაფის და ფაიფურის აგარაკები.  
ტრიალებს სარკე:

ძირს არვინ მისდევს მოსაწყენ გუთნებს,  
 დაეთმო ტყეებს სახნავები და პრერიები.  
 ტყეს, ვისაც უნდა, ის მიიკუთვნებს, —  
 და შიგ დასახლდნენ ვეფხი, ლომი და ფერიები.  
 დაყრუვდა გზები, ოდესღაც ორთქლით გადანალახი,  
 და ჟანგ-მოდებულ რკინის ლიანდაგს ჰფარავს ბალახი.  
 ტრიალებს სარკე:  
 მანქანა ყველგან, მანქანა რბილი:  
 მხეცი მორჩილი, ბრჭყალებ-დაჭრილი.  
 მანქანა ბრძენი, თილისმიანი და ჯადოქარი:  
 რადიო-წვიმა, რადიო-ნისლი, რადიო-ქარი.  
 სულში სადგურობს გასაკვირველი მზის სხივოსნობა,  
 და ელვარებენ მაღალ ძეგლებზე სულ სხვა ხატები:  
 ზეკაცურ ბრძოლის და მიღწევათა მწველი დატები.  
 ტრიალებს სარკე:  
 უცბად იელვებს რადიო-ცნობა:  
 „კონგრესი ინტერპლანეტარული!  
 წითელი მარსის დელეგატები!“  
 კიდევ ზეიმი, აღტაცება და სიხარული.  
 საღმუთი ირგვლივ! (ალარ არის ძველი თოფები:  
 არსენალები დიდხანია ყველგან დაშალეს).  
 ზეცას ესრვიან ფერად მაშხალებს  
 ზარბაზნებივით დაგეშილი ტელესკოპები.  
 შინჯავენ მნათობთ გამშაგებით და გახელებით  
 მრავალ მილიარდ კილომეტრის სიგრძე ხელებით.  
 არ დარჩა მიჯნა ამაყ თვალებს გადაუფრენი  
 აღარც მზის იქით და არც მზის აქეთ.  
 ზვერავენ სივრცეს გასაოცარ სხივთა ქსელებით.  
 გაშლის წამნამებს აპარატი: და მარსელები, —  
 თითქო ფანჯარას მოსდგომიან მოსაუბრენი, —  
 სდგანან ეკრანში, მოზიდულნი რადიო-სარკით.  
 იზრდება ლალი შემოქმედება ნათელი ჯიბრით:  
 ყველა ისწრაფის დაანთოს აზრის სხვა ალიონი.  
 მოჰქრის კომეტა, — ბნელ სამყაროს ფოსტალიონი, —  
 მოაქვს ამბავი შორეული ელექტრო-შიფრით.  
 ტრიალებს სარკე:  
 და თანდათან მატულობს ქარი.  
 ელვის სიჩქარე შემოვიდა მაჯისცემამი.  
 სწუხს ინჟინერი, ხუროთმოძღვარი:  
 „მინის მარშრუტი სამუდამოდ მზეს ვინ-ლა მისცა?  
 დაბერდა რაში  
 და მჭლე ფერდები ვერ გაისუქა!“  
 ისრვიან ლოზუნგს პოეტები: „მოიხსნას მიწა!  
 მოგვებურდა თრევა კუს ნაბიჯით ჯაგლაგ მზის უკან!  
 რომ გაუსწორდეს საუკუნეს დღეც და წამიცა, —  
 უნდა მოტორად გადაიქცეს თვით დედამიწა!

სხვის სისწრაფე შემოვიდა მაჯისცემაში, —  
მზეს მოვხსნათ მიწა და შევიდეთ სხვა სისტემაში!  
გაზომეთ სივრცის განი და სისქე —  
ახალი მზისკენ!“

ტრიალებს სარკე:

გამოდის ბაღში უცნობი ქალი ნიამორივით.

უდგას თვალებში შორი ალერსის შუქის მორევი.

ხელში უჭირავს წიგნი ლექსების, ყდა-გაცვეთილი.

(ქალს მუდამ დასწვავს გარდასულ ჟამთა უშრეტი ალი.

ქალს მუდამ უძგერს ზღაპრებისათვის გული კეთილი.

სხვის ოცნებაში უყვარს ჩაძირვა, და ხეტიალი

ცრემლიან ფიქრთა ნანვიმარ ტყეში).

გადაშლილ წიგნში ნაკითხულ ლექსის სჩანს სათაური: „ქარი სარკეში“.

„საბრალო ბავში! — ჩურჩულებს ქალი. — თავის კაემანს იმით იქრობდა,  
რომ, ხან ცრემლებით და ხან თამაშით, ჩვენზე ჰფიქრობდა“.

ს. აბაშელი

## URBI

მინდა, ავვარდე მამადავითზე:

იქ აირჩიე, სულო, ბინა შენ;

მინდა, უეცრად მუხლზე დავეცე

ჩემი თბილისის და მზის წინაშე.

ჩემო ქალაქო! არ დამაკელი

შენ სიხარული მზისგან ფერილი,

თავზე გადგია, როგორც კანკელი,

ცა მოელვარე და აჟღერილი.

ვხედავ, ურმები ლორთქა თივებით

გზას ახარებენ აჭრიალებით;

მტკვარს მოჰყვებიან ფიჭვის ტივები,

ვით მოცურავე თეთრი ქალები.

სდულან ოქროს და წითელ ღვარებათ

კვირა დღეებით შენი ქუჩები,

და იცლებიან ოხშივარებათ

შენს გარეშამო მთები თუჯების.

შენს ალაცაფთან, მსურს, დავალაგო

ლექსები, როგორც სისხლის წვეთები...

მილიონ ხმებით სავსე ქალაქო,

დიდი სატახტო ხარ პოეტების.

პაოლო იაშვილი

25 აპრილი

## რაინდები<sup>1</sup>

(ესკიზი)

*ვისაც გამოუცდია დიდი ავადმყოფობა, ახსოვს ბოდვა, ტკივილების დროს ჩანგი თუ არა, ზღაპარი მაინც მოუსმენია, — იგი გაიგებს ჩემს სულის კვეთებას და სასიამოდ დარჩება დავიწყებული ისტორიის, არეული ზეპირ-გადმოცემების და დაღლილი ოცნების ხლართი, მწარე ღამეებში ნაღვლიანი ფიქრების გასაფანტავად შეკონილი.*

### I

კარებთან ვილაცამ ორჯერ-სამჯერ მორიდებით, მაგრამ განგებ ჩაახველა.

— ვინა ხარ მანდ?

— მე გახლავარ, ბატონო, გიორგი...

— ვინ გიორგი? შემოდი...

ფანჯარასთან მჯდომი დედოფალი ეზოს თვალს ვერ აშორებდა...

— აა! შენა?.. მოდი, მოდი! შეხედე, თუ კაცი ხარ: განა მართლა გიჟი არ არის ჩვენი არჩილი?

ახლად შემოსული სავარძლის უკან დადგა და ეზოში გადიხედა.

საკვირველი დაინახა:

მეფის ძმა არჩილი ჩამჯდარიყო და ხმაღს ფეხებში უქნევდა ახოვან კაცს, რომელიც ყოველ მოქნევაზე ახტებოდა; სისხლიც აჩნდა აქა-იქ უცნაურ ჯამბაზს...

— არჩილ, ღვთის გულისთვის, გაუშვი! რა დაგემართა?..

— ახლავე, ქალბატონო, ახლავე...

არჩილი წამოდგა, ოდნავ გასისხლიანებული ხმალი ბიჭს გადასცა.

უცნობი ვაჟკაცი შეჩერდა, სული მოითქვა. უეცრად მის ყურებთან დამბაჩა გავარდა... ვაჟკაცი ერთი შეკრთა, მაგრამ ცდილობდა, არ შეემჩნია თავისთვის...

— ახლა დაისვენე... ფეხები დაიბანე და არაყი გადისხი — არა გიშავს რა! — ბრძანა არჩილმა.

— რა ამბავია, ქალბატონო? — დაეკითხა ოთახში მყოფი დედოფალს.

— სასაცილო ამბავი, სასაცილო, ჩემო გიორგი!.. ამასწინათ ბატონი და არჩილი დანადღვედენ, არა ჩემი ყმები უფრო ვაჟკაცები არიან და არა ჩემიო... ბატონმა, აი, ახლა რომ არჩილი აწვალედა, ის გამოიყვანა, არჩილმა — ახალგაზდა პირტიტველა მესხი. რავა გვეგონა, ამხელა მუტრუკს თუ ტურზე რძე შეუშრობელი ყმანვილი დაიჯაბნებდა...

დედოფალი ამ სურათმა გამოაცოცხლა. პირზე ღიმი მოუვიდა, ფეხზე წამოდგა... როცა მესხმა იძრო ხმალი და დაატრიალა, ეს ლეჩხუმელი ხესავით დადგა, ძლივს ამოიღო ხანჯალი, დახუჭა თვალი, დაიწყო ღრიალი: „ხუთი ნუ მოდიხართ, ასნია და ის კაცი არჩილს აჩუქა. არჩილი ახლა იჩემებს: „რა ვაჟკაცი მქვია, თუ ერთი ლაჩარი ვერ გავაგულადეო!“ ამიტომ აწამებს... ურიასავით...“

— ჰმ!.. — გაეცინა გიორგის.

— საიდან გაჩნდი? — დაეკითხა დედოფალი.

— ტყიდან გიახელი, დედოფალო.

ჩქარის ნაბიჯით ოთახში შემობრძანდა მეფე იმერეთისა.

1. ხელოვანთა ყავახანა. მეორე ციკლი.



შეჩერდა.

შეხედა.

— გეძებ, ვერ გპოულობ. სად ხარ? — დატუქსვით მიმართა მეფემ.

— ნამოხვანში გახლდი...

— რაო?!

— ნამოხვანში გახლდი, ნისქვილის ქვებს ვტეხდი...

— მენისქვილობა დამინყე, როცა მე ომისთვის ვემზადები?!

— არაფერი მსმენია, მეფეო...

— საქმეც ისაა!.. რომ დაიკარგები, ხმას ვერ მოგაწვდენს ადამიანი.

— რა ვქნა, მეფეო, რჩენა მინდა და ხელი უნდა გავანძირო. — გიორგი შეჩერდა და ელოდა, იქნებ ახლა ნამოცდეს რაიმე წყალობაო.

— ახლა შენს ვაჟკაცობაზეა დამყარებული: ვერცხლიც შეგიძლია იშოვო და ყმაც.

— ვის ეომები, მეფეო? — წყალობაზე იმედდანიყვეტილის ხმით შეეკითხა გიორგი.

— ვეხმარები ოდიშის მთავარს აფხაზთა მთავრების წინააღმდეგ!

— როდის წაბრძანდები?

— ზეგ დილით.

გიორგი ჩაფიქრდა.

— მაშ, ახლავე შინ გავსწევ, ნისქვილს მოვანყო და...

— გადირიე? ისედაც მცირეა ჩემი ლაშქარი!..

— მეფეო, სანამ თქვენ შარავით აფხაზეთის საზღვარს მიუახლოვდებოდეთ, მე მცირე რაზმით წინ დაგიხვდებით... მე ვიცი მოკლე გზები.

— მეც იმ გზით წავალ...

— ვერა, მეფეო, მე მეყოლება სულ ხუთიოდე ცხენოსანი, ორი საბარგო ჯორი და ოცი-ოდე ქვეითი. მათი ბილიკზე გაყვანა ადვილია, თუმცა ზოგჯერ ცხენების დაგორებაც კი მოგვიხდება. ათასი კაცი კი, თუ არ გაიშალა, ერთმანეთს დაასახიჩრებს...

— უშენობა დაემჩნევა ჯარს.

— მეფეო, ნუ დამიშლი ნისქვილის დამთავრებას... მეცინოდენ, ქვას ვერ იშოვნის და სათავის კეთება ტყულა ჩაუვლისო... ამელამვე ჩავიტან მასალას, ხვალ და ზეგ უკვე ავარიკრიკებ სახლიკაცების გულის გასახეთქად... თუ გნებავს, ჩემს კაცებს ხვალვე გამოვანყო და მოგართმევ, მე კი ორის მხლებელით პირდაპირ წავალ და ენგურის პირად დავიცდი: იქაური ადგილები ვიცი, მაგრამ ომის წინ მივლა-მოვლა კარგია...

— უსარდლოდ მაინც როგორ იქნება ჯარი?! — უპასუხა ჩაფიქრებულმა მეფემ.

— სარდალი, თვარა, მე რომ განრთვნილი ჯარი მყავს, მისი ჭირი არ იქნა!.. მე ჩაგისწრებთ, თუ თქვენ გაიხლებით, ჯარს ჩვეულებრივ დავრაზმავ, ძველებურად შევძახებ, წინ წავალ, და თუ არ გამომყვებიან, მაშინ — პატივი თქვენთან მომიტხოვია... და სარდალმა ისეთი ორსართულიანი გინება ჩაახაჭაპურა, რომელსაც გვირგვინოსანნი კადრულობდენ, მათთან მომუსაიფენი ბედავდენ და რომელსაც ახლა ასოთ-ამწყობიც კი არ აპატიებს მწერალს.

მეფემ რამდენჯერმე გაიარ-გამოიარა ოთახში.

— ბედნიერია, ვისაც განრთვნილი ჯარი ჰყავს — მცოდნე იარაღის ხმარების, შეტევის და მოგერიების — შენიშნა გიორგიმ.

— ნუ გეშინია, ჩვენც გვეყოლება განრთვნილი და მუდმივი ჯარი.

— მე ვერ მოვესწრები და...

— ჩვენი შვილები მოესწრებიან...

— ღმერთმა გისმინოს...

— აბა, გაიხლები... დროა, ბატონო...

— წადი, შვილო, კეთილი გზა მოგცეს ღმერთმა.

— ენგურის პირას დაგხვდები, მეფეო.

— კარგი... ოლონდ...

— მეფეე, როდის იყო...

— ვიცი, ვიცი...

ოდნავ შეჩერდენ. სათქმელი აღარაფერი იყო.

— შემოსვლისას სალამი არცერთმა არ მაღირსეთ, ახლა მაინც მიბრძანე — ღიმილით სთქვა გიორგიმ. მეფესაც გაელიმა.

— გზა მშვიდობისა, ჩემო გიორგი! მომიკითხე ჩემი ნათლული.

გიორგიმ გულზე აკოცა მეფეს; დედოფალმა თავში მოჰკიდა ხელები მიმავალს და ძმურად თავზე აკოცა.

— ჩემს ბატონს შენ გაბარებ, აბა, შენ იცი...

— კაი ბავშს კი აბარებ... — გაეცინა მეფეს.

— რა ვქნა, დედოფალო, ომში მე არაფერს დამიჯერებს... უზნეური ბავშვია. — იოხუნჯა გიორგიმ, მდაბლად ორივეს თავი დაუკრა.

— დედოფალო, კალთას გაემბორები... მეფეო, თაყვანის-ცემა! — და სარდალი ფარდის იქით მიიმალა...

— ერთი ასი ასეთი ერთგული და გონიერი კაცი რო მყავდეს! — ინატრა მეფემ.

— აი, მე რომ არ მიჯეროდი, განრისხული გყავდა!..

— ვცდებოდი, ჩემო გვრიტო...

ბნელდებოდა.

— შენ ხარ მხოლოდ გულთა-მხილავი და წინათ-მგრძნობი.

ბნელდებოდა.

— რამდენი ხვენწა და მტკიცება დამჭირდა და... რამდენი გევედრე, შეგერიგებია — რალაც მინაზებულის ხმით უპასუხა დედოფალმა.

ბნელდებოდა.

— სულ ხომ მე არ უნდა გეხვენო, ერთხელ მაინც შენ მეხვენე... — მაცდურის ღიმილით სთქვა მეფემ.

ბნელდებოდა...

და დაიწყო მოსაყირჭებელი ალერსი — ნახევი და ნაგლეჯი ტარიელ-ავთანდილის მიჯნურობისა, სპარსული მგოსნებისა, თეიმურაზის ლექსებისა, რომელნიც ახლაც ისმიან ბაიათებსა და მუხამბაზებში...

აქ იყო „კოკობი ვარდი“, „ალვის ტანი“, თუმცა დედოფალი კარგა შემრგვალებული, თვალყუყუნა, შუა ხანს მიღწეული ქალი იყო.

— ამისთანა მარდი, მოხერხებული და ნამუსიანი დიდებულნი მყავდენ... — დაიწყო ისევ მეფემ, მაგრამ დედოფალმა შეაჩერა:

— მოიცა, მოიცა. — სიმღერა ისმის.

დედოფალი და მეფე სამზერად ფანჯარას მიადგენ.

— მეტივეებია! გააღე, ბატონო, ფანჯარა...

მეფემ ფანჯარა გააღო.

— იმე! ეს ხომ ჩვენი გიორგია. დახე, რა ტკბილად იმღერიან!

მდინარის შუა გულიდან ისმოდა:

ჩემო ტივო, მაშინ გაქებ,  
სატივოზე გასულიყო,  
თავს მუშტარი დაგხვეოდეს,  
სხვაზე მეტათ გასულიყო.

— ძალიან ფაცურობენ, მაგრამ სიმღერას არ სწყვეტენ... — შენიშნა დედოფალმა.  
— საშიშია. იქაა მორევი...  
— ღმერთო, უშველე!  
— არა უშავს რა, გიორგი ნაცადი ვაჟკაცია. — თქვა მეფემ; თვალს კი არ აშორებდა, სანამ ტივმა არ გასცურა სახიფათო ადგილი.

II

მეფის მცირერიცხოვანი ჯარით მოსვლა არ იამა ოდიშის მთავარს.  
მოხუცი დედოფალი მეფის გასაგონადაც კი დედაბრულად ბუზღუნობდა:  
— აი, დახმარება თუ გინდა სიძე-ბატონისაგან, ამას ჰქვია!.. თითქო სანადიროდ მოსულიყოს! სასაცილოდ აგვიგდო!.. თუ გავიმარჯვებთ, სახელი მისია; თუ დავმარცხდით — ჩვენ აგვიანცებენ...  
მოთმინებიდან გამოსულმა მეფემ მოკლეთ მოსჭრა:  
— ცოტაა თუ ბევრი ჩემი ჯარი, გამარჯვება ჩემს კისერზე იყოს... თქვენი ჯარი სრულიად ნუ გამოვა! თუ განყრა ღმერთი და დამამარცხეს, ჩემი სამეფო თქვენთვის დამითმია — მოგახმაროთ ღმერთმა!..  
...  
მეფეს ენგურის პირას დახვდა გიორგი.  
— დამეკარგა შენი იმედი. — მიეგება მეფე.  
— წუხელის გიახელი, ბატონო, ღამით. ადგილები დავათვალიერე. აფხაზთ ჯარი დიდი ჰყავთ...  
— ჩვენ კი მცირენი ვართ, ოდიშელნი არ გამოსულან. სულ ასიოდე კაცი იქნება, თუმცა რჩეული ვაჟკაცები.  
— რატომ?  
— წამომცდა, სულ არ ხართ საჭირო-მეთქი, და დაიხვია ხელზე მთავარმა... თავისი ნებით კი მეტმა არ ისურვა.  
— ჩვენ რალას ვაკლავთ, შე დალოცვილო, თავს? შემოვაბრუნოთ ცხენები და გაუდგეთ ჩვენს გზას.  
— ეჰ, ასეც არ იქნება!.. თუ გავიმარჯვებთ, ღმერთმა ჰქნა, აფხაზეთი მფარველობას შეგვევედრება... შუაში მომწყვდეული ოდიში სამუდამოდ ქედს მოიხრის ჩვენს წინაშე...  
გიორგიმ თავი ჩაღუნა: შერცხვა, რომ ვერ გასჭვრიტა მეფის წინდახედული საქმენი.  
— თანაც, — დაუმატა მეფემ, — ძველ მოყვარეს, სიმამრს თუ არ დავეხმარე, როგორ შემხედავს ან სოფელ-ქვეყანა, და ან განსვენებული ჩემი მეუღლე როგორ შემხვდება საიქიოს... ბევრია მტერი?..  
— ჩვენზე ორჯერ მეტი იქნება...  
— ბანაკი რომ პატარაა შესახედავად?  
— ბარგი არ აქვთ... ურმები არ ყავთ... თავის ქვეყანაში არიან... თანაც სულ დიდკაცობაა და შეჯგუფული არიან... ქეიფობენ... დანამდვილებით მაინც ვერაფერს ვიტყვი, ოღონდ ჩემმა ლაზიკამ ასე მითხრა... ის გაღმა იყო და ბანაკს ირგვლივ შემოუარა.  
— როგორ? რანაირად? ჯერ რომ წყალი არ დავარდნილა?  
— მაგი ხომ კაცის შვილი არ არის... ან ბოშებმა დატოვეს და ან პირდაპირ ეშმაკმა ჩამოუგდო ფაცხაში დედა-მისს, — და ლაზიკასკენ გაიხედა, — ცხენიც კი გამოიყვანა გაღმიდან...  
— ძალიან უმარჯვნია!.. შენ როგორ გაუშვი, არ შეგეცოდა?  
— ვეხვეწე, ხვალ წყალი დავარდება და მერე გადი-მეთქი, — არ დამიჯერა. გადამეკიდა... საშველი აღარ მომცა... წყლის პირას ჩამიყვანა, ამისხნა — ეს ჩქერი გაღმა მხარეს

ეცემა, მას გავყვებიო, იქედან კი — მეორე ჩქერზე მიმითითა — იმას გამოყვებიო... მერმე აქ ერთი ფუტურო ხე მოსჭრა, ჭვრიტიმალეები დაუგლისა, ნინ გაიგდო და უკან გაყვა. — ვუყურებდი — წელს ზევით არც კი დასველებულა. კაშკაშა მთვარე იყო... აქეთ კი დილას მოვიდა და ეს ცხენიც მოიყვანა. შემომჩივლა, მეორე შუა წყალში მოსილულზე დამრჩაო.

— მოდი აქ, ბიჭო! — დაუძახა თვით მეფემ.

ლაზიკა თავის ცხენიანათ მოვიდა.

— ბიჭო, რამ გაგაბედინა გალმა გასვლა?

— დედისაგან მაქვს, ბატონო, ნანინასწარმეტყველები: „შენისთანა მურტალი არც ომში მოკვდება და არც წყალში დაიხრჩობაო“. — იოხუნჯა ლაზიკამ, რომ ბატონები გაეცინებია.

— რა მთავრის შვილი თვითონ იყო, რომ შენ დაგცინოდა? — სიცილით დაეკითხა ისევ მეფე, რომ ლაზიკასთვის კიდევ მიეცა ოხუნჯობის საშუალება.

— მთავრის არა, და, მგონი, ბებია-ჩემი ხშირად დაძვრებოდა ბატონების სასახლეში და, სამზარეულოს გარდა, მუცლის გასაბერავს განსვენებული ბატონის ლოგინზედაც ღებულობდა.

— ნუ იგდებ თავს! — შეუბღვირა სარდალმა, მაგრამ ღიმი მანაც ვერ შეიკავა.

— ეს ყველაფერი კარგი, — მეფის სახე უეცრად დადინჯდა — როგორია ჯარი?

— სულ დარჩეული ვაჟკაცებია, ბატონო, ღამის ყარაულათაც კი აზნაურები უნდა იყონ... მაგრამ რაცხა უკმაყოფილებაც არის ჯარში... გუშინ წასვლას აპირებდა თურმე ინალიპა, მაგრამ გააჩერეს.

— საიდან გაიგე?

— იქ რომ ვიყავი, ჩორჩოლი ატყდა... მერე ყარაულების ფაცხას მივაყურე: მთავრების კარვიდან მოსული უამბობდა მათ... მე ასე გამოვიტანე...

— ზარბაზნები აქვთ?

— ბატონსაც მოვახსენე, ზარბაზანი არ მინახავს, მარა ერთ ადგილას ბურჩებს რგავდენ, გამიკვირდა: რა დროს ბაღჩის გაშენება-მეთქი, და მინდოდა, მივპაროდი, მაგრამ იქედან ძალის ყეფა მომესმა — და ველარ მივბედე.

— აქედან იხედება ის ადგილი?

— აი, ეგერ გახლავთ, მეფეო... ნითელი მინა რომ მოჩანს, მის ქვევით ორი ხეა და ხეების ცოტა დაშორებით — ბურჩენარი... სწორეთ ისაა, მეფე ბატონო; ემჩნევა კიდევაც, რომ ადამიანის ხელს იქ უფათურებია... ასე მწკრივად და მრგვალად სხვაგან არსად არის ბურჩები.

— დააყენე მზვერავი? — ჰკითხა გიორგის მეფემ.

— დავაყენე, მეფეო, მაგრამ გამოცდილი ხალხია: დღისით არავინ მიეკარება, და ღამით კი არ დაინახება...

— აჩუ, შე მგლის არჩივო! კიდევ დანოლა გინდა? — შეუწყრა ლაზიკა ცხენს.

— დანვეს, დანვეს... ახლა მაგას მოსვენება მოუხდება... უწამლე რამე?

— კი, ბატონო... ჯერ თავდაყირა დავკიდეთ, — ბევრი წყალი ასხა, მერე ფერდობზე თავქვე დავანვინე და მუცელი დავუზილე, — მაშინაც ცოტა წყალი დააქცია; თოფის წამლიანი არაყი დავალევინე. მეტი რა ვუყო!...

— თოფის წამლის მაგიერ საპონი დაველევინებია, სჯობდა, მაგრამ არაფერია, — მეფე დაიხარა და მუხლებზე და მუცლის ქვევით დახედა, — აი, ამ გადატყავებულზე კი წაუსვი თოფის წამალი... სიმინდი აჭამე.

მზე ჩადიოდა.

„რად აქცევს ჩემს ცხენს ამდენ ყურადღებას მეფე?!.. ვაი თუ წამართვან! — ელვის სისწრაფით გაუარა თავში ლაზიკას. — არა, აჰ, ჩემს ცოდვაში როგორ ჩაადგამს ფეხს?!“

— ჩვენი ბანაკი როგორია? — დაეკითხა მეფე ისევ გიორგის.

— მშვენიერი... უკან სალი კლდეა, ჯიხვიც ვერ ავა; აქეთ მდინარე — ერთი მზვერავი კმარა; ქვევით კი გაშლილი უტყუო ველია, ჩიტიც კი თვალში მოგხვდება კაცს.

— ძლიერ დაღლილი ვართ ჯარიც და მეც; ცოტა ვივანხმოთ და მოვისვენოთ.

ცხენები შეჯგუფეს; ირგვლივ ურმები დააყენეს; ხალხი და ლაშქარი ურმების უკან მიწვა; ყველამ მოძებნა სასთუმალი — უნაგირი, უღელი, ჯირკი, უბრალო ქვა, მაგრამ არავის უძებნია ქვეშსაგები ან ზედსახურავი; იშვიათად თუ ვისმე ქონდა ნაბადი; მხოლოდ მეფეს დაუყარეს კოპიტის ტოტები, გაუგეს ზედ ნაბადი.

ყველამ მიიძინა.

არ ეძინა ორს: უდიდესს — მეფეს და უმცირესს — ლაზიკას.

— მოინი აქეთ! — გაღვიძების შემდეგ დაბალის ხმით უთხრა მეფემ გიორგის.

თავისი სასთუმალი გაღვიძებულმა მეფისაკენ მისწია და დაჯდა.

— დანევი... ვერავინ შეგვნიშნავს, რომ ვთათბირობთ... ჩვენ დიდხანს ვერ მოვიცდით აქ. სიმამრ-ბატონს ურემი ბევრი წამოუყვანია და სურსათი ცოტა წამოუღია; თანაც, ვინ იცის, ჩემი აქ ყოფნით ვინ როგორ ისარგებლებს.

— მტერი რომ ბევრია?! ოდიშის მთავარს იმედი აქვს, დამხმარე ჯარი კიდევ მომივაო...

— მოსვლით არავინ მოვა, ტყუილია, მტერს კი შეიძლება მოემატოს... ქელემ-ბეის მსახურნი, უეჭველია, ყრიან ხმას, რომ მათი ჯარი აივსო ნადავლით და ნატყვევით; ჩემი ნათესავი ქალი, მისი მეუღლე, ვინ იცის, იქნებ თვალთმაქცურად სამიძიმარსაც კი ღებულობს ჩემი სიკვდილის გამო და უგულო შეტირილებს მართავს... აფხაზის ხალხს ყველა ეს გაამხნევებს, და ახლა თუ მარტო აზნაურობაა, შესაძლოა, მთელი ბრბო მოაწვეს აქეთკენ საშოვრად.

— ხმებზე თუ წავიდა საქმე, თქვენს სიმამრსაც კარგი ხმები დაუყრია აფხაზეთში...

— მაინც?

— ვითომც თქვენ თვალ გიჭრიდესთ... რა ჯარიც არ უნდა იყოს, რომ შეხედავთ, გააფუჭებთ, და თითქოს ამიტომაც იყოს, რომ თქვენ საკუთარ ჯარს არ უყურებთ და მუდამ ჯარის წინ ბრძანდებით.

— ვინ დაიჯერებს?

— დაიჯერებენ კი არა, გლეხობა რომ არ მოსულა, სულ ამის ბრალიაო, — ბრძანადღეს აფხაზეთის კარგა მცოდნემ გლახუა ჩიჩუამ.

— მე რატომ არ მითხრეს ეს ამბავი?

— ვერ გაგიბედე უსათუოდ, რომ ასეთი ცუდი თვისება მოგანერეს — თვალის მჭრელობა...

— ო, ნეტავი მართლა მქონდეს, შევზღუდავდი ჩემს ფარგლებს და დავამშვიდებდი ქვეყნას, ჩემს სამეფოს.

გაჩუმდენ.

— თუ გენებება, ბატონო, ხვალვე შეიძლება დავეცეთ. დილისთვის მდინარე დავარდება. ფონი აქვე იქნება...

— ხვალ არა და ზეგ, მგონია, უნდა გავათავოთ ეს საქმე: ან გავიმარჯვებთ და ან...

— გავიმარჯვებთ, მეფეო, გავიმარჯვებთ: შენ გვერდში გვეყოლები და არ გავიმარჯვებთ?!

დადუმდენ, თვლემდენ.

— ჰო, — კიდევ შენიშნა მეფემ, — ხვალ კარვების აშენება დაიწყე, თითქოს ერთი თვით ვაპირებთ დარჩენასაო.

— მესმის, ბატონო, — ნახევრად ძილში უპასუხა გიორგიმ, — მეც მასე ვფიქრობდი.

...

მეფის რჩევა ლიზიკამ აასრულა. ახლა ცხენს გვერდში მოსწოლოდა, თვალეში შეჭყურებდა, კისერზე ხელს უსვამდა და ებუტბუტებოდა:



— ტყუილია, მეფე ჩემი ცოლ-შვილის ცოდვას რავა მეიკიდებს! ოღონდ შენ მორჩი... და დაღლილი ცხენი თუ ოდნავ მოინწყენდა, ლაზიკა წყევა-კრულვასაც არ აკლებდა: — მორჩი, შე მგლის არჩივო! ჭამე, ჰა, სამყურა მოგიტანე — ვერ ხედავ? მორჩი და შვილში არ გაგარჩევ... შენს პატრონს შენისთანა ათასი ჰყავს იქნება, და მე კი ერთი მეყო-ლები... დაგესევით დედა-ბოძიანათ, ტახსავით გაგასუქებთ და დედოფლის კატასავით გაგასუფთავებთ... ოღონდ მეიბრუნე ერთი პირი... ნამოდექი... მთელს ოჯახს ამიშენებ... ეჰ, რას შვრებიან, ნეტავი, ახლა ჩემი ბიჭუნები? ტკბილად სძინავთ, თუ მუცელში თავვე-ბი დაურბისთ?... დამპირდა ქალბატონი, არაფერს შევაკლებო, მაგრამ... ჩუ, რა გემარ-თება... დგები? მეიცა, მეიცა, მეც მოგეხმარები...

ცხენი ნამოდგა და ბალახს სუნვა დაუნყო.

ლაზიკა ირეოდა სიხარულით...

— ჭამე, ჭამე! მეიცა, ერთი ჭადის ნატეხი მოგიტანო... ეხ, ლაზიკა, რა ოქრო ბიჭი ხარ! ერთი აღჩუ დაგიჯდებოდეს, რას არ მოახერხებ, რა არ შეგიძლია!..

ლაზიკა გაიქცა ურმებისაკენ ჭადის ნატეხის საშოვნელად.

ცა კი უზნეო ბავშვივით ხან მოილუშებოდა, მაგრამ ოქროს-ფერი ზოლები მაინც რჩე-ბოდა, ხან კი გაიღიმებდა მთვარის შუქით, და თან თქორავდა და შხუმფლავდა. ლაზიკა ექვთიმის თანხლებით მალე დაბრუნდა.

მოტანილი ჭადი ცხენმა ზანტად, მარა მაინც შეჭამა.

— ან ან არაფერი უჭირს... ახლა მეორე გამოვიყვანოთ. — მიმართა ლაზიკამ ექ-ვთიმისას.

— გადირიე, კაცო?! წყალი კიდევ საცურავია... ყარაულებმაც რომ შეგვნიშნონ...

— თუ არ გაიჭირვებ, რისი იმედი გაქვს... იქნებ ბედმა გაგვიღიმოს... ნახევრად ძა-ლით, ნახევრად ნებაყოფლობით ბიჭები მეორე ცხენის გამოყვანას შეუდგენ.

### III

— შერვაშიძეების ბანაკში თათბირობდენ.

— რისი გვეშინია? ჩვენ ბევრად მეტი ვართ.

— მაგიერათ — მეფეს თვალს უჭრის, გადახედავს ჯარს და დააძაბუნებს.

— თვალის ჭრის რა მოგახსენო, არ დამიცდია, და იმერეთის საუკეთესო ვაჟკაცები კი თან ახლავს: არჩილი, აგიაშვილი, მესხი, ერისთავი...

— ოდიშიდან ხომ არავინაა?

— როგორ არა! სულ გალექსული გმირებია...

— მე მაინც ჩემსას ვამბობ — მეფეს თვალს უჭრის... ის ნუ გადახედავს ჯარს, და სხვა რაც მოხდება, ღვთის ნებაა...

— მერე როგორ შევუთვალოთ მეფეს, ისე იომე — ჩვენს ჯარს არ შეხედო-თქო?! — ღიმილით სთქვა ქელემ-ბეიმ.

— მოსაკითხი გავუგზავნოთ ვისიმე ხელით და მოვწამლოთ.

— უ, რას ამბობ! — იუცხოვა უმცროსმა.

— აბა, ტყულა დავიხოცოთ? ომი ხომ ჯირითი არ არის, ესროლო და თან ერიდო, არ დავასახიჩროვო... რითაც გაგვივა, მით უნდა გავიტანოთ ჩვენი...

— მე წინააღმდეგი ვარ... ვაჟკაცურად შევხვდეთ: რაც მოსავალია, ვერ გავექცევით...

— მე თანახმა ვარ შენი: მეფის თავიდან მოშორება გამარჯვებას უდრის, მაგრამ მე-ფეც ხომ ფრთხილად არის: ასეთ ადვილად თავს არ მოგვანამლვინებს.

— მაშ, მკვლელი გავუგზავნოთ.

— არც მაგია შესაძლებელი — ვინ მიგიშვებს მეფესთან!..



— აი, რა, — ჩაერია ბჭობაში მოხუცი ემუხვარი, — ჩვენი ზარბაზნის მსროლელი ჩემულობდა ტყვიას სადაც მინდა, იქ მივარტყამო; გავიგოთ, სად არის მეფის კარავი, და, ვესროლოთ.

— მერე სადაა მისი კარავი?

— მზვერავები გვეტყვიან.

— თქმა არ კმარა... ნათქვამზე ხომ ვერ დაუმიზნებ — ხიფათიდან წინდანინვე თავის დაღწევისათვის მოიმიზეზა მეზარბაზნემ.

— აბა, გავგზავნოთ მეფესთან კაცი დღისით... აქედან შენ უყურე და განიშნებს.

— როგორ უნდა მანიშნოს?

კუთხეში მჯდომმა უჩარდიამ წამოინია:

— მე გამგზავნეთ, ბატონებო, მოციქულად... მოვახერხებ, რომ უსათუოდ მეფის კარავში პირველად შევიდე... იქედან რომ გამოვალ, ესროლეთ.

— ეს კარგი აზრია.

— მაშ ასე, — დაარიგა უფროსმა, — მეფეს იახლები; სანამ მის კარავში არ შეხვალ, არსად შეხვიდე, მოიმიზეზე — საჩქარო საქმე მაქვს-თქო, მოახსენე, როდის გნებავს ომის დაწყება-თქო.

— ახლავე ნავიდე?

ცას შეხედეს... ლამდებოდა.

— არ იქნებოდა ცუდი... მაგრამ გვიანაა... ხვალ ადრე წადი... დაბრუნდი მალე და კეთილად.

— გახსოვდეს: როგორც კი მეფეს დაშორდები, ჩქარა წამოდი, თორემ მაშინვე ვესვრი, რადგან მეფეც, იქნება, კარვიდან მალე გამოვიდეს — და ეს ხერხი უნაყოფოდ ჩაგვივლის.

— კარგი.

— მე ყველა ამის წინააღმდეგი ვარ, ეს სილაჩრე და მუხანათობაა.

— ნამეტანი არაფერი ვარგა, — შენიშნა უფროსმა ძმამ — აქ ვაჟუკაცობას კი არ ვაჩვენებთ ერთი მეორეს, აქ სიკვდილ-სიცოცხლის ამბავია.

— გემორჩილები, ძმავ ბატონო, მაგრამ ვამბობ, არ იყო საჭირო.

...

ნიშნად მოციქულობისა, კალთაგადაკაპინებული, თეთრი ჩოხით გამონცობილი უჩარდია მეფის ბანაკს მიუახლოვდა.

დარაჯებს დიდხანს არ შეუჩერებიათ, პირდაპირ მიჰგვარეს მეფეს, რომელიც ჭადრაკს ეთამაშებოდა ოდიშის გამორჩენილ მოჭადრაკეს.

— ღვთის წყალობა მეფეს.

— კეთილი იყოს თქვენი მოსვლა... რას გვეტყვი საყურადღებოს?

— მთავრიშვილები მოგახსენებენ, როდის ინებებთ ომის დაწყებასო.

— რაც უფრო მალე შევექცევით, მით უკეთესი. — მოკლედ მოსჭრა მეფემ და უჩარდიას თვალი თვალში გაუყარა: ასეთმა უჩვეულო, ახირებულმა მოციქულობამ, ცოტა არ იყოს, გააკვირვა.

— მაშ, ასე გადავცემ: მეფემ ბრძანა, რაც უფრო მალე შევექცევით, უკეთესია-თქო.

— დიახ.

— გწყალობდეს დედა ღვთისა.

— გზა მშვიდობისა.

უჩარდია ნავიდა. ჭადრაკის თამაში არ შეუნყვეტიათ; მოციქულობამ მეფე მაინც ააბორგა.

— მეც ვერ გაგიბედე, თორემ არ მომენონა; ზედმეტი თავაზიანობა ყოველთვის საეჭვოა.

— გამიგონია, ჩვენს ძველებს ასეთი ჩვეულებაც ჰქონიათ. — დაუდასტურა ფალავამ.

და ვერ მოასწრო ხელში აღებული მხედრის გადასმა, რომ კარავი შეიძრა და მოისმა ზარბაზნის ხმა.

მეფემ ზევით აიხედა — კარვის წვერი იწოდა.

— გამოიტანეთ, რაც რამ არის... კარავი წააქციეთ და ჩააქრეთ ცეცხლი, არ გადავიდეს! — მშვიდად გასცა ბრძანება მეფემ და ჭადრაკი აიღო. — წამობრძანდი შენს კარავში — იქ დავათავოთ.

— მდევარი! არ გაუშვათ მაგ წუნკი!

— ხელი არ ახლოთ! — ისევ ბრძანა მეფემ, — მაგრამ ვინც ომიდან მაგის თავს მომიტანს, ათ ოქროს ვაჩუქებ. ჰკარით ბუკი და ნალარა... დაემზადეთ... ომი იწყება...

— ფონი მონახულია? — დაეკითხა მეფე სარდალს.

— კი, ბატონო, ორს ადგილას...

— ამინდიც ხელს გვინწყობს: გრილა და მზეც კაშკაშებს — დაუმატა მოჭადრაკემ.

#### IV

მეფე გამობრძანდა.

იგი აღარ ჰგავდა ტკბილ მობაასე, მშვიდ მეთაურს.

თავს მუზარადი ეხურა; ტანს ეცვა ჯაჭვის პერანგი.

დინჯი ნაბიჯი.

დაძაბრული სხეული.

მიხრა-მოხრა მკვირცხლი;

კილო მბრძანებელი;

აზრი ფხიზელი.

მოართვეს ცხენი. მოახტა.

— აგიაშვილო, ვინ არის მეზაირახტრე?

— ლორთქიფანიძე, მეფეო!

— მიმყოლი?

— ლასხიშვილი.

— უთხარი: ვინც გახრის ბაირალს, თავს გავაგდებინებ... აბა, შვილებო, ხრესილის სამაგიერო გადავიხადოთ.

მეფემ ალაპყრო ხელი:

— ღმერთო, შეგვენიე!

ყველამ პირჯვარი გადინერა.

...

ფონებით გავიდენ მდინარეში.

გაიშალენ მინდორზე. ელოდენ მტერს.

ზარბაზნის ხმა არც დიდ იმედს იძლეოდა და არც არავის აშინებდა. მხოლოდ ცხენები ცქვეტდენ ყურს.

თხემიდან ჩამოაჭენა ცხენი უცნობმა; ჰაერში ლეკური შეატრიალა; ჩააგო; იმავე წუთს ტამბაჩა დასცალა, გადაადგო, გაჭენებული ცხენიდან გადინარა და მარდად აიღო.

— ჯირითობს. გვინწევს.

არჩილმა გაინია.

— მოითმინე, ბატონიშვილო! ვინ იცის, ვინ არის...

— მე გავალ, ბატონო, — და გაადგო ცხენი ავალიანმა: მაგრამ მისული არ ეგონათ, რომ უნაგირზე ჩაეკეცა.

უცნობმა კი ცხენი ისევ აახელფეხა...

ავალიანს აბამიძე გაჰყვა. კაცხის თავადმა მხოლოდ მოასწრო ტამბაჩის დაცლა, — მისი ცხენი მალე უაზროდ დაჭიხვინობდა ველში.

— ე, რავა უცადო, სანამ გაგვწყვეტს! — თავის მგლისებურს ცხენს ქუსლი ჰკრა არჩილმა. უცნობი არჩილის დანახვაზე ცხენზე გადახტა და საყელოს ღილი გაიხსნა.

— ვინა ხარ? — დაეკითხა უცნობს უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილი ბატონიშვილი.

— ალანელი. თქვენი ძიძიშვილი.

— მოდი აქ.

ალანელი ეახლა. არჩილი ცხენიდან გადმოიხარა — და ალანელმა გულზე აკოცა, არჩილმა — თავზე.

უფრო ხანგრძლივი იყო წულუკიძის და ალანელის შებრძოლება, მაგრამ როცა ხელში დაჭრილი წულუკიძის ხმალი მიწას დაეცა, ალანელი გადიხარა ცხენიდან, აიღო ხმალი. მონინალმდეგეს ქარქაშში ჩაუდვა და ისევ თავის ადგილას გაჩერდა.

მამინ ძალით ხელიდან გაუსხლტა მასთან მდგომთ პირტიტველი ერისთავი და მიაშურა.

ალანელმა პირველად მხოლოდ ახლა იკადრა თოფის მხარიდან გადმოლება და დაახალა; ერისთავი ცხენიდან გადავარდა. ყველას ეგონა — ატირდა ბარაკონის დამამშვენებელი მზეთუნახავი გულქანო, მაგრამ საცნაური დაინახეს: ალანელს უკან შემოჯდომოდა ერისთავი, ილღიებს ქვეშ გაეტარებინა ხელები, თვით ხელთ ეგდო ალვირი. განცვიფრებულს ალანელს თოფიც კი ვერ გადაეგდო და ისე მიჰქროდა მტერთა ბანაკში.

შეიქნა საშინელი ყიჟინი.

...

თავში ხშირი, შეწყნარდა თოფისა და ბუკის ხმა.

მხოლოდ ზარბაზანი განსაზღვრულ დროს გამოსცემდა თავის მოსაწყენ „ბუუ“-ს.

ცქერა მოსწყინდათ მხედრებს. აღელვება მატულობდა.

— აბა, თქვენი მარჯვენის ჭირიმე! ენგურსაც ვაჩვენოთ ჩვენი ვაჟკაცობა! — დაიგრიალა გიორგი-სარდალმა...

თითქმის ერთსა და იმავე დროს ორივე მხრიდან ყიჟინით დაიძრა ჯარი.

დაიწყეს ხელჩართული ომი.

აი, იქ, წულუკიძის ირგვლივ, შეჯგუფდა ჯარი.

აქ ზეფიშვილს შემოარტყეს რკალი.

გამოჩნდა ლურჯაზე მჯდომი ხმალამოლებული მეფე.

გორიდან დაეშვა ბექირ-ბეი; მანაც ამოიღო ხმალი.

შეხვდენ. მაცქერალთ გული აძგერდა.

ჩაუარეს ერთმანეთს უხმოდ, უომრად.

მსწრაფლ შემოატრიალეს ცხენები და მიაშურა ერთმა მეორეს...

ვინ დააობლებს თავის ჯარს? ბევრმა მიატოვა ბრძოლა და მათ მიაჩერდა, თვალი თვალში გაუყარეს ერთმანეთს; გაუსწორდენ. მთავრის ცხენს ფეხი გაუსხლტა და წაიქცა; მხედარი ოდნავ წინ გადიხარა, უნაგირს დაყვა; მეფემ ჩაუქროლა, ხმალი წაქცეულის თავზე ჰაერში შეატრიალა და გასწია მებრძოლთა ჯგუფისკენ, სადაც მამა-შვილს მიქელაძეს სამი აფხაზი შემოხვეოდა და სახიფათო მდგომარეობაში ჩაეყენებია: შვილი უკვე ჩამოეგდოთ უნაგირიდან, მამას სისხლი სდიოდა, მაგრამ ცხენოსანიც და ქვეითიც ციბრუტივით ტრიალობდენ და...

— აქა ვარ, არ შეგეშინოსთ! დაჰკარით მაგ გლახებს!

— უი, მეფე! — თავზარდაცემულმა დაიძახა ერთმა და თავს უშველა.

— სად მირბიხარ, შე დედაბერო? — მიაძახა ამხანაგმა, მეტი ვერ მოასწრო: მოხუცი მიქელაძის ხმლით თავგაჩეხილი ცხენზე გადმოვარდა. მესამე აფხაზმაც იკადრა გაქცევა.

— არ გაუშვა! — უბრძანა მამამ შვილს.

ყმანვილი მოახტა აფხაზის ცხენს და დაედევნა.

მეფე ცხენზე ჩამოხტა და მოხუც მიქელაძეს მოეხმარა.

— დროზე მოგვისწარი, გწყალობდეს უფალი... ცუდად იყო ჩვენი საქმე.

— ძლიერად ხარ დაჭრილი?

— არაფერია, ბატონო. — ბოდიშობდა მოხუცი, როცა მეფე მისივე ყაბალახით თავს უკრავდა.

— მოითმინე, მოითმინე! აი, ასე! ბანაკში წაბრძანდი, იქ უკეთ შეგიკრავენ; მე ვერ გამოგყვები...

— არა, შენი ჭირიმე, აქ დარჩი, გაამხნევე, გადაარჩინე, როგორც ჩვენ.

მოხუცმა უკვე იგრძნო სისუსტე, ნელა შეჯდა ცხენზე და წყნარის ნაბიჯით წავიდა.

შეტაკების უკანასკნელი სიფიცხე ტრიალობდა.

არჩილი მიიზღაზნებოდა თავის წელმოხრილი, ფეხ-მსხვილი ცხენით, თითქოს კამბეჩი დადისო ცხვრის ფარაში.

ორი-სამი შეტაკების შემდეგ რალაც გული აუვარდა და მხოლოდ მეფის ხათრით ვერ ტოვებდა ბრძოლის ველს.

ე, მოხუცო, დაჭრილთ შორის,  
რომ დამდგარხარ უცხენოთო,  
ზიარებას თუ უმზადებ,  
მოვახერხებთ უშენოთო, —

დაცინვით მიმართა არჩილმა.

ანჩაბაძეს მეძახიან,  
საოხუნჯოთ — გრძელწვერასო;  
თუ საომრად მობრძანდები,  
რაზედ ხარჯავ ფუჭსიტყვასო! —

დაუყოვნებლივ უპასუხა დამხდურმა.

წინათ მთავარს გადუდექი —  
თვით გნებავდა შენ მთავრობა:  
ახლა ცდილობ — ჩვენი სისხლით  
შეიყიდო ორგულობა? —

კიდევ გაეშაირა არჩილი.

შერვაშიძეს ვეცილები,  
მე მეკუთვნის ბატონობა;  
მით უმეტეს ვერ ავიტან —  
ჩიქვანს ჰქონდეს პირველობა.

— მაინცდამაინც გინდა, ჯოჯოხეთში გაგგზავნო? — ჩამოხტომისთანავე შეეკითხა არჩილი.

— არა, ბატონიშვილო, თქვენ მინდა შეგკადროთ სამოთხეში წერილის გატანება...

კენწლაობდენ.

ორივეს ეტყობოდა ხერხი და გამოცდილება. ბოლოს მოხუცმა ძლიერად მოუქნია; არჩილმა გადაზნექილ ხმაღს წვერში მოარტყა ლეკური, და მოხუცის ხმალი წკრიალით დავარდა.

— დამრჩი! — ძლივს მოასწრო არჩილმა: მოხუცს უკვე ამოელო ტამბაჩა. არჩილმა ნვერით შუბურათ ჰკრა პირში ხმალი... მოხუცი პირალმა დაეცა, მაშინვე თვითონვე პირდალმა გადატრიალდა.

— ვერაა ვაჟკაცური ჭრილობა. ჩემი ბრალი არ იყო: ან კისერში უნდა მეკრა და ან პირში... ასე სჯობია: თუ მოუსწრეს, არ მოკვდება...

და თავის თავზე უკმაყოფილო არჩილმა ქუსლიც ჰკრა და მათრახიც გადუსვა ცხენს, რომელიც ძლივს აძუგდუგდა ბუმბერაზ მხედრის სიმძიმით წელგანყვეტილი.

...

ველზე გამოჩნდა შავულვაშიანი, ნვერმოპარსული, ჩაბალახთავნაკრული, ნაბდიანი ცხენოსანი... აბუანდზე ცერებით შედგებოდა და მიმოიხედავდა. ვინც შეუტევედა, უგულოდ გზას უთმობდა, და მეომარნიც შორდებოდენ — ზოგს შუა კაცი ეგონა, ზოგს მგლოვიარე.

ერთი ახალგაზდა ნამეტანი აუხირდა: ორჯერ შეატრიალა ცხენი, მაგრამ ახალგაზდა წინ გადებობა და ხმლის მოქნევა რომ დაუპირა, უეცრად ნაბდიდან ამოყო ხელი, რომელშიაც მოკლე თოფი ეჭირა... თითქმის გულზე მიადვა და პირქუშად უთხრა:

— ნადი, ძმაო, სხვა მონახე — შენთვის არა მცალია...

თავაზიანობაზე უფრო თოფის ტუნმა გასჭრა: დარცხვენილი ახალგაზდა გაშორდა.

მხედარმა დაინახა, ვისაც ეძებდა: ცხენი და მხედარი ორივე აიწურა, მოწყდა და შურდულივით გაექანა.

— აგიაშვილო, დამიხვდი: შენთან მოვალ! — დაუძახა კარგა მოშორებით მხედარმა.

— მობრძანდი, მე მზად ვახლავარო! — და ცხენი ალმაცერად ისე დააყენა, რომ ხმლის მოქნევა უფრო მოსახერხებელი ყოფილიყო.

მხედარმა ცხენი უეცრად შეაჩერა. თოფი აგიაშვილს გულზე დაადვა:

— დამრჩი!

— რალა მეთქმის!...

უცნობი მხედარი ეჭვის თვალით უყურებდა, არ მოელოდა ასე ადვილად გამარჯვებას.

აგიაშვილმა ხმალი შეაბრუნა, ნვერში ხელი მოკიდა და ტარ-მუშტით მტერს გაუშვირა.

უცნობმა თოფი დაუშვა და ლეკურის გამოსართმევათ მარცხენა ხელი გაუნოდა.

ამ დროს აგიაშვილის ლეკური ჰაერში გადატრიალდა, ჰაერშივე სტაცა მას ხელი პატრონმა, და უცნობი მარჯვენა მხრიდან მარცხენა ძუძუში დაიჭრა.

— ამას ვეძებდი... ღირსი ვარ... — და ცხენიდან ნახევრად ჩამოხტა, ნახევრად გადამოვარდა.

— ვინ ბრძანდები? — დაეკითხა აგიაშვილი.

— ასტამურ ინალიპა.

— ეს მეორე ძმაც მე მხვდა... — გაუელვა თავში — თქვენებს შევატყობინებ, აქიმი მოგაშველონ.

ამ გამარჯვებით ცოტა არ იყოს დანალვლიანებული აგიაშვილი მივარდა ვიღაც აფხაზს და უთხრა:

— ინალიპა ძლიერ დაჭრილია, აი, იქ... მიეშველეთ.

აფხაზმა ცხენი გააჭენა.

— ვაი, სანყალო! რაც იარაღს არ უქნია, იმას სანამლავი დამართებს, — ჩაილაპარაკა იქვე მდგომმა ჩიჩუამ.

— როგორ?

— მაგი არის ინალიშვილების ერთი ბუდის ერთად ერთი ვაჟი-მემკვიდრე; ქალი კი მთავრის შვილსა ჰყავს და დიდი ხანია უთვალთვალებს მემკვიდრეობას.

— დანარჩენი ინალიშვილები, ნათესაობა რას იტყვის?

— ჰო, ვინ იცის... იქნება მთავრის ოჯახს იმედები გაუცრუვდეს, მაგრამ ცდას არ დაკლებენ... მორიგდებიან ნათესავებთან... ბევრი რამ მაინც დარჩებათ.

მოსუცი ჩიჩუა და აგიაშვილი განგებ იყვნენ აქ უსაქმოდ გარეებულნი: გამოცდილმა თვალმა უკვე შეამჩნია, რომ შეტაკება თავდება, რომ აფხაზები უკუქცეული იქნებიან, და აქ იყო საჭირო გზის გადაჭრა, თავზარის დაცემა, რომ ვერ გამობრუნებულიყვნენ.

...

მეფეს წამოენია აგიაშვილი და ჰკითხა:

— მტერი გაქცევაზეა. რა ვენათ?

— ჩვენ საზღვრამდის მივდენოთ... მერე რაც ნებავთ, ის ქნან.

— და რომ შემობრუნდენ?

— შეუძლებელია! ყველა ეს ალანელები, ჩერქეზები, როცა დაინახვენ რომ ოდიშიდან ვერაფერს წაიღებენ, თვით აფხაზეთს შეესევებიან...

...

შორი-შორს იყო ხალხი, კაცი, ჯარი; ცნობა კი ერთი ბოლოდან მეორე ბოლომდე ელვის სისწრაფით გადად-გადმოდიოდა.

ინალიპას, ცნობილი ვაჟკაცის და გვარიშვილის, დამარცხება უკანასკნელი ზარი და ნიშანი გამოდგა: აფხაზები შედრკენ. იმერლებმა და ოდიშლებმა კიჟინა დასცეს და მთელ ველს მოედვა გაქცეული და მდევარი.

— დაგვრჩი, ვერ წახვალ!

ცხენს აჩერებდენ, თავს იხრიდენ ნიშნად დამონებისა.

...

გიორგიმ ვერ მოითმინა და ისევ მივიდა დაჭრილ ინალიპასთან...

— ახია ჩემზე, რაც მომივიდა: არ მომწონს დაუსრულებელი ომი ოდიშთან და იმერლებთან... არ მიყვარს მთავარი და მისი ოჯახი. შემეშინდა მოლაღატეთ არ გამოვსულიყავ პატრონის წინაშე, არავის ეფიქრა, რომ შიშმა ამიტაცა და ბრძოლის ველი დამატოვებია... გუშინ ცხარე სიტყვიერი შეტაკების შემდეგ, კიდევ დავტოვე ბანაკი, მაგრამ დავბრუნდი. მინდოდა, მოვალეობა შემესრულებია, გესლიანი ენისთვის კლიტე დამედვა და წავსულიყავ... თქვენ აგირჩიეთ — გვარიშვილობით ერთი ვართ და თქვენთან შებრძოლება სასახელოა. თანაც თქვენ ჩემი ძმის სისხლი გმართებდათ. გადაეცით მეფეს, რომ მისი გამარჯვება მახარებს...

ჭენებით აფხაზი მოდიოდა.

აგიაშვილი დაემზადა.

— ნუ სწუხხართ, ხელს არ გახლებენ. — ინალიპამ მოსულს რაღაცა აფხაზურად უთხრა:

— უ, ცუდად ვარ... ახლა ნაბრძანდი...

— ჩვენს აქიმს გაახლებთ.

— ნუ შეინუხებთ თავს. თუ მოსარჩენი ვარ, ჩვენი აქიმიც მომარჩენს. თუ არა და... ახია... გადაეცით მეფეს, რომ თავის მსხვერპლად შენირვა არ მინდოდა, მაგრამ მის გამარჯვებას ჩემს ღმერთსაც ვევედრებოდი.

...

ომის ველზე კიდევ დიდხანს მიმოქროდა აგიაშვილი... იგი ეძებდა ცოლის ძმას, ომში პირველად გამოსულს, რომელიც სასოებით და მუდარით ჩააბარეს მოყვრებმა.

ხის ძირში აფხაზთა მცირე ჯგუფი ფაცურობდა... დაჭრილებსა და მიცვალებულთა ცხენებზე აჯდენდენ და აკრავდენ.

მის დანახვაზე ყველა შეხტა ცხენებზე და გაექანა.

ერთი ყმანვილი-ლა ჩამორჩა: დამფრთხალი ცხენი ხან ყალყზე დგებოდა, ხან ტრიალობდა; ყმანვილი ვერ ახერხებდა შემოჯდომოდა ნაბადში შეფუთულსა და უნაგირზე მოხერხებულად დაკრულ კაცს. აგიაშვილის მოახლოებაზე ყმანვილი რაღაც უიმედოდ შეჩერდა. სიკვდილს მოელოდა. სრულიად ბავში იყო. აგიაშვილმა ალვირში ცხენს ხელი სტაცა.



აფხაზი დაიბნა — არ მოელოდა.

— შეჯექ!..

ყმანვილი რალაც უხერხულად მიუახლოვდა ცხენს; შეჯდომას რომ აპირებდა, ცხენზე მჯდომი ნაბდიანი ჩაეკეცა.

— დაჭრილია? — ჰკითხა აგიაშვილმა მეგრულად.

— არა — მკვდარია!..

— ვინაა?

— დედი-ჩემის გაზდილი...

— ყოჩაღ! არ დაგიტოვებია! აბა, შეჯექი!

მიცვალეზულის სახიდან ნაბადი ჩამოცურდა. აგიაშვილმა იცნო მის მიერ მოკლული აფხაზი და ცხენს ქუსლი ჰკრა.

— ის ბავშიც მომეკლა: ვინ იცის, იქნებ სისხლი იძიოს... ეჰ, რას ვერჩოდი ან იმას...

შენიშნა ცოლის ძმის ცხენი.

მოუკლავთო, იფიქრა.

მიუახლოვდა. ვილაც მძიმეთ დაჭრილის გვერდში ეგდო.

დაჭრილმა თავს ძალა დაატანა და ჩაიხროტინა:

— უნდოდა, იარალი წაერთმია... მუჭი დავკარი...

— ადე! — ზიზლით მიმართა გიორგიმ ყმანვილს — ვაჟუკაცობას სწავლობ თუ ცარცვას?.. შეგირცხვა თავი! — და მათრახი მთელის ძალღონით გადაკრა.

ბავში დაიკლაკნა, წამოდგა დარცხვენილი.

— შეაჯდინე ეს კაცი ცხენზე... იარალი მოუნახე და ჩემს კარავში წაიყვანე... ილარიონს უთხარი, მოუაროს...

მერმე დაჭრილს მიუბრუნდა და უთხრა:

— ნუ გაამხელ მაგის თავსხლაფის დასხმას, ნუ მოსჭრი სამუდამოდ თავს. ყმანვილია, გასწორდება...

...

ბრძოლა გათავდა. მზე გადიხარა. მიყურდა ველი. ხის ძირში ჩამოხტა მეფე და გაგებულ ნაბადზე დაბრძანდა. ხალხი მის ირგვლივ იყრიდა თავს ნადავლითა და ტყვეებით... მოყავდათ ცხენები, მოჰქონდათ იარალი. მეფე წყალობას უხვად არიგებდა.

აი, მოვიდა მედროშე.

— ვინ შემოაბრუნა ბაირალი?

— ლასხიშვილმა, ბატონო.

— სადაა?

— მოკლეს, ბატონო.

— დაუბრუნე, ერისთავო, მის ქვრივს და ობლებს, რაც ჩამორთმეული ჰქონდა...

— დაგლოცოს უფალმა!

— შენ გახარე ბაირალი?!

— ნუ გაურისხდები, მეფეო: დაკოდილი ცხენი ვერ გააჩერა, მაგრამ იმდენი ვაჟუკაცობა კი იხმარა, რომ პატივმოყვარეობისთვის ბაირალი თან არ გაუტაცნია — მიმშველს გადასცა. როცა ცხენი დაიმორჩილა, უკანვე მოიჭრა. სწორეთ იმ წუთში ლასხიშვილს თავი გაუპო ბექირ-ბეიმ და ვილაც აფხაზმა ჩვენს დროშას კიდევ სტაცა ხელი, მაგრამ ოტიამ მოასწრო, მკლავი გაავდებია და დროშა ხელში ჩაიგდო. მერმე მაგი შეგვიძღვა ბანაკში.

— ჰოო... ბატონო ნიკოლოზ, ასეთი ყმანვილი თავადობის ღირსია ხომ?

— ჭეშმარიტად, მეფეო! თანაც აზნაურათ კი არ ვთვლი, შვილებში არ გამირჩევია...

— სვიმონ, ლორთქიფანიძეებს ხომ სანინააღმდეგო არაფერი გექნებათ? ისედაც ბევრი ხართ...

— რას ბრძანებ, ბატონო! ჩვენი სისხლი და ხორცია... ოღონდ მამულს ვერ მივცემთ... განსვენებული მაგის ბაბუას მოქმედებამ ისე დაგვჩაგრა, რომ...

— ვიცი, ვიცი... მამულს ბატონი ნიკოლოზი...

— დიახ, დიახ...

— სიძეთ უნდა, — ჩაუჩურჩულა მეფეს ერისთავმა.

— ვიცი... მაშ მომიცია შენთვის თავადობა, ოტია...

— გწყალობდეს წმინდა გიორგი...

— თქვენ რა გვარი ხართ? — მიმართა მეფემ ოთხ — სახეზე ეტყობოდათ — მამა-შვილს, რომელნიც, თოფით-ხანჯალ-ლეკურებით დატვირთულნი, ძლივს მოდიოდნენ.

— ჩემი ყმები გახლავან — დაიწყო მოხუცმა დიდებულმა, მაგრამ არჩილმა შეაწყვეტინა.

— ამდენხანს, არ ვიცი, რა გვარის იყვნენ, მაგრამ ჩეხელიძეები კი შეფერით ანი.

— ჭეშმარიტად... ჩეხელიძე იყოს თქვენი გვარი, და შემდეგშიაც ასე უერთგულეთ ქრისტეს რჯულსა და მეფეს.

— თქვენი ჭირი მოგვეცა! — დაიღრიალა მათ შორის უხუცესმა.

— შენც ომობდი, ბებერო?

— როგორ არა, მეფეო, როგორ არა! მაგი იყო თავი და თავი, — ჩაერია ისევ არჩილი, — ბრძოლის ველიდან ვბრუნდებოდი... აფხაზებს შორიდან თავი დაეარათ და ბანაკს დასცემოდნენ... და ეს ბებერი შვილებით იგერიებდა, როგორც ვეფხვი.

— როცა მაგის ორი უფროსი ბიჭი წამოვიყვანე და უმცროსიც იმათვე აეტორღიალა, მაგ ბებერმა მითხრა: დედაკაცებში ნუ დამტოვებთ; ბარგის თვალყურის მდევნელად მეც გამოვდგებიო, და პირველი ვაჟკაცი კი გამოდგა.

— იარაღი მაინც ჰქონოდა... ნალდი გრძელ ჭოკზე წამოეგო და ისე ტრიალობდა ჯარასავით... არც სხვებს ჰქონიათ ხეირიანი იარაღი. — დაუმატა არჩილ-გიჟმა.

— რა ვქნა, მეფეო, ყველას ვერ განვდა ჩემი თოფ-ხანა... მოხუცი და პატარა ბიჭი ნალდ-ნაჯახის ამარა დამრჩენ.

— მაგიერად ახლა კარგი შეუძენიათ.

— ვისაც მტერთან ბრძოლა უნდა, იარაღს ომშივე იშოვნის...

— მომიცია თქვენთვის 40 ქცევა ადგილი და აზნაურობა, ოღონდ ვალდებულება თქვენი ბატონის წინაშე თქვენვე გაასწორეთ.

— არა, მეფეო! რადგან მასახელეს, გამითავისუფლებია საშვილიშვილოდ, ოღონდ ჩემი სულის მოსახსენებლად სწირონ ალაპით გელათის მონასტერში.

— კი, შენი ჭირიმი: რასაც გვიბრძანებთ, ავასრულებთ, ოღონდ მეფის წყალობა შეგვაფერები.

...

— რა ქნა, თუ ძმა ხარ, ჩემმა ბუმბერაზმა?

— ასათიანმა, ბატონო? იცოცხლე, ის ვაჟკაცი გამოდგა. მესხებსა და ავალიანებს ჩაფუყენე შუაში — მეშინოდა, უკან არ დაეხია... ვუბრძანე: თუ ღმერთი გაუწყრეს, ხანჯლის წვერი ჩხუტეთ, არ დაზოგოთ-მეთქი... ერთხანს ერიდებოდა თურმე ბრძოლას, მარა მერე ისე გახელებულა, რომ ზარბაზანთან მივარდნილა, მეთოფურები აუკუნავს, ზარბაზანიც ამოულია მიწიდან და კლდეზე დაუფორებია...

— აი, ვაჟკაცი იმას ჰქვია, ვინც სხვასაც გაამამაცებს...

— რად დამცინი, ძმაო — მეფე? — შენ ჩემზე მამაცი ხარ, ოღონდ შენ ყველას ენდობი... მე კი ვწვრთენი, უკან მივსდევ...

...

— აი, მეფეო, ასლანიშვილი, უჩარდია რომ შუა-გააპო.

- მერე თავი რად არ მოართვა? — შეეკითხა მარად ურწმუნო და გამკილავი წერეთელი.
- არ იკადრა მურტალი ჯაშუშის თავის ნამოღება.
- კარგი უქნია... აი, ეს ჯორი მოხუც მამა-შენს მიართვი და ეს, — მეფემ საუცხოოდ შემკულ უნაგირზე მიუთითა, რომელზედაც თვითონ ეყრდნობოდა, — დაპირებულ ათ ოქროს მოლარე გადმოგცემს.
- არა ვარ ღირსი, მეფე-მწყალობელო.
- ამ დროს მოაჭენა ცხენი აგიაშვილმა.
- შენ არაფერი და არავინ მოართვი ბატონს? — თითქოს სალალბოდ, და ნამდვილი კი მზაკვრობით შენიშნა წერეთელმა.
- მიცვალეზულთ მე არ ვცარცვავ და ვაჟკაცობის დამტკიცებას არ ვსაჭიროებ. — მკვახედ უპასუხა აგიაშვილმა.
- მოვიდა მიქელაძე და მოიტანა ხმლის წვერზე ნამოგებული თავი მტრის მეზაირახტრისა. მოდიოდა ყველა ნადავლით, ან ამაყის შეგნებით, რომ მოიმოქმედა დაკისრებული, და ჯილდოსთვის მეფეს არ ანუხებდა.
- და მოვიდა ალმასხანიც.
- მეფე ღიმილით შეხვდა საუკეთესო გამრთობ კარის-კაცს:
- აკი ამბობდენ — ალმასხანი ვერ ივაჟკაცებსო!..
- ა! — შეუტია ალმასხანმა ტყვეს.
- მიატყვი მაგ ენა-მყრალს.
- მაგრამ ტყვე არ იძროდა.
- გაიარე, შე ურჯულო! — კიდევ მოუქნია გათამამებულმა ალმასხანმა.
- რას მირტყამ, ბატონო!..
- ბიჭო, ამან საიდან იცის ქართული?! — გაკვირდა მეფე.
- ალმასხანს ალმური მოედვა სახეზე, უნდოდა, რაღაც დაემალა — და კიდევ გადაკრა მათრახი.
- რას მერჩი, ბატონო? მართლა აფხაზი ხომ არ ვარ? რა დაგემართა? — უყვირა ისევ ტყვემ.
- ვინა ხარ? — ჰკითხა მეფემ.
- ვინ ვიქნები, ბატონო! აგიაშვილის მენისქვილე ვარ — და რატომ მაძრობს ტყავს?
- ლაზიკა! აი, დაგლახროს ღმერთმა!..
- ყველანი შეკრთენ... ალმასხანი მცირე ხნით დადუმდა. მოისმა სიცილი.
- რა ამბავია, ბიჭო, რას ბოდავ! — შეუწყრა მეფე, — ეს თავიც როგორ ნაგიკრავს?
- რაი, ბატონო, და მე არც აფხაზი ვარ და არც თათარი — ორივეს ღვთის რისხვა მიეცა! დამპირდა, მეფესთან ნაგიყვან და მე ვიცი შენი საჩუქარიო... ახლა ქე მირტყამს...
- ...
- ლაზიკა უძილობამ და წყალში ტატყუნმა გააცივა; მთელი დღე ხან სიცხისგან ბოდავდა, ხან სიცვიისგან კანკალობდა, სანამ ალმასხანი, რომელიც ჩიგვნარში, ბანაკის ახლო, იმალებოდა, არ წაანყდა.
- რას შვრები, ბიჭო, შენ? — ცოტა არ იყოს დარცხვენით დაეკითხა ალმასხანი.
- ვკვდები, ბატონო, თვარა ახლავ საშოვარი...
- გეიქცა მტერი?
- კი, ბატონო, ეგერ ტყვეებიც ჩაატარეს ჩვენმა კაცებმა.
- რა ვქნა, ა? ბიჭო, ერთ ტყვეს ვერ მიშოვი? გამოართვი თქვენ ბიჭებს — აგიაშვილს ბევრი ეყოლება...
- რას ბრძანებ, ბატონო, მომკლავს ჩემი ბატონი.

— მოახერხე, აბა, რამე.

ლაზიკას საკვირველმა აზრმა გაურბინა თავში...

— რას მომცემ?

— გამოგანყოფ...

— რად მინდა გამოწყობა... ერთი უღელი ხარი მომეცი.

— კარგი, მარა რას იზამ?

— ა, ბატონო, შენი ყაბალახი მათხოვე, თავს წავიკრავ... პირს სისხლით შევისვრი და უღვაში ქე მაქ დალოცვილი გრძელი... საცვეთსაც თუ მიშოვი, აფხაზი ვიქნები ნამდვილი... მარა ხარებს ხომ მომცემ?

— გითხარი, მოგცემ, — და აღმასხანმა მოიხსნა ჩაბალახი, — მარა ეს საცვეთი სადღა გიშოვო?

— არაფერია, მაგასაც მოვახერხებ — აგერ თოქალთოს გავარღვევ და იმას შევიხვევ და თასმით გავიკრავ — ოღონდ თუ მიმტყუნე, მეც გაგამხელ.

— კაი, კაი!..

მაგრამ გამოწყობილი საქმე ლაზიკამ ვერ დაავიკრავინა კეთილად: ცივებამ უნია თუ მართლაც რტყმევა ვერ აიტანა, ლაზიკა ხელცარიელი დაუბრუნდა თავის ბუნაგს და სასოება ცხენის უნახავადაც კი დაეგდო.

— ცხელეა აქვს... მოუარეთ, უყურეთ, სანამ მომჯობინდებოდეს; მერე ერთად წა-მოდით, — უბრძანა შინ დასაბრუნებლად გამზადებულმა ბატონმა თავის ორ ბიჭს.

— გიყურებთ და მიკვირს თქვენი საქმე.

— რა გინდა ჩვენგან? — შელრინეს ბიჭებმა.

— თვალეში რომ ჩამჩერებიხართ, რა მზეთუნახავი იშოვეთ — გავიდოდით, მოვი-არდით ამ ველს, ერთი მარჩილის საღირალს მაინც ვიშოვიდით...

— ვინ დაგინყობს ახლა მინდორში ოქრო-ვერცხლს.

— შე ვირისთავო, ოქრო და ვერცხლი მამაშენს არ ქონდა და დედაშენს, და ერთ განყ-ვეტილ აღვირს ან აბჟანდს ქე ნახავს კაცი... ნალს მაინც ააძრობდა მკვდარ ცხენს...

— ნალი არა, ბიჭო, და მართლა ერთი ცხენი მაინც გავატყავოთ — ქალაზნად გამოგ-ვადგება.

— ჰო და, — დაუკრა კვერი ლაზიკამ.

წავიდენ, სალამომდის არ დაბრუნებულან.

— რა იშოვეთ?

ორივემ გაიკრიჭა.

— კაცო, ვერცხლის მოყვითლული ბუნუკი.

— ხომ გითხარით, თქვე სულელებო!..

— ნალიც ვიშოვეთ სამი — ორ ცხენს მეტი არ ქონდა და ის ცხენებიც გავატყავეთ.

— ბარაქალა! რას მაძლევთ ახლა მე? — თქვით... — დაეკითხა ლაზიკა.

— როგორც შენ გაყოფ ნადავლს, ისე გავიყოფთ ჩვენც.

— კარგი, ვნახოთ... ახლა გააკაპარჭეთ ტყავები: ღამე ერთმანეთს გადააფარეთ თმა ზევით — არ დანამოს.

...

— თქვენ ვინ ხართ, შვილო?

— აგიაშვილის ყმები, ბატონო.

— ჰოო... გიორგის? დაისვენეთ... ბიჭო, მართვი, დააპურე.

ლაზიკა მანამ არ გამოვიდა სამზარეულოდან, სანამ ისევ არ დაინახა ქალბატონი.

— მიდიხართ?

- გიანხლებით, ბატონო, დიდი გზა გვაქვს გასარები...
- გზა მშვიდობისა მოგცესთ ღმერთმა. ბატონებს მდაბალი სალამი მოახსენეთ.
- მესმის, ბატონო.

„გზა მშვიდობისა რათ მინდა, თუ არაფერი მექნა“ — გაიფიქრა ლაზიკამ და მიიხედ-მოიხედა.

- ბატონო, იქნებ, სანოგროთ ერთი-ორი გოჭი გვიბოძოთ... ღმერთი გიშველისთ.
- კი, შვილო! ეი, გუჯუ, მიეცი აგიაშვილის კაცებს თითო ღორი.
- ბატონო, მესამე ამხანაგი დანინაურდა და, იქნებ, იმისთვისაც მოილოთ წყალობა.
- უი, შენ გვარიანი ჩაცივება გცოდნია, — გაელიმა დედოფალს, — მიეცი სამი, ჯანი გავარდნია.

— მაგიერათ აგავსებს უფალი ჯოგებით და ფარებით.

ლაზიკამ თავის საჩუქრის ბედი გუჯუს ვერ მიანდო, თვითონ გაჰყვა და სანამ სამი საუკეთესო ღორი არ გაიგდო წინ, ხან იოხუნჯა, ხან იხვენა და ხან ინუნა მიწოდებულნი.

...

რაც უფრო უახლოვდებოდენ იმერეთის საზღვარს, ლაზიკა მით უფრო აფაციცებდა თვალებს; ბოლოს თანამგზავრებსაც კი უთხრა: ბიჭებო, იქნებ, რამეს შეავლოთ თვალი, თორემ წყალობის იმედი ნულარ გაქვთ.

ბედმა გაუღიმა.

— თქვენ პირდაპირ იარეთ, და ფონამდის თუ ვერ დაგენიოთ, იქ დამიცადეთ.

ლაზიკა ღელეს დაყვა.

ბიჭები ხშირ-ხშირად იცქირებოდენ ლაზიკასკენ.

— უი, დასწყევლა ღმერთმა, სად მოკრა თვალი? — ბიჭებმა შეხედეს, რომ ლაზიკა ღელეს კალაპოტით კამბეჩს მიდენიდა...

როცა გზაზე მთავრის ერთ-ერთი ახალგაზდა ვაჟი შეხვდა, თავის კამბეჩი დაღზე იცნო და იკითხა, ვისი არისო, ლაზიკამ წარბ-შეუხრელად, რომ სიმართლეს უფრო გვანებოდა, ჯერ უამბო, თუ მთავრის მეუღლემ როგორ დაასაჩუქრა ისინი ღორებით, და შემდეგ დაუმატა: ფალავამ ბატონ სარდალს უფეშქაშაო.

ახალგაზდა ბატონიშვილმა ერთხანს კი უყურა მიმავალ ლაზიკასა და მის ამხანაგებს, მაგრამ სიტყვა არ შეუბრუნებია — ერიდებოდა ასეთ მცირე რამეზე უსიამოვნება არ მიეყენებია დამხმარე სარდლის თუნდაც უღირსი ყმებისთვის.

ცხენის-წყალს რომ გადააბიჯეს და ფეხი იმერეთში დადგეს, თავი უკვე სახლში ეგონათ და კარგა ხანს დასასვენებლად შეჩერდენ:

— მადლობა ღმერთს, ანი კი ვერვინ გვახლებს ხელს.

— ჰეი! — იჭვნეულად ამოიოხრა თეიმურაზმა:

— არა, ძმაო, ღმერთმა თუ გიორგი სარდალი გვიცოცხლა, მეფეც კი თავზე ბალანს ვერ შეგვინძრევს.

— არხეინად იყავი, ნუ გეშინია. ახლა ძმაო, ერთი საქმე მაქვს: ჩვენი ნადავლი უნდა გავიყოთ, სანამ შინ მივიდოდეთ, თვარა ჩაგვერევიან ქალები, მოკეთებები, შუაკაცები და სულ აგვერევა თავ-ტვინი.

მსმენელებმა ყური დაცქვიტეს.

— მართალი რომ თქვას კაცმა, ყველაფერი ჩემი ნაშოვნია...

ორივეს უნდოდა პასუხი გაეცა; ლაზიკამ შეაჩერა:

— მოიცა, მოიცა! კი არაფერს გართმევთ, შე კაცო! ჯერ მე გავყოფ, და თუ კანონიერად და ღვთისნიერად გავყო — ხომ კაი, თუ არა და მაშინ თქვენ გაასამართლეთ უკეთ... კამბეჩი ბატონს მივართვათ...

— რატომ? რა ჩვენი წყალობა სჭირია?

— რაიო, შე სულელო, და ამ კამბეჩს იქნება მდევარი მოყვეს — ბატონს ხმასაც ვერ გაუბედავენ; შენ და მე კამბეჩსაც წავგვართმევინ და ბევრსაც გვირტყამენ... მერე ბატონს არაფერი წაულია ნადავლი და, რომ ნდომებოდა, ხომ თავისთვის გავვადენიებდა და წავვალეზინებდა, და ჩვენ ქე დავრჩებოდით სახამშრალი.

— იმას კი დააჯილდოვებს მეფე, ჩვენ ვიკითხოთ, თვარა, — წაილულულა ექვთიმემ და თან დაუმატა: — კარგი, კამბეჩი ბატონს. მერე?

— მერე თითო ღორი თითოს.

მოეწონათ.

— ეს ერთი ცხენი საკუთრათ მე — კინალამ გადავყვევი მაგის გამოყვანას... მეორე ცხენი საერთოდ იყოს... რჩენით რიგ-რიგობით ვარჩინოთ... ცხენის ტყავები და ბუნუკი ორ კურტანს გავვინყობს, ვიჩაღანადროთ და ამ ერთი ცხენის შემოსავალი სამათ გავიყოთ... ხან შენ გავყვები ცხენს, ხან შენ, ხან მე ან ჩემი ძმა... როცა გამრავლდება, ეს ცხენიც გავიყოთ...

დიდ ხანს ფიქრობდა ორი ბიჭი. ლაზიკას კარგა ხანია, რაც ყოველივე გამოანგარიშებული ქონდა...

— ისე რომ — ამ ვაი-ვაგლახში მე მერგო ერთი ღორი და ამ ფაშატის ერთი მესამედი.

— მეტი რა გინდა, შე მამა ცხონებულო?! ცხენის ჯოგს და ცხენის ფარას ვინ მოგცემდა გულალმა ძილისთვის?!. კურტნიანი ცხენის ერთი მესამედი და ერთი მაკე ღორი კაი რამეა; რავა იტყვი? — მიმართა ლაზიკამ თეიმურაზს, რომელსაც თანხმობის ნიშანი უფრო ეტყობოდა...

— ავაშენა, ძმაო, ღმერთმა! მაგასაც არ მოველოდი, — დააქნია ხელი თეიმურაზმა — მე თანახმა ვარ.

— მაგი თუ თანახმაა, ექვსი შვილის პატრონი — მე რა მსჯის!.. — შესწყვიტა მოლაპარაკება ექვთიმემ.

— მაშ, ასე: ამ ტყავებს მეკურტნესთან წავიღებთ, კურტანს გავაკეთებინებთ, ერთი ჩემი იქნება საკუთარი, მეორე საამხანაგო, ხელფასათ ბუნუკს მივცემთ...

— კეთილი! — დაეთანხმა თეიმურაზი.

— ბარელამ ჩვენ ჩვენი ღორი დავინიშნოთ.

— ეს მე! — საჩქაროდ სთქვა ლაზიკამ.

— მომასწარი... აბა, ეს იყოს ჩემი... — საყვედურით მიმართა ექვთიმემ.

— არადანი ყოველთვის მე მრჩება... — უიმედოთ ჩაილაპარაკა თეიმურაზმა.

— თუ თვალი გრჩება, ჩემი ღორი წაიყვანე, თუმცა ყველა ერთია.

— არა! არა! იყოს, რაც ბედმა და ღმერთმა მარგუნა.

— ესეც გავათავეთ, მშვიდობიანად გავყვევით... ანკი რა გქონდათ საჩხუბარი... მე რომ არა, ღვთის წინაშე თქვით, გექნებოდათ რამე გასაყოფი?

— ჩვენც რომ არ გყოლოდით, ამ ერთი ცხენის მეტი, მგონი, არაფერი გექნებოდა...

— კაი ახლა, დაეთხოვეთ მაგას — შეაწყვიტინა თეიმურაზმა — ნეტავი ასე ადვილად ჩემს ძმებსა და მამას გამოვეყოფოდე... სამი წელიწადია, კაცო, ვიყოფით და ველარ გავიყავით...

— რა მდიდრები თქვენ ხართ, ველარ დათვალეთ და ველარ გაზომეთ?... — დასცინა ექვთიმემ.

სამი მეგობარი ნადავლით, ნაპარავით, და ნაჩუქრით დატვირთული, მხიარულად დაბრუნდნენ შინ, ოჯახის გასახარებლად, ბატონის სასიამოვნოდ და მუდამ სატრაბახით... მხოლოდ ორიოდ წლის შემდეგ, როცა აგიაშვილის განუყრელი თანმხლებელი ლაზიკა თვალში მოხვდა ოდიშის ბატონიშვილს, უკანასკნელმა იცნო და ღიმილით უთხრა:

— დიდი მამაძალი უნდა იყო შენ...



ლაზიკამ მდაბლად თავი დაუკრა.

— თქვენ საიდან იცნობთ, ბატონიშვილო, ჩემს ლაზიკას?

— თქვენი კაცია? — და ბატონიშვილმა სიცილით უამბო ლაზიკას ოინები... — ასე კიდევაც გამქურდა და საჩუქრებიც გამოგვტყუა... — დაასრულა ანბავი ბატონიშვილმა.

— აბა, ვისგან უნდა ისარგებლოს კაცმა, თუ თქვენგან არა, — მოკრძალებული ღიმილითვე უპასუხა ლაზიკამ.

— მართალი ხარ, მართალი. მაშინ ისეთი დახმარება გაგვინიეს იმერლებმა, რომ ყველა მეფურად უნდა დაგვესაჩუქრებია, მაგრამ ვერ მოვასწარი... მეფე იჩქაროდა.

— უკაცრავად, ბატონიშვილო, — ცოტა არ იყოს შეტკიმებულად მიმართა აგიაშვილმა — თქვენი კამბეჩი ახლაც ჩემსას არის... ნება მიბოძეთ ბოდიშით უკან მოგართვათ.

— რას ბრძანებთ! რას ბრძანებთ!.. განა ღირს მაგაზე ლაპარაკი?

— არა, თუ არ გამირისხდებით, ძლიერ დაგიმადლებთ უკანვე მიღებისთვის; მით უმეტეს, რომ ჩვენში კამბეჩები იშვიათია, ცალად დარჩენილს მხოლოდ ვწველით...

— აი, თქვენ კი დამავალეთ და მიიღეთ ჩემგან მისი ულლის გამწვევი... როგორც გამიგია, თქვენ ისეთივე უებრი მეოჯახე ბრძანდებით, როგორც მეომარი... თუ გიყვარდე — მიუბრუნდა ბატონიშვილი თავის მხლებელს — ახლავე გაგზავნე ჯოგში კაცი და ერთი საუკეთესო მწველი კამბეჩი მთავარი ბატონ სარდალს.

— მესმის, ბატონო.

მხლებელი წავიდა.

— დიდი, დიდი მადლობელი ვარ, ბატონიშვილო! თუმცა უხერხულად ვგრძნობ თავს, მაგრამ ვეცდები, გადავიხადო.

— გადახდელი გაქვთ ათასჯერ, ბატონო სარდალო! — და ბატონიშვილს გადაჰკრა მაცდურმა ღიმილმა.

აგიაშვილს უნებურად მოაგონდა მოკლეული ასტამურ ინალიპა.

— შენ კი გაყურებივ სეირს! — დაექადა სარდალი ლაზიკას.

— ჩემი პატივისცემისთვის არ გაურისხდე, გთხოვთ... ძალიან მადლობელი ვარ, ლაზიკა, რომ საშუალება მომეცა, შენი ბატონისთვის მცირეთ მესიამოვნებია.

## V

ნადიმი გრძელდებოდა. სულ უფრო დიდსა და დიდ პირებს ადღეგრძელებდენ — სულ უფრო დიდსა და დიდ სასასმოს სცლიდენ.

როცა არჩილის სადღეგრძელოს სვამდა, აფხაზეთის მთავრის შვილმა ხოტბასა და ქებას ღიმილით დაუმატა:

— შემარცხვინე, ბატონიშვილო არჩილ, ტყვედ ქმნილს, დღეს უარარაოს ისეთი საჩუქარი მიბოძე, რომ ვერ გადაგიხდი.

— თქვენ ბრძანე, ბატონიშვილო, და გადამხდელი მე ვიყო...

— არა, მირონცხებულო მეფეო, რად გაგსარჯოთ. — მოკრძალებით მოახსენა ბატონიშვილმა.

— მერმე გადამიხდი.

— ეჰ, ძმაო სოლომონ, — ორივეს გაანყვეტინა სიტყვა შეზარხომებულმა არჩილმა, — ბატონიშვილის ხასიათი ვიცი: თავს მოიკატუნებს და მერმე ისეთს საჩუქარს მიბოძებს, რომ შემარცხვენს, მოულოდნელად მოსული სტუმარი დაფუძნებულ მასპინძელს... იგი უხვი გამოვა და მე კი ძუნწი, მაგრამ მე არაფერ საჩუქარს არ მივიღებ, გარდა ერთისა.

— მიბრძანე, რაც გენებოს...

— აასრულებ?

— თუ კი შემეძლება...

— მაშ, გულახდილად სთქვი საჯაროდ, რატომ არ შეუტეიე მეფეს, როცა ერთმანეთს შეხვდით, ხომ კი ეძებდით მას?

ბატონიშვილმა თავი ჩალუნა და მეფეს შეხედა, თითქოს ჰკითხავდა, ვთქვაო?

— ბრძანე, ბრძანე...

— მირონცხებული მეფე — მორცხვად წარმოსთქვა ყმანვილმა, — ჩემზე ხნითაც უფროსია და გვარიშვილობითაც უმაღლესი — პირველად მას უნდა ენებებია ხმლის მოქნევა...

— ყოჩაღ!

— დაგელოცა სიტყვა-პასუხი!

— ვენაცვალე შენს ვაჟკაცობას!

ისმის აქეთ-იქეთ.

— ასეთი მტერი მოგცეს ღმერთმა!

— ვაკოცოდ ერთმანეთს!.. — სთქვა არჩილმა და ფეხზე წამოიწია, მაგრამ სანამ მთლად ადგებოდა, მის წინ გაჩნდა ახალგაზრდა აფხაზი და უპირებდა გულზე კოცნას; არჩილი არ დანებდა, ერთმანეთს ლოყები დაუკოცნეს.

ვეებერთელა უხეშ არჩილს სრულიად არ შეეფერებოდა ეს ნაზი სურათი.

მცირე ხნით სიჩუმე ჩამოვარდა.

ისევ არჩილმა მიმართა მეფეს:

— ძმაო — ბატონო, ახლა შენ უნდა გვითხრა, რატომ არ შეებრძოლე ბატონიშვილს?.. მეფე სდუმდა.

— ...ენა-მოქარგულად კი არა, როგორც შენ იცი ზოგჯერ, არამედ ჩემებურად...

— როგორც კი პირველად შევხედე, გავიფიქრე: ასეთი ვაჟკაცის გაფუჭებას ღმერთი არ შეუნდობს კაცს-თქო და ჩაუარე გვერდი... მეორედ რომ უახლოვდებოდით ერთმანეთს, დაუპირე ხმლის მოქნევა, მაგრამ, საბედნიეროთ ცხენს ფეხი დაუსხლტდა...

— და ნაქცეულს კი არ იკადრე შეხებოდი. შენი ჭირიმე, შენი. — ალტყინებით იყვირა ვილაცამ ბოლოში.

— გაუმარჯოს მეფეს, გაუმარჯოს რაინდებს! — ღრიალებდა დიდი და პატარა.

მნიგნობარი აბულაძე მოძღვრავდა თანმჯდომს ახალგაზრდას: არ გახსოვთ ვისის სიტყვები: „ვისაც წაეკიდებოდე, გულსა შიგან საზავოსა ადგილსაცა დაუგდებდი, მეცნიერი კაცი ომსა შინაგან საზავოსა ადგილსაცა დააგდებსო“... აი, ასე იქცევა ჩვენი მირონცხებულიც...

— დილაც, ბატონო, ბრძენია ჩვენი მეფე...

— ხალხო და ჯამაათო! — მოისმა უეცრად თვალუნვდენელ ჭანდრიდან.

ყველამ ჭანდარს დაუნყო ცქერა.

— ხალხო და ჯამაათო! — ყვიროდა ვილაც ფოთლებში მიმალული —

იკურთხოს ღვთის განგება!

ღლეგრძელი იყოს მეფე!

გაიმარჯვა ჩვენმა ჯარმა,

გაიქცა მტერი.

მოსრნა ურჯულო ბაგრატიონთა მკლავმა...

თავი ისახელა აგიაშვილმა, ნულუკიძემ...

გათავადდა აზნაური,

გააზნაურდენ გლეხები...

დაესხა თავსლაფი აღმასხანს...

არ მისცეთ მის შთამოგებას ქალი;  
არ ჩაესიძოთ მის ოჯახს;  
ამონყდეს ლაჩარი.  
არ მინდა მისი ბატონობა,  
გამანთავისუფლეთ მისგან, თვარა გადმოვვარდები აქედან კისრით.  
— კარგი, ჩამოდი! — გაიღიმა მეფე.  
— აქაც ლაზიკა! — განრისხდა აგიაშვილი, — ჩამოდი შე, მართლა ძაღლის შვილო,  
რა გააჭირე საქმე, ყველგან ეჩრები... შენი გასამასხარავებელი კიდევ ვინ არის?!  
ლაზიკა ხიდან მობუნძლული ჩამოცოცდა: არ მოუნონეს ოხუნჯობა.  
— გაატუტუცეს ეს ლაწირაკი! — ჩაილაპარაკა ვილამაც.  
ხალხი ჯერ კიდევ არ დანყნარებულყო ამ უცნაურ შემთხვევის შემდეგ, ჯერ კიდევ  
ყურადღებით აცქერდებოდნენ მეფის ახალ ხუმარას, რომ მოშორებით გავარდა ტამბაჩა:  
— რა მოხდა? — იკითხა მეფემ. ცოტა ხნის შემდეგ მოახსენეს:  
— აღმასხანის ვაჟმა თავი მოიკლა.  
— რა საცოდავობაა! — ერთად ერთი შვილი. ეს სულ შენი სისულელის ბრალია! —  
შეუწყრა ხუმარას მეფე და ჩქარის ნაბიჯით ამაღის თანხლებით გასწია სულთმობრძავ  
ყმანვილისაკენ.  
— რა კარგი ყმანვილია! — შენიშნა დედოფალმა.  
— მაგის მაგიერ მამა-მისს მოეკლა თავი უფრო კანონიერი არ იქნებოდა — მიბუზღუ-  
ნობდა არჩილი.

### ეპილოგიით

ვინც დამხმარე იყო დასახმარებელი შეიქნა: განდევნილმა მეფემ უცხოეთში დალია  
სული. მთავარი მომქმედნი პირნიც დაიხოცენ. ვინც ცოცხალი დარჩა, მასაც ზღაპრად  
ერგვენობდა წარსული ზრახვანი და სულის-კვეთებანი.

გადაბერებული მიქელაძის სასახლე ველარ იტევდა ცოლშვილიან შვილებსა და შვი-  
ლიშვილებს, მაგრამ თეთრი, გრძელი ნვერები, შეკრული წარბები და ღარებ-გავლებული  
შუბლი ჯერ კიდევ ერთ ჭერ ქვეშ აჩერებდა მათ.

— ერთხელ მეფეს ისე გასჭირვებია ახალციხეში, — უამბობდა აღდგომა დღეს ბუხ-  
რის წინ შეკრებილ თავისიანებსა და სტუმრებს მოხუცი მიქელაძე, — რომ ღაბუაშვილე-  
ბისათვის (აბაშიძეებისათვის) მოუნერია — ცოტა ღვინო და არაყი მომანოდეთო და ქორ-  
ქაშვილს 25 მანეთს შესესხულებოდა.

ერთმა ყმანვილმა სახლისკაცმა შენიშნა:

— ღმერთმა კი შეარცხვინა ისეთი მეფე, „ცოტა ღვინოსა და არაყს“ რომ თხოულობსო.  
მოხუცი წამოხტა და ყმანვილს სილა გაართყა:

— როგორ არ გრცხვენია ქართველ კაცს ქართველ მირონცხებულს მეფეზე ასეთი  
სიტყვების თქმისო.

მოხუცი შეაწუხა სტუმრის შეურაცყოფამ, მაგრამ კანონიერად მიაჩნდა თავისი საქ-  
ციელი.

ამ უსიამოვნების გამო აირია ოჯახი: ვილასაც შეურაცყოფილი ყმანვილის ქმრობა  
უნდოდა, თუ მიჯნურობა... და გაიყო ოჯახი.

მარტო დარჩა მოხუცი თავის დიდ სასახლეში და პატარ-პატარა, იქვე ეზოში მიმოდ-  
გმულ ოდებში ვერც კი გაიგეს, როცა ის გარდაიცვალა.

მხოლოდ ლაზიკას საქმე და აზრი გამოდგა სიცოცხლე-უნარიანი:

მისი ცხენი, ისე როგორც თვით ლაზიკა, შეიქნენ მეჩავლადრეების წინამორბედნი: მათი შთამომავალნი იყვნენ, ჭიათურიდან რომ პირველ ქარავნად წამოვიდენ შავი-ქვით დატვირთულნი.

— როგორც ნაწყვეტ-ნაწყვეტად, დაულაგებლად გიამბობ?! —

— გამართულ ამბავს, მგონი, ვერც შენ მომისმენდი.

— მართალს ამბობ, შვილო, სული მეხუთება, ძვლები მტკივა, მაგრამ შენ რაღა დაგემართა?

— ნელში ვარ გატეხილი, ტვინი მიხმება.

— უძილობა გიშვება... მეტს სწუხხარ — მე არაფერი მიჭირს... შენც გამაგრდი; აი, მოვრჩები, მწუხარება ზეიმად შეგეცვლება.

— ღმერთმა მოგასწროს... შენ მართლაც ავად ხარ; ავადმყოფობა გივლის, მორჩები და ძელი დედა ტკბილი დედა დარჩები... ჩემი იმედი კი ნულარ გაქვს: მე ავად კი არ ვარ — დავსნეულდი... უბედურებამ რომ გაიაროს — შენ კარგადაც რომ მეყოლო, ჩემთვის ზეადღგომა შეუძლებელია — დასუსტდა სხეული, აფორიაქდა სული.

კითხვა გათავდა.

საზოგადოების ადგომის ხმაურობაში ავტორი წავიდა.

— არ გვაცალა არც მადლობისა და არც შენიშვნების თქმა.

— შეეშინა, ჰგავს...

— ან ყურადღებას არ გვაქცევს...

— რისთვის-ღა გვიკითხავდა, დალოცვილი...

— არ მომწონს სწორედ... ისტორიული ფაქტების დამახინჯება, ისტორიული პირების ნამოქმედარის ერთმანეთზე გადატანა — ეს ისტორიულ ნაწარმოებს არ შეეფერება.

— ავტორი ისტორიულ გამოკვლევას კი არ აწარმოებდა, ერთ-ერთი ხანის ელფერის, კოლორიტის გადმოცემას სცდილობდა... ეს არის მსჯელობის საგანი... თუ გნებავთ, ამაზე სთქვით. მე-XVIII საუკუნეს ასეთი სიო ჰბერავდა თუ არა?

— ნუთუ მაშინ არ იყო მშრომელი ხალხი, რომ მთელი ნაწარმოები მეფე-თავადებითაა სავსე?!

— თქვენ, ყმაწვილო, არ მოგისმენიათ, მგონი, — მკვახედ უპასუხა მეორემ, — მე სწორედ ის მომეწონა, რომ მეფისა და მოჯალაბეების ცხოვრება ერთმანეთშია გადახლართული... — ასე ჩოჩქოლებდენ.

— დღეს ჩვენი ტყვე ხართ, ლილი! — მიმართა წასასვლელად გამზადებულს ლილის გიორგიმ... ჩვენები ერთად დავსხდებით და უყუროთ, ახალ რაღაც მინიატიურებს გვაჩვენებენ.

— გვიან...

— როდის იყო ამ დროს მოსასვენებლად მიხვიდოდით?

— არა, დღეს განსაკუთრებით დავიღალე.

— არა, არა!

და თითქმის ძალით ლილი მიიყვანეს სცენის წინ გაშლილ სუფრასთან.

— მალე დაიწყება? — დაეკითხა გიორგი მსახურს.

— ერთი სურათი უკვე იყო... მეორესთვის კონფერანსიე უკვე გამოდის — და მსახურმა ფარდისკენ გააშვირა ხელი.

ნიკო ლორთქიფანიძე

დასასრული მეორე ციკლისა

## ლონდა

**მოქმედნი:**

**მთავარი. ქადაგი.**

**დედოფალი. მოამბე.**

**თამაზ ბატონიშვილი. ლონდა.**

**ოთარ მოშაირე. შენირულები.**

**ქურუმი. ხორო: შვიდი კაცი.**

### მასები ჯგუფებად

მთის კალთები. მაღლობზე: ქვის სალოცავი მცირეაზიული სტილით გამართული, კედლებზე ახატულია: გრიფები, გველები, თევზფრინველები, ყმათა და ქალწულთა ორგიული პროცესიები. სალოცავის კარებთან დგანან შენირულები ორი მხრით. სალოცავს ჰფარავს ცხრამუხა ათასწლოვანი. მოსჩანს ერთი მხრით გადაკვეთილი უფსკრული. მეორეთი: თვალუნვდენი ველები. ჭალებს სერავს დაკლებული მდინარე.

პეიზაჟში: დასიცხული თვლენა. უმთავრესი ფერი: ყვითელი ძალზე. მურები: ყარამფილისა და შიგადაშიგ ხავსის. ჟამი მზის გადახრის.

ეპოქა: წარმართობის ბოლო. ადგილი: ძველი კოლხეთი.

დრამა იხსნება ხოროს ლირიული ამღერებით. ხორო მეტყველებს ცალკეული ხმებით: მხოლოდ მეშვიდე პასსაჟს წარმოსთქვამს ერთობილ. დრამა ვითარდება მონუმენტალური პრიმიტივის ხაზებში. ტემპო: თვლენა მზეში. თვლენა თანდათან იღებს ქოლერული ტემპერამენტის ხასიათს. ამბავთა თანდათან დართობით და გართულებით დრამის ტემპო უფრო და უფრო ძლიერდება. ბოლოში წყდება კატასტროფიულად. დრამის შენებაში: პრინციპი „ორკესტრის“.

**ხორო:**

1. ასეთი სიცხე ჯერ არ ყოფილა.
2. ასეთ აღმურს არავინ მოსწრებია.
3. იწვის, იდაგვის ქვეყანა.
4. ხვატის სისხლიანი თალხი გადაებურა ატეხილ მხარეს.
5. მიწის მკერდები ფართოდ გაღარულან.
6. საშონი მიწისა იხეთქებიან თხრილებად.
7. ღმერთო, გვიშველე.  
(პაუზა).
1. მდინარენი კლებულობენ თანდათან.
2. წისქვილები შეჩერდენ და არა იფქვის რა.
3. წყაროები შრებიან ყოველ დღე.
4. აღარ ციმციმებენ მათი ცინცხალი თვალეები.
5. წყურვილით იხოცება ყოველი სულდგმული.
6. წდება უცნაურად სიპთა სისველე.
7. შეგვიბრალე, უზენაესო.  
(პაუზა).
1. ბუზები ხელდებიან და ცხარედ იკბინებიან.
2. ხარებს მოედვენ აწივილებული კრაზანები.
3. და გარბიან, გარბიან კუდამოძუებულნი.
4. სისხლმორეული კამეჩები ბულრაობენ გაბრაზებით.
5. კორიანტელი მტვერის ღრუბლებათ იბურთება.

6. ცხენთა ჯოგები ხელდებიან და ხრამში იჩეხებიან.

7. ღმერთო, შეგვიბრალე.

(პაუზა).

1. ბრაზდება სიცხე და ცოფდება ყოველი.

2. ძაღლებს დაუღიათ ხახა და ტუჩებზე ცოფი ელორნებათ.

3. და გარბიან, გარბიან ველად კუდადაშვებულნი.

4. ზეგანს ბრაზიან ძაღლს ბავშვები დაუკბენია.

5. ქელავენ ქელეშით ცოფმორეულნი.

6. ყვითურად ემღვრევით იმათ თვალები.

7. ვა, ჩვენს შავდღეს.

(პაუზა).

1. იწვის მიწის ავარვარებული სხეული.

2. ყანებს ლურჯი ტანი დაუშვიათ ლონთქოში.

3. დაზნექილ ყლორტებს ედებათ სიყვითლე.

4. სიმინდმა ვერ მოასწრო აყრა თაველის.

5. ხულებში სიმინდს პეპელა გასჩენია.

6. პეპლები ცხვრებსაც თავში აღიტინებიათ.

7. რა გვიხსნის.

(პაუზა).

1. აღმურის ტანი დნება, როგორც ყვითელი ბაია.

2. ვაზებს ეშრებათ ცრემლიანი სისველე.

3. გატიტვლებულნი იკეცებიან ლერნები.

4. მტევნების მარცვალნი აღარ სრულდებიან.

5. ჭკნება ფოთოლი: მწირდება ყოველი.

6. ხმება ხეხილი: კვდება ნაყოფი.

7. ნუ გაგვიმეტებ, უზენაესო.

(პაუზა).

**ყველანი ერთად:**

მზეო. მზეო.

ცხოველმყოფელო.

ძლიერო. სისხლიანო. მაგარო.

უცნაურო. საშინელო.

შენელდი. დასცხრი.

და მიეც შევბად

სისველე სინედლე მიწას.

(მილაგდებიან ხის ძირას. ჩურჩული: „ცოტა აგრილდა“, „ეს ქვენა ნიავია“, „შესაძლოა წვიმა მოვიდეს“. შემოდის ოთარ მოშაირე. დაახლოებით ოცდახუთმეტი წლის. შავგვრემანი).

**ოთარ.** გამარჯვება თქვენ.

1. ოთარს გაუმარჯოს.

**ო.** აქ რას აკეთებთ?

2. ვუცდით საიდუმლო ცხადებას.

**ო.** რა ცხადებას?

3. ნუ თუ არ იცი.

მესამე დღეა, რაც დიდი ქურუმი

ლოცულობს ჩვენთვის.



უნდა შეიტყოს: თუ რას მოასწავებს ჩვენს თავზე დატეხილი უბედურება.

**ო.** რა უბედურება?!

**4.** აი, ეს საშინელი გოლვა: რომელიც სდაგავს და სპობს ყოველსა.

**ო.** ალბად, უთუოდ გამოიცნობს.

**5.** განა მარტო მაგისტანა რამ გამოუცვნია მას!

**6.** იგი განდევილია. იგი წმიდა კაცია.

**7.** იგი მუდამ ლოცულობს

და სხეულზე არ ფიქრობს სრულიად.

თუმცა ხანდახან წმიდა მდინარეში განიბანება ხოლმე.

**ო.** უცნაური ყოფილა.

**1.** ამბობენ, ასი წლის არისო.

**2.** რატომ ორასის არა. მისი დაბადება არავის ახსოვს.

**3.** საქმელად წმიდა ხეების ცილებს ხმარობს უმეტესად.

**ო.** გავს: ჯერ კიდევ მაგარი კბილები ჰქონია.

**5.** მარცვლებს სჭამს იგი წმიდა მცენარეებისას

და ოდეს საზვარაკო ცხოველი იწირება

სისხლსა ხვრეპს თბილსა მისას.

**ო.** როგორ ხვდება იგი ღვთის ცნაურს?

**5.** ამბობენ:

სალოცავში ნახეთქი ყოფილა ერთი —

რომლიდანაც შიშინი მოისმის იდუმალი.

ქურუმი ყურს უგდებს შიშინს მხურვალე ლოცვით

და ასე ტყობილობს ნებას ღვთისას.

შენირულებიც ამას იტყვიან.

(პაუზა).

**ო.** ალბად, ახლაც შიშინს უსმენს არა!

**6.** შენ სულ მხიარულ გუნებაზე ხარ.

**ო.** რა მაქვს საჯავრო: ქვეყანა დიდია და ლამაზი.

**7.** ქვეყანა იწვის და შენ მხიარულებ.

**ო.** სიცოცხლე მზეა მწვავი

და თუ სიცოცხლე გინდა...

**1.** გოლვაც უნდა გიყვარდეს, არა?!

**ო.** სწორედ რომ უნდა გიყვარდეს.

როცა დიდი ამბავი ხდება, მზე ცხარდება ხოლმე.

**2.** შენ შენსას არ იშლი: მუდამ შაირობ.

**ო.** სამყაროს სუნთქვა შაირია ცხელი.

**3.** მოდი, მოგვითხრე შენებური შაირი.

**4.** მართლაც, კარგს იზამ, ოთარ.

**5.** მოგვაქროლე სიგრილე სიტყვის.

**6.** მოგვასხურე ხალისი ზღაპარის.

**7.** დაგვილბე სმენა ლამაზი თქმულებით.

**ო.** მართლაც, საშინელი სიცხეა:

და არც თავი მუშაობს ხეირიანად.

**ხმები.** არა. არა: მოჰყევი უთუოდ.

**ოთარ.** მაშ კარგი. ისმინეთ.

იყო მონადირე ლამაზი ყმანვილი.  
ვერაგინ შეუტევედა მის მკლავებს ჯერიანს.  
დნებოდა მისთვის მრავალი საცოლე.  
თვითონ კი დასდევდა ტევრებში ჯერიანს.  
და ერთხელ უეცრად, როგორც სინდიოფალა  
მას შემოეყარა ტყის დედოფალი.

**ხმები.** ვინ არის, ვინ არის იგი დედოფალი?

**ოთარ.** ტყის დედოფალი: არ იცით, ვინ არის?!  
მაგარი. ავხორცი. ტევრების ასული.  
ტკბილია შეხვედრა მუდამ მომცინარის.  
მას ელის მონადირე საირმედ გასული,  
წითური თმები და მწვანე თვალები.  
დასწვავენ მონადირეს სხვაფერი ალებით.

**ხმები.** და მერე რა მოხდა?!

**ოთარ.** მივიდა დედოფალი. მოხვია ხელები.  
ყმანვილს აუვარდა ტკბილი ჟრუანტელი.  
მიენდო. მიედნო მღვრია გახელებით.  
სხეული მოეღბო, ვით რბილი სანთელი.  
და უჩვეულო მწვავი სიხარულით  
შეჰფიცა ჯადოსანს ვაჟმა სიყვარული.  
მაგრამ დედოფალმა მოუჭრა ფარულად:  
მოკვდავთან არ შეცდე, თუ გინდა სიხარული.

**ხმები.** ნეტავ, რით გაგძელდა?!

**ოთარ.** გაიჭრა მონადირე სრულებით ტყეველად.  
ძალზე გაველურდა უცხოის გზნებაში.  
და თითქო სიცოცხლის გადასანთხეველად  
ხარბად იხრჩობოდა ლამაზთან ვნებაში.  
მაგრამ დედოფალი ვაჟს ძვირად ეგემა:  
ტანზე შეხმა და თვალები აელამა.

**ხმები.** და სხვასთან არ შეცდა?

**ოთარ.** ლამაზი იყო ყმანვილის ძმის ქვრივი.  
ჟღალთვალეებიანი და წაბლისფერთმიანი.  
ათქვირებული და ტანით კვრივი.  
მაზლს ეტმასნებოდა ის სხეულმზიანი.  
მონადირეც გრძნობდა ატეხილ ცდენას  
და ბენვზე აკავებდა განზომილ თმენას.  
მაგრამ როდემდის?! ერთხელაც სალამოს,  
როს ტანი მოეღბო და ნება მოუდუნა,  
მიეცა ყმანვილი ცდუნებას საამოს  
და რძალს ახურებულს სურვილით მიედნო.  
უთუოდ ტკბილი იყო ხვევნა და ზმანება:  
ყმანვილის გულში რომ არ იყო დანანება.

**ხმები.** და მერე? და მერე?!

**ოთარ.** მონადირემ უკლო ტყეველად სიარულს.  
ძვირად აფიქრებდა ჯიხვი ნათოფარი.

რძალთან ატარებდა დროს იგი მხიარულს.  
 მაგრამ ხსოვნას წვავდა ტყის დედოფალი.  
 ანაზღად გაემართა იგი სანადიროთა  
 და წინ შემოეყარა მას შველი პირნოთა.

**ხმები.** შველი პირნოთა!!

**ოთარ.** მუბლზე აქვს ახატული ნამგალა მთოვარე.  
 ჩლიქებს უკოცნიან ყვითელი ქვიშანი.  
 მას ელის მონადირე, როცა მარტო არი:  
 იგია მისთვის საბედო ნიშანი:  
 უხარის ხატულასთვის კორდი და მდელოცა.  
 და გულში მისი აქვს დაცვა და შელოცვა.

**ხმები.** და მერე? და მერე?

**ოთარ.** და გაჰყვა მონადირე პირნოთას ტყისაკენ,  
 რალაც უჩვეულო გუმანში გართული.  
 უეცრად დაინახა ქათქათა რიყეზე  
 ტიტველი მუხლები თეთრად გაშხვართული.  
 ეს იყო დედოფალი. გაფითრდა ყმანვილი.  
 ლამაზი აილესა. დაგესლა გუნება.  
 უთხრა: მოკვდავ ქალში თუ რისთვის გამცვალე.  
 ეხლა მე გიჩვენებ, თუ რაა ცდუნება.  
 კლდეზე აიყვანა მალლა მონადირე.  
 უცხოდ უცინოდა მაცდური ღიმილით.  
 გული მოიჯერა, რომ ბევრი ატირა  
 და ტევრში გადაეშვა ავხორცი კივილით.

**ხმები.** ქვრივმა რალა ჰქნა?

**ოთარ.** დანალვლიანდა ქვრივი ჟღალთვალემა.  
 აღარ უღიმოდა პირი მომცინარეს.  
 საყვარლის საძებრად შეჰკრიბა ქალები  
 და ტივით გაუდგა შაველა მდინარეს.  
 დაბურულ ქიმთან გაისმა ძახილი.  
 შუალამე იყო თეთრად გამთვარული.  
 და რა გაიგონეს იქ ქვრივის სახელი,  
 ტივი შეაჩერეს და გამართეს არული.  
 ყმანვილსაც მოედო შეხვედრის ალი და —  
 თითქო მოთმინებას მახვილი დაესო:  
 მოსწყდა უბედური ციცაბო ნაპრალიდან  
 და ტივზე ქალის წინ უსულოდ დაეცა.  
 გულში ჩაეხვია რძალი ჟღალთვალემა.  
 შეჰკივლა მთოვარეს შუქთა მომფინარეს.  
 უკან გაისტუმრა დობილი ქალები.  
 თვითონ კი ტივით გაუდგა მდინარეს.  
 ამბობენ: რისხვა ქვრივს არ ეცილება:  
 დაეძებს დედოფალს, რომ ჩასცეს მახვილი.  
 თუ შეხვდენ ერთმანეთს ტანალესილები —  
 ზღაპარი იქნება უთუოდ ახალი.  
 (პაუზა).

**ხმები.** ლამაზი ამბავია. ლამაზი.

1. სიყვარულზე უტკბილესი არა არის რა ქვეყანაზე.
2. მაგრამ იმავე დროს სიგიჟის თესლია იგი.
3. სიყვარული მრისხანეა ანთებული სურვილით.
4. სიყვარული ნიჭია საოცარი:  
ყველას არ აქვს იგი მომადლებული.
5. რა იქნებოდა სოფელი, სიყვარული რომ არ ყოფილიყო?!
6. უდაბნო და ნაცარი.
7. სიყვარული ცდა არის საცნაური:  
ვისთვის ამმადლებელი და ვისთვის გამანადგურებელი.

**ოთარ.** სიყვარულში მართალია ყოველი სიტყვა.

სიყვარულის თესლი გზნებაა სილამაზის.

ხოლო სილამაზეში ცდუნება იმალება.

შესაძლოა, სიყვარულში მაცდურობა უფრო გვათრობდეს.

სიყვარული შვებაა ახალი, საცა ღმერთი ცხადდება.

(პაუზა. შემოდის ლონდა. თმები შეკრული აქვს უკან მორგვად. ფეხებზე ქალამნები. ტანზე: თეთრი ჭვირვალე მოლი. სჩანს კვართული ტანი ალესილი ხაზებით. ბაასი წყდება. ზოგი ფეხზე დგება. ლონდა მოსხლეტით შეჩერდება. გაოცება).

**ლონდა.** ბატონიშვილი თამაზ ჯერ კიდევ არ მოსულა?!

**ხმები.** არ მოსულა. ჯერ კიდევ არ მოსულა.

**ლონდა.** ჰო, ოთარ, შენც აქა ხარ!!

**ოთარ.** მეც მოველ საცნაურის შესატყობად.

თუმცა ქურუმი ძალზე აგვიანებს საიდუმლო ცხადებას.

**ლონდა.** შენი შაირი ძალიან მომეწონა.

**ოთარ.** კიდევ იქმნება ათასი სხვა:

ერთი მეორეზე უკეთესი

ლოტოსის თეთრი გულის წირვად და სალოცავად.

**ლონდა.** ხვალ სალამოს მდინარის პირას ვიქნები

ლოტოსების საკრეფავად.

(პაუზა. ლონდა ოდნავ გაუღიმებს ოთარს. სხვებს არც უცქერის. გადის. ყველანი თვალს აყოლებენ).

1. ვინ არის ეს ქალი?!

2. ვინ არის ეს ქალი ლამაზი?!

**ოთარ.** იგი ლონდაა: ულამაზესი ყველა ქალთა შორის.

3. ვისი ასულია?! ან რომელი გვარის?!

**ოთარ.** არავინ იცის: ვინ არიან მისი მშობლები.

არცა ის იცის არავინ, თუ რომელი გვარისაა.

თვითონაც არ იცის, როგორც გამიგია.

4. მაშ, ციდან ხომ არ ჩამოვარდნილა!!

5. საოცარი ყოფილა.

**ოთარ.** ცოტა რამ მსმენია მისი წარმოშობის.

ზაფხულის ვნებაგამდგარ სალამოს

ზღვის პირას უნახავთ იგი ქვიშაზე მწოლარე.

ჯერ კიდევ ყმანვილი სრულიად ლონთქოში

ზღვამ თუ გადმოისროლა ნაპირზე უცხო სირენასავით.

ტანი ქვასავით მაგარი ჰქონია და კვრივი

და სურნელება ველური ყლორტების.

ერთს დიდს ოჯახს აუყვანია და იქ გაუზდიათ.

**6.** ის ქალი ხომ არ არის, ხალხში რო ჯადოსანს უხმობენ?!

**7.** და რომლის ხილვით ვაჟები ხელდებიან?!

**ოთარ.** იგია სწორეთ...

ჩაგესოთ გულში განა!!

**1.** მე უკვე გადავცილდი ვაჟკაცობას.

**2.** კაი ხანია, მეც ძვალი გაცივებული მაქვს.

**3.** ჩემს გულს დიდი ხანია ტრფიალი არ უგემნია.

**ოთარ.** სიყვარული სიბერეში მძაფრია უფრო.

**4.** ნეტავ, თუ ვინმე უყვარს მას?!

**ოთარ.** ვინ იცის. თვითონ იგი კი მრავალს უყვარს.

**5.** არც გათხოვილია?!

**ოთარ.** ამბობენ: გაყოლას არც აპირებსო.

**6.** როგორ?!

**ოთარ.** ცოლობას ალბად ქალობა ურჩევნია.

**7.** შვილები ხომ არა ჰყავს?!

**ოთარ.** არც ერთი...

ამბობენ, არც ეყოლებაო. უნაყოფოა.

**3.** უნაყოფო ქალი წყეულია.

**5.** უნაყოფო ქალი მაცდურია უფრო.

**ოთარ.** ავხორცობას შვილი არ უყვარს.

**7.** რა მოქნილი ტანი აქვს...

**1.** ყოველი ნაკვთი მისი ტანის თითქო ქალია თვითონ.

**ოთარ.** მისი ათქვირებული მკერდი

მგოსნებს განგის მდინარისათვის უდარებიათ,

რომლის გაღებშილ ტანზე თეთრგულა ლოტოსები იშლებიან.

**2.** მაგ მგოსანთა შორის ალბად შენცა ხარ.

**ოთარ.** მე აგრე რიგად ქალი არ მიყვარს. თუმცა...

**4.** იგი არ დადის: მას თითქო მიაქროლებენ.

**6.** თითქო ჭურჭელს უტკბილესი სასმელით ავსილს.

**ოთარ.** მისი ტანის რხევა თითქო ჟინის ატეხილობაა.

ძვირად თუ რომელი ვაჟი გაუძლებს მის ველურ სურნელებას.

**2.** თმები: თითქო სპილენძის ღელენი —

მზის ტევრებით დაფერილნი.

თვალეები: თითქო დიდრონნი საფირონნი —

მუქი ლალებით ოდნავ აელვარებულნი.

**ოთარ.** ზეგანში ლონდა ღმერთქალად მიუღიად მწყემსებს

და სურვილაშლილობით უთაყვანებიათ იგი.

**6.** ლონდას სიყვარულისათვის სიკვდილიც ბევრს მოსწყურდებოდა.

**ოთარ.** საცა გაივლის იგი — სიგიჟე ითესება ნამდვილი.

ერთი ყმანვილი შეშლილა მისი სიყვარულით.

სოფელ-სოფელ დადის და გაიძახის:

ღმერთქალი მყვარობსო.

მეორემ უიმედომ მდინარეს მისცა თავი.

მესამე სადღაც სხვა მხარეში გადაიკარგა.

7. ქალებს არ უნდა უყვარდეთ იგი.

**ოთარ.** ცოლებს ეშინიათ მისი და დედებს სძულთ იგი.

საოცარია მხოლოდ, რომ ლონდა ბავშვებს უყვართ ძლიერ.

5. ნეტა, ვინ არის ეხლა მისი რჩეული?!

**ოთარ.** ალბად, ყოველი ვისაც შეუძლია.

3. როგორ!? არ მესმის?!

**ოთარ.** ვისაც ძალა აქვს და სილამაზე.

თუმცა ძღვევისათვის ორპირი ცდუნებაც უნდა.

**ხმები.** სიყვარულის მესაიდუმლე ყოფილხარ.

5. მაინც: ვის ასახელებენ ეხლა მის არჩეულად?!.

**ოთარ.** ალბად, იმას ვინც ლონდამ აქ იკითხა.

**ხმები.** ბატონიშვილი თამაზ! ბატონიშვილი თამაზ!

(პაუზა. იწყება დენა ხალხის. მოდიან ქალები და კაცები. ყმანვილები და მოხუცები. მოდიან ჯგუფებათ. ყველას რაღაც შესანიშნავი მოაქვს: ზოგს სანთელი, ზოგს ხონჩა ხილებით, ზოგს დაკლული ცხოველი, ზოგს თეთრი ძაფი, ზოგს ცხენის თავის ჩონჩხი. ძაფს სალოცავს გარს ახვევენ. ჯგუფ-ჯგუფათ მოუთხრობენ. თხრობაში ხაზები მითოსის).

1 **ჯგუფი.** შარშან ზაფხულს რომ წითელი ხე გადაირია,

ზანგელა ტანი ხურვალედ აელენა

და სქელი ფოთლები სისხლიან ნალებად გადაეშალა.

წითელი ხე შარშან თითქო რომ იწვოდა,

რომელსაც დიდრონი ფასკუნჯები გარს ეხვეოდნენ:

ეს უკვე ნიშანი იყო საცნაური:

წელს დიდი გოლვა იქნებოდა უთუოდ.

რა გვეშველება.

2 **ჯგუფი.** ამბობენ: უთვალავი ღამურები გამოსულან.

გამოსულან საშინელ ბნელოვან გუნდებათ.

გადაშლილან ღამურები ცის თვალუნვდენ სივრცეზე.

ერთი წამით მზე დაუბნელებიათ ღამურებს ცხოველმყოფელი.

მზეც გახელებულა სისხლის მწოველი

და გვდაგავს ეხლა მრისხანე.

რა დააცხრობს ზვიადს.

3 **ჯგუფი.** ბროწეულის ყოველი მარცვალი

მზის წვეთია უთუოდ წითელი.

ბროწეულის ფესვები უნდა საზრდოობდენ

შენიშნული ცხოველის ცხელი სისხლით.

მზე უთუოდ დაცხრება მაშინ.

4 **ჯგუფი.** ერთი მთავარი გაგიჟებულა თურმე.

წლობით უგროვებია მას ცხენები:

სისხლის წვეთივით წითელი ცხენები.

უგროვებია ასობით ათასობით.

და გახელებული ცხენებით გავარდნილა

და უფსკრულში გადაჩეხილა გაბრაზებული.

ამბობენ: მას აქეთ მზე საშინლად ცხარობსო.

რა შეანელებს გახელებულს?!.

5 **ჯგუფი.** მზე გველი არის დიდი:

წითელი გველი რქანაყარი.



უნდა შეჰკრიბო ნითელი გველების პერანგები:  
უთვალავი გველების ნითელი პერანგები.  
და შემოახვიო პერანგები გარს სალოცავს.  
მზე უთუოდ დაცხრება მაშინ.

(ამ დროს მასსაში უეცარი კივილი ავარდება).

**ხმები.** ცხრამუხაში დიდმა გველმა დაისრიალა.  
ცხრამუხას ნითელი გველი თავს გადაეველო.  
(ერთი მეორეს ეკვრიან. ისმის ბავშვების ნივილი).

**ხმები.** მოჰკალით. მოჰკალით.

(ზოგი კიდევ გაემართება. მაგრამ უეცრად შეირხევა უძრავი შეწირული და ხალხს მი-  
მართავს).

**შეწირული.** ხელი არ ახლოთ.

უბედურება დატრიალდება.

იგი წმინდა გველია.

**ხმები.** უუ... გველი უნასია: უხამსი. მოჰკალით.

**შეწირული.** გეუბნებით: ნუ დაედევენებით.

უბედურება დატრიალდება.

როცა დიდი ნითელი გველი ცხრამუხის ტოტებში გადაირბენს,  
მაშინ წმინდა ხის ფოთლები იდუმალი შრიალით აშივილდებიან.  
რჩეულს შეუძლია იმა შივილში უცხო რამ ამოიცნოს.

**ხმები.** უნასი. უხამსი. ბილწი.

**შეწირული.** მხოლოდ ეს ხდება იშვიათად.

დიდი შუადღის ჟამს:

როცა დედამინას სუნთქვა შეეკვრის სისხლიანი აღმურით

და ეს არის უნდა დასკდენ მისი მკერდები.

ნითელი გველი მუხას მოევლება მაშინ თავს

და ტოტები მისი უეცრად ახმაურდებიან.

ხოლო ეს ხდება ძალიან ძვირად.

და გარდა ამის: ეხლა მზე დახრილია ძალიან.

ეს რალაც ნიშანი უნდა იყოს.

მე ეს არ მესმის...

**ხმები.** ნიშანი უბედურების. ნიშანი უბედურების.

**ოთარ.** რატომ უბედურების მაინცა და მაინც?!.

ყოველი გველი არ არის უნასი და უხამსი.

ნითელი გველი მზის შვილია.

ამბობენ: თუ გველი შეიყვარე, ცოდნას გაჩუქებსო.

ერთს მისანს ძილში ეპარებოდა თურმე ასეთი გველი:

ყურებს უკოცნიდა მას სივილა ენით

და სმენას იდუმალი ცოდნით უთრობდა.

როცა გაიღვიძებდა — ქვეყანა მისთვის სხვა იყო:

უფრო ლამაზი და უფრო ყვავილოვანი.

**ხმები.** მოგონილია. ზღაპარია.

**ოთარ.** ყველაფერი მოგონილია. ყველაფერი ზღაპარია.

(უეცრად მასსაში შეირხევა ქადაგი. შუახნის, შემხმარი. თვალები ყლავი. მარცხენა თვა-  
ლი ოდნავ შეწითლული: ნამოკუსული. იგრიხება. იკრუნჩხება. გასცქერის სივრცეს გა-  
ლენჩებით. მზერა აღმაცერი: ცალგვერდა. ხმა ხმელი და მკვახე. ხელში დიდი კომბალი).

- ქადაგი.** ახლოვდება ჟამი იგი საშინელი.  
შეირყევა მიწა და სიკვდილი მოიცავს ყოველს.
- ხმები.** ჰაა. ახლა ესეც თავს დაგვჩხავის როგორც ყორანი.
- ქადაგი.** სიბილნე მოიცავს სულსა  
და სიმრუშე დაიუფლებს სურვილს.  
აღარ იქნება სუნთქვა კეთილი:  
ვინაიდან სიავემ შეიპყრა ქვეყანა.
- ხმა.** ამ სიცხეში ყველაფერი ირევა ბრუდახვეული.
- ქადაგი.** ქალები ატყდებიან ჟინით დაუცხრომელით  
და ვაჟები აედევნებიან მათ ნდომით ნადირისა.  
იქნება, იქნება, წარყვანა აურაცხელი.
- ხმა.** ჭკუასთან ახლოა ქადაგის სიტყვა.
- ოთარ.** ხოლო ძველია იგი როგორც ქვეყანა.
- ქადაგი.** ქვეყანა შეიქმის ვით ორსული ქალი ბნედიანი  
და ლორწმორეული გადმოანთხევს იგი ნაყოფს საშოსა შიგან.
- ხმები.** საშინელია, საზარელია სიტყვა მისი.
- ქადაგი.** სიკვდილის წყურვილი მოედება ყოველს,  
როგორც ბრაზიანი ნადირი.  
ხალხი ადგება ხალხზე, ძმა — ძმაზე.  
და დაიღვრის სისხლი ამდინარებული.
- ხმა.** ჭეშმარიტად ირევა ქვეყანა.
- ქადაგი.** იტირე, მიწავ:  
რამეთუ აღსასრული შენი მოახლოვებულია.
- ოთარ.** ქვეყანას არ აქვს არც სათაური და არც დასასრული.  
აღსასრულს უხმობს იგი, ვინც თვითონ იღუპება.
- ხმა.** ნამდვილად შეირყა ქვეყანა.
- ქადაგი.** ახლოვდება ჟამი იგი საშინელი.  
შეირყევა მიწა და სიკვდილი მოიცავს ყოველს.  
(ამ დროს მასსის რკალი გაირღვევა. შემოდინ: მთავარი, დედოფალი, ბატონიშვილი  
თამაზ, დარბაისელნი, მხედრები, სასახლის ახლონი: ქალნი და ვაჟნი. ერთ ჯგუფში  
ლონდაც მოსჩანს განზე. ქადაგის სიტყვა სწყდება. ხალხის ხმაური ნელდება. ყველა-  
ნი ფეხზე დგებიან. მთავარი თავის ამალით დაიკავებს ცენტრალურ ალაგს. დუმილი.  
მთავარი დგება. მაღალი. დაახლოვებით 50 წლის. მოკუმული ბაგე. რუხი თვალები.  
ცხვირი არწივული. სახე საერთოდ დიდის ნების ყოფის. მიმართავს ხალხს).
- მთავარი.** დიდია სამთავრო ჩემი  
და კეთილია ნაყოფი მისი.  
ველები. ჭალები. მთები. მდინარენი. ტყენი.  
მიწა ნოყიერი და უხვი.  
მაღალმუხლიანი სიმინდის ყანები  
ათქვირებული და დაკვრივებული ტაროებით.  
სერების დაქანებებზე გადაშლილი ვაზის ზვარები  
დატვირთულები მაგარ მარცვლიანი მსხვილი მტევნებით.  
ხულები სავსენი და მარნები მსუნთქავნი.  
ვეშაპებსავით განოლილნი და პირდაღებულნი სანნახელნი —  
ხარბად ელოდებიან მუდამ ყურძნით ავსებას და მის დანურვას.  
კურთხეულია მიწა ჩვენი.
- ჯგუფები.** კურთხეულია მიწა ჩვენი, კურთხეულია.

- ხორო.** მინაო დედავ.  
მშობელო მრავალსაშოიანო.  
პოხიერო. უხვო. ნედლო. სავსეო.  
დათესლილო ღვთიური მადლით.  
იყავნ კურთხეულ მარადის.  
და ნურც გაშრებთან ჩვენთვის  
ერთგული მკერდები შენი.  
მინაო დედავ.  
ტკბილო ქალწულო.
- ხმები.** კურთხეულია მინა ჩვენი. კურთხეულია.  
**მთავარი.** და იქნება იგი კურთხეულ მარადის.  
მცხინვარე მზიანია მხარე ჩვენი  
და მზის თესლებით იპოხებთან საშონი მინისანი.  
ხოლო წელს უცნაურად გაგვიხელდა მზე ცხოველმყოფელი.  
სწავას მინის მკერდებს. სდაგავს მინის ძუძუებს.  
მატულობს გოლვა და ნაყოფს ანადგურებს.  
სიცხით ირევა სულიერი და უსულო.
- ხორო.** მზეო, მზეო  
ცხოველმყოფელო,  
ძლიერო, სისხლიანო, მაგარო,  
უცნაურო, საშინელო,  
შენელდი, დასცხრი  
და მიეც შევბად  
სისველე სინედლე მინას.
- ჯგუფი.** შენელდი, დასცხრი მზეო ცხოველმყოფელო.  
**მთავარი.** მზე ხელდება და გოლვა ნაყოფს ანადგურებს.  
სიცხით ირევა სულიერი და უსულო.  
უბედურება მოსდევს უბედურებას.  
წინ: სიმშლილი და გაჭირვება.
- ხმები.** სიმშლილი და გაჭირვება.  
**მთავარი.** მოგვევლინა ღვთის რისხვა.  
**ხმები.** ღვთის რისხვა. ღვთის რისხვა.  
**მთავარი.** შესაძლოა, შევცოდეთ უზენაესს.  
**ხმები.** შევცოდეთ. შევცოდეთ.  
**მთავარი.** და გიხმეთ მე თქვენ სალოცავში —  
რათა გავიგოთ ზრახვა უზენაესის.  
დიდი ქურუმი, მესამე დღეა, რაც ლოცვად არის შემდგარი.  
დღეს უნდა გვამცნოს მან სიტყვა ღვთისა.  
ჩვენ ველით საიდუმლო განაჩენს.
- ხმები.** ველით განაჩენს. ველით.  
(შემოიჭრება მოამბე. მასსის რკალი გაირღვევა. მთავართან მიუშვებენ მას. მოამბე  
დგება მის წინ დაშორებით. თაყვანს აძლევს).
- მთავარი.** რას იტყვი ახალს?!  
**მოამბე.** კარგს ვერაფერს, დიდო ბატონო.  
**მთავარი.** მაინც?!  
**მოამბე.** შენს დიდ ტყეს, დიდო ბატონო,

- ზღვის პირას რომ არის მედიდურად გადაშლილი —  
ცეცხლი მოსდებია დიდი  
და რამოდენიმე დღეა იწვის იგი.
- ხმები.** ვაი, ჩვენს უბედურებას!  
**მთავარი.** მე სხვაგანაც ბევრი მაქვს ტყე.  
სხვას რას იტყვი?!
- მომამბე.** შენს ბელლებში, დიდო ბატონო  
ქვედა ჭალებში რომ არიან გამართულნი,  
ხორბალს ჭია გაჩენია საზარი  
და ჭირნახული ნადგურდება სრულიად.
- ხმები.** ჰოი, საშინელებაგ!  
**მთავარი.** მე სხვაგანაც ბევრი მაქვს ბელლები.  
სხვას რას იტყვი კიდევ?!
- მომამბე.** ზეგანში ერთ ქალს კუდიანი ბავში დაბადებია.  
სოფლელებს ცეცხლისათვის მიუციათ ბავშიც და დედაც.  
შემდეგ: ერთიმეორეს დარევიან.
- ხმები.** ჰოი, უბედურებაგ!  
**მთავარი.** ჩემს სამთავროში ბევრია გონიერი სოფლებიც.  
სხვა რა იცი?!
- მომამბე.** მთავარი თენგიზ, დიდო ბატონო,  
რომელსაც მრისხანეს უწოდებენ —  
საომრად მოდის შენს წინააღმდეგ გამხეცებული.
- ხმები.** საომრად თენგიზ. ჩვენს წინააღმდეგ.  
**მთავარი.** ჩემმა გმირებმა დახვედრაც კარგი იციან.  
სხვა რა იცი კიდევ?!
- მომამბე.** შენი უმცროსი ვაჟი, დიდო ბატონო,  
ვეფხზე რო წავიდა სანადიროთ...
- ხმები.** რა მოუვიდა? რა დაემართა?  
**მომამბე.** დაჭრილა სასტიკად, დიდო ბატონო.  
**ხმები.** ვაი. ვაი.  
(მთავარი შეირხევა მძაფრი ტკივილით. ცრემლს იკავებს. თამაზ თავდახრით ქვითინებს.  
დედოფალი დაიკვივლებს: გული წაუვა და გაიყვანებენ, შემდეგ: მთავარი ნელის განადგურებულის ხმით).
- მთავარი.** ღვთის ნებაა... კიდევ იცი რამ?!  
(უეცრად ავარდება ქადაგი და იწყებს აბნეული ხმით).
- ქადაგი.** ახლოვდება ჟამი იგი საშინელი...
- ხმები.** დააჩუმეთ! დააჩუმეთ! ქადაგი შეიშალა.  
(ამ ხმაურში სალოცავის კარი გაიღება ნელა. გამოდის დიდი ქურუმი. შედგება საფეხურზე. მოხუცი ძალზე. მხრებში მოხრილი. შავ თვალებში ჯერ კიდევ შერჩენილი აქვს ყმანვილური ელვარება. სივრცეს გასცქერს. სმენა).
- ქურუმი.** რად აჩუმებთ ქადაგს. ქადაგი მართალია.  
(ჩამონწევა გაოცება და დუმილი).
- ჩურჩული.** ნეტა რა იხილა?!  
ნეტა რა აცნობა ღმერთმა?!  
რა მოხდა?! რა გველის?!

- ქადაგი.** ახლოვდება ჟამი იგი საშინელი.  
შეირყევა მიწა და სიკვდილი მოიცავს ყოველს.  
რამეთუ სიავემ შეიპყრო ქვეყანა.
- ქურუმი.** ეხლა კი შეჩერდი, კეთილო კაცო.  
(ქადაგი შესწყვეტს სიტყვას).  
სამი დღე და სამი ღამე მხურვალე ლოცვით  
ვუხმობდი მე დიდს სადდასაის.  
შევვედროდი მე უზენაესს ჩვენს უბედურებას  
და მესმა ხმა მისი იდუმალი.
- ხმები.** რა გაიგე? რა შეიტყე? გვითხარ! გვამცნე!
- ქურუმი.** დიდ არს სადდასაი!
- ჰიმნი.** დიდ არს სადდასაი ღმერთი ჩვენი,  
ნათელ არს სადდასაი მფარველი ჩვენი.  
მძლე არს სადდასაი მაცხოვრებელი ჩვენი.
- ქურუმი.** დიდ არს სადდასაი.  
კეთილია ნება მისი.  
კურთხეულ არს სახელი მისი.
- ხმები.** კურთხეულ არს, კურთხეულ არს სახელი მისი.
- ქურუმი.** გვიმხელს უზენაესი ცოდვასა ჩვენსა.  
ცოდვა დიდია ჩვენი.
- ხმები.** ცოდვა. ჩვენი ცოდვა.
- ქურუმი.** საჭიროა ცოდვის გამოსხნა.  
საჭიროა ხსნა.
- ხმები.** ხსნა. ხსნა.
- ქურუმი.** სადდასაი მოითხოვს სხვერპლის გაღებას.
- ხმები.** სხვერპლი. სხვერპლი.
- ქურუმი.** საცნაურ არს სადდასაი.  
სხვერპლი ადამიანის შეწირვით!  
(ჩამოვარდება საშიშრობა დუმილში. შემდეგ: უგონო ხრიალი და ხედვა ცხოველური.  
ნამოიჭრება ოთარ).
- ოთარ.** ადამიანის შეწირვა გადავარდა.
- ქურუმი.** ვინ არის უგუნური ესე?!
- ოთარ.** ღმერთს არ სჭირდება სისხლი ადამიანის.
- ქურუმი.** ვინ არის ეს უგუნურ მეტყველი?!
- ოთარ.** ადამიანის შეწირვა გაუგებარია.
- ქურუმი.** ვინ გამობს ასე ღვთის საიდუმლოს?!
- ოთარ.** ადამიანი თვითონ არის ღმერთი.
- ქურუმი.** კრულ იყოს სიტყვა შენი უგუნური!
- ოთარ.** ღმერთი ყოველია და ყოველი ღმერთია.  
ადამიანი ღმერთია ნამდვილი.
- ქურუმი.** გახმეს სასა შენი ურწმუნო.  
ვინ გამოიცნო საიდუმლო გამოუცნობის?!
- ოთარ.** არსი ყოველი აცნაურებს ამ საიდუმლოს.
- ქურუმი.** დაჩუმდი, უგუნურო.  
მხოლოდ თავისშეწირვით ძალუძს ადამიანს

- ზიარ იქმნეს უზენაესის.
- ოთარ.** მხოლოდ სხვერპლის გაღებით შეერთვის იგი საშოსსა ღვთისას.  
სხვერპლი სხვაგვარიცაა. წირვა მრავალნაირია.  
(ხალხში ხმაური და ნატეხი სიტყვები. ზოგი: „მართალია — მართალია“. ზოგი: „შემცდარი“ — „შემცდარი“. ერთნი: „ქურუმი მართალს ამბობს“. სხვანი: „მოშაირესაც უსმინეთ“. ხმაური თანდათან ძლიერდება. წამოდგება მთავარი. მტკიცე შეჭრილი მზერით გადახედავს ხალხის მასსას, ხმაური ნელდება).
- მთავარი.** ისმინეთ, ხალხნო.  
ღვთის საქმეს ჩვენ ვერ გადავჭრით.  
გოლვა მატულობს. მხარე იღუპება. მტერი მოდის.
- ხმები.** ვაი, ჩვენს უბედურებას!
- მთავარი.** შეხედეთ მოხუცს,  
იგი ღვთისადმია შეწირული.  
იგი მოცილებულია სოფელს და სოფლის ამაოებას.  
იგი მუდამ ლოცულობს. იგი მარხულობს.  
იგი სუნთქავს სუნთქვას გამოუთქმელისას.  
იგი უსმენს უზენაესს.  
იგი ნათელია. იგი წმიდაა.
- ხმები.** ნათელი. წმიდა.  
კურთხეულ იყოს სახელი მისი.
- მთავარი.** ღვთის საიდუმლოს იგი უფრო მიხვდება.  
ღვთის ნებას იგი უფრო გამოიცნობს.  
ღვთის სიტყვას იგი უფრო გაიგებს.
- ხმები.** მიხვდება. გამოიცნობს. გაიგებს.
- მთავარი.** მხარე იღუპება და გვინდა ხსნა.
- ხმები.** ხსნა გვინდა. ხსნა.
- მთავარი.** ხსნა სხვერპლით.
- ხმები.** სხვერპლით. სხვერპლით.
- მთავარი.** სხვერპლი ადამიანის შეწირვით.  
(დუმილი და კძალვა. თმენა და მზადყოფნა წირვადისათვის. დუმილი გამძაფრებული. შემდეგ უეცარი ამოძახილი).
- 1 ჯგუფი.** მზადა ვართ.
- 2 ჯგუფი.** მზადა ვართ.
- 3 ჯგუფი.** მზადა ვართ.
- 4 ჯგუფი.** მზადა ვართ.
- 5 ჯგუფი.** მზადა ვართ.
- ყველა.** მზადა ვართ.
- მთავარი.** დიდო მოხუცო. ხალხი მზად არის.  
საჭიროა არჩევა შესაწირავის.  
შენ შეიტყობ ღვთის არჩევანს.  
დიდო მოხუცო. არჩევანის ცნობა შენზეა.
- ქურუმი.** არჩევანი მომხადარია კიდევ.  
(შიში და გაოცება).
- ხმები.** ვინ არის? ვინ არის?
- ქურუმი.** ვისმინე სიტყვა უზენაესის.



- მესმა ნება მაღალის.  
დიდ არს სადდასაი!
- ხმები.** დიდ არს სადდასაი! დიდ არს სადდასაი!
- ქურუმი.** სხვერპლად ქალია დასახელებული.
- ხმები.** ქალი. ქალი.
- ქურუმი.** ულამაზესი ყველა ქალთა შორის.  
(თამაზ შეირხევა საშინლად).
- ხმები.** ვინ არის? ვინ არის?
- ქურუმი.** არავინ იცის წარმოშობა არჩეულის.  
(თამაზ შეირხევა თითქო ჭრილობით. ლონდა უცნაურად გასცქერის სივრცეს).
- ხმები.** ის ხომ არ არის, ჯადოსანი. თვალმაქცი.
- ქურუმი.** იტყვიან: სირენააო —  
ზღვის მკერდით ცხელ ქვიშაზე გამოსროლილი.  
(თამაზ შეირხევა დაჭრილივით).
- ხმები.** ის ხომ არ არის ვაჟებს რომ აგიჟებს!
- ქურუმი.** ტანი: თეთრი ქვის ჭურჭელი.  
თმები: ლალების ტევრები მზის ხაოთი დაფერილნი.  
ყელს ქვევით მარცხნით დიდი ხალი.
- ხმა.** ლონდა.
- ქურუმი.** ლონდა. ლონდა.  
(ლონდა არ იძვრის, თამაზ ავარდება დაკოდილი ნადირივით და შეჰკივლებს).
- თამაზ.** შეუძლებელია. შეუძლებელია.
- ქურუმი.** ღვთის განგებაში შეუძლო არ არის რა.
- თამაზ.** შეუძლებელია. შეუძლებელი.  
ლონდას ღმერთი არ გაიმეტებდა.
- ქურუმი.** სადდასაი იღებს მხოლოდ რჩეულს.
- თამაზ.** არ მჯერა. არ მჯერა.  
ისმინეთ ხალხნო: მე მიყვარს ლონდა  
და მას სიკვდილსაც არ დავანებებ.  
და მიიღებს ხმალის პასუხს ის —  
ვინც აქ ლონდას სახელი გადმოისროლა.  
(დუმილი და გაოცება. მთავარი წამოდგება და მაგარი ხმით მიმართავს შვილს).
- მთავარი.** გახსოვს ზეიმი და რაინდების ყაბახი.  
ვინ იყო ის, ვინცა ხმალდახმალ შეჯიბრებაში  
ათი გმირი ზედიზედ სასტიკად დაამარცხა?!
- თამაზ.** მე ვიყავ, მამავ.
- მთავარი.** გახსოვს ტყის პირი და ხვეული ბილიკი.  
გახსოვს შემზარავი კივილი მიმავალთა.  
ვინ იყო ის, ვინცა მახვილის ერთი დაკვრით  
დედალი ვეფხი განკვეთა,  
როცა იგი თავს ეცემოდა მიმავალთა?!
- თამაზ.** მე ვიყავ, მამავ.
- მთავარი.** გახსოვს სამთავროს შავი დღე,  
ოდეს მტერმა ვერაგულად შემოუტია მას.  
გახსოვს ვაება და ძვინვარება,

გმინვა და სისხლის წყურვილი,  
 ძარღვის შეშინება და უკან დახევა.  
 ვინ იყო ის, ვინცა თავგამეტებული რაინდებით  
 მტერის მოხეტეილ ზვავში გადავარდა  
 და ხმალთა ცეცხლის აგიზგიზებით  
 თავსდამცემი სასტიკად გაანადგურა?!.

**თამაზ.** მე ვიყავ, მამავ.

**მთავარი.** შენ იყავ, თამაზ: ვაჟკაცი. რაინდი.  
 ეხლა?!

**თამაზ.** ნუ ეჭვობ, მამავ:

ვიყავი ასეთი და ვიქნები ყოველთვის.

**ხმები.** თამაზ რაინდია. თამაზ თავდადებულია.

**მთავარი.** და მერე თამაზ?!

**თამაზ.** მე მიყვარს ლონდა სიყვარულის საშინელებით  
 და მის გარეშე გატეხილია ჩემი ვაჟკაცობა.

**მთავარი.** შენ მამული გავიწყდება თამაზ.

**თამაზ.** აი, ჩემი მარჯვენა და აი, ჩემი ხმალი.  
 ჩემმა მკლავმა არ იცის მოდუნება  
 და ჯერ არც ჩემს ხმალს მოდებია ჟანგი.  
 (ჯგუფი მხედრების წინ გამოიჭრება. მხედრები ხმალებს აშიშვლებენ და შეს-  
 ძახებენ).

**მხედრები.** სიკვდილამდის თამაზთან ერთად.

**ქადაგი.** იტირე მინავ, რამეთუ აღსასრული შენი ახლო არის.

**ქურუმი.** სადდასაი ითხოვს არჩეულ სხვერპლს.

**ოთარ.** სხვერპლი სხვაგვარიცაა. ნირვა მრავალნაირია.

**მთავარი.** მამულის სიყვარული სხვა არის კიდეც.

**თამაზ.** სამთავროს ვიხსნი მე, მამავ.

მე გავწირავ თავს, თუ იქნება აუცილებელი.

ოლონდ: ნუ იქნება ლონდა სხვერპლად შეწირული.

მე მოვიხმობ უცხო მხარიდან სწავლულებს

და გავიყვან დიდრონ არხებს წყალთა დენისათვის.

გოლვა ველარას დაგვაკლებს შემდეგ

და მდელი ჩვენი მიწის აყვავილდება

ყანებითა და ყვავილებითა და ბალახებითა.

ოლონდ: ნუ იქნება ლონდა სხვერპლად შეწირული.

მე მოუწოდებ ჩემს ნაცად მეომრებს

და დავანახებ საკვეთად მომდგარ მტერს,

თუ რა არის ჩვენზე გალაშქრება.

ოლონდ: ნუ იქნება ლონდა სხვერპლად შეწირული.

**მხედრები.** სიკვდილამდის თამაზთან ერთად.

**ქადაგი.** იტირე, მინავ, რამეთუ აღსასრული შენი ახლო არის.

**ქურუმი.** სადდასაი ითხოვს არჩეულ სხვერპლს.

**ოთარ.** სხვერპლი სხვაგვარიცაა. ნირვა მრავალნაირია.

**ხორო.** მზეო. მზეო.

**მთავარი.** მამულის სიყვარული სხვაა კიდეც.

შენა ხარ შვილი, თამაზ. მეც ვარ შვილი.

- მამა ჩემიც იყო შვილი და მამის მამა იყო შვილი.  
და ასე: ზევით და ზევით.  
მე ვარ მამა შენი, თამაზ. მამა ჩემიც იყო მამა.  
მამის მამა იყო მამა. შენც მამა იქნები.  
და ასე ქვევით და ქვევით.  
ერთი დიდი ხე დიდტანიანი და მრავალტოტებიანი.  
მაგარია ჯერ კიდევ წმინდა მუხა ჩვენი გვარის.
- ხორო.** ძველი მუხა დიდი  
სუროთი შემოსილი.  
დაგრაგნილი ტოტები  
მწვანედ იფოთლებიან.  
მსხვილი და მაგარია  
რკოების ძუძუები.
- მთავარი.** ჩვენ გადავალთ და სხვები მოვლენ.  
მაგრამ გადასულნიც და მოსულნიც არიან ერთნი.  
მამა შვილში არის. შვილი მამას აგძელებს.  
მამად ვერავინ გახდება ქვევით,  
თუ არ ეშვილა უკანასკნელ მამას და მამებს ზევით.  
მამული წიაღია შვილის ერთგულების.  
ეს არის სჯული მინის.  
სჯულის გადალახვა დამლუპველია.
- თამაზ.** მახსოვს, მამავ, მეც მინის სჯული.  
ვიცი სიყვარულიც მამულის.
- მთავარი.** შენ გავიწყდება სიტყვა ღვთის.
- თამაზ.** სიყვარულიც ღვთის სიტყვაა, მამავ.
- მთავარი.** შენი სიყვარული პირადია უფრო.
- ქადაგი.** იტირე, მინავ, რამეთუ აღსასრული შენი ახლო არის.
- ქურუმი.** ღმერთი ითხოვს არჩეულ სხვერპლს.
- ოთარ.** სხვერპლი სხვაგვარიცაა. წირვა მრავალწაირია.
- ხორო.** მზეო. მზეო.
- თამაზ.** ძნელია სიყვარული, მამავ.
- მთავარი.** საჭიროა უფრო დიდი სიყვარული.  
საჭიროა სხვერპლი მხარის სახსნელად.  
ღმერთი ითხოვს ადამიანის სხვერპლს.
- თამაზ.** ღმერთი დიდია, მამავ.  
ღმერთი მონყალეა და გვაპატიებს.
- ხმები.** გვაპატიებს. გვაპატიებს.
- ქადაგი.** იტირე, მინავ რამეთუ აღსასრული შენი ახლო არის.
- ქურუმი.** სიტყვა ღმერთის ურყეველია.  
სადდასაი ითხოვს არჩეულ სხვერპლს.
- ოთარ.** სხვერპლი სხვაგვარიცაა. წირვა მრავალწაირია.
- ხორო.** მზეო. მზეო.
- ქურუმი.** ქვეყანა ილუპება. ხსნაა საჭირო.  
სხვერპლი უნდა შეინიროს.  
სხვერპლი არჩეულია.
- მთავარი.** შვილო?!

**თამაზ.** ვერა.

**მთავარი.** შვილო?!

**თამაზ.** ვერა.

**მთავარი.** შვილო?!

(ლონდა, რომელიც ამდენხანს უცნაური გაშტერებით სივრცეს გასცქეროდა, გამოიჭრება თამაზისაკენ, მოდის როგორც ატაცებული სონამბულა. მასსა შეტორტმანდება. გამძაფრებული ლოდინი).

**ლონდა.** იყოს ბედი სასტიკი და ლამაზი.

მე არ ვიცი, ვინ არის სადდასაი.

არც ის ვიცი, თუ რა არის მისი განგება.

ვიცი მხოლოდ ყვაავილები და სიყვარული.

მახარებენ მზის თესლები ლონთქოშა ყლორტებში.

და მახალისებს ატეხილი აშავერი მინის ავხორცი ტანის.

მიყვარს ყოველი. ვეტრფი სიცოცხლეს...

მაგრამ... მზადა ვარ მაინც

ავასრულო სიტყვა დიდი ქურუმის.

(მასსა კიდევ უფრო ატორტმანდება გოცებით).

**თამაზ.** რას ამბობ? ლონდა?!

მზადა ხარ იქნე შენირული?!

**ლონდა.** დიალ: მე — ლონდა — მზადა ვარ ვიქნე შენირული.

**ქადაგი.** ახლოვდება ჟამი იგი საშინელი.

**ოთარ.** ბედი სასტიკია და ლამაზი.

**ქურუმი.** სადდასაი ითხოვს არჩეულ სხვერპლს.

**მთავარი.** მინის სჯული ურყეველია.

**ხორო.** მზეო. მზეო.

**თამაზ.** დღეს შენ უცნაური ხარ...

შენ ყოველთვის უცნაური იყავი...

შენ სავსებით არ იყავ ჩემი არაოდეს...

შენი გული არ იყო ჩემით ყოველთვის სავსე...

**ლონდა.** მაგრამ როცა შენით სავსე იყო იგი,

ქვეყანაზე არც ერთ გულს არ უძგერია მასავით.

შენ ბავშვი ხარ სიყვარულში, თამაზ.

ჩემი სიყვარული სხვაა. მართლაც უცნაურია.

შენთვისაც...

**ქადაგი.** ახლოვდება ჟამი იგი საშინელი.

**ოთარ.** ბედი სასტიკია და ლამაზი.

**ქურუმი.** სადდასაი ითხოვს არჩეულ სხვერპლს.

**მთავარი.** მინის სჯული ურყეველია.

**ხორო.** მზეო. მზეო.

**თამაზ.** არა: შეუძლოა, შეუძლო შენი სიკვდილი.

მე შენ მიყვარხარ, ლონდა. მიყვარხარ.

**ლონდა.** მეც მიყვარხარ თამაზ.

**ქადაგი.** ახლოვდება ჟამი იგი საშინელი.

**ოთარ.** ბედი სასტიკია და ლამაზი.

**ქურუმი.** სადდასაი ითხოვს არჩეულ სხვერპლს.

- მთავარი.** მინის სჯული ურყეველია.  
**ხორო.** მზეო. მზეო.  
**თამაზ.** არა. არა. უცნაურია შენი სიყვარული. უცნაური.  
**ლონდა.** მიყვარხარ, თამაზ.  
იყოს ჩემი სხეული შენთვის თასი  
უცხო სასმელით სავსე.  
დაენაფე მონყურებული მას.  
დასცალე თასი  
და ხალისიანი ხელით დაამსხვრიე იგი.  
მე შენი ვიქნები, თამაზ.  
მე შენ მეყვარები, თამაზ.
- ქადაგი.** ახლოვდება ჟამი იგი საშინელი.  
**ოთარ.** ბედი სასტიკია და ლამაზი.  
**ქურუმი.** სადდასაი ითხოვს არჩეულ სხვერპლს.  
**მთავარი.** მინის სჯული ურყეველია.  
**ხორო.** მზეო. მზეო.  
**თამაზ.** არა. არა. შენი დაცილება შეუძლებელია.  
შენი შენირვა უგუნურებაა.  
შენი სიკვდილი სიგიჟეა.  
**ლონდა.** დამშვიდდი, თამაზ.  
მე უნდა ვიქნე შენირული.  
მე შენ მეყვარები, თამაზ.
- ქადაგი.** ახლოვდება ჟამი იგი საშინელი.  
**ოთარ.** ბედი სასტიკია და ლამაზი.  
**ქურუმი.** სადდასაი ითხოვს არჩეულ სხვერპლს.  
**მთავარი.** მინის სჯული ურყეველია.  
**ხორო.** მზეო. მზეო.  
**თამაზ.** როგორ? სიკვდილით?! არა. არა.  
შენ ხარ სიცოცხლის ნება, ლონდა.  
სიკვდილის სურვილი უცხოა შენთვის.  
შენ უცნაური ხარ დღეს. შენ უცხო ხარ ჩემთვის.  
შენი სიტყვა საშინელია.  
არა. არა: შენ უნდა იცოცხლო.  
შენ უნდა იცოცხლო ჩემი სიყვარულით.  
**ლონდა.** შენი ვიქნები თამაზ სიკვდილშიაც.  
სიკვდილში გადასულს სიყვარულს ღმერთებიც ვერ შეცვლიან.  
ჩემი გული სავსე იქნება მხოლოდ შენით.  
უშენოთ არ შეირხევა იგი არასოდეს.  
მე შენი ვარ. შენი.  
თუმცა სიკვდილი ახლოა.
- ქადაგი.** ახლოვდება ჟამი იგი საშინელი.  
**ოთარ.** ბედი სასტიკია და ლამაზი.  
**ქურუმი.** სადდასაი ითხოვს არჩეულ სხვერპლს.  
**მთავარი.** მინის სჯული ურყეველია.  
**ხორო.** მზეო. მზეო.

- თამაზ.** სიკვდილი... შენ... არა... არა...  
საშინელია, საშინელი შენი სიკვდილი.  
ცალიერდება ყოველი.
- ლონდა.** ღმერთისა და ხალხისათვის  
ვიქნე მე სხვერპლად შენირული.  
შენთვისა და ჩემთვის  
იყოს ჩემი შენირვა უკანასკნელი ქორნილი.
- ქადაგი.** ახლოვდება ჟამი იგი საშინელი.
- ოთარ.** ბედი სასტიკია და ღამაზი.
- ქურუმი.** სადდასაი ითხოვს არჩეულ სხვერპლს.
- მთავარი.** მინის სჯული ურყეველია.
- ხორო.** მზეო. მზეო.
- თამაზ.** უკანასკნელი ქორნილი... უკანასკნელი ქორნილი...  
(თამაზ არეულია. ლონდა ეხვევა ალერსით. ჰკოცნის. ღელავს. ამღვრეულია).
- ლონდა.** შესვი თასი. ეზიარე უკანასკნელად.  
დაამსხვრიე თასი. გასტეხე იგი.  
მე შენი ვარ თამაზ.  
(თამაზ ქვითინს იკავებს. დუმილი მძაფრი. ლონდა ატაცებულია და იცქირება სონამბულასავით).
- მთავარი.** ასრულდეს სურვილი შესანიშნავის.
- ლონდა.** მე მზადა ვარ, დიდო მთავარო.
- ქურუმი.** სალოცავის მსახურნო:  
თქვენ იცით ადგილი აქედან მარცხნით  
საცა კლდის პირია უფსკრულის თავზე ამართული.  
იქიდან მოსჩანს მდინარე წმინდა: შავი. ნელი.  
ერთი კლდიდან გამოდის და მეორეში შედის.  
არავინ იცის მისი სათავე და არცა მისი შესართავი.  
მდინარემ იცის სხვერპლი მრავალი.  
იქ არის განსვენება უკანასკნელი.  
მის წიაღში იზდება საზღო სადდასაის.  
მდინარის დენაში ვლინდება ნაწილი უზენაესის,  
ვითარცა კავშირი წყალთა შორის გალლობილი.  
იქ მატულობს საღვთო ძალა  
ადამიანთა შენირვით დაგროვილი.  
დიდ არს სადდასაი.
- ჰიმნი.** დიდ არს სადდასაი ღმერთი ჩვენი.  
ნათელ არს სადდასაი მფარველი ჩვენი.  
მძლე არს სადდასაი მაცხოვრებელი ჩვენი.
- ქურუმი.** სალოცავის მსახურნო!  
არჩეული სხვერპლი მიიყვანეთ კლდის პირას.  
გახადეთ ტანსაცმელი და პირდაპირ მდინარეში გადაისროლეთ.
- ხმები.** ჰოი საშინელებავ.
- ქურუმი.** დაყოვნება მეტი შეუძლებელია.  
ასრულდეს ნება უზენაესის.



- ლონდა.** მე მზადა ვარ, დიდო მოხუცო.  
 დღეს უნდა გაიმართოს ქორწილი უკანასკნელი.  
 იყოს ზეიმი და ლხინი.  
 მოჰფინეთ გზა ბალახებით და ყვავილებით.  
 იხმეთ მუსიკოსნი და მღერალნი.  
 მოუნოდეთ ყმანვილებს: ქალებს და ვაჟებს.  
 დღეს უნდა აყვავილდეს ქორწილი უკანასკნელი.  
 (თამაზ ქვითინს იკავებს. ქურუმი შორეთს გასცქერის. მთავარი ზის გაქვავებული).
- მთავარი.** შეასრულეთ სურვილი შესანიშნავის.  
 (შემოდინ ყმანვილები: ქალები და ვაჟები. მოაქვთ ყვავილები და ბალახები. შემო-  
 დიან მუსიკოსნი და მომღერალნი).
- ქურუმი.** ასრულდეს ნება უზენაესის.  
**ლონდა.** ასრულდეს ნება სიყვარულის.  
 (მიმართავს თამაზს).  
 მე მივაღ იქ საცა ერთად ვიქნებით მარადის.
- თამაზ.** (თითქო შეკითხვით — თითქო დასტურით).  
 ჩვენ კიდევ... ვიხილავთ... ერთმანეთს...
- ლონდა.** (არეული ამღვრეული სახით).  
 ვიხილავთ... ვიხილავთ... ერთმანეთს...  
 (გაიმართება პროცესია. ქალ-ვაჟნი ჰფენენ გზას ყვავილებით და ბალახებით. მიჰ-  
 ყავთ ლონდა. უმზერს უკანასკნელად თამაზს. თამაზ არეულია და თანვე გაქვავე-  
 ბული. მღერიან „ლილეს“).
- ხორო.** „ის კვამი დიდები ბინგოა შილე და ლილეო.  
 დიდები თარგლეა ზერსი და ლილეო“...
- ქურუმი.** (ლოცულობს).  
 უზენაესო ცხოველმყოფელო სადდასაი!  
 მიილე სხვერპლი ესე, ვითარცა საზრდო შენი იდუმალი.  
 შეინირე იგი და მით გვითვისე ჩვენ.  
 შეიერთე იგი და მით გვიხსენ ჩვენ.  
 ჩამოეშვი ჩვენში, ვითარცა კავშირი უხილავი.  
 ჩვენ ვართ შენნი. იყავნ შენცა ჩვენი.  
 ამიერიდან უკუნისამდე.  
 („ლილე“ ნელდება. ყველანი მზერენ უფსკრულთან მისულეებს. თვალს ადევნებენ).
- შენირული.** ტანსაცმელი გახადეს.  
 მსახური ხელს ჰკიდებს.  
 ხოლო ეს რაა?.. ხელი არ მორჩილობს.  
 მინაზე ვარდება.  
 უახლოვდება მეორე... რა ემართება?!  
 ვერ ეკარება... ისიც მინაზე ვარდება...  
 (დუმილი. გაოცება. მოვარდება მონანილე).
- ხმები.** რა ხდება? რა მოხდა?  
**მონანილე.** მსახურნი ვერ ასრულებენ დავალებას.  
**ქურუმი.** როგორ? რა ემართებათ?!  
**მონანილე.** უახლოვდებიან თუ არა — იქვე იკეცებიან.

- ხმები.** საოცარია. საოცარია.
- ქურუმი.** ჰოი, სუსტნო და უძლურნო.
- ოთარ.** ჰოი, მორჩილნო სილამაზის.
- მონაწილე.** ერთმა მსახურმა ჩაკეცვის დროს მუხლზე აკოცა.
- ქურუმი.** დიდია ცდუნება სილამაზის.  
ჰოი, სუსტნო!
- ოთარ.** ჰოი, მორჩილნო ბედის ერთგულის.
- მონაწილე.** მეორე ფეხებზე დაუვარდა კოცნით.
- ქურუმი.** საშინელია ავხორცობა.  
ჰოი, უძლურნო.
- ოთარ.** ჰოი, მორჩილნო თავდადებულის.
- მონაწილე.** მესამე...
- ქურუმი.** დაჩუმდი:  
ჰოი, სუსტნო და უძლურნო.
- ოთარ.** ჰოი, მორჩილნო უცხო ყვავილის.  
(უეცრათ წამოიჭრება თამაზ. გაფითრებულია მეტად. სახეზე უელვარებს რალაც გადაწყვეტა. მიმართავს ქურუმს).
- თამაზ.** დიდო მოხუცო!  
მომეც ნება, მე თვითონ შევასრულო ღვთის განაჩენი.  
(გაოცება უმწვერვალესი. მთავარი შეირხევა. შეაშტერდება შვილს მზერით).
- მთავარი.** შვილო. რა გემართება?!
- ქურუმი.** იყოს ნება შენი.  
(თამაზ მივამამასთან. შეჩერდება. მოეხვევა. მთავარს რალაც წინაგრძნობა გაჰკრავს).
- მთავარი.** შვილო?!
- თამაზ.** არაფერი...
- მთავარი.** შვილო?!
- თამაზ.** სიყვარული...
- მთავარი.** შვილო?!
- თამაზ.** ქორნილი უკანასკნელი...
- მთავარი.** შვილო?!
- თამაზ.** მამავ...  
(უეცრად აკოცებს მამას. მამა გრძნობს გამოუცნობ ტკივილს. თამაზ მოსხლტება და უფსკრულისაკენ გაექანება. ყველანი თვალს აყოლებენ. განსაკუთრებით მთავარი).
- შენირული.** ეხვევა... ჰკოცნის...  
ხელში აიყვანა... უნდა გადაისროლოს...  
მაგრამ ეს რაა... ჰაა... თვითონაც... თან...
- მთავარი.** (იკვილებს).  
შვილო?! მამულო?!  
(მთავარი ჩაიკეცება. მასსაში გმინვა ძლიერი. შორით წყდება „ლილე“).
- ხორო.** „ისკვამი დიდები ბინგოა შილე და ლილეო,  
დიდები თარგლეა ზერსი და ლილეო“.

გრიგოლ რობაქიძე

სპარსეთი. ხამადანი. ზაფხული. 1917: ხილვა  
აზერბაიჯანი. ყაზახი. ზაფხული. 1919: შესრულება

## ქრისტე პარიზში 1999 წელს

### კოსმიური პოემებიდან

*Tibi,*

*qui vestigia lesu Christi premis,  
hoc poëma pio animo dedico.*

I

ჰხედავთ,  
ერებო,  
რევოლიუციის  
ალვირახსნილი  
დაჰქროლავს რაში.  
ღმერთის სუნთქვაა, რომ შეარყია  
სიბნელის რიდე. და ცეცხლის სვეტი გადაჰხიდა  
მზემ  
უკუნეთში.  
ოკეანეებს გადაულახავთ ნაპირის ზღუდე,  
გრანიტის დამბა.  
პირსისხლიანი მინის აჩრდილი  
ზეცის ეკრანზე  
გადაისტამბა.  
მინამ  
ოცნების სისხლი დაჰლია.  
მინა ღმერთს შესწვდა  
და ეზიარა.  
და გაჰხსნა  
ღმერთმა  
უხეში ხელით მინის სხეულზე მწარე იარა.  
ფერმილეული,  
მკრთალი ლანდები  
მოჰქრიან ციდან  
ტკბილის სიმღერით,  
და ჩამოეშვა მზის სიმაღლიდან  
ნარინჯისფერი სხივის ჩანჩქერი.  
ევროპის მკვდრები  
ამდგარან მკვდრეთით და პოზაუნებს ახმაურებენ.  
შუბლს  
აიაზმა ატყვიათ სისხლის  
და გარუჯული ქრილობა გულზე.  
ტუჩზე ღიმილი შემოჰხმობიათ როგორც იარა  
ქრისტეს სხეულზე.

## II

ჰკრთოდეთ  
 მაღალო,  
 თვალშეუდგამო  
 სასახლეებო,  
 ჰოტელებო  
 ლამის ბარებო.  
 თქვენ:  
 მოედნებო სანჟერმენის,  
 კონკორდ და კლიში.  
 არ გერიდებათ  
 თქვენ უფლის ენის?  
 ნუთუ არა გაქვთ  
 მაცხოვრის შიში?  
 შენც  
 ეიფელო,  
 ბაბილონო ჩვენ საუკუნის,  
 მოდის გრიგალი ვერ გიშველის შენ მეხთამრიდი.  
 ეგ არ გეგონოს არც მაროკო, ალჟეერ, ან ტუნის,  
 არც გერმანეთი,  
 ალბიონი ცრუ და პერფიდი.  
 როგორც ლანქერი  
 ვაგრამის გზით და ეტუალით  
 ბრბო გაექანა ნოტრდამისკენ  
 მირაბოს ხიდით.  
 — მოლანდებაა სინამდვილე ნახული თვალთ,  
 ისმის ძახილი პოზაუნის კიდიდან კიდით.  
 მოდის  
 უფალი  
 ფეხშიშველა, გაუკითხავი  
 და გეკითხებათ: „ეგ თქვენა ხართ, სულს ფულზე ჰყიდდით?“  
 მოდის  
 უფალი  
 მოკრძალებით დაჰხარეთ თავი  
 ეპიფანიის სასწაული დღე არის დიდი.

## III

ქუჩები ,  
 დიდი მოედნები  
 და ბულვარები აივსო ხალხით.  
 დიდი  
 ქარხნები,  
 რესტორანები  
 და სინემები დაცარიელდა.

ისმის კვილი, ყრიაშული.

...

საერთო ელდა.

პურპურის ცრემლით

ატირდა ზეცა.

ავარდა ალი.

განკითხვის დღეა.

სიგნალი,

სიგნალი,

სიგნალი...

ცეცხლის ტოგებით

გიჟი მხედრები

დააქროლებენ

ცისფერ ტაიჭებს

და ამბოხების პირქუში მდევი

კაცთ კანონებზე გადმოაბიჯებს.

ჩუ!

მოუსმინეთ, მილიონების ენა შეუსხამთ

ცისკრის ფანფარებს

და მათხოვრები ხელყავარჯნებით

ამტვრევენ ბირჟის დარკინულ კარებს.

#### IV

ერთს

მოელოდენ მილიონები

და დავარდება

ვინმე

ქადაგად.

ვისაც ოცნებით ზრდიდენ მონები,

მოევლინება მსოფლიოს ცხადად.

ახალი მოდგმა ადამის ტომის

მაღალ ღვთაებას უმღერს ოსანას.

ახალ სამყაროს,

სამყაროს შრომის

ქრისტე უბოძებს

მისტიურ

შანას.

*კონსტანტინე გამსახურდია*

*პარიზი, 1923, ოქტომბერი*

## საშობაო მოგზაურობა

### ჩაღვაძარები

*ვუძღვნი ჩემ ძმას გიორგის*

დაბრუნდენ ლეჩხუმს ჩაღვაძარები.  
გაუყიდიათ პური და ვაშლი...  
მიაქვთ ნავაჭრი მთაში ძარები.  
კვესავდა ნალი მთის ქვიან გზაში.

შობა დღეს უნდა გათევა სახლში,  
ამისთვის ყველა აშურებს კერას.  
თუ გინდ ჩავარდეს ჩარჩისგან ვალში, —  
ლარიბიც ახალ ჩოხას იკერავს.

ვახშმად რიონის ნაპირად დასხდენ.  
ქალამანები, პაიჭის თასმა —  
ცეცხლს უსხდებიან — გუდები გახსნეს.  
პურს სჭამენ, ღვინის დაინყეს შასმა.

ქვეითად ბევრი მოირონინეს,  
სოფელში მიაქვთ ჩითი, კაბები.  
ქალებზე ფიქრში ისმის რანინა,  
ნელი ღიმილი და კვეს-აბედი.

\*

შუბით, ხანჯლებით სვანები შეხვდათ.  
ტანზე ემოსათ ჯიხვების ტყავი.  
მყინვარზე მივლენ: ლენჯერ-ლაშხვერში.  
საყიე სიტყვა მთის ჩიყვიანი.

ისმოდა სიტყვა ძველებურ ზმნითა.  
ველურ ბგერებით, ბრძმედი, მაგარი.  
როგორც რიონის კლდე შორის გმინვა  
თეთრ ლოდებიან ხევში ნაღვარი.

\*

ნათელ ქედებით ამოდის მთვარე,  
სჩანს სვანეთისკენ გზები თეთრ-გველა.  
არვის ახსოვდა ცეცხლთან სამარე —  
ფრუტუნებს ცხენი ვით ბედისწერა.

წინ მოუძლოდა მამალით სვანი,  
დიაცი შუბით მოლიპულ გზაზე.



ბეროში ცხენით მიაქვთ ცხედარი;  
იყო დაკრული ჩელტით კურტანზე.

იგი სხვა მხარეს გარდაიცვალა,  
და მშობელ მიწას მიელო სურდა.  
სული რომ ქვეყნად ბევრი ეწვალა,  
ეხლა მამალმა ჩაიდგა თურმე...

რა გადავიდა თეთრი შვალამე,  
გაჩნდა ვარსკვლავი ცაზე საშობო, —  
მეც მიაყვილა ენერის მხარეს,  
რომ კვლავ იხილა სულმა სამშობლო...

\*

ცნობისთვის ახლო მივიდა გუნდი:  
არწივად ქალის თვალი იელვებს:  
მრისხანე ბრჭყალი და თვისი შუბი  
მიჰმართა ცოფით გადამთიელებს.

უკან ჩამოდგენ. ფრუტუნებს ცხენი.  
ალარ შეჩერდენ უცხო კურტანით.  
სვანებს ეგონა, რომ ცოცხალია  
ფხიზელ მამალში სული ცხედარის.

და აწვდილ კოშკებს მამა-პაპათა  
ჩქარი ბიჯებით მიაშურებენ.  
ექნებათ სვანებს დიდი ალაპი.  
განყდება შობის საკლავ-ფურები...

\*

დამუნჯდა მთვარე ოცნებით მთვრალი.  
სიზმარში ძალგვიძს ხილვა უწვდომის.  
მთის თეთრ ლამეში ჰყვივის მამალი  
და ჯადო ლამე დუმილით მოდის...

უსხედან კოცონს იდუმალ ფიქრით.  
უკან უცქერენ მამალს და ცხედარს.  
რიონზე ცივი ქარები მიჰქერის,  
და რჩება ლანდი მთის უცხო მხედარს.

ეს უხილავი სული თუ არი?!  
აჩრდილი მუნჯი და შეჭურვილი!  
ნაჯიხვარ ტყავით, ფართო ხანჯარით  
გადიარს ყინვარს თეთრ ლამის შვილი.

ალექსანდრე ქუთათელი

## Finis

*ქეთონინგოროყვას*

უკანასკნელი აჩრდილი ნავიდან  
ცახცახით გადავიდა,  
და დაიკეტენ საუკუნოდ ყველა შიფრები.  
გულზე დაინყო ხარონმა დაღლილი მკლავები.  
მთვარე ფერნასული და ვარსკვლავები  
დასჩერებიან მინას განცვიფრებით.  
ალარავინ მოვა... და თავის ნავიდან  
თვითონ ხარონი თავდახრილი ნავიდა.  
ირხევა ნავი, და მდინარის შავი რგოლები  
დახრილ იალქნებს ატირებით ეფერებიან.  
ნავის ფსკერიდან ცივ ვარსკვლავებს შესჩერებია  
ქუდი გავსილი თეთრი ობოლლებით.

*კონსტანტინე ჭიჭინაძე*

## დაუგემელნი

(სკანდინავიის სერიიდან: „ცხოვრების ზღაპრები“)

— Allo! 13-72-53?

— დიახ, სამეფო კირასირთა შტაბი. ჰერ ერიკ შტრომბერგ? ეხლავ, როგორ მოვახსენო? ბარონესა ფონ-ლუნკვისტ? კეთილი. მოითმინეთ.

ეტტა ძლივს იმაგრებს სიცილს. აი, ამ წამს მოვა აპარატთან ეს უცნაური, დამთხვეული ყმანვილი, რა უნდა უთხრას? როგორ აუხსნას? რითი იმართლოს თავი!

— Allo!

დგას ყურზე სასმენმიდებული და ცუღლუტად იღიმება. რაღაც უცნაური, სიცელქენარევი ქროლვანი აღეღებენ მის გულს. ო, ეს გული! ათას გვარის ჭირვეულობითა და უმიზნო ლტოლვით აღსავსე პატარა, მაგრამ ოკიანესავით დამტევი. ხან ნაზი, როგორც ოდნავ პირნაჩენი კუკური, ხან კიდევ — და უფრო ხშირად — კუმტი, როგორც საქარიშხლო ღრუბელი. მთელი მისი არსება ჟინიანი და ვერაგი. რასაკვირველია, ქალური, უაღრესად ქალური, მაგრამ მაინც არა ისეთი, როგორც ვიკინგების ქერა ასულნი არიან.

დგას და ელოდება. მის პირდაპირ, ვენეციურს ტრუიმოში, ნათლად ისახება შნოიერი ფიგურა; გაშლილი სახე, ოდნავანეულის ვიწრო წარბებით, ლურჯი თვალები, ლურჯი, ვით მისივე სამშობლოს მძინარე ტბები. და ეს ტანი, ლაღად ნაკვეთი მავრიტანული, რომელიც ბარცელონელს უფრო შეეფერება, ვიდრე შხერელს — დაქანებული უხორცო ბეჭები და ვაჟური თეძოები. სპორტსმენის უზადო ტანი.

უცქერის თავის ორეულს და იღიმება — არა ხორცის შვენებისათვის. თვითონვე იცის საკუთარი ფასი. არა! საუცხოოა m-me d'Oret-ის მიერ ნახელოვნევი მანტო. Strandvågen-ზე ყველა თვალი მხოლოდ მისთვის იცქირება.

ან კი საიდან გაჩნდა მასში ეს უგემი ლტოლვა და, მინის სუნით გაჟღენთილი, მიმზიდველობა ხორცისა!

იგონებს. იგონებს და მისი თვალები ღიმილის ნაბჟღვიალით კრთიან... შორეული მყუდრო დალარნე: მთათა დარგვალეზული წვერვალეზი და ფართო ჭალები. გულდასმით დავარცხნილი ყანები და ვერცხლის ქსელეზად დაბანდული გზატკეცილები. ზღაპართა ბუდე — კამკამა ტბები... მშობლიური სახლი-კომპი — ქარბუქთა და ქარიშხალთა სამიზნო, თოვლით დაყურსული ზამთარი, თბილს ბუხართან თვლემა და ოცნება სახვალეო სპორტისა. და ეს სანუკვარი, სევდიანი Angelus, დილით და საღამოთი... შემდეგ: ცივი და უშნო ბალტი; სისუქნით გასიებული გეტებორგი — ფუსფუსა, იალქან-ანძამიჯრილი; დავინყეზბია თითქმის... ხოლო იქით: ჩრდილოს მზეთუნახავი სტოკჰოლმი... ულევე სპორტი და უთვალავი ფლირტი. მერე, ბალები, ყურ-ფიქსები და სასახლის ბრწყინვალე ანტურაჟი. ხოლო სადღაც შორს — ჭრელი სიზმარი ქალწულობისა, თუ უბინოების — Aix-les Bains, Biarritz, Riviera... და უეცრად ბარონ ჰილმერფონ ლუნკვისტ...

— Allo!

უგუნებო შეიქნა. თითქმის გაჯავრდა.

ჰმ! იქ, რიკსდაგის საფინანსო კომისიაში, ბარონი აუღელვებელის დაზმულობით მოახსენებს პატივცემულ დეპუტატებს უაზრო ციფირების ნუსხას, აქ კი ბარონესას გული საგულეს აღარ ეტევა.

მონყვეტ ჩამოაცვა სასმენი ჩანგალს და მოდუნებული ჩაეფლა თურქულს სავარძელში.

თვალში ეცა „სტოკჰოლმს დავბლადეტ“-ის ნომერი, საღამოს გამოცემა. უგუნებოდ გაშალა.

პირველს გვერდზე სხვილის ასოებით ეწერა:

სამეფო ავიო-კლუბი.

9 მაისს საერთაშორისო კონკურსი. სიმალის რეკორდი. 7000 მეტრი. მხოლოდ ჰიდროპლანებისთვის. შვეციის მხრით გამოდიან: ჰანს ჰოლლეკ (ნაციონალური კლუბის ინსტრუქტორი), იოჰან ზუნდსენ (ფლოტის ეკიპაჟიდან) და ცნობილი, დაუჯაბნელი მფრინავი-ქალი, ბარონესა ფონ-ლუნკვისტ, რომელმაც მარშან 6000 მეტრის რეკორდი დაამყარა.

„დაუჯაბნელი“ მფრინავი-ქალი.

მაშინალურად გაიმეორა.

ჰმ, რა ტუტუცია ქვეყანა! ათიათასობით ეფინება ეხლა ეს ამბავი შვეციის სხვადასხვა კუთხეს; ტელეგრაფსა და რადიოს სასწრაფოდ მიაქვს იგი დედა-მინის უცხო კუნჭულებში. მილიონები და მილიონები წაიკითხავენ, გაიმეორებენ; შეიძლება გაიკვირვონ კიდევ: ვინ არის ეს „დაუჯაბნელი“ მფრინავი-ქალიო. მერე? რა გამოვა მერე, ამ ფრაზას რომ „მფრინავი“ გამოვაკლოთ? დაუჯაბნელი ქალი! ჰა, ჰა, ჰააა! მგონი, ეს უფრო საინტერესო იყოს! იმათთვის მაინც, ვინც ჰაერში ფრენას მაინცა და მაინც აგრე რიგად მიჩვეული არ არის.

გაზეთი განზე გადაისროლა.

კვლავ ფიქრი ფიქრს აეკიდა, ვით აბეზარი ღამის აშკი: ვინ მოსთვლის, რამდენი ბრძოლა გადაუხდია, ზოგი შეტევეთი, ზოგიც თავდაცვითი; არა როგორც მფრინავს, არამედ როგორც ქალს. ო, ბევრი, თითქმის უთვალავი. მერე, ყოველთვის გამარჯვებული გამოსულა? ყოველს შემთხვევაში „დაუჯაბნელი“ მაინც! ეხლა კი...

თვალეზზე ხელი მიიფარა, თითქო სათაკილოს რასმე მოერიდაო.

და უეცრად, თვალთა შინაგანის ცქერით განჭვრეტილს ყვავილნარში, მკაფიოდ გამოინაკვთა ვაჟური სახის მტკიცე პროფილი... ოჰ, ეს გრძელი, უჯიათი კომმარი! სიყვარული? (ოდნავ ჩაფიქრდა). არა. უფრო მეტი. რალაც დიდი. დაუტევენელი... რა არის სიყვარული? უწყინარი, მყუდრო იდილია, რომელიც ან გულამოსკვნილის ოხვრით თავდება ან კიდევ რბილის ლოგინით! არა. აქ ბრძოლაა, საშინელი, დაუნდობელი: ვნება და სიძულვილი. ახლოობა და განტოება. სურვა და მოყიჭება. ნუ თუ ეს სიყვარულია? არაოდეს! აქ

ჭიდილია, რქათა ჯახუნი — კუნთებ-მოდუნებამდე, ქანცმილევამდე. ვინ ხარ მამაცი!.. ანკი რა სურს იმ უცნაურ ბავშვს? შემთხვევით შევხვდით ერთმანეთს და შეიძლება ასევე განშორებულვიყავით. განა ცოტაა სხვა ქალი, თუნდ მფრინავიც, რომლის დამარცხება უფრო ნაკლებ დაუფდებოდა!.. საიდან გაჩნდა დალარნელის ნელ-თბილს არსებაში ეს უშრეტი ალობა დაუგეშელობისა?

მაგრამ ფიქრიც რომ აღარ შეუძლია! აღარა სურს. იცის მხოლოდ, რომ სადღაც — სულის თვით მიუვალს ხვეულებში — მაძლარ ბოასავით თვლემს გორგალი სახეუჩინარ მოგონებათა. არა! განცდათა. პანია მიღწევათა და დიდ შეცდომათა, რომელსაც წარსულს ეძახიან. არ უნდა გააღვიძოს. რა საჭიროა? განა ანმყო უფრო მეტის მოულოდნელობით არ არის აღსავსე? ჰო, და მასაც ეს უცნობი მოთვალთვალე უყვარს, მისი სტიქიონი იზიდავს და სწავს. ამის უკეთესი იქნება რამე?..

ნკრრრ...

— Allo! დიახ. ავიო-კლუბში? კეთილი, გმადლობთ!

ნანყენი თვალი მიმოავლო ოთახის არეს. მერე მეუღლის პორტრეტს დააცქერდა, უაზროდ, თვალგაშტერებით, ცალყბად გაეცინა: ბარონმაც იცის ანმყოს ფასი. დღითი-დღე გულმოდგინედ აბამს ერთმანეთს კუდიან ციფირებს, რომელნიც, რაღაც მანქანებით, ყვითელი კრონების გორასა დგამენ. დიახ, გორას! იგინი რომ ერთმანეთზე შეაწყოს, მგონი, ტორვალდსენის გოდოლსაც ასცდეს. ბარონესამ კარგად იცის ესა. იცის, მაგრამ ის კი აღარ გაეგება, თუ რად ემსახურებიან ასე ერთგულად ეს უცნაური გნომები მის ბარონ-მეუღლეს. სრულიადაც საინტერესო არ არის მაინცა და მაინც ამისი ცოდნა!..

ნერვიულად მოიძრო კოპნია ქუდი. ფარჩის შეზ-ლონზე გაიშხვართა. სპილოს ძვლის პანია მაგიდაზე სწვდა სიგარეტს და აანისლა სუნნელოვანი. ო, რა განცხრომისა და ნებიერობის ბოლჩია ეს ბუდუარი!

თვალი მოხუჭა და გაირინდა. სადღაც, კაბინეტსა თუ სასადილოში, ხანდაზმით რიკ-რაკობს კედლის საათის ბორბორელა. მაგრამ, რათ არის ასეთი სიჩუმე? ტკბილი, მილეუ-ლი. ჰო, საფინანსო კომისიის სხდომაა და იმიტომ... უღვეველი, კუდიანი ციფირები ერთიმეორეს ებმებიან, ეჯაჭვებიან... რამდენადაც იგინი იზრდებიან, იმდენადვე ემატება სიმალლე ოქროს სვეტს... უცნაურია. აი, აიშალა გუნდი თეთრფრთიან ჰაეროპლანებისა... მიჰქრიაან, სისინებენ... დახე! ერთი მათგანი ოქროს სვეტს დასტრიალებს. ჰმ, უნდა, თავს დააჯდეს... მაგრამ, ეს ხომ ერიკ შტრომბერგია! ერიკ, სასურველო...

თვალი აეხილა. სიგარეტი ჩამქრალიყო. პირდაპირ ძვირფასი ჩარჩო ეკიდა: ბრუნო ლილიეფორსის „მძინარე ყვავები“. ალბად, დედალ-მამალი, იმიტომ უფრო, რომ იგი ჰილ-მერის პირველი ნობათი იყო.

იდილია! ჰა, ჰა, ჰაა. ფინანსისტი და „მძინარე ყვავები“, ციფირები და სენტიმენტალიზმი! მყისვე წამოიჭრა. ელექტროს ზარის ღილს თითი დაადო.

— მოახსენეთ ბარონს, ავიო-კლუბში მინახულებს.

— მაშ, ასე, ძვირფასო ეტტა, ხვალ, დილის მატარებლით მარიესტადს მივდივართ. კონკურსი 9-საა დანიშნული, დღეს კი შვიდი მათია. ერთი თავისუფალი დღე ჩვენთვის აუცილებლად საჭიროა.

ჟრჟოლვით ჩააცქერდა მიბინდულს თვალეებში. ქალმა არაფერი უპასუხა. თითქოს არც კი უსმენდა. სავარძელში გადანოლილი, გაქვავებულივით იჯდა. ხან და ხან მაშინა-ლურად მიიტანდა ტუჩზე შამპანურის ფიალას და პეპელასავით მოწუნნიდა.

კლუბის დარბაზი სავსე იყო ბო-მონდით: სამხედრო მუნდირები, ფრაკები, ქალთა საბალო ტუალეტები. ნათელი პროფილები. მქრალი სილუეტები. სიბერე და სიყმანვილე. ლიკერითა და შამპანურით ავარდებული სახეები. ალკოჰოლისა და კოსმეტიკის სუნით

შეზავებული ჰაერი. ფრთიანი ფრაზები, მათრობელი ჩურჩული. წყნარი მუსიკა. მორიდებული სიცილი...

არც ამას ამჩნევდა ფრაუ ეტტას განწონილი ცქერა. თუმცა ჰხედავდა, რომ მთელი დარბაზი მხოლოდ მასზე ასვენებდა თვალს: ვინ წრფელად, ვინ შურით და ვინ კიდევ იმ უცნაურის გრძნობით, რომელსაც შვენიერების მიუწდომლობა შობს ხოლმე. იგი სულ სხვა მხარეს იმყოფებოდა. იქ, სადაც ვერც ჰაეროპლანი და ვერც ფრთამძლავრი ორბი მიაღწევს: ქალის ძლევამოსილ ამპარტავნობის წვერვალზე, საიდანაც ხილული ქვეყანა მხოლოდ თვისი ჭირვეულობისთვის შექმნილად ეჩვენება.

უეცრად გამოერკვა.

— იცი, ერიკ, მაშინებს ეგ კონკურსი... არა მოსალოდნელის მარცხით ან დამარცხებით, არა!

— ამაღამ კარგად უნდა გამოიძინო!

— პირიქით. ნერვები მხოლოდ მაშინ არ მლალატობენ, როცა ალგზნებულნი არიან.

— მაშ, რა განუხეხებს? შენი ერიკი ისეთივე მტკიცე და შეუპოვარია, როგორც მისი ავიონი. ქალმა წუთით ჩაჰხედა თვალში კირასირს და მყისვე მოარიდა.

რა შვენიერია ეს ქერა, ჯანსაღი ბავში! თან საბრალოც. ააა, როგორ შეძლებს ძუ ვეფხის შებმას ჯერ კიდევ ბრჭალნამოუზრდელი, თოთო გავაზი!

ნერვიულად აიტაცა შამპანურის ფიალა.

— შენი გამარჯვებისა იყოს, ლეიტენანტო!

ორჭოფი ღიმილით წარმოსთქვა.

ვაჟმა სახე დაუახლოვა და თითქოს გულუბრყვილოდ:

— იცი, ეტტა?..

— რა, ძვირფასო?

— რომელს უფრო ენდობოდი: მე თუ ჩემს ჰაეროს?

ქალს ღიმი მოადგა. მყისვე დააშთო.

— შენ კი როგორ გგონია?

— არ ვიცი. მიტომაც გეკითხები.

ლორნეტის ძენკვი შეეთამაშა. ცუღლუტი ცქერა შეავლო ირიბულად.

— არც ერთს.

მტკიცედ წარმოსთქვა.

წუთის დუმილი. მძიმე და უხერხული. ქალმა იგრძნო მოუზომლობა დაკვრისა. თვალთ მიუალერსა.

— არა მესმის რა, — თვალდახრით დაიწყო ვაჟმა — არც ერთს ენდობი და... ჩემს ჰაეროპლანზე, ჩემისავე მექანიკოსობით კი აპირებ რეკორდის დამყარებას.

— სწორედ.

— თუ კი სანდონი არა ვართ!

— არა ხართ, მაგრამ მაინც ვიფრენ, რადგან ქალი ვარ და ავიატორი.

— უცნაურია! — თითქმის გაჯავრებით წამოიძახა მხედარმა და ჭერს მიაპყრო სისხლმონოლილი თვალი.

— აგერ, ბარონიცი! ესეც უცნაურია, არა, ბატონო ლეიტენანტო?

— მეჯავრები. მეზიზღები. — ძლივს წაისისინა ბრაზით.

თავანუელი, დინჯის ნაბიჯით მოემართებოდა ფინანსისტი ჩამწკრივებულ სუფრათა შორის და განუწყვეტლად იხრიდა თავს ნიშნად სალამისა. გვერდით, შორიახლოს, მოსდევდა გახამებული მეტრ დ'ოტელი და გზას უკვალავდა.

ცალი წარბის ოდნავი დახრით მიესალმა ერიკს, რომელიც მხედრულად გაჭიმული ელოდებოდა. ეტტა მიუხვდა უგუნებობას.

- დაღლილხარ, ძვირფასო!
- დაბრძანდით, — მიმართა ბარონმა ერიკს. ცოლის ორმა სიტყვამ ყინული გაუღლო, — სხდომა გამიგრძელდა, თავსატეხი საკითხი იყო გადასაწყვეტი.
- მოგშივდებოდა კიდეც!
- თაფლად ჩაანვეთა ცოლმა.
- თითქმის, ჩემო კარგო!
- მეტრ დ'ოტელმა მენიუ მიაწოდა.
- მაგრამ თქვენ უკვე გივახშმიათ. ლამსტეკტ შამპინიონებით.
- სასმელად?
- კრძალვით შეეკითხა მსახური.
- რა კი ჩემს კომპანიას შამპანურით დაუსრულებია, მეც სწორედ იმითვე დავინებ.

White Star.

- შენი ქება მითხრეს, ლეიტენანტო, — დაიწყო ბარონმა — მიამა, რადგან ყმანვილი ხარ!
- მაპატიეთ, ბარონო, ვერ გავიგე, რა გიამათ: ჩემი სიყმანვილე თუ ის, რომ მაქვს.
- ერთიცა და მეორეც, თუ გნებავს.
- ეტტა ნერვიულად შეირხა. ბარონს ჩვეულება ჰქონდა: თუ ვისთანმე კინკლაობას განიზრახავდა, ჯერ ქებას დაუწყებდა. და სცადა საუბრის შებრუნება.
- შეხე, ჰილმერ, რა შვენიერია ლეიდი ვისინგან!
- ბარონმა პირი იბრუნა.
- ლეიდი მართლაც შვენიერი იყო. კარებთან იდგა, სარდალივით ამაყი. ხელოვნურად დახუჭუჭებული თმა გიზგიზა კოცონად უბორბლავდა თავს. შენიშნა ბარონესა და თვალით მიესალმა.
- შვენიერია, სისხლით შეღებილი რომ არ იყოს!
- ზმურად თქმული იყო ბარონის მიერ: ნითელ თმასაც შეეხებოდა და იმ სისხლსაც, ლეიდის გამო რომ დაიღვარა ფარიკაობაში ერთი თვის წინად.
- თავალებულია ეგ შოტლანდიელი nibbler! არ მომწონს.
- დაუმატა ლეიტენანტმა და განგებ განავრცო სიტყვა nibbler, რათა ხაზი გაესვა მისი მდაბიო ჩამომავლობისათვის.
- უმართებულო ბრძანდებით, ბატონო ლეიტენანტო, — ოფიციალურის კილოთი შენიშნა ბარონმა, — ლეიდი ვისინგან თავად ამყარებს საკუთარ არისტოკრატობას!
- ეჭვი არა მაქვს, მაგრამ... ყოველს შემთხვევაში, შოტლანდიელ გოგონას ჩვენს საზოგადოებაში საქედმალო არაფერი აქვს.
- არ იამა ბარონს ასეთი თქმა. ის იყო შეტევა განიზრახა, რომ წყნარის ღიმილით, კბილთა ქათქათით მიუახლოვდა მათ ლეიდი ვისინგან და დამსხვრეულის შვედურით მიაყარა:
- ო, რა მიამა, ძვირფასო ეტტა, როგორ გამახარა. დიახ, ნავიკითხე, არა, კი არ ნავიკითხე, ლუსიენმა შემატყობინა (ხომ იცი, შენი დიდი თაყვანისცემელია!). ვფიცავ უმაღლესს, აღტაცებული ვარ, მაგრამ... ვნუხვარ, ვერ დაგესწრები. იცი, მთელი სტოკჰოლმი შენზე ოცნებობს. აი, ეს არის საელჩოდან მოვდივარ, ლორდი ბრამლეი მთელი საღამო მხოლოდ შენზე ლაპარაკობდა (მოგეხსენება, რა უთქმელი ვინმეა). ოჰ, რა საინტერესოა, ალბად, 7000 მეტრზე ცთომილივით სრიალი! ბარონ, როგორ გიკითხოთ? თქვენთან სიტყვა მაქვს. არ იჭვნიეულობთ, რომ შვენიერ ეტტას ასე აღმერთებენ?! ა, გამარჯობა, ბატონო ლეიტენანტო, მაპატიეთ, მუსაიფს გავები, როგორ არის თქვენი მერანი? ხომ აღარ კოჭლობს? საბრალო! აბა, ვის გაუგონია იმოდენა ყორეებზე თავდაყირა ხტომა!
- დაბრძანდით, ლეიდი! — კრძალვით გააწყვეტინა ბარონმა.
- გამადლობთ, არ შემიძლია, ელჩი მიმელის. თუ წუთით აქ შემოვიხედე, ისევ თქვენა ხართ ამის მიზეზი...



— მზადა ვარ, გემსახუროთ!

— არ გამიჯავრდე, ძვირფასო ეტტა, მხოლოდ რამდენიმე წუთით უნდა წაგართვა. თვალით დაემშვიდობა ბარონესას. კირასირს ხელი გაუნოდა, განურად, მიუხედავად.

— ვწუხვარ, ვერ დაგესწრები. ეჭვი არა მაქვს, გაიმარჯვო! — სთქვა და ბარონის თანხლებით სალონისკენ გაემართა.

— უჰ, ძლივს! — წამოიძახა ეტტამ.

— ნამდვილი სახრიალაა! — დაუმატა ერიკმა.

— შხამიანი ხარ ამ სალამოს. ვერანდაზე გავიდეთ. აქ ჰაერი დამძიმდა.

დაჩრდილულს კუთხეში დასხდნენ, სადაც ელექტრო ნაკლებ სწვდებოდა. მათ წინ გიჟრად შეტბორვილიყო მელარენის ტბა, მყუდრო და გულჩახვეული. ოდნავ ფოფინებდა გრილი სიო. ეტტას სიამით გააჟრჟოლა. მჭიდროდ მოიბურა წავის წამოსასხამი და, ფეხებგანვდილი, გაყურდა. ზედ ყურის ძირში გრძნობდა ვაჟის ცხუნარე სუნთქვას და ნეტარებით ყრუდ გმინავდა, სადღაც შიგნივ ვნებათა ნაპრალებში. სიამე ტკივილად იქცა. საყრდნობი გამოეცალა, მოეშვა, მოითენთა. ოჰ, კარგია, კარგი!

— ეტტა, სასურველო...

— ჩუმად, ერიკ!..

— მითხარი, რათა ხარ ეგეთი? როცა ჩემთან ხარ, ვიცი, რომ სხვაგან ხარ, თუმცა... აი, შენს ტანს ვეხები... მაგრამ ვგრძნობ, რომ შენი არსება აქ არ არის, სულ სხვაა შენი ნამდვილობა... შენი ლტოლვანი... მითხარ, რათა? რისთვის? როდემდე? ნუ თუ ვერაოდეს დავიჭერ შენს ტანთან ერთად იმ რალაცასაც, რომელიც შენში ორდება ყოველთვის, როცა შენს ახლოობას ასე მინდა ვენაფებოდე?.. ეტტა, აღარ შემიძლია. ასე მგონია, ათასი რკინითა ვარ შესალტული... თავის იმედი აღარა მაქვს. ან დამხსენ... ან თუ ავიწყვითე, მაშინ... მითხარი, რათა ხარ აგრე გაორებული, უკმეხი? რა ჰქვია იმას, რაც შენში, შენს იქით იმალება? ეტტა, სანუკვარო, მითხარი რამე!..

— იყურე, ერიკ! ჰხედავ!..

შორს, ტბის იქითა მხარეს, ცის ჩაქუფრული გუმბათი ცეცხლის რკალად გადასერა გზადაბნეულმა ცთომილმა და ნაპერწკალად მილეული, უსაზღვროების წიაღს შთაინთქა. და თითქოს განგებ ამ მომენტისთვის, მახლობელ ვილადან ანაზდეულად მოისმა გრიგის ატირებული სულის Oses Tod...

განა კოპნია მარიესტადს მოსწრებია ოდესმე ასეთი სანახაობა!

მილეთის ხალხი დამპყრობთა ურდოებივით შემოსევია მის მყუდრო არეს: ქვეითნი და ცხენოსანნი. ავტომობილები და ლუქსური ეტლები. მოტორები და ბისიკლეტები. საყვირთა ზრიალი. ზარის წკრიალი. მათრახთა ტლაშუნი. სიცილი. გუგუნი. ერთმანეთს დაცვილებულთა ძახილი. აივნები, ფანჯრები, სახურავები, ხეები, ცოცხალ აკიდოებად დახუნძლული და ათასფერი. ჯარები, ჯარები — შვეციის თვალი და სიამაყე — ლაპლაპა კასკები. ცისფერი დროშები. მიდიან, მოდიან, მტკიცედ გაზოდვილნი, გადასალტულნი.

ხოლო იქ, გრანიტით შეჯავშნილს განიერ სანაპიროებზე, უთავბოლოდ ჩალიხული, უსახო მასსები. ტორტმანობენ, ეხლებიან, იმმუშნებიან. თვალნი არ ჰყოფნისთ საცქერლად. ყურნი სასმენად. ზრიალებენ. ვილაცას რალაცას ეკითხებიან. თვითონაც არ იციან, ვის რას.

მოუთმენლობენ. ელოდებიან...

ცოცხალის ჩარჩოებით შემოფარგლული, წყნარად იზმორება მაისის ცხუნარე მზით ნალოლიავები ლურჯა-ტბა, რომლის სარკეზედაც ფარფატთა გუნდივით ფართქალებენ ჰიდროპლანები...

აჰა, იფეთქა სასიგნალო რაკეტამ.

ააა!

აღმოსხდა უეცრად ბრბოს და გაითანგა ხახადაღებული, თვალდაბრეცილი.

— ერთი, ორი, სამი... ათი, ოცი...

თან და თან აიშალა ფარფატთა გუნდი, ზუზუნით, რიალით, ბზრიალით.

— ფრანგული, შვედური, ინგლისური, ამერიკული...

ზოგი ფართო წრით. ზოგი სპირალით. მიკიბვ-მოკიბვით მიჰქრიან მალლა. ერთმანეთის წინ, ურთერთის თავზე. სულ მალლა, მალლა. მიზნის მიჯნაზე, რეკორდის ზღვრაზე. მასსაც თან მისდევს, უძღები, ხარბი.

— ის შვედურია, აი!

— დიახ, ჩვენია!

— ყველაზე მალლა!

— ყვითელის ჯვარით!

— რომ ველარ ვარჩევ!

— ველარც მე ვხედავ!

აააჰ...

აღარა სჩანან. ნერტილებად-ლა ისახებიან...

— ეტტა, საჭე!

— არის, ჩემო!

— რამდენი?

— 6,000!

— ერთიც კიდევ!

— არის!

გუგუნებს მოტორი. ზუზუნებს პროპელერი.

სუნთქვა უწყდებათ. ცივა, ცივა.

— ერიკ!

— ეტტა!

— გახსენი ლიუკი!

— არავინა სჩანს!

— ალტიტუდა?

— 7000!

და ერთად: Liva, Liva!..

ჰიდროპლანი, №77. ოდნავის რხევით, ლალის ნავარდით უვლის ფართო წრეს.

გული ძლივს ჰფეთქავს.

— ერიკ!

— ეტტა!

თვალი თვალს შეხვდა, ველური, გიჟი. და ერთი ნუთი, მხოლოდ ერთი. საშინელი, როგორც ზმანება...

— რას შვრები, მხეცო!

— ან ეხლა, ან არაოდეს!

და ცივი ხელები, ცივი ვით სიკვდილი, სწვდნენ ქალის ქერა თმებს და დაითრიეს „და-უჯაბნელი“.

— ააჰ, ერიკ!..

გუგუნებს მოტორი უპატრონო. ზრიალებს ბედის ამარა მიგდებული პროპელერი. და ჰიდროპლანი გამარჯვების ამაყ ნვერვალიდან მთვრალის ბარბაცით ეშვება სულ ძირს, ძირს. უშნო, უხერხული, როგორც ფრთამოტეხილი თეთრი ფარფატი.

## კონცერტზე

იყო კონცერტი მძიმე და კარგი.  
თქვენ დაესწარით სათუთ მკლავებით,  
თქვენ დაესწარით პატარა სარკით,  
განათებული თეთრ ვარსკვლავებით.

თქვენ მაგონებდით კაბის შრიალით  
პუშკინის დუელს და პაგანინის.  
მესმოდა ზღვების მე ხეტიალი  
და უნაზესი ქროლვა ნანინის.

გიყი მაესტრო ველარ ავლაგმეთ  
და როგორც მთვარე მოდის ბაქარა.  
კარტს დაგვირიგებს ჩვენ ლედი მაკბეტ.  
დატრიალდება სხვა ნიაგარა.

დამარცხებული იქცევა კარტად,  
როცა ელვარებს ნავსი ბითური.  
მე მანეკენი გავხდები მარდათ,  
რომ განვიცადო ცა იქითური.

კიდევ მაგიდა კრუპიე არის  
სფინქსი რჩეული და ანდამანტი.  
მოდის ვაგნერი — მსგავსი მარმარის.  
კარტს დაიკავენს მოცარტის ლანდი.

სთვლემენ კარტებზე უცხო ნოტები.  
აქ თვითმკვლელობას ნიშნავს წაგება.  
და ბეთჰოვენმა გაბოროტებით  
სცნო ტყვიის გემო და გაშმაგება.

მაგრამ კონცერტი სწრაფად თავდება.  
თქვენ კვაზიმოდო გაცმევთ გამაშებს.  
ჩემი სიზმარი არ დაბრმავდება  
და დღეს პაოლო კარტს ითამაშებს.

*ვალერიან გაფრინდაშვილი*

## წიგნიდან: „რევოლიუცია“

მამაჩემი მუშაა მიწის —  
 ოთხმოცი წლის მოხუცს კვლავ ახარებს ბარაქა ყანის.  
 მან არაფერი იცის  
 ლოცვების გარდა.  
 მე კი მიტაცებს უცხო ყაყანი  
 (მინდა პირველმა ავსნიო ფარდა),  
 და გვიან მივხვდი, რომ სისულელეა  
 (როცა ირგვლივ ცრემლების ლელეა),  
 დროს მოსაკლავათ ცოლს ეთამაშო ყოველ დღე ნარდი.  
 ო, აღარ ვნატრობ: დამემთავრებია იყალთოს აკადემია  
 და მეცხოვრა თამარის კარზე.  
 ეხლა ჩემს ძარღვებში მზის ნაკადებია.  
 და რომელიც დასწერს გენეალოგიას ჩემს გვარზე —  
 ის იტყვის, რომ მე ვერ ავსცდებოდი ამ საუკუნეს.  
 მესმის ქუდ-მოხდილს, დედამინა როგორ გუგუნებს!  
 ვიმღერი ლილლეოს! მივდივარ რთველში  
 (მწუხარებას ვისთვის რა მიუცია?).  
 მე ვარ გლადიატორი  
 და საქართველოს რომ არ დაეცეს სიკვდილის ტორი,  
 რომ არ დამარცხდეს რევოლიუცია,  
 ჩემი ლოზუნგია: ყველა მებრძოლი საქართველოში.  
 მე ანი სიყვარულზე აღარ დავსწერ ლექსების წიგნებს.  
 აღარც სონეტებს მისტიურ კატებზე:  
 ჩემი შემდეგი ლექსის თემა იქნება:  
 „პოეტებო! ბარრიკადებზე!..“

*რაჟდენ გვეტაძე*

## პაუზა

მეუბნებიან: ათჯერ, ათასჯერ  
 სურვილით ველარ გაიღიმებო!  
 კაპასი კბილით ძარღვი გადასჭერ,  
 რომ სიცოცხლეში კიდევ იმეფო.

გზა სიკვდილისკენ არ შემოკლდება,  
 მნამს საყვედური ცოცხლების მიმართ.  
 ამაღამ ბევრი მგზავრი მოკვდება,  
 ტფილისელებო, დიდება იმათ!

ქუჩა მოელის მთვარეს ნახევარს.  
 სულის სარდაფში არ დადის ქარი.  
 მე დავეჩვიე ლექსის დახევას,  
 ინგრევა ციხე ნაქალაქარი.

დამნიფდა წიგნი. სიტყვა ქართული  
ველარ ავასხი, ვერ ავამძივე.  
შევდექი ფიქრებ-შემოკვართული,  
როგორც ამ ლექსში დასმული მძიმე.

*ი. გრიშაშვილი*

## პარიზისკენ

უნდა აყვავდეს მალე ქვიშნები,  
უნდა ბალახი დილამ დართვილოს;  
მე ამ ზაფხულზე დავინიშნები  
და მივატოვებ ჩემ საქართველოს.

მე დავშორდები ძვირფას პოეტებს  
და თან წამყვება ვაჟას კრებულის;  
ჩემ ლექსს ბალიშ ქვეშ ვინ ამოიდებს  
ჩემი კოცნებით გაოგნებული.

ჩემო ქვეყანა, მეტად ძნელია  
შენი დაკარგვა და დატოვება;  
სოფლის ბავშვები აღარ მეღიან,  
არ მეღის მუხა ათასრტოება.

ჩემო ქვეყანა, ვიცი პარიზი  
არი გულის და თვალის ამხელი.  
ვიცი, მომელის მე უარესი,  
აღბად გატყდება ჩემი სახელი.

აქ ჩემ სულს კიდევ მზე მოუვლიდა,  
დაშორებულს კი ველარ მიშველი;  
იქნებ დაინყოს ცოდვა ლუვრიდან  
და გადავიქცე მე ბულ მიშელი.

მაგრამ არ მინდა ლხინი ჭიქების,  
მინდა, მივიდე შეუცოდველი  
ყრუ მონასტერში კათოლიკების,  
სადაც მიკითხავს ლოცვას კლოდელი.

მაშინ დავცინებ მე ჩემს საროს ტანს,  
უკვე დაქანცულს ვნების წვალელებით...  
მე ველარ მივალ სოფლის წყაროსთან  
და ვერც თამაშით დავილალები.

*ელენე დარიანი*

## ტყის კაცი

### I

ტყის მცველი პავლე სასაფლაოდან მოდიოდა. ხელში ეჭირა ორი წლის ვაჟიშვილი გოგია, ხოლო უკან ლასლასით და ბარბაცით მოსდევდა მისი მეორე ვაჟი, თხუთმეტი წლის ნიკო — თავჩაქინდრული, ნამტირალი და გაფითრებული. ცოტა მოშორებით მოდიოდნენ სოფლის დედაკაცები, ყორნებივით შავებში გახვეულნი; სულ ბოლოს ათიოდე გლეხი მოიზღაზნებოდა.

პავლეს ეზოში მეზობელი გლეხები და დედაკაცები ტრიალებდნენ — ქელესს ამზადებდნენ. პავლემ იმათკენ არც კი მოიხედა და სახლში შევიდა. ნიკოც მიჰყვა. პავლეს სოფლის მოხუცი მღვდელი ლავრენტი და რამდენიმე გლეხი სახლში შეჰყვნენ. მღვდელი პავლეს გვერდით მოუჯდა, გლეხები აქა-იქ აიტუზნენ.

— კაცო, პავლე! — ტკბილად უთხრა მღვდელმა, — რა დაგემართა. შე კაი კაცო! ერთი ხმა ამოიღე, თორემ სადაურია, სამი დღეა შენგან სიტყვა არავის გაუგია.

— ცოლი მეც მომიკვდა, შვილოსან, მაგრამ არ დავმუნჯებულვარ. — სთქვა ერთმა გლეხმა.

— შენ რა, შენ ჩემი იკითხე, — დაუმატა მეორემ, — ერთ წელიწადში ცოლიც დავმარხე, დედაც და ორი ვაჟიც. ჰეეე, ძნელია, ძალიან ძნელია, მაგრამ რა მექნა! ჭირს გაძლება უნდა, აკი გავუძელ კიდეც.

პავლე მაინც ხმას არ იღებდა, უაზროდ ჩასციებოდა კარებს და ვერავის ჰხედავდა, მათი ლაპარაკი არ ესმოდა.

— გაიგე, პავლე? გაიგე, რა სთქვა ნასყიდამ? — ისევ მიუბრუნდა მღვდელი პავლეს, თან მკლავში ხელი ნაავლო და ოდნავ შეანჯღრია, — გაათავე შე კაი კაცო, სთქვი რამე.

პავლემ მღვდელს გადმოჰხედა, მერე უზარმაზარი მკლავები ისე აიქნია, თითქო ფრინველს ან პირუტყვს აფრთხობსო, და თავის ბოხი ხმით წამოიხრიალა:

— გავათავე, მაშა! დავმარხე და გავათავე!.. აკი გავათავე...

— ღვთის ნება იყო, ჩემო პავლე, — დაიწყო მღვდელმა, მაგრამ პავლემ აღარ გაათავებინა: წამოვარდა და ხელების ქნევით ალაპარაკდა:

— ღვთის ნება! ღვთის ნება! რათ უნდოდა ღმერთს ჩემი დაქვრივება?! რათ უნდოდა ამ ბავშვების დაობლება?! ვის რა დაუშავეთ?! რა ვერჩოლეთ?! რას გვერჩოდა?..

მერე ისევ ტახტზე ჩამოჯდა, თავი ხელებში ჩაიმალა და ისე დაიწყო ქშენა, თითქოს საბერვალი უბერავსო.

— ღმერთს ნუ ჰგმობ, შვილო. — ურჩია მღვდელმა.

— ღმერთს ნუ გაიმწყრალე, თორემ უარესს გიზამს. — გააფრთხილა მოხუცებულმა სიმონამ.

თითქმის ყველანი გაიკრიფნენ ქელესის საჭმელად. მღვდელი, დიაკვანი და ორიოდე მოხუცი ჩააცივდნენ პავლეს, მაგრამ ადგილიდან ვერ დასძრეს. სვეს, სჭამეს, გაძლნენ და დაიშალნენ. მღვდელი, სვიმონა და ნასყიდა ისევ შემოვიდნენ სახლში, პავლე გლეხური ნუგეშით გაამხნევეს და წავიდნენ.

სალამომდის პავლე ხაფანგში გაბმული მგელივით ტრიალებდა და დაჭრილი დათვივით ჰგმინავდა, ღმუოდა, ოხრავდა, ჰქშინავდა. ერთხელ ბავშვებმა შემოიხედეს, მაგრამ გამხეცებული მამა რომ დაინახეს და გმინვა-ოხვრა რომ გაიგეს, ისევ გარეთ გავიდნენ, დერეფანში მიწვნენ და მეტის დათენთილობისაგან და უილაჯობისაგან მალე მიიძინეს.

ნასყიდას ცოლმა მიიძინებული ყმანვილები რომ დაინახა, თავის საბანი გამოიტანა და გადააფარა.



რომ დაბინდდა, ნასყიდამ ბავშვები გამოაღვიძა, ოთახში შეიყვანა, ბუხარში ცეცხლი აუნთო, პავლეს ორიოდ სიტყვით ისევ გული გაუმავრა და წავიდა.

პავლემ შვილები გვერდით მოისვა; დიდხანს აქნევდა გარეტიანებულ თავს, თან გაშტერებული ბუხარს ჩასცქეროდა, მერე წაილულულა:

— გავათავეთ, შვილებო... დავმარხეთ... ოხრად დაგვრჩა ყველაფერი... სახლ-კარი დაგვენგრევა... კერა გაგვიცივდება... მეც დავევრივდი, თქვენც დაობლით... ვილა მოგვივლით... ვილა გვიპატრონებს... ვაი ჩვენს უბედურებას! ვაი დაქცეულ ოჯახს!

და თავში ხელები წაიშინა, თან ატირდა; ატირდა ვაჟკაცის პირველი ტირილით — გულამოსკვნით, მოთქმით და ხარბად, — ატირდა და შვილებიც აატირა.

## II

პავლე ოცი წლის წინად სხვა სოფლიდან ჩამოსახლდა იმ სოფელში. ჯერ მოჯამაგირედ დაუდგა იქაურ მემამულეს და ოთხი წელიწადი სწრაფად სხვის სახლ-კარზე. მუყაითი, ერთგული, ბეჯითი და ჩუმი მუშაკი იყო, ამიტომ მემამულეც და ნაცნობ-მეგობრებიც აფასებდნენ და დიდ პატივსაც სცემდნენ. პავლე ახოვანი ტანის ვაჟკაცი იყო — ძარღვიანი, ჩაკირული, წელში მოხრილი, დათვივით ღონიერი, მოუხეშავი, სიტყვა-პასუხში და ურთერთობაში — ჩუმი, გულჩახვეული, უკმეხი, პირდაღვრემილი და წარბშეკრული, მაგრამ პირდაპირი, პირიანი და სამართლიანი. იმ მემამულეს თვრამეტი წლის მოახლე ჰყავდა — პელო — ჩუმი, უწყინარი, მორცხვი და მშრომელი, — ერთად ერთი ქალიშვილი მარტოხელა ქვრივი დედაკაცისა, რომელსაც იმავე სოფელში პატარა სახლ-კარი და ერთი კალთა მიწა ჰქონდა. პელო პავლეს გულში ჩაუვარდა. ჯერ დიდხანს ვერაფერს უბედავდა, ბოლოს ერთს საღამოს საბძელთან მიასწრო, გულის სათქმელი უთხრა და სამაგიეროც მოისმინა.

იმავე შემოდგომას ქორწილი გადიხადეს და პელოს სახლში დასახლდნენ. ორივემ მოჯამაგირეობას თავი დაანებეს. სოფელმა ზედსიძედ შესული პავლე ძმურად მიიღო, რადგან პატიოსანი, მშვიდი და მშრომელი ადამიანი ღირსი იყო ძმობისა და პატივისცემისა.

მალე ხაზინას ტყის მცველი დასჭირდა. წინანდელი ბატონისა, მამასახლისისა და მღვდლის დახმარებით ეს ადგილი პავლემ მიიღო. მას აქეთ პავლეს პატარა ოჯახი მოკეთდა, მოღონიერდა, ფეხზე წამოდგა; მისი ოჯახური ცხოვრება ერთ დონეზე დადგა, მშვიდობიან კალაპოტში ჩავარდა და დინჯად წავიდა.

პავლეს დაოჯახების შემდეგ გავიდა თექვსმეტი წელიწადი. პავლეს და პელოს წინანდებურად უყვარდათ ერთმანეთი, უყვარდათ თავისებური, ჩუმი, სოფლური სიყვარულით: უსიტყვოდ, უცეცხლოდ, უცრემლოდ და უტყვად, მაგრამ მაგრად, მტკიცედ, ღრმად და ერთგულად.

ერთი წლის შემდეგ პელოს ვაჟი ეყოლა. ნიკა დაარქვეს. ხუთი წლის შემდეგ დედა მოუკვდა, ორი წლის წინად მეორე ვაჟი დაებადა — ფუნჩულა და ბუთხუზა გოგია.

პავლე ხან შინ მუშაობდა, ხან მთელი დღით მთებში მიდიოდა ტყის დასათვალიერებლად და სანადიროდ. ხელცალიერი სახლში არ დაბრუნდებოდა: ხან კურდღელს მოიტანდა, ხან მგელს, ხან მელას, ხან ჯიხვს, მშველს და ფრინველს. ხშირად მოუკლავს პავლეს ირემიც, ფოცხვერიც, აფთარიც. რამდენჯერმე დათვიც ჩამოუტანია. ერთხელ დათვი ხანჯლით მოჰკლა, მაგრამ თვითონაც ისე იყო ნაკბენ-ნათელი, რომ თვითონ ვეღარ იარა და გზაში შეხვედრილმა მეურმეებმა ჩამოიყვანეს. მას აქეთ დაშინებული პელო ხშირად ეხვეწებოდა თავის ტოლდასადებ მეუღლეს, ნადირობას თავი დაანებეო, მაგრამ პავლემ არ მოიშალა, არ დაუთმო, რადგან ნადირობის ხალისიც ჰქონდა და შემოსავალიც ხეირიანი.

პავლეს მომდურავიც ბევრი ჰყავდა ახლო-მახლო, რადგან სამსახურში მტკიცედ და ერთგული იყო. უბარათოდ და უწესოდ ტყეს არავის გააფუჭებინებდა. თუ მოასწრებდა

უბარათოს, ცულს, ულელს, ჯამბარას წაართმევდა და საჩივარს აღძრავდა. მტერი პავლეს მაინც არ ჰყავდა, რადგან დინჯი, სამართლიანი და პატიოსანი ადამიანი იყო.

შარშან პელო წყალზე გაცივდა და დასნეულდა. დაღონდა, ჩაინგრა და დაიჩაგრა პავლე. დარდმა ხელი დაჰრია და მოთელა. გულზე წისქვილის ქვა დაანვა, სიცოცხლის უნარი გაუტყდა. ორი წელიწადი ეჭიდებოდა სულთამხუთავს, რომელიც დღე და ღამე პელოს თავს დასტრიალებდა. პავლეს გული, ისედაც დაბურული, უარესად ჩაიკეტა და დაიხურა. ტყეში სიარულს უკლო, ბალ-მინდვრის მუშაობაზედაც გული აიყარა. მუდმივ სახლში ტრიალებდა, მუდმივ ავადმყოფს თავს ევლებოდა. ბოლოს სულთამხუთავმა მაინც სძლია პავლეს, მაინც თავისი გაიტანა და ისედაც გატეხილ ოჯახს მილეულ-დამდნარი დედაბოძი გამოაცალა.

მას აქეთ პავლე სულ დაბნელდა, მიილია, წელში უარესად მოიხარა, ორ თვეში აჭალარავდა, ენა მუცელში ჩაიგდო და დამუხჯდა. სალაპარაკოდ აღარავის იკარებდა, სოფელში აღარ გადიოდა, ტყიდან ნადირი თითქმის აღარ მოჰქონდა. ტყეში რომ მიდიოდა, ნიკას ზოგჯერ თან წაიყვანდა და სახლს დაჰკეტავდა, ხოლო გოგიას და საქონლის პატრონობას ნასყიდას მიაბარებდა.

უპატრონო ოჯახი დღითი-დღე უკან-უკან მიდიოდა, ინგრეოდა და ნიავდებოდა, მაგრამ რა ექნა პავლეს: სამსახურს თავს ვერ ანებებდა, რადგან კარგი შემოსავალი ჰქონდა, ხოლო ორივე საქმეს — სამსახურსაც და ოჯახის მოვლასაც — მარტოხელა ადამიანი ვერ ერეოდა. ბოლოს, ბევრი ფიქრისა და ტორტმანის შემდეგ, გადასწყვიტა ტყეში გადასახლება.

პეტრე დოლენჯაშვილი საკუთარი სახლ-კარის აშენებას აპირებდა. პავლე სვიმონას მოელაპარაკა. სვიმონამ შუაგაცობა იკისრა და პეტრეს სიტყვა გადაუკრა: რათ გინდა ახალი სახლ-კარი, აიღე და პავლეს სახლიც იყიდე, ბალიც და სახნავი მიწებიცაო. პეტრე შეძლებული კაცი იყო. დათანხმდა. მისვლა-მოსვლამ და ლაპარაკმა დიდხანს გასტანა. ბოლოს ორმოც თუმანზე მორიგდნენ. სახნავ-სათესი მიწები მაშინვე ჩააბარა, ხოლო სახლ-კარი მათში უნდა დაეცალა.

პავლემ ხაზინიდან გამოიტანა იფნიანის ტყეში დასახლების უფლება და მაშინვე საქმეს შეუდგა. თედო ბირთველაშვილს იფნიანში სამოცი მოჭრილი ხე ჰქონდა. პავლემ ეს ხეები იყიდა და ტყეში რომ თოვლი აიკრიფა, მხერხავები, დურგლები და მეზობელი გლეხკაცები იფნიანში წაიყვანა. ნიკაც თან ჰყავდა. ასტყდა უღრან ტყეში ცულების ჩახა-ჩუხი, ხერხის ჟივილ-ხივილი, ჩაქუჩების ჩახა-ჩუხი, შალაშინების შრიალ-ფრიალი. დღე და ღამე ცეცხლი ენთო და მისი ბოლი შორიდანვე მოსჩანდა. ნადირი დაფრთხა და იქაურობას მოშორდა. ნიკა ძლივს ასწრებდა სოფლიდან ცხენით საგზალის ზიდვას.

სააღდგომოდ ყველაფერი მზად იყო. აღდგომა პავლემ ძველ სახლში გაატარა, მერე სახლ-კარი პეტრეს ჩააბარა და თვითონ თავის ორი შვილით იფნიანში გადასახლდა, თან ოჯახის მოწყობილება წაიღო და საქონელიც წაიყვანა.

იმ ხანებში ვილაცამ პავლეს ტყის კაცი დაარქვა. მას აქეთ ეს სახელი დასჩემდა.

### III

იფნიანის უზარმაზარი ტყე ერთი დღის სავალზე იყო გადაჭიმული. ამ ტყის შუაგულში სამი წონწონა გორა აღმართულიყო, სამივე უღრანი ტყით შემოსილი. ერთი გორის ძირში დიდი ტაფობი იყო გაჭიმული, რომელიც ისეთი მალალი ბალახით და ათასფერი ყვავილით იყო დაფენილი, რომ ადამიანს მკერდამდის სწვდებოდა. შუაგულ ტაფობში ზეცამდის აჭრილიყო სამი დევი, სამი გოლიათი, სამი უზარმაზარი, დაბურული, დაბერებული შვიდადლიანი მუხა; სამივენი ისე გაჩაჩხულიყვნენ და განოლილიყვნენ, რომ იმათ ჩრდილ-

ში თუნდ ორასი კაცის სუფრა გაიშლებოდა. ერთი გორიდან მოზრდილი წყარო ჩამოჩუხ-ჩუხებდა, ამ ტაფობზე ბალახ-ბულახში მიცოცავდა, მეორე ტყეში შედიოდა და იქიდან შხუილით ღრმა ხევში გადადიოდა.

ამ გორაკის ძირში, ტაფობის ნაპირად წამოეჭიმა პავლეს თავის ახალი ორსართულიანი ხის სახლი. ქვემო სართულში გომური გაემართა, ზემო სართულში — საცხოვრებელი ბინა. სამიოდე მუშა კიდევ ჰყავდა. იმ ტაფობს მაგარ ღობეს ავლებდნენ, სასიმინდეს აშენებდნენ, საბოსტნეს ჰბარავდნენ. მაისის დამდეგს ძველმა მეზობლებმა იფნიანში გუთნეული ამორეკეს და ხუთ დღეში ტაფობი თითქმის მთლად გადახნეს, დასთესეს და დაფარცხეს. მერე ყველანი წავიდნენ. პავლე, ნიკა და გოგია მარტოდ-მარტონი დარჩნენ ბნელსა და თვალუნვდენელ ტყეში.

ჯერ კიდევ ბევრი სამუშაო ჰქონდათ პავლეს და ნიკას. რიჟრაჟზე ადგებოდნენ, იქვე წყაროზე პირს დაიბანდნენ, ძროხებს და ცხვარს მოსწველიდნენ, რძეს აადულებდნენ, მერე დილის ძილში წასულ გოგიას სადარაჯოდ ერთგულ ძალს — ბოლრიას ან ყურშას კიბესთან მიუბავდნენ და თვითონ ცულობით, წალდით, ბარით და თოხით სამუშაოდ გადიოდნენ, თან საქონელს გაირეკავდნენ, იქვე მინდორზე გაუშვებდნენ და მეორე ძალს მიუჩენდნენ. ორივე ძალლი ისე იყვნენ დაგეშილები, რომ სახლთან არავის მიუშვებდნენ, ტაფობს დასტრიალებდნენ, მუდმივ საქონელს გარს უვლიდნენ. თუ ხარი, ძროხა, კამეჩი, ან ცხვარი ნახირს მოსწყდებოდა და ტყისკენ წავიდოდა, ძალლი ღრენით და ყეფით გზას მოუჭრიდა, ფეხებში ჰკებნდა და იქამდის არ მოუსვენებდა, სანამ ნახირში არ დააბრუნებდა.

პავლე და ნიკა წელზე ფეხს იდგამდნენ, დღე და ღამეს ასწორებდნენ და იფნიანის უღრან ტყეში ახალ ოჯახს იშენებდნენ. ჯერ ღობე დაამთავრეს, მერე საქათმე ააშენეს, მერე წყარო რუში ჩააყენეს; ხან სთოხნიდნენ, ხან ჰმარგლავდნენ, ხან ჭირნახულს ჰრწყავდნენ, ხან კიდევ, როცა ძალიან წამოცხებოდა, იმ გოლიათი მუხების ჩრდილში სკებს და გოდრებს სწნავდნენ.

სამხარი რომ მოატანდა, სახლში შევიდოდნენ, გოგიას ააყენებდნენ, პირს დაჰბანდნენ, მოუვლიდნენ, შენაყრდებოდნენ და ისევ მინდორში გავიდოდნენ, თან გოგიასაც წაიყვანდნენ და სანოვავეს წაიღებდნენ. მუხების ქვეშ ცეცხლს გააჩენდნენ, ზედადგარზე ქვებს შესდგამდნენ და სადილს იქ იხარშავდნენ; კეცსაც გაახურებდნენ და ხმიადს ან ჭადს გამოიცხობდნენ, დასაკერებელსაც თვითონ დაიკერებდნენ, გასარეცხსაც თვითონ გაირეცხავდნენ.

სოფელში თუ რამ საქმე ჰქონდათ, პავლე ნიკას გაჰგზავნიდა, რადგან ნიკას გზაში უფრო ენდობოდა, ვიდრე იფნიანის ტყეში, სადაც ნადირიც იყო და შეიძლება ავი კაციც გაჩენილიყო.

პავლე არც სამსახურის საქმეს ივინყებდა. ზოგჯერ, უფრო ავდარში, თოფს აიკიდებდა და ტყეს დაათვალიერებდა, ზოგჯერ ნანადირევსაც მოიტანდა. მაინც შორს წასვლას ვერ ჰბედავდა, რადგან დიდი ხნით ბავშვების დატოვებისა ეშინოდა.

ზოგჯერ პავლე გორაკზე ავიდოდა და იქიდან ყურს მიუგდებდა, ცულის ხმა ხომ არსაიდან ისმისო, ან ტყე ხომ არ იწვისო.

ნიკასთვის და გოგიასთვის საუცხოვო, უჩვევი, საშინელი და საარაკო იყო იმ ტყეში ცხოვრება, — უკაცოდ, უმეზობლოდ და უტოლ-ამხანაგოდ.

ტყე უთავბოლო, უზარმაზარი, უღრანი, ბნელი და ათასი იღუმალეხით იყო სავსე. ზოგჯერ ტყეში ისეთი სიჩუმე ჩამოვარდებოდა, რომ საკუთარი სუნთქვაც ისმოდა. უფრო ხშირად ტყე ხმაურობდა, დუდუნებდა, შრიალებდა და ფუსფუსებდა.

მაისის ღამეს მოულოდნელად გაიღვებდა, დაიჭექებდა და მთელი ღამე შხუილით წვიმდა. ზოგჯერ უცებ გრიგალი ამოვარდებოდა და ისევ უცებ ჩავარდებოდა.

დიდ ქარში ტყე ჰლმუოდა, კვენსოდა, ზანზარებდა, გრიალებდა და ჭაჭა-ჭუჭი გაჰქონდა. მეორე დღეს საამური, მოლხენილი და მზიანი დილა გათენდებოდა. ასეთ მზიან დღეში ნიკა და გოგია ტაფურს დაირბენდნენ და ახლო-მახლო ტყეშიც შეერეოდნენ, თან ყურშას ან ბალრიას წაიყვანდნენ.

ნამიანი ტყე და ფაფური ათასფერად ბრწყინავდა, ფრინველების ჟრიამული იქაურობას აყრუებდა, კვერნა, ციყვი, თრითინა, დედოფალა და კატუნი თავისუფლად და მხიარულად ნავარდობდნენ, გრიგალის შემდეგ ტყე წაქცეული და გაჩეხილი ხეებით ისე გაივსებოდა, ვითარცა ბრძოლის ველი დახოცილი ვაჟკაცებით.

ცაში არხეინად დასცურავდნენ ცის მეფენი — არწივი, ქორი, სვავი და ძერა. ზოგჯერ რომელიმე იმათგანი ისარივით დაეშვებოდა დაბლა; წვრილფეხა ფრინველებში ერთი ჟრიალული და ჟივილ-ხივილი ატყდებოდა. მოურიდებელი და მშიშარა ოფოფი მაშინვე გულალმა დანვებოდა და ნისკარტს ზევით აიწევდა; კრუხები აიბურძგნებოდნენ, კუხკუხს ასტეხდნენ და წინილებს დაუვლიდნენ; გოგია გაჰკიოდა: „ჰაია! ჰაია!“ ნიკა თოფს შეიმზადებდა და ხან ძერას ჩამოაგდებდა, ხან ქორს.

შროშანი ცხვარს ჰხილავდა; შაშვი დილით ჭახჭახებდა; მოლალური მუდმივ „ბიჭო გოგიას“ გაჰკიოდა; გუგული გუგუნებდა; კოდალა აკაკუნებდა; მემატლიე, ჩხიკვი, ყაპყაპა, ლალა, ანკარა და ასნაირი ჟივილ-ხივილი იქაურობას ავსებდა და ზეცას სწვდებოდა.

შუადღე რომ მოატანდა, სიცხისგან დათენთილი ფრინველი და ცხოველი მიყურებოდა, ტყე თვლემას მიეცემოდა; გვრიტი მაინც დვრინავდა, კოდალა ისევ აკაკუნებდა, ქედანი ლულუნებდა, ანცი ციყვი ისევ დახტოდა.

როცა დაღამდებოდა, ლამის ფრინველი და ნადირი მაშინ გაიღვიძებდა, სორო-ბუნაგიდან და ბუდიდან გამოვიდოდა, ახმაურდებოდა და იმ უღრან ტყეს ლამის სიცოცხლით გააცოცხლებდა.

ერთი ოღოლა მეორეს გადასძახოდა: „იპოვე-ე-ე?“ მეორე უპასუხებდა: „ვერა, ვერა-ა“; ასიდამა წვრილ ხმაზე გაიძახოდა: „კლიპ-კლიპ! კლიპ-კლიპ!“ ჭოტი თავისას გაჰკიოდა.

ზოგჯერ სადმე ხევში მიკიოტი საზარლად დაიყვილებდა. იმის ყივილზე ძალღები ყმუილს ასტეხდნენ, პავლე პირჯვარს იწერდა და ბურტყუნით იწყევლებოდა. დილამდის ძალღლებს არ ეძინათ: იღრინებოდნენ, ჰყეფდნენ და ხილულს და უხილავ ნადირს იგერებდნენ.

ლამის წყვილიადში ხან ახლო, ხან მოშორებით მოისმოდა მგლის ყმუილი, ტურისა და მაჩვის ჩხავილი, ზოგჯერ მელას წრიპინი და დათვის ბურტყუნი.

ნიკა ზოგჯერ ახლო-მახლო ფუტკარს ეძებდა. როცა იპოვიდა, წალდით იმ ხეს დამორავდა, საცა ფუტკარი ბუდობდა; მერე მამას დაუძახებდა. ორივენი ფუტკარის ამოსაყვანად ნავიდოდნენ, თან დაწნულ სკას წაილებდნენ. ფუტკარს რომ შეუბოლებდნენ და ხის ფულუროდან გამოაფრენდნენ, იმ ხეს მოსჭრიდნენ, თაფლს ამოიღებდნენ, სკაში ჩასდებდნენ, მერე შიგ ფუტკარს ჩაჰყრიდნენ და ცაცხვის ქვეშ დასდგამდნენ. ბუთხუზა გოგია ახლო-მახლო დაცოცავდა და ბილილას, ღელის შროშანას, სამყურას და ნასარს აგროვებდა, ხან მაჟალოს, პანტას, სვინტრს, სატაცურს, მჟაუნას და ტყემალს ჰკრეფავდა.

პავლეს საქონელი შვილივით უყვარდა და მისი მოვლაც იცოდა. სხვა მშველელი რომ არავინ ჰყავდა, თვითონ გააკეთა სადღვებელი და ხის კასრები. მამა-შვილი თვითონ შესდღვებავდნენ კარაქს, თვითონ გადაადნობდნენ ერბოს, ყველს გააკეთებდნენ და გუდებში, კასრებში, ქილებში ინახავდნენ.

ზაფხულში სიმინდს მაჩვი და დათვი შემოეჩვია. პავლემ დათვს კვალი აუღო და ღამე ჩაუსაფრდა. ნიკოც თან ჰყავდა. ნელი ნიავი იქით უბერავდა, საიდანაც დათვი უნდა გამოსულიყო, ამიტომ დათვმა ჩასაფრებულთა სუნი ვერ აიღო და გამოვიდა. თან მოჰყვა ორი ბელი, ორი პატარა ბოკვერი.



შუალამე გადასული იქნებოდა, რომ ღობის ჭაჭა-ჭუჭი მოისმა. მამა-შვილი ბუჩქის ძირში იდგნენ და თოფები შემზადებული ჰქონდათ. მთვარე ჩასავალს იყო და იქაურობას მკრთალად ანათებდა. დათვმა თითქო ხიფათი იგრძნო, შესდგა და გაინაბა. მამა-შვილიც გაინაბნენ. ცოტა ხნის შემდეგ ისევ მოისმა ლანა-ლუნნი. დათვი ღობეზე გადმოვიდა, ორივე ბელიც თან მოჰყვნენ.

პავლემ ნიკას ყურში ჩასჩურჩულა:

— ბელს თავი დაანებე. დედას ესროლე...

მოისმა ფაჩი-ფუჩი. თავჩალუნული დათვი ჰაერს ჰსუნავდა და ფრთხილად მობობლავდა. პავლემ ნიკას ნიდაყვი ნაჰკრა. ორივემ დაუმიზნეს. ორმა ცეცხლმა გაიელვა, ორმა თოფმა დაიგრილა და ის გრიალი ტყეს ქუხილად მოედო. იმავე წამს ტყე გააყრუა დათვის ღრიალმა. დაჭრილი დათვი მაშინვე უკანა ფეხებზე ატორტმანდა და ბლავილით, ხრიალით წამოვიდა. პავლემ ეს რომ დაინახა, ნიკას მიაძახა:

— გატენე თოფი! — და თვითონ მარცხენა ხელით ბენვიანი ქუდი დათვს პირში მისცა, ხოლო ადლიანი ხანჯალი მარჯვენა ხელით ყელში გაუყარა.

იმავე წამს ნიკამ დათვს ხელმეორედ დაახალა თოფი. დათვმა ერთხელ კიდე დაიღრიალა, მერე ზურგზე გადავარდა და ხრიალი დაიწყო. პავლემ ხანჯლით ყელი გამოსჭრა და ნაიბურტყუნა:

— გათავდა. აბა, ეხლა ბელებს გავყვეთ.

სიმინდის ლანა-ლუნს გაჰყვნენ. ღობის კუთხეში ორი პატარა ბელი აბუზულიყო. ორივენი ხელით დაიჭირეს. დათვის ღრიალზე ძაღლებიც მოვარდნენ და უღრანი ტყე მხიარულ ყეფითა და წკმუტუნით აავსეს.

იმ დღიდან პატარა გოგიას გასართობი მოემატა.

შემოდგომაც მოვიდა. ბოსტნეული მოკრიფეს, ზოგი წნილად ჩასდეს, ზოგიც ისე შეინახეს. ბოლოს სიმინდიც მოსტეხეს. ყველაფერი რომ აიკრიფა და დაბინავდა, პავლემ რამდენიმე დღით ნასყიდა დაიბარა და თავის მაგივრად ტყეში დასტოვა, თვითონ კი ქალაქში ყველი, ერბო და თაფლი წაიღო. მალე დაბრუნდა, რაც საზამთროდ საჭირო იყო, მოიტანა.

იფნიანში ისევ სიჩუმე და მყუდრო ცხოვრება დამყარდა. პავლემ შვილებს თბილი ტანისამოსი უყიდა, ნიკას ჩოხა და ქურქი ჩააცვა, ხოლო გოგიას ტანისამოსის გარდა ხმელი ხილიც მოუტანა, მაგრამ დაუმალა და ყოველ დღე უზოგავდა, თან კელაპტრის ოდენა კაჟიან თითებს ფუნჩულა ლოყებზე უსვამდა და ბურტყუნებდა:

— შენ, ეი, გოგია, ჭკვიანად იყავი, თორემ... მე ვიცი შენი, შე დათვის ბელო, შენა!

გოგია მართლა დათვის ბელს ჰგავდა, რადგან თავის მამის შვილი იყო და დათვის ბელებთან იზრდებოდა: შავთვალწარბა, თმაჯაგარა, ფუნჩულა და რგვალი, როგორც მისი ორი მეგობარი, რომელნიც ხშირად ბლაოდნენ და გოგიასაც აბლავლებდნენ.

ნიკაც თავის მამის შვილი იყო. ხუთმეტის წლისა ძლივს შესრულდა, მაგრამ თითქმის დაენია თავის მამას: მაღალი, მხარბეჭიანი, ტლანქი, ჩუმი და მოუხეშავი. ზოგჯერ დღე ისე დამთავრდებოდა, რომ მამა-შვილი ერთმანეთს ხმასაც არ ვასცემდნენ, ორიოდ სიტყვას არ ეტყოდნენ. არც პავლეს, არც ნიკას ლაპარაკი არ უყვარდათ, არ ეხერხებოდათ; ორივემ თავის საქმე იცოდა და ერთმანეთს უფრო ხშირად თვალებით ელაპარაკებოდნენ, ვიდრე ენით. ორივენი დარდსაც, სიხარულსაც გულში იხვევდნენ და ერთმანეთს არ უზიარებდნენ; ან რა საჭირო იყო სიტყვა, რაკი ერთმანეთის აზრი ყოველთვის იცოდნენ და ერთმანეთის გულისნადებიც ესმოდათ.

პავლე მაინც დარდობდა, ნაღვლობდა და მომავალზე ჰფიქრობდა, რადგან მისი ანამყო და მომავალიც ოღონდაც სადარდელი და საფიქრებელი იყო.

— უქალო ოჯახი, ისიც ამ ვერანა ტყეში, თუნდ არ ყოფილა. — ჩაუკრა სიტყვა ნასყიდამ, როცა პავლე ქალაქიდან დაბრუნდა.

პავლემ მოკლედ მოუჭრა:

— ნულარ მეტყვი, ქალს ნულარ გამიხსენებ.

ნასყიდად იცოდა პავლეს ხასიათი, ამიტომ ცოლის შერთვაზე ხმა აღარ ამოუღია. პავლეს გული მაინც არ უცხრებოდა, გონება არ უყურდებოდა. ოცდაშვიდმეტის წლისა ძლივს იქნებოდა; ჯერ ისევ ახალგაზრდა, მაგარი და ჯანიანი იყო, ამიტომ ბუნება ერეოდა და თავისას თხოულობდა, მაგრამ პავლე მას პირს არიდებდა და მეორე ცოლის შერთვას აზრადაც არ იტარებდა, რადგან განსვენებულ პელოს თავის გულში ფიცი მისცა — შენ არავისზე არ გაგცვლი, არავის განაცვალე.

პავლეს სხვა რამ უნუხებდა გულს, სხვა რამ აფიქრებდა: როდემდის უნდა იცხოვრონ იმ ვერანა ტყეში გავარდნილი ნადირით იმისმა შვილებმა? როგორები გაიზრდებიან უქვეყნოდ და უხალხოდ? ვინ მიიღებს, ვინ დაუმოყვრდება, ცოლს ვინ მიათხოვებს ამ უდაბნოში ნიკას, რომელიც ალბათ მალე მოინდომებს დაოჯახებას? ვთქვათ, ან პავლე ან ნიკა ავად გახდნენ: ვინ მიჰხედავს საქონელს? ვინ მოუვლის ტყეს? ვინ გააკეთებს ამოდენა საქმეს?

გოგია ორი დღით ავად გახდა. პავლე ექიმის მოყვანას ჰფიქრობდა, მაგრამ ვის მოიყვანდა, ვინ მოვიდოდა ამ სიშორეზე, ამ უდაბურ ტყეში? ნიკა უნდა გაეგზავნა, მაგრამ ტყე? საქონელი? ბოსტანი და სიმინდი? ორ-სამ დღეს მოითმენდა პავლე, მაგრამ როგორ დაენებებინა ყველაფრისათვის თავი ერთი კვირით, ან ერთი თვით?

პავლე ჰფიქრობდა და სწუხდა, მაგრამ გზა ვერ ეპოვნა, ამიტომ ყველაფერი ისევ ძველებურად, ისევ თავის გზით წავიდა.

#### IV

შემოდგომამ ტყე ათასფერად შელება: ჩალა, მიხაკი, ოქრო, რუხი, ლურჯი, ალი, მწვანე და წითელი — ყოველნაირი ფერები ერთმანეთში აირია და გაითქვიფა.

ფრინველებიც გაფრინდნენ. დარჩნენ მხოლოდ კაჭკაჭი, კოდალა, ჩხიკვი, შაშვი, წინკანა, ბელურა, ყივყავი და ყვავი, რომელნიც ჩხავილით და ყივილ-ხივილით იქაურობას აყრუებდნენ.

ზოგჯერ მთელი კვირით ტყეს ნისლი დაანვებოდა და ღრუბლიანი ცა წვიმით იცრებოდა. ასეთ დარში პავლე და მისი შვილები ვერ ისვენებდნენ, გალიაში მომწყვდეულ მხეცებივით დარბოდნენ პატარა სახლში და უფრო ხშირად საქონელს, დათვის ბელებს და ძაღლებს ელაპარაკებოდნენ, ვიდრე ერთმანეთს. მერე ქურა გააკეთეს და ნახშირს სწვავდნენ. ცაში ასვეტილი ბოლი ერთი დღის სავალზე მოსჩანდა. ბარში გლეხები ზოგჯერ იტყოდნენ:

— იფნიანში ტყის კაცი ნახშირს სწვამს. ალბათ ი კაცი სულ გამოყრუვდა და განადირდა.

ნადირობას მოუხშირეს. რიგრიგად დადიოდნენ, თან კუნელას, ზღმარტლს, წიფლის თესლს და რკოს ჰკრეფავდნენ.

ზამთარიც უცებ მოვიდა. ერთ ღამეში ერთი ადლი თოვლი დასდო. ირგვლივ მხოლოდ თეთრი ფერი-ლა მოსჩანდა. ნადირი გათამამდა და იფნიანს მიეტანა. გახშირდა მგლების ღმუილი და ტურა-მელას ჩხავილი.

სალამობით პავლე ორ-სამ ალაგას დააგებდა ხოლმე ხაფანგს. დილით ორივენი თოფებით გადიოდნენ ხაფანგში გაბმული ნადირის მოსაკლავად. უფრო ხშირად აწყდებოდნენ მგელს და მელას, უფრო იშვიათად — აფთარს და ფოცხვერს. თუ ნადირი ხაფანგში ადრე გაებმეოდა, ხშირად საკუთარის კბილით გაბმულ ფეხს მოიჭამდა და წავიდოდა; თუ დილით გაებმეოდა — მონადირეებს ცოცხალი ჩაუვარდებოდა ხელში. ნადირის ხორციით ძაღლებს ასუქებდნენ, ტყავს ამარილებდნენ და ახმოზდნენ.



გაუთავებელ ზამთარში სამივენი თვითონაც განადირდნენ, ჭუჭყით აივსნენ და და-მუნჯდნენ.

ზამთარი ძლივს დაილია. ბარში თოვლი გადნა. თბილმა სიომ დაუბერა და ტყეში ლი-ლო გამოაჩინა, თოვლი გააღხო, აკრიფა და შეჭამა. კვირტი გასივდა და გაიბერა.

ცაში წეროების ჟივილი გაისმა. მოფრინდა ოფოფი, მერცხალი, გუგული, ლაგლავი. ტყე ახმაურდა, აიშალა, აიბურძგნა და ნელ-ნელა აყვავდა. ჯერ შინდი აყვითლდა, მერე პანტა, მაჟალო, კუნელი და ტყემალი აიპენტნენ, ათეთრდნენ და შევარდისფერდნენ. მე-რე ამწვანდა და აიკუნწლა იფნი, ნეკერჩხალი, წიფელა, თელა, რცხილა, მუხა და ცაცხვი. ბოლოს დაიქუხა, დაიჭექა და გაზაფხულის ჟუჟუნა წვიმაც წამოვიდა. პავლე და ნიკა ისევ თავიანთ მიწას დაექვერდნენ და დილიდან სალამომდის გაშმაგებით, გააფთრებით ოფლში ინურებოდნენ.

ერთხელ გოგიას ხველა აუვარდა და სიცხეც მისცა. პავლემ ჯერ ყურადღება არ მი-აქცია. სალამოზე ბავშვს ხმა ჩაუნყდა და გონება დაეკარგა. პავლე აიშალა, აიბურძგნა და აიძვრა. გათენებამდის თვალი არ დაუხუჭია. ხან გამგელეებული დარბოდა ოთახში და ბურტყუნებდა:

— ჰა, ექიმი აქ არ ამოვა?... მე წავალ... წავიყვან... შენ წადი... შენ წაიყვანე...

ხან გოგიას მიუჯდებოდა, ანთებულ ლოყებზე და შუბლზე ტლანქ თითებს უსვამდა და ეკითხებოდა:

— შვილო, გოგია, ვერა მცნობ? გოგიავ, ხმა ამოიღე, ბიჭო, რა დაგემართა?... რა გე-მართება?..

რიჟრაჟმა რომ მოატანა, გოგიამ ხრიალი დაიწყო. პავლემ ჯერ სველი ტილოთი დაზი-ლა ბავშვი, მერე ერბო წაუსვა, ყელში ძმარი ჩაასხა, მაგრამ ავადმყოფს არაფერი ეშველა.

პავლე გააფთრდა და გაგაჟდა. მეტის სიმწარისგან თავს ბოძს ახლიდა, თან ჰლმუოდა:

— შვილო, გოგია!.. შვილო, გოგია!..

— კარგი, გაათავე! — დაუყვირა ნიკამ, მკლავში ხელი წაავლო და ბოძს ძალით მოა-შორა. — მაგით რას უშველი? ექიმთან წავიყვან. ჩქარა ფული მომე.

პავლე უცებ გამოფხიზლდა, დაფაცურდა.

— აბა, შენ იცი... ახლავე წაიყვანე... დღესვე ამბავი მომანოდე... აი, ფული, წაიღე, სულ წაიღე... აბა, ჩქარა, არ დაიგვიანო...

პავლემ გონება დაკარგული გოგია თბილად შეახვია, ხელში აიყვანა, ჯერ დიდხანს უცქეროდა, მერე პირველი კოცნით აკოცა შუბლში და ნიკას გადასცა. ორივენი გამოვიდ-ნენ. თენდებოდა. პავლემ დიდ მანძილზე გააცილა ნიკა, ერთხელ კიდევე აკოცა გოგიას და გაისტუმრა. უკნიდან მიაძახა:

— აბა, ნიკავ! შენ იცი და შენმა ბიჭობამ. ცოცხალი აღარ დაბრუნდე, თორემ... შენი იმედით ვარ, გესმის, ბიჭო!

და თვალი გააყოლა ძუნძულით მიმავალ ნიკას, რომელიც მალე ტყეში მიიშალა.

პავლე დიდხანს იდგა გაშტერებული და გარინდული, მერე სახლში დაბრუნდა და რომ იგრძნო თვისი მარტოობა, რომ წარმოიდგინა გოგიას სიკვდილი, ისევ გამწარდა და ისევ ეცა ბოძს, თან ჰლმუოდა:

— შვილო, გოგია!.. გოგიაჯან!.. ჩემო გოგინო!..

მერე უცებ თოფს ხელი დაავლო, ბოლრისას საქონელი ჩააბარა, ყურშა თვითონ წაიყ-ვანა და ნიკას გამოუდგა. უნდოდა დასწეოდა, ნიკა დაებრუნებინა, გოგია თვითონ წაიყ-ვანა. ხევში რომ ჩავიდა და კარგი მანძილი გაიარა, მარჯვნივ, ჭილათხევში ცულის რაკუ-ნი მოესმა. გზას გადაუხვია და მგლის ნაბიჯით მიეპარა ლარიბ-ლატაკ მიხა წარიკაშ-ვილს. სხვა დროს უღელს, ცულს და ჯამბარას წაართმევდა, ეხლა კი რაღაც დაემართა:

გამარჯვება უთხრა, იქვე მორზე ჩამოჯდა და მიხას ოჯახის ამბავი გამოჰკითხა. მიხას შარშან ხუთი წლის ვაჟი მოუკვდა. პავლემ იცოდა ეს ამბავი, მაგრამ არ იცოდა, რისგან და როგორ მოკვდა, ან მიხამ როგორ მოინელა შვილის სიკვდილი. მიხამ დაწვრილებით უამბო თავის ვაჟის სიკვდილი. ბოლოს დაუმატა:

— შენს მტერს, რაც მე სიმწარე ვნახე. ღმერთმა გაშოროს. ძნელია, ძალიან ძნელია შვილის სიკვდილი. დედაკაცი რომ არ მყოლოდა, გავგიჟდებოდი ან თავს მოვიკლავდი. ერთმანეთს მხარი მივეცი და ერთმანეთი გავიტანეთ.

დიდხანს იჯდა პავლე ჩაფიქრებული. კარგად იცოდა, რომ მიხას ბარათი არ ჰქონდა, მაგრამ არ მოსთხოვა, ხმა არ ამოიღო. ნიკას ველარ დაენოდა, ამიტომ უკანვე დაბრუნდა. ადამიანის ნახვამ და ლაპარაკმა დაამშვიდა, გაცხარებული ტვინი დაუამა.

ნიკამ ავადმყოფი ძმა მღვდელს მიუყვანა. მღვდელმა ავადმყოფს ვერაფერი გაუგო და ნიკას ქალაქში წასვლა ურჩია. სადგურამდის ურმით ჩავიდნენ, სალამოზე უკვე ქალაქში იყვნენ. მღვდელმა ნიკას წერილი გაატანა თავის ბიძაშვილთან, რომელმაც მაშინვე დაუძახა ექიმს. მეორე დღეს ბავშვი გონს მოვიდა. ორი დღის შემდეგ ექიმმა უთხრა, ერთ კვირაში მორჩებაო. ეს ამბავი მღვდელს მისწერეს, მღვდელმა კიდევ ტყეში მიმავალი გლეხის პირით პავლე გაახარა. პავლე გამოცოცხლდა, გამხიარულდა. სხვა რომ არავინ ჰყავდა მოლაპარაკე, სიხარული ძაღლებს გაუზიარა:

— შენ ჰეი, სამგლე! ჭკუით იყავი, თორემ მე ვიცი შენი!.. ყურშავ, მოისვენე, თორემ გოგიას ვეტყვი და ის ამოვა შენს ოხტში!

მერე დათვებს გაუღიმა, გაუცინა და გაეთამაშა:

— ჰაი, თქვე ციმფოებო, თქვენა! ნუ იკბინები, შე მაიმუნო! ბოლრია, მიშველე! ყურშავ, მომაშორე ეს სამგლე!

და უღრან ტყეში პირველად გაისმა საერთო ხუმრობა და სიცილი გაველურებული პავლესი, მხიარული ყეფა-წყმუტუნი ძაღლებისა და ბოდვა-ბურტყუნი დათვის ბოკვრებისა. ყველანი გორაობდნენ, ერთმანეთში აირივნენ, ბლლარძუნობდნენ, ერთმანეთს ახრობდნენ, ხუმრობით ჰკბენდნენ და ჭიდაობდნენ.

— ბიჭო გოგიავ, მიშველე! ნიკავ, სადა ხარ ბიჭო, მიშველე! — ხრიალებდა და ხარხარობდა პავლე.

მერე, რომ დაიღალა და მოიქანცა, ძაღლებს მიჰმართა:

— ბოლრიავ! ყურშა! აბა, ეხლა საქონელს მივხედოთ.

ღობეზე კაჭკაჭი ჩხაოდა.

— შენ ჰეი, ტუტრუცანავ, რასა ყბელობ მანდა!

საქონელსაც შეატყობინა გოგიას და ნიკას ამბავი:

— ლაბავ, შე ზანტო, შენა! ნიკას სახრეს გადაეჩვიე, განა! დაიცა, მოვიდეს... შვინდავ, გოგიას ნახვა მოგინდა? მოდის, შვილოსან, მოდის... შენ ჰეი, ცერცეტავ! — დაუძახა თხას, — რას აცანცარებ მაგ წვერსა! გოგია რომ მოვა და თითო-თითოდ რომ დაგაგლეჯავს, მაშინ რაღას იზამ?

ასე აყბედდა და ალაპარაკდა იმ დღეს პავლე.

რამდენიმე დღის შემდეგ ნიკასგან შემოთვლილი ამბავი მიიღო — სამშაბათს სალამოზე უეჭველად იფნიანში ვიქნებითო. პავლე შვილების დასახვედრად მოემზადა: ნადირი მოჰკლა, სამწვადე დაამზადა, ხმიადი გამოაცხო, გასარეცხი გარეცხა და სახლი მიაღაგ-მოალაგა, თან ყველას ატყობინებდა და ემუქრებოდა — ბოლრიას, ყურშას, დათვებს, კაჭკაჭს, ლაბას, შვინდას და ცანცარა თხას:

— გოგია და ნიკა დღეს მოდიან... დაიცადეთ... მოიცადეთ... ისინი ამოვლენ თქვენს ოხტში...

## V

სამშაბათს ნიკამ გოგია სადგურზე ამოიყვანა. ნაცნობ მეურმეს შეხვდა. წავიდნენ. ერთი ხარი კოჭლობდა, ამიტომ ნელა იარეს. სოფელში რომ ამოვიდნენ, უკვე შებინდდა. ღვდელმა, სვიმონამ და ნასყიდამ ნიკას ურჩიეს, ამაღამ სოფელში დარჩიო, მაგრამ ნიკამ წასვლა დაიჟინა, რადგან იცოდა, რომ პავლე იმ ღამეს არ მოისვენებდა, რაკი შვილების მოლოდინში იყო. სანამ ნიკამ და გოგიამ ლობიოს შეჭამანდი შეჭამეს, დაბნელდა კიდეც.

ორივენი პავლეს შვილები იყვნენ, ტყეს და ღამეს ნაჩვევნი, ამიტომ სიბნელეს არ მოერიდნენ. ნიკამ გოგია ზურგზე აიკიდა და გზას გაუდგა. გასცდა პეტრეს ვენახს, გვერდი აუხვია რიყეს და ეკლესიასთან გავიდა. გალავანს რომ აჰყვა, უცებ რაღაც ბლუილი მოესმა. იმავე წუთს ნიკას მკერდში მძლავრად შავი რამ დაეტაკა. ნიკას თვალებიდან ცეცხლი წამოსცივდა, თავბრუ დაეხვია, ნატორტმანდა, ნაიქცა, გული შეუღონდა, სული შეუგუბდა და გონება დაჰკარგა.

თავზარდაცემული გოგია წამოხტა, შავს რასმეს გაუსხლტა და სიბნელეში თავდაღმა დაეშვა, თან ყვიროდა:

— მამილო, მიშველე!.. მამილო!.. მამილო!..

უცებ მისი ხმაც შესწყდა.

ეკლესიის დარაჯს მათეს და იმის ცოლს ყრუდ მოესმათ ბავშვის ყვირილი. ერთმანეთს გადახედეს. მერე მათე გარეთ გამოვიდა.

— რომელი ხარ?.. ვინა ყვირის მანდა?..

რაკი პასუხი არ მიიღო, ჯოხი აიღო და ეკლესიას შემოუარა. იქ რომ ვერავინ ნახა, ეზოდან გამოვიდა და გალავანს ჩაუარა. თან ნელის ხმით ყვიროდა:

— რომელი ხარ?.. ვინა ხარ?..

სიბნელეში შავს რასმეს წააწყდა.

— რომელი ხარ მეთქი?

პასუხი არავინ მისცა.

— ჯვარი აქაურობას... ქვა ეშმაკსა! — ნაიბუტბუტა მათემ, პირჯვარი გადინერა და უფრო ახლო მივიდა. მინაზე გაშხლართულ კაცს წაადგა. ხელი წაავლო, თან ანჯღრევდა და ეკითხებოდა:

— კაცო, რომელი ხარ? გესმის, ხმა ამოიღე!

მთვრალი ეგონა, ამიტომ წაიჩოქა და პირსახეზე დასუნა. მერე მღვდელთან გაიქცა. ათიოდე კაცი შეიკრიბა. გულწასული ნიკა ასწიეს და ღვდლის სახლში შეიტანეს. მხოლოდ იქ იცნეს ნიკა. გოგიაც მოაგონდათ. ახალგაზრდები მის საძებნელად გაიქცნენ, მეზობლებს ეკითხებოდნენ:

— პავლეს ბიჭი გოგია ხომ არ გინახავთ?

ეკლესიის მიდამოები, ბალები და ხევ-ხუევი შემოიბრინეს. შუალამემდის ხან აქედან, ხან იქიდან ისმოდა მათი ყვირილი:

— ბიჭო, გოგია! ბიჭო გოგია!

გოგია თითქო მინამ ჩაყლაპა. მას აქეთ, რაც ნიკა და გოგია სოფელს გასცდნენ, არც ერთი და არც მეორე არავის უნახავს. მათე მეთავერ უამბობდა ყველას:

— მე და ჩემმა დედაკაცმა ჩვენი ყურით გავიგონეთ, რამდენჯერმე დაიძახა: „მამილო, მიშველეო“. სხვა იმის მეტი ეკლესიასთან იმ დროს ვინ იქნებოდა?

მღვდელმა გულწასულ ნიკას გულისპირი გაუხსნა და მკერდი გაელეღა. შეკრთა, შეფიქრიანდა, ენაზე იკბინა, თითქო რაღაცას მიაგნო, რაღაც ენიშნაო; მერე ღილები საჩქაროდ ისევ შეუკრა.

ნიკას ზედ მკერდზე, ძუძუებთან, ორი დალურჯებული და დასისხლიანებული დალი ჰქონდა.

— ალბათ მკერდი ქვეს დაჰკრა. — თქვა ერთმა.

— ეგრე თუ იქნება. თუმცა ეგრე მაგრა როგორ დაჰკრა, რომ ასე ჩაიმტვრია მკერდი. — დაუმატა მეორემ.

მღვდელი სდუმდა.

ტყეში მიმავალი გლეხი იპოვნეს და იმის პირით დაიბარეს პავლე, ხოლო მეხრეებს და სხვებსაც სთხოვეს, რომ დილიდანვე კარგად მოეძებნათ დაკარგული გოგია.

მეორე დღეს ერთი გლეხი ავიდა იფნიანში და უთხრა პავლეს:

— ი, შენს შვილებს რალაც დაემართათ. ჩადი, დახედე.

პავლე ისედაც არეულ-დაღონებული იყო, რადგან წინა ღამეს შვილების მოლოდინში იყო და დილამდის თვალი არ დაუხუჭია. გველნაკბენივით წამოხტა. ენა დაება, ელდა ეცა. ძლივს წაილულლულა:

— რა... რა დაემართათ... რომელს?

პასუხი რომ მიიღო, სახლი არც კი დაჰკეტა, თოფი ზურგზე გადაიგდო და ჩქარის ნაბიჯით, ძუნძულით დაეშვა ქვეით. თითქმის მირბოდა, თან ბუტბუტებდა:

— ვაიმე... ვაიმე, შვილებო... ვაი, ჩემო თავო...

შუადღემ მოატანა, პავლე რომ სოფელში ჩამოვარდა. ნიკა ის იყო გონს მოვიდა. პავლე ღვდელს და ნიკას დაეტაკა:

— რა იყო?.. რა მოხდა?.. გოგია სად არის?

ნიკამ ნაწყვეტ-ნაწყვეტად უამბო ყველაფერი. მერე მკერდი გადიღელა და დასიე-ბულ-დალურჯებული გული უჩვენა.

— გოგია სად არის, გოგია? — ისევ წამოიხრიალა პავლემ.

— გოგია მთელი ღამე ვეძებეთ, — უპასუხა მღვდელმა. ეხლაც ათიოდე ბიჭი დარბის. ყველაფერი გადავებრუნეთ: ვენახები, ბალები, ჭალები და ხეები.

— ვაიმე, შვილო! — წამოიძახა პავლემ და გარეთ გავარდა. მათეც გაჰყვა.

მათე ძლის მისდევდა. იმ ადგილს რომ მივიდნენ, საცა ნიკა იპოვნეს, მათემ ყველაფერი დაწვრილებით უამბო, ბოლოს, დაბალი ხმით დაუმატა:

— მღვდელს ერთი გიჟი ბულა ჰყავს. ვერც ნახირში უშვებს, ვერც სოფელში. კინალამ დახოცა ჩვენი ბავშვები და დედაკაცები. ამას წინათ მღვდლის მოჯამაგირეს — თედოს გულმუცელი ჩაუნგრია. ი ბულას ამ გალავანში შეაგდებს ხოლმე და დალამებამდის აქა ჰყავს. ალბათ ი ვერანა თუ დაეტაკა სიბნელეში ნიკას. ეხლაც აქ არის.

ეკლესიის ეზოში შეიხედეს. იქ შავი ბულა იდგა თოკით დაბმული. პავლე და მათე რომ დაინახა, ჯერ თვალეები გაუშტერა, მერე თავი დალუნა, წინა ფეხებით მიწას ბრდღვინვა დაუნყო, თან ჰბლუოდა და იმათკენ იწევდა.

პავლე გამობრუნდა და სირბილით ქვემოთ დაეშვა.

— კაცო, სად მიხვალ? — მიაძახა მათემ. — მთელი სოფელი იმას დაეძებს, შენ რას გაუხდები?

პავლემ არც კი მოიხედა.

შუალამემდის ხან ქვემო-ჭალიდან, ხან გაღმა-ჭალიდან, ხან ჭილათხევიდან, ხან ვენახებიდან პავლეს ხრინწიანი ხმა ისმოდა:

— შვილო, გოგია-ა-ა! ბიჭო გოგია-ა! სადა ხარ, გოგია-ა-ა!

შუალამე რომ გადავიდა, ნასყიდა და სვიმონა პავლეს არხის თავზე წაენივნენ და თითქმის ძალით ჩამოიყვანეს. თვალეებში აზრი აღარ ჰქონდა, თითქო აღარავის სცნობდა; ხმას აღარ იღებდა, თრთოდა და ძაგძაგებდა. მხოლოდ რიყრაყზე მილულა თვალი. დილით ისევ წამოხტა და ისევ ჭალებსკენ დაეშვა. სოფელში ან მინდორში ვისაც დაინახავდა, მიაძახებდა:

— ჩემი გოგია არ გინახავს? — და ისევ მირბოდა.

შუადღემ რომ მოატანა, მიხა ნარიკაშვილმა მღვდელს გადმოსძახა:

— იპოვნეს! გოგია იპოვნეს!

ეს ამბავი უკვე მოსდებოდა სოფელს. ყველანი — დედაკაცები, მამაკაცები, დიდი და პატარა — ეკლესიისკენ გარბოდნენ.

ეკლესიის გვერდით, გზის გადაღმა ქვრივ დედაკაცს თინას ერთი ნაჭერი მიწა ჰქონდა — ძველი ნავენახარი, უღობო და უპატრონო. იმ ნავენახარში ერთი დანგრეული სანახელი იდგა; სანახლის გვერდით ქვევრი იდგა, მუდმივ სავსე ნანვიმარით და ბაყაყებით. მათე იმ დღეს იმ ნავენახარს და ჯაგნარს დასტრიალებდა. ბოლოს ქვევრშიც ჩაიხედა, აყროლებულ წყალში რალაც საეჭვო რამ შენიშნა. სარი მოიტანა და წყალში მიურ-მოურია. ბავშვის თავი ამოტივტივდა. მათეს კინალამ გულს შემოეყარა.

გასიებული და ტალახში ამოსვრილი გოგია წყლიდან ამოელოთ და ქვევრის პირზე დაედოთ. გარშემო ხალხი ეხვეოდა. აქეთ-იქიდან ვაი-ვუი, კვნესა და ოხვრა ისმოდა:

— ნეტავი დედაშენს, შვილო, რომ შენ არა გხედავს. — ნუნუნებდა ერთი.

— ვაი მამა შენს, შე უბედურო, შენა! — კვნესოდა მეორე.

— ეს უბედურება აკლდა რალა, იმ სანყალს იმას! — ოხრავდა მესამე.

— პავლეს შეატყობინეთ ვინმემ, თორემ ჭალებიდან ამალამაც არ დაბრუნდება.

მიხამ ითავა პავლეს მოძებნა და ჭალებისკენ დაეშვა. გოგიას გვამი ფარდაგში გაახვიეს და ღვდლის სახლში წაიღეს. მღვდელი გულში ჰგრძნობდა უნებურ დანაშაულს, ამიტომ იკისრა მკვდრის მოვლა-პატრონობა.

სანამ პავლე მოვიდოდა, გოგიას გვამი გააბანეს, შეჰმოსეს, შუა ოთახში დაასვენეს და სანთლები აუნთეს.

ნიკამ რომ მკვდარი ძმა დაინახა, კლაკვნით და გრეხვით წამოდგა ტახტიდან, კარგა ხანს დასცქეროდა ძმას, მერე თავში ხელები წაიშინა, ატირდა და სხვებიც აატირა. ძმას თავთ მოუჯდა, განუწყვეტილ პირსახეში ჩასცქეროდა და თავზე ხელს უსვამდა.

პავლე დაჭრილი დათვივით შემოგორდა ოთახში; ცხედრის წინ გაშეშდა, მერე უზარმაზარი ხელების ქნევა დაიწყო, თითქო ფრინველს აფრთხობდა, და ჩახლერილის ხმით წამოიხროლა:

— ჰა, გოგია, გიპოვნეს, განა? ჰა, ბიჭო, ქვევრიდან ამოგიღეს, განა?.. ესეც ხომ გავათავეთ!.. მოვრჩით და გავათავეთ!.. ესეც ღმერთმა მომცა და ისევ ღმერთმა წამართვა, განა!..

დიდხანს იქნია მორგვის ხელები, იყვირა და იბოდა. მერე უცებ გაჩუმდა, მოეშვა, მოლბა და ბავშვური სევდით და მწუხარებით დააცქერდა გოგიას.

მღვდელმა ხელი წაავლო და ტახტისკენ წაიყვანა. არ გაუძალიანდა, ჩამოჯდა, თავი მკერდზე ჩამოიგდო, თითქო კისრის ძარღვი გაუწყდა, მკლავები თოკებივით ჩამოყარა და ამღვრეული თვალები თავის ფეხებს გაუშტერა.

პავლე მთელი ღამე გაშეშებული და გარინდებული იჯდა, მხოლოდ დროგამოშვებით საბერველივით ჰქშინავდა, ხელებს არწივის ფრთებივით იქნევდა და დათვივით ბურტყუნებდა. ნიკა ახველებდა, კვნესოდა და სისხლს ალებინებდა.

იმ ღამეს პატარა კუბო შეჰკრეს, დილით გაღავანში პატარა საფლავი ამოთხარეს.

შუადღეზე ცხედარი გაასვენეს, წესი აუგეს და საფლავში ჩაასვენეს. ნიკა ფეხზე ვერ იდგა, ამიტომ ნასყიდა და მიხა ილღიებში შეუსხდნენ. მთელს სოფელს იქ მოეყარა თავი. პავლე არ სტიროდა, მხოლოდ ძაგძაგებდა, თრთოდა და ამღვრეულ თვალებს კუბოს არ აშორებდა.

საფლავი რომ ამოავსეს, პავლემ მარჯვნივ გაიხედა. ოდნავ შეკრთა, გაშეშდა, გახმა; პირსახეზე სიმტკიცე, სიმკაცრე და უსაზღვრო მძულვარება აღებეჭდა. კარგა ხანს ჩაცივებით და დაჟინებით ერთ წერტილს გასცქეროდა და მას თვალს არ აშორებდა. სხვებმაც პავლეს თვალს თვალი გააყოლეს.



გალავნის მეორე კუთხეში რკინის ძეგლივით იდგა შავი, მოზრდილი ბულა. ისიც ჩაცვივით პავლეს მისჩერებოდა. პავლეს პირსახე დაეღმიჭა, ზედ რალაც უცნაურმა ღიმილმა გადაურბინა. მიიხედ-მოიხედა. ხუთიოდე ნაბიჯზე იასაული იდგა. პავლე მგელივით მივარდა იმ იასაულს, ზურგზე გადაგდებული თოფი ჩამოჰგლიჯა, ხალხის ჯგუფიდან გავარდა და თოფი უმალ ბუღას დაუმიზნა.

— პავლე, რას ჰშვრები! პავლე, გონს მოდი!.. კაცო, რა დაგემართა! — მიაძახეს აქეთ-იქიდან.

იმავ წუთს თოფმა იგრიალა.

თედო ბირთველაშვილმა თოფს ხელი აჰკრა. ტყვიამ კედელს მტვერი ააყრევინა. ბულამ ხიფათი იგრძნო. შეკრთა, შეინძრა, მერე კუდი გაიფშკა, თავი ჩალუნა;

ნინა ფეხებით მიწას ბრდღვინვიდა, ბულრაობდა, ჰღმუოდა და ჰბლუოდა, თან თვალებიდან ცეცხლს აფრქვევდა და ისევ პავლეს გამოსცქეროდა.

პავლე მოტრიალდა, თედოს ხელი ჰკრა, თოფში მერე პატრონა უნდა ჩაეგდო, მაგრამ იასაული გაუძალიანდა.

თოფი მაშინვე მიწაზე დააგდო და ადლიანი ხანჯალი იშიშვლა, თან ხალხს მიაძახა:

— ხელი! ხელი არავინ მახლოს, თორემ ვაი იმის ბრალი!.. დედას ვუტირებ, დედასა!

ხალხი უმალ გაიფანტა. დედაკაცები და ბავშვები კვიცილ-ჟივილით გაცვივდნენ გალავნიდან, მოზრდილები ეკლესიის და გალავნის კედლებს აეკვრნენ.

ყველანი კარგად იცნობდნენ პავლეს, ამიტომ ყველანი გაჩუმდნენ და გულისფანცქალით, შიშით და ძრწოლით ადევნებდნენ თვალყურს გაგიჟებულ ბუღასი და გამხეცვებულ ადამიანის ბრძოლას.

პავლემ ჩოხის კალთები აიკრიფა, მორგვის მკლავები დაიმკლავა, წელში ორად მოიხარა, ბუღას თვალში თვალი გაუყარა და წელის, ფრთხილის ნაბიჯით გაემართა იმისკენ, თან დათვივით ბურდყუნებდა:

— გოგიას ზედ უნდა დაგაკლა... ზედ უნდა დაგაკლა... დედას გიტირებ... დედას გიტირებ...

— მამა! მამილო! — უძახდა გაფითრებული ნიკა.

— დაიცა... დამაცა... დამაცა...

ბულამ თავი გაიქნია და თოკი ისე ადვილად აიგლიჯა, თითქო ძაფი განწყვიტაო. მერე თვითონაც წამოვიდა პავლესკენ ჯერ წელის ნაბიჯით, მერე თავჩალუნული და დაოთხებული გამოექანა. პავლე გაჩერდა, გაშეშდა, მოიკუზა და მოიღუნა; ბულა ზედ მიახტა პავლეს. ხალხში კვიცილი გაისმა. იმავ წუთს პავლე გვერდზე გასხლტა. ჰაერში ფოლადმა გაიელვა და ბუღას კისერზე გაიჩახუნა. ბულა ჰაერს დაეტაკა, მიწას მტვერი აადინა, წინ გამოსტა, მერე უკანვე მიტრიალდა, გაჩერდა და თავის ქნევა დაინყო. ბუღას ნინა ფეხებთან მიწა მუქი სისხლით შეიღებდა. პავლე იმავ ფრთხილი ნაბიჯით ათიოდე ნაბიჯზე მიუახლოვდა გაშტერებულ ბუღას, მერე თოკის ყურს დასწვდა, მარცხენა მარჯაზე დაიხვია, ბუღას გარს შემოუარა და იგი ისევ გოგიას საფლავისკენ მიატრიალა. ბულამ ჯერ უკან დაიხია, თან პავლე დაითრია, მერე ხელმეორედ გაექანა. ისევ გაისმა კვიცილი და ყვირილი. ბულა ისევ ჰაერს დაეტაკა, პავლე ისევ რქებთან გაუსხლტა მას და სწორედ იმ დროს, როცა ბულა მოტრიალდა, ხანჯალი ტარამდის ფაშვებში მისცა. ბულამ გულსაკლავად დაიბლავლა, და ამ ბლავილში მოისმა ადამიანური კილო სასონარკვეთილების, უიმედობის, ხვეწნა-მუდარისა და თავის შებრალებისა. პავლემ რომ ეს ბლავილი გაიგო, სიხარულის ყიჟინა დასცა, თან დაიბლავლა და გაშმაგდა, განადირდა, გამხეცდა: ხანჯალს ორივე ხელით ბუღას მუცელში უტრიალებდა და ბურტყუნებდა:

— ესეც შენა!.. ესეც... ესეც...



მაგრამ ნაადრევი იყო მისი გამარჯვების ყიჟინა. ბულა უცებ ისევ მიუტრიალდა და გამოუდგა, თან გამოყრილ ნაწლებებს მიათრევდა. პავლე ხალხისკენ მირბოდა, მერე უცებ ისევ მობრუნდა. სწორედ გოგიას საფლავზე შეხვდნენ და დაეტაკნენ ერთმანეთს კიდევ ერთხელ და უკანასკნელად: ერთსა და იმავე დროს პავლემ ბულას ყელში ხანჯალი გაუყარა, ხოლო ბულამ პავლე რქებით თავზე აიგდო.

ერთი წუთის შემდეგ ორივენი გოგიას საფლავზე ეყარნენ: ერთი უსულო, ყელში ხანჯალ გაყრილი, ხოლო მეორე — მკერდჩანგრეული და გულწასული.

## VI

ორი კვირის შემდეგ ხელი-ხელ გადახვეულნი მამა-შვილი ბარბაცით და ზღაზვნით იფნიანში ავიდნენ. მალე ქვემოდან გლეხები ამოვიდნენ და ისევ გადახნეს, დასთესეს და დაფარცხეს ტაფური. ტყის ჰაერმა პავლე მალე გამოაცოცხლა, ხოლო ნიკას მაინც არაფერი ეშველა: ისევ ახველებდა, ყელიდან სისხლს ანთხევდა და დღითი დღე დნებოდა და ილეოდა.

ქვეით, სოფელში ნიკა ექიმს აჩვენეს. ექიმმა უიმედოდ ჩაიქნია ხელი. შორიდან მეორე ექიმი მოიყვანეს — უსწავლელი, მაგრამ განთქმული. იმანაც ვერაფერი უშველა, მხოლოდ ურჩია — ისევ ტყეში აიყვანეთ, წამალს ნუ მისცემთ, თუ მოარჩენს რამე, ისევ კარგი ჭამა-სმა და ტყის ჰაერით.

პავლე მარტო რომ ვერ გასწვდა საქმეს და ავადმყოფის მოვლას, ოცი წლის დათა ვარდუაშვილი აიყვანა მოჯამაგირედ. დილით ნიკას მუხების ან ცაცხვების ქვეშ გაიყვანდნენ და ჩრდილში დაანვენდნენ, საღამოზე ისევ სახლში შეიყვანდნენ. მოჯამაგირეს გომურში ეძინა. მარტონი რომ დარჩებოდნენ, პავლე ნიკას მიუჯდებოდა, ჭრაქს ახლო მიიდგამდა და დიდხანს ჩუმად ჩასცქეროდა მილეულ პირსახეში, მერე მეთავეჯერ ჰკითხავდა:

— ერთი მითხარი, ნიკაჯან, ი ოხერი მოზვერი როგორ დაგეტაკა?

ნიკაც მეთავეჯერ უამბობდა.

— შენ რომ გული წაგივიდა, გოგია სოფლისკენ გაქცეულა, არა?.. თურმე ყვიროდა, მამილო, მიშველეო. ი სიბნელეში ქვევრი ვერ დაუნახავს და ჩავარდნილა. ოოჰ, დედიშენის ღმერთსა, პავლე! სად იყავი მაშინ?

ნიკა ეხვეწებოდა პავლეს, გოგიას ნულარ იგონებ, ნუ დამტანჯეო, მაგრამ პავლე არ სცხრებოდა, მუდმივ გოგიაზე, ბულაზე და ნიკას ჩანგრეულ მკერდზე ფიქრობდა, ლაპარაკობდა, რიჟრამდის ჰგმინავდა, ოხრავდა და ჰქმენდა.

პავლეს გაუგებარი ჩვეულებანი დასჩემდა. უცნაური რამ ემართებოდა: მესხიერება ძალიან დაუჩლუნგდა, საქონლის და ძაღლების სახელებს ერთმანეთში ურევდა; ტყის ჩამოვლას სულ თავი მიანება. ხანდახან ყელში რალაც მოაწვებოდა, ახრჩობდა; თავის ტკივილს სჩიოდა, ხშირად გოგია ელანდებოდა და მასთან ლაპარაკს გააბამდა ხოლმე:

— ბიჭო გოგიავ, აქამდის სად იყავი? რატომ შენი ამბავი არ შემატყობინე, ჰა?

ზოგჯერ გოგიას ძველს ტანისამოსს, ქუდს და ფეხსაცმელს გასტენავდა ბალახით, იქ მიაწვენდა, საცა გოგია იწვა ხოლმე, და სიბნელეში გაუგებარს რასმეს და არეულ-დარეულს ეჩურჩულებოდა. ბოლოს ნიკამ ეს ტანისამოსი გადაამალა.

მუშაობასაც თანდათან გადაეჩვია. ბარზე ან თოხზე დაეყრდნობოდა და იქამდის ჩასცქეროდა ერთ წერტილს, სანამ ვინმე გამოაფხიზლებდა. აღარც პირსახეს იბანდა, არც თმას და წვერ-ულვაშს ივარცხნიდა.

ერთხელ თავის მოზვერს ამღვრეული თვალებით ჩააცქერდა, მერე ამოღებული ხანჯლით იმისკენ გაექანა.

— მამა, რას შვრები? რა მოგდის, რა გემართება? — მიაძახა ნიკამ, რომელიც ამ დროს ჩრდილში იწვა და პავლეს თვალს ადევნებდა.

მოზვერი გაიქცა. პავლემ ნიკას ხმა რომ გაიგო, გაჩერდა, თვალეები მოიფშვნიტა, და შერცხვენილი ბუტბუტით გაბრუნდა:

— დასწყევლა ღმერთმა, ეს რა მემართება?..

მეორეჯერ პავლემ ჯერ დიდხანს უთვალთვალა თავის მოჯამაგირე დათას, რომელიც რძეს ადულებდა, მერე ქურდის ნაბიჯით მიეპარა და ორივე ხელით კისერში ეცა, თან ჰლმუოდა და ხრიალებდა. ნიკამ დათა ძლივს გაავადებინა ხელიდან. იმ დღიდან დათა პავლეს ზურგს აღარ უჩვენებდა, მუდმივ მას თვალყურს ადევნებდა და იფნიანიდან თავის გარიდებას ჰფიქრობდა.

ერთ საღამოს ნიკა ძალიან ცუდად გახდა. ბევრი სისხლი წამოანთხია და მეტის მეტად მისუსტდა. ხელს ველარ ანძრევდა, თვალეები ჩაუშავდა და ჩაუცვივდა, ცხვირი დაუნვრილდა და გაუთხელდა, ყბები ჩაუვარდა და ენა დაეხა.

თვალ-ამღვრეული, აბურძგნილი და აშლილი პავლე ოთახში მგელივით ტრიალებდა, ბოძს თავს ახლიდა, წამდაუნუნ ნიკას მიუჯდებოდა, ანჯღრევდა და ეკითხებოდა:

— ბიჭო, ნიკა, რა მოგდის?.. ბიჭო, ერთი ხმა გამე რალა!.. ნიკა!.. ნიკაჯან!..

ბნელი, თბილი და წყნარი ღამე იყო. ტყე ოდნავ ფუსფუსებდა. შორს ხევში ჭოტი გაჰკიოდა, დაბლა, კიბისქვეშ დათვეები ბურტყუნებდნენ, ძაღლები იღრინებოდნენ.

ერთი ოლოლა მეორეს გადასძახოდა: „იპოვე-ე-ე?“ მეორე შორით უპასუხებდა: „ვე-რა, ვერა-ა-ა“.

სულგანაბულმა პავლემ ყური მიუგდო ტყის ხმაურობას, ფრინველთა კვილს, ძაღლების ღრენას, დათვეების ბურტყუნს და თითქო იმათ ხმაურობაში მას რალაცა ნაცნობი, მშობლიური, სანატრელი ხმა მოეჩვენა და მოელანდა. წამოდგა და სმენად გადიქცა. უცებ იქვე, სახლის ჭერზე მიკიოტმა საზარლად დაიყვილა.

პავლე შეჰკრთა, აჟრჟოლდა და კარებს ეცა. მიკიოტის ყვილზე ძაღლებმა ღმუილი ასტეხეს, დათვებმა ხმა გაიკმინდეს, დათა ბუტბუტით გარეთ გამოვარდა:

— აი, ამონყვიტოს ღმერთმა შენი ჯიში!.. შენი თავი ამოჭამე, შენი თავი!..

ტყისკენ ფეხაკრეფით მიმავალი პავლე რომ დაინახა, გამოუდგა, ხელში ხელი წაავლო და ჰკითხა:

— სად მიხვალ, პავლე?

პავლემ დათას არც კი შეჰხედა, ხელი გაინთავისუფლა და ტყეში შეერია, თან ბურტყუნებდა:

— დაიცა... დამაცა... მოვალ, ეხლავე მოვალ...

ხუთიოდე წუთის შემდეგ ქვეით, ხევში პავლეს მძლავრი და ჩახლეჩილი ღმუილი გაისმა:

— ბიჭო, გოგია-ა! ბიჭო, გოგია-ა-ა!

მამის ხმა ნიკასაც ჩასწვდა ყურში. თვალეები გაახილა, თავი წამოიწია და სმენად გადაიქცა. ხევიდან ისევ პავლეს ღმუილი მოისმა:

— ბიჭო, გოგია-ა! ბიჭო, ნიკა-ა!

მიკიოტმა ერთხელ კიდევ დაიყვილა და გაფრინდა. ძაღლებმა ისევ ყმუილი გააბეს, ხანგრძლივი და შესაზარი.

დათა დაფრთხა, შეშინდა, აილესა და აიბურძგნა. ისევ კიბეზე ავარდა:

— ნიკა!.. ნიკაჯან!

პასუხი რომ არ მიიღო, დაიხარა, ჩააცქერდა, მთროლოვარე ხელი შუბლზე დაადო.

ნიკა ცვიდებოდა.

დაფეთებული ისევ გამოვარდა, რახრახით კიბეზე დაეშვა და ისევ ხეების ჩრდილში შეერია.

პავლეს ღმუილი და ბურტყუნი ახლოვდებოდა. ბოლოს მისი ქშენაც მოისმა.

თავზარდაცემული დათა მოსხლტა და ცაცხვებისკენ გაიქცა, თან ბალახ-ბულახი ააშრილა, ბურქებში ლანა-ლუნი ასტეხა.

კუდამოძუებული, თავჩალუნული ძაღლებიც უკან დაედევნენ.

თვალამღვრეული, თმაგანწილი, წვერაშლილი პავლე ნიკას თავს ადგა, ძაგძაგებდა და ჩურჩულებდა:

— გძინავს, ბიჭო!.. გძინავს თუ... ბიჭო, ნიკა, ერთი ხმა გამე...

მერე დათას მუხების ქვეშ მოესმა დაჭრილი, მომაკვდავი მსხვილი ნადირის ღმუილი, — ხანგრძლივი, უიმედო და სასონარკვეთილი. იმ ღმუილს თან მოჰყვა იმავე ნადირის კვნესა, ბურტყუნი, ხრიალი და ყმუილი.

კარგა ხანი გავიდა. უცებ სიბნელეში ალის ენა ავარდა, — ჯერ ერთი, მერე ორი და ათი. ის ალი სწრაფად გაიზარდა, გაიშალა და მთელ სახლს მოედო.

ძაღლებმა კვლავ ყმუილი ასტეხეს. გომურთან საქონლის საცოდავი ბლავილი და დათვების ბლუვლი მოისმოდა.

ცამდის ავარდნილი ალი იმ ტაფურს და ტყის პირს დღესავით ანათებდა. ხმელ სახლს ჭახჭახი, ჭრიჭინი, ლანალუნი და ტკაცატკუცი გაჰქონდა.

უქუდო და განწილი პავლე სახლის გარშემო დარბოდა, გრძელ ხელებს ფრთებივით იქნევდა, მუხლებზე იცემდა და ყვიროდა:

— ბიჭო, გოგიავ! ბიჭო, ნიკა-ავ! მიშველეთ, ბიჭებო! სადა ხართ, შვილებო-ო-ო!

დათა ტყე-ტყე გომურს მიეპარა და, როცა პავლე სახლს მიეფარა, გომურის კარს ეცა და კარი დროზე გააღო. საქონელი კუდაყრილა გამოცვივდა და ბლავილით ტყეში მიიფანტ-მოიფანტა. დათვებმაც თავს უშველეს.

დათაც ტყეს შეერია და ქუდ-მოგლეჯილი სოფლისკენ დაეშვა. დაგეშილმა ბოლრიამ და ყურშამ დაფანტულ საქონელს ისევ თავი მოუყარეს და ერთგულ პატრონივით დარა-ჯად დაუდგნენ.

პავლე მეორე დღეს სოფელში ჩაიყვანეს...

დადის მას აქეთ კარ-და-კარ, ჭალებში, ვენახებში, ხევ-ხუევებში, — დაგლეჯილ-დაფ-ლეთილი, გაბურძგნული, ფეხშიშველი, უქუდო და ჭუჭყისგან შექმული. დადის და ვისაც დაინახავს, ზედ მივარდება და ჩახლეჩილი ხმით მიაძახებს:

— ჩემი ბიჭები ხომ არ გინახავს?

ზოგი მარცხნივ მიუთითებს, ზოგი — მარჯვნივ.

პავლეს ხან აქეთ გარბის, ხან იქით, და დღე და ღამ ეძებს თავის შვილებს.

ზოგჯერ ღამის მეხრეებს ფეხაკრეფით თავს წაადგება, ან დაგვიანებულ მგზავრს გზას გადაუღობავს, ან ვინმე გლენს ეზოში მიუვარდება, ლანდივით თვალწინ აეტუზება და პირში მიახლის:

— ჩემი ბიჭები ხომ არსად გინახავს?

ხოლო ზოგჯერ, როცა დაღამდება და ყველაფერი ძილში შევა, ხან გაღმა ქალიდან, ხან ზემო ქალიდან, ხან ქილანთ ხევიდან, ან რომელიმე ვენახიდან სოფელს მგლის ღმუ-ილივით მოსწვდება ხოლმე პავლეს იუმედო, სასონარკვეთილი და სევდიანი მონოდება:

— ბიჭო ნიკა-ა-ა! ბიჭო გოგია-ა-ა!

*მიხეილ ადამაშვილი*

*დეკემბერი, 1924*

## სივრცეები

ცას ვეუბნები:  
სახეს ნუ მიცვლი —  
აქ სამარეა.  
მე ეხლა არ ვარ დაშლილი ნისლი,  
ეხლა ქარი ვარ!

ქარი ვარ მძაფრი, ფრთათა შრიალს  
ვესერი მზის თვალებს,  
და მიხარია, როს გაშლიან  
ელვები ალებს,

როს სივრცეები ცეცხლის გველად  
დაიტრიალებს.  
და მე მივფრინავ უზოგველად,  
როგორც ხრიალი.

მოჩვენებები დაფეთებით  
ჩემთან წივიან,  
და მენამული ნაფლეთები  
თავს დამცვივიან.

ვარ უეცარი განათებით  
შუქთან მისული,  
ქვევით მიწაა განათელი  
და დანისლული.

სიმაღლეები თეთრი ბოლის  
მახვევენ რკალებს,  
და მე მივყვები ჩვეულ თრთოლას  
და სიკანკალებს.

მშვიდობით მიწავ — ბედის ჰუნე,  
დღის გადარევა!  
ხმები აუშვი მოგუგუნე,  
ეხლა ქარი ვარ!

*ხარიტონ ვარდოშვილი*

## რიჭრაჟები

მე — რიჭრაჟების ცეცხლთა აღმურით სულდაგებული  
ამოველ მაღლა და სივრცეებით გადაბუგულით  
ისევ შენ გიხმობ, იდუმალებით სავსე ნათელი: —  
ბურუსი მწვავე, დამდგარი მტვერად, გადმოარღვიე,  
რომ ავაფეთქოთ ჩვენ ზღუდეები და გადავთელით  
მიჯნა მაღალი, მძიმე წამების ალს რომ აღვივებს...

გადავწვით ყველა ზღვის ხომალდები... ყოფილ კუნძულებს  
არ ძალუძსთ შეველა, და აღარც ველტვით განვლილ ნაპირებს, —  
საგოდებელად დარჩათ უძლურებს —  
ჩვენ რომ ბრძოლებით მიდამოები გადავინადირეთ...

ვიყავით მთვრალი ახალი ღმერთის აელვარებით,  
და შენი შუქი ქარტახილების იყო მშვენება.  
ჩამოვანგრიეთ მრავალ ღამეებს ჯადო-კარები, —  
და უბსკრულეებზე გადაჭენება  
ანყვეტილ რამით —  
ნისლში და ქარში,  
სისხლი და ალი რომ ენთებოდა წითელ ენებად, —  
მარად წინ სრბოლით შელალადებდა სხვა გათენებას...

და მე — პოეტი,  
ბრწყინვალე რწმენის სხივით მოსილი  
აბობოქრებულ მძვინვარე ბრბოში მუდამ ვპოვებდი —  
რომ იყო ერთხელ ქრისტი მართალი და ქედმოხრილი...

აორთქლდა ლოცვა  
და განიავდა ზმანება ნაზი,  
მინის წიაღში წარღვნათა ცეცხლის ზვავი ჩამონვა  
და ამოივსო იგი მსხვერპლების სისხლიან ბრაზით...  
და ამ ქაოსში, შემორკალული  
ბნელ ნაპრალების გაუალობით,  
გაჰქრა ოცნება და სიბრალული...  
და სინამდვილის თვალეზ-ამღვრეულ იდუმალობით  
სულ-გადამწვარი,  
მე გადავეშვი ცხელ რიჭრაჟების სისხლიან თქეშში,  
და აფერფლებულ ძვალთა ნაცარით  
(სვავსა და ყორნებს რომ აღარ დარჩათ საკორტნად ლეში),  
გადამენისლა შავად მე მზერა...  
და ჯოჯოხეთის ახალ იერით  
მიჰქრის დღეები მენამულ ჩქერად —  
რაც არ უხილავს წამების პოეტს — ალიგიერის!..

აქ თავისქალებს მეოცნებეთა ლოკავდა ძაღლი...  
 ახალი ღმერთის ძიებით დაღლილს  
 ნთქავდა თხრილები  
 და ეხვევოდა ხარბად მლილები...

ეს ეშაფოტი ცოდვილი რწმენით ნაჭედი არის.  
 ბნელ ღამეებში ელვები ჰპირავს...  
 ვინ იცის, რამდენ მსხვერპლებს შესწირავს,  
 რომ მიაღწევდეს ალთქმულ მანძილებს დაჭრილი მგზავრი...

მეტად ხსნა მაინც არ გვიწერია:  
 დღეების მწვავე ფერისცვალება  
 ნისლია მხოლოდ და ნამქერია  
 აზღვავებული მძლე გრიგალებად.  
 უნდა გაირღვეს ცეცხლის ფარდები,  
 და დედამინის ახალ რუქაზე,  
 უცხო ელვებით განაშუქარზე,  
 ზეცის კალთებით  
 დაეშვას მადლი და ნეტარება,  
 რომ გაჰქრეს ჯანლი ცად აღმართული უღვთო კარებად!

ჰოი, შორეულო! ამ რიჟრაჟების ცოდვილი შვილი,  
 თუ ვერ დაგვცალდა ნაპირზე მისვლა,  
 შენსკენ ოცნებით გადმოფრენილი და გულ-დაჭრილი  
 მოგელანდები სისხლიან ნისლად!

*სოლომონ თავაძე*

## ეგზოტიური ნატეხები

ყავა. ქებაბი და ბანანები.  
 აღმოსავლეთი სურვილს აბასრებს.  
 ვარდის სურნელში გავებანები  
 და მზეს ჩოხიდან ჩამოვხსნი მასრებს.

მე შენს თვალებში ღამე ჩავლურსმე.  
 დაოკდა გული ზღვისფერ ქაფებზე.  
 შუალამემდე ღიმილით უსმენ  
 შენს განმარტებას თეჯლისს — გაფებზე!

მაღალი შუბლი და ქერა თმები.  
 სევდა სამფერი. თავდავინწყება.  
 მოგზაურობა. კუპე. ატმები —  
 მე არაფერი დამავინწყდება.

*მარიჯან*



## ნომბრის ქარში

აიწყვეტს ალვირს ნომბრის ქარი,  
აჭიხვინდება ვერაზე ჟინით,  
შეიბერტყს ფაფარს ხიდზე სიჩქარით  
და დიდუბეში გამართავს ჯირითს.

აქვითინდება ხეივანთ ჯარი,  
ქუჩა ფოთლებით დაიფარება,  
ჩამწვდება გულში ბუნების ზარი  
და, როგორც სარკე, გაიბზარება.

მეწვევა ფიქრი სულის მძეძავი,  
თანვე მოიტანს სევდათა კოცონს,  
და ურცხვად, როგორც ქალი მეძავი,  
გადამეხვევა და გადამკოცნის.

და, რომ გავექცე ფიქრს მოძალადეს  
გავყვები ქუჩას, სახლებით გაკრულს,  
ხან მტკვარს ვეწვევი, ხან ნაძალადევს, —  
ხავერდის მკერდზე ბაია დაკრულს.

მომეგებება ნომბრის ქარი,  
კუდიანივით დატრიალდება,  
კორიანტელი ადგება ჩქარი  
და ყველაფერი გამტვრიანდება.

*ვარლამ რუხაძე*

## უკვდავება

ჯანღის ჯარები ებრძოდა ქარებს  
და მზე ვეფხივით ყალყზე დგებოდა:  
მე ავდიოდი მაღალ მწვერვალებს  
და სული ცეცხლში იძირებოდა.  
სიმღერა ჩემი სივრცეებს ნთქავდა  
და ნაკვალევი ჰლუნავდა ქედებს:  
მარადისობის ავხადე ფარდა  
და მზეებს იქით გადავიხედე  
და უკვდავება ვიხილე მაშინ —  
საკუთარ სულის მზის ამოსვლაში:  
ცეცხლის მახვილი გატყდა მინაში  
და გრიგალები ადგა ჯოგებათ —  
დაიმსხვრა ზეცა და ჩემს წინაშე  
მე ვნახე ღმერთის წამოჩოქება!..

*ს. ფაშალიშვილი*

## Vita Nuova

I

### ჩემში — ჩემს იქით

„უგვირგვინო ბალში დადის,  
გაცრეცილი როგორც ლანდი“.

ვინ არაკუნებს ამ ციხის კარებს?  
ან ვინ იძახის ძველ გმირთა გვარებს?  
ვინ მიხმობს გარედ? ვინ მობოროტებს?  
ქარი ხომ არ სტეხს ძველ მუხის ტოტებს?

— მსახურო ჩემო! არ გესმის? ადე!  
ნუ თუ დაგხურეს გრძნეულის ბადე?

რჩეულმა გმირმა გზა თუ არია,  
ან იქნებ უცხო მას გვირგვინს სტაცებს?  
მაშ ერთხმად ეს რა გლოვა-ზარია?  
ან რა აღელვებთ ჭალარა კაცებს?

იქნებ ანაზდად მტერი დაგვეცა?  
ალამი ჩვენი წმინდა დაკეცა?  
ჩემთან აფრინეს შიკრიკი თადე!  
— მსახურო ჩემო! არ გესმის? ადე!

იქ ვილაც ამტვრევს გაცრეცილ მინებს!  
ვერ გადმოუვა მოაჯრის რკინებს.  
უხმე თეთრ დარაჯს! ვილაც დამცინის,  
რომ მე ამ რიგად შემიპყრო შიშმა:  
ჩემში იმტყუნა რაინდის ჯიშმა!

ციხის კარებთან ვილაც სდგას შავად,  
სხვას არვის ენდო, ნახე შენ თავად:  
— მსახურო ჩემო: არ გესმის? ადე!

უცნობი ხელი ფარდას აბრუნებს,  
ჟრუანტელს მივლის, გრძნობას აბრუნებს.  
მსურს, დავუყვირო და ხმა მიწყდება.  
მსურს, რალაც ვკითხო, მსწრაფლ მაგინყდება!  
— მსახურო ჩემო! არ გესმის? ადე!  
ხომ არ დაგხურეს გრძნეულის ბადე?

ციხის კარებთან ჯერ არ ნახული  
შავის პირბადით სდგას დათალხული,

ჩემსკენ მოიწვდის ნაცრისფერ მკლავებს  
და თან ქვითინებს, ისველებს კავებს!  
ვინ არის იგი? ან რაზედ ჰგოდებს?  
კიდევ ჩემს გარდა ვის ალაშფოთებს?  
ჩემს ობოლ ბალში ქარი სტეხს ტოტებს,  
შავს ამბავს მოსთქვამს და მაბოროტებს!

II

## სიკვდილი სარკეში

შემომეჩრდილა თამბაქოს ბოლი!  
ჩემის სახის წინ გაავლო ზოლი!  
ამ დროს ოცნებამ ვერვინ მიჩვენა სხვა ჩემი ტოლი...  
ჩემს გონებაში სხვა და სხვა ხსოვნა მთლად ამერია.  
ბოლი კი თეთრად თავს დამტრიალებს, როგორც ფერია.

მსურდა, მეფიქრნა ან წარსულზე, ან მომავალზე...  
თვალი შეჩერდა უცნაურს რკალზე.  
მაღლა არ მიდის: ჩემ წინ გრძელდება...  
შეიკუმშება, ისევ თხელდება...  
შემდეგ სიფრთხილით შემომეხვია, შემომეხუნდა:  
თითქოს მოველი რალაც სასნაულს...  
გრძნეულსა ვისმე თუ რამა უნდა —  
მე რა შევიტყო ბოლის ნიშნებით?  
ეხ! ვიცი! მისებრ ვქრებით, ვიშლებით!

ვფიქრობ და ფიქრი მევე მლალატობს!  
სჯაჭვავს ერთსა და იმავე კალაპოტს?

ჩემ წინ სარკეში მე უნდა ვჩანდე,  
სულით თუნდ არა, მას სახით ვგავდე, —  
მაგრამ ჩემს ნაცვლად ბოლის რკალებში,  
თეთრი სიკვდილი სდგას ჩემს სარკეში  
და მიცქერს იგი მკვეთრად თვალებში,  
ჩემებრ თამბაქოს მძიმედ აბოლებს.  
ისიც ოცნებას თვის გულს აყოლებს.  
შევკრთი, რა ვნახე ის ჩემი სახე,  
წამოვდეგ, გული ზედ მივაჯახე.

ვგრძნობ: ჩვენ ერთმანეთს არას დავუთმობთ,  
ჩემს მოფიქრებულს იგი ასრულებს:  
მითხრა: შენი ვარ! მე შენს სარკეში  
გარდავქმნი ხოლმე ყრმებს და ასულებს!

*სანდრო შანშიაშვილი*

## უბედური რუსი

თავი მეორე

### დარბაზობა თამარისა

3.

ორი ახალგაზრდა რაინდი მიმდგარიყო ერთ ბუმბერაზ და ახოვან სვეტთან, რომლის კოზმიდიც სადღაც მალლა ილუპებოდა.

უცხოთ მოხრახნილ კოზმიდზედ დიდი თალის ბოლოები იყო ჯვარედინათ დაყრდნობილი და ეს სვეტიც ერთ-ერთ ბურჯად უდგა თავზე დანოლილ სიმაგრეს.

სვეტი სრულიად მოხატული იყო ქართველ ხელოვანთაგან.

მთავარ შუა ტანზე გამოსახული იყო თამარის მამის, გიორგი მესამის ერთ-ერთი ლაშქრობა.

მაგრამ ისე ხერხიანად იყო ნახატი შეთხზული, რომ ნაღებავი კი არ ეტყობოდა, გეგონათ თვით ქვები ბუმბერაზ სვეტისა გამოიტყოდა ამ ფერთა გარიგებულებას, ამ სიმწყაზრეს სურათოვნებისას, თვით აზრს მხატვარის შემოქმედებისას.

ნახატი ირგვლივ უვლიდა მთელს სვეტს და ჩარჩოთ კი, ზემოთ და ქვემოთ შემოვლებული ჰქონდა მეტად წმინდათ შესრულებული არშია, აქ მოხატული იყო: ქართული დროშები წმინდა გიორგის გამოსახულებით, ბაგრატიონთა გვარის ნიშანი: ქნარი დავითისა, საქართველოს სასოება და იმედი ქრისტეს წმინდა კვართი, ოროლები, შუბები, გურზი და ლახტები, ისრები, მშვილდ-კაპარჭები და სხვა საომარ იარაღთა კონა.

სვეტს ნაზი სინათლე უცხო შარავანდედად მიდგომოდა.

ეს შუქი სინათლისა მოდიოდა განის კედლებში მალლა ატყორცნილ ვინრო, მაგრამ უცხო ნაკეთიერების სარკმელთაგან.

უხვად იყო ირგვლივ კედლებში ისეთი წერწეტა, კამაროსანი სარკმლები.

ამიტომაც მთელს დარბაზში რაღაც მყუდრო ნათელი სუფევდა.

დიდი იყო დარბაზი.

ერთი კუთხიდან თვალი ძლივს სწვდებოდა მეორე კუთხეს, მაგრამ იმავ დროს ის შორეული კუთხეც თითქო თქვენი მახლობელი იყო.

ამ ჟამად ხსენებულ ორ რაინდს გარდა დარბაზში ბევრნი იყვნენ სხვებიც.

მაგრამ სივინროვით მაინც არვინ ნუხდა.

ხოლო არც თუ შიში მარტოობისა, ხალვათობისა იპყრობდა ვისმეს.

დარბაზში უცხო რამ შრიალი გაისმოდა, თითქო ნიავია, ნაზი რამ სიო, რომელმაც ტურფა ყვავილებს და ხასხასა მობიბინე ბალახს თავზე გადაურბინაო.

ეს — შრიალებდა ქალთა სალუქი სამოსი, ვაჟთა მსუბუქი ყურთმაჯები.

იქა-აქ ხმლისა და სხვა მოჭედილ იარაღის ჟღარუნიც გამოკრთებოდა.

ზოგჯერ ჯავშნოსანთა შეჩხარუნებაც მოდიოდა სასმენელს. უხვად იდგნენ საჭირო კარებთან და სხვა დანიშნულ ალაგას მთიული გოლიათები.

რაკრაკებდა და ჩხრიალებდა თითქო მთის წყარო.

ეს — ნელად საუბრობდნენ მანდილოსნები, დარბაისლად ბაასობდნენ ხანდაზმულნი და ვაჟი-კაცები.

ზოგჯერ სადღაც, თითქო შეხლტაო წყლის ჭავლი: ქალწულს გაეცინა, ჩაიკისკისა, სული მოითქვა, შეტრიალდა ვერცხლისებური ბგერა და...

კვლავ წელი წკანწკარი, უცხო შრიალი, ნიავი, სიო.

დარბაზში მყოფთა სახე მხიარული იყო, მოცინარი, სილალის მჩენი.

თან ეტყობოდა ამ სახეებს მოლოდინი. ეტყობოდა ჯერ არ მომხდარიყო ის უმთავრესი, რისთვისაც თავი მოეყარათ.

გული კი ფანცქალებდა, სისხლი ჩქროლავდა ახალგაზრდების.

მოხუცები არ ამჩნევდნენ, მაგრამ სიახლის და უნახავის მოლოდინი მათაც აცთუნებდათ.

— მაშ, არ გინახავს?.. — ეკითხებოდა სვეტთან მდგარი რაინდი ერთი მეორეს.

— ვერა, ვერ ვნახე.

— ოო, უცხო ჭაბუკია... ფრიად კარგი სანახავი. დადიანს ჰყავდა ნუხელ. მეც იქ ვახლდი მსახურთ-უხუცესს.

— რას ამბობ, მართლა?

— მერწმუნე. დიდად მოუღონა დადიანმა. მშვენიერი მგალობლები, ეგრისელები ჰყავდა. კლარჯეთიდან მოცეკვავენი...

— მანდილოსნები არ ბრძანებულან?

— აბა, საიდან?!. ქალბატონი ნათელა, დადიანის მეუღლე აქ არ ბრძანდება ამ ჟამად. ლიხთ-იმერეთს გადასულა პანია შერგილის ძიძის სახლში.

— მაშ, მარტო მამაკაცები იყავით?

— დიალ... ეტყობოდა რუსის უფლისწული ნასიამოვნები დარჩა... მხოლოდ ერთი რამ შევამჩნიე.

— ჰო, რა, რა, თუ გიყვარდე?

— ღვინოს ეწყობა.

— ეეჰ, ღვინოს კი არა!..

— სარწმუნო იყავ! მხოლოდ მე იმას ვამბობ: ახალგაზრდაა ჯერ სულ. რა იცის, აბა, რუსმა ჩვენებური ღვინის ამბავი... ეგეც ბავშვია, მოეწონა, ღვინომ ჩაიტყუა და...

— მოეკიდა?

— ახლა როგორ? კარგი კაცი კი არის, ვილაც ახლავს.

— ვინა?

— აი, მოხუცი რუსი, მაგის გამზრდელია თურმე... ისიც დიდი თავადი ყოფილა...

— მერე რაო?

— ბევრი უშალა... მათებურად ბევრი რამ, ეტყობოდა, ტუქსვით უთხრა. მაგას კი თანდათან ღვინო ეკიდებოდა... ჯერ სიცილით პასუხობდა რალაცას, შემდეგ გაიბუტა და ბოლოს ტაბლაზე მუშტიც კი დაჰკრა... ოო, რამდენი იცინა დადიანმა... დიდი კაცია! ისევ ის მოეფერა, იმ რუს გამზრდელსაც უთხრა, რა უშავს, ნებას მიუშვიო! გამზრდელიც დაჰყვა მასპინძლის ნებას...

— ვინ უთარგმნიდა?

— ყივჩაყი შარაგანი.

— მერე?

— ისე დაგვეთრო, ისე დაგვეთრო, რომ...

აქ მოსაუბრემ თავი ახლო მისწია მსმენელისაკენ. იმანაც ყური მიუახლოვა.

— ხელით გავიტანეთ... უგრძნობელი!

— ეე, რას ამბობ?!

— მართლა.

ორივემ უხუმარის, გაკვირვებულის და თან დარწმუნებულ სახით ერთი მეორეს თვალი გაუყარეს.

ერთ ხანს იყვნენ ასე შეჩერებული. შემდეგ ერთს ნელა გაეცინა:

— კარგი არ იქნება ჩვენი მეფე მთვრალი... ჩვენი მეფე ხელით გაგვეყვანდეს?!

მეორესაც გაელიმა, მაგრამ უეცრად მოკრძალებით ვილაცის წინაშე თავი დახარა...

მათ უახლოვდებოდა ერთი საგანგებო ვაჟკაცი, უზარმაზარის ტანისა; მაგრამ ეს დიდი სხეული ისე იყო თანაბრად ჩამონაკვთული შესაფერ მხარბეჭთან და სახე-პირთან, რომ საამურ შთაბეჭდილებას სტოვებდა.

ეტყობოდა, ჭალარა ერეოდა შესახედაობით ჯერ კიდევ ახალგაზრდა ვაჟკაცს. ეს უფრო მის მსხვილსა და გრძელს ნაბლისფერ უღვაშებს დამჩნეოდა:

ეს იყო თამარის განთქმული მეომარი ზაქარია მხარგრძელი.

ესეც ამ ჟამად სადარბაზოდ იყო მორთული და ჩვეულებისამებრ საომარი აბჯარი არა ჰქონდა ასხმული. ერთი სპილოს ძვლის ტარიანი საშუალო მოყვანილობის ხმალი ერტყა და ამ ჟამად ეს იყო მისი „საომარი საჭურველი“.

— სალამი მოყმეთ! — დარბაისლურ ბოხის ხმით მიმართა ზაქარიამ.

მოყმეები განკრძალვით თავ-დახრილნი იდგნენ.

— რაზედ საუბრობდით?

ეხლა აიღეს მხოლოდ თავი. ერთმა მოახსენა:

— აი, რუსის უფლისწულზე... მეგობარს უნახავს და...

— მართლაც? ხომ მოგეწონა?

— საუცხოვო მოყმე ბრძანებულა...

— ჰო, ეგრე მოსწონს ყველას. გუშინ კიდევ კათალიკოსს ვახელით და კათალიკოსმა დიდად მოიწონა...

— მართალია, ბატონო ზაქარია, რომ ჩვენი ბატონის მამიდას, მეფეთ-მეფის თამარის აღმზრდელს, რუსუდანსაც, წარუდგა რუსთა უფლისწულიო?

— მართალია, მოყმე, მართალი. დიდ ქალბატონ რუსუდანსაც მოეწონა... ეტყობა, ბედი უღიმის ამ გიორგი რუსს...

— გიორგი რუსს?.. მომიტევე, სარდალო, და მე ესე გავიგე, თითქოს სხვა სახელი ეწოდებოდა?

— ჰო, მართალია?.. მათებურად იურა თუ იური რქმევია, მაგრამ კათალიკოსმა გუშინვე ბრძანა: ჩვენ გიორგი უნდა ვუწოდოთო. ერთი, რომ კათალიკოსს გადაწყვეტილი აქვს — მეფედ ეგ უნდა დავსვათ. ამიტომ გიორგი ბედნიერი სახელია და ქართულ სულსა და გულსაც უფრო ეთვისება. თამარის დიდებულ მამასაც გიორგი ერქვა; მაშ, ნუ მოვსპობთ ჩვენი ტახტის ნუგეშად ამ სახელს და მეორე ეს მათებური იურიც ჩვენებურ გიორგის უდრის. მათი საქრისტიანო ეკლესია ჩვენებურ გიორგობას დღესასწაულობს იურის დღესაო... ესე ბრძანა.

— ჩინებულია, სარდალო...

— რაკი კათალიკოსმა ბრძანა, ეგრე აჯობებს უთუოდ.

დაუდასტურეს რაინდებმაც.

— ეხლა მხოლოდ რას ბრძანებს თვით პირიმზე... ეს არის საგულისხმო...

— არა ვიცი რა, ზაქარია, თუ რა აზრს ადგია თვით თამარი.

— ვინ შემძლებელ არს მისდა მიხვედრად, თუ რას განიცდის ჩვენი ღვთაება.

დარბაზს თანდათან შემოემატნენ.

ხმათა ბგერანი უფრო შემჭიდროვდნენ, უფრო გასუქდნენ.

მობრძანდა თვით ამირ-სპასალარი, ზაქარია და ივანე მხარგრძელის მამა, ღრმად მოხუცებული სარგის არღუთაშვილი. მას თან მოჰყვა ახოვანი, ჭარმაგი მოხუცი, ნაცვალის სპასალარისა გამრეკელი-თორელი.

უეცრად დარბაზის ერი თითქოს შექუჩდა. მდუმარებამ მოიცვა ყველანი.

მთავარ შემოსავლიდან მოდიოდნენ მსახურთ უხუცესის ვარდან დადიანის წინამძღოლობით უფლისწული იური, საქართველოში ან უკვე გიორგით ხსენებული, მისი გამზრდელი კუზმა რუსი, შორი ახლო ზანქან ზორაბაბელი, ყივჩაყთა უფროსი შარაგანი და დამხვდური საპატიო ამალა.



უფლისწულს რუსული, ძველებური ფარჩის ჯუბა ეცვა, თვალ-მარგალიტით მოჭყედილი, შვინდისფერი ხავერდის მაგარი საყელო, წითელ და ლურჯ ფერად შეღებილი, ტყავის ამომწვარი, მაღალ-ქუსლიანი ფეხსაცმელი და წელზედაც აღმოსავლეთურ იერის მახვილი. თავზე არა ეხურა-რა; იცოდა, რომ თავმოხდილი, ოქროს ხუჭუჭ-თმებიანი უფრო მშვენიერი იყო.

ის მხიარულად შემოდიოდა დარბაზში.

კუზმა რუსი კი სამხედროდ იყო გამოწყობილი. მწვეტიანი მუზარადიც კი ეხურა და ისე მორთული მართლაც ვაჟკაცურად გამოიყურებოდა.

„მართლაც საუცხოვო მოყმეა“. „ღირსეული ჭაბუკი ყოფილა!“ „ის ვილა არის? რა ვაჟკაცი ყოფილა!“ „სულ გათეთრებულია, მაგრამ ხნიერი კი არ უნდა იყოს“. „გამზრდელია“. „რომელზე ამბობ?“ „აი, მკერდზე თეთრი უღვაშები სცემს“.

ეტყობოდა, რუსები მოეწონათ.

დადიანმა ერთ საგანგებოდ განმზადილ ტახტთან მიიყვანა უფლისწული.

გზა და გზა დარბაზს მყოფნი ზრდილობით თავს იხრიდნენ სტუმრის წინაშე.

იური-გიორგიც იქით-აქეთ სიამოვნებით იხედებოდა. თავი კი არავისთვის არ დაუკრავს. ყელ-მოღერებით მისდევდა დადიანს.

ზოგიერთს გაუკვირდა: რატომ თავის დაკვრით არ გვიპასუხაო? მაგრამ მეორენი უხსნიდნენ, რომ უთუოდ მათს ქვეყანაში სხვა წესია, აქაური არა იცის-რა და ჩვენს წესს, არაფერია, ადვილად შეითვისებსო.

იური-გიორგის დაეტყო, რომ მოეწონა საქართველოს კეკლუცები.

კუზმას გადაუჩურჩულა:

— რა ლამაზები სცოდნია ამ ქვეყანასაო!

კუზმას გაშლილი სახე მოელრუბლა და ზრდილობიანად, მაგრამ მაინც ტუქსვით უთხრა:

— კარგია ერთი, შენ გაზრდას, დინჯად იყავ...

ვერა ხედავ, რა პატივით და ზრდილობით მიგვიღეს! სიღარბისლე გმართებს... ხომ ამჩნევ, რა დიდებული ხალხიც ყოფილა! აქ სიყმანვილე არ გამოგადგება... ვაი, რომ მამაშენმა ვერ მოასწრო შენი სახელმწიფოდ გამოზრდა... ბევრი რამ არ იცი... იყავ ზრდილობიანი, თავაზიანი და დინჯი... უმთავრესად არაფერი არ გაიკვირვო... როგორც დაგარიგე, ისე მოიქეც, თორემ კიდევე შემარცხვენ...

იური-გიორგიმ გაბუტვით გადმოხედა.

— ჰო, კარგი, აღარ გავიხსენებ, რაც მოგივიდა წუხელის. მხოლოდ გახსენებ, რომ თავის შეკავება გმართებს... გახსოვდეს, რომ ამ წუთზეა შენი ბედი და უბედობა დამოკიდებული... და განა მარტო შენი? ხომ გახსოვს, რაც არის ჩვენი მიზანი: დიდებულ იმპერიის დაარსების ბედ-იღბალიც... ეს არ განიშორო ფიქრისაგან!.. არც ამათი პატრიარქი, გუშინ რომ ვნახეთ; არც ის საპატიო მანდილოსანი, შენი საცოლოს აღმზრდელი რომ ყოფილა, მისი მამიდა, აი, ისეთის დიდის ამბით რომ მიგვილო; არც ეს სხვა რაინდები, გარს რომ ესრე გეველებიან... არც ერთ ამათ არ შეუძლიან შენი ბედის გადანყვეტა. ისევ ის, თვითონ, აი, ვისთანაც ვართ დღეს სადარბაზოდ... იმაზეა ყოველივე დამოკიდებული... ხომ გაიგე, რომ დიდ გონიერს ვისმე ამბობენ. უნდა ეცადო, იმას თავი მოაწონო და როგორც რამდენჯერმე გითხარი, რამდენათაც მე შევიტყვე — ისე ვერაფრით ვერ მოაწონებ თავს, როგორც სიღინჯით, თავის დაჭერით და მოკრძალებითა...

ამას ყოველივეს კუზმა-რუსი მტუქსავის კილოთი, მაგრამ სახის თავაზიანი გამომეტყველებით გადმოსცემდა, რადგან მართალია, დარბაზში მყოფთ ზოგიერთს გარდა მისი არა ესმოდა რა, მაინც ეშინოდა სახეზე არ შეემჩნიათ საგანი საუბრისა.

იური-გიორგი კი, ეტყობოდა, ყურს არ უგდებდა. მის თვალებს მოედებნათ საგანი ჭვრეტისა და ამას დაეპყრო.

მანდილოსანთა შორის შეემჩნია აბულასანის კეკლუცი მეუღლე და მას მიმტერებოდა. ქალის თვალებიც მისკენ იყვნენ გაისრული.

ორივენი ჩამბოდნენ უთარგმანო, იდუმალს, მაგრამ ჟრუანტელის მომგვრელს, გულის ამჩქროლებელ თვალებით საუბარსა.

## ზ.

კუზმას ყივჩაყმა შარაგანმა მკლავში ზრდილობიანად ხელი ჩაავლო:

— როგორ მოგნონს დარბაზი? გინდა ცოტაზე გავიაროთ?

კუზმა დაეთანხმა.

— ეხლა დრო არ არის სასახლის დათვალიერებისა, მაგრამ ზოგ რასმე მაინც დაგანახვებ... ეგებ ხედავ, სიღრმეში ათასფრად რომ ბრწყინვალეებს, თვალსა სჭრის მისი ელვარება. ეგ სამეფო კარებია მთლიან ოქროსაგან ჩამოსხმული და შიგ ძვირფასი თვალმარგალიტი უზის. თუ ძალიან ახლოს არ მიდი, ისე მოხერხებულად ადგია, აი, ამ ყელმოდერებულ სარკმელთაგან მონადენი სინათლე, რომ ძნელი დასანახია, ბრწყინვალეებს. ახლოს კი ამ ჟამად არ მიისვლება. წესია ეგეთი. და არც თუ ნება დაურთველად მიგიშვებენ. აი, ის ორი მდევი კაცი, დარაჯათ რომ იქით-აქეთ უდგანან მეფის ბჭესა... რაო? შენ ცოცხლები არ გეგონა? ოქროსაგან გამოკეთილსა გვანან? ეგ მათი საზეიმო სამოსია და მართლაც ასე გგონია, ამ კარიბჭის გაგრძელება არისო, არშია... არა! ეგენი ცოცხლები არიან, ქართველები, სვანეთიდან. თამარს დიდად უყვარს ეს მთიულები. ერთგულნი არიან და ღონივრები და ესეთ საპატიო სადარაჯოზე უფრო ხშირად ეგენი დგანან. თვით ამ ოქროს კარიბჭეზე გამონაკეთულია სხვა და სხვა სურათი მეფეთა და საქართველოს ცხოვრებიდან. ქართველებს ერთი საარაკო ოქროს მოქანდაკე ჰყავთ, ბექა ოპიზარი ეწოდება. იმის ნახელოვნებია. მაგრამ ეხლა ცოტა აქეთ მოვუხვიოთ...

მიმავალ ყივჩაყსა და რუსს დარბაზში მყოფნი ზრდილობიანად გზას უთმობდნენ. შარაგანი კი განაგრძობდა:

— ეს სასახლე, საცა ჩვენ ეხლა ვიმყოფებით, თვით თამარის აგებულია. წელიწადი თუ იქნება, რაც საძირკველი ჩაეყარა ამ შენობას, მაგრამ ისეთის სისწრაფით შენდებოდა, იმდენი მუშა ესია, რომ არ გაუჭირდათ ასე მოკლე ხანში ასეთი დიდი სასახლე გაემწყაზრათ და ესე კეკლუცად შეემკოთ. თუ ვინმე საუკეთესო ხელოვანი იყო ქართველებში — ხუროთ-მოძღვარი, მხატვარი და მქანდაკებელი, სულ აქ იყო თავ-მოყრილი და ამათმა შეერთებულმა გეგმამ და შრომამ შექმნეს ეს მოხდენილი საზღაპრო სამყოფელი... დიდებულია თამარის წინაპართა მიერ ნაშენები სასახლეები აქ, ისანს, ტაბახმელას, ქუთაისს, ბედიას, ართანუჯს და სხვაგან, მაგრამ სიმშვენიერით, სიმტკიცით და შემკულობით თამარის ნაგებს ვერც ერთი შეედრება. მარტო აქ კი არ აუშენებია, სხვა ბევრგანაც. აი, მთაში, სვანეთშიაც ააგო, ხევსურეთშიაც. მაგრამ ყველას კი, მე მგონია, ღიბთიმერ აგებული, გუგეთის სასახლე აჯობებს... ჯერ არ არის დასრულებული... ეხლა კიდე აქვე ტფილისის მიდამოში, დიდუბე ჰქვია ერთ ალაგს, აქ შენდება სალხინო სასახლე... აი, პანია ტაძარი, რომ არის ქალაქ გარედ. ხომ შეამჩნიე?... და იცი, რა გითხრა, მეგობარო... მე ბევრი მომივლია ქვეყნები... ზოგი ომის დროს, ზოგიც ისე მშვიდობიანობაში. — კარგა ხნის კაცი ვარ ეხლა — გავყოლივარ ქართველებს, აი, იერუსალიმში... ოო, იქაც რა დიდებული მონასტრები აქვთ ქართველებს... თავიანთ წესზე ნაშენები... ვყოფილვარ ბიზანტიას, მისრეთს და ერთი რამ შემიმჩნევია, განსაკუთრებით მისრეთში: იქაური შენობები, ბუმბერაზია, უზარმაზარი... თითქო უნდა თავის სიდიადით შეგაშინოს და დაგიპყროსო... ბიზანტიაში კი უფრო მოხდენილად არის ნაგები ტაძრები და სრა-სასახლეები. მაგრამ ამ უზარ-

მაზარობას ვერც იქ ასცილებიან... თვით განთქმული წმ. სოფიის ტაძარი უწინარეს ყოვლისა ბუმბერაზ შთაბეჭდილებასა სტოვებს... აქ კი, საქართველოში, მათთან შედარებით მომცროა ყოველივე, მაგრამ სამაგიეროდ რა მოხდენილია, რა კოხტა, რა კეკლუცი! აი, შეხედე ამ არშიას. უბრალო ზოლია ოქროსი... მაგრამ, როგორ თავის ალაგას არის, როგორ შეჰფერის ამ ვარდისფერ ქვას ფერ-მიღებულსა. და აი, თუნდა მხატვრობა აიღე... ეს თამარის პაპაა, დავით III... ქართველები იმას აღმაშენებელს უძახიან, რადგან მართლაც და მან ალაშენა და ააღორძინა საქართველო. შესამჩნევი პიროვნება ყოფილა. მე არ მახსოვს, აბა, საიდან?! ეხლა ხომ 1185 წ. დავით კი 1125 წ. გარდაიცვალა და მე ხომ ჯერ 60 წლის არც კი ვიქნები. დიდი მეფე კი ყოფილა: გონიერი, გამჭრიახი, შემაერთებელი. მცირეწლოვანი ასულა ტახტზე. იმ დროს კი საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილს არაბები ფლობდნენ და ქვეყანა დამონებული ჰყავდათ, მაგრამ ამ იშვიათმა ადამიანმა ისე მოახერხა, მონობის უღელი გადაუგდო მის ქვეყანას, განდევნა არაბები, დაიმორჩილა სხვა მტრებიც, შეაერთა საქართველოს ყველა ნაწილები, გასწია და გააფართოვა სახელმწიფოს საზღვრები, დაასახლა და მოალონიერა ხალხი. განაახლა დანგრეული ციხეები, ტაძრები, სრა-სასახლენი, ალაშენა ახალნი... აი, ხედავ მხატვრობაზე: მარცხენა ხელში ტაძარი უჭირავს! ეს არის მშვენება და სიამაყე მისი მოღვაწეობისა, გაენათის<sup>1</sup> მონასტერი... ტანზე... ეგ... ბიზანტიური დალმატიკა აცვია... ბიზანტიელებს დიდი გავლენა ჰქონდათ საქართველოზე და გონიერი მეფეც დიდად ცდილობდა, რაც კი საუკეთესო რამ იყო ბიზანტიაში, თავის ქვეყანაშიაც გადმოენერგა. ყოველ წლობით ახალგაზრდა ჭაბუკებს აგზავნიდა საბერძნეთში, ათინას, სხვადასხვა სწავლისა და მეცნიერების შესაძენად. ისედაც დიდი დამოკიდებულება ჰქონდა... თვით ჯვაროსანთა ომშიაც მიიღო თავის ლაშქრით მონაწილეობა... მისი უმცროსი ქალიც ბერძენთა უფლისწულს მიათხოვა და დუკასა და კომნიანოსთა (კომნენთა) საგვარეულოს დაუნათესავდა...

კუზმა გულ-მოდგინეთ უსმენდა შარავანს და თან დიდი დავითის გამოსახულებას მოკრძალებით შესცქეროდა. არ მიუხედნია, ისე ფრთხილად შენიშნა:

— შენ, მეგობარო, ბევრი რამ გცოდნია... მეცნიერი კაცი ყოფილხარ...

— არა, მეცნიერი არა, მაგრამ... რაც ყოფილა ამ ქვეყანაში და რაც არის, როგორ არ უნდა ვიცოდე... აქ ამ ქვეყანაში უვიცობა სირცხვილია... თითქმის ყველა მწიგნობარია, ყველამ იცის მათი წარსული, მათი ვითარება... ზოგი ხომ ისე დახელოვნებულია ამ საქმეში, რომ ბერძენ ფილოსოფოსთ არ ჩამოუვარდება. აი, აქ კი მე მოვიკოჭლებ, თუმცა სიამოვნებით ვისმენ ხოლმე მათ დავა-პაექრობას მაღალ საგნებზე... ამ დავითის ამბავი კი როგორ არ უნდა ვიცოდე! ეს ჩვენი, ყივჩაყების მოვალეობაც კია. პირველი ეგ იყო, რომ საქართველოში მოგვიწოდა და ჩვენ ყივჩაყელთაგან როქის სპა შეადგინა. არ გაგიგონია?... ჩვენებური ქალი ჰყავდა ცოლად... როქის სპას კი აქ იმათ ეძახიან, ვისაც მეომრობისათვის განსაზღვრული ჯილდო ეძლევა, დაქირავებულია...

— ჰო, ეგ ვიცი...

— ჩვენც ამ დავით აღმაშენებლის შემდეგ ერთგულად ვემსახურებით ქართველ მეფეებს. ეგენიც იმას გარდა, რომ ჯამაგირს გვაძლევენ, ისედაც დიდ პატივსა გვცემენ. ეს ეხლა მეოთხე მეფეა ქართველთაგან, რომ ჩვენ ვემსახურებით: დავითის შემდეგ იყო მისი ვაჟი დემეტრე I, შემდეგ დავით III, შემდეგ გიორგი III და აი, ეხლა გიორგის ასულის კარზედა ვართ. სულ პირველად 1118 წელს გადმოუყვანივართ დავით აღმაშენებელსა, სულ 45000 სული, აქვე მოგვცეს ბინა, საცხოვრებელი და რალა თქმა უნდა, რომ ჩვენგანი უმრავლესობა საქართველოში დარჩა და გაქართველდა. რჯულიც კი გამოიცვალა უმეტე-

1. გელათი.

სობამ, გაქრისტიანდა. ამიტომ ჩვენ ვერასოდეს ვერ დავივინყებთ ქართველ მეფეების ჩვენზე ამაგს და განსაკუთრებით დავითისას... ოო, ის დიდზე დიდი მეფე იყო...

კუზმა, ეტყობოდა, უსმენდა, მაგრამ ისევ დავითის სურათს მისჩერებოდა, თითქო ყოველ მხრიდან უნდოდა შეესწავლა ამ საკვირველი კაცის სახე. შარაგანი ნელის ხმით ისევ განაგრძობდა:

— მე ეხლა მივხვდი, რათაც მოგვინვია დავითმა. ქართველები ფრიად შემკული ხალხია, მაგრამ ერთი დიდი ნაკლი ჰქონიათ: თავის-თავის ლალატი. უკეთუ მათგანი ვინმე ზენამოინია და გაღონიერდა, შემდეგ თავს მაღლა იღებს და ურჩობას იწყებს. თვით მეფესაც აღარ ეპუება. საზოგადოს ივინყებს და საპირადოზე გადადის. ასეთი მდგომარეობა ეხარბება სხვებს და ეხლა ისინი იწყებენ ამავე გზით სიარულს, რომ შემდეგ ერთი-მეორეში შულლი მოუვიდესთ, ან კიდევ მათი შემაერთებელი ტახტი დაამხონ... სულ ასეა ხოლმე, უკეთუ ტახტზე ღირსეული და მძლავრი პიროვნება არ დაჯდება... ასეთი იყო დავითიც. მხოლოდ მან მისი დიადი გონებით გასჭვრიტა, რომ მარტო პიროვნებაზედაც არ იყო ყოველივე დამოკიდებული. ტახტი უსათუოდ ძლიერი უნდა ყოფილიყო, რომ საქართველოს უღური არ დაცემულიყო და ერთობა არ დაშლილიყო. ამისათვის მან მოგვინოდა ჩვენ და ესეთმა განსწავლულ ლაშქრის ყოლამ ალაგმა შინაური მტრები. იმას აქეთია საქართველოს დანანილება და განხეთქილება აღარ მომხდარა... და თუ ვინმე განდგომია, მეფეს და მის ლაშქარს ყოველთვის მოუხერხებიათ მისი დაძლევა და ამ გვარად მთლიანი საქართველო აღარ დარღვეულა... აი, რა დიადი საქმეც გააკეთა ამ კურთხეულმა...

კუზმას ცრემლი მოადგა თვალებზე. ეს შენიშნა შარაგანმა.

— შენ რა?.. ხომ არ გაგახსენდა შენი ქვეყნის ბედი?..

— ცხონებული ანდრეი ბოგოლიუბსკი გამახსენდა... დიდი კაცი იყო ისიც... იმას კი ვერ შეუსრულდა თავისი სანადელი. ეს უფრო ბედნიერი ყოფილა...

— მართალი ხარ, მაგრამ აი, მის ვაჟს, მგონი, არა ნაკლები ბედი მოეღის...

კუზმა მიბრუნდა.

— მეც მაგ ნუგეშითა ვცოცხლობ...

ჩამოშორდნენ დავითის სურათს. შარაგანმა ეხლა მეორე მხარეს გადაიყვანა და თამარის მამის, გიორგი III სურათის წინაშე დააყენა.

— ოო, ესეც, ეტყობა, დიდი ვაჟკაცი ყოფილა...

შენიშნა კუზმამ, მაგრამ იმდენხანს აღარ შეუჩერებია სურათზე ყურადღება. ეხლა უკვე ერთი კედლის ჩუქურთმას და მურდახილებს ათვალიერებდა.

შარაგანი კი კიდევ უამბობდა:

— აი, მაგის დროს იყო დიდი ამბოხება... ძმისწული განუდგა, მაგრამ სძლია იმასაც და სახელმწიფოს კეთილდღეობა არ მოშლილა. თვითონ თამარის დროსაც... ოო, დიდი ამბავი იყო... მთელი დასი შესდგა მის წინააღმდეგ... ჩვენები, ნაციფჩაყარებიც ერიენ შეთქმულებაში. ეს გიორგი რომ გარდაიცვალა, მაშინ მოხდა... უნდა ვიფიქროთ, რომ ეგონათ, ქალია და შევაშინებთო... მაგრამ აქ კი გამოჩნდა პირადი ღირსება თამარისა... მისი გონება-მახვილობა, მისი სათნოება... მერმე დიდებული დამხმარეებიც გამოუჩნდა: ორი საუკეთესო გონება-მაღალი მანდილოსანი... აი, ნახავ იმათაც... ერთია რატი სურამელის დედა, ხვაშაქი ცოქალი და მეორე განთქმულ სამცხელ თავადების, სამძივარების, მშობელი კრავაი ჯაყელი... ამ ორმა ქალმა მშვიდობიანობის მოლაპარაკებით დააცხრეს ამბოხება... ეს დაუვინყარი ამბავია... ამას ოდესმე უფრო დანვრილებით გიამბობ...

კუზმა-რუსი თანდათან მეტის კრძალვით იმსჭვალებოდა გარემოსადმი. ის არ მოელოდა ასეთ სიმდიდრეს, ასეთ წესსა და რიგს, ასეთ საგულისხმო და თვალსაჩინო პიროვნებათა ხილვას ანუ მათი ამბის გაგებას.

მას მოესურვა მეტის გაგება. გულით უნდოდა ყოველივე გამოეწვლილა ამ ქვეყნისა. სიფრთხილით შეეკითხა:

— ეხლა კი, მეგობარო, ეხლა აღარავინ არის ეგეთი, რომ შინაობაში საფრთხეს წარმოადგენდეს?

— ოო, ეხლა... თამარი იმდენად დიდ-ბუნებოვანი გამოდგა, რომ მთელი ქვეყანა აღმერთებს... ვინ გაბედავს მის საწინააღმდეგოდ დასძრას ენაც კი... ან რეები არ მოიქმედა!.. ცოტა ხანია, რაც ტახტზე მარტოთა ზის, მაგრამ არ დარჩენილა არც ერთი კუთხე საქართველოსი, რომ რაიმე თვალსაჩინო არ მიედღვნას, არ გაეკეთებინოს... ამიტომაც ყოველი კუთხე მადლიერი ჰყავს და ყველა მის სულსა ლოცავს... ოო, თუ განგებამ და ღმერთმა დააცალა, დიდ ბედნიერებას მოუტანს თავის ხალხსა... თუმცა ისე, რასაკვირველია, ეხლაც ბევრნი არიან მძლავრნი და გავლენიანი სახელმწიფოში... აი, ყველაზე უფრო დიდი კაცი, სიმდიდრით და სიმძლავრით მსახურთ-უხუცესი ვარდან დადიანია... ოო, სხვანაირი კაცია... პირდაპირ მეფეა თავის ქვეყანაში, მაგრამ ჭკვიანია და ჯერჯერობთი ერთგულია თამარისა... რომ მოისურვოს? ოო, დიდი ზიანი შეუძლია მიაყენოს სამეფო ტახტსა...

დარბაზში მყოფნი კვლავ შეინძრნენ. ჩოჩქოლი შეიქმნა.

მწიგნობართ-უხუცესი დიდი ჭყონდიდელი და სრულიად საქართველოს კათალიკოსი მცხოვანი ნიკოლოზი შემობრძანდნენ დარბაზში.

„ისპოლა!“ — გაისმა მგალობელთა გუგუნნი დარბაზში.

კუზმამ მოიხედა. მგალობელნი ვერსად ნახა. შარაგანმა აუხსნა, რომ განის კედლებში, მალლა, ქორედზე იყვნენ მოთავსებულნი.

ჭყონდიდელი და კათალიკოსი, ნათელის სახით, ორივე მხრისკენ ხელებით ჯვარს სახავდნენ და ისე მოემართებოდნენ.

კუზმამ თავი დახარა.

## დ.

ყოველი მხრიდან მოდიოდნენ კათალიკოსთან ხელზე სამთხვევლად. ეგრევე ჭყონდიდელთან.

კუზმას უკვირდა, რომ ეს ამოდენა ქალი და კაცი არც არეულა ერთი-მეორეში, არც ერთს მეორისათვის გაუხსნია, არც მიხლი-მოხლიან ერთმანეთს. მორიგისით, უფროს-უმცროსობით ნელად ჩამოიარეს, გამოსთხოვეს შენდობა ეკლესიის მამათმთავრებს და ისევ თავის ალაგას დადგნენ.

კათალიკოსი აღვიდა მისთვის მიჩენილ საფეხურიან ტახტზე და მარგალიტით მოოჭვილ შავი ხავერდის დალიჭზე დაჯდა. საფეხურთან კი მისი კვერთხის მტვირთველი საამური სახის მორჩილი გაჩერდა.

მის მოღმა ცოტა უფრო მომცრო ტახტზე ჭყონდიდელი დაბრძანდა. მასაც მისი მორჩილი მიუდგა საფეხურთან.

ვარდან დადიანმა შარაგანის თანხლებით უფლისწური იური და კუზმა რუსი მიჰგვარა კათალიკოსსა და ჭყონდიდელს.

ორივე მწყემს-მთავრებმა სათნოდ მოიკითხეს უფლისწული.

სწორედ ამ დროს ბუკის ხმა გაისმა და მთელი დარბაზი შეშმაშურდა.

თვით კათალიკოსმაც კი გაისწორა პანალია და თოვლივით თეთრი სპეტაკ წვერზე ხელი ჩამოისვა.

მეფის ტახტის საფეხურთან ამავე დროს გამოჩნდა დარბაისელი და გონიერი სახე სკარამანგ-მოსილისა და არგან-მპყრობელის მანდატურთ-უხუცესის ჭიაბერისა.

მან არგანი ზე-ასნია და მყისვე მამაკაცთა მგალობელმა გუნდმა სავაჟკაცო ჰიმნი დასძახა ქორედიდან.



მიმოიბნენ ეს ხმები დარბაზის კედლებ შორის. თითქო სალამი უძღვნეს კედლებზე მოხატულ ქართველ გმირებს და ღვანლ-მოსილებს, მადლობით შეჰღიმოდნენ გარემოს, შემდეგ გვირგვინად დაადგნენ თავს იქ მყოფთა და ბოლოს ჩასწვდნენ გულთა.

გუგუნებდა ვაჟკაცთა გამონაძახი. იზრდებოდა, სუქდებოდა, ფართოვდებოდა. თითქო ვერ იტყევდა ამ ხმებს დარბაზი, მაგრამ არც თუ იბზარებოდა მეტის-მეტი ტლანქი მიწოლისაგან.

შეტრიალდებოდა კრიმანჭული, დაუგურგურებდა ბანი და სულ დინჯი დვრინი ქრისტიანულ სათნოებად ჩამოიყვანდა მოძახილსა და დამწყების წარმართულ გამყივანობას. ოქროს სამეფოს კარები გაიღო.

თითქო გაიელვაო მთელს დარბაზში. მოძრაობისგან კრთომა მოიღეს ძვირფასმა ქვებმა და კეთილშობილმა ლითონმა.

თეთრსა და ლურჯ ფერებში მოსილნი უცხო ასულნი გამოვიდნენ ამ კარებიდან.

და ამ სისპეტაკემ სრულიად დაჰფარა ბრწყვიალა ოქრო.

მოდოდნენ. თითქო ბოლო არ უჩანდა.

შემორკალა ამ სითეთრემ, ლურჯში რეულმა, ფართო წრე დარბაზის შუაგულ. იმავ დროს გაისმა უზენაესი ქალთა საგალობელი.

ვაჟნი სდუმდნენ.

ეს საგალობელი ნამდვილი წარმართული იყო, ოდესღაც სარწმუნოებრივი ჰიმნი, მაგრამ ეხლა საერო, სამოქალაქო კილოდ დარჩენილი.

ამ საგალობელში ქალთა ნაზი ბაგე შეამკობდა ღმერთ-ქალს ყამარს, რომლის კოშკიც „ცაზე იყო ჯაჭვით ჩამოკიდული“. ვილაც თანამედროვე მგოსანს კი გადაეჭდო ამ თქმულებისთვის თავისი ნაწარმოები და **ყამარის** ქება **თამარისაზე** გადმოეყვანა.

მსმენელნი იხიბლებოდნენ ამ ნარნარ ხმათა ბგერით.

მაგრამ აგერ ეს საგალობელიც შესწყდა და ნინილათა და ებანთა შექმნეს უცხო წკრიალი.

იმავ დროს სამეფო ტახტის ახლო, მარმარილოს ორ კვარცხლბეკზე შემდგარ ოქროს ლარნაკებს მოლურჯო, ძლივ-დასანახი ბოლი ავარდა და მთელს დარბაზს მოეფინა მუშკისა და ამბრის სურნელება.

დარბაზში თამარ პირ-მზე შემოდოდა.

## თ.

კუზმა თითქო ამ ქვეყნად აღარ იყო.

მას სიზმრადაც არ მოჩვენებია ამ გვარი რამ, არც თუ სადმე ზღაპრად ჰქონდა განაგონი.

— ეს სამოთხეა, თუ ამ ქვეყნადა ვარ? — ფიქრობდა კუზმა და მიწიერი ცნობისმოყვარეობა თანდათან სტოვებდა მას. მისი უმეშვეო ბუნება უკვე მზად იყო, კი არ განესაჯა გარემო ვითარება, არამედ პირდაპირ რწმენად გაეხადა.

ხოლო, როდესაც თამარი პირველად იხილა, თითქო გული ჩანყდა სამუდამოდ:

— ეს მართლა ღვთაება ყოფილა, ჩვენ საიდან ვბედავთ ესეთი ამაყური ზრახვანი გულს ჩავიდოთო.

თავის თავი სულ პატარად, მცირეთ მოეჩვენა და ვით მზისგან თვალმოჭრილმა, მეფე ქალს თვალი აარიდა. თითქო უნებლიეთ მის უფლისწულს გადახედა.

იური-გიორგის სახე მოღრეცოდა, პირი დაეღო და თითქო არაფერს არ უყურებსო, ისე იყო გარინდული.

კუზმას სისხლი თავში აუვარდა ამ სანახაობაზე. შორს იყო იურისაგან. წესისამებრ სხვა რიგში ჩაეყენებინათ, მაგრამ არ დაერიდა წესიერების დარღვევას და მისი ბატონიშვილისაკენ ანაზღად გაიწია.



ბედი!

სწორედ ამ დროს მისკენ იბრუნა პირი იურიმ და სახეც თითქო უფრო გაუსწორდა.

კუზმას აღარ დასჭირდა მისკენ წასვლა: მთელი მისი გამომეტყველება იხმარა და ანიშნა — გასწორდით.

ეტყობა ისეთი ძალუმი იყო ეს ნიშნება, რომ გაზრდილი მიუხვდა სანადელს და მისმა სახემ უკვე ჩვეულებრივი სიმწყაზრე მიიღო. თვალეზმაც კი გაუცინეს.

— მადლობა უფალს, ყველას გხედავთ კვალად მშვიდობით!

ეს იყო თამარის ხმა.

მაგრამ რა ხმა იყო იგი?

კუზმა ეხლა ყურებსაც აღარ უფერებდა: მტკიცე და ნაზი, ძალდაუტანებელი და ყველასათვის გასაგონი, თან ბგერა ხმისა ნამდვილ მკერდიდან აღმომხდარი — მკვრივი და კრიალა, უხინვო და შინაარსიანი.

ტახტზე იდგა მეფე-ქალი.

თეთრი სამოსი ეცვა, ლურჯი ფარჩის ოლარითა და სამხრეებით, რომლებიც თეთრის მარგალიტებით იყო მოოჭვილი. თეთრივე გვირგვინი ედგა ლაჟვარდოვან თვლებით მორთული, წვრილ ფირუშების არშია-მოვლებული.

მაღალი ტანის იყო, ახოვანი, ჰაეროვანი. თითქმის სრულიად ახალგაზრდა, უმანკო გამომეტყველების, მაგრამ მაღალ ფიქრსა და ზრუნვას სიღარბაისლის იერი უცხოედ შეექსოვა მის ნატიფ სახე-პირისათვის.

თვალეზი ჰქონდა უსაზღვრო ლმობიერებით აღსავსე, შემწყალე და მომტევებელი, მაგრამ იმავე წამს ირძნობდით, რომ ამ გამომეტყველებას ვერ გაუშინაურდებოდა, ვერ გაუტოლებოდა თქვენს განცდას, ვერ ჩაითრევთ ყოველ-დღიურ, წვრილმან სურვილებში.

აქ იბადებოდა უფსკრული თქვენს შუა.

ის ყოველთვის მაღლობზე იდგა.

ეს ყოველივე კარგა შეამჩნია კუზმამ და თანდათან მეტმა კრძალვამ მიიპყრო.

თვალი მიმოავლო დარბაზს.

შეამჩნია: იქ მყოფთ თითქო რაღაც გამოუთქმელი სანეტარო ნათელი გადაჰყენოდათ. ყველა თითქო მის მეფე-ქალს შეხაროდა. შეფრფინვით შესცქეროდნენ: ესახელებოდათ და უყვარდათ.

— ვინ არის, რომ თაყვანი არ სცეს ამ ღვთიურ არსებას? თავი არ გასწიროს მისთვის? სხვა მიზეზი რაღა უნდა? თამარი ბრძანებს, თამარისთვის საჭიროა... უნდა შესრულდეს. როგორ ეტყობა ყველას გამომეტყველებას, რომ ამ აზრს ადგანან. სხვა ხატი რად უნდათ, სხვა სალოცავი?... არა, ჩვენ მაგას არავინ არ მოგვანიჭებს... თუმცა...

მაგრამ შესწყდა კუზმას ფიქრთა გვრიობა.

კათალიკოსი რაღაცას ბრძანებდა.

კუზმას არა გაეგებოდა-რა, მაგრამ შეატყო, რომ ეს თუ თამარის ხოცბა და ქება არ იყო, დალოცვა მაინც იყო.

უეცრად იგრძნო, რომ კათალიკოსმა ის და უფლისწული დაასახელა.

— რუსი! რუსი!

ეს ადვილი მისახვედრი იყო მისთვის.

მსახურთ-უხუცესი დადიანი წინ წამოდგა და იური და კუზმა გაიწოდა.

ორივენი წარდგნენ პირი-მზეს წინაშე.

თავი დახარეს.

ხოლო, როდესაც კუზმამ მეფე-თამარს ზე ახედა, ვერაფერი ამოიკითხა მის სახეზე, თავაზიანი გამომეტყველება იყო, მაგრამ მაინც ტვინში შავად გაუელვა:

— ნავაგეთ!

## თავი მესამე

## სურვილები ცის კამარაში

ი.

ზეიმი დასრულდა.

თამარმა სანადიმოდ მიიწვია სტუმრები და თვით კი ისევ მის სამყოფელს დაბრუნდა. ოთახის კარებამდე მიაცილა ქალთა ამაღამ და შემდეგ მხოლოდ გამდლის და ორიოდ შეიმუნვარის ამარა შებრძანდა ოთახში.

ოთახის კარის გარეთ ორი ბუმბერაზი მთიული დარაჯად დადგა.

ოთახს დასავლეთის მხრით პანია ჩარდახი ჰქონდა, საიდანაც მთელი ქალაქი იხედებოდა.

თამარი მარტო გავიდა ჩარდახზე და ვარდისფერ მარმარილოს მოსხლეტილ სვეტს მარცხენა ხელი მიაყრდნო.

მის სახეს საშინელი დაღლილობა და სევდა დაეტყო.

თვალთა გამომეტყველება ჩაულრმავდა, თითქო შინაგან, მის სულიერ ვითარებას ათვალთვლებსო.

იგრძნო, რომ სადღაც შორს შეგნებაში კვლავ დაბრუნდა თამარ-ქალი და თამარ-მეფეს კამათი დაუნყო.

— აბა რას ჩადიხარ, თამარ?! — ამბობდა ქალი.

— რა გინდა მოიქმედო?.. გინდა გაჰყვე ამ შორეულს უფლისწულსა?.. გული რომ მაგას არ გითქვამს? რომ არც მოგნონებია?.. კარგად შეამჩნიე ლამაზია, ვაჟკაციც უნდა იყოს, მაგრამ ისიც ხომ შეატყვე: თვალები აქვს ამღვრეული! ეგრე ახალგაზრდა და სად დაკარგა სიცოცხლე და სინრფოება წმინდა სულისა?.. მერე ეგ რა შენი ფერია! რას უჯერებ დიდებულებს, რას დასდევ ხალხის ხმას?.. განა შენი გული უფრო ძვირფასი არ არის შენთვის? შენი წრფელი გრძნობა, შენი განცდა, შენი სიმართლე... თავს ხომ ვერ ეტყუები?... შენი გული ხომ მკვდარია უკვე, შენი გრძნობაც ჩაფერფლილი... მას ველარას უშველი!.. გლოვა გამართებს უკვე!.. მაშ, რად არ უჯერი შენ გულს, რასაც გიკარნახებს... რაკი არ გელირსა ამ ქვეყნიური ბედნიერება, შენი გულის ყვავილის გადაფურჩქვნა, ალიკვეცე მონაზვნად, წადი მონასტერში...

— მონასტერში? — დაიწყო მეფემ, — მერე სამეფო?.. მერე მისი საქმეები?..

— სამეფოს რას დაეძებ, შენ შენს თავზე იზრუნე...

— მერე რომ მოხდეს აღშფოთება ამ ქვეყანაში?.. მერე რომ მონაზვნათ წავიდე, ტახტს ვინლა უპატრონებს?.. ხომ განდიდდნენ მაშინ ერისთავნი, დიდებულნი და ასტეხეს ურთი-ერთთარს შფოთი და ამბოხი?..

— მაშ, კარგი. დარჩი ისევ მეფედ და განაგე შენი საყვარელი ქვეყანა, მხოლოდ ნუ შეიუღლებ ნურვის, რადგან შენი გულის მეუფე ვერვინ გახდება... თავს, აბა, რად ეცრუები.

თამარ-ქალს ნელი ოხვრაც კი აღმოხდა, მაგრამ თამარ-მეფემ სევდიანმა დინჯად შეუბრუნა:

— ვაგლახ მე, რომ არც ეგ ეგების... ვიყო მეფედ და მეუღლე არა მყავდეს, ვიყო გამგე ქვეყნისა და ტახტს მემკვიდრე არ დაუტოვო? საბოლოოდ ხომ აქაც აღრევა სოფლისა და შუღლი საძმო უნდა დავთესო...

— შენი თავი?

— ჩემი თავი უნდა დავთმო, ბედშავო თამარ!.. ქვეყნის ბედი უმაღლესია ჩემს საპირადოზე. ხალხი მოითხოვს, რომ ტახტს მემკვიდრე ჰყავდეს? კანონიერია მისი სურვილი. ჩემი ტახტი მისი შემაერთებელი ღონეა. გზა და ხიდია მისი კეთილდღეობისა. მეც ეგ უნდა მივანიჭო. ტახტს მისი, ეფრემის რტოით მემკვიდრე უნდა ჰყავდეს. მართალნი არიან!.. ქმარი უნდა შევიუღლო და აქ ჩემ გულს არავითარი არ უნდა ძალ-ედვას... მას მდუმარება მარ-

თებს... და თუ ის მკვდარია, ამითი უფრორე უნდა მოკვდეს და ამ სიკვდილით განაცოცხლოს ხალხის სიკეთე, მისი მშვიდობიანი მომავალი... მხოლოდ ვინ? ვინ?... ეს ჭაბუკი რუსი?... აი, აქ კი, თამარ-ქალო, მე თამარ-მეფეც შენი აზრის მოზიარე ვარ: ღირსი კი არის ეს უცხო და სრულიად უცნობი ახალგაზრდა ადამიანი საქართველოს მეფობისა?... შეიძლება ამ დიდად საპატიო მოვალეობის ტვირთვას?... დიდი დავით აღმაშენებლის ტახტს, მამა ჩემის გიორგი ლომ-გულის სკიპტრას ღირსებით შეიფერებს?... აქ ხომ არ ცდებიან ქართველები? ვინ არს ეს რუსი?... საიდან იცნობენ?... იციან მისი ასავალ-დასავალი? საყვარელმა მამიდამ მიბრძანა, რომ უცებურად არის ჩამოყვანილი. ერთ თათბირზე აბულ-ასანს უქია როგორღაც... ეხლა ირკვევა, რომ მხოლოდ ჩვენს სოვდაგარს ზანქანს სცნობია თურმე... მაკვირვებს ესოდენ ნაჩქარევი გადანყვეტა საკითხისა. რისა ერიდებათ?..

თანდათან გაიტაცა თამარ-მეფე სამეფო ზრუნვამ და ახალგაზდა თამარ-ქალი, მისი სიმკვირცხლით მფეთქავი გულით თითქო სულ მიყურდა.

მეფე განაგრძობდა თავის თავთან ბჭობას:

— ხომ არ აფიქრებს ამ ხალხს, რომ ამ ყამადაც ხიფათი რამ მოელის სამეფო ტახტსა... ის პირველი ამბოხება ხომ დაცხრა. მართალია, ყურთლუ-არსლანის დასს არრა დავუთმე და სრულიად შეეცვალე სახელმწიფოს გამგენი და ხელმძღვანელი, მაგრამ თვით მე სწორედ ის გავაკეთე, რაც ხალხს უნდოდა. სახელმწიფო საკითხებს ხალხის წინამძღოლთა და ერისთავთა „თანა-დგომითა და ერთ-ნებაობით“ ვსჭრი მეცა. მამ, ვილა უნდა იყოს უკმაყოფილო.. ხალხი?... აკი მათთვის ზრუნვას არ ვიშლით და თანდათანობით მაქვს ღვთის იმედი, მისის შენეენითა ბევრს სასიკეთოს მოვაგვარებთ. მამ ერისთავთაგან?... ჰოო! ეგ კი შესაძლოა... ნეტა ვინ?... ვინ?... ნუ თუ დადიანი?... ან რად გაგახსენდა უთუოდ ეს?... არა, ალლო არ მაცთუნებს... მძლავრი კაცია, დამოუკიდებელი და პატივთმოყვარე... ვინ უწყის, რა არ განიზრახოს!.. ბრძნულადა ბჭობენ, მამ, ქვეყნის მოჭირნახულენი... დიად, დაჩქარება უნდა საქმესაო... მხოლოდ ამასთან?... ამ ჩვილ ბაღლთან?... რა ვქნა, უფალო, მის თვალეში მე გონება ვერ ამოვიკითხე და სული წმინდა და სპეტაკი ვერა ვპოვე... საშვილიშვილო შეცდომა არ მოგვივიდეს...

უფრო ჩაფიქრდა დიდი მეფე:

— ჰა, ჩემო ხალხო... უკუ-ვაგდე ჩემი საპირადო... მოვდივარ შენთან... ისე ვმსჯელობ, ვით სახელმწიფო მბჭობელი ვინმე, მაგრამ **საშვილისშვილო შეცდომა არ მოგვივიდეს!** ფიქრმა მეორჯერ გაიფეთქა ეს უკანასკნელი წინადადება.

თამარმა თითქო გახედაო სივრცეს, მაგრამ ემჩნეოდა, თვალეში ისევე შინაგან იყურებოდენ:

— მამ, ესე დავასკვნათ. სურვილი ხომ დიდი აქვთ, მე ქმარი მყავდეს. ხომ ეს გაუჩნდათ საზრუნავი. რამდენი არ ითათბირეს, ვინ არ მოიფიქრეს, ვინ არ მოიყვანეს... ეხლა ეს უფლისწულია. ყველამ მოინონა, კათალიკოსმაც, მამიდა ჩემმაც. გუშინ კიდევ უჩემოდ თათბირი ჰქონიათ. ეხლა მე მელოდებიან... მეც მეყო ამდენი უარი... აღარ გავამწვავებ საკითხს... დე, იყოს ეგრე... მხოლოდ უნდა გავიცნოთ ეგ რუსი, მისი ხასიათი, მისი საქციელი, მისი თვისება... მოათიოს აქ ხანი ჩვენსა... იყოს ჩემს სასახლეში ერთი წელიწადი მაინც და როს დავინახავთ, ავწონ-დავწონით, მაშინ ისე მოვიქცეთ, ვით აჯობოს... მანამდე კი... ოოჰ, მანამდე!.. აი, გამოსავალი: დავყვები ნებას, რომ მოხდეს... მხოლოდ დაწინდვა და ეს დაწინდვა მოხდეს ზეიმით და გამოჩინებით... მაშინ ყოველნი მტერნი ჩვენის ტახტის შეწრფებიან, ყოველნი მაძიებელნი ჩემის შეუღლებისა შესდგებიან... მერყეობას არლა განვიცდით...

სახე გაეშალა, შეჭირვების შავი ღრუბელი მოშორდა მის ნათელ სახეს და წმინდა თვალეში დაუბრუნდა გარემოს განცდას.

ამ თვალეში გახედეს მტკვარ-გაღმა მთის კალთებზე შეფენილ ტფილისის ქალაქს.

მწვანედ შებურულ ტყის სიხშირეში, მთის შუაგულ თეთრად გამოკიაფობდა მთაწმინდის ტაძარი.

მის ქვემოდ გაშლილ მოედანზე სახელმწიფო მოხელეთა და ხელჯოხიანთა ციხე-დარბაზის კოშკები ზე-აზიდულიყვნენ.

კიდევ იმის ქვემოდ მყარი და მტკიცედ ნაგები საქულბაქოები მოფენოდნენ მიდამოს.

თვალი სწვდებოდა თვით დიდუბემდე და თითქმის იქამდე მთელი ქალაქი წარმოადგენდა ერთ უცხო ბაღნარს, საცა ხსენებული შენობები გამომაცოცხლებელ ნაკვებად ჩასდგომოდნენ.

ამას ზედ თავს ერქვა ლურჯი ცის კამარა, ამ ჟამად სრულიად მოკრიალებული.

მეფემ ზე-აიხედა.

ერთი ღრუბელიც არ მოსჩანდა ცის ტატნობზე, მხოლოდ შორს, შორს რომელიღაც სწრაფი ჩიტი ლურჯ ეთერში მისრიალებდა.

ბრძენ-მეფეს გაელიმა ამის დანახვაზე, თვალი გააყოლა თავისუფლად მონავარდე ფრთოსანს.

და თითქო ამ ფრთებმა წარიტაცეს მისი სურვილებიც ცის კამარაში. იქ გაუჩინარდნენ.

შინ შებრუნდა. სახე დამშვიდებული ჰქონდა, თითქო უფრო მხიარული.

უბრძანა შიმუნვარებს — სამეფო სამოსი და გვირგვინი მოეხადნათ მისთვის.

მოართვეს საშინაო — ნაცრისფერი, ოქრო-მკედით ანაკერი კაბა. ამაზე გრძელი, სალუქი ლეჩაქი გადაიფარა. თავს პანია, ოქროს თაჯი დაიხურა, შინქსოვილი, დარაიის მოსასხამი მოიბურა და მისი აღმზრდელის, მამიდა რუსუდანის სამყოფელისაკენ გაემართა.

თან კვლავ სამნი იახლა: გამდელი და ორი შიმუნვარი. კარის დარაჯთაგან ერთი შორი-ახლო გაჰყვა.

#### ი ა.

გრძელ ერდოზე მოუხდათ გავლა.

გზაზე არავინ შეხვედრიათ, თითქო სასახლე დაცალიერებულიაო. ეტყობოდათ, რომ ნადიმობამდე, ჩვეულებისამებრ, ლოჭინის ხევისაკენ საასპარეზოდ გაკრეფილიყო სტუმრები და დარბაზის ერი.

მხოლოდ ერთი კარებიდან სიმღერის ხმა გამოდიოდა.

თამარი შედგა ცოტა ხანს.

ვაჟკაცის საამური ხმა ჩანგურის ნაზ კილოვნებას მიუყვებოდა. მღეროდა:

„ყველა ფრინველი ხეზე ზის,  
მწყერი მინაზე გოგდება...  
ქალი რად გინდა უცხო მხრის? —  
დასნეულდება, მოკვდება!“<sup>1</sup>

გულს მოხვდა ეს სიტყვები.

თავისი გზა განაგრძო.

— ვინა მღერის ნეტა?

— ეგ გორგა მოშაირე თუ გახლდებათ...

ჰკადრა გამდელმა.

— ვისთან უნდა იყოს... — კვლავ იკითხა თამარმა. გულში კი შეტყვევებდნენ ეხლა განაგონი სიტყვები: „ქალი რად გინდა უცხო მხრის“...

— ოსთა ბატონიშვილი, დავით სოსლანი გხლებიან ნუხელის... —

— დავით სოსლანი? — თამარმა თითქმის პირი მოიბრუნა გამდლისკენ, შემდეგ დამშვიდებით განაგრძო, — მერე, დღეს რომ არ მინახავს ზეიმზე?..

1. ხალხურია.

— გახლდა, ჩემო თვალის სინათლევ, მამიდა შენის ამაღლაში ერია, მაგრამ ცალკე არ წარდგომია.

სიჩუმე ჩამოვარდა. მხოლოდ მარმარილოს ფილაქანი ნაზად ამჟღავნებდა მასზე მიმავალთა სრბოლას.

თამარს გაახსენდა მისი ბავშვობა. მისი თან-შეზრდილი დავით სოსლანი. მამიდის კარზე რომ იზრდებოდნენ და... საშინელი სიმწვავე და ობლობა იგრძნო მისმა გულმა.

გაახსენდა სხვა ვინმე უცხო ჭაბუკი, ისიც მასთან შეზრდილი, მისი ბიძაშვილი, ერთ დროს საქართველოს ტახტის მემკვიდრე, დემნა.

სანახავად ფრიად მშვენიერი, მსწავლული და განგებანი...

დემნა!

იდუმალი ლოცვა ათრთოლდა თამარის ბავშვზე. მიმავალი იმეორებდა:

— ჰოი, უფალო, რომელი ყოველგან ხარ და ყოველსავე აღავსებ... შეუდევ მონასა შენსა საცოდავ დემნას, თუ რომ ცოდვა მიუძღვის შენს წინაშე და აცხოვნე სული მისი...

ამ პანია ლოცვამ თითქო ნუგეში სცა, სიმწვავე გაუნელა.

უკვე მეტის დამშვიდებით იხსენებდა გადასრულსა.

— რა სასტიკად მოუპყრა მამა-ჩემი, გიორგი მეფე, საბრალო დემნას... თვალეები დასთხარა, დაასაჭურისა...

უნებლიედ მარჯვენა ხელი თვალეებზე გადაისვა და შემდეგ კვლავ იდუმალი ლოცვა აღავლინა:

— შეუდევ მამა ჩემსაც, უფალო, რამე თუ გარდახდა შენსა მცნებას, ჰოი, ტკბილო ქრისტევ, და არა მიუტევა თვით მტერთაცა...

კვლავ შესდგა ფიქრი დემნას გარშემო.

— როგორ დაისაჯენ მისი მომხრენიც... რა სასტიკად, რა უწყალოდ... უმრავლესობა ტანჯგანავით... ზოგი კი განდევნეს, ექსორია უყვეს, ზოგიც განპატიჟებულ იქმნა, ზოგიც გარდაიხვენა... სად არიან ეხლა ნეტა?... მართლა, ჭიაბერს რომ ვუბრძანე ცნობები შეეკრიფა? რამდენი ღირსეული მამულიშვილი მოგვაკლდა მაშინ... თვით რუსთაველი, შოთა... კაცი ბრძენი და ცის ნიჭად მოვლენილი... აქამდე ჭიაბერს არაფერი უცნობებია... მართლა ვინ მითხრა?... გავიგეთ, რომ შოთა ამ ჟამად არაბეთს იმყოფებო... უნდა ვუბრძანო, ცნობა მიანვდინონ, რომ დასტურს ვაძლევ სამშობლოში დაბრუნებისას. ეს არ დამავიწყდეს... ღირსეული კაცი ჩემს ტახტთან უნდა იმყოფებოდეს. და აი, ბედშავო თამარ-ქალო!.. შენ მეტი ვერაფრით-ლა გაგახარებ... შოთა ხომ დემნას გულითადი მეგობარი იყო, მის ხვაშიადთა მოწილადე, თანაზიარი... ის იქნება შენს ახლო... მას გამოესაუბრები. ოო, ეს რა უცხო რამ გავიფიქრე! მეფეთა ამბები ხომ იწერება... არაბეთს, მისრეთს და ბიზანტიას... მთელს აღმოსავლეთში ხომ ამ გვარი მწიგნობრობა გავრცელებულია... უკვდავ ნაფიქრთა და ნააზრევთა ნაკვალევი დღესაც გვშთენია... შოთაც ხომ მწერალია და მწერალი ენა-მზე და აზრმახვილი... მე მისგან მშრალ მატყიანეს არ მოვითხოვ... მან უნდა აღწეროს სულ სხვა მატყიანე — თამარ-ქალის გულის ძგერისა და... საცოდავ დემნას უბედოდ ბედი... ამას შეიძლებს. ყოველი იცის მაღალ-ნიჭიერმა და ყოველსავე განსჭვრეტს...

თამარი კვლავ გამოკეთდა.

დიდად იამა, რომ ამ გუნებით მიადგა დიდი რუსუდანის კარიბჭესა.

მოფარდაგული გადასწია.

დაინახა, რომ მამიდა მისი მარტო არ იყო: ორიოდე საპატიო მანდილოსანი და რატი სურამელი იყო რუსუდანთან.

შალვა დადიანი

(შემდეგი იქნება)



## მელტინა

### ფრაგმენტი რომანიდან: „ღმერთების საფარველი“ (პომპეუსის და მიტრიდატ ევპატორის ეპოქა)

პომპეუსთან საომრად გამზადებული მოხუცი პონტოს მეფე მიტრიდატ ევპატორი და მისი მოკავშირე ქართველთა ბატონიშვილი სულჯი თავის კარავში მოელოდნენ ქურუმთა-ქურუმს, რომ გაეგოთ მისგან წინასწარმეტყველება და მიელოთ რჩევა. ამ დროს მოულოდნელად ცა მოიღრუბლა. ევპატორი კარავიდან გამოვიდა და ცას შეჰხედა ავდარიანობის გასაგებად. შუბლზე რამდენიმე მსხვილი წინწკალი დაეცა.

— ცა სანვიმრად გაემზადა. — სთქვა შიგნით შემობრუნებულმა; მართლაც, ორიოდ ნუთს არ გაეგლო, რომ კოკისპირულად წამოუშვა.

— აი, ღმერთების წყალობაც ასეთი უნდა! — სთქვა მიტრიდატმა და მთელი შუბლი შეეჭმუხვნა მჭმუნვარებისგან, — შეუძლებელია ომის დაწყება, ვიდრე სინამდვილეს არ გავიგებთ...

— მე კი მგონია, ტყუილი შიშია... რაც მალე დავიწყებთ, უმჯობესია... — კრძალვით შეჰნიშნა სულჯიმ.

— გამოუცდელი ხარ და იმიტომ ჩქარობ, ჩემო კარგო. თუნდაც სიზმარი სისულელე იყოს და ღმერთების ხელი შიგ არ ერიოს, მაინც ასეთს ავდარში ხომ მთელი ლაშქარი ამოგვეხოცა...

მოუთმენლობამ ისე მოიცვა ევპატორი, რომ რამდენჯერმე ცხენი მოიკითხა ქურუმთან საკუთრივ მისასვლელად. ამასობაში ცა თანდათანობით რისხდებოდა, თითქოს გამოდარებას არ აპირებდა. ელვარე გარდატეხილი ცეცხლის შუბებით ისე ხშირად აწვიმედა ისრებს, თითქოს მთელი ქვეყნიერების გადაწვა ჰსურსო. საშინელი გრგვინვა და ვეშაპსავით გაზოდილი ღრუბლები გულს უღონებდნენ ადამიანს.

— ნეტავ, ვის ემუქრებიან ღმერთები, მე თუ პომპეუსს? — ჰფიქრობდა ცრუმორწმუნოებით უკვე საკმაოდ გულათროლებული ევპატორი. ყოველ შემთხვევისთვის მსახურთ უბრძანა, ოქროსი და ვერცხლის სურებით გაეტანათ, რაცკი რამ უძვირფასესი სურნელი ჰქონდათ, რომ ავდრის ღმერთები დაემწყალობებინათ. თვითონაც საკუთარის ხელით აანთო ძვირფასი ზეთის ლამპარი და თვის მფარველ კარვის კერპს წინ დაუთო. ორიოდ ნუთში კერპმა ფანტასტიური სახე მიიღო და წითელ-ყვითელ-მოლურჯო ფერთა ტალღები შარავანდედათ შეემოსა. ლამპარზე არა ნაკლებ ელვებს ისვროდნენ სოსანისა და ლალისფერი იაგუნდები, მრავალჯურა ფირუზი, ხასხასა ზურმუხტის თვალეები, მთვარესავით ამღვრეული მტრედის კვერცხის ოდენა თეთრი ქვები, ჯადო საწვავი ტოპაზები, ბაქტრიანული ოპალები, რომელთაც მიტრიდატ თვალცემისათვის ინახავდა, საიძლისპირო ღმერთის ქვები, გიშერი, ქარვა, ტეხილ სხივებით ეცემოდნენ ლოცვად მდგარს ევპატორს და რაღაცა საიდუმლოებით შესთამაშებდნენ მის მოქანცულ თვალის ბაიებს...

ამასობაში შეღამდა კიდეც. წვიმა შენელდა. მოხუცი სარდალი და სულჯი გარედ გამოვიდნენ საყარაულოების დასათვალიერებლად. ბევრგან დასძინებოდათ კიდეც, ბევრგან მღეროდნენ, ცეკვავდნენ, ბევრგან საამური ხითხითი გაისმოდა. ეტყობოდათ, რომ იქ გასართობ ამბებით უსაქმურობის ჟინსა ჰკლავდნენ. ერთგან კი უფრო სასურველ სურათს წააწყდნენ: მეომრები ცეცხლაპირ ისხდნენ და ფარშუბსა სწმენდნენ. იქით კიდეც ერთს უფროსს ათი კაცი დაეყენებინა და ლამითაც ავარჯიშებდა:

— შენ ეი, ბოტავ, — აძლევდა შენიშვნას ხან ერთს, ხან მეორეს, — ფეხი გაისწორე, წელში გასწორდი მეთქი!..



— შუბს წინ ნუ ჰხრი, ამხანაგს არ მოახვედრო... შენ კიდევ რა ღმერთები შეგეწინენ, რომ ფარის მოხმარება ვერ ისწავლე! აუკარ ფარი, აბა, მარჯვედ!

— აი, შე სველო ქათამო, მარჯვენა ხელი მიაშველე... მარჯვენას გეუბნები, ყრუ, მარჯვენას, აღარ იცი, რომელია მარჯვენა?

— გასწორდით!.. მწკრივად!..

ამ გაცხარებულ მუშაობამ სიამოვნება აგრძნობინა მოხუცს სარდალს:

— აი, რა სამხედრო მასალაა! რამდენიმე თვე ასეთი თავგამოდებული ნვრთნა, რომაული დისციპლინა მიეცეს ამ ბუმბერაზებს და ნახავ, თუ თვით მათი ღმერთები ოლიმპიდან არ გადმორეკონ!

უფროსი კი განაგრძობდა სწავლებას:

— ფარს აუკარი, შე ტარტაროზის კერძო! ჰო, აგრე...

— შენ ეი, დაშნა მარჯვედ...

— შენ კიდევ, ჩუგლუგი უნდა დასცხო ეხლა...

მიტრიდატმა აღარ შეუშალა ხელი მოვარჯიშეებს, ბანაკის დათვალიერება განაგრძო. დიდად კმაყოფილი იყო, რომ ლაშქარი გულმოდგინეობის სამზადისში იყო, თუმცა ნახევარზე მეტი ფეხშიშველები იყვნენ.

ბანაკის შემოვლა არ დაემთავრებინათ, რომ მოგვთასაკენ დაიწყეს ყურება.

— ნეტავ, რა იქნა ქურუმი რამაზ?

— მშიშარაა; ალბად ღმერთებს თუ მსხვერპლსა სწირავს...

— რით ვერ შესწირა?

მოუთმენლად შესძახა ევპატორმა. ყოველი ღრუბლის ნაფლეთი, რასაც კი უსწორმასწოროდ ქარი გადააფრიალებდა ცის უბეზე, მას რამაზად ელანდებოდა. მოუსვენრობამ გული შეუღონა, მით უფრო, რომ სულჯიმ ვერავითარი საქმე ვერ გაარიგა ისე, რომ მოხუცის ფიქრები რითიმე გაერთო. იგი თავის ფიქრებით დანავარდობდა ათას მხარეს და არ დაეძებდა, რა ყოფაში იყო მოხუცი. ხმალი ამოღებული ჰქონდა და ხან ბუჩქს ერთის შემოქნევით უსხეპავდა ტოტებს, ხან ქვას შემოჰკრავდა ყუით და ანაპერნკლებდა, თითქო მის მჭრელობას და ფხას მათზე სცდისო.

სულჯი ის იყო კიდევ აპირებდა ხმლის გაელვებას, რომ მცხეთის მიდამოებში სარკინეთის გრეხილზე უშველებელი ცეცხლი დაინახა:

— ეს რა ამბავია? — იკითხა შეკრთომით. მიტრიდატმაც გაიხედა სარკინეთისკენ.

— ეგ ცეცხლია... სპასუგე მანეჟანს ნიშანი მიუცია... მალე ყოველს მწვერვალზე და გორაკის თავზე აგეთი ჭიაკოკონა ავარდება, რომ ყველამ გაიგონ, ხვალდილისთვის ჩვენ გადავდივართ შეტევაზე... აგერა კიდევ...

მართლაც, სარკინეთს მეორე მხრითაც მისცეს პასუხი გოროვანიდან, არმაზის ციხიდან, ბელტის ციხიდან და მალე ასეთი ალი დატრიალდა, თითქოს ყველა მწვერვალის გადანვა დაუსახნიათ მიზნადაო.

— განა ნაადრევი არ არის ასეთი ნიშნის მიცემა?

— მეც აგრე ვფიქრობ... ჯერ მეფე არტოკი არსად სჩანს და ნიშანს კი ვაძლევთ... უცნაურია, უცნაური... რატომ მაინც არ დამეკითხა? ეგ რაღას სჩქარობს...

ამ ლაპარაკში იყვნენ, რომ მათ წინ, კარიოს შესავალთან, აჩრდილივით ვილაცა გადაელობათ.

— ვინ არის? — იკითხეს ერთმანეთს და ხმლები გაიძრეს.

— ჩვენს ხელმწიფეს ვახლავართ... დიდებულ მიტრიდატს... სახელგანთქმულს ევპატორს... მე ვიცი, რომ მისი ხმალი რომაელთა საჟლეტად ამოდის ხოლმე ქარქაშიდან... ეხლა რად დასჭირდა, რომ სანყალ ქალს გაქრობით ემუქრება.

მიტრიდატი გაკვირვებით უყურებდა უცნაურ ქალს, რომლის კილო თითქოს ეცნობოდა.

— ვერა მცნობ, ხელმწიფო?

— ვერა...

— არც გასაკვირველია... დიდი ხანია ერთმანეთი აღარ გვინახავს...

— მაინც ვინა ხარ?

— გაიხსენე, ვინ მოგცა სინოპში უვნებულობის თილისმა, მაგ ხმაზე რომ გაქვს შემოკრული.

— მელტინა?!

— ჰო, მელტინა...

— საიდან გაჩნდი?

— საიდან? მეც არ ვიცი... თეთრ მელის ზურგზე შევჯექი და ის მომაფრენდა...

— ჯოჯოხეთის ღმერთებმა წაიღონ შენი თავ-კისერი!

— ჯოჯოხეთისა რას მიშველის; იქ სულ ბუს ცეცხლის თვალები ანთია... მე კი შენი ხელი მეჭირვება...

— მელტინა!.. — ცივად შეჰნიშნა ევპატორმა, — წარსულზე კრინტი...

— არა, არა... ეგ ისე წამომცდა... ან რა საჭიროა... სიყვარული მოჭორილი ზღაპარია... არც მყვარებიხარ... არც გყვარებივარ... ასე არ იყო, დიდებულო?... ჰო, ჰო, ასე იყო... ასეა ეხლაც...

— რას დანანნალებ?

— ვმკითხაობ, ევპატორო, ვმკითხაობ... ყველა ღმერთებმა შემიყვარეს, ყველანი ყველა ადამიანზე მელაპარაკებიან... ყველას მომავალს ვიგებ და ჩემსას კი ვერა... ჩემსაზე სდუმან ღმერთები ისევე, როგორც პირველად ჩემ მიერ ვითომდა შეყვარებულ ადამიანის გული...

მელტინა ბერძნის ქალი იყო, რომელსაც ბოლო დროს დიდი მკითხავის სახელი ჰქონდა გავარდნლი. ახალგაზრდობაში მან მოინადირა ევპატორის გული. ათი წლის განმავლობაში სულ თვალნარბში შეჰყურებდა და მის ბედნიერების ლოცვაში იყო; ვინ იცის, იქნებ მას პირველობაც დარჩენოდა მეფის ვრცელს ჰარამხანაში, რომ შურიან აბეშურას დასმენას არ გაეძევებინა იგი სინოპიდან. მელტინა შურის საძიებლად მზად იყო, მაგრამ სიყვარულმა დასძალა და შურისძიება მის დღევგრძელობას შესწირა. მას შემდეგ მკითხაობა დაიწყო და თავს მით ირჩენდა. მიტრიდატს ბოლოს შეუთრგდა. გაჭირვების დროს ათასში ერთხელ სამკითხაოდ მიჰმართავდა კიდეც, მაგრამ მისი სიყვარული აღარ დაჰბრუნებია. ამასაც ბედნიერებად სთვლიდა მელტინა, რომ მას ერთგვარ სამსახურს უწევდა მკითხაობით. ბოლოს, იმედების გადაწყვეტის შემდეგ, იგი დაეშვა, ლოთობას მიჰყო ხელი და საეჭვო თავშესაფარებში ყოველ ღამე ნახავდით მას უგონოდ მთვრალს, რამაც ნახევრად გამოასულელა იგი. ათასში ერთხელ თუ გაახსენდებოდა თავის პირველი სიყვარული. იგი მოჰყვებოდა ტირილს და უნუგემოდ თავში ცემას. განსაკუთრებით დიდ მოუსვენრობასა ჰგრძნობდა რომაელების მიერ სინოპის დამხობის შემდეგ. თითონაც არ იცოდა, რად, ან როგორ დანანნალებდა ერთი კუთხიდან მეორეზე, მიზანი თავის წყვეტებისა უცბად შეიმცნო მაშინ, როდესაც შემთხვევით იბერიელთა შორის ამოჰყო თავი პონტოელ ჯარისკაცებთან ერთად, რომელთაც მისი კარავი მოასწავლეს და აგერ იპოვნა კიდეც საპოვნელი.

შიგნით შეიყვანეს. საცოდავად აბურძგნული და ფეხშიშველი სულ ძაგძაგებდა. სახითაც მოჩვენებასა ჰგავდა. თავშალში მუჭა-მუჭად ამონეული განწილი თმით. იქვე რომ პურის ნაჭერი დაინახა, ხარბად მივარდა და კბეჩა დაუწყო.

— რა რიგ ჰშიებია, საბრალო! — სთქვა სულჯიმ და სახელდახელო საუზმე გადაუწყო. მელტინამ ხელები დაუკოცნა და ისევე უხმოდ ჭამა განაგრძო.

— მართლა მკითხაობს? — ჰკითხა ცნობისმოყვარეობით სულჯიმ.

— ოდესღაც ყოველისფერს საოცრად წინასწარმეტყველებდა.

— აბა, ეხლაცა სცადე...

— ეხლა არ ვიცი, კიდევ შესძლებს?...

— მაინცა ვცადოთ...

მიტრიდატ რალაცა ფიქრებს ჩაენთქო, იქვე სკამზე ჩამოჯდა და მაღალი შუბლი იდაყვის ბოძზე დაასვენა.

— არ გინდა გიმკითხო, ლამაზო კაცო? — მიჰმართა მელტინამ სულჯის, როდესაც მთელი პური გადაყლაპა, თან კი თეთრი კბილები დაახრაჭუნა და ელვარე შუქი შეანათა სულჯის თვალებში, — მომეცი ხელი, გიმკითხო... შენ ძალიან კეთილი ყოფილხარ... ძალიან კეთილი... გინდა?.. ჰო და მომეცი... აი, აგრე...

სულჯის ხელი ასწია და დაკვირვებით რალაცის ამოცნობას შეუდგა.

— არ მესმის, ეს რანაირი ხაზებია!.. აი, საშუალო ძარღვი... მკლავის გულზე რომ იკლავება... დღეგრძელი სიცოცხლე... ბედნიერება... მაგრამ ვინ არის ის მშვენიერი, რომ ცრემლად დნება? ნუ სტირი, საბრალო, ნუ სტირი... შენს რაინდს უყვარხარ და თავზე გეველება... შენ კი გგონია, მილალატაო... მაგრამ შეხედეთ... ბენვის ხიდი გაიღო... აფროდიტეს ჰერა შემოჰხვდა... იქით! იქით!.. შენ რა ხელი გაქვს ცისკრის მზესთან?.. იცი, ჰჰურს, ჰჰურს მისი ბედნიერება...

მიტრიდატმა შეაჩერა:

— მელტინა, არ იქნება რო მაგის წინასწარმეტყველება შემდეგისათვის გადასდო და ჯერ ჩემი მომავალი გამოიცნო?

— რატომაც არა, რატომაც არა...

მელტინამ ხელი გაიქნია და რალაცას დაუსტვინა.

— ჩემსკენ, ჩემსკენ!..

შემდეგ თვალები დაიქოლვა, თითქოს მზის ჭვრეტას ერიდებო და გველისავით ნაისისინა ცალფეხზე შემდგარმა, და მთელი სხეულით წინ გადახრილმა.

— სსს!.. შრრრ!.. ვინ ხარ შენ?.. აჰ, გიცან, გიცან ღმერთების მოციქული!.. იქ ღმერთები მეჯლისს იხდიან, განა?.. ნიფელაზე თრია გადახტა... ნეფალა წამოიზღაზნა... გახლაკნილი ვეშაპი მოჰქერის... ცეცხლის ისარი მოიმარჯვა... მიტრიდატ, ჰხედავ, თავზარდაცემული გარბის მტერი შენი... გარბის!..

მიტრიდატს გული მიეცა:

— რაო, მელტინა, გაიგე რამე?!.

— როგორ არა, როგორ არა... ყოველისფერი გავიგე... ყოველისფერი უკვე ვიცი... ისიც, რასაცა ჰფიქრობ... ისიც, რაც უნდა გეფიქრნა... ისიც, რაც უნდა მოიფიქრო... რასაც მოიფიქრებ მომავალში... ყოველისფერი ვიცი... ყოველისფერი ამოვიცან...

— სიზმრების ახსნა კი არ გემარჯვება, მელტინა?

— სიზმრებისა? ოჰ, ძალიან... ძალიან!.. აი, დილასაც აკი ნახე? ხომ?!. მითხარი და... ან და მე თითონ გეტყვი, რაცა ნახე... კიდევცა ვხედავ, რასაც ნიშნავს... აი, აი...

— ჰო, ჰო, სთქვი მელტინა, სთქვი, გააჩირალე ათას ძალით ეგ შენი სიბრძნე და ოქროში ჩაგსვამ...

— მომეცი ეგ ბეჭედი, მომეცი... მაგის თვალში დაგანახვებ ყოველისფერსა...

მიტრიდატმა ცერიდან შეიხსნა მღვრია-თვალიანი ძვირფასი ბეჭედი. მელტინამ შიგ გაიხედა და მოჰყვა ღრეჭას:

— სიზმარი... შენი სიზმარი... აგერ, მოდი და დაინახე საკუთარ თვალთ... ისე კარგად სჩანს, როგორც ეხლა შენ ჩანხარ... მის შინაარსაც ისრე ვცნობ, როგორც იმას, რომ მიტრიდატ ევპატორი ხარ!..

— თუ ასეა, მიჩუქებია ეგ ბეჭედი...

მიტრიდატმა თვითონვე დაწვრილებით უამბო თავის სიზმარი. მელტინა მის თხრობის დროს ღიმილით ქვეითა ტუჩს ათამაშებდა:

— ვიცი, ეგ ყოველისფერი ვიცი... ეგ უფრო ადრე ვიცოდი, ვიდრე დაგესიზმრა... ფრთოსანი გველი არ ხოხავს... არც ქუხილია... არც დარი... სისინით მორბის... ჰაერში მოჰქერის და ელვასავით მოიკლავნება... ქერო აუშლია... მაგრამ იგი უვნებელია, როგორც ანკარა... მის სისინს შხამი არა აქვს... მის ცეცხლს წვა არა აქვს... მის ისარს გესლი დაჰკარგვია, რომ გავნოს რამე... მხოლოდ გაბოროტებული ამრეზაა... ქეროს ტყუილად ჰშლის...

— სთქვი, სთქვი, მელტინა, მერე! კიდევ რასა ჰხედავ?

მოუთმენლობით იწვებოდა მიტრიდატ.

— ვინ არის უცხო მონადირე, რომ ბადეს აგებს? არ იცის, განა, რომ ღომს უბრალო ბადე ვერ დაიჭერს... აგერ, ვითომც არწივი დაიჭირა... მაგრამ არწივმა ნისკარტით გული ამოაბღღვნა და მჭერელს... სისხლმა იფეთქა... სისხლიდან იცლება უბადრუკი...

მელტინას უთავბოლო ლაყბობაში მიტრიდატმა პომპეუსის დამარცხება ამოიკითხა.

— მერე, მერე?

— აი, მარჯანი დავწვა... კურდღელიც მინდა... თეთრი კურდღელი... რაც თეთრი... თუ არა და მიმინო იყოს...

ეს უკანასკნელი უფრო ადვილად მოუყვანა ევპატორმა, ვიდრე კურდღელი. მელტინამ სახელდახელოდ მიმინოს გაუჭრა გული და მის სისხლის დუღილში რალაცა ბუტბუტს მოჰყვა, შემდეგ მის სისხლში ამოავლო ქარვა და აღზნებულს ცეცხლში წმინდა ნაკვერცხალი აიღო და შიგ ჩასწვა:

— აი, ჩემი საღმრთო მარჯანი... ჩაიწვას ცეცხლში და ასარკდეს იმისი ბოლი!..

რამდენიმე წუთით თვალები ააჟუჟუნა და ავარდნილ ბოლში რალაცას დაუნყო ყურება.

— შეხეთ, შეხეთ! — დაიძახა ალტაცებით.

— სთქვი, სთქვი, თუ რამეს ჰხედავ!

ცნობისმოყვარე მოხუცი სმენად გადაიქცა.

— ხმალი... მუზარადი... თეთრი ცხენი... დამფრთხალი ცხენი... იქვე დავარდნილი რახტი... აგერ დაშნის ნამსხვრევიც... ვინაა ეს თვალდაფეთებული ჭაბუკი? რა ღმერთი გასწყრომია!.. რად იგლეჯს ლამაზ ხუჭუჭს? ვინ აძლევს საყვირს ქარიშხლის შესაბრუნებლად?.. პომპეუს, გიცან შენ!..

— პომპეუს!.. — შეჰღრიალა თავშეუკავებელი აღმაფრენით ევპატორმა, — სთქვი, მელტინა, სთქვი და ყოველისფერი წაიღე... აჰა, ეს სირიული მარგალიტის ყელსაბამი... აი, ეს სამკლაურები... ეს კიდევ ბეჭდები... ეს კიდევ ოქროთი სავსე ქისა... შინ ას ტალანტზე მეტი არის... კიდევ გსურს რამე? სთქვი!.. სთქვი და განაგრძე...

— ღმერთები შენს მხარეზეა, ევპატორ, შენი მტერი ისე გაჰქრება, როგორც მთროლა ვერხვის ფურცელი დილანდელ ქარიშხლისგან მონყვეტილი...

— მჯერა, ოჰ, მჯერა... აჰა, ესეც... აჰა, ესეც... აი, ეს ბრილიანტები... ეს ზურმუხტი... ეს ლალ-მარგალიტი...

მელტინამ ხელები დაუკოცნა, უეცრივ მკითხაობა შესწყვიტა და ნაჩუქარს დაუნყო აღერსი, კოცნა, გულში მიხუტება...

— შემიძლიან ნავიდე?

— კარგია, ნადი მელტინა, ნადი და მომიგონე ხოლმე... ასეთს გასაჭირში გამომადექი...

— ჰო, ჰო... მაშ, ვილა უნდა მოვიგონო?

და მელტინაც გაჰქრა კარავიდან. სულჯიმ გულიანად გადიხარხარა:

— აი, თურმე სიზმარი რას ნიშნავდა... ეგეც შენი განთქმული მკითხავი, სახელოვანი მელტინა... როგორ გგონია, კარგა ხანს ეყოფა ეგ საჩუქრები, რომ თავისი საყვარლები

აქეიფოს... შენი არ ვიცი და მე მგონია, რომ ეგ დიდი გაიძვერა ვინმე უნდა იყოს... ქურდ-ბაცაცა, რომლისთვისაც თოკიც კი არ უნდა გაიმეტოს ადამიანმა, რომ ჩამოხრჩობის საშუალება მისცეს...

— აგრე ნუ დასცინი... ის ქალი ჩემი თაყვანისმცემელია და გაიძვერობასაც არ იკადრებს...

— ოჰო, სიყმანვილის ჟინმა დაგძლია, — დაცინვით უთხრა სულჯიმ, — მჯერა, მჯერა შენი გულწრფელობა... ყმანვილობით მონაწყვეტი სიტურფე უკვდავების თანასწორი სახსოვარია...

ამ ლაპარაკში იყვნენ, რომ მელტინამ კრძალვით კარები შემოაღო. ორთავეს გაუკვირდათ.

— ამბავი?!

— არაფერია... მცირა... ძალიან ცირა გარედ... ნებას მომცემ, რომ ცოტაოდენი ხნით გავთბე?

— კარგი!..

— გმადლობ, სულგრძელო ევპატორ! სულის სიმშვენიერე მოხუცებაში უფრო გაგზრდია...

ცეცხლაპირს ჩამოჯდა. უსაზღვროდ დანაღვლიანებული იყო.

— ცირა, რა რიგად ცირა...

— დავანთებინო უფრო მეტად?

— არა, ევპატორ... ისევ მე დავანთებ... მე...

— ნეტავ, რად არის, რომ აქ ცეცხლიდანაც-კი სიცვიე მოდის... წინად კი ასე არ იყო... წინედ არ ყოფილა... უცეცხლოდაც ძალზე ვთბებოდი... იქნებ ამან მაინც გამათბოს...

სთქვა და მიტრიდატის ყველა ნაჩუქარი თვალ-მარგალიტი, ყელსაბამი და ბეჭდები სწრაფად ცეცხლს ჩაუკეთა.

— აკი ვთქვი: უჰ, უჰ, რა საამურად დათბა!.. რა საამურად დათბა!..

ამის დანახვაზე ორთავემ ერთად შესძახეს:

— ეგ რა ჰქენ, მელტინა?

— მელტინას სციოდა და მელტინა გასთბა... არაფერია... არაფერი... გმადლობთ...

დიდათა გმადლობთ... უჰ, რა კარგად გავთბი... სისხლი ამიმოძრავდა... მელტინას აღარ სცივა... მშვიდობით...

და როგორც მოჩვენებასავით შემოვიდა, ისე მოჩვენებასავით გაჰქრა.

— საბრალო, შეშლილი ყოფილა! — წარმოსთქვა სულჯიმ.

— შენ კი გაიძვერა უწოდე... ძნელია ადამიანის გამოცნობა...

ამასობაში ქურუმთან გაგზავნილი კაცებიც დაბრუნდნენ, ამბავი მოუტანეს, რომ ქურუმი იგი დაყუდებულია და ხვალ ნაშუადღევამდე ვერ მოიცილისო. მაგრამ მიტრიდატს მისი მოსვლა აღარ ეჩქარებოდა. იგი საკმაოდ დამშვიდებულად ჰგრძნობდა თავს. მელტინას ყოველი სიტყვა ღმერთების მიერ შთაგონებულად ჩასთვალა და დარწმუნებულიც იყო, რომ ხვალ დადგებოდა შურის ძიების დღე, ის ალთქმული დღე, რომელსაც სიზმრად თუ ცხადად ეაღერებოდა და ბერძნული ენით ყოველს განსაცდელში თავს მის მოლოდინით ინუგეშებდა ხოლმე.

„მარადისობა მხოლოდ ერთ დღეს მისთვის გაჩუქებს, რომ ოლიმპივით გამობრწყინდე დიდის დიდებით“...

შუალამე გადატყდა და ძილმაც თავისი მოითხოვა. ორთავე წამოწვენენ, თავთავიანთს ფიქრებში გაეხვივნენ. სულჯი ნაისს ემშვიდობებოდა ხვალინდელ დღის მოლოდინში, ხოლო მიტრიდატ ბრწყინვალე გამარჯვების დღის ანგარიშში იყო; შემდეგ გამარჯვებიდან მელტინაზე ფიქრმა გაიტაცა. გაახსენდა მასთან ტკბილად გატარებული დღეები,



გაახსენდა მისი სიტურფე, რისთვისაც მისი სახე დიოსკურიის ტაძრის ღვთაების ქანდაკ-ზე გადააღებინა ცნობილ მხატვრებს, შემდეგ დაშორება, მელტინას დაავადმყოფება და ბოლოს აპოთეოზი მისი უბედურობისა, — საკუთარ თავისადმი შურისძიება, რომ ის იმდენად ლამაზი და ძლიერი არ გამოდგა, რომ ევპატორი თავის ნაწნავებზე გამობმული ეტარებინა, როგორც აბეშურას. კითხულობდა მიზეზს, როგორ და რად გაჩნდა ჩემს ბანაკში, ან რატომ მომიგონაო? გულწრფელად მაღლობელი იყო მისი, თანაც საშინელს სინიდისის ქეჯნას განიცდიდა, რომ უდიერად ხელი ჰკრა და გააგდო, ვერ დააფასა ღირსეულად იმისი გრძნობა.

— და აი, სიღარიბეში, ძუნწი ცხოვრებისაგან დაჩაგრული, დაჭლექებული თავში მახლის ჩემს საჩუქარს!.. ოჰ, შურისძიების უკეთესს ვერ გამოიგონებდა ვერც ერთი ქვეყნის ღმერთთა ღმერთი... მელტინა, საბრალო მელტინა...

მოხუცს ცრემლები მოერია, მაგრამ მის დაღლილ თვალებს კარგა ხანს ძილი მაინც არ მიჰკარებია...

დავ. კასრადე

## სადათნოვას დაუბეჭდავი ლექსი

მეთვრამეტე საუკუნის ტფილისელი პოეტი სადათნოვა (1712-1795) მეტად ორიგინალური ფიგურაა კავკასიის პოეზიაში. ტფილისის მკვიდრი და დაახლოვებული პირი თითონ ერეკლე მეფისა, ხოლო შთამომავლობით სომეხი, იგი თავისი შემოქმედებით ეკუთვნის როგორც ქართულს, ისე სომხურს და თურქულ პოეზიას.

სადათნოვას ლექსების კრებულს განსაკუთრებული ბედი ეწია. 1795 წ. აღამაჰმადხანის შემოსევის წინ, სადათნოვას ლექსების კრებული — ავტოგრაფი გატანილ იქნა მოზდოკში პოეტის შვილის მიერ, და მხოლოდ 1850 წლის ახლო ხანებში დაბრუნებულ იქნა იგი ტფილისში (დღეს ეს კრებული ინახება სომეხ მწერალთა ბიბლიოთეკაში). ხელნაწერი ამ ხნის განმავლობაში დაზიანებულა და მხოლოდ სანახევროდ შენახულა: აკლია თავი და ბოლო. ხელნაწერში, როგორც ჰფიქრობენ, სადათნოვას ლექსები დალაგებული ყოფილა ასეთის რიგით: ჯერ მოყვანილი ყოფილა ქართული ლექსები, შემდეგ თურქული, ხოლო ბოლოში სომხური. ხელნაწერის თავის დაკარგვასთან ერთად დაკარგულა ყველა ქართული ლექსები და ნაწილი თურქული ლექსებისა, ხოლო ხელნაწერის ბოლოსთან ერთად დაიკარგა სომხური ლექსების ნაწილიც. დღეს კრებულში დაცულია 114 თურქული ლექსი, 46 სომხური ლექსი (ეს სომხური ლექსები გადაწერილია ქართული ასოებით), ხოლო თვით ქართული ლექსებიდან აღარც ერთი აღარ შენახულა.

სადათნოვას ქართული ლექსების ავტოგრაფის დაკარგვის შემდეგ ჩვენ, რასაკვირველია, მეტად უსრული წარმოდგენა გვაქვს ამ დიდი პოეტის შემოქმედების შესახებ ქართულს ენაზე. სადათნოვას ლექსები, მისი ავტოგრაფის გარეშე, ძლიერ ცოტაა შენახული, და რაც მოღწეულია, ისიც მეტისმეტად დამახინჯებულია. საქმე ის არის, რომ სადათნოვას ლექსების ის მცირეოდენი ნაწილი, ჩვენდამი რომ არის მოღწეული, სჩანს, გადმონერულია არა პირდაპირ პოეტის ავტოგრაფიდან, არამედ ყველა ნიშნებით ზეპირად უნდა იყვეს აღდგენილი. ადვილად გასაგებია ამიტომ, თუ როგორი დამახინჯება უნდა განეცადა პოეტის ლექსებს. სულ შენახულია 28 ლექსი, რომლის ცოტად თუ ბევრად აღდგენა შეიძლება. აქედან 15-მდე ლექსი ჩაუნერია პოეტის შვილს ივანეს თეიმურაზ ბატონიშვი-



ლისათვის, ხოლო 13-დე ლექსი გაბნეულია სხვადასხვა კრებულებში მე-XIX საუკუნის პირველი ნახევრისა.

ქვემოთ მოთავსებული სადათნოვას ლექსი (რიგით ოცდამეცხრე), დღემდე არ იყო მთლიანად ცნობილი. საიათნოვას ეს ლექსი, სჩანს, ზეპირად იყო გავრცელებული ტფილისში წარსულ საუკუნის დასაწყისში და ორი სტრიქონი მოჰყავს პოეტს გრიგოლ ორბელიანს, როგორც ეპიგრაფი ერთი თავისი ლექსისა („გიორგი ონიკის დარდები“):

„როდის მობრძანდები, ჩემო ბატონო,  
ფეხქვეშ გაგეშალო ფიანდაზადა!“

ეს ლექსი მთლიანად აღმოჩნდა ჩაწერილი ერთს მე-XIX საუკუნის პირველი ნახევრის ხელნაწერში, რომელიც კერძო პირს ეკუთვნის. აქედან გადმოღებული ასლი გადმოსცა რედაქციას ი. გრიშაშვილმა.

საფიქრელია, რომ ეს ლექსიც ზეპირის გზით არის აღდგენილი, რადგან ზოგ ადგილს ცხადად ეტყობა დამახინჯება (ასე შეუძლებელია საიათნოვას მიეწეროს ასეთი უფერული სტრიქონი: „ნაქები ხარ შენ სუყველაფერშია“, სტროფი 4, სტრიქონი 3).

ამ წინასწარ განმარტებათა შემდეგ მოგვყავს თითონ ტექსტი ამ ლექსისა.

### სამოთხიდან გამოსული

სამოთხიდან გამოსული ვარდი ხარ,  
მუდამ თან გიდევნო სუფრის მაზათა;  
ტანადობით ალვა განაზარდი ხარ,  
ალვის ხეო, რამ გაგხადა ვაზადა.

ნეტავი რა უყო, რა მოვიგონო,  
მე შენი ზიანი არ გავიგონო,  
როდის მობრძანდები, ჩემო ბატონო,  
ფეხქვეშ გაგეშალო ფიანდაზადა.

როდის გნახავ, თვალო, იაგუნდითა,  
წარბები შეგელებოს სურმა-გუნდითა,  
აღმასის ჯილა ხარ, ოქროს ბუდითა,  
სირმა-ვერცხლი მოგიხდება რაზადა.

ხოხობივით დაგლოლავდე ველშია,  
ბროლის ჩაფი დაგეჭიროს ხელშია,  
ნაქები ხარ შენ სუყველაფერშია,  
შევარდენო რამ გაქცია ბაზადა.

ვინვი ეშხისაგან, ალი არა მაქვს;  
ნებით გეხვეწები, ძალა არა მაქვს;  
სადათნოვა ამბობს: ბრალი არა მაქვს,  
ნულარ დამწვავ, ეს მეყოფა ჯაზადა.

## მხატვრული ლიტერატურა

### უცხოეთი

პოლ კლოდელი.

### გზა შეწყვეტილი

პოლ კლოდელის უკანასკნელი პოემა — La Route interrompue დაწერილია შუცენჯში 1923 წლის ივლისში. იგი პირველად გამოქვეყნდა პარიზში, ამავე წლის ოქტომბერში Revue Europeenne-ში. კლოდელი ამჟამად საფრანგეთის ელჩია ტოკიოს მთავრობის წინაშე. იაპონიის უკანასკნელი მიწისძვრის მეორე დღეს მთელი მოწინავე საფრანგეთის საზრუნავი იყო: რა მოუვიდა პოლ კლოდელს? ამიტომაც, როგორც კი გამოქვეყნდა ამ პოემის ფრაგმენტი, რომელიც „კავკასიონი“-ს მორიგ ნომრისთვის ითარგმნა, იგი წამსვე მრავალგზის გადაისტამბა პარიზის ლიტერატურულ პრესაში.

\* \* \*

ნეტავ, თუ ვიპოვნი ჩემს სამგზავრო ფურცლებში რამოდენიმე დღის შესვენებას, რომელიც ნებას მომცემდეს არ გავეხმაურო კილომეტრების გარდუვალ ძახილს, ფეხქვეშ არ გავთელო ეს უბირი ნიადაგი, სადაც წინდანინვე უჩინარი ყამირი არ მიმზადებდეს რაიმე მოვალეობას.

მუდამ არ ვეძებდე უდაბნოს ქარებით მოტიტვლებულ გზებს, მენყერებით გადაკვეთილ ბილიკებს, ტროპიულ გვირგვინით მოფენილ შარებს, სპილოების ქარავნების ფეხით გადათელილებს, და გზატკეცილებს, — რომელზედაც თვალშეუდგამ სიმაღლეებიდან საშინელის ყიყინითა და ტრიალით ეცემიან ამომავალი მზის სხივებში პირდაბანილი მაიმუნები.

არც კი ვიცი, როგორ და რომელ ჯაგებსა და ქვიშნარებს შორის ვიპოვებ საოცრად გადაკვანძული საკრალური ფრაგმენტები წარუხოცელი გზისა. ჩემი თავი საამდროვო მოგზაური როდი მგონია, არამედ უნებლიეთ მივყვები ამ ქვეყნის მეფეების საოცარ კორტეჟს, რომელიც უხსოვარ დროიდან შემდგარა გზად.

გზა გზას ერთვის და მე ორთავეზე მიდგია ფეხი.

რამდენი ხანია, რაც ამ გზებზე დავდივარ.

გზა — ადამიანებიდან მომავალი, გზა ადამიანებისკენ: პარიზიდან N...მდის, N...დან X...მდის, პეკინიდან — რომამდის.

რა მოუცია მსოფლიოსთვის, მითხარით, ამ გზას?

— გზა იგი მიიკლავება კაფეების ტერასების ქვემოთ, სადაც ამ ქალბატონებსა და ბატონებს თავი მოუყრიათ...

დაბებში მის ვალმა-გამოღმა ჩამოუმწკრივებიათ რესტორანები, ბიუროები, ჰალელები, სავაჭროები, ბანკები და W. C.-ები.

როგორ იკარგება იგი სანდალიების მტვერ ქვეშ. ხანაც ფეხსა და ურმის თვალს ეძახის შორეთს სავალად.

მას შეჰყურებენ ღია კარები, ღია ფანჯრები, მისკენ მოისწრაფვის ყველა ნატერფალი, ყოველი მოძრაობა ჩვენი ყურადღების მიმქცევი.

გზა მოგინოდებს გამგზავრებისკენ; ვერსად შეჩერებულხარ. შეჩერდები, იგი მაინც წინ მიისწრაფის.

ვერსად ნახავთ ვერც ბნელ კუთხეებიდან მზვერავ ჩარჩებს და ღორმუცელებს, ვერც ნისლში ჩაფლულ წისქვილებს, ვერც წვეტკოშკიან ჰოტელებს, რომელთაც მარჯვნივ და მარცხნივ არ უვლიდნენ, არ ეძებდნენ გზატკეცილები, შარა-გზები და ბილიკები.

მეორე, სხვანაირი გზა, მაგრამ ჯერ სამყაროს სამი თუ ოთხი კონტინენტი უნდა წარ-  
მოდგენილ იქნას, როგორც ადამიანების საცხოვრებელი კოშკები, ზეციურ პლანეტების  
მზგავსად წყალთა უდაბნოებში რომ გაუბნევიან ღმერთს.

აუცილებელია ყოველი ნაწილის ცალ-ცალკე ახსნა, მთავარი ქმნილების სიდიადის  
შეგნება, ფანჩატურების, რეპლიკების, ფერდობების, სანათურების განწყობილების გა-  
მორკვევა.

ტექსტის სიტყვა-სიტყვით გაშიფრვას, მე ვარჩევდი, ზღვა მოგეცათ გადასანთქავად.  
ღმერთის ნებაც არ არის მთლიანი და ერთსახიერი. ეს სიპრტყეები, ეს სანახები, ეს  
ბორცვები და მთების ზუჩები აქუცმაცებენ მას, — თანაც ისე განმარტავენ, როგორც  
მოცემულია იგი ყოვლადი სითხის სახით.

განგების ყოვლადობა ყოველივე მოძრავის არსთაარსში, მისი გამოცხადება ამ მუქ-  
ლურჯ ელემენტის უშველებელ მოძრავ უფსკრულში ჩემთვის ნათელია, რადგან იგია სწო-  
რედ სიცოცხლის განუყრელი კავშირი.

ალარაა საჭირო მრავალგზის შეწყვეტილი რიტმის მიგნება. მე ცენტრი მიჭირავს, მე  
იქა ვარ. ამ უშველებელი გულის ცემა ყოველივეს ნათელ ყოფს.

და განუზომელი გზის ძახილზე ფართოვდება ჩემი გულიც.

ჰოე ზღვაო, როგორ მიყვარხარ! და ამ წამში ვგრძნობ, რომ ღმერთს ვეხები.

*შუცენჯი. 1923 წლის ივლისი*

*ფრანგულით სთარგმნეს*

*კ. გამსახურდიამ, ა. ჭუმბაძემ*

*როპერ დე-მონტესკიუ.*

\* \* \*

ბავშვებს ასწავლეთ ზღვის ტალღების მიმართ ვედრება.

ცა ძირს დაეშვა და ღრუბელი ქაფია მისი;  
მასში მზის დისკომ გაანელა ალმური თვისი,  
ჩვენს დალილ თვალებს ის ქვევიდან არ ემკვეთრება.

ბავშვებს ასწავლეთ ზეცის მიმართ ლოცვები წყნარი.

ის ზედა ზღვაა, ხოლო ქაფი კი ღრუბელია,  
სიკვდილზე ფიქრი მაშინ უფრო ახლობელია,  
როდესაც მალლა აჩრდილივით გაივლის ქარი.

ყველა ნივთებზე შეასწავლეთ ლოცვა ყმაწვილებს.

სულიერ ფუტკარს ყველგან ძალუძს ნადავლი ნახოს,  
ის მხოლოდ ერთ წუთს სურნელოვან ყვავილზე დაჰყოფს  
და მას ათეულ სიყვარულად დაანანილებს.

*თარგმანი ფრანგულით კ. ჭ.*

შარლ ბოდლერი.

## პარიზის ოცნება

ო, ეს არ არის ბოდვა პირველი!  
ისე, ვით სივრცე უხმო ველებით,  
სჩანს პეიზაჟი გასაკვირველი,  
სავსე უნახავ საშინელებით.

სიზმარი ავი, გაუთენარი!  
ჩემი ოცნების მაღალ სურვილით  
არც ერთი ხით და ცოცხალ მცენარით  
არ იყო სივრცე იქ დაბურვილი.

მე — ხელოვანმა შევქმენ სამეფო  
მკვდარ ფერებიდან — უპურმარილო.  
გავაბატონე, როგორც სამება:  
წყალი, ლითონი და მარმარილო.

სასახლე იყო ეს გიგანტური  
მაღალ კიბეთა უსაზღვროებით,  
და შადრევნების ჯარი ლანდური  
ცას ასკდებოდა მწველ ოქროებათ.

როგორც თეატრის ფარდა გრძნეული,  
რომ თავის ფარჩით კრთის დიდებულად,  
წყალვარდნილები მზეთ დაფრქვეული  
ფიქალ ზეციდან დაკიდებულა.

ირგვლივ ტბებისა სვეტების ჯარი;  
მძიმე ტალღები აღარ დაობდენ,  
და სირენები უზარმაზარი  
ქაფიან წყალში მიქანაობდენ.

შემორკალულნი გრანიტის რკალით  
დარონინებდენ ცისფერი ზღვები,  
თვალუნვდენელი ლამობდა წყალი  
გადაელახა მინის საზღვრები.

არ ამ ქვეყნიურ ყვავილთ კლდეები,  
წყალთა ჯებირი და ხეტიალი:  
ფაფარაყრილი პრომეთეები,  
მათში ზეციურ სხივთა კრიალი,

სადაც უსიტყვო ჩქარ ელვარებით  
ცეცხლის განგესნი ყალყზე დგებიან,  
სადაც აღმასებს ნიაღვარები  
ლაჟვარდისაკენ ერეკებიან!

ციხე-დარბაზებს ვქმნიდი დიდებით.  
გული ამენტო მე — ტიტანს — კიდევ.  
და მოჭედილი თვლებით ხიდები  
ოკეანეზე მე გადავკიდე.

და ყველაფერი, თვით შავი ფერი,  
ვით ცისარტყელა ცეცხლად ალობდა.  
ტალღა სუნთქავდა როგორც ნამქერი  
და ვერცხლის ფერად იდუმალობდა.

ვერ შეხედავდა გადაშლილ ცაზე  
დღის მანათობელს კაცის თვალები,  
მაგრამ ჯადოსნურ პანორამაზე  
დღე ელვარებდა მეტ ბრწყინვალეობით.

და მთელ სამყაროს აქ ეფარება  
(საშინელი და უცხო იარა:  
აქ არის ხილვა, სმენა კი არა!),  
მარადისობის ყრუ მდუმარება.

*თარგმანი ფრანგულით  
ვალერიან გაფრინდაშვილისა*

ფრედერიკ სტენდალ.

## ვანინა ვანინი

**ანუ ზოგი დაწვრილებითი ცნობები კარბონარების უკანასკნელი ვენტის  
შესახებ, რომელიც აღმოჩენილ იქმნა ჰაპის სამფლობელოში**

**იტალიური ქრონიკა**

მოხდა ეს ერთხელ სალამოს, 182... წ. შემოდგომას. მთელი რომი ამოდრავებულიყო: ცნობილი ბანკირი, ჰერცოგი ბ., მართავდა ბალს თავის ახალ სასახლეში, ვენეციის მოედანზე. ამ სასახლის მოსართველად ყველაფერი იყო გამოყენებული, რისი მოცემაც კი შეეძლო იტალიის ხელოვნებას, პარიზისა და ლონდონის ფუფუნებასთან ერთად. საზოგადოება ბლომად იყო მოწვეული. ინგლისის დიდგვაროვან ამპარტავან ლამაზ ქერა ქალებსაც ხვდათ წილად, დასწრებოდნენ ჰერცოგის ბალს და ჯგუფ-ჯგუფად მოისწრაფოდნენ სასახლეში. რომის ულამაზესი ქალები მათ პირველობას ედავებოდნენ.

მამის თანხლებით დარბაზში შემოვიდა ახალგაზრდა ქალი, რომლის მოელვარე თვალები და შავი ხის ფერი თმა მონობდნენ, რომ იგი რომელი უნდა ყოფილიყო. ყველამ მიაპყრო მას თვალები. არაჩვეულებრივი სიამაყე გამოკრთოდა ახალგაზრდა ქალის თითოეულ მიმოხვრაში.

უცხოელი სტუმრები ჰკვირობდნენ, რომ ჰერცოგს ასეთი ჩინებული ბალი გაემართა. „ეს ბალი“, — ამბობდნენ ისინი, — „ჩაჩრდილავს ევროპის მეფეთა დღესასწაულებსაცო!“

მეფებს არა აქვთ იტალიურ ხუროთმოძღვრების სასახლეები, ამას გარდა ისინი იძულებულნი არიან დღესასწაულებზე მოიწვიონ სასახლის სეფე-ქალები, მაშინ როდესაც ჰერცოგმა ბ. მხოლოდ ლამაზი ქალები მოიპატიჟა. ამ სალამოს კი მასპინძლის არჩევანი განსაკუთრებით გამართლებული იყო: ლამაზი ქალები თვალს სჭრიდნენ მამაკაცებს.

შესანიშნავი ქალების ერთად თავმოყრამ კითხვა აღძრა დამსწრეთა შორის, თუ რომელი იყო მათში ყველაზე უფრო ლამაზი. ერთ ხანს არ იცოდნენ, ვისზე შეჩერებულიყვნენ, მაგრამ ბოლოს შავთმიანი და ელვარე თვალებიანი თავადის ქალი ვანიჩა ვანიჩი სალამოს დედოფლად გამოაცხადეს, და მყისვე როგორც უცხოელებმა, ისე ახალგაზრდა რომაელებმაც დასტოვეს ყველა დანარჩენი დარბაზი და თავი მოიყარეს იმ დარბაზში, სადაც ვანიჩა ვანიჩი იმყოფებოდა.

ქალის მამამ, დონ-ასდრუბალ ვანიჩმა, მოისურვა, რომ მის ქალს პირველად სამ გერმანელ პრინცთან ეცეკვა. შემდეგ ვანიჩა ვანიჩიმ იცეკვა რამდენსამე იშვიათად ლამაზ და ჩინებულ ინგლისელთან, მაგრამ მათმა მედიდურმა თავდაჭერილობამ მას თავი მოაბეზრა. ეტყობოდა, რომ ქალს უფრო მეტს სიამოვნებას მიანიჭებდა ახალგაზრდა ლივიო საველლის განვალება, რომელსაც, სჩანდა, მთელის არსებით უყვარდა იგი. ლივიო საველლი ეკუთვნოდა ყველაზე უფრო გამოჩენილ ახალგაზრდა რომაელთა წრეს. იგი თავადიც იყო. მაგრამ მისთვის, რომ რომანი მიეცათ წასაკითხავად, ოციოდე გვერდის წაკითხვის შემდეგ თავის ტკივილს მოიმიზეზებდა და წიგნს განზე გადასდებდა. ეს ვანიჩის შეხედულებით, დიდი ნაკლი იყო.

შუალამე იქნებოდა, როცა ბალზე გავრცელდა ახალი ამბავი, რომელმაც დიდი შთაბეჭდილება დასტოვა.

სწორედ ამ სალამოს წმ. ანგელოზის საპყრობილიდან გაიქცა ახალგაზრდა კარბონარი, სხვის ტანსაცმელში გადაცმული. როცა გაქცეულს ციხის უკანასკნელ დარაჯთან მიუღწევია, რომანტიული გაბედულობით წათამამებული ხანჯლით მივარდნია ჯარისკაცს, რომელსაც იგი დაუჭრია. მდევნელები გაჰყოლიან სისხლიან კვალს, დაჭრილი კარბონარი რომ გზადაგზა სტოვებდა, სრულიად დარწმუნებულნი, რომ ამნაირად უთუოდ შეიპყრობდნენ მას.

როცა ამ ამბავს ჰყვებოდნენ, დონ-ლივიო საველლიმ ისიც იყო გაათავა ცეკვა ვანიჩასთან და ქალი ისევ მის ადგილას დასვა. ვაჟი დაბრმავებულიყო ვანიჩას გრაციითა და სიმშვენიერით. სიყვარულისაგან მას თითქმის ჭკუაც დაჰკარგოდა. დასვა თუ არა ქალი თავის ადგილას, აღტაცებით ჰკითხა:

— მითხარით, ღვთის გულისათვის, ვის შეუძლია დაიმსახუროს თქვენი მონობება?

— იმ ახალგაზრდა კარბონარის, რომელიც ესეც არის ციხიდან გაქცეულა, — უპასუხა ქალმა, — ყოველ შემთხვევაში იმას მეტი გაუკეთებია რაღაც, ვინემ სხვებს, რომელთაც მხოლოდ ის შრომა მიუძღვით ცხოვრებაში, რომ ქვეყნათ დაბადებულან.

თავადი დონ-ასდრუბალი მიუახლოვდა თავის ქალს.

ამ მდიდარს ოცი წელიწადია, რაც ანგარიში არ მოუთხოვია თავის გამგისათვის, რომელიც სესხად აძლევდა მისსავე საკუთარ ფულს დიდ სარგებელს ქვეშ. ქუჩაში რო შეგხვდეთ, იგი ძველი არტისტი გეგონებათ. ვერ შეამჩნევთ, რომ თითებზე ჩამოცმული აქვს ხუთი თუ ექვსი ბეჭედი დიდრონი ბრილიანტებით. ორი მისი ვაჟი იეზუიტების ორდენში



ჩაირიცხნენ, და შემდეგ ჭკუაზე შეირყნენ და მოკვდნენ. დონ-ასდრუბალს დაავიწყდა ისინი, მაგრამ ახლა უკმაყოფილო იყო იმით, რომ ერთად ერთ მის ქალს — ვანინას გათხოვება არ უნდოდა. ცხრამეტი წელიწადი უსრულდებოდა, მაგრამ ყველა შესანიშნავ წინადადებაზე უარს ამბობდა. რა მიზეზი იყო, რომ ასე იქცეოდა? იგივე, რამაც სულლა აიძულა დიკტატურაზე უარი ეთქვა, — რომაელების სიძულვილი.

ბალის მეორე დღეს ვანინამ შეამჩნია, რომ მამა მისი, რომელსაც თავის გამოდება არაფრისათვის არ სჩვეოდა და გასაღებიც კი არასოდეს ხელში არ აეღო, დიდის გულმოდგინებით ჰკეტავდა სასახლის მესამე სართულში ამავალი პატარა კიბის კარს. ამ სართულის ფანჯრები გადიოდა ფორთოხალის ხეებით მორთულ ბანზე.

ვანინა ქალაქს გაემგზავრა სავიზიტოდ. როცა დაბრუნდა, სასახლის მთავარი ალაცაფის კარები დახშული დახვდა საილიუმინაციო სამზადისის გამო და მისი ეტლი იძულებული იყო უკანა ეზოში შესულიყო. ვანინამ თვალები ასწია მაღლა და დაინახა, რომ ერთი ფანჯარა იმ ოთახისა, რომლის ასავალს გულმოდგინედ ჰკეტავდა ამის წინა მამა მისი, ღია იყო. ამ გარემოებამ დიდად გააოცა ქალი. მოიშორა მხლებელი და თვითონ კი მაღლა სართულში ავიდა. მცირე ხნის ძიების შემდეგ მიაგნო რკინის ბადიან პატარა ფანჯარას, რომელიც გადიოდა ფორთოხალის ხეებით მორთულ ბანზე. ის ღია ფანჯარა, რომელიც მან ქვემოდან შენიშნა, სულ ორი ნაბიჯის მანძილზე თუ იქნებოდა მისგან. ეჭვი არ იყო, რომ პატარა ოთახში ვიღაცა ცხოვრობდა. ვინ უნდა ყოფილიყო?

მეორე დღესვე ვანინამ იშოვა გასაღები იმ პატარა კარისა, რომელიც გადიოდა ფორთოხლებიან ბანზე. ქურდის სიფრთხილით მიუახლოვდა ფანჯარას, რომელიც წინანდებურად ახლაც ღია იყო. შეიჭვრიტა შიგ დარაბებ შორის. ოთახის სიღრმეში ლოგინი იდგა და ლოგინზე კი ვიღაცა იწვა. პირველად ვანინამ განიზრახა უკანვე დაბრუნებულიყო. მაგრამ ერთ-ერთ სკამზე დაგდებულს ქალის ტანსაცმელს მოჰკრა თვალი. მაშინ კი დააკვირდა ლოგინში ჩანოლილ ადამიანს. ყოველი ეჭვი გაუქრა: სჩანდა, რომ იგი ქერა და ძალიან ახალგაზრდა ქალი უნდა ყოფილიყო. სკამზე დაგდებული კაბა სულ ერთიანად გასისხლიანებული იყო. ქალის ფეხსაცმელებიც, რომლებიც სკამზედგე იდგა, სისხლში იყო გასვრილი.

უცნობი ქალი შეინძრა და ვანინამ შეამჩნია, რომ იგი დაჭრილი იყო.

გულმკერდზე გადაფარებული ჰქონდა სისხლით გასვრილი დიდი ჩვარი, რომელიც მხოლოდ ზონარით ჰქონდა მიმაგრებული. ცხადი იყო, რომ ჭრილობა დოსტაქარის ხელით არ იყო შეხვეული.

ვანინამ შეამჩნია, რომ მამა მისი ყოველ დღეს, ნაშუადღევის ოთხ საათზე, ჩაიკეტებოდა თავის ოთახში, და შემდეგ კი მაღლა ავიდოდა უცნობი ქალის სანახავად, საიდანაც მალე დაბრუნდებოდა, ჩაჯდებოდა ეტლში და გრაფის ქალთან ვიტტელესკისთან გაემგზავრებოდა.

როგორც კი წავიდოდა მამა, ვანინა ავიდოდა პატარა ბანზე და იქიდან უთვალთვალებდა უცნობ ქალს.

ახალგაზრდა ქალი ძალიან მოეწონა ვანინას, და ცდილობდა გაეგო მისი ისტორია. სკამზე დადებული კაბა, როგორც სჩანდა, ხანჯლით იყო დახვრეტილი. ვანინას შეეძლო დაეთვალა მასზე ნახვრეტები.

ერთხელ ვანინამ ზედმიწევნით დაათვალიერა ფანჯრიდან უცნობი: მისი ცისფერი თვალები ცისკენ იცქირებოდნენ; ეტყობოდა, რომ ლოცულობდა. მალე აუცრემლდა კიდევ თვალები ავადმყოფს, და თავადის ასულს დიდი ძალა უნდა დაეტანებია თავისთვის, რომ არ დალაპარაკებოდა.

მეორე დღეს ვანინამ ისიც კი გაბედა, რომ ბანზე დაიმაღლა მამის მოსვლის წინ. მან დაინახა, თუ როგორ შევიდა დონ-ასდრუბალი უცნობთან საჭმელით სავსე კალათათი. თავადი ძალზე აღელვებული იყო, ცოტას ლაპარაკობდა და ისე ჩუმად, რომ ვანინამ ვერც

კი გაარჩია მისი სიტყვები, თუმცა ფანჯარას დარაბაც გაღებული იყო. დონ-ასდრუბალი მალე გავიდა ოთახიდან.

„უეჭველად, ამ ქალს ბევრი საშიში მტერი ჰყავს“, გაიფიქრა ვანიანამ, „თუკი მამაჩემიც, რომელიც ესოდენად დაუდევარია, სხვას არავის არ ენდობა და თვითონ ამოდის ყოველ დღე ას-ოც საფეხურიან კიბეზე“.

ერთ საღამოს ვანიანამ სულ ახლოს მიიტანა თავი უცნობი ქალის ფანჯარასთან. მათი თვალები მოულოდნელად შეხვდნენ ერთმანეთს. ვანიანამ უნებლიეთ გასცა თავისი თავი.

თავადის ქალი მუხლებზე დაეცა და წამოიკივლა:

— მე თქვენ მიყვარხართ!.. თქვენი ერთგული ვარ!

უცნობმა ანიშნა და ვანიანაც შევიდა ოთახში.

— მაპატიეთ, — მიმართა ავადმყოფს, — ჩემი ცნობისმოყვარეობა, ალბად, შეურაცხებად გეჩვენებათ, გეფიცებით, ყოველივე საიდუმლოდ დარჩება, და თუ მომთხოვთ, არასოდეს არ ამოვალ აქ.

— ნუ თუ მოინახება ისეთი ადამიანი, რომელიც არ იგრძნობს ბედნიერებას თქვენს დანახვაზე? — უპასუხა უცნობმა ქალმა, — თქვენ ამ სასახლეში ცხოვრობთ?

— რა თქმა უნდა! — უპასუხა ვანიანამ. — მაგრამ თქვენ, ალბად, არ მიცნობთ: მე ვანიანა ვარ, დონ-ასდრუბალის ქალი.

უცნობმა ქალმა გაკვირვებით შეხედა ვანიანას, განითლდა და სთქვა:

— მომეცით ნება, იმედი ვიქონიო, რომ ყოველ დღეს მნახავთ, მაგრამ ვისურვებდი კი, რომ თავადმა არ იცოდეს თქვენი ვიზიტების ამბავი.

ვანიანას გული ძალზე უცემდა. უცნობი ქალის მანერები ღირსებით აღსავსე ეჩვენებოდა. ალბად, ამ უბედურმა ქალმა შეურაცხყო ვინმე გავლენიანი პირი, ფიქრობდა ვანიანა. ისიც შესაძლებელია, რომ იჭვიანობდა და ამ ნიადაგზე საყვარელი შემოაკვდა. ვანიანას შეუძლებლად მიაჩნდა, რომ უცნობი რაიმე უბრალო მიზეზის წყალობით ყოფილიყო გაუბედურებული.

უცნობმა ქალმა გაუმხილა ვანიანას, რომ იგი მხარშია დაჭრილი, და იარა ისე ღრმად ჩადის გვერდში, რომ დიდად სტანჯავს მას. ისიც უთხრა, რომ ხშირად სისხლი ყელითაც ამოსდის.

— თუ ასეა, ნუ თუ დოსტაქარი არ დადის თქვენთან? — იკივლა ვანიანამ.

— განა არ იცით, რომ რომში დოსტაქრები ვალდებული არიან წარუდგინონ ანგარიში პოლიციას იმ დაჭრილთა შესახებ, რომელთაც სწამლობენ? — უპასუხა უცნობმა, — თავადის პატივისცემა ჩემდამი განუზომელია! თვითონ მიხვევს ჭრილობას ამ ტილოს ჩვართ.

უცნობმა დიდის მოხერხებით დაფარა მისი თავგადასავალის საიდუმლოება. ვანიანას მთელის არსებითი შეუყვარდა იგი, თუმცა დიდად აკვირვებდა ის გარემოება, რომ მეტად სერიოზული საუბრის დროს უცნობი ძალას ატანდა თავს, რომ არ გასცინებოდა.

— ჩემთვის ძალიან სასურველი იქნებოდა თქვენი სახელის გაგება, — უთხრა მას ვანიანამ.

— მე კლემენტინა მქვიან!

— მაშ ასე, ჩემო კლემენტინა, ხვალ ხუთ საათზე მოვალ თქვენთან.

მეორე დღეს ვანიანამ უარესობა დაატყო თავის ახალ მეგობარს.

— მე მინდა, დოსტაქარი მოგიყვანოთ, — უთხრა ვანიანამ და აკოცა.

— უმაღლესი სიკვდილს დავთანხმდები, — უპასუხა მეგობარმა, — განა შემძლია ჩემი კეთილისმყოფელნი სახიფათო მდგომარეობაში ჩავაყენო?

— რომის გუბერნატორის სენიორი საველლი კატანცარას დოსტაქარი ჩვენი ერთ-ერთი მოსამსახურის შვილია, — მიუგო ვანიანამ, — ის ერთგულია ჩვენი და მდგომარეო-

ბაც ისეთი აქვს, რომ თამამად შეუძლია არავის არ მოერიდოს. მამა ჩემი მაინცა და მაინც არ ენდობა მას, მაგრამ მე მოვინვევ...

— მე არ მჭირია დოსტაქარი, — გაანწყვეტინა უცებ უცნობმა და ალელდა. ამან ვანი-  
ნა დიდად გააკვირვა, — მნახეთ ხშირად, და თუ ღმერთმა ინება ჩემი განვევა ამ ქვეყნი-  
დან, ბედნიერი ვიქნები თქვენს ხელზე დავლიო სული.

მეორე დღეს უცნობი უფრო უარესად შეიქმნა.

— თუ მე გიყვარვართ, — ურჩია ვანიანამ, როცა მისგან წასვლა დააპირა, — დოსტა-  
ქარი მოვიხმოთ და ჰკითხეთ რჩევა.

— მისი მოსვლით მე ბედნიერება გამომენიერება!

— მე გავგზავნი მასთან. — არ ეშვებოდა ვანიანა.

უცნობმა არ გაუშვა ვანიანა, უსიტყვოდ მოკიდა ხელზე ხელი და ზედ რამდენიმეჯერ აკოცა, რის შემდეგ ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოვარდა. ავადმყოფს თვალები ცრემლით ავე-  
სო. ბოლოს გაანთავისუფლა ვანიანას ხელი და ისეთი გამომეტყველება მიიღო, თითქოს  
სასიკვდილოდ ყოფილიყო განწირული.

— უნდა გაგიმხილოთ საიდუმლო. ამ სამი დღის წინად მოგატყვილეთ, როცა გითხა-  
რით კლიმენტინა მქვია მეთქი. — წარმოსთქვა მან. — მე ერთი უბედური კარბონარი ვარ...

გაოცებულმა ვანიანამ სწრაფად გასწავა მისგან სკამი, რომელზედაც იჯდა, და აჩქა-  
რებით ადგა.

— მე ვგრძნობ, — განაგრძო კარბონარმა, — ამ განცხადებით ვკარგავ ერთად ერთ  
საუნჯეს, რომელიც მაკავშირებს სიცოცხლესთან. მაგრამ თქვენი მოტყუება ჩემს ღირსე-  
ბას არ შეეფერებოდა. მე მქვიან პიეტრო მისსირილლი და ცხრამეტის წლისა ვარ. მამა ჩემი  
ლარიბი დოსტაქარია Sant-Angelo-in-vado-ში, მე კი კარბონარი ვარ. ჩვენი ვენტა აღმოაჩი-  
ნეს და მეც რომანიიდან რომს ჩამომიყვანეს ბორკილებში. ჩამაგდეს ციხეში, რომელიც დღი-  
თაც და ღამითაც ღამით არის განათებული. აქ ცამეტ თვეს დავყავი. ერთ გულშემატი-  
ვარ ადამიანს აზრად მოუვიდა ჩემი დახსნა. ჩამაცვეს ქალის ტანსაცმელი. იმ დროს, როცა  
ციხიდან გამოვდიოდი და დაუახლოვდი უკანასკნელ კარებთან მდგომ ჯარისკაცებს, გა-  
ვიგონე, რომ ერთი მათგანი წყევა-კრულვით იხსენიებდა კარბონარიებს. მე მას სილა გა-  
ვარტყი. მე თქვენ გარწმუნებთ, რომ ეს ბავშვობით არ მომსვლია, უბრალო გულმავინყობის  
ბრალი იყო. ამ გაუფრთხილებლობის შემდეგ, ხიშტით დაჭრილს დამდევენენ რომის ქუ-  
ჩებში თითქმის მთელი ღამის განმავლობაში. ძალაგამოლეულმა შევირბინე ერთ სახლში,  
რომლის კარები ღია დავინახე. მდევნელი ჯარისკაცების ფეხის ხმა აქაც შემომესმა. მაშინ  
გადავხტი ბაღში, სადაც დავეცი იქ მოსეირნე ქალის ახლობლად.

— გრაფის ქალი ვიტტელესკი, მამა ჩემის მეგობარი! — სთქვა ვანიანამ.

— რაო? განა ეს მან თქვენ გაამბოთ! — წამოიყვირა მისსირილლიმ. — მაგრამ ვინც  
არ უნდა იყოს ეს ქალი, რომლის სახელი არასოდეს არ უნდა ითქვას, მან მიხსნა სიკვდი-  
ლისაგან. იმ დროს, როცა ჯარისკაცები შედიოდნენ მასთან, მამა თქვენი მე ეტლით მი-  
მაქროლებდა. ძალიან ცუდად ვგრძნობ ჩემს თავს: ეს რამდენიმე დღეა, რაც ჭრილობა  
სუნთქვას მიშლის. უთუოდ მოკვდები სასონარკვეთილებისაგან, რადგან კვლავ ველარ  
გნახავთ თქვენ.

ვანიანამ მოუთმენლად მოუსმინა კარბონარის და შემდეგ საჩქაროდ გავიდა ოთახი-  
დან. მისსირილლის არ შეუმჩნევია მის მშვენიერ თვალებში თანაგრძნობის ოდნავი ნიშა-  
ნიც კი, — ვანიანას თვალები გამოხატავდნენ მხოლოდ შეურაცყოფილს სიამაყეს.

ღამე დოსტაქარი გამოცხადდა. ის მარტოდ-მარტო მოვიდა. მისსირილლის ყოველი  
იმედი დაეკარგა; დარწმუნდა, რომ ვანიანა ამიერიდან არ მოვიდოდა მის სანახავად. ათასი  
კითხვა მისცა დოსტაქარს, მაგრამ არც ერთზე არ მიუღია პასუხი, ისე გაულო დოსტაქარმა  
სისხლი. შემდეგი დღეებიც ამნაირადვე გავიდა. პიეტროს თვალები არ სცილდებოდნენ

ბანზე გამავალ ფანჯარას: ვანიჩა ამ ბანით შემოდოდა ჩვეულებრივად მასთან. ახალგაზდა კარბონარს უბედურზე უბედური ეგონა თავისი თავი. ერთხელ, შუა ღამე იქნებოდა, რომ მოეჩვენა, თითქო თვალი მოჰკრა ვილაცას ბანზე. ვანიჩა ხომ არ არის?

ვანიჩა ყოველ ღამე მოდიოდა და ლოყით მიეყრდნობოდა ფანჯარის მინას.

„თუ ხმა გავეცი, უთუოდ დავიღუპები, — ფიქრობდა ქალი, — არა, მე არასოდეს არ უნდა ვნახო იგი“.

მაგრამ გარეშე თავის ნებისა, მიუხედავად მიღებული გადაწყვეტილებისა, მას მოაგონდა ის მეგობრობა, რომელიც ჩამოვარდა მასსა და ამ ყმანვილს შორის, როცა იგი ასე წინდაუხედავად ქალი ეგონა. ასეთი დაახლოვების შემდეგ საჭირო იყო დაევიწყნა იგი სრულიად. როცა ვანიჩა აკვირდებოდა თავის მსჯელობას, აშინებდა ის ცვლილება, რომელიც მომხდარიყო მის აზროვნებაში. მას შემდეგ, რაც მისსირილლი გამოამჟღავნა თავისი ნამდვილი ვინაობა, ჩვეულებრივი ფიქრების საგნები რაღაც დაშორდნენ ვანიჩას, თითქოს ნისლში გაეხვივნენ.

არ გასულა ერთი კვირაც, რომ აკანკალებული და გაფითრებული ვანიჩა შემოჰყვა დოსტაქარს ახალგაზდა კარბონარის ოთახში. ვანიჩა ეწვია ახლა ავადმყოფს იმის სათქმელად, რომ საჭირო იყო მამა მისის დათანხმება, რათა მის მაგიერობა ავადმყოფის მოვლის საქმეში ამიერიდან მოსამსახურეს გაეწია. ქალმა ამ შემთხვევაში ათიოდე წამი დაჰყო ავადმყოფთან, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ კაცთმოყვარეობამ დასძლია და კვლავ ეწვია მას დოსტაქართან ერთად.

ერთხელ საღამოს, მიუხედავად იმისა, რომ მისსირილლი გაცილებით უკეთ გრძნობდა თავს, ვანიჩამ მაინც ინახულა იგი. ახლა ქალი მარტო ეწვია ვაჟს. მისსირილლის ნეტარება უსაზღვრო იყო, როცა ვანიჩა დაინახა, მაგრამ ძალა დაატანა თავს და დამალა აღტაცება. უწინარეს ყოვლისა მას არ უნდოდა ელაღატნა მამაკაცის შესაფერ თავდაჭერილობისათვის. ვანიჩას კი სახე ანთებული ჰქონდა. ქალს ეშინოდა, რომ ვაჟს სიყვარულზე არ ჩამოეგდო მასთან საუბარი, მაგრამ გააკვირვა კი იმ გარემოებამ, რომ მისსირილლი შეეგება მას მხოლოდ მეგობრულად და არავითარი სხვა გრძნობის ნასახიც კი არ გამოამჟღავნა. არც კი უთხოვნია მოეცადა, როცა ვანიჩამ წასვლა დააპირა.

როდესაც რამდენიმე დღის შემდეგ ვანიჩა კიდევ ეწვია, მისსირილლი მას ისევე შეხვდა, როგორც ამას წინად. იგი მხოლოდ არწმუნებდა ქალს, რომ ერთგული იქნებოდა მისი საუკუნოდ და მადლიერი შეუცვლელად. თუმცა ვანიჩას შორს ეჭირა თავი იმ აზრისაგან, რომ შეენელებინა ახალგაზრდა კარბონარის მგზნებარება, მაგრამ მაინც კი უნდოდა შეეტყო, თუ რამდენად ინანილებდა იგი მის სიყვარულს. ამ დღემდის ესოდენად ამაყი ყმანვილი ქალი გულის ტკივილით გრძნობდა, რომ გონიერებას ჰკარგავდა. მაგრამ თავი მხიარულად ეჭირა, თითქმის ცივად. იშვიათადაც ეწვეოდა ავადმყოფს, მაგრამ ის კი ვერ შესძლო, რომ სულ არ ენახა.

მისსირილლი კი იწოდა სიყვარულისაგან, მაგრამ არ ავიწყდებოდა, რომ უბრალო შთამომავლობისა იყო და დიდი მოვალეობაც აწვა თავს. ამიტომ გადასწყვიტა გაეცხადებია სიყვარული ვანიჩისათვის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ქალი მთელი ერთი კვირის განმავლობაში არ ინახულებდა მას. ახალგაზრდა თავადის ასულის თავმოყვარეობაც შეილახა; თავის მხრით ვანიჩამაც გადასწყვიტა ბოლომდის თავი შეეკავებინა.

„რა ვუყოთ მერმე? — გაიფიქრა მან, — მხოლოდ იმისათვის დავდივარ მის სანახავად, რომ ეს მე მსიამოვნობს, მაგრამ არასოდეს კი არ გაუმხელ, რომ იგი მაინტერესებს.“

ვანიჩა ხანგრძლივად რჩებოდა მისსირილლისთან, მაგრამ ვაჟი ესაუბრებოდა ისეთ კილოზე, თითქოს ოცი კაცის საზოგადოებაში საუბრობდა. ერთხელ კი, საღამო ჟამს, მას შემდეგ რაც მთელი დღის განმავლობაში ვანიჩას სძულდა მისსირილლი და გადაწყვეტილიც ჰქონდა უფრო ცივი და სასტიკი ყოფილიყო მასთან, ვინემ ჩვეულებრივად იყო, ქალ-



მა უთხრა ვაჟს — მიყვარხარო. გავიდა კიდევ რამდენიმე დრო, და ქალს უკვე აღარ შეეძლო არ დათანხმებულიყო ყველაფერზე, რასაც ვაჟი მოისურვებდა.

თუმცა სიგიჟე იყო ყოველივე ეს, მაგრამ, უნდა ითქვას, რომ ქალი უსაზღვროდ ბედნიერი იყო. მისსირილლისაც აღარ ეშინოდა ახლა თავისი ღირსების დამცირებისა. მას უყვარდა ისე, როგორც უყვართ პირველად, როგორც უყვართ ცხრამეტ წლიანებს და ისიც იტალიაში. ისეთი კეთილსინდისიერი იყო მისი აღტაცებული სიყვარული, რომ ვანინას ისიც კი გაუმხილა, თუ რა ეშმაკობას მიმართა, რომ ქალს შეეყვარებოდა იგი. მისსირილლი არ მოელოდა, რომ ასე უსაზღვროდ ბედნიერი იქნებოდა.

ოთხმა თვემ შურდულივით გაირბინა. დადგა დღე, როცა დოსტაქარმა თავისუფლება მისცა ავადმყოფს. „ახლა კი რაღა ვქნა? — გაიფიქრა მისსირილლიმ, — განა შესაძლებელია ჩემთვის რომის ულამაზეს ქალთან დამალვა?... წყეული ტირანები, რომელთაც ცამეტი თვე მანვალეს ციხეში, უთუოდ ისე გაიგებენ ამას, თითქოს გამტყუეს, დამიმორჩილეს. იტალიავ, მართლაც უბედური ყოფილხარ, თუ შენი შვილები ასე ადვილად მიგატოვებენ შენ!“

ვანინა არ ეჭვობდა, რომ პიეტროსათვის უდიდესი ნეტარება იყო მასთან სამუდამოდ დარჩენა. ვაჟს ეტყობოდა, რომ ბედნიერად გრძნობდა თავს. მაგრამ ბონაპარტეს მიერ თქმული ერთი ფრაზა საყვედურის სახით ჩაესმოდა მუდამ გულისყურში და უნამლავდა ნეტარების წუთებს. 1797 წელს, როცა გენერალი ბონაპარტე ბრეშიიდან მიდიოდა, მუნიციპალიტეტის მოსამსახურეებმა მიაცილეს იგი ქალაქის კარამდე და უთხრეს, რომ ბრეშის მცხოვრებთ ყველა იტალიელებზე უფრო უყვართ თავისუფლებას.

— დიად, — მიუგო გენერალმა, — მათ უყვართ თავისუფლებაზე ლაპარაკი თავიანთ საყვარლებთან.

მისსირილლიმ ცივად უთხრა ვანინას:

— როგორც კი დაღამდება, უნდა წავიდე.

— შეეცადე, რომ განთიადამდე დაბრუნდე. მე მოგიცდი.

— განთიადზე მე რამდენიმე მილის მანძილზე დავშორდები რომს.

— ძალიან კარგი, — ცივად უპასუხა ვანინამ, — მაგრამ სად აპირებთ წასვლას.

— რომანიაში, — შურის საძიებლად.

— რადგანაც მე მდიდარი ვარ, — უპასუხა ვანინამ სრულიად დამშვიდებულად, — იმედი მაქვს, რომ უარს არ იტყვით და მიიღებთ ჩემგან ფულს და იარაღს.

მისსირილლი ერთხანს თვალების მოუცილებლად შესცქეროდა ვანინას, რის შემდეგ გულში ჩაიხუტა სატრფო.

— ჩემო სიცოცხლე, შენ მე მავინყებ ყველაფერს, ჩემს მოვალეობასაც კი, მაგრამ რამდენადაც უფრო კეთილშობილური გული გაქვს, იმდენად უფრო უნდა გესმოდეს ჩემი გულისთქმა.

ვანინამ ბევრი ცრემლი დაღვარა, გადაწყვიტეს, რომ პიეტრო მხოლოდ ერთი დღის შემდეგ დასტოვებდა რომს.

— პიეტრო, — უთხრა ვანინამ მეორე დღეს, — თქვენ ხშირად გითქვამთ ჩემთვის, რომ მდიდარ კაცს, მაგალითად, რომაელ თავადს, რომელსაც ბევრი ქონება აქვს, შეუძლია თავისუფლების საქმეს დიდი სამსახური გაუწიოს, თუ ავსტრია ჩვენგან დაშორებულ სადმე საზღვარზე არა ხელსაყრელ ომში იქმნა გათრეული.

— უეჭველია! — უპასუხა გაკვირვებულმა პიეტრომ.

— თქვენ დიდებული გული გაქვთ, მხოლოდ მდგომარეობა კი არა. მე თქვენ გაძლევთ ჩემს ხელს და ორას ათას ლივრს შემოსავალს, მამა ჩემს მე თვითონ დავითანხმებ.

პიეტრო ფეხქვეშ ჩაუვარდა ქალს. ვანინაც გახარებული იყო.

— მე თქვენ მთელის არსებით მიყვარხართ, — უთხრა ვაჟმა, — მაგრამ ჩემი სამშობლოს ერთი ღარიბი მოსამსახურეთაგანი ვარ, და რაც უფრო უბედურია იტალია, მით

უფრო ვალდებული ვარ, მისი ერთგული ვიყვე. დონ-ასდრუბალის დასათანხმებლად იძულებული ვიქნები შეუფერებელი როლი ვითამაშო რამდენიმე წლის განმავლობაში. ვანი-ნა, მე უარსვყოფ შენს წინადადებას.

მისსირილლის ამით უნდოდა უკან დასახევი გზა გადაეჭრა თავისთვის. ვაჟკაცობამ უღალატა მას.

— ჩემი უბედურება ის არის, რომ სიცოცხლეზე უფრო მიყვარხარ, — წამოიძახა მან, — რომიდან წასვლა ჩემთვის უდიდესი სასჯელია, მაგრამ რატომ არის, რომ იტალია ბარბაროსების ხელშია! რა სიამოვნებით წავიდოდი შენთან ერთად ამერიკაში!

ვანი-ნა ცივად შეხვდა ამ სიტყვებს. მისი თავმოყვარეობა შელახა პიეტროს უარმა. მაგრამ არ გასულა წამიც, რომ იგი კვლავ ჩაეკრა გულში მისსირილლის.

— არასოდეს არ ყოფილხარ ასე მშვენიერი! — უთხრა ალტაცებით, — დიად, ჩემო პატარა სოფლის დოსტაქარო, მე სამუდამოდ შენ გეკუთვნი. შენ ისეთი დიდებული ხარ, როგორც ჩვენი ძველი რომაელები.

თავი მიანებეს მომავლის გეგმაზე ლაპარაკს, განზე გადასდევს შავი ფიქრები, და სიყვარულის ექსტაზმა მოიცვა მათი არსება. როცა კი გონიერება დაუბრუნდათ, ვანი-ნამ უთხრა:

— მეც რომანიში ვიქნები თითქმის ერთსა და იმავე დროს შენთან. მე ვაიძულებ, დამინიშნონ პორეტის აბანოები და დავდგები San Nicolo-ს ჩვენს სასახლეში, ფორლის ახლო.

— იქ კი სიკვდილამდე შენთან ვიქნები! — უპასუხა მისსირილლიმ.

— ამიერიდან ჩემი ხვედრია ყველაფრის გაბედევა. მე შენთვის თავს დავილუპავ, მაგრამ განა ეს სულ ერთი არ არის! შეგიძლია თუ არა, გიყვარდეს პატივყარილი ქალი? — ჰკითხა ვანი-ნამ.

— განა შენ ჩემი ცოლი არა ხარ? ცოლი, რომელსაც მე ვალმერთებ სიკვდილამდე. მე შევძლებ შენს დაცვას და სიყვარულს.

ვანი-ნა სახლიდან სადღაც უნდა წასულიყო, როგორც კი გავიდა იგი ოთახიდან, მისსირილლი დაფიქრდა თავის საქციელზე და დარწმუნდა, რომ ბარბაროსულად მოიქცა.

— რა არის სამშობლო? — ჰკითხა მან თავს, — ეს ხომ ცოცხალი არსება არ არის, რომლის მადლობელი უნდა ვიყვეთ მონიჭებული სიკეთისათვის, და რომელიც უბედურად იგრძნობს თავს და დაგვწყევლის, თუ უყურადღებოდ დავსტოვეთ. სამშობლო და თავისუფლება იგივეა, რაც ჩემი მოსახსამი, — სასარგებლო ნივთი, რომელიც, მართალია, ფულით უნდა შევიძინო, თუ მემკვიდრეობით არ დამრჩენია მამისაგან. მაგრამ ბოლოს და ბოლოს მე მიყვარს სამშობლო და თავისუფლება იმისთვის, რომ ერთსაც და მეორესაც ჩემთვის სარგებლობა მოაქვს. მე არ მეცოდინება, რა უნდა ვუყო მათ, თუ ისინიც ისე გამომადგებიან, როგორც მოსახსამი მარიამობის თვეში. მაშ, რად უნდა ვიყიდო ისინი და ისიც ასე ძვირად? ვანი-ნა მშვენიერია. მაღლით მოსილია! იგი ბევრს შეუყვარდება და მე კი დავავიწყებები. რომელ ქალს ჰყავს მხოლოდ ერთი საყვარელი? იმ რომის თავადებს, რომლებიც ასე მძულს, მრავალი უპირატესობა აქვს ჩემთან შედარებით. წარმოდგენილი მაქვს, თუ რა მომჯადოებელნი იქნებიან ისინი! დიახ, თუ წავედი აქედან, ვანი-ნა დამივინყებს და საუკუნოდ დავკარგავ მას!

ღამე ვანი-ნა ეწვია მას. პიეტრომ უამბო, თუ როგორ ყოყმანობდა იგი და რანაირი განმარტება მისცა დიად სიტყვას სამ-შო-ბლოს ვანი-ნას სიყვარულის ზეგავლენით. ქალი ბედნიერი იყო.

„თუ ჩემსა და სამშობლოს შორის არჩევანზე მიდგა საქმე, იგი მე მაკუთვნებს უპირატესობას!“ — ფიქრობდა იგი.

საეკლესიო საათმა სამჯერ დარეკა. დადგა უკანასკნელი გამოთხოვების დრო. პიეტრომ მოიშორა მეგობარი ქალი. უკვე პატარა კიბეზე ჩადიოდა, როცა ცრემლქვეშ მოლიმარმა ვანი-ნამ უთხრა:



— უბრალო გლეხის ქალს რომ მოევლო შენთვის ამდენ ხანს, განა არაფრით არ აღნიშნავდი მისადმი მადლობას და არ შეეცდებოდი მის დასაჩუქრებას? მომავალი გამოუცნობელია. შენ მრავალი მტერი გეყოლება გარშემო. მადლობის ნიშნად მაჩუქე კიდევ სამი დღე... დამასაჩუქრე მოვლისათვის, როგორც ღარიბი გლეხის ქალი.

მისსირილლი დარჩა. მერმე კი დასტოვა რომი. უცხოელების საელჩოში შექცენილი პირადობის მონაშობის წყალობით ბოლოს მიაღწია დედ-მამის სახლამდე. გაუხარდათ მისი დაბრუნება, რადგანაც ცოცხალი არავის არ ეგულებოდა. მეგობრებს უნდოდათ ედღესასწაულებიათ პიეტროს დაბრუნება და აღენიშნათ იგი ორი კარაბინერის მოკვლით (კარაბინერებს პაპის სამფლობელოს ჟანდარმებს უწოდებდნენ).

— უმიზეზოდ ნუ მოვკლავთ იტალიელს, რომელმაც იარაღის ხმარება იცის, — უთხრა მათ მისსირილლიმ, — ჩვენი სამშობლო კუნძული არ არის, როგორც ბედნიერი ინგლისი და ჩვენ გვაკლია ჯარისკაცები იმ შემთხვევისათვის, თუ ევროპის მეფეები თავიანთი ჯარებით შემოგვესევან.

გავიდა რამდენიმე ხანი და მისსირილლიმ ვანიანას მიერ ნაჩუქარი დამბაჩით მოჰკლა ორი კარაბინერი, როცა მას დასაჭერად გამოედევნენ. პოლიციამ გამოაცხადა, რომ დიდ ფულს გაიღებდა პიეტროს თავისთვის.

ვანიანა არ ჩამოდიოდა რომანიში. მისსირილლის ეგონა, რომ დაივიწყა სატრფომი. მისი თავმოყვარეობა შეილახა. მან ბევრი იფიქრა თავისი საზოგადოებრივი მდგომარეობის შესახებ, რომელიც ასე აშორებდა საყვარელს.

წარსული ბედნიერების მოგონების დროს, როცა გულს ნუხილი შემოანვა, აზრად მოუვიდა რომში დაბრუნება ვანიანას სანახავად. ამ შეუსაბამო აზრს ისიც იყო უნდა დაეძლია ის, რაც მას მოვალეობად მიაჩნდა, როცა ერთ საღამოს საეკლესიო ზარმა მთებში რაღაც განსაკუთრებულად დარეკა, თითქოს მრეკავი სხვა საქმით ყოფილიყო გართული. ეს იყო კარბონართა იმ ვენტის შესაკრები ნიშანი, რომელსაც მისსირილლი შეუერთდა რომანიში დაბრუნების უმალვე.

ღამე იყო, როცა ვენტის ყველა წევრმა თავი მოიყარა ტყეში მეუდაბნოთა სენაკში. ორი მეუდაბნოე ოპიუმის საშუალებით დააძინეს და მათ ვერც კი გაიგეს, რა მიზნისათვის იქმნა გამოყენებული მათი სენაკი. მისსირილლი ძალიან მონყენილი გამოცხადდა კრებაზე. აქ გაიგო, რომ ვენტის უფროსი შეეპყრათ და მის მაგიერ მისსირილლის ასახელებდნენ უფროსად, მიუხედავად იმისა, რომ ძლივს შეუსრულდა ოცი წელი და ვენტაში კი ირიცხებოდნენ ისეთები, რომელნიც ორმოცდაათ წელიწადს იყვნენ გაცილებულნი და რომელთაც მიურატის 1815 წლის ლაშქრობის შემდეგ არა ერთ შეთქმულებაში მიეღოთ მონაწილეობა.

ასეთი დიდი პატივის ამბავმა პიეტრო მეტად ააღელვა. როგორც კი მარტო დარჩა, გადასწყვიტა ფიქრშიც აღარ გაევილო ახალგაზრდა რომაელის ქალის სახელი, რომელმაც დაივიწყა იგი, და მთელის ძალღონით ემუშავნა იმისათვის, რომ გაეთავისუფლებია იტალია ბარბაროსებისაგან.<sup>1</sup>

გაიარა ორმა დღემ და მისსირილლიმ ამოიკითხა ქალაქს ჩამოსულთა და წასულთა სიაში (ამ სიას მას უდგენდნენ, როგორც ვენტის მეთაურს), რომ თავადის ასული ვანიანა ჩამოსულიყო რომანიში და დამდგარიყო San-Nicolo-ს სასახლეში. როცა სიაში ვანიანას სახელი წაიკითხა, პიეტრომ უფრო შეშფოთება იგრძნო, ვინემ სიხარული. ამოდ ცდილობდა იგი სიმტკიცით დაეცვა სამშობლოსადმი ერთგულება და არ წასულიყო San-Nicolo-ს სასახლეში. ვანიანაზე ფიქრს თუმცა გაურბოდა, მაგრამ მაინც ხელს უშლიდა იგი შეესრუ-

1. Liberar e'Italia de'barbari, 1350 წ. პეტრარკას მიერ წარმოქმული სიტყვებია, რომლებიც შემდეგში გაიმეორეს იულიანე II, მაკიაველიმ და გრაფმა ალფიერიმ. **ავტორის შენიშვნა.**

ლებინა თავისი მოვალეობა, როგორც ამის საჭიროება მოითხოვდა. მეორე დღესვე წავიდა და ნახა ვანინა. ქალს კვლავად ისე უყვარდა იგი, როგორც რომში ყოფნის დროს. ვანინას მამას უნდოდა გაეთხოვებინა შვილი და ამიტომ რომიდან გამგზავრება სხვა დროისათვის გადაედვა. ვანინას თან მოჰქონდა ორი ათასი ცეხინი. ამ მოულოდნელმა დახმარებამ საშუალება მისცა მისსირილლის სანაქებოდ შეესრულებინა ვენტის უფროსის მოვალეობა. ხანჯლები კორფეში შეუკვეთა. მოისყიდა ლეგატის პირადი მდივანი, რომელსაც მინდობილი ჰქონდა კარბონარების დევნა. ამნაირად ხელთ ჩაიგდეს იმ მღვდლების სიაც, რომლებიც მთავრობის ჯაშუშებად ითვლებოდნენ.

ამავე დროებით დამთავრებული იქმნა ერთი შეთქმულების ორგანიზაციაც, იმათზე ნაკლებ თავზეხელაღებული, რომლებსაც ხშირად აწყობდნენ ხოლმე საცოდავ იტალიაში. მე აქ ზედმეტ წვრილმანს არ შევვებები, ვიტყვი მხოლოდ, რომ შეთქმულების წარმატება დიდ სახელს მოუხვეჭავდა მისსირილლის. პიეტრომ ისე მოაგვარა საქმე, რომ რამდენსამე ათას კაცს განსაზღვრულ ნიშანზე უნდა დაეწყო ამბოხება იარაღით ხელში, რის შემდეგ მათ მეთაურებიც შეუერთდებოდნენ. დგებოდა გადამწყვეტი მომენტი, როცა, როგორც ეს ჩვეულებრივად ხდება ხოლმე, შეთქმულება აღმოაჩინეს და მეთაურებიც შეიპყრეს.

რომანიაში ჩამოსულ ვანინას ეჩვენებოდა, რომ სამშობლოსადმი სიყვარული ერთიანად ჰფლობდა პიეტროს გულსა და ყველა სხვა მის გრძნობას იმორჩილებდა. ახალგაზრდა ამაყი რომაელი ქალი აღშფოთებული იყო ამ გარემოებით. ამაოდ ცდილობდა იგი, გონიერების კარნახს დამორჩილებოდა. შავმა სევდამ შეუპყრო გული. იქამდისაც კი მივიდა, რომ გმობდა თავისუფლებას. ერთხელ, როცა ფორლში ინახულა მისსირილლი, ვერ მოითმინა და გაუმხილა საყვარელს ის ფიქრები, რომლების გამომჟღავნების ნებას აქამდე თავმოყვარეობა არ აძლევდა.

— მართალია, — უთხრა ვაჟს, — თქვენ მე გიყვარვართ, როგორც ქმარს, მაგრამ მე ეს არ მაკმაყოფილებს.

ამას შემდეგ ვანინამ იტირა კიდევაც, მაგრამ ის ტიროდა სირცხვილისაგან, რომ თავი დაიმცირა საყვედურის თქმით. მისსირილლის კი ყურადღებაც არ მიუქცევია მისი ცრემლისათვის. ამისათვის არ სცალოდა ახლა ვაჟს.

უცებ ვანინას აზრი დაებადა, მივანებებ თავს და რომში წავალო. სასტიკ სიხარულს განიცდიდა იმისგან, რომ თავს დაისჯიდა იმ სისუსტისათვის, რომელმაც გულის ნადები გამომჟღავნებია. სულ რამდენსამე წამში გადაწყვიტა კიდევაც, რაც ფიქრად მოუვიდა. სხვანაირად რომ მოქცეულიყო, მისსირილლის ღირსად ვერ ჩათვლიდა თავს. დიდის სიხარულით წარმოიდგინა პიეტროს გაკვირვება და წყენა, როცა დარწმუნდებოდა, რომ ვანინა მასთან აღარ იყო.

ახლა იმ აზრმა შეანუხა, რომ სავსებით ვერ მოინადირა ამ კაცის გული, რომლისათვის ამდენი სისულელე ჩაიდინა. ამან კი ერთიანად აუფორიაქა სული. დაარღვია სიჩუმე და ყოველ ზომას მიმართა, რათა პიეტროს სიყვარულზე დაეწყო მასთან ბაასი. ვაჟმა უგულოდ დაიწყო სიყვარულზე ლაპარაკი. მაგრამ, როგორც კი მოაგონდა თავისი პოლიტიკური საქმე, დიდის წუხილით სთქვა:

— ჰო, თუ ეს შეთქმულებაც დამარცხდა! თუ ესეც გამოააშკარავა მთავრობამ, მეტი არაფერი დამრჩენია, რომ გამოვემშვიდობო სამშობლოს.

ვანინა სახტად დარჩა ამ სიტყვებისაგან. უკვე მთელმა საათმა განვლო, რაც თავში ისლა უტრიალებდა, რომ უკანასკნელად ხედავდა თავის სატროს. ვაჟის სიტყვებმა საბედისწერო მიმართულება მისცეს ქალის აზრებს.

„კარბონარებმა მიიღეს ჩემგან რამდენიმე ათასი ცეხინი. მათ არ შეუძლიათ იჭვი შეიტანონ ჩემს თანაგრძნობაში“ — გაიფიქრა მან.

ვანინამ ახლა იმისთვის დაიწყო ლაპარაკი, რომ პიეტროსათვის ეთქვა შემდეგი:

— ნუ თუ არ გინდა გაატარო ჩემთან ერთი დღე და ღამე San-Nicolo-ში? ვენტის საღამოს სხდომას არ ეჭირვება მაინცა და მაინც შენი დასწრება. ხვალ დილას ჩვენ გავისეირნებთ San-Nicolo-ში. ეს შენ დაგამშვიდებს და ნერვებს დაგინყნარებს, რაც გესაჭიროება მომავალი დიდი საქმის გაკეთების წინ.

პიეტრო დასთანხმდა.

ვანინა ნავიდა, რომ მომზადებულიყო გასამგზავრებლად. ნასვლის წინ ჩვეულებრივად დაკეცა იმ ოთახის კარი, რომელშიც მალავდა პიეტროს.

იგი გაიქცა ერთ-ერთ მის ყოფილ მოსამსახურე ქალთან, რომელსაც გათხოვების შემდეგ საწვრილმანო სავაჭრო გაელო ფორლში. შევიდა ამ ქალის ოთახში და საჩქაროდ წაანერა ჟამნის ფურცლებზე, რომელიც ხელში მოჰყვა შემთხვევით, იმ ადგილის სახელი, სადაც იმ საღამოს უნდა მომხდარიყო კარბონართა ვენტის კრება. წარწერა ასე გაათავა: „ეს ვენტა შესდგება ცხრამეტი წევრისაგან. აი, მათი სახელები და მისამართი“. ამას შემდეგ შეადგინა სია, რომელშიც აღნიშნა ყველა კარბონარის ვინაობა გარდა მისსირილლისა. თავის ერთგულ ყოფილ მოსამსახურეს კი უთხრა:

— მიუტანე ეს წიგნი კარდინალ ლეგატს. წაიკითხოს, რაც სწერია და უკანვე დაგიბრუნოს. აი, ათი ცეხინი შენ. თუ ლეგატმა ოდესმე გაამხილა შენი სახელი, იცოდე, სიკვდილი არ აგცდება. მაგრამ შენ მე სიკვდილისაგან მიხსნი, თუ ლეგატს წააკითხებ ამ წიგნის ფურცელზე ჩემ მიერ წარწერილს ამბავს.

ყველაფერი მშვენიერად მიმდინარეობდა. ლეგატს ისე შეეშინდა, რომ სულაც კი დაავინწყდა თავისი მაღალი მდგომარეობა. მან ნება დართო უბრალო ქალს ნიღაბში წარსდგომოდა მას იმ პირობით, რომ წინასწარ ხელები შეეკრათ მისთვის. ამ სახით მიიყვანეს ქალი ლეგატთან, რომელიც ბარიკადად დადგმულ მწვანე მაუდიან დიდ მაგიდას ამოფარებოდა. რადგანაც მოწამვლის ეშინოდა, წიგნი შორს დაიჭირა, საიდუმლო საწამლავი არ ჰქონდესო, და ისე წაიკითხა ჟამნის წარწერიანი გვერდი. მერმე დაუბრუნა უკანვე მომტანს და განკარგულება გასცა, რომ ქალისათვის არ ეთვალთვალათ.

ორმოცი წუთი გავიდა, არც მეტი არც ნაკლები, მას შემდეგ, რაც ვანინა წამოვიდა თავის საყვარელისაგან, და ისევ მასთან გაჩნდა. როცა დაინახა მოსამსახურე ქალის მშვიდობით დაბრუნება, ვანინამ გადასწყვიტა, რომ პიეტრო ამიერიდან მას ეკუთვნოდა და მხოლოდ მას.

მან უთხრა მისსირილლის, რომ ქალაქში არაჩვეულებრივი მოძრაობააო, კარაბინერები ისეთ ქუჩებშიც კი დადიან, სადაც არასოდეს არ გამოჩენილან.

— თუ ჩემს რჩევას მიიღებ, ახლავე ნავიდეთ San-Nicolo-ში! — დაამთავრა თავისი სიტყვა ვანინამ.

მისსირილლი დასთანხმდა. ისინი ქვეითად ნავიდნენ ვანინას ეტლამდე, რომელიც მათ ელოდებოდა ნახევარ მილის მანძილზე ქალაქიდან. ეტლში იჯდა ვანინას კომპანიონი, საიმედო მესაიდუმლე, რომელსაც კარგი გასამგზავლო ჰქონდა დანიშნული.

San-Nicolo-ს სასახლეში ვანინა შეაკრთო მის მიერ ჩადენილმა უცნაურმა საქციელმა და გაორკეცებით დაუნყო ალერსი საყვარელს. მაგრამ როცა სიყვარულზე ელაპარაკებოდა მას, ეჩვენებოდა, რომ კომედიას თამაშობდა. საქმე ისაა, როცა გაცემას აპირებდა, სულაც არ უფიქრია სინიდისის ქეჯნაზე. ეხვეოდა პიეტროს და ასე კი ფიქრობდა:

„საკმარისია ერთი სიტყვა, რომ სამუდამოდ შევძულდე!“

ღამე იყო, როცა ვანინას ერთ-ერთი მოსამსახურე მოულოდნელად შემოვიდა ოთახში. ვანინამ არ იცოდა, თუ ეს მოსამსახურე კარბონარი იყო. მაშასადამე, მისსირილლი უმნიშვნელო შემთხვევებსაც უმაღავდა მას. ქალს შეაკანკალა.

მოსამსახურემ შეატყობია მისსირილლის, რომ ფორლში ცხრამეტი კარბონარის ბინას მთავრობამ ალყა შემოარტყა და სუყველანი შეიპყრო, როცა ვენტის სხდომიდან დაბ-

რუნდნენ. თუმცა მოულოდნელი იყო თავდასხმა, მაგრამ ცხრამ მაინც მოახერხა გაქცევა. ათი ციხეში წაასხეს. როცა სატუსალოში შეჰყავდათ, ერთი დაჭერილთაგანი ჭაში გადავარდა და თავი მოიკლა.

ამის გაგონებაზე ვანიანამ თავი ველარ შეიკავა. საბედნიეროდ პიეტროს ეს არ შეუმჩნევია. რომ შეენიშნა, ქალის თვალებში უთუოდ ამოიკითხავდა ჩადენილი ბოროტ-მოქმედების ამბავს.

— ამ ჟამად ფორლის გარნიზონს ალყა აქვს შემორტყმული ყველა ქუჩებისთვის. ჯარისკაცები ისე ახლო სდგანან ერთმანეთისაგან, რომ საუბრობენ. მცხოვრებთ შეუძლიათ გადავიდნენ ქუჩის ერთი მხარიდან მეორეზე მხოლოდ იმ ადგილას, სადაც ოფიცრები სდგანან.

მოსამსახურის წასვლის შემდეგ პიეტრო დაფიქრდა.

— ახლა არაფრის გაკეთება არ შეიძლება. — სთქვა მან ბოლოს.

ვანიანას მომაკვდავის სახე ჰქონდა. პიეტროს ყოველ შეხედვაზე ქალს შეაცაცხებდა.

— რად ხართ ასე უცნაური? — ჰკითხა ვაჟმა.

მერმე მისსირილლი სხვა რამეზე დაფიქრდა და ქალისათვის არ შეუხედავს.

შუადღე იქნებოდა, როცა ვანიანამ გაბედა და ჰკითხა საყვარელს:

— აი, ერთი ვენტაც აღმოაჩინეს. მე მგონია, ამიერიდან მაინც დანყნარდებით ცოტა ხნით!

— მაშა! — უპასუხა მისსირილლიმ გაღიმებით. მისი ღიმილისაგან ვანიანას შეაცაცხებდა.

ვანიანასთვის საჭირო იყო სოფელ San-Nicolo-ს მოძღვარი ენახა, რომელიც, შესაძლებელია, იეზუიტების ჯაშუშიც ყოფილიყო.

შვიდ საათზე იგი დაბრუნდა სადილის საჭმელად. მის გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა ის ოთახი, რომელშიც პიეტრო იმალებოდა, ცარიელი დახვდა. მოთმინებიდან გამოსულმა ქალმა მთელი სახლი შემოიღებინა, მაგრამ საყვარელი არსად არ იყო. სასონარკვეთილი ვანიანა ისევ პატარა ოთახს დაუბრუნდა, სადაც მხოლოდ ახლა აღმოაჩინა პიეტროს მიერ დატოვებული წერილი. წაიკითხა:

„მივდივარ ლეგატთან, რათა დამატყვევონ. მე არ მნამს ამიერიდან ჩვენი საქმის გამარჯვება: ცა ჩვენი წინააღმდეგია. ვინ გაგვცა ჩვენ? ალბად იმან, რომელმაც ჭაში ჩაიგდო თავი. რადგანაც ჩემი სიცოცხლე აღარ ესაჭიროება საცოდავ იტალიას, აღარ მსურს, რომ მეგობრებმა იჭვი მიიტანონ ჩემზე, როგორც გამცემზე, იმ მოსაზრებით, რომ მე მართლმადიდებელი ვარ. მშვიდობით. თუ მე თქვენ გიყვარვართ, იზრუნეთ იმისათვის, რომ შური იძიოთ ჩემთვის. მოჰკალით, არ დაზოგოთ ვინც ჩვენ გაგვცა, მამა-ჩემიც რომ აღმოჩნდეს მოლაღატე“.

გრძნობა-დაკარგული ვანიანა იქვე ჩაიკეცა სკამზე.

ენა სასაზე მიეკრა. სიტყვა ვერ დასძრა. თვალები მშრალი ჰქონდა და ანთებული.

ბოლოს მუხლი მოიყარა და ლაღადით სთქვა:

— დიდო ღმერთო, მიიღე ჩემგან აღთქმა: მე დავსჯი უსინდისო გამცემს, მაგრამ პიეტროს კი დაუბრუნე თავისუფლება!

ერთ საათს შემდეგ ის უკვე რომს მიემგზავრებოდა. მამა დიდი ხანი იყო, რაც აჩქარებდა ვანიანას სახლში დაბრუნებულებს. მისი არ ყოფნის დროს დონ-ასდრუბალს თანხმობაც კი მიუცია ლივიო საველლისათვის ვანიანას მითხოვებაზე. როგორც კი ვანიანა ჩავიდა სახლში, მამამ მყისვე გადასცა ეს ამბავი. თავადი მეტად გაოცდა, რომ მისი ასული გაგონებისთანავე დათანხმდა ქორწილზე. იმავე საღამოს დონ-ლივიო თითქმის ოფიციალურად წარუდგინა ვანიანას მამამ გრაფის ქალს ვიტტელესკის.

ვანიანამ ბევრი ესაუბრა საქმროს. დონ-ლივიო რომის ყველაზე უფრო გამოჩენილ აზნაურთა წრეს ეკუთვნოდა. მშვენიერი ცხენები ჰყავდა, და თუმცა ჭკვიან კაცად ითვლე-



ბოდა, მაგრამ მსუბუქ ყოფაქცევისა იყო და ფიქრობდნენ, რომ სახელმწიფო მოღვაწეობისათვის არ გამოდგებოდა.

ვანიჩა ფიქრობდა, რომ თავს შეაყვარებდა დონ-ლივიოს და ამნაირად მეტად მოხერხებულ აგენტად გაიხდიდა მას. ქალს ის ანგარიში ჰქონდა, რომ ჯაშუშები ვერ გაბედავდნენ მისი საქმროს თვალყურის დევნებას, რადგანაც იგი რომის გუბერნატორისა და პოლიციის მინისტრის სენიორი საველი კატანცარას ძმისწული იყო.

რამდენიმე დღის განმავლობაში თავაზიანად ეჭირა თავი მასთან ვანიჩას, მაგრამ შემდეგ კი გამოუცხადა, რომ ცოლად არასოდეს არ გაჰყვებოდა, რადგანაც ძალიან მჩატე ჭკუის პატრონად სთვლიდა.

— რომ თქვენ ბავშვი არ იყოთ, — უთხრა მას ვანიჩამ, — ბიძა თქვენის მოსამსახურენი თქვენგან არაფერს არ დაფარავდნენ! მაგალითად, იცით თუ არა თქვენ, რა სასჯელი გადაუწყვიტეს ამას წინად ფორლში დაპატიმრებულ კარბონარებს?

არ გასულა ორი დღეც ამის შემდეგ, რომ დონ ლივიომ აცნობა ვანიჩას, ფორლში დატყვევებული კარბონარიები ყველანი გაქცეულანო.

ქალმა მოუსმინა ეს ამბავი და თავისი დიდრონი, მძულვარებით აღსავსე შავი თვალები დაცინვით მიაპყრო დონ-ლივიოს. მთელ საღამოს ხმაც კი არ გაუცია. მეორე დღეს დარცხვენილმა დონ-ლივიომ აღიარა ქალის წინაშე, რომ იგი მოატყუეს.

— მაგრამ, — სთქვა მან, — მე ვიშოვნე ბიძაჩემის ოთახის გასაღები და გადავათვალიერე საიდუმლო ქაღალდები. ქაღალდებიდან სჩანს, რომ ინიშნება საიდუმლო კომისია ყველაზე უფრო ნდობით აღჭურვილ კარდინალებისა და ლეგატებისაგან შემდგარი, რომელსაც ევალება იმის გადამწყვეტა, თუ სად უნდა დაინიშნოს კარბონარების გასამართლება — რავენაში თუ რომში. ცხრა კარბონარი, რომელნიც შეიპყრეს ფორლში და მათი უფროსი, ვილაც მისსირილი, რომელსაც სისულელე ჩაუდენია და თავის ნებით გამოცხადებულა პოლიციაში, ამ ჟამად San-Leone-ს<sup>1</sup> ციხეში იმყოფებიან.

როცა დონ-ლივიომ სიტყვა „სისულელე“ წარმოთქვა, ვანიჩამ ისე შეხედა მას, თითქოს მისი განადგურება უნდოდა.

— მე მინდა, თვითონ ვნახო ოფიციალური ქაღალდები და ამისთვის ბიძა თქვენის ოთახში შევიდე: თქვენ ცუდად წაგიკითხავთ ქაღალდები! — უთხრა თავადს ვანიჩამ.

ამ სიტყვებმა შეაცახცახეს დონ-ლივიო: ქალი შეუძლებელს მოითხოვდა მისგან. მაგრამ ვანიჩას ასეთმა ჟინიანობამ უფრო გაუმწვავა მას სიყვარული.

რამდენიმე დღის შემდეგ სენიორი საველის ლაქიად გადაცემულმა ვანიჩამ ნახევარ საათზე მეტი გაატარა პოლიციის მინისტრის კაბინეტში, სადაც გადაიკითხა მთავრობის უსაიდუმლესი ქაღალდები. დიდი სიხარული განიცადა ვანიჩამ, როცა ხელში ჩაუვარდა ერთი მოხსენებათაგანი, რომელსაც ყოველდღიურად უდგენდნენ სენიორ საველის პიეტრო მისსირილის შესახებ. ქალს ხელები უკანკალებდა, როცა კითხულობდა ამ მოხსენებას. პიეტრო მისსირელის სახელის წაკითხვა ისე მოქმედობდა მასზე, რომ მისგან გული უსუსტებოდა. როცა გამოდიოდა რომის გუბერნატორის სასახლიდან, ვანიჩამ ნება დართო დონ-ლივიოს ეკოცნა მისთვის.

— თქვენ გამარჯვებული გამოდით იმ განსაცდელისაგან, რომელშიაც ჩემის წყალობით იმყოფებოდით! — უთხრა მან თავადს.

ასეთი სიტყვების შემდეგ ახალგაზდა დონ-ლივიო მზად იყო, ვატიკანისათვისაც წაეკიდებია ცეცხლი, ოღონდ კი ვანიჩას მოსწონებოდა. იმ საღამოს საფრანგეთის ელჩს ბალი

1. რიმინის და რომანიის ახლო. ამ ციხეში დაიღუპა ცნობილი კალიასტრო. ამბობენ, იგი ამ ციხეში დაახრჩვესო. ავტორის შენიშვნა.

ჰქონდა გამართული. ვანიანამ ბევრი იცეკვა, თითქმის სულ დონ-ლივიოსთან, რომელიც დაითვრა სიხარულისაგან. საჭიროება მოითხოვდა, რომ არ გამოფხიზლებულიყო იგი.

— მამაჩემი ხშირად ძალიან უცნაურია ხოლმე, — უთხრა ერთხელ მას ვანიანამ, — დღეს დილით მან ორი მოსამსახურე დაითხოვა. ორივე ჩემთან მოვიდა და თავიანთი უბედურება შემომჩვილეს. ერთმა მთხოვა, რათა სამსახურში დავაყენო ბიძათქვენთან, რომის გუბერნატორთან. მეორემ კი, რომელიც ფრანგებთან ჩხუბის დროს არტილერიაში მსახურობდა, მთხოვა წმ. ანგელოზის ციხეში მიშოვნე ადგილიო.

— ორივეს მე დავიყენებ სახლში! — საჩქაროდ მიუგო თავადმა.

— განა ამას გთხოვთ? — მედიდურად გაიკვირვა ვანიანამ, — მე თქვენ სიტყვა-სიტყვით ვადმოგეცით ამ საწყლების თხოვნა. მათ უნდა მიიღონ ის, რასაც ითხოვენ.

ამაზე უფრო ძნელი საქმის მოგონებაც არ შეიძლებოდა. მონსინიორი კატანცარა მჩატე ჭკუის კაცი როდი იყო. იგი სახლში არავის არ შეუშვებდა, თუ კარგად არ იცნობდა.

მხოლოდ გარეგანი, მოჩვენებითი იყო ის სიამოვნება, რომელსაც იღებდა ვანიანა კმაყოფილებით სავსე ცხოვრებისაგან. ნამდვილად კი ქალი დიდად იტანჯებოდა. სინიდისი ქეჯნიდა მას და უბედურად გრძნობდა თავს. კარბონარების საქმის გარჩევა ძალიან გვიანდებოდა. მამის ვექილმა ფულით უზრუნველჰყო ვანიანა. ამ შემთხვევაში განა არ უნდა წასულიყო ვანიანა რომანიაში და არ უნდა მიეღო ყოველი ღონისძიება თავის საყვარლის დასახსნელად? თუმცა ეს აზრი დიდად გაბედული ეჩვენებოდა, მაგრამ ვანიანა მზად იყო მაინც მოეყვანა იგი სისრულეში. ხოლო ბედმა შეინყალა იგი.

დონ-ლივიომ უთხრა მას:

— მისსირილლის ვენტის ათი კარბონარი ვადმოყვანილნი იქნებიან რომში იმ განზრახვით, რომ სიკვდილის განაჩენის გამოტანის შემდეგ სასჯელი რომანიაში მოიყვანონ სისრულეში. ბიძაჩემმა ეს ამბავი დღეს გაიგო პაპისაგან. მხოლოდ თქვენ და მე ვიცით ქვეყანაზე ეს საიდუმლო. კმაყოფილი ხართ თუ არა?

— თქვენ მამაკაცი ხდებით, — უპასუხა ამაზე ვანიანამ, — მომეცით თქვენი პორტრეტი.

მისსირილლის რომში ჩამოყვანის წინადადით ვანიანამ რალაცა მოიმიზეზა და ჩიტკაკასტელიანაში გაემგზავრა. ამ ქალაქის ციხეში ათევიანებენ ღამეს რომანიიდან რომში ვადმოსაყვან პატიმართ. ვანიანამ დაინახა მისსირილლი დილით, როცა იგი ციხიდან გამოიყვანეს. პიეტრო ბორკილებში იყო და ურემზე იჯდა. ვანიანას მოეჩვენა, რომ იგი გაფითრებული იყო, მაგრამ, ეტყობოდა, სულით არ დაცემულიყო. რომელმალაც დედაბერმა იის კონა ესროლა მას. მისსირილლიმ გაუღიმა და მადლობა გადაუხადა დედაბერს.

საყვარელის დანახვამ ენერგია გაუორკეცა ვანიანას. იგრძნო, რომ სამოქმედოდ ღონე მოემატა.

ამაზე გაცილებით უფრო ადრე მან დიდი პატივი დასდვა წმ. ანგელოზის ციხის მღვდელს (ამ ციხეში უნდა მოეთავსებიათ მისი საყვარელი). ეს მღვდელი ვანიანამ თავის მოძღვრად აირჩია. თავადის ასულის მოძღვრად ყოფნა, ისიც რომის გუბერნატორის ძმისწულისა, პატარა საქმე როდია.

ფორლის კარბონარების პროცესი დიდ ხანს არ ვაგრძელებულა. რომში მათი ჩამოყვანის წინააღმდეგი იყო რეაქციონური პარტია, მაგრამ მის ჩამოყვანას ვერ შეუშალა მანაც ხელი. სამაგიეროდ ის კი მოახერხა, რომ გამასამართლებელი კომისია ისეთი ლეგატებისაგან შეადგინა, რომლებიც სამსახურში დანიანურებისათვის განსაკუთრებულ სისასტიკეს იჩენდნენ. ამ კომისიის თავმჯდომარედ იყო პოლიციის მინისტრი.

კარბონარების წინააღმდეგ კანონი ნათელი იყო. ფორლის კარბონარებს შებრალების იმედი არ ჰქონდათ. მიუხედავად ამისა ისინი თავგამოდებით იცავდნენ თავს. ზოგი მოსამართლე სიკვდილის განაჩენითაც კი არ დაკმაყოფილდა და ხმა მისცა უსაშინელეს



სასჯელს — გაოთხებას და სხ. პოლიციის მინისტრის კარიერა დამთავრებული იყო (ამ თანამდებობას თავს ანებებენ მხოლოდ მაშინ, როცა საზოგადოდ სტოვებენ სამსახურს), ამიტომ მისთვის საჭირო არ იყო გაოთხებით სიკვდილის მისჯა. როცა წარსდგა მოხსენებით პაპის წინაშე, იშუამდგომლა, რომ სიკვდილი რამდენიმე წლის ციხით შეეცვალათ დამნაშავეთათვის. პაპამ შეინყნარა მისი შუამდგომლობა. მხოლოდ პიეტრო მისსირილი შეადგენდა გამონაკლისს. ეს ახალგაზრდა მინისტრს საშიშ ფანატიკოსად მიაჩნდა. ამას გარდა მისსირილის სიკვდილი ჰქონდა მისჯილი ორი კარაბინერის მოკვლისათვის, რის შესახებ ჩვენ ამის ზემოდ გვექონდა საუბარი.

ვანიანამ, როგორც განაჩენის, ისე მისი შეცვლის ამბავი მაშინვე გაიგო, როგორც კი მინისტრი პაპისაგან დაბრუნდა.

მეორე დღეს, როცა სენიორი კატანცარა შუალამეს დაბრუნდა სახლში, გაკვირვებას მიეცა, რომ ლაქია შინ არ დახვდა. დარეკა რამდენჯერმე. ძველი, გამოთავყვანებული მოსამსახურე ეახლა. ნანყენი დარჩა. გადასწყვიტა თავის ხელით გაეხადა და დაწოლილიყო. ოთახის კარი დაჰკეტა. ცხელოდა ძლიერ: გაიხადა ტანსაცმელი, შეკუმშნა და სკამისკენ ისროლა. მაგრამ ზედმეტი მოქნეულის წყალობით ტანსაცმელი სკამს გადააცილა და ფანჯარის მარმამის ფარდას მოარტყა. ამ დროს ფარდაზე ადამიანის ტანი გამოიხაზა. მინისტრი მივარდა ლოგინს და დამბაჩა აიღო ხელში. როცა ფანჯრისკენ წამოვიდა, წინ შეეგება მისი ლაქიას ტანსაცმელში გამოწყობილი ყმანვილი დამბაჩით ხელში. დაინახა თუ არა ეს, მინისტრმა სწრაფად მოიმარჯვა იარაღი და უცნობს დაუმიზნა. ყმანვილმა კი გაუღიმა და ჰკითხა:

— რას ნიშნავს ეს, ჩემო დიდო ბატონო? განა ვერ მიცანით ვანიანა ვანიანი?

— რას ნიშნავს ეს სულელური ხუმრობა? — იყვირა გაჯავრებულმა მინისტრმა.

— ვილაპარაკოთ დამშვიდებულად, — უპასუხა ყმანვილმა ქალმა, — ჯერ ერთი, თქვენი დამბაჩა გაუტენელია.

გაოცებულმა მინისტრმა ფიცხლად გასინჯა იარაღი, დარწმუნდა, რომ ქალი მართალს ეუბნებოდა და მყისვე ამოიღო ხანჯალი ჯიბიდან.<sup>1</sup>

ვანიანამ თავაზიანად, მაგრამ ბრძანების კილოთი მიმართა მინისტრს:

— დავსხდეთ, მონსენიორ.

და თვითონ არხეინად დაეშვა სავარძელში.

— გამაგებინეთ მაინც, გახლავსთ თუ არა ვინმე?

— გეფიცებით, სულ მარტო ვარ!

მინისტრმა დაათვალიერა ოთახი, შეიჭვრიტა ყველა კუთხეში. შემდეგ აიღო სკამი და ვანიანასაგან სამი ნაბიჯის სიშორეზე დაჯდა.

— რატომ უნდა მოუსპო სიცოცხლე ისეთ გონიერ ადამიანს, რომლის ადგილს, ალბად, დაიჭერს სუსტი და ფიცხი კაცი. ასეთი კი თავს დაილუპავს და სხვებსაც ავნებს. — დაიწყო მშვიდად ვანიანამ.

— ბოლოს და ბოლოს რა გნებავთ, ქალბატონო? ეს სცენა მე სრულიად არ მომწონს და უნდა შეწყდეს იგი! — უპასუხა მოთმინებიდან გამოსულმა მინისტრმა.

1. რომაელი პრელატი უეჭველია ვერ იქნებოდა ჯარის კარგი მეთაური, როგორც საფრანგეთის პოლიციის მინისტრის თანამდებობის აღმასრულებელი გენერალი პარიზში; მაგრამ ნებას კი არავის მისცემდა შეეპყროთ ისე, რომ წინააღმდეგობა არ გაენია. კოლლეგების დაცინვის შეეშინებოდა: რომაელი, რომელმაც იცის, რომ იგი სძულთ, ყოველთვის კარგათ შეიარაღებულია. საჭიროება არ მოითხოვს, ავლნიშნოთ აქ, თუ რა განსხვავება არსებობს რომაელისა და პარიზელის ყოფაქცევათა შორის. ამ განსხვავების შესახებ თამამად შეიძლება დაუფარავად წერა. ავტორის მიერ აქ დახასიათებული რომაელები არ გვანან ფრანგებს. **ავტორის შენიშვნა.**

— ის, რასაც დავუმაცებ თქმულს, — და ვანიანა მედიდურ კილოზე გადავიდა, — უფრო თქვენ შეგეხებათ, ვინემ მე. არიან ისეთი პირები, რომელთაც სურთ, რომ კარბონარი მისსირილლი არ იქმნეს სიკვდილით დასჯილი. თუ იგი მოჰკლეს, არ გავა ერთი კვირაც, რომ თქვენც მას გაჰყვებით. მე ამ შემთხვევაში პირადად არ ვარ დაინტერესებული. ეს სიგიჟე, რომელიც თქვენ არ მოგნონთ, მე ჩავიდინე იმისთვის პირველ ყოვლისა, რომ გავროთობილიყავ, და აგრეთვე სამსახური გამენია ერთი ჩემი მეგობარ ქალისათვის. მე მინდოდა, — და აქ თავაზიანსა და მეგობრულ კილოზე გადავიდა ვანიანა, — სამსახური გამენია ჭკვიან კაცისათვის, რომელიც სულ მალე ჩემი ბიძია გახდება და, როგორც სჩანს, მონოდებულია თავისი გვარს სახელი გაუთქვას.

მინისტრი მოლბა. უეჭველია, ვანიანას სილამაზე იყო მიზეზი მისი გუნების შეცვლისა. რომშიც ცნობილი იყო, რომ მონსენიორ კატანცარას ლამაზი ქალები უყვარდა, და ვანიანა კი მომჯადოებელი იყო საველლის ლაქიას ტანსაცმელში: ფეხზე შემოკრული ჰქონდა აბრეშუმის ჩულქი, ეცვა წითელი ქურთუკი და ზედ მოკლე, ღია ცისფერი წამოსასხამი ვერცხლის ყაითანითა. ხელში კი დამბაჩა ეჭირა. თვალს მოსჭრიდა კაცს მისი სილამაზე.

— ჩემო მომავლო ძმისწულო, — უთხრა მას სიცილით მინისტრმა — თქვენ ჩაიდინეთ გიჟური სიცელქე და, რასაკვირველია, იგი უკანასკნელი არ იქნება.

— იმედი მაქვს, — უპასუხა ვანიანამ — ისეთი გონიერი ადამიანი, როგორიც თქვენ ბრძანდებით, მე არ გამცემს, და განსაკუთრებით კი არ გამამხელს დონ-ლივიოსთან. თუ დამპირდებით, რომ იხსნით იმ ყმანვილს, რომლის შესახებ შუამდგომლობს ჩემი მეგობარი ქალი, მე თქვენ გაკოცებთ!

ასე ნახევრად სახუმარო კილოზე განაგრძო ვანიანამ საუბარი, — რომელმა ქალებმა იციან ხუმრობაში დიდი საქმეების მოგვარება. ასეთი კილოს წყალობით თავის დამბაჩით ვიზიტს ბოლოს ისეთი ხასიათი მისცა ქალმა, თითქოს იგი, როგორც თავადი საველლის მეუღლე, მოსულიყოს ბიძამისთან, რომის გუბერნატორთან.

მონსენიორმა კატანცარამ მალე მოიშორა თავიდან ყოველნაირი შიში და ვანიანას უამბო, თუ რამდენი დაბრკოლების დაძლევა დასჭირდება მას მისსირილლის დასახსნელად. ამ საგანზე საუბრის დროს ვანიანასთან ერთად ოთახში დასეირნობდა. მერე მაგიდასთან შეჩერდა და ლიმონადით აავსო ბროლის ჭიქა, როცა პირთან მიიტანა, ვანიანამ გამოსტაცა ჭიქა ხელიდან. სულ მცირე ხანს ხელში დაიჭირა და შემდეგ, თითქოს უცაბედად გავარდნოდეს, ფანჯრიდან ბალში გადააგდო. პატარა ხნის შემდეგ მინისტრმა კოლოფიდან შოკოლადი ამოიღო. ვანიანამ წაართვა და ღიმილით უთხრა:

— სიფრთხილე გმართებსთ. აქ ყველაფერი მონამლულია, რადგანაც თქვენი მოკვლა უნდოდათ. ჩემი მომავალი ბიძა იმდენად მწყალობს, რომ საველლების ოჯახში ხელცარიელი არ მინდა შემოვიდე.

უკიდურესად გაკვირვებულმა მონსენიორმა კატანცარამ მადლობა გადაუხადა ვანიანას და იმედი მისცა, რომ მისსირილლის უშველიდა.

— ჩვენი ვაჭრობა გათავდა, მამ! — წამოიკვილა ვანიანამ, — ამის დასადასტურებლად, აი, ჩემი საჩუქარიც... — და ამ სიტყვებით აკოცა.

მინისტრმა მიიღო საჩუქარი.

— გთხოვთ, იცოდეთ, ძვირფასო ვანიანა, — სთქვა მან, — რომ მე პირადად სისხლის დაღვრა არ მიყვარს. ამას გარდა მე ჯერ კიდევ ახალგაზდა ვარ, თუმცა, შეიძლება, თქვენ მოხუცად გეჩვენებით. შესაძლებელია, მივანიო იმ დრომდე, როცა შურს იძიებენ იმ სისხლისათვის, რომელიც ახლა იღვრება.

ნაშუალამევის ორი საათი იქნებოდა, როცა მონსენიორმა თავის ბალის კარამდე მიაცილა ვანიანა.

მეორე დღეს, როცა მინისტრი შუამდგომლობის აღძვრის მოლოდინით შემკრთალი წარსდგა პაპის წინაშე, მისმა უწმინდესობამ ასე მიმართა მას:

— უწინარეს ყოვლისა, მე მინდა გთხოვოთ შეინყალოთ ერთი ადამიანი. ფორლის ერთ კარბონართაგანს სიკვდილი აქვს მისჯილი. ამაზე ფიქრმა მთელი ღამე არ დამაძინა. უნდა უშველოთ როგორმე იმ ყმანვილს!

მინისტრისათვის ცხადი შეიქმნა, რომ პაპამ დაასწრო. ახლა თვითონ გაუხდა წინააღმდეგი და მრავალი საბუთიც მოუყვანა, რომ ეს შეუძლებელი იყო. ხოლო იმით კი დაამთავრა, რომ იქვე დასწერა პატიების დეკრეტი (*motu proprio*), რომელსაც პაპამ, წინააღმდეგ ჩვეულებისა, თვითონ მოაწერა ხელი.

ვანიანას იმედი ჰქონდა, რომ მის საყვარელს სიკვდილით დასჯას აპატიებდნენ. მაგრამ ეჭვობდა, რომ შესაძლებელი იყო მოენამლათ იგი. წინააღმდეგ მისსირილლიმ ვანიანას მოძღვრისაგან, რამდენიმე ნამცხვრით საგსე პარკი მიიღო გაფრთხილებითურთ, რომ მთავრობის საჭმელს ახლო არ მიჰკარებოდა.

ამას შემდეგ ვანიანამ შეიტყო, რომ ფორლის კარბონარიები სან-ლეონის ციხეში გადაყავდათ და მოისურვა მისსირილლის ნახვა ჩიტა-კასტელიანაში. იგი ჩავიდა ერთი დღით წინ ამ ქალაქში, სადაც რამდენიმე დღით ადრე ჩამოსული მღვდელი, კარიც დახვდა. მოძღვარმა დაითანხმა ციხის ზედამხედველი, რომ მისსირილლისათვის ნება დაერთო, საპყრობილის სამლოცველოში მოესმინა ცისკრის ლოცვა. ამას გარდა ზედამხედველი იმაზედაც დაითანხმეს, რომ თუ მისსირილლი წინააღმდეგი არ იქმნებოდა, მას ბორკილებს დაადებდნენ ფეხებსა და ხელებზე, რაც მისცემდა ზედამხედველს საშუალებას შორს დამდგარიყო მისგან, მხოლოდ თვალი ედევნებია, ხოლო მისი სიტყვები კი არ გაეგონა.

ბოლოს დადგა დღე, რომელსაც ვანიანას ბედი უნდა გადაეწყვიტა.

იგი დილიდანვე სამლოცველოში იყო ჩაკეტილი. ვის შეუძლია იმისი გადმოცემა, თუ რა ფიქრები სტანჯავდნენ მას მთელი დღის განმავლობაში. შეეძლო მისსირილლის ეპატიებია მისთვის ყოველივე, რაც ჩაიდინა? პატიებისათვის საჭირო სიყვარული ჰქონდა თუ არა მისადმი ვაჟს? ვანიანამ გასცა ვენტა, მაგრამ პიეტრო ხომ იხსნა სიკვდილისაგან? როცა გონიერება ალაპარაკდებოდა ვანიანას გატანჯულ სულში, იმედი მიეცემოდა, რომ მისსირილლი დასთანხმდებოდა მასთან ერთად დაეტოვებია იტალია. თუ ვანიანამ შესცოდა, ეს იმიტომ, რომ გაგიჟებით უყვარდა პიეტრო. როცა ოთხი საათი შესრულდა, ვანიანას ცხენების ფეხის ხმა მოესმა: კარაბინერები ქალაქში შემოვიდნენ. გაგონილმა ხმამ თითქოს შიგ ქალის გულში გაიხმაურა. მალე ურმების ჭრიალიც გაიგონა, რომლებითაც მოჰყავდათ პატიმრები. ისინი შესდგნენ ციხის წინ მოედანზე. ვანიანამ დაინახა, თუ როგორ გადმოიყვანა ორმა კარაბინერმა მისსირილლი, რომელიც ურემზე იჯდა ისეთ მძიმე ბორკილებით შეკრული, რომ განძრევა არ შეეძლო. „მადლობა ღმერთს, რომ ცოცხალია მაინც, — გაიფიქრა ქალმა, — და ჯერ კიდევ არ მოუნამლავთ!“ სალამო საშინელი იყო. საკურთხევლის წინ დანთებული კანდელი, რომელშიაც ციხის დარაჯი ძალიან გამოზოგვით ასხამდა ზეთს, მალლა ეკიდა და პატარა სამლოცველოს ყველგან ერთნაირად ანათებდა. ვანიანას თვალები ძალაუნებურად არ სცილდებოდნენ ჯერ კიდევ საშუალო საუკუნოებში მეზობელ საპყრობილეში გარდაცვლილ წარჩინებულმა რამდენსამე საფლავს, რომლებზედაც მრისხანე გამომეტყველების ქანდაკებანი იყვნენ ამართულნი.

ყოველი წამი მიწყნარებული იყო და ვანიანა თავის შავბნელ ფიქრებს მისცემოდა.

როგორც კი გაიარა შუალამემ, ქალის სმენა შეარხია რალაც ხმაურობამ, რომელიც ღამურას გაფრენას ემსგავსებოდა. ვანიანას უნდოდა გასცლოდა იქაურობას, მაგრამ საკურთხევლის მოაჯირზე ჩაიკეცა თითქმის გრძნობანასული. მყისვე ორი ლანდი მიუახლოვდა მას ისე ჩუმად, რომ მათი ფეხის ხმა არც კი გაუგონია. ესენი იყვნენ ზედამხედვე-

ლი და ბორკილებ-შემორტყმული მისსირილლი. ზედამხედველმა აანთო ფარანი და საკურთხევლის მოაჯირზე ვანიანას ახლობლად ისე ჩამოდგა, რომ პატიმარის დანახვა შორიდანაც შესძლებოდა მას. როგორც კი გაშორდა მათ ზედამხედველი, ვანიანა გადაეხვია მისსირილლის. ეხვეოდა ქალი საყვარელს, მაგრამ ცივსა და მჩხვლეტელ ბორკილების გარდა სიტბოს არა გრძნობდა ვაჟისაგან. „ვინ ჩაჭედა ასე ბორკილებში?“ — ნალვლობდა ვანიანა, ვინაიდან არავითარ სიამოვნებას არ განიცდიდა ალერსისაგან. მაგრამ ამ უბედურებას მეორეც დაემატა, უფრო მწვავე: ვანიანას ეჩვენებოდა, რომ მისსირილლი იცოდა მისი დანაშაული, იმდენად ცივად შეხვდა ვაჟი.

— ძვირფასო მეგობარო, — უთხრა პიეტრომ ბოლოს, — დიდად ვწუხვარ, რომ ასე გიყვარვართ. მგონია, რომ არ დამიმსახურებია თქვენი სიყვარული. სჯობს, დაუბრუნდეთ უფრო ქრისტიანულ გრძნობას და დავივიწყოთ წინანდელი შეცდომანი. მე არ შემიძლია თქვენი ვიყო. ჩემ მიერ დაწყებული ყველა საქმე, იქნება, იმიტომ დამარცხდა ასე, რომ ყოველთვის მომაკვდინებელ ცოდვას ჩავდიოდი. უბრალო სიფრთხილე მოითხოვდა, რომ მეც დავეჭირეთ იმ საბედისწერო საღამოს ფორლში. რად მოხდა, რომ მე მაშინ არ აღმოვჩნდი ჩემს სადარაჯოზე? ამ გარემოებამ საშინელი იჭვები დაბადა ჩემს წინააღმდეგ. და ყოველივე ეს მოხდა იმიტომ, რომ იტალიის სიყვარული არ იყო ერთად ერთი ჩემი მამოძრავებელი გრძნობა!

ვანიანაზე დიდი შთაბეჭდილება დასტოვა იმ ცვლილებამ, რომელიც მისსირილში მომხდარიყო. თუმცა ვაჟი არ იყო გამხდარი, მაგრამ ოცდაათის წლის კაცს დამსგავსებოდა. ვანიანამ ეს დარაჯების ცუდი მოპყრობით ახსნა, და ტირილი დაიწყო.

— ღმერთო ჩემო, — სთქვა მან, — ზედამხედველები კი მპირდებოდნენ, რომ ცუდად არ მოგეპყრობოდნენ!

საქმე ისაა, რომ სიკვდილის მოახლოებამ ისე იმოქმედა ახალგაზრდა კარბონარზე, რომ გაუცხოველა რელიგიური გრძნობები, რომლებიც კი არ ეწინააღმდეგებოდნენ იტალიის განთავისუფლების იდეას. მალე ვანიანაც დარწმუნდა, რომ მის საყვარელში მომხდარი ცვლილება არ იყო ცუდი მოპყრობის შედეგი, და რომ მორალური ხასიათის ცვლილებასთან ჰქონდა საქმე. ის უბედურება, რომელიც უსაზღვრო ეგონა ვანიანას, ახლა უფრო გაუძლიერდა.

მისსირილლი სდუმდა. ვანიანა კი ცრემლისაგან იხრჩობოდა. მცირედ აღელვებულმა ვაჟმა უთხრა:

— თუ ვინმე კი მიყვარდა ამ ქვეყნად, ეს იყავით თქვენ, ვანიანა! მაგრამ მადლობა ღმერთს, ჩემი ცხოვრების მიზანი ახლა ერთია: მე მოვკვდე საპყრობილეში, ან იტალიის თავისუფლებისათვის ბრძოლაში!

კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა. ვანიანას უნდოდა რაღაცა ეთქვა, მაგრამ ველარ შესძლო. მისსირილლიმ განაგრძო:

— მოვალეობა სასტიკ მსხვერპლს მოითხოვს, ჩემო მეგობარო. მაგრამ ასე რომ არ იყოს, არც გმირობა იქნებოდა! მომეცით სიტყვა, რომ თქვენ ამიერიდან აღარ მოისურვებთ ჩემთან შეხვედრას.

რამდენად ბორკილი მისცემდა საშუალებას პიეტრომ ხელი გამოსწია და ქალს თითები გაუნოდა.

— თუ რჩევის ნებას მისცემთ იმას, ვინც ძვირფასი იყო თქვენთვის, მინდა, გითხრათ, რომ მისთხოვდეთ ღირსეულ ადამიანს, რომელსაც ავირჩევთ მამათქვენი. ნუ იწებებთ, მოიგონოთ თქვენს ქმართან არა სასიამოვნო ისტორია და ნურც ჩემთან შეხვედრას მოისურვებთ. ვიყოთ უცხონი ერთმანეთისათვის. თქვენ მნიშვნელოვანი თანხა გაქვთ შეწირული სამშობლოს სასარგებლოდ. თუ ოდესმე განთავისუფლდა იტალია, ეს ფული ეროვნული ხაზინიდან დაგიბრუნდებათ.

ვანინა მკვდარვით იყო. მთელი ამ საუბრის დროს პიეტროს თვალები მხოლოდ მაშინ გამოცოცხლდნენ, როცა მან სიტყვა სამშობლო ახსენა.

მაგრამ ბოლოს სიამაყე მიეშველა თავადის ასულს. მას თან ჰქონდა ალმასი და პატარა ქლიბები. უპასუხოდ დასტოვა, რაც გაიგონა და ისე გაუწოდა ისინი პიეტროს.

— მოვალე ვარ, მივიღო თქვენგან ესენი, — უპასუხა ვაჟმა, — რამდენადაც საჭიროა ჩემი გაქცევა. მაგრამ ვფიცავ ამ ახალი თქვენი კეთილისყოფის მადლს, რომ არასოდეს არ გნახოთ. მშვიდობით, ვანინა! მომეცით პირობა, არასოდეს არ მომწეროთ წერილი და არასოდეს არ შემხვდეთ! დაანებეთ ჩემი თავი სამშობლოს. მე თქვენთვის მოვკვდები! მშვიდობით!

— არა! — წამოიკვილა ახლა გაცხარებულმა ვანინამ, — მე მინდა, რომ შენ იცოდე, რაც ჩამადენინა შენდამი სიყვარულმა.

და ვანინამ უამბო ყოველივე, რაც მან ჩაიდინა იმ წამიდან, როცა მისსირილლი San-Nicolo-ს სასახლიდან წავიდა და ლეგატთან გამოცხადდა. ამბავი ასე დაასრულა ქალმა:

— ეს კიდევ ცოტაა. მე მეტიც გამაკეთებინა შენმა სიყვარულმა! — და უამბო, თუ როგორ გასცა.

— გველეშაპო! — იყვირა პიეტრომ და ქალს მივარდა, რათა ბორკილებით მოეკლა იგი. იქნება, მოეხერხებინა კიდევაც ეს, მაგრამ ამ დროს ზედამხედველი მოუახლოვდა მათ ყვირილის გაგონებაზე. მან ხელი მოჰკიდა მისსირილლის.

— აჰა, გველო! არავითარი დახმარება შენგან! — და ამ სიტყვებით გადაუგდო ქალს ალმასი და ქლიბები, რამდენადაც ხელის გაქნევის ნება მისცა ბორკილმა, და სასწრაფოდ განშორდა.

ვანინა დამარცხდა. იგი დაბრუნდა რომს, და გაზეთებმაც აუწყეს საზოგადოებას მისი დაქორწინება თავად ლივიო საველისთან.

თარგმანი ლ. ქ.

## პერმანის ლიტერატურიდან

იოჰან ვოლფგანგ გოეთე.

### შტრასბურგის კათედრალი

როცა მე პირველად ვინახულე შტრასბურგის კათედრალი, თავი სავსე მქონდა „კარგი გემოვნების“ ნაირ-ნაირ თეორიებით. მხოლოდ განაგონის და ნათქვამის მიხედვით ვაფასებდი მასსების ჰარმონიას, ფორმების სიფაქიზეს, ყოველივე გოტიური ჩუქურთმების შეურიგებელი მტერი ვიყავი. რუბრიკა — გოტიურის ქვეშ, როგორც სიტყვარის განმარტებაში, მოთავსებული მქონდა მრავალნაირი სინონიმური აბდაუბდა.

რა თქმა უნდა, მე უფრო მეტს გონიერებას არ ვიჩენდი, ვიდრე ის ხალხი, რომელიც ყოველივე მისთვის უცნობ სამყაროს ბარბაროსულს უწოდებს.

ჩემთვის ყველაფერი გოტიურს მოასწავებდა, ყველაფერი, რაც ჩემს სისტემაში არ ეტეოდა.

გოტიურს ვეძახდი, როგორც შაბლონურ ჭრელ-ჭრელა სურათებსა და ტიკინებს, რომლითაც ჩვენი შეძლებული წარჩინებულები თავიანთ სადგომებს იმშვენებენ, ისე ძველი გერმანული ხუროთ-მოძღვრების უძველეს ნაშთებს. ამგვარი წინასწარ განწყობილებით ნავედი ამ უშველებელი, თმახუჭუჭა დევის სანახავად.



როგორი მოულოდნელი გაცემა გამოიწვია ჩემში მისმა პირველმა შეხედვამ! დიდზე უდიდესმა შთაბეჭდილებამ კიდემდის აავსო ჩემი სული.

იგი სავსე იყო ათასნაირი ჰარმონიული დეტალებით, მათი შეთვისება და შეგრძნობა მე შევსძელი, მაგრამ მათი შეცნობა და შეგნება მე ვერ მოვახერხე.

თქვენ მეუბნებით ეს ზეციური სიხარულის თანაზიარობაა?

რამდენჯერ მოვშორდი მას, — ისევ მასვე მივუბრუნდი, ისევ მასთან მივედი, რომ ამ ზეციერი და მიწიერი სიხარულით ცხადლივ დავმტკბარიყავ, რათა ამ უკვდავ ქმნილებაში მეხილა ჩემი უფროსი ძმების გოლიათური სულის სიდიადე.

რამდენჯერ დაუბრუნდი მას, ყოველი მხრით შემოვუარე, მინდოდა: ყოველ მანძილზე, დღიურ სინათლის ყოველ ნიუანსში მემზირა მისთვის, და დავმტკბარიყავ მისი სათნო ქედმაღალობით.

გული ვარამით აევსება კაცს დედითშობილს, როცა მისავ ძმის, თანამოსისხლის ქმნილება ისე მაღალია და თვალშეუდგამი, რომ მას ქედის მოხრისა და მდაბალი თავყანისცემის მეტი არა დარჩენია რა.

რაოდენჯერ მყუდრო განსვენებით მიაყურა ჩემი, ძიების ჟინით დაქანცული, თვალი სალამოს მწუხრმა, როცა იგი ძირს დაეშვებოდა და მისი წყალობით ამ უშველებელი ქმნილების ათას-სახოვანი ნაწილები ერთ ჰარმონიულ მთლიანობად შეიკვროდენ, შედედებოდენ.

და იგი ლალი და მაღალი თავზე წარმოადგებოდა ჩემ სულს და ისიც ნეტარების ყრუ-ანტელ-მოგვრილი უკანასკნელად შეეცდებოდა მის შეგრძნობასა და შეცნობას.

ასეთ წუთებში ეცხადებოდა ჩემ სულს დიდი შემოქმედების გენია. „რა გიკვირს შენ, — წამჩურჩულებდა იგი, — ეს ზომიერება, ეს სიმეტრია უცილოდ საჭირო იყო. და განა, ჩემი ქალაქის ძველი ეკლესიები ასეთივე სიმეტრიით არ მეტყველებენ! მათი შემთხვევითი ზომიერება მემომნიულ სიდიდემდის ავიყვანე. შეხედე, მთავარ აღსავლის კარებს გვერდით მივუჩინე ორი, უფრო პატარა. ზემოდან რომ პატარა ვინროდ შემოხაზული გარსი მოსჩანს, ეს სარკმელი ეკლესიის ნავს ეხმაურება, ეს ფანჯარა დღიურ სინათლის პატარა კარებია. მაღლა, სულ მაღლა სინათლის ტალღას მე მივუშენე მცირე სარკმელი. მაღალ სამრეკლოს ტან-წერწეტ აღნაგობაში მე მოვათავსე უხილავი უცხო ძალები; მათ უნდა აეტყვორცნათ ცის სიმაღლეში ორი, სამრეკლოს მაღალი კოშკი. ერთი მათგანი აწ აღარ არის“.

მითხრა, დამტოვა მე მარტოხელა ჩუმის ვარამით გულგასენილი.

დილის რიყრაყზე როს აიშალენ ცის ფრინველები ნაირნაირი, მაღალ კოშკების, კათედრალის ნიშებში შემოხიზნული და მზეს შესტროფოდენ, შეჰხაროდენ ტკბილის სიმღერით, მათ გამაღვიძეს განთიადის ტკბილი ძილისაგან.

რა უეცრად, დილის ცისკარის ბრწყინვალეობით პირგაბადრულმა შემომანათა კათედრალმა მე მგზავრს დაქანცულს.

როგორის ნდომით გამიშვერია ორივე ხელი დიდ ქმნილებისკენ. შევხედე: ვნახე, და ვიხილე დიდი ჰარმონიული მასები თვის აურაცხელ ნაწილებში რომ ამეტყველდენ.

ისე, როგორც მარად-ქმნილ ბუნების პირმშოში, აქ ყოველივე ნატამალი განუყრელია და უმცირესიც შეადგენს ნაწილს ერთი მთლიანი ერთსახეობის.

ვნახე: როგორის სიმსუბუქით ატყოცნილა ეგ მკვრივი და მძლე გოლიათი მსუბუქ ეთერის უსაზღვროებაში. რა ნაზი ხელით დაჩითულია მისი კედლები და ჩუქურთმები, მაგრამ ყოველი და ყველაფერი შექმნილი არის სამუდამყამოდ.

შენსა განსწავლას მე ვუმაღლი, ჰოი, გენიუს! მაღლი შენს სახელს, რომ შენს შემყურეს მე უფსკრულეშიც არ მესხმის რეტი, რომ ჩემს სულშიაც შენი წვეთი გადმოფრქვეულა, და მე ეგ წვეთი მიმატებს ძალას, რომ ვიმეტყველო როგორც თვით ღმერთი.



ანბელუს სილვანიუს.

### „ქერუბიმული მოგზაურიდან“

1. ისე დიდი ვარ, როგორც თვით ღმერთი,  
ღმერთი ჩემსავით პატარა არი.  
მას აღარ ძალუძს უჩემოდ ყოფნა,  
უღმერთოდ ყოფნა სიტყვაა მცდარი.
2. რაც დღემდის უთქვამთ ღმერთის შესახებ  
ჩემთვის ეგ ჯერაც ხმაა მსუბუქი,  
ზე ღვთაებაა ჩემი სიცოცხლე,  
ჩემი სიცოცხლის ცხოველი შუქი.
3. ღმერთი ისევე ღმერთში შეიქმნა  
ღმერთი ისევე ღმერთს შეენირა.  
მისი ტახტი ვარ, მისი ტაძარი,  
მისი ჩანგი ვარ და მისი წკირა.
4. მე არ ვარსებობ ღმერთის გარეშე,  
ღმერთი უჩემოდ ვინ გაიგონა!  
მე მისი ელვის სამოსელივარ,  
მან ჩემის ყოფნით გზა გაიფონა.
5. ღმერთი აზრია, ღმერთი — თამაში.  
ღმერთი — სინათლე. ღმერთი — მიზანი.  
ჩემსა ძმობილში, ჩემსავ მამაში,  
ღმერთს შევეყარე, ღმერთი ვიცანი.

*ძველგერმანულით ნათარგმნი C. G.*

## ანტიური ლიტერატურიდან

### პლატონის ეპიგრამები

#### წინასწარი შენიშვნა

ღვთაებრივი პლატონი, ვიდრე იგი საბოლოოდ შესწირავდა თავს ფილოსოფიას და დასწერდა თავის დიალოგებს, უფრო ადრე პოეტი იყო. მაგრამ პლატონის პოეტურ ქმნილებათაგან ჩვენამდე მხოლოდ ნაწილი შენახულა: მადრიგალები და ეპიგრამები<sup>1</sup>.

ჩვენ აქ „კავკასიონისათვის“ ვთარგმნეთ პლატონის ათი მადრიგალი-ეპიგრამა.<sup>2</sup> გარდა უშუალო პოეტური ინტერესისა, ჩვენ ამ შემთხვევაში გვინტერესებდა ელემენტური დისტიხის ფორმის გამოცემა ქართულ ენაზე.

ცნობილია, რომ ქართულად დღემდე არ ყოფილა დამუშავებული ელლინური ლექსის მეტრები, კერძოდ ჰექსამეტრი და პენტამეტრი. მართალია, ქართულს პოეზიაში ჯერ კიდევ გურამიშვილის და ბარათაშვილის დროიდან შემოვიდა დაქტილი, მაგრამ იგი არასოდეს არ ყოფილა აყვანილი ჰექსამეტრის და პენტამეტრის რიტმიულ სისტემამდე. არც ერთ ექვს-მუხლიან დაქტილურ ლექსში არ არის დაცული დიდი ცესურის წესები, არ არის მხედველობაში მიღებული მუხლების ჰიპოსტასა (დაქტილის შეცვლა განსაზღვრულ შემთხვევებში ქორეის მუხლებით, — რიტმის მოძრაობისათვის), და არც კატალექტიკის კანონები (ჰექსამეტრის და პენტამეტრის ორთავე კოლაში). ხოლო ამის გარეშე ჰექსამეტრი და პენტამეტრი მოკლებული რჩება ყოველგვარ რიტმიულ ღირებულებას.

მკითხველი, რომელიც იცნობს კლასიკურ მეტრიკას, შეამჩნევს, რომ ქვემოთ მოყვანილ ქართულ ჰექსამეტრსა და პენტამეტრში დაშვებულია ზოგიერთი თავისებურობა; ასე — ჰიპერმეტრია (ზედმეტ მარცვალთა დართვა დასაწყისში). ეს შეგნებულად არის მოხდენილი. საქმე ის არის, რომ ბერძნულ მეტრს მრავალი საშუალება მოეპოება ლექსის რიტმიული ვარიაციების შესაქმნელად; ხოლო აღნიშნული თავისებურობანი მიღებულ იქმნა ქართულისათვის, რათა მიღწეული ყოფილიყო რიტმის მოძრაობის ექვივალენტობა.

### პლატონის ეპიგრამები

*ვუძღვნი ამ თარგმანებს*

*პროფ. გრიგოლ წერეთელს*

1

#### ასტერის. [ვარსკლავს<sup>3</sup>]

ვარსკლავებს შესცქერი ცაზე,

და ვარსკლავთა უამრავ თვალს

თვით ვარსკლავო! ცა ვიყვე ნეტავ,

თრთოლვით მოგაპყრობდი შენ!

1. სულ პლატონს მიეწერება ოცდაათამდე ასეთი პატარა პოეტური ტექსტი. ფილოლოგიურმა კრიტიკამ გამოარკვია, რომ პლატონს აქედან ეკუთვნის მხოლოდ ერთი ნაწილი (20-მდე ეპიგრამა); დანარჩენის პლატონისადმი კუთვნილება საეჭვოა (იხ. Bergk. Poetae lyrici graeci, vol. II, Lipsiae, 1882).

2. ამ ათი ეპიგრამიდან პლატონს უცილობელად ეკუთვნის ექვსი ეპიგრამა (1, 2, 3, 4, 5, 10). ხოლო დანარჩენი ოთხი ეპიგრამის (6, 7, 8, 9) კუთვნილება პლატონისადმი საეჭვოდ არის მიჩნეული.

3. ასტერი, რომლისადმი მიმართულია ეს მადრიგალი-ეპიგრამა, ყველა ნიშნებით პლატონის მეგობარი იყო. სახელი „ასტერი“ (Asthêr) ამავე დროს ნიშნავს სიტყვას „ვარსკლავი“. პლატონის პირველსა და მეორე ეპიგრამაში ამ სიტყვას ეძლევა სწორედ ასეთი ორმაგი მნიშვნელობა: სახელი „ასტერი“, და ამავე დროს „ვარსკლავი“.

2

**ასტერის. გარდაცვალების შემდეგ**

ვარსკვლავო, ცოცხალთა შორის ენთე ვით ვარსკვლავი დილის,  
ეხლა-კი უნათებ შენ სალამოს ვარსკვლავად მკვდრებს.

3

**აგათოს**

აგათოს ბაგეზე კოცნით შევაჩერე შემკრთალი სული.  
— ვაჰმე! — გასაფრენად მას უკვე გაეშალა ფრთა...

4

**ახალგაზრდა ქალს**

გესროლე პურპურის ვაშლი... თუ იმეტებ სიყვარულს ჩემთვის,  
ეს ვაშლიც მიიღე შენ, ქალობა შემწირე მე.  
ვერ ბედავ მორცხვობით მკრთალი... მაშ იფიქრე ერთ ნუთას მაინც:  
ამ ვაშლის პურპურსაც დრო ადრევე შეუცვლის ფერს.

5

**მადრიგალი პოეტ არისტოფანზე**

ექებდნენ ქარიტნი ქვეყნად მარად დაურღვეველ ტაძარს  
და მოიპოვეს აქ, მიაგნეს პოეტის გულს.

6

**წარწერა საპფოს ქანდაკებისა**

„ცხრა არის მუზა“, — შეცდომით გადმოგვცემს ამბავი ძველი;  
აი, ჩვენს წინაშე სდგას მეთე მუზა საპფო.

7

**დიოდორის ვერცხლის ქანდაკება:  
მძინარე სატირი**

ეს არ არის ქანდაკი ვერცხლის: აქ დააძინეს სატირი ვერცხლში.  
ვერცხლი შეუპყრია ძილს... სიტყვა, — და გაახელს თვალს.

## 8

## კამეა

იაშმის პატარა ქვას დაუტევნია ხარების ჯოგი.  
 გგონია — ნამდვილად აქ ხარები სტკეპნიან ველს.  
 წამს გაიფანტება ჯოგი! მაგრამ ოქროვანი რკალი  
 გალავნად არტყია გარს, არ უშვებს ველიდან მათ.

## 9

## პანი

ჩამოჯექ დაბურულ ფიჭვთან. ქარის უნაზესი ქროლვით  
 ნელი-ნელ ირხევა და ტკბილად მუსაიფობს ის.  
 წყარო სჩქევს რბილი და ნელი. მიეცი ოცნებას თავი  
 და მაშინვე მოგარხევს რულს ჩემი სალამურის ხმა.

## 10

## აფროდიტე და მუზები

კიპრიდამ უბრძანა მუზებს: ქალწულნო, თაყვანი მეცით,  
 ადრე ეროტის მშვილდს თქვენკენ მოვმართავ მე.  
 მუზებმა უთხრეს: ო ღმერთავ, მიმართე ამ სიტყვით არესს...  
 ვერ შესძრავს ეროტი ჩვენს მარად დამშვიდებულ გულს.

თარგმანი Asmi-ს მიერ

ოვანეს თუშანიანი.

## ანუშ

## პროლოგი

მთის ფერიები ღრუბლის ქულაზე  
 ჩამომსხდარიყვნენ ნაზად და ობლად —  
 და ორ საფლავის ამოსაშრობლად  
 ცრემლებს აფრქვევენ თბილს და უნაზეს.

ვით მორჩილი ბალები —  
 სათუთ სიოს ტალებში  
 ეხვეოდნენ ჩუმად  
 მთვარის აბრეშუმად.

გუნდს მოსდევდა გუნდი  
მწკრივად,  
ყოველმხრივად,  
ცრემლის იაგუნდი  
ეფრქვეოდათ მძივად.

და ანუშის საფლავს, დამწვარს, სიყვარულით,  
დასტიროდნენ ასე ჩათუთქულის გულით:

„ბადიებში შვიდ წყაროდან  
წყალის ჩასხმა გიხაროდა.

შვიდ ბუჩქებთან ვარდს რომ რგავდი,  
ჩვენს დობილებს სახით ჰგავდი.

მკითხაობდი ვარდის წყალზე  
და ფიქრობდი მომავალზე:

— სხივო, წყალში ჩადი მარდათ  
და მომგვარე, ვინც მიყვარდა!

მაგრამ ვარდი დასჭკნა ადრე  
და შენც ველარ ინავარდე.

სამარეში დღეს ვინ უმზერს  
მაგ თვალების შავ ფირუზებს!

მაშ, სულეზო, ძირს დაეშვით  
და აჩუქეთ ცრემლი პეშვით“...

ყვავილები გაბნეულან ფერებად  
და ამბობენ: „ნეტა, რა გვემღერება!  
ეს ფოთლები ლამის სისხლით შევსვაროთ:  
ალარა გვყავს არც ანუში, არც სარო!“  
ჩურჩულებდნენ ყვავილები ამგვარად  
და მინაზე იღვრებოდნენ ნამცვარად.

ვიდრე ცამ დილა არ შეითვისა  
და არ ავიდა გოდება ცამდე:  
ეს ფერიები — სულელები მთისა —  
ასე მოსთქვამდნენ განთიადამდე.  
ზეცა აფეთქდა სხივების ნალმად,  
ცაზე აისი ჩირალდნებს ანთებს, —  
სულელები გაჰქრენ მთების გადაღმა  
და მიაშურეს ჩანჩქერის კალთებს.

## კარი პირველი

### I

მიხმობს, მეძახის უძილო სევდა  
ჩემს პაპისეულ ძვირფას მამულში.  
ფრთამალ ოცნებით გადავფრინდები  
თვალის და გულის სანატრელ მხარეს.  
მე იქ მიმელის ჩემი ჯალაბი —  
სადაც ზამთარში შუაგულ ცეცხლთან,  
მჭიდროთ და ირგვლივ შემოგარსულნი  
მოსთქვამენ არაკს ძვირფას წარსულზე.  
და მაგონდება თუ ვით სცხოვრობდნენ  
ოდესლაც ლორში გმირი დევები.

ჩემო სამშობლოვ! შენი ხეობა  
მთებს უვლის ფერხულს ლეგენდარულად.  
შენს გარეშემო მთის მწვერვალებად  
გაქვავებულან თული დევები.  
ამბობენ: ძველად მათ მოიტაცეს  
ალაგიოზის მთების ასული  
და როცა ზეიმს იხდიდნენ ლორში —  
ალ-დევ, ბედ-დევი და სხვანი კიდევ —  
ქორნილის ლამეს გადიქცნენ მთებად.

### II

სალამი თქვენდა, ძველო ნაცნობნო!  
ტყევე, გამოზრდილო მთების მკერდებით —  
სალამი თქვენდა! რამდენი კარგი  
მოგონებანი მახსოვს თქვენ შორის.  
გაჰქრა, ნავიდა ოქროს წარსული  
ვით გაზაფხულის ფერადოვნება.  
და თქვენც, ყანებო, მნიფე თავთავით  
ალარ ამშვენებთ გაშლილ გარემოს.  
ახალგაზრდობის ცეცხლიან დღეებს  
სულით ობოლი ვეძებ ამაოდ!  
რატომ არ ცოცხლობთ ჩემებრ სიცოცხლით?  
რატომ არ ძალმიძს ჩემის ლექსებით  
ჩავიდგათ სული, ძვირფასნო ლანდნო?  
ახ, ნეტავ სიზმრად მაინც მეჩვენოს  
ჩემი წარსული ხელშესახებად, —  
ხორცაკრეფილი, სუნთქვით გამთბარი.  
მოვედ! მგოსანი გიხმობს, გეძახის...  
მოვედ! მგოსანი გემუდარება!



### III

და ხავსმოდებულ მთის თაღებიდან,  
და ხშირფოთლოვან ტყეთა სივრცეში —  
მე მესმის ჩემი ყრმობის სიცილი  
წარსულ ცხოვრების გამოძახილად.  
ო, მოგონება ცოცხლად ნახული  
წამოდგა მკვდრეთით და აიშალა:  
ეს იალაღი, სოფლის ხმაური,  
ალაჩუხები, კვამლი მოლურჯო;  
აგერ განთიადს ჰკოცნის ღრუბელი,  
ციმციმებს ნამი და მღერის მწყემსი:

### IV

„ქალო, დარჩი კარავში, მოიფარე ფარდები.  
ნუ დადიხარ გარედა, თორემ შემეყვარდები.  
გადვიქცევი აშულად, კლდეზე გადავარდები.

სალამურმა წკრიალით  
სევდა ვერ დამიფარა, —  
უპატრონოდ, იოლად  
დამეფანტა ცხვრის ფარა.

ქალო, რა უღმერთო ხარ! დამწვი ეშხის ალითა.  
დამიბორკე ფეხები ნაწნავების რკალითა.  
ო, მეტს ველარ მოვითმენ — მოგიტაცებ ძალითა.

ანუშ! შენი თვალები  
ლამესავით შავია.  
რატომ არ გებრალები?  
სარო დამნაშავეა?

მაგრამ გფიცავ, თუ შენს თავს, შეყვარებულს ვნებითა,  
შენი კერპი დედ-მამა არ დამითმობს ნებითა —  
სისხლს დავაქცევ! და გულსა დავიქოლავ ქვებითა.

რა გიხდება, რა გშვენის,  
წარბები კამარულად.  
მე ვერ გავძლებ უშენოდ —  
მოგიტაცებ ფარულად!“

### V

და მღერის სარო ტრიალ მინდორზე.  
ანუში სახლში ველარ ჩერდება.

- დედი, ხომ გესმის? ვილაც გვეძახის...
- გეყოფა, ანუშ, მაგდენი თრევა!

სად გაგონილა, აბა, მითხარი,  
 გასათხოვარი ქალის წანწალი?  
 ო, ღმერთმა ნუ ქნას რომ ხმა დაირხეს  
 და დაგივარდეს სახელი ცუდი.  
 — დედი, ხომ ხედავ ზურმუხტ ფერდობზე  
 როგორ ხასხასებს ღოღო და ბალბა —  
 წავალ და მოვკრეფ სადილისათვის...  
 ჰო: ამალღების დღეობაც არის!  
 რა გენალღლება, წავალ, დედიკო  
 და სხვებთან ერთად ვიმღერ „ჯანგულუმს“.  
 — ანუშ, ცელქობა აღარ შეგშვენის,  
 დღეს საპატარძლო ქალი ხარ უკვე.  
 უნდა ერიდო ვაჟთან შეხვედრას —  
 ქალის ნამუსი დაიცვა მტკიცედ —  
 ხომ იცი ნაძრახს...  
 — ო, ღმერთო ჩემო!  
 გული ვალღებს, გული მიკვნესის,  
 ფართხალღებს როგორც გალიის ჩიტი —  
 ლამის მკერდიდან ამომივარდეს.  
 აღბად, მოგველის უბედურება.  
 რა მემართება, მითხარ, დედიკო!  
 ეს წინათგრძნობა რას მოასწავებს?  
 ეხ, წავალ გარედ, ავიღებ კოკას,  
 იქნებ მეც გულზე მომეშვას დარდი.  
 აგერ ტოღლებიც მიდიან წყალზე.

## VI

ქალღებს ჩაფღები შეუდღამთ მხარზე —  
 წყაროსკენ მწყობრად ეშურღებიან.  
 ნარნარის რხეღვით შოღტაღვენ ბიღიღს,  
 ანკარა ხმეღბით მღღერიან ნაზად:

„კღღის გულიღდან ციღი წყარო  
 მოთამაშოღს, მონაღვარღობს.  
 ვაჟი მთეღში უწყინარად  
 გულღდამწვარი ქალზე დარღობს.

წყაროღ, მთიღდან მოღვარღნიღლო,  
 იკღაკნეღბი როგორც გვეღი —  
 ვინღღლო ეშხით გააღგრიღლო  
 მოსიღცხული მწვანე ვეღი.

ვარღის თასი სპეკალ ცვარით  
 ამოავსე, გაღდანამე  
 და მიღდამო გაღდამწვარი  
 ანუღგეღე დღე და ლამე.

აგერ წყალში მზის ძაფებად  
ვხედავ სატრფოს შავად ბურვილს,  
წყაროს გრძნობით ენაფება  
და ვერ იკლავს მაინც წყურვილს.

კლდის გულიდან ცივი წყარო  
მოთამაშობს, მონავარდობს.  
ვაჟი მთებში უწყინარად  
გულდამწვარი ქალზე დარდობს!“

## VII

ნისლი ჩამოწვა ბარში მთებიდან...  
ველარ ისვენებს მოხუცი დედა.  
შიშობს, ვაი თუ, ანუშს წყაროზე  
მოულოდნელად შეემთხვას რამე.  
ბინდი მუქდება. ღამის წყვდიადი  
ხავსიან სერებს გადაეფარა.  
ნადირი სტოვებს საკუთარ ბუნაგს  
და ავაზაკი სდარაჯობს მგზავრებს.

დედის თვალეხი არღვევს სიბნელეს:  
ცდილობს გაიგოს ქალის გზა-კვალი —  
გადმოდგა ქიმზე. ომახიანად  
ეძახის შვილსა: „ანუშ, დაბრუნდი!“  
— ამ ბნელ ღამეში სადა ხარ, ვისთან,  
მთებში რა გინდა, შე უსირცხვილო!  
კარგს რას შეიძენ ღამ-ღამე თრევით,  
სახიფათოა შენთვის მანდ ყოფნა!  
და შემოიკრა ხელი მუხლებზე:  
„ვაიმე, ალბად, შეემთხვა რამე!“

ბინდი მუქდება. ღამის წყვდიადი  
ხავსიან სერებს გადაეფარა.  
ნადირი სტოვებს საკუთარ ბუნაგს  
და ავაზაკი სდარაჯობს მგზავრებს.

## VIII

— გამიშვი, სარო, დედა მეძახის!  
— გემუდარები, დარჩი, ნუ მიხვალ!  
— დამლუპავ, სარო, დედა შეიტყობს...  
განა არ ვიცი მატყუებ მხოლოდ,  
დიდი ხანია მოგბეზრდა, ანუშ.  
მე ვიტანჯები, ვსტირი უშენოდ,  
შენ ბულბულივით ილხენ და ლალობ.  
აბა, ამდენხანს რად მალოდინე?

თვალნათლივ მოველ — შემომალამდა.  
მე შენს ლოდინში დამწყდა თვალები  
და შენ კი მაინც არ სჩანდი არსად.

„ამბობენ, რომ ძველად ძენა  
ქალის სახეს ატარებდა;  
თმები კობტად ჩამოეწნა —  
სატრფოს თვალებს ახარებდა.

ერთხელ როცა პაემანზე  
მოელოდა მიჯნურს იგი —  
გადასვენდა. ცხელ სილაზე  
იშლებოდა ტბის ციგლიგი.

მაგრამ ვაჟი არ მოვიდა —  
ამაოა ქალის ხვეწნა —  
აქვითინდა და გლოვიდან  
გადაიქცა მტირალ ძენნად.

აგონდება ქალის ღანვებს  
ვაჟის სიტყვა დანაპირი —  
დახრილ ტოტებს წყალში აწვენს,  
ერთ ადგილას სდგას და სტირის!“

— არა გრცხვენნიან? ნუთუ ღირსი ვარ  
მაგ საყვედურის!  
განა სიმღერით აისის ქება  
შენ არ გაკუთვნე?  
ლამით სალამურს როცა ვაკვნესებ —  
ვალვიძებ კლდეებს.  
ნუ თუ არა გრძნობ ჩემი ოცნება  
შენ ერთს გეძახის.  
როცა გშორდები, შენი თვალები  
გზას მინათებენ.  
და ჩემი გული მხოლოდ შენს გულთან  
საუბრობს სევდით.

დადუმდა მწყემსი. და ეშხნაკრავი  
ქალის თბილ მკერდზე დაემხო მუნჯად.

## IX

კვლავ დაბლობისკენ გაისმის ხმები:  
— ანუშ, არ გესმის, შემოდი სახლში!  
დედის დაძახილს ქალმა ხმა მისცა:  
— ჰაუ, მოვდივარ, დედი, მოვდივარ!  
ანუშ! დალალი ჩამოგეშალა.  
რად აგელენა ლოყები წითლად?

კანკალებ? რისთვის? რამ შეგაშინა —  
თითქოს შველი ხარ მონადირისგან  
შეშინებული და დაგეშილი!  
რა უყავ კოკა? რა უყავ წყალი?  
სად დაგავიწყდა ქალაღია?

— რა სულელი ვარ, როგორ შევშინდი,  
ციებ-ცხელებამ დამრია ხელი...  
ღმერთო! რამდენი უცნობი დამხვდა.  
თათრები... დიად, ბლომა თათრები  
ჩვენს მდინარეში დაბანაობდნენ.  
— ანუშ, დაქალდი და მაინც ანცობ?  
რად ხარ მშიშარა, შე უგერგილო!  
მომეცი კოკა, მე წავალ წყალზე...

და ხელში კოკით, წყევლით, ბუზლუნით  
წყლის მოსატანათ წავიდა დედა.

### კარი მეორე

I

ამაღლებაა. დღესასწაული.  
ყვავილთა ნობი აღვივდა მოღზე.  
მაშ, რაღას ელით, ნაზო ასულნო,  
შემოეფინეთ ამ მთების კალთებს —  
შეჰკონეთ ვარდი ნაირფერებად,  
ჩაუთქვით „ვიჭაკს“ თქვენი საბედო;  
სიმღერით, ცეკვით, ლხენით, ღრეობით —  
ადიდეთ, ქალნო, მაისის დილა:

„ამაღლების მთებო,  
აზიდულო სვეტად.  
გავეშუროთ, დებო,  
ვარდის მოსაწყვეტად;

ნეტა, ვის უყვარვარ,  
ჩემზე ვინა ფიქრობს?  
რატომ შენი არ ვარ,  
ბედი რად არ მიხმობს.  
მთვარის მკრთალი ქარვა  
სევდის კანდელს მიქრობს.  
ამაღლების მთებო,  
აზიდულო სვეტად, —  
გავეშუროთ, დებო,  
ვარდის მოსაწყვეტად.

იადონის სტვენამ  
გააღვიძა ვარდი,

ზოგს აჩუქა ლხენა,  
 ზოგს ქორნილის დარდი,  
 თუ მლალატობ შენა,  
 რისთვის შეგიყვარდი?

ამაღლების მთებო,  
 აზიდულო სვეტად.  
 გავეშუროთ, დებო,  
 ვარდის მოსაწყვეტად“.

ყოველ გაზაფხულს ლამაზ ქალისთვის  
 მოაქვს სხვადასხვა არმაღანები —  
 ზოგს გულის მურაზს უსრულებს ხელად,  
 ზოგს ჰხვევს კაემნის თალხ სამოსელში.

## II

ისმის სიმღერა „ჯანგულუმისა“.  
 ჰანგებმა მთები აახშიანა.  
 ქალებმა ქილა ჩამოიტანეს,  
 რომელიც ღამით — ასე თქმულია —  
 უმძრახი წყალით დაედგათ ბანზე.  
 მოგროვდნენ ერთად ქილის გარშემო,  
 ჩაუთქვეს ბედი და „ჯანგულუმით“  
 თითო ნიშანი ჩაჰყარა ყველამ.

მისანი ქალი, როგორც მთის ვარდი,  
 ზის და მკითხაობს დობილთა შორის:

— ქალო, ქალო, შენი ბედი  
 ამ რამლებით შემიტყვია:  
 შენს საყვარელს უცაბედათ  
 გულს გაუპობს ცხელი ტყვია!

ანუშ შენუხდა. ქალები შეკრთნენ:  
 — სულ ტყუილია! არ დაიჯერო!  
 — მარჩიელობა გასართობია!  
 — გულს ნაადრევად ადარდიანებ...  
 — ანუშ! გაჰფანტე მუქი ფიქრები  
 და შემოსძახე ჩვენთან: „ჯანგულუმ!“

— არა მაქვს ბედი, ბედი არა მაქვს!  
 ნუ თუ აღსრულდა? — ფიქრობს ანუში —  
 მე ხომ აკვნითვე ვარ დაწყველილი.  
 ერთხელ ჩვენს ოჯახს ესტუმრა მგზავრი,  
 გადმოხვენილი შორის ქვეყნიდან —  
 მღეროდა, ხტოდა და მონყალეზას  
 ხელგაშვერილი ითხოვდა თურმე.



დედას კი ეთქვა: რა დროს თხოვნაა,  
არა მცალიან — მიტირის ბავშვი!  
„დაე, იტიროს მთელი სიცოცხლე!“ —  
ეთქვა იმ დავრიშს და წასულიყო.

- მოგცლია რალა! შენც გჯერა ერთი!
- „ვიჭაკი“ მხოლოდ ხუმრობა იყო,
- ჩვენ გულთმისანი ხომ არ ვართ მართლა!
- აბა, ქალებო, განვაგრძოთ მღერა:

„იღბლიანო ქალო,  
სთქვი, რა გავალალებს!  
ცრემლი ლამაზ თვალებს  
უნდა მოაცალო!

რჩეული ხარ სხვებში,  
უნდა გაიხარო —  
შენი სატრფო სარო  
სდგას მთასავით მთებში.

ამაღლების მთებო —  
აზიდულო სვეტად.  
ვარდის მოსაწყვეტად  
გავეშუროთ, დებო!“

## კარი მესამე

I

ქორწილს იხდიან ზამთარში სოფლად.  
ისმის ყიყინი. ზურნა, დაფდაფი.  
ციცაბო მთიდან მწყემსების გუნდი  
ბარში ესტუმრენ ლოთ მაყრიონებს.  
სიმღერა. ცეკვა. ზმა და შაირი.  
ახალგაზდებით გაივსო ბანი.  
ხელად გაკეთდა წრე ხელკავებით  
და ფალავანდებს ასახელებენ:  
„აბა, ბიჭებო, ვინ ვის აჯობებს!“

სარო გამოჰყავთ ძალის-ძალათი...  
მეორე მხრიდან მოჰგვარეს მოსო  
(მოსო ხომ ძმაა საროს სატრფოსი).  
ხუმრობენ. ხტიან. ლაზლანდარობენ  
და საჭიდაოთ ზომავენ არეს.  
ქალებს შიშისგან უცემდათ გული  
და ვაჟები კი ხალხს აქეზებდნენ...

სარო და მოსო დასდგნენ პირისპირ.  
შემოიკეცეს ჩოხის კალთები,

ჯერ მიწას დაჰკრეს ორივე ხელი  
და მერე უცბად ეცნენ ერთმანეთს.

მაგრამ ძველთაგან უკვე თქმულია —  
რომ მჯობთა მჯობი არ დაილევა.  
და ორმა მწყემსმა — ორმა ჯომარდმა —  
ერთი-მეორე საჯაროდ კრივში  
ლონით არ უნდა დააბეჩავოს.

როგორც შეშვენის მთის ფალავანდებს,  
ისე ჭიდაობს ორი ვაჟკაცი.  
ხან ცივ მიწაზე ენარცხებიან,  
ხან ისევ ერთად სდგებიან ზეზე.  
სჩანს, თანასწორი ღონეა მათში.

სულ ტყუილია მთვრალთა ყიჟინა:  
„ყოჩაღად, ბიჭო!“ „ჰა, არ გაჯობოს!“  
ეს გართობაა მხოლოდ ხალხური, —  
განა მწყემს მწყემსი გაუმკლავდება!  
მაგრამ უეცრად დობილებ შორის  
სარომ იხილა ანუშის სახე  
და თითქოს საროს თვალთ დაუბნელდა:  
გადაავინწყდა ძველთაგან ძველი  
ამხანაგური ადათი, წესი,  
იგრძნო კუნთებში მდევეური ძალა —  
სურდა საჯაროდ ანუშისათვის  
მარიფათობა ეჩვენებინა —  
იხელთა სარომ დრო შესაფერი  
ორივე ხელი ჩასჭიდა მოსოს,  
ძირს დაანარცხა ანაზდეულად  
და მუხლის თავი გულს დააჭირა.

ხალხი განგაშებს. ხარობს. იცინის.  
და გამარჯვებას ულოცავს საროს.  
მიჰყავთ დარბაზში და ფალავანსა  
სვამენ ეჯიბთან მარჯვენა მხარეს.  
მაგრამ ამავე დროს ალენილ სახით  
მას სდარაჯობდა ანუშის ხედვა:  
„არა გრცხვენიან, სარო რა ჰქენი!  
არა გრცხვენიან, ზეიმობ კიდეც?!“

## II

ო, ანუშ! ანუშ! აგერ შენი ძმა  
წამოდგა. იხმობს მოპირდაპირეს:  
„ჩართი არ არის, ხუმრობა იყო,  
მე მინდა ბრძოლა, — გაჰკივის იგი, —  
კაცი არ ვიყო, თუ შევარჩინო,

მოვიდეს რალა!“ მაგრამ მის სიტყვებს  
ხალხი დაცინვით გაეხმაურა:  
— სად ეჩხირები? გაგიჟდი, ბიჭო?  
განა არ გეყო გვერდების ჟეჟა?  
სჯობს, გაიბერტყო ჩოხის კალთები!

### III

შეურაცყოფილ მოსოს სტანჯავდა  
ბოლმა და მარცხი საფათერაკო.  
უარჰყო ლხინი. დასტოვა ხალხი.  
გაჰშორდა ყველას. მაგრამ დაცინვა  
არ შორდებოდა კვლავ იმის ყურებს.  
— რა მომივიდა! ვაი, სირცხვილო!  
ნუ თუ დავმარცხდი მე სამუდამოდ?  
სირცხვილი ამ ჩემს ახოვანებას!  
ჯერ არ მქონია ჩოხის კალთები  
ასე მიწაში ამოგანგლული!  
მთასავით კაცი ძირს დამანარცხა.  
როგორ გამოვჩნდე ეხლა ქალებში?  
ვინ რას იფიქრებს! ან რას იტყვიან!  
რა დამრჩენია? ჰო: ორში ერთი —  
ან თითისტარი, ან-და სამარე.

### IV

— ძმაო, ჩააგე ხმალი ქარქაშში,  
რად გსურს, დაღვარო შენი დის სისხლი?  
ო, შემობრალე! ძმაო, ინამე —  
საროს სიყვარულს აღარ ვნატრულობ.

მოსოს ფეხებთან ასე მტირალი  
საბრალო ანუშ დაჩოქილიყო,  
მოსო კი... მოსო ფხა-ასხმულ ხანჯალს  
გაშმაგებული ატრიალებდა:  
— მაშ, შემომფიცე წმინდა და-ძმობა,  
რომ საროს აღარ გაეკარები —  
თორემ ამ ხანჯლით — ვფიცავ მამალმერთს,  
ახლავ გაგიპობ მაგ გულის ფიცარს.  
— რა საჭიროა ფიცი მონისა —  
განა ძმის სურვილს და ეურჩება?  
ინამე ჩემი! მე არ გატყუებ...  
საროსთან ყოფნა — არ მიწერია.  
ჩვენ სხვა-და-სხვა გზით ნავალთ ამიერ.  
— სტყუი! შენ საროს ვერ დაივინყებ —  
მე მესმის შენი ჩუმი ტირილი,  
როს გულისძილში ბოდავ მის სახელს.

— აგრემც შენს ძმობას დავენაცვლები,  
 ნუ ეშურები, ძმაო, ჩემს მოკვლას.  
 ცოტა მადროვე... ცოტა მაცალე...  
 მე შეგისრულებ თხოვნას, ძვირფასო,  
 საროს გულიდან ამოვირეცხავ  
 და მხოლოდ ერთგულ დათ გადვიქცევი.

## V

ასე დამთავრდა სოფლის ქორწილი —  
 ორ ძმობილ შუა ჩავარდა მტრობა.  
 შუამავალნი ბევრსა ცდილობდნენ  
 და შერიგება ველარ მოხერხდა.  
 ჯიუტი მოსო ბრაზობს, უარობს,  
 საროს არ აძლევს ანუშს საცოლეთ —  
 სურს, სიყვარული ქალის გულიდან  
 ცხელ ხანჯლის წვერით ამოაცალოს.  
 ვინ იცის! იქნებ მარტოდ ყოფნის დროს  
 სტანჯავდა მოსოს შურისძიება  
 და მწყემსის ჯავრის ამოსაყრელად  
 ავი ზრახვები თავს ევლებოდნენ!

ვინ იცის! იქნებ უმთვარო ღამით  
 მეზობლის ფარას დაეცეს მტერი  
 და ცხვრებს ყელეები გამოუღადროს!

ვინ იცის! როცა დღიურ სიცხადით  
 სოფელს დაქანცულს მიეძინება —  
 სადმე მეზობლის თივების ზვინი  
 გაანიავოს ჭიაკოკონამ?!

## კარი მეოთხე

### I

ღრუბელთა ჯარი ცის დასავალზე,  
 ვით აქლემები, დადიან ზანტად.  
 პირველმა სხივმა გაჰკრა მწვერვალებს  
 და ვარდის ფერად ცა დაისერა.  
 წამოიშალა მთელი სოფელი,  
 თოფებით ხელში გარბიან ტყისკენ —  
 თითქოს ნადირი მოვარდნილიყოს...  
 და ქალები კი მოედგნენ ბანებს.

### II

აგერ მოხუცი გამოჩნდა ხალხში.  
 ჩიბუხი ხელის გულზე გაბერტყა.

ჯერ ჯელები გაგზავნა მდევრად  
 და მერე ქალებს უამბო ასე:  
 „ლამე ნახევრად გადასულიყო  
 და მაინც რული ვერ მომეკიდა.  
 უცებ მომესმა ყეფა ძაღლების —  
 გასამხნევებლად დაუსისინე.  
 ირგვლივ სიჩუმე. ვიფიქრე: „ნუ თუ  
 სოფელს ნადირი ენვია სტუმრად!“  
 ძალლი გაჩუმდა. ლამე კვლავ ბნელობს.  
 მივწექი. ძილი არ მეკარება.  
 და ამ ბნელ ღამეს ძლივს გავარჩიე —  
 თუ ორი ჩრდილი როგორ გარბოდა.  
 მათ ჩაუარეს ჩემს ქოფაკს გვერდით...  
 ამაზე მეტი არა ვიცო-რა!“  
 აი, რად ასტყდა სოფლად განგაში —  
 აი, ნაკვალევს რისთვის ზვერაგდნენ —  
 თურმე ანუში საროსთან ერთად  
 ღამით უჩუმრად გაპარულიყო.

### III

მთვარე იცვლება. ხალხი დაბრუნდა.  
 ამო იყო მათი ნადილი —  
 მდევრებმა მტერი ვერ მიაკვლიეს —  
 ხელცარიელნი დაბრუნდნენ სახლში.  
 შეყვარებულთა გამბედაობა  
 ახალგაზდობას მოსწონდა გულში.  
 მაგრამ მოსო კი ვერ ისვენებდა —  
 დარბოდა ტყე-ღრე, სინჯავდა ნაკვლევს  
 და შიშველ ხანჯლით ჩასაფრებული  
 ორივეს სიკვდილს ნატრობდა ბრაზით.

### IV

— ვარდიშახ! აბა, გაშალე ქერი,  
 და იმკითხავე, ხვალ რა მოგველის?  
 ნუხელ სიზმარში — დამიდგეს თვალი —  
 ვილაც უცნობი მგზავრი მესტუმრა.  
 ეს კი არ ვარგა, დარდს ნიშნავს, მგონი.  
 მერე ვიხილე: ტრიალ მინდორზე  
 საროს ცხვრის ფარა დაქსაქსულიყო  
 და კაცთა მოდგმის ხმაზე ბლაოდნენ.  
 რას ნიშნავს, ნეტა? ბედი ბრმა არის,  
 ღვთის საიდუმლოს ვერვინ მისწვდება.  
 იმ დაობლებულ ცხოვართა ხმები  
 ეხლაც მინივის ყურებში ზარად.

კიდევ რა ვნახე: საროს მშობელი  
 დაფანტულ ცხვარში გადასულიყო —  
 აფრიალებდა სახიან ბაღდადს  
 და ცხვრებთან ერთად ცეკვავდა ღიმით:  
 ცხვრები კი... ცხვრები სტიროდნენ ცხარედ.  
 ვარდიშახ! მითხარ, რას ნიშნავს ესა?  
 — ცუდი სიზმარი გინახავს, დაო,  
 ჩემო მანუშაკ! აი, დახედე  
 ეს ქერი როგორ ქეშად დაეცა!  
 შავ გზასა ნიშნავს. ესაც საროა.  
 ღმერთს შევევედროთ, რომ დაიფაროს  
 საბრალო სარო და იმის დედა.

## V

ნინ – ბედისწერა და ზურგში — მტერი.  
 ვინ შეიბრალებს საბრალო საროს?  
 მოყვარე იქცა სასტიკ დუშმანად.  
 სარო შველივით მთებს შეეხიზნა.

ბინდი დაეცა. მიყუჩდა მდელო.  
 უკანასკნელი ყირმიზა სხვივი  
 მთების გადაღმა გადაინვერა —  
 სარო კი სევდით მღერის ბაიათს:

„ო, ციცაბო მთებო!  
 ამართულნო ზეცად,  
 თქვენთან ღრუბლის კაბა  
 მორცხვად დაიკეცა.  
 გამოვიქეც თქვენსკენ —  
 შემიფარეთ მეცა.

მინავ! მწვანე ჩითი  
 ანუშივით გშვენის,  
 გააღრმავე ჩქარა  
 ნაპრალები შენი.  
 ჩაიხუტე სარო  
 ოხრად დასარჩენი.

დაობლებულ ანუშს  
 ვილა აიმედებს?  
 ვინ გაუთბობს მკერდის  
 პანანინა მტრედებს,  
 ალბად ჩასაქოლად  
 ბევრი გაიმეტებს“.



## კარი მეხუთე

### I

პატივყრილი და შერცხვენილი  
ძირს დამხოზილი სტიროდა ანუშ.  
შეგროვილიყვენ სოფლის ქალები  
და სინანულით შესციცინებდნენ.  
გადახვენილი მისი ძმა — მოსო  
ანუშის ბედზე არ იყო შინა.  
სამაგიეროდ მოხუცი მამა  
საბრალო ანუშს სწყევლიდა ასე:  
— კრულვა შენს სახელს, შე უნამუსო,  
ფიცის გამტეხო და მოლალატევ!  
გვირგვინის ტოტი დაგემტვრას თავზე  
და გაგიშავდეს თეთრი მანდილი.  
მტერთან ნახველი განა უჩუმრად?  
ოხ, რაღა პირით უნდა შემხედო...

აღელდა მამა და წასწვდა თმებში...  
მაგრამ გარს ხალხი შემოეხვია —  
ხელიდან ქალი გააგდებინეს.

ხმა აღიმალა აქ სოფლის მღვდელმა:  
— რას ერჩით საწყალს! დაგვტოვეთ მარტო.  
ანუშ! გულწრფელად გამენდე, შვილო,  
მითხარი, საროს ნებით გაჰყევი —  
თუ მოგიტაცა ნაძალადევად?  
გიყვარს? მითხარი, ნუ გეშინიან —  
შეყვარებულებს გადაგწერთ ჯვარსა...

ხმაური. ოხვრა. ვიში. ყიჟინა.  
— მოჰკლეს! ვინ მოჰკლეს? მოსომ! სად? როდის?  
— არიქა წყალი! ღმერთო ძლიერო!  
— ანუშ! ა, ანუშ! ჭირს მოსდევს ჭირი.

### II

ვით გაზაფხულის ნიაღვრისაგან  
სავსე მდინარე მირბის ღრიალით —  
ისე ამ სოფლის ჯეელკაცობა  
მთებიდან ბარში დაეშვა ხელად.

ო, ეს რა არის! ო, ღმერთო ჩემო!  
ხასხასა მდელი სისხლს შეულებავს.  
მრისხანე დევბედ ჯებირს აწყდება  
და სიბრაზისგან ცოფებს ჰყრის ირგვლივ.

დარბაისელი მოხუცებულნი  
ერთ მაღალ კონცხზე გადმომსხდარიყვნენ.  
შენუხებულნი, ჩაფიქრებულნი  
ამბის გაგებას ელოდნენ ყუჩად.

ღრიალებს ქვევით დევბედის ხევი —  
რუხრუხებს, როგორც ქუხილი ცისა  
და თითქოს გვამცნობს ფეხამბარობით  
უბედურების უბედურებას.

### III

ხალხის წინაშე სახე შეშლილი  
შლეგიანივით გაივლის მოსო.  
მკვლელის თვალეზში შიში დასცურავს  
და განაფითრი ვერავის ამჩნევს.  
მივიდა სახლთან. დააგდო ქუდი.  
დაჰკიდა თოფი მკვდარი გველივით.  
ზარდაცემული, გარინდებული,  
სულგანაბული ხალხს დააშტერდა.

უცბად მოისმა ქალის ქვითინი:  
„ვაიმე, შვილო, მოგიკვდეს დედა!“  
და საროს დედა გააფთრებული  
იგლეჯდა თმებსა, იხოკდა ღანვებს.

### IV

უბედურ დედას უბნის ქალები  
მწკრივად მისდევდნენ მკვდრის სანახავად.  
ჯერ დაიტირეს საბრალო სარო  
და შემდეგ — როგორც ჩვეულებაა —  
საკუთარ მკვდრებზეც აფრქვიეს ცრემლი.  
ხოლო ჭაბუკნი, საროს დოსტები,  
ცხედარს ღუმლით შემოჰხვეოდნენ  
და იგონებდნენ მის ვაჟკაცობას.  
დედის კივილი ჰაერს აპობდა,  
შავად ბურვილნი მოსთქვამდნენ მწარედ.

ახ, ანუშ! რატომ სხვა არ გიყვარდა —  
რისთვის დალუპე საბრალო მწყემსი?  
ვინ ანუგეშებს ხნიერ დედიკოს,  
ვინ შეაგროვებს დაფანტულ ფარას,  
რა ეშველება სოფელს უმწყემსოდ!  
მთების სიხარულს ვილა გვიმღერებს!

ამხანაგები გავლენ სამწყესოდ  
და სარო გვერდით არ ეყოლებათ.

მისი ძალი კი მეზობლის ბანზედ  
გაიღმუილებს შესაზარავად.

ო, მწყემსის ნაცვლად სახლში დარჩება  
თავდალურსმული მძიმე კომბალი —  
რომელსაც, ნიშნად დიდი გლოვისა,  
ამხანაგები შეუმურავენ.  
და ის ხანჯალი წელზე რომ ერტყა —  
დედა დაჰკიდებს გრძელ ტახტის თავთან,  
თავის ქარქაშში ჩასაჟანგავად.

ველარ გაჰხედავს დედა მთის კვერნაქს —  
სადაც უკრავდა სალამურს მწყემსი —  
გულჩაქცეული იჯდება სახლში  
შვილის წარსულზე იფიქრებს მხოლოდ.

ეს! ნუ აღვიძებთ ძველ მოგონებებს,  
სჯობს, დაივინყო წარსული, დედავ!

— სადა ხარ, შვილო, ნუ თუ ეგ თვალი  
აღერსით აღარ შემომინათებს?  
შვილო, ეგ კუბო მე მეკუთვნიდა  
რად შემედავე? რისთვის წამართვი?  
ვაიმე, შვილო, ხმა გამე... გესმის!

მაგრამ ცხედარი ტკბილ განსვენებით  
ესვენა ყუჩად ბაგედაკრული,  
ხელნი დაეწყო გულს ჯვარედინათ  
და ამა ქვეყნის მოთქმა, მუდარა  
საბრალოს აღარ ეყურებოდა.

დაბინდდა. გლოვა ოდნავ მინელდა  
ჭირისუფალნიც მიმოიფანტნენ —  
მხოლოდ დევბედი, მძაფრი დევბედი,  
ვით მგლოვიარე დაულალავად  
სჭექდა, გრგვინავდა, იმდულრებოდა.

## V

და საროს ნეშტი სადათ, უბრალოდ  
იქვე, დევბედთან დაასაფლავეს —  
და შვილი მინის ჩაიკრა მინამ.  
მხოლოდ ადათის ნირშეუცვლელად  
დოსტებმა ჩუმად დაღვარეს ცრემლი;  
მხოლოდ მთის აშულს, მთის საცეცხლურმა —  
შაშპრა, სოსანის სუნით გამთბარმა —  
ჩამოაკვია მთის საკმეველი;  
მხოლოდ დევბედმა ხაო-აყრილმა  
თეთრი ბუტბუტით აუგო წესი

და სულთათანა მიუგალობა.  
დაასაფლავეს. მორჩა. გათავდა.  
და ახლად გაჭრილ საროს საფლავზე —  
განსვენებულის პატივსაცემად —  
საროს დოსტებმა თვითეულ პეშვით  
მინის ტაგრუცი დაუდგეს ძეგლად —  
რომ უსახელო მწყემსის სამარე  
მინის პირიდან არ აღგვილიყო.

## კარი მეექვსე

I

გამოზაფხულდა. მთა და მინდორი  
მწვანე ხავერდით გადაიხაზა.  
მერცხალთა გუნდი თბილ ქვეყნებიდან  
ისევ ესტუმრნენ ანუშის სოფელს.

წყლის პირად დადის ერთი ასული —  
კაბის კალთაში აგროვებს კენჭებს.  
მღერის. ბუტბუტებს. იცინის. სტირის.  
და საპასუხოდ ბანს აძლევს მთები.

— ვის ეძებ მინდვრად, ლამაზო ქალო,  
დაკარგულივით რად იარები?  
ვისზე ღერი ცრემლებს, ვის გლოვობ ნეტა?  
იქნებ მაისის ვარდი მოგინდა  
და ამ წყლის პირად ვერ გიპოვია?  
ო, იქონიე ცოტა მოთმენა —  
ქალო ლამაზო — მოვა მაისიც!  
იქნებ დასტირი სატრფოს სამარეს?  
ო, ამაოა ცრემლი, გოდება —  
მინამ წაგართვა გულის მურაზი,  
მიცვალეზულებს ვერ გააცოცხლებ!  
ნუ ღუპავ მაგ შენს ახალქალობას,  
ნუ ისნეულებ ცრემლებით თვალებს.  
აჰყე ცხოვრების ჩარხის ტრიალსა,  
გადავიწყე მინაში მყოფნი,  
იმხიარულე და სხვაც ახარე.

— გზად მიმავალო! შენს რჩევა-სურვილს  
ვერ შევიფარდებ ბედ-დანყევლილი.  
გზა მშვიდობისა! გზა მშვიდობისა!  
გმადლობ, უცნობო, გწყალობდეს ზეცა!  
გისურვებ შეგხვდეს კარგი საბედო —  
ახალგაზდობის ასაყვავებლად;  
მე კი... წილად მხვდა ვაება, ტყება,  
ვერ მოვიკალი წყურვილი ცრემლის.

II

დაეხეტება ანუშ მთაბარად  
მღერის და სტირის. სტირის და მღერის.  
აბნეულია მის სიმღერა —  
ნაღვლიან ხმაზე ბოდავს და მოსთქვამს:  
— ჩემო იმედო, სად დაიკარგე!  
ჩემთვის ქვეყანა დაცარიელდა.  
დაყრუვდა ჰანგი სალამურისა.  
ძაძა გლოვისა ჩაიცვეს მთებმა.  
რატომ ამდენხანს აღარ ბრუნდები —  
სადა ხარ, სარო! სადა ხარ, სარო!

„ცხვრის ფარასთან ძალლი ჰგოდებს,  
მინა ცრემლით დალბა.  
ეს ვინ არის არხევს ტოტებს —  
ოხ, ქარია ალბად!

ჩემო კარგო! გძინავს სულა,  
გაიღვიძე ჩქარა!  
დაფანტულა, დაქსაქსულა —  
უპატრონოთ ფარა.

იქნებ მინის ცხელმა სუნმა  
ისე გამოგათბო —  
რომ დაჰკარგე ჩემზე ზრუნვა,  
დაივიწყე სატრფო!“

ზეცამ სიბნელე შემოიერთა.  
მთებს გადაეველო ყვავების გუნდი.  
— ასი სიცოცხლე, რომ მქონდეს ერთად  
შენ შემოგნირავ, ოღონდ დაბრუნდი!

„მაღალ კორდზე, ბუჩქის ძირას  
ქვებმა რალაც სთქვეს.  
სამარეში ვისა სძინავს,  
მწვანე ნაბდის ქვეშ?

ჩუ! დაირები სტირიან ქარში.  
აგერ დუდუკიც! ლხინია, ლხინი.  
რა ქორნილია! გამოდით კარში —  
ნუ თუ არ გესმით ცხენის ჭიხვინი?  
ფუ ეშმაკსა! ფუ ეშმაკსა!  
ყველას ჯვარი სწერია!  
აკი გითხარ: სატრფოს შმაგსა  
ვინც ენდობა — შტერია.

აქ დაასვენეთ ჩემი მზის კუბო.  
აქ — ყვავილებთან! გესმით თუ არა?

— რად მილალატე, შე მატყუარა,  
მაშ, უნდა შენთან მეც დავილუპო...

მეკუბოვე! კუბო  
ჩქარა შეჰკარ ფართე!  
ერთი — ორივესთვის,  
მასთან მინდა ძილი;  
უნდა დავიბრუნო —  
საროს კოცნა ჰმართებს,  
საალერსოთ გვიცდის  
დიდი ცაცხვის ძირი!

სარო! ტანად სარო,  
ლამაზი ხარ ისევ!  
სარო, სიხალისევ!  
სევდას რისთვის მისევ  
მთების შესადარო?  
სარო! სარო! სარო!“

### III

დევბედის პირად, — სადაც ქარაფი  
გამოქვაბულა საბედისწეროდ, —  
ხავსით შესუდრულ ცივ სამარეში  
ამაყი მწყემსი მარხია ობლად.  
საბრალო ქალი შეშლილი სახით  
საფლავს ყოველდღე უვლის გარშემო,  
დღისით ვერ იშრობს თვალეზზე ცრემლებს  
და ღამით რული არ ეკარება.  
მაგრამ მუქაფად ანუშის მოთქმას  
შეესიტყვება მინა ნამარდი?!

შრიალებს ქარი, ნავარდობს ქარი!  
საროს მაგივრად ეჩურჩულება:  
— ანუშ! დავამსხვრევ მინის ბორკილებს!  
ანუშ! სინათლეს ვიხილავთ მალე!  
შმაგი დევბედიც ჩვეულებრივად  
ესაუბრება თავის სამსხვერპლოს:  
— ანუშ! მოენდე ჩემ ფაფუკ ტალღებს  
წაგიყვან უცნობ ედემის მხარეს —  
მე დაგანახვებ მშვენიერ საროს.

და ანუშს თითქოს ყურს ჩაესობა  
დედის ძახილი: „ანუშ, დაბრუნდი!“

მაგრამ დუმილმა მოიცვა არე.  
ირგვლივ სიჩუმემ ჩამოიარა.  
დამუნჯდა ქარი... დადუმდნენ მთები.



მხოლოდ დევბედი, მღვრიე დევბედი,  
ქვებიდან ქვებზე ჩამომდინარე  
მოსთქვამს და ჰგოდებს მარად და მარად:  
„ანუშ, ჩემი ხარ! ჩემი ხარ, ანუშ!“

### ეპილოგი

ამბობენ: ღამით, ამაღლებსას —  
როს ყოველ სულდგმულს მიეძინება,  
როს უცოდველი დუმილი სუფევს  
სააქაოსა და საიქიოს —  
ცა ერთის წუთით გადაიხსნება  
და ძირს ჩამოდის კურთხევა უფლის:

და ორი სული შეყვარებულთა,  
ბედმა რომ ცოცხლად დააცალკევა —  
მხოლოდ ერთ წუთით, მხოლოდ ერთ წამით,  
დაეშვებიან ვარსკვლავეთიდან —  
ჩაეკვრებიან ერთი-მეორეს...  
და მერე ისევ ცის ალაცაფი  
მზის ურდულებით დაიხურება.

*თარგმანი სომხურით ი. გრიშაშვილისა*

## კრიტიკა

### ლიტერატურის და კულტურის საკითხები

#### ივანე მაჩაბელი

#### (დაბადებიდან 70 წლის შესრულების გამო)

ამ წერილში, ავტორი არ ისახავს მიზნად ივანე მაჩაბლის შესახებ სრულ გამოკვლევის მოცემას. მისი პიროვნების და მოღვაწეობის საბოლოო და საჭირო ანალიზი მეტად რთული საქმეა. ჩვენი ლიტერატურის მდგომარეობა არ იძლევა ასეთ მუშაობისთვის აუცილებელ პირობებს. ბიოგრაფიული მასალები, ხელთნაწერები, მოგონებები და სხვ., რაც საჭიროა პიროვნების ლიტერატურული პორტრეტის აღსადგენად, ჩვენში ძნელად საპოვარნი არიან. ლიტერატურული მემკვიდრეობა კი ისეა გაბნეული ძველ ყურნალ-გაზეთებში, და ხშირად უსახელოდაც, რომ მეტის-მეტად ძნელდება სრული გამოკვლევის საქმე. ეს საზოგადო მოვლენაა, ხოლო რაც შეეხება ივ. მაჩაბელს, აქ საკითხი უფრო რთულდება, რადგან მისი ცხოვრების დასასრული ბურუსით არის მოცული. და ასეთს პირობებში, რასაკვირველია, მე იძულებული ვარ, მხოლოდ მკრთალი კონტურები აღვნიშნო, იმ იმედით, რომ ეს ცდა იქნება კიდევ ერთი სტიმული ივ. მაჩაბლის პიროვნების და მოღვაწეობის დიდი ზრდის ამოსაცნობად. საკითხი საკმაოდ მომნიჭებულია, და ქართვე-

ლი საზოგადოება მოუთმენლად ელის ამ მეტად საინტერესო ადამიანის ტრალიკულ ცხოვრების ნათელ-ყოფას.

\* \*

ვიდრე ივანე მაჩაბლის მოღვაწეობის შესახებ დავინყებდეთ საუბარს, საჭიროდ მიმაჩნია მოვიხსენიოთ მისი ბიოგრაფიის მოკლე ქრონიკა: იგი დაიბადა 1854 წ. იანვარის 27, სოფ. თამარაშენში, ქართლში. იმისი მამა გიორგი, სვიმონ მაჩაბლის შვილი იყო, ოცდაათიან წლებში ცნობილ მეამბოხისა, რის აღნიშვნაც საჭიროდ მიმაჩნია ოჯახურ სულის გასათვალისწინებლად. ალბად, პოლიტიკურ ასპარეზზე დამარცხებული ქართული სინიდისი ოჯახის კედლებში გამოიკეტებოდა, და აქ დაგუბდებოდა ის კეთილშობილი რომანტიკა, რომელიც აუცილებელი პირობა არის გმირული სულის გამოსაზრდელად. და მე მგონია, რომ ივ. მაჩაბლის დაუდგრომელ არსებაში, უჩვეულოდ მიმოიქცეოდა გვარის შეგუბებული სისხლი, და მეამბოხე წინაპართა სული შეიტყობოდა ღირსეულ შთამომავლის მაჯის-ცემით. ივ. მაჩაბელი ბავშვობიდანვე მოძრავი და დაუდგარი ყოფილა. მოუსვენარი თვალებით იგი მუდამ თითქოს რალაცას ეძებდა, და ეჭვს გარეშეა, მასში ადრევე დაინყებოდა სულიერი დუღილი. მით უმეტეს, რომ იმ დროინდელ მონინავე წრეებში უკვე სწარმოებდა ახალ ცხოვრების დასაწყისისთვის ბრძოლა და მზადება. „თერგ-დალესულთა“ მოურიდებელი შეტევა, მიმართული ყველასადმი, ვინც კი აფერხებდა ერის შემოქმედებით გამოცხადებას, იმდენად მაინც ძლიერი იყო, რომ შეეძლო ერთი თაობის გამოფხიზლება. და სწორედ ამ თაობას ეკუთვნოდა ივანე მაჩაბელიც. მასში მბორგავი დიდი ზომის შინაგანი ძალა აუცილებლად მოსძებნიდა გამოსავალს, და ივ. მაჩაბელიც, მიუხედავად შევიწროებისა, მაინც არღვევს დაბრკოლებათა ზღუდეებს.

ივ. მაჩაბელმა სწავლა მიიღო ჯერ ტფილისის კეთილშობილთა სასწავლებელში, რომელიც დაამთავრა 1873 წელს. ნივთიერ პირობათა უქონლობის გამო, იგი იძულებულია ორი წლით დააგვიანოს უმაღლეს სასწავლებელში გამგზავრება, და 1875 წ. კი წავიდა პეტერბურგს, უნივერსიტეტში, ბუნების-მეტყველების შესასწავლად. მაგრამ დიდხანს არ დარჩენილა რუსეთის სატახტო ქალაქში, და გაემგზავრა საზღვარ-გარედ, ევროპაში, ჰოგენგეიმის სამეურნეო აკადემიაში. არც აქ დარჩენილა დიდხანს. იგი მიდის პარიზში, და 1878 წ. ისევ პეტერბურგს უბრუნდება.

საქართველოში დაბრუნებისთანავე იგი შეუდგა საზოგადოებრივ და სამწერლო საქმეებში მონაწილეობის მიღებას. ჯერ დაინიშნა იგი ყოფილ სათავადაზნაურო სკოლის ინსპექტორად, მაგრამ ამ თანამდებობას ცოტა ხნით შერჩა. მისი მღელვარე ბუნება ითხოვდა სულ სხვა ასპარეზს. სასწავლებლის სქელი კედლები და პროგრამულ მეთოდურიობის მოსაზღვრულობა შეუფერებელი იყო ივ. მაჩაბლის ატეხილ სულისთვის. მის ბუნებას უფრო უდგებოდა პრესის ტრიბუნაზე დგომა, რომ ყოველ-დღიურ მღელვარებაზე პასუხი ეძლია და ყოველი პასუხით კვლავ გამოენვია ახალი მღელვარება. ხოლო ყველაზე მაღალი ტრიბუნა იყო „ივერია“, საიდანაც ილია ჭავჭავაძე სცემდა ბრძანებებს. და ივ. მაჩაბელმა მას მიაშურა. მით უმეტეს, რომ საზოგადოდ ცივი და მიუკარებელი ილია ჭავჭავაძე დიდი თანაგრძნობით შეხვდა ამ ახალგაზრდა ენტუზიასტს, რომელსაც „ჭკვიანის და სასარგებლო კაცის“ ატესტატი მისცა. ათი წლის განმავლობაში მუშაობდა ივ. მაჩაბელი „ივერიაში“, იყო მისი მეორე რედაქტორი, მეტად ბევრი ენერგიაც შესწირა, და დაანება თავი მას შემდეგ, რაც მოხდა პირველი უთანხმოება მის და ილია ჭავჭავაძის შორის.

ეს ათი წელი დღეს თითქოს არაფერს გვეუბნება, მაგრამ იმ დროს ლიტერატურული მუშაობა ღვაწლი იყო, ერთგვარი თავ-განწირვა. არჩილ ჯორჯაძე სამართლიანად შენიშნავს, რომ „იმ თავითვე ქართულ პრესაში სამსახური და შრომა ინტელიგენციისათვის მსხვერპლად შეიქნა. მაგრამ როდესაც გულში ცეცხლი ღვივის და ფიქრი მუდამ აღფრთო-

ვანებულა, მსხვერპლის ატანა ადვილია. და სანამ ეს ცეცხლი და ეს აღფრთოვანება იყო, ჩვენი პრესაც არაჩვეულებრივად გაიფურჩქნა და აყვავდა“. და ივ. მაჩაბელი კი სწორედ ამ ცეცხლით და აღფრთოვანებით იყო მდიდარი, და ამან შეაძლებინა „ივერიის“ მძიმე ტვირთის ზიდვა. ნივთიერის მხრივ რას მისცემდა მას ეს გაზეთი, როცა ზარალის მეტს არაფერს იძლეოდა, როგორც საზოგადოდ იმ დროინდელი ჟურნალ-გაზეთები, და ილია ჭავჭავაძეს ხშირად თავის ჯიბიდან გაუღია წლიურად 200-300 თუმნები დეფიციტის დასაფარავად.

ივ. მაჩაბელის ნივთიერი წყარო იყო ბანკი, სადაც ის ჯერ მოლარეობას ასრულებდა, შემდეგ დამფასებლად იყო და ბოლოს ბანკის დირექტორადაც იქმნა არჩეული. რასაკვირველია, არც ეს წყარო იყო უხვი, მაგრამ დანიშნულ ვადაზე ხომ იცოდა, რაც იქნებოდა მისი გამტანი თვიდან-თვემდე?

თითქოს არც კი არის საჭირო ამ წვრილმანების ხსენება, რადგან წერილი დიდ ადამიანს ეხება, მაგრამ ამ წვრილმანებს აქვთ მნიშვნელობა, რადგან უფრო მკაფიოდ აჩვენენ ჩვენი პირობების შემავიწროებელ ხასიათს. ხოლო ივ. მაჩაბელს კი უფრო ავ-ბედით პიროვნებად წამოგვიდგენენ ყველა ეს პროზაული დეტალები. ქართულმა სინამდვილემ ივ. მაჩაბლის ატეხილ სულს სისტემატიურად ამტვრევინა ფრთები, და შორ პერსპექტივებისაკენ ოცნებით მიმფრენი, უმძიმეს და გამომფიტველ საქმეს მიაყენა. საადგილ-მამულო ბანკში მოლარეობა!.. რა ირონიაა ბედის? დიდი ნიჭის ადამიანი, სავსე ცხოვრებაზე ფიქრებ-მიშვებულნი, ზღაპრულ საქმეთა შესრულების წყურვილით წონა-სწორობა დაკარგული, უფრო ვინრო გალიაში გამოჰკეტეს, რომ დიდიდან-სალამომდე კარგად ეთვალა შემოსავალ-გასავალი, დებეტ-კრედიტი, და ბუჰხალტერიის ნიგნების მკვდარ ფურცლებში ჩატარებულიყო მოჭარბებული ენერგია და ფხიზელი ჭკუის ყუათი.

1883 წ. ივ. მაჩაბელი „დროების“ რედაქტორია. 1885 წლამდე აწარმოვა ეს გაზეთი, ვიდრე მთავრობა დახურავდა.

1893 წ. შვიდი თვის განმავლობაში „კვალში“ თანამშრომლობს, მაგრამ მთელს ენერგიას ბანკის საქმეებს ანდომებს.

1893-94 წლები ქართველ ინტელიგენციის ისტორიაში მეტად მნიშვნელოვანი წლები არიან. თუმც კონკრეტიული თემა ბანკი იყო, მაგრამ ეს იყო ჩვენი საზოგადოებრივი და ეროვნული ცხოვრების პატარა ნიშანი, რომლის იქითაც იმალებოდა დიდი ამოცანა ქართველი ერის მომავლისა. მაგრამ ამის შესახებ შემდეგ.

1896 წ. ივ. მაჩაბელმა ბანკს თავი დაანება. შეიძლება ითქვას, რომ იძულებულ ჰყვეს დაეტოვებინა. ამის შემდეგ გორის სინდიკატმა აირჩია თავმჯდომარედ და ეს იყო უკანასკნელი პოზიცია.

ამავე ხანში დაიწყო ავადმყოფობაც. დაჩირქიანებული პლევრიტი მეტად ადვილად სტეხავდა მანამდე ნებით უტეხს, და როგორც მისი მეგობრები ამბობენ, ძალიან დიდ გავლენას ახდენდა მის პსიქიკაზე. მუდამ ანთებული, სხვებისაც შთამგონებელი და აღმგზნებული, დაულალავი მოსაუბრე და მეტად ოხუნჯი, ამ ავადმყოფობამ პირდაპირ სასონარკვეთილებამდე მიიყვანა. მღელვარე ცხოვრებას შეჩვეული, მოქმედების ჟინით დაუდგრომელი, რასაკვირველია, ძნელად შეურიგდებოდა ბინტების გათანგვას. როგორც ივ. ელიაშვილი ამბობს, ივ. მაჩაბელი დაკარგვის წინ იყო სრულიად სასონარკვეთილი. ინვალიდი ვარ, ჩემი მორჩენა არ შეიძლებაო. ამას შესჩიოდა ყველა თავის მახლობელთ. ყურში ჩააწვეთეს ქლექიანობაც, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ეს უსაფუძვლო იყო, როგორც დაჟინებით ამბობს იგივე ივ. ელიაშვილი, რომელსაც გაუშინჯავს ავადმყოფი, ივ. მაჩაბელს მაინც ამ ქლექის უსაფუძვლობა არ სჯეროდა. და ასეთივე ავადმყოფი დაიკარგა კვალ-წმინდად 1898 წ. ივნისის 26.

„ცნობის ფურცელი“ ამ ტრალიკულ ამბის შესახებ სწერს: „გუშინწინ, 26 ივნისს, დილით ადრე, თითქმის ოთხ საათზე, თ. ივ. მაჩაბელი გამოვიდა თავის სახლიდან და არსად

აღარ სჩანს. სახლში დაუტოვებია პორტმონე, საათი და ოქროს ღილები პერანგისა. ერთი სიტყვით, არავითარი ძვირფასი თან არ წაუტანია. ამ ამბავმა მომეტებულად ააღელვა მისი ოჯახობა და მაშინვე დაუნყეს ყოველი მხრით ძებნა. აგერ მესამე დღე გადის და კიდევ ვერ უპოვნიათ. ლაპარაკობენ, რომ ვითომ ზოგიერთს ნაცნობებს ენახოთ თავ. მაჩაბელი 9 საათზე დილით, სახაზინო თეატრთან და 10 საათზე — ფრელინის ქუჩაზე, მაგრამ ნამდვილი არვინ იცის. ამ უკანასკნელ დროს თ. მაჩაბელი ძალიან კარგად გრძობდა თავს, ავადმყოფობა სრულებით აღარ აწუხებდა. პირველ ივლისს იგი უნდა გამგზავრებულიყო ოჯახობით აბასთუმანს. შინაურობაში სრულებით არავითარი სანყენი არა შეხვედრია-რა. მხიარულად იყო. წინა ღამეს აკაკი წერეთელი იყო იმასთან სტუმრად, ერთად უვახშმიათ და სრულებით არავითარი შეწუხება არ ეტყობოდა სახეზეო. გორის სინდიკატის საქმეს მხნედ მოეკიდა და მუშაობდაო. ყველასათვის სრულიად გაუგებარია, თუ რამ აიძულა თავ. მაჩაბელი ასე დაიმალოს სადმე, და თავის მოსიყვარულე ოჯახობას მცირედაც არის ცნობა არ დაუგდოს, თუ სად წავიდა. ეძებენ ყოველგან, და როგორც კი რასმეს შევიტყობთ, ჩვენც ვაცნობებთ მკითხველებს“ („ცნ. ფურ.“, 1898 წ., № 570).

მაგრამ გაზეთი ნერვიულობს. მე-572 ნომერში კვლავ სწერს: „დღეს მეშვიდე დღეა, რაც ვერ უპოვნიათ თავ. ივ. მაჩაბელი. ამდენი ხნის მოუძებნელობის გამო ტფილისში ათასი ლეგენდა და მითქმა-მოთქმა შეითხზა. ამბობენ, რომ ცოცხალი უნდა იყვესო, სადმე იმალებოდესო, მაგრამ ამის დასამტკიცებელი საბუთები არსად სჩანს, რადგან მთელი კვირა ასეთი ცნობილი კაცი ვერსად დაიმალებოდაო და ან მიზეზები უნდა ვიცოდეთ, თავისი სურვილით რად დაემალებოდა ან ოჯახს, ან ქვეყანასაო. შეიძლება, რომ ვინმემ გაიტყუილა სახლიდან და მოკლესო, ამის მიზეზად მოჰყავთ ვიღაც მეპურის ჩვენება. ეს მეპურეც თავ. მაჩაბლის სახლის პირდაპირ სცხოვრობსო და იმას უთქვამს, ვითომ ვიღაც მოვიდა პარასკევ დილით და მაჩაბელს აივნიდან ელაპარაკებოდაო. ძნელი დასაჯერებელია ეგ ამბავი, რადგან თუ საიდუმლოდ თ. მაჩაბლის გასატყუებლად მოვიდა ის კაცი, ქუჩიდან აივანზე ბაასს არ გამართავდა, და ესეც არ იყვეს, ყველა დარწმუნებულია, რომ თავ. მაჩაბელს ისეთი მტერი არ ჰყავდა, რომ სასიკვდილოდ გამომეტნოს“-ო. და მხოლოდ „ცნობის ფურცელი“ კი არაა, მთელი იმ დროინდელი ქართულ-რუსულ-სომხური პრესა იყო ახმაურებული და საზოგადოება ხომ ისედაც მისტიფიკაციისათვის სულ-წასული, ამ შემთხვევაში უფრო გაიმახვილებდა ზღაპართ-მქნელობის უნარს. პრესა სცდილობს, რომ აფორიაქებული ლეგენდები, ჭორები როგორმე მოსპოს, და მხოლოდ ფაქტების აღწერს-ვა უნდა. იგივე „ცნ. ფურცელი“ მკითხველებს მიმართავს: „ნამდვილი მხოლოდ ის არის:

1. პარასკევ დილიდან თავ. მაჩაბელი აღარ სჩანს.

2. იმან დასტოვა ყველაფერი, რაც კი ღირებული იყო, „კონკის“ აბონემენტის ბილეთებიც კი არ წაუღია თან.

3. წინა ღამეს სრულიად არ შეეტყობოდა, რომ რაიმე მძიმე გადაწყვეტილება მიუღია, ან და რაიმე ამაღელვებელს მოელოდებოდა.

4. ჩვეულება ჰქონია, რომ ქვეშაგებელს თითონ გაასწორებდა, და ამ დილით კი არ გაუსწორებია.

5. საათს არასოდეს არ იცილებდა ჯიბიდან და სახლში დაუტოვებია.

6. რვა-ცხრა საათზე ადრე სახლიდან თითქმის არასოდეს გამოსულა, და პარასკევს კი 4 საათამდეც არ მოუცდია.

7. რაც გორის სინდიკატის საქმეს შეეხება, ყველაფერი შემონმებული და წესიერად დაუტოვებია.

8. ოჯახობა დარწმუნებულია, რომ სახლიდან იმას ფულად ერთი მანეთიც არ წაუღია.

9. სახლიდან გამოსული ძალიან აღელვებით და აჩქარებით წასულა გოლოვინის პროსპექტისაკენ. ყველგან, სადაც ტელეგრაფის მავთულებია, დეპეშით აცნობეს, რომ თავ.



ივ. მაჩაბელი იქნება ვინმემ დაინახა. მტკვარში ეძებენ 40 ვერსის მანძილზე ყაზახამდის, ყველა ტფილისის გარშემო ხევები, ბალები დასჩხრიკეს, და არავითარი ნიშანი არა სჩანს!..“

თითქოს გაზეთი ფაქტების ნიადაგზე სდგას, მაგრამ ამ ფაქტებიდან უფრო მეტი გზები ესხნებათ ლეგენდებს. ხალხი თავისას არ იშლის. ზღაპარი ზღაპარს ემატება. მეტად საინტერესოა თვით ლეგენდებიც.

პირველი: ვილაც კრუა გამოცხადებულა ანასტასია მაჩაბელთან და უთქვამს, რომ დილით ადრე, 26 ივნისს, ვერის ხიდიდან გადავარდა მტკვარში ვილაც კაცი, რომელიც ჩაცმული ანიშნა. კრუა გაჰქრა.

მეორე: ივ. მაჩაბლის სახლში, ქვედა სართულში სცხოვრობდა ვილაც ოსი „გოროდოვოი“. ივ. მაჩაბლის დაკარგვისთანავე გაჰქრა ეს ოსიც. შემდეგ მის ოთახში ნახეს ვითომდა სისხლის წვეთები, რაც არ გამართლდა, „გოროდოვოი“ კი მის შემდეგ არ გამოჩენილა.

მესამე: „Чудов монастырь“-დან იტყობინებიან, რომ იციან, ივ. მაჩაბელი სადაც არის, და თხოულობენ ფულს ჩამოსაყვანად.

მეოთხე: ასეთივე ცნობები მოდიან ციმბირიდან...

მეხუთე: მეზობლების ჩვენებით, დილით ადრე მოვიდა ორი კაცი, გამოიხმეს ივ. მაჩაბელი და საბურთალოსკენ წაიყვანესო.

მეექვსე: აქსტაფაში დაიჭირეს ვილაც ინტელიგენტი მათხოვარი, რომელიც ძალიან ჰმაღავდა თავის ვინაობას. იქნებ სულ სხვა ვილაც იყო, მაგრამ საზოგადოებას უნდოდა ეს „ვილაც“ ივ. მაჩაბელი აღმოჩენილიყო. ამ ლეგენდას „ცნობის ფურცელი“ ასე იხსენიებს: „...გუშინ გავრცელდა კიდევ ერთი ხმა, ვითომ აქსტაფაში ფეხით მისულიყოს ვილაც დაქანცული, ფეხებ-დასისხლიანებული ინტელიგენტი მშვიერი კაცი, და ეთხოვოს პური. როგორც ვინაობა ჰკითხეს, უპასუხნია: „მე პურსა გთხოვთ, მშვიერი ვარ, და ჩემი ვინაობა რად გინდათ გაიგოთ, სულ ერთია, ვინც უნდა ვიყვეო“...

მეშვიდე: დრეზდენიდან ვილაც ქართველი სტუდენტი ქალი თხოულობს სასწრაფოდ ივ. მაჩაბლის უკანასკნელ სურათის გაგზავნას და ინერება, რომ სტუდენტთა სასადილოში დადის ვილაც კაცი, რომელიც ივ. მაჩაბელსა ჰგავს, მაგრამ ეჭვობს, რადგან ივ. მაჩაბელი ბავშობაში მინახავს და იქნებ მისი სახე კარგად არ მახსოვსო. სურათი სასწრაფოდ გაუგზავნეს. პასუხი იყო: ივ. მაჩაბელია, მაგრამ დაიმალო. ამ ამბავს ასე ინერება: სტუდენტების სასადილოში ყოველ დღე მოდიოდა ერთი კაცი ქართული სახისა, რომელიც ძალიანა ჰგავდა ივ. მაჩაბელს. ეს უცნობი სულ მარტო მოდიოდა, მიჯდებოდა კუთხეში, ისადილებდა და ფეხაკრეფით მიდიოდა. ეს კაცი დადიოდა სისტემატიურად, ვიდრე ის ქალი სურათს მიიღებდა. სურათის მიღების დღესაც მივიდა ის კაცი სასადილოში, და თითქოს შენიშნა, რომ მას საგანგებო ინტერესით უცქერდნენ. სასწრაფოდ ადგა და წავიდა. ქალი გამოსდევნებია უკან, როგორც ინერება, იმ განზრახვით, რომ მიჰყოლოდა ბინამდე და გაეგო სად სცხოვრობდა. უცნობ კაცმა მოიხედა და დაინახა, რომ ის ქალი ფეხ-და-ფეხ მისდევს. უცნობი აჩქარდა და კიდევ მოიხედა. ქალი კიდევ ახლო მისდევდა. უფრო უმატა სიარულს, კიდევ მობრუნდა და რა დარწმუნდა ქალის განზრახვის შეჭვობაში, შევარდა სადღაც კარებში, ქალიც შეჰყვა, მაგრამ უცნობი გაჰქრა. მას შემდეგ ის კაცი სტუდენტების სასადილოში აღარ უნახავთ.

ვინ მოსთვლის იმ მრავალ ვარიანტებს, რომელიც ზღაპრული სისწრაფით ჩნდებოდნენ და ვრცელდებოდნენ. საზოგადოებრივი აზრი ამ საკითხის გარშემო ბრუნავდა, ოჯახის ლაპარაკის საგანი ეს იყო, და ყველა სცდილობდა, თავისი „წვლილი“ შეეტანა ამ საშინელების გამოსარკვევად. „ყველასა ჰსურს ლეკოკობა გამოიჩინოს და საქმეს შეიძლება სულ უბრალოს, მარტივს, უფრო აბნელებენ“. პროვინციაც ლელავს, „ცნობის ფურცელი“ სწერს: „ჩვენმა რედაქციამ მიიღო ამ დღეებში საქართველოს ყოველი კუთხიდან დეპეშები, და გვეკითხებიან დანვრილებით ამბებსო (ცნ. ფურ., №573) და გაზეთებიც სცდილობენ თითქმის ყოველ-დღე გააგებინონ მკითხველებს საქმის ვითარება: „გუშინდელმა დღემ

მოგვიტანა მხოლოდ ერთი ამბავი, რომ თ. ივ. მაჩაბლის ძებნაში მტკვრიდან ამოზიდეს 16 დამხრჩვალის გვამი, და არც ერთს მათგანს არავითარი მსგავსება არა აქვს დაკარგულთან“-ო. შემდეგ: „თ. ივ. მაჩაბელს გუშინ და გუშინ-წინ 200 პოლიციელი თუ ცხენებზე, თუ ფეხით, პოლიციებისტერის ბრძანებით დაეძებდნენ მთელ ქალაქში, და ქალაქის ყველა ხევებში, მაგრამ კიდევ ვერას გახდნენ. მტკვარში ძებნას განაგრძობენ გამუდმებით“ (ცნ. ფ., №375). კიდევ: „გუშინ საღამოთი ქალაქში ხმა გავრცელდა, რომ თავ. ივ. მაჩაბელი ვითომ ენახოთ წარსულ კვირას მცხეთის სადგურზე“.

საზოგადოების და პრესის აზრი ელავს და ჰქრება; ხან იმედი მიეცემათ ყოველ ახალ ხმის გავრცელებასთან ერთად, ხან კი გულ-დანყვეტილები ხელს ჩაიქნევენ, მაგრამ კიდევ სულ უმნიშვნელო ჭორი ისევ აფორიაქებს მათ განცდებს და იმედებს. ამის ნიმუში:

„ამდენი ხნის ძებნამ სულ ტყუილად ჩაიარა... ათასგვარი ჭორებისაგან მოსვენება არ არის... ვილაც ყორღანოვმა მთელი ტფილისი შესძრა, მაჩაბელი ვნახეო კვირას, ე. ი. დაკარგვის მესამე დღეს. ამ ჟამად კიდევ ახალი ცხელი ამბავი დატრიალებს ქალაქში: ვითომ თავ. მაჩაბელი რომელიმე უდაბნოში, მონასტერში იმალებოდეს...“ (იქვე, №537). ეს ლეგენდები დიდხანს სცოცხლობენ. იგივე „ცნ. ფურ.“ №620-ში კიდევ იხახის: „ბევრს დაუჟინია, ცოცხალია“-ო. და ეს ლეგენდები დღევანდლამდე არ მომკვდარან. ქართველი საზოგადოება და განსაკუთრებით მწერლობა დღესაც ეძებს ამ უკვალო გაქრობის კვალს, მაგრამ საპასუხოდ იზრდება დიდი ამოცანა, რომელიც ალბად ვერასოდეს ვერ იპოვნის საბოლოო ახსნას.

\* \*

ივანე მაჩაბელი 24 წლისა გამოვიდა სალიტერატურო და საზოგადო ასპარეზზე, და თუმც თავისი პროგრამული profession de foi ამაყად არ დაუძახნია, მაგრამ მის პირველ გამოსვლისათანავე გამოაჩნდა დიდი საქმის უნარი, ჭკუა და სერიოზული მომზადება. მიტომ იყო, რომ ილია ჭავჭავაძემ მაშინვე თავისი კალთა გადააფარა, და „ივერიის“ მეორე რედაქტორობა ჩააბარა. ეს აქ, ტფილისში. ხოლო აქამდე, პეტერბურგში ილია ჭავჭავაძემ და ივანე მაჩაბელმა ერთად სთარგმნეს შექსპირის „მეფე ლირი“. და თუ გავითვალისწინებთ, რომ იმ დროს ილია ჭავჭავაძე სიდიადის მწვერვალზე იდგა, და როგორც ოლიმპიელი, დინჯად ატარებდა თავის წინ ქართველ საზოგადოების ყველა ძალებს, აშკარა გახდება ის არა-ჩვეულებრივი ჭკუა და მომზადება, რომლითაც ახალგაზრდა ივ. მაჩაბელმა შესძლო ამ მიუკარებელ ადამიანის გვერდში ამოდგომა. მაგრამ ივ. მაჩაბლის მთელი ფიგურის უფრო ახლო გასაცნობად საჭიროა იმ დროინდელი საზოგადოებრივი და ლიტერატურული ფონის აღდგენა, რომ უფრო მკაფიოდ გამოჩნდეს ამ პიროვნების და იმ საზოგადოების შორის არსებული ურთიერთობა, გონებრივიც, ზნეობრივიც, პოლიტიკურიც და სხ... ეს უფრო იმისთვის არის საჭირო, რომ იმ დროის ფიქრი, ზრახვა, იმედები, უცხონი არ იქნებოდნენ ჩვენი მწერლობისათვის, და ყველაფერი ეს რა პრიზმით და როგორ გარდაიტება მასში, როგორ მოახდინა ამ გარემოში ყოველივე ზემოთქმულის გაპიროვნება და ამაღლება, ეს მოგვცემს საშუალებას ივ. მაჩაბლის არსების გასაგებად და შესაფასებლად.

დიახ, ჩვენ გვინდა, რომ რაც შეიძლება გამოკვეთილად წარმოსდგეს ამ ადამიანის მრავალკუთხედი ინტელექტუალურ-მორალური აგებულება, რომელიც იყო მეტად დიდი ზომის მჭევრმეტყველი, სერიოზული ცოდნით გამართული, გონება-მახვილი პუბლიცისტი, კარგი ფინანსისტი, ფხიზელი პრაქტიკოსი, და რაც უმთავრესია, მეტად მნიშვნელოვანი მხატვრული და ლიტერატურული ძალის პატრონი. მრავალ-მხრივად განვითარებული და დამოუკიდებელი ადამიანი, თითქოს შემკრებლობითი პუნქტი იყო ყველა იმ დაფანტული ძალებისა, რომელნიც ელავდნენ იმ დროინდელ ჩვენი ცხოვრების სივრცეზე.

ჩვენი საზოგადოებრივი განვითარების ისტორიაში მე-80—90 წლები მეტად მნიშვნელოვან ხანას წარმოადგენენ. ეს იყო ერთგვარი უღელ-ტეხილი, სადაც დაიწყო ჩვენი კულტუ-



რული ენერჯის ახალი ფორმაცია, და მესამოცე წლებში ატეხილ ლიტერატურულ აჯანყების შემდგომ განხორციელების სტადიაში გადადგომა. ეხლა, ამ ხანებში მესამოცე წლებთან შედარებით, საზოგადოებრივ-ლიტერატურული ცხოვრების ნაპირები უფრო განზე იყვნენ განუღწევი, ჯგუფებს უფრო მეტი გარკვეულობა მიეცათ, პიროვნებები გაიზარდნენ და ცხოვრების მაჯისცემაც უფრო ძალოვანი გახდა. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ იდეოლოგია იმდენად არ გაღრმავებულა, რამდენადაც — საქმის დაწყების აუცილებლობა.

რომ უკვირდებით იმ დროინდელ ლიტერატურასა და ცხოვრებას, რწმუნდებით, რომ უმთავრესი მნიშვნელობა იმას კი არა ჰქონდა, თუ რა აზრები აცოცხლებდნენ ავტორებს, არამედ იმას, თუ რას უკარნახებდა თვით ცხოვრება. ეს უკანასკნელი კი მოითხოვდა სრულიად გადაჭრით, რომ ყველგან დაწყებულიყო შეტევა, ეკონომიკიდან მოყოლებული — მხატვრულ შემოქმედებამდე. მაგრამ მხოლოდ ამის დანახვა გაუმართლებელი იდეალიზაცია იქნებოდა. მართალია, გარეგნულად და არსებითადაც იმ დროინდელი საქმიანობა მნიშვნელოვან სანახაობად მოსჩანს: პრესა განვითარებულია, რამოდენიმე გაზეთი და ჟურნალი გამოდის, სკოლების საკითხი მნიშვნელოვანად სდგას, მამულის პატრონობა საზოგადოებრივ ზრუნვის მთავარ ამოცანად ქცეულა და სხ... მაგრამ სინამდვილის ანალიზი, ცხოვრების ფესვებში ღრმად ჩახედვა, შორს-მჭვრეტელობა ყოველმხრივი, საქმიანობა დაულალავი და მედგრად გამწვანე, მხოლოდ, რამოდენიმე დიდ პიროვნებას ახასიათებდა, როგორც იყვნენ: ილია ჭავჭავაძე, ნიკო ნიკოლაძე, სერგეი მესხი, ივ. მაჩაბელი და კიდევ რამდენიმე სხვა... ესენი იყვნენ, რომ ყველაფერს სწვდებოდნენ, და თუმცა წელში სწყდებოდნენ, მაგრამ დიდი საქმის შეგნება და მოვალეობის პასუხისმგებლობა აძლებინებდა ყოველ მათგანს ამ მძიმე გზაზე.

ისინი გმირები იყვნენ, და თავის შარავანდედით აშუქებენ გარემოსაც, თორემ ირგვლივ რაც იყო, ეს დღეის მანძილიდან უფრო კარგად მოსჩანს. ამ დიდ პიროვნებების გარშემო იყო დარჩენილი საკმაო სიცალიერე, გონებრივ-ზნეობრივი სივინროვე, პრაქტიკულ ძალთა მოუმზადებლობა, რაც ერთად იძლეოდნენ: დავაში — სიჯიუტეს, თავმოყვარეობაში — დანვრილმანებას. ესენი ბევრნი იყვნენ, და სწორედ ეს ხალხი ჰქმნიდა თუ ისტორიას არა, ატმოსფეროს მაინც და უსაქმურობით მოქანცულ ენერჯიას ახმარებდა ამა თუ იმ დიდ პიროვნებისადმი ყინიან თავყვანისცემას. ამ ხალხში ნაკლები იყო გაგება, ხოლო გაცილებით მეტი — ცუდად დაფარული პატივ-მოყვარეობა. და ყველა ეს ცხადდებოდა ყოველთვის, როდესაც კი ჩვენს სინამდვილეში აღიძვრებოდა და აღიმართებოდა ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი კითხვა.

და მე მგონია, ივ. მაჩაბელი სწორედ ამ გარემოს ნანილობრივი მსხვერპლი იყო, იმ აზრით, რომ მას ძალიან ბევრი ენერჯის დახარჯვა დასჭირდა წვრილმანებში, და ბევრად მეტის შემძლებელმა, უფრო ნაკლები მემკვიდრეობა დაუტოვა ქართულ კულტურას. რასაკვირველია, ივ. მაჩაბლის ღვანლი დიდია, მაგრამ სხვა პირობებში მისი სტიქიონის პატრონი უფრო გრანდიოზულად გამოაჩენდა მონოლილ ძალებს. ზემოდ დასახელებული პირები, მიუხედავად დიდი ზომისა, რასაკვირველია, ვერ შესძლებდნენ გარს-შემოხვეულ საზოგადოების ხელმეორედ აღზდას, რომელნიც უფრო უძნელებდა გასაკეთებელ საქმეს. ეს საზოგადო მოვლენაა, მხოლოდ ჩვენში სპეციფიურობა მეტი ჰქონდა, რაც გამოიხატებოდა ხელმძღვანელ პირთა მეტ კომპრომისიანობაში, რასაც ეროვნული პრიზმით ეძლეოდა ახსნა, და გარემოს მეტ აქტივობაში, რასაც საზოგადოდ ასეთი ხასიათი არა აქვს. ამ შემთხვევაში ივ. მაჩაბელი, რასაკვირველია, არც იმდენად სუსტი ნების პატრონი იყო, რომ მისი ჩათრევა ადვილი ყოფილიყო, მაგრამ ძნელად მაინც ჰხდებოდა ამ ჩათრევის მსხვერპლი, ისევე, როგორც ილია ჭავჭავაძე და სხვები... ეს უნდა გვახსოვდეს ივ. მაჩაბლის ლიტერატურულ და საზოგადოებრივ ღვანლის დაფასების დროს.

პირდაპირ მიძნელდება არჩევანი, თუ რა მხრიდან დავინწყით მისი მოღვაწეობის შესახებ საუბარი. მოყვეთ ისევ „ივერიიდან“. ვისთვისაც ეს სახელი რაიმე ასოციაციების გამოწვევია, ვისაც უგვრძენია, რომ ეს გაზეთი თავის დროზე ქართველი ერის უმაღლესი

ტრიბუნა იყო, ის უნდა დამეთანხმოს, რომ ილია ჭავჭავაძესთან ერთად, ივ. მაჩაბელიც იყო ამ დიდი საქმის ავტორი და შთამგონებელი. კითხულობთ, და ხშირად, ამ უსახელო მეთაურებში ველარ არჩევთ, ვის ეკუთვნის; იღებთ მთელს ჟურნალს, თუ გაზეთს და აღარ იცით სად თავდება ილია ჭავჭავაძის ხელი და სად იწყება ივ. მაჩაბლისა. და თუ ისიც იცით, რომ ილია ჭავჭავაძე ძალიან ხშირად ველარ იცლიდა „ივერიისთვის“, და მთელი სიმძიმე გადადიოდა ივ. მაჩაბელზე, მაშინ აშკარა გახდება, თუ რა განზომილება სჭირდება ივ. მაჩაბელს, რომელიც სულ ახალგაზრდა ილიაობასა სწევს, და ისე, რომ გარეშე საზოგადოება ვერც კი არჩევს, თუ ილია ჭავჭავაძის სახით სხვა ლაპარაკობს და არა თვით ილია. იქნებ იმ განხეთქილების მიზეზიც, რომელიც ჩამოვარდა ილიასა და მაჩაბლის შორის, ნაწილობრივ აქაც იმალებოდეს. ე. ი. რომ ივ. მაჩაბელი ბუნებრივად, ორგანიულ ზრდის გამო ველარ ეტეოდა ილიას კალთის ქვეშ, და უნდოდა საკუთარი ადგილი. ყოველ შემთხვევაში ეს ივანე მაჩაბელს ნაკლად ვერ ჩათვლება. პირიქით, ასეც უნდა ყოფილიყო, და მოხდა კიდევ. რა-საკვირველია, ზოგი-ერთებმა სცადეს კიდევ საკითხის სხვა მოტივებით ახსნა, მაგრამ, მგონია, რომ ის მოტივები უბრალო საბაბის ხასიათისანი იყვნენ, ნამდვილი მიზეზი კი პსიქოლოგიურ ქვეყანაში მდებარეობდა და ეს ვერ შენიშნეს.

გრ. ყიფშიძე ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფიაში სხვათა შორის სწერს: ილიასა და ივ. მაჩაბელს შორის პირველი სამდურავი მოხდა 1881 წ. ივ. მაჩაბელი ჩიოდა, ჟურნალს ვანარმოვებ და არა მშველსო. მაგრამ ჩემის აზრით, ამ „სამდურავს“ უფრო ღრმა საფუძველი ჰქონდა — იქ, სადაც იწყება დიდი პიროვნების შეგნებული დაბადება. იგივე გრ. ყიფშიძე განხეთქილების მეორე მიზეზად ასახელებს შემდეგ ფაქტს: 1883 წელს ბანკის დამფასებელი ივ. მაჩაბელი იდგამს ყუთს სადირექტოროდ, ირჩევენ კიდევ, და გაშავებული რჩება დ. ავალიშვილი, რაც ილია ჭავჭავაძეს ძალიან ეწყინება. ეს უკანასკნელი ამბავი კი ეწყინება თვით ივ. მაჩაბელს. აქ საქმე უბრალო წყენაში კი არ არის, არამედ თავისი უფლების გადანყვევით მოთხოვნაში, საკუთარ უნარის შეგნებაში, რაც არასოდეს არ უშინდება მსხვერპლის გაღებას. მესამე საბაბი: 1883 წელსვე, „დროების“ რედაქტორი სერგ. მესხი ავად გახდა, კაცი იყო საჭირო, რომ რედაქტორობა გაენია, და ილია ჭავჭავაძემ ასეთ კაცად დაასახელა ქანანოვი. არც ეს ესია მოვინა ივ. მაჩაბელს, რომელმაც ამის შემდეგ მიანება თავი „ივერიას“, იშოვა ფული და „დროების“ რედაქტორობა დაიმტკიცა. ამის შემდეგ კი იწყება „ბანკობიდა“, სადაც ილია და მაჩაბელი სდგანან პირის-პირ უკვდავ ფალავნებივით, ებრძვიან ერთმანეთს დაუნდობლად, და ამ ბრძოლაში მონაწილეობას იღებს თითქმის იმ დროინდელი მთელი ქართველი ინტელიგენცია.

აი, აქ გამოჩნდა ის ავ-ბედითი განხეთქილება მთელი თავისი ზომით, საფუძველებით და საშო-აღვსილობით. და რასაკვირველია, მხოლოდ უნებლიე დამცირება იქნება ამ დიდი პირებისა, რომ ეს დავა ისეთ წვრილმანებით აიხსნას, რომელნიც ზემოდ მოვიხსენიე. არა. აქ იყო ქვეყნის შეხლა, რომელნიც შეიძლება ერთსა და იმავე ნიადაგზე იდგნენ, მაგრამ სულ სხვა ჰქონდათ ამ საერთო ნიადაგზე აღმოცენებული გზნებაც, ფიქრიც, საქმიანობაც, და მომავლის ჩვენებაც. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, სულ ფუქსავატებად გამოჩნდებოდნენ ყველა იმ დროის ადამიანები, რომელნიც ჩარეული იყვნენ ამ საქმეში უჩვეულო ალგზნებით და ინტერესით. ბრძოლამ ყველანი ჩაითრია თავის მორევში: ისინიც კი, ვისაც ბანკთან საერთო არა ჰქონდათ რა, და ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, როგორც ამას ამოწმებენ იმ დროის მომსწრენი, რომ ოჯახების თანხმობის თუ უსიამოვნების მიზეზად ხდებოდა „ჭავჭავაძიზმის“ და „მაჩაბელიზმის“ გამო ატეხილი მეტად-მნიშვნელოვანი დავა. იბადება კითხვა: მაშ, რა იყო მიზეზი ამ ორი დიდი ადამიანის ურთი-ერთ ბრძოლისა, და როგორი იყო ის პრინციპიალური სხვაობა, მათ რომ ხელს უშლიდა თანამშრომლობაში?

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად იმ დროის ფურცლების გადასინჯვაა საჭირო. დღეს, რასაკვირველია, ეს „ბანკობიდა“ ჩვენში ღიმილის მეტს არას იწვევს, და პრინციპიალურ

ნიადაგსაც ვერ ვხედავთ გარკვეულად, მაგრამ იმ დროის საკითხს სულ სხვა სიმწვავე ჰქონდა. ბანკს უცქეროდნენ როგორც დიდ ეროვნულ დაწესებულებას, იქ ანგარიშის შესახებ უფრო ნაკლებს ლაპარაკობდნენ, ვიდრე მორალოზე. ბანკში სამსახური ითვლებოდა ერის სამსახურად, და რასაკვირველია, ასეთ „ეროვნულ“ დაწესებულებაში ყოველ წვრილმანს მიეცემოდა დიდი სახელი და წონაც. მიტომ იყო, რომ ბევრმა ნიჭიერმა ქართველმა, და უპირველეს ყოვლისა ილია ჭავჭავაძემ და ივ. მაჩაბელმა, მას შეალიეს თავისი გონებრივი უნარი და ზნეობრივი ძალა. მხოლოდ ამის შემდეგ ეძლევა ახსნა ბევრ ისეთ „წვრილმანს“, რომელიც დღეს მხოლოდ გულწრფელად გვაცინებს, იმ დროს კი ხშირად ხანჯლების დატრიალებას მოითხოვდა. კითხულობთ იმ დროის სათავად-აზნაურო კრებების ანგარიშებს, საპოლემიკო წერილებს და ვერ გაგიგიათ, ვის მხარეზეა სიმართლე. ილიასაც და მაჩაბელსაც, რასაკვირველია, ერის კეთილდღეობა უნდოდათ, ეს უკანასკნელი ბანკის მომავალთან ჰქონდათ დაკავშირებული, ნაწილობრივად მაინც, და მაშასადამე, როგორ წავიდოდა ბანკის საქმე, რა ზომები უნდა მიეღოთ და სხვა წმინდა პრაქტიკულ ხასიათის კითხვები ილევდნენ ამ გოლიათი ადამიანების დიდ ძალას, რომ სათვალავში არ ჩავაგდოთ ის „თავად-აზნაურული“ ბრბო, რომელსაც საქმე მაინც არა ჰქონდა რა. მიტომ არის, რომ 1894 წ. საადგილ-მამულო ბანკის ისტორიაში საგანგებო წლად ითვლება, ბრძოლის მიზეზად ისეთი პატარა საქმეებია გამოცხადებული, როგორც მირიმანოვ-აბხაზის სახლის შეფასება, ბანკის გამგეობაში მეოთხე კაცის მომატება და სხვა ასეთი დახურდავებული კითხვები. კენჭის ყრას ხშირად 6-7 საათი უნდება. ყველაფერი ეს საგულისხმოა, რომ ბანკი დიდ ეროვნულ საქმედ არ მიეჩნიათ, ყოველ შემთხვევაში, ივ. მაჩაბელი მაინც მის საქმეებში აღარ მიიღებდა მონაწილეობას, რადგან პირადად მით სულაც არ იქნებოდა დაინტერესებული, როგორც მამა-პაპეულ მამულზე ნებით უარის-მთქმელი. ბევრი სხვაც, ალბად, ასევე მოიქცეოდა, მაგრამ საქმეც ის არის, რომ ბანკს სულ სხვა თვალთ უცქეროდნენ. და ისეთი ფხიზელი და ღრმა აზრის პატრონი, როგორც ნიკო ნიკოლაძე, სხვათა შორის, აი, რასა სწერს ბანკის შესახებ: „ბანკი ის დაწესებულება, რომელსაც იშვიათად შესჩერებია, ყველაფერი რაც კი კეთილი და სახეიროა ჩვენის ერისათვის, არ უნდა გავხადოთ ბაზრად ცბიერებისა და გარყვნილობის. როგორც ერთ დროს იერუსალიმის ტაძრიდან განდევნილ იქმნენ ვაჭრები, რომელთაც გაებედნათ სახლი ღვთისა გადაეცეციათ ვაჭრობის სახლად, ისე ეხლა ჩვენც უნდა გავდევნოთ საერო საქმიდან ყველა ის, ვისაც შიგ ცბიერება, მატყუვრობა, პირადი სარგებლობა და ხალხის გარყვნა შეაქვს“... დიახ, ასე ესმოდათ ეს ჩვენთვის უმნიშვნელო საკითხი, და მიტომ ეწირებოდა მას საუკეთესო ქართველთა ძალა და პათოსი.

ხოლო ილია ჭავჭავაძის და ივ. მაჩაბლის შორის ატეხილი ბრძოლა კი დარჩა დაუმთავრებელი. ამ ბრძოლამ დაჰქანცა საზოგადოება. საქმესაც დიდი ზიანი ადგებოდა, როგორც ირწმუნებიან, იმ დროინდელი ჟურნალ-გაზეთები, და მიტომ დაიბადა საზოგადოებაში აზრი ილიასა და ივანე მაჩაბლის შერიგების შესახებ. ბევრსაც სცდილობდნენ, მაგრამ ყოველგვარმა ცდამ ამაოდ ჩაიარა. ბოლოს თავად-აზნაურთა კრებაზე აღიძრა საკითხი კომისიის არჩევის შესახებ, რომელიც შეისწავლიდა ამ დავის ყოველ მხარეს, და რომელიც გამტყუნდებოდა, ხელი უნდა აეღო სალიტერატურო და საზოგადოებრივ მუშაობაზე. მაგრამ აქაც ბრძოლამ იჩინა თავი. იმ კრებაზე, სადაც ეს საკითხი აღიძრა, თითქმის ერთი-ორად სჭარბობდნენ ილიას მომხრეები, და ივ. მაჩაბელმა მიტომ არ ისურვა კომისიის წევრთა იმ შედგენილობიდან არჩევა. ამის შესახებ ივ. მაჩაბელმა „Kavkaz“-ში დაბეჭდა ვრცელი განმარტება, სადაც სხვათა შორის სწერდა: რომ იგი თანახმაა კომისიის არჩევისა მხოლოდ ისე, რომ თვითუღმა დაასახელოს სამ-სამი კაცი, და უკანასკნელმა კი მოინვიონ გარეშე ვინმე თავმჯდომარედ. ეს იქნებოდა, მაჩაბლის აზრით, საქმის ობიექტიურად გამრჩევი კოლეგია. ასეთ კომისიის შესახებ სწერდა: „სიამოვნებით მივანდობ ჩემს ბედ-ილბალს მომავალ კომისიას. „ბედ-ილბალსა“-მეთქი, ვამბობ იმიტომ, რომ

ამ წერილით ჩემის მხრივ ვალდებულად მიმაჩნია უარი ვსთქვა ყოველ საზოგადო მოღვაწეობისაგან, თუ კომისიის მიერ გამტყუნებული ვიქენ. განუმარტებელი რომ არა დამრჩეს აქვე აღვნიშნავ იმ ნაკლებულებას თ. ჭავჭავაძის მოღვაწეობისას, რომელიც მიზეზი იყო ყველასაგან ცნობილ ჩვენ შორის ატეხილ უთანხმოებისა“.

მაგრამ, როგორც ვთქვი, ეს კომისიაც ვერ შესდგა, და დარჩენ შუერიგებელნი ეს ორი დიდი ადამიანი. და მძულვარება კი იმდენად დიდი ყოფილა, რომ „ივერიამ“ ივ. მაჩაბლის დაკარგვის გამო და შემდეგაც, ერთი ქრონიკის მეტი, რამდენადაც ვიცი, არაფერი არ დასწერა.

\* \*

ვნახოთ ახლა ივ. მაჩაბელი, როგორც მხატვრულ ლიტერატურის წარმომადგენელი. მართალია, მას ლექსებიც უწერია, მაგრამ ქართველი საზოგადოება მას იცნობს როგორც შექსპირის მთარგმნელს, და მისი ლიტერატურული დამსახურებაც მხოლოდ ეს არის. ივანე მაჩაბლის თარგმანი, ლიტერატურულ და მხატვრულ მნიშვნელობით, წარმომადგენს ჩვენი მწერლობის უდიდეს განძს. აქ ჩვენ გვაქვს სტილის მხრივ მეტად წმინდა თარგმანი, რომელიც დიდ სახელს ჰმატებს ჩვენს ამ მხრივ მეტად ღარიბს თარგმნითს ლიტერატურას. ვინც გასცნობია მის მიერ თარგმნილ „ჰამლეტს“, „რიჰარდ III-ს“, „იულიოს კეისარს“, „მაკბეტს“, „ოტელლოს“ და სხ... შეუძლებელია არ ეგრძნოს ის დიდი შთაგონებითი ძალა, რომელიც გამოჰკრთის ყოველ მის ფრაზაში, და რომელიც ისე მოგაჩვენებთ ნაწარმოებს, როგორც ორიგინალურ ქართულ შემოქმედებას. მე მგონია, რომ ივ. მაჩაბელი ისეთივე სასოებით და გატაცებით, ისეთივე მოვალეობის გრძნობით და წმინდა გულით სთარგმნიდა შექსპირს, როგორც ჩვენი მთანმინდელები სთარგმნიდნენ საქრისტიანო წიგნებს. და აქ ერთი გარემოება უნებლიეთ იქცევს ყურადღებას: თვით ის ფაქტი, რომ ივ. მაჩაბელმა მთელი თავისი ლიტერატურული ძალა მოანდომა შექსპირის თარგმანს, სიმპტომატიურია და ბევრის მეტყველიც. ივ. მაჩაბელი, როგორც ვნახეთ, დიდი ტემპერამენტის ადამიანი იყო. და ბუნებრივია თუ შექსპირი, ეს პათოსის გიგანტი, ჰხიზლავდა ჩვენს მწერალსაც. მიტომ არის, რომ იშვიათი გულწრფელობით და თავდადებით ეკიდებოდა ყოველ სიტყვას, რომ სავსებით გადმოეცა ამ ადამიანის ბუნების უცნაურ მხილველის ყოველი სიტყვა და სიტყვის კალორიტიც კი. ივ. მაჩაბელსაც შეეძლო ეთქვა შექსპირის აჩრდილისთვის: „მე შენ არ მოგშორდები, ვიდრე არ მამცნობ შენი არსებობის საიდუმლოებას“-ო. გაცნანით ყველა მასალებს, როგორ სწერდა, რა პასუხისმგებლობით ეკიდებოდა ყოველ სიტყვას (თუ სადმე სიტყვის გამო ეჭვი დაებადებოდა, დეპეშებს უგზავნიდა შექსპირის ცნობილ მთარგმნელებს და ეკითხებოდა, როგორ გესმით ესა თუ ის სიტყვაო), და დარწმუნდებით, რომ იგი პირდაპირ ინთქმებოდა ტექსტის ანალიზში, თითქოს მართლა დაფარულ საიდუმლოს ამოწურვა უნდაო.

და თუ მეცნიერები ამტკიცებენ, რომ ჰამლეტი — ეს თვით შექსპირია, რადგან ჰამლეტის ტანჯვა იგივეა, რითაც სავსე იყო ავტორის გული, მე მინდა ვთქვა, რომ ივ. მაჩაბელიც შექსპირის მაღალ პერსონაჟების ნათესავია, და მათი სახეების გადმოღებით, თითქოს იმსუბუქებდა მოწოლილ სისხლს; მათთან დაკავშირებით ჰფარავდა საკუთარ მელანქოლიას. ისე მეჩვენება, რომ შექსპირის გმირები ივ. მაჩაბლისთვის შეადგენდნენ ყველაზე მახლობელ მეგობრებს, და ლიტერატურისთვის შენირულ საათებში, მათთან ერთად განიცდიდა ბოროტების ძალას, სისულელის ყოვლის-შემძლებლობას, ქვეყნის უკუღმა მხარეს, მათთან ერთად განიცდიდა ქვეყნიურ ტრაგედიას.

„უცალო ვიყავ და უფროისი ღამით მიწერია“-ო, ამბობს ერთგან ევფთიმე მთანმინდელი, და ამ სიტყვებით მინდა დავამთავრო ეს წერილი. მგონია, რომ ეს ნათქვამი შეეფერება ივ. მაჩაბლის დაულალავ შრომას და განმარტოებულ სულს.



## შენიშვნები ლირიკაზე

### I

ტიტანიკის დაღუპვამ ნახა თავისი განსახიერება კინოში და ეპოსში, მაგრამ ლირიკას ქმნიან უფრო ინტიმური მომენტები.

ინოკენტი ანენსკიმ გამოიტირა პატარა დედოფალა, რომელიც შეიქნა წყალვარდნილის უდანაშაულო და უმიზნო მსხვერპლი (То было на Вален-коски). ჩვენ გვახსოვს არტურ რემბოს საშინელი ზღვა, სადაც ტალღები გვანან უძველეს დრამის აქტიორებს. მარიონეტების თეატრისათვის ეს ბარბაროსული ოკეანე არ გამოდგება. და ლირიკა მარცხენა ხელით ხატავს ზღვის მინიატიურულ პორტრეტს:

ზღვას ენატრება იყოს პატარა,  
ვით უნაზესი ჩიტი კოლიბრი.  
ხარბი ტალღები დიდხანს ატარა  
თვითონ მარადი ხარბი და ლიბრი.

ზღვას მოეწყინა თავის სიმძიმე,  
ბუმბერაზობა, გრიგალი, მეხი.  
ნახა სიზმარში ტბა მოციმციმე  
და ჩინელ ქალის მტკივანი ფეხი.

ზღვას აღარ უნდა თავის სისრულე;  
თითქო წურბელი მის გულს მოება.  
ულონო ტრფობით ის დაისრულა —  
სურს ბეჭდის თვალში განმარტოება,

რომ ქინძისთავის იგრძნოს სინაზე  
და გაჰყვეს სმენით მცირე ნაკადულს,  
რომ მოგონების მსუბუქ სინაზე  
ჩამოეკიდოს, როგორც კაკადუ.

უცხო ამალით მოვიდა ქალი,  
თავის სახელი წყალზე დანერა.  
ნილაბიანი როგორც გრიგალი,  
ილიმებოდა ის აღმაცერად.

თავისი თავი ზღვამ გაიმეტა,  
გაჰყვა დედოფალს როგორც შლეიფი.  
ცაზე გამოჩნდა ახალ იმედათ  
სხვა ირონია და ეიფელი.

*(ტრისტან მაჩაბელი)*

ანდერსენის დედოფალა შეაშინა ცის უბსკრულმა და იგი სთხოვს თავის კავალერს ოთახში დაბრუნებას. ლირიკა ანდერსენის დედოფალაა. ვერლენმა გამოაცხადა ნაჩრდილები (ნიუანსები) ჭეშმარიტ პოეზიათ, ყოველივე დანარჩენს მან უწოდა ლიტერატურა.

მთელი ქვეყნის ტურისტები და მწერლები მიმართავენ კოლიზიის მჭერმეტყველ მონოლოგებით. ეს არ არის ლირიკა. მაგრამ როდესაც პოეტი სიტყვას ეუბნება კაფეში თუ-

თიყუშის მანეკენს, რომ თავისი მეტაფორებით და ცრემლებით გააცოცხლოს მკვდარი ფრინველი, იბადება ლირიული მომენტი. მითი პიგმალიონზე და გალატეაზე ისევ გაიქროლებს ჩვენს წინაშე.

ლირიკა მიდის თავისი ვიწრო და ბუნდოვანი გზებით. მისთვის არ არსებობს სამი განზომილობის კანონი.

იგი დაეხეტება უდაბნოში ვერლენის და რემბოს სახით და აკანონებს მოვარდნილ მირაჟებს — იეროგლიფებს. დღეს იგი ცხოვრობს საუცხოვო ვილლაში, როგორც ალბერ სამენის ამპარტავანი ინფანტა, ხვალ მისი ბინა — მაკადამია.

ლირიკა როგორც „მარადი ურია“ განწირულია შორ და საიდუმლო გზებისათვის. მან იცის სიხარულთან ერთად „გეთსიმანიის ოფლი და უკანასკნელი მწუხარება“ (სიტყვები პავლე ინგოროყვასი).

ყვარარ დე-ნერვალ — წმინდა მეოცნებე და თავისმკვლეელი, სიმბოლოა ასეთი ლირიკის. ამ ლირიკის გარეგანი სახეა დაუდგრომელი ბოგემა.

ხშირად ეს ლირიკა შეიყვარებს რომელიმე სახელს და ეალერსება მას მთელი საუკუნეების განმავლობაში. მერის სახელი უტოლდება შელლის და მადონნას სახელს. იგი ამშვენებს ინგლისურ პოეზიას, როგორც მარადი ინფანტა. ამ სახელის პირველი მეოცნებე იყო ბარრი კორნუელი — ინგლისელი პოეტი.

ბარატინსკი ამბობს ერთ ლექსში, რომ იგი მიესალმება სიკვდილის შემდეგ თვით საიქიოს საიდუმლო სახელით, რომელიც მან მისცა საყვარელ ქალს. ლირიკა დაეძებს ამ სახელს, რომელიც მიაჩნება მას უკვდავებას.

მისს ლეა-ლე-ლაფორგის მეუღლე შემოდის ლირიკაში, როგორც მოქანცული ქიმერა. ლირიკა ესწრება მის გასვენებაზე, უკოცნის გამხდარ ხელებს და უკითხავს თავის რეკვიემს.

პოეტები დადიან, როგორც ვიზიონერები. ერთი მოულოდნელი განცდა და ჩვენება პოეტის, სხვანაირი დანახვა მსოფლიოსი ქმნის ახალ ლექსს და ახალ სკოლას. ბალმონტმა გამოაცხადა კიდევაც კულტი ნუთიერების, რომელშიდაც მოსჩანს მარადისობა.

რომანტიზმის პირველი სიმღერა სთქვა ლამარტინმა, როდესაც დაიწერა მისი ლექსი: „სალამო“ — რომანტიულ ლირიკის სათუთი ობელისკი აიმართა ცის დაფაზე. ნიკოლოზ ბარათაშვილის ერთმა გასეირნებამ მთანწმინდაზე („შემოლამება მთანწმინდაზე“) გვაზიარა მსოფლიო სევდას და სერაფიულ პოეზიას.

როდესაც ბოდლერმა დასწერა თავისი სონეტი „შესაბამება“, მან შექმნა სიმბოლიზმი. მისივე ლექსი „პარიზის ოცნება“, სადაც მოსჩანს პირანეზის გაბედული და მძიმე ხელი, არის წინასწარი პროგრამა პარნასიზმის.

ვერხარნმა მოგვცა პოეზია ურბანისტული და პროლეტარული თავისი „აჯანყებით“, უიტმანმა პოეზია კოლექტივის თავისი წიგნით.

როდესაც დეგაზმა ორკესტრში დაინახა გრძელი მიზრაფი, თითქოს განვდილი პარტიკრიდან სცენაზე, მან ნახა საიდუმლო მთელი თავისი შემოქმედების.

ვლადიმირ სოლოვიოვმა ეგვიპტეში ნახა „მშვენიერი ქალბატონი“, რომელზედაც ირონიულად მოგვითხრობს „სამ პაემანში“. ამ შეხვედრიდან წარმოიშვა რუსული სიმბოლიზმი მთელი მისი მისტიკით და მარადი ქალურობის იდეალით (ბლოკი, ბრიუსოვი, ბელლი).

მთავარი სტიმულის როლს თამაშობს ერთი ორიგინალური განცდა — ჩვენება, რომელზედაც პოეტი ნადირობს მთელი წლები.

ბევრი გზები გაიარა ლირიკამ. იყო ბოდლერის მორგი, პარნასელების პანოპტიკუმი, ლაფორგის ფეერიული ირონია, უიტმანის კოსმიურობა, ვერხარნის ურბანიზმი, ფუტურისტების აბრაკადაბრა, დადაისტების კაბარე, ცისფერი ყანწელების ინტიმი. დღევანდელი დღე ანტრაქტია. პოეზიის კულისებიდან ისმის გაურკვეველი ხმაურობა. მოვა ახალი ლაფორგი, დახუჭული თვალებით წარმოიდგენს სამყაროს და იტყვის ახალ სიმღერას.



## II

ლირიკას უყვარს სახეების დატრიალება. ვინც იცნობს ჰომეროსის ნაუზიკაიას და შექსპირის ოფელიას, მისთვის არ იქნება გასაოცარი ამ ორი ფანტომის შეხვედრა ლირიკაში.

ლირიკის მუსიკალური სამეფო ელიზიუმია, სადაც ტრაგედიის გმირები მხოლოდ ფანტომები არიან. აქ აღარ არის რეალობა. აქ მხოლოდ მისტიკაა მსუბუქ აჩრდილების. ლირიკაში რეალური სახე კარგავს თავის სიმძიმეს და ეზიარება იმ სიმაღლეს, სადაც სუნთქავენ ბეატრიჩე და ლაურა.

ეპოსი და ტრაგედია ინფერნალია და კათოლიკური განსაზღვრული, ლირიკა სასუფეველია და ამ ნირვანში შეხვედრა შორეული მიზანია ყველა ლიტერატურული გმირების.

„თეზისი ვიაჩესლავ ივანოვის (როგორც თეორიული განმარტება სიმბოლიზმისა de realibus ad realiora — რეალურიდან უფრო რეალურისადმი — განხორციელდა ქართულ პოეზიაში. 1914 წლიდან ქართული პოეზია დაშორდა რეალობას და „ცისფერ ყანწლებმა“ მთელი რვა წლით გამოაცხადეს ფანტასმაგორიის და მითის კულტი. ეს აუცილებლად საჭირო იყო, რომ პოეზიას გადაეღებინათ ეთნოგრაფიის და სინამდვილის ვიწრო ნაპირები. ქართული პოეზიის უდაბნო აივსო მოჩვენებებით და ეგზოტიური სიტყვებით.

დაიწყო რეაქცია. პოეზია 1922 წელში მეტი სიხარულით და მადლობით ესალმება რეალურ ქვეყანას. პოეტები ბრუნდებიან ელისეის მიწებებიდან, პოეზიის ელიზიუმიდან და, როგორც ელეზარი, ითბობენ თავის გაყინულ სხეულს სინამდვილის მზეზე. სიმაღლეების სუსხიანი ქარის შემდეგ მომხიბლავია ბარის თბილი ნიავი.

ეს არის დაბრუნება მიწასთან.

დიონისიურ ღამის შემდეგ მოვიდა აპოლონი მთელი თავისი ბრწყინვალეობით.

პოეზია პირველად ეტანება რთულ სახეებს, შემდეგ ის შეიყვარებს ბრძნული სიყვარულით პრიმიტივის. აქ არის ფიროსმანის და ვაჟას ხაზი“.

ეს ციტატა, ჩემ მიერ მოყვანილი, დანერილი იყო 1923 წლის დასაწყისში (გაზეთი „ლაშარი“, №1).

იმავე წერილში მე („ახალი 1922 წ. ქართულ პოეზიაში“) აღვნიშნე ეროვნული ხაზი ახალ ქართულ პოეზიაში. უკანასკნელი წლების ქართულმა პოეზიამ ეს ეროვნული ხაზი (რომელიც არ განისაზღვრება ვიწრო პატრიოტი ხმით), დაუკავშირა მითის ძიებას.

მას შემდეგ, რაც მოკვდა პანი და გაიმარჯვა ქრისტიანობამ, პოეზია მთელი საუკუნეების განმავლობაში სარგებლობდა მითოლოგიური სახეებით. ზევესი და აპოლონი, მშვენიერი ელენე და პარისი დიდხანს ამშვენებდნენ პოეზიას.

მითი გადაგვარდა. ქრისტიანობამ დაიპყრო ხელოვნება და შექმნა თავისი საკუთარი მითოლოგია. შემდეგ დაიწყო ქრისტიანობის დეკადანსი.

ელლინურმა მითოლოგიამ მეტი სახეები და სახელები მისცა პოეზიას, ვიდრე ქრისტიანობამ. პოლითეიზმი მონოთეიზმზე უფრო ნაყოფიერი გამოდგა ხელოვნებისათვის.

თანამედროვე პოეზია ნაკლებად ხმარობს წარმართულ და ქრისტიანულ სახეებს. დღეს პოეზია ქმნის რეალურ სახეებიდან სიმბოლოებს და მითებს. ძალიან დიდხანს ლირიკისათვის ტყვილად იკარგებოდა პოეტის ბიოგრაფია და სახელი. თანამედროვე ლირიკას სურს გამოიყენოს პოეტის ბიოგრაფია და სახელი, რომელიც არის მისი შემოქმედობის ეხო და ექვივალენტი.

პოეზიაში საბერძნეთის ღმერთების ადგილს იჭერენ პოეტები.

რემბო და ჰოფმანი, ვილიე-დე-ლილ-ადან და მაჩაბელი არა ნაკლებ შთაგონებას აძლევენ პოეტის ოცნებას, ვიდრე ზევესი და აპოლონი, ვენერა და დიანა.

წინა პოეტები, გარდაქმნილი დროის და სივრცის ჯადოქარობით, უნდა გახდნენ არა მარტო ეპიურ და დრამატიულ, არამედ ლირიულ სახეებათ.

თუ წინად პოეზიაში იყო ზევესი, ახლა არის გოეტე, თუ წინად იყო მედუზა, ახლა არის ედგარი და მალდორორი ლოტრეამონის.

ღმერთების ადგილს იკავებენ პოეტები და ძველ ანტიურ გმირების როლს თამაშობენ პოეტის გმირები (ოფელია და ჰამლეტი).

იქმნება ახალი მითოლოგია.

თანამედროვე პოეტების ინტუიციამ უნდა გამოიყვანოს წარსულიდან ყოფილი პოეტების და ეპოქების აჩრდილები. ეს აჩრდილები ლირიკის მომქმედ პირებად უნდა გადაიქცენ.

*ვალერიან გაფრინდაშვილი*

## ახალი ევროპა

### ლიტერატურული პარიზი

*რევაზ მაჩაბელს, ა. ჭუმბაძეს და*

*ერეკლე ტატიშვილს ვუძღვნი ამ სტრიქონებს*

### I. მითოსს მოკლებული დრო

ევროპიული კრიზისი!

ეს სიტყვა გასცვდა მწერლების პირში. ნახევარი საუკუნე კრიზისის ანალიზი.

ფრიდრიჰ ნიცშემ წამოაყენა ეს პრობლემა ევროპიული კრიზისისა. მისმა თანამედროვეობამ სიგიჟეში ჩამოართვა მას ეს მისნური ნათელხილვა. ნიცშე ჰგრძნობდა ათასეული წლის უღელტეხილთან მიღწევას, გაუგონარ კატასტროფას, რომლის სახელი თვით არ იცოდა. ამ კრიზისის კონტურები ჩვენი თანადროულობისთვის უფრო ხელშესახები გაჰხდა.

ეგებ ნიცშეს კატასტროფა, ეს იყო ხუთი საუკუნის ინდივიდუალური წყობილების აღსასრული?

შუბლით ვეხლებით ახალ დროს; მისი საუკეთესო ეპიტაფიაა: მითოსს მოკლებული დრო. მიზეზები შეიძლება უფრო შორს ვეძიოთ.

რენესანსი.

მისი დამსახურება? მან ადამიანი თეოლოგიის არტახებიდან გაანთავისუფლა.

გაანთავისუფლა, მარტო დასტოვა. ვინ იტყვის ასეთი განთავისუფლება უფრო მძიმეა, თუ მარტოობის ტრაგედია?!

საშუალო საუკუნე — ღმერთთან თანაზიარობა. ღმერთთან თანაზიარობის მოგვი — ეკლესია. მას ექვემდებარებოდა: სახელმწიფო. მეცნიერება. ხელოვნება.

ამის ნაცვლად განთავისუფლებულ ადამიანობას ხელში შერჩა უფლება მარადიული ადამიანისა... ამ უფლებიდან იწყება ინდივიდუალიზმი. ამ უფლებაში — ჩვენი დროის იმპერიალიზმი. კაპიტალიზმი. აქედანვე იწყება დაუსრულებელი ევროპიული კრიზისი. ამ მოვლენას ვერც მწერალი და ვერც მკითხველი გვერდს ვერ ჩაუფლის.

საერთო ფონი თანამედროვე ევროპისა: მეცნიერებაში რელატივიზმი. ხელოვნებაში ფუტურისმი და დადაიზმი. ყალბი ცივილიზაცია. უსულო მექანიზმი.

უკანასკნელმა ომებმა და რევოლუციებმა ყველა დაარწმუნა, რომ „ასე არ შეიძლება“, რომ ახალი უნდა იშვას. ცხადია, თანამედროვე ევროპის მწვავე ტკივილები ახალი ღმერთის შობით უნდა იქნეს გამოსყიდული.

## II. ლათინიზმი თუ გერმანიზმი

გასული საუკუნის მეორე ნახევარიდან გერმანია უწევს ევროპას ინტელექტუალ დირიჟორებას. ევროპის ჰეგემონიას გერმანია პოლიტიკურადაც ესწრაფებოდა განახლებული იმპერიის პირველი დღეებიდან. გერმანიის ტრაგედია სწორედ ის არის, რომ იგი თუმცა ფაქტიურად დამარცხებულია, მაგრამ იგი არა ჰგრძნობს თავს დამარცხებულად. პუანკარემ ერთ-ერთ სიტყვაში განაცხადა კიდევაც: რურის ამბები მხოლოდ იმისთვის იყო აუცილებელი, რომ გერმანიას დამარცხება ეგრძნოვო.

პოლიტიკური ვითარება ტონის მიმცემია კულტურის მსვლელობისათვის. ინგლისელი ესთეტიკოსი უალდი ამტკიცებდა, თითქოს ხელოვნების გავლენა იყოს პრიმერული. შეცდომაა. ისტორიის ასპარეზზე პრიმერული მნიშვნელობა პოლიტიკურ მომენტს ჰქონია ყოველთვის. არც ერთი არტისტული შკოლა არ წარმოშობილა პოლიტიკური ატმოსფერისაგან დამოუკიდებლად. თუნდაც სიმბოლიზმი!

70-71 წლების დამარცხებამ წარმოშვა საფრანგეთში სიმბოლიზმის უნუგეშო ფილოსოფია. პოლიტიკური კატასტროფა მუდამ წინ უსწრებს სულიერ რენესანსს. პოლიტიკურმა დამარცხებამ უკანასკნელ მსოფლიო ომში სავსებით შეარყია გერმანიის სახელმწიფო; რევოლიუციის დემონს მუდამ თან ახლავს დაუცხრომელი ძიების დემონი. იგი ხელოვნებაშიაც შეიჭრება.

1918 წლის გამარჯვებამ განამტკიცა საფრანგეთის ბურჟუაზიული რესპუბლიკა... ამ ფაქტმა გაანელა რადიკალიზმი ხელოვნებაში. საფრანგეთის როგორც ლიტერატურაში, ისე მხატვრობაში ტრადიციონალიზმია გამეფებული.

1923 წელს მე ვნახე ბერლინში პიკასოს და ბრაკის მონაფეების სურათები. გერმანელი მონაფეები უფრო რადიკალური აღმოჩნდნენ, ვიდრე თვით პიკასო და ბრაკი. როლები შეიცვალნენ.

საფრანგეთი, რომელიც რევოლიუციის კერა იყო მე-18 საუკუნეში, დღეს „ანსიან რეჟიმის“ ციხე-სიმაგრედაა ქცეული. ამ გარემოებამ „რეაქცია“ გამოიწვია ხელოვნების ყველა დარგში. მარინეტი ამ ჟამად დადუმებულია ჩამქრალი ვულკანივით. პარიზში არავითარი გავლენა არა აქვთ არც ფუტურისტებს, არც დადაისტებს, არც ექსპრესიონისტებს. უკანასკნელი ომის დროს მეტი რეზონანსი ჰქონდათ. რევოლიუცია და ომი უდიდესი განმანათლებელი ფაქტორებია. ეს მომენტი ჩემთვის უფრო საინტერესოა, ვიდრე მათი პრაქტიკულ-პოლიტიკური შედეგები.

70-71 წლის საფრანგეთის კუ დ'ეტამ სიმბოლიზმი წარმოშვა. 1918 წლის გერმანიის რევოლიუციამ ექსპრესიონიზმის გაძლიერებას შეუწყო ხელი.

აღსანიშნავია ისიც, რომ ორივე მოძრაობას ნიციშემ მისცა იმპულსი.

ფრანგ-გერმანელთა დაპირდაპირებისთვის არა მარტო სიმბოლიზმი, თვით ჰიპოლიტე ტენის და ემილ ზოლას ნატურალიზმის სათავეები გერმანიაში უნდა ვეძიოთ, რადგან საფრანგეთის ნატურალიზმის მამამთავარი — ტენი ჰეგელიდან გამოვიდა. გერმანია, როგორც ფსიქოლოგიური ფაქტორი, უდიდესს ზედგავლენას ახდენს საფრანგეთზე, როგორც ლიტერატურაში, ისე სოციალურ ცხოვრებაში (მარქსიზმსა და მეცნიერულ სოციალიზმს რომ თავი დავანებოთ). თვით დღევანდელი საფრანგეთის ტონის მიმცემი ანრი ბერგსონი ნიციშეს ინტელექტუალური ვასალია. მიკერძოება რომ არ დამწამონ თვით ფრანგ მწერალს ვალაპარაკებ: *La plupart des grandes idées, des grandes conceptions bergsoniennes, sont en germe, sinon toujours développées, dans les oeuvres philosophiques de Nietzsche*<sup>1</sup>.

1. ბერგსონის დიდი იდეების, დიდი აზროვნული კონცეპციების უმთავრესი ნაწილი ერთგვარი იდეური დვრიტის სახით (თუმცა ხშირად კონსექვენტურად განუვითარებლნი) მოცემულია ნიციშეს ფილოსოფიურ ქმნილებებში. Henri Bataux, Mercure de France. 1918. 16. III.

თუ მე-18 საუკუნეში ინგლისის სანიშნობით მიდიოდა ევროპის კულტურა, სოციალურ ცხოვრებაში საფრანგეთი იყო ავანგარდი. ჰეგელიდან დღემდის, თუმცა უჩინარად, მაგრამ არსებითად გერმანია მიუძღვის ნინ ევროპიულ კულტურას. ლიტერატურაში, ფილოსოფიაში, მუსიკაში, სოციალურ ცხოვრებაში, გერმანია იძლევა ახალ იდეებს. ერთადერთი დარგი ხელოვნებისა, რომელშიაც საფრანგეთს შერჩა უპირატესობა, ესაა მხატვრობა, საერთოდ პლასტიური ხელოვნება.

გერმანია-საფრანგეთის დაპირდაპირება უმწვავესი პრობლემაა ევროპის კულტურათა პირველ დღეებიდანვე. ბრძოლა გერმანიზმსა და ლათინიზმს შორის მთავარი მოტივია ევროპიულ განვითარებაში დანტედან ჩვენ დრომდის. გერმანელობისა და ფრანგობის ბრძოლა, ეს მისტიციზმისა და ნათელი რაციონალიზმის, კატოლიციზმის და პროტესტანტიზმის დაუსრულებელი ქიდილია.

გერმანელი იდეალისტი, ფრანგი იდეოლოგი. გერმანელი ბუნებით მისტიკოსია, ფრანგი ბუნებით რაციონალისტი. ფრანგული გენია თავის ლოლიკური და ნათელი კონცეპციებით გაცილებით ახლოა ბერძნებთან, ვიდრე გერმანელი.

ფრანგებისათვის სრულიად გაუგებარია გერმანული ტიტანიზმი, სულიერი მარტვილობანი და ძიებანი დოქტორ ფაუსტისა. ფრანგი უფსკრულებს და სიბნელეს ერიდება, რადგან მისი ხალხური ნატურელი — მარჩხაა. მაჩვენეთ თუნდ ერთი, ეგზომ ალტყინებული, ბობოქარი მსოფლიო ისტორიული სტიქიონი საფრანგეთში, როგორც ლუთერი.

დუელი სამყაროსთან ახასიათებს როგორც ლუთერს, ისე ნიცშეს.

გერმანელი მუდამ კოსმიურ პრობლემების ბორბალზეა დაბმული. გერმანელების სულიერი ტრაგიზმი ექსპანსიურობით განისაზღვრება. უბსკრულების თავზე ზარატუსტრას დაკოდილი არწივების ქროლვა. ბეთხოვენისებური „ყელს მოგეხვევით, მილლიონებო!“

აი, რა არის გერმანელობა.

ფრანგული ხელოვნება ნაციონალურია თავისი შინაარსითა და ფორმით. გერმანული ფორმით — ნაციონალური, შინაარსით — კოსმიური. ფრანგული სულობა მუდამ ნაციონალურ არტახებითაა შებოჭილი, გერმანელობა მუდამ კოსმიურ მერიდიანებს უმიზნებს. ფრანგი სუბიექტივისტია. აქედან: ფრანგული სული — ლირიკული, გერმანული — ეპიური.

ფრანგული რევოლიუცია, ეს იყო პიროვნების ამბოხი სახელმწიფოს და საზოგადოების წინააღმდეგ. რობესპიერის და მარატის რევოლიუციონური ტირადები უასაკო გიმნაზიელის მონოლოგებია ლუთერისა და ნიცშეს რევოლიუციონერობასთან შედარებით. გერმანულ შეგნებაში პიროვნება მუდამ ზვარაკია სახელმწიფოს, ღმერთის, ეთიური იდეალის ტრაპეზეზე.

კანტმა და გერმანელობამ შეჰქმნეს მოვალეობის აპოლოგია. ეს მოვალეობის ფილოსოფია არავის ისე არ ესმის, როგორც თვით გერმანელობას. ამიტომაც არც ერთ არა-გერმანულ პოლიუსზე არ ესმით კანტი, ამიტომაც არც ერთ კულტურულ ენაზე არ არსებობს კანტის წმინდა გონების კრიტიკის ზუსტი თარგმანი. გერმანელობა ცოცხალი, მისტიური მოდგმაა ევროპიული ცივილიზაციის შუადღეში. ალიგიერი დანტე გერმანელ კენისარს უხმობდა მსოფლიოს მოსარჯულებლად. ამიტომაც გერმანული მესიანიზმი არა გერმანელ დანტესგან იწყება.

გერმანელი მარადიული ღმერთთან მორკინე იაკობია. მის ფანტაზიას მუდამ ბიბლიური კიბე სჭირია, რომ ღმერთი ციდან ჩამოიყვანოს, ღმერთს ებრძოლოს მიწაზე და თვით ეწამოს ღმერთის წამებით. ღმერთთან ბრძოლით თუ აიხსნება ფაუსტის სულიერი კატასტროფა. ღმერთთან ბრძოლამ დაუბნელა მზე ჰოლდერლინს და ნიცშეს. ფრანგებისათვის ეთიკაც პრაქტიკული მოსაზრების საგანია. გერმანელობისთვის ეთიური მასშტაბია მსოფლიოს შესატყვისი. ასეთივე პრაქტიკულ იერს ატარებს რელიგიაც ფრანგობის თვალში. გერმანელ ჰერდერისათვის კულტურული ურთიერთობა რელიგიოზურ თანაზიარობას ნიშნავდა. ამი-

ტომაც რელიგიოზური მომენტი უმთავრესია გერმანულ ხელოვნებაში. ხელოვნებას მუდამ რელიგიის მომიჯნედ გულისხმობდნენ ნიცშე და ვაგნერი, გოეტე და ჰოლდერლინი.

### III. სიმბოლიზმის კატასტროფა

გასული საუკუნის მინურულში უპირატესად ფრანგული სიმბოლიზმი აძლევდა ტონს ევროპულ ლიტერატურას. მისი სათავეები: ნიცშეს და ვაგნერის გერმანიზმი, ფლანდრიული მისტიური პაგანიზმი, ფრანგული ანარქიზმის დემონი. ეგონათ სიმბოლიზმით გაიხსნება ახალი დიდი ლიტერატურული ერა. მიუხედავად იდეური სისხლის აღრევისა ამ მოძრაობას ფრანგული დამლა შერჩა. როგორც კულტურ-ფილოსოფია სიმბოლიზმი პოზიტივიზმის, პარნასისტებისა და ნატურალისტების დაპირდაპირება იყო.

სიმბოლიზმის მთავარსარდლები: სტეფან მალარმე, არტურ რემბო, შარლ ბოდლერ, კონტ ლოტრემონ.

ხოლო საფრანგეთს გარეშე: მორის მატერლინკ, ჟორჟ როდენბახ, დანიელი იაკობსენ, იტალიელი დ'ანუნციო. რამდენადაც გენიალური იყვნენ ამ ლიტერატურული ლაშქრობის მთავარსარდლები, იმდენად უძლური მათი ეპიგონები.

სიმბოლიზმის ეპიგონების თაობა არ იყო ღარიბი კულტურით, მაგრამ მათ აკლდათ ინდივიდუალური გენია. ამ მოძრაობამ მთელი თავისი ძალა ახალი ფორმების ძიებას შეაღწია. ბოლოს პოეზია რითმის აკრობატობამდის მივიდა. ენადათ, გაუგონარი რევოლიუცია მოეხდინათ პოეზიაში, მაგრამ ეს ცდა გაუგონარი ბანკროტით დასრულდა.

აღსანიშნავია, რომ სიმბოლიზმი სხვადასხვა ნაციონალურ მილიონში ფრანგული სიმბოლიზმის ეტლს გადასცდა (გერმანული და რუსული სიმბოლიზმი).

იმავე სანიშნოებით იწყება ნეოსიმბოლიზმი: ფრანცის ვ. გრიფენ, ანრი დე რენიე, სტიუარტ მერილ, ანდრე ჟიდ, კამილ მოკლერ, რემი დე გურმონ.

იდეოლოგიურად საინტერესოა რენე ჟილი თავის *L'instrumentation verbale*-ით.

რენე ჟილი ხმოვანებში ფერადებს ეძებს. სიტყვის მარცვლები ლექსის ინსტრუმენტს უნდა გაეხმაურონ. მთლიანი ლექსი უნდა წარმოდგენილ იქნას როგორც მთლიანი ორკესტრი. ამ მეთოდით ეძიებს ჟილი ადამიანური კულტურის ფილოსოფიურ სინტეზს. ამ თეორიას აჰყვება ჟილის მოწაფე სტიუარტ მერილ, რომელიც ამერიკიდან ევროპაში ჩამოვიდა ასონანსებზე და ალიტერაციებზე სანადიროდ.

სიმბოლიზმის ეპიგონებს ლექსის კულტურა ტიპოგრაფიულ ნიშნებით ვარჯიშობამდის დაჰყავთ. აქ ამკარად ჰგრძნობთ ლექსის ინსტრუმენტისადმი დამონებულ პოეზიას.

სიმბოლიზმის რეაქცია 1891 წლიდან იწყება.

ჟან მორეასის მანიფესტი. „რომანულ სკოლის“ დაარსება. მორეასის *Pelerin Passioné*-ში გამეორებულია ძველი თეორია: ბერძნულ-ლათინურ კულტურათა დაახლოება ფრანგულ სულთან. სანიშნოები: ათინა, რომი, პარიზი.

საფრანგეთის კულტურის სათავეა ჰელადა და რომი. მოდერნული ფრანგული კულტურა უნდა დაუბრუნდეს ამ მარად ქალნულურ პირველ სათავეებს.

*Pelerin Passioné*-ს ავტორის გარშემო დაჯგუფდნენ: მორის დე პლესის, რაიმონ დელლა ტელედ, ერნესტ რაიმონ, შარლ მორას.

ამ პოეტებმა გააცოცხლეს ყველა ბერძნულ-რომაული ლმერთები. ეკოლ რომანისტები ლექსის რესტავრაციას შეუდგნენ. უარყოფა თავისუფალი ლექსის. მათემატიკური ჰარმონიის აღდგენა ლექსის სტრუქტურაში.

ეკოლ რომანისტები უარჰყოფენ მოდერნულ ცხოვრებას, მოდერნულ გრძნობებსა და ემოციებს. მსოფლიო კაპიტალიზმის ფონი არ იძლევა პოეზიის თემებს. აქედან: ოლიმპის გაცოცხლება.



მორეასის უკიდურესმა რომანიზმმა იმსხვერპლა მაღალნიჭიერი პოეტი მორის დე პლესის. საშინელი გრამატიზმი. სამსართულიანი ბიოლოგიური ცნებები. არა ბუნებრივი პათოსი, რომელიც ხშირად რიტორიკაში გადადის. მითოლოგიის ლექსიკონი უნდა გეჭიროთ ხელში, როცა მის Palas Occidental-ს და Ode Olympiques-ს ჰკითხულობთ.

Que si j'ai sur la lyre  
Fait d'un doigt bien appris  
Bruire  
Rome, Athènes, Paris (Ode Olimp.).

ქვევით:

O Diane, fidèle  
Honneur Olympien  
Modèle  
Mon esprit sur la tien...

მისს ლექსებს ზეთის სუნი უდის.

ჟან მორეასს არ აკლია დიდი და გულწრფელი პათოსი ლათინური გენიის. მისს ლექსებში ჰკრთის ბერძნული სისადავე, ჰარმონია, სიმჭევრე და ძველ-ლათინური გრაცია. მისი პოეტური ხატები გამსჭვირვალეა და რხეული როგორც ბერძნული კრისტალის ვაზები, მისი ლექსი — ლალი და უზადო.

ეტაპების მიხედვით თუ მიუდგებით თანამედროვე ფრანგულ პოეზიას, ბევრი მაღალნიჭიერი პოეტი განზე დარჩება. ზოგიერთი პოეტი ვერც ერთ შკოლას ვერ ეგუება. ერთი მათგანი, არ შემიძლია, არ ვახსენო.

თანამედროვე ევროპას სამი დიდი ქალი ჰყავს. სკანდინაველი — სელმა ლაგერლოფ, გერმანელი — რიკარდა ჰუხ, ფრანგი ლა კონტესს ანნა დე ნოელ. გამოაკელით ეს სამი ქალი მსოფლიო ლიტერატურას და მაშინ უნებლიეთ უნდა დავეთანხმოთ ანტიფემინისტებს, რომ ქალისთვის აქტიური შემოქმედება მიუწვდომელია.

სამივე პოეტესსა მარად-ქალური პრიზმით შეჰყურებენ ბუნებასა და ცხოვრებას. როგორც მიჯნური, როგორც ცოლი, როგორც დედა. მათ სრულიად ეუცხოვებათ ის მოდერნული ქალ-ბიჭური იდეები, რომელიც თანამედროვე ქალს საზიზღარ გერმაფროდიტად აქცევს ხშირად.

ლა კონტესს ანნა დე ნოელ ერთი შესანიშნავი პოეტთაგანია დღევანდელ საფრანგეთში.

მახვილი და ელასტიური ინტელექტი. არაჩვეულებრივი ერუდიცია. დიდი არტისტიული გემო. მისი ლექსების მისტიური, სევდა გადაკრული გრაცია ალაგ-ალაგ ნოვალისის ცისფერი რომანტიკით სუნთქავს.

ფრანგული კულტურის ქალური სინაზე შეუდარებლად ენამჭევრობს დე ნოელის პოეზიაში. გოეტე ამბობდა ფრანგებზე: რასაც ქალები მოასწავებენ მამაკაცთა შორის, იგივეა ფრანგები ერთა შორის.

Je viens portant sur moi,  
La douce odeur des mondes.

„მოველ მოსილი ამ ქვეყნიურ ტკბილ სურნელებით“.

დე ნოელის Les Vivantes et les Mortes უმშვენიერესი საჩუქარია ფრანგული პოეზიისათვის (1913 წ.).

ფრანგ სიმბოლისტების ძველი თაობიდან, სტიფან მალარმეს გარდა, ყველაზე ძლიერ ზედგავლენას ახდენს თანამედროვე პოეზიაზე ვერჰარენ.



ვერჰარენმა ჯერ კიდევ ომის დროს უღალატა L'art pour l'art-ის თეორიას და ძველს იმპრესიონისტურ ესთეტიზმს. თანამედროვე ინდუსტრიული კულტურის მისტიური ვიზიონერი — ვერჰარენ ექსპრესიონისტური გაგების კოსმიური პოეტია.

ოკეანიის გადაღმიდან ევროპიულ პოეზიას გზას უნათებს უალტ უიტმანი.

თავის ურბანიზმითა და პურიტანიზმით უალტ უიტმანი გაცილებით ახლოა ექსპრესიონიზმთან, ვიდრე ნატურისტებთან.

ვერჰარენ და უიტმანი მომავალში სადავო მამამთავრები გახდებიან ნატურისტებისა და ექსპრესიონისტებისათვის.

საინტერესოა როგორც ლიტერატურული ძიება: დადა. ამ მოძრაობას სათავეში უდგანან ტრისტან ტცარა, ლუი არაგონ, ანდრე ბრეტონ. დადაიზმი არტურ რემბოს ესთეტიკის ზერეულ ინტერპრეტაციის შედეგია. ამ „ცოდვაში“ გუიომ აპოლინერსაც ედება ბრალი.

#### IV. ფრანგი ექსპრესიონისტები

ექსპრესიონიზმი ბევრს ნაციონალური გერმანული მოძრაობა ჰგონია. ეს დიდი შეცდომაა. უკანასკნელ ათეულ წლებში მთელს ევროპაში საგრძნობი გახდა მისტიურ რელიგიოზური გრძნობის რენესანსი. საფრანგეთში ანრი ბერგსონმა დაამსხვრია რაციონალიზმის ციტადელი. გერმანიაში მოაზროვნეთა ლეგიონები იბრძოდნენ ამ მიმართულებით. გერმანია მისტიკის სამშობლოა.

ცხადია, ჩვენი საუკუნის მისტიური რენესანსი იაკობ ბოეჰემეს, მაისტერ ეკჰარტის და ანგელუს სილვეზიუსის სამშობლოში უნდა დაწყებულიყო.

ფრანგული მწერლობის ახალი თაობის მარშიც რაციონალიზმის ციტადელებზე ბერგსონიდან დაიწყო. მისი მოძღვრება élan vital-ზე და ინტუიციის გამოცხადებითი ძალის შესახებ ურყევი სარწმუნოების სიმბოლია მისტიურად განწყობილი ახალთაობისათვის.

გერმანიაში ნიცშეს შემოქმედების პირველ ეტაპში გათავდა ინდივიდუალიზმის ტრალედია. ავადმყოფი ნიცშე უკვე ჰგრძნობდა გაორებას. იგი აშკარად აცხადებდა, რომ ან მარტოსვლა არ შეიძლება. რომ მოდის საუკუნე მასსების მისტიკისა. ნიცშეზე გვიან, ახალი საუკუნის რიჟრაჟზე ფრანგმა პოლ ადამმა იგრძნო მასსების მისტიკის პირველი პოზაუნის ხმა.

Le Mystère des Foules!

პოლ ადამის მასსების მისტიკას გაეხმაურა ლირიკოსი და რომანსიე იოჟენ მონფორ.

ამავე სანიშნოებით მიდის ჟაკ რევიერ (Le roman d'aventure. N. Revue Française. 1913). 1908 წ. პარიზში არსდება ლიტერატურული კლუბი l'abbaye. ინიციატივები: შარლ ვილდრაკ, რენე არკოს, ჟორჟ დიუჰამელ. ეს კლუბი მცირე ხანში დაიშალა. იგივე პოეტები გაერთიანდნენ ჟიულ რომენის La vie Unanime-ის გარშემო. მათი დეკლარაცია: ახალი ჰუმანიურობა პოეზიაში. შარლ ვილდრაკის Chants désespérés, მართლაც, სასონარკვეთილი ამღერებაა ომით განადგურებულ ევროპაზე.

ფრანგი ექსპრესიონისტები ისევე უარყოფითად შეჰხვდნენ უკანასკნელ მსოფლიო მასაკრებს, როგორც მათი გერმანელი კოლეგები. საგულისხმოა, სიმბოლისტები აპოლიტიკოსები იყვნენ. მსოფლიო ომის შემდეგ ისეთი მწვავე ხასიათი მიიღო მსოფლიო პოლიტიკამ, რომ აპოლიტიკოსობა დღეს მხოლოდ შარლატანებს შეუძლიათ. ყოველთვის და ყოველ დროში ხელოვნებისა და კულტურის ბედი დიდი პოლიტიკიდანაა დამოკიდებული.

ექსპრესიონისტების პოლიტიკური კრედო:

ძირს მსოფლიო ომი. ძირს მსოფლიო კაპიტალიზმი!

ომმა წარმოშვა ახალი, გათახსირებული კლასი, რომელიც არსებითად განსხვავდება თავის წინაპრის უფრო „განათლებულ“ ბურჟუაზიისაგან.

უკულტურო, „ნუვორიზ“, სპეკულანტი.

რენე არკოსს ახალ ეთიურ იდეალებს ჰქადაგებს.

Le meilleur homme, უკეთესი კაცი! სინტეზი ღვთაებრივის და მარადიულის!

ჟორჟ დიუჰამელმა მთელი ევროპის ყურადღება მიიქცია თავისი Vie des Martyrs et civilisation-ით (მარტვილთა ცხოვრება და ცივილიზაცია). რამდენადაც ორიგინალურია დიუჰამელის არტისტიული ფილოსოფია, იმდენად უსრულა მისი წერის მანერა; იგი ფორმალიზმის უარყოფამ მეორე უკიდურესობამდის მიიყვანა. დიუჰამელის ფორმას დიდი დაუდევრობა ეტყობა.

ჯგუფების გარეშე ფრიად თვალსაჩინო ფიგურაა ვალერი დარბო (ლიტერატურის ასპარეზზე გამოვიდა 1902 წ.). ვალერი დარბოს პოეზიაში ოკეანის ხომალდების და ბენზინის სუნი სდის. ვალერი დარბო ევროპიული კოსმოპოლიტიზმის პოეტია. „სამყარო ვითარცა გაფართოებული სამშობლო“. აქ იგი გოეტეს კოსმოპოლიტიზმს უკავშირდება. ვალერი დარბო მღერის ევროპიული დიდი ცივილიზაციის მწუხრზე და ცისკრებზე. დარბო მარინეტიზე ადრე იყო ფუტურისტი.

## V. კლოდელი და ბარესი

მარტოხელათა შორის აღსანიშნავია პოლ კლოდელი თავის მეფურ მარტოობაში. ამ ტიპის პოეტები ლიტერატურულ მარქაფებს არ დაეძებენ.

პოლ კლოდელი ახალი საფრანგეთის სიამაყეა.

მისი პოეზია მღვდელ მსახურებაა მისტიურად მურუჟიან გოტიურ კათედრალის თალებს ქვეშ. მისი დიდი ხმა ორღელია გოტიურ კათედრალის.

კლოდელი კათოლიკური მისტიციზმის პირმშოა. ღრმა რელიგიოზური გრძნობებითაა გამთბარი მისი „ვერზეტები“ მისი პატარა პოემები და დრამები (L'Otage, L'Anonce fait Marie).

თანამედროვე ფრანგ რომანისტებს ანატოლ ფრანსი, ანდრე ჟიდი, მორის ბარესი და ახალი თაობიდან ჟან კოკტო (თავის „თომას ლ'იმიპოსტერიო“) აძლევენ ტონს. უახლეს პოეზიის შეფებად პოლ კლოდელი და ვალერი დარბო უნდა ჩაითვალოს.

ჯერ კიდევ 1903 წ. გეორგ ბრანდესმა მიაქცია ყურადღება კლოდელს. ცხადია, გასული საუკუნის ფხიზელ რაციონალიზმზე აღზრდილი ბრანდესი უარყოფით ექცევა კლოდელის მისტიციზმს.

პარიზში (1923 წლის ოქტომბერში) კერძო საუბარში ბრანდესმა განაცხადა: პოლ კლოდელი საფრანგეთის რეაქციის სულის ჩამდგმელიაო. იგი ამ მხრით მორის ბარესს უახლოვდება. იდეოლოგიურად პოლ კლოდელი ბერგსონს ემყარება. მისი რელიგიური მსოფლმხედველობა ლირიკულად განსახიერდა მის ხუთს დიდ ოდაში.

Soyez beni, mon Dieu, qui m'avez delivré de la mort.

(იყავ კურთხეულ, უფალო ჩემო, რომ დამიხსენი სიკვდილისაგან).

თავის L'Art poétique-ში იგი კათოლიკურ მეტაფიზიკას ჰქადაგებს.

ხილული და უხილავი სამყარო ერთი ჰარმონიული ღვთაებრივი სუნთქვითაა გამთბარი. კოსმიურობაში ღვთაებრივი ჰარმონიის აღმოჩენა.

არტურ რემბოს და შარლ ბოდლერის დემონიური პოეზიის სტიქიონიდან გამოსული კლოდელი, უმეშვეოდ უკავშირდება ალიგიერი დანტეს მისტიურ მეტაფიზიკურ რევიონებს.

პოეზიაში თუ პოლ კლოდელი მეთაურობს ანაბაზისს ალიგიერი დანტესკენ, პროზაულ ლიტერატურაში მორის ბარესს ხელმძღვანელობს ამ უკუქცევას.

ფრანგული სულობა იტალიანურ რენესანზე აღორძინდა. ამიტომაც გასაგებია ამ ორი გიგანტის დანტესკენ მოხედვა. ალიგიერი დანტეს სიკვდილიდან 600 წლის შესრულების გამო სამი სიტყვა წარმოსთქვა მორის ბარესმა პარიზში: დანტე. პასკალი. რენანი.

„დანტეს პურგატორიოში განსახიერებულა ძალა და ძლიერება ოგიუსტ ბარბიესი, ესთეტიციზმი დანტე გაბრიელ როზეტის, ფლუიდობა პოლ ვერლენის და რობერტ ბროვინგის მისტიციზმი“.

„დანტეს პარადისი ეგ სურვილის ექზალტაციაა. ექზალტაცია ჭვრეტისა. ბერგსონი იცნობს ნეტავი დანტეს სამოთხეს?“

„ბერგსონი, რომელიც ექსპერიმენტალ მეტაფიზიკის (sic! კ. გ.) შექმნაზე ოცნებობს, იცნობს თუ არა იგი ამ სახეებში და სიმბოლოებში ამეტყველებულ მისტიკისა და მეტაფიზიკის უდიდეს ესსეის?“ (მ. ბარეს. დანტე. პასკალი, რენანი).

დანტეში ჰხედავს მორის ბარესი უდიდესს მიჯნას, რომელიც მერმისშიაც უნდა იქნეს ზღუდე გერმანულსა და ლათინურ კულტურათა შორის. აქ თავს იჩენს ბარესის გერმანოფობობა.

თანამედროვე საფრანგეთის იდეური ინსპირატორები მორისს ბარეს და ანატოლ ფრანსს, როგორც მთელი რომანული შკოლა უახლესი პოეზიისა, თუმცა სხვადასხვა რიგად, მაგრამ ყველანი გერმანულ-ლათინურ კულტურის პირველ სათავეებისაკენ იშვერენ ხელს. ასეთივე რანგის დიდი მწერალი რომენ როლანი, წინააღმდეგ, გერმანიას შეჭყურებს. მისი ინსპირატორი: გერმანელი ბეთხოვენი.

## VI. ახალი ადამიანი

მორის ბარესის და ანატოლ ფრანსის ინტელექტუალური ანაბაზისი ანტიკისა და რენესანსისაკენ მრავალგზით ნაცადაია.

ევროპიული კრიზისის მიზეზები ამ უკუქცევით არ ამოიწურება. ევროპის სულიერი კრიზისი, ეს არ არის სტილის კრიზისი, ან იდეებით სიღარიბე.

მითოსს მოკლებული დრო. აქ არის სიმძიმე.

როგორც ქრისტიანული ერის პირველ ათასეული წლების მინურულში, დღესაც რადიკალური გადატეხის მოლოდინში ვართ. ათასეული წლების უღელტეხილები ძნელი გადასავალი ყოფილა.

არა მარტო ხელოვნება, თვით სოციალიზმი რელიგიად უნდა იქცეს. სოციალიზმი ჩვენ თვალწინ რელიგიურ იერს ღებულობს.

ექსპრესიონისტების უახლესმა ლიტერატურულმა თაობამ სწორედ შეიგნო ევროპიული კრიზისის მთავარი მიზეზი. მითოსს მოკლებული დრო უნდა დაძლეულ იქნას. მიტომაც ექსპრესიონიზმი არ არის ლიტერატურული სტილის საკითხი. იგი უპირატესად ახალი რელიგიისთვის ფეხმძიმობაა.

ახალი ეთოსი.

ახალი ჰუმანიურობა.

ახალი ადამიანი — ისმის სცენიდან, პოეზიიდან, კათედრიდან.

„მოიგათ ახალი ადამიანი“ — გაისმის ფრიც ფონ უნრუჰს უკანასკნელ ტრალედიამში „ვარდების ბაღნარი“ (Rosengarten). ზეცის დვირეები უნდა გაიხსნას. დინამიკით უნდა ავაფეთქოთ ძველი მიწა და ძველი იდეალები!

ჩამოდის ციდან თაობა ახალი. ტრაგედიის გმირი — დიტრიხი ჰამლეტის ტკივილებითაა სწეული. მისი სიყვარულის გმირები: ელინორ და ვერონიკა. ელინორ — ხატება მიწიერ სიყვარულის. ვერონიკა — ზეციურ ზმანების (დაუპირდაპირეთ ღვთაებრივ კომედიის საკრალურ ეროტიკას!).

ფრიდრიჰ შილლერმა მე-18 საუკუნეში იგრძნო ევროპის სულიერი კონფლიქტების მოახლოება. „ჩვენი საუკუნე“, — სწერდა იგი, — „მარიონეტით ქანაობს სიმახინჯის და ველურობის სამიჯნობებს შუა“. განა იგივე არ ითქმის ახალ ევროპაზე? განა ყოველივე

მაღალსა და მშვენიერს განადგურებას არ უპირობს პრაქტიკულ ანგარების იდეალებით აღტყინებული ეპოქა? მაგრამ შილლერი იმ ბედნიერი, სათნო და პიეტეტით აღსავსე თაობის წარმომადგენელი იყო, რომელსაც კიდევ შეეძლო ეთქვა: „და საუკუნის უღელტეხილთან სდგახარ, ბრწყინვალე ბზის ტოტით ხელში“.

ხოლო მოეძევა კი ახალ ევროპას უნრუჰს დიტრიხივით მინიერ და ზეციერ ვნებების შემთავსებელი გული? აქვს თუ არა ახალ ევროპის პოეზიას იმდენი სულიერი ძალა, რომელიც თანამედროვე მექანიურ ცივილიზაციის ინფერნოს ისევ ღმერთებით და მარტვილებით დაასახლებს? იქნება ისევ პოეზია იგი წარწარი და ნაზი ბეატრიჩე, რომელიც დანტესავით განაწამებ კაცობრიობას სამოთხის დაუნჯებულ ბჭებში შეიყვანს? მოეპოება თუ არა თანამედროვე ევროპას ახალი სულობით ავისილობა, მარტვილის ჯიუტობით რომ იტყოდეს: „ჩვენი რწმენაა — ჩვენი მტკიცე სიმაგრე?..“

თუ ჰო ითქმის, მაშინ მითოსს მოკლებული დრო დაძლეული იქნება.

ორაკელის ბრძანებით, მეგობრებმა უფსკრულის პირად დასვეს პსიხე — რომ ბინდისას ღმერთს წაეყვანა.

თანამედროვე სულობაც უფსკრულების ნაპირზე მოელის ახალ ღმერთს.

ღმერთი მოვა, ხმობა უნდა ღმერთს!

*კონსტანტინე გამსახურდია*

*ტფილისი. 1924. მარტი*

## სახვითი ხელოვნება. მუსიკა

### ქართული პლასტიური ხელოვნების შესწავლის ამოცანები

#### წერილი პირველი

#### 1

თითქმის ასი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც შვეიცარიელი მეცნიერისა და მოგზაურის დიუბუა-დე-მონპერეს გამოკვლევათა წყალობით ძველი ქართული ხელოვნების ძეგლებს ყურადღება მიაპყრეს ევროპის მეცნიერებმა და გახადეს ხელოვნების ამა თუ იმ საისტორიო მიმობილვის ნამდვილ საგნად. ამ ხნის განმავლობაში, რა თქმა უნდა, თან და თან გროვდებოდა მასალა, როგორც ამას გვიჩვენებენ მხატვარის გრ. გაგარინისა და არქიტექტორის დავით გრიმის გამოცემანი, „კავკასიის საარქეოლოგიო მასალები“, და აგრეთვე შრომანი აკად. ბროსესის, პლ. იოსელიანის, დ. ბაქრაძის, ე. თაყაიშვილის, აკად. ნ. მარრიისა და სხ. ყველა ამ მდიდარსა და მრავალნაირ მასალებს ახასიათებს ის, რომ ისინი იძლევიან ძეგლების აღწერილობას ილლუსტრაციების დართვით (გადახატვა, ფოტოგრაფია და სხ.). ამნაირად ეს მასალები დიდმნიშვნელოვან განძს წარმოადგენენ ქართული ხელოვნების ძეგლების გასაცნობად, მაგრამ უგულუბელჰყოფენ ისეთ საკითხებს, რომლებმაც უნდა გამოარკვიონ ქართული ხელოვნების ევოლუცია, მისი წყაროები, თავდაპირველი საფეხურები, და განვითარების მერმინდელი ხაზები. იმის შემდეგაც კი, რაც 1876 წ. ნ. პ. კონდაკოვმა მოგვცა ძალიან მოკლე და თავისი ქრონოლოგიურ დაწყობით დაძველებული, თუმცა სხვა მხრით კი სანიმუშოდ შესრულებული, ნარკვევი, ძეგლების აღწერი-

ლობა არ ყოფილა დაქვემდებარებული რაიმე განსაზღვრულ ამოცანას და შეფარდებული ნათლად დასმულ კითხვებთან.

სრულიად ბუნებრივია და გასაგები, რომ ყოველი აღწერილობა უნდა სწარმოებდეს გარკვეული ამოცანის მიხედვით, რომელსაც ის უნდა ემსახურებოდეს. გარეშე ამისა იგი ვარჯიშობას ემსგავსება და მიზანს ვერ აღწევს. მართლაც, უწყებულ აღწერილობათ სხვადასხვანაირი ღირსება აქვთ. როდესაც ისინი შეეხებიან მარტივსა, არართულ არქიტექტურულ ძეგლს, რომლის წარწერებში თარიღი არ მოიპოვება, მკვლევარი მათ მიხედვით ვერაფერს ვერ გამოარკვევს, თუ აღწერილობას ფოტოგრაფია არ ახლავს. ხოლო თუ ძეგლი დამახასიათებელია თავისი ფორმებით, აღწერილობა — ერთსა და იმავე პირობებში — მეტს მასალას იძლევა, მაგრამ მაინც ვერ ააშკარავებს ჩვეულებრივად, თუ რა ცვლილება განიცადა ძეგლმა ისტორიის განმავლობაში. იმ შემთხვევაში კი, როცა აღწერილობა შეეხება დიდს, მაგრამ დაძველებულს, გადაკეთებულს და სხ. ძეგლს, იგი სრულიად ვერავითარ დახმარებას ვერ გვინევს; მისგან ის შთაბეჭდილებაა რჩება, თითქოს ძეგლს დამუშავება სჭიროდეს. მეორე მხრით კი თუ ძეგლს აღმოაჩნდა რაიმე წარწერა თარიღითურთ, ეს უკანასკნელი ძეგლის აგების თარიღად ცხადდება, მიუხედავად იმისა, რომ ზოგ შემთხვევაში ძეგლები წინ უსწრებენ წარწერასა და თარიღს (მაგ. ატენის სიონი), ზოგჯერ კი პირიქით ხდება, არაფერიც რომ არ ვსთქვათ იმ ხშირ შემთხვევების შესახებ, როცა თარიღები სწორედ არ არის ნაკითხული. მოკლედ, ხელოვნების შესახებ არსებული მეცნიერული მეთოდები სათანადოდ, სისტემატიურად და თანდათანობით არ იყო დაცული ქართული მასალების შესწავლის დროს.

დღეს მე მინდა ვცადო — შევეხო ამ მასალებს სწორედ იმ მხრით, რომ შესაძლებელი შეიქმნეს მთლიანად ქართული ხელოვნების განვითარების გზის ჩვენება და შევეცდები, განსაკუთრებით გამოვჰყო ის ძეგლები, როგორც ნაწილები მთლიანისა, რომელთა სახე უფრო ნათლად წარმოგვიდგინა ძველი ქართული ხუროთმოძღვრების ნიმუშთა ამას წინადა გამართულმა გამოფენამ. ამ პირველი მიმოხილვისათვის მე დამჭირდება, უფრო დანვრილებით დავახასიათო ჩვენი კვლევის მსვლელობა და მისი მოტივები. ამნაირად იძულებული ვიქნები შევეხო ქართული ხელოვნების მთლიანად შესწავლის ამოცანებსაც, როგორც წინადა დასმულთ და დამუშავებულთ, ისე იმათაც, რომლებიც ამ ჟამად არიან რიგში, ან ახლო მომავალში უნდა გადაიქცნენ კვლევა-ძიების საგნად<sup>1</sup>.

ქართული ხელოვნების კვლევის საქმე მოითხოვს ერთმანეთთან ორგანიზაციულად დაკავშირებულ მცოდნეთა შრომას, რომელთაც გარკვეული მიზნები აქვთ დასახული. ასეთის განწესრიგებით მუშაობის მოწყობა რამდენიმედ მაინც მოგვარდა 1921 წლიდან. ამ დრომდე კვლევა-ძიება სწარმოებდა ad hoc მონვევით, ე. ი. თანამშრომლების თითოეულ შემთხვევისათვის მოპატიჟებით. მართალია, მეცნიერული ძიების საქმე ახლაც არ არის დაყენებული როგორც ამას მოითხოვს საგნის სირთულე, მაგრამ მე უკვე მაქვს თანხმობა, რომ ეს საქმე ფართო მასშტაბით იქნება მოწყობილი, როდესაც ასეთნაირად გამართული მეცნიერული აპპარატი ამუშავდება, მიზანიც მით უფრო ადრე იქნება მიღწეული.

ქართული ხელოვნების ძეგლების აღწერილობათა დამუშავებამ, რომელიც შესრულებულ იქმნა ხელოვნების მეცნიერული ისტორიის თვალსაზრისით, მთელი მასალა დაანაწილა შემდეგ განყოფილებებად: ხუროთმოძღვრება, მხატვრობა, ქანდაკება და ესრედ ნოდებული პრაქტიკული ხელოვნებანი. ეს განყოფილებანი თავის მხრით დანაწილდნენ რამდენიმე ქვე-განყოფილებად. ამასთანავე ნათლად გამოირკვა, როგორც მთავარ განყოფილებათა ურთიერთობა, ისე განყოფილებათა ნაწილებისაც. აქედან სრულიად ბუ-

1. ეს წერილი, რამოდენიმედ შემოკლებულად, ამოღებულია იმ მოხსენებიდან, რომელიც ავტორმა ამა წლის მარტის 8-ს საქ. საისტ. და საეთნ. საზ. სხდომაზე წაიკითხა.



ნებრივად წარმოიშვა ამოცანათა გრადაცია, მათი ერთმანეთთან დამოკიდებულება, თუ რამდენად შესაძლებელი იყო ერთის შესწავლა უკვე შესწავლილი მასალების შემწეობით. ამ შემთხვევაშიაც გამოირკვა, რომ ყველა პლასტიური ხელოვნება მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული, — და ამასთან დამტკიცდა სავსებით ძველი სენტენციის სიმართლაც: *architectura est mater artium* (არქიტექტურა ყველა ხელოვნების დედაა). ამისდა მიხედვით, სწორი მეთოდოლოგიური მისვლა საგანთან მოითხოვდა, რომ პირველ ამოცანად გამხდარიყო ქართული არქიტექტურის შესწავლა. ჩვენც აქეთკენ დავიჭირეთ გეზი და ამ ჟამდაც სწორედ ამ ამოცანაზე ვმუშაობთ. მართალია, ის კვლევა-ძიება, რომელიც მოხდენილია ამ მიმართულებით, უკვე საკმარისად მტკიცე საფუძველს იძლევა წინასწარ, მოსამზადებელ გამოკვლევის მოსახდენად ხელოვნების სხვა დარგებშიაც, — და ეს რეალურადაც კეთდება უკვე, მაგრამ ძიების ძირითად საგნად მაინც ისევ არქიტექტურა რჩება, რადგანაც იგი გვაძლევს განვითარების ყველაზე უფრო სრულ სურათსა და დაუშრეტელ ახალ მასალებს. ამიტომ ამ წერილში უპირველესად და უფრო ფართოდ სწორედ ქართული არქიტექტურის შესწავლის ამოცანებს შევხებით. მხოლოდ ამ ამოცანათა გარკვევის შემდეგ შეიძლება შევეხოთ ქართული პლასტიური ხელოვნების სხვა დარგთა ზოგიერთ ამოცანებსაც.

## 2

როგორც სხვა ქვეყნების, ისე ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლები, რამდენიმე ჯგუფად განიყოფებიან. ასეთნაირი დანაწილება იმაზეა დამყარებული, თუ რა მიზნისათვის აშენებდნენ ხოლმე მონუმენტალურ შენობებს. ამ რიგად განირჩევიან საეკლესიო ხუროთმოძღვრების ძეგლები — სამოქალაქო, საერო ხასიათის ძეგლებისაგან. ამ უკანასკნელთა შორის სასახლეები და საზოგადოებრივი შენობები განსხვავდებიან ციხეებისაგან, ხიდებისაგან და სხ. უკვე ეს დასახელებაც საკმარისია იმისათვის, რომ ცხადი შეიქმნეს კვლევის ამოცანების სხვადასხვაობა თითოეულ შემთხვევაში. აქ უკვე *a priori* იგულისხმება, რომ სხვადასხვა ამოცანასთან გვაქვს საქმე. ეს დამტკიცდა მაგალითად, როცა ერთ პუნქტში მასალების შეხამება ისეთი აღმოჩნდა, რომ ჩვენ შევძელით გაგვეთვალისწინებია საერო ხუროთმოძღვრების ამოცანებიც, მაგალითად კახეთის ხუროთმოძღვრების ნაშთების შესწავლის დროს<sup>1</sup> ანალოგიურად, მაგრამ უფრო ნაკლებ მიღწევით, შევძელით გაგვეშუქებია საქართველოს ციხეების ხუროთმოძღვრების საკითხები, როცა შევისწავლეთ გარეჯის მონასტრებისა<sup>2</sup>, და იმავე კახეთის ხუროთმოძღვრების ნაშთები. საქართველოს ციხეების არქიტექტურა ჯერ კიდევ გამოუცნობელი ამოცანაა; იგი ქართული ხუროთმოძღვრების ისეთი პრობლემაა, რომლის გარკვეული ფორმულაც ჯერ არც კი არსებობს.

კვლევა-ძიების სწორი ხაზი მხოლოდ საეკლესიო ხუროთმოძღვრებაში იყო აღებული. აქ ჩვენ გვაქვს საშუალება, გარდა თითონ ძეგლების ანალიზისა, ვისარგებლოთ ზოგიერთ შემთხვევაში მაინც იმ დამატებითი ცნობებით, რომელსაც გვანვდის მათიანენი, ისტორიული მასალები, თვით ძეგლები და წარწერები. შეიძლება ითქვას, რომ საქართველო ერთად ერთი ქვეყანაა, სადაც ასე მრავლად არის დაცული საეკლესიო ხუროთმოძღვრების ძეგლები და ეს გარემოება აადვილებდა მისი თანდათანობითი ზრდისა და განვითარების შესწავლას ჩვენში, ოღონდ საჭირო იყო მეთოდოლოგიური მისვლა საგანთან.

1. იხ. ჩემი წერილი „საქართველოს საერო ხუროთმოძღვრების რამოდენიმე ნიმუში“, ტფ. უნივ. მოამბე, III, ტფ. 1923.

2. აქედან გამოტანილი ნიმუშების (ასლები, ნახატები და სხ.) გამოფენა მოწყობილი იყო 1921 წ. ნოემბერში „ხელოვნათა სასახლეში“. აქ გაიმართა საჯარო მოხსენებაც ექსპედიციის შესახებ.



საეკლესიო ხუროთმოძღვრების წინასწარმა განხილვამ საქართველოში (აქ იმავე ამოცანასთან გვქონდა საქმე: შენობათა დამატებითი ტიპების გამოცალკევება, პირველყოვლისა ძირითადი ტიპების განხილვა) ყველა ძეგლები დაგვანაწილებია ორ ერთმანეთისაგან მკაფიოდ განსხვავებულ ჯგუფად, რომელთაც განსაზღვრავს ქრონოლოგიური ჩარჩოები. ერთი ჯგუფის ძეგლები, რომლებსაც თარიღად მე-VII საუკ. აქვთ, თითქოს წარმოადგენენ ქართულ ხუროთმოძღვრების თავდაპირველ ნიმუშებს, მისი პირვანდელი ისტორიის დასაწყისს; ხოლო მეორე ჯგუფი, რომლის ტიპიური ძეგლები თარიღდებიან მე-X—XII საუკ., წარმოადგენენ სრულიად გარკვეულ არქიტექტურულ ფორმებს, მრავალფეროვანი დეკორატიული მოტივებით. ცხადია, პირველყოვლისა გამოსარკვევი იყო პირვანდელი ძეგლები, როგორც განვითარების გამოსავალი პუნქტები. ასე დაიბადა საჭიროება ბაზილიკური, არაგუმბათიანი ძეგლების შესწავლისა ერთის მხრით, ხოლო მეორე მხრით ცენტრალ-გუმბათიანი ჯვარის გეგმაზე აგებული შენობებისა. მე არ შევეხები აქ დაწვრილებით ამ ამოცანათა დანაწილებას, ან იმ პერიპეტიებს, რომლებიც განიცადა კვლევა-ძიებამ მრავალ წელთა განმავლობაში, ვინაიდან ამ კვლევა-ძიების საძირკველი უკვე ჩაყრილი იყო 20-მდის, თუმცა ამ დრომდე ეს არ იყო წერილობით გამოთქმული<sup>1</sup>. მაგრამ რაც შეეხება ამ ძიებათა რეზულტატს, და აგრეთვე იმას, თუ რა ქრონოლოგიურ ჩარჩოებში მოექცა მთელი ეს განყოფილება, ამის აღნიშვნა კი აქ აუცილებელია.

### 3

როგორც დასმა ამ კითხვებისა, ისე თვით საგანის დანაწილება გამოწვეულია საერთო ისტორიის ფაქტებით. ცნობილია, რომ ძველი ქრისტიანული ხელოვნების ტაძარს ძირითად ტიპად აღებული ჰქონდა სამ-ნავიანი ბაზილიკა. ამ არქიტექტურულმა ფორმამ მე-IV საუკუნეიდან დაწყებული განსაზღვრული ევოლუცია გამოიარა, და ცნობილი ძეგლების მიხედვით ქრონოლოგიურად მე-VII დასაწყისს არ გასცილებია. ბაზილიკური ფორმების ქართულ შენობებს ბუნებრივად უნდა გამოეწვია დიდი ინტერესი. თუმცა სპეციალურ ლიტერატურაში ცნობილი იყო მხოლოდ ერთი ქართული ბაზილიკა, ურბნისისა, ხოლო სხვებს კი მარტოოდენ სახელებით თუ იცნობდნენ, მაგრამ მიუხედავად ამისა რეალური გამოკვლევა ურბნისის ბაზილიკით არ დაწყებულა, არამედ რკონით, ვერეთი, ბოლნისით და სხ. ეს ძეგლები, მართლაც, შეეფერებოდნენ იმ ქრონოლოგიურ ჩარჩოებს, რომლებსაც ხუროთმოძღვრების ზოგადი ისტორია განსაზღვრავდა. მაგრამ შესწავლილი იქმნენ სხვებიც, რომლებიც ამ ჩარჩოებს სცილდებოდნენ და მე-VIII, IX და მე-X საუკუნეებშიც გადადიოდნენ, ხოლო კახეთში მე-XI საუკუნეშიც კი. ამნაირად არქიტექტურული ფორმის ხანგრძლივობა საქართველოში სრულიად ახალი სახით წარმოგვიდგა: მან 500 წელზე მეტიც კი გაატანა, ვიდრე სხვაგან. ამასთანავე გამოირკვა ისიც, რომ ეს ფორმა ამ ხნის განმავლობაში ცვლილებებს განიცდიდა. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ბიზანტიური ხუროთმოძღვრების ახალი გამოკვლევა Gabriel Millet-ს მიერ წარმოებული, რომლის ნიგნმა მხოლოდ ამ დღეებში მოაღწია ტფილისამდე, ადასტურებს ზემოდ თქმულს და აღნიშნავს ბაზილიკური ტაძრების მთელ ჯგუფს, რომლებიც საშუალო საუკუნეებს ეკუთვნის<sup>2</sup>. ამნაირად სრულიად დამოუკიდებლად სხვადასხვა მასალის მიხედვით წარმოებულმა დეტალურმა გამოკვლევამ ერთი და იგივე დასკვნა მოგვცა ქრონოლოგიის მხრით.

1. ზოგი შემთხვევა მოხსენდა საქ. საისტ. და საეთნ. საზოგადოების საჯარო სხდომას 1916, 1918 და სხ. წლ. მაგ: „საქართველოს ბაზილიკების შესახებ“, „წრომის ტაძარი“, „ზედაზენის ბაზილიკა, როგორც კახეთის ხუროთმოძღვრების ძეგლი“ და სხ...

2. L'école grecque dans l'architecture byzantine. Paris, 1916.

რაც შეეხება ამ არქიტექტურული ფორმის განვითარების უძველეს საფეხურს, Millet მას არ შეეხება. იგი მუშაობდა მხოლოდ X—XV ს. ს. ძეგლებზე. საქართველო კი ამ მხრით დიდად საინტერესო მასალებს იძლევა.

ამ მიმართულებით მუშაობა დაიწყო ბოლნისის სიონით. იგი კოლოსალური შენობა აღმოჩნდა, რომელიც საფუძვლიანად შეუკეთებიათ მე-XVII ს. ნახევარში. მისი ზოგი ნაწილები მინის ზევით არის დაცული, ზოგიც მიწაშია მოყოლილი. იგი მრავალი კაპიტულით ყოფილა დამშვენებული. აქვს რამდენიმე წარწერა. სრულიად შემცდარი აღმოჩნდა დიუბუასა და ბროსეს აზრი, რომლებიც ამ ტაძრის აშენებას აკუთვნებდნენ მე-XI ს. ნამდვილად იგი წარმოადგენს მე-VI საუკ. პირველი წლების ძეგლს. მიუხედავად იმისა, რომ მისი შესწავლა ადგილობრივად ორჯელ იყო მოწყობილი და ხანგრძლივადაც სწარმოებდა, მაინც დამთავრებულად ჯერ კიდევ ვერ ჩაითვლება. ამ ძეგლს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქართული ხელოვნების ისტორიაში; იგი იძლევა ძვირფას მასალას შესახებ ქრონოლოგიისა, არქიტექტურული ფორმების განვითარებისა, და კულტურული ურთიერთობისა. აუცილებლად საჭიროა, რომ მის გალავანში მოქცეული ადგილი გაითხაროს მეცნიერულად შემუშავებული გეგმის მიხედვით, და ამნაირად აღმოჩენილი იქმნეს ტაძრის დაფარული ნაწილები. საქმე ისაა, რომ ამ ძეგლის ჩამონგრეული ნაწილები, როგორც მაგ. მისი უძვირფასესი სკულპტურული ფრაგმენტები, მინის ქვეშ არიან მოყოლილი. ასეთი გათხრა საშუალებას მისცემს მეცნიერებას სწორედ გაზომოს ეს ძეგლი და აღადგინოს მისი პირვანდელი სახე. როგორც ზემოდ აღვნიშნე, ეს შეადგენს ბაზილიკური ტაძრების შესწავლის მორიგ ამოცანას.

კვლევა-ძიებამ აღმოაჩინა, რომ ჩვენ მოგვეპოვება მთელი რიგი ძეგლებისა, რომლებიც ბოლნისის სიონის ტიპის ჯგუფს ეკუთვნიან. ასეთები არიან: ურბნისის ბაზილიკა და ანჩისხატის ეკლესია ტფილისში. ამათი გეგმა და ზომა წარმოდგენილი იყო ძველი ქართული ხუროთმოძღვრების გამოფენაზე. ამავე ჯგუფში შედიან: ხაშმის სამება (კანარეთი), ურიათუბნის საყდარი და სხვ. ყველა ეს ძეგლები ეკუთვნიან მე-V ს. დასასრულსა და მე-VI ს. დასაწყისს. დიდის სიფრთხილით, დიდის მოკრძალებით, საკითხისა და მასალის არა ერთხელ და ორჯელ გადასინჯვის შემდეგ, გამოტანილი იქმნა ასეთი დასკვნა.

მაგრამ სულ ახლო ხანში, როდესაც — ცუდად თუ კარგად შესწავლილი ნიმუშების მიხედვით — გამოირკვა მთლიანი სურათი საქართველოს ბაზილიკური ხუროთმოძღვრების ძეგლების ფორმათა ევოლუციისა<sup>1</sup>, აღმოჩნდა, რომ საქართველოში დაცულია ბაზილიკის უფრო ძველი ნიმუშები. ასეთია სხვათა შორის ძველი შუამთის ბაზილიკა, რომელიც ეკუთვნის მე-V ს., და ნეკრესის მცირე ბაზილიკა<sup>2</sup> — მე-IV საუკ. უკანასკნელი მეოთხედისა<sup>3</sup>.

ასეთმა კვლევა-ძიებამ მოგვცა საშუალება, ახალი მიდგომით გადაგვეჭრა ქართული ბაზილიკის წარმოშობის საკითხი. ექვმიუტანელი შეიქმნა სირთულე ამ პრობლემისა; აქ ჩვენ გვაქვს მრავალ მიმართულებათა შეხვედრა. გამოირკვა, რომ თითოეულ საუკუნეს თავისებური მისვლა ჰქონია აღნიშნულ ფორმასთან და მათი წარმოშობა სხვა და სხვა ნაირი იყო. ამასთანავე სირიის, მესოპოტამიის, სომხეთის, მცირე აზიის ან ბიზანტიის ბაზილიკებთან შედარების დროს ისიც დამტკიცდა, რომ ქართული ბაზილიკა სრულიად დამოუკიდებელი ყოფილა. ამნაირად თანდათან ხდებოდა საკითხების დეფერენციაცია და სპეციალიზაცია, რაც ზოგადი მნიშვნელობის ამოცანების დასმას უწყობდა ხელს; ამავე

1. საქართველოს სამხატვრო აკადემიის ლექციები, 1923-1924 წ.

2. მათი სწორი გეგმა და ფოტოგრაფიები წარმოდგენილი იყო ხსენებულ გამოფენაზე.

3. უკანასკნელი დროის ბაზილიკებიდან წარმოდგენილი იყვნენ გამოფენაზე: ზედაზენისა მე-VIII ს. მესამე მეოთხედისა (ნახაზებით) და აკურას მამა-დავითისა მე-IX ს. ნახევრისა (ნახატი).

დროს ქართული ხუროთმოძღვრების განვითარების საკითხები შეუმჩნეველად, მაგრამ მჭიდროდ უკავშირდებოდნენ ხელოვნების ზოგად ისტორიის კითხვებს; ამ უკანასკნელთათვის ჩვენი ხუროთმოძღვრების ისტორია იძლევა ბაზილიკის ტიპის ძეგლების მასალას დაწყებული მე-IV ს. ვიდრე მე-XI საუკუნემდე.

ბაზილიკური შენობების შესწავლამ აღმოაჩინა კიდევ მთელი რიგი თავისებური ხასიათის ძეგლებისა, რომლებშიც ბაზილიკური ფორმები გარედ არის დაცული, ხოლო შიგნით კი შენობა გაყოფილია სამ ერთნაირი სიდიდის ოთახად, რომლებიც კარებით არიან ერთმანეთთან შეერთებული. ერთი ამნაირი ძეგლის შესახებ 1916 წ. დავბექდუ წინასწარი ცნობა, რადგანაც იგი დიდ ინტერესს წარმოადგენდა. ეს იყო ბოლნის-ქაფანახჩის საყდარი<sup>1</sup>. ახლა კი ჩვენ მიერ აღნუსხულია ორმოცზე მეტი ასეთი ძეგლი, თუმცა იმდენივეა თითქმის ბაზილიკური ფორმის ძეგლებიც. ერთიც და მეორეც ნახევარზე მეტი შეუსწავლელია. ამნაირად ამ ჯგუფის შესწავლის ამოცანები ნათელია. ზოგადი კითხვების მხრივ ფრიად დამახასიათებელია, რომ ამ ტიპის ბაზილიკები სხვაგან არსად არ გვხვდება. საქართველოში კი მათ განვლეს თავისებური ევოლუციის გზა, ხოლო კერძოდ კახეთში კი მე-VII და მე-VIII ს. წარმოშვეს დამახასიათებელი მხატვრული კომპოზიცია. გამოფენაზე ამ ჯგუფის შენობები წარმოდგენილი იყო საგურამოს (ქასურის) წმ. გიორგის საყდრის სახით, ნეკრესის და შილდის საყდართა სახით (ნახატებით). ამ ფორმის ხანგრძლივობა თარიღდება მე-XI საუკუნემდე. მოკლედ, ბაზილიკური არქიტექტურის ეს ორივე ტოტი გადადის ქართული ხუროთმოძღვრების მეორე ეპოქაში, რომელიც ქრონოლოგიურად მოსდევს პირველს.

#### 4

როგორც აღვნიშნეთ, ბაზილიკების საკითხთან ერთად დაისვა ჯვარის გეგმაზე აგებული ცენტრალ-გუმბათიანი შენობების საკითხიც. ეს საკითხი იმ პრობლემებმა და სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში აღძრულმა საკამათო დებულებებმა გამოიწვიეს, რომლის მოკლედ გამოთქმა ასე შეიძლება: „ბიზანტია თუ აღმოსავლეთი?“ საქმე ის არის, რომ მე-XX ს. დასაწყისიდანვე დაიწყო ბიზანტიური ხელოვნების დასაბუთებული დაპირისპირება იმ შემოქმედებით განძთან, რომელიც შეიტანა ევროპულ ხელოვნებაში აზიისა და აფრიკის ქრისტიანულმა კულტურამ. მიექცა უდიდესი ყურადღება ამ უკანასკნელის მნიშვნელობას, როგორც ბიზანტიური ხელოვნების განვითარების ფაქტორს და აგრეთვე თვით მისი გაფორმების განმსაზღვრელს მოვლენას. ამნაირად ის დებულება, რომელიც პირდაპირ არ იყო გამოთქმული, მაგრამ უკამათოდ ყველას მიერ იყო აღიარებული, — თითქოს ბიზანტია ყოფილიყო შემქნელი მთელი აღმოსავლეთის ქრისტიანულ ხელოვნებისა და გამომწვევი მისი თითოეული ეროვნული ფორმისა, — ეს დებულება არა თუ საექვო გახდა, არამედ მრავალ შემთხვევაში პირიქით მოსაბრუნებელიც, — სახელდობრ გამოირკვა ის, რომ ბიზანტიური ხელოვნება არის აღმოსავლეთის შემოქმედების გავლენის შედეგი. ზედმეტია იმის აღნიშვნა, რომ ყველა ამ წინააღმდეგობის ასახსნელად მთავარი ყურადღება უნდა მიქცეოდა აღმოსავლეთის, და განსაკუთრებით ქრისტიანული აღმოსავლეთის ხელოვნების ცალკე ნაწილების შესწავლას. რამდენად უფრო ღრმად დებოდა და ფართოვდებოდა ეს შესწავლა, მით უფრო ცხადი ხდებოდა, თუ რამდენად სწორი იყო ახალი თეორეტიული დებულება. ამ საკითხის გადაჭრის დროს არა უკანასკნელი ადგილი ეთმობა ჩვენი ქვეყნის წარსულს, სადაც ქრისტიანობამ პირველ ხანებშივე მოიდგა ფეხი და მოაღწია დღევანდელ დღემდე, და სადაც მხატვრული ტრადიციები სრუ-

1. იხ. XB, ტ. V, გვ. 217, შმდ. ორი ნახაზით.

ლიად დამოუკიდებელ ფორმებში ჩამოყალიბდნენ, და ქართველი ხალხიც მისი ისტორიის მთელ სიგრძეზე კულტურის მონინავე დარაჯად იდგა წინა აზიაში. ასეთი გადატეხა უკვე ხდება თანამედროვე სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში. ზემოდ მოხსენებულ Gabriel Millet-ის გამოკვლევაში დიდი ყურადღება არის მიქცეული იმ მასალაზე, რომლის გამოყენებაც კი შესძლო ავტორმა ქართული ძეგლების გამოცემათა და ერმაკოვის ფოტოგრაფიების წყალობით. არ უნდა იყოს საჭირო აქ იმისი აღნიშვნა, რომ დასახელებულ შრომაში არ არის განცალკევებული ქართული და სომხური ხელოვნება, თუმცა ავტორი სცდილობს მასალების ცალ-ცალკე დალაგებას. რაც შეეხება სტრიგოვსკის გამოკვლევებს, მე მქონდა შემთხვევა, საჯაროდ გამეცხადებია, რომ იგი ქართულსა და სომხურ ხელოვნებათ ერთმანეთში ურევს და ერთად ათავსებს<sup>1</sup>. მაგრამ სამაგიეროდ სტრიგოვსკის სამართლიანად ეკუთვნის პირველობა ქართულ და სომხურ ხელოვნების მნიშვნელობის აღნიშვნის საქმეში. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში თავიდან არ არის აცილებული მასალების არა სწორედ განმარტების საფრთხე.

ჯვარის გეგმის ცენტრალ-გუმბათიანი ტაძრების შესწავლა თავის თავად შეიცავს მრავალნაირ კითხვებს, როგორც საერთო-თეორიულს, ისე ამ ტიპის სისტემატიზაციის შესახებ. მე აქაც არ შევეხები მეცნიერული ძიების რეალურ სვლას, არამედ შევეცდები დებულებათა საერთო ჯამის გადმოცემას. სულ ადრე, სახელდობრ მე-VII საუკ. პირველ ნახევარში, კომპოზიციის ორი ტიპი ჩამოყალიბდა. პირველი კომპოზიცია, რომელიც, როგორც სჩანს, წარმოიშვა ჯერ კიდევ არაგუმბათოვან ფორმებისაგან, სრულიად გარკვეულად და მჭიდროდ შემოხაზავს თავისი კედლებით მთელი შენობის კონტურს და მის ერთიანს მთლიანს შინაგან სივრცეს თავისი ყელიანი გუმბათით ცენტრის გადაჯვარებაზე. მეორე კომპოზიცია გარე კედლებისაგან დამოუკიდებლად ხდის ამ სივრცეს ცენტრალ-გუმბათითურთ და ამგვრებს გუმბათის ყელს ოთხს თავისუფლად ამართულ სვეტზე. მაგრამ ეს სიტყვიერი განმარტება ლიტონი ფორმულაა მხოლოდ, მნიშვნელობა აქვს ამ ქარგაზე მიცემულ კონკრეტულ სახეებს, იმ რეალურ ფორმებს, რომლებიც შექმნეს ხუროთმოძღვრებმა.

პირველი ჯგუფი, რომელიც თითქო უბრალო გვეჩვენება, გვაძლევს მთელი რიგი პრობლემების გადაწყვეტას, რომელთა შორის მრავალი მეტად საინტერესოა და დამახასიათებელი. მე არ ვიზიარებ იმათ აზრს, რომლებიც სცდილობენ ერთ ხაზზე მოათავსონ ყველა ფორმა და მონადინებული არიან მაინც და მაინც ერთიმეორეზე მიყოლებით ერთმანეთთან გადააბან ყველა ფორმები. მე დარწმუნებული ვარ პირიქით, რომ სხვადასხვა ფორმები პარალელურად წარმოიშვებოდნენ, და მხოლოდ ზოგი მათგანი გულისხმობს უფრო მარტივი ფორმების წინასწარ არსებობას, საიდანაც ისინი განვითარდნენ. მარტივი ფორმების სახით ჩვენ გვაქვს ტეტრაკონქის ტიპი, რომელშიაც ცენტრალ ოთხკუთხედს ყოველ მხრიდან ეკვრის ნახევარ-წრიანი აფსიდა. პარალელურად ვითარდებიან ისეთი ტაძრები, რომელთა გეგმის ჯვარის ფრთები სწორკუთხედით მთავრდებიან. ჩვენ შემთხვევა, გვქონდა ამ ფორმის რამდენიმე ძველი შეგვესწავლა. მათ შორის უძველესი და ზოგადმეცნიერული პერსპექტივისათვის საინტერესოა გავაზი, კისისხევი და სხვანი კახეთში<sup>2</sup>. სწორკუთხედ ფრთებიანი ჯვარის ტიპის მშენიერი ნიმუშს გვაძლევს სამწევრისი<sup>3</sup>, რომელიც ჰსახავს VI-VII საუკუნეთა გადატეხას. ეს უკანასკნელი ტიპი საშუალებას გვაძლევს, გავითვალის-

1. პროფ. სტრიგოვსკის წიგნი: „Die Baukunst der Armenier und Europa“, 2 Bande, Wien 1918, და ჩემი გარჩევა ამ წიგნისა ბერლინის ჟურნ. Monatshefte für Kunstwissenschaft 1922 წ., №7—9 შემდეგი სათაურით: „die Chistliche Kunst im Kaukasus und ihr Verhältnis zur allgemeinen Kunstgeschichte“.

2. ტეტრაკონქის ნიმუშია კიდევ მე-XI ს. გადაკეთებული და მე-XIX ს. რემონტით გაფუჭებული მანგლისის ძველი ტაძარი. იხ. ჩემი „შენიშვნები მანგლისის ტაძრის შესახებ“ (საქ. მუზეუმის მოამბე, №1, ტფ., 1920—22).

3. ამის შესახებ მე მქონდა მოხსენება მოსკოვის საარქ. საზ-ის კავკ. განყოფილებაში.



წინოთ მისი მერმინდელი განვითარება და აგრეთვე ღრმად ჩაწვდეთ მე-VI ს. მეორე ნახევარს, რომელსაც ეკუთვნის შიომღვიმის იოანე ნათლისმცემელის საყდარი. ამ საყდრის შესწავლა პირველ რიგშია მოქცეული. აღნიშნულ ჯგუფს ეკუთვნის აგრეთვე რამდენიმე ძეგლი კახეთში, რომლებიც წარმოადგენენ საინტერესო ვარიანტს და მდიდრები არიან ქრონოლოგიური ხასიათის წარწერებით. სამწვერისში განსაკუთრებული სიცხადით მოცემულია (ესევე შეიძლება ითქვას სხვა მრავალ საყდრის შესახებაც) დამახასიათებელი გადასვლა კვადრატის საფუძველიდან წრემოვლელ გუმბათზე, სახელდობრ, ტრომპების სისტემა კუთხეებში; გარდა ტრომპების ძირითადი რიგისა ჩვენ გვხვდება დამატებითი ტრომპები, ერთ ან ორ წყებად ერთი-მეორის ზევით. ასეთი მეთოდი გადასვლისა, რომელიც შესწავლილი მასალების მიხედვით უნდა ჩაითვალოს ტიპიურ მოვლენად საქართველოს უძველეს გუმბათოვან შენობათათვის, წარმოადგენს დიდად მნიშვნელოვან მომენტს პრობლემისას: „აღმოსავლეთი თუ ბიზანტია“. სულ უკანასკნელ დრომდე (10—12 წ.) ცნობილი იყო მხოლოდ ამ აღნაგობის ძველ ტაძრების ერთი-ორი ნიმუში. სტრიგოვსკის დაუცხრომელი ძიების წყალობით აღმოჩენილი იქმნა აქ ახალი პერსპექტივები. ჩვეულებრივად მან ამ შემთხვევაშიც მძაფრად დააყენა დასახელებული დილემმა. უკანასკნელმა გამოკვლევებმა — უპირველესად თითონ სტრიგოვსკისა — სომხეთის ხუროთმოძღვრების შესახებ აღმოაჩინეს ახალი მასალები და ახლა თითონ საკითხიც ამ სისტემის აღმოსავლური წარმოშობის შესახებ საკმაოდ გამორკვეულად უნდა ჩაითვალოს. მაგრამ გამოურკვეველი რჩება, უფრო სწორედ რომ ვთქვათ, სავსებით გაუნესრიგებელია მასალები იმ რაიონების მიხედვით, სადაც ეს ძეგლები მოიპოვებიან, და რაც უმთავრესია, — საკითხიც კი არ არის დასმული იმის შესახებ, თუ სად და როგორ ხმარობდნენ ამ სისტემას, რანაირი ურთიერთობა იყო დამყარებული და სხ. ამას კი დიდი მნიშვნელობა აქვს: კახეთსა და ქართლში ამ სისტემის სხვადასხვა ტიპი არსებობს, ხოლო აქაც შეიძლება გათვალისწინება მისი ევოლუციისა, მე მგონია, თვითონ გენეზისისაც. ამას რომ მიუმატოთ აღმოსავლეთის სხვა მხარეების მასალებიც, მივიღებთ მეტად რთულსა და ბევრის მაჩვენებელს სურათს: აღმოჩნდება, რომ არსებობს მთელი რიგი ტიპებისა, მათი სახესხვაობანი, და სხვადასხვანაირი დაჯგუფება. ასეთ შემთხვევაში დასავლეთ ევროპის მაგალითები თავიანთ ადგილს ჰპოვებენ ამ სისტემაში; რა თქმა უნდა, საშუალსაუკუნეთა და მერმინდელ ისლამის ტიპის ტრომპები განცალკევებულ ჯგუფს შეადგენენ. ამ რიგად აღნიშნულ სპეციალურ თეორიულ საკითხის გადაჭრის დროს ჩვენს მასალებს მოუხდებათ არა მცირე სამსახურის განევა — საზღვრებისა და ხასიათის გამორკვევაში. აგრეთვე გენეზისის საკითხში მათ მოელის უთუოდ თვალსაჩინო როლის შესრულება. ისინი უთუოდ თავის სიტყვას იტყვიან იმ დილემის განხილვის დროს, რომელსაც ეწოდება „აღმოსავლეთი თუ ბიზანტია“.

თუ განხილულ გეგმათა მარტივი ფორმების მიხედვით ამ დილემის გადაწყვეტა დამოკიდებულია მასალების დამუშავებისა და აქ-იქ შენახულ უძველეს ნიმუშებისაგან, რთული ფორმების შესახებ ჩვენ ისეთი მთლიანი კომპოზიცია მოგვეპოვება, რომელიც გარდა საქართველოსა და სომხეთისა, სხვაგან არსად არის ცნობილი: ეს არის **მცხეთის ჯვარის ტიპის ტაძრები**. ამ მხრით ამ ტიპის შენობები დიდი ხანია ჩვენი მეცნიერული ძიების მთავარი საგანი გამხდარან. ვიდრე მეცნიერული კვლევისათვის შესაფერი კომპანია მომზადდებოდა (ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზების წყალობით) მოხდა თითონ მცხეთის ჯვარის ეკლესიის გაზომვა. მე ვამბობ, ეს მოხდა ვიდრე შესაფერი კომპანია მომზადდებოდა, ვინაიდან ეს ძეგლი ახლა სრულიად სხვანაირ მიდგომას მოითხოვს. ეს ეკლესია სრულიად განსაკუთრებული, უაღრესად თავისებური არქიტექტურული ძეგლია, სადაც თითოეული წვრილმანი სრულის აუცილებლობით არის მთლიანთან შეხამებული. ბედნიერებად უნდა ჩაითვალოს, რომ ასეთი ძეგლის სწორი თარიღი მოგვეპოვება. როგორც ყოველთვის ხდება

ხოლმე, ამ შემთხვევაშიც ეს ძეგლი მარტოოდენ ხუროთმოძღვრებისა და ქანდაკების მიღწევის ნიმუშად არ გვევლინება. მისი წარწერები უდიდესი მნიშვნელობის მასალებს იძლევიან იმდროინდელი ენისა და წერის შესწავლისათვის. მე ბედნიერი ვარ, რომ დღეს დადებითად გადაწყვეტილია ამ მონუმენტის დაცვის საკითხი და ამ გაზაფხულზე შეგვეძლება მის დეტალურ შესწავლასთან ერთად მივიღოთ ზომები მის გასამაგრებლადაც. როგორც ვსთქვით, ეს ძეგლი მამათმთავარია ამ ტიპის შენობათა. ამისდა მიხედვით ჩვენს ამოცანას ისიც შეადგენდა, რომ შეგვესწავლა ამ ტიპის სხვა წარმომადგენლებიც. ეს მით უფრო საჭირო იყო, რომ მათ თარიღებში დიდი ბუნდოვანობა არსებობდა. მართლაც, ატენის და მარტვილის ტაძრებმა მასალა მოგვცა ამ ბუნდოვანობის გასაფანტავად<sup>1</sup>.

როგორც აღვნიშნე, ამ ტიპის შენობები სომხეთშიც მოიპოვება. მაგრამ, სამწუხაროდ, იქ ისევე ნაკლებად არიან ისინი შესწავლილნი, როგორც უკანასკნელ დრომდე იყვნენ ჩვენშიც. ეს გარემოება მით უფრო სამწუხაროა, რომ ამ ტიპის ტაძრებთან არის დაკავშირებული ქართული და სომხური ხუროთმოძღვრების ურთიერთობის საკითხი, ან როგორც ლიტერატურაში ამბობენ, ქართულ-სომხური სტილის შექმნის საკითხი. ჩვეულებრივად ამ საკითხს სომხეთის სასარგებლოდ სჭირან. მაგრამ კონკრეტული მასალა ასეთი მტკიცებისათვის ჯერ არ არის დამუშავებული და ჯერ კიდევ მკვლევარს მოელის. ეს საგანი, სხვათაშორის, უმთავრესი მიზანთაგანია იმ ექსპედიციისა სომხეთში, რომელიც უნდა გაეცნოს ხუროთმოძღვრების ნიმუშებს ადგილობრივად. შეუძლებელია, გვერდი აუარო ჩვენ არქიტექტურულ მოვლენათა გაგებას, მით უფრო, როცა შესასწავლი ძეგლები ასე ახლოა ჩვენგან.

## 5

აქ აღძრული კითხვების შემდეგ ჩვენ მიუახლოვდით საერთო დიდი საკითხის ახალ ფაზას, სახელდობრ: თუ რა შეიტანა აღმოსავლეთის ქრისტიანულმა ხელოვნებამ ბიზანტიურსა და შემდეგ დასავლეთ-ევროპის ხელოვნებაში. ჩვენ უკვე ვხედავთ ჩვენს წინაშე წამოჭრილ კონკრეტ ამოცანას: გამოსარკვევია წინა-აღმოსავლეთის ცალკე ქვეყნების ხელოვნებათა ინდივიდუალური სახე და მათი ურთიერთი კავშირი. როგორ დამოკიდებულებაში იმყოფებოდა საქართველოს და სომხეთის ხელოვნებასთან — ხელოვნება სირიისა, პალესტინისა, მცირე აზიისა, მესოპოტამიისა, და აგრეთვე სასანიანთა სპარსეთისა? ყოველივე ეს გადაუჭრელ საკითხებს წარმოადგენს, დიდსა და რთულს საკითხებს, რომლებიც მორიგ ამოცანებად არიან ქცეულნი, და რომელთა სიჩუმით ჩატარება უკვე შეუძლებელია. ამიტომ იძულებული ვარ, თუნდ გაკვრით, შევეხო მათ. ამ ჟამად შეიძლება ითქვას, რომ სირიული გავლენა საქართველოს და სომხეთის არქიტექტურაზე საყოველთაოდ მიღებულ აქსიომას წარმოადგენს, თუმცა უნდა ისიც ითქვას, რომ არც ისე დიდი ხანია, რაც ეს კითხვა სრულიად უყურადღებოდ იყო დატოვილი. მართლაც, პირველის შეხედვით თითქო არის კიდევ მსგავსება მატერიალებისა; აქაც და იქაც ჩვენ გვხვდება გათლილი ქვით სარგებლობა, სუფთად გასიპული ზედა-პირით. და თუმცა ჩვენ არ უარვყოფთ ამ მსგავსებას, მაგრამ მაინც არ შეგვიძლია, არ აღვნიშნოთ, რომ საკითხის ძირეულ მხარეებს ეს არ ეხება. რომ შესაძლებელი გახდეს გამორკვევა ერთი ხელოვნების გავლენისა მეორეზე, უნდა გამოყოფილ იქმნეს სპეციფიური ხაზები სირიული ხელოვნებისა და სწორეთ ამ ხაზების გავლენის ნიშნები უნდა იყვეს აღნიშნულნი. ხოლო არც ერთი, არც მეორე შესრულებული არ არის. სირიულს ხუროთმოძღვრებას ცოტა რამ მოეპოვება ტიპიური აღმოსავლეთ-ქრის-

1. ამ გამოკვლევათა შესახებ მოხსენდა საქ. საისტ. და საეთნოგრ. საზ. საჯარო სხდომაზე, 1924 წ. მარტის 14.



ტიანული, იგი უფრო „ელლინისტურ“ ხასიათს ატარებს. სირიული ხელოვნება მდიდარია „ბაროკალური“ (თუ შეიძლება ითქვას) სახეებით, აქ თითქმის სრულებით არ გვხვდება გუმბათიანი არქიტექტურის ძეგლები. ხოლო სწორედ ამ უკანასკნელში არის მთელი ძალა ახალი არქიტექტურისა, სწორედ აქ იპოვა აღმოსავლეთის შემოქმედებითა სულმა ყველაზე უფრო მკვეთრი და დამახასიათებელი გამოხატულება. დარჩა დეკორატიული მოტივები, მაგრამ აქ შესაძლოა დავინახოთ მხოლოდ სუსტი, შორეული გამოძახილი, თუ კი საზოგადოდ შეიძლება რაიმე გავლენაზე საუბარი.

რაც შეეხება მცირე აზიის ადრინდელ ძეგლთა გავლენას, ამის შესახებ არავითარი გარკვეული მტკიცების წამოყენება არ შეიძლება. უეჭველია მხოლოდ ერთი რამ, რომ აქ არის შეხვედრა ცალკე დამატებით ელემენტებში. ხოლო რანაირ ურთიერთ დამოკიდებულებაში იმყოფებოდნენ ქართული და მცირე-აზიის ხელოვნება, ამის გადაჭრა ჯერ-ჯერობით ძნელია, რადგან მცირე აზიის მასალები აქამდე ნაკლებ არიან შესწავლილნი.

ურთიერთობის საკითხი მესოპოტამიის და აგრეთვე სპარსეთის ადრინდელ ქრისტიანულ ხელოვნებასთან — განსაკუთრებით ხაზგასმით წამოაყენა სტრიგოვსკიმ, რომელიც ცდილობს დაამტკიცოს, რომ ყუთისებრი თალი, რომელიც მიღებულია ახალ არქიტექტურაში შენობათა გადახურვისათვის — მომდინარეობს მესოპოტამიიდან, ხოლო გუმბათის სფერო ტრომპებზე კვადრატულ შენობათა ზემოთ — მომდინარეობს სასანიდურ სპარსეთიდან. შემდგომ ფაზას, გამოგონებას გუმბათის ყელისას, აგრეთვე მის ქვემო კვადრატულ სივრცის გაფართოებას და მათ ოთხ მხარეზე აფსიდების დამატებას სტრიგოვსკი მიაწერს სომხეთს.

მარტო ეს სქემატიური ჩამოთვლა მთავარი პრობლემებისა, ანუ უფრო სწორედ პრობლემათა რთული კომპლექსებისა, გვიჩვენებს, რომ ესხლა ჩვენთვის აღარ არის საკმაო ცალკე ძეგლების უბრალო სტატიური აღწერა, არამედ მიუცილებლად საჭირო ხდება მხედველობაში მიღებულ იქმნას სირთულე წამოჭრილი პრობლემებისა, რათა აღნიშნული იყვეს ყოველი წვრილმანი ხაზი, რომელსაც შეუძლია შუქი მოჰფინოს კითხვას. ჩვენი მასალები უნდა გადაიქცეს — ამას თხოულობენ ჩვენგან დასავლეთ ევროპის მეცნიერები — არა უბრალო დამატებად ხელოვნების საერთო ისტორიის სხვა განყოფილებათა, როგორც ეს აქამდე იყო, არამედ მათ სწორ-ღირსებულებიან მოვლენად.

## 6

მე-VII საუკუნის პირველ ნახევრის, 630 წლის ახლო ხანებს, ეკუთვნის შესანიშნავი შემოქმედებითი აქტი ჩვენს არქიტექტურაში: ჩნდება ახალი არქიტექტურული კომპოზიციური სისტემა 4 თავისუფლად ამართული გუმბათის სვეტებით. ასეთ ნაადრევ ეპოქისათვის მე ჯერ-ჯერობით ვერ აღმოვაჩინე მეორე წარმომადგენელი გარდა წრომის ეკლესიისა ქართლში<sup>1</sup>. ეს გრანდიოზული შენობა შესრულებულია საოცრის გაბედულებით, იძლევა კოლოსალურ ხალვათობას და სისუბუქეს შინაგანი სივრცის გაშლაში, და აღბეჭდილია იშვიათი კეთილშობილი სიმარტივითა და ფასადების მასსიურობით. ამ ძეგლში ბევრი დეტალების გამოცნობა შეუძლებელი ხდება შენობის დაზიანების გამო. ამ ტაძრის გამოკვლევა მოხდა რამდენიმე წლის წინად, და სწორედ ამ დროსვე იქმნა შენიშნული სამწევრისის პატარა ეკლესია.

ამ ახალ არქიტექტურულ თემას განსაკუთრებულის სიყვარულით ამუშავებდნენ, და საერთოდ მისი ვარიანტების სახით არის მოცემული ყველაზე უფრო საჩინო და ტიპიური ძეგლები ჩვენი საშუალო საუკუნეებისა. მაგრამ იგი არას შემთხვევაში არ არის ერთად-

1. მის შესახებ ჩვენ გვექონდა მოხსენება საქ. საისტ.-საეთნ. საზ. 1920 წლის იანვარში.

ერთი თემა, როგორც ამას ჩვეულებრივ ჰფიქრობენ. პირიქით, უნდა ითქვას, რომ მრავალ სხვა ძველ თემებსაც სიყვარულით ამუშავებენ ახალ ფორმებში მე-IX, X და XI, XII, და ზოგჯერ მე-XIII და შემდეგ საუკუნეებშიც. ეს ძველი თემები, ვამბობთ, ახალ ფორმებს ღებულობდნენ, და აქ არ იყო უბრალო განმეორება. ამ რიგად, უბრალო ტიპოლოგიური ნიშნეულობა, სრულებით არ იძლევა გარკვეულ ქრონოლოგიურ ჩვენებას, თუმცა ზოგჯერ ამასაც აქვს ადგილი.

## 7

ამრიგად ჩვენ მივედით ახალ მთავარ საგანთან: საშუალო-საუკუნეთა ქართული არქიტექტურის ხასიათისა და თავისებურობათა შესწავლის საქმესთან. ეს საგანი ჩვენ მიერ ჯერ-ჯერობით აღებულია ცალკე პუნქტების სახით, რომლის მიხედვით ისახება წინასწარი ხაზები საკითხის სწორად და მეთოდურად გადაჭრისათვის. ამ მხრივ მხოლოდ კახეთი არის ცოტად თუ ბევრად დაწვრილებით შესწავლილი. მაგრამ ამ პერიოდისათვის კახეთის არქიტექტურა არ არის აგრერიგად დამახასიათებელი; საქმე ის არის, რომ განსაკუთრებით და არსებითი მხარე ჩვენი საშუალო საუკუნეთა არქიტექტურისა არის ორნამენტალური დეკორუმი, აღნიშნული მოტივების განსაკუთრებული სიმდიდრით, რომელიც სწორედ კახეთში არ იყო მიღებული. ამის გამო ჩვენი მისვლა კითხვასთან უნდა გამომდინარეობდეს ძეგლებისაგან, რომლის ზედმინევენითი თარიღები გვაქვს. რასაკვირველია, ასეთი მუშაობა კარგა ხანია სწარმოებს<sup>1</sup>. და ამ მხრივ შესწავლისათვის უახლოეს რიგში სდგას ისეთი ძეგლები, როგორც არიან: მცხეთის სვეტიცხოველი, ქუთაისის ბაგრატის ტაძარი, გელათის მონასტერი და ტფილისის მეტეხის ეკლესია. ამ ძეგლების დეტალური შესწავლა ორნამენტაციის მხრივაც მოგვეცემენ პასუხს, და ამასთან შეიტანენ სინათლეს სხვა დეტალებშიც. კახეთის საშუალო საუკუნეთა ძეგლების შესწავლაც აგრეთვე დაბეჯითებით მოითხოვს შესწავლის გაგრძელებას.

აი, ამ გზით, ჩვენს წინაშე წამოიჭრა არა მარტო ძველი, არამედ საშუალო საუკუნოების ქართული არქიტექტურის შესწავლის ამოცანები. აქვე აღვნიშნავთ, რომ არის ძეგლები, რომელთა შესწავლის გადადება შეუძლებელია; ასეთია კერძოდ რუისის ტაძარი. ეს ძეგლი არა ერთ გზის იყო დაზიანებული და შემდეგ შეკეთებული, ხოლო 1920 წლის მინისძვრამ შეარყია და ნაწილობრივ დაანგრია კიდეც. ამ ძეგლის სახით დაცულია მრავალი ორნამენტალური მოტივები სხვადასხვა ეპოქებისა, რომელთა დათარიღება, ნაწილობრივ მაინც, ზედმინევენით არის შესაძლებელი.

## 8

ჩვენ ზევით არა ერთგზის მოგვიხდა გაკვრით მოგვეხსენებინა კახეთის არქიტექტურული ძეგლები, რომლებიც შეადგენენ ცალკე ჯგუფს, და საკმაოდ განსხვავდებიან დანარჩენებისაგან. ამ საკითხს აქ სპეციალურად უნდა შევეხოთ. საქართველო თავისი ტერიტორიის ფარგლებში შეიცავს ცალკე ნაწილების სახით გარკვეული სახის მქონე ერთეულებს, რაც გვაძლევს საშუალებას, ყოველ შემთხვევაში ჰიპოთეზის სახით, დაუშვათ ნათესაობა თვითეული რაიონის ძეგლებისა. მაგრამ ამ დებულებას ჩვენ ვერ მივიღებთ როგორც სავალდებულოს მთელი საქართველოს ყველა კუთხეებისათვის. მართლაც, ჩვენ ხშირად გვხვდება გამონაკლისები, და სწორედ, აი, ეს „გამონაკლისები“ არის ყველაზე უფრო საჩინო და მნიშვნელოვანი ძეგლები რაიონისა, ასე მაგალითად მარტვილი — სა-

1. შეუდ. ჩემი წერილი: „საორბისის ტაძარი“, ჟურნალში XB, IV, IIრ. 1915 r.

მეგრელოში, მოქვი, დრანდა და ბედია — აფხაზეთში, და სხვ. ერთად-ერთი კახეთი იძლევა აქ გარკვეულ სახეს. მისი ძეგლები, გარდა იმისა, რომ შეიცავს საერთო ფორმებს, ენათესავეებიან ერთი მეორეს სააღმშენებლო მასალებით; აქ ადგილი აქვს მსგავს სააღმშენებლო მეთოდებს, და ამას გარდა, ისინი იმითაც უახლოვდებიან ერთი მეორეს, რომ აქ დეკორატიულ დამუშავებას ნაკლები ადგილი უჭირავს; ეს მოვლენა თავისებური მხატვრული ტენდენციის სახით გასდევს ყველა ამ ძეგლებს. ამას გარდა არის მთელი რიგი დამატებითი ხაზებისა, რომელთა შესახებ გავრცელება ძალიან შორს ნაგვიყვანდა.

აი, ამ თავისებურობის საკითხმა, რომელიც ცხადი გახდა პირველი გაცნობიდანვე, და იმ გარემოებამ, რომ აქ მრავალი ძველი ძეგლებია დაცული, აგრეთვე იმ მოვლენამაც, რომ კახეთის არქიტექტურა სრულებით შეუსწავლელი იყო, გვაიძულა, 1920 წლიდან შევდგომოდით კახეთის არქიტექტურის დეტალურ გამოკვლევას. რეზულტატებმა გადააჭარბა მოლოდინს, და ამ დროიდან დაწყებული, ვიდრე 1923 წლის თებერვლამდე, როცა გაზომილ იქმნა ალავერდი, სწარმოებდა სისტემატიური შესწავლა. მუშაობა ჯერ კიდევ დამთავრებულად ვერ ჩაითვლება, საჭიროა კიდევ მისი გაგრძელება და გაღრმავება; მაგრამ მაინც უკვე შესწავლილია ისეთი მრავალი რიცხვი ძეგლებისა და ისეთი ფართე რაიონი მათი გავრცელებისა, რომ ჩვენ მიერ გამოტანილი საერთო ხასიათის დასკვნები უნდა ჩაითვალოს მტკიცედ და დასაბუთებულად. თუ კი სხვა საკითხებიც ასევე დამუშავებული იყვის, ჩვენ გვექნებოდა ნათელი და მრავალმხრივი წარმოდგენა ქართული არქიტექტურის ისტორიის შესახებ. აქ აღნიშნულმა ერთიანობამ კახეთის არქიტექტურისა — საჭიროდ გახადა გამოკვლეული ყოფილიყო ყველა ძეგლები, დამოუკიდებლად მათი დროის, ფორმების, დანიშნულებისა; ამან საშუალება მოგვცა, გამოგვერკვია მთელი რიგი დღემდე ამოუცნობ საკითხებისა ციხე-სიმაგრეთა შენობებზე, სამრეკლოებზე, დასასრულ — სასახლის შენობებზე. ამ ყამად ამ უკანასკნელი ჯგუფების შესახებაც ჩვენს წინაშე ისახება პირობები გამოკვლევის ფორმულების დასადგენად<sup>1</sup>.

ასეთია ძირეული მთავარი საკითხები, მათი ჯგუფები, რომლებიც სდგანან ჩვენს წინაშე გარკვევით, და რომლებიც გადაბმულია იმასთან, რაც უკვე შესრულებულია. ასეთი შეხვედრილი ხაზები, რასაკვირველია, მაჩვენებელია დაწყებული მუშაობის სიცოცხლისა. ჩვენ აქ შევეხეთ მხოლოდ ტაძრების არქიტექტურას. ჩვენ აქ აღარ შევჩერდებით იმ ამოცანებზე, რომლებიც ეხებიან სამრეკლოებს, სამონასტრო შენობებს და სხვ., თუმცა აქაც ისახება საინტერესო პერსპექტივები. რაც შეეხება საერთო სამოქალაქო არქიტექტურას, და მათ შესწავლასთან დაკავშირებულ სიძნელეებს, ამას უკვე შევეხეთ გაკვრით ზემოდ, და აქ მეტს აღარ გავრცელდებით.

პროფ. გიორგი ჩუბინაშვილი

(დასასრული პირველი წერილისა)

1. კახეთის არქიტექტურის გამოკვლევათა რეზულტატის შესახებ მოხსენდა საქ. საისტ. და სა-  
ეთნ. საზ. საჯარო სხდომას, 15 მარტს 1924 წელსა.

2. მეორე წერილი: ქანდაკება. მხატვრობა. პრაქტიკული ხელოვნებანი.

## სიმბოლო ქართულ-სომხურ ხუროთმოძღვრებაში

შესწავლა ძველი ქართული და სომხური ხუროთმოძღვრებისა, კერძოდ საეკლესიო ხუროთმოძღვრებისა, ჩვენ წინაშე აყენებს ზოგ საკითხებს არქიტექტურული ფორმების სიმბოლიური მნიშვნელობის შესახებ.

შეუძლებელია გავიზიაროთ ლიტერატურაში გამეფებული ის შაბლონური და შემცდარი აზრი, ვითომდა არქიტექტურული ფორმების სხვა-და-სხვაობა ან სირთულე აიხსნებოდეს მხოლოდ პრაქტიკული მოთხოვნილებით.

რასაკვირველია, როდესაც ხუროთმოძღვარი აშენებს ორ ან მეტ სართულიან სახლს ერთ სართულიანის მაგიერ, იგი ხელმძღვანელობს პრაქტიკული თვალსაზრისით; როდესაც რომელსამე სასახლეს მიაშენებენ ხოლმე კომპლექსს, ესეც პრაქტიკული მოთხოვნილებით აიხსნება, ე. ი. სასახლის დაცვის საჭიროებით. მაგრამ, როდესაც სასახლეს გარედან ჰფარავენ ქანდაკებითა და ჩუქურთმებით, აქ პრაქტიკულ მხარეს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. აგრეთვე, პრაქტიკული მნიშვნელობა არა აქვს იმ მოვლენას, როდესაც ეკლესია, ერთის მაგიერ, ორი, სამი ან ხუთი გუმბათითაა დაგვირგვინებული, ანდა იგი, ერთის მაგიერ, სამი ნავისაგანაა შემდგარი.

ეკლესია ჩვეულებრივ სამი ნაწილისაგან შედგება: აფსიდისა (საკურთხევლისა), შუა ნაწილისა და კარიბჭისაგან. ამგვარ დაყოფას აქვს პრაქტიკული მნიშვნელობა, მაგრამ იმავე დროს იგი მოკლებული არაა სიმბოლოურ მნიშვნელობასაც, ვინაიდან გამოჰხატავს „ერთარსებიან სამებას“. „ერთარსებიანი სამება“ წარმოდგენილია აგრეთვე აღმოსავლეთის აფსიდის სამ უბეში, კარიბჭის სამ კარებში და სხვა.

ეკლესია, თუ რომ სიონური ანუ ბაზილიკის სტილისა არ არის, ანდა იგი არ წარმოადგენს ცენტრალურ-გუმბათიან რგვალი ფორმის, ორ ან სამ სართულიან, მრავალსვეტიან შენობას, მუდამ აგებულია ჯვარისებრ გეგმაზე. ასეთი ჯვარისებრი გეგმა აუცილებელია ყველა ეკლესიებისათვის როგორც ცენტრალ-გუმბათიანის (გარედან ჯვარისებრი, ვარსკვლავისებრი, ოთხკუთხედი კვადრატი ან მოგრძო), ისე გუმბათიანი ბაზილიკის სტილისა (ჩვეულებრივ მოგრძო ოთხკუთხედი და ოთხსვეტიანი).

გუმბათი გამომხატველია ცისა, როგორც ღვთაების სამკვიდრებელისა. იმავე დროს, იგი არის სიმბოლო ერთღვთაებისა. ამიტომაც თეორიულად ეკლესიას მხოლოდ ერთი გუმბათი უნდა ჰქონდეს. მაგრამ, ამასთანავე ერთად, ჩვენ ზოგჯერ (თუმცა, სიმართლე რომ ვთქვათ, იშვიათად) გვხვდება გამონაკლისებიც, რომლებსაც თავისებური განმარტება და ახსნა სჭირია.

ეფმინანის საკათალიკოსო ტაძარს ამ ყამად აქვს ერთი გუმბათი, რომლის გარშემოც სამრეკლოებია O, W, N და S მიმართულებით. მაგრამ ძველად, როგორც ხუროთმოძღვარ თოროს თორამანიანის გამოკვლევებიდან ჩანს, იგი ხუთგუმბათიანი ყოფილა: ხუთი გუმბათიდან ერთი — ცენტრალური — ახლანდელ ადგილას, დანარჩენი ოთხი კი NO, NW, SO და SW-ის მხარეს. ასეთივე ხუთგუმბათიანი ყოფილა, როგორც ეტყობა, ქალაქ ანისის ე. წ. „მოციქულთა“ ეკლესია, რომელიც, როგორც ფიქრობენ, აგებულია ეფმინანის წინანდელი ტაძრის გეგმაზე და მის მსგავსად.

ტფილისის სომეხთა საკრებულო ვანქის ტაძარი სამნავიანია და სამგუმბათიანი, და იგი, ეჭვს გარეშეა, ამით გამოჰხატავს „ერთარსებიან სამებას“ თუმცა იგი, როგორც ბოლო დროს შევძელ გამომერკვია, მე-XIV-ე საუკუნის პირველ ნახევარში უნდა იყოს აგებული და, მაშასადამე, მიეკუთვნება სომხური ხუროთმოძღვრების დაცემის ხანას.

საქართველოში ჯერჯერობით არაა აღმოჩენილი ხუთ ან სამ გუმბათიანი ეკლესია. სამაგიეროდ, აქ ცნობილია ორგუმბათიანი ეკლესია. ეს არის ს. გურჯაანს ახლოს, კახთუბნის ხეობაში, მდებარე ე. წ. „ყველა წმიდის“ (ყოვლადწმიდის) სამნავიანი და ხუთ სამწირველოსაგან შემდგარი სიონი ანუ ბაზილიკა, რომელიც დაუგვირგვინებიათ ორი გუმბათით ეკლესიის სიგრძეზე, ე. ი. W—O მიმართულებით.

მაგრამ, რას უნდა ნიშნავდეს ხუთი, სამი ან ორი გუმბათი ეკლესიაზე? ამ საკითხზე შეიძლება მხოლოდ შემდეგი პასუხის გაცემა: ხუთი — სიმბოლოა „მაცხოვრისა და ოთხ მახარებელთა“, სამი — „ერთარსებიანი სამებისა“, ხოლო ორი — „ორი ბუნებისა იესო ქრისტეში“.

ერთ ან მრავალ გუმბათიან ეკლესიას ჩვეულებრივ აქვს ოთხი მთავარი სვეტი, რომლებსაც სომხები უწოდებენ „დედა-სვეტებს“ (მაირ სიუნ) და რომლებზედაც დამყარებულია გუმბათი (მრავალგუმბათიან ეკლესიაში შუა გუმბათი). ეს არის სიმბოლო ოთხი მახარებლისა, რომლებზედაც დამყარებულია საქრისტიანო მოძღვრება. ეს გარემოება, სხვათა შორის, მტკიცდება იმით, რომ, სომეხთა ეკლესიის კანონით, ახალი ეკლესიის საძირკვლის ჩაყრის დროს ამ ოთხ სვეტს საფუძვლად უდებენ ოთხ ქვას — ოთხი მახარებლის სახელზე, როგორც სიმბოლოს ქრისტიანობის ოთხი მთავარი ბურჯისა<sup>1</sup>.

სომეხთა ანტიქალკედონიურ ეკლესიაში ბომონი ანუ ბემი (ბერძნ. „ბემა“), ბერძნულ-ქართულ ქალკედონიტურ ეკლესიასთან შედარებით მაღალია. მას აქვს კიბეები N და S მხრიდან და თვითეული მათგანი შემდგარია 7 საფეხურისაგან. ეს არის სიმბოლო 7 მთავარანგელოზისა, რომელთაც, თავის რიგზე, წარმოადგენენ ქრისტიანულ გადასახებას ე. წ. „უსხეულო ზეციერ ძალთასა“, ესე იგი ასტრალური შვიდღვთაებისას ანუ შვიდ მნათობთა (მზისა, მთვარესი და ხუთ ვარსკვლავისა). მაგრამ რატომ არის 7 და არა მეტი ან ნაკლები. ამის პასუხი მარტივია: იმიტომ, რომ მხოლოდ ეს რიცხვი იყო და არის კიდეც, თუ შეიძლება ასე ითქვას, „საფეხურობის“ გამომხატველი საუკუნეთა განმავლობაში, როგორც წარმართობის, ისე ქრისტიანობის ხანაში: 7 დღე მსოფლიოს შექმნისა, 7 დღე კვირისა, 7 დღე მთვარის ფაზებისა, 7 მნათობი — ღმერთი და სხვა. ესევე რიცხვი, 7 სანთელის სახით, სჩანს აფხაზურ მითოლოგიაში (მჭედლობის კულტში). გარდა ამისა, ესევე რიცხვი სომეხთა ეკლესიის საიერარქიო ნესწყობილებაში არის გამომხატველი მღვდლობის ხარისხის 7 საფეხურისა (1 — მეკარე, 2 — მკითხველი [მეფსალმუნე], 3 — დაფუცე-ბული, 4 — აკოლუთი, 5 — კერძო დიაკონი, 6 — დიაკონი, 7 — მღვდელი), და ამ დებულებასთან ალბად უნდა დაკავშირებული იყოს იმავე ეკლესიის ის ჩვეულება, რომლის თანახმადაც ყველა ახალი ეკლესია უნდა შენდებოდეს 7 წლის განმავლობაში.

სამკვეთლო ძველად და ახლაც სომხეთსა და საქართველოში წარმოდგენილია აღმოსავლეთის აფსიდის მარცხენა მხარეს, კედლის უბეში. ეს სიმბოლოა ბეთლემის იმ გამოქვაბულისა, სადაც იშვა იესო ქრისტე.

ამნაირად, ჩვენ ვხედავთ, რომ ეკლესიის აგებულობის სხვა-და-სხვა დეტალები სულ მუდამ არ ემორჩილებიან პრაქტიკულ მოთხოვნილებას, არამედ იგინი ხშირად გამოჰხატავენ სხვა-და-სხვა იდეას, ანუ სიმბოლოს.

*ლეონ მელიქსეთ-ბეგი*

1. ოთხი მახარებლის სიმბოლო გამომხატულია, სხვათა შორის, აგრეთვე, სომხურ სამართალში (შდრ. მხითარ გოშის სამართლის წიგნი, ვალარშაპატი, 1880, გვ. 287).



## ქართული ხალხური მუსიკა

### წერილი მეორე

#### 1

ამ წერილში ჩვენ ვეხებით ქრისტიანობის დროის ქართულ მუსიკას.

ცნობილია, რომ ქრისტეს სარწმუნოების შემოღების შემდეგ (IV ს.) საქართველო ხარბად დაენაფა ახალი ცივილიზაციის შეთვისებას. სირიაში, პალესტინაში და ათონზე დაარსებულ ქართულ მონასტრებში გამართული იყო სკოლები, რომლებიც ქრისტიანობის და ახალი ცივილიზაციის გადმონერგვის საქმეს ემსახურებოდნენ. ამავე მონასტრებში სწარმოებდა რელიგიური ხასიათის ხელთნაწერების გადმოღება, გადმოწერა. აქედანვე გავრცელდა აგრეთვე ახალი საეკლესიო გალობაც. ჩვენ ვიცით, რომ მე-IV საუკუნიდანვე საეკლესიო მუსიკას დიდ ყურადღებას აქცევდნენ: ბასილი დიდი ბევრს იღვწოდა მუსიკისთვის. მისი მეოხებით მცირე აზიის კესარიაში მოეწყო და მოგვარდა პირველად გალობის საქმე. წმ. იოანე ოქროპირმა პირველმა შემოიღო კონსტანტინეპოლის ეკლესიაში გალობა; ეფრემ ასურმა — პალესტინის სირიაში. ათანასე დიდმა — ალექსანდრიისა და წმ. ამბროსიმ მილანის ეკლესიებში. პირველ საუკუნეში წმ. ეგნატე ღმერთ-მოსილის მიერ ანტიოქიაში დაწესებული ანტიფონური გალობა ყველა საქრისტიანო ეკლესიაში იქმნა შემოღებული. ამ დროიდან იწყება რვახმოვანი გალობის დამუშავებაც<sup>1</sup>.

ამნაირად ქრისტიანობის დამყარების შემდეგ საქართველოშიაც იწყება ხალხური მუსიკალური შემოქმედების ახალი ხანა. ამიერიდან ქრისტიანულ საეკლესიო გალობას თავისებური ხასიათი შეაქვს სიმღერის განვითარების ყველა სტადიაში. მაგრამ მიუხედავად დიდი გავლენისა, ახალმა ეკლესიამ მაინც ვერ აღმოფხვრა ხალხის გულიდან წარმართულ ჩვეულებებთან დაკავშირებულ ძველ სიმღერების სიყვარული. ამ წარმართულ დროიდან ხალხში დაშთენილ სიმღერებს მე შევეხე პირველ წერილში.

ყოველ შემთხვევაში, ქრისტიანობის პირველ პერიოდში ქართველებსაც იმავე ხასიათის საეკლესიო გალობა ჰქონდათ, როგორც სხვა ქრისტიან ერებს. ქართველ მოღვაწეებს, რომლებიც ცხოვრობდნენ იერუსალიმის, ათონის და სხვ. მონასტრებში, თავისუფლად შეეძლოთ გალობათა შეთხზვა საერთოდ შემოღებულ წყობის მიხედვით. დროთა განმავლობაში ამნაირად შეთხზული მელოდიები ვრცელდებოდა ხალხში და თანდათან იღებდა ეროვნულ იერს. ასეთ ფორმებში იშლებოდა შემდეგი განვითარება. არ უნდა დავივიწყოთ ის გარემოებაც, რომ ქრისტეს სარწმუნოების მოციქულები ხშირად მიმართავდნენ ხოლმე ქრისტიანულ წესის ასრულების დროს ძველ წარმართულ გალობას, რამდენადაც ამ უკანასკნელს შეჩვეული იყო ხალხი. ხდებოდა ისიც, რომ წარმართულ წესებს სტოვებდნენ ძალაში და მათი ასრულების დროს ძველ გალობაში ახალს ქრისტიანულს შეურევდნენ. ეს იყო გამონვეული იმ მიზეზით, რომ ხალხი ისე ადვილად არ ანებებდა თავს ძველს, რომელიც მის გულთან უფრო ახლოს იყო, ვიდრე უცხოეთით მოტანილი ახალი. ასეთი შერევა რომ მართლაც ხდებოდა, ამას რამდენიმე სიმღერა გვიმტკიცებს, მაგ. „ვაი შენ, ჩემო თეთრო ბატო“. ამ სიმღერას რომ მეორე ხმა გამოვაკლოთ, რომელიც შემდეგში დაემატა, მივიღებთ ძველი დროის წმინდა საეკლესიო ოქტავო-ქვინტურ გალობას. ამნაირივეა „დაუძახე, დაუძახე, პატარძალო“, რომელსაც მერმინდელი მუსიკა ახლავს. ასე შემუშავდა საეკლესიო-საერო გალობა, — საეკლესიო ხასიათისა, მაგრამ საერო ტექსტით. უნდა ვიგულისხმოთ, რომ ამ ორი ნაკადის შეერთებამ გამოიწვია გალობის ახალი ფორმებიც, რომლებიც ხელსაყრელ ისტორიულ პირობებში ერთნაირ მიმართულებას იღებდნენ, ხოლო ცუდ პირობებში კიდევ სხვანაირს.

1. იხ. რუსეთის მართლმადიდ. საეკლესიო ისტორიის ნარკვევი, მღვდ. მეტალოვისა გვ. 13. (რუს.).



ის სიმღერები, რომლებიც შეიქმნენ ხელსაყრელ პირობებში, არიან საეკლესიო-საერო ხასიათსა და ეკუთვნიან წყობით „გრძელთა“ კათეგორიას. ისინი ძველებურ იერს ატარებენ. მათში მოიპოება როგორც სუფრული, ისე საშობოც, სააღდგომოც და საქორწილო, სატრფიალო და სხ. ყველა ესენი საზეიმო ხასიათისაა. ქრისტიანობის წინა დროინდელ გალობასთან ამათ ის საერთო აქვთ, რომ ბანი ორსავე შემთხვევაში ორგანის პუნქტის როლს ასრულებს. განსხვავება კი მათ შორის იმაში მდგომარეობს, რომ ძველი გალობა სრულდება ხოროს ფონზე ერთი ხმით და მორიგეობით, ხოლო მერმინდელი კი სამხმიან ჰარმონიას ჰქმნის და ხან ერთი ხმით სრულდება, და ხან კი შეერთებულად. ფორმით და მუსიკითაც ისინი არსებითად განსხვავდებიან ერთი მეორისაგან. ძველ გალობათა მუსიკას საზეიმო ხასიათი აქვს. იგი იმ დროს არის შექმნილი, როცა ხალხის ცხოვრება უფრო სრული ინტენსიური და თვითმყოფი იყო. რა თქმა უნდა, ჩვენ არ შეგვიძლია იმის თქმა, თუ როდის წარმოიშვა ასეთი სიმღერები. ამის საბუთი არ მოგვეპოვება, მაგრამ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ იგი ეკუთვნის XIII ს. ახლო ეპოქას, საქართველოს ისტორიის ოქროს ხანას<sup>1</sup>.

ასეთივე ძველი წყობისა არის მეორე სახის წმინდა საეკლესიო გალობაც, რომლის წარმოშობა ჩვენ უნდა მივანეროთ ისეთ დროს, როცა სამოქალაქო ცხოვრება დაქვეითებული იყო ცუდ ისტორიულ პირობების წყალობით და ცხოვრება ეკლესიის გავლენის ქვეშ ვითარდებოდა.

ამ კათეგორიის გალობას განსაკუთრებული ეკლესიური ხასიათი აქვს. ის განუყრელია საეკლესიო მუსიკასთან და ნაკლებად არის დაკავშირებული საერო მუსიკასთან. ამ გალობათ ჩვენ კიდევ შევხებით შემდეგში, ხოლო ახლა კი ისევ სიმღერის საერთო განვითარების ისტორიას დაუბრუნდეთ.

განვითარების შემდეგი სტადიის, უფრო ახალი ეპოქის სიმღერები როგორც ფორმით, ისე მუსიკალური შინაარსითაც დიდად განსხვავდებიან წინანდელისაგან. ამათი ფორმა შედარებით ძალიან მოკლეა. მათი მუსიკაც ახალია, რიტმი უფრო მდიდარი აქვთ (მოდრაობის მხრით) და ტექსტიცა. ისინი წინანდლებივით გრძლად არ იმღერებიან და საზეიმო ხასიათს არიან მოკლებულნი, უფრო ცოცხლად ითქვიან<sup>2</sup>.

მიუხედავად დიდი განსხვავებისა, რომელიც არსებობს ამ ორი პერიოდის სიმღერებს შორის, კავშირი მაინც არ აქვთ ერთმანეთთან განუყვეტილი. მცირე სეპტიმის დამახასიათებელი ინტერვალი (ბანიდან შუახმაზე) ორივე პერიოდის სიმღერას თან ახლავს, მიუხედავად იმისა, რომ მეორე პერიოდის სიმღერები მოკლენი არიან. ეს არის მათი გამაერთიანებელი მომენტი; უნდა ითქვას, რომ ეს მცირე სეპტიმა იმდენად დამახასიათებელი რამ არის, რომ მას ითვისებს უფრო ადრინდელი, ქრისტიანობის წინა ეპოქის ზოგი სიმღერაც (ორი ხმა გარდიგარდმო და ხორო)<sup>3</sup>.

არის სიმღერათა მთელი ჯგუფი, რომელსაც ეს მცირე სეპტიმა არ ახასიათებს. ამ ჯგუფს ჩვენ უკანასკნელს ვუნოდებთ<sup>4</sup>. ჯერ კიდევ არ შეიძლება გადაჭრით ითქვას, წარმოადგენს თუ არა ეს ჯგუფი განვითარების შემდეგ სტადიას, თუ წინანდელის ადგილობრივ შტოს, ვიცყვით მხოლოდ, რომ ეს სიმღერები ძალიან უახლოვდებიან ფორმით ზემოდ დახასიათებულთ და, შესაძლებელია, წარმოიშვენ ერთსავე და იმავე დროს მათთან. ყოველ შემთხვევაში, უეჭველია ერთი რამ, სახელდობრ ის, რომ როგორც წინანდელი, ისე ეს ფორმაც ახალმა დროებამ წარმოშვა, რომელიც ღრმად აღბეჭდილია ხალხის ფსიქოლოგიაში. ხოლო ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა გამოვარკვიოთ უკანასკნელი სტადიის სიმღერების წარმოშობა, ე. ი. იმ სიმღერებისა, რომელთაც არა აქვთ მცირე სეპტიმა.

1. ამ სახის სიმღერათა სრული ნიმუში (იხ. ჩვენს კრებულში, ტ. I, დამატ. II, №27).

2. ნიმუშები იხ. ჩვენს კრებულის 1 ტ. მე-2 დამატება, №24.

3. ibid, დამატ. I, №14/გ. ნოტიო.

4. ilid, დამატება II, №25.

კარგარეთელის კრებულში არის ერთი ისეთი სიმღერა, რომელსაც ორი ტექსტი აქვს. ტექსტებს არავითარი ლოგიური კავშირი არ აქვთ ერთმანეთთან. ხშირია საქართველოში ასეთი შეერთება ტექსტებისა და მათ შესახებ ჩვენ ქვემოთ მოგვიხდება ლაპარაკი. პირველი ტექსტი მოგვითხრობს მეფე ერეკლეზე, რომელსაც „თუმც დაუხუჭავს თვალები, მაგრამ არ არის მკვდარია“. მეორე ტექსტი ღრმა სუბიექტური განცდის მატარებელია და შეიცავს ცხოველმყოფელ ჯვარისადმი ვედრებას. ეს ტექსტი თავის სუბიექტური ხასიათის წყალობით სახორო სიმღერებისათვის არ გამოდგება. ალბად იგი ერთი ხმისათვის იყო შეთხზული და ადვილად შესაძლებელია მისი მელოდია ახლაც არსებობდეს. პირველი ტექსტი კი სრულიად ობიექტურია და სახოროდაც ვარგა. ამრიგად ტექსტი გვიჩვენებს, რომ იგი შექმნილია ერეკლეს დროს, ე. ი. მე-XVIII ს. დამლევსა და მე-XIX დამდეგს. მე-XVIII ს. ერთი მხრით კულტურული წინსვლა დაეცო საქართველოს, მეორე მხრით ერეკლეს მეფობამ აღადგინა მისი პოლიტიკური ძლიერება. ამ ახალმა ისტორიულმა პირობებმა ახალი სიმღერებიც წარმოშვეს. დრო მართლაც ახალი იყო. რუსული სქოლასტიური განათლების ზეგავლენით ითარგმნებოდნენ ევროპის მწერლები (ვოლტერი, მონტესკიე, რასინი, ვოლფი და სხვ.), ეწყობოდა სტამბა, წესრიგდებოდა სამართალი, მართვა-გამგეობისა და გადასახადთა სისტემა და სხ. სხ. ამრიგად ამ ისტორიული მასალების მიხედვით შეიძლება დაახლოვებით გამოკვლევა ამა თუ იმ სიმღერის ფორმის წარმოშობის დროსი. ტექსტი და მუსიკა — ეს ისეთი ძვირფასი ძეგლებია, რომლებიც გვიჩვენებენ, როგორ ცხოვრობდა ხალხი, რას გრძნობდა და როგორ ვითარდებოდა იგი. სიმღერა გამოხატავს ხალხის საერთო სულისკვეთებას, მის გონებრივსა და მორალურს ზრდასა და განვითარებას.

ჩვენ არაფერს ვამბობთ მუშურ სიმღერებზე, აგრეთვე სასოფლო ერთ ხმიან სიმღერაზე. ესენი ახალ ფორმას არ წარმოადგენენ, რადგანაც წინადაც არსებობდა მათი პროტოტიპი. თავის დროს, როცა ამის მასალა დაგვიგროვდება, ჩვენ შევხებით დანვრილებით ერთხმიან სიმღერებსაც. ახლა კი ისევ თავიდანვე აღებულ გეზს დაუბრუნდეთ. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ დასახელებულ სასიმღერო ფორმებს ქმნიდა სოფელი, ხოლო რაც შეეხება ქალაქს, მას თავისი განსხვავებული სიმღერები ჰქონდა.

## 2

საერო სიმღერების დანვრილებით გასარჩევად, უთუოდ საჭიროა ხალხური მუსიკის ორად განაწილება: ქალაქისა და სოფლის მუსიკად. დავიწყოთ პირველით და შევეცადოთ, რამდენადაც შესაძლებელია, დანვრილებით შევისწავლოთ იგი.

ქართველ მოქალაქეთა მუსიკა შესდგება რამდენიმე კათეგორიისაგან. პირველ კათეგორიაში შედიან სახორო, და ქუჩური საარღნო სიმღერები, მაგ.: „ახ, მეზურნე“, „ოდელა ნანუნი“, სხვადასხვანაირი „მრავალჟამიერ“ და სხ. ამ სიმღერების ცენტრია ტფილისი და ქუთაისი. ამ ქალაქებიდან ვრცელდებიან ისინი ყველგან საქართველოში. აღსანიშნავია, რომ ხალხმაც შეითვისა იგი. ამრიგად ეს მუსიკა თანდათან ფეხს იკიდებს სოფელში და აძევებს იქიდან ხალხურ თავისებურ სიმღერებს. რასაკვირველია, ეს ახალი მოვლენაა, რომელსაც ანგარიში უნდა გავუწიოთ. ხალხური ყოფის ახალი ფორმების დამყარების დროს ასეთი მოვლენა ბუნებრივია. თუ ამ შემთხვევაში ჩვენ რამე გვანუხებს, ეს ის არის, რომ არა გვაქვს მოწყობილი სათანადო ორგანიზაცია წინანდლებს შესაკრებად. თუ ეს ასე გაგრძელდა, ძველი ხალხური სიმღერები სრულ დავიწყებას მიეცემიან და ხალხური მუსიკალური ფონდი დაჰკარგავს დაუფასებელ განძს.

საქალაქო მუსიკის მეორე კათეგორიას შეადგენს ესრედ წოდებული „აღმოსავლური“ მუსიკა. ამ მოტივზე ყველა მღერის დანყებული ბავშვებიდან და გათავებული მოხუ-

ცებულებით; მღერიან ყველა წრეში. ინტელიგენცია კი სპარსული ინსტრუმენტების აკომპანიმენტსაც იშველიებს. ეს აღმოსავლური, განსაკუთრებით ერთხმოვანი მუსიკა წარმოადგენს შერევას სპარსული მუსიკისა (გაორებული სეკუნდით და უამისოდ, და სინკოპურ-მელიზმებით), არაბულისას (არაბული მელიზმებით თანახმად მ. მ. იპოლ.-ივანოვის აზრისა) და აგრეთვე სხვა ხალხთა, რომლებიც არბევდნენ საქართველოს და როგორც გამარჯვებულნი უმთავრესად ცენტრში ამყარებდნენ თავიანთ წესს, ზნეს და აგრეთვე მუსიკასაც. ეს უკანასკნელი მათი წასვლის შემდეგაც რჩება და ქართულში ითქვიფება. ამნაირად წარმოიშვა სპარსულ-არაბულ-ქართული მუსიკა, რომელსაც ხშირად ლამაზი მელოდიაც აქვს, მაგ.: „ახ, მთვარევ, მთვარევ“, „აღმართ-აღმართ“ და სხვა სიმღერები, ქართველ პოეტების ლექსების ტექსტზე აგებული. ხშირად გვხვდება წმინდა სპარსული მელოდიები, ზოგჯერ თურქულიც და სხ. ყოფილ ქართველ არისტოკრატიულ თავადაზნაურულ წრეებში დიდად მოსწონდათ სპარსული მუსიკა, რომელსაც ხშირად გაიგონებდით ხოლმე აქ. ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ მე-XVI და მე-XVII ს. გამაჰმადიანებულ მეფეების დროს სპარსულ ზნე-ჩვეულებათ იარაღის საშუალებითაც კი ათვისებდნენ ქართველებს და სავალდებულო იყო ყველაფერში სპარსელებისათვის მიბაძვა.

მაგრამ იბადება კითხვა, ჰქონდა თუ არა ქალაქებში მცხოვრებ ქართველებს თავიანთი, საკუთარი მუსიკა? თუ მოვიგონებთ მაჩაბელის წერილს, რომელიც მოთავსებული იყო 1864 წლის „ცისკარში“, ცხადი შეიქმნება, რომ ჰქონდათ და ეს მუსიკა საინტერესოც იყო. მას უმთავრესად ქალები ასრულებდნენ ჩანგზე დაკვრით. ეს მტკიცდება იპ.-ივანოვის მიერ ჩანერილი ნიმუშებითაც<sup>1</sup>.

უნდა ითქვას, რომ ყველა აქ ჩამოთვლილი სიმღერები ინტელიგენციას ქართულ სიმღერებად მიაჩნია, ხალხი კი, ე. ი. გლეხკაცობა ამ მუსიკას არც კი იცნობს. ამ რიგად ჩვენი კვლევისათვის საჭიროა ისევ სოფელს დაუბრუნდეთ.

სოფელს მრავალნაირი სიმღერა აქვს: საქორნილო, საცეკვაო, სალაშქრო, სასიყვარულო, მრავალნაირი მუშური და სხ.

თითოეული ცალკე შესწავლას მოითხოვს. ჩვენ შევეცებით მათ ყოველი მხრით. ისტორიულ, ტექნიკურ და ეთნოგრაფიულ მომენტებს დიდი მნიშვნელობა აქვთ მათ დასახასიათებლად. დავინყებთ საქორნილო სიმღერებით.

### 3

საქორნილო სიმღერას<sup>2</sup> ამბობენ მაშინ, როცა მეფე-დედოფალი ერთი სოფლიდან მეორეში მიჰყავთ. მღერის ხორო და ორი კაცი ერთმანეთის მორიგეობით. უნდა აღინიშნოს, რომ ქართლური საქორნილო განსხვავდება კახურისაგან როგორც მუსიკით, ისე შესრულებითაც. რაც შეეხება საცეკვაოს, ყველამ იცის, თუ როდის მღერიან მას. შექმნიან ხოლმე წრეს და ერთი თუ ორი მორიგეობით ამბობს ტექსტს, დანარჩენები კი ბანს ეუბნებიან, უფრო ხშირად უსიტყვოდ. ამას გარდა უკრავენ ტაშს. წრეში კი ვინმე ცეკვავს. ეს სიმღერა ალბად წარმოიშვა წარმართობის დროინდელ დღესასწაულებისაგან. მუსიკალური მხრით იგი მოკლე ფრაზებისაგან შესდგება, რომლებსაც ათასნაირად სცვლიან. რიტმი უმეტეს შემთხვევაში ერთი აქვს, ხოლო ტექსტის შინაარსი მრავალნაირია. ხშირად არის, რომ ისტორიული შინაარსის ტექსტიდან სატრფიალოზე გადადიან, ან კომიკურზე, რომელსაც გულუბრყვილო იუმორი ახასიათებს. მაგალითად:

1. ნიმუშები იხილე ჩვენს კრებულში, ტ. I, დამატება 1, №10—13.

2. *ilid*, ტ. I, №9.

„სოფელშია ცოდვის მქნელი  
ჯერ მჭედელი, მერე ღვდელი!“

ან კიდევ:

„მამასახლისის კატასა,  
ფეხი დასწვია სანყალსა“. და სხვა ასეთები.

ამნაირადვეა წარმოშობილი მარტივი საფერხულო სიმღერაც, სამრიტმიანი და რთული საფერხულო „ზემყრელო“, რომელიც პირველისაგან იმით განსხვავდება, რომ მისი ასრულების დროს მოცეკვავეთა ერთი ჯგუფი მეორე ჯგუფის მხრებზე შესდგება და ცეკვა ამნაირად სწარმოებს<sup>1</sup>.

გადავიდეთ **სუფრულზე**. სუფრული ეკუთვნის განსაკუთრებულ კათეგორიას, რომელსაც ზემოდ ვუწოდებთ საზეიმო „გრძელი“ სიმღერა. სუფრული შექმნილია ხალხის კოლექტიური შემოქმედებით მისი ძლიერების პერიოდში.

ეს სიმღერა შეიძლება ორად გავანაწილოთ: სუფრულზე და მრავალჟამიერზე. პირველ შემთხვევაში სიმღერა მიმართულია ტოლუმბაშებისადმი, რომელსაც მასპინძელს უქებენ:

„მასპინძელ კარგად მასპინძლობს გულითა მხიარულითა,  
ახალი ჩექმა გაცვითა მარანში სიარულითა...“

მრავალჟამიერს კი იმ შემთხვევაში მღერიან, როცა სვამენ ვისიმე სადღეგრძელოს.

სუფრულ სიმღერებს მღერიან ხორო და ორი კაცი. ხორო ორგანის პუნკტს მღერის, ორნი კი მელოდიური ლილინით უკრიმანჭულეებენ არა სრულ დომინანტ-სეპტ-აკკორდის მცირე სეპტიმაზე. ხანდახან კრიმანჭულში კონსტრაპუნქტებსაც გაურევენ. როგორც ქართლში ისე კახეთშიაც სუფრულს თითქმის ერთნაირად მღერიან. მრავალჟამიერს კი ქართლში მოკლედ ამბობენ, ხოლო კახეთში გრძლად, მეტად საყურადღებო მოდულიაციებით. დიდად საინტერესოა კახური მრავალჟამიერის ბოლო: როცა მომღერლები მიუახლოვდებიან უკანასკნელ ნაწილს, იმის მაგიერ, რომ სიმღერა დაამთავრონ, ისე დასწვევენ ხმას, რომ წინანდელი მუსიკალური ფრაზები ტრანსპოლიაციით გადადიან დიდ სეკუნდაზე, და როდესაც მეორეჯერ მიუახლოვდებიან სიმღერის დასასრულს — კვლავ ამავე ხერხს მიმართავენ, და ასე გრძელდება მანამდე, სანამ ხმა ეყოფათ. როგორც სჩანს, მრავალჟამიერი გასაჯობრებელი იყო წინად. რასაკვირველია, იმარჯვებდა ის, ვისაც მეტი დიაპაზონის ხმა ჰქონდა. ამ კათეგორიის სიმღერები გარდა იმისა, რომ გვხიბლავენ თავის სიმშვენიერით და ორიგინალური მოდულიაციით, წარმოადგენენ, ჩემის აზრით, ხალხური შემოქმედების უდიდეს მიღწევას.

გადავიდეთ ახლა **ყოფა-ცხოვრების სიმღერებზე**. ისინი ეკუთვნიან სხვა და სხვა ჯგუფებს, რომლებზედაც ზემოდ გვქონდა ლაპარაკი. მათ შორის მრავალი უაღრესად პოეტურია და ლამაზი. ბევრს შეხვდებით აგრეთვე შედარებით უმნიშვნელოსაც. ტექსტი საკმაოდ მდიდარი აქვთ, ხოლო უმრავლეს შემთხვევაში სიყვარულს ეხება. ათასნაირად არის შექმნილი ქალის სილამაზე, ხალხი უაღრესად განიცდის სიყვარულის ძალას და ამას მარტივად, მაგრამ საკვირველი პოეტური ფერადებით გამოხატავს.

ხშირად გაიგონებთ ალეგორიული შინაარსის ლექსებსაც, რომლებიც ყოფას არ გამოხატავენ. მაგალითად:

„მუმლი მუხასაო, გარს ეხვეოდაო.  
მუმლი დამძიმდაო, წყალში ჩავარდაო.“

1. მაგალითები მოგვყავს ჩვენ კრებულში, ტ. I, დამატება II, №23—26.

წყალი შეგუბდაო, ნაპირს გადავიდაო,  
მუმლი დაიხრჩოო, მუხა გადარჩაო“.

მუხა, ამ შემთხვევაში, სამშობლოა, ხოლო მუმლი — მისი გარეშე მტრები.

4

ყოფის სიმღერებზე დიდხანს არ შევჩერდები. ისინი ახალს ვერაფერს ვერ გვეტყვიან. გადავალ **მუშურ სიმღერებზე**.

ამ კათეგორიის სიმღერებს მღერიან მკის (როცა ნამგალს ლესავენ), ბარვის, ხვნის, განიავების, ლენვის, მარგვლის, სიმინდის გარჩევის, თიბვის და სხ. დროს.

მუშური ორნაირია: ხოროს სასიმღერო, და ერთხმოვანი. მოკლედ შევეხები თითოეულს.

მკის სიმღერა (როცა ნამგალს ლესავენ, — მე ვუნოდებდი მას ნამგლის სიმღერას) საინტერესოა იმით, რომ იგი სამოქმედოთ კი არ იწვევს მუშას, არამედ ასვენებს. რაც შეეხება იმ სიმღერებს, რომლებსაც მღერიან მკისა და ლენვის დროს, მათ პირიქით ცოცხალი რიტმი აქვთ, მამოძრავებელი, მხიარული და ნამქეზებელი. ნამგლის სიმღერა ქართლსა და კახეთში სხვადასხვანაირია მუსიკისა და ტექსტის მხრივაც (თუმცა კახეთის ზოგი სოფელი ქართლურს მღერის). ქართლის ტექსტი პირდაპირ ნამგალს მიმართავს ხოლმე, კახური კი სიხარულს გამოთქვამს კარგი მოსავალის გამო.

სხვადასხვანაირია აგრეთვე ის სიმღერები, როდესაც გლეხები სახლში დაბრუნებისას ამბობენ. ზოგ ტექსტში გამოიხატება სიმღერის სიყვარული:

„არალალო გიამება,  
როგორც ტკბილი ზიარება!“

ზოგში კი სიღარიბეზეა ჩივილი:

„საწყალსა კაცსა ვინ მისცემს  
აღების ღამეს ღვინოსა“.

ზოგი კიდევ ეროტიული შინაარსისაა. საერთოდ აღსანიშნავია, რომ ქართველი ხალხი არ კმაყოფილდება ერთი ტექსტით სიმღერის დროს. ერთ კილოზე იმღერება სხვადასხვა შინაარსის ტექსტი: ეროტიული, კომიკური, გმირული და სხ., რომელთაც არავითარი დამოკიდებულება არა აქვთ ერთმანეთთან. ეროტიული შინაარსის ტექსტი კი სჭარბობს დანარჩენებს. ეს იმიტომ ალბად, რომ ჩვენი ხალხი დიდი პატივისმცემელია ქალის სილამაზისა.

მუშურ სიმღერას ორი ხმა ამბობს მორიგეობით და ხორო, ისე როგორც უძველესი წარმართობის დროინდელი სიმღერები იმღერებოდა, მხოლოდ ბოლოში ხორო და ორი ხმა ერთდებიან სამხმიან ჰარმონიაში. უეჭველია, რომ ამ კათეგორიის სიმღერები წარმართულ სიმღერების შტოს წარმოადგენენ, ე. ი. ერთი ხმიანის მორიგეობით. ამრიგად, წარმართული სიმღერის ფორმის განვითარება ახლანდელ მუშურთან ერთად ჩვენ წარმოდგენილი გვაქვს ისე, როგორც ეს ნაჩვენებია ჩვენი კრებულის I ტ-ის I დამატებაში, № 14 a, b, c, d.

5

სანამ ერთხმოვან მუშურ სიმღერებს შევეხებოდეთ, მინდა აღვნიშნო ერთი ფრიად საყურადღებო მოვლენა. აქამომდე სიმღერებში ჩვენ გვხვებოდა ან სიხარული ან პოეტური რამ აფრთოვანება, ან კიდევ სამუშაოდ აღმძვრელი მოტივი. ზოგი სიმღერა ეხება ტვირთ-მძიმე ცხოვრებას. მაგრამ საკვირველი არ არის განა ის გარემოება, რომ ჩვენ



ჯერ კიდევ არ შეგვხვედრია ისეთი სიმღერა, რომლის თემა სამშობლოს უბედურება იყოს, მისი თავგადასავალი? ეს მაშინ, როცა საქართველოს ისტორია არის ერის ტანჯვის ისტორია, მარტიროლოგი. სიმღერაში ხალხის ცხოვრების სხვა მხარეებთან ერთად ეს მხარეც უნდა აღნიშნულიყო. ამ მხრით ჩვენ გვაქვს საოცარი მოვლენა საქართველოში: სახორო სიმღერებში არ არის გამოხატული ქართველი ერის უბედობანი, მისი ვაებანი. მე ჩანერილი მაქვს 80-ზე მეტი სიმღერა და მათში არ ურევია ერთიც კი, რომელიც ამ საგანს შეეხება. ყველა ჩვენში არსებულ კრებულში ასზე მეტი სიმღერაა მოქცეული და არც ერთი მათგანი არ გამოხატავს ისტორიულ ვაებას, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ქეთევან დედოფლის ერთხმოვან სიმღერას მ. მ. იპოლ.-ივანოვის კრებულში. ტექსტები კი შეიცავენ გმირულ, პატრიოტულ, ისტორიულ ამბებს (მაგ. თამარ მეფის სიკვდილზე), მაგრამ მათი მუსიკა მხოლოდ იმდენად არის სევდიანი, რამდენადაც საეკლესიო.

რაც შეეხება მუშურ ერთხმოვან სიმღერებს, ესენი პირიქით, სულ ერთიანად სევდისა და ვარამის გამომხატველებია. სიღარიბე, მძიმე სოციალური უღელი და სხ. აი თემა ამ სიმღერებისა.

ამნაირად ასახავს ხალხი სიმღერებში თავის სიბეჩავეს, მაგრამ არსად არ აღნიშნავს სამშობლოს გაჭირვებას გარდა ზემოდ აღნიშნულ ქეთევან დედოფლის ერთხმოვან სიმღერისა. ჩვენის აზრით ეს აიხსნება იმით, რომ წასულ ისტორიულ ქარტახილთა დროს ხალხი სარწმუნოებაში ჰპოვებდა ნუგეშს. აქედან არის წარმომდგარი, რომ საეკლესიო მუსიკა მდიდარია საერო ტექსტით. ამ აზრს ამტკიცებს სიმღერათა ზემოაღნიშნული კათეგორიის ევოლუციის გათვალისწინება. სამწუხაროდ ჩვენ ხელთ არა გვაქვს საკმაო მასალა ამის დასამტკიცებლად, მაგრამ სამაგიეროდ მუსიკის შესწავლა უფრო და უფრო გვარწმუნებს რომ ჩვენი ახსნა მართალია.

მუსიკა კი ჩვენ იმას გვეუბნება, რომ მტრის შემოსევის დროს, როცა დიდი და პატარა უმონყალოდ იხოცებოდა, როცა ასობით მიჰყავდათ ტყვეები ან ქვეყანა ნადგურდებოდა, ხალხი ყოველთვის სარწმუნოებას მიმართავდა და მასში ეძებდა ნუგეშს<sup>1</sup>. ამის შედეგი ის იყო, რომ იქმნებოდა საეკლესიო ხასიათის გალობა საერთო შინაარსის ტექსტით. ამ შემთხვევაში თუ ტექსტი არა, მუსიკა გამოხატავდა ხალხის სულისკვეთებას უბედურების დროს. ასეთი სიმღერების ევოლუცია, რამდენადაც ამის საშუალებას გვაძლევდა ჩვენს განკარგულებაში მყოფი მცირე მასალა, გათვალისწინებულია ჩვენი კრებულის მაგალითებზე<sup>2</sup>.

## 6

ერთხმოვან სიმღერებს ეკუთვნის აგრეთვე **იავნანა** და **ურმული**. ეს სევდიანი სიმღერებია. გასაგებია, რომ იავნანას სევდის იერი გადაჰკრავს: ქართველ ქალს მწარე ბედი არგუნა ისტორიამ. საქართველოს ყველა უბედურება მის თავზედ გადადიოდა პირველ ყოვლისა: დაუსრულებელი ომები, ბატონყმობა, სიღარიბე და სხ. სხ. ამიტომაც ჰყავს განსაკუთრებულ პატივცემადში იგი ქართველ ერს.<sup>3</sup>

რაც შეეხება ურმულს, უნდა ვსთქვა შემდეგი: იგი უნდა მოისმინოთ, როცა მთაზე დგებართ, ან გზაში იმყოფებით, როცა მთვარე მკრთალად ანათებს გარემოს და ნიაიცი ალერსით გიბიბინებთ, როცა ღამის იდუმალი ხმაურობა ფუსფუსებს ყველგან, და დროგამოშვებით ბუს წივილი გაისმის. სწორედ ამ დროს გავგონილი ურმული გულში სწვდება

1. იხ. ტექსტები და მუსიკა ჩვენს კრებულში, ტ. I, დამატება I, №15, აგრეთვე დამატება II, №8.

2. idid, ტომი I, დამ. I, №15, a, d, c, d.

3. იავნანას მაგალითები იხილე — idid, დ. II, №4.



ადამიანს და შორს მიაფრენს მის სულს. ურმული სიტყვებით კი არ ხატავს იმას, რაც განუცდია ხალხს, არამედ მუსიკით, რომელიც ამეტიყველებს საუკუნეებს და ხატავს ხალხის გულის დარდსა და ვარამსა. ურმული ამ მხრით მშვენიერ დამატებად გამოდგება იმ სიმღერებისა, რომელთაც საეკლესიო ხასიათის მუსიკა აქვთ, ხოლო ტექსტი კი საერო. მაგრამ, როცა მეორეს კოლექტიურად მღერიან, პირველს, ურმულს, მღერის ერთი კაცი, გლეხი, როცა თავის თავთან იმყოფება მარტო და გარს ახვევია როგორც საკუთარი, ისე საერთო მნუხარება. მე არ ვკარგავ იმედს, რომ ოდესმე მოვიპოვებ ამ სიმღერის ნამდვილ ტექსტებს<sup>1</sup>.

ერთ ხმოვან სიმღერებს ამბობენ მელოდიური დალილინებით, თავისუფლად. რიტმი დამოკიდებულია სიტყვის აზრისაგან.

## 7

რაც შეეხება ამ სიმღერის ტექნიკურ მხარეს, უნდა ითქვას, რომ იგი სამხმოვანია. აღმოსავლეთ საქართველოს გლეხები მას უცნაურად მაღალი ფალცეტით მღერიან (თუმცა ინტელიგენტური წრეები ბუნებრივად ასრულებენ მას). მაღალია მხოლოდ ორი ხმა. პირველს ეწოდება „პირველი ხმა“ ან „მთქმელი“, მეორეს — „მოდახილი“, დანარჩენებს კი (რამდენიმეა) — ბანი. ამრიგად, ქართულ სიმღერას არ სჩვევია ევროპიული პრინციპი ხმების თანასწორად განაწილებისა. იგი სულ სხვა თავისებურ პრინციპზეა აგებული, რომლითაც დიდად განსხვავდება კიდევაც სხვა ხალხთა სიმღერებისაგან. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მეორე ხმას ქართულ მუსიკაში ჩვეულებრივ მარტო მეორე ხმის მნიშვნელობა კი არა აქვს, არამედ უფრო ხშირად დამოუკიდებელია და ასრულებს კონტრაპუქტის როლს ბანსა და პირველ ხმას შუა.

უფრო ძველი სამხმოვანი სიმღერების ტექნიკის განხილვასაც იმ დასკვნამდე მივყევართ, რომ ამ შემთხვევაშიც ქართულ მუსიკას ბუნებრივი ჰარმონია ახასიათებს, რომელიც თავისთავად არის სიმღერასთან შეხამებული. ეს ბუნებრივი ჰარმონია ერთდროულად აღებულ აკკორდში გამოიხატება (ქვარტა მიმატებით სეკუნდა ზემოდან, ქვარტა-სეკუნდის ჰარმონია ანუ ტრიხორდი კვინტაში). მართალია, ეს შემდეგ სხვა კომბინაციაშიც გადადის, მაგალითად, დომინანტ-სეპტ აკკორდში, რომელიც ხშირად შეეცვლება პირველს, მაგრამ უმრავლეს შემთხვევაში პირველი კომბინაციით იწყება. და თუ ობერ და უნტერტონები განმარტებას საჭიროებენ ორხმოვან სიმღერებისათვის, სამხმოვანთათვის ისინი სრულიად ბუნებრივ მოვლენას წარმოადგენენ. სწორედ სამ ხმას შეუძლია ერთდროულად გააკეთოს c-f-g კომბინაცია, რასაც ორი ხმა მხოლოდ ცალ-ცალკედ აღწევს. უძველესი სამხმოვანი სიმღერებიც სულ ამ კომბინაციით იწყებიან, და აქედან სჩანს, რომ მათთვის ეს ისევე ბუნებრივია, როგორც ბუნებრივია დღეს ევროპული c-f-g.

რასაკვირველია, ჩვენ არ ვამბობთ ამით, რომ ქართული ჰარმონია მხოლოდ იმ ერთი კომბინაციით განისაზღვრება. პირიქით ქართული სიმღერების შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ მათ მრავალნაირი კომბინაცია სჩვევიათ, და ხშირად ტერციაზე აგებული ჰარმონიის ადგილს სრულიად კანონიერად სხვანაირი ჰარმონია იჭერს. ჩვენ მხოლოდ იმის აღნიშვნა გვინდა, რომ ჩვენებური აკკორდი წარმოადგენს დამოუკიდებელსა და თავისებურს მოვლენას, რომელსაც ახასიათებს დისონური შეერთება და რომელიც თავისუფლად გადადის სხვა აკკორდებში, როგორც მაგალითად ქვარტა-სექსტ-აკკორდი, რომელსაც ჰარმონიულ ტეტრახორდს (do-fa-sol-do) უწოდებენ. ევროპულ ჰარმონიაში do-fa-

1. *ibid*, №16.

sol ხელოვნურად გაკეთებული კომბინაციაა, რომელსაც გარდამავალი ხასიათი აქვს. მას, მაგალითად, არა აქვს დამოუკიდებელი მნიშვნელობის სეპტაკკორდი. ქართულში კი, პირიქით, იგი სრულიად დამოუკიდებელია, ე. ი. ბუნებრივად შექმნილი.

ამგვარად ჩვენი უძველესი სიმღერების სამხმოვანი ჰარმონია განსხვავდება ევროპულ ტერციისაგან. ეს განსხვავება, როგორც აღვნიშნეთ, მდგომარეობს იმაში, რომ ქართულში ისევე ბუნებრივია ტრისორდი კვინტაში do-fa-sol, როგორც ევროპულში do-mi-sol. ქართული აკკორდი, ჩემის აზრით, არ არის შემთხვევითი დისონიური შეერთება; პირიქით იგი ბუნებრივი შედეგია ობერტონისა და უნტერონის კომბინაციისა, ანუ ზემო და ქვემო დომინანტისა — ნოტა do-დან ზევით შებრუნებულ სუბდომინანტისა (do-fa-sol). როცა საჭიროება მოითხოვს, იგი გადადის სხვა კომბინაციაშიც.

ყოველივე ეს — სამხმოვანი ჰარმონია, არა-თანაბარი განაწილება ხმებისა, მეორე ხმის დამოუკიდებელი მნიშვნელობა — იმის მაჩვენებელია, რომ ქართული მუსიკა, თუმცა პირველად არიელი მოდგმის ხალხთა მუსიკის საერთო საფუძველზე ვითარდებოდა, და შემდეგ კიდევ ქრისტიანულის ზეგავლენას განიცდიდა, მაგრამ სრულიად დამოუკიდებელი ფორმები შეიმუშავა. მართალია, საუკუნეთა განმავლობაში უცხო ხალხთა მუსიკა დიდ გავლენას ახდენდა მასზე, მაგრამ ეს გავლენა ერის ზედა ფენებს არ გასცილებია და ხალხური შემოქმედება უმნიშვნელო დარჩა.

ამგვარად, ამ მოკლე მიმოხილვას ჩვენ იმ დასკვნამდე მივყევართ, რომ ქართველი ხალხის გენიამ, მიუხედავად მრავალნაირი ისტორიული და სოციალური დაბრკოლებებისა, შექმნა სიმღერის სფეროში ისეთი მრავალხმოვანება, რომლის მსგავსი, რამდენადაც ვიცით, არ მოეპოვება სხვა ხალხს არც ევროპასა და არც აზიაში. ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ამ მხრით ქართველმა ხალხმა უდიდესი შემოქმედის სახელი დაიმსახურა.

დომიტრი არაყიშვილი

## მეცნიერება. ფილოსოფია

### კანტი კაცობრიობის აზროვნების პერსპექტივებში

(ორასი წლის იუბილეს გამო)

კაცობრიობის აზროვნებას, გარეშე ეროვნულ ათვისების და კულტურულ დონეს სხვაობისა, ერთი ძირითადი, მარადიულ ღირებულებათაგან ამძივებული ხაზი გააჩნია. ყველას არ ძალუძს ამ ხაზამდე აწევა და მის გაქანებაში უცილობელ ადგილის ამოკვეთა. ეროვნული თავისებურობა და კულტურული სხვაობა ყოველთვის ხელსაყრელი გარემოება როდია საკაცობრიო საგანძურში კარის შესაღებად; უკანასკნელი ღირებულება იმდენად, რამდენადაც ხელს უწყობს და ხშირად შესაძლებელს ქმნის ფილოსოფიურ პრობლემათა ახალ ასახების მიწვდომას. გერმანეთს წილად ხვდა ასეთ შესაძლებლობის სინამდვილედ ქცევა და კანტი ერთი იმ მოაზროვეთაგანია, რომელიც კაცობრიობის აზროვნების სავალ გზაზე ნათელის შორს მტყორცნელ ჩირაღდნად აზიდულა.

კანტის საქმე მეორე საუკუნეს ითვლის. აზრის სიძლიერე მარტო ჯერ უხილავ საიდუმლოებათა ამოკითხვით არ გაიზომება. ეს საქმის მხოლოდ ერთი ნაწილია, რომელიც ღირე-

ბულია მხოლოდ მეორე და უფრო მნიშვნელოვან ნაწილთან დაკავშირებით. აქ კი აზრის სიძლიერე იმაშია, რომ იგი სხვა აზროვნების კანონმდებელია. ინდივიდუალ აზროვნების კოლექტიურ აზროვნებამდე გასრულება, კოლექტიურ აზროვნების ინდივიდუალ აზროვნების სალტებში გაკვრა — ასეთია ძლიერი აზრის სტიქია და გასაქანი. ანტიურ ხანის ფილოსოფიური ცა მრავლად იყო ასეთ ძლევამოსილ მნათობით შემკული; ახალ ხანაში ყველაზე თვალსაჩინოდ, ყოველივე იქვის გარეშე, კანტი უნდა ჩაითვალოს. ევროპის კაცობრიობის აზროვნების პულსი უნდა შესდგეს მაგიურ გაქვავებით კანტის დაბადების ორასი წლის მოგონების მისტიურ წუთში. თუ საკაცობრიო კულტურა ზღაპარი და ლათაია არ არის, ასეთ ინტერნაციონალ კონსონანსს ხელი ვერ უნდა შეუშალოს ახლო წარსულის გავერანებით განკვეთილმა იარებმა. ჰაერში და ზღვაზე მეტოქეობის ჟინმა ვერ უნდა შეაჩეროს ინგლისელის აზროვნებაში იმ უმნიშვნელო დაფის გაბმა, რომელიც კენიგსბერგის ქურუმის სამყოფელისაკენ გაზიდულა; რურის ნახშირის აკვამლებაში არ უნდა დაიფერფლოს ფრანგის ცნობიერებაში ძლიერი აზრით გამოქანდაკებული სახე კანტისა. ყველა ეს წარმავალია და იმავე დროს უბრალო საშუალება სიკეთის განივითერებულ გაგებისათვის. კანტის იუბილე აზრის ძლევამოსილობის ზეიმია, რომლის ნიაღში აჩრდილებათ დაიცრიცება ყოველი წარმავალობა, როგორც მზის ამოსვლისას ღამით შთენილი ნისლი დამარცხებული ჰაეროვნდება.

რა არის კანტის მთავარი ფილოსოფიური საქმე და რა ადგილი უჭირავს მას კაცობრიობის აზროვნების პერსპექტივებში? ძლიერი ნააზრევი ორგანიულ მთლიანობით ხასიათდება. მისი აგება მონადიურია, რომლის ერთი ელემენტი მთელ სისტემის უშუალო უკუფენაა. ხარისხეული განსხვავება მონადათა შორის არ აუქმებს მთლიანობის ორგანიზმობას, ხოლო მისი ცენტრალი მომენტი იმავე მთლიანობის განმტკიცებაა. სადაა კანტის სისტემის ცენტრალი მონადა? უეჭველად „პირველ ფილოსოფია“-ში, რომელსაც სრულიად უხეიროდ შემეცნების თეორია უწოდეს.

შემეცნების თეორია ანუ გნოსეოლოგია ეპოგონურ ფილოსოფიის საქმეა. კანტის ფილოსოფია გონებრივ ელემენტებზე არსად არ ლაპარაკობს არსისაგან განყენებით; ხოლო არსში აზრის გატანა სრულიადაც არ უდრის არსის ძიების აზრის შესწავლის ფარგლებით განსაზღვრას. კანტმა, რა თქმა უნდა, მრავალი საბაბი მისცა შემდეგ მოაზროვნეთ, რომ მისი ფილოსოფიური საქმე გაგებული ყოფილიყო როგორც შემეცნების თეორია. მათ შორის თვალსაჩინოა მეტაფიზიკის წინააღმდეგ ბრძოლა და არსისა და აზრის წონასწორობის დარღვევა მისი ნააზრევის დასკვნითი ნაწილებში პირველმა ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა, თითქოს კანტმა ხელი აიღო მსოფლმხედველობის შემუშავებაზე და ნაცვლად მისაღწევ მიზნისა, რომელიც ადამიანის ძალას თითქოს აღემატებოდა, მისაღწევი მასალების ანუ იარაღის ე. ი. გონების კვლევა-ძიებით შემოიფარგლა. საქმის ასეთი გაგება უეჭველად დეკადანსის სააზროვნო კონტექსტია, როდესაც ფილოსოფიურ სისტემათა შენებაში უშედეგობით დაუძღურებული აზრი საკუთარ თავის რეფლექსიას უბრუნდება და დამარცხებული საკუთარ ციხეში ღამობს გამაგრებას.

კანტის თვალსაზრისის ასეთი გაგება შემცდარია იმ ისტორიულ კონტექსტის მიხედვით, რომელშიაც ჩაისახა და განვითარდა მისი აზროვნება. კანტის ფილოსოფია ამოვიდა „დოგმატიურ თვლემიდან“, რომლის უახლოესი მიზეზი, თანახმად კანტისავე თქმისა, იუმეს ემპირიზმი იყო. რაციონალი თეოლოგია, თუ ინტოლოგია, რომელზედაც ლაპარაკია „კრიტიკა“-ში, მიმართულების მიმცემი კი არაა კანტის ფილოსოფიისათვის, არამედ საილუსტრაციო მასალა. ამდენად მოხსნილია ის ჩვეულებრივი სააზროვნო კონტექსტი, რომელშიაც წარმოიშობოდა ხოლმე „რევიზიონისტული“ ფილოსოფია, შემოქმედების დეპრესიის მატარებელი.

დასკვნები, რომლებსაც მიაღწია კანტმა, უეჭველად გონების პრიმატის იერს ატარებენ. ამით თითქოს მართლდება, რომ კანტის ფილოსოფია მარტოოდენ „გონების კრიტი-

კა“ იყო, მაგრამ ეს, მთავარ თხზულებს სათაურშიაც თითქოს გამართლებული შეხედულება, ზერელობის გამომხატველი იქნება, თუ არ გაირკვა კანტის მიერ საკითხის დაყენება. ჩვენის აზრით, კანტის სიძლიერე და **დღემდის ღირებულება-უკლები საკითხის გადაჭრა კი არაა, არამედ დასმა**. ამიტომაც, დასკვნითი შედეგები ოდნავადაც ვერ სცვლიან საკითხის დაყენების თავისებურობას და მნიშვნელობას. აზროვნების ისტორიის პერსპექტივების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია არა ის, რაც ამ ისტორიის ერთ ნერტილზე შეჩერებას ლამობს, არამედ ის, რაც ახალ შესაძლოებათა ერას შლის კაცობრიობის წინაშე. სისტემა აზროვნების ისტორიაში სასვენი ნავთსაყუდარია: მასში ყველაფერი ლოლიკურად არაა აგებული და ეპოქის ზრახვანი და მისწრაფებანი იმ ნიადაგს წარმოადგენს, რომლის წიაღში წმინდა სააზროვნო ძარღვები ყოველთვის სახელდახლოდ არა სჩანს. საკითხი ის თესლია, რომელიც მრავალ მოსავალს იძლევა და ამ ნიადაგის მიხედვით ახალ თაობებში გადადის ხელ-ახლად ასაყვავებლად.

თვით კანტმა უეჭველად შემცდარი პასუხი გასცა მისგანვე დაყენებულ საკითხზე, მაგრამ, როგორც დავინახავთ, ამ შეცდომასაც კი თავისი დიდი ისტორიული მისია ჰქონდა, რომელიც მრავალ გაბედულ ცდებში გამოიხატა, რომელთაგან უმრავლესობა დიდ მსოფლმხედველობათა გამომუშავებისაკენ იყო მიმართული. ეს გარემოებაც იმის დამატებითი მაჩვენებელია, რომ ფილოსოფიურ სისტემათა შექმნის წყაროდ გამოსული კანტის ნააზრევი არ იყო ეპიგონურ სტილით წარმოებული შემეცნების თეორია. განვიხილოთ, რას წარმოადგენდა კანტის საკითხი და როგორ უნდა გავიგოთ, რომ მან თავისსავე საკითხს ჯეროვანი პასუხი ვერ გასცა.

მხოლოდ ერთხელ ავიდა კაცობრიობის აზრი იმ სიმალემდე, საიდანაც აზრის და არსის განუყრელობა იხილა. ეს მოხდა იმ მწვერვალზე, რომელსაც პლატონის ფილოსოფია ეწოდება. იხილა თუ არა მან ეს საიდუმლოება, მაშინვე დაიბნა და სიღრმეში შეჭრილ ჭეშმარიტების მოკლე ჭკუის ენაზე თარგმნა დაიწყო. ეს მოხდა იმ კონტექსტში, სადაც ფილოსოფიურ ინტუიციით მიწვდომილში წინააღმდეგობის ლოლიკა შეიჭრა და მთლიანად შენებულ არსში შინაგანი დაპირისპირებანი აღმოაჩინა. თვით პლატონმაც ვერ გაუძლო შინაგან რყევას და რწმენა რყეული გააფთრებული შეუდგა შუა გაბზარულ შენობის ჯერ საკუთარ საშუალებებით და შემდეგ პითაგორელებისაკენ გადახრით ამოვსებას. აზროვნების ისტორიაში ეს მომენტი კოლოსალური ტრაგედიაა. მას ისტორიულად მხოლოდ ერთი ანალოგი აქვს: სინაის მთიდან ჩამომავალ პატრიარქის მიერ ხალხთა სულმოკლეობის ხილვისას უზენაესით მოწოდებულ ცნებათა დამსხვრევა. ფილოსოფიურ ეროსს განელებულ აზროვნების პატრიარქს ხელთ შემოემსხვრა ზეციურ ასხივოსნებას შემოძარცვული არსის სახე, რა ჟამს იგი მოკლე ჭკუის სქემებს შეახო. **არისტოტელე** ამ პირობებშია შობილი. არსის და აზრის მთლიანობის აღდგენა როგორმე ლოლიკურ რეფლექსიის ნიადაგზე უნდა განხორციელებულიყო. „პირველ ფილოსოფიის“ დიადი მიზანი ყოველივე არსებულის გარკვეულობაში წარმოდგენისა კოლოსალური ფილოსოფიური ხილვა იყო. არ იყო არსი, რომელიც გარკვეულობას, ე. ი. ფორმას არ შეიცავდა, რომელიც იმავე დროს აზრის ფორმაც უნდა ყოფილიყო. მაგრამ თუ პლატონი მსოფლიოს ორგანიზმობის თვალსაზრისზე ვერ გამაგრდა, არისტოტელემ ორგანიზმი დინამიურობაში დაშალა და შეუერთებელი, მისი აზრით, ე. ი. იდეა და მოვლენა შესაერთებელის პრობლემით, ე. ი. ფორმისა და მატერიის, შესცვალა.

საუკუნეთა განმავლობაში მითვლემილმა აზრმა კანტის ფილოსოფიაში ახალი ძალით იფეთქა. აზრი და არსი არც შუა გაბზარულ სინამდვილის სხვა და სხვა ნაწილებში მოჰყოლილი ელემენტია, არც დაუსრულებელ დინამიურობაში ერთი მეორისადმი მსწრაფვი. ემპირიული რეალობა არსებობს იმდენად, რამდენადაც მასში არსებობა მხოლოდ ორივე ელემენტის — არსის და აზრის სინთეზზეა დამყარებული. საგანი და მისი შემეცნებელი



— ობიექტი და სუბიექტი — ორი ფენომენი კი არაა, არამედ ერთ მთლიან ფენომენის განუყრელი ნაწილები. ამით შექმნილია სრულიად ახალი პირობები ყველა იმ საკითხისათვის, რომელიც წინაკანტიელ ფილოსოფიას აინტერესებდა. და განა მარტო მას? მთელი ის შინაგანი რღვევა, რომელიც ლოლიკურ რეფლექსიის ნიადაგზე აღმოცენდა, რომელმაც პლატონი ფილოსოფიურ ეროსის სიმაღლიდან ჩამოაქვეითა, და არისტოტელეს „პირველი ფილოსოფია“ ზეცისაკენ აშვერილ ხელების ამარა დასტოვა, რომელმაც საშუალო საუკუნოების აზროვნება დაანვრილმანა და ახალი დროც ახალ სქოლასტიკის აჩრდილის წინ დააყენა, ეს შინაგანი რღვევა უადგილოა ტრანსცენდენტალ ფილოსოფიაში. დაპირისპირების, შეფარდების გზით გაზომვა, რომლითაც საზრდოობს რეფლექსიით გარეგნული გონება ძველი ლოლიკისა, ჭეშმარიტების ამავე კონტექსტში მაძიებელი, სრულიად ახალ ნიადაგზე დგება. მართლაც, რომ აზრის რევოლუციია საჭირო იმისათვის, რომ ნათელი გახდეს რეფლექსიის გარეშე წარმოებული ჭეშმარიტების გაგება. ასეთია ძირითადი ამოცანა ე. წ. ჭეშმარიტების ლოლიკისა. კანტის მთავარი საქმე სწორედ ეს ჭეშმარიტების ლოლიკაა და ეს გარემოება მისი დაბადების ორასი წლის თავზე მაინც აუცილებლად ნათელი უნდა გახდეს. ტრანსცენდენტალი რეალიზმი ჭეშმარიტების თეორიით შენებული რეალიზმია, ანუ, თუ ეს მისაღები იქნება — ალეთოლოგიური რეალიზმი.

არსი კანტის ფილოსოფიაში შემეცნების და შესაცნობის კომპლექსია. მთელი რეალობის გასწვრივ თითოეული მისი ელემენტი არსის და აზრის განუყრელი მთლიანობაა. ამიტომაცაა, რომ არა ტრანსცენდენტალ მიდგომისათვის აღარსად რჩება მონაცემის გარეშე მისი შემეცნებელი; ასეთი თვალსაზრისით არც იპოვნება გზა კანტის ფილოსოფიაში შესასვლელი. როდესაც ჩვეულებრივ „გნოსეოლოგიებში“ გამობრძმედილი აზრი კანტის ფილოსოფიის შესწავლას შეუდგება, მაშინვე იგრძნობს ისეთ რასმე, რაც თავის ბრუალის გრძნობის მაგვარი უნდა იყოს. ჩვეულებრივად გნოსეოლოგიებში და შემეცნების თეორიებში აღებული შესადარებელი პირობები, „რელაციის“ ელემენტები: საგანი და შემეცნება, სუბიექტი და ობიექტი და სხვა სრულიად უაზრონი არიან კანტის ფილოსოფიისათვის. შესადარებელი ელემენტები ერთ მთლიანობაშია მოქცეული და ამდენად გნოსეოლოგია არამც თუ უმწეო მდგომარეობაშია, არამედ მოხსნილია კანტის ფილოსოფიაში. რა არის საგანი ტრანსცენდენტალ ფილოსოფიისათვის? თავდაპირველად — არა ის, რაც შემეცნებას უპირისპირდება, მის გარედ არის. მაგრამ ეს იმმანენტური თეზისი არ კმარა. საჭიროა საგნის ცნების სრული გადამუშავება და აი, სწორედ ტრანსცენდენტალ ფილოსოფიის თვალსაზრისით ასეთი გადამუშავება უნდა მოხდეს. საგანია ის, რაც აზრის ფორმების რეალიზაციაა, რაც ამოქმედებს და ასრულებს აზრს. მაშასადამე, აზრი ისე არაა საგნის გარედ, როგორც საგანი აზრის გარედ. საგანს სხვა გვარად არ შეუძლია იყოს, თუ არა აზრის ფორმებში: ინტუიციის სქემებში, როგორცაა დრო და სივრცე და კატეგორიულ სინთეზებში აზრს არ შეუძლია იყოს სხვაგვარად, თუ არა ინტუიციით მოცემულ მასალაში. გაჩეხეთ ეს მთლიანობა და მიიღებთ ნულს. ფორმები უმასალოდ ცარიელია და მასალა უფორმოდ — ბრმა. არის აქ „გნოსეოლოგიის“ სუბიექტ-ობიექტი, რომლის ირგვლივ ტრიალებს მთელი მისი მუშაობა? ცხადია, რომ არა. არსებობს შემეცნება, რომელიც საგანს უნდა დაუპირისპირდეს და მასთან მიმართების გარკვევა, რომელმაც გნოსეოლოგიას არსებობის საბაზი მისცეს? ნათელია, რომ არა. ყველა ამის გამო ფილოსოფიაში არსებულ ყველაზე დიდ გაუგებრობად უნდა ჩაითვალოს კანტის ფილოსოფიის „შემეცნების თეორიად“ აღიარება და მისი დაბადების ორასი წლის თავზე მაინც ეს ეპიგონური ბალასტი შორს გადატყორცნილი უნდა იქნას.

ტრანსცენდენტალ სუბიექტის გამოყენება „გნოსეოლოგიისათვის“ საჭირო „რელაციის“ მომენტების გადასარჩენად კანტის ნააზრევის შარყვნის გაგრძელებაა. თითქოს ემპირიულ სუბიექტს შეეძლოს ჰქონდეს შემეცნება გარეშე ტრანსცენდენტალ სუბიექტისა! შე-

მეცნების შესაძლებლობა დაკანონებულია მაშინ, როდესაც ემპირიული სუბიექტი ამაღლდება ტრანსცენდენტალ სუბიექტამდე, ე. ი. როდესაც მისთვის გარესაგანი მისდამი გარემდებარე კი არ იქნება, არამედ მისი აზრი საგანთან ერთ კომპლექსში შევა. აქ პრინციპიული სხვაობა კი არაა, არამედ ხარისხეული განსხვავება, როგორც უსრულო და სრულ შემეცნების შუა. სრული და ჭეშმარიტი შემეცნება გვაქვს მაშინ, როდესაც ემპირიული სუბიექტი დაეუფლა ტრანსცენდენტალ სუბიექტს, ხოლო რამდენად ეს არ მომხდარა, იმდენად **სუბიექტის** შემეცნებასთან კი არა, არამედ **სუბიექტიურ** შემეცნებასთან გვაქვს საქმე. შემეცნება ობიექტიურია, ე. ი. ჭეშმარიტი არა მაშინ, როდესაც სუბიექტის წარმოდგენა ობიექტს ეთანაბრება — ასეთი კონტექსტი არ უნდა არსებობდეს კანტისათვის — არამედ მაშინ, როდესაც ემპირიულ და ტრანსცენდენტალ სუბიექტს შორის განსხვავება და დაშორება მოხსნილია და შემეცნება და შესაცნობი ერთ მთლიან კომპლექსად იქცევა.

რა ადგილი უჭირავს კანტის ნააზრევში „საგანს თავის-თავად“? ეს საკითხი დაუსრულებელ დავას იწვევდა, რომლის განხილვა ორიოდე სიტყვით შეუძლებელია. ზემოდ აღვნიშნეთ, რომ კანტმა მართებულად დააყენა საკითხი, ხოლო მას სწორი პასუხი ვერ გასცა. სწორედ ამ გარემოებასთან არის დაკავშირებული ეს ხორცმეტი კანტის ფილოსოფიაში, როგორსაც წარმოადგენს „საგანი თავის-თავად“. შემეცნება და შესაცნობი რომ ერთი მთლიანი მოვლენაა — ეს კანტს კარგად ესმოდა, მაგრამ ის ამ კომპლექსის გაგებაში უცილობელ შეცდომაში ჩავარდა. კანტი ჰფიქრობდა, რომ კომპლექსი მოსახერხებელი და დასაშვებია მხოლოდ მაშინ, თუ ერთის მხრივ გვექნება პასიური და მეორეს მხრივ აქტიური, თუ ერთს შემთხვევაში ავიღებთ უსახოს და უფორმოს და მეორეს მხრივ, მივსცემთ მას ფორმას და სახეს. კანტს რომ საქმე სწორედ აგრე ესმოდა, იქედანაც სჩანს, რომ კომპლექსის ელემენტები ფორმისა და მატერიის სახით წარმოედგინა. ფორმა-მატერიის კონტექსტი ოდნავადაც არ ატარებს იმ განსხვავების იერს, რომელიც კანტმა ძველი ქვეყნის მიმართ შეიცნა, თუნდაც იმ განსხვავების გამოყვანის დროს, რომელიც არისტოტელეს კატეგორიებსა და ტრანსცენდენტალ ფილოსოფიის კატეგორიებს შორის უნდა ყოფილიყო.

როგორც სჩანს, კანტს შეუძლებლად მიაჩნდა, რომ კომპლექსისათვის მოცემულ მატერიას თავისი ფორმა ჰქონებოდა. მაგრამ ვინაიდან მატერია, როგორც შემეცნების ფორმებისათვის აუცილებლად საჭირო გარემოება, რომლის გარეშე, თანახმად პირობისა, არავითარ ფენომენს ადგილი არ ექნებოდა, საიდანმე უნდა მომდინარეობდეს, რისიმე მოვლენა უნდა იყოს, ამიტომაც საჭირო შეიქნა, თუნდაც ერთგვარი წინააღმდეგობაში ჩავარდნით, მატერიის მომვლინებელ გარემოების გატანა ადამიანის შემეცნების ფარგლების გარეშე. სწორედ აქაა მოთავსებული „საგნის თავის-თავად“ მიღების მიზეზი და არა იქ, სადაც მას, მიუხედავად ამ საკითხის ირგვლივ ორი საუკუნის განმავლობაში ხეტიალი-სა, ჩვეულებრივად ეძებენ ხოლმე. ფორმა-მატერიის კონტექსტი მოითხოვდა, რომ კომპლექსის ერთ ნაწილს არავითარი სახე არ ჰქონებოდა. ასე ჰფიქრობდა მისი აღმომჩენი ძველი ქვეყანა. კანტმა გაიგო, რომ შემეცნება და შესაცნობი ერთი კომპლექსია, რომ მათ შორის ლოლიკურ რეფლექსიით ნაკარნახევი დაშორება და ამ ნიადაგზე აღმოცენებული რღვევა უადგილოა. პლატონიზმი არისტოტელიზმის რეფლექსიამ გადაიტანა, მაგრამ ახალ დროში სწორედ კანტმა რეფლექტიურ ლოლიკას ტრანსცენდენტალი ლოლიკა დაუპირისპირა და მოსალოდნელი იყო, რომ კანტი იმ მხრივაც დასძლევდა ანტიურ აზროვნებას, რომ არსის და აზრის კომპლექსს აქტიურ-პასიურის განსხვავება-დაპირისპირებაზე არ ააგებდა. ძველმა ხანამ ვერ დასძლია ამ მომენტების პრინციპიული სხვაობა: მას აუცილებლად მიაჩნდა, რომ ერთი ნაწილი ერთეულ სინთეზებისა მომქმედი უნდა ყოფილიყო და სახე-ფორმის მიმცემი, მეორე კი ამ მოქმედებისათვის დაქვემდებარებული უსახო და უფორმო. ეს დაპირისპირება პლატონის ფილოსოფიაში უმაღლეს წერტილამდე აღვიდა. ეს რომ არ ყოფილიყო, არისტოტელეს ლოლიკა არ გაჩნდებოდა. კანტის შემდგომმა ხანამ, რამ-



დენადაც კანტის მიერ დაუძლეველი დარჩა უმართებულო რეფლექსიის შედეგები, იგივე აზრთა კონტექსტი შეინარჩუნა და ხან „მე“ და „არა-მე“-ს სახით გამოხატავს მას და ხან კი „სუბიექტ-ობიექტის“ დაპირისპირებაში.

კანტისათვის კომპლექსის ორივე მომენტები განუყრელი იყო. ამდენად მეორე უფორმო ნაწილის მნიშვნელობა მალე იყო დაყენებული, ვიდრე ამას ანტიური აზროვნება სჩადიოდა. ამიტომაც ანტიურ ხანის „არ არსებულისაგან“ — „მეონოდან“ დიდი მანძილია კანტამდე. კანტისათვის მატერია უკვე „მეონი“ არაა, არამედ შეიცავს სრულს არსებობას, ხოლო ეს არსებობა ეკუთვნის „საგანს თავის თავად“ და არა „მოვლენის“ სფეროს. რატომ? ამ კითხვის პასუხი, რა თქმა უნდა, კანტის ფილოსოფიაში არაა, ვინაიდან ეს მის გასაქანს აღემატება. კანტს ეგონა, რომ თუ მატერიას თავისი ფორმაც ექნებოდა, მაშინ მისი შეერთება აზრის ფორმებთან მოუხერხებელი საქმე იქნებოდა. კანტი ჰფიქრობდა, რომ ასეთ პირობებში უკეთეს შემთხვევაში ლეიბნიცის წინასწარ განწყობილ ჰარმონიისაკენ დაბრუნება მოხდებოდა. ეს იმის მაჩვენებელია, რომ კანტის ნააზრევის საფუძველს შეადგენს ის რწმენა, რომ თანასწორ და საკუთარ ფორმის მქონე ელემენტებისაგან შემდგარი კომპლექსი შეუძლებელია, რომ მაშინ თითოეული მათგანი თავის საკუთარი გზით მიდის და ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ მათ შორის გარეგნულად განწყობილ ჰარმონიასა, თუ სხვა რაიმე მიმართების შესახებ. აქაა ლერძი კანტის ფილოსოფიისა, აქედან გამომდინარეობენ შემდეგი მოძღვრებანი შესახებ „საგანისა თავის თავად“ და „მოვლენებისა“ „ნოუმენალ“ და „ფენომენალ“ სამყაროსა, იდეების „კონსტიტუტიურ“ და „რეგულიატიურ“ გამოყენების განსხვავებისა და სხვ. და სხვ.

რა არის ჭეშმარიტება „ჭეშმარიტების ლოლიკის“ თვალსაზრისით? მისი ძებნა ორის მიმართულებითაა შესაძლო კანტის ფილოსოფიაში: ან აზრისა და არსის ურთიერთობაში, ან და ემპირიულ და ტრანსცენდენტალ სუბიექტის დამოკიდებულებაში. არა ორი მომენტი ეთანხმება ერთი მეორეს — არამედ ერთი და იგივე მომენტი როგორც საგანში, ისე აზრში. ჭეშმარიტების თეორიის ანუ ალეთოლოგიისათვის ეს უდიდესი მიღწევაა. იგი თავისუფალია ყველა იმ სიძნელეთაგან, რომლებიც წინ ელობებოდნენ მუდამ დაპირისპირების და რეფლექტიურ ლოლიკის ნიადაგზე აგებულ ჭეშმარიტების თეორიას. ეს შედეგია აზრის და არსის, როგორც მთლიანი კომპლექსის, გაგების და სწორედ ამის მიხედვით აიგივებდა კანტი ტრანსცენდენტალ და ჭეშმარიტების ლოლიკას.

კანტის ძირითადი შეცდომა — აზრის და არსის სწორუფლებიანობის დარღვევა — ჭეშმარიტების პრობლემაშია იჩენს თავს. კანტმა აქაც მართებულად დააყენა დიდი და ახალი საკითხი, მაგრამ სწორედ ვერ უპასუხა მას. ჭეშმარიტება არაა გარეგანი დაპირისპირება ანუ რელაცია, მაგრამ **ერთი ელემენტი**, რომელიც საგანსა და აზრში უნდა იყოს, არც **ერთ მათგანისაგან** წარმოებული არ შეიძლება იყოს. თუ აზრი და არსი მთლიანი კომპლექსია, შეუძლებელია მთელის დახასიათება **ერთი ნაწილისაგან** მომდინარეობდეს. რატომ ხდება ეს კანტის ფილოსოფიაში? იმიტომ, რომ კომპლექსის მეორე ნაწილი მიღებულია როგორც ყოველივე ღირსება ახდილი, პასიური, უსახო და უფორმო. ამით ნაიშალა, როგორც ჭეშმარიტების, ისე ფენომენის და საზოგადოდ ყოველივე არსებულის გამოყვანის შესაძლებლობა. შესაცნობის ადგილი შესაქმნელმა დაიჭირა და კანტის მთელ არგუმენტაციაში არა სჩანს საბუთი, რატომ და როგორ უნდა იყოს მიღებული კომპლექსის მეორე ელემენტი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმას, რომ ამ დაუსაბუთებელ მტკიცებაში გამოხატულია სურვილი, რომ აზრის ფორმებს როგორმე ობიექტივობა მიეკუთვნოს. კანტმა ძალიან კარგად იცის, რომ მატერიის არარაობად გამოცხადება შემეცნების ფორმების განიავებას ნიშნავს. მის აზრთა წყობაში აზრის ფორმებს არ გააჩნია ის შინაგანი ძალა, რომელსაც შეუძლია მატერიის უქონლობა აანაზღაუროს და ასეც რომ იყოს, ეს მთელი მისი კონსტრუქციის შეცვლა იქნებოდა. ლოლიკურად ასეთი თვალსაზრისი შე-

იძლება გამომდინარეობდეს კანტისაგან, მაგრამ მას თვითონ ეს არ ჩაუდენია; ისტორიულად კი ცნობილია, რომ ამ ხაზით წავიდა კანტისაგან ამოსული აზროვნების საკმაოდ ძლიერი ნაკადი.

აქვს თუ არა კანტის ნააზრევს მნიშვნელობა ფილოსოფიის მომავალ პერსპექტივებშიათვის? უეჭველად აქვს და ეს მნიშვნელობა მის ძირითად თეზაშია: არსი და აზრი ერთი კომპლექსია. ცხადია, რა მხრივ საჭიროებს ამ დებულებაზე აგებული კანტის ნააზრევი გადამუშავებას: **უნდა აღდგენილ იქნას კომპლექსის ელემენტების სწორი ღირებულება**. ძალაში უნდა დარჩეს არა „შემეცნების თეორია“, როგორც შემცდარად დაახასიათეს კანტის თეორია, არამედ „ჭეშმარიტების ლოლიკა“. ამ დისციპლინისათვის უნდა აღდგენილ იქნას მტკიცე საფუძველი, რაც შესაძლებელი იქნება არა მაშინ, როდესაც გონების პრიმატის გამო ჰქრება კომპლექსის მეორე ელემენტი, არამედ მაშინ, როდესაც აზრიც და არსიც ერთი და იმავე, მათთვის თანასწორად სავალდებულო ონტოლოგიურ ბაზისზე იქნება აშენებული.

კომპლექსი მაშინ კი არაა შესაძლებელი, როდესაც ორი ელემენტი ერთი მეორეს უპირისპირდება, კომპლექსი გვაქვს მაშინ, როდესაც თითოეული ელემენტი ერთი მეორესთან მისასვლელ გზების მქონეა. ერთი მხარის აქტივობა კომპლექსს ვერ შექმნის; საჭიროა თითოეულ მათგანში იყოს ის, რაც არის და ამის გარდა კიდევ რაღაც. არსებული არის ის, რაც არის პლიუს ის ზედმეტი, რომ ის ამ გვარად არის, როგორც არის ე. ი. გარკვეულობა. ის, რაც გარკვეულია თავის თავად, არკვევს იმასაც, რაც მასთან ონტოლოგიურ კავშირშია. ონტოლოგიურად არის მხოლოდ წინმდებარება ანუ საგნობრიობა. საგნობრიობაში თავს იყრის არა მარტო საკუთარი გარკვეულობა, არამედ სხვა ელემენტის თანაგარკვეულობა. ამაშია საგნის აქტივობა, რადგან მასთან თანაგარკვეულობა შეიძლება ხდებოდეს მხოლოდ იმ ხაზზე, რომელსაც მოითხოვს მისი გარკვეულობა ანუ ამგვარად ყოფნა. საგნის დაძლევა შეიძლება მხოლოდ საგნისთვის დამორჩილებით და ამაშია ის შინაგანი დიალექტიკა, რომელიც შემეცნების და შესაცნობის აქტივობის თანაბრობის გამომხატველია.

აზრიც ასეთსავე მდგომარეობაშია. იგი ის არის, რაც არის, ე. ი. შინაგან გარკვეულობის შემცველი, მაგრამ იმავე დროს იმაზე მეტი და ეს ზედმეტი არის რაც მასში საგნისეულია, საგნის გარკვეულობით ნაკარნახევი. არ არის აზრი საზოგადოდ, ისე როგორც შეუძლებელია არსი საზოგადოდ. შემეცნების, ანუ აზრის ტრანსცედენტალ პირობათა შორის არის ერთი, რომელიც კანტმა მხედველობიდან სრულიად გაუშვა და რასაც მთავარი მნიშვნელობა აქვს: თვით შესაცნობი საგანი. აზრი, როგორც გარკვეულობა შესაძლოა მხოლოდ მაშინ, როდესაც არსი უკვე მომხდარა და მის გარკვეულობის ნიადაგზე იშლება თანაგარკვეულობის არე, არსს ის უპირატესობა აქვს, რომ ის გარკვეულობის დასაბამია, აზრს ის უპირატესობა აქვს, რომ მას შეუძლია გადალახოს საგნობრიობის ონტოლოგიური საზღვარი და წინ დაიყენოს ანუ წარმოიდგინოს სხვა და სხვა საგნები. საგანი უძლურია ონტოლოგიურად, მაგრამ ძლიერი გნოსეოლოგიურად, აზრი ძლიერია ონტოლოგიურად, მაგრამ უძლური გნოსეოლოგიურად. საგანს არ შეუძლია ონტოლოგიურად ამოხტეს იმ საარსებო ჩარჩოდან, რომელშიაც იგი მოჰყოლილია ეს მისი პასივობაა, მაგრამ კანონმდებელია აზრის გარკვეულობის მიმართ — ეს მისი აქტივობაა. აზრს შეუძლია გადალახოს საგნის ონტოლოგიური საზღვრები და დაიდგინოს წინ ანუ წარმოიდგინოს ონტოლოგიურად შორეული ელემენტებიც. ეს მისი აქტივობაა, მაგრამ მას მომხდარ წარმოდგენის შემდეგ არ შეუძლია თავის ნებაზე მოაწყოს იმ გარკვეულობის შინაარსი რომელიც მას საგნით დავალებული აქვს.

ამ რიგად, საგანს, როგორც არსებულს და მის წარმატებულს, გააჩნია შინაგანი რელაცია. ამ რელაციის შინაარსს შეადგენს, რომ საგანი არის ის, რაც არის, ამ რიგად და არა სხვა გვარად. ამ რელაციის ნიადაგზე ჩნდება ის, რასაც შეიძლება ეწოდოს „ჭეშმარი-

ტება თავის თავად“. მეორეს მხრივ გვაქვს შემეცნების შინაგანი რელაცია, რომელიც იმ-  
ლება აზრის, როგორც ასეთის, და იმ ზედმეტს შორის, რომელიც მას ასეთ და არა სხვაგ-  
ვარ აზრად აქცევს. ორივე რელაციას აერთებს ის გარემოება, რომ ორთავეს **ერთი ელემენტი საერთო აქვს** — ის ზედმეტი, რომელიც არც არსს და არც აზრს განკერძოებით არ შეადგენს და ორივეში შედის, ორივეს შესაძლებლობას შეიცავს. რამდენადაც ჩვენ, შემ-  
მეცნებელი ადამიანები ამ საერთო ელემენტის მიღმა ვსდგევართ, იმდენად საქმე გვაქვს  
„ჭეშმარიტებასთან ჩვენთვის“, ხოლო რამდენადაც საგანი თავის შინაგანი რელაციით ამ  
საერთო ელემენტის მიღმა განიმტკიცება, იმდენად არსებობს „ჭეშმარიტება თავის თა-  
ვად“. ამდენადვე შემეცნება ჭეშმარიტების „თავის თავად“ ჭეშმარიტებად „ჩვენთვის“  
გარდაქცევია.

კანტის მიზანი „ჭეშმარიტების ლოლიკის“ დასაბუთება იყო; საამისოდ მან შექმნა  
პრობლემის დასაყენებელი საფუძველი, სადაც შესაძლო უნდა ყოფილიყო ასეთი ლოლიკის  
დამუშავება. ზემოდ დასახელებულ გარემოებამ ხელი შეუშალა მას ეს დიადი განზრახვა  
სისრულეში მოეყვანა. კანტის საქმე დაგვირგვინდება მაშინ, თუ გადალახული იქნება  
ყველა ის დაბრკოლება, რომელიც ტრანსცედენტალ ფილოსოფიის გენიალ საფუძველმ-  
დებელს წინ აღემართა. კანტი მოთავსებული კაცობრიობის აზროვნების პერსპექტივებ-  
ში, როგორც თავის მიღწევებით, ისე შეცდომებით ნათლად გვიჩვენებს იმ გზას, რომელ-  
ზედაც უნდა შესდგეს კაცობრიობის აზროვნება, დამოუკიდებელი იმასაგან იქნება ეს გზა  
იმავე დასავლეთის მოაზრეთაგან შეგნებული, თუ იგი აღმოსავლეთიდან მოვა.

*პროფ. შალვა ნუცუბიძე*

## რელატივობის მოძღვრება ეინშტეინისა

### საზოგადო მიმოხილვა

#### A. შესავალი

1. რელატივობის სახელწოდებით მონათლულია ის მოძღვრება, რომელიც გვაძლევს  
სრულიად ახალს ინტერპრეტაციას უპირველესად ყოვლისა დროისა, სივრცისა და მიმ-  
ზიდველობის შესახებ, ხოლო შემდეგ იმ ცნებათა შესახებაც, რომელთაც პირდაპირი კავ-  
შირი აქვთ დროსა და სივრცესთან, როგორცაა სხეულთა ფორმა, მასა, ენერგია და სხვა.

რელატივობის თეორია შემთხვევით როდია აღმოჩენილი. გზა ამისათვის გაკაფული  
იყო მე-19 საუკუნის დასასრულიდან. კლასიკური ცოდნის შენობა დროისა და სივრცის შე-  
სახებ თავისდათავად ინგრევოდა. საჭირო იყო მცირეოდენი შენძრევა, რომ მისგან მხო-  
ლოდ ნანგრევები დარჩენილიყო და ეს პირველად შეასრულა ალბერტ ეინშტეინმა თავისი  
შესანიშნავი გამოკვლევით: Zur Elektrodynamik bewegter Körper, რომელიც 1905 წ. Annalen der  
Physik-ში გამოაქვეყნა. ამ შრომაში მოთავსებულია ე. წ. კერძო რელატივობის საფუძველ-  
ები. სწორედ აქაა მოხდენილი დროისა და სივრცის ის ღრმა ანალიზი, რომელმაც სრულიად  
გააქარწყლა კლასიკური ცოდნის სუბიექტური შეხედულება ამ ცნებებზე და ობიექტური  
დრო და სივრცე აღმართა ნაცვლად ამისა. რელატივობის დრო და სივრცე სხეულთა ისეთ-  
სავე თვისებას წარმოადგენს, როგორცაა მაგალითად სიმძიმე, ელექტრობა, ფერი და სხვა.

ეინშტეინის გენია ამით რომ დაკმაყოფილებულიყო, მისი სახელი ასეთი დიდებული  
როდი იქნებოდა. დროისა და სივრცის ცნებათა გადაშინჯვის შემდგომ იგი შეუდგა მიმ-

ზიდველობის საიდუმლოების გამორკვევას და სივრცის აგებულების შესწავლას. ათი წლის განმავლობაში ანარმოებდა ის განუწყვეტილად ძნელსა და მძიმე სამუშაოს, ძნელს იმ მხრივ, რომ მას ამ მიზნისათვის მათემატიკური ანალიზის ურთულესი ნაწილების გამოყენება დასჭირდა. მაგრამ ბოლოსდაბოლოს მან სძლია ყოველგვარ დაბრკოლებას და 1915 წელს ახალი შენობის უმთავრესი ნაწილები დაამთავრა. დიაღია ეს შენობა თავისი მშვენიერი სილამაზით, მომხიბლავია თავის სიმარტივითა და მთლიანობით და უნაკლულა შინაგანი ჰარმონიით. ესაა ის, რასაც დღეს ზოგად რელატივობას ვუნოდებთ.

2. რელატივობის მოძღვრებაში ორი მხარეა აღსანიშნავი. ერთის მხრით რელატივობის პრინციპი (კერძო და ზოგადი), რომელიც გარკვეულ ფაქტს გამოთქვამს ბუნების მოვლენათა შესახებ. ამ პრინციპების დამტკიცებაზე საუბარიც ზედმეტია. შეიძლება მხოლოდ ცდებისა და დაკვირვების საშუალებით შემოწმება იმისა, თუ რამდენად შეეფერება სინამდვილეს სამყაროს ის შენობა, რომელიც ეინშტეინმა ამ პრინციპებზე ააგო: არის თუ არა ერთი და იგივე ეინშტეინის სამყარო და რეალური სამყარო? ამისათვის თურმე საჭიროა ზოგიერთ ძირითად ცნებათა ანალიზის მოხდენა, როგორიცაა, მაგალითად, დრო, სივრცე, მიმზიდველობა და სხვა, და ეს შეადგენს რელატივობის მოძღვრების მეორესა და მასთანვე უმთავრეს მხარეს, ესაა რელატივობის თეორია.

რელატივობის პრინციპები, როგორც კერძო ისე ზოგადი, კლასიკური მექანიკის რელატივობის პრინციპის განზოგადობას წარმოადგენს. ეს უკანასკნელი ასე გამოითქმის:

**ბუნების მექანიკური მოვლენები მისდევნენ ერთსა და იმავე საზოგადო კანონებს, სრულიად დამოუკიდებლად იმისაგან, თუ რომელ იმ სისტემათაგანზე, ერთმანეთის შესახებ თანაბრად და სწორხაზობრივად რომ მოძრაობენ, აქვს ადგილი აღნიშნულ მოვლენებს.**

აქ გამოთქმულია ბუნების მოვლენათა საზოგადო კანონების დამოუკიდებლობა თანაბარი სწორხაზობრივი მოძრაობის სიჩქარიდან — რომ შეუძლებელია ბუნების მოვლენებზე დაკვირვების საშუალებით თანაბარი სწორხაზობრივი მოძრაობის სიჩქარისა და მიმართულების აღმოჩენა, ე. ი. რომ თანაბარ სწორხაზობრივ მოძრაობას არ შეუძლია გამოიწვიოს რაიმე ეფექტი მექანიკურ მოვლენებში.

რელატივობის კერძო პრინციპი ზემოთაღნიშნული კლასიკურ პრინციპის გავრცელებას წარმოადგენს ელექტროდინამიკურსა და ოპტიკურ მოვლენათა შემთხვევისათვის, ხოლო ზოგადი პრინციპი არის განზოგადოება იმავე კლასიკური პრინციპისა მოძრაობის ყოველგვარი ხასიათის შემთხვევისათვის (როგორც თანაბარ სწორხაზობრივისა, ისე უთანაბროსი).

3. რელატივობის კერძო პრინციპი ცდებისა და დაკვირვებათა შედეგად არის მიღებული: ერთის მხრით, მთელი კლასიკური მექანიკა, რომელიც ამ პრინციპზე დაყრდნობილი გასაოცარის ზედმინვენილობით აღმოაჩენს ზეციური სხეულების მოძრაობას, ხოლო მეორე მხრით, ცდები მაიკელსონისა, ტრუტონ-ნობლისა, და სხვ. გვაძლევენ მშვენიერ მოდელებს, რომელთაგან ნათლად დავინახეთ თანაბარი სწორხაზობრივი მოძრაობის სრული რელატივობა, რომ ის არავითარ ეფექტს არ იწვევს ელექტროდინამიკურსა და ოპტიკურ მოვლენებშიაც.

მაგრამ რელატივობის კერძო პრინციპი ჰგულისხმობს გარკვეულ პირობებში ჩაყენებულ დამკვირვებელს, რომლისათვისაც კლასიკური მექანიკის ინერციის კანონს აქვს ადგილი. ასეთ სამყაროში აჩქარებასა და საზოგადოდ არათანაბარ მოძრაობას გარკვეული ეფექტი მოსდევს სხვადასხვა გვარის მოვლენის სახით. მაგალითად, სითხისებრი სხეულის ბრუნვის დროს ჩნდება ცენტრმამორი ძალები, რომელნიც მის გაპრტყელებას იწვევენ; გაპრტყელების ეფექტი მოისპობა, თუ სხეულს უძრავად დავტოვებთ, ხოლო მის გარშემო მიდამო სხეულებს ვაბრუნებთ. ბრუნვის ამ ორ შემთხვევაში ცენტრალური სხე-



ულისა და მიდამო სხეულთა რელატივური მდებარეობა ყოველ მომენტში ერთნაირია, მაგრამ ერთის მეორით შეცვლა შეუძლებელია, ვინაიდან ეფექტები მათ მიერ გამოწვეულის მოვლენების სახით სულ სხვადასხვა გვარისაა. ბრუნვით მოძრაობას ამნაირად აბსოლუტური ხასიათი ჰქონია.

ნიუტონი ცენტრმაშორი ძალებისა და მათ მიერ გამოწვეული გაპრტყელების ეფექტის ასახსნელად იძულებული იყო აბსოლუტური სივრცის არსებობა მიეღო. სწორედ ამ სივრცის შესახებ ხდება ბრუნვითი და საზოგადოდ ყოველი ის აჩქარებითი მოძრაობა, რომელსაც აბსოლუტური ხასიათი აქვს. აბსოლუტური სივრცე არის მიზეზი ცენტრმაშორი ძალების გაჩენისა და სითხისებრ სხეულთა გაპრტყელებისა. კლასიკურმა ფიზიკამ აბსოლუტურ სივრცეს უფრო რეალური სახე მისცა. მისი წარმოდგენით მთელი ეს სივრცე ავსებულია აბსოლუტურად უძრავ ეთერით, რომელიც ელექტროდინამიკურის და ოპტიკური მოვლენების გამტარებელ სუბსტანციას წარმოადგენს.

ძლიერ საეჭვოა მეორე მხრით, რომ აბსოლუტური სივრცე, თუ გინდ უძრავი ეთერის სახით, როგორც მიზეზი თავს გვაგრძნობინებდეს მოვლენათა ერთ შემთხვევაში (ბრუნვითი მოძრაობა) და სრულიად არ იჩენდეს თავს მოვლენათა სხვა შემთხვევაში (თანაბარი სწორხაზობრივი მოძრაობა). თუ აბსოლუტურად უძრავი სუბსტანცია ნამდვილად არსებობს, მის შესახებ ერთისა და იმავე საჩინო რეალობის უნდა იყოს როგორც თანაბარი, ისე უთანაბრო მოძრაობაც; თუ იგი გვიჩვენებს უთანაბრო მოძრაობას, მან უნდა დაგვანახოს აგრეთვე თანაბარი მოძრაობაც. მაგრამ მაიკელსონის ცდამ დაგვარწმუნა სულ წინააღმდეგში, რომ ეთერის შესახებ თანაბარი მოძრაობის აღმოჩენა შეუძლებელია. ამნაირად აბსოლუტური სივრცე, როგორც მიზეზი, უარყოფილ უნდა იქნას და მაშინ **ყოველგვარი მოძრაობა რეალურ სამყაროში რელატივურად უნდა ვალიროთ.**

4. ზოგადი პრინციპი ზემოთაღნიშნული მოსაზრების ნაყოფია. თუ აბსოლუტური სივრცე, უარყოფილია, თუ სამყარო ისე არის აგებული, რომ მას არავითარი აბსოლუტური მოძრაობის ჩვენება არ შეუძლია, თუ მეორე მხრით კერძო პრინციპის ჭეშმარიტობა მრავალნაირად არის შემონმეებული, მაშინ ბუნებრივია ამ პრინციპის შემდეგი განზოგადოება: ცდებისა და დაკვირვების საშუალებით ბუნების მოვლენებზე შეუძლებელია იმ სისტემის მოძრაობის აღმოჩენა, რომელზედაც აღნიშნულ მოვლენას აქვს ადგილი. ასეთია ფიზიკური აზრი, რომელიც რელატივიზმის საზოგადო პრინციპშია ჩადებული.

რელატივიზმის კერძო პრინციპი ექსპერიმენტების საშუალებით არის მიღებული; იგი ელექტროდინამიკისა და ოპტიკის ღვიძლი შვილია. საზოგადო პრინციპს კი არავითარი ექსპერიმენტალური ფაქტი არ უდევს საფუძვლად, იგი არ ეყრდნობა რაიმე დაკვირვებას ბუნების მოვლენებზე. ის არის მხოლოდ ღრმა რწმენის შედეგი, რომ თანაბარი და უთანაბრო მოძრაობათა როლები ბუნების მოვლენათა კანონების გამოთქმაში არ უნდა იყოს სხვადასხვანაირი. თუ ბუნების მოვლენათა მსვლელობა სისტემის თანაბარი მოძრაობის გარეშე ხდება, თუ მოვლენები, ასე ვთქვათ, გვერდს უხვევენ თანაბარ მოძრაობას, მაშინ ეჭვის თვალთ უნდა შევხედოთ იმ უპირატესობას მაინც, რომელიც კლასიკურმა მექანიკამ უთანაბრო მოძრაობას მიანიჭა: ვითომ უთანაბრო მოძრაობა რაღაც საგრძნობ რეალობას წარმოადგენდეს ბუნების მოვლენებისათვის, ხოლო თანაბარი არავითარს.

მეცნიერული გონება არ კმაყოფილდება აზროვნების განკერძოებული ფორმებით: მისი გზა ამ ფორმების სინთეზისკენაა მიმართული. ბუნებრივია ამიტომ, რომ ეინშტეინი თანაბარ მოძრაობაზე არ შეჩერდა და აღიარა ზოგადი პრინციპი, სადაც ბუნების მოვლენათა საზოგადო კანონების ჩამოყალიბებაში არც ერთი სახის მოძრაობას არ ეძლევა უპირატესობა. აქ გამოთქმულია სინთეზი ყველა დაკვირვებისა ბუნების მოვლენებზე, — იმ დაკვირვებათა, რომელნიც მოხდენილია სხვადასხვა სისტემიდან, ყოველნაირად რომ მოძრაობენ ერთმანეთის შესახებ.

რელატივობის მოძღვრებას სწორედ ასეთი გეგმის მიხედვით აქვს წარმოდგენილი სამყაროს აგებულობა. მის წინ იდგა საკითხი ამ პრინციპის შემონახვის, მაგრამ მთელი სირთულე სწორედ ისაა, რომ ძნელი განსაზოგადებელია მოდელი, რომელიც ყოველგვარ მოძრაობის რელატივობას გვიჩვენებდეს. აქ სულ სხვა მიდგომაა საჭირო: ზოგადი პრინციპიდან, როგორც პოსტულატიდან, შედეგები გამოვლინდნენ; ამ შედეგების მიხედვით ბუნების მოვლენათა საზოგადო კანონების შესწავლა და მათი სინამდვილესთან შედარება, — აი, ის გზა, რომლითაც შესაძლებელია ზოგადი პრინციპის შემონახვა. ამ გზით მიდის რელატივობის მოძღვრების მეორე ნაწილი, — ესაა რელატივობის თეორიის მიზანი.

5. როდესაც არსებობს ზოგადი რელატივობის თეორია ბუნებრივად შეიძლება წამოიჭრას ასეთი კითხვა: რათ არის საჭირო ამის შემდგომ კერძო რელატივობის თეორია კიდევ? საუკეთესო ახსნა-განმარტება ამისა თვით ეინშტეინის პასუხშია მოცემული. ეინშტეინი აღნიშნავს, რომ ელექტროსტატიკამ გზა გაუკაფა ელექტროდინამიკას და ამ უკანასკნელის განვითარების შემდგომ კი არ მოსპობილა, არამედ ელექტროდინამიკაში, როგორც ზღვრული შემთხვევა შევიდა (უცვლადი არეების შემთხვევისათვის). სრულიად ასეთნაირადვე კერძო რელატივობა აუცილებელი საფუძველია ზოგადი რელატივობისა. ყოველი არათანაბარი მოძრაობა შეგვიძლია განვიხილოთ როგორც თანაბარი დროის საკმაო მცირე შუალედის განმავლობაში; სწორედ ამიტომ კერძო რელატივობის ანალიზი დროისა და სივრცის შესახებ აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს კვლევა-ძიებაში დიფერენციალური კანონებისა, რომელნიც ბუნების მოვლენებს უსასრულო მცირე შუალედის განმავლობაში აღწერენ. კერძო რელატივობამ გზა გაუკაფა ზოგად რელატივობას. იგი ამ უამად ზოგადი რელატივობის ზღვრული შემთხვევაა.

ეს ჩვენი მიმოხილვა მიზნად ისახავს ეინშტეინის თეორიის უმთავრეს მიღწევათა მოკლე გადმოცემას ჩვეულებრივი გასაგები ენით. აქ გამოტოვებულია თეორიის ზოგიერთი დეტალები, რომლებიც მრავლად არის მოყვანილი პოპულარულ წიგნაკებში თეორიის გასაგებათ. აქ არ მიეცა ადგილი აგრეთვე მათემატიკურ ელემენტსაც, რომლის მნიშვნელობა თეორიაში განსაკუთრებულია: მათემატიკა აერთიანებს ექსპერიმენტების საშუალებით მიღებულ ფაქტებს იმ მოვლენებთან, რომლებიც რელატივობის თეორიის მეოხებით იქნა აღმოჩენილი პირველად. მაგრამ მიზანიც სულ სხვაა ჩვენს შემთხვევაში. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ხშირად ზედმეტი დეტალების გამო ნათლად არ მოჩანს თეორიის არსებითი მხარე, — ის საფუძველი, რომელზედაც თეორია არის აგებული. ჩვენის რწმენით ასეთ რთულ თეორიას, როგორცაა რელატივობის თეორია, ყოველთვის უნდა წაემძვაროს საზოგადო მიმოხილვა, სადაც ადგილი უნდა მიეცეს მხოლოდ არსებით მხარეს, სადაც სრული ზედმინევილობით უნდა იქნას გადმოცემული თეორიის უმთავრესი დებულებანი და მისი უმთავრესი მიღწევანი.

## B. კერძო რელატივობა

1. მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ელექტროდინამიკურისა და ოპტიკურ მოვლენათა შესწავლა მტკიცე ნიადაგზე დგება და ამას ფიზიკის ელექტროდინამიკურისა და ოპტიკური ნაწილის სწრაფი განვითარება მოჰყვა. შესწავლის პროცესში გამოიკვია, წინააღმდეგობა რამოდენიმე ფაქტს შორის, რომლის ასახსნელად კლასიკური ფიზიკა და მექანიკა უძლური შეიქმნენ. ასეთია, მაგალითად, სხივის გავრცელების მოვლენა, სხივის აბერაცია, დოპლერის პრინციპი და სხვა.

კლასიკური მექანიკა ეხებოდა მხოლოდ მექანიკურ მოვლენებს, როგორცაა მაგალითად მატერიალურ სხეულთა მოძრაობა დედამიწაზე და საზოგადოდ ზეციურ სხეულთა ყოველგვარი მოძრაობა სივრცეში. დამახასიათებელი ასეთი მოვლენებისა არის შე-



დარებით მცირე სიჩქარე. ჰაეროპლანის სიჩქარე, მაგალითად, არ აღემატება 75 მეტრს წუთში. უდიდესი სიჩქარე მოძრაობისა, რომელსაც ადგილი აქვს დედამიწაზე არ აღემატება რამოდენიმე კილომეტრს წუთში. თვით დედამიწის სიჩქარე სივრცეში = 30 კმ.; მერკური ყველაზე უფრო ჩქარი პლანეტა 100 კილომეტრის სიჩქარით მოძრაობს.

ელექტროდინამიკურ და ოპტიკურ მოვლენათა შესწავლის დროს აღმოჩნდა, რომ ასეთ მოვლენებში ადგილის მქონე მოძრაობანი, განუზომელად დიდ სიჩქარეს გვაძლევენ მექანიკურ მოძრაობასთან შედარებით. მაგალითად, სხივის სიჩქარე სივრცეში = 300.000 კმ. წუთში. კატოდური სხივების სიჩქარე აღემატება 150.000 კმ. წუთში; რადიუმის β სხივების სიჩქარე = 290.000 კმ. წუთში.

კლასიკურმა ფიზიკამ არ იცოდა ეს ფაქტები. იქ ეგონათ, რომ სხივი უცბად ვრცელდება, რომ სხივის სიჩქარე უსასრულოდ დიდია. შემდეგ გამოიკვია, ამას გარდა, რომ სხივის სიჩქარე მუდამ ერთი და იგივეა (300.000 კმ.) დამოუკიდებლად იმისგან, მოძრაობაშია სხივის წყარო, თუ იგი უძრავად დგას ერთსა და იმავე ადგილზე. ეს ფაქტი ეწინააღმდეგება სიჩქარეთა შეკრების მექანიკურ კანონს. საზოგადოდ აღმოჩნდა, რომ კანონები, რომლებსაც ელექტროდინამიკური და ოპტიკური მოვლენები ემორჩილებიან, არსებითად განსხვავდებიან იმ კანონებისაგან, რომლებსაც მექანიკური მოვლენები მისდევენ.

ფრიად საგულისხმოა ამ მხრივ ზემოთ დასახელებული მაიკელსონის ცდა, რომელმაც დიდი არეზ-დარევა გამოიწვია მეცნიერებაში: მრავალმა დაკვირვებამ დაგვარწმუნა, რომ სხივის გამტარებელი სუბსტანცია. ეთერი, უძრავია სივრცეში; მეორე მხრით მაიკელსონის ცდა სულ წინააღმდეგს გვიამბობს, ვითომ ეთერი თან უნდა მისდევდეს დედამიწას.

ასეთია ახალ ექსპერიმენტალურ აღმოჩენათა შედეგები, რომელნიც ერთბაშად წამოიჭრნენ მეცნიერებაში. კლასიკურ მექანიკას სრულიად არ ჰქონია გათვალისწინებული მოძრაობის ასეთი დიდი სიჩქარე და სხივის გავრცელების კანონის აღნიშნული განსაკუთრებული ბუნება. სწორედ ამიტომ იყო უნაყოფო ის მრავალი ცდა, რომლებსაც მიზნად ჰქონდათ დასახული ძველ ვინრო მექანიკურ შენობაში ამ ახალი ფაქტების ჩატევა. ყოველი ამისდაგვარი ცდა არამც თუ ხსნიდა რასმეს, პირიქით ის უფრო მეტს არეზ-დარევას იწვევდა. თვით ელექტროდინამიკურ კანონებშიაც ის ჰქმნიდა პარადოქსებს. მეცნიერების ასეთი მდგომარეობა მოითხოვდა ძველ მექანიკურ ცნებათა გადაშინჯვას და ახლის აგებას იმნაირად, რომ ამ ახალ შენობაში ხსენებულ ახალ ფაქტებს ძველთან ერთად მისცემოდათ ადგილი. პირველი, ვინც მოახდინა ასეთნაირი სინთეზი იყო ალბერტ ეინშტეინი.

2. ყველა ზემომოხსენებული დაკვირვებიდან ბუნების მოვლენებზე ეინშტეინმა გამოიყვანა ორი უდავო ფაქტი:

1° რელატივობა სწორხაზობრივი თანაბარი მოძრაობისა – ბუნების ყოველგვარი მოვლენები მისდევენ ერთსა და იმავე კანონებს სრულიად დამოუკიდებლად იმისაგან, თუ რომელ იმ სისტემათაგანზე, ერთმანეთის შესახებ თანაბრად და სწორხაზობრივად რომ მოძრაობენ, აქვს ადგილი აღნიშნულ მოვლენებს.

2° სხივის გავრცელების სიჩქარის მუდმივობა – სხივი ვრცელდება ერთისა და იმავე სიჩქარით გაზომვის პირობათა დამოუკიდებლად ყოველ იმ სისტემათაგანზე, რომელთა რელატიური მოძრაობა თანაბარი და სწორხაზობრივია (ეს სიჩქარე სივრცეში არის 300.000 კმ. წუთში).

პირველი ამ ფაქტათგანი ეხება ყოველგვარ მოვლენებს, როგორც მექანიკურს, ისე ელექტროდინამიკურსა და ოპტიკურსაც; მეორე მხოლოდ ოპტიკური მოვლენებისთვისაა ჭეშმარიტი, ვინაიდან მექანიკურ მოძრაობათა სიჩქარე ყოველთვის გაზომვის პირობათაგან არის დამოკიდებული. მაგალითად, მატარებლის თანაბარი მოძრაობის სიჩქარე ერთია, თუ მას ზომავს ლიანდაგთან უძრავად მყოფი დამკვირვებელი. იმავე მატარებ-

ლის სიჩქარე სულ სხვა მნიშვნელობას ღებულობს, თუ მას ზომავს მოძრავი დამკვირვებელი, რომელიც თანაბრად და სწორხაზობრივად მოძრავ მეორე მატარებელში იმყოფება.

მექანიკურ სიჩქარეთა კანონი აღნიშნული რელატივიზმის პრინციპის უშუალო შედეგია. მაგრამ სხივის სიჩქარე სრულიად არ ეთანხმება ამ კანონს. ამნაირად აღმოჩნდა წინააღმდეგობა რელატივიზმის პრინციპსა და სხივის გავრცელების კანონს შორის. მეორე მხრით მრავალი დაკვირვება ბუნების მოვლენებზე გვიჩვენებს, რომ შეუძლებელია უარყოფა როგორც პირველისა, ისე მეორესი. ამის გარდა მეორე, როგორც გარკვეული მოვლენის საზოგადო კანონი პირველის აუცილებელ შედეგად უნდა გახდეს.

ასეთ მდგომარეობაში იმყოფებოდა მეცნიერება, როდესაც 1905 წელს ეინშტეინი თავის ზემოთ დასახელებული ნაშრომით გამოდის. მან აღნიშნა, რომ რელატივიზმის პრინციპსა და სხივის გავრცელების კანონს შორის ნამდვილად არავითარი წინააღმდეგობა არ არსებობს. თუ წინააღმდეგობამ მაინც იჩინა თავი, ეს იყო შედეგი მხოლოდ იმისა, რომ ჩვენი წარმოდგენა დროისა და სივრცის შესახებ სრულიად არ შეეფერებოდა სინამდვილეს. ეინშტეინმა მოახდინა ამ ცნებათა ღრმა ანალიზი, რის შემდეგმ სრული თანხმობა შეიქმნა ორ დასახელებულ კანონს შორის.

ჩვენ ვთვლიდით ეინშტეინამდე, რომ დრო და სივრცე სხეულის მოძრაობასთან არ არის შეფარდებული, ე. ი. შუალედი ორ მოვლენას შორის, ანდა მანძილი ორ წერტილს შორის, ერთი და იგივეა ყველა დამკვირვებელისთვის და ყოველ პირობაშიაც. ერთი სიტყვით დრო და სივრცე აბსოლუტურია. ეინშტეინის თეორიის მიხედვით ასეთი შეხედულება არა თუ მხოლოდ მოკლებულია სინამდვილეს, არამედ ის სრული უაზრობაა, რომელიც სამუდამოდ უნდა განიდევნოს მეცნიერებიდან. ეინშტეინის თეორიის მიხედვით დრო ისე, როგორც სივრცე, რელატივურ ცნებებს წარმოადგენენ: ყოველ მოძრავ სისტემას აქვს თავის საკუთარი დრო, რომელიც გარკვეულ შეფარდებაში იმყოფება სხვა მოძრავ სისტემის დროსთან. დრო რომელსამე სისტემაზე დამოკიდებულია ამ სისტემის რელატივური სიჩქარიდან. ასეთნაირ მდგომარეობაში იმყოფება სხეულის ფორმაც: სივრცე, რომელიც სხეულს უკავია დამოკიდებულია მისი რელატივური სიჩქარიდან.

3. უღრმესი მნიშვნელობის ექსპერიმენტალური ხასიათის ფაქტები, რომელთაგანაც დროის რელატივიზმია ნათლად მოჩანს, არის ერთის მხრით ერთდროულობის რელატივიზმია და მეორე მხრით რელატივიზმია დროის შუალედისა ორ მოვლენას შორის.

ადვილად შეიძლება ერთდროულობის რელატივიზმის დანახვა ასეთ მაგალითზე: ვთქვათ, რომ S სისტემის, მაგალითად, რკინის გზის ლიანდაგის A და B წერტილებიდან გამოშვებულ იქნა სხივის სიგნალები ერთდროულად, ე. ი. შუა C წერტილს (AC=CB) ეს ორი სხივი ერთსა და იმავე დროს მიაღწევენ. წარმოვიდგინოთ ახლა მეორე სისტემა S', მაგალითად, მოძრავი მატარებელი, რომელიც Y სიჩქარით მოძრაობს S სისტემის შესახებ AB მიმართულებით. მაშინ S' სისტემის C წერტილზე მოთავსებული მეორე დამკვირვებელი უფრო ადრე დაინახავს სხივს, რომელიც B წერტილიდან მოდის, ვიდრე იმას, რომელიც A-საგან გამოვიდა, ვინაიდან პირველი სხივი მას წინ ეგებება, ხოლო მეორე უკან მისდევს. ამნაირად ერთდროულობა S სისტემის შესახებ არ არის ერთდროულობა S' სისტემისათვის; ე. ი. თუ შუალედი ორ მოვლენას შორის პირველ სისტემაზე არის 0, მეორეზე იგი არ არის 0. მათემატიკურად ამ უკანასკნელი შუალედის მნიშვნელობა ასე გამოითქმება:

$$\frac{v \cdot c}{c^2 \sqrt{1 - \frac{v^2}{c^2}}} \text{ წუთი,}$$

სადაც d წარმოადგენს AB-ს სიგრძეს, რომელიც S სისტემაზეა გაზომილი. თუ მაგალითად, v = 30 კმ. ერთ წუთში, ხოლო d = 1კმ. მაშინ უკანასკნელი შეფარდების მნიშვნე-

ლობა იქნება  $1/\sqrt{15}$  ნუთისა; მაშასადამე, ის რაც ერთდროულად ხდება S სისტემის A და B წერტილზე S' სისტემის დამკვირვებლის თვალსაზრისით B წერტილის მოვლენა  $1/\sqrt{15}$  ნუთით წინ უსწრებს A წერტილის მოვლენას.

საინტერესოა ზემოთაღნიშნულ ფორმულაში ზღვრული შემთხვევა, როცა  $v = c$ . მაშინ იგი უსასრულოდ დიდი გახდება. მაშასადამე, როცა S' სისტემა სხივისებრ სიჩქარით მოძრაობს, მაშინ შუალედი A-სა და B-ს შორის უსასრულოდ დიდია.

ასეთნაირადვე რელატივიზურია დროის შუალედი ორ მოვლენას შორის. თუ S' სისტემის რომელსამე წერტილზე დროის შუალედი ორ მოვლენას შორის არის 1 ნუთი, მაშინ S სისტემის დამკვირვებლისათვის შუალედი იმავე ორ მოვლენას შორის სულ სხვაა:

$$\frac{1}{\sqrt{1 - \frac{v^2}{c^2}}} \text{ ნუთი,}$$

ე. ი. უფრო მეტია ვიდრე 1 ნუთი. ხრონომეტრი S' სისტემაზე იგივეა, რაც S სისტემაზეც. მაშასადამე, დრო მოძრავ სისტემაზე უფრო ნელა მიმდინარეობს, ვიდრე უძრავზე. მაგალითად დროის შუალედი, რომელსაც ჰაეროპლანი ანდომებს ერთი ქალაქიდან მეორე ქალაქამდე მიფრენას ავიატორისთვის უფრო ნაკლებია, ვიდრე ქვემოთ მყოფი დამკვირვებლისათვის.

საინტერესოა აქაც ზღვრული შემთხვევა: წარმოვიდგინოთ, რომ S' სისტემა სხივის სიჩქარით მოძრაობას S სისტემის შესახებ; ვთქვათ S'-ზე ორ მოვლენას შორის ერთმა ნუთმა განვლო. დამკვირვებლისათვის S სისტემაზე იმავე ორ მოვლენას უსასრულოდ დიდი დრო აშორებს ერთმანეთიდან. შუქის სიჩქარე არის მოძრაობის ზღვრული სიჩქარე, რომლის გადაჭარბება შეუძლებელია.

ამნაირად დროის შუალედი ორ მოვლენას შორის ერთ გარკვეულ სისტემაზე ერთი და იგივე როდია, დამკვირვებელთათვის სხვა და სხვა სისტემიდან თანაბრად და სწორხაზობრივად რომ მოძრაობენ პირველი სისტემის შესახებ. მიზეზი ამისა არის მოძრაობის სიჩქარეთა უთანასწორობა. მოძრაობას ჰქონია გავლენა დროზე. დრო ყოფილა მოძრაობის დამახასიათებელი ელემენტი.

რაც შეეხება ახლა სხეულთა ფორმას, ისიც დამოკიდებულია მოძრაობის სიჩქარიდან; მოძრაობას მასზეც ჰქონია გავლენა. განვიხილოთ AB მონაკვეთი S' სისტემაზე მოძრაობის მიმართულებით და ვთქვათ მისი სიგრძე S'-ზე არის d მეტრი. S სისტემის დამკვირვებლისათვის იმავე AB-ს სიგრძე უკვე d მეტრი როდი იქნება არამედ

$$d\sqrt{1 - \frac{v^2}{c^2}} \text{ მეტრი,}$$

ე. ი. ის განიცდის შემოკლებას  $\sqrt{1 - \frac{v^2}{c^2}}$  შეფარდებით. ამ ფორმულის მიხედვით

სხეული იმდენად მეტს შემოკლებას განიცდის, რამდენადაც მეტის სიჩქარით მოძრაობს იგი. თუ სხეული შუქის სიჩქარით მოძრაობს, მისი სიგრძე მოძრაობის მიმართულებით ისპობა — ის არის 0. დედამიწის დიამეტრი მოძრაობის მიმართულებით მოკლდება  $6\frac{1}{2}$  სანტიმეტრით. მაგრამ საგულისხმო ისაა, რომ სხეულის შემოკლების შემჩნევა მოძრავ სისტემაზე შეუძლებელია და ეს იმიტომ, რომ გაზომვის დროს იმავე შეფარდებით შემოკლება მეტრი, რომლითაც გაზომვას ვასრულებთ.

ასეთია შუალედის რელატივობა ორ მოვლენას შორის და რელატივობა სივრცისა, რომელიც სხეულს სამყაროში უკავია. ამ სიტყვებში ჩადებულია ღრმა აზრი, რომ დროისა და სივრცის გაგება მოძრაობის გარეშე ვერ მოხერხდება, რომ ამ ცნებათა ათვისებისათვის მოძრაობის გამორიცხვა შეუძლებელია, ვინაიდან სხვადასხვანაირად მოძრავ დამკვირვებელთ სხვადასხვანაირად აქვთ წარმოდგენილი დრო და სივრცე. ამით არის გამოთქმული დროისა და სივრცის იმ ანალიზის დედააზრი, რომელიც უთანხმებს რელატივიზმის კერძო პრინციპს სხივის სიჩქარის მუდმივობას. სამწუხაროდ ყველაფერი ეს ძნელი წარმოსადგენია მათემატიკის გარეშე. დროისა და სივრცის ანალიზის გაგება შესაძლებელია მხოლოდ ლორენცის ფორმულების საშუალებით.

4. შედეგები სივრცისა და დროის ასეთი ანალიზიდან იმდენად პარადოქსალურად გვეჩვენება, იმდენად არ ეგუებიან ისინი აზროვნების ჩვეულებრივ მსვლელობას, რომ საჭიროა რამოდენიმე ძალდატანება გონებაზე, რომ მათი ათვისება და გაგება შესაძლებელი გახდეს. აქ მოგვყავს რელატივიზმის თეორიის ორი ყველაზე უფრო საგულისხმო დასკვნა:

კლასიკურ მექანიკაში სხეულის დამახასიათებელი ელემენტი — მისი მასა მუდმივ სიდიდით ითვლებოდა: კლასიკური მექანიკის წარმოდგენით მასა ყოველ პირობაში დამოუკიდებლად დროისა, სივრცისა და მოძრაობისა ერთი და იგივეა. სულ სხვაა რელატივიზმის თეორიის შეხედულება: მასა, ისე როგორც დრო და სივრცე, რელატიური ცნებათაგანია; იგი დამოკიდებულია მოძრაობის სიჩქარიდან. თუ სხეულის მოძრაობის სიჩქარე მატულობს, იზრდება მისი მასაც.

მოძრაობის გავლენა მასაზე საგრძნობი არაა, როცა სიჩქარე მცირეა; მაგრამ, როცა სიჩქარე გარკვეულ საზღვარს გადალახავს, მაშინ მასა საგრძნობლად იზრდება. მაგალითად, 1 კილოგრამის მასა ორკეცდება, ე. ი. ორ კილოგრამათ გადაიქცევა, როცა იგი წუთში 259.806 კილომეტრის სიჩქარით მოძრაობს. იგივე მასა უსასრულოდ დიდი გახდება, როცა ის სხივის სიჩქარით მოძრაობს. ამ შემთხვევაში არ არსებობს ძალა, რომელსაც მისი გაჩერება შეეძლოს. შუქის სიჩქარე ამ შემთხვევაშიაც არის ზღვრული სიჩქარე, რომლის გადალახვა შეუძლებელია.

რელატივიზმის კერძო თეორიის მეორე შედეგი ენერგიას ეხება. კლასიკური ფიზიკა ანსხვავებდა ენერგიას მასისაგან. რელატივიზმის თეორია პირიქით მათ შორის სრულ იდენტელობას ჰპოულობს. თურმე ყოველ ენერგიას ჰქონია მასა, რომლის მნიშვნელობა არის თვით ეს ენერგია გაყოფილი  $c^2$ -ზე. უგრძნობლად მცირეა ენერგიის მასა, ვინაიდან  $c^2$  ძალიან დიდი რიცხვია, მაგრამ ფიზიკას ხელთ აქვს ისეთი იარაღები, რომლითაც ასეთი მცირე სიდიდეთა გაზომვაც შესაძლებელი ყოფილა. ასეთი იარაღების საშუალებით აღმოაჩინეს, მაგალითად, სხივის დანოლა სხეულებზე, სრულიად ისე, ვითომ სხივი მატერიალურ ნივთიერებას წარმოადგენდეს. დედამინა მზისაგან 1 წლის განმავლობაში ლებულობს სხივს, რომლის წონა 50.000 ტონას აღემატება.

ასეთი შეხედულება ენერგიაზე სრულიად აქარწყლებს მატერიის მარადისობის კანონს, რომელზედაც თანამედროვე ქიმია არის აგებული. მართლაც, ელემენტთა შეერთების ქიმიურ რეაქციას თან მოსდევს თბიერების გამოყოფა და რადგანაც თბიერებას აქვს მასა, როგორც ენერგიის ერთ-ერთ სახეს, ამიტომ ქიმიურ ელემენტთა შეერთებისას იკარგება გარკვეული ოდენობის მასა.

რელატივიზმის თეორია კიდევ უფრო შორს მიდის ამ გზაზე. მისი აზრით, რადგანაც ენერგია შეიცავს მასას, უნდა ვიფიქროთ, რომ უკულმა თვით მდგარი მასაც შეიცავს ენერგიას და თურმე მასის ენერგიის ოდენობა საჩინოდ დიდი ყოფილა, ის არის მასა გადამრავლებული  $c^2$ -ზე.



ამნაირად მასა და ენერგია იდენტიურია. მასა შეიცავს უამრავ დიდ ენერგიას. რადიოაქტივობა ზოგიერთი ნივთიერებისა არის მშვენიერი ექსპერიმენტალური შემოწმება გამოთქმული აზრებისა მასისა და ენერგიის შესახებ.

ამით ვამთავრებთ საზოგადო მიმოხილვას კერძო რელატივობის თეორიის შესახებ. გადავდივართ საზოგადო რელატივობის თეორიაზე.

### С. ზოგადი რელატივობის თეორია

1. ეინშტეინის უმთავრესი მიღწევა კერძო რელატივობაში ისაა, რომ მან სრულიად ჩამოაცილა მეცნიერებას ზოგიერთი უსაფუძვლო მავნე ჰიპოტეზები, რომლებიც არამც თუ რასმეს ხსნიდენ, პირიქით დიდ დაბრკოლებას წარმოადგენდენ ბუნების მთლიანობის ათვისებისათვის. ასეთია მაგ. ჰიპოტეზი, რომელიც დროსა და სივრცეს აბსოლუტურად აცხადებდა; შემდეგ ჰიპოტეზი ეთერის არსებობისა და სხვა. ამას გარდა დროისა და სივრცის ცნებათა ანალიზის საშუალებით მან დაუმორჩილა ერთსა და იმავე კანონებს როგორც ნელად მოძრავი მძიმე სხეულები, ისე აგრეთვე სწრაფი გავრცელებაც შუქის სხივისა, — როგორც მექანიკა, ისე აგრეთვე ოპტიკა და ელექტროდინამიკაც. ასეთი დიდებული სინთეზის მეოხებით ბუნება უფრო მთლიანად წარმოგვიდგა ვიდრე წინეთ და ამიტომ უფრო უშუალო შეიქმნა იგი ათვისებისათვის.

მაგრამ ჩაითვლება ეს სინთეზები დამთავრებულად თუ არა? ბუნებაში ხომ არის კიდევ ერთი საიდუმლო მოვლენა — მიმზიდველობა სხეულებისა, რომელსაც კერძო რელატივობის თეორია არ შეხებია სრულებით.

ნიუტონმა აღმოაჩინა მიმზიდველობის საყოველთაო კანონი, რომელსაც სრული ზედმინვენცილობით ემორჩილება, როგორც მცირე სხეულთა ვარდნა დედამიწაზე, ისე, აგრეთვე დიდი ზეციური სხეულების მოძრაობაც სამყაროში. მაგრამ თვით იმ ძალის ბუნება, რომელიც მიმზიდველობას იწვევს, გამოურკვეველი დარჩა. ნიუტონი არც ცდილობდა მის გამორკვევას იმიტომ, რომ ის მისდევდა პრინციპს *hypoteses non fingi*. რელატივობის კერძო თეორია გვერდს უხვევს ამ ძალას, იმიტომ მხოლოდ, რომ ის სრულიად არ იხილავს ძალებს: მისი განსაკუთრებული საგანია თანაბარი სწორხაზობრივი მოძრაობა, რომელიც ძალების თანადაუსწრებლად ხდება.

ზემოთაღნიშნულ სინთეზს აკლია ამნაირად მთლიანობა. რომ სინთეზი ბუნების მოვლენათა კანონებისა დამთავრებული გამხდარიყო, ეინშტეინმა გადადგა შემდეგი ნაბიჯი განზოგადოების გზაზე და აღიარა რელატივობის ზოგადი პრინციპი. ეს იყო რელატივობის თეორიის განვითარების უკანასკნელი ეტაპი; ეს იყო ის, რამაც აზროვნების რევოლიუცია გამოიწვია საზოგადოდ მეცნიერებაში. ზოგადი პრინციპი შეგვიძლია ასე გამოვთქვათ:

**ერთსა და იმავე საზოგადო კანონების მიხედვით მიმდინარეობს ბუნების ყოველგვარი მოვლენები, რანაირიც არ უნდა იყოს იმ გამოსავალი სისტემის მოძრაობა, რომლიდანაც ხდება დაკვირვება ამ მოვლენებზე.**

ამ პრინციპში გამოთქმულია ბუნების კანონთა დამოუკიდებლობა სისტემის მდგომარეობიდან, კანონთა უცვლელობა. დაკვირვების საშუალებით ბუნების მოვლენებზე შეუძლებელია სისტემის მდგომარეობის აღმოჩენა, ამბობს ზემოთაღნიშნული პრინციპი, რაიცა, როგორც შესავალში აღვნიშნეთ, ისე უნდა გავიგოთ, რომ ყოველგვარი მოძრაობა სამყაროში რელატიურია. ეს შეხედულება სრულიად ეწინააღმდეგება კლასიკური მექანიკის წარმოდგენას, რომელიც აბსოლუტურ მოძრაობასაც სცნობდა.

რომ გავიგოთ მთლიანად ყოველი ის აზრი მოძრაობის რელატივობის შესახებ, რომელმაც ეინშტეინი მიიყვანა ასეთ ზოგად დასკვნამდე, ამისათვის დაგვჭირდება რთული

მათემატიკური ანალიზის დახმარება. მაგრამ ორი უმთავრესი მოსაზრება, რომელიც ზოგად პრინციპს საფუძვლად დაედო, ყოველ შემთხვევაში, გასაგები ენითაც შეიძლება იქნას გადმოცემული.

2. პირველი მოსაზრება აღიარებული იყო ვენის ფიზიკოსის ე. მახის მიერ. ამ ჩვენი ნაშრომის შესავალში უკვე აღვნიშნეთ, რომ ცენტრმაშორი ძალების გაჩენის ასახსნელად ნიუტონი იძულებული იყო მიეღო აბსოლუტური სივრცის არსებობა. ნიუტონი ამას ასე ასაბუთებს: ვინაიდან ცენტრმაშორი ძალები ყოველგან ერთნაირ ეფექტს იწვევენ მასების ურთიერთშორისო მდებარეობის დამოუკიდებლად სივრცეში, ე. ი. ის არ არის მასების ურთიერთშორისო მოქმედების შედეგი, ამიტომ მათი გაჩენის მიზეზი სხეულთა გარეშე უნდა იმყოფებოდეს: ესაა რაღაც აბსოლუტური, ყოველგან ერთი და იგივე, — ესაა აბსოლუტური სივრცე. ბრუნვა არის მოძრაობა აბსოლუტური სივრცის შესახებ.

შესავალში უკვე გამოვთქვით ის მოსაზრება, თუ რათაა მიუღებელი აბსოლუტური სივრცე როგორც მიზეზი გარკვეული ხასიათის მოძრაობისა. აქ გვინდა დაუმატოთ, რომ აბსოლუტური სივრცის არსებობა კიდევ იმიტომ არ არის დამაკმაყოფილებელი, რომ ასეთ სივრცეში შეუძლებელი ხდება წერტილის მდებარეობის განსაზღვრა. მაშასადამე, ასეთ სივრცეში შეუძლებელია რაიმე მოძრაობის შემჩნევა.

ე. მახმა შეამჩნია, რომ ბრუნვა რომელიმე მასისა ხდება მხოლოდ სხვა მასების თანადასწრებით; თუ არაა გარემდებარე მასები, მაშინ არ არის ბრუნვა. ბრუნვა ხდება მხოლოდ გარემდებარე სხეულთა შესახებ, ბრუნვა არის რელატივური მოძრაობა. მაგალითად, დედამიწის ბრუნვა ხდება ძალიან მოშორებულ ვარსკვლავთა შესახებ და ასეთი რელატივური მოძრაობა არის მიზეზი ცენტრმაშორი ძალების გაჩენისა და მისი გაპრტყელებისა. მაშასადამე, აბსოლუტური სივრცე აქ არაფერ შუაშია. ბრუნვისა და მისი ეფექტის მიზეზი უნდა ვეძიოთ მოშორებულ ზეციურ სხეულთა მასების მოქმედებაში ცენტრალურ სხეულზე.

მაგრამ თუ ბრუნვითი მოძრაობა რელატივურია, თუ მას არავითარი აბსოლუტური ხასიათი არ ეძლევა, მაშინ შეუძლებელი უნდა იყოს მისი აღმოჩენა ბუნების მოვლენებზე დაკვირვების საშუალებით. მეორე მხრით, ფუკოს ცდა და დედამიწის გაპრტყელება ნათლად გვიჩვენებს სულ წინააღმდეგს, რომ დედამიწის ბრუნვის აღმოჩენა სწორედ დაკვირვების საშუალებით არის შესაძლო. საინტერესო ახსნა-განმარტებას ამის შესახებ თვით მახის იდეებში ვპოულობთ. მახის აზრით, ერთნაირ რელატივურ მოძრაობას ერთნაირი ეფექტი უნდა მოსდევდეს. მაშასადამე, დედამიწის გაპრტყელებისა და ფუკოს ცდას ადგილი ექნებოდა იმ შემთხვევაშიაც, დედამიწა რომ უძრავი იყოს და მის გარშემო მთელი ვარსკვლავთა სისტემა ბრუნავდეს. ამნაირად, ეს ორი დაკვირვება არაფერს გვიამბობს დედამიწის მდგომარეობის შესახებ. რელატივიზმის თვალსაზრისით ერთნაირად მისაღებია როგორც დედამიწის ბრუნვა და ვარსკვლავთა უძრავობა, ისე აგრეთვე დედამიწის უძრავობა და ვარსკვლავთა ბრუნვა მის გარშემო. ასეთია მოკლე პირველი მოსაზრება, რომელიც სრულიად ეთანხმება რელატივიზმის საზოგადო პრინციპს.

მეორე მოსაზრება ეხება მიმზიდველობას და მის მიერ გამოწვეულ ეფექტს. კლასიკურ მექანიკაში ცნობილია მოძრაობა სხეულისა, რომელზედაც არავითარი ძალები არ მოქმედობენ, ე. ი. მოძრაობა ინერციის საშუალებით. ასეთი მოძრაობა თანაბარი და სწორხაზობრივია, მეორე მხრით კეპლერის კანონები გვიამბობენ, რომ ზეციურ სხეულთა მოძრაობა ხდება უთანაბროდ და მრუდხაზობრივ. ნიუტონს ეს ორი მოძრაობა სულ სხვადასხვა სახის ბუნების მოვლენათ ჰქონდა მიჩნეული: თუ პირველის მიზეზი იყო სხეულის ინერცია, მეორის მიზეზად მან გამოაცხადა ცენტრალური ძალა, მიმზიდველობა. თუ პირველში ძალას სრულიად არ ჰქონია ადგილი, მეორე ამნაირად ძალის მოქმედებით არის გამოწვეული. სწორედ ამიტომ იქნა გამოყოფილი მიმზიდველობა კლასიკური მექანიკი-



დან და ეს იყო მიზეზი იმისა, რომ მიმზიდველობა განცალკევებულად იდგა ფიზიკურ მეცნიერებაში თითქმის ორი საუკუნის განმავლობაში.

სულ სხვანაირად შეხედა ეინშტეინმა ამ საგანს. მისი უმთავრესი მიღწევა მთელს რელატიურ მოძღვრებაში ისაა სწორედ, რომ მან გამონახა საერთო კანონი ამ ორი მოვლენისათვის; მან მოახდინა ინერციისა და მიმზიდველობის კანონთა სინთეზი. ასეთი დიდებული აღმოჩენა გამომდინარეობს შემდეგი ორი დაკვირვებიდან, რომელთაგან უკანასკნელი არის პირველის შედეგი:

1) სიცარიელეში ყველა სხეული, როგორც მძიმე ისე მჩატეც, სრულიად ერთნაირად (ერთისა და იმავე აჩქარებით) ეცემა დედამიწაზე.

2) ინერციის მასა და სიმძიმის მასა სრულიად ერთი და იგივეა, ე. ი. ინერციის მასა და სიმძიმის მასა ერთისა და იმავე რიცხვით გამოითქმება.

წარმოვიდგინოთ ახლა ყუთისებრი ოთახი ძალიან შორს სხვა სხეულებისაგან, სადაც მხოლოდ ინერციის კანონს აქვს ადგილი. ამ ყუთში მოთავსებულია დამკვირვებელი. ცხადია, რომ მისთვის არავითარი წონა არ არსებობს: სხეულები ყოველი ყუთის შიგ მდებარეობისათვის წონასწორობაში იმყოფებიან, ე. ი. სხეულებს წონა არ ექნებათ. ვთქვათ ახლა, რომ რაღაც მუდმივი ძალა თანაბარაჩქარებულად და სწორხაზობრივად ამოძრავებს ამ ყუთს. მაშინვე დამკვირვებელი იგრძნობს იატაკის მოწოლას ფეხებზე. სხეულები მოიპოვებენ წონას, რაიც იმით გამოითქმება მაგალითად, რომ თუ დამკვირვებელი ხელიდან თევზს გაუშვებს ეს უკანასკნელი იატაკზე დაეცემა და გატყდება. შემდეგ ის შენიშნავს, რომ ყველა სხეული, როგორც მძიმე, ისე მჩატეც, სრულიად ერთნაირად ჩქარა ეცემა იატაკზე. დამკვირვებელი მიიღებს რა მხედველობაში 1) კანონს აქედან გამოიყვანს იმ დასკვნას, რომ ის თავისი ყუთით იმყოფება განსვენებულ მდგომარეობაში მიმზიდველობის არეში.

წარმოვიდგინოთ ახლა მეორე დამკვირვებელი სამყაროს სივრცეში ყუთის გარეთ. ის სულ სხვა სურათს წარმოიდგენს. ის ხედავს აჩქარებულად მოძრავ ყუთს. მისთვის ერთნაირი დაცემა სხვადასხვა წონის სხეულისა არის ყუთის თანაბარი აჩქარებული მოძრაობის შედეგი. თვით სხეულები კი ინერციის ძალით განსვენებულ მდგომარეობაში იმყოფებიან.

პირველი დამკვირვებელისათვის სხეულთა მოძრაობა ყუთის შიგ იმ წონის შედეგია, რომელიც სხეულებმა უეცრივ მოიპოვეს იმის გამო, რომ ყუთი ვითომ მიმზიდველობის არეში მოხდა. მეორე დამკვირვებელი კი ამბობს, რომ წონა არასფერ შუაშია, მოძრაობა არის სხეულთა ინერციის შედეგი: ნამდვილად მოძრაობს ოთახი-ყუთი, სხეულები კი ინერციის ძალით წონასწორობაში იმყოფებიან.

მაშასადამე, ერთისა და იმავე ღირებულების უნდა ჩაითვალოს ორი აღნიშნული შეხედულება ერთისა და იმავე მოვლენის შესახებ: ერთის მხრით მოძრაობა როგორც წონის შედეგი, მეორე მხრით იგივე მოძრაობა, როგორც ინერციის შედეგი. ინერცია და მიმზიდველობა ერთი და იგივე ყოფილა. წონის მასა იგივე ინერციის მასა ყოფილა. ესაა ზემოთ გამოთქმული მე-2) ფაქტი. იგი კარგა ხანია ცნობილია, მაგრამ მას არავინ არ აქცევდა ყურადღებას, იმიტომ რომ შემთხვევით თანასწორობად სთვლიდნ მას. პირველი, ვინც სწორედ ამ ფაქტში დაინახა მიმზიდველობის ქვემარტი ბუნება იყო ალბერტ ეინშტეინი.

**ამნაირად, მოქმედება მიმზიდველობისა არაფრით არ განსხვავდება იმ მოქმედებისაგან, რომელიც თანაბარ აჩქარებული სწორხაზობრივი მოძრაობით იყო გამოწვეული.** სხვანაირად რომ ვთქვათ: **სრულიად ერთი და იგივეა მიმზიდველობის არე და ის არე, რომელიც თანაბარი სწორხაზობრივი მოძრაობით არის გამოწვეული.**

ასეთია ის მეორე მოსაზრება, რომელიც რელატივიზმის ზოგად თეორიას საფუძვლად დაედო. იგი ადასტურებს ზოგად პრინციპს აღნიშნულ კერძო შემთხვევაში. მართლაც, ბუნების მოვლენის აღწერაში (სხეულის მოძრაობა ყუთის შიგ) ტოლღირებულების აღ-

მოჩნდა ორი გამოსავალი სისტემა: ერთის მხრით ყუთი-ოთახი, რომელიც თანაბარ აჩქარებულად მოძრაობს სამყაროში, ხოლო მეორე მხრით სამყაროს სივრცე, რომლიდანაც ხდება დაკვირვება ყუთის მოძრაობაზე.

3. საუკეთესო მოდელს თანაბრად აჩქარებულ სწორხაზობრივ მოძრაობით გამონვეული ძალის არისა ლიფტი წარმოადგენს. როცა ლიფტი ქვემოთ ეშვება, მაშინ შიგ მყოფი პირი ისეთ გრძნობას განიცდის, ვითომ იატაკი ფეხებს ეცლებოდეს. დამკვირვებელი იგრძნობს, რომ ის უფრო მჩატიე გახდა, ვიდრე ჩვეულებრივ დედამინაზე. წონის შემცირება შეიძლება ექსპერიმენტალურადაც შევამოწმოთ ზამბარაკის სასწორის საშუალებით. ახლა წარმოვიდგინოთ, რომ ლიფტი ქვემოთ ეშვება 981 სანტიმეტრის აჩქარებით, ე. ი. იმ აჩქარებით, რომლითაც ხდება სხეულთა ვარდნა დედამინაზე. მაშინ სხეულები, რა თქმა უნდა, დაჰკარგავენ წონას ლიფტის შიგ: თუ, მაგალითად, სასწორის ერთ ჯამზე 10 ფუთიან სხეულს დავდებთ, ხოლო მეორეზე 1 მისხალს, წონასწორობა ამით არ დაირღვევა. მიზეზი ისაა, რომ სხეული უკვე არ აწევა სასწორის ჯამს, რადგანაც სასწორი ლიფტთან ერთად ვარდება დედამინაზე იმავე სიჩქარით, რა სიჩქარითაც ვარდება მის ჯამზე დადებული სხეულები. თეფში, რომელიც ზევით ავისროლეთ, არ დაეცემა იატაკზე: ის გაჩერდება ჰაერში იმიტომ, რომ იგი ერთნაირად მოძრაობს მთელ სისტემასთან.

სულ წინააღმდეგი ხდება მაშინ, როცა ლიფტი ზევით ადის. მართლაც, დამკვირვებელი იგრძნობს იატაკის მომეტებულ დაწოლას ფეხის გულზე და სხეულები უფრო მძიმე შეიქმნებიან, ვიდრე ჩვეულებრივ. ამის შემოწმებაც შეიძლება იმავე ზამბარაკის საშუალებით.

საინტერესო ისაა, რომ როგორც კი ლიფტი თანაბრად დაინყებს მოძრაობას, მაშინვე ორსავე აღნიშნულ შემთხვევაში მოისპობა წონის შემცირებისა და მომატების ეფექტები. მათ ადგილი აქვთ მხოლოდ აჩქარებულად მოძრავ სისტემაში.

ზემორეხსენებულიდან შეგვიძლია გავაკეთოთ ერთი ფრიად მნიშვნელოვანი დასკვნა: თუ ძალა (წონის სახით) მატულობს ლიფტში, როცა უკანასკნელი ზევით ადის, ან და თუ იგი კლებულობს, როცა ლიფტი ქვემოთ ეშვება და სრულიად ისპობა, როცა ლიფტი ერთ წუთში 981 სანტიმეტრის აჩქარებით ეცემა დედამინაზე, მაშინ აშკარა უნდა იყვეს ყველასათვის ის ფაქტი, რომ ძალა არ წარმოადგენს აბსოლუტურ ცნებას. ძალა ისეთივე რელატიური ცნებაა, როგორც დრო, სივრცე, მასა და სხვა. სხვანაირად: ძალა როგორც ასეთი არ არსებობს, იგი არის მხოლოდ გარკვეული ხასიათის მოძრაობის შედეგი.

აქედან შესაძლოა ასეთი დასკვნა: მიმზიდველობის არე, როგორც აკტუალური მიზეზი მძიმე სხეულთა ვარდნისა დედამინაზე საზოგადოდ არ არსებობს; არსებობს მხოლოდ სისტემის თანაბრად აჩქარებული სწორხაზობრივი მოძრაობა, რომელიც ჰქმნის ძალის ხელოვნურ არეს და ეს უკანასკნელი სწორედ ისაა, რასაც მიმზიდველობას ვუნოდებთ. ასეთი შეხედულება მთლიანად, რა თქმა უნდა, მისაღები არაა. მართლაც, ყოველ მოსაზრებულ ნაწილში მიმზიდველობა ყოველთვის შეიცვლება აჩქარებული თანაბარი მოძრაობით, მაგრამ დედამინის მთელი მიმზიდველობის არის ამისდაგვარად შეცვლა შეუძლებელია: მიმზიდველობა მიმართულია ცენტრისაკენ და რომ აღნიშნული შეცვლა შესაძლებელი იყოს, მაშინ დედამინის აჩქარებული სწორხაზობრივი მოძრაობაც ცენტრიდან უნდა გამოდიოდეს. მაგრამ ამას, ჩვენ ვიცით, ადგილი არ აქვს.

მეორე მხრით, არსებობს კიდევ ძალის მეორე ხელოვნური არე, რომელიც გამონვეულია დედამინის ბრუნვითი მოძრაობით. ბრუნვა იწვევს ცენტრამაშორ ძალებს, რომელნიც ჰქმნიან აღნიშნულ არეს. ამ უკანასკნელსა და მიმზიდველობის არეს შორის არსებითი განსხვავებაა: თუ მიმზიდველობის არისაგან მთლიანად განთავისუფლება შეუძლებელია, რადგანაც წარმოდგენილია ისეთი სისტემა, რომლისთვისაც შეიძლებოდეს მთელი მიმზიდველობის არის შეცვლა თანაბრად აჩქარებულ სწორხაზობრივი სისტემით, სულ სხვა თვისებისაა ცენტრამაშორი ძალების არე; იგი არსებობს მხოლოდ იმ დამკვირვებელი-

სათვის, რომელიც დედამიწასთან ერთად არ მოძრაობს. მაგრამ საქმე ნამდვილად ასე როდია. შეუძლებელია ორი აღნიშნული არის ერთმანეთიდან განცალკევება: არე, რომელსაც ნამდვილად ადგილი აქვს დედამიწაზე, გამოწვეულია მათი ურთიერთი მოქმედებით. მრავალი დაკვირვება გვიჩვენებს, რომ მიმზიდველობის მოვლენა ხდება სწორედ ასეთ გაერთიანებულ არეში და არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ამ არისაგან მთლიანად განთავისუფლება.

4. ასეთია ის ახალი შეხედულება მიმზიდველობაზე, რომელიც წამოიჭრა რელატივიზმის ახალი იდეების იერიშით ძველი მექანიკის სიმაგრეზე — ნიუტონის მიმზიდველობის საყოველთაო კანონზე. ამას მოჰყვა მიმზიდველობის ახალი კანონის აღმოჩენა. მაგრამ საინტერესო ისაა, რომ მიუხედავად იერიშისა ნიუტონის მიმზიდველობის კანონი კი არ მოსპობილა ამით, არამედ მასში შეტანილ იქნა გაუმჯობესება, რომელიც საჭირო იყო ზოგიერთი გამოურკვეველი მოვლენის ასახსნელად.

მას შემდგომ, რაც კერძო რელატივიზმამ აღიარა მასისა და მანძილის რელატივობა, ნიუტონის კანონმა უკვე ამით დაჰკარგა სიმკაცრე და ზედმინევენილობა. თუმცა მრავალი დაკვირვება ზეციურ სხეულთა მოძრაობაზე და აგრეთვე კანონის ის შედეგებიც, რომელთა საშუალებით ზეციური მექანიკა გასაოცარი ზედმინევენილობით წინასწარმეტყველობს ზოგიერთ მოვლენებს, მონაბობს სულ წინააღმდეგს, რომ იგი აბსოლუტურად უდავო ჭეშმარიტებაა.

მაგრამ საქმე სწორედ ისაა, რომ განსხვავება ძველსა და ახალ კანონს შორის შეუმჩნეველია მოძრაობის იმ შემთხვევისათვის, რომელიც შედარებით მცირე სიჩქარით ხდება. განსხვავება იწყება იქ, სადაც სიჩქარე გარკვეულ საზღვარს აღემატება: იქ ნიუტონის კანონი უძლური ხდება სათანადო მოვლენების ასახსნელად იმ დროს როცა, ეინშტეინის კანონი სრულ თანხმობაშია ასეთ მოვლენებთან: ეინშტეინის კანონი ნელად მოძრავ სხეულებს ეხება სრულიად ისე, როგორც სწრაფ მოძრაობასაც: ნიუტონის კანონი კი სამართლიანია მხოლოდ ნელად მოძრავ ზეციური სხეულებისათვის, როგორცაა მზის სისტემის ზოგიერთი პლანეტა. ეინშტეინის კანონს ესაჭიროებოდა შემონეშება და ის ჩინებულად გამართლდა ზოგიერთ მოვლენებზე დაკვირვების საშუალებით.

რომ მთლიანად გავიგოთ ეინშტეინის კანონი, ამისათვის დაგვჭირდება მათემატიკური ანალიზის ურთულესი ნაწილების გამოყენება. მაგრამ ჩვენს მიმოხილვაში ისიც იქნება საკმარისი, თუ გავეცნობით, რა მოსაზრებიდან გამოდიოდა ეინშტეინი თავისი კანონის შესაქმნელად და რა შედეგების შემონეშების შესრულება გახდა შესაძლებელი ექსპერიმენტულად.

ამ მხრივ ფრიად საგულისხმოა ერთი ფაქტი, რომელიც ეხება სხივის გავრცელებას სივრცეში. უკვე კერძო რელატივიზმის თეორიაში იყო გამოთქმული სრული იდენტივობა ენერგიასა და მასას შორის. მრავალი ექსპერიმენტული მონაცემი გვარწმუნებს, რომ სხივს აქვს წონა და ეს, მაგალითად, იმით გამოითქმება, რომ სხივი აწვება ყოველ წინააღმდეგობას, რომელიც გავრცელების გზაზე მას წინ ეღობება. ეს დაწოლა ძალიან მცირეა, მაგრამ ცდების საშუალებით მისი გაზომვა შესაძლებელი გახდა. თუ სხივს აქვს წონა და მასასადამე, მასა და ინერციაც, მაშინ იგი უნდა ემორჩილებოდეს მიმზიდველობის იმ კანონს, რომელსაც მძიმე სხეულები მისდევენ. თუ მძიმე სხეულს ჰორიზონტულად გავისროლით იგი პირველ წუთში დაინევა 5 მეტრზე, მეორე წუთში — 20 მეტრზე და ა. შ.. ასეთნაირადვე უნდა მოხდეს სხივის გავრცელებაც მიმზიდველობის არეში, პირველ წუთში ის უნდა დაინოს 5 მეტრზე; მაგრამ ექსპერიმენტულად ამის შემჩნევა დედამიწაზე შეუძლებელია სხივის საშინელი დიდი სიჩქარის გამო: ერთი წუთის განმავლობაში ის გაიბრუნს 300.000 კმ., ე. ი. ძალიან შორს დასტოვებს დედამიწის იმ წერტილს, საიდანაც გამოდის. აი, რისთვისაა, რომ დედამიწაზე სხივის გზა სწორხაზობრივად გვეჩვენება, ნამდვილად

კი ის მოლუნულია, თუმცა შეუმჩნევლად, მაგალითად წუთის  $\frac{1}{1000}$  განმავლობაში ის დაიხრება დედამინისაკენ  $\frac{1}{5000}$  მილიმეტრით ქვემოთ.

ცხადია აქედან, რომ ასეთი თეორეტიული მოსაზრების ექსპერიმენტულად შემოწმება შესაძლებელია მხოლოდ დედამინის გარეშე. საუკეთესოდ ამ მხრივ უნდა ჩაითვალოს დაკვირვება სხივის გზისა მზის მახლობლად. სხივის გზა მზეზე გაცილებით უფრო მეტ მოლუნვას განიცდის ვიდრე დედამინაზე; ცნობილია, რომ დედამინასთან შედარებით მზის მიმზიდველობა 27-ჯერ უფრო მეტია და ამიტომ სხივის დაცემაც 27-ჯერ უფრო სწრაფი იქნება.

ეინშტეინის კანონის მიხედვით გამოთვლილი იქნა ის კუთხე, რომელზეც უნდა დაიხაროს ვარსკვლავის სხივი მზის რგოლის მახლობლად. ის აღმოჩნდა ძალიან მცირე:  $1.75''$ . ნიუტონის კანონის მიხედვით იგივე კუთხე კიდევ უფრო ნაკლებია, სულ  $0,87''$ . საკითხი იდგა ასეთი შედეგის შემოწმების შესახებ, და სწორედ იმ დროს თითქო საგანგებოთ თავი იჩინა ამ მიზნისათვის ხელშემწყობ მოვლენამ.

1919 წლის 29 მაისს მოხდა მზის დაბნელება აფრიკაში და სამხრეთ ამერიკაშიაც. ორი ექსპედიცია გაემგზავრა ინგლისიდან ედინგტონის მეთაურობით ეინშტეინის აღნიშნული თეორეტიული გამოთვლის შესამოწმებლად: ერთი სობრალში (ბრაზილია) და მეორე პრინციის კუნძულზე გვინეის უბეში. იმავე წლის იანვარში გადაღებულ იქნა ზეცის ის ადგილი, სადაც უნდა მომხდარიყო მზის დაბნელება. შემდეგ გადაიღეს იმავე ადგილს სურათი დაბნელების დროს. ორი ასეთი სურათის შედარებამ აღმოაჩინა გადახრა ვარსკვლავთა ნასახისა დაბნელების შემდგომ და სწორედ იმ კუთხეზე, რომელიც ეინშტეინს ჰქონდა ნაჩვენები ( $1,75''$ ). ეს იყო ეინშტეინის თეორიის ბრწყინვალე გამარჯვება და ამას მოჰყვა თეორიის უდავოთ გამოცხადება მეცნიერთა უმრავლესი ნაწილის მხრივ.

5. ამნაირად შუქის გზა სწორხაზობრივი როდი ყოფილა მთლიანად. ის იმრუდება მიმზიდველ მასების მახლობლად და სიმრუდე იმდენად უფრო დიდია, რამდენადაც დიდია თვით მიმზიდველი მასაც. სივრცეში, რომელიც შორსაა ზეციური სხეულებისაგან, შუქის გზა სწორხაზობრივი რჩება. ამ ფაქტს უაღრესი მნიშვნელობა აქვს სივრცის აგებულობის გამოსარკვევად. მართლაც, შუქი ყოველთვის ირჩევს უმოკლეს გზას თავის გავრცელებისათვის და ეს გზა სწორი არ აღმოჩნდა. მაშასადამე, სივრცე განსაკუთრებული თვისების ყოფილა: უმოკლესი მანძილი ანუ გეოდეზიური ხაზი მის ორ წერტილს შორის გაყვანილი მთლიანად სწორი როდი ყოფილა: ის უახლოვდება სწორს მხოლოდ მიმზიდველ არეთა მოშორებით და მრუდია მიმზიდველი მასის მახლობლად.

მრუდ ზედაპირზე, მაგალითად, სფეროზე შეუძლებელია სწორი ხაზის გაყვანა. მაშასადამე, ასეთ ზედაპირზე უმოკლესი მანძილიც ანუ გეოდეზიური ხაზიც მრუდი უნდა იყოს. მიზეზი ამისა, რა თქმა უნდა, თვით ზედაპირის სიმრუდეშია. სიპრტყეს არავითარი სიმრუდე არ აქვს, ამიტომ გეოდეზიური ხაზი მასზე არის სწორი. სფეროზე გეოდეზიური ხაზი არის დიდი წრე. ტფილისსა და მის მახლობელ კოჯორს შორის ყოველნაირი გზა უეჭველად მრუდხაზობრივი იქნება მიდამო ადგილთა ხასიათის გამო; მაშასადამე გეოდეზიური ხაზი ტფილისსა და კოჯორს შორის უეჭველად მრუდი ხაზია. ასეთივე ხასიათის სურათი უნდა წარმოვიდგინოთ ჩვენს სივრცეშიაც: ვინაიდან გამოირკვა, რომ სივრცის გეოდეზიური ხაზი არის მრუდი დიდ მასათა მახლობლად, ამიტომ როგორც ზედაპირის შემთხვევისათვის, მიზეზი ამისა უნდა ვეძიოთ თვით სივრცის განსაკუთრებულ აგებულებაში: **სივრცე განიცდის სიმრუდეს მიმზიდველ მასების მახლობლად; სიმრუდე ისპობა ასეთ მასათაგან დიდ მანძილზე მოშორებით.**

ეინშტეინის წინ იდგა სივრცის სიმრუდის გამორკვევა მისი გეოდეზიური ხაზების მიხედვით. ესაა უკვე წმინდა გეომეტრიული პრობლემა. მსოფლშენობის საიდუმლოების გამოსარკვევად გეომეტრიის მნიშვნელობა უაღრესია იმ მჭიდრო კავშირის გამო, რომე-



ლიც აღმოჩნდა სამყაროსა და გეომეტრიას შორის. რელატივიზმის თვალსაზრისით ერთად ერთი სწორი გზა მიმზიდველობის პრობლემის გადასაჭრელად არის გზა წმინდა გეომეტრიული და სწორედ მან მიიყვანა ეინშტეინი მიმზიდველობის იმ კანონამდე, რომელიც დღეს უცილობელ ჭეშმარიტებათაა ცნობილი.

თითქმის 23 საუკუნის განმავლობაში არსებობდა მხოლოდ ერთი გეომეტრიული სისტემა — ევკლიდის გეომეტრია. მისი ძირითადი ობიექტები არიან წერტილი, სწორი ხაზი და სიპრტყე. ისინი განისაზღვრებიან რამოდენიმე პოსტულატის საშუალებით, რომელთაგან არც ერთი არაა დანარჩენის ლოლიკური შედეგი. პირიქით, გეომეტრიული თეორემა ლოლიკურად გამომდინარეობს ამ პოსტულატებისაგან, იგი მათი ლოლიკური შედეგია. ყოველი აღნიშნული ობიექტთაგანი მდებარეობს სივრცეში, იმ სივრცეში, სადაც უმოკლესი მანძილი არის სწორი ხაზი. ასეთია ევკლიდის სივრცე და მისი დამახასიათებელი თვისება.

მე-XIX საუკუნეში მეცნიერებაში წამოიჭრა ახალი გეომეტრიული იდეები, და მათის მეოხებით აღმოცენდა ახალი გეომეტრიული სისტემებიც. ევკლიდის გეომეტრიის გარდა გაჩნდა გეომეტრიათა მთელი რიგი. რიმანი, ბოლიაი, ლობაჩევსკი, ასეთია ის სახელები, რომლებთანაც დაკავშირებულია ახალი გეომეტრიული სისტემების დაარსება. რით განსხვავდებიან ისინი ევკლიდის გეომეტრიისაგან? განსხვავება პოსტულატთა სისტემაშია: ევკლიდის გეომეტრია ეყრდნობა გეომეტრიულ აქსიომათა გარკვეულ სისტემას, სულ წინააღმდეგია შინაარსის მხრივ ზოგიერთი იმ აქსიომათაგანიდან, რომლებიც ახალ გეომეტრიულ სისტემებს უდევთ საფუძვლად. მაგალითად, ევკლიდის აქსიომა პარალელობის შესახებ ამბობს: ყოველ წერტილზე შეგვიძლია გავიყვანოთ ერთი და მხოლოდ ერთი სწორი მონაცემი სწორის პარალელურად. ლობაჩევსკის სათანადო აქსიომა სულ წინააღმდეგს ამბობს, რომ წერტილზე შეგვიძლია გავიყვანოთ უამრავი რიცხვი მონაცემი სწორი პარალელებისა. რაც შეეხება რიმანის გეომეტრიას, რომელიც სფეროზეა აგებული, იგი არავითარ პარალელებს არ სცნობს, ასეთ გეომეტრიაში ყოველი წყვილი სწორი უეჭველად ერთმანეთს გადაჰკვეთს.

რომელ ამ გეომეტრიათაგანს აქვს ადგილი რეალურ სივრცეში? 2000 წლის განმავლობაში გამეფებული იყო ის აზრი, რომ რეალური სივრცე არის ევკლიდური სივრცე. მაგრამ მას შემდგომ, რაც აღმოჩენილ იქნა ის ფაქტი, რომ უმოკლესი მანძილი რეალურ სივრცეში სწორი როდია, ასეთი შეხედულება სივრცეზე თავისდათავად მოვარდა. რეალური სივრცის აგებულება არ მისდევს ევკლიდის კანონებს მთლიანად: იგი ევკლიდურია მიმზიდველ მასებისაგან მხოლოდ დიდ მანძილზე მოშორებით.

სულ სხვაა სივრცის გეომეტრია დიდი მასების მახლობლად. წარმოვიდგინოთ ორი შუქი გამოშვებული ერთმანეთის პარალელურად სივრცის რომელიმე ორი წერტილიდან. რადგანაც ეს ორი შუქი სხვადასხვა მანძილზე იმყოფება მიმზიდველ სხეულებისაგან, ამიტომ სულ სხვა და სხვა დახრილობას განიცდიან ისინი ასეთ სხეულთა მახლობლად. აქედან ცხადია, რომ მათი პარალელობა უეჭველად დაირღვევა და ბოლოს და ბოლოს ისინი ან გადაჰკვეთენ ერთმანეთს ან და ერთ სიპრტყიდან გამოვლენ და დაიშლებიან. მაშასადამე რეალური სივრცის გეომეტრია დიდი მასების მახლობლად ყველაზე უფრო რიმანის გეომეტრიას უახლოვდება.

6. ჩვენ მივადექით ზეციურ სხეულთა მოძრაობის პრობლემას. მექანიკაში სრული სიმკაცრით არის დამტკიცებული, რომ მზის სისტემის რომელიმე სხეულის მოძრაობა ელიპტურ ტრაექტორიაზე ნიუტონის მიმზიდველობის კანონის პირდაპირი შედეგია. მაგრამ თუ ნიუტონის აზრით ზეციური სხეულის მოძრაობა არის ძალის მოქმედების შედეგი, სულ სხვაა, როგორც დავინახეთ, რელატივიზმის თეორიის შეხედულება ამ საგანზე: იგი სთვლის, რომ ძალა როგორც ასეთი არ არსებობს, — მიმზიდველობის ძალის არესა და გარკვეული ხასიათის მოძრაობით გამოწვეულ არეს შორის არავითარი განსხვავება არ

არსებობს: და თუ ეს ასეა, მაშინ ისმება კითხვა, რით არის გამოწვეული მრუდ ხაზობრივი მოძრაობა რომელიმე ზეციური სხეულისა? პასუხი ამ კითხვაზე გამოთქმულია მიმზიდველობისა და ინერციის სინტეზში ეინშტეინის მიერ.

განვიმეოროთ კიდევ ერთხელ ინერციის კანონი:

**სხეული, რომელიც შორსაა სხვა სხეულებისაგან, მოძრაობს თანაბრად და სწორ-ხაზობრივად.**

რეალური სივრცე ევკლიდური რომ ყოფილიყო, მაშინ ასეთ სივრცეში გეოდეზიური ხაზი სწორი იქნებოდა და სხეულთა მოძრაობა სწორხაზობრივ შესრულდებოდა. მაგრამ ნამდვილად რეალური სივრცე სიმრუდეს განიცდის მიმზიდველი მასების მახლობლად და ამის გამო გეოდეზიური ხაზი მასში სწორი როდია. მაშასადამე ინერციის კანონი ასეთნაირი ზოგადი სახით უნდა ჩამოყალიბდეს:

**ყოველი მოძრავი სხეული თავის თავზე მინებებული შემოწერს სამყაროში გეოდეზიურ ხაზს.**

ამნაირად, თუ მზის სისტემის რომელიმე სხეულმა ელიპტური ტრაექტორია შემოწერა სივრცეში, ეს არის გამოწვეული არა მიმზიდველობის ძალის მოქმედებით, რომელიც ნამდვილად არ არსებობს, არამედ იგი სივრცის სიმრუდის შედეგია. სხეული თავის თავზე მინებებული მოძრაობს უმოკლეს გზაზე ანუ გეოდეზიურ ხაზზე და ეს გზა სივრცის სიმრუდის გამო მზის მახლობლად თვითონ მრუდია.

ასეთია ინერციისა და მიმზიდველობის სინთეზი. თუ აქამდის მიმზიდველობა განცალკევებულად იდგა მექანიკიდან, რელატივიზმის ზოგად თეორიამ გააერთიანა ისინი ზემოაღნიშნული სინთეზის სახით. მოძრაობა სივრცეში ხდება გეოდეზიურ ხაზებზე ინერციის საშუალებით. ასეთია აღნიშნული სინთეზის ფიზიკური აზრი. იგი ამნაირად გამოსახავს მთლიან კანონს, რომელსაც ემორჩილება, როგორც ინერცია, ისე აგრეთვე მიმზიდველობაც.

ჩვენს წინ დგას კიდევ ერთი საკითხი სამყაროს საზღვრების შესახებ: არის სამყარო უსასრულო, თუ იგი გარკვეულ ზღვრებს შორის იმყოფება. მოხსენება ამის შესახებ ცალკე წერილის სახით მოთავსებულ იქნება „კავკასიონის“ ერთ-ერთ ნომერში.

## D. დასკვნა

1. ჩვენ დავამთავრეთ, მაგრამ დასასრულ გვინდა კიდევ რამოდენიმე სიტყვა ვუძღვნათ რელატივიზმის თეორიის არსებით მხარეს: აქ გვსურს, მოკლედ აღვნიშნოთ ის უმთავრესი მიღწევა, რომელიც რელატივიზმის თეორიამ მეცნიერულ მსოფლმხედველობაში გამოიწვია.

რელატივიზმის თეორიის პირველი დიდი მიღწევა არის სინთეზი მექანიკურ მოვლენათა კანონებისა ერთის მხრით და სხივის გავრცელების კანონისა მეორე მხრით, — სინთეზი, რომელიც უმორჩილებს ერთსა და იმავე კანონს, როგორც მძიმე სხეულის ნელ მოძრაობას ისე ოპტიკურისა და ელექტროდინამიკური მოვლენების სწრაფ გავრცელებას. ასეთი დიდებული სინთეზი მიღებულია შედეგად ღრმა ანალიზისა დროისა და სივრცის შესახებ, რომელმაც მჭიდროდ დაუკავშირა ეს ორი ცნება სისტემის მოძრაობასა და უკვე ამით ერთმანეთსაც. ამას მოჰყვა საფუძვლიანი გარდაქმნა იმ შეხედულებისა სივრცეზე, რომელიც მანამდის იყო გამეფებული.

წინეთ სივრცე სამი განზომილებით ჰქონდათ წარმოდგენილი: რეალური სივრცე ევკლიდის სამი განზომილების სივრცეთ ითვლებოდა. ხშირად მასში დროც შემოჰქონდათ, მაგრამ სივრცესთან კი არ იყო დაკავშირებული იგი, არამედ მხოლოდ დამხმარე როლს ასრულებდა განყენებულ გამოთვლათა თვალსაჩინო წარმოდგენისათვის. დროისა და სივრცის აღნიშნულმა ანალიზმა დაგვარწმუნა, რომ ასეთი შეხედულება სივრცეზე არა მხო-



ლოდ მოკლებულია სინამდვილეს, არამედ სწორედ ისაა უმთავრესი მიზეზი ფაქტთა წინააღმდეგობისა, რომელმაც ელექტროდინამიკურს და ოპტიკურ მოვლენებში იჩინა თავი.

ამიერიდან სამი განზომილების სივრცე, როგორც სრულიად გამოუდგეგარი ძონძი სამუდამოდ უნდა განიდევენოს მეცნიერებიდან. დღეს უდავოთ არის ცნობილი ის ფაქტი, რომ რეალური სამყარო ოთხი განზომილების არა-ევკლიდურ სივრცეს წარმოადგენს; მეოთხე კოორდინატის როლს მასში დრო ასრულებს, მაგრამ არა მხოლოდ როგორც თვალსაჩინო ელემენტი სივრცის წარმოდგენისა, არამედ ვითარცა სივრცის აუცილებელი კუთვნილება, ურომლოდაც სივრცე მოჩვენებად იქცევა, რომლის გარეშე იკარგება რეალობა და იწყება დაუჭერელი ოცნება. ამიერიდან — ამბობს ჰერმან მინკოვსკი — დრო თავისდათავად და სივრცე თავისდათავად ფანტომებად იქცნენ და მხოლოდ მათი რამდენადმე გაერთიანება უზრუნველ ყოფს დამოუკიდებელ არსებობას.

2. ამ მხრივ ფრიად საგულისხმოა ერთი ფაქტი. ყველასათვის ცხადია, რომ რეალური ნივთიერების ყოველმხრიდან ერთი შეხედვით დანახვა შეუძლებელია: შეგვიძლია ერთდროულად დავინახოთ სხეულის მხოლოდ ერთი ან რამოდენიმე მხარე. ამას გარდა მხედველობაში უნდა იქნას მიღებული აგრეთვე დამკვირვებლის მოძრაობაც, ვინაიდან სხვადასხვანაირად მოძრავი დამკვირვებელი ნივთიერების ერთ მხარესაც სხვადასხვანაირად ითვისებს. თუ ნივთი დედამიწაზე მრგვალია, მაგალითად, საათი, დამკვირვებელს რომელიმე სხვა პლანეტიდან, მაგალითად, მერკურიდან, იგივე საათი უკვე ელიპტური სახით მოეჩვენება. ვინ არის მართალი: ის დამკვირვებელი, რომელსაც საათი ხელში უკავია და, მაშასადამე, უშუალოდ გრძნობს მას, თუ დამკვირვებელი მერკურიდან. საქმე სწორედ ისაა, რომ ორივეს ნამდვილად აქვთ წარმოდგენილი ერთი და იგივე საგანი, მაგრამ თუ განსხვავებამ მაინც იჩინა თავი, ამის ახსნა თვით ნივთის აგებულებაში უნდა ვეძიოთ: ნივთი ოთხი განზომილებისაა და ის იმყოფება ოთხი განზომილების სივრცეში. დამკვირვებელი ხედავს მისი მესამე განზომილების კვეთილობის სივრცესთან და ეს კვეთილობა იცვლება პირობათა მიხედვით. ყოველი კვეთილობა წარმოადგენს სხეულის ერთ-ერთ სახეს. ნამდვილს მთლიანს წარმოდგენას სხეულზე მოგვცემს მხოლოდ ყოველნაირი ასეთი სახის სინთეზი. რელატივობის თეორიამ სრულიად ნათლად დაგვანახა სამყაროს ის სურათი, რომელიც დროისა და სივრცის ღრმა ანალიზის მეოხებით გადაიშალა, — სამყარო აგებულია ყველა დაკვირვების სინთეზზე. ეინშტეინმა ამით საუკეთესოდ გამოჰყო დამკვირვებლის მონაწილეობა სამყაროს ათვისებაში იმ მონაწილეობისაგან, რომელიც თვითონ ბუნებას აქვს მიკუთვნილი.

მაგრამ ეინშტეინის სინთეზი ამაზე არ შეჩერდა. სრულიად მარტივი მოსაზრების მეოხებით ეინშტეინმა გამოიყვანა მიმზიდველობა იმ განცალკევებულ მდგომარეობიდან, რომელშიაც ნიუტონის დროიდან იმყოფებოდა იგი და შეიყვანა მექანიკურ ცნებათა ოჯახში, რომელიც მისთვის სრულიად მონათესავე აღმოჩნდა. მან პირველად აღმოაჩინა მიმზიდველობისა და ინერციის იდენტივობა და მოგვცა მთლიანი კანონი, რომელსაც ემორჩილება როგორც ინერცია ისე მიმზიდველობაც.

3. ამნაირად რელატივობის თეორიამ მოახდინა მთელი ფიზიკის შინაარსის გადაშინჯვა. დეკარტმა სთქვა: ჭეშმარიტების შემეცნებისათვის ერთხელ მაინც სიცოცხლეში შეძლებისდაგვარად ყველაფერს ეჭვის თვალთ უნდა შევხედოთ. არავის არ დაუყვანია ეს პრინციპი ისეთ სიღრმემდე, როგორც ეს მოახდინა ეინშტეინმა თავის რელატივობის მოძღვრებაში. მან, მართლაც, ეჭვის თვალთ შეხედა ყოველ იმ ფიზიკურ ცნებას, რომელიც მანამდე მეცნიერების უცილობელ ფაქტად იყო ცნობილი და დაგვანახა, რომ ფიზიკური ჭეშმარიტების შემეცნებისათვის საჭიროა მოძრაობის სიჩქარის მიღება მხედველობაში უფრო მეტად, ვიდრე წინეთ. ამას მოჰყვა ძირითად ცნებათა ღრმა ანალიზი, რომელსაც

არც ერთი ამ ცნებათაგანი არ დაუტოვებია ხელუხლებლად: ზოგიერთი სრულიად გაქარწყლებულ იქნა, დანარჩენმა კი არსებითი გარდაქმნა განიცადა.

ეინშტეინის მოძღვრებამ უკვე საპატიო ადგილი დაიკავა მეცნიერებაში ზემოთდასახელებული სინთეზის მეოხებით და ბუნების მოვლენათა კანონების ექსპერიმენტალურად შემოწმებით. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც შორს ვიმყოფებით მსოფლშენობის საიდუმლოების შემეცნებისაგან: ეინშტეინის თეორიამ მოგვცა მხოლოდ ცნებათა **შეფარდება** და არა **არსი** ნივთიერების. მან დაგვანახა აგებულება და არა მასალა აგებულებისა. ბოლოს და ბოლოს ამ თეორიით მოხდენილია დიდებული რეკონსტრუქცია მეცნიერულ სისტემაში, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში შენდებოდა არა ერთის დიდებული გონების შრომით.

დღეს ყველა გატაცებულია ეინშტეინის იდეებით, დღეს მისი სახელი შემკობილია უკვდავი მეცნიერის შარავანდედით, დღეს მთელი კულტურული კაცობრიობა ამბობს მის რელატივიზმის თეორიაზე, და აღელვებულია იმ ღრმა გარდაქმნით ჩვენს მსოფლ-მხედველობაში, რომელიც ხსენებულმა თეორიამ გამოიწვია. მაგრამ პირველი გატაცება და აღელვება უეჭველია განელდება და მიიღებს ნორმალურ სახეს, იმ სახეს, რომელიც ასე ძვირფასია ყოველი შემოქმედებისათვის, და მაშინ ეინშტეინის თეორია, აღმართული მიუწდომელ სიმალლეზე, გაუნათებს გზას ყველას, ვინც თავის დაუღალავი მეცნიერული შრომით მიიღებს სამყაროს ჯერ კიდევ გამოურკვეველი საიდუმლოების გამოსაცნობად.

*პროფ. ანდრია რაზმაძე  
ტფილისი, 1 მარტი, 1924*

## მეცნიერული ჭეშმარიტება და შემოქმედება

### შესავალი სიტყვა, ტფილისის უნივერსიტეტში წარმოქმული

ძველი ჩვეულება არის, ძველ უნივერსიტეტებში ტრადიციად ქცეული: როდესაც ახალი მოძღვარი მისთვის ახალი აუდიტორიის წინაშე პირველად წარსდგება, იგი პირველ საათს უფრო ზოგადი ხასიათის ბაასს სწირავს, რათა ამგვარად თავის მომავალ მსმენელებს გაეცნოს და თვისა და მათ შორის მომავალი თანამშრომლობისათვის საჭირო ატმოსფერო შექმნას. ეს არის შესავალი სიტყვა. და როდესაც მე შესავალი სიტყვისათვის თემას ვეძებდი, თვალწინ წარმომიდგა პარიზის ლათინური უბნის ერთი ვიწრო ქუჩა, იქ ძველი გოთიკური ტაძარი, და მის ფრონტონზე ნაცნობი სიტყვები: *cognoscite veritatem et veritas liberabit vos!* (სცანით ჭეშმარიტება და ჭეშმარიტება გაცხოვნებს თქვენ). ვიფიქრე, აი, სიტყვები, რომელნიც ამოჭრილი უნდა იყოს ჩვენი უნივერსიტეტის ფრონტონზედაც. აი, სიტყვები, რომელნიც მთელ ერს უნდა უნათებდეს გზას უიმედობისა თუ ეჭვის დროს. და განა შეიძლება კიდევ დასაყრდნობი უფრო საიმედო, ვიდრე ჭეშმარიტება?

თითქო ეს ცხადი უნდა იყოს და ასეც ჩანს, სანამ ჭეშმარიტების განყენებულ, შინაარსისაგან ცარიელ ცნებაზე გვაქვს ბაასი. მაგრამ საკმაოა, რომელიმე კონკრეტ ჭეშმარიტებას მივმართოთ და წამსვე მის გვერდით წამოიჭრება შეცდომა, როგორც სრულიად სწორუფლებიანი მოპირდაპირე, ჭეშმარიტებისა და შემცდარის შორის საზღვარსა შლის და საძნელო არჩევანის წინაშე გვაყენებს. იბადება კითხვა: სად არის ჭეშმარიტება, როგორ უნდა გავარჩიოთ იგი შეცდომისაგან და უწინარეს ყოვლისა, რა არის ჭეშმარიტება?


ამ უკანასკნელი კითხვის წინაშე ბევრი თქვენგანი, უეჭველია, სახტად დარჩება. ჭეშმარიტების რაობა იმდენად ცხადად მიგვაჩნია, მაზედ მსჯელობას ისე შეჩვეული ვართ, რომ კითხვა ჩვენთვის სრულიად მოულოდნელი არის. მაგრამ მცირე დაფიქრების შემდეგ ისევ მალე გამოერკვევით და ბრძანებთ: ჭეშმარიტება არის ცოდნა, რომელიც სინამდვილეს ეთანხმება და გამოჰხატავს, ხოლო შეცდომა — რაც ამ მოთხოვნილებას არ აკმაყოფილებსო. და როდესაც ამას ბრძანებთ, ჭეშმარიტების ძიებაც ისე წარმოგიდგებათ, როგორც, მაგალითად, ამერიკის აღმოჩენა. მე-15 საუკუნის დამლევამდე ამ კონტინენტის არსებობა არავინ იცოდა. კოლუმბი რომ ცენტრალ ამერიკაში მივიდა, თავი ინდოეთში ეგონა და ისე მოკვდა, რომ ეს შეცდომა არ დაუნახავს. მხოლოდ შემდეგში გამოირკვა თანდათანობით ახალი ქვეყნის დამოუკიდებლობა, და ჩრდილო-ამერიკის ყინულოვანი კუნძულები ხომ დღესაც არ არის ჯეროვანად ცნობილი. მიუხედავად ამისა, ცხადია, ამერიკა მის აღმოჩენამდისაც ისევ არსებობდა, როგორც შემდეგ, და არც მისი ბუნება გამოცვლილა იმის მიხედვით, თუ როდის რა წარმოდგენა გვქონდა მის შესახებ.

თითქო ასევეა ჭეშმარიტებაც; მისი არსებობა და რაგვარობა შემცნობ პიროვნებისაგან დამოუკიდებელი არის, ხოლო შემეცნების საგანია მისი აღმოჩენა ისევე, როგორც კოლუმბმა ამერიკა აღმოაჩინა. ყოველ ცოდნას ღირებულება აქვს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იგი ამ უთუო ჭეშმარიტებას უახლოვდება.

ასეთი შეხედულება ორ პოსტულატს გულისხმობს: 1. არსებობს ობიექტურად სინამდვილე, როგორც შემეცნების საგანი; 2. ჩვენ ამ სინამდვილის შეცნობის ნიჭი გვაქვს. ვიგულისხმობთ ჯერ-ჯერობით პირველი პოსტულატის სისწორე და გავსინჯოთ მეორე.

საგნის ცოდნას ცნობიერებამდე მხოლოდ გარე გრძნობათა ორგანოების საშუალებით შეუძლია მოაღწიოს. რით უნდა გავარჩიოთ ამ შემთხვევაში ჭეშმარიტი ცოდნა არა ჭეშმარიტისაგან? გვანვდის თუ არა გრძნობის ორგანოები ერთაზროვან ცნობებს?

ავიღოთ ორიოდ მაგალითი ყველაზე უფრო მაღალი გრძნობის ხილვის სფეროდან. აი ეს უბრალო ნახაზი. თქვენ კარგად ხედავთ, რომ ის გახსნილ წიგნს წარმოადგენს შიგა



კუთხით (ნაწერით) ჩვენსკენ. მაგრამ არა. საკმაოა ვთქვა, რომ ეს ჩვენსკენ ყუით მობრუნებული წიგნი არის, და თუ დააკვირდებით, ახლა ისევე კარგად დაინახავთ, რომ მართლაც ჩვენსკენ ნახაზის გამოზნექილი კუთხე არის მოქცეული. ამ რიგად ერთსა და იმავე საგანს სულ სხვადასხვა გვარად ავითვისებთ.

შემდეგი მაგალითი კიდევ უფრო რთული არის. ვის არ უგრძნია ის სიტკბოება, რომელსაც ადამიანი ვარსკვლავებით მოჭედილი ცის ჭვრეტით განიცდის? უზარმაზარი ცის კამარა, „სამყარო“, ზედ უთვალავი ერთი-მეორის გვერდით ვარსკვლავები და მათ შორის მედიდურად მავალი მთვარე... პოეტი უნდა იყოს ადამიანი, რომ ამ სურათის აღწერა შეეძლოს, მაგრამ დანახვა მაინც ყველას შეუძლია და მის სიმშვენიერესაც ყველა იცნობს. მერე რა შეეფერება სინამდვილეში ამ სურათს? დღეს ყოველმა ბავშვმა იცის, რომ ცა, როგორც სამყარო, არ არსებობს. ვარსკვლავებიც იმის ნაცვლად, რომ ერთი-მეორის გვერდით ციალობდნენ, უსაზღვრო სივრცეში არიან გაფანტული. უახლოესიდან სინათლე უკვე 3 წელიწადში აღწევს დედამიწამდე, ხოლო სხვებიდან ასობით, ათასობით და კიდევ მეტი წელიწადი სჭირია. მთვარე კი თითქმის ხელის მოსაკიდზე არის: 400,000 კილომეტრზე ნაკლები მანძილი გვაცილებს მისგან. მთვარიდან ჩვენამდე სინათლეს ერთ სეკუნდზე მხოლოდ ცოტა მეტი სჭირდება. ამიტომ რასაც მთვარეზე ვხედავთ, ერთი სეკუნდის წინ-

ნანდელი ამბავია. უახლოესი ვარსკვლავი უკვე 3 წლის წინანდელ ამბებს წარმოადგენს, ხოლო სხვა ვარსკვლავების ნათობა ზოგის ასი წლის წინანდელი, ზოგის ათასის, ზოგის ათიათასი წლისა არის. ბევრი მათგანი, დღეს რომ თავის ციმციმით ასე გვატკბობს, ალბად აღარც კი არსებობს. ის ვარსკვლავ-ფენილი ცა, რომელსაც ჩვენ ვხედავთ, სულ სხვადასხვა დროის სხვადასხვა სიშორეზე გაფანტულ მოვლენათა კრებული არის და როგორც ერთდროულ მოვლენას, არასოდეს არ უარსებნია. ის მხოლოდ მოჩვენება არის ისევე, როგორც ცეცხლის რკალი, რომელსაც ბავშვები შემოავლებენ ხოლმე ბნელში გაღვივებული ნაკვერცხლის ტრიალით.

ასეთი მაგალითების გამრავლება თითქმის უსაზღვროდ შეიძლება, როგორც ხილვის, ისე სხვა გრძნობათა სფეროდან. განსაკუთრებით საგულისხმო იქნებოდა პათოლოგიურის მოსაზღვრე მოვლენების აღწერა (შთაგონება, ჰიპნოტიზმი, ჰალუცინაცია). მაგრამ თქმულიც უკვე საკმაოა იმის დასანახავად, რომ გარეგან გრძნობათა მაცდურობას და ხშირად ამ მაცდურობიდან ასკვნიდა გარეგანი ბუნების შემთხვევითსა და მოჩვენებითს ხასიათს.

მაგრამ შეცდომა იქნებოდა გვეთქვა, რომ რაკი გრძნობათა მონმობას ვერ ვენდობით, მაშასადამე, ვერც ჭეშმარიტებას მივწვდებით-თქო. სწორედ ის გარემოება, რომ ჩვენი გრძნობების მაცდური ბუნების შემჩნევა შეგვიძლია, ამტკიცებს, რომ სხვა უფრო სანდო საშუალება გვაქვს ჭეშმარიტების საძიებლად.

ამ სხვა საშუალებასაც ფილოსოფოსები დიდი ხანია იცნობდნენ გონების სახით, მაგრამ კანტმა პირველმა დაგვანახა, თუ როგორ შეიძლება იყოს გონება ჭეშმარიტების წყარო. მისი აზრით, გრძნობების საშუალებით მიღებულ უსახო გამოცდილების ქაოსში გარკვეული სახე და წესრიგი მხოლოდ გონებას შეაქვს. მთელ ჩვენ შემეცნებას საფუძვლად უდევს ე. წ. ჭვრეტის ფორმები — ანუ სივრცე და დრო, და გონების ფორმები ანუ — რიცხვი, მიზეზობრივობა, მიზნიანობა და სხვა. უკანასკნელთ და ზოგჯერ მათთან ერთად პირველთაც კათეგორიებს უწოდებენ ხოლმე. კათეგორიები სრულიად დამოუკიდებელნი არიან და გამოცდილებაში ისინი თვით შემცნობ სუბიექტს შეაქვს. რაკი კათეგორიები *a priori* არის, მათზე დამყარებული ცოდნაც აბსოლუტი და უეჭველი იქნება, და ნებას გვაძლევს აბსოლუტ ჭეშმარიტებას მივწვდეთ. ამ შემთხვევაში იმ გარკვეულ სინამდვილეს, რომელიც ჩვენ უნდა შევიცნოთ, თვით გონების ფორმები ჰქმნიან.


ამგვარად ჭეშმარიტების მისანდომობის თავდები ჭვრეტის და გონების ფორმების *a priori*-ობა არის, ხოლო *a priori*-ობის საბუთად კანტი მათს აბსოლუტსა და ყოვლად ხასიათს ასახელებს, ე. ი. ამ ფორმებს აუცილებლობის ხასიათი უნდა ჰქონდეს და მთელ გამოცდილებას შეიცავდეს. რათა დავრწმუნდეთ, თუ რამდენად სწორია ეს შეხედულება, გავსინჯოთ რამოდენიმე კათეგორია, მაგ. მიზეზობრივობა, სივრცე და დრო.

მიზეზობრივობის პრინციპი, თუ საკითხის მეტაფიზიკურ მხარეს გვერდს აუვლით და მეცნიერების ფარგლებში დავრჩებით, შემდეგნაირად შეიძლება განვმარტოთ: იყოს ორი მოვლენა ან მოვლენათა კომპლექსი A და B. A B-ს მიზეზი იქნება, თუ A-ს გაჩენას ყოველთვის B-ს გაჩენაც მოჰყვება. A ერთად-ერთი მიზეზი იქნება B-სი, თუ B-ს ყველა ელემენტი  $b, b_1, b_2, \dots$  განხორციელდება, თუ განხორციელებულ იქნება A-ს ელემენტები  $a, a_1, a_2, \dots$  აქედან ცხადია, რომ თუ ვიცით A ჩვენთვის B-ც სავსებით გამორკვეულია ყველა თავის ელემენტებით და ვერაფერს მოულოდნელს ვეღარ შეიცავს. თუ მოცემული არის მიზეზი, მოცემული არის შედეგიც, როგორც მისი აუცილებელი ფუნქცია. დასკვნა ამ დებულებისა იმდენადვე მნიშვნელოვანი არის, რამდენადაც ნათელი: თუ მეცნიერებამ შესძლო და მოვლენათა შორის ყველა მიზეზობრივი დამოკიდებულება გამოარკვია, საკმაოდ ფართო მეცნიერული გონებისათვის მომავალიც ისეთივე გარკვეული იქნება, როგორც ანწყო. ფრანგი მათემატიკოსი, ცნობილი კოსმოგონიის შემქმნელი Laplace-ი სწერ-



და: დასრულებული მეცნიერებისთვის პრინციპულად შესაძლებელი არის, ბუნების მთელ კანონებს ერთ ფორმულაში მოუყაროს თავი და ამ ფორმულის ანალიზიდან ჩვენთვის ცხადი იქნება, როგორც მსოფლიოს უძველესი წარსული ისე მისი უშორეულესი მომავალი. მაშასადამე, აბსოლუტი მიზეზობრივობის თვალსაზრისით შეუძლებელი არის ქვეყნად ახალი რამ მოხდეს და, თუ რამ ახლად გვეჩვენება, ეს მხოლოდ ჩვენი უფიცობით აიხსნება: მართალია, მიზეზი და შედეგი ერთი-მეორეს მოსდევს, მაგრამ ეს მხოლოდ მოვლენათა გაშლა არის, ისევე როგორც ერთდროული მოვლენები თავსდება სივრცეში ერთი-მეორის გვერდით. დრო ამ შემთხვევაში არაფრით არ განსხვავდება სივრცისაგან და შესაძლებელი არის იგი სივრცის მე-4 ზომად წარმოვიდგინოთ, როგორც ამას გერმანელი მეცნიერი Minkowski ჩადის. რეალურ დროისათვის აქ ადგილი არ არის. მიზეზობრივობის პრინციპის გაყოვლადებას — ხანიერობის, შემოქმედების და სიცოცხლის უარყოფამდი მივყევართ. ხოლო რადგან სიცოცხლეს და ხანიერობას ჩვენ უშუალოდ განვიცდით, ცხადია მიზეზობრივობა მთელ გამოცდილებას ვერ შეიცავს. იგი არ არის არც ყოვლადი და არა აუცილებელი, და ამიტომ არც *a priori*. ლოლიკური მხრივ ფრანგმა ფილოსოფოსმა E. Boutroux-მა შეისწავლა ეს საკითხი ცნობილ შრომაში De la contingence des lois de la nature (შემთხვევითი ელემენტი ბუნების კანონებში) და მსგავსსავე დასკვნამდი მივიდა. რაც უნდა დიდი იყოს მიზეზობრივი დამოკიდებულების სიმტკიცე, იგი მაინც აბსოლუტი არ არის. იგი სინამდვილეს მეტისმეტად უახლოვდება, მაგრამ სავსებით მაინც ვერ ჰფარავს.

გადავიდეთ ახლა სივრცეზე. ყველაზე მეტ ხანს მას შერჩა აბსოლუტობის სახელი, მაგრამ დღეს ფიზიკოსებისა და კერძოდ Einstein-ის წყალობით აბსოლუტის ეს უკანასკნელი სიმაგრეც დაინგრა. აქ დრო არ გვექნება, არსებითად გავეცნოთ იმ რევოლუციას, რომელიც ამ მეცნიერმა მოახდინა მექანიკაში, მაგრამ ერთი მაგალითი საკმაო იქნება, რათა თვალი შევავლოთ საკითხის იმ მხარეს, რომელიც განსაკუთრებით საყურადღებოა ჩვენთვის. Newton-ის შემდეგ მეცნიერები ფიქრობდენ, რომ არსებობს ერთი უძრავი, უსაზღვრო, აბსოლუტი სივრცე, რომლის თვისებებს ევკლიდეს გეომეტრია გვამცნებს, და ნივთიერი სხეულები ამ სივრცეში მოძრაობენ. მართალია, ამ აბსოლუტ სივრცეში ჩვენ დასაყრდნობი წერტილი არა გვაქვს და არ შეგვიძლია აბსოლუტად უძრავი სხეული მოძრავისაგან გავარჩიოთ, მაგრამ ეს მხოლოდ პრაქტიკული შეუძლებლობა არის და არა პრინციპული. მაინც არის ისეთი მოვლენები, რომელნიც აბსოლუტი სივრცის კარს გვიღებენ. ეს გახლავთ სინათლე და საზოგადოდ ელექტრო-მაგნიტური მოვლენები. ავილოთ ორი სხეული S და Φ, რომელთაგან Φ ისრით ნაჩვენები მიმართულებით მოძრაობს:



ვთქვათ, Φ-ში გაიელვა ელექტრულმა ნაპერწკალმა. ნაპერწკლისაგან გამომკრთალი სინათლე ყველა მხარისაკენ გავრცელდება თანასწორი სისწრაფით. ჩვენ ვიცით, რომ a) ეს სისწრაფე სივრცეში 300000 კმ. უდრის, და b) დამოუკიდებელია სხეულის მოძრაობითი მდგომარეობისაგან, ე. ი. სინათლე ერთგვარი სისწრაფით ვრცელდება უძრავსა და მოძრავ სისტემაში. ეს უკანასკნელი დებულება ექსპერიმენტულად დაამტკიცეს ჯერ სახელოვანმა ფრანგმა Fizeau-მ და შემდეგ ამერიკელმა და გერმანელმა ფიზიკოსებმა, რო-



მელთაც ცხად ჰყვეს, რომ მიწაზე სინათლე ყველა მხარისაკენ ერთგვარი სისწრაფით ვრცელდება, მიუხედავად მიწის მოძრაობისა. ამიტომ  $t$  სეკუნდის შემდეგ სინათლე გაივლის მანძილს  $l=vt$  და მივა წერტილში  $a$ . ეს მოხდება დამკვირვებელისათვის, რომელიც  $S$ -ში იმყოფება და რომლის სისტემა უძრავი არის. მაგრამ ამ ხნის განმავლობაში  $\Phi$  ადგილს გამოიცვლის და მივა  $\Phi_1$ -ში. რადგან სხეულის მოძრაობას სინათლის სისწრაფეზე გავლენა არა აქვს,  $\Phi$ -ში მყოფ დამკვირვებელისთვისაც სინათლემ უნდა გაიაროს მანძილი  $l=vt$  და მაშასადამე, უნდა მიაღწიოს წერტილამდე  $a_1$ , ამ გვარად გამოდის, რომ ერთიდაიგივე მოვლენა ერთსადიმავე დროს ორი სხვადასხვა დამკვირვებელისათვის ორ სხვადასხვა ადგილას არის. ეს, რა თქმა უნდა, აბსურდია. ერთი მოვლენა არ შეიძლება ორ ადგილას იყოს, ხოლო რადგან დებულება სინათლის სისწრაფის მყარობის შესახებ ექვმიუტანელი არის, ცხადია, ამ წინააღმდეგობის ახსნა სხვაგან უნდა ვეძიოთ. რელატივიზმის თეორია სწორედ ამ ახსნას იძლევა. მისი დედა-აზრი შემდეგია: სამზომადი სივრცე, რომელიც ევკლიდესეული გეომეტრიის სივრცე არის, ფიზიკურ სინამდვილეს მხოლოდ **მიახლოებით** გამოჰხატავს. პრაქტიკულად იმ მოვლენებისათვის, რომლებშიც ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება ტრიალებს, იგი სრულიად საკმარისი არის, მაგრამ როდესაც სინათლისებურ სისწრაფესთან და ასტრონომიულ მანძილებთან გვაქვს საქმე, მისი უკმარობა ნათელი ხდება. ამ მოვლენების მოსათავსებლად საჭირო არის არა-ევკლიდური სივრცე, რომლის ნათელი წარმოდგენისათვის ჩვენი გონება სრულიად უძლურია, მაგრამ რომლის ბუნდოვანი გრძნობა თითქო გვაქვს. მაშასადამე, არც სივრცე არის *a priori* ბუნებისა, ე. ი. აბსოლუტი და ყოვლადი.

რაც შეეხება დროს, უნდა ითქვას, რომ მის გარშემო რელატივიზმის თეორიასთან დაკავშირებით დიდი გაუგებრობა არსებობს. ბევრსა ჰგონია, თითქო Einstein-ს დაემტკიცებინოს, რომ დროც ისეთივე შეფარდებითი არის, როგორც სივრცე, და მართლაც ასეთი დასკვნის გამოტანა შეიძლება მისი ფორმულებიდან (იგივე Lorentz-ის ფორმულები). ნამდვილად საქმე სულ სხვაგვარად არის. მათემატიკოსებმა და ფიზიკოსებმაც, როგორც მაგ. H. Poincaré იყო, კარგად იციან, რომ დრო მათემატიკური და დრო რეალური სულ სხვადასხვა რამ არის. პირველი ზომას ექვემდებარება, სივრცის ტერმინებში გამოიხატება (სივრცეში სხეულთა ერთგვარი მდებარეობის გამოვლენა) და საზოგადოდ არსებითად იგივე არის, რაც სივრცე, ხოლო მეორის გაზომვა შეუძლებელი არის. ეს განსხვავება განსაკუთრებით ღრმად Bergson-მა გამოარკვია და რეალური დრო ანუ ხანიერობა (*durée*) თავისი ფილოსოფიის საფუძვლად გახადა. იმავე Bergson-მა რელატივიზმის თეორიის შესახებ მეტად საგულისხმო წიგნი გამოაქვეყნა *Durée et simultanéité*-ს სათაურით, სადაც ნათლად ამტკიცებს, რომ დრო, რომელიც Einstein-ის ფორმულებში შედის არსებითად იგივე სივრცე არის და რომ რეალური დრო ამ თეორიის გარეშე რჩება. მაგრამ რეალური დრო საერთოდ დისკურსიული გონებისა და მაშასადამე, მეცნიერებისათვისაც ხელმოუკიდებელი არის და მხოლოდ ინტუიციისათვის არის მისაწვდომი. ეს არ არის კანტის „ჭვრეტის ფორმა“.

ამგვარად, არც მიზეზობრივობას, არც სივრცეს, არც დროს აბსოლუტობისა და ყოვლადობის ხასიათი არა აქვს. პირიქით, ჩვენ დავინახეთ, რომ მიზეზობრივობაც და ევკლიდური სივრცეც გამოცდილების შინაარსს მხოლოდ მიახლოებით გამოჰხატავს, ისე როგორც ეს ფიზიკურ კანონებს ჩვევია. აქიდან ცხადია, რომ ჭვრეტისა და გონების ფორმები *a priori* არ არის და თანდათანობით შენაძენია. რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს, თითქო კანტის მიერ წმინდა გონების კრიტიკა არსებითად სწორი არ იყოს. უეჭველია, რომ მიზეზობრივობისა, სივრცისა და დროს გარეშე აზროვნება ჩვენ არ შეგვიძლია და ეს ფორმები გონებას უკვე მზა-მზარეული შეაქვს გამოცდილების ქაოსში, მაგრამ ისინი წარმოშობით იმდენადვე გამოცდილებას ეკუთვნიან, რამდენადაც გონებას, და შეფარდებითი ბუნებისა არიან, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ჭეშმარიტების ბუნების კვლევისთვის. ამ აზრის

ნათელსაყოფად ავიღებ ისევ სივრცის მაგალითს. მოგეხსენებათ, შიგა ყურში ჩვენ გვაქვს თავისებური ორგანო, რომელსაც რკალბრივ მილებს, canales semicirculares, უწოდებენ. ამ მილებს მეტად საგულისხმო აგებულება აქვს. ისინი რიცხვით სამი არიან და სამ ერთმანეთისადმი პერპენდიკულიარულ სიბრტყეში არიან მოთავსებული. არსებობს შეხედულება, რომლის თანახმად რკალბრივი მილები სივრცის ათვისების ორგანოს წარმოადგენს. თუ ჩვენ მხოლოდ სამზომადი სივრცის წარმოდგენა შეგვიძლია, ეს იმიტომ, რომ სამი რკალბრივი მილი სამ სხვადასხვა სიბრტყეში არის მოთავსებული და თვითეული მათგანი სივრცის ერთ-ერთი გაზომვის ათვისებას ვვაძლევს. შიგა ყურში რომ სამის ნაცვლად ორი რკალბრივი მილი გვექონდეს, ჩვენი სივრცეც ორზომადი იქნებოდაო. წარმოვიდგინოთ, რომ ეს ჰიპოტეზი სწორი არის. ცხადია, ამ შემთხვევაში სამზომადი სივრცის ჭვრეტა თვით ჩვენი ნერვიული სისტემის აგებულებასთან ყოფილა დაკავშირებული და ის ჩვენთვის ისევე აუცილებელი არის, როგორც აუცილებელი არის, — რომ ადამიანის ნასახიდან ადამიანი უნდა განვითარდეს. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ადამიანი უმდაბლესი ცხოველებისგან არის წარმომდგარი, ერთ უჯრედებიდან დანეყებული. ნერვიული სისტემის და კერძოდ შიგა ყურის აგებულებაც ამ განვითარების შედეგია. იგი დასკვნა არის სახისა და გარესკნელის შორის შეგუების პროცესისა. ეს შეგუება კი ცოცხალი არსისა და გარესკნელის შორის ურთიერთ მოქმედების მუდმივ ცვალებადი ნონასწორობის გამომხატველი არის და შეუძლებელია აბსოლუტი იყოს. ასევე უნდა ითქვას სივრცეზედაც.

მაგრამ ფსიქო-ფიზიოლოგიური პარალელიზმი ყველას არა სწამს და რაც ნერვიულ სისტემაზე ითქმის, მისი პირდაპირ გონებაზე გადატანა მისაღები არ არის. მით უმეტეს დასაფასებელია Bergson-ის ღვაწლი, რომელმაც თავის შრომებში და განსაკუთრებით ცნობილ L'Evolution créatrice-ში გონების ფილოგენეტიური განვითარება შეისწავლა. მისი აზრით ცოცხალი ბუნების განვითარების სათავეში ე. წ. სიცოცხლის გაქანება (élan vital) არის. მისი განვითარებითა და დიფერენციაციით წარმოდგა ერთი მხრით მალალგანვითარებული ალლო, რომელსაც მწერებში ვხედავთ, და მეორის — ადამიანის მალალგანვითარებული გონება. თვითეული მათგანი შემეცნებითი შესაძლებლობის მხოლოდ ერთი მხარის განვითარებას წარმოადგენს და არსებობისათვის ბრძოლაში განსაზღვრულ უპირატესობას იძლევა. ორივე უსრული არის. კერძოდ გონების შესახებ ეს ნათლად ჩანს იქიდანაც, რომ ჩვენ შეგვიძლია მისი საზღვრები დავინახოთ. ეს ამტკიცებს, რომ არსებობს მასზე უფრო მაღალი შემეცნების შესაძლებლობა. ამგვარად გონება განვითარების ნაყოფი არის და გონების ფორმები ამ განვითარებაში შექმნილი.

ადვილი საჩვენებელია, რომ ევოლიუციონისტური თვალთსაზრისით შემეცნების საგანიც, ე. ი. შესაცნობი სინამდვილეც მუდმივ ცვალებაში არის. ცხადია, რომ ორი ასეთი ელემენტისგან წარმომდგარი ცოდნა აბსოლუტი ვერ იქნება, არამედ **შეფარდებითი და მიახლოებითი**.

ხოლო თუ ცოდნა შეფარდებითი არის და არა a priori, რა ღირებულება აქვს ჭეშმარიტებას და სამაგიეროდ სად არის ჭეშმარიტების კრიტერიუმი? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა არა ერთხელ უცდიათ და, უეჭველია, შემედგშიაც არაერთხელ სცდიათ. ყოველ შემთხვევაში მეცნიერთათვის, როგორც Mach-ი, H. Poincaré და სხვანი, და ფილოსოფოსებისთვის, რომელთაც მეცნიერული სკოლა გაუფლიათ, როგორც Bergson, James-ი და მრავალი სხვა, — ერთი უდავოა: ეს ისაა, რომ აბსოლუტი ჭეშმარიტება არ არსებობს, რომ ჭეშმარიტება იარაღი არის, რომელსაც ადამიანი არსებობისთვის ბრძოლაში იჭედავს. ამ მხრივ განსაკუთრებით კატეგორიულია James-ის და მისი შკოლის შეხედულება, რომელსაც **პრაგმატიზმს** უწოდებენ. ამ ფილოსოფოსის თანახმად არავითარი თავისთავადი, აღმოსაჩენი ჭეშმარიტება არ არსებობს. არსებობს მხოლოდ ის ჭეშმარიტება, რომელიც ჩვენ შემეცნებაში ხორციელდება. ჭეშმარიტი არის ის აზრი, რომელიც პრაქტიკაში თა-

ვის ვარგისობას და ხელსაყრელობას ამტკიცებს; შემცდარი არის ის აზრი, რომელიც პრაქტიკაში გამოუდგარი გამოდის. მე ვერ გამოუდგები ამ მოძღვრების დეტალების კრიტიკას. საკმაო იქნება ვთქვა, რომ მისი დედა აზრი სამართლიანად მიმაჩნია, და ერთი გაუგებრობისგან უნდა გაგაფრთხილოთ: ხშირად პრაგმატიზმის მოწინააღმდეგე შენიშნავენ, რომ მოვალისთვის ორი დებულებიდან: „მე ვალი მაქვს“ და „მე ვალი არა მაქვს“, უეჭველად უკანასკნელი უფრო ხელსაყრელი არის. ამიტომ თითქო Lames-ის თანახმად მისთვის სწორეთ ეს დებულება უნდა იყოს ჭეშმარიტი და ვალი არ უნდა გადაიხადოს. პრაგმატიზმის აზრი, რა თქმა უნდა, ასეთი არ არის. განცალკევებით აღებული რომელიმე დებულება შეუძლებელი არის ჭეშმარიტი იყოს ან შემცდარი. ჩვენი შეგნება აზრთა და გრძნობათა ანუ ჭეშმარიტებათა სისტემას წარმოადგენს, რომლის აგებაზე ჩვენი და ჩვენი წინაპრების მხრივ თითქმის უსაზღვრო ენერჯია დახარჯულა. ეს სისტემა ცვალებადი არის და ნელნელა იცვლება კიდევ, მაგრამ მისი ერთთავად დანგრევა, ფსიქიურად დამბლა-დაცემას უდრის, არსებობისათვის ბრძოლაში ჩვენი სრული განადგურების მომასწავებელი იქნებოდა. ამიტომ ყოველი ახალი ჭეშმარიტება მხოლოდ მაშინ იქნება ჩვენთვის მისაღები, თუ ძველ ჭეშმარიტებათა სისტემას ეგუება. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი უკუგდებულ იქნება, როგორც შეცდომა, ან და ძველსა და ახალს შორის ინყება ბრძოლა, რომელიც შეიძლება უკანასკნელის გამარჯვებით და სისტემის გარდაქმნით დასრულდეს; მაგრამ ეს დიდი ენერჯიის დახარჯვას მოითხოვს და მხოლოდ თანდათანობით ხდება. ამიტომ არის, რომ ყოველი გაუგებარი, ე. ი. ძველი გამოცდილების სისტემასთან შეუგუებელი მოვლენა ჩვენში უსიამოვნო გრძნობას იწვევს, რომელიც მანამდე არ ისპობა, სანამ ახალ მოვლენას არ ავხსნით, ე. ი. ძველ გამოცდილებას არ დაუკავშირებთ. ამ მხრივ მოვალის მაგალითი თავისთავად ირკვევა. მან რომ დებულება „ვალი არა მაქვს“, როგორც პრაქტიკულად ხელსაყრელი, ჭეშმარიტებად მიიღოს, ეს მთელ მის დანარჩენ წარმოდგენათ, მთელ მის წარსულ გამოცდილებას ყირამალა დააყენებდა. ამ ახალი ჭეშმარიტების მიღება მისთვის შეუძლებელი არის, თუ მთელ მის სულიერ ავლადიდებაზე და შიგ დამარხულ უანგარიშო ენერჯიის განძზე ხელი არ აიღო. ეს კი არა თუ პრაქტიკულად ხელსაყრელი არ არის, პიროვნების სრული განადგურება იქნებოდა.

მაშასადამე, თვითოეული ჭეშმარიტება თავისთავად კი არ უნდა იყოს გამოსადეგი, იგი უნდა ეგუებოდეს ძველ ჭეშმარიტებათა სხეულს, რომელნიც თავის მხრით შეგუების გზითვე არიან შექმნილი, როგორც არსებობისთვის ბრძოლაში გამოსადეგი იარაღი. ამ მხრივ გამონაკლისს არ შეადგენენ თვით ჭვრეტის და გონების ფორმებიც. ისინი აგრე მტკიცედ ჩვენს შეგნებას სწორედ იმიტომ შეუთვისებია, რომ განსაკუთრებით გამოსადეგნი აღმოჩენილან გარეშე ბუნებასთან ბრძოლაში და საუკეთესო იარაღს წარმოადგენენ იმ მიზნების მისაღწევად, რომელთაც ადამიანი ამ ბრძოლაში ისახავდა. პრაქტიკული გამოსადეგობის მუდმივი შემომწმების გამო ისინი საბოლოოდ გამტკიცდენ და, რაკი მემკვიდრეობით თაობიდან თაობას გადაეცემოდენ, ბოლოს ჩვენი სახის განუყრელ „აპრიორულ“ თვისებად გადაიქცენ.

ახლა დრო არის ამ სწრაფი მიმოხილვიდან ზოგი დასკვნები გამოვიყვანოთ. პირველი, რასაკვირველია, მეცნიერული ჭეშმარიტების შეფარდებითი ხასიათი იქნება. მეცნიერული ჭეშმარიტება შრომის იარაღი არის, ადამიანის მიერ გაჭედილი და მეტად ან ნაკლებად გამოსადეგი. ეს განსაკუთრებით ნათლად ჩანს მეცნიერულ შემოქმედებაში. აქ სპეციალი ტერმინიც კი არსებობს: სამუშაო ჰიპოთეზი. რას ნიშნავს ეს? მხოლოდ იმას, რომ აღებული ჰიპოთეზი იმდენად არის ჭეშმარიტი, რამდენადაც იგი მოხერხებულ იარაღს წარმოადგენს მეცნიერების მუშაკისთვის. თეორიები და კანონებიც ასეთი ჰიპოთეზისგან მხოლოდ იმით განსხვავდებიან, რომ ისინი უკვე საკმაოდ გამოცდილი და „გამომდგარი“ არიან.

ავილოთ ერთი მაგალითი. უკვე საბერძნეთის ფილოსოფოსებმა გენიოსური გამჭრიახობით აღნიშნეს, რომ ყოველი ნივთიერება პატარა ნაწილებისგან შედგება, რომელთაც განუყოფელი ანუ ატომი უწოდეს. ამ უბრალო აზრს, შეეძლო დიდი წესრიგი შეეტანა ადამიანის მიერ ბუნების გაგებაში და მით გონებრივი ენერჯის დიდი ეკონომია გამოენიჭა. გარდა ამისა, როგორც შემდეგში გამოიკვავა, იგი უძლიერეს იარაღს წარმოადგენდა ბუნების ძალთა დასამორჩილებლად. მაგრამ იმ დროში ცოდნისა და ტექნიკის მდგომარეობა ისეთი არ იყო, რომ ამ იდეას თავისი ნაყოფიერების გამომხილება შესძლებოდა. ამიტომ თუმცა ატომისტურმა ჰიპოთეზამ დიდი სიცოცხლის უნარი გამოიჩინა, ჭეშმარიტებად მაინც ვერ იქცა. მას აკლდა მუშაობაში შემონახვა.

გავიდა საუკუნეები. მეცნიერების და ტექნიკის საერთო მდგომარეობა შეიცვალა. და აი, ლავუაზიემ, პრუმ, გელუსაკმა, დალტონმა, ბერცელიუსმა შექმნეს ქიმია და ატომისტური თეორიაც განაახლეს. ატომის თვისებაზე ახლაც ბევრი არაფერი იცოდენ ან სრულიად არაფერი. ყველაფერი ისევ ჰიპოთეზებზე იყო დამყარებული. მაგრამ ახალ პირობებში ეს თეორია საკვირველად ძლიერი სამუშაო იარაღი აღმოჩნდა. მან ქიმიურ აზროვნებას და მუშაობას განსაზღვრული მიმართულება მისცა და ამ გზაზე საოცარი სისწრაფით აღმოჩენა აღმოჩენას მოჰყვა. ამ შემონახვის ნყალობით ის, რაც ადრე მხოლოდ გაბედული მოსაზრება იყო, მტკიცე ჭეშმარიტებად იქცა.

გავიდა კიდევ ხანი და მეცნიერების წინსვლამ ატომები თითქმის ხელშესახებ საგნებად გახადა. მიუხედავად იმისა, რომ დანახვა თვით უძლიერესი მიკროსკოპითაც კი არ შეიძლება, არსებობს უკვე მრავალი საშუალება მათ გასაზომავად და მათი მოცვა და წონა ზედმინვენით არის გამოკვლეული. ამით თითქო საბოლოოდ მტკიცდებოდა, რომ ატომების სახით თვით რეალობასთან გვაქვს საქმე. ლორდმა კელვინმა ძლიერ მომხიბლავი ჰიპოთეზიცი კი შეიმუშავა მათი განუყოფლობის ასახსნელად. მაგრამ არა! მალე აღმოჩნდა, რომ ატომის ეს წარმოდგენა მხოლოდ მეცნიერული მუშაობის მოხერხებულ იარაღი იყო, ჩვენი ცოდნის განსაზღვრული მდგომარეობის შესაფერი. ახალ ფაქტებს იგი ვეღარ ითვისებდა. გათხელებულ გაზებში ელექტრული დაცლის მოვლენებისა და რადიოაქტივობის გასაგებად და ამ სფეროში ახალ კვლევათა საწარმოებლად საჭირო შეიქმნა ახალი სინთეზი, ახალი სამუშაო ჰიპოთეზი. Rutheford-ისა, ბორის და სხვების აზრით ატომები არ არიან განუყოფელი და არც მარტივი. იგინი რთულ სხეულებს წარმოადგენენ და ისეთივე აგებულება აქვთ, როგორც მთელ მზის სისტემას. ფოკუსში — მოთავსებულია დადებითი გუნდი, ისევე, როგორც მზე. ამ გუნდის გარშემო ელიპტიურ ორბიტზე მიმოიქცევა ცთომილების მსგავსად უარყოფითი ელექტრონები. უმარტივეს შემთხვევას ნყალობადის ნეიტრალი ატომი წარმოადგენს, რომელშიაც დადებითი გუნდის გარშემო ერთადერთი უარყოფითი ელექტრონი მოძრაობს. საერთოდ კი ამ ელექტრონების რიცხვი მეტად ან ნაკლებად მრავალრიცხოვანი არის ხოლმე. თვით გუნდიც, როგორც ამას რადიოაქტივი სხეულების მაგალითი გვიჩვენებს, ძლიერ რთული შეიძლება იყოს და მრავალ დადებითი გუნდისა და უარყოფითი ელექტრონისგან შედგებოდეს. ამ გვარად ატომისტური თეორია სრულიად ახალ სახეს ღებულობს.

რამდენად ხანგრძლივი იქნება მისი განვითარების ეს ფაზისი? ამას მომავალი გვიჩვენებს. ყოველ შემთხვევაში, ახალმა შეხედულებამ თავისი „ჭეშმარიტება“ უკვე საკმაოდ დაამტკიცა, რადგან ქიმიკოსებს საშუალება მისცა მეიერ-მენდელეევის პერიოდული სისტემის შესწორებისა და შევსებისა, და მეორე მხრით ქვანტების თეორიასაც კონკრეტი ახსნა უპოვა. ეს უკვე საკმარისია, რომ იგი გამოსადეგად ჩავთვალოთ, სანამ მეცნიერების განვითარება ისევ ახალ სინთეზს და შრომის ახალ იარაღს არ მოითხოვს.

ასეთი არის მეცნიერული თვალსაზრისი ჭეშმარიტების საკითხში. წინამეცნიერული ადამიანი და ბავშვი ყველგან აბსოლუტს ეძებს. ჭეშმარიტებაც მისთვის აბსოლუტი არის;



სამარადისოდ გარკვეული სინამდვილის მზა-მზარეული ანარეკლი, რომელიც უნდა აღ-  
მოჩენილ იქმნას. საშუალო სკოლის მოწაფისთვის მისი სახელმძღვანელოს თვითოეული  
ფრაზა ურყევი, სამარადისო ჭეშმარიტება არის. ბევრი საშუალო სასწავლებლის შემდე-  
გაც ასევე აზროვნებს. სად არ გაიგონებთ შედარებას, თითქოს უნივერსიტეტი ჭეშმარი-  
ტების ტაძარი იყოს და შიგ ჭეშმარიტების ძიება სწარმოებდეს. ეს არსებითად შემცდარი  
აზრია. უნივერსიტეტი უფრო ქარხანა არის, ვიდრე ტაძარი. აქ ჭეშმარიტების შემოქმე-  
დება სწარმოებს და არა ძიება. ჭეშმარიტება, რომელსაც აქ ჰქმნის გონებრივ მუშაკთა  
რაზმი, არ არის აბსოლუტი, არც ღვთაებრივი. იგი შეფარდებითია და ადამიანური, ეს  
ქმნილი ჭეშმარიტება უსრულია და ცვალებადი, როგორც თვით ადამიანი; მაგრამ იგი  
მანაც საკმაო, იმ ბრძოლაში სახმარად, რომელიც ადამიანს არსებობისა და განვითარე-  
ბისათვის უხდება. ამ რელატივობის ცხოველი გრძნობა და არა ცოდნის რაოდენობა გა-  
ნასხვავებს მეცნიერულ აზროვნებას არამეცნიერულისაგან. მეცნიერისთვის თვითოეულ  
აზრს მხოლოდ იმ პირობებთან დაკავშირებით აქვს მნიშვნელობა, რომლებშიც იგი წარ-  
მოშობილა და განვითარებულა. უმთავრესად ამიტომ არის, რომ მეცნიერულ შრომაში  
თვითოეულ აზრს ავტორის სახელი უნდა ახლდეს თან ერთგვარი პასპორტით. პროფა-  
ნებს კი ჰგონიათ (და ამ მხრივ ბევრი მეცნიერიც პროფანია) თითქო ბიბლიოგრაფიულ  
ცნობებით შრომის აჭრელება ერთდროის გამოსაჩენად იყოს საჭირო.

მაგრამ განვაგრძოთ. აბსოლუტ ჭეშმარიტებას თავისთავადაც ექნებოდა მნიშვნე-  
ლობა, მაგრამ შეფარდებით ჭეშმარიტებას კი მხოლოდ სხვა ჭეშმარიტებებთან დაკავში-  
რებით აქვს ღირებულება, მხოლოდ როგორც ჭეშმარიტებათა მთლიანი ორგანიზმის  
წევრს. ამიტომ სანამ იქნებოდეს მეცნიერებანი, უნდა იყოს მეცნიერება, უნდა იყოს ერთი  
მთლიანი ცოცხალი სხეული, რომლის სიცოცხლეს ნაწილებიც ეზიარებიან. ზოგი მეცნი-  
ერი ათეულ წლობით იკვლევს, თუ რამდენი პარაზიტი ცხოვრობს ჭიანჭველას ნაწლევებ-  
ში. სხვა კიდევ მთელ სიცოცხლეს სწირავს იმის გამოკვლევას, თუ რა გავლენა აქვს ახალ  
მთვარეს გოჭის კუდის ზრდაზე. ყოველივე ეს შეიძლება ძლიერ საინტერესოც იყოს ისევე,  
როგორც ბავშვის მიერ ფოსტის მარკების გროვება, მაგრამ ეს არ არის მეცნიერება. მეც-  
ნიერებას სხვა მაღალი სწრაფვა და სხვა ამაყი საზრიანობა უნდა ასულდგმულეზდეს და  
აი, აქ არის უნივერსიტეტის მთავარი როლი. *Universitas literarum et stenciarum* — ეს შემა-  
კავშირებელი პრინციპი არის, რომელიც ცალკე დისციპლინებიდან და ფაკულტეტები-  
დან ერთ მეცნიერულ სხეულს ჰქმნის და ვინაო სპეციალისტის მუშაობას აზრს და მიზანს  
აძლევს. ეს მთლიანობა არ უნდა იქმნას დაკარგული მხედველობიდან, თორემ ეს სიკვდი-  
ლი იქნება მეცნიერებისა. ასეთი არის ჩვენი მეორე დასკვნა.

თუ ჭეშმარიტება ადამიანის კულტურის ცოცხალი ნაყოფი არის და არა აბსოლუტი  
რამ, რაც შეიძლება დროსა და სივრცის გარეშე არსებობდეს, მაშინ ჩვენთვის გასაგები  
არის, თუ როგორ შეიძლება ამა თუ იმ ხალხის ან ამა თუ იმ კლასის მეცნიერებაზე ლაპა-  
რაკი. უეჭველია, არსებობს ერთი საკაცობრიო მეცნიერებაც, რამდენადაც არსებობს  
თვით კაცობრიობა, როგორც გარკვეული ერთეული. მაგრამ ეს ერთი მეცნიერება რთუ-  
ლი სხეული არის, რომელიც რამოდენიმე ქვესხეულისაგან შედგება. ეჭვს გარეშე არსე-  
ბობს, მაგალითად, ბურჟუაზიული და პროლეტარული მეცნიერება, მაგრამ თვით პრო-  
ლეტარული მეცნიერებაც შეუძლებელია ერთი იყოს. მეცნიერული შემოქმედება ადამი-  
ანის მთელი სულიერი ცხოვრების თავისებურებასთან დაკავშირებით ხდება. ერთ წიგ-  
ნაკში რომელიც ამ 11-ოდე წლის წინედ დაიბეჭდა, მე ვცადე ცხად მეყო ის დიდი როლი,  
რომელსაც ხალხის ცხოვრებაში ენა თამაშობს და ამ თვალსაზრისით განმემარტა ეროვნუ-  
ლი შემოქმედების რაობა და პირობები. მეცნიერული შემოქმედებაც ეროვნული შე-  
მოქმედების ერთ-ერთი სახეა, ეს განსაკუთრებით ცხადია მას შემდეგ, რაც კულტურის  
გადემოკრატიებამ ეროვნობის მატარებლად მშრომელი ხალხი გახადა. დემოკრატიისთ-



ვის არ არსებობს სხვა გზა კულტურული შემოქმედებისა გარდა ეროვნულისა — აი, ჩვენი მესამე დასკვნა, რომლის თანახმად უნივერსიტეტი ეროვნული დაწესებულება არის. არა მარტო იმიტომ, რომ ერს უნდა უწინამძღვროს, არამედ იმიტომ, რომ ის ეროვნული ორგანიზაციისგან იძენს შემოქმედების ძალას. განსაკუთრებით პატარა ერებში უნივერსიტეტის აყვავების მთავარი პირობა მშრომელი დემოკრატიის გაძლიერება არის.

ჩვენი მეოთხე დასკვნაც ამ სამის მსგავსი იქნება. მეცნიერული ჭეშმარიტების შემოქმედება ნაწილი არის იმ დიდი შრომისა, რომელსაც საზოგადოება აწარმოებს. ჩვენ, უნივერსიტეტის წევრნი, ერთს შრომითს ამქარს წარმოვადგენთ და მონაწილენი ვართ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომისა. მეცნიერული შემოქმედება აუცილებელი პირობა არის ამ ამქარის არსებობისა. მოძღვარი და მსმენელი მეცნიერულ შემოქმედებაში ეზიარება უნივერსიტეტის სხეულს. ამ პირობის გარეშე უმაღლესი სასწავლებელი არ არსებობს. მეცნიერება გადაცემით არ ისწავლება. მეცნიერების სწავლება მხოლოდ მაგალითით შეიძლება.

ჩვენ შეგვიძლია მეცნიერება აეროპლანს შევადაროთ. ეს მძიმე მანქანაა, რომელიც ხშირად ას ფუთზე მეტს იწონის, მერცხლის სისწრაფით მიმოსრიალობს და თამამად აყრდნობს თავის ფრთებს მსუბუქ ჰაერს. და დახეთ, ეს დაუდგრომელი ჰაერის დასაყრდნობი მას არ ჰქვიატობს, მაგრამ მხოლოდ იმ პირობით, რომ აეროპლანი მოძრაობდეს. საკმაოა, ის შეჩერდეს და წამსვე უზრალო ქვასავით ძირს დაეშვება და მიწაზე დაენარცხება. ასევე მეცნიერებაც. მხოლოდ უწყვეტელი შემოქმედება ასულდგმულებს მას და ნებას აძლევს მუდმივ ცვალებად ჭეშმარიტებაზე დაყრდნობით მალლა-მალლა აინიოს. თუ ეს შემოქმედება შეწყდა, მეცნიერებაც კვდება და უნივერსიტეტიც უკეთეს შემთხვევაში ცუდ საპროფესიო სასწავლებლად იქცევა.

ალ. ჯანელიძე

## ანაკრეონტი

**ყველა აქ მოთავსებული ანაკრეონტის ლექსების თარგმანი შესრულებულია Asmi-ს მიერ.**

ძველი საბერძნეთის აღმოსავლეთ სანაპიროზე, ეოლიის კუნძულ ლესბოსზე, მე-VI საუკუნეში ქრ. წინ, აყვავდა ბერძნული მონოდური ლირიკა.<sup>1</sup> მისი პიონერები იყვნენ ალკეო და საპფო, მათ ჩამოასხეს მონოდური ლირიკა მომხიბვლელ მეტრიულ ყალიბში და ისეთი შესაფერი შინაარსი მისცეს მას, რომ იგი სამუდამოდ დარჩა ადამიანის უნაზეს გრძნობათა გამომხატველად. მაგრამ ამ ლირიკის შემდეგი განვითარება ლესბოსს აღარ ერგო წილად. ალკეოსა და საპფოს შემდეგ ლესბოსმა ველარ წარმოშვა ძლიერი ტალანტები. ეოლელ პოეტთა ახალი შთამომავლობა უფრო სუსტი აღმოჩნდა, მათმა სიმღერებმა ვერ შეჰქმნეს ახალი ერა, და ეს პოეტები აღარც შერჩნენ კაცობრიობის მესხიერებას.

მიუხედავად ამისა, მაინც არ მომკვდარა ის ლიტერატურული დარგი — მონოდური ლირიკა — რომელიც ალკეომ და საპფომ შეჰქმნეს და უმაღლეს ნერტილამდე აიყვანეს: მან, როგორც დაუდგრომელმა მდინარემ, აირჩია სხვა კალაპოტი, და ნაცვლად ეოლიუ-

1. ეს ის ლირიკაა, როდესაც სიმღერას ასრულებს ერთი ხელოვანი ლირის აკომპანიმენტი (mōnos — ერთი, ὀδὴ — სიმღერა). ამას უპირისპირდება ხოროს ლირიკა, როდესაც ამსრულებელი გუნდია (ხორო).

რისა იონურის გზით წავიდა. ის მიდის ამ გზაზე ძველებურის ტემპით, თავისუფალი ნაბიჯით, და ამაყური, დაჯერებული გამომეტყველებით, თუმცა მიიღებს ოდნავ სხვა იერს და სხვა შეფერადებას.

იონიის ქალაქი ტეოსი — აი, ის ადგილი, სადაც ლესბოსის სიმღერა გამოძახილს ჰპოვებს. ხოლო ამ სიმღერას იონური დიალექტით შეჰმოსავს და ახალი ცხოვრებისაკენ გამოიყვანს **ანაკრეონტი**, „ტეოსელი მომღერალი“ — როგორც მას ძველად ეძახდნენ.

## 1

არეულობის ხანაში მოუხდა ანაკრეონტს ცხოვრება. ეს არის VI საუკ. მეორე ნახევარი, როდესაც იონური კოლონიებისათვის ნამდვილი ჟამთა-სიავე მყარდება. კოლონიები ერთი მეორეზე ემორჩილებიან დიდი კიროსის სარდალს, რომელიც სწრაფად მოიწვეს მცირე აზიის სანაპიროებით (545 წ.). ანაკრეონტის სამშობლო ქალაქის ტეოსის მცხოვრებნი, სპარსული უღლის თავიდან აცილების მიზნით, სტოვებენ სამშობლო მხარეს და გადადიან თრაკიაში და აქ დაარსებენ ახალშენ აბდერას. მათ თან მიჰყვება ანაკრეონტიც. პირველ ხანებში დიდი ბრძოლა უხდებათ ცხოვრებასთან ტეოსელ მოქალაქეებს: ისინი იძულებული არიან სასტიკი ბრძოლა აწარმოონ თრაკელებთან: გამარჯვება და დამარცხება ერთი-მეორეს სცვლიან. ანაკრეონტიც მედგრად იბრძვის თანამოქალაქეთა ბანაკში: მის მოძმეთა ჭირვარაში — ეს მისი საკუთარი ჭირვარაშია, მათი შვება — მისი შვებაა. მათთვის და მათზე სჭედავს ის თავის სიმღერებს — მსგავსად ალკეოსა და არხილოხისა, და ამ სიმღერებში მოისმის ხან ძარღვდაჭიმული, ხან ირონიული ნოტები. ჩვენს წინამეა პოეტი — მეზობლი, რომელიც მშვიდად შესცქერის ბედის უკუღმართობას და შესაფერ პასუხს აძლევს მას.

შენ პირველად დაგიტირებ,  
გმირო არისტოკლიდე!  
ჯერ ყმანვილმა, მამაცურად  
შეენიერე სამშობლოს.

ასე დამღერის ანაკრეონტი თავის გარდაცვლილ თანარაზმელს, მაგრამ სად? რასაკვირველია, ლხინში იმ დროს, როდესაც მეგობრები დალუპულ გმირთა სულის მოსახსენებელს სვამენ, როგორც ეს ჩვეულებად ჰქონდათ ბერძნებს<sup>1</sup>. ასეთი სიმღერები ანაკრეონტს ბევრი აქვს და აქ ის ეხება მრავალ საჭირბოროტო საკითხს საზოგადო ცხოვრებიდან. მაგრამ იმ დროს, როდესაც ის საზოგადოებრივ მოვლენებს ეხება, როდესაც ის აღწერს თავისი მამულისა და თანამემამულეთა ჭირვარას, ან და სპარსელების შემოსევას ტეოსის საზღვრებში და ტეოსელ გმირთა დალუპვას, — ამ დროს პოეტი სხვა უფრო ნაკლებ სერიოზულ ჰანგსაც აიღებს ხოლმე, — დაცინვისა და ირონიის ნოტებს. ის მაგ., თავის თავსაც დასცინის ერთხელ, როდესაც მოიგონებს, თუ როგორ დაჰკარგა მან ფარი ერთ-ერთ ბრძოლაში, რომელიც ტეოსელებისათვის დამარცხებით დამთავრდა.

დავაგდე ფარი  
მე ნაპირზე  
სწრაფად-მავალი მდინარის,

1. იხ. Wilamowitz— Moellendorf. Sappho und Simonides (Berlin, 1913), 106.

## და გავიქეცი —

ვით დამფრთხალი

ტყისკენ მიფრინავს გუგული.

მოკლედ, ახალგაზრდობაში ანაკრეონტის მოქმედებას დიდ მასალას აძლევდა ხოლმე მაშინდელი პოლიტიკური ამბები და საომარი შეხლა-შემოხლანი. ის ამ მოვლენებს გვერდს არ უხვევდა, — ისინი მისთვის არსებითი მნიშვნელობისა იყვნენ, და ამ სიმღერაში ჯერ კიდევ არ ისმის მისი იონიური ნებივრობა. პირიქით, ანაკრეონტი გვევლინება ხანდახან „მრისხანების მომღერლად“ არხილოხის მსგავსად, და მწარ, იამბურ ლექსებში დასცინის ხოლმე თავის პირად მტრებს, და ამრიგად თავის პირად ცხოვრებას ფარდას ხდის. აქ შეიძლება გავისხენოთ ჩვენ მისი იამბური ლექსი, სადაც იგი დასცინის ევრიპილეს, მის მიჯნურს, ფუქსავატ არტემონს და ვილაც ქაჩალ მოხუცს, ალექსიდს — ეს ის ტრიადაა, რომელსაც ალბად ახლო კავშირი ჰქონდა პოეტთან; შეიძლება ასე ვიფიქროთ: ევრიპილემ, რომლის სიყვარული ასე სწავდა ანაკრეონტს, არ მიიღო პოეტის სიყვარული და ალექსიდის ძალდატანებით არტემონი არჩია პოეტს<sup>1</sup>. თუ ეს ასეა, მაშინ ჩვენ აქ მსგავსივე სურათი გვაქვს, რომელსაც არხილოხის ცხოვრებაშიაც ჰქონდა ადგილი: არხილოხს უყვარდა ნეობულე, მაგრამ დამარცხდა; ამ დამარცხებამ ისე გასტეხა პოეტი, რომ მისგან შექმნა უსაშინელესი პესიმისტი. და საზოგადოდ, ანაკრეონტის ცხოვრების პირველ ხანებში ჩვენ ბევრ ისეთ მხარეს ვპოვებთ, რომელიც არხილოხის ცხოვრებასაც ახასიათებდა. სამშობლოს დაკარგვა, ხეტიალი, ბრძოლა და სხვა ამგვარი შემთხვევები, პირად ცხოვრებაში დამარცხებანი, — ყველაფერი ეს საერთოა ამ ორი პოეტის ცხოვრებაში. მაგრამ აღსანიშნავია სხვა მხარეც: ღრმა-ბუნებოვანი და ვნებით-შეპყრობილი არხილოხისათვის ყველაფერი ეს საბედისწერო შეიქნება და პოეტის დაღუპვას გამოიწვევს; შედარებით უფრო სუბუქი და ზერელე ანაკრეონტისათვის — ეს არის მისი ცხოვრების ერთი იმ წარმავალი ეტაპთაგანი, რომელსაც პოეტი ძალიან მალე ივინყებს. ეს ეტაპი გაივლის, ძველი შთაბეჭდილებანი დავინყებულია, სულიერი ქრილობები შეხორცებულია, ადამიანს კიდევ იზიდავს სხვა რამ ახალი და ისიც მიჰყვება ცხოვრების ძახილს! ასე ემართება სწორედ ანაკრეონტსაც: მასაც მოუწოდებს ცხოვრების სივრცე. აბდერაში ყოფნით უკმაყოფილო და სამშობლოს მოკლებული, ის დაჰყრის მეომრის ასხმულობას, გამოეთხოვება ძველს იდეალებს და გაექანება ახალი, უფრო ნათელი, მე ვიტყვოდი — უფრო **იონურის** — გზით.

ამ დროს ანაკრეონტს უკვე მოპოებული ჰქონდა პოეტის სახელი და ის მოიწვია თავისთან კუნძულ სამოსის ტირანმა პოლიკრატემ. ანაკრეონტიც გადასახლდა მასთან, როგორც საპატიო სტუმარი, და სულ მოკლე ხანში ისე დაუმეგობრდა სამოსის მპყრობელს, რომ მისი პოლიტიკური საქმეების მესაიდუმლედაც კი გახდა (იხ. Herod. III. 121; Strab. XIV. 638). ტირანის ახლო მეგობარი ანაკრეონტი, სხვა გამოჩენილ პოეტებთან და მემუსიკეებთან ერთად რომელიც მაშინ სამეფო კარზე სცხოვრობდენ, ტირანის კერძო ცხოვრების ამხსნელი და გამომხატველი უნდა ყოფილიყო. მას უნდა გაეხალისებინა მისი სიცოცხლე სიმღერებით და მიეცა მისთვის სილამაზის ელფერი. უმთავრესად კი მას უნდა გამოეაშკარავებინა პოლიკრატეს ბრწყინვალეობა თავისი პოეტური და მუსიკალური კომპოზიციებით. უკეთ რომა ვსთქვათ, ანაკრეონტს მოვალეობად აწვა სულის ჩამდგმელი ყოფილიყო ბრწყინვალე საზოგადოებისა, რომელიც იმდენად იყო განვითარებული, რომ ჰგრძნობდა მუსიკისა და პოეზიის საჭიროებას და სურდა, რომ ხელოვნებას ინტელექტუალური ელფერი მიეცა მათი ქეიფისა და სიამოვნებისათვის. ამგვარად, უწინდელ პოეტ-რაინდიდან ანაკრეონტი

1. იხ. Crusius. Anacreon (Pauly — Wissowa's Bealenciclop. I. 2036).

გადაიქცა კარის პოეტად, ღვინისა და სიყვარულის მგოსნად, ბაკხისა და აფროდიტეს თაყვანისმცემელად. იგი ასცდა იმ გზას, რომლითაც აქამდე მიდიოდა არხილოსის კვალით და მიუახლოვდა სხვა მიმართულებას, სადაც მისთვის შორეულ მიჯნებად იყო ეოლიის ლირიკა, ალკეო და საპფო. ამ გზიდან ანაკრეონტი აღარ გადასულა შემდეგში, და რაც უფრო სუსტდებოდა შთამომავლობის ხსოვნაში მისი უწინდელი სახე, მით უფრო ცოცხლად და მკვეთრად ისახებოდა ახალი ანაკრეონტი, „ქეიფის სულის ჩამდგმელი“, „ბარბიტონის მეგობარი“, „ტკბილი და უდარდელი მგოსანი“, როგორც ამბობს მის შესახებ ოლიგარხი კრიტიკოსი, ანაკრეონტის შემოქმედების დახასიათებაში<sup>1</sup>.

მაგრამ დგება ტრაგიული 522 წელი. პოლიკრატე მოჰკლეს. წინანდელი კეთილდღეობა დარღვეულია. ტახტზე ახალი მბრძანებელია — სილოსინტი. იგი არ მოსწონს ანაკრეონტს. მას ვერ დაუფიქნია პოლიკრატე. სამოსი ჰკარგავს მისთვის თავის მიმზიდველობას. როგორც ფრინველები ქარიშხლის წინ, იფანტებიან პოეტები და მუსიკოსები. საჭიროა ახალი სადგურის შოვნა. მაგრამ სად წავიდეს? რასაკვირველია, არა აბდერაში — იგი აღარ არის ანაკრეონტის სამშობლო. და აი, ამ დროს, როგორც ამბობს ფსევდო-პლატონური დიალოგის „ჰიპპარხის“ (p. 228 c) ავტორი, ანაკრეონტმა მიიღო მიპატიჟება ათინიდან, იქაური ტირანების ჰიპპიასისა და ჰიპარხისაგან; ისინი სთხოვდნენ ანაკრეონტს — ყოფილიყო მათი სტუმარი. ორმოცდაათ-წინიანი გემი იყო გამოგზავნილი პოეტის წასაყვანად და ის დიდის პატივით მიიყვანეს ათინაში, სადაც მან დაიწყო ისეთივე ცხოვრება, როგორსაც აქამდე ეწეოდა სამოსზე. თითონ ჰიპპარხი, პოეზიის მოყვარული და საზოგადოდ ყველა ხელოვნებათა თაყვანისმცემელი და მფარველი, და ამასთან ათინის დიდგვარიანი ოჯახები ერთმანეთს ეტოქებოდნენ, რომ ანაკრეონტისთვის პატივი ეცათ<sup>2</sup> ათინაში პოეტი გრძნობდა თავს ისეთსავე მხიარულ და მრავალფეროვან ცხოვრების სფეროში, როგორსაც მიაჩნია იგი პოლიკრატეს კარმა. თავის თავად ცხადია, რომ მისი შემოქმედების განვითარებაც იმავე გზით მიდიოდა. ამ რიგად ადგილის გამოცვლამ არ შეიტანა ცვლილება პოეტის სულიერ განწყობილებაში, მისი პოეზიის სულში.

მაგრამ ბედნიერება ცვალებადია. ჰარმოდისა და არისტოგიტონის ხელით, 514 წელს დაიღუპა ანაკრეონტის მფარველი ჰიპპარხი. ძმა და თანამმართველი ჰიპპარხისა ჰიპპიასი, უფრო მკაცრი გახდა. მას აღარ ეცალა მხიარულებისთვის, პოეზიისთვის. ის ეხლა ერთს სცდილობდა — უფლება თავის ხელში შეენარჩუნებინა. ათინას სახე ეცვალა და ანაკრეონტს უნდა მიეტოვებია იგი, როგორც ოდესღაც სამოსი მიატოვა. განყდა ის ძაფი, რომელიც მას პალლადის ქალაქთან აერთებდა, და როგორც გადამფრენმა ფრინველმა, მან ახალი ბინის ძიება დაიწყო. ეს ახალი ბინა მას თესსალიამ მისცა, კერძოდ თესსალიის ტირანებმა — ალევადებმა, რომელთა კარზე მოგროვდნენ სხვა პოეტებიც, უწინ ჰიპპარხს რომ ეხვევოდნენ გარს. ერთ იმ ტირანთაგანის — ეხეკრატეს შესახებ, ანაკრეონტი არა ერთხელ ლაპარაკობს თავის ლექსებში. როგორც მოეწყო თესსალიაში ანაკრეონტის ცხოვრება არ ვიცით; ჩვენ მხოლოდ ის ვიცით, რომ მან ღრმა მოხუცებამდე მიაღწია, და რომ მოხუცებამ არ მოუტანა მას არც სიმწარე და არც იმედების გაცრუება. მისი სახელი ურყეველად იდგა. მის მიერ ლირიკაში შეტანილმა ახალმა ჟანრმა ფესვები გაიდგა. მისი სიმღერები სანატრელი სტუმარი იყო ყველა ნადიმზე. უკვდავების შარავანდედი მოსავდა მის თავს. ერთი ლა აკლდა, — წარსული სიყმანვილე; ამაზე ხშირად ჩივის პოეტი,

1. Poetae lyrici graeci, II. 283, fragm. 7.

2. შეად. Plat. Charmid. p. 157 e, სადაც საუბარია ანაკრეონტის მეგობრობაზე კრიტიას გვართან, პლატონის წინაპრებთან: „დროპიდის შვილის კრიტიას სახლი ქებით შეამკო ანაკრეონტმა, როგორც აღნიშნული სილამაზით, სიქველთ, და ყოველივეთი — რასაც კი სიკეთე ეწოდება“.

რომ მისი თეთრი თმები აშინებენ მშვენიერ ქალებს და ვაყებს, რომელთა მიმართ ძველებურად ივლტოდა მისი უბერებელი გული.

ხელახლა მესვრის პურპურის ბურთს  
 მე ეროტი ოქროს თმოსანი...  
 საალერსოდ მიწვევს ამ ბავშვთან  
 ფერადი სანდალიებით.  
 მაგრამ გოგონა ლესბოსელი  
 ჩემს ჭაღარას მონყენით უცქერს  
 და ოცნებობს ჩაფიქრებული  
 ყმანვილზე ოქროს თმიანზე.

მაგრამ „αὐτὸ μὲν ἄνεῖν αὐτὸν ἰδὲν“<sup>1</sup>, როგორც ამბობდენ ბერძნები; ვერ წაუვიდა სიკვდილს ვერც „ვარდებით დაგვირგვინებულ“<sup>2</sup>, „მუდამ ყმანვილი“ ანაკრეონტი. მაგრამ არც სიკვდილის შემდეგ უღალატა მას სახელმა და დიდებამ; ისინი მისი ერთგული დარჩენ. მისი სიმღერები ცოცხლობდა, და თითონ კი მარადისობას ეზიარა. ანაკრეონტის სადიდებლად ათინელებმა აკროპოლში სპილენძის ძეგლი დადგეს. ეს ძეგლი ჯერ კიდევ პავსანის უნახავს (l. 25, 1). აქ ანაკრეონტი, წარმოდგენილი იყო მომღერალი კაცის სახით, ლირით ხელში, ტანდაუფარავი, რომელიც თავისუფლად ეძლევა ზეშთაგონებას. ეს ჯერ არ არის ის ანაკრეონტი, სიმთვრალეს მიცემული მოხუცი, როგორც მას ხატავდა შემდეგ დროებში ვაზების მხატვრობა. ჩვენ წინ არის ანაკრეონტი — „მუზებისა და არესის მსახური“, ჰეროიკული ნადიმის კანონმდებელი; კაცი, რომელიც თუმცა ბაკსსა და აფროდიტეს მისცემია, მაგრამ თუ საჭირო დარჩა, ყოველ წამს შეუძლია აილოს ხმალი და დადგეს მებრძოლთა რიგში, როგორც იგი სჩადიოდა ამას თავის სიყმანვილეში, სპარსელების შემოსევის დროს. ასე გამოსახავდა ანაკრეონტს ეს ძეგლი, დადგმული მე-V-ე საუკუნის ნახევარში ქ. წინ. ამასთან აღსანიშნავია ისიც, რომ ეს ძეგლი მოთავსებული იყო ქსანტიპესა და პერიკლეს შუა<sup>3</sup>. მართო ეს მეზობლობა გვიჩვენებს, თუ როგორ მაღლა იდგა ანაკრეონტი ათინელთა თვალში. მისი მეზობელი იყო თვით დიდი პერიკლე, და მისი სახელგანთქმული პაპა, სპარსელების დამმარცხებელი მიკალესთან. უთუოდ არ სცდებოდა ანაკრეონტი, როცა მან, თითქოს მომავალში წინ ხედვით, სთქვა თავის თავზე:

ჩემი ლექსით, — მარად ახლო  
 მე ვიქნები ყველასათვის...  
 ტკბილი არის ჩემი მღერა,  
 ენა-მჭევრი საუბარი.

ანაკრეონტის შემოქმედება ორ პერიოდად განიყოფება.<sup>2</sup> პირველის ხასიათი ჩვენ ვიცით: ომიანობის გაჭირვება, გრძნობა კოლონისტისა, რომელიც ჯერ კიდევ ვერ დამკვიდრებულა მაგრად ახალს მიწაზე, პირადი დამოკიდებულება მეგობრებისა და მტრებისადმი, ბრძოლის აღფრთოვანება, რისხვის და დაცინვის სიტყვები — აი, პირველი პერიოდის ლექსების შინაარსი. ეს ლექსები არ არის ბევრი. ისინი დაიჩრდილა შემდეგში მეორე პერიოდის შემოქმედებით, რომელსაც შეიძლება წმინდა ანაკრეონტიული ეწოდოს. როგორი კარგიც არ უნდა იყვეს ხანდახან ანაკრეონტის პირველი ხანის ლექსები, ისინი ყო-

1. Wilamowitz-Moelendorf, o. c., 105.

2. პირველი ცდა ასეთის დაყოფისა მოახდინა კრუზიუსმა (o. c. 2.036, შემ.), მაგრამ არა საკმაო რელიეფობით.



ველ შემთხვევაში არ ატარებენ ორიგინალობის ბეჭედს. პოეტი ჯერ კიდევ გამოურკვეველია. ის ემხრობა არხილოსს, იმეორებს მის ჰანგებს, და თავის სიცოცხლესაც კი არხილოსის სიცოცხლეს ამსგავსებს. ეს მით უმეტეს, რომ მათ შორის, მართლაც, მრავალია საერთო ხაზები. მხოლოდ ხანდახან, როგორც მაგალითად ლექსში, სადაც იგი ფარის დაკარგვაზე ლაპარაკობს (იხ. ზემოთ), ისმის ის განსაკუთრებული ირონია და სუბუქი ტონი, რომელიც ასე განუყოფელია მეორე პერიოდის ნაწარმოებებთან, და ურომლისოდ წარმოუდგენელია ნამდვილი ანაკრეონტი. ამის მაგვარი, ე. ი. რყევა მიმართულების არჩევაში, ემჩნევა მიმნერმსაც. მიმნერმიც თავიდანვე როდი გახდა მშვენიერებისა და დაუკმაყოფილებელი სიყვარულის პოეტი. ამ ჰედონიურ მიმართულებას წინ უძღოდა სხვა: იგი მიდიოდა ჯერ კალინის და ტირტიეს გზით. ამგვარად, ანაკრეონტი პირველი ხანისა, — ეს ჯერ გამოურკვეველი ანაკრეონტია; იგი ჯერ ვერ ამბობს პირველს, — ის მეორეა! მაგრამ მიუხედავად ამისა, ანაკრეონტის ამ პირველ ლექსებშია არ შეიძლება უარყოფითი უექველი ღირსება: მათში ისმის ნამდვილი გრძნობა, აქ არის საკმაოდ ძლიერი ათვისება. ეს ცოტაა. მათში სჩანს ახალგაზრდული თავგამოდება, აღშფოთებისა, დაცინვის და ირონიის გამოხატვის ოსტატობა. არც ერთი ეს ღირსება ანაკრეონტს შემდეგისთვის აღარ შეუნარჩუნებია. მათ მაგიერ ჩნდება სინაზე და სიტკბოება, და ამასთან ერთად შემოიპარება ნებივრობის ელფერი, თუმცა იშვიათ გრაციასთან შეერთებული.

საზოგადოდ ანაკრეონტის მეორე პერიოდის „სიმღერები“ მკაფიოდ განირჩევიან პირველი პერიოდის „სიმღერებისაგან“. მაგრამ სწორედ ეს მეორე პერიოდის ლექსები გამოხატავენ მის ორიგინალურ პოეტურ სახეს. მათში ჩვენ ვხედავთ ახალ ლირიულ ჟანრს, ეოლიის ლირიკის გაგრძელებას — მაგრამ სულ სხვაგვარად. აქ არის ორიგინალური კომპოზიცია იმ მუდმივი თემისა, რომელსაც წარმოადგენს: „ღვინო, მშვენიერება და სიყვარული“. და ანაკრეონტი იძლევა ამ თემის მრავალნაირ ვარიაციას, განსაცვიფრებელს და მხოლოდ მისთვის შესაძლებელი უცნაურობით. და იმდენი გემოვნებაა ამ ვარიაციებში, იმდენია აქ წმინდა იონიური გრაცია, რომ ისინი უნებურად გვხიბლავენ; ჩვენთვის გასაგები ხდება, თუ რისთვის უყვარდათ ასე ანაკრეონტი ძველებს და მისი ლექსების გარეშე ვერც კი წარმოედგინათ ნადიმი.

პირველი, რაც გვაოცებს ანაკრეონტის ლექსებში, ეს არის, არა მხოლოდ მათი ჰარმონიულობა, არამედ რაღაც განსაკუთრებული ჰაეროვნება. იშვიათის თავისუფლებით გადადის ლექსი ერთი სტრიქონიდან მეორეში: მას არ ემჩნევა არავითარი სიმძიმე.

ის სუბუქია, როგორც ის სახეები და სურათები, რომელთაც იგი გამოხატავს. ამასთან იგი საკვირველად უბრალოა: მას არ ემჩნევა ხელოვნური ნამუშევარი, მაგრამ ეს უბრალოება მხოლოდ მოჩვენებითია. ტასოს სიტყვებით რომა ვსთქვათ: „ხელოვნება აქ მით უფრო ბრწყინვალეა, რომ იგი ყველგან მალავს თავის თავს“.

მაგრამ მეორე მხრით, ჩვენ ანაკრეონტში არ უნდა ვეძიოთ არც ალკეოს ცეცხლოვანება და არც საპფოს გულში ჩამწვდენი ძალა. თუ ეოლიელი ლირიკოსების ნაწარმოებნი გვეჩვენება ზეთის ფერადებით დახატულ სურათებად, ანაკრეონტის ლექსები იძლევა ნაზი აკვარელის შთაბეჭდილებას. და ეს გასაგებიც არის. ანაკრეონტს აკლია სერიოზულობა და ჩაფიქრება. მას არ შეუძლია მთლიანად მიეცეს იმ მომენტს, რომელსაც განიცდის, — როგორც ალკეოს. არ შეუძლია მას აგრეთვე თვალი ადევნოს სულის მოძრაობას, — როგორც საპფოს: ანაკრეონტი არ არის ფსიქოლოგი. მას შეუძლიან მხოლოდ ასახოს სუბუქი სურათები და მორკალოს ისინი თავისი ჰაეროვანი ლექსით. და რადგან ეს ასეა, მაშინ ანაკრეონტში ჩვენ არ უნდა ვეძიოთ არც სერიოზული რელიგიოზობა, რაც ასე წარმტაცია საპფოში და ასე ღრმაა ალკეოში. აქ პირველობა მხოლოდ ფორმას ეკუთვნის, რომელიც ზერელობას ჰფარავს. ანაკრეონტმა არ იცის ლოცვა, მაგრამ მას შეუძლია

ლოცვების წერა — სათანადო სტილით; მას აქვს სუბუქი და ლამაზი ჰიმნები, სადაც იგი ტენნიკის მხრით ლესბოსის პოეტებს ემხრობა. ასეთია მაგალითად შემდეგი „ჰიმნი არტემიდას“ დაწერილი ქალაქ მაგნეზიის მცხოვრებთათვის.

შენს წინაშე, ოქროს თმიანო,  
 არტემიდა, ზევსის ასულო,  
 შველთა-მხოცო, ნადირთა რისხვავ,  
 თაყვანისცემით მუხლს ვიდრეკ.  
 ო, მოგვხედე! ნათელი თვალი  
 მიმოავლე ლეთეს-წყლის ქალაქს,  
 სადაც ცხოვრობს მძლევარი ხალხი.  
 იმხიარულე: შენ მეფე ხარ  
 დიდსულოვანი გმირების.

ამ ჰიმნში არის ყველაფერი გარდა ლოცვის აღფრთოვანებისა. მაგრამ მასში მაინც არის ლოცვის ელფერი. მაგრამ არის ჰიმნები, რომელნიც წმინდა ეროტიულ ჰანგებს ეხებოდა, და რომელთაც შესაძლოა ეწოდოს ჰიმნი მხოლოდ გარეგნობის მიხედვით. ასეთია „ჰიმნი დიონოსის“:

მეფევე! შენთან ბავშვი ეროტი,  
 ლურჯთვალეა ნიმფების გუნდი,  
 და კიპრიდა ძონით-მოსილი, —  
 არ უფრთხიან ალერსს, როდესაც  
 კლდოვან მთების სიმაღლეებზე  
 მოისწრაფვი ფრენით, დიონის!  
 შენდა მოვივლტვი... ლოცვა ჩემი  
 შეიწყნარე მოწყალე გულით.  
 კლეობულეს რჩევა კეთილი  
 მიეც, — ო, ბაკხოს! — სიყვარულზე  
 რომ მიპასუხოს სიყვარულით.

რომ გასაგები გახდეს, თუ რას წარმოადგენს ეს ლამაზი სათამაშო, საკმარისია, შევადაროთ იგი საპფოს ჰიმნს აფროდიტესადმი: იქ ნამდვილი გულწრფელობაა და ძალა. იქ გადმოცემულია სერიოზული გრძნობა; სულ სხვაა ანაკრეონტი. ჩვენ წინ არის რალაც სხვანაირი ჟანრი, ამ დრომდის არ ყოფილი ბერძნულ ლირიკაში, — სუბუქი, უდარდელი და არსებითად ცივი. ეს თითქმის სიყვარულის სიმღერაა, მიმართული — არაპირდაპირ — კლეობულესადმი. დიონოსის სახელი აქ მხოლოდ მოჩვენებითია. ფიზიკური სილამაზე — აი, ანაკრეონტის ნამდვილი ღმერთი, რომელსაც პოეტი თაყვანსა სცემს. ტყუილად კი არ გადმოგვცემენ ძველები ანეგდოტიურ მოთხრობას: როცა ანაკრეონტს ჰკითხეს, თუ რისთვის ადიდებს იგი ჰიმნებში ღმერთებს კი არა, არამედ მშვენიერ ქალებს და ვაჟებს, პოეტმა უპასუხა: „იმიტომ, რომ ისინი არიან ჩვენი ღმერთები“. და მართლაც, — რას ეხება გარდა მშვენიერების გაღმერთებისა ანაკრეონტის პოეზია? ეს არის მისი უმთავრესი მოტივი, უამისობა მას არ შეუძლიან. სილამაზე, სიყვარულით დატკბობა, ქეიფის სიამოვნება — აი, ეს არის ერთად ერთი შინაარსი ანაკრეონტის სიმღერებისა და ძალიან იშვიათად თუ მათში ვიპოვით პასუხს უფრო სერიოზულ კითხვებზე. მართალია, ამ სიუჟეტების აღძვრაში, ანაკრეონტი ალკეოსს და საპფოსს ჰბაძავს, მაგრამ ჩვენ ზევითაც აღვნიშნეთ, თუ რაში და რით განირჩევა იგი ამათგან. ანაკრეონტში მეტი გრაციაა — ვიდრე

ცეცხლი, მეტი გარეგნობაა — ვიდრე შინაგანი გაღრმავება; და მაშინაც კი, როცა ის უჩივის ყმანვილ ქალებს და ვაჟებს, რომელნიც უარჰყოფენ მის სიყვარულს, ამ ჩივილის ტონი ისეთი ნათელია და მხიარული, თითქო პოეტი სრულებითაც არა ჰგრძნობს იმ წყენას, რომელზედაც ასეთის დაჟინებით ლაპარაკობს. ხანდახან თითონ ანაკრეონტიც არ მალავს ამას, და სუბუქის ირონიით დასცინის თავის სიყვარულის მარცხს.

ზევით ოლიმპოსკენ  
მივფრინავ მე  
ეროტთან, გაშლილი ფრთებით.  
მინდა შევევედრო:  
ჭაბუკის გულს —  
ველარ ვინადირებ ტრფობით...  
მაგრამ გადმოჰხედა  
ეროტმა ჩემს  
თოვლით გადაფენილ თმებზე, —  
და იგი სწრაფად  
გაფრინდა შორს  
მოოქროვილი ფრთებით.

საზოგადოდ, ანაკრეონტის პოეტურ კონცეპციაში ეროტს უმთავრესი ადგილი უჭირავს. მაგრამ ეს ეროტი ესახება პოეტს როგორც მძლავრი ღვთაება, რომელსაც უსაზღვრო ძალა აქვს. იგი სრულებით არა ჰგავს იმ პატარა ეროტებს, რომელნიც გამოდიან შემდეგი დროის ეგრეთწოდებულ ანაკრეონტიულ ლექსებში, და რომელთა გამოსახვა ისე უყვარდა შემდეგში ვაზებისა და კედლის მხატვრობას. ანაკრეონტი გვიხატავს ეროტს მჭედელის სახით, რომელიც ურტყამს მძიმე უროს გახურებულ რკინაზე და შემდეგ კი ჩააგდებს მას გაყინულ წყალში. ცეცხლით გავარვარებული რკინა — ეს თვით პოეტია, შეპყრობილი წრე-გადასული სიყვარულით.

ვით მჭედელმა  
ფოლადის შანთს,  
დამარტყა ეროტმა ურო,  
და შემდეგ კი  
ჩამაგდო მე  
ყინვით მოდებულ წყალში.

მაგრამ რადგან ამავე დროს ეროტი პოეტის მბრძანებელია და გზის მაჩვენებელი, ამიტომ თავისთავად ცხადია, რომ პოეტის სიცოცხლეც სიყვარულის განცდაში უნდა მიმდინარეობდეს, რადგან სხვა სიცოცხლე არ იცის ეროტმა.

მსურს მივმართო ქებით ეროტს,  
ნებიერ ღმერთს, რომ შემკულა —  
ყვავილების გვირგვინებით.  
უკვდავ ღმერთთა მბრძანებელი —  
იგი სტანჯავს კაცთა გულებს.

როგორც სიყვარულის ღმერთს, ეროტს ყოველთვის წინ უნდა უდგეს სიყვარულის ობიექტი და აგრეთვე სხვადასხვა მისი აქსესუარები ე. ი. ნადიმი, ღვინო და მინიერი ხასიათის გატაცება. აქედან ცხადია, რომ ანაკრეონტი, როგორც ეროტის მსახური, უნდა ქებას უძღ-

ვნიდეს ყოველივეს, რაც კი ღმერთისათვის საამურია. ამიტომაც მის ლექსებში, ჩვენ ვხედავთ მთელ რიგს ქალ-ვაჟთა, რომელთა მიმართ ანაკრეონტს ოდესმე სიყვარული განუცდია, ან და რომელნიც პოლიკრატეს და პოეტის სხვა წარჩინებულ მეგობართა სიყვარულის საგანს შეადგენდნენ. მშვენიერი ქალები და ვაჟები სუბუქი ფერხულით მიჰქრიან ჩვენ წინაშე, და პოეტს ყველასათვის აქვს სათანადო სიტყვა ან შედარება. აი, მაგალითად, სახე მოკრძალებული ქალისა, რომელსაც ჯერ არ განუცდია სიცოცხლის ტლანქი მხარე, და რომელიც განცვიფრებით უცქერის ყოველივეს, რაც კი გაუგებარია და უცნობი მისთვის.

შენ შემკრთალი რბილი ხედვით  
შემომცქერი როგორც ნუკრი,  
რომ ჩამორჩა შველს რქა-მაგარს  
ტყეში, და თრთის შიშისაგან.

და ამის გვერდით სხვა სახე, რომელმაც შთააგონა ჰორაციუს (Carm. I. 23) არა ნაკლებ ლამაზი, თუმცა სხვა სილამაზით, უფრო ხორციელით და ვნებიანით.

უხედნელო ფაშატ-ცხენო, რას გამირბი დაოთხვილი  
და მიცქერი აღმაცერად, ნუ თუ ვერ მცნობ ნაცად მხედარს?..  
ადრე ნახავ, რკინის ლაგამს მძლევარ ხელით პირს ამოგდებ  
და ქედ-მოხრილს აღვირის-ქვეშ შემოგარბევ ველის მიჯნებს...  
ჯერ კი ისევ თავისუფლად შენ თამაშობ ნებიერი,  
სჩანს, ჯერ კიდევ არ გიცდია დამგეშელის მძლე მარჯვენა.

ასეთი ცოცხალი და პლასტიური სახე მრავლად შეგვიძლია ვიპოვოთ ანაკრეონტის ლექსებში. მას ეხერხებოდა და უყვარდა მათი დასურათება და ყოველთვის პოულობდა მათთვის სათანადო შედარებას ცხოველთა სფეროდან. გრაცია და სისუბუქე თან სდევს ამ სახეებს, მაგრამ მათში ერთგვარი ზერელობაა. ყველაზე მეტად ისინი გვაგონებენ პომპეის ფრესკებს.

ავიღოთ ეხლა ტეოსის ლირიკოსის წმინდა „სანადიმო“ ლექსები, სადაც იგი უმღერის ღვინოს, ან გაკვრით ეხება მიწიერ სიამოვნებათა წარმავალობას. თუ რამდენი ცეცხლი, სურათოვნება და ნამდვილი გატაცება შეიძლება იყვეს ასეთ სიმღერებში, ჩვენ ეს უკვე ვიცით ალკეოს მაგალითიდან. სულ სხვაა ანაკრეონტი. ჩვენ გვესმის მისი ლამაზი ხმოვანი ლექსები, ჩვენ ვგრძნობთ მათ ჰაეროვნებას, ჩვენ აქა-იქ ვამჩნევთ ჰუმორის ტონს, და სხვა არაფერი. ნამდვილი გრძნობა და აღფრთოვანება არ არის მათში. ანაკრეონტი აქაც, ქეიფის დროსაც, ცივი რჩება. ტყუილად კი არ ამბობდნენ მის შესახებ ძველები (then. X. 429. d), რომ იგი თავის სიმღერებს „ფხიზელი“ სწერდა, მაშინ, როცა ალკეო ჰქმნიდა „მთვრალი“, ე. ი. ნამდვილი ზემთაგონებით.

მომანოდე თასი, ყრმაო, რომ დავსცალო იგი ნელა!  
ყურძნის წვენი ხუთი კათხა შეაზავე ორგზის წყალში,  
და ავსილი ბაკხის სულით მეც ვადიდებ მაშინ ბაკხოსს.  
ჩვენ გავმართავთ ღვინის ზომიერს; შორს სკვითების ჩვეულება —  
ხმაური და ყრიამული... შევექცევით ნელა ქეიფს  
მღერით, ტკბილი საუბარით.

ეს ნაწყვეტი, უწინარეს ყოვლისა, ჩვენ გვაძლევს „სიმპოსიონის“ ნათელ სურათს, როგორც იგი მიღებული იყო ათინაში შემდეგშიც, მე-V და IV საუკუნოებში. განსაკუთრებით საყურადღებოა სიტყვები „სკვითურ“ ე. ი. ბარბაროსულ ქეიფზე, რომელიც კულტურულ

და განათლებულ იონელისთვის, როგორც იყო ანაკრეონტი, რალაც ოდიოზურს წარმოადგენდა. სილამაზე, რომელსაც პოეტი თავის ღმერთად სთვლიდა, აქაც უნდა დაცული ყოფილიყო. ეს შეხედულება, თუ როგორი უნდა იყოს ნადიმი და ქეიფი, ძალიან დამახასიათებელია ანაკრეონტისთვის. ის, თითქოს ამთავრებს პოეტის სახეს, რომელიც არის ნამდვილი „arbitrator elegantiarum“. სილამაზის სრული გაგება, ცდა, რომ არ დაშორდეს მას, არამედ სავსებით გამობატოს იგი, აი, ის თვისება, რომელიც განუყოფელია ანაკრეონტისგან. ეს გრძნობა სილამაზისა დაჰქრის თავს ყველა მის ლექსებს, ეს სუბუქი, ჰაეროვანი, უკვდავი, წმინდა იონიური სილამაზე! ის არის ყოველ სიტყვაში, სახეში, ყოველ აზრში, თვით სიკვდილის აუცილებლობის ფიქრშიაც კი, იმ ფიქრში, რომელსაც ვერ ასცდა ვერც სულით მუდამ ყმაწვილი ანაკრეონტი. ეს ფიქრიც ანუხებდა პოეტს.

თავზე თეთრად დამათოვა, წვერს ჭალარა შეერია,  
და კბილებიც გრძნობს სიბერეს, — სიყრმის წლებო, სად წახველით!..  
ტკბილი თასი სიცოცხლისა ადრე ხელით გამვარდება,  
მიტომ ვსტირი გულმდულარე, ო, მაშინებს ბნელი ტარტარ!  
საზაროა ქვესკნელის გზა, და აიდის შავი მღვიმე:  
ვინც კი ერთხელ მას ესტუმრა, დაბრუნებას ნულარ ელის...

ეს ანაკრეონტული „memento mori“ ინანილებს ანაკრეონტის სხვა სიმღერების ყველა ნაკლსა და ღირსებას. ბრწყინვალე გარეგნობა, გრაცია, ჰაეროვნება, და ამასთან ერთად ისეთი შთაბეჭდილება, თითქო ეს აზრი პოეტს სხვათა შორის მოუვიდა, და არა იმიტომ, რომ იგი მართლა ანუხებდა და სტანჯავდა მას. ალკეო თავის ლექსში ამავე თემაზე („მელანიპეს“) სულ სხვანაირად ლაპარაკობს. იქ თქვენ მართლაც ჰგრძნობთ ნამდვილ ნალველს; ანაკრეონტს ეს არა აქვს, ის აქაც მისცურავს ზედაპირზე და მისი მნუხარება, რომელსაც გინდა დაუჯერო, რალაც მეტად სუბუქად გეჩვენებათ — ეს შემთხვევითი ღრუბელია ლაჟვარდ ცაზე!

რას ვიტყვით ჩვენ დასასრულ ტეოსის პოეტზე? ჩვენს წინაშე არის არა უბრალო ნამბაძველი, არამედ უთუოდ ნამდვილი ნიჭი, ორიგინალობით აღბეჭდილი; მან გაიკვლია თვისი საკუთარი გზა. მაგრამ ამ გზაზე მიმავალი ის თვალს არ აშორებს ორ ბრწყინვალე ვარსკვლავს — ალკეოსს და საპფოსს. ეს ორი პოეტი მისი გზის მაჩვენებელი არიან, მათ კვალზე მიდის ის და მხოლოდ ხან-და-ხან პირს მიუბრუნებს მესამე ვარსკვლავსაც, — არხილოსს. მაგრამ ამ ვარსკვლავების სინათლე ცოტა აღმაცერად აღწევს ჩვენ პოეტამდე. ეს არ არის სრული სინათლე. ამ პოეტების ყველა ნაკლს ანაკრეონტი თავისებურად ავსებს. ის, ასე ვსთქვათ, იონიურად ჰქმნის ეოლიურ მოტივებს. ის ასუბუქებს მათ, აჰაეროვნებს, და მასთან ნაკლებ შინაარსიანად ხდის. ის უმატებს მას იონიურ უზრუნველობას და თან ნებივრობას. ტყუილად კი არ იყვნენ იონელები ἄβρῆσι; ბოლოს ჩვენ მივიღეთ ახალი, წმინდა-ეპიკურული ჟანრი, გამთბარი ნაზი ღიმისა და მხიარულების სი-ახლოვით. მაგრამ ამ ღიმისში არ არის სალონური მანერა და ხელოვნურობა, არ არის ზომიერების დარღვევა. ანაკრეონტის სიმღერები — ეს არის ნამდვილი იონიური ღვინო, და მას არაფერი არ ურევია!

პროფ. გრიგოლ წერეთელი



## ჩახრუხაისძე

პოეტი. მოგზაური

[გაგრძელება<sup>1</sup>]

VIII

### ჩახრუხაისძის თავგადასავალი ბაღდადიდან გაბრუნების შემდეგ (1203 წლიდან)

#### ახალი საზღვაო მოგზაურობა. ჯვარის მონასტერში შედგომა

ჩვენი მოგზაური პოეტი შაჰრუხ ჩახრუხაისძე უკანასკნელად ჩვენ შეგვხვდა ხალიფების სახელმწიფოში, ქალაქ ბაღდადში; ეს იყო მისი უკანასკნელი სადგური იმ ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ, რომელიც მან შეასრულა მთელი იმ დროს ცნობილი მსოფლიოს გარშემო. მკითხველს, რასაკვირველია, ახსოვს, რომ პოეტს განზრახული ჰქონდა ბაღდადიდან უკვე სამშობლოში დაბრუნება, რის შესახებ მან აცნობა კიდეც წერილით თავის მეგობრებს, საქართველოს პოეტებს, რომლებიც დიდის ამბით მოელოდნენ გადახვენილი პოეტის დაბრუნებას; მაგრამ, როგორც ვნახეთ, ჩვენმა პოეტმა, თითქმის მოსულმა საქართველოს საზღვრებამდე, გადაიფიქრა სამშობლოში დაბრუნების აზრი, — არ ვიცით რა მიზეზის გამო, — და მან ბაღდადიდან ხელახლა გადასწყვიტა უცხოეთის ქვეყნებში მოგზაურობის გაგრძელება.

პოეტის ეს ხელმეორედ გაბრუნება უცხოეთში სამოგზაუროდ მოხდა 1203 წლის ახლო ხანს.<sup>2</sup>

როგორი იყო ამის შემდეგ ჩვენი პოეტის თავგადასავალი, აი, ამის განხილვას ისახავს მიზნად წინამდებარე თავი.

რამდენადაც ჩვენ 1203 წლამდე ჩახრუხაისძის შესახებ მრავალი და ზედმინეწიტი ცნობები მოგვეპოვება („თამარიანის“ ორ ბიოგრაფიულ ტექსტებში), იმდენადვე 1203 წლის შემდეგ ჩვენი ცნობები პოეტის შესახებ მეტისმეტად ნაკლებეანია. არის მხოლოდ თითო-ორი გაკვრითი ჩვენება ან ფრაგმენტარული ცნობა, რომლის მიხედვითაც შესაძლო ხდება ზოგიერთი მოსაზრების წარმოდგენა.

\* \*

1. თავდაპირველად აქ აღსანიშნავია ერთი ავტენტიური ჩვენება თითონ პოეტისა, რომელიც დაცულია პირველ ბიოგრაფიულ ტექსტში (I, 20-21). მკითხველმა იცის, რომ ჩახრუხაისძემ, როცა იგი ბაღდადიდან ხელმეორედ მოგზაურობისათვის გაემზადა, გამოგზავნა საქართველოში მეორე „ნიგნი“ (წერილი). პოეტის ბიოგრაფი გადმოგვცემს თავის მნუხარებას ჩახრუხაისძის ხელახლა უცხოეთში გადახვენის და გამო, გაკვრით მოჰყავს ერთი ადგილიც ჩახრუხაისძის ამ მეორე წერილიდან („ნიგნიდან“).

„...ვერა შევიგნი, მოვიდის ნიგნი —  
(მო, გლახ, ველოდი, დამეცის ზარი,  
დამტყდიან ცანი): „კვლავ განველი ზღვანი...“  
დავრჩი უსულოდ მართ ვითა მკვდარი...“

1. იხ. კავკასიონი, №1-2, გვ. 212—251.

2. იხ. ზემოთ. გვ. 239, 243, შენ. 1, გვ. 246 („კავკასიონი“, №1-2).

წერილში, რომელიც მოიწერა ჩახრუხაისძემ ბალდადიდან ამ მეორედ გამგზავრების წინ, აღნიშნული ყოფილა ისიც, რომ იგი საზღვაო მოგზაურობას აპირებდა; „კვლავ განველი ზღვანი“, — სწერდა პოეტი.

რაკი ჩახრუხაისძემ ეს წერილი ბალდადის ხალიფატიდან გამოგზავნა, რომელიც ბასრას მხრით სპარსეთის ყურესა და ინდოეთის ოკეანეს აკრავს, უნდა ვიფიქროთ, რომ პოეტს ამ მხარისაკენ ჰქონდა განზრახული თავისი ახალი საზღვაო მოგზაურობა, ესე იგი იმავე მარშ-რუტის შესრულება, რომელიც 90 წლის შემდეგ შეასრულა ვენეციელმა მოგზაურმა მარკო პოლომ. ეს მით უფრო ახლო უნდა იყვეს სინამდვილესთან, რომ ჩახრუხაისძეს აღმოსავლეთის ქვეყნებიდან შემოუვლელი დარჩა მხოლოდ ეს მხარე, — აზიის სამხრეთი ზღვის სანაპიროები.

\* \*

2. ჩვენი საკითხისათვის აგრეთვე ინტერესს წარმოადგენს ერთი ჩვენამდე მოღწეული ძველი ქართული ხელნაწერი, რომელიც დღეს ინახება გელათის სამონასტრო წიგნთსაცავში (ხელნაწერი №25).

ეს ხელნაწერი, როგორც ამას გვიჩვენებს მისი ანდერძი, გადაწერილია საქართველოს გარეთ, **იერუსალიმში**, სახელდობრ იერუსალიმის ჯვარის მონასტერში. ეს მკითხველს, რასაკვირველია, მოეხსენება, რომ საშუალ-საუკუნეთა მანძილზე ეს იერუსალიმის ჯვარის სავანე მეტად მნიშვნელოვანი ცენტრი იყო ქართული ლიტერატურისა საზღვარგარეთ, და ყველაზე დიდი სამონასტრო კოლონია პალესტინაში.

ეს ხელნაწერი, პალეოგრაფიული ნიშნების, ორთოგრაფიის, და თვით სამწერლო მასალის მიხედვით — გადაწერილია მე-XII-XIII საუკუნეთა საზღვარზე, და უფრო მე-XIII საუკუნის დასაწყისს ეკუთვნის, ვიდრე ადრინდელ დროს. ხელნაწერი დიდ ფოლიანტს წარმოადგენს (600-მდე გვერდს). მისი შინაარსი — სასულიერო ხასიათისაა; იგი წარმოადგენს კრებულს და შიგ მოთავსებულია: დიდი სჯულის-კანონი: გადმოღებული ბერძნულიდან კომენტარიების დართვით ფილოსოფოსის არსენი იყალთოელის მიერ, და ამასთან ორი ძველი-ქართული ტექსტი: „ძველის-წერაჲ“ რუის-ურბნისის კრებისა, და „უწყებაჲ მიზეზსა ქართველთა მოქცევისსა“ — ცნობილი ისტორიული წერილი ეფრემ მცირისა. ხელნაწერი შესრულებულია დიდის ცოდნით, და მისი რედაქტორი-გადამწერი სჩანს დიდათ განათლებული პირი უნდა ყოფილიყო.

ხელნაწერის ეს რედაქტორი მოხსენებულია ანდერძში; იგი არის **გრიგოლ ჩახრუხაისძე**. ერთ მინაწერში, რომელიც მოუთავსებია რედაქტორს სჯულის კანონის ტექსტის ბოლოს, იგი სხვათა შორის შემდეგს გადმოგვცემს, თავმდაბლურის მოკრძალებით:

**„გლახაკნი ფრიად ცოდვილი გრიგოლ ჩახრუხაისძე მომიჯსენეთ წმიდათა შინა ლოცვათა თქუენთა, რომელმან დიდის გულმოდგინებითა გარდავწერე თვისითა ჴელითა ქრისტეანეთა წინამძღუარი დიდი ესე სჯულის-კანონი, საუკუნოდ მოჯსენებულისა და ჩუენ ქართველთათვის ფრიად ჭირთა თავსმდებელისა არსენი იყალთოელისა თარგმნილი“...<sup>1</sup>**

ვინ არის ეს გრიგოლ ჩახრუხაისძე? ხომ არ არის იგი ჩვენი პოეტი?

ამ კითხვაზე შეუძლებელია გადაჭრილი პასუხის მიცემა. მაგრამ აქ უნებლიეთ ყურადღებას იქცევს შემდეგი ოთხი ნიშნეულობა:

a. ხელნაწერი, როგორც აღნიშნული გვექონდა, გადაწერილია მე-XIII საუკუნის დასაწყისში. ამ რიგად ეს თარიღი უდგება ჩახრუხაისძის ცხოვრების დროს, და კერძოდ იმ

1. ეს ხელნაწერი განხილული გვექონდა ადგილობრივ ორ გზის — პირველად ჩვენი მუშაობის დროს სამონასტრო წიგნთსაცავში 1912 წლის დეკემბერში (იხ. საქ. საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებული „ძველი საქართველო“, ტ. IV, გვ.3—6) და მეორედ 1915 წელს. იხ. აგრეთვე დეკ. კ. კეკელიძის „Грузинская версия арабского жития Иоана Дамаскина“, Христианский Восток, т. III, стр. 141, пр. 2 (Пгт. 1915 г.).

ხანას, როცა ჩახრუხაისძე მეორედ გაბრუნდა უცხოეთში საყარიბოდ, ე. ი. მე-XIII საუკუნის დასაწყისში, 1203 წლის ახლო ხანს.

ბ. ხელნაწერის რედაქტორს ეწოდება **გრიგოლ** ჩახრუხაისძე. ხოლო ჩვენ პოეტს, ერთი ნაგვიანევი ცნობის მიხედვით, უნდა რქმეოდა **შაჰრუხ**.<sup>1</sup> მაგრამ ეს გარემოება მათი იგივეობის წინააღმდეგ არ ლაპარაკობს. ჯვარის ხელნაწერის რედაქტორი გრიგოლ ჩახრუხაისძე, სჩანს, ბერად არის აღკვეცილი, გრიგოლ აქ ბერობის სახელია; და თუ მართლაც იგი არის ჩვენი პოეტი, რომელიც შემდეგ მონასტერში შესულა, ცხადია, მისთვის უნდა გამოეცვალათ მისი პირვანდელი არა-ქრისტიანული სახელი **შაჰრუხ**.

ც. ჯვარელი გრიგოლ ჩახრუხაისძე, როგორც აღვნიშნეთ, არ არის უბრალო ბერი, არამედ — როგორც ამაში გვარწმუნებს მის მიერ შესრულებული ხელნაწერის ცოდნა და ღირსება — დიდად განათლებული პირი უნდა ყოფილიყო; შემდეგ: ხელნაწერის მოკლე ანდერძში შემთხვევით მოხსენებული ცნობები გვიჩვენებს იმასაც, რომ გრიგოლ ჩახრუხაისძეს კარგად უნდა სცნობოდა საქართველოს სამეფო კარი (ასე მაგალითად, თავის უპრეტენზიო სარედაქციო შენიშვნაში იგი გაკვირვებით აღნიშნავს, თუ ვინ ითვლებოდა საუკეთესო კალიგრაფად სამეფო კარის წრეებიდან, დაცული აქვს ცნობა კათოლიკოზ გიორგი ბროლას შესახებ, რომელიც დედოფლის აღზრდილი ყოფილა). ამ რიგად, აქაც არის მსგავსების ხაზი: ჩვენი პოეტი შაჰრუხ ჩახრუხაისძეც ხომ დაახლოვებული პირი იყო სამეფო კართან.

დ. დასასრულ აღსანიშნავია ისიც, რომ მე-XII-XIII საუკუნეთა საზღვარზე ჩვენ არ გვხვდება გარდა ჩვენი პოეტისა სხვა მოღვაწე ჩახრუხაისძე, რომელიც უცხოეთში იმყოფებოდა. ჩვენმა პოეტმა, როგორც ვნახეთ, უცხოეთში გაატარა თავისი ცხოვრება, და ჩვენ მას უკანასკნელად შევხვდით მესოპოტამიაში, ე. ი. სწორედ პალესტინის ახლო რაიონში, სადაც მდებარეობდა ჯვარის სავანე. და ამიტომ, თუ კი ჩვენი პოეტი თავისი სიცოცხლის უკანასკნელ წლებში მონასტერში შევიდა, მართლაც, მოსალოდნელი იყო მისი ჯვარის სავანეში ყოფნა, რომელიც ამ დროს ქართული განათლების მთავარ ცენტრს წარმოადგენდა საზღვარ-გარეთ. ყოველივე ეს მით უფრო ახლო უნდა იყვეს სინამდვილესთან, რომ როგორც ამაში გვარწმუნებს ორთავე ბიოგრაფიული ტექსტების ჩვენება, ჩვენს პოეტს მართლაც გადაწყვეტილი ჰქონია საქართველოდან საბოლოოდ გადახვეწა.

აი, ის საერთო მოსაზრებანი, რომლებიც შესაძლოა წარმოდგენილ იქმნას აქ აღძრული საკითხის შესახებ;

მაგრამ, რასაკვირველია, ასეთი ფრაგმენტარული მასალებისა და ზოგადი ხასიათის ცნობებიდან მაინც შეუძლებელია რაიმე გადაჭრილი დასკვნის გამოტანა, არის თუ არა ჯვარის მონასტერში შემდგარი გრიგოლ ჩახრუხაისძე და ჩვენი პოეტი შაჰრუხ ჩახრუხაისძე ერთი და იგივე პირი. ერთად-ერთი, რაც შეიძლება აქ ითქვას არის ის, რომ ყველა არსებული ცნობები, როგორც დროის სინქრონიზმი, ისე სხვა რეალიებიც, — თითქო ეთანხმება ასეთი იგივეობის დაშვებას.

თუ მომავალში აღმოჩნდა რაიმე ახალი საბუთი, რომელიც დანამდვილებით დაამტკიცებს, რომ გრიგოლ ჩახრუხაისძე ერთი და იგივე პირია ჩვენ პოეტთან, მაშინ ჩვენი პოეტის ბიოგრაფიას, 1203 წლიდან დაწყებული (რა დროსაც იგი უკანასკნელად შეგვხვდა ბაღდადში), შემდეგი ახალი თავი მოემატება:

— ჩახრუხაისძეს იმ ახალი საზღვაო მოგზაურობის შემდეგ, რაზედაც იგი სწერდა თავის უკანასკნელ მეორე წერილში, უარუყვია საერო ცხოვრება, და ეს ყველაზე უფრო საერო პოეტი, ერთ დროს გამაჰმადიანებული, ისევ დაბრუნებია ქრისტიანულ ეკლესიას. ასეთ გადატეხაში, რასაკვირველია, არაფერია მოულოდნელი; პირიქით ეს სრულიად ბუნებრივად უნდა გვეჩვენოს ისეთი მდულარე სულის ადამიანისათვის, როგორიც იყო ჩახრუხაისძე.

1. იხ. გვ. 213 (კავკასიონი, №1-2) და აგრეთვე ქვემოთ სპეციალური ექსკურსი: სქოლიო 2.

## IX

## როდის გარდაიცვალა ჩახრუხასძე

როდის გარდაიცვალა ჩვენი პოეტი?

არც ამის შესახებ შენახულა გარკვეული პირდაპირი ცნობა. მაგრამ ამ კითხვას ერთგვარ შუქსა ჰყვენს ერთი ტექსტი, რომელიც დაცულია „თამარიანში“.

ჩვენ აქ მხედველობაში გვაქვს „თამარიანის“ ბოლოსიტყვაობა. ამ ტექსტს უკვე იცნობს მკითხველი; იგი წარმოადგენს თამარიანის კრებულის პირველი რედაქტორის შენიშვნას, და იკითხვის შემდეგნაირად:

მეწვევს ძეთა  
ჩახრუხასძეთა  
ექოთ თამარი, მეფე წყლიანი, —  
ა ეს თინათინ!  
ნუ ის თინათინ —  
არაბეთს იყო სულადიანი,  
ჯერეთ ყმანვილი,  
წმიდათ ნანილი,  
სამოთხის ვარდი, პირად მზიანი!<sup>1</sup>

ამ ტექსტის ცალკე სიტყვების განმარტებისათვის:

— „წყლიანი“ — ბრწყინვალე („წყალი“ — ძვირფასი თვალის ბრწყინვალეობა).

— სიტყვა „თინათინ“, რომელიც ორხელ მეორდება მეორე სტროფის რითმაში, პირველ შემთხვევაში ნიშნავს მნათობს („თინათინ“ — მნათობის სხივთა თამაში); ხოლო მეორეხელ იგი იგულისხმებს საკუთარ სახელს, „ვეფხისტყაოსანის“ პერსონაჟს, არაბეთის თინათინს.

რომ თანამედროვე მკითხველისათვის ბოლომდე ცხადი იყვეს მთელი ტექსტის მნიშვნელობა, მოგვყავს მისი ზედმინვენით სიტყვა-სიტყვითი თარგმანი ახალ-ქართულზე:

„მოხევეს ძეთა ჩახრუხასძეებს — ექოთ თამარი, მეფე ბრწყინვალე, აი ეს [ხორცუმესხმული] მნათობი — თინათინ! არა ის [ზღაპრული] თინათინ, რომელიც მეფობდა არაბეთს სულადიანი, ჯერ კიდევ ყმანვილი პირი მზე, ნანილი წმიდათა, სამოთხის ვარდი!“

\* \*

ამის შემდეგ გამოსარკვევი რჩება, თუ როდის არის დაწერილი ეს ბოლოსიტყვაობა თამარიანის კრებულისა.

ჩვენ შემთხვევა გვქონდა შევხებოდით ამ ტექსტს სხვა ადგილას, და ჩვენ იქ გამოვარკვიეთ, რომ ეს ბიბლიოგრაფიული შენიშვნა მიწერილია კრებულის ბოლოს თვით თამარის სიცოცხლეშივე.<sup>2</sup> და მართლაც რომ ეს შენიშვნა თამარის დროს არის დაწერილი, ამას ამტკიცებს ჯერ თითონ კონტექსტი; ავტორი აქ მიმართავს თამარს) ცოცხალ პირს: „ა ეს თინათინ!“ „აი ეს მნათობი!“.

ამ რიგად ჩვენ გვაქვს ამ ბიბლიოგრაფიული შენიშვნის გარკვეული terminus post quem non. რადგან თამარი გარდაიცვალა 1213 წელს, მაშასადამე, ეს ბოლოსიტყვაობა დაწერილია არა უგვიანეს 1213 წლისა.

1. ჩვენ მოგვყავს ამ ტექსტის პირვანდელი შემადგენლობა. შემდეგ მან განიცადა „გაოთხება“. იხ. გვ. 216 („კავკასიონი“, №1-2), და ქვემოთ კრიტიკულ აპარატში.

2. იხ. ჩემი „Rusthveliana“, ტ. I, გვ. 132—136, და სქოლიო 13. იხ. აგრეთვე ზემოთ გვ. 216 („კავკასიონი“, №1-2).

\* \*

წავიდეთ ამის შემდეგ ქვევით.

მკითხველმა მიაქციოს ყურადღება ამ ბოლოსიტყვაობის კონტექსტს. ჩვენ ვხედავთ, რომ ბოლოსიტყვაობის ცნობაში ჩახრუხანისძეთა შესახებ საუბარია წარსულ დროში.

„ჩახრუხანსძეთა —  
ექოთ თამარი,  
მეფე წყლიანი, ა ეს თინათინ!“

ავტორი, რომელიც მიმართავს თამარს როგორც ცოცხალ პირს, ამავე დროს ჩახრუხანისძეთა შესახებ წარსული მოგონების სახით ლაპარაკობს. აქ ეს წარსული დრო ისეთის სახით, და ისეთს კონტექსტში არის მოქცეული, რომ საბუთი გვეძლევა ვიფიქროთ, — პოეტი-ძმები ჩახრუხანისძენი ამ დროს უკვე გარდაცვალებულნი ყოფილან.

თუ ეს მოსაზრება სწორეა, მაშინ გამოდის, რომ ჩახრუხანისძე 1213 წლის უწინარეს გარდაცვლილა, ჯერ კიდევ თამარის სიცოცხლეშივე.

და დამოუკიდებლად ამისგან, ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ 1210 წლის ახლო დრო როგორც ერთგვარი პროვიზუარული თარიღი ჩახრუხანისძის გარდაცვალებისა. მართლაც, ჩვენ ვნახეთ, რომ 1203 წელს ჩახრუხანისძე ჯერ კიდევ ბაღდადში იმყოფებოდა; ამის შემდეგ მან შეასრულა საზღვაო მოგზაურობა, და ამის ახლო ხანებშივე (თუ კი დასაშვებია მე-8 თავში გამოთქმული მოსაზრება) იგი ჯვარის მონასტერში შესულა. ხოლო ამის შემდეგ კი სწყდება ყოველგვარი ცნობები ჩახრუხანისძეზე. ეს სინქრონიზმები, როგორც ვხედავთ, ეთანხმება ბოლოსიტყვაობის ზემოთ წარმოდგენილ ინტერპრეტაციას, რომლის ცნობა ჩვენ პოეტს 1213 წლისათვის გარდაცვალებულად იგულისხმებს.

1210-ის მიდამო წლებში, რა დროსაც ხვდება ჩახრუხანისძის გარდაცვალება, იგი ჯერ კიდევ არ ყოფილა მოხუცებაში გადასული. ჩვენ უკვე გამორკვეული გვქონდა, რომ ჩახრუხანისძის დაბადება 1165 წლის ახლო ხანს ეკუთვნის.<sup>1</sup> პოეტი ჯერ ისევ ახალგაზრდა გარდაიცვალა დაახლოვებით 45 წლისა.

## X

### ჩახრუხანისძის პოეტური შემკვიდრება

#### ჩახრუხანისძე — მოგზაური

ჩვენ დავასრულეთ ჩახრუხანისძის ბიოგრაფიის განხილვა. რასაკვირველია, აქ წარმოდგენილი სურათი არ არის სრული. ჩახრუხანისძის პორტრეტის აღდგენის დროს ჩვენ შემოფარგლული ვართ შემთხვევით გადარჩენილი ფრაგმენტებით. ცნობები — მოღწეული ჩახრუხანისძის შესახებ ჩვენ გვაგონებს დაზიანებულ დოკუმენტს, რომელიც გამოურიყავს ზღვას — გემის დაღუპვის შემდეგ; ბევრი რამის ამოკითხვა ამ დოკუმენტში შეუძლებელია; მაგრამ რისიც ამოცნობა შეიძლება, აქედანაც ნათლად ვარჩევთ ამ დავინწყებული პოეტის სილუეტს.

და ვიდრე გამოვეთხოვებოდეთ ამ უცნაურ ადამიანს, დავგრჩენია ერთხელ კიდევ გავითვალისწინოთ საერთო მაგისტრალურ ხაზებში მისი ცხოვრებისა და შემოქმედების ფანტასტიური გზები.

1. იხ. ზემოთ, გვ. 217-218 („კავკასიონი“, №1-2).



რა უნდა ვთქვათ ჩვენ დაბოლოს ჩახრუხაისძის შესახებ? რა აძლევს მას უფლებას გამოვიდეს დავინყებინ ბნელიდან და სამუდამოდ შევიდეს ისტორიის ელიზიუმში როგორც უკვდავი აჩრდილი?

\* \*

ჩახრუხაისძე თავდაპირველად ჩვენ გვხიბლავს როგორც პიროვნება. იგი არის ყველაზე რომანტიული სახე, რომელიც კი ახსოვს პოეზიის ისტორიას. მეფუნნი. ტარიელის ორეული. მოგზაური. რაინდი. პოეზია და სინამდვილე.

შემდეგ. გარდა იმისა, რომ ჩახრუხაისძე ჯერ მარტო თავისი ცხოვრებით ეკუთვნის პოეზიას, იგი თავისი შემოქმედებითაც ნამდვილ პოეტად გვევლინება. ჩახრუხაისძე არის ყველაზე ორიგინალური ფიგურა საშუალ-საუკუნეთა პოეზიაში. პოეტი ქართულს, სპარსულს და არაბულ ენებზე; მისთვის უცხოა საშუალ-საუკუნებრივი ვინრო რელიგიური განკერძოება; თავისი თავისუფალი საერო სულით და ჰუმანიტარული მსოფლმხედველობით იგი თითქო რენესსანსის ეპოქას ეკუთვნის. ჩახრუხაისძე ერთად-ერთი მაგალითია საშუალ-საუკუნეებში, რომელშიაც საბოლოოდ დათრგუნვილია ვინრო კონფესიონალიზმი და რომლის სახით ერთიანდება მანამდე უცხო ქრისტიანული და მუსულმანური პოეზია. მარტო ეს კმარა ჩვენი პოეტის სულის სიფართოვის მაჩვენებლად.

და სამუნხაროა, რომ ჩახრუხაისძის ლექსების ხვედრი ისევე საბედისწერო იყო, როგორც თითონ პოეტისა. უდიდესი ნაწილი მისი ლექსებისა, როგორც ვნახეთ, დაკარგულია. ჩვენამდე შენახულია მხოლოდ თორმეტი ოდა, და ისიც ახალგაზრდობის წლებიდან, ვიდრე პოეტი უცხოეთში გადაიხვეწებოდა. და ამასთან არც ეს ახალგაზრდობის ლექსები არ არის სრულად წარმოდგენილი; „თამარიანში“ ჩვენ გვაქვს მხოლოდ ერთი ციკლი ჩახრუხაისძის პირველი ლექსებისა: თამარის ოდები; დაკარგულია მისი ლექსები არა სახოტბო ხასიათისა. დაკარგულია ის ლირიული ლექსებიც, რომლებიც თამარის მიჯნურობით იყო შთაგონებული, და რაც — ყველა ნიშნებით — გახდა მიზეზი პოეტის საქართველოდან განდევნისა.

მაგრამ ჩახრუხაისძის შემოქმედება ქართულს ენაზე მაინც არის ასე თუ ისე წარმოდგენილი, თუნდაც ნაწყვეტების სახით.

ხოლო რაც შეეხება მის ლექსებს სპარსულსა და არაბულ ენებზე, ისინი, ჯერ-ჯერობით მაინც, დაკარგულებად უნდა ჩაითვალოს. რა ბედი ენია მათ? ხომ არ დაიკარგნენ ისინი ძველადვე? გამოჩნდნენ თუ არა საშუალ-საუკუნეთა სპარსულ-არაბულ მსოფლიოში ისეთი პირები, რომელთაც გადასწერეს და გაავრცელეს გადახვეწილი ქრისტიანი ქართველი პოეტის ლექსები? თუ ეს ლექსები საბოლოოდ დაიღუპა იმ ფანტასტიური მოგზაურობის დროს, როცა ჩვენი პოეტი როგორც აგასფერი მოულოდნელად ჩნდებოდა მაშინდელ კულტურულ მსოფლიოს სხვა-და-სხვა კიდეებზე ჩინეთიდან — მაროკომდე და რუსეთიდან — იემენამდე?

ამ კითხვაზე პასუხი უნდა მოგვცეს არაბულ-სპარსულ ხელნაწერ სიმდიდრეთა განხილვამ. ჯერ კიდევ დიდი ნაწილი სპარსულ-არაბული მწერლობითი საუნჯისა შეუსწავლელია. ადვილად შესაძლოა, რომ სადმე მუსულმანურ წყაროებში ჩვენ ვიპოვოთ ახალი ცნობები ჩვენი პოეტის შესახებ, და თითონ ის ლექსებიც, რომლებიც მან სპარსულსა და არაბულ ენებზე შექმნა. აქ არის ახალი ყურადღების საგანი ორიენტალისტებისათვის.

ყოველ შემთხვევაში ეს ლექსები ღირსნი იყვნენ იმისა, რომ გადარჩენილიყვნენ დალუპვას. ჩვენ ვნახეთ, რომ ამ ლექსებმა სიცოცხლეშივე მოუპოვა დიდი სახელი ამ უცხოელ პოეტს ისეთს რჩეულ პოეტურ წრეებში, როგორც იყო მე-XII-XIII საუკუნეთა არაბულ-სპარსული სამეფო კარები. და მართლაც, თუ-კი ჩახრუხაისძის ახალგაზრდობის

ქართულ ლექსებში უკვე მოსჩანს არტისტიკის დაჯერებული ხელი, მით უფრო ბრწყინვალე უნდა ყოფილიყო მისი მეორე პერიოდის ლექსები, როცა მისი სული გამდიდრდა ახალი თრთოლვით, როცა იგი მოშორებული საქართველოსა და თამარს — დადიოდა მსოფლიოში როგორც მფრინავი ჰოლანდიელი...

\* \*

დასასრულ, ჩახრუხაისძე იწვევს ჩვენს დიდს ინტერესს არა მარტო როგორც პოეტი, და არა მარტო როგორც პიროვნება. ჩახრუხაისძეს ამასთან ერთად ეკუთვნის სახელი უდიდესი მოგზაურისა მთელ სამშალ-საუკუნეთა მსოფლიოში.

ერთად-ერთი მოგზაური სამშალ-საუკუნეებიდან, რომლის მოხსენება შესაძლოა ჩახრუხაისძის გვერდით, ეს არის სახელოვანი მარკო პოლო — პირველი ევროპელი, რომელმაც შეასრულა დიდი მოგზაურობა აღმოსავლეთში, ჩახრუხაისძის შემდეგ, ერთი საუკუნით უფრო გვიან, 1271—1295 წლებში. მკითხველს, რასაკვირველია, კარგად ახსოვს ის უკვდავი წიგნი, სადაც აღწერილია მარკოს თავგადასავალი. მარკო პოლოს სამოგზაურო ხაზი აღმოსავლეთის შემდეგ ქვეყნებს გასდევდა: მესოპოტამია (ანატოლია-სომხეთის სანაპიროებით), ირანი, ყოფილი „ხატაეთის“ (თურქესტანის) სამხრეთ-აღმოსავლეთი ოლქები, ჩინეთი (ინდო-ჩინეთის ჩრდილო ოლქით), და ზღვის გზა ჩინეთიდან სპარსეთამდე (ინდო-ჩინეთისა და ინდოეთის სამხრეთ სანაპიროს შემოვლით).

მაგრამ ჩახრუხაისძეს ეკუთვნის უპირატესობა შედარებით თვით მარკო პოლოსთან.

ჯერ ერთი, ჩახრუხაისძის მოგზაურობის მასშტაბი უფრო ფართეა. ჩახრუხაისძემ იმოგზაურა ყველა იმ ქვეყნებში, რომლებიც მოვლო მარკო პოლომ: მესოპოტამიაში (ბაღდადის ხალიფატში), ირანში, ინდოეთში, აქედან ჩინეთში და შემდეგ კიდევ ხატაეთში („ხანთა“ ქვეყანაში). ჩახრუხაისძეს არ შეუსრულებია მხოლოდ ერთი მარშრუტი მარკო პოლოსი — საზღვაო მოგზაურობა ჩინეთიდან სპარსეთამდე.<sup>1</sup>

მაგრამ სამაგიეროდ ჩახრუხაისძემ მოვლო მთელი რიგი აღმოსავლეთის ქვეყნებისა, სადაც მარკო პოლო არ ყოფილა; ასე, ჩახრუხაისძე, ხატაეთზე (თურქესტანზე) გავლით, გადავიდა ხაზარეთს, აქედან ის იყო რუსეთში; ჩახრუხაისძემ იმოგზაურა აგრეთვე მალრიბის ხალიფატში (ანდალუზია-მაროკო-ალჟერ-ტუნის-ტრიპოლისი), ეგვიპტეში, არაბეთში (იემენი და მექქის ემირატი). არც ერთ ამ ქვეყანაში მარკო პოლო არ ყოფილა.

შემდეგ აღსანიშნავია ისიც, რომ ჩახრუხაისძის მოგზაურობა ბევრად უფრო მძიმე პირობებში სწარმოებდა შედარებით მარკო პოლოსთან. დიდი ნაწილი იმ ქვეყნებისა, რომლებიც შემოიარა მარკო პოლომ, მე-XIII საუკუნის ბოლოს გაერთიანებული იყო ერთი იმპერიის სახით, მონგოლების ხელში (მესოპოტამია, ირანი, „ხატაეთი“, ჩინეთი — ჩრდილო-ბირმანიის დისტრიქტებით), ასე რომ თითქმის მთელი მოგზაურობა მარკო პოლოსი ერთი და იმავე მონგოლთა იმპერიის ფარგლებში სწარმოებდა, ისიც უმთავრესად მონგოლთა მთავრობის მისიით. ამასთან სამიმოსვლო ურთიერთობა მონგოლთა იმპერიის ცალკე ქვეყნებისა ამ დროს იდეალურად იყო მოწესრიგებული წინა საუკუნეებთან შედარებით.

ხოლო ჩახრუხაისძის დროს, მე-XII-XIII საუკუნეთა საზღვარზე, აღმოსავლეთი დაყოფილი იყო მრავალ სამეფოებად, სადაც სხვადასხვა წესები სუფევდა, ურთიერთობა მათ შორის გაძნელებული იყო, მიმოსვლა არ იყო დაწყობილი, და მოგზაურს გაცილებით მეტი დაბრკოლება ელოებოდა წინ — ვიდრე მარკო პოლოს დროს. მოგზაურობა ამ ხანა-

1. თუმცა ისიც შესაძლებელია, რომ ჩახრუხაისძემ 1203 წლის შემდეგ სწორედ ეს საზღვაო მარშრუტი შეასრულა, როცა იგი მეორე წერილში თავის ახალ საზღვაო მოგზაურობის შესახებ სწერდა (იხ. ზევით, გვ. 519-520).

ში მართლაც რომ „ზარს“ წარმოადგენდა, როგორც ამას ამბობს ერთ ადგილას ჩახრუხა-ისძის პირველი ბიოგრაფი (I, სტრ. 8). თუ რა სიძნელეს შეიცავდა ამ დროს უცხოელის მიმოსვლა აღმოსავლეთის შეუსწავლელ ქვეყნებში, გვიჩვენებს თუნდ ისიც, რომ ჩახრუხაისძეს ამ მოგზაურობისას დაუხოცეს თანამგზავრი რაინდები (ხატაეთში, ეხლანდელ თურქესტანში), და პოეტი იძულებული იყო „მისწრაფებით“ და „გზის მომოკლებით“ გადასულიყო ხატაეთიდან ხაზარეთს.

შემდეგ, როცა ჩვენ ვადარებთ ჩახრუხაისძესა და მარკო პოლოს, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მარკო პოლო ბოლოს და ბოლოს უბრალო ნეგოციანტი იყო: მას ამ მოგზაურობის დროს უმთავრესად სავაჭრო მიზნები ამოძრავებდა. ჩახრუხაისძის სახით კი ჩვენ გვევლინება ნამდვილი მოგზაური; იგი მხოლოდ ახალი ქვეყნების ძიების სულით იყო შეპყრობილი, როცა მან შეასრულა ნამდვილად რომ გმირული მოგზაურობა ჩინეთიდან ატლანტიკის ოკეანემდე, და ხაზარეთ-რუსეთიდან — იემენამდე.

დასასრულ, მხედველობაში მისაღება ისიც, რომ ჩახრუხაისძეს — მარკო პოლოსთან შედარებით ეკუთვნის უპირატესობა დროს მიხედვითაც; ჩახრუხაისძეს აქვს თითქმის ერთი საუკუნის პრიორიტეტი (ჩახრუხაისძის მოგზაურობა 1193—1203 წწ., მარკო პოლოს — 1271—1295).

ამიტომ, როცა ვითვალისწინებთ ყველა ამ გარემოებათ, არ არის არავითარი გადაჭარბება იმაში, როცა ჩვენ ჩახრუხაისძეს ვაკუთვნებთ საშუალ-საუკუნეთა უდიდესი მოგზაურის სახელს.

ზოგიერთ მხარეებს, რომლებიც მოვლო ჩახრუხაისძემ, არ მიჰკარებია ევროპიელი მოგზაური არა თუ მარტო საშუალ-საუკუნეებში, არამედ ზოგჯერ უფრო ახლო ეპოქაშიც. ასე, ჩახრუხაისძე ერთად-ერთი ევროპიელი იყო, რომელმაც მოახერხა საშუალ-საუკუნეთა მანძილზე მექაში მისვლა. ცნობილია, რომ ევროპიელმა მოგზაურებმა ამისი შესრულება მხოლოდ მე-XIX საუკუნეში შესძლეს. პირველი, რომელმაც შეასრულა ეს სახიფათო მოგზაურობა, იყო ი. ბურკჰარდტი, რომელიც 1815-1816 წლებში ჩავიდა მექაში გადაცმული მუსულმანი ვაჭრის სახით. ბურკჰარდტის შემდეგ მე-XIX საუკუნეში მექაში მისვლა მოახერხეს მხოლოდ თითო-ოროლა გაბედულმა მოგზაურებმა, როგორც მაგალითად რ. ბერტონმა, ჰ. ფონ-მასტცანმა, ან ჰოლანდიელმა მეცნიერმა არაბისტმა სნუკ-ჰურგრონიემ, რომელიც აგრეთვე გადაცმული ჩავიდა მექაში, მუსულმანი სწავლული შეინის სახით. ხოლო ჩახრუხაისძემ 612 წლით უფრო ადრე ბურკჰარდტისა შესძლო მექაში მისვლა, და, ბურკჰარდტისა და სნუკ-ჰურგრონიეს მსგავსად სახეშეცვლილმა მუსულმანად, — ინახულა ქაბას მიზითა და მუსულმანური სინმინდენი.

\* \*

ჩახრუხაისძის მოგზაურობის ისტორიასთან დაკავშირებულია აგრეთვე ერთი საკითხიც:

დასწერა თუ არა ჩახრუხაისძემ თავისი „სეფერ-ნამე“ — „წიგნი მოგზაურობათა“. ეს მოსალოდნელი იყო. ცნობილია რომ მოგზაურობათა ლიტერატურას დიდი ტრადიცია ჰქონდა არაბულ მწერლობაში, რომლის ადეპტი იყო ჩახრუხაისძე. ესევე ტრადიცია არსებობდა არა მარტო არაბულ, არამედ სპარსულ მწერლობაშიც (მოვიგონოთ თუნდ პოეტ ნასირი ხოსროვის „სეფერ-ნამე“). რომ ჩახრუხაისძეს მართლაც უნდა ჰქონოდა დაწერილი თავისი წიგნი მოგზაურობათა, ამას გვაფიქრებინებს მთელი რიგი მოსაზრებათა:

ჯერ ერთი: ვინ არიან საშუალ-საუკუნეთა მოგზაურები, და ან რას წარმოადგენდა მათი მოგზაურობის წიგნები. ისინი, როგორც აღნიშნული გვექონდა, უმრავლეს შემთხვევაში იყვნენ ნეგოციანტები, პილიგრიმები, ან პოლიტიკური მინდობილობით გაგზავნი-

ლი პირები; მათი მოგზაურობის აღწერანი ჩვეულებრივ წარმოადგენდა მოგონებებს სავაჭრო ექსპედიციებიდან ან სხვა ასეთ შემთხვევითი ხასიათის მოგზაურობებიდან. ხოლო ჩახრუხაისძე, როგორც ეს აღვნიშნეთ კიდეც, საშუალ-საუკუნეთა მანძილზე წარმოადგენს იშვიათ მაგალითს ნამდვილი მოგზაურისას; იგი ცხადია, მართლაც რომ, შეპყრობილი იყო მხოლოდ მოგზაურის ცნობის-მოყვარეობით და მაძიებელი სულით, როცა მან დასტოვა მისთვის მშობლიური არაბულ-სპარსული მსოფლიო, სადაც ესმოდათ მისი პოეტური ენა და სადაც იგი მიღებული იყო როგორც სახელმძღვანელო პოეტი, გადავიდა მისთვის უცნობ ქვეყნებში — უცნობი ენით, მოვლო ინდოეთი, ჩინეთი, და აქედან, თავისი სიცოცხლის საფრთხეში ჩაყენებით გადასჭრა შუა-აზიის ველები, გაიარა ბარბაროსი ნომადების ქვეყანა, და ხატაეთის გზით ჩავიდა ხაზარეთის და რუსეთის ქვეყნებამდე.

შემდეგ: ჩახრუხაისძეს რომ გარდა ლექსებისა უნერია აგრეთვე პროზაც, ამას გვიჩვენებს ერთი ცნობა, რომელიც დაცულია პირველ ბიოგრაფიულ ტექსტში. ამ ცნობის თანახმად, ჩახრუხაისძეს ჯერ კიდეც სპარსეთში ყოფნის დროს, ვიდრე იგი დიდ მოგზაურობას შეუდგებოდა, დაუნერია „იგავნი“. ამ სახელით, როგორც ზევითაც განვმარტეთ, უნდა იგულისხმებოდეს არაბულ-სპარსული მწერლობის ჟანრი „მაკამა“,<sup>1</sup> რომელსაც თავისი საზოგადო ხასიათით ბევრი აქვს საერთო საშუალო საუკუნეთა მოგზაურების წიგნებთან.

დასასრულ, რომ ჩახრუხაისძეს განზრახული ჰქონდა თავისი მოგზაურობის აღწერა, ამას ისიც გვიჩვენებს, რომ თვით იმ ორ კერძო წერილში, რომელიც მან მოიწერა საქართველოში ბალდადიდან, სჩანს, მხოლოდ სამგზავრო შთაბეჭდილებებს ეხებოდა, აქ დანვრილებით ყოფილა გადმოცემული მისი მოგზაურობის ამბები. პოეტის ბიოგრაფები ემყარებიან ამ წერილებს, როცა აგვიწერენ ჩახრუხაისძის ისტორიას, და მოჰყავთ მისგან ციტატებიც.<sup>2</sup> და თუ რამდენად სრული ყოფილა ეს წერილები, თუ როგორის ზედმიწევნით ასწერდა იგი თავის მოგზაურობას, სჩანს იქიდან, რომ ორთავე ბიოგრაფიულ ტექსტებში, მიუხედავად მათი ლაკონიზმისა, წარმოდგენილია — ჩახრუხაისძის წერილების მიხედვით — სავსებით სწორი სურათი იმ სამიმოსვლო მიმართულებათა აღმოსავლეთის და დასავლეთის ქვეყნებზე, რომლებიც ამ დროისათვის არსებობდა.

ამ რიგად, ჩვენ ყველაფერი გვაფიქრებინებს, რომ ჩახრუხაისძეს პოეტურ თხზულებათა გარდა უნდა ჰქონოდა თავისი „სეფერ-ნამე“. მაგრამ ეს მოგზაურობათა წიგნი ალბად ისევე დაიკარგა, როგორც მისი ლექსებიც უცხოეთში დაწერილნი. დღეს ჩვენ შეგვრჩენია მხოლოდ ის ფრაგმენტარული ცნობები, რომლებიც შეუნახავთ პოეტის ორ ბიოგრაფს.

\* \*

ჩვენ ამით ვამთავრებთ საუბარს ჩახრუხაისძის თავგადასავალის შესახებ. ჩვენ ბევრი რამ არ ვიცით ამ პოეტზე; ბევრი რამ მისი მემკვიდრეობიდან დაიღუპა საუკუნეთა განმავლობაში. მაგრამ ისიც, რაც გადარჩენია საუკუნეებს და გვანვდის ხმას ამ გადასულ ამბავთა შესახებ, გვაძლევს უფლებას ვწოდოთ ჩახრუხაისძეს — უორიგინალესი პოეტი თავისი ეპოქისა, უდიდესი მოგზაური საშუალო საუკუნეთა, და ყველაზე რომანტიული სახე პოეზიის ისტორიის.

(დასასრული მსსანის პირველი ნაწილისა<sup>3</sup>)

1. იხ. გვ. 240 („კავკასიონი“, №1-2).

2. იხ. ზევით, გვ. 519-520.

3. მეორე — სპეციალური ნაწილი გამოკვლევისა, რომელიც ეხება წყაროების კრიტიკას და სხვა ვიწრო-სპეციალურ საკითხებს, მოთავსებული იქნება მთლიანად „კავკასიონის“ შემდეგ ნომერში.

## განმარტება რუკებისა

დამატებად ჩვენი გამოკვლევის პირველი ნაწილისა, მოგვყავს აქ ორი რუკა:  
 რუკა I. მიმოსვლის ხაზი ჩახრუხაისძისა და საშუალ-საუკუნეთა სხვა მოგზაურებისა;  
 რუკა II. საქართველოს სამეფო და წინა-აზიის სახელმწიფოები თამარის მეფობის  
 უკანასკნელ წლებში და ლაშა გიორგის დროს (1210—1222 წწ.).

### რუკა I

#### მიმოსვლის ხაზი ჩახრუხაისძისა და საშუალ-საუკუნეთა სხვა მოგზაურებისა

ამ პირველ რუკაზე აღნიშნულია შემდეგ მოგზაურთა მარშრუტები:

**1. ჩახრუხაისძის** მოგზაურობის ხაზი 1193—1203 წლებისა, რომლის დანვრილებითი აღწერა წარმოდგენილი იყო ჩვენი მონოგრაფიის მე-VI თავში (იხ. ზემოთ, გვ. ???-???, კავკასიონი, №1-2).

**2. მარკო პოლოს** მარშრუტი 1271-1295 წლებისა. აღმოსავლეთის ქვეყნები, რომლებიც მოიარა მარკო პოლომ, უკვე აღნიშნული გვექონდა საერთო ხაზებში. აქ მოგვყავს დანვრილებითი აღწერა მთელი მისი მარშრუტისა:

ვენეცია — ზღვით მოგზაურობა ვენეციიდან ვიდრე კილიკიამდე (ადრიატიკის და ხმელთაშუა-ზღვის გავლით). შემდეგ ხმელეთის გზა: ანატოლიის აღმოსავლეთი თემები — სომხეთის მთეულეთი — და მესოპოტამია ვიდრე ბასრას ქალაქამდე. აქედან მარკო პოლომ გადასჭრა სპარსეთის ზღვის ყურე და მიაღწია სპარსეთს (ქალაქ ჰორმუზის ნავთსადგურს). შემდეგ მან შეასრულა ხანგრძლივი მოგზაურობა ხმელეთის გზით: ირანზე — სამხრეთ-აღმოსავლეთ თურქესტანზე — ჩინეთზე და მიაღწია ეხლანდელ პეკინის რაიონს. აქედან მარკო პოლომ იმოგზაურა ბირმანიაში (ქალაქ ავას სექტორი) და დაბრუნდა უკან იმავე გზით პეკინის რაიონში. შემდეგ მან იმოგზაურა, ჩინეთის აღმოს. თემებზე გავლით, ეხლანდელ ჩუენჩუს ნავთსადგურამდე. აქედან მარკო პოლომ შეასრულა ხანგრძლივი საზღვაო მოგზაურობა, ინდო-ჩინეთისა და ინდოეთის სამხრეთი სანაპიროების შემოვლით, სპარსეთამდე (ჰომუზის ნავთსადგურამდე). აქედან ხმელეთის გზა: სპარსეთზე (ქალაქები: ისპაჰანი, თავრიზი) — სომხეთის მთეულეთზე — ვიდრე ტრაპიზონამდე. აქედან ზღვის გზა, ასეთის ხაზით: შავი ზღვა — ბოსფორი და დარდანელი — ეგეის ზღვა — ხმელთა-შუა ზღვა — ადრიატიკის ზღვა — ვენეცია<sup>1</sup>.

**3. ვილჰელმ რუბრუკის** მოგზაურობის ხაზი. ვილჰელმ რუბრუკმა, 50 წლით უფრო გვიან ჩახრუხაისძეზე, 1253-1255 წლებს შუა, შეასრულა მოგზაურობა პალესტინიდან მონგოლეთამდე.<sup>2</sup>

მისი მარშრუტი პალესტინიდან ყარაყორუმამდე შემდეგი იყო:

პალესტინა (აკკონის ნავთსადგური). აქედან ზღვით მოგზაურობა შემდეგის ხაზით: ხმელთა-შუა ზღვა — ეგეის ზღვა — შავი ზღვა — ყირიმი (კაფჯას ნავთსადგური). შემდეგ ხმელეთის გზა: ეხლანდელ სამხრეთ უკრაინაზე, — მდინარეების დონი-ვოლგა-ურალის გადაჭრით — გზა ეხლანდელ ყირგიზისტანის ველებზე და შემდეგ ჯუნგარიაზე — ვიდრე მონგოლეთის სატახტო ქალაქამდე ყარაყორუმამდე.

ყარაყორუმიდან პალესტინაში რუბრუკი ასეთის მიმართულებით დაბრუნდა:

1. იხ. წიგნი მარკო პოლოს მოგზაურობათა.

2. იხ. რუბრუკის მოგზაურობათა წიგნი.



მან ჯერ გამოიარა იგივე ქვეყნები, — ეხლანდელი ჯუნგარია და ყირგიზისტანი, მხოლოდ ცოტა უფრო ჩრდილოეთის ხაზით, და მიაღწია ვოლგამდე (სახელდობ იმ ადგილამდე, სადაც შემდეგი საუკუნეების განმავლობაში მდებარეობდა „ოქროს ურდოს“ ცენტრი სარაი). აქედან რუბრუკი დაჰყვა ქვემოდ ვოლგას, გამოიარა კასპიის ზღვის დასავლეთი სანაპიროები, დაღესტანი, შირვანი, და მიაღწია მტკვარ-არაქსის შესართავამდე. — აქედან კი მისი მოგზაურობის მიმართულება ასეთ იყო: არაქსის ხეობა, სომხეთის მთეულეთი, აღმოსავლეთი ანატოლია, კილიკია, და აქედან ზღვის გზით — და კვიპროსის კუნძულზე გავლით — პალესტინაში.

**4. პოეტის საადი შირაზელის მოგზაურობა.** სახელოვანი სპარსელი პოეტი საადი შირაზელი, ავტორი „გულისტანისა“ და „ბუსტანისა“ ჩვენ ბევრით გვაგონებს ჩახრუხაისძეს. საადიმაც აგრეთვე ხანგრძლივად იმოგზაურა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნებში, თუმცა ჩახრუხაისძესთან შედარებით საადის მოგზაურობის მასშტაბი ბევრად უფრო ვიწრო იყო. ოცდაათი წლის განმავლობაში, დაწყებული 1226-იდან ვიდრე 1256 წლამდე საადიმ მოვლო მთელი რიგი ქვეყნებისა ინდოეთიდან — მაღრიბამდე და კავკასიიდან იემენამდე. აი მისი მოგზაურობის ხაზი<sup>1</sup>.

შირაზი (ფარსისტანში) ირანის ქვეყნები (ქ. ბალხი, ლაზნა) — ჩრდილო ინდოეთი. — სამხრეთ-დასავლეთი ინდოეთი (გუჯერათის ნახევარკუნძული, ქ. სუმენათი) — ზღვით მოგზაურობა ინდოეთიდან არაბეთამდე (სუმენათიდან — იემენამდე, კიშის კუნძულებზე გავლით). — აბისინია — არაბეთი (იემენი, მექქა) — სირია (ქქ. ბაალბეკი, დამასკო, იერუსალიმი, ტრიპოლი, ალეპო) — მაღრიბი — ეგეის ზღვის სანაპიროები — იკონიის სულთანატი — სომხეთი, არაქსის ხეობა — ადარბადაგანი — შირაზი (ფარსისტანში).

**5. მოგზაურობა მონგოლეთში ქართველი უფლისწულების ულუ-დავითისა და ნარინ-დავითისა, სარგის II თმოგველის ავავ ათაბაგის და სხვათა თანხლებით, 1243—1250 წლებში.** (იგივე მოგზაურობის ხაზი გაიათ-ედდინ იკონიის სულტნისა, ხლათის სულტნისა, და მეფე ხეთუმისა).

ცნობილია, რომ მონგოლთა მფლობელობის დამყარების შემდეგ, მე-XIII საუკუნის ორმოციან და ორმოცდაათიან წლებში, ქართველი უფლისწულები ნარინ-დავით და ულუ-დავით (ქართველ დიდებულთა თანხლებით), და აგრეთვე მეზობელი ქვეყნების მფლობელებიც, გაგზავნილ იქმნენ მონგოლეთში — ქალაქ ყარაყორუმში — სამეფო ტახტზე დასამტკიცებლად.<sup>2</sup> — ისტორიკოს კვირიკე განძაკელის აღწერით, მათი მოგზაურობის ხაზი ასეთი იყო:

კავკასიიდან ისინი გადიოდნენ დარუბანდის კარებს, და კასპიის ზღვის სანაპიროების აყოლით ადიოდნენ ვოლგამდე — ბათუ-ყაენის სადგურამდე, რომელიც ფლობდა ყივჩაყეთსა და რუსეთს. ეს სადგური მონგოლთა ყაენისა, ისტორიკოსის სიტყვით, მდებარეობდა „დიადი მდინარის ნაპირას, რომელსაც ეწოდება ეტილი (ვოლგა), და რომელიც კასპიის ზღვას შეერთვის“ — აქედან მოგზაურნი მიემართებოდნენ აღმოსავლეთის მიმარ-

1. იხ. ვ. ბაჰერ „Sa'adi's Aphorismen“ (Strassb., 1879, p. XX-XXXIV). А. Крымский, Ист. Персии, ея литературы, III, вып. I, стр. 391—397 (Мск., 1914—1917).

2. იხ. „უამთა-აღმწერელი“, გვ. 607—8, 21, 41—43, 49—51 და კვირიკე განძაკელის ისტორია, გვ. 219—224 (მოსკ. გამ. 1858 წლისა). ნარინ-დავითისა და ავავ ათაბაგის მოგზაურობა მოხდა 1243—1250 წლებში; ამავე დროს ეკუთვნის ხლათის სულტნის მოგზაურობა; ულუ-დავითისა და სარგის II თმოგველის ცოტათი უფრო გვიან მოხდა 1244—1250 წლებში; ამის შემდეგ გაგზავნილ იქმნა იკონიის სულტანი; ხოლო ხეთუმი გაემგზავრა კიდეც უფრო გვიან 1254 წელს. ყველა ამ პირთ ერთი და იგივე მოგზაურობის ხაზი შეასრულეს: კავკასიიდან ჯერ გადავიდნენ ბათუ-ყაენის სამფლობელოში და აქედან ჩავიდნენ ყარაყორუმს; ხოლო გამობრუნდნენ სამხრეთის გზით, ირანზე — ულო ყაენის სამფლობელოზე გამოვლით, კავკასიამდე. მათი მარშრუტი ჩვენ აქ მოგვყავს კვირიკე განძაკელის ჩვენების თანახმად, რომელსაც უფრო დანვრილებითი ცნობები აქვს დაცული.

თულებით, გადასჭრიდენ მდინარე იაიკს (ურალს), გაივლიდენ ეხლანდელ ყირგიზისტანის ველებს, გადასჭრიდენ მდინარე ირტიშის სათავეებს, და ნაიმანისა და ყერაითის თემებზე გავლით მიაღწევდენ მონგოლთა სატახტო ქალაქს — ყარაყორუმს.

მათი გზა უკან, ყარაყორუმიდან კავკასიამდე, ასეთი იყო: ჯერ ისინი გამოივლიდენ ეხლანდელ ჯუნგარიას (ბემ-ბალიყი), აქედგან გადმოდიოდენ თურქესტანში (კოკანდი, სამარყანდი), გამოივლიდენ ბუხარას, გადასჭრიდენ ჯეონს (ამუ-დარიას) და გადმოდიოდენ სპარსეთში. აქედან გზა გასდევდა ქალაქ მარავს (მერვს, ხორასანის პროვინციას, მაზანდარანს, ერავს (ქალაქ რეიზე — ეხლანდელ თეირანთან), ქალაქებს — ყაზვინს, ზანჯანს, სპარსეთის აზერბეიჯანს (ქ. მიანეს, თავრიზს). ხოლო აქედან კი არაქსის გადმოჭრით შემოდიოდა გზა კავკასიაში.

**6. ნასირი ხოსროვი** — აგრეთვე პოეტი-მოგზაურია, ჩახრუხაისძისა და საადის მსგავსად; თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ნასირი ხოსროვის მოგზაურობა უფრო რელიგიოზურ პილიგრიმოზას წარმოადგენდა. ნასირი ხოსროვიმ, შვიდი წლის მანძილზე, 1045—1052 წლებში, შეასრულა საკმაოდ ვრცელი მოგზაურობა მუსულმანურ ქვეყნებში, რაც ასე დეტალურად არის აღწერილი მის წიგნში „სეფერ-ნამე“ („წიგნი მოგზაურობათა“). ნასირი ხოსროვის მარშრუტი შემდეგი იყო:

სპარსეთი (ქქ. მერვი, ნიშაბური, რეი, თავრიზი) — სომხეთი და ქურთისტანი (ვანი, ბითლისი, დიარბექრი) — სირია (ქქ. მაარა, ტრიპოლი, ბეირუთი, სიდონი, ტიროსი) — პალესტინა (ბეთლემი, იერუსალიმი) — არაბეთი (მექქა) — ისევ პალესტინა (იერუსალიმი) — ეგვიპტე — ისევ არაბეთი (მექქა, იემენი, ნეჯდი, ლახსა) — მესოპოტამია (ბასრა) — ირანი (ისპაჰანი, მერვი, ბალხი) — აქედან ნასირი ხოსროვი რელიგიური პროპაგანდის მიზნით გადავიდა პამირის მთებში (ბადახშანის პროვინციაში<sup>1</sup>).

## რუკა II

### საზღვრები საქართველოს სამეფოსი და წინა-აზიის დანარჩენი სახელმწიფოებისა დიდი თამარის მეფობის უკანასკნელ წლებში და ლაშა-გიორგის დროს (1210—1222 წ.)


თამარისა და ლაშა გიორგის ეპოქაში (მე-XIII საუკუნის ათიან წლებში) საქართველოს სახელმწიფოს საზღვრებში შედიოდა მთელი კავკასია, ჩრდილოეთი პროვინციები სპარსეთისა და აღმოსავლეთი თემები ანატოლიისა. სახელმწიფოში შემავალი ცალკე ქვეყნები სხვა და სხვა დამოკიდებულებაში იმყოფებოდა სამეფო ტახტთან; რიგი ქვეყნებისა უშუალოდ ემორჩილებოდა სამეფოს ცენტრს, რიგი სარგებლობდა ავტონომიურის უფლებებით ამა თუ იმ სახით. აქ ჩვენ შეგვიძლია გავარჩიოთ სამი მთავარი ტერიტორიული ჯგუფები:

- a. სახელმწიფოს უშუალო სამფლობელო;
- b. ვასალური სამთავროები;
- c. გავლენის სფეროები.

ჩვენ აქ წარმოვადგენთ თვითეული ტერიტორიული ჯგუფის მოკლე მიმოხილვას.

1. ჩვენ აქ ვკმაყოფილებით ნასირი ხოსროვის მოგზაურობის აღწერით და თითონ რუკაზე ეს ხაზი აღარ ავგინიშნავს; რუკაზე ისედაც მრავალი ხაზებია შემჭიდროებული და ახალი ხაზის დამატება ტექნიკურად მოუხერხებელი გახდა.

პ. ინგოროყვა. ჩახრუხაისძე



რუკა I. მიმოსვლის ხაზი ჩახრუხაისძისა და საშუალო საუკუნეთა სხვა მოგზაურების





\* \*

**1. უშუალო სამფლობელო.** საქართველოს სახელმწიფოს უშუალო სამფლობელოს შეადგენდა: ა) საკუთრივ ქართული პროვინციები, ბ) კავკასიის მთიელთა ზოგიერთი კანტონები კავკასიონის მთავარი უღელტეხილების გასწვრივ (აფხაზ-ჯიქეთი, დვალეთი, დურძუკეთი და დიდოეთი); და ც) დიდი სომხეთის თემები. ამ ტერიტორიის ჩრდილოეთ საზღვარს შეადგენდა შირვანის და განძის ვასსალური სამთავროები; დასავლეთით შავი ზღვა.

სახელმწიფოს ამ უშუალო სამფლობელოს ფარგლებში მოქცეული იყო სახელდობ შემდეგი თანამედროვე პროვინციები:<sup>1</sup>

1. ტფილისის გუბერნია;
2. ზაქათალის ოლქი;
3. ქუთაისის გუბერნია;
4. სოხუმის ოლქი;
5. სოჭის და ტუაფსეს ოლქი ვიდრე ნიკოფსიამდე (ეხლანდელი ნეგოფსუხო);
6. ბათომის მხარე (ОБЛАСТЬ);
7. ყარსის მხარე;<sup>2</sup>
8. ერევნის გუბერნია;<sup>3</sup>
9. ნაწილი განჯის გუბერნიისა:
  - a. ყაზახის მაზრა და შამქორის რაიონი<sup>4</sup>.
  - b. ზანგეზური და ყარაბაღის მთიულეთი<sup>5</sup>.
  - c. გიშის რაიონი (ნუხის მაზრის აღმოსავლეთის სექტორი)<sup>6</sup>.
10. ცენტრალ-კავკასიის მთიულების კანტონები: (დვალეთი, დურძუკეთი, დიდოეთი).
11. ოსმალეთის საქართველოს თემები: თორთუმი, ისპირი.
12. ოსმალეთის სომხეთის თემები: ალაშკერტი, ბასიანი, მანასკერტი, არჭეში<sup>7</sup>.

მთელი ეს ტერიტორია, რომელიც საქართველოს უშუალო სამფლობელოს წარმოადგენდა, სულ შეიცავს 190,262 კვადრატ კილომეტრს (167,190 კვ. ვერსტს).

\* \*

**2. ვასსალური სამთავროები.** გარდა ზემოთ-აღნიშნული უშუალო ტერიტორიისა საქართველოს სახელმწიფოში შედიოდა აგრეთვე მთელი რიგი ვასსალური სამფლობელოებისა; ასეთები იყო: ა) შირვანის საშაჰო, ბ) განძის საათაბაგო, ც) კარნუ-ქალაქის სამფლობელო, დ) ეზინკის სამფლობელო, და ე) ადარბადაგანის სამფლობელოები.

1. პროვინციების საზღვრები აქ ნაგულისხმევია იმ ადმინისტრაციული დანაწილების მიხედვით, რომელიც არსებობდა 1914 წლისათვის.

2. იხ. თამარის მესამე ისტორია, გვ. 509-510.

3. იხ. თამარის მეორე და მესამე ისტორიკოსების ჩვენებანი, ჟამთა აღმწერელი, და სომხური საისტორიო წყაროები.

4. კერძოდ შამქორის რაიონი უშუალო სამფლობელოთა ფარგლებში მოექცა 1195 წლის ახლო ხანებში (იხ. მესამე ისტორიკოსის ახლად აღმოჩენილი სრული ტექსტი; შეუდარე ჟამთააღმწერელი გვ. 570).

5. რომ სომხური თემები — ზანგეზური და ყარაბაღის მთიულეთი უშუალო სამფლობელოთა ფარგლებში იყო მოქცეული, იხ. მე-XIII საუკუნის სომეხთა ისტორიკოსების ჩვენება (ასე, კერძოდ — სტეფანოს ორბელიანის „სივნიეთის ისტორია“.

6. ეს უკანასკნელი ქართული პროვინციის ჰერეთის ნაწილს შეადგენდა.

7. იხ. ჟამთა აღმწერელი, გვ. 630-1: თამარის პირველი ისტორია, გვ. 476, და განსაკუთრებით სომხურ და მუსულმანურ წყაროების ჩვენება (იბნ-ალასირი 517, სტეფანოს ორბელიანი 287).



**a. შირვანის საშაჰო** საქართველოს ფარგლებში მოექცა ჯერ კიდევ დავით აღმაშენებლის დროიდან (მე-XII საუკუნის დასაწყისში). შირვანს შეადგენდა შემდეგი თანამედროვე პროვინციები: ბაქოს გუბერნიის მთელი ტერიტორია მტკვრის ჩრდილოეთით; დაღესტანის სამხრეთი ნაწილი — დარუბანდის ხაზამდე (სამური, კიურა და ქ. დარუბანდის სექტორი), არეშის მაზრა და აღმოსავლეთი ნაწილი ნუხის მაზრისა. სულ მთელი ტერიტორია შირვანისა შეიცავს 38,552 კვადრატ კილომეტრს (33,881 კვ. ვერსტს).

**b. მეორე ვასსალური სამთავროს — განძის საათაბეგოს<sup>1</sup>** — საზღვრებში მოქცეული იყო ქალაქი განძა თავისი თემით, და არანის ველი (ყარაბაღის ბარი) მტკვარსა და არაქსის შუა, მისი ტერიტორია უდრის 16,271 კვადრატ კილომეტრს (13,419 კვ. ვერსტს).

**c. მესამე ვასსალური სამთავრო — კარნუ-ქალაქის სამფლობელო<sup>2</sup>** — შეიცავდა ქალ. არზრუმის რაიონის (შემდეგ არზრუმის ფაშალიყი). მისი ტერიტორია უდრის 12,000-მდე კვადრატ ვერსტს (13.656 კვ. კილომეტრს).

**d. მეოთხე ვასსალური სამთავრო — ეზინკის სამფლობელო<sup>3</sup>** — შეიცავდა ანატოლიის აღმოსავლეთ თემებს (ქ. ერზინჯანის სექტორს). მისი ტერიტორია უდრის 8.000-მდე კვადრატ ვერსტს (9,104 კვ. კილომეტრს).

**e. დასასრულ, მე-XIII საუკუნის დასაწყისში (1207-8-სა და 1210 წლებში)** შემოერთებულ იქმნა **ადარბადაგანის სამფლობელოები** — არაქსის სამხრეთით, სახელდობრ ტერიტორიები: არდაველისა, მარანდისა, თავრიზისა, უჩენისა, მიანისა, ზანგანისა და ყაზვინისა.<sup>4</sup> ამ რიგად საქართველოს საზღვრებმა სპარსეთის მიმართულებით მიაღწია ეხლანდელ თეირანის რაიონამდე და ურმიის ტბამდე. მე-XIII საუკუნის წყაროების ჩვენებით საქართველოს მოსაზღვრეებად ამ მხარეზე ითვლებოდა სპარსეთის შემდეგი თემები: ერაყი (მიდია) — რომელიც ეჭირა ხვარაზმშას, გილანის პროვინცია, და ქალაქი მარაღა — რომელიც ეპყრა ფეჰლევანიდს უზბეგ ათაბეგს.<sup>5</sup>

მთელი ეს ტერიტორია ადარბადაგანის სამფლობელოებისა, შემოერთებული 1207—1210 წლებში, შეიცავს — ცოტა მეტნაკლებობით 95,000-მდე კვადრატ ვერსტს (108.110 კვ. კილომ.).

\* \*

**3. გავლენის სფეროები.** გარდა ზემოთ-ჩამოთვლილ ვასსალურ სამფლობელოებისა საქართველოს ჰქონდა აგრეთვე გავლენის სფეროები; ასეთები იყო:

**კავკასიის მთეულეთის ქვეყნები:** ლუნძეთი (ლევეთი), ოვსეთი, და ქაშაგეთი (საჩერქეზო<sup>6</sup>).

და ამას გარდა ტრაპიზონის სამეფო, დაპყრობილი ქართველი ჯარების მიერ 1204 წელს<sup>7</sup>.

ტერიტორია კავკასიის მთეულეთისა შეიცავს 97.443 კვადრატ ვერსტს (108.888 კვ. კილომ.), ხოლო ტრაპიზონის სამეფოს ქვეყნები 18.000-მდე კვადრატ ვერსტს (20.484 კვ. კილომ.).

1. შემოერთებულ იქმნა 1195 წლიდან (იხ. თამარის პირ. ისტ. გვ. 461 და შემდგომი).

2. იხ. თამარის მეორე ისტორია, გვ. 509 და სხვ.

3. იხ. იქვე; იხ. აგრეთვე მესამე ისტორია, გვ. 505 და სხვ.

4. იხ. თამარის მეორე ისტორია, გვ. 513—524.

5. იხ. მესამე ისტორია, გვ. 429, მეორე ისტორია, გვ. 522 (ჭიჭ., გვ. 482).

6. იხ. მესამე ისტორია გვ. 534, იხ. აგრეთვე თამარის პირველი ისტორია, გვ. 412 („კავკასიის ამერნი და იმერნი ვიდრე ხაზარეთამდე და სკვითამდე“).

7. იხ. მესამე ისტორია, გვ. 534, 507, შეად. „ხელმწიფის კარის გარიგება“, გვ. 12.

\* \*

ცალკე ერთეულების მიმოხილვის შემდეგ ჩვენ დაგვრჩენია წარმოვადგინოთ საზოგადო სურათი. ამ რიგად, მე-XIII საუკუნის ათიან წლებში, საქართველოს სახელმწიფოს ფარგლებში შემდეგი ტერიტორიები შედიოდა:<sup>1</sup>

**I. უშუალო სამფლობელო:** კვადრ. კილომეტრ. კვ. ვერსტი.

a. საკუთრივ საქართველოს პროვინციები, მთიელთა კანტონები და დიდი სომხეთის თემები	. . .	190.262	167.190
--	-------	---------	---------

**II. ვასსალური სამფლობელოები:**

b. შირვანის საშაჰო	. . .	38.552	33.881
c. განძის საათაბაგო	. . .	6.271	13.419
d. ადარბადაგანის სამფლობელოები	. . .	108.110	95.000
e. კარნუ-ქალაქის სამფლობელო	. . .	13.656	12.000
f. ეზინკის სამფლობელო	. . .	9.104	8.000

სულ ვასსალურ სამფლობელოებში 185.693 161.300

**III. გავლენის სფეროები:**

g. ღუნძეთი (ლეკეთი)	}	. .	108.888	97.433
h. ოვსეთი				
i. ქაშაგეთი				
k. ტრაპიზონის სამეფო	. .	20.484	18.000	

სულ გავლენის სფეროში . . 129.372 115.433

**სულ საქართველოს სამეფოში:** 505.327 444.923

რომ მკითხველმა უფრო ნათლად წარმოიდგინოს ამ ტერიტორიის მოცულობა, მოვავაგონებთ, რომ ევროპის თანამედროვე ქვეყნებიდან, საფრანგეთი, მაგალითად, შეიცავს 550.956 კვ. კილომეტრს, გერმანია 454.886, დიდი-ბრიტანეთი და ირლანდია ერთად 314.377, იტალია 308.579, ხოლო თანამედროვე საქართველო 72.092 კვადრატ კილომეტრს. ამ რიგად თამარის ეპოქის საქართველო ცოტათი ნაკლები იყო თანამედროვე საფრანგეთის ტერიტორიასთან შეფარდებით, უფრო მეტი — ვიდრე თანამედროვე გერმანია, გაცილებით მეტი ვიდრე დიდი ბრიტანეთი და იტალია, ხოლო თანამედროვე საქართველოსთან შედარებით იგი შეიცავდა შვიდჯერ უფრო მეტ ტერიტორიას.

\* \*

**მოსახლეობა<sup>2</sup>.** როგორი იყო მოსახლეობა თამარის ეპოქის საქართველოსი? ჩვენ ამაზე დაც შეგვიძლია ვიქონიოთ დაახლოებითი წარმოდგენა. თუმცა სტატისტიკური ცნობები თვით თამარის ეპოქიდან არ მოღწეულა, მაგრამ ჩვენ გვაქვს ცნობები უახლოესი ათეული წლებიდან, მონგოლთა ეპოქიდან.

1. აქვე დართულ რუკაზე საქართველოს სახელმწიფოს შემადგენელი ნაწილები აღნიშნულია იმავე ლიტერებით, რომელიც წინ უძღვის აქ მოთავსებულ სიას.

2. უფრო დაწვრილებით ამ საკითხს შევეხებით ცალკე წერილით.

თამარის გარდაცვალების 40 წლის შემდეგ, 1253 წელს, როცა საქართველოში უკვე მონგოლთა მფლობელობა დამყარდა, მოხდა საქართველოს სამხედრო და საგადასახადო აღწერა. ცნობები ამ აღწერიდან დაცული აქვს მონგოლთა ეპოქის ქართველ ისტორიკოსს ჟამთა-აღმწერელს.

მაგრამ ვიდრე განვიხილავდეთ ამ ცნობებს, საჭიროა აღინიშნოს, თუ რა ტერიტორიას შეეხო ეს აღწერა. მონგოლთა მფლობელობის დროს საქართველოს ტერიტორია სანახევროდ შემცირდა. საქართველომ დაჰკარგა ის ვასსალური სამთავროები, რომელნიც ამიერკავკასიის გარეთ მდებარეობდნენ: ადარბადაგანი, კარნუ-ქალაქი და ეზინკი. შესუსტდა აგრეთვე კავშირი გავლენის სფეროებთან ამიერ-კავკასიის გარეთ. ამ რიგად საქართველო გადაიქცა წმინდა ამიერ-კავკასიის სახელმწიფოდ და მის საზღვრებში დარჩა: ა) მთელი ის ტერიტორია, რომელიც თამარის ეპოქაში უშუალო სამფლობელოს შეადგენდა, და ბ) შირვანისა და განძის ვასსალური სამთავროები<sup>1</sup>, ე. ი. სულ 245.000 კვადრატ. კილომეტრი — ნაცვლად 505.000 კვადრატ კილომეტრისა. აი, ამ ტერიტორიაზე გავრცელდა აღწერა.

1253 წლის აღწერის მიხედვით საქართველოს ამ ტერიტორიაზე ითვლებოდა 810.000 კომლი სრული მიწის („ფუძის“) მქონე გლეხი, რომელსაც გადასახადი ჰქონდა შეწერილი და სამხედრო ბეგარა ედვა. აქ არ არის მითვლილი არა-გადამხდელი წოდებანი (თავადაზნაურობა, სასულიერო წოდება, ბოგანოები, და „სრული ფუძისა არა მქონებელი“ გლეხობა). სხვადასხვა სტატისტიკურ მასალების შედარებითი შესწავლა გვიჩვენებს, რომ არა-გადამხდელი წოდებანი ძველ საქართველოს სამეფოში საშუალოდ შეადგენდა 32%-ს<sup>2</sup>. ამის მიხედვით საქართველოს მთელი მოსახლეობა 1253 წლისათვის ცოტა მეტ-ნაკლებობით უდრიდა 1.200.000 კომლს. იმავე სტატისტიკური მასალების შედარებითი შესწავლა გვიჩვენებს, რომ საშუალ-საუკუნეთა საქართველოსათვის კომლზე საშუალოდ მოდიოდა სულ ცოტა 8 სული<sup>3</sup> ამ რიგად 1253 წლისათვის საქართველოს სამეფოს მოსახლეობა უნდა ვივარაუდოთ  $(1.200.000 \times 8) = 9.600.000$  სული.

თუ როგორ ნაწილდებოდა ეს მოსახლეობა ეთნოგრაფიულად, ამის წარმოდგენაც არის შესაძლებელი. საქმე ის არის, რომ საქართველო ამ დროისათვის გაყოფილი იყო ცხრა სადროშოდ, რომელთაც გამოჰყავდათ თანაბარი რიცხვი მეომრებისა. აქედან 5 სადროშოს შეადგენდა წმინდა ქართული პროვინციები, 2 სადროშოს სომხური თემები (მხარგრძელთა სამფლობელოები), ხოლო დანარჩენი ორი სჩანს განწერილი იყო მუსულმანურ სამთავროებზე — შირვანსა და განძაზე<sup>4</sup>. ამის მიხედვით ქართველობა შეადგენდა მთელი სამეფოს მოსახლეობის  $55\frac{1}{2}\%$ -ს, ე. ი. დაახლოებით 5.300.000 სულს.

ეს აღწერა, როგორც აღვნიშნეთ, ეხება მონგოლთა მფლობელობის ხანას, 1253 წელს, როცა საქართველოს ტერიტორია სანახევროდ შეკვეცილი იყო, და ამას გარდა — როგორც მემატიაწეები ამონიშნავენ — მოსახლეობამაც საგრძნობლად დაიკლო, ჯერ ხვარაზმელებისა და შემდეგ მონგოლთა ურდოების შემოსევის გამო. და თუ მონგოლთა დროინდელ საქართველოს ტერიტორიაზე (245.085 კვ. კილომეტრი) ითვლებოდა მოსახლეობა 9.600.000 სული, აქედან ქართველი 5.300 სული, თამარის დროინდელ საქართველოსთვის, რომელიც ორჯერ მეტი იყო ტერიტორიით (505.327 კვ. კილომეტრი), და მოსახლეობაც უფრო მჭიდრო იყო, მთელი სამეფოს მოსახლეობა უნდა ვივარაუდოთ სულ ცოტა 12—15.000.000, მათ შორის ქართველი 6.000.000-მდე მაინც.

1. იხ. ჟამთა-აღმწერელი და მე-XIII საუკუნის სომხის ისტორიკოსები.

2. ეს პროცენტი გამოანგარიშებულია მე-XVIII საუკუნის სტატისტიურ აღწერათა, მეფე ვახტანგის დასტულამალის თათრის ელის აღწერისა, რუსის სამწყსოს აღწერისა და სხვა სტატისტიურ მასალების შედარებით.

3. იხ. კერძოდ სეხნია ჩხეიძის ისტორია, გვ. (შეუდარეთ მე-XIX საუკუნის დასაწყისის კამესალური აღწერანი).

4. იხ. ჟამთა-აღმწერელი, გვ. 663—5. შეუდ. გვ. 623.

ხოლო როგორი იყო მოსახლეობა საშუალ-საუკუნეთა სხვა სახელმწიფოებში? არ იქნება ზედმეტი მოვიყვანოთ აქ ანალოგიები საშუალ-საუკუნეთა ევროპიდან. ცნობილია, რომ მთელი ევროპის მოსახლეობა საშუალ საუკუნეთა მანძილზე თამაშობდა 26 მილიონსა და 40 მილიონს შორის. თვით ახალ-საუკუნეთა დასაწყისში, 1480 წლისათვის, ევროპის ცალკე ქვეყნების მოსახლეობა შემდეგი იყო: საფრანგეთში — 12,600.000, ავსტრიის იმპერიაში — 9.500.000, იტალიაში — 9.200.000, ისპანიაში — 8.800.000, ინგლისში — 3.700.000, ევროპის რუსეთში (მოსკოვის სამეფოში) — 2.100.000, პრუსიაში — 800.000.

ამ რიგად მე-XIII საუკუნის დასაწყისში საქართველოს სამეფო მოსახლეობის რიცხვით სჭარბობდა ევროპის სახელმწიფოებს.

\* \*

**წინა-აზიის სახელმწიფოები.** რუკაზე, საქართველოსთან ერთად, აღნიშნულია აგრეთვე წინა-აზიის დანარჩენი სახელმწიფოები, იმ საზღვრებში — რომლებიც არსებობდნენ მე-XIII საუკუნის ათიანი წლებისათვის (1210-1222 წ.). ესენია:

### ა. ქრისტიანული სახელმწიფოები:

1. ნიკეის (ბერძენთა) იმპერია.
2. დავით კომნენის (ბერძენთა) სამეფო.
3. ლათინთა (კონსტანტინეპოლის) იმპერია.
4. კვიპროსის სამეფო.
5. იერუსალიმის სამეფო.
6. ანტიოქიის სამთავრო.
7. ტრიპოლის სამთავრო.
8. კილიკიის სომხეთის სამეფო (ლათინთა გავლენის ქვეშ).

### ბ. მუსულმანური სახელმწიფოები:

9. იკონის ანუ რუმის სულთანატი (სელჯუკი-თურქებისა).
10. ხლათის სულთანატი.
11. მოსულის საათაბეგო.
12. ხვარაზმის სამეფო (სპარსეთი).  
სპარსეთის ნახევრად დამოუკიდებელი სამთავროები<sup>1</sup>:  
  1. ადარბადაგანის (სამხრეთ-აღმოსავლეთის) საათაბეგო<sup>2</sup>.
  - m. ხამადანის სამთავრო.
  - n. ლურისტანის საათაბეგო.
  - o. ფარსისტარის საათაბეგო.
13. ბაღდადის ხალიფატი.
14. ეგვიპტის სულთანატი.
15. არაბეთი (არაბთა დამოუკიდებელი თემები).

პავლე ინგოროყვა

1. ეს სამთავროები რუკაზე აღნიშნულია იმავე ლათინური ლიტერებით, რომელიც აქ წინ უძღვის მათ ჩამოთვლას (l, m, n, o).

2. ადარბადაგანის სამხრეთ-აღმოსავლეთი თემები — ფეჰლევანიდ უზბეგის სამფლობელო. დანარჩენი ადარბადაგანი — მარალას ჩრდილოეთით — საქართველოს საზღვრებში შედიოდა.

## მოგონებანი სამოციან წლებზე

I. 1861-1862

„ეს იყო ახალ გაზაფხულზე“, — როგორც ამბობს პოეტი. გაზაფხული დამიდგა არა მარტო მე, — მთელ რუსეთს და ევროპასაც-კი. მწარე ჩავვრის შემდეგ, როდესაც მწაგვრელნი 1848 წლისთვის შურს იძიებდნენ, განთიადი ხან აქ, ხან იქ გაიელვებდა ხოლმე. იტალია გაერთიანების გზაზე იდგა. გარიბალდომ თავისი მამაცი „ათასეულით“ ის-იყო დაიპყრო ორივე სიცილია, — მთელი ქვეყანა ტაშით აჯილდოვებდა გმირს. საფრანგეთში ნაპოლეონ მესამე ლიბერალურ დათმობაზე წავიდა. სოლფერინოში განადგურებული ავსტრია პარლამენტარიზმს ამყარებდა. ამერიკა ზანგთა მონობას სპობდა. ბოლოს ჩვენში, საქართველოსა და რუსეთში, გლეხებს ანთავისუფლებდნენ. გაზაფხული იდგა როგორც ტუნებაში, ისე ცხოვრებაში. 1861 წლის მარტი იყო. ვემზადებოდი პეტერბურგისკენ, უნივერსიტეტში შესასვლელად.

ადვილი არ იყო ამ გამგზავრების უფლების მოპოება. მამა-ჩემი საიჯარადრო მშენებლობის საქმეში თავის თანაშემწედ მამზადებდა. იგი ხაზინისთვის ყაზარმებს აგებდა, მოსაზღვრე სადარაჯოებს, სასწავლებლებს, და მისთვის ერთგული განსწავლილი ხელქვეითი იყო საჭირო. ქუთაისის გიმნაზია, სადაც მან ამ აზრით მიმბარა, იმ დროს უვაროვის ტიპისა იყო. იქ, მშობლური ქართულისა და აგრეთვე რუსულის გარდა, გვასწავლიდნენ: ოსმალურს, ფრანგულს, საბუნებისმეტყველო საგნებს და მათემატიკას. მეხუთე კლასიდან, უმაღლეს სასწავლებელში წამსვლელი ლათინურის გაკვეთილებს ჰკიდებდა ხელს, სხვები-კი ამ საათებს კანონთ-მეტყველებას ანდომებდნენ.

მამა-ჩემმა მაიძულა ეს უკანასკნელი დარგი ამერჩია. კანონებისა და მათემატიკის მასწავლებლებად იყვნენ გადმოსახლებული პოლონელები — კოხანსკი და როდზევიჩი. ორივე გატაცებული თავისუფალი-მოაზროვნე და ამავე დროს თავზე ხელაღებული ლოთი იყო. მათი გაკვეთილები, როცა-კი ამ გაკვეთილებს არ აკლდებოდნენ, რევოლიუციის ნამდვილ ქადაგებას წარმოადგენდა. მაგრამ ჩვენი კლასის რვა მოწაფიდან მხოლოდ ორს, სიმონ ლოლობერიძეს და მე, ბავშობიდანვე რუსის ოჯახებში აღზრდილთ, გვესმოდა მათი გადაკრული სიტყვების დაფარული აზრი და მნიშვნელობა. დანარჩენნი გაკვეთილებს სახელმძღვანელოდან იზუპირებდნენ — „აქედან აქამდე“, და მეტ წილად არც-კი გაეგებოდათ ნაკითხულის აზრი.

იმ წლის ზაფხულს, როდესაც მეხუთე კლასში გადამიყვანეს, მამა-ჩემმა საზაფხულოდ ფოთს წამიყვანა თავისი იქაური საქმეების და მამულების გასაცნობად. ფოთი მაშინ მთლად ტყესა და ჭაობში იყო დამალული. ფოთმა შემძღვნა მალარია, რომელმაც ერთ წელზე მეტი ლოგინად ჩამაგდო. ჩემდა სანუგეშოდ, მამა მანვდიდა და მიწერავდა წიგნებს და ჟურნალებს, რომელთაც უსაქმურობის გამო გულმოდგინეთ ვკითხულობდი. განსაკუთრებით მაინტერესებდა ბაუმანის „ილიუსტრაცია“. ამ წელს ეს ჟურნალი დიდ ადგილს უთმობდა საფრანგეთის იმპერატორის მოკვლის განზრახვას, ორსინის გასამართლებას და სიკვდილით დასჯას. გიმნაზიის სამი უფროსის კლასის (მაშინ გიმნაზიაში შვიდი კლასი იყო და არა რვა) მოწაფეთა ბიბლიოთეკიდან (ეს ბიბლიოთეკა დაარსა ზოოლოგიის მასწავლებელმა ნ. ს. ლევანდამ) მიგზავნიდნენ ჟურნალების „Русский Вестник“-ის და „Современник“-ის ახალ-ახალ წიგნებს, რომელთაც მე გატაცებით ვკითხულობდი პირველი ფურცლიდან უკანასკნელამდე. ერთი წლის ავადმყოფობის დროს სრულიად ჩამოვრჩი გიმნაზიის კურსს, მაგრამ სამაგიეროდ გადავიკითხე მრავალი რამ, სასარგებლოც და უსარგებლოც. ასე მეგონა, რომ არა მარტო ლიტერატურაში, პოლიტიკაშიაც ჩემთვის საიდუმლო აღარაფერი იყო. ამან შემაყვარა კითხვა და მეცადინეობა. როდესაც 1859 წლის შემოდგომაზე მოვრჩი, ხელი მოვკიდე სახელმძღვანელოებს და ერთბაშად ორი გამოცდა ჩავაბარე: მეხუთიდან მეექვსეში და



მეექვსიდან მეშვიდეში. მაშინ გამოცდას აბარებდნენ და სწავლას ათავებდნენ დეკემბერში და არა მაისში, როგორც შემდეგ შემოიღეს, ახალი წესდების ძალით.

მეშვიდე კლასში მე ყურნალები და გაზეთებიც-კი უფრო მაინტერესებდა, ვიდრე გაკვეთილები. მაგრამ მაინც სასწავლებელი ურიგოდ არ დავამთავრე. აი, აქ წამოიჭრა საკითხი უნივერსიტეტში წასვლის შესახებ. მშობლებს არაფრის გულისთვის არ უნდოდათ ჩემი გაშვება რუსეთში. მაშინ 17 წლისა ვიყავი. მამა-ჩემს, რომელიც არა ერთხელ ყოფილა მაკარიის იარმუკაზე (ნიჟნი-ნოვგოროდშია) იქაური ჰავა ამინებდა. ამას გარდა, უნივერსიტეტში შესასვლელად, რაკი ლათინური არ მესწავლა, საჭირო იყო დამატებითი გამოცდის ჩაბარება, ხოლო წინა წელს ასეთ გამოცდებზე დამარცხდნენ ჩემზე გულმოდგინე და ნიჭიერი ყმაწვილები, მაგალითად, ბრწყინვალე პოეტი აკაკი წერეთელი. მე ალბად თავს ვერ დავახწვედი ჩვენ ყრუ და მივარდნილ ადგილებს, რომ ჩვენი გენერალ-გუბერნატორი პ. ვ. ერისთავი არ დამხმარებოდა. მისი შვილის შინა მასწავლებელი, ცნობილი ქართველი არქეოლოგი დ იმიტრი ბაქრაძე დაინტერესდა ჩემი პატარა წერილებით ქართულ ყურნალ „ცისკარ“-ში; მან გამოიკითხა ჩემი ამბავი და, გაიგო რა, რომ უნივერსიტეტში არ მიშვებდნენ, ამის შესახებ პ. ვ. ერისთავს აცნობა. ამ უკანასკნელმა დაიბარა მამა ჩემი და ურჩია, უსათუოდ აესრულებინა ჩემი სურვილი. მამა-ჩემი, რომელიც ძალიან აფასებდა გონიერ მმართველს (მან გაიყვანა ყუბანში ცნობილი „ერისთავის“ არხი), დაემორჩილა ამ რჩევას, დაემორჩილა არა მარტო შიშით, არამედ სრული ნდობით.

უფრო ძნელი იყო იმ დროს ასეთი ტანჯვით მიღებული ნებართვის სისრულეში მოყვანა. უნდა წავსულიყავით ადრე, მარტში, რათა მოგვესწრო გამოცდებისთვის მომზადება. მივემგზავრებოდით სამი სწავლა-დამთავრებული: დ. ნ. აბდუშელი, პ. ს. მესხი და მე. ჩვენმა მამებმა ფოთამდე გაგვაცილეს, საიდანაც გზას ზღვით უნდა გავდგომოდით. ქუთაისიდან ორპირამდე ვიმგზავრეთ ეტლით, მშვენიერ გზატკეცილზე, რომელიც ის იყო გაიყვანეს რიონის ნაოსნობასთან კავშირის დასაჭერად. მაგრამ ორპირიდან ფოთამდე ვიმგზავრეთ არა გემით, არამედ ნავით — ეკონომიისთვის. ჯერ არ გათენებულიყო, როცა გზას გაუდექით, ხშირი ნისლი იდგა, და მხოლოდ გვიან საღამოთი, როცა დაბნელდა, მივედით ფოთში. გავიარეთ ას ვერსამდე მდინარის მიხვეულ-მოხვეული მიმართულებით.

გემის მოლოდინში მთელი შემდეგი დღე ფოთის ციხეში გავატარეთ. ეს ციხე მაშინ წარმოადგენდა ლიმონების და ფორთოხლების სურნელოვან ნალკოტს, გაშენებულს ოსმალეთის ბატონობის დროს ადგილობრივი ფაშების მიერ მე-XVI საუკუნის ციხის მაღალი კედლების ძირში. კედლები იცავდნენ ძვირფას მცენარეებს. რამდენიმე წლის შემდეგ, როცა ეს კედლები დაანგრიეს და მისი ქვა ნავთსადგურის აგებას მოახმარეს, ნალკოტი გახმა ადგილობრივი ქარებისაგან. მის ადგილას ეხლა ქალაქის ბაღია, სადაც აღარ ხეირობს სუბ-ტროპიული მცენარე, ისეთიც კი, როგორც სოხუმში ხარობს აფარებული მთების წყალობით.

ერთი დღის შემდეგ ოსმალეთის ბათომიდან მოვიდა გემი „დიდი მთავარი კონსტანტინე“ და გაჩერდა რეიდზე, ნაპირიდან ოთხი ვერსის მანძილზე, მდინარის პანია გემმა „აკკერმანმა“ ფოთიდან წაგვასხა. რიონზე ეს „აკკერმანი“ გოლიათს ჰგავდა, მაგრამ, როდესაც იგი ზღვის გემთან გაჩერდა, ტიკინს დაემსგავსა. როცა გამოთხოვებას შეუდექით, ჩვენმა მამებმა მწარე ქვითინი მორთეს, თითქოს მართლა სასიკვდილოთ გვამზადებნო. ყველანი გააკვირვა განსაკუთრებით მამი-ჩემის ტირილმა, იმიტომ რომ იგი მაგარ, თითქმის გულქვა კაცად იყო ცნობილი. ამან საოცრად იმოქმედა ჩემზე, ბევრად უფრო მეტად, ვიდრე ორასი მანეთის და გემის ბილეთის გადმოცემამ.

გადმოვხტით კერჩში, რომ შემდეგი გზა ხარკოვსა და კურსკისკენ მოსკოვამდე საფოსტო ეტლებით განგვეგრძო. აღდგომა მელიტოპოლში გაგვითენდა. ბევრი დრო უნდა ამ გზის და ყველა იმის აღწერას, რაც ექვსი კვირის მომქანცველი მგზავრობის დროს შეგვემთხვა. ეს ის დრო იყო, როცა განთავისუფლებული გლეხობა პირველ „სადღესასწაულო

დღეებს“ ზეიმობდა. გზაში მრავლად გვხვდებოდნენ ძალზე მთვრალი გლეხები, დედაკაცებიც-კი, და ამას ვხსნიდით მათის ალტაცებით დიდი ხნის სანატრელი თავისუფლების მიღების გამო. გზაზე, ეკატერინოსლავსა და ხარკოვს შუა, შევხდით ტარას შეეჩენკოს კუბოს. მცენსკოთან, მემამულის სახლის მეზობლად გაშენებულ რომელიღაც სადგურზე წავანყდით სურათს, რომელმაც ძალზე გაგვაოცა: ხსენებული სახლის აივნიდან არა მარტო მამაკაცები, მანდილოსნებიც-კი განითლებული — მაგრამ არა სირცხვილისაგან — სახეებით გაჰყურებდნენ და სტკებოდნენ ულაცი და ჭაკი ცხენის შეხვედრით. ჩვენ, მიჩვეულნი ქართველი ქალის მორცხვობას და მოკრძალებას, ამ სცენამ პირდაპირ გაგვაშტერა...

ბოლოს, დატანჯულებმა სადგურის სტაროსტებთან და ზედამხედველებთან დავიდარაბით, იმ სტაროსტებთან, რომელთაგანაც ყველგან და ყოველთვის ერთი და იგივე გვესმოდა: „ცხენები არ არისო“, როგორც იყო მივალნიეთ მოსკოვს, საიდანაც გამგზავრება რკინის გზით შეგვეძლო. რკინის გზამ ჩვენზე უფრო დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, ვიდრე გემმა. განსაკუთრებით გაგვაოცა იმან, რომ 600 ვერსის მანძილი მოსკოვიდან პეტერბურგამდე, მთელი კვირის ნჯღრევის ნაცვლად, 24 საათში გავეროლეთ, ისიც სულ ოთხ მანეთად კაცის თავზე.

პეტერბურგში ჩავედით 9 მაისს. იმის გასაგებად, თუ რა სულისკვეთებით იყო გამსჭვალული მაშინ სტუდენტობა, საკმაოა შემდეგი ფაქტი: ჩასვლისთანავე პირველ ყოვლისა ალტაცებით გვიამბობდნენ იმპერიის უპირველეს ჩინოსანის თავად ორლოვის გაგიჟების ამბავს: გადმოგვცემდნენ, ორლოვი გაგიჟდა იმ აზრზე, რომ იგი ღორია, და პურსაც ეხლა მხოლოდ გეჯიდან სჭამს, ოთხზე დამდგარიო.

მეორე დღესვე ჩაუჯექით კიუნერის ლათინურ გრამატიკას. ოთხი თვე არ გაგვიმართავს წელი, ისე გულმოდგინეთ ვმეცადინებოდით. სექტემბერს პირველ რიცხვებში ვაივავალახით ჩავაბარეთ საბედისწერო გამოცდა, რომელმაც სტუდენტის სახელწოდებით დაგვაჯილდოვა და მწვანე ქუდის დახურვის უფლება მოგვცა.

მაგრამ ბევრად უფრო ადრე გამოცდამდე უფროსი კურსების სტუდენტებს შორის ხმები დადიოდა ცვლილებათა შესახებ უნივერსიტეტის რეჟიმში. ამ ხმებით ყველა შემოფოთებული იყო, ამბობდნენ, ხელმწიფე აღელვებულია სტუდენტობის „თავაშვებულობით“, უფრო-კი მისი მონაწილეობით „დემონსტრაციაში“, რომელიც კათოლიკეთა ეკლესიაში მოხდა. ეს დემონსტრაცია გაიმართა იმ სროლის გამო, რომელიც ჯარმა ვარშავაში აუტეხა ხალხს, როდესაც იგი ეკლესიიდან გამოდიოდა, სადაც გადახდილ იქნა პანაშვიდი პოლონეთის წინანდელ აჯანყებებში დაღუპულ მსხვერპლთა სულის მოსახსენებლად. სტუდენტთა ამ „დემონსტრაციის“ გამო გადაყენებულ იქნა სახალხო განათლების მინისტრი ლიბერალი შ. პ. კოვალევსკი. მის ადგილზე დაინიშნა ადმირალი გრაფი პუტიატინი; პეტერბურგის სამოსწავლო ოლქის უფროსად ასახელებდნენ კავკასიის ომებში ნამყოფს გენერალს ფილიპსონს. ამბობდნენ, სტუდენტთა შორის სამხედრო დისციპლინის გასამტკიცებლად განზრახვა დაუბრუნდნენ ნიკოლოზის დროის წესებს, როდესაც სტუდენტებს ჯარის მსგავსად წრთვნიდნენო, იმავე აზრით განზრახულიაო განსაკუთრებული „მატრიკულების“ შემოღება, რომ საზოგადო პოლიციამ შესძლოს თვალყური ადევნოს სტუდენტობას, რომელიც მანამდე მას არ ემორჩილებოდა. სასტიკად აიკრძალა ყოველგვარი კრება, თავმოყრა, კასები, ამხანაგური გარჩევა დავების და შეტაკებების. გააუქმეს ფორმის ტანისამოსიც, რომელიც პოლიციას ხელ-ფეხს უკრავდა და სტუდენტების დაჭერას უშლიდა; პოლიციას-კი მაშინ უვიცობის, სისასტიკის და მექრთამეობის საშინელი სახელი ჰქონდა გავარდნილი. ჩვენ, ახლად ჩასულებს, ეს ამბები შიშსა და სასონარკვეთილებას გვევრიდა: განა ამისთვის დავძლიეთ ესოდენი დაბრკოლება, ვიბრძოლეთ და ვიტანჯეთ იმისთვის, რომ უნივერსიტეტის განადგურებას მოვსწრებოდით?..

მხედველობაში უნდა იქონიოთ, რომ ყოველივე ეს ხდებოდა ყირიმის ომის შემდეგ, რომელმაც გამოააშკარავა სამხედრო ორგანიზაციის სრული ჩამორჩენილობა და რომელმაც საოცრად გაუტეხა სახელი არა მარტო სამხედრო უწყებას, არამედ მთელ მთავრობასაც. სასაცილო ამბებს აფიცრების შესახებ დასასრული არა ჰქონდა, განსაკუთრებით სტუდენტთა წრეებში. ამგვარ სულისკვეთებას (რომელიც — უნდა ითქვას — უცხო იყო კავკასიისთვის, სადაც ჯარის პრესტიჟი ძალზე ასნია თავ. ბარიატინსკის მიერ აღმოსავლეთ კავკასიის დაპყრობამ), ყველაზე უკეთ ააშკარავებდა ნიჭიერი მოამბის ი. ფ. გორბუნოვის მიერ შექმნილი ტიპი „გენერალ დიტიატინისა“, რომელიც უაზრო და გაბერილი ფორმალიზმის საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენდა. „სწავლულებთან“ შეხვედრის დროს, ისეთ „სწავლულებთან“ შეხვედრის დროსაც-კი, როგორც ახლად გამომცხვარი სტუდენტობა წარმოადგენდა, აფიცრობა განიცდიდა ნამდვილ „კონფუზს“, რომელიც ამავე სახელწოდების მოთხრობაში საუცხოვოდ ასწერა შჩედრინმა. და აი, ასეთ დროს სახელგატეხილი მხედრობის წარმომადგენლებს უმორჩილებდნენ მთელ ჩვენს სამოსწავლო უწყებას და სხვათა შორის რუსული მეცნიერების სახელსა და სიამაყეს, ხოლო ასეთი იყო ჩვენ თვალში უნივერსიტეტის ყველა პოპულიარული პროფესორი. განა შესაძლებელი იყო პროტესტისა და გულის წყრომის გრძნობით არ გავმსჭვალულიყავით?

იმ ხანებში ჩვენ, ქართველი სტუდენტები, ცოტად თუ ბევრად მოწყვეტილი და დაშორებული ვიყავით დანარჩენ სტუდენტობას, მაგრამ 1861 წლის ზაფხულის აღტყინებული სულის კვეთება ნელ-ნელა ჩვენც გადმოგვეცა იმ ჩვენი უფროსი ამხანაგების მეოხებით, რომელთაც კავშირი და ურთიერთობა ჰქონდათ რუსს და, განსაკუთრებით, პოლონელ სტუდენტობასთან. ჩვენს წრეში, პოეტის ილია ჭავჭავაძის სამშობლოში დაბრუნების შემდეგ 1861 წლის ზაფხულს, უდაო გავლენა მოიპოვა ნიკო ლოლობერიძემ, რომელმაც ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტი დაასრულა და რომელიც იერონიმე სავონაროლაზე საკანდიდატო დისერტაციის მზადებაში იყო. ლოლობერიძე ჯერ ისევ მონაფეობის დროს დაუმეგობრდა თავის მასწავლებელს ლ. პ. ზაგურსკის, გადმოსახლებულ პოლონელს და ჭკუამახვილ დიპლომატს, რომელიც ორმოცდა-ათიანი წლების ნახევარში ახალგაზრდობის შორის გაბატონებულ ლიბერალურ განწყობილებას მეტად მოხერხებულად ეროვნულ ელფერს აძლევდა და ეროვნულ კალაპოტში აყენებდა.

მეორე ლოლობერიძე, ბესარიონი, რომელმაც აგრეთვე გაათავა ფიზიკურ-მათემატიკური ფაკულტეტი, პირველზე უფრო ვიწრო შეხედულების კაცი იყო. ჩვენს პეტერბურგში ჩასვლამდე, ორიოდე წლის წინად, სომეხ-ქართველთა ურთიერთობის ნიადაგზე ორ მიმართულების შორის ოდნავი განხეთქილება მოხდა. მაშინ მოდაში შემოვიდა ეგრეთწოდებულ სათვისტომოთა დაარსება. ასეთ ორგანიზაციას ჰქონდა კასა, ბიბლიოთეკა, ჰყავდა საამხანაგო სასამართლო და სხვ. იგი წესდების ძალით მოქმედებდა და საქმეებს კომიტეტი განაგებდა. ამ საქმეში ვერც ქართველები ჩამორჩებოდნენ სხვებს. წესდების შედგენის დროს უთანხმოება ჩამოვარდა. ერთნი იმ აზრისანი იყვნენ, რომ კასა და, განსაკუთრებით, ბიბლიოთეკა წმინდა ქართული უნდა იყოსო; მეორენი კი უმჯობესად სცნობდნენ მთელ ორგანიზაციას საერთო-კავკასიური ხასიათი მისცემოდა. ამ უკანასკნელ აზრზე იდგნენ ისეთი „ქართველები“, როგორც თავ. ნაპოლეონ ამათუნი, გამაზოვი და აგრეთვე ბ. ლ. ლოლობერიძე. „ქართველებად“ მაშინ იწოდებოდნენ სომხებიც, როგორც ყოფილ საქართველოს სამეფოდან გამოსულნი და მხოლოდ ქართულ ენაზე მოლაპარაკენი, რომელთაც სომხური სულ არ იცოდნენ. უმრავლესობა მათ წინააღმდეგ წავიდა, და აი, მას შემდეგ ბ. ლ. ლოლობერიძე ნაკლებად იჭერდა ჩვენთან საქმეს. იგი კუნძულებზე სცხოვრობდა, გარუსებული სომხის შანშიევის ოჯახში, რომლის შვილებსაც უნივერსიტეტში ამზადებდა. ჩვენ მას თითქმის სულ ვეღარ ვხვდებოდით.

კალმით ვერ ავწერ იმ ალტაცებას, რომელიც ჩვენ გამოვცადეთ მაშინ, როცა უნივერსიტეტში მიგვიღეს. საერთო ფეხის ხმას ჩვენც ავყევით: დავდიოდით არა იმ პროფესორების ლექციებზე, რომელთა მოსმენაც ფაკულტეტის წესებით სავალდებულო იყო ჩვენთვის, არამედ მთელი სტუდენტობის საყვარელ პროფესორების ლექციებზე. ასეთები იყვნენ: ვ. დ. სპასოვიჩი, კ. დ. კაველინი, პ. რედკინი, პ. ვ. პავლოვი და სხვ. მათ მოსასმენად იმდენი სტუდენტობა გროვდებოდა, რომ უდიდესი აუდიტორია, მეთერთმეტეც-კი ვერ იტევდა ყველას: ნახევარი საათის შემდეგ სუნთქვა აღარ შეიძლებოდა. ზოგჯერ პროფესორი იძულებული იყო სააქტო დარბაზში გადასულიყო, სადაც სტუდენტთა უმრავლესობა ფეხზე ისმედა ლექციას. ლექციების სპეციალური ხასიათის მიუხედავად, მაინც გული გვწყდებოდა, რომ ლექცია უფრო დიდხანს არა გრძელდებოდა. კოსტომაროვის ლექციებზე, მაგალითად, ლაპარაკი იყო რუსეთის ისტორიის წყაროებზე, მათიანეთა სხვა და სხვა დროს გადანერილ ნაშთების ღირსებებსა და დეფექტებზე. ჩვენ მაშინ სტოლიარნის ვინრო ქუჩაში ვცხოვრობდით, მემქანკაზე, და იქიდან გაჭენებული ცხენივით მივეტროდით, რასაკვირველია, ფეხით, ლექციაზე, რომ ადრიან მიგვესწრო, კათედრის მახლობლად ადგილი დაგვეჭირა და პროფესორის ყოველი სიტყვა ჩაგვეწერა, ლექციის დროს სულ-განაბული ვუსმენდით პროფესორს, რომ ნათქვამიდან არ გამოგვპაროდა არც ერთი სიტყვა იმაზე, რაც ასე გვიტაცებდა და გვიზიდავდა, ხოლო გვიტაცებდა რუსული მეცნიერების მომავალი ბედის გაგება. ხშირად სიტყვებიდან გამოგვყავდა ის, რის თქმაც პროფესორს შეიძლება სულაც არ მოსვლია აზრად და რასაც არავითარი კავშირი არ ჰქონია თანამედროვე ცხოვრებასთან.

თითქმის ყველა კურსს სტენოგრაფიის მცოდნე სტუდენტები იწერდნენ, და მათი შემონახვის შემდეგ პროფესორების მიერ, ეს კურსები მეორე კვირასვე ფურცლებად გამოდიოდა, ლითოგრაფიის წესით გადაღებული, ზოგჯერ-კი სტამბაშიც დაბეჭდილი. ეს ფურცლები საკმაო იყო გამოცდების ჩასაბარებლად. მაგრამ ეს არ გვიშლიდა დავსწრებოდით ლექციებსაც. იმ შემოდგომაზე ლექციებზე არა ნაკლებ გვანტიერესებდა სხვა საკითხებიც: განზრახული ცვლილებანი უნივერსიტეტის რეჟიმში, საკითხი „მატრიკულების“ შესახებ და სხვა. ყველა ამის შესახებ ცხარე ლაპარაკი იყო აუდიტორიაში მეზობლად მსხდომ სტუდენტებს შორის.

მაგრამ ზოგიერთ ჩვენგანს სხვა რამეც იზიდავდა; ასეთ „სხვა რამეს“ წარმოადგენდნენ პირველი თავისუფალი მსმენელი „სტუდენტი-ქალები“, რომელნიც იმ წელიწადს პირველად დაუშვეს ლექციების მოსასმენად და რომელთაც მოსალოდნელი წესები განათლების ტაძრიდან განდევნას ემუქრებოდა. ასეთი მსმენელი ქალი სულ თორმეტიოდე იყო. მათ შორის განსაკუთრებით ირჩეოდა ორი და კორსინი; ესენი იყვნენ ქალიშვილები ცნობილი იტალიელი არქიტექტორისა, ისაკის სობოროს ამშენებელის, მონფერანის თანაშემწისა. ერთი და, ნატალია, მართლაც საუცხოვო სილამაზის პატრონი იყო, იგი მოგაგონებდათ მშვენიერ სურათს — „ნეაპოლიტანელ ყრმას“, მეორე მსმენელი ბლიუმმერი, და იყო ლიტერატორისა, რომელიც ნახევრად სლავიანოფინურ ჟურნალს „Светоч“-ში თანამშრომლობდა და რომელიც ორი წლის შემდეგ ბერლინში „Свободное Слово“-ს სცემდა; იგი თეთრ-ყირმიზი ქალი იყო ოდნავ ავადმყოფური იერით. ყველა თავისუფალი მსმენელი-ქალი გულმოდგინეთ იწერდა ლექციებს, საზოგადოდ მათ თავი წყნარად ეჭირათ, უბრალოდ იცვავდნენ, ყველა მათ ღრმა პატივისცემით ეპყრობოდა. ეს ის დრო იყო, როცა მ. პ. მიხაილოვი გულმოდგინეთ ქადაგებდა ქალთა ემანსიპაციას. ჟურნალმა „Современник“-მა, სადაც მიხაილოვის წერილები იბეჭდებოდა, საზოგადოების შეგნებაში განამტკიცა ის აზრი, რომ ემანსიპაციას საერთო არაფერი აქვს არა მარტო გარყვნილებასთან, არამედ სალონურ თავაშუებულებასთანაც. ამ ქადაგების ერთ-ერთ მცნებას წარმოადგენდა „ქა-



ლისადმი პატივისცემა“, რომელიც იქამდე მიდიოდა, რომ ზოგს ქალებთან უბრალო და-ახლოვებაზედაც ხელს ალებინებდა.

ლექციები სექტემბრის მეორე კვირას დაიწყო. ათიოდე დღის შემდეგ ტანისამოსის დასაკიდში, იმ ადგილას, სადაც ჩვენი მოხუცი შვეიცარი, ოთხად მოლუნული საველიჩი, რომლის მეხსიერებიდან ჯერ კიდევ არ წაშლილიყო „მეთორმეტე წლის წმინდა ხსოვნა“, სტუდენტების სახელზე მოსული ფულის უწყებებს ჰკიდებდა — გაჩნდა ჯერეთ რუსეთში არ გაგონილი რამ: დაბეჭდილი **პროკლამაცია** „ახალი თაობისადმი“. ეტყობოდა, იგი საზღვარ-გარეთ იყო დამზადებული. ამას მონმობდა ის თოვლივით თეთრი ქალაღდიც-კი, რომელზედაც პროკლამაცია იყო დაბეჭდილი და რომლის მსგავსიც იმ დროს რუსეთში არ მოიპოვებოდა; ამასვე მონმობდა მისი შრიფტი, ბევრად უფრო კოხტა და ლამაზი, ვიდრე ის, რითაც მაშინდელი რუსული ჟურნალები იბეჭდებოდა. სათაურს ქვეშ პროკლამაციას ამშვენებდა წვრილი ასოებით დაბეჭდილი ეპიგრაფი, კ. ფ. რილევის მთელი ნაწარმოები: „Я-ль буду в роковое время позорить гражданина сан“. როგორც ცნობილია, რილევის ლექსი ასე თავდება:

„Пусть юноши, не разгадав судьбы,  
Постигнуть не хотят предназначенья века,  
И не готовятся для будущей борьбы  
За угнетенную свободу человека:  
Они раскаются, когда народ, возстав,  
Застанет их в объятьях праздной неги  
И в буйном мятеже ища свободных прав,  
В них не найдет ни Брута, ни Риэги“.

ეს იყო პირველი მერცხალი დაწყებული არეულობისა. ერთმა სტუდენტთაგანმა, მგონია ნეკლიუდოვმა, ჩამოიღო კედლიდან პროკლამაციის ფურცელი და გამოაცხადა, რომ სააქტო დარბაზში წაიკითხავს მას ყველას გასაგონად. აუდიტორიებიდან გამომავალი სტუდენტები გაჰყვნენ მას. ნეკლიუდოვი შედგა მაგიდაზე, რომელზედაც ოქროს ფოჩებიანი წითელი მაუდი იყო გადაფარებული, და დიდის პათოსით წაიკითხა პროკლამაცია. გულის ფანცქალით ვუსმენდით მის მაღალ ხმას, რომელიც თანდათან აფრთოვანებაში გადადიოდა. პროკლამაცია თავიდან ბოლომდე ახალი გამოცხადება იყო ჩვენთვის. იმიტომ კი არა, რომ არალეგალურ ლიტერატურას არ ვიცნობდით: ბევრი ჩვენგანი კითხულობდა „Колокол“-ს, „Полярная Звезда“-ს და სხვა მაშინ ისკანდერის ფსევდონომით უფრო ცნობილი გერცენის ცალკე გამოცემებს, მაგრამ აქ დაცინვასთან, სარკაზმთან გვექონდა საქმე, პროკლამაცია კი გარდა იმისა, რომ ცალკე პირებსაც და მთელ მთავრობასაც ჰკიცხავდა, მოგვინოდებდა აშკარა ბრძოლისაკენ ძველი რეჟიმის დასამხოზად, და არა მხოლოდ გასასწორებლად. ანათემასავით გაისმოდა პროკლამაციის გამანადგურებელი ტონი. ჩემზე, ყოველ შემთხვევაში, ასეთი შთაბეჭდილება მოახდინა. ჟრუანტელმა დამიარა მთელ ტანში. მომაგონდა მსგავსი გრძნობა, რომელიც განვიცადათ ათი წლის წინად, როცა მოვისმინე იმერეთის ასწლოვანი მიტროპოლიტის დავითის მთავარ-დიაკვნის მრისხანე ხმით წარმოთქმული ანათემა გრიზა ოტრეპიევისა და მაზეპას წინააღმდეგ. მაგრამ ნეკლიუდოვის გარეგნობა, ზემოდ მოყვანილი ლექსი და ძალაუნებური ცახცახი, გამონვეული პროკლამაციის საჯარო კითხვით და ისიც საიმპერატორო პეტერბურგის უნივერსიტეტის ხალხით გაჭედულ სააქტო დარბაზში, ახლაც თვალწინ მიდგას, როგორც ცოცხალი სურათი.

მთელი კვირის განმავლობაში მხოლოდ ამ ამბავზე ვლაპარაკობდით. ამბობდნენ, რომ პეტერბურგის წარჩინებულმა პირებმა ფოსტით მიიღეს ეს მონოდებაო. ბევრმა თავიან-



თი ბინების შესავალ კარებთან იპოვესო. მეფეს კი მიუვიდა სხვა მოსახსენებელ ქალაქ-დებთან ერთადო.

უფრო გვიან ისიც გავიგეთ, რომ მისი გამავრცელებელი პოეტი მიხაილოვი შეიპყრეს და პეტრეპავლოვის საპრობილეში ჩასვესო. საკვირველი იყო: ლაპარაკისა და მითქმა-მოთქმის საგანი პროკლამაციის შინაარსი და დასკვნები კი არ იყო, არამედ მისი მოვლინება და გავრცელების ფორმა; ჩემთან, ყოველ შემთხვევაში, არავინ შესულა იმის გარჩევაში, თუ რამდენად მისაღები თუ მიუღებელი იყო მონოდების აზრები. ამ მხრით, ეტყობოდა, რომ ყველანი ეთანხმებოდნენ მის შინაარსს. ჩვენს წრეში არავინ ყოფილა ისეთი, რომ იმ მეფისა და მთავრობის დამცველად გამოსულიყო, იმ მეფისა და მთავრობის, რომლებმაც — სულ ნახევარი წელიწადი თუ იქნებოდა — გააუქმა ბატონყმობა. ყველა აღტაცებული იყო, რომ ცენტურისაგან თავისუფალი მონოდება ხელიდან ხელში გადადიოდა ყველას მიერ შეძლებული მთავრობის ცხვირ წინ.

შემდეგ კვირას, რამდენადაც მახსოვს, შაბათი იყო, სტუდენტებმა და თავისუფალ-მსმენელებმა თავი მოიყარეს იმავე სააქტო დარბაზის წინ. ამ შემთხვევაში ისინი წინასწარ აკრძალული სხდომის გამართვას აპირებდნენ. დარბაზის კარები დახშული დახვდათ. სტუდენტებმა, რომელთა რიცხვი ახლა გაცილებით მეტი იყო, ბევრი არ დააყოვნეს: შეამტვრიეს კარები და დარბაზიც მყისვე გაიჭედა ხალხით. დიდ ხანს ყურთა სმენა არ იყო, — ყველა ერთად ლაპარაკობდა. მაგრამ უცბად შეწყდა აურ-ზაური. სიჩუმე დამკვიდრდა. იმ მაგიდაზე, რომლიდანაც ერთი კვირის წინ „ახალ თაობის“ დიატრიხები გაისმოდა, ასულიყო უნივერსიტეტის რექტორი პლეტნევი, ჯერ კიდევ მხნე მოხუცი. გაპარსული პირისახე კათოლიკეთა ბეჯითს მოქადაგეს მიუგავდა. ეცვა იმნაირადვე. თავის სანახაობით და უფრო სიტყვით მან შთაბეჭდილება მოახდინა. იგი პუშკინმა სწორედ დაახასიათა მისადმი მიძღვნილი „ევგენი ონეგინის“ წინასიტყვაობაში:

„...души прекрасной,  
Святой, исполненной мечты“.

მოსიყვარულე მამის ხმით მიმართა რექტორმა შეკრებილთ და სთხოვა დაშლილიყვნენ, რათა უბედურება არ შემთხვეოდა მეცნიერების ტაძარს, რომლის წინააღმდეგ მტრები ისედაც ილესავდნენ კბილს. არ იყო თქმული: „რეაქცია აპირებს თავის გამოყოფას“, მაგრამ მის სიტყვას ეს აზრი კი ჰქონდა... მაგრამ, წმინდა წყლის ოცნება, ქიმერა იყო იმის ფიქრი, რომ სტუდენტობა მას დაუჯერებდა.

ერთი სიტყვითაც არავის მოუწონებია მისთვის, რაცა სთქვა, უკმაყოფილება კი გაისმა მთელ დარბაზში. ჩამოვიდა თუ არა მაგიდიდან, მყისვე სხვანაირმა სიტყვებმა დაიგუგუნეს. ჯერ ილაპარაკა უმაღლესი კურსების სტუდენტმა ნიკოლოზ უტინმა, ცნობილი იჯარადრის შვილმა და ჩვენი პროფესორის — იურისტის ბორისის ძმამ. იგი ჰყვიროდა, — კმარა რაც ველოდეთ და ვითმინეთო! ჩვენი დუმილია სწორედ იმისი მიზეზი, რომ ბოროტები და უვიცეები ასე გათავხედდნენ. „ვაშა“-თი და ტაშის კვრით შეეგება მის სიტყვებს დარბაზი. მას შემდეგ ილაპარაკეს სხვებმა იმავე კილოზე. ნაკლები „ვაშა“ არც ამათ დაუმსახურებიათ.

ამათში განსაკუთრებული სიფიცხე ეტყობოდა იურისტს ნეკლიუდოვს, რომელიც ათავებდა კურსს, თუ დამთავრებულიც ჰქონდა. ქორული გამოხედვა ჰქონდა და თვალები გადმოქაჩული. იგი შემდეგ შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგად იყო დურნოვო პირველისა და გორემიკის დროს, ალექსანდრე III მეფობის ბოლო ხანებში და ნიკოლოზ II მეფობის დასაწყისში. ამ თანამდებობაში გარდაიცვალა.

ორატორების სიტყვის შინაარსი ერთი იყო: შეუძლებელია მეცნიერების უფლებათა შეზღუდვა. ხოლო არავის უთქვამს, თუ როგორ და რა ღონისძიებით უნდა დაეცვათ ეს უფლებები.

მეორე დღეს კვირას, სექტემბრის 24-ს, ისიც იყო ვისადილეთ მ. ი. სემიონოვის ქალთან, რომელიც თვეში 7 მ. 25 კ. გვაჭმევდა ნისიად სადილს ქართველ სტუდენტებს და ფრანგ ორიენტალისტს ჟაბას, რომ სასადილოში შემოვიდნენ ორი ლოლობერიძე, ნ. ვ. და ბ. ლ., რომლებიც დიდი ხანია ერთად არ გვენახა. ახლა ისინი ყოვლად შეთანხმებული მეგობრების შთაბეჭდილებას სტოვებდნენ. ერთი რომ დაიწყებდა ლაპარაკს, მეორე დაათავებდა. ლოლობერიძეებმა გადმოგვცეს, რომ ხვალ მთელი სტუდენტობა „დემონსტრაციაზე“ გამოდისო და ჩვენც გამოუკლებრივ უნდა მივიღოთ მონაწილეობაო. დემონსტრაცია კი იმაში უნდა გამოხატულიყო, რომ სტუდენტები თავს მოიყრიდნენ ჯერ უნივერსიტეტში და მერე ნევის პროსპექტით და ვლადიმირის ქუჩით გაემართებოდნენ, რათა პეტერბურგის სამოსწავლო ოლქის მზრუნველისათვის წარედგინათ მოთხოვნილება უნივერსიტეტის წინანდელი წესრიგის დაცვისა და მატრიკულის შემოღების წინააღმდეგ პროტესტი განეცხადებიათ.

მოვისმინეთ ეს ცნობა, და იმის მაგიერ, რომ პასუხი მიგვეცა, გაკვირვებით დავდუმდით. ბოლოს „პროტესტის წინააღმდეგ პროტესტის“ გამოსაცხადებლად გამოვიდა დ. ნ. აბდუშელი. იგი კიბოსავით განითლებულიყო, ბორძიკობდა და ისე ლაპარაკობდა. მან სთქვა, ჩვენ იმისთვის ვართ აქ ჩამოსული, რომ უნდა ვისწავლოთ, და არა მთავრობას ვასწავლოთო. მთავრობა ჩვენ, რასაკვირველია, არ გაგვიგონებს და უკან სახლში გაგვაბრუნებსო, რაც ჩვენთვის გაცილებით უარესია, ვიდრე ციმბირში წასვლაო. ჩვენი მშობლები დაგვამწარებს ყოველ ლუკმას ტყვილა ხარჯების განწევისათვისო. ლოლობერიძეებს არც კი სჯეროდათ, რაც მოისმინეს. ახალგაზრდობა ყოველთვის ემორჩილებოდა მათ და პირველად წააწყდნენ ახლა ურჩობას. მათ ის უპასუხეს, რომ შეუძლებელია ქართველები ჩამორჩნენ, როდესაც ყველა სათვისტომოები დემონსტრაციაში მონაწილეობას იღებენო. ამაზე კირილე ლორთქიფანიძემ შენიშნა, რომ ქართველები სხვებს ვერ მიბაძავენ. რუსეთში, პოლონეთში, მალდოვინაში ბევრია წასწავლი ხალხიო. ეს ქვეყნები უინტელიგენციო არ დარჩება, მათი ახლანდელი სტუდენტობა სულაც რომ აღიგავონ პირისაგან დედამიწისა. ჩვენში კი საქმე სხვანაირია. ჩვენ ქართული სტუდენტობის პირველი თაობა ვართ. ჩვენ რომ ახლა დავბრკოლდებით, ქართველ მამებს შემდეგ ვერც კი გააგონებ — შვილები უნივერსიტეტში გამოგზავნონო. ძველებურად საკადეტო კორპუსებში მიაბარებენ, მით უმეტეს ეს უფრო ადვილი საქმეა და უფრო იაფიც ჯდებაო. ბევრი კამათის შემდეგ ნიკოლოზ ლოლობერიძემ წასვლისას სიტყვა გვესროლა: ვინც მშიშარა ხართ, სახლში დარჩითო. ეს კი საკმაო იყო იმისათვის, რომ არა თუ დემონსტრაციაზე წავსულიყავით, არამედ თავი კედელზედაც შეგვეხეთქა.

კამათში მე მონაწილეობა არ მიმიღია. ეს იმიტომ, რომ პატარა ვიყავი და ამას გარდა კამათი ძალიან უქმად მეჩვენებოდა. მე ვერ წარმომედგინა, რომ მთავრობა, რომელიც მე კავკასიური გაგებით სიბრძნის წყაროდ მეჩვენებოდა, დაუშვებდა დემონსტრაციის მოხდენას ქუჩებში. ნევის ხიდებს გასხნის და ამით გათავდება ყველაფერი მეთქი, ვფიქრობდი. წინააღმდეგ ჩემი წარმოდგენისა, დემონსტრაცია არა თუ მოხდა, უფრო თვალსაჩინოდ და დიდებულად ჩატარდა, ვინემ მის მომწყობთ ჰქონდათ წარმოდგენილი. რამდენიმე ათასი სტუდენტი, მწყობრად მიიმართებოდა სასახლის ხიდზე, ნევის გასწვრივ და დაბრკოლება არსად არ შეხვედრია. მალე შეუხვეიეს ვლადიმირსკის ქუჩით და გავიდნენ კოლოკოლნაიაზე. დმიტროვსკისა და პოვარსკის შესახვევებთან. პროცესიის თავი ყაზანის ტაძართან იყო, ხოლო ბოლო სასახლის ხიდზე. „მალაია სადოვაიას“ ქუჩასთან შემოგვხვდა დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე (ახლანდელის მამა), რომელიც სადღაც მიემგზავრებოდა „ლიხაჩზე“. მან გააჩერა ეტლი და იკითხა, სად მიდიან სტუდენტებიო? უპასუხეს, რომ მზრუნველთან მიდიან მატრიკულების წინააღმდეგ პროტესტის გამოსაცხადებლად. მაშინ ბრძანებას დაჩვეული ხმით სთქვა: „разойтись!“ და გაჰყვა თავის

გზას. პროცესიამ კი თავისი გზა განაგრძო: მზრუნველი თავის ბინაზე არ აღმოჩნდა. ჩვენ დიდ ხანს ველოდეთ მას და, ალბად, მალე გავიფანტებოდით სადილის საჭმელად, რომ არ გამოჩენილიყო პრეობრაჟენსკის პოლკი მთელი თავისი შეიარაღებით. ყველას ისე მოეჩვენა, თითქოს პოლკი დიდი მთავრის მიერ ყოფილიყო გამოგზავნილი. პოლკი ნელ-ნელა გაიშალა და ალყად შემოერტყა კოლოკოლის ქუჩის სამხრეთის მხარის ქვაფენილს და დაიჭირა ვლადიმირსკის ქუჩაში გასავალი; პოლკის უფროსები და გენერალიტეტი მოთავსდნენ ვლადიმირსკისა და კოლოკოლის ქუჩების კუთხეში. ოფიცრებმა და ადიუტანტებმა წინადადება მისცეს სტუდენტებს, დაშლილიყვნენ. სტუდენტებმა უპასუხეს, რომ მზრუნველის სანახავად იყვნენ მოსულნი. ამასობაში ჯარისკაცებმაც გასტენეს თოფები (მაშინ თოფები ლულიდან იტენებოდა ზუმბით). ისინი შორიდან გვიჩვენებდნენ ტყვიებს, — გვაფრთხილებდნენ — კი არა ვხუმრობთო. ამან ბევრი ჩვენგანი შეაშინა და კიდევაც იკადრეს გაქცევა პოვარის შესახვევით. კირილე ლორთქიფანიძე, და მეც არ მიხდოდა მას ჩამოვრჩენოდი (ერთ ოთახში ვცხოვრობდით), აგრეთვე დ. აბდუშელი და კიდევ სხვები გაედევნენ მათ და უკან დააბრუნეს. ეხლა ჩვენსა და ჯარისკაცებს შუა ჩააყენეს. — რა კი ერთხელ მოვსულვართ, მორჩა ჩვენი უნდა გავიტანოთო, — უთხრეს. საბედნიეროდ საქმე მშვიდობით დამთავრდა. საიდანღაც ფილიპსონიც გაჩნდა — შუატანის, პირსავსე კაცი, რომელიც ღია და მხიარულ თვალებით იცქირებოდა. მას გენერალური შტაბის მუნდირი ეცვა, ხოლო დაჭრილი ხელი მხარზე ჰქონდა შესახვევით დაკიდებული. თმასა და ბაკენბარდში ჭალარა შერეოდა. ფილიპსონმა სულ ახლო გაიარა იმ ჯგუფთან, რომელთანაც მე ვიდექი. ამ შემთხვევის წყალობით გარკვევით გვესმოდა მისი საუბარი სტუდენტებთან. უფრო დაუახლოვდით, როცა მან სრულიად დამშვიდებით შეუდგა იმის განმარტებას, რომ საქმიანი მოლაპარაკების წარმოება ქუჩაში მოუხერხებელია და ამისთვის უნივერსიტეტში წავიდეთო. ჩვენ ვუპასუხეთ, რომ წავიდოდით იმ შემთხვევაში, თუ პრეობრაჟენსკის პოლკი მოიხსნებოდა და თავის სადგომს დაუბრუნდებოდა. ფილიპსონი მყისვე გაეშურა გენერალიტეტთან, საიდანაც მალე მობრუნდა უფრო მხიარული, ვინემ საზოგადოდ იყო. მან გვითხრა, რომ პოლკი წავაო. მართლაც პოლკი მალე მოიხსნა და წავიდა. ფილიპსონმა გამოგვიცხადა, გენერალ-გუბერნატორს ალუთქვი, რომ პასუხს ვაგებ სტუდენტების ყოფაქცევისათვისო.

სრულიად მოულოდნელად მზრუნველთან მოსაუბრე სტუდენტებმა ქართველ სტუდენტების ჯგუფს დააკისრა გაჰყოლოდა ფილიპსონს უნივერსიტეტამდე. ამაზე უფრო საკვირველი ის იყო, რომ ქართველების ჯგუფმა ამ მისსიის შესრულება მე და გ. ჯავახიშვილს მოგვანდო. გ. ჯავახიშვილს სტუდენტები მეტ სახელად „ბატს“ ეძახდნენ მისი ბატვიით დარხეული სიარულისათვის. საფიქრებელია, რომ პასუხისმგებელ სტუდენტებს ეჩოთიერებოდათ მზრუნველთან ქუჩაში გავლა, და ჩვენც ამისთვის დაგვასახელეს. მართლაც, მე და ჯავახიშვილი ყველაზე უფრო დაბალი ვიყავით და ანგარიშსაც ყველაზე უფრო ნაკლებად გვინევდნენ. თუმცა პატარები ვიყავით — თითქმის ბავშვები შედარებით, მაგრამ ფილიპსონს მაინც არ ეხერხებოდა ჩვენთან სიარული. ნევის პროსპექტამდე ის თავაზიანად გვესაუბრებოდა. გამოგვიკითხა, ვინ ვიყავით და საიდან. როცა გაიგო ჩვენი ქართველობა, მოიგონა რამდენიმე ქართველი ოფიცრის სახელი და მამის სახელი, რომლებიც სამსახურში ყოფილიყვნენ მის ხელქვეით. მის მიერ დასახელებულ ოფიცრებში რამდენიმე ჯავახიშვილის ნათესავი აღმოჩნდა, რამდენიმე კიდევ დედა-ჩემის. შემდეგ მოიმიზეზა გზის სიშორე და დაჭრილი ფეხი და გვთხოვა, დაგვეჯერებია კავკასიის ოფიცრის პატიოსანი სიტყვა, რომ თვითონ წავიდოდა უნივერსიტეტში და იქ მოგვიცდიდა — თვითონ ავიღე ხომ ჩემს თავზე პასუხისმგებლობაო, გვითხრა. მაგრამ ჩვენ ვერ გავბედეთ, მონდობილობა პირნათლად არ შეგვისრულებია — უარი უთხარით, ვერ მიგატოვებთ-თქო. მაშინ მზრუნველმა წინადადება მოგვცა, მასთან ერთად ეტლით გავმგზავრე-

ბულიყავით. ამან კი დაგვარწმუნა, რომ ფილიპსონი მართლა ნავიდოდა უნივერსიტეტში. ვენდვეთ და თავი მივანებეთ.

სანამ უნივერსიტეტამდე მივალწევდით, მთელი გზის მანძილზე, სტუდენტებმა სული გავვიმწარეს საყვედურებით: რად დაანებეთ თავი, იგი საზამთრო სასახლეში შევივლიდა უთუოდ და ახალს ჯარს გამოაყვანიებს ჩვენს წინააღმდეგო. — როგორ იქნება? — ვიმართლებდით ჩვენ თავს, — განა კოლოკოლის ქუჩაზე არ ჰყავდა მზა ჯარი, და თვითონ არ გაუშვა? რომ ნდომოდა მით ესარგებლნა, ვინ უშლიდა ხელს?

ფილიპსონი, მართლაც, უნივერსიტეტში დაგვხვდა. მას მცველებიც კი არ ახლდა. მხოლოდ რამდენიმე „ბულოჩნიკი“ — როგორც მაშინ ვეძახოდით პოლიციელ დარაჯებს — თავის პოსტზე იდგნენ ჩვეულებრივ.

ფილიპსონის წინადადებით სახელდახელოდ არჩეული იქმნა „დეპუტაცია“, რომელიც უნდა წარსდგომოდა განათლების მინისტრს და ჩვენი საჩივარი მოეხსენებია. ამის შემდეგ ჩვენც მშვიდობიანად დავიშალენით ჩვენ-ჩვენ სახლში. როგორც საკუთარი თავით, ისე ფილიპსონითაც ყველანი ფრიად კმაყოფილი ვიყავით. მაგრამ... ვაი, რომ ეს კმაყოფილება მხოლოდ ერთ ღამეს გაგრძელდა!

მეორე დილას, როცა უნივერსიტეტში მივედით, მისი ორივე შესავალი კარი დაკეტილი დაგვიხვდა. ზედ განცხადება იყო გაკრული, რომ უნივერსიტეტი დაკეტილია და სტუდენტებიც დათხოვნილები არიან. შესავალ კარებს იცავდა პოლიცია. გაცეხული სტუდენტობა ჯგუფ-ჯგუფად დადიოდა მდინარის განაპირა ქუჩაზე. მალე უნივერსიტეტის წინ შეგროვდა სხვა ახალი ჯგუფებიც — შემდგარი მწერლებისა, პროფესორებისა, მღვდლების და ქალებისაგან. ჩვენ ახლებს, ძველი სტუდენტები შორიდან გვაჩვენებდნენ გამოჩენილ პირებს, — არტილერიის პროფესორებს პ. ლ. ლავროვს და ნ. ენგელგარდტს, სატყეო აკადემიის პროფესორს ნ. ვ. შელგუნოვს, „Отечественные записки“-ს თანამშრომელს ალბერტინის, გამომცემელს ნ. ლ. ტიბლენს და ბევრ სხვას, ყველას ვერ ვიგონებ. ჩვენ გავვოცდით, როცა ყველა ეს პროფესორები სამხედრო ტანისამოსში და პოლკოვნიკის ჩინებში დავინახეთ. საქმე იმაშია, რომ იმ დროს ყველანი, ვისაც კი გათავებული ჰქონდა უმაღლესი ტენიკური, სამთო, სატყეო, საინჟინერო ან საარტილერიო სასწავლებლები, და თვით გზათა ინჟინერებიც-კი სამხედრო ტანისამოსს ატარებდნენ — ისეთივე მოქარგული ხავერდის საყელოთი და სამაჯეებით, ისეთივე აქსელბანტებით, როგორიც ჰქონდათ ცარიზმის რეჟიმის უკანასკნელ დღეებში გენერალური შტაბის ოფიცრებს.

სხვადასხვა უწყება მხოლოდ იმით განირჩეოდა, რომ ზოგი მათგანის ნაქარგები, ღილები და აქსელბანტები ვერცხლისა იყო, ზოგისა კი ოქროსი; ზოგი ამ აქსელბანტებს ატარებდა მარჯვენა მხარზე, ზოგი კი — მარცხენაზე. მაყურებელთა ეს სხვადასხვა ჯგუფები, რომელნიც მოდიოდნენ იმ დღეს და შემდეგ დღეებშიაც, რათა დამტკბარიყვნენ ჩვენი „მოძრაობით“ და ამით გამოეცხადებინათ ჩვენთვის თანაგრძნობა, მართალი ვითხრათ, უცნაურ და საკვირველ სანახაობას წარმოადგენდა. ამას შეეძლო შეცდომაში შეეყვანა არა თუ მხოლოდ ისეთი ბავშვები, როგორც ჩვენ ვიყავით; ბევრი ჩვენზე უფროსებიც, როცა ხედავდნენ ამოდენა წარჩინებულ პირებს, შემკულთ ჩინ-ორდენებით, რომელნიც ტაშს გვიკრავდნენ და ყვავილებს გვესროდნენ, დარწმუნებული იყვნენ, რომ მთელი რუსული საზოგადოება ჩვენთან არის და რომ მთავრობის დღეები დათვლილია. არა თუ მანდილოსნები, არამედ ხშირად თითონ ეს წარჩინებული პირებიც მოგვართმევდნენ ხოლმე მშვენიერ თაიგულებს, რომლებსთვისაც, არც კი ვიცოდით, რა გვექნა. ჩვენში ცოტალა დარჩა ისეთი, რომელსაც არ სჯეროდა, რომ მთელი რუსეთი ჩვენთან არის.

მაგრამ ეს მოჩვენება იყო. მალე ცივი წყალი გადაგვესხა, როცა შევიტყეთ, რომ ღამე დაუჭერიათ ჩვენ მიერ გუშინ არჩეული დეპუტატები და ჩაუსვამთ პეტროპავლოვსკში. თუ ამ დრომდე ჯერ კიდევ გვერივნენ ისეთი სტუდენტები, რომელნიც დემონსტრაციის



წინააღმდეგნი იყვნენ და მეცადინეობის გაგრძელება სურდათ, ამას შემდეგ ისინიც უკიდურესნი გახდნენ. არა, შეუძლებელია დამშვიდებული მეცადინეობა მაშინ, როცა თავს გადავას ასეთი საზიზღარი მთავრობა, რომელიც ამგვარ სისაძაგლეს სჩადის! და ან როგორ შეგვეძლო ჩვენ შუა გზაზე შეჩერება, როცა ერთის მხრით ჩვენ ვხედავდით ცბიერ მთავრობას, რომელიც მეცნიერების გაუქმებას აპირებდა, ხოლო მეორე მხრით კი რუსული საზოგადოება, მისს საუკეთესო მეცნიერთა და მწერალთა სახით, ტაშს უკრავდა ჩვენს მოძრაობას მთავრობის წინააღმდეგ. ადვილი წარმოსადგენია რა ალტაცებაში იქნებოდნენ მთავრობის განკარგულებათა გამო ჩვენი მოძრაობის დამწყები მეთაურები, როცა ხედავდნენ, რომ ეს კიდევ უფრო ამხედრებს სტუდენტობას, მარტო ამ დატუსაღებამ დეპუტაციისა, რომელიც მზრუნველის წინადადებით იყო არჩეული, უფრო მეტი გავლენა იქონია, ვიდრე ეს შეეძლო მოეხდინა ყველა აგიტატორებისა და პროპაგანდისტების შეერთებულ ძალებს.

ამის შემდეგ დაიწყო და გაიბა ყოველდღიური ყრილობები ცის ქვეშ, ჯერ უნივერსიტეტის ეზოში — სანამ ისიც არ დაგვიკეტეს — და შემდეგ კი მდინარის განაპირა ქუჩაზე და მოედანზე უნივერსიტეტის წინ. ვიდრე შეიძლებოდა ეზოთი სარგებლობა, ორატორები ადიოდნენ შეშებზე, რომელიც დალაგებული იყო წყებად ზამთრისათვის, ხოლო როცა ყრილობები ქუჩაში გადმოვიდა, ორატორები ადიოდნენ მდინარის პარაპეტზე, ან და უნივერსიტეტის ბაღის ღობეზე. და ეს გრძელდებოდა დღითი-დღე. რასაკვირველია, რაც უნდა მჭევრმეტყველი და მოსწრებულები არ ყოფილიყვნენ ჩვენი ორატორები, მაინც მასალა მათი ახალი ამბებისა და მთავრობის მხილებისა, თანდათან კლებულობდა. დაიწყო ერთი და იმავეს განმეორება. მსმენელების რიცხვი დღითი-დღე კლებულობდა; სამაგიეროდ ამავე პროპორციით იზრდებოდა „თანამგრძობთა“ რიცხვი, მეტადრე ქალების წრიდან. თითქო განგებ, ამას ამინდიც ხელს უწყობდა. მშვენიერი მშრალი შემოდგომა იყო.

ხელმწიფე ამ დროს საქართველოში იმყოფებოდა, ფოთსა და ქუთაისში; იგი სტუმრად იყო შამილის დამამარცხებელ ახალგაზრდა ფედმარშალთან თავად ა. ი. ბარიატინსკისთან. პეტერბურგის მთავრობა — სამხედრო გენერალ-გუბერნატორი ანენკოვი და ობერ-პოლიცემისტერი გენერალი პატკული ვერ ბედავდნენ უიმისოდ რაიმე სასტიკი ზომების მიღებას, მით უფრო, რომ საქმე ეხებოდა ცალკე უწყებას, სამოსწავლოს, რომელიც მათ სრულებით არ ექვემდებარებოდა და რისთვისაც არც პასუხს აგებდნენ. თითქმის ორი კვირის განმავლობაში ჩვენ ვიყავით სატახტო ქალაქში თუ ბატონები არა, ყოველშემთხვევაში ნამდვილი გმირები: პოლიციისა და სამოსწავლო მთავრობის სრული უმოქმედობის გამო, ჩვენ ყოველ დღე ვიკრიბებოდით, ვიგებდით ახალ ამბებს, უმთავრესად ღამე დატუსაღებულთა შესახებ, — უზიარებდით ერთმანეთს აღწფოთებას, ვტკბებოდით მაყურებელთა ცქერით, მეტადრე თაიგულებიანი ქალებით, და მხოლოდ სადილობის დროს დავიშლებოდით. ასე გაგრძელდა 25 სექტემბრიდან — 13 ოქტომბრამდე. უნდა ვიფიქროთ, რომ როცა ამიერ-კავკასიაში მივიდა მეფესთან მოხსენება სტუდენტობის არეულობის შესახებ, კავკასიის დამპყრობმა ბარიატინსკიმ, რომელიც პირადი და საყვარელი მეგობარი იყო ალექსანდრე II-სი, ურჩია მეფეს არეულობის დაუყოვნებლივ მოსპობა. იყო ეს მისი რჩევით თუ არა, მხოლოდ ამგვარი ბრძანება მართლაც მიღებულ იქმნა. და ორშაბათს, ოქტომბრის 13-ს, როცა ჩვენ ჩვეულებისამებრ შევიკრიბენით უნივერსიტეტის მთავარ შესასვალთან, და ყრილობა არც კი დაგვეწყო, უეცრად გამოჩნდა ჯარი და სწრაფად და მოხერხებულად ალყა შემოგვარტყა. ჩვენ შეგვრეკეს უნივერსიტეტის ეზოში, რომელიც ამდენიხანი დაკეტილი იყო ჩვენთვის. აქ დაიწყო გრძელი და მოსაწყენი ამბავი, ჯერ ჩაგვწერეს, შემდეგ გამოგვიძახეს, და ამაზედ სამი საათი მაინც წავიდა, თუ მეტი არა. დაჭერილი ვიყავით ასამდე ყმანვილკაცობა. მაგრამ სანამ ეს გაჭიანურებული ამბავი დატუსაღებულთა სიის შედგენისა გრძელდებოდა, ცნობა ჩვენი დატუსაღების შე-



სახებ სწრაფად მოსდეს ქალაქს „მაყურებლებმა“. როცა კი გამოგვიყვანეს უნივერსიტეტის ეზოდან დასავლეთის კარებით, რომ ტუჩკოვის ხიდით პეტროპავლოვსკის ციხეში წავეყვანეთ, ამ დროს უეცრად იმ ჯარს, რომელიც გარს გვერტყა, თავს დაესხა სტუდენტების დიდი ბრბო, რომელსაც სურდა გაენაწილებია ჩვენი ხვედრი. ყველანი დაიბნენ, არა თუ ჯარისკაცები, მათი უფროსებიც. ეს თავდასხმა ჩვენი განთავისუფლებისთვის რომ ყოფილიყო მოწყობილი, მაშინ, რასაკვირველია, არავითარი რყევა არ იქნებოდა და იმ წამსვე იხმარდნენ ჩვენზე ხმალსაც და თოფსაც. ეხლა კი იერიში გარედან მოჰქონდათ, და ეს ჩვენი განთავისუფლებისთვის კი არა, არამედ რათა თითონ დატყვევებული ყოფილიყვნენ. ეს უმაგალითო შემთხვევა იყო: აქ ძალაუფლებურად დაიბნეოდი. თავდამსხმელი სტუდენტობა სამასზე მეტი იყო. დაიწყო რაღაც ხელჩართული ბრძოლის მაგვარი. გვარდიელები ცდილობდნენ დაეშალათ სტუდენტებისთვის მათი რიგების დარღვევა. მაინც ას ორმოცდაათმა ყმანვილმა მოახერხა რიგის დარღვევა და ჩვენ წრეში შემოიჭრნენ, თუმცა ამ დროს ბევრს მათგანს დაუმტვრიეს გვერდები და ერთს კი — თავიც გაუხეთქეს. სტუდენტთა ბრბოს დანარჩენი ნაწილი გაჰფანტა ცხენოსან ჟანდარმთა ესკადრონის უეცარმა იერიშმა, რომელმაც შუაზე გააპო მათი რიგები. ყოველივე ეს, რამდენიმე წუთის საქმე იყო: სტუდენტების ხელჩართული ბრძოლა წრეში შესასვლელად, ესკადრონის თავდასხმა, ასორმოცდაათი სტუდენტის შემოჭრა ჩვენს წრეში, და დანარჩენი „სოლიდარული“ სტუდენტობის განაპირება მოედნის შორე კუთხეში. ამასთან არა მცირედი რიცხვი სტუდენტებისა, ცხენებით გათელილი ან კონდახით ნაცემი, ეყარნენ ქვაფენილზე.

ჩვენი პირველი ალყის შემორტყმა უნივერსიტეტთან დილით ათ საათზე მოხდა. ციხეში მიგვიყვანეს სალამოთი. მაგრამ ციხეშიაც დიდ-ხანს ვიდექით ეზოში იმავე ყარაულით, ვიდრე გაანთავისუფლებდნენ ჩვენთვის რამდენიმე კაზემატს: ეს კაზემატები ფანჯრებით ნევაზე გადიოდნენ, სასახლის პირდაპირ, ცოტა ჩრდილოეთით იმ ადგილიდან, საიდანაც ციხის კომენდანტი ზეიმით გადადის ხოლმე ნევას ნოვიგაციის გასახსნელად. სანამ ჩვენ ეზოში ვიდექით გაუპტვახტის წინ, ძველმა სტუდენტებმა შეამჩნიეს მას იქით პოეტი მ. ლ. მიხაილოვი, რომლის ცნობა ძნელი არ იყო მისი კალმიკური სახის გამო (პოეტის დედა კალმიკების მფლობელი მთვარის ქალი იყო).

ჩვენ ყველამ დაბლა თავი დაუკარით და ისიც დიდხანს გვიქნევდა თავს, თითქო ყველას ცალ-ცალკე. რამდენიმე წლის შემდეგ, როცა პოეტი უკვე გარდაიცვალა კატორლაში, მე სხვადასხვა სარწმუნო წყაროებიდან გავიგე, რომ პროკლამაცია „ახალ თაობისადმი“, რომლის გამო იგი დაიღუპა, არ ეკუთვნოდა მას, არამედ შედგენილი იყო და საზღვარზე გამოტარებული ნ. ვ. შელგუნოვის მიერ. პოეტმა მთელი ბრალდება თავის თავზე მიიღო, რომ ამით თავიდან აეშორებინა ჩხრეკა და დაპატიმრება პუბლიცისტის ლ. პ. შელგუნოვის მეუღლისათვის, რომელსაც მძიმე ბრალდება დაედებოდა. სამოციან წლებში ცნობილი პორტრეტი — მიხაილოვი ციხეში — დახატული იყო იმ სალამოს ერთი სტუდენტის მიერ ჩვენი ჯგუფიდან.

ვიდრე კაზემატებში შეგვიყვანდნენ, ჩვენ ხელახლა დავგვთვალეს სიის მიხედვით, პლაცადიუტანტის თანადასწრებით, და შემდეგ მისცეს ხელწერილი ყარაულს პარტიის მიღებაში. სულ აღმოჩნდა 240 კაცი. ეს სწორედ ის სიაა, რომელიც ცოტა ხნის შემდეგ გამოქვეყნებული იყო „Колоска“-ში. ჩვენ მოგვათავსეს რვა დაბალ, ბნელ და ნოტიო თაღებიან კაზემატში, რომლებიც ისე დაბლა იყო მოთავსებული, რომ თითქმის მდინარის გასწვრივ მდებარეობდა. კაზემატები შეერთებული იყო ერთი-მეორესთან, ასე რომ ეს რვა კაზემატი ერთ დიდ ოთახს წარმოადგენდა; განათებული იყო ოდნავ მბჟუტავი, თაღებში დაკიდებული ფარნებით. არავითარი ავეჯი, არც სანოლი, არც ნაალი და საბანი. ცოტა ხნის დგომის შემდეგ, ჩვენ დალლილობისგან ჯერ ჩავსხედით და შემდეგ კი, დავნექით ცარიელს, მაგრამ საკმარისად სუფთა იატაკზე, ვინც სად იდგა, უჭმელ-უსმელები. მეტად გაუჭირდათ ეს

ლამე მათ, ვინც-კი იმ დილას ჩემსავით უჭმელი გამოვიდა, მარტო პიჯაკით. მაინც მგონია, რომ იმ ღამეს, მიუხედავად საშინელი დაღლილობისა, თითქმის არავის ეძინა.

დილას დაიწყო დანაწილება ცალკე ჯგუფებად, სათვისტომოების მიხედვით. პოლონელები მოენწყვნენ ყველაზე უფრო დაშორებულ ოთახში. უკრაინელებმაც მოაწყვეს აგრეთვე ცალკე რადა, და გვართობდნენ თავიანთი მშვენიერი სიმღერით, რომლის პირველს ამბობდა ყირიმელი ხარტახაი. მათ ჯგუფშივე იყვნენ ევტუშევსკი, შემდეგ განთქმული პედაგოგი და სახელმძღვანელოების ავტორი, და გულევიჩი, ორთავენი დაულალავი მისტიფიქატორები, რომლებიც წამ-და-უნუმ ავრცელებდნენ სახუმარო ჭორებს და სიცილით ხოცავდნენ ყველას. ჩვენ, კ. ლორთქიფანიძესთან და აბდუშელთან ერთად, მოვხვდით ჯგუფში, სადაც პირველობდა თავისუფალი მსმენელი იგნატი პიოტროვსკი. მისკენ მე მიზიდავდა ის გარემოება, რომ მას ვიცნობდი, როგორც ავტორს ცოცხალი წერილებისას „Современник“-ში, საერთო სათაურით: „Погоня за лучшим“. შემთხვევით მის გვერდში მოენყო სრულიად საწინააღმდეგო მიმართულების მიმდევარი სემინარელი ლინევი, კოსტრომელი, რომელიც დიდის ხალისით მიხსნიდა ჩვენი ტყვეობის მთელი ხნის განმავლობაში ჰეგელის ფილოსოფიის ენას და თავისებურობას. ცოტა მოშორებით იწვნენ სხვა სტუდენტები, რომლებსაც ჩვენ დაუახლოვდით ყრილობებისა და მღელვარების ამ კვირეებში: სამარინი და როჟდესტვენსკი; ისინიც აგრეთვე გატაცებულნი იყვნენ ლიტერატურით და ჟურნალიზმით. ყველა ესენი ჩემთვის ცოცხალ ენციკლოპედიას წარმოადგენდნენ: ისინი მაძლევდნენ პასუხს ყველა იმ საკითხებზე, რომლებიც მაშინ მაინტერესებდა, თუმცა მათი ახსნა სხვადასხვანაირი იყო და ზოგჯერ ერთი მეორეს საწინააღმდეგოც, მაგრამ ესეც მომწონდა, რადგან მაიძულებდა ფხიზლად ვყოფილიყავი და მეც გამეძრია ტვინი.

ჩვენი დატყვევების ცოტა ხნის შემდეგ როჟდესტვენსკიმ დასწერა (ლექსად) „წერილი მ. დ. მიხაილოვს“, რომელიც დიდად მოეწონა სტუდენტობას. ეს „წერილი“ იწყებოდა შემდეგ ნაირად:

„Из стен тюрьмы, из стен неволи,  
Мы братски шлем тебе привет.  
Да усладит в печальной доле  
Тебя, любимый наш поэт.  
Проклятым гнетом самовластья  
Нам не дано тебя обнять,  
Чтоб дань любви и дань участия  
Тебе, учитель наш воздать...“ და სხვ.

სტუდენტები, როცა კითხულობდნენ და აქებდნენ ამ წერილს, რასაკვირველია, არც კი ჰქონდათ ეჭვი, რომ იგი მართლაც მიაღწევდა მიხაილოვთან. როგორი უნდა ყოფილიყო ჩვენი აღტაცება, როცა რამდენიმე დღის შემდეგ მიღებულ იქნა პოეტის პასუხი: „სტუდენტებს“, რომელმაც ბევრს ცრემლები გვაფრქვევინა. არა მგონია, რომ ვინმე ჩვენგანს სიკვდილამდე დავიწყებოდეს ეს ნაგრძნობი და სისხლით დაწერილი სტრიქონები:

Крепко, дружно вас в об’ятья  
Всех бы братья заключил,  
И надежды и проклятья  
С вами б вместе разделил.  
Но тупая сила злобы  
Вон из братского кружка,  
Гонит в снежные сугробы  
В тьму и холод рудника.

Но и там на зло гоненью  
 Веру лучшую мою  
 В молодое поколение  
 В сердце свято сохраняю.  
 В безотрадной мгле изгнания  
 Твердо буду света ждать,  
 И душой одно желанье  
 Как молитву повторять:  
 Будь борьба успешней ваша,  
 Встреть в бою победа вас,  
 И минуй нас эта чаша  
 Отравляющая нас“.

ადვილი წარმოსადგენია, თუ როგორ იმოქმედებდა ეს ლექსი ჩვენზე: ჩვენ გავიზარდებით ჩვენსავით თვალში და კიდევ უფრო გავმტკიცდით ჩვენს გადარჩევითებაში გვებრძოლნა სრულ გამარჯვებამდე, რომ ამით გავგემართლებინა ჩვენი დანაპირი, რომელსაც აძლევდა როჟდესტვენსკი მიხაილოვს თავისი ლექსის ბოლოში: „Вызовем из снежной дали сынов свободы и тебя!“

იმავე როჟდესტვენსკიმ დასწერა ციხეში სხვა ლექსი, მიბაძვა გრაფ ტოლსტოის ცნობილი „სალდათური სიმღერა“, ყირიმის დამარცხების გამო:

Как восьмого сентября  
 Мы за Веру и Царя  
 От француз ушли (bis).

როჟდესტვენსკის სიმღერა, რასაკვირველია, გაცილებით უფრო ტლანქი იყო. ჩემს მესხიერებაში დარჩა მხოლოდ ორი მისი ტაეპი:

„Как однажды в понедельник  
 Всей полиции бездельник  
 Поткуль, генерал, (bis)  
 Нам поставя в обвиненье  
 Своей рожи оскорбленье  
 В крепость нас сажал (bis)“ და სხვ.

გამოჩნდნენ მოყვარულნი, რომელნიც ხოროთი მღეროდნენ ამ სიმღერას ხმა-მალლა, მეტადრე მაშინ, როცა პლაც-ადიუტანტი ჩამოივლიდა ხოლმე.

მაინც ამ ობმოკიდებულ კაზემატებში, სადაც წმიდა ანტონის საჭმელით ვიკვებებოდით, კვირაზე მეტი არ დავრჩენილვართ, თორემ უთუოდ დავსნეულდებოდით. შემოდგომის ერთ დილას, ნევასთან ჩასავალ პატარა კიბეს მოადგა სამხედრო გემი, რომელზედაც დაგვსხეს ყველანი, ისე როგორც ვიყავით. არავის უთქვამს, თუ სად წავიყვანდნენ. ყველას გვეგონა, რომ შლისელბურგში მივყავდით. ქროდა სუსხიანი ცივი ქარი და სცრიდა წვრილი წვიმა, თოვლ-ნარევი. ნევა აზვირთებული იყო. მე მარტო პიჯაკი მეცვა, ვკანკალებდი როგორც ვერხვის ფოთოლი, კბილი კბილს აღარ ხვდებოდა. აქამდის ვერ გამიგია, როგორ გადავრჩი მაშინ გაციებას. ჩვენ მივცურავდით ასეთ მდგომარეობაში მთელი ოთხი საათი, თუ მეტი არა: გემი ძველი იყო და უძლური; რის ვაი-ვაგლახით მივალნიეთ კრონშტადტს. მაგრამ აქ ჩვენ ისეთი შეხვედრა მოგველოდა, რომ ერთ წამში დაგვიყურა ყველა ჩვენი წყენა და გაჭირვება. როცა ჩამოგვასხეს გემიდან და კონვოიმ ციხისკენ წავიყვანა, ოღონდ გვარდიელებმა კი არა არამედ გარნიზონის საცოდავმა ჯარისკაცებმა

— რომლებიც ჯერ კიდევ ნიკოლოზ I-ის დროის ფორმაში იყვნენ გამოწყობილნი, მოულოდნელი სანახაობა წარმოგვიდგა; წარმოიდგინეთ ჩვენი განცვიფრება და აღტაცება, როცა ციხის კარებთან დაგვისვდა ქალების გრძელი რიგი, ორივე მხრით გაბმული; მიუხედავად საშინელი დარისა ისინი უღმერთოდ მორთულიყვნენ; და ვიდრე ამ მომხიბლავ წრეს გაგვატარებდნენ, ჩვენსკენ მოდიოდა ყვავილების თოვლი, თუმცა ეს ყვავილები ჯარისკაცებს უფრო ხვდებოდა, ვიდრე ჩვენ. ან კი საიდან იშოვეს ამ დროს იმდენი ყვავილები, საოცარია. ოვაცია პირდაპირ გულის ამარწყებელი გამოვიდა. რასაკვირველია, ამის შემდეგ წამების ჯვარი უკვე აღარ გვამძიმებდა, არამედ გვართობდა კიდევ. ვაი, რომ ჩვენს მემკვიდრეებს „მოძრაობის“ საქმეში, აღარა ხვდებოდნენ ასეთის პატივით. მათთვის ტუსალობა აღარ იყო დღესასწაული...

ჩვენ მიგვიყვანეს ყაზარმებში, რომელიც ფანჯრებით ზღვის ყურეს დასცქეროდა, ორანიენბაუმისკენ. ეს ყაზარმა ჰოსპიტალისათვის იყო დანიშნული, მაგრამ სრულებით ახალი იყო, და როგორც ეტყობოდა, ჯერ უხმარებელი. აქ ყოველს ჩვენგანს ერგო სანოლი, ახალთ-ახალი ორმაგი ნაალით და სუფთა ნარმის საცვლებით. ორ-ორ ადამიანზე მოდიოდა ერთი პატარა მაგიდა. ფანჯრები უშველებლები იყო, რასაკვირველია, ორმაგი, ახლად გარეცხილები. ოთახები სინათლით იყო სავსე და ჩვენ მაშინვე ვიგრძენით სითბო. მაღალი კედლები ცისფერი საღებავით იყო შეღებილი, ხოლო კარები და ფანჯრები-კი თოვლის მსგავსი თეთრი ფერით. საზოგადოთ აქ ყველაფერმა ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა ციხის შემდეგ, თითქოს მშვენიერ სასახლეში დაგვასახლეს. ეს პირველი დღე იყო დაპატიმრების შემდეგ, როცა თავისუფლად ამოვისუნთქეთ: გემრიელად და ბლომად გვაჭამეს, და შემდეგ კი გმირულად გამოვიძინეთ.

ორმა თვემ, ამ ყაზარმაში გატარებულმა, ისეთი მოგონება დასტოვა ჩემში, თითქოს იგი იყვეს უზედნიერესი დღეები ჩემი ცხოვრებისა. საკვირველია, რომ ასეთ მდგომარეობაში მყოფი, არც ერთხელაც არ შეუნუხებვიარ ფიქრებს არც ჩემი ბედის შესახებ, არც მშობლებზე, და საზოგადოდ არაფერს ამ ქვეყნიურზე. ჩემი სანოლი იდგა კ. ლორთქიფანიძის და ლინევის შუა. იქვე ახლოს იდგა იგნატი პიოტროვსკის სანოლი, და ყველაზე ხშირად მე მას ვებაასებოდი; მან მომაჯადოვა იმით, რომ ჩემს უწესრიგო და განურჩეველ ნაკითხობაში შეიტანა ერთგვარი წესი და მისცა ის ჩონჩხი და გაშუქება, რომელიც მე სწორად მეჩვენებოდა.

იგი მეუბნებოდა, რომ დადგა ბრძოლის ხანა, და ეხლა უკვე აღარ რჩება დრო ხანგრძლივი სწავლისათვის, და არც არის საჭირო მთელი სიცოცხლე შეალიო მეცნიერებას, ვინრო ლაბორატორიულ მუშაობას. უნდა ჰაერში იჭერდე „დასკვნებს“, რომელიც გამოჰყავთ მეცნიერებს სხვა უფრო ვიწრო ხასიათის მეცნიერული ნაშრომებიდან. ჩვენ ხომ პროფესორებათ არ ვემზადებით, არამედ „მოქალაქეებად“, და ჩვენთვის სრულებით საკმარისია დასკვნები, ჩვენთვის ზედმეტია თითონ სამზარეულო, სადაც მეცნიერება მზადდება. დასკვნები კი მზადა აქვთ ისეთ მწერლებს, როგორიცაა ჩერნიშევსკი და დობროლიუბოვი; ისინი სწორედ იმას ემსახურებიან, რომ აღჭურვონ ახალი თაობა თანამედროვე ცოდნის ყველა დებულებით, მეცნიერების უკანასკნელი მიღწევით — და განსაკუთრებით კი იმ მეცნიერებით, რომელიც, როგორც თავისუფლების მქადაგებელი, არ შედის სახაზინო სასწავლებელთა კედლებში. როცა პიოტროვსკიმ დაინახა, რომ მე ვკითხულობდი ბელინსკის თხზულებათა მერვე ტომს (პუშკინზე), მან ამიხსნა, რომ არა ღირს „წვრილმანების“ შესწავლა. ყველაფერი, რისიც ცოდნა საჭიროა ამ საგნების შესახებ, მშვენივრად არის გადმოცემული და განმარტებული ჩერნიშევსკის წერილებში „გოგოლის პერიოდის რუსული ლიტერატურის კრიტიკისათვის“. ეს წერილები უნდა ნაკითხოს ყოველმა განათლებულმა კაცმა. ხოლო თანამედროვე ისტორიის შესახებ, რომელსაც უნივერსიტეტებში სრულებითაც არ კითხულობენ, უნდა გაეცნო მისსავე წერილებს: „პარტიათა ბრძოლა



საფრანგეთში“, „კავენიაკი“, „პროცესი მენილმონტანელი ოჯახისა“ (ე. ი. სენ-სიმონის-ტებისა) და სხვა, განსაკუთრებით კი მისივე ხელ-მოუწერელი წერილები „Современник“-ის ყოველ ნომერში, „პოლიტიკის“ სათაურით. წერილი „პროცესი მენილმონტანელი ოჯახისა“, — მით არის კიდევ საყურადღებო, რომ იგი, როგორც დობროლიუბოვის წერილი რობერტ ოუენზე, გვაცნობს თანამედროვე სოციალიზმის დებულებებს, თუმცა მასზე ლაპარაკი და მისი ხსენებაც-კი სასტიკად აკრძალულია პრესაში. ბევრი ამ წერილთაგანი მე უკვე ნაკითხული მქონდა, მაგრამ პიოტროვსკის გაშუქებით მათ სულ სხვა, უფრო ღრმა მნიშვნელობა მიიღეს.

ამ დროს, ყაზარმაში, რომელსაც კიბე ორ განყოფილებად ანაწილებდა, ჩვენ 240-მა ტუსაღმა, დავაარსეთ ჩვენი რესპუბლიკა, არჩეული მთავრობით; მთავრობას ყოველ კვირა უნდა ჩაებარებია ანგარიში ჩვენი საერთო ყრილობისთვის, რომელიც იკრიბებოდა ცალკე პალატაში; ჩვენ ცარიელად გვექონდა დატოვებული ერთი ოთახი — „საზოგადო ზალა“ როგორც ასეთი ყრილობისათვის, ისე კონცერტებისათვის, სალიტერატურო-სადეკლამაციო საღამოებისათვის, სანიმუშო სასამართლოებისათვის და სხვ... კრონშტადტის მანდილოსნებმა დიდის ამბით გვათხოვეს ორი ფორტეპიანო და მუსიკის მოყვარულნი უკრავდნენ მასზე მორიგეობით. ფორტეპიანოები, ჩვეულებრივ, ყაზარმის განყოფილებებში იდგა, მაგრამ კონცერტების დროს ისინი საზოგადო „ზალაში“ გადაგვექონდა, სადაც წესისამებრ გამართული იყო ჩვენი დუქანი პაპიროსებით, ტკბილეულობით და სხვა ასეთებით; მას ცალკე არჩეული კომიტეტი განაგებდა. ჩვენ დავბინავდით დიდი ხნის ვარაუდით. ხაზინის ხარჯზე საკმაოდ კარგი საზრდო გვექონდა. დილით და საღამოთი გვაძლევდნენ ჩაის თუნუქის კრუჟკებით, და შუადღისას — სადილს, ორ თავს. კვირაობით-კი კრონშტადტის მანდილოსნებმა ჩვეულებად შემოიღეს რეგულიარულად ეგ ზავნათ ჩვენთვის მშვენიერი სადილები და ტკბილეულობა. გარნიზონის მთავრობა, რომელსაც ჩვენ ვებარეთ, არამც თუ წინააღმდეგი არ იყო საზოგადოების ამგვარ თანაგრძნობისა, არამედ თვითონაც, თუმცა ეს უცნაურად გვეჩვენება ეხლა, მონაწილეობას იღებდა ჩვენს საღამოებში. ყველას გვეცვა ერთნაირი საავადმყოფოს ხალათები, ნაცრისფერი, სალდათური მაუდისა, ნარმის სალდათურივე საცვლები და უქუსლო ჩუსტები. ამგვარ „არესტანტის“ ტანისამოსში ჩვენ ძალიან გვიყვარდა ხოლმე სურათის გადაღება, ჯგუფებად, გაუბტვახტის ბაქანზე, ჩვენი ყაზარმის წინ, უკანმდგომი გარნიზონის ჯარისკაცებით, და გვერდზე კი — ოფიცრებით. ამის ნებართვას სიამოვნებით გვაძლევდნენ, და ამ გვარ ფოტოგრაფიებს ჩვენ დიდხანს ვინახავდით როგორც წმიდათა წმიდას იმ ამხანაგთა მოსაგონრად, რომელნიც ამის შემდეგ მალე დაიღუპნენ. ჩვენს სალიტერატურო საღამოებსა და კონცერტებზე ესწრებოდა არა მარტო ჩვენი გარნიზონის ოფიცრობა, არამედ კრონშტადტის უმაღლესი მთავრობაც, რომელთა ყოფნა სრულებითაც არ უშლიდა ჩვენ მსახიობებს ემღერათ ხოროთი და სოლო აკრძალული სიმღერები, რაც ჩვენს დაუცხრომელ ტაშისცემას იწვევდა. მათ შორის, ყოველთვის ყველაზე მეტი ტაში ერგებოდა ხოლმე ოგარევის ლექსს „თავისუფლება“. მეტადრე ამ ხანას:

„Если же случится беда иль невзгода,  
И рук для борьбы требует свобода,  
Сейчас полечу на защиту народа...“ და სხვ.

კრონშტადტის ადმირალები უსმენდენ ამას არა ნაკლებს სიამოვნებით ვიდრე ჩვენ. და ეს სრულებითაც არ გვაკვირვებდა. ჩვენ გვეგონა, მეზღვაურნი იმიტომ იყვნენ რადიკალები, რომ დიდხანობით რჩებოდნენ ხოლმე უცხოეთის ნავთსადგურებში, სადაც ითვისებდნენ თავისუფლების სიყვარულს, ევროპიულ ჩვეულებათა და წესწყობილების ზეგავლენით. მაგრამ სალიტერატურო საღამოებზე უფრო მეტად გვიტაცებდა „ახილი სასა-



მართლო“, „ნაფიცთა სასამართლო“, რომელსაც დროგამოშვებით მოვანყობდით ხოლმე ყველა თავისი ატრიბუტებით, — ბრალმდებელით, დამცველებით, მოსამართლეებით, ბოქაულებით და სხვა. ყველანი დიდის ენტუზიაზმით ვესწრებოდით ამას, ჩვენც — სტუდენტობა, გარნიზონის ოფიცრობა და კრონშტადტის მთარობაც. იმ დროს სასამართლო რუსეთში სინონიმი იყო მექრთამეობისა და ყოველგვარი ხრიკიანობისა. ჩვენზე — მეტად ძლიერი და ნაუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა უნივერსიტეტში ორი-სამი კვირის განმავლობაში მოსმენილმა ლექციებმა: სპასოვიჩისა სისხლის სამართალზე და უტინისა — სამართალის წარმოებაზე; ისინი ადარებდნენ რუსეთის კანონმდებლობას ევროპიული სამართლის პრაქტიკასთან, მეტადრე ინგლისის სამართალთან, და ამით „სამართლის რეფორმის“ იდეა მათ გადააქციეს ახალი თაობის წმინდა ალტქმად. სასამართლოს მსვლელობის სანიმუშო წარმოდგენებს, რომელიც იმართებოდა უნივერსიტეტში და ჩვენს ყაზარმაში დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა ჰქონდა დამსწრე საზოგადოებისათვის. ამ გვარი პროცესები იმართებოდა ჩვენთან თითქმის ყოველ კვირა იურიდიული ფაკულტეტის უფროსი კურსის სტუდენტების ხელმძღვანელობით და ინგლისური სასამართლოს ყველა წესრიგის დაცვით, ზოგჯერ ჩვენ შორის მომხდარი რაიმე საქმის გამო, მეტნაწილად კი მოგონილი ბოროტმოქმედების განსახილველად. ზოგი სახელდახელოდ გამოცხოვრებული პროკურორების და ვექილების ენაქვევრობა პირდაპირ გასაოცარი იყო. იმ პირთათვის, რომელნიც, როგორც მე, ესწრებოდნენ ამგვარ სანიმუშო სასამართლოს, აღარ იყო მოულოდნელი, როცა ხუთი წლის შემდეგ 1866 წლის შემოდგომაზე გაიხსნა ახალი სასამართლოები (1864 წლის 24 ნოემბრის წესდების თანახმად) და უეცრად გამოჩნდა მთელი პლეადა პირველ ხარისხოვან სასამართლოს მოღვაწეებისა. აქ არაფერი იყო გასაოცარი, ისინი აღზარდა ჩვენი უნივერსიტეტის მეცნიერებამ, მისი სტუდენტური ამხანაგური სასამართლოს პრაქტიკით, რომელსაც ტყუილად კი არა სთვლიდნენ მაშინდელი რუსეთის მმართველები „უკულმართ აზრების პროპაგანდად“.

მაგრამ ამ ენტუზიასტურ სულიერ განწყობილების დროს ჩვენც გვექონდა ხოლმე დღეები მწუხარებისა და გულისწუხილისა: მთელ სტუდენტობას თავზარი დასცა ნოემბრის შუა რიცხვებში მოსულმა ცნობამ დობროლიუბოვის სიკვდილის შესახებ. არა მარტო პიოტროვსკი დაიღვარა ცრემლებად ამ ამბის გაგებაზე. განსვენებულს მე უკვე ვიცნობდი მისი წერილებით. მაგრამ მე ის მაკვირვებდა, რომ ჩემს გარშემო მყოფი სტუდენტობა აფასებდა დობროლიუბოვის სულ სხვა წერილებს, და არა იმ წერილებს, რომლებიც მე ყველაზე მეტად მალეღვებდა. ჩემზე და ზოგ ჩემ ტოლებზე დიდი და ხანგრძლივი გავლენა მოახდინა 1860 წლის ბოლოში დაბეჭდილმა წერილმა ნეაპოლიტანურ სამეფოს დამხობის შესახებ. იგი ჯერ მხატვრულად ასწერდა მეფის ტახტის ურყეველ სიმაგრეს, რომელიც დამყარებული იყო ხალხის უმეცრებაზე, და შემდეგ — თუ როგორ დაეცა იგი თავბრუდამსხმელი სისწრაფით გარიბალდის ერთი ხელის აქნევით. ამ საოცარი მოვლენით მოხდენილ შთაბეჭდილების ქვეშ, დობროლიუბოვის წერილი ჩვენ ისე გავიგეთ, რომ ასევე ადვილია რუსეთის ტახტის აფეთქება. ამნაირათვე გესლით სავსე ლექსები იაკობ ხამისა, ვითომდა თარგმნილი დობროლიუბოვის მიერ ხან „ავსტრიულიდან“ ხან „ნეაპოლიტანურიდან“, ჩვენ ისე გვესმოდა — როგორც თავდაუჭერელი დაცინვა ჩვენი საკუთარი წესებისა და მთავრობის შეხედულებათა. ხოლო საკუთრივ კრიტიკული წერილები განსვენებული მწერლისა, უნდა გამოვტყადე, ნაკლებ მალეღვებდა, და მგონი, რომ პიოტროვსკისა, როგორც შევამჩნიე.

პიოტროვსკი მეტად ნერვიული და გრძნობიერი ყმანვილი კაცი იყო. აღბათ მისი ასეთი გადაჭარბებული ნერვიულობით უნდა აიხსნას მისი თავისმკვლელობა საპყრობილედან გამოსვლის ცოტა ხნის შემდეგ, სულ უბრალო საქმის გამო. დობროლიუბოვის სიკვდილმა იგი დიდ მწუხარებაში ჩააგდო. ლინევი, რომელიც ძალიან დაუახლოვდა მას, ნუგეშის

საცემად ეუბნებოდა, რომ „სოვრემენიკი“ მდიდარია ნიჭიერი ხალხით: ერთი ჩერნიშევსკი რათა ღირს. მაგრამ არც ეს ანუგეშებდა დაღონებულ ყმაწვილს.

— ჩერნიშევსკი მეტად ფრთხილია. დობროლიუბოვის მაგიერობას ის ვერ გასწევს, მეტადრე ეხლა, როცა გამბედაობა ყველაზე მეტად არის საჭირო. ის ერთხელაც არ მოვიდა ჩვენ ყრილობაზე, თუმცა ძალიან დაინტერესებული იყო და ყველას ეკითხებოდა ჩვენს ამბავს. დობროლიუბოვი კი, კარგათ რომ ყოფილიყო, არამც თუ მოვიდოდა, არამედ ვინ იცის, თუ სად წაგვიყვანდა.

მიუხედავად ამისა იგი თაყვანს სცემდა ჩერნიშევსკის როგორც არავის. ლინევს, რომელიც მიმდევარი იყო კოსიცასი (სტრახოვისა) და ძმების დოსტოვესკების ჟურნალის „Время“-სი, პიოტროვსკი დიდ-ხანს ეკამათებოდა ჩერნიშევსკის წერილის გამო, რომელიც მიმართული იყო გერცენის წინააღმდეგ, და ეხებოდა საკითხს, რომელიც ასე ძვირფასი იყო ნეო-სლავიანოფილი ლინევისათვის, სახელდობ: მოიტანს თუ არა სლავიანობა ახალ სისხლსა და ცხოვრების ახალ ფორმებს დამპალ დასავლეთის გასაახლებლად. კიდევ უფრო მეტი კამათი გამოიწვია ახლად მიღებულმა და საჯაროდ წაკითხულმა ჩერნიშევსკის ახალმა წერილმა „ეროვნული უტაქტობა“, რომელიც ამხელდა და ანადგურებდა აქსაკოვის კვირეულ ჟურნალს „День“. იგი, წინააღმდეგ სლავიანოფილებისა, იცავდა პოლონელების მისწრაფებას, რისთვისაც დიდი ენტუზიაზმი გამოიწვია უმრავლესობაში, მეტადრე პოლონელთა წრეებში.

ამავე ხანებში, ნოემბრის შუა რიცხვებში, როგორც იქნა, გველირსა და პეტერბურგიდან ჩამოვიდა უმაღლესი მთავრობისაგან დამტკიცებული კომისია სტუდენტების არეულობის გამოსაძიებლად და გასასამართლებლად. თავმჯდომარედ დანიშნული იყო პროფესორი საპოლიციო უფლებისა ი. ე. ანდრეევსკი.

მისი საგანი მთავრი იყო იურიდიული ფაკულტეტის ჩემს განყოფილებაში, და მახსოვს ამიტომ წაველი, მომესმინა მისი შესავალი ლექცია, რომელიც მან სიტყვა-სიტყვით ასე დაიწყო: „ის ნაწილი ფილოსოფიური მეცნიერებისა, რომელსაც საპოლიციო უფლება ეწოდება, მონყალენო ქალბატონებო და ბატონებო“... თუმცა მის აუდიტორიაში არც ერთი ქალი არ იყო. დაუმატეთ ამას ცბიერი გამომეტყველება მისი სახისა, შემპარავი ტონი და ხმა, და თქვენ მიხვდებით, თუ რისთვის ავიძულიეთ იგი, სრულიად დამოუკიდებლად იმ უსიმპატიო სახელისა, რომელსაც მისი საგანი ატარებდა. ჩვენ სრულებითაც არ გავიკვირდა, რომ იგი დაენიშნათ ჩვენი სასამართლოს თავმჯდომარედ.

კომისიამ მარტო ის-ღა გააკეთა, რომ დაგვირიგა დაბეჭდილი დასაკითხავი ფურცლები, ურიცხვი კითხვებით, სადაც საკუთარი ხელით უნდა ჩაგვეწერა დანვრილებითი საპასუხო ცნობები. მათ შორის იყო ისეთი უცნაური კითხვები, როგორც, მაგალითად, ვემუქრებოდით თუ არა ჩვენს დამატყვევებელ ოფიცრებს, რომ მათი სახელები ზიზღით იქნებოდა მოხსენებული „Коллекл“-ში. უფროსი სტუდენტები, იურისტებიდან, შინჯავდნენ ჩვენ ფურცლებს, რომ არ გაგვეერთულებია ჩვენი მდგომარეობა მოუფიქრებელი პასუხებით. მეორე დღეს ჩვენი პასუხები, აღბეჭდილი ჩვენი ხელმოწერით, ჩამოგვართვეს და წაიღეს პეტერბურგში.

გაიარა კიდევ ორმა-სამმა კვირამ, არამც-თუ ნევა, უკვე მთელი ზღვაც დაიფარა სქელი ყინულით. ჩვენთან, ყინულის გზით, დაიწყეს სიარული ნაცნობებმა და ამხანაგებმა; მათ დაუბრკოლებლად უშვებდენ ჩვენ სანახავად. არა ერთხელ ჩვენც-კი გავვიშვეს მარხილით სასეირნოდ ყინულზე და ქალაქში. ამხანაგებმა მოგვიტანეს სასიხარულო ამბები — ჩვენმა „დემონსტრაციამ“ უკვე ნაყოფი გამოიღო. ხელმწიფემ, პეტერბურგში დაბრუნებისთანავე, განდევნა არა მარტო ობერ-პოლიცმეისტერი გენერალ-გუბერნატორთან ერთად, არამედ მზრუნველი ფილიპსონი და მინისტრი პუტიატინი, და მათთან ერთად ზოგიერთი სხვა მინისტრებიც. ნაცვლად სიბერით გამორეტიანებული მინისტრ-

რებისა, მან დანიშნა ახალგაზრდები და ლიბერალები, დიდი მთავრების — კონსტანტინე ნიკოლოზის-ძის და ელენე პავლეს ასულის — რჩევით. გვისახელებდნენ ახალ მინისტრებსაც: გოლოვინი — განათლების მინისტრი და ვალუევი — მინისტრი შინაგან საქმეთა. კიდევ უფრო ადრე, ნაცვლად ძალზე დაბერებული სამხედრო მინისტრის სუხოზანეტიცა, დანიშნულ იქმნა დ. ა. მილიუტინი, კავკასიის არმიის შტაბის უფროსად ნამყოფი ბარიატინსკისთან. ეხლა-კი უთუოდ ახალი ქარი დაჰბერავს. სალდათური სულის ჭაჭანებაც-კი არ იქნება უნივერსიტეტში. უნივერსიტეტის ახალ წესდებასთან ერთად მოისპობა მატრიკულები და ყველაფერი მშვენივრად წავა... ურა!...

დადგა დეკემბერი. ექვსს, დილით, უეცრად მოგვცეს წინადადება, გაგვეხადა და ჩაგვებარებინა სახაზინო ტანისამოსი და ჩვენი საკუთარი ჩაგვეცვა. ყაზარმის კარებთან გვიცდიდა ასამდე მარხილი, სამი ცხენით შებმული. მათ სწრაფად გაგვაქროლეს გაყინულ ზღვაზე და ჩაგვიყვანეს პეტერგოფში, სადაც სპეციალური მატარებელი გვიცდიდა, და სწრაფადვე პეტერბურგში გავჩნდით. აქ, პეტერგოფის (ეხლა ბალტიურ) სადგურზე გამოგვიცხადეს, რომ თავისუფალნი ვართ და შეგვიძლია წავიდეთ საითაც გვინდა, ოღონდ საკუთარი ხარჯით. აქვე მოგვცეს წინადადება, რომ საცხოვრებელი მოწმობის მისაღებად გამოვცხადებულიყავით არა უნივერსიტეტში, არამედ ობერ-პოლიცემისტერის კანცელარიაში, „დიდი მორსკაია“, №20.

იქ მალე გავიგეთ, რომ საგანგებო კომისიის დადგენილებით, რაც უმაღლეს მთავრობასაც დაემტკიცებინა, ჩვენ ყველანი დამნაშავედ ვართ გამოცხადებულნი, და გაყოფილი ოთხ კათეგორიად. პირველ კათეგორიაში მოხვედრილი, არეულობის ხელმძღვანელებად ცნობილი ხუთი პირი, იგზავნებოდნენ შორეულ გუბერნიაში. დანარჩენები, რომლებიც მეორე კათეგორიაში მოხვდნენ — ასეთები იყვნენ უმთავრესად მეოთხე კურსის სტუდენტები — ირიცხებოდნენ უნივერსიტეტიდან ეგრეთ-წოდებულ „მგლის პასპორტით“, ე. ი. მათ უფლება ესპობოდათ უმაღლეს სასწავლებლებში შესვლისა. მესამე კათეგორია გადაჰყავდათ იმავე პროვინციულ უნივერსიტეტებში. ჩვენ კი, „ძუძუმწოვარებს“, მშობლების თავდებობით გვიშვებდნენ, და თუ მშობლები არ გვყავდა, მაშინ პოლიციის თვალყურის ქვეშ უნდა ვყოფილიყავით.

ყველანი გააოცა იმ ამბავმა, რომ უმთავრეს „მეამბოხებებად“ ჩაეთვალიათ არა უტინი, ნეკლიუდოვი, და სხვა ორატორები ჩვენი მიტინგებისა, არამედ თითქმის ყველასათვის უცნობი, უმაღლესი კურსების სტუდენტები: გენი, გერიკე, პოკროვსკი, ფრენკელი, და მიხაელისი. რასაკვირველია, ისინიც არ იყვნენ უმანკო აბრამის ბატკნები, მაგრამ ყველას გვაოცებდა თუ რითი იყო გამოწვეული, რომ მხოლოდ მათ დაატყდათ სასჯელის მთელი სიმძიმე. ეს საკითხი ბურუსით დაფარული დარჩა, ანუ როგორც ნათქვამია, მაშინდელ სასჯელთა ხარისხის ერთ ტიტლოში — „დიდი ეჭვის ქვეშ“.

აი, აქ კი შევწუხდით; დამაფიქრა ჩემმა ბედმა. მე უნდა წარმედგინა მშობლების ხელწერილი, რომ ამის შემდეგ არასდროს არ მივიღებდი მონაწილეობას რაიმე არეულობაში. წინააღმდეგ შემთხვევაში მე მელოდა სამშობლოში გადასახლება, რაც ჩემთვის მაშინ უფრო საშინელი იყო, ვიდრე კატორღაში გაგზავნა.

ამ ხანად პეტერბურგში ჩამოვიდა „Колокол“-ის ნომერი, წერილით „Исполин просыпается“ (ბუმბერაზი იღვიძება), და 13 სექტემბერს დაჭერილი სტუდენტების სია.

ჩვენ ცას ვენიეთ სიხარულისაგან: წარმოიდგინეთ, ეს ხომ ჩვენი სახით იღვიძებდა პირველად ბუმბერაზი რუსეთი. ჩვენი მღელვარება აქ აწერილი იყო როგორც ახალი ხანის დასაწყისი რუსეთის სახელმწიფოს ისტორიაში... ან და როგორ არ ავსილიყავი სიამაყით და არ მომესურვა მონაწილეობის მიღება შემდეგს გმირულ ბრძოლებში. ასეთი პერსპექტივების შემდეგ, როგორ გადავსულიყავ იმის ფიქრზე, რომ მე, სამშობლოში დაბრუ-

ნებულს, მთელი სიცოცხლე მელოდა აგურებისა და ფიცრების ანგარიშის წარმოება სანაპირო სადარაჯოებისათვის.

და სწორედ ამავე დროს დაიწყო ახალი პროკლამაციების გამოსვლა, თუმცა უფრო პატარა ფორმატით, და უფრო თავდაჭერილი შინაარსით; ეს, უკვე ეტყობოდა, შინაური წარმოებისა იყო, დაბეჭდილი საბაზრო გამოცემების რუხ ქაღალდზე, ცუდი შრიფტით. ეს იყო სამი ნომერი „ველიკოროსი“, რომელიც მოითხოვდა მხოლოდ წარმომადგენლობითს მმართველობას, რალაც „ზემსკი სობორის“ მაგვარს. ყოველივე ამან, და ამით გამონვეულმა მღელვარებამ და კამათმა, მაიძულა, მეძებნა რაიმე საშუალება, რომ პეტერბურგში დავრჩენილიყავ და თავიდან ამეცილებინა სამშობლოში გამგზავრება. ან კი როგორ წავსულიყავ, როცა უჩემოდ შესაძლოა რევოლიუცია მომხდარიყო?! გადავწყვიტე რისკი გამენია, ამოვწერილიყავ წიგნებიდან, როგორც სამშობლოში გაბრუნებული, და ნამდვილად კი გადავსულიყავ ქალაქის ისეთ რაიონში, სადაც პოლიცია არც ისე იწუნებდა თავს, იქ მცხოვრები ჩინოვნიკებისა და სამხედრო ელემენტის დიდი რიცხვის გამო. ამისთვის საკმარისი იყო, გადავსულიყავ აკაკი წერეთელთან, იმ დროს უკვე ცნობილ პოეტთან. ის ცხოვრობდა „ზახარიევის“ ქუჩაზე, ახლო თავის ძმასთან, რომელიც ხელმწიფის „კონვოიში“ მსახურობდა. მის მოხუც დიასახლისს იგი შვილივით უყვარდა და დათანხმდა, არ გავწერე სახლის წიგნში, ვიდრე „დამღუპველი კავკასიიდან“ არ მივიღებდი ახალ პასპორტს, დაკარგულის ნაცვლად. ნამდვილად კი, ჩემი უნივერსიტეტის საცხოვრებელი მონაშობა იმ დროს ჩამომართვეს, როცა პოლიციამ ღია ბარათი მომცა სამშობლოში წასასვლელად, რათა იქ მისვლისთანავე გამოვცხადებოდი ადგილობრივ მთავრობას. გავიხადე ჩემი პიჯაკი, ჩავიცვი ჩოხა, და თუ „კონვოელს“ არ ვგავდი, ყოველ შემთხვევაში მის მსახურს მაინც მოგაგონებდით. იშვიათად გამოვდიოდი გარედ, რომ „დვორნიკს“ თვალში არ ჩავვარდნოდი. იმ უბნებში, სადაც სტუდენტობა მრავლად იყო, სრულებითაც არ დავდიოდი. სახლში გართული ვიყავი „Современник“-ის ძველი ნომრების შესწავლით, და ახალ ნომრებს ხომ გატაცებით ვენაფებოდი. წიგნების კითხვისაგან ცოტა ხანს ჩამომაშორა ჩემმა ჩოხამ, რომელიც ეხლახან ვახსენე.

შობის დღესასწაულების წინ ჩემთან მოვიდა ორი ახალგაზრდა და მომხიზვლელი მანდილოსანი; ერთმა მათგანმა, უფროსმა, მითხრა, რომ ის არის ჩერნიშევსკის მეუღლე, და მთხოვა, მეთხოვებინა მისთვის სამასკარადოთ ჩემი ჩერქეზული კოსტიუმი. ამ ქალის შესახებ მე ბევრი რამ მსმენოდა ამხანაგებისაგან, რომელნიც გაეცნენ მას ჩვენი პატიმრობის დროს და ხშირი სტუმრებიც იყვნენ მის ოჯახში.

თავისთავად იგულისხმება, რომ მე მაშინვე შევასრულე მისი თხოვნა. მას თან ახლდა უმცროსი და. ორივენი შავთვალეა და შავ-თმიანი იყვნენ, მაგრამ უფროსი თითქმის შავგვრემანი იყო და გაცილებით უფრო ცოცხალი ვიდრე უმცროსი. მას ოლგა სოკრატოვანს ეძახდნენ. როდესაც მიდიოდა, ბრძანების კილოთი დამავალა — ხვალვე მივსულიყავი მასთან კოსტიუმისთვის და ჩაიზე. „მე თქვენ გაგაცნობთ ჩერნიშევსკის“. მე აღარ მჯეროდა ჩემი ბედნიერება!..

ნიკო ნიკოლაძე

(შემდეგი იქნება!)

1. ეს მემუარები დღემდე გამოქვეყნებული არ ყოფილა. პირველი ნაწილი (1861-1862) დაწერილია ლონდონში 1923 წელს, რუსულად, რადგან იგი თავდაპირველად რუსული საზოგადოებისთვის იყო დანიშნული. შემდეგ ნაწილებს ავტორი ქართულს ენაზე ამზადებს.



## ერთი წელიწადი როდენტან

### 2

პირველად რომ მივედი როდენტან, მაჩვენეს ადგილი სადაც უნდა მომეცაღნა. ეს იყო 4-5 საფეხურიანი სიმაღლის პატარა დერეფანი, იქვე შესავალში. რომ შეველი აქ უკვე რამდენიმე პირი უცდიდა როდენტანს. იყო დილის ცხრის ნახევარი.

რამდენიმე წუთის შემდეგ გამოვიდა როდენი დილის ხალათში და ყველას სათითაოდ ჰკითხა, თუ რა უნდოდათ. მერე მოვიდა ჩემთან. მე უთხარი: გოლობეევის რეკომენდაციით გახლავართ-მეთქი. ჰო, კარგი — მიპასუხა მან. მაშინვე შევნიშნე, რომ რალაც ჩუმმა სიცილმა გაჰკრა უღვაშებში. შემიპატიჟა პატარა კაბინეტში, რომელიც სულ 4-5 ნაბიჯი იყო სიგრძე-სიგანით. კაბინეტში იყო ბუხარი და ფანჯრის ცოტა მოშორებით დიდი მაგიდა. მაგიდის და ფანჯრის შუა დარჩენილი იყო პატარა ადგილი, სადაც მთხოვა, რომ დავმჯდარიყავი. როდენი იჯდა სახე განათებული. გვერდით ედგა ახალგაზდა ინგლისელი, რომელიც, როგორც შევიტყვე, ახალ მდივნის როლს ასრულებდა.

გამოვიდა კაცი და მოუწყო ტუალეტი. ეს გახლდათ ვალფლორის სოფლის პარიკმახერი. დაასხა თავზე სურნელება, როგორც პარიკმახერებმა იციან. როდენმა ჩემთან ბოდიში მოიხადა — უკაცრავადო. მე თავი დაუკარი — აბა, სხვას რას ვეტყვოდი. პარიკმახერმა გაულამაზა და დაუხუჭუჭა თეთრი დიდი წვერი და თავი დაუფარცხნა. როდენის პორტრეტი რომ დაგიხატოთ, იგი ასეთი იყო: მძიმე კუნძი; სქელი; დაბალი; განიერი მხარბეჭიანი; პატარა კაცის შთაბეჭდილებას სტოვებდა. თავი — პროპორციონალური ამ სისქესთან. პატარა ფოლადისებური ფერის თვალები, რომლებიც ნემსებივით გაგმსჭვალავდათ. უსათუოდ იგრძნობდით, რომ ეს ადამიანი თქვენ გიყურებთ სიღრმეში და ერთი შეხედვით შეუძლიან ადამიანის დათვალიერება.

ლაპარაკი იცოდა ჩუმი. ინტონაცია ძალიან იშვიათი. საყვედურის კილო. გულის მოსვლის დროს იცოდა ზურგის მობრუნება. ამის შემდეგ ყოველ კავშირს შესწყვეტდა ადამიანთან. ეს იყო მისი განრისხება. სიარული ნელი. მიხვრა-მოხვრა ძალიან მძიმე. ხელები — დიდი და მარდი თითებით შემკული.

ეს სცენა, რომელსაც აქ აგინერთ, მეორდებოდა ყოველ დილით, უსათუოდ. როდენი ამ სცენის დროს იღებდა კორესპონდენციებს. მდივანი უხსნიდა წერილებს, რომელსაც ის ლებულობდა ყველა ევროპიულ ენებზე. ამავე დროს როდენი აძლევდა ბრძანებას, თუ ვისთვის რა მიენერა. თითონ წერა არ უყვარდა. საერთოდ მოქანდაკეებს სჩვევიათ, რომ წერა არ ეხერხებათ. ერთხელ ფალგიერს ხელი უნდა მოენერა ეკოლ დე-ბო-ზ-არში ერთ ქალაქზე. ატელიეში მისი სამელნე გამშრალი იყო და კალამი უვარგისი. დაუძახა კონსიერჟს, მოატანინა კალამი და მელანი და მოანერა ხელი. დიდი გრძნობის და დიდი ტემპერამენტის ხელოვანი უფრო ნაჩვევია სხვა ენით ლაპარაკს. მას ეძნელება იმისთანა ლაპარაკი, რომელიც გამოდის ტვინის მუშაობისაგან. ხელოვანი ჯერ გრძნობს და შემდეგ თავის აზრებს ხელოვნებით აგრძნობინებს სხვას.

როდესაც გათავდა ტუალეტი, როდენმა წამიყვანა იმ ატელიეში, რომელიც მე გაკვრით აგინერეთ და რომლის შესახებ საუბარი უფრო დანვრილებით ქვევით გვექნება. შევედით ამ ატელიეში. ყველა ნამუშევარს, როგორც ალებასტრისას, ისე ბრინჯაოს და მარმარილოსას მტვერის საწინააღმდეგოდ ზენრები ჰქონდა დაფარებული. შეიძლება როდენის ატელიეში შებრძანებულიყავით, მაგრამ თუ არ ახდით გადაფარებულ ტილოებს, ვერაფერს დაინახავდით. როდენი დიდის გაფაციცებით ახურავდა ყველა ქანდაკებებს გადასახურავებს: არ უყვარდა, როდესაც მისი ნამუშევარი ახდელი იყო, არ უნდოდა, რომ სხვა-



დასხვა ხალხს ენახა. საერთოდ ძნელი იყო მის ატელიეში შესვლა. ერთი ორი კვირა უნდა დახარჯოდათ უცხო პირებს თხოვნისათვის, რომ როდენს ისინი თავის ატელიეში შეეშვა.

ატელიეში შესვლისას მიმიყვანა ერთ პატარა მარმარილოსთან და ახადა.

ეს იყო კენტავრესა: ნახევარ-ქალის და ნახევარ-ცხენის ქანდაკება. ხელები ქალს წინ ჰქონდა გაშვებული. ეს ქალი დიდის სულის კვეთებით იწვევს წინ და ცხენი კი უკან იხევს. ეს იყო პატარა მარმარილო. როდენთან ვინც მიდიოდნენ, ყველას უნდა მარმარილოზე ემუშავნათ. მოქანდაკემ უნდა იცოდეს ქვასა და მარმარილოზე მუშაობა, რომელიც არის უფრო ხელოსნობის ხასიათის სამუშაო, მაგრამ ყველა ხელოვანისათვის აუცილებელი. მეც ხომ ამიტომ მივედი როდენთან. მან მაჩვენა ნამუშევარი და მეუბნებოდა, თუ ვინ გაუფუჭა ესა თუ ის ნამუშევარი. მე ვერ ვიპოვე იმისთანა თანამშრომელი, რომელსაც გაეგო ის ახალი პრინციპები, რომელზედაც მე ვმუშაობო, და თქვენ თუ დამაკმაყოფილებთ — ჩვენ ვივლით ერთად. — მე პირველად ვხედავდი კენტავრესას. გასაკვირველი ის იყო, რომ ნახევარი ადამიანი და პირუტყვი ერთი-ერთმანეთს უნდა გაშორებოდნენ; აქ დიდი პრობლემა არის ჩატანებული და დიდის ხელოვნებით შესრულებული; დიდის სიმწვავით და წვალებით ქალი სცდილობს პირუტყვულ ხორცმეტს გამოჰკლიჯოს თავის თავი და უწმიდესი და უმაღლესი ადამიანობა დაიმკვიდროს, გაიმარჯვოს პირუტყვზე. ეს არის აზრი დიდებულ მარმარილოსი. მერმე გადავედი სხვა ნამუშევარზე, — და ასე გავყვეით. ამის შესახებ მე მოგახსენებთ, როდესაც შეუდგები როდენის ნამუშევართა აღწერას. მაჩვენა სხვა მასთან მყოფ თანამემწეებისაგან გაკეთებული ნამუშევარი, და მალე გადავედეთ იმ სამუშაოზე, რომელიც უნდა მოეცა ჩემთვის. გადახსნა ერთი ნაწარმოები, რომელიც გამოხატავდა ორ პატარა ბავშვს ჩახუტებულს. — აი, ეს უნდა გამეკეთებინა მარმარილოდან. მე ძალიან შევწუხდი, რადგან პატარა ბავშვის აგებულება არ მეადვილებოდა. ბავშვებს ისეთი კუნთები აქვთ, რომ ამას თავისებური სპეციალი ცოდნა უნდა. მე მაჩვენა მარმარილოები, რომლებიც გაუფუჭებული იყო სხვების მიერ. ეს იყო ის გამოცდა, რომელსაც მისცემდა ხოლმე მასთან მისულებს. ეს სფინქსი სცდიდა მათ, ვინც მასთან მიდიოდა. აი, ამ ქანდაკებას გაუგორებდა წინ და იმას უნდა მოეკვეთა ფეხი. მეც ძალიან შევწუხდი. თუ კი მაშინათვე ჩავიჭრებოდი, იგი, რასაკვირველია, არ მიმიღებდა, სხვა ადგილსაც ვერ ვშოულობდი და ძნელი იქნებოდა ჩემი საფრანგეთში ცხოვრება. ბავშვების შემდეგ როდენმა მაჩვენა იოანე ნათლისმცემლის თავი სინზე. იგი პროფილით იყო დანებებული და ძნელი იყო ცხვირის და დახრის შუა მუშაობა, მას ინსტრუმენტიც ვერ მიუდგებოდა. ამასთან კარგად უნდა გამოსულიყო ის ნაწილი, რომელიც ჩრდილით იყო მოფენილი.

ეს თავი მომეწონა მე და ვიფიქრე ამას წავიღებ და გავაკეთებ მთქი. როდენმა კი მითხრა: ამას თავი დავანებოთ და ეს გააკეთეო — ბავშვებზე მიმითითა. აი, აქ არის ინსტრუმენტების შკაფი, აქვეა ფარგალი, აიღეთ ზომა, ნადით ბალში და ამათთვის მარმარილო ამოირჩიეთო. მე ავიღე ზომა იოანე ნათლისმცემლისა და გავედი ბალში მარმარილოსთვის. ხელად ვიშოვე იოანე ნათლისმცემლის ზომის მარმარილო. შემოვედი და უთხარი: ამ ბავშვებისათვის მარმარილო ვერ ვიპოვე, იოანე ნათლისმცემლისათვის კი ვიპოვე-თქო. მან ჩაიცინა და მითხრა: კარგო, და ამ სიცილიდან ცხადი იყო, რომ როდენმა უკვე მიცნო, რომ მან ჩემი აზრი გაიგო და დათანხმდა. „აქ იმუშავეთ თუ სახლში?“ — მკითხა შემდეგ. მე შევატყვე, რომ უკვე მეორე ხიფათი მომელოდა, ვიცოდი, როდენი ყოველ დღე დაინწყებდა სიარულს, რამე არ მოეწონებოდა, და მე უთხარი ჩემი ატელიე მაქვს პარიზში და ნება მომეცით, რომ სახლში წავილო სამუშაო-თქო. როდენი ამაზედაც დათანხმდა, დაუძახა თავის ახალ მდივანს და უთხრა: ხვალვე გაუგზავნე ეს მარმარილო პარიზშიო. მე წამოველ.

მდივანმა მარმარილო მაშინვე არ გამოგზავნა. როგორც შემდეგ შევიტყვე, ის მდივანი ცოტა პატივცემის მოყვარული ყოფილა და ამის გამო მარმარილო შემიგვიანა.

ბოლოს მე თვითონ წავედი და მინდოდა პირდაპირ როდენთან მისვლა. მაშინ კი შეეშინდა და მეორე დღესვე გამომიგზავნა მარმარილო პარიზში.

შეიქმნა ჩოჩქოლი პარიზში მყოფ ჩვენ ქართულ საზოგადოებაში: ნიკოლაძეს როდენისაგან სამუშაო მიუღიაო.

მოდოდენენ, ზოგი მოსალოცავად, ზოგი იმის გასაგებად, თუ რა სამუშაო მომცა. ალექსანდრის მოდელი ჩემს ატელიეში იყო და სამი დღე სტუმრობაში ვატარებდი. იყვნენ იმისთანა ახალგაზრდა მოქანდაკეები, რომელთაც გზა ვერ ეპოვათ, ან შეძლება არ ჰქონდათ, რომ დაახლოვებოდნენ როდენს; ისინი თითქმის შურის თვალთ უყურებდნენ ჩემს ატელიეში მდგარ ალექსანდრის მოდელს.

როდის იყო გაკეთებული იოანე ნათლისმცემლის თავი როდენის მიერ, ვერ გავიგე. უფრო ახალგაზდობის ხანას უნდა ჰკუთვნებოდა, რადგან იოანე ნათლისმცემელს დიდი თმები გარკვეულად ჰქონდა გაკეთებული. როდენმა გამოიარა სხვა და სხვა ეპოქა და მივიდა თავის საბოლოო პროფილთან, ე. ი. საბოლოო პრინციპებთან. მაშინ როდენი 65 წლისა იყო, როდესაც მე გახლდით მასთან. მას ბალზაკი უკვე გაკეთებული ჰქონდა. აქ მას სულ სხვაგვარი მანერა აქვს, რის შესახებაც მე შემდეგ მოგახსენებთ. ვიცოდი რა ყველაფერი ეს, მე აქ რალაცა უნდა გამომენახა ისეთი, რომ დამემტკიცებინა როდენისთვის, რომ მე გავიგე მისი პრინციპები; სულ ის მახსოვდა, მან რომ მითხრა: მე ვერ ვნახე ისეთი მოქანდაკე, რომელსაც გაეგო ჩემი პრინციპებიო. და აი, მე მინდოდა მეჩვენებინა, რომ გაგებული მქონდა. გადავწყვიტე, ისე გამეკეთებინა იოანე ნათლისმცემლის თავი, როგორც ამას გააკეთებდა როდენი, გუშინ რომ გაეკეთებინა. დავინყე მუშაობა და 40 დღეში დავამთავრე. ვმუშაობდი როდენის ახალ პრინციპებით. ღრმა ადგილებს მე ვავსებდი. მარმარილოს ვტოვებდი, ასე რომ სინათლე და რეფლექსები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ. თმაც დავტოვე ველურ მარმარილოს ზოგადი მოხაზულობით. აქვე მე დამჭირდა პატარა ინსტრუმენტის გამოგონება. დავხატე ეს ინსტრუმენტი და გავაკეთებინე. ამით მე პირის სიღრმე გამოვკვეთე.

მივწერე როდენს: სამუშაო გავათავე და როგორ ინებებთ, მანდ მოგართვათ თუ აქ ნახავთ-თქო. მან შემატყობინა: თვითონ მოვალ და ვნახავო. როდენმა იცოდა, დილით ადრე ჩაჯდებოდა ეტლში და სხვა და სხვა პრაქტისიენებს 10 საათამდის ყველას ჩამოუვლიდა. ჩემს პატარა ატელიეში როდენის მიღება არ მეხალისებოდა და ამიტომ მე მივწერე, თუ სად მიმეტანა ნამუშევარი. მეორე დღესვე მივიღე დეპეშა, უნივერსიტეტის ქუჩაზე მიიტანეთ თქვენი ნამუშევარიო. ავიყვანე ეტლი, ჩავდე როგორც ალექსანდრის მოდელი, ისე ჩემი მარმარილოს იოანე ნათლისმცემლის თავი და მივიტანე უნივერსიტეტის ქუჩაზე, სადაც როდენის ატელიე იყო. მივედი. პირველად ვნახე აქ როდენის ატელიე. უნივერსიტეტის ქუჩაზე უზარმაზარ შენობებში გაყოლებული იყო ატელიეები მოქანდაკეების და მხატვრების. ეს შენობები ეკუთვნოდა მთავრობას. იქ იყო დიდი ეზო, იყო აგრეთვე დეპონმინდა კარლის მარმარილოსი. იმ მოქანდაკეებს, რომელთაც მთავრობა შეუკვეთავდა რომელიმე ძეგლს, იქვე შეეძლოთ ემუშავნათ, რადგან შეიძლება ნიჭიერ ახალგაზრდას მიეღო ისეთი დაკვეთა, რომ მის ატელიეში არ გამართულიყო მარმარილო. იქვე იყო დეპონ სხვა და სხვა სტილის და ისტორიულ ავეჯეულობის. როცა საფრანგეთს მაღალი სტუმარი ეწვეოდა ხოლმე, მეფე იქნებოდა თუ სხვა საპატიო ვინმე, ეს ავეჯეულობა მიჰქონდათ და აწყობდნენ სასახლეებს. აქვე მუშაობდნენ ჟან-კოლ-ლორენსი, როდენი, ანრი მარტენი და სხვანი. 12 საათზე თქვენ შეგეძლოთ ხელოვნების არეოპაგი გენახათ. თორმეტს ათი წუთი რომ დააკლდებოდა, ოსტატები გამოდიოდნენ ატელიედან და საუზმისთვის მიდიოდნენ. როდესაც მე შეველი, „ჯოჯოხეთის კარების“ წინ ისხდნენ კრიტიკოსი ჟოფრუა და როდენი და ბაასობდნენ. როდენმა მაჩვენა ადგილი, სადაც უნდა დამედგა ჩემი

ნამუშევარი. ეს იყო კარების გვერდით მარჯვნივ. მე მონივნებით განზე ვიყავი გაჩერებული და უცდიდი. ბოლოს როდენი მოვიდა ჩემთან და მითხრა, ანგარიში წარმომიდგინეო. მე ცივი წყალი დამესხა თავზე, ფულზე ლაპარაკი არ მიყვარდა, თანაც გაჭირვებაში ვიყავი. ხელოვნების დაფასებაზე რომ მივიდა საქმე, ცოტა გამიძნელდა. თუმცა ეს გარკვეულია, ვინ რამდენს იღებს საათობით, ან დღეში — ასე, რომ ადვილი იყო ჩემი ანგარიში წარმედგინა, მაგრამ ძალიან მიჭირდა როდენთან ასეთ საქმეზე საუბარი. მე უთხარი როდენს: თქვენ აღმითქვით, რომ როდესაც ნახავდით ჩემს ნამუშევარს, თქვენს აზრს გამოსთქვამდით. მან მითხრა მოკლედ: „მე მგონია, რომ კარგია. მე ვნახავ მაგას“. გამოველ გულმოსული, არ ვიცოდი, სად წავსულიყავ. 40 დღე ვმუშაობდი. ვალებში ვიყავი. აქ კიდევ, რა ვიცი, როდის მივიღებდი ფულს. უცადა 1-2 კვირა. მერე წავედი მედონში, რომ გამეგო შედეგი. მე ადრევე გაუგზავნე მედონში ანგარიში ჩემი ნამუშევრის. 600 ფრანკი გამოვიდა. მედონში რომ მივედი, მითხრეს, როდენი უკვე წავიდა პარიზში, მაგრამ მისი მდივანი კი აქ არისო. მივედი. იქ უკვე სხვა დამხვდა. ის ინგლისელი როდენს დაეთხოვნა და მიეწვია ისევ ძველი მდივანი, რომელიც 16 წელი იყო მასთან. ეს გახლდათ რენე შერუი.

მას ორი ფაკულტეტი ჰქონდა გათავებული და როდენს დიდის სიყვარულით და ინტელიგენტურ გრძნობით ეპყრობოდა. მის სხვადასხვა კაპრიზებს ეპყრობოდა ისე, როგორც დიდებულ ადამიანის კაპრიზებს. იგი როდენმა რამდენჯერმე დაითხოვა. სხირად 2-2 თვე მან არ იცოდა, სად წასულიყო. იცოდა, რომ როდენი ისევ მას მონახავდა და ელოდა, სანამ როდენი ახალ მდივანსაც დაითხოვდა და ისევ მას მიიწვევდა თავისთან.

რენე შერუის დიდი მესხიერება ჰქონდა. როგორც მან, ისე არავინ იცოდა საქმეები. მან კარგად იცოდა, სად რა პასუხი უნდა მიეცა, სად რა წერილი უნდა მიეწერა. იგი მართლაც ნამდვილი მდივანი იყო. აი, სწორედ ეს დამხვდა ახლა. როგორც კი გაიგო ჩემი გვარი, დიდი ბოდიში მოიხადა და მითხრა: 2 კვირაა, რაც ჩეკი მზადაა და პირდაპირ მე ვარ დამნაშავე ამაში, რომ დღემდის ვერ გამოვგზავნეო. მეც გამეხარდა. ის თანაგრძნობა, რომელიც მან გამოიჩინა მაშინ, პირდაპირ განსაცვიფრებელი იყო. ფული უნდა მიმეღო „კრედი ალჟირიენში“. მან გზაც მასწავლა. დახედა საათს: თორმეტს აკლდა 20 წუთი. მითხრა, შეგიძლიათ ეს ფული დღესვე მიიღოთო. წავედი. გამოვიტანე 600 ფრანკი.

500 ფრანკზე მეტი მქონდა ვალი. მარცხნივ და მარჯვნივ. ვისიც კი მემართა დავარიგე, მეტი მოცდა აღარ შეიძლებოდა. რაკი ეს ფული დავარიგე, ამის შემდეგ ჩემი კრედიტი იწვედა თანდათან. მე კიდევ მინდოდა მიმეღო სამუშაო როდენისაგან. წერილში, რომელიც მე მივწერე, რომ ჩემი ნამუშევარი ამდენი ღირს მეთქი, ჩემი მისამართიც მივანერე. მაგრამ ეს წერილი წავიდა არქივში და მისამართიც დავიწყებას მიეცა. გაიარა რამოდენიმე კვირამ.

ერთხელ სწორედ 10 წუთი აკლდა 12-ს რომ მივედი როდენის ატელიესთან უნივერსიტეტის ქუჩაზე და მახლობლად გავჩერდი. ვფიქრობდი — როდენი გამოვა, დამინახავს და სამუშაოს მომცემს მეთქი.

მაგრამ როგორც შემდეგ შევიტყვე, იმ დღეს როდენი იქ არ ყოფილიყო. შემდეგ რამდენჯერმე მიველ კიდევ ატელიეს კარებამდის, მაგრამ დაკაუნება ვერ გავბედე. ვაი თუ ეწყინოს და ტყუილად რად ვანყენინო-მეთქი. მალე გოლუბების მეუღლემ შემომითვალა ნაცნობის პირით: შენი ნამუშევარი მოეწონა როდენს და სხვა სამუშაოს მოცემას ფიქრობსო. სხვებიც მეუბნებოდნენ და მეც დავრწმუნდი და დავაპირე როდენთან მისვლა. ამ ხანებში ერთხელ შემოვიდა ჩემთან ერთი მოქანდაკე, და ცოტა ირონიით მითხრა: როდენმა აღარ მოგცა სამუშაო?

- როგორ არა, ეხლა სწორედ როდენთან მივდივარ-თქო.
- მეც უნდა წამოვიდე.
- შენ რაღად. ჯერ მეც მეძინელება წასვლა და შენ რაღა გინდა.

უთხარი ეს და თანაც მცხვენოდა, რადგან არ მინდოდა სხვისთვის დამეშალა როდენთან მისვლა. ბოლოს უთხარი: ნამოდით-თქო.

თან ვფიქრობდი: ორნი ვიქნებით, უფრო გაბედულათ მივალთ. მიველით. ეს ჩემი მეგობარი მოშორებით მიცდის. დავაკაკუნე. კარი გაიღო. გამოვიდა ხმელი, ახალგაზრდა მალალი ინგლისელი ქალი. ეს ქალი ხშირად მინახავს როდენთან. ფეხშიშველა დადიოდა სანდალიებში. როდენს იგი მოდელისათვის ჰყავდა. კარგად უკრავდა აგრეთვე როიალზე. სწორედ ეს ქალი დამხვდა როდენთან, გამიღიმა და მითხრა: ვინ გინდათო. როდენი მინდა-თქო, ვუთხარი მე.

როდენი მოადგა კარს და როგორც კი დამინახა, პირველადვე ეს მკითხა:

- ადრე დგები დილას.
- ადრე.
- ხვალ 8 საათზე მოდი მედონში.
- მადლობას მოგახსენებთ.

ნამოვედი გახარებული. კარები მოიხურა. მოშორებით იდგა ჩემი ამხანაგი და მეც ირონიით უთხარი: „აბა, წადი და ახლა შენ დაარაკუნე კარი. როდენმა მითხრა, რომ ხვალ მედონში მივიდე“.

— არა, როდენმა თავიდან მოგიშორა. — მიპასუხა ამხანაგმა.

— მე წავალ ხვალ მედონში და ვნახავ, თავიდან მომიშორა თუ არა.

უნდა მოგახსენოთ, რომ პარიზში ბევრი იყო ისეთი ჯაბანი მოქანდაკე, რომელნიც მრავალ ჭორს ავრცელებდნენ როდენის შესახებ და ბევრს ეს ჭორები სჯეროდა. ჩემმა ამხანაგმა მითხრა: მაშ, მეც წამოვალ შენთანო. მე უთხარი: აქ ვერ აკაკუნებ კარს, მისვლას ვერ ბედავ, და იქ რალა გინდა-თქო. მე ვიფიქრე, ხვალ ისე უნდა წავიდე მედონში, რომ ჩემმა ამხანაგმა ვერ დამინახოს-მეთქი. ნამოველ სახლში. იმ ღამეს თითქმის არ მეძინა.

7 საათი იყო, რომ სადგურზე გავეშურე. ჩავჯექე კუპეში. ფარდები მოვიწიე, თანაც ვიყურებოდი ფარდებიდან. ჩემი ამხანაგი ხომ არ მოდის მეთქი.

მედონში რომ ჩავედი, გადმოვხტი, დავიცადე სანამ მატარებელი წავიდოდა. ვიფიქრე, შეიძლება ჩემი ამხანაგიც წამოვიდა და აქ სადგურზე დავინახავდი. მაგრამ მას, როგორც შემდეგ შევიტყე, შუადღემდის სძინებია. გავეშურე და მივედი როდენთან. დამხვდა მდივანი, რომელიც დიდის მეგობრულის გრძნობით მიღებდა ყოველთვის. ეს იყო ჩემი მფარველი რენე შერუი. მივაშურე მას, რომ მოეხსენებინა როდენისთვის ჩემი მისვლა. როდენი ამ დროს თავის კაბინეტში იჯდა და მისი პარიკმახერი ტუალეტს უკეთებდა. მე ცოტა ხნით ბაღში ჩავეღ. მალე შერუი გამოვიდა და დამიძახა. მივედი ატელიეში. გამობრძანდა როდენი ჩვეულებრივ დილის ხალათში. როდენმა ატელიეში შემოსვლის უმალ მაჩვენა „უგოლინო“. ეს არის კაცი ოთხფეხზე დამდგარი, დანტეს პომეიდან. გრაფი უგოლინო როგორც დამნაშავე ჩააგდეს ერთ კოშკში თავის პატარა შვილებით და სიმშვილით დასჯა გადაუნყვითეს. მამა უყურებს თავის პატარა შვილების სიმშვილით სიკვდილს და თვითონაც კვდება სიმშვილით. ეს დიდი დრამა უნდა გამოექანდაკებინა როდენს. მოქანდაკე კარპოსაც აქვს ეს სიუჟეტი, მას იგი სხვანაირად აქვს განსახიერებული.

როდენმა კარგად იცის ადამიანის ფსიქოლოგია. მან იცის, რომ ადამიანი თავის არსებაში პირუტყვს ყველაზე მეტად მაშინ გრძნობს, როდესაც მას შიან. შიმშილი პირუტყვად ჰქმნის ადამიანს.

უგოლინოც ისე აქცია შიმშილმა პირუტყვად, რომ იგი ოთხფეხზე დააყენა. აი, ეს თემა სრულიად ამონურული არის როდენის გრუბაში. ამაზე შემდეგ ვილაპარაკებ, როდესაც განვიხილავთ როდენის შემოქმედების ტენიკას, ახლა კი უნდა მოგახსენოთ, რომ „უგოლინო“ და მისი შვილები ცალ-ცალკე იყო გაკეთებული და გრუბის მხატვრულ პროფილებს მაშინ ეძებდა როდენი. ერთ სტატუის და მეორე სტატუის შუა რჩებოდა ცარიელი ადგილები.



ასეთი იყო უგოლინოს ეს პირველი სახე, რომელიც მე ვნახე. ფიგურები პირდაპირ იატაკზე ენყო და არ იყო შეერთებული. როდენმა მითხრა, აქ უნდა დაახვიო ნაჭრები მხატვრულად და ეს ნაჭრები გამიკეთო თიხიდან. მეორე დღეს უნდა მომეტანა თიხა პარიზიდან და უნდა დამეწყო მუშაობა. ეს იყო კვირა დღეს. ორშაბათს რომ მივედი, უგოლინოსთან იდგა ახალგაზრდა ფრანგი და რალაცას მუშაობდა. მე რომ შემეყვანა მდივანმა ატელიეში, — ამ ახალგაზრდას უთხრა: როდენმა შემოგითვალა დაანებე თავი მუშაობას, აკრიბე შენი საოსტატო იარაღები და წადიო. ეს ახალგაზრდა ყმანვილი-კაცი 18-19 წლისა იყო. ვიფიქრე, ხვალ და ზეგ ალბად მეც ეს დღე მომელის-თქო, მოვა ვინმე ახალი და მეც ამ დღეში ჩავარდები. გამახსენდა სიტყვები: როდენი ვერ ეჩვევა ვერავის, ვერავინ ძლებს როდენთანო.

არის ხოლმე იმისთანა მწვავე მომენტები ხელოვანის ცხოვრებაში, როდესაც გრძნობ, რომ დღეს რომ აქ მუშაობ, ხვალ სად იქნები, არ იცი. მეორე დღე უფსკრულია.

როგორც სჩანს, ეს ახალგაზრდა ხელოვანიც გრძნობდა იმას, რასაც მე. ის მიყურებდა და ალბად გულში ამბობდა: ესეც ჩემსავით უბედური ვილაცაა. დღეს თუ მე გამაგდო — ხვალ ამას გააგდებსო. ამ გარემოებამ დაგვამეგობრა. მოვიდა და გამეცნო. ერთად წავედით. მითხრა: გაგაცნობ იმათ, ვისთანაც მე ვსადილობ ვალფლერიში და იქ ვიართო. მივედით. სასადილოს ერქვა „ბისტრო“. აქ გლეხები სადილობდნენ. საჭმელი უბრალო მუშური: ერბოთი მომზადებული, მაგრამ უსამკაულო.

ჩემმა ახალმა მეგობარმა გადაუგდო სასადილოს პატრონს 2-3 ფრანკი და უთხრა: ეხლა ეს ივლის საუზმისათვისო და მიუთითა ჩემზე.

— გასაკვირველია ეს როდენი. რამოდენა ხალხი მიდის მასთან და მე კაცი არ მინახავს, რომ 1-2 თვეზე მეტი გაჩერებულიყოს მასთანო — სთქვა „ბისტროს“ პატრონმა. ვიფიქრე, აქაც სახელი გატეხილი ჰქონია მეთქი როდენს. თუ ეს მართალია და მე ერთი კვირა მაინც გავძელი კიდეც, ბევრი იქნება მეთქი. საბედნიეროდ, ჩემი შიში არ გამართლდა. უკვე თვე გავიდა და მე როდენთან ვმუშაობდი. მე შევატყვე როდენს, რომ ის არ აჩქარებს ადამიანს. ნამუშევარის ნახვას ის ასწრობდა მაშინ, როდესაც მე არ ვიყავი იქ, მაგრამ რა დროს — ნამდვილად არ ვიცი. ჩვენ მუშაობას ვინყებდით 8 საათზე. 10 საათზე ჯდებოდა ეტლში და პარიზში მიდიოდა. უკან 7 საათზე ბრუნდებოდა. 7 საათზე მეც პარიზში მივდიოდი. ნამუშევარს მე დახურულს ვტოვებდი და როდის ნახულობდა — არ ვიცი.

ერთი ნაჭერი რომ გავათავე, მიწოდდა ენახა როდენს. მოვახსენე მდივანს. იგი შემოვიდა ჩემთან და გახარებულმა მითხრა: გუშინ ძალიან დიდხანს უყურა როდენმა თქვენს ნამუშევარს და იძახდა: მე-12-ე საუკუნეა, მე-12-ე საუკუნეო.

როგორც სჩანს, ჩემს ნამუშევარში ეპოქა იპოვა. ან და ჩემი ნამუშევარი შეეფარდებოდა რადენის ამ ეპოქის ნამუშევარს და ეს მოსწონებია.

ნაჭერი იატაკზე იდგა და მე დანოლილი მიხდებოდა მუშაობა. ვცდილობდი, რომ მოხაზულობა და განათება ყოფილიყო მხატვრული, მაგრამ ისე, როგორც ბუნებაში იყო. ტილო მკვდარი იყო, მაგრამ მე პორტრეტს ვიღებდი. და ეს ყველამ უნდა მიიღოს სახელმძღვანელოდ. დეტალი თუნდაც ნუ იქნება, მაგრამ საერთოდ რასაც თქვენ აკეთებთ, უნდა იყოს პორტრეტი.

ასე 4 თვე ამ ნაჭერზე ვიმუშავე. ერთხელ როდენმა დამიბარა თავის კაბინეტში და გადმომცა წერილი. წადით ამ მისამართით, გამოგატანენ ბარზე დ'ორევილის მასკას და მომიტანეო.

ჩამოვართვი წერილი. გამოველ და გავემგზავრე პარიზისაკენ. მიველ წერილზე აღნიშნულ მისამართით და მართლაც ერთმა მოხუცმა ქალმა გამომატანა კარგად გახვეული ბარზე დ'ორევილის მასკა.

როდესაც მასკა მივიტანე მედონში, რენე შერუი მომეგება და მითხრა, რომ ეს მგონი შენ უნდა გააკეთებინოსო. როდენმა მართლაც დამიბარა და მითხრა: ეს გააკეთე ისე, როგორც უყურებ, როგორც არის, მხოლოდ ვითომც უფრო მაღალი ხმით მღერი.



მიაქციეთ ამას ხელოვნებმა ყურადღება. აქ არის უდიდესი პრინციპი ხელოვანის და ყველა ხელოვანმა უნდა იცოდეს ეს. ისე გააკეთე, როგორც არის, მხოლოდ უფრო ხმა მაღლა იმღერე. ბუნება მღერის. ოსტატი გეუბნებათ: იგივე იმღერე, მაგრამ უფრო ხმა მაღლა.

ეს ისე მჭერმეტყველურად და ისე ამონურვით არის ნათქვამი, რომ ამაზე მეტს ვერას ვიტყვი.

ამით მე მინდოდა, დამესურათებინა ის მოკლე ხასიათის ლაპარაკი, ის სიტყვათა სიძუნწე, როგორც იცოდა როდენმა. მივხვდი, რაშიც იყო საქმე. თქმა ადვილია, მაგრამ გაკეთება ძნელია, რომ უფრო ხმა მაღლა იმღერო ვიდრე ბუნებამ. დავინყე მუშაობა. როდენი შემოდიოდა ყოველდღე და მეუბნებოდა: „გარშემო უყურე“. მართლაც, ქანდაკებას უნდა გარშემო ყურება, რადგან ქანდაკება არ არის ტილოზე დახატული. მოქანდაკეს თვალები უნდა ჰქონდეს გამრავლებული, რომ შესძლოს ყველა პროფილების შეერთება, რგოლის გაკეთება.

ეს უბრალო, მაგრამ ძალიან დიდი დარიგება არის როდენისა. ძალიან უყვარდა ეს დარიგება და ყოველდღე, თუნდაც არ გაემეორებინა ჩემთვის, გარშემო უყურეო, როგორც კი დავინახავდი, რომ როდენი მოდიოდა მაშინვე დავინყებდი ქანდაკების გარშემო სირბილს.

2-3 თვე ვმუშაობდი ამაზე. როდესაც სრულებით დავასრულე, როდენმა მითხრა: აბა, ახლა მიეცი მულიორებს და გააკეთებინეთ ნაჭრის ფორმა. მულიორებმა, რომლებიც ალექსანდრიდან ასხვადნენ, ორ დღეში გამიკეთეს. როდენმა მითხრა: ეხლა იმ ნაჭრის ფორმაში ჩაზიდონ თიხა და ესტამპაჟი აიღონ. ნაჭრის ფორმა შეინახეთ. ესეც დავამზადებინე.


შემდეგ მოატანინა ბარბე დ'ორევილის სხვა და სხვა მხატვრების მიერ დახატული ფოტოგრაფიული სურათები. გადმომცა და მითხრა: გასინჯე და როგორც გინდა, ისე იმუშავეო. გავაკეთე ბიუსტი. როდენი მოდიოდა და ამბობდა: არა უშავს რაო. ბარბე დ'ორევილზე მე ვმუშაობდი პირდაპირ როგორც მუშა. 8 საათი ერთი და იგივე ბარბე დ'ორეველი აკეთო — ეს გაჯახირებაა. სული გიშრებათ. ვიტყოდი, აი, გავათავე-მეთქი, მაგრამ მოვიდოდა როდენი და იტყოდა: აბა, გადადგი, ჩამოასხან ალექსანდრისაგან. მეორე ესტამპაჟი გააკეთე, იქნება სხვანაირი გამოვიდესო. გავაკეთებინე მე-2-ე ესტამპაჟიც. მომიტანა კიდევ ახალი სურათები. მოდი, მესამე ბიუსტი დავინყოთო. დავინყე მესამე ბიუსტი. ვმუშაობდი თვე-ნახევარს. მასკა მუშაობის დროს არ ფუჭდებოდა. მასკის ფორმა მქონდა და ყოველთვის შემეძლო მეპოვნა დოკუმენტები. ამიტომ უფრო გაბედულად ვმუშაობდი. ასე გავაკეთე მე-3-ე ბიუსტიც. რომ დავასრულე ეს ბიუსტი, მოვიდა ახალი მშვენიერი ფერადებით დახატულ ბარბე დ'ორევილის სურათი. როდენმა გადმომცა ეს სურათიც და მითხრა — მე-4 ბიუსტიც გამეკეთებინა. გავაკეთე მე-4-ე ბიუსტიც და ეს მოეწონა. გაკეთებული იყო ტიტველა მხრებით. მოდელი ვიქირავე იმ წლოვანების, რა წლოვანებისაც იყო ბარბე დ'ორევილი.

როდენმა მითხრა: ამას თავი დაანებე ეხლა და ცოტაოდენი თიხა მომიმზადეო. ეს იყო შაბათს. მოვამზადე თიხაც. ორშაბათს რომ მივედი, ჩემი გაკეთებული ბარბე დ'ორევილი სულ სხვანაირი იყო. ტორსი, რომელიც მე გავაკეთე ანატომიურად არ მოსწონებია და შეუცვლია. სახისთვის ხელი არ უხლია, რადგან დოკუმენტალურად იყო გაკეთებული. როდესაც გავაკეთე, ეს ბიუსტი როდენმა ჩამოასხმევიანა ბრინჯაოსაგან და დადგმული იქმნა ბარბე დ'ორევილის სამშობლო ქალაქში. უნდა მოგახსენოთ, რომ ბარბე დ'ორევილის საზოგადოება თურმე დიდხანს ეხვეწებოდა როდენს – შენ უნდა გააკეთო ბარბე დ'ორევილის ბიუსტიო, მაგრამ როდენი არ აკეთებდა. უნდა ითქვას, რომ ბიუსტის გაკეთება სურათებიდან და მასკებიდან, მერე იმისთანა პირის, რომელსაც არ იცნობდი, არ არის სახალისო. როდენსაც არ ეხალისებოდა, მაგრამ რადგან არ აძლევდნენ მოსვენებას, ამანაც მოიშორა ეს საზოგადოება თავიდან იმით, რომ მე მომანდო და გამაკეთებინა ეს ბიუსტი.


ი. ნიკოლაძე

(შემდეგი იქნება)




შ. ამირანაშვილი. სუროთმოდერების გამოფენა



ალაუერდის ტაძარი (ბეგმა)



შ. ამირანაშვილი. ხუროთმოძღვრების გამოფენა



ნეკრესის მცირე ბაზილიკა (IV საუკ.)

## კულტურის მათიანა

### ძველი ქართული ხუროთმოძღვრების გამოფენა

მიმდინარე წლის მარტის პირველ რიცხვებში სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებულ ხელოვნების მეცნიერების კაბინეტის მიერ საქართველოს მუზეუმის დარბაზში მოწყობილი იყო ძველი ქართული ხუროთმოძღვრების გამოფენა. საზოგადოების საყურადღებოდ წარმოდგენილი მეცნიერულად შეკრებილი მასალა, ნახაზების და ფოტოგრაფიულ სურათების სახით, წარმოადგენს ხელოვნების მეცნიერების კაბინეტის სამიოდე წლის სისტემატიური მუშაობის ნაყოფს. ეს მეტად მნიშვნელოვანი მასალა ქართული ხელოვნების ისტორიისათვის შეკრებილია და მეცნიერულად შესწავლილი პროფესორ გ. ნ. ჩუბინაშვილის მიერ.

მთელი ეს უხვი და დიდმნიშვნელოვანი მასალა შეკრებილია ხელოვნების მეცნიერების ორი თანამშრომლის დახმარებით — ხუროთმოძღვარ ნ. პ. სევეროვისა და მხატვართ. გ. კიუნესი. პირველს ეკუთვნის მშვენივრად შესრულებული ნახაზები, ფანქრით და ფერადი წამლებით შესრულებული სურათები, მეორეს უდიდესი ნაწილი ფოტოგრაფიული სურათებისა, რომელიც იყო გამოფენაზე წარმოდგენილი. მხოლოდ ამ ორი თანამშრომლის დახმარებით და საქმის დიდი სიყვარულით აიხსნება ის, რომ მიუხედავად მუშაობის მძიმე პირობებისა, მცირე ხნის განმავლობაში შესრულებული იყო დიდი გეგმით დაწყებული ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლთა შესწავლის საქმე.

გამოფენის შემადგენლობა და მასალების შერჩევა ამტკიცებს — მას მიზნად არ ჰქონია დასახული ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიულ განვითარების სურათის წარმოდგენა, მას შეეყვართ თვით სისტემატიურად მოწყობილ კვლევის პროცესში, რომლის მიღწეული შედეგები ჩვენთვის გასაგები ხდება; თვით კვლევის მეთოდი, რომელიც მასალების დაკვირვებიდან ბუნებრივად გამომდინარეობს, ახალია და არსებითად განსხვავდება წინანდელ მეთოდისაგან ამ დარგის შესწავლის საქმეში.

ჩვენ აქ არ შეუდგებით იმის განხილვას, თუ რა დიდი დამსახურება მიუძღვის საზოგადოდ ხელოვნების მეცნიერების კაბინეტს ქართული ხელოვნების ისტორიაში, როგორც კვლევის თანამედროვე მეთოდოლოგიურ სიმაღლემდე აყვანით, ისე მასალების შეკრებით და სისტემატიზაციით, თვით შეკრების ტექნიკის გაუმჯობესებით და სხვა. ჩვენ აქ მოვახდენთ მხოლოდ მოკლე მიმოხილვას გამოფენაზე წარმოდგენილი ძეგლებისას.

\* \*

ქართული ხუროთმოძღვრების დამახასიათებელი თავისებურობა, რომელშიაც მძლავრად გამოიხატა ჩვენი ხალხის გენიალობა, არის გუმბათოვანი ხუროთმოძღვრება. კლასიკურ ძეგლად ქართული გუმბათოვანი ხუროთმოძღვრებისა, რომელიც წარმოადგენს ჩვენი კულტურის სიამაყეს, ითვლება **მცხეთის ჯვარის ტაძარი**. იგი აგებულია VI-ს დამლევს და წარმოადგენს იშვიათს და მთავრებული სახის მხატვრულ ნაწარმოებს; მას აქვს თავისი ისტორია, წინამორბედი ძეგლები (მაგალ. ნინო-წმიდის და გავაზის ტაძრები), მაგრამ როგორც მხატვრული ნაწარმოები იგი განმარტოვებული დგას. თავის დროს წინედაც კარგად ესმოდათ ამ ძეგლის მნიშვნელობა და სილამაზე, რადგანაც ჩვენ გვაქვს მისი განმეორების ცდა, რომელიც მეტად მნიშვნელოვან ფაქტს წარმოადგენს ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიაში. ამგვარ ძეგლს წარმოადგენს **ატენის სიონი**, რომელიც ამტკიცებს, რომ აღმშენებელთ სურდათ ქონოდათ თავისი საკუთარი ჯვარის ტაძარი, რომლისათვის ყოველ წვრილმანებშიაც მონურად მიუბაძავთ. ატენის სიონი, როგორც საბოლოოდ ირკვევა, აგებულია VII-ს.



გამოფენაზე არ იყო მოთავსებული ჯვარის ტაძრის ნახაზები, რადგანაც უკანასკნელი სრულად იყო წარმოდგენილი ქართული ხუროთმოძღვრების პირველ გამოფენაზე. სამაგიეროთ აქ წარმოდგენილი იყო ატენის სიონის ნახაზები ხუროთმოძღვარ მ. გ. კალაშნიკოვის მიერ შესრულებული, რომელიც წარმოადგენს კავკასიის საარქეოლოგიო ინსტიტუტის საკუთრებას. ნახაზები ამ ძეგლისა შესრულებულია პროფ. გ. ნ. ჩუბინაშვილის გეგმის თანახმად; ფოტოგრაფიული სურათები ქანდაკებათა და დეკორატიული ხასიათის ელემენტებისა ეკუთვნის მხატვარ თ. გ. კიუნეს.

საყურადღებო ვარიანტს მცხეთის ჯვარის ტაძრისა იძლევა **მარტვილის მონასტერი**, რომელიც თავისი მხატვრული მნიშვნელობით არ ჩამოუვარდება მცხეთის ჯვარს. მარტვილის მონასტერი გვაძლევს ჯვარის ტაძართან შედარებით ფასადის საკითხის უფრო სწორ გადაჭრას და ახალ პრინციპს დეკორატიული ელემენტების განაწილებისა. ფასადის საკითხი წარმოადგენს მეტად რთული ხასიათის პრობლემას ხუროთმოძღვრებაში და მხატვრულ თვალსაზრისით სწორი გადაწყვეტა ამ პრობლემისა შეადგენს ქართული ხუროთმოძღვრების ერთ მთავარ მიღწევათაგანს. საინტერესოა შედარება ამ თვალსაზრისით ქართულ ხუროთმოძღვრების ძეგლთა სომხურ ხუროთმოძღვრების ძეგლებთან, რომელიც გამოხატავს მათ პრინციპიალურ განსხვავებას, ქართულ ხუროთმოძღვრების უპირატესობას მხატვრული თვალსაზრისით. ამიტომ სამართლიანად VII-საუკუნე ითვლება ქართული გუმბათოვანი ხუროთმოძღვრების განვითარების ბრწყინვალე ხანად.

რა ხდებოდა ამ დროს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, ჯერ-ჯერობით ჩვენ კარგათ არ ვიცოდით. ამის შესახებ სრულ სურათს გვაძლევს, პროფ. გ. ნ. ჩუბინაშვილის კვლევის გამო, კახეთი. თვით გამოფენაზე უმთავრესი ადგილი უჭირავს კახეთის ხუროთმოძღვრების ძეგლებს. პროფ. გ. ნ. ჩუბინაშვილის კვლევამ გამოარკვია, რომ კახეთის ხუროთმოძღვრებას ახასიათებს თავისებურობა, როგორც სააღმშენებლო ხერხებში, აგრეთვე მასალისა და დეკორატიული ელემენტების განაწილებაში. იგი არსებითად განსხვავდება ჩვენი ქვეყნის სხვა კუთხეების ხუროთმოძღვრებისაგან, მას აქვს თავისი ისტორია, რის გამოც შესაძლებელი გახდა კახეთის ხუროთმოძღვრების ცალკე შესწავლა. სისტემატიურმა კვლევამ, მიუხედავად იმისა, რომ კახეთის ხუროთმოძღვრების ძეგლების შესახებ დამატარებელი ისტორიული ხასიათის ცნობები და ძველი წარწერები მეტად მცირეა, შესაძლებლად გახდა კახეთის ხუროთმოძღვრების ძეგლთა დათარიღება და მათი განხილვა VI-ს. მოყოლებული XVIII-ს. გამოფენაზე წარმოდგენილ მასალების მიმოხილვის დროს პროფ. გ. ნ. ჩუბინაშვილმა დაწვრილებით აღნიშნა კახეთის ხუროთმოძღვრების შესწავლის მთავარი მომენტები, როგორ თანდათან ფართოვდებოდა კვლევა და დათარიღება ძეგლთა უფრო მტკიცე საფუძველს პოულობდა. ამგვარი განმარტება მეტად საინტერესო იყო მეთოდოლოგიური თვალსაზრისით და ნათელყო კვლევის პროცესის მთავარი მომენტები.

უძველესს ძეგლს კახეთის ხუროთმოძღვრებისა წარმოადგენს **ნეკრესის მცირე ბაზილიკა**, რომელიც გვაძლევს მეტად საინტერესო კონსტრუქტიული ხასიათის თავისებურობას. ერთ მათგანს წარმოადგენს ბაზილიკის საკურთხეველის კარები, რომელიც გარედან არის დატანებული კედელში. პროფ. გ. ნ. ჩუბინაშვილის აზრით, ნეკრესის მცირე ბაზილიკა უნდა იყოს აგებული IV-ს.

V-ს. უნდა ეკუთვნოდეს **ძველი შუამთის ბაზილიკა**, რომელსაც სამივე მხრიდან თავისებური ხასიათის მონაშენები აქვს.

VII-ს. ეკუთვნის ბაზილიკა საგურამოს წმინდა გიორგისა, „ქასურისა“ (როგორც მას ადგილობრივად უწოდებენ), რომელიც სამეკლესოვან გეგმისაა და აგებულია თლილი ქვიდან, რაც კახეთის ხუროთმოძღვრებაში ჩვეულებრივად მიღებულ მასალას არ წარმოადგენს.

VIII-ს. დამლევს ეკუთვნის **ზედაზენის ბაზილიკა** და **ნეკრესის დიდი ბაზილიკა**. ორივე ბაზილიკა იძლევა ერთი ტიპის სხვა და სხვა ვარიანტებს. შუა ნავი ზედაზენის ბაზილიკი-



სა უერთდება განაპირა ნაევებს, გაშლილი კამარების საშუალებით, ხოლო ნეკრესის ბაზილიკა განაპირა ნაევებს უერთდება სამი კარის საშუალებით.

უძველეს ძეგლს კახეთის გუმბათოვან ხუროთმოძღვრებისა წარმოადგენს **ძველი გავაზის ეკლესია**, რომელიც წარსულ საუკუნის პირველ ნახევრის ბოლო წლებში განუახლებიათ. თავის გეგმით ტაძარი წარმოადგენს წმინდა ტეტრაკონქს და არის მეტად ძველი სახის, ხოლო მაღალ ყელიანი გუმბათი და გაშლილ თაღებიანი სტოა, რომელიც გარს უვლის შენობას, აუგიათ VIII-IX-ს. თვით ტაძარი, როგორც მისი გეგმა და კონსტრუქციული თავისებურობა მოწმობს, უნდა იყოს აშენებული მე-VI-ს. შუა წლებში. აღსანიშნავია, რომ აღმოსავლეთ აფსიდაში კარები ჰქონია დატანებული.

VI-ს. მესამე მეოთხედში უნდა იყოს აგებული **ნინო-წმინდის ტაძარი**, რომელიც მინის ძვრის წყალობით ძლიერ დაქცეულია; ეს ტაძარი მეტად საინტერესოა თავისი მოყვანილობით და კონსტრუქციით და სამართლიანად პროფ. ჩუბინაშვილის მიერ სახელწოდებულია მცხეთის ჯვარის ტაძრის „წინამორბედათ“.

მცხეთის ჯვარის ტიპის ტაძარს წარმოადგენს **ძველი შუამთის გუმბათიანი ტაძრები** დიდი და პატარა, რომელთაგან ერთი გვაძლევს გამარტივებულ ჯვარის ტაძრის ფორმებს. ორივე ტაძარი აგებულია პროფ. გ. ნ. ჩუბინაშვილის აზრით VII-ს.

VII-VIII-ს. ეკუთვნის მეტად ორიგინალური მოყვანილობის და გეგმის **ქისისხევის გუმბათიანი ტაძარი**, რომლის გუმბათი X-XI-ს. უნდა იყოს აგებული.

გუმბათიან ტაძართა შორის მეტად ორიგინალურია თავისი გეგმით და კონსტრუქციური თავისებურობით **ვაჩნაძიანის ტაძარი**, რომელიც VII-VIII-ს. უნდა ეკუთვნოდეს.

VIII-IX-ს. ეკუთვნის **ნეკრესის გუმბათიანი მცირე ტაძარი**, რომლის გეგმაში გამოყენებულია ხუროთმოძღვარის მიერ სამ ეკლესიანი ბაზილიკის მოტივები, როგორც ვაჩნაძიანის ეკლესიაში.

X-ს გვაძლევს ბრწყინვალე ხანას კახეთის ხუროთმოძღვრების განვითარებისა **ალავერდის ტაძრის სახით**, რომელიც ქართული ხუროთმოძღვრების საუკეთესო ძეგლთა შორის დაიჭერს საპატიო ადგილს.

სამწუხაროდ, ეს ძეგლი შიგნიდან ბევრ ადგილას გადაკეთებულია, როგორც გარედანაც; თვით გუმბათი XVI-ს. აღდგენილია, მაგრამ თავისი მნიშვნელობით ეს ტაძარი გვერდში ამოუდგება მცხეთის სვეტიცხოველს, ბაგრატის ტაძარს ქუთაისში, ხახულის და ოშკის დიდებულ ტაძრებს. პროფ. გ. ნ. ჩუბინაშვილის აზრით, იგი უფრო ადრე უნდა იყოს აშენებული, ვიდრე ბაგრატის ტაძარი და მცხეთის სვეტიცხოველი.

სხვა დროის ძეგლებიდან გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ლეონ მეფის (1520—1574) და ალექსანდრე მეფის (1574—1605) დროის ძეგლები; **გრემის მთავარანგელოზთა ტაძარი**, მოხატული ლეონ მეფის დროს ბერძენთა მიერ, **ნინოწმინდის სამრეკლო**, ტაძრები **ახალსოფელისა და ჩიკანის**. უკანასკნელი პერიოდის ძეგლებს ახასიათებს სპარსული ხელოვნების გავლენა, მაგრამ თვით სპარსული ხუროთმოძღვრებიდან გადმოღებული ელემენტები იმდენათ გადასხვაფერებულია ადგილობრივი ხუროთმოძღვრების ტრადიციების მიხედვით, რომ გვაძლევს ორიგინალურ მხატვრულ შთაბეჭდილებას.

კახეთის ხუროთმოძღვრების ძეგლების გარდა გამოფენაზე წარმოდგენილი იყო **ანჩისხატის და რუისის ბაზილიკების** ნახაზები, რომელნიც ჩუბინაშვილის აზრით მე VI-ს. ძეგლებს წარმოადგენს. ტფილისის ძველი ეკლესიებიდან წარმოდგენილი იყო **სიონის ტაძარის** გეგმა და ან გაუქმებულის ჯვარის მამის ეკლესიისა. ნახაზების გარდა გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ხუროთმოძღვარ ნ. პ. სევეროვის მიერ შესრულებული სურათები სხვა და სხვა ნაშთებისა, ტფილისის ძველი შენობებისა და სხვ.

ასეთია ხელოვნების მეცნიერების კაბინეტის მიერ მოწყობილი გამოფენა ძველი ქართული ხუროთმოძღვრებისა, რომელიც გვიშლის აქამდის თითქმის სრულებით უცნობ ფურც-

ლებს ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიიდან. მეთოდოლოგიური თვალსაზრისით სწორედ დაყენებულმა კვლევამ მოგვცა ახალი მიღწევანი, რომელნიც ხელოვნების ისტორიის განსაზღვრულ პერიოდის პრინციპიალურ საკითხების საბოლოოდ გამოსარკვევად და გადასაჭრელად გადამწყვეტ როლს ითამაშებენ ევროპიელ მკვლევართა თვალშიც. კახეთის ხუროთმოძღვრების შესწავლამ მისცა ახალი და მტკიცე საფუძველი ქართული ხუროთმოძღვრების შესწავლას; თვით ტექნიკა მასალების შეკრებისა არსებითად შეიცვალა და გაუმჯობესდა შედარებით იმასთან, რაც აქამდის იყო. მასალების შეკრებას მიეცა სისტემატიური ხასიათი და გარკვეული გეგმა, რომელიც გამომუშავებულია ხელოვნების მეცნიერების კაბინეტის მიერ და კიდევაც განხორციელებული. ის, რაც გაკეთებულია მოკლე ხნის განმავლობაში, გვაძლევს წარსული ჩვენი კულტურის ახალ ფაქტებს და თან გვიშლის ახალ თვალწარმტაც პერსპექტივებს. ბევრია გასაკეთებელი კიდევ, მაგრამ პირველი სიძნელე გადალახულია, საქმე სწორედ არის დაყენებული, რადგანაც იგი დამკვიდრებულია მტკიცე მეცნიერულად მომზადებულ საფუძველზე. გამოფენა გვიჩვენებს, რომ ჩვენ ამ მხრით იმედით უნდა შევეგებოთ მომავალს.

*შალვა ამირანაშვილი*

## ელეონორა დუზე

ელეონორა დუზეს შესახებ იმდენი წიგნი დანერვილა ყველა ევროპიულ ენებზე, იმდენი წერილები უძღვნიათ მისთვის ყველა გამოჩენილ კრიტიკოსებს, რომ ალბათ ადამიანის მეტყველებაში არ არის აღარც ერთი საქებარი ეპითეტი, რომელიც არ ყოფილიყოს ნახსენები მის სახელთან ერთად.

და თუ მე ეხლა ნებას ვაძლევ ჩემ თავს, ვილაპარაკო მის შესახებ, ეს იმიტომ კი არა, რომ შემეძლოს მიუმატო რაიმე მასზე ნათქვამს, არამედ იმიტომ, რომ ამ ორმა ტრაგიულმა სიტყვამ „დუზე მოკვდა“ — გააღვიძეს ჩემში რაღაც დიდი ნათელი სიხარული, სიხარული მხატვრული ალტაცებისა, ოდესღაც განცდილი მასთან ერთად — მისი ხელოვნების ჯადოსნური გავლენის ქვეშ.

ამაშია დიდი საიდუმლოება მხატვრული განსახიერებისა; ცრემლები ოდესღაც დაღვრილი მასთან ერთად, სიხარული მისგან მონიჭებული, უკავშირდება სამუდამოდ ამ მხატვრულ განცდათა შემოქმედს. იგი თქვენი სულის ნაწილი ხდება და საკმარისია მისი სახელის ხსენება, რომ თქვენი გული სულ სხვანაირად აძგერდეს.

იქნება პირველი შეხედვით საკვირველიც იყოს, რომ ჩვენ ხელოვნების შემოქმედთაგან ყველაზე მეტად მსახიობი გვიყვარს;

მაგრამ ეს საკვირველია მხოლოდ პირველი შეხედვით; როცა საქმის არსებას ჩაუფიქრდებით, მაშინ ეს ცხადი და გასაგები ხდება. თეატრს აქვს ერთი საოცარი თვისება, რომელიც არც ერთ სხვა ხელოვნებაში არ მეორდება; ეს ის, რომ მსახიობის შემოქმედება ერთის მხრით, და ჩვენი — მაყურებლის — ათვისება მეორეს მხრით, ერთსა და იმავე დროს ხდება. ყველა სხვა ხელოვნებაში, შემოქმედის მიერ განცდილს მხატვრულ სახეს ჩვენ ვღებულობთ გაცილებით უფრო გვიან, როგორც მისი გრძნობის და აზრის ნაყოფს, ხოლო მსახიობის სულს ჩვენ უშუალოდ ვეხებით, თვით მხატვრული აღელვების ჩასახვის წამში. ამასი არის ისეთი მომხიბლავი საიდუმლოება, ისეთი ძალა, რომელიც არც ერთ სხვა ხელოვნებას არა აქვს. და რა არის საკვირველი ამის შემდეგ, რომ ჩვენ ყველაზე მეტად გვიყვარს ისინი, ვინც თავისი მე-ს უმაღლეს წუთში, შემოქმედების მომენტში, ნებას გვაძლევს, მიუახლოვდეთ მის სულს, და ამ რიგათ თითქოს გავინაწილოთ მისი შემოქმედების საიდუმლოება.

აი, აქ არის არსებითი განსხვავება კინოსა და თეატრს შორის: აი, ამის გამო არის, რომ კინო მაქსიმალური მიღწევის დროსაც კი ვერასოდეს ვერ გასწევს თეატრის მაგიერობას. ამიტომ არის, რომ თეატრი არას დროს არ მოკვდება, რაც უნდა ილაპარაკონ ამის შესახებ.

დიახ, ელეონორა დუზე თეატრის ნამდვილი დამტკიცება იყო. ერთი მისი წარმოდგენა რომ ენახათ იმ ყმანვილ-კაცებს, რომელნიც ასეთის თავისუფლებით ლაპარაკობენ, თითქო თეატრი ხელოვნება არ იყვეს, რასაკვირველია, ისინი თავიანთ თავს ისეთ პიგმეებად იგრძნობდენ, რომ შემდეგ სინითლით მოიგონებდენ ამ თავიანთ მოუფიქრებელ სიტყვებს.

ოთხჯერ ვიყავი მე უბედნიერესი ადამიანი, ოთხჯერ ვნახე ელეონორა დუზეს წარმოდგენა. პირველად — მილანში, ორჯერ — პარიზში და ერთხელ მოსკოვში. და ეს ოთხი ხანა ჩემი სიცოცხლისა აღიბეჭდა ჩემს სულში ისე, როგორც შეიძლება აღიბეჭდოს მხოლოდ პირველი სიყვარული.

აქედან თქვენ მიხვდებით, რომ იმ სიტყვებმაც-კი, რომ დუზე მოკვდაო, გააღვიძეს ჩემს სულში ის ნათელი სიხარული, რომელსაც ჰქმნიდა მისი შემოქმედება.

ამ ჟამად მე არ მინდა ვილაპარაკო მის ხელოვნებაზე, მის ტენიკაზე. მაგრამ აქ, არ შემიძლია, არ აღვნიშნო ერთი რამ: დუზეში იყო ერთი საოცარი თვისება, რომელიც შემდეგ მე არასდროს არ შემხვედრია აღარც ერთ დიდ მსახიობში — მან იცოდა საოცარი გაფითრება სცენაზე, თითქო ეს იყო სინამდვილე.

მახსოვს, პირველად გამაოცა დუზეს ხელოვნებამ „მარგარიტა გოტიეში“. იმ წუთში, როცა მარგარიტამ გადასწყვიტა არმანის მოშორება, მან თვალი მიმოავლო სცენაზე თითო-თითოდ ყოველ ნივთს, და უეცრად მისი მზერა შეჩერდა ერთ სავარძელზე. დიდ ხანს უცქირა მას, თითქოს იგონებდა თვისი ბედნიერების ყველა წუთს; და ამ დროს სასწაული მოხდა, ფერ-უმარილის ქვეშ მისმა სახემ გაფითრება დაიწყო, და ისე თვალსაჩინოთ, რომ ამ გაფითრებამ დაუკარგა მას ხელოვნური ფერი.

მე ჩემ თვალს არ დაუჯერე და დავარწმუნე ჩემი თავი, რომ ეს ჩემი მოგონილია, რომ ჩემმა მლელვარებამ დამანახვა ის, რაც ნამდვილად არ ყოფილა, მაგრამ შემდეგ წარმოდგენებზე მე განგებ თვალს ვადევნებდი ამ წამს ბინოკლით და დავრწმუნდი, რომ ჩემი პირველი შთაბეჭდილება სიმართლე იყო.

დიახ, ელეონორა დუზე დიდი ხელოვანი იყო, უდიდესი თეატრალური შემოქმედი.

მთელი მისი ტანი მეტყველებდა. მთელი თავისი არსებით იგი გადმოგვცემდა სიხარულს ან მწუხარებას. მახსოვს, როცა პირველად ხელში ჩამივარდა დ'ანუნციოს ნიგნი „მკვდარი ქალაქი“, მე მენყინა ავტორის ვულგარული მიძღვნა: „ელეონორა დუზეს მშვენიერ ხელებს“. მაგრამ, როცა შემდეგ ვნახე ეს ხელები, მე მიხვდი ამ მიძღვნის დიდ მნიშვნელობას.

მართლაც, ეს მშვენიერი ხელები მეტყველებდენ და შეუდარებლად გადმოგვცემდენ ყველა მისი გრძნობის უნახეს განცდას. როგორ შეიძლება ამ ხელების დავიწყება „სასტუმროს დიასახლისში“, როცა იგი ამ ხელებს საკოცნელად უწვდის სამს კავალერს. — ეს ხელები დასცინოდენ სულელებს, იმდენი ირონია იყო მისი თითების ყოველ მიმოხვრაში.

მაგრამ კმარა!

დუზეს შესახებ საათობით შეიძლება ლაპარაკი, შეიძლება დაინეროს უდიდესი ბიოგრაფია, მაგრამ ყველა ეს გაცილებით უფრო მკრთალი იქნება, ვიდრე ის, რისი ჩანერგვაც იცოდა მან ადამიანთა გულებში: სიყვარული.

ელეონორა დუზე სიყვარულს უღვიძებდა ყველას, ვისაც კი ერთხელ მაინც უნახავს იგი თუნდ რაიმე ნაწყვეტში. და მე ერთი იმ მილიონთაგანი ვარ, რომელნიც სამუდამოდ მასზე შეყვარებულები დარჩნენ.

მოკვდა ელეონორა დუზე, მაგრამ ჯერ კიდევ ძვერს ჩემი გული, სადაც ბოლომდე იცოცხლებს სიხარული მისი შემოქმედების.

## ქართული კულტურის ქრონიკა

### სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირში.

— მწერალთა კავშირის საგამომცემლო სექციას განზრახული აქვს გამოსცეს ახალი ქართული მწერლობის კრებულები. პირველი კრებული გამოვა ივლისის პირველ რიცხვებში.

— მწერალთა კავშირმა მარტის 10-ს გაუმართა იუბილე მწერალ ქალს ანასტასია ერისთავ-ხოშტარის მისი სამწერლო მოღვაწეობის 35 წლის აღსანიშნავად. მიმდინარე სექტემბერში მწერალთა კავშირი უმართავს იუბილეს მწერალს სოფრომ მგალობლიშვილს.

— საქართველოში დაბრუნდა დამსახურებული ქართველი მწერალი ნიკო ნიკოლაძე. მიმდინარე წელს მას შეუსრულდება 65 წელი, რაც იგი სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა. ამ ჟამად მსცოვანი მწერალი ამზადებს მემუარებს, რომელიც გამოქვეყნდება ჟურნალ „კავკასიონში“.

### ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

— ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა ამ ბოლო ხანებში დიდად გაცხოველდა. უკანასკნელი თვეების განმავლობაში გამოვიდა: 1) ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, ტ. III. 2) პროფ. კ. კეკელიძის ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I. 3-4) შალვა მიქელაძისა და სვიმონ ყიფშიძის შრომები სამკურნალო მეცნიერების დარგებიდან. 5) პროფ. გრიგოლ წერეთლის: Iohannis Italis opuscula selecta, I (ბერძნული ტექსტი, წინასიტყვაობით გერმანულ ენაზე; ლითოგრაფიული გამოცემა). 6) პროფ. ივ. ჯავახიშვილის სპარსული საისტორიო ტექსტები (ლითოგრაფიული გამოცემა). იბეჭდება და ახლო მომავალში გამოვა: 1) ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, ტ. IV. 2) ალ. ჯავახიშვილის შრომა საქართველოს გეოგრაფიის შესახებ. 3) ქართული ხუროთმოძღვრების ალბომი.

— ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებულმა ხელოვნებათა ისტორიის კაბინეტმა პროფ. გ. ჩუბინაშვილის ხელმძღვანელობით მოაწყო ქართული ხუროთმოძღვრების ნაშთების მეორე გამოფენა (საქართველოს მუზეუმში). საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ გამართა სამი სხდომა, რომელიც შეენირა გამოფენაზე წარმოდგენილი ნაშთების განხილვას.

— სახელმწიფო უნივერსიტეტის დავალებით 22 აპრილს იტალიაში გაემგზავრა პროფ. გრიგოლ წერეთელი — ნეაპოლის უნივერსიტეტის შვიდასი წლის თავის აღსანიშნავად საზეიმო სხდომაზე დასასწრებლად. პროფ. გრ. წერეთელმა თან წაიღო ჩვენი უნივერსიტეტის სიგელი, მიმართული ნეაპოლის უნივერსიტეტისადმი, ლათინურსა და ქართულს ენაზე დაწერილი. სიგელის ქართული ტექსტი შესრულებულია ძველი ქართული ხელით და სტილით.

— სახელმწიფო უნივერსიტეტის დავალებით პროფ. ანდრია რაზმაძე გაემგზავრა საფრანგეთში მათემატიკოსთა საერთაშორისო კონგრესზე დასასწრებლად.

— 29 აპრილს სომხეთში მიემგზავრება ტფილისის უნივერსიტეტის მიერ მოწყობილი სამეცნიერო ექსპედიცია სომხეთის ხუროთმოძღვრების ძეგლების შესასწავლად.

### მხატვრობა.

— ს. ს. რ. კ. წარმომადგენელისაგან იტალიაში მოვიდა ოფიციალური ცნობა, რომ ქართველი მხატვრები მიწვეული არიან მხატვრობის ინტერნაციონალურ გამოფენაზე — ვენეციაში, გამოფენა გაიმართება აპრილში და გასტანს ოქტომბრამდე. ქართველ მხატვართა ორგანიზაციამ გადასწყვიტა, მიიღოს მონაწილეობა გამოფენაზე და გაჰგზავნოს თავიანთი წარმომადგენელი.



— მიმდინარე წლის აპრილში ტფილისში შესდგა ქართველ მხატვართა საზოგადოების წლიური კრება. კრებამ იქონია მსჯელობა გამგეობის წლიურ ანგარიშზე, საზაფხულოდ სურათების გამოფენის მოწყობაზე, და სხვა მორიგ საკითხებზე; არჩეულ იქმნა გამგეობა.

### **თეატრი.**

— ქართული ოპერები. განათლების კომისარიატის მთავარ სახელოვნო კომიტეტმა გადასწყვიტა მომავალი სეზონისათვის გაადიდოს ქართულ ოპერათა რიცხვი. განზრახულია დამზადებულ იქმნას შვიდი ორიგინალური ოპერა და ხუთი თარგმნილი.

— იუბილეები. მიმდინარე წლის განმავლობაში გაემართა იუბილეები მსახიობთ ტასო აბაშიძეს და ნიკო გოცირიძეს (პირველს 25 წ. და მეორეს 30 წლის არტისტიულ მოღვაწეობისა), და ლოტბარს ივ. ფალიაშვილს (35 წ. მოღვაწეობისა).

### **სრულიად საქართველოს ხელოვანთა კულტურული კავშირი.**

— მიმდინარე აპრილში შესდგა კავშირის პლენუმის კრება, რომელმაც მოისმინა მთავარი კომიტეტის ორი წლის მოქმედების ანგარიში და აირჩია ახალი გამგეობა. კავშირში შედის ოთხი სექცია: მწერალთა, მხატვართა, მუსიკოსთა და მსახიობთა.

**საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებასთან** დაარსდა საარქეოლოგიო სექცია, რომლის მიზანს შეადგენს სიძველეთა დაცვის მოწყობა საქართველოში.

— საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საჯარო სხდომებზე მიმდინარე წლის განმავლობაში წაკითხულ იქმნა მთელი რიგი მოხსენებათა. მათ შორის აღსანიშნავია: პროფ. ივ. ჯავახიშვილისა: ფულის სისტემა ძველ საქართველოში, ქართული დიპლომატიკა. პროფ. გ. ჩუბინაშვილისა. სამი მოხსენება ქართულ ხუროთმოძღვრების შესახებ.

**საქართველოს საენათმეცნიერო საზოგადოება** სცემს წლიურ კრებულს, რომელშიაც მოთავსებული იქნება საზოგადოების წევრთა შრომები.

**აკადემიკოსი ნიკო მარრი**, როგორც გადმოგვცემენ, ამ ახლო ხანში ტფილისში ჩამოვა და აქედან აფხაზეთს გაემგზავრება აფხაზური ენის შესწავლის განსაგრძობად.

**ჟურნალი „ჩვენი მეცნიერება“** განაგრძობს გამოსვლას, მარტში გამოვიდა №10, მაისში გამოვა №11-12. ჟურნალში მოთავსებულ მასალებიდან განსაკუთრებით საყურადღებოა პროფ. ივ. ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორია“.

**ქუთაისის საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმი**, რომელიც ამ რამდენიმე ხნის წინად გაიხსნა, ინტენსიურ მუშაობას აწარმოებს. შეგროვილ იქმნა მრავალი პირველხარისხის ხელოვანი ისტორიული მნიშვნელობის ძეგლები.

### **საქართველოს სიძველენი.**

— საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების არქეოლოგიურ სექციის მიერ გაგზავნილმა კომისიამ შეჰკრიბა კახეთის სიძველენი და გადასცა სახელმწიფო უნივერსიტეტის მუზეუმს. ამ დღეებში დამთავრდება ქართლის ძეგლების ჩამოტანა ტფილისში. ამავე მიზნით გურიაში გაგზავნილმა კომისიამ ჩამოიტანა გურიის სიძველენი, მაგრამ როგორც გამოირკვა დიდი ნაწილი გურიის პირველხარისხის ძეგლებისა დაღუპულა.

**ქართველ მუსულმანთა დამხმარე კულტურული საზოგადოება.** შესდგა ქართველ მუსულმანთა დამხმარე კულტურული საზოგადოების დამფუძნებელი კრება. არჩეულ იქმნა გამგეობა დავით კანდელაკის თავმჯდომარეობით. გამგეობა უკვე შეუდგა მოქმედებას.



## ევროპის კულტურის ქრონიკა

**ბაირონის გარდაცვალების ასი წლის თავი.** მიმდინარე აპრილში შესრულდა ასი წელი ბაირონის გარდაცვალებიდან. მისი ხსოვნა აღნიშნული იქნება ევროპის ყველა ქვეყნებში („კავკასიონის“ მორიგ ნომერში მოთავსებული იქნება ბაირონის შემოქმედების დახასიათება და ლექსების თარგმანები).

**დ'ანუნციო მონასტერში.** „პტი პარიზიენის“ ცნობით, გაბრიელე დ'ანუნციო ბერად აღკვეცას აპირებს. იგი ამ უკანასკნელ ხანებში წამდაუნუმ დადის წმ. ფრანჩესკო ასისელის საფლავზე. ამბობენ, რომ იგი ფრანცისკანელთა ორდენში აპირობს შესვლას.

**იაკობ ბოსჰარტ.** გარდაიცვალა შვეიცარიელი რომანსიე იაკობ ბოსჰარტ. ბოსჰარტს თავის დროზე გოტფრიდ კელლერის და შილერის პრემია აქვს მიღებული (ჟურნალი „ნორდუნდ ზიუდ“).

**ნეაპოლის უნივერსიტეტის 700 წლის იუბილეს** იდღესასწაულებენ მიმდინარე წლის მაისში. ამ ზეიმს დაესწრებიან მთელი ქვეყნის უნივერსიტეტების დელეგატები (იუბილეს დასასწრობად გაემგზავრა ჩვენი თანამემამულეც ცნობილი ჰელლენისტი — პროფ. გრ. ფილ. წერეთელი).

ამასავე მოჰყვება ინტერნაციონალური ფილოსოფიური კონგრესი — მაისის დამლევს. იტალიურ ფილოსოფიური საზოგადოების სახელით ანტონიო ალიოტტამ (ნეაპოლის უნივ. პროფ.) მოიწვია კანტის საზოგადოება. ამ მოსაწვევ ბარათში, მან განსაკუთრებული თხოვნით მიმართა ცნობილ ნიცშეს მკვლევარს ჰანს ვეჰინგერს და სხვა ცნობილ გერმანელ ფილოსოფოსებს, რათა უკანასკნელთ მხურვალე მონაწილეობა მიიღონ ამ კონგრესზე („ნორდ უ. ზიუდ“).

**დორფელის 70 წლის დაბადების დღე.** ცნობილ გერმანელ ჰელლენისტს, დიონისის თეატრის აღმომჩენს, დორფელს 70 წელი შეუსრულდა; ამ დღისთვის მას მილოცვები მოუვიდა როგორც გერმანიის პრეზიდენტისაგან, ისე ბერლინელ საბერძნეთის ელჩისაგან.

N. U. S.

**პარიზი და ჰაინრიხ ჰაინე.** Republique Française-ის ცნობით, პარიზის მუნიციპალიტეტის სურვილით მარმარილოს დაფა მიაკრეს იმ სახლს, რომელშიაც ჰაინრიხ ჰაინე გარდაიცვალა 1856 წელს. სახლი მდებარეობს მატინიონის ქ.

ცნობილია, რომ ჰაინეს გერმანიამ ძეგლი არ აუგო, რადგან იგი თავის ჟურნალისტურ წერილებში საფრანგეთს იცავდა და ამისთვის 300 ფრანკს იღებდა თვეში. 1916 წ. ვილჰელმ მეორემ იყიდა ავსტრიის დედოფლის ელისაბედის ვილლა კუნძულ კორფუზე, სადაც იდგა ჰაინეს ბიუსტი; ანტისემიტმა ვილჰელმმა ზღვაში გადაადგებია „მოყიდული ურიის“ ძეგლი. ამგვარად ჰაინეს პარიზი მეტად პატივს სცემს ვიდრე ბერლინი.

**პირველი ჰუნგრული ოპერა.** ბუდაპეშტში პირველად დაიდგა პირველი ჰუნგრული ოპერა „ქორწილი ფაშინგში“ — ტექსტი ვაიდასი, მუსიკა პოლდინის („Frankfurt. Zeitung“).

**გერმანელი არქეოლოგები ასურეთში.** დოქტ. ვალტერ ანდრაემ გამოაქვეყნა გერმანელ არქეოლოგების 11 წლის მუშაობის რეზიუმე, რომელიც მიღებული აქვს არქეოლოგიურ საზოგადოებას ასურეთ-ბაბილონში. აღმოჩენილია იშტარის ახალ ტაძარი, რომელიც ქრისტეს დაბადებამდის 3000 წელს ეკუთვნის. ნაპოვნია მრავალი თიხის ჭურჭელი, თასები, სტატუები. ამ სტატუების აღმოჩენა ახალ შუქს აჰფენს ჩვენს წარმოდგენას ასურეთის პლასტიკის შესახებ (სახელდობრ ძველი ხელოვნების ისტორიკოსები ფიქრობდნენ,

რომ ასურეთს პლასტიური ხელოვნება არა ჰქონდა). ამავე საზოგადოების მიერ გათხრილია კიდევ ერთი ახალი ტაძარი, ქრ. წ. 2300 წლით დათარიღებული. ამ ტაძარში იპოვნეს ერთი უთავო ქალის სტატუა (გიპსით) (ბერლინელ ტაგებლათის კირვეული დამატება).

**რემი დე გურმონის** ახალი ერთ აქტიანი დაუბეჭდავი პიესა, პროზით დაწერილი, განსაზღვრული ტირაჟით გამოქვეყნდება ამ მოკლე ხანში პარიზში. პიესას ჰქვია: *L'ombre d'une Femme* (ქალის აჩრდილი) („L'Europe Nouvelle“).

**გონკურის აკადემიის** წევრობა მიიღო პოეტმა პოლ ფორმა (იმავე ჟურნალიდან).

**ჟორჟ როდენბახი** გარდაიცვალა 1898 წ. ბულვარ ბერტიეს მე-43 სახლში. როდენბახის მოსაგონებლად ლიტერატურულმა საზოგადოებამ „La Société des Gens de Lettres და L'Association de la critique littéraire სახსოვარი მარმალის დაფა მიაკრეს იმ სახლს, რომელშიაც „მკვდარი-ბრიუგეს“ ავტორი გარდაიცვალა.

**საფრანგეთის აკადემია** ამ მოკლე ხანში მორიგ თათბირს გამართავს სამი ახალი „უკვდავის“ წოდების დასარიგებლად. განსვენებულ დრამატურგის ეკარდის ადგილის კანდიდატებად ითვლებიან რომანსიე — ჰერმანი და ისტორიკოსი — ლუი მადელენ; რიბოს ადგილზე ასახელებენ მწერალს — ანრი რობერტს. მისი კონკურენცია საფრანგეთის ყოფილი ელჩი პეტროგრადში, ისტორიკოსი — პალეოლოგი. მესამე, ალფრედ კაპუს ადგილის, კანდიდატებია — ანდრე რიჟუარ და შარლ ლაჟოვიკ („ფრანკ. ცაიტუნგ“).

**რომენ როლანის მონოდება** საფრანგეთის ხალხისადმი. „რევიუ მენზუელ“ იუნყება, რომ რომენ როლანმა მონოდებით მიმართა საფრანგეთის ხალხს, რათა ფრანგებმა დამხმარე ხელი გაუწოდონ გერმანელებს.

ცნობილი რომანისტი იმედს გამოსთქვამს, რომ „რაინდი საფრანგეთი, რომლის გმირობის გამომხატველიც ვიქტორ ჰუგო იყო, არას დაიშურებს თავის მოძმე ერის ათასი წყლულის დასაამებლად. უდიდესი ძალაა ძალა კეთილშობილებისა და სიყვარულისა. ჩვენ მოუწოდებთ ფრანგის ერს, ძმურად გაუწოდოს ხელი გერმანიის ხალხს, რომელსაც იგი გუშინ ტყვიას ესვროდა“ — ასე ათავებს რომენ როლანი თავის მონოდებას.

**ანრი ბარბიუსის სამართალში მიცემა.** ანრი ბარბიუსმა ბერლინში ყოფნის დროს სიტყვა წარმოსთქვა, რომელშიაც იგი მოუწოდებდა საფრანგეთის ჯარისკაცებს, ფიცი დასდონ, რომ არასოდეს თოფს არ ესვრიან მათ მოძმე გერმანელებს. ამის საპასუხოდ საფრანგეთის სასამართლოს პროკურატურამ საჩივარი აღძრა ანრი ბარბიუსის წინააღმდეგ („მატენ“).

**მსოფლიო გამოფენა.** ფრანგული გაზეთების ცნობით, პარიზში გაიმართება მსოფლიო გამოფენა.

**ფრიდრიჰ დელიჩი.** დიდი ასიროლოგი ფრიდრიჰ დელიჩი (72 წლისა) გარდაიცვალა. მან სახელი გაითქვა თავისი „ბაბელი და ბიბელი“-თ. ამ შრომის ნაწყვეტი პირველად ვილჰელმ მეორეს ნაუკითხა ავტორმა. დელიჩი ძველ აღთქმას უკავშირებდა ბაბილონურ ლიტერატურას. დელიჩის ამგვარ პოსტულატის ნამოყენებას დიდი პოლემიკა მოჰყვა. ამ პოლემიკაში მონაწილეობა მიიღო თვით ვილჰელმ მეორემ. მან ანტისემიტური თვალსაზრისით გააშუქა ეს სამეცნიერო საკითხი და განაცხადა: დელიჩის კვლევა განსაკუთრებით იმითაა საყურადღებო, რომ ისრაელის რჩეულ ხალხს ოდნავ მაინც შეუმცირებს მის შარავანდედსო („ფრანკ. ცაიტ“).

**ვილლა დ'ესტე.** იტალიელ გაზეთების ცნობით, ვილლა დ'ესტე, რომელიც აშენებულია ფერარას ჰერცოგის შვილის ალფონსო I და ლუკრეცია ბორჯიას მიერ, იტალიურმა

მთავრობამ სახელმწიფო არქივად გადააქცია. ეს ვილლა ამენებულია ნეაპოლელ ხუროთ-მოძღვარის პიერო სი გარლოს მიერ. იგი საუკეთესო ნიმუშია რენესანსის, ეს ვილლა ამავე დროს ყველა ევროპიულ ვილლების პირველ თარგად ითვლება. მთელი ევროპიული პრესა აღმფოთებულია, რომ ეს დიდი ძეგლი რენესანსის ხელოვნებისა, მტვერიან არქივად გადააქცია იტალიის მთავრობამ („ბერლინერ ტაგებლატ“).

**მიქელ ანჯელოს ფრესკები** კაპელა სიქსტინაში დიდს განსაცდელშია. ფრესკების ნაწილი ჩამოცვენას აპირობს. მიღებულია ზომები ამ მოსალოდნელი უბედურების თავიდან ასაცდენად.

**ოსკარ უალდის მაგივრად.** ინგლისურ სპირიტისტულ მიმოხილვაში — Occult Review გამოქვეყნებულია ერთი სპირიტისტის აფორიზმები, რომელიც თავისთავს ოსკარ უალდს უწოდებს. სპირიტისტი წამდაუნუმ იმეორებს: „შეიბრალებთ ოსკარ უალდი!“ ალაგ-ალაგ ამ წერილში ოსკარ უალდის პროფანაცია ვხვდებით. მაგ. „კრისტალური ძაფით ვერცხლის სალამურმა გარიჟრაჟზე ააკვნესა მუსიკა.“ „მშვენიერების ფლეიტა მთებიდან გვეძახის“. „მაღე ცისკიდურიდან გადმოეკიდება მცხრალი მთვარე და თავზე წამოგვადგება, როგორც უშველებელი ყველი“. ამგვარი აფორიზმიც: „სიკვდილი ფრიად სამწუხარო გამოცდილებას გვაძლევს ამ ცხოვრებაში, თუმცა იგი არც ისე მოსაწყენია, როგორც ცოლქმრობა, ან მასწავლებლის სახლში სტუმრად ყოფნა“ და სხვ.

**ლ. გუდიაშვილის** სურათი — ქართველი გლეხი სახედართ, მოთავსებულია პარიზულ ჟურნალში „კრაპუიონ“.

**პოეზიის საღამოს შესახებ,** რომელიც თებერვალში გამართა ტფილისში ილიონის მწერალთა ჯგუფმა, მოთავსებულია რეცენზია ბერლინელ ჟურნალში „Auslands Deutscher“. რეცენზიონსენებული არიან: ვ. სარაჯიშვილი, მადამ სპანიოლი, ა. ჭუმბაძე, კ. გამსახურდია, სპარსელი პოეტი ი. ზადე და სხვა. რეცენზიაში გულ მხურვალედ იხსენიებენ ქართველ მწერლებს.

**Revue: Bleu-ში** (პარიზული ჟურნალია) მოთავსებულია დ. კაკაბაძის წერილი.

**ვეზენდონკის წიგნი.** კავკასიონის რედაქციას ატყობინებენ: ამ მოკლე ხანში ბერლინში გამოვა გიუნტე ფონვეზენდონკის წიგნი „ქართული წარმართობა“ გერმანულად.

## ბიბლიოგრაფია

**სოლომონ თავაძე. შორი ნათელი.** წიგნი ლექსების. ტომი მეორე. 1924 წელი. 144 გვერდი. სოლომონ თავაძის (ობოლი მუშის) ლექსების კრებული პირველი წიგნია პოეზიისა, რომელიც მიმდინარე წლის განმავლობაში გამოვიდა. და ეს წიგნი ღირსია აღნიშვნის.

სოლომონ თავაძემ უკანასკნელი წლების მანძილზე რამდენიმე ციკლი გაიარა. მისი ახალი პერიოდის ლექსები ბევრით განსხვავდება ძველი ლექსებიდან; როგორც ტენიკა, ისე შინაგანი სტიქია მისი პირვანდელი ლექსებისა ბევრად სუსტი იყო უკანასკნელ ლექსებთან შედარებით. მაგრამ პოეტის ხმა თანდათან დაინმინდა და მის ახალ ლექსებში ჩვენ უკვე გვესმის ლითონის რეკა.

წინამდებარე წიგნში მოთავსებულია 60 ლექსი. წიგნში ახალთან ერთად ძველი ლექსებიც არის შეტანილი. მაგრამ მათი მოთავსება კრებულში არ ესაყვედურება პოეტს, რადგან ისინი პოეტის კეთილშობილ განცდებთან არიან დაკავშირებულნი გულის ძაფებით, და ამ ძაფების განყვეტა გულიდან სისხლის დაქცევას უდრის.

წიგნი იხსნება ლექსით „ობოლი მუშა“. ეს არის წინასიტყვაობა და საკუთარ სულთან ხმა-მაღლა საუბარი. „შორის ნათელი“ სახსეა იდუმალი ცრემლებით. კრებულის ლირიული ლექსები, თუმცა ზოგჯერ შესაძლოა არ იყვეს უნაკლულად გამართული არტისტული მხრით, მაგრამ აქ უთუოდ არის კეთილშობილი პათოსი და ნამდვილი პოეტური თრთოლა. განსაკუთრებით აღსანიშნავია: „გარღვეული რკალები“, „რკალი მესამე“, „მწუხრის ბინდები“, „ბოლო სიტყვა“, „შორენა“ და ზოგი ლექსები ციკლიდან: უპასუხო ალერსი („თეთრი ღიმილი“, „ჯვარი წამების“, „გზა უნაპირო“). ავტორი ამ ლექსებისა დაჯერებულის ნაბიჯით შემოდის ქართულ პოეზიაში.

საერთოდ, სოლომონ თავაძის ეს მეორე წიგნი, შედარებით მის პირველ წიგნთან, დიდი წინსვლის მაჩვენებელია; და პოეტის ეს გამარჯვება, არ შეიძლება, კმაყოფილებით არ აღნიშნოს ქართული ლიტერატურის მეთვალყურემ.

ს.-ლი

**პროფ. გრიგოლ წერეთელი, იოანე იტალის რჩეული ნაწერები.** პირველი ნაკვეთი (Johannis Itali, opuscula selecta, edidit Gregorius Cereteli. Fasciculus primus). ტფილისის უნივერსიტეტის ლითოგრაფია, 1924. გვ. XIX+25 (ბერძნული ტექსტი წინასიტყვაობითურთ გერმანულ ენაზე).

იოანე იტალი (მიხეილ ფსელოსთან ერთად) თვალსაჩინო წარმომადგენელია ბიზანტიური საფილოსოფიო მწერლობის მოღვაწეთა მეთერთმეტე საუკუნეში. მას ეკუთვნის მრავალი შრომა, სხვათა შორის არისტოტელის ზოგიერთ შრომათა კომენტარიები და აგრეთვე პატარა-პატარა ტრაქტატები დაწერილი ბიზანტიელი დიდებულების მიერ მიცემულ კითხვათა საპასუხოდ. მის შრომებში ორიგინალური არაფერია, ასე რომ, წმინდა ფილოსოფიურ მნიშვნელობას ისინი მოკლებულია: სამაგიეროდ ისინი საგულისხმო არიან ისტორიულ-ლიტერატურული თვალსაზრისით, რამდენადაც იქ ჩვენ ვპოულობთ ნათელ სურათს მაშინდელი განათლებისა, საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებისა და ლიტერატურულ გემოვნებათა.

საგულისხმოა იოანე იტალი კერძოდ ქართული საფილოსოფიო მწერლობის შესწავლისათვისაც. ცნობილია, მაგ., რომ მასთან (და მიხეილ ფსელოსთან) ახლო კავშირი ჰქონდა ქართველ ნეოპლატინიკოს იოანე პეტრინს.

მეტი წილი იოანე იტალის შრომებისა დღემდე გამოუცემელი იდგა ხელნაწერების სახით ევროპის სიძველეთ-საცავებში. ზოგიერთი ნაწყვეტები გამოცემული აქვს მხოლოდ თ. უსპენსკის თავის „სკნოდიკონში“.

მხოლოდ ამ ათიოდე წლის წინათ განიზრახა მათი გამოცემა პროფ. გრიგოლ წერეთელმა და ამ მიზნით შეუდგა იგი იოანე იტალის შრომათა ხელნაწერების შესწავლას.

ზემოდასახელებული შრომა წარმოადგენს პირველ ნაკვეთს პროფ. გრიგოლ წერეთლის მიერ განზრახული გამოცემისა. ამ ნაკვეთში შევიდა იოანე იტალის შემდეგი ტრაქტატები: „დიალექტიკა“, „სიზმრებისათვის“ და „აღდგომისათვის“. ბერძნულ ტექსტს, რომელიც გამოცემულია ორი ჯგუფისაგან შემდგარ, ცხრა სხვადასხვა ხელნაწერის მიხედვით (XIV—XVII საუკ.), წინ უძღვის გრ. წერეთლის წინასიტყვაობა (გერმანულად), სადაც ჩვენ ვპოულობთ განმარტებებს როგორც ხელნაწერების, ისე თვით ტრაქტატების შინაარსის შესახებ.

პირველ ტრაქტატში — „დიალექტიკა“ — იოანე იტალი კონსპექტურად გადმოგვცემს არისტოტელის ლოლიკას ზოგიერთი დამატებებითურთ: ამ თავის გადმოცემაში ის არსად არ სცილდება სასკოლო ლოლიკის ფარგლებს.

მეორე ტრაქტატში („სიზმრების შესახებ“) წარმოდგენილია კომენტარი ჰომიროსის სიტყვებისა, რომ არსებობს ორ გვარი სიზმრები.

მესამე ტრაქტატში („აღდგომისათვის“) იოანე იტალის გამოსავალ წერტილს წარმოადგენს არისტოტელის სწავლა hyle-სა და eidos-ის შესახებ.



ზედმეცია იმაზე ლაპარაკი, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ჯერ გამოუცემელი ავტორის შრომათა გამოქვეყნებას, — იმ ავტორის, რომელმაც უაღრესი მნიშვნელობა იქონია ბერძნული საფილოსოფიო მწერლობის აღორძინებაში. რადგან იოანე იტალის შრომები გამოუქვეყნებელი ელაგა ევროპის ნიგნთ-საცავებში, ჩვენთვის ხელმიუწვდომი იყო იმდროინდელი ფილოსოფიური აზროვნების სწორი გათვალისწინება, და კერძოთ იოანე იტალის შესახებ უნდა დავკმაყოფილებულიყავით იმ მიკერძოებული დახასიათებით, რომელიც მოეპოვება ანნა კომნეს მისი „ალექსიას“ მეხუთე ნიგნში. დღეს ჩვენ საშუალება გვქვია, უფრო სრული და მიუდგომელი წარმოდგენა მივიღოთ იოანე იტალზე და მაშინდელ ფილოსოფიურ აზროვნებაზე ბიზანტიაში.

ჩვენ დაგვრჩენია მხოლოდ ვისურვოთ, რომ ამ პირველ ნაკვეთს გრ. ნერეთლის მიერ დაწყებული გამოცემისა რაც შეიძლება მალე მოჰყვეს დანარჩენი ნაკვეთებიც.

S.

### კ. კაპანელი. სული და იდეა (ბიოფსიხიზმი და კოსმიზმი). 1923 წ. 172 გვ.

კ. კაპანელის მსოფლიო-მხედველობა ბევრ ხაზებში მატერიალიზმს უახლოვდება. სულისა და იდეის პრობლემა, რომელიც აღძრულია მისი ნიგნით, ასეთ გაშუქებას ღებულობს:

კ. კაპანელის აზრით, სული ისეთივე თვისებაა მატერიისა — როგორც რადი, ელექტრონი და მაგნიტი: ზედროული და ტრანსცენდენტური არსობა სულს არა აქვს. სამყაროს ყოველ კუთხეებში მატერია განიცდის ერთგვარ წვას ობიექტური პირობების მიხედვით; ყოველგან მყარდება ერთგვარი ურთიერთობა სხეულისა და მდგომარეობის შორის: მდგომარეობა ახდენს გავლენას სხეულზე, სხეული კი ავტომატიურად ინახავს მდგომარეობის გავლენას თავის ატომიურ-იონურ წყობაში, როგორც „ბიოლოგიურ მეხსიერებას“.

კ. კაპანელი ამ ურთიერთობას მატერიისას და მოჩვენებითი „სულისას“ ნათლავს „ორგანოტროპიზმის“ სახელით. შემოქმედების ყოველი ფორმა — მეცნიერება, ხელოვნება, რელიგია ორგანოტროპიზმის ნაყოფია; არსებობისათვის ბრძოლაში ყოველი ტანი ეგუება პირობებს, და სული არის ამ ტანის რეფლექსი კუთხური საჭიროებისათვის; მდგომარეობა აღიზიანებს და აწვალებს მატერიას, შედეგი ამისა არის რეფლექსიური მოვლენა, რომელსაც ჩვენ ვეძახით სულს. მატერია თავის თავად არსებობს იმდენად, რამდენად მატერიაში აისახება რეფლექსი წვალებისა და განცდის.

მატერიას აქვს მარადობა მინიჭებული, მხოლოდ დაჯგუფება მატერიულ ელემენტებისა დროულია ყოველ მიწა-წყალზე. ისტორიაში არ არსებობს ჰეგელისეური სწორ-ხაზობრივი გაქანება იდეისა, პროგრესის საკითხი კუთხური ყოფის საკითხია: ყოველ მიწა-წყალზე ყოველ ხალხს აქვს თავის კულტურული და ცივილიზაციური ინდივიდუალობა სრულებით დამთავრებული; ყოველ ეპოქას აქვს თავის სული და სტილი და არავითარი აბსოლუტური მიზნები ისტორიისა არ არსებობენ. ამ კონცეპციის ილიუსტრაციას კ. კაპანელი სცდილობს, მოგვცეს ქართული კულტურის მაგალითებზე.

კ. კაპანელი თავის ნიგნის ბოლოში ქართველის ისტორიული ტიპის დახასიათებას წარმოგვიდგენს. იგი ამტკიცებს, რომ ქართველი ფსიქოლოგიურად პერსონალისტია, რომ ქართველს უყვარს ყოველთვის განაპირება.

ჩვენი გეოგრაფიული მდგომარეობის თავისებურობამ და ისტორიულმა პირობებმა ჩვენში ჩამოაყალიბეს ფსიქოლოგია პერსონალიზმისა და ულტრანდივიდუალისტური განაპირებისა; ამიტომ, — ამბობს კ. კაპანელი, — საქართველოში შინაგან სიმართლეს არასოდეს ადგილი არ ჰქონებია: ყოველთვის იყო კულტი კუთხური დაჯგუფებისა. პირობებმა შექმნეს ფსიქოლოგია, ხასიათი, ტემპერამენტი, სული ხალხისა. ისტორიამ შეინახა ეს ტიპი ატავისტურად მიღებული ატრიბუტებით.

C.



# ახალი ქვეყნობა

წიგნები : ხელნაწილები : უძველესი : მხატვრობა

1-2

გაბრიელი  
1925

**მ რ ბ ა ნ მ**

**ს რ უ ლ ი ა დ ს ა ქ ა რ ტ ი ვ ე ლ მ ს მ წ ე რ ა ლ თ ა კ ა ვ ე რ ი რ ი ს ა .**

რედაქტორ-გამომცემელი:

**ს რ . ს ა ქ . მ წ ე რ ა ლ თ ა კ ა ვ ე რ ი რ ი ს სა ბ კ ო ს პ რ ე ზ ი დ უ შ ი**

ს. მ. უ. ს. პოლიგრაფტრესტის მე-2 სტამბა, (ყოფილი მე-5), ლენინის ქუჩა № 3

მთავლიტი № 438.

ტირაჟი 1500

## რედაქციისაგან

მწერალთა კავშირის ყოველთვიური ორგანო „ახალი კავკასიონი“-ს განახლებული პროგრამა განსაზღვრულია, ერთის მხრივ, კავშირის ლიტერატურული ტრადიციებით და, მეორეს მხრივ, იმ პოზიციით, რომელზედაც სრულის პასუხისმგებლობით დადგა ქართული მწერლობა ხელოვანთა კულტურული კავშირის 21 სექტემბრის დეკლარაციით.

მწერალთა კავშირი არ არის პოლიტიკური ორგანიზაცია, იგი არის წმინდა ლიტერატურულ-კულტურული დაჯგუფება; მაგრამ თქმა იმისა, თითქო ქართველ მწერალთა ფართე წრეები არ იყოს უახლოესად დაინტერესებული ჩვენი ქვეყნის საერთო პოლიტიკური ვითარებით, ეს არ იქნებოდა გულწრფელი განცხადება.

1921 წლის თებერვლიდან, როცა საქართველოში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება, ქართული მწერლობის ფართე წრეების წინაშე აქტუალურად დადგა ამ ხელისუფლებასთან ახლო თანამშრომლობის საკითხი.

ქართული მწერლობის უკეთილშობილეს ტრადიციას წარმოადგენს ის შეურიგებელი რევოლიუციური სული, რომელიც ისტორიულად გამომუშავდა მე-19-20 საუკუნეთა მანძილზე, როცა საქართველოს მშრომელი მასსები მოწინავე რიგებს შეადგენდნენ რუსეთის ცარიზმთან მებრძოლ რაზმებში. ქართული მწერლობისათვის, რომლის მთავარი ხელმძღვანელი წრეები მშრომელი ხალხის წიაღიდან გამოვიდა, და რომელიც ბუნებრივი ამსახველი იყო მშრომელი მასსების რევოლიუციური სულისკვეთებისა, ქართული მწერლობის ამ მთავარი რიგებისათვის თითქოს არ უნდა ყოფილიყო უცხო ეს ახალი საბჭოთა რევოლიუციური ხელისუფლება.

მაგრამ არსებობდა ერთი ძნელად გადასალახავი დაბრკოლება, რომელიც ქართული მწერლობის ფართე წრეებს ხელს უშლიდა იმ თავითვე დამდგარიყო აქტიური თანამშრომლობის ნიადაგზე საბჭოთა ხელისუფლებასთან.

ამ დაბრკოლებას იწვევდა ეროვნული კითხვა.

ქართველი შემოქმედი ინტელიგენციის წრეები ერთგვარ გაორებას განიცდიდნენ ახლად შექმნილ პირობებში: თუ ერთის მხრივ ის სოციალური იდეები, რომლის მატარებლად გამოდიოდა ახალი ხელისუფლება, არ იყო უცხო ქართული მწერლობისათვის, მეორეს მხრივ უნებლიედ იბადებოდა შიში, რომ საქართველოს ახალი ხელისუფლების მიერ აღიარებული ეროვნულ-კულტურულ დამოუკიდებლობის პრინციპები, მისდა უნებურად, ვერ მიიღებდნენ სრულს განხორციელებას, რომ ეროვნული პოლიტიკის ხაზი თანდათან გაიხრებოდა საქართველოს საზიანოდ, რომ რუსული ენა სტიქიურად დასჩაგრადა ქართულს, რომ რუსული წიგნი თანდათან დასჩრდილავდა ქართულ წიგნს. ჩვენ აქ ვგულისხმობთ არა თვით ხელისუფლების ნებას, არამედ იმ სტიქიურ პროცესს, რომელსაც უნებლიედ ხელს შეუწყობდა ობიექტური პირობები.

ეს მერყეობა და უნდობლობის გრძნობა ქართველი შემოქმედი ინტელიგენციის წრეებში ადვილი ასახსნელია. მას ნიადაგს აძლევდა ისტორიული რემინისცენცია, იგი იყო გამოძახილი იმ ეროვნული ჩაგვრისა, რომელსაც მთელი საუკუნის მანძილზე განიცდიდა საქართველო იმპერიალისტური რუსეთის ხელში. ამასთან შიში, რომ დიდი მასშტაბის რუსეთის კულტურა დასჩაგრადა ქართულს, იყო ბუნებრივი ყოველგვარ შოვინისტურ ტენდენციების გარეშე.

უკვე მეოთხე წელი შესრულდა, რაც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა, და ჩვენ უნდა აღვიაროთ, რომ საბჭოთა ხელისუფლების ეროვნულ და კულტურულ-პოლიტიკის ხაზში არის მნიშვნელოვანი მიღწევები. ქართულ მწერლობას არ სჩვევია სერვილიზმი; და ჩვენ არ ვიქნებოდით გულწრფელი, თუ არ ვიცოდით, რომ ამ მნიშვნელოვანი მიღწევების გვერდით არის დეფექტებიც. ამას თვით ხელისუფლებაც არ უარყოფს.

უნდა აღინიშნოს აქ ისიც, რომ ყველა ამ დეფექტების ბრალს ჩვენ ვერ მოვახვევთ საბჭოთა ხელისუფლებას. ამისი ერთი მიზეზი ისიც იყო, რომ ქართველი შემოქმედი ინტელიგენცია არ იყო საბოლოოდ გამორკვეული და არ იღებდა ახლო მონაწილეობას კულტურულ საქმიანობაში.

ასეთი გაორებული და გაურკვეველი მდგომარეობა, რასაკვირველია, შეუძლებელია გაგრძელდეს მთელი წლები. ამით მხოლოდ ბრკოლდება და ზიანდება ის კულტურული საქმე, რომლისათვისაც მოწოდებულია ქართული მწერლობა.

ამიტომ ის დეკლარაცია, რომელიც გამოაქვეყნა ხელოვანთა კავშირმა 1924 წლის სექტემბრის 21-ს, გამონვეული იყო არა მარტო პოლიტიკური მომენტი. ეს არის ის მტკიცე და გარკვეული პოზიცია, რომელზედაც დადგა ქართული მწერლობა.

ჩვენ ერთხელ კიდევ მოუნოდებთ ქართველ მწერალთა ფართე წრეებს გულწრფელი და აქტიური თანამშრომლობის ნიადაგზე საბჭოთა ხელისუფლებასთან ემსახურონ ქართული მწერლობისა და კულტურის აღორძინების საქმეს.

\* \*

ეს საერთო პოლიტიკური ხაზის შესახებ.

რაც შეეხება მწერალთა კავშირის ორგანო „ახალი კავკასიონი“-ს წმინდა სალიტერატურო-სამხატვრო და სამეცნიერო გეგმას, იგი ამ მხრივ განაგრძობს კავშირის ლიტერატურულ ტრადიციას.

ყურნალი პირველ რიგში დაუთმობს თავის ფურცლებს ქართულ მხატვრულ მწერლობას და ქართული ხელოვნების საკითხების განხილვას; აქ საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ყურნალი დგას გარეშე ვიწრო ლიტერატურულ-სკოლური ინტერესებისა. მწერალთა კავშირი, რომლის ორგანოა „ახალი კავკასიონი“, აერთებს თავის რიგებში ქართველ მწერალთა დიდ უმრავლესობას. თანამედროვე ლიტერატურულ ჯგუფებს და სკოლებს, რამდენადაც ისინი მართლაც წარმოადგენენ ლიტერატურულ მოვლენას, დაეთმობათ ადგილი ყურნალში. „ახალი კავკასიონი“ შეეცდება იყოს მიუდგომელი და გახდეს მთლიანი გამომსახველი ქართული მხატვრული შემოქმედებისა და აზროვნების.

კერძოდ, რაც შეეხება უცხოეთის ლიტერატურის განყოფილებას, აქ, ევროპიული მწერლობის პრობლემებთან ერთად საპატიო ადგილი დაეთმობა რუსული მწერლობის საკითხების გაშუქებას. ასეთივე ყურადღებით მოეპყრობა ყურნალი აღმოსავლეთისა და კავკასიის ხალხთა ლიტერატურას.

მეცნიერებისა და ფილოსოფიის განყოფილება ჩვენს ყურნალში წარმოდგენილი იქნება იმავე სისავსით, როგორათაც ეს იყო „კავკასიონში“ (ჰუმანიტარული მეცნიერებანი, კერძოდ ქართულ-მეტყველება, ქართული ლიტერატურისა და ისტორიის საკითხები, ფართე მნიშვნელობის პრობლემები ფილოსოფიისა და სპეციალ მეცნიერებათა დარგებიდან).

ამასთან ყურნალში მოთავსდება თეორეტიულ ხასიათის წერილები მარქსიზმიდან, სადაც პირველ რიგში ყურადღება მიექცევა მარქსიზმის დამოკიდებულებას ხელოვნებასთან.

ამ მთავარი დარგების გვერდით ყურნალს ექნება აგრეთვე განყოფილებანი: ქართული კულტურის მიმოხილვა; მემუარები და დოკუმენტები; კრიტიკა და ბიბლიოგრაფია.

ასეთია „ახალი კავკასიონი“-ს სალიტერატურო-სამხატვრო და სამეცნიერო პროგრამის მთავარი ხაზები.

## მხატვრული ლიტერატურა

### საქართველო

#### დუდუკის საარი ქარს აღარ მოაქვს

შენ აგისხნია ბევრი ქარაგმა,  
ქორონიკონის კენტი და ლუწი.  
მაგრამ არ იცი, ჩვენმა ქალაქმა  
რა სურათები მოქარგა უწინ.

თუ ჩაგივლია სირაჩხანისკენ,  
დაჰკვირვებიხარ ამ ქუჩებს კარგად:  
გაგაოცებდა რუმბების სისქე  
და ჭიანურზე დაკრული ჩარგა.

სიძველისადმი გრძნობა, პატივი  
თუ შენში მაინც ოდნავ ელვარებს:  
მიხვდები, ასე ანდამატივით  
რისთვის ვდარაჯობ ტფილისის კარებს,

მიხვდები, რატომ არ დაერიდა  
ჩემი ლექსები პოეტთა კილვას,  
და რატომ ვცდილობ ამიერიდან,  
ასე თამამად წარსულის ხილვას.

აი, სეირი ჯერ არნახული,  
სადღაა ეშხი და სილამაზე!  
არ სჩანს ურმები მოჩარდახული  
ლამის მთევლებით ბოლნისის გზაზე;

ღვინოს საფლავზე არვინ მიგიტანს,  
ჩამოიხია ბაღდადის ფოჩი.  
ეხ, სადღა ნახავ ელამ მიკიტანს  
თავის დუქანთან მიბმულის ყოჩით!

კრივი. ჰამქარი. ცეკვა. ართურმა.  
ეს ადათები ძველთაგან-ძველი —  
გადაივინყა სიტყვამ ქართულმა  
და დამრჩა... სევდა წაუბაძველი.

აი, პარმალზე ვწევარ გულალმა.  
ჩემი ოცნება ფრენას ვერ ითმენს.  
აი, აფეთქდა აისი ნაღმად,  
აი, ლექსისთვის ვენვიე რითმებს.



ძველებურ განცდით ვდარაჯობ ნიავს,  
რომ შორეული ჰანგი მომფინოს.  
მაგრამ ზურნის ხმა რაღაცას მიაქვს:  
ვერ აღწევს ჩემი სახლის ლორფინოს.

დუდუკის ნაცვლად — ქარხნის საყვირი.  
დუმბო და ზილი დაახშო რკინამ.  
ბულბულს — ყაფაზა! გრძნობას — აღვირი!  
აღარც დუდუკი... აღარც ყიჟინა...

და მე არ ვიცი, ვილას ვემონო!  
ასეთ ყოფაში თითქოს მოვბერდი.  
ვრჩები ოტელო უდეზდემონოდ —  
მე, სხვა ცხოვრების წინამორბედი.

ძველო ტფილისო! დღეს ისე მკვეთრად  
ველარ შეგაქებ... არ მაქვს უნარი...  
მაგრამ ვამაყო, რომ ჩემთან ერთად  
დარჩები მუდამ გაუხუნარი.

ძველო ტფილისო! ჩემი მიზნები  
აღარ მაქვს, გულში რომ გინახავდი...  
გადაწყდა! უნდა შევცვალო გზები...  
ძველო ტფილისო... გტოვებ... ნახვამდის...

*ი. გრიშაშვილი*

*ხარფუხი, დილა, აივანი*

## სიცოცხლის თავდაღმართზე

ძველ ჰანგზე სიცილი, ყრმავ, აგვიარდება!  
არ ვინყენ... იცინე, ახალის nihil'ით!  
დრო მოვა, შვილო, და შენც შეგიყვარდება  
ის, რასაც ვეტრფოდი მეც სევდის ლიმილით.

### 1. გზა ჩვეულებრივი

მივქრევარ საზღვრისკენ... ისე... ხელ ჩაქნევით!  
ჩრდილივით მიმდევენ ზრუნვანი, ფიქრები...  
მოვვლე ზღვა ცხოვრების მრავალ გემთ ბაქნებით  
და... ეხლა განცდილის ტვირთის ქვეშ ვიხრები!..

მიჰქრიან თეთრი და შავ-რუხი ძაღლები,  
თან მიმაქანებენ ყინვიან მარხილით.  
არც შუქის ღიმილი, არც კერა სახლების...  
უდაბნო — ფენილი ძეგლების მარგილით!..

## 2. ანდერძი

განქრობა... მორიგი ლეში... ეს ვიცი მე!  
ვწუხვარ: ვერ დავშრიტე სიცოცხლის წყურვილი...  
შემინდეთ — წყენა თუ მიმყვება ვისიმე,  
შემინდეთ ეს უკანასკნელი სურვილიც:

რა გული შეჩერდეს მტკივნეულ კვნესაში  
და თვალნი გაცივდნენ უცნობის მზერაში,  
ნუ ჩამდებთ კუბოში, ნუ ჰგოდებთ პრესაში,  
საოცარს ნუ ეძებთ ჩემს ბედის წერაში...

ტირილი, სიტყვები, ტრაური აჰკრძაღეთ.  
შესწყვიტეთ კამათი ჩემს მაღალ მიზნებზე...  
ამართვით გული და დასჭერთ... დაკრძაღეთ  
სამშობლოს შუაგულ, ყველა მის მიჯნებზე.

დამწვით მე კოცონზე ზვიად მთათ არეში,  
დე, კვამლი ავარდეს ვარსკვლავთა რიდემდე!  
აიღეთ ფერფლი და საყვარელ მხარეში  
ის მიმოაბნით კიდითი კიდემდე:

რომ ჩემი მშობელი შევიგრძნო მთლიანად,  
ფერფლითაც დედის მკერდს ვეჯავშნო, ვეფარო...  
ყველა მის ტკივილებს რომ ალერსიანად  
გამკურნავ მაღამოდ ზედ გადავეფარო!..

რომ გულის თესლებმა ფესვები გაიდგან  
და ერის სალხენოდ აჰყვავდნენ ქნარებად...  
მტერიც ვერ მიუდგეს მაშინ ვერსაიდგან —  
განცდის ჟამს აბგერდნენ განგაშის ზარებად!

*კ. მაყაშვილი*

## მეოცნების დღიური

1

მიაფრენს შემკრთალ დედამინას ფრთოსან რაშივით  
 ეს საუკუნე აცეცხლილი და დარკინული.  
 ჩქარი ბრუნვისგან მინის ლერძი ტყდება გზაშივე  
 და პოლფუსებზე სიცხისაგან დნება ყინული.  
 რკინის ლაგამი ჩასჭედია ძარღვიან ხელებს.  
 — გზა დედამინას! — ქუხილივით ისმის ძახილი.  
 მერანს კივილი ამბოხების უფრო ახელებს,  
 და იწვის ზეცა გაკვეთილი ელვის მახვილით.  
 ალი ედება ჰაერს, ხმელეთს, ოკეანეთაც.  
 გადამცდარ ორბიტს ჰლუნავს სივრცე ძალდატანებით.  
 გზას უნათებენ აჯანყებულ მწვანე პლანეტას  
 დაფეთებული კომეტების ჩირაღდანები.

2

ბრწყინავს ჰაერში ძველ მებრძოლთა წმინდა კრებული.  
 თითქოს სრულდება მათი წყევა და დანაქადი.  
 ვუცქერი ზღაპრულ გაქანებას განცვიფრებული  
 და შიშისა და სიხარულის მივლის ნაკადი.  
 რას მოგვცემს ეს დრო, სისხლითა და ძვლებით ნათესი:  
 იქროლებს რაში, შორს დარჩება ყორნის ჩხავილი,  
 და ავარდება მიუნვდომელ მზის სინათლეზე  
 მოულოდნელად ამოვარდნილ ქარიშხალივით?  
 თუ გარს მონოლილ ნისლის ზღუდეს ველარ გაარღვევს,  
 ვერ გადაიტანს ამ ანთებას მინის სხეული,  
 და სამუდამოდ დაიმშვიდებს ცეცხლიან ძარღვებს  
 სადმე მზის იქით ცის უფსკრულში გადამსხვრეული?..

3

უიმედობა, მუდამ იჭვი და სინანული  
 ჩრდილივით ახლავს ჩემი ფიქრის ყოველ ანთებას.  
 ვარ გასაოცარ მოლოდინით თვალ-დანამული,  
 მაგრამ დრო მიდის, და სასწაულს აგვიანდება.  
 მტანჯავს სიტყვებით შებორკილი აზრი თავნება,  
 ხან შიშით სავსე, ხან აშვებულ ვნებით მყეფარი.  
 მსურდა, სავსებით გამომეთქვა გაუგებარი  
 ჩემი ოცნების უცნაური ამპარტავნება,  
 რომ მეგრძნო ცეცხლის დაყურება და შენელება,  
 მაგრამ ლექსების თეთრ კუბოში ვერ მოვათავსე,

რაც ჩემი სულის მდუმარ კალთაზე  
ციხფერ ღამეებს დაუღვრია საშინელება.  
უნაყოფობას მომავალი რათ დამაყვედრის?  
მე თუ დავეცი. ჩემი დროშა ვინ-ღა ამართოს?  
ვერა ვთქვი ქება მე ჩემი ხვედრის,  
და დავემდურე ბედს უსამართლოს.

4

და ან მადლობა რათ დავუწერო?  
ბევრი არ მახსოვს მე სიხარული.  
ხშირად მქონია ლოყა უწვერო  
მწარე ცრემლებით ჩამოღარული.  
ახლაც მწუხარეს, თუ გახარებულს,  
მწვავს ცრემლი, წინად რაც დავიდინე.  
ხშირად ჩემს ოთახს, ბინას ღარიბულს,  
ესმის უძლური ჩემი ქვითინი.  
ვხედავ: სიხარულს ცრემლმა აჯობა!  
ო, რა ბავშურად მითამაშნია!  
ჩემი თაობის უილაჯობა  
დღეს სამარცხვინო დალად მაჩნია!

5

ოთხივე კუთხით გამოკეტილი  
ციხესა ჰგავდა ქვეყანა ჩემი.  
იღუპებოდა თესლი კეთილი,  
წინაპართაგან გადმონაცემი.  
მძიმე ურდულით გადარაზული,  
რკინის ჩამტვრევას ელოდა კარი.  
იყო გოდება ცამდე ასული,  
გვენატრებოდა ელვა და ქარი.  
ქარიშხალს დიდხანს აღარ უცდია,  
და ერთ საღამოს, როცა შებინდდა,  
უცბად იელვა რევოლუციამ  
გათამამებულ დეპეშებიდან.

6

და სანამ თვალი დაინახავდა  
აივსო ალით ძველი ჭაობი.  
ამხედრებული ქუჩა აყვავდა  
მოულოდნელი სანახაობით.  
მაგრამ მოსწყურდათ ბრძოლა ტიტანებს,

და დაიდრიკა მათა კიდენი...  
 სუსტმა თვალებმა ვერ აიტანეს  
 ღვარად მომსკდარი ცეცხლი იმდენი.  
 ახალი ძველ გზას ვერ შეეთვისა,  
 და გაიზარდა მტრობა და ზიზლი.  
 მთელს ქვეყანაზე დარჩა ერთი გზა:  
 რკინის და სისხლის! რკინის და სისხლის!

## 7

წინად ვფიქრობდი: იელვებს უცებ.  
 ფრთებს აისხამენ დროშის ტარები.  
 გადაიმსხვრევა დამპალი ფუძე  
 ახალი ქვეყნის აელვარებით.  
 იქნება ქრისტეს გამოცხადება.  
 გოლგოთა. ჯვარცმა. თავზე ეკალი.  
 მაგრამ ამბოხის ზღაპრულ ხატებად  
 გადმოვა ციდან ბრწყინვალე ქალი.  
 და მუხლს მოიყრის მის წინ ყოველი:  
 ოფლის, ცრემლის და სისხლის დამღვრელი.  
 დააცხრობს ტკივილს მზის სიცხოველე  
 და სათნოება განუსაზღვრელი.

## 8

ახ, ვოცნებობდი, თურმე ბალღურად!  
 გვიან-ლა არის ან დანანება!  
 ჩვეული გზები ყველა დაჰხურა  
 მინის უჩვევმა ატორტმანებამ.  
 თითქო სინათლეს მეც მივაშურე,  
 მაგრამ გრიგალი როცა მოვარდა,  
 გაქრა ოცნება ჩემი ბავშური,  
 როგორც სიზმარი ძუძუმწოვართა.  
 ბრძოლის სიშმაგემ გული მატკინა  
 და ჩამებინდა თვალეში ნისლი.  
 ვერ ავიტანე ტყვია და რკინა!  
 ამდენი ცეცხლი! ამდენი სისხლი!

## 9

გამახსენდება: თითქო მინიდან  
 ამოდოდა სვეტად ნათელი.  
 ყოველ ნაბიჯზე ლხინი მიცდიდა  
 და სიხარული მხნე და ჯანმრთელი.  
 ახალი სიტყვით გული განათდა.



ცრემლმა თვალები შემისევადა.  
მოვიდა შუქი სხვა ქვეყანათა  
ჩვენი ჟინჟილის ასაწვეადა.  
და ბრძოლის აღმურს, ირგვლივ დანათოვს,  
გზა და სურვილი ჰქონდა ორივე,  
რომ დედამინამ გადაანათოს  
ცათა უფსკრული მეტეორივით.

10

მაგრამ მეორეც გამახსენდება,  
ადრე ნატანჯი და ნაფიქრალი,  
როცა მესმოდა: არ გათენდება!  
და ჩირალდანიც იყო მიმქრალი.  
როცა დამძიმდა და შევიწროვდა  
ჰაერი, სავსე შავ მოზმანებით.  
სიკვდილზე ფიქრი ტვინში იძვროდა  
თავში ჩაჭედილ ცხელ ლურსმანივით.  
იმ ბურუსიან ქარის დღეებში  
ისმოდა ირგვლივ წყევა, ჩივილი,  
რომ დედამინა გაქრეს ჩრდილივით  
შემოღამებულ ცის სივრცეებში.

11

ახლა თვალთაგან სინანულის ცეცხლის მკვესავი,  
ვნანობ, რომ ჩემს გზას მე უშიშრად ვერ გადავხედე.  
ჭირს მოულოდნელს უნდა დახვდე მაგარ კლდესავით,  
და განსაცდელში უნდა ბედთან იყო თავხედი.  
დავკარგე ყველა საგანძური, თუ რამ მეზადა.  
ვზივარ ცივ ქვაზე თავ-დახრილი, თვალ-დახუჭული.  
რეკავს ეყვანი სანეტარო მოგონებათა.  
მესმის ბავშვობის ოქროს დღეთა ტკბილი ჩურჩული.  
მოვშორდი, თითქო ამ ქვეყანას და ჩავესახლე  
გამქრალ ჩრდილებში. და გაცოცხლდა ისევ წარსული.  
მოსჩანს შორიდან ლურჯ სივრცეში ჩემივე სახე  
ყვავილთა ელვით და ნათელით შემოგარსული.

12

ვიყავი ბავში უნათესავო.  
ვცხოვრობდი სოფლად, მქონდა გრძნობა მშვიდი, გლახური.  
მიყვარდა მუქი, მღვრიე აბაშა სათევზაოდ,  
და საბანაოდ — სუფთა ტახური.  
არ მყავდა მამა მოსარიდი და არც აღმზრდელი.

მარტო-პერანგა, ფეხშიშველი და უდარდელი  
 დავრობდი მინდვრად, სადაც ჩემებრ ნორჩ მწყემსებითა,  
 როგორც საკუთარ ყვავილებით, ჰხარობდა ველი,  
 უხვი ოცნება გმირს მატოლებდა,  
 მეჭირა ხელში ძენის ტოტი ერთი ტკაველი  
 და ჯოხის ცხენი ზღაპრულ რაშივით დამაქროლებდა.  
 მხიბლავდა ჰანგი, დარჩენილი ძველ ლექსებიდან,  
 და ღრუბლის კომკზე ანთებული ოქროს ნვეთები.  
 ყაჩაღს მეძახდნენ ტოლ-ბავშვების ცელქ ქარავანში,  
 ფეხმარდ სირბილში მწევარივით ვიყავ ნაგეში,  
 და ჩემს პატარა ამხანაგებში  
 არავინ იყო ჩემი დამწევი.  
 როცა ღელეში ჩადგებოდა ცეცხლის სვეტები,  
 ვხოცდი ბაყაყებს გამხმარ ბელტებით,  
 და მიყრუებულ ეკლესიის ჩუმ გალავანში,  
 წყალში ჩალუნულ ბებერ ცაცხვის ხშირ ფესვებიდან  
 მე გამომყავდა მარჯვენა ხელით  
 ცოცხალი კიბო, და ხან კი გველი,  
 მოულოდნელად თავზარდამცემი.

### 13

ვიკვებობდი ფრინველივით წყალით და ხილით.  
 მიყვარდა ღამით ხეტიალი მოუსვენარი.  
 მესმოდა ხშირად რუს პირიდან მავნეს ძახილი  
 და ტოტის მტვრევა მძინარ წყალზე დახრილ მცენარის.  
 ღელედან მთვარეს თეთრი ხავსი ამოჰყვებოდა,  
 და ტყეში ნათელ ქსელს აბამდა ვერცხლის ობობა.  
 იპყრობდა ხეებს უცნაური ავადმყოფობა.  
 ნამს შეიშრობდა ნისლის თოვლი და გალხვებოდა.  
 იდგა ჰაერში გაყინული ზარის წკრიალი.  
 ვუსმენდი ზღაპრებს, მენისქვილე რომ მოჰყვებოდა,  
 ატოკებული სანეტარო გულისფრიალით.  
 და დილით, როცა გაივსებოდა  
 ტყე და მინდორი მზის ნისქვილიდან  
 გადმონათოვი ოქროს ფქვილითა  
 და ყვავილებით, —  
 მე მოვდიოდი ათას ფერით სავსე თვალეებით,  
 ალტაცებული ცის და მიწის ფერისცვალებით.  
 ჰყვოდნენ გულში სურვილები.  
 ბრწყინავდა ყანა მოოქრვილი და დაცვარული.  
 ჯერ ბრძოლის გრგვინვა არ გამეგონა,  
 და გულუბრყვილოს ასე მეგონა,  
 რომ ყველაფერი იყო სითბო და სიყვარული.

14

ახლა მგონია შხამით ნამთვრალევს,  
რომ მოლაღატი და უსწოროა  
გზა ჩემი ბედის, ოცნებათა ცეცხლით ამგველის.  
წინად ვით ბავშვებს თბილ აკვნებში,  
ეძინა ტკბილად წამნამებში  
ჩემს ღია თვალებს.  
ახლა კი ჩემი ორი თვალი ორი სოროა,  
ორი უეცრად გაცოფებულ შხამიან გველის.

15

შფოთიან დღეებს ვინ მიმანება?  
მანუხებს ფიქრი ჯერ გაუმხელი.  
ყოველი მხრიდან გრძნობას აწვება  
ულმობელობის მძიმე უღელი.  
ო, როგორ მინდა ვნახო სიზმარი,  
რასაც სიყრმითვე ვეთვისებოდი!  
ნიავ-ჩამდგარი სულის სინყნარით  
კვლავინდებურად ავივსებოდე!  
არ ვატარებდე ჩემს სატანჯველად  
დამწვარ ოცნების ნაცარს და ნახშირს;  
გავხდე პატარა, ვით ჭიანჭველა,  
და დავიმალო სადმე ბალახში;  
რომ არ მესმოდეს იქ შემზარველი  
სულის კივილი დაუფარავი;  
იყოს სიჩუმე ჩემი მფარველი!  
იყოს სიმშვიდე ჩემი კარავი!

16

მაგრამ სიმშვიდე ახალმა დრომ არ დაგვანება.  
განწირულია ჩვენი მოდგმა რბილ-ძვალისანი.  
დღეს საჭიროა კლდის ნაკვეთი ადამიანი,  
რკინის ნერვებით და ფოლადის აღფრთოვანებით.  
მე კი დავსუსტდი ყოველ წუთში უკან დახევით.  
ვარ ჩვენი დროსთვის სამარცხვინო რბილი ბუნების.  
შევხარი ჰაერს და მზის სხივებს მთის ბალახივით,  
და მეშინია ცეცხლის ქარის აგუგუნების.  
და ჩემი სულის სამყაროს წინ შავ ელვასავით  
ირხევა სწრაფად დაქანებულ ფარდის გრეხილი...  
ოხ, მეგობრებო! ან ლექსებით ვის რას ვასწავლი?  
სჯობს, თქვენს წინაშე ძირს დაეცეს მძიმე ქვასავით  
უკანასკნელი მეოცნებე ფრთა-მოტეხილი!

## 17

არ მინდა, გულში ჩამებუდოს უიმედობა:  
 გამარჯვებული განვლილ ტანჯვას არ მოიგონებს.  
 დაღალულ პოეტს მომავალი აღარ მენდობა  
 და დაივინყებს უნუგეშოდ მტირალ სტრიქონებს.  
 კმარა ტირილი! უნდა აღსდგეს სული მზესავით,  
 რომ სიცოცხლის ჯაჭვს გადაეხას ახალ რგოლებად  
 მომავალ დღეთა გასაჭირი და დაბრკოლება,  
 და მოკვდეს იჭვი, რწმენისათვის დანის მლესავი!

## 18

მშვიდობით, ჩემო საყვარელო მელანქოლია!  
 შენზე უტკბესი მეგობარი მე არ მყოლია!  
 ბევრჯერ მიგრძენია შენი ცივი ხელის შეხება  
 და დამიღვრია მწუხარება ცრემლის შხეფებად.  
 მენვიე ადრე, ჯერ კიდევ ბავშვს და უსაკოს.  
 რამდენ იისფერ საღამოს და ღამეს ასარკულს  
 დაუთოვივარ სხვა სამყაროს უცხო ნათელით:  
 მარადისობის აელვებით და ჟრუანტელით!  
 ინვევდი ჩემში მუდამ შიშსა და გაოცებას.  
 უკვდავ ღამეში ჩემთან მხოლოდ შენ იყავ ერთი.  
 აქრობდა ჩუმად ჩემი სულის ყველა ოცნებას  
 შენი თვალების უნაპირო შავი ხავერდი.

## 19

დროა გათავდეს ჭაბუკური სისხლის თამაში,  
 ნიღბთან ბრძოლით და ნაღველით სულის გართობა,  
 რომ ჩაესვენოს მდუმარების ცივ აკლდამაში  
 ჩემი სიცოცხლის ორმოცი წლის უკულმართობა!  
 უნდა ვსვა სიბრძნე საუკუნის ახალ თასიდან,  
 რომ მკაცრ ლითონის სიმძიმითა და გამძაფრებით  
 ავმართო ცეცხლით დატვირთული რკინის აფრები,  
 სულის ტკივილის სხვა ნაპირზე გადასაზიდათ!  
 რომ კვლავ აენთოს აზრი წმინდა და უმადლესი,  
 იქროლოს რაშმა, შორს დასტოვოს ყორნის ჩხავილი,  
 და ეს ქვეყანა აკივლებულ ქარიშხალივით  
 გრგვინვით ავარდეს მიუწვდომელ მზის სინათლეზე!

ს. აბაშელი

## უბედური რუსი

თავი მეოთხე

მამიდა

იბ.

— ოო, თამარ, საყვარელო ჩემო! — სიხარულით შეიკვირვა ჯერ კიდევ კარგად შენახულმა მოხუცმა რუსუდანმა და წინ შემოეგება.

ყველანი წამოიშალნენ. მდაბლა თავი დახარეს.

— ეს ფერი რათა გაქვს ნაკრთომი? — ნაჩვევის, უფროსის კილოთი დაიწყო რუსუდანმა, მაგრამ მყისვე ღიმილი მიაცოლა და ხელ-გადახვეულმა თითქმის ყურში ალერსიანად ჩაუჩურჩულა:

— შე საძაგელო, შენ!..

თამარს უყვარდა მამიდას ღიმილი. ამ ღიმილში მუდამ ქრისტიანული ღმობიერება იყო ჩაქსოვილი. თორემ ეს ღიმილი რომ არ სცნოდა რუსუდანს, მისი სახე მეტად მიუკარებელი გამომეტყველების იქნებოდა. დიდი სისასტიკის ბეჭედი აჯდა. ამაში ძალიან ჰგავდა მის ძმას, მეფე გიორგის, თამარის მამას.

გიორგიზე ხომ ამბობდნენ მისი მომსწრენი: მის სახეს სიცილი ძვირად ეკარებაო. ეგევე შეიძლებოდა ეთქვათ რუსუდანზე და განსაკუთრებით მის თვალეზე. ისინი არ იცინოდნენ, ხოლო როდესაც გასწყობდნენ, ერჩივნა მათ წინაშე მდგომს, ქვესკნელი გახეთქოდა და შიგ ჩაეტანა.

ამ ჟამად კი ანაზდეულმა ღიმილმა დარი დააყენა ამ სახეზე.

— ოო, რატი! — შეამჩნია თამარმა, — როგორ გიკითხო?!

მამიდა-ძმისნული ტახტზე ერთად ჩამოსხდნენ.

ქართლის ბატონი ყურთამდე სიხარულის სინითლით გაივსო და შესაფერი პასუხი ჰკადრა.

— ღირსეული დედა-შენი, დიდი ქალბატონი ხვაშაქი, რაზედ აღარა გვწყალობს?.. — კვლავ შეეკითხა თამარი.

— შენი წყალობის ღირსი თვით გახლავს, მეფეო... მხოლოდ ეხლა შეუძლოდ არის და...

— შეუძლოდ? მერე აქამდე რად არ მაცნობეთ?..

— შეუძლოდ ისე გახლავს, მეფეო, რომ ცხენზე ჯდომა უძძიმს და გვიბრძანა მის შვილებსა: თუ სამძიმო, სამეფო საქმე არ იყოს-რა ცუდ უბრალოზე ნულარ გამრჯით და თამარის ქორწინებამდე როგორც იქნება მოვიჭირვებ მის უნახაობასო...

ქორწინების ხსენებაზე თამარს ოდნავმა შავმა ღრუბელმა გადაურბინა.

რატიმ შეჰბედა:

— ეხლა-ლა ეს ქორწინებაც, მგონი სამალიოდ იქნება...

შენწყვიტა... თამარი მიუბრუნდა მამიდას:

— მართლა, მამიდა, შენთან საქმეზე ვარ მოსული...

— აბა, ეხლა თქვენ მოგვმორდით. შვილოსა! — უბრძანა იქ მყოფთ რუსუდანმა.

ამ ბრძანებაზე რატიმ ერთხელ კიდევ დაადასტურა თავის გულში, რომ რუსუდანის და დედა-მისის ხვაშაქის ხმები ერთი მეორეს ძალიანა ჰგვანდნენ: ბოხი იყო, ორივე მკვეთრი და შეუვალი.

თავის თავს კი შეურაცყოფილად გრძნობდა: თამარმა არ უპასუხა მას შეკითხვაზე, მაგრამ გამოთხოვებისას თამარმა ღმობიერად გაუღიმა და... კვლავ მოინათლა. თითქო მეფემ ამ ღიმილით უბრძანა — არა, კი არ გინყრები, მხოლოდ ეხლა არა მცალიანო.



იგ.

მარტო დარჩნენ გვირგვინოსანი მამიდა და მირონცხებული ძმისწული.

თამარი შეეკითხა რუსუდანს:

— მამიდა, რას მირჩევ?

— ჩემი აზრი უკვე იცი, თამარ... მეც მოვიწონე ეგ უცხო უფლისწული, მეც მივემხრე კათალიკოსსა...

— ეგ ვიცი, მაგრამ... საუცებურათ ნუ მივაგდებთ ესეთ დიდ საქმეს... არა, საპირადო მე აღარ მაღაპარაკებს... ამაზე ბევრი ვიფიქრე, კარგად უწყი, რომ ჩემი გული მკვდარია...

— თამარ, თამარ!..

ცოტა სისასტიკე გაისმა რუსუდანის ხმაში.

— ნუ თუ კვლავ ვერ სძლიე შენს თავსა... ნუ თუ ძველი ჭმუნვა კვლავ განგიახლდა და სიყმანვილის მოგონებით კვლავ მიმოიტაცები!..

თამარს უნდოდა რაღაც ეთქვა. მამიდა შეუვალად, მრისხანედ განაგრძობდა:

— ვით დაივინყე, რა ჭირი განვვლეთ!.. განსვენებული მამა-შენი, ლომ-გული მეფე ვით აღშფოთდა, ვითარ ბორგავდა, როს ესმა ხმები, რომ უფლისწულს დემნას მისი ერ-თად-ერთი ქალი თამარი მოსწონსო. გახსოვს მისი განრისხება? თვალებით ცეცხლს აფრქვევდა, პირიდან გრგვინვა-ქუხილს აღმოუტყვევბდა...

თამარმა შეატყო, რომ მამიდა გაიტაცა მწარე მოგონებამ და ხელი აღარ შეუშალა; თავ-დახრილი უსმენდა მქუხარ სიტყვებსა.

რუსუდანი კი მჭევრ-მეტყველებდა:

— ან ვით ეგებოდა! დემნა ბიძაშვილი იყო შენი... სისხლით და ხორციით ნათესავი... ჰოი, უფალო, რა ჭორები მიმოქროდა მაშინ სასახლის კარზე... რა საჭიროა გახსენება!.. და აი, მამა-შენი შენც შემოგწყრა, გაძევებულ იქმენ... ქაჯეთის ციხეში მოგათავსა და კვლავ მე მომანდო შენი თვალ-ყური... ხოლო, სამეფოში აღტყდა ამბოხი და აღრევა... დემნას მომხრეები განუდგნენ ნეტარს გიორგის და, კარგად იცი, როგორი ძმათა მმუსვრელი ომი მოჰყვა ამ ამბავს...

თამარმა თავი აიღო. ნელიად შეახსენა:

— ამ ომს სხვა მიზეზიც ჰქონდა. უფლისწული დემნა მემკვიდრე იყო საქართველოს ტახტისა და თვის უფლებას ეძიებდა...

— ჰო, მაგრამ უფაღმა არ გაუმარჯვა სისხლის შერევის მონადინეს...

თამარის ნაზ გულს თითქო ისარი მოხვდა:

— ო, მამიდა, ნუ ამბობ მაგას!..

მამიდას ყური არ უგდია:

— გიორგის რკინის მკლავმა სძლია მას და მისთანათა... შენ კი გახსოვს ცრემლით გათენებული ღამეები... იქ, ქაჯეთის ციხეს... ო, რამდენი შიში, კრთომა და ტანჯვა გამოვიარეთ ორთავემ... შენ ბავშვი იყავ მაშინ. ამ ქვეყნისა ნაკლებ გესმოდა და მხოლოდ შენს გულის მოფეთქებას აპყოლოდი... მაგრამ, აი, განვლო დრო-ჟამმა... უკვე დიდი მეფე ხარ ეხლა და... ნუ თუ ის გინდა, რომ კვლავ მიძინებულმა ჭორმა გაიღვიძოს, ბოროტ ენათ კვლავ მისცე საზრდო?! გახსოვდეს, თამარ! მეფის კარზე შურსა და ბოროტებას არასოდეს არ სძინავს. იგი მხოლოდ ბრძენი მეფის შარავანდედში მირულებულია და გველივით შეკეცილი... ოჰი, ღმერთო! ჯვარი აქაურობას, ვილაც ცუდად მახსენებს...

თამარს თვალზე ცრემლი ჰქონდა მომდგარი, მაგრამ მამიდას ცრუ-მორწმუნეობამ ცოტა ღიმილი მოჰგვარა.

— არა, მამიდა! ეგ არ მავინყდება, რომ მეფის მოვალეობა რთულია და მრავალ-ფერი... რომ ყოველივე ნაბიჯს, ყოველს სიტყვას, საქციელს და მიხვრა-მოხვრასაც დიდი

ანონ-დანონვა უნდა, განსჯა და ფიქრი... მერე განა მე გამოვიწვევ ხელ-ახლა ჭორსა, შურს და ბოროტებას?.. თუ დავთანხმდი, რომ დარბაზის ერსა და... ყოველსა საქართველოს მოედებნა ჩემთვის მეუღლე, ეს განა იმას არ ნიშნავს, რომ მე დავთმე ყოველი ჩემი საპირადო და ერის ხმაზე დამოუკიდე სამეფოს ბედი?!.. თორემ ჩვენ ქართველ ქალებს, მადლობა ღმერთს, შეგვიძლია, ვინც გვენებება, ის ავირჩიოთ ჩვენს მეუღლედ... არის ამის მაგალითებიც... არ მივხედოთ ნათესავების მოსაზრებას, მახლობელთ რჩევას, დავენდოთ მხოლოდ ჩვენს გონებას — რომ გზა გაიკვლიოს და უნაზესმა ჩვენმა გრძნობამ ეს გზა გაგვინათოს... მე ხომ მეფეც ვარ და ვის შეუძლია არჩევანსა ჩემსა წინა აღუდგეს... მაგრამ აჰა, ეს საქმეც თქვენ მოგანდეთ და... თუ ვამბობ, ჩემი გული მკვდარი არის-მეთქი... ამას მხოლოდ შენ გიზიარებ, მამიდა ჩემო...

თამარის ესეთ სიტყვებზე რუსუდანი თითქო სულ გამოიცვალა. ან სადღა იყო წინანდელი მამხილებელი, თითქო მარმარილოსგან ჩამონაძერნი ნაკვითი?!

იგი მოიხარა და თამარს მუხლებზე მოეხვია:

— მომიტევე, ჩემო ბრძენო თამარ... ოდეს ჩემთან ხარ, სულ მგონია, ისევ ჩემს პანია გაზრდილს ველაპარაკები. რა გინდა დიდ მეფედ ვგრძნობდე შენს თავსა, მავიწყდება ესე ვითარი და ხშირად ტუქსვა წამოსცდება ბაგეს...

— მე ეგ არ მიკვირს, მხოლოდ... — შეჩერდა თამარი და ჩაფიქრდა. რუსუდანიც უცდიდა.

— მხოლოდ რატომ მაინცდამაინც ამ უცხო, რუს უფლისწულზე შესდგა თქვენი არჩევანი?.. იცნობთ? გაგიგიათ მისი თვისებანი? თუ გარეგნობამ მოგხიბლათ?

— დიდი მეფის შვილი არის თურმე, თამარ! სანახავად კარგი, სახე — კეკლუცი, სრულ ანაგებიტა და... საჩენი.

— მე ეგ სახე-კეკლუცობაც ვერ დავინახე. უნაზესი რაცა აქვს ადამიანს: სულის სარკე, თვალები, მღვრიე აქვს და ბინდ-გადაკრული... ნუ თუ ეს ვერავინ შეამჩნია?.. მაგრამ იცი, მამიდა, ეს მაკვირვებს! ნუ თუ ქართველებში არ მოიძებნა ისეთი მოყმე ვინმე — სამეფო ტახტის ღირსი ყოფილიყო...

და კვლავ თავში გაუელვა დერეფანში გაგონილმა სიმღერამ:

„ქალი რად გინდა უცხო მხრის“...

რუსუდანი შეცბუნდა. ეტყობოდა, მასაც ეუცხოვა ეს აზრი, ეტყობოდა, მასაც დაებადა საკითხი: „მართლაც და რატომ ვინმე ქართველთა მოდგმისა ღირსეული, წარჩინებული არ ვირჩიეთო!“

გაახსენდა: ჩვეულებაა — მეფეთა მიერ არა ეგების ქვეშევრდომთა შეუღლებაო.

ეგრეც მოახსენა:

— არა შესაწყნარებელ არსო!

თამარმა უპასუხა:

— ეგ ვიცი ყოველივე, მაგრამ მე ხომ შვიდთა სამეფოთა მპყრობელი ვარ... მაშასადამე, ამ სამეფოთა გამგენი ხომ ჩამომავლობით ჩემნი ტოლნი და სწორნი არიან, მე მხოლოდ ხარისხითა ვარ მათზე მაღალი...

რუსუდანი შეფიქრიანდა. გაუბედა:

— თამარ! ნუ თუ ვინმე გეგულვის მათ შორის და არ ამჟღავნებ...

თამარმა ნაღვლიანის თვალით გადახედა.

— არა, მამიდა!.. ვითარ ვთქვი, ჩემი შეუღლების ამბავი სრულად თქვენზე დამოკიდედ და ამ საფიქრალისაგან დავიხსენი თავი ჩემი... აქამდის ხომ სულ უარზე ვიყავ... მხოლოდ, რაკი სამეფომ მოითხოვა ჩემგან ამ ვალდებულების გასრულება, დასტური დაგრთეთ... ეხლა კი დღეს, ზეიმის დროს, როს ვნახე უფლისწული... გავიფიქრე: ამ ბრძენ ხალხსა შეცდომა არა მოუვიდეს-მეთქი... და თუ ეხლა ვერევი ამის ბჭობაში, თუ შენც ჩემს აზრსა გიზიარებ, მერწმუნე, მხოლოდ ისე, ვით მეფე თავის სამეფოზე მზრუნველი,

ვით სახელმწიფოს გულმტკიცუნეული მოაზრე ვინმე... საპირადო ყოველი აქ დავინყებუ-  
ლია, მკვდარია და აღარ არსებობს...

— მაშ, არ მოგეწონა უფლისწული?

— ჰო, ჩემს სულს ვერ შეეთვისა... იმიტომ ვამბობ ქართველი-მეთქი... არც ამაზე  
მიფიქრია აქამდე, მაგრამ გეტყობათ, არც თქვენგანს ვისმე მოსვლიათ აზრად ქართვე-  
ლი მოექებნა...

რუსუდანმა ფიქრის შემდეგ წარმოსთქვა:

— უთუოდ ვერ ბედავდნენ.

— მეც ეხლა სულ უბრალო რამემ ჩამაგდო საფიქრალსა: დერეფანში ერთი ოთახი-  
დან სიმღერა შემომესმა... მართლა, დავით სოსლანი ჩამოსულა...

— დიაღ, გეახლა... — შეგვიანებით წარმოსთქვა რუსუდანმა.

— აი, იმის ოთახიდან სიმღერა გამოდიოდა: „ქალი რად გინდა უცხო მხრის, დასნე-  
ულდება, მოკვდებაო!“ და იცი, მამიდა!..

მამიდას უკვე ეტყობოდა, რომ რაღაც ახალ, მძლავრ საფიქრალსა დაეპყრო.

თამარი განაგრძობდა:

— ამ ლექსში დიდი სიბრძნეა... ჰო და...

აქ ერთი აღერსით მოეხვია მოლუშულ მამიდას და თან სევდიანად ჩაუხუმრა:

— მაშ, ვაჟიც რად გვინდა უცხო მხრის!

მამიდას ნელიად გაელიმა. მაგრამ თამარს ისევე სახე ეცვალა და უკვე უხუმრად წარ-  
მოსთქვა:

— მაინც მე არც გზასა დავდგომილვარ... შენ გაგიზიარებ ამას... ვიცი კარგად, დი-  
დებულნი, დარბაზის ერი, კათალიკოსი და შენც საბოლოოდ შეთანხმდით უკვე: გინდათ,  
ეგ უცხო უფლისწული მეუღლედ გამიხდეს... აღარ გეურჩებით, მხოლოდ იცოდეს ყვე-  
ლამ: ჯვარის წერა ჯერ არ მოხდება. დავინინდები. ესეც იმისთვის, რომ შფოთი რამე არ  
ატყდეს ჩვენს ქვეყანაში. ჯვარის წერამდე კი ერთი წელიწადი მაინც მოათიოს ჩვენ შო-  
რის უფლისწულმა, გავიცნოთ, შევისწავლოთ მისი ხასიათი და უკეთუ შემდეგშია ც ღირ-  
სი აღმოჩნდება, მე თქვენს სურვილს არსით წაუვალ...

შეჩერდა. მამიდას თითქო ჭმუნვის ღრუბელი გადაეყარა, თითქო უფრო თავისუფ-  
ლად ამოისუნთქა, თამარმა კვლავ მიმართა:

— მხოლოდ, მამიდა, ამის საჯაროდ გამოცხადებას მე თვით ვუბრძანებ. მანამ კი ნუ  
ვისთან წურასა გრჯის... კვლავ მადროვე ცოტა, გონება კვალად შემოვიკრიფო.

— ბრძენი ხარ, შვილო, ბრძენი და ვინ რას გეურჩება!

— ეხლა ნახვამდის.

მიადგა მოფარდაგულს. მამიდამ მიაცილა.

— აბა, გამდელი, გავსწიოთ ჩვენსა.

დერეფანს მდგარი გამდელი, შიმუნვარები და დარაჯი მოკრძალებით თან გაყვნენ მეფეს.  
დერეფანში უკვე დარბაზის ერი ირეოდა. ეტყობოდა, ასპარეზობიდან სანადიმოდ დაბ-  
რუნებულნიყვნენ.

თამარის დანახვაზე ყველამ მოკრძალებით თავი დახარა, მაგრამ გაუკვირდათ, რომ  
ჩვეულებისამებრ დიდი მეფე არავისთან არ შეჩერდა და არავინ თავისებურ სათნოებით  
არ მოიკითხა.

— უგუნებოდ ბრძანდებაო! — ჩურჩული შექმნეს.

ოთახის შესავალთან მანდატურთ-უხუცესი ჭიაბერი დაენია, თავ-დახრილმა მოკ-  
რძალებით ჰკარდა:

— ჟამი არს ნადიმობისა, მეფეო!

თამარმა ლმობიერად გადახედა და, თითქო ბოდის იხდისო, ნელის ხმით უბრძანა:

— ვერა, ჭიაბერო, დღეს ვერ მოვალ ნადიმად. ამცნეთ სპასალარ სარგის მხარგრძელს და მსახურთ-უხუცესს ვარდან დადიანს ღირსეულად დაუხვდნენ სტუმრებს. დიასახლისად სომხითის მთავრის მეუღლე, სარგისის ქალი, ზაქარია და ივანე მხარგრძელების და თამთა დამინიშნავს.

ჭიაბერმა კიდევ უფრო მძიმედ თავი დახარა და მსწრაფლ გატრიალდა. იქვე დახვდა კათალიკოსის გამოგზავნილი მორჩილი. შეეკითხა.

ჭიაბერმა უბრძანა: არ იქმნებო.

თამარი შევიდა თავის ოთახს და მყისვე გამდელს მიმართა:

— როგორ მიმრჩა ჩემი ხელ-საქმე! დღეს ვერაფერი ვერ მოვასწარ...

— ბრძანებ მოგართვათ?

— ჰო, ის ქარგა, დაფარნას რომ ვაკეთებ...

შიმუნვარი წავიდა მოსატანად.

— ამცნეთ აგრეთვე ჩემს მოლარეთ-უხუცესს, მოვიდეს ჩემდა...

თვითონ კი მაგიდას მიუჯდა.

ოქროს გრძელი სანერელი, თვლებით მორთული ედგა წინ. ორბის ფრთაზე კალმათ „მინა რხეული“ იყო წამოცმული. კარგა მოზრდილ, უცხოოდ მოხარტებულ კასრის მაგვარ ჭურჭელში გრაგნილი ეტრატები იყო ჩაყუდებული, იქვე იდგა მომცრო ქვიშის საათი. უფრო ახლოს კი კარგა მოზრდილი, მეშის სქელი, ყდიანი წიგნი მდებარებდა. ყდაზე ბიზანტიის კეისართა ოქროს ლერბი იყო დაკრული.

წიგნი ბერძნულად იყო დანერილი, სქელს, ყვითელს პაპირუსის ქალაღზე.

ეს იყო მეთავე საუკუნეში დანერილი ბიზანტიის იმპერატორის, კონსტანტინე ძონილ-მოსილის თხზულება. ამ ნაწარმოებში იგი დარიგებას აძლევდა თავის შვილსა.

თამარმა გადაფურცლა. შემდეგ ადგილს წაანყდა და ჩაულრმავდა:

„ყოველ ხალხს თავისი კანონი და ჩვეულება აქვს. ამიტომაც ყოველი ხალხი უნდა ცდილობდეს ამ ჩვეულების დაცვას და განმტკიცებას. ყოველივე კავშირი, რომელზედაც დამოკიდებულია საზოგადოებრივი ცხოვრება, მან თავის შორის უნდა გამოიხაროს და მოიძიოს ამის საშუალება; როგორც ყოველი ცხოველი თავის მსგავს ეძიებს, ეგრევე ხალხმაც ეგეთი წესი უნდა შემოიღოს — შეუუღლდეს არა უცხო ტომის შთამომავალსა და უცხო ენის პატრონსა, არამედ თავისავე მოდგმისას და მისივე ენის გამგონს. მხოლოდ ამას შეუძლიან მეუღლეთა შორის განამტკიცოს მშვიდობა, სათნოება და უნაზესი გრძნობანი“...

## იდ.

თამარის წასვლის შემდეგ რუსუდანმა ვერ მოისვენა.

გულს ღრმად ჩააჩნდა თამარის ნაუბარი:

— მართლაც და რატომ რომელიმე ქართველი უფლისწული არ ვირჩიეთ?.. ბრძენია თამარ... ვინ იცის, ვინ არის ეს გადამთიელი?! პირად კარგია, ყველას მოსწონს, მაგრამ...

უკვე ეჭვი აფათურდა რუსუდანის გონებაში.

— მართალს ამბობს ჩემი ძმისწული: შთამომავლობით ამ შვიდ სამეფოს უფლისწულები მისნი ტოლნი არიან: მხოლოდ რომელი? სამცხელი ახოვანი თავადი სამძივარები თუ აფხაზეთის უფროსი შარვაშიძე? ლაზისტანელი ფანასკერტელი თუ ჰერეთის ერისთავი ასათ გრიგოლისძე? ისიც ხომ ბაგრატიონია და მეფეთა სახლის შვილი? ან შეიძლება ბერძენთა კეისრის შთამომავალი ალექსი კომნიანოსი გამოდგეს?.. წინედაც ვფიქრობდით მაგაზე. თვით კათალიკოსი კინალამ მაგაზე შეჩერდა: ერთმორწმუნე არის, მართლმადიდებელი და ბიზანტიელ მეფეთა შთამომავალიო. მაგრამ ეგეც ხომ გადმოხვეწილი ვინმეა, უსავანო, საქართველოში შემოხიზნული და უმთავრესი კიდევ ის არის, რომ შორეული, მაგრამ ჩვენი ნათესავია...

ამ ნათესაობის გახსენებამ ცუდ გუნებაზე დააყენა. უეცრად თითქო ელვამ შემოანათაო, სრულიად უცხო აზრი გაიკლაკნა მის შეგნებაში.

— რატომ აქამდე არ ვიფიქრე?.. დავით სოსლანი!.. ჩემი გაზრდილია, თამართანაც ბავშვობითვე შეზრდილი... ჰოი, უფალო, ეს რომ შეიძლებოდეს!.. უკეთესს ვისღა ვპოვებთ?.. ჭაბუკი სრულიად ღირსი მეფობისა: ნაკვთად კარგი, პირად ტურფა, ტანად ზომიერი, მწიგნობარი, ზრდილი და მეომარი უცხო... დამნაშავე ვარ! რად, წინად აქამდე ეს არ ვიფიქრე?.. ეხლა-ლა?.. ეხლა რომ გვიანი იყოს? თვით თამარიც დათმობის გზას ადგია: დავინინდებო, მითხრა ძულან, დიდებულნიც შემფოთდებიან, აბულასანიც თავს შეურაცხყოფილად იგრძნობს, რომ მის მიერ მოყვანილი უფლისწული მოწონებული არ იქმნას... შეიძლება მოხდეს აღრევა სამეფოსი და კვლავ ძმათა მმუსვრელ ომსაც ვერ ავცდეთ.

დიდმა საგონებელმა მოიცვა რუსუდანი. შუბლზე ხელი მოისვა — ცივი ოფლი დასხმოდა. გულმა მაინც დავით სოსლანისკენ გაუწია.

გაახსენდა, რომ დღეს ნადიმობა იყო დანიშნული. ვერ იგრძნო თავი სანადიმოდ და ბოდიში შეუთვალა ნადიმის გამგეს.

როდესაც მოახსენეს, რომ ნადიმად არც თამარი მობრძანდებო, გულს ესალბუნა.

## თავი მეხუთე

### მჭმუნვარე რატი

იე.

მონადიმეებს კი ამ ამბავმა მჭმუნვის ჩრდილი მიაყენა.

როდესაც გაიგეს, რომ არც თამარი, არც რუსუდანი და არც კათალიკოსი მჭმუნვარე დელითურთ ნადიმს არ დაესწრებოდნენ, რალა ექმნათ შეკრებილებს, თორემ დარჩენა აღარ უნდოდათ.

მაგრამ დიასახლისად დანიშნულ სომეხთა მთავრის მეუღლის თამთას მომხიზვლელმა ზრდილობამ, ჭიაბერის განგებთანობამ, ვარდან დადიანის ტკბილმოუბარობამ მაინც უკუ ჰყარა მჭმუნვის ღრუბელი და ნადიმი კვლავ აფერადდა, ლხინი წავიდა თავის გზით.

მხოლოდ კუზმა-რუსი ვერ იყო მაინც გუნებაზე. ამდენ თვალსაჩინოთა დაუსწრებლობა და თვით თამარის არ ყოფნა კარგის მომასწავებელი არ არისო, ფიქრობდა იგი და ამასვე გრძნობდა ჩუმად, თავისთვის მის გვერდზე მჯდომი რატი სურამელი. მან შეამჩნია, რომ არც თუ ოსთა თავადნი დაესწრნენ ნადიმს.

არც დავით სოსლანი და არც მისი მომყოლნი ოსთა ბატონიშვილები: ჯადაროს და გიორგი.

ეს კიდევ რალას ნიშნავსო, ფიქრობდა რატი და გული ეთანაღრებოდა.

— ზეიმის შემდეგ, თუმცა ზრდილობით, მაინც თამარმა დამითხოვა. შემდეგ თვით არ ინება მობრძანება. ეტყობა, მამიდასთან თათბირი ამ უცხო უფლისწულის სასიკეთოდ ვერ დასრულდა. მერე რას უნუნებენ ამ დალოცვილს? შევარდენივით უზის სუფრას... პირად კარგი სანახავი ყოფილა. მართალია, თვალები როგორღაც არ მომწონს, მაგრამ ხომ უნდა როგორმე გადაიჭრას თამარის გათხოვება?.. უცხო კაცია, სრულიად დამოუკიდებელი ჩვენ დიდებულთა წრეზე... მაშ, მას ვერ ჩაითრევს წვრილმანობა ჩვენი ყოველდღიური. ჩვენი შური, შფოთი და ქვეგამხედველობა... დიდი მეფის შვილიც არის. ერთმორწმუნე, მართლმადიდებელი... ხოლო თუ ესე არ მოხდა... ვგრძნობ საფრთხესა... იმდენია მთხოვნელი, იმდენია მალალ-ზრახვათა მქონე...

და აქ თვალის შეაეღვა ვარდან დადიანს.



— არა, ესე არ ეგების!.. დღესვე პირადად მივალ თამართან და ვამცნობ, თუ რასაც ვგრძნობთ მისი ერთგული ყმანი... უნდა გადასწყვიტოს, ქვეყანა უნდა დაამშვიდოს... მხოლოდ ამ ოსთა თავადთ რალა უნდათ? ეს რა ურჩობაა? რად არ გამოცხადდნენ სანადიმოდ?.. გაახსენდა.

ამას წინად ვინ ჩაანვეთა ყურში?

— ოსთა თავადთ დიდათ სწყენიათ რუსის უფლისწულის მოყვანა და ეხლა იმისათვის არიან ჩამოსულნი, რომ თამარ მეფე სხვაზე ნუ ინებებს გათხოვებას, ხოლო ჩვენ შორის ვინც მოენონება, ის შეიუღლოსო. მგონი, ყველაზე მეტად ოსთ ბატონიშვილს გიორგის სურს თამარის ქმრობაო... მაგრამ ამაზე ჩუმიად ლაპარაკობენ სასახლის კარზე... გაუბედავია მათი ხმა და ვერ არის გამტკიცებული მათი სურვილი... ხედავთ, რა განუზრახავთ?.. ვინ მიემხრობა, ვინ გამოექომაგება?.. დიდებულნი ამას არ დაჰყაბულდებიან. არავის მათგანს ოს თავადებზე მდაბლა თავი არ მოაქვს... არა! უთუოდ უნდა ვეახლო თამარს...

ხელ-ახლა დაუდასტურა თავის თავს.

## თავი მეექვსე

### გამიჯნურებული ბატონიშვილი

ივ.

დავით სოსლანის სამყოფელში კი კვლავ ჩანგურის ხმა გაისმოდა.

თვით დავით სოსლანი და ჯადაროს ოსთა ბატონიშვილი მაღალ სარკმელთან იყვნენ მიმდგარნი და რალასაც ნელის ხმით საუბრობდნენ.

ხალიჩა-მოფენილ დაბალ ტახტზე მისვენებული იყო ერთი უცხო სახის ჭაბუკი, ბრგე მოყვანილობისა. საამური რამ საჭვრეტი იყო, მაგრამ ამ ჟამად გაბადრული სახე გაყვითლებული ჰქონდა და შავი, დიდრონი თვალები ნაღვლიანად გამოიყურებოდნენ. მხოლოდ ზოგჯერ თუ შორეული სიხარულის შუქი მიადგებოდა მათ.

ეს იყო აგრეთვე დავით სოსლანის მონათესავე, ჯადაროსის უმცროსი ძმა, გიორგი, ოსთა თავადი.

ტახტზე წინ ედვა პანია, თითქო უბეში სატარებელი ტყავ-გადაკრული, სქელ-კანია-ნი წიგნი. ამ წიგნის ლურჯ კაბადონებზე მეტად წმინდათ ნახელოვნევ, მოხატულ ოქროს ჩარჩოებში შავის მელნით არაბული სიტყვები იყო დაწერილი.

იქვე იდვა ხის მოგრძო, მოხარატებული სამელნე და ბატის ფრთის კალამი, თან ჩვილი ხბოს გახვენილი, სანერი ტყავი.

ხანგამოშვებით ამ ტყავზე სწერდა რალასაც. ეტყობოდა, თარგმნიდა არაბულიდან.

ჩანგური კი თავისას განაგრძობდა და გორგა მოშაირე ამ ჟამად მხოლოდ ნელიად დალილინებდა, რომ ხელი არ შეეშალა ბატონიშვილის შემოქმედებისათვის.

კარგა ხანს გასტანა ესეთმა მდგომარეობამ.

ფარეში შემოვიდა. იქვე მდგომ უფროს მხლეთაგანს ყურში რალაც ჩასჩურჩულა.

მხლებელიც ფეხის ცერებზე ეახლა დავით სოსლანს. ჩუმიად რალაც ჰკადრა.

დავითმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია და გიორგისაკენ წამოვიდა.

— გიორგი! — ლმობიერად მიმართა.

— გეყოფა ეხლა. დროა, პურად ვილოთ...

გიორგის თითქო არც გაუგონია.

ჩანგური შეწყდა.

— რა ჰქმენ, გიორგი? — ეხლა უფრო ხმა-მაღლა მიმართა დავითმა.

— დაასრულე?

მხოლოდ ესლა შეინძრა გიორგის სახე. ცოტა გაელიმა.

— აბა, გვიჩვენე...

გიორგიმ ხელი დააფარა დაწერილს, მაგრამ ალერსიანი ძალ-დატანებით დავითმა ნაწერი ხელთ აიღო.

ჩათვალა. სახეზე სიამოვნება გამოეხატა.

— მშვენიერია! — ნელიად წარმოსთქვა მან. განაგრძო: — აჰა, გორგა! ბატონიშვილს შენთვის მშვენიერი ლექსი უბოძებია. აბა, შენ იცი, რა სიმღერასაც შეურჩევ. მხოლოდ, იცოდე, ჩვენებური, ოსური კილო უნდა იყოს.

— ერთი მიბრძანე, ბატონიშვილო, ღმერთი გადღეგრძელებს...

წარმოსთქვა ჭაღარა მოშაირემ.

ბატონიშვილ გიორგის სახეზე უკვე კმაყოფილება ეტყობოდა. სჩანდა, იამა, რომ დავითს მოეწონა.

— ნაუკითხე! — ნელის ხმით განაცხადა თანხმობა.

ჯადაროს და ყველა იქ მყოფნი მსლებლები და ფარეშები უფრო ახლო შეეჯგუფდნენ, დავითმა კი მკაფიოდ და ცოტა შემღერებით ნაიკითხა:

„შენთა ღანვთა ელვანი — მთიებთ შორის მხედარი,  
სამღვთო შუქთა ნათელი — შენ გარემო მწვედ არი.  
რაც ძვირფასი თვალია — შენ ხარ სულ-ყველას კრება,  
ადამიანის წუნი ერთიც არ გეკარება!  
საროს და ვარდს რად უმზერს, ვინც შენი მიჯნურია?!  
სარო — შენი ტანია, ღანვი — ვარდ-კუკურია!  
ვერ დამალავს შენს ტრფობას ვერა კაცი სულდგმული,  
მიტომ შენი მიჯნური ქვეყნად არს განკიცხული.  
შენ მიჯნურთ გულის-თქმანი ყველა შესრულებიან,  
მხოლოდ შენის შეყრისა ნადილით ისჯებიან“.<sup>1</sup>

დავითმა კითხვა გაათავა.

— დიდებულა, ბატონიშვილო! — წამოიძახა გორგა-მოშაირემ. — მართლა მიბოძებ სამღერელად?

გიორგიმ ღმობიერად თავი დაუქნია — გიბოძებო!

მშვენიერია, შენმა გაზდამ, გიორგი! — დაადასტურა ჯადაროსმაც. — დავით, ერთი აქ მიბოძე... და დაწერილი ტყავი ჩამოართვა. ჩუმად ჩაიკითხა და დავითს გადახედა.

ორივეს ნაღვლიანი გამომეტყველება მიეცა. თითქო ჩუმად მიხვდნენ ბატონიშვილმა გიორგიმ ვისთვის თარგმნა ეს ლექსი და თვალებით ერთი მეორეს დაუმონმეს.

შემოსავალის ფარდაგი გადაიწია.

უწინარეს ყოვლისა ჭაღარა, გრძელი ნვერი და არწივისებური ცხვირი გამოჩნდა.

ყველაზე წინ დავითი მიესალმა:

— აა, სახელოვან პიტიკოსს ჩვენი სალამი!

— პიტიკოსები თვით ბრძანდებით, ბატონიშვილებო!

და ამ სიტყვებთან ერთად ოთახში სრულიად შემოვიდა ცოტა ბეჭებში მოხრილი, მაგრამ საკმაოდ ახოვანი, ხმელ-ხმელი, ძარღვიანი მამაკაცი.

1. მამი ჩემის, ნიკ. დადიანის ძველი თარგმანი არაბულიდან. ავტორი.

იგ.

— გიორგი, ვერ იცნობ? ეს არის ის განთქმული მწერალი, რომლის ნაწერების კითხვა ვგრე გიყვარს... აი, ამ ბოლო ხანებში „ეთერიანი“, აბესალომ და ეთერის ამბავი რომ დასწერა, სახელოვანი გოდერძი ჩორჩანელი.

გიორგი ცოტა წამოინია. წარმოსთქვა:

— ფრიად მიხარის შენი ნახვა, დიდო მწერალო... მობრძანდი... სელი მიართვით.

გიორგის ახლო, ტახტთან, სკამზე დასვეს სასიამო სტუმარი.

დავითმა ბრძანება გასცა, სადილიც მოერთმიათ. ფარეშები დაფაცურდნენ.

ჯადაროსი კი გოდერძის ეხუმრებოდა:

— ბატონიშვილებს რას დაგვცინი, სახელოვანო... აგერ ჩემმა ძმამ მშვენიერი ლექსი სთარგმნა არაბულიდან ქართულად, რომ...

გიორგიმ საყვედურით გადახედა ჯადაროსს.

— დაცინებას აბა როგორ გაკადრებთ... — წარმოსთქვა გოდერძიმ — ოსთა თავადნი ქართულში დიდად ნაქებნი არიან... ამ ჭაბუკისა არ ვიცი და დავით სოსლანისა კი მსმენია, რომ თხზავს თურმე...

— ეეჰ, აბა, რა სახსენებელი ვარ... — დაიმდაბლა თავი დავითმა.

— არა, რატომ არ არის სახსენებელი? — არა სცხრებოდა ჯადაროსი მისიანების ქებით — შენმა მზემ, დავითმა ჩვენი გმირთა გმირის ალღუზის და სხვათა ამბავი ეგოდენ მშვენიერად შეჰკინდა, რომ საამური რამ სასმენელი გამოვიდა...

— რომ ვერ ჩავიგდეთ ხელში! — კვლავ შეუბრუნა გოდერძი ჩორჩანელმა. — ჩემთვის დიდად საგულისხმო იყო მცოდნოდა, რა თქმულეზანი ჩაურთო მის თხზულებას. ჩემს „ეთერიანშიც“ ბევრია თქვენი, ოსური თქმულება მოყვანილი.

— აკი, იმიტომაც შემეყვარდა თქვენი წიგნი. — წარმოსთქვა გიორგიმ.

— მართლა, თქვენ რა ვითარგმნებიათ?... აქედან თარგმან ჰყავით? — და გოდერძიმ ბატონიშვილს მიუთითა მის წინ მდებარე მომცრო წიგნზე.

— დიად... თავს ვირთობ.

— ეგ რა წიგნია?

გიორგიმ გაუნოდა წიგნი.

გოდერძიმ ჩვეული კაცის ხელით გადაფურცლა კაბადონები. მარჯვენა ბოლოში სათაურს დახედა. თითქო თავისთვის წარმოსთქვა:

— ოო, არაბულ შაირთა კრებული ყოფილა.

— აი, თარგმანიც. — და დავითმა გადასცა ტყავი.

გიორგი სულ გაიმართა ტახტზე. წამოწილდა და ცნობის მოყვარეობით შეაჩერდა ჩორჩანელს. ეტყობოდა, კრძალვით იყო: ბუმბერაზ მწერლის აზრი როგორი იქნებაო.

გოდერძიმ რამდენჯერმე გადაიკითხა თარგმანიც და ტექსტიც. ბოლოს შეგვიანებით წარმოსთქვა:

— მოსაწონია, ბატონიშვილო!

სამივე ბატონიშვილს დაეტყოთ, რომ გულს მოეშვათ. გოდერძის აზრი ძვირფასი იყო, მით უფრო გოდერძის პირდაპირობა და მოურიდალობა ყველამ იცოდა.

გოდერძი დაუკვირდა გიორგის. ეტყობოდა, გააკვირვა ბატონიშვილის სიყვითლემ. თანაზიარად შეკითხა:

— უქეიფოთ ბრძანდები, ბატონიშვილო?

გიორგის უნდოდა ეპასუხნა, ჯადაროსმაც მოინდომა პასუხის გაცემა, მაგრამ ყველას დავითმა დაასწრო:

— ცხროი სჭირს<sup>1</sup>.

— ცხროი? — დაიქვა გოდერძიმ.

— სულ მთეულეთშია ნაზარდი, — განავრძობდა დავითი, — ბარად მხოლოდ ეხლა ჩამოვიდა და იმან თუ დასცადა...

გოდერძის შავი, შეყრილი ნარბები საექვოდ მიმოქანდნენ. ეტყობოდა, არ დაიჯერა, მაგრამ არა სთქვა-რა.

ამასობაში სუფრაც გაშალეს და მსახურთ ხელის „გადასაბანი“ წყალი მოიტანეს. ერთს ვერცხლის პანია ტასტი ეჭირა, მეორეს ვერცხლისავე თუნგულა და მესამეს გრძელი და ვინრო, მოლურჯო, ორივე ბოლოებში უცხოდ მოქარგული პირსახოცი.

როგორც ავადმყოფს, ყველაზე უფროსმა დავით სოსლანმა ხელის დაბანა გიორგის დაუთმო და შემდეგ ჩამოაყოლებინა მორიგისით.

გოდერძიმ კი, როდესაც ხელი პირსახოცით შეიმშრალა, წარმოსთქვა:

— სულ სხვადასხვა ჩვეულება არსებობს ქვეყნად...

არავის არაფერი უთქვამს. აღარც თვითონ განუგრძვია. დრო იყო და მოუსხდნენ კიდევ სუფრას:

ბატონიშვილები და გოდერძი.

გორგა-მოშაირეს კი ცალკე, მომცრო ტაბაკი დაუდგეს.

შინაყმები თავზე ადგნენ.

ფარეშებს სანოვაგე შემოჰქონდათ.

მერიქიფეს ხელ-დოქი ეჭირა და ლალის ფიალებში ქარვის ფერ ყურძნის წვენს ასხამდა მორიგისით.

პირველ ხანებში მათი პურად-ღება ჩუმი იყო, საქმიანი, უბრალო.

მხოლოდ ცოტა რომ შენაყრდნენ, გოდერძიმ მოხსნა პირი.

რა არ გაიხსენა: მისრეთი, არაბეთი, ბიზანტია. სხვადასხვა ზნე-ჩვეულებანი.

ბატონიშვილები გულის ხმიერათ უსმენდნენ.

განსაკუთრებით გიორგის დაეტყო გამოცხოველება. ღანვებზე წითელმა ფერმა იფეთქა.

გოდერძი კი მოუთხრობდა ენა-წყლიანად:

— დიდი გადაჭიმული ხალხია ბიზანტიელები. მოგეხსენებათ, განსაკუთრებით სასახლის კარზე. მეც მეღირსა ბედნიერება — წარვსდგომოდი ბიზანტიის კეისარს. მაგრამ ეს წარდგომა დიდის ზეიმით იყო მორთული. ჯერ ერთი ჩემი ვინაობა დიდად გამოიძიეს და როდესაც დარწმუნდნენ, რომ ივერიიდანა ვარ, ჩვენი მეფის კარის მწერალი, მაშინ დიდის ზრდილობით და მეტის თავაზიანობით გაიღო ჩემთვის ყველა საჭირო კარები, და აი, ერთ მშვენიერ დღეს შემეყვანეს კეისრის მისაღებ დარბაზში, რომელსაც მათებურად მაგნავრას უწოდებენ. ეს არის დიდ-მშვენიერი დარბაზი, შემკული სხვადასხვაგვარ ხრახნილებითა, ჩუქურთმებით და მხატვრობით. მე მითხრეს, როდესაც დიდად საპატიო სტუმარი უნდა მიიღონ, ამ დარბაზს კიდევ უფრო მდიდრულადა რთავენ. მეფის სალარო და საჭურჭლეთაგან მოაქვთ ძვირფასი განძეული და მუნ გამოჰფენენ, რომ სამკაულთა სიმდიდრით განაცვიფრონ მომსვლელები. მაგრამ უფრო საკვირველი იქ, იმ დარბაზში თვით კეისრის ტახტია. მას სოლომონის ტახტს უწოდებენ. და მეტად უცნაური ტახტიც არის. ჩვეულებრივად ოქროთი და თვლებით არის მორთული, როგორც ჩვენში, მაგრამ უფრო სრულია, უფრო დიდი და მეტი უსიამო, ქედ-მალღური შეხედულება აქვს.

— ბიზანტიელებს უყვართ გარეგნული გამოჩვენება. — ბრძანა დავითმა.

— მართლა, ბატონიშვილო, თქვენ გეცოდინებათ იმ ტახტის ამბავიც.

1. ცხრო — ციებაა.

— ჰო, ბევრს საცვიფროსა მოგვითხრობდნენ, მაგრამ ბრძანეთ... ბრძანეთ...  
— მე დანვრილებით არ გამიგია, — ნელიად მიმართა გიორგიმ, — გვიამბეთ.  
გოდერძიმ განაგრძო:

— ტახტის საფეხურებზე სხვადასხვა ოქროსავე მხეცებია მოთავსებული. სულ წინ ორი ლომია, რომელნიც დრო-დროთი წელში იმართებიან, ყალბზე დგებიან და სასაშიშრო ხმებს აღმოუტევენ ხოლმე. ტახტის ორ მხარეს კიდევ ორი ოქროს ხე დგას, ზედ ოქროს ჩიტები სხედან და ისინიც დრო-დროთი ჰგალობენ კიდევ. საოცარი მანქანაა და უცებ კაცს შიშის ზარსა სცემს.

გორგა-მოშაირემ პირი დაალო.

— როდესაც შეველ, იქაური კარის კაცნი მახლდნენ და ერთი კიდევ ჯვაროსანი სკვითი, კეისრის სანახავად ჩამოსული. კეისარი შემდეგ მობრძანდა, საკრამანგ-მოსილი, და აღვიდა თუ არა თვის ტახტსა, ერთი ისეთი ხმა აღმოუტევეს ოქროს მხეცებმა, რომ გეგონებოდათ მეორედ მოსვლა არისო. მე წინედაც მქონდა ამ საოცარ მანქანების ამბავი გაგონილი და დარბაზში ყოფნის დროსაც თვალი შევაჩვიე. ჩემთან მყოფი სკვითი კი დაიბნა, აბორგდა, ეტყობოდა, თმა აებურძვნა და შიშისაგან იატაკზე განერთხო. მაშინ კიდევ უფრო დავრწმუნდი, რომ ადამიანს უწინარეს ყოვლისა თვალში აქვს ჭკუა. დამცინავი ღიმილი უთუოდ შემამჩნია კეისარმა, რადგან ზრდილი და მოიარებიითი სიტყვა-პასუხით მიქო სიმხნევე. თურმე უნებლიედ ქართველობაც ვასახელე ჩემის თავდაჭერით. მაგრამ ცყუილია, იმოდენა გამოცდილება არა მქონოდა, მეც დავფეთდებოდი.

ბატონიშვილები ილიმოდნენ. გორგა-მოშაირე მოურიდებლად, გულიანად ხარხარებდა და სკვითის დაბნევაზე.

— ეს კომნიანოსების კეისრობის დროს იქმნებოდა. — იწყო დავითმა.

— დიად, მაშინ გახლდათ. კომნიანოსები ხომ ტახტიდან ჩამოაგდეს აგერ ორი წელიწადია.

— ნიჭიერი ხალხი იყო. ჩვენ სასახლის კარსაც ენათესავებოდნენ.

— როგორ არა! აი, ალექსი კომნიანოსიც. ჩვენში რომ ჩამოესახლა, იქაური ბატონიშვილია. — ახსნა გოდერძიმ.

ალექსის ხსენებაზე ცოტა აიმრიზა გიორგი ბატონიშვილი.

— ეხლა ვინ კეისრობს? — იკითხა ჯადაროსმა.

— ანჟელუსთა სახლი, ანუ ანგელოსებათ ნოდებულნი. — დადასტურა კვლავ გოდერძიმ.

— კეისრებად მაინც კომნიანოსები სჯობდნენ. ჩვენი ქვეყნისთვისაც უფრო სასარგებლო იყო მათი მეფობა. — წარმოსთქვა დავითმა.

— ეჰ, დაუდეგარი ქვეყანაა ბიზანტია... ჯუბასავით იცვლიან მეფეებსა... — ჩაუმატა ჯადაროსმა, მაგრამ გოდერძის მისთვის ყური არ უგდია, იგი თითქო დავითის სიტყვას უფრო გამოეხმაურა:

— ჩვენი ქვეყნისთვის უფრო სასარგებლო იყვნენ კომნიანოსები და აი, ეს ეხლა მათ ნაშიერს, ხსენებულ ალექსის ქედ-მალღური ზრახვა, ამბობენ, გულს ჩაუდვია, უნდა მეფედ გაგვიხდეს თურმე...

ითქვა სათქმელი.

„ვერიდებოდი ლოლოსა, შემხვდა ბალისა ბოლოსა!“ — ქართული ანდაზით გაიფიქრა დავით სოსლანმა და შეშფოთებით გიორგის გადახედა.

გიორგის უკვე ეტყობოდა შინაგანი ალელვება. თითქო რაღაც მკვახეს წარმოთქმა უნდაო, მაგრამ ჯადაროსმა დაასწრო და პირდაპირის გადაჭრილობით მიუდგა საკითხს.

— რას გადაგვეკიდნენ ეს გადამთიელნი!.. იქით სულთნის შვილები, აქეთ ეს ბიზანტიის კეისართა შთამომავალი, ეხლა კიდევ აბულასანს ვილაც რუსი უფლისწული ჩამოუყვანია ყივჩაყეთიდან. ყველანი თამარ-დიდებულის ხელსა ეძიებენ და ჩვენზე გამეფებას ლამობენ. ცუდად მოუვათ ზრახვანი.



გოდერძიმ წარბები ჩამოინია. დავითი რალაც საგონებელმა შეიპყრო. გიორგის თვალელები თითქო უეცრად გაუყვითლდა.

— სასახლის კარზე უკვე ხმები მიმოქრის, რომ გამარჯვება რუსს დარჩებაო... — ჩუმად შეაპარა გოდერძიმ.

— რალა თქმა უნდა! დღეს ხომ დიდის გამოჩინებით მიიღეს ეგ გადამთიელი... — ჯავრობდა კვლავ ჯადაროსი.

— ზეიმზე ბრძანდებოდი?

— მხოლოდ დავითი.

— წყრებით, ბატონიშვილებო?

— ნუ თუ არა გვაქვს გასანყრომი!..

გაცხარდა ჯადაროსი.

— ჩვენი ეხლანდელი ჩამოსვლა არავისათვის ფარული არ არის... ოსეთის მთავრის შვილები ვართ, შთამომავლობით ბაგრატიონნი, ეფრემის რტოისა და სჯულით ქრისტიანნი. თუ ვისმე უფლება აქვს ეძიოს ხელი თამარისა, ყველაზე უფრო ჩვენ... საუკუნოობით მოკავშირეს და ქართველების მონათესავეებს... უხსოვარ დროიდან ერთ უღელქვეშ ვართ გაბმულნი, ერთგვარი ზნე და ჩვეულებისანი, ერთურთს შეთვისებულნი... საქართველოს ბედნიერება ჩვენი ბედნიერებაა, მისი შეჭირვება ჩვენი სიდუხჭირე... ეს კარგად უნდა ესმოდეთ აქაურ დიდებულებს, მაგრამ მაინც გადამთიელებისაკენ უჭირავთ თვალ-ყური... სხვა ყველაფერს რომ დავეთხოვოთ, რა იციან მათ ჩვენი? რა აკავშირებთ ჩვენთან?.. რას გვიცნობენ, რა სიყვარული ექმნებათ ქვეყნისა და ხალხის?.. ბეცი უნდა იყოს ადამიანი, ამას ვერ მიხვდეს, მაგრამ... დიდებულებს თავის მუცლის გვრემა აქვთ.. აბულასანს მაინც... თავის მოყვანილის გამეფებით პირველკაცობა მთლად უნდა მთელს საქართველოში დაიმკვიდროს... მაინც რომ ველარ გადაურჩა ამ კაცს საქართველო?.. თამარის მამის დროინდელი ყველა ხელისუფალი გადაყენებულ იქმნა და ეგ კი ისევ დარჩა ქვეყნის სავალალოდ და საზიანოდ...

— დიდი დამსახურება მიუძღვის, ბატონიშვილო!.. მასაც, მის შვილს გუზანსაც. ტაოკლარჯეთის მმართველს... ეხლა აბულასანმა ხომ თვით თამარის მონათესავე, თქვენებური, ოსთ ბატონების შთამომავალი ქალი შეირთო... მგონი, ბაგრატიონების სისხლისაც...

— მართლა ბატონიშვილო?.. — აქ შეეკითხა გოდერძიმ.

— კარგად კი არ ვიცი. ეგ ქალი თქვენი მონათესავეც არ არის?..

ჯადაროსის მაგიერ დავითმა უპასუხა:

— შორებელია!

ის უკვე გამორკვეული იყო ღრმა ფიქრთაგან და ეხლა ზრდილი გამომეტყველებით ყურს უგდებდა მოსაუბრეთ.

— ეგ სულ ერთია!

განაგრძობდა ჯადაროსი...

— რაც უნდა დიდი გავლენის იყოს აბულასანი და თამარის მონათესავეც, ამისთანა დიდ საქმეში, როგორც თამარის გათხოვებაა, ქართველებს დაბრმავება არ მართებთ...

შეჩერდა ჯადაროსი. თითქო მხოლოდ სული ამოითქვაო, მოზღვავებულ, გულის მოსაოხებელ სიტყვათა გასაგრძობად, მაგრამ გოდერძიმ დაასწრო:

— ამბობენ, ვარდან დადიანიც მის მხარეზეაო...

— არც ის არის წმინდა წყლის კაცი.

კვლავ იფეთქა ჯადაროსმა:

— ვერ შევწამებ ქვეყანა არ უყვარდეს, მაგრამ საპირადო, მე მგონი, მეტი ახლავს მუდამ მის ზრახვებსა და მის მოქმედებას...

გოდერძიმ კვლავ შეანყვეტინა, თითქო ართობს ბატონიშვილის სიცხარე და განგებ ცეცხლზე ცეცხლს უკეთებსო.

— კათალიკოსსაც თავისი ლოცვა-კურთხევა, მითხრეს, ამ რუსზე შეუჩერებიაო...

— მე კი არ ვიცი!.. — მართლა გაცხარდა ჯადაროსი.

— ამდენი ხანია აქ ჩამოველით სამივენი, სხვები საქმეს აკეთებენ და ჩვენ კი გულზე ხელი დაგვიკრეფია. მე ყველაზე უმცროსი ვარ და ესენი კი... დავითი მეტად დარბაისლობს, ხოლო გიორგისანა მოკრძალებული არავინ არ მინახავს...

გიორგი შეინძრა ტახტზე.

— მომიტევე!.. მე შენი წყენა აბა როგორ მინდა, მაგრამ ამ მოკრძალებას კი მეტად ვზრახავ... სწორედ შენთვის ვართ წამოსული... შენ იმითი გვჯობიხარ მე და დავითს, რომ შენ თვით თამარ პირიმზის ტრფიალი ხარ, მიუხედავად მისი მეფობისა, შენ თვით მისი არსება გაგიღმერთებია...

ამ სიტყვებზე მიმოიხედა, თვალი შეასწრო დავითს. იგი მეტად დარბაისლად იჯდა, მაგრამ ოდნავ შესამჩნევად მაინც გაიკრთომა მისმა თვალებმა. ჩაფიქრდა. ჯადაროსი კი განაგრძობდა:

— შენს ალაგას ვიყო... აქამდე მთელს ქვეყანას შევაჯერებდი... შენ კი გატყობ, ისიცა გწყინს, რომ ჩვენ სახელოვან მწერალ გოდერძისთან გავამჟღავნეთ შენი გულის ნადები... მაგრამ განა შენ არ სთქვი:

„მეჯნუნი დასწვა, — საბრალო, —  
ტრფობისა ცეცხლმა უნელმა;  
ვამიყ დაახრჩო ცრემლთ ზღვაში  
ტირილმა გაუკურნელმა!..“<sup>1</sup>

— ყოველივე არ ითქმის, რაც რომ გულით გნადია!..

ლიმილით და ნაზი ხმით, თითქო ჯადაროსის საპასუხოდ, წარმოსთქვა ფერმიხდილ-მა გიორგიმ.

სხვებსაც გაელიმა. გოდერძი შეეკითხა:

— ნუ თუ სასახლის კარზე არავის აცოდინეთ მიზეზი თქვენის ჩამოსვლისა?.. ოსთ ბატონიშვილებზე, როგორც ჩვენი დიდი მეფის სამეფულოზე წინედაც მსმენია, მხოლოდ არ ვიცოდი თქვენგანში რომელს ასახელებდნენ... მაინც ყოველივე ესე ვითარი უნდა გემცნოთ თვით თამარისთვის...

ცოტა ხანს არავინ არა სთქვა-რა. ბოლოს მაინც ჯადაროსმა უპასუხა:

— ესეც საცნაურია, რომ თამარი თვით არ ერევა ამ საქმეში. დიდებულებს მიანდო ამ საქმის გადაჭრა, თუმცა ჩვენ მაინც ისე გულდაგულ არავისთვის არ გაგვიზიარებია.

ეხლა დავითმაც ამოილო ხმა.

— აჩქარებითა სოფელი არავის მოუჭამია...

ჯადაროსმა დააპირა პასუხის გაცემა.

სწორედ ამ დროს მოფარდაგული გადაიწია. ერთი მოყმე ვინმე შემოვიდა.

მან თვალებით ჩქარა მოსძებნა დავით სოსლანი და მიმართა:

— დედოფალი რუსუდან გინოდსთ თავისთან!

დავითი მყისვე ზე-წამოიჭრა და გაჰყვა მოყმეს.

გოდერძიც წამოდგა.

გიორგის თვალებს ეტყობოდა, არ უნდოდა მისი გაშვება.

1. მამას, ნიკო დადიანის ძველი ნათარგმნი. ავტორი.

ადამიანთა სულის ლაბირინთში მარჯვეთ გამგნებმა გოდერძიმ ამ თვალებს ისიც შეამჩნია — სულის უნაზეს შეჭირვების თითქო სალბუნსაც სთხოვდა: თამარის ტრფიალის საქმე შეიძლება მომიმარჯვო.

გოდერძიმ არა სთქვა-რა. ზრდილობით და მადლობით გამოეთხოვა ოსთა თავადებს. მოფარდაგულს რომ გადააბიჯა, შეგნებამ ჩამოუქანდაკა:  
— დიდი მწვერვალია თამარ!

## თავი მეშვიდე

### ვინ რას ფიქრობს

იჭ.

ერდოში გამოსულ გოდერძის წინ შემოხვდა ნადიმოდან დაბრუნებული ვარდან დადინი მცირე ამალით.

ეტყობოდა, ვარდანმა შორიდანვე შეიცნო გოდერძი — მომღიმარი სახით შეეგება:

— ჰოი, მაღალ-გონიერო გოდერძი! საით მიდმოებ? ამ ბოლო ხანს რად მოგვაკელ შენი ყურადღება?

გოდერძიმ ზრდილად თავი დახარა.

— თუ მოუცლელი ხარ?.. ჰქმნი დიდებულ აღნაქვსთა? კარგა ხანია შენ ხილვას მოკლებული ვარ, არც დღევანდელ ნადიმზე დამინახვიხარ.

— ოსთ ბატონიშვილებს ვახლდი, დადიანო! ერთად პურად ვილეთ.

დადიანს ცბიერმა ღიმილმა გადაურბინა სახეზე.

— რას იქმოდნენ ოსთ თავადნი?.. კვლავ არ დაუშლიათ და ეძიებენ თამარის ხელსა?

— შევითვატყე ეგრე თუა...

ორმაგად უპასუხა გოდერძიმ.

— ის ღლაპი რალასა იქს?.. ჰმ... ჰმ...

ჩუმად ჩაიცინა ვარდანმა და გზა განაგრძო. გვერდით მიჰყვა გოდერძი და ამაღაც, შორი-ახლო.

— ოსთ ბატონიშვილ გიორგიზე გეკითხები. — ბრძანა კვლავ ვარდანმა.

გოდერძიმ თავის სქელ წარბებ ქვეშ ზე-ახედა დადიანს: კარგად უნდოდა მიმხვდარიყო, ამ კითხვის გადაღმა მხარეს რა იმალებოდა.

შეგვიანებით წარმოსთქვა:

— დავარდნილია მეტად. ცხროი სჭირს.

— თამარის ტრფიალია ისიც...

შეჩერდა ვარდანი. შემდეგ მაინც წარმოსთქვა სასტიკი სიტყვა:

— ვერ გადარჩება!.. რაო? კიდევ თხზავს ლექსებს?..

— ერთი თარგმანი მეც მაჩვენა, დიდებულო... კარგი იყო.

— შენც მოგეწონა, გოდერძი?.. მაშ, კარგი ყოფილა. ნიჭიერია! მაგრამ მართ ოდენ ნიჭიერება არა არს სანინდარი მისი, რომ ოსთ თავადს ხელენიფებოდეს მეფობა ივერიისა. ოსთ თავადთ შორის, ჩემო გოდერძი, შენც შეამჩნევდი, უფრო თვალ-საჩინო ისევ დავით სოსლანია, მაგრამ ღმერთმა ნუ ბრძანოს! ჩვენ, ქართველნი ვერ შევეგუებოდით მის მეფობასაც... თამარი მეტად დიდი განძია ჩვენი ტახტისა და ჩვენი ერისა, ამისთვის მას გამჭრიახი და ფხიანი პატრონიც უნდა მივუჩინოთ.

— ჭეშმარიტებას იტყვი, დადიანო!

— მე ცხადი მომხრე ვარ ახლად ჩამოყვანილის რუსთ უფლისწულისა, დიდო პიიტკოსო! მინდა, ეს შენც იცოდე. მართალია, ახალგაზდაა, ჯერ მოუმნიფებელი ჭაბუკია, მაგრამ ვაჟკაცია, შვენიის გმირობა და ჩვენს აწინდელ მეფეს სწორედ ეგ გმირობა უნდა შესდგამდეს, რომ მძლავრის ლაშქრობითა კიდევ უფრო შორს გაიტანოს ჯვარი ქრისტიანი და სახელი საქართველოსი... კარგად შეამჩნევდი, ბიზანტია ინგრევა... აგერ ჩვენი თვალის წინ დაემხო კომნიანოსთა დინასტია და ანგელუსები გამეფდნენ, მაგრამ მათი მეფობაც ვერ არის თურმე ისე მტკიცე და მკვიდრი, ვით საჭიროა, ხოლო, როდესაც ტახტი ხშირ მერყეობას განიცდის, იმ სახელმწიფოს საქმე წასულია. დღეს თუ ხვალ სრულიად დაემხო. ეს სხვადასხვა სასულთანოები კი აღმოსავლეთ-სამხრეთით რომ შემოგვერტყა, კარგს არას გვიქადის... სელჩუკიანთა მოდგმისანი ველურნი, განუკითხავნი და უგასაგისონი არიან... ეხლა ჩვენი რიგია, ქართველებს!.. ჩვენ უნდა ვიპყრათ პირველობა აღმოსავლეთში, ჩვენ უნდა გავხდეთ მბრძანებელი და მმართველი ამ ურდოების, ჩვენ უნდა შევიტანოთ იქ სინათლე ქრისტიან სჯულისა და მოქნილობა ჩვენის ნიჭიერებისა... თუ ლაშქარში პირველი მედროშე დაეცემა, მას სხვა ახოვანი უნდა შეენაცვლოს... ბიზანტიის ნაცვალი ჩვენ უნდა ვიქმნეთ...

გოდერძის არ გაკვირვებია, რომ დადიანი ასე გულ-ახდილად ესაუბრებოდა. იგი ჩვეული იყო თამარის კარზე დიდებულთაგან, საზოგადოდ, გულახდილობას. კარგად იცოდა, რომ მას თითქმის ყველანი კაცთა გულის მესაიდუმლედ სახავდნენ და მის წინაშე ძვირად თუ ვინმე ჰფარავდა გულის ნადებს. მაგრამ ამასაც კარგად გრძნობდა, რომ დადიანი საზოგადოდ ფრთხილი კაცი იყო და ისეთს არას იტყოდა — საშემდეგოდ წინ დახვედროდა. მაინცდამაინც ისეთი ნელის თუმცა მტკიცე ხმით ესაუბრებოდა გოდერძის, რომ შორიახლო მომავალი ამაღა ძვირად თუ მოჰკრავდა რაიმე სიტყვას ყურს. თუმცა ან კი რა იყო დადიანის სიტყვებში ვისთვისმე დასამალი?.. საქართველოს გადიდება, საქართველოს პირველობა მთელს აღმოსავლეთში, ეს რომელ ქართველს უნდა სწყენოდა?.. რაც არ უნდა მცირე ოცნების, ან მშვიდობიანობის მოყვარული ყოფილიყო რომელიმე ქართველი, ამის გაგონებაზე ვის ოდნავ მაინც არ აუტოკდებოდა გული, არ აუმოძრავდებოდა შორეული რამ შეგრძნობა. გოდერძისათვის ყოველივე ეს ნათლად გადაშლილი იყო გონების თვალთა წინაშე და ვარდანის სიტყვებზე თავში უელავდა:

— ესეც დიდი მამულის შვილი არის... ხომ ბევრი ცუდი ხმები მიმოქრის ამაზე... მხოლოდ საპირადო აწუხებსო! — მაგრამ მამული, სამშობლო, მისი აღორძინება, გაშლა და გადაფურჩვნა შეიძლება სხვებზე უფრო მძლავრად ამას უტოკებდეს გულს!

ვარდანი განაგრძობდა:

— ამისთვის გვინდა გმირი სარდალი, გმირი მეფე, ჩემო გოდერძი? მან ქვეყნები უნდა დაგვიპყრას, უნდა ჩვენც გაგვიტაცოს, აგვიყოლოს... ხალისი მოგვეგვაროს ახალ-ახალი გალაშქრებისა.

გოდერძიმ შეაჩერა:

— ამას ჩვენში ბევრნი არ იზიარებდნენ და არც ეხლა იზიარებენ... ჩვენი ხალხის ბედის წერა თავის დაცვაა, თავის მოვლა და სხვა არაფერიო. ხალხი ამბობს: შენი სვი და შენი ჭამე, ჩემსას ჯვარი დამიწერეო! მე ნუ შემეხები, შენსას ხელს არ ვახლებო.

— რად გავინყდება, გოდერძი, ლიხთ-იმერნი იტყვიან: გალმა შეედავე, გამოლმა დაგრჩებაო!

— თვით დავითიც, თამარის პაპა, ჩვენი გამაერთიანებელი, ჩვენი აღმაშენებელი ისიც უფრთხოდა ცუდ-უბრალო გალაშქრებას — ჯიუტობდა გოდერძი — ის თუ თავს ესხმოდა მტერს, მოგერიებითი სარჩული ედვა მის მოქმედებას.

— ამასაც ნუ დაივინყებ, გოდერძ, რომ ყოველი თავ-დასხმა სამემრისო, შორეული მოგერიებაა. დავითი დიდი მეფე იყო, მაგრამ მას დაპყრობით საქმეებისათვის სად ეცა-ლა! მისი დრო სხვა იყო. მას სხვა ვალი ედვა კისერზე. შინაური გაერთიანება, გამაგრება, აღშენება. მან პირნათლად აასრულა კიდეც მისი მოვალეობა... ეხლა კი სულ სხვა დროა! მეც იმას ვნანობ... — აქ ხმას კიდევე უფრო დაუნია ვარდანმა, — რომ გიორგი მეფეს, თამარის მამას ვაჟი არ დარჩა მემკვიდრედ... ეს ბუნების ნაკლი ჩვენ უნდა შევასწოროთ ღირსეული, გმირი მეუღლის არჩევით.

— ეეჰ, დადიანო! შენ ქალის მეფობას კიდევე ვერ შერიგებიხარ...

— გეუბნები, როგორც გულითად მეგობარს, გოდერძ!.. ეგ თქვენ პიიტიკოსებს გაგიტაცებთ ქალის ხატება... ქალი მეფე, ქალი გვირგვინოსანი და მერე როგორი ქალი?! მართლაც და თამარ-საგანგებო!... აკი მგოსნები სულ მის შესხმა-ხოტბაში ხართ გართულნი...

— მე ნაკლები ღვანლი მიმიძღვის ამ საპატიო მოღვაწეობასა ზედა.

დაიმდაბლა თავი გოდერძიმ.

— ვიცი, მაგრამ „რაც შეშვენის გლახა ბერსა, ის არ შვენის კახაბერსაო“ — ამაყად ამბობს ჩვენი რაჭის ერისთავი. ესეა. რითიც იხიბლება მგოსანი, იმან მთლად არ უნდა დააბრმავოს სახელმწიფოს მომჭირნე ხელის-უფალი. თამარის აზრი, მისი სიბრძნე, განგებიანობა, ავ-კარგი და მართვა ქვეყნისა, ჩვენის დიდებულთა და ერის რჩეულთა თანადგომით და ერთ ნებაობით უნდა წარმართვიდეს ქვეყანას, ხოლო ჩვენი სიმტკიცე და ჩვენი პირველობა, მედროშეობა მთელს აღმოსავლეთში უნდა შექმნას გმირმა ვაჟმა, ღირსეულმა მეუღლემ თამარისამ, სასახელო მეფემ ჩვენმა.

უკვე გამოვიდნენ სასახლის მთავარ შესავალთან.

კარი-ბჭეზე მდგარ აბჯროსან ქეშიკებმა შიშველ ხმლის დაშვებით სალამი უძღვნეს მსახურთ-უხუცესსა და ვარდანმაც შესწყვიტა საუბარი.

გოდერძი კი ფიქრობდა:

— ეს ერთი კაცია, მგონი, თამარს ღირსეულად ვერ აფასებს. რა შემცდარია! მაგას ქალი არად ნაჰკვირს, მხოლოდ სატრფიალო საგნად მიაჩნია და თუ უფრო დავამძიმებთ მაგის აზრსა, დედად, შვილის აღმზრდელად დასტურს დასცემს იყოს დიაცი... აქ კი მოხერხებულ საუბარში შევატყვე არ გამოსთქვა, მაგრამ ბევრად მდარე აზრის არის თამარზე, ვიდრე ეს ემჩნევა... მისი სიბრძნეც ახსენა, განგებიანობაც, მაგრამ... როგორ ინატრა: ნეტა ვაჟი დარჩენოდა გიორგისაო! — მეფე გმირი უნდა იყოსო... რა ფართო აზრები აქვს... შენაცვლება ბიზანტიისაო... საით მიიღტვის მაგისი ამაყი, ქედ-მალღური ზრახვები... ოო, რომ შეიძლებოდეს... თვითონ გახდეს მეფე!.. ა? აი, მისი საპირადო!

თითქო თავის თავი დაიჭირა გოდერძიმ: ეს აქამდე რად არ მიფიქრიაო. აკვეცს მის გალაღებულ ოცნებას... ეს დიდი ღირსებაა! ეს მამულიშვილობაა... აქ არის მაღალი ვარდანი... ეხლა მხოლოდ გმირს დაეძებს. მისი სანატრიონის გამოსახულებას... მაგრამ რა შემცდარია თამარზე... თამარი სულ სხვა ვინმეა, ჯერ არ ვისგან შეცნობილი... მას არ სჭირდება პატრონი, არც გმირი ვინმე. იგი თვით არის, თავის თვისით... ის დიდი მწვერვალია! — კვლავ გაუელვა ფრაზამ.

სულ გამოვიდნენ სასახლის ეზოში.

ფართო გალავანში ხალხი ირეოდა. უშველებელი თაიგული იყო მოძრავ ნაქვეთებისა: შვინდის ფერი, ოქროს ფერი, შავი და სისვი, ალის ფერი და თეთრი ფერი ერთი მეორეს შეთხზოდა და ხან ერთად იკუმშებოდა მიჯრილ ხაზებად, ხან იშლებოდა გრძელ, უცხო სახიან, აჭრელეზულ ზოლებად.

ერთ ალაგას ტკბილი ღიღინი მოისმოდა, მეორეგან ფერხული დაებათ სოფელ ვაჟ-კაცებსა, ერთგან ცხენს-შემსხდარნი რაინდები მკერდით აძგერებდნენ თავიანთ ტაიჭებს



და ამით ლაღობდნენ, მეორე ალაგას უფრო დარბაისლები ცხენებზე სხდებოდნენ და შინისკენ მიემგზავრებოდნენ თავიანთი შინაყმებითა.

ყველა ესენი ნადიმიდან დაბრუნებული სტუმრები იყვნენ.

ქალების მომხიბვლელი კისკისი და ვაჟთა გულიანი ხარხარი, უზანგების წკრიალი, მათრახის ტკრციალი და აფრიალებული ლეჩაქები ასრულებდნენ მთლიან სურათს.

ერთგან კი თითქო უფრო დიდი წრე იყო შექმნილი: დარახტული ცხენები, მშვილდით ქედ-მოდრეკილნი, ნესტოებ-დაბერილნი ჯილაგებით ეკავათ შინაყმებს.

აქ იდგა ჭარმაგი აბულასანი, მისი უცხო შვენების ცოლი ულანდარე, რუსის უფლისწული იური-გიორგი, კუზმა, შარაგანი, გუზანი, მისი ვაჟი და კიდევ რამოდენიმე სხვა დიდებული.

აბულასანის მეუღლეს მშვენიერი შავი მერანი მოჰგვარეს.

დიდებულთა ახალგაზრდობა დაფაცურდა.

ერთმა შინაყმამ ცალ-მუხლზე დაჩოქილმა მეორე მუხლი მიაგება ქალბატონს, რომ ცხენზე შეესვა. ქალიც წამოვიდა, მაგრამ ამ დროს ადგილიდან ისხლიტა იური-გიორგიმ და შინაყმის მაგიერობა თვით გასწია. ნაქნარ წელზე ფართე ხელი მტკიცე ბოძათ შეუდგა. ამ ხელში ჩაიმალა სრულიად ქალის წელი. ქალმა იური-გიორგის მხარზე ხელი დაადო და დახამხამების უმალ უნაგირს მოექცა. იური წამოდგა და, თითქო უზანგს უსწორებსო, ფეხზე ხელი ნაზად მოუჭირა.

ქალმა ზევიდან, თითქო მადლობის ნიშნად თავი დახარა და ლანგები წითლად აუკოკრდა. ეს რომ არავის შეემჩნია, თავი ისევ მალლა გადიგდო, უნაგირზე გასწორდა, თან ლაგამი მოიმარჯვა.

ამავე დროს შინაყმები აბულასანს ცხენზე სვამდნენ.

ვარდანმა მოუსწრო. აბულასანი შეაჩერა.

— მწუხრის ჟამსა ჩემთან უნდა მობრძანდე. — უთხრა მან.

— სათათბიროდ, არა? — შეეკითხა აბულასანი.

— დიაღ, სხვა დიდებულნიც იქმნებიან. თვით კათალიკოსი და... ვამცნე რუსუდან დედოფალსაც.

— დიაღ მშვენივრად მოქცეულხარ, დადიანო... სარწმუნო იყავ, გეახლები.

ცხენი მიაბრუნა აბულასანმა.

მის მეუღლეს გვერდით კუზმა რუსი და სეფე-წული იური-გიორგი უდგნენ, უკვე ცხენებზე შემსხდარნი.

აბულასანმა წკიპურტი ჰკრა თავის გრძელ, გათეთრებულ ულვაშებს, თითქო ტუჩებზე ჩამობარდნია და გაისწორაო, შემდეგ ლაგამს უფრო მარჯვედ წაავლო ხელი და დასძრა ცხენი.

თამარის სხვა სტუმრებიც გზას გაუდგნენ.

ვარდანი გამობრუნდა და განზე მდგომ, სეირის მაცქერალ გოდერძის დაუძახა:

— არ დაგავინწყდეს, ამაღამ უკანასკნელი თათბირია ჩემსა... უნდა გადავწყვიტოთ თამარის ჯვარის წერა. შენც საჭირო ხარ ფრიად. მოხვალ.

შეუვალად დაუდასტურა თვითვე.

გოდერძიმ, მიახლოვებულმა, მორჩილებით თავი დახარა.

**ით.**

თანდათან ცალიერდებოდა სასახლის ეზო.

გოდერძიც გაუდგა გზას თავის სამყოფელისაკენ.

გზაში ფიქრობდა:

— როგორ ისწრაფვიან? ანვევენ თამარს ქორწინებასა? არ მომწონს ესე ამბები! განუკითხავი და განუხველნი არიან ჩვენი დიდებულნი... სპილოთაებრ არა განიხილვიან მისაყრდნობელსა. ესე ოდენსა მძიმესა საქმეს მსუბუქად შეეხებიან... რასა იტყვის ნეტა თამარი?.. ისევე სასახლის მთავარ შესავალს გაუსწორდა. უნდოდა მოეხვია, რომ თავის ბინისაკენ წასულიყო.

მისი ბინაც, როგორც მეფის მდივნისა, სასახლის ეზოში ერთ-ერთ სამსახურებელში იყო მოთავსებული.

წარსდგა ნაბიჯი კიდეც.

მხარზე მძიმე ხელი იგრძნო.

ზე აიხედა: რატი სურამელი იყო.

— ო, დიდო ერისთავო!..

ზრდილობით შეიკვირვა მან.

— ვითარ გიკითხო, გოდერძო?.. საით შენი გზა?

— ჩემსა სენაკსა გეახლები.

— გოდერძო!.. შენ ვითარ განსჯი ჩვენს საქმესა?

— რა საქმესა ბრძანებ, ერისთავო?

რატიმ შეამჩნია, რომ გოდერძი განგებ თავს იყრუებდა, მაგრამ ამაზე არა უთხრა-რა. თავისი განაგრძო:

— თამარს ვახლდი ეხლა. ნადიმის შემდეგ დასტური გამოვთხოვე ნახვისა. პირდაპირ ვკადრე: რუსის უფლისწული უნდა შეიუღლო-მეთქი. დავუსაბუთე ჩემი მოსაზრება.

— რა გიბრძანა?

სმენად იქცა გოდერძი.

— სათნოდ გამილიმა შარავანდედ-მოსილმა... ვერ ვიცნობთ ამ უფლისწულსო, ბრძანა. მოათიოს ხანი, ჟამი, გაიცანით და შემდეგ მე თქვენს სურვილს არსით წაუვალო.

გოდერძი უნებლიე სიხარულმა მოიცვა. თითქო გაუხარდა, რომ თამარი არ ჩქარობდა და თითქო ისიც ისე აზროვნებდა, როგორც თვითონ. მხოლოდ ეს წარმოსთქვა:

— ბრძენია მეფე ჩვენი!

— ეგ უეჭვოა, ჩემო გოდერძო!.. აჩქარებითა სოფელი...

ალარ დაათავა რატიმ. პირდაპირ გადავიდა სათქმელზე.

— ეს მართალია, მაგრამ... აქ სამეფო საქმეა, განსჯა დიდი უნდა, მხოლოდ არც დაყოვნება გვმართებს. ტახტს მემკვიდრე უნდა, გოდერძო. ერს კიდევე ვაჟი — წინამძღოლი... ლაშქრობასა ზედა... მეფე-სარდალი... თორემ ჩვენ ვერ ვიგუებთ მართ ოდენ ამირ-სპასალარი გვიძლოდეს... ჩვენი ტოლი და სწორი, ჩვენებრი ერისთავი და ვაჟი მეფე კი არა მართვიდეს ლაშქრის წესრიგსა.

— მაინც ჩქარობთ, დიდებულნო!.. მთხოვნელი ბევრნი არიან. უცხონიც და შინაურნიც... აი, ოსთ-თავადნიც...

რატის სახე მოელუშა.

გოდერძიმ შეამჩნია, მაგრამ მაინც არ დაერიდა:

— რად არ გინდათ ღირსეული ვინმე აქვე, ჩვენ შორის გამოსძებნოთ თამარის საქმროდ?.. აი, თუნდა ამ ოსთ-თავადებში...

გაახსენდა ვარდანის სიტყვა გოდერძის: ოსთ-თავადთა შორის დავით სოსლანი უფრო თვალსაჩინოაო. მისი გულიც უმონმედა ამას, რადგან გიორგი, ოსთა ბატონიშვილი სამეფო კაცად თვითაც ვერ წარმოედგინა.

და სთქვა:

— დავით სოსლანი... ვისგან დაიწუნების?! პირად კარგი, ზრდილი და გონებიანი, რიტორი და უებრო მეომარი... იცის ჩვენი ამბავი, უყვარს ჩვენი ქვეყანა... ჩვენებურად არის აღზრდილი თვით რუსუდანიისაგან. თამარსა და დავითს ერთადა ზრდიდა...

— ვითარ გადმომცეს არა დავითი, არამედ ოსთ-თავადი გიორგი არს მსურველი ესე ვითარისა...

გააბრტყელა რატიმ. გოდერძიმ სწრაფად შეაგება:

— მსურველნი ბევრნი არიან, მაგრამ ჩვენ ვირჩევთ და არა ისინი... ჩვენც დავითი ვირჩიოთ.

შეფიქრდა რატი. ცოტა შეგვიანებით მტკიცედ წარმოსთქვა:

— არ ეგების. ვერ ხელენიფების დავითსაც.

— რატომ? რისთვის? — ჯავრობდა გოდერძი.

— ეგეც შინაურია... ეგეც თავისიანების გაბატონებას მოინდომებს, ოსებს დაგვას-სამს თავზე... ჩვენ ამას ვერ ვიგუებთ და მოხდება აღრევა სახელმწიფოსი...

— თავადი ვარდანიც ეგრე მსჯელობს... — თითქო საყვედურით წარმოსთქვა გოდერძიმ.

— ვარდან დადიანი?! — შეიკვირვა რატიმ. უსიამოვნო აზრმა გაუელვა. არ დამალა:

— ვარდანი შეიძლება სხვებ უდგებოდეს საკითხს, ხოლო ამაში მართალია. ჩვენთვის ისეთი მეფეა საჭირო, რომელსაც ალაგობრივ, ჩვენ შორის არავინა ჰყავს მონათესავე და მომხრე. მეფე ყველასა და არავისი. ამისთვის ჩვენთვის უცხოა საჭირო.

— უცხო, უცხო!..

ეტყობოდა ბოლმა მოაწვა გოდერძის.

— ჩვენი უბედურებაც ესაა. სულ ყველაფერი უცხო მოგვწონს... მუდამ უცხოეთისა-კენ ვიმზირებით, მაგრამ განა ბევრი ყოფილა თქვენგანი უცხოეთში?.. მე შემომივლია ეგ უცხოეთი: ვყოფილვარ ბაღდადს, მივლია მისრეთში, მინახავს განთქმული ბიზანტია, გადავსულვარ ვლახეთს, მომივლია სკვითთა ქვეყნები. მინახავს რომი, ინდოეთი და ჩინეთი... მე მკითხეთ იქაური ამბები... რამდენი მიამბნია კიდეც... დიდებულია ეს ქვეყნები, მაგრამ ჩვენ მაინც თავისებური ბევრი სიკეთე გვახლავს, ამათ უნდა გამოყენება... იმ უცხოში ბევრი სივარდახეა, გამოუსადეგი, ჩვენი სულის შეუფერებელი. ნუ წარგიზიდავთ ისე უცხო, როგორც თავისი...

რატის უკვირდა — ესე რად აღელდა გოდერძი? ვერ გაუგო. მისმა შეუთამაშებელმა გონებამ გოდერძის ესეთი გაქანება მაინც დაანვრილმანა და ეს გაიფიქრა: გოდერძი მისთვის ჯავრობს, დავით სოსლანი უნდა ჩვენს მეფედ, მისი მომხრეაო. არ იცოდა, რა ეთქვა, მაგრამ ისევ გოდერძიმ იხსნა. გოდერძი თვით დაუბრუნდა საკამათო საგანს:

— მერე კიდეც ესე განუსჯელად უცხოს მონონება, ვით თვითონ თამარს უბრძანებია...

რატის სახე გაეშალა, მიაგნო, რაც უნდა ეპასუხნა:

— უცხოს რომ ამბობ, პირველ-ჟამად თვით ბაგრატიონებიც უცხო თესლისანი არ იყვნენ?.. ისრაელნი ვართო, თვით არა ბრძანებენ? იესიან-დავითიან-სოლომონიან-ჰან-კრატოვანნი... თვით არ იტყვიან სიგელ-გუჯრებში?!.

— ეგენი ჭანები არიან... ქართველთა მოდგმის ბაგრატიონები.

შეუშალა აზრთა გვრიობა გოდერძიმ. მაგრამ რატი მაინც თავისას განაგრძობდა:

— ან რომელი მეფეები იყვნენ წმინდა ქართული სისხლისა?..

გახსენებაზე თანდათან გამოცოცხლდა რატი.

— ნებროთიანები, სასანიდები, არშაკუნები ანუ არსაკიდები, მაგრამ მაგითი რა და-უშავდა საქართველოს?..

ამ კითხვაზე შეჩერდა რატი და შეაცქერდა გოდერძის. თვალეები ცბიერად უმეტყველებდნენ: ეხლა რაღას ბრძანებ, დიდო პიიტიკოსო, ხომ კედელზე მიგამწყვდიეო.

გოდერძიმ უკმაყოფილოდ თითქო ნაიბრდღვინა:

— ვინ იცის, შეიძლება ბევრიც დაუშავდა... და ეგ არის კიდეც ჩვენი უბედურება. ყოველთვის ჩვენსას უცხო გვიჩვენია. ეს ჩვენმა სამასი წლის არაბთა ხელში ყოფნამ შემოგვძღვნა, ეს მონური აზროვნება.

რატი შენითლდა. გოდერძიმ არ დაიმჩნია.

— ჩვენა გვგონია, რაც უცხოა — უთუოდ კარგია. მაგრამ თვით უცხოეთში უნდა მიხვიდეთ, რომ ნათლად იგრძნოთ ეს საუცხოოობა. ჰმ! საუცხოო! ეს სიტყვა უნდა ამოვარდეს ძირიანფესვიანად ჩვენის ენიდგან, ჩვენის გონებიდან, ჩვენი შეგნების საძრაობიდან... ეგა გვლუპავს ჩვენ... გვიხშობს თავის რწმენას, მაგრამ რად ვერ მოხდა... არაბთაგან განთავისუფლების შემდეგ, დიდი დავითის, ჩვენი ქვეყნის აღმაშენებლის მოღმა, მაინც რით ვერ განვიმტკიცეთ რწმენა თავის თავისადმი. ერთი საუკუნე ჯერ არ გასულა და იმიტომ თუ ვერ დაგვიღწევია თავი...

მოსაუბრეებმა მხოლოდ ეხლა შეამჩნიეს, რომ მზეში გაჩერებულიყვნენ და მოშორებით ჩრდილში შინაყმებს გამზადებული ჰყავდათ რატის ტაიჭი.

რატი გამოესალმა გოდერძის. მაგრამ ეტყობოდა, უკმაყოფილო იყო.

— სალამო ჟამს შევიყრებით ვარდანთან სათათბიროდ.

მაინც მიაყოლა გოდერძიმ მიმავალ რატის.

— მეც მომიწოდა დიდებულმა.

რატიმ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია და უნაგირის უზანგში მარცხენა ფეხი შესდგა. გოდერძი ისევ გაბრუნდა თავის ბინისაკენ.

ცუდ გუნებაზე დადგა.

ორი დიდებულის შეხვედრამ გულს რეჩხი უყო.

ფიქრობდა:

— სხვადასხვანი არიან... სულ სხვადასხვაა გზები ვარდანისა და რატისა, მაგრამ ამ საკითხში რუს უფლისწულთან კი იყრებიანო... ცუდი იქმნება დღევანდელი თათბირი! ორს მოწინააღმდეგე, მაგრამ მძლავრს დიდებულს ერთი და იგივე სურს... სხვა ძალა არა სჩანს... უსათუოდ შეთანხმდებიან... ო, რას ჩადიან განუკითხველნი!.. სამშობლოვ ჭირ-ნახულო!.. ძლივს გამოკეთდა შენი საქმე, ძლივს ფეხზე დადექ... ხალხი აღორძინებული, წელ-გამაგრებული... მეფე ბრძენი და მიუწოდომელი... ორივენი კვლავ უნდათ განსაცდელში ჩააგდონ...

ცუდი გემო იგრძნო პირში.

თითქო გული აუფრიალდა. ბოლო ხანებში ხშირად უჩიოდა გულს... მაინც ნაბიჯს უკლო. ჩქარა მოვდიოდიო, გაიფიქრა და უფრო ნელიად შესდგა ფეხი მისი სამყოფელის კიბეზე.

— ჰმ... სპილოები!..

კიდეც ერთხელ განუმეორა ფიქრმა.

## თავი მერვე

### ზანქანი განარებულია

კ•

ავანანთ უბანში<sup>1</sup> ზანქან ზორაბაბელის მომცრო, არაბულს ყაიდაზე აგებული, მტკიცე ქვითკირის შენობა გაჩირალდნებული იყო.

გაფისული ძონძები და ხმელი წნელები ერთი-მეორეზე ხის ქერქით გადაბმული ტკრცი-ალეზდნენ ბჭის კარებთან სპილენძის ზედადგარზე.

1. სოლოლაკის მხარე. ავტ.

მარმარილოს კიბის კედლებზე ორივე მხრით სპილენძისავე მარწუხებს ნაძვის ანთებული მკვარი ეჭირათ და ისინი ირგვლივ ფენდნენ ტყის ნაზ სურნელებას და ალალ-მართალ სინათლესა.

ამ სინათლეში გამოჩნდა ბრგე მოყვანილობა კუზმა-რუსისა და მოქნილი ტანი ზანქან ზორაბაბელისა.

ისინი ლაპარაკით ადიოდნენ კიბეზე.

ორივენი გახარებულნი იყვნენ.

კუზმას სახე გაშლილი ჰქონდა. ყოველივე ჩრდილი სევდისა მუნ წარშლილ იყო.

ზანქანს კი აციმციმებულ თვალებთან კმაყოფილების ნაოჭები შემოჰკრეფოდა და ერთობ გაებედნიერებინა ცხოვრების დარჯაკის მიერ საერთოდ გათქერილი შესახედობა.

— გაიხარეთ, გაიხარეთ, სტუმარნო და მასპინძელნო! — შესძახა მან, შესდგა თუ არა ფეხი ოდნავ მოზრდილ დარბაზში.

აქ კარგა-ბლომა საზოგადოება იყო თავ-მოყრილი.

მამაკაცის ქართული კაბები; არაბული თეთრი ხალათი და დოლბანდი; ბიზანტიური დაღმატიკა; ებრაული, თავით ბოლომდე შებნეული, ანაფორასავით ტანსაცმელი, თავის განუყრელი სკლატითა და ბენვ-შემოვლებული, მრგვალი, დაბალი ქუდით; სპარსული ქლამიდა და აბა; ქოშები და ხმალი; სამოგვით შემოსილი ფეხები და რომიდგან ჩამოსული პაპის ნუნციის სამოსით მორთული ნაქვთი.

ყველა ეს უცხო შთაბეჭდილებასა ჰქმნიდა მათ შემხედვარესათვის.

ეტყობა, ზანქანს და კუზმას უცდიდნენ. მათ შემოსვლაზე ყველანი წამოიშალნენ და ცნობის მოყვარეობით გარს შემოერტყნენ.

ესენი ყველა ზანქანის სტუმრები იყვნენ. უფრო მეტად უცხოელი სოვდაგრები სხვადასხვა მხრიდან სხვადასხვა სავაჭრო თუ სხვა მიზნით ჩამოსულები, რომ საქართველოსთან უფრო მკვიდრი კავშირი გაებათ.

აქვე იყვნენ საქართველოს ქვეშევრდომი სომხითარნი, ყივჩაყელნი, ზოგიერთი ტფილელი მოქალაქეც, ამქრის უფროსებიც და ორიოდე სოფლიდან ჩამოსული ქართველი თავადი, რომელთაც ზანქანთან სესხისა და ვალის დამოკიდებულება ჰქონდათ.

ყველა ეს სხვადასხვაობა დარბაზში შემოკრებილთა, ზანქანის და კუზმას გარშემო უეცრად ახმაურდა და ერთის კაცივით იკითხოდა ერთს საკითხავს:

— გადანყდა?

— გადანყდა, გადანყდა და სწორედ ისე, როგორც მოველოდით... მაგრამ დასხედით, საპატიო სტუმრებო! ყოველივეს დალაგებით მოგითხრობთ... მხოლოდ სად არის უფლისწული?

ჩქარობდა ზანქანი.

სტუმრები აირივნენ. ზოგი ჯდებოდა. ზოგი მაინც უკმაყოფილოდ იდგა, რადგან გადაჭრით მაინც არ იცოდა, თუ როგორ რა გადანყდა, თუმცა მასპინძლის მიერ უფლისწულის მოკითხვა უკვე მათთვის ბევრსა ნიშნავდა.

რომელიღაც შინაური გაჰქანდა შინა ოთახებისაკენ.

კუზმაც გაჰყვა მას.

ზანქანმა აღარ შეაჩერა: დეე, თვითონ მაგან ახაროს მის გაზრდილს სასიხარულო ამბავიო.

სტუმრებს კვლავ იერიში მოჰქონდათ:

— აბა, გვიამბე, ზანქან, როგორც იყო... ყოველივე დანვრილებით.

ზანქანი ქართულად ლაპარაკობდა. ეტყობოდა, სტუმრების უმრავლესობას ესმოდა ქართული.

მხოლოდ პაპის ნუნცი და ერთი ინდოელი იყვნენ შეცბუნებულნი, თუმცა მათ სახეს ეტყობოდა, რომ უმთავრესი იმათთვისაც საცნაურ ქმნილ იყო.



ზანქანი უამბობდა:

— დიდი კრება იყო ძალიან. უნარჩინებულესნი არავინ არ აკლდა. ამ საქმისათვის ცხუმის ერისთავიც ჩამოსულა, დოთალოს შარვაშის ძე და თვით მხცოვანი კახაბერიც, განთქმული რაჭის ერისთავი, მამობილი ჩვენი მეფისა. ამ კახაბერმა დიდად გაგვიჭირა საქმე. დიდ უარზე იდგა: „დიდებულნო, რას ჩადიხართ, ვის გაუგია ესე საქმის შეუტყობლად თანხმობის გამოცხადებაო. რომ არ ვიცნობთ მის არც ზნეს, არც ჩვეულებას და ხასიათს, არც სამხედრო უნარსა და სიქველეს. კარგათ რომ არც კი ვიცით, ვინ არის... მართლა რუსთა ბატონიშვილია, არ არის? ვით ეგების ესეთ საქმისა ქმნადო“... დიდად ცხარობდა მხცოვანი დარბაისელი, მაგრამ აბულასანმა და ვარდან დადიანმა მაინც თავისი გაიტანეს...

— შენ ეს ბრძანე, ზანქან!

შეაწყვეტინეს სტუმრებმა:

— ნამდვილად გადანყდა თუ არა?

— მეფის თანხმობა არის თუ არა?

— რომ არ დამაცლით... რასაკვირველია, არის თანხმობა მეფისა. გვირგვინოსანმა რუსუდანმა განაცხადა, რომ თამარის პასუხს მალე ჭიაბერი გვამცნობსო და მართლაც, არ გასულა დიდი ხანი, და ჭიაბერიც მოვიდა და შემდეგი გამოგვიცხადა: „თამარი ბრძანებს — თანახმა ვარ, აღარ ვეურჩები მოთათბირეთა სურვილს და ნებას გაძლევთ გამოცხადდეს ჩემი დანიდვა რუსის უფლისწულთან მცხეთას, სვეტი-ცხოვლის ტაძარშიო. ნაბრძანები მაქვს ეს საზეიმო ამბავი ვამცნო შვიდსავე სამთავროს და ამირ-ჩქარს ბრძანება მივცე დაუყონებლივ დაგზავნოს შათირნი და მალიად მსრბოლნიო.“

მთელი დარბაზი ახრიალდა.

ზანქანს აღარ აცალეს.

ზოგი გახარებული იყო. ზოგი ერთი-მეორეს კერძოდ თავის მოსაზრებას უზიარებდა. ზოგი უკმაყოფილო მაინც ამას განაცხადებდა:

— ეს ხომ დანიდვაა მარტო!

— ქორწილი როდის-ღა იქნება!

— ეგ ვერაფერია...

— ეგ კიდევ უფლისწულის გამარჯვებას არ მოასწავებს.

მაგრამ ამ ხრიალში ზანქანმა აუმაღლაურა:

— მომისმინეთ კიდევ: დანიდვა ეხლა არის გამოცხადებული, ხოლო ჯვრის-ნერა ერთი წლის შემდეგ...

— ერთი წლის შემდეგ?

— ეგ რალა არის?

— მაშ, მეფე საქართველოს ჯერ კიდევ არ ეყოლება... — კვლავ ახრიალდნენ უკმაყოფილონი.

მაგრამ ეს ხმაური სტუმრებში მყოფ დარბაისელის ზვიად სავარსამიძის ბოხმა ხმამ ჯებირივით შეაჩერა:

— მაგას ნუ იტყვით, მოყმენო, რომ მეფე არა გვყავს... ეს სათაკილო აზრი დიდი ხანია ქართველებმა თავიდან განვიშორეთ. თუმცა ქალი დავსვით ხელმწიფედ, ვიცით, რა ზნენი მამაცურნი გამოიჩინა სამ-გზის სანატრელმა მზეთამზე თამარმა! ჩვენ ეხლა მხოლოდ მის ქმარს ვეძიებთ, ღირსსა მეუღლეს, ტახტის მემკვიდრის მამას, თორემ მეფედ?.. ყველამ უნდა იცოდეთ, რომ გვყავს ღვთის სწორი თამარ...

ამ შეუვალმა განცხადებამ თითქო ლაგამი მოსწია დარბაზში შეკრებილთ.

ზოგმა ბოდიშიც მოიხადა.

მხოლოდ ერთი დოლბანდიანი წამოდგა წინ და მშვენიერის ქართულით განაცხადა:

— მე არ ვამბობ, თუ საქართველოს მეფე არა ჰყავს... ვეჭვობ მხოლოდ — ერთი წლის შემდეგ მოხდეს ქორწინება... ბევრი ვიცი მისი მაგალითები: საქართველოში ჩამოსულან უფლისწულები, ღირსნი და უღირსონი თამარის ხელის საძიებლად, დაუყვიათ აქ ერთი წელიწადი, მაგრამ შემდეგ განბილებულნი უკუ-ქცეულან...

კვლავ ხორხოზი, ხრიანცელი:

- მართალია! მართალი!
- ბევრს მოუვიდა აგრე!
- მაგას არ მოუვა.
- როგორ? შენ რა იცი?
- ყოვლად ღირსეული ჭაბუკია!..
- სამეფო კაცია!..
- შენ არ გინახავს?
- არა, აბა საიდგან?
- ამაღამ ნახავ; დარწმუნდები.

ამასობაში სავარსამიძე ერთ ქართველ დიდებულთაგანს ეკითხებოდა დოლბანდიანზე:

- ვინ უნდა იყოს?
- ვიცი. შირვანელია. აღსართანის კარის კაცი.
- ჰოო, აღსართანი!.. ეგეც ხომ, ამბობენ, თამარის ტრფიალიაო.
- მაშ, მაგ მოყმეს არ იამება რუსის უფლისწულის გამარჯვება.

ზანქანი კი ვილაცას ცხარედ უმტკიცებდა:

— რა არის ერთი წელიწადი... მერმე კიდევ დანიდვით. აქამდე, აბა, ვინ დანიდულა თამარ-მეფეზე?.. ეს კი დიდი რამის მომასწავებელია... ეს თითქმის ქორწინებაა... ეს აღიარებაა რუსის უფლისწულის შეუღლებისა... რას ამბობთ, რას!.. კარგა განსჭვრიტეთ და ისე მოისაზრეთ...

კარები გაიღო.

შინა ოთახიდან მომღიმარი, ბედნიერი იური-გიორგი შემოვიდა.

შეჯგუფული სტუმრები შუაზე გაიყვნენ.

ნაცნობებმა დაბლა თავი დახარეს დიდი თამარის მეუღლეთ გამოცხადებულ უფლისწულის წინაშე.

უცნობებმა მათ მაგალითს მიჰბადეს: მიხვდნენ, ვინც იდგა მათ წინაშე და, თუ ვინმე უკმაყოფილო იყო, მანაც ზრდილობის ნიღაბად გადაიმტკიცა პირის კანი.

განკრძალული მდგომარეობა შეიქმნა.

მხოლოდ ზანქანმა მასპინძლის სითამამით იური-გიორგისკენ ნაბიჯი წინ წარსდგა, დარბაზის შორეულ კუთხეში მდგომ მის მსახურთ რაღაც ანიშნა და მხიარულის სახით უფლისწულს კალთაზე ეამბორა.

იური-გიორგიმ ზანქანი ზე წამოაყენა და მონგოლური ჩვეულებით სამჯერ მხარშეცვლით პირზე აკოცა.

წელში გამართული ზანქანი ყვირიაყურ ენაზე, ეტყობოდა, გაბედნიერებას ულოცავდა.

სწორედ ამ დროს დიდ-ხონჩაზე მდებარე ოქრო-ქსოვილი და მარგალიტით ნაჭედი ქართული ჯუბა-სამოსი მოართვეს ზანქანის მსახურთ უფლისწულსა.

ზანქანმა მიუთითა — მე მოგართვით და მისალოცად კუზმასთან გადავიდა.

მხიარულ კუზმას გულში ეცინებოდა:

— დიდი ჭახრაკი კაცია ზანქან. საჩუქარს აღარ ზოგავს... იცის, რომ ერთი ორად აიღებს. ჰმ... მისი ვალიც გაინაღდა...

რალაც სახუმარო ადგა ენის წვერზე ზანქანისათვის, მაგრამ თავი შეიმაგრა და არა უთხრა-რა.

ისე გადაჰკოცნეს ერთმანეთი.

ამის შემდეგ გახარებულმა მასპინძელმა უფლისწული და სხვა სტუმრები სუფრაზე მიიწვია. მთელი ღამე მის სახლში ლხინის ხმა არ შეწყვეტილა.

## თავი მეცხრე

### ინდიქტიონი დაწინდვისა

კა.

მეორე დღეს სასახლის კარზე კვლავ დარბაზობა იყო დანიშნული.

როდესაც ყველანი თავ-თავის მიჩენილ ალაგას დასხდნენ და ჩამორიგდნენ, სიჩუმე ჩამოვარდა.

მოლოდინის წუთი გამეფდა.

ეგონათ: ჩვეულებისამებრ გაიეღვებს ოქროს კარი და თამარ-პირიმზე შემობრძანდებო, მაგრამ კარები არ იღებოდა.

დამსწრეთ თვალი მიმოავლეს და შენიშნეს, რომ დარბაზში არც იური-გიორგი იყო მოსული.

მხოლოდ კუზმა იდგა თვალ-საჩინო ალაგას კვლავ ჯავშან-მოსილი და ისეთი სახით, ვით შეჭფერის ჭირ-გადახდილს, გამარჯვებულს უებრო მეომარსა.

ჭიაბერმა არგანს ზე-ასნია და თვალნი რუსუდან დედოფალს მიაპყრო.

მსახურთ-უხუცესი ვარდან დადიანი და რაჭის ერისთავი მცოვანი კახაბერი დარბაისლურის ნაბიჯით რუსუდანს მიუახლოვდნენ, დაბლა თავი დაუკრეს, შემდეგ იქით-აქით გვერდში ამოუდგნენ და სამეფო დალიჭამდე მიაცილეს.

რუსუდან-გვირგვინოსანი თამარის ბედნიერ ტახტსა აღვიდა.

ჩქამი... მწერის ფრთის შეკრთომაც კი უდიდესი გახმაურება იქნებოდა ამ დროს.

სისვი ფერის დაღმატიკაში გამონყობილი, ნაცრისფერ ლეჩაქ გადაფრიალებული, თავზე ოქროს დაბალ თავჯით და სამხრეებსა და ოლარის კიდურებზე ძონეულით შემძივული ხან-დაზმული, მწყაზარი, მაგრამ პირქუში გამომეტყველება რუსუდანისა სანუგეშოს არას ამბობდა თითქო.

თუ ერთის მხრით მისი სამოსელის ფერი სიმძლავრის და მორჭმულობის გამოსახულება იყო, მეორეს მხრივ თვალი პატიოსანი ძონეულისა, მურდახილად მოვლებული, ამ ძლევა-მოსილებას ასისხლიანებდა. ხოლო მთელი აღნაგობა ნაცრისფერ ლეჩაქით შენის-ლული მგლოვიარების ნიშანს იძლეოდა.

რუსუდანი ძველი საეკლესიო კილოთი თითქო გაზეპირებულ ლოცვას ამბობდა:

— ერთ-ნებაობითა და თანადგომითა ყველა დიდებულთა ჟამსა მას დადგენილ იყვეს, რათა გვემოღვანა შემოყვანებად სიძისა თამარისათვის და ვდრტვინავდით უშვილოებასა მეფისა ჩვენისა, გონება-ვრცელისა და გულ-მეცნიერისა თამარისა, ვისხენიებდით უნაყოფოებასა მისსა და შევაინრებდით მას, ვის შვენის ქმრად და მეუღლეთ, თუმცა გამორჩენილ იყვნეს, გმირი ანუ გოლიათი, ანუ სახენი ამა გმირთანი, ანუ მიჯნურნი, ლომნი და მზენი, ვითარ თაჰმთა თანიმანისათვის, ვითარ ამირან ხვარაშანისათვის, ვითარ ხვასრო შანშა-ბუნისათვის, ვითარ მზეჭაბუკ მზისათვის ხაზართასა...

ამ ჩამოთვლაზე თითქო სიმძიმე რამ ჩამოაწვაო დარბაზში მყოფთ.

ეს კარგა შეამჩნია ფეხზე-მდგომ დიდებულებში გარეულ გოდერძი ჩორჩანელმა და გვერდით მყოფ მის ახალგაზრდა მეგობარს, უკვე თვალ-საჩინო მოშიარეს და სიბრძნის დარგში ფეხ-შედგმულს, ჩახრუხანისძეს უმრწემეს ნაღვლიანი ლიმილით, ძლივ გასაგონად მიმართა:

— გრძნობ, გულის საყვარელო, დედოფალი როგორ მძიმე გურზებს გვიშენს?! რა შედარებანი მოჰყავს... საიდან გაახსენდა...

— მესმის.

შეუბრუნა ნელიად ჩახრუხანისძემ.

— რა გვყავს და რასა ვკარგავთო... არა?

ჭიაბერის მახვილმა ყურმა იგრძნო მონადენი სიო ნალაპარაკებისა და გამჭრიახი თვალები ელვის სისწრაფით შემოავლო დარბაზს.

შენიშნა მოსაუბრენი და...

დასატუქსათ განმზადილი თვალნი სიყვარულით აღივსნენ. თითქო ამბობდნენ — არაფერია, თქვენ მოგეტყვებათ, უზრდელს არას იტყვით და გადამეტებით წესს არ დარღვევთო.

მოსაუბრეთაც შეამჩნიეს ჭიაბერის გაფრთხილება და პირი დაიდუმეს.

რუსუდანი კი განაგრძობდა:

— ვითარ რამინ ვისისათვის, ვითარ შერელომი ოსანასათვის, ვითარ შატბერ ანალითისათვის...

შორეულ კუთხეში კარგა ამაღლაურდა ერთი ჯგუფის ხმა.

ყველამ იქით მიიხედა.

ჰაერში აჟრჟოლდა ჭიაბერის საკრამანგის პანია ვერცხლის ეფვნები.

იგი შეტრიალდა ხმა-მომალღეთა მიმართ.

ჯგუფი მყის ჩაჩუმდა.

კუზმას სახე თანდათან ეღრუბლებოდა. გულში უკვირდა:

— არ ჰგავს პირველ დარბაზობას და თამარის სეფე-სიტყვას. მაშინ როგორ ისმენდნენ, როგორის განკრძალვით იდგნენ. არა? დღესაც, დაწყების დროს საარაკო სიჩუმე იყო, წესიერება არც ეხლა დარღვეულა იმდენად, მაგრამ ჰაერში ვგრძნობ ცუდ განწყობილებას.

გვერდით უკვე გამეგობრებული, მისი ენის მცოდნე შარაგან ყივჩაყი ჰყავდა. უნდოდა მისთვის რაღაც ჩაეჩურჩულებინა. გაიფიქრა: ამითი ხომ მეც წესს დავარღვევო და კვლავ თვის საცნაურობას ჩაუბრუნდა:

— როგორ ზღაზვნით გამოიტყვის დედოფალი... თუ ენა რომ არ ესმის, მისი ბრალია... ხომ ვიცი კარგად, რომ დღეს ჩემი გაზრდილის და თამარის დანიშვნა უნდა გამცხადდეს... უთუოდ ამას ამბობს დედოფალი, მაგრამ რად არის, რომ თვით უფრო ქადაგსა ჰგავს, ვიდრე ტახტზე მჯდომარე გვირგვინოსანს, რომელიც საზეიმო, სასიხარულო ამბავს აცხადებს... ან ეს გოლიათი ერისთავი — თამარის მამობილი ყოფილა — რათა სდგას ტახტის მარჯვნივ ესე ჩამობნელებული... მეც მივხვდი, რომ ამ ქვეყნისათვის და ამ ხალხისათვის ადვილი საქმე არ არის მათი „СОЛНЫШКО“-ს შეუღლება... თვით თამარის შემხედვარემ ვიგრძენ, რომ ნავაგეთ... მაგრამ საქმე რომ სხვას ამბობს და... გული სხვას?..

კიდევ უფრო დაეხლართა კუზმას გამოცნობის ძაფი, მაგრამ თვალნი მოუხვდა ვარდან დადიანის თითქო უდარდელ და გამარჯვებულ სახეზე, იქვე ვარდანის ახლო ოქროს სელში მჯდომი აბულასანის მოხუცი, მწყაზარი, ჭკვიანი და კმაყოფილი სახეც დაინახა და გულს ჭმუნვა გადაეყარა. თავის-თავს დაუდასტურა:

— არა, ბედი კი ჰქონია ჩემს გაზრდილს... ეხლა უნდა ვეცადოთ... უნდა ვეცადოთ...

კარგად იცოდა, რა საცდელზედაც დგებოდა მისი ფიქრი.

რუსუდანი უკვე ასრულებდა მისს სეფე-სიტყვას:

— ყველას განზრახვით ამ ჟამად მოყვანებულ იქმნა კაცი, დიდ-გვარიანი რუსთაგანი, უდიდესი თავის ქვეყნის მეფეებს შორის. სხვა მხრივაც არა უმარჯვი: პირითა შვენიერი, სრული ანაგებითა და მჭვრეტათთვის დიდად საჩენი. ვინც კი ვიხილეთ, სათნო გვეყო ხილვა მისი. ხოლო უფრო სასიხარულოდ ის მიგვაჩნია, რომ ეგ მოყმე ქრისტიანია, მართლმადიდებელი და არა ურჯულო... ყოველივე ეს მოვახსენეთ თამარს და ვთხოვეთ, რომ დაქორწინებულიყო. მას აქამდე, როგორც იცით, სრულიად არა სურდა გათხოვება და ყოვლად უნადინელი იყო ქმრისა, მაგრამ დიდი ხნის ბჭობისა და ჩვენ მიერ შევიწროებისა, ბრძანა ესრეთ: რაკი სამეფომ ესე დაჟინებით მოითხოვა ჩემგან ამ ვალდებულების გასრულება, აღარ გეურჩებით, რომ ეგ უცხო უფლისწული მეუღლედ გამიხდეს. დასტური მომიცია. მხოლოდ იცოდეს ყველამ, ამ ჟამად მართ-ოდენ დავინინდები. ჯვარის წერამდე კი ერთი წელიწადი მაინც მოათიოს ჩვენ შორის უფლისწულმა, გავიცნოთ, შევისწავლოთ მისი ხასიათი და უკეთუ შემდეგშია ციფრის აღმოჩნდება, მე თქვენს სურვილს არსით ნაუფალო... დროსა და ალაგს დანინდვისას ჭიაბერი მოგახსენებთ.

რუსუდანი ტახტიდან ჩამოვიდა. ვარდანმა და კახაბერმა თავის ალაგას მიაცილეს და უკუ-დგნენ.

დარბაზში მყოფთ გულს მოეშვათ.

თითქო მძიმე ლოდი გადაეგორებინოთ.

ეხლა სახეები გაიშალა, სხეულმაც თითქო მეტი სიხალისე იგრძნო.

ჯგუფ-ჯგუფად შებრუნდნენ.

ახლო მდგომნი კუზმას ხმა-ამოუღებლივ ულოცავდნენ.

მაგრამ კვლავ აჟრჟოლდა ჭიაბერის საკრამანგის ეჟენები, დაინახეს მის ხელში არგანი ზე-ანეული და ყველანი კვლავ ყურად იქცნენ.

ჭიაბერი თავის მიჩენილ ამალეებულ ბაქანზე იდგა დარბაისლურად, მკაფიოდ შემდეგს აცხადებდა:

— ქორონიკონსა ოთხას ექვსს, დასაბამითგან ექვსი ათას შვიდას ოთხმოცდაათს, ქრისტესით ათას ას ოთხმოცდა ხუთს, ღვთივ-გვირგვინოსანის თამარის მეფობის წელსა მეორესა, თუესი ოქტომბერსა 1-ლს, დღესასწაულსა ღვთის მშობლის საფარველისასა, სვეტი-ცხოვლობას, მცხეთის ტაძარში, ქალაქ მცხეთას გარდახდილ იქმნება უნეტარესის და უწმინდესის საქართველოს კათალიკოსის ნიკოლაოსის მიერ დანინდვა მალახარისხოვანის, აფხაზეთისა და ყოვლისა საქართველოს მეფისა, შირვანის პატრონისა და შვიდთა სამთავროთა მფლობელის, სოფლისა და სარწმუნოების დიდების, დედოფალთ-დედოფლის, გიორგის ასულის თამარისა და რუსთა გამორჩინებულის უფლისწულისა, ანდრია დიდის მეფის შვილისა, რომელსა მონებს სამასი მეფენი მის კერძოსანი, იური-გიორგისა. ყოველსა სამღვდელოსა და ერისგანსა ხელჯობიანსა ევალების შეუდგეს სათანადო მზადებას. დარბაზობა დასრულებულია.

შებრუნდნენ. თითქო აირივნენ ერთი-მეორეში. უფრო ბედნიერ კუზმასკენ მიდიოდა უმრავლესობა.

ვისაც როგორ შეეძლო, ისე ულოცავდა.

კარგად გრძნობდნენ, დღეის ამას იქით, ერთი წლის განმავლობაში მაინც რა დიდი კაცი ხდებოდა ეს ახოვანი გადამთიელი.

შალვა დადიანი

(შემდეგი იქნება)



## აბრაგი

მატარებელი მიჰქროდა.

ვაგონის ტახტებზე ორი მგზავრი ერთმანეთის წინ ინვა.

ერთს ბოხობი ეხურა, მეორეს ყაბალახით კოხტათ ჰქონდა თავი წაკრული.

ორივე ნაბადში გახვეულიყო: სახეც კი არ უჩანდათ.

თითქოს გაქვავებულნი იყვნენ: არც ხმას იღებდენ და არც ინძრეოდენ.

ბოლოს ერთმა მათგანმა ჩაახველა და ოდნავ შეიშმუშნა.

მეორემ ნაბდის ჭვრიტიმალთან ცალის თვალთ გადამოიხედა, უნდოდა, თვალი ისევ დაეხუჭა, რომ მოესმა გარკვეული ფუჩუნით ნათქვამი სიტყვები:

— რევოლვერს უყურებ, მგონი... კრინტი არ დასძრა და ხელი არ გააფაცურო... შენც მიცნობ, მეც გიცნობ... ოდნავ თუ გადასცდი ჩემს სიტყვას — გაგათავებ, ბოქაული კი არა ღმერთი ვერ გიშველის... ეხლა ხელები წინ გამოყავი და ნაბადი ისე დაიჭირე... ჰო ასე, ნუ ნაზობ: შენ თითონ თუ არ იტყვი — კაცი ვერ გაიგებს... ან და რა ვაჟკაცობა უნდა გამოიჩინოს კაცმა, როცა მტერი თავს დაგადგება ჩახმახ-აყენებული რევოლვერით ხელში?!.. არხეინათ ადექი და კარებში გაბძანდი...

— როცა იქნება, გადაგიხდი...

— რა თქმა უნდა, გადამიხდი, მაგრამ ეხლა სხვებს ნურაფერს შეამჩნევენ: არც შენთვისაა სასარგებლო და არც ჩემთვის.

ამ უცნაური მუსაიფით ორივე გავიდა კარში; არც ერთს არ ეტყობოდა ალელვება, სახიფათო დამოკიდებულება მათ შორის; არავის დაუნახავს უკან მიმავალის ხელში რევოლვერი. ერთხანს ბაქანზე იდგენ.

ვილაც გამვლელ ქალს, რომელსაც დროზე გზა ვერ დაუთმო უკან მდგომმა, ბოდიშიც კი უთხრა.

როცა მატარებელი აღმართს შეუდგა და სიარულს უკლო, უკან მდგომმა ნაბადი გზაზე გადაადგო, ვაგონის კიბის უკანასკნელ საფეხურზე დადგა და ღიმილით უთხრა:

— შენი საქმეა, დამიჭირო; ჩემი საქმეა, გაგექცე; ოღონდ ტყულა-უბრალოთ თავს ერთმანეთს ნუ შევაკლავთ... ა, ა, ა, ჯერ იარაღისკენ ხელი არ წაიღო. — და რევოლვერი ისევ ღიმილით დაუმიზნა, თანაც ისეთის დამშვიდებით გადახტა, თითქოს გაჩერებული ეტლიდან ქვაფენილზე გადადისო.

ვაგონში დარჩენილმა ერთხელ კიდევ გაიფიქრა რევოლვერისთვის ეტაცნა ხელი, მაგრამ მატარებელი ჩქარა შორდება იმ ადგილს, სადაც დოინჯ-შემოყრილი ამაყათ იდგა გადამხტარი ყმანვილი; სიო ურხევდა ყაბალახის ყურსა და მთვარე ნაზათ აშუქებდა.

მოვიგონოთ ამ ახალგაზდის შორეული წარსული.

მთელი ეზო განათებულია პირბადრი მთვარით. ყოველივე ნათლად მოსჩანს:

ისლით დახურული ვეებერთელა სადგომი სახლი.

საბძელი.

მარანი.

ნალია.

ბელელი.

ხულა.

სალორე.

გადაკავებული ქართა, რომელშიაც ათიოდე სული ხარი, ძროხა, მოზვერი და უშობელი ნაცოხრობს.

პირუტყვს ქართა-სათხებოში. ფრინველებს საქათმეში და ხეზე დაბუდრებულ ქათმებს ეტყობა მოუსვენრობა.

— გათენდა, კაცო, გათენდა! აღარ გაეტევით?! — მოისმის მოხუცის შეძახება.

— ჩალა დააფინე! ღერძები დაუსაპნე! ხარები ამოიყვანე! — ბრძანებლობს მეორე ხმა.

— აბა, შენ იცი, ჩემო ანტონ, ამ ბიჭის საქმე არ დაგავინწყდეს — რომ იძინებდა, მაშინაც კი შემეხვევნა, ბაბიას უთხარი, მასწავლებელი მიშოვოსო.

— კაია ახლა, დედაკაცო, გითხარი, მოვიკითხავ-თქო და თამასუქს ხომ არ დაგინერ.

— ფარდაგი, დედა, ერთი მაღირსე — ღმერთი დაგიმადლებს... — აბარებს მეორე ქალის ხმა.

— კი, დედა, კი, თუ ეს ღვინო კარგათ გავყიდე, ერთი ლეჩაქიც შენი ფეშქაში იყოს.

— გაყიდი, შვილო, აბა, რა იქნება: ამბობენ, ბაზარში ყველაფერს ოქროს ფასი აქვსო.

ანტონი დატვირთული ურმებით უახლოვდებოდა დაბას, რომ წამოენია სტეფანე.

— თქვენც, ბატონო ანტონ? — შეეკითხა სტეფანე.

— რა ვქნა, ძმაო, ფული ვერ მოვიმკე და ვერ მოვტეხე ყანაში და ისევ ბაზარში გასვლა ვარჩიე.

— კარგია, კაი დაგემართოს, თუ გასაყიდი რამე გაქვს, მარა ამ ორი ჩემი ჭურჭელით ამოდენა გზის გადავლა წვალეების მეტი არაფერია... მარა გამიჭირდა — ერთი მანეთი ერთ შვილათ მიღირს.

— რა დაგემართა, სტეფანე, ასეთი?

— ჩემს დედაკაცს გაუგია — ქუთაისში ვილაც ღვთისნიერს ერთი პატარა გოგო სჭირდება ხელზე მოსამსახურეთ, — ყველაფერს ასწავლის, ქალათ გამოიყვანსო და შემიკიდა ცეცხლი და გენია... კვირას უნდა წავიყვანო... სირცხვილია.

— კაი საქმეა, — დაუდასტურა ანტონმა, — ამ ტყეში ნადირათ იზრდება ხალხი, და იქნებ ქალაქში პატარა გააშალაშინონ... მეც მინდა, ჩემი ბიჭი წავიყვანო... მარა შემოდგომას უცდი, იქნებ ცოტა ხელი მოვითბო და ბავშვიც გამოვანყო.

— შენთან რა ჩემი საქმეა, ფეხი წამოვყო: შენ კლასში შეიყვან შენ არჩილას, მე კი გოგოთ მიმყავს ჩემი ოლიკო — მეცოდება კი საწყალი, სხვის ოჯახში, ვინ იცის, როგორ მოეპყრობიან...

— მაგიერათ გაიზდება, ჭრა-კერვას, წერა-კითხვას ისწავლის და, რომ გაგიჭირდეს, ბარათს მაინც დაგინერს...

— ჰო-და მაგისტვის მინდა, მარა რათ მინდა ჭრა-კერვა და წერა-კითხვა, ცოტათი მაინც თუ არ დაგვეხმარა ჩვენს გაჭირვებაში...

— ჯამაგირსაც ქე მისცემს უსათუოდ...

— მაგია, ბატონო, პირველი საქმე: აბა, საიდან გავამზითვებ, თუ თითონვე არ მიემზადა ხორაგი, ცოტა მაინც ხელის ჭუჭყი.

— უი, ამ ქალაქელების სინსილა განყდა, — ბუტბუტებდა ანტონი, — ხმა დაყარეს, საპალნე ღვინო ოცდაერთ მანეთათ არისო და ეხლა ჩვიდმეტსაც არვინ იძლევა. ვაი, ჩემი ბრალი! შალამაური თუთხმეტ მანეთათ! მაგათ მონამლული, სპირტ-ნარევი მწვანე უნდა ჩამოუტანო, რომ თვალეები გადმოაგდებინოს.

ბრამორეული ანტონი გაჯიუტდა და წინათ თუ ცოტას მაინც უკლებდა დათქმულ ფასს, ეხლა მუშტარს მტრულათ მიაძახებდა: ოცდაერთი მანეთი — არც მეტი და არც ნაკლები.

თან სვამდა, სხვებსაც ასმევდა.

მთელმა ბაზარმა მისი ურმების ირგვლივ შემოიკრიბა თავი.

ზოგმა ხურჯინიდან საგზალი ამოიღო, ვილამაც დუქნიდან წვადი მოატანინა.

და ანტონი დორბლიანი სტუმართ-მოყვარეობით უმასპინძლებოდა გამვლელთა და გამომვლელთ: — გაშინჯე, თქვენი ჭირიმე, ბუნებრივი ღვინოა ორი წლის, — ეს ლაზღანდარები თუთხმეტი მანეთის მეტს არ იმეტებენ... ბევრი ასეთი გამომიცლია და ახლაც დაეცალოთ... პატივი დამდეთ, ერთი ჭიქის დაღვევაზე უარს ნუ მეტყვი!

ანტონის ღვინომ მთელი ბაზარი შეაზარხოშა.

დაცარიელებულ ურმებს ველარავინ მიერეკებოდა.

თვით ანტონს ცხენზე გვარიანათ ეძინა.

გონიერი პირუტყვები გზას არ ცდებოდენ და ზანტათ შინისკენ მიდიოდენ.

სტეფანეს მოესწრო გოგოსთვის საკაბე ჩითის და წულეების ყიდვა, მაგრამ ისიც დამთვრალიყო და ურემზე ხვრინავდა.

როცა ანტონს გამოეღვიძებოდა და გადახედავდა თავის დაცარიელებულ ურმებს, ინყებდა ბუტბუტს:

— ჩემი ბიჭი, არჩილა, სხვა არ გეგონოსთ! ბოქაული იქნება და თქვენ ჯავრს კი ამომყრის, თქვე ლანირაკებო, თქვენ! საპალნე ხუთმეტი მანეთი, — წყალია თუ?!

ქალაქის ძაღლებს არ მოეწონათ პატარა ხარებით გაბმული დიდი ურემი, თუ მათ ძლიერ აღუძრა მადა სანოვავის სუნმა, ათას ხმაზე მორთეს ყეფა განაკიდა უბნის ორლობებში.

— კაცო, რა ხალხია? რუსის „პერესელენცები“ არიან, თუ პატარძალი მიჰყავთ? — სიცილით შეეკითხა ერთი პატარა ბიჭი მეორეს.

— არა, დავით და კონსტანტინეს მოსალოცავათ უნდა მიდიოდენ! — ოხუნჯობითვე უპასუხა მეორემ.

— ეს თოფი რაღათ უნდა?

— უსათუოდ თავის მეუღლეს თავს ანონებს...

— ერთი არსენა ყაჩალი გამოხტებოდეს, რავა დაუნგრევს თავ-ტვინს.

ქუჩის სალახანების გასაგონათ მეხრეს, ქალაზნიან სტეფანეს აფრთხილებდა ანტონი — ა, ა, არ შემოარტყა ძაღლს, უარესია — არ მოგშორდება.

ანტონს ესმოდა ზოგი რამ ამ ლაზღანდარობიდან, მაგრამ თავს როგორ გაუყადრებდა ბავშვებს, და დინჯათ მიჰყვებოდა ურემს, რომელიც, მართლაც, ნოეს კიდობანივით იყო დატვირთული.

ჩალით დაგებულ ურმის წინ, ხარების კუდთანვე სოლებზე გახლართულ ბანარზე იჯდა პატარა არჩილა... ბავშს თავი ნიდაყვზე დაეყრდნო და სახლების სიმაღლით, მათის აღნაგობით, ფარნებით, გამვლელთა სიმრავლით განცვიფრებული ყურს უგდებდა შორით მოსულს სასუნთქი ორკესტრის, ზურნის, არღნის ყრიაშულს, რომელიც უფრო მეტს არა ამ ქვეყნიურს უქადდა მომავალში.

მის უკან იჯდა დედა... სოფლის კეთილშობილება რომ არ შეერცხვინა, მასპინძელთან მიახლოების წინ იგი წამდანამ ისწორებდა თავსაფარს, თმას, კაბას და ცოტა არ იყოს მინაზებულის ხმით ეკითხებოდა:

— დაიღალე, შვილო? — რაზედაც თავმოებზრებული ოცნებიდან ამოგლეჯილი ბავში ზოგჯერ უკმეხათ უპასუხებდა:

— არა, ბეჩა, არა!

მათ უკან ეწყობაგები, ხურჯინები ყველითა, ღვინით, პურით, ხაჭაპურებით, ტომრები ფქვილითა და ღომით, დაკლული და დაუკლავი ქათმები, გოჭი და ლოგინი, რომლითაც განსაკუთრებით ამაყობდა შვილზე მზრუნველი დედა.

მთელ ურემს ფარავდა ქოკებზე გამაგრებული, ეხლა აკეცილი ნოხი.

— ეხლა ქე გააჩერე, სტეფანე ჩემო.

ურმიდან გადმომხტარმა ბავშმა რაღაც უცნაური იგრძნო — თითქოს ჰაერში ყოფილიყოს, ფეხებს მიწაზე არ აბიჯებდეს, სრულიად მარტო დარჩენილიყოს და ვერც მამისკენ გაინია და ვერც დედისკენ, რომელსაც კიდევ ერთხელ მოესწრო მოკოპნიავება და ელაპარაკებოდა ხანში შესულ ქალს — დიასახლისს.

— ა, მოგიყვანე ჩემი ბიჭი და ანი შენმა ქალობამ და ნამუსმა იცის. — მისვლისთანავე სთქვა და დაათავა თავისი ჩაბარება ანტონმა, რომ ფუჩუნე, პუტუნე და მოლაპარაკება ქალებისთვის დაეთმო.

სამოვრიან სუფრას შემოუსხდენ.

— ი, რა მშვენიერი ყოფილა, ბატონო ანტონ, თქვენი ბიჭი, — მიუალერსა ბავშს დიასახლისმა, — ხომ კაი მაგარი გაქ, რომ გაგარტყას მასწავლებელმა და არ გეტკინოს, — გაეხუმრა ბავშს და ხუმრობით რბილ ადგილზე შემოკრა.

ბავშს გაეცინა, თვალი მოაშორა სამოვარს, რომელიც მხოლოდ ერთხელ ენახა თავად დავითისას, შეხედა სურათს და იკითხა:

— ეს რაა?

— ეს გლახა კაცები არიან... ხელმწიფე იჭერს და ციმბირში აგზავნის.

— რატომ გლახა?! აი, ჩვენი სანყალი მიხაც გაგზავნეს... მე რომ მკითხო, არაფერი გასაგზავნი არ იყო. აბა, რა ექნა, დად მოსტაცეს, ოჯახი გაუბახეს, და თვალეები დაეკოცნა?!

— მე წავალ... გვიანაა და იქნებ ქე დანვენ... ღამით უნდა წავიდე და ძღაბს ველარ ვნახავ, — შეანყვეტინა ლაპარაკი სტეფანიამ.

— ნადი, ძმაო, ნადი, ოღონდ რომ დაბრუნდები, გამაგებინე.

— კი ბატონო, ოღონდ იმას გთხოვ — ხარ-ურემს მიმიხედო. ბარგი ყველაფერი აივანზე ამოვიტანე.

— ავაშენა ღმერთმა! თუ ჩვენები ნახო, უთხარი, ხვალ არა და ზეგის წინ უსიკვდილოთ ჩამოვალ-თქო. — დააბარა ანტონის ცოლმა — ეფროსინემ.

— კაი, ბატონო.

ქალაქის დაშორებით, ეზოში ისხდა ოთხი ყმანვილი. ეზო მთაზე იყო წყლის პირად. საღამოს ერეკებოდა ჟამი.

— მამიდა! — დაიძახა ერთმა მათგანმა.

— ა, შვილო. — უპასუხა სახლიდან ქალმა.

— გვაქვს რამე, მამიდა, დღეს საჭმელი?

— ყველია, შვილო! გამეიცხვეთ ჭადი და ჭამეთ. სხვა ვერაფერი მოვასწარი. ჩემ არჩილსაც ნუ დამიმშვეთ, დედაშვილობას.

— კი, მამიდა, კი, თუ რამე გვექნა...

— ბიჭო, ახლა თუ კეცების გახურება დავინყეთ, ხვალ შუადღემდი ვერ ავდგებით. დილას კი, თუ არ გავიმეორე ცოტათი მაინც, ისე ამერია ყველაფერი თავში, რომ ერთს სიტყვას ვერ ვიტყვი საზრიანათ.

— საძაგლათ მშია, მართალი გითხრა, ფიზიკა ნამდვილი მადის აღმძვრელი წამალი ყოფილა.

— მეც მშია, მარა რა ვქნათ? ახლა სწორედ ცრის და მოხელის თავი არ მაქ.

— ბიჭო, რა ვქნათ იცი: გადავხტეთ აგერ ყანაში, მოვტეხოთ ერთი ათი ტარო სიმინდი, მივაფიცხოთ ცეცხლზე და გათავდა.

— კაი აზრია! ერთი ბოთლი ღვინოც დარჩა, მგონი, მამიდას...

— აბა, რას უცდით?!

მთვარიან ღამეში ოთხი ყმანვილი მარდათ გადახტა ღობეზე და შეერია მაღალ დატაროვებულ ყანაში.

— რა გიქნიათ, ბოვშებო ეს?! — მიაძახა მოხუცებულმა ქალმა ყმანვილებს, როცა ისინი ტაროებით შევიდნენ სახლში.

— აბა, შიმშილით დავიხოცებოდით!..

— აკი დაგიძახეთ, ყველი მაქვს-მეთქი!

— მარტო ერთი წველა ყველი ვის გააძლებს?

— ჭადის გამოცხოვა კი ხელეებს გაგიფუჭებდათ, თქვენმა მზემ!

— შენ გამოგეცხო, შე ქალო...

— თქვე უღმერთოებო, სული შემინუხეთ ერთი კვირეა — ბლუზები და ნიფხავ-პერანგი დაგვირეცხეთ და ეხლა ამას მემართლებით? დილიდან წელში გავწყდი რეცხვით და კერვით. უი, დედა, რავა სამტროთ დაგიფხრენიათ ყველაფერი! და ეხლა ამ შუალამზე კიდო მე უნდა გაგიკეთოთ ვახშამი?!

— ჩვენ ხომ არაფერი გვითქვამს. — დარცხვენით უპასუხეს ყმანვილებმა.

— ნავედით, დავამტვრიეთ სიმინდი; მოვხარშავთ, ვჭამთ... შენც ჭამე... და არც ჩვენ შევწუხდებით და არც შენ.

— ქურდობა დეინყეთ, თქვე სანყლებო, ესაა თქვენი განათლება?!

— დამინყებ ერთ ქადაგებას! რა ქურდობაა ათ ქცევა ყანაში ათი ტარო სიმინდის გამოტება? დეიქცევა ახლა მისი პატრონი!!.

ყმანვილებმა საჩქაროთ ნაჭაზე კარდალათი წყალი ჩამოკიდეს, ცეცხლი შეუთეს, სიმინდი გაარჩიეს და კარდალაში ჩაჰყარეს. სიმინდი იხარშებოდა. ყმანვილებმა თაროდან მარილი გამოილეს და მამიდასთან ღვინის შესახებ დიპლომატიური მოლაპარაკება გამართეს.

— მამიდა, რომ იცოდე, რა სიმინდია!

— კაი იქნება რა? მინა კაია — მის პატრონს მარგვლა არ დაუკლია და მეორე თოხი; მზე მთელი დღე დაჰყურებს... ყანას დაგვიანებულსაც რა უჭირს?

— მამიდა, შენც დაგვენვევი ხომ?

— არა, შვილო, ჩემი ხნის ქალი და ნაქურდალი ვერაფერი მოწყობილია. თქვენ კიდე მოასწრობთ ცოდვების მონანიებას.

— წმინდა ბერი წმინდათ წაწყდაო, სწორეთ არაკისებურათ გემართება. მარა, თუ ცოდვების მონანიებას აპირებ, ერთი ბოთლი ღვინო რომ გაქვს, ის მოგვეცი.

— დღეს დათვრეთ, ხვალ რალას იტყვით იმ პერეეგზამენია არის, თუ რაცხა ჯანდაბა!

— რა დავგათრობს, რას ამბობ! ოთხი ჩვენ ვართ, ერთი შენ — ეს ხუთი. ხუთ კაცზე ერთი ბოთლიდან ორ ორი ჭიქაც არ გვერგება, არჩილსაც უზიარებთ.

— ა, შეთაფლეთ მაგიც. ერთცახე კი დამალევიეთ, თუ კაცი ხარ...

— ვაშა, მამიდას, ვაშა, ვაშა! რა ქალია შენი ჭირიმე! — ყვიროდნენ ყმანვილები.

— სოფიოა ნამდვილი, ხოლო ქალების მაგიერ ქალიშვილები ვყავართ: პისტი, ელპი-დი და ალაპისი.

— აბა, ახლა კარდალაც გადმოვდგათ.

ზოგი ნაინია კარდალას ჩამოსადგამათ, ზოგმაც მომლოდინე ტანის მდგომარეობა მიიღო.

— გამარჯობა, ყმანვილებო! — გაისმა ამ დროს ღია კარებში.

— მამა!

— ა, ბატონ ანტონს ვახლავარ.

— გაუმარჯოს ანტონს.

— თქვენი სახლია, მობრძანდი. — მიიწვია დიასახლისმა.

— აქეთ მობრძანდით, ზევით ოთახში... ბავშვებმა დაიჩემეს სიმინდი უნდა მოვიხარშოთო და აქ ჩამოვიდნენ სამზარეულოში.



— დევისვით ღარი, ბიჭო, მამაშენის ჯორს ერთი უშველებელი ხურჯინი ჰკიდა. ისე რავა გაუნამუსდებოდა, რომ ერთი-ორი ხაჭაპური არ ჩამოეტანა.

— რავა ბრძანდებით ოჯახით, ჯალაბობით, ბატონო?

— გმადლობ, ჩემო თეო, ქე ვართ ღვთის წყალობით? თქვენ რავა გიკითხოთ?

— გვიდგია თქვენის შემწეობით სული.

— შეგანუხეს ყმანვილებმა.

— უი, დამინყეს ახლა დარბაზობა. — ჩაულაპარაკა ერთმა ყმანვილმა მეორეს, ჩემი მუცლისათვის კი არაფერს კითხულობენ დალოცვილები...

— არჩილა, მოახერხე რამეფრათ — მამაშენს ხურჯინი გაახსნევი.

— ახლავე! ბაბა, დედას არ გამოუგზავნია წინდები? — დარცხვენით იკითხა ყველაზე პატარა შეგირდმა.

— კი, შვილო, ხურჯინშია... ნადი ამოიღე. სხვა კიდეც რაცხა-რაცხეებია... ამოიღე, შვილო, და თეოს მიართვი.

— ახლავე, ბაბა...

ხურჯინი საჩქაროდ ოთახში შემოიტანეს.

რა არ აღმოჩნდა შიგ? ორი მოხარშული ქათამი, სულგუნები, ხაჭაპურები, მსხალი, და რაც ყველაფერზე უფრო ძვირფასი იყო — დიდი დოქით ღვინო.

— რას იხარჯებოდით, ბატონო, რას იხარჯებოდით! — ფუსფუსებდა თეო.

— ფქვილს და ქათამს, როგორც დაპირება იყო, გამოგიგზავნი. ეს ისე, დედაკაცმა გამომატანა არჩილასთან. ხომ მოგეხსენებათ, მაგის მეტი არაფერი გვყავს და სანყალი ქალი ერთ ლუკმას რომ პირში ჩაიდებს, მეორე აქეთ უნდა გამოგზავნოს... ეს უგზობა დასწყევლა ღმერთმა, თვარა ხშირად მოგიკითხავდით ცოტა რამითაც.

ყმანვილებმა შეუმჩნევლათ გაანყეს სუფრა. ყველა დაჯდა, და არხეინათ დაინყეს ვახშმობა. რაც უფრო ჭამას უკლებდენ, სმას უმატებდენ.

— ტრიფონა, ბიჭო, ხვალ განმეორებითი გამოცდა გვაქვს, არ დეივიწყო...

— მერე რა?

— სმას თუ შეეყვებით, ხვალ რაღას მოვისაზრებთ.

— ახლა შენ დაინყე ქადაგება. ღვინო ადამიანის გონებას ამახვილებს, ლენჩო!

— რავაც გინდა, ძმაო.

— ახლა კი მშვიდობით! — ანტონი ფეხზე წამოდგა, უფრო ჩვეულების ასასრულებლათ, ვიდრე ნამდვილად წასასვლელათ.

— ბატონო ანტონ! ჯერ საყოვლად წმინდაო არ დაგვიღვეია.

— შენი ნება იყოს, მაგაზედაც არ გეტყვი უარს. ყოვლად წმინდა შეენიოს, თეო, თქვენს ოჯახს, შენს დედობრივ ზრუნვას ამ ყმანვილებზე! ყმანვილებო, თქვენც ღმერთი დაგებმაროსთ, კარგი კაცები გამოგიყვანოსთ, დედა-მამის სასიხარულოთ, ქვეყნის სასარგებლოთ, ერთმანეთში ძმობა და ერთობა არ დაგეკარგოსთ.

— გაგიმარჯოს! გაგიმარჯოს! გმადლობთ! — გაისმა აქედან და იქიდან.

ანტონმა ქუდს მოკიდა ხელი.

— რას ბრძანებ, ბატონო, მოითმინე, მოისვენე, ხვალ ჩაი მიირთვი ყმანვილებთან და მერმე სადაც გნებავს — წაბრძანდები.

— ადგილი არ გაქვთ! შეგანუხებთ! ხვალ კი ეფისკოპოსს უნდა ვეახლო... საქმე მაქვს, ხალხმა დამავალა, ხომ იცით. — ამაყათ წარმოსთქვა ანტონმა.

— მით უმეტეს, ბატონო! თუ ეფისკოპოსის ნახვა გნებავს, სწორეთ ამ ჩვენ მთაზე უნდა დარჩეთ, აქვეა... ხვალ, ამ სიცხეში ზევით ამოსვლა ძლიერ შეგანუხებსთ. თქვენს ჯორს მოვუვლით, აგერ შევდენით ეკლესიის გალავანში და ისე ადრე გადმოვიყვანთ, რომ დილის ანგელოზმაც ვერ შეამჩნიოს.

— შეგანუხებთ.

— რას ბრძანებ, ოთხი კაცი ვწვევართ ამ ოთახში, ოციც რომ დაანვინო იატაკი არ ჩავარდება — დალოცვილი პირდაპირ მინაზეა გაფენილი. ფანჯრები და კარები დაღებული გვაქვს. ჰაერი ისეთი დგას, რომ სოფელშიაც ვერ იშოვი.

— თქვენი ნებაა.

თეო თავის პატარა ოთახში შევიდა. ანტონი ტახტზე დაანვინეს. ყმანვილებმა ჯორი წაიყვანეს. ჭიშკარში მათ შეხვდა თეო.

— აბაზი არავის გაქვთ? — დაეკითხა დედაკაცი.

— არა ღმერთმანი!

— არა!

— არც მე მაქვს; მე რვა კაპიკი მაქვს.

— ნუ შემარცხვენთ უცხო კაცთან! ხვალ ჩაი უნდა დავალევიო და არც შაქარი მაქვს და არც ჩაი.

— არაფერია, მამიდა, არც სახლშია მამა-ჩემი ჩაის დაჩვეული...

— ეს შენი საქმე არ არის! — გაანწყვტინა უფროსმა ამხანაგმა სიტყვა არჩილას, — თეო თავს ვერ შეირცხვენს. რამე უნდა მოვახერხოთ. რამდენი გაქ შენ, თეო?

— შაური.

— რვა კაპიკი ტრიფონას აქვს — ესეც ცამეტი. რამდენია საჭირო სულ?

— სამი კაპიკის ჩაი და თოთხმეტი კაპიკის შაქარი — გააფეხს ღვთის მადლით შაქარი, თვარა ცეცხლი ეკიდებოდა.

— არა, ჩვენ კი არ შეგვიმჩნევია არც გაფეხვა და არც გაძვირება. — იოხუნჯა ერთმა.

— მაშ, ოთხი კაპიკია კიდევ საჭირო. ნუ გეშინიან, აქა ვართ. შენ ის შაური მოგვეცი და ოთხ კაპიკს გვენდობა მედუქნე.

— ა, თქვენ კი გენაცვალეთ, არ მომჭრათ თავი ქვეყანაში.

— გქონდეს იმედი, ვითარცა ჯოჯოხეთისა.

ყმანვილებმა თავისი სიტყვა პატიოსნათ აასრულეს. მეორე დღეს ანტონს და სხვებსაც ჩაი ჰქონდათ.

\* \*

ყოველთვის, როცა გულს ბოღმა მოანვებოდა, პატარა არჩილა გადადიოდა თავის მეზობელ გოგონასთან; და იქ, ხის ძირში ჩამომჯდარნი, თითო-ოროლა სიტყვით გაუზიარებდნენ ერთმანეთს მწუხარებასა და სიხარულს; და ორივე გრძნობდა ნატეხს თავიანთ კარმიდამოსას — მიტოვებულ ეკლესიას, საბალახოებს, ჯარას, ხილით დაყურსულ ხეებს.

და ეხლაც არჩილა მოვიდა ოლიკოსთან.

— რა დაგემართა, რათ მოგიწყენია?

— მამა მოუკლავთ.

— მიდიხარ?

— არა, ახლა აღარ წამიყვანებენ — დაუსაფლავებიათ კიდევც... დედამ შემომითვალა — წლის თავზე წაგიყვანო.

— ვინ მოკლა?

— მიხო ალაბაძემ.

— რატომ?

— არ ვიცი... მგონია, ბაბას აბრალებს მის კატორლაში გაგზავნას. შარშან რომ ჩამოიპარა, ბაბა ამბობდა, რას მერჩის, არაფერ შუაში ვარო.

ორივე ისხდა ჩუმად. გოგოს ვერაფერი მოეგონებია სანუგეშო.

— იცი... — დაარღვია სიჩუმე არჩილამ, — მე მოვკლავ მიხოს.

— რას ამბობ? — სიტყვით კი სთქვა ოლიკომ, მაგრამ თვალი გაუბრწყინდა და აღტაცებით, კმაყოფილებით ჩააჩერდა ბავშს, — შენ პატარა ხარ, — დაუმატა ოლიკომ.

— არაფერია — გავიზღები.

ისევ თავის ფიქრებს მიეცენ... ოლიკო ფიქრობდა, თუ რა კარგი ბიჭია არჩილა და რა კარგი იქნებოდა, რომ ისინი და-ძმა ყოფილიყვნენ.

— ბატონო კლასის დამრიგებელო, გამანთავისუფლეთ სწავლის ფულისაგან.

— ეს რატომაო?! ცუდათ რომ დაინყე სწავლა, იმიტომ?!

— მე არ ვსწავლობ ცუდათ...

— ეს მე უკეთ ვიცი — ბევრს ნუ ლაპარაკობ...

ბავში შეჩერდა, მაგრამ არ შორდებოდა კათედრას.

— არ გესმის, რა გითხარი?

— მე ობოლი ვარ...

— ვიცი, რამდენი ხანია, რომ მოჰკლეს და აქ სასიქადულო არაფერია... თვით უპირებდა უეჭველად მოკვლას...

— არა, ტყუილია.

— აი, შე ყაჩაღო! ვის უბედავ ასეთ სიტყვებს... უეჭველია, მამა-შენიც შენისთანა ყაჩაღი იყო. გაეთრიე ახლავე ადგილზე.

ამხანაგებმაც მიაძახეს: „დაჯექი, ბიჭო, დაჯექი, თორემ დაიღუპები“.

არჩილა დაჯდა.

ტირილი აუვარდა.

დაადგა თავი ხელებს და ქვითინებდა.

— ნუ ღრიალებ-მეთქი.

ჩუმათ, მაგრამ მაინც ტიროდა.

გაბრაზებული მასწავლებელი მივიდა, სკამიდან ძალით ასწია და უჯიკავა.

უეცრათ სილა გაარტყა და გავიდა.

ანინისაგან მიღებული ფულით სტეფანე ცოტათი მაინც ფეხზე დადგა. ვალები აღარ ანუხებდა. შეებენ სანატრი მოზრები ურემში. ნახევარი ქცევა გადაბრუნებული მიწა ამწვანდა ნამყენი ვენახით და ეფროსინე ჩააცვიდა ქმარს:

— მევიყვანოთ, კაცო, ი გოგო.

— მეიცა, ქალო, სული ამომათქმევინე...

— სანყალი კაცის პირობაზე აღარაფერი გვიჭირს.

— მეიცა, ქალო, მევენყოთ პატარა.

— კაცო, ქალი გასათხოვარია... რომ რაცხა უბედურება დაემართოს, რაღას ეტყვი ან ღმერთს ან კაცს.

— ნუ აყრანტალებ მავ ენას ყვაავით! — განყრა სტეფანე, მაგრამ ნათქვამი შავ წერტილათ ჩაუჯდა თავში.

— ი გოგო მევიყვანოთ შინ, გავათხოვოთ, მაგიერათ ბიჭი გააქირავე, და ჩვენ ორი ქე მევითმენთ კიდო ერთ-ორ წელიწადს.

— კაი, კაი! დემეხსენი ერთი!

— რავა კაი, კაცო!.. არ იცი, რა დაემართა ეგნატას?

— რა, რა დაემართა?

— რა და ქე მევიდა მისი მაიკო გაბერილი მუცელით!..

— უი, სანყალი!!

— ჰო-და ჩვენზედაც ნუ აძახებ ხალხს „საწყალი, საწყალიო“!

— დალახვრა ღმერთმა, წავალ პარასკევს და მევიყვან, მევიყვან.

— ბარელამ ქმარიც აურჩიოთ.

— ვინ გნებავს? — დასცინა ქმარმა, — თავადი, თუ აზნაურსაც დაჯერდები.

— ორივე წყალს წაუღია, — დინჯათ შენიშნა ქალმა, — ერთ ოთხ თუმანს ქე გამოატანს მისი ქალბატონი — ისე რავა წეინყმენდს სულს: აგერ ერთი წელიწადია კაპეიკი არ მოუცია; კაბები და ჭინჭიც ექნება; ორი ხელი ქვეშაგები გამოწყობილი მაქ... ორ თუმანს შენც თუ უშოვნი — გავათხოვოთ და ამოვიდეთ მაგის საცოდაობიდან.

— ორი თუმანი?! — გაიკვირვა სტეფანემ, — რატომ იკადრე ასე ცოტა, გეთქვა ერთი ოცი-ორმოცი, რამდენი თვლაც კი იცი!.. გადირიე თუ გადიშალე, დედაკაცო, სად მაქ ახლა ორი თუმანი?!.

— არა, — გაასწორა თავის სიტყვა ეფროსინემ, — ორი თუ არ იქნება, ერთიც იკმარებს...

— ... და ვინ გითხრა, რომ ოლიკოს ოთხ თუმანს მისცემენ.

— მე ასე ვფიქრობ და!..

\* \*

მოიყვანეს ოლიკო შინ.

ორი-სამი დღე კარგი იყო:

— უი, თვალი კი დამიდგა, რავა დაქალბებულა, რა მშვენიერი გამხდარა! — იძახოდენ დედაკაცები.

გოგოები მალაყელიან წალებს და ქორგას შეშჩერებოდენ; ბიჭები ოდნავ ყელ-ამოჭრილ და მოკლე სახელოიან ზედანელს.

უთვალთვალბედენ შორიდან... მაგრამ მალე ხელები სიმინდის ფშენეტამ დააკორძა, დილას ადრე ადგომამ ფერის სინაზე დააკარგვინა, ცეხვამ დალაღა, ხოლო წყაროდან სავსე ჩაფის ამოტანას ვერ შეეჩვია.

ქმარი არსად იყო... გამოტანებული ორი თუმანი ოჯახს შემოევლო...

და დასვენების დროს ოლიკო ეძლეოდა ოცნებას... შედარებას ვერ უძლებდა სოფლის ვერც სახლი, ვერც მოწყობილობა, ვერც ნაცნობები...

„ჯაგლაგობენ, ვითომ ვცეკვავთო! თუ იცეკვებს კაცი, ისე უნდა იცეკვოს, როგორც ის სტუდენტი. რა აცვიათ — ქალბატონმა ანინიმ რომ დაინახოს, სიცილით მოკვდება და რა გვართ ლაპარაკობენ, თითქოს დროგი ხრიგონებდეს“.

ასაკი მოითხოვდა ალერსს.

და იგონებდა ათასს... ინვევდა...

მოვიდა შემოდგომის მინურული, სიზანტის და განცხრომის დრო.

თხოვდებოდენ.

თხოულობდენ.

იგი კი მარტოა!

შაბათია.

ჯარში არ წასულა.

დარჩა ფიქრებთან, ზმანებებთან ერთად!

ის და არჩილა... ხელს კოცნის, ეალერსება... ჩემი იყოს... კარგი... პანია უღვაშები... შემობინდდა.

ხელი თავს ზევით აქვს გადაგებული. ვილაცამ ჰკითხა:

— რას შვები აქ მარტო?

პასუხი არ გაუცია.

ხელებზე იგრძნო ვილასიც ხელი.

არ შენძრეულა.  
ხელზე გრძნობით ხელი მოუჭირა.  
უპასუხა იმგვარათვე.  
კოცნა.  
მხურვალე ალერსი.

\* \*

— წადი, წადი გამშორდი! — დარცხვენით და გაბრაზებული ამბობს.  
იგი მიდის.

— რა დაგემართა, რა ღმერთი გაგინყრა, და მერე ვინ? ყველაზე უარესი! ვაი ჩემს უბედურებას, სირცხვილი, ვისლა დავენახო?

\* \*

მაგრამ გადის რამდენიმე დღე და ისევ მასთან. ეხლა უფრო თამამად და თან უფრო მალულათ.

გულში კი თავს ინყევლის, დასცინის ამ თავმსხვილა, თმა-წვერით გაბურდულს, უშნოს და უგნურს... მაგრამ კარგია, ვერვინ იფიქრებს, იჭვსაც ვერვინ მიიტანს იმდენათ შეუფერებელია...

— ეს რა ამბავია, დედაკაცო? — ეკითხება ბრაზისაგან თვალეზ-გადმოგდებული სტეფანია თავის ცოლს, როცა დარწმუნდება, რომ მისი ოლიკო ფეხმძიმედ არის.

— ჩემი თვალის დაფსება და სიკვდილი.

— აქამდის მომკვდარიყავი, თვალი მაინც გქონდა დაფსებული!.. მოგკლავ მაგ უნამუსოს...

— ა, ა... გვიშველეთ! — ყვირის დედა. საიდანლაც გაჩნდება არჩილა და გადაარჩენს. სტეფანე დაშოშმინდება.

— უყურებ ჩემს დაქცევას?!

— ?!

— შენ საიდანლა გაჩნდი?

— დღეს ჩამოვედი და ოლიკოს ნახვა მომინდა.

— კაი სანახავია სწორეთ, მაგ წყეული!

— ვინ დამილუბა მაინც?!

— არ ამბობს... ქალაქიდან უნდა იყოს.

— რას ბოდავ, დედაკაცო, ქალაქიდან ერთ წელიწადზე მეტია, რაც დაბრუნდა.

— რამდენი ხანია აღარ ყოფილხარ, არჩილა?

— მართალია, ერთი წელიწადი იქნება.

— თქვი, თვარა მოგკლავ! — მიუბრუნდა ოლიკოს სტეფანე.

ქალი ტირის.

— თქვი, შე ძაღლის შვილო!

ტირის.

— არ იტყვი? — ერთი მიარტყა.

— ვერ ვიტყვი, ვერა. — ქალს რცხვენია, როგორ გაამხილოს... სოფელში სასაცილოდ აღებული ხასობა მთლად ქვესკნელში ჩააგდებს.

— მოგკლავ!

არჩილა ხელმეორეთ აშორებს.



\* \*

მიუყვანეს დედაბერი.

— მოუგდე მაგ ოხერს მუცელი.

დედაბერი შინჯავს და გადაჭრით ამბობს:

— რალა დროს მუცლის მოშლაა, დღეს-ხვალ შვილიშვილს უნდა ელოდე. — უნებურის დაცინვით უპასუხებს დედაბერი ეფროსინეს.

\* \*

მშვენიერი ბავში დაიბადა.

უნდოდათ მოკვლა.

ვერ გაბედეს — ღმერთის და კანონის შეეშინდათ.

არჩილაც ჩაერია.

გააძიძავეს.

\* \*

ხუთი-ექვსიოდე თვის შემდეგ მოხდა რალაც მოულოდნელი, სასწაულისებრივი: შორეული სოფლიდან მოვიდა კარგად ცნობილი, ოდნავ ხანში შესული, მაგრამ შეძლებული და პატიოსანი გლეხი და სტეფანეს ქალი სთხოვა. სტეფანე გაოცდა.

— მე ყველაფერი ვიცი, მაგრამ თუ ქალი დამპირდება, რომ პატიოსნათ იცხოვრებს და ჩემს მოხუცებას არ დაერიდება, ბავშსაც მე წავიყვან, ჩემ სახელზე ჩავწერ და მაგასაც გავაპატიოსნებ...

— არა, არა, — დაიბნა სრულიად სტეფანე, — როგორ გაბედავს... ასეთი ბედი... ღირსი არაა... ამაშენე... დამასახლე.

დედაკაცმა ქვითინიც კი მორთო:

— შენ ყოფილხარ ჩემი ოჯახის წმინდა ანგელოზი.

— არა, თვითონ ქალმა მომცეს სიტყვა... თქვენ ხმა დააგდეთ, რომ ბავში მართლა ჩემია, რომ წინათ არ მინდოდა, გავჯიუტდი, დიდ მზითევს ვთხოულობდი და ახლა კი დავთანხმდი. ქალი გამოიყვანეს, ჰკითხეს...

რას იტყოდა? თავის მოჭრის ასეთს დაბოლავებას ვერც დაისიზმრებდა.

დათანხმდა.

— ა, ექვსი თუმანი... ქალი გამოანყვეთ, ვითომ თქვენივე ხარჯით... მე ამ კვირის დამლევს ჯვარს დავიწერ.

— ღმერთო ჩემო, მეორე მოსვლის ნიშნებია, — დაბეჯითებით სთქვა დედაკაცმა და სტეფანეც დაეთანხმა. ოლიკო გაჰყვა პირუტყვივით, რომელმაც იცის, რომ კარგათ აჭმევენ, ასმევენ და შვილს არ წაართმევენ.

იყო მარად პატიოსანი.

დედ-მამის ოლღაია, ანინის ოლიკო, ქმარ-შვილში ოლღათ გადაიქცა.

ცნობილ კომბინატორ დავითისთვის მრავალ-მხრივ საჭირო იყო ინტიმიური საღამოს გამართვა; ჩვეულებრივ ასეთს საღამოებს იგი მართავდა სხვის სახლში, სხვისი პასუხისმგებლობით. ზღვა შამპანური, ბალჩა ყვავილებისა, განსაკუთრებულად შეზავებული სიამოვნება ყველასთვის ნათლად ხდიდენ, თუ ვინ იყო ნამდვილი მასპინძელი, და საკუთარ სახლში რომ არ მართავდა ნადიმს, ეს კიდევ უფრო ფასს სდებდა — რა იქნება, როცა იქ, სასახლეში, მოგვიხდება ყოფნაო. დღეს ვახშამი ანინისთან იყო.

სტუმრებათ იყვნენ: ვიცე-გუბერნატორი, სახაზინო პალატის უფროსი, გიმნაზიის ინსპექტორი, ცნობილი კორესპონდენტი ტფილისის და სატახტო გაზეთების, მაზრის უფ-

როსი, ორი-სამი მცირე მოხელე, არტისტი ქალი N და გუბერნატორის ვაჟი სტუდენტი. აგრეთვე მოარტისტე Костя. შეზარხოშდენ.

ნადიმი მოთავდა.

დაშლა ენანებოდათ.

შეექცეოდენ მასლაათით და ვნებიანი ცქერით. ვილამაც დაუკრა პიანინოზე. თავად-მა ლექსი წაიკითხა. არტისტი ქალი N რამდენჯერმე ამღერეს. სტუდენტთან N-ის კეკ-უოკმა ნერწყვი აუშალა ვიცე-გუბერნატორს.

— ბატონებო, ჩვენ შეგვეძლო სცენის მოყვარეთა წრე შეგვედგინა. — შენიშნა პალატის უფროსმა.

— რუსულს ენაზე, სამნუხაროთ, ძალებს ვერ ვიშოვით. — დამოძღვრის კილოთი შენიშნა ინსპექტორმა:

— რატომ? მე ვფიქრობ, რომ ახალგაზრდობა, — თავადმა სტუდენტს გადახედა, — აქ არის, მასწავლებლობა, მოხელეები.

— კომედიებს, ოპერეტებს, თუ N მიიღებს მონაწილეობას, — თავაზიანათ შენიშნა ინსპექტორმა, — რა თქმა უნდა, მოვერევით. მე ერთ ოფიცერს ვიცნობ, უეჭველი ტალანტია, ოღონდ ოფიცერს არ აქვს ნება სცენაზე გამოვიდეს.

— ამას ჩვენ მოვანყობთ, — ჩაერია ლაპარაკში ვიცე-გუბერნატორი, რომელსაც N გვერდში უჯდა და მალულათ უკვე ზომავდა მხარბეჭის სიგანიერეს, — ოღონდ ქალბატონი N ნუ გაგვექცევა ცივ პეტერბურგში.

— კი, მაგრამ დრამა? — ვერ მოითმინა მაზრის უფროსმა.

— ო, თქვენ არ იცით, რა ნიჭი აქვს ქ. ანინის! — წამოიძახა თავადმა, — ჰო, ჰო! ნამდვილი ბარბაროსები ჩვენა ვართ!..

— ერთი, ერთი მონოლოგი, ერთი სცენა!..

— არ მახსოვს, არაფერი არ მახსოვს!.. და ასე უეცრათ!..

— მოითმინეთ, მოითმინეთ! ბატონო ინსპექტორო, — მიმართა დავითმა, რომ იგი გადმოებირებია თავის მხარეზე — ეხლა მოდაშია გასამართლებანი... თქვენ უკეთ გეცოდინებათ...

— როგორ არა! როგორ არა! ძლიერ, ძლიერ საინტერესოა, მაგრამ...

— უკაცრავათ, — შეანყვეტინა დავითმა, რომ მისი სურვილისთვის წინააღმდეგობა არ შექმნილიყო საზოგადოებაში, — ქალბატონი ანინი კიდევაც სწერს... მე მგონია, ვინც სწერს და მსახიობიც არის, ყველაზე უფრო თავის ნიჭს, თუ გნებავთ ორმაგს, — თავადს გაელიმა, — იმპროვიზაციაში გამოიჩინს.

— მშვენიერებაა, მშვენიერება!

— მაშ თემა, თემა!

— თემა თქვენვე აირჩიეთ, ქალბატონო!

— ქალბატონი ანინი მოგვატყუებს: ექნება რამე გაზეპირებული და გვეტყვის. — ოდნავის ბოროტებით იოხუნჯა სტუდენტმა, რომელიც ნაწყენი იყო, რადგან ანინი ამ საღამოს უპირატესობას ინსპექტორს ანიჭებდა, რომ სუსტი შვილისთვის ძლიერი მფარველი ეშოვნა.

— საძაგელი! თავხედი ბალდი! — ბავშურის ყინიანობით მიაძახა ქალმა.

— ჩვენ ხომ ინტელიგენტები ვართ. ჩვენ ვიცით მონოლოგები. — სთქვა ინსპექტორმა ანინის დაცვისათვის.

— მაშინ ძველ ნაწერს წავიკითხავს.

— არც ამას წავიკითხავ და არც იმას.

ამ მუსაიფის დროს თავადი ჩაფიქრებული დადიოდა და პაპიროსს ეწეოდა. უეცრათ იგი შემობრუნდა და იკითხა:

— მოიგონეთ რამე?

— არა, ისევ თქვენ, თავადო.

— სწორეთ გუშინ, თუ გუშინ წინ სადღაც ქრონიკაში წავიკითხე: ასამართლებდენ ქალს, რომელსაც თავისი გაზდილი პატარა ძმა შეუცდენია.

— უ, ეს ძლიერ ძნელია!

— მაგიერათ თუ ამ საქმეში თავი გაიმარჯვა, მე ჩემ თავზე ვლებულობ, არა თუ მოყვარეთა დასის შედგენას — სუბსიდიასაც კი, — წამოატარტლა ვიცე-გუბერნატორმა; მას ძლიერ უნდოდა განმარტოებით N-თან დარჩენილიყო და ყველაფერს იკისრებდა.

— ძმათ აი, ჩვენი სტუდენტი იქნება.

სტუდენტსაც გაუხარდა.

— ანინი, გთხოვთ, გთხოვთ!

ანინი განაზბდა, თან რალასაც ფიქრობდა, მერე უეცრათ ადგა.

— ცოტათი გადავიცვამ. თქვენ აქ მოაწყვეთ. — და გავიდა.

საჩქაროთ დადგეს სტოლი.

ზედ ქალაღები, წიგნები დაჰყარეს. ბრალდებულებისთვის დაშორებით ორი სკამი დადგეს და ჯვებრათ წინ გრძელი სავარძელი ჩამოუფარეს. მსაჯულებათ აირჩიეს თავადი, ინსპექტორი და მაზრის უფროსი, პროკურორათ, დამცველათ და ბოქაულათ ვილაც მოხელები.

ანინიმ ოთახიდან სტუდენტს დაუძახა:

— შემოდით! ბლუზას მოგცემთ, რომ უფრო ბალღათ გამოჩნდეთ. მსაჯულებიც სხვა ოთახში გავიდენ.

ვიცე-გუბერნატორი ახალგაზრდა მოხელებს აღარ ერიდებოდა და სულში უძვრებოდა N-ს.

— რა მაღლიერი ვარ თავადის, რომ თქვენთან გაცნობის საშუალება მომცა.

— ნუ, ნუ! — და კეკლუცობით ხელს ართმევდა, მაგრამ იგი უფრო იზიდავდა.

— დამპირდებით?

— თქვენზეა დამოკიდებული. — არც აიმედიანებდა და არც უქარწყლებდა იმედს N. ბრალდებულები შემოვიდენ. დასხდენ.

ორივე გამოცვლილიყო:

ბლუზას სტუდენტი 14-15 წლის მონაფეთ გარდაექმნა.

ანინის კი საშინაო ჟაკეტი ჩაეცვა, საყურეები მოეხსნა, ბენვის ქუდი დაეხურა — ნამდვილ მასწავლებელ ან კანტორაში მომუშავე 28-29 წლის ქალათ გამხდარიყო.

— სასამართლო მოდის! — დაიძახა ბოქაულმა.

ადგენ.

— დასხედით! — გაისმა ისევ ბოქაულის ხმა.

თავადმა მიწი-მონია ქალაღები, თითო-ოროლა სიტყვა უთხრა გვერდში მჯდომ ამხანაგებს და წარმოსთქვა:

— რადგან ამ საქმის არც ერთი მონმე არა გვყავს, ჩვენ უნდა დავეყრდნოთ ბრალდებულთა განცხადებას; ისინი არ უარყოფენ, რომ მათ წარსული თვის 25, ლამის 12 საათზე ჩაიდინეს საქციელი, რომელსაც სჯის, გარდა კანონის უწყებული სისხლის სამართლის მუხლისა, საზოგადოებრივი აზრი და რომლის გამოთქმა სასამართლოს დარბაზშიაც არ არის სასიამოვნო.

— ყველაზე გამოცდილი და კარგი არტისტი თავადია! — შენიშნა N.

— ვნახოთ, ვნახოთ! — უპასუხა ვიცე-გუბერნატორმა.

— ბატონო ბრალმდებელო, პირველი სიტყვა თქვენ გეკუთვნით.

— ბრალდებულთა საქციელი ისეთი საზიზღარია, ისე აღშფოთებულია საზოგადოებრივი აზრი ყოველთვის, როცა ასეთ საგანზე შეიქნება ლაპარაკი, რომ მე ზედმეტად მიმაჩნია ლაპარაკი და ვთხოვ მხოლოდ სამსჯავროს, სისხლის სამართლის უმაღლესი სასჯელი მიუ-

საჯოს, მით უმეტეს, რომ ორივე, თუმცა ფაქტს ბოროტმოქმედებისას არ უარყოფენ, დამნაშავედ თავის თავს არ სთვლიან, არ ინანიებენ და პატიებას არ თხოულობენ. მე გავათავებ.

**თავმჯდომარე:** სიტყვა ეკუთვნის დამცველს.

**დამცველი:** ბატონო მსაჯულნო, ამ საქმის გამო ჩემს გულში იბრძვის მოქალაქისა და დამცველი-ვექილის გრძობა. როგორც მოქალაქეს, მე არ მსურდა ამ საქმეში მიმელო მონაწილეობა, მაგრამ დანიშნით მე უნდა გამოვიდე დამცველათ, როგორც ვექილი. მე მხოლოდ მოვითხოვდი ბავშვის განთავისუფლებას, რადგან იგი უნებური მსხვერპლია უფრო ძლიერი პიროვნების, საზოგადოებრივი ზნეობის საშიშ დამრღვევის, რომლის შესახებ რა მეთქმის მეტი, თუ არ მოგმართოთ თხოვნით — იქონიეთ სულგრძელობა საზოგადოების ამ გამხრწნელისადმიდაც!

**თავმჯდომარე:** უკანასკნელი სიტყვის უფლება ეძლევა ბრალდებულს.

— ნეტარების ერთი წამისთვის დასჯას მიპირებთ; ამიტომ გრძლათ უნდა აგინეროთ გაჭირვების და მწუხარების წლები.

დედა-ჩემს მივასვენებდით; მთვრალი მამა სადღაც მიიკარგა; მეშინოდა სახლში მართო დარჩენილ ბავშვს არაფერი მოენია, ავიყვანე და კუბოს ახლო, დროგზე დავსვი. პანია არც კი შემკრთალა; მე თვალზე ცრემლს ვერ ვიკავებდი; ის დახურულ კუბოს მოკლე თითებს ურტყამდა და გამვლელ-გამომვლელთ ყურადღებას იპყრობდა თავის ქნევითა და სიხარულისგან გამონვეულის ღიმლით.

სასაფლაოდან ჩვენ არვინ გამოგვყოლია. მთელი უკეცი გზა სახლამდე გულზე ახუტებული მომყავდა.

ამ დღიდან, როგორც დედა, ვურწევდი აკვანს და ქალწულებრივ უმწეო ძუძუს პირში ვუჩრიდი.

ჩვენს პატარა, მყუდრო ოთახში მხოლოდ ალერსი, სიყვარული მეფობდა, უსიამოვნებისთვის ადგილიც კი არ გვექონდა: ხმა მალლა ვერ ვილაპარაკებდით. რადგანაც მდგმურები აგვიქაქანდებოდენ და ერთმანეთს რომ გავებუტებოდით, სად დავეტეოდით ერთ ციდა ოთახში... მოვნათლე, ლადო დავარქვი...

— საქმეს დაუახლოვდით. — შენიშნა თავმჯდომარემ.

და-ძმურათ ხელგადახვევით დავდიოდით ჩვენ სასეირნოთ და როგორც მიჯნურნი ვეალერსებოდით, ვკოცნიდით, ვსჭვრეტდით ერთმანეთს.

— საქმეს დაუახლოვდით. — ხელ-მეორეთ შენიშნა თავმჯდომარემ.

— ყველიერი იყო.

ლადო წავიდა, ბალში ვარ დაპატიჟებულიო.

დავწევი.

ძილი გამეფრთხო.

ვფიქრობდი ბალზე: რამდენი სიამოვნება იქნებოდა იქ. რამდენს ექნებოდა პაემანი დანიშნული. რამდენი დასტკებოდა დღეს სატრფოს სიახლოვით, ტკბილი სიტყვებით, ალერსით, ამბორით, ცეკვით.

მე კი არაფერი მერგება ჩემს ცხოვრებაში.

თავი მეცოდებოდა და თან თავს ვინუგეშებდი, რომ ლადო მაინც ბედნიერათ გაატარებდა დროს; რაც მე დამაკლდა, ვიმედოვნებდი, იგი შეივსებს, მას ერგება წილადა.

მთელს ტანს რალაც ყრუანტელი უვლიდა. რალაცა მსურდა, ხან და ხან ტირილი მიწოდოდა. ცრემლი იგი ტკბილი იქნებოდა.

ხშირათ მომსვლია აგრე. ხშირათ რალაც სინაზეს დაუვლია მთელს ტანში, ხშირათ უფრო რბილათ, მსუბუქათ მიგრძენია თავი, მომდომია, რომ ვისმე დავეკუმშე, დავემტვრიე, შევებოჭე, შევეკარ, და ასეთ წამში თუ ცრემლი, ჩუმი ცრემლი გადმომსვლია, ყოველთვის განმიცდია სიამოვნება.

უეცრათ ის დაბრუნდა.

გამიკვირდა.

— ასე მალე?

— მომწყინდა და დავბრუნდი. — მიპასუხა მან.

სახე ჩაფეთქილი ჰქონდა. ქუდი შუბლზე დაკვროდა. ხმა უთრთოდა.

— მართაღს რათ არ მეტყვი. შენ ნანყენი ხარ...

— ელენემ მანყენია.

ელენე იმ ოჯახის ქალი იყო, სადაც დღეს ბალში იყო ჩემი ბიჭი.

— რითი? როგორ?

— ჩემთან არ ინდომა ცეკვა.

— რატომ?

— უსათუოდ რადგან თეთრი ხელთათმანები არ მქონდა. პიპეცკის ვაჟს კი ყვავილი ჰქონდა გულზე, ნაზის სურნელებით იყო ნაპკურები, ლაიკის წაღები ეცვა და თეთრი ბამბასავით, ნაზი ხელთათმანი.

— მერე რათ არ გამომართვი ფული, ხომ იცი, ცოტა კიდევ მაქვს.

— ეჰ, თუ სურვებოდა ჭინჭებში არ გამცვლიდა.

ცრემლები მოერიდა.

— სხვას უკეთესს ნახავ. ცხოვრებას ეხლა იწყებ. მაგისტანა გომბიოსთვის კი არ უნდა შეინუხო თავი. — ვამშვიდებდი მე.

ჩემი დასამშვიდებელი სიტყვები უფრო აღელვებდა, მგონი.

— ეხლა კი ღამე მშვიდობისო. — მითხრა. მოვიდა, ჩვეულებისამებრ მაკოცა, და თავის ლოგინზე დაჯდა.

გაიხადა სერთუკი, გაიხსნა განამებული საყელო და სახელო. დასაწოლათ ემზადებოდა. მე მეორე მხარეს გადავბრუნდი, რომ თავი მძინარეთ მეჩვენებინა. ისიც დაიძინებს და დამშვიდდება-მეთქი, ვფიქრობდი, მაგრამ ისევ წამოდგა. სიარული უნდოდა. უსათუოდ ჩემი მოერიდა, ძილი არ შეუკრთოვო: წაღები გაიხადა და ჩემს ფოსტლებში გაჰყოფენი. პატარა ოთახში სიარული უხერხულათ ეჩვენა და სუფრას მიუჯდა. რალაც წიგნი აიღო. გადაშალა. ვამჩნევდი — არ კითხულობდა.

მკლავით სუფრაზე დაეყრდნო. თავი ხელს დაადვა. თეთრი გრძელი თითები გამოკრთოდა შავათ ბრჭყვინავ თმებში.

ჩაის ყვავილის ერთ ფოთოლს ჰგავდა პატარა ყური.

რძე და ღვინის ფერი ჰქონდა კისერი.

შევცქეროდი და ვფიქრობდი: სწორეთ ლენჩი უნდა იყოს ქალი, რომ ამ განხორციელებულს სიყმანვილეს, მშვენიერებას არჩიოს ლაიკის წაღები, ხელთათმანები, ყვავილი და სურნელებანი. რა მშვენიერია! ჩემს ძმათ არ არის დასასახი. რაც კი შემეძლო, ყველაფერი უარყავ მაგისტის: დედა, ძიძა, გამდელი, მამა, მასწავლებელი, მეგობრები... უნდა ვიქნე საყვარელიც...

ამ აზრმა უეცრათ გამიელვა თავში. სირცხვილით ისევ გადავბრუნდი მეორე მხარეს, გადავიხურე საბანი. ამით ვფიქრობდი ეს ცუდი, არაბუნებრივი აზრი სადღაც შორს გადამემარხა, ჩამეჩქმალა, გამექარწყლებია.

ამაოდ.

უნებლიეთ შემომებრუნებია თავი და უცქეროდი თეთრს პერანგს.

რა უცხო ტანი ექნება ამ თეთრს პერანგს ქვეშ. რა ხავერდით ნაზი იქნება კანი, როცა ხელს დაუსვამ და რა კაჟით მაგარი, როცა პირდაპირ დააჭერ თითს. აი, მკლავებთან თეთრი პერანგი აწეულია. იქ კუნთებია — იმათ ესტარიც ვერ გაჰკვეთს. თეთრი პერანგი მიზიდავდა თავისკენ, ვით ჩიტს გველის თვალები.



— დააქრე ლამპა. — ჩუმათ ჩავილაპარაკე, რომ ხმის ცვლილებაზე არაფერი შემემჩნეოდა.

მას არაფერი გაუგონია.

რომ დაექრო ლამპა, მე გადარჩენილი ვიყავი.

მეორეთ აღარ გამიმეორებია. რალაცა მომანვა გულზე.

ეს თეთრი პერანგი, როგორც ჯადო ისე მიზიდავდა, მიძახდა ადამიანის სიტყვით: მოდი, მოდი.

წამოვდექი, ნელა მივეპარე. მაგრამ შემეშინდა. ერთი ხელის შეხების შემდეგ ვიცოდი ყველაფერი გათავდებოდა, ყოველივე უკან დაბრუნების ძალა წამერთმეოდა.

თავზე ვადექი. თვალეები დახუჭული ჰქონდა. თვლემდა. წამნამების ჩრდილი ლოყამდის წვდებოდა. ტუჩები, ყაყაჩოსავით წითელი, გახსნოდა. თეთრი კბილები ბასრ დანებივით ჰკიანთებდნენ.

— რომ დამცინოს, ხელი მკრას, შემიძულოს, მაშინ რალა ვქნა? — გამიელვა თავში. თოფ-ნაკრავივით გამოვტრიალდი. დავწევი ისევ. გადავიბურე ისევ საბანი. ის ყმანვილია. სულ თუთხმეტი წლის. მე კი, დამინუნებს, ხელს არ მომკიდებს. ან და რათ. გადავაგდე საბანი. დავიხედე ხელებზე, მკლავებზე, გულ-მკერდზე. არა, არ დამინუნებს, ვერ დამინუნებს. არსად არ სჩანს ნაოჭი, სპეტაკია და ნაზი აბრეშუმის ხავერდივით ჩემი ტანი. მკერდი კუკურივით სდგას. ერთი ბანალი არ მაქვს. ფეხები პატარა, არც ერთი თითი არ მაქვს მოღუნული, კორძიანი. თვით ქუსლები ისეთისვე გამჭვირვალე კანით არის, რომ ოდნავ მოცისფრო ძარღვები გამოსჩანს.

წამოვდექი და სარკეში ჩავიხედე.

თვალეებში რალაც სისოვლე ჩამდგომოდა, და თვით თვალეები, თითქოს ტბაში შავი მტრედები დასცურავნო. ტუჩები წითელი, ვით ახლად გაკვეთილი ცოცხალი ხორცი, თრთოდნენ; აღერილ კისერს, მოღუნულ ცხვირს, ყურებს, თეთრს მრგვალ ნიკაპს ვერ შემამჩნევდი, სად იწყებოდა და სად თავდებოდა, ისე მწყობრად გადადიოდა ერთი ასო მეორეში. და შავი თმა ჰბურავდა თავს.

გავიშალე თმა. მოუფიქრებლად ამოვიღე საუკეთესო, თხელი, კრუჟევეებით განწყობილი, გულ-ამოჭრილი, უსახელო პერანგი და გამოვიცვალე. დუხის მთელი ფლაკონი გადავისხი, გადავასხი აგრეთვე ლოგინს. ისევ დავწევი.

გაძლევთ სიტყვას, მოსამართლენო, რომ ყველა ეს შემდეგ მოვიგონე სატუსალოში, მაშინ კი ვმოქმედებდი, თითქოს ძილში... რომ გეკითხათ, რათ ჩავდიოდი ამას, უსათუოდ ტირილს დავიწყებდი, ავთრთოლდებოდი, შემრცხვებოდა, მაგრამ ვერ გეტყვოდი, რადგან მე თვით არ ვიცოდი ჩემი მიზანი.

დავწევი. უსათუოდ დიდხანს უყურებდი. ვტკბებოდი და ვერ ვძლებოდი.

დიაგანალის მოსხეპილი შალვარი ნათლად აჩენდა განგებ ჩამოსხმულ ქვედა ტანს. ფოსტლებზე ცერებით დაბჯენილი პატარა ფეხები ხორცისფერ წინდებში სალოკავ შაქრის ყინულათ მეჩვენებოდა. თითქოს ვგრძნობდი მათ ნელ-ნელა დნობას პირში, და ვყლაპავდი ნერწყვს.

— კიდევ არ გძინავს? — დევეკითხე.

არ გაუგონია.

— რა მოგივიდა, შენ გენაცვალე? — უფრო ხმა-მალლა დავუძახე.

— ა, — გამოირკვა ბურუსიდან ლადო, — არაფერი, რალაც არ მეძინება.

— შენ რალასაც სწუხხარ. მოდი, მითხარი ყველაფერი, იქნებ ისეთი სამნუხარო არ იყოს რა.

— არაფერია, არაფერი, ეხლავე დავწევები.

— მეც კი მიმალავ. აღარ გყვარებივარ ძველებურათ. მაშ დაიძინე. — ვუთხარი მე.

ჩემს ხმაში ტირილი გამოისმოდა უსათუოდ.

— შენ რალა გატირებს. მე ვარ უბედური და არა შენ.

— შენ უბედური იყო და მე ბედნიერება შემიძლია?

— არა, არა, არც მე ვარ უბედური. ოღონდ შენ დამშვიდდი.

იგი მოვიდა ჩემდა დასამშვიდებლად, თავზე ხელი გადამისო და შუბლზე მაკოცა.

— დაჯექი, მიაბზე ყველაფერი, შენ კი შემოგველოს შენი, არ ვიცი, რა დავუძახო ჩემს თავს...

იგი მარჯვენა ფეხით ჩამოჯდა ლოგინზე, მარჯვენა მუხლი მოიკეცა და ხელი ბალიშზე დაადვა.

მის მარჯვენა მკლავს მე თავი დავადევი.

— იცი, მე შენი მასწავლებელი ვიყავი. შენ ყოველთვის მეუბნებოდი შენს მწუხარებას, მეკითხებოდი, თუ რამე შენთვის გაუგებარი იყო.

მე ნელ-ნელა ვინეოდი ზევით ბალიშისაკენ, სადაც იგი იჯდა.

— მე აი, ასე ხელში ახუტებული დამყავდი.

მე შემოვხვიე მარცხენა ხელი ყელზე.

— გადაგილილნიდი გულს.

მე გავუხსენი პერანგის შუა ფოლაქი.

— და როცა შენ ტირილს იწყებდი, როგორც ძიძა პირში მოგცემდი ჩემს უმანკო, ურძეო ძუძუს. შენც სძიძგნიდი.

მე უსვამდი მის ტუჩებს ძუძუებს.

— ეხლა კი ვილაც ელენესთვის — მე ავინიე მთლად ზევით. მის ლოგინზე მორთხმულ მუხლს დავანევი ერთის ფეხით — გსურს დამტანჯო, შემანუხო, თავს უბედურს უძახი და მაშ, მე რა ცეცხლში ვინვი, არ ვიცი.

— მაკოცე! მაკოცე, აი, ასე, როგორც მე გკოცნი.

ერთი და ორი ვაკოცე, ცეცხლით, შვეებით, ნეტარებით.

— შემხედე, განა მე უარესი ვარ ვიდრე სხვა.

პერანგის უკანასკნელი ფოლაქი გავუხსენი.

— ჩვენთვის სხვა არავინაა ქვეყნათ. ჩვენ ორი ერთმანეთის ბედნიერებისათვის ვართ გაჩენილი.

და მის მკერდის ქვეშ დავენაფე კოცნით, თითქოს როგორც ფუტკარს მოსდომოდეს ყვავილისაგან მთელი სიტკბოების ამონუნუნა.

— შენ მიკლავდი დედის, დის, მონაფის, მეგობრის ჟინს, ეხლა შენ იქნები ჩემი სატრფო.

— მაკოცე! მომხვიე ხელი! შემენეპე, ჩვენ ერთმანეთის ვართ სისხლით, სულით და ხორციით!

და მე ვკოცნიდი ტუჩებში, თვალში, ყურზე.

გაშტერებული, განცვიფრებული ანგარიშ-მიუცემლათ ისიც მხურვალედ მკოცნიდა.

— ჩემს სხეულს ჯერ სიოც არ მოხვედრია სიყვარულისა, როგორც შენსას. დავნვათ ერთმანეთი — მე ამდენი ხნის შენახულ წმინდა ცეცხლით, შენ სიყმანვილის ელვასებრ აფეთქებით. ვნახოთ, რომელი უფრო ძლიერია.

გულზე დამადვა მარცხენა ხელი, გადამწია ბალიშზე და ჩემს ტუჩებს არ გაჰშორებია...

მე განგებ დანვრილებით, გრძლათ მოგიყევით ამ წუთების ნეტარების აღწერას.

იგი ისე ტკბილია, ისე უსაზღვროა, რომ თვით მოგონება ჩემი ბევრად უფრო მეტს ნეტარებას მაგრძნობინებს, ბევრათ უფრო ბედნიერათ მხდის, ვიდრე შიში დასჯის წინაშე. გარყვნილებაო! განა შეიძლება გარყვნილება იქ, სადაც ორი სული შეერთებულა მინიერ სიამოვნებისთვის?! ნასყიდი და გაყიდილი, ნაანგარიშევი სქესობრივი განწყობილება გარყვნილება, თორემ როცა გული იძახის, იქ გარყვნილების მორევიც იწმინდება...

იმ წამებით მე ისე მდიდარი ვარ, რომ შემინდვია მამი-ჩემისთვის მისი ჯაშუშობა, შემინდვია ქვეყნიერებისთვის მისი ჩემდამი უღმობლობა, შემინდვია თქვენთვის ის სასჯელი, რომელსაც მე მომანიჭებთ უეჭველია. ლადო წმიდაა, ვით ელვა ცისა, მე წამწვი ვარ კელაპტრისა.

ქალი გაჩუმდა. დაჯდა.

— არაფერს აგვიხსნით მამი-თქვენის მკვლელობის შესახებ? — შეეკითხა ბრალდებულს სასამართლოს თავმჯდომარე.

ქალი ისევ წამოდგა.

— ყოველ თქვენთაგანს ჰყვარებია უსათუოდ. მაგრამ თქვენი სიყვარული ისე არ ჰგავდა ჩვენს უსაზღვრო ტრფობას, როგორც ლეში, აჩრდილი უსაგნო. ყოველ შეხებაში წლების უღიმღამო ცხოვრება ჰქრებოდა, ყოველი ალერსით მთელი სიცოცხლის ტანჯვა-ვაება იყო გამოყიდული.

უეცრათ საიდგანაც მთვრალი მამა წამოგვადგა თავს.

დაიწყო ყვირილი. სტაცა ხელი დიდ ჯოხს და უნდოდა ამისთვის დაერტყმია.

ის კი კუთხეში ატუზულიყო და ვერ ინძრეოდა.

როგორ მივუშვებდი მასთან მამას. ფუტკარი თავს შეაკლავს და თავის საფუტკერეს, თავის თავფლს არავის დაანებებს. ჩემთვის კი იგი ყველაფერი იყო.

წინა გადაველობე, ერთი ორი დამკრა. ვეცი. ჯოხის წართმევას უპირებდი, მან კი კარი გააღო და დაიყვირა: полиция. ტუჩზე ხელი დავაფარე, კარებიდგან გამოვსწიე, მაგრამ ვერაფერი მოვუხერხე. იგი კარებში გავარდნას აპირებდა და ყვიროდა, როგორც კი მოახერხებდა. ვატყობდი, ძალა მჭირდებოდა. ეს უღმერთო კი არ დაგვინდობდა. სუფრაზე დავინახე პურის დანა, ვსტაცე ხელი და სადღაც ჩავკარი. მამა წაიქცა. მე გული წამივიდა. მამა მაშინვე არ მომკვდარა, ჩვენების მიცემა კიდევ მოასწრო. შეიძლება არც ჭრილობით მომკვდარიყოს, ლოთობამ, ათასჯერ ცემამ, ურიგო ცხოვრებამ მოუსპო, შეიძლება, სიცოცხლე, მაგრამ ეს სულერთია.

ქალი დაჯდა. გვედრში მყოფ მეორე დამნაშავეს ჩაუფუჩუნა.

— შენ არაფერი სთქვა. ორივეს დასჯას მე დავისაჯო მარტო.

— არ შემიძლია.

— შენ ჩემი ხარ და ჩემს მუდარას, ბრძანებას ვერ გადახვალ. ჩემთვის მეტი ბედნიერება შეუძლებელია, ვიდრე შენ გნახო ბედნიერი. მე გავათავე ცხოვრება — შენ იწყებ. თანაც დანაშაულის გაზიარება შესამჩნევათ არ შემიღავათებს სასჯელს.

აქ მოხდა საშიშარი, საკვირველი და საზიზღარი.

ორივე ერთმანეთს ჩაეკონენ. ყველანი გაშტერდნენ. მხოლოდ ერთმა მოსამართლეთაგანმა მოახერხა ეთქვა:

— არაფერს არ გავს — გააშორეთ!

დავით კომბინატორი ადგა.

ბოქაული: ადექით! სასამართლო სათათბიროთ მიდის.

N-მა ტაში დაუკრა.

— მე რატომ არ მომცა სიტყვა? — საყვედურობდა სტუდენტი.

— არა, ეს დაარღვევდა შთაბეჭდილებას.

— თუნდაც არ გავამართლონ, ქალბატონო, დასის შეკრება და სუფსიდია ჩემს თავზე იყოს.

— დიდებულები მსახიობიც ყოფილხართ და იმპროვიზატორიც.

სასამართლო გამოვიდა, ეხლა უკვე სადათ და დავითმა განაცხადა:

— რადგან სასამართლო ერთ დასკვნამდე ვერ მივიდა, ამიტომ თათბირი გაგრძელებული იქნება ქალაქ გარეთ, წყლის პირათ, სანამ მოგვიმზადებენ მწვადსა და ღვინოს.

— ძნელი როლი იყო, მაგრამ ჭეშმარიტად სძლიეთ. — ეუბნებოდა ინსპექტორი ანინის.

\* \*

ნამდვილათ კი ყველაფერი დავით კომბინატორის მოხერხების, და თუ გნებავთ, არტისტიული ნიჭის ნაყოფი იყო: მთელი საღამო მას წინადაწინვე გამოანგარიშებული, შედეგენილი ჰქონდა, და არავინ მას წინასწარ მოლაპარაკებით არ დახმარებია.

გააღეს ქუჩიდან შემოსასვლელი კარი და უნდოდათ გამოსვლა, რომ დაინახეს ორი შეიარაღებული ყმანვილი, რომელთაც ზრდილობიანათ, მაგრამ გადაჭრით ბრძანეს:

— უკანვე შებრძანდით...

— რა გნებავთ? — გულმოსული შეეკითხა მათ დავით კომბინატორი.

— შებრძანდით და გაიგებთ...

— აქ ვიცე-გუბერნატორია.

— რომ გვცოდნოდა, მართალი მოგახსენოთ, არ მოვიდოდით — ჩვენ უფრო თქვენს მეგობრებს, ვაჭრებსა და ფულიან ხალხს ვუცდიდით, მაგრამ ახლა გვიანდაა... გვიბოძეთ, ვისაც რა გაქვთ.

ამოიღეს საათები, პორტმანები, ბეჭდები.

ქალებს გაუჭირდათ საყურეების გამოღება, მაგრამ არჩილმა უთხრა მათ:

— დაიტოვეთ — ძვირფასი არ უნდა იყოს მაინცა და მაინც.

ქალები, როცა მათ მოიგონებდენ, ხშირათ დაუმატებდენ: А все таки он душка и душка.

ასეთი თავხედი თავდასხმა არ იყო გუბერნატორისათვის ხელსაყრელი, და ამიტომ თუმცა ბრძანება იყო გაცემული, როგორმე დაეჭირათ ყაჩაღები, მაგრამ გახმაურებას, გაზეთების ორომ-ტრიალს მაინც მოერიდენ და ინსპექტორის დუმილი ყველასათვის სასიამო გამოდგა.

დიდხანს ვერც კი გაიგეს, ვინ იყო ეს ორი ყმანვილი, შუაქალაქში თვით ვიცე-გუბერნატორს რომ აართვა, რაც რამ თან ჰქონდა.

ნიკო ლორთქიფანიძე

(დასასრული იქნება)

## Genesis

*წარმართი დავრჩი მზისადმი,*

*მალმერთებელი მთვარისა.*

წინაპრად მყავდა შანშე წარმართი,  
მზეს ლოცულობდა, მთვარეს ფიცავდა;  
მან აიარა მძიმე აღმართი,  
თან არსებობას ბრძოლით იცავდა.

ტომით ქართველებს ჩემს ძველს წინაპრებს  
გულში მახვილი მაინც არ ასცდათ;  
წითელის სისხლით ღებავდნენ სანგრებს,  
მტრებთან შეტევას სთვლიდნენ დიდს განცდათ.

და ძლიერ ჯარის მძლე მთავარსარდლებს  
თავს ძირს უხრიდნენ მეფის დროშები;  
ვინ მოსთვლის იმათ თავგადასავლებს,  
უტარებიათ ზოგჯერ დრო შვებით.

ხალხს უშენებდნენ უდაბნო ადგილს  
ქვიტიკირის სოფლებს, ციხე-ქალაქებს;  
შეექცეოდნენ ზეიმით ნადიმს,  
იტყოდნენ შაირს, ქსოვდნენ არაკებს.

თან გადაჰკრავდნენ ღვინოს ყანნებით,  
მღერდნენ: „მოგროვდით და ლხინს ან ებით!“  
მათებრ აროდეს დავიქანცებით:  
მინდვრად გუთნებით, წნელის ფარცხებით!

ჩემში მოგროვდა ზღვად მათი გრძნობა.  
მკერდექვეშ რაც ღვივის, არ არის მტრობა:  
ამას მეტყველებს სახე გაშლილი,  
შუბლზე ნაოჭი ბედით ნაშლილი.  
არწივის თვალი, მზერის გამძლები! —  
ერთგულს სიკვდილში დავენაცვლები.

ვმღერი რაინდულს, ავანთო მხდალი,  
ბრძოლის ველზედაც გავალ თუნდ მარტო,  
ოღონდ სხვას მივცე მე მომავალი,  
და ცხოვრებაში გზა წარუმართო!

*სანდრო შანშიაშვილი*

## ბრძენი-მასხარა

*ცხოვრების გზაზე ვარ: შემცდარი, ბრძენი, მხედარი!  
ზოგჯერ: ჯამბაზი, მოთამაშე, დაუდეგარი.*

ვერავის ვენდე ცხოვრების გზაზე  
და მარტო დავრჩი საკუთარს კარზე,  
ჩემივე სულის უსაზღვრო ბანზე!

ველი შორეულს ჩემს დიდს მომავალს,  
ერთხელ მემკვიდრე ხმას აიმაღლებს;  
ჩემს გზას განაგრძობს წამებით ნავალს,  
როცა ჩემს ჩანგურს ის ხელს შეახებს.  
შეეთვისება ჩემს გარდასავალს  
და რავდენს განცდას კვლავ განაახლებს.

ამ ცხოვრებაში ერთი დამცინის  
და აღტაცებით მეორე მაქებს;  
თვითეულს ვკითხავ: ყველა ეს რისთვის?  
მიმღერენ ამბავს ძველთაგან ნაქელს.



ო, ეს რაოდენ მოსაწყენია.  
სიტყვა გულწრფელი ჯერ არ მსმენია!

ძმაო! ჩემს შემდეგ მოხვალ დიდებით  
და ეგ სახელი ჩემიც იქნება;  
მე სამარეში მტვერი ვიდები,  
შენგნით სოფელი გარდაიქმნება!

და ვიდრე ვცოცხლობ, რად ვარ მასხარა?  
მეტყველი ენა რად დავამუნჯე?  
ვისმა სიმძიმემ გრძნობა დახარა,  
რომ ვსთქვი: ეგ იყოს ყველასთვის ფუძე?!  
ეხ, გულუხვობამ თვალნი დამთხარა! —  
გამოვდექ ერთი ბრძენი-მასხარა!

ჩემი სიმდიდრე უვიცის ხელში  
რამ სათამაშო ნივთი გამხდარა;  
ვგმობ, მაინც მიყვარს ყოფნა სოფელში,  
მინდა ცეცხლს მივსცე, რაც კი წამხდარა!  
ვნატრობ მარადის ბრძენი-მასხარა!

*სანდრო შანშიაშვილი*

## **ცხრაას ხუთი წელი**

(1905–1925)

### **I. მათ სსოვნას**

თქვენ, ვინც აენტეთ რიჟრაჟების პირველ ნათელით,  
ბარიკადებზე გადმოჰფინეთ სული აღმებათ,  
წმინდა მებრძოლებს სიყვარულით მოგესალმებათ  
რევოლუციის ფრთებ-მაგარი კორიანტელი!

თქვენს ამაყ მკერდზე აღიმართა გზა ეხლანდელი,  
თქვენი ძახილი აგუგუნდა მძლე გრიგალებათ:  
მთელი მსოფლიო დაიბზარა ცეცხლის რკალებათ,  
და ძველ ქვეყანას სასიკვდილო სწავას ჟრუანტელი!

თქვენი ოცნება ათასი მზის შუქით დაჰფერავს  
რღვევის ქაოსში თვალ-ამღვრეულს ზეცას ნისლიანს.  
წითლად რომ ღებავს საუკუნეს — თქვენი სისხლია!

უკანასკნელი ქარტყილი კიდე დაჰბერავს,  
რომ განიავდეს უმძიმესი კაცთა ნალველი,  
და ძლევის ალით აციმციმდეს თქვენი სახელი!

## II. მოქადაგე

სოფლად დაირხა ხმა უცნაური,  
რომ მოქადაგე, როგორც იესო,  
ნახეს იმ ღამით... გაშლილი ეზო  
გაივსო ხალხით... და მეთაური  
წმინდა გიორგის ხატს აფიცებდა  
ყველას, ვინც ბრძოლის სურვილით იწვის...  
ერთობის ძალა დაამინებდა  
მოძმეს უპირულს, გამტეხელს ფიცის...  
ნახეს... და რწმენა მოედო გულებს,  
სახეებს შვენიის უცხო იერი.  
საუკუნეებს, როგორც უფსკრულებს,  
მონა ბედკრული და ნაშიერი  
უცებ დახედავს შვეებით მაღლიდან,  
და უკვირს — ამდენ ვაებით საცსეს  
წელთა ზღვა სიდან საით ახლიდა  
სისხლით და ძვლებით მოფენილ გზაზე...

იყო ბატონი მოუხეშავი,  
და როგორც რკინის ულელი მძიმე,  
იდგა ამაყად და სალ კლდესავით  
ჰფარავდა ჟამთა უამრავ მღვიმეს...  
მიწა ოფლით და ცრემლით დახრული  
გადაექსელა ჯაჭვებს, მავთულებს...  
აღსდგა მხოლოდ ტკბილი მაყრული  
სასახლეების მაღალ სართულებს...

ეს იყო წინედ... ახლა კი მაღლა  
სდგას მოქადაგე ამაყი, მტკიცე;  
სიტყვათა ცეცხლი შეარხევს ტალღას  
და დროშის ფრთები სულ ზევით იწევს,  
რომ გადალექოს ცაზე გაკრული  
ძველი ცხოვრების ნაშთი — ნისლები,  
აღსდგეს მრისხანედ ხალხი ჩაგრული,  
გაკაჟებული მაღალ მიზნებით...

ვილაც იდუმლად ჩამოკრავს ზარებს —  
ეს მოქადაგის სიტყვა ხმაურობს:  
„მებრძოლთა რაზმი ამსხვრევს იქ კარებს,  
რომ კიდით-კიდე იმოგზაუროს:  
პეტერბურგიდან ყველა ქარხანა  
ტფილისის ბჭეზე ანთებს მზის ალებს;  
მუშებს უპყრიათ ძველი ბარცხანა  
და უყივიან ძღვევის გრიგალებს...  
ამ საუკუნეს ხალხი დასალტავს

აელვარებულ ფოლადის ნებით;  
და წმინდა ძმობა გზებს გადანალდავს  
თავისუფლების ასხივოსნებით...“

და ისევ ვილაც ჩამოკრავს ზარებს,  
დროშების ფრთები მიილტვის ზევით.  
ხმათა გრიალი შეარხევს არეს  
და საპასუხოდ იხივლებს ხევი...

დაიშლებიან... და ბნელ ქოხებში  
სწვავენ ღამეებს ნათელ ოცნებით:  
„იეღვებს ალი მთის ორნოხებში  
თავისუფლების ასხივოსნებით!..“

### III. ტერორისტი

სდუმს მღელვარებით მწვავე ლოდინში  
სული მებრძოლი და მხნე მკლავები;  
ელის გურია, ელის ოდიში,  
თუ ოდეს უხმობს ასისთავები.  
და ფიქრობს ქართლი მძიმე ფიქრებით,  
ალაზნის ველზე ქარი დუდუნებს;  
ვილაცა მწველი ვნების ისრებით  
მარსელფოზას დააგუგუნებს.  
ტფილისს გუშაგობს ნაძალადევი,  
საწყობი ყველა მფეთქავ ნაღმების.  
და სოლოლაკის ცხრათავა დევი  
დაიბურება შიშის თალხებით...

უცებ ყუმბარა დასჭექს მეხივით,  
შედრკება ქუჩა ხმა-გაკმედილი.  
და ქვაფენილზე სცვივა ნეხვივით  
მტარვალის ლეში გულ-დაფლეთილი...  
დასჭექს ყუმბარა და ხმებს ზარიანს  
მოჭფენს ნიავი მთებსა და ველებს:  
ეს — გრიგალის წინ ნელი ქარია,  
ბრძოლის წყურვილით გულს რომ ახელებს.

„ო, ვენაცვალე მე შენს მარჯვენას,  
შენი ჭირიმე, ჩემო ძამია!..“  
„დასწყევლოს ღმერთმა მათი გაჩენა —  
დაჰკარით თავში გველებს შხამიანს!..“  
ასე გადადის სოფლიდან სოფლად  
შორს აფეთქებულ ყუმბარის ალი.  
სახეებს ჟინი გადაეჭორფლა,  
შურისძიებით გამომზირალი.

კრებაზე ჯგუფი ფრთხილად თათბირობს...  
 „ჰე, ამხანაგო, გასწიე ნასკვი!  
 გერგო!.. ჯალათს, ვინც ჩვენზე ნადირობს,  
 ყუმბარის ცეცხლი აგემე, დასწვი!..“

იყო ჭაბუკი ოცნებით მთვრალი,  
 და შეჰხაროდა მხარეს შორეულს,  
 გულს უღვივებდა მზის ნაპერწკალი  
 და წინ იწვევდა გრძნობა-მორეულს...  
 და ელის იგი ქუჩის ნაპირას,  
 რომ მტერს ხალხისას შეხედეს პირისპირ...  
 „წმინდა ძმობისთვის შენ თავს გასწირავ“, —  
 თითქო დედის ხმა უმლერს ძილისპირს...  
 აგერ მოჰქრიან მარდი ცხენები...  
 გასროლილ ნალმით აფეთქდა ქუჩა...  
 დაეცა მტერი... ცეცხლის ენებით  
 სახლები ირგვლივ გადაირუჯა...  
 მაგრამ ჭაბუკიც გულ-გაფატრული  
 დაეშვა... უცხო სიღრმე ჩასძირავს...  
 და თითქო ესმის ხმა მონატრული:  
 „წმინდა ძმობისთვის შენ თავს გასწირავ!..“

#### IV. წითელი რაზმი

ასე გადადის სოფლიდან სოფლად  
 შორს აფეთქებულ ყუმბარის ალი.  
 სახეებს ჟინი გადაეჭორფლა,  
 შურისძიების გამომზირალი.  
 მრავალი წლების დაგუბდა ბოლმა,  
 განახლდა მწვავედ ძველი იარა.  
 და გასძახიან გაღმა-გამოღმა:  
 „ჩასჭიდეთ, ძმებო, ხელი იარაღს!..“  
 ერთია მიზნის აკაშკაშება,  
 ერთ ხმაზე მღერის ათასი კილო:  
 ძღვეით წინ გასწევს მზიურ რაშებათ  
 ძალა ნათელი და უბორკილო...  
 სული შეჰხარის შვებით ალიონს,  
 დეე, გაშუქდეს ყოველი კუთხე...  
 მოხუცი გრძნობით მოსწევს ყალიონს  
 და ძველ მტარვალეებს შემოუკურთხებს.  
 ახალგაზრდობა ბრძოლის ჟამს ელის.  
 ეს რაზმი ქარზე უფრო ჩქარია.  
 აღმართვენ დროშას ფოლადის ხელით  
 და ბრძოლის ველზე მიუხარიათ.  
 მკერდებს უმშვენებთ ჭრელი სირმები,  
 და ბერდანკები — ლამაზ ჩაქურას.

ოცნება სულში ნაციმციმები  
ეხვევა ზეცის მაღალ სახურავს...

ცხოვრებამ ხავსი შემოიცალა,  
ნინ აღიმართა ახალი სარკე;  
სხვა ასპარეზი გადაიშალა,  
და ამოზრნყინდა მომავლის სახე.  
ადამიანი არ არის მონა,  
აჩქროლდა გულში ღმერთების სისხლი.  
ძველი სამყარო ჟანგებად ჟონავს,  
გადაკვამლული დამპალი ნისლით.

და აედევნა რაზმები რაზმებს,  
აენთო ბრძოლის შუქი წითელი...  
ჰკეტავენ მაგრად სასახლის რაზმებს  
ყველა ჯაშუში და გამყიდველი.  
იგრძნეს ქარიშხლის მოახლოება  
ათასპირიან ბასრი ცელებით...  
დარაზმეს ჯარი ბნელ ურდოებათ,  
აღმართეს ბოძი სახრჩობელების...

მაგრამ ამ ტალღებს რა შეაჩერებს,  
ვინ გადაირჩენს თავს გრიგალიდან?  
განვლილ გზას რაზმი გულს ვერ აჯერებს  
და წინ მიილტვის გაშლილ რკალიდან...  
გადაეჯაჭვა რაზმებს რაზმები,  
მედროშეობა შვენის გურიას.  
აღარ სჩანს ზეცა აიაზმებით —  
ცეცხლია ირგვლივ და აღმურია...  
ბარიკადებზე დროშებს დახვრეტილს  
ანითლებს მეტად სისხლის ღვარები...  
ამბობენ: წიფის კარებს დაკეტილს  
მოანვა მტერი ურიცხვ ჯარებით...

წითელრაზმელი ლამაზ ჭალარით  
რაზმს მიუძღვება სანგრების ქსელით,  
და მხნედ გაჰკივის: „ძმებო, დაჰკარით!  
უნდა ამოშრეს ჭაობი ძველი!  
ვართ ირგვლივ მტრებით შემორკალული,  
მაგრამ ხსნა ჩვენი მაინც წინ არის.  
მომავლის ელვით გულ-გამსჭვალული  
შევხვდებით სიკვდილს პირმომცინარი“ ...

და ქარტახილი დაჰბერავს ჩქარი.  
ცა იბზარება ელვის თასმებით.  
უამრავ მტერთან პირისპირ მდგარი  
თავგანწირული იბრძვის რაზმები...



## V. ღამე – ცეცხლის თვალებით

უთანასწორო იყო ეს ბრძოლა,  
 იდუმლად ჟღერდა ტალღებზე აფრა,  
 რომ შავად უნდა გადმოექროლა  
 უკუნეთიდან სისხლიან აფთარს.  
 და მოდიოდა ცეცხლის მუქარით  
 ყოველი მხრიდან ურდო ნაგეში.  
 და ღამე, ხანძრით განაშუქარი,  
 აფრქვევდა რისხვას ზეცის თაღებში.  
 და შიში, როგორც სუნთქვა ნაპრალის,  
 მწვანე ჰაერად მოედო ველებს:  
 ვილაცა დაჰქრის გრძნობა-ჩამქრალი  
 და აჭრის ბავშვებს მთრთოლვარე ხელებს...

და ეფარება ტყეებს ხიზნები...  
 (განმეორდება ამბავი ძველი,  
 როდესაც ერის წმინდა მიზნები  
 იძაძებოდა მწუხრების ქსელით...).

დაობლებული ინვის სახლები.  
 გაიტაცებენ ბავშვებს ქალები.  
 გარბიან... მისდევთ ყეფა ძაღლების.  
 და ელავს ღამე ცეცხლის თვალებით....

შარის ნაპირას მოხუცი ნახეს,  
 უსულო, თვალეზ-გადმოკაკლული,  
 სისხლს შეელება კეთილი სახე  
 და ეგდო ისე, როგორც დაკლული...

ერთ ქოხში დარჩა აკვანი ბავშვით...  
 ბედშავი დედა — ალბად მკვდარია...  
 ო, ამ სისხლიან და ველურ გზაში  
 რა საშინელი სიმწუხარეა!..

სავსეა ღამე უძირო ბრაზით.  
 თითქო მდინარეც ალისფერია.  
 ნამუსახდილი ქალწული ნაზი  
 გადაეხვევა ტალღებს ჩქერიანს...

„ჰეი, ძმობილო, აქეთ იჩქარე!“ —  
 ჰკვივის მებრძოლი და ბოლმით თვრება,  
 ველარ დაიტევს გულში სიმწარეს  
 და მტრის ბანაკში გადაიჭრება...  
 შურისძიების უბით მტვირთველი  
 ენთება ღამე, ვით ელვა ჩქარი.  
 ხალხის ჯაშუში და გამყიდველი  
 სისხლით მოსვრილი ეცემა მკვდარი...

უთანასწორო იყო ეს ბრძოლა,  
მაგრამ მებრძოლთა მტკიცე კრებული,  
დამპალ ჭაობს რომ ნალმი ესროლა,  
კვლავ წინ მიილტვის გულ-ანთებული.  
მოფენილია გზები მსხვერპლებით —  
ვინ ჩამოსთვალოს მათი სახელი?  
მაგრამ ციმციმებს წმინდა ფერფლები,  
მარადისობის გამომსახველი!  
გაპოხიერდა მიწა მშობელი,  
აღვივებს გულში ახალ მზის ნაღმებს.  
შორი მანძილი, თვისკენ მხმობელი,  
აანთებს რწმენის წმინდა ჩირაღდნებს.  
დროშები სისხლით გადაილაქა,  
რომ მეტის ბრწყენით ვიდოდეს მალლა.  
ძველი მიჯნები გადაილახა,  
და ჟამი უხმობს უმაღლეს ტალღას...  
უთანასწორო იყო ეს ბრძოლა,  
მაგრამ მებრძოლთა მტკიცე კრებული,  
დამპალ ჭაობს რომ ნალმი ესროლა,  
მარად წინ ივლის გულ-ანთებული!..

სოლომონ თავაძე

1 იანვარი, 1925

## რომანიდან: „დიონისოს ღიმილი“

*„...მე მიჯნურობისაგან ამეხადა საფარველი, სულისაგან ცნობა წამივიდა. მაშინ ერთსა დღესა ადგა ანაზდეულად ქარი და მაჩვენა ქაჯისაგან უტურფესი პირი... ეს იყო ფათურაკი“.*

### ქება პირველი

#### I. კაცი, რომელიც ველარ იცინის

ოქტომბერი უმშვენიერესი დროა პარიზში. ნაბლის ალექსი შეიქარვება. შრიალებს ფეხქვეშ ფოთლების ფარჩა.

ო, შემოდგომის მწუხარებას სხვის ქვეყანაში!

გული პარკებისკენ მიიწევს.

ლუქსენბურგის პარკში, ჰორტენზიების ჩირგვთან, ყოველდღე ვხედავ ერთ ინვალიდს, ცალ ხელში ბამბუკის ყავარჯენი უჭირავს. ორივე ხელოვნური ფეხი — სიარულში კიდევ ეტყობა, რომ მხედარი ყოფილა. იგი განგებ გაურბის იმ სკამებს, რომელზედაც სხვები სხედან, თითქოს რაღაც ჩუმი შეთანხმებით, ჰორტენზიების ჩირგვთან რომ მწვანე სკამია, იმაზე არავინ ჯდება. ბელურების მთელი ლაშქარი მუდამ თან დასდევს მას. ჩამოჯდება თავის მწვანე სკამზე, იღებს ჯიბიდან ხორბლის მარცვლებს, წივნივით მოფრინდებიან ბელურები ფრთების ფარფატით... ადგება. აიყრებიან ჩიტებიც.

ვინ არის ნეტავ ეგ კაცი? ნუთუ სხვა საქმე არა აქვს ამ ქვეყანაზე? — ვკითხულობ ჩემთვის უნებურად.

მე არ შემიძლია პირდაპირ შევხედო დამახინჯებულ ადამიანს, ამიტომაც გავურბივარ მას.

ერთ დღეს ყველა სკამი დაკავებული დამხვდა. იგი ჩვეულებრივად მარტო იჯდა.

ცოცხალთა შორის უფრო მახინჯი ჩემს დღეში არ შემხვედრია. ნარბები და თმა გადაუტრუსავს გაზებს. ცხვირი სავსებით მოჭმული, ამოკერილ პირიდან პატარა ლითონის მილი მოუჩანს. მთელი სახე არაჩვეულებრივად წითელი, თითქოს ერთკეცი ტყავი გადაუძვრიათ, თვალების მეტი არაფერი უგავს ადამიანს. მე ვამჩნევ ლეჟიონ დონორის ორდენს მის მკერდზე. ძლიერ თავმომწონედ უჭირავს თავი, კაპიტანი უნდა იყოს. მის ფერხთით კვლავ აუარებელი ბელურები — იგი ხანგამოშვებით საკენკს უყრის. ჩიტუნები აღტაცებული ჭყიპინებენ, ხტიან, ცელქობენ, ერთი-მეორეს ლუკმას სტაცებენ პირიდან. ზოგი მოურიდებლად უახლოვდება მას.

რა თავხედებია დიდი ქალაქის ჩიტებიც! ვის არ გაეცინება მათ ცუდლუტურ ციგლიგზე! ინვალიდი ზის და უყურებს. სახეზე საშინელი სერიოზულობა ეტყობა, თითქოს მარნაზე, ან სუასონზე კომანდობდეს თავის ათასეულს.

მე დიდხანს ვერ ვჩერდები მის ახლოს.

საშინელი უძილო ღამეები!

მთელი ღამეები ვფიქრობ იმ მახინჯ კაცზე, ლუქსენბურგის პარკში რომ დადის მარტოკა, ასე მგონია, იგი თავზე შემოუფვლია მთელ ქვეყანას. მას ადამიანებისთვის გაუწირავს თავი, მაინც ყველა ერიდება მასთან ახლო ყოფნას. ნეტავ, თუ ვინმე ჰყავს? დედა, ან ცოლი? სიხარული თუ აქვს გულში, ან იმედი? ყველანი შორიდან უყურებენ მას, ყველა მასზე ბედნიერია...

ხშირად გადავწყვეტ მივიდე, ვკითხო, ან როგორ მეტყვის, თუ რა გადახდა ბელფორზე, მარნაზე, ან სუასონზე. მინდა ნავიდე ლუქსენბურგის პარკში, მოვნახო, დაბალი სალამი მივცე, ვეტყოდე მაინც: ძმა ტანჯულო, უცნობო გმირო! მე არ ვარ გმირი, გმირი ხალხის ვარ ნაბოლარა... მაგრამ, მუდამ დუმილით ჩაუფვლი გვერდს. თანაც ვგრძნობ: მის დანახვაზე ჩემში იღვიძებს რაღაც სულმდაბალი, ცხოველური კმაყოფილების გრძნობა, რომ მე არაფერი შემინირავს ადამიანებისათვის, მე მიხარია, რომ შემიძლია უყავარჯნოდ გავიარო თავანუელი.

მე მიხარია, რომ შემიძლია გავუღიშო მალალ ცის ლაჟვარდს, ან ქუჩაზე გავლილ კოკოტას, ვაკოცო დედაკაცს და როგორც უხრწნელ ქალწულს ვახარო. ჩემი ღვთაებრივი თესლიდან წარმოიშობა ათასი გმირი, ათასი პოეტი, კომპოზიტორი, სპორტსმენი. ორი თვალი მაქვს, ორი — შვენიერების დაუღალავი ბაზიერი. ორი ღონიერი მკლავი — რომელთაც კიდევ დიდხანს შეუძლიათ წერა, კრივი, თავდასხმა და მოგერიება და მძიმე ჰანტელების მალა ანევა. მე მიხარია, რომ პირი მაქვს მთელი.

მე ვიტყვი სიტყვას — ათასები ყურს დამიგდებენ. მე ვიტყვი სიტყვას შვენიერზე და ღვთაებრივზე და ჩემი სიტყვა, თუ დაეცა ფხვიერ ყამირზე, ამ სიტყვას მერმე ათასები ისევ იტყვიან.

მე მიხარია, რომ ორი მაგარკუნთებიანი ფეხი მაქვს და სიარულით არ დავიღლები, თუნდაც ვიარო ქვეყნის კიდემდის.

ლუქსენბურგის პარკში ერთი ინვალიდი დადის სახით მახინჯი, კაცი სიცილს გადაჩვეული. ვფქრობ იმ კაცზე, ამ წამშიაც, როცა ამას ვწერ და მიხარია, რომ ის კაცი ახლა მე არ ვარ.

## 2. ნისლი

იმ დღეს მზემ უნიათოდ გამოიხედა, შუადღეს სხივი მკვდრების მზესავით გაყვითლდა. მინდოდა შემევლო ლუქსენბურგის პარკში. მენახა შემოდგომის ეკონია. დამეზარა. ადამიანები ხომ ეგოისტები ვართ. არ გვიყვარს სიმახინჯესთან პირისპირ შეხვედრა (თუნდაც რაინდობისა და წმინდანობის შარავანდედიც ახლდეს მას). დილიდანვე უცნაური მელანქოლია დამყვა. შემოდგომის გადატანა ძლიერ მიმძიმს უცხოეთში... რალაც ჩუმი, უსიტყვო დარდი დაეუფლება ჩემ სულს.

მივყვები სენის ქეეს, მდინარის გაღმა-გამოღმა ეს აუარებელი ბუკინისტები, თვალ-ლია ცის ქვეშ რომ გაუშლიათ თავიანთი დაზგები. რა და რა წიგნს არ ნახავთ აქ! იშვიათი ბიბლიოგრაფიული უნიქუმები, ხელთნაწერები, ძველი სურათები, ილუსტრაციები. დიდი ხანია ნაპოლეონის კოლექციებს ვაგროვებ. ამიტომაც შევეჩვიე სენის ბუკინისტებს. არც ეს ბუკინისტებია ამ წიგნებზე ნაკლებად საინტერესო.

ჰმ, ადამიანის გონების ნასუფრალით მოვაჭრენი!

მე მიყვარს მათთან მასლაათი. ჩვენი წიგნური ცივილიზაციის გროტესქული მაჭანკ-ლები! მათ ძველი წიგნების მეტი არაფერი აინტერესებთ.

წიგნების ავტორების სახელისა და წიგნების სათაურების მეტი არა იციან რა. უცებ რომ ჰკითხოთ, ვგონებ, იმასაც ვერ გეტყვიან, თუ საითკენ მიდის სენა. ყველანი მიცნობენ. სტუმართმოყვარე ღიმილით შემეგებებიან: „მუსაო!“

განსაკუთრებით ერთ მოხუც ბუკინისტს შევეჩვიე. ეს გახლავთ მუსაო შარტრიე. 85 წლის მოხუცი. საოცარი პატრიარქალური ტიპი, სენის ნაპირას — საუკუნეების ნიაღვარისგან გადარჩენილი. განსაკუთრებით მისი ფიგურა არ ეგუება სენის გარემოს. მას გრძელი, თეთრი წვერი აქვს (სამეგრელოში მინახავს ამ სახის მოხუცი, ალბად ამიტომ მახარებს მასთან შეხვედრა). მუსაო შარტრიე, ნაზი, ტკბილი პარიზული აქსანით ლაპარაკობს. უაღრესად რბილი, თავაზიანი ბუნება! მას ფრიად კეთილშობილური აღნაგობა აქვს. ნამდვილი დარბაისელი მოხუცი, საქართველოში, ან აღმოსავლეთში რომ შეგვხვდებოდა ალაგ-ალაგ. ენაც არქაული აქვს მუსაო შარტრიეს. იგი თანამედროვე ფრანგივით პარ-დონს არ ამბობს. არამედ: „პარდი!“

დიდი ხნის მეგობრები ვართ. რამდენი პატარა, ძველი წიგნი მაქვს მისი ნაჩუქარი. „ეს თქვენთვის არაფერი ელირება მუსაო. კონსტანტენ“ — მეტყვის იგი. ისე მოწინებით აიღებს თავის თაროდან წიგნს, თითქოს მღვდელმსახურებას ასრულებდეს. მას დაშვენებოდა პატრიარქის კვერთხი და გრძელი ოლარი... ან რომელიმე პატარა რესპუბლიკის პრეზიდენტობა. მუსაო შარტრიეს ბევრი დარდი გაუმჟღავნებია ჩემთვის. სამი შვილი დაეღუპა მსოფლიო ომში. უფროსი ბელფორთან, შუათანა მობეჟთან და უმცროსი... ყველაზე უფრო მეც ის უმცროსი მწვავს გულს. მუსაო შარტრიემ იცის ჩემი „ერთად ერთი ნაკლი“, გერმანელები არ მძულს. ამიტომაც ნიშნის მოგებით მეუბნება: „აი, თქვენს გერმანელებს ცეპელინ L.4. რომ წავართვით, იმის პილოტი იყო ჩემი ანრი... ცეპელინი საშინელი ციკლონი, ზონაში მოხვდა. ქარიშხალმა გაიტაცა აპარატი. ცეპელინი უკვალოდ დაიკარგა, ომი გათავდა, მაინც ველოდი, საცაა გაიღება კარი, ჩემი ანრი შემოვა მეთქი. მაგრამ... ერთი თვის წინად გაზეთი „ტანი“ იტყობინება: ადრიატიის ზღვაში იპოვნეს ბოთლი, რომელშიაც პატარა წარწერა აღმოჩნდა: „ბენზინი შემოგვაკლდა. ქარიშხალი მიგვაქროლებს. სალაში ყველას. გაუმარჯოს საფრანგეთს“. ცეპელინ L.4. ასეა ბედი. — მიაბობს თვალცრემლიანი მოხუცი. — მე ახლა უნდა ვისვენებდე. ამის მაგივრად ხომ ხედავთ ამ თვალ-ლია ცისქვეშ ვდგავარ მთელი დღეები... ზამთარ-ზაფხულ... ლუკმა პურისთვის“...

მუსაო შარტრიე ერთად-ერთი ბუკინისტი (სენის ბუკინისტებს შორის), რომელმაც იცის, მე ქართველი ვარ. მართალია, ძლიერ ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს, როგორც ევ-

როპის გარეშე მდებარე ქვეყნების (როგორც ყოველ ევროპიელს). ისე საქართველოს შესახებ, მაგრამ ჩვენი დამეგობრების შემდეგ ძველ ლექსიკონებში და წიგნებში ამოუკითხავს ქართველები დიდი რაინდი და ლამაზი ხალხიაო.

იმ დღეს მუსაო შარტრიე თვალეგაბრწყინებული შემეგება.

— ორი კვირაა, რაც გიცდით მუსაო კონსტანტენ! თქვენთვის შენახული მქონდა ერთი წიგნი ქართველი ავანტიურისტის რუსტომის შესახებ.

— ვინ რუსტომი, მუსაო შარტრიე?

— „ვინმე ქართველი გლეხი სახელად რუსტომი (გვარი არ მახსოვს). იგი ბავშობაში გაუყიდათ სტამბოლში. წამოზრდილა, მამელუკების ჯარში ჩაწერილა. ეგვიპტეში ტყვედ ჩავარდნია ნაპოლეონს. მერე იბრძოდა ისევ მამელუკების წინააღმდეგ. ბონოპარტემ იგი პარიზში ჩამოიყვანა. დიდხანს ყოფილა ტფულერიის ყარაულის უფროსი. ნაპოლეონი მას ნეა და მაკმაჰონზე უფრო ენდობოდა. ბოლოს შარლერუას ბრძოლაში მოჰკლეს. ნაპოლეონმა ძეგლი აუგო შემდეგი წარწერით: „აქ ასვენია მონა ღვთისა, რუსტომი. დიდი იმპერატორის ერთგული მეგობარი. ქართველი — საქართველოდან.“

მუსაო შარტრიეს ეს წიგნი გაუყიდა, რაკი მე აღარ გამოვჩნდი, მაგრამ ამ ამბავმა უფრო მეტი დამახარჯვინა. ორი კვირის შემდეგ მე შარლერუას წავედი. ერთი პატარა, კათოლიკურ ეკლესიის გალავანში ძლივს მივაგენი როსტომის საფლავს. თეთრი ყვავილების გვირგვინით შევამკე მისი სამარე.

„თავგამეტებულ ქართველ რაინდს. თავმოძულებულ ქართველ პოეტისგან“ — ასე ეწერა იმ ლენტზე, რომელიც თან ახლდა ჩემს პატარა მოსაკითხს.

ეჰ, მუსაო შარტრიე, თქვენი შვილი ჩვენ როსტომზე ბედნიერი ყოფილა, მან თავის საფრანგეთისთვის გასწირა თავი.

მღუმარედ ჩამომართვა ხელი მუსაო შარტრიემ. ძლიერ ნაღვლიანი იყო ის დღე და მეც აღვნიშნე იგი სენის გადაღმა ხეციალით.

მე პარიზში ყოველთვის ისე ვგრძნობ თავს, თითქოს დედამინას ჭიპზე ვკოცნიდე.

სად უნდა იყოს იგი? მე ვამტკიცებ: დიდი ოპერის მოედანზე. ყოველ 12 საათზე აქ ადამიანებისა და ავტომობილების მოძრაობა ზენიტს აღწევს.

დედამინის ჭიპი. ჰმ!

აქედან გზები ყოველი მხრით. გზა მოკლე. გზა გრძელი. გზა გაუთავებელი. სამყაროს უმთავრესს ელემენტებს ერთიც უნდა მიემატოს: გზა.

გზა ყველაფერია. და ყველა გზები პარიზს მიდიან. ყველა პარიზზე გადის, ყველა გზა პარიზიდან მიდის. ყველა გზების ცენტრია: პარიზი.

ვისაც გზა დაუკარგავს, ვისაც სამშობლო დაუკარგავს, ყველა პარიზში მოდის.

Capitale du monde, იტყვიან.

უსამშობლოთა სამშობლო — პარიზი.

ამ დედამინის ჭიპს უერთდებიან ათასეული კილომეტრების მანძილზე მინაზე გართხმული ფოლადის რელსები. აქეთკენ მოისწრაფიან ოკეანის გემები, აზურებში რომ აფრიალებენ რუხ კვამლის დროშებს.

აქედან და აქეთკენ მიმოჰქრიან ცეპელინები.

ახალგაზრდა ვარ და ძლიერი. ბედით კმაყოფილი. მაინც ბედის მაძიებელი.

(არ დავმაღავ. ოდნავ ავანტიურის მოყვარული).

ჩემში ძველი ლაზის სისხლია დარჩენილი. მიტომაც ვერ მერევა ზღვის ავადმყოფობა და ინგლისური სპლინი.

ვღელავ, როცა მსოფლიოს ქარტას თვალს გადავავლებ (აქედან ჩემი უსაზღვრო სიყვარული გეოგრაფიულ ქარტებისადმი). დაგეშილ მიმინოსავით ამიტოკდება გული შუა-



ლამის ექსპრესის კვილზე. არც მიმავალ გემსა და ჰაეროპლანს შემიძლია გულდამშვიდებით ვუმზირო.

ახალგაზრდა ვარ და ძლიერი. მთელი დღე ვხეტილებ სენის გადაღმა. ვგრძნობ, რაღაც გაურკვეველი ფიქრი იბრძვის ჩემში. სიარულის დროს მჩვევია მოფიქრება. ჩემს ცხოვრებაში ყოველი დიდი ნაბიჯის გადადგმა სიარულის დროს გადამინწყევტია.

ვიტანჯები ერთ ადგილზე გაჩერებით. მინდა ვიარო გულჯავრიანმა ქვეყნის კიდემდის. მეძახიან ამერიკის ვრცელი პრერიები. მისისიპის წყალი მინდა პეშვით დავლიო. დაკოტას ტყეებში ძუით დავიჭერ ბოლოჭრელ თუთიყუშებს. ფეხით გავივლი ინდიანას, იოკას, ვისკოზინს. ქერა და ნითელკანიან ქალებს შევურევ ჩემს კეთილშობილ სისხლს.

აქედან (ფრთხილად, ომნიბუსმა არ გამიტანოს) გზები ოთხივ მხრით, თუ გამძლეა მგზავრის სანდალი. ტყეები, პამპასები, თუთიყუშები, ელექტრონის მაზუთის ქალაქები მჭვარტლით და კვამლით რომ ახშობენ ფირუზის კამარას.

დიდი ხანია, რაც თუთიყუშების ჟინი მაქვს გულში (ერთი მათგანი ჩვენს სოფელში რომ მოვიყვანო, ჩვენი სოფლის ბავშვებს გავახარებ, ვიცი, ამ ამბით).

ჩრდილო და სამხრეთი, დასავლეთი და აღმოსავლეთი. მთელი სამყარო — ჩემი სამშობლოა — ასპარეზი დაუღლველი. მირიადები ვარსკვლავების, ცხოველების, მამიშუნების, ზებრების, ქალების, კაცების მილიონები ყველა სიყვარულით და ღმერთით აღსავსე, ყველას ჩემიანებათ ჩავთვლი. ყველას ვეტყვი: ძმას და მეგობარს. მე მათ ქარხნებში ვიმუშავე, როგორც ბოგანო, რომელმაც თავი გაიყიდა ლუკმა პურისათვის. ასეთი რამის არაოდეს შემრცხვება, ვიცი, პურს ვერ ვიშოვი? ვისაზრდოვებ თუნდ ძირტკბილათი. გავათევ ლამეებს ფარდულეებში, თივის ზვინებში, ან რკინიგზების სადგურებზე, სკვერში, პარკებში.

ერთ წელს ნევ-ფორკში დავრჩები თუნდაც, მე უსამშობლო და ვაგაბუნდი.

ხერხის ქარხანა ხომ მიმიღებს, ან საზეინკლო. ღმერთს მოუცია ჯანმრთელობა მტკიცე ფოლადის რკინალეჭია მშობლებისგან ნაანდერძევი (ამისთვის ვეტყვი დიდ მადლობას ჩემს მოხუც დედას — სამეგრელოში რომ უზის კერას, დანოლის დროზე შემავედრებს წმინდა გიორგის და მამას ბედშავს სამარეში რომ წევს მარტოკა).

მერმე, პირდაპირ: იაპონია, ძველი ჩინეთი. ნაზ პორცელანის თასით დავლევ სურნელოვან ჩაის. ვეარშიყები გრძელ წამწამიან ჩინელ ქალებს, ცოტას ლაოტხეს ფოლიანტში თუ ჩავიხედავ. მზეზე გავითბობ გათოშილ სხეულს. მერმე იქიდან: ინდოჩინეთი, და ინდოეთი (ჩემს დიდ წინაპრებს აქ სალაშქროდ უვლიათ კიდევც), მოვინახულებ მოგულთა მეფეების მარმარილოს პალატებს, ბრწყინვალე მეჩეთებს, ვჭამ ნაზ ბანანებს. ვეფხვზე ვინადირებ. სპილოზე შევჯდები. ცოტა სანსკრიტი... უპანიშადებს გადმოვთარგმნი შემდეგ ქართულად. ამდენ ხანს ალბად კიდევ მოვა ჩემთან სიბერე. საქართველოსკენ იმავე გზით, როგორც ირაკლი. არა დიდების მომხვეჭელი, არამედ როგორც უსახელო, უბირი, მწირი. მოვძებნი ეზოს პაპისეულს და დავსახლდები.

მერმე? ვიქნები ფილისტერი ფილისტერთ შორის. სოფლურ ყალიონს გავაჩაღებ. ნისქვილში წავალ. მეზობლის ბავშვებს მოვუყვები რაც თავს გადამხდა. ვიცი, მიმიღებს საქართველოს მხურვალე მინა. არ დაიშურებს ის ჩემთვისაც კალთას კურთხეულს.

დიახაც ასე. რკოც მოწყვეტილი იქ დაეცემა, სადაც ბებერი მუხა წაიქცა.

ახალგაზრდა ვარ და ძლიერი, მაგრამ ამ წუთში ომნიბუსმა რომ გამიტანოს, ამბის მომტანსაც ველარ ნახავს სოფელში დედა.

მშიშარა არ ვარ, თუმც არც ერთ ომში გამომიჩენია დიდი გმირობა, მიუხედავად ამისა, ავტომობილის გატანილი ადამიანი მაინც მეცოდება. აქ, პარიზში, როგორ უნდა გამოიჩინო კაცმა გმირობა?

არ ვიცი სწორედ! გმირობას არ დავეძებ, ეს ფეხსაცმელი რომ არ მიჭერდეს.

ორი საათი დავრჩენილვარ კაფე „კლოზერი დე ლილასში“. 14 სხვა და სხვა გაზეთი გადამითვალისწინებია. 5 ჭიქა შერი ბრენდი. ამ გაზეთებში მხოლოდ ავტოს ხიფათებს ვათვალისწინებდი. 45 კაცი გაუტანია ამ ერთ კვირაში ავტომობილს.

ეს შოფერები უნდა ჩამოახრჩოს კაცმა, მერმე თავში ქვა იხალონ ავტომობილების პატრონებმა: სიტროენმა, ფორდმა, ვალკერმა და ბენცმა. კაფეში სმაურობა მატულობს. ჩემს ირგვლივ ქალები: ახალგაზრდა, ლამაზი; საშუალო, მახინჯი. ნაოჭები სახეებზე, ნაოჭები კაბებზე. ჩემს ირგვლივ მოსაუბრე, მომლიმარე სხეული. დედაკაცის სხეული ფარშავანგვივით ბოლო-განიერი და ამაყი. მე არ შემიძლია გულდამშვიდებით ვუმზირო მომლიმარე ქალს, და არსად ქალი ისე არ მალეღვებს, როგორც პარიზში. ქალი აქ ინდივიდუალურად როდია წარმოდგენილი. კოკეტურად მომლიმარე დედაკაცების მასსა ქუჩებში, ფანჯრებში, ავტომობილებში, მინის ქვეშა მატარებლებში, კაფეებში, მუზეუმებში. უშველებელი მასსა სილამაზის, პარფუმის, სხეულის, ქალის სხეულის, რომელიც გეძახის, გახელებს, სულის მყუდროებას გირღვევს. როგორც საბრალო ტანტალი უყურებ ამ მასსას. იყავ თუნდ შაჰინ შაჰი, გაიჩინე რამოდენიმე საყვარელი, თუნდ ულამაზესი მათ შორის აიყვანე ხასად, მაინც კმაყოფილი არა ხარ, რადგან ნიშნის მომგები ღიმილით ყოველი ქუჩის შესახვევთან, ტრამვაების სადგურებთან, ყველგან გხვდება ქალების მასსა და ილიმის... ბრაზობს, ენთება, ხელდება შენი მამაკაცური ჟინი.

ახ, იმ თვალებზე უსიტყვო დარდი გაჭენებულ ავტომობილიდან, მე-5 სართულის გაღებულ ფანჯრიდან, გზაჯვარედინზე შეხვედრილ ვაგონიდან რომ შემოგხედავს, გაგიღიმებს და გაჰქრება, როგორც ტყის ფერია, ამ მილიონების ზღაპრულ კირმესში. ან ის უშედეგო აღტყინება, შემთხვევით შეხვედრებისაგან რომ დავრჩება გულში. აქ იგრძნობ ადამიანი: რა უღვია, რა უსაზღვროა ამ ქვეყნის ცდუნება! რა უმწეოა შვენიერზე მონადირის უძღები გული...

საცოდავი ტანტალის პატარა პეშვი!

ქალები ჩემს გვერდით, ჩემს წინ, ჩემს პირდაპირ, ჩემს უკან. მოძრავი, მრგვალი, დაპუდრული კისრები, ლოყები. თვალები: ღია, ცისფერი, მიხაკის ფერი, ლურჯი, რჩხია, სათის თვალები. აქ ვხედავ იტალიის, ესპანიის, საფრანგეთის, ბალკანეთის მზის ბრწყინვალეობას და ნისლიან აისებს, ინგლისის და შოტლანდიის ზღვების ფირუზნარევი კრიალს ქალების თვალებში. ქალები ჩემს ირგვლივ კაფეში.

მე ისე მიყვარს ამ უცხო, უცნობი თვალების შორიდან მზერაც, თითქოს ჩემი საყვარლები, ჩემი ცოლები იყვნენ ისინი — ყოველ ნუთს შემეძლოს მათი მოალერსება, მათი მიკუთვნება. ისინი უფრო მომწონს, მათი მოძრაობა, მათი სიცილი უფრო მალეღვებს, ვიდრე იმათ, ვინც მათ გვერდში უსხედან. თეთრი მარმარილოს რგვალ მაგიდებს შემოსხდომიან კმაყოფილი, ღიპიანი, ოქროს ძენკვიანი ფილისტერები, და ისე აუღელვებლად, დამშვიდებულად ესაუბრებიან, უყურებენ ამ ქალებს, თითქოს ეს ბუნებრივია, რომ ისინი მათ ეკუთვნით, დარწმუნებული, რომ ამ ქალებს მათ ვერავინ წაართმევს.

ისინი სქელ, გაშეშებულ კისრებს ვერ აბრუნებენ, არ კი იციან... მე უცხოელი, ვაგაბუნდი პოეტი ამ ქალებს შევცქერი, თითქოს ჩემი ჰარემის მხეველები იყვნენ. არ კი იციან, რომ მე ისინი უფრო მიყვარს, ვიდრე ამ ფილისტერებს, ამ ღიპიანებს, ამ ბურჟუებს.

კაფეს საათმა სამჯერ დაჰკრა. „გარსონ, ანგარიში!“ გაპარსული ლაქია მიახლოვდება. იგი უაზროდ იღრიჭება. არ ვიცი რატომ.

— 2 ფრანკი, 33 სანტიმი.

ჩემს ბეუჯეტს ეს მძიმედ დაანება. უნდა გამოვტყდე: მე ძლიერ ხშირად მავინყდება, რომ აზნაური აღარ ვარ.

ამ კაცს დაჭიებული კბილები ჰქონია. მე ეს გულს მირევს. წავიდე აქედან.

ქუჩაში გამოვდივარ.

ნისლი თავს დასხმია ქალაქს. მთელი ქუჩები ნისლით დაგუბებულია. იხრჩობა ქალაქი ნისლის წარღვნაში. ნისლი სდგას კარებთან, ნისლი კედლებთან ატუზულა და კანკალებს. მალაზიების, ბინების, ვაგონების ფანჯრებიდან, ბუნდოვანი სხივის შლექიფები. ავტომობილების გაღვივებული ფანრები ისე ანათებენ, როგორც ავაზაკის ამღვრეული თვალები. ურიცხვი, უთვალავი ავტომობილების, ომნიბუსების, ბისიკლეტების, ტრამვაების ფანრები მიმოჰქრიან ქუჩებში.

ზღაპრული კარნავალი ამ სიბნელეში. ირმის ნახტომის მანძილზე ადამიანების სახეებს ველარ ვამჩნევ. ირგვლივ ლანდები საგნების, სახლების, ვაგონების, აფიშების, ბოძების, ბნელი კონტურები. გარშემო ლანდები დალასლასებენ. ღმუილით, ღრუტუნით, ხროტინით, წივილით, უჟმურივით დაჰქრიან ავტომობილები.

ადამიანებს სახე აღარ უჩანთ. მათ ტანისამოსს ფერი დაუკარგავს. თალხი ლანდები დალასლასებენ ნისლში ჩაძირულ ქალაქის ქუჩებში. სულ ორიოდ საათის წინ ელავდენ, ბრწყინავდენ ავტომობილების, ვიტრინების შუშები, ქალების ლაკიანი ფეხსაცმელები. ახლა ყველგან ნისლია. აღარ სჩანს პროსპექტებზე და ქუჩებზე მოსეირნე ქალების, ელეგანტური კავალრების ბენვეულის, ბრილიანტების, ტუფლების კრიალი, უთვალავი ქალების კოკეტური შემოხედვა და ღიმილი, მოძრაობენ მხოლოდ გროტესქული სილუეტები და პროფილები. მოულოდნელმა გლოვამ მოიცვა ქუჩა.

ზაფხული მომკვდარა, დათალხული ეტლების, ტრამვაების ქარავანი უკლებს ნაბიჯს, კლებულობს მოძრაობა, მატულობს ხმაურობა სიგნალების, ფეხის ხმის.

ზაფხული მომკვდარა, და ეს უშველებელი, ადამიანების ლანდების პროცესია თავჩაქინდრული მიყვება უკან ამ საარაკო ყეენობას.

პარკების, სკვერების გვერდით მივდივარ თავჩაქინდრული. ვიხედეები ნაბლებისა და აკაციების ალექებისაკენ, ჯერ კიდევ ამ დილით საფირის ღიმილით რომ მაცილებდენ ომნიბუსში მჯდარს. ხეებს უმწეოთ გაუშვერიათ შტოები ცისკენ, თავები ძირს დაუხრიათ, გულამომჯდარი ბუტბუტებენ საშემოდგომო რეკვიემს და სცვივა ნისლში პარკების ფარდულებზე, ზღუდეებზე და ბილიკებზე ფოთლები უმწეო და ფერდაკარგული.

გზაჯვარედინზე შევდექი. ვუცდი ვიდრემდის ავტომობილების ერთი წყება ჩაივლის და გზას გავიკვლევდე. და ვფიქრობ ჩემთვის: ნისლი ამდგარა ყინულოვან ოკეანიდან, ნისლი ამდგარა ზღვების ფსკერებიდან და ამბოხებულია.

ჩრდილოეთიდან მოვიდა ქურდულად, ფეხაკრეფით ზამთრის სუნთქვა და ჩემი გული იკუმშება ვარამისაგან. ახლა, ამ წუთში ალაზანზე შეფენილ ვენახებში გაღვივებული მტევნები თბებიან მზეზე.

სამეგრელოს ქალებში სიმინდს მოსჭრიდენ და ჩალის გამხმარ ღეროებს გიგანტიური ორკესტრივით აზუზუნებს, აკვნესებს ქარი.

მე რაღად მინდა ვიყილო ამ ქვეყანაზე, თუ ჩემ სულს გათოშავს ჩრდილოეთის ნისლი, საქართველოში კი ბევრი მზე და ცის ნაჭერი სმარაგდისფერი.

მე ესეც მეყოფა.

ძლივს მივალნიე ჩემს ჰოტელს. დარაბებს ვხურავ. ახლავე მინდა დავიძინო, რადგან არ შემიძლია ფანჯრებში გახედვა. მსახურმა ახალი ფოსტა შემომიტანა. სპარსეთის კონსული ალი მირზა ხანის სადარბაზო ბარათი. კონსული და მისი მეუღლე მთხოვენ, ვახშამზე ვენვიო... ახ, მეზარება ისევე ქუჩაში ვასვლა.

### 3. „დიონისოს მეორედ მოსვლა“

როცა მაჰმადიანებთან დაახლოება მიხდება, ყოველთვის რაღაც ზადი მრჩება გულში. მრცხვენია კიდევ, მეგობრული ტონით ველაპარაკო იმათ, ვისი წინაპრები ჩვენი მო-

სისხარი მტრები ყოფილან. რაც გნებავთ, დაარქვით ამ გრძნობას: შეზღუდულობა, ატავიზმი. ჩემში ყველაფერზე ხმამალა სისხლი მეტყველებს.

ჰმ, სისხლში დიდი მისტიერიაა. სისხლი ამოძრავებს მსოფლიოს მაჯისცემას. სისხლი აკავშირებს, სისხლი სთიშავს. მიუხედავად ამისა მუსულმანებში მე შემჩნეული მაქვს დიდი სინაზე, ძველი კულტურის სიჭარბე. მერმე უცხოეთში ამ სისხლის ხმა ნელდება ოდნავ. ასე ვფიქრობდი იმ წუთშიაც, როცა სენტ-ჰონორეს ქუჩაზე — სპარსეთის კონსულის ბინის ელექტრონის ზარს ხელი დავაჭირე.

ალი მირზა ხანის სალონი ცენტრალური პუნქტია ყველა იმ ევროპელების, რომელთაც რაიმე კავშირი აქვთ აღმოსავლეთთან. მის ოჯახში ხშირად ნამდვილი აღმოსავლეთის ქაოსია მინიატიურაში წარმოდგენილი. ვერც ერთ ევროპეულ სალონში ვერ ნახავთ სხვა და სხვა პროფესიის, ეროვნების, გემოვნების, აზროვნების ადამიანების აღრევას. ევროპეულ ცხოვრებაში უკვე მომხდარია კრისტალიზაცია, საზოგადოება კასტებადაა დაყოფილი.

ხელგამლილი აღმოსავლური პურმარილი, სადა, წრფელი მიღება.

პარიზის ჯადოსნური ძალა! დედამინის ზურგზე თუ არის ისეთი ქალაქი, როგორც პარიზი, რომელიც ამდენ ბალასტს იღებს მილიონ უცხოელის პირისა და ხელისაგან, მაგრამ მაინც ნაციონალური პარიზული სული ყველას ინელებს.

მართლაც: გოლუას მამლის კუჭი ძლიერ მაგარი ყოფილა!..

ყოველი უცხოელი, პარიზელი ბრუნდება პარიზიდან. ალი მირზა ხან პარიზშია სულ ოციოდე წელი, თვით კონსერვატიულ, პატრიარქალურ აღმოსავლეთის ნაშიერს მორევიან ის სენი, რომელსაც პარიზულ სულს ეძახიან. მის ოჯახში ავეჯის მეტი არაფერია სპარსული. სპარსელობა მაღალი ფირმაა, რომელიც მეტ ინტერესს აძლევს მის სალონს. უკანასკნელ ხანებში ევროპაში კარგი ტონის ნიშანია აღმოსავლეთზე ლაპარაკი, ამიტომაც ეტანებიან მირზა ხანის სალონს პარიზელი პოეტები, მხატვრები, სალონის დამები, ჟურნალისტები, ბირჟის მაკლერები, მეთამბაქოეები, ყველა, ექზოტიკის მეგობრები, ხოლო ასეთნი პარიზში აროდეს გამოიღვეა...

მისალები სალონის კარებთან სახეში შემომანათა ჯენეტ ხანუმის სადაფივით თეთრი კბილების ელვარებამ, სადარბაზო ისე გავიარეთ, მე ვერც კი მოვახერხე ბოდიში მეთქვა დიასახლისისათვის, რომ ამდენ ხანს არ მოვინახულე.

მე ვფიქრობ: ჯენეტ ხანუმი ოდნავ გამოცვლილა. მის სახეს რაღაც იდუმალი დარდის იერი გადაჰკვრია. თვლების ჩრდილები გაღრმავებია, თუმცა ეს მომეტებულ სინაზეს აძლევს მის ფართე უმოძრაო, მელანქოლიურ თვალებს.

წინა ოთახში ღვინისფერ კედლებზე ალევორიული არაბესკები, ათას ერთი ღამიდან აღებული მოტივებით. პირველი ზალის კედლებზე იტალიანური ლანდშაფტები, ვერონის, ვენეციის მხარეები. ვრცელი მინდვრები თავქოლვიანი პინიების ჩრდილებით, შიგა და შიგ ძველი ციხეები, სასახლეები, ნანგრევები, თეთრი ქვა გამოკრთის მწვანე და ცისფერ ფონზე. კარების თავებზე: აზიის, აფრიკის, ევროპის სანახები, წყალვარდნილები, მინდვრები. სასტუმროში ფართე, განიერ ფანჯრებს შორის უშველებელი ვენეციური სარკეები, მოოქვრილი როკოკოს ჩარჩოებით. სპარსული დარბაზი განიერი ხალებით, ფარდაგებით, ტეკინის ნოხებით მოფენილი, კედლებზე ნაირ-ნაირი ძველი ჯაზიერები, ხმლები, მუზარადები, ჯაჭვის პერანგები, უცნობი სპარსელი მხატვრების სურათები: ლომები, რაინდები, ტანწერწეტა მწვერები, სპარსელი ვაჟები და ქალები გრძელ კაბებში, რომელიღაც შაჰინ შაჰის ნადირობა, რომელიღაც ციხის ალება მუზარადიან შუბოსნების მიერ, სკამები, კარადები, ოტომანები, ყველგან შავი საფიანით გადაკრული მუქი მაჰაგონდა როკოკო.

სპარსულ დარბაზში, ოტომანებში, დაბალ აღმოსავლურ ტახტებზე ზოგი ევროპეულის, ზოგი აღმოსავლური წესით ისხდენ სტუმრები, ქალები და კაცები. ოსმალეთის ელჩი



პარიზში იზმეტ ბეე, იტალიის საელჩოს სამხედრო ატაშე მაიორ სკორტა, მარჯვენა მკერდზე უამრავი ორდენების ცისფერი ლენტები აქვს გამწკრივებული, შვეიცარიელი კბილის ექიმი ქალი მადმუაზელ ლორენც, ახალ მოდაზე თმა შეკრეჭილი, სანახევროდ მამაკაცურ კოსტუმში, ნახევრად სპირიტისტი, ნახევრად სუფრაჟეტა (ფართე, წინ წამოწეული ცხენის კბილები უჩანს ღიმილის დროს). დოქტორ რადმერ პარიზელი გერმანულ საელჩოს დრაგომანი, რომელსაც სალონში უსაშველო პოლიგლოტის სახელი აქვს გავარდნილი — იგი ყურადღებას იქცევს იმითი, რომ 26 ენაზე ლაპარაკობს თურმე და სტუდენტობის დუელისაგან ისე დაჩეხილი აქვს სახე, თითქოს ყოველ წელს შახსედე-ვახსედეში ლეზულობდეს მონაწილეობას. დიდი პანგერმანისტი, პოლიტიკაზე იშვიათად ლაპარაკობს.

მისის ბლუტი, ამერიკელი ქვეყნების საზოგადოების მდივანი, ფილანტროპი. პაციფისტი. მუდამ დამძულ გერმანელ ბავშვებზე ლაპარაკობს, გერმანიაში არ მიდის, რადგან ვერ გაშორებია თავის „რეზიდენციას“ — პარიზს.

— იცნობდეთ, მადამ ფან სტაუნ. — მიმიშვირა ჯენეტ ხანუმიმა ლურჯ-თვალეზიან, ქორფლიან ქალზე, რომელსაც პირველ ორ სიტყვაზე ეტყობა ჰოლანდიელი უნდა იყოს. მადამ ფან სტაუნს გრანდამის აღნაგობა აქვს (თავის ვნებიან, ფართე თვალებს ისე შეაშტერებს მამაკაცს, რომ თვალეზი ამხელენ მის ხვაშიადს). მის გვერდით ჩემი ნაცნობი — სქელკისრიანი, მთლად განითლებული, მელოტი, მსუქანი კაცი, უშველებელი ცივარით პირში (მოკლე, მსხვილ თითებზე მოზრდილი ბრილიანტები). ფრანგების აღმოსავლეთ არმიის ინტენდანტი მუსაო ფან სტაუნს. ზედვე ეტყობა, მან შეიმატა ის აურაცხელი სისხლი, საფრანგეთმა რომ დაჰკარგა სხვა და სხვა ფრონტზე.

— ესეც თქვენი კოლეგა ფრანგი პოეტი რადმონ მენდე. — მაცნობს ღიმილით ჯენეტი საშუალო ტანის გრძელ კულულებიან მამაკაცს, ნაპოლენ მესამისებური წვერით. იგი ნაცრისფერ კოსტიუმში თეთრი ყორანივით მოსჩანს ამ ფრაკიან საზოგადოებაში. ჯენეტ ხანუმი ამბობს: იგი ერთგვარი „ლიცენცია პოეტიკით“ სარგებლობს, უფრაკოდ რომ დადის მის სალონში. მენდე სახით საოცრად მაგონებს ალფრედ დე მუსეს. მის გვერდით ებრაელი ყურნალისტი დოქტორ როშერ. რადიკალურად მოაზროვნე რატომღაც პაიფცისტს ეძახის თავს. თანაგრძნობით იხსენიებს რუს კომუნისტებს.

მაჰაგონის მრგვალ მაგიდას უსხედან და საიდუმლო გამომეტყველებით ხმადაბლა საუბრობენ: კონსული ალი მირზა ხან, ხანში შესული, ოქროს სათვალეზიანი; ანგორელი კაპიტანი იზმეტ ბეე, ბრგე, წარმოსადგენი ვაჟკაცი (ქართველს ნააგავს ოდნავ); ბებერი, თეთრი ჩალმიანი სპარსელი შერიტ ყული ხან მშვიდი, სათნო სახის, ცოტას ლაპარაკობს, შაქარბაგიანი მოუბარი, ლაპარაკის დროს ისე ნაბავს თვალებს, თითქოს ომარ ქაფანს კითხულობდეს. ხშირად ხელს ისობს გრძელ, თეთრ წვერზე. მან აღმოსავლური სალამი მომცა. მეც ყველაზე მეტის თანაგრძნობით მას მივესალმე. თამბაქოს მოსაწევ სალონიდან შემოვიდა მხარბეჭიანი, ლამაზი ვაჟი, ძლიერ მოთენთილი სახით, ჩერქეზი — ხალილბეე, ინგლისურად შეკნაჭულ პატარა, შავ უღვაშებით. მისაღებ ოთახიდან კიდევ შემოვიდნენ სტუმრები: ყველაზე წინ კაპიტან დოაზან თავის ცოლით და დებით, კაპიტანი ელვის სისწრაფით მიიჭრა დიასახლისთან და ხელზე ემთხვია. დამებს შემოჰყვან: პარიზელი ბირჟის მაკლერი მენდე (მას სულმთლად ოქროს კბილები აქვს პირში), ელზასელი ინჟინერი დრეერი. მუსაო ვილარ, თამბაქოს ქარხნის დირექტორი სამსონში; თავის ქვიჯასავით დაბალი, მუხლუხასავით დამრგვალებულ მეუღლით, რომლის ბრილიანტები თითებზე და მკერდზე გასაოცრად კაშკაშებენ ელექტროს შუქზე. მადამ ვილარს მოსდევდა წინდახედული ნაბიჯით ალჟირელი მონებით მოვაჭრე მუსაო დე ჟარდინიე, დე ჟარდინიეს თან ახლავს თავისი ტანმორჩილი ცოლი, როკოკოს დროს ტიპიური სახით, გრძელი, შავი საყურეებით. მას ანგელოზივით სათნო გამომეტყველება აქვს... როცა მადამ დე ჟარ-



დინიე სავარძლიდან წამომდგარ დიასახლისთან მივიდა, იგი ერთბაშად დაიჩრდილა ჯენეტის სიახლოვით. მე თვალი მოვკარი მის შვენიერ თეთრ მხრებს.

ახალმოსულთა შორის ერია რამოდენიმე ტანმორჩილი ფრანგის ქალი, ერთნი: პალმა ვეკხიოსებური ვნებიანი თვალებით, რგვალი ნიკაპებით, რგვალი, დასრულებული, თეთრი სახსრებით, შვენიერი, გრძელი თითებით, სხვანიც ეშხიანი, მწველი შავი თვალებით, რომელთა ბადალს იტალიაში ან სამეგრელოში თუ შეეყრებით. ერთიც მალალი, ლურჯთვალეებიანი შოტლანდიელი ქალი, მე მას ამ სალონში წინადაც შევხვედრივარ, მაგრამ სახელი არ მახსოვს, ისევე ახოვანი მისი და, ორივე ადრიანის რომის ქალების ტიპი, მთლად ხორცი, მთლად ვნება, ჩალისფერი მდიდარი თმა რძისფერ სხეულზე. მათ შორის ყურადღებას იქცევს უფრო ძველი სისხლი: ფართე თვალები, ცხელი, ვნებიანი ორიენტი სუნთქავს მათი შინდისფრად შეღებილ ტუჩებიდან. ეს პარიზელი ებრაელი ქალები უნდა იყვნენ, მათ ემარჯვებათ პარიზული შიკის გამოჩენა, აღმოსავლური ვნების გრძელ წამნამების ჩრდილქვეშ მიჩქმალვა. ზედვე ეტყობათ: მათ გაზაფხულს გადაუვლია, მაგრამ პარიზის ოსტატური კოსმეტიკა იკავებს მათ სახეებზე პირველი ვნების მდულარებას, პირველი გაფურჩქენის კდემამოსილებას. ვინც ქალის სილამაზეს ისევე შეჰყურებს, როგორც ხელოვნურ ნაწარმოებს, იგი ადვილად გაარჩევს მათ სილამაზეში ძველ ტილოს და ახალ ფერადებს.

სალონის ერთ კუთხეში ორი ქალი ლაპარაკობს ვილაც ფრანგის არისტოკრატის ცოლზე, რომელიც „ექვინანობის“ მომიზეზებით დაუჭრია თავის შოფერს, სუდანელ ზანგს. მეორე კუთხეში როიალს მოსხდომია მაიორ სკორტა და მადამ დე ჟარდინე ოთხხელად უკრავენ. ანტრაქტებში მისის ბლუტ ხმამალა კითხულობს ჟან მორეას ახალ სონეტებს.

მე ფრთხილად გავიარე სავარძლებში უნესრიგოდ დამსხდარ სტუმრების რიგი, დიასახლისის მივუახლოვდი.

ჯენეტი მისაყვედურებს, რომ პარიზში დავივიწყე ჩვენი ტფილისელი კარგი ნაცნობობა.

— თუმცა, — ამბობს ჯენეტი, — პარიზში ადამიანი გულცივი ხდება.

ჯენეტი ძლიერ უჩივის პარიზს. იგი ჯერაც ვერ შეგუებია აქაურ, მარტივით ცვალებად ბუნებას.

— პარიზიც რომ არ იყოს, ალი მირზა ხანი მონტე კარლოს როგორ მიატოვებს. ვერც თამაზი მყავს კარგად.

— უკაცრავად ხანუმ, სად არის თამაზი, იგი ახლა მოზრდილი იქნება.

— თამაზი მეთოთხმეტეში გადავიდა, კოლეჟშია. პარიზი მისი ჯანმრთელობისათვისაც ვერაა კარგი — პაუზა, — მეშვიდე წელია ტფილისში არ ვყოფილვართ. თამაზს ბუნდოვანად ახსოვს ტფილისი. სულ მეკითხება, დიდედასთან როდის წამიყვანო. რამდენი მზეა იქ... ღმერთო... მომკლა ამ ნისლებმა, წვიმებმა, მოწყენილმა ცამ... ხომ ხედავთ, მე როგორ გავხდი.

— გახდომა გიხდებათ, ხანუმ.

— ნუთუ? — მეკითხება იგი კოკეტურად. თვალები ძირს დაჰხარა.

მსახური შემოვიდა, რალაც წასჩურჩულა დიასახლისს. მარტო დარჩენა ვერ მოვასწარი, მომპარავი სიარულით მიახლოვდება დოქტორ როშერი, რატომღაც ფრიად ფამილარული ტონით იწყებს საუბარს (თანაც ცალ ხელს მხარზე მადებს).

— „წაიკითხეთ ტანში კრასინის მორიგი გამარჯვება? „ერესეფესერს“ მალე მთელი ევროპა იცნობს. Je vous assure, je vous assure<sup>1</sup>.

მე უკან ვიხვე, თავს ვითავისუფლებ მისი ხელისაგან. გაჩუმებული თავს ვუქნევ თანხმობის ნიშნად. როშერი ტყვიისმფრქვეველივით მაყრის სიტყვებს, ფრაზებს. იგი მელაპარაკება ლლოდ ჯორჯის და კერზონის პოლიტიკაზე (თანაც უკანასკნელს ინგლისური აქცენტით გამოსთქვამს: „ქოერზნ“):

1. მე თქვენ გარწმუნებთ.

— ეს პოლიტიკა აბსოლუტურად გაკოტრდა... მალე საფრანგეთსაც მემარცხენე ბლოკი ჩაიგდებს ხელში. ბურჟუაზია დალუპავს ევროპის დიდ კულტურას... შეუძლებელია, ძველ ფუნდამენტზე შეინაგროს მან თავი უკანასკნელ ომის შემდეგ. რაც შეეხება იტალიას და ისპანიას, „მონ შერ ამი“, თქვენ უკეთ იცით, ეს ორი მხარე აღმოსავლეთია, პირწმინდა აღმოსავლეთი, იქ მუდამ ტირანია ყოფილა და იქნება. მუსოლინი ვერ მისცემს ევროპას ახალ პოლიტიკურ რელიგიას, რადგან იტალია ყველაზე ჩამორჩენილი მხარეა ევროპაში. ნაპოლეონი? იგი იტალიაში პატარა კაპორალი დარჩებოდა. საფრანგეთის მაღალ პედესტალზე გამოჩნდა ბონოპარტი.

ჩვენს საუბარს პოეტი მენჟე შემოუერთდა. იგი აპოლიტიკოსობს, მაგრამ ცალი ფეხი პოლიტიკაში აქვს. მენჟე თავისთავს ორიენტალისტს ეძახის, თუმცა არც ერთი აღმოსავლური ენა არ იცის, ომარ ქაიამს და ფირდუსს როგორღაც მაინც სთარგმნის. სამაგიეროდ „აღმოსავლეთის მეგობართა საზოგადოების“ წევრია და ჟურნალ „აზიატიკის“ მუდმივი თანამშრომელი. მენჟე უარყოფს ევროპაში ყველაფერს, გარდა ფრანგული რომანტიზმისა, თაყვანს სცემს ინდოეთს და სპარსეთს.

— საქმე ჩამორჩენაზედაც არ არის, — ჩაერია მენჟე ჩვენს საუბარში, — განა უფიცმა, ბინძურმა, ჩამორჩენილმა იუდეამ არ მისცა ქვეყანას ახალი მესია?

— მე მაინც ვფიქრობ, „მონ შერ დოქტორ“, — განაგრძობს მენჟე, — ბოლოს და ბოლოს ახალი შუქიც აღმოსავლეთიდან უნდა მოვიდეს. ევროპაში გაუფონარი კრიზისია. სოციალურად, კულტურულად, პოლიტიკურად. კაპიტალიზმის საშინელი ქაოსის კრისტალიზაციაა საჭირო. კულტურა მხოლოდ კრისტალებშია მოცემული, ევროპაში ახალი იდეური სისხლის აღრევა უნდა მოხდეს.

— მაგრამ არა ამერიკანიზმის საშუალებით. — ჩაუმატა დოქტორ როშერმა.

— არა. — დაეთანხმა მენჟე.

— ისევე, როგორც საშუალო საუკუნეში. აბა, რა იქნებოდა ევროპა სიცილიისა და მავრების სამეფოებში — „აღმოსავლეთისგან არ ესესხებიათ სისხლი და იდეა?.. ხომ გახსოვთ არაბული კულტურის როლი ევროპიულ რენესანსში?.. სისულელეა, ვისაც ჰგონია, რომ იტალიანური რენესანსი მხოლოდ ბერძნულ-რომაულ ნიადაგზე წარმოიშვა.

სიმპტომები? რამდენიც გნებავთ, დღეს საფრანგეთში, ინგლისში, გერმანიაში მომეტებული ინტერესით სწავლობენ სანსკრიტს, სპარსულს, ასურულს, უამრავი ახალი თარგმანები ყველა ევროპიულ ენაზე ჩინეთის, სპარსეთის, ინდოეთის, იაპონიის პოეზიიდან, ხომ იცით, პოეზია მიუძღვება წინ ისტორიულ პროცესებს.

La Poésie avant toute choses, n'est-ce pas?<sup>1</sup> — დოქტორ როშერმა მოინყინა. მას არ ემარჯვება სხვისი ყურის გდება, რადგან თვითონ ლაპარაკობს მუდამ.

ჩვენი საუბარი ევროპის ახალ ხელოვნებას გადასწვდა.

— ის, რაც ჩვენს ხელოვნებაში ხდება, გაუფონარი რამეა. Ce quelque chose formidable, — ცხარობს მენჟე, — პოეზია რითმის აკრობატობათ გადააქციეს, სიტყვა ჰქრება უაზრო რითმების კორიანტელში, სიტყვა კვდება თეატრში, თეატრი ცირკისა და სინემატოგრაფისკენ მიდის, მხატვრობა ისტერიულ ფერადების ძებნით იმრიტება, ყველგან მაიმუნური აკრობატობა, ჟონგლიორობა, მუსიკის დეკადანსი ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში დაინყო, ის რაც ჩვენ გვაქვს, — უფრო ფოკუსს პოკუსის მუსიკაა. ჩვენ არა გვყავს დღეს არც ერთი დიდი ლირიკოსი, არც ერთი დიდი რომანსე, არც ერთი დიდი ტონის ხელოვანი, ლირიკას მაინც ყველაზე ცუდი ბედი ეწვია, არ გამართლდა ჩვენი იმედი ნეორომანტიზმის აღორძინების შესახებ ან რა რომანტიზმი შეიძლება ისეთ ევროპაში, სადაც ადამიანი

1. პოეზია უპირველეს ყოვლისა. არა?

პლაკატებში, კარტონებში, მაშინებში იხრჩობა. ადამიანი მაშინის მონა გახდა. ადამიანის პიროვნება მოკვდა ქაოტიურ კაპიტალიზმის ორგეებში.

პოეზიაში, ლიტერატურაში, მხატვრობაში, მუსიკაში, ყველგან მეტი ჟონგლიორობა, მეტი ტყუილი, ნაკლები გულწრფელი პათოსი და გმირული გრძნობა.

ოსკარ უალდს მიუძღვის ამ მხრით უდიდესი ცოდვა, — განაგრძო პროკურორის ტონით მენდემ. ხელოვნება ლამაზი ტყუილი როდია, არამედ — გალამაზებული სინამდვილე, გალამაზებული სიმახინჯე თუ გნებავთ. სტყუის თანამედროვე მწერალი, მან სინამდვილე უარყო, იგი ისტერიულ ტანჯვა-გრეხაში ეძიებს ახალ თემებს, ახალ სიტყვებს, მაგრამ სადაც ახალი, ჭარბი, წრფელი გრძნობა არ არის, იქ არც ახალი სიტყვა დაიბადება“.

— მაგრამ ეროსი თვით სიტყვაშია მოცემული — შევნიშნე მე.

— არა „მონ შერ ამი“ წინააღმდეგ, ეროსმა შვა სიტყვა, სინამდვილის ეროტიკამ წარმოშვა სიტყვა.

— ...მაგრამ იოჰანეს გამოცხადება?.. პირველითგანვე იყო სიტყვა?

— იმონმეთ ვინც გნებავთ, მე არ მნამს სიტყვის თავისთავადი წარმოშობა.

— თქვენ დაგავინყდათ დევიზი: ხელოვნება ხელოვნებისთვის! — კვლავ ჩაერია დოქტორ როშერი.

— სისულელეა. წინააღმდეგ. ხელოვნება ცხოვრებისათვის. ხელოვნება ნათელი მეტეორია მილიონების გზის მაჩვენებელი, არა უნაყოფო ესთეტიკის სალაყბო. პოეტი არწივია — ეთერისაკენ, სინათლისაკენ რომ აიტაცა ძველის მიჯნური. ჩვენი დროის პოეტები — საცოდავი ყვერულებია, სხვისი წინილებისთვის დაქირავებული გადიები, სხვისი იდეების გამომჩეკი.

— მერმე რატომ?

— რადგან მათ პიროვნება არა აქვთ. დღევანდელი პოეტი ყოველ ფილისტერზე უფრო დიდი ფილისტერია. ამ ესთეტიკაზე რაღაც ახირებული — მშვენიერების მებოსტნეების კასტა შეჰქმნეს. ჯერ კაცი უნდა გახდეს, როგორც ბალზაკი, სპორტსმენი, როგორც სოფოკლე, კონტრაბანდისტი, როგორც რემბო, თუნდაც რევოლუციონერი „ქვეყნის დამქცევი“, როგორც რობესპიერი. იყავი, ვინც გინდა, მაგრამ ალტყინებული კაცი. ყველა ხუთი გრძნობის მქონე, ვნებიანი ფანატისკოსი, რადგან ვნება კაცის დამამშვენიებელი, ეს თუ ხარ, მერმე ექნება შენს სიტყვას ფოლადი. შემოქმედება მხოლოდ ცხოვრების ანტირაქტებშია შესაძლებელი.

ნიცშე, დოსტოევსკი, ჰოლდერლინი, შილლერი შიმშილს, ეპილეპსიას, სიგიჟეს, ჭლექს ებრძოდნენ, ისე სწერდნენ. ამოუყენეთ მათ გვერდში პარიზის, ლონდონის, ბერლინის ყავახანებსა და სალონებში მოხეტიალე მაძლარი პოეტები, რომელნიც სტრიქონებისა და მათთვის მიღებულ გროშების თვლას უნდებოდნენ.

— ასეა, ჩვენმა დრომ მოიტანა... ეს პროფესიონალი პოეტები. — შენიშნა დოქტორ როშერმა.

— ხა, ხა, ხა, უფრო პროფესიონალი ჯამბაზები, პროფესიონალი ონანისტები, არა?

— ისინი თავიანთ იდეურ სილატაკეს ბნელი გამოთქმით, რითმების უაზრო ჩხაკუნით მაღავენ, თავიანთ უგულობას — საფოლაქეებში გარჭობილ ნარგიზებით. ამიტომაც... ეს გაუვალაი პესიმიზმი, ეს საშინელი მკვდრის სუნი ევროპის პოეზიაში, თეატრებში, მხატვრობაში. „Something is rotten in the star of Denmark“<sup>1</sup>.

— ეს ბურჟუაზიის ლეში უნდა იყოს. — შენიშნა კიდევ დოქტორ როშერმა.

— ვისიც არ უნდა იყოს ამ ლეშს გარედ უნდა გატანა.

1. რაღაც აყროლდა დანიის სახელმწიფოში.

— ყველაფერზე გეთანხმები, მაგრამ აღმოსავლეთზე აჭარბებ, — უთხრა მენდეს დოქტორ როშერმა, — ჩვენ, ალბად, არ ვიცნობთ აღმოსავლეთს, მიტომაც ეგ ზომ გადაჭარბებულ იმედს ვამყარებთ მასზე.

ამასობაში მომღიმარე ჯენეტი შემოვიდა ჩვენ შორის.

— რაზედ ცხარობთ, ახალგაზდებო? დოქტორ როშერი მუდამ პოლიტიკაზე ლაპარაკობს.

არ მოგწყინდათ ეს პოლიტიკა? მე გეტყვით უკეთესს: ინგლისელი ცხენი ჰექტორი ამერიკაში დაუმარცხებიათ. ნაიკითხეთ ამ საღამოს „პარი სუარში“. ეს ამბავი მთელ სალონს მოედო. სტუმრებში საშინელი პანიკა გამოიწვია.

მაიორ სკორტა გველნაკბენივით წამოიჭრა სავარძლიდან. „რას ამბობთ, მართლა?“ — წამოიძახა. ქვასანაყივით რგვალ მუსღო ფონ სტაუნსაც არ დაეზარა ადგომა, დიასახლისთან მიიჭრა, სერიოზული სახით შეაჩერდა და მხოლოდ ამის თქმა მოასწრო: „C'est dommage“.<sup>1</sup>

— ჩემს თამაზსაც ძლიერ დააინტერესებს ეს ამბავი, — მითხრა ხმადაბლა ჯენეტმა. — იგი პირდაპირ შეშლილია ცხენებზე. მუდამ დოღზე რომ ამყოფო, არ მოსწყინდება. მთელი ქვეყანა დოღად აქვს წარმოდგენილი. ამასწინად ჩვენს შოფერს გაჰყოლოდა უჩემოდ, გაცივდა.

— ქართულ-სპარსული სისხლია, ხანუმ. რას იზამთ. გარდა ამისა, ისეთი თაობა მოდის, ვგონებ, სპორტის მეტი არაფერი დააინტერესებს.

— მართლაც, მეც ეგრე მგონია, — დამემონმა ჯენეტ ხანუმი, — მერმე, ჩემი მამა, ბაბუა, პაპა, ყველანი კარგი კავალერისტები ყოფილან.

— ცხადია, ქართველი ათაბაგების შთამომავალნი...

ჯენეტ ხანუმმა ბოდიში მოიხადა, სალონის კუთხეში შეგჯუფულ სტუმრებს მიუახლოვდა, აქ მთელი წრე უსმენდა მისის ბლუტს, იგი ლაპარაკის დროს ვაჟივით ისწორებს შუბლზე ჩამოვარდნილ კულულებს, ჰექტორის დამარცხების შესახებ ლაპარაკობს, თანაც კაპიტან დოაზანს შეჰყურებს, თითქოს მის მეტი არავინ უსმენდეს.

— ეს სიმპტომატიურია, კეპტენ! ჰექტორის დამარცხება, ამერიკის მომავალის გამარჯვებას მოასწავებს. ჰექტორი მთელი ევროპის „ჩემპიონი“ იყო. მე თუმცა ათ წელზე მეტია, რაც კონტინენტზე ვცხოვრობ, მაგრამ ვხედავ, ამერიკა გიგანტიური ნაბიჯით ნავიდა წინ. თქვენ ნახავთ, მალე ევროპა ისეთივე სიძველეთა მუზეუმად გადაიქცევა, როგორც რომი და ჰელა. — ჯენეტის დანახვაზე კაპიტან დოაზანი ხელიდან დაეღალა მისს ბლუტს, ჯენეტს ხელი გაუყარა. ისინი სუფრის შორი-ახლო მოშორებით დასხდნენ შაგრენის სავარძლებში და ხმადაბლა საუბარი დაიწყეს.

მე მთელი საღამო ვეძებდი შემთხვევას ჯენეტთან მესაუბრნა tête-à-tête, ამიტომაც ავენთე ბრაზისგან. კაპიტან დოაზანი არ ისვენებდა დრო-გამოშვებით პირი ჯენეტის ყურთან მიჰქონდა და რაღაც საიდუმლო გამომეტყველებით ესაუბრებოდა.

მე ბურგუნდის ღვინით გავავსე ჩემი ბაკალი და ხალილ ბეის ჭიქას შევახალე. ხალილ ბეის ბაკალი გატყდა. ღვინო სუფრაზე დაიღვარა.

შევწუხდი. ჯენეტი ადგა. ჩვენთან მოვიდა. მანუგემებდა, რომ ეს არც ისე დიდი უბედურებაა.

— თქვენი ბრალია, ხანუმ. — წავიბუტბუტე.

— ნუ თუ? — ჯენეტი ისევ კაპიტან დოაზანის გვერდით დაჯდა.

— კი მაგრამ... — ეუბნება მისის ბლუტს პოეტი მენჟე, ეს ყველაფერი ცივილიზაცია... კულტურა? სული?

1. სამწუხაროა.

— იცით, მისტერ მენაე, ამერიკას ერთიც აქვს და მეორეც. მხოლოდ დანახვა უნდა მათ. განა ბრუკლინის ხიდი, ველსტრიტის 60 სართულიანები კულტურა არ არის? განა ამერიკის ფენომენალურ ტენიკაში, ინდუსტრიაში სული არ არის?

— გარდა ამისა, — მისის, — იკითხა კაპიტან დოაზანმა, — ამერიკა ხომ ერთი ნაცია არ არის? აი, ეს აკლია ამერიკას იმისთვის, რომ ერთი კულტურა, ერთი სული ექნეს.

— არც ეგაა სწორი“

— ომის შემდეგ ჩრდილო ამერიკაში სრულიად გარკვეული ამერიკანიზაციის ტენდენცია ტარდება.

— მართალია, — დაემონმა დოქტორ რამერ. — უკანასკნელ წლებში საშინელის სიჩქარით ხდება იმ ოცი მილიონი გერმანელის ამერიკანიზაცია, რომელნიც ოკეანიის გადაღმა არიან გადახიზნული.

— ეჰ, გერმანელებს ნაციონალური გამძლეობა არ აქვთ, მათ აკლიათ ერთგვარი შეუვალობა უცხო კულტურის მიმართ. თუ ეს შეუვალობა არა აქვს ერს, ის ადვილად გაითქვიფება. — შენიშნა იტალიელმა მაიორმა.

— თქვენ გგონიათ? — ჩაილაპარაკა დოქტორ რამერმა, ისედაც დაჩეხილი სახე მთლად დაემანჭა.

— როგორც ვხედავ, ამერიკა ყველას მოინელებს, ევროპასაც და იაპონიასაც, ათიოდე წლის შემდეგ იქნება ერთი, ძლიერი ამერიკის ნაცია. — ამბობს მოკრძალებული ტონით ჩაღმინი სპარსელი შერიტ ხანი.

მახლობელ დარბაზიდან სიმეზიანი ორკესტრის ხმა ისმის. იქ უკვე უენსტეპი გაეჩაღებიათ. ამ დარბაზში დარჩენ მხოლოდ შერიტ ხან, იზმიტ ბეე, მირზა ხან და ორიოდ გვიან მოსული ხნიერი დამა. უკვე ცეკვისაგან ლოყები შენითლებოდან: მადამ ფან სტაუნს, შოტლანდიელ მისს და მის დას. მისის ბლუტ ყველაზე მეტ აქტივობას იჩენს უენ სტეპშიაც. ტანმორჩილი პარიზელი ებრაელი ქალები ფაშატებივით ხტოდენ. მადამ დოაზან — ინჟინერ დრეერთან, მადამ დე ჟარდინიე — მაიორ კორტასთან; ახმახი კავალერი ალელვებული შეჰყურებდა კოჰნია მადამ დე ჟარდინიეს სათნო, ანგელოზისებურ სახეს. ჯენეტი კაპიტან დოაზანთან ცეკვავდა, როკავდა ჯენეტის ტანი — ქარისაგან ატოკებული ნაძვი ურთხელებს შორის. მუსაო ფან სტაუნ თავის მოკლე, მსხვილ ფეხებს ერთ ადგილზე აბაკუნებდა და ქადაგადდევარდნილივით შესცქეროდა თავის ახოვან დამას: შოტლანდიელ მისს, რომლის მინანქარივით თეთრ ლოყაზე შინდისფერი ალმური კრთოდა.

— რა შეუფერებელი წყვილია! — წამჩურჩულა ღიმილით ჩერქეზმა ხალილ ბეემ, რომელიც ჩემს გვერდით აღმოჩნდა შემთხვევით...

— იცით, როცა მამაკაცს ცეკვა ემარჯვება, თურმე გონება ჩლუნგი აქვს, — ვეუბნები ირონიით ხალილ ბეეს, ფან სტაუნის დათვურ მანერებსა და მიხვრა-მოხვრას ვაკვირდებით.

— ეჰ, ეს უდროობის კაცია, თორემ არც გონება აქვს მას ზედმეტად ბრწყინვალე. სპეკულიანტობას რა დიდი გონება უნდა. მუსაო ფან სტაუნი ომამდის დასტორგის ქუჩის კუთხეში ბანანებს ყიდდა. ახლა პარიზის ბირჟის ლომია. შარშან დავდიოდი მათსას. ბ. ფან სტაუნის პორტრეტს ვხატავდი. ხომ იცით, ხელოვანიც ხშირად ლუკმა პურის მონაა. რა გგონიათ, პარიზელი მხატვრების დიდი უმრავლესობა უმგვანო პლაკატებს ხატავს.

— პოეტები?

არც პოეტებია უკეთეს დღეში, სანამ დიდ სახელს მოიხვეჭენ. მე ვიცნობ ერთ მაღალ ნიჭიერ პოეტს, ბირჟის სტენოგრაფებს სწერს. ომმა ახალი ტიპის ბურჟუაზია შექმნა. ამ თაობას აღარა აქვს ძველი ბურჟუაზიის განათლება და გემოვნება. ყასბები გამდიდრდენ. მათ არაფერი ესმით ხელოვნების. ფან სტაუნისთანა ინტენდანტებისთვის იყო ეს ომი. მთელი ქვეყანა დაღარიბდა. სიმდიდრე სპეკულიანტებს ჩაუვარდა ხელში. რამდენი ხე-



ლოვანი დალუპა ამ ომმა. ახლა მაინც ევროპაში ცხოვრება გაძვირდა. მოცალეობა აღარ არის. და ხომ იცით ნებიერი მოცალეობა სჭირია ხელოვანს.

ასე ქმნიდენ ძველი ბერძნები, ინდოელები, სპარსელები. ევროპაში დრო ისე მიგაჭენებს, დამშვიდებული ჭვრეტა შეუძლებელი ხდება. სიმდიდრე და მოცალეობა ყოველივე შემოქმედების მშობელი. ორივე ფან სტაუნებს ჩაუვარდათ ხელში. მადამ ფან სტაუნმა მაჩვენა თხილის ოდენა ბრილიანტი, ვილაც რუსი ურიისგან უყიდათ. ეს ბრილიანტი მარია ფეოდოროვნასეული ყოფილა. რამოდენიმე სერვიზი აქვთ ძვირფასი სევრის პორცელანის, წითელი კოპენჰაგენის ჭურჭელი, მოოქროვილი ლანკანები, ბროლის ლარნაკები. ხელზე დააკვირდით მადამ ფან სტაუნს. ეს წითელი იაგუნდები ციმბირიდან ჩამოსულ სლოვაკებისგან იყიდეს პარიზში.

ფან სტაუნების საწოლი წითელი ავსტრალიური ხის კედლები ოქსინოთი და შადით გადაკრული, ერთი ბრილიანტების კოლფე აქვს მადამ ფან სტაუნს (მას დიდ ოპერაში ატარებს მხოლოდ) რომელიმე პატარა სახელმწიფოს იყიდის. ფან სტაუნის სახლში მე ვნახე აღმოსავლეთიდან მოტანილი პატიოსანი თვლები, რომელთა მსგავსი არაოდეს მინახავს. ამას წინადადლებოზე აჩუქა ფან სტაუნმა თავის ცოლს ერთი არაბული სამკერდე ვეშაპის თვალით, ლაჟვარდით, ცის ნატეხით, ობოლებით და საფირებით შემკული, ძვირფასი ოქრომკედი.

ფან სტაუნს ახლაც საკლავი საქონელი მოყავს ბალკანეთიდან პარიზში. ბუქარესტში რუსეთიდან გატანილი აუარებელი სიმდიდრე იყო, ძველი სპარსული მინიატურები, რუსული ხატები, ბენვეული, ბრილიანტები, დიდძალი სიმდიდრე შეისყიდა ბუქარესტელ კომისიონერებისაგან. იმ სპარსულ მინიატურებზე მრჩებოდა თვალი. ფან სტაუნს რად უნდა? ხელოვნების ინჩი-ბინჩი არ ესმის.

ხომ ხედავთ, რა ხალხი გამოაჩინა ამ ომმა!

აგერ კიდევ „ახალი კაცი“, მადამ დოზანთან რომ ცეკვავს — ელზასელი ინჟინერი დრეერი. იგი მუდამ რალაცას იგონებს. 46 სხვადასხვა გამოგონების პატენტი აქვს მიღებული. ახლა კინემატოგრაფის რელეფის პრინციპი გამოიგონა. მას მთელი ორგანიზაცია აქვს ასეთ „გამომგონებლებისაგან“ შემდგარი.

— თქვენ რატომ არ ცეკვავთ ხალილ ბე?

— მე მადამ ფან სტაუნმა მთხოვა მასთან მეცეკვა, მაგრამ უქეიფოდ ვარ-მეთქი, მოვიმიზეზე.

— მერმე რატომ? დამა არ მოგეწონათ?

— არა. მადამ ფან სტაუნი ლეზბიელია, მძულს მაგნაირი ქალები. ხომ ხედავთ, მადამ ფან სტაუნის გვერდით რომ ცეკვავს ტანმორჩილი ფრანგის ქალი მადმუაზელ დელა რომ, ამბობენ, ისინი...

— რაო?

ხალილ ბემ ორაზროვანად გაიღიმა.

უენსტეპი შესწყდა. სტუმრები სასადილო სალონში გაიწვიეს. უშველებელ სუფრაზე გაემწკრივებიათ მალალი, წერწეტა სპარსული მინაქარით მოჩითული ლარნაკები, უამრავი ყვავილები სპარსული ხმელი ხილი, საჭმელები.

— ეჰ, მე არ მიყვარს ეს ევროპიული „ალაფურშეთ“. კაჭკაჭებით დაესევიან გაშლილ სუფრას. ან როგორი უთავბოლო სმა იციან.

— ჭამა-სმა და ქეიფი ქართველებმა იცით კარგი. — ამბობს ხალილ ბე.

ჩვენ სოლიდარობის ნიშნად ჭიქები ავანკრიალეთ.

— ჭირვით მეზარება, როცა დედაკაცი ბევრს ყბედობს. — მეუბნება ხალილ ბე და მანიშნებს მისის ბლუტზე, რომელსაც ერთ კუთხეში მიუმწყვდევია კაპიტან დოზანი და მუსაო ფან სტაუნი. უკანასკნელი მადიანად შეექცევა ფილეს ნაჭერს, ზრდილობის გულისთვის მაინც ყურს უგდებს. კაპიტანი მალ-მალე სვამს ბორდოს, თანხმობის ნიშნად თავს

უქნევს წარამარა, მაგრამ ეტყობა, მთქმელის მადლიანი სახე უფრო აინტერესებს, ვიდრე მისი ქადაგება. მისის ბლუტს ცალ ხელში ბუტერბროტი უკავია, ცალშიაც მაღალი, ბურ-გუნდის ღვინით სავსე ბაკალი, უამბობს ორთავეს, რომ მისი თაოსნობით, ამ მოკლე ხანში, პარიზში მოენყობა რუდოლფ შტაინერის სახელობის თეოსოფიური საზოგადოება.

— თვით რუდოლფ შტაინერიც ჩამოვა პარიზში.

— შტაინერს ლამაზი თვალები აქვს, არა? — შენიშნავს კაპიტან დოაზანი ცბიერი ღიმილით. მას თვალის კუთხეებთან ნაოჭები ეკეცება.

— *Magnifique, magnifique!*, — იძახის მისის ბლუტ, — თქვენ ხომ იცით, შტაინერს დიდი გავლენა აქვს სამხედრო წრეებშიაც, მან ომის დროს ლამის ჭკუაზე შეშალა გერმანიის გენერალური შტაბის უფროსი — გენერალ ფონ მოლტკე.

— ეს ერთი კარგი საქმე მაინც უქნია ჩვენთვის, ფრანგებისთვის.

მისის ბლუტ ვერ ამჩნევს კაპიტან დოაზანის გესლიან რეპლიკებს, განაგრძობს რუდოლფ შტაინერის თეოსოფიის მსოფლიო მნიშვნელობაზე ლაპარაკს. იგი გაცხარებით ამტკიცებს, რომ შტაინერი ახალი მესსიაა, რომ ის ამერიკასაც დაიპყრობს.

— ეს ის შტაინერია, გოეტეს სახლი რომ დაუნვა შვეიცარიაში?

— *It is, it is.*<sup>2</sup>

— მწერალია, არა? — კითხულობს მუსაო ფან სტაუნი, რომელიც ამასობაში ისე გატაცებული ყოფილა ჭამით, რომ აქამდის ვერ გაუგია თუ ვინ იყო ეს შტაინერი.

— *Yes, yes, it is, it is.*<sup>3</sup>

— მე აღმოსავლეთის კაცი ვარ. ქალი ისე უნდა იყოს სქესით გაბრუნებული, რომ მამაკაცთან საზოგადოებაში ლაპარაკს ვერ ახერხებდეს. — ნამჩურჩულა ხალილ ბემ და თავისი ჭიქა გამოსცალა.

დოქტორ რაიმერი, პოეტი მენფე, მაღამ ფან სტაუნი გაჩუმებული სჭამენ.

დოქტორ რაიმერი იღებს ბაკალს ხელში, ძლიერ ახლოს მიდის მაღამ ფან სტაუნთან, არეული თვალებით შეჰყურებს მის სავსე მკერდს და ადღეგრძელებს.

მე ვეკითხები ხალილ ბემს:

— ის ორი ქალი ვინ არის, მუსაო დე ვილარის გვერდით რომ სხედან?

— ის მაღალი იტალიელი ქალია, ვგონებ, მადმუაზელ ტორინო. მეორე კაპიტან დოაზანის დაა, პარიზელი ქალი. პატარაა მაგრამ... რა საუცხოვო მხრები აქვს.

— კაცმა რომ თქვას მისის ბლუტიც ლამაზია. მშვენიერი თვალები აქვს.

— ახ, არ მიყვარს, ყბეღია.

— იტალიელსაც, ამერიკელს, პარიზელებს, შოტლანდიელებს, ჰოლანდიელს, ებრაელებს, ყველას მაინც ჯენეტი სჯობია, არა? — მეუბნება ღიმილით ხალილ ბემ. ორივენი ჯენეტის სადღეგრძელოს ვსვამთ. ვკოცნით მის შვენიერ ხელებს და ისევ ვბრუნდებით ჩვენ ადგილზე.

— რა სავსე მკერდი აქვს, რა კეთილშობილი კანის ფერი. ფეხები ჩერქეზული ცხენით... ო, რა იყო ჯენეტი 16-17 წლისა!

— არც ახლაა ძლიერ ხნიერი.

— თქვენ ხომ იცით, ჯენეტი ქართველი ქალია. მამამისსაც ვიცნობდი. კავკავში მსახურებდა პოლკში. მათი წინაპრები სამცხის ათაბაგები ყოფილან. ახლაც აქვთ ვგონებ მამული ახალციხის ახლოს. კავკავში მოკლეს ჯენეტის მამა. ჯენეტის მოტაცება უნდოდათ. დედამ ვაჟურად გადააცვა. ტფილისში გამოაპარა, ჩალანდრის ცხენით.

1. დიდებული, მშვენიერი.

2. ის არის.

3. დიახ, ის არის.

ალი მირზა ხანს რომ არ შეერთო, პარიზში არ წამოეყვანა, ტფილისიდან გაიტაცებდენ ჯენეტს.

— ჯენეტის ქმარი თქვენი ნათესავი ხომ არ არის, ხალილ ბეე?

— არა. — სთქვა ხალილმა. მის სახეზე უეცარმა ჩრდილმა გადაირბინა. მე გადავაგლე თვალი იქ დამსწრე ქალებს. მართლაც, ჯენეტი ირისესავით ბრწყინავდა მათ შორის. პარიზს დაერთყა თავისი ბეჭედი მის სახეზე. ორი თითქმის შეუმჩნეველი ნაოჭი ოდნავ მოქანცულ ფერმკრთალ სახეზე, მაგრამ მისი არსებიდან რაღაც გაუმხელელი, შიგნით დაგუბებული რომანტიული ალმური ჰქრის, როცა გაიცინებს, ველური შვენება იფრქვევა მის პატარა, ბრონეულის ყვავილივით ტუჩებიდან.

— მე არ მიყვარს ევროპიელი ქალები, — განაგრძობს ხალილ ბეე, — ქალი საერთოდ რეალისტური არსებაა. მაგრამ ევროპიელი ქალი — უფრო მეტად. რამდენი ანგარება, რამდენი სიყალბე, რამდენი კოსმეტიკა, სიცრუე. მე 18 წლიდან პარიზში ვარ, მამაჩემის მთელი ქონება პარიზელ ქალებს გადავალე, არ დამიტოვებია არც სალონის ქალები, არც არტისტები, არც მანსონეტები, არც მეძავეები, მაგრამ არც ერთი არ მიყვარებია.

— თქვენ ძლიერ დახელოვნებული ყოფილხართ ამ საქმეში.

— მეტი რა გამიკეთებია ჩემს სიცოცხლეში, — წარმოსთქვა მან შინაგანი გულისწახილით.

— მე მგონია, ყველას კიდევ მეძავეები სჯობია. მეძავე უფრო გულწრფელია, ვიდრე მთელი ქვეყნის „პატიოსანი საზოგადოების“ ქალები. პარადოქსად არ მიიღოთ. ოჯახი სხვა რაღაა, თუ არ ლეგალური მრუშობა. მეძავე ქალი პირდაპირია და უშვალო. მერმე პარიზელი. იგი კეთილსინდისიერად ასრულებს თავის პროფესიას.

— მიკვირს, როგორის მძულვარებით ლაპარაკობთ ქალებზე, ბატონო ხალილ.

— ჰმ, იცით, ჩვენ აღმოსავლეთელები ყველაზე უკეთ ვაფასებთ ქალებს. ქალის რომანტიზმის ბურუსში გახვევა ეს ევროპელების საქმეა. ეს იბსენისებური სისულელეებია. მისის ბლუტი ნამდვილი ნორაა. ასეთი ქალები, აი, ასეთ სალაყბო სალონებში თუ გამოდგებიან. ისინი აკვანსა და ქმრის სარეცელს ვერ შეეგუებიან. უნდა შეურიგდეთ ამ აზრს, რომ ოჯახი და ჰარემი ოდნავ განსხვავდებიან. მხოლოდ რიცხვით. ცოლობაც პიროვნული მონობის ცალფა ნიღაბია. იბსენის და მის მიმდევრების სულელურმა რომანტიკამ შექმნა ქალთა ამბოხი. ნახეთ ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიის დღიური პრესა. როგორ ენგრევა მთელ ევროპას ოჯახი თავზე! განა ვერ ამჩნევთ, ევროპაში დიდი ხანია მამაკაცების გადაეკაცება და ქალების გამამაკაცება ხდება. აკი ამბობდა კარდინალ დეზუბა: სიყვარული სხვა არაფერია, თუ არ თავგასართობი ჩვეულებაო. თუ მაღამ პოლინააკს და მაღამ ნესლეს დუელი ჰქონდათ ბულონის ტყეში, რადგან ორივენი რიშელეს საყვარლები იყვენ, შარშან ქალბატონ ბლუტს და ქ-ნ ლორენცს ჰქონდათ დუელი მადმუაზელ დელაროშის გამო.

— მათაც ბულონის ტყეში?

— არა, მათ ერთი პატარა თეატრი იქირავეს მონმარტში: დუელი ჩაკეტილ კარებში იყო. სეკუნდანტებათ ორი ქალი და ორი კაცი ვიყავით: მე, დოქტორ რამერ, მაღამ ფან სტაუნ და ჯენეტი. მადმუაზელ ლორენცი დაიჭრა ყვრიმალში. ახლაც აჩნია.

— მემრე აქ როგორ მოხვდენ ამ საღამოს?

— ჯენეტმა შეარიგა დიდი ხანია. აკი ამბობდა ბონაპარტე: მე მეშინია ევროპას ქალი და ვაჭარი არ დაეპატრონოსო. ეს ნაწილობრივ მოხდა კიდევც.

— დღეს მენწრიმალეებია ევროპის ბატონები. ხვალ ალბად ქალები იქნებიან...

— თქვენ ანტიფემინისტი ყოფილხართ? — ვეუბნები ხალილს.

— არა, ანტიფემინიზმი ევროპიული, წიგნური მოდაა. ჩვენ აღმოსავლეთში რეალურად ვუყურებთ ქალს. ჩვენ ბუნებით ანტიფემინისტები ვართ. მე ახლა კარგად მესმის, ყველა დიდი წარმართები რად უმღეროდენ ვაჟის სილამაზეს. მე არასოდეს ვხატავ ქალს.

— დღემდის არ ვიცოდი, თქვენ თუ მხატვარი იყავით, ხალილ!

— მე 10 წლის წინად გამოვფინე პარიზის „შემოდგომის სალონში“ ჩემი „ჩერქეზული სილუეტები“. შემდეგ ომმა შემანყვეტია, რადგან უცხოელების ლეგიონში ვმსახურობდი 3 წელი. ახ, ჩვენს პირობებში ძნელია ხელოვანი იყო. ჩემს ქვეყანაში ასპარეზი არა მაქვს. ჩვენს კავკასიაში დასწერე თუნდაც უფრო კარგად, ვიდრე მოპასანმა, დახატე ჰოლბაჰზე უკეთ, მაინც გასაქანი არ არის. არ არსებობს კრიტიკა. ფართე საზოგადოებრივი ინტერესი. მერმე, ჩვენ მოწყვეტილი ვართ კაცობრიობას. აქ ევროპაში შეუძლებელია, სურათზე, წიგნზე არ გამოგეხმაურონ. თუ ოდნავ მაღლიანი კალამი გაქვს, კრიტიკა ან მოგსპობს, ან ცამდის აგიყვანს. ჩვენში?..

— რატომ, ხალილ, მე ვფიქრობ, ჩვენ ბრწყინვალე მომავალი გვაქვს კავკასიის ხალხებს.

— თქვენი, ქართველების მდგომარეობა ოდნავ უკეთესია, ჩვენი საქმე წასულია.

— ჩვენ მეზობლებს, კავკასიელ ხალხებს ისე ვუყურებთ, როგორც უმცროსს ძმებს... წინააღმდეგ ჩვენ ყველას ისტორიამ დაგვაკისრა წინა აზიის განახლება! მერმე ჩვენში დიდი, დიდი ენერჯია და ნიჭი ილუპება უნაყოფოდ.

მე ისევ ძველ თემას ვუბრუნდები:

— განა შიშველი მამაკაცი სჯობია შიშველ ქალს?

— რა თქმა უნდა! თუნდაც რაფაელის გიტარის დამკვრელი აპოლონი შეადარეთ მის-სავე მადონებს.

— იცით, ხალილ ბეე, სილამაზე ამ ქვეყნად ყველგან დიდია და ღვთაებრივი.

სტუმრები ძლიერ გაერთენ ვახშმით. ცოტა ხანს ორივენი ვსდუმდით.

— საოცარია, წინად რომ ვერ შეგამჩნიეთ ამ სალონში!

— არ მიყვარს, როცა მწერალს მელნის სუნი უდის, მხატვარს — ფერადის... გასულ სეზონში იმავე „შემოდგომის სალონში“ გამოფენილი იყო ჩემი „დიონისოს მეორედ მოსვლა“.

— იცით რა, თუ გაინტერესებთ, ის სურათი ალი მირზა ხანმა იყიდა, აქვეა, თამბაქოს სალონის გვერდით, მირზა ხანის კაბინეტში. ჩვენ შეგვიძლია მისაღები გავიაროთ... ჯავრი ნუ გაქვთ, მე აქ შინაური კაცი ვარ. — ორივენი გავიპარეთ სასადილო დარბაზიდან.

მისაღებ სალონში S სავარძელში ისხდენ ანგორელი ოფიცერი, მადმუაზელ ლორენცი, პოეტი მენჟეც იქვე იდგა და ხმა-დაბლა ლაპარაკობდენ. მხოლოდ ერთ წინადადებას მოვკარი ყური:

„...ასეა, სიყვარული კორექტურულ შეცდომასა ჰგავს, სადაც არ გგონია, იქ შეგეპარება“.

მირზა ხანის კაბინეტში ნაფტალინის და ახალი ფერადის სუნი იდგა. ხალილ ბემ ძლივს მოსძებნა შესავალი. ოთახში მაქსიმალური სინათლე დააყენა, ერთ კედელზე მიიდგა სკამი და თეთრი ტილოს საფარი გადახადა განიერ ჩარჩოებში ჩადგმულ სურათს.

სუბტროპიული ზღვის ნაპირი. ბანანებით, მაღალი პალმებით, ხშირი ლელით შემოსილი. ნიადაგი — წითელი ქვიშა, ძონის, ფირუზის, ქარვის ფერადი უხვად გაბნეული ხმელზე, ზღვაზე და ცაზე. ლელში და ისლში სულგანაბული ჟღალ თვალებიანი ვეფხები, ველური ვაზების ბარდებში თხის ჩლიქებიანი სატირები, დელფინებს, ცხენთევზებს, და ნიანგებს თავი ამოუყვიათ ლილისფერ ტალღებიდან: გარინდებული შესცქერიან უცხო სასწაულს. ქვეყანა ახალგაზდა და ბრწყინვალე, როგორც შექმნისა პირველსავე დილას. სმარადის ტალღებიდან ამოდის ნორჩი, პირშიშველი ჭაბუკი, მისი ფეხები: ორი სვეტი სპილოს ძვლით კვეთილი, მისი მუცელი: მარმარილოს დაფა, შვენიერების ათი მცნების ზედ წასაწერი, მისი ყურები: ორი თეთრი სადაფის ღინჭილა.

პატარა მოგრძო თავი უკეთილშობილესს რასას ამჟღავნებს. შავ წარბებს ქვევით ირიბულად გაჭრილ გუგიდან იმზირებიან მუქლურჯი თვალები, მათი სხივგადაკრული კრთომა ღიმილია პირველი შექმნის. სიხარული ამ უსაზღვრო ეთერის, უსაზღვრო წყლის და ნაყოფიერი მიწის დედობრივი სუნთქვით აღტყინებული. იგი ამოდის ნაპირზე ელემენტებისგან ახლად შვებულ, თითქოს ეს არის, ახლა დაბრუნებულა ოკეანის ნოყიერ საშოდან, სადაც ფე-

რიები ურწევდენ ოქროს აკვანს. ექსტაზი ისახება მის თვალების გაღებასა და ხელების გამლაში. მისი თვალები მაგონებენ ჯენეტის თვალებს, საფეთქლებზე ისეთივე ცისფერი ძარღვების ნაზი ხაზები ატყვია, როგორც ჯენეტს. ვნებიანი, მოძრავი ცხვირის ნესტოები, პატარა ყურები, ჯენეტს რომ მოუჩანს ხშირი, შავი თმიდან, როცა მადამ რეკამიესავით ივარცხნის თმას. და ჩემს თვალწინ ხორცს ისხამს შვენიერის მეორედ მოსვლის და უმანკო შთასახვის მისტიერია. ჯენეტის ოდნავ მობინდულ სილამაზეს ისევ შეუსხამს სისხლი და ხორცი და ხელმეორედ მოდის ამ ქვეყნად სხვა სქესის სახით. როგორც ახალგაზდა ღმერთი ამოდის, იგი ზღვიდან, მას მხოლოდ მშვილდი და ისარი აკლია, რომ აფროდიტეს ეახლოს, მისი ფარეში გახდეს და დაუსრულებლათ ინადიროს მთელს ქვეყანაზე, ვიდრემდის მზე არ ჩასულა და შემომქმედის სასწაულით გაჩენილ სამყაროში შვენიერების მრევლი არ გამოლეულა.

მე მაგრად, მაგრად ვართმევ ხელს ხალილ ბესს.

— მართლაც დიონისოს მეორედ მოსვლაა ხალილ!

და იქვე ვჯდები შაგრენის სავარძელში.

— ხომ იცით, დიონისეც აზიიდან მოვიდა!

— ეს არის თამაზ? — ვეკითხები.

ხალილმა შემომხედა. გაჩუმდა.

მხატვარს ნება არა აქვს თავისი მოდელის ვინაობა გაამხილოს. ალი მირზა ხანი დაჟინებით მთხოვდა, თამაზის სახელი და გვარით გამომეფინა, მაგრამ არ ვქენი. მოდელი მუდამ ჩრდილში უნდა იყოს... — ჩაილაპარაკა ხალილ ბემ და ელექტრონი დააქრო.

სალონში დავბრუნდით. სტუმრებს ევახშმნათ.

მადამ ფან სტაუნმა ფრიად კონფედენციალური გამომეტყველებით გაგვიხმო განზე:

— იცით, მადმუაზელ ლორენცი ამალამ იმარჩიელებს. ნურავის ეტყვი, მამაკაცებისთვის აკრძალულია დასწრება. ჩვენ ძლიერ ვღელავთ. მე ძლიერ მიყვარს მკითხავი, მაგრამ მეშინია...

მე და ხალილი თამბაქოს მოსანევ ოთახში გავედით. თითო სიგარა მოვწიეთ, შემდეგ სპარსულ დარბაზში შევიპარენით და კარების გრძელ პორტიერებს ამოვეფარეთ.

რგვალ, მაჰაგონის შავ მაგიდას უსხდენ:

ჯენეტ ხანუმ, მადამ ფან სტაუნ, ანგელოზის სახის მადამ დეჟარდინჟე, მადამ შენჟე, მადმუაზელ დელა რომ, შოტლანდიელი ქალი, მადმუაზელ ტორინო, შუაში მადმუაზელ ლორენც. დარბაზში იისფერი შუქი იდგა.

ავეჯის ბნელი კონტურები კუთხეებში ატუზულიყვენ.

სდუმდენ.

ხელები ზურგზე დაენყოთ.

მადმუაზელ ლორენცს სახეზე ეტყობოდა — ოპიუმი მიელო წინასწარ. გაუნძრევლად იჯდა, თვალზე მიბნედილი ნისლი გადაჰკროდა. მის მახინჯ სახეს რალაც მისტიური ელფერი მისცემოდა. გარინდებული მისჩერებოდა სალონის ბნელ კუთხეში მოლაპლაპე შვიდ სანთლიან შანდალს. ყველა მის ბავის გახსნას ელოდა.

კედლის საათმა 12-ჯერ დაჰკრა...

— მაცხოვარმა ჩვენმა, იესო ქრისტემ წყალი სთხოვა სამარიტელ დედაკაცს, — დაიწყო ქადაგად დავარდნილმა, — დედაკაცმა მოილო, სამაგიეროდ იესომ აჩუქა 7 პატიოსანი თვალი. სამარიტელ ქალს უნდა გაენაწილებია წყალი ცხოვრებისა ისრაელის დედათა შორის, რადგან ეს პატიოსანი თვლები ქრისტეს ცრემლები იყო.

მცირე პაუზა.

— სამარიტელ დედაკაცს შეუჩნდა ეშმა. თავი შეაყვარა. შვიდში სამი შეუცვალა. — განაგრძო მადმუაზელ ლორენცმა.



შვიდი ინდოელების წმინდა რიცხვია. ხოლო სამი ეშმასგან დანამსული. ქვეყანა ორეულეზად დაჰყო ღმერთმა. ოდესღაც წყვილები ნეტარებდენ ედემის მდინარის — ფისონის ნაპირას. მაგრამ კენტი ეშმა არ ისვენებდა. თუ წყვილს მესამე შეუჩნდა, წამსვე ილუპება სიყვარული, მეგობრობა, ოჯახი. ეროსიც რიცხვით მესამე იყო. სიჭარბისა და სილაცის — პენიას და პოროსის შვილი. ამიტომაც მარტოკა დანანალებს ეროსი ამ ქვეყნად, უსამშობლო, უსახლკარო, მიუსაფარი. სადაც კი მიუსწრებს წყვილების ბედნიერებას, შეუჩნდება, გასთიშავს და დაღუპავს.

იუდაც კენტი იყო ქრისტეს მონაფეებში.

ვამბობ: თვალი პატიოსანი სარდიონი ვისაც აღმოაჩნდეს, ჯერ არ გამოაჩინოს! ფერად მენამული. ნაპოვნია ასურასტანში. მენამული ფერი სისხლია. ნიშნავს: სიჭარბეს და სიყვარულს. ვამბობ: სარდიონი. ხელი მაგიდაზე!

ყველა ერთმანეთს შეჰყურებს თვალეზაბრწყინებულს. შოტლანდიელი ქალი დაიბნა, განითლდა. მარჯვენა ხელი დასდო მაგიდაზე. ყველა მის თეთრ ხელს შეაჩერდა.

— თეთრი და სპეტაკი, ვით პილოს ძვალი, აქატი ამშვიდებს, გველი ასპიტიც გვერდით უწვევს აქატის პატრონს უვნებელი იქნება. აქატი თეთრი სათნოებაა, — ქრისტეს თვალნაკრავი ნათელი.

თავისი პატარა, ბავშური ხელი დასდო მაგიდაზე ანგელოზის სახიანმა მადამ დეჟარდინემ.

— მაგარია, ვით სატანას შუბლი, დიამანტი. ერიდეთ შავ დიამენტებს, ჰადესის კუპრში ამოსვარა ეშმამ ეს ბრწყინვალე პატიოსანი თვალი. იგი აღვივებს ლესბოსის ცოდვებს. მადამ ფან სტაუნი განითლდა. ბეჭდებით მოკირწყული ხელი გამოიღო.

— ცეცხლივით მოლაპლაპე იაკინთეს ბნელ ღამეებში პოულობენ ლიბიაში. ქვა ხელმეორედ ნაპოვნია იქ, სადაც ფისონი მზის მხარეზე ერთვის ინდოეთის ოკეანეს. ამიტომაც დაკინთე წყალში გაქვავებული მზის ნატეხია. ხოლო მზე — მარადისობის თეთრი დროშა. მადმუაზელ ტორინომ ხელი დასდო მაგიდაზე.

— მოსემ ნახა ლიბანის მთის ძირში საფირონის თვალეზანი ცის სხეული, იგი ღმერთს უცდიდა ბინდისას. ელოდეს საფრთხეს — ვინ შებინდებისას სიყვარულის ღმერთს უცდიდეს.

მადმუაზელ დელა როშმა მორცხვად წამოსწია მარცხენა ხელი.

— ღვინის ფერია. მოქროვილი ბრწყინვალეობა არტყია გარს. ვინც მუდამყამს მას უყურებს, მთვრალია სიყვარულით — ამეთისტო! — სთქვა ბრძანებითი კილოთი მადმუაზელ ლორენცმა.

ხელი გამოაჩინა მადამ შენემ.

— ეჭვიანობასავით მწვანეა სმარაგდი. ამ თვალში სარკესავით ვხედავ პირბნელ მომავალის ნილაბს. იგი ამშვენებდა ინდოეთის, ასურეთის, ბიზანტიის მეფეების გვირგვინებს. მაგრამ ბედისწერამ იავარჰყო ეს ქვეყნები და მეფეებმაც გაიგეს, რომ გვირგვინი დიდხანს არ მოიცდის ადამიანის თავზე. სმარაგდის თვალეზით ანათებდა ღმერთი დიონისოს, გაზაფხულზე მზის ეტლით რომ გადაივლიდა თრაკიის ველ-მიდამოს. მისი შემოხედვით მწვანდებოდა მგლოვიარე ბუნება სმარაგდის ფერად. მაგრამ დიონისო ქრისტეს მტერია, ამიტომაც ეშმას პირით დალორწილია სმარაგდი.

— მუფტილიის მთების ჯურღმულეებში უამრავი ჯოჯოები და გველები ბინადრობენ. დედით შობილი იქ ვერ ჩასულა. გველს მუცელში აქვს ჯადო, ყოველ ათასეულ წელს ერთხელ აკაკანდება და ჯადოს დასდებს. მაშინ იწყება აღრევა სისხლის, სქესის და ჩვეულების. ადამიანები გაცოფდებიან, არავინ გაარჩევს დედას, შვილსა და დას. მარტორქასავით გახლდება. აიწყვეტს ადამის ნაშიერი. დალენავენ ძველ საკერპოებს, რომ ახალი კერპების ტაძრები ააგონ. თეთრი არწივები სჭამენ ამ გველებს. მონადირე მშვილდ-ისარით ჰკლავს არწივს. გამოფატრავს, სმარაგდს ამოუღებს გვამიდან. ამგვარი სმარაგდი

შეუცვალა ეშმამ სამარიტელ ქალს. სმარაგდი სანამ ხელზე ექნება, ქალს ქმრის ღალატი არ შეუძლია. აფრთხობს მავნე სულებს. ვისაც სმარაგდი აღმოაჩნდეს — მონადირეს უფრთხილდეს, ვინაიდან ეროსია პირველი მონადირე. ვიძახი: სმარაგდი.

ყველანი სდუმდენ.

ჯენეტ ხანუმი გაფითრდა, საოცარმა ჟროლამ გადაურბინა სახეზე და თავისი გრძელი, სმარაგდებით მოჭედილი ხელი დასდო შავს მაგიდაზე.

სიანსი გათავდა. მე და ხალილ ბედიდ სალონში დაუხვდით ქალებს. ყველას ძლიერ აღელვებული სახე ჰქონდა. მამაკაცები ბილიარდის ოთახში გადასულიყვენ კარტის სათამაშოდ.

პოეტი მენფე შემოვიდა.

ვეკითხები:

— „დოქტორ როშერი ნავიდა?

— არა, კარტს თამაშობს.

— თქვენ ნახავთ, ყველას მოუგებს. ებრაელი არ არის?

ჯენეტი ხალილ ბედს გვერდით იჯდა. ერთ კუთხეში მადამ ფან სტაუნის და მადმუაზელ დელა რომ დამსხდარიყვენ, ფან სტაუნს სავარძელზე თავი გადაეგდო, ნებიერი თვალებით მისჩერებოდა დელა რომს, ყურს უგდებდა.

მე ჯენეტს ვუახლოვდები.

იგი ისევ ძველ თემაზე გადადის:

— თქვენ თუ მართლა აპირებთ საქართველოს წასვლას, აბასთუმანში შეეხვდებით. აბასთუმანი ძლიერ კარგია. ევროპის ყველა კურორტს მიჩვენია.

— გენატრებათ, ხანუმ, საქართველო?

— ახ... რა თქმა უნდა. ვიზა თუ მივიღე, მე მინდა, დიდედას წავუყვანო თამაზი, იქიდან 30 ვერსია აბასთუმნამდის. ბავშვს ძლიერ სუსტი ფილტვები აქვს.

— თამაზს?

პაუზა.

— იცით, ქართველი ქალი უცხოელს არ უნდა გაჰყვეს. მომკლა აქაურმა ნისლმა. — კვენისის ჯენეტი. — თქვენ ალბად იცით, რა ცუდი სენია ის, რასაც ფრანგები „ნოსტალჟი“-ს ეძახიან.

ხალილ ბედი ადგა და ნავიდა.

— მეც ძლიერ ვიტანჯები, ხანუმ. ადრე სიჭაბუკეში მე მას ვერ ვგრძნობდი ისე მძაფრად. მეგონა, კიდევ დიდხანს შევიძლებდი ევროპაში დარჩენას, ან ამერიკას ნავიდოდი. „ნოსტალჟი“ ჩვენს ქართველებს არ ესმით, რადგან ქართველი გაჭირვებას იშვიათად მიჰყავს უცხოეთში. ჩვენ სიტყვაც არ მოგვეძევა ამ სენის გამოსახატავად.

— მართლა, როგორაა ქართულად „ნოსტალჟი“? — მეკითხება ჯენეტი.

— ვიტყოდი, სევდა მამულისადმი, მაგრამ არა, ეს სიტყვა სავსებით ვერ გამოხატავს, რალაც მესამუშება.

— ურიებს არა აქვთ ეს გრძნობა. ბედნიერი ხალხია. დოქტორ როშერისთვის ყველგან სამშობლოა, სადაც ფულს იშოვის.

— შეიძლება, ხანუმ, ჩვენი ჩამორჩენილობის ბრალი იყოს, რომ ასე ფიზიკურად ვიტანჯებით, როცა ჩვენი მიწის ნაჭერს მოგვიღებთ. ატავიზმი, არა?

— ჩამორჩენილობა აქ რა შუაშია? ერთი ევროპიელებს კითხეთ. ჩვენსას ერთი ნორვეგიელი პიანისტი ქალი დადიოდა. იგი ამ შეზღონზე დაემხოზოდა, ბავშვივით ღრიალებდა. საზიზლარი სენია, საზიზლარი, მე იგი წარმოდგენილი მაქვს ყვითელ თვალეზიანი არსების სახით, თავის გრძელსა და წვეტიან ფჩხილებს ჩაგასობს გულში და არ მოგეშვება, არ მოგეშვება.

ხალილ ბედი ისევ შემოგვიერთდა.

— მობრძანდით ხალილ, აგერ დაბრძანდით. — მიუთითა ჯენეტმა ცარიელ სავარ-  
ძელზე.

— რატომ ხართ ამ საღამოს ასე ჩუმად, ხალილ ბეე.

— თქვენ აღბად არ შეგიმჩნევიათ ხანუმ, ჩვენ ბევრი ვისაუბრეთ. სულ ლაპარაკიც  
მოსაწყენია. ახლა ისე ინტიმურად ვზივართ. ეგებ რამე დაუკრათ.

— მეც ძლიერ მენატრება, ხანუმ, შინაური მუსიკა.

შევხვებნე მეც.

ჯენეტი წამოდგა. მე თვალი გავაყოლე მის შვენიერ, ნახევრად შიშველ მხრებს.

სალონის კუთხეში მდგარ ძველებურ პიანინოს მიუჯდა. უკან მოიხედა.

— ჩემი ნორვეგიელი მეგობრის სიმღერა უნდა დავუკრა.

— თეთრი სახლი, თეთრი სახლი. — მიაძახა ხალილ ბეემ.

ამ სიმღერას სევდა მამულისადმი უნდა ერქვას, ვფიქრობ და მელანქოლიური მუსი-  
კის ტალღები მიმაქანებენ შორს, სადაც სიმიდის გამხმარ ღეროებს აკვნესებს ქარი და  
გადაყვირებულ ჭალებში დააბოტებს ჩალისფერ ნაბდიანი ოჩოკოჩი, ჩემი ბავშვობის  
დიდი ინკვიზიტორი და საფრთხობელა.

„ო, თეთრო სახლო,  
ო, თეთრო სახლო,  
ბავშვობის ჩემის ტკბილო სავანე,  
ნეტავ ვიცოდე,  
კიდევ თუ ჰყვავის  
შენს ირგვლივ ჩვენი წალკოტი მწვანე“.

ელექტრონიკით მაჟროლებს ტანში. ჯენეტის თეთრი, გრძელი თითები ელვის სისწ-  
რაფით დაცქრიალებენ პიანინოს თეთრ კლავიშებზე და მონოტონურ მელოდიას თან მის-  
დევს რეფრენი:

„ო, თეთრო სახლო,  
ო, თეთრო სახლო,  
ბავშვობის ჩემის ტკბილო სავანე,  
ვიცოდე, ნეტავ, კიდევ თუ ჰყვავის,  
შენს ირგვლივ ჩვენი წალკოტი მწვანე“.

სალონში ირგვლივ სიგარის კვამლი სდგას, ოდნავ ვამჩნევ სტუმრების მურუყიან სა-  
ხეებს. ხალილ ბეე თვალეზღაბული გადაყრდნობია სავარძლის ზურგს.

„ნეტავ შემეძლოს,  
ვიყვე შენს ახლო,  
ო, თეთრო სახლო,  
ო, თეთრო სახლო“.

უკანასკნელმა აკორდმა ქვითინით გაირბინა კლავიშებს შორის, და შუალამეში ნათქ-  
ვამი ზღაპარით გაინაბა ქაოსში.

ხალილ ბეე მიუახლოვდა ფანჯარას და ოდნავ გამოალო.

— არ გაალოთ, თორემ ნისლი შემოვა. — კვნესის ჯენეტი, და პიანინოს ხურავს.

გულდანყვეტილად გაიზრიალა მარტოხელა სიმმა და გაჩუმდა, როგორც მტირალა  
ბავშვი, რომელსაც ნიკაპზე ხელი ამოჰკრეს.

## ვანო სარაჯიშვილის ხსოვნას

დიდო მგოსანო, ტკბილ ხმათა მეფე!  
ჯადო სიმები დაგინყდა ლირის...  
შენთვის ქალები ყვავილებს ჰკრეფენ...  
შენთვის შოპენი ტირის და ტირის...  
წევხარ კუბოში და ცივ თვალებში  
ქართული გრძნობა ისევ ანთია,  
თითქო მზე ინვის სხივთა ლალებში,  
თითქო ღრუბლებში ელვის შანთია!  
დავცქერ მაგ ხელებს, გრძნობა მახელებს,  
გულში შრიალებს სევდის ზეფირი...  
ვანო! შენსავით ვინ გვასახელებს?!  
ვანო! სხვა ვინ გვყავს შენებრ მზეპირი?!  
შენზე წუხილი სულს ქვეშ დაიტანს  
და ერის ფიქრიც ნაყვება თანა...  
ეთერი ამ დარდს ველარ აიტანს!  
ეთერი გულში დაიცემს დანას!

*ვარლამ რუხაძე  
ხელოვნების სასახლე, კუბოსთან*

## სილუეტები

დაიპო გული მარჯნის ღარებად.  
მესმის სიმღერა შორი გედების.  
მანვება ფიქრი ნიაღვარებად  
და ჟრუანტელი შემოქმედების.  
გადმოვიარეთ ფართე ველები.  
ცრემლით გაგვბანა ყველა ეფრატმა.  
შარავანდედი ქარდუელების  
შთამომავლობას შემოეფანტა.  
ჩვენ გვანვალეზდენ — ღმერთი იშტარი  
ცხელის ძუძუთი, გიშრის თვალებით,  
ქვეყანა სისხლით ნაგვირისშტალი  
და თმებგაშლილი ამორძალები.  
გადაინურა წუთისოფელი,  
დაინვენ დღენი, როგორც აბედი;  
შემოგვერკალენ ცუდის მყოფენი —  
ინდო, ეგვიპტე და არაბეთი.  
იყო დარბევა, ცეცხლი, განგაში  
და სისხლიანი კვალი სილაზე.

ფერფლად გარდიქცა ძველი ლაგაშის  
 და კარხემიშის უცხო სინაზე.  
 ვით იოანეს თავი ლანგარზე,  
 იყვენ ქვეყნები თავმონყვეტილი  
 და რაინდების ნაამაგარზე  
 სამარადისო დაჯდა წერტილი.  
 ბედმა შანთები არ მოგვარიდა.  
 ვეფხის კუნთები გაჰყვათ მიტანებს.  
 ჩვენ მხოლოდ ერთი რამ გვიხაროდა —  
 რომ მომავალი გამოიდარებს.  
 თითქოს არნივი გადაფრენილი,  
 ქარდუის ლანდი იელვებს შორით...  
 მოსჩანს წარსული ვით ეიფელი  
 და საშინელი ხმა Nevermor-ის...

*ივ. ყიფიანი*

## საქართველო

ტკბილ მოგონებებს დამარხულს გულში,  
 ამაყ ტფილისის ძარღვიან მკლავებს:  
 ვინ შეაჩერებს, ვინ დააკავებს?!

მზე ისევ ცხელი სხივებით გვიცქერს,  
 მუშის მკლავები: კორძის ფერებით,  
 და ჩვენი ქვეყნის შენებას ვინყებთ:  
 სხვა სიყვარულით, სხვა ამღერებით.

ჩვენი სამშობლოს ამაყი მთები,  
 ქართლი, კახეთი, კოხტა გურია...  
 სად ჰაერიც კი საამურია,  
 სადაც სიცოცხლე ყველას სწყურია  
 ცხოველ სხივებზე ხარბ დაწაფებით,  
 არის მედგარი, შეუდრეკელი,  
 როგორც პიტალო კლდეები სალი —  
 ნიაღვრებისგან ნაალერსალი.

ჩვენ გვიყვარს დედა, მშრომელი ხალხი,  
 სამშობლოს ბარი, სამშობლოს მთები,  
 სად ყურთა სმენას ხალისით ალხენს:  
 შრომის სუფევის ამაყი ხმები,  
 სადაც ტირილის ნაცვლად გაისმის:  
 აღმოდებული ჰიმნი ბგერების...



მოპოვებული ბრძოლით და სისხლით —  
 შრომა, უფლება და სიმღერები, —  
 მოგვაქვს თვით ხალხთა საკეთილდღეოდ...  
 ვსჭედთ იმედების საძირკვლად ფოლადს,  
 რომ ჩვენ წინ ლტოლვას არ ჰქონდეს ბოლო!  
 და ამ დუღილში შორს გაექანე,  
 სამშობლო მხარევე, სისხლიან დალით.  
 შენ ხარ უკვდავი ბრძოლის ქვეყანა,  
 სამყაროს გულზე — გაშლილი ბალი.  
 და მე ვოცნებობ ამ გაშლილ ბალში,  
 უნდა ვკონავდეთ ქარხნების კონებს,  
 გვექონდეს სიცოცხლის გაქანებაში  
 სხვა ხალხთა სწორი ძალა და ღონე!  
 დროა, რომ ჩაკვდეს მივარდნილ მთაში  
 სალამური და პიპინი სტვირის,  
 დე, ჩვენი ქვეყნის ტკბილ სიმღერაში  
 ისმოდეს ქარხნის მკვეთრი საყვირი!  
 სამშობლო მხარევე, აღსდექი ზეზე,  
 აღსდექ მუხლ-მაგარ წინ გაქანებით!  
 დე, ჩვენი სისხლი ადუღდეს მზეზე,  
 ქვაბში — მაზუთი და მანქანები.

ვიყავით ძველი ტომის და ჯიშის,  
 მაგრამ მომავალ ახალ ეპოქებს —  
 ჩვენ არასოდეს არ ვუცქერთ შიშით,  
 ჩვენ წინსვლის დოღში არ გვყავს მეტოქე.  
 და ყველა აქ ვართ დღეს მოგროვილი...  
 ქართული სისხლი თვით მზის ფერია  
 და ამ სისხლითვე დაგვიწერია  
 დროშაზე: ქება მოოქროვილი!

*იონა ვაკელი*

## საუბარი უბედურ ლანდთან

მთრთოლვარე ხელი გულს გისვენია.  
 ზეცას უცქერი, ღმერთს არ მოელი.  
 დაღამებული თვალი შენია  
 თუ ჩვენებაა უდაბნოელი?

ვერ გაექცევი ნამებს შხამიანს,  
 ამაოდ ეძებ დაკარგულ იმედს;  
 შენი სამარე შუალამეა  
 დაღონებული ყოველთვის მიძიმედ.

შემოგხვევია გველები იჭვის  
და სიკვდილივით ჩუმად ჩურჩულობ:  
„სიცოცხლე კვდება, სიცოცხლე იწვის,  
სულო ბოროტო, სულო ურჯულო“.

დღეები ცეცხლის რაშებით ჰქრიან,  
მზეს მენამული აწვება ბოლი,  
რა უბედურად შენ გიფიქრია:  
დაიხრჩვე სადმე, როგორც ბობოლი.

ბებერი მინა გადაცდა ორბიტს,  
ზეცა გრიგალებს მინას უბრუნებს,  
ის შენ გაგაქრობს, ის შენსკენ მორბის.  
მათ ხმებში ქვეყნის ცოდვა გუგუნებს.

მაღალო კუბოვ — მკვდარი ნათელის,  
ბნელო სავანე დარღვეულ სულის,  
როგორ გაშინებს დღის გათენება,  
როგორ გაშინებს სიჩუმე მკვდრული.

იჭვის გველები სულში გინივის,  
ღმერთს არ მოელი ცის დანახვაზე,  
და დაცხრილული ყინვით, სიცივით,  
ხარ დაცემული საფლავის ქვაზე!

*ხარიტონ ვარდოშვილი*

## **Démêtêr et Korê**

*სოფ. სადემეტრო მდინარე კორისწყალით  
მდებარეობს ბალდადის ახლო, ქუთაისის მაზრა.  
გეოგრაფიული ცნობა.*

*ავტორი*

შავ ზღვიდან ქარბუქი ზუზუნით მოვიდა,  
მოდის და მოსჯარა ნოემბრის ჭინკები.  
გიჟთვალა ხევებში მირბიან დინგები,  
ჩაკვეტოთ ურდულით კარები ოდისა...

ბუხარში კივილით წაიღეს აკიდო,  
გულმკერდზე ეკვრიან დიდდედას ბალები:  
„სახელით გვახელებს, წამოდი აქითო!“  
ზუიან კარებზე შემოსვლას ძალები.

რა ცუდი ღამეა, ღადარავ, ბუხარო,  
დაიღუპება შავ ზღვაზე არგო!  
მონაგრევს მიდამოს მუხები სარკო,  
მთა — „სარკოიაზე“ ქარები მქუხარნი...

მდინარემ ღრიალით აწყვიტა ბორანი,  
ტორტმანით მოზიდა ხიდი და თალები.  
ღმუილით გათხარეს მხეცებმა სორონი  
და ჯაგარაყრილნი გარბიან ტახები.

მიჰქრიან ჭინკები ქარბუქში თამაშით  
არულით ათასი — სოველი ჯოგი.  
ჯაგარა-ხელებით დაუკრეს დაფ-ტაში,  
დასკუბდენ როკზე და ჰკიოდენ ბოგით.

ხანსა და კორისწყალს გამართეს ხარხარი,  
ორლობით ხოკორა გოგრების ხოკვა.  
რას ნიშნავს ნეტავი ასეთი ავდარი,  
ეს კვნესა-ტირილი, კივილი, როკვა?!

სოფლები: ფერსათი, დიმი და დემეტრა  
ეძებენ ჰადესში კორისწყლით კორას.  
თვალები დაეცხო დედას და თემებსაც.  
ტირილით, „ბნელემთას“, დანათოვ გორას.

იტირეთ ასული ცრემლით საჯერონით,  
ო, თვალებ დავსილნო ღამენო, დედებო,  
სანამდის, დედაო-მინავ და თემებო,  
მოისმის კორისწყლად ოხვრა ახერონის.

გიჟთვალა ხევები მირბიან დინგებით,  
კორისწყლად: კორესთვის ტირილი დედისა.  
კვნესა და კივილით მიჰქრიან ჭინკები.  
ჩავკეტოთ ურდულით კარები ოდისა!

რა ცუდი ღამეა, რა ცუდი, ბუხარო,  
ანგრევენ ქარები კარებს და ყორეს...  
გუგუნებს მუხნარით ტყეები მქუხარნი, —  
სადა ხარ დემეტრეს ასულო — კორე?!

*ალექსანდრე ქუთათელი*

*სოფ. სადემეტრაო*

*13 ნოემბერი, 1924*

## კვიმატი დღეები

კეთილ ინებეთ და გაიცანით ამ ლექსის საგანი,  
 თქვენ, რომელთაც გასურთ განიხილოთ  
 ყოველი სიგრძე განიდან.  
 მე არასდროს არ ვიტყვი — თავი თავთან.  
 მე ვამბობ — tête-à-tête  
 ეს არაა გადაგვარების მიზეზი.  
 მე დამწვარი ვარ, მამია გურიელივით, საქართველოს მზეზე.  
 მე მიყვარს, როგორც ძმა, პირდაუბანელი ქართლელი ტეტი.  
 ჩვენ შვილები ვართ ერთი იაფეტის.  
 ის — მეხრე, მე — პოეტი.  
 მან მიიღო ქალაქიდან გაუმჯობესებული სახნისი და საკვეთი,  
 მე ვიყიდე „თანამედროვე დასავლეთი“  
 და ჟან კოკტო.  
 პოეზიას ფრანგები, როგორც შთამომავლობით ჭლექს ვეღარ უძლებენ.  
 ქართველებს კიდევ მაგარი გვაქვს ფილტვები და ძვლები.  
 ვაჟა-ფშაველა ირმა ხარივით ბლაოდა მთებში.  
 ჩვენი პოეტები ეხლაც ბულრაობენ.  
 მე პირველმა დავიყეფე, რადგან კვიმატი დღეების შხამში ვიხარებდი.  
 და თუმცა ორბელიანის ლექსიკონი ხელიდან არ გამიგდია,  
 ჩემი ლექსები დაიშალა როგორც დიხაშხო.

გრიგოლ ცეცხლაძე

1924

## შუაცეცხლის პირას

(სოფლის სურათი)

მოულოდნელად მოსულმა თოვლმა ხელი ააღებინა გახურებულ მუშაობაში მყოფ სოფლებს სამუშაოზე; დიდძალზედ მოყრილმა, მისვლა-მოსვლა თითქმის შესწყვიტა და მცხოვრები, გულშენუხებული, საქნარს დაშორებული ჩაკეტა სახლში და უამისოდაც გაჭირვებული, მეტ გაჭირვებაში ჩააგდო და მნუხარებას მისცა. უსაქნაროდ მყოფნი უს-ხდნენ თავიანთ შუაცეცხლს და მკაცრ სიცივისაგან შენუხებულნი ეფიცებოდნენ.

ბევრს ეს ცეცხლიც ნაკლებად ენთო, რადგან ვერ მოესწროთ საზამთრო შეშის დამზადება თავის დროზედ. ასეთები გადადიოდნენ ახლო მეზობლებში, რომელთანაც ეგულბო-დათ ტკბილი სითბო და თავს იყრიდნენ შეშინებთან. ერთმანეთში მისვლა-მოსვლას ვერ სწყვეტდნენ სულ, რადგან უფრო გარეთ ყოფნას ჩვეულნი კარჩაკეტილობას ვერ უძლებდნენ, ვერ ითმენდნენ. ახალგაზრდობა კი დროგამოშვებით, მიუხედავად ქარ-ბუქისა და ყინვისა, იყრიდა თავს ნიჩბებით ხელში და ერთი ყიჟინით, სიცილით, ხმაურობით მიდი-მოდოდა ახლო მეზობლებში და თოვლავდა სახლების სახურავებს ძალზედ დიდად დაყ-რილ, მძიმედ დანოლილ თოვლისაგან. უფროსები კი ცეცხლს არ შორდებოდნენ და თავშეყ-რილნი წარსული ზამთრების მოგონებებში იყვნენ და წარსული ცხოვრების გახსენებაში.

ანდრია დვანაძის ცეცხლთან ბლომათ შეყრილიყვნენ მასავით შეხნიერებული მეზობლები, რომელთაც ის იყო მიემატა რამდენიმე ახალგაზრდა სახლის გადათოვლის შემდეგ. მოხუცებულების დინჯი მუსაიფი ამათ შემოერთებიდან უფრო გაცოცხლდა, მხიარული შეიქნა. გარეთ კი ქარი გულშემზარავად სისინებდა და ატრიალებდა შეუჩერებლად მცვივარ თოვლის ფართო ნაფლეთებს.

— ნამდვილი კუდიანების სალამოა! — წამოიძახა ერთმა ყმანვილთაგანმა.

— აბა!.. ეს აკლია კიდევ, რომ კუდიანებმა ეიშვან თავი! — სთქვა მეორემ.

— კუდიანებს დღისით რა უნდათ! — სთქვა ერთმა მოხუცებულმა, — დღისით რავა გამორჩდება...

— აბა, როდის?

— როდის და ღამე... როცა ყველა მიყრილია, ძილშია გახვეული.

— მართალია, ექვთიმემ იცის კუდიანის ამბავი, მაგას ქეც საიქიოს გოუსტუმრებია ერთი კუდიანი! — სიცილით წამოიძახა ერთმა ახალგაზრდათაგანმა, — ექვთიმე, თუ კაცი ხარ მოყვე, რავა იყო შენ რომ კუდიანი დადალე! — მიმართა მან ცეცხლის პირას დაბალ სამფეხა სკამზედ მჯდომ შეხნიერებულ კაცს.

— რამ გაგახსენა ახლა ეს ამბავი? — მიუგო, ვისზედაც მიმართული იყო სიტყვა.

— მოყვე, მოყვე, თუ კაცი ხარ! — მხიარულად მიაძახეს ექვთიმეს და მანაც ხათრი არ გაუტეხა შეკრებილობას და მოყვა.

— მე არ მნამდა კუდიანები, მხოლოდ გაგონილი მქონდა. დღესაც ეჭვში ვარ, მარა ასეთი ამბავი კი შემემთხვა. კაი ხანია მას აქეთ, ქვემოთ სამოჯამაგიროთ ვიყავი წასული. საცა ვიდექი, იქ, ზემო სართულში ბინათ ცალკე ოთახი მქონდა მოცემული, ბუხრიანი ოთახი. ამ ბუხრის წინ ზამთრობით ვიცოდი წოლა, შიგ დანთებული ცეცხლის პირას. ჩემს მეტი ოთახში არავინ წვებოდა, მე მქონდა საკუთრად მოჩენილი. ერთ ზამთარს უცნაური რაღაც კატა შემომეჩვია: დავნვებოდი დასაძინებლად თუ არა, საცხაიდან ეს კატა შემოძვრებოდა, კარები ჩაკეტილი მქონდა ყოველთვის, შემოძვრებოდა და ამ ჩემ ოთახში მიდიმოდიოდა; ხან ზურგში მოილუნებოდა, ხან ისევ გასწორდებოდა, აბრიალებდა თავის უშველებელ თვალებს; შავი იყო, ერთობ დიდი ტანის. ვინევი შეშინებული და ხმას ვერ ვიღებდი, მხოლოდ ხანდახან გავახელდი თვალს და ვუყურებდი ამ უცნაურ კატას. ის კი ათვალეირებდა იქაურობას, დიდხანს რჩებოდა ოთახში ხოლმე, მერე უცფათ საცხა გაქრებოდა ისე, რომ ვერ შევასწარი თვალი, საით გაძვრებოდა. შემომეჩვია ეს კატა და ყოველ ღამე დავნვებოდი თუ არა — ისიც უსათუოდ გაჩნდებოდა. შეშინებულს ძილი არ მეკარებოდა; ერთხანამდი ჩუმათ ვიყავი, არავისათვის გამიმხელია, რაც ჩემ ოთახში ამბავი ხდებოდა. ბოლოს ძალიან შევშინდი და მივედი ჩვენ მოძღვართან. მოვუყევი, ყველაფერი ვუთხარი.

— კუდიანი იქნება, — მითხრა მან, — გაბედე, დეიჭირე, დადალე, ისე არ მოგეშვებოა. მეც გოუგონე და დანოლის წინ ბუხარში ცეცხლში შევდევი ორი შამფურივით წვრილი, გრძელი რკინები და დავწევი; კარები ჩაკეტილი მაქვს. არ გაუვლია, დიდხანს, გაჩნდა ოთახში კატა; საიდან შემოძვრა, ვერც ახლა დავინახე, შემოძვრა და მისებურად მიდიმოდის. ერთი მოვითქვი სული, წამოვარდი და ვეცი კატას; დევიჭირე, მივათრიე ბუხართან, გამოვიღე ცეცხლიდან გახურებული რკინა და გაკავებულ სახეზედ მიუსვ-მოუსვი, გადავსახე ჯვარი, მივიყვანე კართან, გავალე ჩარაზული კარი და გადვისროლე მაღალზედ მოყრილ თოვლზედ; შემოვტრიალდი და ისევ ჩავრაზე კარი. კატა კი საცოდავი კნავილით გასრიალდა თოვლზედ... მეორე დღეს გადავედი მეზობელთან — წისქვილში ეგებ წამყოლოდა, საქფავი მქონდა ბლომათ წასაღები. მივედი, გამოვუძახე, უთხარი, მითხრა:

— წისქვილი კი არა, თავი აღარ მახსოვსო, დედა ჩემს უცნაური საქმე დამართნიაო, პირი-სახე ერთიანად საცხა დაწვია და სიკვდილზეა მიმდგარიო. გავვოცდი; შევყევი სახ-



ლში ავადმყოფის სანახავად, გავშრი კაცი — ლოგინში წევს დედაკაცი თავპირ-შეფუთვ-ნილი; ლოყაზედ სწორედ ისეთი ჯვარი აქვს, მე რომ კატა დავდალე. ხმა არ ამომიღია, წამოვედი ჩემთვის. რამოდენიმე დღის შემდეგ დედაკაცი მოკვდა. ერთხელ შემხვდა მღვდე-ლი და მითხრა:

— ექვთიმე, ბიჭო, ის დედა-კაცი შენ მოკალი, შენი ხელითაა მკვდარიო. — კატა რომ დავდალე, ნათქვამი მქონდა მისთვის.

— შე დალოცვილო-თქვა, შენ არ მასწავლე და დამარიგე — რა რიგად მოვქცეულვი-ყავი; სხვას ნუ გააგონებ... რა ვიცოდი, თუ ის ამ ჩვენი პარმენას დედა იყო-თქვა. თურმე ის ადამიანი წინათაც ყოფილა შენიშნული და კილამ წყალში დეეხროთ! ჩემი რა ბრალი იყო! ასე იყო ეს ამბავი! — დაათავა ექვთიმემ.

— რა გითხრა იმ ადამიანმა, რომ დაგინახა? — შეეკითხა ერთი მსმენელთაგანი.

— რას მკითხავდა, — მიუგო ექვთიმემ, — ქალი გრძნობაში აღარ იყო!

— ახლა არაფერი გითხრა, მარა საიქიოს რომ შეგხვდება, მაშინ რაღას ეტყვი! — სიცილით მიმართა ყმანვილმა ექვთიმეს.

— საიქიოს სად, რანაირათ შემხვდება, ის ჯოჯოხეთში მოხვდება, ამას ლაპარაკი არ უნდა!

— შენ კი სამოთხე გაქვს შენთვის გამზადებული? — სიცილით მიმართეს ექვთიმეს.

— რატომაც არა — ცუდი რა მიქნია!

— აბა, ექვთიმე იმ შენ სამყოფლის ამბავს ეგერ ჩვენი მოსია კარგად გაგაგებინებს — საიქიოს წამყოფია. მოსია, მოუყევი, თუ კაცი ხარ ექვთიმეს საიქიოს ამბავი; ჩვენც ყურს დაგიგდებთ, ამ სულელი კოლიასი ნუ შეგეშინდება, შინაურული პარტიულია, მხიარუ-ლათ მიმართა იმავე ყმანვილმა მეორე მოხუცებულს: — ხომ იყავი საიქიოს?

— ვიყავი! — მიუგო მოსიამ.

— ჰოდა, მოყევი მერე, შე კაცო!

— თქვენ ახლა სამასხაროთ იგდებთ ამისთანა ამბებს და აღარ გჯერათ ბევრს!

— ვისაც უნდა დეიჯეროს, ვისაც არ უნდა ნუ დეიჯერებს... შენ კი მოყევი მაინც! — არ ეშვებოდა ყმანვილი.

— დიდხნის ამბავი არ არის მაინცა და მაინც ეს, — დაიწყო მოსიამ, — ავად ვიყავი და ერთ დღეს მოვკვდი კიდეც, მოვკვდი და ჩემი სული ზეცაშია. მივდივარ თვალუნვდე-ნელ მინდვრით. მინდორია ისეთი, რომ აბრეშუმით ბალახი მუხლებამდია. ისმის ყოველ მხრიდან ტკბილი გალობა; ყოველ ფეხის გადადგმაზედ სუფრა, სუფრა, სუფრა; ზედ აწყ-ვია, რაც გინდა, სულო და გულო. ვიარე, ვიარე და მივედი — ხიდია. აქეთ თავში შემოსი-ლი მღვდელი დგას, ქალაღი უჭირავს ხელში, მეორე თავშიაც შემოსილი მღვდელი დგას ქალაღით ხელში. გარეშემო ჩამოკიდულია ურიცხვი ტანისამოსი — ჩოხა, ახალუხი, კა-ბა, ერთი სიტყვით, ყველაფერი; ეს თურმე აქ რომ დეეკურთხება მიცვალებულს, მიდის ყოველ წამში ოუარებელი სასმელ-საჭმელი — ეს საკურთხი რომ ეგზავნებათ მიცვალე-ბულებს; მღვდელი ყოველ მოსულ საკურთხს წერს ქალაღზედ და მერმე ურიგებს, ვის სახელზედ არის მოსული; ვისაც არ მიდის, იმას უწილადებენ მოსულიდან. მე რომ დამინა-ხეს, წამიყვანეს იქით და ამწონეს. გადარჩენილხარო, მითხრეს ამწონელებმა, ერთმა კე-თილმა ნაქნარმა საქმემ გადასძლიაო, მათხოვარი გაგიკითხავსო; მღვდელმა ჩახედა, გვერდით რომ წიგნი ქონდა და მითხრა: უნდა გაბრუნდეო, ჯერ შენ აქ მოსვლა არ გინე-რიაო. გამომაბრუნეს იქვე და ჩემდა გასასვენებლად შემზადებულ ხალხის გასაოცებლად გავცოცხლდი. გამზადებული კუბო ცეცხლში დაწვეს!

— შენ რა ნახე, ფატულია! შენც ხომ წამყოფი ხარ საიქიოს! მოყევი, ბიცოლა, თუ გიყვარდე! — ახლა ისევ ხალისიანათ მიმართა იმავე ყმანვილმა ანდრეასას ფქვილის სა-

სესხებლად მოსულ შუახნის დედა-კაცს, რომელიც ჯერ თბილმა ცეცხლმა და შემდეგ გართულმა მუსაიფმა შეიყოლია.

დედა-კაცმა ერთი გადიხარხარა წინადადებაზედ.

— რა მოსაყოლია ახლა ჩემი ამბავი? — თქვა მან.

— ამისთანა დღესაა მოსასმენი მაგ ამბები, თვარა საქმიან დღეს ვის ცალია მაგისტანების მოსასმენად. აბა, ჰე! გიგდებთ ყურს!

დედა-კაცმა ისევ გადიხარხარა და აღარ გაუტეხა ხათრი საზოგადოებას და მოყვა თავის საიქიოს ყოფნის ამბავი:

— კი, მეც ვიყავი საიქიოს. მინდორია დიდი-დიდი, შუაზედ ჩამოდის მდინარე, მარა წყლის მაგიერათ რძე მოდის; ორივე ნაპირები მოფენილია ბავშებით; მდინარიდან იღებენ რძეს და ასმევენ ბავშვებს. გადავედი იქით ნაპირას. მივდივარ; ერთ ადგილას ვხედავ დიდ-დიდ, განიერ სანოლზედ ცოლ-ქმარი წევს, ერთმანეთს ეჩხუბებიან. ვერ ეტევიან სანოლზედ; ვუთხარი — ამხელა სანოლზედ წევხართ, რა გაჩხუბებთ, ამაზედ რავა ვერ დეეტე-ვით-თქვა; ჩვენო, დედა-მინაზედაც ერთმანეთს ვეჩხუბებოდითო, აქაც ისეთი ჩხუბი გვაქ-ვსო. გავშორდი, მივდივარ; ერთ ადგილას ვხედავ: ფიცარია ისეთი ვინრო, რომ ზედ ერთი კაცი ვერ დაეტევა — ცოლ-ქმარი წევს და ისე, რომ თითქო განიერ სანოლზედ წოლილიყვნენ. შევეკითხე — რავა ეტევით ამ ვინრო ფიცარზედ ორი ადამიანი; მომიგეს, რომ ჩვენ დედა-მინაზედაც ტკბილათ ვცხოვრობდით და აქაც სიამტკბილათ ვართო. ვიარე, ვიარე და ხიდს მივადექი — ბენვის ხიდია თურმე. გამაჩერეს, მკითხეს, ვინა ვარ, სადაურე; მერე მითხრეს, რომ ჯერ ადრეა შენი მოსვლაო, უკან უნდა გაბრუნდეო; შემმოსეს მღვდელი-ვით და ლოცვა მათქმევინეს, მერე ეს შესამოსი ამხადეს და წამოვედი ჩემთვის; ესენი, ამ ბენვის ხიდთან დამხვთურები, თურმე ანგელოზები იყვნენ.

— კაი სანახავი კი იქნებოდი, ფატული, მღვდლათ შემოსილი, ერთი შემომეხედნა მაშინ შენთვის! — საერთო სიცილზედ უთხრა ერთმა მსმენელთაგანმა.

— ოჰ, შენ აგაშენა ღმერთმა, ჩემო შალიკო! — თქვა ანდრიამ, — ძალიან აალაპარაკე ე ხალხი და კაი ამბები მოაყოლებიე!

— ამაშენა კი არა, ეს ჩემი ამხანავი კოლია გულზედ გასკდეს... ისეთი ჯავრი მოსდის! — სიცილით წარმოსთქვა ყმანვილმა, რომელმაც გამოაწყო ეს ლაპარაკი.

— რა გენაღვლება, ილაპარაკონ, შენ რა გაკლდება, ტყვილს ხომ არ ამბობენ — რაც გადახდიან, იმას ყვებიან! ნამეტანს ნუ იქაჩები — ვითომ ახალი კაცი ხარ. ნუ იქაჩები და ისე არ მოგივიდეს, ეგერ ცხრამუხელ ბიჭს რომ მოუვიდა!

— რაი, რაი, შალიკო! რა მოუვიდა? — მიაძახეს იქით-აქედან.

— რა მოუვიდა და ის, რომ სოფლელებმა მახლობელ ეკლესიიდან გადმოასვენეს ცხრა წმინდა გიორგის ხატი. რვა დადგა და მეცხრე ვერ გააჩერეს, ძველ ადგილას იპარებოდა. ერთმა ყმანვილმა ხალხში ილაპარაკა, რომ ის ხატი თავად კი არ იპარება, აქ ეშმაკობენო, რომ ხატებს არაფერი შეუძლიათო და ერთ დღეს მივიდა და ცხრავე ხატი ნაჯახით ლუკმა-ლუკმა აქცია. თავდაპირველში ბიჭი არხეინად ყოფილა, მერე კი ავად გამხდარა: მორჩენილა, მარა თავის ჭკუაზედ აღარ არის თურმე; ლაპარაკს უკლო და ითვლის სულ, მარა ცხრას ვერ გადასცილდება თურმე, ერთი, ორი, სამი... მივა ცხრამდი, გაჩერდება და ისევ ხელახლა — ერთი, ორი, სამი, ცხრამდი!.. ამდაგვარი რამ არ მოგივიდეს, ბიჭო, იყავი შენთვის.

— ჩემი შენ ნუ გეშინია; შენ იყავი მაგრათ! — მიუგო კოლიამ.

— მაგრათ ვარ და ვიქნები; არავის ვანყენებ, არც მღვდელს, არც ღმერთს, თუ არი; არც მარხულობით ჯანს შეგინუხებ! რატომ არ ვიქნები მაგრად. მარა ჩვენც შევრჩით აქ და დროა წასვლის, დილამდი ყველა მეზობლები თავშენახულად გყავს ახლა. აბა, ადექით, ბიჭებო, გევეტიოთ! და წამოდგენ წასასვლელად მასთან ერთად მოსული ყმანვილები.

— თქვენ აგაშენათ ღმერთმა! — მიაცილა ესენი კარებამდის სახლის პატრონმა. — თქვენ აგაშენათ ღმერთმა!

გარეთ კი ისევ კორიანტელი იდგა. უმონყალოდ იყრებოდა მძიმე, წყლიანი თოვლი.

— დოუშვი, დოუშვი! — შესძახეს ეზოში გამოსულმა ყმანვილებმა და როგორც ხმაურობით შემოვიდნენ ეზოში, ასეთივე ხმაურობით ცილდებოდნენ აქაურობას.

დავით კლდიაშვილი

## მხატვრული ლიტერატურა

### უცხოეთი

ბლუზ სანდრარ.

### მე მოვჰკალ

ყოველი მხრიდან მოდიან. დღითაც, ღამითაც. ათასს მატარებელს მოჰყავს ხალხი, ათასს — საომარი მასალა მოაქვს. ღამდება. ჩვენ დაცალიერებულ ქალაქით მივდივართ. ქალაქში დიდი სასტუმროა, მაღალი, ოთხკუთხიანი, თანამედროვე. ეს — ბანაკია მთავარსარდლის. ნიშნებიანი ავტომობილები დასატვირთად გამზადებული ყუთები, ბაზრის ციცხვები. შოფერის უნაკლო ტანთსაცმელში გამონყობილი ალოშენილი ყმანვილები პაპიროსს ეწევიან და მასლაათობენ. ყვითელკანიანი რომანი. ტროტუარზე — ვარცლი და ოდეკალონის ბოთლი. სასტუმროდან ცოტა დაშორებით პატარა ვილლაა, ხეივანში მიჩქმალული. მისი ფასადი არა სჩანს. თეთრი წერტილი. გზა მის რკინის ბადიან ღობეს ჩაუვლის, მერე უხვევს და პარკის კედელს ევლება. ანაზდეულად ფეხს აბიჯებ სქლად დაფენილ ახალ ჩალას, რომელზედაც ათასზე ათასი ლურსმნით დაჭედილი ლანჩა გაივლის. ერთნაირად მოძრავი ხელების შრიამული-ლა ისმის, კიდეე ხიშტების ჩხარუნი, ჯაჭვების ან მათარების ჩხრიალი. მილლიონი ადამიანის სუნთქვა. ყრუ გულისცემა. წელში გასწორდებიან ყველანი და გენერალისიმუსის ბინისკენ მიიხედავენ. ნახევრად გამოლებულ დარაბში სინათლე გამოსჭვივის, და ამ სინათლეში წინ და უკან აჩრდილის გამოურკვეველი სახე დადის. ეს — ის არის. გებრალეზობდესთ უძილო პასუხისმგებელი მთავარსარდალი. ლოცვანივით უჭირავს ხელში ლაგარიფმის ცხრილი. ვარაუდებს თავს ვერ ართმევს. სიჩუმე. წვიმს. დაგებული ჩალა კედელთან თავდება. ისევ ტალახი. ეცემი, ძლივს მიდიხარ. შავი ღამე. კვლავ გაისმის სალაშქრო სიმღერა. ქშინავენ საბარგო ავტომობილები. მარჯვნივ, მარცხნივ, ყოველი მხრით მძიმე მოძრაობა სწარმოებს. წინ მიიწევენ ერთი მიმართულებით, ხტომვით, ჯახებით, ტაკებით. დაიძრენ რაზმებად მასსებიც. ტოკავს, თრთოლავს ყველაფერი. ოხშივარი ასდის გახურებული ცხენების გავას. ტრიალებს სუნი მოტოციკლეტის, კარბოლის სიმჟავის და ანისის არყის. გგონია, რომ პირი ხის წებოთი გაქვს სავსე, ისეა დამძიმებული ჰაერი, შეხუთული ღამე და მონამლული სივრცე. ბაბუა პინარის<sup>1</sup> ორთქლი ჰბილწავს ბუნებას. გაუმარჯოს არაყს მოოქრულ მედალივით აბრიალებულ მუცელში. უცებ ქშენით გამოიქროლებს ჰაეროპლანი. ღრუბელი ჩანთქავს მას.

1. ფრანგული არაყი.

მიგორავს უკან მთვარე და ეროვნულ გზაზე ისე ტრიალებენ ალვისხეები, როგორც სწრაფად მბრუნავი ბორბლის ჩხირები. გორები ყირამალა დაჰქანდებიან. ასეთი იერიში არღვევს ღამეს და ნაკუნ-ნაკუნდება მისი ფარდა. ერთად ქაქანებს ყველაფერი, ტკრციალებს, ბლავის, ღმუის. ათასი აფეთქება. ათასი ნგრევა. ცეცხლის ალების აგზნება. ზარბაზნების ზვავი. რახრახი. სროლის გაელვების მრუდე ხაზებში გამოკრთიან ადამიანების შეშინებული სახეები, სარეკლამო ნარწერები, გააფთრებული ცხენები. თვალების დანამნამება მაგნიის გაკრთომაზე. სწრაფი ფოტოგრაფია. თვალს მოვკრავ ტრანშეების ფოსფორიულ ზღვას და შავ ორმოებს. შევქუჩდებით სროლის პარალელელებში, გიჟები, დაღვრემილები, განუწულელები, მოქანცულელები. დიდი ხანი გაივლის მოლოდინში. ჰკანკალებს სიცივისაგან. გარშემო ზუზუნია ტყვიების. დიდხანს არ წყდება წვიმა. აცივდება. ბოლოს გამოჩნდება განთიადიც ქათმის კანში გახვეული. დარბეული ვაკე. გაყინული ბალახი. განგმირული მიწა. გოგირდში გავლებული ქვები. ჯვარედინად შეკრული საგნები. მთელი საუკუნე გადის ლოდინში. მალლად ამართული ყუმბარების სვეტები. ისმის, თუ როგორ შემოდინს სადგურში უზარმაზარი მანქანები. ჰაერი ორთქლმავალის, მატარებლის, რეფლექტორების სუნით არის გაჟღენთილი. ითვლი რიმალიოს სისტემის ზარბაზნის ორმაგ სროლას. 240 მილიმეტრიანის ქაქანი. 120 მილიმეტრიანის ჭახჭახი. 75 მილიმეტრიანის გიჟური კნავილი. სკივრი-სკივრზე სკდება ზედ ჩვენ თავზე. ორთქლად ამოვარდნილი ხმა წყვილობით: მამალი და დედალი. კბილების კრაჭუნი. სისინი. ხვისხინი. ხველა. გაფურთხება. ყვირიან სპილოსავით, ღმუიან და სჩივიან. ფოლადის ქიმერების და მასტოდონტების მარულა. აპოკალიპსური ხახა, რომლიდანაც ამოიყურყუმალავებენ მთვრალი ვეშაპების მსგავსი უხმოვანო სიტყვები. გადაებმიან ერთმანეთს. ქმნიან წინადადებას. აზრად იქცევიან. გამოირკვევიან. გესმის მათი სამმაგი რითმი, ადამიანის მეტყველებასავით სწორზომიანი. როცა მიეჩვევი, ეს საშინელი ხმაურობა უბრალო შადრევანის ხმიანობა გგონია. ფიქრობ კოსმიურ მერწყულზე. მათემატიკურად სწორია იგი, უცვლელი, მუდმივი. სფეროთა მუსიკა. სამყაროს სუნთქვა. ნათლად ვხედავ ქალის სახსე კორსაჟს. ხან მალლა აინევს, ხან ძირს დაინევს ღელვის ტალღაზე. უშველებელად დიდია, ტანსაცხე. მაგონდება ბოდლერის „ღვექალი“. ვერცხლოვანი სტვენა. მხედარი ხელებს გააშვერს და მივარდება მას. საათის „ჩ“-ია. პაპიროსით პირში იერიშზე გადადიან. იმავე წამში გაიტკაცანებენ გერმანული ტყვიისმფრქვეველები. დატრიალდებიან ყავის საფქვავეები. სკდებიან ყუმბარები. მარცხენა მხრის აწვეით მიდიან იერიშზე. მოლუნულ ბექს სახეზე ფარად იფარებენ, თითქოს უძვლონი იყვნენ. ციება ჩაუდგებათ საფეთქელში. ცხელება მთელ ტანში. მოკაკული ხარ, მაგრამ დამშვიდებული მიყვები რაზმს. აღარ არის ყაითანით დამშვენებული უფროსი. ინსტიკტიურად მისდევ მას, ვინც გულმაგარია. ასეთი ყოველთვის უბრალო ჯარისკაცია. ახლა ტყუილი აღარ შეიძლება. მყვირალეები კიდეც მოიპოვებიან. როცა მათ ჰკლავენ, ისინი გაჰყვირიან: „გაუმარჯოს საფრანგეთს“. უფროსობს ყველაზე უფრო ჩუმი. ის წინ მიიწევს, რამდენიმე ისტერიკი მისდევს მას. ესენი ამხნევენ დაწარჩენებს. ტრახახები სადღაც გაჰქრებიან. ვირი ყროყინებს. მშიშარა იმალება. სუსტს მუხლი ეკეცება. ქურდი გტოვებს და მიიპარება. არიან ისეთებიც, რომლებიც წინდანინ ითვლიან, თუ ვის რამდენი ფული აქვს ჯიბეში. ზოგი თავს იმკვდარუნებს. არიან ისეთებიც, რომლებიც უშიშრად კვდებიან. არ იციან, რისთვის და რატომ. რამდენია ასეთი!! ახლა ზარბაზნების ტყვიებიც სკდებიან. მოგვიცავს კომლი და ალი. გაგიჟებული შიში პირდაპირ გერმანელთა სანგრებში გერეკება. მიმოვიხედავთ, ვიცნობთ ერთმანეთს. ვამაგრებთ დაჭერილ პოზიციას. თოფები თავისთავად ისვრიან. ჩვენს გარშემო მკვდრებია და დაჭრილები. შესვენება შეუძლებელია. „წინ. წინ“. არ იცი, ვინ იძლევა განკარგულებას. კვლავ შეტევაზე გადადისხარ. ახლა მალალ ბალახით გარბიხარ. ხედავ დამტვრეულ ზარბაზნებს. მინდვრად მიმოხედავ საომარ მასალებს. ტყვიისმფრქვეველი გცემს ზურგში. ყველგან



გერმანელებია. გასარღვევია ამართული სიმაგრეები. მსხვილი და შავი ავსტრიელები სთიბავენ ხალხს. ზოგის ხელი, ზოგის ფეხი და სხეულის სხვა ნაწილები მიმოფრინავენ ჰაერში. პირსახეში სისხლი შემესხმება. ისმის გულისგამწყალებული ყვირილი. დატოვებულ ტრანშეებზე გადავდივართ. აქ ლემის ზინი დგას. გამოკრული ჩვარავით ჰყრიან დახოცილები. ყუმბარებისაგან გახეთქილი ორმოები სანარცხე ყუთებივით სავსეა ლემით. ბადიებში არეულად: წვენი, ხორცი, ტანსაცმელი, განავალი. ბუჩქნარს იქით, ცარიელ გზაზე, კუთხეში უთავბოლოდ მიყრილი მუმების მსგავსი მკვდრები. ჰაეროპლანი ისე დაბლა დაფრინავს, რომ ჩვენ თავს ძირს დავხრით. წინ ერთი სოფელია ასალები — კარგი ნაჭერი. შეგვამაგრებენ. კვლავ დაინყება იერიში. ვესხმით თავს. მივალნიეთ 26 პოზიციაზე. მშვენიერი დეკორაცია დანგრეული სახლებისა და გამოშინებული სანგრებისაგან. უნდა დაიგავოს იქაურობა. მე მოვითხოვ ნაჭდევიან დანას. დაარიგებენ ათამდის, აგრეთვე მელინიტის ყუმბარებს. და აი, მე ხელში მიჭირავს საკეცი დანა. დანასთან მივყევართ ჩვენ ომის ამ უშველებელ მანქანას. ქალები ღონისაგან იცვლებიან ქარხნებში მუშაობით. მალაროების სიღრმეში დაულალავად მუშაობენ მუშები. იღვნიან მეცნიერნი, აღმომჩენნი. სასწაულის მოქმედ კაცობრიობის ნამოღვანარი იბეგვრება. მრავალ ცივილიზაციათა გამოცდილება. მთელი მსოფლიო მხოლოდ ჩემთვის მუშაობს. მინერალებს ჩილიდან მანვდიან. კონსერვებს — ავსტრალიიდან. ტყავს — აფრიკიდან. მანქანებს — ამერიკიდან. მუშა-ხელს — ჩინეთიდან. ცხენებს — არგენტინიდან. მე ვწევ არაბულ თამბაქოს. ჩანთაში ბატავის შოკოლადი მიდევს. მამაკაცებისა და დედაკაცების ხელებმა გააკეთეს ყველაფერი, რაც ტანს მაცვია. ამისთვის თანამშრომლობდა ყველა კლიმატი, ყველა რელიგია, ყველა რასა. უძველესი ტრადიციები და უახლესი მეტოდები. გადატრიალებულია დედამიწის შიგნეულობა და ადათები. დახსულია ხელუხლებელი კორდები. უცოდველ არსებათაც ხელობა შეასწავლეს. წყალი, ჰაერი, ცეცხლი, ელექტრო, რადიოგრაფია, აკუსტიკა, ბალისტიკა, მათემატიკა, მეტალურგია, მოდეები, ხელოვნება, ცრუმორწმუნეობა, ლამაზა, მოგზაურობა, მაგიდა, ოჯახი, მსოფლიო ისტორია, — ფორმაა მე რომ ვატარებ. პაკეტოტები ოკეანეს გადასჭრიან. წყალქვეშა ნაგები ზღვის სიღრმეში დაძრნიან. მატარებლები დაჰჭრიან. ზანზარებენ საბარგო ავტომობილების ქარავანები. ქარხნები აფეთქდებიან, კინოებს აწყდებიან ბრბოები დიდ ქალაქებში და გაზეთებს ერთმანეთს სტაცებენ ადამიანები. სოფლებში კი გლეხები სთესავენ და მკიან. მორწმუნენი ლოცულობენ. დოსტაქრები ოპერაციებს აკეთებენ. ფინანსისტები მდიდრდებიან. სატრფიალო წერილებს სწერენ გოგოები. მრავალმა ათასმა ადამიანმა თავისი ერთი დღის ნამუშევარი მე შემომწირა. ძალა, ნიჭი, ცოდნა, ჭკუა, ჩვეულება, გრძნობა, გული. და აი, დღეს მე დანა მიჭირავს ხელში, „ბონნოს“ დასაკეცი დანა. „გაუმარჯოს კაცობრიობას!“ მე შევიგრძენი ის ცივი ჭეშმარიტება, რომელსაც მოითხოვს ჩემგან დანის მკვეთრი პირი. მე მართალი ვარ. ჩემი ახალგაზრდობის სპორტსმენული ნარსული ასპარეზს ჰპოვებს. და აი, დავჭიმავ ძარღვებს, გავბერავ კუნთებს და მზად ვარ გადავემო სინამდვილეში. მე ვერ შემაშინეს ხომ ზარბაზნებმა, ნალმებმა, ცეცხლმა, გაზმა, ტყვიისმფრქვეველებმა — მთელმა სისტემატიურმა, ბრმა და დემონიურმა კრებულმა მანქანებისამ! და ადამიანი, ჩემი მოყვასი, როგორ შემაშინებს? კბილი კბილისა წილ. ახლა ხელჩართული. მუშტით, დანით. დაუზოგავად. თავს ვესხმი მოპირდაპირეს. მოვიქნევ და დავარტყამ. თითქმის სულ მოვაცლი თავს. მე მოვჰკვალ „ბოში“<sup>1</sup> უფრო მარდი, უმეშვეო გამოვდექი, დავასწარი. მე, პოეტს, გამახვილებული მაქვს სინამდვილის გრძნობა. მოჰკვალ კიდევაც. როგორც მოჰკვლავდა ის, ვისაც ცხოვრება სურს.

თარგმანი ლ. შ-სი

1. გერმანელი.



ვსევოლოდ ივანოვ.

## ბავშვი

### I

მონგოლეთი — მხეცია სასტიკი. იქ ქვაც მხეცია და წყალიც. პეპელა რა არის, და ისიც საკბენად მოიწვეს.

მონგოლელი კაცის გული კი რა არის, არავინ იცის. დადის მონგოლელი, როგორც ამბობენ, ტყავით შემოსილი. ჰგავს ჩინელს და სცხოვრობს ძალიან შორს, ნორ-კოის უდაბნოს იქით. იტყვიან, რომ იგი ჩინეთისა და ინდოეთის იქითა მხარეებსაც წვდებაო, ლურჯს, უცნობ ქვეყნებს.

რუსებთან ჩამოდიოდნენ ის ყირგიზები, რომლებიც რუსეთის ომის გამო მონგოლეთში გადავიდნენ. ამათი ამბავი ყველამ იცის: არაფრის მაქნისი ხალხია! რომ შეხედავ, თავიდან ბოლომდის სჩანს, რაც არის. მოდიოდნენ აუჩქარებლად, მოერეკებოდნენ ჯოგს, თან ახლდათ ბავშვებიც და ავადმყოფებიც.

რუსებს კი აქეთ უმოწყალოდ ერეკებოდნენ. ესენი ჯანმთელი, წვივმაგარი ხალხი იყო. ამათ სუსტები კლდოვან მთებზე დასტოვეს, როგორც ზედმეტი ბარგი: — ზოგი მოკვდა, ზოგი კი დაჰკლეს. კარმიდამო, ჯოგი თეთრებს დარჩათ... გააფთრებული იყვნენ, როგორც მგლები გაზაფხულზე. იწვნენ ბუნაგებში, კარავებში, — ფიქრობდნენ ველზე და ირტიშზე.

სულ ასზე მეტი იქნებოდნენ. მეთაურობდა მათ სერგეი სელივანოვი. რაზმი ასე იწოდებოდა: წითელი გვარდიის პარტიზანული რაზმი ამხანაგ სელივანოვისა.

მოსაწყენი რამ იყო აქ ცხოვრება.

სანამ თეთრები მოსდევდნენ მთებში, შიშით იყვნენ შეპყრობილი. მოვიდნენ, დაემგნენ ველზე და... მოსწყინდათ.

ველი ირტიშის მიდამოს ჰგავს: ქვიშა. ძარღვმაგარი ბალახი. მაგრა ნაჭედი ცა. ყველაფერი — უცხო, სხვისი, დაუმუშავებელი და ველური.

სხვა საშინელებას უქალობაც დაერთო.

ქალებზე ღამ-ღამობით მასლაათობდნენ. მოუთხოვდნენ ერთმანეთს ბინძურ, სალდათურ, დედისგინებით აფორიაქებულ არაკებს... და როცა ძალიან გაუჭირდებოდათ, შეკაზმავდნენ ცხენებს და ყირგიზელ ქალების დასაჭერად გარბოდნენ ველში.

ყირგიზელი ქალები დაინახავდნენ თუ არა რუსებს, უხმოდ მყისვე ზურგზე წამოგორდებოდნენ, წამოუნვებოდნენ.

საზიზღარი რამ იყო მათთან მისვლა: იწვნენ უძრავად და თვალდახუჭულად... პირუტყვზე გასვლას ჰგავდა ეს ამბავი... ყირგიზელ მამაკაცებს კი ეშინოდათ რუსების. შენიშნავდნენ თუ არა, თოფებით დაემუქრებოდნენ შორიდან. ილანძლებოდნენ. მაგრამ არ ისროდნენ კი. იქნება, არც იცოდნენ სროლა.

### II

რაზმის მოლარე, აფანასი პეტროვიჩი ტრუბაჩევი, ბავშვივით მუდამ თვალცრემლიანია. სახეც ბავშვისა აქვს: პატარა, ქოსა, მაგრამ ლაჟღაჟა. ხოლო ფეხები კი აქლემივით გრძელი და მაგარი აქვს. როცა ცხენზე შეჯდებოდა, სრულიად იცვლებოდა: ხანში შესული კაცი გეგონებოდა. სახე როგორღაც დაემალებოდა და მოსჩანდა მრისხანე, ჭლარა და საშიში.

სამება დღეს ველში გაგზავნეს: სელივანოვი, მოლარე აფანასი პეტროვიჩი და დრევსინინი. კარგი სათიბი უნდა მოენახათ.

სქელი კომლივით მალლა ადიოდა ქვიშა... ციდან ქარი უბერავდა. მიწაზე პაპანაქება სიცხე ცეცხლივით გუზგუზებდა. როგორც ადამიანებს, ისე პირუტყვებსაც ტანი გაქვავებოდათ.

სელივანოვი ამბობს ჩახლერილი ხმით:

— იქ... ჰო, რა სათიბია... იქ... ირტიშზე...

დანარჩენების უწვერო სახეები კი სდუმდნენ. როგორც ბალახი ენერში, ისე ჰქონდათ ამომწვარი მზისაგან თმა... ანთებულ, ვიწრო თვალებით გამოიმზირებოდნენ. თვალები ანკესისაგან გაფხაჭნილ იარას მიუგავდათ.

აფანასი პეტროვიჩი დაარღვევს დუმილს:

— ნუ თუ ახლა იქაც გვალვაა?..

სახე არ უტიროდა, ხოლო მტირალი ხმით კი ლაპარაკობდა. მის ცხენს კი — ქანც გამოლეულს და ღონემიხდილს — ღაპა-ღუპით ჩამოსდიოდა ცრემლი დიდრონ თვალებიდან...

...ქვიშა ნელ-ნელა იფუჭლებოდა. მტვრიანი ქარი ნებოსავით ეკვრებოდა თავს, ბეჭებს... შიგ ტანში ოფლი სდულდა, მაგრამ სქელ, მშრალ კანიდან ვერ გამოდიოდა...

სალამო იყო, როცა ღელედან ამომავალმა სელივანოვმა ხელი გაიშვირა დასავლეთისაკენ და წამოიძახა:

— მოდიან!

მართლაც: ჰორიზონტზე ვარდისფერად ირხეოდა მტვრის სვეტი.

— ალბად ყირგიზელებია!

შეეკამათნენ ერთმანეთს: დრევესინინი ამტკიცებდა, რომ ყირგიზები შორს ბინადრობენ და სელივანოვის რაზმის საბანაკოს გაურბიანო. აფანასი პეტროვიჩი: უთუოდ ყირგიზებია... ყირგიზების მტვერია, ასე რომ სქლად ადის ჰაერშიო.

მაგრამ მტვერი დაუახლოვდათ, მაშინ ერთბაშად წამოიძახეს:

— უცნობი ხალხია!

ცხენებმაც იგრძნეს პატრონების ხმაზე, რომ ქარს რალაც უცხო მოაქვს.

მიწაზე გაერთხნენ ცხენიან-კაცნიანად.

სელივანოვი და მოლარე აფანასი პეტროვიჩი კორდის კიდურზე მიწვნენ. აფანასი პეტროვიჩი ფრუტუნებდა და სტიროდა. მშიშარა იყო, და სელივანოვი არ იშორებდა ხოლმე მას.

მტვერი გადიდდა, გაიშალა გზის მთელ სიგრძე-სიგანეზე. მოისმა ბორბლების რახ-რახი. გამოჩნდა ცხენის შავი, გრძელი ფაფარიც...

— რუსები! — ბეჯითად წამოიძახა სელივანოვმა, და დრევესინინი მოიხმო.

შემოლობილ ეტლში ორი უცნობი იჯდა. შენიშნეს მხოლოდ ორი ქუდი, წითელ არშია-შემოვლებული. სახე კი ვერ გაარჩიეს მტვერში. მტვრის ბოლში შესროლილსავით მოსჩანდა ორი ქუდი და მათზე ამართული თოფის ლულა. მერე მათრახიც გამოჩნდა ამნაირადვე.

დრევესინინს აზრად დაებადა:

— აფიცრებია!.. „იკსპიდიცია!“

— ჩვენც მათ ვაჩვენოთ „იკსპიდიცია!“..

მოგორავს ეტლი. მოჰყავს უცნობები... წინ ცხენები... უკან კი, როგორც მელა, კუდით კვალსა ჰშლის...

შეეხვეწა აფანასი პეტროვიჩი ამხანაგებს:

— ნუ გინდათ, ძმებო... სჯობია, ტყვედ...

— სიკვდილი ხომ არ მოგნატრებია! — გაუჯავრდა მას სელივანოვი. გამოსწიეს თოფების ხრიალა ჩახმახები, თითქო ლითონის ლილები შეხსნეს და...

— აქ შეცოდება რა შუაშია...

მოვიდნენ აფიცრები მარტო, უამალოდ. ვითომ რაო? ლაშქარი ვართ და გლახებს სიკვდილიო?

წამოდგა ეტლში აფიცერი. ველს გადახედა. რას დაინახავდა? — მტვერი, ამომწვარ ბალახზე წითელი ქარი. კორდთანაც, ცხენების ლემის მსგავს ორ ქვაზედაც ქარი წითელი... წითელია მტვერიც, ურმის ბორბლებიც... წითელია ადამიანიც და მისი აზრიც... ისროლეს.

დავარდა ერთბაშად ორი წითელ-არშინი ქუდი ეტლის კოფოზე.

ალვირიც დაეშვა მყისვე ძირს, თითქო განყდაო.

გაქანდნენ ცხენები... მაგრამ მალე ისევ დადგნენ.

აფანასი პეტროვიჩმა სთქვა:

— დაიხოცნენ...

მივიდნენ ახლოს. დაათვალიერეს.

წითელ-არშინები მომკვდარიყვნენ. თავები უკან გადაეგდოთ, მხრებით ერთმანეთს მიბჯენოდნენ. ერთი მათგანი ქალი აღმოჩნდა. მტვრისაგან ზოგან შეყვითლებული თმა გაშლოდა. სალდათის „გიმნასტიორკა“ ქალის მაღალ გულმკერდს ამოებერა.

— უცნაური ამბავი, თუ გინდა! — სთქვა დრევესინინმა. მაგრამ თვითონ არის დამნაშავე, რომ მამაკაცის ქუდი დაუხურავს... თუ არა, ქალს რომელი გიჟი გასწირავდა!.. დედაკაცები საჭირონი არიან!

აფანასი პეტროვიჩმა კი გააფურთხა:

— ბურჟუი ხარ და უსინდისო!.. შენში არაფერი...

— დაიცათ! — გაანყვეტინა სელივანოვმა. — ჩვენ მძარცველები კი არ ვართ! აქ ბარგიც არის!.. საჭიროა, აინეროს სახალხო ქონება! მომანოდე ქალადი!

სხვა „სახალხო ქონებასთან“ ერთად ჩინურად წნულ კალათაში ბავშვიც აღმოაჩინეს, — თეთრთვალეზანი, თეთრთავიანი. პანანა ხელი ყავისფერ საბნის კიდეზე წაეწლო და ოდნავ წუნუნებდა.

შეეცოდა აფანასი პეტროვიჩს:

— ესეც ხომ... დახე, მისებურად ლაპარაკობს...

ერთხელ კიდე შეიცოდეს ქალი. მისთვის ტანზე არ გაუხდიათ. მამაკაცი კი გააშიშვლეს და ქვიშაში ჩაფლეს.

### III

აფანასი პეტროვიჩი ეტლში იჯდა. ხელში პატარა ბავშვი ეჭირა და ფრთხილად არწევდა. ნელ ხმაზე ლილინებდა.

თან აგონდებოდა თავისი სოფელი — ლეზიაჟი, ჯოგი, ოჯახი... მოსთქვამდა და სტიროდა. სტიროდა ბავშვიც...

ეტლს ცხელი ქვიშის მტვერი ადევნებოდა, და ისიც თითქოს მოსთქვამდა აფანასი პეტროვიჩის ხმაზე. პარტიზანები კი კვალდაკვალ მოაჭენებდნენ მონგოლურ დაბალ ცხენებს. დაფერფლილი ჰქონდათ სახე. დაფერფლილი ჰქონდათ სული.

ბილიკებს სიცხისაგან დამხრჩვალნი აბზინდა დაჰკროდა. მას ვერც გაარჩევდი მტვრისაგან, ვერც შეამჩნევდი ქვიშაში:

მტვერია აბზინდაც, წვრილ ლერიანი და მწარე.

ჰე... ბილიკები... თხის საფეხო ბილიკები! ჰე, მტვერი... და მონგოლეთი — მხეცი, სასტიკი და ავი!

დაათვალიერეს აფიცრის ბარგი. ნახეს: თამბაქო, წიგნები, ფოლადის ბრჭყვიალა ინსტრუმენტები. ერთს სამი ფეხი ჰქონდა, რომელზედაც გამაგრებული იყო ოთხკუთხიანი ყუთი.

გასინჯეს. აწონ-დაწონეს ხელით.

ცხვრის ქონის სუნი აუდიოდათ... ტანსაცმელიც ქონით უყარდათ. მშვილდით გაღუნულ ფეხებზე იდგნენ და ველური ხმა ჰქონდათ.

— ტილისკოპ! — წარმოსთქვა აფანასი პეტროვიჩმა და ასწია სამფეხა ყუთი.

— კარგი ტილისკოპია! იცით, ამით მთვარეს გახედეს და აღმოაჩინეს ისეთი ოქროს მადანი იქ... მთვარეზე... ისეთი, რომელსაც გარეცხვაც არ ესაჭიროება. პირდაპირ ჩაყარე ტომარში, თუ გინდა...

— რა ტყუილსა როშავ?... გახსენი რალა... შენიშნა ერთმა, რომელიც ქალაქელი იყო.

— მე ვროშავ, შე ძუ-ძალლო, შენა!.. დამაცა...

თამბაქო გაინანილეს. ინსტრუმენტი კი აფანასი პეტროვიჩის ჩააბარეს, როგორც მოლარეს. იქნება, გადასცვალოს შემდეგში რამეზეო.

მან კი ინსტრუმენტი ბავშვს მოუდგა გვერდით.

— გაერთე, პანანავ!

ბავშვი ვერაფერს ხედავს. წრიპინებს, წივის. აფანასი პეტროვიჩი აქეთ ეცა, იქით. მაგრამ ბავშვი ვერ დააშოშმინა. წივის და კნავის.

მოიტანეს სადილი. დატრიალდა ერბოს სუნი, „შიის“ ორთქლი...

ამოიძვრეს ფეხსაცმელების ყელეებიდან გრძელი კოვზები.

ნაპრალში ისხდნენ, ჩრდილიანში. ზევით მზვერავი იდგა. საჭმელის დანახვაზე იყვირა:

— გამომცვალეთ ჩქარა. მეც ჩამათქვლეფიეთ! მშია!

ისადილეს. ახლა ბავშვიც მოაგონდათ. უნდა აჭამონ. მაგრამ ის თავისას განაგრძობს — სტირის, კნავის.

აფანასი პეტროვიჩმა დალეჭა პირში პური. დაამგვრალა ენაზე, შელესა ნერწყვით. მერე გამოიღო და ბავშვს მიუტანა პირთან.

— ჩახეთქე, ბიჭუნო...

დამუნა პირი ბავშვმა. ახლოს არ გაიკარა. ახლა ცხვირით წრიპინებს.

გარს შემოეხვივნენ გლეხები. უცქერიან ბავშვს. სდუმან.

ცხელა. შეიხსნეს გულმკერდი. გამოჩნდნენ შიშველი ფეხები, ყვითლები, როგორც მონგოლეთის მინა.

ერთმა სთქვა:

— მიეცით „შიი“!

გააცივებს „შიი“. აფანასი პეტროვიჩმა ჩაჰკრა შიგ თითი და მერე ბავშვს ჩაურჭო პირში. დადინდა ქონიანი შიის წვენი პანანა ლოყაზე, ტუჩზე, გაითხუპნა ვარდისფერი პერანგი, საბანი...

არ სჭამს მაინც.

— ლეკვი უფრო ჭკვიანია: თითს ლოკავს, როცა მისცემ...

— ხან ძალლია, ხან კი ადამიანი...

რაზმს ერთი ძროხაც კი არ მოეპოვებოდა. იფიქრეს, ჭაკი ცხენის რძე მიენოდებიათ. მაგრამ შეეშინდათ, იქნება მოჰკლას ჭაკის რძემ, ან დაითროსო.

გაიფანტნენ გლეხები. თავიანთ ურმებს მიაშურეს. თათბირობენ, რა აჭამონ ბავშვს. სწუხან. ურმიდან ურემთან გარბის-გამორბის აფანასი პეტროვიჩი. იგი ყველაზე უფრო შეწუხებულია. ბავშვივით წრიპინებს, თითქო თვითონაც ბავშვი იყოს უმწეო.

— ა? რა ვქნათ? არ სჭამს, ხომ ხედავთ, გლეხებო!.. რა ეშველება?

— დედაკაცის საქმეა...

— რა თქმა უნდა!..

— დედაკაცი მთელ ცხვარსაც შეაჭმევს...

სელივანოვმა შეჰყარა რაზმი და გამოუცხადა:

— არ შეიძლება ასე დაიღუპოს ქრისტიანი ბაღლი. პირუტყვი ხომ არ არის! ვსთქვათ, მამა ბურჟუა ჰყავდა, მაგრამ ბავშვმა რა დააშავა?

დაეთანხმნენ გლეხები.

— ბავშვი უდანაშაულოა!

გადაიხარხარა დრევესინინმა:

— გაგვეზდება ბიჭი... მთვარეზე აფრინდება... ოქროს მადანს ჩამოგვიტანს, რალა!... მამა გიცხონდათ!

არ მოენონათ ეს გლეხებს. არ გაიცინეს. აფანასი პეტროვიჩი კი მუშტით დაემუქრა დრევესინინს:

— ძუკნა ძაღლის გაგდებულო, შენა... როგორ ამბობ ამას...

მაგრამ მერე უცებ წამოიძახა:

— ძროხა გვინდა, გლეხებო!.. ძროხა უშველის ბავშვს!

გადასწყვიტეს ერთხმად:

— მოკვდება უძროხოდ!

— აუცილებელია ძროხა!

— უძროხობა არ იქნება!

აფანასი პეტროვიჩმა განაცხადა:

— მე მოვრეკავ ძროხებს!

დრევესინინმა დაცინვით შენიშნა:

— ლეზიაჟიდან, ირტიშიდან მორეკავ, აი...

— ლეზიაჟიდან კი არა, გამოთაყვანებულო შენა, ყირგიზელებთან წავალ!

— ტილისკოპზე გადაგიცვლიან!..

აფანასი პეტროვიჩი საცემად მივარდა მას.

— პროვოკატორი ხარ და კაცობრიობის მოდემის მოლალატე! ხომ არ გინდა, ჩაგილენო ეგ დინგი...

შეიქმნა გინება. ყრილობის თავმჯდომარემ, სელივანოვმა, შეაჩერა ამხანაგები:

— გეყოფათ!

კენჭის ყრით გადასწყვიტეს: დრევესინინი, აფანასი პეტროვიჩი და კიდევ სამი სხვა გამგზავრებულიყვნენ საჩქაროდ ყირგიზელებთან და მოეყვანათ ძროხა. თუ მოახერხებდნენ, ორი, ან ხუთი და მეტიც, რადგანაც რაზმს საკმარისი ხორცი აღარ ჰქონდა.

თოფები უნაგირზე მიაკრეს. ჩაიცვეს ყირგიზულად, რომ შორიდან არ ეცნოთ და გაუდგენ გზას არჩეულები.

ბავშვი კი შეხვიეს საბანში და ურემს ქვეშ შეაგდეს. გვერდით მოუსვეს ერთი ბიჭი, რომელიც ბავშვს იმით ართობდა, რომ მახლობელ ჩირგვს წამდაუნუმ ესროდა ნაგანის რევოლვერს. ამით თვითონაც ერთობოდა.

#### IV

ჰე, შენ, მონგოლეთის ქვიშაო, არა საამოვ!.. შენ ქვაო, ლურჯო, ცეცხლებ მსურვალევ, და მდინარეო, ღრმა ლელიანო, დაუნდობელო!..

მიდიან რუსები ქვიშიან ველით. ღამეა ბნელი.

დამწვარის სუნი სდგას...

ძაღვები მგლებს უყეფენ და ღამეს...

სიკვდილს გაექცნენ ყირგიზელები!..

ყვითელ კოცონებს გარს შემოსხდომიან ყირგიზელი ბიჭები. მათ გვერდით მოკალათებულან გვერდებ-ჩაცვივნილი ძაღვები, წანვრილებული თავებით. ყირგიზელების ფაცხები ისე დგანან, როგორც თივის ზვინები... ფაცხებს იქით ტბა და ჩალიანი...

ჩალიანიდან გავარდა თოფი.

— ჰოოო!

გამოვარდენ გარედ ყირგიზელები. შეშინებულებმა ჯერ სათითაოდ იყვირეს. მერე ყველამ ერთად დასძახა:

— ჰუი ჰოი... ჰუი ჰოი... რუსი... ჰუი ჰოი... რუსი.

შემოასხდენ ცხენებს. ცხენები ღამითაც მზად ჰყავთ ყირგიზელებს. ახმაურდა ველი. ახმაურდა გარემო ტყის იხვის ძახილით:



— აკ... აკ...

ერთი ჭალარა ყირგიზელი გადმოვარდა ცხენიდან და პირდაპირ კარდილაში ჩავარდა. გადაბრუნდა ქვაბი. გადმოიღვარა რძე. იბლავლა ბებერმა. ძალღმა კი ცხვირი ჩაჰყო კარდილაში და ცხელ რძეს დაენაფა.

ახვიხვიდნენ ჭაკები. დაფრთხენ ცხვრებიც, თითქო მგლეები შემოსეოდათ. ძლივს სუნთქავდნენ ძროხები.

ყირგიზელმა დედაკაცებმა მოჰკრეს თვალი რუსებს, და წამოწვენ იქვე, მოემზადნენ. დრევესინინი სულ ხარხარებდა:

— ვაყები ხომ არ ვართო...

მათარა აივსო რძით და გამორეკა ძროხები ნაგანის სროლით.

აფანასი პეტროვიჩმა ერთხელ კიდევ შემოუბრუნა ფაცხებს და ის იყო, უნდა შეერთებოდა დრევესინინს, რომ მოაგონდა:

— სანუნნელა გვჭირია, ხალხო! დაგვაგინყდა...

დაბრუნდა. შევიდა ფაცხაში. ეძებს სანუნნელას ბავშვისათვის!

ცეცხლი ჩაექროთ ფაცხებში. ბნელოდა. აფანასი პეტროვიჩმა ხელი წაავლო მუგუზალს, შეუბერა, დაატრიალა და დაინყო ძებნა. ერთ ხელში მუგუზალი ეჭირა, მეორეში რევოლვერი.

ვერსად ვერ ნახა სანუნნელა. ერთი ფაცხიდან მეორეში გადავიდა. ყირგიზელი ქალი ნაბადზე წამოწოლილიყო მოლოდინში. მის გვერდით ბავშვი ჩხავოდა.

აფანასი პეტროვიჩმა შეჰყვირა:

— ჩქარა სანუნნელა ბავშვისათვის! მოიტა ჩქარა!

ატირდა ქალი. ფიცხლად შეიხსნა პერანგი მკერდზე.

— ალ... ალ... — ბუტბუტებდა იგი. გაჯავრდა აფანასი პეტროვიჩი. მაშინ დედაკაცმა ამართა მალლა ფეხები, და მუხლები მოიკეცა.

მაგრამ აფანასი პეტროვიჩმა დაუნახა თუ არა ძუძუები, მივარდა ქალს და გახარებულმა სტაცა ხელი ძუძუსთავს.

— აი... სანუნნელა!.. ა! წამო! — და აიტაცა ქალი. გადააგდო მუგუზალი და ქალიანად გამოვარდა გარედ.

ბნელში შეისვა ქალი თავის ცხენზე და გამოსწია. დროგამოშვებით გზაზე ძუძუებს უსინჯავდა ქალს და გახარებული გამორბოდა სელივანოვის საბანაკოსკენ.

— ვიპოვე, ხომ! ა? — ამბობდა იგი და სიხარულის ცრემლი ჩამოდიოდა თვალიდან.

— მამ... ვიპოვე...

## V

როცა საბანაკოში მოვიდა, ბნელში აფანასი პეტროვიჩს ეს სულ არ შეუმჩნევია, აღმოჩნდა, რომ ყირგიზელ დედაკაცს თან წამოეყვანა თავისი ბავშვი.

— იყოს... მისი რძე ორსაც ეყოფა! ძროხებიც გვყავს... და დედაკაციც ჯეელია, ლონიერი. — სთქვეს გლეხებმა.

ქალი ჩუმი და მოვალეობის პატიოსანი აღმსრულებელი აღმოჩნდა. კარავში ჰყავდა ორივე ბავშვი მოთავსებული — ერთი თეთრი, მეორე ყვითელი — და თავის დროზე არ აკლებდა რძეს.

მხოლოდ ერთი კვირის შემდეგ საერთო ყრილობაზე აფანასი პეტროვიჩმა განაცხადა:

— ამხანაგებო, დედაკაცი გვატყუებს... მისას სავსე ძუძუს აჭმევს, ჩვენსას კი ნარჩენს!.. ნამდვილს ვამბობ. ჩემი თვალით ვნახე!

წავიდნენ გლეხები შესამოწმებლად. ნახეს: ბავშვები მწიფე ნესვებივით ეყარნენ, ხოლო ერთი თეთრი, მეორე ყვითელი. მოეჩვენათ კი, რომ რუსი უფრო ხმელტანიანი იყო, ყირგიზი კი სავსე ტანიანი.

გააქნია ხელები აფანასი პეტროვიჩმა:

— მე უკვე სახელიც კი დავარქვი: ვასკა... და შეხედეთ, ეს კი რას მიშვრება!

— მიდი, ანონე და შეიტყობ... — უთხრა დრევესინინმა.

მოიტანეს ჯოხი. მოაწყვეს სასწორი. ერთ თავზე რუსი ჩამოჰკიდეს, მეორეზე ყირგიზელი ბავშვი. კნაოდნენ, ჩხავოდნენ ძონძებში გახვეულნი, ქამანდზე ჩამოკიდებული ბავშვები. უყურებდა ამას ყირგიზელი ქალი და სტიროდა: არაფერი ესმოდა.

გლეხები იდგნენ და სასწორის სამართალს მოელოდნენ.

— მაშ, ჰა, უშვი! — ბრძანა სელივანოვმა.

გაუშვეს ხელი ბავშვებს.

რუსის ბავშვი მალლა ავარდა. დასწონა ყირგიზელმა.

— შეხედე, ამ ყვითელ დინგიან მამაძალს! ძალზე გამძლარა!

მერე აიღო იქვე მიგდებული ცხვრის თავისქალა და რუსის ბავშვზე დააგდო.

ახლა გასწორდა ჯოხი.

აყაყანდნენ.

— მთელი ერთი თავით მეტი უნოვებია, ამხანაგებო! მთელი ერთი თავით!..

— რას შენიშნავ! ძნელია!

— აი, მხეცი თუ გინდა!

— მშობელია...

ყველაზე უფრო ცხარობდა აფანასი პეტროვიჩი.

— შენი აზრით, რუსი უნდა დაილუპოს და შენი ლანირაკი კი გადარჩეს, არა?... ა?

ვასკა უნდა დაილუპოს?

ვასკა კი იწვა თეთრი, ხმელი და საცოდავი.

მაშინ სელივანოვმა აფანასი პეტროვიჩს წასჩურჩულა:

— დეე, მოკვდეს ის ბარტყი... ეშმაკმა წაილოს მისი თავი!.. მაინცა და მაინც ბევრი არ დაგვიხოცავს ყირგიზელი...

გადახედეს ერთხელ კიდევ გლეხებმა ვასკას და თავ-თავიანთ კუთხეს მიაშურეს.

აფანასი პეტროვიჩმა კი აიყვანა პატარა ყირგიზელი და შეხვია დახეულ ტომარაში...

იკვილა დედამ. მაგრამ აფანასი პეტროვიჩმა ჩაარტყა მას კბილებში და გაუდგა გზას ველისკენ...

## VI

გავიდა ორიოდ დღე. კარავის შესავალთან იდგნენ ფეხაკრეფილი გლეხები და ფრთხილად იცქირებოდნენ შიგ. კარავში ყირგიზელი ქალი ძუძუს აწოვებდა თეთრ ბავშვს.

მორჩილი სახე ჰქონდა ქალს, შვრიას მარცვალისვით პანია თვალები.

მთელის არსებით მიძალეობდა ბალლი ძუძუს. ხელი მაგრა ჩაეჭიდა პერანგში და ფეხები აეთამაშებია.

სიამოვნებით უცქეროდნენ გლეხები და ხითხითებდნენ ძლიერი, ნოყიერი ხითხითით.

აფანასი პეტროვიჩი კი გულაჩვილებული უცქეროდა და ცხვირში სცრიდა თავისებური წრიპინით:

— შეხედეთ, როგორ მიძალეობია...

კარავს იქით კი გადაჭიმულიყო უზარმაზარი სივრცე კორდიანი ველისა, უცხო მონგოლეთი...

ვინ იცის, სანამდის წვდებოდა მონგოლეთი — მხეცი, ავი და სასტიკი...

ლ. ტანსკი.

## ორი ქვეყანა

### მოხუცი

მთას რისთვის ანგრევ დლით და ღამით, შეუსვენებლად?  
რად გინდა, საშიშ სიმაღლეზე კაცი წვლობდეს?  
სად მიგაჩქარებს უჩინარი ეგ მოჩვენება,  
რისთვის აყორებ ერთმანეთზე წვეტიან ლოდებს?  
ჰხედავ? — ჰქანაობს. დაინგრევა უცბად ნაშენი!  
დაგველუპება ნანგრევებში, რაც მადლი ვთესეთ!

### ახალგაზრდა

არა, მოხუცო! შიში ნუ გაქვს! ანთებულ რწმენით  
მე ახალ ტაძარს ვაშენებ კლდეზე.

### მოხუცი

როგორ? ტაძარსა! განა ჩვენში ცოტაა ძველი?  
შეხედე, ოქროს გუმბათები როგორ ბრწყინავენ?  
წმინდა კედლებში აგუგუნებს ხორალს მლოცველი  
მშვიდობიანი და უწყინარი.

### ახალგაზრდა

სიბნელისა და კაეშანის არის ეგ ბინა.  
იქ უვიცობის აღიმართენ მაღალი მთები.  
იქ მნუხარებამ სულს ცრემლები დააფრქვევინა.  
მე კი ვაშენებ ახალ ტაძარს მათათა მწვერვალზე,  
სადაც მზისაგან გადმონადენ სისხლისფერ ალზე,  
მხოლოდ არწივის შრიალებენ მაგარი ფრთები.  
ვაშენებ ტაძარს სიხარულის ნათელით სავსეს  
ჩვენს ნანამებს და ცოდვილ მინაზე.  
ვაშენებ ტაძარს, რომლის მსგავსი ჯერ არ ყოფილა,  
რაც კაცთა ტომი ღვთაების წინ ძირს დამხობილა!

### მოხუცი

ფუჭი ოცნება! ღვთის მცნებას ხომ დაეჯერება,  
რომ ეს ქვეყანა არის ტანჯვის და ცრემლის ბუდე?  
არ არის ქვეყნად სიამე და ბედნიერება.  
ამაო ზრუნვით სწორი აზრი რათ გაიმრუდე?  
ვინც განსაცდელი გადიტანა აქ მოთმინებით,  
მას სხვა ნუგეში იქ მიუზღვეს და დაუნესეს.  
შენ კი რაღა გსურს? რისთვის ანგრევ მთას დაჟინებით?  
რა სახლს აშენებ დაუნდობელ ღრუბლის ფუძეზე?  
უქმად დარჩება უნაყოფო ეგ მისწრაფება.  
ვინ შესძლებს მინას სხვა მიზანი გამოუჩინოს?

### ახალგაზრდა

სცდები, მოხუცო! სული უკვდავ მზეს ენაფება,  
და ვგრძნობ დაჭიმულ მხრებზე ფრთების რხევას უჩინარს.  
მინდა სიცოცხლე! მესმის, ქვეები როგორ მღერიან.  
ავაგებ ტაძარს და მის სვეტებს მე თან ავყვები.  
სცდები, მოხუცო! ეს ქვეყანა მშვენიერია.  
მომხიბლავია მზის სხივები და ზღვის ტალღები.  
მშვენიერია ცა, ჰაერის ლურჯი სარჩული,  
სივრცე მინდვრების, ყვავილებით შემოფარჩული,  
ადამიანი, და მის თვალთა მწველი იერი...  
ტაძარს ავაგებ, რომ შევკრიბო შიგ მინიერი  
კაცობრიობა სიყვარულით გადაჯაჭვული.  
უნდა იბრძოდეს მომავლისთვის, ჰფიქრობს ვინც ასე.  
სცდები, მოხუცო! მზით შემოსილ მშობელ მინაზე  
მსურს და ვიქნები მე ბედნიერი!

### მოხუცი

გიჟო, შეჩერდი! რამ დაგიხშო გონების თვალი?  
ძირს დაივაკე, რა გინდა მალლა?  
თუ ეგ განზრახვა არ შეიცვალე,  
მე ძალას ვიხმარ: გაგთოკავ ახლავ!  
არ მოგცემ ნებას, შეასრულო, რაც შენ ითავე,  
დაგვლუპო ჩვენცა და შენი თავიც!

### ახალგაზრდა

ჩუმად, მოხუცო! რატომ ვერ ჰხედავ,  
რომ ბედს საკუთარს მე თითონ ვჭედავ?  
ჩუმად, მოხუცო! ძირს დაჰხობავს ქვენარმავალი.  
მე ვარ მწვერვალზე, სადაც არწივს სივრცე ახარებს.  
შენ ბრმა და ყრუ ხარ, და გეძახის მზე ჩამავალი  
გაყინულ ნისლის და ჩრდილთა მხარეს.  
შენ აღარ გესმის ზეიმი ზარის,  
დღესასწაულზე რომ მოგვიხმობს ამღერებული.  
შენთვის არ ბრწყინავს შუქი ცისკარის,  
შენ არ გინათებს ვარსკვლავთ კრებული!  
და მეც იმიტომ არ მოგიწოდე,  
რომ ხარ სინათლის უარმყოფი და გამკიცხველი.  
სულით მოხუცმა სიხარული ვერ შეიძინე.  
მოკვდი! მოგვშორდი, და დაიძინე  
მარადისობის უდაბნოში, თორემ იცოდე,  
დროთა უფსკრულში გადაგისვრი ფოლადის ხელით!

თარგმანი დ-ლის

ვალერი ბრიუსოვ.

## პარიზი

მეც შენთან მოველ, ჰო, ქალაქო, ათასთვალეზა,  
შენს მოედნებთან, სასახლეთა მბრწყინავ დარბაზში.  
მე შევიყვარე შენი ქუჩა და მღელვარება,  
ხმა მეგაზეთის, სიგნალები, დრტვინვა, განგაში.  
მე შევიყვარე შენი სული — ესდენ გრძნეული,  
მარად მბორგავი, სასიცოცხლო ძალებით მქშენი,  
სტიქია შენი — სიცოცხლეა, ცეცხლად ფრქვეული,  
ჰო, ჯადოქარო, სამუდამოდ შევიქმენ შენი.

ხშირად მეგონე უცნაურად ძველი, ბებერი  
და უფრო ხშირად კი ხარობდი შენ, როგორც ბავშვი,  
როცა მრავალი მოსეირნე, შეყვარებული  
სალამო ჟამზე გაჩნდებოდა შენს ურიცხვ ბაღში.  
ამაყ ნაბლებს ყვავილებით უცხოდ მორთული  
ენტო ფარნები, სჩანდა ქუჩა თვალის წამლები,  
ლამის რეკლამებს გადმოეგდოთ ცეცხლის ხორთუმი,  
ჰქროდენ ეტლები, იზრდებოდა ხალხის ტალღები.  
და ათასობით მიმავალი ხალხი ქუჩებზე  
მერვინებოდა ახალ დროში მიმცურავ ტალღად,  
ამ თავისუფალ მდინარეებს ვუცქერდი ხარბად —  
შეუმჩნეველი მცირე ნვეთი მე მათ ურჩ მკერდზე.  
და შენ იდექი, როგორც ბედი მძლე, უღმობელი,  
როგორც კოლოსი, — შენი შუბლი ცაში ჰქრებოდა.  
სმენას ატკობდა პეანები დამატრობელი  
და ბრძოლა ხალხთან ქალაქისა არ ნელდებოდა.

როცა დაღლილი სინათლით და სანახაობით  
ვეძებდი საფარს — მიზიდავდა ტაძარი ძველი,  
ბევრჯერ შემკული პოეტების მრავალ თაობით.  
აქ ოცნებობდა ჩემი ტვინი და თვალი ცხელი.  
რარიგ მატკობდა მე ფერადი ფანჯრის მინები,  
გამოკვეთილი ვარსკვლავები და სახეები;  
მაინწყებოდა მათი ხილვით შესაშინები  
ქვეყნის ქაოსი და ცხოვრების შავი დღეები.  
ალარ მესმოდა ფსალმუნი და ორლანოს ხმები,  
ვსჭვრეტდი სინათლეს, მხოლოდ წმინდა კალეიდოსკოპს,  
ნისლში მოსჩანდა სულ ფერები და ყვავილები...  
რაა სიცოცხლე? დაბადება? სიკვდილს ვინ მოსპობს?  
და ტრიალობდა წრის გარშემო უცხო მირაჟი  
ცეცხლის ალებს, ცისარტყელის ყველა ფერებით.  
იყო ფერები თვით ქვეყანა ღამით, რიჟრაჟით...  
ეს სახეები არ არის, რომ ტკბილ სიმღერებით



სამოთხის კარად აჩრდილების გულებს ათრობენ?  
არ ღლიან ფიქრებს და ხალისით თვალებს ართობენ?

იქ, სენის გაღმა, არის წმინდა თავშესაფარი,  
მრგვალი ტაძარის შორ სიღრმეში სძევს კუბო ქვისა;  
ტყვე იმპერატორს დღეს აქ სძინავს, იგი აქ არის —  
ეს დიდი მოგვი, ჩვენი მტერი, მეფე რისხვისა.  
სხივი ფანჯრებში ოქროსფერობს და ხან ცისფერობს,  
მასშია რალაც იდუმალი ბუნდოვანება;  
ჩუმ ბაირალად მას საფლავი გადაუფარავს  
და უერთდება არნივის ფრთის სწრაფ გაქანებას.  
რაც მეტხანს რჩებით, მით მეტია აქ მდუმარება,  
მაგრამ სულ უხმოდ ეს სიჩუმე იზრდება მეხად,  
ცოცხლდება იგი, რაც გვსმენია წინეთ ზღაპრებად,  
შეუძლებლობის წინ მთრთოლვარე პირისპირ სდგებართ.  
ის ბრძანებლობდა საუკუნეს, ვით გემს მატროსი,  
მილიონ სულეებს უჩვენებდა სიკვდილის წამებს;  
იმას დარაჯათ მიუჩინეს კლდე განატრუსი,  
თავისუფლება ჩამოართვეს და გაანამეს.  
მან სასახლეში დაიძინა, ფიქრმა წაიღო,  
გამოიღვიძა და იხილა ციხის კარები,  
და ისე მოკვდა, რომ მან კარგად ვერც კი გაიგო,  
წამდვილი იყო ეს ამბები, თუ კომმარები.  
იქნებ გრძელდება კვლავ ეს ძილი, ძილი ორპირი?  
შენ კვლავ ოცნებობ და ეს კუბოც სხვა რამ გეგონა?  
რომ შემოიჭრე აქ უეცრად სკიპტრით, პორფირით,  
კვლავ დავემხოვით შენს წინაშე, ნაპოლეონო.

ორი ნაპირი — ეს ცხოვრება მშფოთარი, გიჟი,  
ძველი ქვეყანა და დიდება საშიშ დღეების  
შენ შეაერთე ერთმანეთთან, დიდო პარიზო...  
შხამებს ამზადებ სიმღერებით და იდეებით.  
შენ მალშტრემი ხარ კაცთა მოდგმის. მრავალი ჩვენში  
ამაოდ სცდილობს შენ გავლენის ჩამოშორებას.  
შენ მოათავსე ყველაფერი ერთ დიდ ჭურჭელში,  
რომლის ჩუქურთმაც გვაჯადოვებს, ვით მოჩვენება.  
რკინის ბორბლებში ითრევ ყველას, არ გეშურება  
გადაფქვა სულთა — საამისო არ გწვავს სირცხვილი.  
საუკუნეთა ზვირთები რომ მოგაშურებენ,  
მაშინ, პარიზო, ბრუნავ ისე, როგორც ნისქვილი.

შენშია ძალა, უკვდავება და მოძრაობა.  
როდესაც შენი არნივის ფრთა მედგრათ გადინევს —  
აღფრთოვანებით შემოგყურებს ჩვენი თაობა...  
აქ შეიძლება ყოველი დღე დიდ დღეთ გადიქცეს.  
ბევრჯერ მოირთე ჯავშნიანი ბარიკადებით  
და შეაჩერე დროთა მღვრიე მიმდინარება.

იბრძოდი მუდამ რაინდულათ და თავდადებით,  
 გსურდა, მოგესპო ქვეყნად ცრემლი და მწუხარება.  
 ბარბაროსები მოდიოდენ შენ დასამხოვად,  
 სპობდენ სიმდიდრეს, მაგრამ ტანჯვას მტკიცედ ხვდებოდი.  
 მტრებმა ვერ შესძლეს შენი მოკვლა, შენი გაქრობა.  
 კვლავ ფენიქსურად ხორცს ისხამდი და ახლდებოდი.  
 ათასგვარია შენი სული და ხასიათი,  
 შენ ხარ იდეა, ისტორია, ქვეყნის მშვენიება,  
 უკვე იგრძენი უკვდავება, ჰოი დიადო,  
 შენი სიცოცხლე ზღაპარია და მოჩვენება.

თარგმანი ივ. ყიფიანისა

ვალერი ბრიუსოვ.

## მინის სული

*Schreckliches Gesicht!*

*Goethe*

ო, მინის სულო, გავსილო ძღვევით,  
 ოდეს გვიდულდა ტანჯვით გულები,  
 ამოგინვიეთ ლოცვებით ზევით  
 საბედისწერო გაბედულებით.

და შენც ჩვენს ხმაზე წამოდექ ზეზე  
 უზარმაზარი დევის იერით,  
 შეუდრეკელი, ზვიადი ესდენ,  
 ესდენ ბრწყინვალე და მშვენიერი!

ფეხი გადასდგი — მყუდრო ქალაქთა  
 გოლიათები დაფშვენი ქუსლით,  
 შენს წინ ბრბოები პირქვე დალაგდა  
 და გიჟ თავხედებს გაევლო მუსრი.

და ჩვენი დროშა შენმა ვეება  
 ხელმა იმდენათ მალლა ამართა,  
 რომ ის ღრუბლებში ელვებს შეება  
 და გრივალეებთან ბრძოლა გამართა.

შენ მენამული შუქის ღვარები  
 საუკუნეებს ჩაასხი გულში,  
 რალაც გამოჩნდა აელვარებით  
 იქ, ვით ზმანება უცნაურ რულში.

და აი, ჩვენაც უკან დახევით  
გიხმობთ, შეჩერდი, დაჰკეცე ფრთენი,  
ბრძნულ წინადგრძობით ნაკარნახევი,  
სულთ, ისმინე ძახილი ჩვენი!

თარგმანი K.

ვალერი ბრიუსოვ.

## ჩვენი გამოცდა

ჩვენ მოვინათლეთ ცეცხლის ალებით,  
სიბნელე, სუსხი, ვიგემეთ ბევრი.  
ყოფნა გვიტევდა მძაფრ გრიგალებით,  
ქედს გვილუნავდა ფოლადის კევრი.

ქვეყნის იღბალი გადაწყდეს უნდა,  
ეს დრო არავის არ შეიბრალებს.  
რისხვა და ზიზღი, დაგმობა უნდო  
სუსტებს, უღონოთ, მოღლილთ და მხდალებს!

დე, დაიფაროს მსხვერპლებით არე,  
დაირღვეს მკერდი ვნებით მფეთქავი.  
უფრო ძლიერად ავარდეს ქარი,  
აღთქმულ ნაპირთან მიაღწევს ნავი.

დადგა დღეები ბრძოლის გრიგალად,  
აღმუფლდა მინა მძლავრ დაქანებით.  
იქეცი სალ კლდედ, აენტე ალადა,  
გოლიათური ფოლადის ნებით.

მოკვდი ან მოჰკალ, დაეც ლახვარი,  
არ იგრძნო დაღლა, აჰყევი ზვირთებს.  
ჩვენს გაქანებას არ აქვს საზღვარი,  
რა შეაჩერებს რკინის რაინდებს.

ხედავ — ელვა სწავას ბნელ ცის კამარას  
და მოდის უცხო დღესასწაული,  
შენ საამაყოდ ის დაგრჩეს მარად,  
რომ გახდი ღირსი ამ სასწაულის!

თარგმანი ხ. ვ-სა

## ანატოლ ფრანს

(ესეჟ)

*„ერი, რომელი ჰსხდა ბნელსა, იხილა ნათელი დიდი და რომელი ჰსხდეს საფლავსა და აჩრდილთა სიკვდილისათა, ნათელი აღმოუბრწყინდა მათ“.*

ოქტომბრის 13-ს, ღამის 11, 25 წუთზე ანატოლ ფრანსმა უკანასკნელად წამოიძახა ის მაგიური სიტყვა, რომელიც ენისადგმის უმაღლეს პირზე აკერია დიდსა და პატარას: „დედა“.

შემდეგ მისი ხმა მოსწყდა ამ ქვეყანაზე.

შემცხადებულებით დაინივლა რადიომ, რამოდენიმე წუთში მთელი კულტურული კაცობრიობა შეშფოთდა ამ კატასტროფისაგან.

დიდი კაცის სიკვდილს ჩვენ მუდამ ისევე განვიცდით, როგორც ბუნების დიდს კატასტროფას. იგი არ ინვეს ჩვენ გულში ტკივილს, იგი უფრო მეტ გაოცებას ინვეს, ვიდრე მისი ქმნილება. და ადამიანის ლექსიკონში ამ მცნებისათვის სიტყვა არ მოიძევა. ქართული „გარდაცვალება“ თუ მიუდგება მას.

მე ისე ვიგრძენი მისი გარდაცვალება, თითქოს ის უშველებელი სინათლის შქერი, საფრანგეთის შუაგულზე რომ იყო ჩამოშვებული და ზეცის ოთხივე კიდისაკენ ვიდრე ბნელეთამდე აფრქვევდა სინათლეს, თვალუნვდენ ეთერისაკენ ავარდა და შეუერთდა მშობელ ელემენტს. და ეს ისეთ წამს, ისეთ საუკუნეში, როცა სისხლისგან დაცლილ ევროპას და მთელ ქვეყანას ასე სჭიროდა სინათლე, მეტი სინათლე, სიკვდილის წუთებში რომ ინატრა მეორე დიდი ერის გიგანტმა — გოეტემ.

ანატოლ ფრანსი უკანასკნელია გასული საუკუნის დიდთა შორის, რომელნიც ადამიანს ანცვიფრებენ თავიანთი უნივერსალური მრავალმხრივობით.

იგი რენესანსის ყალიბის მწერალია: პოეტი, ნოველისტი, რომანსაჟე, კრიტიკოსი, ისტორიკოსი, ამასთანავე ჟორესის ყალიბის დიდი სოციალისტი.

მაგრამ უწინარეს ყოვლისა პოეტი.

„კრიტიკა, როგორც ფილოსოფია და ისტორია, ერთი დარგია რომანის“, სწერს ფრანსი თავის „ლიტ. ცხოვრებაში“, ხოლო რომანი არსებითად ავტობიოგრაფიაა. პოეზია და პოეტობა საკუთარი, სულის ავანტიურების მოთხრობაა, მირიად საგნებში, მირიად არსებებში, საკუთარი ძახილის მოძებნა. ამნაირი ძახილი, სხვა რაღაა თუ არ საკუთარი „მე“-ს გარშემო მოგზაურობა.

## II

ეს წმინდა სუბექტიური მიდგომაა როგორც პოეზიისა, ისე სამყაროსადმი. ამნაირი მიდგომა თავისთავად გულისხმობს პოეტის პიროვნულ ანალების შეხებას.

ასეთი დიდი პოეტის პიროვნების დასახასიათებლად უხმარია მრავალტომიანი სხვისი დაწერილი ბიოგრაფია. მისი ავტობიოგრაფიული რომანი, „ჩემი მეგობრის ნიგნი“.

„ანატოლ ტიბოლტ“ (შემდეგ ანატოლ ფრანს — ანატოლ-საფრანგეთი) სენის ქუჩის ერთ-ერთ ძველ სახლში — ბუკინისტების კვარტალში უნდა იყოს დაბადებული. ნერვიული, ნაზი, ადრე დადინჯებული, თავაზიანი ბავშვი.

გატაცებულია: სურათებით, ნიგნებით, ფერადი ქალღმერთებით, განსაკუთრებული ყურადღებით ექცევა ძველ ნივთებს, ადრე აღეძვრება წარსულის რომანტიკა. პატარა ბავშვი უკვე ღირსეული პირმშოა ისტორიითა და ერუდიციით დატვირთულ საუკუნისა.

მამა საშუალო ინტელიგენტი, ექიმი, წრფელი, პირდაპირი, ნერვიული, ნაკითხი, ჩაფიქრებული.

დედა: ნაზი, ფაქიზი, სანტიმენტალი. პოეტი ადრე სიყმაწვილეში ცნოსავს ჰელლენურ სამყაროს გრაციულ შვენებას. კითხულობს ჰომერს და ბერძულ ტრაგედიებს. ეჩვევა სიტყვების მაგიას, ალტაცებული იმზირება ძველი რომისა და საბერძნეთის ნაპირებისაკენ. პირველ ხანებში სამნაირი ზედგავლენა: დედისა, მამის და ძველის საბერძნეთის ბრწყინვალე ჰუმანიტარული გავლენა. ჩვენი ბავშვობის შთაბეჭდილებანი უპირატესნი არიან ყველა დროს შთაბეჭდილებათა შორის. ეს მართლდება ანატოლ ფრანსზედაც.

მრავალ ჭირნახულს, ბედთან მორკინეს, სიბერემდის თანდაყვება ერთი გრძნობაც, რომელიც მეტეორივით ანათებს ანატოლ ფრანსის დიდების მრავალფეროვან გვირგვინში: მოყვასის სიყვარული.

13 წლის ბავშვი ხედავს თავის ამხანაგს, უბირს, ქუჩის მანანწალას პერანგი არ აცვია. იგი დაუფიქრებლად მოპარავს დედას თავისავე პერანგს და ფანჯრიდან გადაუგდებს ამხანაგს ჩუმად.

პირველი პოეტური ცდა.

ჭაბუკი ეცნობა პარიზელ მწერლებს, არტისტებს, მხატვრებს, კულტურის ხალხს. ღარიბული პირობები, უიმედო სიყვარული, მკაცრი დაბრკოლებანი, უგულო კონკურენციის საუკუნეები რომ შეეფეთება ახალგაზრდა კაცს. ტალანტი და შრომის სიყვარული გზას იკაფავს. ანატოლ ფრანსი ტრიუმფით გაერევა პარნასელთა შორის.

პლასტიური შვენიერების სიყვარული, ბერძნულ-ნარმართული ესთეტიკობა. პოეტური გული. მოყვასის უანგარო სიყვარული. აი, პირველი თესლები საფრანგეთის კულტურის ფხვიერ ყამირზე რომ დაეცა, აქედან მისი დიდი წარმართული პოეზია, მისი დიდი ჰუმანიზმი.

საოცარია ევროპა!

გიგანტური ინდუსტრია. სულის უზომო მექანიზაცია. კაპიტალიზმის მრავალ მილიონიანი მონები. უდიდესი ბირჟები, რომელნიც ისეთსავე საზიზღარ პანორამას წარმოადგენენ, როგორც ძველი ბერძნულ-რომაული მონების ბაზრები. ძალაზე დამყარებული უფლება. დიდი პოლიტიკის არა კაცთ მოყვარე, ხანდახან ბარბაროსობამდის დაყვანილი პრინციპები. გასაოცარი ტენიკა, მილიონების შესამუსრავი და დასამორჩილებელი. გაზები და დუმდუმის სასროლები. ფენომენალური ავიაცია, რომელიც რამოდენიმე წუთში ნაცარში ჩაახრჩობს უდიდეს ქალაქებს. ბრუტალური ზღვისა და ხმელეთის პოლიცია და ამ ფონზე იზრდება ხშირად ისეთი კაცთმოყვარეობის, სინათლის, სიმართლის, სიყვარულის მოციქულები, როგორც გოეტე, რომენ როლანი, ან ანატოლ ფრანსი.

ანატოლ ფრანსი კლემანსოს თანამედროვეა.

რომ იდეები თავისთავად არაფერს ნიშნავენ, და საქმე იდეები კი არ არის, არამედ ამ იდეების სინამდვილეში გამოყენება, ამის მაგალითად ანატოლ ფრანსი და კლემანსო კმარა. ორივე ერთი თაობის შვილი.

ორივე შტანდარტზე ეწერა ის დიდი, კაცთმოყვარე სიტყვები, რომელიც ნაციონალური ლოზუნგის სახით გადაისროლა საფრანგეთის ერმა დიდი რევოლუციის დროს.

Liberté, fraternité, égalité.

თავისუფლება, ძმობა, ერთობა.

მაგრამ აქ განსხვავება იყო იდეების გამტარებელთა შორის.

გარდა ამისა: ანატოლ ფრანსი პოეზიის მაღალ კათედრაზე იდგა, კლემანსო — სახელმწიფოს პედესტალზე (საფრანგეთის სახელმწიფო საბჭოს კარებზე აწერია ეს სამი სიტყვა). მოხუცი ანატოლ ფრანს ამ ლოზუნგით ხელში დადიოდა ევროპაში, მთელ ქვეყანაზე და, როგორც ქართველი კალანდის მეკვლე, აშოშმინებდა, ანუგეშებდა.



მოხუცი მეფისტოფელი კლემანსო ვერსაღლის ზავს ხელს აწერდა, ბლოკადას უწყობდა გერმანიის ბავშვებს და იმ დროს ელოდა, როცა მისი უგანათლებულესი მეზობელი ოცმილიონ ადამიანს დაჰკარგავდა (მისი სიტყვები: „ეს არ კმარა, გერმანიამ კიდევ 20 მილიონი სული უნდა დაჰკარგოს“). ასე გახუნდება ყოველი მაღალი იდეა, როცა იგი სახაზინო გახდება, როცა მას დაქირავებული ხელებით „მოიყვანენ სისრულეში“, ხოლო ანატოლ ფრანსი ომის დროს რომენ როლანთან ერთად გამოცემულ მონოდებაში სწერდა: „ჩვენ მწერლები თავისუფლების მქადაგებელნი ვართ, ჩვენ არც ერთი მთავრობის მოჯამაგირენი არა ვართ“. ასე ესმოდა მას მწერლისა და პოეტის წმინდა მონოდება.

ანატოლ ფრანს და კლემანსო!

საკითხია რომელი ერთი უკეთესად გამოხატავს ერთსა და იმავე მედალს: დღევანდელ საფრანგეთს. ერთს ზეთის ხილის შტო და ჰარფა ეჭირა ხელში, მეორეს ამონვდილი მახვილი და ვერსალის საზავო ხელშეკრულება.

ანატოლ ფრანსი საფრანგეთის მარადიული სულის მეშვიდე ბეჭედი.

გრაციოზული, სადა, გამსჭვირვალე, ელასტიური, გონება მახვილი, ტკბილმოუბარი. უღრმეს მცნებებზე, ურთულეს ფილოსოფიაზე ისეთი უბრალო ენით ლაპარაკობს, როგორც ბავშვი. იგი ნიცშესა და დოსტოევსკის ამქრიდან არის, მაგრამ უფსკრულების სიღრმავით, ვარსკვლავების მიუწვდომლობით არ გვაშინებს, არც ისე ბნელი გამოთქმა — როგორც კირკეოს, ან სვედენბორგს.

მისი ღიმილი არც ისე სარკასტიულია, როგორც ვოლტერის, რომელიც თავის მეგობარ გვირგვინოსნებსაც არ ინდობდა ხშირად, არც ისე სკეპტიკურია, როგორც მონტენის, უფრო დიდი პოეტია, ვიდრე პირველი, უფრო დიდი ფილოსოფოსი, ვიდრე უკანასკნელი. მაგრამ მაინც იმ გენეტიური ხაზის წარმომადგენელია ფრანგულ აზროვნებაში, რომლის წინამორბედნიც ვოლტერი და მონტენი იყვნენ.

კრიტიკული თვალთ შეწყურებს ყოველივე დოგმატიზმს, უარყოფს ოჯახის, ტრადიციის ცრუმორწმუნეობას, კლერიკალობის, რიგორიზმის არტახებს, ოპოზიციონურად განწყობილია სახელმწიფოს მიმართ. რადგან სახელმწიფო პოლიტიკას ორი ფასადი აქვს: წინა — ბრწყინვალე, მაღალ დევიზებიანი, პათეთურად შემკობილი ნაირ-ნაირ ჰუმანიურ ტრაბახით, — უკანა ფასადი: ეს ის ამბებია, რომელიც საიდუმლო კომისიებში წყდება, რომელზედაც დიპლომატიურ ფერად წიგნებშიაც არას ამბობენ. რომელიც ჟანდარმერიის, შპიონების, მოსყიდული ჟურნალისტების კონტრ-აგენტების ხელით კეთდება. კრიჭაში უდგას ოფიციალების პოლიტიკანობას, ფანატიზმს, შეზღუდულობას, ობსკურანტიზმს. სკეპტიკური ღიმილით ამასხარავებს დოგმატიურ მეცნიერებათა „მარადიულ ჭეშმარიტებებს“.

მას სკეპტიციზმი და ირონია ახასიათებს, მაგრამ თვითვე აღიარებს, რომ მისი ირონია არ არის მკაცრი, არამედ ნაზია, ვინაიდან იგი არ ეკარება არც სიყვარულს და არც შვენიერებას, არამედ რეგვენებს და მკრეხელებს, და მისთვის უცნობია სიძულვილი. ანატოლ ფრანსის ირონია სრულიად არა ჰგავს მეფისტოფელის უარისმთქმელ ირონიას. ფრანსი უარის მყოფელი სული არ არის, იგი ცალყბათ იცინის, ამავე დროს მას გულში აქვს ახალი თავისუფალი, შვენებით სავსე ცხოვრების ათი მცნება. მოაზროვნე ანატოლ ფრანსი უარყოფს ძველ მცნებებს, კლერიკალურ რელიგიას, დოგმატიზმს, ხანგადასულ მორალს, სახაზინო ჭეშმარიტებას, მაგრამ პარალელურად ხელოვანი ანატოლ ფრანს ჰქმნის ახალ რელიგიას შვენიერებისას, ახალ ზნეობას, ახალ ჭეშმარიტებას უმღერის იგი დითირამებებს.

ანატოლ ფრანსი ნამდვილი ფრანგია თავისი ტემპერამენტით, ირონიით, თავისუფლების გრძნობით, იოლი გამოთქმით, იგი სავსებით არა ჰგავს უკანასკნელი საუკუნეების დიდ ევროპელებს, მისი სტილი უშვალთ ენათესავება პლატონის ღვთაებრივ დიალოგების სისადავეს, იგი თავისი იდეებით უფრო ენათესავება ძველ ბერძნებს, ვიდრე თავის

თანამედროვეებს. რაც ოგაუსტ როდენი და ტორვალდსენი იყვნენ პლასტიურ ხელოვნებაში, იგივე ანატოლ ფრანსი სიტყვა-კაზმულ პოეზიაში. მისი ნაწერები მოვარაყებულა მარად შვენიერი ბერძულ-პლატონიური იდეების სევადით და ბრწყინვალეებით.

ანატოლ ფრანსის ფიგურა ოდნავ ეკლექტიური აღნაგობისაა, მნიგნობარი, ერუდიტი, ღრმა მოაზროვნე. იგი ტიპიურ ბიბლიოთეკების მატლისაგან არსებითად განსხვავდება, რადგან სხვისი იდეები ახალი შთაგონებით განათდება მის ფანტაზიაში.

ანატოლ ფრანსი არა ერთხელ უნახავთ მეგობრებს შინაურობაში: ბულონის ტყის გვერდით მდებარე ვილაში.

თავზე ნითელი, აბრეშუმის კეპი. მაცტრო ძველ ფლორენციულ საეკლესიო სავარძელზე ზის, გარშემო მონაფეები ახვევია. მთელი ვილა სავსეა: ნიგნებით, ფოლიანტებით, სურათებით, გრავიურებით, სტატუეტებით, ძველი ფულებით, ხელთნაწერებით.

ფაუსტისებური გულისყურით სწავლობს: მისტიკას, ალქიმias, პატრისტიკას, ჰეგელის, კანტის ფილოსოფიას, ეგვიპტის, საბერძნეთის, ინდოეთის რელიგიას და მითოლოგიას, ასტრონომიას, გეოლოგიას.

თავისი უშველებელი ერუდიციით, გასაოცარი უნივერსალობით ანატოლ ფრანსი ევროპელებში გოეტეს ან ლეონარდოს მოგვაგონებს.

შეიძლება ითქვას ისეთივე დიდი წარმართი, მაგრამ უფრო მეტად ბერძენი, ვიდრე გოეტე. გოეტე სიჭაბუკეში იყო ბერძული იდეებით გატაცებული. ლირიკული ციკლის დასრულების შემდეგ გოეტეში გერმანულ-ქრისტიანული მისტიციზმი იმარჯვებს. ანატოლ ფრანსი ბავშვობიდან ანტიკის მზიან სამყაროში იზრდება, ვაჟყაცდება და ღრმა მოხუცებამდის არ განშორებია ამ სამყაროს. ამიტომაც არა სჩანს მის ჭალარა შუბლზე ნალველის ჩრდილი, მიტომაც არ შორდება მის ბაგეს წმინდა ბერძნული აღტაცებით გამოწვეული ნათელი ღიმილი. მისი პათოსი ნელი მელანქოლიითაა შენელებული.

უმთავრესი, რაც მწერალს ახასიათებს, ეს არის არა იდეები, არამედ მისი სტილი. სტილით იგი ნამდვილი ფრანგია, ეთეროვან-მსუბუქი ენა, მუსიკალობა გამოთქმის. ამიტომაც ანატოლ ფრანსის თარგმანებში გაცნობა სრულიად უნაყოფოა.

კარგი ლექსები მაშინაც კარგი დარჩება, როცა არც მზე იქნება ამ ქვეყანაზე და არც ადამიანების ჟრიამული. ასეთია მისი ლექსები დღესაც.

თავის პოემაში „კორინთის ქორწილები“ იგი „ურიების ღმერთს“, „მკვდრების თავადს“ ეძახის ქრისტეს. ამგვარად უკვე ადრინდელ ქმნილებაში სჩანს წარმართი, არა ქრისტიანი პოეტის სახე.

ამ პოემაში მიწიერი და ღვთაებრივი სიყვარულის ბრძოლაა. ამ ბრძოლაში პოეტის არჩევანი ცხადია, რადგან პოემის გმირი ქალი ბოროტ დემონს ეძახის „მკვდრების ღმერთს“ იესოს. მისი შემოხედვა ყინავს ქალწულების ატეხილ ვნებას და ნელზე შემოსაჭდომად გამვერილ ხელებს.

Dieu contempteur dont lois, puissant par la magie,

O prince de la morte, donc la froide energie,

Ne vaux que pour glacer nos vierges et nos bras.

და ქრისტეს არ უყვარს კორინთის ქორწილები. ხანი გამოხდება. ანატოლ ფრანსი პროზაზე გადადის. გარდამავალ ხანაში სწერს ზლაპრებს: Abbeille, Chat maigre, ესკიზურ რომანს Jocaste-ს.

მაგრამ როგორც ამ პირველ ქმნილებებში, ისე უკანასკნელი ეპოქის ციკლიურ რომანებში ანატოლ ფრანსი „ახალი წარმართი“ რჩება. მასში უშრეტად სჩქეფს ენერგია ბეჯითი, ნაყოფიერი შემოქმედების, ერუდიტის, შთაბეჭდილებების, იდეების, სახეების შემგროვებელი. უებარი მკითხველი, ფანტასტი, მეოცნებე, დიდი პოლიტიკოსი მსოფლიო კაცი.

## III

„სილვესტერ ბონარის დანაშაული“ ახალი ჟანრის რომანია. იგი გამთბარია ნაზი, თავაზიანი ჰუმორით.

ფოლიანტების, ძველი ხელთნაწერების ამოკითხვას მიჩვეული მოხუცებული მეცნიერი საოცარ ავანტიურას გადაეყრება: იგი შეხვდება თავის სიჭაბუკის სატრფოს უპატრონო, დაობლებულ ქალიშვილს. მის გულში ძველი სიყვარულის მოგონებები იღვიძებენ. იგი აიყვანს ამ ქალწულს, მაგრამ ქალი ბოროტი კაცის საურვოს ქვეშ არის. სილვესტერ ბონარს ავინყდება, რომ ფრანგული კრიმინალური კოდექსის ძალით აკრძალულია მეურვეს განკარგულებაში მყოფ მცირეწლოვანის აყვანა. იგი ამგვარად უნებლიეთ ჩადის უებარ დანაშაულს. სილვესტერ ბონარი თავაზიანი, ენამახვილი მოხუცის ტიპია, ამ ტიპის გაშუქებას ერთგვარი მოსიყვარულე ჰუმორი თან ახლავს. ავტორი გვაჩვენებს, თუ რა რიგ ისჯება ხშირად კეთილშობილი განზრახვა სახელმწიფოს მოუხეშავ, ტლანქ კანონებისგან, რომ ოფიციალი სამართლიანობა უმეტესად კანონის უცოდინართათვის იწერება და არა კანონის მცოდნე დამნაშავეთათვის.

ცხადია, ბოროტისა და კეთილის ღირებულების საკითხი სოციალურ ცხოვრებაში უცილოდ უნდა წამოიჭრას.

რა არის კარგი? კითხულობს ფრანსი სოკრატისებური დიალექტიკით. კარგი ბუნების შინაგანი ძახილისათვის წინააღმდეგობის განწევაა და სხვა არაფერი. იძლევა თვითონვე პასუხს. მაგრამ საზოგადოებრივი მორალი, ოფიციალური სამართალი, ანგარიშს არ უწევს სუბიექტიურ ავსა და კარგს. რა არის კარგი? კარგი შევნიერია და კეთილი. მაგრამ რაც პიროვნებისთვის კარგია და შევნიერი, ხშირად საზოგადოებრივი, სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით ცუდია. ამ შემთხვევაში სოკრატისებური და ანატოლ ფრანსისებური განმარტება კარგისა და ავის გზა ჯვარედინაზე ეყრებიან სახაზინო სამართალსა და მართლმსაჯულობას. რომანი სილვესტერ ბონარის „დანაშაული“ უმშვენიერესი დაფნა ანატოლ ფრანსის დიდების გვირგვინში. ყოველი პოეტი საკუთარ სისხლსა და სულს უდგამს თავის გმირს და ამ მხრივ „ინსტიტუტის ნევრი“ სილვესტერ ბონარი იგივე ანატოლ ფრანსია, ჰელენისტი, ერუდიტი, ენა მოსწრებული ბრძენი. სამოცდაათი წლის მოხუცი, რომლის გული მაინც ჭაბუკური სიხარბით სძვერს. სილვესტერ ბონარი სინტეზია თავისი საუკუნის ინტელიგენტური სიქველის, სიმჭევრის, ესტეთიციზმის.

ფრიად განათლებული, ფრიად დაფიქრებული, ფრიად ირონიული, ფრიად თავაზიანი. მისი საკმაოდ მოზრდილი ცხვირის ნესტოები საუკეთესო ბარომეტრია ბონარის ეპიკურულ გულში აღძრული ვნებისა და ემოციების.

ანატოლ ფრანსის მოთხრობის მანერაც ბერძულია, სადა, ნათელი; რომანიც, ინტრიგა, ჩვეულებრივი, არავითარი მოულოდნელი ფინალი, სრულიად უბირი, მარტივი, ცხოვრების ამბებია მოთხრობილი როგორც „ჩემი მეგობრის ნიგნში“, ისე ამ რომანშიაც. სამაგიეროთ მთელი შემოქმედებითი ძალა თვით კომპოზიციაში, ჰარმონიულ სტილში და ნერის მანერაშია. ასეთივე ჩვეულებრივი ფაბულა აქვს. ღარიბ კაცს მსახიობი ქალი უყვარს, ქალს კომუნის დროს მოჰკლავენ შემთხვევით. ამ შემთხვევაში ადამიანის სულიერი ტრალედეა. ასეთივე უბრალო ცხოვრების ამბებია მოთხრობილი მის ნოველებში: *La Buche, chat maigre* და სხვ.

ყველასაგან თვალსაჩინო ადამიანური კომედია.

როგორც სილვესტერ ბონარს ისე ანატოლ ფრანსს უყვართ თავაზიანი, ნაზი ადამიანები, რომელნიც უნებლიეთ იჩენენ სიკეთესა და გმირულ გრძნობას.

ანატოლ ფრანსი არ დასცინის ადამიანებს, იგი ტკბილად, ნაზად იღიმება მათ პატარა საქმეებზე, მათ პატარა ოცნებებზე, მათ ადამიანურ კომედიაზე, სილვესტერ ბონარ-

საც მუდამ ბაგეზე აქვს ეს ტკბილი ირონია, ეს სათუთი ღიმილი. ფრანსის ირონია უვნებელია, რადგან ადამიანების ბრალი არ არის, რომ ისინი ოდნავ სასაცილონი არიან, არამედ თვით ადამიანური კომედიის სასაცილო. აქ უნებურად ჰენრიკ იბსენის მობოდიშება: „ადამიანი თავისთავად ცუდი მასალისაგან არის გაკეთებული“-ო.

სილვესტერ ბონარს ბუკინისტი ანვდის წიგნაკს: „სიზმრების გასაღებს“ — „ჩემო კარგო, სიზმრები სხვა და სხვა ნაირია. ზოგი სასიხარულო, ზოგი ტრაგიკული. ყველანი ერთდებიან ცხოვრების სიზმარში. თქვენი პატარა, ყვითელი წიგნაკი თუ მომცემს საამისო გასაღებს“.

ეს კითხვაც ჰაერში რჩება დაკიდული, როგორც ათასი სხვა წყეული კითხვაც, რომელსაც ანატოლ ფრანსი ფრთა გაკვრით შეეხება, მელანქოლიურად გაიღიმებს და აქაა მთელი მისი სინაზე, მისი დიდკაცური თავდაბლობა სწორედ ამ მელანქოლიურ ღიმილში სჩანს, რადგან მხოლოდ რეგვენებს ჰგონიათ ბუნების ყველა იდუმალი ზანდუკების გასაღები ჩვენ ჯიბეში იყოს.

და უფლიამ შექსპირივით ანატოლ ფრანსი გულდანყვეტილი ეუბნება მთელი ქვეყნის სისტემატიკოსებს და ფილოსოფოსებს: ცისა და სამყაროს შორის ბევრია ისეთი რამ, რაც თქვენ ფილოსოფიას არაოდეს დასიზმრებია.

ეპიკურეული ფილოსოფიით გაჟღენთილია მისი: „ტაის“, „ანგელოსების ამბოხი“, ზეციერ ვაჟებს მიწიერი ქალწულები შეუყვარდებათ. მონტენისტური სკეპტიციზმით გაჟღენთილია მისი რომანი „ეპიკურის ბაღნარი“ („Jardin d'Epicure“) და პატარა მოთხრობა „იუდეას პროკურატორი“ („Le Procureur de Judée“), სადაც მაღალი და ყოველდღიური სინტეტიურ განსახიერებას პოულობენ.

მიუხედავად ნაზი ფრანგულ-ბერძნული თავაზიანობისა, ანატოლ ფრანსი უფრო „მოქადაგე“ იყო ვიდრე სტილისტი და ესთეტი, ისეთივე ტიპის მქადაგებელი, როგორც ავგუსტ შტრინდბერგი, ფრიდრიჰ ნიცშე, თედორე დოსტოევსკი და მორის ბარეს. ხან და ხან იგი სტილს ლალატობს თავის ფილოსოფიის, თავის ქადაგების სახელით, და მისი ქადაგების შინაარსი იყო მაღალი რანგის ჰუმანიურობა. ეპიკურის ბაღში უამრავი დოქტრინებია წამოსროლილი, ხშირად ისე უნესრიგოდ, ასე გგონია, ავტორი აზრს უნდა აძლევდეს უპირატესობას სტილის წინაშე.

ანატოლ ფრანსი სწორედ მოპირდაპირე ხაზს მისდევს, ვიდრე მისი დიდი თანამედროვე მორის ბარეს, რომელიც კათოლიკური ეკლესიის, კონსერვატიზმის ფრანგული ნაციონალიზმის ლიდერად ითვლებოდა.

ფრანსი უფრო ანარქიული ბუნებაა.

იგი ამბოხებული ანგელოზია და ამ ქვეყნად მარად მგლოვიარე სულის მატარებელი.

„ადამიანურ ტრალედიაში“ („Humaine tragedie“) ბერს ფრა ჯიოვანის ეუბნება სატანა: „მე აზრებს და იდეებს მაგრად შეგიშხაპუნებ სისხლსა და ხორცში და როცა შენ სიმართლეს გაიგებ, უთუოდ წაწყმდება“.

ანატოლ ფრანსი პონტოს პილატის პირით ხელახლა ეკითხება მთელი ქვეყნის დოგმატიკოსებს:

„რაა არს ჭეშმარიტება?“

და მეფისტოსეური იჭვნეული ღიმილით თვითვე იძლევა პასუხს: „მღვდელმთავართ თუ მეცნიერებს, ჭინკების უხუცესებს თუ ფილოსოფოსებს, ყველას მარად უცნობის გეოგრაფია უსწავლიათ, ვერავინ მასწავლა ჭეშმარიტება. ამიტომაც მიყვები იმ გზას, რომელიც მომღიმარე, მონმენდილ ზეცისაკენ მიემართება“.

ეს ღიმილი გახლავთ ანატოლ ფრანსისებური ვერცხლის ღიმილი, ღიმილი პლატონის, ღიმილი ჰომერის. ამ ფიალაში ვარამის იოტია ნარევი, სკეპტიციზმის წვეთი, მაგრამ უფრო მეტი ამბროზია და ბერძნული ღვინო. იგი, როგორც ძველი ბერძენი — ქრისტიანობის



მტერი იყო, მაგრამ მაინც ჰაგოგრაფიაში ედგა ცალი ფეხი (ყანა დ'არკის ისტორიას სწერდა). მართლაც, ორსულიანი, იჭვნიეული პავლე მოციქული! თუმცა სოციალურ საკითხებში ძლიერ თამამად მიდიოდა მარცხნით (არა იმისთვის, რომ ვინმესთვის რევერანსები გაეკეთებია და პენსიები დაემსახურებია), მაგრამ თავის რომანში „ჩემი მეგობრის ნიგნი“ სწერს: „მე ოდნავ კონსერვატიულად ვიყავი განწყობილი, ახლაც ოდნავ კონსერვატორი ვარ, და ჩემი სისუსტე გახლავთ ჩემი სიყვარული ჩრდილიანი ხეებისა და მოხუცებული მღვდლებისადმი“.

ასეა: ყოველი დიდი მწერალი იმდენ მასალას იძლევა, რომ ყოველი აზროვნების წარმომადგენელი მასში თავის თანამოაზრეს ხედავს. ანატოლ ფრანსის გრძნობებისა და სიმპატიების გარეგნული „ულოლიკობა“ მე მაგონებს ბრძენი გოეტეს სიტყვებს, რომელიც ბავშვურის მიამიტობით აღიარებდა: „მე, როგორც პოეტს, ჩემი ბუნებრივი მრავალმხრივობის ნყალობით არც კი შემიძლია რომელიმე განსაზღვრული მიმართულების წარმომადგენელი ვიყო“. ანატოლ ფრანსიც დიდი და გულწრფელი ბავშვი იყო, რადგან 70 წლის მოხუცს ლოყები და სული პატარა ბავშვს მიუგავდა.

ამაში პირადად დავრწმუნდი.

თუმცა ძლიერ მეშინია იმ პატარა კაცების სიაში არ მოვხვდე, რომელნიც თავიანთ სიპატარავეს იმითი გამოაჩენენ, რომ დიდი კაცების ნაცნობობის ძებნას დაიწყებენ და ხშირად იტყვიან ხოლმე: ამა და ამ დიდ კაცს პირადად შევხვდი ან ველაპარაკეო.

ეს იყო შარშან ამ დროს, პარიზში, სალამო ჟამს „ნოტრ დამ დე შან“-ის ქუჩაზე მივდიოდი, ერთბაშად პლაკატი: მალარმეს საზოგადოების პრეზიდენტი აცხადებდა, იმავ დღის 6 საათზე ერთ-ერთ ლიტ. კლუბში გაიმართება მორიგი კრება საზოგადოების წევრთა, რომელზედაც მალარმეს ძეგლის დადგმის საკითხი უნდა გადაწყვეტილიყო. მე გავეშურე, იმ კრებაზე მაჩვენეს ბავშვის სახიანი მოხუცი, მას ქოლგა ეჭირა ხელში და კისერზე იისფერი შალი ჰქონდა შემოხვეული. ძველი ბერძენი ნაწიმიარი ქოლგით ხელში, ისიც პარიზის ბაბილონისებურ ქუჩებში, გაჭენებული კაპიტალიზმის ეპოქაში! და ანატოლ ფრანსიც ძველი ბერძენი იყო არა მარტო თავისი არტისტიული რელიგიის მიხედვით, არამედ როგორც მოქალაქეც.

თუმცა მთელი ქვეყნის მონარქისტები ცნობილ ადგილს იმონებენ ჰომერიდან: „უნდა მეფობდეს ერთი“ და სხვ. მიუხედავად ამისა, ძველი ბერძენები რესპუბლიკანელები იყვნენ. პლატონმა ჩაუყარა საფუძველი ევროპიულ რესპუბლიკანიზმს. ამ მხრით ანატოლ ფრანსიც არ ჩამორჩენია თავის უფროს ძმებს.

დრადფუსის პროცესში ანატოლ ფრანსი ჟორესთან, ზოლასთან და პრესანსესთან ერთად ილაშქრებს დრადფუსიანდის მომწყობთა წინააღმდეგ. და ყველაფერი ეს მაღალი „ჰუმანიტეს“ სახელით. საყურადღებოა აგრეთვე ანატოლ ფრანსის რომანი „Les Dieux ont soif“ („ღმერთებს სწყურიათ“).

საფუძეტი აღებულია პარიზის კომუნის ისტორიიდან. ჰამლენი ფანატიკური რევოლუციის სახელით უდიდეს სისასტიკეს ჩადის.

იგი მომავლის ქოხს აშენებს ზარატუსტრასავით. ჰამლენს არ აკლია არც კანტისეზური კატეგორიული იმპერატივი ყოველდღიურ მორალში, არც ეზუიტიური: მიზანი ამართლებს საშუალებას. იგი სასტიკია თავის თანამოძმეთა მიმართ, მაგრამ მომავალი მოითხოვს ამას. მას გულწრფელად სჯერა. იგი გულწრფელად სცდება.

ევროპიულ დიდ მწერლებში (ჰანენს გარდა) ყველაზე უფრო სიმპატიურად ანატოლ ფრანსი ეხებოდა საფრანგეთის რევოლუციას. როცა 1798 წლის რევოლუციით აღფრთოვანებული ჰანენს გოეტეს ენვია ვადმარში და მოუთხრო, თუ როგორ ჰქუხდნენ ზარბაზნები პარიზში, გოეტე გულდამშვიდებული ეკითხება: „ვადმარის გზაზე, თუ შეამჩნიე, ტყემ-



ლები ხომ არ აყვავებულანო“. ჰიპოლიტ ტენი ბესტიანურ რევოლუციას უწოდებდა საფრანგეთის დიდ რევოლუციას. ანატოლ ფრანსი კი ღრმა სიბერემდის შერჩა თავის პოლიტიკურ რადიკალიზმს. მან „Bibliothèque Socialiste“-ისთვის დასწერა ორი ტომი თავისი: „სოციალური აზრისა“ („Opinions Sociales“). ამგვარსავე იდეებს ალაპარაკებს ფრანსი თავის რომანში „Sur la pirce blanche“ მუსაო ლანგელიეს, ერთ პატარა რესტორანში, რომში.

აქვე მოჰყვება ხელოვნებათა მეგობარი ჰიპოლიტე დეფურესნი ერთ მოთხრობას, რომელიც შეიცავს 2270 წლის უტოპიას. როცა სოციალისტური მსოფლიო რესპუბლიკა დამყარდება და ომები მოისპობა, ევროპის შეერთებულ შტატებს მოაწყობენ და სხვ. მაგრამ „სოციალისტი“ ფრანსი პესიმისტურად შესცქერის ისტორიას. კაცობრიობის განვითარების ხაზი ირგვლივ მავალი სპირალის სახითაა წარმოდგენილი. ამ მომავალ სახელმწიფოსაც დაანგრევენ ბომბებით, დინამიტებით და კრიტიკით, და ადამიანები ისევ ხელახლა დაიწყებენ შენებას.

რომანში „თეთრ ქვაზე“ ფრანგი მეცნიერები, პოეტები და დიპლომატები მასლაათობენ ათას სხვადასხვა პრობლემაზე. ბაასობენ მოწყვეტილ ვარსკვლავზე, რომელიც მირიად ნაპერწკალის სახით დანაწილდება სამყაროში და ამტკიცებენ, რომ სივრცეში არც ერთი ნაპერწკალი არ დაიკარგება. და ვისაც სჯერა, რომ სინათლეს ბნელი ვერ ეწევა და სინათლე ბნელშიაც ანათებს, იგი არც იმას დაიჯერებს, რომ გამქრალიყოს ის უშველებელი სინათლის შქერი, 13 ოქტომბერს საფრანგეთის შუაგულიდან რომ ავარდა ეთერისაკენ და მშობელ ელემენტს შეუერთდა.

არც ანატოლ ფრანსის სიკვდილია დასაჯერებელი.

კონსტანტინე გამსახურდია  
ტფილისი, 1924 წ., ნომბერი

ანატოლ ფრანს.

## II წლის ფლორელის თვის პატარა ამბავი<sup>1</sup>

### I

ციხის მეკარემ ყოფილი გრაფის ქალი ფანნი დავენეჟ წინ გაატარა და კარები მოიხურა. პატიმართა სიაში გრაფის ქალის დაპატიმრების მიზეზად დასახელებული იყო: „საზოგადო მშვიდობიანობის უზრუნველყოფისათვის“. ხოლო ნამდვილი მიზეზი კი ის იყო, რომ ფანნი დავენეჟ პოლიტიკურ დევნილებს თავშესაფარს აძლევდა.

და, აი, ახლა მოხვდა იგი იმ ძველ შენობაში, რომელშიაც პოლ-როიალის პატიმრები ოდესღაც ცალკედ იყვნენ მოთავსებულნი, და რომელიც არ საჭიროებდა გადაკეთებას, რომ საპატიმროს დანიშნულება მისცემოდა.

სანამ რეგისტრატორი ქალის სახელს და გვარს ციხის წიგნში სწერდა, ფანნი დავენეჟ გულში ამბობდა:

— ღმერთო ჩემო, რისთვის ხდება ყოველივე ეს?.. რა გსურს ჩემგან?..

ციხის ზედამხედველი უფრო ხეპრე კაცს ჰგავდა, ვინემ ბოროტს. მის ლამაზ ქალს საუცხოვოდ ჰშვენოდა ეროვნული ფერების არშითა და კოკარდით მორთული თავსახურავი.

1. ფლორელ — მე-8 თვე საფრანგეთის რევოლუციონური კალენდრისა.

ზედამხედველმა გაიყვანა ფანნი დიდ ეზოში, რომლის შუაგულში მშვენიერი აკაცის ხე იდგა. სანამ ლოგინსა და მაგიდას დაუდგამდენ კამერაში, ფანნის ეზოში უნდა მოეცადა. სახლი სავსე იყო პატიმრებით. გრაფის ქალს იმ კამერაში უპირებდენ მოთავსებას, რომელშიც უკვე სცხოვრობდა ხუთი თუ ექვსი ქალი. მიუხედავად იმისა, რომ ყოველ დღეს პატიმართა ზედმეტი რიცხვი რევოლუციონურ ტრიბუნალში და გილიოტინაზე იგზავნებოდა, ციხე მაინც გაჭედილი იყო, რადგანაც კომიტეტები ყოველ დღეს ტყვეების ახალ და ახალ წყებას გზავნიდენ.

ეზოში ფანნიმ ახალგაზრდა ქალი შენიშნა. იგი ხის კანზე რაღაც ნიშანს სჭრიდა. ფანნიმ იცნო თვისი ბავშვობის მეგობარი ანტუანეტ დ'ორიაკ.

— თქვენც აქა ხართ, ანტუანეტ?

— თქვენც აქ, ფანნი?! დაადგმევინეთ თქვენი ლოგინი ჩემს გვერდით! ბევრი რამ კარგი გვექნება ერთმანეთის სათქმელი!

— ბევრი კარგი?!. რა იცით ბატონო დ'ორიაკის, ანტუანეტ?

— ჩემი ქმრის? ვაიმე, მგონი, კიდევაც დამავინყდა იგი! ჩემის მხრით ეს უსამართლობაა! კარგის გარდა ცუდი მისგან არ მახსოვს!.. ვფიქრობ, რომ ისიც სადმე ციხეშია ახლა...

— შენ კი აქ რას აკეთებ, ანტუანეტ?

— ჩუმაღ!.. რომელი საათია? თუ ხუთი უკვე შესრულდა, მეგობარი, რომლის სახელის ამოჭრა მინდოდა ამ ხეზე ჩემ სახელთან ერთად, უკვე საიქიოს იქნება: იგი 12 საათზე გაიწვიეს რევოლუციონურ ტრიბუნალში. მისი სახელი ჟერენია. მოხალისეთ იყო ჩრდილოეთის ჯარში. მე ის აქ, ციხეში, გავიცანი! დაუვინყარი წუთები გავგიტარებია აი, ამ აკაცის ძირში! ღირსებით სავსე ახალგაზრდა იყო... მაგრამ, ჩემო სულიკო, ნება მომეცი ჯერ შენ მოგანყო აქ...

ამ სიტყვებით მოხვია ხელი ფანნის და გააქანა იმ ოთახისაკენ, სადაც ლოგინი ედგა. ზედამხედველს სთხოვა, არ გაეცალკეებიათ მეგობრები.

ქალები შეთახმდენ დილიდანვე შესდგომოდენ ოთახის იატაკის რეცხვას.

ვახშამს გამოზომილად აწვდიდა პატიმრებს ერთი პატრიოტი სასაბუღალტრო მეპატრონე. სუფრა საერთო იყო. ოღონდ თითოეულ პატიმარს თავის მათლაფა ჰქონდა, ხის კოვზი და დანა-ჩანგალი (სხვანაირი აკრძალული იყო). გადილებდენ ულუფას — კომბოსტოში გაკეთებული ღორის ხორცის ნაჭერს და შეექცეოდენ. ფანნის გაკვირვება დიდი იყო, როცა შენიშნა, რომ ქალები მხიარულად უსხდენ ასეთ სუფრას. მსგავსად ქ-ნი დ'ორიაკისა, დანარჩენებიც ახალ ტანთსაცმელში იყვნენ გამონყობილი და კეკლუცად თავდავარცხნილი: სიკვდილის წინაც არ დავინყებოდათ სიკეკლუცე და შერჩენოდათ მოწონების ხალისი. მათი სიტყვა-პასუხიც ისეთივე იყო, როგორც გარეგნობა. ფანნიმ მალე შეიტყო, რომ აქაც ახერხებდენ ისინი სიყვარულის ქსელის გაბმას, ინტრიგის ქსოვას საშინელი კლიტულის ამ ბნელ დერეფნებშიც, სადაც სიკვდილი უცნაურად ამწვავებდა სიყვარულის ჟინს.

ფანნიც შეიპყრო აუნერელმა მღელვარებამ. ისიც შეიპყრო ალერსის წყურვილმა. ნდომამ აიტანა.

გაახსენდა, ვისაც უყვარდა, მაგრამ ვის ნებას არასოდეს არ დაჰყოლია.

გული შეეკუმშა ტკივილისაგან. ისევე მწვავედ იგრძნო წუხილი, როგორც სიყვარულის წყურვილს განიცდიდა.

ვნებასავით მწველი ცრემლი დადინდა თვალთაგან... ძლივს მბჟუტავ ციხის ლამპის სინათლეზე შესცქეროდა იგი თვალეზანთებულ ქალებს და ფიქრობდა:

— ჩვენ ყველანი ერთად მოკვდებით და რატომ არის, რომ მე ასე ვარ მოწყენილი, სული ასე შეშფოთებული მაქვს, როცა ეს ქალები ასე იოლად განიცდიან როგორც სიკვდილს, ისე სიცოცხლეს?!!

II

მძიმედ, ერთფეროვნად და გვიანად გაიარა ოცმა დღემ.

ერთ საღამოს ეზო, სადაც შეყვარებულები მყუდროებასა და ჩრდილს ეტანებოდნენ, ცარიელი იყო. კორიდორების ნესტიანმა ჰაერმა სული შეუხუთა ფანნის. გამოვიდა ეზოში და ჩამოჯდა ბებერი აკაციის ჩრდილოვან ძირში, სკამზე. ნიაფი ჰქროდა ირგვლივ და აკაციის ყვავილის სურნელს აფრქვევდა. ფანნიმ შენიშნა, რომ ხის კანზე ანტუანეტის მიერ ამოჭრილ წარწერას ზემოდ დაწერილი დაფა იყო მიკრული. დაფაზე აღმოჩნდა პოეტი ვიჟეს ლექსი. ეს პოეტიც, როგორც ფანნი, ამავე ციხის პატიმარი იყო.

წაკითხვისთანავე ღრმად დაფიქრდა ფანნი. წარმოუდგა თვისი ცხოვრება, უწყინარი და მშვიდი. მოაგონდა, როგორ შეერთო ქმარი, რომელიც არ უყვარდა; როგორ გაიტაცა პოეზიამ და მუსიკამ, და როგორ ეგუებოდა ქმრის მძიმე და ერთფეროვან მეგობრობას. შემდეგ როგორ შეუყვარდა ერთ თავაზიან ყმაწვილ კაცს, რომელმაც საცხებით ვერ დააპყრო მისი გული, მაგრამ რომლის სიყვარულს ახლა, ტყვეობაში, უფრო გრძნობდა, ვინემ გარედ.

ბოლოს ისიც გაახსენდა, რომ სიკვდილით დასჯა მოელოდა, და სასონარკვეთილებას მიეცა. ცივმა ოფლმა გადაასხა. ასეთ ყოფაში იყო, როცა ვარსკვლავებით მოჭედულ ცისკენ აღაპყრო თვალები და ხელების შეკუმშვით წარმოსთქვა:

— ღმერთო ჩემო, ნუ გამწირავ... იმედი მომეცი!

ამ დროს ვილაცა ფრთხილი ნაბიჯით მიუახლოვდა. ეს იყო ციხის მეკარის ქალი, როზინ, რომელსაც უნდოდა, ფანნის საიდუმლოდ მოლაპარაკებოდა.

— მოქალაქე, — მიმართა მას ლამაზმა ყმაწვილმა ქალმა, — ხვალ საღამოს, ადამიანი, რომელსაც შენ უყვარხარ, შენ დაგვხდება ობსერვატორიის მოედანზე ეტლით. გამომართვი ეს შეკრული: მასში დევს სრულიად ისეთი ტანთსაცმელი, როგორიც მე მაცვია. ჩაიცვი ვახშმის დროს შენს ოთახში. შენ სწორედ ჩემი ტანისა ხარ და ჩემსავით ქერა. სიბნელეში ვერავინ ვერ გაგვარჩევს. ერთ-ერთი დარაჯთაგანი ჩემი საყვარელია. მან იცის ყველაფერი. იგი შემოვა შენს ოთახში და მოგიტანს კალათს, რომელიც მე დამაქვს ხოლმე ბაზარში პროვიზიისათვის. შენ გაჰყვები ამ დარაჯს. გასაღებიც მას ექნება. გაგატარებს მამაჩემის ბინაზე. ამ მხრით გასავალი თავისუფალია. მხოლოდ ისე უნდა მოახერხო, რომ მამაჩემმა არ დაგინახოს. ჩემი საყვარელი ზურგით მიეფარება მამის ბინის სარკმელს და ისე მოგმართავს შენ, თითქოს მე ვიყო. გეტყვის:

— ნახვამდის, მოქალაქე როზინ, ოღონდ ნუ იქნებით ასე გაჯავრებული!

შენ კი პირდაპირ ქუჩაში გახვალ, სამშვიდობოს. ამასობაში მეც გამოვალ მთავარ კარებიდან. ჩავსხდებით ეტლში და წავალთ!

ფანნის ესმოდა ეს სიტყვები და გრძნობდა, თითქოს უკვე ყნოსავდა ბუნებისა და გაზაფხულის სურნელს. გულმკერდი თავისუფლების ნეტარი ჰაერით აევსო.

ხედავდა, რომ ხსნა ასე ადვილად ხერხდებოდა და წინასწარ ხარობდა. ხოლო რადგანაც ხსნას ზედ სიყვარულიც ემატებოდა, ქალის აღტაცება ისე დიდი იყო, რომ გულზე ხელი დაიდვა, რათა დაენელებინა მისი აფრთოვანების ტემპი.

მაგრამ ფანნი იმ ადამიანთაგანი იყო, რომლებიც გრძნობას გონებას უმორჩილებენ. მცირე ხნის აღტაცების შემდეგ დაფიქრდა. მცდელი თვალთ დააკვირდა მეკარის ლამაზ ქალს და ჰკითხა:

— ჩემო მშვენიერო ბავშვო, რისთვის უწევთ ასეთ დიდ სამსახურს ქალს, რომელსაც არ იცნობთ?

— მისთვის, — უპასუხა როზინმა, რომელსაც დაავინყდა, რომ წინად შენობით ელაპარაკებოდა, — მისთვის, რომ თქვენი მიჯნური მე ბევრს ფულს მაჩუქებს, როცა განთა-

ვისუფლდებით, და მეც შემეძლება მაშინ შევიერთო ფლორენცინი, რომელიც მიყვარს. როგორც ხედავთ, მოქალაქე, მე ჩემი საკუთარი ინტერესისათვის ვმუშაობ. მაგრამ მე მაინც თქვენი დახსნა აქედან უფრო მინდა, ვინემ სხვისი...

— ამისთვის დიდი მადლობა, ჩემო კარგო! მაგრამ მაინც რატომ ჩემი?

— იმიტომ, რომ თქვენ უმშვენიერესი ხართ, და თქვენი მეგობარიც ძალიან სწუხს უთქვენობას!.. მაშ, გადაწყვეტილია, ხომ?

ფანნიმ გაუნოდა ხელი შეკრული ტანთსაცმელის გამოსართმევად, მაგრამ მყისვე უკან წაიღო. ჰკითხა:

— როზინ, იცით თუ არა, რომ თუ გაგვიგეს, სიკვდილი არ აგცდებათ?

— სიკვდილი! — წამოიძახა ყმანვილმა ქალმა, — შემაშინეთ რაღა! ჰო, ეს კი არ ვიცოდი!

მერე დამშვიდებულად:

— მოქალაქე, თქვენი მიჯნური შესძლებს ჩემს დამალვას!

— პარიზში არ არსებობს უზრუნველყოფილი თავშესაფარი! მადლობელი ვარ თავგანწირვისათვის, მაგრამ თქვენს წინადადებას ვერ მივიღებ!

როზინ სახტად დარჩა.

— თქვენ გილიოტინა არ აგცდებთ, მოქალაქე, და მეც ვერ შევიერთავ ფლორენცინს!..

— დანყნარდით, როზინ! მე შემეძლია, გაგინიოთ ამ მხრით სამსახური გარეშე იმ პირობისა, რომელიც შემთავაზეთ.

— არა!.. ეს იქნებოდა მოპარული ფული!

მეკარის ქალი დიდხანს ევედრა ფანნის ცრემლქვეშ, ეხვეწა, მუხლი მოიყარა და კაბაში ჩასჭიდა ხელი — არ ეშვებოდა!

ფანნიმ მოიშორა იგი ხელისკვრით და ზურგი შეაქცია. მთვარის შუქი მიეფინა მის მშვიდსა და მშვენიერ სახეს.

ღამე ილიმოდა. მსუბუქად ჩაიქროლა ნიავამაც და პატიმართა საყვარელი ხის სურნელოვან ტოტებს შეეხო... შეყვითლებული ფოთლები გადმოჰყარა და ნებაყოფლობით სიკვდილზე მიმავალ ქალს თავზე გადააპნია...

თარგმანი ფრანგულით ლ. ქ.

ანატოლ ფრანს.

## ნებადართული სიკვდილი

ანდრე დიდხანს დადიოდა უკაცურ ქუჩებში. შემდეგ ჩამოჯდა სენის ნაპირზე და დაუნყო ცქერა წყლის თეთრ ზედაპირს იმ გორაკთან, სადაც სცხოვრობდა ოდესღაც — სიხარულისა და იმედების ჟამს — მისი სატრფო ლფუსი.

დიდხანია, რაც ანდრე ასე დამშვიდებული არ ყოფილა.

რვა საათზე იბანავა. ნაბანავებს შევიდა პალე-როიალის ერთ-ერთ ყავახანაში, და სანამ საუზმეს მოუმზადებდენ, განცხადებათა ფურცლები გადაათვალიერა. „Currier de l’Egalité“-ში ამოიკითხა 24 ფლორეალში რევოლუციის მოედანზე სიკვდილით დასჯილების სახელი და გვარი.

მადიანად ისაუზმა.

შემდეგ ადგა და სარკეში ჩაიხედა. დარწმუნდა, რომ წესიერად ეცვა და კარგ ფერზედაც იყო. გამოვიდა გარედ. გაჰყვა ქუჩას მდინარის გაღმისაკენ. ერთ დაბალ სახლთან

შეჩერდა, რომელიც სენისა და მაზარინის ქუჩების კუთხეში იდგა. ამ სახლში ბინადრობდა მოქალაქე ლარდილონ, საზოგადო ბრალმდებელის თანამდებობის აღმასრულებელი რევოლუციონურ ტრიბუნალში. ეს იყო თავაზიანი კაცი, რომელსაც ანდრე წინად ანჟერში ბერად იცნობდა, ხოლო პარიზში კი სანკიულოტად.

ანდრემ დარეკა. მცირე ხნის სიჩუმის შემდეგ რკინის ქსელთან სარკმელში მზვერავი სახე გამოჩნდა. მოქალაქე ლარდიონი წინდახედულად მოიქცა: ჯერ შეამოწმა სტუმრის ვინაობა და კარი მერე გაუღო.

იგი სავსე სახის ადამიანი იყო, ლაჟღაჟა ლოყებიანი. ნამიანი პირი ჰქონდა და ყურები ნითელი. ეტყობოდა, მხიარული ხასიათის კაცი იყო, მაგრამ მშობარა. ანდრე მან თავის ბინის პირველსავე ოთახში შეიყვანა.

ოთახში პატარა მრგვალ მაგიდაზე სუფრა იყო გაშლილი ორი ადამიანისათვის. სუფრაზე ენყო: ქათამი, ხაჭაპური, შაშხი, ქოთანი მოხრაკული ღვიძლით და ყელე-მოსხმული ცივი ხორცი. იატაკზე ჩაფში ცივდებოდა ექვსი ბოთლი. ბუხრის თავზე კი ელაგა ყველი, ანანასი, მურაბა. სანერ მაგიდაზე ლიქიორის ბოთლები იდგა.

მეზობელი ოთახის შეღებული კარიდან მოსჩანდა დიდი ზომის სანოლი ლოგინი აშლილ საგებ-სახურავით.

— მოქალაქე ლარდილონ, მე შენთან სათხოვარი საქმე მაქვს.

— მე მზად ვარ, მოქალაქევ, გემსახურო, თუ ეს არ იქნება რესპუბლიკის ინტერესების წინააღმდეგ.

ანდრემ გაიღიმა:

— საქმე, რომელიც მაქვს შენთან, სრულიად ეთანხმება როგორც რესპუბლიკის, ისე შენს ინტერესსაც!

ლარდილონმა ანიშნა, და ანდრე დაჯდა.

— მოქალაქე ბრალმდებელო, — დაიწყო ანდრემ, — შენ კარგად იცი, რომ მთელი ორი წლის განმავლობაში მე ვანყო შეთქმულებას შენი მეგობრების წინააღმდეგ; ისიც მოგეხსენება, რომ მე გახლავარ ავტორი იმ წიგნაკის, რომლის სათაურია: „Les Autels de la Peur“. შენ შეგიძლია, თამამად შეაპყრობინო ჩემი თავი. რასაკვირველია, ეს არ არის ის, რაც უნდა გთხოვო. გთხოვ, მომისმინო: მე მიყვარს, და ჩემი სატრფო ციხეშია.

ლარდილონმა ამ სიტყვებზე თავის გაქნევით ანიშნა, რომ იგი პატივსა სცემს სიყვარულს.

— მეც ვიცი, რომ უგრძნობელი კაცი არა ხარ, მოქალაქე ლარდილონ, და ამიტომაც გთხოვ ახლავე გამგზავნო Port Libre-ში და გამანანილებიო იმისი ბედი, ვინც მიყვარს!...

— ეჰე! — სთქვა ლარდილონმა და ღიმილი გადიკრა თავის სქელ და იმავე დროს ცბიერ ტუჩებზე. — შენ სიცოცხლეზე მეტს მთხოვ, მოქალაქევ! შენ ბედნიერებას მთხოვ!!

ამ სიტყვებით სანოლ ოთახისკენ გაიშვირა ხელი და დაიძახა:

— ეპიხარის! ეპიხარის!

ოთახიდან გამოვიდა შიშველ-მკლავებიანი, მაღალი, შავგვრემანი ქალი, პერანგისა და იუბკის ამარა.

— ჩემო ფერიავ, — მიმართა მას ლარდილონმა და მუხლზე დაისვა, — დააკვირდი კარგად ამ მოქალაქის სახეს, რათა არასოდეს არ დაგავინყდეს იგი. ჩვენსავით ისიც მგრძნობიარეა, ჩვენსავით კარგად უწყის, რომ სატრფოსთან განშორება უდიდესი უბედურებაა!.. მას სურს, გაჰყვეს თავის სატრფოს ჯერ ციხეში და მერე გილიოტინაზე!.. შენსაძლებელია თუ არა, ეპიხარის, არ აუსრულოთ მას ეს მშვენიერი სურვილი?

— არა! — უპასუხა ქალმა და კარმანოდიან ბერს ლოყაზე მიუთათუნა.

— მაშ, გაუნით სამსახური ორ შეყვარებულს, რაკი სთქვი, ჩემო ღმერთავ! მოქალაქე ჟერმენ, მომეცი შენი მისამართი და სიტყვას გაძლევ, რომ ამავე საღამოს ციხეში იქნები!



— კეთილი! — უთხრა ანდრემ.

— კეთილი! — მიუგო ლარდილონმა და ხელი გაუწოდა. — შენს სატრფოს უთხარი, რომ ხედავდი ეპიხარის. ლარდილონის გულში ჩაკრულს. დეე, ამ სურათმა სამხიარულოდ განაწყოს თქვენი აზრები!

ანდრემ უპასუხა, რომ მათ, შესაძლოა, სხვა უფრო გულითადი რამ ექმნესთ მოსაგონარი, მაგრამ მაინც იგი დიდი მადლობელია მისი; ხოლო სწუხს იმას, რომ, ცხადია, სამაგიერო სამსახურს ვერ გაუწევს თავისი მხრით...

— კაცთმოყვარეობა არ საჭიროებს სამაგიეროს გადახდას! — უპასუხა ლარდილონმა. ადგა, გულზე მიიკრა ეპიხარის და განაგრძო:

— ვინ იცის, ჩვენც რა ბედი გველის?

Omnes eodem: omnium  
Versatur urna; serius cus  
Sors exitura, et nos in aeternum  
Exilium impositura cymlae.<sup>1</sup>

მანამ კი დავლიოთ!.. მოქალაქეე, არ გინდა გაიზიარო ჩვენი ტრაპეზი?

ეპიხარისმა დაუმატა, რომ ისიც მოხარული იქნებოდა ანდრეს დარჩენისა, და ხელზე მოჰკიდა სტუმარს ხელი. მაგრამ ანდრე წავიდა. მან თან წაიღო სახელმწიფო ბრალმდებელის თანამდებობის აღმასრულებელის დაპირება...

*თარგმანი ფრანგულით ლ. ქ.*

*იოჰან ვოლფგანგ გოეთე.*

## ფაუსტი<sup>2</sup>

**ვაგნერი** (ლამურში და ლამპარით ხელში).

გთხოვთ, მაპატიოთ! ხმა მომესმა დეკლამაციის.  
თქვენ ალბად ბერძნულ ტრაგედიის კითხვას სწავლობდით.  
მეც მსურდა, გულით მესარგებლა ამ ხელოვნებით  
და დიად საქმის გაკეთებას ამით ვლამობდი.  
მე იმის ქება ხალხისაგან ბევრჯელ მსმენია,  
ზოგ კომედიანტს ღვდლის სწავლება კი შესძლება.

### ფაუსტი

დიახ, თუ ღვდელი თვითონ არის კომედიანტი,  
რაც ხშირად ხდება აქ ცხოვრების სინამდვილეში.

1. ბედისწერა ერთია: ურნა ყველასათვის ტრიალებს, და ადრე თუ გვიან ბედსა გვწევს, რომელიც სამარადისო თავშესაფარში დაგვასაფლავებს.

2. იხ. „კავკასიონი“, №1-2, გვ. 116—130.

### ვაგნერი

ეჰ, ვინც ყოველთვის ზის კაბინეტში  
და ამ ქვეყანას ხედავს ფანჯრიდან,  
ვით დაარწმუნებს იგი ხალხს სიტყვით,  
ან როგორ იხსნის იმას ტანჯვიდან?

### ფაუსტი

რასაც თვით არ გრძნობთ, მას ვერც მიაღწევთ,  
თუ ის გულიდან არ აღმოსკდება,  
და გარდაუვალ გრძნობის სიმძაფრით  
მსმენელს შიგ გულში ღრმად არ ჩასწვდება.  
გადაანებეთ მცირე ნაჭრები,  
ხარშეთ საჭმელი სხვის ნასუფრალზე  
და გააღვივეთ საბრალო ცეცხლი  
მის გაცივებულ, ჩამქრალ ქურაზე.  
მაიმუნებს და ბავშვებს მოხიბლავთ,  
თუ გიამებათ იმათი ტრფობა,  
მაგრამ გულთან გულს ვერ მიიზიდავთ,  
თუ გულში არ სჩქეფს ნამდვილი გრძნობა.

### ვაგნერი

ბედნიერია, ვისაც შესწევს მჭერმეტყველება,  
თუმცა კარგად ვგრძნობ, რომ არ მწყალობს ეს ხელოვნება.

### ფაუსტი

ვინც ხელმძღვანელობს კეთილი ზრახვით,  
არ საჭიროებს ბრიყვების ეჟვანს,  
სალი გონება სულ მცირე ძალით  
გამომაყვანებს სულიერ ღელვას.  
და თუ სათქმელი გაქვს რამე ბრძნული,  
სიტყვებს რად ეძებ გამწარებულს?  
თქვენი სიტყვების ლამაზი სრბოლა,  
კაცობრიობას თვალებს რომ უხვევს,  
უნაყოფოა, ვით ქარის ქროლვა,  
შემოდგომით რომ მჭკნარ ფოთლებს არხევს.

### ვაგნერი

ეჰ! ხელოვნება ხანგრძლივი არის  
და ხან მოკლეა ჩვენი სიცოცხლე.  
კრიტიკის თვალთ უყურებ ყველას,  
და ველარ უძლებ სულიერ ღელვას.  
ოჰ! რა ძნელია გამონახვა ნამდვილი გზების,  
რომ მიაღწიო შენ ამ ქვეყნად სიბრძნის სალაროს,  
ვიდრე გაივლი ნახევარ გზას ტანჯულ ცხოვრების,  
სიკვდილი გისწრებს და შეგიპყრობს უმალ საბრალოს.

**ფაუსტი**

ნუ თუ ეტრატი სამღვთო წყაროა,  
სადაც დასცხრების წყურვილი მარად?  
ვერ განიგრილებ სულის სიცხოვლეს,  
თუ შენ სულშივე არა სჩქევს მძლავრად.

**ვაგნერი**

გთხოვთ, მაპატიოთ! ყოველთვის ვგრძნობ სიამოვნებას,  
ოდეს ჟამთა სვლის სულის სიღრმეს მარჯვედ ჩაწვდებით,  
იქ ჩვენ ვიხილავთ ბრძენის ჭკუას და აზროვნებას  
და თავი მოგვაქვს, რომ ამ დარგში ჩვენ შორს წავედით.

**ფაუსტი**

ოჰ! ვარსკვლავებზე თითქმის ავედით!  
ვით სიბრძნის წიგნი, წარსული ჟამიც  
შვიდი ბეჭედით დაკეტილია,  
რასაც დროის სულს უწოდებს ზოგი  
ის მხოლოდ მისი კერძო სულია,  
სადაც მისი დრო აღბეჭდილია.  
რომ წარმოიდგენ ყველაფერს ასე,  
გინდა გაიქცე უეცრივ შორსა.  
საკუჭნაოა აქ ნაგვით სავსე  
და შენ წინ ხედავ საშინელ მძორსა,  
ხან-კი შეხვდები ჭკვიანურ რჩევას,  
მხოლოდ ტიკინებს რომ აძლევს ლხენას!

**ვაგნერი**

კარგია მაინც, როცა ეტრფი ქვეყნის შესწავლას,  
ადამიანის სულის ცოდნას და გულთმისნობას.

**ფაუსტი**

დიახ, კარგია. რას უწოდებთ თქვენ ამ შესწავლას!  
ვის შეუძლიან, რომ ბავშვს მისცეს სწორე სახელი?  
ვინც გახდა მისი მოტრფიალე და მის მნახველი,  
ვინც გულუბრყვილოდ ბრბოს შესწირა ტანჯული სული,  
გაუზიარა მას თავისი აზრი და გული,  
მისგანვე იყო ჯვარცმული და ცეცხლში დაგული!  
უნდა შევწყვიტოთ აქ ბაასი დიდ ხანს გაბმული.

**ვაგნერი**

სიამოვნებით ვათევედი ღამეს,  
არ მოვიწყენდი ბაასით თქვენთან.  
ნება მიბოძეთ, აღდგომის დამდეგს  
დრო გავატაროთ ხვალ კიდევ ერთად.  
თუმც ბევრი ვიცი, განვიცდი სურვილს  
და ველარ ვიკლავ მე ცოდნის წყურვილს.

## ფაუსტი (მარტო)

ვით არ ჰქრებიან იმედები მთლად იმის გულში,  
 ვინც სულ მისტირის უმნიშვნელო და მცირე საგნებს.  
 ვინც ხარბად ეძებს განძეულებს მიწის უფსკრულში  
 და უხარიან, რომ პოულობს შიგ წვიმის მატლებს!  
 როგორ გაბედა აქ შემოსვლა ადამიანმა,  
 აქ, სადაც ირგვლივ ირეოდა სულების ჯარი?  
 მაგრამ მადლობის ღირსი არის ამ ჟამად იგი,  
 ვინც კაცთა შორის სუყველაზე საბრალო არი!  
 უიმედობის ტყვეობიდან შენ დამიხსენი,  
 მთელ ჩემ არსებას რომ უქადაა განადგურებას.  
 ახ! ვერ გაუძელ მოჩვენების დიად ბუნებას  
 და ჩემი თავი მე იმასთან ჭიად ვიგრძენი.  
 ღვთაების ხატი, მისი მსგავსი და თანაბარი.  
 უკვდავ სიმართლის სარკის ახლო ვლამობდი ყოფნას.  
 ციურ სხივებით განაშუქი და გულ გამთბარი  
 მე ვაპირებდი მიწის შვილის სამარის მოხსნას.  
 ქერუბიმებზე მალლა მდგომი ვერქარებოდი,  
 ქვეყნის ძარღვებში ნაკადულად მთლად გარდაქცევას,  
 შემოქმედებით უკვდავ ღმერთებს ვედარებოდი,  
 და აი, რისთვის პასუხს ვაგებ ეხლა განგებას!  
 მქუხარე სიტყვა ლახვრად მოხვდა მთელ ჩემ არსებას.  
 ველარ გავბედავ, რომ შეგედარო,  
 თუმცა შევძელი მე შენი ხმობა,  
 მაგრამ არ ძალმიძს, რომ გავაჩერო,  
 არ შემწევს ამის ძალა და გრძნობა.  
 იმ სანეტარო, ბედნიერ ნამში  
 თავს ვგრძნობდი მცირედ და დიდებულად,  
 და კვლავ ცვალებად ცხოვრების ზღვაში  
 შენ გადამტყორცნე დაუნდობელად.  
 ვინ მიწინამძღვრებს ნეტავი აქ მე?  
 უნდა ვემონო მუდამ ჩემ გრძნობას?  
 ეჰ! ჩვენი ტანჯვა და ჩვენი საქმე  
 აფერხებს ჩვენი სიცოცხლის სრბოლას.  
 მზიურ სინათლეს, უკვდავ სულში რომა ჰკრთის შვებით,  
 უცხო საგნები თან დასდევენ ვით მოჩვენება,  
 ოდეს მივალწევთ ამ ქვეყნიურ სიკეთეს ლხენით,  
 თვით უკეთესი ფუჭ ოცნებად მოგვეჩვენება.  
 და წმიდა გრძნობა, ცხოვრებაში ხშირად რომ ჩნდება,  
 ქვეყნის ღელვაში და ჯურღმულში უეცრივ კვდება.  
 ოდეს ოცნება აღტაცებით და სავსე რწმენით  
 უახლოვდება უკვდავებას და თაიგულობს,  
 საკმარისია აქ სიცოცხლის სულ მცირე დღენი,  
 ბედნიერება რომ უფსკრულში მთლად ჩაიღუპოს.  
 გულის სიღრმეში უმალ ზრუნვა დაისადგურებს  
 და საიდუმლო ტანჯვით სული დაიღარება,

თვითონ ერთობა და ჩვენ-კი არ გვამხიარულებს,  
 პირზე ნიღაბით დაფარული დაიარება.  
 ხშირად ჩვენ იგი გვევლინება ოჯახის სახით,  
 ცეცხლით და ნყალით, სანამლავით და ბასრი ხანჯლით.  
 თრთი მის წინაშე, რაც ჯერ კიდევ არ დაგინახავს  
 და მას დასტირი, რაც არასდროს არ დაგიკარგავს.  
 ვერ შეგედრები უკვდავ ღმერთებს, ვგრძნობ კარგად ამას,  
 მე შეგედრები საბრალო მატლს, მიწას რომ ყლაპავს,  
 მტვერში რომ ცოცავს და საზრდოობს იმავე მტვერით  
 და იქვე უმალ ისრისება მგზავრების ფეხით.  
 მტვერი არ არის, რაც ამ თაღებით  
 მე სულს მიხუთავს და გულს მიჯაჭვავს  
 და ათასგვარი იარაღებით  
 ჩრჩილის სამეფო მახრჩობს და მტანჯავს?  
 ვპოვებ-კი აქ მე რასაც ვეძებდი,  
 გინდ ათას წიგნში მივილო რწმენა,  
 რომ ბედნიერებს ძვირად შეხვდები  
 და ტანჯულია აქ თითქმის ყველა?

გამოფულრულო თავის ქალავ, რას მიღრეჭ კბილებს?  
 რომ შენი ტვინიც აქ ოდესღაც ჩემებრ სცდებოდა?  
 რომ მწუხრში ღმერთით დაეძებდი დღის ნათელ სხივებს,  
 მაგრამ სიმართლეს შენი სული კი ვერ სწვდებოდა?  
 დამცინავ სახით მიყურებენ იარაღები,  
 თვლები, მორგვები, სავარცხლები და კაუჭები.  
 ვიდექ კარებთან, თქვენ მეგონეთ მძლე გასაღები.  
 მაგრამ მის ბეჭედს კვლავ ამაოდ ვებლაუჭები.  
 თვით ნათელ დღეშიც მოცულია მთელი ბუნება  
 საიდუმლოთი და მას ფარდას ვერ ავხდით ძალით,  
 და თუ-კი ნებით იგი შენ სულს არ ეჩვენება,  
 არ შეგიძლიან, რომ ასწიო თვით აზარმაცით.  
 ჩემთვის ურგებო ხარახურავ! მისთვის გინახავ,  
 რომ მამი-ჩემის ხელში იყავ ნივთი სახმარი;  
 ძველო ეტრატო! ჭვარტლის გემო ბევრჯელ გინახავს  
 მას შემდეგ, რაც ამ მაგიდაზე ბჟუტავს ლამპარი.  
 სჯობდა მცირედი გამეფლანგა დღითი დღეობით,  
 ვიდრე მეღვარა მე აქ ოფლი უფრო მცირედზე,  
 წინაპრებისგან რასაც იღებ მემკვიდრეობით,  
 უნდა მიიღო სასარგებლო შენ ამ ნივთებზე!  
 რაც მოსახმარად არ ივარგებს — ჩვენთვის უქმია.  
 სარგებელს ნახავ მხოლოდ მასში, რაც წუთს უქმნია.  
 რად მიჩერდება მე თვალები სულ ერთ ალაგზე?  
 ნუ თუ იმ შუშის ანდამანტით იხრება გული?  
 და რად კაშკაშებს ჩემი სული მის დანახვაზე,  
 ვით უღრან ტყეში მთვარის შუქით გაბრწყინებული?  
 მოგესალმები შენ ერთად ერთს, ფიალავ, გულით!



ძირს ჩამოგიღებ მოწინებით და სიყვარულით!  
 მე შენში მომწონს კაცთა ჭკუა და ხელოვნება.  
 შენ ხარ ნეკტარი მსწრაფლ მომგვრელი ტურფა ზმანების,  
 და დანაწური სასიკვდილოდ მომქმედ ძალების,  
 მოეც შენს პატრონს დახმარება და მოწყალება!  
 გხედავ და სევდა-მწუხარება გამიქარვდება,  
 გიპყრობ და ცეცხლი მისწრაფების გამინელდება.  
 აზვირთებული სულის ტალღა სცხრება თან და თან.  
 გადავეშვები დიად ზღვაში ლხენით, ამაყად,  
 ზღვის ტურფა სარკე გაიელვებს ჩემს წინ ლამაზად  
 და ახალი დღე მიმიზიდავს ახალ ნაპირთან.  
 ჩემსკენ მოჰქრის აქ ცეცხლის ეტლი მსუბუქი ფრთებით!  
 გული მიღელავს, ვხედავ ქვეყნის მაღალ წვეროებს,  
 მზად ვარ, გავკვეთო თვით ეთერი ახალი გზებით.  
 რომ მივალნიო მოქმედების ახალ სფეროებს.  
 ნუ თუ წილად მხვდა ნეტარების ღვთიური დღენი?  
 მატლი იყავი და ეღირსე შენ ამ ნათელ დღეს?  
 დიას! გადაჭრით შეაქციე ზურგი მინის მზეს!  
 და გაარღვიე, გადალახე მაღალნი ბჭენი,  
 ყველა რომ ასე ერიდება და უხვევს გვერდსა!  
 ეხლა კი დროა დაამტკიცო, ნათელ ჰყო საქმით,  
 რომ მომაკვდავი აქ ედრება გონებით თვით ღმერთს,  
 რომ იგი არ თრთის შავ უფსკრულის სიღრმის წინაშე,  
 სადაც ოცნება თვით ისახავს წამების სიზმრებს.  
 და გადალახე შენ ამ ქვეყნის ვიწრო საზღვარი,  
 სადაც თვით ცეცხლი ჯოჯოხეთის მუდამ ბობოქრობს;  
 უნდა გადადგა ეს ნაბიჯი სიამოვნებით,  
 თუნდაც გელოდეს შენ დაღუპვა მაინც ბოლო დროს.  
 წმინდა ფიალავ, ბროლის მსგავსო! ჩამოდი აქეთ,  
 გამოიხედე მაგ შენ ბნელი ბინიდან გარეთ,  
 დიდი ხანია, რაც მე შენზე არ მიფიქრია!  
 შენ ამშვენებდი ჩემ წინაპართ დიდებულ ზეიმს,  
 მოწყენილ სტუმრებს გაართობდი და ჰგვრიდი ქეიფს,  
 ხელიდან ხელში მხიარულად ბევრჯელ გივლია!  
 ზედ გამოჭრილი სურათები და ჩუქურთმები,  
 დაცლა ბოლომდის, ხოტბის შესხმა ტკბილი რითმებით, —  
 ყველა მაგონებს სიყმანვილის დღეებს ვით ძილში,  
 აღარ გადაგცემ კვლავ მეზობელს ჩემი ხელებით,  
 აღარ გავართობ მათ ნადიმზე შენი შექებით:  
 სულ სხვა ნეკტარი არის ეხლა მაგ შენ ღრმა ძირში.  
 მუქი ნაკადი გამაბრუებს, შემიპყრობს ძილი,  
 მე მოგამზადე და მე შეგსვამ შენ სიხარულით,  
 უკანასკნელი სადღეგრძელო იცლება გულით,  
 ვით მისალმება განთიადის მიმართ მიძღვნილი!  
 (მიიტანს ფიალას პირთან, ისმის ზარის რეკა და გუნდის გალობა).

### ანგელოსთა გუნდი

ქრისტე აღსდგა!  
გაიხარეთ,  
მომაკვდავნო,  
პირველ ცოდვით  
შეპყრობილნო!

### ფაუსტი

ეს რა ციური, საიდუმლო ხმა ატკობს სმენას,  
და გამომტაცებს მე პირიდან ფიალას ძალით?  
ნუ თუ აქ წყნარი ზარის რეკა გვაუწყებს ლხენას  
და აღდგომის დღის გათენებას ამ კვირაძალით?  
იქნებ აქ გუნდნი სანუგემო მღერას იწყებენ,  
ანგელოსები რომ მოსთქვამდენ დაკრძალვის ღამეს,  
და ამ სიმღერით ახალ კავშირს განამტკიცებენ?

### ქალთა გუნდი

ნელ საცხებელით  
იგი განვბანეთ  
და მოწინებით  
იქ დავასვენეთ,  
თეთრ სამოსელით  
წმინდად შევგარგნეთ,  
მაგრამ ქრისტე იქ  
ველარ ვიხილეთ!

### ანგელოსთა გუნდი

ქრისტე აღსდგა!  
ნეტავი მას,  
ვინც განსაცდელს,  
სულის მტანჯველს  
და გამკურნავს  
მტკიცედ დახვდა!

### ფაუსტი

რისთვის დამეძებთ თქვენ ასე მძლავრად,  
ზეცის ჰანგებო, მტვრიან ჯურღმულში?  
აჟღერდით, სადაც გრძნობა ჰკრთის მარად  
ადამიანთა ნაზ და ჩვილ გულში!  
თუმცა ხმა მესმის, რწმენა მაკლია  
სასწაული-კი რწმენის შვილია.  
თუმც ველარ შევტრფი ეხლა იმ სფეროს,  
სადაც ისმიან ციური ხმები,  
მაგრამ ჩვეული სიყმაწვილის დროს

მათი სიამით მე ისევ ვსტკბები,  
მახსოვს, დიდ შაბათს ღამის ჩურჩულში  
ზეცის ამბორი მევლინებოდა  
და საიდუმლო ზარის გუგუნში  
მხურვალე ლოცვით გული ღებოდა.  
გამოუცნობელ ნაზი ნყურვილით  
მივაშურებდი ტყეებს და ველებს,  
თვალთ გადმომჩქეფდა ცრემლი დულილით  
და გულში ვგრძნობდი სულ ახალ ქვეყნებს.  
სულის წარმტაცი ტკბილი სიმღერა  
ყველას გვამცნობდა გაზაფხულს ღზენით;  
მის მოგონებამ მსწრაფლ შეაჩერა  
საბედისწერო ნაბიჯი ღელვით.  
აჟღერდით მძლავრად, ჰანგებო ცისა!  
ცრემლი გადმომჩქეფს კვლავ მიწის შვილსა!

### **მოციქულთა გუნდი**

საფლავს ყოფილი  
ისევ განახლდა,  
სხივებ მოსილი  
ზეცას ამაღლდა.  
შემომქმედ ღზენის  
დასტკბება ნახვით;  
ახ! მიწის გულზე  
დავდივართ ტანჯვით.  
ყველა დაგვტოვა,  
ტანჯვის ამარად,  
ახ! ჩვენ დაგტირით,  
მოძღვარო, მარად!

### **ანგელოსთა გუნდი**

ქრისტემან სიკვდილით  
დასთურგნა სიკვდილი!  
გასწყვიტეთ ბორკილი  
ღზენით და ღიმილით!  
მაცხოვრის მქებელნო,  
და საქმით ერთგულნო,  
თაყვანის მცემელნო,  
მოძმესთან ერთსულნო,  
გზად მქადაგებელნო,  
სამოთხის აღმთქმელნო,  
მოძღვარი თქვენთან არს  
და თქვენთან იხარის!

**ქალაქ გარედ** (სხვადასხვა მოსეირნენი)

**ხელოსნები**

საით მოდიხართ აქედან ნეტავ?

**სხვები**

სამონადირო სახლში ვაპირებთ.

**პირველნი**

ჩვენ კი გვინდოდა წისქვილისაკენ.

**მეორე**

ცუდი გზა არის და ვერ გაიკვლევთ.

**მეორენი**

შენ რას აკეთებ?

**მესამე**

მეც სხვებთან ერთად იქით მივდივარ.

**მეოთხე**

წადით ბურგდოფზე! თქვენ იქ იხილავთ  
ლამაზ ქალებს და მშვენიერ ლუდსა  
და ჩხუბს სულ მუდამ გამზადებულსა.

**მეხუთე**

რა მხიარული ვაჟბატონი ხარ,  
დიდი ხანია არ გაბერტყილხარ?  
მე ვერ გავბედავ იქითკენ წასვლას.

**მოახლე ქალი**

არა, სჯობს ისევ დავბრუნდე ქალაქს.

**მეორე ქალი**

ვერხვების ახლო შევხვდებით იმას.

**პირველი**

მე თავს ვერ ვიგრძნობ იქ ბედნიერად,  
თუ ის სულ მუდამ შენთან იხარებს.  
თქვენ განუწყვეტლივ იცეკვავთ ერთად,  
შენი მოლხენა ნეტავ რას მარგებს?  
აღბათ დღეს იგი მარტო არ მოვა  
და თმებ-ხუჭუჭაც მასთან წამოვა.

### მონაფეები

რა მშვენიერი სიარული აქვთ!  
წამო, ძმობილო, გავყვეთ ამ ქალებს!  
მაგარი ლუდი, მწარე თამბაქო  
და თან მორთული გოგო მაკმარებს.

### მოქალაქე ქალი

ვიშ! დამიხედეთ ამ ვაჟბატონებს!  
რა სამარცხვინო საქმეს ასდევნ!  
არ გვკადრულობენ ჩვენ, ქალბატონებს  
და მოახლეებს უკან დასდევნ.

### მეორე მოსწავლე (პირველს)

ნუ ჩქარობთ! ორი აქ ჩვენსკენ მოდის!  
კობტად აცვია ორივეს ტანზე,  
ერთი მათგანი არის მეზობლის,  
მან ამიღელვა მე გული ძალზე.  
ნელი ნაბიჯით მოდიან აქეთ,  
ნებას მოგვცემენ, ალბად, რომ გავყვეთ.

### პირველი

არა, ძმობილო! მე არ ვარ მორცხვი.  
ჩქარა! ნადავლი არ დაგვეკარგოს.  
ვინც შაბათობით სახლს დაგვის ცოცხით,  
კვირა დღეს უფრო ალერსით გვატკბობს.

### მოქალაქე

არა, არ მომწონს ეგ მოურავი,  
თავი უჭირავს ძალზე ამაყად,  
რა გაუკეთა ქალაქს ნეტავი?  
დღითი დღე საქმე მიდის საძაგლად.  
უნდა ემონო შენ მუდამ იმათ  
და ფულებს იხდი მეტს ვიდრე წინად.

### მათხოვარი (მღერის)

ასე ლამაზად რომ მოკაზმულხართ,  
წითელ-ლოყება ტურფა ქალ-ვაჟნო,  
შეჩერდით ოდნავ, ვიდრე წასულხართ  
და გამიკითხეთ, ყრმანო მალხაზნო!  
ტყუილუბრალოდ ნულარ მამღერებთ!  
ბედნიერია უხვად გამცემი.  
დაე, შეიქმნეს ჩემთვის მომკის დღეთ  
დღესასწაული შვების მომცემი.



### მეორე მოქალაქენი

არა მართობს-რა კვირობით და უქმე დღეში  
როგორც ბაასი ომებზე და ბრძოლის ველზედა.  
მიყვარს მოსმენა, თუ რა ხდება შორს ოსმალეთში  
და ვით ილაშქრებს იქ სუყველა ერთმანეთზედა.  
მიხვალ თახჩასთან და გამოსცლი ძირამდინ ქიქას  
და თვალს ადევნებ მდინარეში გემის სრიალსა.  
სალამობით უბრუნდები ისევ შენს ბინას  
და გულით ლოცავ მშვიდობიან ჟამის ტრიალსა.

### მესამე მოქალაქე

ჰო, მეზობელო, მეც გეთანხმები!  
დაე, იმტვირონ ყველამ თავები!  
ოლონდ ქვეყანა დარჩეს უცვლელად  
და ჩვენ ვიცხოვროთ მუდამ უვნებლად.

### მოხუცი დედა-კაცი (მოქ. ქალებს)

რა რიგ მორთულხართ! ნორჩი სისხლი გჩქეფთ!  
ვის არ მოხიბლავთ მაგ თქვენი ლხენით?  
ნუ ამპარტავნობთ, თუ მოისურვებთ,  
გამოგადგებით ჩვენც კარგი რჩევით.

### მოქალაქე ქალი

თავი ანებე, ალათავ, ქაჯებს,  
მათთან საჯაროდ სვლა არ გაბედო.  
თუმცა-ლა წმიდა ანდრია ღამეს  
მან დამანახვა ჩემი საბედო.

### სხვები

მეც დამანახვა ღამით სარკეში,  
ყრმა ჯარისკაცი მომხიბლავ სახით,  
ყველგან დავეძებ მე ამ მხარეში  
და ველარ დავსტკბი იმისი ნახვით.

### ჯარისკაცები

ციხე-დარბაზებს  
ცამდის ასულებს,  
ტურფა-ლამაზებს,  
ამაყ ქალწულებს,  
ბრძოლით ავიღებთ!  
მამაც შრომაში  
ჯილდოს ნავიღებთ.  
ხმები საყვირის  
ისმიან ველად  
ჩვენ დასალუჰად

და თან სალხენად,  
აი, სიცოცხლე  
და ბრძოლის ალი,  
დაგვნებდებიან  
ციხე და ქალი!  
მამაც შრომაში  
ჯილდოს ნავილებთ  
და ჯარის კაცნი  
ციხეს ავილებთ!

## ფაუსტი და ვაგნერი

### ფაუსტი

ნაზ გაზაფხულის ხილვით გამდნარი  
უკვე დაიძრა ყინული წყლებში;  
ამწვანდა ველად იმედი მჭკნარი;  
და კვლავ მოხუცი, სუსტი ზამთარი  
უკან დაბრუნდა სუსხიან მთებში.  
ლონე-მიხდილი, შიშით და კრძალვით.  
ყინულის მარცვლებს უგზავნის ველებს,  
მაგრამ მზე თავის მხურვალე ძალით  
ვერ ეგუება ქვეყნის თეთრ ფერებს.  
ყველგან აღვიძებს სიცოცხლის გრძნობას  
და მრავალფერად ბუნებას მოსავს.  
თუმც ჯერ არ მოსჩანს მინდვრად ყვავილი,  
მორთული ხალხი იჭერს მის ალაგს,  
შეჩერდი, ოდნავ ტრფობით აღვსილი  
და გადახედე მალიდან ქალაქს!  
აგერ იმ ღია, ბნელი კარებით  
ჭრელი ბრბო ინევს აქ გაჩქარებით.  
ქვეყანა ცდილობს გარედ გამოსვლას  
ყველა ზეიმობს ქრისტეს აღდგომას,  
თითქოს თვითონაც აღსდგება მკვდრეთით.  
ყველა შეჰხარის სინათლეს ღელვით.  
ზოგი გამოდის ბნელი ბინიდან  
და სულ შორდება მის დაბალ ჭერებს,  
გარედ მოინევს სახელოსნოდან  
და სტოვებს სულის შემხუთავ კედლებს.  
ზოგიც გაურბის ქუჩებში ჩოჩქოლს  
და ღვთიურ მწუხრით აღსავსე საყდრებს.  
აგერ! უყურე რა ნაზი ღხენით  
ხალხი მოედო ველებს და ბალებს  
და წყლის სივრცეზე მდინარე ღელვით  
მხიარულ ნავებს ლამაზად არხევს.

და მძიმე ტვირთით ჩასული წყალში  
 უკანასკნელი ნავი სრიალებს,  
 მთების შორეულ ბილიკა გზაში  
 ტანთ სამოსელი ნაზად ბჭყვრიალებს.  
 სოფლად გაისმის ხალხის ჟღივილი,  
 დიდით პატარა ლაღობს მზიანად,  
 სამოთხე არის ქვეყნად ნამდვილი:  
 მე აქ თავსა ვგრძნობ ადამიანად.

### ვაგნერი

თუმც მუდამ ჩემთვის სასახელოა  
 თქვენთან ყოფნა და მუდმივი ღებნა,  
 მაგრამ მათ გული არ შეეთვისა  
 და აღარ ძალმძის მე აქ დარჩენა.  
 ხალხის ღრიალი და ჟრიამული  
 სულს მიხუთავენ, მიხშობენ სმენას:  
 ყვირიან, როგორც გადარეულნი  
 და უწოდებენ ამ ყვირილს ღებნას.

### გლებები ცაცხვის ქვეშ

(ცეკვა და სიმღერა)

ჯუბა-ბაბთით და გვირგვინით  
 მწყემსი კობტად მოკაზმულა,  
 სიხარულით და ღიმილით  
 სათამაშოდ გამოსულა.  
 დავლულია ცაცხვის ძირში,  
 ყველა ცეკვავს გაშმაგებით  
 და ქამანჩა ლამაზ ჩრდილში  
 კვნესის ვნებით და ალგზნებით.

გაარღვია ყრმამ ფერხული,  
 და იდაყვი გაჰკრა გოგოს,  
 ჩაუარა მან დავლული  
 და გავიდა ხტუნვით ბოლოს.  
 გოგომ უთხრა: ვხედავ კარგად,  
 რომ ყოფილხარ სულელიო!  
 ნუ იქცევი თავხედურად,  
 ნუ ხარ ასე უზრდელიო!  
 მაინც წრეში ტრიალებენ,  
 ირგვლივ ისმის ჟრიამული,  
 და კავები ფრიალებენ,  
 ცეკვა არის მხიარული.  
 პირზე ადით მათ აღმური,

გადუჭვდიათ ხელი ხელსა,  
ისვენებენ დაღალულნი  
და ეტრფიან ერთმანეთსა.  
ვერ გენდობი, გული მიგრძნობს,  
ვერ მომხიბლავ მე სიტყვითო,  
ბევრჯერ თავის საპატარძლოს  
ატყუებდა ყრმა ფიცითო.  
მაინც ბიჭმა გოგო ჩრდილში  
გაიტყუა განს ალერსით  
და ქამანჩა ცაცხვის ძირში  
კვენესის ვნებით და ალგზნებით.

### მოხუცი გლეხი

ბატონო, დოკტორ, ვართ მადლობელნი,  
რომ ჩვენთან ლხინი არ უარყავით,  
ხალხის ზეიმის თანამგრძნობელნი,  
ვით მეცნიერი ჩვენთან დაჰყავით.  
მაშ, ჩამოგვართვი ლამაზი თასი.  
სავესე მჩქეფარე, ახალი ღვინით,  
შესვით სასმელი ნექტარის მსგავსი  
და მოიკალით წყურვილი იმით,  
რამდენი წვეთიც ამაში ნახოთ,  
იმდენი დღენი თქვენ შეგემატოთ.

### ფაუსტი

შევსვამ ამ ღვინოს სიამოვნებით,  
მადლობას გიძღვნით წრფელი გრძნობებით.  
(ხალხი იკრიბება ჯგუფ-ჯგუფათ მის გარშემო).

### მოხუცი გლეხი

კმაყოფილია, გვერნმუნეთ, ყველა,  
რომ მოგვევლინეთ დღეს ჩვენ ამ ლხინში,  
თქვენი კეთილი რჩევით ბევრჯელა  
ჩვენთან ყოფილხართ დიდს გასაჭირში.  
ბევრი ჩვენგანი აქ მამა თქვენმა  
ციებ-ცხელებას გადაარჩინა,  
ბევრს ახსოვს კიდევ, რომ მისმა ხელმა  
შავი ჭირიც-კი არ დაარჩინა.  
ჯერ კიდევ ნორჩი სნეულთ ნუგეშად  
საავადმყოფოს ესტუმრებოდით,  
თუმცა გვამები გაჰქონდათ ხშირად,  
თქვენ უვნებელი მაინც რჩებოდით.  
ძალა და ღონე გემატებოდათ,  
მფარველს მფარველი გეხმარებოდათ.

### ყველანი

მაშ, გაუმარჯოს, კაცს სახელოვანს,  
რომ კვლავ უშველოს ტანჯულ ქვეყანას!

### ფაუსტი

თაყვანი ეცით იმას, ვინც მალლით  
შველას გიგზავნით, შველას გასწავლით.

(მიდის ვაგნერთან ერთად)

### ვაგნერი

დიადო კაცო, ნეტავ რასა გრძნობ,  
როს ხედავ ხალხის ამ გვარ სიყვარულს,  
ბედნიერია, ვინც ნიჭს არ ახშობს  
და მოახმარებს ქვეყანას ბედკრულს.  
მამა უთითებს შენზე თავის შვილს,  
ყველა გკითხულობს და შენსკენ იწევს,  
სდუმს ჭიანჭური, აღარვინ ცეკვავს  
და შენც ჩაუვლი მწკრივში მდგომ რიგებს;  
აგერ ჰაერში ისვრიან ქუდებს;  
და ლამის არის, მუხლთ დაიჩოქონ,  
რომ შენი მოსვლა კრძალვით შეაქონ.

### ფაუსტი

მცირე მანძილი დაგვრჩა ჩვენ ქვამდის!  
და დავისვენებთ გზაში დალილინი;  
ლოცვით და მარხვით ტანჯულ-გვემული  
ბევრჯელ ვმჯდარვარ აქ ფიქრით აღვსილი  
და გამსჭვალული იმედით, რწმენით  
ვევედრებოდი ქვეყნისთვის ცასა,  
ხელაპყრობილი, ოხვრით და ცრემლით  
ვთხოვდი ღმერთს ხალხის ჭირიდან ხსნასა.

როგორც დაცინვა შემომესმა აქ ბრბოს ჟღივილი,  
ნეტავ, უნარი გქონდეს სულში ჩამოხედვისა,  
მაშინ მიხვდები, რომ არც მამა და არც მის შვილი  
ღირსი არა ვართ დიდების და ხოტბის შესხმისა.  
პატიოსანი კაცი იყო თუმც მამა-ჩემი,  
ბუნების ძალებს უმნიკვლოდ და წმიდად იკვლევდა,  
მაგრამ უცნაურ, თავისებურ შრომას ნაჩვევი,  
ვით ჯადოქარი ბუნდოვან გზებს მუდამ მისდევდა.  
გარშემორტყმული მოწაფეებით  
სახელოსნოში დროს ატარებდა  
და ათასნაირ გვარ რეცეპტებით  
სხვადასხვა წამლებს შეაზავებდა.



წითელი ლომი იყო იქ ნეფედ  
და პატარძალი ზამბახი ნაზი.  
მიჩუხჩუხებდნენ ორივე ჩქეფით  
და ბინად ჰქონდათ შუშის დარბაზი.  
შეზავებული ქრელი ფერებით  
ყრმა დედოფალი ჭიქიდან ჰკრთოდა,  
წამალს ვასმევდით და არ ვეძებდით,  
თუ ვინ გადარჩა და ან ვინ მოკვდა.  
და თვით შავ ქირზე უფრო საშინლად  
დავხოცეთ ხალხი ამ არე-მარეს,  
მე თვით მოვწამლე ჯერ ათასობით  
და მივაბარე აქ ბნელ სამარეს.  
ისინი დაჭკნენ, მე დავრჩი ველად  
თავხედი მკვლელი დამსახეს მხსნელად!

### ვაგნერი

რისთვის სწუხდებით ნეტავ ამისთვის!  
ნუ თუ არ კმარა ჭკვიან კაცისთვის,  
თუ ხელოვნებას — განძს გადმონაცემს.  
კარგად მოიხმარს და სხვასაც მისცემს.  
თუ შენ სიყრმითვე პატივს სცემ მამას,  
კმაყოფილებით გაჰყვები მის გზას,  
თუ შენ წინ წასწევ მეცნიერებას,  
შვილიც მიაღწევს უალრეს მიზანს.

### ფაუსტი

ბედნიერია, ვინც ჯერ კიდევ ატარებს რწმენას,  
რომ შეცდომის ზღვის უფსკრულიდან ამოცურდება.  
რაც ჩვენ არ ვიცით, სწორედ იგი გვჭირდება ყველას  
და რაც რომ ვიცით, არასოდეს არ დავგჭირდება,  
მაგრამ გაჩუმდი, ნუ იწამლავ ბედნიერ წამებს  
შავი ფიქრების უიმედო, ფუჭ მლელვარებით,  
და გადახედე ამწვანებულ ქოხებს და ბალებს,  
თუ რა რიგ თრთიან ჩამავალ მზის სხივთ ელვარებით.  
მზემ გადიხარა, ეთხოვება მინდვრებს და ველებს,  
ახალ სიცოცხლეს ეშურება და ეტრფის მძლავრად.  
ოჰ, ნეტავ მომცა ლალი ფრთები, რომ გავცდე ხმელეთს  
და მუდმივ ფრენით მას თან გავყვე მშვიდად და წყნარად!  
მაშინ უკვდავ სხივთ ცეცხლის შუქში ვჭვრეტდი ბუნებას,  
ჩემ ფეხთ ქვეშ გაშლილს, დამშვიდებულს და მონარნარეს.  
ვჭვრეტდი მწვერვალებს ალგზნებულებს, ველთ ბიბინებას,  
ვერცხლის ნაკადულს ოქროს წყალში გადმომდინარეს.  
ვერ დააცხრობდნენ ამ ღვთაებრივ მძლავრ აღმაფრენას,  
ულრანი ხევი გარდაუვალ პირქუშ მთებისა  
და მოლივლივე უბეები გამთბარ ზღვებისა,  
ჩემს გაოცებულ თვალების წინ იწყებდნენ ღმერთს.

და რომც ღვთაება ჩაესვენოს თავის სხივებით,  
 მე კვლავ ახალი აღმაფრენა გამიტაცებდა,  
 უკვდავ სინათლის დანაფებით გავგრილდებოდი,  
 ღამეს დავსძლევდი და დღე ისევ გამინათებდა,  
 გამოჩნდებოდნენ მაღლა ცა და ძირს ზღვის ტალღები!  
 მშვენიერია, მაგრამ ფუჭი ჩემი ზმანება!  
 ეჰ! სულიერ ფრთებს ხორციელი, ნამდვილი ფრთები  
 ვერ ეთვისება და ახლო არ მიეკარება.  
 მაინც გვითაცებს ჩვენ მაღლა ცაში  
 თან დაყოლილი გრძნობა განგებით,  
 ოდეს ტოროლა ლაჟვარდ სივრცეში  
 თავის სიმღერას მოსთქვამს ალგზნებით.  
 ოდეს არნივნი ამაყი ფრენით  
 მაღალ მთის ნაძვებს ესტუმრებიან  
 და წეროები ტბებით და ველით  
 თავის სახლისკენ ეშურებიან.

### ვაგნერი

მეც განმიცდია უცნაური წუთების ღხენა,  
 მაგრამ არასდროს არ მიგვრძენია ეს აღმაფრენა.  
 ხშირად ვყოფილვარ გამაძლარი ტყე-მინდვრის ცქერით,  
 მაგრამ არასდროს მშურებია ფრინველის ფრთები.  
 სულ სხვაა ჩემი სულიერი აღფრთოვანება,  
 წიგნებში გართულს განუყრელად რომ თან დამყვება!  
 თვით ზამთრის ღამე მიაღერებს თავის სინაზით  
 და ნეტარება მსწრაფლ გამითბობს მთელ სხეულს ცივსა.  
 ახ! გადაშალე შენ ეტრატი ეგ ზომ ძვირფასი  
 და დაინახე, რომ თვით ზეცა ჩამოდის ძირსა.

### ფაუსტი

მაშ, შენ გცოდნია ერთი ტრფობა ამ სიცოცხლეში,  
 ნუ მოისურვებ ნურასოდეს მეორის განცდას!  
 ახ! ორი სული სცოცხლობს მუდამ ამ ჩემს გულ-მკერდში  
 და ორივენი ერთმანეთთან ღამობენ გაყრას.  
 ერთი მისტირის ამ ქვეყნიურ ტრფობა-განცხრომას,  
 ებლაუჭება განუწყვეტილად მძლავრი ხელებით,  
 და მეორე-კი მუდამ ელტვის ხორციელ გრძნობას  
 გატაცებული პირველყოფილ მშვენიერებით.  
 ოჰ! თუ მიწის და ზეცის შორის არიან სულნი  
 და იქ დაჰქრიან ჰაეროვან ტურფა სფეროში,  
 ძირს ჩამოვიდნენ ეთეროვან ოქროს ასულნი  
 და წამიყვანონ განახლებულ სამფლობელოში!  
 დიახ, რომ მქონდეს ჯადოსანი ტანთსამოსელი  
 და რომ შემეძლოს გადავფრინდე უცხო მხარეში,  
 მე არ გავცვლიდი მას მდიდრულად მორთულ კაბებში,  
 ვერ მომხიბლავდა მე თვით მეფის შესამოსელი.

### ვაგნერი

ნუ მოუწოდებ კარგად ცნობილ სულების ჯარსა,  
ჯანყით მოსილნი დაუცხრომლად რომ ირევიან,  
ადამიანებს უმზადებენ ხიფათს და ჯავრსა  
და დედა-მინის ყოველ მხრიდან მოისწრაფიან,  
ჩრდილოეთიდან მოინევენ ბასრი კბილებით,  
დაგიმიზნებენ შენ შხამიან ენის ისრებსა,  
აღმოსავლეთით მოილტვიან ცხელი მილებით  
და ამოსწვავენ ცეცხლის ალით მაგ შენ ფილტვებსა.  
ოდეს სამხრეთი უდაბნოდან მათ გამოჰგზავნის  
და შენ ქოჩორზე დაანთებენ ცეცხლის მწვავ ენებს,  
მყის დასავლეთი თავის ლაშქარს ქვეყნად წარგზავნის,  
ჯერ გაგვაგრილებს და შემდეგ-კი წალეკავს ველებს.  
და, სამწუხაროდ, ყურს გვიგდებენ, გვმორჩილდებიან,  
მაგრამ ჩვენ მაინც გვატყუებენ თავისი რჩევით,  
ვით ელჩნი ზეცით მოვლენილნი გვეცხადებიან  
და ლულულეებენ ანგელოზის ციური ხმებით.  
ეხლა ნავიდეთ! თვალებს ხუჭავს ქვეყნის ლუმელი,  
აგრილდა კიდევ და დაეშვა დაბლა ღრუბელი!  
სალამოობით სახლში ყოფნა მუდამ კარგია,  
რას იყურები, ნეტავ, გზაში რა დაგკარგვია?  
რას შეუპყროხარ მწუხრით მოცულ, ბნელ ქვეყანაში?

### ფაუსტი

ხედავ შავ ძაღლსა, როგორ მირბის და ხტის ყანაში?

### ვაგნერი

ვხედავ მას კარგად. საიმისო არაფერია.

### ფაუსტი

კარგად გაშინჯე! რა გგონია შენ ეგ ცხოველი?

### ვაგნერი

შეშინებული ფინია ძაღლი  
დაკარგულ პატრონს კვალ და კვალ ეძებს.

### ფაუსტი

ხომ ამჩნევ იგი განიერ რკალით  
გვიახლოვდება და ჩვენსკენ იწევს?  
და თუ არ ვცდები, ცეცხლის გრიგალი  
მთლად აღგზნებული მას კვალში მისდევს.

### ვაგნერი

ვხედავ, რომ არის შავი ფინია,  
თვალეებზე გაკრავს ალბად ბინდია.

**ფაუსტი**

მე-კი მგონია, რომ ჯადოსნურ ჩუმში ქსელებით  
იგი გვიმზადებს მომავალში ნამდვილ ბორკილსა.

**ვაგნერი**

ვხედავ, რომ იგი ჩემს გარშემო ხტის გაკვირვებით,  
პატრონის ნაცვლად ხედავს იგი ორ უცნობ პირსა.

**ფაუსტი**

ნრე ვინროვდება და თან-და-თან გვიახლოვდება!

**ვაგნერი**

ხედავ, ძალღია და არ არის ის მოჩვენება!  
წკმუტუნებს და თრთის და ხან კიდევ გაიშოტება,  
ხან კუდს გაიქნევს, ასეთია ძალღის ბუნება.

**ფაუსტი**

მოდის აქ ჩვენთან და თან გამოგვყე!

**ვაგნერი**

რა სულელია საბრალო ძალღი!  
თუ გაჩუმდები, ისიც ჩერდება,  
ხმას ამოიღებ, ისიც ლელდება.  
დაკარგავ რამეს, გიპოვნის ნამში  
და ჯოხთან ერთად ჩახტება წყალში.

**ფაუსტი**

შენ მართალი ხარ, მე ვერ ვამჩნევ მას სულის ნასახს,  
აქ ვხედავ მხოლოდ ხელოვნური განვრთნის ჩანასახს.

**ვაგნერი**

ზოგჯერ ძალღსაც-კი კარგად აღზრდილსა  
თვით ბრძენი კაციც უთმობს დიდ ალაგს,  
და სტუდენტების მიერ განვრთნილსა  
ნურც შენ მოაკლებ ფინიას ამაგს.

(შედიან ქალაქის კარებში).

**სამოსწავლო ოთახი****ფაუსტი** (შემოდის ფინია ძალღით)

გამოვეთხოვე ველებს და მინდვრებს,  
გარემოცულებს წყვიდადი ლამით  
და მშვენიერი სულიც იღვიძებს,

ღვთიური შიშით და წმიდა კრძალვით.  
დაცხრა ველური აღფრთოვანება,  
დამშვიდდა გული გაშმაგებული  
და მკვდრეთით აღსდგა კვლავ სათნოება,  
და აღსდგა მკვდრეთით ღვთის სიყვარული.

ჩუმად, ფინიავ! ნუ აწყდები შენ აქეთ-იქით,  
მაგ დერეფანში რას დაეძებ, ან რასა ჰსუნავ,  
დანექი ჩქარა, მოისვენე ღუმელის იქით,  
საუკეთესო ბალიშს მოგცემ, ოღონდ ნუ ხტუნავ.  
მასსოვს, რომ წელან შენ გზა-და-გზა გვართობდი ყველას,  
გამოირბინე ხტუნაობით მთანი და ველნი.  
მაშ, ნუ მოიშლი, გეხვენები, აქაც მოლხენას  
და მოიქეცი ვით სტუმარი შენ სასურველი.  
ახ! ბნელ საკანში ღამის ღამპარი,  
კვლავ მიმოაბნევს შუქს მოცქრიალეს  
და ჩემი გულიც სევდით დამდნარი,  
გონზე მოსული ნაზად ციალებს,  
გონებით ზეცას ვესაუბრები,  
იმედი მჭკნარი ხელახლად ჰხარობს,  
სიცოცხლის ნაკადს ვეხმაურები  
და კვლავ დავეძებ სიცოცხლის წყაროს.

კმარა, ფინიავ! ნუ ბუზღუნებ! იმ წმიდა ჰანგებს,  
ჩემი სული რომ შეუპყრიათ ტკბილ ნეტარებით,  
ცხოველის ყეფა არ შეჰფერის და არას არგებს,  
შენ ჯიუტობით ადამიანს ნუ ედარები.  
რასაც ადვილად ვერ მისწვება კაცის გონება,  
ხშირად დასცინის და იჯერებს გულს ბუტბუტითა.  
თვით სილამაზით და სიკეთით თითქოს ღონდება,  
იქნებ შენც, ძაღლო, გსურს, გახვიდე ფონს ბუზღუნითა?  
მაგრამ ვგრძნობ უკვე, რომ სუსტია ჩვენი სურვილი,  
კმაყოფილებით და სიმშვიდით აღარ ძგერს გული.  
ასე სისწრაფით რისთვის დაშრა ღრმა ნაკადული  
და რისთვის მტანჯავს ხელმეორედ მისი წყურვილი?  
სამაგიეროდ მდიდარი ვარ გამოცდილებით!  
ნაკლი ადვილად შეივსება და გასწორდება;  
ზე-ქვეყნიურ ნიჭს ჩვენ შევმოსავთ მეტი ღირსებით  
და ღვთიურ სიტყვის გაგონება კვლავ მოგვწყურდება.  
არსად არა ჰკრთის მისი ძალა მთელ ქვეყანაში  
ისე მშვენივრად, როგორც წმიდა ახალ აღთქმაში.  
მაქვს მე სურვილი, გადავშალო ღვთიური წიგნი,  
შეპყრობილი ვარ მისი მძლავრი, მტკიცე გავლენით.  
მინდა, რომ ვთარგმნო ჩემ საყვარელ გერმანულ ენით  
წმიდა დედანი მთლად აღვსილი დიადი სიბრძნით.

(იღებს ახალ აღთქმას და ემზადება წასაკითხად)



შიგა სწერია, რომ „პირველად იყო აქ სიტყვა“.  
 უკვე შევჩერდი! ბუნდოვანი რამ აზრი ითქვა.  
 არ შემიძლიან, რომ მე დავრჩე სიტყვის ამარად,  
 მე უნდა ვთარგმნო ეს ადგილი ალბად სხვაგვარად.  
 თუ სწორედ მესმის სულის აზრი და შთაგონება,  
 უნდა ეწეროს, რომ „პირველად იყო გონება“.  
 დაფიქრდი კარგა, ჩაუკვირდი ამ პირველ სტრიქონს,  
 ნუ ააჩქარებ შენ მაგ კალამს მისი თარგმნის დროს!  
 ნუ თუ გონებამ ყველა შექმნა, ყველას დასძალა?  
 უნდა ეწეროს, რომ „პირველად შეიქმნა ძალა“.  
 მაგრამ, როდესაც დავაპირე ხელის მოწერა,  
 გულმა დამიწყო მოუსვენრად მაშინვე ძგერა.  
 მე მშველის სული! დახმარებას ვხედავ კვლავ აქ მე  
 და ვწერ თამამად, რომ „პირველად იყო თვით საქმე“.

თუ რომ შენ ჩემთან გინდა დარჩენა,  
 ფინიავ, ეხლავ შესწყვიტე ყეფა!  
 მოუსვენარი მეზობლის რჩენა  
 ჩემთვის ძალიან მძიმე იქნება.  
 ერთი ჩვენგანი უნდა წამოდგეს,  
 და ამ სარკმლიდან გარედ გავიდეს.  
 ზრდილობას უმალ გადავდებ განზე  
 და მიგითითებ შენ ღია კარზე.  
 მაგრამ რას ვხედავ? რა მემართება!  
 ნუ თუ ყველა ეს ბუნებით ხდება?  
 სინამდვილეა თუ მოჩვენება?  
 ჩემი ფინია თითქოს იზრდება!  
 სულ მალლა-მალლა აინევს თავსა,  
 ვხედავ, რომ იგი აღარ გავს ძალსა.  
 ალბად ბოროტი სულის აჩრდილი,  
 ბასრი კბილებით, ცეცხლის თვალელებით  
 სახლში გამომყვა გაჩქარებითა.  
 ოჰ! კარგად გიცნობ, ვინცა ბრძანდებით!  
 ამ ჯოჯოხეთურ, უმსგავს მაშხალას  
 ვძლევ სოლომონის გასაღებითა.

### სულები (დერეფანში)

ერთი უკვე შეუპყრიათ!  
 ნულარ შეხვალთ, მაშ, თქვენ იქა!  
 ვით მეღია თრთის ხაფანგში  
 ჯოჯოხეთის ბერი ჭინკა.  
 იმოდრავეთ, იტრიალეთ,  
 მაგრამ გმართებთ გაფრთხილება!  
 ალმა-დალმა იფრიალეთ  
 და ისიც მსწრაფლ გაფრინდება!

თუ რომ შველა შეგიძლიანთ,  
ნუ აყოვნებთ, ნულარ ელით!  
თქვენც ხომ ბევრჯერ აგცდენიათ  
განსაცდელი მისი შველით!

### ფაუსტი

რომ ღირსეულად დაუხვდე მხეცსა  
მივმართავ ოთხის შელოცვის წესსა:  
სალამანდერ, დაინვი!  
უნდენე წყლად იქეცი,  
სელფე, გაჰქრი, ჰაერში,  
კობელდ, შრომა დაინყე!  
ვინც არ იცნობს ავ სულეებს,  
მათ ძალას და თვისებას,  
ის ვერც დაიმორჩილებს  
ჯოჯოხეთის ქმნილებას.  
გაჰქრი ცეცხლის ალში,  
სალამანდერ!  
ჩაილუპე წყალში,  
უნდენე!  
დაემსგავსე ცისიერს,  
სილფე!  
დაეხმარე მიწიერს,  
ინკუბუს! ინკუბუს!  
გამოდი! დაამთავრე შენ ეს საქმე დასასრულს!  
ამ ოთხ სულთაგან არც ერთი სული  
მხეცში არ არის ალბად ჩასული.  
წყნარად ზის იგი და ლესავს კბილებს,  
ჯერ კიდევ ვერ გრძნობს ალბად ტკივილებს.  
ყური დამიგდე, მოვითხოვ სმენას,  
გავაძლიერებ მამ ამ ჩემს წყევლას,  
ნუ თუ შენა ხარ სული ეული,  
ჯოჯოხეთიდან გამოქცეული?  
მამ, დაინახე შენ ეს ნიშანი,  
თვით ჯოჯოხეთის ბნელი ლაშქარნი  
ქედს მოიხრიან იმის წინაშე!  
ძალღს აებურძგნა შიშით ბალანი.  
გახრწნილო არსებავ!  
ნუ თუ შენ არ ხედავ,  
ძალას ხელთუქმნელსა  
და გამოუთქმელსა,  
ზეცაში ასულსა  
და ჯვარზე გაკრულსა?  
მიიმალა ლუმელს იქით  
გაიბერა სპილოსავით.

ყველა შთანთქა თავის სივრცით  
და განირთხა ღრუბელსავით,  
ნულარ ეკვრი შენ მაგ ჭერსა!  
დაუჩოქე შემომქმედსა!  
შენ ხუმრობა ნუ გგონია,  
დაგწვავ უმაღლ ღვთიურ ცეცხლით!  
ნულარ ელი  
მესამეჯერ მზიურ სხივის გამოფენას!  
ნულარ ელი  
ჯადოქრობის, ძლიერების გამოჩენას!

### მეფისტოფელი

(ღრუბელი იფანტება და ღუმელის უკანა კუნჭულიდან გამოდის მეფისტოფელი სქოლასტიკოსის ტანისამოსში).

რისთვის ხმაურობთ? რა დასჭირდა, ნეტავი, ბატონს?

### ფაუსტი

აი ფინია რისთვის ღელავდა!  
მოსიარულე სქოლასტიკოსი  
გარედ გამოსვლას ვერა ბედავდა!  
რა სასაცილო შემთხვევა არის!

### მეფისტოფელი

ჩემი სალამი განსწავლულ ბატონს!  
ოფლი მომგვარეთ ქვესკნელის პატრონს.

### ფაუსტი

თქვენი სახელი?

### მეფისტოფელი

უმნიშვნელოა ეს კითხვა მისთვის,  
ვინც მუდამ ზიზლით უყურებს სიტყვებს,  
გარეგნულ მხარეს გაურბის, ილტვის  
და ეტანება სიცოცხლის სიღრმეს.

### ფაუსტი

თქვენ არსებაზე თქვენი სახელი  
ჩვეულებრივად მეტყველებს ბევრსა,  
სწორედ თქვენზეა ზედ გამოჭრილი,  
რომ გეძახიან ბუზების ღმერთსა,  
მატყუარას და ქვეყნის დამქცევსა.  
კარგი. ვინა ხარ, მაშ, შენ ნეტავი?

### მეფისტოფელი

მე ვარ ნაწილი სწორედ იმ ძალის,  
ვისაც ავი სურს და კეთილს სჩადის.

**ფაუსტი**

რა გინდა, რომ სთქვა შენ მაგ იგავით?

**მეფისტოფელი**

მე ვარ სული, ვინც უარჰყოფს მარად!  
და მაქვს ამისი სრული უფლება:  
რადგან სუყველა, რაც ჩნდება ქვეყნად,  
დაუყოვნებლივ განადგურდება.  
ამიტომ სჯობდა ამოაღე ღვთისა,  
რომ არაფერი არ ყოფილიყო.  
რასაც თქვენ უხმობთ სიკვდილს და რღვევას,  
სთვლით ბოროტებად და ნამდვილ ცოდოდ,  
მე მიმაჩნია ჩემ სამფლობელოდ.

**ფაუსტი**

ნაწილს ირქმევ და მთლიანად-კი წარმომიდგები?

**მეფისტოფელი**

ვმორცხობდი, მაგრამ სიმართლეში გამოგიტყდებით.  
მხოლოდ საბრალო ადამიანს მთლად მიაჩნია  
ამ სასაცილო და პატარა ქვეყნის არსება,  
მე ნაწილი ვარ იმ ნაწილის, თავდაპირველად  
ვინც სუყველაფერს შეიცავდა და ალავსებდა.  
მე ვარ ნაწილი ბნელეთისა, შემქნელ სინათლის,  
ამაყ სინათლის, მშობელ ღამეს რომ ეჯიბრება  
და მას სამყაროს მთლად დაპყრობას რომ ეცილება.  
მაგრამ ამოღე, ვერ მიაღწევს ის რასაც ღამობს,  
მუდამ ტყვედ ქმნილი აქ ხორციელს ებლაუჭება:  
სხეულით ნაშობს მას სხეული ღამაზად ამკობს,  
სხეულის სახით დაბრკოლება გზაში უჩნდება.  
მაგრამ მგონია, რომ ეს დიდხანს ასე არ გასტანს  
და მასთან ერთად ყველა ჩავა უეცრივ საფლავს.

**ფაუსტი**

ეხლა კი ვხედავ შენ ღირსეულ დანიშნულებას!  
შენ ვერ შესძელი დიად განძის განადგურება,  
და ამიტომაც მცირე საგნებს მიჰყავი ხელი.

**მეფისტოფელი**

და მის მიღწევაც მე ვერ შევძელი.  
ბევრჯერ მინდოდა, რომ დამეძლია  
რაობა უხემ, დავრდომილ ქვეყნის,  
არარაობას მუდამ რომ ებრძვის,  
მაგრამ სამყარო ისევ ვრცელია,  
ქვეყანა ისევ მშვიდად ტრიალებს,  
ცეცხლი და წყალი მას ვერას აკლებს.

ცხოველთ და კაცთა ნყეული ჯიში  
 ველარ მოისპო, ვერ განყდა მთელად.  
 ბევრი დავმარხე მე შავს მინაში!  
 მაგრამ ხელ-ახლად სისხლი სჩქევს ველად.  
 ლამის სიბრაზით ვანთხიო გესლი:  
 დედამინაში, ჰაერში, ნყალში,  
 ცივ ადგილს, თბილსა, მშრალზე და ნამში  
 გაბნეულია სიცოცხლის თესლი!  
 და რომ არ მქონდეს მე ცეცხლის ალი,  
 დამეხშობოდა ცხოვრების კვალი.

### ფაუსტი

მაშ, მუდმივ მოძრავ, შემომქმედ ძალას  
 უპირდაპირებ ეშმაკის ცივ მუშტს!  
 ამოდ ეტრფი ცბიერ განზრახვას,  
 ტყუილ-უბრალოდ იშფოთებ შენ გულს!  
 ბნელი ქაოსის უცხო ქმნილებავ!  
 გირჩევ დაიწყო სულ სხვა ხელობა.

### მეფისტოფელი

უფრო გულდასმით და ზედმიწევნით  
 გვექნება შემდეგ მასზე მსჯელობა!  
 არ შეიძლება გაგმორდეთ ეხლავ?

### ფაუსტი

მე აღარ მესმის, თუ რისთვის ღელავ.  
 ხომ გავეცანით ერთმანეთს კარგად.  
 თუ მოისურვებ, კვლავ მოხვალ მარდად.  
 აი, ფანჯარა, აგერ იქ კარი!  
 აგერ საკვამლე რა ახლო არი!

### მეფისტოფელი

უნდა გამოვტყდე, ვერ გავალ კარში,  
 წინ მელობება მცირე ნიშანი,  
 დრუდეს ფეხია შიგ გასავალში.

### ფაუსტი

სჩანს, პენტოგრამა განუხებს ალბად?  
 ქვესკნელის შვილო, ამისხენ კარგად,  
 როგორ შემოხველ, თუ ხარ შეკრული?  
 ან ვით მოსტყუვდი ბოროტი სული?

### მეფისტოფელი

კარგად გასინჯე, ეგ ხუთ-კუთხედი  
 ვერ არის სწორედ გამოხატული,  
 ოდნავ ღიაა ერთი კუთხედი.



**ფაუსტი**

აი, შემთხვევამ რა რიგ დაგცინა!  
მაშ, ჩემი ტყვე ხარ და გაქვს აქ ბინა?  
გაჩარხულია ან თითქმის საქმე!

**მეფისტოფელი**

ვერ შეამჩნია ფინიამ საფრთხე:  
ეხლა-კი საქმე თავდება მწარედ  
და ველარ გავა ეშმაკი გარედ.

**ფაუსტი**

რატომ არ გახვალ შენ მაინც ფანჯრით?

**მეფისტოფელი**

ასეთი არის ეშმაკთა და აჩრდილთა წესი.  
როგორც მოსულხართ, წასვლაც უნდა იმავე გზებით.  
ჯერ თავს ვგრძნობთ ლალად, და შემდეგ კი მონებად ვხდებით.

**ფაუსტი**

მაშ, ჯოჯოხეთსაც ჰქონებია თავის უფლება?  
ძალიან კარგი! ეხლა უკვე აშკარად ვხედავ,  
რომ თქვენთან მალე მოხერხდება ხელშეკრულება?

**მეფისტოფელი**

და დანაპირებს მიიღებ სრულად,  
არ გამოგრჩები არაფერს მტრულად.  
მაინც შენ უცბად მას ვერ მიხვდები,  
კვლავ ვიბაასოთ უფრო ხანგრძლივად.  
ახლა-კი მე აქ ველარ დავრჩები,  
გემუდარებით, გთხოვთ, რომ გამიშვათ.

**ფაუსტი**

მაშ, დარჩი კიდევ აქ ერთი წამი  
და გამაგონე კარგი ამბავი.

**მეფისტოფელი**

ეხლა გამიშვი! კვლავ მოვალ მალე  
და მაშინ მკითხე კარგი და ავი.

**ფაუსტი**

მე არ გამიბამს შენთვის აქ ქსელი,  
შენ თვითონ მოჰყე შემთხვევით მახეს.  
ვინც ეშმაკს იპყრობს, ჩასჭიდოს ხელი!  
ველარ იხილავს კვლავ იმის სახეს.

### მეფისტოფელი

თუ კი ასე გსურს, მამ, აქ მოვიცდი,  
სიამოვნებით დავრჩები შენთან,  
იმ პირობით-კი, რომ არ მოიწყენ  
და გაერთობი სიმღერით ჩემთან.

### ჯაუსტი

სიამოვნებით დავიწყებ ლხენას,  
თუ ხელოვნებით დამიტკობ სმენას!

### მეფისტოფელი

ჩემო ძმობილო, ამ ერთ საათში  
უფრო მეტს იგრძნობ სიამოვნებას,  
ვიდრე მთელი წლის მარტოობაში.  
ნაზი სულების ტკბილი სიმღერა,  
მათ მიერ ქმნილი ტურფა ხატება  
სულ არ ნააგავს უბრალო ლხენას.  
აქ შენი ყნოსვა უმალ დასტკებება,  
დასტკებება უმალ თვით გემოვნება  
და მიეცემი მსწრაფლ აღმაფრენას.  
ჩვენ სამზადისით თავს არ მოგაწყენთ,  
ყველა აქა ვართ, აბა, დაიწყეთ!

### სულები

გაჰქრი, წყვიდადო,  
ზეცის თალებში!  
გამოიარე  
უფსკრულ ღამეში,  
ცისფერ-თვალეზა  
ნაზო ეთერო!  
გაიფანტენით,  
შავო ღრუბელნო!  
და აღმოზრწყინდით,  
ვარსკვლავნო, მზენო,  
სხივ-მოელვარე,  
მონარნარენო.  
თქვენ, ზეცის შვილნო,  
სიტურფით ქმნილნო,  
დაიწყეთ ირგვლივ  
მსუბუქი ფრენა,  
ვნებავ აშლილო,  
დაიცხრე ღელვა.  
და სამოსელო,  
ნაზად გაშლილო,

გადაეფარე  
ველებს და ბალებს,  
სადაც მიჯნურნი  
ღრმა ჩაფიქრებით  
მიეცემიან  
იდუმალ ზრახვებს.  
ამწვანდი, ვაზო,  
და გაიხარე!  
მძიმე მტევნებო,  
ძირს დაიხარეთ!  
და საწნახელში  
მსწრაფლ ჩაიყარეთ.  
ღვინოვ მჩქეფარე,  
დაიწყე ლელვა,  
ბროლის ლალებით  
გასტყორცნე ელვა!  
ალიმართენით,  
მაღალნო მთანო,  
გავრცელდით ზღვამდის,  
ველნო და ბარნო!  
ნაზი სიმწვანით  
დასტკბით მუნ, თვალნო.  
და თქვენ, ფრინველნო,  
ოცნებით მთვრალნო,  
გაფრინდით მზისკენ,  
გაფრინდით ნათელ  
კუნძულებისკენ,  
რომ მოძრაობენ  
ტალლების ზევით,  
სადაც გუნდ-გუნდად  
ვცეკვავთ ჩვენ ლხენით,  
დავჰქრით ველებზე  
ლალად და შვებით.  
რიგი მიხობავს  
კლდეებზე მთაში,  
რიგი მიცურავს  
შიგ შუა ზღვაში,  
რიგიც მიფრინავს  
სულ მაღლა ცაში,  
და ყველა ეტრფის  
მუდმივ სიცოცხლეს,  
შორეულ არეს,  
მხიბლავ ვარსკვლავებს,  
ბედნიერ მხარეს.

### მეფისტოფელი

სძინავს! რა მარჯვედ იმოქმედეთ, ჰაერის შვილნო!  
 რა რიგ მოხიბლეთ მშვენიერი, ტურფა ჰანგებით!  
 ამ კონცერტისთვის მოვალედ ვთვლი თავს თქვენს წინაშე.  
 შენ ჯერ არ ძალგის გაუმკლავდე ეშმაკს გაბედვით!  
 თავბრუ დაასხით თქვენ მას ტკბილი სიზმრის ლანდებით  
 და გადასტყორცნეთ ფუჭ ოცნების მღელვარე ზღვაში!  
 მაგრამ მე მაინც ვსაჭიროებ ვირთაგვას კბილებს,  
 რათა ნავშალო ჯადოქრობის ნიშანი გზაში.  
 არ გავაგრძელებ მე აქ დიდხანს შელოცვის სიტყვებს,  
 უკვე ფუსფუსებს ერთი ახლოს და ყურსაც მიგდებს.  
 მე, ვით ბატონი თავგთ და რწყილების,  
 ბალღინჯო-ბაყაყ-ბუზებ-ტილების,  
 გიბრძანებ „უმაღლესი“ გადაღრღნა კარი,  
 სადაც იქ ქონი ნასმული არი.  
 უკვე გამოხტი? შეუდექ საქმეს!  
 განაპირას ძევს ჯადოს ისარი,  
 კარში გასვლის რომ ნებას არ მაძლევს.  
 ნულარ აყოვნებ! მოჰკიდე კბილი!  
 ფაუსტ, ნახვამდის! განაგრძე ძილი!

### ფაუსტი (იღვიძებს)

ნუ თუ მოვტყუვდი კვლავ ჩემდა ჭირად  
 და გაჰქრა დიად ოცნების კვალი?  
 ნუ თუ ეშმაკი ვნახე მე სიზმრად  
 და დაიკარგა ფინია ძალლი?

*თარგმანი გერმანულით  
 იბერიელი*

(შემდეგი იქნება)

სოფოკლე.

## ანტიგონე

### დრამა

#### მოქმედნი პირნი:

კრეონ — მეფე თებასი.

ევრიდიკე — მისი ცოლი.

ჰემონ — მათი ვაჟი.

ანტიგონე — დისნული კრეონისა და ჰემონის საცოლო.

ისმენე — მისი და.

ტირესია — ბრმა მოხუცი, მისანი.

დარაჯა — მსახური კრეონისა.

ხორო — თებელნი მოხუცნი.

მცველნი და მსახურნი კრეონისა.

მხევალნი ევრიდიკესი.

### პროლოგი

(სცენა წარმოადგენს მოედანს კრეონის სასახლეს წინ. თებას ციხე-დარბაზში. სასახლეს სამი კარი აქვს: ერთი შუაზედ, ორად-მისახურავი, და ორიც გვერდისა; სამივე კარი დაკეტილია. განთიადია.)

მარჯვნივ გამოჩნდება ანტიგონე ძაძამოსილი, ხელში პატარა სურა უჭირავს, მარჯვენა გვერდის კარს უახლოვდება და აკაკუნებს, მერე ჩუმად ელაპარაკება კაკუნით გამოხმობილ მოახლეს. მოახლე გადის. ანტიგონე უკუდგება შუა სცენაზედ. იმავე მარჯვენა გვერდის კარით გამოჩნდება ისმენე. ანტიგონე მისკენ გაეშურება).

#### ანტიგონე

დაო, ისმენე, ჩემო სისხლ-ხორცო,  
ნუ თუ ვერ ჰხედავ ოდღიპოსისა  
ცოდვა-ბრალისთვის, ვიდრე ცოცხალვართ,  
შურისგებითა ვით გვდევნის ზევსი?

5. ჭირი, სირცხვილი, უპატიობა —  
რა არ გვინახავს შავს დღეში მყოფთა!  
და ეხლა კიდევ — არ გაგიგია? —  
თუ რა ბრძანებას უცხადებს ყველას  
მხედართმთავარი, თუ რა სიავეს
10. მოყვასთან ჩვენთან უმზადებს მტერი?..

#### ისმენე

- არა, მას შემდგომ, ჩვენ რომ ორივემ  
დავჰკარგეთ, დაო, ორივე ჩვენი ძმა,  
ერთურთის მიერ ერთს დღეს მოკლული,  
და არგოსელთ სპა გაიქცა ღამით,
15. არცა საამო, არც სამწუხარო  
მსმენია მათი და არც ის ვუნყი,  
შვებას თუ ვარამს მიმზადებს ბედი.



**ანტიგონე**

ვიცი და მისთვის გიხმე სასახლით,  
რათა თავისნინ გიამბო ყველა.

**ისმენე**

20. რა ამბავია? ეგრე რად ჰლელავ?..

**ანტიგონე**

ვით არ ავლელდე, ოდეს კრეონმა  
ერთს ძმას მიაგო დიდი პატივი  
და მეორეს კი უპატიობა.  
ადათისამებრ და საფერისად,

25. უბნობენ, დაჰფლა მან ეტეოკლე  
და ღირსეული ქვესკნელსა შინა  
მისცა სავანე. და პოლინიკეს,  
ავბედათ მოკლულს, არც დატირება  
არგუნა, არცა დამარხვა, — ბრძანა

30. დაუტირალი დააგდონ გვამი,  
ვით სანუკვარი დავლა ფრინველთა.  
სათნო კრეონი გვიბრძანებს ამას  
მე და შენ, — ვამბობ, მეც მეთქი, — და თვით  
აქ ამცნობს ყველას, ვინც ჯერ არ იცის.

35. ის არც უბრალოდ ჰრაცხს ამ ბრძანებას —  
ურჩს ქვით ჩაქოლვა ელის საქვეყნოდ.  
ეს ამბავია. და ეხლა ვნახავ,  
კეთილშობილის დედმამის შვილი  
პატიოსანი ხარ თუ უგვანი.

**ისმენე**

40. ბედკრულო, თუ კი ეგრეა საქმე,  
რით დაგეხმარო ან დაგიშალო?

**ანტიგონე**

აბა, იფიქრე, თუ შემენევი.

**ისმენე**

საშიშს აპირებ! რა გავგიზრახავს?

**ანტიგონე**

დამეხმარები, დავფლათ ძმის გვამი?

**ისმენე**

45. როგორ თუ დავფლათ? მერე ბრძანება?

### ანტიგონე

შენსა და ჩემს ძმას უშენოდ დავფლავ  
და აღვასრულებ ჩვენს საერთო ვალს.

### ისმენე

თავხედო, კრეონს გინდა ეურჩო?

### ანტიგონე

ის ვერ დამიშლის ვალის სრულყოფას.

### ისმენე

50. დაო, იფიქრე, ვით საძრახისად  
და უპატიოდ აღმოხდა სული  
მამას, თვითვე რო ცოდვანი თვისნი  
ცხადჰყო და ორივე დაიმსო თვალი.  
შემდგომ მის დედამ და ცოლმა თანაც
55. ვით ჩამოირჩო სასირცხვოდ თავი.  
მერე ორმა ძმამ მოჰკლა ურთერთი  
და განიმზადა სვე ერთნაირი.  
ეხლა ურჩობით ჩვენ რო გავჰქელოთ  
ბრძანება მეფის და ნებისყოფა,
60. უფრო საძრახად დავილუპებით.  
დედაკაცო, აბა, ვით ძალგვიძს ბრძოლა?  
ძლიერთ ხელქვეშ მყოფთ გვმართებს მონება,  
შევევედრები ქვესკნელის ღმერთებს,  
შემინდონ ცოდვა: ხელისუფალთა
65. ვემორჩილები იძულებითა.  
უგნურებაა, თავს იდვა საქმე,  
ძალს და ღონეს რომ აღემატება,

### ანტიგონე

(უკუდგება, ცივად და ამაყად)  
არც გატან ძალას! და თუმც ისურვო,  
შენი შენევნა აღარ მამებს.

70. როგორც გენებოს! მე კი დავმარხავ.  
ასეთ საქმისთვის შვებით მოვკვდები  
და განვისვენებ ღმერთების სათნო  
ძვირისმოქმედი საყვარელს ძმასთან  
და საყვარელი. მე მირჩვენია
75. ქვესკნელის სათნოყოფა ღმერთების,  
სად სავანეა სამარადისო,  
ვიდრე უფალთა ამ ქვეყნისათა  
შენ კი, თუ გნებავს, დაჰგმე ღვთის მცნება.

**ისმენე**

მე მცნებას არ ვგმობ, მე ხალხს ვმორჩილობ.

**ანტიგონე**

80. იმართლე თავი! მე კი მივდივარ  
და განვუმზადებ ძვირფას ძმას საფლავს.  
(წასვლას აპირებს. ისმენე გადაელობება)

**ისმენე**

ვაიმე ბედკრულს, მე ვშიშობ შენთვის.

**ანტიგონე**

ჩემთვის ნუ, გიჯობს, შენთვის იზრუნო.

**ისმენე**

- არსად წამოგცდეს, გულთ დავიმარხოთ  
85. ეს საიდუმლო.

**ანტიგონე**

ო, გამამჟღავნე,  
აცნობე ყველას. შენის დუმილით  
მხოლოდ სიძულვილს გამიძლიერებ.

**ისმენე**

(შეურაცხყოფილი დააშტერდება დას და უკუდგება ზარდაცემული)  
შენ გული კიდევ გეგზნება ცეცხლით!

**ანტიგონე**

ვაამებ, ვისიც ფრიად მსურს თნება.

**ისმენე**

90. ძალა არ შეგნევს. ფუჭია სწრაფვა.

**ანტიგონე**

დე, თუ ვერ შევძელ, თავს მივანებებ.

**ისმენე**

ნუ გაგიტაცებს უქმი ოცნება.

**ანტიგონე**

თუ კვლავ განაგრძე, სამართლიანად  
მეც შემძულდები, განსვენებულსაც.

95. დამტოვე მარტო ჩემის ოცნებით,  
ავიტან სასჯელს, მაგრამ ვერ დავთმობ  
ამცდეს სიკვდილი სახელოვანი.  
(გადის)

### ისმენე

(მიმავლის მიმართ)

მშვიდობით, წადი. ხვალ თუმცა ხელი,  
საყვარელი ხარ შენიანთათვის.  
(დაღვრემილი იმავ გვერდის კარით ბრუნდება სასახლეში. სცენა ცალიერია. თენდება).

### გამოსვლა (პაროდოსი)

(ქალაქის მხრით მოედანს უახლოვდება თხუთმეტი მოხუცი — თებელი დარბაისელი. ამავე დროს ამომავალი მზის სხივები გაანათებენ სასახლეს. მუსიკა სტროფებისა სალირიკოა, სიმებისა კი — სამარშო, მაგრამ საერთოდ საზეიმო და საზადიკო. მოხუცნი შუაზედ შესდგებიან, ზეცად ხელ-აღპყრობილნი კრძალვით მიესალმებიან ამომავალ მზეს და ჰგალობენ).

### ხორო.

სტრ. I

100. ო, სხივო მზისა, შვიდბჭე თებაში ეგრე მშვენივრად  
უნინ არასდროს გაბრწყინებულხარ!  
ძლივს-ლა გიხილეთ, თვალის ჩინო ბედნიერის დღის,  
დირკას მდინარის წიაღსა ზედა შუქმოიფე  
რომ აღმობრწყინდი და მყის განჰფანტე უკუქცეული
105. თეთრ-ფაროსანი არგო-ელთ ჯარი გზა დაბნეული.

სისტ. I

- შულლით და მტრობით აღტყინებულმა,  
ის ჩვენს ქვეყანას შემოუსია  
პოლინიკემ და მძაფრის განგაშით  
სარალუჯ-მკული ზუჩით, ჩაფხუტით
110. თავით ფეხამდის საჭურველ-სხმულმა  
ფრთა-თეთრმა ორბმა ლივლივით  
დაჰქროლა ქალაქს.

ანტისტრ. I

- შესდგა ბანისა ნივნივსა ზედა და შვიდ-ბჭე ქალაქს  
სისხლისმსმელ შუბებს უფრენდა ყოვლგნით,
115. გარნა იოტა მყისვე, სანამ ჩვენის სისხლითა  
პირს აივსებდა და ბურჯთა ციხისა ალი  
კერეონთ გადაჰბუგავდა. და ზურგით კერძო გაისმა ზათქი —  
გველუშაპისა ეს უძლევი კვეთება იყო.

ანტისის. I

- სდაგს მკვეხარობა ენა-ჭარტალი  
 120. ზევსს სამართლიანს და რომ იხილა,  
 თუ ვით მოჰქროდნენ მთისა ნაკადათ  
 ზვავნი ოქრომკულ აბჯრის ჩხარუნით,  
 განმეხა ელვით, ვინც კედლის თხემზედ  
 უკვე მზად იყო, ხმა განეფინა  
 125. გამარჯვებისა.

სტრ. II

- ცეცხლისმფრქვეველი მიწასა ეწყვეტა ძალუმ  
 და ზანზარი ჰყო, გაშმაგებული კვეთებით  
 ცოფს რომ ანთხევდა  
 და ბორგნეული ბურჯთ აწყდებოდა.  
 130. ამბავი მოჰხდა ეს სხვაფრივ,  
 სხვათ კი სხვაგვარი არგუნა ბედი დიდმა არეამ კეთილმონყალემ.

სისტ. II

- შვიდთა სარდალთა შვიდ ბჭეთა წინა  
 დამწკრივებულთა თანსწორ რაზმებით,  
 135. ერთურთის მოღმა დაუგდეს ზევსსა  
 გარემიმტყვევსა სპილენძის ხარკი,  
 ორს ბედშავს გარდა, ერთის სისხლ-ხორცის,  
 ძღვევამოსილთა შუბთა ძგერებით  
 რომ ერთნაირი ირგუნეს ხვედრი.

ანტისტრ. II

- მაგრამ ჰა, ღირსადქებული ღმერთი გამარჯვებისა  
 თებას, საომარ ეტლებით განთქმულს, ეწვია ღიმით.  
 მაშ, დავივინყოთ ომ-მოხდილთ  
 ბრძოლა და მოვვლოთ ფერხულით  
 ღმერთების ყველა ტაძარი.  
 145. და დე ბახუსმა, დედამიწისა შემძვრელმა როკვით,  
 ჩვენ გვინინამძღვროს.

(სასახლის შუა კარი იღება. შემოდის კრეონ. ამაღლად ორი ქეშიკი ახლავს. ხორო მწკრივდება სასახლეს წინ და ელის მეფის ბრძანებას).

ანტისისტ. II

- აჰა, აგერა გამოჩნდა კრეონ  
 მენოიკეს ძე, ღმერთთა განგებით,  
 ცვალებად ბედის ბრუნვისა გამო  
 150. ანაზდეულად გამეფებული!  
 რა უდევს გულში! რისთვის საქვეყნოდ  
 გასცა ბრძანება  
 და საგანგებოდ აქ გვიხმო ბჭობად?



## მოქმედება ზირველი

### სცენა პირველი

(შემოდის კრეონ მხედართ-მთავრის შესამოსელით და ამალის თანხლებით. მის სახეზედ ტანჯვაა აღბეჭდილი. გაუსწორდება რა სასახლეს, უტყვის სამადლობელის ლოცვით მიესალმება ღმერთებს და შემდგომ მიჰპართავს უხუცესთ).

#### კრეონ

- მოქალაქენო, ღმერთთა ინებეს
155. დიდის შფოთითა სამეფოისა  
ჩვენის შერყევა და კვლავ აღდგენა.  
(მოკლე პაუზა. სცდილობს თავი წაართვას ნაღვლიანს ფიქრებს).  
გზირთ პირით ცალკე აქ მოგინოდეთ,  
რადგანაც ვიცი — ლაიოსის ტახტს  
და მეუფებას პატივსა სცემდით
160. და როს დაემხო ოფდიპოს — მხსნელი,  
თქვენ იმათ შვილებს კვლავ ერთგულებდით.  
ან, ოდეს ძმები საძრახის შუღლით  
ეკვეთნენ ურთერთს და თვით ირგუნეს  
სირცხვილეულთა მრჩობლი სიკვდილი,
165. ტახტი მე მიპყრავს, ხელისუფლებაც,  
ვით დაღუპულთა ახლო ნათესავს.  
ძნელია მიჰხვდე კაცის ზნეობას,  
სულსა და აზრსა, ვიდრე არ იჩენს  
თავს, ვით მმართველი და სჯულმდებელი.
170. მე კი, უნდა ვსთქვა, ვფიქრობ, ცუდია  
იგი მმართველი, ვინც არ უგონებს  
წარჩინებულთა ვაზირთა რჩევას  
და შიშნეული კბილს აჭერს ენას,  
ხოლო ვინც მამულს სცვლის მეგობარზედ,
175. უარესია, არარა არის.  
მე, იცის ზევსმა გულთამხილველმა,  
ვერ გავჩუმიდები, ოდეს დაღუპვა  
მოელის მამულს, და ვერც ვინამებ  
მოყვრად მამულის მტერს, რადგან ვიცი,
180. რომ სამშობლოა ხსნა ერთად-ერთი —  
თუ მისი ნავი სწორედ მისცურავს,  
ჩვენც მეგობრებსა მრავლად შევიძინებ.  
ასეთის წესით აღვადგენ ქალაქს.  
ან სათანადო გავეც ბრძანება
185. ოფდიპოსისა შესახებ ძეთა:  
ეტეოკლესა, მამულისთვის რო  
გასწირა თავი და მოჰკვდა გმირად,  
ჰხამს აღვუსრულოთ ყოველი წესი,  
ვით ეკადრების ჩინებულთ გვამთა.

190. და პოლინიკე — იმის ღვიძლი ძმა —  
 ლტოლვილი რო კვლავ დაბრუნდა ქალაქს  
 და მოინდომა ჩვენის მამულის,  
 ღმერთების ქანდაკთ ცეცხლით შემუსვრა,  
 ძმათ სისხლის დაღვრა, სხვათ დამონება,  
 195. ვბრძანე, არ იქმნეს წმინდა წესისმებრ  
 დასაფლავებულ-დატირებული...  
 დე, ეგდოს ლეში დაუმარხავი,  
 ძალღთა და ფრინველთ ლუკმად საზარი.  
 ეს არის ჩემი გულის პასუხი.  
 200. ძვირისმომქმედსა ვერ ვჰსცემ მეტს პატივს,  
 გარნა ვინც მამულს მუდამ ერთგულობს,  
 იხვეჭს დიდებას სიკვდილ-სიცოცხლით.

(პაუზა. მოხუცი ურთიერთს შორის ვაზირობენ, ეტყობათ, რომ შეშინებულნი და შეწუხებულნი არიან. რიგს ხელები ზეცად აღუპყრია, თითქო ღმერთებს ამონებსო; რიგი სცდილობს, შეურიგებელნი დაიყოლიოს. თანდათან კრეონის მომხრენი იმარჯვებენ).

### პირველი მოხუცი

- იყოს, ჰე კრეონ, მენოიკეს ძევ,  
 ეგ შენ ნება მამულის მტრისა  
 205. და მოყვრისათვის. მკვდრისა თუ ცოცხლის  
 შენთა ხელთ არის წესის დადება.

### კრეონ

(გულძვირად უცქერდა მოხუცთა ყოყმანს)  
 ვინძლო დაიცვათ თქვენი ნათქვამი.

### პირველი მოხუცი

უმჯობესია, უმცროსთ უბრძანო.

### კრეონ

გვამს მცველნი უკვე მიჩენილნი ჰყავს.

### პირველი მოხუცი

210. მაშ, სხვა რა გნებავს? ჩვენ რას გვიბრძანებ?

### კრეონ

კანონის ურჩნი უნდა ალაგმოთ.

### პირველი მოხუცი

ვინ არის გიჟი, სიკვდილს ჰნატრობდეს!

### კრეონ

დიალ, სიკვდილი! მაგრამ კაცს ჰლუბავს  
 ხშირად იმედი ანგარებითი.

## სცენა მეორე

(მინდვრის მხრით სცენაზე გაუბედავად და კრძალვით შემოდის გლეხი, როგორც შემდეგ აღმოჩნდება, პოლინიკეს გვამის დარაჯა. კრეონს მძიმედ თავს უკრავს, ჩერდება და კეფას იფხანს. კრეონის უსიტყვო შეკითხვაზე იწყებს ამბის თხრობას, ვითომც თამამად და სცდილობს შიში არ შეიმჩნიოს).

### დარაჯა

215. მეფევ, ვერ ვიტყვი, რო ფეხმალიად მოვრბოდი აქეთ სულ-დაუღებლად. არა, რამდენჯერ შევდექი გზაში და შიშით უკან ვიცქირებოდი... გული მიგრძნობდა და ხან მითქმიდა:
220. საით მიდიხარ, შე უბედურო, იქ ხო სასჯელი გელოდებაო. ხან კი: თავხედო, რად იგვიანებ? კრეონს ამბავი რო სხვამ აუწყოს, დაისჯებიო! — ამ ფიქრში ვიყავ,
225. გზა გამიგრძელდა, ძლივს მოვატანე. ბოლოს ვარჩიე გხლებოდი და თუმც ბევრს ვერას გეტყვი, გეტყვი მაინცა და დე, გადამხდეს, რაც მიწერია.

### კრეონ

(გამამხნევებელის ღიმილით)  
რა მოხდა? ეგრე რამ შეგაშინა?

### დარაჯა

230. ჯერ ჩემი გითხრა: მე არ მიქნია, არც ვიცი, ვინ ჰქნა და რო დამსაჯო ალალ-მართალი, სამართალია?

### კრეონ

ოსტატურად რო მართლულობ თავსა, ალბათ მაუწყებ ახალსა რასმე.

### დარაჯა

235. გამბედაობა წამერთვა შიშით.

### კრეონ

ბარემ სთქვი, მორჩი და გაეთრიე.

### დარაჯა

(სასონარკვეთილის გამბედაობით)  
აკი გიამბობ. ეს არის ვისლაც დაუფლავს გვამი წმინდა წესთამებრ და წაუყრია ზედ მშრალი ქვიშა.

**კრეონ** (აინთება)

240. რაო? რას ამბობ? ვინ გაჰბედავდა?

**დარაჯა**

რა ვიცი. კვალი იქ არ სჩანს ბარის,  
არც წერაქვისა; მინა მყარია,  
გლუვი, უთხრელი და ურმის თვლებით  
დაუტკეპნელი, კვალი კი არ სჩანს.

245. პირველ მორიგემ რომ ეს გვაცნობა,  
ყველა შეგვზარა ამ სასწაულმა.

ცხედარი გაჰქრა, მოსულა ვილაც  
და ნაუყრია დახსნად ცოდვისა  
ზედ მხოლოდ მინა და გაქცეულა.

250. და არც ნადირის იქ სჩანს ნავალი,  
არცა ძაღლისა. აგვიტყდა ლანძღვა,  
ბრალს ვსდებთ ერთმანერთს და გავაჩაღეთ  
კინალამ კრივი — ვინ დაგვიშლიდა?

ყველას გვაქვს ბრალი და ყველა ჰფიცავს,

255. რომ ამ საქმისა არა იცის რა.

ვუხმობთ ღმერთებსა, მზად ვართ ცხადყოფად  
უბრალოების ცეცხლით და შანთით,  
რომ ამ საქმეში არც მოქმედებით  
და არც განზრახვით გვიდევს რამ წილი.

260. ვერაფერს გავხდით. ბოლოს დაიწყო  
ერთმა და შიშით ყველას თავები  
ჩაგვაქინდვრინა: ვერც შევესიტყვეთ  
და ვერც ვიპოვეთ გზა უკეთესი.

იგი გვირჩევდა დაუფარავად

265. სუყველაფერი გვეამბნა შენთვის.

სიტყვა ჭკუაში დაუჯდა ყველას  
და ეს საამო ხვედრი მე მერგო.

აი, მოვედი, თუმც ვერ გაამეთ —

ვის იამება ცუდის მთხრობელი!

(კრეონმა მთელი ამბავი ცხვირპირ-ჩამოშვებულმა მოისმინა მდუმარედ და ეხლა სდგას დაღრეჯილი და თავდახრილი. მოხუცნი ცხარედ ეჩურჩულებიან ერთმანერთს. ვინც წინა-პირველად კრეონის ბრძანების უკმაყოფილო იყო, ეხლა გაორკეცებულის უდიერებით ეკრტიმლება პირველს მოხუცს, რომელიც ბოლოს მიჰმართავს კრეონს).

**პირველი მოხუცი**

270. მეფევ, ჭკუაში ერთი რამ მომდის:  
ღმერთებს არ ედვასთ საქმეში წილი.

**კრეონ**

(ერთბაშად თავს აიღებს)

დაჩუმდი, ვიდრე განმარისხებდე.

- უგბილმეტყველებ, თუმც ხარ მხცოვანი.  
რაებს მიჰქარავ? თუ მართლა ჰგონებ,
275. მაგ გვამისათვის ჰზრუნავენ ღმერთნი?  
განა დაფლავდნენ ღირსის პატივით,  
ვით ქველმოქმედსა, ვინც თავს დაგვესხა  
მშვენიერ-შენთა ტაძართ დამხოზად,  
კანონთ დათრგუნვად და საღვთო ძღვენთა?
280. განა უკეთურთ ჰფარვენ ღმერთები?  
არა!  
(ხმის ამაღლებით, მისჩერებია უკმაყოფილოებს)  
დრტვინავენ დიდი ხანია  
მოქალაქენი, მგმობენ იდუმალ  
თავის კანტურით და ვით შემფერის  
ქედს არ იხრიან ხელმწიფებისა
285. ჩემის უღელ ქვეშ. იმათ დაჰქრთამეს  
(დარაჯას მიმართ)  
მიზდით ესენიც და შეაცდინეს.  
ვერცხლის ბრალია! ის არის წყარო  
ბოროტებისა. ის ანგრევს ქალაქთ,  
იგი მამაკაცთ ექსორია-ჰყოფს,
290. იგი ჰრყვნის მოკვდავთ კეთილთა ზნეთა  
და გულთ უნერგავს სარცხვინო ზრახვათ,  
ძმაცვა-მზაკვროზას და უღვთოებას.  
მაგრამ დადგა დრო და დაისჯება  
სამართლიანად ვერცხლის მოყვარე.  
(დარაჯას)
295. იცოდე, თუ კვლავ მაქვს ზევსის რიდი,  
ვაცხადებ ფიცით, თუ დამნაშავე  
თქვენ არ იპოვეთ და არ მომგვარეთ  
თვალწინ, გაკმარებთ, გგონია, სიკვდილს?  
ცოცხლივ დაგკიდებთ, ვიდრე თავხედსა
300. არ აღმოაჩინთ, რათა უწყოდეთ,  
თუ სად ჯერ არს ეძიოთ სარფა,  
ქურდვას გარჩევით განაგრძობდეთ და  
ყოველ საქმეში არ ანგარობდეთ.  
განა ვერ ხედავ, ხშირად ხსნისა წილ
305. ბინძური ქრთამი ჰლუპავს მრავალსა.

**დარაჯა**

ვსთქვა კიდევ რამე, თუ სჯობს მოვკურცხლო?

**კრეონ**

ნუ თუ ვერ ჰხედავ, რო თავს მაბეზრებ?

**დარაჯა**

სმენას გიშხამავ, თუ გულს გიღონებ?



**კრეონ**

კითხვასაც ჰბედავ, თუ რა მალონებს!..

**დარაჯა**

310. ძვირისმოქმედმა მოგინცლა გული  
და მე ყურთსმენა.

**კრეონ**

ყბედი ყოფილხარ!

**დარაჯა**

მაგრამ ამ საქმის არ ვარ მოქმედი.

**კრეონ**

შენ ხარ და სულიც ვერცხლად გაჰყიდე.

**დარაჯა**

- ვაიმე! იჭვი, ტყუილი იჭვი  
315. საშინელია!

**კრეონ**

იყბედე ეგრე,  
მაგრამ უკეთუ აქ არ მომგვარეთ  
თქვენ დამნაშავე, ნახავთ, რა ხიფათს  
შეგამთხვევსთ ბილწი ანგაარება.

(მიდის სასახლისაკენ. მის მიახლოებებისას შუა კარი გაიღება. ზღრუბლზედ გამოჩნდება დაღვრემილი დედოფალი ევრიდიკე, მას ახლავს ფერმკრთალი და ძლიერ აღელვებული ისმენე. კრეონი ცოლს სალამს აძლევს, მერე უნდა მიეაღეროს ისმენეს, მაგრამ შეცბუნებული მის ყოფაქცევით უნებლიეთ გაეცლება. კარი დაიხურება).

**დარაჯა**

- (კრეონის მრისხანე სიტყვებს შემდეგ უძრავად იდგა, თითქო გაშეშებულია; ეხლა, როდესაც კრეონი კარს მიეფარა, თითქო გონს მოვიდა და ეუბნება ნასულს)  
ნეტამც მოგვრიდეთ! თუ გვნყალობს ბედი,  
320. მივაგნებთ მის კვალს, მაგრამ, იცოდეთ,  
მე ველარ მნახავ. ეხლაც თავმთელი  
რო მოვრჩი საფრხეს, ღმერთებს ვუმადლი.  
(საჩქაროდ გადის)

**პირველი სტასიმონი****ხორო**

სტრ. I

ბევრი რამ არის ძლიერი ქვეყნად, მაგრამ კაცისა  
არაფერია უძლიერესი. საშინელ ქარში

325. იგი მისცურავს თეთრ-ფაფარ ზღვაში და აპობს ტალღებს.  
პატიოსანსა ღმერთთ შორის გეას,  
მარად უხრწნელსა და უღვეველსა.  
ჰლაღავს, წლით-წლამდე ცხენ-შებმულ გუთნით  
ულადრავს მინას გულმკერდსა.

ანტისტრ. I

330. ბრძენია იგი, მსუბუქფრთა ფრინველთ გუნდებს აკანათს  
უგებს და იჭერს ხაფანგ-ისხერტით მხეცებსა ტყისას  
და იმორჩილებს და გონიერსა ზღვითგან ამოჰყავს  
სათხევლით თევზი. ის ოსტატურად  
მთისა და მინდვრის აცხრობს ნადირთა  
335. და უხედარსა კუროს გარეულს  
და სქელფაფარ ცხენს ადგამს უღელსა.

სტრ. II

მან სრულჰყო ნიჭი სიტყვისა,  
განავითარა მახვილი,  
ვით ელვა, გულისხმა და გონება  
340. და საზოგადო ცხოვრების ზნენი.  
მან მოახერხა თავის დაფარვა  
მძაფრის ყინვის და ქარიშხალისგან.  
იგი უმწეო არას დროს არის,  
მხოლოდ არ ძალუძს სიკვდილს გაექცეს,  
345. თუმცა იპოვა მძიმე სენთა საკურნებელი.

ანტისტრ. II

ასეთის სიბრძნით შემკული,  
ხელოვანი და ოსტატი  
ხან კეთილს საქმეს, ხან ბოროტობას ემსახურება  
და არღვევს ქვეყნის კანონთა  
350. და ღმერთთა წმინდა სამართალს.  
მეფეც რომ იყოს, უღირსი არის,  
ვისაც ზნედა აქვს უსჯულოება.  
მას ვერც კერასთან დავუთმობ ადგილს  
და ვერც ვიგულებ თანამზრახველად.

## მოქმედება მეორე

### სცენა პირველი

(მინდვრის მხრით შემოდინან დარაჯა და ანტიგონე. უკანასკნელი მოდის მშვიდათ, თუმცა თავი დახრილი აქვს. დარაჯას ეტყობა, რომ მასში ორი გრძნობა იბრძვის: პატივისცემა მეფის ასულისადმი და შიში — ტყვე არ გამექცესო. მუსიკის ჰანგი მკვეთრად იცვლება და სამგლოვიარო მარშის ხასიათს ღებულობს. და პირველი მოხუცის დასაბამიერს ანაპესტებს შემდეგ სრულიად მიწყდება).

**პირველი მოხუცი**

355. ამას რას ჰხედვენ ჩემი თვალები?  
 ამ სასწაულის მნახველსა ვით-ღა  
 ძალმიძს უარვჰყო, რომ ეს ქალწული  
 ანტიგონია?.. ო, უბედურო,  
 ბედშავის მამის ბედკრულო შვილო!
360. რა დაგმართნია? ნუ თუ ვირწმუნო,  
 რო დაგატყვევეს, ვითა უგნურის  
 საქმის მომქმედი და მეფის ურჩი?

**დარაჯა**

ღიღი, ეს არის. ჩვენ შევიპყართ,  
 გვამს რომ ჰმარხავდა. სად არის კრეონ?  
 (შუა კარით გამოდის კრეონ სამეფო სამოსით ქეშიკთა თანხლებით).

**პირველი მოხუცი**

365. სასახლით მოდის აქ მონასიმედ.

**კრეონ (მოხუცს)**

რა ამბავია? რისთვის მელოდით?

**დარაჯა**

(კრეონისა და დარაჯის დიალოგის დროს ანტიგონე შორი-ახლო სდგას უძრავად თავდახ-  
 რილი და სრულის გულგრილობით ისმენს მისი ნამოქმედარის განსჯას).

მეფევ! მოკვდავთა არა ჰხამს ფიცი.  
 შემდგომი ფიქრი ამტყუენებს პირველს.

- ვფიცავდი — აქეთ არ ვიბრუნებდი
370. პირს შიშნაჭამი შენის მუქართ.  
 მაგრამ უცები იმედნარკვეთილს  
 რო მომევლინა ეს სიხარული,  
 გავსტეხე ფიცი, კვლავ აქ დავბრუნდი  
 და ეს ქალწული, გვამს რო ჰმარხავდა.  
 (კრეონ დააცქერდება დარაჯის მიერ მოყვანილ ქალს. იცნობს ანტიგონეს, შეჰკრთება და  
 რამდენჯერმე დააშტერდება მას, თითქოს არ უჯერის თავის თვალებს. იმის მოძრაობა სა-  
 შინელის ტანჯვის გამომხატველია; დარაჯის შემდგომი ლაპარაკი მას აღარ ესმის).

375. თან მოვიყვანე წილის უყრელად  
 დავლა ჩემია, სხვის არავისი.  
 ან, მეფევ, გნებავს ანამე, მოჰკალ,  
 მე კი სამართლით განვთავისუფლდი,  
 ეს ფათერაკი რომ ავიცდინე.

**კრეონ**

(მთრთოლვარე ხმით გონდაბნეული იმეორებს დარაჯის სიტყვებს).

380. შენ მოიყვანე? სად?.. ვით შეიპყარ?..

**დარაჯა**

გვამს ჰფლავდა-მეთქი... მორჩა, გათავდა.

**კრეონ** (მრისხანედ)

გესმის, რას ამბობ? მართალს მოგვითხრობ?

**დარაჯა**

თვით ვარ მნახველი, ცხედარს ჰმარხავდა.  
განა არ არის ცხადი ეს სიტყვა!..

**კრეონ**

385. უცებ ნაანყდით და შეიპყარით?

**დარაჯა**

აი, გიამბო. შენის მუქარით  
დავბრუნდი უკან შეშინებული.  
გავასუფთავეთ ქვიშისგან კარგად  
და გავაშიშვლეთ გახრწნილი გვამი.

390. გორაკის თხემზედ ზურგით ქარისკენ  
დავსხედით, რომ არ გვცემოდა სუნი  
და ლანძღვით ურთერთს ვახალისებდით,  
რომ ყველა ფხიზლად ვყოფილიყავით.

შუა ეთერში გამოჩნდა მზისა

395. ბრწყინვალე დისკო და ავარვარდა  
სიცხე. ერთბაშათ ავარდა ქარი  
და მყის გრიგალმა, ჯალათმა ცისამ,  
ალავსო ბარი, ეთერი ვრცელი  
და ხუჭუჭი ტყე გასცარცვა, ჩვენ კი

400. თვალ-დაფახულნი ვუძღვებდით რისხვას.  
დრო რო გავიდა და ქარი დაჰსცხრა,  
ვხედავთ ამ ქალწულს, მოთქმით მოტირალს,  
ვით სტირის ჩიტი, ოდეს იხილავს  
ცალიერს ბუდეს, სარეცელს ობოლს.

405. რა დაინახა შიშველი გვამი,  
მოჰყვა ქვითქვითსა და წყევლა-კრულვით  
მკრეხელობისა მოქმედთ ჰრისხავდა.

მყისვე აილო მან მშრალი ქვიშა,  
ასნია მალლა სპილენძის სურა

410. და გვამი სამგზის პატიოსანჰყო.  
ეს რო ვიხილეთ, მივცვივდით ერთად  
და შევიპყარით. სრულად არ შეჰკრთა...  
ვამხილებთ ცოდვებს ძველსა და ახალს,  
იგი კი სდგას და არას უარობს.

415. თან მიხარია, თან მებრალეზა.  
კარგია, თვით რო ჭირს დაეხნევი,  
მაგრამ მოყვასის ჭირში ჩავდება

სავალალოა. რა გაენწყობა!  
მე რო გადავრჩი — ეს არის საქმე.

**კრეონ** (ანტიგონეს)

420. შენ ეგ, რო სდგეხარ თავდალუნული,  
ბრალს აღიარებ, თუ უარსაჰყოფ?

**ანტიგონე** (მშვიდათ)

მე ვარ მოქმედი, არცა ვჰყოფ უარს.

**კრეონ** (დარაჯას)

შენ წადი შენთვის, სადაც გინდოდეს,  
რაკი გადარჩი მძიმე ბრალდებას.  
(დარაჯა გადის. კრეონ მიმართავს ანტიგონეს, მკაცრად).

425. შენ კი მითხარი მიუქარველად,  
იცოდი ჩემი აღკრძალულება?

**ანტიგონე**

დიაღ, ვიცოდი. ყველამ იცოდა.

**კრეონ**

როგორ გაჰბედე კანონთ დარღვევა?

**ანტიგონე**

კანონთ დარღვევა? ვინ დამიდგინა —  
430. ზევსმა თუ დიკემ, ქვესკნელის ღმერთთა  
თანამოსაყდრემ, რომელთ ხალხისთვის  
დაუდგენიათ სჯული? ბრძანება  
შენი! შენ ძალგის განა გაჰქელო  
სამარადისო სჯული ღმერთების?

435. არ გაჩენილა ის დღეს ან გუშინ,  
ის მარადია და არვინ უწყის,  
როდის დაწესდა. და ღმერთთა რისხვას  
მოკვდავის შიშით ვერ შევიმთხვევდი.  
ვიცი, მოკვდები, თუ გინდ არ იყოს

440. ბრძანება შენი. და თუ სიკვდილი  
ადრე წამიღებს, მით უკეთესი.  
ვინც ჩემებრ მარად ტანჯულ-გვემულა,  
მისთვის სიკვდილი ნეტარებაა!..

და თუ ასეთი მომელის ხვედრი,  
445. შვება იქნება! მაგრამ ღვიძლი ძმა  
დაუმარხავი მე რო დამეგდო,  
ღმერთთ შევჰსცოდავდი... სხვას კი არ ვნალვლობ...  
და თუ შენ ჰფიქრობ, რო მე გიყვი ვარ,  
სჩანს თითქმის გიყვი მე მგონებს გიყვად.



### პირველი მოხუცი

(ნაღვლიანად, ანტიგონეს)

450. სასტიკის მამის ჰსდის შენში სისხლი:  
არც შენ გცოდნია ჭირში დათმობა.

### კრეონ

(სცდილობს, არ გამოიჩინოს მღელვარება, მოხუცთ)

- იცოდე, ფრიად უდრეკი ხშირად  
ჰვარდება ჭირში. მაგარი რკინა  
ალში ბრძმედილი, გამყარებული,  
455. სტყდება, იმსხვრევა ნაკუნ-ნაკუნად.  
უფიცხესს ტაიჭს პატარა ლაგმით  
იმორჩილებენ. ვინც ჰმონებს სხვასა,  
განა შეჰფერის მას ქედმაღლობა?  
ამან შეგნებით და თავხედურად  
460. დაჰგმო კანონი დანესებული  
და აქ მეორედ ჰკადნიერდება —  
პირში დამცინის და თავი მოაქვს.  
დიაცი მერქვას, ამას მამაცი,  
თუ შევარჩინო თავგასულობა.  
465. თუმც ქალი იყოს ჩემის ღვიძლის დის,  
ჩვენის ოჯახის სისხლი და ხორცი,  
უმკაცრესს სასჯელს ვერც ეს ასცდება  
და ვერც ამის და: მასაც ბრალი აქვს,  
ვით თანამზრახველს გვამის დაფლვაში.  
(დარაჯებს)  
470. აქ დაუძახეთ — ეს არის ვნახე  
შენუხებული, ფრიად მღელვარე.  
ასეა, სული ამხელს ძვირისმქნელს,  
ვიდრე თვით საქმე გამყლავნებოდეს.  
(ელმად უცქერის ანტიგონეს)  
მაგრამ მძავს, როდესაც მხილებული  
475. ბრალეულობას ჰრთავსა და ჰკაზმავს,

### ანტიგონე

სიკვდილად დამსჯი, მეტი რა გინდა?

### კრეონ

ალარაფერი, გულს შევიჯერებ.

### ანტიგონე.

- რად-ლა იყოვნი? ვით მე არ მომწონს  
შენი ნათქვამი — ნუმც მომეწონოს —  
ავრეთვე ჩემიც არ მოგწონს საქმე.  
480. მაგრამ განა რა შემძენდა ისეთს

ბრწყინვალე სახელს, თუ არ ღვიძლის ძმის  
დასაფლავება! (მოხუცთ).  
თქვენც თანამიგრძნობთ,  
მაგრამ შიშისგან დაგბმიათ ენა!

**კრეონ**

485. კადმოსიანნი ეგრე არ ბჭობენ.

**ანტიგონე**

ყველა ჰგრძნობს, მაგრამ ვერ ჰბედავს თქმასა.

**კრეონ**

გრცხვენოდეს, არვინ გყავს თანამგრძნობი.

**ანტიგონე**

ცუდია მოყვასთ პატივისცემა?

**კრეონ**

მაგრამ მოკლულიც ხო მოყვასია?

**ანტიგონე**

490. ერთის დედ-მამის შვილი, სისხლხორცი.

**კრეონ.**

მაშ, რად მოექეც მას უპატიოდ?

**ანტიგონე**

მაგას მიცვლილი არ დაგიმონმებს.

**კრეონ**

თუ იმ ურჯულოს ატოლებ, მაშინ?

**ანტიგონე**

მონა ხომ არა, ძმა დამელუპა.

**კრეონ**

495. ეგ ძმა გვიკლებდა, ის კი გვიცავდა.

**ანტიგონე**

ჰადესის წესი ერთნაირია.

**კრეონ**

სათნოს და ბოროტს ერთგვარი ხვედრი?

**ანტიგონე**

ვინ უწყის, ქვეშეთს რა არის სათნო.

**კრეონ**

მტერი მტრად რჩება სიკვდილის შემდგომც.

**ანტიგონე**

500. მე გავჩენილვარ სიყვარულისთვის.

**კრეონ**

(მინისაკენ იშვერს ხელს)

მაშ, წადი მკვდრებთან და დე, გიყვარდეს,  
აქ კი დედაკაცს არ ვაბატონებ.

**სცენა მეორე**

(სასახლისგან მარჯვენა გვერდის კარით გამოდის მტირალი ისმენე. მის გამოსვლას თან ახლავს წყნარი სამარშო მუსიკა, რომელზედაც პირველი მოხუცი ჰვალობს სასალამო ანაპესტებს).

**პირველი მოხუცი**

აგერ სასახლით მოდის ისმენე,  
საყვარელ ძმისთვის ცრემლ-დათხეული.

505. შუბლი შეუკრავს ნაღველს და სახეს  
ჰჩრდილავს ალგებულს  
და ტურფა ღანვნი დაუნვავს ცრემლსა.

**კრეონ**

(ისმენეს, მრისხანედ)

შენ ქურდულად რო ვითა ექიდნა  
შემომეპარე და მწოვდი სისხლსა,

510. და მეც, ბრმა, ჩემს ტახტს თვითვე ვუზრდიდი  
ორს მტერს, ორს საფრთხეს, — გვამის დაფლვაში  
შენც გიდევს წილი, თუ უბრალო ხარ?

**ისმენე**

თუ ამას უდევს, მეც ვარ მოქმედი,  
თანაზიარი და ბრალი მეც მაქვს.

**ანტიგონე**

515. ეს იქნებოდა უსამართლობა —  
არც შენ გინდოდა, მეც მოგიშორე.

**ისმენე**

მაგრამ არ მრცხვენის გავიზიარო  
ტანჯვა-წვალება შენ რო მოგელის.

**ანტიგონე**

520. ვინც მოიქმედა, უწყის ჰადესმა,  
ქვესკნელის ღმერთმა, მე კი მძაგს ყველა,  
მარტო სიტყვით რო მიმონმებს გრძნობას.

**ისმენე**

ნუ მთვლი უღირსად, რო მოვკდე შენთან  
და სრულვჰყო ვალი წინაშე ძმისა.

**ანტიგონე**

ნუ, ნუ მოკვდები და ნუ იჩემებ,  
525. რისთვის ხელიც კი შენ არ გიხლია.

**ისმენე**

უშენოდ რალა მაამებს ბედკრულს!..

**ანტიგონე**

ჰკითხე კრეონსა... ხო მისთვის ჰზრუნავ!..

**ისმენე**

აგრე უწყალოდ რად მიკლავ გულსა?

**ანტიგონე**

მეც ვიტანჯები, თუმცა დაგცინი.

**ისმენე**

530. მაშ, ეხლა მაინც რით დაგეხმარო?

**ანტიგონე**

იხენი თავი, თუმც არ მშურს ეგ ხსნა.

**ისმენე**

ნუ თუ შენს ბედს არ გავიზიარებ?

**ანტიგონე**

შენ ამჯობინე სიკვდილს სიცოცხლე.

**ისმენე**

მაგრამ მე ჩემი ხო გამცნე აზრი.

**ანტიგონე**

535. ზოგს შენი მოსწონს, ზოგსაც კი — ჩემი.

**ისმენე**

ბრალი ერთი გვაქვს, დაო, ორივეს.

**ანტიგონე**

არა, იცოცხლე, მე კი მკვდარი ვარ,  
საიმქვეყნიოდ ვარგივარ მხოლოდ.

**კრეონ**

(განცვიფრებით ისმენდა დების ლაპარაკს)  
ერთი ეს არის გაგიჟებული,  
540. ხოლო მეორე შობით გიჟია.

**ისმენე**

მართლაც, მეფეო, მუდმივი ტანჯვა  
უკარგავს ბედშავთ ჭკუა-გონებას.

**კრეონ**

და შენც არჩიე ბოროტების გზა.

**ისმენე**

რად მინდა თავი ცოცხალი, თუ ეს...

**კრეონ**

545. მას ნუ ახსენებ, ის აღარ არის.

**ისმენე**

ნუ თუ სიკვდილად დასჯი შენს სასძლოს?

**კრეონ**

სათესი იყოს, ყანა ბევრია.

**ისმენე**

მისი საფერი სხვა არ იქნება.

**კრეონ**

ცუდის ზნის ცოლი არ მსურს ვაჟისთვის.

**ანტიგონე**

(ერთბაშად გრძნობა-ალტყინებული)  
550. ძვირფასო ჰემონ, ვით გარცხვენს მამა!

**კრეონ**

(ანტიგონეს)  
შენც თავს მაბეზრებ, შენი ქორნილიც!

**ისმენე**

ნუ თუ ჩაუშლი ვაჟს ქორნიებას?

**კრეონ** (მკვახედ)

ამ ქორნიებას ჩაშლის ჰადესი!  
(ისმენე სახეზედ ხელებ-აფარებული ჩუმად სტირის. ანტიგონე კრეონის შეურაცმყოფელს  
პასუხს შემდეგ უკვე თავს მოეგო და სდგას მდუმარე ამაყად. პაუზა).

**პირველი მოხუცი** (გაუბედავად)

განაჩენია, ვჰგონებ, სიკვდილი.

**კრეონ** (გესლიანად)

555. მეც ეგრე ვჰგონებ. ეი მსახურნო!  
 მყის წაიყვანეთ და მიერიტგან  
 გეჭიროსთ თვალი, რათგან გულადნიც  
 გარბიან, ოდეს ჰადესის სუსხი  
 იმათ სიცოცხლეს შემოუბერავს.

(დარაჯები შემოერთყემიან ანტიგონესა და ისმენს და მიჰყავთ ისინი სასახლეში მარცხენა გვერდის კართით. ისინი რო თვალს მიეფარებიან, კრეონი პირქუშად დაესვენება ქვის საჯდომზედ).

**მეორე სტასიმონი****ხორო**

სტრ. I

560. ბედნიერია, ვისაც სიმწარე არ განუცდია,  
 გარნა თუ სახლი შეურყევეია ღმერთების რისხვას,  
 მის შთამოებას საშვილიშვილოდ ჰსდევს განსაცდელი.  
 მსგავსად ვით ქარი მძვინვარე  
 ჰბერავს თრაკიის ზღვით კერძო
565. და გარესკნელი ზღვის სიღრმეს ბნელი გარემოიცავს,  
 ზვირთნი უფსკრულით შავ ქვიშას  
 წყლის ზედა-პირზედ ისვრიან  
 და ჰზანზარებენ ნაპირნი ტალღათა უკუმქცევნი.

ანტისტრ. I

- და ეგრე, ვხედავ, ლაბდაკიდთ სახლის ტანჯვანი ძველნი
570. უკვე დაღუპულთა ზედ ერთვიან უბედურობას  
 და ცოდვათგან ერთმა თაობამაც ვერ იხსნა გვარი —  
 ღმერთი არ ჰშველის და ამხობს.  
 ან ოდდიპოსის ის იყო  
 გარდმოველინა უკანასკნელს შტოს სხივი ნათლისა
575. და კვლავ მახვილი ქვესკნელის ღმერთთა  
 ჰკვეთს სისხლიანი, უბნელებს  
 ჭკუა-გონებას და უშრეტს აზრსა.

სტრ. II

- კაცთ თავხედობა, ზევსო, ვით  
 შეარყევს შენს ძლიერებას!
580. მას ვერც ძალი ჰსძლევს ყოვლის განმრღვევი და ვერც  
 უწყვეტი სრბოლა თვეების, —  
 მეუფევე, მარად ჭაბუკო, გიპყრავს  
 დაუსაბამოს შუქმოიეფე ოლიმპი ტურფა.  
 ერთი კანონი ყოფილა,



585. არის და მუდამ იქნება  
საყოველთაო, უცვლელი:  
მოკვდავთ სიცოცხლეს თან ჰსდევს ნიადაგ უბედურობა.
- ანტისტრ. II  
ზოგსა მაცთური იმედი  
სიხარულს მისცემს, სიამეს,
590. ზოგს კი ფუქსავატს უცუდეებს ნდომა-სურვილებს.  
იჭვ-უქონელს ეპარება  
და ვიდრე მოვა გონს ტერფსა უთუთქავს ცეცხლით.  
ჩინებულია ძველთაგან ნათქვამი ბრძნული:  
ღმერთი რო მოკვდავს გონებას
595. უბნელებს, მაშინ ბოროტი  
კეთილად მოეჩვენება  
და ხანმოკლეა მაშინ კაცის ბედნიერობა.

თარგმანი ბერძნულით პ. ქავთარაძისა  
რემარკები პროფ. თ. თ. ზელინსკისა

(დასასრული იძნება)

## წერილები ლიტერატურაზე და ხელოვნებაზე

### თეატრალური პარადოქსები

ქანდაკება ცივ მარმალლოზე მუშაობს ან ბრინჯაოზე, მხატვრობის მასალა საღებავი და ტილოა. თეატრი ყველაზე უფრო ადამიანური ხელოვნებაა: მის უშუალო მასალას ცოცხალი ადამიანი წარმოადგენს; არა მარტო ის ადამიანი, რომელიც სცენაზე მოძრაობს, არამედ ისიც, რომელიც ამფითეატრში ზის, როგორც მაყურებელი. ამიტომ არის თეატრი ასე მგრძობიარე სოციალური და მორალური ატმოსფერის ცვლილებისადმი. დროების მსვლელობამ ვერაფერი დააკლო ძველი ხელოვნების მომხიბლავ ძალას. ჩვენ დღესაც განცვიფრებული ვდგევართ ეგვიპტის სფინქსის, ათინის პართენონის ან ჯიოტოს ფრესკის წინაშე. მაგრამ შეგვიძლია თუ არა ჩვენ კლასიკური ბერძნული თეატრი, საშუალო საუკუნეების მისტერია ან იტალიური *comedia del arte* ვიგემოთ, თუნდაც მათი აღდგენა შესაძლებელი იყოს? არა: თუმცა ტრაგედიების ტექსტი გადარჩა, გადარჩა ბუფონადების და მისტერიების ქარგაც, მაგრამ მათი შემსრულებელი და მაყურებელი ადამიანები აღარ არიან. ისინი უსხეულო აჩრდილებად იქცნენ და ჩვენ არ ვიცით, როგორი იყო მათი სულიერი მოძრაობა და მიხვრა-მოხვრა.

ჩვენ გაკვირვებულნი დავსცქერით ბერძნულ ტრაგიკულ ნიღაბს, იტალიელი ჯამბაზის გრიმასას, რომელიც მხატვრობამ დაგვიტოვა, და ვფიქრობთ, რომ არ შეგვიძლიან ასეთი ნიღაბი ავიფაროთ ან ასეთი გრიმასა გავაკეთოთ, თვით მაშინაც კი, როცა ოიდიპოსს მეფეს ვთამაშობთ ან ძველ იტალიურ ხალხურ კომედიას.

\* \*

საუკეთესო თეატრალური ავტორი ის არის, რომელიც შემოქმედების დროს მშვენიერი ადამიანის სხეულზე ფიქრობს და თავის აზროვნების ხვეულებს კეთილ-შობილ ვაჟკაცისა თუ ქალწულის მიხვრა-მოხვრას უფარდებს. ამბობენ, რომ სალამისის გამარჯვების შემდეგ სოფოკლემ ტანთ გაიხადა და იცეკვა აღფთოვანებული თანამოქალაქეების წინაშე. ეს სანახაობა ალბათ ისევე მშვენიერი იყო როგორც „ელექტრას“ ან „ანტიგონეს“ წარმოდგენა. განა ანტიური თეატრი წარმოიშობოდა, თუ ის მშვენიერი ვაჟკაცები და ქალწულები არ ყოფილიყვნენ, რომელნიც ფიდიასმა გამოაქანდაკა პართენონის ფრონტონზე? და განა საშუალო საუკუნეების მისტიური ან კომიკური თეატრი გაჩნდებოდა, თუ პილპილ-ნარევი ხუმრობის მოყვარული ბრბო არ ყოფილიყო, რომელიც ამ თეატრის აუდიტორიას შეადგენდა? ან განა შეიძლება კორნელისა და რასინის თეატრი წარმოვიდგინოთ იმ ბრწყინვალე არისტოკრატიული საზოგადოების გარეშე, რომელიც „მეფე-მხეს“, ლუი მე-XIV ეხვია?

თანამედროვე თეატრის კრიზისი სხვათა შორის იმით აიხსნება, რომ ჩვენ მოკლებული ვართ ჯანსაღ სხეულის და ფერადების გრძნობას, და ერთნაირად მახინჯნი ვართ შავ სერთუკშიც და ტანთ გახდილნიც. ამიტომ სანამ თეატრის განახლებას შეუდგებოდეთ, შეიძლება სპარტანელების მსგავსათ, ესთეტიური ტერორის შემოღება იყოს საჭირო. როცა ქუჩაში და ამფითეატრში ნაკლებ იქნებიან დიდთავიანი და ფეხ-მონგრეული ქონდრისკაცები, აქტიორი ესტრადაზე მიხვრა-მოხვრის და მოძრაობის კეთილშობილებას შეიძენს.

\* \*

ჩვენ შეგვიძლია სამხატვრო გალერეაში დონატელოს ბრინჯაო ან ტიცინანის ტილო ვიგემოთ, თუნდ ჩვენს გვერდით უმნიშვნელო და გულგრილი ადამიანები იდგნენ, მაგრამ თეატრალური მოქმედება არ გაგვიტაცებს, თუ აუდიტორიის სიახლოვეს და სითბოს არა ვგრძნობთ. ეგოცენტრიული თეატრი, „თეატრი თავის თავისთვის“ უდიდესი უაზრობაა. საჭიროა ნაზი სულიერი ქსელის შექმნა, რომელიც კონტაქტს დაამყარებს მაყურებლისა და ამღსრულებლის შორის, უამისოდ თეატრი არ არსებობს როგორც კოლექტივი. ეს კოლექტივი კი თეატრის ხელოვნებისთვის უფრო საჭიროა, ვიდრე შენობა, დეკორაცია ან რეკვიზიტი.

არის ეპოქები, როცა თეატრალური წარმოდგენა მოედანზე ან ქუჩაში გადის და იშლება საზღვარი თეატრისა და ყოველდღიური ცხოვრების შორის. მეტვრამეტე საუკუნეში მთელი ვენეცია ერთ დიდ კარნავალად გადაიქცა. უბრალო მოქალაქეები, პატრიციები, თვით დოჟები და დოგარესები ნილაბ-აფარებულნი დადიოდნენ. ვენეციელები ნილაბ-აფარებულები იცავდნენ პროცესიებს, მიდიოდნენ ბაზარში თევზისა თუ მწვანის საყიდლათ, შედიოდნენ ბაღში ან ქალაქის სათამაშო სახლებში. ეს იმით აიხსნებოდა, რომ ვენეციის დიდი წარსული უკვე დაშორებული იყო და მახსოვრობის ნისლი ჰფარავდა დრამატიზმით გამსჭვალულ ისტორიულ მოვლენებს. უშინაარსო ანმყოს დასაფარავად კი ბრწყინვალე დეკორაცია იყო საჭირო.

ჩვენი დრო მეტად გრანდიოზულია, ჩვენი სული მეტად გათიშული, ჩვენი ჭრილობები მეტად გატივლებული. ჩვენ არ შეგვიძლიან ჩვენი თაობის სისხლი და ცრემლები მხატვრულ ფორმებში გამოვსთქვათ. მაგრამ მოვა ბედნიერი თაობა და ჩვენს გრემასებს, ჩვენს ტრაგიკულ მასკებს ბედისწერის იდეას დაუკავშირებს და ადამიანს, რომელიც სარდაფში იტანჯება, ნათელ ესტრადაზე გამოიყვანს.

\* \*

ერთნაირი გონებრივი ამაღლებაა საჭირო იმის გასაგებათ, რომ ეს ცხოვრება უბრალო კომედიაა. კარგათ შევასრულე თუ არა ჩემი როლი ცხოვრების კომედიაშიო, იკითხა იმპერატორმა ავგუსტმა სიკვდილის წინ. მხოლოდ ღრმა ფილოსოფიურ ინტუიციით აღ-

ჭურვილ ადამიანს შეუძლიან იმის გაგება, რომ ის სახლში, ქუჩაში, მოედანზე, მთებისა თუ უდაბნოების დეკორაციის ფონზე კომედიას ასრულებს რომელიღაც უცნობი მაყურებლის წინაშე. და ეს გრძნობა ერთნაირ კმაყოფილებას იწვევს, ერთნაირ შერიგებას სიკვდილთან. ამით აიხსნება, რომ მხატვრული გემოვნების მქონე ეპოქები თეატრალურ წარმოდგენას ქმნიდნენ სიკვდილის სასჯელისაგან. რა იქნებოდა, რომ საფრანგეთის რევოლუციას დანტონი ბნელი, ცალიერი ქუჩით გაეგზავნა ეშაფოტზე? ის თოკს ჯალათს ვერ დაუბრუნებდა, რობესპიერისთვის გამოგადგებაო, ვერ იტყოდა, ჩემი თავი ხალხს აჩვენეთ, ის ამის ღირსია, ხოლო გვამი რობესპიერსო.

დანტონმა კარგათ შეასრულა კომედიის უკანასკნელი აქტი.

მე მგონია, რომ ყოველი გემოვნების მქონე ადამიანი არჩევს, რომ თუ მას ძალმომრეობით სიკვდილი ელის, მისი სასჯელიდან თეატრალური სანახაობა გააკეთონ, როგორც მეთორმეტე საუკუნეში კონსტანტინეპოლის ბრბომ ანდრონიკ კომნენის სასჯელიდან გააკეთა.

*გერონტი ქიქოძე*

## ქართველ მხატვართა გამოფენა

წარსული წლის დეკემბერში ქართველ მხატვართა საზოგადოებამ მოაწყო სურათების და ქანდაკებათა გამოფენა.

1918 წლიდან ქართველ საზოგადოებას აღარაფერი სმენია ჩვენი მხატვრობის შესახებ, და ეს დიდიხნის პაუზა შეწყვეტილ იქმნა მეტად მნიშვნელოვანი სანახაობით. თუ წინა გამოფენებზე რამდენიმე მხატვარი იღებდა მონაწილეობას, ეხლა ორმოცდა სამი ავტორი იყო წარმოდგენილი, რაც უსათუოდ დიდი მნიშვნელობის მოვლენად უნდა ჩაითვალოს. მართალია, ბევრი მათგანი ჯერ სუსტნი არიან, მაგრამ უფრო ყურად-საღები ის არის, რომ მხატვრული კულტურა ფეხს იკიდებს, რითაც ასე ღარიბნი ვიყავით დღევანდლამდე. მართალია, ოდესღაც ჩვენცა გვექონდა პლასტიურ ხელოვნების დიდი ტრადიციები, მაგრამ ეს ოდესღაც იყო, და მეცხრამეტე-მეოცე საუკუნეში სამხატვრო ცხოვრების ხელ-ახალი დაწყება გახდა საჭირო. ყოველ-მხრივად უკან დაწეულმა ჩვენმა ეროვნულმა ცხოვრებამ უკან დასწია მხატვრობაც, და ქართველი საზოგადოება დარჩა ესთეტიურ ხილულობის გარეშე. და დღეს, შეიძლება ითქვას, რომ მხატვრობისა და ქანდაკების ნამდვილი მცოდნე და კარგი დამფასებელი თითქმის არა გვყავს. „გემოვნება“ ჩვენში ჯერ განუვითარებელ მდგომარეობაში იმყოფება, რადგან მას ანვითარებს ხელოვნების საუკეთესო ნიმუშებთან მუდმივი ურთიერთობა. ამ მიზეზების გამო, სრულიად დაუმსახურებლად ჰხდება ხოლმე ამა თუ იმ ავტორის ან „მიღება“ ან „უარყოფა“. სწორი მსჯელობის ადგილს, საკმაო საფუძვლიანობის უქონლობის გამო, ხშირად იჭერს ან პერსონალური სიმპატიები, ან და მოდით ფორმალურად გატაცება. და ორმოცდა სამი ავტორი მხატვრული ცხოვრების სფეროში საუკეთესო საწინდარია, რომ კულტურის ეს ფალანგაც გააღონიერდება, და „გემოვნებაც“ განვითარდება.

\* \*

ამ „გემოვნების“ განუვითარებლობა სჩანს ჩვენი ინტელიგენციის საშინაო ცხოვრებაშიც. მართალია, რევოლიუციის შემდეგ ფინანსიურმა კრიზისმა შეუძლებელი გახადა ესთეტიური „მონყობილობა“, მაგრამ რევოლიუციამდეც ხომ ასე იყო. შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ ქართული ოჯახი, ოდესღაც დიდი გემოვნებით მოწყობილი, ლამაზი

ხალიჩებით, ძვლით მოჭედულ ავეჯეულობით ხელ-ნმინდად განათალი ბროლის ჭურჭელით, ოქრო-ქსოვილი ფარჩებით, ლარსაგებელით, ორხოებით, უცხო-ნაქნარობის ვაზე-ბით, ხელ-დოქებით, მინიატურებით, მინანქრებით, ნახაზებით, ნახატებით, ნაჭედებით და სხ. — ეს ძველი ქართული ოჯახი გაჰქრა, ეს ესთეტიური მონყობილობა მუზეუმს გადაეცა, და თანამედროვე ოჯახი, ვითომ-და გაევროპიელების გზაზე დამდგარი, შეიძლება ძვირ-ფასადაც იყვეს მონყობილი, მაგრამ უგემურად კი. დაიკარგა ძველი გემოვნება და ახალი კი ჯერ ვერ დადგინდა. შედიხართ სახლში, ჰხედავთ, რომ დოვლათი ჰქონიათ, მაგრამ ესთეტიური განვითარება სულ არა. ხელოვნების არც ერთი ნიმუში იქ არ არის, უხარჯავთ ფული, „მეშჩანურად“ მონყობილან და კმაყოფილნიც არიან. მიტომ იყო, რომ „მეცენატობა“ ჩვენი არა ყოფილა, და მეცენატად ითვლებოდა ადამიანი, რომელმაც ოცდა-ხუთი მანეთი მისცა და იყიდა სურათი. სულ ერთია, როგორი, რომ იყიდა — ეს იყო ყურადღების მისაქცევი.

ეს მიძიმე სინამდვილეა, უნდა ითქვას კიდევ გულ-ახდილად, და ქართველი მხატვრები, ჩაყენებულნი ასეთ პირობებში, რასაკვირველია, ნაყოფიერებას ვერ გამოიჩენდნენ, და დღეს რომ ორმოცდა სამი ავტორი გამოსულა ქართველი ერის დასანახად, პირდაპირ საოცრებაა. მოთხოვნილება არ არის. ეს მეოცნებენი კი გატაცებით ჩაკეტილან თავიანთ სოროებში, და ჯიუტი ამტანობით აკეთებენ თავიანთ საქმეს. თუ მთა არ მივა მაჰმადთან, მაჰმადი მთასთან უნდა მივიდეს. და ქართველი მხატვრები, ყურადღების ცენტრს აცდენილნი, მაინც შეეჭრნენ ჩვენი სინამდვილის გულგრილობას, და მოითხოვეს ანგარიშის განევა.

ჩვენი პრესა დუმილით შეხვდა. მართალია, იყო რეცენზიები, მაგრამ ეს შეფასება კი არ იყო, არამედ — ვაშას თქმა, გვიხარია — გაგიმარჯოთო. და ამას ამბობდნენ მუშაკორესპონდენტები, რომელთაც მეტის თქმაც არ შეეძლოთ. ხოლო სულ არაფერი დაუნერხიათ იმ ნაფიც შემფასებლებს, რომელნიც ზემოთ ხვდებიან ხოლმე გასტროლოიორებს მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენი ქუდი არა ჰხურავთ.

დამახასიათებელი მოვლენაა: ერთმა ახალგაზრდა მხატვარმა, რომელმაც ნახა მაკოვსკის სურათების გამოფენა, მოკრძალებით მითხრა: არ მომეწონა მაკოვსკის ფერები, ბევრში ჩვენი გაბაშვილი სჯობიაო. მაგრამ ეს ისე კონსპირატიულად მითხრა, თითქოს ეშინოდა, არავინ გაიგოსო. რატომ? — დიდა ჩვენში უცხოელთა ავტორიტეტი, და ჩვენი თანამედროვენი არც თუ ისე არიან დამნაშავენი ამ მემკვიდრეობით მიღებულ „სულის სიგლახაკეში“. შიშით და სარწმუნოებით აივსო ქართველი კაცის არსება უცხოელთადმი, და დიდი შემოქმედებითი მუშაობა არის საჭირო ამ ფესვგამდგარ სენის გამოსანელებლად. ჩვენი მხატვრების გამოფენის მაგიერ სხვა ქვეყნიდან ჩამოსულებს რომ მოენყოთ ეს exposition-ი, ალბად რეზონანსიც სულ სხვანაირი ექნებოდა.

დრო კი არის, რომ გამოვფხიზლდეთ ამ შეზარხოშებისაგან, რადგან არც ისე დაბალია ჩვენი კულტურის მთა-გრეხილი. ერთ გონება-მახვილ ფრანგს უთქვამს რუსისთვის: „საოცარი ხალხი ხართ რუსები. ისტორიულ მოდგმის შთამომავლები, თქვენც ნებით თამაშობით უგვარო ნაბიჭვრების როლსაო“. ეს მოსწრებული ნათქვამი ჩვენთვისაც ყურადსაღებია.

\*\*

ქართველ მხატვართა გამოფენაზე ვინც იყო, უპირველეს ყოვლისა შეამჩნევდა, რომ თითქმის არც ერთი დიდი „ტილო“ არ გამოუტანიათ ჩვენ არტისტებს. ამ მხრივ გამოფენა ვერ ახდენდა ახოვან შთაბეჭდილებას. დიდ „ტილოს“ აქვს თავისი საიდუმლოება და მხოლოდ ხელმოქნილი ოსტატები თუ დაიმორჩილებენ ამ ფართო „ბრძოლის ველს“. ამ გამოფენაზე კი მეტ-ნაირად ახალგაზრდა მხატვრები იყვნენ, რომელთაც „დიდ რამეებს“ ვერ მოვთხოვთ. მაგრამ იმ პატარა ესკიზებში საკმაოდ მდიდარი შესაძლოებაა მოცემუ-

ლი, და ამას შეამჩნევდა ყველა, ვისაც აქვს გაგების უნარი, და ვინც ნრფელი გულით იყო იქ მისული.

არც ის დარჩებოდა მნახველს შეუმჩნეველი, რომ „მემარცხენეობა“ მეტად მცირე მასშტაბით იყო წარმოდგენილი, და ამ „ბავშურ სენის“ აცილებაც კარგ სიმპტომად უნდა ჩაითვალოს. იმიტომ კი არა, რომ ხელოვნებას რაიმე პროგრამას უწერდე, ან რომ შორეული გაქანება და უცნაურობა გაუგებარი იყვეს, არა. ხელოვნებასაც აქვს თავისი ლოლიკა, და ამ ლოლიკის ერთი ძირითადი კანონთაგანია: სთქვა ის, რასაც განიცდი და ამ თქმაში იყვე ბოლომდე გულწრფელი. იქ, ევროპაში ყველაფერი თავის გზით მიდის, და საქართველო კი ევროპა არ არის არც გეოგრაფიულად, არც ფსიქოლოგიურად, რომ იგივე გზები ვექლოთ ზეპირად და განუცდელად.

იშვიათად ხელთ-ჩაგდებად ჟურნალების რეპროდუქციების მიხედვით „ახალი სკოლის“ შექმნა მხოლოდ ზერელობის მაჩვენებელია. და ჩვენი მხატვრების დიდი უმრავლესობა რომ ამ გზიდან შორს გამდგარა, ჩვენის აზრით, მათი სერიოზულობის მაჩვენებელია. სჩანს, შემოქმედება უფრო ჰყვარებიან, ვიდრე იაფი აპლოდისმენტები. თანაც: ყოველგვარი „იზმი“ ბუნების ღრმა შესწავლიდან უნდა გამომდინარეობდეს. ჯერ ბუნების დანახვა და გადმოცემა უნდა შევსძლოთ, ე. ი. უნდა დავძლიოთ, და მხოლოდ ამის შემდეგ იწყება „ახალი მხედველობის“ უფლება. პიკასო იმით არის დიდი, რომ მისი შემოქმედება თამამია და მძლე, როგორც იქ, სადაც „ჩვეულებრივად“ ჰხატავს, ისე იქაც, სადაც „ჩვეულებრივს“ საზღვრებს ჰლახავს და ჰქმნის ახალ ქვეყანას, როგორც თავის „ნებას და წარმოდგენას“. პიკასოობამდე გზა გრძელი არის და ძნელიც. ეს გზა ბუნების გულში არის გაჭრილი, და ვინც ამ „ბუნებას“ უგულვებელ ჰყოფს, ის ვერ გაიმარჯვებს.

მესამე მომენტი კი, რომელიც ყველას თვალში ეცემოდა, ეს იყო ქანდაკებათა ხეივანი, რაც ჩვენი გამოფენებისათვის პირველი შემთხვევაა. აქამდე ჩვენ ვიცოდით, რომ გვყავდა ერთი მოქანდაკე, ისიც რალაც „განგებით“, და თითქოს გვეჩვენებოდა, რომ ისიც ახირებული ყოფილა, თორემ რა უნდაო, ესლა კი ექვსი მოქანდაკე მისულან თავიანთი „მძიმე არტილერიით“ — ქვებით. ეს რაც თვალში ეცემოდა ყოველ მნახველს. მაგრამ ბევრი რამ იყო, რასაც გაუნწრთენელი თვალი ვერ შეამჩნევდა, და ყველა ამას ხომ უნდა აღნიშვნა? ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, კულტურის ქრონიკისათვის მაინც არის საჭირო. მაგრამ ერთ რამეს მაინც თავს ვერ დავანებებთ: მხატვრის განცდებს. ეს ყველაზე ძვირფასია. მას უნდა საზოგადოების აზრი. ელის შეფასებას. შეიძლება, სულაც არ ნავიდეს იმ გზით, რასაც ურჩევენ, მაგრამ მხატვრის „თვითგამორკვევისთვის“ ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. მანკიერობს ის არტისტი, რომელიც მედიდურად გაიძახის, რომ „ჩემთვის სულ ერთი არისო“. არ არის სულ ერთი, და ამ მოტივით გამოწვეული გადავდივარ უფრო დეტალურ განხილვაზე.

\* \*

ამ გამოფენას ერთგვარი ნაკლი ჰქონდა — ის, რომ არ იყვნენ წარმოდგენილი ისეთი დამსახურებული მხატვრები, როგორც გიგო გაბაშვილი (ერთი სურათი იყო მხოლოდ), რომლის „საიდუმლო სერობის“ და „ღვთის-მშობლის“ შესახებ, ჩვენი დიდი ესთეტიკოსი არჩ. ჯორჯაძე თავის დროზე სწერდა: „ჩვენ გვგონია... ამ გზასვე დაადგება საზოგადოდ, ქართული მხატვრობა და ხელოვნებაო“. სრულიად არ იყო ალ. მრეველიშვილი, რომელმაც ბევრი მნიშვნელოვანი ნაწარმოები შესძინა ჩვენს მხატვრობას. სამაგიეროდ მესამე „უხუცესი“, დ. გურამიშვილი, დიდი ხნის სიჩუმის შემდეგ გამოვიდა თავისი „ავტო-პორტრეტით“, და უნდა ითქვას, რომ ღირსეულადაც დაარღვია დიდი ხნის უსიტყვობა. ტენიკურად სურათი მშვენივრად არის შესრულებული. შეიძლება „მიმართულება“ არ მოგწონდეთ, მაგრამ ოსტატობა რომ გვიჩვენა, ეს უდავოა. პატივცემულ ავტორისაგან ქართული მხატვრობა კიდევ ელის მსგავს ნიმუშებს.



მოსე თოიძე. მუდამ უხვი და დაუღალავი, მუდამ მაძიებელი და დაუდგრომელი, აქ წარმოდგენილი იყო ათამდე ესკიზით და ერთი დიდი სურათით: „სამოვრის მელოდია“, რომლის წინ სულ კამათი იყო, და რომელსაც გამოფენის ცენტრად სთვლიდნენ. „სამოვრის მელოდია“, როგორც მთლიანი ნაწარმოები, ჩემი აზრით, არც ისე ძლიერია, როგორც პირველ შეხედვით გეჩვენებათ. აქ არ არის კომპოზიციის ავსილობა და ნახაზობის სიმტკიცე, რაც სურათის ღირსების მთავარი ატრიბუტებია. ფონიც ვერ არის გამმაში დაჭერილი, და სიმეტრიული მოზომილობაც იაფ შთაბეჭდილებას იწვევს. მაგრამ სამაგიეროთ არის ამ სურათში ისეთი ადგილები, „ნაჭრები“, რაც ჩვენს მხატვრობაში შედეგადად უნდა ჩაითვალოს. ის ე. წ. „Nature morte“-ი, ისეთი ფერების სიკამკამით, და ისეთი გატაცებით არის გადმოცემული, რომ გრძნობთ ავტორის ოსტატობას, მხედველობის უშუალოებას და წრფელ ტონს. ამ სურათით, ჩვენი მხატვარი ახალი გზების ძიებაშია, რაღაც სინთეტიური მიგნება სწადია და ვშიშობთ, თეორიამ არ დასჩაგროს შემოქმედება. ეს უკანასკნელი მით უფრო კარგია, რაც უფრო ნაკლებია თეორიული ბალასტი. ქართულ მხატვრობაში მოსე თოიძე ერთი ცენტრალურ ფიგურათაგანია, მასში ჯერ კიდევ ბევრია შესაძლოება, და ამ მოტივებით, უფლებას ვიტოვებთ, მას დიდი მოთხოვნილებები წარუდგინოთ.

ვალ. სიდამონ-ერისთავი. ამ მხატვარს აქვს სრულიად გარკვეული სახე. შეიძლება ითქვას, რომ ამ გამოფენაზე ყველაზე მთლიანად ის იყო წარმოდგენილი. უცქერით მის „კუთხეს“ და ჰხედავთ, რომ ავტორს აქვს აჩემებული მოტივები, და იმ მოტივებს ვერა სთმობს. ჩვენი ისტორია, აი ის შთაბეჭდილებათა აუზი, საიდანაც ის იღებს თემებს. და უნდა ითქვას, რომ მოტივები ყოველ მის ნაწარმოებში მახლობელია და მიმზიდველი. მაგრამ ავტორი თითქოს ველარ ამთავრებს სურათს, და მოტივებით მდიდარი ნაწარმოები რჩება ფერთა სიმდიდრის გარეშე. რაღაც ყომრალი ფერი ამძიმებს შთაბეჭდილებას. იქნებ პალიტრის სიღარიბე იყვეს ამის მიზეზი? — არა, აბა ნახეთ მისი „ლიზას ბალი“ და „საძოვარზე“, ეს ორი პატარა ეტიუდი, რა ოსტატობით არის დაწერილი და ფერების გამმის როგორი შეგნებაა. ან „Nature morte“-ი, რომელიც ერთ საუკეთესო ნაწარმოებად უნდა ჩაითვალოს, თუმცე ქართული „სული“ ამ სურათში მაინც და მაინც არა სჩანს. ხოლო რაც შეეხება არტისტის ყალმის მოქნილობას, ამის დამამტკიცებელი არის „დავ. კლდიაშვილის პორტრეტი“, რომელიც დიდი სითამამით არის შესრულებული.

სუსტად იყო წარმოდგენილი გ. მესხი. შემოქმედის ყველაზე დიდი მტერი — დაუდევრობაა და გ. მესხს ეს უკანასკნელი ეტყობა. იგივე ეტყობა ალ. ციმაკურიძეს. კარგია მისი „დეკორაციის ესკიზი“, მაგრამ „ქვიშხეთის“ სერიის ავტორისაგან უფრო მეტს ველოთ.

აქვე უნდა მოვიხსენოთ მუშა-მხატვარი ზაზიაშვილი, რომელიც ქართველ მხატვართა გამოფენაზე პირველად ვნახე. მისი „ზაქ. ჭიჭინაძის პორტრეტი“, როგორც პორტრეტი, მთელი თავისი პრიმიტიულობით და ერთგვარი ნატურალიზმით, — კარგია. მართალია, ნახაზი ზოგჯერ სუსტობს, ფერებიც არ არის ზოგჯერ წმინდად აღებული, მაგრამ არ უნდა დაგვაზინყდეს, რომ თავისი საკუთარი უნარით არის ამაღლებული, უსკოლოთ, უმასწავლებლოთ, და ეს დიდ ღირსებად უნდა ჩაუთვალონ ჩვენს „მღებავს“, რომელიც ჩვენში ცნობილ პორტრეტისტებს გაუტოლდა კიდევ.

ამათ შემდეგ კი იწყება დებიუტანტების გრძელი სია, ოცდა-ათამდე ავტორი, რომელთა ცალკე-ცალკე განხილვა ამ მოკლე წერილში მეტად ძნელია. ზოგი მათგანი უფრო მტკიცეა ნახაზებით (დ. გველესიანი, დ. ნერეთელი, შ. მამალაძე, ბაგრატიონი, ქუთათელაძე), ზოგი ფერები უფრო მეტ ელვარებას იჩენს (ხითარიშვილი, გძელიშვილი, საყვარელიძე, მერი მიქელაძე); ზოგს განცდები აქვს წრფელი და უშუალო (ირ. ტოფაძე, გვანცა-ლაძე), ზოგი მოტივებით ერჩევა (ბილანიშვილი, ლეჟავა). საერთოდ კი უნდა ითქვას: ვრცე-



ლი სიტყვის თქმა ახალგაზრდების შესახებ ნაადრევია, ალლო სწორი აქვთ, ლელოს გატანას კი სჭირია ენერგიული მუშაობა, განათლება, სითამამე და თავისებურობა.

ეს იყო ე. წ. „მემარჯვენე“ ფალანგა.

„მემარცხენეთა“ შორის ირ. გამრეკელი და მ. გოცირიძე ძველი ნაცნობები არიან. ირ. გამრეკელის შესახებ უნდა ითქვას, რომ მისი „სტილი“ დარღვეულია. რეალისტური ავტოპორტრეტი და კუბისტურად შესრულებული არენა ერთმანეთს კონფლიქტში უდგანან. „მე და ცირკის“ ფერები კარგია. არის მათში ხავერდისებური ელვარება და სირბილე. „Lues“-ში არც ფერებია ახალი და ნახაზი სულ არ არის. ირ. გამრეკელი ნიჭიერი მხატვარია და უფრო მეტი სიფრთხილე ჰქმარებებს. „მემარცხენეობის“ გზა მეტად ვიწროა და სახიფათო.

მიხ. გოცირიძის ტუშით ნახატი კარგია ძალიან. მაგრამ ამის იქით რაღა? ვშიშობ, მხატვრობა „ხაზვა“-მ არ დასჩრდილოს. კარგია ფერადებით ნახატი: „ნამი“. მწვანე ფერი ეფექტიურად ეხამება სურათის მოტივს.

ამ „მემარცხენეებისგან“ შორი-ახლო სდგას ნადარეიშვილი, რომელსაც აქვს კარგი ალლოც და ნახაზის გრძნობაც.

აქვე უნდა მოვიხსენოთ ლადო ნილოსანი და მიხ. ჩხიკვაძე, როგორც გრაფიკოსები. ეს უკანასკნელი სულ ახალგაზრდაა და მომავალი წინა აქვს, ნილოსანი კი შეიძლება დამთავრებულ მხატვრად ჩაითვალოს. მისი „ბაგრატის ნანგრევები“, „ჯვარი“ და სხ... საუცხოოდ არიან შესრულებულნი. ნილოსანის სახით ქართული გრაფიკა წელ-გამართული სდგას, მხატვარი ხშირად აღწევს მასალის გადმოცემის საიდუმლოებას.

მოქანდაკეთა შორის, ჩვენი სახალხო მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძე წარმოდგენილი იყო ქვით: „კოცნა“, და ლენინის და ენგელსის ბიუსტებით (ალეზასტრი). აღსანიშნავია „კოცნა“, როგორც თვისი ჩახვეული ვნების გადმოცემით, ისე ტექნიკური ოსტატობითაც. მხოლოდ უკანა გეგმა, მანერის მხრივ, მკვეთრად ერჩევა წინა პლანისაგან, რაც ხელს უშლის პერსპექტივის დანახვას. ეს ნამუშევარი კიდევ ერთი მიღწევათაგანია, და გვინდა, რომ ჩვენი ავტორი უფრო მეტს იძლეოდეს ასეთ ნაწარმოებთ, და უფრო ნაკლებს სურათებიდან გადაღებულ პორტრეტებს. ამ ქვაში სთვლემს მრავალი შესაძლებლობა, რაც უნდა ვნახოთ, ჩვენი ქანდაკების საუკეთესო ნიმუშების სახით.

ი. ნიკოლაძე გარს-შემოხვეულია თავისი მოწაფეებით: გ. სესიაშვილი, რომელსაც აქვს მოძრაობის განცდა, მაგრამ ზოგჯერ ამ დინამიკას გადაჭარბებით ჰხმარობს, რაც მონუმენტალობას ხელს უშლის; კ. პატარიძე, რომელსაც აქვს მონუმენტალობის განცდა, მაგრამ მთლიანობას ჯერ ვერა სწვდება; ნინო წერეთელი, რომელიც პორტრეტების კვეთაში სულის ამოკითხვის უნარს იჩენს და გვაფიქრებინებს, რომ მისი სახით გვეყოლება სახეთა კარგი გამომკვეთელი. ამ სამი ახალგაზრდა მოქანდაკის სახით იმედიანი პერსპექტივა გვეშლება ქვისა და მარმარილოს ქვეყნისაკენ.

ამ მოკლე მიმოხილვაში მთავარი ყურადღება მივაქციე იმ შთაბეჭდილებათა ჯამს, რომელიც გამოფენიდან გამოვიტანე. შეიძლება ბევრი რამ დამრჩა მოუხსენებელი, ან ბევრი ისე არ მოვიხსენიე, როგორც ღირსი იყო, მაგრამ ამ შეცდომის გასწორებას ერთი წლის შემდეგ მოვახერხებ, როდესაც ჩვენი მხატვრები უფრო გამარჯვებულები გახსნიან მომავალ გამოფენის აღსავლის კარებს.

*ვახტანგ კოტეტიშვილი*

P. S. ამ გამოფენაზე იყო წარმოდგენილი ჩემი სამი ქანდაკება: „ალ. ყაზბეგი“ (ქვა) „ქვის ვნება“ (ქვა) და „ავადმყოფი ბავშვი“ (ალეზასტრი). მათ სასტიკ კრიტიკას მოვისმენ მორჩილებით.

## გიორგი წერეთელი

### (გარდაცვალებიდან 25 წ. შესრულების გამო)

ჩვენი წარსული საუკუნის მოღვაწეებში გიორგი წერეთელს საპატიო ადგილი უკავია, არა მარტო როგორც კაზმული მწერლობის წარმომადგენელს, არამედ როგორც საზოგადო მოღვაწეს, ჟურნალისტსა და პუბლიცისტს. მრავალ მხრივი იყო მისი მოღვაწეობა, რომელიც საერთოდ წილად ხვდებოდა ხოლმე გარდამავალ ხანის მოღვაწეებს.

დღეს, როდესაც სრულდება 25 წელი მისი გარდაცვალების შემდეგ, უნდა ჩვენ მეხსიერებაში განახლდეს სახელი ამ მივიწყებულ მწერლისა, რომელიც სრულიად დაუმსახურებლათ არ არის ჯეროვნად დაფასებული.

გ. წერეთელი მე-XIX ს. ქართული აზროვნების ორი ეპოქის საზღვარზე დგას: ნაციონალურ-დემოკრატიული მიმართულება მე-60 წლების მოღვაწეებისა და სოციალისტური მიმართულება 90 წლებისა. აღსანიშნავია, რომ თვისი მოღვაწეობით, დაკავშირებული მე-60 წ. მოღვაწეებთან, იგი გრძნობს ახალ სივს, რომელიც დაჰბერა 90 წლებში და სათავეში უდგება ახალ მიმართულებას, „მესამე დასელებს“.

ეს არ იყო გ. წერეთლის აზროვნებაში გარდატეხა, არამედ ვინც დაკვირვებით გაითვალისწინებს მისი მოღვაწეობის მიმართულებას, როგორც მწერლისა და რედაქტორის გაზ. „დროების“ 1866 წლიდან, „სასოფლო გაზეთის“ 1868 წ. და „კრებულის“ 1871 წ., შეამჩნევს, რომ გ. წერეთელი მუდამ სალი დემოკრატიული მიმართულების იყო, და შეიძლება ითქვას, მისი დემოკრატიზმი უფრო რადიკალურია, ვიდრე მისი თანამოღვაწეებისა. გ. წერეთელი აღზრდილი იყო რუსეთის მე-60 წლების ლიტერატურაზე, სადაც გამეფებული იყო პოზიტიური ფილოსოფია და მატერიალისტური მსოფლმხედველობა, ხოლო ხელოვნების საკითხში ჩერნიშევსკისა, პისარევის და დობროლიუბოვის წყალობით — რაციონალიზმი და უტილიტარიზმი. თვის პირველ გაზეთ „დროებაში“ გ. წერეთელმა ფართო ასპარეზი მისცა რაციონალურ მიმართულებას. კაზმულ ლიტერატურაში კი იგი შეგნებულად გამოდის, როგორც „შეუფერავი“ რეალისტური მიმართულების დამცველი.

გ. წერეთელს არ მოსწონს ილია ჭავჭავაძის რეალიზმი. იგი სწერს: „ხელოვნურ ლიტერატურაში ილიამ დაამკვიდრა სენტიმენტალურ-ტენდენციური მიმართულება და მისი ლუარსაბი და დარეჯანი უფრო კარიკატურას წარმოადგენენ ქართულ მეზატონისა და ქალბატონის ტიპებისას, ვიდრე ხელოვნური ხერხით წარმოშობილ, ცოცხალს ერთნაირ ბუნებასა და გარემოებაში შექმნილ ტიპურ არსებებს“. ხოლო მისი აზრით „მესამე დასის“ მწერლებმა ხელოვნურ ან სიტყვაკაზმულ ლიტერატურაში დააარსეს ნამდვილი, შეუფერავი, შეუკეთებელი რეალიზმი“ („კვალი“, 1897 წ.)

გ. წერეთლის აზრი ილიას ნაწერების შესახებ გადაჭარბებულათ უნდა ჩაითვალოს, ხოლო ამ კრიტიკას აქვს მნიშვნელობა თვით გ. წერეთლის ესთეტიურ შეხედულების გამოსარკვევად. და მართლაც, ყველა მისი კაზმული ნაწერები ატარებენ შეუფერავ რეალიზმის იერს. ასეთი მიმართულება არ აიხსნება გ. წერეთლის შემოქმედებითი ნიჭის სისუსტით, როგორც ამას ამტკიცებს კიტა აბაშიძე (იხ. ეტიუდები, წ. II, გვ. 63). ისე, როგორც ზოლდას ნატურალიზმი არ არის მისი შემოქმედებითი ნიჭის სისუსტის გამომხატველი, არამედ ეს არის შეგნებული აზრი ხელოვნური ნაწერების მნიშვნელობის შესახებ.

გ. წერეთლის ესთეტიური შეგნება დაშორებულია ისეთ უტილიტარიზმს, რომლის წარმომადგენელიც იყო ანტ. ფურცელაძე, რომელიც ნ. ბარათაშვილის საუკეთესო ლექსს „შემოღამება მთანმინდაზე“ შემდეგი სიტყვებით ახასიათებს: „მკითხველი რალაცა მომზადებით შეუდგება ამ ლექსის კითხვას და როდესაც გაათავებს, რჩება ხახამშრალი, გულცარიელი. ეს იმიტომ, რომ აქედან არ ამოგაქვთ გონების მასაზრდოებელი ლუკმა და რო-

გორიც მშვიერის გონებით შესდგომიხართ ამის კითხვას, ისეთივე და უფროც მშვიერი რჩებით, რადგანაც ეს იმ საჭმელსა ჰგავს, რომ კაცს მადას უხსნის და კუჭს კი არ ეცხება, რამდენიც გინდა სჭამო“ („ცისკარი“, 1863, №3).

ხოლო გ. წერეთელი იმავე მესამოციანე წლების პოზიტიურ მეცნიერებაზე აღზრდილი, ესთეტიურ ალღოს იჩენს და ბარათაშვილის შემოქმედებასა და პიროვნებას ღირსეულად იხსენიებს. თუმცა ნ. ბარათაშვილის პოეზიის ირრაციონალური მოტივები მისთვისაც აუხსნელი რჩება. 1870 წ. „კრებულის“ მესამე წიგნში გამოაქვეყნეს ბარათაშვილის კერძო მიწერ-მოწერის რამდენიმე წერილი. ამ წერილებმა ერთგვარი სინათლე შეიტანეს მგოსნის პიროვნულ ცხოვრებაში და მის შემოქმედებასაც რამოდენიმეთ ნათელი მოჰფინეს. გ. წერეთელი შემდეგი სიტყვებით გამოეხმაურა ამ მიწერ-მოწერის გამოქვეყნებას: „სანამდის ზემოხსენებული ნ. ბარათაშვილის წიგნები დაიბეჭდებოდა ყოველს ჩვენთაგანს „მერანის“, „სულო ბოროტოს“ და „ქართლის ბედის“ დამწერი ეგონა რალაც ახირებულ მოვლენათ ჩვენ ცხოვრებაში... ჩვენ ის რალაც შავბედით ყმანვილად მიგვაჩნდა, რომელიც თავისი აზრებით და ფიქრებით არ უნდა ყოფილიყო დაკავშირებული თავის თანამედროვე ცხოვრებასთან, ჩვენ ის უფრო სხვა ტომის კაცი გვეგონა“ („დროება“, 1873 წ., №36). და შემდეგ განაგრძობს: „ბარათაშვილის წიგნებმა დაგვიხატა თვითონ ნ. ბარათაშვილი ჩვენებურ ახალგაზრდათ, რომელიც ებრძვის გარემოებას, ეძებს გონების წარმატებას, უნდა თავისი სამშობლო ქვეყანა და მისი ლიტერატურა წინ წააყენოს... ნ. ბარათაშვილის წიგნების დაბეჭდვის შემდეგ ჩვენ დავინახეთ უფრო ნათლად თვითონ იმის დროის ცხოვრება და დავრწმუნდით, რომ იმისი სიცოცხლე ამ ცხოვრების გაუმჯობესებისათვის ყოფილა შეწირული, ის ნამდვილის სწავლის დამკვიდრების გულისათვის სდევნის უწყალოდ და თავის მახვილი გონების მათრახსა სცემს ყოველსავე, რაც არის ცრუ, მატყუარა, გარეგანი ბრწყინვალეობით შემკული, მაგრამ შიგნით გულდამპალი და უნაყოფო მეცნიერება“.

მე შევეცადე, რამოდენიმედ გამოემერკვია გ. წერეთლის აზრი ხელოვნების შესახებ, რომ უფრო ნათელი ყოფილიყო მისი კაზმული ნაწერების მიმართულება. რასაკვირველია, მკაცრი ესთეტიური კრიტიკა ბევრ ხარვეზებს აღმოაჩენს მის ნაწერებში, როგორც ფორმის, ისე შინაარსის დრამატიზმის მხრივ, მაგრამ ეს უმართებულო იქნებოდა მწერლის წინაშე. ჩვენ უნდა მივუდგეთ მის დაფასებას ისტორიულ-ლიტერატურული თვალსაზრისით და მივუწყოთ საწყაო იმ საწყაოთი, რომლის ღირსიც იგი არის ქართული მწერლობისა და აზროვნების ისტორიაში.

\* \*

1867 წელს „დროებაში“ გამოქვეყნდა გ. წერეთლის „მგზავრის წერილები“ ან „კიკოლიკი, ჩიკოლიკი და კუდაბზიკა“. აღწერილია მოგზაურობა სამეგრელოსა და სვანეთში. პირველი შეხედვით ნაწარმოები მოკლებულია წმინდა ლიტერატურულ ღირსებებს, შეუძლებელი ხდება, მივაკუთნოთ რომელიმე ლიტერატურულ ჟანრს. მაგრამ ეს სრულიად საინტერესო არ არის და არც ავტორს აქვს ამის პრეტენზიები. ნაწარმოებში სადად და მარტივად არის აღწერილი მთელი მოგზაურობა და ავტორი იძლევა სრულიად ძალდაუტანებელი სხვადასხვა ტიპებს, ბუნების სურათებს, მოქმედ პირთა სულიერ განწყობილებას, გარეგან ეტიკეტს იმერელ აზნაურებისას და მასთანავე ეს ნაწარმოები სრულიად „შეუფერავად“ იძლევა მაშინდელ საზოგადოებრივ ცხოვრების რეალურ სურათს. თვით სათაური „კიკოლიკი, ჩიკოლიკი და კუდაბზიკა“ თავიდანვე ამზადებს მკითხველს შესაფერ განწყობილებისადმი. გრძნობთ, რომ ამ პიროვნებათა სულიერი ვითარება სახელწოდებით ამოიწურება. ნაწარმოები იკითხება ინტერესით, რომელსაც უფრო მეტი სიმახვილით გრძნობდენ თანამედროვენი. ნ. ნიკოლაძე სწერს: „იმ დროს, როცა „მგზავრის

წერილები“ იწერებოდა, თუ იბეჭდებოდა, ჩვენს მაშინდელ მწერლობაში მეტად ახალი და საამო ხილი გახლდათო“. აღსანიშნავია, რომ ეს ნაწარმოები დაინერა მაშინ, როდესაც ქართლ-კახეთსა და იმერეთში ახლად გადავარდნილი იყო ბატონ-ყმობა, ხოლო სამეგრელოში ამ წელს (1867) ხდებოდა ბატონ-ყმობის მოსპობა ოფიციალურად. ხალხი დიდ აღელვებას განიცდიდა, გაურკვეველ მოვლენის წინაშე იდგნენ ბატონიც და ყმაც. გლეხობა წყურვილით ელოდა თავისუფლებას, მაგრამ ამ მოლოდინს მაინც ტრადიციით შემუშავებული იჭვიანობა ღრღნიდა, აზნაურობა შიშით უცქერდა მომავალს, რადგან ეკარგებოდა ძველი გავლენა და ეკონომიური უზრუნველყოფა. ავტორი სრული სინამდვილით გადმოგვცემს სულიერ განწყობილებას გლეხობისა და აზნაურებისას, რომელიც ახასიათებდა ამ გარდამავალ ხანას.

ბაკურა ეკითხება კუდაბზიკას:

— „შენ აკი მითხარი, აზნოურიშვილი ხომ ხარ?

— აზნოურიშვილი ვარ, აპა, რა ვიქნები? აზნოურიშვილი აზნოურიშვილს ჰქვია. მე ძირის აზნოურიშვილი ვარ.

— აპა, რავა მასხრულად ლაპარაკობ. გლეხების გათავისუფლება ჩემზე უფრო შენ უნდა გწყენოდა.

— არა. გლეხობის გათავისუფლება კარგია. ჩიკოლიკამ თქვა, იგენიც და ჩვენც ძალიან მოვიგებთო. ჯამაგირი გვექნებაო და ფული სულ ბზესავით მოგვივა.

— საიდან გექნება, რომ გლეხები აღარ გეყოლება?

— ხემწიფე მოგვცემს და მერე ვაჭრობას დევიწყებთ.

— კაცო, აზნოურობას მერე ვაჭრობაში გაცვლი! კარგი აზნოურიშვილი ყოფილხარ, მომიკვდეს შენისთანა აზნოური.

— მომიკვდი და არც იცი, რავა ლაპარაკობ შენ.

— ყაძახები (გლეხები) გყავს თუ არა? — გაცვებით ჰკითხა ბაკურამ კუდაბზიკას, როცა კუდაბზიკამ სთქვა, რომ ვაჭრებათ გადავიქცევითო.

— კი მყავს.

— ოჯახი გაქვს?

— კი.

— შენს ოჯახს შენი ყაძახები უვლის? ხომ გემსახურებიან ოჯახში. ბეგარას არ გაძლევენ?

— აბა რას იზამენ! რომ არ მომცენ, ძალად გადავასხდევინებ. ნეტავი დედა ჩემს, თუ ჩემი ბეგარაც ყაძახებმა შეირჩინეს. მე იმისთანა არ გახლავარ, ზოგიერთს ბატონს რომ გლეხები დაიჯაბნიან და ბეგარას შეირჩენენ. ბეგარა კი არა, საუდიერო ფერდალა ღორიც რომ არ მომიყვანოს, სუნთლად ცხვირში ძმარს წავადენ.

— კაი და პატიოსანი. მეც მაგი მინდოდა, რომ გეთქვა. ახლა წარმოიდგინე, რომ ის შენი გლეხები არც ბეგარას მოგვცემენ, არც შინ გემსახურებიან, თუ ძალა დაატანე, ბრევლს გცემენ. ოჯახის მომვლელი არავინ გეყოლება. ყანაში არავინ გიმუშავებს. სახლში ცეცხლს არავინ დაგინთებს, სულ შენ უნდა ქნა ყოლიფერი; ცეცხლიც შენ უნდა დაანთო, წყალიც შენ უნდა მიიტანო.

— არა, არა, არა. მაგი არ იქნება. წყალს რავა მევიტან...

— მაცა, მაცა... ყანაც შენ უნდა გათოხნო, შეშაც შენ უნდა მიეიტანო.

— აჰ, აჰ, გადირიე თუ? ამას რავა მეუბნები. მაგას რავა ვიზამ“.

გ. წერეთელი პირველი შეეხო ჩვენს მწერლობაში იმერეთის აზნაურობას. შეიძლება არავინ არ გრძნობდა ისე მწვავედ „წოდებრობის კეთილშობილებას“, როგორც იმერელი აზნაური. გ. წერეთელმა სინამდვილით დაგვიხატა იმ ეპოქის აზნაურები, როდესაც ჯერ კიდევ ცხოველათ გრძნობდნენ თავიანთ წოდებრივ უპირატესობას. არ იყო მომხდარი ის დეგრადაცია მათში, რომლის ნიმუშები შემდეგში დ. კლდიაშვილმა მოგვცა.



ავტორს ისე მკვეთრად აქვს განვითარებული მზერითი ნიჭი, რომ მას არ რჩება შეუმჩნეველი არც ერთი წვრილმანი გარეგანი გამოსახულებისა და მიხვრა-მოხვრისა. „კუდაბზიკა“ — აი, საერთო სახელი იმერელ აზნაურისა.

როგორია კუდაბზიკა? „კუდაბზიკა იმერულად იყო გამოწყობილი, მარდი და მეტიჩარა. იმის ქერა თმაზე, ნისკარტიან ცხვირზე და წვრილად გაშკიპინებულს უღვაშებზე რომ შეგეხედნათ, მაშინვე იტყოდი, ეს იმერელი უნდა იყოსო, ასეთს გახრეკილ ცხენზე იჯდა, რომ ძვლისა და ტყავის მეტი არა იყო რა. სწორედ წყალში ამონუნპულს ვირთავგასა ჰგავდა. კუდაბზიკაც სწორედ მოსჭიმავდა ხოლმე სადავეს, რომ თავის ბედაურისთვის კისერი მოედრიკა და ამასთანავე ჰკრავდა დეზებიან ქუსლსა“.

მიუხედავად ასეთი სასაცილო შეხედულებისა, კუდაბზიკა მაინც აზნაურია და ამის შეგნება არასოდეს არ ავიწყდება. გლეხის ტყაპუჭში გამოხვეულ აზნაურს ის ხელსაც არ მისცემს. ეს მისი წოდებრიობის შელახვაა.

გ. წერეთელი, როგორც აზროვნებით რაციონალისტი, აღზრდილი მესამოციანე წლების ლიტერატურაზე, მიმართულებით შეგნებული რეალისტი, „შეუფერავი“ სინამდვილის გადმომცემი, უფრო კონკრეტული, ნამდვილი პიროვნებებით სარგებლობს.

ცნობილია, ზემო იმერეთში, საიდანაც იყო თვით ავტორი, რომ ზოგი მოქმედი პირნი „მგზავრის წერილებისა“ და „რუხ მგელში“ გამოყვანილი აზნაური ავთანდილ კვიმატაძე, თავის დაუმთავრებელი ოდით, ნამდვილი პიროვნებებია. ეს ოდა დღესაც დაუმთავრებელი გამოიყურება დამპალ ბოძებზე.

მაგრამ ასეთი მოვლენა არ შეიძლება ჩაეთვალოს მწერალს პასივში. ეს არ არის ნამდვილი ფოტოგრაფიული სურათი (როგორც ეს ჰგონია კ. აბაშიძეს). გ. წერეთელს, როგორც აღვნიშნე, განვითარებული ჰქონდა მზერითი ნიჭი, გარეგანი მსოფლიოს შეგრძნობის. იგი აზროვნებდა უფრო კონკრეტული სახეებით.

ცნობილია შემოქმედების ფსიქოლოგიაში, რომ ზოგი მწერლები სხვის პიროვნებას შეიცნობენ ინტელექტუალური გზით. ისინი უკვირდებიან გარეგან გამოხატულებას სხვისი პიროვნებისას და შემდეგ ავსებენ მის სულიერ მხარეს თვითონ. სისტემატიურად უკეთებენ კონსტუქციას. ეს არის ე. წ. მეცნიერული მეთოდი. ასეთი აზრები აქვს გამოთქმული ე. ზოლდას თავის „ექსპერიმენტალურ რომანში“. გ. წერეთელიც ასეთი ტიპის მწერალი იყო. იგი თვით იცავდა „შეუფერავ რეალიზმს“ და წინააღმდეგი იყო ყოველგვარი ტენდენციური გამოხატულების შეტანისა. და ამიტომ მისი ნაწერები, უმთავრესად: „მგზავრის წერილები“, „ჩვენი ცხოვრების ყვავილები“ და „რუხი მგელი“, მართლაც, „აღამიანთა დოკუმენტებია“, როგორც ამას ჰქადაგებდნენ ძმები გონკურები.

არ უნდა იყოს ინტერესს მოკლებული, რომ გ. წერეთელმა პირველმა დაუკავშირა ერთმანეთს ჯორი და იმერელი აზნაური („მგზავრის წერილები“), რომელსაც შემდეგში დ. კლდიაშვილმა მისცა უფრო მეტი ფსიქოლოგიური კავშირი („სოლომონ მორბელაძე“).

\* \*

90 წლებში გამოქვეყნდა გ. წერეთლის რომანი „პირველი ნაბიჯი“, რომელსაც განსაკუთრებული ადგილი უკავია მის შემოქმედებაში. ეს ნაწარმოები საინტერესოა არა მარტო თვისი შინაარსით და შესრულების კომპოზიციით, არამედ ეს არის ქართულ ლიტერატურაში საუკეთესო ნიმუში სოციალურ რომანისა, რომლითაც, შეიძლება ითქვას, ასე ღარიბია ქართული ლიტერატურა.

რომანი, როგორც ლიტერატურული ჟანრი, არ იცის ანტიურმა ქვეყანამ. იგი ახალი დროის წარმოშობილია. თავის უმაღლეს წერტილს განვითარებისას მიაღწია მე-XIX საუკუნეში, რეალიზმის გაფურჩქვნის ხანაში. მხოლოდ და მხოლოდ რეალური სინამდვილე აძლევს უშრეტ მასალას რომანს, ურომლისოთაც რომანი იგივეა, რაც დრამა უმოქმედოთ, ან ლირიკა სულიერ განწყობილების გარეშე.

„პირველი ნაბიჯი“-თ აღინიშნა ახალი მოვლენა ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარი. დარღვევა ძველი ფეოდალური წესწყობილების და დამყარება ახალი ეკონომიური ურთიერთობის, როდესაც ცხოვრების სარბიელზე გამოდის ვაჭარი. შემცდარი აზრია, ვითომც ეს მოვლენა პირველად ლ. არდაზიანს აღენიშნოს „სოლომან მეჯღანუაშვილში“. რასაკვირველია, მარტო რაიმე მოვლენის აღნიშვნით არ შეიძლება ნაწარმოებს მიეცეს მხატვრული ღირებულება, მაგრამ თუ საჭიროა პრიორიტეტი, ეს უსათუოდ გ. წერეთელს ეკუთვნის. „სოლომონ მეჯღანუაშვილი“ არის ტიპი ტფილისის მოქალაქის, მეჯანშის. ბახვა ფულავა კი ვაჭარია. ეს ორი მოვლენა სხვადასხვა კატეგორიებია ეკონომიურ ცხოვრების განვითარებაში.

გ. წერეთელი არა მარტო კაზმულ მწერლობაში გვაძლევს სურათს ამ ახალი მოვლენისას, არამედ როგორც კუბლიცისტს, კარგად ესმოდა ჩვენში ბურჟუაზიის გაჩენის მნიშვნელობა და აუცილებლობა.

რკინის გზა, მადნეულობის აღმოჩენა უკვე ნიადაგს იძლეოდა ვაჭრობა-მრეწველობის გასავითარებლათ და ხალხს ეზიდებოდა ქალაქებისკენ. უმთავრესად ტფილისსა და ბათუმისაკენ.

1873 წ. „კრებულში“ გ. წერეთელი სწერს: „ან რა რკინის გზა გაიხსნა, იმან მიუთითა საქართველოს ტომის ვაჭარ ხალხს ხელი ტფილისზე და უთხრა: აი, შენი დედა-ქალაქი და საქართველოს ბურჯი გარეშე ხალხს ჩაუგდია ხელში. შენ ეს აქამდის არ იცოდი და რომ გცოდნოდა მაინც, აქამდის ვერას გაარიგებდი, ან მიესიეთ და იჩინეთ თავი ტფილისის სავაჭრო ასპარეზზედ... უამისოდ ტფილისიც სამუდამოდ დაკარგულია და ქართლ-კახეთის მიწა-წყალიც დაღუპული. ამას გარდა რკინის გზა ძალიან მჭიდროთ აახლოვებს ამ ერთი-ერთმანეთის წინააღმდეგ ხასიათების ხალხს — იმერლებსა და ქართლ-კახელებს. იმერელია მარდი, გონება-მახვილი, სწრაფი მგრძობელი და მალე თავის ამლები. ქართლელია მტკიცე, ჭეშმარიტი, ძლიერი და გამტანი. როდესაც ეს ორი თვისება ერთმანეთში გადავა, ერთის ნაკლებოვანება მეორის ღირსებით შეივსება, მაშინ ჩვენი ცხოვრების ნაკადულიც ძალიან გადიდდება, იწყებს წარმატებით ჩქარ დენას და კეთილდღეობაც მოახლოვებულია“.

„პირველი ნაბიჯი“ საინტერესოა არა მარტო ახალი ეკონომიური ურთიერთობის გამოსახატავათ, არამედ როგორც რომანი მოქმედ პირთა ფსიქოლოგიური ანალიზით, მოძრაობით და სიუჟეტის ხელოვნურად გაშლით.

ნაწარმოების ორი უმთავრესი მოქმედი გმირი, ბახვა ფულავა და იერემია წარბა სრულიად მოწინააღმდეგე პიროვნებებია, როგორც თვისი ჩამომავლობით და მიმართულებით, აგრედვე ხასიათით და მისწრაფებით. პირველი, უბრალო მწყემსი, ღარიბი გლეხის შვილი, შემდეგში შემთხვევით თუ თვისი უნარიანობით და ყაირათით ვაჭარი, რომელმაც მოიპოვა სიმდიდრე. მაძიებელი მყუდრო ნორმალური ოჯახური ცხოვრებისა. მეორე თავადი, ოთხ კლასს დამთავრებული, ლამაზი, ახოვანი და დარდიმანდი ყმანვილი, შრომას მიუჩვეველი და ცხოვრების საერთო ბრძოლაში განზე დარჩენილი, მხოლოდ ვნებათა ამყოლი და წუთიერ სიტკბოების მაძიებელი. ეს ორი მოპირდაპირე ხასიათის პიროვნება ერთმანეთს დაეჯახებიან ლამაზ ესმას გულისათვის.

ბახვა ფულავას უყვარს ესმა ღრმა და ნორმალური სიყვარულით, იგი მასში ხედავს მომავალ მეუღლეს, რომელიც მისცემს მას მყუდრო, ნორმალურ, საღ ბედნიერებას.

ესმასაც უყვარს ბახვა რალაც ნაზი და კდემამოსილი სიყვარულით, იგი უფრო გულთ ატარებს ამ სიყვარულს და ბახვასთვის ვერ გაუმყლავნებია.

მაგრამ რომანი შეუძლებელია თუ არ არის შებრძოლება და დრამატიზმი, და აი, იერემია წარბა მოვევლინება როგორც მურმანის ეკალი და იშლება შებრძოლება აღსავსე დრამატიზმით, გმირული შებრძოლებით, შურისძიებით და განცდის სიმწვავეთ.



იერემია წარბა შემთხვევით მოჰკრავს თვალს ლამაზ ესმას და ეს წუთიერი შეხვედრა საკმაოა, რომ აიშალოს მასში ვნებათა ღელვა და ჟინი ესმას ხელში ჩაგდების. ეს აზრი მოსვენებას არ აძლევს იერემია წარბას, ეს შეიქმნა მის მამოძრავებელ ძალათ. რამოდენიმე შებრძოლების შემდეგ ბახვასთან, იერემიამ გადაწყვიტა, როცა ესმა უკვე მითხოვდა ბახვას, დაეცეს მას და მოსტაცოს ძალით თვისი ვნებათა ამშლელი პიროვნება. ამ გარდაწყვეტილების სისრულეში მოყვანას არ დააყოვნებს. ერთ ღამეს თავისი ამხანაგებით დაეცემა ესმას მოსატაცებლად, მაგრამ ვერ ახერხებს და ჟინის ამოსაყრელად სასიკვდილოთ დასჭრის ესმას შემდეგი სიტყვებით:

„თუ ჩემი არ იქნები, ნურც მისი ყოფილხარ“ — ამ ტრაგიულმა მოვლენამ დაშალა ბახვას ბედნიერი წუთები, განიავდა მისი სიმდიდრეც. ბახვას მამოძრავებელი ეხლა მხოლოდ-ღა შურისძიებაა იერემიასადმი. „მას აქეთ, რაც საყვარელი ცოლი მოუკლეს, ბახვას ცხოვრებას თითქოს შავი გლოვის ზენარი გადაეფარა. მის თვალში აღარც მზეს ჰქონდა სინათლე, აღარც მთვარეს. მას მხოლოდ შავი კუპრი ელანდებოდა ამ წუთი-სოფელში; მის გულში მხოლოდ ნავთი და ცეცხლი ღვიოდა და ზედ ზღვევის ალი დაჰგიზგიზებდა. „სისხლი, სისხლი უნდა ამოვილო“ — წამოიძახებდა ხოლმე გაშმაგებული ბახვა ხანდახან“.

მაგრამ როგორია ამის შემდეგ იერემია წარბას სულიერი განწყობილება?

ნუ თუ მშვენიერ ესმას სისხლმა არ აგრძნობინა მას სინანული?

ავტორს დიდი ფსიქოლოგიური დაკვირვებით აქვს გადმოცემული იერემიას სულიერი მღელვარება. მკვლელობის შემდეგ იგი მიემგზავრება ტფილისში. თავის ნათესავ ქალთან ვალიდასთან და მისი შემწეობით უნდა ადგილი იშოვოს და თავი იხსნას ბახვას შურისძიებისაგან. იერემია დარჩა მარტო მდიდრულათ მორთულ ზალაში. „ასეთმა სიმდიდრემ მეტად დაჩაგრა იერემიას ფიქრები. „ამისთანა სიმდიდრის პატრონი როგორ უნდა დაბერდეს, ან მას მწუხარება როგორ უნდა მიეკაროს? — გაივლო გულში იერემიამ. ჯერ მას ამისთანა სიმდიდრე არ ენახა. „რაკი აქამდის მოვატანე, ან ჩემს ბედს ძალღი არ დაჰყეფს. ვალიდა ჩემი მფარველი იქნება, იმის გამო გენერალიც შემენევა. თუ ვიშოვნე ჩინი, ახლა ვიშოვნე“. მაგრამ ამ დროს უეცრად იცვალა ფერი მისმა ფიქრებმა: თვალწინ გამოეხატა იმ ღამის მკვლელობა და ტანში გააზრიალა. მას ვერ დაევიწყებინა ესმას ანგელოზური სახე; მისი უკანასკნელი ამოკვნესა თითქოს ყურში ჩასწივოდა იერემიას შემდეგი სიტყვებით: „აკი მომკლა ამ ურჯულთომ“... ამით დაიღრუბლა იმ წუთას მისი ნათელი გამომეტყველობა. „ბედნიერი მაშინ შევიქნებოდი, ესმა რომ სულ თვალითაც არ მენახა. დღეს მე მისი მსხვერპლი შევიქენი. იმ უბედურ ღამეს შემდეგ სულითა და ხორციტ მეც დასჯილი ვარ საუკუნოთ“. მაგრამ ეს სინანული იერემიას დიდხანს არ გაჰყოლია. იგი გაერთო ვალიდას საზოგადოებაში და სიმდიდრის გულისათვის ჯვარს იწერს მდიდარ სომხის ქალზე, მაგრამ ქორწილის დროს დაატუსაღებენ ესმას მკვლელობისათვის. ტფილისის მაღალ საზოგადოების თვალი ვალიდა კვლავ გაანთავისუფლებინებს იერემიას.

ეხლა კი ბახვას შურისძიების გარდა აღარაფერი დარჩენია. თვითონ უნდა მოსძებნოს სამართალი და გაუსწორდეს თავის ესმას მკვლელს იერემიას. დაუმეგობრდება ვილაც სიმონა ციმბირელს და დაეცემიან ღამით მძინარე იერემიას. „ბახვა შევიდა საწოლში და დაადგა მძინარე იერემიას თავზე. ამ დროს იერემია გაიშმუნა.

— იერემია! — კარგა ხმამაღლათ დაუძახა ბახვამ. იმან თვალები გაახილა.

— მოვიდა შენი განწირვის დღე. მოვედი შენი მსაჯული, ესმასაგან გამოგზანილი.

ამ სიტყვებით დაჰკრა იმან ფერდში ხანჯალი; იერემია შეებრძოლება მაგრამ ამ დროს ციმბირელმა დაჰკრა უკანიდან თავში ხანჯალი იერემიას და ძვალი გაუპო“. ბახვა კი თვით გამოეცხადება პოლიციას — „სამართალი გავაჩინე, სამართალი! ქვეყანამ არ მაღიროსა სამართალი და მე თვითონ გავაჩინე. ეს არის ჩემი ცოლის ესმას სამაგიერო“. დამთავრდა შებრძოლება.

ავტორი დიდი მოხერხებით ატრიალებს კვანძს რომანისას და შლის ხელოვნურად. ნაწარმოებში ცოცხლად დახატულია მთელი ცხოვრების სინამდვილე. თითქმის ყველა წრეები. არისტოკრატიული სალონის ვარსკვლავი ვალიდა, რომელიც თავისი ქცევით ჰხიბლავს ბევრ ძლიერს, ვისზედაც დამოკიდებულია ცხოვრება და ბედნიერება ჩვეულებრივ პიროვნებათა. სასამართლოს მთელი მოქმედება. ქუჩის აბლაკატი „წუნკალა“ და ვეკილი სივილა.

იერემიას ქორწილის დღეს, ავეტიკას სახლში მზადება, ქალების საუბარი და ჭორაობა. მკითხველის წინაშე იშლება მთელი სინამდვილე ჩვენი ცხოვრების, რომელიც ხან სევდით ავსებს ჩვენ გულს და ხან შურისძიებით. მხოლოდ სიამოვნებით კი არასოდეს. და ეს არის ერთი დამახასიათებელი მანერა გ. წერეთლისა.

*მიხეილ აბრამიშვილი*

P. S. სრულიად მიუღებელია აზრი კ. აბაშიძის იერემიასა და დავითის („გლახის ნაამბობიდან“) მსგავსების შესახებ, თითქოს იერემია ფოტოგრაფიული სურათი იყოს დათიკოსი. ეს მსგავსება შეიძლება ამოიწურება მხოლოდ შემდეგით: ორივე თავადია და მეოთხე კლასიდან გამორიცხული. მაგრამ ეს არ აიხსნება გ. წერეთლის მიმბაძველობით. ეს იყო საერთო მოვლენა ჩვენი თავადაზნაურობის და გ. წერეთელიც, როგორც უაღრესად რეალისტი მწერალი გვაძლევს ამ სინამდვილის ტიპს. ისე კი, უბრალო მკითხველიც შეამჩნევს, თუ რა დიდი განსხვავებაა მათ შორის, როგორც ნებისყოფის ისე მისწრაფებისა და მოქმედების მხრივ.

*მ. ა.*

## აკაკი წერეთელი და საქართველო

(1915—1925)

### I

*„ჩავდნე ჩემსავე ჰანგებში  
და გავჰქრე, როგორც ლამპარი“.*

*„ნათელა“*

თითქო არ ვართ ახლა ისეთ დროში, რომ გვეადვილებოდეს აკაკი წერეთლის მოგონება, თითქო „განქრენ ჟამნი“, როცა ეს დიადი მგოსანი გულს გვიძგერებდა, როცა მისი ჰანგებით გვიმალდებოდა გრძნობა და გონება, როცა მისი ლექსი სახალხო სიმღერათ იქცეოდა, და თითქო მის სტრიქონს ხალხის გული ეხმაურებოდა მისივე სიტყვებით:

საიდუმლო ბარათო!  
მექემენ... მექემენ მარადო,  
სიხარულის მომნიჭეთ  
და სევდისა ფარადო.

დიდი გვგონია ის ათი წლის დრო, რომელმაც განვლო აკაკის სიკვდილის შემდეგ. ისტორიული ხანა აღარ გვაძებნინებს „საიდუმლო ბარათს“ მის ნაწერებში, აღარ გვცალია „ტკბილი ხმებისთვის“, საქმე გვაქვს იმდენი, რომ თავს ვერ ვართმევთ. ეს საქმიანი გატაცება ერთ-მა პროლეტარულმა პოეტმა რუსეთში გამოხატა ლექსათ დანერვილ პროზაში, „ეს ამას ფიქრობს, ის იმას, ჩემი ფიქრი კი უტრიალებს საბჭოთა საქონლის თვითღირებულებასო“.

საქონელი — ეს შემადგენელი ნაწილი ნივთიერი სიმდიდრის, შეიქრა სულიერ სიმდიდრეში, მისი მაღალი, ან დაბალი თვითღირებულებაა „სიხარულის მომნიჭე“ და „სევდის“ მომგვრელი. ამისთანა მატერიალიზმის ხანაში, თითქო საუკუნეების სიშორიდან მოისმის აკაკის ხმა:

ამაღლდით, გრძნობავ, გონებავ!..  
ასცილდით მზეს და მთვარესა!..  
შეუკავშირდით ვარსკვლავებს,  
მოციმციმ-მოელვარესა!  
შეიტყვეთ საიდუმლობა  
ზეციურ ტკბილი ხმებისა  
და შეისწავლეთ კანონი  
იმათი შეთანხმებისა!

„საქონლის თვითღირებულების“ ანგარიშებში ვერ შეუკავშირდები „ვარსკვლავებს“, ჩაგიქრება იდეალიზმის კერა...

მაგრამ თურმე შუაგულში  
სძინავს ობოლ ნაკვერცხალსა  
და ინახავს მერმისათვის  
ჩვეულებრივ ნათელ ძალსა!

არ ვიცი, როგორ აქვს შემეცნებული ამა თუ იმ პროლეტარულ პოეტს პროლეტარული მოძღვრება — მარქსიზმი. ვიცი მხოლოდ და ძალიან კარგათ ვიცი, რომ მარქსიზმში არის შეკავშირება მატერიალიზმის და იდეალიზმის — იმ მატერიალიზმის, რომელიც არ იწყება და არ თავდება „საქონლის თვითღირებულებით“, იმ იდეალიზმის, რომელშიაც „მზე და მთვარემდის“ ამაღლება, „ვარსკვლავებთან“ ასვლა სიმბოლიურათ ნიშნავს ახალი ცხოვრებისათვის ბრძოლას.

რა თქმა უნდა, არასოდეს არ მომსვლია და არც მომივა თავში ის აზრი, რომ აკაკის ახლო ან შორეული ნათესაობა ჰქონდა მარქსისტულ მსოფლმხედველობასთან. მაგრამ ის იყო სახალხო მგოსანი, ხალხის წინ ენთო და იწვოდა სანთელივით, ხალხისთვის დნებოდა თავის ჰანგებში და ჰქრებოდა, „როგორც ლამპარი“, ხალხისთვის იყო როგორც „ნათელა“ ახალი სინამდვილის ძიებაში. ახალი სინამდვილე იყო იმისთვის საქართველოს განახლება.

აკაკის, როგორც პუშკინს, გოეტეს და სხვა მსოფლიო მგოსნებს, ჰქონდა დაპატარავების წუთები, როცა უხდებოდა ჩაძირვა ამ ქვეყნიურ წვრილმან ინტერესებში, როცა იმას ანუხებდა „ჩემი პენსიის“ და „უფულენციის“ საკითხები. ამისთანა წუთებით არ გაიზომება მისი მხატვრული თვითღირებულება.

მისი შემოქმედების „ხანჯალი“ გულში ესობოდა ადამიანის დამახურდავებელ სინამდვილეს და იქიდან ამონახეთქი სისხლის მელნით იწერებოდა სურათი მისი დროის:

გამოიცვალა ქვეყანა,  
ჩარხი უკულმა ტრიალებს,  
ვირი კოკობ ვარდს დაჰვალობს,  
ბულბული ვირებრ ღრიალებს.  
ზამთარში სიცხე გვანუხებს,  
ზაფხულში დგება ზამთარი,  
სომეხმა ხმალი აიღო  
ქართველმა მისი დავთარი!

ქურდები სჭრიან სამართალს,  
მართლებს უყრიან ბორკილსა  
და ქვეყნის მტერი იუდა  
დასცინის მამულის შვილსა.  
ბრიყვი და უსწავლელელები  
თავში უდგვიან ჭკვიანებს...  
გაჰქრეს ეს ჟამი ბარემლა,  
ნეტავი რას იგვიანებს.

მგოსანი ვერ ხედავდა ამ სინამდვილეში თვალის დასასვენებელს. ეს იყო იმისთვის ჯოჯოხეთური უფსკრული, რომლისგანაც ის დანტყესავით ეძებდა გამოსავალს „მზისაკენ და ვარსკვლავებისაკენ“, ეს იყო „ცხრაკლიტული“, რომელშიაც იმას ეგულებოდა თავისი „სატრფო“ — საქართველო. სხვა გვარი იყო მისი ტრფობა ამ სატრფოსადმი, „სხვა გვარი“ იყო მისი სიყვარული.

მის სიყვარულში არ სჩანდა გრძნება (чувственность), მისი გული არ ეკარებოდა „ცბიერ შვენიერებას“, მთელი თავისი შემოქმედებითი სიძლიერით ის მიისწრაფებოდა ოცნებაში წარმოდგენილ მშვენიერებისაკენ. ეს მშვენიერება „ხატივით“ იდგა იმის წინ და იტაცებდა იმის გულს შორს ამ სინამდვილის საზღვრებიდან.

## II

*„და ჰხიბლავს ყოველ არსებას  
გარს შემონაშუქ ალითა“.*

*„ქართველი ქალი“*

სინამდვილეში არ იყო და არ არის ეს შუქ-მომფენი მშვენიერება — „ქართველი ქალი“, როგორც არ არის სინამდვილეში მილოსის ვენერა. ეს იყო და არის განსახიერებული ოცნება ადამიანის, კაცობრიობის.

ჩვენი მგოსნისთვის ეს ოცნება იყო „ბნელში მნათობი“, ამითი ის ერეოდა საზარელ სინამდვილეს. ეს იყო ის „უცნაური ძალა“, რომელმაც გაამტკიცა მგოსნის გული, რომელიც სულს უდგამდა „სამშობლოს ტანჯვის უძლურ მონამეს“. ეს იყო ის არსება, რომელსაც მგოსანი უმღეროდა:

ხან ქვითინებ გულდანყვევით,  
შავ ქვესკნელში აძვრენ ხმასა,  
ხან იმედი ცაში აგყავს,  
აორკეცებ გულისთქმასა.

იმედი ცისა და მიწის შემაერთებელი უკვდავი სულია აკაკის პოეზიაში. „შავ ქვესკნელში“ ჩაძირულს ხშირათ აწუხებს უიმედობის განცდა, ხშირათ ეკარგება გულის ძვერა, ხშირათ:

არარაობა სჯობს ამ არსებას  
და ტანჯვით შფოთვა ამ მოსვენებას...

მაგრამ:

უეცრათ მთის გადაღმიდან  
გამოჩნდა მთვარე სხივ მომფინარე,  
მასთანც მუდამი მისი თანმსრბოლი,  
მცირე ვარსკვლავი მოსხივცისკარე!

მაგრამ:

უეცრათ მთის გადალმიდან  
გამოჩნდა მთვარე სხივ მომფინარე,  
მასთანც მუდამი მისი თანმსრბოლი,  
მცირე ვარსკვლავი მოსხივცისკარე!  
თვის შუეკით კურნებს ტანჯულ ბუნებას,  
მშობლურ ალერსით სჭვრეტს მომცინარე!  
მით მოუბრუნდა ბუნებას მაჯა  
და სულს იბრუნებს მთლად არე-მარე!

„უეცრათ“, „მთის გადალმიდან“ მოვლენილი სინათლე სულს უბრუნებდა დატანჯულ მგოსანს. ეს „მთის გადალმა“ თითქო საზღვარია, რომელსაც ვერ გადავიღის უბრალო მომაკვდავი, თითქო „უეცარი“ სასწაულია საჭირო, რომ მოხდეს „მთის გადალმის“ გადავლა. მგოსანი გრძნობს თავის ჰანგებში სასწაულმოქმედ ძალას, ხედავს გზას „ჯოჯოხეთიდან“ „სამოთხეში“, მისი პოეზია მიდის „ალმართ-ალმართ“, და...

ცის მახლობლათ ფეხ-ქვეშ ვიგრძენ მიწა მე.

მგოსანმა დადგა ბიბლიური იაკობის სიზმარში ნახული კიბე, უახლოვდებოდა ცას, უბრუნდებოდა მიწას, მოჰქონდა იმ სინამდვილის „ალი“ და ხიბლავდა ამ სინამდვილის „ყოველ არსებას“.

ეს შეეძლო მხოლოდ გმირს. აკაკის სწამს გმირი, ის ეძებს პრომეთეოსს, რომელმაც უნდა მოიტაცოს ზეციური ცეცხლი და მისცეს ხალხს, აამაღლოს ხალხი.

მაგრამ ეჰ,  
სადა ხარ ჩვენში ჯერ გმირო,  
რომ ჰკურნო წყლული ხალხისა  
და მტერს ძლიერათ უგმირო?

გმირს, ხალხის გამანათავისუფლებელს, ამ ამბალებელს მგოსანი ხედავდა წარსულში, აწმყოში „ჯერ“ არა. წარსულიდან მოგვცა გმირთა დიდი სახეები. მეფეებში, თავადებში ნახულობდა ამ სახეებს. გმირს მიჰყვებოდა და ამითი იმარჯვებდა ხალხი.

აწმყოში, გმირის მაგივრათ, მგოსანი ხედავდა „მკვდარ სულებს“, ახალ გმირს ელოდა მომავლისგან, ელოდა რომ:

ჭემმარიტება ჩაგრულებს  
გამოუგზავნის მოციქულს...

და

მაშინ იქუხებს, იელვებს  
ხალხთ ძალი მიძინებული...

ხალხი დარჩება მიძინებული, სანამდის არ გამოჩნდება გმირი. ეს იყო აკაკის რწმენა, აქედან იყო მისი —

გმირებს დაეძებს, უყვივის  
ჩემი დაფი და ნალარა.

გმირის ურთიერთობა ჰქონდა ხალხთან თითონ აკაკის. ის აღვიძებდა თავის სიმებით ხალხის „მიძინებულ“ ძალას, ხალხი გამოჰყავდა ეგვიპტის ტყვეობიდან და მიჰყავდა აღთქმის ქვეყნისაკენ. ხალხს აბრძობებდა იმ დროინდელი ბატონის წინააღმდეგ, „მდიდარს“ ეუბნებოდა ლარიზის პირით:

თავადობა არ უშლიდა მგოსანს გაესროლა შხამიანი ისარი:

გამდიდრებულხარ, ბატონო,  
და ბრწყინავ გარეგნობითა,  
თუმცა მოქმედობ გარყვნილის  
გონებითა და გრძნობითა.

...

ქვეყანა განწირული გაქვს  
გასაცემ, გასაყიდლათა  
და მოძმე შენი რათ გინდა,  
თუ არ კიბეთ და ხიდათა;  
ფეხითა მათი მსრესელი  
ასულხარ მალლა სერზედა  
და იმ მალლიდან აფურთხებ  
შენ წინ ქედმოხრილ ერზედა.

აკაკი საუკეთესო მაგალითია იმისი, რომ გვარიშვილობაზე არ არის დამოკიდებული ადამიანის მიმართულება. მხატვრული შემოქმედების დასაფასებლათ არ გამოდგება დაბადების და ჩამომავლობის მონიშნობა. ბატონათ დაბადებული აკაკი იყო შეურიგებელი მტერი ბატონის და ნამდვილი ჭირისუფალი ტანჯული ხალხის.

ვინმე იტყვის ამ სტრიქონების წაკითხვაზე — უხეირო მარქსისტი რომ არ იყოს, მარქსიზმი რომ სულ არ დავიწყებოდეს, როგორ დასწერდა ამასო. ვიტყვი ახლავე ამისთანა მკითხველის საყურადღებოთ, რომ მარქსის მსოფლმხედველობაა — ბატონი და ხალხი დგას ერთი მეორის პირდაპირ მონინააღმდეგეთ, შეურიგებლათ, და მარქსის მსოფლმხედველობა არ არის — ბატონი დედამამისგან დაბადებული უთუოდ ბატონის ბანაკში დარჩება, და ვერ მიემხრობა ხალხის ბანაკს.

### III

*„ვინც სულს არ სწირავს სამშობლოს  
არ ეთქმის ქვეყნის შვილი“.*

*„თემურლენგის ტყვე“*

ამას ხშირათ გაიგონებთ აკაკის ჰანგებში. სანთელივით დნება თითონ სამშობლოს წინ, მთლიანათ ეწირება, და მთლიან მსხვერპლს, ხორციით და სულით შეწირვას მოითხოვს სამშობლოსთვის. მისი ისტორიული გმირები ადიან ამ უკანასკნელ მწვერვალამდის და საქართველოს გამოსახსნელათ სამსხვერპლოზე მიაქვთ სული, რწმენა, რჯული.

არც ერთ კუნჭულს თავისი არსებისას მგოსანი არ იტოვებს თავისთვის. თავგანწირვა ბოლომდის — ასეთია მისი მხატვრული შემოქმედების მისწრაფება. იშვიათია მსოფლიო მწერლობაში ამისთანა რამე. ამისთანა ვითომ იბსენი. მისი გმირები მოითხოვენ უკანასკნელ მსხვერპლს, დაცარიელებას. მაგრამ ისინი შორდებიან ხალხს და გაუგებარი რჩებიან ხალხისთვის. მსხვერპლის იდეა, რომელიც არის აკაკის შემოქმედებაში, შემაერთებელია ხალხთან, ის ვერ მოშორდება ხალხს. იბსენის ინდივიდუალიზმი არ არის აკაკის ბუნებაში. მისი „ჩონგური საქართველოა, სიმები ჩვენ ვართ ყველაო“. აკაკი არ არის იბსენის ბრანდი, რომელსაც სწამს მხოლოდ თავისი მე, თავისი ამაღლება. აკაკის არ სწამს თავისი ამაღლება ხალხის აუმაღლებლათ. მისი რწმენაა:

ამაღლებელი ხალხისა  
თვით ამაღლება ცათამდე.



ხალხის, საქართველოს გარეშე აკაკისათვის არის არარაობა. ის ეძებს საქართველოს, როგორც ტარიელი ნესტან-დარეჯანს. ის საქართველო, რომელსაც თვალთ ხედავს, რომელიც ყურით ესმის, ციხე და ცხრაკლიტულია, სადაც ზის მზეთუნახავი, მშვენიერი, თვალ-ყურით მიუწოდომელი საქართველო.

აკაკი აღფრთოვანებულია ამ ძიებაში, აქ ის თავს გრძნობს დაუღალავათ, შეუდრეკველათ, — „თავი ტარიელ მგონია“... და ტარიელის ნუხილი, ცრემლი თან ახლავს მგონის აღფრთოვანებას. ნესტან-დარეჯანი — საქართველო იწვევს იმის ცრემლსაც და იმის აღფრთოვანებასაც:

ჩემი სამშობლოს სიცილი  
და მისი მწარე კვნესაო,  
ორივე ერთად სიმებმა  
შიგ გულში ჩაიკვნესაო.

„გულში ჩასკვნა“ მუდმივი სისხლის ბრუნვა და სასიცოცხლო ძალა აკაკის პოეზიაში. ლ. ტოლსტოი სწერდა ერთხელ ლ. ანდრეევს — მაშინ უნდა სწერდე ხოლმე, როცა გულზე გადგია სათქმელი და ველარ აკავებო, და მაშინ ბუნებრივია, რასაც სწერო. ანატოლ ფრანსს აქვს ერთ ალაგას, პოეზია გაგრძელება სულისო.

ასეთია აკაკის პოეზია და აკაკის ნაწერები —

ცრემლში მილესავს ნაღველი  
და მელნათ ის მიხმარია.

და ჩვენ უბრალო მომაკვდავები ვგრძნობთ, რომ აკაკი ძალიან იშვიათათ ხმარობს სხვა მელანს, და სადაც ხმარობს, იქ ის სუსტია.

აკაკიმ შესწირა თავისი მხატვრული სული იმ ნესტან-დარეჯანს, რომელიც სამარადისო განსახიერებაა საქართველოსი. ერთი ნამცეცეცი არ დაუტოვებია თავისთვის თავისი შემოქმედებითი სულიერი სიმდიდრისგან.

გ. პლехანოვმა დაახასიათა ხელოვნება ხელოვნებისათვის — ეს მაშინ იკიდებს ფეხს, როცა მხატვარი შეურიგებლათაა განწყობილი სინამდვილესთანო. მაშინ მხატვარი ჰფიქრობს მხოლოდ თავისთვის, თავს ივინყებს „ტკბილ ხმებში“, ემიჯნება საზოგადოებრივ ცხოვრებას.

აკაკი შეურიგებლათ იყო განწყობილი თავისი დროის საქართველოსთან და არც ერთი ხმა არ გამოუღია თავის სიმებიდან თავდავინყების მიზნით. ხელოვნება ხელოვნებისათვის უტყბო იყო აკაკის პოეზიაში. მისი თავდავინყება, დადნობა, გაქრობა ხდებოდა საქართველოსთვის და არა ხელოვნებისთვის.

#### IV

*„ამ სოფელს გამოთხოვებიხართ, დღეს თუ ხვალ აღარც ერთი აღარ იქნებით და ცხვრებსავით კი დაგიდვით თავი!.. არ გიჯობსთ, რომ წინააღმდეგეთ უწმინდურს და ბრძოლაში დალიოთ სული? განა ეს უფრო ვაჟკაცური არ იქნება და გულის მოსაოხებელი?.. ამ სიტყვამ ელვასავით დაურბინა ხალხს და გამოაფხიზლა“.*

„ბაში-აჩუკი“

აკაკი გმირს ეძებდა, მაგრამ საქართველოს სასიცოცხლოთ ეძებდა. საქართველოს ისტორიაში ხშირია სასონარკვეთილებისგან გამოსული გმრობა. ხშირია ისეთი მაგალი-

თიც, რომ ამისთანა გმირობას გადაურჩენია საქართველო. სასონარკვეთილებაშიაც ჩავარდნილ ერს უბრძოლია სიცოცხლისთვის და მიზნათ არ დაუსახავს თვითმკვლელობა. ნამდვილი გმირი არ წავა ბრძოლის ველზე იმ სულიერი განწყობილებით, რომლითაც მიდიან ვ. ჰიუგოს ნაწარმოებში (отверженные) პატარ-პატარა კაცები ბარიკადებზე.

ვიმეორებ, აკაკი ეძებდა სასიცოცხლო და არა სათვითმკვლელო გმირობას. თვითმკვლელობას უდრიდა მის თვალში „ცხვრებივით თავის გადება“, ხელ-ფეხის გაუნძრევლობა და უღელქვეშ კისრის გაჩერება. ამისთანა ერი ვერ იცოცხლებს, სული თუ მოუკვდა, ხორციც აღარ შეუჩრება.

აკაკის პოეზია ებრძოდა „თავის გადებას“, მოდუნებას, მონებას და მორჩილებას. მისი ჩანგიდან გაისმოდა ხმა შინაური ბატონის და მეფის რუსეთის წინააღმდეგაც. არ ჰქონდა გზა, არ იცოდა, როგორ უნდა გადაეცია ეს ხმა საქმეთ. აქ იმას გულს უკლავდა „ამაო ძებნა“. აქ ის ჰკავდა თავის „ჭაბუკს“, რომელიც

კენესის და ოხრავს, სტირს უბადრუკი  
და წარსულს დროებს ოცნებით ეძებს,  
მთა-კლდეთ შებლავის, ჩასძახის ქვესკნელს,  
წყალსა მიჰყვირის მსწრაფლ მიმავალსა...

პასუხი არ ჰქონდა არსაიდან და თავისი კითხვებით აქაფებულ მდინარესავით სურდა „გაგლეჯა კლდოვან კლდეთ“.

„კლდოვან კლდესავით“ ელობებოდა აკაკის ძიებას მისი თანამედროვე სინამდვილე, უძნელებდა გზის გაკაფვას ნესტან-დარეჯანის „ცხრაკლიტულისაკენ“. იმედი, „მთის გადაღამიდან“ უეცრათ გამონათებული „მთვარე“ ამხნევებდა და მგოსანი განაგრძობდა ტარიელობას.

ის შეეცურავდა ხოლმე იდეალიზმის ტალღებში. სწამდა ყოვლად შემძლე, სასწაულ-მოქმედი მშვენიერება, ხალხს აყურებინებდა მშვენიერი სახეებისკენ, ფიქრობდა, რომ ეს გააღვივებს ნაცრით დაფარულ „ნაკვერცხალს“ ხალხში, და ხალხი დაიჯერებს, რომ ძმობა-ერთობა-თანხმობა უკეთესია, ვიდრე ბატონ-ყმობა და ერთი მეორის მტრობა. ხელოვნება აკაკის პოეზიას მიაქვს საზოგადოებრივი ცხოვრების სამსხვერპლოზე, მაგრამ სწამს, რომ ხელოვნება გარდაქმნის საზოგადოებრივ ცხოვრებას. მხატვრული სინამდვილის იარაღით ის ფიქრობდა საზოგადოებრივი სინამდვილის გადაბრუნებას.

ამ იდეალიზმის გასამართლებელ სახეებს ის იღებდა მხოლოდ შორი წარსულიდან. აწმყოსთვის და მომავლისთვის კი შესაძლებლათ ვერ მიიჩნევდა „თორნიკე ერისთავს“, „ბაგრატი დიდს“, „ნათელას“, „ადამ ბებურიშვილს“ და სხვა ისტორიულ გმირებს.

აწმყოსთვის და მომავლისთვის მხატვრული გრძნობა გზას უნათებდა მშრომელი ხალხისკენ და არა თითო-თითო გმირებისკენ. მისი შემოქმედებითი ალლო ნიშანში იღებდა ახალ გმირს და ეს გმირი იყო მისი გათვალისწინებით მშრომელი ხალხი.

აკაკის პოეზია წინამორბედი იყო მშრომელი ხალხის, რომელიც დღეს გამოვიდა ძიების ასპარეზზე. აკაკი ელოდა ახალ ტარიელს და თავის თავი მიაჩნდა იმის „უძღურ წინამორბედთ“. ისტორიამ დაავალა ტარიელობა მშრომელ ხალხს, ის გამოიყვანს ცხრაკლიტულიდან ნესტანდარეჯანს, — შექმნის ახალ საქართველოს, რომელსაც ეტრფოდა „სხვაგვარი ტრფობით“ და რომელსაც ვერ მოესწრო აკაკი წერეთელი.

გავა კიდევ არა ერთი და ორი ათეული წელი, და გამოფხიზლებულ ხალხს მისი პოეზია ექნება „საიდუმლო ბარათთ“, „სისხარულის მომნიჭეთ და სევდისა ფარადა“...

## ილია ჭავჭავაძე და მისი მხატვრული შემოქმედება

### 1

ჩვენი ცხოვრების რომელ საკითხსაც არ უნდა შევეხოთ, ბოლოს და ბოლოს მაინც მივადგებით მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისს, როდესაც საქართველომ დამოუკიდებლობა დაჰკარგა.

საქართველო იმდენათ გაბეზრებული, ილაჯ-განყვეტილი და მოქანცული იყო გარეშე მტრების თავდასხმისაგან, რომ უმრავლესობა კმაყოფილებით შეხვდა რუსეთთან საქართველოს შეერთებას.

ქართველი ხალხი მალე დარწმუნდა, რომ მან ვერ ჰპოვა ის მყუდროება და მშვიდობიანი ცხოვრება, რომელსაც რუსეთის თვითმპყრობელობისაგან გამოელოდა.

საქართველო იყო მეტის მეტად მოშორებული, რუსეთის ცენტრიდან მოწყვეტილი კუთხე. აქეთკენ წამოსვლა ერთგვარი საშიშროება, საფრთხე იყო.

ამიტომ აქეთ მოდიოდა რუსეთიდან უმეტესად დაბალი ზნეობის, თავზე ხელ-ალებული მოხელე, რომელსაც იზიდავდა საქართველოში ან ზედმეტი ჯამაგირი, ან ქრთამითა და ხალხის გაყვლეფით ქონების შეძენის იმედი.

საქართველოდან ცენტრამდის ხმა ძვირად მიუწევდა და ყველა ამ მიზეზებისა გამო თვითმპყრობელი მთავრობის მოხელეებმა და რეჟიმმა ქართველ ხალხს ჭირზე-ჭირი დაუმატეს.

რუსეთი აწარმოებდა ომს მთიულეთთან. საქართველო გადაიქცა ერთგვარ ბაზად და მცხოვრებლები — განსაკუთრებით გლეხობა — აუტანელ მდგომარეობაში ჩაცვინდნენ.

ის ნაწილი ქართველი წარჩინებული წოდებისა, რომელიც რუსეთთან შეერთებას უჭერდა მხარს, დარწმუნებული იყო, რომ რუსეთის მთავრობა მას ჩააბარებდა მართვა-გამგებლობას.

კარგი ჯამაგირი, პატივი, სახელი, მშვიდობიანი, კეთილი და უზრუნველყოფილი ცხოვრება.

რა თქმა უნდა, წარჩინებულ წოდებას მოლოდინი არ გაუმართლდა: საქართველო ხელში ჩაიგდეს სათელელად რუსის მოხელეებმა და წარჩინებული წოდება გარიყული დარჩა, თითო-ოროლა გამონაკლისს გარდა.

აი, ასეთს პირობებში დაიბადა და გაიზარდა საერთო უკმაყოფილება.

უკმაყოფილო იყო გლეხი, უკმაყოფილო იყო თავადი — თუმცა სხვადასხვა მოსაზრებით.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში იფეთქა აჯანყებამ, მაგრამ იარაღით იქმნა ჩაქრობილი.

დაიწყო უფერული ცხოვრება და იმედ-გაცრუებულმა წარჩინებულმა წოდებამ მთელი თავისი ყურადღება წარსულზე გადაიტანა.

პოეზიას დაეუფლა იერემიას ცრემლები და გოდება.

თუ ეს ცრემლები მიმზიდველია და გოდება საგულისხმო ისეთი ნიჭიერი პოეტების შემოქმედებაში, როგორც ალ. ჭავჭავაძე, ვახტ. და გრიგოლ ორბელიანები — წვრილფეხა პოეტების ხელში ყოველივე ეს გადაიქცა დაუსრულებელ წუნწუნად.

ამ წუნწუნის გავლენას ვერ ასცდნენ ისეთი დიდ მგოსნები, როგორც აკაკი და ვაჟა.

„მას ნულარ ვსტირით, რაც დამარხულა,  
რაც უწყალოს დროთ ხელით დანთქმულა.  
მოვიკლად წარსულ დროებზედ დარდი...  
ჩვენ უნდა ვსდიოთ ეხლა სხვა ვარსკვლავს.  
ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი.  
ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს“.

გაისმა ამდროს.

რაოდენი ძალა, სიმტკიცე, რწმენა და გარდამწყვეტილება არის ამ სიტყვებში!

ეს არის უკვე დასაწყისი ახალისა.

ეს სიტყვები ეკუთვნის ილია ჭავჭავაძეს.

ამ სიტყვებში სრული ადამიანია, მთელი მისი ხასიათი, ბუნება, მიდრეკილება.

აქ არის გრძნობის დამორჩილება, დასადავება, სიმშრალე ქვისა, სიმტკიცე ფოლადისა.

ასეთი იყო ილია ცხოვრებაში — ბევრჯერ მიუკარებელი, ბევრჯერ შეუბრალებელი, ხშირად გულქვა, გაუდრეკელი.

იმის ხასიათს ძალიან ბევრი კუთხე ჰქონდა და სხვადასხვა კუთხიდან მჭვრეტელს ის სხვადასხვანაირად ეჩვენებოდა.

გაიხსენეთ მისი მიმართვა ბედისადმი:

„გეყო!.. მოვიდა დრო ანგარიშის,  
მოდი, გავსწორდეთ, ნუ მემალეები.  
ნარვიდენ დღენი შენის უფლების,  
დროა დავსცვალოთ ჩვენ ადგილები...  
შენს დუდუკზედა აქამდინ ვხტოდი.  
ბევრჯერ და ბევრჯერ შენ მაძრუნუნე.  
ეხლა დუდუკი მე მაქვს, აქ მოდი.  
მე დაუეკრამ და — შენ კი იხტუნე“.

აქ არის ბედის გამონვევა ხმალში, აქ არის ბედის სრული დამორჩილება, დამონავევა, შეკვრა, შებოჭვა და საცინად აგდება.

ბედის ჩაჭერა მუჭში ადვილად, გულდამშვიდებით, ბედზედ სრული გაბატონება, აი, როგორი სურათი ისახება აქ.

ეს სიტყვები ამჟღავნებენ რკინის ნებას, რომელიც თავის გზაზე ყოველისფერს გადალახავს დინჯად, მოფიქრებულად, აუღელვებლად.

ასეთს ხასიათში არის ბუნება კლდესავით მტკიცე ადამიანისა, რომელიც არავის არაფრად არ აგდებს. თავს არავის არ უტოლებს და ამპარტავანის მედიდურობით დაჰყურებს ყველას თავისი მიუკარებლობის სიმაღლიდან.

ამისი მსგავსი იყო ილია ჭავჭავაძეში და ეს გამოსჩანს მისი შემოქმედების პირველი სტრიქონებიდანვე.

ის მიმართავს ყვარელის მთებს:

„და შევნატრიდი ყმანვილურად თქვენს ზემო მხარეს,  
სადაც ღრუბელი ვერ ჰბედავდენ შიშით სრბოლასა,  
სადაც ისმენდით ამაყადა გრიგალთ ქროლასა...“

...

იქ მე ვნატრობდი ყმანვილ ყრმობის სიმარტივითა  
ფრენას და ტანტალს თქვენს საშინელ გრიგალივითა“.

აქ არის ამაყი სურვილი განდიდებისა, მიუნდომელობის, რაც რამდენიმე წლის შემდეგ უკვე ნამდვილ შეგნებად არის გადაქცეული.

„მაგრამ, მამულო, ჩემი ტანჯვა მხოლოდ ის არი,  
ის არის მხოლოდ სავალალო და სამწუხარო,  
რომ შენს მინაზედ, ამდენ ხალხში კაცი არ არი,  
რომ ფიქრი ვანდო, გრძნობა ჩემი გავუზიარო“.

ეს არის საშინელი მსჯავრი, ხოლო ყოველთვის და ყველგან შემცდარი: ქვეყანა ერთი კაცით არსად არ დანყებულა და ერთი კაცით არ გათავებულა.

მაგრამ აქ საინტერესოა თვითონ ბუნება ილიასი, მისი შეგნება, წარმოდგენა საკუთარ თავზე.

საქართველოში მას მიაჩნია თავისი თავი ერთად ერთ, ყველაზე მალლა მდგომ ადამიანად.

ილიას პიროვნებისა და ბუნების გასაშუქებლად მეტად საყურადღებოა მისი ლექსი „პოეტი“.

„მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის,  
მინიერი ზეციერსა:  
ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ,  
რომ წარვუძღვე წინა ერსა“.

შეადარეთ ამას აკაკის პოეტიდან „გარემოების საყვირი“, ან „შუა კაცი ვარ, უბრალო“, და დარწმუნდებით, რამდენი სიამაყე, მედიდურობა, მიუკარებლობა არის ილიას სიტყვებში.

ზეციერი, რომელსაც ცა ნიშნავს ერის წინამძღოლად — აი, ილიას წარმოდგენა.

აქ არის დაყრდნობა საკუთარ თავზე და ერის უფლებათა გადაღახვა. ვისაც თვითონ ცა ნიშნავს ერის წინამძღოლად, მისთვის ერის ნება არ არსებობს.

ამავე დროს „კაკო ყაჩაღი“, „აჩრდილი“ წმინდა დემოკრატიზმის მატარებელი არიან.

როგორ უნდა შეუთავსოთ ერთმანეთს ასეთი წინააღმდეგობა?

ილია იყო შვილი თავისი დროისა, აღიზარდა მესამოცე წლების ლიბერალურ იდეებზე.

ამიტომ თავისი შეგნებით ის იყო დემოკრატი, თავისი ბუნებით — არისტოკრატი.

რკინის ნება და გრძნობის სრული დამორჩილება — აი, ილია ჭავჭავაძე.

ამიტომ იყო ის პირად ცხოვრებაში და საზოგადო ასპარეზზე ბევრჯერ სასტიკი, მიუკარებელი, გულქვა.

ამავე დროს მისი პირველი ნაბიჯები პოეზიის ასპარეზზე გრძნობით არის გამთბარი.

გაიხსენეთ მისი ლექსი: „გიყვარდეს“...

ამ გულქვა და სასტიკ ადამიანს თურმე სიყვარული მიუძღოდა წინ ყოველგან.

ილია ჭავჭავაძეს მართლაც უყვარდა, მაგრამ მისი სიყვარული არის ნიცშეს სიყვარული, რომელიც სასტიკია, შეუბრალებელი ახლობელისადმი, რადგანაც მას შორეული უყვარს.

„სიყვარულმა უნდა სძლიოს შებრალება და შეცოდება“ — ჰქადაგობს ზარატუსტრა.

— როგორი სიყვარულია იქ, სადაც სიბრალეული არ არის? — ეკითხებით თქვენ.

— ძმანო ჩემნო, ახლობელისადმი სიყვარულს კი არ გირჩევთ თქვენ, არამედ შორეულისადმი — გიპასუხებს ზარატუსტრა და განა თვითონ ნიცშე სასტიკი არ იყო, შეუბრალებელი? იყო და იმიტომ, რომ მას მეტისმეტად უყვარდა შორეული.

ილიასაც სძულს ახლობელი და უყვარს შორეული, მომავალი საქართველო.

თუ როგორ ესმოდა მას შორეული, მომავალი საქართველო, ეს მან გამოჰხატა „აჩრდილში“.

რამდენათაც უფრო უყვარდა მას ეს შორეული, იმდენათ უფრო სასტიკი იყო ახლობელისადმი.

გაიხსენეთ ჰაუპტმანის „ჩაძირული ზარი“.

ჰეინრიხმა მიატოვა ოჯახი — გრძნობის სალარო — და გაჰყვა რაუტენდალანს — თავის ოცნებას.

მასთან მიდიან მისი ბავშვები სურით ხელში.

— ეგ რა არის? — ეკითხება ჰეინრიხი.



— დედის ცრემლები!

ჰეინრიხი გატყდა და დაიმსხვრა მისი ოცნება.

დედის ცრემლებით სავსე სურა უფრო მტკიცე გამოდგა, ვიდრე მისი ბუნება.

რას იზამდა ილია ჭავჭავაძე, ჰეინრიხის ადგილას რომ ჰყოფილიყოს? ის გამოართმევდა ბავშვებს სურას და დაამსხვრევდა.

კარგია ეს თუ ცუდი, ამისი ანონ-დანონვა აქ ზნეობრივ სასწორზე უალაგო იქნება.

ერთი რამ კი აშკარა უნდა იყოს: არის ზოგჯერ ისეთი გარემოება, როდესაც ამგვარი მოქმედება საჭიროა.

## 2

ყოველი მტკიცე ხასიათი და მაგარი ბუნება მეტოქეობას ვერ ითმენს, მას პირველობა უნდა და ცდილობს, ყველა მოდრიკოს, დაიმორჩილოს.

ასეთი იყო ილია ჭავჭავაძე. თავისი დროის მოწინავე საზოგადოებაში ის იბრძოდა პირველობისათვის და გაიმარჯვა კიდევ; გაბატონდა, გამეფდა ყველგან, ყოველ დაწესებულებაში.

ერთ კაცს არ შეეძლო ნაყოფიერად ემუშავნა იმდენ დაწესებულებაში, რამდენშიაც ილია იყო არჩეული. ამიტომაც ბევრგან ველარ ასწრებდა ილია, ბევრგან საქმე ფერხდებოდა.

მაგრამ ის არავის არასფერს დაუთმობდა, რადგანაც პირველობისათვის საჭირო იყო, რომ მისი სახელი ყველგანა ჰყოფილიყო.

თუ სადმე გამორჩეობოდა მეტოქე, ის ეკვეთებოდა მთელის თავისი სიმკაცრითა და სისასტიკით.

აქ არის სათავე ილია ჭავჭავაძის და ივანე მაჩაბლის მწვავე ბრძოლისა.

გავრცელებულია აზრი, ილია ნიჭს ვერ იტანდა და თავის გარშემო უნიჭოებს უყრიდა თავსო.

სრული შეცდომაა. განა ივანე მაჩაბელი ილიას მარჯვენა ხელი არ იყო თითქმის ათი წლის განმავლობაში?

ილიას უყვარდა ყოველი ნიჭი მანამდე, სანამ ეს ნიჭი მისი ხელქვეითი და მორჩილი იყო.

ილია იყო მძიმე, აუჩქარებელი, დინჯი, ხშირად ზანტი. ის მშრალი გონებით გაზომავდა ყოველივეს რამდენჯერმე და შემდეგ გადასწყვეტდა; გრძნობას არ აჰყვებოდა.

ივანე მაჩაბელი კი იყო ჩქარი, მოძრავი, ვერცხლის წყალი, ფიცხი, გრძნობის აფეთქების ადამიანი.

მათი ბუნება სხვადასხვა იყო, მაგრამ ეს მაინც დიდხანს არ უშლიდა ხელს მათს ერთად მუშაობას.

მაგრამ, როდესაც ივანე მაჩაბელმა თავი აიშვა და ილიას წინააღმდეგ გადადგა ნაბიჯი, აი, მაშინ ჩაისახა უთანხმოება და შემდეგ ჩატყდა მათ შორის ხიდი.

ილიას თვალში ბანკი იყო უდიდესი ეროვნული საქმე, „ლონე ხსნისა“, როგორც მას უწოდებს ილია.

ასეთი საქმის სათავეში ორი წინამძღოლი ილიას არა სწამდა; ივანე მაჩაბელს კი ილია ჭავჭავაძე მიაჩნდა მავნებელ წინამძღოლად. ამიტომ შეტაკება მათ შორის აუცილებელი იყო.

ილიას და ვანოს გარშემო მთელი მაშინდელი მოწინავე ქართველობა დაირაზმა, ორ მოპირდაპირე ბანაკად გაიყო.

დღეს ჩვენ გვაოცებს ბრძოლის ასეთი გაზვიადება და გამწვავება.

მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ მაშინდელი დრო. ბანკი იყო უდიდესი ეროვნული დაწესებულება. მისი წლიური წმინდა შემოსავალი ნახევარ მილიონ ოქროს უდრიდა; უმეტესი ნაწილი ამ ფულისა ხმარდებოდა სხვადასხვა ქართულ კულტურულ საქმეს.

მაშასადამე, ვის ხელშიაც იყო ბანკი, იმის ხელში იყო ეროვნული კულტურის საქმე; ვინც გაბატონებული იყო ბანკში, ის გაბატონებული იყო საზოგადო ასპარეზზედაც.



რა თქმა უნდა, ასეთს პირობებში ბრძოლა გამწვავდებოდა და ილია იქნებოდა სასტიკი, უღმობელი, შეუბრალებელი.

ზომიერად მდაბალი, მხარბეჭიანი, მკვრივი, მკვიდრად ჩასკვნილი და ჩაკირული, ძვალ-მსხვილი და ძარღვიანი ბრინჯაოს ქანდაკება იყო სიმტიციისა და სიდინჯისა, ბატონობისა და სიმაგრისა.

რა ცეცხლი ან შავი ფიქრი არ უნდა ჰყოფილიყო იმის გულში, იმისი სახე მუდამ აუჩქარებელი იყო.

ის იყო საუცხოვო მცოდნე ხალხის ფსიქოლოგიისა და ძლიერი ორატორი, რომლის ყოველ სიტყვას ტყვიის სიმძიმე ჰქონდა და ფოლადის სიმტიციე.

საქართველო და ქართველი ერი — აი, საითკენ ჰქროდა მუდამ ილია ჭავჭავაძის გონება.

„ავციოლია სიყრმიდანვე ჩვენ ქართველის ბედმა,  
და დაე გვძრახონ, — ჩვენ მის ძებნით დავლიოთ დღენი“.

მაგრამ მუდამ იყო დარწმუნებული, რომ ქართველი ერის ინტერესები იმასავით არავის არ ჰქონდა შეგნებული და გათვალისწინებული.

„აქ არვის — დიდსა, თუ პატარასა —  
ქვეყნის ტკივილით არ სტკივა გული.  
დაჰვინყებია, რომ ქვეყნად ცასა  
ღვთად მოუცია მარტო მამული.“

ამ სტრიქონებში ორი რამ არის საყურადღებო: აზრი პოეტისა იმის თანამედროვე ქართველებზე და მისი შეხედულება მამულზე.

რაკი ქვეყნის ტკივილით არავის აღარა სტკივა გული და ქვეყანა დაღუპვის პირას არის, საჭიროა ძლიერი ხელი, დიქტატორი.

და მართლაც, ილია ჭავჭავაძე ნამდვილი დიქტატორი იყო ჩვენს საზოგადოებრივს ასპარეზზე მრავალი წლების განმავლობაში.

თუ მამული ქვეყნიური ღმერთია, მის წინაშე უნდა გაჰქრეს ყოველგვარი უთანხმოება და მტრობა, ყველამ მსხვერპლად უნდა მიიტანოს თავისი თავი, ინტერესები და კეთილდღეობა.

ამ აზრს გარკვეულად დაადგა ილია ჭავჭავაძე მას შემდეგ, როდესაც ის ბანკის მეთაური და წინამძღოლი გახდა, მაგრამ ამაზედ ქვევით ვილაპარაკოთ.

ილიას თვალში საქართველო წარმოადგენდა დანგრეულ ქვეყანას, რომელსაც აღდგენა ესაჭიროებოდა.

მთელი სიტყვა-კაზმული მწერლობა ილიასი არის ერთი დიდი გეგმა საქართველოს აღდგენისა, გეგმა წინდანინვე აწონ-დანონილი, ნააზრევი და მოფიქრებული.

ეს გეგმა მან შეიმუშავა, შეადგინა სტუდენტობის დროს და შემდეგ ავითარებდა მას; ახალი არაფერი აღარ შეუქმნია გარდა აჩრდილისა და ოთარაანთ ქვრივისა.

ილია ჭავჭავაძის ვარიანტები ამ მხრივ იძლევიან მეტად საყურადღებო მასალას.

თავდაპირველად „კაცია ადამიანი“, „გლახის ნაამბობი“ და „კაკო ყაჩალი“ უნდა ჰყოფილიყო ერთი დიდი მოთხრობა; „გლახის ნაამბობის“ დათიკო იქნებოდა ლუარსაბ თათქარიძის შვილი, მისი ყმა გაბრიელი კი — კაკო ყაჩალი.

ილიას ყოველ ნაწარმოებს დანგრეული საქართველოს აღდგენასა და განახლებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს.

როდესაც ისა სწერს „კაკო ყაჩალს“, მასა აქვს გარკვეული მიზანი — საქართველოს აღდგენა; როდესაც ისა წერს „კაცია ადამიანს“, მას აქვს იგივე გარკვეული მიზანი.

ილიასათვის ხელოვნება, პოეზია არის მხოლოდ ერთგვარი საშუალება, ერთგვარი იარაღი „ჩვენი დაცემული ვინაობის აღსადგენად“.

თავისი მხატვრული გეგმით ის უფრო სახელმწიფო მოღვაწეა, ვიდრე პოეტი, იმის შემოქმედებაში არ არის თავისუფალი პოეზია, თავისუფალი მას მხოლოდ საქართველო სწამს და ამ მიზანს სწირავს ის ყოველისფერს, ხელოვნებასაც.

„მე სახელ-გვარად, ვინ იყო მთავრად,  
მპყრობი გურიის და აჭარისა,  
ვგავარ მას, მარა არვინ მამთავრა“...

ეს სიტყვები მამია გურიელისა ყველაზე უფრო ილია ჭავჭავაძეს შეეფერება.

სხვა დროს და სხვა პირობებში რომ დაბადებულყო, ის იქნებოდა დიდი სახელმწიფო მოღვაწე და შესაძლებელია, ერთ სტრიქონს ლექსსაც არ დასწერდა, მთელ თავის ნიჭსა და ძალღონეს მოქმედებაში დაჰხარჯავდა.

მაგრამ ის დაიბადა ისეთს პოლიტიკურ პირობებში, როდესაც არ შეეძლო თავის გეგმის მოქმედებად გადაქცევა; ამიტომაც ახორციელებდა მას ოცნებით ხელოვნების სამფლობელოში.

პოლიტიკურმა პირობებმა გადააქციეს ილია ჭავჭავაძე მიჯაჭვულ ამირანად, რომელიც პოეზიაში ჰკლავდა თავის წყურვილს, რადგანაც ხმლის ალება ხელში არ შეეძლო:

„მე ჩემის ჭირის, ჩემის წუხილის,  
სიტყვანი გულში მებადებიან,  
მაგრამ გულშივე უხმოდ ჰკვდებიან“.

### 3

მაშ, ილია ჭავჭავაძე პოეტი არ იყო?

ის იყო დიდი პოეტი, მაგრამ უფრო დიდი სახელმწიფო მოღვაწე.

ჩვენში გავრცელებულია შეხედულება: ილია აზრით არის მძლავრი, პოეზიით კი — სუსტი. მას ხშირად ადარებენ აკაკის და უკანასკნელს მალა აყენებენ, როგორც პოეტს. ასეთი შეხედულება ნაყოფია სრული გაუგებრობისა.

აკაკი და ილია ორი სხვადასხვა მწვერვალია პოეზიისა და მათი შედარება შეუძლებელია. ილია გამოჰხატავს ერთ მიმდინარეობას პოეზიაში, აკაკი — მეორეს.

აკაკის დახასიათება პოეტისა მეტად საგულისხმო არის: „შუაკაცი ვარ, უბრალო“.

საქართველოს ისტორია სავსე არის საშინელებით. საშინელებამ ვერ გასტეხა ძველი ქართველი, ვერ დააჩიავა, არამედ გაასალკლდევდა, ჩაჰკირა. მას შეეძლო თოფით ხელში ქეიფი და დროს ტარება, თოფით თავქვემ ძილი.

და თუ მეორე დღეს მტრის ხელით სიკვდილი მოელოდა, ამაზე არ ფიქრობდა, ამას არა ჰნაღვლობდა.

მას სრული უფლება ჰქონდა, გაემეორებია ტარიელის სიტყვები: ვარ უმაგრესი რვალისაო.

გრძნობის სადავე მას ხელთ ეპყრა და მთლიანი, გაუორებელი, უყოყმანო იყო.

დღეს ჩვენ გრძნობა მოგვერია, ყოყმანმა და ფიქრმა დაგვკლავს. ქუხილი გვაშინებს და მინისძვრა სასონარკვეთილებაში გვაგდებს.

თუ რაიმე საფრთხეს მოველით, არა თუ დროს ტარება აღარ შეგვიძლია, მოსვენება გვეკარგება.

ჩვენ ველარ ვიტყვით: ვარ უმაგრესი რვალისა, არამედ უნდა ვიმეოროთ: „შუაკაცი ვარ, უბრალო“.

თავაშვებულ გრძნობას მუსიკა ატკობს, გულის ტკივილებს მუსიკა აამებს, მწარე ფიქრებს მუსიკა აყრუებს და ჩვენც ყველგან მუსიკა გვინდა, ყოველისფერში მუსიკას ვეძებთ.

წინად პოეზიაში ქართველ ადამიანს იზიდავდა ეპოსი.

დღეს ჩვენი პოეზიიდან ეპოსი სრულიად განიდევნა და ლირიკა გამეფდა.

ლირიკა მე მიყვარს აღმაფრთოვანებული, რომ მოგიტაცებს, ჰაერში დაგატრიალებს, გაგაბრუნებს და ყოვლის შემძლებელ გოლიათად წარმოგადგენიებს თავს.

ლირიკა მე მიყვარს მოელვარე, შუბლს რომ შეამკობს ბრწყინვალეების შარავანდედით და ქვეყანას სამოთხედ მოგაჩვენებს.

ლირიკა მე მწამს მზიური, ძარღვებში, რომ სისხლს აადულებს და ოთხმოცი წლის მოხუცს ოცი წლის ახალგაზრდად წარმოადგენიებს თავის თავს.

ლირიკა მესმის ხალისიანი, იმედიანი, სევდასა და ვარამს რომ დაგავინწყებიებს და ეკლების ალაგას ვარდებს მოგაჩვენებს.

ლირიკა უნდა გმირული, გულის ალაგას რომ კლდეს ჩაგიდებს და სიკვდილს უშიშრად, ლალად დაგაჯახებს.

სად არის ჩვენში ასეთი ლირიკა?

არის, მაგრამ მიღებული, სანთლით საძებარი.

ჩვენს პოეზიას სევდა, გულგატეხილობა და წუნწუნი დაეუფლა.

ჩვენი ლირიკა დღეს მომაგონებს მოთქმას მოხუცისას, რომელიც სიკვდილს მიჩერებია და შიშით შეპყრობილი ჰგოდებს და ცახცახებს.

ამიტომ არის — ვიმეორებ, რომ ჩვენ პოეზიაში მუსიკას ვეძებთ, მუსიკით ვითრობით, მუსიკით ვიყუჩებთ გულის კვნესას.

აკაკის პოეზიაში, მართლაც, მძლავრია მუსიკა. მისი პოეზია ნამდვილი სიმღერაა ხშირად მეტად ლამაზი, ტკბილი, დამათრობელი, სევდის დამავინწყებელი, მწუხარების უკუმყრელი და გულის ჭმუნვათა გამქარვებელი.

ამიტომაც აკაკი ახლოს არის ჩვენს გულთან, ჩვენ ის უფრო გვესმის.

ილია სულ სხვა ბუნებაა.

ის არ არის გრძნობის ადამიანი და ამიტომ მუსიკას პოეზიაში ვერც მოგცემს.

მუსიკისათვის მისი სმენა მეტის მეტად ჩლუნგი არის.

მისი ბიოგრაფი, მასთან საკმაოდ დაახლოვებული გრ. ყიფშიძე მოგვითხრობს: „ილიას მუსიკის ნიჭი, მუსიკალური სმენა ძალიან ნაკლებად ჰქონდა განვითარებული, ევროპიული მუსიკაც ნაკლებად ესმოდა და ალბად ვერცა სტკებებოდა საკმაოდ ამ მუსიკით... როცა ლხინი იყო სუფრაზედ და მახლობელთა მეტი არავინ იყო, თითონაც აეშლებოდა ხოლმე საღერღელი სიმღერის თქმისა და აჰყვებოდა მომღერლებს, მაგრამ დისონანსის მეტი არა შეჰქონდა რა საერთო სიმღერაში, ვერც ერთი ხმა, ვერც ერთი ნოტი, ვერც ერთი ნაწყვეტი ამა თუ იმ კილოსი სწორედ ვერ მოუვიდოდა ხოლმე და მომღერალნი რომ ერთსა ამბობდენ, ის სულ სხვას ამბობდა“.

პოეტს არ უნდა მოსთხოვოთ ის, რაც იმის ბუნებას არ შეესაბამება.

ჩვენ ვეძებთ ილიას პოეზიაში მუსიკას და როდესაც ვერა ვპოულობთ, ეს დიდ ნაკლად მიგვაჩნია; რომანისტი ნიჭი აქვს, პოეტისა კი არაო, გავიძახით.

ასეთი შეხედულება ამჟღავნებს მხოლოდ ჩვენს ჩამორჩენას.

პოეზიის სილამაზეს განა მარტო მუსიკა შეადგენს?

ქანდაკება სიტყვებით გამოხატული იგივე სილამაზეა პოეზიისა.

ოსტვალდ შპენგლერი თავის ცნობილ წიგნში ამტკიცებს: თანამედროვე ადამიანმა დაჰკარგა შეგნება იმ სიტყვიერი ქანდაკებისა, რომელიც ძველი რომისა და საბერძნეთის პოეზიას ახასიათებს.

ილიას პოეზიის მომხიბლავ მშვენიერებას სწორედ ეს სიტყვიერი ქანდაკება შეადგენს.

აიღეთ მისი პოემები. ყველგან არის განსაკუთრებული ბრინჯაოს ქანდაკების სილამაზე სიტყვებისა და სტრიქონების შესაფერი შეხამებით გამოსახული.

აიღეთ „განდეგილი“:

„სადაც დიდებულს მთასა მყინვარსა,  
 ორბნი, არწივნი ვერ შეჰხებიან,  
 სად წვიმა-თოვლნი, ყინულად ქმნილნი,  
 მზისგან აროდეს არა ჰდნებიან,  
 სად უდაბურსა მას მყუდროებას  
 კაცთ ჟრამული ვერ შესწვდენია,  
 სად მეუფება ჭეჭა-ქუხილსა,  
 ყინულს და ქართა მხოლოდ ჰშთენია,  
 უწინდელს დროში ღვთისა მოსავთა  
 გამოუქვაბავთ მუნ მონასტერი  
 და ამ ყინულში შეთხრილს ღვთის ტაძარს,  
 ბეთლემს უწოდებს დღესაცა ერი.  
 ფრიალოსაებრ ჩამოთლილი აქვს  
 იმ წმინდათ სადგურს ყინულის ზღუდე  
 და ზედ კარია გამოკვეთილი,  
 ვით კლდის ნაპირზედ არწივის ბუდე.  
 ზღუდის ძირამდე რკინის რამ ჯაჭვი  
 ზედა ჰკიდია თურმე იმ კარსა, —  
 და თუ არ ჯაჭვით, სხვაფრივ ვერა გზით  
 ვერ ძალუძს ასვლა ვერარა კაცსა.“

ჩაუკვირდით ყველა სტრიქონს და დარწმუნდებით, რაოდენი სილამაზეა შიგ. მაგრამ აქ არის სილამაზე ქანდაკებისა და არა სონატასი.

მძიმე ლექსიაო, გაიგონებთ ილიაზე.

დიახ, ამონაწერი თავიც მძიმეა, მაგრამ ეს არის სიმძიმე ბრინჯაოს ქანდაკებისა.

მე შემეძლო მრავალი ადგილი მომეყვანა ილიას პოემებიდან ჩემი აზრის გასაშუქებლად, მაგრამ საჭიროდ არ მიმაჩნია, დანარჩენი თვითონ მკითხველისათვის მიმინდვია.

ილიას ბუნებას რკინის სილამაზე შეეფერებოდა პოეზიაში და მან მოგვცა ეს სილამაზე სიტყვიერი ქანდაკების სახით.

როდესაც ილიამ სამწერლო ასპარეზზე შემოდგა ფეხი და თვალი გადაავლო თანამედროვე საზოგადოებრივ ცხოვრებას, მან დაინახა ერთი დიდი წუმპე.

საშინელი სიტყვაა, მაგრამ მაშინდელი ცხოვრების დასახასიათებლად პოეტს სხვა ვერაფერი მოუნახავს.

ადამიანი ან უნდა განშორდე ასეთს ცხოვრებას, მოერიდო მას; ან დარჩე, ჩადგე შიგ და განმინდო.

ილიაც დარჩა და შეუდგა ცხოვრების განმენდას.

იმის ვარიანტებში არის ერთი პატარა მოთხრობა, რომელშიდაც გამოსკვნილია პოეტის შეხედულება თანამედროვე ცხოვრებაზე.

ეს მოთხრობა უნდა ჰყოფილიყო „კაცია ადამიანი“-ს წინასიტყვაობა. ცხოვრება არის აქ წარმოდგენილი, როგორც დიდი, აშშორებული გუბე, რომელშიაც ადამიანები პირუტყვებივით სცხოვრობენ და ვერ წარმოუდგენიათ, თუ სადმე არსებობს უკეთესი, მართლა ადამიანური ცხოვრება.

უდიდეს იარას ჩვენი ცხოვრებისას ბატონყმობა შეადგენდა.

ის ვინც მოინდომებდა ცხოვრების წუმპის განმენდას, ამ იარას გვერდს ვერ აუხვევდა და ილია ეკვეთა მას მთელის თავისი ახალგაზრდული გატაცებით.

ილიას შემოქმედების საუკეთესო ნიმუშები ყუმბარებია ბატონ-ყმობის წინააღმდეგ. უმეტესი წილი მათგანი სრულიად დაიბეჭდა ბატონყმობის გაუქმების შემდეგ.

ამ გარემოებამ დაჰბადა ასეთი მსჯელობა: ილიას პოეზიას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, რადგანაც იქ ბრძოლაა ბატონ-ყმობასთან ბატონყმობის გაუქმების შემდეგაო. ამგვარი მსჯელობა ნაყოფია სრული ფსიხოლოგიური და ესტეტიური უვიცობისა.

„კაკო ყაჩაღი“ რომ ბატონყმობის გაუქმებამდე სრულიად დაბეჭდილიყო, რუსეთის თვითმპყრობელი მთავრობა ყმებს გაანთავისუფლებდა ამისათვის?

ბატონყმობა მოისპო, მაგრამ ბატონყმური ფსიქოლოგია დიდხანს დარჩა ჩვენში.

წოდებები გააუქმა რევოლუციამ, მაგრამ ეს განა იმას ნიშნავს, რომ წოდებრივი ფსიქოლოგია აღარ არსებობდეს?

ილიას პოეზია ბრძოლაა ამ ფსიქოლოგიასთან.

მე მწამს პუბლიცისტიკა მხატვრულ ნაწარმოებში, მაგრამ მხატვრული ნაწარმოები ხომ პუბლიცისტიკა არ არის.

და ვინც მხატვრული ნაწარმოების მთელ მნიშვნელობას მხოლოდ პუბლიცისტიკაში ჰხედავს, მას არ ესმის, თუ რა არის ხელოვნება.

რაც უნდა დრო-მოჭმული იყოს ილიას პოეზიის პუბლიცისტური შინაარსი, მასში დარჩება უკვდავი განსახიერება მშვენიერების და მას მარად ექნება დიდი მხატვრული ღირებულება მისთვის, ვისაც მშვენიერების მუსიკა ესმის.

როდესაც ილიამ კალამს ხელი მოჰკიდა, ჩვენში ორი მთავარი წოდება იყო: გლეხობა და თავადაზნაურობა.

თუ ცხოვრება აშმორებულ გუბეს დაემგავნა, ამაში უმთავრეს ბრალს ილია თავადაზნაურობასა სდებდა.

მთელის თავისი სიმკაცრით, სისასტიკით და მოურიდებლობით ილია ეკვეთა წარჩინებულ წოდებას და გაიმართა სასტიკი ბრძოლა.

თუ რამდენად უშიშარი, პირდაპირი და მტკიცე იყო პოეტი ამ ბრძოლის დროს, ამას ამტკიცებს ის გარემოება, რომ ილია ცხრაჯერ იღებდა მონაწილეობას დუელში: ზოგჯერ იმას იწვევდენ, ზოგჯერ ის თვითონ იწვევდა; რამდენჯერმე კი მოკვლა დაუპირეს თავადებმა და შემთხვევით გადარჩა.

ახალგაზრდა ილია იყო სასტიკი მებრძოლი წარჩინებული წოდების წინააღმდეგ.

წარჩინებული წოდება მან გამოაცხადა ქართველი ერის მეტხორცად, გამყიდველად და მოღალატედ.

„ჩვენ ვვლეთ რუსეთი,  
მაგრამ არც ერთი  
ხელობა თქვენი არ გვისწავლია:  
ჩვენი ქვეყანა,  
მკვდარი თქვენგანა,  
თქვენებრ ჩინებზე არ გაგვიცვლია.  
ლიბერალობა,  
პატრიოტობა  
სალანძლავ სიტყვად არ გაგვიხდია.  
თქვენგან ჩაგრული,  
დაბრმავებული  
ერი ჯვრებზედ არ გაგვიყიდა.  
ქვეყნისა ბედი  
და ხსნის იმედი  
თქვენებრ ხელში მჩვრად არ გაგვხდომია;



კაცის მხნეობა,  
კაცის ზნეობა  
თქვენებრ ჩინებით არ გვიზომია.

...  
თქვენ ნაცარმქექნო  
და გულნამცეცნო,  
აქაც ძირს უთხრით ღარიბთ ერთობას.

ახალგაზრდა მგოსანი ებრძვის გააფთრებულად, გაბედულად და დაუზოგავად წარჩინებულ წოდებას, ბრწყინვალე არისტოკრატიას, რადგანაც მასში ჰხედავს „ღარიბთა ერთობის“ მტერს.

აქედან ცხადია, თუ რას ეტრფის ახალგაზრდა მგოსანი — ღარიბთა ერთობას, რადგანაც ამ ერთობაში ჰხედავს საქართველოს მომავალს, მისი აღდგენისა და განახლების საფუძველს.

ერთმანეთში ჩვენ ვერ მოვთავსდებით, — განაგრძობს იქვე ილია, — სანამ თქვენ ჩვენში ჰყრიხართ, ჩვენი წელში გამართვა შეუძლებელიაო.

ბრძოლა მკაცრი, ბრძოლა სასტიკი ღარიბთა ერთობის განსამტკიცებლად!

თითქოს ეს ჩვენი დროის მოწოდებაა და ამას ჰქადაგებდა ახალგაზრდა ილია ორმოცდათუთხმეტი წლის წინად სამოციანი წლების მიწურულში.

შემდეგ კი, როდესაც ილია ბანკის მეთაური გახდა, ბრძოლის მოწოდება თანხმობის ქადაგებად შესცვალა და ღარიბთა ერთობის ალაგას წამოაყენა ბუნდოვანი დაცემული ვინაობის აღდგენა. „სხვა საგანი ამაზედ უმძიმესი, ამაზედ უსაჭიროესი არა აქვს საქართველოს ეხლანდელს შვილს“, სწერს ილია ამ დაცემული ვინაობის შესახებ და დასძენს, ყველამ ერთად, ძმურად უნდა ვიმოქმედოთ იმის აღსადგენათო.

ასეთია ირონია ბედისა!

წარჩინებული წოდების დასამარცხებლად საჭირო იყო მისი სრული გათახსირების გამომზეურება, ნიღაბის ახდა, გამასხარავება.

ახალგაზრდა ილიამ ბრწყინვალედ შეასრულა ეს საქმე „კაცია ადამიანში“.

„კაცია ადამიანი“ უდიდესი ნაწარმოებია ჩვენს სიტყვა-კაზმულ მწერლობაში. ახალგაზრდა მგოსანის მხატვრულმა შემოქმედებამ აქ არწივისებურად გაშალა ფრთები, მისი ნიჭის თავისებურობამ აქ იელვა თვალის მომჭრელი ელვარებით: იმის გულში დანთებულმა ცეცხლმა დასწვა, დაჰფლითა საბურავი ბრწყინვალეებისა, რომელშიაც გახვეული იყო წარჩინებული წოდება და მაყურებლის წინაშე წარსდგა ძველი ფეოდალი, დიდი ბატონი თავადი ლუარსაბ თათქარიძე.

შეჰხედეს მას და სულყველას სიცილი წასკდა.

ცხოვრების ბატონპატრონი, ცხოვრების მეთაური, ცხოვრებაში ყოველგვარი უპირატესობით დაჯილდოვებული წოდება და ამავე დროს სასაცილო თავისი ყოველდღიური ცხოვრებით, სასაცილო თავისი ზნეჩვეულებით, სასაცილო თავისი შესხედულებით, სასაცილო თავისი რწმენით, სასაცილო თავისი მისწრაფებით. სასაცილო, სასაცილო და მხოლოდ სასაცილო!

მოდით, შეჰხედეთ წარჩინებულ წოდებას. დასტკბით და იცინეთ. იცინეთ!

ყოველ გაბატონებულ კლასს მხოლოდ მანამდე შეუძლია ბატონობის შენარჩუნება, სანამ მას შესწევს კიდევ რაიმე ზნეობრივი ან გონებრივი ძალა, სიმტკიცე, ნება — ერთის სიტყვით რაიმე ისეთი, რაც იწვევს ერთგვარ მოკრძალებას ან პატივისცემას.

როგორც კი გაბატონებული კლასი დაჰკარგავს ამ აუცილებელ შარავანდედს ხელი-სუფლებისას, ის ჰხდება საბრალო, სასაცილო და უკვე განწირულია.

ილია ჭავჭავაძის უდიდესი ღვაწლი იმაში გამოიხატება, რომ „კაცია ადამიანში“ მან სასაცილოდ გაჰხადა მთელი წარჩინებული წოდება.

ამ მხრივ საზოგადოებრივი მნიშვნელობა ამ ნაწარმოებისა მეტად დიდია.



მაგრამ საზოგადოებრივ მხარეს რომ გვერდი აუქციოთ, მხატვრულის თვალსაზრისითაც „კაცია ადამიანი“ შესანიშნავი ნაწარმოებია.

ეს არის მძლავრი ნაკადული სატირული ხელოვნებისა და ჩვენში ჯერ არც ერთ მწერალს ის არ დაუძლევია. ირონია და ჯუმორი ასხივოსნებულა, აელვარებული მკვეთრი, ცინცხალი, მოსხლეტილი.

„კაცია ადამიანი“ არის ქანდაკება, რომელსაც ვერასფერს ვერ მიუმატებთ, ვერც გამოაკლებთ, ქანდაკება, რომელშიაც მოცემულია მთელი ეპოქა, მთელი ცხოვრება, წყობილება და წოდება.

რას წარმოადგენს ლუარსაბ თათქარიძე?

წარჩინებული წოდების ზნეობრივსა და გონებრივს გაკოტრებას.

როგორც ვარიანტები ამტკიცებენ, მგოსნის თავდაპირველი განზრახვით, „გლახის ნაამბობის“ დათიკო უნდა ყოფილიყო ლუარსაბის შვილი.

ავტორმა შემდეგ შესცვალა თავისი თავდაპირველი განზრახვა, მაგრამ მაინც აშკარაა — დათიკო ლუარსაბის ღვიძლია, მისი სისხლი და ხორცი.

ლუარსაბს ჩვენ ვეცნობით იმის ყოველდღიურ ცხოვრებაში, დათიკოს კი ჩვენ ვხედავთ მხეცური ჟინით შეპყრობილს.

თუ ლუარსაბი სახეა წარჩინებული წოდების ზნეობრივ-გონებრივი გაკოტრებისა, დათიკო უკვე სრული ზნეობრივი გათახსირებაა.

ლუარსაბი ინვესს სიბრალულსა და სიცილს, დათიკო კი — აღშფოთებას.

დეე, ბოლომდე იცხოვროს პირუტყვივით ლუარსაბმა, მოჰკვდეს ბუნებრივად.

დათიკო კი ღირსია სიკვდილისა და ამიტომაც ჰკლავს მას გაბრო.

ვისა ვხედავთ „კაკო ყაჩაღში“?

იმავე ლუარსაბს, იმავე გაბროს.

განა ბატონი „კაკო ყაჩაღში“ ლუარსაბი არ არის, გაბრო კი — კაკო და ზაქრო?

## 5

„კაკო ყაჩაღი“ პირველი სიტყვიდან მოყოლებული უკანასკნელ სიტყვამდე მარმარილოს ქანდაკებაა, ალაგ დინჯი და თავდაჭერილი; ალაგ აღელვებული, აჩქარებული, ფიცხი.

ამ ქანდაკებასა აქვს სრული სიმშვენიერე ხალასი მარმარილოსი, მაგრამ არა აქვს მისი სიცივე — სუნთქავს სიყვარულით.

აიღეთ დასაწყისი — ალაზნის ველი და მთების ჩრდილი მთვარის შუქზედ, მეურმე, კაკოს მიერ საკუთარი თავის დახასიათება, ზაქროს ბავშვობა და მწყემსობა, — ყოველი სურათი ნამდვილი ქანდაკებაა, რომელიც თვალს იტაცებს, გონებას ჰხიბლავს და გულს ატკობს.

ეპიური, ლირიული, რეალური და რომანტიული ისეთის მხატვრულის ზომიერებით არიან შესამებული, რომ უდიდეს ნეტარებას გაგრძნობინებსთ.

მარტივი რითმა, ხშირად ვაჟური, უბრალო ჩუქურთმასავითა აქვს მოვლებული მთელ ქანდაკებას და უფრო აძლიერებს იმის მშვენიერებას.

ვარიანტებში კაკოს წინ უძღვის პატარა ლექსი, რომელიც მეტად მნიშვნელოვანია ილიას პიროვნების გამოსარკვევად.

„ნიავო! ჩემო ნიავო!  
ნუ სჩაგრავ ტყეში ობოლსა,  
მსტვინავო, ჩიტო, მსტვინავო,  
შენ უალერსე კაკოსა!  
სუმბულო, ჩემო სუმბულო,  
უჩემოდ შორსა ნუ ჭკნები,

ბულბულო, ჩემო ბულბულო,  
 მოაკლე ეულს დარდები.  
 ღრუბელო, ცაზედ მფრინავო,  
 ნუ ემუქრები კაკოსა,  
 ღრუბელო, შავო მცურველო,  
 უსახლო გებრალეობდეს,  
 მე კისრად ვიღებ, ღრუბელო,  
 რაც იმას ემართლებოდეს“.

რამდენი გრძნობა, რამდენი სინაზე, რამდენი სისათუთე, რამდენი სითბო, ალერსი და სიყვარულია ამ პატარა ლექსში.

ამ მაგარს, მტკიცე და მშრალ ადამიანს, რომელიც თავის გულში არავის ჩაახედებდა და მხოლოდ ცივი გონების ლოლიკას მისდევდა, გულის სიღრმეში მაინც ჰქონებია მიმაღული კუნჭული და ამ კუნჭულში ზრდიდა სიყვარულს.

ვის ეკუთვნოდა ეს სიყვარული?

ყაჩაღ კაკოს.

ვინ არის ყაჩაღი კაკო?

წარმომადგენელი გლეხობის მოწინავე, ამაყი, მებრძოლი ნაწილისა, რომელიც არსებულ ურთიერთობას ველარ ურიგდება და ეძებს ისეთს ცხოვრებას, „სადაც ჩვენვე ვართ ჩვენი ბატონი!“

ახალგაზრდა მგოსანი შეუბრალებლად, დაუზოგავად ანადგურებს წარჩინებულ წოდებას. „რა გავაგრძელო, თავადიშვილი კარგი რა არის, ავი რა იყოს?“

სამაგიეროდ, მთელი მისი სიყვარული, თანაგრძნობა, მოფიქრება კაკოსაკენ არის და იმდენად გატაცებულია თავისი კაკოთი, რომ მთელ იმის მოქმედებას თვითონ იღებს კისრად.

დანგრეული საქართველოს აშენება და აღდგენა — აი, მიზანი მგოსნისა, როგორც დავინახეთ.

ვინ უნდა ააშენოს საქართველო?

რა თქმა უნდა, არა წარჩინებულმა წოდებამ, რომელიც იმდენად გათახსირებულია ზნეობრივად და გონებრივად, რომ მამულს ჯვრებსა და ორდენებზე ჰყიდის.

„ჩვენი ქვეყანა  
 მკვდარი თქვენგანა,  
 თქვენებრ ჩინებზედ არ გაგვიცვლია.

...

თქვენგან ჩაგრული,  
 დაბრმავებული  
 ერი ჯვრებზედ არ გაგვიყიდია“.

რისი აშენება შეუძლია ლუარსაბ თათქარიძეს? ის უნდა მოისპოს და აღიგავოს საქართველოს პირიდან და დაუთმოს გზა გაბროს, კაკოს, ზაქროს, რადგანაც მხოლოდ ამათ ერთობას შეუძლია ქვეყნის აღდგენა.

აი, ამიტომ ევლება ახალგაზრდა მგოსანი თავს კაკოს, თვითონ აგებს პასუხს მთელს იმის მოქმედებაში.

ყოველივე ეს სავსებით შეესაბამება პოეტის შეხედულებას, რომელიც მას გამოთქმული აქვს ერთ წერილში:

„ქვეყნიერების ბედნიერების ქვაკუთხედი ყოველთვის ძირიდან დადებულა, ყოველი შენობა ძირიდან ამაღლებულა; მალლიდან კი შენობა არსად არ დაწყებულა“.

„ლარიბთა ერთობა“ და გლეხოვის მოწინავე ახალთაობა — აი, რაზედ ამყარებს ახალგაზრდა ილია მთელ თავის იმედებს.

გზა საქართველოს აღდგენისაკენ რომ ბრძოლის გზა არის და ეს ბრძოლა გამწვავებული იქნება, ამას თუნდაც ის გარემოება ამტკიცებს, რომ გაბრო მოჰკლავს თავის ბატონს — დათიკოს. ამგვარადვე მოიქცევა ზაქრო.

„შენი გამჩენის ჭირიმე, შენი!  
ბიჭი ყოფილხარ ხმლისა დამშვენი.  
შენ დაგიკვებოს შენმა მშობელმა,  
რომ იმის ძუძუ შენ შეგრგებია.  
აი, დალოცოს ის ქრისტე ღმერთმა,  
ვისაც შენებრი დაჰბადებია!“

მიმართავს კაკო ზაქროს მისი მოქმედებით აღტაცებული.

კაკო კი ილიას საყვარელი გმირია, რომლის მთელ მოქმედებას თავის თავზე იღებს მგოსანი.

მართალია, ამ მკვლელობას არა აქვს მოფიქრებული და ანონდანონილი ნაბიჯის ხასიათი, ის უფრო პირადული შეურაცყოფით არის გამოწვეული, მაგრამ ის უსათუოდ არის დასაწყისი ბრძოლისა.

როგორ უყურებს ამ ბრძოლას ახალგაზრდა მგოსანი?

ამის პასუხს გვაძლევს მისი „პარიჟი“. ეს ლექსი მეტად საყურადღებოა ახალგაზრდა ილიას დახასიათებისათვის და ამიტომ სრულად მომყავს:

„ტვირთმძიმეთ და მაშვრალთ მხსნელი  
დიდი დროშა დაიშალა...  
კვლავ ქვეყნისა მჩაგრავ ძალამ  
იგი დროშა დასცა დაბლა.  
კვლავ ეწამა მოყვასთათვის  
საოცარი იგი ერი,  
კვლავ დაიდგა დიდ ნამების  
მან გვირგვინი მშვენიერი.  
კვლავ ქვეყნისთვის დაიღვარა  
წმინდა სისხლი წამებულის,  
კვლავ დამარცხდა დიდი საქმე  
ყოვლად მხსნელის სიყვარულის.  
კვლავ ძირს დასცეს იგი მცნება,  
ქვეყნის ხსნად მოვლინებული,  
რომლისთვისაც თვითონ ღმერთი  
იყო ტანჯულ და ჯვარცმული.  
კვლავ შეფერხდა ისტორია,  
განახლების შესდგნენ ძალნი,  
და კვლავ დღესასწაულობენ  
გამარჯვებულნი მტარვალნი.“

ერთ ვარიანტში ამ ლექსს სათაურად აქვს: „1871 წ. 23 მაისი“. ეს გახლავთ დღე პარიზის კომუნის დაცემისა.

მთელი თანაგრძნობა პოეტისა არის კომუნარების მხარეზე, რომელთა დროშასაც ის უწოდებს „ტვირთმძიმეთ და მაშვრალთ მხსნელ დიდ დროშას.“

კომუნის დაცემაში პოეტი ჰხედავს ისტორიის შეფერხებას, განახლების ძალთა შეჩერებას.

აქედან დასკვნა თავისთავად ცხადია: ტვირთმძიმეთა და მაშვრალთა ბედის გადასაწყვეტად, მათი მტარვალების დასამარცხებლად აუცილებელია ბრძოლა.

ვინ უნდა დაიწყოს ეს ბრძოლა?

ზაქრომ, კაკომ, გაბრომ და ყველა იმათთანებმა.

„აჩრდილში“ პოეტს აშკარად აქვს გატარებული შემდეგი აზრი: ქვეყნის განახლება შეუძლია მხოლოდ შრომის შვილს. სხვები კი — დიდკაცი, ვაჭარი, მღვდელი —

„რად შეებრძვის ის ბოროტებასა,  
როს მეოხებით მისით თვით ჰრჩება?“

ახალგაზრდა მგოსანს შეურყევლად სწამს, რომ მომავალი შრომის შვილისა არის, „რომ მყოობადი მარტო შენია“.

განა წინასწარმეტყველება არ არის შემდეგ სიტყვებში „აჩრდილიდან“:

„ველარ განუძლებს ქვეყანა ძველი  
განახლებისა გრიგალის ქროლას,  
ველარ განუძლებს ქვეყნის მძარცველი  
ჭეშმარიტებით აღძრულსა ბრძოლას,  
და დაიმსხვრევა იგი ბორკილი  
შემფერხებელი კაცთა ცხოვრების,  
და ახალს ნერგზედ ახლად შობილი  
ესე ქვეყანა კვლავ აყვავდების.“

შრომის შვილები, რომლებსაც ილია მიმართავს, იგივე გაბრო, კაკო და ზაქრო არიან.

მათ ბრძოლას ილია სთვლის უდიდეს ეროვნულ საქმედ, რომელიც უნდა დაგვირგვინდეს შრომის სუფევის დამყარებით:

„შრომის სუფევა მოვა მაშინა  
ჭეშმარიტების მის ძლიერებით  
და განმტკიცდება სოფელსა შინა  
კაცთმოყვარების სახიერებით.“

ახალს ცხოვრებაში აღარ ექნება ადგილი მუქთახორობას, ცარცვასა და რბევას და მთელი საზოგადოებრივი წყობილება დაფუძნებული იქნება შრომაზე — აი, რა აზრია გატარებული აჩრდილის მე-XIV თავში.

ბრძოლას მსხვერპლი მოსდევს. მსხვერპლმა კი შესაძლებელია გასტეხოს შრომის შვილი. საჭიროა მებრძოლთა აღფრთოვანება და აი, ამ მიზნით სწერს პოეტი „დედასა და შვილს“, „დიმიტრი თავდადებულს“.

ვინც საქვეყნო საქმისათვის, მამულის კეთილდღეობისათვის ჰკვდება, ის უკვდავია:

„ნეტა იმ ვაჟკაცს, ნეტა იმ გმირსა,  
ის თავის ხალხში აღარ მოჰკვდება.  
მას განაცოცხლებს სიმღერა ხალხთა,  
შორს საუკუნეთ ეტყვის მის სახელს.“

...

აკვანზედ დედა უმღერებს შვილსა  
ტკბილისა ხმითა იმ სიმღერასა  
და, თუ ინატრებს რასმეს მისთვისა,  
ინატრებს გმირის მის დიდებასა.“

როგორც თავშივე განვმარტე, მთელი შემოქმედება ილიასი არის ერთი დიდი გეგმა საქართველოს აღდგენისა.

უმთავრესი მოხაზულობა ამ გეგმისა მან შეადგინა ყრმობის ხანაში და შემდეგ მას ავითარებდა, ან შესწორებდა შეჰქონდა მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში.

რა კავშირი აქვს ამ გეგმასთან „განდეგილს“?

მეტად დიდი.

როგორც პოეტური ნაწარმოები „განდეგილი“ დიდი ღირსებისა არის. ფორმა და შინაარსი ერთმანეთს უნევენ მეტოქეობას მშვენიერებაში.

აქ უკვდავი და მარადიული პრობლემები ცხოვრების მიღებისა თუ უარყოფისა, კეთილისა და ბოროტისა, ცოდვისა და მადლისა, სულისა და ხორცისა იშვიათი მხატვრობის ქანდაკებაში არიან ჩამოსხმული.

ქართული სინამდვილე პოეტმა შეადარა აშმორებულ დამდგარ გუბეს.

ჰლირს განა ამ გუბეში დარჩენა?

აი, საკითხი, რომელიც წამოჭრილია სხვათა შორის „განდეგილში“.

ვინც ცხოვრებას გაურბის, ის მკვდარია; ცოცხალი ადამიანი უნდა დარჩეს ცხოვრებაში, როგორც არ უნდა იყოს ის, და იმოქმედოს, იბრძოლოს — აი, რისი მტკიცებაა „განდეგილში“.

ამრიგად, თავისი მოღვაწეობის პირველ ხანებში მხატვრული მწერლობის ასპარეზზე ილია ჭავჭავაძე მიზნად ისახავს საქართველოს აღდგენასა და განახლებას.

ამ მიზნის განსახორციელებლად მას საჭიროდ მიაჩნია: ბრძოლა წარჩინებულ წოდებასთან და მისი დამარცხება; „ლარიბთა ერთობა“; გლეხობაზედ დაყრდნობა.

## 6

ილია ჭავჭავაძემ პროვინციაში გაატარა ის დრო, რომელსაც ეკუთვნის პირველი და საუკეთესო ხანა მისი მხატვრული შემოქმედებისა.

ის არ იყო ჩაბმული საზოგადოებრივი ცხოვრების ფერხულში და ამის გამო მისი შემოქმედება არ განიცდიდა ძალდატანებას. განზე მდგომი მგოსანი არ უწევდა ანგარიშს ამა თუ იმ წრის მდგომარეობასა და შეხედულებას და თავისუფლად მისდევდა თავის გულისთქმასა და რწმენას.

მაგრამ ილია ვერ დაეცა პოეზიისა და საერთოდ სიტყვაკაზმული მწერლობის საზღვრებში, მისი ბუნება უფრო პრაქტიკული მოღვაწეობის ფართო ასპარეზს ითხოვდა.

ასეთი ასპარეზი მან დაინახა სათავადაზნაურო ბანკში, რომლის გამგეთაც პოეტი აირჩიეს.

ილია არ უყურებდა ბანკს, როგორც უბრალო საკრედიტო დაწესებულებას; ის იყო იმის თვალში ქართველი ერის „ღონე ხსნისა“:

„ბანკის ძირი იმან ჩარგო,  
ღონე ხსნისა მოგვცა ხელთა“.

სწერს ილია ერთ გამოცანაში დიმიტრი ყიფიანზე.

ასეთი საქმის მეთაურობა არა თუ სასახელო და საპატიო იყო, დიდ შესაძლებლობასაც იძლეობა მომავალში.

ილიამ მტკიცედ ჩასჭიდა ხელი ამ საქმეს. მან თავიდანვე განსჭვრიტა, რომ საქართველოში იქნებოდა სრული დიქტატორი ის, ვის ხელშიდაც იქნებოდა ბანკი.

ოცდაათი წლის განმავლობაში ილია იყო ბანკის გამგე და ბანკის საშუალებით მან ხელში დაიჭირა ყველა ჩვენი კულტურული საქმე და დაწესებულება.

ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებას ილია ჭავჭავაძე გადაეფარა და ყოველივე ისე უნდა გაკეთებულიყო, როგორც ილიას ჰსურდა.

ივანე მაჩაბელმა მთელი თავისი ნიჭი, ძალღონე, ცეცხლი და ჯანმრთელობა შეაღია ილიას დაძვრას ამ ადგილიდან, მაგრამ დამარცხდა და დაიღუპა.

პოეტი — ილიასათვის ბანკი საბედისწერო იყო; ბანკმა ჩაჰკლა ილიაში თავისუფალი და დამოუკიდებელი მგოსანი.

რატომ? რა იყო ამისი მიზეზი?

ბანკი იყო დაარსებული ნარჩინებული წოდების ფულით, ნარჩინებული წოდებისაგან და მისი ბედიც ამ წოდებას ეყვრა ხელთ.

ილია ნარჩინებული წოდების წინააღმდეგ მებრძოლი სათავეში მოექცა ისეთს დაწესებულებას, რომელიც ამ წოდების ხელთ იყო.

ილია წინდახედული, ჭკვიანი და შორსმჭვრეტელი ადამიანი იყო და კარგად ესმოდა, — თუ წინანდელ გზას ბრძოლისას განაგრძობდა, ადრე თუ გვიან ბანკს უნდა გამოთხოვებოდა.

ილია შედგა კომპრომისის გზაზე და აქედან დაიწყო მეორე ხანა მისი მხატვრული შემოქმედებისა. ეს ხანა ღარიბია პოეტური გზებით, ცეცხლითა და გაქანებით, აქ აღარ არის იერიშები, ბრძოლა, არამედ ქადაგება შეთანხმებისა, მორიგებისა.

ეს ხანა ღარიბია პოეტური ქმნილებით. ბევრი ამ გარემოებას ამგვარად ჰხსნის: ილიას ბანკი ართმევდა მთელ დროს და პოეზიისათვის აღარ ეცალაო.

ასეთი ახსნა უსაფუძვლოა. ილია დროს პოულობდა და ბევრსაცა სწერდა, მაგრამ სიტყვაკაზმულს არა, რადგანაც მასში მოხდა სულიერი გარდატეხა. ის ძლიერი იყო როგორც პოეტი, სანამ დაყრდნობილი იყო გაბროსა, კაკოსა და ზაქროზე თათქარიძეების წინააღმდეგ.

ახალს მდგომარეობაში ძველის გაგრძობა მას აღარ შეეძლო. ახალის დაწყება კი იქნებოდა ძველის სრული უარყოფა და არც ეს შეეძლო.

ახალს მდგომარეობაში ისა სწერს „დიმიტრი თავდადებულს“.

„კაკო ყაჩალი“-ს ავტორისათვის შინაარსი ამ პოემისა მეტად უჩვეულოა. ვთქვათ, მეფე დიმიტრიმ, მართლაც საქართველოსათვის დასდო თავი; მაგრამ კაკოსი, გაბროსი და ზაქროს ავტორი განა ცოტა მაგალითს ჰნახავდა ჩვენს ისტორიაში, თუ როგორ სწირავდენ გლეხის შვილები თავს სამშობლოს?

თუ ილიამ მაინც და მაინც მეფე არჩია გმირად და კაკოს თავი დაანება, სწორედ მას შემდეგ, როდესაც ის ბანკის გამგეთ აირჩიეს, ამაში უსათუოდ იყოს გავლენა ახალი მდგომარეობისა და ნარჩინებული წოდებისა.

ბანკში არჩევიდან რამოდენიმე წლის შემდეგ ის ათავსებს წერილს ჟურნალ „ივერია“-ში და აცხადებს: ჩვენში თავადაზნაურობას დღევანდლამდე თითქმის მარტო ის უპირატესობა ჰქონდა, რომ მოკითხვის წიგნში ბრწყინვალეად იხსენებოდა და გლეხი კი არაო.

ამის შემდეგ იმავე „ივერია“-ში ისა ჰგმობს იმ ბრძოლას, რომელსაც თვითონ აწარმოებდა ნარჩინებული წოდების წინააღმდეგ და უდიდეს ეროვნულ საქმედ აცხადებს „ჩვენი დაცემული ვინაობის აღდგენას.“

ამ საქმესთან ყველა დანარჩენი წვრილმანია, საკუთარი, პირადი საქმე ყველამ უნდა დავივიწყოთ და ყველა უნდა შევერთედეთ ამ დიდი საქმისათვისაო, — განაგრძობს ილია. რას წარმოადგენს ეს დაცემული ვინაობის აღდგენა?

ეს იგივე აღდგენაა დანგრეული საქართველოსი, მხოლოდ სხვა სიტყვებში გამოხატული.

ამ დაცემული ვინაობის აღდგენისათვის ის ებრძოდა ნარჩინებულ წოდებას და მოუწოდებდა ბრძოლისაკენ კაკოს, გაბროს, ზაქროს. ახლა კი ილია აცხადებს; ბრძოლა ჩვენი



დამლუპველია; გაბრო, კაკო და ზაქრო, დაივინყეთ თქვენი მდგომარეობა, ხელი გაუნო-  
დეთ წარჩინებულ წოდებას და ერთად აღადგინეთ საქართველო.

7

ამ რიგად მეორე ხანაში ილია სხვა არის. თუ პირველი ხანის ილიას ახასიათებს „კა-  
ცია ადამიანი“ და „კაკო ყაჩალი“, ილია მეორე ხანისა ნათლად ისახება „ოთარაანთ ქვრივ-  
ში“. აქ ილია იშველიებს მთელ თავის ნიჭს, შემოქმედებით ძალას, მჭევრმეტყველობას და  
ლოლიკას, რომ დაამტკიცოს ის, რასაც „კაკო ყაჩალში“ უარყოფდა, მაგრამ ასეთს როლში  
ილია უმწეოა, თუმცა „ოთარაანთ ქვრივი“ იშვიათი კაზმული ნაწარმოებია.

„ოთარაანთ ქვრივი“ წარმოადგენს მხატვრულ გაშუქებას და დასაბუთებას ილია ჭავ-  
ჭავაძის აზროვნებისას მეორე ხანაში.

როგორც მხატვრული ნაწარმოები „ოთარაანთ ქვრივი“ დიდი ღირსებით არის შემკული.  
სპეტაკი მარმარილოს ნაზს და ფაქიზ ქანდაკებაში ჩაქსოვილია ბრინჯაოს ქანდაკე-  
ბის ცივი, მტკიცე და მძაფრი ხაზები. ენა მოთხრობისა არის კლასიკური — ნათელი, მკა-  
ფიო, წმინდა, დახვეწილი, მოკლედ მოჭრილი.

მთელი ნაწარმოები იმდენად დამუშავებულია, რომ ყოველი სიტყვა თავის ალაგას არის  
და მთელი მოთხრობა წარმოადგენს იშვიათ განსახიერებას სიტყვიერი ქანდაკებისას.

სტილი „ოთარაანთ ქვრივი“-სა თვით ილია ჭავჭავაძეა.

ისე როგორც „კაკო ყაჩალში“, „გლახის ნაამბობში“, „ოთარაანთ ქვრივში“-აც დაპი-  
რისპირებულია ორი წოდება: ბრწყინვალე და პატიოსანი.

თქვენ აქა ჰხედავთ გიორგის, რომელშიაც ძნელი არ არის ცნობა გაბროსი, კაკოსი,  
ზაქროსი.

დიდია მსგავსება, მაგრამ როდესაც ჩაუკვირდებით, დიდ განსხვავებასაც დაინახავთ.  
გაბრო, კაკო, ზაქრო ბრძოლის ცეცხლით არიან ანთებული და შეურიგებელ მტრობას  
ზრდიან გულში წარჩინებული წოდებისადმი.

გიორგი კი სრულებით მოკლებულია ბრძოლის ცეცხლს; მის გულში აღარ არის მტრო-  
ბა წარჩინებული წოდებისადმი, არამედ სიყვარულის ლამპარი ანთია.

ამ ლამპარით ის მიდის წარჩინებულის ოჯახში და ჩუმად, უსიტყვოდ ემუდარება:  
დაინახეთ ჩემს გულში სიყვარულისაგან დანთებული ლამპარი, მოიღეთ წყალობა, მიცა-  
ნით და მიმიღეთო.

მაგრამ კესო ვერა ჰხედავს.

„ჩვენ შუა ხიდია ჩატეხილი: ისინი იქით ნაპირას დარჩნენ, ჩვენ აქედ“ და ამიტომ ვერ  
დაინახე გიორგის სიყვარულიო, უმტკიცებს არჩილი კესოს.

„გვარიშვილობამ კარი გულისა არ გაუღო. წმინდა შუქი მშვენიერი სულისა ამაოდ და  
უქმად-ლა ჯავარსავით ეფინება ცივს კედელს. შენ ვერც კი მიუხვდი, ვერც! იმან კი იცო-  
და და არა სჩიოდა. „არა ვნანობ, არაო!“ — მოკვდა და ეს უწყინარი სიტყვები ჩვენ დაგ-  
ვიგდო ჩვენის თავის გასაკიცხად“.

არჩილი სწორედ ამ ცრემლებს ჩააფრინდება:

„— შენი ტირილი მიხარია... მეც ვტირებდი, რომ მარტო უკანლა ვიხედებოდე, რო-  
გორც ეხლა შენ იქ, უკან ბნელა... ლამეა...

— და ხიდია ჩატეხილი, ხიდი!

— ეგ მინდა, რომ ყველამ დავინახოთ, ეგ მინდა, რომ ყველამ ვიცოდეთ. შენ ეხლა  
ჰხედავ, შენ ეხლა იცი.

— ვიცი და ვტირი.

— ამიტომაც მიხარია შენი ტირილი...

— არჩილ წინ რაღაა, წინ! — შეჰბლავლა უეცრად კესომ და ორსავ ხელის თითები ერთმანეთში ჩაიწნა და ფშვნეტა და მტვრევა დაიწყო.

— ეგ ცრემლიანი ცოდნა უკანა სწავს და ჰბუგავს, წინა ჰნამავს და ამწვანებს. ეგ ნამი რომ გაბეგრდება, მდინარე წყლად იქცევა და მთელს ტივს მიიტანს, რომ ჩვენ შორის ჩატეხილი ხიდი გაამთელოს და ეგრე ორსავ ნაპირს გააერთებს. ეგ ცრემლიანი ცოდნა, თუ ცოდნიანი ცრემლი უკანისა — შუქია წინისა და შუქი ხომ...

— დასაწყისია განთიადისა, განა, ჩემო კარგო.

— სწორეთ.

და-ძმანი ერთმანეთს სიხარულით გადაეხვივნენ“.

ძნელი მისახვედრი არ არის, თუ ვის სიტყვებს იმეორებს აქ არჩილი.

არჩილის სიტყვები ილიას სიტყვებია, არჩილის შეხედულება — ილიას შეხედულება, არჩილის რწმენა — ილიას რწმენა.

კესო სასონარკვეთილი და გამწარებული ხელებს იმტვრევს და სტირის.

განთიადს, ხსნას, ჩვენი დაცემული ვინაობის აღდგენის თავდებს ილია ამ ცრემლებში ჰხედავს.

კესომ იცის და სტირის; არჩილსაც ეს ახარებს — ცრემლიანი ცოდნა.

რას ნიშნავს ეს ცრემლიანი ცოდნა?

წარჩინებულმა წოდებამ უნდა შეიგნოს, რომ წოდებათა შორის ხიდია ჩატეხილი, გულწრფელად, მთელის თავისი სინიდისით მოინადინოს ამ ხიდის გამთელება და უთუოდ გამთელდებოდ.

ამგვარად, ილია მთელ თავის იმედს განთიადისას, ე. ი. საქართველოს აღდგენისას წარჩინებული წოდების შეგნებასა და სინიდისზე ამყარებს.

ილია ამოღებული ხმალით შემოიჭრა ჩვენს სიტყვაკაზმულ მწერლობაში, რომ გაენმინდა ის ჭაობი, რომელსაც ქართველი ერის ცხოვრება წარმოადგენდა. საქართველოს აღდგენა მან მიანდო ბრძოლას, ღარიბთა ერთობას და გლეხობის შეგნებულ ახალთაობას. ის პირველი ეკვეთა წარჩინებულ წოდებას, რომელშიდაც ჰხედავდა მიზეზს ჩვენი დაკნინებისას.

„ვართ უღონონი,

უგზო-უკვლონი

მით, რომ თქვენ ჰყრიხართ უქმად ჩვენშია“.

როდესაც ილია სათავეში მოექცა საზოგადოებრივ ცხოვრებას, ნელა-ნელა დაივიწყა ეს ყოველივე.

ახალგაზრდობისას ძირიდან, გლეხობიდან აპირებდა ახალი საქართველოს აშენებას და მალლიდან აშენება არა სწამდა.

როდესაც გავლენა და ძალა მოიხვეჭა, მაშინ ძირიდან შენება უარყო და მის მიერ ნიშანში ამოღებული წარჩინებული წოდების შეგნებასა და სინიდისზე დაამყარა თავისი იმედები და ბრძოლის ხმალი გადაადგო...

ამ ხმალს ხელი დასტაცეს გაბროსა, ზაქროსა და კაკოს შვილებმა და ბრძოლა გაჩაღდა, გამწვავდა...

ივ. გომართელი

## ფილოსოფია. მიცნიერება

### იაფეტური თეორია და ბერძნული ეტიმოლოგიები<sup>1</sup>

ჩვენი მიზანია შევეხოთ „ლენინგრადის სკოლის“, „იაფეტური ინსტიტუტის“ მუშაობის მხოლოდ ერთ მხარეს და კრიტიკულად განვიხილოთ ის გზა, რომელსაც ადგია „იაფეტური ინსტიტუტი“ თავის საენათმეცნიერო კვლევა-ძიებაში. სახელდობრ, ჩვენ შევეხებით ლენინგრადელთა იმ მუშაობას, რომელსაც ისინი აწარმოებენ ბერძნული ეტიმოლოგიების საკითხში. თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საკითხის ასე დასმა შესაძლებელია სწორი არ იყოს: ვინაიდან ლენინგრადელების მიერ ბერძნული ენისა და მისი ეტიმოლოგიების კვლევისათვის არჩეული გზა სპეციფიკურს არაფერს წარმოადგენს იმ საერთო გზაში, რომლითაც მიმდინარეობს „ლენინგრადის სკოლის“ მუშაობა. მაგრამ, თუ მე ამ საკითხს ასე ვავიწროვებ, მხოლოდ იმიტომ, რომ ჩემთვის შესაძლებლად ვერ ვთვლი ავილო **იაფეტური თეორია** მთლიანად და კრიტიკულად განვიხილო იგი.

მიუხედავად ამისა, მე ვფიქრობ, წინამდებარე შენიშვნაში წამოყენებული ზოგიერთი დებულების უფრო ნათელი გაგებისათვის ზედმეტი არ იქნება სქემატიურად მაინც შევეხოთ „იაფეტური თეორიის“ ისტორიას და მის განვითარებას.

#### I

იაფეტურ თეორიას, რომლის მამათმთავარი აკადემიკოსი ნიკო მარრია, ოცდაათი წლის ისტორია აქვს. ნ. მარრის მიერ შექმნილი სკოლა თავის მუშაობას იწყებს ქართული ენის შესწავლით და იმ ენების, რომლებიც უახლოეს კავშირში არიან ქართულთან, მეგრულ-ჭანურისა და სვანურის. ისე ღრმად მიდის ამ ენების შესწავლის საქმე, რომ სკოლისათვის შესაძლებელი ხდება მტკიცე ენობრივი (ფონეტიკური და მორფოლოგიური) კანონების დადგენაც და ათიოდე წლის შემდეგ შესაძლებელიც ხდება თვით ნ. მარრისათვის, პეტერბურგის (ლენინგრადის) უნივერსიტეტის აღმ. ენათა ფაკულტეტზე შეუდგეს საგანგებო კურსის კითხვას: **„შედარებითი გრამატიკა იაფეტური ენებისა“**, სადაც იაფეტურ ენებად ნაგულისხმევია სამი მთავარი წარმომადგენელი: ქართული, მეგრულ-ჭანური და სვანური.

შემდეგ, იაფეტური სკოლისათვის ნათელი ხდება ისიც, რომ გარდა წმინდა იაფეტური ენებისა არსებობს აგრეთვე ნარევი ენები, რომელნიც თუმცა უკვე ახალი ფორმაციისა არიან, მაგრამ იაფეტურ ელემენტებსაც იძლევიან (ასეთია, მაგ., სომხური ენა).

ასეთ მუშაობას განაგრძობს იაფეტური სკოლა და თვისი მუშაობის ფარგლებში მოაქცევს კავკასიაში დარჩენილ სხვა ენებსაც, სადაც ის მრავლად ჰპოულობს იაფეტურ ელემენტებს.

გზა-და-გზა იაფეტური სკოლისათვის, რასაკვირველია, შეუმჩნეველი არ რჩება ის დიდი საკითხები, რომელნიც ევროპის მეცნიერთა გულისყურს იპყრობენ: ეს იყო საკითხი პელაზგებისა და ეტრუსკების, რომელთა გარშემო ამ დროს გაფაციცებით მუშაობენ ევროპიელი ლინგვისტები. განსაკუთრებით ეს შეეხება ეტრუსკულ ენას, რომლის ნაშთებსაც ამ დროს აგროვებენ Corpus Inscripticnum Etruscarum-ში. ეს ხდება 1910—1912 წლებში, როდესაც ეტრუსკოლოგი G. Herbig-ი აქვეყნებს თავის შრომებს ეტრუსკოლოგიიდან.

1. ნაკითხულ იქმნა მოხსენებად „ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების“ სხდომაზე, 1924 წლის ნოემბრის 4-ს.

ეს საკითხები, ვიმეორებ, შეუმჩნეველი არ რჩება იაფეტური სკოლისათვის, და აქა-იქ ნ. მარრი შენიშვნებს ჩაურთავს ხოლმე იაფეტური ელემენტების დადგენისათვის ეტრუსკულში. მაგრამ ის ამ საკითხებზე ჯერ არ შეჩერდება, რადგან, უნდა ვიფიქროთ, უდროოდ თვლის იმგვარ საკითხების კვლევას, რომელთა გადაჭრისათვის დიდი წინასწარი მუშაობაა საჭირო თვით იაფეტური ენების დარგშივე. და ეს სრულიად სამართლიანიც იყო. ჩვენის აზრით, დღესაც ნაადრევი იმ ფართო საკითხების შეხება-გადაჭრა, ვიდრე ჯერ-ჯერობით თვით ქართულ-მეგრულ-სვანური ენები არ არის იმნაირად შესწავლილი, რომ „იაფეტოლოგს“, თუ გნებავთ, „ქართოლოგს“ მკვეთრი კრიტიკერიუმები მიეცეს ხელთ. მით უმეტეს ნაადრევი იყო ეს, რასაკვირველია, 1910—1912 წლებში და სრულებით ბუნებრივია, რომ იაფეტური სკოლა მაშინ მხოლოდ კანტი-კუნტად შენიშნავდა ხოლმე ამ საკითხების შესახებ, ყურადღებას კი უმთავრესად წმინდა იაფეტურ ენებს აქცევდა.

1920 წლიდან ნ. მარრი უკვე შესაძლებელად თვლის იაფეტოლოგიის არე გააფართოვოს და შეუდგეს იმ საკითხებს. რომელთა გადადება მან საჭიროდ დაინახა 1912 წელს. რაში გამოიხატება ეს გაფართოება?

1) ხმელთაშუა ზღვის პელაზგები, ეტრუსკები და ბასკები გამოცხადდნენ იაფეტოლოგად.

2) ამისდა მიხედვით ნ. მარრი ეძებს იაფეტურ ელემენტებს ძველს ბერძნულში, ლათინურში და რომანულ ენებში.

3) ნ. მარრის თანამშრომელი ფრ. ბრაუნი იაფეტური თეორიის საშუალებით სცდილობს ახსნას გერმანული ენების უძველესი, აქამდე გამოუცნობი ელემენტები.

4) იაფეტური თეორიის ქვაკუთხედად ცხადდება „შეჯვარედინების იდეა“ (идея скрещения).

5) „შეჯვარედინების იდეაზე“ დამყარებული მუშაობა ააშკარავებს ლენინგრადის სკოლისათვის იმ გარემოებას, რომ ის ენები, რომელთაც ჩვენ ვიცნობთ ინდოგერმანული (ანუ ინდოევროპული) ენების სახელით, სრულიად ახალი თვალსაზრისით უნდა იქნეს განხილული; რომ ეს ენები გაცილებით უფრო მეტს, ინდოგერმანისტიკის ნიადაგზე გამოუცნობ ელემენტებს შეიცავენ, ვიდრე ეს დღემდე წარმოდგენილია თვით ამ ინდოგერმანისტიკაში; დასასრულ, რომ დიდდი ფენი ამ ენებისა იაფეტურ სამეფოს ეკუთვნის.

## II

იაფეტური თეორიის ასეთი ჩამოყალიბების შემდეგ ლენინგრადის სკოლის წარმომადგენელნი უკვე იწყებენ მუშაობას თვით ე. წ. ინდოგერმანულ ენებში და „შეჯვარედინების იდეაზე“ დაყრდნობით არკვევენ ინდოგერმანული ენების აქამდე გამოუცნობ ელემენტებს. და პირველ ყოვლისა ეს მუშაობა შეეხება ბერძნულ ენას, რაც თავის-თავად ბუნებრივია.

ცნობილია, რომ ეგრეთწოდებულ ინდოგერმანულ ენათა შორის ბერძნულ ენას ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილთაგანი უჭირავს. არა იმიტომ, რომ მისი სამშობლო ელლადა საკაცობრიო კულტურის აკვანია, არც იმიტომ, რომ მისმა წარმომადგენლებმა მეცნიერებისა და ხელოვნების ყოველ დარგს ჩაუყარეს საძირკველი და ზოგიერთ ამათგანში კიდევაც თქვეს უკანასკნელი სიტყვა. ბერძნული ენა მის მონათესავე ენათა შორის პირველ რიგშია დაყენებული, რადგან მასში დაცულია მრავალფეროვანება ფორმათა და ამ მხრივ უფრო მეტ მასალას იძლევა ენათა მთელი ოჯახის შემეცნებისათვის ისტორიული მიმდინარეობის მიხედვით. ამითაც აიხსნება, რომ მეცნიერება მას მეტ ყურადღებას აქცევს და სამეცნიერო ჟურნალთა შორისაც მას უფრო მეტი ნაშრომ-ნაკვლევი აქვს მიძღვნილი. მრავალი ბერძნული სიტყვის ისტორიას იმდენი გამოკვლევა ეხება, რომ მათგან — თითოეულ სიტყვაზე — რამდენიმე ტომის აკინძვა შეიძლებოდა. მიუხედავად ამისა 20% ბერძნული სიტყვებისა აუხსნელია და ბუაზაკის „ეტიმოლოგიურ ლექსიკონში“ მრავალ

ნობ ელემენტებს შეიცავენ, ვიდრე ეს დღემდე წარმოდგენილია თვით ამ ინდოგერმანისტიკაში; დასასრულ, რომ დიდდი ფენი ამ ენებისა იაფეტურ სამეფოს ეკუთვნის.

## II

იაფეტური თეორიის ასეთი ჩამოყალიბების შემდეგ ლენინგრადის სკოლის წარმომადგენელი უკვე იწყებენ მუშაობას თვით ე. წ. ინდოგერმანულ ენებში და „შეჯვარედინების იდეაზე“ დაყრდნობით არკვევენ ინდოგერმანული ენების აქამდე გამოუცნობ ელემენტებს. და პირველ ყოვლისა ეს მუშაობა შეეხება ბერძნულ ენას, რაც თავის-თავად ბუნებრივია.

ცნობილია, რომ ეგრეთწოდებულ ინდოგერმანულ ენათა შორის ბერძნულ ენას ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილთაგანი უჭირავს. არა იმიტომ, რომ მისი სამშობლო ელლადა საკაცობრიო კულტურის აკვანია, არც იმიტომ, რომ მისმა წარმომადგენლებმა მეცნიერებისა და ხელოვნების ყოველ დარგს ჩაუყარეს საძირკველი და ზოგიერთ ამათგანში კიდევაც თქვეს უკანასკნელი სიტყვა. ბერძნული ენა მის მონათესავე ენათა შორის პირველ რიგშია დაყენებული, რადგან მასში დაცულია მრავალფეროვანება ფორმათა და ამ მხრივ უფრო მეტ მასალას იძლევა ენათა მთელი ოჯახის შემეცნებისათვის ისტორიული მიმდინარეობის მიხედვით. ამითაც აიხსნება, რომ მეცნიერება მას მეტ ყურადღებას აქცევს და სამეცნიერო ჟურნალთა შორისაც მას უფრო მეტი ნაშრომ-ნაკვლევი აქვს მიძღვნილი. მრავალი ბერძნული სიტყვის ისტორიას იმდენი გამოკვლევა ეხება, რომ მათგან — თითოეულ სიტყვაზე — რამდენიმე ტომის აკინძვა შეიძლებოდა. მიუხედავად ამისა 20% ბერძნული სიტყვებისა აუხსნელია და ბუაზაკის „ეტიმოლოგიურ ლექსიკონში“ მრავალ სიტყვას აქვს შენიშვნა „*étymologie inconnue*“, ან „*éléments de dérivation peu clairs*“. პროცენტი საკმაოდ დიდია. ეს გარემოება, რასაკვირველია შეუმჩნეველი არ დარჩა მეცნიერთათვის. პირიქით, მათი ყოველი ღონისძიება იქითკენ იყო მიმართული, რომ აუხსნელად დარჩენილ თუ დატოვებულ სიტყვებისათვის გასაღები ეპოვნათ.<sup>1</sup>

არა თუ ცალკე სიტყვები, არამედ ენის ის ელემენტები, დედა-აზრს რომ აძლევს გამოხატულ ცნებებს, ე. წ. მორფოლოგიური ელემენტებიც იყო (და არის) მრავალი, რომელთაც ინდოგერმანულმა ენათმეცნიერებამ ვერ მოჰფინა შუქი. ეს ელემენტები უცხოა ბერძნული ენისათვის და მის ბუნებას არ უდგება. ასეთია, მაგ. სუფიქსები (ნართავი ნაწილაკები) — *vθις* (ἐρξίvθις „ცერცი“ ἄσθμivθις, „აბანო“), ადგილის აღმნიშვნელი-*σθις* (Παρνασθός) და სხვ.<sup>2</sup> აქვე ეკუთვნის ისეთი ხშირი დაბოლოება-*ov*, საშუალო სქესის არსებით სახელებს რომ ახასიათებს (μῆλον ვაშლი), რაც ლათინურშიაც მოიპოვება -*um*-ის სახით.<sup>3</sup>

კიდევ მეტი; მრავალი მოვლენა ანტიური კულტურისა დღესაც ბნელია მეცნიერებისათვის. რამდენადაც მდიდრად და მრავალფეროვნად არის გამოკვლეული სარელიგიო

1. აღსანიშნავია, რომ ეს უმნიშვნელოვანეს კულტურ-მცნებათა გამოხატულ სიტყვებს ეხება: χερσელი, οτνς ღვინო, δισυσαμψς დითირამბი, ἔλεγις (ἐλεγεia), βιασλεს მფეე, და სხვა.

2. P. Kretschmer, Einleitung in d. Geschichte d. gr. Sprache, 153 ff. აგრეთვე I. Schrijnen, Einleitung in das Studium d. idg. Sprachwissenschaft. S. 110.

3. არის კიდევ ერთი მოვლენა ბერძნულ ენაში, რაც ბერძნულ ენას ორ დიდ ბანაკად ჰყოფს: ეს არის ძირითადი განსხვავება იონურსა და დორიულ დიალექტებს შორის, იონური *e*, დორიული *a*:

*vθις* — *vαθις* (კუნძული)

*θρηξ* — *θραξ* (თრაკიელი)

*μηλον* — *μαλον* (ვაშლი) და სხვა.

ამ მოვლენის გაშუქების დროს მეცნიერება დღემდე ვერ გასცილებია უბრალო სტატისტიკას. ისტორია ამ განსხვავების წარმოშობისა-კი ბურუსით არის მოცული.

4. ib. Guilelmus Quandt. De Baccho ab Alexandri aetate in Asia minore culto. Hallis Saxonum. 1913.



ნებთ იმას, რომ წარსული საუკუნის დასაწყისში განათლებულ კაცობრიობას წარმოდგენა არც კი ჰქონდა ენათა ნათესაობის შესახებ, და ოდნავ გადავავლებთ თვალს მის შემდეგ ნაკვლევს, უნდა ვთქვათ: მიღწეულია, მართალია, მინიმუმი, მაგრამ აუარებელი მასალა დაგროვილი და დალაგებულია მაქსიმუმის მისაღწევად.

და კერძოთ ბერძნული ენის შესახებ კრემერის<sup>1</sup> შემდეგ ეჭვი აღარავის ეპარება, რომ ბერძნულმა ენამ მრავალი არაინდოგერმანული ელემენტი დაიცვა, რომელიც მცირე-აზიასა და აგრეთვე თვით ბალკანეთში ბერძნებზე უწინარეს მობინადრე ტომებს ეკუთვნის — და ამას ადასტურებს, როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ, უკანასკნელ წლებში დამთავრებული ეტიმოლოგიური ლექსიკონიც, სადაც ლექსიკონის შემდგენელი, საკმაოდ ფრთხილი მოაზროვნე ბუაზაკი<sup>2</sup> იძულებულია სიტყვების 20%-ს შენიშვნა გაუკეთოს „étym. obscure“, ან „étym. inconnu“, — მაგრამ თვით ეს არა ინდოგერმანული ელემენტები ისეთი ბურუსით არის ჯერ-ჯერობით მოცული, რომ იაკობ ვაკერნაგელთან ერთად შეგვიძლია ვთქვათ: „დღემდე არა გვაქვს ჩვენ არავითარი მტკიცე დასაყრდენი, და ამიტომ მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებზე შეგვიძლია ვილაპარაკოთ, რომ ისინი უძველეს ბინადართა ენიდან მომდინარეობს“.<sup>3</sup>

### III

ცნობილია, მეცნიერი-ლინგვისტები ხშირად ადგენენ ტაბულებს ენათა გენეალოგიური ნათესაობის შესახებ და მათ მიხედვით ათავსებენ ენებს ამათუიმ ოჯახში. როდესაც ჩვენ ზედაპირულად ვეცნობით ამ ტაბულებს შესახებ ინდოგერმანული ენებისა, ერთის შეხედვით ისეა, თითქოს ენებს მხოლოდ პირდაპირი ნათესაური კავშირი ჰქონდეს ერთმანეთთან, ე. ი. ენები თავისი ნათესაობრივი შთამომავლობით მისი კუთვნილი ოჯახის ამათუიმ შტოზე იყოს მიჯაჭული. ეს რომ ასე იყოს, მაშინ, რასაკვირველია, საბუთი ექნებოდათ აკად. ნიკო მარრსა და მის მოწაფეებს მათი არა-ერთგზისი მტკიცებისათვის, ინდოგერმანისტიკა გაკოტრდა, რადგან ის ვერ ჩასწვდა ენების ჭეშმარიტ ბუნებას და თავისი სქემატიური წარმოდგენით ენათა გენეალოგიაზე ჩიხში მოემწყვდაო. ინდოგერმანისტიკა გაკოტრდა, რადგან თავის მუშაობაში ის ევოლუციის იდეას ეყრდნობოდა: ირკვევა, რომ მთავარი დასაყრდენი ლინგვისტისათვის შეჯვარედინების იდეა უნდა იყოს, რომელიც „ფაქტების მკვდარ მასალას სულს ჩაჰბერავს ხოლმე“-ო.<sup>4</sup>

ჩვენ უნდა აღვნიშნოთ, რომ ინდოგერმანისტიკისადმი წამოყენებული ბრალდება სიმართლეს არ შეეფერება. ევოლუციის იდეას ეყრდნობოდა ის არა მხოლოდ კვლევის პროცესში, არამედ მეთოდოლოგიური მოსაზრებითაც, რამდენადაც ეს საჭირო იყო მოცემული მასალის დალაგებისა და მისი განხილვისათვის ერთგვარი სისტემის მიხედვით, თანდათანობით უფრო ახლო დროიდან მოყოლებული უკუქცევითი მიმართულებით უფრო ძველი დროისაკენ, მაგრამ მას სრულიადაც არ გამოჰპარვია ის მნიშვნელოვანი გარემოება, რომ გარდა ენათა ნათესაობისა საენათმეცნიერო საკითხებში ენათა აღრევასაც,

1. Paul Kretschmer. Einleitung in die Geschichte der griechischen Sprache Göttingen, 1896 (განსაკუთრებით თავები X და XI).

2. Emile Boisacq. Dictionnaire étymologique de la langue grecque. Heidelberg-Paris, 1916.

3. Jacob Wackernagel. Die griechische Sprache (Die Kultur der Gegenwart I, VIII: Die Griechische und lateinische Literatur und Sprache, 371—397) გვ. 374; „wir haben bis jetzt keine sichern Anhaltspunkte, um mehr als vereinzelt Entlehnungen aus der Sprache der Ureinwohner anzunehmen“.

4. იბ. ა. ჰენკოს წერილი, К вопросу о языковом скрещении: Яфетический Сборник, II, 120 შმდ.



ენობრივი ელემენტების შეჯვარედინებასაც უაღრესი მნიშვნელობა აქვს. ინდოგერმანისტიკას არა ერთხელ აღუნიშნავს ასეთი აღრევა — შეჯვარედინების რამდენიმე ფორმა.<sup>1</sup>

აღრევა-შეჯვარედინების საკითხი ხშირად ყოფილა ხოლმე განხილული კერძო ცნების შესახებაც და ამათში მეცნიერთა განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდა სწორედ იმ ენების საკითხი, რომელიც დღეს, როგორც ზემოთ ვთქვით, 1920 წლიდან პირველ რიგში აქვს წამოყენებული **ლენინგრადის სკოლას**, — სახელდობრ ბასკების, ეტრუსკებისა და პელაზგების. ჩვენ აქ დანვრილებით ვერ შეუდგებით ამათ საკითხს.<sup>2</sup> ჩვენი მიზნისათვის საკმარისი იქნება აღვნიშნოთ, რომ დღესდღეობით მკვლევართა მიერ აღიარებულია, რომ აღნიშნული ენები 1) ინდოგერმანული არ არის და 2) მათი დასაბამი მცირე აზიის მიმართულებით უნდა ვეძიოთ. უფრო დანვრილებით ეს რეზიუმე გამოთქმულია Dr. Jos. Schrijnen-ის ზემოდასახელებულ წიგნში, გვ. 54-55, რომელსაც ჩვენ აქვე მოვიყვანთ:

„როგორ დგას ეტრუსკულის, ბასკურის და პელაზგურის საკითხი?

ეტრუსკული ენისა და მოსახლეობის სადაურობა ჩვენთვის კვლავინდებურად გამოუცნობია, თუმცა ჩვენ უკვე უახლოვდებით საკითხის გადაჭრას... დღეს უკვე საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ეტრუსკული ენა ინდოგერმანული არ არის და მისი დასაბამი (Ursprung) მცირე აზიაში უნდა ვეძიოთ. ეს ნათელჰყვეს de Saussure-მა და განსაკუთრებით G. Herbig-მა.

შეიძლება მცირე აზიის ენებთან იყვნენ დაკავშირებული სხვა ენებიც, რომელთაც ზოგიერთი მკვლევარნი წინა აზიის ძველი კულტურის მატარებელ ერს, ხეთებს, უკავშირებენ; პირველ ყოვლისა ეს შეეხება საბერძნეთის უძველეს მობინადრე (Ureienwohner) პელაზგების ენას, შემდეგ ლემნოსის პრეელინური წარწერისას, და საბერძნეთის კუნძულებზე პოვნილი ნაშთების ენას. ფინკის დასკვნით მცირე აზია, სამხრეთი ბალკანეთი და ეგეოსის ზღვის კუნძულები ოდესღაც ერთისა და იმავე რასით უნდა ყოფილიყო დასახლებული.

„ჯერ-ჯერობით გამოურკვეველია, აქვს თუ არა კავშირი კავკასიური ენების უზარმაზარ ჯგუფთან ხეთების ენას, რომელიც უთუოთ ნარევე ენას წარმოადგენს. აგრეთვე ბასკური ენაც, რომელიც ძველ იბერთა ენის მონათესავეა, შეიძლება უფრო ახლო კავშირში იყვეს ამ ენებთან ისევე, როგორც (პაულისა და ტომსენის მიხედვით) ეტრუსკულიც. Das Kaukasisch-dürfte als ein Gli d zwischen Indogermanisch und Semitisch-Chamisch emerseits und den ur Ia Itaischen Sprachen andererseits betrachtet werden... მიუხედავად ამისა შეუძლებელია ჯერ-ჯერობით ლაპარაკი ყველა ამ დახლართულ გენეალოგიურ შემთხვევათა საბოლოო გადაჭრაზე“.

1. ასეთ მოვლენებზე ლაპარაკია, მაგ., H. Paul. Prinzipien der Sprachgeschichte. Halle, 1920. გვ. 390—403, სადაც ზოგადი მსჯელობაა აღრევა-შეჯვარედინებაზე და მისი სხვადასხვანაირი სახეა გარკვეული. ამავე საკითხს ეხება Jos. Schrijnen. Einführung in das Studium der indogermanischen Sprachwissenschaft. Heidelberg, 1921 (გადმოთარგმნილია 1917 წლის ჰოლანდური გამოცემით Fischer-ის მიერ) გვ. 85—89, სადაც ავტორი ენათა აღრევა-შეჯვარედინების საკითხს უფრო ფართოდ აყენებს, ვიდრე პაული. ის ამბობს: Vielleicht war die Ursprache Selbst das Ergebnis einer bedeutenden Stammes-und Sprachen-mischung (გვ. 88). ინდოგერმანისტიკის აზრით, ენათა აღრევა პირდაპირი შედეგია ან რასათა შეჯვარედინების (Rassenkreuzung), ან რომელიმე კულტურული ერის ენის მიღება-შეთვისების (იქვე, გვ. 105).

2. უადგილოც იქნებოდა აქ ამის განხილვა: იმ ზომად დიდია ეს საკითხები და იმნაირად არის მათი გადაჭრა საერთოდ ხმელთაშუა ზღვის კულტურის საკითხებთან დაკავშირებული, რომ უადგილო იქნებოდა აქ, მოკლე შენიშვნაში, მათი შეხება. მსურველთათვის შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ კერძოდ ეტრუსკებისა და პელაზგების საკითხში საკმაოდ კარგ ორიენტაციას იძლევიან G. Körte და F. Skutsch: Pauly-Wissowa's Realencyclopädie d. Altertumswissenschaften, VI, 730-806 და Ed. Meyer Die Pelasager: Forschungen zur alten, Geschichte, I, 3—124.

რომ ინდოგერმანისტიკა სწორ გზას ადგა თავის კვლევა-ძიებაში შესახებ ხმელთაშუაზღვის კულტურისა, ამას თვით ნ. მარრიც აღიარებდა. საგულისხმოა აღნიშნოთ, რომ როდესაც ნ. მარრი საკითხს ისტორიულ-გენეტიურად იკვლევს, ის ყველგან აღნიშნავს, რომ რომელიმე ევროპიელმა მეცნიერმა თავის, ლოლიკურად სწორ გზაზე მიაღწია პუნქტს, სადაც ის იძულებულია შეჩერდეს. ეტრუსკების საკითხის გარკვევის დროს, მაგ., ნ. მარრი ამბობს:

„Нѣмецкому ученому Борку линия связи представлялась достигающей от Этрурии до Элама. „Не только“, писалъ онъ въ рецензїи на работу А. Fick, а „повторно всплываютъ въ діалектически отѣнечныхъ формахъ тѣ же самыя названія божеств Tarku (Tarqu Targu) и Тешир на всемъ пространствѣ отъ Этруріи вплоть до Элама, нопростѣживается также въ широкомъ распространенїи рядъ созвучныхъ образовательныхъ элементовъ ономастикона...“ (ЗВО, 1921, 25, 323).“  
ბორკის ამ სიტყვებს მარრი დასძენს... „Если бы Боркъ былъ знакомъ с основными положенїями яфетической теорїи, то он мог бы глухую ссылку на вообще діалектическую дифференціацію заменить указанїем на определенное...“

როგორც ვხედავთ, ევროპის მეცნიერება სწორ გზას ადგა, ხოლო — როგორც ამას შრინენის სიტყვები ნათელჰყოფს — არ ჰმალავდა იმ ხარვეზს თავის კვლევა-ძიებაში, რომლის შევსებას დღეს სცდილობს ლენინგრადის სკოლა.<sup>1</sup>

#### IV

ლენინგრადის სკოლას ის დიდი უპირატესობა აქვს, რომ ის — თავისი მამამთავრის ნიკო მარრის სახით, — ენათმეცნიერების გაცხოველებული მუშაობის დროს ევროპას მოეწვინა საკმაოდ დიდი მარაგით მცირე აზიისა და კავკასიური ენების მცოდნეობაში. ევროპიელ მეცნიერებს (მაგ., Bopp-ს, Kretschmer-ს, Trombetti-ს) მცირე აზიასა და კავკასიაზე მითითებას უკარნახებდა მხოლოდ ლიტონი დაკვირვება ინდოგერმანულ ენებზე და ზერელე ცოდნა კავკასიური ენებისა, და იმაზე მეტის გაკეთება ევროპის მეცნიერთ არც კი შეეძლოთ: გარდა იმისა, რომ მათ აკლდათ კავკასიური ენების ცოდნა, თვით ის მასალები, რომელთა საშუალებით უნდა გაადვილებულიყო ინდოგერმანისტიკის სადაო და გადაუჭრელი საკითხების გამორკვევა, მეტად მცირე იყო: არ იყო სათანადოდ შესწავლილი ბასკური ენის მასალები, ეტრუსკული ენის კორპუსი მხოლოდ დღის წესრიგში იდგა, ხოლო ბალკანეთის ნახევარკუნძულის უძველეს ბინადართა ენა სრულებით არ იყო ცნობილი: თვით ახალი ბერძნული დიალექტოლოგია, რომლისაგანაც მეცნიერება უხვ მასალას მოელის პრეელინურისა და პროტოელინური ელემენტების გარკვევისათვის უკანასკნელი ოციოდე წლის ამბავია.<sup>2</sup>

1. წინამდებარე მცირე შენიშვნაში შეუძლებელია ჩვენ ვრცლად შევეხოთ ლენინგრადის სკოლის მუშაობას და მის მიერ წამოყენებულ დებულებებს. ეს, რასაკვირველია, უთუოდ საჭიროა — და, როგორც ჩვენ ზემოთ დავინახეთ თვით ინდოგერმანისტიკამაც დიდი ხანია ყურადღება მიაქცია იმას, რომ ინდოგერმანული ენების ზოგიერთი მნიშვნელოვანი და ჯერ გადაუჭრელი საკითხების გამოსარკვევად უაღრესი მნიშვნელობის არიან სწორედ ის ენები, რომლებიც დღეს ლენინგრადელთა კვლევა-ძიების ობიექტს შეადგენენ. ამ საკითხების ვრცლად გაშუქება და ლენინგრადელთა მუშაობის შეფასება ამ მხრით შეუძლებელია საჭურნალო შენიშვნაში. ეს მოითხოვს ცალკე გამოკვლევას, რისთვისაც, სამწუხაროდ, ჩვენი სამეცნიერო გამომცემლობა მომზადებული არ არის. ასე რომ, ჯერ-ჯერობით ცალკე შენიშვნებით უნდა დავკმაყოფილდეთ.

2. პარალელისათვის აღსანიშნავია, რომ ბერძნულმა ფილოლოგიამ თუ სძლია კლასიციზმს და ახალი ბერძნული ენა და დიალექტები მეცნიერების კანონიერ ობიექტად მიიღო, ამაში დიდი ღვაწლი მიუძღვისთ ახალი ბერძნულის საუკეთესო მცოდნეებს გეორგიოს ხაქიდაკის, Einleitung in die neugriechische Grammatik, Lpz., 1892. S. XVI+404 და მრავალი სხვა). და კარლო კრუმბახერს.

ასეთ პირობებში ენათმეცნიერებისათვის დიდ განძს წარმოადგენს ასპარეზზე ისეთი მარაგით გამოსვლა, რომელიც თან მოიტანა ლენინგრადის სკოლამ: მას მოაქვს თან ისეთი მასალების ცოდნა, სადაც ჩამარხულია გასაღები არა ერთი და ორი საჭირობო საკითხისა. მაგრამ ამ მასალების გამოყენების დროს საჭიროა ძველი მასალებიც არ იქნეს აბუჩად აგდებული, და ესათუის საკითხი, რომელიც ძველი მასალების მიხედვით ბუნდოვანი ან მთლად გამოუცნობიც იყო ევროპიელ მეცნიერებისათვის, ხელახლა უნდა იქნეს გადასინჯული ძველისა და ახალი მასალების მიშველიებით.

მის განკარგულებაში მყოფმა იაფეტური ენების მასალებმა ლენინგრადის სკოლა დაარწმუნა, სხვათა შორის, იმაში, რომ ხმელთა-შუა ზღვის კულტურის შექმნაში იაფეტური კავკასია თანასწორ-უფლებიან ფაქტორს წარმოადგენს სხვა ორ ფაქტორთან ერთად. ამას ადასტურებს ნიკო მარრის ერთ-ერთი შრომის სათაურიც: „Яфетический Кавказ и третий этнический элемент в создании Среднيزемноморской культуры“. ასეთი დებულება კი ავალებს ყველა იმას, ვინც მის გამართლებას ეცდება ამ კულტურის საკითხთა გარკვევის დროს, მარტო იმით კი არ დაკმაყოფილდეს, რასაც იძლევა მესამე ელემენტი ამ კულტურისა, არამედ მხედველობაში იქონიოს მთელი კომპლექსი სამივე ელემენტის მიერ მოცემული მასალისა. ლენინგრადელთა მიერ განხილული ბერძნული ეტიმოლოგიები კი მაგ., ჩვენ გვიჩვენებს, რომ ლენინგრადელები, გატაცებულნი ახალი მასალის სიუხვითა და პროდუქტიული პოტენციით, უმთავრეს სამკელ მასალას განსაკუთრებით იაფეტურ სამეფოდან ლებულობენ. თუ ინდოგერმანისტიკის წარმომადგენელნი ინდოგერმანული ენების სადავო საკითხების გამორკვევისას — მაგ., ბნელი და გამოუცნობი (obscure, inconnu) ეტიმოლოგიების გაშუქებისას — ცდილობენ maximum შესაძლებელისა თვით ინდოგერმანული მასალიდან ამოეწურათ, და ამაში ისინი ხშირად აჭარბებდნენ. ლენინგრადელები თავისი მხრით მეორე უკიდურესობისადმი მისწრაფებას იჩენენ და სიმძიმის ტენტრო იაფეტურ ენებზე გადააქვთ.

ეს მისწრაფება ჩანს, უკეთ რომ ვთქვათ, ჩანდა, ლენინგრადში არსებული „**იაფეტური ინსტიტუტის**“ მუშაობის ყოფელ ნაბიჯზე. ეხება ეს გერმანულისა თუ ბერძნულის „აქამდე გაურკვეველ ელემენტებს“, ყოვლთვის როდესაც ამ გაურკვეველობის გასაღები პოვნილია იაფეტურ ენებში, საკითხი ამოიწურება ხოლმე იმით, რომ ეს გაურკვეველი ელემენტი მთლიანად ცხადდება იაფეტური სამეფოს კუთვნილებად და ჩვენ ვერ ვხედავთ, თუ სად მართლდება ის იდეა შეჯვარედინებისა, რომელსაც განსაკუთრებით ემყარება თავის მუშაობაში **იაფეტური ინსტიტუტი**. მაგ., აქამდე გაურკვეველის Ὀμηριος-ის არხეტიპად ცხადდება Nobel, რომელიც Nobel-sumer-iber-ის და სხვა ნასკვთა გზით და მრავალი, იაფეტურ ენებშივე შეჯვარედინებული ფორმების შემდეგ ენათესავება ქართულ „ბრმას“ (Н. Я. Марр. К толкованию имени „Гомер“. ДРАН, 1924, январь-март, стр. 2—5).

მეორე შემთხვევაში, როდესაც აკად. ნ. მარრი **ათენე**-ს ეტიმოლოგიას იკვლევს (**ათენე**),<sup>1</sup> ის სრულიად არ იღებს მხედველობაში იმ მასალათა კომპლექსს, რომელსაც იძლევა ბერძნული-ენა ათინა-ლმერთისა და ათინა-ქალაქის სახელწოდებისათვის (Ἀθηναία, Ἀθῆναι, Ἀθῆναι, ახ. ბერძნული Ἀθήνα). ნიკო მარრი გამოჰყოფს A-პრეფიქსს, ხოლო არ არკვევს მის დანიშნულებას ამ შემთხვევაში, და უნდა ვიფიქროთ, რომ ის ამას ჩვეულებრივ აფხაზურ პრეფიქსად თვლის; დასასრულ ძირეულ **-თენ**-ს ის უკავშირებს „ცხენ“-ს, რომელი შეთანასწორების სემასიური შეგრძნებისათვის ჩვენ არავითარი კრი-

1. Н. Я. Марр, „Смерть“ — „преисподняя“ в месопотамско-эгейском море. ДРАН, 1924, январь-март, стр. 12—14. ამ ეტიმოლოგიისაგან ძირითადად განსხვავდება ა. ჰენკოს მიერ წამოყენებული ეტიმოლოგია, რომლის მიხედვით ძირეულ ნაწილად მიღებულია ათენ- და არა -თენ-.

ტერიუმი არ მოგვეპოვება.<sup>1</sup> ეს შეთანასწორება მიკუთვნილია იმ ეპოქას, რომლის შესწავლას, ჩვენი წარმოდგენით, წინ უნდა უძღოდეს უფრო ნაცნობი ეპოქის შესწავლა, ე. წ. პროტოელინურისა და ელინურის.

ასევე იქცევა მეტ შემთხვევაში ფ. ბრაუნის გერმანული ენის გაურკვეველი ელემენტების საკითხში (*Die Urbevölkerung Europas und die Herkunft der Germanen. Berl.-Stuttg.-Lpz., 1922*).

ჩვენ ვფიქრობთ, რომ გამოურკვეველი (და ზოგიერთი გარკვეულისაც) ეტიმოლოგიების ასეთი გაშუქება შეიძლება ფრიად სახიფათო აღმოჩნდეს მეცნიერულის ჭეშმარიტების თვალსაზრისით. ადვილი შესაძლებელია *„ОМЗСПТ-ი „ბრმა“* იყოს, მაგრამ ასეთი შეთანასწორება ძალიან უდროო და არაფრის მთქმელია, ვინაიდან ჯერ-ჯერობით იაფეტური ენების ფონეტიკაც კი არ არის დამუშავებული და შესწავლილი, არა თუ მათი იმდროინდელი მდგომარეობისა, როდესაც ისინი ხმელთაშუა ზღვის კულტურის შექმნაში ერთი იმ მესამე ელემენტთაგანი იყო, რომელზეაც სწერს ნიკო მარრი თავის ზემოაღნიშნულ გამოკვლევაში, არამედ იმ იაფეტური ენებისაც კი, რომელთაც ჩვენ შედარებით უკეთესად ვიცნობთ, როგორც სამწერლო ნაშთებით, ისე ცოცხალი დიალექტებით. ეს, რასაკვირველია, იმას კი არ ნიშნავს, რომ ენათმეცნიერი ცუდად უნდა იჯდეს, ვიდრე ჩვენ იაფეტური ენების მკვეთრად ჩამოყალიბებული კანონები არ გვეჩვენა: პირიქით, კანონზომიერების დადგენისათვის საჭიროა თუნდაც ზემომოყვანილ შეთანასწორებათა მსგავსი მუშაობის წარმოება, რათა ენათმეცნიერ-კანონმდებელს ჯეროვანი მასალები მიეცეს ხელთ. მაგრამ, როდესაც ეს შეთანასწორებანი მრავლდება ასობით და მათ უდავო ჭეშმარიტებად აცხადებენ ისე, რომ მათ წამომყენებელთ არავითარი მკვეთრი კრიტიკიუმი არ უჭირავს ხელთ — აი, ასეთ პირობებში ფართო ასპარეზი ეშლება ფანტაზიასაც, რომლის შეკვეცა ხანდახან არც ისე ადვილი ხდება. და ამის შედეგია ხოლმე ისეთი მოვლენები, რომ, მაგ., ერთი კალმის მოსმით წყდება „ჰომეროსის საკითხი“. „Утверждаю, архитип Гомера есть „Иобело“ или „тобело-шумеро-иберский“ народный баян, чем древнее: тем более не личный, а собирательный творец-поэт, тезка иберского племени“ (ნ. მარრი, I, გვ. 5).

აღნიშნულ ნაკვს (ინდოგერმანული ენების გაურკვეველი ელემენტების ახსნის დროს მხოლოდ იაფეტური ენების მასალაზე დაყრდნობა) სრულიადაც არ სპობს აკად. ნიკო მარრის უკანასკნელი განცხადება *Индоевропейские языки Средиземноморья: ДРАН*, იქვე, სტრ. 6-7). აქ ის ახალ დებულებას აყენებს: რასიულად განსხვავებული ინდოევროპული ოჯახი ენებისა არ არსებობს. ხმელთაშუა ზღვის ინდოევროპული ენები არასდროს არსაიდან არ მოსულან... ისინი წარმოგვიდგენენ იმავე იაფეტური ენების ახალ მდგომარეობას.

ასეთი განცხადება შეიძლება ერთის შეხედვით ლოლიკურ დასკვნას წარმოადგენდეს იმ წესით წარმოებული მუშაობისა, რომელიც ჩვენ ზემოთ ნაკლულევანად მივიჩნიეთ: არაფერი ინდოგერმანული არ არსებობს, ყველაფერი იაფეტურია. მაშასადამე, მხოლოდ იაფეტურ მასალებს შეგვიძლია დავეყრდნოთ და არავითარ სხვას. მაგრამ, თუ — ამ ახალი დებულებით — ინდოგერმანული ენები მხოლოდ ახალ სახეს იძლევიან იმავე იაფეტური ენებისა, რომელიც შედეგია ახალი სამეურნეო და საზოგადოებრივი პირობების დამყარებისა, ჩანს, ერთს ძველ საფუძველზე აღმოცენებულა ახალი შენობა, „новая по строю формация“, რომელსაც ჩვენ აქამდე პირობით უწოდებდით „ინდოგერმანულ ოჯახს“. მაშასადამე, მით უმეტეს ძალაში დარჩება ის დებულება, რომელიც ჩვენ ზემოთ წამოვაყენეთ: ახალი ფორმაციის ენათა საკითხის გარკვევაში საჭიროა მასალების მთლიანი კომპლექსის აღება და არა მხოლოდ იაფეტურისა, ე. ი. ძველი ტერმინებით რომ ვთქვათ, როგორც იაფეტურის, ისე ინდოგერმანულის.

1. თუ რამდენად უსაფუძვლოა ასეთი დაკავშირება და შეუძლებელია ამ შეთანასწორების აღქმა, შეადარე W. Wundt. *Völkerpsychologie VI (Mythus u. Religion III)* გვ. 160 და შემდგომი.



ამ გვარად, ჩვენის წარმოდგენით, საკითხის კვლევა-ძიების პროცესი ასეთი უნდა იყოს:

1) ჩვენ გამოვყოფთ როგორც იაფეტურ, ისე ინდოგერმანულ ელემენტებს, ე. ი. როგორც ძირითადი ფორმაციის, ისე ახალი ფორმაციის ელემენტებს;

2) ახალი ფორმაციის ელემენტების გამოყოფისას ჩვენ უთუოდ ვიყენებთ, რამდენადაც ამის საშუალებას გვაძლევს ახალი მიღწევანი ჩვენს დარგში, იმ მასალებს, რომლებიც მოგვცა ინდოგერმანისტიკამ ამ საუკუნე-ნახევრის მუშაობის დროს;

3) კვლევა-ძიება მიმდინარეობს ცოტად თუ ბევრად ნაცნობიდან უცნობისაკენ, და არა უცნობიდან უცნობისაკენ, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ველარ დავინახავთ ზღვარს Wahrheit-სა და Dichtung-ს შორის.

ასეთი უნდა იყოს გზა „შეჯვარედინების იდეაზე“ დაყრდნობისა კვლევის პროცესში, და „ევოლუციის იდეის“ გამოყენებისა მეთოდოლოგიურის თვალსაზრისით.

სიმონ ყაუხჩიშვილი

## ნეაპოლი — რომი — ბერლინი

### (საზღვარგარეთის შთაბეჭდილებანი)

#### 1

როდესაც მე 1913 წელს ბერლინის რკინის გზის სადგურზე ჩემს მეგობარ გერმანელებს ვეთხოვებოდი და ერთმანეთს ვეუბნებოდი „auf baldiges Wiedersehen“-ს, არც მე და არც ისინი არ ვფიქრობდით, რომ ეს „მალე“ კარგა ხანს გაგრძელდებოდა და რომ ბევრ მათგანს მე სრულიადაც ველარ ვნახავდი. ომმა და მის შემდეგ მომხდარმა ამბებმა საშუალება მომისპეს ყოველ წლივ — როგორც ეს მიღებული იყო ჩვენს სამეცნიერო წრეებში — მენახულა ხოლმე დასავლეთი ევროპა იქაურ მეცნიერებთან კონტაქტისა და მეცნიერულ მიღწევათა გაზიარების მიზნით. დასავლეთი ევროპა მთლად მოსწყდა ჩვენს ჰორიზონტს.

მხოლოდ გასული წლის გაზაფხულს გამილიმა ჭირვეულმა Tyché-მ და მისი წყალობით საშუალება მომეცა, კიდევ ერთხელ მეხილა დასავლეთი ევროპა და — თუნდაც მოკლედ ხნით — ვზიარებულყავ მის კულტურას. მოხდა ისე, რომ ნეაპოლის უნივერსიტეტი (რომელიც 1224 წელსაა დაარსებული ფრიდრიჰ II ჰოენშტაუფენის მიერ) თავისი არსებობის 700 წლის იუბილეს იხდიდა და ტფილისის უნივერსიტეტი მიწვეულ იქმნა საიუბილეო ზეიმზე. მე წილად მხვდა, არჩეული ვყოფილიყავი ტფილისის უნივერსიტეტის წარმომადგენლად, რათა გადამეცა ნეაპოლის უნივერსიტეტისათვის მისალოცი ადრესი, რომელიც შედგენილ იქმნა ჩვენ მიერ ლათინურსა და ქართულ ენებზე, ხოლო მხატვრულად შესრულებული პერგამენტზე პროფ. შარლემანის მიერ. ჩემი ოცნება ხორციელდებოდა და შეუძლებელი თითქოს შესაძლებელი ხდებოდა!

მაგრამ, დიდმა ხანმა გაიარა, ვიდრე ჩემი გამგზავრების საკითხი საბოლოოდ გადაწყდებოდა. ზეიმის დღე, რომელიც დანიშნული იყო 7 მაისისათვის („Nonis Maris“ — ასე ეწერა მოწვევის ბარათში), ახლოვდებოდა, მე-კი ჯერ კიდევ ტფილისში ვიყავ. აპრილის გასულს, როგორც იქნა, მე გავემგზავრე, მაგრამ შორი გზით: „მოსკოვი — რიგა — ბერლინი“, რადგან გემმა, რომელიც პირდაპირ ნეაპოლში მიდიოდა, გამასწრო. მოსკოვში-კი მომისწრო აღდგომის დღესასწაულებმა და მე დიდხანს შევრჩებოდი იქ, რომ ხელისუფლების წარმომადგენელთ სათანადო ზომები არ მიეღოთ: ისინი მე ყველაფერში მშველოდენ, რაც-კი მათგან იყო დამოკიდებული, და 1 მაისს მე უკვე რიგისაკენ გავემართე.

მე ბედნიერი ვიყავ. ყველაფერი ჩემს სასარგებლოდ ეწყობოდა. მაგრამ, როგორც იტყვიან, „ერთს ჰფიქრობ, და მეორე ხდება“. როდესაც 1 მაისს ნითელი დროშითა და მწვანე გირლანდებით შემკული მატარებელი ლატვიის საზღვარს მიადგა, ის იქ დააკავეს და მოითხოვეს ნითელი დროშის ჩამოხსნა. მემანქანე, რასაკვირველია, არ დაემორჩილა ასეთ მოთხოვნას: დროშის ჩამოხსნა მას მხოლოდ ნაშუალამევს შეეძლო, ე. ი. როდესაც დღესასწაული გათავდებოდა. ამის შედეგი ის იყო, რომ ჩვენ ნაშუალამევის 1 საათამდე საზღვარზე ვიცადეთ და ამ რიგად რიგაში ველარ ჩაუსწარით საზღვარგარეთის მატარებელს. მხოლოდ საღამოს 10 საათზე ჩავედით ჩვენ რიგაში და, რადგან მატარებელზე უკვე დაგვიანებული იყო, იქვე გავათიეთ ღამე და მხოლოდ მეორე დილით გავემგზავრეთ ბერლინისაკენ. ასე რომ, მე ორი დღე დავკარგე. მესამე დღე-კი ბერლინში დამეკარგა, რადგან მე იქ კვირა დღეს ჩავედი, როდესაც დანესებულეებში მუშაობა არ სწარმოებს: მე-კი ავსტრიის საკონსულოში უნდა მიმელო „Durchreisevis“. საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ ყველა ეს ვიზები მეტად აბრკოლებენ მგზავრს: ვიზები კი აუარებელი სჭირდება ადამიანს. მაგ., იტალიაში ჩასასვლელად მე დამჭირდა ხუთი ვიზა: იტალიის, გერმანიის, ლატვიის, ლიტვისა და ავსტრიის. მადლობა ღმერთს, რომ იმ დროს გაუქმებულ იქმნა ბავარიის ვიზა, და არც განსაკუთრებული ვიზა დამჭირდა „პოლონეთის კორიდორის“ გასასვლელად. მერე რა საშინელებაა ეს საზღვრები! საყურადღებოა, რომ, რაც უფრო პატარაა სახელმწიფო, მით უფრო ახირებული არიან მოხელეები და მით უფრო ლაპლაპა მათი ტანსაცმელის ფორმა! დიდი ვაივავლახი დამჭირდა, რომ გადამერჩინა მისალოცი ადრესი (რომელიც მე მიმქონდა ნეაპოლის უნივერსიტეტისათვის) გაფუჭებისაგან: ისე ხშირად ზვერავდენ ხოლმე მას საზღვარზე; სამაგიეროდ მე არც ერთი მოსკოვის გაზეთი აღარ შემჩრა: ლატვიის საზღვარზე მე ყველა გაზეთი ჩამომართვეს მიუხედავად ჩემი თხოვნისა და პროტესტებისა.

აი, ბრენეროც: მე უკვე იტალიაში ვარ! მე უჩვენებ ჩემს დოკუმენტებს. დოგანის წარმომადგენელნი იშვიათის პატივისცემით მეპყრობიან. ჩემს ბარგს, როგორც დელეგაციას, ისინი არ სინჯავენ. მე თვითონ ვაჩვენებ მათ მისალოც ადრესს, რომელიც დიდ შთაბეჭდილებას ახდენს. მაგრამ ამავე დროს ერთ ძალიან სამწუხარო ცნობას გადმომცემენ: ნეაპოლის დღესასწაულები უკვე თავდება! ერთ ხანს მე ძალიან მაშფოთებს ეს ამბავი: ასე შორიდან მოიჩქაროდე და დღესასწაულების დასასრულს-ლა მიუსწრო! მაგრამ შემდეგ იტალიის თვალწარმტაცობა ყველაფერს მაგინყებს. მე კვლავ ვხედავ ნაცნობ ადგილებს: აი, ვერონა, კატულის სამშობლო, აგერ, ბოლონა, ფირენცე, აი, თვით რომიც! მაგრამ, ჯერ-ჯერობით მე მათ განზე ვტოვებ, მატარებელი მე სამხრეთით მიმაქროლებს; მე ჯერ ნეაპოლი მჭირდება!

თუმცა, შეუძლებელია, არ შეამჩნიო ყველა ის სილამაზე, რომელიც მგზავრის წინ იშლება მატარებლიდან. დე, ვაგონში სული გეხუთებოდეს და ჰაერი თამბაქოს კომლით იყოს გაჟღენთილი („vietato fumare“-ს არავინ ანგარიშს არ უწევს)! დე, ირგვლივ იტალიური ენის რაკრაკი ისმოდეს! სამაგიეროდ, როგორი ლაჟვარდია!.. აქვე ხავერდოვანი მინდვრები, ჰაეროვანი მთები და ხუჭუჭა ვენახები! თვალს ვერ აშორებ მათ, იმდენად ფერადოვანი და თვალწარმტაცია ისინი. ასე გგონია, თითქოს ყველაფერი იცინის, თითქოს ყველაფერი ატარებდეს ბედნიერების მხიარულ და უდარდელ ლიმილს! ასე გგონია, თითქოს მწუხარებას არც კი შეიძლება ადგილი ჰქონდეს აქ! „სინჰორ, სინჰორ, უკვე ვეზუვი სჩანს“, მეუბნება ჩემი მეზობელი იტალიელი, რომელსაც იადონი მოჰყავს თან: ის ყველას უჩვენებს მას და მუდამ ერთსა და იმასვე იმეორებს: „è un mascolo, e come canta!“ მერე რა გასაკვირია? იტალიაში ყველაფერი მღერის, არა თუ იადონი! მე უცქერი ვეზუვის. ის დღეს რალაც არ ჰბოლავს. და როგორ ლამაზია ის ჩამავალი მზის სხივებში, ოდნავ დაბურული მწუხრის ჩაფიქრებული ნისლით! აი, ვეზუვიც მიიმალა... ღამდება... ჩვენ უახლოვ-



დებით სადგურს, და, გამოვდივარ თუ არა ვაგონიდან, მაშინვე... გარს მეკვრის იტალიური ფუსფუსი, მისი განსაკუთრებული ხმაურითა და უდარდებლობით. დიახ, ნეაპოლი არ გამოცვლილა მას აქეთ, რაც მე ის არ მინახავს. ის ისეთივე მყვირალაა, თითქოს ერთი ნუთითაც არ სცხრება და ისწრაფის ამოსწუროს ყველაფერი... სიცოცხლე ხომ მოკლეა და მალე წარმავალი!

## 2

მე დავბინავდი Hôtel de Naples-ში Corso Umberto-ზე, თითქმის უნივერსიტეტის პირდაპირ; ეს შენობა მძიმეა თვისი არქიტექტურით, მაგრამ დიდებული, და სრულიად შეეფერება იმ მნიშვნელობას, რომელიც ჰქონდა ნეაპოლის უნივერსიტეტს იტალიის განათლებისა და მეცნიერებისათვის! მაგრამ, განა მარტო იტალიისათვის არის ის მნიშვნელოვანი? ჩვენ, ქართველებსაც, არ უნდა დაგვაინწყდეს, რომ ჯერ კიდევ XVI საუკუნეში ჩვენი ახალგაზრდობა მიემგზავრებოდა ხოლმე ნეაპოლში თავის სწავლის დასამთავრებლად და ჩვენ კიდევაც ვიცით ერთ-ერთი ასეთი პიონერის სახელი: ეს იყო, გელოვანი, რომელიც სწავლობდა ნეაპოლის უნივერსიტეტში იურიდიულ მეცნიერებათ. ასე რომ, ჩვენთვის ახლოა ნეაპოლის უნივერსიტეტი: მან გაუნანილა საქართველოს ნაწილი თავისი სულიერი განძისა. ტყუილად ხომ არ ამშვენებს მისი შენობის ფრონტონს: „Ad haustum scientiarum et seminarium doctrinarum“.

სასტუმროში მე საბოლოოდ გავიგე, რომ მე საიუბილეო ზეიმის უკანასკნელ დღეს ჩამოვსულვარ და რომ ამას იქით განაგრძობენ სხდომებს მხოლოდ ცალკე სამეცნიერო კონგრესები. მაგრამ ჩემთვის ისინი არავითარ ინტერესს არ წარმოადგენენ: ყველა ისინი ეხებოდნენ ან ფილოსოფიას, ან მედიცინას. ის-კი, რაც ჩემს სპეციალობას, კლასიკურ ფილოლოგიას ეხებოდა, უკვე დამთავრებული იყო. მაგრამ არაფერი დამნანებია ისე ძალიან, როგორც ის, რომ მე ვერ მოვისმინე პომპეიში, იტალიის ცის ქვეშ, ჰორაციის „Carmen seculare“, რომელიც დეკლამაციით შეასრულეს პომპეის ფორუმზე იტალიის სტუდენტების — „la gioventà accademica“-ს წარმომადგენლებმა. მხოლოდ ერთით ვინუგეშებდი თავს: მარტო მე არ დამგვიანებია დღესასწაულზე. ასეთსავე მდგომარეობაში აღმოჩნდა მრავალი სხვა მეცნიერიც, რომელთაც à la lettre გაუგიათ მონვევის ბარათში დაწერილი „nonis Maris“, შემდეგ გამოირკვა, რომ უნივერსიტეტს დამატებით დაუგზავნია მეორე ბარათიც, სადაც დღესასწაულების დასაწყისი ზედმინევიით იყო განსაზღვრული 2 მაისით და საიუბილეო ზეიმის წესრიგიც იყო გამოცხადებული. მაგრამ, ეს ბარათი ჩვენამდე არ მოსულა. ალბათ, ის დღესაც იმარხება რომელიმე უწყების კუნჭულებში. ასე თუ ისე, საჭირო იყო „faire bonne mine au mauvais leu“ და მომხდარ ფაქტთან შეგუება.

მეორე დღესვე ვინახულე მე უნივერსიტეტის რექტორი პროფ. Zambonini და ოფიციალურად გადავეცი მას როგორც მისალოცი ადრესი, ისე საჩუქარი — ჩვენი უნივერსიტეტის გამოცემანი. ადრესმა ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ყველაზე. განსაკუთრებით დააინტერესა ყველანი მისმა ქართულმა ნაწილმა. ბევრ მათგანს ხომ ჯერ არც კი ენახა ქართული დამწერლობა, რომელსაც ასე ახასიათებს ხაზების სიმკვირცხლე და ორნამენტურობის ორიგინალობა! ერთი სიტყვით, ადრესს თუმც დაუგვიანდა, მაგრამ მან შეასრულა თავისი დანიშნულება; ტფილისის უნივერსიტეტმა ხმამაღლა ამცნო ყველას თავისი არსებობის შესახებ! რადგან ადრესმა დიდი ინტერესი გამოიწვია, მე საჭიროდ დავინახე, შევხებოდი ჩვენი უნივერსიტეტის ისტორიას, მის ორგანიზაციას, მოღვაწეობასა და მიღწევებს, და რაც უფრო საგულისხმო იყო იტალიელ მეცნიერთათვის — მე მოკლედ უამბე საქართველოსა და ნეაპოლის უნივერსიტეტის ურთიერთობის დეტალები წარსულ საუკუნეებში. შემდეგ მე ეს თანახმად რექტორის თხოვნისა — წერილობით გადავეცი,

მით უმეტეს, რომ ჩემ მიერ ნაამბობი ნეაპოლის უნივერსიტეტის ისტორიისათვის უმნიშვნელო არ იყო. ამის გამო ის ცნობები შეტანილი იქნება დასაბუთებლად დამზადებულ წიგნში: „ნეაპოლის უნივერსიტეტის ისტორია“, რომელიც საიუბილეო გამოცემას წარმოადგენს და — თუმცა დაგვიანდა მისი დაბეჭდვა, მაგრამ — ამ მოკლე ხანში გამოვა, როგორც ამას წინათ Zambonini მწერდა.

ადრესის პასუხად მე მივიღე ტფილისის უნივერსიტეტისათვის გადმოსაცემად ვერცხლის მედალი, რომელიც მოუჭრიათ 700 წლის იუბილეს გამო: მედალზე გამოხატულია



უნივერსიტეტის დამაარსებელი ფრიდრიჰ II ჰოენშტაუფენი, რომლის გარშემო მედლის ნაპირებზე დაწერილია: FRID. II. NEAP. STVD. VNIS. RESTITVTOR. MCCXXIV. მედლის მეორე მხარეზე-კი გამოხატულია არწივი გაშლილი ფრთებით. მაგრამ საქმე ამით არ გათავდა. მეცა და დანარჩენმა დელეგატებმაც მივიღეთ განსაკუთრებული „tessera“, საგანგებო მონობა, რომლის ძალით ჩვენ სხვადასხვა შეღავათი გვენიჭებოდა იტალიის რკინის გზებით მოგზაურობის დროს. კიდევ მეტი, ჩვენ შეგვეძლო ნეაპოლის ყველა ღირსშესანიშნავი ადგილი გვენახულა და დაგვეთვალაიერებინა, ყველაფერი ეს იყო gratis. მაგრამ ყველაზე უფრო მე ის მესიამოვნა, რომ ჩვენ უფლება გვქონდა, გავცნობოდით „Scavi nuovi“-ს,

ახლად გათხრილ ადგილებს, სადაც მუშაობა პროფ. Della Corte-ს ხელმძღვანელობით სწარმოებს, გარეშე საზოგადოებას ამ ადგილების ნახვის ნებას არ აძლევენ. საზოგადოდ უნდა აღვნიშნო, რომ ნეაპოლის უნივერსიტეტის მეთაურმა უაღრესი გამჭრიახობა გამოიჩინა და უდიდესი სიყვარულითა და დაუფასებელი კეთილშობილებით მოეკიდა სადღესასწაულო მზადებას: მან ყოველი ზომა იხმარა, რათა საშუალება მიეცა მიპატიჟებული სტუმრებისათვის ნეაპოლში ისე ეგრძნოთ თავი, როგორც საკუთარ სახლში!

მე აღარ გავაგრძელებ სიტყვას ყველა ჩემ შთაბეჭდილებასა და განცდაზე. ეს დიდ ადგილსაც დაიჭერდა და, ვფიქრობ, არც ყველასათვის იქნებოდა საგულისხმო. მე მხოლოდ უმთავრესს შევეხები. პირველ ყოვლისა მე ვინახულე „ეროვნული მუზეუმი“, რომელსაც მე ახალგაზრდობიდანვე კარგად ვიცნობდი. ეს არის ნეაპოლის ცენტრი, სადაც მოგროვილია ხელოვნების უდიდესი საუნჯენი. ჯერ დარბაზები შემოვიარე: ზოგადი შთაბეჭდილების დადგენა მინდოდა და განსაზღვრული ხაზის აღება. ამ საერთო თვალის გადავლების დროს ჩემს წინ აღდგენ ნაცნობი — ნაწილობრივ მივიწყებული სახეები. მკრთალი კონტურები იმოსებოდა ცოცხალი ფერადებით. ჩემი თვალები ადვილად ჰპოულობდენ საყვარელ ძეგლებს: ძველ ნაცნობთა შორის ვიგრძენ ჩემი თავი, და ისინი მებაასებოდენ მე ისეთივე ენით, როგორც დიდი ხნის უნახაობის შემდეგ შეყრილი მეგობრები ებასებთან ერთმანეთს. დიდ ხანს ვიდექ ვერიპიდეხ ბაუსტის წინ: დავცქეროდი მის მოღრუბლულ სახეს, რომლის ბაგეთაგან მწუხარე და ირონიული ღიმილი გამოკრთის. ვიპოვე აგრეთვე ლისია, ანაქსიმანდრი, ფარნეზეს ჰერა. კიდევ ერთხელ დავტკბი იმ რელიეფის სილამაზით, რომელიც გამოჰხატავს ორფევს, ევრიდიკეს და ჰერმესს იმქვეყნიურ სამეფოში. დარბაზები ერთი მეორეზე მიშლიდენ თვალწინ თავის ძვირფას განძებს. თვალეზიკ არ იღლებოდენ: ისინი ხარბად აღიქვამდენ იმ სილამაზეს, მათ წინ რომ იშლებოდა. ჩემს წინ მიდი-მოდოდენ ინგლისელი და ამერიკელი ტურისტები, რომელთაც გიდები თან დაჰყვებოდენ: ისინი ხომ ძეგლების წინ არც კი ჩერდებიან, ისე ზერელედ ათვალაიერებენ მათ, და გიდების შენიშვნებზე თავისი ტრაფარეტული „oh, yes“-ით უპასუხებენ. მაგრამ ეს ბრბოები მე ისე აღარ მალელებენ, როგორც წინათ. მე ვცდილობდი არც-კი შემენიშნა ისინი და ყური არ დამეგდო მათი საუბრისათვის. დარბაზიდან დარბაზში გა-

დასვლით მე მივალწიე პომპეისა და ჰერკულანუმის „ბრინჯაოს“. მე მუდამ მიყვარდა ეს ბრინჯაოს ნივთები, განსაკუთრებით-კი „მოსვენებული მერკურისა“ და „მოცეკვავე ფავნის“ ქანდაკებები. მოსვენება და მოძრაობა — ასე შეიძლებოდა გვენოდა ამისთვის, — ეს ორი კონტრასტი მაშინვე იპყრობს ადამიანის ყურადღებას. შემდეგ ერთი მეორეს ცვლიდენ დანარჩენი „ბრინჯაოები“, და არა თუ მხიბლავდნენ მე ისინი, არამედ სურვილს მიღვიძებდენ, რაც შეიძლება მალე მენახა პომპეი, სადაც ისინი ოდესღაც რომაელთა სახლებს ამშვენებდენ და შემდეგ, დროებით დამარხულნი ვეზუვის წყალობით, კვლავ აღსდგენ ახალი ცხოვრებისათვის... მაგრამ ჯერ კიდევ უნდა ვინახულო პომპეის მოზაიკა და ფრესკები და თვალი მაინც გადავაავლო ბანკირ ლუცი ცეცილი ფუკუნდის ჰერმას, რომელიც მისმა განთავისუფლებულმა მონამ აღმართა. განა ცოტა იყვნენ ასეთი ფუკუნდები იმპერატორების რომში, ის ფუკუნდები, რომელთაც საშუალება მისცეს პეტრონის მისი უკვდავი ტრიმალხიონის სახე შეექმნა!

პომპეის მოზაიკები და ფრესკები ძველებურად ლამაზი და წარმტაცი არიან. ჩემდა სასიხარულოდ, მე ისინი არ დამვიწყებია. მათ შორის მაშინვე ვიპოვე ჩემი რჩეული: სხვათა შორის დიოსკორიდე სამოსელის ორი მოზაიკური სურათი, რომლებიც კომედიის სცენებს გადმოგვცემენ. რამდენი სიცოცხლე და ნამდვილი კომიზმია მათში და საუცხოვო ფერადებია შერჩეული! მაგრამ განა შეიძლება ხელოვნების ამ ძეგლების აღწერა? ისინი თვალთ უნდა ჰნახო, რომ იგრძნო მთელი სილამაზე! სწორედ მათში, ამ მარმარილოში, ბრინჯაოში, მოზაიკასა და ფრესკებში — თავი რომ დავანებოთ ლიტერატურას — დღემდის ცოცხლობს ანტიური ქვეყნის გენია, რომელიც უძღვევლია თავის უკვდავ სილამაზეში. და ვისაც ეს არ ესმის, ისინი ჩვენ შეგვიძლია შევიცოდოთ, როგორც გვეცოდება ჩვენ უსინათლონი, შუქის თამაშს რომ ვერ ჰხედავენ და საუკუნო სიბნელეში იმყოფებიან... რამდენჯერმე ვიყავი მე მუზეუმში, და ყოველთვის შევივლიდი ხოლმე იქ, თუნდაც ცოტა ხნით, და მერე ნეაპოლის ხმაური ქუჩებით რომ მივდიოდი, მე სიამოვნებით ვეზიარებოდი ხოლმე იტალიის ახალ ცხოვრებასაც, და ჩემს თვალში რაღაც საუცხოვოდ იყო იტალიაში შეგუებული ეს ორი სამეფო, ძველი და ახალი, თითქოს ისინი ერთმანერთს ავსებდენ, თითქოს ერთი მეორის გაგრძელებას წარმოადგენდენ. მართლაც-და, არსად, თვით საბერძნეთშიაც, არ რჩება ადამიანს ასეთი შთაბეჭდილება.

ნეაპოლში რომ დავათვალიერე ყველაფერი, რაც საჭირო იყო, და დროთა ვითარებაში გამქრალი ცოდნაც განვაახლე, მე გავეშურე **პომპეისაკენ**, ელექტრონის რკინის გზით, ე. ი. „Circumvesuviana“-თი. საუცხოვო დღე იყო: ასეთი დღეები მხოლოდ იტალიაში იცის. მთელი ბუნება მხიარულად იცინოდა. განსაკუთრებით კარგი იყო ზღვა, მისი anèrithmon gelasma, როგორც ამბობს ესქილე თავის „პრომეთევ“-ში. უყურებდი მიდამოებს და ვტკბებოდი მათი სილამაზით. რაღაც არ გჯერა, რომ აქ, სადაც ეხლა სიცოცხლე სდულს, ქრ. შემდ. 79 წელს ყველაფერზე ვეზუვის მიერ მოვლენილი სიკვდილის ფრთები იყო გადაფარებული და თვით ვეზუვიც ისროდა მდულარე ლავას და ფერფლს: ისე მშვიდობიანად გვიცქეროდა ის ეხლა, და სუსტი, ოდნავ შესამჩნევი ბოლი ამოდიოდა მის მწვერვალთან. რომ ის ოდესღაც ძალიან განრისხებულა, ამას ჰმონმობს დაფარული პომპეი, რომელიც თანდათან ამოდის სინათლეზე არხეოლოგიური თხრის წყალობით, მაგრამ რა სახით? — დამტკვრეული, დაფლეთილი და განადგურებული...

მაგრამ, ვიდრე პომპეიში ჩავიდოდი, მე საშუალება მომეცა დამეთვალიერებინა ერთი ვილა, რომელიც ქალაქ გარეთ მდებარეობს და 1910 წელს იქმნა ამოთხრილი. ის მდებარეობს Via dei Sepolcri-ს ბოლოში, თითქმის არრიდიომედეს ვილლის გვერდით. ეს არის ე. წ. Villa Romana, ანუ „დიონისოს მისტერიების ვილა“. მას საკმაოდ დიდი ადგილი უჭირავს და საგულისხმოა განსაკუთრებით თავისი ფრესკებით, რომელთაგან 24 საუცხოვოდ არის დაცული და ავგუსტის დროს ეკუთვნის. ეს ფრესკები დიდი და ფართო „ტრიკ-

ლინის“ კედლებს ამშვენებენ, და მათ შინაარსს წარმოადგენს „ქალების ზიარება დიონისოს მისტერიებში“. ფრესკები ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული და, თითქოს, სურათების სერიას წარმოადგენენ ერთსა და იმავე თემაზე. ჯერ მოჩანან სახეები, რომელნიც ამ ზიარებაში არავითარ მონაწილეობას არ იღებენ: ასე, მაგ., ჩვენ ვხედავთ ქალს, რომელიც ბავშს ანოვებს, შემდეგ ორ მოსაუბრე ქალს და, დასასრულ, კიდევ ერთ ქალს, რომელიც ზეთისხილის გვირგვინით არის შემკობილი და ფიალით ხელში მიემართება იმ ქალებისაკენ, რომლებიც რალაც მსხვერპლის შეწირვაში იღებენ მონაწილეობას. ეს, თითქო, შესავალია. შემდეგ გამოხატულია სილენი, ქნარით ხელში, ახალგაზრდა სატირი, ორი თხით, და დასასრულ, პანი, რომელიც სალამურს უკრავს. ჩვენს წინ არიან, ასე ვთქვათ, დიონისოს თანამგზავრები. აი, თვით დიონისოც: ის ესწრება, თუ როგორ წვრთნიან მის მისტერიებში გასანდობელ ხალხს. შემდეგ ჩვენ იმას კვლავ ვხედავთ, მაგრამ უკვე არიადნასთან ერთად. აქვეა სამი სატირი, რომელთაგან ერთი, ყველაზე ხნიერი, ვილაცას ასმევს, მეორეს კი ნილაბს უჩვენებს. აი, თვით ზიარების სცენებიც. ჯერ ვხედავთ ფეხის ცერებზე მომავალ ქალს. მის სახეზე სიხარულია აღბეჭდილი, იგი უკვე გამოუწვრთნიათ, ის უკვე ზიარებულია მისტერიებს. ამ სურათს მეორე სცვლის: ახალგაზრდა ტიტველა ქალი მუხლებზე დაჩოქილა, მის გვერდით მეორე ქალი დგას წნელით ხელში. ეს არის მზადება ფლაგელაციისათვის (გამათრახებისათვის). ეს მზადება, როგორც სჩანს, შიშის ზარსა სცემს ახალგაზრდა ქალიშვილს, რომელმაც აგრეთვე უნდა გაიაროს ეს გამოცდა, და ის მეორე ქალის მუხლებში ჰმალავს თავის სახეს. აი, კიდევ ერთი შეშინებული სახე, და შემდეგ მოდის თვალწარმტაცი სურათი დიდებული ქალისა, რომელიც თავის თმებს უვლის: მას ჰშველის ორი ამური. უკანასკნელ რგოლს წარმოადგენს კიდევ ერთი ქალის სურათი, რომელიც საერთო ყურადღებას იპყრობს. ჩვენს წინ ერთი ლამაზი ქალია, რომელიც სერიოზულისა და ჩაფიქრებული თვალებით აცილებს მის წინ, მისტერიებში საზიარებლად მიმავალ პროცესიას.

ძნელია უკანასკნელი სიტყვის თქმა ამ სურათების საიდუმლო აზრის შესახებ. ძნელია იმის თქმაც, თუ რა დანიშნულება ჰქონდა თვით ვილას. უბრალო ვილასა ეს, თუ მასთან რამე ღრმა შინაარსია დაკავშირებული? ვინ იცის. ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ პარალელისათვის აღვნიშნოთ პავსანიას ერთი ადგილი (VIII, 23, 1) სადაც ნათქვამია: ის ქალები, რომელთაც სურდათ დიონისოს მისტერიებს ზიარებულიყვნენ, დიონისოს ტაძარში მოდიოდნენ გასანვრთნელადაო. როგორადაც არ უნდა განვმარტავდეთ ჩვენ ამ სურათებს, ერთი-კი დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ. პირველყოვლისა, განსაცვიფრებელია მათი ფერადების იშვიათი სიცხოველე. განსაცვიფრებელია, აგრეთვე, ის ძლიერი გამომეტყველება, რომელიც მხატვარს ჩაუქსოვია მის მიერ მოცემულ სახეებში. დასასრულ, აღსანიშნავია საერთო სილამაზე, ხაზების სინმინდე, წვრიმალეების შესრულების სიდიადეც. ჩვენს წინ უთუოდ დიდი მხატვარია, რაც ასე იშვიათია პომპეიში. მის მიერ შესრულებული სახეები ნამდვილ შემოქმედებითს კომპოზიციას იძლევიან: მათში არაფერია ხელოსნური!

ვილას რომ დავათვალიერე, მე დაუბრუნდი პომპეის და დანვრილებით შეუდეგი მის განძების განხილვას. განსაკუთრებულის მონივნებით ჩავედი მე დადუმებულ ქალაქში და განზრახ ჩამოვშორდი ტურისტთა ბრბოს: მათ სიცილსა და საუბარს დისონანსი შემოჰქონდა მთელ იმ სიმშვიდეში, რომელიც დამყარებულიყო ნანგრევთა შორის.

განსაკუთრებით მიზიდავდა მე „Scavi Nuovi“. მაგრამ მე შევიკავე თავი და ჯერ ისე მოვიარე პომპეის ქუჩები: ხან ერთ სახლში შევიდოდი ხან მეორეში, თუ კი შესანიშნავი იყო თავისი არქიტექტურით ან ფრესკებითა და სხვა დეტალებით. ასე მაგ., მე ვინახულე მარკ ლუკრეცი ფრონტონის სახლი, სადაც 1904 წელს პერსევის საუცხოვო ბრინჯაოს



ქანდაკება იპოვეს. რასაკვირველია, დიდის ყურადღებით დავათვალიერე აგრეთვე ვეტიციების ცნობილი სახლი, რომელიც ისე განთქმულია თავის ფრესკებით, რომ მასზე დღესაც ამბობენ იტალიელები: ვეტიციების სახლის უნახველობა პომპეის უნახველობას უდრისო. უნდა ვთქვა მხოლოდ, რომ მას შემდეგ, რაც მე უკანასკნელად ვნახე პომპეი, ფრესკები ძალიან გამქრქალა. განსაკუთრებით დაზიანებულია იმ „ამურების“ სურათი, რომელნიც სხვადასხვა სამუშაოზე სხედან. მე მხედველობაში მყავს მსროლელი, ოქრომჭედელი, მეყვავილე და სხვა ამურები: მათ ხომ მთელი ქვეყანა იცნობს! აი, ამ მყუდრო საყუარო სურათებს დაუკარგავთ თავისი სიცხოველე და შუქურობა, მიუხედავად იმისა, რომ ისინი შუშის სამოსში გაუხვევიათ მზის სხივებისაგან დასაცავად. ტყვილად ხომ ბუზებივით არ ირევიან მათ წინ მაყურებლები, რომელნიც სხვადასხვა ენაზე გამოთქვამენ თავიანთ აღფრთოვანებას! მაგრამ, განა ამ სურათებს გარდა ცოტა მოსახიბლავი რამ არის ვეტიციების სამყოფელოში, რომელიც ოდესღაც ორსართულიანი ყოფილა (ამას ჰმონმობს დღემდე დაცული კიბის ნაშთები)? რად ღირს, მაგ., მისი პერისტილი: ჩვენს წინ არის საუცხოვო ბაღჩა შადრევანებით, აუზით, მარმარილოს საუცხოვო მაგიდებით და სხვა. არა ნაკლებ მომხიბლველია ცალკე ოთახებით და მათი სურათებით *al fresco*. მითები და დამოუკიდებელი კომპოზიციები შეადგენენ ამ სურათების შინაარსს, რომელთაგან, განსაკუთრებით, სამი გამოირჩევა: 1) ბახუსი, თავისი ამაღლის თანხლებით, მიიმართება თეზევის მიერ მიტოვებულ არიადნასკენ; 2) დედალი უჩვენებს პაზიფაას უკანასკნელის შეკვეთით გაკეთებულ მოდელს ხის ძროხისა (საუცხოვოა პაზიფაას ფიგურა); 3) ვულკანმა მერკურის ბრძანებით უკვე მიაბა იქსიონი თვალს და ირიდა მოახსენებს ჯუნონას, რომ მისი შეურაცხყოფელი უკვე დასჯილია. ამ სურათებში (და განა მარტო ამათში?) განსაცვიფრებელია განსაკუთრებით, თუ როგორ მოხერხებულად არის კომპოზიცია მხატვრის მიერ შესრულებული, რომ მაყურებლის ყურადღება სწორედ მთავარმა ფიგურამ მიიპყროს. ეს უკანასკნელი ისე დეტალურად არის ხოლმე გამოკვეთილი, რომ რელეფის მსგავსად წინ არის წამოწეული და იმ თავითვე იჭერს მთავარ, ცენტრალურ ადგილს, იმ დროს, როდესაც ყველაფერი დანარჩენი იმ ცენტრალური ფიგურის სამკაულს წარმოადგენს.

საზოგადოდ, ბევრი რამის თქმა შეიძლებოდა პომპეის მხატვრობის შესახებ, მაგრამ ჩემს მიზანს არ შეადგენს დანვრილებით შევჩერდე მასზე. ვიტყვით მხოლოდ, რომ მისი სასაუფეთო მხარე პირდაპირ აცვიფრებს ადამიანს თავისი მრავალფეროვანებით. მართალია, ბევრი საუფეთი მეორდება, მაგრამ მათ შესრულებას ყოველთვის ახასიათებს ხოლმე რომელიმე ორგინალური ხაზი. გარდა ამისა, თუ გამეორებას ადგილი აქვს მითების განსაზღვრული ციკლის გაშლის დროს, სამაგიეროდ მხატვრები თავისუფალი არიან ამ განმეორებისაგან, როდესაც მათ დამოუკიდებელი თემები აქვთ ალებული. აქ უკვე საზღვარი აღარ უჩანს ფანტაზიას. პეფაჟი, *nature morte*, ცხოველთა სამეფოს ყოველგვარი წარმომადგენელი, წმინდა ფანტასტიური საუფეთები — ყველაფერი ეს მოცემულია იქ და ახალ-ახალ ეფექტებს იძლევიან. მხატვრები ყოველდღიურ ცხოვრებასაც არ სტოვებენ უყურადღებოთ და, თუ რომელიმე სცენა შეუფერებელი იყო მაღალი წრეების სახლებისათვის, ისინი ადგილს ჰპოულობდნენ დუქნებში, ტრაქტირებში და სასტუმროებში. აი, დუქანი მერკურის ქუჩაზე; აქ კედლებზე საგულისხმო სცენებია გამოხატული, მაგალითად: მაგიდას შემოსხდომიან სტუმრები, ისინი სჭამენ და სვამენ და იქვე მიწერილია, თუ რას მოითხოვენ ისინი; ერთს ჰსურს „ცოტა ცივი წყალი“, მეორეს — კიდევ ერთი „ჭიქა სეტინის ღვინო“. მეორე დუქანში სურათი უფრო ტრალიკულია: ორი სტუმარი წაჩხუბებულია და მედუქნე მათ ერეკება, ხოლო იქვე წარწერილია: „იჩხუბეთ, მაშ, მიბრძანდით“. ეს რაღაც *Toniers*-ის მაგვარი უნდა იყოს.



ვათვალისწინებ ამ მშვენიერ სახლებს და თან ვფიქრობ: „ყველაფერი ეს ჩემთვის ახალი ხომ არ არის, — ეს მშვენიერი სახლები მე ხომ წინათაც ბევრჯერ მინახავს!“ ასეთია ადამიანის ცნობისმოყვარეობა: ის მუდამ ეძებს რაღაც არაჩვეულებრივს, დიადს. ჩემთვის ეს სიდიადე განსახიერებულია „Scavi Nuovi“-ში. ცხადია, რომ იქ უნდა ნავიდე — ნებართვაც ხომ ჯიბეში მაქვს! Via dei Diadumeni-თ მე მივეშურები ნანატრ ადგილისაკენ. აი, ეს „sanctumsanctorum“-იც! მაგრამ, პირდაპირ იქ შესვლა შეუძლებელია: ადგილი, სადაც თხრას აწარმოებენ, უბრალო მომაკვდავთა თვალთაგან ხის კედლით არის დაფარული; კედელში დატანებულია კარი, კართან დარაჯი დგას. სამოთხეში შესვლა არც ისე ადვილი ყოფილა! მაგრამ ნებართვის ქალაღმა გასჭრა, და მე მიშვებენ შიგ, ჩემდა საბედნიეროდ, მე თავიდანვე მოვხვდი არქეოლოგიური თხრის ხელმძღვანელთან, ძვირფას პროფესორ Della Corte-სთან. მან პირადად დამატარა ყველა ადგილები, სადაც სიძველეებს სთხრიან. იგი მიზიარებს მე თავის დიდ ცოდნას და თითქოს ცდილობს, რომ არაფერი საგულისხმო არ გამომჩიეს. ნეტავ ყველა მუზეუმის გამგეები ამ დაულალავ მეცნიერს ჰგავდენ! მას ისე თავდავინყებით უყვარს პომპეი, ეს მკვდარი ქალაქი, სადაც იგი თავს გრძნობს, როგორც თავისს სახლში! გვონია, რომ ეს მდუმარე ნანგრევები მხოლოდ მისთვის არღვევენ თავიანთ მდუმარებას.

ვდგევარ და მიხარია: მე ხომ „Scavi nuovi“-ში ვარ! ვდგევარ და არ მჯერა. წინათ პომპეიში მე მინახავს მხოლოდ გარეკედლების ცარიელი ჩონჩხები. ესლა კი ჩემ თვალწინ სულ სხვა რამეა. ამოთხრილი სახლების ფასადების უმეტეს ნაწილს ისევე შერჩენიათ ჭრელი ფერადები, კიდევ მეტი: აქა-იქ ამ ფასადებზე მოჩანან წარწერები, რომლებიც, კედლების ფერის მიხედვით, სხვადასხვა საღებავით არის გაკეთებული: შესვდებით თეთრს, წითელს და შავ საღებავსაც კი. აქა-იქ დარჩენილია მეორე სართულების ნაშთები; მოსჩანს გადმოკიდებული აივნების ადგილებიც. და ეს აივნები გამონაკლისს კი არ შეადგენენ: ისინი მრავლად ყოფილან. და რადგან სახლები ქუჩის ორსავე მხარეს მისდევდენ, ამიტომ აივნები ერთგვარი ფარდულებიც უნდა ყოფილიყვნენ და ამრიგად, საჭირო ჩრდილიც უნდა მოეცათ. ქუჩის შედარებითი სივრცის გამო ეს ადვილი იყო. უნდა გამოვტყდე: როდესაც სახლების შეფერილ კედლებს, Della Corte-ს ბრძანებით, ტილოები გადაჰხადეს, და მე დავინახე ფერადებით შემკული სახლები, მე რაღაც უცნაურმა გრძნობამ შემიპყრო. მე უეცრად მომეჩვენა, რომ ქუჩა გაცოცხლდა, რომ პომპეი აღდგა, პომპეი პირვანდელი, დაუმახინჯებელი სახით, რომ აი, აგერ გამოჩნდებიან მისი ნამდვილი მცხოვრებნი, მოისმის რომაელთა საუბარი და ფილაქანზე ახმაურდებიან ფორანები და რომაული ეტლები. ოცნებიდან Della Corte-ს მხიარულმა ხმამ გამომიყვანა: „ო, თქვენ ანტიური ქვეყნის გრძნებათა ხელში ხართ! მესმის თქვენი მდგომარეობა: პომპეი ხომ ნამდვილ გრძნეულ ქალსა ჰგავს!“ მე გამეცინა, მომჯადოებელი სიზმარი გაჰქრა, და მე კვლავ გადავიქეცი ჩვეულებრივ ტურისტად, რომელიც მისთვის უცნობ ძეგლებს ათვალისწინებს. მივჰყვები Della Corte-ს. ჩვენ გვიერთდება ერთი ფრანგი პროფესორი თავისი ცოლით, და ჩვენ ვინყებთ ნანგრევების დეტალურ დათვალისწინებას. ჩვენი მეცნიერი გიდი პირდაპირ შეუდარებელია!

ძნელია დაწვრილებით აღდგენა ყოველივე იმისა, რაც მე ვნახე. ჩემ წინ გადაშლილ ჭრელ კალეიდოსკოპში ერთი სიმშვენიერე მეორეს სცვლიდა. საჭირო იყო ძალღონის მოკრეფა და მეხსიერების ამუშავება, რადგან არაფრის ჩანერა არ შეიძლებოდა: თხრების სრული შედეგების გამოქვეყნებამდე ყოველივე პუბლიკაცია და სურათის გადაღება აკრძალულია! ერთი გზა-ლა დამრჩენოდა: მეთხოვნა შველა „Dea Memoria“-სთვის. მეც მას მივმართე! მაშასადამე, თუ რამე გამომჩნია, ამის დამნაშავე მე კი არა, არამედ ის Dea იქნება.

დავინყებ სახლის ფასადებით, რომელნიც ქუჩას უყურებენ. აი, ჩვენს წინაშე შესავალი „თერმოპოლიუმში“ ანუ რესტორაციაში, სადაც იყიდებოდა ცხელი სასმელები, ჩვეულებ-

რიც ცხელწყალგარეული ღვინო. ასეთი „თერმოპოლიუმები“ პომპეიში მრავლად მოიპოვებოდა. მათი მოწყობილობა ასეთი იყო: მომარმარილოებულ დახლთან იყიდებოდა თიხის სურებში ჩამოსხმული სასმელები; სურები ჩასმული იყო დახლში. დახლთან ახლოს, თაროებზე მოთავსებული იყო ბოთლები, ჭიქები და სხვა ჭურჭელი. კუთხეში იყო კერა, სადაც საჭმელებს ამზადებდნენ. სტუმრები სჭამდნენ და სვამდნენ დახლთან, ზეზეულად, როგორც ეს იტალიაში დღევანდლამდე დარჩა; მაგრამ იმ სტუმრებისთვის, რომელთაც ცოცხა მეტხანს უნდოდათ დარჩენა, არსებობდა განსაკუთრებული ოთახი ან ოთახები, თუ რესტორაცია მთელი სასტუმროს წინაოთახი იყო. დღისით „თერმოპოლიუმის“, — და საზოგადოდ დუქნების, — შესავალში ფარდა იყო ჩამოშვებული (შეად. ეხლანდელი იტალია), ღამით კი იკეტებოდა ორფა კარებით, რომელზედაც ადებდნენ რკინის ჭანჭიკს კლიტით. ასეთი კარების მულაჟები შეიძლება ნახოთ ახალი თხრების ადგილას. მათი გაკეთება კი შემდეგნაირად შეიძლება. თუმცა ხე, რისგანაც კარები ყოფილა გაკეთებული, სრულებით დამპალა და ჩვენამდე მას არ მოუხნევია, მაგრამ გაქვავებულ ფერფლზე დარჩენილია კარების ნაჭდევი. ამ ნაკვალევში ასხამენ, ფიორელის მეთოდით, თხიერ გიფსს და მიიღებენ გიფსის ნატიფფარს, რომელიც ზედმინვენით გადმოსცემს ნამდვილის ყველა წვრილმანებს. არ შეუჭამია მინას მხოლოდ კარების რკინის ნაწილები და აგრეთვე კარის შესამკობად დაკრული ლურსმნები, ჭანჭიკები, ურდულები, კლიტები და სხ.: ისინი ძველებურად არიან იმ ადგილებზე, რომელნიც მათ ეკავათ კატასტროფის დროს, 79 წელში ქრ. შ.

მეტად საინტერესოა კარების „მულაჟები“, მაგრამ უფრო საინტერესოა ის მხატვრობა, რომელიც ზოგიერთ სახლის ფასადების კედლებზეა. აღსანიშნავია მხოლოდ, რომ ამგვარი მხატვრობით შემკობილი იყო არა ყველა სახლების ფასადები, არამედ, ჩვეულებრივ, ფასადები იმ შენობისა, რომელნიც დუქნებს ან სავაჭრო დაწესებულებებს ეჭირათ. ასე, მაგალითად, ერთი სახლის კედელზე, სადაც სასტუმრო იყო მოთავსებული, გამოსახულია მარცხენა მხარეზე მერკური, ტაძრის კართან მდგომი, ხოლო მარჯვნივ — მშვენიერი სურათი: „Venus Pompeiana“ კვადრიგაში, რომელშიაც შებმულია ოთხი სპილო. ამრიგად, სასტუმრო ორი ღმერთის მფარველობის ქვეშ იმყოფებოდა: ერთი მფარველი ყოფილა მერკური, ვაჭრობისა და მოგების ღმერთი, ხოლო მეორე — ძღვევამოსილი ვენერა, პომპეის მთავარი ღვთაება 88 წლიდან ქრ. წინ, ე. ი. იმ დროიდან, როდესაც დიქტატორმა სულლამ წინანდელი ოსკურ-სამნიტური ქალაქი გადააქცია რომის ახალშენად. ამ ახალშენს დაერქვა Colonia Cornelia Veneria Pompeianorum, და იგი გადაეცა კორნელიუსთა გვარის მფარველს, Venus Physica-ს, ტყუილად კი არ სწერია ერთ საარჩევნო აფიშაზე კანდიდატის სახელის შემდეგ: Scripsit Venus Pompeiana, ე. ი. თვით ქალღმერთის მიერ არის დასახელებული ეს კანდიდატი. ტყუილად კი არ ამკობს კედლის მხატვრობას ასე ხშირად ვენერას სახეზე: აი, ისევ ვენერა, ეხლა უკვე ამურის თანხლებით; ეს სურათი მოთავსებულია რომელიღაც დუქნის შესავლის მარცხნივ, მარჯვნივ კი, სიმეტრიის დასაცავად, კედელზე გამოხატულია რელიგიური პროცესია კიბელას პატივსაცემლად. საზოგადოდ რომაელები არ ივინყებდნენ თავიანთ ღმერთებს: მარმარილოთიც, ფერადებითაც უყვარდათ მათ ღმერთების გამოსახვა, ხან ცალ-ცალკე, ხან, როგორც ამას ერთერთ კუთხის სახლის კედელზე ვხედავთ, ყველასი ერთად, ზუპიტერის მეთაურობით. გარდა რელიგიური ხასიათის გამოსახულებათა, პომპეიელები ხშირად სდგამდნენ ქუჩაჯვარედინებზე სამსხვერპლოებსაც. ასეთ სამსხვერპლოებს არა ერთხელ შეჰხვდება კაცი ახალ მონათხარებზე. ყველაზე უფრო საგულისხმოა ერთი მათგანი: სამსხვერპლოს ზემოთ, კედელზე, გამოსახულია ფორტუნა და ორი ლარი, თვით სამსხვერპლოზე კი, რომელიც კედელშია მოწყობილი, იხედება ნაშთი ფერფლის, ნახშირის და მსხვერპლად შეწირული ჩიტის ძვლებისა. ვინ იცის, იქნებ ეს იყო ვისიმე უკანასკნელი მსხვერპლი ვეზუვის ამოფრქვევის წინ!

ბევრ ცნობებს იძლევიან ახლად გათხრილი ადგილები პომპეის ცხოვრების გასაშუქებლად. ამ საყურადღებო მასალების რიცხვს ეკუთნიან აგრეთვე მრავალი, სხვადასხვა შინაარსის **ნარწერები**. მათ შორის პირველი ადგილი, ჩემის აზრით, უჭირავთ „საარჩევნო აფიშებს“, როგორც გამოძახილს მუნიციპალურ მოხელეთა არჩევნების წინ წარმოებული ბრძოლისას. ჩვეულებრივ ამ აფიშებს არჩევნების წინ სწერდენ წითელი საღებავით. არჩევნების დამთავრებისას აფიშებს კი არ ნაშლიდენ ხოლმე, არამედ შეინახავდენ და ახალი არჩევნების დაწყებისთანავე განსაკუთრებული მუშა — dealbator-ი — ძველ წარწერას თეთრი საღებავით დაჰფარავდა და, ამრიგად, ადგილს დაამზადებდა ახალი წარწერისათვის. ამგვარი არჩევნების გარშემო ჩვეულებრივ გაცხარებული ბრძოლა სწარმოებდა ხოლმე. არა მარტო ცალკე პირები, არამედ ხელოსანთა მთელი კორპორაციები ისწრაფოდენ — დაესახელებინათ თავიანთი კანდიდატები. ასეთი კორპორაციები კი პომპეიში მრავლად იყო. ასე, მაგალითად, არსებობდა კორპორაციები მეპურეების, მთელავების, დალაქების, ექიმების, სირაჯების, მზარეულებისა, აგრეთვე მატროსების, ყასბების, მეაბანოეთა, ტვირთის მზიდველთა, მიკიტნებისა და სხვათა. არჩევნების დროს ყველაფერი ეს ამოძრავდებოდა ხოლმე, და იწყებოდა ნამდვილი შეჯიბრება. აი, ამ საარჩევნო ბრძოლის გამოძახილად უნდა ჩაითვალოს წარწერები-აფიშები. ამგვარ აფიშებს წინათაც ბევრს იცნობდენ. ახლად წარმოებულმა თხრებმა ამ დარგშიაც შეიტანეს თავისი წვლილი. პირველ ადგილზე ისევ მთელავთა კორპორაცია დგას, როგორც ყველაზე უძლიერესი, რაც გასაგებია: კამპანიის პროვინცია მუდამ განთქმული იყო თავის მაუდის ფაბრიკებითა და სახელოსნოებით! საინტერესოა ასეთი სახელოსნოების მოწყობილობა. კარის შემდეგ იწყება პირდაპირ დერეფანი. მის მარჯვნივ ან მარცხნივ მეკარეა. ის ლებულობდა ქსოვილებს და უკანვე გასცემდა ხოლმე შეკეთების შემდეგ. დერეფნიდან გასავალია ეზოში. შუაეზოში ვრცელი ცარიელი ადგილია, სადაც გამოჰკიდავდენ ხოლმე გარეცხილ მაუდებს. იქვე ღარია წყლისათვის. ეზოს გარშემო პილასტრებია, მათ ირგვლივ მოთავსებულია ოთახები მუშებისათვის. ეზოს იქით მისაღები ზალაა და კიდევ მთელი რიგი სხვა სადგომებისა. კიდევ უფრო დაშორებით აუზია მაუდების დასალბობად, და მათი გასარეცხი ადგილები. არის აგრეთვე სპეციალური ოთახები მაუდების მოსათელავად და დასაწნეხად. დაბოლოს, არის სადგომიც, სადაც განჯინებში ინახებოდა განმენდილი ტანსაცმელი ან მატერიები იქამდის, სანამ ისინი გადავიდოდა მეკარის ხელში შემკვეთელთათვის გადასაცემად. ერთი სიტყვით, აქ მთელი ლაბირინტი იყო ოთახების, ეზოების და სხვადასხვა მიხვეულ-მოხვეული ადგილების. ამრიგად მთელავები, როგორც ძლიერი კორპორაცია, მნიშვნელოვან როლს თამაშობდენ არჩევნების დროს.

და არა მარტო ისინი: პომპეის მთელი მოსახლეობა, ქალებიც კი, მსურვალე მონაწილეობას ლებულობენ ბრძოლაში. ამ მხრივ ყველაზე უფრო საინტერესოა ერთი წარწერა: „C(aium) Lollium Fuscum aed(ilem) v(iis) a(edibus) s(acris), p(ublicis) p(rocurandis), Asellinae rogant nec sine Zmyrina“. აქედან ცხადია, რომ ლოლლი ფუსკეს „ედილად“ ასახელებდენ (სხვა წარწერაში ის დასახელებულია „დუუმვირად“) ვინლაც **აზელლინები** (უნდა ვიფიქროთ — თავაშვებული ქალები), თავიანთ მეგობარ ქალთან ერთად; ეს უკანასკნელი, სახელად სმირნა, მთელ პომპეიში ცნობილი უნდა ყოფილიყო. კარგი რეკომენდაცია კი არის მომავალი მაგისტრატისათვის, თუ მას ხმას აძლევენ როსკიპები! ამიტომ, პროფ. Della Corte-სთან ერთად, უნდა ვიფიქროთ, რომ ეს აფიშა არის ლოლლი ფუსკეს მონინალმდეგეთა ხრიკი, რომლის საშუალებითაც მათ უნდოდათ გაეწილებინათ იგი ამომრჩეველთა წინაშე. თუ ეს მოსაზრება მართალია, მაშინ ჩვენ გვაქვს ხელში მაშინდელი ყოფაცხოვრების მშვენიერი სურათი, რომელიც საარჩევნო ჰუმორს მოკლებული არ არის. მისს კონტრასტს წარმოადგენს მეორე წარწერა, რომელშიაც, აგრეთვე ორი ქალი, ასახელებენ თავიანთ კანდიდატებს და თან უმატებენ: „ნეტავი ჩვენს ქალაქს მუდამ ასეთი მოხელენი ჰყავდესო!“

დიახ, მდუმარებს პომპეი, მაგრამ თავის მდუმარებაშიც იგი მჭევრმეტყველურად ლაპარაკობს: *dum tacent, clamant!* მაგრამ, თუ საინტერესონი არიან საარჩევნო წარწერები, მათ არ ჩამოუფარდება ამ მხრივ მრავალი სხვა, რომელთაგან მე მოვიყვან ერთს. ეს წარწერაც კედელზეა გამოყვანილი, დიდრონი ნითელი ასოებით. წარწერაში გლადიატორები, თავიანთი „ლანისტას“ პირით, აუწყებენ საზოგადოებას, რომ უახლოეს დღეებში დანიშნულია ამფითეატრში გლადიატორთა შებრძოლება. ათლეტების შეჯიბრება, და ბრძოლა მხეცებთან. „მაშ, ნუ გამოსტოვებს საზოგადოება ამ იშვიათ სანახაობას!“ და უნდა დარწმუნებული ვიყო, რომ აფიშამ თავის მიზანს მიახნია: რომაელებს ხომ ასე გაგიჟებით უყვარდათ „*Ludi circenses!*“ ხალხი, რასაკვირველია, მრავლად აწყდებოდა ცირკს და ვინ იფიქრებდა, რომ სულ მალე ერთი საშინელი სანახაობა დასჩრდილავდა ყველაფერს: ვეზუვის ამოფრქვევა მოახლოვებული იყო!

ეს ფიქრი მუდამ გიტრიალებთ თავში, როდესაც პომპეის ათვალეიერებთ, და განსაკუთრებით მაშინ უფრო დაგიპყრობთ, როდესაც ქუჩიდან შედიხართ სახლებში, სადაც შეიძლება ასე მოსვენებით ცხოვრება, დუქნებში, სადაც ვაჭრობა სდულდა, შედიხართ სახელოსნოებში, სადაც შრომობდნენ ხელოსნები ლუკმაპურის საშოვნელად. აი, მაგალითად, მერკინის სახელოსნო — პატარა, ღარიბული სადგომი, მაგრამ, ეტყობა, შიგ გახურებული მუშაობა სწარმოებდა: ყველგან ჰკივია და ჰყრია შესაკეთებლად მოტანილი ნივთები. აქ არის ბრინჯაოს სანათურებიც, გატეხილი სურებიც, მოშლილი სასწორიც და სხვადასხვა ჯურის ქისებიც. ეტყობა, სახელოსნოს პატრონს ცუდად ჯდომა არ ჰყვარებია. კედელზე წარწერაა, რომ დუქანი ღია არის ამა და ამ დროს... ამრიგად, აქ ოფლით ჰშოულობდა კაცი პურს. ცოტა იქით კი, ქუჩის მეორე მხარეზე, ჩვენს წინაშე ერთი უზარმაზარი შენობაა, რომელიც ზოგიერთებს იარაღის დუქანი ჰგონიათ, მაგრამ რომელიც, ჩემის აზრით, უფრო საფარიკაო დარბაზი უნდა იყოს; აქ, ალბათ, სწავლობდა იარაღის ხმარებას პომპეის ახალგაზრდობა — *iuventus Pompeiana*. წარმოიდგინეთ უზარმაზარი ზალა, რომლის კედლები შემკულია შეიარაღებული ვიქტორიების (გამარჯვების ქალღმერთების) ფიგურებით. ერთი ფიგურა აღჭურვილია ხმლით, მეორე შუბით, მესამე — ფარით ხელში და ხმლით, მეოთხე — მოკლე ხელშუბით და სხვ., მაგრამ საგულისხმოა ერთი შემდეგი გარემოება: ყველა ხმლებს, შუბებსა და ხელშუბებს წვეტები მომრგვალებული აქვთ; ამ მხრივ მათი ბოლოები ნააგავან რაპირების წვერებს. აი, სწორედ ეს გარემოება, გაუგებარი მეთარაღის დუქნისათვის, მაძლევს მე საშუალებას — ვიფიქრო, რომ ჩვენს წინაშე არის საფარიკაო ზალა, ერთგვარი *Turnverein*, სადაც ახალგაზრდობა იარაღის ხმარებას სწავლობდა. რაც შეეხება იმ სახლის ფასადს, სადაც მოთავსებული იყო ზალა, მისს ორ პილასტრზე (კედლისვეტზე) გამოხატული იყო ფარები, ზუჩები, გულის ჯავშნები და სხვა, ე. ი. ყველაფერი ის, რაც კი საჭიროა, რომელიც ჯარისკაცისთვის ან ჯარისკაცობის მსურველთათვის.

ასე თანდათან ვათვალეიერებდით ჩვენ მთელ ქუჩას, რაც-კი დღემდე გათხარეს, შევიხედეთ ყველა ქუჩაბანდებში, შევადგინეთ საერთო შთაბეჭდილება სახლების გარეგანი შეხედულების მიხედვით. ეხლა საჭირო იყო მხოლოდ მათი დათვალეიერება შიგნიდან.

ამოთხრილ სახლთა შორის სამი იპყრობს მნახველის ყურადღებას. ერთ მათგანს ეწოდება „*Casa delle sentenze morale*“. პირველი მისი თავისებურობა ის არის, რომ მისს „*atrium*“-ს არააქვს „*compluvium*“-ი, ე. ი. ოთხკუთხი ხვრეტი ჭერში. ეს არის ეგრეთწოდებული „*atrium testudinatum*“. ატრიუმიდან მარჯვენა მხარეს რომ ვიაროთ, ჩვენ შევდივართ კორიდორში, და მარცხნივ სიარულის შემდეგ ჩვენ გვხვდება მშვენიერი „ტრიკლინიუმი“ სამი, კედელში მონყობილი, სარეცელით (*lecti triclinares*); მათს შუა მოთავსებულია მარმარილოს მაგიდა. ეს სარეცლები, „მოსვენებისათვის“ განმზადებულნი, ნადიმობის დროს, რასაკ-



ვირველია, სხვა სახეს ღებულობდენ: მათ გადააფარებდენ ხოლმე რბილ ხალიჩებს და სახეებიან ქსოვილებს, მორთავდენ ბალიშებით; საზოგადოდ მთელი ოთახი მაშინ საზეიმო იერს მიიღებდა. მაგრამ იგი დღესაც ლამაზია. მისი კედლები შემკობილია მხატვრობით, რომელშიაც გვირგვინები და ჩიტებია გადმოცემული და რომელიც შენახულა თავისი პირვანდელი სახით. ამას გარდა, თვითეული სარეცლის ზემოთ, მუქ ფონზე თეთრი საღებავით, მოთავსებულია წარწერები, რომელთაგან მე დამამახსოვრდა ორი, ელეგიურ დისტახებად დაწყობილი. აი, ისინიც, მათი ჩვეულებრივი ტრანსკრიპციით:

1. Lascivos voltus et blandos auter ocellos  
Coniuge ab alterius. Sit tibi in ore pudor!
2. Abluat unda pedes, puer, et detergeat udos  
Nappa, torum velet lintea nostra, cave.

ამის თარგმანი ასეთი იქნება: 1: „ავხორცი მზერა და მაცდური თვალები მოარიდე სხვის მეუღლეს. ჰგებდეს შენს სახეზე კდემამოსილება!“ 2. „ყური უგდე, ყრმავ, რომ განბანოს წყალმა (სტუმრების) ფეხები, რომ სანმენდმა შეაშროს (მათი) სისველე და რომ სარეცელს ეფაროს ტილო!“ რაც შეეხება მესამე წარწერას, მე იგი ზედმინევენით არ მახსოვს. ვიცი მხოლოდ, რომ ამ წარწერაში, ქსენოფანის ყაიდაზე, სტუმრებს ეძლევათ რჩევა — თავი შეიკავონ სხვისი შეურაცხმყოფელი სიტყვების წარმოთქმისაგან და ჰსვან ისე, რომ თვითონ შეეძლოთ სახლამდე მისვლა.

მე დიდი დრო და ენერგია დამჭირდა, რომ წარწერები წამეკითხა და დამეხსომა (ამაში დიდი დახმარება აღმომიჩინა ფრანგმა მეცნიერმა, რომელსაც ჩემსავით ძალიან უნდოდა კურობულ დარიგებათა დამახსოვრება, მით უმეტეს, რომ ასეთი რამ სრულიად ახალი აღმოჩენაა პომპეისათვის). და სწორედ ამის გამოა, რომ მე ცუდად მახსოვს სახლის შინაგანი მოწყობილობა და ოთახები. მეხსიერებაში ჩამრჩა მხოლოდ მეორე სართული და ერთ-ერთ მის ოთახში დარჩენილი კარგი სურათი, რომელზედაც გამოსახულია „მიტოვებული არიადნა“.

„მორალურ სენტენციების“ სახლიდან ჩვენ ისევ ქუჩაში გამოვედით, გადავსჭერით ქუჩა, და Della Corte-მ შეგვიყვანა ჩვენ ერთ მშვენიერ სახლში, რომელიც, ჩემის აზრით, ვეტტიების სახლს არ ჩამოუვარდება. მართლაც, რას არ ნახავთ ამ სახლში! განსაკუთრებით კარგია მისი ტრიკლინიუმი, რომლის კედლებს ამშვენებენ „ილიადას“ კერძო ეპიზოდების გამომსახველი ნახატები. მარტო აქილესის ფიგურა რადა ღირს: აქილესი ზის სავარძელში და ხელს უწოდებს მუხლმოდრეკილ პრიამოსს. დიდებულია მისი სახის გამომეტყველება და მთელი მისი პოზა: ჩვენს წინ არის ნამდვილი ეოლიის გმირი, რომელმაც იცის არა მარტო დასჯა, არამედ პატიებაც. მხოლოდ ერთი რამ არის დასანანი: საღებავები ძალიან ჰკარგავენ ფერს — მათ უკვე დაკარგული აქვთ სიახლე და სიცხოველე; მალე ალბად ნახატები მთლად გახუნდება და მათგან მხოლოდ მკრთალი კონტურები-ლა დარჩება. გადავდიოდით ერთი ოთახიდან მეორეში და ბოლოს დიდ ბალამდე მივედით. ბალში ერთი პატარა მარმარილოს კიბე მიდის. კიბე იწყება ტერასიდან, რომელსაც შუაზე არხი სჭრის. არხში ეხლაც მირბის წყალი. მარცხნივ და მარჯვნივ თითო შადრევანია. ტერასის ორსავ ფრთასთან იწყება თითო ოთახი. ერთ ოთახში არის ნახატი, ამ საუფეტზე: „დიანა, რომელსაც აქტეონმა მოუსწრო“, ხოლო მეორეში — ნახატი, რომელიც ეხება მითს „პირამისა და თისბეზე“. ორივე ნახატი კარგ ადგილზეა მოთავსებული. ნახატები ტერასისაკენ იცქირებიან, რის გამოც მათი დანახვა ტერასიდან შეიძლება. ხოლო, რადგან მათი ფერები ღია არის, და თვით ფიგურები კი მეტად რელიეფურია, ამიტომ ნახატები ძლიერ შთაბეჭდილებას სტოვებენ. რაც შეეხება ბალს, ეტყოფა, დიდ სივრცეზე იყო გაშენებული და სხვადასხვა გვარის ხეები უნდა ყოფილიყო იქ დარგული. ბალს შუაზე სჭრის „ევრიპი“, ე. ი. ხელოვნური მიხვეულ-მოხვეული არხი, რომლის საფე-



ხურზე წყალი ჩამორბოდა. რომაელებს ხომ ქალაქშიც უყვარდათ სოფლის ცხოვრების ფიქციის შექმნა. ამგვარ სიყვარულს ხშირად დასცინიან ძველი ავტორები. საკმარისია დავასახელოთ ციცერონი (De leg. II. 2), რომელიც მასხარად იგდება თავისს თანამოქალაქეებს, რომელთაც დიდი მიდრეკილება აქვთ „ევრიპები“ და „ნილოსები“ მოაწყონ. ვისაც ბუნება უყვარს, იგი უნდა ტკბებოდეს მისი არა ხელოვნურის, არამედ ბუნებრივი სახის ხილვით, ამბობს ციცერონი. მაგრამ მე მაინც უნდა ვთქვა, რომ ჩემ მიერ პომპეიში ნახული „ევრიპიანი“ ბალი დიდებულია. დიდებულია აგრეთვე ერთ-ერთი მახლობელი სახლის მოზაიკები. ამ სახლში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს მოზაიკური იატაკი „ატრიუმში“, რომელზედაც გამოსახული არიან ფარშავანგები და სხვა, უფრო პატარა ჩიტები. აღსანიშნავია აგრეთვე მოზაიკა სახლის შესავალში: ჯაჭვზე დაბმული ძალღი კართან. იქნებ სწორედ ასეთმა ძალღმა შეაშინა ენკოლპი, პეტრონის რომანის ერთი გმირთაგანი, როდესაც იგი ტრიმალხიონის სახლში შედიოდა? დიახ, შესანიშნავია ეს მოზაიკები თავიანთი შესრულების სიმნიშვნით! ციცერონი კი მათაც დასცინის (De leg. II. 2); „pavimenta marmorea et laqueata tecta contemno“.

ჩვენ უკვე გვინდოდა სახლიდან წამოსვლა, როდესაც Della Corte-მ გვითხრა: აქ, ერთ-ერთ ოთახში „პერისტილთან“ ახლოს, აღმოჩენილ იქმნა 6 ჩონჩხიო. სახლის უბედურ მცხოვრებთ თავისსავე სახლში უპოვიათ უკანასკნელი განსასვენებელი ადგილი; ასევე მომხდარა მეზობელ სახლშიც, სადაც ამოუთხრიათ მ ერთად დაგროვებული ჩონჩხი.

ეს უკანასკნელი სახლი საინტერესოა ერთი წვრილმანით: მას აქვს მიწისქვეშა „კრიპტოპორტიკი“, რომლის მიზანი და დანიშნულება დღემდე გამოურკვეველია. იგი დიდ მანძილზე მიდის და მნახველს, უწინარეს ყოვლისა, აოცებს თავისი შესანიშნავი შემკულობით. მისს კედლებზე აქა-იქ დახატულია ყვავილები და ხილი, და, გარდა ამისა, ოთხკუთხი ჩარჩოები, სადაც მოთავსებულია სცენები ტროადის ომიდან. ამ სცენებზე ღირს უფრო დანვრილებით შევჩერდეთ.

სცენები „ილიადადან“, საზოგადოდ, ხშირად გვხვდება პომპეის მხატვრობაში, მაგრამ გვხვდება ცალცალკე. „კრიპტოპორტიკიან“ სახლში კი ჩვენ არაჩვეულებრივ რამეს ვხედავთ: ჩვენი თვალის წინ გაივლის მთელი „ილიადა“ და, გარდა ამისა, მრავალი სცენა „ეთიოპიიდან“. თვითუფს ასეთ კვადრატში მოქცეულ, სცენას აქვს სათანადო წარწერა ბერძნულ ენაზე, ქრ. შ. I საუკუნის მშვენიერი უნციალური ხელით. ამრიგად, ჩვენ მივიღებთ განუწყვეტელ ჯაჭვს, რომლის საშუალებითაც შეგვიძლია გავიმეოროთ ტროადის ომის ისტორია, მისს უმთავრეს მომენტებში. აი აქილესისა და აგამემნონის ცილობა (ამით იწყება კვადრატების ჯაჭვი); აგერ ოდისეს და დიომედეს მიერ რეზის ცხენების წაყვანაც; აი, პატროკლეს სიკვდილი. და ჰექტორის დაღუპვაც. შემდეგ ჩვენ ვხედავთ, როგორ მიაქანებს აქილესი უკანასკნელის გვამს, როგორ უცქერიან ამას ტროადის კომპიდან პრიამი, ჰეკუბა და ანდრომახა. ჩვენ ვხედავთ პრიამს აქილესის ბანაკში: იგი დიდი მუდარის შემდეგ გამოითხოვს თავისი შვილის გვამს და მიაქვს ეს უკანასკნელი ტროიაში. მაგრამ კვადრატები კიდევ განაგრძობენ თხრობას. ამორძალი პენთისეღა იღუპება აქილესის ხელით. აქილესი შეებრძოლება ავრორას ძეს, მემნონს, და მოჰკლავს მას. ყველა ამ ეპიზოდებს „ილიადასთან“ უკვე კავშირი არ აქვთ: ისინი „ეთიოპიიდანია“ მოთხრობილი.

არ უარვწყოფ: ნახულმა მე პირდაპირ გამამტერა, და მომაგონდა ვერგილის „ენეიდას“ პირველი სიმღერა, ის ადგილი, სადაც ენეა ათვალეირებს დიდონას მიერ ჯუნონას სადიდებლად აგებულ ტაძარს და „უკვირს, რომ კედლებზე მთლად ჰხედავს ტროადის ბრძოლათა სურათებს“ (ტ. 456 შემდდ.). მაგრამ, სახელდობრ რას ჰხედავს იგი? ყველაფერს, რაც კი პომპეის კრიპტოპორტიკშია, ე. ი. არა მარტო სცენებს „ილიადადან“, არამედ ბევრს ისეთს, რომელიც მას არ ეკუთვნის: მე მხედველობაში მაქვს პენთესილესა და იღუპვა და მემნონის სიკვდილი.

რით უნდა ავხსნათ ვერგილის „ენეიდასა“ და კრიპტოპორტიკის ასეთი თანხმობა? რასაკვირველია, ვერგილის გავლენით კი არა. უფრო უნდა ვიფიქროთ, რომ ვერგილი თავის სურათს ჰხატავდა იმ ფრესკების გავლენით, რომელნიც მას არა ერთხელ უნახავს რომაულ სახლებში. მაგრამ ფრესკებით კედლების შემკობის ჩვეულება — რომაული არ არის, ისევე, როგორც თვით ფრესკულ მხატვრობას არ შეიძლება ენოდოს რომაული ან პომპეის ხელოვნება. ეს ხელოვნება ბერძნულია. იგი აღმოცენდა საბერძნეთში, შემდეგ განვითარდა და სახე იცვალა ელინისტური ალექსანდრიის გავლენით, და, ბოლოს, ამ განვითარებული ფორმით იგი გადავიდა რომში, გავრცელდა რომის მთელს საბერძნეთში და, გზად, პომპეიშიც შეიარა. საბერძნეთის გენიამ შეჰქმნა ეს ხელოვნება, ბერძენი ოსტატები ავრცელებდნენ მას. რომ ეს ოსტატები „ეთიოპიდას“ არ იცნობდნენ, ეს თავისთავად იგულისხმება. და, საზოგადოდ, ვინ იცნობდა მას უკვე ბერძნული ლიტერატურის ალექსანდრიულ პერიოდში? ორი-სამი მეცნიერი, და არა საზოგადოება. არქტინის პოემა, როგორც ასეთი, მაშინაც დავინწყებული ჰქონდათ. მაგრამ მისი ცალკე ეპიზოდები ჯერ კიდევ ცოცხლობდნენ: მხატვრობამ გადაარჩინა დავინწყებას ეს სცენები. ტრადიციით გადადიოდნენ ისინი ერთი საუკუნიდან მეორეში, ტრადიციითვე გადავიდნენ პომპეიში. ერთი სიტყვით, მხატვრებს მარაგში ჰქონდათ აუარებელი ტრადიციული სფუჟეტები, და ამ სფუჟეტებს გადმოსცემდნენ ხოლმე ისინი იმგვარადვე, როგორც ამას შვრებოდნენ შემდეგში მხატვრები, რომელნიც ქრისტიანულ ტაძრებს მხატვრობით ამკობდნენ. რაც უნდა იყოს, ჩემ მიერ აღნიშნული და „ეთიოპიდას“ მიერ ჩაგონებული სცენები ჩვენთვის დიდი ღირებულების არიან. ჯერ ერთი, რამდენადაც მე ვიცი, ასეთი რამ პომპეის მხატვრობაში აქამდის არ ყოფილა აღმოჩენილი, და, გარდა ამისა, ფრესკებში მთელი ტროადის ომის ასე სრულად გადმოცემაც მეცნიერებისათვის სრულიად ახალი რამ არის და, რასაკვირველია, უნდა აღნიშნულ იქმნეს, როგორც არაჩვეულებრივი მოვლენა.

ჩვენ დავასრულეთ „ახლად გათხრილი ადგილების“ დათვალიერება. სალამო ჟამი იყო. ჩვენ დაღლილობას ვგრძნობდით. დაიღალა Della Corte-ც: 6 საათი მაინც გაატარა მან ჩვენთან, თანაც ყველაფერს დანვრილებით გვიხსნიდა და გვიჩვენებდა. დრო იყო წასვლაზე გვეფიქრა. გამოვემშვიდობე Della Corte-ს, გამოვემშვიდობე ჩემს ფრანგ თანამგზავრებსაც, და წამოვედი უკან, „Porta Marina“-ს მიმართულებით. მე მიხლოდა, მარტო დავრჩენილიყავი, მომეგონებინა და წესრიგში მომეყვანა ყველაფერი ნახული და გაგონილი. ტურისტები უკვე ცოტანი სჩანდნენ. ყველგან სიჩუმე იყო გამეფებული. ჩვეულებრივი ძილი თანდათან იპყრობდა ქალაქს. ჩემი ფეხის ხმა მკაფიოდ გაისმოდა ქუჩის ფილაქანზე. დღის სიცხემ იკლო. აგრილდა. ცა ნელა ჰკარგავდა თავის მხიარულ ლურჯ ფერს. კიდევ რამდენიმე წუთი — და შებინდდება. მაგრამ, აი, „Porta Marina“-ც, მისი გასავალებით ქვეითად მოსიარულეთა და ფორანებისათვის. ოდესღაც აქ სიცოცხლე სჩქეფდა, ესლა კი სინყნარეა, სიმარტოვე, მონყენილობა. ვიხედები უკან, ვეთხოვები პომპეის. კიდევ ვიხილავ მას ოდესმე?

და აი, მე ისევ მატარებელში ვარ. მთელ მიდამოს სალამოს ბინდი გადაჰფარებია. ვეზუვიც ამ იისფერ ბოლში იმალება. პომპეის სინყნარის შემდეგ პირდაპირ გაოცებთ იტალიელების უდარდებლობა და ჟრიამული. ჩემს გარშემო ლაპარაკობენ, იცინიან, მღერიან. იტალიური „ჩუმად არ ჯდომის“ ჩვეულების თანახმად, მგზავრები მეც მელაპარაკებია. რას იზამ — უნდა შენც უთხრა რამე, თუმცა არ გინდა. ველაპარაკები მათ რალაც სისულელებზე, მაგრამ ჩემი ფიქრი ჯერ პომპეის არ მოჰპოვებია. მე ისევ ჩუმად მიზიდავს ეს მკვდარი ქალაქი, ეს გრძნეული რუინები. და ვიცი — მე არასოდეს არ განვთავისუფლდები ამ ფარული ტყვეობისაგან! ვისაც ერთხელ მაინც უხილავს ჭეშმარიტი სილამაზე, იგი მუდამ ინუხებს მასზე, შორეულზე!

## 3

პომპეის დათვალიერების შემდეგ მე გადავწყვიტე — ნეაპოლში მეტ ხანს აღარ დავრჩენილიყავი. მართალია, კარგი იყო ჰერკულანეუმის პაპირუსებზე მემუშავნა (ეს პაპირუსები Museo Nazionale-ში ინახება), მაგრამ ასეთი მუშაობა რამდენსამე თვეს წამართმევდა. მე კი ამისათვის არც დრო და არც გარემოება მიწყობდა ხელს. მე რომ ნეაპოლში დამეყოვნებინა, მაშინ რომისთვის იმდენი დრო აღარ დამრჩებოდა, რომ ბოლომდის მიმეყვანა იოანე იტალის ხელნაწერთა შესწავლის საქმე. ეს კი ნიშნავდა იმ მუშაობის შუაგზაზე მიტოვებას, რომელიც ჯერ კიდევ „მსოფლიო ომამდე“ დავიწყე. მე ავწონ-დავწონე ყველაფერი ეს და ნეაპოლიდან რომში გადავედი. მე უფრო გადაუდებელ საქმედ მიმაჩნდა იოანე იტალის ნაწერების გამოცემა. როგორც ვიცით, ეს მე-XI საუკუნის ბიზანტიელი ფილოსოფოსი ჩვენი იოვანე პეტრინის მასწავლებლად ითვლება. ამ ფილოსოფოსის თხზულებათა პირველი ნაკვეთი მე გამოქვეყნებული მქონდა ტფილისიდან გამგზავრების წინა ხანებში. ამიტომაც მინდოდა მე — დამემზადებინა მასალა დანარჩენი ნაკვეთებისათვის, ასე ვთქვათ — უზრუნველმეყო ჩემი თავი სამერმისოდ. და აი, მე ისევ რომში ვარ, სადაც დიდი, დიდი ხანია, რაც არ ვყოფილვარ. ამ ხნის განმავლობაში „მარადი ქალაქი“ თითქმის არ გამოცვლილა. თუმცა — ის უფრო გალამაზებულია, თუ კი შეუძლია ეს მას — მას, რომელიც ასე შემკულია სრულიად განსაკუთრებული სილამაზით. რომი ხომ ის ქალაქია, სადაც ისე, როგორც არსად სხვაგან, ჰარმონიულად შეხამებულია ანტიურობაც, საშუალო საუკუნეებიც, და ახალი დროც. ყოველი ადამიანი, ვინც კი ყურადღებით ათვალიერებს მას, იპოვის ამ ქალაქში ყველაფერს, რაც კი ჰსურს: რომი ყველაფერზე იძლევა საჭირო პასუხს. და სწორედ შეიძლება ამიტომაც იგი ყველასათვის ძვირფასი. საჭიროა მხოლოდ ნახოთ რომი, რომ მაშინვე იგრძნოთ იქ თავი ისე, როგორც საკუთარ სახლში. თქვენ მაშინვე გეჩვენებთ, რომ ეს ქალაქი გიპყრობთ თქვენ სავსებით, რომ თქვენ დაშორდებით მას, მაგრამ შორიდანაც მისკენ მიიღტვით, როგორც ტყვე, რომელსაც ტყვეობიდან განთავისუფლება არ ჰსურს. პირადად ჩემთვის რომის თვითეული ქვა მრავალის მეტყველია. ხოლო, როდესაც მე ფორუმს უახლოვდები, მე მუდამ მიპყრობს რალაც არაჩვეულებრივი, სიტყვით გადმოუცემელი გრძნობა, რალაც იდუმალი თრთოლვა თუ აღტაცება მოიცავს ხოლმე ჩემ სულს. ამასთანავე ერთად, გინდა, უსათუოდ მოიგონო ყველაფერი ის, რაც იცი რომაული ლიტერატურიდან და ისტორიიდან, შეუფარდო ეს ნანგრევებს, გააცოცხლო, აღადგინო ნანგრევები და, ამრიგად, შორეული წარსულიდან გამოიწვიო ძველი რომის ბრწყინვალე სახე, როგორც ეს ჰორაციუსა და პროპერციუსის ლექსებში გვეხატება. ყველაფერი ეს განვიცადე მე ეხლაც, რომთან დიდი ხნის განშორების შემდეგ! არც კი მახსოვს, რამდენჯერ დავათვალიერე მე ფორუმი, მუზეუმები, რამდენჯერ დავიარე ქუჩები. რალაც სიხარბე დამეტყო! დღეები ისე მქონდა განანილებული, რომ არც ერთი თავისუფალი წუთი აღარ მრჩებოდა. დილის 8 საათიდან ნაშუადღევს 1 საათამდე მე ვმუშაობდი იოანე იტალის ნაწერებზე ვატიკანის ბიბლიოთეკაში. საჩქაროდ ვისადილებდი და შემდეგ ან მუზეუმში, ან ფორუმზე, ან კიდევ სადმე სხვაგან მივდიოდი. მინდოდა — მენახა რაც შეიძლება მეტი, ამეთვისებინა რაც შეიძლება უფრო სრულად. და შემიძლია ვთქვა, რომ არც ერთი, ჩემ მიერ რომში გატარებული დღე მე არ დამიკარგავს ცუდად: ძველ რომში შეუძლებელია უსაქმურად ყოფნა! მხოლოდ სალამობით ჩავერეოდი ხოლმე მე იტალიურ ფუსფუსში და ჟრიაამულში, ამ ჭრელ კალეიდოსკოპში, სადაც ერთი სურათი მუდამ მეორესა სცვლის, სადაც ერთმანეთთან გადახლართულია სილამაზე და სიმახინჯე, სიბრწყინვალე და სიგლახაკე. შემდეგ მე ვინყებდი მთელი დღის განმავლობაში გაკეთებულის დამუშავებას, მეორე დღის დილიდან კი განსაზღვრული წესრი-

გით ერთიმეორეს მისდევენ: ვატიკანი, მუზეუმები და სხ. ეხლა, როდესაც ყველაფერი ეს წარსულშია, მე განსაკუთრებულის სასოებით ვიგონებ რომში გატარებულ დღეებს. რა კარგი, რა მშვენიერი სიზმარი იყო... და — რა სწრაფად დასრულდა იგი! მაგრამ ასეთია ყველა სიზმრები: ისინი მუდამ სწრაფად ჰქვრიებიან!

რაც შეეხება ფორუმს, მის გათხრას ეხლაც ნელ-ნელა განაგრძობენ, მაგრამ ამ უკანასკნელი 12 წლის განმავლობაში ამ მუშაობას არავითარი არსებითი შედეგი არ მოჰყოლია. მიუხედავად ამისა, მე მაინც რამდენჯერმე დიდის ინტერესით დავათვალიერე ჩემთვის კარგად ნაცნობი ნანგრევები. როგორც ოდესღაც, მე ჩემი ყურადღება უმთავრესად მივაპყარი ვესტას ტაძარს, Atrium Vestae-ს (სახლს, სადაც ქალწული ვესტალები ცხოვრობდნენ) და Domus publica-ს, „დიდი პონტიფიკის“ სამყოფელს. ამ შენობების ნაშთები ჩემთვის ყველაზე უფრო ძვირფასია, ისევე, როგორც კასტორისა და პოლუქსის ტაძარი, თავისი სამი გადარჩენილი სვეტიტ. მაგრამ, ამ ნაშთთა გარდა, განა ცოცხალი არის ფორუმზე კიდევ ნანგრევები, რომელნიც იზიდავენ ძველი რომის მოყვარულთ, ცოცხალი მაინც გაცნობილთ მის ისტორიასთან. ავიღოთ თუნდაც იმ ტაძრის ნაშთები, რომელიც ავგუსტემ ააგო ფულიოს კეისრის სახელზე. მის დასავლეთ მხარეზე დარჩენილი სვეტის ფუძე უჩვენებს იმ ადგილს, სადაც დასწევს კეისრის გვამი და სადაც წარმოსთქვა მარკ ანტონიმ თავისი შესანიშნავი სიტყვა კეისრის სიკვდილზე. ეხლანდელი რომაელები დღესაც ამკობენ ამ ადგილს გვირგვინებით და ამით თითქოს ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ დიდი დიქტატორის სახელი მათთვისაც ნიშნავს რალაცას. მართლაც, მეტად დიდია ეს სახელი და მეტად ბრწყინვალეა მასთან დაკავშირებული ნაკვთები რომაელთა ისტორიისა. მაინცდამაინც პოეტი არ უნდა იყო კაცი, რომ ფორუმის სიმშვენიერე იგრძნო. დიდებული სანახავია მისი ღვთაებრივი ნანგრევები იტალიის ცის ლაჟვარდის ქვეშ, მზის სხივებით უხვად განათებულნი. თეთრად მოსჩანან სვეტები, აქა-იქ ამართულია კედლების ნაშთები, მოღუშული გამოიყურება, თავის მარმარილოს მოსახულობას მოკლებული, კონსტანტინე დიდის ბაზილიკა. ალაგ-ალაგ ამოსულია ბალახი და მწვანე არშიად შემოვლებია ნანგრევების სითეთრეს. Sacra Via (ღვთაებრივი ქუჩა) კი მიდის წინანდებურად: იგი ხან იკარგება ბალახ ქვეშ, ხან ისევ გამოჩნდება, რომ მძაფრი მოსახვევის შემდეგ, ნერონის დროინდელი ქვაფენილით გაატაროს მგზავრი ტიტეს ტრიუმფალური თალის ქვეშ. დიახ, ძველმა რომმა დიდი ხანია, რაც განისვენა, მაგრამ ჯერ კიდევ ისმის მისი ხმა; ეს ხმა უბრძანებს ყველას — შეისწავლონ წარსული საუკუნეების თეთრი ნისლით დაფარული სიძველენი.

მაგრამ მას შემდეგაც, რაც ფორუმს მოსცილდებით, დაათვალიერებთ პალატინს მისი ღირსშესანიშნავი ნანგრევებით (აქ აღვნიშნავ მხოლოდ ლივიას სახლს) და ისევ ახალ რომის ქუჩებზე გამოხვალთ, ძველი რომი მაინც არ ჰპოვდება მოგზაურს. იგი დროგამოშვებით იჩენს თავს ახალი ზედაფენის ქვეშედან, როგორც ძველი ფრესკა, თუმცა შეთეთრებული, მაგრამ არა იმდენად, რომ საბოლოოდ ადგილი დაუთმოს უფრო გვიანდელ მხატვრობას. მართლაც, სადაც კი არ უნდა ნახვიდეთ, ძველი რომის სახე ყველგან გამოსჭვივის, ხან სვეტის, ხან ქანდაკების სახით, ხან კიდევ მთელი შენობის (შეად. დიოკლეტიანეს თერმები) ან კედლის სახით. სწორედ ამის გამო, როგორც მე ზემოთ აღვნიშნე, მყარდება სრულიად განსაკუთრებული კავშირი ძველსა და ახალ დროთა შორის. გგონია, რომ ისინი განუყრელნი არიან და ერთიმეორეს ავსებენ: ეს ერთგვარი დასაწყისი და დასასრულია!

მაგრამ კმარა ძველ რომზე. მარტო ის კი არ მიზიდავდა მე. ასეთივე მიმზიდველი ძალა ჰქონდა ჩემთვის Bibliotheca Vaticana-საც, თავისი ხელნაწერების საუნჯით. 8 საათზე იღებოდა იგი, და მე მუდამ ვცდილობდი, რომ ამ დროსთვის მიმესწრო. მიხვალ San Pietro-მდე და იცი, რომ ეხლავე დაჰკრავს ზარი: იგი რეკავს სწორედ 8 საათზე. ზარის ხმაზე მივბრუნდები მარცხნივ; შევდივარ ალაცაფის კარებში; ვტოვებ ტაძარს მარჯვნივ და მივყვები Viale delli Fondamenta; გვერდით გაუვლი პაპის გვარდიელებს, სადარაჯოზე რომ დგა-



ნან, და პირდაპირ მივახსნევ, ბოლოს, ბიბლიოთეკასაც. ვადგენ ჩემ შესასვლელ ბარათს, ვანერ ხელს, თანვე აღვნიშნავ ჩემი მოსვლის დროს (ასეთი ჩვეულება აქვთ იქ!), და მშვენიერ Chiostro-ს გავლით შევდივარ თვით ბიბლიოთეკაში. რა კარგად იგრძნობ თავს იქ კაცი! ბიბლიოთეკის პრეფექტს, padre Giovanai Mereati-ს, რომელსაც მე ახალგაზრდობიდანვე ვიცნობ, ჯერ კიდევ არ დავვინწყებოვარ, თუმცა ჩვენ ერთმანეთის დიდხინის უნახავნი ვიყავით. ის თითქმის არ გამოცვლილა: მხოლოდ მოხუცებულა, ჩემსავით. იგი ისეთივე საყვარელი, ალერსიანი და გულთბილი, ისეთივე მოქმედი და ენერგიული კაცია. მან იშვიათი სტუმართმოყვარეობით მიმიღო მე. ყველაფერი ჩემს განკარგულებაშია. დამრჩენია მხოლოდ ერთი რამ: ავიღო ბერძნული ხელნაწერები და მივჰყო ხელი მუშაობას. და, აი, მე ისევ ნაცნობ გარემოში ვარ. მე წინ მიდევს იოანნე იტალის დიდი ხნის ნანატრი ხელნაწერები. გადმოვწერ ახალ ტექსტებს, ვადარებ ძველებს დედანთან. მუშაობა კარგად და სწრაფად მიიწევს წინ. წლებს ვერ დაუშუსტებიათ მხედველობა, ვერ შეუშუსტებიათ საძნელო ტექსტების გარჩევის წინანდელი უნარი. ხოლო თუ რაიმე სიძნელე მხვდება წინ, Mercati მუდამ მომეშველება ხოლმე: ტყუილად კი არ გაატარა მან ხელნაწერთა შორის მთელი თავისი სიცოცხლე. ასე, დღითი-დღე, ვმუშაობდი მე ვატიკანში და ასე თანდათანობით გადავწერე, შევადარე, დაახლოვებით დასაბეჭდად შევამზადე იოანნე იტალის ყველა, ჩემთვის ჯერ-ჯერობით საჭირო, თხზულებები. მაგრამ მე მინდოდა გავცნობოდი ქართულ ხელნაწერებსაც და, საზოგადოდ, გამეგო — არის თუ არა ვატიკანში კიდევ სხვა რაიმე ძველნაბეჭდი წიგნები. თქმა და შესრულება ერთი იყო. მე მომიტანეს ყველაფერი, რაც კი იყო ქართული, და მე შევუდექი ამ, ჩემთვის ახალი, მასალების გარჩევას.

არ დავფარავ: ასეთი მუშაობა ჩემთვის გაცილებით უფრო ძნელი იყო, ვიდრე იოანნე იტალის შრომებზე მუშაობა. ამის მიზეზი იყო ის, რომ მე საკმარისად არ ვიცოდი ქართული ენა და არც ისე ვიყავი გაცნობილი ქართული ხელნაწერების დამწერლობას. მაგრამ მე მაინც ყველაფერი გავაკეთე, რაც კი შემეძლო, თუმცა უნდა ითქვას, რომ არც ხელნაწერებს და არც წიგნებს ჩემი იმედები არ გაუმართლებიათ. A priori შეიძლებოდა ეფიქრნა კაცს, რომ იმ საკმაოდ მჭიდრო ურთიერთობის გამო, რომელიც საქართველოსა და ვატიკანს შორის არსებობდა (საკმარისია მოვიგონოთ ირბახი resp. ირუბაქიძე), ვატიკანის ბიბლიოთეკაში საკმაოდ უნდა დარჩენილიყო ქართული ლიტერატურის ძეგლები. ნამდვილად კი არაფერი ამის მსგავსი არ აღმოჩენილა!

მართლაც, რა ვიპოვე მე იმ წიგნთა და ხელნაწერებს შორის, რომელნიც მე მომიტანეს? ვიტყვი ჯერ წიგნებზე. მათი რიცხვი მეტად მცირეა, სულ 12, ამასთანავე ისინი მე-XVIII საუკ. დასასრულს ან მე-XIX ს. დასაწყისს ეკუთვნიან და ჩვენთვის არავითარ ინტერესს არ წარმოადგენენ. საინტერესოა მხოლოდ ორი მათგანი, რომელიც მე-XVII ს. ეკუთვნის. ერთია ქართული ენის გრამატიკა, 1643 წ. ფრანცისკო მაჯის (Maggi) მიერ შედგენილი, მეორე არის ქართულ-იტალიური ლექსიკონი, რომლის ავტორი სტეფანე პაოლინია (Paolini). ორივე წიგნი გამოცემულია რომში, პაპი ურბანუს VIII ბრძანებით და მიძღვნილია პაპისადმი. რაც შეეხება პირველ წიგნს, მას ასე თუ ისე იცნობენ, ასე რომ მასზე მე არ შევჩერდები. მეორე კი მისი ბიბლიოგრაფიული სიიშვიათის გამო, უფრო დანვრილებითი განხილვის ღირსია. მისი სრული სათაური შემდეგია: „Dittionario giorgiano e italiano, composto da Stephano Paolini con l'aiuto del M. P. D. Niceforo Irbachi, Giorgiano, Monaco di S. Basilio. Ad uso de' Missionarii della Sagra Congregatione de Propaganda Fide, In Roma. Nella Stampa della sagra Congr. de Propag. Fide. CIODCXXIX Con Licenza de' Superiori“. წიგნი იწყება ანბანით, რომელიც ასეა დალაგებული:

Fig.	Nome	Potestà
ა	ან An	a
ბ	ბან Ban	b და სხ.



მე-3 გვერდიდან ლექსიკონი იწყება. მისი პირველი სიტყვა არის:  
 აბანო abáno Bagno.

ლექსიკონი გრძელდება 126 გვერდამდე, სადაც იგი თავდება ასე:  
 ჯურჯელი giurgéli Vaso.

გვ. 127-128 უკავიათ რიცხვითს სახელებს, მათ მისდევს „Tavola delle voci Italiane corrispondenti à vocaboli Giorgiani“. ამ ნიგნში ყურადღების ღირსია ორი კერძო გარემოება: 1) გამოცემის წელი, 2) წინასიტყვაობა. როგორც სათაურიდან ჩანს, ლექსიკონი გამოცემულია 1629 წელს და მაშასადამე, უნდა ჩაითვალოს ერთ-ერთ უძველეს და, შეიძლება, ყველაზე უფრო ძველ ნაბეჭდ ქართულ ნიგნად. საინტერესოა წინასიტყვაობაც, იტალიურ ენაზე დაწერილი, რომელშიც აღნიშნულია ნიგნის გამოსვლის მიზეზი და მიზანი. წინასიტყვაობაში ნათქვამია, რომ თეიმურაზ მეფეს გაუგზავნია რომის პაპისთვის სიგელი ქართულ ენაზე. ეს სიგელი რომში ირბახს მიუტანია. რადგან პაპის კარისკაცთა შორის ქართულის მცოდნე არავინ აღმოჩენილა, ამიტომ სიგელი თვით ირბახს გადაუთარგმნია. ამის შემდეგ ჩამოუსხამთ ქართული შრიფტი და გადაუწყვეტიათ — დაბეჭდათ ამ შრიფტით ქართული ანბანი, რამდენიმე ლოცვის თანდართვით, და ხსენებული ლექსიკონი. ეს უკანასკნელი შეუდგენია სტეფანე პაოლინის, რომელიც, ეტყობა, ეკუთვნოდა იმ მისიონერთა რიცხვს, რომელთაც საქართველოში ყოფნის დროს ცოტათი უნდა შეესწავლათ ქართული ენა. უმთავრესი დახმარება პაოლინისათვის ირბახს აღმოუჩენია. ამრიგად, ლექსიკონი უნდა ჩაითვალოს პირველ, ქართული შრიფტით ქართულ ენაზე დაბეჭდილ ნიგნად. ეს ნათლად ჩანს ავტორის წინასიტყვაობიდანაც, სადაც, სხვათა შორის, ნათქვამია, რომ, რადგანაც ლექსიკონი **პირველი დაბეჭდილი ნიგნია ქართულ ენაზე**, ამიტომ მის სასათაურო გვერდზე აღნიშნულ უნდა იქმნეს პაპის ურბანოს სახელი. რომ ლექსიკონი დიდად გავრცელებული უნდა ყოფილიყო, ეს იმით მტკიცდება, რომ ის გადაბეჭდილი ყოფილა არა ერთხელ (ერთი ამ გადმონაბეჭდთაგანი დაცულია ვატიკანში). მისი დამატება კი ფრანცისკო მაჯის გრამატიკა არის. ასეთია ვატიკანში დაცული ქართული ნიგნები.

გადავდივარ ეხლა ხელნაწერებზე. მეტი წილი ხელნაწერებისა, რომელთა რიცხვი 15-ს არ აღემატება, წინად Museo Borgiano-ს ეკუთვნოდა და შეწირული ყოფილა ვინმე ზლაკოვის მიერ. ჩვენ არ ვიცით, ვინ იყო ეს უკანასკნელი. ოღონდ ყველა ხელნაწერებზე მიწერილია, რომ ესა და ეს ხელნაწერი შემოწირულია მუზეუმისთვის „dal Sacerd. D. Giov. Antonio Slakov. Alumno di questo Collegio Yrbano“-ო. ეს, ზლაკოვის მიერ ნაჩუქარი, ხელნაწერები მეტწილად კათოლიკური შინაარსისაა, რაც შემდეგი მაგალითებით მტკიცდება: 1) Cod. Giorg. Mus Borg. 13, a. 1759, ff. 267: საძიებელი: გულისა მარიამისი I, 2) Cod. Giorg. Mus Borg. 15, a. 1764, ff. 129: მონაწილი გული, 3) Cod. Giorg. Mus Borg. 14, s. XVIII, ff. 192: დასუბუქებული ჯვარი. თავისთავად ცხადია, რომ ამ ხელნაწერებს ჩვენთვის მნიშვნელობა არა აქვთ. მაგრამ არის აგრეთვე სხვა ხელნაწერებიც, ზოგი ზლაკოვისეული, ზოგიც — არ ვიცით, საიდან შემოსული (ეს უკანასკნელები აღნიშნულია პირდაპირ „codd. Iberici“), რომელთაც, ჩემის აზრით, ერთგვარი მნიშვნელობა აქვთ. ამის გამო მე გადავიღე მათი ფოტოგრაფიები. ასეთი ხელნაწერი მე ოთხი გამოვარჩიე. მათ შორის ყველაზე უფრო საგულისხმოდ მიმაჩნია ორი, ორივე ეტრატზე დაწერილი, და ამასთანავე საკმაოდ ძველი: ისინი მე-XIII-XIV საუკუნეზე უგვიანეს ხანას არ ეკუთვნიან; ერთი მათგანი დაწერილია ასომთავრული ხუცურით, მეორე კი — ნუსხა-ხუცურით. პირველი ხელნაწერი (cod. Iberic. 1, ff. 305) წარმოადგენს „ოთხთავს“, რომელიც შემკულია მშვენიერი ასოკაზმულობით. ხელნაწერის დამწერლობა ასეთია: თვითეული სახარების ყოველი პირველი ფურცელი დაწერილია ასომთავრულით, ხოლო დანარჩენი ფურცლები — ნუსხურით. რაც შეეხება მეორე ხელნაწერს (cod. Giorg. Mus. Borg. 4), იგი არის „**წმიდა მამათა ნაწერების**“ კრებული, რომლის მნიშვნელობის გამორკვევა, ფოტოგრაფიის მიხედვით, სპეციალისტებისთვის

მიმინდვია. დასასრულ, მესამე ხელნაწერი (cod. Mus. Borg. Giorg. 1), რომელიც ქალაღდ-ზეა დაწერილი, წარმოადგენს ვახუშტის „საქართველოს ისტორიას“.

როგორც ჩემი ნათქვამიდან ჩანს, ხელნაწერები, რომლებიც მე ხელში ჩამივარდა, მაინცდამაინც არც ისეთს ღირებულებას წარმოადგენენ, ნამეტნავად ჩვენი უნივერსიტეტის მუზეუმში დაცულ ხელნაწერებთან შედარებით. ცოტა იმედგაცრუებული, მე შევეცადე — როგორმე Propaganda Fide-ში შევსულიყავი, მაგრამ იქ მე არ შემიშვეს, ასე რომ მე ძალაუნებურად დავკმაყოფილდი იმით, რაც ვატიკანში აღმოვაჩინე. ვერსად აღმოვაჩინე მე აგრეთვე დედანი თეიმურაზ მეფის იმ სიგელისა, რომელმაც გამოიწვია Paolini-ს ლექსიკონის შედგენა: დედანი დაკარგული უნდა იყოს, დარჩენილია მხოლოდ მისი იტალიური თარგმანი, მაგრამ ეს უკანასკნელი მე არ მაინტერესებდა, მით უმეტეს, რომ იგი მოყვანილი აქვს ტამარატის (თამარაშვილსა თავისს „საქართველოს ეკლესიის ისტორიაში“).

ამრიგად, რამდენადაც ნაყოფიერი იყო ჩემი მუშაობა იოანე იტალის ხელნაწერებზე, იმდენადვე ღარიბი აღმოჩნდა თავისი შედეგებით ჩემი ცდა — მეპოვნა ძვირფასი ქართული ძეგლები: ასეთები ვატიკანში არ მოიპოვება!

მაგრამ, თუ ჩემთვის რომში მთავარი მიმზიდველობა, სხვა ადგილებთან ერთად, ჰქონდა და აქვს ვატიკანს, თავისი საუცხოო ბიბლიოთეკით — არის კიდევ რომის მახლობლად ერთი ადგილი, რომელთანაც დაკავშირებული არიან ჩემი საუკეთესო მოგონებანი და სადაც მე ოდესღაც ბევრი მიმუშავნია; ეს იყო მაშინ, როდესაც მე ჩემს სამაგისტრო დისერტაციას ვწერდი. ეს ადგილი არის სახელგანთქმული მონასტერი Grotta Ferrata, დაარსებული მე-X საუკუნეში. ნილოს უმცროსის მიერ. საუკუნეთა განმავლობაში იგი დიდ როლს თამაშობდა სხვა ბასილიანთ მონასტერთა შორის, როგორც ბერძნული საეკლესიო განათლების ერთი უუმნიშვნელოვანესი ცენტრთაგანი. მისი სწავლული ბერები, — მეტნაწილად სიცილიელი ბერძნები, — მისი ბერძნული ხელნაწერების იშვიათად შერჩეული კოლექცია, დასასრულ, მონასტერთან დაკავშირებული ხსოვნა იმისა, რომ აქ განვითარდა და ჰყვავდა განსხვავებული ბერძნული სტენოგრაფიული სისტემა, რომელსაც საფუძველი წმ. ნილოსმა ჩაუყარა, — ყველაფერი ეს შარავანდედით ჰმოსავს მონასტერს, რომელსაც ყოველი იტალიელი იცნობს. მაგრამ რა საჭიროა ამის მტკიცება? ჯერ კიდევ სულ ცოტა ხნის წინათ სახელი ჰქონდა გავარდნილი მონასტერს ისეთი თავისი წარმომადგენლების მოღვაწეობის წყალობით, როგორც იყვნენ ან განსვენებულნი მამა ანტონი როკი და მ. სოფრონი გასსიზი, რომელთა მეგობრობითაც მე შემიძლია ვიამაყო. მაგრამ ისინი ამ ქვეყნად უკვე აღარ არიან! ჩემ ძველ მეგობართაგან ცოცხალია მხოლოდ ერთი — მ. ბასილ ნორჩია, სახელოვანი ტრიუმვირატის უკანასკნელი წევრი. ეცემა მონასტერი. ჰშორდება მას მეცნიერების სული. თითქმის აღარავინ არ მუშაობს მის უმდიდრეს ბიბლიოთეკაში. მაგრამ, მას დღევანდლამდე მაინც შერჩენია რაღაც სიდიადე. ეს იმის საწინდარია, რომ მონასტერი მომავალში კიდევ აყვავდება, როდესაც წასულების ალაგს ახალგაზრდა თაობა დაიჭერს: Grotta Ferrata-ში არის სკოლა, და მონაფეთა შორის მოიძებნება რამდენიმე, რომელნიც იმედს იძლევიან. ჯერჯერობით კი მონასტერი ისვენებს თავისი წარსული მუშაობისაგან და ფხიზლად უდარაჯებს თავის საუნჯეს, მისი ბერების მიერ შეკრებილსა და შექმნილს. იქით, Grotta Ferrata-სკენ მიიღტვოდა ჩემი ფიქრი: მე მეგონა, რომ ჩემი მოგზაურობა იტალიაში სრული არ იქნებოდა, თუ-კი მე არ ვესტუმრებოდი იქაურ ჩემს მეგობრებს და ნილოსის ხელნაწერებს ერთხელ კიდევ არ ვიხილავდი.

ერთ კვირა დღეს ელექტრონის ტრამვაიმ სწრაფად მიმიყვანა მე Bivio-მდე, რომელიც უკანასკნელი სადგურია Frascati-მდე, საიდანაც ახლოა მონასტერი. მე გავიარე ჩემთვის ნაცნობი გზით მშვენიერ ნაბლის ხეივანში და რაღაც 20 წუთში Grotta Ferrata-ს მივახწიე. გარედან მონასტერი ნამდვილს საშუალო საუკუნეების ციხედარბაზს მოგავგონებთ. ლამაზად არის ცად აზიდული მისი ბუმბერაზი კედლები და კოშკები, ღრმა თხრილით გარშე-

მოვლებული. თხრილზე გადებულია ქვის ხიდი; ამ უკანასკნელს კაცი მიჰყავს ალაყაფის კარებამდე, რომელიც სალამომდის სულ ღიაა, და რომლის საშუალებითაც თქვენ ვრცელ და კარგად მოკირწყლულ ეზოში შედიხართ. ამ ეზოს მარცხენა მხრიდან მონასტრის ერთერთი შენობის კედელი უცქერის. კედელს დატანებული აქვს ალაყაფის კარები. ამ კარებით კაცი პატარა ლამაზ ეზოში შედის. ეზოს შემოვლებული აქვს აჭურული კოლონადა. ხოლო თვით ეზოს შუაგულში შადრევანია; შადრევანის გარშემო — ყვავილები. კოლონადას სხვადასხვა სადგომთა კარები უცქერის. ერთი ამ კარის საშუალებით კაცი გრძელ კორიდორში შედის: თქვენ უკვე მონასტერში ხართ. მაგრამ, რადგან კვირა დღე იყო და ეკლესიაში წირვა იდგა, მე სხვანაირად მოვიქეცი. გავიარე ეზო და შევედი საყდარში, სადაც შეკრებილი იყვნენ ყველა ბერები; მოვისმინე წირვა ბერძნულ ენაზე (Grotta Ferrata-ში წირვა ბერძნულ ენაზე სწარმოებს) და წირვის შემდეგ პირდაპირ ჩემი ძველი მეგობრების წრეში მოვხვდი. როდესაც მათ სალი და უვნებელი დამინახეს, მათს გაოცებას საზღვარი არა ჰქონდა: 12 წელიწადი იყო გასული მას შემდეგ, რაც ჩვენ ერთმანეთს დავეშორდით! გულს რაღაც სიხარული მოეფინა; მხოლოდ ერთი რამ იყო დასანანი: გვაკლდა სოფრონ გასსიზი, რომელიც ერთი წლის წინათ გარდაცვლილიყო. მწუხარებით მამცნეს ბერებმა ეს ამბავი, და სევდის ღრუბელმა დაგვფარა ჩვენ ყველანი: სამუდამოდ მოშორდა ამ ქვეყანას საუცხოო ადამიანი და დიდი მეცნიერი, რაც აუნაზღაურებელი დანაკლისია Grotta Ferrata-სთვის! მე დიდხანს ვერ შევრიგებოდი ამ სამწუხარო ამბავს. სულ მეგონა: აი, აგერ გამოჩნდება მ. სოფრონი, მუდამ მსიარული, როგორც მე ის წინათ მინახავს, და მე ისევ ჩამოვუგდებ მას საუბარს ბერძნულ ჰიმნოგრაფიაზე, ნილოსზე, ხელნაწერებზე და მთელ რიგ ჩემთვის და მისთვის საინტერესო სამეცნიერო საკითხებზე. ჩემ განცდებს მ. ბასილ ნორჩიაც იზიარებდა. დიდხანს მდუმარენი დავდიოდით ჩვენ ორნივე მონასტრის კორიდორებში, და ჯერ უფრო თვალებით ვსაუბრობდით, ვიდრე სიტყვებით. შემდეგ კი დაიწყო ერთმანეთის გამოკითხვა, ჩამოვადეთ საუბარი სხვადასხვა საკითხებზე. განუწყვეტლივ გრძელდებოდა საუბარი: სალაპარაკო ხომ ბევრი გვქონდა! მთელი დღე გავატარე Grotta Ferrata-ში, და შემდეგაც არა ერთხელ ვესტუმრე მას ჩემი მეგობრების სანახავად და ბიბლიოთეკაში სამეცადინოდ. თვით მონასტერიც, ისიც, რაც მონასტერშია მოთავსებული, და აგრეთვე მისი მიდამოებიც, — ყველაფერი ეს ერთ მთლიან სიმშვენიერეს წარმოადგენს და ადამიანს იშვიათ სულიერ კმაყოფილებას აგრძნობინებს. ავიღოთ თუნდაც მონასტრის საყდარი. ეს უკანასკნელი დაარსებულია მე-XI ს-ში, გადაკეთებულია მე-XV ს-ში, ხოლო 1754 წ. მის გარეგნობას დიდი ზიანი მიაყენა კარდინალმა Guadagni-მ, რომელმაც მისი მე-XII საუკუნის დროინდელი ფრესკები barocci-ს სტილის სტუკის ორნამენტებით შეაცვლევინა. მიუხედავად ამისა, ეკლესია, რომელსაც ბაზილიკის ფორმა აქვს, ძლიერ შთაბეჭდილებას სტოვებს. კარგია მისი მარმარილოს სვეტები; მშვენიერია მე-XII ს. დათარიღებული კედარის კარი ნართექსში, შიგ ამოჭრილი რელეფური გამოსახულებებით შემკული; ლამაზია მე-XI ს. მოზაიკა, რომელზედაც გამოსახულია მაცხოვარი, ღვთისმშობელი და იოანე ნათლისმცემელი. ყველაფერი ეს არის ძველი დიდების ნაშთი, რომელიც რაღაც სასწაულით გადარჩენილა საყდრის ბარბაროსული მოდერნიზაციისა და განახლების დროს! პირადად მე ძალიან მომწონს Domenichino-ს ნახატებიც, ეკლესიის ხელმარჯვნივ Cappelle Farnesiana-ში მოთავსებული: მათში გადმოცემულია სხვადასხვა მომენტები წმ. ნილოსის ცხოვრებიდან; ამ მხატვრობათა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ერთი — წმ. ნილოსი ჯვარცმის წინაშე მუხლმოდრეკილი. დიდებულად არის გადმოცემული მხატვრის მიერ ღრმა ლოცვაში მყოფ წმინდანის ფიგურა და აგრეთვე მის გარშემო მდებარე იტალიური პეიზაჟი.

მხატვრობის ფერთა სიახლეს დღესაც განცვიფრებაში მოჰყავს ადამიანი. ხოლო, როდესაც მონასტრიდან გამოდიხართ, თქვენს წინაშე გადაიშლება თვალწარმტაცი ბუნების

სურათები. ჩაფიქრებულან ალბას მთების მწვერვალები. მთების ძირში გაშლილია ლამაზი ველეები, მინდვრები და ვენახები, შორს მოსჩანს Marino, ხოლო ყველაფერს ამას ლურჯ გუმბათად გადაჰკვერია იტალიის შეუდარებელი ცა, თავისი მარადიული ღიმილით.

მაგრამ დროა, ბიბლიოთეკასაც ვენვიოთ. იქ რაღაც ნათელი სიჩუმეა. ყველგან დგანან მაღალი კარადები, სადაც ხელნაწერები ინახება. მერე, რა ძვირფას განძს შეიცავენ ეს კარადები! აი, თვით ნილოსის ხელით შესრულებული სახელგანთქმული ხელნაწერები, და აგრეთვე კოდექსები, Grotta Ferrata-ს მეორე წინამძღვრის მიერ დანერილი. ჩვენთვის, პალეოგრაფებისთვის, მათ ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვთ! და განა მარტო მათ? აი, ცნობილი პალიმფსესტი, რომელიც შეიცავს სტრაბონის „გეოგრაფიის“ ნაწყვეტებს. რომელი მეცნიერი არ იცნობს მას? ან ქრისტეფორე პატრიცის ხელნაწერი ლექსები? ან კიდევ კოდექსი, რომელიც იძლევა ყველაზე უფრო სრულ ვერსიას ბიზანტიური პოემის „დიგენის აკრიტა“-სას? ან-და ნაწყვეტები გიორგი მაღალას ქრონიკიდან? ყველაფერი ეს ხომ ისეთი ძეგლებია, რომ მათ შესახებ გულგრილად ლაპარაკი შეუძლებელია! არა ერთი და ორი საათი გავატარე მე ამ უკანასკნელად გროტა-ფერატას ბიბლიოთეკაში; იგი წინანდებურად სრულს ჩემ განკარგულებაში იყო. მე გადავავალიერე ყველა ხელნაწერები, ამოვიწერე საჭირო ადგილები, ქალაქზე გადავიტანე ჩემი წინასწარი შენიშვნები; ამის შედეგი კი იყო ის, რომ მე დამებოდა გეგმა — უახლოეს მომავალში შევდგომოდი ნილოსის მიერ შემოღებული სტენოგრაფიული სისტემის ხელახალ შესწავლას. ის, რაც წინათ მქონდა გაკეთებული ამ დარგში, მე უკვე აღარ მაკმაყოფილებს. ჩნდება ახალი პერსპექტივები: ჩემი წინანდელი, სიჭაბუკის დროინდელი მუშაობა გამოდგება მხოლოდ საძირკვლად — შეიძლება საკითხის უფრო ფართოდ დაყენება და უფრო ყოველმხრივ გაშუქება, ვიდრე მე ეს წინათ მქონდა განხილული.

მრავალი კარგი განცდა მახსოვს Grotta Ferrata-დან. სხვა განცდებთან ერთად ისინი ჩემთვის წარმოადგენენ რაღაც დაუვიწყარ რასმე, რადგან მათ დამიბრუნეს სიცოცხლის სისრულე, განმიახლეს გონება, მომიმატეს ცოდნა. მხოლოდ ერთი რამ დამრჩა საწყენად. იმ ხნის განმავლობაში, რაც მე მონასტერში აღარ ვყოფილვარ, საშინლად გამოცვლილა მისი მიდამოები. გზა, რომლითაც მე ოდესღაც დავდიოდი, ერთს მთლიან ბალს წარმოადგენდა იმ შორეულ დროში. მე ისევ კარგად მახსოვს დიდი ჩრდილნარიანი ტყე, რომელიც Frascati-საკენ მიდიოდა. ეხლა იგი სრულებით გამქრალა: ტყე სულ გაუჩენიათ; დარჩენილია მხოლოდ ჩემთვის კარგად ნაცნობი და ძვირფასი პატარა ტყერი. ყველგან დაშენებულია ვილლები, გაშენებულია ვენახები; აღარ არის წინანდელი მღუმარება; ყველგან შეჭრილან ადამიანები, ერთი სიტყვით, ბუნება დამონებულია. მარტო მონასტერი მაგონებს მე წარსულს. შეუდურეკვლად სდგას იგი, წინანდებული დიდების შარავანდედით მოსილი, წინანდებული სიმშვენიერით მოსილი. და როდესაც მე მონასტერს გამოვეთხოვე, უკანასკნელი, რაც მე ტრამვიდან დავინახე, იყო მისი კოშკები, მისი აჟურული სამრეკლო: მკაფიოდ მოსჩანდნენ ისინი საღამოს ჰაერში და განსაკუთრებულის ელვარებით ანათებდა მათ ჩამავალი მზის სხივები. ამის შემდეგ კი დაიწყო ისევ Campagna Romana, მისი მხატვრული ნანგრევებით, დაუსრულებელი აკვედუკებით, მყუდრო მინდვრებით, და ასეთი სურათები გრძელდებოდა თვით რომამდე. რომი კი შემხვდა მისთვის დამახასიათებელი ჟრიაბულით, მხიარული ფუსფუსითა და ჩოჩქოლით. ხალხით გატენილი „cafès“-ებითა და თავისი ხმაური ქუჩებით.

რომზე მე მეტს არაფერს ვიტყვი: საკმარისად ვილაპარაკე, თუ რა ვნახე მე იქ, რა გავაკეთე და რა განვიცადე. მართალია, მე არაფერი მითქვამს მუზეუმების შესახებ. მაგრამ მათზე ლაპარაკი ძნელია. საკმარისია დაიწყო მათზე საუბარი, რომ იგი დაუსრულებლად გაგრძელდეს, ან-და გადახვიდე „გზის მაჩვენებლის“ ტონზე. ამ უკანასკნელს მნიშვნელობა აქვთ მხოლოდ მაშინ, როდესაც მუზეუმებში დადიხარ, მუზეუმების გარეშე კი მათი კითხვა და მოსმენა ძალიან მოსაწყენია!



ვიტყვი მხოლოდ, რომ, რაც უფრო ახლოვდებოდა ჩემი გამგზავრების დრო, მით უფრო მიმძიმდა ყოფნა. უკანასკნელი დღეები მე სულ რომის ქუჩებზე სიარულში გავატარე. მინდოდა, რაც შეიძლება უფრო სრულად აღბეჭდილიყო ჩემს ხსოვნაში „მარადი ქალაქის“ სახე. რა ვუყოთ მერე, — ვფიქრობდი მე, — რომ თავდება უცხო სიზმარი, ხომ უნდა შევინახო მის მიერ მოხდენილი შთაბეჭდილება მაინც, დაწვრილებით დავიმახსოვრო იგი! და მგონია, რომ მე შევძელი ეს. რომი ეხლაც თვალწინ მიდგია. მაგრამ როგორი ტკივილი იგრძნო ჩემმა გულმა როდესაც მატარებელი დაიძრა, როდესაც მან გაგვაქროლა ქალაქის გარეუბნებით და როდესაც რომი საბოლოოდ მიმეფარა თვალთაგან. მაგრამ დიდი ხნით კი? იმედი მაქვს, რომ არა: უფრო ადვილია გაკაფული გზით მგზავრობა, ვიდრე უვალი გზით სიარული!

## 4

უფრო და უფრო შორს მიმაქროლებდა რომისგან მატარებელი. გავიარეთ ფირენცე (ფლორენცია), ბოლონა, ვერონა. მე საკმარისად ვიცნობ ყველა ამ ქალაქებს. ოდესღაც ბევრი ბედნიერი, კარგი დღე გამიტარებია მე იქ, მათ საუნჯეთა შესწავლის დროს. მინდოდა, ეხლაც შევჩერებულყავი ამ ქალაქებში, დავმტკბარიყავ მათი ძეგლების ხილვით, ვსტუმრებოდი მათს გრილ ბიბლიოთეკებს. მაგრამ ეს წყეული ფულის საკითხი მიშლიდა ხელს: ის იყო, რომ ბევრჯერ სხვაგანაც თავისს veto-ს ადებდა ჩემ გეგმებს. და, რაც ყველაზე უფრო მწყინდა — მუდამ უნდა დავმორჩილებულიყავი! მე კი, ფლორენციას რომ თავი დავანებოთ, განსაკუთრებით ვერონა მიზიდავდა. მახსოვს: როდესაც მატარებელი მას მიუახლოვდა, ნათელი, წყნარი ღამე იყო. ჰაერი სურნელებით ჰფშვინავდა. შორს, ჩვეულებისამებრ, მოუსვენარი Adigio ხმაურობდა. და მე ძალიან მომინდა — მიმეტოვებინა მატარებელი, გავჰყოლოდი ვერონას წყნარ ქუჩებს, გამეტარებინა ამ ქალაქში რამდენიმე დღე. მაგრამ ამას წინააღმდეგა გონება. სანამ მე ვყოყმანებდი, გაისმა მკვეთრი ხმა: „Partenza“, დაიწყეს ვაგონებში კარების მიხურვა, და მე ძალაუნებურად ისევ ჩემ კუბეში ამოვყავი თავი. მატარებელმა განაგრძო გზა და გამაქანა ბრენნეროს მიმართულებით. აქ მე გამოვეთხოვე იტალიას.

შემდეგ გავლილი გზიდან ჩემთვის საინტერესო იყო მხოლოდ ტიროლი, სადაც არა ერთხელ ვყოფილვარ და საკმაოდ დიდხანსაც მიცხოვრია ინსბრუკში. საზოგადოდ, მთელი ეს გადასავალი იტალიიდან ტიროლამდე მეტად ღამაზია. მომცინარე იტალიის შემდეგ თქვენ ერთბაშად შედიხართ მთის დიდებულს, ალაგ-ალაგ საშიშარ სამეფოში. აქ უკვე სხვა ჰაერია, სხვა ხალხი და ზნეჩვეულებანი. სადგურებზე ბავშები Edelweiss-ის თაიგულებს ჰყიდინან. მამაკაცები ტიროლის დამახასიათებელ ტანსაცმელში გამოწყობილნი, დინჯად ეწევიან ჩიბუხს. ქალები, დანალვლიანებული სახეებით, ჰყიდინან ყოველგვარ საქმელებს. და ყველა ისინი ისეთი წესრიგიანი, სუფთა ხალხია, თავქარიან იტალიელებს კი არა ჰგვანან! განსაკუთრებით ჩამრჩა ხსოვნაში ერთი პატარა ღამაზი გოგონა, მაგრად დაწნული დალაღებით და სუფთა, თუმცა ღარიბული კაბით. პატარა გოგო მთის ყვავილების თაიგულებს ჰყიდდა. მის სახეზე ისეთი სერიოზულობა და ნალვლიანობა იყო გამოხატული, რომ მე და ჩემმა მეზობლებმა მივაქციეთ მას ყურადღება და გადავწყვიტეთ — გვესიამოვნებინა მისთვის და ყველა მისი თაიგულები გვეყიდნა. დავუძახეთ მას, დავინყეთ ყვავილების ამორჩევა, ვკითხეთ, თუ რა ღირდა ყვავილები. „Wie die Herrschaften wollen“ — გულუბრყვილოდ გვიპასუხა მან. და ისე მოხდენილად იყო ეს წარმოთქმული, რომ ჩვენ ღიმილი ვერ შევიკავეთ, უხვად დავასაჩუქრეთ გოგონა და კმაყოფილებით ვუმზერდით, როგორ გარბოდა ხტუნვით იგი, ბედნიერი, და თან რომელღაც ტიროლურ სიმღერას ღიღინებდა...

ესტონეთის, ლატვიისა და ლიტვის საზღვრებისგან განსხვავებით, იტალიის, ავსტრიისა და გერმანიის საზღვრები მგზავრებს არავითარ უსიამოვნებას არ აყენებენ. ყოველ შემთხვევაში, ჩვენი მატარებლის მიმართ ყველა საბაჟოებს მეტისმეტად ზრდილობია-



ნად ეჭირათ თავი: თითქმის არასოდეს არ გვიხდებოდა ბარგის გახსნა, ისედაც გვიჯერებდნენ! ასე მშვიდობით ვიმგზავრე მე მდუნქენამდე, იქ ბერლინის მატარებელში გადავჯექი და მეორე დღეს დილით უკვე ბერლინში ვიყავი.

ბერლინი, რალაც მოღუშული დამხვდა. იტალიის მზეს შეჩვეულმა, მე დავინახე ნაცრისფერი ცა. მაგრამ ამასაც როგორმე შეურიგდებოდა ადამიანი, ცივი კოკისპირული წვიმა რომ არ ყოფილიყო. გარშემო ყველაფერი დაღვრემილად გამოიყურებოდა. წვიმა გაგრძელდა ორი დღე. ამ ხნის განმავლობაში მე თითქმის არ გამოვსულვარ ჩემი ოთახიდან და წესრიგში მოვიყვანე ჩემ მიერ იტალიაში შეკრებილი მასალები. შემდეგ კი გამოანათა მზემაც, მაგრამ ეს უკვე სამხრეთის მზე აღარ იყო, და ცასაც აკლდა ის თბილი სილურჯე, როგორც იტალიაში მინახავს. სამაგიეროდ, ბერლინსაც აქვს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი სიმშვენიერე. მე მიყვარს ბერლინის სიღინჯე და საქმიანობა. აქ ყველამ იცის, რა უნდა გააკეთოს და რას აკეთებს. ბერლინელებს ყოველთვის აქვთ გარკვეული მიზანი. ისინი არ მისცურავენ „უსაჭეოდ და უაფროდ“, როგორც იტალიელები. გერმანელისთვის პირველი ადგილი აზრს უკავია, ხოლო იტალიელისთვის — გრძნობას. ამისგან არის მჭიდროდ დამოკიდებული ყველაფერი დანარჩენიც. ამიტომაც არის, რომ ბერლინში ადამიანი თავისთავად სწორდება, ებმები მუშაობაში, უკუაგდება ქართველურ უზრუნველობას და ნერვიულად ჰკიდებ ხელს საქმეს, არ გინდა, დაჰკარგო არც ერთი წუთი. ასე მემართებოდა მე წინათ, როდესაც მე ჯერ კიდევ ვსწავლობდი ბერლინში, ასევე მოხდა ეხლაც. მე ბევრი რამ უნდა გამეკეთებინა, დრო და ფული კი ცოტა იყო. ძალაუნებურად უნდა აჩქარებულვიყავი. მაგრამ მე მაინც თავი ვერ შევიკავე, რომ უნივერსიტეტში არ შემეგლო და არ მენახა, რა ხდება იქ. გადავთვალე რე ლექციების ცხრილი, გავეცანი რამდენსამე სტუდენტს, გამოველაპარაკე მათ, და დავრწმუნდი, რომ გერმანიის Studentenschaft ოდნავ თუ გამოცვლილა, მას სავსებით შეუნარჩუნებია ყველა თავისი საუკეთესო თვისებები, რომლითაც იგი მუდამ ასე იყო განთქმული. გარდა ამისა, იგი უფრო ზრდილი, სამსახურის გამწევი, მე ვიტყვოდი — უფრო მშვიდი გამხდარა. ეს სიმშვიდე ან, უკეთ, ეს სირბილე მხოლოდ ამალლებს გერმანელებს. ჩემში ისეთი გრძნობა იყო, თითქოს გერმანელებმა პირველ ადგილზე კვლავ **სული** წამოაყენეს, და სწორედ ეს სული იყო, რომ მათ **ოდესლაც** მთელს ქვეყანაზე გაამარჯვებინა. პრუსიის მუშტის ბატონობა გათავდა და, უნდა იმედი ვიქონიოთ, სამუდამოდ. მართლაც, უკვალთ გამქრალან ბერლინის ქუჩებიდან პრუსიის ოფიცრები, ჯარისკაცთა ურიცხვი რაზმები, ყველა ეს „Wache“ ბრანდენბურგის კარებთან და ფრიდრიჰ დიდის ძეგლთან. მხოლოდ „grüne Polizei“ გვაგონებს კიდევ სამხედრო მუნდირის დროს; იგი ლურჯი, კასკებიანი „Schutzleute“-ს მაგივრობას სწევს. და მართალი რომ ითქვას, ყველაფერი ეს ბერლინს უფრო ამშვენებს: გამქრალა უსიამოვნო სამხედრო-ბანაკური ელფერი, და გერმანიის იანუსს მოუბრუნებია თავისი სახის ის მხარე, რომელზედაც აღბეჭდილია ღრმა აზრი, და არა მუქარა.

დიახ, დღეს გერმანიაში გამეფებულია **აზრი** და ამ აზრის საუცხოვო გამოხატულება არის წიგნების უამრავი რაოდენობა მეცნიერების ყველა დარგში. შეუძლებელია მოწინებით ქედი არ მოიხარო გერმანელი ერის წინაშე: იგი ხომ საშინელი ომის შემდეგ არა თუ ფეხზე წამოდგა, არამედ შესძლო დაემტკიცებინა ისიც, რომ შეიძლება მისი ფიზიკურად შემუსვრა, მაგრამ შეუძლებელია მისი სულიერი ძლიერების შედრეკა: იგი უკვდავია!

მე პირდაპირ თვალებს ვაცეცებდი ამდენ წიგნის სიმდიდრეთა დანახვაზე. რამდენი ახალი და კარგი რამ გამოსულა! დანარჩენ სპეციალობათ რომ თავი გავანებოთ მე უამრავი წიგნი ვიპოვე პირადად ჩემთვის, და გულში ერთხელ კიდევ მადლობა ვუძღვენი საქართველოს რესპ. სახალხო განათლების კომისარიატს, რომელმაც საშუალება მომცა საზღვარგარეთ გამგზავრებისა. თუ იტალიაში ანტიური ქვეყნის ძეგლებს ვსწავლობდი, ეხლა ბერლინში ახალი ქვეყნის გენიის გამოსახულებას ვეცნობოდი. რასაკვირველია, ბედნიერად ვიგრძნობდი აქ თავს!

ცხადია, ჩემი ყურადღების ცენტრი ბერლინის მუზეუმი იყო, კერძოდ კი — ბერძნული პაპირუსების განყოფილება; ამ განყოფილებაში მე მიმუშავებია წინათაც, როდესაც მონაწილეობას ვიღებდი ბერძნული პაპირუსების საბუთების გამოცემაში. ამიტომ მიზიდავდა მე იგი. მაგრამ, ამასთანავე ერთად, მე გადავწყვიტე — გავცნობოდი ბერლინის Staatsbibliothek-ასაც, რომლის ახალი შენობა და მოწყობილობა მე ჯერ არ მენახა. ჩვენთვის, ქართველებისათვის ცნობილი ბიბლიოთეკარის Dr. Meckelein-ის წყალობით, მე გავეცანი ბიბლიოთეკას, მის კატალოგებს, საბიბლიოთეკო საქმის დაყენებას, და ჩემდა სასიამოვნოდ დავრწმუნდი, რომ ის ჭირვეული „ათნილადი“ სისტემა, რომლის გამო ბევრი შუბი გადაუმტვრევიათ რუსეთში მის მომხრეებს, გერმანელების მიერ უარყოფილია, როგორც ზედმეტად გართულებული, არეული და უხერხული. მომენონა აგრეთვე ეხლახან მოწყობილი ქართული წიგნების განყოფილება. მართალია, იგი ჯერ დიდი არ არის, მაგრამ მას ისეთი სიყვარულითა და საქმის ცოდნით აწყობენ, რომ ცოტა ხნის შემდეგ იგი მდიდარი განყოფილება დადგება. მე მგონია, რომ ჩვენც დახმარება უნდა გავუწიოთ ამ კეთილი საქმის დამწყებთ: ეს უსათუოდ შედის ჩვენ ეროვნულ ამოცანათა რიცხვში, მით უმეტეს, რომ ასეთი დახმარება ad maiorem gloriam Georgiae იქნება მიმართული. ჩვენ ხომ გვქონდა და გვაქვს კიდევ კარგი წიგნები. დაე, მათ გერმანელებიც გაეცნონ, მით უმეტეს, რომ ამ უკანასკნელთა შორის მოიპოვება ქართული ენისა და ქართული ლიტერატურის მოყვარულები. საზოგადოდ ბერლინის Staatsbibliothek-ის დათვალიერებამ ბევრი სასიამოვნო საათი განმაცდევინა. რა წესრიგია, რა კარგად არის მოწყობილი ყველაფერი, მაგრამ ამასთანავე ერთად, რა უამრავი ფულია დახარჯული, და ეხლაც იხარჯება, საქმის სათანადო სიმაღლეზე დასაყენებლად. და მე მომაგონდა ჩვენი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა — რომლის დირექტორადაც მე ვახლავართ — მისი ღარიბი ბიუჯეტით; მომაგონდა, რომ მისთვის თითქმის შეუძლებელია ახალი გამოცემების შექმნა, რომ მას მუდამ აკლია ყურნალები, და მეტად გართულებულია უცხოეთიდან წიგნების გამოწერის საქმე. მახარებდა მხოლოდ ერთი რამ — სახელდობრ ის, რომ, მიუხედავად ყველა ამისა და განსაკუთრებით, მიუხედავად ჩვენი აღმაშფოთებელი ნახევრად-სარდაფიანი სადგომისა, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკამ, თავისი 7 წლის არსებობის განმავლობაში, მაინც მიახნია რაღაც შედეგებს. საძირკველი ჩაყრილია. ეხლა კი ჩვენი ახალი თაობის საქმეა — ამ საძირკველზე სათანადო შენობის აგება!

მაგრამ, აი, მუზეუმიც. მას შემდეგ, რაც მე იგი აღარ მინახავს, მუზეუმი მეტად გაზრდილა და დიდად გამდიდრებულა ხელოვნების ახალი ძეგლებით. ეს, უმთავრესად, ეგვიპტეს განყოფილებას ეხება. მაგრამ რამოდენიმე კარგი საგანი მიმატებია ანტიური სკულპტურის წინანდელ საგანძურსაც. დავასახელებ მხოლოდ ეგრეთწოდებულ „Throneude Gottin“-ს. ქანდაკებაში გამოსახულია არქაული ტიპის მჯდომარე ქალღმერთი. ყველაზე უფრო იგი აკროპოლის „ქალწულებს“ მოგვაგონებს, მაგრამ მათ აღემატება მეტი დახვეწილობით და, განსაკუთრებით, იმ გამომეტყველებით, რომელიც მიუცია მისი სახისათვის ხელოვანს. მშვიდი დიდებამოსილება აღბეჭდილია ქალღმერთის სახეზე და მთელ მისს პოზაში: მაშინვე გრძნობთ, რომ თქვენს წინაშე რაღაც ზეკაცური რამ არის. უნდა დაუმატო, რომ ქანდაკება მუზეუმში მოხერხებულადაც არის მოთავსებული: მისთვის მიჩენილია საგანგებო პატარა ოთახი, და ამ ოთახში შესვლისთანავე თქვენ მაშინვე ჰხედავთ ქალღმერთს მთელი მისი სიმშვენიერით და თითქოს გრძნობთ თქვენს თავზე მის მშვიდსა და დიდებამოსილ მზერას, რომელიც სავსეა არაადამიანური უშფოთველობით. მე დიდხანს და არა ერთხელ ვტკბებოდი ამ ქანდაკებით (იგი მუზეუმს შეუძენია უკვე ომის დროს, მაგრამ სად — არ ვიცი) და, წარმოიდგინეთ, დროებით მიმავინყდა კიდევ ბერძნული პაპირუსები — ჩემი უმთავრესი მიზანი მუზეუმში ყოფნის დროს.

მაგრამ მალე პაპირუსებმაც მიმიზიდეს, და იქ, Papyrusabteilung-ში, მე მაშინვე სახლში ვიგრძენი თავი. განყოფილების გამგე, ჩემი ძველი ნაცნობი Prof. Willhelm Schubart-ი დამხვდა მე, როგორც ახლო ნათესავს. თითქოს ისევ დაგვიბრუნდა სიჭაბუკის შორეული წლები, როცა მე და ის ჯერ კიდევ ახალგაზრდა მეცნიერები, ვსწავლობდით პაპირუსებზე ან განსვენებული Dr. Fritz Krebs-ის ხელმძღვანელობით, ქვევით პატარა ოთახში, და როცა ჩვენ მაშინ ჩვენთვის დაუძლეველ სიძნელებებს ვხვდებოდით საბუთების ამოკითხვის დროს. მოგვაგონდა დანვრილებითი ამბები მაშინდელი ჩვენი ცხოვრებიდან, ძველი მეგობრები და ამხანაგები. რამდენი მათგანი გარდაიცვალა ამ ხნის განმავლობაში, რამდენი დაიღუპა უკანასკნელი ომის დროს! ჩვენ ხომ ყველანი, ვინც პაპირუსებზე ვმეცადინებოდით, ნამდვილ ინტერნაციონალურ საზოგადოებას წარმოვადგენდით. აქ შეხვდებოდით ფრანგებსაც, ინგლისელებსაც, ამერიკელებსაც, გერმანელები ხომ იყვნენ და იყვნენ! და ჩვენ ყველანი მეგობრულად ვცხოვრობდით, არასოდეს არ გვიფიქრია ჩვენ ეროვნულ შუღლზე: მეცნიერება გვაახლოვებდა ერთმანეთთან. ესლა კი? თითქმის აღარავინ არ დარჩენილა. ვართ მხოლოდ მე და შუბარტი, თუ არ ჩავთვლით რამდენსამე ჩვენს ღრმად მოხუცებულს მასწავლებელს. ომმა საშინლად გაანადგურა გერმანელ მეცნიერთა რიგები; ამის გამო საკმარისად აღარ მოიპოვება მუშა ხელი პაპირუსების დასამუშავებლად, ახალგაზრდა ძალები კი აღარ არის. შუბარტს ეგონა, რომ მე დიდხინით დავრჩებოდი ბერლინში, და წინდანინ ჰქონდა წარმოდგენილი, თუ როგორ შევუდგებოდი მე კვლავ ბერლინის მუზეუმის პაპირუსების გამოცემას, და რა კარგი იქნებოდა ეს: განმეორდებოდა ძველი დროის ამბავი. მეც, რასაკვირველია, მინდოდა ეს, მაგრამ ისევ წამოჰყო თავი ამ წყეულმა ფულის საკითხმა, და ერთადერთი რამ, რაც მე შეეძელი, ეს იყო ბერლინის ზოგიერთი პაპირუსების à vol d'oiseau გაცნობა და, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო, ახალი ლიტერატურის შესწავლა პაპიროლოგიაში. მე მაინც იმედი მაქვს, რომ მალე კვლავ ვნვევი ბერლინს, და მაშინ მე ისევ ხელს მივჰყოფ ჩემთვის საყვარელ მუშაობას, რომელიც ომმა და მისმა შედეგებმა შემანყვეტინეს. ჯერხანობით კი უნდა დავკმაყოფილდე ოცნებით და მის გადამუშავებით, რაც ჩემ ხელთ არის!

ბერლინის დანარჩენ შთაბეჭდილებებზე მე არაფერს ვიტყვი. ილაპარაკონ და სწერონ მათზე სხვებმა! მე კი მაინტერესებდა მხოლოდ და მხოლოდ მეცნიერება და ყველაფერი, რაც მასთან არის დაკავშირებული. და მე პირდაპირ უნდა განვაცხადო, რომ ამ მხრივ დასავლეთ ევროპაში ყველაფერი არა თუ რიგზეა, არამედ გაცილებით უკეთეს მდგომარეობაში. მეცნიერება ვითარდება სრულიად თავისუფლად, იგი იკაფავს ახალ გზებს. და მთლად აყვავებულია. მართალია, მას აქა-იქ არ ჰყოფნის მეცნიერები, არ მოეპოვება წინანდელი ქონებრივი საშუალებანი, მაგრამ ყველაფერი ეს არც ისეთს კვალს ამჩნევს აზროვნების მსვლელობაზე.

მაგრამ აი, დადგა კიდევაც ბერლინიდან ჩემი გამგზავრების დღე. მე ისევ Friedrichshof-ზე ვარ. მაცილებენ. გამოთქვამენ სურვილს და იმედებს, რომ ჩვენ მალე კვლავ შევხდებით ერთმანეთს. სულს რაღაც მნუხრის ბინდი გადაეფარა. არ მინდა, რომ ბერლინს მოვშორდე. მაგრამ მატარებელი ხომ არ მომიცდის. ვჯდები ვაგონში. მატარებელი დაიძრა. და კვლავ იწყება ყველაფერი ის, რაც მე უკვე განვიცადად იტალიისკენ მგზავრობის დროს. საზღვრები, საბაჟოები, ნივთების გაშინჯვა — რა მოსაწყენია ყველაფერი ეს! მეორედ გამოვლისას ყველა ეს ამბავი უფრო უსიამოვნო და მომაბზრებელი გეჩვენება. მე მაინც ვცდილობ — გულგრილობა დავიცვა. მაგრამ ვერ იქნა და ვერ დამშვიდდა ჩემი მეზობელი — გერმანელი, რომელიც თავისი საქმეების გამო მოსკოვს მიემგზავრება. მას აბრაზებს ლიტვისა და ლატვიის პატარა რესპუბლიკების ხილვა. „უყურეთ, უყურეთ“, მეუბნება იგი, „მათ არაფერი თავისი არა აქვთ. აი, ჩვენი ვაგონები, აი, კიდევ რუსულე-

ბიც! მათი არც რელსებია, არც სადგურები! არაფერი თავიანთი მათ არ გააჩნიათ: ყველაფერი ნაპარავია! სატახტო ქალაქი კოვნოა! აბა, რასა ჰგავს ეს? მერე როგორ იჭიმებიან! რა თავმომწონედ არიან! შეჭხედეთ თუნდ ამ ოფიცერს. კაცს ეგონება, რომ ის იმპერატორია! მას უფრო მალლა უჭირავს თავი, ვიდრე ჩვენს ყოფილ Kaiser-ს. როდის მოელეება ბოლო ყველაფერს ამას?“ და კიდევ დიდხანს ლელავდა ჩვენი გერმანელი, სანამ არ დაეძინა. მე მაცინებდა ყველაფერი ეს, მაგრამ არ უარვყოფ, რომ ბევრი მისი შენიშვნა სამართლიანი იყო. ავიღოთ თუნდ ეს თავმომწონეობა. იგი, მართლაც რომ, კომიკურია. ისინი თითქოს ამ მამლაყინაობით ცდილობენ დაფარონ თავიანთი შინაგანი სიცარიელე. და ბევრი ამგვარი კომიკური ხაზი შეგიძლიათ შეამჩნიოთ ლიტვისა და ლატვიის ტერიტორიაზე მგზავრობის დროს. საზოგადოდ ძალიან ცოტა რამეს ჰხედავ აქ სანუგეშოს. და, რაც ყველაზე უფრო გეცემა ადამიანის თვალში, ეს უალრესი სილატაკეა. ავიღოთ თუნდ მანძილი რიგიდან ოსტროვამდე. მგზავრმა რიგაშივე უნდა მოიმარაგოს სანოვაგე, რადგან სადგურებზე ხეირიანს ვერაფერს იშოვის. ეს მე ჩემ თავზე გამოვცადე, მხოლოდ რიგაა ძველებურად მოსაწონი. მაგრამ მასაც აკლია ძველი თავისი სიცოცხლე და მოძრაობა: ჩემზე რიგამ განგვირგვინებული დედოფლის შთაბეჭდილება მოახდინა. რალაც მოსაწყენობის, მეშწანობის ბეჭედი აზის მას და ამასთანავე გალატაკეებაც ემჩნევა. ერთი სიტყვით, რამდენადაც საინტერესოა დასავლეთი ევროპა, მთელი მის მიერ მოცემული შთაბეჭდილების სიჭრელით, იმდენადვე მოსაწყენია გზა ლატვიასა და ლიტვაზე. და სულ იმაზე ფიქრობ, რომ მალე გათავდეს ეს გზა. მატარებელი კი, თითქოს განზრახ, ნელნელა მიიზღაზნება...

*პროფ. გრიგოლ ნერეთელი*

## ბერგსონის მონიზმი

„ბერგსონის მსჯელობა აღბეჭდილია შეუსაბამობით და წინააღმდეგობით. ჩვენ მიერ ამ დისკუსიის დროს მითითებული სიძნელე შესაძლებელია ბერგსონმა გააქარწყლოს, როგორც წმინდა სახის აბსტრაქტული და ნაკლული ინტელექტუალიზმის წყალობით შექმნილი წარმოდგენა. ხოლო თუ კი ინტუიციამდე აღვმალდებით და სინამდვილეს ისე შევიცნობთ, როგორც არსებობს, მაშინ ყოველი სიძნელე გაჰქრება“, ამბობს რადაკრიშნანი ერთ-ერთს თავის წერილში ბერგსონის ფილოსოფიისთვის (Mind, July, 1907, p. 338). ვინც მხედველობაში მიიღებს ბერგსონის ფილოსოფიის თავისებურების, ახალ ფილოსოფიურს ლიტერატურაში გავრცელებულს, განმარტებათ, სრულიად დაგვეთანხმება, თუ რადაკრიშნანის ზემოდ მოყვანილს სიტყვებს ფრიად დამახასიათებლად დავსახავთ. მართლაც და, რას ვხედავთ აქ თუ არა ნათლად გამოთქმულს აზრს, რომ ბერგსონის ძირითადი პრინციპები, მართლაც, თავის შინაგან წინააღმდეგობას ამჟღავნებს, და რომ ეს წინააღმდეგობა და უსისტიემობა ჰქრება, როგორც კი ინტელექტუალიზმს უარსა ვყოფთ და ინტუიციას მივმართავთ.

აქ საქმე გვაქვს ინტელექტისა და ინტუიციის ურთიერთობისთვის ფრიად თავისებურს შეხედულებასთან. ირკვევა, რომ შემეცნების ამ ორი საშუალების ამგვარი დაპირდაპირება რადიკალურ, დამხმარ ღონისძიებად არის აღიარებული, რომელიც ბერგსონის აზროვნების წინააღმდეგ მიმართულს ყოველგვარ მოსალოდნელ იერიშს უიმედო და უშე-



დეგო განზრახვად აქცევს. მართლაც, რანაირად შეიძლება ინტუიციით მოპოვებული ჭეშმარიტების ღირებულების შეფასება, თუ ლოლიკური აზროვნება ამისთვის სრულიად შეუსაბამოა? მაგრამ რას უწოდებთ საზოგადოდ კრიტიკას, თუ არა ჩვენი შემეცნებითი მოქმედების რომელიმე შედეგის ცნობიერ შეფასებას! შესაძლებელია თუ არა ისეთი საშუალების გამონახვა, რომელიც ერთსა და იმავე დროს ცნობიერიც იყოს, და ლოლიკურს აზროვნებასთანაც არავითარი კავშირი ჰქონდეს? ყოველს შემთხვევაში, ბერგსონის რწმენის თანახმად (და აქ საზოგადოდ მხოლოდ ბერგსონის რწმენაზე ვლაპარაკობთ) სავსებით დამტკიცებულად უნდა ჩაითვალოს, რომ ყოველი ცნობიერი შემეცნებითი მოქმედება ლოლიკური აზროვნების სფეროა. თუ საკითხის ვითარება ამგვარია და ინტუიციისა და აზროვნების ზემოდ დახასიათებული დაპირდაპირება სწორი, ეჭვი არ არის, რომ ან უნდა სრულიად უკუვადგოთ კრიტიკის ყოველივე უფლება, ან თუ კრიტიკა შესაძლებელია, ინტუიციისა და აზროვნების აღნიშნული დაპირისპირება უსაფუძვლოდ უნდა ჩავთვალოთ და, მაშასადამე, ინტუიციის ყოველი შედეგი ლოლიკური აზროვნების სფეროში მოვათავსოთ. მეორეს მხრივ, თუ ინტუიციისა და ლოლიკური აზროვნების ურთიერთობა იმ სახისაა, როგორც იგი რადაკრიშნანს წარმოუდგენია, მაშინ ყოველივე ლოლიკური უკულმართობა ინტუიციის სახელით უნდა გავამართლოთ და ბერგსონის მთელი კვლევა-ძიების დასკვნები, რომელიც ბოლოს და ბოლოს ადეკვატურად წარმოსადგენ ინტუიტიურად მოპოვებულს ემყარება, იდეათა უაზრო ვარჯიშობად დავსახოთ.

ბერგსონის საკუთარი შეხედულება ინტუიციისა და ლოლიკური აზროვნების ურთიერთობის ცხადყოფისთვის, ჩვენის აზრით, მკაფიოდ მიგვითითებს პრობლემის ამოცნობის ერთადერთს შესაძლო მიმართულებას, ყოველს შემთხვევაში არა იმ გეზს, რომელსაც რადაკრიშნანი ხედავს.

უპირველესად ყოვლისა უნდა გვახსოვდეს, რომ ბერგსონის შეხედულების თანახმად, ინტუიციის შემეცნებით მოქმედებაზე ლაპარაკიც ზედმეტია, სანამ მას ლოლიკურად მიმართული აზროვნება არ უძღვის წინ: ყოველი შემდეგი ძიება მხოლოდ გონების იძულებით ხდება, ვინაიდან „არსებობს საგნები, რომელთა ძიება მარტო ინტელექტს შეუძლია... ამ საგნებს მხოლოდ ინსტიკტი აღმოაჩენდა, მაგრამ იგი მათ ძიებას ვერას დროს ვერ დაინწყებს“.<sup>1</sup> თეორიული აზროვნება გონების სფეროა, მაგრამ მის მიერ თეორიული ჭეშმარიტების ძიება სრულიად უნაყოფო; მხოლოდ ინტუიციის საშუალებით შეიძლება თეორიული ჭეშმარიტების მოპოვება, მაგრამ იგი პრაქტიკული ინტერესების ჯაჭვს ვერ გარღვევს, თუ მას გონება არ დაეხმარება.

მაგრამ აზროვნებისა და ინტუიციის ურთიერთობა მარტო ამით არ ამოიწურება. ბერგსონის აზრით, ინტუიციის თავისი ნეგატიური გავლენით ლოლიკური აზროვნების წრეში შეიჭრება: იგი სარგებლობს ინტელექტის მექანიზმით, რათა დაგვარწმუნოს, რომ ლოლიკური აზროვნება თავისი კატეგორიებით უძღურია მისწვდეს სინამდვილეს; გონების უძღურების აღმოჩენა მხოლოდ ამ გზით შეიძლება (Ev. 193). მაგრამ თუ, ამგვარად, ინტუიციისა ლოლიკური აზროვნების ნაკლულებასა და შეუსაბამობას ნათელჰყოფს, ცხადია, რომ მას არ შეუძლია ისეთი რამ გაგვითვალისწინოს, რაც ლოლიკურად სრულიად მიუღებელი იქნებოდა. წინააღმდეგს შემთხვევაში ან თვით ინტუიციის უძღურება აღგვეარება, ან და ინტუიტიურად მოპოვებულის როგორმე გადმოცემის შეუძლებლობა. პირველი არ არის სწორი, თორემ მაშინ ინტუიციის ყოველგვარს თავის შემეცნებით თეორიულს მნიშვნელობას დაჰკარგავდა; მაგრამ არც მეორეა სწორი, ვინაიდან მაშინ რითღა უნდა გავვემართლები ბერგსონის სამწერლო ასპარეზზე მოღვაწეობა!

1. H. Bergson, L'évolution créatrice XV éd. Paris, 1914.



ცხადია, რომ როლი, რომელსაც ბერგსონის ლოლიკურს აზროვნებას ანიჭებს მცირე მნიშვნელოვანი არ არის: განა ის თვითონ არ ლაპარაკობს, რომ დიალექტიკა მიტომას საჭირო ინტუიციისთვის, რომ იგი არგუმენტებს აძლევს მას და აგრეთვე მისი მონაპოვარის ცნებებში ჩამოყალიბებისა და სხვებისთვის გათვალისწინების შესაძლებლობასო!

მაგრამ განა ეს შესაძლებელი იქნებოდა, რომ ინტუიტიურად შეძენილ იდეათა ლოლიკური აზრებით გადმოცემა აუცილებელივ ამ გადმოცემულ იდეათ წინააღმდეგობითა და შეუსაბამობით აღბეჭდავდეს?!

ამის შემდეგ ცხადი უნდა იყოს ყველასთვის, რომ არა მხოლოდ მწერლობის ფაქტი და წესი ჩვენი ფილოსოფოსისა, არამედ მისი სიტყვებიც საუკეთესოდ მოწმობენ თუ რამდენად დაშორებულია იგი იმ აზრს, რომ ვითომ ინტუიტიური სულიერი მოქმედების შედეგების ლოლიკურად წარმოსადგენი ფორმით გადმოცემა და დამუშავება პრინციპიალურად შეუძლებელი იყოს. ჩვენის აზრით, ბერგსონის შეხედულება შემდეგნაირად უნდა განვმარტოთ: აზროვნება თავისი მიზნით აბსოლუტისადმი არის მიმართული, მაგრამ მას ვერ მიაღწევს. ინტუიცია კი, რომელმაც თავისთავად არაფერი იცის აბსოლუტის, მისწვდება მის წარმოსადგენ ფორმას, როგორც კი ლოლიკური აზროვნება ამის საბაზს მისცემს; შეასრულებს რა ამას, მხოლოდ იმავე ლოლიკური აზრების საშუალებით მოგვცემს მის სურათს. ხოლო აქ სახიფათოა გონებამ ინტუიტიურად შეძენილის საზღვრები არ გადალახოს, რასაც მართლა ვხედავთ როგორც კი ლოლიკური აზროვნება საკუთარ ფეხებზე დაყრდნობას მოისურვებს; მაგრამ ეს გარემოება ლოლიკური განხატების პრინციპიალურს შეუფერებლობას როდი მოწმობს, არამედ მისთვის ინტუიციის განუწყვეტელი დახმარების საჭიროებას; თუ გონება წინააღმდეგობასა და უსისტემობაში გაება, ეს იმის მაჩვენებელია, რომ მან ინტუიციით მოპოვებულის ნიადაგი დასტოვა და სცდილობს აბსოლუტს თავისი საკუთარი ძალებით მისწვდეს. მაშინ, ცხადია, კვლავ უნდა ინტუიციას დავუბრუნდეთ, რათა იდეათა მერყეობას თავი დავაღწიოთ. ინტუიციისა და გონების ურთიერთობის ამგვარი განმარტება ნათელსა ჰფენს ინტუიტიური ფილოსოფიის დარგში კრიტიკული მსჯელობის შესაძლებლობის პრობლემას. როდესაც ლოლიკურს აზროვნებას აბსოლუტიური ინტუიტიური შემეცნების დედა-გული ამოძრავებს, როდესაც იგი ყოველს ნაბიჯზე მისვე იმპულსს ემორჩილება, მაშინ, შეგვიძლია დარწმუნებულნი ვიყვეთ, რომ იგი ნამდვილი საქმის ვითარების სურათის გადმოცემას შესძლებს. მეორის მხრივ კი, თუ ლოლიკური მსჯელობით აბსოლუტის გათვალისწინების ცდა წინააღმდეგობისა და უაზრობის გარდა არაფერს გვაძლევს, ეს უნდა ან ინტუიციის ნაკლს ან მის სისუსტეს მივანეროთ, ყოველ შემთხვევაში, არა აბსოლუტის სფეროში ინტუიტიურად ნახულის გადმოცემისთვის ლოლიკური აზროვნების პრინციპიალურს შეუსაბამობას.

ამგვარად, ცხადია, რომ ინტუიტიურად შეძენილის გადმოცემა პრინციპიალურად შეუძლებელი არ არის და მაშასადამე, ყოველივე წინააღმდეგობა და შეუსაბამობა მუდამ თვით იდეათა ნაკლულებას ამჟღავნებს. ამიტომაც შეცთომა იქნებოდა ბერგსონის პოზიტიური შეხედულებანი ლოლიკურად უაზროდ დაგვესახა, ხოლო ინტუიციის სახელით გაგვემართლებია. გვაქვს თუ არა ნამდვილად რაიმე საბაბი ბერგსონის განწყობილება მონიზმის პრობლემისადმი წინააღმდეგობით და შეუსაბამობით სავსედ აღვიაროთ? ღირსაღლსანიშნავია, რომ, როგორცა სჩანს, სწორედ ეს პრობლემა ყველაზე მეტს გაუგებრობას ჰბადებს: შტეინბერგენს ჰსურს ბერგსონის ფილოსოფიაში მკაფიო დუალისტური მიდრეკილება აღმოაჩინოს; რადაკრიშნანი აქ დუალისტური და მონისტური ტენდენციის უშედეგო ბრძოლის სანახაობას ხედავს, სახელდობრ: ერთი შეხედვით, თითქოს დუალიზმი სინამდვილის ერთად-ერთი ბრძანებელი იყოს; შემდეგ კი ირკვევა, რომ იგი მოწოდებულია, მონიზმს თავისი ადგილი დაუთმოს; ხოლო ნათლად სჩანს, რომ დუალიზმი პრინცი-

პიალურად უძღურია ეს მოთხოვნილება დააკმაყოფილოს. როდესაც ბერგსონის აზროვნებას ითვალისწინებ, მართლაც, იძულებული ხდები, აღიარო, რომ სწორედ ეს დუალისტური ტენდენციაა, რაც მას თავისებურ იერს აძლევს.

„Données immédiates de la conscience“-ის მთავარი პრობლემა ნების თავისუფლების შესახებ ცხადყოფს იმ ძირითად, წინააღმდეგობას, რომელიც დროისა და სივრცის, მატერიისა და სულის შორის გადაუვალელი უფსკრულის სახით არსებობს. „Matière et mémoire“ მიმართულია არა ამ წინააღმდეგობათა შერიგების, არამედ მათი განმძაფრებისა და გაღრმავებისადმი. მხოლოდ „Evolution créatrice“-ში ხედავთ ამ წინააღმდეგობის შესუსტების პირველს ცდას ონტოლოგიური პრინციპის საშუალებით, რომელიც მონადინებულია გამოცდილების მოპირდაპირე პოლიუსები სინტეტიურად შეადულოს. მაგრამ ამავე დროს აქაც საგრძნობი სიმტკიცის მომენტებს ვხვდებით, რომელიც წინანდელ შრომების დუალიზმს კვლავ საფუძველს უმზადებს. რანაირია მატერიის და სულის არსებითი თვისება? ვულგარული დუალიზმი, რომელიც ინტელექტუალისტური გამოცდილების ზედაპირს კმაყოფილდება, მატერიისა და სულისთვის დამახასიათებელ თვისებათა სასტიკ განსხვავებას მიუთითებს, სახელდობრ: მაშინ, როდესაც იქ, ნივთიერებაში განფენილი კონტინუუმის სამყაროს სჭვრეტს, აქ სულიერობაში განუფენლობას აცხადებს უმთავრეს მომენტად. თუ ამ დაპირდაპირებას არ გავალრმავებთ და ვრცეულობისა და დროულობის განსხვავებას არ დაუკავშირებთ, მაშინ ნამდვილად მივიღებთ იმას, რითაც რეალობის ორი პოლიუსი უნდა დახასიათებულ იქმნეს. ამასთან ერთად მატერია დახასიათდება როგორც კვანტიტატური, სული კი, როგორც კვალიტატური. თუ ამას მატერიალურის აუცილებლობასა და კანონშენიშნობას, ხოლო სულიერის თავისუფლებას დაურთავთ, საბოლოოთ ნათელსა ვყოფთ მატერიისა და სულის შორის არსებულს განსხვავებას. თუ ამ დაპირდაპირებულ თავისებათა კვლევას გავალრმავებთ, მყისვე დავინახავთ, რომ ხსენებულ თვისებათა დაპირდაპირება ვრცეულობასა და დროულობას, პასივობასა და აქტივობას, შემოქმედებით თავისუფლებასა და თვითმყოფ მექანიზმს შორის არსებულს მკაცრ ანტოგონიზმად გარდაიქმნება. გასაგებია ამიტომ, რომ ბერგსონი მატერიასა და სულს შორის არსებულ წინააღმდეგობას ამ ორი პრინციპის წარუხოცველს მტრულ განწყობილებას უკავშირებს.

როგორც კი გავითვალისწინებთ თუ რა მნიშვნელობა აქვს ზრდისა და შემოქმედებითი ევოლუციის იდეას ბერგსონის ფილოსოფიაში, ჩვენს წინაშე აღიმართება საკითხი, თუ სად უნდა ვეძიოთ ის არე, სადაც ევოლუციის პროცესში მატერიისა და სულის წინააღმდეგობა იბადება. ცხადია, რომ ინდივიდუალური ცხოვრება, „მე“-ს ზრდა და განვითარება არარაობა იქმნებოდა, რომ მატერიისა და სულის შორის ანტაგონიზმი არ არსებობდეს: განა მართალი არ არის, რომ ჩვენს საკუთარს სრულყოფას იმ დაბრკოლებათა დაძლევიტ ვპოულობთ, რომელთაც მატერია გვიმზადებს? მატერია უნდა ინდივიდუალური არსებობის ევოლუციის შესაძლებლობის უცილო წინამძღვრად ჩაითვალოს. თუ საზოგადოდ ცხოვრებას თვალს გადავავლებთ, აქაც მატერიისა და სულის შორის იმავე ბრძოლას შევხვდებით, ხოლო აქ იგი კოსმიური მნიშვნელობის საფეხურს აღწევს. ცალკე არსთა და მათი ევოლუციის დეტალური შესწავლის საშუალებით ბერგსონი ზოგად მსოფლმხედველობას ასაბუთებს, რომლის მიხედვითაც სიცოცხლე მატერიის სანინააღმდეგოდ მიმართულს შემოქმედებით ნაკადათ უნდა დაისახოს. „უხეში მატერიის წინააღმდეგობა ის დაბრკოლებაა, რომელიც უნდა დაძლეულ ყოფილიყო უპირველესად“ (Ev. 107). სიცოცხლის შემდეგი განვითარება მას სულის მატერიაში შეჭრის შეუჩერებელ პროცესად ეჩვენება: „...მთელი ცხოვრება წარმოგვიდგება მისწრაფებად, რომელიც იხნვის ენერგიას თავი მოუყაროს და შემდეგ იგი მოქნილს, ცვალებად არხებში დაჰვანტოს და მათ განაპირას ზღვარდაუდებელი, მრავალფეროვანი საკუთარი მუშაობა აწარმოვოს. აი ერ-

თის დაკვრით რის მოპოვება სურს მატერიაში შექრილს ცხოვრების სწრაფვას“ (Ev. 275). მისი (სულის) სწრაფვა მუდამ მიმართულია ისეთი ორგანოს მოწყობისადმი, რომელიც „ნამდვილი განუსაზღვრელობის აუზი“ შეიქმნებოდა. — მოკლედ, მატერია ევოლუციის აუცილებელ პირობად არის ცნობილი, უიმისოდ ცხოვრება არ იქმნებოდა.

მაგრამ თუ მატერიისა და სულის კონტრასტი ევოლუციის ცნებისთვის მართლაც ეგზომ მნიშვნელოვანია, სჩანს, რომ ან უნდა სრულიად უკუვაგდოთ ევოლუციის ცნება ან და მკაფიოთ გამოთქმული დუალიზმი მივილოთ. ბერგსონი არც ერთსა და არც მეორეს არ ჩადის: იგი გარკვეული ქმნადობის ფილოსოფიის ნიადაგზე რჩება და სწორედ ამის გამო დუალიზმი საფუძვლიანად შერყეულად მიაჩნია. ამის შემდეგ, თითქოს მას მხოლოდ ერთი გზა-ლა დარჩენია — მონიზმის ცნობა. მაგრამ აქ კვლავ ახალი ამოცანა წამოჰყოფს თავს, ან ორ დაპირდაპირებულ პრინციპის შერიგება ან და მესამე პრინციპის გამონახვა, რომელსაც ორთავე ეყრდნობა. მკაფიოდ აღბეჭდილი სპირიტუალისტური ტენდენციის გამო სულის მატერიით შეცვლა ბერგსონისათვის სრულიად მიუღებელია: მატერიალიზმი მას პრობლემის ამოცნობისათვის არ გამოადგება; მაგრამ ეს სრულიად არ მოასწავებს, რომ ამგვარი მნიშვნელობა წმინდა სპირიტუალიზმს შეიძლება მიენეროს. სული მისთვის ხომ შემოქმედებითი ევოლუციაა. მაგრამ უკანასკნელი მატერიის წინააღმდეგობას მიგვითითებს: სული უმატერიოთ არ არსებობს. ამგვარად, საჭიროა ორივე მონიზმალმდევე პრინციპი მესამეს დაუკავშიროთ, რაც არც მატერიაა და არც სული, მაგრამ რაც ორივეს საფუძვლად უდევს. როგორც ვიცით, ბერგსონი ამ პრინციპს „ზეცნობიერებას“ უწოდებს: „თუ ჩვენი ანალიზი სწორია, — ამბობს ის, — ცხოვრების სათავეში სდგას ცნობიერება ან ზეცნობიერება.“ მისთვის სულის და მატერიის პირველწყარო რეალობის ამ დასაბამ პრინციპშია მოთავსებული. მაგრამ აქ იბადება საკითხი, როგორ უნდა ავხსნათ, რომ ზეცნობიერება, რომელიც, მაშ, არავითარს წინააღმდეგობას არ ხვდება, თავის შინაარსს ავითარებს, ევოლუციაში შლის. ბერგსონმა ხომ მატერია ევოლუციის შესაძლებლობის აუცილებელ წინამძღვრად გამოაცხადა და მეორე მხრივ კი იგი (მატერია) ზეცნობიერებიდან გამოიყვანა! ამაზე რადაკრიშნანი სრულიად სამართლიანად შენიშნავს: „ჩვენ ვკითხულობთ, თუ დასაბამ ზეცნობიერებისა ან პირველ ყოფილი სულისთვის შესაძლებელია ცხოვრებით ან მატერიით ცხადყოფა, უცხო ძალის არსებობის გარეშე, რატომ არ შეგვიძლიან ვთქვათ, რომ ცხოვრება დედა-მინის ზურგზე ამგვართავე სწარმოებს? თუ ზეცნობიერება ცალკე ტოტებს აღმოაცენს, ყოველი დამაბრკოლებელი მედიუმის გარეშე თავის ევოლუციას გამოსჭედს, რატომ უნდა ვიფიქროთ, რომ ამ პლანეტის ცხოვრების ევოლუცია დამაბრკოლებელ წინააღმდეგობას საჭიროებს, რათა იგი მთელი თავისი შესაძლებლობით გამოჩნდეს“.<sup>1</sup>

ეჭვი არ არის, ამ სიძნელის დაძლევა დუალიზმისკენ დაბრუნებას მოითხოვს, რათა ამ გზით ევოლუციის შესაძლებლობა დასაბუთდეს. მე ვფიქრობ, სწორედ ეს გარემოებაა, რომ ბერგსონის კრიტიკოსთა ცნობიერებას განსაზღვრულ მიმართულებას აძლევს, როდესაც იძულებულად გრძნობენ თავს, ბერგსონის ფილოსოფიაში ცხადი დუალისტური მიდრეკილება დაადასტურონ.

როგორც „Matière et mémoire“, აგრეთვე განსაკუთრებით „Evolution créatrice“-ში ბერგსონი ხსენებულს პრობლემას დეტალურად განიხილავს; ირკვევა, რომ როგორც მატერია აგრეთვე სულიც უნდა თავისებურ მოძრაობად წარმოვიდგინოთ, სახელდობრ: ორ ისეთ მოძრაობად, რომელნიც ერთმანეთს არსებითად ეწინააღმდეგება. მაგრამ თუ აქ ორს ერთმანეთის წინააღმდეგ მებრძოლ მოძრაობას დავინახავთ, მაშინ მართლაც, იძულებული

1. Mind. p. 336, 103. 1907.

ვიქნებით კვლავ დუალიზმს დაუბრუნდეთ. ბერგსონს თითქოს ჰსურს, მატერიას თავისი რეალობა სრულიად წაართვას, ვინაიდან იგი მას ნეგატიურ მოძრაობად აქვს წარმოდგენილი: „ცხოვრება მოძრაობაა, მატერია უკუმოდრაობაა“; იგი თავს იჩენს, სადაც კი რეალობის პოზიტიური მოძრაობა შეჩერდება. „მატერია დამოუკიდებელი მოძრაობა არ არის, არამედ ცხოვრების აღმართი მოძრაობის უბრალო უკუბრუნვა“. ეს გარემოება, ბერგსონის კრიტიკოსთა აზრით, საკმარისად მონმობს, რომ ბერგსონმა, რომელიც მატერიას უბრალო ილიუზიით სთვლის, არ ძალუძს გამოირკვიოს, თუ რანაირად შეიძლება ერთი პოზიტიური პროცესისგან მეორე, აგრეთვე პოზიტიური, მართალია, წინააღმდეგი მიმართულების, მაგრამ მაინც პოზიტიური პროცესის წარმოშობა.

ამგვარად, საქმის მდგომარეობა ასე ისახება:

1. ყოველი ევოლუცია ჰგულისხმობს მატერიის არსებობას.

2. რეალობის პირველადი პრინციპი ზეცნობიერებაა, რომელიც მატერიას არა უკან, არამედ წინ უძღვის და ამის გამო ევოლუციის შესაძლებლობას ვერ ასაბუთებს.

3. სული პოზიტიური მოძრაობაა; მატერია კი, მართალია, პოზიტიური მოძრაობა არ არის, მაგრამ მაინც პოზიტიურ პროცესათაა წარმოდგენილი, რაც უნდა წინააღმდეგობად ჩაითვალოს.

ვინც აღნიშნულ დებულებათ გაიზიარებს, მას თითქმის არავითარი უფლება არ ექნება, მათი შედეგები უარჰყოს: მაშინ ბერგსონის მიერ მონიზმის პრობლემის გარკვევა, მართლაც, უნდა სრულიად გაბათილებულად აღვიაროთ. საკითხის გადასაჭრელად უკეთესი იქნება, თუ ამ დებულებათა ანალიზის დროს სწორედ ბერგსონის აზროვნების ძირითად ტენდენციით ვიხელმძღვანელებთ. სხვა მხრივ ბერგსონის ჩვენი პრობლემისადმი ნამდვილი დამოკიდებულება ჩვენთვის განუფანტველ ბურუსში დარჩება.

უწინარეს ყოვლისა, უნდა ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ მას, ვისაც ბერგსონის მატერიის კონცეპციაზე საფუძვლიანი მსჯელობა ჰსურს, მუდამ თვალში მისი მსოფლმხედველობის ევოლუციონისტიური იერი უნდა იქონიოს. მაშინ სრულიად ნათელი შეიქმნება, რომ არც მატერიას და არც სულს, როგორც განცალკევებულს, თავიანთი არსებითი თვისებით დამთავრებულს რეალობას არ უნდა შევხედოთ. თუ ამ პრინციპებს ერთმანეთს უპირდაპირებთ, მხოლოდ როგორც ევოლუციის მიმართულების სხვადასხვა მიდრეკილებას და არა მის პროცესში განცალკევებულ სხვადასხვა საგანს და მოვლენას. თუ მატერიას თავისი არსებითი თვისებით ჰომოგენური სივრცის ცნების წრეში მოვათავსებთ, ეს მხოლოდ იმ აზრით, რომ აქ ლაპარაკია არა სრული გაიგივების, არამედ მართლმოდენ იმ მიმართულების ნიშნებისთვის, რომლისკენაც მატერიალობის განვითარება იხრება. ამგვარად, ჰომოგენური სივრცე უნდა დაუბოლოვებლად მიმზიდველ და არასდროს სრულიად მისაღწევ უკიდურეს საზღვრად დავსახოთ. მატერია და ჰომოგენური სივრცე არასდროს ერთმანეთს არა ჰფარავენ და მატერიის ზემოდ ნახსენები თვისებანი მხოლოდ-ლა დაახლოებითობისა, ეგებისობის ნისლში იკარგებიან. „მართალია, მატერია ჰომოგენური სივრცისკენ ისწრაფის, მაგრამ მას საბოლოოთ ვერასდროს ვერ აღწევს“ (Ev. créat. 177). გარკვეულობას და მკაფიო საგნობრიობას მატერიას მხოლოდ ინტელექტი ანიჭებს, როდესაც მას თავის ჰომოგენური სივრცის ქსელს გადააფარებს.

თუ ინტუიტიურად მატერიის გაგებას შევეცდებით, თვალწინ სულ სხვა სურათი წარმოგვიდგება: „თუ გავითვალისწინებთ მატერიას, რომელიც პირველად სივრცეში გვერევა, დავინახავთ, რომ რამდენადაც მეტს ვაკვირდებით, იმდენად მისი, ჩვენის აზრით, შეკონინებული ნაწილები ერთმანეთში შეიჭრება და ყოველი მათგანი განიცდის მთელის მოქმედებას, რომელიც, მაშასადამე, მათშია ამა თუ იმ სახით წარმოდგენილი. ამგვარად, მართალია, მატერიის გაშლა სივრცის მიმართულებით სწარმოებს, მაგრამ იგი მას სავე-



ბით ვერ აღწევს“ (Ev. créat.226). და ეს კი იმას მეტყველებს, რომ მართალია, მატერია თავისი ტენდენციით სულისადმი აბსოლუტურად დაპირდაპირებული გვეჩვენება, მაგრამ ნამდვილად მასთან რაღაც საერთო რამ აქვს.

თუ ეხლა სულს განვიხილავთ, დავინახავთ, რომ იგი არსებითად მხოლოდ შემოქმედებითი თავისუფლების სახით წარმოგვიდგება, რომელსაც მატერიის განყოფადებასა და ნაწილთა შეკონინებასთან არავითარი დამოკიდებულება არა აქვს.

იგი წმინდა ხანიერობაა, მასთან ვრცეულობას საქმე არა აქვს. მაგრამ ეს აბსოლუტური კონტრასტი სულსა და მატერიას შორის მხოლოდ პრინციპიალურად არსებობს, სინამდვილეში კი საქმე მარტოდენ ტენდენციებთან გვაქვს. სულიერი ცხოვრება წმინდა ხანიერებად მხოლოდ იშვიათად ცხადდება: „მომეტებულს შემთხვევაში ჩვენი ნამდვილი „მე“-ს გარეშე ვცხოვრობთ. ჩვენ მხოლოდ ჩვენი საკუთარი „მე“-ს ლანდს, ჩრდილს ვამჩნევთ, რომელსაც წმინდა ხანიერება ჰომოგენურ სივრცეში ისვრის“. ამგვარად, ჩვენი არსებობა უფრო სივრცეშია განფენილი, ვიდრე დროში. ჩვენ უფრო გარე სამყაროსთვის ვცხოვრობთ, ვიდრე ჩვენთვის. წუთები, როდესაც ჩვენს თავს შევიცნობთ, იშვიათია და ამიტომ იშვიათად ვართ თავისუფალი. უეჭველია, რომ თუ მატერიაში რასმე სულიერისას აღმოვაჩინთ, სულშიც აგრეთვე რასმე მატერიალურს ვპოვებთ. წმინდა მატერია და წმინდა სულიც ტენდენციით უნდა იქმნეს წარმოდგენილი. ვერც მატერიას და ვერც სულს საბოლოოდ დამთავრებულ და გამიჯნულად ვერ დავსახავთ. აზრი, თითქოს ყველაფერი არსებული ერთხელ და სამუდამოდ მოცემულია — რაც დასაბამით არსებული მრავალფეროვანი მატერიის ანუ ღვთაების სახით შემოქმედებითი აქტის მიღებას გვაგალებს — ბერგსონის აზრით, ცრუ რწმენაა, რომელიც სამუდამოდ გამომზეურებულ და უარყოფილ უნდა იქმნეს. რეალობა უფრო ორგვარ ტენდენციით გვეცხადება და არა ორ განსხვავებულ, დასაბამით განსაზღვრულ პრინციპად, რომელიც მატერიალობისა და სულიერების დუალიზმის მყარ საფუძველს ჰქმნის.

მაშ, შეგვიძლია ვსთქვათ, რომ საქმე განსაზღვრულ პრინციპთა დუალიზმთან კი არა გვაქვს, არამედ ერთმანეთისადმი დაპირდაპირებულ ტენდენციებთან. ამგვარად, სჩანს, ბერგსონს ჰსურს, ჩვეულებრივს დუალიზმს შეებრძოლოს, რათა, თუნდაც სხვა ნილაბით, მას უკეთესი შემავლობა განუმზადოს. მაგრამ მაშინ სრულიად წარმოუდგენელი იქნებოდა ჩვენს ზეცნობიერებაში ორი, სავსებით განსხვავებული, ტენდენციის შეთავსება. მოსალოდნელია, მაშინ საქმე სპინოზას სუბსტანციის ანალოგონთან გვექნებოდა, რომელიც აგრეთვე აზროვნებისა და განფენილობის დაპირდაპირებული ატრიბუტებით არის აღჭურვილი. მაგრამ უფრო დეტალური დაკვირვება არსებითად სულ სხვა მდგომარეობას ამჟღავნებს. რა გვაქვს ტენდენციად წარმოდგენილი, როდესაც იძულებული ვართ, სინამდვილე მისვე ორგვარობას დაუკავშიროთ? ბერგსონის ინტუიტიური ფილოსოფიის თანახმად ამ პრობლემის გახსნასაც უნდა ინტუიციის გზით შევეცადოთ: „რაც უფრო მეტად დაუახლოვებთ ჩვენს პროგრესიულს განვითარებას წმინდა დროულობას, მით უმეტესად ვგრძნობთ, რომ ჩვენი არსების სხვადასხვა ნაწილები ერთმანეთს ერთვის და ხდება მთელი ჩვენი პიროვნების კონცენტრაცია ერთ წერტილად, უკეთესია, ერთ წამახულად, რომელიც მომავალს შეეთავსება და მარად კვეთს მას. ეს არის ცხოვრება და თავისუფალი მოქმედება. პირიქით, მოქმედების მაგიერ, ვიოცნებოთ. ჩვენი „მე“ მყისვე განიბნევა; აქამდე ჩვენთვის განუყოფელ იმპულსად შედუღებული ჩვენი წარსული, ურთიერთ გარე-მსრბოლ, ათასსა და ათიათასს მოგონებად იშლება, რომელნიც რამდენადაც მეტს გამყარდებიან, იმდენად ურთიერთ-შეჭრას იუარებენ. ამგვარად, ჩვენი პიროვნება კვლავ სივრცისკენ მიიმართება“ (Ev. 219). ან და კიდევ: როდესაც პოეტი თავის ლექსებს მიკითხავს, შემოძლია, საკმაოდ დაინტერესებული ვიყო მისი პიროვნებით, რათა მისი აზრებით განვიმსჭვალო, მის გრძნობათ შევეთავსო და მის სიტყვებში და ფრაზებში გაბნე-



ული მარტივი მდგომარეობა განვაახლო. ამ დროს მე თანაუგრძნობ მის შთაგონებას, მას მივსდევ უწყვეტი მოძრაობით, რომელიც თვით შთაგონების მსგავსად განუყოფელი აქტია. მაგრამ საკმარისია, ჩემი ყურადღება შევაჩერო, მოვადუნო ის, რაც ჩემს შორის განსხიპრული იყო, რომ აქამდე გრძნობაში ჩაგებულ ბგერათ თავიანთი თანამიმდევრობითი მატერიალური კაფობა დაჰკარგონ“ (Ev. 228). მოკლედ, ყველგან, სადაც კი სულიერს ცხოვრებაში ხსენებული ორი ტენდენცია იჩენს თავს, იმავე დროს ვამჩნევთ, რომ აქ საქმე გვაქვს მხოლოდ სულის დაძაბულობის მოდიფიკაციასთან: თუ იგი კონცენტრიულია, ფიზიკური ცხოვრება თავისუფალ, მთლიან, მოძრავ პროცესად გაიშლება; თუ იგი ცოტაოდნად ირღვევა, მყისვე მატერიალობისადმი ტენდენცია აღმოჩნდება. ამგვარად, „ვრცეულება სხვა არაფერია, თუ არა დაძაბულობის შეწყვეტა. ცხადია აგრეთვე, რომ მატერიისა და სულის დუალიზმის საფუძველი ტენდენციათა ორგვარობა მხოლოდ დაძაბულობის, თავისთავად რელატიურს, ბუნებას უნდა დაუკავშიროთ. დაძაბულობა ხომ ცნებაა, რომელიც აუცილებლივ თავისთავად ცვალებას, სახელდობრ ხარისხოვანს ცვალებას ჰგულისხმობს. თუ ზეცნობიერებას სინამდვილის ონტოლოგიურ პრინციპად აღვიარებთ, თავისთავად ცხადი შეიქმნება, რომ იგი ორი ტენდენციით არის აღჭურვილი; ეს კი იმას ნიშნავს, რომ მისი სწრაფვა აუცილებლად დაძაბულხარისხოვანია.<sup>1</sup>

ეხლა ნათლად სჩანს, რომ ზემოდ აღნიშნული აზრები, რომელსაც დუალიზმის პრობლემის განუვალობას ამყარებდნენ, თავის მნიშვნელობას ჰკარგავს: ამის შემდეგ აზრი აღარა აქვს ლაპარაკს, რომ რეალობის დასაბამითი პრინციპი (ზე-ცნობიერება) მატერიას უკან კი არა, წინ უძღვის და, ვინაიდან მატერიის წინააღმდეგობის გარეშე ევოლუცია შეუძლებელია, იგი (ე. ი. ევოლუცია) დაუსაბუთებლად რჩება. მაგრამ წინ თუ უკან მდევარი მატერიისთვის მხოლოდ მაშინ გვექნებოდა ლაპარაკის უფლება, თუ რომ იგი განსაზღვრულ რეალობად იქნებოდა წარმოდგენილი. ხოლო ზეცნობიერება, რომელიც აუცილებლივ დაძაბულობის მოდიფიკაციის ცნებას შეიცავს, არც წმინდა სულიერია და არც მატერიალური, როგორც დაძაბულობის ხარისხი, იგი აგრეთვე მატერიალურია, როგორც სულიერი, სახელდობრ: დაძაბულობის უმაღლეს ხარისხთან შედარებით იგი მატერიალურია, მაგრამ შედარებით მის უფრო მდაბალ ხარისხთან — სულიერი. მოკლედ, დროს ყოველს წერტილში რეალობა ერთსა და იმავე დროს სულიერიც არის და მატერიალურიც. ვინაიდან იგი ამა თუ იმ ხარისხით არის დაძაბული. აგრეთვე აზრი არ აქვს მსჯელობას წმინდა სულიერობისა თუ წმინდა მატერიალობისთვის, ვინაიდან წმინდა სულიერობა აბსოლუტურს დაძაბულობას ჰგულისხმობს; მაგრამ აბსოლუტური დაძაბულობა წარმოუდგენელია, რადგან დაძაბულობა „ინტენსიური“ და მაშასადამე, აუცილებლად რელატიური ცნებაა. რაც შეეხება წმინდა მატერიალობას, მისი შესაძლებლობისთვის არსებითად სხვა არა ითქმის რა, ვინაიდან წმინდა მატერიალობა დაძაბულობის სრულს მოსპობასა ნიშნავს, ე. ი. რეალობის და, რასაკვირველია, მასთან ერთად მატერიალობის სრულს მოსპობას. — ამგვარად ვხედავთ, რომ ბერგსონის ინტუიტივიზმს ვულგარულს დუალიზმთან ან მონიზმთან საერთო არა აქვს რა და სიძნელენი, რომელთაც სპინოზა და ლაიბნიცი ესოდენი გონება-მასვილობით ებრძოდნენ, მხოლოდ აბსოლუტურ-ინტელექტუალურ თვალთახედვის შეზღუდულებას უნდა მივანებოთ. ევოლუციონისტური და ინტუიტიური თვალსაზრისთვის, მგონია, შესაძლებელი უნდა იყოს თავისებური პრინციპის მიღება, რომელიც დუალი ტენდენციის ცნებას შეიცავს და ამით ვულგარული დუალიზმისა და მონიზმისაგან დარჩენილ სიძნელეთ და ცრუ პრობლემათ ნიადაგს გამოაცლის.

პროფ. დ. უზნაძე

1. შეად. დ. უზნაძე, ბერგსონის ფილოსოფია, გვ. 237 და შემ. ტფილისი, 1920.

## ქართული დამწერლობათამცოდნეობა ანუ პალეოგრაფია

პროფ. გრიგოლ ფილემონის ძეს წერეთელს ვუძღვნი ღრმა პატივისცემითა და სიყვარულით ამ ჩემ შრომას

### წინასიტყვაობა

წინამდებარე გამოკვლევა „ქართული დამწერლობათამცოდნეობა ანუ პალეოგრაფია“ დაწყებული მქონდა 1914 წ., როდესაც პეტერბურგის უნივერსიტეტში ქართული ეპიგრაფიკის კურსის კითხვას შევუდექი, მაგრამ შევსებული და დამთავრებული მაქვს 1918—1921 წ.წ. ჩვენი უნივერსიტეტის გახსნის შემდგომ, სადაც ამ ხნის განმავლობაში სხვათა შორის ქართული პალეოგრაფიის კურსსაც ვკითხულობდი. ეხლა ეს გამოკვლევა იბეჭდება. ქართული სიგელთამცოდნეობის ანუ დიპლომატიკისა და ქართული საფას-საზომთა-მცოდნეობის ანუ ნუმისმატიკა-მეტროლოგიის წიგნების მსგავსად ეს ქართული დამწერლობათამცოდნეობის წიგნიც ჩემი შრომის „ისტორიის მიზნისა და მეთოდების“ მესამე წიგნის იმ ნაწილადა მაქვს განკუთვნილი, რომელიც საისტორიო მეცნიერების დამხმარე დარგებს ეხება.

ამ ქართული პალეოგრაფიის შესახებ ჩემ შრომას ვუძღვნი ცნობილ ქართველ ელინისტსა და განთქმულ პალეოგრაფს პროფ. გრიგოლ ფილემონის ძეს წერეთელს, რომელიც ჩვენს უნივერსიტეტს ამშვენებს და ჩვენი მეცნიერების აღორძინების მონაწილეა.

ტფილისი, 1925, 9 თებ.

### თავი პირველი

#### პალეოგრაფიული ცოდნის მიზანი და თანამედროვე მიღწეულობანი

წერის ხელოვნებას ქართულად დამწერლობა ეწოდებოდა და ამიტომ ამ ძველ ქართულ ტერმინზე დამყარებული დამწერლობათამცოდნეობა მნიშვნელობით ევროპიულ მეცნიერებაში მიღებულ პალეოგრაფიას უდრის. დამწერლობათამცოდნეობის მიზანსა და დანიშნულებას წერილობითი ძეგლების გარეგანი, ნივთიერი მხარის შესწავლა შეადგენს: მათი საწერი მასალისა და ასოთა მოხაზულობის გამოკვლევა, ნაწერის ნაკითხვა და დაფასება-განსაზღვრა აქვს ნაკისრები. რათგან წერილობითი ძეგლები ხშირად დაზიანებული და უთარილოა ხოლმე, პალეოგრაფიას ანუ დამწერლობათამცოდნეობას ამგვარი ძეგლების ქრონოლოგიურად განსაზღვრა და დათარილება უხდება. ამ მოთხოვნილებამ თავისდათავად დამწერლობის განვითარების ყველა საფეხურების, მისი ისტორიული თავგადასავლის შესწავლას ხელი შეუწყო და ამ სამეცნიერო დარგის უპირველეს, არსებით მოვალეობად გახადა. ასეთი მიზნის მქონებელს, რასაკვირველია მას თვით დამწერლობის წარმოშობის საკითხიც თავისი კვლევა-ძიების ქვაკუთხედად უნდა გაეხადა.

თუ იმ გარემოებას გავითვალისწინებთ, რომ კაცობრიობის უტყუარი, ზედმინევენი-თი ისტორია მხოლოდ დამწერლობის გაჩენის შემდგომ იწყება და ამა თუ იმ ერის წარსულის ნამდვილი თავგადასავლის მარტო წერილობითი ძეგლების შესწავლის დახმარებით შეიძლება, დამწერლობათამცოდნეობის დამხმარე სამეცნიერო დარგის უაღრესი მნიშვნელობა ყველა საისტორიო მეცნიერებათათვის ცხადი შეიქმნება: ისტორიისა, მწერლობისა, ხელოვნებისა, ენათმეცნიერებისა, სამართლისა და ეკონომიური ისტორიისათვის წარმოებული კვლევა-ძიების აუცილებელი პირველი საფეხურია. ამიტომ არის, რომ

პალეოგრაფიას განსაკუთრებული ყურადღება უნდა ჰქონდეს მიქცეული და ზოგიერთ დარგთან, როგორც მაგ., სიგელთამცოდნეობასთან, ასე მჭიდროდ იყო დაკავშირებული.

დამწერლობათამცოდნეობის სამეცნიერო კვლევა-ძიების ნამდვილი დამწყებელი გამოჩენილი ფრანგი მკვლევარი Mabillon-ი იყო, რომელიც თავის 1681 წ. გამოსულ შესანიშნავ შრომაში დიპლომატიკის ანუ სიგელთამცოდნეობის შესახებ „De re diplomatica libri VI“, მეოთხე თავში საწერი მასალისა და დამწერლობის სხვადასხვა სახეობას არკვევდა. მაგრამ მაბილონს ამ სამეცნიერო ცოდნისათვის არავითარი განსაკუთრებული სახელი არ შეუქმნია. პალეოგრაფიის ნამდვილი დამაარსებელი და მომნათვლელი მეორე გამოჩენილი ფრანგი მეცნიერი Montfaucon-ი იყო, რომელმაც 1708 წ. გამოაქვეყნა თავისი დიდებული ნაწარმოები „Paleographia graeca sive de ortu et progressu litterarum“ ბერძნული პალეოგრაფია ანუ ასოთა წარმოშობისა და განვითარების შესახებ.

მე-XIX ს. პირველ მეოთხედამდე დამწერლობათამცოდნეობა მაინც სიგელთამცოდნეობასთან ანუ დიპლომატიკასთან იყო მჭიდროდ დაკავშირებული და რათგან ამ უკანასკნელი სამეცნიერო დარგის შესახებ უკვე იბეჭდება ჩემი გამოკვლევა „სიგელთამცოდნეობა ანუ დიპლომატიკა საზოგადოდ და მეტადრე ქართული“, რომელშიაც დიპლომატიკასთან დაკავშირებული პალეოგრაფიული ცოდნის თავგადასავალიც არის მოკლედ გადაშლილი, ამიტომ ამ საგანზე აქ საუბრის გავრძელება ზედმეტად მიმაჩნია.

მხოლოდ 1821 წ. საფრანგეთში დაარსებულმა „École royale des chartes“ შეუწყო ხელი პალეოგრაფიის მუდმივ განვითარებას. უკვე 1838 წ. გამოვიდა de Waillys-ის „Éléments de paléographie“, ხოლო ერთი წლის შემდგომ A. Chassants-ის „Paléographie des chartes et des manuscrits du XI au XVII siècle. ამავე წელს დაიწყო J. B. Silvestre-ის ძვირფასი ოთხ ტომიანი მსოფლიო პალეოგრაფიის ალბომი, მშვენიერი ფაქსიმილებით შემკული Paléographie universelle. Collection de facsimilés d'écriture de tous les peuples et de tous les temps avec notices par Champollion-Figraç“ (1839-1841 წ.).

ამგვარივე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა დამწერლობათამცოდნეობის წარმატებისათვის გერმანიაში Monumenta Germaniae historica-ს გამოცემის დაწყებას და 1854 წ. ავსტრიაში „Institut für öst reichische Geschichtsforschung“ ავსტრიის საისტორიო კვლევა-ძიების ინსტიტუტის დაარსებას. ამ სამმა შესანიშნავმა დაწესებულებამ პალეოგრაფია და დიპლომატიკა თავის საგანგებო კვლევა-ძიების მიზნად აქციეს და უაღრეს სამეცნიერო ზედმინევილობამდის აამაღლეს.

რათგან დამწერლობათამცოდნეობის თანამედროვე მკვლევართა შრომები ამ თავის სხვადასხვა ადგილას და საგანგებოდ ბოლოში დართულ ბიბლიოგრაფიაში არის მოთავსებული, ამიტომ ამაზე აქ სიტყვას არ გავაგრძელებთ.

დამწერლობათამცოდნეობა ორ მთავარ დარგად იყოფება: ეპიგრაფიკად, ანუ წარწერათამცოდნეობად და საკუთრივ პალეოგრაფიად ანუ ხელითწერილობათამცოდნეობად.

წარწერათამცოდნეობა მხოლოდ წარწერების გარეგანს, ფორმალურ მხარეს, მარტო წარწერის მოხაზულობასა და წარწერებში მიღებულ ფორმულებს იკვლევს ხოლმე. მათი ენისა და შინაარსის მხრივ განხილვა-განმარტება-კი ენათმეცნიერებისა და ფილოლოგიის, ან სხვა სათანადო სამეცნიერო დარგის საქმეა.

იგივე უნდა ითქვას ხელითწერილობათამცოდნეობაზე ანუ საკუთრივ პალეოგრაფიაზე: ისიც ნაწერის მხოლოდ ტექნიკურს, მოხაზულობითს მხარეს იკვლევს და იმ მასალას, რომელზედაც და რომლითაც ესა თუ ის ნაწერი აღბეჭდილია. ძეგლის შინაარსს პალეოგრაფია არ ეხება და აქაც მოქმედების ასპარეზი ენათმეცნიერებას, დიპლომატიკას, ფილოლოგიას, ისტორიას ანუ სხვა სათანადო სამეცნიერო დარგსა აქვს დათმობილი.

რაკი ეპიგრაფიკაცა და პალეოგრაფიაც ნაწერის გარეგან მხარეს, ასოთა მოხაზულობათა მოყვანილობას იკვლევს უმთავრესად, ამ მხრივ მათ შორის თითქოს არსებითი

განსხვავება არ არის და ორივე შესაძლებელი იყო შეერთებულიყო. მაგრამ ეპიგრაფიკა ანუ წარწერათამცოდნეობა მაგარ, მკვრივ მასალაზე, ქვა-ლითონზე აღბეჭდილ ნაწერს იხდის თავის შესწავლის საგნად, პალეოგრაფია-კი თხელ და ნაზ მასალაზე, ხელითა და საღებავით ნაწერს იკვლევს ხოლმე გრაფიკული მოხაზულობის თვალსაზრისით. შინაარსის მხრით შესაძლებელია წარწერასა და ხელთნაწერშიაც ერთნაირი ძეგლი იყოს, მაგ. შეწირულობის, ან ალაპის წიგნი, მაგრამ თავისი გარეგანი თვისებებით, გრაფიკულად მათ შორის დიდი განსხვავება იქნება და წარწერისა და სიგელის ნაწერს თავისი თვალსაჩინო დამახასიათებელი თვისებები მოეპოვება, რომელთა საგანგებო ცოდნაა საჭირო.

ნაწერის მოხაზულობის ნიშანდობლივი თვისებურობა წარწერებსა და ხელთნაწერებში სახმარი იარაღისა და საწერი მასალის სხვაობის შედეგია. წარწერები მკვეთრი იარაღით არის ხოლმე ამოკვეთილი თუ ამოყვანილი. რათგან ამისთვის მასალად მაგარი საგანი — ქვა, ლითონი, ძვალი, ან ხე იყო ჩვეულებრივ ნახმარი და მასალის სიმტკიცე-სიმაგრის გამო მკვეთელი იარაღის მოძრაობისათვის ორთავე ხელის მოხმარება და ძალა იყო საჭირო, ამიტომ ასოთა მოხაზულობას თავისებურობა ენიჭებოდა, ძეგლის ხასიათი ჰქონდა ხოლმე. ეს გარემოება — სახელდობრ, წარწერათა და ხელითნაწერთათვის სახმარი მასალა-იარაღის სრული სხვაობა, — ეპიგრაფიკასა ანუ წარწერათამცოდნეობასა და პალეოგრაფიას ანუ ხელითნაწერთამცოდნეობას ზოგადი დამწერლობათამცოდნეობის ცალ-ცალკე სპეციალობად ჰქმნის.

მაგრამ რაკი ეპიგრაფიკასა და პალეოგრაფიას თავთავიანთ განსაკუთრებულ სარბიელს გარდა ასოთა მოხაზულობის განვითარების შესწავლის დროს საერთო მიზანი და სამუშაოც აქვთ, ამიტომ უფრო მიზანშეწონილი იქმნებოდა, რომ დამწერლობათამცოდნეობა ორ მთავარ ნაწილად გაგვეყო: ზოგად, თეორიულ და სპეციალურ პრაქტიკულ დამწერლობათამცოდნეობად. თეორიული დამწერლობათამცოდნეობა ამ სამეცნიერო დარგის ზოგად საკითხებს უნდა არკვევდეს, სახელდობრ, ანბანის წარმოშობისა, თანდათან განვითარებისა, ცვლილებათა ფაქტორებისა და საერთო დამახასიათებელ თვისებების, საწერი მასალისა და წერის ხელოვნების შესწავლას, დასასრულ, უთარილო ძეგლების პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით დათარიღების მეთოდოლოგიას უნდა შეიცავდეს, პრაქტიკული კიდეც დამწერლობის ისტორიის ყოველ ნიშანდობლივ თვისებათა და თავისებურების და თვით წერითი ხელობის წმინდა ტექნიკურ მხარეებს არკვევდეს.

წინამდებარე გამოკვლევა მხოლოდ ქართული დამწერლობათამცოდნეობის სამეცნიერო დარგისათვის საძირკვლის ჩაყრის პირველი ცდაა. მისი საგანი მარტო ქართული პალეოგრაფიაა. მაგრამ რათგან ქართული ანბანის წარმოშობის საკითხი სხვა ერთა პალეოგრაფიის ცნობების გათვალისწინება-შედარებასაც აუცილებლად ხდის, ამიტომ მკითხველისათვის რომ ამ გამოკვლევაში მსჯელობის მიმდინარეობა უფრო ადვილად გასაგები გახდეს და მისი საფუძვლიანობისა თუ უსაფუძვლობის შესახებ განსჯის საშუალება ჰქონდეს, უნდა ბერძნულ-რომაული და მეტადრე მახლობელი აღმოსავლეთის პალეოგრაფიული ცოდნის თანამედროვე დონეს მოკლე მიმოხილვა წამეძღვანებინა წინ. იგი სრული არ არის და აქ მხოლოდ ის საკითხებია გაშუქებული, რომელთა ცოდნა ქართული დამწერლობათამცოდნეობის გასაგებად აუცილებლად საჭირო იყო.

დამწერლობის განვითარებას კაცობრიობის ისტორიაში, პირველყოფილ მდგომარეობას რომ თავი დავანებოთ, სამი მთავარი საფეხური ჰქონია. უუძველეს საფეხურად ცნებათადამწერლობითი, ე. წ. იდეოგრაფიული, ხატოვანი დამწერლობა ანუ, როგორც ბერძნები უწოდებენ, „ჰიეროგლიფები“ უნდა ჩაითვალოს, როდესაც აზრი სურათის საშუალებით იყო ხოლმე აღბეჭდილი და თვითოეულ სიტყვას მისი სურათის მხაზველობითი წესით წარმომდგენი ცალკე ნიშანი გამოჰხატავდა. ამგვარი დამწერლობა იცოდენ მაგ. ეგვიპტელებმა, რომელთაც მწერლობის ძეგლები უკვე 4000 წ. ქ. წ. უნდა ქონოდათ. თავი-



სებური, ეგვიპტურისაგან დამოუკიდებელი დამუშავებული, ხატოვანი დამწერლობა ხეტებსაც ჰქონდათ ძველი დროითგანვე. ჩინელების დამწერლობაც უუძველესი ხატოვანისაგან არის განვითარებული. ამერიკაში მცხოვრებ ადგილობრივ მკვიდრთაც თავისებური სისტემის ხატოვანი დამწერლობა სცოდნიათ.

დამწერლობის შემდეგ საფეხურად ხაზოვან-მარცვლოვანი დამწერლობა უნდა ჩაითვალოს, რომელშიაც ყოველ მარცვლისათვის ხაზების საშუალებით შექმნილი ცალკე ნიშანი არსებობს. ამგვარად, ყოველი სიტყვისათვის ცალკე ნიშნის მაგიერ, როგორც ხატოვან ცნებათადამწერლობასა ჰქონდა, სილაბურს ანუ მარცვალთადამწერლობაში სიტყვებს ჯერ მარცვლებად ჰყოფდნენ, ხოლო შემდეგ თვითოეული მარცვლისათვის მიკუთვნილი ნიშნის ერთიმეორის გვერდით დასმით ამათუიმ სიტყვას სწერდნენ ხოლმე. მარცვლოვან დამწერლობათა შორის განთქმულია ე. წ. ლურსმული დამწერლობა, რომელშიაც მარცვლების გამომხატველი ნიშნებისთვის ლურსმის მსგავსი ხაზების ჯგუფები იხმარებოდა. თავდაპირველად იქაც, სადაც ხაზოვან-მარცვლოვანი დამწერლობა განსაკუთრებით იყო მიღებული, მას ხატოვანი დამწერლობა უძლოდა ნინ და ხაზოვანი დამწერლობა მხოლოდ ხატოვანის სქემატურად გამარტივებულ განვითარებას წარმოადგენს. ეს ჩინური დამწერლობის ისტორიითაც მტკიცდება (იხ. M. Ph. Berger, *Histoire de l'écriture dans l'antiquité*, Paris, MDCCCXCI, გვ. 41—43) და ლურსმულის ისტორიითაც, რომელიც აგრეთვე ცნებათადამწერლობითი საფეხურის მერმინდელი განვითარებაა (იხ. იქვე, 68—77). მარცვალთადამწერლობითი სისტემა მარტო ქალდეველთ, ასურელებსა და ბაბილონელთ კი არ ჰქონდათ, არამედ მათგან შეთვისებით სპარსელებს, ურარტელებს და ბევრს სხვებსაც. თვით ბერძნებსაც კი კვიპროსზე თავდაპირველად მარცვლოვანი დამწერლობა ჰქონიათ (Dr. W. Larfeld, *Griechische Epigraphik* 3, Aufl., 1914 წ., გვ. 200—203).

თუმცა **ბაბილონელთა** სამწერლობო ძეგლები ეგვიპტელებისას წლოვანობით ჩამოუვარდებიან, მაგრამ მაინც უუძველეს დროითგან იწყება და ბაბილონელთა დამწერლობის ნიმუშები 2900—2800 წ. წ. უნდა ეკუთვნოდნენ.

ერთ დროს ლურსმული დამწერლობა მთელ მახლობელ აღმოსავლეთში და თვით აფრიკაშიაც იყო საყოველთაოდ გავრცელებული და იხმარებოდა სხვადასხვა სახელმწიფოთა ურთიერთშორის მიწერმონერის დროს.

დამწერლობის მესამესა და თანაც უალრეს განვითარებას ბგერითი, ანბანური დამწერლობა წარმოადგენს. უძველეს ამგვარ დამწერლობად წინათაც და ეხლაც **ფინიკიელთა** ითვლება, რომელნიც მისი გამომგონნი თუ არა, მაინც და მაინც მნიშვნელობის საუკეთესო შემგნებელნი და გამავრცელებელნი იყვნენ. თუ გავითვალისწინებთ, რომ ბერძნული ანბანისაგან უშუალოთ ყველა ევროპიული ანბანების წარმომშობი ლათინური ანბანი წარმოსდგა, ხოლო თვით ბერძნული ფინიკიელთაგან არის ნასესხები, მაშინ ცხადი გახდება ის დიადი მნიშვნელობა, რომელიც ფინიკიურ ანბანს კაცობრიობის წინაშე მიუძღვის.

მართალია, ზოგიერთი მეცნიერნი ამტკიცებენ, ვითომც ბერძნული ანბანი არამეულითგან იყოს წარმომდგარი, მაგრამ თვით ბერძნები, მაგ. ჰეროდოტე ბერძნული ანბანის გამომგონედ კადმოსს ფინიკიელსა სთვლიდა (V, 58) და ასოებს  $\phi\omicron\iota\upsilon\chi\eta\iota\alpha$   $\chi\rho\acute{\alpha}\mu\mu\alpha\tau\alpha$  ფინიკიურს ასოებს უწოდებდა. ერთ წარწერაშიც ნახმარია  $\chi\rho\acute{\alpha}\mu\mu\alpha\tau\alpha$   $\phi\omicron\iota\upsilon\chi\iota\alpha$  ასონი ფინიკიურნი, ხოლო ფილო ბიბლოსელს დანერილი ქონდა  $\pi\epsilon\rho\iota$   $\sigma\tau\omicron\iota\chi\acute{\iota}\omega\varsigma$   $\phi\omicron\iota\upsilon\chi\iota\omega\varsigma$  ფინიკიურ ასოთათვის. პოეტს ლუკანსაც ანბანის პირველ შემომღებლებად ფინიკიელნი ჰყავს დასახელებული თავის შემდეგს ლექსში:

„Phoenices primi, famae si creditur, ansi  
Mansuram rudibus vocem signasse figuris  
Nondum flumineas Memphis contextere biblos



Noverat, et saxis tantum, volucresque feraeque  
 Sculptaque servabant magicas animalia linguas“  
 (Larfeld Gr. Epigraphik 204 და Gardthausen Gr. Paleogr. II<sup>2</sup>, 24).

თვით ფინიკიელთა ანბანის სადაურობის საკითხი თუმცა საკამათოა და ზოგს, როგორც მაგ. დეეკესა და ჰომმელს, მისი სათავე ლურსმულ დამწერლობაში ეგულება, ზოგი ევანსივით კრიტოსის დამწერლობას ადარებს, ზოგი (ედ. მაფერი) კიდევ ხეთების ხატოვან დამწერლობას უკავშირებს (იხ. Gardthausen Gr. Paleographie II, 10—21), მაგრამ ძველად ბერძენ და რომაელ მეცნიერთა და ისტორიკოსთა დამწერლობაში ფინიკიელნი ეგვიპტელთა მონაფეხად მიაჩნდათ. ტაციტს ეს აზრი და დამწერლობის განვითარების მთავარი საფეხურები სრული სიმკაფიობით აქვს გამოთქმული: „Primi per figuras animalium Aegyptii sensus mentis effingebant (ea antiquissima monumenta memoriae humanae inpressa saxis cernuntur) et litterarum semet inventores perhibent: deinde Phoenicas quia mari praepollebant, intulisse Graeciae gloriamque adeptos, tamquam reppererint quae acceperant. Quippe fama est Cadmum classe Phoenicum vectum rudibus adhuc Graecorum populis artis eius auctorem fuisse“ (Ann. 11,14).

ერთგვარი მიახლოებით გადანყვეტილია საკითხი იმის შესახებ, თუ როდის უნდა გაჩენილიყო პირველად ანბანური ბგერათდამწერლობა. რათგან ტელ-ელ-ამარნის მე-XIV ს. ქ. წ. მრავალ ძეგლთა შორის არც ერთი ანბანური დამწერლობის ძეგლი არ მოიპოვება, ეს ლიდზბარსკის (Lidzbarski Ephemeris für semitische Epigraphik I, 110) აზრით იმის დამამტკიცებლად უნდა ჩაითვალოს, რომ მაშინ 1400 წ. ქ. წ. ჯერ ანბანური წერა არ არსებობდა (Gardthausen II, 26-27). თუ ასე გადაჭრით თქმა ძნელია, ის მაინც ცხადია, რომ ზემოაღნიშნული გარემოება უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ 1400 წ. თუნდაც ანბანური დამწერლობა სადმე უკვე ყოფილიყო, ის მაშინ იმდენად განუვითარებელი და მოუხეშავი უნდა ყოფილიყო, რომ მისი ხმარება ფიქრად არავის მოსდიოდა.

**მოაბურ-ფინიკიური ანბანთდამწერლობითი უძველესი ძეგლი მესას წარწერაა, რომელიც დიდი ზედმინვენლობით შეიძლება დათარიღებული იყოს და დაახლოებით 890 წ. ქ. წ. უნდა იყოს შედგენილი.** გამოჩენილი გერმანელი მეცნიერის პროფ. თ. ნიოლდეკეს სამართლიანი დაკვირვებით მესას წარწერის ასოთა მოხაზულობის კარგი და მტკიცე ჩამონაკვთილობა ცხად-ჰყოფს, რომ ფინიკიელებს დიდი ხანია უკვე დამწერლობა უნდა ჰქონოდათ და მისი დასაწყისი, რასაკვირველია, გაცილებით უფრო ადრე, რამდენიმე საუკუნით უწინარეს უნდა ვიგულისხმოთ. თვით დროის განსაზღვრის გამო მეცნიერთა შორის თანხმობა არ სუფევს. მაგრამ უმეტესობას ანბანური დამწერლობის დასაწყისის ხანად დაახლოებით მე-XII-XI ს. მიაჩნიათ ქ. წ. (Gardthausen Gr. Palaeogr. II, 27).

**ბერძნული** ანბანის ფინიკიურისაგან წამომდინარეობას სრული უეჭველობით შემდეგი სამი გარემოება ამტკიცებს: ჯერ ერთი ბერძნული დამწერლობის უძველეს ძეგლებში ყველა ასოთა მოხაზულობა ფინიკიური ანბანისას გასაოცრად წააგავს, მრავალ შემთხვევაში-კი მათი სრული იგივეობა სუფევს. აი, მაგ. მოაბიტურ-ფინიკიურისა და ბერძნული ანბანების შედარებითი ტაბულა ისე, როგორც ლარფელდს თავის ბერძნულ ეპიგრაფიკაში (იხ. Tabel III), ფ. ბერჟეს თავის ცნობილს შრომაში დამწერლობის ისტორიის შესახებ (გვ. 142 — შემდეგი) და გ'არდტჰაუზენს ბერძნულს პალეოგრაფიაში (II, 4) აქვთ წარმოდგენილი (იხ. ტაბულა I').

შემდეგ ბერძნული ანბანის ფინიკიურ-სემური ანბანისაგან წარმომდინარეობას ასოთა ბერძნული სახელებიც ცხად-ჰყოფენ, რათგან ეს სახელები ბერძნული კი არა, არამედ ფინიკიურ-სემურია, მხოლოდ ოდნავ გადასხვაფერებული, მაგ.: ა — ალფ, რაც ხარსა ჰნიშნავს, ბერძნულად ალფა; ბ — ბეტ, ე. ი. სახლი, ბერძნულად ბეტა; გ — გიმელ (აქლემი), ბერძ. გამმა,

1. ტაბულები მოთავსდება „ახალი კავკასიონი“-ს შემდეგ ნომერში.

გემმა; დ — დალექ (კარი), ბერძ. დელტა, ჰ — ჰე, ბერძ. ეჰ; ვ — ვაუ (კავი), ბერძ. ვავ; ზ — ზან, ბერძ. ძეტა; ჰ — ჰეთ, ბერძ. ეტა; თ — თეთ, ბერძ. თეტა; ი — იოდ (ხელი), ბერძ. იოტა; კ — კაფ, ბერძ. კაპა; ლ — ლამედ (არნივი), ბერძ. ლამბდა; მ — მემ, მიმ, ბერძ. მი; ნ — ნუნ (თევზი), ბერძ. ნუ, ნო; ს — სამექ, ბერძ. სიგმა; ფ — ფე (პირი), ბერძ. პეი, პი; კ — კოფ, ბერძ. კოპა; რ — რემ (თავი), ბერძ. ჰრო; შ — შინ (კბილი), ბერძ. სან; ტ — ტაუ (ჯვარი), ბერძ. ტაუ.

დასასრულ აღსანიშნავია, რომ ბერძნული ანბანის ასოთა რიგი მერმინდელ დანართ ასოთა გარდა სწორედ ფინიკურ-სემურ ანბანის ასოთა რიგს მისდევს (Larfeld. Cr. Egipr. 205-206).

თავდაპირველად ბერძნების ანბანი სემიანთა ანბანივით 22 ასოსაგან შესდგებოდა, რომელიც ფონეტიკურად ორ მთავარ ჯგუფად იყოფოდა. თვითოეული ჯგუფთაგანი 11 ნიშანს შეიცავდა (1—11 და 12—22) და Mediae-თი (Beth, Gimel, Daleth), ან Liquidae-თი (Lamed, Mêm, Nun) იწყებოდა. პირველ ჯგუფს თავში მხოლოდ ალფ უძღვის წინ, ხოლო ბოლოში + ჯვარის ნიშანი, რომელიც დასასრულის ნიშნად გამოდის (ლარფელდი, 205-206).

რათგან „ალფ“ ხარსა ნიშნავს და ხარი ვითარცა რქოსანი პირუტყვი ეგვიპტელებსა და მთვარის თაყვანისმცემელ ერებსაც წმინდა, საზვარაკო ცხოველად მიაჩნდათ, შესაძლებელია, გვეფიქრა, რომ ასოთა რიგში პირველად ხარის „ალფ“-ის გამომხატველ ნიშანს ერთგვარი სარწმუნოებრივი დედააზრი, ვედრების გამომხატველი დანიშნულება ჰქონიყო, იმგვარადვე, როგორც ქრისტიანობის შემდგომ ყოველივე ნაწერი ჩვეულებრივ + ჯვარის ნიშნით იწყებოდა. ამგვარად, გარკვეულ პრინციპების მიხედვით დალაგებულ სემიანთა ანბანი ბერძნებსაც სწორედ ამავე დალაგებულებით შეუთვისებიათ. ასოთა თანამიმდევნეობის მტკიცე რიგი სემიანთა ანბანში ცხადად ირკვევა ებრაელთა აკროსტიხული მწერლობის საშუალებით (იხ. ფსალმუნი 111, 119, 145, იერემიას გოდება 1—4, იგვანი 31, 10, 10—31 და ნაკლულევანი ფსალმუნები 9, 10, 25, 34, 37). ბერძნული ანბანის რიგები თვით ანბანურად დალაგებული ასოთა რამოდენიმე შენახული ნიმუშებითგან ჩანს (იხ. ლარფელდის ბერძ. ეპიგრაფიკა 205, 218).

ბერძნების მიერ შეთვისებული 22 ბგერისათვის ნიშნების შემცველი სემიანთა ანბანი ბერძნული ენის ბგერათა გამოსახატავად საკმარისი არ იყო, თანაც მას რამდენიმე ისეთი ასო ჰქონდა, რომლის მსგავსი ბგერა ბერძნულს არ მოეპოვებოდა. აკლდა დასასრულ ამ ანბანს ხმოვანების გამომხატველი ნიშნებიც. ამის გამო ბერძენთა სამწერლობო მოღვაწეობას უნდა ყველა ეს ნაკლი შეეწოს და ბერძნული ენის ბგერათა შესატყვისი ნიშნები შეექმნა.

ხმოვანთა გამოსახატავად გამოყენებული იყო მშვინავ ბგერათა ნიშნები, რომელთა მსგავსიც ბერძნებს არ ჰქონდათ. ამგვარად „ა“-ნის აღსანიშნავად „ალფ“ ი შემოიღეს და „ჰე“ — მოკლე და გრძელი ენის, ეფსილონისა და „ეტას“ გამოსახატავად და „ანნი“ — მოკლე და გრძელი „ო“-ნის, ომიკრონისათვის და ომეგისათვის, ხოლო „ჲოდ“-ი „ინის“ გადმომცემ ასოდ იქცა. „ჲ“ ნახევარხმოვან ჲოტის, j-ს აღსანიშნავად ბერძნულში არავითარი ასო არ იყო შემოღებული, რაც ცხად-ჰყოფს, რომ იმ დროს, როდესაც ხმოვანთათვის ბერძნები ნიშნების ძებნას შეუდგნენ, ნახევარხმოვანი „ჲ“ ბერძნულში უკვე გამქრალი უნდა ყოფილიყო (ლარფელდი გვერ. 214). ფ. პრეტორიუსისა არ იყოს სემიან თანხმოვანთა ასოების ბერძნულ ხმოვანთა გამომხატველ ასოებად გადაქცევის ეს პროცესი ბუნებრივად უნდა მომხდარიყო, რათგან რაკი ბერძნებს ამ ბგერათა წინამორბედი სპირიტუსის გამოთქმა არ შეეძლოთ, ამ ასოების სახელები „ალფ“, „ჰე“, „ანნი“, „ჲოდ“ ხმოვანებად უნდა მოსჩვენებოდათ და გაეგოთ (იქვე).

სემიანთა ანბანის ბერძნულისათვის მოგვარება-შევისების პროცესი, რასაკვირველია, ერთბაშად და საზოგადოდ ერთგზის არ მომხდარა, არამედ თანდათანობით, დროთა და ხანგრძლივ გამოცდილების განმავლობაში უნდა შემუშავებულიყო. ცნობილია, რომ ყველაზე გვიან მოკლე და გრძელი „ონის“-ათვის იყო საგანგებო ნიშნები შემოღებული. მაგრამ

ეს ბერძნული ანბანის უკანასკნელი ნიშანი გრძელი ონის, ომეგას ასო მილეტის რიცხვით ანბანს უკვე 700 წ. ქ. წ. შეთვისებული ჰქონია, ამიტომ ცხადი ხდება, რომ სხვა უფრო ადრინდელ შემოღებულ ასოთა დრო ამაზე გაცილებით უფრო უნინარეს, ქ. მილეტის დაარსებისა და მე-VIII ს. ნახევრის შუა ათეულებში უნდა ვიგულისხმოთ ქ. წ. (Larfeld, 240-241).

ბერძნული რიცხვთანბანის უძველესი დამთავრებული სახე 27 ასოსგან შესდგება, რომელთა საშუალებით 1—900-მდე ერთეულის გამოსახვა შეიძლება. აი მათი ასორიცხვითი მნიშვნელობა (იხ. ტაბულა I).

ლარფელდის აზრით, ამგვარი რიცხვანბანი მილეტში მე-VIII ს. დამლევს მაინცდამაინც უნდა ყოფილიყო. იგი აღმოსავლეთ საბერძნეთის შემოღებული უნდა იყოს, რათგან ფ, ქ და ფს-ის რიგობრივი მიდევნილობა ამის ცხადი მაჩვენებელია (იქვე, გვ. 293-294).

ბერძნული დამწერლობის ჩვენამდის მოღწეული უძველესი ძეგლები მე-VII ს. დამდეგს ქ. წ. არა სცილდებიან. თვით ბერძნები 776 წ. ქ. წ. მიაწერდნენ ოლიმპიელ ძლევაშისილთა შესახებ ცნობების შემცველ მატეანეს. მაგრამ, რა დროს ჩნდება პირველად ბერძნული ანბანური დამწერლობა, ამის შესახებ მეცნიერთა შორის სრული უთანხმოებაა. ზოგნი, როგორც მაგ. ლარფელდი, ფიქრობენ, რომ ფინიკიელთ ბერძნებისათვის ანბანის სწავლება მხოლოდ მე-XIV—XI სს. შეეძლოთ ქ. წ., დაახლოვებით მე-XI ს-ში (Gr. Epigr. 207—209). გარტჰაუზენს-კი ყველა ამგვარი შეხედულების მეცნიერთა აზრი და საბუთიანობა არ აკმაყოფილებს და მათი დებულება საეჭვოდ მიაჩნია. მისი შეხედულებით ფრთხილ მკვლევარს მე-IX ს.-ზე უნინარეს ბერძნულ ანბანთდამწერლობის არსებობისათვის არავითარი სანდო საბუთები და კვალი არ მოეპოვება (Gr. Pale gr. II, 28—34).

**ფინიკიელთა დამწერლობის უძველეს ძეგლად 1876 წ. კვიპრის კუნძულზე ნაპოვნი ბრინჯაოს ჭურჭლის ნაპირზე ამოჭრილი წარწერა ითვლება, რომელიც სიდონის მეფის ჰირამის მსახურისაგან ღვთაება ბაალ-ლებანისადმი მიძღვნილობას შეიცავს.** თუმცა ეს წარწერა უთარილოა, მაგრამ ასოთა მოხაზულობით ისე წააგავს მოაბის მესის წარწერისას, რომ თუ ეს უკანასკნელი ძეგლი 890 წ. ახლო ხანებში ითვლება დაწერილად, კვიპრის ბრინჯაოს ჭურჭლის წარწერაც დაახლოვებით 800 წ. უნდა მიეკუთვნოს ქ. წ. ამ უძველესი წარწერის სურათი მოთავსებულია Corpus Inscriptionum Semiticarum-ში (1 — Partie, t. I, №5) და M. Pr. Berger-ის Histoire de l'écriture dans l'antiquité. Paris. 1891 წ., გვ. 122 და 123). შემდეგ ამავე დროის ძეგლებად უმთავრესად წვრილი წარწერიანი ნივთები და ბეჭედიან ჯერ მიჩნეული. დიდი მანძილის მერმე, ფინიკიური წარწერა 650—595 წ. ქ. დროინდელი იპსამბულის დიდი ტაძრის კოლოსის მუხლებზე ამოკანრული წარწერაა (ბერჟეს თხზ., გვ. 170-171). დაახლოვებით ამავე ხანას მე-VI-V ს. ეკუთვნის ბებლოსის ტაძრის სვეტის წარწერაც, რომელზედაც სპარსულად გამოწყობილი მეფე ჯეჰაუმელექია გამოქანდაკებული თავის დედოფლის ეგვიპტელთა ღვთაების სახით წარმოდგენილი ბაალატ-გებალისადმი გამარჯვების ძღვნის მიმართმევი. ამ წარწერათა დამწერლობას გარდამავალი ხასიათი და მოხაზულობა აქვს (ბერჟეს თხზ., გვ. 171-172).

400—100 წ. ქ. წ. ფინიკიელთა დამწერლობა უკვე სრულებით ჩამოყალიბებულია: ასოებს მოხაზულობის მხრივ მცირედი ცვალებადობა ემჩნევა. განსხვავება უფრო საგრძნობია კუთხობრივ-ადგილობრივ პირობებისდა მიხედვით. სამი განსხვავებული სახეობის დამწერლობაა ამ ნიადაგზე წარმოშობილი: **სიდონური, კვიპრული და კართაგენული.** მაგრამ მათ შორის მაინცდამაინც ძალიან დიდი განსხვავება არაა. სიდონური დამწერლობის ნიმუშად ესმუნაზარის სარკოფაგზე ამოჭრილი წარწერა ითვლება, რომელიც 380 წ. ახლო ხანებისად არის მიჩნეული ქ. წ. და მოთავსებული CIS<sup>1</sup> I, №3 და ბერჟეს თხზულებაში (გვ. 172—175). ფინიკიელთა ამ ხანის დამწერლობას სიმკვირცხლე და მოქნილობა

1. შემოკლებით ყოველთვის სამი მთავარი ასოთი CIS აღინიშნება ხოლმე

ემჩნევა, რაც კალმის ხმარებისა და გაკრული ხელით ხშირი ვარჯიშობის შედეგი უნდა იყოს (იქვე, გვ. 177).

146 წ. ქ. წ. რომ კართაგენი რომაელებმა გაანადგურეს, ამ დროითგან მოყოლებული ახალი პირობების წყალობით ფინიკიურ დამწერლობას დიდი ცვლილება დაეცყო ისე, რომ ასი წლის შემდეგ ასოთა მოხაზულობა უკვე თვალსაჩინოდ იყო შეცვლილი და ახალი **ნეო-პუნურად**, აგრედვე **ნუმიდურპუნურად ანუ ახალპუნურად** (l'écriture néo-punique ou numidicopunique) **წოდებული დამწერლობა** შეიქნა. პოლიტიკურ ახალ გარემოების გარდა გაკრულ ხელს აქაც დამწერლობის ჩამონაკეთვის დროს ფრიად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა (ბერჟე, გვ. 178—185). სარდინიაშიც ნაპოვნია ლათინურად და ახალ-პუნურად დაწერილი წარწერა (იქვე, გვ. 179 და CIS I, №149). საყურადღებოა, რომ ამ დამწერლობაში თხზული ასოებიც იხმარება (ბერჟე, გვ. 184-185). ახალ-პუნურმა დამწერლობამ შედარებით დიდი ხანგრძლივობა გამოიჩინა და აფრიკეთის მთელ ფინიკიელთა შორის იყო გავრცელებული მე-IV ს-მდე ქ. შ. (ბერჟე, გვ. 186-187 და აქ ტაბულა 2).

მე-IX-VIII ს. **ებრაული** ანბანი ქანაანელთა ანბანად მიჩნეული **ფინიკიელთა ანბანს ძალიან მიაგავდა**. ამგვარი დამწერლობა შემდეგშიაც იხმარებოდა, თვით მე-IV—I ს. ქ. წ-თაც საბეჭდავ ბეჭდებისა და მე-II ს-მდის ქ. შ., ებრაულ ფულების ზედწერილებისათვის. ის გარემოება, რომ სამარიტელებმა ამის მსგავსი დამწერლობა შემდეგშიაც შეინახეს და მე-XIII ს. დამდეგსაც-კი გვხვდება ქ. შ., იმის მომასწავებელია, რომ ებრაელებს უძველესი დამწერლობა ჯერ კიდევ 400 წ. ქ. წ. საყოველთაოდ მიღებული უნდა ჰქონოდათ, რათგან ამ დროითგან მოყოლებული სამარიტელნი ებრაელებზე უკვე დაშორებულნი იყვნენ და მათგან ანბანსაც ვეღარ შეითვისებდენ.

ამგვარი უძველესი **ებრაული დამწერლობის უპირველეს ძეგლად სილოს წარწერა ითვლება, რომელიც მე-VIII ს. დასასრულს ეკუთვნის**. მერმე, დაახლოვებით მე-IV ს. შემდგომ ქ. წ. ებრაელებმა ასურებისაგან არამეული დამწერლობა შეითვისეს, რომელიც IX-X ს. ქ. წ. უნდა წარმოდგარიყო საერთო დედა-ანბანიდან. ამ არამეულისგან შეთვისებული ანბანისაგან **ებრაული კუთხოვანი დამწერლობა** წარმოსდგა (იხ. ტაბულა 3).

**არამეველთა დამწერლობის უძველეს ძეგლად ამობორცვილი ასოებით გამოყვანილი ზენჯირლის წარწერა უნდა ჩაითვალოს, რომელიც დაახლოვებით 750—720 წ. ქ. წ. არის ამოჭრილად მიჩნეული** (ბერჟე, გვ. 210, სურათი და წარწერა იხ. იქვე, გვ. 206—209). ამ ძეგლის დამწერლობა იმდენად **მიაგავს ფინიკიელთა და ებრაელთა უძველეს დამწერლობას**, მხოლოდ ენის თავისებურება გვაძლევს საშუალებას მისი სადაურობისა და კუთვნილების უცილობლად გამორკვევისას. მაგრამ, თანაც არამეულ დამწერლობას უკვე ამ თავითვე **ასოთა კუთხოვანი მოყვანილობის მომრგვალებისადმი მიდრეკილება ემჩნევა** (იქვე, გვ. 210).

ნინევიის ნანგრევებში ნაპოვნია ასირიული და არამეული წარწერებით შემკული სასწორის ბრინჯაოს აბრები, რომელთაგან ზოგი მე-VIII-VII ს. ს. ეკუთვნიან ქ. წ. ამ აბრებზე და მეტადრე ახემენიანთა სპარსეთში ბატონობის ხანის არამეულ წარწერათა **ასოებს ერთი მეტად დამახასიათებელი ცვლილება დაეცყო**, სახელდობრ **ყველა ასოებს, რომელთაც თავი შეკრული ჰქონდათ**, — როგორც მაგ. ბ, დ, აფ, რ, — **თავები გაეხსნათ** და ასე პირლია ინერებოდენ (იხ. ტაბულა IV). ასოთა მოხაზულობის ამგვარი ცვლილებისადმი მიდრეკილება ჯერ ნინევიის ორენოვანი წარწერებით შემკულ აბრებს ემჩნევათ, მაგრამ სპარსთა ბატონობის ხანაში უკვე მკაფიოდ ჩამოყალიბდა და პირები მთლად გაეღოთ (ბერჟე, გვ. 212—214). ამასთანავე ასოთა კუთხოვანი მოყვანილობა ზოგან მრგვლოვანად იქცა და თვით მოხაზულობაც გამარტივდა (იქვე, გვ. 216). არაბეთის ტიემას სვეტის წარწერაც დაახლოვებით ამგვარივე დამწერლობის ძეგლად უნდა ჩაითვალოს, რაც იმის



მომასწავებელი უნდა იყოს, რომ 500—400 წ. ქ. წ. არამეველნი არაბეთშიაც ყოფილან შე-  
ხიზნულნი (იქვე, გვ. 219-220).

მაგრამ პაპირუსზე ნახმარმა გაკრულმა ხელმა და კალამმა შესცვალა არამეული პირ-  
ვანდელი დამწერლობის გარეგანი მოხაზულობა, რომელიც უმეტეს შემთხვევაში მეტად  
გამარტივებული, მორგვალეული და სქელი და წვრილი ხაზებისადმი მიდრეკილებით ხა-  
სიათდება (იხ. ნიმუში ბერჟეს თხზ., გვ. 218).

როგორც ე. დრუენის (F. Drouin, Observations sur les monnaies à légendes en pehlevi et  
pehlevi-arabe, Extrait de la Revue archéologique, Paris Leroux. 1886) გამოკვლევამ ფაჰლაური  
ფულების ზედწერილების შესახებ ცხად-ჰყო, რომ **ავესტური და ფაჰლაური დამწერლობა**  
**სპარსეთის ხანის არამეულ დამწერლობასთანაა უშუალოდ დაკავშირებული და ფაჰ-**  
**ლაური ზენდურის გაგრძელება-განვითარებას წარმოადგენს** (ბერჟე, გვ. 245). თუმცა  
ზენდური ანბანი საბოლოოდ ჩამონაკვთილად მე-V-IV ს-ში ითვლება ქ. წ., მაგრამ ჯერ-  
ჯერობით არამც თუ იმ დროინდელი არაფერია შენახული, უძველესი ზენდური ხელთნა-  
წერები მხოლოდ მე-X—XII ს. მოგვეპოვება ქ. შ. (ბერჟე, გვ. 240). ხოლო წარწერებისა და  
მეტადრე ერანული ფულების ზედწერილების დამწერლობის საშუალებით ზენდურ-ფაჰ-  
ლაური ანბანის ზემოაღნიშნულზე უფრო უძველესი ხანის მოხაზულობის გათვალისწი-  
ნებაც შეიძლება.

სილვესტერ დე-სასის, ოლსჰაუზენისა, ლონგპერიეს, ედ. თომასისა, მორდტმანისა,  
დარმესტეტეს და დრუენის გამოკვლევებში ეს საკითხი შესწავლილია და ჩვენ ხელთა გვაქვს  
არშაკუნთან შაჰების ფულების ზედწერილების მიხედვით აღდგენილი ზენდურ-ფაჰლაური  
ასობების მოყვანილობა უკვე 100 წ-ითგან მოყოლებული ქ. წ. (ბერჟე, გვ. 248—250, სადაც ამ  
დამწერლობის განვითარების ტაბულაა მოთავსებული, გვ. 249-250). ზენდურ-ფაჰლაუ-  
რი დამწერლობის ნათესაობა არამეულთან უფრო ცხადად ემჩნევა იმ ფაჰლაურ დამწერ-  
ლობას, რომელსაც ე.წ. „ქალდეველნი“ თავიანთ ენისათვის ხმარობდნ და რომელსაც  
**ქალდეურ-ფაჰლაური დამწერლობა** ეწოდება.

არამეულისაგანვეა წარმომდგარი **პალმირული**, რომელიც კუთხოვან ებრაულს თვალ-  
საჩინოდ მიაგავს. ინგლისელ ალექსანდრე ვაჭრის William Halifax-ის მიერ 1678 წ. პალმირის  
ნანგრევთა ღირებულობის პირველად აღნიშვნის შემდგომ კარგა ხანმა განვლო, სანამ-  
დის მათი და იქ შენახული წარწერების შემდგომ კარგა ხანმა განვლო, სანამდის მათი და  
იქ შენახული წარწერების შესწავლა შესაძლებელი გახდებოდა. სახელდობრ Wood და  
Dawkins-მა 1751 წ. პალმირის ხუროთმოძღვრების ძეგლების შესახებ მასალების შეგრო-  
ვებისთანავე 30 წარწერის პირი გადმოიღეს და თავიანთ ქვეყანაში ჩაიტანეს. სამმა ოქს-  
ფორდის მუზეუმში შეწირულმა წარწერათა დედანმა აბბატ ბარტელმის (l'abbé Barthélemy)  
და Swinton-ს საშუალება მისცეს პალმირული დამწერლობის წაკითხვა მოეხერხებინათ.  
მარკიზ დე ვოგუემ (de Vogüé) ჯერ 1854 წ. მარტო ნახა და შეისწავლა პალმირა, ხოლო 1861 წ.  
Waddington-თან ერთად კვლავ ეწვია ამ ქვეყანას და ამ ორგზისმა შესწავლამ მეცნიერე-  
ბას პალმირული დამწერლობის მრავალი ძეგლები შესძინა, რომელიც ამ ფრანგ გამოჩე-  
ნილ მეცნიერის შრომაში Syrie centrale, inscriptions Sémitiques (Paris Baudry 1868 წ.) არის  
გამოქვეყნებული, ხოლო შემდეგ Mardtmann-ის, Huber-ისა და Euting-ისაგან შეკრებილ წარ-  
წერებთან ერთად CIS-ში დაიბეჭდა. და აბამელიქ-ლაზარევისაგან აღმოჩენილი პალმი-  
რის ნიხრის შემცველი წარწერის ესტამპაჟი სხვა ძეგლების ესტამპაჟებთან ერთად ერ-  
ნესტ გოტფემ ჩაიტანა ევროპაში. ხოლო როდესაც ეს პალმირის ნიხრის წარწერა პეტერ-  
ბურგში, ერმიტაჟში იქმნა ჩატანილი, პროფ. კ. კოკოვცევმა გამოაქვეყნა ამ ძეგლის სუ-  
რათი, ტექსტი და გამოკვლევა (ЗВОА06).

საგულისხმოა, რომ პალმირულ წარწერათა მომეტებული ნაწილი დათარიღებულია.



**პალმირული დამწერლობის უძველესი ძეგლი მე-9 წ. არის ამოჭრილი ქ. ნ., უმეტესი ნაწილი მათგანი-კი 128—271 წლებს ეკუთვნის ქ. შ. უძველეს წარწერაში ასოთა მოხაზულობა მარტივი და კუთხოვანია, თანაც არამეულისას მიაგავს. შემდეგ-კი პალმირული დამწერლობა თანდათანობით მრგვლოვანი ხდება და ლამაზდება.** დედოფალი ზენობიას და მის მეუღლის ოდენინათის ქანდაკებაზე 271 წ. ამოჭრილი წარწერის ასოებს მოხაზულობით უკვე ცხადი მსგავსება ემჩნევა კუთხოვან ებრაულთან, მაგრამ ამ უკანასკნელზე უფრო მოხდენილია (ბერჟე, გვ. 265—268). სამშობლოს გარეშე გაბნეულ პალმირელებს აქა-იქ თავიანთი არსებობის კვალი წარწერების სახით უკვდავ-უყვიათ და ერთი მათგანი თვით ინგლისშიაც-კი არის აღმოჩენილი, ალბად რომაელთა ჯარში მყოფი ერთ-ერთ პალმირელი მეომრის მიერ აღბეჭდილი იქნება (იქვე, გვ. 270).

თუ პალმირული დამწერლობა სამოქალაქო ცხოვრების მიმდევარ არამეველთა ძეგლია, **ნაბატეველთა** დამწერლობა ამავე ტომის თვით არაბეთშიაც-კი შეჭრილი უბინადრო შტოს კულტურული ნამუშავევის გამოსატყულებად უნდა ჩაითვალოს. ნაბატეველნი თუმცა მობინადრე ხალხი არ იყვნენ, მაგრამ არაბებსავით მათაც მაინც კლდეში გამოკვეთილი ქალაქები და სასახლეები ჰქონდათ: ქ. ბოსრა, ჰებრან, სალტაქ ჰაურანის მთებში პალესტინის აღმოსავლეთით, ქ. პეტრა არაბეთში და მრავალი სადგურები სინას მთის სალოცავისაკენ მიმავალი გზის აქეთ-იქით მდებარე კლდეებთან. პირველად Burckhardt-ისა და დამასკოში მყოფი პრუსიის კონსულის Wetzstein-ის მიერ აღმოჩენილი ნაბატეველთა წარწერები ჯერ Waddington-ის და დე ვოგვესაგან იყო წესიერად გადმოღებული და მეცნიერულად შესწავლილი, შემდეგ Doughty-ის და, Charles Huber-ის მიერ ნაპოვნი წარწერები ერ. რენანისაგან. სხვადასხვა მეცნიერნი ბეერ, ლოტენ დე ლა ვალ, ლევი, ლეპსიუს, ნიოლდეკე, ზახაუ და ოფტინგი მხურვალე მონაწილეობას იღებდნენ ნაბატეველთა წარწერების შესწავლაში. CIS-შიც ამ დამწერლობას განსაკუთრებული ნაწილი აქვს დათმობილი.

საყურადღებოა, რომ ნაბატეველთა თითქმის ყველა წარწერები დათარიღებული აღმოჩნდა და მე-9 წ. იწყობა ქ. ნ. და 75 წ. ქ. შ. თავდება. **ნაბატეველთა დამწერლობა არამეულსა და ასურულ-არაბულ დამწერლობათა შორის გარდამავალ საფეხურს წარმოადგენს** და მის **დამახასიათებელ თვისებად ასოთა მოხაზულობის მომრგვალება და მეტადრე გადაბმა უნდა ჩაითვალოს**, ის, რაც შემდეგში ასურულსა და არაბულ დამწერლობაში ასე განვითარდა და დაკანონდა. ვითარცა მოგზაურთაგან დანანერს შეჰშენის, ნაბატეველთა დამწერლობას **გაკრული ხელის ძლიერი გავლენა ემჩნევა** და მათ ასოთა მოხაზულობის მრავალი ცვლილება სწორედ ამით არის წარმოშობილი. იქ, სადაც წინათ ასოს ბოლო დასწვრივ იყო დახრილი, აქ უკვე მოხრილი და ზოგჯერ მთლად მომრგვალებულ-პირშეკრულია. ამ მხრივ დამახასიათებელია ასო „მიმ“-ი, რომელიც უძველეს არამეულში პაპირუსებში და პალმირულში თავ-ლიაა, ნაბატეველთა დამწერლობაში მთლად პირშეკრულია. საყურადღებოა აგრეთვე თავ-გადახრილი „იოდი“ ინი და ალფის თვალსაჩინოდ შეცვლილი მოხაზულობა (იხ. ბერჟე, გვ. 271—279 და ტაბულა IV).

**ასურული დამწერლობა პალმირულ გაკრულ დამწერლობასთან იყო თავდაპირველად დაკავშირებული** ისე, რომ **მაშინ ასურული ანბანი პალმირულისაგან ძლივს განირჩეოდა.** უძველეს წარწერად, რომელშიაც აღბეჭდილია ასურული დამწერლობის წარმოშობა, უნდა Saulcy-ის მიერ იერუსალიმში აღმოჩენილი ადიაბენის დედოფლის ელენეს სარკოფაგის ორენოვანი წარწერა ჩაითვალოს, სადაც ასურულად ესტრანგელოს მსგავსი დამწერლობითა და კუთხოვანი ებრაულით სწერია „ნადან დედოფალი“. ეს წარწერა 44—70 წ. ეკუთვნის ქ. შ., რათგან დედოფალი ელენე იერუსალიმში მხოლოდ 44 წ. დამკვიდრდა. ამ ორი სიტყვის დამწერლობა იმ მხრივ არის საყურადღებო, რომ შვიდ ასოთგან უმრავლესობას არამეული მოხაზულობა აქვს, მაგრამ „ლ“ და „ალფეს“-კი უკვე ასურულის მსგავსი

მოყვანილობა ემჩნევა. პროფ. ზახაუსაგან აღმოჩენილს მე-II ს. მეორე ნახევრის ბერძნული და ასურული წარწერით შემკული ძეგლიც ასურული დამწერლობის განვითარების ამგვარსავე სურათს გვიშლის. ოთხს ასოს იქ ჯერ კიდევ ძველი, არამეული მოხაზულობა აქვს (Zeitschrift d. deutschen morgenländischen Gesellschaft. t. XXXVI, 1882 წ., გვ. 142—167). მაგრამ **ედესელ მეფეთა ფულებზე გამოყვანილი ზედწერილებითგან ჩანს, რომ მე-II ს-ში ქ. შ. ასურული დამწერლობა უკვე თითქმის მთლად ჩამონაკვთილი ყოფილა.**

ამგვარი ძეგლები მეტად ცოტაა ჯერჯერობით აღმოჩენილი და უძველესი ასურული თარიღიანი ხელთნაწერი ედესაში 411 წ. არის ნაწერი ქ. შ. და ბრიტანიის მუზეუმში ინახება. იგი იმ დამწერლობით არის დანერილი, რომელსაც შემდეგში „**ესტრანგელო**“-ს უწოდებდენ. როგორც ეტყობა, მაშინ და ნესტორიანთა და მონოფიზიტ ასურთა განხეთქილებამდე ესტრანგელო ერთად-ერთი საყოველთაოდ გავრცელებული ასურული დამწერლობა ყოფილა. როდესაც ნესტორიანნი ედესითგან გადევნილ იქმნენ და ექსორია ქმნილთ თავი სასანიანთა სამეფოში შეაფარეს, ესტრანგელო განსაკუთრებით ნესტორიან ასურთა დამწერლობად იქცა, **იაკობიანთა ასურებმა-კი უფრო გაკრული დამწერლობა შექმნეს**, რომელსაც მართმადიდებელი ქრისტიანები მელქითნი და მარონიტებიც ხმარობდენ, **ასურული დამწერლობა** განსაკუთრებით ხელითნაწერთა დამწერლობაა და **მის დამახასიათებელ თვისებას ერთის მხრით ასოთა გადაბმა შეადგენს**, რამაც მათი მოხაზულობა თვალსაჩინოდ შესცვალა და გაამარტივა, **მეორეს მხრით ის გარემოება, რომ იქ სტრიქონები** მარტო მარჯვნივთგან მარცხნივ-კი არ იწერებოდა, როგორც დანარჩენ სემიანთა დამწერლობაში, არამედ, როგორც ირკვევა, **ზევითგან ქვევითკენ გადაბმული ასოებით ისე, რომ სტრიქონები დასწვრივ მიიმართებოდა**. ამგვარად, არის ნაწერი ნესტორიანთა 781 წ. ასურული წარწერა, რომელიც 1625 წ. ჩინეთში, სი-ნგან-ფუ-ში იყო ნაპოვნი. ერ. რენანმაც აღმოაჩინა აკურას სამლოცველოს კედელზე პატარა ასურული წარწერა ამგვარადვე დასწვრივი მიმართულებით ამოჭრილი სტრიქონებით. პროფ. ზახაუსა აქვს ამნაირივე მაგალითი მოყვანილი, ხოლოდ რაფტმა (W. Wright) ეგვიპტეში დეირ-ელ-ბაჰრის კოპტური სამლოცველოს კედელზე მე-VI ს. ამ წესითვე ნაწერი „მამაო ჩვენო“ იპოვა (ბერჟე, გვ. 280—286, გვ. 285 სტრიქონთა დასწვრივი დამწერლობის ნიმუშის სურათია მოყვანილი).

**საბა** (ებრ. შება, ბერძ. საბა, გერმ. Saba, ფრან. Safa) და **საბაელნი** (გერ. die Sabäer, ფრან. les Sabéens) ებრაელთა შორისაც განთქმულნი, სამხრეთ არაბეთში მდებარე მდიდარი, თავისი სურნელოვანებებით სახელმოსხვეჭილი სამეფო და დანიწარებული კულტურული ყოფა-ცხოვრებით ცნობილი ერი იყო. საბაელთ მწერლობა და საკუთარი დამწერლობაც ჰქონდათ, რომელსაც საბაური ეწოდება (ფრან. l'alphabet safaitique, გერმ. das Safa-Alphabet). ამ დამწერლობის ძეგლად მრავლად აღმოჩენილი წარწერებია ქვებზე და შენობებზე. პირველად საბაელთა ძეგლები ინგლისელმა ვაჭარმა Cyril Graham-მა მიაგნო 1857 წ., ცოტა ხნის შემდგომ გერმანელმა Dr Wetzstein-მა შეაგროვა საბას კლდეებზე 260-მდე წარწერა, რომელთა რამოდენიმე ნიმუში გამოაქვეყნა კიდევ თავის საყურადღებო შრომაში „Reisebericht über Hauran und die Trachonen“ (Berlin, 1860 წ.).

Waddington-მა და ვოგკემ თავიანთ მოგზაურობის დროს ამ ძეგლებს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს და ვოგკემ 400-ზე მეტი წარწერა გადმოიღო და გამოაქვეყნა თავის სახელოვან შრომაში „Syrie centrale, Inscriptions sémitiques, 2-e partie. les inscriptions du Safa“ (Paris, 1874 წ.). სხვათა უნაყოფო ცდის შემდგომ ფრანგმა მეცნიერმა ჰალევიმ შესძლო 1877 წ. ამ წარწერათა ანბანის გამოცნობა თავის გამოკვლევაში Essai sur les inscriptions du Safa (Journal asiatique 7-e série. vol.X, p. 293—450, 1877 წ.).

**საბაელთა** დამწერლობის ძეგლები უნებლიეთ იპყრობდა ყურადღებას თავის **ასოთა მოხაზულობით**, რომელსაც ბევრ შემთხვევაში **ფინიკიელთა ანბანთან დიდი მსგავსება**

**აქვს.** ეს გარემოება ზოგიერთ მკვლევართ აფიქრებინებს, რომ საბაელთა ანბანი უნდა ძველი იყოს. პრეტორიუსი მაგ. ფიქრობს, რომ იგი უკვე ქ. წ. მე-VIII ს. უნდა ყოფილიყო. ბერჟესაც ეს დამწერლობა ძველად და ფინიკიურთან დაკავშირებულად მიაჩნია (გვ. 310, 312-313, 315—323). საბაელთა დამწერლობასთან პირდაპირი ნათესაობა ჩრდილოეთ არაბეთის ჰიმიარიტულ წარწერათა ანბანსა აქვს, რომელიც **საბაელთა დამწერლობისაგან ასოთა მხოლოდ უფრო მრგვლოვანი და განვითარებული მოხაზულობით განირჩევა.**

ჰიმიარიტელთა წარწერები პირველად ორმა ინგლისელმა სამხედრო პირმა მეზღვაურმა Wellsted-მა და Gruttenden-მა აღმოაჩინეს 1835 წ. ცნობა ამის შესახებ სამი წლის შემდგომ გამოქვეყნებული იყო Journal of the R. Geographical Society (vol. VII, p. 20—34 და vol. VIII, p. 267). იმავე წელს ფრანგმა ნიჭიერმა მკვლევარმა Furgence Fresnel-მა გამოაქვეყნა თავისი „Lettres sur l’histoire des Arabes avant l’islamisme“ (Journal asiatique 3-e série t. V et VI, avril-décembre, 1838), რომელშიაც გამორკვეული იყო, რომ მაჰმადიანი მწერლები შეცდომით არაბეთში ძველ დროს ბინადარ სხვადასხვა კულტურისა და ტომის ხალხს არაბებად სთვლიდნენ და რომ **ჰიმიარიტული** შემდეგშიაც, მაჰმადიანობის დროსაც, მთლად არ გამქრალა და **ებრაულსა და არაბულს შუა მდგომი ენა იყო.** ამან მკვლევართ თვალსაჩინოდ გზა გაუშუქა და სამი წელიწადიც არ იყო გასული, რომ გერმანელმა მეცნიერებმა გეზენიუსმა, ევალდმა და როიდიგერმა ინგლისელ მეზღვაურთა მიერ ნაპოვნი წარწერების ნაკითხვა და გაგება შესძლეს. 1843 წ. ფრანგმა მოგზაურმა ფრანსუა არნომ (François Arnaud) მარებში აღმოაჩინა ახალი ჰიმიარიტული წარწერები, რომელთა გადმოღებული პირი 1844 წ. გადასცა ფრენელს. უკვე 1845 წ. ამ უკანასკნელმა მიღებულ წარწერათა ფრანგული თარგმანი და განმარტება გამოაქვეყნა Journal asiatique-ში. გერმანელი მეცნიერი ოსიანდერის (Oslander) გამოკვლევათა წყალობით ჰიმიარიტულ წარწერათა შესწავლა დაწინაურდა. მასალებიც მატულობდა და 1869 წ. იოსებ ჰალევიმ (Joseph Halévy) ჩაიტანა საფრანგეთში 686 წარწერის პირი, რომელთა მომეტებული ნაწილი ახლად იყო აღმოჩენილი (იხ. Rapport sur une mission archéologique dans le Yémen. Paris 1873 და Études Sabéennes. Journal asiatique mai-juin, octobre, 1872 წ. და décembre 1874 წ.). გლაზერმაც (Glaser) თავისი სამგზისი მოგზაურობის დროს 2000 ახლად ნაპოვნი სხვადასხვა დროის წარწერის პირები და სურათები შესძინა მეცნიერებას (ბერჟე, გვ. 301—306).

გერმანელ მეცნიერთა მორდტმანისა და დ. მულლერისა და ფრანგ მეცნიერთა ჰალევისა და იოსებ და ჰარტივიგი დერენბურგების (Joseph et Hartwig Derenbourg, Études sur l’épigraphe du Yémen 1<sup>ère</sup> série Journal asiatique, 1884 წ.) გამოკვლევების წყალობით ჰიმიარიტული წარწერების შესწავლა არ შეწყვეტილა და წარმატებაშია.

ჰიმიარიტული ანბანის დამახასიათებელ თავისებურებას ზოგი ბგერისთვის ორმაგი სახეობის ასოს შემოღება შეადგენს, მაგ. დალეტისა, ჰეთისა, ტეთისა და ცადესთვის იქ ორ-ორი ასოა (ბერჟე, გვ. 308). ამასთანავე ჰიმიარიტულსა და საბაელთა ანბანის ბევრ ასოს ფინიკელთა დამწერლობისადმი გასაოცარ მსგავსებასთან ერთად ზოგიერთი ასოების მოხაზულობა თვალსაჩინოდ არის შეცვლილი. ამგვარი თავისებისაა ასოთა ალეფ, ბეტ, ჰე, ვავ, კაფ და მემ-ის მოხაზულობა. მაგრამ ამ მხრივ საბაური ფინიკურს უფრო უდგება, ჰიმიარიტული მოხაზულობა-კი, როგორც ეტყობა, მერმინდელი განვითარების შედეგი უნდა იყოს (იხ. ბერჟე, გვ. 323-ზე ტაბულა აქაც).

**ეთიოპური დამწერლობა** ჰიმიარიტულის უშუალო განვითარებას წარმოადგენს. იმ ცხადი მსგავსების გამო, რომელიც საბაური დამწერლობის ბევრ ასოებს მოხაზულობის მხრივ ფინიკიელთა უძველეს დამწერლობასთან ემჩნევა, მეცნიერთა ერთ ჯგუფს საბუთს აძლევს, საბაურ-ჰიმიარიტული დამწერლობა ძველად მიიჩნიოს. მაგრამ რათგან წარწერათა უმრავლესობა ქ. წ. და შ. ახლო ხანებს ეკუთვნის, სხვა მეცნიერთათვის ამ შეხედუ-

ლებას საეჭვოდ ხდის და ეს დამწერლობა სწორედ შენახული ძეგლების დროინდელად მი-  
აჩნიათ (იხ. Larfeld G. E., გვ. 236. ჰიმიარული, ეთიოპური, ლეზური და საბაური დამწერ-  
ლობათა ნიმუში. იხ. ტაბულა V).

მაჰმადიანობასთან ერთად გავრცელებული არაბული კუფური დამწერლობა მაჰ-  
მადიანობის შემოქმედების ნაყოფი არ ყოფილა, არამედ არაბულ წარმართულ კულტუ-  
რის ნაანდერძეა. იგი თავდაპირველად მხოლოდ ერთი ტომის კორეშიტებს შორის იყო  
გავრცელებული და მის უცილობელს ბატონობას მარტო კორანმა გაუკაფა ფართო გზა  
არამც თუ არაბეთში და არაბთა შორის, სრულებით მათთვის უცხო ხალხთა შორისაც,  
რომელთაგან სპარსელებს უკვე დიდი ხანია თავიანთი დამწერლობაცა და მწერლობაც  
მოეპოვებოდათ. ვეტცშტაინმა ლეჯაში აღმოაჩინა (Ansgewählte Inschriften №110) ჰარრა-  
ნის წარწერა, რომელიც ბერძნულად და არაბულად არის 568 წ. ქ. შ., ე. ი. 60 წ. უწინარეს  
მუჰამედის ჰიჯრამდე.

მაჰმადიანობის დროინდელი კუფური არაბული ასოებით ვარაყით გამოყვანილი უძ-  
ველესი (ჰიჯრით 72 წ.) წარწერა იერუსალემში თავისი ასოთა მოხაზულობით ჰარანის  
ზემოაღნიშნული წარწერისაგან დიდად არ განსხვავდება. ნაბატეველთა წარწერების აღ-  
მოჩენამა და გავრცელების საზღვრებმა ცხად-ჰყო, რომ ნაბატეველთა დამწერლობა მთელ  
ჩრდილოეთ არაბეთში ყოფილა მიღებული და თვით მექამდისიც-კი აღწევდა. ეს გარემო-  
ება მკვლევართ აფიქრებინებს, რომ ნაბატეველთა ანბანს არაბული კუფური დამწერ-  
ლობის შემუშავების დროს თავისი გავლენა უნდა ჰქონოდა. მაგრამ რათგან კუფური დამ-  
წერლობის საზოგადო იერი და ასოთა მოხაზულობა ასურულისას თვალსაჩინოდ მიემს-  
გავსება, სრული აუცილებლობით ირკვევა, რომ კუფურ-არაბული დამწერლობის ჩამო-  
ნაკვთის დროს ასურულ დამწერლობას პირველხარისხოვანი მონაწილეობა უნდა ჰქონ-  
დეს მიღებული (ბერჟე, გვ. 287—293).

**სომხური** დამწერლობის ძეგლები უცილობლად მე-VII ს-ზე ქ. შ. უწინარესი ჯერ აღ-  
მოჩენილი არ არის. უძველეს ძეგლებად წარწერები ითვლება. მაგრამ სომხური პალეოგ-  
რაფია, როგორც ცალკე სამეცნიერო დარგი, ჯერ არ არსებობს იმისდა მიუხედავად, რომ  
მრავალი ეპიგრაფიკული ძეგლებია შენახულ-გამოცემული და მრავალი ხელნაწერების  
არაერთი მეცნიერული აღწერილობაა გამოქვეყნებული. როგორც სომეხ ისე ევროპიელ  
მეცნიერთ უფრო სომხური ანბანის წარმოშობისა და სადაურობის საკითხი აინტერესებ-  
დათ. ამგვარ მკვლევართა მრავალრიცხოვანობისდა მიუხედავად საკითხი ჯერაც გამო-  
ურკვეველია ერთის მხრით კორჯნის თხზულებაში აღბეჭდილი სომხური ისტორიული თე-  
ორიის წყალობით სომხური ანბანის გამოგონების შესახებ, მეორეს მხრით სომხური დამ-  
წერლობის ისტორიული განვითარების შეუსწავლელობის გამო. განსვენებულ სომეხთა  
მეცნიერს ზარნანალიანს თავის თხზულებაში **Հայկական հին գրությունքնան պատմութիւն**  
სომხური ძველი მნიგნობრობის ისტორიაში (ვენეტიკი, 1897 წ.) სომხურ პალეოგრაფიის  
საკითხებისათვის 83 გვერდი აქვს დათმობილი, რომელშიაც სომხური ანბანის წარმოშო-  
ბა-სადაურობაა განხილული, წერიტი ხელოვნების შესახები ცნობებია მოყვანილი და ხელ-  
თნანერთა დახასიათება მოიპოვება (გვ. 10—94). ყველა ეს მეტად მცირე წვლილია იმ უხვ  
მასალებთან შედარებით, რომელიც სომხურ წერილობით ძეგლებში და ხელთნანერთა უკვე  
გამოქვეყნებულ აღწერილობებში მოიპოვება.

1913 წ. არქ. გარეგინ ოსეფიანმა გამოაქვეყნა **Քարտեզ հայ հրնագրութեան, գրչութեան  
արուստը հին Հայոց ძեպ, ძասնագ.** (ვალარშაპატშია დაბეჭდილი) სომხური დამწერლობის ხე-  
ლოვნების ძეგლების ნიმუშების წარწერების, ხელთნანერებისა და სხვა სურათების შემცველი.

ეს გამოცემა მომავალ მკვლევართ წინასწარი გაცნობისათვის დიდ სამსახურს გაუ-  
წევს, მაგრამ თვით ამ წიგნს პალეოგრაფიული გამოკვლევა არ ახლავს.



1914 წ. სამაგიეროდ პროფ. იოს. ორბელმა სომხურ ეპიგრაფიკას უძველესი სომხური წარწერების ფოტოგრაფიული სურათებით შემკული ტექსტის გამოქვეყნებით და გამოკვლევებით ჩაუყარა საძირკველი. ძეგლები აქ დიდი ზედმინვენილობითა და დაკვირვებით არის შესწავლილი და პალეოგრაფიულადაც დახასიათებულია. მას გამოქვეყნებული აქვს: 1) Шесть армянских надписей VII—Xв. (Христианский Восток, т. III, вып. I, 72—91), 2) Указатель словъ и именъ къ 13 армянскимъ надписямъ VII века (იქვე გვ. 95—100), 3) Багаванская надпись 639 г. (იქვე, II, 109), 4) Армянскія надписи на камнѣ (იქვე, II, 147—154), 5) Двѣ строительскія надписи князей Камсаракановъ (იქვე, III, 297—306), 6) Надписи Мармашена (Петроград 1914 г., Изд. Анійскаго Музея древностей. Памятники арм. эпиграфики, I) და სხვა.

ამგვარად, სომხური ეპიგრაფიკის მეთოდური მეცნიერული შესწავლა უკვე დაწყებულია. საჭიროა, რომ ხელნაწერებში უხვად დაცულ მასალებსაც თავისი განსაკუთრებული მკვლევარნი, პალეოგრაფები აღმოუჩინონ.

სომხური წარწერების ტექსტების შეგროვება თითქმის უკვე ასი წელიწადია რაც სწარმოებს და დიდი მუშაობა არის ამ მხრივ განეული. განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო ჰოვჰ. შაჰატუნიანის, სარგ. ჯალალიანის, ნ. სარგისიანის, და იმ. ფაფაზიანის შრომები. ალიშანს თავის 5 წიგნად გამოცემულ ნაწარმოებში (*Շիրակ* 1881 წ. *Վն հոսիկ, Արարատ* 1890 წ. იქვე, *Սիսական* 1893 წ. *Նշարք ե Նշխարք Հայաստանի* 1870 წ. *Սիսიան* 1885 წ.) ყველა წინანდელი ნაშრომებიდან ამოღებული მასალებისათვის თავი მოყრილი აქვს. დასასრულ, თუ მთელი არა, უმეტესი ნაწილი გამოქვეყნებული სომხური წარწერების ერთგვარი საძიებელი არის შედგენილი მოკლე ამონაწერებით შემკული კ. კოსტანიანის მიერ და 1913 წ. პეტერბურგში დაიბეჭდა რუსეთის სამეცნიერო აკადემიის გამოცემაში *Bibliotheca Armeno-Georgia II 4. Կոստանյանց-Վիմական տარեգիր ցուցակ ժողովածու արձանագրութիւնս հայոց* ამ შრომაში შეუძლიან მსურველს მოძებნოს მანამდე არსებული სომხური ეპიგრაფიკული მასალების შემცველი ნაწარმოებების სიაც.

უძველეს ცნობილს ქართულ მატთანეში „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ში **ქართული მნიგნობრობის** დასაწყისისა და მისი გამომგონებლის შესახებ არაფერია ნათქვამი. არსებობდა თუ არა მამინ სხვა რომელიმე თხზულება, რომელშიაც ამ საკითხზე ლაპარაკი ყოფილიყო, ძნელი სათქმელია. სომხურ მწერლობაში-კი კორჯნსა და მოსე ხორენელს თავიანთ თხზულებებში ქართულ ანბანის გამოგონებაზეც აქვთ საუბარი. მათი სიტყვით ქართული ანბანიც იმავე მესროპის მიერ უნდა იყოს ვითომც შედგენილი, რომელმაც ჯერ სომხური, ხოლო შემდეგ ალბანური ანბანიც შექმნა (იხ. *Կորիւն Պատմ. ս. Մեսրոպայ*, ტფილ., 1919 წ., გვ. 22-23, 29-30 და 48-49.

*Մ. Խորհնաբի Պատմ. Պատմա գիրք Հայոց*, 1913 წ., გვ. 328-329). ქართულად მხოლოდ მე-XI ს. საისტორიო თხზულებაში, რომელიც ლ. მროველს ეკუთვნის, მოიპოვება გარკვეული ცნობა ქართული ანბანის შემოღების შესახებ. იქ სახელდობრ ნათქვამია, რომ პირველად ქართველთა მეფემ ფარნავაზმა „შექმნა მნიგნობრობა ქართული“-ო (131-132, გვ. 22). სახელოვან ქართველ მეცნიერს ბატონიშვილ ვახუშტს ამ საკითხზე საგანგებოდ არაფერი აქვს ნათქვამი და ამ მხრივ ის ლ. მროველის თეორიას მისდევდა.

როგორც ხშირად სხვაგანაც მომხდარა, საქართველოშიაც საზოგადო და ფართო საკითხების გადაწყვეტას უფრო ეტანებოდნენ, ვიდრე პალეოგრაფიის ძირითად საკითხების კვლევა-ძიებას: ჯერ ისიც-კი გადაწყვეტილი არ იყო, თუ რომელი ანბანია უძველესი, ხუცური თუ მხედრული, ჯერ ქართული ანბანის უძველესი მოხაზულობა და მისი თანდათან განვითარება შესწავლილი არ იყო და მაინც ისეთ რთული საკითხის გადაწყვეტას ლამობდნენ, როგორიც ქართული ანბანის სადაურობაა. საკითხი ქართულ ანბანის სადაურობის შესახებ 1881 წელს მე-V-ე საარქეოლოგიო კრებაზეც იყო ტფილისში წამოყენებული. ამ საგანს ეხებოდა ორი მოხსენება: ერთში, რომელიც „Грузинская палеография“-ს



სათაურით დ. ბაქრაძემ წაიკითხა, ეს საკითხი მხოლოდ გაკვრით არის მოხსენებული, ვითარცა უცნობელი და უკვე საბოლოოდ გამორკვეული, უმთავრეს მიზნად-კი მომხსენებელს ქართული ანბანის მოხაზულობის ისტორია მიაჩნდა. მეორეში, რომელიც ილ. ოქრომჭედლიშვილს ეკუთვნოდა და სახელად ეწოდება „Объ изобретении грузинскаго алфавита“, საკითხი ქართული ანბანის სადაურობის შესახებ სწორედ საგანგებოდ არის განხილული. დ. ბაქრაძემ თავისი მოხსენების მთავარი დებულებანი თავის 1889 წელს გამოსულს წიგნშიც — „ისტორია საქართველოსი“ — გაიმეორა, ხოლო ილ. ოქრომჭედლიშვილმაც თავისი აზრი ქართული ანბანის სადაურობის შესახებ ქართულადაც გამოაქვეყნა 1881 წელს წერილში „ვინ მოიგონა ქართული ანბანი“ („ივერია“, №10) და 1890 წელს გაიმეორა გამოკვლევაში „შესახებ ქართველთა და სომეხთა ძველის ძველ ისტორიისა“ („ივერია“, 1890 წ., №№36, 38, 40—42).

ქართული ანბანის სადაურობის შესახებ დ. ბაქრაძე სწერდა: „თუ ჩვენ ჩვენის ანბანის... ასოების რიგს მივაქცევთ ყურადღებასა, შევნიშნავთ, რომ იგია ბერძნულის ალფაბეტის ასოების რიგი. გარდა ამისა ზოგი ქართული ასოები თავის ფორმებით მიემსგავსება ბერძნულის ასოების ფორმებსა... ზოგი ჩვენი ასოებიც, მეტადრე ასომთავრულისა ხუცურში, როგორც თვით ფორმებით, აგრეთვე გამოთქმით უახლოვდებიან დევა-ნაგერსა და სხვა ალფაბეტებს ინდოეთისას; მაგრამ ეს მხოლოდ გვიჩვენებს, რომ ჩვენი ალფაბეტი სხვადასხვა დროს არის სხვადასხვა ალფაბეტებიდან შევსებული და, ჩემის მოაზრებით, დაარსებულია იგი ბერძნულის კულტურის გავლენით იმ დროს, როდესაც ბერძნული კოლონიები დამყარებულან ჩვენ მეზობლად შავი ზღვის ნაპირზე“ (ისტ. საქართ., გვ. 83-84, შეად. Труды V-го Арх. съезда въ Тифлисе, 1881 г., გვ. 208).

ქართული ხუცურ-მხედრული ანბანის შედარებით სიძველისა და თანდათანობითი განვითარების შესახებ დ. ბაქრაძეს ნათქვამი აქვს, რომ უძველეს დროს მე-V—VII სს.-ში წარწერებში გვხვდება მხოლოდ ასომთავრული ხუცური. „იმ დროს სრულებით არ სჩანს კვალი არც ნუსხა-ხუცურისა, არც მხედრულისა. ეს ასომთავრულნი წარმოგვიდგენენ თავის მოხაზულობით ძველად-ძველს ხასიათსა. ამათ შორის არც იპოება ზოგიერთი ასოები, რომელნიც მხოლოდ შემდეგ საუკუნოებში შემოდიან ხმარებაში. უ სრულებით არ არის და იმის ნაცვლად იხმარება — ოჲ... ნუსხა-ხუცური პირველად შეგხვდება ერთს ძველს ოთხ-თავის ვარიანტში, რომელსაც თვით მისი ქორონიკონი მიაწერს მე-VII საუკუნესა... შემდეგ იგი ცოტ-ცოტად ვრცელდება... ამ ნუსხა-ხუცურში... ოჲ-ს ნაცვლად იხმარება უ მაშინ, როდესაც ოჲ ასომთავრულში მე-XII-XIII საუკუნემდე რჩება, თუმცა უ უკვე შემოღებულია. უ სულ პირველად იწერება **ჲ** ... ეს ოჲ დროს განმავლობაში უერთდებიან ერთი მეორესა და ამ გვარად ადგენენ ერთ ასოსა, რომელიც ჯერ ისევ ოთხ-კბილიანი (უ), მას-უკან სამ-კბილიანი (უ). ამ უ-დამ წარმოსდგა მხედრული უ. ჩვენის აზრით, ნუსხა-ხუცურისა და მხედრულის შემოღებას ერთი მეორის შემდეგ მოკლე დრო ჰყოფს. ასეა თუ არა, მხედრული სხვა არა არის რა, როგორც იგივე ნუსხა-ხუცური, მაგრამ უფრო განმარტივებული და გაადვილებული სახმარად. უძველესს მხედრულს, რომელიც ჯერ კიდევ ნუსხა-ხუცურს მიემსგავსება, ჩვენა ვპოულობთ სხვათა შორის, პირველად სომხეთის ანის ქალაქის ქართულს ეკლესიაზე (X საუკ.), რომელსაც შეცდომით ჰხადიან „ბერძნულ“ ეკლესიად; მეორედ სოუქ-სუს ეკლესიაზე აფხაზეთში (XI საუკ.) და მესამედ ამ რამდენისამე წლის წინად ნაპოვნს დიდს ტყავზე ნაწერს ბაგრატ IV-ის გუჯარში“-ო (ისტ. საქართ., გვ. 84-85, შეად. Труды V Арх. съезда, გვ. 209-210).

1886 წ. გამოსულ წიგნში „Свѣдѣнія о памятникахъ грузинской писменности“ ალ. ცაგარელმა ზოგიერთი საზოგადო ხასიათის დაკვირვება და დასკვნა გამოსთქვა ქართული დამწერლობის ისტორიის შესახებ. განხილულ კოლექციებში, ნათქვამი აქვს მას, მოი-

პოვება ხელთნანერები პაპირუსზე, ეტრატზე, ბამბიციხისა და ქალაღდზეც, რომელნიც შავი მელნითა და სინგურით არიან დანერილნი. აქ ქართული მე-VII—XVIII სს-ის დამწერლობის მრავალგვარი, ძვირფასი ნიმუშებია შენახული. მაგ. მე-VII-VIII სს-ის პაპირუსის თთვენში ულამაზო, უმნო ხელია, ასომთავრული ხუცურ-ნარევი. ამავე დროის პაპირუსისავე ფსალმუნში-კი უკვე ნუსხა-ხუცურით არის ნანერი და მხოლოდ ფსალმუნებისა და მუხლების თავშია ასომთავრული ნახმარი. მოხდენილი ხელით ნანერი მე-VIII—X სს-ში ხელნანერები საბანმიდური რამდენიმეა, მათ შორის 864 და 925 წწ. მამათა ქმნილებათა მრავალთავები. მე-X-XI სს-ის სინას მთისა და ათონური, ან სამცხური ხელთნანერებიც შნოიანია. თითქმის ყოველ დიდ მონასტერს თავისი საკუთარი ხელი ჰქონდა, მაგ. ათონური ხელი წვრილხაზოვანია (Тонкое), ვინრო მოხდენილი მოყვანილობის ასოებს მისდევდა, სინური-კი თუმცა შნოიანობით არ ჩამოუვარდება, მაგრამ ფართო სქელი ხაზების მოყვარულია. ეტყობა ამასთანავე, რომ ქართველი დამწერელ-გადამწერლები იმ ერთა ასოთა დამწერლობის მოყვანილობასა და მოხაზულობას ჰბაძავდენ, რომელთა შორისაც მათ ცხოვრება და მოღვაწეობა უხდებოდათ. თავის ამ უკანასკნელი აზრის დასამტკიცებლად პროფ. ალ. ცაგარელს თანდართულ ტაბულაზე მოყვანილი №№VI და III ნიმუშები აქვს დამონმებული, რომელთაგან პირველი ასურულს, ხოლო მეორე აბაშურს ანუ კოპტურს მიაგავსო. ხელთნანერებში გვხვდება ისეთი დამწერლობაც, რომელიც ნუსხა-ხუცურსა და მხედრულს შორის გარდამავალ საფეხურად უნდა ჩაითვალოს. ამის ნიმუშად მას თავის ტაბულაზე №VIII-ად მოთავსებული ათონური გაკრული ნუსხა-ხუცური მაგალითი მიაჩნდა. დასასრულ ალ. ცაგარელი ამტკიცებდა, რომ მერმინდელი დამწერელ-გადამწერელნი ხშირად ძველ, ზოგჯერ რამდენიმე საუკუნით უწინარეს არსებული ძეგლების ხელსა ჰბაძავდენ და განაახლებდენ ხოლმეო. მისი აზრით მე-VII-VIII სს. სინური პაპირუსის ფსალმუნის ხელის მსგავსი მე-X-XI სს. ეტრატის ათონურსა და მე-XIV—XVI ს. ქალაღდის ხელთნანერებშიაც-კი გვხვდება (იხ. Свед. о памят. груз. письм. вып. I, გვ. XXVII-XXVIII).

1881 წ. ტფილისში მომხდარ არქეოლოგოსთა მეხუთე ყრილობის შრომებში, რომელიც 1887 წ. გამოქვეყნდა ქართული, უფრო სიგელ-გუჯრებითგან გადაღებული მდივანმნიგნობრული დამწერლობის, ლითოგრაფიულად დაბეჭდილი ნიმუშებია დართული, ხოლო №16 ფურცელზე ქართული დამწერლობის ისტორიული განვითარების გამომხატველი ტაბულაა მოთავსებული. აქ 5 სხვადასხვა დროის ქართული ანბანია მოყვანილი: მე-X საუკუნის ხუცური ანბანი, მე-XI ს. მხედრული ანბანი, მე-XII ს. მხედრული, მე-XV ს. მხედრული და აწინდელი. რამდენადაც პროფ. ალ. ცაგარლისაგან პირადად გამიგონია, ეს ტაბულა და ბაქრაძისა და მისი შედგენილია. იმ დროისათვის ეს ტაბულა დიდ წარმატებად უნდა ჩაითვალოს და სამწუხარო იყო, რომ როგორც პალეოგრაფიულ ნიმუშებს, ისევე ამ ტაბულას შესაფერისი გამოკვლევა არ უძლოდა წინ და ეს ძვირფასი მასალები გამოუყენებელი დარჩა. პროფ. ალ. ცაგარლის ზემოაღნიშნული პალეოგრაფიული ტაბულები და ეს ნიმუშები ტაბულითურთ მიმდინარე საუკუნის დამდეგამდე ქართული წიგნური დამწერლობის წინასწარ გასაცნობად თუმცა მცირე, მაგრამ მაინც ერთად-ერთი წყაროები იყო.

ქართული წიგნური დამწერლობის ნიმუშების კრებული მ. ჯანაშვილს ჰქონდა გამოქვეყნებული 1900 წ. რუსულად დაბეჭდილი წიგნაკის „Царица Тамара“-ს დამატების სახით, რომელშიაც სხვადასხვა დამწერლობის მაგალითებით შემკული პალეოგრაფიული ტაბულები მოიპოვება. პროფ. ნ. მარრმა 1902 წ. გამოაქვეყნა „Агиографические материалы по рукописямъ Иверы“ (იხ. ЗВОРАОН), რომელიც ათონის ქართველთა მონასტრის ხელთნანერთა სანიმუშო ფოტოგრაფიულ სურათებსაც შეიცავს. მკითხველმა აქ სხვადასხვა დამწერლობის ნიმუშები შეიძლება ნახოს. ამ გამოცემის ღირსებას პალეოგრაფიის თვალსაზრისით ხელთნანერთა სწორედ ეს ფოტოგრაფიული სურათები შეადგენს. შატბერდის განთქმული კრებულის რამდენიმე სომხური მინანერის და ერთი №69 ათონური ქართ.

ხელთნანერის ფოტოგრაფიული სურათებიც პროფ. ნ. მარსვე აქვს დართული თავის შრომებში (იხ. ТР по арм. груз. Филол. II და III წიგნები).

ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების დამწერლობა ამ მცირეოდენობამდეც-კი სამეცნიერო დაკვირვების საგნად არ ყოფილა. Dubois de Montpereux-ს Voyage autour du Caucase-ს წარწერათა ატლასიც აქვს დართული (წიგნი გამოიცა პარიზში 1839—1843), აკად. მარი ბროსეს სამ წიგნად გამოცემულ Voyage archéologique en Transcaucasie-ის პირველი წიგნი 1849 წ. დაიბეჭდა პეტერბურგში და 18 ლითოგრაფიულ ტაბულას შეიცავს, მეორე 1850 წ. იქვე და 16 ლითოგრაფიულ ტაბულით არის შემკული, ხოლო მესამე 11 ლითოგრაფიული ტაბულიანი იქვეა დაბეჭდილი 1851 წ. დ. ბაქრაძის 1878 წ. გამოქვეყნებული შრომა Археологическое путешествие по Гуріи и Адчарѣ, რომელსაც ატლასი აქვს თანდართული, ქართულ წარწერათა ტექსტსაც შეიცავს და ატლასებში ზოგი მათგანის პალეოგრაფიულ პირებსაც. მართალია, პირები ხელით იყო გადახატული, მაგრამ ქართული ეპიგრაფიკული დამწერლობის დაახლოვებითი წარმოდგენა მკითხველს მაინც შეეძლო.

აღსანიშნავია ივ. როსტომაშვილის Ахалкалакскіи уѣздъ въ археологическомъ отношеніи (съ ключемъ къ чтенію надписей древней Джавахетіи и картой), რომელიც 1898 წ. СМОМПК მე-XXV წიგნში იყო დაბეჭდილი (გვ. 1—133) ე. თაყაიშვილის თანდართულ შენიშვნითურთ (გვ. 134—136). თუმცა იმ წერილში მოთავსებული ძეგლების ფოტოგრაფიული სურათები იმდენად ბუნდოვანია, რომ ძნელი გასარჩევია, და წარწერების პალეოგრაფიული პირიც ხელითაა ნახატი და, რასაკვირველია, ზედმინვენილობა დაცული არ არის, მაინც აქ თავმოყრილი ძეგლები თავიანთი დამწერლობით მეტად საყურადღებო ეპიგრაფიკულ და პალეოგრაფიულ მასალას წარმოადგენენ და ქართული დამწერლობათამცოდნეობის მკვლევარი მათ გვერდს ვერ აუხვევს.

1905 წ. ქართული წარწერების გამოქვეყნებისათვის ყოველდღიური გაზეთის გარდა სხვა არავითარი ორგანო არ არსებობდა და მაშინდელ ჟურნალ-გაზეთებში ქართული ეპიგრაფიკული მასალებიც არის გაბნეული. მათი მოძებნა „ქართული ბიბლიოგრაფიის“ საშუალებით შეიძლება. ჟურნალ „მოამბე“-ში სხვათა შორის ე. თაყაიშვილის „არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი“ დაიბეჭდა, რომელიც შემდეგ 1907 წ. ცალკეც გამოვიდა და ამ სათაურით შემკული ნაშრომის პირველ წიგნად არის გამოცემული. ამ ნაშრომის მეორე წიგნი საქართველოს საისტორიო-ეთნოგრაფიული საზოგადოების ორგანოში „ძველი საქართველოს“ მე-III წიგნში დაიბეჭდა და 1908 წ. ცალკეც მეორე წიგნის სახელობით გამოვიდა. ამ მეორე წიგნის ზოგი ძეგლები, სახელდობრ, ტყვირის და სუჯუნის ეკლესიების ძეგლების აღწერილობა ავტორმა რუსულადაც გამოაქვეყნა 1916 წ. „Христіанскій Востокъ“-ში (გვ. 40—50 და 282—300). ქართულ გამოცემასთან ამ უკანასკნელს ის დიდი უპირატესობა აქვს, რომ ნაშრომს ძეგლების ფოტოგრაფიულად გადაღებული სურათები აქვს დართული და რედაქციისაგან შესწორებულია აქა-იქ შეპარული შეცდომები. 1910 წ. პრ. ნ. მარმა გამოსცა „Надпись Елифанія католикаса Грузіи“ (ИАН, გვ. 1433—1442 (ფოტოგ. სურათითურთ).

1905 წ. ე. თაყაიშვილმა დაიწყო ბეჭდვა თავისი ნაშრომის „Археологическія экскурсіи, разысканія и замѣтки“, რომელიც ხუთ ნაწილად გამოქვეყნდა. პირველი, IV და V ნაწილები იბეჭდებოდა СМОМПК (იხ. ამ ორგანოს вып. XXXV, 1905 წ., вып. XIII, 1913 წ., და вып. XIV, 1915 წ.), II და III ნაწილები-კი გამოქვეყნებული იყო მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების კავკასიის განყოფილების უწყებებში (იხ. ИКОТМАО 1905 წ. I წიგნი და 1907 წ. II წიგნი). ე. თაყაიშვილის ეს ნაწარმოები ცალკეც გამოვიდა. ხუთივე ნაწილის ღირსებას ძეგლთა თანდართული ფოტოგრაფიულ-პალეოგრაფიული სურათები შეადგენს, მეტადრე მე-II და III ნაწილებია წარწერათა მშვენიერი სურათებით შემკული.

დედუბუას, მ. ბროსეს, დ. ბაქრაძისა, ივ. როსტომაშვილისა და ე. თაყაიშვილის ზემოაღნიშნულ ნაშრომებში დიდი ეპიგრაფიკული მასალა არის გამოქვეყნებული, მაგრამ არც

ერთი მათგანი ამ ძეგლების წმინდა ეპიგრაფიკული შესწავლა-გამოკვლევის საგნად არ ყოფილა, არამედ თითქმის განსაკუთრებით საისტორიო მასალის მსგავსად იყო გამოქვეყნებული. ამასთანავე იშვიათი შემთხვევა არ არის, რომ გამოქვეყნების დროს წარწერა გამომცემელთ სრული სისწორით ვერ გადმოეცათ. ისიც აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ ბევრი შეუკრებელი ეპიგრაფიკული ძეგლები მოიპოვება. ზემონათქვამითგან ცხადი იქმნება, რომ ქართული წარწერათამცოდნეობა მომავალის აუცილებელ საქმედ უნდა ჩაითვალოს; იმისდა მიუხედავად, რომ აქამდე დიდი მასალა იყო გამოქვეყნებული და მათი ფოტოგრაფიული სურათები კაბინეტში მჯდომარე მკვლევარსაც-კი ამ სამეცნიერო დამხმარე დარგის შესწავლის საშუალებას აძლევდენ, იგი ჯერ არ არსებობს. თავისდა-თავად ცხადია, რომ ქართულ წარწერათა სრული ახალი კრებულის Corpus Inscriptionum Georgicarum-ის გამოცემაც აუცილებელია, მაგრამ ასეთ დიად საქმეს შესაფერი წინასწარი მუშაობა უნდა უძღოდეს წინ და ამიტომ ესეც მხოლოდ მომავალშია შესაძლებელი.

ქართული მდივანმწიგნობრული ხელის განვითარების წინასწარ შესასწავლად შეიძლება გამოყენებულ იქმნეს „საქართველოს სიძველეთა“ პალეოგრაფიული დამატების I და II რვეულები, რომლებშიაც მე-XI—XIV სს. სიგელების პირია დაბეჭდილი („პალეოგრაფიული ალბომი“, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამოცემა, ტფილისი 1909 და 1920 წ.).

ბაგრატი IV შიომღვიმის სიგელის პალეოგრაფიული პირი გამოქვეყნებული იყო ე. თაყაიშვილის მიერვე 1894 წ. Сигель грузинскаго царя Баграта IV (იხ. ЗВОРАОб, том IX, გვ. 59—68). 1911 წ. პრ. ნ. მარმა დაბეჭდა Грузинскія приписки греческаго Евангелія изъ Коридіи (ИАН, 1911 წ., გვ. 211—240), რომელსაც ამ მინაწერების ფოტოგრ. სურათები აქვს დართული. დასასრულ პროფ. აკ. შანიძემ 1924 წ. ტფილისში 1188 წ. ხელთნაწერიდან ამოღებული ამავე დამწერლობით ნაწერი „თარგმანებაი ქებისა ქებათაისი“ პალეოგრაფიულად გამოაქვეყნა (უნივერსიტეტის სტუდენტთა კავშირის გამოცემა და უ-ტის ლითოგრაფიაშია დაბეჭდილი), ყველა ზემოჩამოთვლილი გამოცემების, პროფ. ნ. მარრისაგან გამოქვეყნებულის გარდა, მთავარ ნაკლს ის გარემოება შეადგენს, რომ პალეოგრაფიული პირები ხელით არის გადაღებული, რაც მოხაზულობის ზედმინეწვილობის დაცულობის თანამედროვე მოთხოვნილებას არ აკმაყოფილებს. უკვე კარგა ხანია მეცნიერებამ ამისათვის ფოტოგრაფია გამოიყენა და ჩვეულებრივ ჰელიოგრაფიურისა, ან ცინკოგრაფისა, ან და ფოტოლიტოგრაფიის საშუალებით ჰბეჭდავენ ხოლმე.

ზემოაღნიშნულის წყაროების გარდა ქვემოთ პალეოგრაფიის შესასწავლად მთავარი მნიშვნელოვანი წყაროები იქმნება ჩამოთვლილი: M. Litzbarski, Handbuch der nordsemitischen Epigraphik, მისივე Ephemeris für Simitische Epigraphik, I და II. Franz Praetorius, Ueber den Ursprung des Kanaanäischen Alphabets, მისივე Bemerkungen zum südsemitischen Alphabet ZDMG. 58 B (1994 წ.). Zum semitisch — griechischen Alphabet, ZDMG 1908 წ., B. 62. Fridr. Delitzsch, Die Entstehung des ältesten Schriftsystems oder Ursprung der Keilinschriften, Leipzig, 1897 წ. Ed. de Rougé, Mémoire sur l'origine égyptienne de l'alphabet phénicien, Paris, 1874 წ. I. Halevy, Mélanges d'épigraphie et d'archéologie sémitique, Paris, 1874 წ. E. Meyer-ს ფინიკიურ ანბანის სათავედ ხეთური ანბანი მიაჩნია (Geschichte des Altertums Bd 2. 1898 წ. გვ. 280 შემდ.). de Vogüé, la Syrie Centrale. Inscriptions semitiques, Paris, 1868 და 1877 წ. Corpus Inscriptionum Semiticarum. D. Chwolson, Corpus Inscriptionum hebraicarum, St.-Pterburg, 1882 წ. მისივე, Syrisch-Nestorianische Grabinschriften aus Semiretschie, Mémoires de l'Académie de St.-Peterburg, 1890 წ. VII série, t. XXXVII, Nr. 8. Ch. Clermont-Ganneau, etudes d'archéologie orientale (Bibliothèque de l'École des Hautes Études, Paris, 1897 წ.; 113 fascicule). Ph. Berger, Histoire de l'écriture dans l'antiquité 2-ième édition, Paris, 1912 წ. Adolf Kirchhoff, Studien zur Geschichte des griechischen Alphabets, Berlin, 1887 წ. Wilhelm Larfeld, Griechische Epigraphik, 1914 წ., მეხამე გამოცემა. აქ მსურველი იპოვის მთე-



ლი სათანადო წყაროების სიას. Fr. Praetorius, Zur Geschichte des griechischen Alphabets ZDMG, 56 B. 1902 წ. Corpus inscriptionum Graecarum, edd. A. Boeckhiius, A. Kirchoffiius, E. Curtius, H. Roehlius I–IV, 1828—1877 წ.წ., Inscriptiones Graecae, I–XIV, Inscriptiones Graecae antiquissimae... ed. H. Roehl, 1882 წ., მესამე სასკოლო გამოცემა 1907 წ. Inscriptiones Graecae ad res Romanas pertinentes, Paris, 1901 წ. და შემდ. Tituli Asiae Minoris, ვენის სამეცნიერო აკადემიის გამოცემა E. Kalinka-ს მიერ. B. Latyshev, Inscriptiones antiquae orae septentrionalis Ponti Euxini Graecae et Latinae, Petropoli, 1885, 1890, 1902 წ.წ. მშვენიერი ფოტოტიპიური გამოცემაა. Otto Kern-ის Inscriptiones Graecae, Tabulae in usum scholarum VH. Bonnae.

Silvestre, Paléographie universelle. Collection des facsimilés d'écriture, Paris, 1839 წ. William Wright, The Paleographical Society. Facsimiles of manuscripts and inscriptions (Oriental series) London, 1875—1883 წ.წ. Evgenius Tisserant, Specimina codicum orientalium Tabulae in usum scholarum VIII, Bonnae. მშვენიერი ფოტოტიპიური გამოცემაა, რომელშიაც სამარიტული, ებრაული, ასურული, პალესტინისა, მანდეური, არაული, ეთიოპური კოპტური ხელთნაწერების ნიმუშებია დაბეჭდილი. წინასიტყვაობაში მკითხველი ხელთნაწერების აღწერილობათა და სხვადასხვა პალეოგრაფიის შესახებ მწერლობის სიას იპოვის. არაბულ-სპარსულ-თურქულ დამწერლობის შესახებ. De Sacy, Nouveaux aperçus sur l'histoire de l'écriture chez les Arabes du Hédjaz (Journal Asiatique, Série, I, X გვ. 209 შემდ.). Arnold, The present order of the alphabet in Arabic. Fleischer, Zur Geschichte der arabischen Schrift ZDMG. XVIII, 288-291. Karabacek, Papyrus Rainer და სხვა წერილები. საგულისხმო ცნობებსა და დამწერლობისა და საწერი იარაღის სურათებს შეიცავს C. Huart-ის Les Calligraphes et les Miniaturistes de l'Orient Musulman, Paris, 1908 წ. B. Moritz, Arabische Schrift. Enzyklopaedie des Islam, 7-e Lieferung, 1910 წ., გვ. 399—410, ცხრა დამწერლობათა საუცხოვო ნიმუშებისა და ერთი ანბანის ისტორიული განვითარების მაჩვენებელი ტაბულითურთ. იქვეა სათანადო ბიბლიოგრაფიაც. ბერძნულ-ლათინური პალეოგრაფიისათვის მნიშვნელოვანია E. Thompson, Handbook of Greek and Latin Palaeography, London, 1906 წ. 3-ე გამ. Fr. G. Kenyon, The Paleography of Greek Papyri.

V. Gardthausen, Griechische Palaeographie, მე-2 გამ. I და II ნიგნი, 1913 წ. W. Wattenbach, Anleitung zur Griechischen Palaeographie, მისივე, Anleitung zur lateinischen Paläographie და მეტადრე Das Schriftwesen in Mittelalter. პრ. გ. წერეთელი, Сокращения въ греческихъ рукописяхъ преимущественно по датированнымъ рукописямъ с Петербурга и Москвы, СПб., 1904 წ., მისივე, Къ вопросу о провинціальныхъ типахъ греческаго письма СПб., ЗРАХОБ., т. XII, книга 5, Къ исторіи греческаго письма въ Египте въ связи съ культурно-историческимъ положеніемъ страны СПб. ЖМНПр. 1906 წ., გვ. 231—243. Памятники греч. письменности изъ Египта, 1909 წ. ЖМНПр., Палеографическіе этюды Порфирьевское Четвероевангеліе ЖМНПр. 1915 წ., გვ. 271—282. Ludwig Traube, Vorlesungen und Abhandlungen. I Zur Paläographie und Handschriftenkunde, München 1909 წ. B. Bretholz, Lateinische Paläographie, 1912 წ. მე-2 გამ. Alf. Jacob Scriptura ob. Dicti. onnaire des antiquités grecques et romaines. sous la direction d. M. Ed. m. Saglio 1909 წ. Paris, გვ. 1125—1135. Arthur Mentz, Geschichte der griechisch-römischen Schrift bis zur Erfindung des Buchdrucks mit beweglichen Lettern Leipzig 1920 წ. O. A. Добіаш-Рождественская, Исторія письма в средние века, руководство к изучению латинской полеографии, Петербург, 1923, изд. Броккауз-Ефрон. ბერძნული დამწერლობის ძეგლთა ნიმუშებისათვის უნდა მკითხველმა მიჰმართოს შემდეგ გამოცემებს: Henri Omont, Facsimilés des manuscrits grecs datés de la Bibliothèque Nationale du IX au XIV-e siècle, Paris, 1890 წ., მისივე, Facsimilés des plus anciens manuscrits grecs en onciale et en minuscule du IV-e au XII siècle, Paris, 1892 წ. და Facsimilés des manuscrits grecs du XV-e et XVI-e siècle, Paris, 1887 წ. მშვენიერი გამოცემანია. Bibliothèque Nationale département des manuscrits: Facsimilés de manuscrits Grecs, Latins et Français du V-e au XIV siècle exposés dans la Galerie Mazarine, Paris. Girolamo Vitellie Cesare Paoli Collezione Fiorentina di facsimili paleografici greci e



latini, Firenze 1884—97 წ. G. Wattenbacht Ad. von Velsen, Exempla codicum Graecorum litterys minusculis scriptorum, 1898 წ., Heidelbergae. W. Wattenbach, Schrifttafeln zur Geschichte der griechischen Schrift, Berlin, 1876-77 წ. Paleographical Society, Facsimiles of Manuscripts and Inscriptions edited by E. A. Bond and E. M. Thompson, London, 1873—97 წ. პროფ. გ. ნერეთელი და ს. სობოლევსკი Exempla Codicum Graecorum Litteris minusculis scriptorum annorumque notis instructorum, ediderunt Gregorius Cereteli Universitatis... Iurievensis professor et Sergius Sobolevski Universitatis... Mosquensis et instituti Archaeologici Mosquensis professor, volumen primus: Codices Mosquenses, მოსკოვს, 1911 წ., volumen alterum: Codices Petropolitani, იქვე, 1913 წ. მშვენიერი გამოცემაა.

რუსული დამწერლობისა და პალეოგრაფიის შესასწავლად საუკეთესოდ ითვლება აკად. სობოლევსკისა და პროფ. ვ. შჩეპკინის შრომები: акад. Соболевскій, Славяно-русская палеография, Петр., 1909 წ., проф. В. Н. Щепкинъ, Учебникъ русской палеографии, Москва, 1920 წ., Государственное издат.

პალეოგრაფიის ისტორიის ზოგადი მიმოხილვა და დებულებანი ღკდვიგ ტრაუბესა აქვს დანერილი (იხ. Ludwig Traube, Vorlesungen und Abhandlungen herausgegeben von F. Boll, I. Band, München 1909 წ., Geschichte der Paläographie, გვ. 1—80 და Grundlagen der Handschriftenkunde, გვ. 81-127. პალეოგრაფიისა და დამწერლობათამცოდნეობის გასაცნობად ფართო საზოგადოებისათვის განკუთვნილ ნიგნთაგან შეიძლება დასახელებულ იქმნეს პროფ. Schubart-ის Das Buch bei den Griechen und Römern 1907 წ., პროფ. O Weise-ს Schrift und Buchwesen in alter und neuer Zeit (Aus Natur und Geisteswelt 4. Bändchen) და Fritz Specht-ის Die Schrift und ihre Entwicklung, Berlin, 1909 წ., რომელნიც სურათებითა და დამწერლობათა ნიმუშებითაც არიან შემკული.

## თავი მეორე

### ტერმინები და ცნობები ძველი ქართული და სხვა ერთა სამწიგნობრო სელოვნების შესახებ

ვიდრე ქართული პალეოგრაფიის შესწავლასა და განხილვას შეეუდგებოდეთ, თავდაპირველად ჩვენ ყველა ის ცნობები და ტერმინები, რომელიც კი ძველ სხვა ერთა და ქართულ მწიგნობრობასა და ნიგნების შემზადებას შეეხება და ქართულ სხვადასხვა წყაროებშია გაბნეული, უნდა შეკრებილი და ზედმიწევნით შესწავლილი გვქონდეს. უნდა ვიცოდეთ, რადარა ტერმინები იხმარებოდა უცხოეთისა და ქართულ მწიგნობრობაში, ან როგორ სწერდენ და ამზადებდენ ნიგნებსა და საბუთებს, თანაც რა იარაღსა და მასალას ხმარობდნენ ამისთვის.

მწერლობას, წერა-კითხვას და მწერლობითს განათლებას ძველ საქართველოში „**მწიგნობრობა**“ ეწოდებოდა. იოანე საბანისძეს აბო ტფილელის შესახებ მაგ. ნათქვამი აქვს, რომ სანამ აბო თავის სამშობლო ქვეყანაში არაბთა შორის ცხოვრობდა უკვე „სწავლულ იყო **მწიგნობრებითა სარკინოზთაჲთა**“ (ცე ჰაბოჲსი 162), არაბული წერა-კითხვა და განათლება შეთვისებული ჰქონდაო. ხოლო, როდესაც ერისთავთ ერისთავს წერს ქართულში წამოჰყვა, მაშინ „შესძინა სწავლად **ქართულისა მწიგნობრებისა და ზრახვისა** წსნილად“ (იქვე, 1617 18), ქართული წერა-კითხვა და განათლებაც შეისწავლაო. გ. მერჩულის სიტყვითაც გრიგოლ ხანძთელმა ბავშობითგანვე „მსწრაფლ ხოლო დაისწავლა დავითი და ჳმითა სასწავლელი სწავლად საეკლესიოჲ, სამოძღუროჲ ქართულსა ენასა შინა ყოველი დაისწავლა და **მწიგნობრობაჲცა ისწავა მრავალთა ენათაჲ**“ (ცე გგლ ხნძთლსჲ, გვ. გ.).

აქაც ისტორიკოსს ხანძთის არხიმანდრიტის მიერ უცხო ენების წერა-კითხვის შესწავლაზე აქვს ლაპარაკი. ამ სიტყვა „მნიგნობრობა“-ს ანბანის, საწერ ნიშნების ზოგად სახელდაც ხმარობდენ. ლეონტი მროველს თავის თხზულებაში აღნიშნული აქვს, ვითომც პირველად ფარნავაზ მეფემ „შექმნა „მნიგნობრობა ქართული“ (ცმ მეფეთა 132, გვ. 22), ე. ი. ქართული ანბანის მომპოვნებელი და შემომღები იყო.

სამნიგნობრო ხელოვნებას თავისი დიდი და საგულისხმო თავგადასავალი აქვს, რომლის ცოდნა აუცილებელია ადამიანის სულიერი კულტურის ყოველი მკვლევარისათვის და განათლებულ მკითხველსაც მისი ცოდნა კაცობრიობის წარმატების ერთ თვალსაჩინო და უმნიშვნელოვანეს გამოხატულებას გადაუშლის თვალწინ. სამწერლობო ხელოვნების ისტორიის განხილვის დროს, უნდა სამი მთავარი საკითხი იყოს განხილული: პირველი საწერ მასალას ეხება, მეორე საწერ იარაღებს, მესამე კიდეც თვით წერის ტექნიკის გარეგან პირობებს. რატგან ყოველი სამწერლობო ხელოვნება, ვითარცა კულტურული ცხოვრების სხვა მხარეებიც, მეზობელ და თვით შორეულ ერთა ისტორიასთან არის დაკავშირებული, ამიტომ ქართული მნიგნობრობის თავგადასავლის მიმოხილვაში ჩვენ სხვა ერთა სამნიგნობრო ხელოვნების განვითარებასაც, მეტადრე პირველი ორი საკითხის განხილვის დროს, უნდა გავუწიოთ ანგარიში.

## §1. საწერი მასალა

მწერლობის ძეგლებისათვის სხვადასხვა დროს სხვადასხვა მასალა იხმარებოდა ხოლმე: ჯერ ქვა, ლითონი, ძვალი და საზოგადოდ მაგარი, შედარებით მძიმე და ხშირად ძნელად შესაძრავი ნივთიერება იყო მიღებული, შემდეგ თხელი და სუბუქი მასალა შემოვიდა. ადამიანის ნააზრევის მაგარ ნივთიერებაზე აღბეჭვდა, რასაკვირველია, სულ სხვანაირ იარაღსაც მოითხოვდა, ვიდრე შემდეგ დროინდელ თხელ მასალაზე დასაწერად იყო საჭირო. ამიტომ მასალისა, იარაღისა და ტექნიკური აღსრულების აღსანიშნავად ძველადაც თავ-თავისი ტერმინები იხმარებოდა და ეხლაც ასევეა მიღებული.

ქვაზე და სხვა მაგარ ნივთიერებაზე გამოყვანილ სიტყვასა თუ აზრს, რასაც ეხლა წარწერა ეწოდება, ძველ დროს „ზედანერილი“ ერქვა. სახარებაში მაგ. იქ, სადაც საუბარია დრაჰკან ფულზე და აღნიშნულია, რომ იესომ მათ ჰკითხა ვისი სახელი აწერიაო, ასეა ნათქვამი: „ჰრქუა მათ იესუ „ვისი არს... ესე... ზედანერილი“. ჰრქუეს მას „კეისრისაჲ“ (მათე XXII, 20-21). მართალია, რაკი აქ ფულზეა ლაპარაკი, ამიტომ „ზედანერილი“-ს თითქოს სპეციფიკური მნიშვნელობა აქვს, მაგრამ სახელოვანი ქართველი მეცნიერის ქვემო-მოყვანილი სიტყვები ცხადჰყოფენ, რომ თუ ყოველთვის არა, ზოგჯერ მაინც ამ ტერმინს წარწერის ზოგადი მნიშვნელობაც ჰქონია.

ბატონიშვილს ვახუშტს აღნიშნული აქვს, რომ საქართველოს „მეფეთა სახელნი... ზედანერილი არიან ქუათა, ხატთა და ჯუართა ზედა“-ო (ისტ. საქართ., ჩუბ. 1, ჭიჭ. 3-4).

ამგვარადვე იმას, რასაც ბერძნები ἡ ἐπιγραφή. τὸ ἐπιγραμμά-ს, ხოლო რომაელები inscriptio-ს, ფრანგები inscription, გერმანელები-კი Inschrift-ს, რუსები надпись-ს ეძახიან, ძველ ქართულ მწერლობაში „ზედანერილი“, ან ზედანერილი რქმევია. მაგრამ უკვე ძველადვე ამავე მნიშვნელობით „წარწერა“-სა და „წარწერილსა“-ც ხმარობდენ, მაგ. გიორგი ამარტოლის ხრონოლოგიის ბერძნულ ტექსტის „ἐπιγραψαν... ἐν τῷ τῶφῳ“ (de Boor'-ის გამოც. II, 13<sub>17</sub>) ქართულად ნათარგმნი უდრის „წარწერნეს საფლავსა მისსა ზედა“ (გ. მონაზონის ხრონ. ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა 5<sub>13</sub>), „მის მიერ წარწერილად პოვნილნი“ (5<sub>14</sub>). მაშასადამე, აქეთგანვე უნდა წარმომდგარი თანამედროვე ტერმინი „წარწერა“ რაკი ამჟამად ჩვენ ამ ცნების აღსანიშნავ ტერმინად წარწერას ვხმარობთ, ამიტომ თანამედრო-

ვე ქართულ სამეცნიერო ტერმინოლოგიაში ძველ ტერმინს შეიძლება ფულების ნარნერის მნიშვნელობა შევუნარჩუნოთ და „ზედნერილი“ ლათინურ *legenda*-ს, ფრანგულ *légende*-ის შესატყვის ტერმინად ვიხმაროთ.

ნარნერები, როგორც ებრაელთა საღმრთო წერილის ერთერთ ნიგნშიაც არის აღნიშნული, ქვასა, ლითონზე ან სხვა მკვრივ ნივთიერებაზე იყო ხოლმე გამოყვანილი. თუ თვით კედლის ან შენობის ქვაზე არ იყო მოთავსებული, მაშინ საგანგებოდ დამზადებულ ქვებზედ აჭრევენებდნენ ხოლმე, კეთდებოდა ხოლმე საამისოდ „**ფიცარნი ქვისანი**“. საღმრთო წერილში მაგ. ნათქვამია: „ჰრქუაჲ ონ მოსეს: „აღმოვედ ჩემდა მთად... და მოგცე შენ **ფიცარნი ქვსანი**, სჯული და მცნებანი ჩემნი, რომელი დავენერე“ (გამოსლ. 24<sup>12</sup>), „გამოსთაღნა მოსე ორნი იგი **ფიცარნი ქვსანი**“ (იქვე, 34<sup>4</sup>), „და დავენერნე ფიცართა მათ სიტყვანი იგი“ (იქვე 34<sup>1</sup>), „განიყუნეს ტომად-ტომად ნათესავნი იგი ქამისნი და პოვნეს **ფიცარნი ქვისანი** და შექმნეს იგინი ნიგნად“ და მიინია ნიგნი ნათესავითი ნათესავად“ (ცე პანსოფი ალექს. Keimena I, 50). დაბადებაში შესატყვის ადგილებში ბერძნულად სწერია τὰ πινδα λιθίνα, πλάτ, ლათინურად *tabulae lapideae*.

მაგრამ ქვის ფიცრებს გარდა განათლებული კაცობრიობის სამნიგნობრო ხელოვნებას სხვაგვარი სანერი მასალაც უხმარია, მაგალითად, ხის ფიცრებიც. რომში ძველად ხის ფიცრებზე უწერიათ და რომაული კანონმდებლობის უძველესი ძეგლები, მათ შორის განთქმული „თორმეტი ფიცრის კანონები“ ხის ფიცრებზე ყოფილა ნანერი თუ ამოჭრილი. ლიტონი, დაუმუშავებელი ფიცრის გარდა ძველ საბერძნეთსა და რომის სახელმწიფოებში სანერ მასალად ცვილგადაკრული ხის ფიცრებიც იყო ძალიან გავრცელებული. ეგვიპტელებს, როგორც ეტყობა, ამგვარი მასალა არ უხმარიათ სანერად.

ამნაირ ფიცრებს ლათინურად *cerae*, *tabulae ceratae*, *tabulae cerussatae*-ს უწოდებდნენ, რაც ქართულად ნიშნავს ცვილნი, ფიცარნი ცვილოანნი.

ძველ ქართულ მწერლობაში ასეთი ტერმინი ჯერ არა ჩანს, მაგრამ „ხატი **ცვილოანი**“ სამჯერ იხსენიება გიორგი მთაწმინდელის თხზულებაში (ცე ი-ე და ეფთმსი, 17-18) და ეს გარემოება უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ *tabulae ceratae* ქართულად სწორედ „**ფიცარნი ცვილოანნი**“ იქნებოდა.

გერმანულ პალეოგრაფიულ მწერლობაში ამის აღსანიშნავად მიღებულია *die Wachstafel*, ფრანგულში *bois enduit de cire*. რაკი ცვილოანი ფიცრები ხშირად, მეტადრე როდესაც კერძო ცხოვრებაში სახმარებლად იყო განკუთვნილი, პატარა ტანისა იყო ხოლმე, ამიტომ თანამედროვე ქართულ სამეცნიერო მწერლობაში ცვილოან ფიცრებს გარდა, რომელიც ამგვარი მასალის დიდი ზომის ძეგლების აღმნიშვნელ ტერმინად უნდა დარჩეს, უნდა „ცვილოანი დაფა“-ც შემოვიღოთ ყოველდღიურ ცხოვრებაში მიღებული, შედარებით პატარა ზომის, ამგვარი სანერი მასალის აღსანიშნავად.

ცვილოან დაფებს ის დიდი უპირატესობა ჰქონდა, რომ ნანერის ნაშლა და ხელახლად დაწერა ადვილად შეიძლებოდა. ამიტომ ის შავად დაწერისათვის ძალიან კარგი იყო და სწორედ ამისთვის ხმარობდნენ. მაგრამ ამას გარდა ცვილოან დაფებზე ანგარიშები და საბუთებიც იწერებოდა. სანერ იარაღად წვეტიანი მკვრივი ნივთიერება იხმარებოდა. პირველად 1786 და 1788 წ. Vöröspatak-ში იყო 131—167 ქ. შ. წ. დაწერილი ტექსტის შემცველი 25 ამგვარი ცვილოანი დაფები ნაპოვნი, რომელნიც ამ უამად ბუდა-პესტის მუზეუმში ინახება, შემდეგ 1875-6 წ. კიდევ 130 ცალი ამნაირივე დაფა 15—62 ქ. შ. წ. ნანერითურთ პომპეიშიც აღმოჩნდა. ეს ცვილოანი დაფები ჩვეულებრივ ორი, სამი და უფრო მეტი ფიცრების კრებულადაა აკინძული, ნიგნის ანუ უფრო რომ კარედი ხატის მსგავსად გაკეთებული ყოფილა. უფრო ხშირად სამი დაფის შემცველია ხოლმე, რომელთაგან პირველი და უკანასკნელი დაფის გარეგანი მხარე უცვილოა, ცხადია, იმიტომ რომ აქ ნანერი ხელის ხლებით დაზიან-

დებოდა. ხოლო პირველი და მესამე დაფის შიგნითი მხარე და მეორეს ორთავე გვერდი ცვილით იყო მოფენილი და ნანერს შეიცავს ხოლმე. ამგვარად, 6 გვერდითგან 4 გვერდი დაწერილი იყო ხოლმე, ორი-კი დაუნერვლია და გარეკანის მსგავსად არის. ბერძნულად ორი დაფის შემცველს შეკვრებს diptycha ანუ ორკეცი ეწოდებოდა (მხ. რ. διπτυχον), სამი დაფისას — triptycha ანუ სამკეცი და რამდენიმე დაფისას — polyptycha, მრავალკეცი. რომაელებს ამის შესატყვის ტერმინებად ჰქონდათ: duplices, triptices და multiplices, ხოლო ერთად შეკინძულს, შეკვრას caudex-ს ან codex-ს **კოდექს** ეძახდნენ ხოლმე. შემდეგში ეს უკანასკნელი ტერმინი ხელთნაწერი წიგნის აღსანიშნავადაც იხმარებოდა. ქართულად ბერძნული **„დიპტუხონ“**-ის ხატის აღსანიშნავად **„კარედი“** ხატი იყო ძველად მიღებული (ამის დამამტკიცებელი საბუთები მოყვანილი იქნება ცალკე გამოკვლევაში ქართული ხელოვნებისა და შინაურ ყოფა-ცხოვრების შესახებ), ამიტომ საფიქრებელია, რომ ქართულ ძველ მწერლობაში ზემომოყვანილ ბერძნულ-ლათინურ ტერმინის შესატყვისად **„კარედი“**, **„ორკარედი“**, **„სამკარედი“** და **„მრავალკარედი“** იქნებოდა და თანამედროვე მწერლობაშიც სწორედ ასევე უნდა ვიხმაროთ.

როდესაც ამგვარ ორკარედში სიგელი ეწერა ხოლმე, მაშინ ისე ყოფილა მიღებული, რომ მეორე და მესამე გვერდზე საბუთის დედანი ეწერა ხოლმე, ხშირად ავხელად დაწერილი, მეოთხე გვერდზე-კი მოწმეთა ხელრთვა და ბეჭდები იყო დასმული. ამავე გვერდზე სიგელის კაიხელად გარდანაწერი მისდევდა, რომელიც მეხუთე გვერდზე თავდებოდა. დედანი რომ არავის გაეფუჭებინა ან დაეზიანებინა, პირველი ორი კარი ძაფით შეკრული და ბეჭდით დაბეჭდილი იყო, საბუთის პირის, გარდანაწერის წაკითხვა-კი ყველას შეეძლო.

ცვილოანი დაფები, კარედები, ორკარედები და მრავალკარედები საფრანგეთსა და გერმანიაში ჯერ კიდევ XIII-XIV ს-შიაც იხმარებოდა ანგარიშებისა და სხვადასხვა მიზნითაც. სხვათაშორის შენახულია მე-XV ს. გერმანელი მონაფეების სასკოლო სავარჯიშო სამუშაოს შემცველი ცვილოანი დაფებიც. ამგვარი ძეგლები პარიზისა, ჟენევისა, ფლორენციისა და გერმანიის მუზეუმებშია.

ხმარობდნენ თუ არა აღმოსავლეთში ხის ფიცრებსა და ცვილოან დაფაკარედებს ჯერ გამოსარკვევია. არაბთა სახალიფოში მხოლოდ ერთი, ისიც დაზიანებული, ხის ფიცარია ნაპოვნი, რომლის ერთ გვერდზე მელნით არის დაწერილი, მეორე გვერდზე-კი ნანერი ამოფხაჭნილია. ძეგლთა ასეთი სიმცირისა და მიუხედავად მაინც საფიქრებელია, რომ ცვილოანი თუ უცვილო კარედი დაფების და მრავალკარედების საწერ მასალად გამოყენება უნდა აღმოსავლეთშიაც სცოდნოდათ და ყოფილიყო გავრცელებული. ამას ის გარემოება გვაფიქრებინებს, რომ აღმოსავლეთში მაგ. არაბულში **„ბაბ“**, ხოლო იქითგან სპარსულში და ქართულშიაც ერთი წიგნის, თხზულების ნაწილებს, ან თავებს **„კარი“** ერქვა. არაბულადაც **„ბაბ“** სწორედ კარს ჰნიშნავდა. ამ ტერმინის წარმოშობისა და დედააზრის გაგება შეუძლებელია, თუ თხზულებასა და წიგნს ძველად სწორედ კარედ, ან მრავალკარედ დაფებზე დაწერილად, მართლაც ცალ-ცალკე კარებად ნანერ და ერთად შეკინძულ კრებულად არ წარმოვიდგინოთ. ამიტომ ნაწარმოების ნაწილის აღმნიშვნელი ტერმინი „კარი“ ცხად-ჰყოფს, რომ ძველად აღმოსავლეთშიაც ცვილოან მრავალკარედებზე წერა უნდა სცოდნოდათ და ტერმინი „კარი“-ც სწორედ ამ ხანის წარმონაშობი და ამისი ნაშთი უნდა იყოს.<sup>1</sup>

უხსოვარ დროითგან ეგვიპტელები საწერ მასალად ერთი მცენარის (Cyperus Papyrus I) გულითგან თხლად და სიგრძეზე ათლილს ნივთიერებასა ხმარობდნენ. წინათ ეს მცენარე

1. აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ ეგვიპტელებიც წიგნის თავს „რე“-ს, ე. ი. პირს, კარებს უწოდებდნენ და ბერძნებიც მე-V ს. დამდეგს ამგვარადვე ნაწერის სვეტს σελτιος „დელტო“-ს კარს ეძახდნენ (Th. Birt, Die Buchrolle in der Kunst., Lpz., 1907 წ., გვ. 210) ამ ცნობისათვის პრ. გ. წერეთელს მადლობას მოვასხენებ.



სხვადასხვა ცხელ ქვეყნებში მოდიოდა, ეხლა კი პალესტინასა და ნუბიაში იზრდება ველურად. მას ნოტიო, ჭაობიანი ნიადაგი უყვარს და უფრო მდორე მდინარის ნაპირებს რჩეობს. ბერძნები ამ მცენარეს *πάπυρος* „პაპკროს“-ს ეძახდნენ და ბერძნებისაგან ეს სიტყვა რომაელებმა და შემდეგ მთელმა განათლებულმა კაცობრიობამაც შეითვისა (*papyrus, der Papyrus*) ამ მცენარისაგან გაკეთებულ საწერი მასალის აღსანიშნავად. არაბები ამას „კირტას“, „კირტას მისრი“-ს უწოდებდნენ. ხოლო ქართულად პაპკრუსის შესატყვის ტერმინად, როგორც ეს დაბადების ქართული თარგმანითგანა ჩანს, „ჭილი“ უნდა ყოფილიყო, ხოლო სომხურში „პრტუ“ *պրտու*. ესაიას ქართულ თარგმანში მაგ. ერთგან ნათქვამია: განხმეს „ყოველი ძირი ლელნმისა და ჭილისა“-ო (196). ბერძნულად აქ სწერია *καλάμου και παπύρου* „კალამუ კაე პაპკრუ“: სომხურად *կერხყან ხ ყრილთ*.

საბა ორბელიანის ცნობით, ჭილი სხვადასხვანაირი იყო. „ჭილიცა სამ-ოთხ გვარი არის: შოლდო არს დაბალი და ღერო-მრგვალი ჭილი, ვივილოსი არს მაღალი და მრგვალი ჭილი, ჩალამგელა არის ფოთელ-ბრტყელი ჭილი და სხუაგუარნიცა არიან“-ო. მისივე სიტყვით ჭილო იყო „ნიორთა და მისთანათა ერთი შენაძრობი ძირთაგანი“, ე. ი. თავის ერთს ჩამოცლილ ფურცელს ეწოდებოდა. აქეთგანვე ჭილობი-ც ნაწარმოები.

ბერძნებმა ჭილის საწერ მასალად ხმარება ეგვიპტელებისაგან ისწავლეს, ბერძნებისაგან კიდევ რომაელებმა და მთელმა დასავლეთმა ევროპამ.

კარაბაჩეკისა (I. Karabacek) და ბირტის (Th. Birt) სიტყვით, ჭილს ანუ პაპკრუსს ასე აკეთებდნენ: ჯერ ღეროს წყალში ალბობდნენ და არჩევდნენ ხოლმე. „შემდეგ მწვანე კანს მცენარის შუაგულამდე აცლიდნენ, ხოლო ამის შემდგომ მცენარის შუაგულს, ბასრი მჭრელი დანით თითის სიგანე თხელ ზოლებად სიგრძეზე ჩამოაფცქვნიდნენ ხოლმე. ამ ჩამონაფცქვენს ბერძნები „სქიზას“, რომაელები *scissura* სცისურას, ნახლექს, ნათალს ეძახდნენ. ასეთ ჩამონათალ ზოლებს სველ ფიცარზე ერთი მეორის გვერდით სიგანეზე დაალაგებდნენ და ერთგვარი წებოთი ერთმანეთზე მიაკრავდნენ, ხოლო ზემოთგან განდაგან დალაგებულ და მიწებოებულ ჭილის ზოლებს დაადებდნენ ხოლმე. შემდეგ ამგვარად შემზადებულ ფურცლებს სტკეპნიდნენ, ასწორებდნენ და აშრობდნენ“. ჭილის შემზადების დაწვრილებითი აღწერილობა პლინიუს უმცროსსა აქვს, რომლის სრული ტექსტი და განმარტება მოყვანილია თეოდორ ბირტის თხზულებაში (Theodor Birt, Kritik und Hermeneutik nebst Abri-s des antiken Buchwesens München, 1913 წ., გვ. 265—268).

ასე გაკეთებულ ჭილის საწერ ფურცლებს ბერძნები *χάρτις* „ქარტის“ უწოდებდნენ და აქეთგან არის ლათინური *charta* და არაბული „კირტას“-იც წარმომდგარი. მეხუთე საუკუნითგან მოყოლებული ამ სახელს ზოგჯერ სხვა საწერ მასალებსაც, მაგ. ტყავს, ეტრატსაც ეძახდნენ ხოლმე. ჭილის ფურცლები დასავლეთ ევროპაში მე-X ს-მდე იხმარებოდა, მერმე-კი ქრება და წარმოებაც ისპობა. ძველად-კი ეგვიპტეში და ჰერკულანეუმში ეს საქმე ფართოდ იყო დაყენებული და საქარხნო წარმოებად იყო ქცეული.

ჭილს საწერ მასალად არაბებიც ხმარობდნენ, მაგრამ პაპკრუსზე დაწერილ ძველთა მომეტებული ნაწილი დაიღუპა. უძველესი არაბული ჭილზე ნაწერი საბუთები მე-VII ს. მეორე ნახევრისაა, დათარიღებულთაგან-კი ერთი 931 წ. ქ. შ., ხოლო მეორე 935 წ. არის შედგენილი. იყო თუ არა მიღებული თვით საქართველოში ჭილი საწერ მასალად, ჯერ გამორკვეული არ არის. ჩვენამდის მხოლოდ ორმა ჭილზე ნაწერმა ქართულმა ძეგლმა მოაღწია და ორივე პალესტინაში საბა წმიდის ლავრისა და სინას მთის ქართველთა მონასტრითგანაა: ერთი მათგანი ფსალმუნია, მეორე თთვენი. ორივე ძეგლი სინას მთითგან საეკლესიო ისტორიის მკვლევარმა რუსმა ცნობილმა მეცნიერმა პორფირი უსპენსკიმ ჩაიტანა რუსეთში, ამ ორთაგან თთვენი შერეული ეტრატ-ჭილის ფურცლებითგან ნაწერ-აკინძული შედგენილობისაა და მე-VII-VIII ს. კი არა, როგორც პროფ. ალ. ცაგარე-



ლი ფიქრობდა, არამედ მე-VIII ს. ეკუთვნის, მხოლოდ ჭილზე დანერილი ფსალმუნი-კი პროფ. ალ. ცაგარლის აზრისდა საწინააღმდეგოდ, რომელიც ამ ხელთნანერს მე-VII-VIII ს. მიაკუთვნებს, ნამდვილად მე-IX ს. ძეგლია. ორთავე ხელთნანერის აღწერილობა და სურათები პროფ. ცაგარლის ნაშრომში „Свѣденія о памятникахъ грузинской письменности“ (СПБ., 1889 წ., გვ. 17—21 და 50—53) არის მოყვანილი. ამ ჟამად უძველესი ამ ორ ჭილის ხელთნანერთაგანი, თვენი, რუსეთითგან საქართველოს დაუბრუნდა და საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო მუზეუმში არის დაცული.

სწერდენ თუ არა თვით საქართველოშიაც ჭილზე წიგნებსა და სიგლებს, ჯერ კიდევ გამოსარკვევია და მომავალი გვიჩვენებს.

საქართველოში ძველად ყველა სხვა საწერ მასალაზე უფრო ტყავი ყოფილა მიღებული. მაგრამ ჯერ ცოტა რამ ამის შესახებ სხვა ქვეყნებში. უკვე ჰეროდოტეს ცნობებითგან ჩანს, რომ აღმოსავლეთში და მეტადრე აზიაში საწერ მასალად უძველეს დროითგანვე საქონლის **ტყავეულობას** ხმარობდენ, რომელიც ამავე დანიშნულებისათვის იონიელ ბერძნებსაც ჰქონიათ. ბერძენთა ისტორიკოსი ამ საწერ მასალას ტყავს *παραμύρια* „დიფთერა“-ს უწოდებს. რომაელებიც ამავე მნიშვნელობის სიტყვას *membrana „მემბრანა“-ს* ხმარობდენ ტერმინად. მხოლოდ შემდეგში შემოდის გამონათქვამი *membrana pergamena*, ე. ი. პერგამული ტყავი, რომელიც მერმე მარტივად *περγαμύνη* „პერგამენონ“, *pergamena*, „პერგამენ“-ად იწოდებოდა და რომლისგანაც წარმოიშვა ფრანგული *le parchemin*, გერმანული *Pergament*. ასეთი სახელი ამ საწერ ტყავს ქ. პერგამონისაგან მიენიჭა, რათგან აქ, როგორც ეტყობა, ამ მასალის დამზადება წარმატებული ყოფილა და პერგამონს ეს თავისი ნაწარმოები სხვა ქვეყნებშიაც გაქონდა.

„მემბრანა“-ს, ტყავს საწერ მასალად უკვე ციციერონი იხსენიებს, მაგრამ მისი სიძვირე მის გავრცელებას აძნელებდა. მხოლოდ მე-II-III ს.ს. ქ. შ. იგი უკვე ჭილს მეტოქეობას უწევს და მე-IV ს-ში, როდესაც *membrana pergamena* პერგამული ტყავი შემოდის ტერმინად, იგი ჭილს, პაპურუსს სჯობნის კიდევ. ამ შედარებით ახალ საწერ მასალის მთავარ ღირსებას დიდი გამძლეობა და მოქნილობა შეადგენდა ისე, რომ მისი წიგნად შეკერვაც შეიძლებოდა. ამ ორმა თვისებამ მის გაბატონებას ხელი შეუწყეს. აღსანიშნავია, რომ მე-IV-V საუკუნეებში უკვე ჭილის გრაგნილების წიგნად აკინძულ ტყავზე გადაწერა დაიწყო ისე, რომ მესხეთე საუკუნითგან მოყოლებული იესო ქრისტეს და მოციქულებსაც სურათზე უკვე გრაგნილის მაგიერ წიგნით ხელში ხატავდენ ხოლმე (იხ. V. Schultze-ეს მიხედვით Traube-ეს წიგნში 92). საბუთებისათვის-კი ტყავის საწერ მასალად გამოყენება გაცილებით უფრო გვიან შემოდის, სახელდობრ მე-VII ს-ში, მეტადრე-კი მერვეში. მე-VIII—XIII ს.ს. ეტრატის განსაკუთრებული ბატონობის ხანად უნდა ჩაითვალოს.

საწერ ეტრატს ცხვრის, კრავის, თხისა და ხბოს ტყავისაგან აკეთებდენ. რათგან ეტრატის ფურცელს ბერძნულად აგრეთვე ქარტეს, ხოლო ლათინურად *charta*-ც ეწოდებოდა, ამიტომ ცხვრის ტყავისაგან გაკეთებულ ეტრატს რომაელები *charta ovina*-ს ეძახდენ, ხბოს ტყავისას — *charta vitulina* და თხის ტყავისას *charta caprina* ერქვა.

ტყავს საწერ მასალად ისე აკეთებდენ, რომ ჯერ მას ბალნის მოსაცლელად კირნარევე წყალში ჩასდებდენ, შემდეგ ბასრი იარაღით ბალანს მოაშორებდენ და ტყავის ზედაპირის სრულიად მოსასუფავებლად ისევ კირის წყალში ჩასდებდენ ხოლმე. მერმე ამ ტყავს გასჭიმავდენ, გააშრობდენ და გალიზავდენ, სულ ბოლოს-კი წერისათვის შესამზადებლად ცარცს, კირს ნაუცხებდენ ხოლმე. რაკი ტყავის გარეთი მხარე, ზედაპირი ბალნის ნაალაგევის წყალობით უფრო მუქი ფერისა იყო, ამიტომ დამუშავების შემდგომაც ზედაპირი ყვითელი გამოდიოდა, ქვედა პირი-კი თეთრი. ამის გამო ამ ქვედაპირს *album*, „ალბუმ“-ს, თეთრს ეძახდენ.

ძველად ეტრატის მრენველობითა და ვაჭრობით განთქმულ ქ. პერგამონს გარდა, ამ საწერი მასალის გაკეთებას სხვაგანაც მისდევდნენ, როგორც საბერძნეთში, ისევე იტალიაში, შემდეგ საფრანგეთსა და გერმანიაშიც, რომელთა ეტრატს თავ-თავისი დამახასიათებელი თვისებები ჰქონდათ. იტალიის ეტრატი თავისი მაღალი ღირსებითა და სინაზით იყო ცნობილი. საფრანგეთში ცხვრის ტყავისაგან გაკეთებულ ეტრატს parchemin-ს უწოდებდნენ, ხოლო ხბოს ტყავისას velin „ველენ“-ს, რომელიც ლათინური „ვიტულინა“-სგან არის წარმომდგარი.

ყოველ დიდ, სამწერლობო მოღვაწეობით განთქმულ მონასტერს მე-IX ს. მოყოლებული დასავლეთ ევროპაში თავისი ეტრატის გამკეთებლები ჰყავდა, რომელსაც ერქვა pergamenarius. მე-XII ს-ში-კი გერმანიაში ეტრატის „შექმნა“ წარმოებად და სავაჭრო საგნად იქცა.

ბერძნული დიფთერა და პერგამენონისა და ლათინური მემბრანა და პერგამენას შესატყვისად საწერ მასალად დამუშავებულ ტყავს ქართულად „ეტრატი“ ეწოდებოდა: „თუ რას მანერიბდე, მიხარიან ეტრატი გიზლო“-ო, სწერდა 982 წ. გადამწერი ტყავზე ნაწერი ხელთნაწერის მომგებს, შემკვეთელს (სინას მთის ხელთ. №71, გვ. 1ა). „ამის წიგნისა ეტრატი დაინერა ქესა:სნე:“ 1035 წ-საო (ქვეები I, 177).

ტერმინი „ეტრატი“-ს სადაურობა ჯერ გამოსარკვევია. საბუთების აღმნიშვნელ ქართულ ტერმინთა შორის საბა ორბელიანსა და ვახუშტის „ავთრათი“-ც აქვთ მოხსენებული. პირველი მათგანის განმარტებით, ეს სიტყვა ბარათს ჰნიშნავდა (ლექსიკ.). საითგან არის ამოღებული ეს სიტყვა და რაზეა დამყარებული მისი მნიშვნელობის განმარტება, არა ჩანს. შესაძლებელია „ავთრათი“ ზეპირად შეთვისებული ბერძნული ἀφθαρτος „აფთარტოს“-ი იყოს, რაც წარუვალს, გაუხრწნელს, გაუფუჭებელს ჰნიშნავდა. იქნებ ავთრათი წარმომდგარიყო გამონათქვამი, ἠαφθαρτοι βίβλιος „ჰე აფთარტე ბიბლოს“-გან რაც გაუფუჭებელ, მაგარ ჭილს, შემდეგ გამძლე წიგნს ჰნიშნავს და ტყავის გამძლეობის გამომხატველი იყო ჭილის გაუძლებლობის საწინააღმდეგოდ. ეგების „ეტრატი“-ც ამ „ავთრათი“, „ავთრათი“-ს ფონეტიკური სახეობა იყოს? ამას მომავალი გვიჩვენებს, როდესაც ზედმინვენით გვეცოდინება, როდის და რა სახეობით ჩნდება ჩვენ მწერლობაში ეს ორი ტერმინი. ჯერ ხანად ამ საკითხისათვის საყურადღებოა, რომ როგორც პროფ. აკ. შანიძის რედაქციითა და ლექსიკონითურთ გამოცემული ბეს. გაბუურის „წვესურული მასალები“-თგან ჩანს, ხევსურულად მაგარ ქალადს „ატრატატი“ ეწოდება, გუდამაყრულში-კი „ატრატატი“ იხმარება (იხ. ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწდეული I და II ნ., გვ. 258 და 262). ხევსურული „ატრატატი“, ეტრატის პირვანდელი ბერძნული „ავთრატა“-სთან ახლო მდგომი სახეობა უნდა იყოს. აღსანიშნავია, რომ „ატრატატი“-ა „ატრატატი“-ს მაგიერ და შესაძლებელია ეს იმ ცნობილი ბერძნული კილოს კვალის მაჩვენებელი იყოს, რომლისაგან ეს სიტყვა ალბად ზეპირად იქმნა ქართულში შეთვისებული.

საბა ორბელიანს ეტრატი განუმარტავს როგორც „ქალადი ტყავისა“ (ლექსიკ.).

უკვე უძველესი აქამდე ცნობილი ქართული ხელთნაწერები მე-V-VI ს.ს. სახარებისა და სასულიერო მწერლობის სხვა ძეგლები ეტრატზეა დანერილი. მასალა საუკეთესო ღირსებისაა და მშვენივრად არის დამუშავებული დიდი ტანის ფურცლებად. ტექსტი ამ ეტრატის ფურცლებზე ფართოდ და ადგილის დაუზოგავად არის დანერილი და ეს გარემოება ცხადყოფს, რომ ძველ საქართველოში, მე-V-VI ს.ს-შიც ეს საწერი მასალა საკმაოდ მოიძებნებოდა. მე-XI-XII ს.ს-ებამდე ეტრატს ქართულ სამწიგნობრო ხელოვნებაში მეტოქე არ უჩანს და ყველა ხელთნაწერები ეტრატზეა დანერილი. თუნდაც რომ ჭილზე ნაწერი ძეგლები დაღუპვის გამო არ გვქონდეს, მაინც მისი სრული გაქრობა და ეტრატის ხელთნაწერის სიმრავლე იმის მაჩვენებელია, რომ საქართველოში საწერ მასალად უფრო ეტრატი უნდა ყოფილიყო მიღებული ვიდრე ჭილი.

რასაკვირველია, ეტრატის საქართველოში მარტო უცხოეთითგან მოტანილი საქონელი-კი არ იქმნებოდა, არამედ ცხადია, ეტრატის გაკეთება საქართველოში უნდა სცოდნოდეთ. თუ 1365 წ. საქართველოს პოლიტიკური დაკნინებისა და კულტურული დაქვეითების ხანაში, ავგაროზ ბანბაისის ძეს სხვა ხელობათა შორის, რომელიც მას შესწავლილი ჰქონდა, შეეძლო დაესახელებინა „შექმნა ეტრატისაჲ“ (მ. ჯანაშვილი, ქართ. მატიაზე, გვ. 54), მით უმეტეს „ეტრატის შექმნა“ ძველ დროს ეცოდინებოდათ, როდესაც მრავალი ნიგნები იწერებოდა და ეტრატის დიდი მოთხოვნილებაც იყო.

სომხები ეტრატის აღსანიშნავად *իսիսი* „მაგალათ“-ს ხმარობდნენ. მაგრამ თავდაპირველად ამ სიტყვას გრაგნილის, ნიგნის მნიშვნელობა აქვს და ესადას 34, თავში მყოფი ეს ტერმინი ბერძნული ტექსტის „ბიბლიონ“-ს და ქართული თარგმანის „ნიგნს“ უდრის. „მაგალათი“, „მაგალათი“ ასურულითგან ნასესხები სიტყვაა და ასურულადაც „მეგალთა“ სწორედ გრაგნილს, ნიგნსა ჰნიშნავდა (H. Hübschmann, Armenische Grammatik, I, Theil Armenische Etymologie, გვ. 310).

არაბები ეტრატის აღსანიშნავად ხმარობდნენ „რაკკს“-ს *حلك* და *سك* „ჯილდ“-ს, რაც ტყავს და შემდეგ ნიგნის ნაწილს, ტომსაც ჰნიშნავდა, „ჭულჯან“-საც იგივე მნიშვნელობა ჰქონდა. არაბები ეტრატს მისი სიძვირის გამო ძველად იშვიათად ხმარობდნენ და უფრო სიგლებისა და კურანისათვის. ამ უკანასკნელისათვის ჩვეულებრივ დიდი ზომის ფურცლებს ხმარობდნენ ხოლმე. შემდეგში-კი არაბებიც ნიგნებს ეტრატზე სწერდნენ.

ეტრატს დამწერლობის განვითარებისა და მნიგნობრობა-განათლებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რათგან მისი მოქნილობა და გამძლეობა სწრაფწერასა და გავრცელებას ხელს უწყობდა და აადვილებდა. ძეგლების მხატვრული დამუშავება-შემკობაც სწორედ ეს ხელს უწყობდა და აადვილებდა. ძეგლების მხატვრული დამუშავება-შემკობაც სწორედ ეს ხელს უწყობდა და აადვილებდა. ეტრატის სიმტკიცე მასზე დაწერილ ძეგლს ისეთ ხანგრძლივობას ანიჭებდა და მისი დაუზიანებელი ნაკითხვა-ხმარება იმდენად შესაძლებელი ხდებოდა, რომ წინათ, ჭილზე ნაწერ ძეგლების არსებობის დროს, ამაზე ოცნებობაც-კი შეუძლებელი იყო. ერთი ნიგნი ეხლა მრავალ საუკუნის განმავლობაში და მრავალი მკითხველისათვის ხელმისაწვდომი და გამოსადეგი შეიქმნა. ეტრატის მეტ სიძვირეს ეს მისი უცილობელი თვისებები იმდენად ამცირებდა, რომ ჭილმა მეტოქეობა ვერ გაუძლო და მოისპო.

მაგრამ ეტრატსაც შემდეგში თავისი მეტოქე და მტერი გაუჩნდა. ამგვარ მეტოქედ სამნიგნობრო ხელოვნებაში **ქალაღი** გამოვიდა. იოს. კარაბაჩეკმა 1887 წ. თავისი ისტორიულ-არქეოლოგიური გამოკვლევით „Das arabische Papier. Eine historisch-antiquarische Untersuchung“ (in Mit. Pap. Erzherzog Rainer II-III, 87—178) და ი. ვიზნერმა (I. Wiesner) ქალაღის მიკროსკოპიულ-ნივთიერი მხარის შემცველი სამი კვლევა-ძიებით „Die Faijumer und Uschmuneiner Papiere“, რომელიც იმავე წელიწადს და იმავე ორგანოში იყო გამოქვეყნებული (გვ. 179—260) და შემდეგ ცალკე ნიგნადაც გამოვიდა ამ სათაურით შემკული „Die Mikroskopische Untersuchung des Papiers mit bes. Berücksichtigung der ältesten orientalischen und europäischen Papiere“ (Wien, 1887 წ.), „Mikroskopische Untersuchung alter osturkestanischer und anderer asaitischer Papiere“, რომელიც 1902 წ. ვენის სამეცნიერო აკადემიის ორგანოში დაიბეჭდა (Deukschriften Wien. Akademie, math.-naturwiss. Cl., Bd. 72, გვ. 583—632) და 1903-4 წ. იქვე გამოქვეყნებული შრომით „Ein neuer Beitrag zur Geschichte des Papiers“ (Sitzungsberichte Wien. Akademie, Bd. 148, 6. Abhandlung) სრული უეჭველობით დაამტკიცეს, რომ ქალაღიც ევროპელებმა აღმოსავლეთისაგან მიიღეს პირველად და მისი გაკეთებაც იქითგანვე ისწავლეს. ქალაღი პირველად ჩინეთში იქმნა შემოღებული. ჩინური მემატიალის გადმოცემით ქალაღი 105 წ. ქ. შ. ერთ მოხელე წაი-ლუნ-ს მოუგონია (F. Hirth, Chinesische Studien, I, 266, 1890 წ.).

აღმოსავლეთ თურქისტანში ნაპოვნია მე-IV ქ. შ. ს. ჩინური ქალაღი. ჩინეთში სხვადასხვა ქალაღს აკეთებდნენ, მაგრამ ამ ხელობას საიდუმლოდ ინახავდნენ და მეტადრე

უცხოელებს უმაღლავდენ. 751 წ. ქ. შ. არაბებს ერთი ჩინელი ჩაუფარდათ ტყვედ ხელში, რომელსაც ქალაქის გაკეთება სცოდნია და არაბებისათვის მანამდე სასტიკად დაცული ჩინური მომპოვებლობის საიდუმლოება გაუმჟღავნებია. არაბთა მოხელეების ზედამხედველობითა და მეთვალყურეობით მას ქალაქის გაკეთება უჩვენებია და უსწავლებია კიდევც.

არაბთა უზარმაზარ საბრძანებელში ისეთი მასალა, რომელსაც ჩინელები თავიანთ ქვეყანაში ქალაქის გასაკეთებლად ხმარობდენ, არ მოიძებნებოდა და ამის გამო არაბებმა ქალაქის გაკეთება ტილოს ნაგლეჯებისა და ძონძებისაგან დაიწყეს. ამ გარემოებას უაღრესი მნიშვნელობა მიენიჭა, რათგან ქალაქის ღირებულება ძალიან გააიზადა. შემდეგ ქალაქის გაკეთების ტექნიკა იმ მხრივაც გააუმჯობესეს, რომ უფრო მაგარი ნების ხმარებას მიჰყვეს ხელი. ამან ჩინურ ქალაქთან შედარებით არაბთაგან გაკეთებულ ქალაქს გაცილებით უფრო მეტი სიმტკიცე მიანიჭა. ამ ორმა გაუმჯობესებამ ეს საწერი მასალა ისე გააიზადა და მისი გაკეთება იმდენად გააადვილა, რომ ქალაქს უცილობელი გაბატონებისათვის თანდათანობით გზა გაუკაფა. ეტრატს იგი მხოლოდ გამძლეობით ჩამოუვარდებოდა.

794-5 წ. ქ. შ. არაბებს ქ. ბაღდადში უკვე ქალაქის სახელმწიფო ქარხანა ქონდათ. აქეთგან ეს ახალი საწერი მასალა მთელ არაბთა სახელმწიფოში გავრცელდა: ასურეთს, ეგვიპტეს, ჩრდილოეთ აფრიკასა და ესპანიაშიც. არაბები ახალ საწერ ნივთიერებას უწოდებდენ  $\text{كبريت}$ ,  $\text{كبريت}$ , ვარაკ, ვარაყს, რაც ფოთოლსა ჰნიშნავს, მეტადრე კი  $\text{كبريت}$ , ქალიდ, ქალად, ქალიზ-ს. მაგრამ ზოგჯერ ქალაქის აღსანიშნავად ძველს, ჭილის აღმნიშვნელ ტერმინს „ქირტაზ“-საც ხმარობდენ ხოლმე. საუკეთესო ქალაქად შემდეგში დამასკური და მამბიჯური ქალაქი ითვლებოდა. ამ ჩრდილოეთ ასურეთში მდებარე ქ. მამბიჯის (ძველი ჰიერაპოლისია) სახელითგან არის წარმომდგარი ევროპული ტერმინი *charta bombicina* „ბომბიცინი“, რომელიც უძველეს ქალაქს ეწოდებოდა და კარაბაჩეკისა და ვიზნერის შრომებამდე შეცდომით განსაკუთრებულ, გერმანიაში XI—XIII ს. ს. აღმოჩენილ ქალაქად იყო მიჩნეული.

უძველესი ქალაქზე ნაწერი არაბული ხელთნაწერი, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია, 870 წ. არის დანერილი, ალბად, ქ. ბაღდადში. მეორე, ქაიროს ნიგნოსაცავში დაცული ქალაქის ხელთნაწერი, რომელიც 878-9 წ. დანერილად ითვლებოდა, უფრო 912-13 წ. საფიქრებელია და ქ. დამასკოში უნდა იყოს დანერილი. ესპანიაში ქალაქი უკვე მე-XI ს. შუა ხანებში იყო ცნობილი, მაგრამ ქალაქის გამკეთებელი საკუთარი ქარხანა მე-XII ს. შუა რიცხვებში ჩნდება პირველად. პირიქით, არაბთა სახალიფოში ქალაქის გაკეთება დიდ საწარმოვო საქმედ იქცა. უკვე „ფიჭრისტ“-ის შემდგენელს ქალაქის 7 სხვადასხვა ხარისხი აქვს დასახელებული. შემდეგ ხომ ეს წარმოება გასაოცარი სისწრაფით უფრო და უფრო ფართოვდებოდა და უმჯობესდებოდა, რათგან ყველა დიდ ქალაქებში ქალაქის ქარხნები გაჩნდა, რომელნიც ერთი მეორეს ეჯიბრებოდენ და სხვადასხვა ზომისა და ხარისხისას აკეთებდენ. ძვირფასი, მხატვრული თხზულებებისა და ძეგლებისათვის დიდი ტანის ფურცლები კეთდებოდა და მე-IX ს. ერთი კორანია შენახული, რომლის ფურცლების სიგრძე-სიგანე 117X98 სანტიმეტრს უდრის.

ესპანიათგან ქალაქი დასავლეთი ევროპის დანარჩენ ქრისტიანთა ქვეყნებშიაც გავრცელდა. უკვე მეთორმეტე საუკუნის პირველ ნახევარში პეტრე კლვნიელმა (1122—1150) იცოდა, რისაგან კეთდებოდა ქალაქი. იტალიამ პირველად ქალაქის გაკეთება უკვე მე-XII ს. დამლევითგან, საფრანგეთმა კი მე-XIII ს.-ითგან შეისწავლეს და თავის ქვეყანაშიც შემოიღეს, როგორც ეს მტკიცდება ქალაქის გამჭვირვალე საქარხნო ნიშნებით, რომელსაც ფრანგები *filigrane*, გერმანელები კი *das Wasserzeichen* წყლის ნიშანს უწოდებდენ (აქეთგანაა წარმომდგარი რუსული ტერმინი *водяные знаки*) და ქართულად შეიძლება „ჭვირნიშანი“ დავარქვათ. ამ დროს მეტადრე ფაბრიანოს ქალაქი იყო განთქმული, რო-



მელიც მარკ ანკონაში (Mark Ancona) კეთდებოდა და ცნობილია carta Fabrianensis ფაბრიანული ქარტის სახელით. მე-XIII ს-ის მეორე მეოთხედიდან ქალაქს უკვე სიგლებისთვისაც ხმარობდნენ და უძველესი ქალაქზე დაწერილი საბუთი 1228 წ. არის შედგენილი კეისარ ფრიდრიხ II სამდივანმნიგნობროში. მაგრამ ქალაქის ეტრატთან შედარებით ნაკლები გამძლეობისა და მდარე ღირსების გამო სწორედ ამავე ხელმწიფემ 1231 წ. სიცილიაში სიგლებისათვის საწერ მასალად ქალაქის ხმარება აკრძალა.

საფრანგეთმა და იტალიამ ისე ფართოდ მოაწყვეს ქალაქის მრეწველობა, რომ პირველს დასავლეთ და ჩრდილოეთ გერმანიაშიც გაქონდა თავისი ნაწარმოები, მეორე-კი მილანიდან და ვენეტიკიდან სამხრეთ გერმანიაში გატანილი ქალაქის ვაჭრობით იყო ცნობილი. მხოლოდ მე-XIV ს. დამდეგითგან 1320 წ. ახლო ხანებში ქალაქის ქარხნები გერმანიაშიაც კიოლნსა და მაინცშიც არსდება. შემდეგ თანდათანობით ქარხნების რიცხვი გამრავლდა და მე-XV ს-ში ქალაქის ქარხანა უკვე ექვს ქალაქში გაიხსნა.

მე-XIV ს. მოყოლებული ქალაქი დასავლეთ ევროპაში ისე გავრცელდა და გაიფადა, რომ ეტრატს უკვე მეტოქეობის განევა აღარ შეეძლო. სიგლებისთვისაც ჩვეულებრივ ქალაქის ხმარება დაიწყეს და ეტრატზე მხოლოდ განსაკუთრებულ საზეიმო საბუთებს-ლა აწერდნენ. მე-XV ს. უკვე ქალაქი ყველგან გაბატონებული და ეტრატი ქრება.

ქალაქის გაკეთების ტექნიკა არაბებმა შეიმუშავეს და საქალაქო მასალის, ჩვრების დაშლისა, განმენდისა, გათეთრებისა, ნისქვილში დაფქვისა და შემდეგ ნებოთი შემტკიცების ყოველგვარი ღონეობა-საშუალებანი, თვით ქალაქის მავთულ-მაგვარი პირეულის მქონებელ ფურცლებად ჩამოსხმაც და ქალაქის შეფერადებაც-კი ევროპიელებს არაბებისა და აღმოსავლეთისაგან აქვთ შეთვისებული. საშუალო საუკუნეებში ევროპიელებმა ამ ტექნიკაში ის შესცვალეს, რომ აღმოსავლეთში მიღებული მცენარეულობის ნებოს მაგიერ უფრო მაგარი, ცხოველთაგან შემზადებული ნებოს ჩართვა დაიწყეს. ამან ევროპიულ ქალაქს უფრო მეტი სიმტკიცე და სიმაგრე მიანიჭა.

იმ დროს, როდესაც მონღოლთა გამანადგურებელი შემოსევისა და ბატონობის წყალობით აღმოსავლეთი კულტურული დაქვეითების გზას დაადგა, დასავლეთი ევროპა ჭაბუკური სიმხნით წარმატების გზას იკაფავდა. ქალაქის წარმოებაშიც აღმოსავლეთის მონაფემ დასავლეთმა თავის მასწავლებელს ისე აჯობა, რომ აღმოსავლეთს მონაფეობაც აღარ შეეძლო.

მე-XV ს-გან მოყოლებული ქალაქის წარმოება აღმოსავლეთში უკვე შეფერხებული ჩანს და ეხლა, უკვე ქალაქი თანდათან დასავლეთ ევროპითგანაც შეაქვთ აღმოსავლეთში. 1496 წ. გარდაცვლილი ალ-საქავის ცნობით, რომელიც „თარის ხუდატ მისრ“-შია შეტანილი, 40 ტომიანი წიგნი მომეტებულ ნაწილად „ფრანგულ“ ქალაქზე ყოფილა დაწერილი. მე-XV ს. დამლევს ევროპიული ქალაქი უკვე აღმოსავლეთისას სჯობნის, ხოლო მე-XVI ს. დამლევს ეგვიპტეში დაწერილი წიგნები ხშირად იტალიურ ქალაქზე არის ნაწერი.

ზემოდასახელებულ თხზულებათა გარდა ქალაქის ისტორიის შესასწავლად აღსანიშნავია ფრანგი მეცნიერის A. Blanchet-ის ნაშრომი „Essa i sur l’histoire du papier“ (Paris, 1900 წ.). დასავლეთ ევროპაში ქალაქისათვის შემოღებული საქარხნო გამსჭვირვალე ნიშნები, „ჭვირნიშნები“, რომელნიც გარკვეულ დროითგან გაკეთებულობის თარიღსაც შეიცავენ ხოლმე, პალეოგრაფიაში უთარილო ხელთნაწერების დასათარიღებლად და ქალაქის სადაურობის გამოსარკვევად იყო მეთოდოლოგიურ ღონეობად გამოყენებული. სახელმძღვანელოების მთელი რიგი არსებობს, რომელშიც ჭვირნიშნების მიხედვით სხვადასხვა ქარხნების ქალაქდება შესწავლილი. ეს მეთოდოლოგიური საშუალება იმდენად ზედმინევიანი და თანაც შედარებით მარტივია უთარილო ხელთნაწერთა დროის განსაზღვრისათვის, რომ დამწერლობათამცოდნეობის ყოველი მკვლევარისათვის ამ ღონეობით სარგებლობა აუცილებელია. ჭვირნიშნების შესასწავლად საყურადღებოა C. M. Briquet-ის „La légende paléographique du papier“



de coton“, 1884 წ.), მეტადრე ამავე მეცნიერის 4 ტომიანი საუცხოვო გამოკვლევა და ძვირფასი ნაშრომი „Les filigranes“ (Paris, 1907 წ.), რომელშიაც 16000 ჭვირნიშნის სურათის გარდა ჭვირნიშნების ისტორიული მიმოხილვაც და ბიბლიოგრაფიაც მოიპოვება. იტალიაში მე-XII ს. მოყოლებული ნახმარი ჭვირნიშნების შესახებ Paoli-Lohmeyer-ის „Grundriss der lateinischen Paläographie und der Urkundenlehre“-შია ცნობები. რუსულად დაწერილია Н. П. Лихачев-ის გამოკვლევა „Бумага и древнѣйшія бумажныя мельницы въ Московскомъ государстве“, რომელიც 1891 წ. დაიბეჭდა და შემდეგ მისივე დიდი ნაწარმოები „Палеографическое значение бумажных водяныхъ знаковъ“, რომელიც სამი ნაწილისაგან შედგება. გამოკვლევისა და ჭვირნიშნების აღწერილობის შემცველი პირველი ნაწილი 1899 წ. პეტერბურგში დაიბეჭდა. კარგი გამოცემაა, 4000 ნიშნის განმარტება-სურათებითა და ავტოტიპიური ტაბულებით შემკული. ზემოაღნიშნული შვეიცარიელი მკვლევარის ბრიკეს შრომის გამოსვლამდე ლიხაჩოვის წიგნი ერთი საუკეთესოთაგანი იყო ამ დარგში.

ვითარცა მე-VII—IX საუკუნეებში არაბთა სახალიფოს ფარგლებში და მფარველობაში მყოფს და ბალდადთან ეკონომიურად დაკავშირებულს, აღმოსავლეთ საქართველოს საფიქრებელია ქალაქის ხმარება შედარებით ადრე უნდა შემოეღო. მაგრამ ამ საკითხის გამორკვევისათვის ჯერჯერობით არავის ყურადღება არ მიუქცევია და სრულებით შესწავლილი არ არის. რამდენადაც ქართული ხელთნაწერების არსებულ აღწერილობათა მიხედვით გამორკვევა შემეძლო, მე-XI ს-ეზე უწინარეს ქალაქზე დაწერილი ქართული ხელთნაწერები არა ჩანს. მე-XI ს. ჯერჯერობით 4 ქალაქის ხელთნაწერი მოიპოვება (ტფ. სახელ. უნივერსიტეტის სიძველეთა მუზეუმის №№73, 124, 162, 390). მე-XII-XIII ს.ს. ქალაქის ხელთნაწერი-კი შედარებით უფრო ბევრი არის (იხ. №№ 61, 76, 77, 80, 101, 108, 109, 110, 128, 129, 174, 188, 189, 199, 258, 365, 528 და სხვა). მაგრამ ყველა ეს ხელთნაწერი უთარილონი არიან და მათი დაწერილობის დრო თ. ჟორდანიას ხელის მიხედვით აქვს განსაზღვრული. ამის გამო სრული უეჭველობით ყველა ზემოჩამოთვლილი ხელთნაწერების მე-XI-XII ს.ს-ად მიჩნევა, რასაკვირველია, შეუძლებელია. ქართული დამწერლობათამცოდნეობის მტკიცე დებულებათა ჯერჯერობით უქონლობის გამო ამ ძეგლების დათარიღებას ჯერ გულდასმითი და ფრთხილი შემოწმება სჭირდება. ამიტომ, ამჟამად საქართველოში ქალაქის გაჩენის დროის გამოსარკვევად ერთად-ერთ სანდო წყაროდ დათარიღებული ხელთნაწერები უნდა იქმნეს მიჩნეული. ამგვარ ძეგლთაგან აღსანიშნავია ტფილ. სახელ. უ-ტის სიძველეთა მუზეუმის ქალაქის ხელთნაწერი №65, რომელიც 1188 წ. არის გადაწერილი (იხ. თარგმანებაჲ ქებისა ქებათაისი, პალეოგრ. რვეული გამოქვეყნებული აკაკი შანიძის მიერ, 1924 წ. წინასიტყვაობა). ეს გარემოება ცხად-ჰყოფს, რომ მე-XII ს. მეორე ნახევარში ქალაქი უკვე საეკლესიო მწერლობის ძეგლებისთვისაც-კი იხმარებოდა. ხოლო, რათგან ეკლესია ძველ ჩვეულებას უფრო დიდხანს ინახავდა და ახალს ნელა ითვისებდა ხოლმე, ამიტომ საფიქრებელია, რომ საერო ძეგლებისათვის და კერძო პირთაგან ქალაქის ხმარება საქართველოში თუ ამაზე უწინარეს არა, მე-XI ს-ითგან მაინც არის საგულისხმებელი.

როდის შემოდის პირველად ქართულ მწერლობაში ტერმინი „ქალაქი“ ჯერ კიდევ გამოსარკვევია. ჯერჯერობით შემიძლიან მხოლოდ შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსანი“ დავასახელო პირველ ძეგლად, სადაც ეს სიტყვა ნახმარია. დიდებული მგოსანი ნესტანდარეჯანს ასე ალაპარაკებს:

„ჰე ჩემო, ესე უსტარი არს ჩემგან მონაღვანები,  
ტანი კალმად მაქვს, კალამი ნაღველთა ამონანები,  
მე გული შენი ქალაქად გულსავე ჩემსა ვანები“.

(ი. აბულაძის გამ., §1222)

აქ ეს ტერმინი უკვე ჩვეულებრივ სიტყვად ჩანს და, რასაკვირველია, გაცილებით ამაზე უწინარეს უნდა ვიგულისხმოთ შემოსულად. ეს გარემოება არც გასაკვირველია, თუ გავიხსენებთ, რომ ქალაქი ხელთნანერთა დასაწერად საქართველოში უკვე მე-XI ს. ყოფილა ნახმარი. ამ ნივთიერების აღმნიშვნელი ტერმინის არაბული სახეობა იმ გზას გვიჩვენებს, რომლითაც ქალაქი საქართველოში უნდა შემოსულიყო.

აღსანიშნავია, რომ „ქალაქი“ დაბადებაშიც ორჯერ იხსენიება და ბერძნულად „ქართვერია“ ეწოდება. „ქალაქი... და დასაწერი ლერნამნი, რომელსაცა გაასაწმარებდენ“-ო (3 მაკაბ. 415-20). ამას რომ თავისი სრულებით დამაკმაყოფილებელი განმარტება არა ჰქონდეს, ეს ყოვლად გაუგებარი და უცნაური გარემოება იქმნებოდა, რათგან იმ დროს, როდესაც დაბადება თავდაპირველად ქართულად იყო ნათარგმნი, ქალაქი ჩინეთს გარდა სხვაგან ჯერ უცნობი იყო და ამგვარი სიტყვაც ქართულად მაშინ არ მოიპოვებოდა. მაკაბელთა წიგნი, რომელშიაც ტერმინი „ქალაქი“ გვხვდება ბაქარის 1743 წ. დაბადების გამოცემაში, მოსკოვში მყოფ დაბადების ხელთნანერის ნაკლულოვანობის გამო, მე-XVIII ს. რუსულითგან იყო ნათარგმნი (იხ. ამაზე პროფ. ალ. ცაგარლის СВѣдѣнія о памятникахъ груз. письменности 1, 9-10).

შემდეგ, როდესაც ეტრათი აღარ კეთდებოდა, მწერალს ერთად-ერთ საწერ მასალად ქალაქი ჰქონდა და ონანა მდივანსავით უნდა ენატრა: „ნეტამცა მწერალს სამწერლო ვითა სწადს, ესრეთ უნება... ქალაქი, კალამიც ჴელთა უნება“ („ბარამიანი“, 1726 წ. ხელთნანერი იხ. ე. თაყაიშვილის Опис. 1, გვ. 530).

საგულისხმოა, რომ ჯერ კიდევ მე-XVIII ს. პირველ ნახევარში ქართველი კალიგრაფები საუკეთესო საწერ მასალად სპარსულ ქალაქსა სთვლიდნენ. ონანა მდივანს 1726 წ. თავის „ბარამიანის“ შესავალში ეს პირდაპირ ნატვრის სახით აქვს გამოთქმული. ნეტავი მწერალს, როგორც სურს, ისე ჰქონდეს „მელანი, სპარსთა ქალაქი“ და კარგი კალამიო (Опис. 1, გვ. 530).

საერთოდ ჯერ გამორკვეული არ არის, პირველად როდის შემოდის ჩვენში ევროპიული ქალაქი, იმ გვარადვე, როგორც სრულებით შესწავლილი არ არის არც არქეოლოგიურად და არც ქიმიურ-მიკროსკოპიულად ძველი ქართული ხელთნანერების ქალაქის თვისებები და სადაურობა. არც ის არის გამორკვეული, ჰქონდა თუ არა საქართველოს მე-XII-XIII ს.ს. თავისი საკუთარი ქალაქი, თუ უცხოეთითგან მოტანილით კმაყოფილდებოდა. ე. თაყაიშვილი პირველი ქართველი მკვლევარია, რომელმაც ქართულ ხელთნანერების ჭვირნიშებს მიაქცია ყურადღება და უთარილო ხელთნანერების დროის განსაზღვრისათვის ეს ნიშნები გამოიყენა. ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნთსაცავის ხელთნანერთა აღწერილობაში მას ბევრი საყურადღებო დაკვირვება აქვს დაგროვილი, რომლის შემდეგ სისტემურად დამუშავებას ჰპირდებოდა მკითხველ საზოგადოებას, მაგრამ ეს განზრახვა აქამდის განუხორციელებელი დარჩა და მომავლის საქმეა.

## §2. საწერი იარაღი და საღებავი

საწერი იარაღი, რასაკვირველია, საწერ მასალის თვისებებზე იყო დამოკიდებული. საამისოდ მაგარი, მკვრივი ნივთიერება იყო ნახმარი, თუ რბილი და ნაზი.

ამას გარდა თვით რბილი საწერი მასალისათვისაც საწერი იარაღი დროთა განმავლობაში რამდენჯერმე გამოიცვალა და ყველა ამ გარემოებას დამწერლობათამცოდნეობაში, რასაკვირველია, ანგარიში უნდა გაეწიოს.

მაგარ მასალაზე გამოყვანილი წარწერები ორნაირად იყვნენ ასრულებულნი, ან „შთაწერილი“, „გამოჭრილი“ ასოებით, როდესაც ასოთა მოხაზულობა ჩაღრმავებითა და ამოჭრით იყო გამოყვანილი, ანდა პირიქით ასოების მოყვანილობა და ნაკვთი წარწერის

ეზოზე უფრო ამაღლებული იყო და „გამოქანდაკებით“ იყო გამოყვანილი. მაგ. დაბადების ქართულ თარგმანის „შთანერილი მკერდსა ზედა ფიცრისა“ (იერემია 17:1) ბერძნულს  $\gamma\epsilon\gamma\lambda\alpha\mu\alpha\epsilon\nu\eta$  „გეგლუმენე“-ს უდრის, ხოლო გიორგი ამარტოლის ხრონოლოგის სიტყვები სვეტზე „ამოჭრილი ასონი“ (38-9) ბერძნული დედნის  $\gamma\epsilon\gamma\lambda\alpha\mu\alpha\epsilon\nu\alpha$ -ს თარგმანია,  $\gamma\lambda\sigma\tau\omega$ -კი ბერძნულად სწორედ ამოჭრას ნიშნავდა. ამიტომ ცნების გამოსახატავად „შთანერა“ იმ ტექნიკურ საშუალებას, რომლითაც ამგვარი წარწერები გამოჰყავდათ ხოლმე, ზედმიწევნით უდგება.

ამობირცვილ ასოებს რომ „გამოქანდაკებული“ უნდა რქმეოდა, ამას ბასილ ზარზმელის შემდეგი სიტყვები გვაფიქრებინებენ: „ვითარცა ალაშენა (ზარზმის ეკლესია) შტოითურთ ვიდრე სარკუმელთამდის, დაილია ოქრო იგი კაცისა, სადა იგი გამოქანდაკებით ქადაგებს ვითარმედ: „აქა დაილია საფასე ჩემი, სადა ესერა მდგომარე ვარ და მიჭირავს ჯუარი ქრისტესი“-ო (ცა სრპნსი 435-8). იობის წიგნის ქართულ თარგმანის სიტყვებიც „დაინერდენ სიტყუათა ჩემთა და... ქუათა ზედა გამოქანდაკონ“ (19<sup>23-24</sup>) ბერძნულის  $\epsilon\nu\ \pi\acute{\epsilon}\tau\rho\alpha\iota\varsigma\ \delta\epsilon\gamma\gamma\lambda\alpha\sigma\tau\omega$  ლათინურს in petris insculpta-ს უდრის.

რკინის, ბრპენისა და სხვა მაგარ მასალაზე „შთანერისათვის“ არსებობდა განსაკუთრებული იარაღი, რომელიც შეიძლება ყოფილიყო „ფრჩხილი ადამანტისაჲ“ ან რკინისა. იერემიას ქართულ თარგმანში მაგ. ნათქვამია: „შთანერილ არს ნანერსა შინა რკინისა ფრჩხილთა ადამანტისაჲთა“-ო (17:1), ბერძნულად ფრჩხილი  $\omicron\ \delta\upsilon\sigma\chi\epsilon$  „ონჯქს“-ად არის აღნიშნული.

რბილ მასალაზე სანერ იარაღსაც მაშინ თავისი სახელი ჰქონდა. თავდაპირველად შემდეგ ჩვეულებრივ ტერმინად ქცეული „კალამი“ როგორც ეტყობა არ იხმარებოდა. ნ-ა ნინოს შატბერდისეულს — ჭელიშისეულ ც-აში მაგ. ნათქვამია: „მოიხუნენით **აღსანერელი-ნი წიგნისანი** და დანერეთ... ცხორებაჲ ჩემი“, „მოიხუნეს **სანერელნი** სალომე უჟარმელმან და სივნიელმან პეროჟავრი და იწყო სიტყუად წმიდამან ნინო და იგინი წერდეს“-ო (Опис. II, გვ. 735). საბა ორბელიანს თავის ლექსიკონში, ნათქვამი აქვს, რომ „სანერელი მელან-კალამი“-აო. მაგრამ ქართულ დასაბუთების შედარება ბერძნულ დედანთან ცხადჰყოფს, რომ მაშინ „სანერელი“ სხვა მნიშვნელობით იხმარებოდა. ესაიას თარგმანში ნათქვამია: „მიიღე შენდად გრაგნილი ქარტისა ახლისა... და **დანერე** მას ზედა **სანერელითა**“ (VIII, 1). ქართულს ტერმინს „სანერელი“ ბერძნულად უდრის  $\eta\ \gamma\alpha\rho\iota\varsigma$  „გრაფის“ ლათინურად-კი graphium-ი ერქვა, გერმანულად ამას ეწოდება der Griffel, სომხურად **գրիչ** „გრიჩ“-ი იხმარება. ბერძნული „გრაფის“ უმთავრესად ცვილოან ტაბულეებზე სანერ იარაღს ჰნიშნავდა. ამ მხრივ შატბერდისეული ნ-ა ნინოს ცხოვრების შემომოყვანილი ცნობა საყურადღებოა და ჯერ კიდევ გამოსარკვევია, იქაც ხომ ცვილოანი სანერი მასალა არა აქვს ავტორს ნაგულისხმევი.

რალა უნდა ყოფილიყო „აღსანერელი წიგნისანი“? საფიქრებელია, რომ ამ ტერმინით საერთოდ სანერი მასალა და იარაღი იგულისხმებოდა. თუ თავდაპირველად, მე-V-VI ს.ს., როდესაც საღმრთო წერილი ქართულად ყოფილა ნათარგმნი, „სანერელი“ ცვილოან ტაბულეების სანერი იარაღის, გრიფელის მნიშვნელობით იხმარებოდა, შემდეგში ამ ტერმინს მნიშვნელობა შესცვლია და როგორც საბა ორბელიანსაც აქვს აღნიშნული მელან-კალამის მთელი განყოფილების სახელად იხმარებოდა. შატბერდისეულ ნ-ა ნინოს ცა-ს შემომოყვანილ ამონაწერში სანერელი შესაძლებელია ამ მნიშვნელობითაც იყოს ნახმარი. მაინც და მაინც მე-XVII-XVIII ს.ს.-ში რომ ეს ტერმინი სწორედ ამ მნიშვნელობით იხმარებოდა, ამას ამდროინდელი მზითვის წიგნებიც ცხად-ჰყოფენ. ქსნის ერისთავის ასულს ანას (1692—1703 წ.) მზითვის წიგნში სხვათა შორის სწერია: „**სანერელი** ერთი კარგი და პატოსანი **თევზის კბილისა ოქროს რაზებითა** და **მისის იარაღითა** — მაკრატლითა და

ყალამთარაშითა“-ო (ს-ქს სიძველენი, II, გვ. 433). ქსნის ერისთავის დავითის ასულის ელენეს 1713 წ. მზითვის წიგნშიაც ნათქვამია: „სანერელი სადაფქარისა ერთი ვერცხლის თავით და განყობილობით“-ო (ს-ქს სიძველენი, III, გვ. 497). იესე ოსოსშვილსაც თავის თავგადასავალში მოთხრობილი აქვს, რომ მას უადგილოდ მყოფსა და მდივან-მნიგნობრობის თანამდებობის მოაჯეს ერეკლე მეფისაგან ბრძანება მოსვლია მისი ხელის გამო-საცდელად დუშეთს ასულიყო: „ვიქირავე ერთი ცხენი, ავიღე ერთი სანერელი... და წაველ... მიმიწოდეს... დამანერინეს“-ო (გვ. 41).

ზემომოყვანილ ცნობებითგან ცხადად ჩანს, რომ „სანერელი“ ისეთი რამე იყო, რაც ყოველს განათლებულ ადამიანს, კაცი იქნებოდა თუ ქალი, უნდა ჰქონოდა. მდივანმნიგნობარს უიმისოდ თავისი მოვალეობის ასრულება არ შეეძლო. ამასთანავე სანერელი სანერი იარაღის ერთგვარ საცავადა სჩანს და ზოგჯერ მდიდრულად იყო შემკული. ხან თევზისკბილისა კეთდებოდა, ხან სადაფისაგან, რაზები ჰქონდა დასაკეტავად, ან ვერცხლის თავი ებურა. შიგ ამ სანერი იარაღის საცავში თვით იარაღს გარდა მთელი „განყობილობა“-ც ელავა. ეს განყობილობა, რასაკვირველია, რამდენიმე ლერწმის ნაჭრისაგან შესდგებოდა, რომ ძველ გაცვეთილ-დამოკლებული სანერი იარაღის მაგიერ მწერალს ახალი გაეკეთებინა, და ამას გარდა მაკრატელი და „ყალამთარში“. უკანასკნელი სიტყვა სპარსული شامتر است და ქართულად კალმის მჭრელს, კალმის დანას უდრის. ამ დანით კალამს სთლიდენ და წვეტს უკეთებდენ. მაკრატელი რისთვის-ღა იდვა სანერელში, არა ჩანს.

ზოგჯერ და უკვე მე-XVIII ს. დამდეგითგან „სანერ-კალამი“ სამელნესა და კალამსა ჰნიშნავდა. დ. გურამიშვილს „დავითიანში“ ერთგან მაგ. ნათქვამი აქვს: კახთ-ბატონმა „მოსთხოვა გურგენს მდივანსა ქალაღი, სანერ-კალამი... მისწერა ვახტანგს“ (ზ. ჭიჭინაძის გამ., გვ. 41). ცხადია, ამ ტერმინს აქ სწორედ ამგვარი მნიშვნელობა აქვს. მაგრამ აღმოსავლეთში სამელნე თვით სანერელში იყო მოთავსებული და ამის გამო ბოლოს და ბოლოს სანერელი და სანერ-კალამი ერთი და იგივე გამოდიოდა. მაშასადამე, ქართული სანერელი სპარსულ کلامتار, „კალემდონ“, „ყალამდან“-ს უდრის. ამ უკანასკნელი სიტყვის ფორმა ქართულშიაც არის შემოსული და ჰნიშნავს სანერ იარაღს მთელი თავისი ანყობილობით.

მას შემდგომ, რაც სანერ ნივთად ქვისა, ლითონის, ან ცვილის მაგიერ ქილის ფურცლები და ტყავი, ან ეტრავი შემოიღეს ძველ „სანერელითა“ და „ბრჩხილით“ მუშაობა უკვე შეუძლებელი იყო. ქილი და ტყავი იმდენად ნაზი ნივთიერებაა, რომ ასოების ამოკანვრით, ამოჭრით, თუ ჩაჭდევით გამოყვანა შეუძლებელი იყო. ამიტომ სანერ იარაღად ლერწმის კალამი შემოვიდა. რათგან ქართული ეტრავის ძეგლები მე-V-VI ს.ს. დროითგანაც გვაქვს შენახული, ლერწმის სანერი იარაღი საქართველოში ამ დროს და უფრო ადრეც უნდა ყოფილიყო.

ჯერ „სანერელ“-თან ერთად, ხოლო შემდეგში განსაკუთრებით სანერ იარაღად „კალამი“ იხმარებოდა. მეათე საუკუნეში უკვე სხვა იარაღით წერა ველარც კი წარმოედგინათ და დაჩი ამბობს კიდევ თავის წერილში, რომ ფსალმუნნი „დაწერნა კალამმან ლუთისამან დავით სულისა მიერ წმიდისა“-ო (ქრონიკები, I, გვ. 100). მაქსიმე აღმსაარებელის ც-ის ქართულ თარგმანშიაც ნათქვამია: „კალამი მიეზის ჴელსა მას დაკუეთილსა და წერნ“ (Keimena, I, 94). შოთა რუსთაველიც მოგვითხრობს, რომ ჩემი თხზულების წერის დროს „მელნად ვიხმარე გიშრის ტბა და კალმად მე ნაღ რხეული“. ნესტანდარეჯანს თავის წერილში „უსტარში“ ნათქვამი აქვს: „ტანი კალმად მაქვს, კალამი ნაღველთა ამონანობი“ (ვეფხისტყაოსანი, ი. აბულ. §1222). მაშასადამე, შოთასაც სანერ იარაღად კალამი უხმარია.

კალამს ბერძნულადაც ეწოდება ὁ κάλαμος „ჰო კალამოს“, ლათინურად calamus. პრ. ნ. მარრი ფიქრობს, რომ ქართული კალამი ნასესხები სიტყვა არ არის, რათგან ამ ფესვს ქართულში მრავალი მონათესავე (წალამი, ჩალა, სალამური და სხვა) მოეპოვება, ევროპიულ სხვა ენებში-კი ეს ფესვი განმარტოებულია (Яфетическія названія деревьевъ и растеній).



თუმცა კალამი თავდაპირველად და შემდეგშიც განსაკუთრებით ლერწმისაგან გაკეთებულ საწერ იარაღსა ჰნიშნავდა, მაგრამ მაშინაც-კი, როდესაც მას ლერწმისაგან აღარ აკეთებდენ და სხვა ნივთიერებისაგან ამზადებდენ ხოლმე, საწერი იარაღის აღმნიშვნელ ტერმინად წინანდებურად „კალამი“ იხმარებოდა. ლერწმის მაგიერ ფრინველის ფრთისაგან, მეტადრე ბატის ფრთისაგან დაიწყეს კალამის გამოჭრა. ონანა მდივანიც „ბარამიანში“ ერთგან ამბობს: „**კალამს მიზიდავს ფრინველი, ოდეს ფრთა დავარდებისა**“-ო (1726 წ. ხელთნ., Опис. I, გვ. 529), მეორეგან ნათქვამი აქვს: „**კალმად ბატის ფრთა მქონდა**“-ო (იქვე I, 526-527). ლერწმის საწერ იარაღისაგან გასარჩევად ამგვარ კალამს „**ფრთის კალამს**“ (იქვე I, გვ. 529) უწოდებდენ.

თუ ბატის ფრთის კალამი დასავლეთ ევროპაში პირველად მე-V ს-ითგან იხსენიება და ამის შემდგომ განუწყვეტლივ იხმარებოდა მე-XIX ს-მდე, საქართველოში მისი ხსენება ჯერ-ჯერობით მე-XVIII ს. პირველ მეოთხედზე უწინარეს არა სჩანს. საზოგადოდ აღმოსავლეთში ლერწმის კალამს რჩეობდენ და ამიტომ ბატის ფრთის კალმით წერა მაინცდამაინც ძალიან მიღებული არ უნდა ყოფილიყო, როდესაც კაიხელად წერა უნდოდათ.

მე-XVIII ს. პირველ ნახევარში, სახელდობრ ღვთაების 1721 წ. გუჯარში იხსენიება დასასრულ „**კალამნი ფოლადისანი**“. ერთგან იქ ნათქვამია: „აღწერის... მიზეზად... მიჰყრია **კალამნი ფოლადისანი**“ (ისტ. საბ. I, 18). არც გასაკვირალია, რათგან, თუ დასავლეთ ევროპაში ლითონის კალმები მე-XVI ს-ზე უწინარეს არ ჩანს, სამაგიეროდ აღმოსავლეთში ცნობები მათი არსებობის შესახებ საშუალო საუკუნეებშიც-კი გვხვდება და ამიტომ შესაძლებელია საქართველოშიც ფოლადის კალამის არსებაზე უფრო ადრინდელი ცნობაც აღმოჩნდეს.

ლერწმის, ფოლადისა და ფრთის კალმებს მხოლოდ ხელის დაჭერით არც ჭილზე, არც მით უმეტეს ეტრატზე და ქალაღზე ასოების მტკიცედ აღბეჭდვა არ შეეძლოთ: თუ კალმის წვერი რომელსამე საღებავში ჩანობილი „**ამონანობი**“ არ იყო, მისი მოსმის კვალი ან ოდნავ, ან სრულებით არ ჩანდა. ამიტომ კალმის შემოღებისთანავე საღებავის ხმარებასაც მიჰყვეს ხელი და საღებავით დაიწყეს წერა. ეს აზრი, უეჭველია მხატვრობითგან უნდა იყოს ნაკარნახევი და ჩინელები და იაპონელები ეხლაც წერის დროს იმგვარსავე ბენვისაგან გაკეთებულ კალამს ხმარობენ ხოლმე, როგორც მხატვრობაშია მიღებული. რაკი საწერი მასალა ჩვეულებრივ თეთრი ან მოყვითანო იყო, საღებავიც შავი ან წითელი იხმარებოდა ხოლმე. ჩვეულებრივ საღებავად შავი იყო მიღებული, წითელსა და მწვანეს-კი განსაკუთრებულ შემთხვევებში მოიშველიებდენ ხოლმე.

უკვე ეგვიპტეში წერისათვის ორსავე საღებავს ხმარობდენ. ეგვიპტეში აღმოჩენილი ჭილები ცხადჰყოფენ, რამდენად დახელოვნებული ყოფილან ეგვიპტელნი შავი საწერი საღებავის დამზადებაში. ვერც ათასი წლის ხნიერებამ, ვერც სინოტიემ, თუ მხურვალე მწველმა მზემ მათ ფერი და ბრწყინვალეობა ვერ შეუცვალა და ვერა დააკლო რა. როგორც ეტყობა შავი საწერ-საღებავი ჭვარტლისა, წყლისა და ნებოსაგან კეთდებოდა, მაგრამ შედგენილობა და შემზადების ღონეობა ზედმინევნით გამორკვეული არ არის. ბიზანტიაში, დაახლოვებით მე-IV ს-ითგან მოყოლებული ქ. შ. მონითანო შავი საწერ-საღებავი იხმარებოდა, რომელიც გამძლეობითაცა და ფერთაც ძველს ძალიან ჩამოუვარდებოდა. ამ ახალ საწერ-საღებავს უჩივის მგოსანი პერსიუსი, რომელიც, როგორც ქვემოთ დავრწმუნდებით, ქართველ ერთ მწერალივით ჰგოდებს, რომ ხან გასქელდებოდა და ხან გათხელდებოდა, ხან კალამი ქალაღსა სვრიდა ხოლმე (W. Schubart, Das Buch bei den Griechen und Römern, 1907 წ., გვ. 20).

წითელი საღებავითაც უყვარდათ ეგვიპტეში წერა. ჰიერატულ ჭილებზე თვითოეული თავების სათაურები მომეტებულად წითურად არის ნაწერი. ეს ჩვეულება ბერძნებმა და რომაელებმაც შეითვისეს და წესად დასდეს ისე, რომ თვით სიტყვა rubrum „რუბრუმ“



თითქმის სათაურის მნიშვნელობით-ლა იხმარებოდა (W. Schubart, Das Buch etc., გვ. 20). ხოლო, რაკი თავების სათაურებსაც რომაელები წითელი მელნითა სწერდენ, აქეთგან წარმოსდგა თავებად დაყოფილობის ლათინური სახელი rubrica, „რუბრიკა“, რაც წითურსა ნიშნავს (Th. Birt. Kritik und Hermeneutik, 1913 წ., გვ. 11). რაკი შავი და წითელი საღებავი იყო ხოლმე წერისთვის საჭირო, ამიტომ საწერი იარაღის საცავს ორი პატარა სამელნე ჰქონდა ხოლმე. შემდეგში ორთვლიანს ლითონის, ან გამომწვარ თიხის სამელნეს აკეთებდენ ხოლმე შავი და წითელი საღებავისათვის (W. Schubart, Das Buch etc., გვ. 20).

ქართულ თანამედროვე ენასა და მწერლობაში საწერ-საღებავის საზოგადო სახელად „მელანი“ იხმარება. ესლა ჩვენ ვამბობთ წითელი, ლურჯი, მწვანე, შავი მელანო. მაგრამ ძველ ქართულში შავი და წითელი საწერ-საღებავისათვის ცალ-ცალკე ტერმინები იხმარებოდა. ერთს X-XI ს-ის მინანერში მაგ. ნათქვამია: „ან რომელი წითლითა წერილ არს მარტოდ... იუნყება რიცხუსა [თავთა?] განწესებისა... ხოლო რომელი იგი მელნითა არს ქუემონწერილი... არს კათოლიკ რიცხვ“-აო (იხ. თ. ჟორდანიას Опис. I, გვ. 332). რაკი „წითელი“ ცხადია წითელი საწერ-საღებავის აღმნიშვნელია, ამიტომ „მელანი“ შავი საწერ-საღებავის აღსანიშნავი ტერმინი უნდა ყოფილიყო. „მელანი“ ბერძნული სიტყვაა. ბერძნულად-კი μέλας, αἷνα — μέλας შავს, მუქს, ბნელსა ნიშნავდა, ხოლო τὸ μέλαν „ტო მელან“ საწერ-საღებავსა ეწოდებოდა. ჩვენმა წინაპრებმა არამც თუ მარტო მე-X-XI ს-ებში, როგორც ზემომოყვანილი მაგალითითგანა ჩანს, იცოდენ, რომ „მელანი“ შავსა ნიშნავდა და შავი საწერ-საღებავის სახელი იყო, არამედ შემდეგშიაც ეს გარემოება დაგინყებულნი არ ჰქონიან და საბა ორბელიანსაც აღნიშნული აქვს ლექსიკონში „მელანი შავი საწერელი“ არისო. სომხები მელანს *թանաք*, „თანაქ“-სა, საღებავს-კი *դեղ*, „დეღ“-ს, ნამალს უწოდებენ.

ჩემი თხოვნით მე-V-VI ს. ქართული პალიმფსესტების ქიმიური დამუშავების დროს პროფ. იოველ ქუთათელაძემ გამოარკვია, რომ იმ ხანაში საქართველოში რკინისაგან შემზადებული მელანი უხმარიათ, შემდეგ მე-XIII-XIV ს-ში კი უკვე სხვანაირი მელანი ჩანს.

რაკი ტექსტი სათაურებსა და საზენაო ასოებს გარდა მთლად შავი საწერ-საღებავით იწერებოდა ხოლმე, ამიტომ ქართულში მელანი საწერ-საღებავის ზოგად სახელად იქცა. შესაძლებელია, უკვე ძველ დროსვე ამ ტერმინს ამგვარი ზოგადი მნიშვნელობაც ჰქონოდა და იქნება, როდესაც გიორგი ხუცეს მონაზონიც ამბობდა — „ან მე, მელნითა ოდენ ცხოველითა სიტყუად გამომისახავნ“-ო (ცდ გი მთანელს, 350), სწორედ ამ საზოგადო მნიშვნელობით ჰგულისხმობდა ამ ტერმინს.

მელანისა და წითელის გარდა საწერ-საღებავის ტერმინად ძველ ხელთნაწერებში ხშირად სიტყვა „სინგური“-ც გვხვდება. მაგ. სინას მთის მონასტრის 992 წ. ხელთნაწერებში №16 და №19 შემდეგი წინადადებაა: „სადა სახარებისა თავი არს დასაწყებელი ესე ქანწილი ზის ნიშნად სინგურითა, სადა დასრულდებოდეს ბოლოდ ესე ჯუარი ზის სინგურითვე“ (იხ. პირველში გვ. 316a, მეორეში გვ. 262a—278a, შეადარე ქვბს, I, 208, 5). სხვა ხელთნაწერში ამგვარივე განმარტება ასეა გამოთქმული: „მუნვე წითლითა წილქანი ზის“-ო (ქვბი, I, 94). ამგვარადვე ამ მეორე შემთხვევაში სინგურის მაგიერ „წითელი“ სწერია. ამიტომ სინგურიც წითელი საწერ-საღებავის სახელი და ტერმინი უნდა იყოს. თვით სინას მონასტრების ზემოაღნიშნული ხელთნაწერებშიც განმარტებაში მოხსენებული ნიშნები მართლაც წითელი საღებავით არის ნაწერი. სინგურის მნიშვნელობა საბა ორბელიანსაც ხსომებია და მას ნათქვამი აქვს, რომ „სინგური და სინგური წითელი სახატავია“. მას სინგურის შედგენილობა და შემზადების ღონეობაც სცოდნია: „ვერცხლის წყალთა და გორგთა (sic) ცეცხლში გამოადნობენ“ და ისე აკეთებენო (ლექსიკ.).

უეჭველია, სინგური ყოველ წითელ საწერ-საღებავს არ ეწოდება, არამედ განსაკუთრებულ შედგენილობისა და თვისებისა უნდა ყოფილიყო. თვით სინგურით ნაწერის ფე-

რიცა და განსაკუთრებული ბრწყინვალეობა ცხადად განირჩევა ჩვეულებრივ წითელი მელნით ნაწერის თვისებებისაგან და მათ სხვაობას შედგენილობის მხრივაც ცხადად მონობს. სინგური ეწოდებოდა ქართულად იმ საწერ-საღებავს, რომელსაც ბერძნები  $\chi\upsilon\nu\alpha\beta\alpha\rho\iota\varsigma$  კინაბარის  $\tau\epsilon\gamma\gamma\alpha\beta\alpha\rho\iota\varsigma$ , რომაელები *sacrum incaustum*-ს, რუსები ბერძნულითგან ნასესხებ *киноварь*-ს ეძახდენ.

სინგურითა და წითლით მარტო სათაურები და საზედაო ასოები კი არ იბეჭდებოდა, არამედ ბიზანტიის კეისრები სინგურს საბუთებში ხელისმოსაწერადაც ხმარობდენ ხოლმე. მაქსიმე აღმსარებელის ცხოვრებაშიც მოთხრობილია, რომ „მეფემან თვისითა ჴელითა დაწერა სინგურითა წამებადამტკიცებაჲ ძეგლსა მას სარწმუნოებისასა“-ო (Keimena I, 102). მეექვსე მსოფლიო კრების ძეგლის წერის ეფთვმე მთანმიდელის ქართულ თარგმანშიც ნათქვამია, რომ ამ კრების „აღწერილი იგი მართლისა სარწმუნოებისა ძეგლი და საეკლესიონი იგი კანონნი წინაშე ღმრთისმსახურისა კონსტანტინე მეფისა წარიკითხეს და თავადმან კონსტანტინე მეფემან თვისითა ჴელითა წითლითა წამლითა სიმტკიცე... მის ძეგლისა აღწერა“-ო (ა. ხახანაშვილის გამ., გვ. 78). ბიზანტიაში კეისრის კარზე განსაკუთრებული მოხელე ( $\acute{\omicron} \acute{\epsilon}\pi\iota \tau\omicron\upsilon \chi\alpha\nu\iota\chi\epsilon\iota\omicron\upsilon\varsigma$ ) იყო, რომელსაც სინგურის სამელნე ებარა, რომ როდესაც კეისარს საბუთებზე ხელი ჰქონდა მოსაწერი, ეს სამელნე მიერთმია (Скабланичъ, Византійское государство и церковь въ XI в., 1884 წ., გვ. 175).

ივ. ჯავახიშვილი

(შემდეგი იქნება)

## მოგონებანი სამოციან წლებზე<sup>1</sup>

### 1. 1861-1862

როგორც იყო, წუთებისა და საათების თვლით, ველირსე შემდეგ საღამოს. ისინი ცხოვრობდნენ ვლადიმერის ქუჩაზე, სობოროს გვერდით. სტუმრები უკვე სასადილო დარბაზში უსხდნენ ჩაის. დიასახლისი ასხამდა ჩაის, მხოლოდ თვით ჩერნიშევსკი კი ოთახში არ იყო. ოღვა სოკრატოვნამ მითხრა, რომ ის მალე მოვაო. მაგიდის გარეშემო ისხდნენ თორმეტამდე სტუმრები, მათ შორის მხოლოდ ორი ქალი იყო, ჩემი ნაცნობები. სტუმრების უმრავლესობას შეადგენდნენ ქართველი სტუდენტები უმაღლესი კურსებიდან, ახოვანი ლამაზი ყმანვილები, მშვენიერ ტანისამოსით მორთულნი, წვერით, რომელიც მაშინ ერთგვარ მოდათ ითვლებოდა. ბაასის დედა-აზრი, რომელიც ჩემს მეხსიერებაში ჩარჩა, იმაში მდგომარეობდა, რომ ერთი სტუდენტთაგანი, ივანე ანდრონიკაშვილი, შემდეგში კახეთის გამოჩენილი მევენახე, აღფრთოვანებული იყო სენატში მიხაილოვის უშიშარი საქციელის ამბავით, რომელმაც იქ გამოააშკარავა მთელი თავისი შეხედულებანი და წარმოსთქვა საბრალმდებლო სიტყვა მთავრობის წინააღმდეგ. ჩერნიშევსკის მეუღლემ შეანყვეტინა მას მისი აღფრთოვანება შენიშნით, რომ ნიკოლოზ გაბრიელის ძე (მისი ქმარი) ძალიან სწუხს მიხაილოვის ასეთი საქციელის გამო. მისთვის სრულიადაც არ იყო საჭირო გამოტეხილიყო, არამედ ყოველი ღონისძიება უნდა ეხმარა, რაც კი შესაძლებელი იყო, რათა თავი დაეღწია. ჩვენ არც იმდენათ მრავალრიცხოვანი ვართ, რომ თვითვე ვავ-

1. იხ. „კავკასიონი“, № 3-4, 1924 წ.

ყოთ თავი სახრჩობელას თოკშიო. ანდრონიკაშვილი უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა, მაგრამ საწინააღმდეგო არა უთქვამს რა, მით უმეტეს რომ დარბაზში შემოვიდა ჩერნიშევსკი, რომელმაც დაამონმა მისი მეუღლის უკანასკნელი სიტყვები ორი-სამი ნაჩქარევით წარმოთქმული ფრაზებით იმის შესახებ, თუ რა სისულელეა გულგახსნილობა ხელისუფალთა წინაშე, რომელთაც ვერაფერში ვერ დაარწმუნებ. ამ დროს მისმა მეუღლემ გააცნო ჩემი თავი ჩერნიშევსკის და დაუმატა, რომ მე ერთ-ერთი ციხეში ნამყოფთაგანი ვარ. მან მლიმარე სახით მომცა რამდენიმე კითხვა ჩემი შთაბეჭდილების შესახებ, რომელზედაც გაჭირვებით შევძელი მეპასუხნა აღელვების გამო, და შემდეგ მალე მიმანება თავი. მე სრულიადაც არ მწყენია ციხის შესახებ მისი კითხვების ნახევრად ირონიული ტონი, რაკი ვგრძნობდი მისს ჩემდამი დამოკიდებულობის ბუნებრიობას — როგორც ახალგაზრდისადმი, მისს, რომელიც ასე ნაკლებად ებოდიშებოდა გოლიათებს.

როდესაც ვეთხოვებოდი, ჩერნიშევსკის მეუღლემ მითხრა ყველა დიასახლისებისათვის ჩვეულებრივი ფრაზა: ნუ დაგავინყდებით, ხშირად შემოიარეთო. მე კი, მიუხედავად ჩემი დიდი სურვილისა, არ შემიძლო უხერხულობა არ მეგრძნო, მით უმეტეს, რომ კარგა შორი მანძილი უნდა მევლო. მალე ქ-ნ ოლგას დას ისევ დასჭირდა ჩოხა-ახალუხი და იმათ გამოიარეს ჩემთან თავიანთი ეტლით, რომლითაც მეც წამიყვანეს სახლში. თანდათან იმათ შევეჩვიე და აღარ ვმორცხვობდი. სხვა ქართველ სტუდენტების მსგავსად, რომელნიც ყოველ დღე იყვნენ მათ სახლში, მეც მოვშინაურდი.

1858 წლის მაღარიამ, როგორც ეტყობა, ძალიან შეაფერხა ჩემი ზრდა და ფიზიკური განვითარება: ძალიან პატარა ტანისა ვიყავი და სრულებით ბავშვური სახე მქონდა. ყველას უკვირდა და არავისა სჯეროდა ჩემი სტუდენტური ქუდისა, რომელსაც მე იმიტომ ვაფასებდი, რომ ჩემ ბავშვურ შეხედულებას აქარწყლებდა. ერთხელ, როცა ჩვენ, ქართველ სტუდენტთა ჩვეულებრივ საზოგადოებაში, გარს უსხედით ჩაის მაგიდას და ჩერნიშევსკი, თავის ჩვეულების წინააღმდეგ, გამოვიდა სტუმრებთან ერთად ჩაის დასალევად, მისმა ცოლმა ჩემზე ლაპარაკის დროს უთხრა, რომ მე ერთად-ერთი კავკასიელი ვარ, რომელიც მას არ ეარშიყება, და ამისათვის მას მე განსაკუთრებით უნდა უყვარდე. ყველამ სიცილი დაიწყო, რადგან მართლა სასაცილო იყო იმის ფიქრი, რომ ისეთ ღლაპს, როგორიც მე ვიყავ, არშიყოფაც დაეწყო. ყველაზე მეტს ჩერნიშევსკი იცინოდა. მე არ ვიცოდი, როგორ გადამერჩინა ჩემი ამხანაგები, რომელიც ქ-ნმა ოლგამ ასე დაურიდებლად გასცა თავის ქმართან. როცა სახლში მივდიოდით, მე უთხარი ამხანაგებს:

— ხომ გეუბნებოდით, თქვე ოხრებო, ამ ქალის თავისუფალი მოქცევა სრულებით იმას არა ნიშნავს, რომ ის თქვენ კისერზე ჩამოგეპორნიალებათ!

ჩერნიშევსკი იშვიათად გამოდიოდა ცოლის სტუმრებთან. მეტ წილად ის კაბინეტში იჯდა, სადაც იშვიათად თუ შევიდოდა ვინმე. ერთად-ერთი პირი, რომელიც თავისუფლად შედიოდა მის კაბინეტში მ. ა. ანტონოვიჩი იყო, რომელსაც ჩვენ დობროლიუბოვის მემკვიდრედ ვთვლიდით. მის და ქართველ სტუდენტების გარდა ჩერნიშევსკის ოჯახში დადიოდენ ყველა სტუდენტური საღამოებისა და კითხვების მომწყობნი და უნივერსიტეტის ზოგიერთი პროფესორი. მაგრამ ჩემს განსაკუთრებულ ყურადღებას აქ იპყრობდნენ სამხედრო პირნი, გენერალური შტაბის აფიცრები, რომელთა შორის ბევრი პოლკოვნიკი იყო, მაგრამ ერივნენ გენერლებიც. მახსოვს თავმომწონე შეხედულების პოლკოვნიკი სეროშევსკი, პოლონელი, ბრწყინვალე სილამაზის პატრონი, რომლის შესახებ ქ-ნი ოლგა გვეუბნებოდა, რომ ნ. გ. (ჩერნიშევსკი) ძალიან მაღალი აზრისაა მის ჭკუასა და მრავალმხრივ განვითარებაზეო. ისიც თავისუფლად შედიოდა ჩერნიშევსკისთან კაბინეტში და დიდხნობით იჯდა მასთან. როცა ისინი ერთად გამოდიოდნენ კაბინეტიდან, მე ყოველთვის მაკვირვებდა ღრმა პატივისცემა, რომელსაც სეროშევსკი იჩენდა ჩერნიშევსკისადმი. ამ ყოველგვარი წარჩინების ნიშნებით აღჭურვილის და თავისი ბედით ამაყ გმირის შემ-

ყურეს, განა შეეძლო ვინმე ჩვენგანს წარმოედგინა, რომ ერთი წლის შემდეგ იგი ჩამოხრჩობილ იქნებოდა ვილნოში მურავიოვის მიერ?

დადიოდნენ ქ-ნ ოლგასთან „სოვრემენნიკ“-ის სხვა თანამშრომლებიც ანტონოვიჩის გარდა. მაგრამ ისინი მეტ წილად ბელეტრისტები იყვნენ, რომელნიც მე ნაკლებად მეინტერესებოდნენ. დიდი ნიჭის პატრონნი, ტურგენევისა და გრ. ლ. ნ. ტოლსტოის მაგვარნი, მაშინ აღარ დაიარებოდნენ მასთან. მათ და „სოვრემენნიკ“-ს შორის, დიდი ხანია, რაც შავი კატები დასერილობდნენ და ერთი წლის წინათ უკვე მომხდარიყო საბოლოო გათიშვა. ძალიან მინდოდა შევხვედროდი ი. გ. ჟუკოვსკის, რომლის ეკონომიურმა წერილებმა უკვე მიიქცია საზოგადოების ყურადღება, მაგრამ როგორღაც ეს არც ერთხელ არ მოხერხდა. სწორედ იმ დღეებში მოდიოდა იგი ჩერნიშევსკისთან, როცა მე რაიმე მიზეზის გამო ვერ მივდიოდი.

იანვარში ქალაქში მოისპო ყოველგვარი მღელვარება. პეტერბურგის გენერალ-გუბერნატორად დანიშნული იყო თავ. სუვოროვი, განთქმული გმირის შვილის-შვილი. მისი კეთილი გულის ამბის გამგონემ, გავბედე და მივართვი თხოვნა ნება დაერთო, პეტერბურგში დავრჩენილიყავ. როცა თხოვნაზე ჩემი გვარი წაიკითხა, მან ქართულად მკითხა: „ქართული იცი?“ ჩემ პასუხად, რომ, რასაკვირველია, ვიცი მეთქი, მან მითხრა — „კარგი“, და ადიუტანტს მისცა განკარგულება, მოეცათ ჩემთვის სათანადო მონმობა. ასე ადვილად მოხდა ჩემი განთავისუფლება არალეგალური მდგომარეობიდან.

ახალი 1862 წელი ისეთ პირობებში დადგა, რომ მას თითქო უფრო სასიკეთოდ უჩანდა პირი. ცენზურის უღელი, რომელიც კრინტს არ აძვრეინებდა მღელვარებაზე ან რაიმე ამის მაგვარზე, ცოტათი შესუსტდა. გაზეთებში ხანდახან შეგხვდებოდათ წერილი, რომელსაც „თავისუფლების სუნი“ უდიოდა, რაც მანამდის წარმოუდგენელი იყო. იმ წელს დაწყებულ იუმორისტულ ჟურნალ „გუდოკის“ ყდის სათაურზე დახატული იყო ერთ კუთხეში დედოფალი მარია ალექსანდროვნა (რომელსაც „ხანჟის“ სახელი ჰქონდა დავარდნილი) ბერთან ჩახუტებული; მეორე კუთხეში კი წარმოდგენილი იყო ჰერცეინი, რომელიც უქადაგებდა ყმანვილ-კაცობას და გლეხებს. პირველი ნომრის პირველ გვერდზე დახატულები იყვნენ ძალიან დიდის მსგავსებით ყველა ის ხუთი სტუდენტები, რომელნიც გადაასახლეს სტუდენტთა მღელვარების გამო. ჟურნალის გამომცემელი იყო მუსიკალური მალაზია თ. სტელლოვსკისა, ხოლო რედაქტორი დ. დ. მინაევი (ცნობილი პოეტი). მთელი ხუთი კვირის განმავლობაში ჟურნალის სათაური არ გამოუცვლიათ. ყოველ ახალ ნომერში სურათების მნიშვნელობა თანდათან უფრო ნათელი ხდებოდა: მასში სულ მეტად და მეტად მოსჩანდა სახეების სრული მსგავსება და ხაზგასმული იყო დეტალები. მხოლოდ მეექვსე ნომრიდან სურათი მოხსნეს და შესცვალეს უბრალო, მოურთავი ასობით. რედაქტორი კი გადააყენეს. სხვადასხვა სამოსნავლო და საზოგადოებრივ დაწესებულებათა დარბაზებში თანდათან უფრო ხშირად იმართებოდა ლიტერატურული საღამოები და საჯარო კითხვები, ყოველთვის სიტყვის გადაკვრით უნივერსიტეტის მღელვარებისა და პოლიტიკური მოვლენებისაკენ.

ხშირათ ამ საღამოებზე გამოდიოდნენ გამოჩენილი მწერლები, როგორც აპ. მაიკოვი, ნეკრასოვი, პოლონსკი და სხვ. მაგრამ მეტ წილად კი ნაკლებად გამოჩენილი მოღვაწენი კითხულობდნენ, როგორც პ. ვეინბერგი (ჰეინე ტამბოვიდან), ძმები კუროჩკინები, და სხვანი. ერთხელ ვ. ს. კუროჩკინმა პირველი გიმნაზიის დარბაზში, გამონვეულმა აპლოდისმენტებით bis-ზე, ცოტათი შექეიფიანებულმა, წაიკითხა, ვითომდა ბერანჟედან თარგმანის სახით, შემდეგი ლექსი:

Над цензурою друзья,  
Смейтесь также, как и я:  
Ведь для мысли и для слова,  
Откровенно говоря,



Нам не нужно никакого  
Разрешения Царя.

Если русский властелин  
Сам не чужд кровавих пятен,  
Не пропустит Головнин  
То, что вычеркнул Путьтин.  
Над цензурою, и пр.

Монархическим чутьем  
Сохранив в реформы веру,  
Что напишем, то пошлем  
Прямо в Лондон, к Искандеру.  
Над цензурою, и пр.

ბევრი სხვა ლექსი ამავე შესანიშნავ პოეტ-იუმორისტისა, ნაკითხული იმ დროინდელ ლიტერატურულ საღამოებზე, დაიბეჭდა შემდეგ, როცა მოისპო წინასწარი ცენზურა, 1865 წ. ზემოთმოყვანილი ლექსი კი, რამდენადაც ვიცი, ჯერ არსად დაბეჭდილა.

სტუდენტობის მთავარ ბინათ, უნივერსიტეტის დახურვის შემდეგ, გახდა ნ. ა. სერნო-სოლოვიევიჩის წიგნის მალაზია და სამკითხველო, ნევის პროსპექტზე, პეტროპავლეს ეკლესიის სახლში. აქ ჩვენ საშუალება გვქონდა ნაგვეკითხა ყველაფერი, რაც კი გვსურდა. რადგან იმ დროს არ იყო გაზეთების ცალკე ნუმრებად გაყიდვა ქუჩებში, ხოლო ყურნალებზე მთელი წლით უნდა მოგენერათ ხელი, ამიტომ ბიბლიოთეკა ყველასათვის დიდი ხელის შემწყობი იყო. აქვე შეიძლებოდა გაგება ყოველგვარი ისეთი პოლიტიკური და ლიტერატურული ახალი ამბებისა, რომელნიც არ იბეჭდებოდნენ. აქვე ნახავდით ყველა იმდროინდელ გამოჩენილ პირებს და ზოგჯერ მათი გაცნობაც კი შეიძლებოდა. სერნო-სოლოვიევიჩი შეუდგა მაშინ შლოსსერის მრავალტომიან „მსოფლიო ისტორიის“ გამოცემას, ჩერნიშევსკის რედაქტორობით.

ყველა ეს ხელშემწყობი პირობები და გასართობები მაინც ვერ გვინევდა უნივერსიტეტის მაგიერობას, რომელიც ჯერ ისევ დაკეტილი იყო. სამინისტრო, როგორც სჩანდა, დიდხანს აპირებდა ასეთი მდგომარეობის დატოვებას, რომ ამგვარად გაენმინდა ქალაქი მოუსვენარი ახალგაზრდობიდან და იძულებულ ეყო ისინი, გადასულიყვნენ პროვინციალურ უნივერსიტეტებში. მთავრობის ამ მოხერხებული განზრახვის ჩასაშლელად უფროსმა სტუდენტებმა გამოითხოვეს თავ. სუვოროვისაგან ნებართვა საჯარო კითხვათა კურსების გახსნისა ქალაქის თვითმართველობის დარბაზებში. თითქმის ყველა ჩვენმა დათხოვნილმა პროფესორებმა მიიღეს მონაწილეობა ამ საჯარო კითხვებში, ე. ი. განაახლეს თავისი უნივერსიტეტის კურსები. მსმენელებს უნდა გადაეხადათ არა ყველა ლექციების ფასი, არამედ მხოლოდ იმისა, რომელზედაც ჩაენერებოდნენ. ამ „თავისუფალმა უნივერსიტეტმა“, თავის გახსნისათანავე დიდი გავლენა მოიპოვა სტუდენტთა შორის და ამასთან მთელ განათლებულ საზოგადოებაში, მეტადრე მაღალ საზოგადოების მანდილოსანთა შორის. ყოველი ჩვენგანი უსმენდა დღეში ორ-სამ ლექციას მაინც, სწორედ ისე, როგორც უნივერსიტეტში, ე. ი. სცდილობდა შეეგნო და ჩაენერა მათი შინაარსი. ჩვენ ვფიქრობდით, გაგვეგრძელებინა ამგვარად მეცადინეობა შემოდგომამდე, როცა, ჩვენის აზრით, უნდა გახსნილიყო უნივერსიტეტი. მაგრამ „კაცი ბჭობდაო“...

მარტის დასაწყისში ლიტერატურული ფონდის სასარგებლოდ გაიმართა ლიტერატურული საღამო, თითქმის ყველა გამოჩენილ ლიტერატორთა და მეცნიერთა მონაწი-



ლეობით, მოიკაზე, რუადის დიდ დარბაზში. სხვათა შორის მაშინ პირველად გამოვიდა საზოგადოების წინაშე ჩერნიშევსკი, თავისი მოგონებებით დობროლიუბოვზე. ჩვენ ყველანი დარწმუნებულები ვიყავით, რომ ეხლა კი მოვესწარით ცენზურის გაბიაბრუებას. ჩვენმა ახალი ისტორიის პროფესორმა პლ. ვას. პავლოვმა, რომელიც სულ ცოტა ხანია, რაც გადმოყვანილი იყო კიევის უნივერსიტეტიდან, წაიკითხა „რუსეთის არსებობის ათასი წელი“, დაბეჭდილი იმ წლის „აკადემიურ კალენდარში“. მოხსენების დასასრულს პროფესორმა რამდენიმე თბილი სიტყვა დაუმატა, სადაც იგი იმედს გამოსთქვამდა ჩვენი ნყობილებისა და დაწესებულებათა განახლების შესახებ. საზოგადოებამ, რომელიც იმ საღამოს მეტად აღფრთოვანებული იყო და ყველას განურჩევლად აპლოდისმენტებს უმართავდა, დააჯილდოვა იგი მხურვალე ტაშის ცემით და მრავალჯერ გამოიწვია ესტრადაზე. რაც უფრო ხშირად გამოდიოდა იგი საზოგადოების წინ, მით უფრო ხმა მაღლა გაისმოდა „ვამას“ ძახილი. უზარმაზარი დარბაზი ზანზარებდა ტაშისაგან.

ჩერნიშევსკის დებიუტი, მიუხედავად საზოგადოების ასეთი განწყობილებისა, ან იქნება სწორედ ამიტომ, ვერ გამოვიდა დამაკმაყოფილებელი. მას შეხედნენ ისეთი ოვაციებით, როგორც იშვიათად თუ ვისმე რგებია წილად. იგი კი არ კითხულობდა, საუბრობდა, ნელა, მორიდებით, თითქოს მეგობარს ელაპარაკებო, დობროლიუბოვის გაცნობაზე, მის დამოკიდებულებაზე მშობლებისადმი, მის კეთილსინდისიერებაზე მუშაობაში და სხვა. არავითარი თეატრალიზა, არავითარი სურვილი მსმენელთა ყურადღების მიპყრობისა, მით უმეტეს მათი გატაცებისა, აქ არ ჩნდა. მან ერთხელაც არ აიმაღლა ხმა, არც ერთი ყესტი არ იხმარა. ყველაფერი უბრალო იყო. დროგამოშვებით იგი ხელს ჰკიდებდა თავისი საათის ძეწკვს. მაგრამ ყველაზე მეტად ჩვენ იმან გავაკვირვა, რომ ჩერნიშევსკის არ წარმოუთქვამს არც ერთი სიტყვა მთავრობის ჩავგრაზე, არაფერი უცენზურო, არავითარი დასკვნა არ გამოუყვანია; იგი ისევე უბრალოდ ადგა და გავიდა, როგორც ლაპარაკობდა. დარბაზი გაოცებისაგან გაშრა. არავის არა სჯეროდა, რომ ეს ჩერნიშევსკი იყო, ის ჩერნიშევსკი — რომელიც ისე დაურიდებლად თავს ესხმოდა ყურნალ-გაზეთებში პირველ-ხარისხოვან მოღვაწეებს. მის წრე-გადასულ პატივისმცემლებს მოეჩვენათ, რომ იგი გამოცვალეს, ისარგებლეს რა იმით, რომ ჩერნიშევსკი არსად და არასოდეს არ სჩანდა საზოგადოებაში და მისი პორტრეტის შოვნაც კი შეუძლებელი იყო. ქალებმა, რომელთაც გაგიჟებით უნდოდათ მისი ნახვა და მოსმენა, გადასწყვიტეს, რომ იგი სრულებით არ იყო საინტერესო. ერთი დღის შემდეგ, „სევერნაია პჩელა“, რომელიც მუდამ ჰკილავდა „სოვრემენნიკ“-ს ალტაცებით აცხადებდა, რომ საზოგადოებამ სტვენით გააცილა ჩერნიშევსკი, რადგან იგი უზრდელად იქცეოდა, გაითხლაშა კათედრაზე, ათამაშებდა ძეწკვს და სხვა. ჩვენ ეს მით უფრო გვეწყინა, რომ არავითარი სტვენა არ ყოფილა იმ საღამოს არც ჩერნიშევსკისა და არც სხვის მიმართ.

რამდენიმე დღის შემდეგ გავიგეთ, რომ პ. ვ. პავლოვი, უმაღლესი ბრძანებით, განდევნილია სატახტო ქალაქიდან და გადასახლებულია ერთ-ერთ ყველაზე შორეულ გუბერნიაში, საღამოზე კადნიერი გამოსვლის გამო. მხოლოდ მაშინ ვაპატიეთ ჩვენ ჩერნიშევსკის მისი სიფრთხილე, და მივხვდით, რომ თავისდაჭერით მან თავი მოარიდა ამავე ბედს.

როგორც კი სტუდენტობამ გაიგო პავლოვის გადასახლების ამბავი, ატყდა ახალი ჩოჩქოლი. ლექციების გამგე კომიტეტის ერთ-ერთმა წევრმა წინადადება შეიტანა დაეხურათ კურსები პროტესტის ნიშნად. უმრავლესობა, და მეტადრე პროფესორები, ამაზე არ დათანხმდნენ. კოსტომაროვის მეთაურობით ისინი ამტკიცებდნენ, რომ კურსების დახურვა — ეს სწორედ მთავრობისთვის იქნება ხელსაყრელი, რომ ეს ზიანს მოუტანდა მხოლოდ სტუდენტობას, რომელიც დარჩებოდა დაქსაქსული უხელმძღვანელოდ; ხოლო უმ-

თავრესად კი, სტუდენტობა მოკლებული იქნებოდა საზოგადოებასთან შეხვედრისა და მასში პროპაგანდის გაწევის საშუალებას. ჩვენ ამ კამათის შესახებ ძალიან გვიან გავიგეთ, სწორედ კოსტომაროვის ლექციის წინ, რომელიც თურმე კომიტეტის უმცირესობას აერჩია თავისი წინადადების გასატარებლად. დიდი უმრავლესობა კოსტომაროვის მსმენელებისა, რომელთაც გაიგეს კამათის შინაარსი, წინააღმდეგნი იყვნენ კურსების დახურვისა. როცა ლექცია დაიწყო, დარბაზის ყველა კუთხიდან მოისმა ხმები: „არ გვინდა“, „ნუ კითხულობთ“ და სტვენა. სტუდენტობა პროფესორის გასამხნეველად ტაშს უკრავდა და ყვიროდა: „განაგრძეთ“, რაც უფრო მეტს ალიაქოთს ჰქმნიდა და უშლიდა კოსტომაროვს მიეპყრო პროტესტანტების ყურადღება. მან დიდხანს უცადა სიჩუმის ჩამოვარდნას, მაგრამ ყვირილი „პავლოვი“ როდი სცხრებოდა. რამდენჯერმე დააპირა კოსტომაროვმა ლაპარაკი, მაგრამ როგორც კი გააღებდა პირს, იმ წამსვე მოისმოდა ყვირილი „ძირს“, შტვენა, ყეფა, კატის კნავილი და ათასი უდიერება. საბრალო სანახავი იყო კოსტომაროვი, რომლის სახე ისე გამოიცვალა ამ მოულოდნელი თავდასხმისაგან, რომ ძლივსლა იცნობდა ადამიანი. მან ნაღვლიანად მოკრიბა თავისი ქალაღები და ჩამოვიდა კათედრიდან, თვალ-ცრემლიანი. მისი ტანჯული სახე დიდხანს არ მომშორებია ხსოვნიდან. წინა დღეს კი მთელი ეს ახალგაზრდობა აღმერთებდა მას. ამ დროიდან დავრწმუნდი, რომ პოპულიარობა — ცარიელი სიტყვაა.

ამის შემდეგ ვერც ერთი პროფესორი ვეღარ ბედავდა გამოსვლას: სადაც კოსტომაროვს აუტყხეს შტვენა და აღარ მოუსმინეს, ვინლა შებედავდა მემარცხენეების წინააღმდეგ ხმის დაძვრას? ეს იყო უკანასკნელი აქტი იმ დროინდელი სტუდენტობის კოლექტიური გამოსვლებისა. მას შემდეგ ყველაფერი დაიქსაქსა. ყველა ჩვენგანისთვის დაიწყო ინდივიდუალური ძიების ხანა, რომელიც აღარ იყო ყველასათვის საჩინო და დამოკიდებული იყო შემთხვევითი ხასიათის გავლენებისა და პირობებისგან, უკეთეს შემთხვევაში, ვინრო წრეებისაგან.

პირადათ მე, თუმცა ქართველ სტუდენტებთან ვცხოვრობდი, მაგრამ ჩემი დროს მეტ ნაწილს ვატარებდი იმ ყმანვილებთან, რომელთაც დავუმეგობრდი ჩვენი დაჭერის დღეებში, „ბაბილონის ტყვეობას“ რომ უწოდებდით. პიოტროვსკის თავის მოკვლის, და ლინევის სახლში ვაგზავნას შემდეგ, მე დამრჩნენ მეგობრები: ლევ სამარინი და რაჟდესტვენსკი. იმათ გამაცნეს ე. სტოპაკევიჩი, „სოვრემენნიკ“-ის უფროსი კორრექტორი, რომელსაც ახლად დამთავრებული ჰქონდა უნივერსიტეტი. ის სცხოვრობდა სპასსკის შესახვევში, სენნაიას მახლობლად, სულ ახლოს ჩემთან, ყოველთვის იცოდა ყველა ახალახალი ამბები, ამასთან გულგახსნილი და საინტერესო ადამიანი იყო. უმთავრესი კი ის იყო, რომ ის მაძლევდა წასაკითხათ „სოვრემენნიკ“-ის წერილებს კორექტურებში, მათი გამოსვლის რამდენიმე კვირის წინ. მასთან მე საბოლოოდ ჩავები მონინავე მოძრაობის ინტერესებში. ჯერ მე მაინტერესებდა „სოვრემენნიკ“-ის ხელნაწერების შედარება ცენზურაში გატარებულ ფურცლებთან, რომელიც ხშირად ბრუნდებოდნენ წითელი მელნით დაჩითული. ზოგჯერ ზოგიერთ ფურცლებს სრულებითაც აღარ აბრუნებდნენ. მათ მაგიერ სხვა ფურცლებზე ეწერა ხოლმე: „ეს და ეს წერილი დაკავებულია ცენზურულ კომიტეტში წარსადგენად“, რაც იმას ნიშნავდა, რომ წავიდა და დაიკარგაო. მე დახარბებით ვკითხულობდი ასეთი წერილების ხელნაწერებს ან „თეთრ ფურცლებს“, რომლებიც მზადდებოდა ავტორებისა და რედაქციისათვის. მალე ჩემი ინტერესი უფრო გააძლიერა სტოპაკევიჩის მეგობარი მოსკოველი სტუდენტების მისვლა-მოსვლამ; ესენი იყვნენ არგიროპულოს, ზაჩინევსკის და საბლინის (უფროსის) წრიდან. ისინი დადიოდნენ ყოველთვის ცალ-ცალკე, და ყოველთვის ერთი და იმავე ჩემოდანით, რომელიც გატენილი იყო ახლად დაბეჭდილ ლიტოგრაფიულ რვეულებით, ბიუხნერისა და ფეიერბახის მატერიალისტური თხზულებებისა, რომელთაც საიდუმლოდ სცემდა ეს წრე: „ძალა და მატერა“, „რელიგიის არსი“ და სხვა. იმ ჯერზე მათ მოიტანეს

ახალი გამოცემის დასაწყისი: „ქრისტიანობის არსი“, რომელიც მეც ავიღე გასაგვრცელებლად ქართულ წრეებში. ამ ყმანვილებს თავი ეჭირათ, როგორც ნამდვილ შეთქმულებს. ჩემთან არავითარ გულლიობას არ იჩენდნენ, და მეც მერიდებოდა მათი გამოკითხვა. მაგრამ მათი შეთქმულობა ჯერ კიდევ პრიმიტიული იყო: ხშირად სტოპაკევიჩთან ლაპარაკის დროს, ჩემი თანდასწრებით, მათ ბევრი რამ წამოსცდებოდათ ხოლმე, ასე რომ, ხშირათ ადვილი იყო მათი საიდუმლოების მიხვედრა. მათ მიერ მოტანილი რვეულები სწორეთ იმავე ფორმატისა იყვნენ, როგორც ჩვენი უნივერსიტეტის ლექციები. მათი ლაპარაკიდან გავიგე, რომ მოსკოვში მათი წრე სცემდა უნივერსიტეტის მრავალ ლექციებს; თარგმანებს კი ისინი ჰბეჭდავდნენ სხვათა შორის, და ამიტომაც იყო, რომ ამ კონტრაბანდას იოლად ასაღებდნენ. ეს ყმანვილები მე რამდენჯერმე ჩერნიშევსკის სახლშიც შემხვდნენ.

როგორც სერნო-სოლოვიევიჩის ბიბლიოთეკაში, სანამ არ დახურეს, ისე სტოპაკევიჩთანაც ბევრი ლაპარაკი იყო ხოლმე იმ დროინდელ პოლემიკურ წერილებზე, სადაც რუსული პოლიტიკური ცხოვრება ერთად-ერთ გამოსახულებას ჰპოულობდა პრესაში. დიდი ხმაურობა და მითქმა-მოთქმა გამოიწვია მარტის ბოლოში თ. ევალდის წერილმა „ს. პეტერბურგსკია ვედომოსტი“-ში (რომელიც მაშინ იჯარით ჰქონდა აღებული ა. ა. კრავესკის) სათაურით: „Учиться или не учиться?“ ამ წერილში ის ამტკიცებდა, რომ სტუდენტობა არ უნდა ერეოდეს პოლიტიკურ საკითხებში, რომ მან ჯერ უნდა ისწავლოს. ამ საკითხის გამო „სოვრემენნიკ“-ის აპრილის ნომრისათვის სტამბაში ინცობოდა ჩერნიშევსკის მქუხარე წერილი „ისწავლეს-კი?“ (Научились-ли?). ამ წერილში ნათქვამი იყო, რომ სტუდენტობა დიდის სიამოვნებით იმეცადინებდა მარტო თავისი სწავლა-განათლებისთვის, თუ კი თვითონ მთავრობას არ ჩაება ის პოლიტიკურ ბრძოლაში უაზრო აკრძალვით სტუდენტური კასსებისა, ბიბლიოთეკებისა, კრებებისა და ამხანაგური გასამართლებისა. სტუდენტობის მეტი წილი ღარიბია და პატარა ვაკეითლებით და თარგმანებითა სცხოვრობს. ისინი ვერას გზით ვერ გაიტანენ თავს ურთიერთი დამხმარე კასებისა და საერთო საქმეების გარეშე. წერილში სრულებით ახალი კილო იყო აღებული მთავრობაზე ლაპარაკის დროს: იმ დრომდის ჯერ რუსეთში არავის დაეწერა ამგვარად მთავრობის შესახებ. როცა მე და სტოპაკევიჩი ვადარებდით ამ წერილის კორექტურასა და ხელთნაწერს, სტოპაკევიჩთან ვთქვი, რომ არ ღირდა ამ წერილის აწყობა: მას უსათუოდ არ გაუშვებენ, რადგან იგი მეტის-მეტად მწვავეა, მთავრობას ბრალსა სდებს და სხვა. სტოპაკევიჩი სამაგიეროდ მარწმუნებდა, რომ ჩერნიშევსკიმ იცის თავისი საქმე: მინისტრებად ეხლა სულ ახალი ხალხია, და არა ისინი, რომელთაც ჩერნიშევსკი ჰკიცხავს; ეს ახალი მინისტრები არ დაინებენ ძველების დაცვას. მხოლოდ ჩვენ, პროვინციელებს, გვეჩვენება ეს წერილი მთავრობის სანინაალმდეგოთ, თორემ ცენზურა მასში მხოლოდ დაცემულთა გათელვას დაინახავს. როცა შიკრიკმა მოიტანა ცენზურის ფურცლები და მათთან ერთად წერილი „ისწავლეს-კი?“ რომელსაც ეწერა — „ნებადართულია ცენზურის მიერ“, გამოდგა, რომ სტოპაკევიჩი მართალი იყო. ჩემს აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა.

მეორე პოლემიკა, რომელიც მაშინ ახალგაზრდობის საერთო ყურადღებას იპყრობდა, იყო „სოვრემენნიკ“-ის და კერძოთ ჩერნიშევსკის სანინაალმდეგო გალაშქრება და თითქმის დასმენა გაზეთ „სევერნაია პჩელა“-ს მიერ, რომელიც თადევი ბულგარინის სიკვდილის შემდეგ 1859 წელში, პავლე უსოვის ხელში გადავიდა, და ზომიერ-ლიბერალური მიმართულების გახდა. „სევერნაია პჩელას“ პოლემიკის მთავარი ძარღვი ის იყო, რომ თუ ყურნალი „სოვრემენნიკ“-ი და კერძოთ ნ. ჩერნიშევსკი არ ყოფილიყვნენ, ახალგაზრდობაში არავითარი მღელვარება არ იქნებოდაო. თუმცა ამ გალაშქრებასა და სისინს ჩერნიშევსკის წინააღმდეგ აწარმოებდნენ ახალგაზრდა მწერლები ნ. ს. ლესკოვი და რუსეთში დაბადებული ინგლისელი არტურ ბენნი, რომელიც თავის თავს ჰერცენის ემისარს უწო-

დებდა, მაგრამ სტოპაკევიჩი და მისი მეგობრები დარწმუნებულები იყვნენ, რომ მათი ხელმძღვანელი და შთამგონებელი იყო მისი უმაღლესობის საკუთარი კანცელარიის მესამე განყოფილება, რომელიც მაშინ განაგებდა მთავრობის შინაგან პოლიტიკას და პოლიტიკურ პოლიციას. შემდეგში, 1880 წელში, გრ. ლორის-მელიქოვის დროს, იგი გადანათლეს სახელმწიფო პოლიციის დეპარტამენტად.

1862 წლის მაისის დასაწყისში, ქალაქში გავრცელდა ახალი დიდი პროკლამაცია „ახალგაზრდა რუსეთი“, ყველაზე სასტიკი და დაუირიდებელი იმ დრომდის გამოსულ პროკლამაციებთან შედარებით. მათი ავტორები მიმართავდნენ არა ახალგაზრდობას, ან საზოგადოებას, არამედ „ხალხს“. იგი მოუწოდებდა არა მარტო მთავრობის ჩამოგდებას, არამედ მემამულეთა და მოხელეთა განყვეტას. სხვათა შორის მასში იყო ლაპარაკი ჰერცენის როლზე იმ დროინდელ საქმეებში. პროკლამაცია ღირსეულად სთვლიდა მისი მეორმოცე წლების ლიტერატურულსა, და მეორმოცდაათე წლების პირველი ნახევრის სააგიტაციო მოღვაწეობას, მაგრამ მასთან „ახალგაზრდა რუსეთი“ ამტკიცებდა, რომ ამ ჟამად ჰერცენი უკან ჩამორჩა; ახლა არის იგი იმით გართული, რომ უქადაგებს მეფესა და მინისტრებს, მაშინ როცა იგი ზარს უნდა რეკდეს ხალხის მოსაგროვებლად! ის უნდა მოუწოდებდეს ხალხს: „ცულებით, ბიჭებო, ეცით ამ არამზადებს, სადაც არ უნდა შეგხვდეთ!“ ამ პროკლამაციის უმთავრესი აზრის სისწორეს უსათუოდ ვადასტურებ. რასაკვირველია, იგი მეხივით დაატყდა ქალაქს. მე მომეჩვენა პირველად, რომ ეს თვით მესამე განყოფილების ნაწარმოებია, რათა დაეშინებინა საზოგადოება და მოესპო მასში კეთილგანწყობილება ახალთაობისადმი. მაგრამ ეს ეჭვი სისულელე გამოდგა: მთავრობა ხუმრობა გაშვებით შეშინდა. მან მაშინვე გამოაცხადა ქალაქში სამხედრო წესები. იმ პირებს, რომლებზედაც ეჭვი ჰქონდათ, რომ ისინი მონაწილეობას იღებდნენ ამ პროკლამაციის გავრცელებაში, აძლევდნენ სამხედრო სასამართლოში ომის წესების თანახმად დასასჯელად. ამ პანიკის პირველი მსხვერპლი გახდა მთელი უნივერსიტეტის საყვარელი სტუდენტი იაკოვლევი, რომელიც კრონშტადში ჩვენთან ერთად იჯდა. მას დახვრეტა მიუსაჯეს და ეს დადგენილება მაშინვე დაიბეჭდა ყველა გაზეთებში. შემდეგ ის, მართალია, შეიბრალებს და კატორღაში გაგზავნეს, მაგრამ იქ იგი მალე დაიღუპა. ყოველგვარი ზომები იყო მიღებული ავტორების აღმოსაჩენად და პროკლამაციის დაბეჭდვის ადგილის გამოსარკვევად. ჩხრეკას, დატუსაღებას, გადასახლებას არ ჰქონდა ბოლო და საზღვარი. დადგა ეგრეთწოდებული „პირველი ტერორი“. სწორედ ამ დროს „სევერნაია პჩელა“-ში დაიბეჭდა ფელეტონი, რომელსაც ლესკოვს აკუთვნებდნენ (მაშინ ის სტენიციკის ფსევდონიმით სწერდა). ამ წერილში, თუმცა გადაკრული სიტყვით, მაგრამ მაინც დღესავით ნათლად, იყო მითითებული, რომ „ახალგაზრდა რუსეთი“ ჩერნიშევსკის ნაწარმოებია, რომ მხოლოდ ისა სთვლის ჰერცენს ჩამორჩენილად, მხოლოდ ის ეკამათება მას.

ჩვენ ყველა, არა მარტო სტოპაკევიჩის ნაცნობები, არამედ მთელი სტუდენტობა, ამგვარმა დაბეზლებამ გულის სიღრმემდის აგვაშფოთა. იყვნენ ყმანვილები, რომელნიც ზოგი მოკვლას უპირებდა „სევერნაია პჩელა“-ს რედაქციის რომელსამე წევრს, და ზოგი კი ცემას. მაგრამ ბოლოს კეთილგონიერებამ თავისი ჰქნა და ზიზღმა თავი შეგვაკავებინა. ლესკოვის ხსოვნას კი ამ ეპიზოდმა წარუშლელი დალი დაასვა: მთელ თავის სიცოცხლეს ამის შემდეგ ის სულ „განმარტებაში“ იყო, უარს ამბობდა თავის მონაწილეობაზე ამ დაბეზლებაში. მაგრამ მისი ძნელად თუ ვისმე სჯეროდა.

ამის შესახებ, ე. ზ. ელისევი („შინაურ მიმოხილვათა“ ავტორი) „სოვრემენნიკ“-ში სწერდა, თუმცა ლესკოვის გვარისა და წერილის დაუსახელებლად, რომ დიდ ტალანტს, რომელიც „სევერნაია პჩელა“-ს გამოსვლებში იღებს მონაწილეობას, როგორცა სჩანს, არა აქვს კარგად გათვალისწინებული თავისი მოქმედება; მაგრამ მოვა დრო, როცა მას შერცხვება თავისი ეხლანდელი მოღვაწეობისათვის. „სოვრემენნიკ“-მა მხოლოდ ერთი ამ



ფრაზით უპასუხა „სევერნაია პჩელა“-ს გმირობაზე. ადვილი წარმოსადგენია, თუ როგორ იმოქმედა ჩვენზე და როგორ მოგვწონდა ჩვენ ჟურნალის ამგვარი დელიკატობა.

„ისკრა“-მ მაშინვე აღნიშნა „სევერნაია პჩელა“-ს ეს სისინი შემდეგის ლექსით:

Прошли года: старик фаддей  
Давно истлел в сырой земле,  
Но дух Булгаринских идей  
Еще живет в его „Пчеле“ .  
Не убоявшись эпиграмм  
Их Усов позабыть не мог:  
„Так храм разрушенный все храм,  
Кумир поверженный — все Бог!“

იყო თუ არა ეს დევნა მესამე განყოფილების შთაგონებული, სულერთია, იგი ამ განყოფილების რწმენის გამომსახველი იყო, იმ რწმენის, რომ ჩერნიშევსკია უმთავრესი მომწყობი ყველა ამ „უნესობათა“ და მთელი ამ მოძრაობისა. ის რომ არ ყოფილიყო, არაფერი არა იქნებოდა რაო. მეტადრე გაძლიერდა ეს რწმენა იმ კოლოსალური შთაბეჭდილების შემდეგ, რომელიც მოახდინა საზოგადოებაში წერილმა „ისწავლეს-კი?“ საზოგადოებამ ისე გაიგო მისი შინაარსი, როგორც მე. ეს იყო გედის სიმღერა ჩერნიშევსკის პუბლიცისტური მოღვაწეობისა. „სოვრემენნიკის“ შემდეგი ნომრისათვის მომზადებული წერილები თითქმის ყველა შეაჩერეს. მე და სტოპაკევიჩი იძულებულნი ვიყავით, გაგვევსო ნომერი დრუჟინინის მიერ თარგმნილი შექსპირის „რიჩარდ მეორე“-თი და ვიქტორ ჰიუგოს „მიზერაბლებით.“ ამავე წიგნში დაიბეჭდა, დიდი ხნის აწყობილი თითონ სტოპაკევიჩის პიესა, რომელსაც მე ვაფუკეთე კორრექტურა. ჩერნიშევსკის აკრძალული „პოლიტიკის“ მაგიერად დაიბეჭდა სადებიუტო წერილი ე. ვატსონისა, იმ დროს ჯერ კიდევ ნაკლებად ცნობილ ბისმარკის ბოროტ მოღვაწეობაზე. ვერ მოასწრო ამ მეხუთე წიგნმა გამოსვლა, რომ გამოცხადდა უმაღლესი განკარგულება ჟურნალ „სოვრემენიკ“-ისა და „რუსკოე სლოვოს“ აკრძალვის შესახებ რვა თვის განმავლობაში.

მე საბუთი მაქვს, დაჯერებით განვაცხადო, რომ „ახალგაზრდა რუსეთი“ გამოცემული იყო მოსკოვში, სტოპაკევიჩის მეგობრების წრის მიერ, რომელთა შესახებ ამის წინ მქონდა საუბარი. ყოველ შემთხვევაში, მე ამგვარი რწმენა დამებადა მათთან ლაპარაკის შემდეგ, და იმ ფაქტიდან, რომ მათ მეც გადმომცეს რამოდენიმე ცალი ამ პროკლამაციისა ნაცნობებისათვის და გამოსული პროკლამაციების ჩემი კოლექციისათვის, რომელმაც მალე კინალამ არ დამლუპა და ამიტომ იძულებული გავხდი მთლათ ცეცხლისათვის მიმეცა იგი. ეთიკა ნებას არ მაძლევდა, მიმემართა ამის შესახებ კითხვებით ან სტოპაკევიჩისთვის ან სხვა ვისმესთვის. მაგრამ მაშინ ეჭვიც არ მეპარებოდა იმაში, რომ ეს იმათი საქმე იყო და რომ ისინი აწარმოებდნენ ამ საქმეს თავისი პასუხისგებით, მათ მიიყვანეს უკიდურესობამდე ის სოციალისტური იდეები, რომლის მატარებელი იყო „სოვრემენნიკ“-ი, მაგრამ მე აზრათაც არ გამიტარებია, რომ ჩერნიშევსკის შეეძლო მიეღო რაიმე მონაწილეობა ამგვარ გამოსვლებში. ამისი ფიქრი ნიშნავდა კაველინის აზრის გაზიარებას, რომელიც სწორედ ამ ხანებში სწერდა ჰერცენს: „თავის დღეში არ მინახავს ადამიანი უფრო არეულ-დარეული („путанник“) ვიდრე ჩერნიშევსკიო“. ვფიქრობ, რომ კაველინმა შეადგინა ასეთი აზრი ჩერნიშევსკიზე მხოლოდ იმიტომ, რომ იგი მას სთვლიდა „ახალგაზრდა რუსეთის“ ავტორად, რომელმაც, მართლაც, არივ-დარია მაშინდელი რუსეთის ცხოვრების გეზი.

ამ პროკლამაციის გამოსვლამ, მართლაც, ერთგვარი გეზის გამოცვლა გამოიწვია რუსულ მოწინავე მოძრაობაში და რუსულ პოლიტიკაში. ამ პროკლამაციით დამთავრდა მოძრაობის აპოგეი, და სწრაფად დაიწყო მისი პერიგეი.



ამავე დროებში მთავრობამ ნება დართო თავისუფალი გაყიდვა რუსეთში შედო-ფერ-როტის ბროშიურებისა (ფსევდონიმი ჟურნალისტ ფუქსისა, რომელიც შემდეგ რედაქტორი იყო ბრიუსელში რუსეთის მთავრობის ფრანგული გამოცემებისა) სათაურით „წერილი ჰერცენისა რუსეთის ელჩთან ლონდონში, ბარონ ბრიუნოვთან“. ამ ბროშიურაში, რომელიც გამოცემული იყო გერმანიაში, მასხარად იგდებდნენ ჰერცენის მუქარას, რომ ყოველი ბენვი, ჩამოცვივნილი ჰერცენის თავიდან, თავს დაატყდება რუსეთის მთავრობას, თუ კი მართლაც მოხდა მისი მოტაცება, რაც თითქო ამ დროს მზადდებოდა. ეს პირველი შემთხვევა იყო, თითქმის თხუთმეტი წლის განმავლობაში, რომ პრესაში წარმოითქვა ჰერცენის სახელი, იმ დრომდის სასტიკად აკრძალული. ამის შემდეგ „რუსკი ვესტნიკის“ „სოვრემენაია ლეტოპის“-ში, რომელიც იმ წელს გამოდიოდა ცალკე ყოველკვირეული ჟურნალის სახით, დაიბეჭდა მ. ნ. კატკოვის წერილი, თავდაუჭერელი ლანძღვით ჰერცენისა და ოგარევის ანტისახელმწიფოებრივი მოღვაწეობის შესახებ, და მკითხველთათვის გაუგებარი პირადი ხასიათის გადაკვრით, რომელიც თავდებოდა ფრაზით: „ვიცი, რა ხალხიცა ხართ!“ (Знаем мы, что вы за люди!) ამის შემდეგ თითქმის მთელმა მოსკოვის პრესამ, რომელიც აქამდის წმინდათ ინახავდა ბელინსკისა და გრანოვსკის ტრადიციებს, და ინგლისური ტიპის ლიბერალურ-პროგრესიული მიმართულებისა იყო, უცბად შეუხვია მარჯვნივ და რეაქციონური ელფერი მიიღო. კატკოვის წერილს შედეგად მოჰყვა მისი შერიგება მთავრობასთან. მან მაშინვე მიიღო იჯარით „მოსკოვსკაია ვედომოსტი“. მის ძველ მოიჯარადრეს ვ. ფ. კორშს მისცეს იჯარით „ს. პეტერბურგსკაია ვედომოსტი“. კრავესკიმ კი სამაგიეროთ მიიღო ნებართვა გამოეცა საკუთარი „გოლოსი“. ცენზურის გამგეობა, სახალხო განათლების სამინისტროს ხელიდან შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელში გადავიდა, რომელმაც მაშინვე გაიჩინა საკუთარი ორგანო — „სევერნაია პოჩტა“. ერთი სიტყვით, ახალმა მთავრობამ დაამტკიცა, რომ მას ესმოდა ბეჭდვითი სიტყვის მნიშვნელობა თანამედროვე სახელმწიფოს ცხოვრებაში, და სრულებითაც არ სურდა მის უცხო ხელში ჩაგდება, მეტადრე მტრულ ხელში. ყოველივე ეს ეთანხმებოდა „სოვრემენიკ“-ის და „რუსსკოე სლოვო“-ს რვა თვით დახურვას.

თითქოს განგებო, ამ დროს პეტერბურგში ივნისის აუტანელი სიცხეების დროს, გაჩნდა საშინელი ცეცხლი, რომელიც ხშირად რამდენიმე ალაგას ერთ დროს მოედებოდა. ეს ამბავი თითქმის ორ კვირას გაგრძელდა. განსაკუთრებულმა შიშმა მოიცვა ქალაქის მოსახლეობა, როცა ცეცხლი მოეკიდა ეგრედნოდებულ „ტოლკუჩი რინოკს“, ფიცრეულების უსწორ-მასწორო კონგლომერატს, რომელიც გაგრძელებული იყო ფონტანკიდან ვიდრე ბოლშაია სადოვაიამდე და ჩერნიშევის შესახვევიდან აპრაქსინის შესახვევამდე. აქ ბევრი ათასი ვაჭარი ჰკარგავდა მთელ თავის ქონებას. ცეცხლის გაჩენის პირველ დღეებშივე ხალხში გავრცელდა ხმები, რომ ცეცხლს სტუდენტები ან პოლონელები უკიდებენ. ზოგი კიდევ მიზეზად ასახელებდა მებატონეთა შვილების შურისძიებას გლეხების განთავისუფლების გამო. იყო კიდევ რამდენიმე შემთხვევა, როცა მხეცურად გაუსწორდნენ ყოვლად უდანაშაულო სტუდენტებს, რომელთაც ბრბომ სტაცა ხელი ქუჩაში, ცეცხლში ჩააგდო, და თან ზევიდან ანთებული შეშა დააყარა. რასაკვირველია, „სევერნაია პჩელა“-მ მაშინვე ისარგებლა ამ ხმებით, თითქო სტუდენტები არიან მიზეზი ცეცხლის გაჩენისა, და ყოველ ღონეს ხმარობდა ამ ხმების გასავრცელებლად. მე და სამარინმა გადავწყვიტეთ, მოგვეწყო რაც კი შეიძლება მრავალრიცხოვანი ჯგუფი სტუდენტებისა, რომელიც ზარის პირველ ჩამორეკისთანავე მიეშურებოდა სტუდენტური ქუდებით ცეცხლის გაჩენის ალაგას და მთელი ძალ-ღონით ეცდებოდა ცეცხლის ჩაქრობას, რათა დაემტკიცებინა ხალხისთვის, რომ სტუდენტები არა თუ ცეცხლის წამკიდებლები, არამედ მისი ჩამქრობები არიან: მათ არაფერი ჰშურთ ხალხის საკეთილდღეოთ. იმ ორი კვირის განმავლობაში მეტის-მე-

ტად ვმუშაობდით დაუსვენებლივ და ისე საშინლად გავშავდით, რომ ჩვენი ცნობაც ძნელი იყო. მაინც, მიუხედავად ყოველივე ამისა, რამდენჯერმე კინალამ ცოცხლივ არ დაგვწვეს, და რასაკვირველია, მიუხედავად ჩვენი შრომისა, მაინც ვერ გავაქარწყლეთ ხალხში გავრცელებული ხმა. განსაკუთრებით ერთი სცენა დამახსოვდა იმ დროიდან. ცეცხლს გუზგუზი გაჰქონდა და ზღვასავით ლელავდა ყოველმხრივ „ტოლკუჩი რინოკის“ უზარმაზარი მიდამო, როცა გაისმა ხმა, „მეფე მობრძანდაო“. ღამის პირველი ან მეორე საათი იქნებოდა, მაგრამ ყველაფერი განათებული იყო ბრწყინვალე, თვალის მომჭრელი სინათლით: ჩვენ ყველანი, და ჩვენთან ერთად სიმწარით გაგიჟებული ვაჭრებიც, მიცვივდით სახელმწიფო ბანკის ჭიშკარს სადოვანიაზე, რომლის წინ იდგა მეფე თავის ამალით. გეჩვენებოდათ, რომ ისინი უფრო აღტაცებული არიან ამ გრანდიოზული სანახაობის მშვენიერებით, ვიდრე ფიქრობენ იმაზედ, რომ განკარგულება გასცენ ცეცხლის სანინალმდევით ბრძოლისთვის. ამაღის ყველა წევრები მხიარული და აღტაცებული იყვნენ; არავინ გენერალთაგანი ან ადიუტანტი არ დაძრულა განკარგულების გადასაცემათ. ბევრს მათგანს სერთუკები გახსნილი ჰქონდა, რაც მეტად საკვირველი იყო სამხედრო პირთათვის. როდესაც კი ქარმა მათ მხარეს დაუბერა და ნაპერწკლები მიაყარა მეფის ამაღას, უბრძანეს ეტლებს და სწრაფად გაემართნენ. მხოლოდ ერთი-ორმა ვაჭარმა ამოიხსრა მწარედ: „эхма“; დანარჩენები პირჯვარს იწერდნენ. ამ წუთში ჩაქრა ჩემი უკანასკნელი მონარქისტული გრძნობები.

ზაფხულში პეტერბურგი უცეცხლოთაც აუტანელია და ცარიელი. ეხლა კი ყოვლათ შეუძლებელი გახდა მასში დარჩენა. წინა წელში ქართველი სტუდენტობა გადასახლდა სააგარაკოთ „ჩერნაია რეჩკა“-ზე. ეხლა მათ პავლოვსკი ირჩიეს, სადაც მეც დავიქირავე ჩემთვის პატარა ოთახი შუაქალაქში. მე განზრახული მქონდა, მომეკიდნა ხელი სერიოზულ კითხვისთვის „თვითგანვითარების“ მიზნით, მაგრამ რაც უფრო მეტსა ვკითხულობდი, მით უფრო ნათლად ვხედავდი, თუ რა ცოტა რამ ვიცოდი. მაინც მე ჩაფლული ვიყავ მეორმოციანე წლების „ოტჩრესტვენია ზაპისკ“-ების ძველ წიგნებში, ჰერცენის „წერილებში ბუნების შესწავლის შესახებ“, როცა ამხანაგებისგან შევიტყე, რომ ჩერნიშევსკის ოჯახიც გადმოვიდა პავლოვსკში სააგარაკოთ. ოღვა სოკრატის ასულს მე იმ დღესვე შევხვდი მუსიკაზე სადგურის წინ. ორკესტრს მაშინ ლოტბარობდა და ქალების გულეზსაც იტაცებდა განთქმული იოჰან შტრაუსი, ვენის მაღალნიჭიერი კომპოზიტორი პოლკების და ვალსებისა. მის მოსასმენათ დადიოდა პავლოვსკი, დრო-და-დრო ჩამოდიოდნენ აგრეთვე ცარსკოე სელოდან და პეტერბურგიდან. ჩერნიშევსკის მეუღლე და მისი დაი მუშაობდნენ დილის სეირნობაზე პავლოვსკის მშვენიერ პარკში და მეტადრე მის მომხიბლავ ტბებზე ნავით საცურავათ; ნავზე დაულალავად უსვამდი ნიჩბებს და თან ვუზიარებდი ოღვა სოკრატის ასულს ჩემს ნაფიქრს სადღეისო ლიტერატურულ და პოლიტიკურ საჭირობოროტო საკითხების შესახებ. ის კი გადმომცემდა მისი ქმრის აზრებს ამავე საკითხებზე. ნავით ჩვენ ხშირად დავდიოდით ფერმაზე, რომლის ახლო იდგა გიმნასტიური სავარჯიშო მოწყობილობა. აქ ჩვენ ვქანაობდით, ვტრიალებდით, ან კიდევ ვისვენებდით „ფანჩატურში“, სადაც ოდესმე დედოფალი მარია ფეოდოროვნა, პავლე I-ის ქვრივი, იკრებდა თავის გარშემო პოეტებსა და მწერლებს, ყუუკოვსკისა და კარამზინის მეთაურობით. ქ-ნი ოღვა ხუმრობდა ხოლმე, რომ ეხლა სამეფო კარის ჩვეულებანი ის აღარ არის რაც იყო, რომ ეხლა მწერლები აღარ უყვართ იქ, პირიქით, ისინი სძაგთ მეფეებსო.

ფიჭვის სურნელებით გაჟღენთილ ამ ჯანსაღ ატმოსფერაში ჩვენ მთელ დღეებს ვატარებდით, სანამ ჩერნიშევსკი პეტერბურგში იყო. როცა კი ის ჩამოდიოდა პავლოვსკში, ცოლი აღარ შორდებოდა მას. მაშინ მეც უფრო ხშირათ ვხვდებოდი ჩერნიშევსკის და უკეთ ვაკვირდებოდი ამ ადამიანს, მეტადრე მაშინ, როცა ოღვა სოკრატის ასულის თხოვნით

დავბინავდი მათ აგარაკზე და დავექეი მეზონინში მის ძმასთან ერთად, რომელიც იმ დროს ჩამოუვიდათ სარატოვიდან.

ჩერნიშევსკი იყო შუატანისა, მონითანო ქერა ბლონდინი, ახლოს მხედველი, ოქროს სათვალეებით. დადიოდა ყოველთვის ძალიან სწრაფათ, აჩქარებით. დილიდან შუალამემდე სულ მუშაობაში იყო გართული. ახლობლების სიტყვით, მან არავითარი გართობა არ იცოდა: არ დადიოდა არც თეატრში, არც კონცერტებზე, არც კლუბში და არც ნაცნობებში. ბანქო, რომელიც იმ ხანად მაინც მეტად გავრცელებული საყოველთაო გასართობი იყო, არც კი იცოდა, როგორ დაეჭირა ხელში. რალა მოსახსენებელია, რომ იგი არა თუ არ სვამდა, არამედ თამბაქოსაც არ ეწეოდა. ცოლი და შვილები, საშა და მიშა, გაგიჟებით უყვარდა, პირდაპირ აღმერთებდა. თვით ოლგა სოკრატის ასული ზრუნავდა ჩერნიშევსკიზე ისე, როგორც მხოლოდ დედას შეუძლია იზრუნოს ძუძუთა ბავშვზე. ის გვარნმუნებდა, რომ ჩერნიშევსკი არ არის ამ ქვეყნიური, არაფერი გაეგება რა ცხოვრებისა, და რომ არავინ იზრუნოს მისთვის, ის შიმშილით მოკვდება. ოლგა სოკრატის ასული და არა ჩერნიშევსკი, მისივე სიტყვებით, აწარმოებდა ანგარიშს ნეკრასოვთან, „სოვრემენნიკ“-ის გამომცემელთან, თორემ ჩერნიშევსკის არც კი ემახსოვრებოდა, თუ რამდენი ერგება ჰონორარი.

ჩემდამი დამოკიდებულებაში ჩერნიშევსკის ისე ეჭირა თავი, როგორც ბავშვთან. მე ეს არც მწყინდა: მე სრულებით ბუნებრივად მიმაჩნდა, რომ ასეთი მცოდნე ადამიანი არ შეიძლებოდა ყოფილიყო ჩემი ტოლი, რომელმაც ჯერ არაფერი ვიცოდი. მე არც კი მომწონდა, როცა სტუმრები არ იყვნენ, რაკი მარტოს მხედავდა, დამინყებდა ხოლმე საუბარს. მიყვარდა მისი ლაპარაკის ყურის გდება, როცა ის სხვებს ემუხაიფებოდა. საუბედუროთ, მის საუბარს მეტ წილად ირონიული ხასიათი ჰქონდა. იგი ყოველთვის ხუმრობით ან ალევგორიებით ლაპარაკობდა, ან ისეთ პასუხებს იძლეოდა, რომ მათი გაგება ასეც შეიძლებოდა და ისეც, და ზოგჯერ კი სრულებითაც ვერას მიხვდებოდი. მაინც მისი აზრებიდან, რომელიც მესმოდა, ან პირადად მისგან, ან მის ახლობლებისგან, ისეთი წარმოდგენა შევადგინე, რომ ის ძალიან მდარე აზრისა იყო მეფისა და მისი მინისტრების შესახებ, დარწმუნებული იყო, რომ ისინი ვერ გაუძღვებოდნენ და ვერ მოაგვარებდნენ ომის შემდეგ აწეწილ საქმეებს, ვერც გლეხობის უკმაყოფილებას დააშოშმინებდნენ მათი განთავისუფლების მანიფესტით, ან შინაური რეფორმების დაპირებით, არც პოლონეთის ახლად დაწყებული აჯანყება მოასწავებდა კარგ რამეს მთავრობისათვის. ამის წინ, გაზაფხულზე, გლეხთა განთავისუფლების მანიფესტის გამოცხადების დროს, იყო რამდენიმე, ასე ვთქვათ, აჯანყება გლეხებისა. სოფ. ბეზდნაში (ყაზანის გუბ.) დახვრიტეს გლეხი ანტონ პეტროვი. ჩერნიშევსკი დიდ მნიშვნელობას აძლევდა როგორც ამას, ისე სტუდენტების მღელვარებას; მას იმედი ჰქონდა პროპაგანდა შეუწყვეტილი გაიზრდებოდა იმ წრეებში, სადაც მოხვდებოდნენ სტუდენტები კურსის დამთავრების ან შეწყვეტის შემდეგ. მას ძალიან კარგათ ესმოდა მასსის ინერციის ძალა და იცოდა, რომ ბოლოს და ბოლოს პირველ ხანებში რეაქცია გაიმარჯვებდა და ყველაფერს დათრგუნავდა. მაგრამ მას ამავე დროს ეჭვი არ ეპარებოდა იმაში, რომ სასონარკვეთილება, რომელმაც მოიცვა უმაღლესი წრეები ყირიმის ომის შემდეგ, ლოგიკურის აუცილებლობით მიიყვანდა რევოლიუციამდე, რომლის გამარჯვება ხანგრძლივი არ იქნებოდა და რომელიც გამოიწვევდა სასტიკ რეპრესიებს რეაქციის მხრივ მონინავე ელემენტების წინააღმდეგ. მან იცოდა, რომ დაილუპებოდა; მაგრამ არ ეგონა, რომ ეს მალე მოხდებოდა. ერთი რამ მაკვირვებდა მასში: ეს იყო მისი უზომო რწმენა, რომელიც მეც კი გადაჭარბებულად მეჩვენებოდა, რწმენა სიმართლის უძლეველი ძალისა. იგი დარწმუნებული იყო, რომ ყოველივე, რაც გონიერია, უძლეველია ბოლოს და ბოლოს, რომ პროგრესი შეუჩერებელი და უკვდავია. მას ჰყავდა ერთი ღვთაება — ხალხი. რახან ხალხში ერთხელაც არის გადავარდა ჭეშმარიტების თესლი, შეუძლებე-

ლია მას არ დახვდეს აქ კეთილი ნიადაგი; იგი აუცილებლად ამოვა და მოიტანს დიდ მოსავალს, სასარგებლო ნაყოფს. რამდენჯერმე მინახავს ჩერნიშევსკი ამ თემაზე მოკამათე: სად იყო მაშინ მისი ირონია? ამ იშვიათ წუთებში მას ჰქონდა უკვე შეხედულება ნამდვილი მოქადაგის, ფანატიკოსის. ასეთ წუთებში ოლგა სოკრატის ასული, რომელიც საზოგადოდ არ მონაწილეობდა ხოლმე ქმრისა და სტუმრების საუბარში, ჩაერეოდა კამათში და მოხერხებულად სპობდა მას.

ჩვენი სტუდენტები ხშირათ ნახულობდნენ ჩერნიშევსკის ოჯახს, მეტადრე როცა თითონ ჩერნიშევსკი ჩამოვიდოდა ხოლმე პეტერბურგიდან. გაიმართებოდა მაშინვე საუბარი და გამოკითხვა უკანასკნელი ამბების, რეფორმების და პოლიტიკის შესახებ. ჩერნიშევსკი ისეთის კილოთი ლაპარაკობდა ხოლმე ყოველივე ამაზე, რომ ვერ გაიგებდი, სად თავდებოდა სიმართლე და სად იწყებოდა დაცინვა. იმ დროს რიგში იდგა არა პეტერბურგის, არამედ ვარშავის მღელვარების ამბავი. მეფის მოადგილეთ პოლონეთში დანიშნული იყო დიდი მთავარი კონსტანტინე ნიკოლოზის ძე, რომელმაც თანაშემწედ აიყვანა თავადი ველეპოლსკი. ორივე შეუდგა ძნელ საქმეს — პოლონელებისა და რუსეთის შერიგებას. პეტერბურგში მაშინ ცოტა იყო ისეთი, ვისაც სჯეროდა ამ ოცნებისა. სამხედრო პირთა შორის, რუსებშიაც კი, და მეტადრე მეცნიერთა შორის ისეთი აზრი ტრიალებდა, რომ პოლონეთის სრული განთავისუფლება გააძლიერებდა რუსეთის სამხედრო ძალას, რადგან რუსეთისთვის პოლონეთი მხოლოდ ბორკილია. ხელზე დადიოდა ამ აზრით შედგენილი საკმაოდ დასაბუთებული წერილი, სტრატეგიული მოსაზრებებით დადასტურებული. დიდი მთავრის რეფორმებიდან კი არა გამოდიოდა რა. როგორც ყოველთვის ხდება, უკიდურესებმა აბსტრუქციებს მიმართეს: ჯერ ველოპოლსკის მოკვლა განიზრახეს და შემდეგ — თვით მეფის მოადგილის. ჩერნიშევსკი მოელოდა აქ დამარცხებას და სამხედრო წერილის აზრს ადგა. ალბათ, მან ეს აზრები შეითვისა 1857-1858 წლებში, როცა მეგობარი იყო გენერალური შტაბის ოფიცრებისა და მათთან ერთად მუშაობდა „ვოენნი სბორნიკი“-ს რედაქტორად, რომელიც სამხედრო სამინისტროს ოფიციალური ორგანო იყო.

ვარშავის მღელვარებათა მიუხედავად, ხანძარის ჩაქრობის შემდეგ, პეტერბურგში ყველაფერი დაწყნარდა. ჩერნიშევსკის ოჯახი მეტად ააღელვა იმ წინადადებათ, რომელსაც იძლეოდა ჰერცენი „კოლოკოლში“, „სოვრემენნიკ“-ის დახურვის გამო. მისი წინადადება იყო ეს ჟურნალი გადაეტანათ დასაბეჭდათ ლონდონში, მისი ხარჯით.

ჩერნიშევსკისთვის ძნელი არ იყო აეხსნა თავისი მეგობრებისთვის, რომ ამ აზრის განხორციელება ყოვლად დაუშვებელი იყო. ამის შემდეგ ოლგა სოკრატოვნას შეატყობინა უფროსი კურსის სტუდენტმა და ჩვენმა ამხანაგმა დაჭერის დრო, ევგენი პეჩატკინმა, წიგნებით მოვაჭრის ძმამ და ქალაღდის ქარხანის მოზიარემ, რომ ჩერნიშევსკის აუცილებელი დატუსაღება მოელის. მან შეაძლია ოლგა სოკრატოვნას ფული და პასპორტი სხვის სახელზე, რომლითაც ჩერნიშევსკის შეეძლო საზღვარ-გარეთ წასვლა, სადაც შემდეგ ოლგა სოკრატოვნაც წავიდოდა; ჩერნიშევსკიმ კატეგორიული უარი განაცხადა ამ წინადადებაზე. ის ჩემ წინ ამტკიცებდა, რომ ემიგრანტად გახდომით ის მოსწყდება რუსეთს, მის „საზოგადოებრივ მათხის ცემას“ და უკან ჩამორჩენილი გადიქცეოდა უსაქმო ყბედათ, ბუზღუნათ. ეს მისი სიტყვები მე ცხადლივ მახსოვს. ამ სიტყვებმა გადამარჩინეს შემდეგში ემიგრაციისაგან. ამას ჩერნიშევსკი უმატებდა ხოლმე, ალბათ, ცოლის დასამშვიდებლად, რომ თუ დაიჭერენ კიდეც, როცა დარწმუნდებიან, რომ ბრალი არაფერი აქვს, იძულებულნი იქნებიან გამოუშვან. „ხომ არ შეუძლიანთ გამასამართლონ იმ წერილებისთვის, რომელნიც ცენზურის მიერ ნება დართულია, სხვა დანაშაული კი მე არაფერი მიმიძღვის“, — ამბობდა იგი. ცოლიც დარწმუნებული იყო, რომ სხვა ბრალი მას არა ჰქონდა რა, მაგარმ მაინც ის მეტად ღელავდა და იძახოდა: „იმათ ეშინიათ მაგისი და არ გამოუშვებენ“-ო.



არ მახსოვს, რამდენმე ხანმა განვლო ამ ლაპარაკის შემდეგ, ჩერნიშევსკი ქალაქში იყო შლოსერის თარგმნის გამო, როცა იგი დაატუსაღეს, და თან წაიღეს ყველა მისი ქალაქები, კორექტურები, მისი ცოლისა და მშობლების წერილებიც კი. ჩერნიშევსკის განკარგულებისა და სურვილის თანახმად, ოლგა სოკრატოვნა მაშინვე მისი დაჭერის შემდეგ, გაუსწორდა ქალაქისა და აგარაკის ბინებს, ჩერნიშევსკის ბიძაშვილის, პროფესორი ა. ნ. პიპინის და მის ძმის სერგეის, რომელიც სერნო-სილოვიევიჩის წიგნის მაღაზიის გამგე იყო, დახმარებით, ჩაალაგა თავისი ნივთები და წავიდა სარატოვში, სადაც მათ თავისი სახლი ჰქონდათ, ჩერნიშევსკის მამის, სობოროს დეკანოზის მემკვიდრეობა. აქა ჰქონდა ნათქვამი დარჩენა ოლგა სოკრატოვნას ჩერნიშევსკის განთავისუფლებამდე. ოლგა სოკრატოვნა მიდიოდა ყოვლად უიმედო. გამოთხოვებისას მან გაიმეორა: „ისინი მას აღარ გამოუშვებენ!“ ჩერნიშევსკის შესახებ საქმის პატრონობა, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო, იკისრეს ნეკრასოვმა და პიპინმა.

ჩერნიშევსკის ოჯახის წასვლის შემდეგ მე საშინელმა სევდამ შემიპყრო: მე ისევ ჩემ პატარა ოთახში გადავედი. კითხვა არ შემეძლო. ნამდაუნუმ ხან ამხანაგებთან ერთად და ხან მარტოდ-მარტო დავდიოდი, ხან კოლპინოში, ხან პულკოვოში. რამდენიმე საათობით ვიჯექი ხოლმე იჟორის მდინარეში, ხელით ვიჭერდი თევზებს და ამავე დროს ვეძლეოდი ფიქრებს იმ საბედისწერო საკითხების გამო, რომელნიც ჩემთვის აუხსნელი დარჩა, მიუხედავად ყველა ჩემი მეცადინეობისა და გამოკითხვისა. რამდენი ხანი გავიდა ასე, არ მახსოვს. ამ დროს მე შესამჩნევად გავიზარდე. დაიწყო წვიმები და ძალა-უნებურად მომიხდა სახლში ჯდომა. მაშინ მომივიდა აზრად, დამენერა მოთხრობა პეტერბურგის მხარის ხელ-მოკლე სტუდენტების ცხოვრებიდან. ეს მოთხრობა „ისკრას“ რედაქციაში გავგზავნე. ორი კვირის შემდეგ მოთხრობა დაიბეჭდა. ამის შემდეგ მოვიდა ჩემთან ჟურნალის ლიტერატურული ნაწილის რედაქტორი, პოეტი ბერანჟეს მთარგმნელი ვ. ს. კუროჩკინი, რომელიც პავლოვსკში სცხოვრობდა. იგი მოვიდა, რათა ეთქვა ჩემთვის, რომ გონორარის მისაღებად, რომელიც სახუმარო არ იყო (75 მანეთი), მე უნდა შევსულიყავი კოჟანჩიკოვის წიგნის მაღაზიაში, სადაც „ისკრა“-ს კანტორაც იყო. რედაქტორს თან ახლდნენ თანამშრომლები, იმ დღეს მოსულნი ქალაქიდან და ლაზათიანად შეზარხობებულნი. ესენი იყვნენ: ი. ფ. გორბუნოვი, დ. დ. მინაევი, პოეტი-მსახიობი ჟულევი (სკორბნი პოეტ) და ი. ი. დმიტრიევი, უკანასკნელის გარდა ყველანი მაგრა გადაკრულში იყვნენ. მე წამათრიეს „მუსიკაზე“, ნამდვილად კი მუსიკის ახლო რესტორანში, სადაც ქეიფის გაგრძელება დაიწყო. ჩემს გვერდით მჯდომმა გორბუნოვმა ალტაცებაში მომიყვანა. იმან წარმოადგინა გენერალი დიტიატინი, რომელიც ახალგაზრდა კავკასიელ სტუდენტს ასწავლიდა მთავრობის პატივისცემას. „ყმანვილო, ყმანვილო, ჩიფჩიფებდა ის, როგორც უკბილო ბებერი, მთავრობა ამდენს ზრუნავს თქვენთვის, გასწავლით, ჩინებს გაძლევთ, თანამდებობას გიმზადებთ, აი, თქვენი სომეხი დელიანოვი რა მაღალ თანამდებობაზე აიყვანა, თქვენ კი, უმადურები, აჯანყებას აწყობთ?!“ აქ მან გამოიცვალა კილო და მრისხანებით განაგრძო: „ეხლა რომ ცხოვრებულმა ხელმწიფემ ნიკოლაი პავლოვიჩმა ინებოს აბრძანება კუბოდან და შეგხედოთ! ყველას თქვენ, არამზადებო, ბორკილებს დაგადებდათ, ორენბურგის ლინეინი ბატალიონებში, ცოცხლივ კუბოში ჩაგჭედდათ“. მეცა და ყველა დანარჩენებიც, სულ მთლად უცხოებიც კი, ვზარხარებდით ისტერიკამდის. მხოლოდ გორბუნოვი იყო სერიოზული და მართლაც მრისხანე, თითქოს ეს ნამდვილი გენერალი უჯავრდებოდა ხელქვეითს. ვერვის გაეგო, როგორ შეიძლებოდა ისეთი ოლიმპიური სიმშვიდის შენახვა ამგვარ კომიზმთან? დმიტრიევი გვიკითხავდა, იმ ნომერში აკრძალულ ნაწყვეტს, რომელიც დაენერა კასტამაროვს კატკოვის წინააღმდეგ, ძველი რუსული მატიანების ენით. თანამშრომლები მხოლოდ უკანასკნელი მატარებლით წავიდნენ პეტერბურგში.



კუროჩკინმა არა ერთხელ წამიყვანა კიდევ „მუსიკაზე“. როცა ის ფხიზელი იყო, დიდებულ შთაბეჭდილებას ახდენდა, რადგან ნიჭიერი და განვითარებული ადამიანი იყო. სამწუხაროთ, მე იშვიათად მინახავს იგი ფხიზელი, რედაქციის კრებების დროსაც კი. ის მიხსნიდა მე, რომ მეც, მიუხედავად იმისა, რომ არც ერთ ცვარ ღვინოს არა ვსვამ, ვერ გავძლებ დიდხანს და მეც დავინწყებ ლოთობას „до положения риз“, რომ უამისოთ პატიოსანი ადამიანი ვერ იცოცხლებს რუსეთში, გაგიჟდებო! — აი, ჩერნიშევსკი, უპასუხებდი მე, ყმანვილი არ არის, მაგრამ არა სვამს! კუროჩკინი გაოცდა: „ჩერნიშევსკი! — შემყვირა მან, — შეხეთ ვის დამადარა! ჩერნიშევსკი გენიოსია, წმიდანია! განა ის ადამიანია! ჩვენ კი უბრალო ადამიანის შვილები ვართ!“

ერთხელ პეტერბურგიდან შუალამისას დაბრუნებული მე წავანყდი კუროჩკინს, რომელიც ქალაქში მიმავალ მეგობრებს ეთხოვებოდა. როცა მათი მატარებელი დაიძრა, კუროჩკინს ფეხი აუცდა; ის კინალამ ბორბლების ქვეშ მოჰყვა. მე შევიკავე და როცა დავინახე, რომ ფეხზედ ვერ იდგა ძლივს-ძლივობით დავსვი „დროშკაზე“ და სახლში წავიყვანე. სახლში მისმა ხასამ მაღლობის მაგივრათ ვაჟკაცურის ბოხის ხმით ლანძღვა-გინება დამიწყო: „საცოდავ ადამიანს ათრობთ და მის ხარჯით ქეიფობთო!“ და სხვა. მე მაინც დავეხმარე, რომ ის კიბეზე აეყვანა, გაეხადა და ლოგინში ჩაენვინა. ამ გვარია, — ვფიქრობდი მე გზაში, — ადამიანების უსამართლობა! მაგრამ მაშინვე გადავედი იმ აზრზე, თუ როგორ შეუძლიათ ისეთ მაღალი ნიჭის პატრონებს, როგორც კუროჩკინია, ცხოვრება ამისთანა გარბიებთან, როცა ქვეყანაზე იმდენია მათი ღირსი ანგელოზები, აი თუნდ, მაგალითად, მინადორა სოკრატოვნა, რომელიც იძულებულია იცხოვროს მიყრუებულ ალაგას, სადაც არც კი ვის ესმის, რა უძირო სიყვარულის ზღვა არის მისი წმინდა გული!

მე კიდეც დავაპირე დამეწერა მოთხრობა ამ თემაზე, თუ როგორ იღუპება ნიჭიერი ხალხი შეუსაბამო ცოლქმრობისგან, და დიდხანს ვფიქრობდი ამ საგანზე, როცა აგვისტოს ერთ ნათელ დილას, ჩემთან ყოვლად მოულოდნელად შემოვიდა მამაჩემის უფროსი „ნოქარი“ ფასიკოვი, რომელიც ერთ დროს თავისთავს პასკევიჩად უწოდებდა. იმან ამიხსნა, რომ მამაჩემმა გაიგო ქართველი სტუდენტების მიერ, მათ მშობლებთან მიწერილ წერილებიდან, იმ ხიფათის შესახებ, რომელიც ჩემ თავს იყო და რომელიც ისევ შეიძლება დამტეხოდა, და დაევალებინა ჩემი წამოყვანა ნებით თუ უნებლიეთ. მე გადავეხვიე, რადგან მასში ზეცის განგება დავინახე. პეტერბურგი შემჯავრდა. არავითარ რევოლიუციას მასში მე აღარ ველოდი. უნივერსიტეტი დაკეტილი იყო, საჯარო ლექციები დახურული, „სოვრემენიკი“ აკრძალული, სტოპაკევიჩი წავიდა სამარაში გამომძიებლად. დანარჩენი ნაცნობები შევიდნენ ზოგი გიმნაზიების მასწავლებლებად, ზოგი აქციზის მოხელეებად და ზოგი სასამართლოს გამომძიებლად. ისეთი სტუდენტები, რომელთაგანაც შეიძლებოდა რისიმე სწავლა, სულ წავიდ-წამოვიდნენ. ჩერნიშევსკი და მისი ოჯახი აღარ იყო. დრო იყო სახლში წასვლისა. მოთხრობების წერა და კითხვა სახლშიაც შეიძლებოდა. მგზავრობა მიხდებოდა არა ძველი გზით, საფოსტო ეტლებით, არამედ რკინის გზით ნიჟნი-ნოვგოროდამდე. შემდეგ ვოლგით — ცარიცინამდე, მერე დონით — როსტოვამდე, იქიდან აზოვისა და შავი ზღვით — ფოთში. რამდენი ახალი შთაბეჭდილება, რამდენ მეგობარს ვნახავ გზადაგზა ახალ თანამდებობაში, რომელთაც მიაქვთ ხალხში სიმართლისა და სიკეთის ხმა. ჩავალაგე ჩემს ახალ ჩემოდანში ჩემი წიგნები, რომელშიაც იყო უფრო ახალი აზრები და იდეები და იმ დღესვე გავუდექი შორეულ გზას.

## ერთი წელიწადი როდენტან<sup>1</sup>

### 3

ეხლა ნება მომეცით, ცოტა უკან დავბრუნდე. მოგახსენებთ, ვინ ცხოვრობდა როდენტანის სასახლეში, როდენტანის ოჯახურ ცხოვრებას: როდენი და მისი მეუღლე, ერთი მსახური ატელიესი, ერთი ც, რომელიც ცხენს უვლიდა და ეტლზე იჯდა, — აი, ვინ შეადგენდა როდენტანის ოჯახს. როდენტანე იყო 2 მულდორი: გიომე (შვილი) და ბარბიე. გიომე-მამა სხვაგან მუშაობდა, შვილი კი როდენტან. მე ვლაპარაკობ ამათზე იმიტომ, რომ იმათი მუშაობა ალექსატრზე ძალიან თვალსაჩინო იყო. ამათ მუშაობას მე ცალკე ავწერ.

როდენტანის დღე იწყებოდა 8 საათზე.

8 საათზე დილით გამოვიდოდა სანოლ ოთახიდან და ჩავიდოდა კაბინეტში. 8 საათზევე უნდა მოსულიყო მასთან მდივანი პარიზიდან. ამავე დროს ამოდიოდა პარიკმახერი და იწყებოდა ის ტუალეტი, რომელზედაც მე უკვე მოგახსენეთ. ამავე დროს იხილავდნენ ფოსტას. დილით როდენი არც ყავას სვამდა, არც ჩაის. დილით ადრე მისი მოსამსახურე მოუშვადებდა წვნიანს: ეს იყო წყალში მოხარშული ისპანახი ან მყაუნა, რამდენიმე კვერცხის გულით, ცოტა კარაქი, ერთი ნაჭერი პური და მარილი. თქვენ ვერ შეხვდებით თითქმის ვერც ერთ ფრანგს, რომ თავის სტომაქზე არ ჰქონდეს დარდი: ეს მანყენს და ეს მარგებსო. როდენიც არ შეადგენდა ამ მხრივ გამონაკლისს. ამ დროს როდენი 6 წლის ადამიანი იყო და კარგახანი ჰქონია ჩვეულებად, დილით ეს უბრალო წვნიანი, რომელსაც სოფელში გლეხები სჭამდნენ, ორი კარგა მოზრდილი თეფშით მიერთმია.

ტუალეტის და ამ წვენის გათავების შემდეგ დაიწყებოდა მიღება. მოდიოდნენ ბრინჯაოს ჩამომსხმელნი, სხვადასხვა მოქანდაკეები და ოსტატები. ამ ოსტატების შესახებ მერე ვილაპარაკებ. მათ ცალ-ცალკე გაგაცნობთ, რადგან ბევრი მათგანი როდენტანს დიდ სამსახურს უწევდა.

როდენტანს ჰყავდა ცხენი კინოლა, რომელიც ძალიან უყვარდა. როდენი ყოველდღე უნდა მისულიყო ცხენთან და ნაზი ხმით მიაღერებოდა. უნდა დაგეგდოთ ყური ამ ალერსისთვის, რომ გაგეგოთ როდენტანის ფაქიზი სული. „ჩემი კინოლა, საწყალი კინოლა“, — ეაღერებოდა როდენი და ეხუტებოდა.

ეხლა გადავიდეთ როდენტანის დიდ ატელიეს ალწერაზე. პირველად რომ შეხვიდოდით — როდენტანის ნამუშევართაგან პირველ ალაგს იდგა ბალზაკი, ძალიან მაღალ პიედესტალზე დადგმული. პიედესტალი ერთი საჟენის სიმაღლისა იქნებოდა. თვით ბალზაკიც სიმაღლით ერთ საჟენამდის იყო. ჯერ მე ბალზაკის შესახებ არ ვილაპარაკებ, რადგან ეს არის უკანასკნელი მიღწევა, უკანასკნელი სულისკვეთება და როდენტანის დიდებაში შეჭრა. ბალზაკი, ასე ვთქვათ, ქანდაკების აჯანყებაა, მაგრამ ამაზე შემდეგ. ეხლა დავიწყებ იმ ნამუშევრიდან, რომელიც არის აკადემიური ხასიათისა, და ასე თანდათანობით გავდივით როდენტანს ბალზაკამდის. ამ მხრივ პირველია „ბრინჯაოს ხანა“. ეს არის ბრინჯაოს ხანის გამომხატველი ჭაბუკი.

როდენტანმა ეს ქანდაკება გააკეთა ცხვირ-გატეხილი მამაკაცის ქანდაკების შემდეგ. როდენტანმა ცხვირ-გატეხილი მამაკაცის ქანდაკება გამოფინა, შეიქნა ჩოჩქოლი; სალონში ხომ არ მიიღეს, უარი უთხრეს, და თვით მოქანდაკეთა წრეებში იყო აზრი, რომ როდენტანს აკადემიური პრინციპებით არ შეეძლო გაეკეთებინა ქანდაკება, ამიტომ რალაც მირღვეულ-მორღვეულ სურათს აკეთებს და ამით უნდა მიიქციოს ყურადღებაო. ხელოვანთა ასეთი დასკვნის შემდეგ როდენი შეუდგა ამ „ბრინჯაოს ხანის“ გაკეთებას. სალონში ეს ქანდაკება მიიღეს, მაგრამ ამხედრებულმა მოქანდაკეებმა დაუწყეს ცილისწამება: ეს არ

1. იხ. „კავკასიონი“ № 3-4, 1924 წ.

შეიძლება ხელით იყოს გაკეთებულიო, ალუბასტრიდან ჩამოგისხავს მთელი ფიგურა, შემდეგ თიხა ჩაგიზელია ყალიბში და პირდაპირ ალებული ესტამპაჟი ცოცხალი მოდელისა მოგვიტანე და სალონში დაგვიდგო. ჟიურიც იყო იმის გასარჩევად, თუ როგორ გააკეთა როდენმა „ბრინჯაოს ხანა“. ერთი ბრალმდებელთაგანი ამ საქმეში იყო მოქანდაკე ა. ფალგიერი. ამ ცილისწამების გასაფანტავად როდენი იძულებული იყო თვით მოდელი მოეყვანა, ქანდაკების გვერდით დაეყენებინა და ამ მოდელის მოწმობით თვისი შემოქმედება გაემართლებინა. უნდა მოგახსენოთ, რომ როდენი „ბრინჯაოს ხანის“ ქანდაკების გაკეთებაში შესცდა. მან გააკეთა ეს ქანდაკება ბუნებრივ სიდიდის და ხიფათში ჩავარდა. ეს არ მოხდებოდა, ცოტა დიდი რომ გაეკეთებინა; მაშინ მას ადვილად დაუმტკიცებოდა ფოლადის მოდელიროვკა. ეს იცოდნენ, ალბად, როდენის მტრებმა, მაგრამ მაინც ცილს სწამებდნენ, რადგან როდენის მტრები იმ თავიდანვე ცდილობდნენ როდენის შეფერხებას, როდესაც იგრძნეს, რომ როდენი ახალი მიმართულებით მიდიოდა. ამ ცილისწამებელთა შორის, როგორც გითხარით, პირველი იყო ის ფალგიერი, რომელიც, როგორც შემდეგ გამოირკვა, თვითონ მუშაობდა სწორედ ისე, რაშიც ბრალს სდებდა როდენს. როდესაც ფალგიერი გარდაიცვალა, დაიბეჭდა წერილი ერთი კრიტიკოსის. იგი სწერდა, რომ ფალგიერმა პირველმა შემოიღო ცოცხალ მოდელზე ფორმის ჩამოსხმა. მას ცალ-ცალკე ჰქონდა ჩამოსხმული ფორმები ხელების, ფეხების, გულის, თეძოების, ბარძაყების, მკლავების, და ამით ხელმძღვანელობდა თავის ქანდაკების გაკეთების დროსაო. ამით კრიტიკოსი თითქოს აქებდა ფალგიერს, ნამდვილად კი ეს წერილი იყო ფალგიერისათვის მიწის გათხრა, რადგან აქ არაფერია სანაქებო დასრულებულ შემოქმედებისათვის.

მაგრამ გავყვეთ როდენის შემდეგ ნამუშევრებს. უნდა მოგახსენოთ, რომ მე მათ შესახებ ქრონოლოგიური წესით არ შემიძლიან საუბარი.

მე შემიძლიან როდენის მანერის განვითარებაზე მივაქციო თქვენი ყურადღება, იმ მანერის განვითარებაზე, რომელიც გადადის და უახლოვდება მიქელ-ანჯელოს დაუმთავრებელ მონების მანერას. მე კარგათ არ ვიცი, ენახა თუ არა როდენს მიქელ-ანჯელოს დაუმთავრებელი მონები, რადგან ორიგინალები ფლორენციაში ინახება, ხოლო როდენი იშვიათად მოგზაურობდა.

მანერა, რომელსაც დაადგა როდენი „ბრინჯაოს ადამიანის“ შემდეგ, იმით განსხვავდება მის წინა დროის ნამუშევართაგან, რომ იგი თანდათან უახლოვდება იმ გამწვანებულ სიცოცხლის ფეთქას, რომელსაც ის სცდილობს მიაღწიოს თავის „აჩრდილებში“. მანერა „აჩრდილებისა“ — ეს არის როდენის მეორე პროფილი. შემდეგ მოდის მისი „იოანე ნათლისმცემელი“ და „მოაზროვნე“. ეს უკანასკნელი ქანდაკებანი სხვადასხვაა, მაგრამ ნათესაური მანერით არიან გაკეთებულნი. მე იმიტომ მივაქციე თქვენი ყურადღება მიქელ-ანჯელოს დაუსრულებელ მონებს, რომ ის გამწვავებული ფეთქა სიცოცხლისა, ამ მონებში რომ არის წარმოდგენილი, როდენს არ დავინყებია ბოლო დრომდის; იგი ყოველთვის ალელვებული იყო ამ ხელოვნების სასწაულით, რომელიც აძლევდა მიქელ-ანჯელოს ძალას, რომ მარმარილოში თავიდანვე ეგრძნო სიცოცხლე და ამ სიცოცხლით აღფრთოვანებული მისულიყო დამთავრებამდის. ძალიან ძნელია დიდი ტემპერამენტის ადამიანისათვის ცივ ქვაზე მუშაობა, თუ მაშინვე არ ჩაუდგა მარმარილოს სული, და როგორც დედის მუცელში ბავშვის გული იმ თავითვე დაიწყებს ხოლმე ფეთქას, თუ ისევე თავიდანვე არ გააღვიძა სიცოცხლე მარმარილოში და ასე არ მივიდა ბოლომდის. აი, აქ არის სიამოვნება ისეთ მოქანდაკის, რომელსაც მარმარილო თავიდანვე წაიყვანს ალტაცებულს თავის მიზნისკენ და რომელიც მუშაობის დაწყებისას ფიქრობს — იქნებ რამე გამოვიდესო, მოქანდაკეს, რომელიც ქვას არ მიჰყავს. ასეთი მოქანდაკე არის უბრალო ოსტატი. ასეთი ოსტატი ადვილად დაამტკრევს მხოლოდ ქვას, მაგრამ შექმნაში ის ვერ მიიღებს მხატვრულ მონაწილეობას.

ძლიერი გრძნობის, მაგარი და გაჯავრებული ღმერთის შექმნილი არის ის ქანდაკებანი, რომლებზედაც ეხლა მოგახსენებთ.

როდენმა იცის, რომ სიყვარული არის ის წყარო, რომელიც ემსახურება შემოქმედებას და სიცოცხლეს. ამიტომ როდენს სიყვარული სწამდა და სიკვდილამდის სიყვარულისთვის არ დაუნებებია თავი. როდენს ყოველთვის უყვარდა.

ერთი პატარა სურათი უნდა დაგიხატოთ აქ. ერთხელ როდენთან მივიდა ორი ლამაზი უცხოელი ქალი. მდივანი შემოვიდა და მითხრა:

— როდენი მოვა აქ. მოჰყვება ორი ქალი და ეხლავე სადმე გაჰქერი. როდენს არ უყვარს, როცა ახალგაზრდები არიან აქ იმ დროს, როდესაც ქალები ესტუმრებიან.

ის ახალგაზრდობის ფონს იშორებდა. აი, ამიტომ, ამ უზარმაზარ ატელიეშიც, სადაც შეიძლება ჩემთვის არც კი არავის მოექცია ყურადღება, მაინც იჭვიანი იყო.

ასე, უნაზესი სიყვარულით არის შექმნილი მისი უფაქიზესი „მარადი გაზაფხული“. ეს ქანდაკება გაკეთებულია ვარდისფერ მარმარილოდან. მართლაც და, ამაზე უკეთესად სიყვარულის გრძნობის გადმოცემა, როგორც ეს არის „გაზაფხულში“, შეუძლებელია. თვით გაზაფხულიც ხომ ემბლემაა სიყვარულის და შემოქმედების. ამ ტიპის ნამუშევარი როდენს ბევრი აქვს.

როდენის ის ორი პროფილი, რომელიც „მარად გაზაფხულსა“, „იოანე ნათლისმცემელსა“ და „მოაზროვნეში“ არის გადმოცემული, შეერთებულია „კოცნაში“, ეს არის უზარმაზარი მარმარილო, რომელიც ერთად ერთი იყო მიღებული 1900 წლის მსოფლიო გამოფენაზე და იდგა „ხელოვნების დიდ სასახლეში“. ამ ქანდაკებაში, როგორც ვსთქვი, არის შეერთება როდენის ორივე პროფილის. აქედან იწყება აუარებელი ვარიაციები, რომელთაც ახასიათებს იგივე გაზაფხულის უკიდურესი სიფაქიზე.

ეხლა უნდა მოგახსენოთ როდენის ერთს უკანასკნელ პროფილზე. ეს არის მისი „ბალზაკი“. ნარმოიდგინეთ თქვენ ეს ბალზაკი, რომელსაც პირდაპირ არავითარი ფორმა არა აქვს. დგას სვეტივით: გაკეთებული აქვს მაღალი მასკა. ტანზე ნამოსხმული აქვს ხალათი, რომლიდანაც ტოტებივით ჩამოვარდნილია ცარიელი სახელოები. ვერ შეატყობთ ცოცხალი ტანის ფეთქას; ვერ შეატყობთ ვერავითარ მოძრაობას, და მხოლოდ მასკაშია მოძრაობა, მხოლოდ მასკა გამოსთქვამს იმას, რის გამოთქმაც როდენს ჰსურდა ამ ქანდაკებით. როდენს ბევრი ეტიუდები აქვს ბალზაკის მასკისა, თვითონ მასკებში, რომლებშიც როდენი სწავლობდა ბალზაკის სახეს, ყველგან იცნობთ ბალზაკს, მაგრამ ბოლოს, როდესაც როდენმა დაიწყო სტატუია, სრულიად გამოუცვალა ბალზაკს პირის სახე.

მე ბალზაკი პირველად ვერ გავიგე. ბევრი ხნის განმავლობაში უვლიდი გარეშემო ბალზაკს; ვნახულობდი სხვადასხვა ჟამს, სხვადასხვა განათებაზე, რადგან მე დარწმუნებული ვარ, რომ ხელოვნება სულ სხვადასხვა ნაირად შეიძლება გაგებული იქმნეს იმის მიხედვით, თუ რა ჟამს და რა გუნებაზე მიხვალთ მის სანახავად. როდესაც ჩამავალი მზის სხივები მიადგებოდა ტილოთი დახურულ რომელიმე მარმარილოს, მე იმნამსვე მივარდებოდი, მოვხსნიდი ტილოს, რომ ქანდაკებანი სხვადასხვა განათებაზე მენახა. განსაცვიფრებელი იყო ეს სანახაობა, მაგრამ ბალზაკს მაინც ვერაფერი გავუგე. როდენს ბალზაკი არ დაუთავებია, როდენმა იგი მოამზადა მარმარილოსთვის და რამდენიმე ხაზები შექმნა, რომ მერე აეღო და მარმარილოდან გამოემჟღავნებინა თვისი უკანასკნელი სიტყვა. მაგრამ იმ საზოგადოებამ, რომელმაც შეუკვეთა ბალზაკი, პარიზის ლიტერატურულმა წრემ, ცივი უარი უთხრა ბალზაკის მიღებაზე.

ამის შემდეგ როდენმა უკან დაუბრუნა ამ საზოგადოებას ნინასწარ აღებული ფული და სთქვა: ეს ბალზაკი მე დამრჩესო. ატყდა ხმაურობა პრესაში და წრეებში; დაიწყეს სიარული ბალზაკის სანახავად. ბალზაკივე იყო იმის მიზეზი, რომ მას არ მისცეს ფართე ადგილი მსოფლიო გამოფენაზე. რაც შეეხება მის „კოცნას“, იგი მთავრობის მიერ იყო შექმ-



ნილი ლუქსენბურგის მუზეუმისათვის, თვით როდენს კი არ დაუთმეს ფართე ადგილი მსოფლიო გამოფენაზე, რადგან იცოდნენ, რომ როდენი სხვა ქანდაკებებთან ერთად ბალზაკსაც დასდგამდა საპატიო ადგილას.

აქედან დაიწყო როდენის სიდიადე. მე არ ვიცი, დააფასეს თუ არა იმ თავითვე ბალზაკი უცხოელებმა, მაგრამ ამის შემდეგ ამერიკელებმა, ინგლისელებმა და ბელგიელებმა დაიწყეს როდენის ნაწარმოებთა ყიდვა. აქედანვე დაიწყო როდენის სიმდიდრე. წინადადენი დიდ გაჭირვებას განიცდიდა. ამის შესახებ მე მოგახსენებთ მაშინ, როდესაც დაგიხატავთ როდენის მეუღლის პორტრეტს. ამერიკელებმა როდენს ბალზაკში ერთი მილიონი ფრანკი აძლიეს, მაგრამ როდენმა უარი უთხრა. შემდეგ ბევრჯერ სხვებმაც განაახლეს თავიანთი მონადინება, რომ ბალზაკი ეყიდნათ, მაგრამ როდენმა სთქვა: „მე ამას არ ვაყიდი, ეს იყო აქო“.

ბალზაკი როდენს ჰქონდა ერთგვარ საზომად მათთვის, ვინც მასთან მივიდოდა. როდენი ბალზაკის საშუალებით იგებდა — ესმის რაიმე ხელოვნებაში მასთან მისულ პირს, თუ არა. თუ კომპლიმენტებს უძღვნიდნენ როდენს ბალზაკის გამო, როდენი იტყოდა, რომ ამას ესმის ხელოვნებაო.

ერთხელ ჩემს იქ ყოფნის დროს მოვიდა ერთი ცოლ-ქმარი; ინგლისელები იყვნენ. ჩვენ დიდის ჭოგრით მოვხსნიდით ხოლმე ბალზაკზე ჩამოფარებულ უზარმაზარ საფარებელ ტილოს. როდენმა აჩვენა ამ ახალ სტუმრებს ბალზაკი და ძალიან გახარებული იყო, როდესაც ამ ქალმა რაღაც უთხრა ბალზაკის შესახებ. როდენმა გვითხრა შემდეგ: ქალს ესმის ხელოვნება, ხოლო კაცს არაფერი გაეგებო.

ერთხელ მოვკარი ყური იმას, თუ როგორ დაახასიათა როდენმა ბალზაკი:

— მე გავაკეთე ბალზაკი ისე, როგორც ეს მოსჩანს თავის ბიოგრაფიაში: ალგზნებული ხელოვანი, გამოუძინებელი, პირდაუბანელი ნამოვარდებოდა და ქმნიდაო. ამის შემდეგ, როდესაც დაუვკვირდი ბალზაკს, ყველაფერი გავიგე. მართლაც, ჩემს წინ იდგა ბალზაკი გაჭირვებული და ამაყი. ყოველთვის უფულო. შემოქმედებისათვის ღამე ნამოვარდენილი. ბოლოს დავრწმუნდი, როდენს რომ დაემთავრებია ეს ნაწარმოები ისე, როგორც მან იცოდა, ეს იქნებოდა დუეტი ბასისა და სოპრანოსი. აქ როდენი იქნებოდა ბასი და ეს მარმარილოს თვით არსება ის სოპრანო, რომელიც როდენთან ერთად გასაგაჟებელ დუეტად გადაიქცეოდა. მაგრამ როდენი იყო ჯიუტი და მას ბალზაკი აღარ დაუმთავრებია. ეს მე მიმაჩნია როდენის ერთ საუკეთესო ნამუშევრის დაკარგვად. მე ბალზაკს კიდევ დაუბრუნდები, როდესაც როდენის ნამუშევართა ტეხნიკაზე ვილაპარაკებ, ეხლა კი განვაგრძობ როდენის დღეს, რომელიც მე დავიწყე. ათ საათზე როდენი მიემგზავრებოდა პარიზში. ათ საათამდე ღებულობდა ხალხს, რომელიც მას რვა საათიდანვე უცდიდა, ზოგი ატელიეს პერონზე და ზოგიც ბაღში. ატელიეში შესვლა აკრძალული იყო. ხშირად როდენი ისე იყო ხოლმე გატაცებული თავის საქმეებით, რომ მას სრულიად ავიწყდებოდა გარედ მომლოდინე ხალხი. ის გავიდოდა მეორე კარებით და გაქრებოდა. ხალხი კი მთელი დღე ელოდა. შემდეგ გამოუცხადებდნენ ხალხს, რომ როდენი წავიდაო. ხშირად, მეც მთელი დღეები მეკარგებოდა იმის გამო, რომ როდენი მეტყოდა — ეხლავე შემოვალ და გეტყვი, თუ როგორ გააკეთო ესა თუ ის სამუშაო, მერე დაავიწყდებოდა და ისე წავიდოდა, რომ ვერაფერს გავიგებდით. ასე, მაგალითად, ერთხელ ერთ გაფუჭებულ ქვაზე ვმუშაობდი; მუშაობა ძალიან ნელა მიდიოდა, ჯერ ერთი იმიტომ, რომ ქვა გაფუჭებული იყო და მე ძალიან ვგრთხილობდი, მით უმეტეს, რომ გაყუდული იყო და მე როგორმე ეს უნდა გამომესწორებინა; მეორეც იმიტომ, რომ როდენი ხშირად მოდიოდა სამუშაოს სანახავად და ეს გარემოება სულ აგრძელებდა მუშაობას. როგორც მოგახსენეთ — ხშირად მეტყოდა — მომიცადე, ეხლავე მოვალ, მერე დაავიწყდებოდა და ისე გაიპარებოდა, რომ არავინ იცოდა, სად იყო. მე კი ვუცდიდი — აი, ან ეხლა შემოვა, ან ეხლა, მაგრამ როდენი უკვე წასული



იყო. პარიზში ის მუშაობდა უნივერსიტეტის ქუჩაზე თორმეტ საათამდის. მერე იქვე დეპოს და ავეჯეულობის საწყობის გამგის ოჯახში მიერთმევდა საუზმეს. ოთხ საათზე იცოდნენ ჩაი. როდენს დაპატიჟებდა ან რომელიმე არისტოკრატიული ოჯახი ან და ვინმე გამოჩენილი მწერალი თუ მოღვაწე. უნდა მოგახსენოთ, რომ როდენი უკანასკნელ დროსაც, ბევრს მუშაობდა, მაგრამ გართობასაც არ იკლებდა. სალამოს შვიდ საათზე ბრუნდებოდა სახლში. ამ დროს სადილობდა. სადილის შემდეგ გამოვიდოდა ბაღში. თუ კარგი დარი იყო, გამოიტანდა სკამს, დადგამდა მინდორზე და დაჯდებოდა, როგორც მისი „penseur“ (მოაზროვნე) ან და როგორც მოსე გაჰყურებდა ჩამავალ მზეს. ხანდისხან გამოიტანდა რომელიმე თავის გიჟის ნამუშევარს, დასდგამდა, დაუჯდებოდა და უყურებდა, თუ როგორ იცვლებოდა იგი სხვადასხვა დროს, სხვადასხვა განათებაზე, და ბუნების სხვადასხვა ფონზე. როდენი ამით ამოსწურავდა მთლიანად იმ ეფექტს, რომლის მიცემა შეეძლო ამა თუ იმ ნაწარმოებს.

ცხრა საათზე როდენი უკვე იწვა და მთელი „ვილლა ბრიან“ მოცული იყო ძილით.

როდენის მეუღლე, როგორც ამბობენ, ყოფილა მისი უბრალო მოდელი. ჩემს იქ ყოფნის დროს უკვე მოხუცი ადამიანი იყო. მან ერთხელ მიაბო, რომ პირველ ხანებში ისინი ცხოვრობდნენ უბრალო სარაიაში, სადაც ამოთხრილი იყო ჭა, რის გამოც ეს ადგილი მეტად ნესტიანი და საშიში იყო ცხოვრებისათვის. აქ უხდებოდა მუშაობა როდენს. ხშირად ჩვენ არ გვექონდა პურის ფული და დიდს გაჭირვებას განვიცდიდით.

უკანასკნელ დროს როდენს შემოსავალი ჰქონდა წლიურად მილიონი ფრანკი. ეს ადამიანი იყო როდენის მძიმე ცხოვრების განუყრელი მეგობარი. იგი, როგორც სჩანდა, ძალიან ენერგიული ადამიანი უნდა ყოფილიყო. დიდი მშრომელი და ამასთან სრულიად უბრალო. პირველად რომ მივედი, ვერ გავარჩიე, რომელი იყო როდენის მეუღლე იმ ორ ქალში, რომელნიც იქ ტრიალებდნენ. ვიცოდი, რომ ერთი უნდა ყოფილიყო მადამ როდენი და მეორე მზარეული ქალი. პირველ ხანებში მზარეული ქალი როდენის მეუღლე მეგონა და მას დიდის მონინებით ვუკრავდი ხოლმე თავს, როცა ვხვდებოდი. ვერ წარმოიდგენთ ჩემს განცვიფრებას, როდესაც ატელიეს ერთმა მოსამსახურემ მითხრა: როდენის ცოლი თქვენით უკმაყოფილოა, რომ თქვენ სალამს არ აძლევთ. მე უთხარი, როგორ არა, მე ყოველთვის ვუკრავ მას თავს, და დიდის მონინებითაც. ამ საუბრიდან გამოირკვა, რომ თურმე ის ქალი, ვისაც მე სალამს ვაძლევდი, მზარეული ქალი ყოფილა. ერთხელ ჩემი შეცდომის გასწორება მინდოდა და, როდესაც მადამ როდენმა ამოიარა ჩქარის ნაბიჯით ბაღში, მე ვესტიბიულში ვიდექი და თავი დავუკარი. ამ ქალმა რომ დამინახა, მობრუნდა, როგორც იტყვიან „ფრონტი“ გამიკეთა, თავი დამიკრა დიდის ცერემონიით და უცბად წავიდა. თუ ვინმე არ მოენობოდა როდენის მეუღლეს, გათავებული იყო იმის საქმე. მას როდენისთვის თავი უნდა დაენებებინა. ერთხელ როდენმა პირდაპირ ლონდონიდან გამოიწერა ერთი ინგლისელი და ნიგნსაცავი ჩააბარა. ამ ინგლისელმაც დაიწყო მუშაობა ნიგნსაცავში. გადაჰქონდ-გადმოჰქონდა კარადები. აწყობდა ნიგნებს და ის იყო, უნდა შესდგომოდა ნიგნების აღწერას, მაგრამ იგი ისე შეავიწროვა როდენის მეუღლემ, რომ იგი იძულებული გახდა გაქცეულიყო. საქმე ის იყო, რომ როდენი და მისი მეუღლე ჯვარდანიერილები არ იყვნენ. (ეს მოვლენა ხშირია საფრანგეთში), ამის გამო როდენს მისი მეუღლე ბოლო დროს სულ ჩასჩინებდა: კაცო, შენ რომ მოჰყვები, მე ხომ გამაგდებენ აქედან; მომეცი შენს ბაღში რომ პატარა სახლი გაქვს, ჩემთვის ვიქონიო, და სანამ ცოცხალი ვარ, ვიცხოვროო. იმდენი ელაპარაკა, რომ ერთ დღეს როდენმა გამოუცხადა თავის მეუღლეს: ეს პატარა სახლი, როზა, შენთვის მიჩუქებიაო. ამ სახლში იყო ერთი ოთახი და სამზარეულო ქვევით სართულში, და ერთი საწოლი ოთახი ზევით სართულში. მადამ როდენმა დაიწყო ამ სახლში სხვადასხვა ავეჯეულობის მოგროვება. მართლაც, მშვენივრად ჰქონდა მორთული. ყოველ დღე შედიოდა. თვით ჰგვიდა და სახლში არავის უშვებდა. წარმოიდგინეთ, მადამ როდენის გაკვირვება, როდე-

საც როდენმა ლონდონიდან გამონვეულ ინგლისელს, რომელსაც თავისი სამკითხველო ჩააბარა, მაძამ როდენის სახლში ბინა მიუჩინა. მაძამ როდენს ეს ეწყინა. იმ დღიდანვე დაიწყო შურისძიება და სანამ არ დაითხოვა, არ მოუსვენა როდენს. ეს სახლი საბოლოოდ ჩააბარა როდენმა თავის მეუღლეს და ამით დააკმაყოფილა. ამ ინგლისელის წინადაც ყოფილიყვნენ სხვები, მაგრამ როგორც კი ამ სახლში როდენი დააყენებდა ვისმე, ის ცოტა ხნის შემდეგ იძულებული გახდებოდა წასულიყო როდენიდან.

აი, ამ სახლის გვერდით ერთი პატარა სახლი მე მქონდა და აქ ვცხოვრობდი. ესლა გაიმბობთ, როგორ მოხდა ჩემი იქ დაბინავება. ერთი თვე რომ ვმუშაობდი უგოლინოზე, ერთხელ როდენმა ბაღში გამიხმო და მითხრა:

ბატონო ნიკოლაძე, გინდათ, თქვენ დიდი სამსახური დამდოთ.

მე ვუთხარი:

— მიბრძანეთ და მე მზად ვარ გემსახუროთ.

— თუ შეიძლება, გადმოდით ჩემთან და აქ იყავით.

მე, რასაკვირველია, მეორე დღესვე ავიღე ჩემ ატელიედან პატარა ჩემოდანი, წავიღე და დავდექი როდენთან. მაშინ დავინწყე როდენთან ცხოვრება. ახლა უნდა გითხრათ, თუ რისთვის მთხოვა როდენმა, რომ მასთან მეცხოვრა.

როდენი ძალიან სძულდათ ფრანგ მოქანდაკეებს. ამის მიზეზი ბევრი იყო. ჯერ ერთი ის, რომ როდენი ყოყორით იღებდა ხოლმე მონაწილეობას. ვისი ნაწარმოებიც არ იქნებოდა მიღებული, როდენს აბრალებდნენ: შენ ჩაგვჭერიო. მტრებად უხდებოდნენ როდენს ისინიც, ვინც მასთან მუშაობდნენ და რომელთა ნამუშევარიც როდენს არ მოეწონებოდა და ხელიდან გამოსტაცებდა ხოლმე. რადგან როდენს ჰქონდა აუარებელი მხატვრული სიმდიდრე და კოლექციები თავის ვილასთან, მას გაცარცვისა ეშინოდა. ამიტომ უნდოდა, რომ მასთან ერთი-ორი ვაჟუკი ყოფილიყო. სწორედ იმ დროს ატელიეს მსახური გაუწყრა როდენს და წავიდა. დარჩა მზარეული ქალი და მეჯინიბე. აი, ამიტომ მთხოვა, გადავსულიყავ მასთან. მდივანმა რომ გაიგო, მითხრა, აი, ესლა როდენი მოგცემს მაძამ როდენის ოთახს, ის ჩაგემტერება, მერე ველარ გადარჩები და როდენი დაგიტხოვსო.

როდესაც როდენმა მთხოვა, რომ მასთან გადავსულიყავი, თან გამომიცხადა: აქ გექნებათ ოთახი, სადილი, ვახშამი და კარგად მოგანყობთო. მართლაც, როდენს უთქვამს, რომ ჩემთვის მაძამ როდენის სახლში მოეცათ ოთახი. მაძამ როდენმა კი, რომ მიველი, სიცილით წამიყვანა და სადაც ატელიეს წასული მსახური იდგა, იქ დამაყენა. ამ ოთახის დაბლა როდენის ცხენის სადგომი იყო. აქ ვავიგე, თუ როგორ ეალერსებოდა როდენი თავის ცხენს. იქ ქვევით იყო და მე მალლა, კარგად მესმოდა მისი სიტყვები.

ორი კვირა იქ ვინექი. ძალიან შემანუხა ცხენის სუნმა და ველარ გავძელი. წავედი და ვუთხარი მდივანს: მოახსენეთ როდენს, რომ სხვა ოთახი მომცენ, რადგან იმ ოთახში ცხოვრება არ შემიძლიან. როდენს, როცა გაეგო, გაჰკვირებოდა, რომ ის ოთახი მოეცათ ჩემთვის და მაშინვე ებრძანა სხვა ოთახის მოცემა. ამ დღეს მაძამ როდენი მოვიდა ჩემთან და მითხრა: არ მოგწონთ თქვენ ის ოთახი? წამოდით, მეორე ოთახს მოგცემო. მან წამიყვანა და მაჩვენა მეორე პატარა სახლში ერთი ოთახი, სადაც უნდა გადავსულიყავი. ამ ოთახის პატარა ფანჯრიდან უყურებდი სენის მიდამოებს. ფანჯრის წინ, ბაღში, გაკეთებული იყო ხელოვნური გორაკი. ამ გორაკზე იდგა ჩინეთიდან მოტანილი უზარმაზარი ბუდდა რომელიც პირდაპირ ფანჯარაში მიყურებდა.

ამ დიდ ატელიეს გვერდით იყო მეორე, ამაზე პატარა, მაგრამ კარგა მოზრდილი ატელიე. აქ ინახებოდა როდენის ნამუშევართა ფორმები, აქვე იყო ბერძნული მარმარილოს კოლექცია. აქვე ეკიდა ფერადებით ნაწერი როდენის ახალგაზრდობის პორტრეტი, მას ჰქონდა წითელი, ქერა თმა. კარგად არ მახსოვს, ვისი ნახატი იყო იგი.

აქვე მოვიხსენებ, თუ ვინ იდგა როდენთან, ვინ მუშაობდა მასთან.

საინტერესო იყვნენ მულიორები, ალუბასტრით მომუშავენი, რომლებიც 6—8 წელიწადი მუშაობდნენ როდენთან. როდენი ყოველთვის კმაყოფილი იყო მათი მუშაობით. მას ძალიან უყვარდა ალუბასტრი. როდენმა ალუბასტრს რალაც ახალი უფლებები მიანიჭა. მასაქეთია მეც როდენის ალუბასტრს მივეჩვიე და დიდ შთაბეჭდილებას ახდენს ჩემზე. ალუბასტრიდან ჩამომსხმელები იყვნენ გიოშე-შვილი და ბარბიე. ესენი ისე განსაცვიფრებლად მუშაობდნენ, ისე თხელის მულაყით ჩამოასხამდნენ ალუბასტრიდან უზარმაზარ ქანდაკებებს, რომ მაგალითად „Penseur“-ს (მოაზროვნეს) ერთი კაცი ასწევდა.

როდენი თითქმის ყველა ორიგინალებს უბრალო თიხიდან აკეთებდა. თიხა მოქანდაკეს ხელშივე უხმება და შეიძლება უფრო დაწვრილებით გამოკვეთა ქანდაკების. როდენი ასეთ თიხის დამთავრებულ პატარა მოდელს აძლევდა გიოშეს და მას უხდებოდა პირდაპირ ოქრომჭედლის მინიატურული მუშაობა. ამასთან აღსანიშნავია ისიც, რომ მის ნამუშევარში არავითარი შტრიხი არ იკარგებოდა. ეს კი დიდი მიღწევაა ალუბასტრზე მომუშავეთა. აი, ამისთანა კარგი ოსტატი ჰყავდა როდენს. შემდეგ მე გადავალ იმ ტენიკაზე, რომელიც ძალიან ახასიათებს როდენის შემოქმედების უკანასკნელ ხანას და თქვენ მიხედვით, რომ აქ არის ორკესტრი და როდენი არის ამ ორკესტრის ლობბარი.

იაკობ ნიკოლაძე

## ბიბლიოგრაფია

**ნიკო ლორთქიფანიძე. წიგნი პირველი.** სახ. გამ. 1924.

ნიკო ლორთქიფანიძე თავისებური მწერალია. მან შესძლო საკუთარი ნიადაგის მოძებნა. მისი ნაწერი უსახელოდაც გამოიცნობა. იქნებ ამის მიზეზი ისიც იყვეს, რომ ჩვენი მწერალი „მცირედით კმაყოფილდება“, არა ჰყვირის, დინჯი პოზით გასცქერის ქვეყანას და დისონანსად ეჭრება ირგვლივ ატეხილ ლიტერატურულ ჟრიამულს. რომელიღაც მწერალმა ლეონიდ ანდრეევის შემოქმედებას „ლიტერატურული კოშმარი“ უწოდა. ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედებას შეიძლება ლიტერატურული სიღარბისლე უწოდოთ. იშვიათია ჩვენში მწერალი, რომელიც ისეთი თავდაჭერილობით მოგვითხრობდეს, როგორც ნიკო ლორთქიფანიძე. შეიძლება ტკივილებს ამჟღავნებდეს, მაგრამ მისი სტილი არ იგრძობება; შეიძლება კომიკურ ელემენტსაც შეეხოს, მაგრამ ავტორის სიღინჯე მაინც არ იკარგება. არის რალაც „კეთილ-შობილება“ წერის ასეთ მანერაში, და ნიკო ლორთქიფანიძესაც ეს ახასიათებს.

მისი მოთხრობები, მინიატურები თუ უბრალო პასაჟები განზომილნი არიან, მოკლედ თქმულნი. მეტაფორა სულ არ უყვარს ჩვენს ავტორს. სწერს სადად, მაგრამ მკვეთრად. ხშირად ლირიზმის სიღრმეებს სულ ადვილად აღწევს. „თქვენ ცხედრებათ გადიქეცით. ერთი ნაწილი ჩემი გულისა თან გაგყვათ. დარჩენილის გასამართლებად ვწერ ამ სტრიქონებს. უკანასკნელი უდიდესი ვალი ვერ მოვიხადე თქვენს წინაშე: ერთი მუჭა მინა ვერ მოგაყარეთ...“ აზრის შებრუნებასაც მარტივად ახერხებს: „მინა იყო და მინად იქცა“-ო? „ადამიანი მინა თავის დღეში არ ყოფილა.“ თითქოს ამ თქმაში ახალი არაფერია, მაგრამ ისე მოხდენილად და სადად არის ნათქვამი, რომ ახალსავით ისმის ისევე, როგორც მისი თემა. ახალია? — არა. მაგრამ ამ წიგნს მაინც სიამოვნებით კითხულობთ. მართალია, ამ წიგნში „დიდი საკითხები“, „წყეული კითხვები“ და სხვა ამისთანები ძალიან ცოტაა, და სამაგიეროდ ბევრია „წვრილ-წვრილი“ ამბები, სულ „უმნიშვნელო“ ნატეხები, მაგრამ ყველაფერს ისეთი დაფიქრებული და სევდანაკრავი იერი აქვთ გადაკრული, ისეთი ალერსიანობა სჩანს ყო-

ველ სიტყვაში, რომ ყოველივე ამ ძველში სიახლესა ჰგრძნობთ. და ამ „უმნიშვნელო“ მოვლენებს ავტორი შეგნებულად ჰკიდებს ხელს, ნაწყვეტ-ნაწყვეტებად იძლევა, როგორც კინო-აპარატი, რომ მეტი ადგილი მკითხველის ფანტაზიას დაეთმოს, „პატარა“ დიდად აქციოს, „ნატეხი“ მთლიანად და სხ... ნიკო ლორთქიფანიძემ უარჰყო მოთხრობათა წერის ძველი მანერა, მთელი თავისი დეტალიზაციით, გაჭიანურებით, მომაბეზრებელი თან-მიმყოლობით... რომ „ჟამივით არ შეეძლებინა გმირიც და მისი ბიოგრაფიაც“...

ნიკო ლორთქიფანიძის პირველ ნიგნში ერთი სერია „დანგრეული ბუდეები“-ს სათაურით მიდის. გვგონია, რომ მთელი ნიგნის სათაურადაც გამოდგებოდა „დანგრეული ბუდეები“, რადგან ავტორი მახლობელ წარსულიდან ჰკრებს მოტივებს. ამ წარსულის ნაშთები დღესაც არიან გამტვრიანებული ბიუსტების, რუსულ წარწერიან ალბომების, გახუნებულ ადამიანების და სხვათა სახით, რომელსაც ავტორი ცოტა სხვანაირად განიცდის. „უმრავლესობისათვის მხოლოდ სამწუხაროა ოჯახის, მამულ-დედულის გაყიდვა, კერიის დანგრევა. მექნება და შევიძენ უკეთესსო, ინუგეშებენ თავს. მაგრამ ვისაც სახლ-კარ-მიდამოში მთელი გვარის ლეგენდები, ზღაპრები, წინაპრების ტანჯვა და სიხარული ჩამარხული ერგენება, სახლის გაყიდვასთან, წარსულის დაშორებასთან ეკარგება მომავალიც. წინ აღარაფერია ჩვენთვის, თუ უკანიდან არ შემოგვყურებს წინაპრის მკაცრი, ულმოპელი სახე-ტრადიცია, თუ ისა გვყავს, კიდევ ბევრი რისთვისმე ვარგივართ, რაც საჭიროა ქვეყნისათვის“-ო.

ამ ტრადიციების „დანგრეულ ბუდეებს“ გასცქერის ჩვენი ავტორი და სცდილობს თავის შემოქმედებაში ერთხელ მაინც გააცოცხლოს მათი სიტბო, უბრალოობა და სული, რომელიც ამ ნანგრევების ქვეშ მოჰყვა.

ნიკო ლორთქიფანიძის პირველ ნიგნში მოყოლილია ბევრი ადრინდელი ნაწერი, გვიანი და უფრო ძლიერები კი მეორე და მესამე ნიგნისთვის გადაუღვია, „თუ ოდესმე დაბეჭდვა ეღირსა“-ო. სახელმწიფო გამომცემლობამ ავტორის სკეპტიციზმი უნდა გააბათილოს.

3. კ.

**ლეო ქიაჩელი. ტომი I. 1924. ტფილისი. მოთხრობები, ნოველები, ესკიზები.**

ჩემს წინ დევს ერთი ქართველი ბელეტრისტის თეთრი ნიგნი. გასული ლიტერატურული სეზონის განმავლობაში ქართულმა სიტყვა-წყობილმა პოეზიამ და სიტყვაკაზმულმა მწერლობამ ხუთიოდე ნიგნით აღნიშნა თავისი არსებობა ამ ქვეყანაზე. ყოველი ნაყოფიერი მწერლისთვის ერთი კარგი ნიგნი წელიწადში, ეს მინიმუმია, მაგრამ ისეთი წვალეზით რომ ნიგნი გამოსცეს ადამიანმა, რომლის გადატანაც ავტორს უხდება საქართველოში, ეს გმირობაა. და გმირობა ყოველ ადამიანს ყოველ წელს როდი შეუძლია.

ლეო ქიაჩელის „ტარიელ გოლუას“ მე ორი ფელეტონით მივესალმე (იხ. კ. გ., „ტარიელ გოლუა“. 1918 წ., „სახალხო საქმე“). მე მიხარია, რომ ჩემი წინასწარმეტყველება გამართლდა. ლეო ქიაჩელმა „ტარიელ გოლუას“ შემდეგ ქართული პროზის უმშვენიერესი მოთხრობები გვაჩუქა კიდევ: „ჯადოსანი“, „სტეფანე“, „წუთისოფელი“, „ცოდვის შვილები“, „პატარა ისტორია“, „ბერი და ყორანი“, „იმედები“, „Escalade“, „კრიმანჭული“, „მკვლელობა კოხტა გორაზე“, „მუხა და ტირიფი“.

მე აქ ასპარეზიც არა მაქვს სათანადოთ ამ მოთხრობებზე ყველაფერი ვსთქვა, რასაც ვგრძნობ. „სტეფანე“, ჩემის აზრით, შედევრია ქართულ ნოველისტიკაში. ეს მოთხრობა საუკეთესო ევროპიელ სტილისტის კალამს დაამშვენებდა. „სტეფანე“, „კრიმანჭული“ „ჯადოსანი“ — ეს გახლავთ საქართველოს ყველაზე უფრო ლეგენდარული კუთხის — სამეგრელოს პოეტური ფერადების ნაშიერი. სტეფანე სრულიად ახალი კაცია ქართული პროზის სახეების გალერეაში. ქართველი ხალხი (ილია ჭავჭავაძის, ნინოშვილის, თვით ყაზბეგის ნაწერებში) წარმოდგენილი იყო როგორც „ფხიზელი“ რაციონალისტი; სტეფა-



ნე და ტარიელ ქართველი გლეხებია, მეგრელი გლეხები, ბუნების იდუმალ ძალთა მესაიდუმლე, ჯადოსნები... არა რაციონალისტები, არა პოზიტივისტები.

„ბერი და ყორანი“, „კრიმანჭული“ — ეს ქართული ზღაპარის სამეფოში დაბრუნებაა.

პოეზიის და პროზის უდიდესი Dominion მუდამ იქნება ზღაპარი. და ვაჟიმ ნაციონალურ მწერლობას, რომელსაც ეროვნული მითის ხელმეორედ მოგონების უნარი აღარა აქვს.

ამ წიგნის ზოგიერთმა რეცენზენტებმა აღნიშნეს — ლეო ქიაჩელს ტკბილი სტილი აქვსო, ამას ფრანგულ ზედგავლენას აბრალებენ (sic). ამ ხალხს ავიწყდება, რომ ქიაჩელის სტილის სიტყვო, რომელსაც მე პირადად დაუფასებელ ღირსებად ვთვლი, აიხსნება არა ფრანგული ზედგავლენით, არამედ იმ გარემოებით, რომ ქიაჩელის ქართულს ფესვები აქვს ულამაზესი ქართული დიალექტის — მეგრულის ყამირში. ზოგიერთს ეს პარადოქსად მოეჩვენება. თუ ოდესმე დაინერა უახლესი ქართული ლიტერატურის საფუძვლიანი ისტორია — ეს მომენტი უნდა აღინიშნოს.

დღეს ქართული სტილის აღორძინების კვირაძალია. ეს აღორძინება სამი სანიშნოთი უნდა მიდიოდეს: ძველი ქართული ლიტერატურა, ქართული დიალექტები, კულტურული ენების ზედგავლენა (ნეტავ ოდესმე თუ დაინერება ქართული სტილის ისტორია?). ლეო ქიაჩელის პროზა ქართული სტილის აღორძინების ისტორიაში საპატიო ადგილს დაიკავებს. მე არ მინდა ეს წერილი „სახაზინო“ კრიტიკას დაემსგავსოს. ამიტომ არ შევეუდგები ქიაჩელის მოთხრობების ფაბულის გადმოცემას. მთავარია სტილი. სტილია ყველაფერი.

ყოველ შემთხვევაში, უნდა აღინიშნოს: ქიაჩელის წერის მანერაში ოდნავ სჩანს „დაუდევრობა“, მე პირველად ეს მართლაც დაუდევრობა მეგონა, მაგრამ გულდასმით დაკვირვებამ დამარწმუნა — ეს მისი მანერაა. ეს მანერა მიჯნავს ლეო ქიაჩელს დაჭიმულ პათეთიზმისა და გადაჭარბებულ ხელოვნურობისაგან. მისი სტილის განვითარებაში მე მინდა აღვნიშნო ახალი მომენტი, ახალი ეტაპი — ეს იწყება მის საოცარ მოთხრობიდან — „ოშიმა“, რომელიც გაგრძელებაა მისი ნოველების წიგნის უპატიოსნესი თვალის — სტეფანესი.

K.

**კონსტანტინე გამსახურდია. „ქვეყანა, რომელსაც ვხედავ“.** 1924 წელი. კოლექცია რენესანსი.

იპ. ტენი ამბობს, რომ მეტად ძნელია ადამიანმა მიაგნოს თავის თემასო. ეს თქმა განსაკუთრებით ჩვენში მართლდება, სადაც არ არსებობს შრომის დიფერენციაცია, სადაც მწერალს მრავალ პუნქტებზე სჭირდება დგომა. ამ ბედს ვერ ასცდნენ ჩვენი წინაპრები: ი. ჭავჭავაძე, ნ. ნიკოლაძე, არ. ჯორჯაძე და სხვ... და ამავე მდგომარეობას განიცდის თანამედროვეობაც. და თუ ევროპაში თემის მიგნება ძნელდება, და ამაში თვით მაძიებელია დამნაშავე, ჩვენში გარემოს ედება მთავარი ბრალი, და წრფელად გვახარებს, როდესაც ამ გარემოს ვინმე ხელიდან დაუსხლტება. კონსტ. გამსახურდია ნიჭიერი და კულტუროსანი მწერალია, რომელიც მრავალ ხაზზე სცდილობდა დგომას, თუმცა უნდა ითქვას დიდის ნიჭიერებით (კრიტიკა, დრამა, ლექსი), დღეს კი, ჩვენდა სასიამოვნოდ, გარკვეულ პოზიციაზე გადავიდა: ეს არის მხატვრული პროზის ქვეყანა, რომელსაც დღევანდლამდე ქართველ მწერალთა უმრავლესობა გაურბოდა, როგორც წყეულ ადგილს. გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ კ. გამსახურდიას სახით, ქართულმა პროზამ მნიშვნელოვანი ძალა შეიმატა.

კ. გამსახურდიას წიგნი, მისი ნაზი და მელანქოლიური ნოველები, თავიდან ბოლომდე ერთი გრძნობით, ერთი სულისკვეთებით არის გამთბარი. სტილი აქ დაძლეულია სავსებით: არსად წყდება, არსად ყალბდება, თანაბრად მატყვევებელია.

„ქვეყანა, რომელსაც ვხედავ“... აქ მართლაც პოეტის მიერ ხილული, მისი მელანქოლიური სულის პრიზმაში გატარებული სინამდვილეა.



თავის „ფოტოგრაფივით“ ავტორიც თითქოს სწერს წიგნს: „ქვეყანა, რომელიც სურათის გადაღებად არ ღირს“. მახინჯია თანამედროვე ადამიანის გრძნობა — გონება: „მთელი თავის ქალა გამჭვარტლულია ნიკოტინით, დიდი ქალაქების ოსშივართა და მტვერით. აქ არის ნამცეცები ასფალტის, რკინის, ფოლადის, ბრინჯაოსი, საფირონის, მარმარილოსი, ქალაღების, გაზეთების, წიგნების, ტრანსცენდენტალური თეორიების, კანტის, ლაპლასის, ლაუაზიეს, აზიის, აფრიკის, მთელი ჩვენი უსულო ცივილიზაციის და პათეტიური კულტურის“ („ტელეფონი“).

თანამედროვე ადამიანი ფაუსტია, რომლის მკერდში ორი სული სცხოვრობს. და ავტორის შემოქმედებაში არის ასახული ეს ქანაობა ორ პოლიუსს შორის. ავტორს თითქოს სძაგს თანამედროვე ცივილიზაცია და მისი მატარებელი ადამიანი. მაგრამ არა. ავტორს ამასთან სწამს დედა-მინა, დიდი დედა, რომელიც არასოდეს არ აციებს სიყვარულს. ავტორი გრძნობს მშობლიურ კავშირს მასთან. განმარტოებული, სულით ობოლი ადამიანის ტრაგედია მას კეთილშობილი პათოსით აალაპარაკებს.

ლენჩი ოქოპირა („ზარები გრიგალში“) პატარა კაცის დიდი ტრაგედიაა. ოქოპირ მნათე ეკლესიას ჩამოაშორეს. ნახუცარი დუქანს ხსნის, გლახებს ეკლესია არაფრად ადარდებთ. მაგრამ ოქოპირ, ლენჩი ოქოპირ, ახალ მდგომარეობას ვერ შესთვისებია. მისი სიცოცხლის შინაარსს და აზრს — ზარების რეკვა შეადგენდა. მოპასანის მოთხრობის („მენუეტ“) გმირები, ღრმად მოხუცებულნი, სიცოცხლეს მაშინ გრძნობენ, როდესაც ჩუმად, მივარდნილ კუთხეში, ძველი იმპერიის სასახლის ცეკვას, მენუეტს ასრულებენ. წარსულშია მათი ცხოვრება და მხოლოდ ამ წარსულის მკრთალი სხივი ღა ანათებს მათს სიცოცხლეს. ასეთივეა ოქოპირა. შავ, უკუნეთ ღამეში, მნათე სამრეკლოში აიპარება და ერთხელ კიდევ აატირებს თავის საყვარელ ზარებს. ლენჩი ოქოპირ, ექსტაზში შესული, იღუპება. ამ ნოველაში ავტორის სტილი გამძაფრებულ პათოსს აღწევს.

დიდ მიღწევად ქართული პროზის სფეროში უნდა ჩაითვლოს მოთხრობა „ფოტოგრაფი“. ავტორი აქ ყველაზე ნათლად წარმოადგენს ექსპრესიონიზმს იმ ლიტერატურულ მიმდინარეობას, რომლის მხატვრული იდეების შესახებ პირველად ჩვენმა ავტორმა აღძრა საუბარი ქართულს მწერლობაში. „ფოტოგრაფ“-ში არის პოეტური ხილვის დიდი სიმახვილე და დინამიური სტილი. აღსანიშნავია ავტორის მეტაფორა, მოულოდნელი, შთაგონებული.

პატარა ნოველებში განსაკუთრებით ერჩევა „პორცელანი“, რომელიც დაბინდულია მელანქოლიის ნელი შუქით, რომელიც გვაგონებს ძველ სურათს, ოდნავ მუქ-გადაყრილს, სადაც ავტორი სინაზის ულამაზესს მომენტებს აღწევს.

საერთოდ, კ. გამსახურდიას მოთხრობათა კრებული დიდ მოვლენად უნდა ჩაითვალოს ჩვენს ახალ მწერლობაში. იგი იძლევა ქართული პროზის აღორძინების სანიშნოს.

აქვე შეუძლებელია არ მოვიხსენიოთ გამოცემის გარეგანი მხარე. არ იქნება გადაჭარბება თუ ვიტყვით, რომ ამ პატარა წიგნის სახით ჩვენ გვაქვს ულამაზესი გამოცემა ბოლო წლებისა. შერჩეული ფორმატი, ზომიერების გრძნობა სამკაულებში, თანამედროვე წიგნის კულტურის ცოდნა.

ი. რ-აკ.

**ხარიტონ ვარდოშვილი. ლექსები. 1918—23.** ტფილისი. 1924., გამოცემა აღ. არაბიძისა. რკალეები: I. სათხოვარი სულისადმი. II. შავი ჰაერი. III. საქართველო. IV. საუბარი უბედურ დანდთან. V. სამდურავი შუალამეს. VI. ბინდები ციდან.

ხარიტონ ვარდოშვილი — ნაზი მელანქოლიის პოეტი. მისი სტილი სადაფზე ნამუშევარს წააგავს. იგი მონყენილია და სევდიანი, რადგან:

„ზეციდან მოდის კორიანტელი,  
მსხვერპლთა ძვალეზად იქცენ ველები.  
ღამემ ანთო ცოდვის სანთელი,  
მინა აივსო სახრჩობელებით“.

ვარდოშვილი ახალ თაობის შვილია და მან შეუძლებელია არ დაიმსახუროს ჩვენი სიმ-  
პატია. მას არა აქვს ის საოცარი განდიდების მანია, გაუგონარი პრეტენზიები და ცარიელი  
ტრაბახი, იგი მოკრძალებული მწირია ამ ქვეყნად. მისი მსოფლიო შეგრძნობა პასიური.

ამ წიგნში ვარდოშვილი ჩვენ გვევლინება უკვე გარკვეულის პოეტური ფიზიონომი-  
ით. იგი „ყოველთვის ნაზი, უცოდველი და უცნაური“ რჩება.

როცა ამ თაობის ნაწერს კითხულობ გაცუებს: საიდან იშვება ახალგაზდა გულში ამდე-  
ნი მწუხარება? თავის დროზე ქართველი კრიტიკოსი ამ საკითხს გამოარკვევს: რითი აიხს-  
ნება ქართველი პოეტების ასეთი პესიმიზმი? თამამად ითქმის ქართული ეროვნული Naturel  
— უფრო ოპტიმისტურია, ვიდრე მთელი თანამედროვე პოეზიის ძირეული კილო. დღეს  
ქართული ლიტერატურის ყოველ ფრონტზე იწყება ამ ქართულ ეროვნულ — Naturel-ისკენ  
უკუქცევა. ის დიდი ოვაციები, რომელსაც დღევანდელი ქართველი მწერლები უმართავ-  
დნენ: ილიას, ვაჟას, აკაკის ორი წლის წინად — ამის მომასწავებელია.

რკალები: სათხოვარი სულისადმი და შავი ჰაერი, ფრიად სიმპატიურ ნიმუშებს იძ-  
ლევს უახლესს ქართულ ლირიკაში. უმთავრესი, რაც ლირიკისათვის უცილოა, ეს არის  
გულწრფელობა. ამ გულწრფელობის ნიმუში უხვადაა გაბნეული მთელს წიგნში.

თავისებურია პოეტის ლექსი. აქ არაა მყვირალა და პარადოქსალური რითმები. იგი ყო-  
ველთვის იძლევს შეთანხმებულ ბერას ლექსის საერთო ტონთან. რითმა ორგანიულად გა-  
მოდის სტრიქონიდან და პოეტური სახეებიდან. აქ არის მხატვრული ზომიერების გრძნობა.  
პატრიოტიკის რკალში ნაზი მგრძნობიერებით გამთბარია მისი „ტფილისი დეკემბერში“.

„ტფილისის ქუჩებს გადაეკრა სიცივის ფერი,  
ნავარდობს ქარი და მიარღვევს ღრუბელთა ლანდებს“.

პატრიოტულ გრძნობების გადმოცემაშიაც ვარდოშვილი თავისებურია.

საინტერესოა მისი ეროტიკაც. ქართული ლიტერატურული ეროტიკის ტრაფარეტი  
იყო სპარსული ქალ-ვაჟიანი. უახლესმა ლიტერატურამ დასძლია ეს თავმოსაბეზრებელი  
ვარდბულბულიანი, რომელიც თეიმურაზ მეფიდან დღემდის განუწყვეტლად პოულობდა  
ზოგჯერ ნიჭიერ, ზოგჯერ უნიჭო ეპიგონებს. ვარდოშვილის „იისფერი ქალი“ ახალი ქარ-  
თული ეროტიკის უნაზესი ნიმუშთაგანია.

საერთოდ ხარიტონ ვარდოშვილი ამ თავის პირველ წიგნში უკვე გამართლებულია  
როგორც პოეტი. ჩვენ ველით რომ მეორე წიგნში იგი კიდევ მეტს გამარჯვებას მიაღწევს.

K.

**მიხეილ ჯავახიშვილი-ადამაშვილი. მოთხრობები. ტ. I.** ივ. გომართლის კრიტიკუ-  
ლი წერილი. ფ. 1 მ. 50 კ.

ქართული პროზა კვლავ დინჯად მოაბიჯებს, წელში იმართება. ამის ერთი საუკეთესო  
დასტურთაგანი — ქართულ ლიტერატურაში მიხ. ადამაშვილის ხელახლა დაბრუნებაა.

ოცდა ორი წლის წინად იგი გამოვიდა ქართული პროზის ასპარეზზე და პირველი მოთ-  
ხრობითვე გამარჯვება მოიხვეჭა. მაგრამ მალე შევიდა „ნავთსაყუდელსა დუმილისასა“.  
და აი, მხოლოდ ხუთმეტი წლის შემდეგ იგი კვლავ მოგვევლინა. ერთი წლის განმავლობა-  
ში მან მოგვცა „კვაჭი კვაჭანტირაძე“, „ტყის კაცი“ და „ჯაყოს ხიზნები“. ეს უკანასკნელი  
მოთხრობა ჩვენს მწერლობაში კლასიკურ ნაწარმოებათ დარჩება. საოცარია, როგორ

იტევდა ავტორი გაუმჟღავნებლად ამდენ სახეებს, რატომ იყო მისი შემოქმედების ცეცხლი ამდენხანს ნაცარნაყრილი?!

მ. ადამაშვილის ზემოხსენებულ წიგნში მხოლოდ ერთი მოთხრობაა ახალი — „ტყის კაცი“. მაგრამ პირველ მოთხრობაშივე მისი წერის მანერა სავსებით ჩამოყალიბებულია: იგი მოგვითხრობს სადად, ობიექტიურად, ეპიურის სიმშვიდით. მშვენიერია მისი ენა, დახვეწილი, დინჯი, მეტყველი და ძარღვიანი. ახალ მოთხრობებშიც იგივე ძველი მანერაა, ოღონდ უფრო მოქნილი და დასრულებული.

მ. ადამაშვილს აქვს შეუდარებელი ნიჭი „დანახვისა“ და ამ „ნახულის“ შესანიშნავი რელიეფობით ცხად-ყოფისა. ავტორის გულისთქმა თითქმის უხილავია. მის შემოქმედებაში არაა ის ლირიზმი, კეთილშობილი მელანქოლია, რითაც ასე უხვად არის დატვირთული ნ. ლორთქიფანიძის შემოქმედება. გრძნობების სიტყვად ქცევის საშუალებით როდი ანათებს იგი სინამდვილეს, პირიქით, იგი თითქმის ამ სინამდვილის წინაშე სდგას გულდამშვიდებული, თითქოს ეს სინამდვილე უკარნახებს მას სიტყვასა და ფერადებს. ამიტომ არის მასში უაღრესი ბუნებრიობა.

მკაცრია, შეუბრალებელი ის ცხოვრება, ავტორი რომ გვიხატავს. მკაცრია, შეუბრალებელი ადამიანი; ასეთია მ. ადამაშვილის განაჩენი. ამიტომ საკვირველი როდია, რომ თითქმის ყველა მისი მოთხრობა უბედურობით თავდება.

ავტორი უმეტესად ცხოვრებისაგან გატანჯულ, მისი ნასუფრალის შემყურე, დაჩაგრულ პირებს გვიხატავს. გვიხატავს ქართულ „ჩანჩურას“, სოფელ „უპატრონოს“, „ტყის კაცს“, კურკას და მის ქორწილს. მ. ადამაშვილის ზოგიერთი, გორკის ყაიდის მწერალს უწოდებს. მართლაც, მისი გმირები („ჩანჩურა“, „კურკა“, „მეჩექმე გაბო“) ქალაქის „ფსკერს“ წარმოადგენენ, მაგრამ არის დიდი განსხვავება. გორკის ტიპები ფსკერზე ზემოდან ჩაცვივნულან, დაცემულან. ჩვენი ავტორის გმირები კი ამ ფსკერზევე არიან დაბადებულ-აღზრდილნი. გორკის გმირებს წარსულის მოგონება აცხოვრებთ. მ. ადამაშვილის გმირების წარსული ისეთივე უნუგეშოა, როგორც ანწყო. ვინ არის ჩანჩურა? არავინ იცის. თავისი გვარი და სახელი არ იცის, მგონი, არც თვითონ. ჩვენ ვხედავთ მას შეუბრალებელი ბრბოის მასხრობის, დაცინვის, თავშექცევის მსხვერპლად.

ან და შეხედეთ „მეჩექმე გაბოს“, ამ საროსკიპოს მუდმივ სტუმარსა და მესაიდუმლეს.

ეს მოთხრობა კუპრინის „Яма“-ზე ადრეა დაწერილი. მიუხედავად ფრიად დიდი ნიჭისა, კუპრინი მაინც ვერ ასცდა რეზონიურობას. მ. ადამაშვილის მოთხრობაში მსგავსი არა არის რა. ავტორი არც აქ ჰღალატობს თავის მანერას და შესანიშნავის ობიექტიობით გვიხატავს გაბოს, მის „წინილებსა“ და „ჭუჭულებს“.

ვიმეორებთ, ფრიად სასიხარულოა მ. ადამაშვილის „მეორედ მოსვლა“. თავისი შემოქმედებით მან უკვე განსაზღვრული ადგილი დაიმკვიდრა ჩვენს მწერლობაში.

ქ. რ.

**ოვანეს თუმანიანი. რჩეული ნაწერები.** ი. გრიშაშვილის თარგმანი. სახელმწიფო გამომცემლობა. 1924 წელი.

თუმანიანს ჩვენ ვიცნობდით, მისი დიდი სახელის გამო. მისი ნაწერები კი, ორიოდე ნიმუშის გარდა, არ გვენახა. ეს მოვლენა შემთხვევითი კი არ არის, არამედ უკუღმართი პირობების ნაყოფი.

პირდაპირ უცნაურია, რომ ჩვენ და სომხები, რომელნიც ასე ღრმად ვართ ერთმანეთის ცხოვრებაში შეჭრილნი, რომელთაც მინაც გვანათესავებს, სისხლიც და ბედიც, ასე ღრმად ვართ დაშორებულნი იდეურად — ხელოვნებით.

გრიშაშვილმა საიათნოვა თანადროის სამწერლო თემად აქცია. ამით მან პირველად დაგვაახლოვა სომხურ მწერლობას. მაგრამ საიათნოვა მაინც უმთავრესად ქართველი პო-

ეტი იყო. თუმანიანის თარგმანით კი გრიშაშვილმა მოგვცა სომხის ერის შემოქმედების შედეგები. დაე, ეს იყოს ჩვენი და სომხეთის მწერლობის კავშირის პირველი მახარობელი.

თუმანიანი, როგორც პოეტი, კარგად ჰყავს დახასიათებული გრიშაშვილს. თუმანიანის ნიჭი, მართლაც, უშუალოდ მიწიდან მოდის. მას მოაქვს სომხის ხალხის სულის ტკივილი, მისი ტრაგედია და გამძლეობის უნარი. „სომხეთის მთებზე“ „სომხეთის სევდა“ და განსაკუთრებით პოემა „ანუშ“, ეს არის უმშვენიერესი ძეგლები კეთილშობილი პატრიოტიკის, მაგრამ თუმანიანი უპირველესად პოეტი, ამ სიტყვის ნამდვილი გაგებით.

„ჩემი სიმდიდრე სიკეთეა და სიყვარული.  
პოეზიისთვის შევიყვარე ყველა ქვეყნები“.

დამახასიათებელია ლექსი „საქართველოს პოეტებს“. ამ ლექსში სავსებით არის მოცემული თუმანიანის კეთილშობილება, გულწრფელი სურვილი მეზობელ ერთა ურთიერთგაგების, დაახლოვებისა, პატივისცემის. თუმანიანის ნიჭი მრავალმხრივია, სტილი რბილი და მოქნილი, მისი სტრიქონებიდან, მართლაც, „მინის სუნთქვა“ ისმის.

მით უფრო აღსანიშნავია, რომ გრიშაშვილმა თავს იდვა თუმანიანის თარგმნა და მოგვცა მისი ნაწერების დამახასიათებელი კრებული. თვით თარგმანი დიდ მწერლურ მიღწევად უნდა ჩაითვალოს. მისი უმთავრესი ღირსება ის არის, რომ იგი თარგმანი კი არა, ორიგინალური ნაწარმოები გგონია. ძალდაუტანებელი ლექსი, ბუნებრივი სტილი, დახვეწილი, დარბილებული მუსიკა და დაურღვეველი რითმა. ეს, გარდა გრიშაშვილის მწერლური უნარისა, იმასაც მოწმობს, რომ ჩვენსა და სომხური სტილს შორის დიდი ნათესაობა უნდა იყოს.

ნაწილი თუმანიანის ლექსებისა, მათ შორის თუმანიანის შედეგრი „ანუშ“ პირველად გამოქვეყნებული იყო ჟურნალ „კავკასიონში“. კრებული დიდის გემოვნებით არის გამოცემული, დაბეჭდილია სუფთად და უშეცდომოდ. წიგნი 136 გვერდს შეიცავს, საკმაოდ მოზრდილი ფორმატისაა. დართული აქვს თუმანიანის სურათი, თუმანიანისადმი მიძღვნილი გრიშაშვილის ლექსი და აგრედე მთარგმნელის წინასიტყვაობა.

ს. ფ-ლი

### დავით კაკაბაძე. პარიზი 1920–23 წლები. 1924 წ. პარიზი.

ქართული მწერლობა ღარიბია სპეციფიურ სამხატვრო ლიტერატურით. არც ფერადებით ნახატებზე, არც ქანდაკებაზე ჩვენში წიგნი არ არსებობს, და დ. კაკაბაძის „პრომას“, პარიზში დაბეჭდილს, მოუთმენლად ველოდით. მაგრამ მოლოდინი არ გაგვიმართლდა. წიგნი საუცხოვოდ არის გამოცემული. იაპონურ ქალაქზე დაბეჭდილი, მშვენიერ კლიშეებით, საუცხოო ყდით. გარეგნობის მიხედვით შინაარსიც შესაფერი გგონიათ, და სამწუხაროთ გრჩებათ, რომ ძვირფას სამკაულში აზროვნების სიღარიბე გამოხვეულია. რომ დიდი პრეტენზიებით არ იწყებდეს ავტორი ამ წიგნს, ვიცყოდით, რომ პოპულიარული ბროშურა დაუნერიაო, მაგრამ ავტორი სულ სხვას ჰფიქრობს: „მხატვრული აზრის და სამხატვრო მწერლობის საქართველოში განმტკიცება“ — ეს არის მისი მიზანი. მართალია, ჩვეულებრივ წინასიტყვაობის თავაზიანობით უმატებს „რაოდენამდე“-ს, მაგრამ ეს მაინც ვერა ჰფარავს იმ ზმანებით სიმალლეს, საიდანაც ავტორი გადმოსცქერის ქართველ მკითხველს. არა ვდაობთ. სამხატვრო აზროვნება ჩვენში განმტკიცებული მართლა არ არის, და ამის ბრალია, რომ თვით დ. კაკაბაძის აზროვნებაც ჩვეულებრივ დონეს ვერა სცილდება.

რას ეხება ჩვენი ავტორი? სათაური არა აქვს, მაგრამ შინაარსის მიხედვით — მხატვრობის პრობლემას საზოგადოდ, და მის თანამედროვე მდგომარეობას. მაგრამ აქ ისეთი ნარევია მოცემული, რომ ვეჭვობთ ამ წიგნის ნამკითხველს რაიმე შთაბეჭდილება დარ-



ჩეს, გარდა იმ ელემენტარული ცნობებისა, რომელიც უნიგნოდაც იცის ყველა უბირმა მოქალაქემ. წიგნი თავიდან ბოლომდე ტრუიზმებით არის სავსე. მაგ. „წარსულთან შედარებით, დღევანდელი ცხოვრება ძლიერ გამოიცვალა“. „რამდენად ცხოვრების კულტურული დონე მაღალია... იმდენად ადამიანი უფრო ძლიერ განიცდის მაღალ პოეზიას“... „მშვენიერების წარმოდგენა დამოკიდებულია განვითარებაზე“... „მშვენიერების წარმოდგენასა და დაფასებაში, ზოგი ჩამოქვეითებულია, ზოგი კი მუდმივ წინ მიდის“... „ყოველ საზოგადოებაში სხვადასხვა ხარისხის ადამიანი არსებობს და მათ შორის ზოგი სულიერად უფრო მაღლა სდგას“... „ყოველ ადამიანს აქვს პოეზიის გრძნობა, მაგრამ ადამიანებში განირჩევიან უმაღლეს პოეზიის შეგნების მატარებელი“... და ასეთი გაცვეთილი „ჭეშმარიტებებით“ არის ეს წიგნი მოკირწყლული.

წიგნის მთავარი მოტივია მაშინიზმი. ამ კუთხიდან უცქერის ქვეყანას, და მხატვრობის კრიტიკრიუმიც ამ მაშინიზმში ეგულება. მაგრამ ავტორის მაშინიზმი ისეთი სადაა და უბრალო, რომ არავითარ „ახალ“ ემოციებს არ იწვევს, და პრიმიტიულზე უფრო პრიმიტიულად გვეჩვენება. მაშინიზმით ბოროტმოქმედება დაუშვებელია. მაშინიზმი არ არის საკმარისი როგორც ლექსიური ფორმა, ის უნდა ფსიქოლოგიურ კატეგორიად იქმნეს გადაქცეული, რომ დამაჯერებელი იყვეს, ამ პრიზმის მიხედვით, ავტორი ვერაფერს არკვეს. ხოლო რაც შეეხება აზრთა ლოლიკურ მიმდინარეობას, ან და ცნებათა განმარტებას, აქ იგი ყოველად მიუღებელია. „გრძნობითი შემეცნებას ჩვენ უნოდებთ რომანტიულს, პოზიტიურ აზროვნებით შემეცნებას კი — კლასიკურს“. რა ცნებაა „გრძნობითი შემეცნება“, ან რატომ არის იგი „რომანტიული“? — ავტორი ხშირად იბნევა კიდევ. მისი აზრით, წინააღმდეგობითი შემოქმედება იყო, ეხლა კი — გონებითი. შეიძლება თუ არა გრძნობითი და გონებითი არეს ისეთი განსაზღვრა, როგორც ავტორი ახდენს, და ან რა ნიშნის მიხედვით ახდენს ამ გარჩევას, ეს არა სჩანს. ყოველ შემთხვევაში, აქ ავტორი არავითარ საფუძველს არ ემყარება. შემოქმედების საკითხი არც ისე ადვილია, როგორც ავტორს წარმოუდგენია, და საქართველოშიც ესეთიური კულტურა არც ისე დაბალია, რომ ამოძახილები თეორემების გარკვევად მიიღოს.

„უმაღლესი პლასტიური ხელოვნება გამომდინარეობს პოზიტიური შემეცნებიდან: რომანტიული, სიმბოლიური, მისტიური შემეცნება კი დამთავრებულ პლასტიურ ხელოვნებას ვერ ჰქმნის“-ო.

**პოზიტიური**, ეს სიტყვა განმტკიცდა ოგ. კონტის შემდეგ, და ნიშნავდა ცდას, ყოველ შემთხვევაში, მე-XIX საუკ. ეს ცნება ასე დამკვიდრდა. თუ ავტორი ამ ცნებას არ იზიარებს, თავისი განმარტება უნდა მოეცა, თუ განმარტება არ მოგვცა, მაშასადამე იზიარებს იმას, რაც არსებობს. ცდების გზით კი რა ხელოვნება უნდა შეიქმნეს, ეს ჩვენთვის წარმოუდგენელია. და თუ ქიმიკა, ფიზიკა და სხვა საბუნებისმეტყველო საგნები ხელოვნებად მიაჩნია ავტორს, სთქვას პირდაპირ.

შეიძლება, წმინდა მხატვრული კულტურა ჩვენში მინელებული იყვეს, მაგრამ ლოლიკის უნარს ვერავინ წაგვართმევს, და როდესაც ჩვენი ავტორი პათეთიურად ამბობს: „აზროვნება ახასიათებს თანამედროვე შემოქმედებას, ძველს კი გრძნობა ახასიათებდა“-ო, ეს დებულება უნდა დაიცვას ბოლომდე. მაგრამ ავტორი აქვე განაგრძობს, რომ პოზიტიური, ანუ რაციონალური იყოვო ხელოვნება საზოგადოდ აღმოსავლეთში, ეგვიპტეში, საბერძნეთში, ბიზანტიაში, სამუსულმანოში და სხ. ასეთივე იყო ევროპის გოტიკა, იტალიის რენესანსიო, ე. ი. ყველა ის, რასაც ჩვენ ვიცნობთ ხელოვნებად. დღეს ხელოვნება პოზიტიური უნდა იყვესო, ე. ი. რაც წინააღმდეგო. მაშასადამე, უნდა განვავარძოთ ძველი გზა? მაგრამ ავტორი ლოლიკურ თანამიმდევრობას არ იცავს და მოსალოდნელ პასუხის მაგიერ, იგი სწერს: „დღევანდელმა მხატვრობამ... აღიარა უვარგისობა წარსულ საუკუნეების პლასტიურ ფორმებისა“... და სხ.



როგორც სჩანს, თვით ავტორი ვერ ერკვევა ამ აზროვნებაში. მაგრამ დაუშვათ, რომ ყველაფერი ეს იყო საკითხის ერთგვარი უარყოფითი კრიტიკა, სადაც ავტორმა სისუსტე გამოიჩინა. იქნება იგი დადებით პოზიციებზე მტკიცედა ვნახოთ? „სურათი უნდა აგებულ იქნეს მხატვრობის უცვლელ და უნივერსალურ კანონებზე“-ო. რომელია ეს კანონები? იქნება მათემატიკური პროპორციები, შეფარდება და სხ... რომლის შესახებაც ჩვენი ავტორი ლაპარაკობს? მაშინ უდიდესი ხელოვნება და მხატვრობა ყოფილა მათემატიკა და გეომეტრია და მხატვრობა რაღა უნდა იყვეს? „მათემატიკურ და ფიზიკურ კანონების გარეშე ვერ შეიქმნება ხელოვნების ვერც ერთი ნამდვილი ნაწარმოები“-ო. რატომ მხოლოდ მათემატიკურ-ფიზიკური? ადამიანის არსებობისთვის ბევრი სხვა მხარე არის საჭირო, მაგ., პსიქოლოგიური, ლოლიკური, სოციოლოგიური და სხ... რაღა მათემატიკა? იქნებ იმიტომ, რომ ყველაზე სწორი მეცნიერებაა? და ხელოვნების მთავარი უბედურებაც იმაშია, რომ იგი ყველაზე „უსწორია“, და მათემატიკის ანტიპოდი. მათემატიკაში  $2 \times 2 = 4$ , ხელოვნებაში კი  $2 \times 2$  არ არსებობს. შემდეგ: „ჭარმონიულ კონსტრუქციის მიღწევისთვის საჭიროა სიმეტრიის კანონების შეგნებაო.“ რომელი კანონების? ან რა არის სიმეტრია? ეს კითხვები ლოლიკური კატეგორიებია, და მათ ასეთივე პასუხის გაცემა ეჭივრებათ. მაგრამ ჩვენი ავტორი არც ამ ცნებათა განმარტებას იძლევა.

შემდეგ ლაპარაკია ფრანგული კუბიზმის, იტალიურ ფუტურიზმის, გერმანულ ექსპრესიონიზმის და რუსულ კონსტრუქტივიზმის შესახებ, მაგრამ არც ერთი მიმდინარეობა არ არის დახასიათებული ისე მაინც, როგორც თეორიაც აქვთ ამ მიმართულებებს. შეიძლება არ მოგვწონდეს, მაგრამ თავისი თეორიები კი აქვთ და ამ თეორიათა გადმოცემასაც კი ვერ ახერხებს ჩვენი ავტორი. წიგნის მეორე ნახევარი შეიძლება დახასიათდეს როგორც *pro domo sua*, მაგრამ აქ ველარ ვიტყვით ჩვენს საბოლოო აზრს. ჩვენ ვიცნობდით დავ. კაკაბაძეს როგორც ნიჭიერ მხატვარს, და რეპროდუქციები კი სულ სხვას გვიჩვენებენ. პირველი სამი სურათი, ე. წ. დამოკიდებულ ალსახვის სერიიდან: 1) ნახატები პარიზის ცხოვრებიდან და 2) იმერეთი (მენურბლე) — კარგ შთაბეჭდილებას სტოვებენ. საუცხოვოა „იმერეთი. მენურბლე“-ს კომპოზიცია, ნახაზობა. ხოლო რაც შეეხება კონსტრუქციულ პრინციპით შესრულებულ სურათებს, გვგონია, რომ ჩვენი მხატვარი სახიფათო და უშედეგო გზაზე სდგება. ორიგინალები არ გვინახავს. იქნებ ფერების კომპოზიცია ისეთი საოცარი იყვეს, რომ ავტორს დაფნის შტოებით შევხდეთ, ეს არ ვიცი. მაგრამ თვით ავტორი გვასწავლის, რომ ფერების შეფარდება მხოლოდ ერთი მომენტთაგანია მხატვრულ ნაწარმოების შეფასებაში, მეორე მომენტი — ნახაზიაო, და სამწუხაროდ, ამ რეპროდუქციების უმრავლესობაში, ჩვენ გეომეტრიულ სხეულების და „პროტოპლაზმების“ გარდა ჯერჯერობით ვერაფერი დავინახეთ. და გვრჩება სინანული, რომ პარიზს გავგზავნეთ მხატვარი, და იქიდან გვიბრუნდება გზადაკარგული მოაზროვნე, რომელსაც საქართველოში „მხატვრულ აზროვნების განმტკიცება“ მოუწადინებია. არა, ჩვენ გვინდა მხატვარი დავ. კაკაბაძე, და მოაზროვნეებს სხვებს ვიშოვნით.

3-3.

**ქართული ხუროთმოძღვრების ალბომი.** შედგენილი პროფ. ექ. თაყაიშვილის მიერ. ტფილისის სახ. უნივერსიტეტის გამოცემა. ტფილისი. 1924. in folio. გვ. 7—80. ტაბულა. ფასი 3 მან. 50 კაპ.

წინამდებარე „ალბომში“ მოცემულია მესხეთის, ქართლისა და კახეთის ხუროთმოძღვრების ზოგიერთ ძეგლთა გეგმები და ნახაზები. გეგმები და ნახაზები შესრულებულია სხვადასხვა პირთა მიერ, სხვადასხვა დროს. მასალები გროვდებოდა 20 წლის განმავლობაში და ამჟამად გამოცემულია ძვირფას ქალაღზე.

„ალბომი“ განსაკუთრებით ძვირფასია იმით, რომ საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი ხდება დიდი მასალა იმ ძეგლების შესახებ, რომელთა მეტი ნაწილი საქართველოს საზღვრების გარეშეა. სამწუხაროა მხოლოდ, რომ „ალბომში“ არ არის მოცემული ყველა ძეგლის საერთო სურათი და ფასადის სახეობა და მეტ ნაწილად გეგმები, განაკვეთები და სხვა ნახაზებია წარმოდგენილი. საერთო სურათი ახლავს მხოლოდ შორეთის, ტაოსკარის, ხახულის, ვაჩნაძიანის და გურჯაანის ძეგლთა ნახაზებს.

საერთო სურათების დართვა, მარტო ფართო მასისათვის კი არ იქნებოდა გამოსადეგი, არამედ — ჩვენ ვფიქრობთ — მკვლევართათვისაც, რომელთათვის ეგზომ ძვირფასი და აუცილებელიც არის ამა თუ იმ ძეგლის შესახებ წინასწარ ზოგადი წარმოდგენის დადგენა.

ტფილისის უნივერსიტეტის გამომცემლობას, ვფიქრობთ, იმდენი დამზადებული ფოტოგრაფიები და კლიშეები მოეპოვება, რომ ის შესძლებს ქართველი საზოგადოების დიდინის ნატვრა შეასრულოს და გამოსცეს ქართულ ძეგლთა ზოგადი ალბომი.

კ. ს-ძე

**ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწდეული.** ტ. I-II. 1923-1924. ტფილისი. გვ. 8—380. ფასი 3 მანეთი.

1923 წლის 18 თებერვალს ტფილისში დაარსდა „ქართული საენათმეცნიერო საზოგადოება“, რომლის მიზნებსაც პირველ რიგში შეადგენს ქართულისა და მისი მონათესავე მეგრულ-სვანურის და სხვა კავკასიური ენების კვლევა. ამ რიგად „ქართული საენათმეცნიერო საზოგადოება“ მოწოდებულია ითამაშოს უმნიშვნელოვანესი როლი კავკასიის და კერძოდ საქართველოს ცხოვრებაში და ნათელი მოჰფინოს იმ მრავალ ბუნდოვან საკითხს, რომელთა გადაჭრას ცდილან და დღესაც ცდილობენ უცხოეთში ამავე მიზნით არსებული სამეცნიერო დაწესებულებანი. საამისოდ: „ქართული საენათმეცნიერო საზოგადოება“ გაცილებით უფრო ხელსაყრელ პირობებშია, ვიდრე უცხოეთის დაწესებულებანი.

თავისთავად ცხადია, რომ სამეცნიერო დაწესებულების მუშაობის ნაყოფიერი მსვლელობისათვის ერთ-ერთი ძირითადი პირობათაგანია ბეჭდვითი პერიოდული გამოცემანი. ერთ-ერთ ასეთ ორგანოთ „საზოგადოებას“ გამოუცია პირველ რიგში თავისი „წელიწდეული“.

„წელიწდეულის“ პირველი სამი ნაწილი (წინასიტყვაობა, პროფ. აკ. შანიძის „წელიწადის ეტიმოლოგიისათვის“ და ბენ. ჩიქობავას „ზოგადი თვალსაზრისისათვის“) უფრო საშესავლო ხასიათისაა (თუმცა უკანასკნელ ორს, რასაკვირველია, უაღრესი თვითავადი მნიშვნელობაც აქვთ).

წინასიტყვაობაში გარკვეულია „ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების“ მიზნები და მუშაობის მეთოდები, ხოლო წერილში „ზოგადი თვალსაზრისისათვის“ გამოთქმულია პრინციპული შეხედულებანი თანამედროვე ენათმეცნიერების შესახებ. პროფ. აკ. შანიძე-კი „საზოგადოების“ წლიურ ორგანოს „წელიწდეულად“ წოდების გამო არკვევს „წელიწადი“-ს ეტიმოლოგიას და ეს სიტყვა მისი აზრით „წელითიწლადი“-საგან უნდა იყოს წარმოშობილი.

შემდეგ „წელიწდეულში“ მოთავსებულია ზოგიერთ იმ გამოკვლევათაგანი, რომლებიც დამუშავებულ იქმნა „საენათმეცნიერო საზოგადოების“ ნევრთა მიერ და წაკითხული იყო საზოგადოების კრებებზე: აქ შესულა გამოკვლევები პროფ. გიორგი ახვლედიანის („სამი ტ ოსურში და მათი მიმართება ძველი-ირანულის შესაფერ ბგერებთან“), ბენ. ჩიქობავასი (-ყე ნაწილაკი ფერეიდნულში და მისი მნიშვნელობა გრამატიკა-ლოლიკის ურთიერთობის თვალსაზრისით“), სვ. ჯანაშიასი („უზენაესი ღვთაების აფხაზური სახელწოდების ფორმისათვის“ და „კიდევ ერთი ნაშთი ხანმეტობისა თანამედროვე ქართულში“) და ვ. თოფურიასი („ორმაგი უარყოფა ქართულში“).

გარდა გამოკვლევებისა, ნიგნში „ხეცურული მასალებია“ გამოცემული პროფ. აკ. შანიძის რედაქტორობით.

როგორც ბოლოში დართულ, „საენათმეცნიერო საზოგადოების“ სხდომათა ოქმებიდან ჩანს, საზოგადოების სხდომაზე 1923-1924 წ.წ. განმავლობაში გაცილებით უფრო მეტი გამოკვლევა ყოფილა წარმოდგენილი და წაკითხული, ვიდრე ეს წელიწდეულშია მოთავსებული, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ „საზოგადოება უსახსრობის გამო უფრო ხშირად ვერ სცემს თავის ორგანოს და ავტორები იძულებული არიან, სხვა და სხვა არა სპეციალურ გამოცემებში გააბნონ თავიანთი ნაკვლევნი“.

„ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების“ პირველი გამოცემა სრულს საბუთს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ „საზოგადოების“ მუშაობა მკვიდრ ნიადაგზეა დამყარებული და ჩვენ დაგვრჩენია მხოლოდ ვისურვოთ, რათა მან ასეთისავე წარმატებით განაგრძოს თავისი მუშაობა.

კ. ს-ძე

### რედაქციისაგან:

მიმდინარე ნომრისათვის ვერ მოესწრო ბიბლიოგრაფიები:

**ვახტანგ კოტეტიშვილის** ახალ მონოგრაფიაზე „ალექსანდრე ყაზბეგი“.

კრებულებზე: **გრიგოლ ცეცხლაძე** „პოეტის ყეფა“, **რაჟდენ გვეტაძე** „ვირების მესია“, **კონსტანტინე ჭიჭინაძე** „რჩეული ლექსები“, **არჩილ ჯაჯანაშვილი** — ნაწერების კრებული.

ბიბლიოგრაფიები მოთავსდება შემდეგ ნომერში.

ტექნიკურ დაბრკოლებათა გამო ჟურნალში მოთავსებული მასალა ვერ მიდის იმ რიგით, როგორადაც რედაქციას ჰქონდა განზრახული.

რედ.

## ავტორთა საძიებელი

აბაშელი ალექსანდრე (საშა) (ჩოჩია ისაკ) — 53, 281, 592

აბრამიშვილი მიხეილ, მ. ა. — 768

აბულაძე იუსტინე — 143

ამირანაშვილი შალვა — 570

აპოლინერი გილიომ — 102

არაყიშვილი დიმიტრი — 172, 476

არსენიშვილი ალი — 58

ბოდლერი შარლ — 86, 388

ბრიუსოვი ვალერი — 688, 690, 691

გამსახურდია კონსტანტინე, C. G. — 329, 387, 409, 454, 666, 699

გაფრინდაშვილი ვალერიან, ვ. გ., ტრისტან მაჩაბელი — 64, 86, 110, 112, 339, 389, 446

გვეტაძე რაფდენ — 340

გოეთე იოჰან ვოლფგანგ — 116, 407, 704

გოლლ ივან — 112

გომართელი ივანე — 792

გრიშაშვილი (მამულაიშვილი) იოსებ — 15, 148, 149, 155, 341, 433, 584

დადიანი შალვა — 43, 377, 618

დევდარიანი სეით — 774

დრემი ერნსტ — 109

ედშმიდ კაზიმირ — 112

ვ. ზ. — 274

ვ-ი — 276

ვარდოშვილი ხარიტონ — 358, 670

ვერჰარნი ემილ — 87

ზელინსკი ფადეი — 755

თავაძე სოლომონ — 360, 645  
 თუმანიანი ჰოვანეს — 144, 412

ი. რ-აკ. — 893

იაშვილი პაოლო, ელენე დარიანი — 281, 341

იბერიელი, დ-ლი (დავით ონიაშვილი) — 130, 687, 732

ივანოვი ვსევოლდ — 679

ინგოროყვა პავლე, As., CetP., პ. ი., ასმიდოდ ჩერქეზელი, Asmi — 12, 89, 116, 139, 154, 251, 412, 537

იონა ვაკელი (მეგრელიძე იონა) — 669

კ. ს-ძე — 899, 900

კარმელი (გოგიაშვილი) შალვა — 75

კასრაძე დავით — 384

კლდიაშვილი დავით — 45, 676

კლოდელი პოლ — 88, 386

კოკტო ჟან — 103

კოტეტიშვილი ვახტანგ, ვან-დიკ, ვ. კ. — 85, 165, 442, 761, 891, 898

ლორთქიფანიძე ნიკო — 74, 304, 637

მარი ნიკო — 211

მარიჯან (ალექსიძე მარია) — 360

მარჯანიშვილი კოტე — 160, 571

მაყაშვილი კოტე — 15, 585

მელიქსეთ-ბეგი ლეონ — 467

მონტესკიუ რობერ — 387

ნ. საქარელი (საყვარელიძე პავლე) — 270

ნიკოლაძე იაკობ — 258, 564, 890

ნიკოლაძე ნიკო — 557, 883

ნუცუბიძე შალვა — 483



Petronius — 105

პლატონი — 174

პო ედგარ — 130, 133

რაზმაძე ანდრია — 500

რობაქიძე გრიგოლ — 14, 63, 109, 326

რომენი ჟიულ — 99, 101

რუხაძე ვარლამ — 361, 667

S. — 578

საიათნოვა (საადიანი არუთინ) — 385

სანდრარ ბლუზ — 105, 676

სილეზიუს ანგელუს — 409

სოფოკლე — 733

სტენდალ ფრედერიკ — 389

ტანსკი ლ. — 686

ტატიშვილი ერეკლე — 135, 192, 272

უზნაძე დიმიტრი — 833

ფაშალიშვილი სიკო, ს.-ლი, ს. ფ-ლი — 361, 577, 896

ფრანს ანატოლ — 89, 699, 702

ქ. რ. (რაჭველიშვილი ქრისტეფორე) — 895

ქავთარაძე პეტრე — 755

ქიაჩელი ლეო (შენგელაია ლეონ), ლ. ქ., ლ. შ., ლ. — 50, 407, 678, 685, 702, 704

ქიქოძე გერონტი — 757

ქუთათელი (ქუთათელაძე) ალექსანდრე — 331, 671

ყაზბეგი (ჩოფიკაშვილი) ალექსანდრე — 258

ყაუხჩიშვილი სიმონ, ს. ყ. — 174, 184, 801

ყიფიანი ივანე — 668, 690

შ. შ. (შარაშიძე შალვა) — 97

შანშიაშვილი ალექსანდრე (სანდრო) — 20, 363, 638, 639

ჩუბინაშვილი გიორგი — 465

С. — 578

ცეცხლაძე გრიგოლ — 111, 672

ცირეკიძე სანდრო — 62

წერეთელი გრიგოლ — 208, 518, 826

ჭიჭინაძე კონსტანტინე, კ. ჭ., კ. — 57, 88, 133, 332, 387, 691, 892, 894

ჭუმბაძე არისტო — 338, 387

ბ. ვ-სა (ხუროძე ვარლამ) — 691

ხაიამი ომარ — 140

ჯავახიშვილი (ადამაშვილი) მიხეილ — 357

ჯავახიშვილი ივანე — 869

ჯანელიძე ალექსანდრე — 509

ჰაზენკლევერი ვალტერ — 110

# სარჩევი

„კავკასიონი“, №1-2, 1924

პავლე ინგოროყვა — ჟურნალი „კავკასიონი“ .....	11
გრიგოლ რობაქიძე — ვ. ი. ულიანოვ-ლენინი .....	13
კოტე მაცაშვილი — * * * „მარადი ცეცხლი ვარ მე...“ .....	15
იოსებ გრიშაშვილი — ტფილისის მინა .....	15
სანდრო შანშიაშვილი — დალი .....	16
შალვა დადიანი — უბედური რუსი .....	21
დავით კლდიაშვილი — კიმოთე მეშველიძე .....	44
ლევო ქიაჩელი — კრიმანჭული .....	46
ალექსანდრე აბაშელი — უძილო ღამე .....	51
კონსტანტინე ჭიჭინაძე — რიონის აპოლოგია .....	54
ალი არსენიშვილი — სანდრო ცირეკიძე .....	58
სანდრო ცირეკიძე — პირიმზე .....	59
გრიგოლ რობაქიძე — კენტავრები .....	62
ვალერიან გაფრინდაშვილი — ოთახი — ბალდახინი .....	64
ნიკო ლორთქიფანიძე — ხელოვანთა ყავახანა .....	64
შალვა კარმელი — მკვლელობა სონეტში .....	75
ვახტანგ კოტეტიშვილი — ალექსანდრე ყაზბეგი .....	75
შარლ ბოდლერი (ვალერიან გაფრინდაშვილი) — ჰიმნი მშვენიერებას .....	86
ემილ ვერჰარნი (კონსტანტინე ჭიჭინაძე) — ქარის ქება .....	87
პოლ კლოდელ (As.) — წმიდა საკითხავი .....	88
ანატოლ ფრანსი (შ. შ.) — პროკურატორი ურიასტანისა .....	89
ჟიულ რომენი .....	98
ჟიულ რომენი (Petronius) — ევროპა .....	99
ჟიულ რომენი (Petronius) — პარიზის სულები .....	100
გილიომ აპოლინერის ჯგუფი .....	101
გილიომ აპოლინერი (Petronius) — კროკუსები .....	102
ჟან კოკტო (Petronius) — მუზები .....	102
ბლევ სანდრარ (Petronius) — კოშკი .....	104
გრიგოლ რობაქიძე — ექსპრესიონიზმი .....	105
ერნსტ დრემი (ვ. გ.) — ქორნილი .....	109
ვალტერ ჰაზენკლევერ (გრიგოლ ცეცხლაძე) — მკვლევები სხედან ოპერაში .....	110
ივან გოლლ (ტრისტან მაჩაბელი) — ლტოლვის ქარავანი .....	112
კაზიმირ ედშიდი (CetP.) — დამპყრობი .....	112
იოჰან ვოლფგანგ გოეთე (იბერიელი) — ფაუსტი .....	116
ედგარ პო (კონსტანტინე ჭიჭინაძე) — ყორანი .....	130
ედგარ პო (ირაკლი ტატიშვილი) — სიჩუმე .....	133
პ. ი. — ომარ ხაიამი .....	136
ომარ ხაიამი (იუსტინე აბულაძე) — რუბაიები .....	140
ოვანეს თუმანიანი (ი. გრიშაშვილი) — ერთი წვეთი თაფლი .....	144

თურქული ხალხური ლექსი (ი. გრიშაშვილი) — ქიარიმას სიმღერა .....	149
რაჭბადინ ბელადი და ერეკლე მეფე .....	149
ავარიელთა ისტორიული ლექსი (ასმიდოდ ჩერქეზელი) — რაჭბადინ ბელადი და ერეკლე მეფე ..	150
ლექური ხალხური ლექსი (ი. გრიშაშვილი) — * * * „მზე თქვენს ბანებს აშუქებს...“ .....	155
<b>კოტე მარჯანიშვილი</b> — ქართული თეატრის საკითხები .....	156
<b>ვან-დიკ</b> — მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძე .....	161
<b>დიმიტრი არაყიშვილი</b> — ქართული ხალხური მუსიკა .....	166
<b>პლატონი</b> (სიმონ ყაუხჩიშვილი) — კრიტონ .....	174
<b>ირაკლი ტატიშვილი</b> — საკია-მუნი .....	184
<b>გრიგოლ წერეთელი</b> — ალკეო და საპფო .....	192
<b>ნიკო მარრი</b> — სამეცნიერო მოგზაურობიდან სინაის მთაზე .....	209
<b>პავლე ინგოროყვა</b> — ჩახრუხაისძე .....	212
<b>იაკობ ნიკოლაძე</b> — ერთი წელიწადი როდენთან .....	252
<b>ალექსანდრე ყაზბეგი</b> — ავტობიოგრაფიული მასალები და წერილები .....	258
<b>ნ. საქარელი</b> — ქართული კულტურის მატიანე .....	265
<b>ირაკლი ტატიშვილი</b> — დამსახურებულის პროფესორის პეტრე მელიქიშვილის ორმოცდაათი წლის სამეცნიერო მოღვაწეობის იუბილე .....	270
ბიბლიოგრაფია .....	272

#### ქვეყანისი №3-4, 1924

<b>ალექსანდრე აბაშელი</b> — ქარი სარკვეში .....	279
<b>პაოლო იაშვილი</b> — URBI .....	281
<b>ნიკო ლორთქიფანიძე</b> — რაინდები .....	282
<b>გრიგოლ რობაქიძე</b> — ლონდა .....	305
<b>კონსტანტინე გამსახურდია</b> — ქრისტე პარიზში 1999 წელს .....	327
<b>ალექსანდრე ქუთათელი</b> — საშობაო მოგზაურობა .....	330
<b>კონსტანტინე ჭიჭინაძე</b> — Finis .....	332
<b>არისტო ჭუმბაძე</b> — დაუგეშელნი .....	332
<b>ვალერიან გაფრინდაშვილი</b> — კონცერტზე .....	339
<b>რაჟდენ გვეტაძე</b> — წიგნიდან: „რევოლიუცია“ .....	340
<b>იოსებ გრიშაშვილი</b> — პაუზა .....	340
<b>ელენე დარიანი</b> — პარიზისკენ .....	341
<b>მიხეილ ადამაშვილი</b> — ტყის კაცი .....	342
<b>ხარიტონ ვარდოშვილი</b> — სივრცეები .....	358
<b>სოლომონ თავაძე</b> — რიჟრაჟები .....	359
<b>მარიჯან</b> — ეგზოტიური ნატეხები .....	360
<b>ვარლამ რუხაძე</b> — ნოემბრის ქარში .....	361
<b>სიკო ფაშალიშვილი</b> — უკვდავება .....	361
<b>სანდრო შანშიაშვილი</b> — Vita Nuova .....	362
<b>შალვა დადიანი</b> — უბედური რუსი .....	364
<b>დავით კასრაძე</b> — მელტინა .....	378

სადათნოვას დაუბეჭდავი ლექსი .....	384
სადათნოვა — სამოთხიდან გამოსული .....	385
პოლ კლოდელი (კ. გამსახურდია, ა. ჭუმბაძე) — გზა შეწყვეტილი .....	386
რობერ დე-მონტესკიუ (კ. ჭ.) — * * * „ბავშვებს ასწავლეთ...“ .....	387
შარლ ბოდლერი (ვალერიან გაფრინდაშვილი) — პარიზის ოცნება .....	388
ფრედერიკ სტენდალ (ლ. ქ.) — ვანინა ვანინი .....	389
იოჰან ვოლფგანგ გოეტე — შტრასბურგის კათედრალი .....	407
ანგელუს სილვეიუს (C. G.) — „ქერუბიმული მოგზაურიდან“ .....	409
პლატონი (Asmi) — ეპიგრამები .....	410
ოვანეს თუმანიანი (ი. გრიშაშვილი) — ანუშ .....	412
ვასტანგ კოტეტიშვილი — ივანე მაჩაბელი .....	433
ვალერიან გაფრინდაშვილი — შენიშვნები ლირიკაზე .....	443
კონსტანტინე გამსახურდია — ახალი ევროპა .....	446
გიორგი ჩუბინაშვილი — ქართული პლასტიური ხელოვნების შესწავლის ამოცანები .....	454
ლეონ მელიქსეთ-ბეგი — სიმბოლო ქართულ-სომხურ ხუროთმოძღვრებაში .....	466
დიმიტრი არაყიშვილი — ქართული ხალხური მუსიკა .....	468
შალვა ნუცუბიძე — კანტი კაცობრიობის აზროვნების პერსპექტივებში .....	476
ანდრია რაზმაძე — რელატივიზმის მოძღვრება ეინშტეინისა .....	483
ალექსანდრე ჯანელიძე — მეცნიერული ჭეშმარიტება და შემოქმედება .....	500
გრიგოლ წერეთელი — ანაკრეონტი .....	509
პავლე ინგოროყვა — ჩახრუხაისძე .....	519
ნიკო ნიკოლაძე — მოგონებანი სამოციან წლებზე .....	538
იაკობ ნიკოლაძე — ერთი წელიწადი როდენთან .....	558
შალვა ამირანაშვილი — ძველი ქართული ხუროთმოძღვრების გამოფენა .....	567
კოტე მარჯანიშვილი — ელეონორა დუზე .....	570
ქართული კულტურის ქრონიკა .....	572
ევროპის კულტურის ქრონიკა .....	574
ბიბლიოგრაფია .....	576

**„ახალი კავკასიონი“, №1-2, 1925**

რედაქციისაგან .....	581
იოსებ გრიშაშვილი — დუდუკის საარი ქარს აღარ მოაქვს .....	583
კოტე მაყაშვილი — სიცოცხლის თავდაღმართზე .....	584
ალექსანდრე აბაშელი — მეოცნების დღიური .....	586
შალვა დადიანი — უბედური რუსი .....	593
ნიკო ლორთქიფანიძე — აბრაგი .....	619
სანდრო შანშიაშვილი — Genesis .....	637
სანდრო შანშიაშვილი — ბრძენი-მასხარა .....	638
სოლომონ თავაძე — ცხრაას ხუთი წელი .....	639
კონსტანტინე გამსახურდია — რომანიდან: „დიონისოს ღიმილი“ .....	645
ვარლამ რუხაძე — ვანო სარაჯიშვილის ხსოვნას .....	667
ივანე ყიფიანი — სილუეტები .....	667



იონა ვაკელი — საქართველო .....	668
ხარიტონ ვარდოშვილი — საუბარი უბედურ ლანდთან .....	669
ალექსანდრე ქუთათელი – Démêtêr et Korê .....	670
გრიგოლ ცეცხლაძე — კვიმატი დღეები .....	672
დავით კლდიაშვილი — შუაღმრთის პირას .....	672
ბლუზ სანდრარ (ლ. შ.) — მე მოვჰკალ .....	676
ვსევოლოდ ივანოვ (ლ.) — ბავშვი .....	679
ლ. ტანსკი (დ-ლი) — ორი ქვეყანა .....	686
ვალერი ბრიუსოვ (ივ. ყიფიანი) — პარიზი .....	688
ვალერი ბრიუსოვ (K.) — მინის სული .....	690
ვალერი ბრიუსოვ (ხ. ვ.) — ჩვენი გამოცდა .....	691
კონსტანტინე გამსახურდია — ანატოლ ფრანს .....	692
ანატოლ ფრანს (ლ. ქ.) — II წლის ფლორეალის თვის პატარა ამბავი .....	699
ანატოლ ფრანს (ლ. ქ.) — ნებადართული სიკვდილი .....	702
იოჰან ვოლფგანგ გოეთე (იბერიელი) — ფაუსტი .....	704
სოჭოკლე (პ. ქავთარაძე) — ანტიგონე .....	733
გერონტი ქიქოძე — თეატრალური პარადოქსები .....	755
ვახტანგ კოტეტიშვილი — ქართველ მხატვართა გამოფენა .....	757
მიხეილ აბრამიშვილი — გიორგი წერეთელი .....	762
ს. დევდარიანი — აკაკი წერეთელი და საქართველო .....	768
ივანე გომართელი — ილია ჭავჭავაძე და მისი მხატვრული შემოქმედება .....	775
სიმონ ყაუხჩიშვილი — იაფეტური თეორია და ბერძნული ეტიმოლოგიები .....	793
გრიგოლ წერეთელი — ნეაპოლი — რომი — ბერლინი .....	801
დიმიტრი უზნაძე — ბერგსონის მონიზმი .....	826
ივანე ჯავახიშვილი — ქართული დამწერლობათამცოდნეობა ანუ პალეოგრაფია .....	834
ნიკო ნიკოლაძე — მოგონებანი სამოციან წლებზე .....	869
იაკობ ნიკოლაძე — ერთი წელიწადი როდენტთან .....	884
ბიბლიოგრაფია .....	890
ავტორთა საძიებელი .....	901